გიორგი ყუფარაძე

მზესიტყვაობა

გიორგი ყუფარაძე

„მზესიტყვაობა“

მესამე გამოცემა
შესწორებებით და დამატებებით

(გირჩევთ წაიკითხოთ უზმად და დილის საათებში
არა უმეტეს 50 გვერდისა თუ გინდათ
გამოჯანმრთელდეთ, სიამე განიცადოთ და მთელი
დღე კარგ ხასიათზე იყოთ)

თბილისი 2006 წ.

ÓÄÊ 894631-84
ყ1080

გიორგი ყუფარაძე

„მზესიტყვაობა“

წიგნში მოცემულია ავტორისეული 15000 მზესიტყვაობა, გამონათქვამი, შერეული იუმორის, ფილოსოფიის და საღი აზროვნების კოქტეილში, რომელიც შინაგანად მკითხველისათვის ნაცნობიცაა და უცნობიც. ავტორი ხშირად დაუფარავად წერს იმას, რისი თქმაც ბევრს მკრეხელობად ეჩვენება.

რედაქტორი: პროფ. ლ ე რ ი ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე

© გ. ყუფარაძე
2006

საუნივერსიტეტო გამოცემა
თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტი „ეკო+“

ISBN 99928-0-405-X

წინათქმა

წინამდებარე წიგნის ავტორი ჩემი სიჭაბუკის მეგობარია, თუმცა ბოლო ათწლეულში კონტაქტები გაგვიმეჩხერდა, გიორგის მეზობელ ქვეყანაში დროებით „გადასახლების“ გამო. გიორგი (გოგი) ყუფარაძე გამორჩეული კაცია თავისი ნიჭიერებით და საქმის ცოდნით, ახლობლებისა და მეგობრების სიყვარულით და გვერდში დგომით. იგი სპეციალობით და სულით მეტყევეა, მაგრამ ცხოვრების ორომტრიალმა და ალბათ ნიჭმაც მას ბევრი ახალი პროფესია აათვისებინა, მაგრამ მეცნიერებას, მწერლობას და ფულის კეთებას დღემდე ვერ ეშვება. გოგი ყუფარაძის შემოქმედებითი რეგალიები შემდეგნაირად წარმოგვიდგება. პროფესორი, პირობითი ეტალონების თეორიის, „გიორგი ყუფარაძის“ სახელობის ელიფსისმაგვარი ჭრების, ქართული შრიფტის ორი ვარიანტის, ორი ახალი დამწერლობის, მრავალი კომიქსის და გამოგონების ავტორი. რაც შეეხება კულინარიას, მისთვის ჰობია, ეხლახან გამოსცა წიგნი „ორიგინალური კულინარია ხონურად“. ავტორია რომანების, პიესების, ფილოსოფიური შინაარსის ნაწარმოებების, რამდენიმე ენაზე გამოვიდა მისი „სამყაროს კონსტიტუცია დანახული 22 საუკუნის გადასახედიდან“, ავტორია მრავალი სამეცნიერო შრომის, საქართველოს რაგბის განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებელი და თავის დროზე საქართველოს ლელო-რაგბის ფედერაციის თავმჯდომარე, წარმატებული ბიზნესმენი, დაჯილდოებულია რაგბის ფედერაციის ოქროს დიდი სამახსოვრო მედალით და ღირსების ორდენით. მიუხედავად იმისა, რომ ხვადი კატასავით იქ დასეირნობს და იმ საქმეს აკეთებს, რაც მოეხასიათება, მზრუნველი და მოსიყვარულე მამა, მეუღლეა. ეს მის ნაწარმოებებზეც ეტყობა, თუნდაც ის, რომ ამ შემოქმედების ავტორი, შემქმნელი-მამაკაცია.

ამ წიგნსაც ქართველებისათვის გასაგები, შესანიშნავი სათაური – „მზესიტყვაობა“ მოუძებნა, რომელშიც ერთდროულად წარმოდგენილია: აფორიზმები, მაქსიმები, სენტენციები რომლებიც გახვეულია იუმორსა და მოზომილ არანორმატიულ ლექსიკაში. ამდაგვარი წიგნის დაწერა და გამოცემა ერთეულ ავტორთა ხვედრია, რადგან ეს ნიჭის გარდა უამრავ სასიამოვნო შრომას და დაკვირვებას მოითხოვს. მკითხველი არაერთ უჩვეულო და დასაფიქრებელ შეხედულებას აღმოაჩენს. წიგნს თავიდან ბოლომდე გასდევს იუმორი და ზოგჯერ ძნელად შესამჩნევი ირონია. ზოგიერთი გამონათქვამის პარადოქსულობა სწორედ ამ პოზიციიდან უნდა შეფასდეს.

მკითხველს მინდა წინასწარ შევთავაზო გოგისეული რამდენიმე მომხიბვლელი ან მისი საყვარელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ფრთაასხმული“ სიტყვა, ფრაზა, მზესიტყვაობა, ასეთებია: სულის კოროზიის კანონი, კანო-

ნის დიეტა, სურვილების თეორია, ოცნებათა ვიში-ვიში, ბიო-სექსუალური პოლიტიკა, ჟღერადობის დახურდავება, გონიერების კულტის დაჭიტლაყება, სულის გასაყიდი სერთიფიკატი, გულგრილობის მარაგი, საბაზრო გარყვნილება, ყლორტის ფილოსოფია, სიკეთის ფორმულა და სხვა მრავალი.

„რაგბი თავდაჭერილი და თავისუფლად მოაზროვნე ხალხის თამაშია, ეს არის შერკინება მთელი ცხოვრების მანძილზე, რითაც ბედნიერებას აღწევენ“.

„ზოგი ისეთი ძუნწი და დამწვარია, საკუთარი თავისთვის საკვების ყიდვა ენანება – მაინც უნდა მოვინელო და რა აზრი აქვსო“.

„თუ საქართველოს ისტორიას თვალს გავადევნებთ, გაკვირვებული დავრჩებით, როგორ არ წარმოიშვა ასეთი გვარები: სამოთხიძე, ჯოჯოხეთაძე, ღმერთაძე, ეშმაკიძე, ვირეშმაკაშვილი, გაუტანელი, ჩამშვებაური, შურიანიძე, ვალდაუბრუნებაძე და ა.შ.“

„ზოგს ისეთი ყისმათი აქვს, მეოთხე ქმარს იმქვეყნად ისტუმრებს, მეხუთე რქიანი რიგში უდგას და მეექვსე რიგის წაწევით კმაყოფილია“.

„ყველა ქალის ოცნება, ის იყოს თავის მამაკაცის პირველი და ბოლო საკითხავი წიგნი მაგრამ მამაკაცს აღარ ეკითხებიან უნდა თუ არა დარჩეს უწიგნური“.

„რატომღაც ყველა სიძეს ძნელად აღსაზრდელი სიდედრი ხვდება და ყველა დედამთილ ცუდად აღზრდილი რძალი“.

„ოჯახში, წესრიგი ქალმა უნდა უზრუნველყოს, კარიერა ქმარმა, ხოლო თუ პირიქით ხდება, ეს ოჯახი კი არა ოჯახუნაა“.

„აფორიზმი მოაზროვნედან გამოწურული, დაღვინებული აზრია, რომლის შესმა ყველას შეუძლია, მაგრამ მისით თრობა ერთეულთა ხვედრია“.

მზესიტყვაობა მოხერხებულად, ფილოსოფიურ საწყისზე, იუმორით გვახსენებს და გვკარნახობს იმას, რაც ჩვენ შესანიშნავად ვიცით და მეექვსე გრძნობით ვგრძნობთ.

მზესიტყვაობა იმით განსხვავდება აფორიზმისაგან, რომ მას ირონიაც აქვს შეზავებული გონის დამატებით გასანძრევად და სიამის მოსაგვრელად.

დანარჩენი კეთილგანწყობილი მკითხველისთვის მიგვინდვია.

ლერი ჩანტლაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

ადამიანი

1. ადამიანის სახელი კი ჟღერს ამაყად, მაგრამ ზოგიერთს გენი აქვს წამპალი და გამოუცნობი: წინ არავის უშვებს, თავის გადასარჩენად და კარიერის მოსაპოვებლად ყველა სისაძაგლეს კადრულობს.
2. ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხანს ცოცხლობენ, ცხოვრებას სიამტკბილობასა და ერთმანეთის სიყვარულში არ ატარებენ, რადგან ეს ხელს შეუშლიდა საზოგადოების განვითარებას. ეს ის შემთხვევაა, როცა თეორია, სურვილი და პრაქტიკული სინამდვილე ერთმანეთს არ ემთხვევა და სრულიად სამართლიანადაც. მაშ ვჭამოთ ერთმანეთი დაუზოგავად, თუ საზოგადოებისა და ცხოვრების დონის ამაღლება გვინდა.
3. „წესიერი კაცი გაყოფის დროს ყოველთვის წაგებაშია, უწესო კი – მოგებაშია". გაყოფა მაინც წესიერმა კაცმა უნდა იტვირთოს, რათა წაგებული მასთან ერთად მთელი საზოგადოება არ დარჩეს.
4. გაფეტიშება სიცოცხლეში ადამიანს ვნებს, ხოლო პატივისცემა, მოკრძალება, მისი გამოცდილების, ცოდნის და ნამოღვაწარის დაფასება, მასთან ერთად აღგვამაღლებს.
5. ადამიანს ხშირად აქვს ცხოვრების თავიდან დაწყების სურვილი და სასიხარულოა, რომ ამას ვერ ახერხებს, თორემ იმ ახალ ცხოვრებასაც ძველებურად დაიწყებდა, დროს გადააცდენდა და ისევ ძველს დაუბრუნდებოდა.
6. ადამიანი, თავის სახლს მოშორებული, ხმელი ფოთოლივითაა და ღმერთმა იცის, ქარი სად მიაგდებს დასამკვიდრებლად და დასაჭკნობად.
7. ადამიანს უნდა ახასიათებდეს ნაციონალური სიამაყე და არა სიბრიყვე, ის უნდა ცდილობდეს თავის ეროვნების წარმოჩენას საქმით და არა ყეყეჩი ტრაბახით.
8. ამბობენ, ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა, მაგრამ ეტყობა რამდენიმესგან, თორემ ასე სხვადასხვანაირად გამაიმუნებული ის ვერ იარსებებდა.
9. ადამიანს სახელმწიფოსგან ყოველთვის იცავდა ტალანტი და პოლიტიკისადმი გულგრილობა.
10. როგორც ვიცით, ადამიანი ცხოვრების ორ ნახევარს გადის: ცხოვრების პირველ ნაწილს საკუთარი თავის სიამოვნებისთვის ატარებს, ხოლო მეორეში კი ცდილობს სიამოვნება არ დაიკლოს.
11. ადამიანი ძლიერ ამაყია, ის ყოვლისშემძლეა და თუ დასჭირდა, ადამიანობის დახურდავება და დაკარგვაც შეუძლია.
12. კარგია, ადამიანს განვლილი ცხოვრებიდან კარგი და სასიამოვნო რომ ამახსოვრდება, ცუდსაც კი იუმორით იხსენებს, თორემ პირიქით რომ იყოს, მაშინ ჩვენი

ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსებოდა, როგორც პიროვნებისთვის, ასევე მის გარშემო მყოფთათვის.

13. არის ადამიანთა კატეგორია, რომელთაც არ აღელვებთ ის, რომ პატივისცემით არ ეპყრობიან, მათთვის ისიც კარგია, რომ აშკარად არ აფურთხებენ.
14. ადამიანის პროფესია, თუ ის მოწოდებით მუშაობს, განუყრელ კავშირშია მასთან.
15. ადამიანის ენერგიით დამუხტვა თუნდაც იმიტომ არის საჭირო, რომ ის ერთმანეთის პატივისცემისა და სიყვარულისთვის გამოვიყენოთ. ამასთან ლომის წილი ქალების განათლებას და გაღვივებას მოვახმაროთ.
16. ადამიანი ამქვეყნიური სიამით არ უნდა გააძღოთ, თორემ მოყირჭდება და სიცოცხლე გაუძნელდება, რადგან მის თვალში ყოველივე ფასს დაკარგავს.
17. ადამიანი ბუნებით შურიანია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერც იარსებებდა და ვერც განვითარდებოდა, თუმცა არსებობისთვის მას შავი შური ეხმარება, ხოლო განვითარებისთვის თეთრი.
18. ნამდვილი ადამიანი ყველაფერს აკეთებს თავისი სიამოვნებისთვის, თვით ეშაფოტზე ასვლით, რადგანაც საკუთარი თავის წინაშე სიამაყეს გრძნობს, რომ ვერ გატეხეს, ვერ დაითანხმეს.
19. ადამიანის არაშორსმჭვრეტელობის შედეგია "გრინპისის" წევრების თავხედობას პლანეტის გადასარჩენად აღფრთოვანებით რომ უყურებენ, მაგრამ მის დასახმარებლად და დასაცავად, არც მატერიალურად და არც მორალურად თავს არ იწუხებენ.
20. არიან ადამიანები, რომლებიც არც სამგლოვიარო სიტყვას, არც პარაკლისს, არც დაბადების დღის და არც იუბილეს გადახდას არ იმსახურებენ, მაგრამ მავანთ და მავანთ ამ საზოგადოებისას ეს სჭირდებათ და დიდი ამბით აღნიშნავენ.
21. ადამიანი მაშინ გრძნობს თავს კმაყოფილად და დაუმცირებლად, თუ მას სასჯელს შეუფარდებენ მისი დანაშაულის შესაბამისად. მკაცრი ან ლმობიერი სასჯელი მსჯავრდებულის უკმაყოფილებას იწვევს.
22. ადამიანს საკუთარ შეცდომებზე სწავლა არ შეუძლია. აქ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა არაფერშუაშია, უბრალოდ, ის ამ შეცდომისთვის არის დაბადებული.
23. ზოგიერთ ადამიანს იმდენი უსარგებლო ღირსება აქვს, რომ მათ გამოყენებას ხულიგნობამდე და უზრდელობამდე მიჰყავს.
24. ადამიანის პატიოსნება არ განისაზღვრება მისი ცოდნითა და გამოცდილებით. მთავარი გარანტიაა ფული, დამაკმაყოფილებელი ხელფასი, გასამრჯელო, ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ პატიოსნებაზე.
25. ამბობენ, ადამიანი დღეში ორი საათი ვირის ჭკუაზე დგება და კარგია, რომ მას უმეტეს შემთხვევაში სძინავს, მაგრამ ქალებს ეს არ ეხებათ, მათ უძილობა ეხმარებათ "ამ ჭკუაზე" ფხიზლად იყვნენ.
26. ადამიანი თავისი ბიოლოგიით ყველაფერს ეჩვევა, მას ყველა პირობებში შეუძლია ცხოვრება, ოღონდ ძალზე უჭირს სისტემისა და კერპების გარეშე არსებობა.
27. საოცარია, როდესაც ადამიანი ამდენ ფინანსებს, ენერგიას და ნიჭს ახმარს საკულტო ნაგებობებს, მწირი ბიუჯეტიდან, მაგრამ ეტყობა ეს იმპულსები ზევიდან

მოქმედებენ, რათა მომავალი თაობა წინაპარმა თავისი ნამოღვაწარით აღაფრთოვანოს.

28. თავისუფლების სიოს ქროლვას ადამიანი მაშინ უკეთ შეიგრძნობს, თუ თავისუფლებას შეჭამადსაც დასცინცლავს.
29. კონტროლი იმითაც არის აუცილებელი, რომ ადამიანმა, რის დაცვაც აქვს დაკისრებული, იმით არ ისარგებლოს, ახლობლებსაც არ უწილადოს და მაფიის წარმოქმნას ხელი არ შეუწყოს.
30. ადამიანი თავის ბედთან ერთად იბადება და თუ ღმერთს სჭირდება, მისგან პიროვნებას შექმნის, თუმცა ცოტა ჩვენი მიხმარებაც საჭიროა.
31. ადამიანს თუ გონების ნასახი არ გააჩნია, სივრცე არ უნდა გაუთავისუფლოთ, თორემ იქაც რაღაცას მოიმოქმედებს და ცასაც დაანაგვიანებს.
32. ადამიანი უნდა ეცადოს სხვას არ დაემსგავსოს, რადგან მას თანდაყოლილი მანკიერებებიც ეყოფა.
33. ყველა ადამიანური მანკიერება მისივე განვითარებისთვის, განათლებისთვის და წინსვლისთვის არის შექმნილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება ჭაობს დაემსგავსებოდა, აშმორდებოდა და ამოშრებოდა.
34. უნაკლო ადამიანი არ არსებობს, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ პატრიოტიზმი საშუალებას არ გვაძლევს შევაფასოთ ჩვენი და სხვისი უხიაგობა.
35. ყველა ადამიანი რომ კეთილგონიერი იყოს, მაშინ თანამედროვე საზოგადოებაში უმუშევრობის მთებს ნახავდით – აღარავის დასჭირდებოდა უსაშველოდ გაბერილი სახელმწიფო პარაზიტული აპარატი.
36. ადამიანს არც ის გულკეთილობა უნდა შეუნდო, რომელიც მისი ხუმტურის და პატივმოყვარეობის მიზეზია.
37. ადამიანებს იმიტომ უჭირთ ცხოვრება, რომ თანამოსაუბრეებთან ჭეშმარიტების დადგენას არ ცდილობენ, ისინი უფრო მეტად თავისი აღგზნების დასაოკებლად საუბრობენ და ვერ ხვდებიან, რა აწუხებთ და რა უნდათ.
38. ეტყობა ადამიანები დაპირისპირებისათვის, ურთიერთქიშპობისთვის, ჭეშმარიტების საძიებლად არიან დაბადებულნი, ისინი ყოვლად უდრტვინველ სიტუაციაში ახერხებენ სადაო საკითხის წარმოქმნას და შემდგომ კამათად, ჩხუბად გადაქცევას.
39. ადამიანი ყველაფერს ჩქარა ეჩვევა და ჩქარა იბეზრებს, მათ შორის, საამო და უდრტვინველ ცხოვრებასაც. მხედველობაში მაქვს განვითარებული ადამიანები და არა მცონარა ვიგინდარები.
40. ადამიანისთვის რჩევის მიცემა სისულელეა, რადგან ის უკეთესი ვერ გახდება, მას რჩევა თავის საქმის მოსაკვარახჭინებლად სჭირდება და არა თავისი ხასიათის შესასწავლად.
41. ადამიანს დამაჯერებლად არაფერი არ უნდა ურჩიო, უბრალოდ უნდა გამოთქვა შენი აზრი, რადგან შენი რჩევით უხეიროდ განხორციელებულ საქმეს შენ დაგაბრალებს.
42. რამდენიმე ხნის შემდეგ შესაძლებელი იქნება ადამიანის კოსმოსში გაფრენა და იქიდან დაბრუნებულმა ნახოს, გვარის გამგრძელებლები როგორ უვლიან

შთამომავლობას. თუ რა ხასიათზე დადგება, ეს სხვა საკითხია, რადგან მათი ცხოვრების წესი და კულტურა ყველა ვარიანტში მისთვის მიუღებელი იქნება.

43. არიან ადამიანები, რომლებიც თავხედობით ცდილობენ, ვისაც გზად გადაეყრებიან, ან წააწყდებიან, მის ხარჯზე იცხოვრონ. ასეთ ხალხს ძალად თაღლითებს უწოდებენ.

44. ყველაზე მდიდარი ადამიანი, ალბათ, ბრძენია. მას საკუთარი თავისთვის სასიამოვნო საქმიანობის კეთების გარდა არაფერი სჭირდება, მათ შორის – სიკვდილიც.

45. ქედმაღლობა არის ბევრი ვნების მომტანი ადამიანისთვის, მაგრამ არც მიწაზე ხოხიალი და თავმდაბლობა აგვამაღლებს ხალხისა და საკუთარ თვალში.

46. ადამიანის გაღატაკების მიზეზია არა მისი შემოსავლის სიმცირე, არამედ თავის თავზე ზედმეტი წარმოდგენა, სიზარმაცე და ყოყლოჩინობა.

47. ადამიანი სხვაზე უფრო მეტად ფიქრობს, ვიდრე საკუთარ თავზე. წესიერებაზე უფრო ბევრს ლაპარაკობს, ვიდრე თვითონ არის. ხოლო ღმერთი და ლოცვა მაშინ ახსენდება, როცა გაუჭირდება, ან ვინმეს უნდა დაანახოს – აი, რა ღვთისმოსავი ვარო.

48. ადამიანები კეთილნი, სამართლიანები და სანდონი რომ იყვნენ, განა ამქვეყნად რაიმე პრობლემა იქნებოდა სიკვდილის გარდა?

49. ადამიანი თავისი ბუნებით სილამაზისთვის, ოცნებისათვის არის მოწოდებული. ოცნება ფანტაზიის გარეშე შეუძლებელია, ფანტაზია კი სიყვარულის გვირგვინია.

50. უკიდურესობა ადამიანისთვის ყოველთვის მანკიერების ჩანჩქერია, ცოცხლობს და სიამეს გვგვრის, მაგრამ ჭაობია, ყარს და ქრება.

51. მორალი და სიამენი ცხოვრებისეული ვიტამინებია, ბრძოლა ამ ორ მონსტრს შორის ადამიანისთვის ხან ერთის გამარჯვებით მთავრდება, ხან – მეორის, მაგრამ თუ სიბერე მორალს ქადაგებს, ახალგაზრდობა მომეტებული ვიტამინების მიღების მომხრეა, მიუხედავად იმისა, რომ დაღვინების პერიოდში ასაკის მატებაც სიამისკენ მიილტვის.

52. ტყუილის მცირე დოზა ხანდახან სასწაულებს ახდენს. ის ადამიანის მიმართ კეთილგანწყობილებას იწვევს. თუმცა გააჩნია, ვის რა ნიჭით შეუძლია მოტყუება.

53. ადამიანი სიცოცხლეში უშვებს უამრავ შეცდომას, სიკვდილის შემდეგ ამ შეცდომებს ალბათ მისი სული იმეორებს, რადგან ადამიანის გამოსწორება როგორც აქ, ისე იმქვეყნად შეუძლებელია.

54. ადამიანის ძირითადი მკურნალია: ჰაერი, წყალი, მოძრაობა, დიეტა, საინტერესო სამუშაო ანაზღაურებით, კარგი ოჯახით და ზომიერად ნერვების მომშლელი ცოლით.

55. ადამიანს ცხოვრების გავლა ორი მორალით უხდება, საკუთარი და თავსმოხვეული. პირველი თავის შეცდომებზე თვალის დასახუჭად სჭირდება, მეორე – სხვის გასაწკეპლად.

56. ადამიანებს შორის კონფლიქტის მიზეზი ხშირად ის არის, რომ ერთმანეთის აღზრდას ვცდილობთ, მაგრამ ის კი გვავიწყდება, რომ რაიმეს შეცვლა ჩვენი აღზრდის საქმეში უკვე დაგვიანებულია.

57. ადამიანი უნდა ეცადოს ისე იცხოვროს, რომ სიბერის ჟამს, გაუკეთებელი საქმის არგაკეთება სანანებელი არ გაიხადოს.

58. ადამიანმა არასოდეს არ იცის რა დროს უხდება ცხოვრება: ომის დაწყების პერიოდში, თუ გაგანია ომში, მაგრამ სიბერეში თავისი ცხოვრების გაფეტიშებას ცდილობს განვლილი გზის ანალიზის გარეშე.
59. საზოგადოების წესი და მორალი მოითხოვს რომ ადამიანი მოიქცეს თავისი ასაკის შესაბამისად, მაგრამ იმას არავინ უწევს ანგარიშს, რომ არ ბერდება და მისი აზროვნებაც ძნელად იცვლება, ასაკი მხოლოდ ფუტლარის დაბერებით გამოიხატება.
60. ადამიანს არ უნდა რცხვენოდეს დაგვიანებული ნამდვილი სიყვარულის, მით უმეტეს, თუ ის ბედნიერია.
61. ადამიანმა მისთვის განკუთვნილი ცხოვრების პერიოდი არა მარტო ვალის აღსასრულებლად უნდა განვლოს, არამედ თავისი და სხვისი სიამოვნებისთვის, რომელიც კაიფს ანიჭებს, რადგან ამქვეყნად ყველაფერს დრო ჭამს და დავიწყებისკენ მიაქანებს.
62. წინათ ამბობდნენ: ადამიანი, რომელიც ოდესაში დაიბადა, როსტოვში სწავლობდა და თბილისში გადის კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს, ცეცხლში და წყალში გამოიწრთობა და ცხოვრებაში არაფერი არ გაუჭირდებაო. ასეთი იყო ამ სამი ქალაქის ცხოვრებისეული გამოცდილების ავტორიტეტი.
63. ადამიანი იმიტომ არის საინტერესო, რომ იმედებს გიცრუებს, გაკვირვებს და გაოცებს, ალბათ, ეს არის კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა.
64. ბრძოლა სიცოცხლისა და სივრცის მოპოვებისთვის ადამიანის ცხოვრების აზრი და მისი წინ წაწევის პირობაა.
65. ყველაზე გასაოცარია არამკითხეების თავის მოგიჟიანება იმ ადამიანების მიმართ, ვისაც მისთვის არაფერი დაუშავებია და ვის შესახებაც თითქმის არაფერი იციან. ეს, ეტყობა, ჩვენს ბუნებაშია: ნახირ-ნახირ და მეც შემიძლია ფეხის გამოყოფაო.
66. ალბათ, ადამიანების ჯიუტობისა და წინდაუხედაობის ბრალია, რომ ბიზნესში და პოლიტიკაში შემთხვევითი ხალხი მოდის, მათ აუხდენელი ტყუილის მოსმენა და უხარისხო საქონლის შეძენა ურჩევნიათ, ვიდრე მეწარმეს და ბიზნესმენს დაეხმარონ ახალი, მაღალხარისხოვანი და შედარებით ძვირი პროდუქციის რეალიზაცია გასაღებაში.
67. მარტივად მცხოვრები ადამიანი ლაღად ცხოვრობს, იოლად იცვლის, საყვარლებს, თაყვანისმცემლებს, სამსახურს, მეგობრებს. ერთი სიტყვით, ის დღევანდელი დღით ნასიამოვნებია.
68. დღეს რაც უნდა მიუღებელი გვეჩვენოს, ადამიანმა პატივი უნდა სცეს თავის წარსულს, რადგან მის გარეშე არც მომავალი არსებობს, არც ჩვენი გამოცდილება და არც ცხოვრების რეალური ხედვა.
69. ადამიანი თავისი ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს, რათა ამქვეყნად ყოფნა მხოლოდ არსებობა არ გამოუვიდეს.
70. გონიერი ადამიანისათვის და არა ფანატიკოსისთვის სამშობლოდ ითვლება ის ქვეყანა, სადაც იგი სჭირდებათ, მის ნიჭსა და შრომას აფასებენ, იცავენ და იმ საზოგადოებაში თავს კარგად გრძნობს, ხოლო იქ სადაც გლანძღავენ, იძულებითი სამყოფელი ხდება და სხვა გზა არ გრჩება – უნდა გამოიცვალო.

71. წესიერი ადამიანისთვის მთავარია არა სიტყვის თავისუფლება, არამედ შრომის, სათანადო ანაზღაურების და ოჯახის რჩენის უფლება, ხოლო დანარჩენი ყბედობაა და მისი გაფეტიშება იმათ სჭირდებათ, ვისაც თავიანთი საქმიანობისგან მეტის მიღება უნდათ.
72. ადამიანს ყოველთვის აწუხებს მნიშვნელოვანი იდეები, სულელური ქცევები, თანდაყოლილი სამართლიანობის გრძნობა და ყოველივე ამის დავიწყება და თავიდან დაწყებით.
73. სახელოვან ადამიანს ბევრი ბაძავს, მაგრამ აქედან ერთეულები ხდებიან სახელოვანნი, მისაბაძნი.
74. სასარგებლო რჩევა ადამიანისთვის ოქროდ იქცევა, რომ არაფერი ურჩიო – ვერცხლად დარჩება, უსარგებლო რჩევას ადამიანი საფლავამდე მიჰყავს, მაგრამ გააჩნია მსმენელს.
75. თუ ადამიანს სისაზიზღრე შეუჯდა, დიდხანს არ დაწყნარდება და ის მოულოდნელად ისვრის ბოლომდის თოფს, თავისი სისუსტისა და ვერაგობის დასაფარავად.
76. საოცარია ზოგიერთი ადამიანის უმადურობა, ის ერთი თევზის მჩუქებელს უფრო თბილად მოიხსენიებს, ვიდრე მას, ვინც თევზის ჭერა ასწავლა და გზაზე დააყენა. ეტყობა, ამქვეყნად მუქთად ნაჩუქარს უფრო აფასებენ, ვიდრე შრომით, გარჯით და ცოდნით მოპოვებულს.
77. გაჭირვებასა და მომჭირნეობას შორის დიდი ზღვარია: პირველი ადამიანის უნიათობაზე, უჭკუობაზე, შრომისადმი უპატივცემულობაზე, ნაადრევ სიბერეზე მიუთითებს, ხოლო მეორე – აზროვნების, გარჯილობის, სხვისი შრომის დაფასების, ცხოვრების გამოცდილებისა და მისი სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელია.
78. თანამდებობა დიდ ადამიანს უფრო აამაღლებს, არაკაცს კი გაადიდგულებს, გაბღინძავს და თავის ადგილს არგუნებს სანაგვე ყუთში.
79. საზოგადოების მორალის მიხედვით სჯობს ადამიანს პირდაპირ მიახალო სიმართლე, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის, თანაგრძნობის, უიმედოდ გაშლილი ხელების გარეშე, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ადამიანი მაინც სუსტი არსებაა და ნუ გავწირავთ მორალს ნუ გადავაყოლებთ.
80. ადამიანისთვის, ბოლოს და ბოლოს, პატიოსნება და ღირსებაა მთავარი, ხოლო ყოველივე დანარჩენი ბრბოს და მონის ატრიბუტია.
81. ცნობისმოყვარე ადამიანის შესაძლებლობები, რამდენიმე ხარისხში აყვანილი, სახელმწიფოს და ერის სიმდიდრეა, რომლის გამოყენებას, სამწუხაროდ, ქვეყნის ერთგულებიც კი არ ცდილობენ, იმდენად არიან თავიანთ კეთილდღეობას გადაყოლილნი.
82. არის კი ადამიანი ბედნიერი?! როდესაც მის გარშემო არ არსებობს კონფლიქტი ინტერესებით, არ იცის საიდან წარმოიშვა სიძულვილი და სიკეთე, არ არის დამოკიდებული პროგრესის განვითარებაზე და ყველა აქედან გამომდინარე, ადამიანის მტაცებლურ ბუნებაზე, ანტიპოდებზე.
83. მეოცნებე, ყველაფრის მცოდნე, არაფრის მკეთებელი და სათაყვანებელი, ფილოსოფია, ადამიანის ცნობისმოყვარეობას აღიზიანებს და საკითხს კიდევ უფრო ზოგადს და გაუგებარს ხდის.

84. ყველაზე საინტერესო აზრები და მუზა მის ამოსაფრქვევად ადამიანს მიაკითხავს ყველაზე მოუხერხებელ ადგილას, სადაც ფანქრის და ქაღალდის ხმარება უხერხული და გაძნელებულია.
85. ზოგჯერ ადამიანი ვერ ეთანხმება საღ ჭეშმარიტებას, აქსიომას, მიუხედავად იმისა, რომ გონება ამისკენ მოუწოდებს, მაგრამ წინააღმდეგობა მის ბუნებაში დევს და ამიტომ ჭეშმარიტება თავის გზას ვერ ნახულობს.
86. გაჭირვება და მომხვეჭელობის სურვილი ადამიანს ბევრ ისეთ რამეს აკისრებინებს, რასაც მისგან არ მოელიან, თუ ის მოშორებულია შინაურ გარემოსა და ნაცნობ-მეგობრებს.
87. ახლობელ ადამიანებში ეჭვი გეპარება მაშინ, როდესაც ასაკი გემატება და ხვდები, რომ შენთან მხოლოდ სარგებლობისა და საჭიროებისთვის მეგობრობენ.
88. ადამიანს შემთხვევით ჩადენილი დანაშაული უფრო ააფორიაქებს, მთელი ცხოვრება თავის გვემაშია და თან ყველა ღონეს ხმარობს, რომ დაივიწყოს, ვიდრე განზრახ ჩადენილი, უფრო მძიმე დანაშაული. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ მეორე სიძულვილით ჩაიდინა, ხოლო პირველი – გამოუცდელობით, გაუფრთხილებლობით, უცოდინარობით.
89. რეალობა არ იღებს იმას, რასაც ადამიანი მიჩვეულია, მაგრამ არც ადამიანი ტოვებს ასე ადვილად თავის ჩვევებს და თეთრ ბაირაღს არ ფენს გარდაუვალი სინამდვილის წინაშე, თუ პირად ინტერესებს არ ხედავს.
90. ადამიანს ახალი ცხოვრების დაწყება ძალზე გაუჭირდება, თუ ვისზედაც განაწყენებულია, მას არ შეუნდობს, რადგან გულს ბოლმა ედება და ოცნებასთან შორს დგება, ამიტომ ცხოვრებას პირველ რიგში თვითონ იმწარებს, ხოლო თუ შეუნდობს, თვითონაც თავისუფლდება და სხვასაც ტვირთს ჩამოხსნის.
91. ადამიანის ბუნება მაინც ჭუჭყისკენ ისწრაფვის, რადგან მომეტებულს იგი ვერც კარგს და ვერც ცუდს ვერ იტანს.
92. შეიძლება ადამიანმა უზრუნველად იცხოვროს ფერმის ქათამივით, ლაღად – ტყის ქათამივით, კარგად – შინაური ქათამივით, მაგრამ ჩემი აზრით, ეს უკანასკნელი ჯობს, რადგან მის მოსაპოვებლად არც მაღაზიაში გიხდება სიარული და არც ტყეში ხეტიალი, თუმცა გააჩნია გურმანს და მის გეშს.
93. ადამიანი ყოველთვის იცავდა სინდისს თავისი თაობისას, რომელიც მას ადრეულად მიაქანებდა საფლავისკენ, მაგრამ მის შეურაცხყოფილ სულს სხვანაირად არ შეუძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ დარჩება დაჩაგრული და ცოცხალ-მკვდარი.
94. ყველა მოვლენა გულთან რომ მიიტანოს და ამაზე იფიქროს, ვერცერთი ადამიანი ვერ გაუძლებს. ამიტომ უპრიანია ხმირად ყველაფერს გულგრილად უყურო და თავის გაიხალისო.
95. ადამიანი თავის დროის შვილია და მისი ღმერთთან წარდგინება უნდა ხდებოდეს სწორი გზით, რათა მოიპოვოს სასუფეველი და მეუფე არ გააწამოს.
96. ეშმაკი და გულადი – ადამიანის ღირსებაა თუ ნაკლი, დამოკიდებულია იმაზე, რა სიტუაცია შეიქმნება და ვის მოუტანს სარგებელს.

97. ადამიანის მოკვლა ცოდვაა, მაგრამ უშვილძიროსი ორჯერ მეტი, რადგან შენ მას მომავლის და გენის გაგრძელების გარეშე ტოვებ, ხოლო მეოცნებე "ობივატელს" მკვლელობით კი ყველას იმედს უსპობ.
98. ადამიანი როგორც სუფთა და ხალასი იბადება ამქვეყნად, ასევე გასუფთავებული, უკბილო, გონებადაცლილი და ჯანგამოცლილი უნდა წავიდეს იმქვეყნად, რადგან ადგილი გაანთავისუფლოს სიცოცხლის საჯილდაოზე მომდევნო თაობებისთვის, რომლებიც ასევე უმწიკვლონი მოდიან ამქვეყნად.
99. საოცარია ადამიანის მორალი: თუ მას ეროტიკულის დანახვა აღიზიანებს და აფორიაქებს, იმაზე საუბარს უნდა ერიდოს, ხოლო თუ რამე საშინელებას თვალი მოჰკრა, ნება აქვს ისაუბროს და სხვასაც ხასიათი გაუფუჭოს.
100. შურისძიება ადამიანის მკვლელობის გამართლების უძველესი მეთოდია, რადგან ამქვეყნად ყოველთვის იქნებიან გამოუსწორებელი არამზადები და კანონის ვიგინდარა მსახურნი.
101. ცნობილია, რომ წესრიგის გარეშე საზოგადოება არ არსებობს, მაგრამ არც სახელმწიფო ბორდელს ებრძვიან მაინცდამაინც სერიოზულად. ეტყობა, ადამიანის ბუნება ორივეს ეგუება, რადგან დიდხანს ერთი განზომილებით ცხოვრება მოსაწყენია.
102. ადამიანმა კარგად რომ იცხოვროს, ბევრი საშუალება არსებობს, ოღონდ საჭიროა შესაფერისი სამშობლო, სასიამოვნო სამუშაო, გამართლება და რაც ყველაზე მთავარია ღმერთმა არ აიღოს შენზე ხელი.
103. გაოცებას იწვევს ადმიანის სიბრიყვე: ის, რაც წესიერებას, გონიერებას და ცხოვრების გამოცდილებას ემყარება, თავისთვის არ მოსწონს, ხოლო ის, რაც გონიერების სფეროდან გამოდის და ადვილად ასატაცებელია, იმას გაითავისებს, მიუხედავად იმისა, რომ გრძნობს ის მისი არ არის და არც მის ბუნებას შეესატყვისება. შეიძლება ასეც ჯობდეს. სულ ჭკვიანად და გონიერად ჩვენმა მტრებმა იარსებონ. ცხოვრებაც ხომ გვინდა.
104. ფაქტობრივად, ადამიანი უმეტეს შემთხვევაში, ყველაფერს თავისი სიამოვნებისა და ხუშტურებისთვის აკეთებს, რათა თავს კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს, რომ მან ეს შესძლო და სიამაყე განიცადოს, თუმცა უმრავლესობა ამ კაიფს სიბერეში ვერ აღიქვამს და სულ თავისი ბედის გინებაშია.
105. ადამიანის სიამოვნება იწყება ჭამა-სმით, მუსიკით, ქალით, გარემოს საამო ხედვით, მეგობრებით, საქმის სიყვარულით, იმიჯის ამაღლებით, გულკეთილობით, მოკრძალებით. ყოველივე ეს კარგია, მაგრამ ამ მოთხოვნებს შენი ბუნებაც უნდა უფრთხილდებოდეს.
106. ადამიანი გულწრფელი და გულღია არც მაშინაა, როცა იგი მარტო რჩება თავისთავთან. გააჩნია რა ხასიათზეა, საკუთარ თავს ან გაუჯავრდება, ან წაუმლიქვნელებს.
107. ადამიანის უპასუხისმგებლობასა და თავისუფლებას შორის დიდი ზღვარია - როდესაც ბნედიანი ცოლი მოგყავს სიყვარულით, კეთილი ინებე და შენს ერს დამატებით საზრუნავს ნუ გაუჩენ, საჭურისი გახდი და მომავალი თაობის გამრავლებაზე ხელი აიღე.

108. ადამიანმა თვითონ უნდა აირჩიოს იშვიათი ცხოველის უკანასკნელი სახეობა ან ამ სახეობის მომსპობი მონადირე, რომლის სიკვდილით ამ სახეობის კვლავწარმოება უზრუნველყოფილია. რომელ ტყვიას მივანიჭებდით უპირატესობას, თუ ორფეხა ცხოველს გადაშენება არ ემუქრება?
109. ადამიანმა ცხოვრებაში ისე არ უნდა იჩქაროს, ან ისე არ უნდა აითრიოს ფეხი, რომ სხვისი ჩასაცმელი გახდეს, თუმცა ღირსეულ ქვეყანაში კაცი კი არ უნდა მოკვდეს, არამედ უნდა დაილიოს.
110. ადამიანს სამართლიანობის გრძნობა უნდა გააჩნდეს, ის "საყოფაცხოვრებო" ნაციონალიზმამდე არ უნდა დაიყვანო, რადგან სამშობლო ყოველთვის დაბადების ადგილი არ არის, მთავარია სად და როგორ აღიზარდე, გულში რა გიღიტინებს ქვეყნის სასიყვარულოდ და სასიკეთოდ.
111. ადამიანი ჩვეულებრივ პირობებში ბევრჯერ ცხოვრებისეულ კომფორტს და სიამოვნებას ვერ აფასებს, მაგრამ როგორც კი შეუზღუდავენ, მაშინვე ხვდება ამ უკანასკნელის ფასს.
112. ზოგიერთი მაიმუნისა და ადამიანის გარჩევა ნამდვილად გაგვიჭირდებოდა, ეს უკანასკნელიც კუდით რომ იყოს აღჭურვილი.
113. ასაკის მატებასთან ერთად ადამიანი მძიმდება, ჭკუა-გონება ღვინდება, გამოცდილება მატულობს, მაგრამ შედეგია სამწუხარო, აღარავის უნდა სასამსახუროდ.
114. ტრაგედიაა, როდესაც ადამიანი სიცოცხლეს ვერ აფასებს, განვლილ ცხოვრებას და მომკილს შიშით უყურებს და სიკვდილს უფრთხის.
115. ადამიანი ინსტინქტებს ანგარიშს უნდა უწევდეს, მაგრამ უმთავრესად უნდა აზროვნებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელში შეგვრჩება ბრბო, რომლის ფასი საზოგადოების ჩამოყალიბებაში კაპიკია.
116. ჩვენ არ გვიყვარს ნიჭიერი ადამიანები, განსაკუთრებით საშიში არიან თავიანთ ქვეყანაში. მათ შეუძლიათ წაგართვან შენთვის ნაყიდი ან ნაწყალობევი სამუშაო და დაგტოვონ კარიერისა და ქრთამის გარეშე.
117. ადამიანს, რომელიც ლუკმა-პურს მისი ბუნებისთვის მიუღებელი და შეუფერებელი საქმით შოულობს, კაცობას ვერ მოსთხოვ, რადგან ის ამქვეყნად ყველაზე და ყველაფერზე დაბოღმილია.
118. ადამიანმა თუ აღიარება უცბად მოიპოვა, მაშინ აღიარების ღირსია მისი ნიჭი და არა პიროვნება, რადგან პიროვნებად ჩამოყალიბებას დრო სჭირდება.
119. მიზნის მიღწევა არ ნიშნავს ცხოვრების დასასრულს, მაგრამ ადამიანს შედეგი სიამოვნებს, კმაყოფილდება და ახლისკენ მისწრაფების სურვილს ჰკარგავს.
120. ადამიანის ავკარგიანობა შეიძლება მსახიობის პროფესიას შევადაროთ, როცა ის სცენაზე თამაშობს და როცა ის სცენის გარეშე ცხოვრობს. გარკვეულ გარემო პირობებში ადამიანს შეუძლია ამ ცხოვრებით ერთდროულად იცხოვროს და იარსებოს აქ გასაკვირიც არაფერია.
121. ადამიანი, რომელიც თავისი მოწოდებით არ საქმიანობს, დაყოვნების ნაღმი ხდება საზოგადოების და საკუთარი თავის წინაშე და შეიძლება ისეთი რამ მოიმოქმედოს, რომელსაც არც თვითონ ფიქრობდა და არც სხვები მოელოდნენ.

122. ემოციების გარდა ადამიანის უკან თუ არაფერი დგას და სამუხრუჭე სისტემაც მოშლილია, მისგან რაიმე სერიოზული და სასიკეთო საქმის კეთება გამორიცხულია.
123. ადამიანს ლამაზად გახდილი და ლამაზად ჩაცმული ქალი მოსწონს, სულიერი და ხორციელი სიტიტვლე კი ზოგჯერ მოწონებას კი არა, გაკვირვებას, სიბრალულს და აღშფოთებას იწვევს.
124. ადამიანმა ცხოვრების მიზანი უნდა განახორციელოს მომავალში, რადგან აწმყოს დაკმაყოფილებას ჩვენი ბუნება ვერ იტანს.
125. ადამიანს ყველაფერი ბრწყინვალე უნდა ჰქონდეს, მაგრამ არა იმდენად, რომ სხვისი სილამაზის შემჩნევა გაუჭირდეს.
126. ეტყობა ადამიანს მოსწონს ილუზორული რწმენის აუცილებლობა და ეს თავისი აბობოქრებული სულის დასამშვიდებლად სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ რწმენის გარეშე კიდევ უფრო ბევრ სისულელეს ჩაიდენდა.
127. ადამიანი სწრაფად ეშვება, ზარმაცდება, ქრება, თუ მუდმივად არ აწუხებს სიძნელეები, უხერხულობანი, რომელთა უქონლობის შემთხვევაში თვითონვე უნდა შეუქმნას თავის თავს.
128. შინაგანი დამოუკიდებლობა და ირონიის გრძნობა, ადამიანის უმთავრესი წამალია ყველა საუკუნის ბევრი უბედურების გადატანისათვის.
129. ადამიანისათვის შეუმჩნეველ აპათიას და უიმედობას გაცილებით მეტი მსხვერპლი ჰყავს, ვიდრე ავადმყოფობას და უბედობას.
130. ფაქტობრივად ადამიანი წვალებისთვის არის გაჩენილი და რაც მეტს იტანჯება, იწვის, იხარჯება, იღვწის, იმდენად ბედნიერად გრძნობს თავს.
131. ბავშვებს და ცხოველებს ადამიანი თავისი სიამოვნებისთვის ინახავს, რადგან მათ მორჩილებას და მათზე ზრუნვას მისთვის სიამოვნება მოაქვს. როგორც კი შვილები დამოუკიდებლები გახდებიან, მათ ადგილს შვილიშვილებზე ზრუნვა იკავებს, რადგან ისინი მათი საჭიროების გამომხატველნი არიან.
132. ვულგარულ დემოკრატიულ საფუძველზე ადამიანის თავისუფლების გაფეტიშება მის გადაგვარებას არ უნდა ნიშნავდეს, რადგან ამქვეყნად ყოველივე სპირალურ განვითარებას ემორჩილება და თავაწყვეტილი ფემინიზმი მომავალში თავაწყვეტილ „ხვადიციზმად“ შეიცვლება.
133. ადამიანისთვის ყველაზე დიდი ტვირთია თავისი ერის ისტორია, როცა არ იცის როგორ მოუაროს და გამოიყენოს თავის სასარგებლოდ.
134. ადამიანი ძალზე დაფიქრებულია და სერიოზულად გამოიყურება, როდესაც ის თავის საქველო საქმით არის დაკავებული.
135. შრომისმოყვარე, ინიციატივიან და შემოქმედ ადამიანს ყველაფრის კეთება შეუძლია, ხოლო მათი საქმიანობის გამოყენება საზოგადოებაზეა დამოკიდებული.
136. ორი ადამიანის ერთად ყოფნა, ერთი შეხედვით, შეიძლება კატასტროფა იყოს, მათი დაშორება კი სიკვდილს უდრიდეს, ამიტომაცაა, რომ ისინი ერთმანეთს ვერ შორდებიან.
137. ადამიანი, რომელსაც უნდა თავის დროს გმირი გახდეს, ყოველთვის თავისებურად და უბოდიშოდ არ უნდა იქცეოდეს.

138. ადამიანი მკაცრი და სამართლიანი უნდა იყოს, თუ უნდა გმირად მოგვევლინოს, ხოლო თუ სახელმწიფო მოღვაწეა, მაშინ ეშმაკობის სანელებლებითაც უნდა შეიკმაზოს.
139. ადამიანები ურთიერთობას ძალით არკვევენ, ყველაფერს არასწორად ჰყოფენ, როგორც საჭიროა ისე არ ცხოვრობენ, დაბადებიდან მათი შეკუმშული მუშტი მუდამ მოღერებულია საომრად და საჩხუბრად, ხოლო გაშლილი ხელით მიტაცებისკენ უჭირავთ თვალი. რას იზამ, ასეთია ადამიანების თანდაყოლილი ველური ბიოლოგია და მის გადასხვაფერებას საუკუნეებთან ჭიდილი ვერას აკლებს.
140. სიბრძნე და სამართლიანობა კანონთან მოშორებით დგას, რადგან საქმის გამჭიანურებელ ადამიანს ხშირად გაშლილ კარტებში უხდება ანალიზის კეთება და გონების გამომზეურება. რაც იმიჯისთვის კარგია, ის საქმისთვის და ადამიანთა აღზრდისთვის ხშირად მიუღებელია.
141. გონიერმა ადამიანმა მთელი ცხოვრება როგორ უნდა იწუწუნოს, რათა მისი ვინმეს არ შეშურდეს და არ უხიმანდროს, მაგრამ რა ქნას იმან, ვისაც ტირილი არ ეხერხება?
142. მეგობრისთვის ფულის სესხება ინტიმური საქმეა და ნდობით აღჭურვილ საყვარელ ქალთან ურთიერთობას მოგვაგონებს, ამიტომ ეს ქმედება ორი ადამიანის პრეროგატივაა, მესამე აქ ზედმეტია.
143. ადამიანს სწამს რაც არ იცის, მაგრამ როგორც კი რამეს ახსნას მოუხერხებს, მაშინვე იწყება რწმენის დევალვაცია, ამიტომ სჯობს ამაზე არ იფიქროს, რადგან რწმენის უქონლობით სული დაკნინდება.
144. ადამიანი საქმიანობაში პირველად თეორიას ეცნობა, შემდეგ პრაქტიკას, სიყვარულში კი პირიქითაა, მაშინ როდესაც პრაქტიკა დამთავრებულია, მერე იწყებ ფილოსოფიურ ფიქრს და ქალის ბუნების თეორიულ შესწავლას.
145. ადამიანის ქცევა და გარეგნობა ასაკს და საზოგადოებაში შემდგარ მის იმიჯს უნდა შეესატყვისებოდეს.
146. ადამიანს ცხოვრება გაცილებით მეტს ასწავლის, ვიდრე ცხოველს, შედეგად ორფეხა უფრო დაუნდობელი ხდება, ოთხფეხა დანდობილი, მათი თანაარსებობა ისევ მოხერხებული გონიერების ვაჟკაცობაზეა დამოკიდებული, რათა ორივენი არ აღიგავონ ამ სამყაროდან.
147. წინა საუკუნეებში მცხოვრებ თავისი ღირსების გაგების ადამიანებს ჩვენს დროში რომ ეცხოვრათ, მასობრივ თვითმკვლელობასთან გვექნებოდა საქმე, მათ გადაკეთებას დროულად თუ არ მოვკიდებდით ხელს.
148. ხიფათის მაძიებელი ადამიანები იბადებიან და მათ თავისი რწმენა და რელიგია აქვთ. ხიფათის გამოჩხრეკის და გადატანის შემდეგ ისინი შინაგან სიამოვნებას იმკიან.
149. ადამიანი არა მარტო საქმეზე საუბრობს, არამედ ხუმრობს, ანეგდოტებს და იგავებს ყვება, ყბედობს, ლექციებს კითხულობს, ბილწისტყვაობს, ჭორაობს, სხვებს ჭკუას არიგებს და ამით დიდ სიამოვნებას ანიჭებს საკუთარ თავს.
150. ადამიანი თანასწორისგან შეურაცხყოფას ვერ იტანს, მაგრამ თანამდებობის პირისგან ალიყურის გარტყმასაც იღებს და ტრაბახობს კიდეც.

151. ეკოლოგიის და ევოლუციის ძეგლის დადგმა სამყაროს ყველა არსებისთვის არის შესაძლებელი, გარდა ადამიანისა, რომელიც თავის მომხვეჭელ ბუნებას ვერ ელევა და მასზე კრიზისი და შეცდომებზე სწავლა არ მოქმედებს.
152. ზოგი გულგრილობის ტყვიით კლავს ადამიანს, სხვები ამას ენით ახერხებენ და არც შედეგით ინტერესდებიან. მათი დევიზია იცხოვრონ მანამ, სანამ არ გაიგებენ რით დამთავრდება მათი ნამოლვაწარი.
153. გაოცებას იწვევს ზოგიერთი ადამიანის თვითდაჯერებული სიბრიყვე, რომელსაც არაფერი გაეგება და მოსმენაც არ უნდა გარდა ჯიუტი სურვილისა სხვისი გაკრიტიკებით, სხვაზე უფროსობით და დაუძაბავი შრომით უკეთ იცხოვროს.
154. ადამიანები ცდილობენ წმინდა სისხლის ცხოველები გამოიყვანონ, თვითონ კი, სიყვარულის მომიზეზებით, ამას გაურბიან, ხოლო ცხოველებს თავისი გრძნობების შესახებ არაფერს ეკითხებიან. ისე, დღეს არც ადამიანების მოდგმას აწყენდა ჯიშზე და ჯილაგზე ფიქრი, თუ ის ცხოველთა სამყაროზე ასე ზრუნავს.
155. ადამიანი საზოგადოებისთვის შექმნილ ჩარჩოში ყოფნას შეეგუება, თუ მის ნიჭს და შესაძლებლობას სათანადოდ დავაფასებთ, დავასაქმებთ ყოველგვარი შეღავათების გარეშე.
156. რატომღაც ადამიანი მთელი მოხდენილობით და გრძნობით გადალახავს განსაკუთრებით იმ პრობლემას, რომელსაც თვითონ უქმნის თავის თავს და ამით უდიდეს შინაგან კმაყოფილებას განიცდის.
157. ადამიანის მთელი პროგრამით აღზრდაა მთავარი და არა – აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება.
158. ზევიდან მომადლებული ნიჭის მქონე ადამიანები, ცხოვრების უხერხული თანამგზავრები არიან და მათთან თანაარსებობა შეუძლიათ, მათზე შეყვარებულ, განსაკუთრებული სულის და მოთმინების მქონე პიროვნებებს.
159. ადამიანი მუშაობს, რომ თავი მოიწონოს, შემდგომ კუჭი ამოიყოროს, ამავე დროს დიდი სურვილი აქვს ახლობლები აღაფრთოვანოს და დაამტკიცოს თავისი აუცილებლობა ღირსეული წინაპრების სტატუსით.
160. გულმოწყალება და მეცენატობა ადამიანის მოწოდებაა, აღზრდასა და ეკონომიკური შესაძლებლობის კოქტეილში არეული.
161. აკრძალული ხილის გასინჯვის სურვილი ადამიანს გონებაში უღიტინებს, მაგრამ თუ ამას ვერ ახერხებს, იმითაც ნასიამოვნებია, რასაც ეკრანზე ნახულობს და განუხორციელებელი ფანტაზიის წინასწარ აკვიატებულ სისულელეს ამ გზითაც იკმაყოფილებს, რაც მისთვის დიდი კაიფია.
162. ადამიანი შექმნილია შრომისთვის, გართობისთვის, თავდავიწყებისთვის და კარგია, თუ ყველაფერ ამას გონიერად მოირგებს და დროს რაციონალურად გაანაწილებს.
163. ადამიანი თავისი შინაგანი ბუნებით ალოგიკურია, მაგრამ გარეგნულად ჭეშმარიტებასთან ახლოს დგომას მაინც ახერხებს.
164. ადამიანი ყველა სახის ცხოვრებას რომ არ ეწყობოდეს, ის ასეთი "ვიგინდარა", ყოვლისშემძლე არ იქნებოდა.
165. ადამიანი პატივისცემას და რიდს უნდა იმსახურებდეს და არა შიშს, რომელიც თურმე არც ისე ცუდი მრჩეველია, მაგრამ ცხოვრების გამოცდილება გვეუბნება:

"შიში შეიქმს სიყვარულსაო", ხოლო რაც შეეხება სიყვარულს, მის რაობაზე არ დაობენ.

166. განათლებული ადამიანი სადაც არ უნდა მოხვდეს, ყველგან თავის ზრდილობას ინარჩუნებს და მისი კარგი აღზრდა რატომღაც მოგვაგონებს ჩვენს წარსულს, როდესაც ასეთი კარგი და სათნოები ვიყავით.

167. ადამიანი არსებობს ფილოსოფიური ხედვის, კოსმოსური ხილვის, ეკოლოგიურად სუფთა, ტრანსპორტაბელური, ფულიანი და ათასი სხვა, მაგრამ მთელი ცხოვრება იცოცხლო და ვერ შეიცნო შენი რაობა, საცოდაობაა, რადგან შენს მოვლენას ამქვეყანაზე აზრი არ ჰქონია.

168. ადამიანს სიამოვნება კი არ აფუჭებს, არამედ მისი მოყირჭება.

169. ადამიანი, რომელიც თავის ინტელექტით გამოირჩევა, თანდათან უნდა შევაჩვიოთ ბრბოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ფიცარში ამოშვერილ ლურსმანს დაემსგავსება და დრომ თუ უმუხთლა, თავში ჩარტყმას და დაცემას არ დაამადლის.

170. ცოდვაა სიყვარულის, გატაცების და ყოველივე შესაძლებლის გასინჯვის გარეშე ადამიანის იმქვეყნად წასვლა, მაგრამ შენი ცნობისმოყვარეობის ერთჯერადი დაკმაყოფილება გადაგვარების სინონიმი არ უნდა ჩაითვალოს.

171. დამცირება და უბედურება ადამიანს აჩაჩანაკებს, ნერვულს ხდის და ბავშვურ კაპრიზებს უბრუნებს. აქედან თავის დაღწევა ძლიერი ბუნების და ინდეფერენტული ადამიანების ხვედრია.

172. თეორიულად შეიძლება ყველაფერი ღირსეული გქონდეთ, მაგრამ პრაქტიკულად ადმიანური არაფერი გაგაჩნდეთ.

173. აწმყოს, წარსულს და მომავალს ვხედავთ ისეთს, როგორც გონიერ ადამიანის საუბარი გვკარნახობს აღფრთოვანებულს და განწმენდილს. მაგრამ გადის დრო და ყოველივე კუჭის ამოყორვის მცდელობით მთავრდება.

174. ადამიანები სხვადასხვა კომპლექსებით იბადებიან და ტაბუს ახსნა იმ თვალსაზრისით, რომ პიროვნება თავისუფალი უნდა იყოს, გადაგვარებამდე მიგვიყვანს, რადგან უკომპლექსობა ბუნების ინსტიქტებით ცხოვრებას და ყველაფერზე ხელის მოწერას არ ნიშნავს, მაგრამ მთლიანობაში საზიანოა.

175. ადამიანის ცხოვრებაში სიცოცხლისთვის ერთი არასწორი ნაბიჯი და შენ ხდები კაცობრიობისთვის დავიწყებული ისტორია.

176. ადამიანის სახე ნიღაბია, ხოლო ნამდვილი სახე კომპრომისია საზოგადოების ტრადიციებსა და აზროვნებას შორის.

177. ადამიანებს ყველაფერზე მეტად აერთიანებს საიდუმლოებით მოცული საერთო ნაკლი და არა გონიერება.

178. ფილოსოფიური აზროვნების აღმავლობის და მჭერმეტყველების პერიოდში საჭმელზე ფიქრიც კი მკრეხელობაა, მხოლოდ შიმშილი აიძულებს მას, იქცეს მიწაზე დანარცხებულ ადამიანად.

179. სულიერი აბობოქრება, გამოცდის მიზნით თავის საფრთხეში ჩაგდება, თავგადასავლებისთვის უკაცრიელ მხარეში მოგზაურობა, ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებება და ოცნებაა. ზოგიერთი შერეკილი ამას ახერხებს, ხანდახან

პირველიც ხდება ამ "სისულელის" ჩადენაში და საკუთარი თავის მიმართ შინაგანი პატივისცემით იმსჭვალება ხოლო მისი ნამოქმედარი გარეშეთა აღფრთოვანებასაც იმსახურებს.

180. ადამიანისთვის ყველაზე მავნე მექანიკური ოპერაცია: აზროვნების, ყოფაქცევის, განწყობის, მოდის, საჭმლის მიღების და სუფრის სერვირებაც კი.

181. ადამიანით მანიპულირება ტელევიზიის საშუალებით ძალზე ადვილია, თუ მას წიგნის კითხვას გადავაჩვევთ და საჭირო ინფორმაციას მისი გონების უჯრედებს დაუძაბავად შევაწოვინებთ.

182. ადამიანის შეგნების გამოღვიძებაზე ხელი უნდა ავიღოთ, რადგან ის ზედმეტი ხმაურად და ნერვების აშლად არ ღირს, მითუმეტეს, თუ რაიმეს შეცვლის შანსი ნულის ტოლია.

183. რამდენ სისულელეს სჩადის ადამიანი თავისი ნერვების დასამშვიდებლად, როცა მონდომებით ცდილობს წინაპრების რიტუალები აღასრულოს და მისთვის გაუთვითცნობიერებელი წესები შეასრულოს.

184. ადამიანის ერთი და იგივე ორგანოს ინტიმის დანახვა და მისი ჰიგიენა ერთ შემთხვევაში დამალვას მოითხოვს, მეორე შემთხვევაში, გამომზეურების ღირსია, მთავარია, რა გარემოში მოხვდით, რა გაინტერესებთ და რა გაღელვებთ.

185. ყველა სიტყვა, მათ შორის უგუნურიც, ჰქმნის ისტორიას, რომელიც ადამიანებს აღელვებს და ბჭობის საგანს უჩენს. საუკეთესოებს გონების ბიბლიოთეკაში ინახავენ და საჭიროებისამებრ იყენებენ.

186. ადამიანის ბიოლოგიური მოთხოვნილება თავისი შესაძლებლობის თვითრეალიზაციაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის გენეტიკურ კოდში ვიღაცას ანტივირუსით კარგად უჩალიჩია.

187. სული ხელოვნების გამოძახილია, საჭმელი – ბიოლოგიური აუცილებლობა, მუშაობა – არსებობის საშუალება, ჭორაობა – გულის მოოხების და მრავალი სხვა ამდაგვარი, რომლის გარეშეც ადამიანს ცხოვრება გაუჭირდებოდა.

188. თუ ადამიანი ბედნიერად გრძნობს თავს, ფული და მომავალზე ზრუნვა ანგარიშში მოსატანი არ არის, რადგან მასზე დასაფიქრებლად ადამიანს დრო აღარ რჩება.

189. ადამიანის დაუკმაყოფილებელი სული დამახინჯებული მატერიის შედეგია, რომლის მიზანია ტკბილი და საამო ცხოვრებისკენ მისწრაფება დროის მცირე მონაკვეთში.

190. როდესაც ადამიანი ამაღლებულია და არამიწიერი, შეიძლება ტანკს შეუვარდეს. შესაძლებელია იმავე ადამიანმა სადარბაზოში მოშარდოს. ასე რომ, გაფეტიშებას არავინ იმსახურებს, რადგან ყოველივეს ცხოვრების პირობები და საზოგადოების გამაბრიყვებელი აგიტაცია გვკარნახობს.

191. კოლექტიურ საზოგადოებაში სიცოცხლის ფასი ძალზე დაბალია, მაგრამ მოჩვენებითი გლოვა ძალზე ფასობს, ამის მიზეზია ადამიანის სიბრიყვე და ცუდი აღზრდა.

192. სიბერეში სულის კატასტროფის მიზეზია შენთვის სათაყვანებელი ადამიანების საცერში გატარება და გაწბილება, ეტყობა, მოხუცებულობაში ამ საქმიანობას

უნდა მოერიდო, თორემ საცერის ზევით ქატო დაგრჩება და მისი გადახარშვა და მონელება გაგიჭირდება.

193. ადამიანის მიერ თავის მოგიჟიანების მიზეზი ახალი აზრები და სიახლის შექმნის სურვილია, ან ძველი აზრები და ახალი სიყვარულის მოპოვების მცდელობა.

194. ადამიანმა წუთისოფელი ისე უნდა განვლოს, როგორც მოხერხებულმა ხვადმა და არა ტანსაცმელში ამოვლებულმა დამფრთხალმა მასამ.

195. ადამიანმა კომპლიმენტების საბანკო სამსახური უნდა შექმნას და ირგვლივმყოფთ ყოველგვარი მოგების გარეშე კრედიტი გაუხსნას, სული გაუნათოს, სწორ გზაზე დააყენოს.

196. ნაციონალიზმის მომიზეზებით კაცობაში, სიყვარულში, არ უნდა შეგეშალოს და მეგობარს, კარის მეზობელს, ვიღაც ცრუ პატრიოტის წაქეზებით არ უნდა აწყენინო, რადგან ეს არის შენი ადამიანობის ყველაზე დიდი გამოცდა.

197. ადამიანის იმედი, გარემოს მეთვალყურეობის გარეშე, ჩვენს მტერს ჰქონდეს, რადგან მისი გონიერება, მოყვასობა, მორჩილება, დამოკიდებულია ეკონომიკაზე, კანონზე, მუშტის მოღერებაზე.

198. ყოველთვის ძნელია ადამიანად დარჩენა, როდესაც ირგვლივ ამდენი სიბინძურეა, მაგრამ შესაძლებელია, რადგან ყველა საუკუნეს ჰყავდა ბედის რჩეულნი, რომელთაც ხანდახან ქვეყნის ხსნაც ეკისრებოდათ.

199. მთავარია ადამიანი ადამიანად დარჩეს, თორემ მისგან შექმნილი ანგელოზად ვერ მოგვევლინება, რადგან "ჰომო საპიენსის" თანდაყოლილი ცოდვებიც თან დაჰყვება.

200. ჩვენი ჭკუის არც ერთი გაელვების არ უნდა შეგვრცხვეს, რადგან ადამიანს სიკეთის, იმედის, ოცნების გარეშე ცხოვრება უჭირს, არჩევანი კი დამოკიდებულია გარემოზე, დროზე და ხასიათზე.

201. ცხოვრება ადამიანისათვის დახურული კარტის თამაშია, როდესაც მას გაშლის და ანალიზს შეუდგება, მოგება-წაგების მიუხედავად, ნათამაშების არ უნდა შერცხვეს.

202. არის დრო, რომელსაც ადამიანის გონება და საათი განსაზღვრავს, მაგრამ მათ შორის ცთომილება ძალზე დიდია.

203. ადამიანმა იცის, თუ რა არგებს მის ჯანმრთელობას, მაგრამ ის უფრო სიამოვნებს, რაც მას ვნებს და ცხოვრება, მისდა შეუმჩნევლად, ამ რგება-ვნების შეჯერებაში ილევა.

204. ადამიანის სურვილი, შეუპოვრობით გამაგრებული, შეუძლებელს შეძლებს, მიუწვდომელს მიწვდება, თუ მას კარგიც გაეგება და ცუდიც, შლეგიც არის და ჭკვიანიც და რაც მთავარია, უნდა შეეძლოს მოყვასის სიყვარული.

205. აღიარება სიკვდილის შემდეგ უნდა მოვიდეს, გამოჩენილი ადამიანის სახელს სიცოცხლეში უნდა დასჯერდეთ, რომლის ტვირთის ტარება გღლით, ეჩვევით, მაგრამ სიამოვნებისგან მაინც ტკბებით. მითუმეტეს, თქვენ დროის კერპი ხდებით და ინტუიციით გრძნობთ, რომ იმქვეყნად გამგზავრების შემდეგ უკვდავება ხელთ გიპყრიათ.

206. ყველა ჩვენგანი სულში ინახავს თავის მორალს და მისთვის განკუთვნილ სისულელეს.
207. ადამიანი არ უნდა დაჩაჩანაკდეს, ის უნდა დაიფერფლოს, რათა მისი ყურება და მასთან საუბარი სასიამოვნო იყოს, ამასთან, სიბერე სიამაყისთვის უნდა იბრძოდეს და არა შეცოდებას, თანდგომას თხოულობდეს.
208. ადამიანი, რომელიც არჩევანს აკეთებს, გაცილებით მეტ ენერგიას ხარჯავს იმასთან შედარებით, ვინც მექანიკურად, ძალისხმევის და ინტერესის გარეშე მოქმედებს, მაგრამ ქვეყნის გასაძლიერებლად და ცარიელი ადგილების ამოსავსებად ასეთი ხალხიცაა საჭირო.
209. ადამიანი იმითაც კმაყოფილი დარჩება, რაც აქვს, თუ შედარების საშუალება არ ექნება, რადგან მის სიამაყეს ეჭვი უჩნდება, რაც კერპების მსხვრევის ტოლფასია. ამიტომ მის ბუნებაში კი არ უნდა ჩავერიოთ, არამედ ტექნიკური პროგრესი შეუმჩნევლად შევაპაროთ, თუ გვინდა გონება არ ავურიოთ და სიკეთე ვაკეთებინოთ.
210. სიბერე გვიახლოვდება, სისულელის ჩადენის ლიმიტიც ამოწურულია, წყნარი ცხოვრებისკენ ისწრაფი და ვერ გარკვეულხარ, გქონდა ადამიანური ცხოვრება თუ არა.
211. ადამიანს თავისი + და – გარეშე ცხოვრება გაუჭირდებოდა, ხოლო გაყოფა, გამრავლების ცოდნა მის სიცოცხლეს ძალას მატებს, რადგან მომავალში ცხოვრების ტოლობის ჯამის მიღება და შეფასება შეუძლია.
212. დაღვინება შეცდომების დაუშვებლად შეუძლებელია, მაგრამ ეს დაღვინებაც რომ არ იძლევა მიქარვიდან თავის დაღწევის გარანტიას? ეტყობა, ჩვენ მაინც ადამიანები ვართ და არა – გამოცდილების ტომარა.
213. ავტომოყვარულმა რომ იცოდეს, რა ჯობს, 12 საათზე სახლში ყოფნა თუ 10 საათზე მორგში, მაშინ რობოტებთან გვექნება საქმე და არა ადამიანებთან.
214. "ჰომო საპიენსის" თავის მტერი თავადაა, რადგან, ერთი ლუკმა ზედმეტი პურისთვის და ერთი გადაბრუნებული სიტყვისთვის ადამიანები მზად არიან ერთმანეთი გადაჭამონ.
215. ადამიანი თავის ეპოქას უნდა ეთამაშებოდეს, რადგან ეპოქა იქმნება განგების და ძლიერი მმართველის წყალობით, რომელიც თავის გაგებით და შეხედულებით ეთამაშება თავის დროს.
216. ადამიანის ერთი და იგივე შეცდომას: ჭეშმარიტების დავიწყებას, გამოცდილების უგულველყოფას, იოლი ცხოვრებისკენ მისწრაფებას, საუკუნეების გამოცდილება არ შველის და კისრის მოტეხვისთვის განკუთვნილ ლიმიტს გადამეტებით ასრულებს.
217. ადამიანი ყოველივე სიავის მიზეზი თავად არის და ბედი აქ არაფერი შუაშია.
218. ადამიანს მთავარია ნიჭი ჰქონდეს დროის შეგრძნების, არ ჩამორჩენის და სიკვდილის შემდგომ აღიარების მცდელობის.
219. ადამიანის შესაფასებლად, ჩვენ მხოლოდ მის მცირე ნაწილს ვხედავთ, ხოლო, იქ სადაც სიკეთის და ბოღმის რეაქტორია მოთავსებული, ამ რეაქციის შეცნობა თვით მამაზეციერსაც უჭირს.

220. ადამიანს რატომღაც სისულელის გახსენება და მასთან დაბრუნება სურს და ამას ყურით მოთრეული დემაგოგიური თეორიებით ამართლებს, ალბათ, ეს ჯეელობის გახსენების და მონატრების ბრალია.
221. ადამიანი სწრაფად ეჩვევა კარგსაც და ცუდსაც და ეს მისი თავდაცვის კოდია ზევიდან ჩადებული, რომელსაც ხშირად ვერც ვხედავთ და არც ვაფასებთ.
222. ადრენალინი კომერციულიცაა, უფასოც, ფასიანიც, შთაბეჭდილებების მომტანიც, იგი ადამიანის დაგროვილ-მოჭარბებული ენერგიის გადმონთხევა-გადანაწილებას ემსახურება ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, რათა თავადაც იცხოვროს და სხვასაც მისცეს ამის საშუალება.
223. გარანტიას იძლევიან ნივთზე და ისიც გარკვეული დროით, ხოლო ადამიანზე გარანტიის მიცემა შეუძლებელია, მათ შორის საკუთარ თავზეც.
224. ადამიანის შემფასებელი ხშირად შთაგონებაა და არა – მისი სილამაზე ან სიმახინჯე.
225. დაუღვინებელ წარმატებას ზეადამიანურობის კომპლექსი ახასიათებს, მაგრამ თუ აქ იგრძნობა თვითდაჯერებულობა და რომ ის ადამიანობა, წარმატებაც, უმეტეს შემთხვევაში, გარანტირებულია.
226. დიდი პასუხისმგებლობა, ყველაფრის უფლება, ცუდად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე და იწვევს მის სულიერ დეფორმირებას, რადგან ძალაუფლების გონიერად გამოყენება ერთეულთა ხვედრია.
227. ადამიანის ჩამოყალიბებაში შთამომავლობის გარდა მონაწილეობას ბიოდენებიც იღებენ, რომელიც ხალხში ცრურწმენის შთაგონებით იყო ცნობილი და კაცობრიობის გამოცდილების სტატისტიკაზე დამყარებული. მეცნიერება დღესაც მის ახსნას ლამობს, რათა ეტლმა მეცნიერების ცხენის წინ არ იაროს.
228. ზნეობა – ბუნება, საჩუქარი – საზღაური, საკადრებელი – უკადრებელი, ყოველივე ამას ადამიანის სული მუქთად იღებს, ოღონდ სად, როგორ და როდის გამოიყენოს, ამისათვის ცოდნა და გამოცდილებაა საჭირო.
229. ადამიანები საკუთარი ასლის გაკეთებას ვცდილობთ, მაგრამ მასთან არ ვმეგობრობთ.
230. ადამიანმა გული რომ არ აიყაროს საქმიანობაზე, რომელსაც ის ეწევა, უნდა შევაქოთ, რათა პროფესია არ დავაკანონოთ და კადრების დენადობის შედეგად საქმის უღიმღამოდ შემსრულებლების ხელში არ დავრჩეთ, რადგან ღირსება, ცოდნა, ოსტატობა, დაუფასებლობას ვერ იტანს.
231. განვითარებული ქვეყნის ზოგ ადამიანს, თითზე წასასმელი ჭკუა არა აქვს და ულვაშზე დასამაგრებელი ცოდნა, მაგრამ თავი განათლებულ მოქალაქედ და ქვეყნის შვილად მოაქვს.
232. ძლიერი ადამიანის ჩამოყალიბების მიზანი უნდა იყოს მკაცრი აღზრდა ჰუმანიზმის განხრით, რადგან ზოგიერთმა ცხოვრებით გათავხედებულმა, კაცთმოყვარეობა სისუსტედ არ ჩაგითვალოს და შენს სწავლა-განათლებას ფასი არ დაუკარგოს.
233. ადამიანის ფანტაზიის მავნებლობას საზღვარი არა აქვს, როდესაც მხარდაჭერის მომიზეზებით ქალი ქმრის თანდასწრებით მოიმშობიარებს. მიზანი: ამბიციები,

ქმრის კალთაზე მიბმა, თავის დაყვედრება, დამადლება, გაყოყოჩება და პერსპექ-ტივაში ოჯახში გაფეტიშება. დანარჩენი კი: სიყვარული, თანადგომა, მხარდაჭერა, ქალის სიტყვების საკმაზი და შორს გამიზნული ეშმაკობაა.

234. ეშმაკი ცდუნებისთვის არის მოწოდებული, ძალაუფლება მახვილის საქნევად, ეკონომიკა ცხოვრების მოსაწყობად, ქალი ეშხის საფრქვევად, მაგრამ ცალ-ცალკე ადამიანის გონების დაპყრობას ვერცერთი ვერ ახერხებს, რადგან არც ერთი არ არის მზად ადამიანის კაპრიზის გასაგებად.

235. ზოგიერთ ადამიანს უპატრონო ბავშვის შეფარებას, ძაღლის ყოლა ურჩევნია, რადგან მას შეიძლება გაუწყრეს, მოეფეროს და სანაცვლოდ მხოლოდ მორჩილე-ბა, ალერსი მიიღოს, ხოლო ბავშვი მისი ზრუნვის საფასურად შეიძლება ედავოს, ჭკუაც ასწავლოს და ადამიანის გაბერილი ავტორიტეტი საკუთარი თავის წინაშე საპნის ბუშტივით გასკდეს.

236. რადგანაც ფული და თანამდებობა დიდი ძალაა, იძულებული ხდები ადრე შენს მიერ შეფასებული ხალხი გონებაშიც უკეთესობისკენ გადააფასო, მათი კარიერის და გაძეძგილი ფულების წყალობით. გადის დრო, ეს ხალხი ორივეს გარეშე რჩება, ადამიანებად იქცევიან და იმათზე უარეს შთაბეჭდილებას სტოვებენ, რაც მათზე თავდაპირველად გქონდათ. რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება და ბედის ჭირვეულობა. ამიტომაცაა, რომ იმ ადამიანის სწორად შეფასება ყოველთვის არ ხერხდება.

237. ადამიანს მახსოვრობაც შერჩევით აქვს და მასზე მთლიანად დანდობა არარეკო-მენდებულია, რადგან მასზე გარემო მოქმედებს და იმ პერიოდის ფაქტები შეიძ-ლება დღევანდელობის გადასახედიდან შეალამაზოს.

238. უნდა ვეცადოთ საყვარელი ადამიანისათვის ლამაზად ვიცხოვროთ და ამ ბედნი-ერებისთვის თავი უხერხულად არ ვიგრძნოთ.

239. არის აღმშენებლობის და დამანგრეველი ტიპის ადამიანთა კატეგორია, რომ-ლებსაც საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, როგორ საოცრებადაც არ უნდა გვეჩვენოს, მმართველი კლასი ერთნაირი წარმატებით იყენებს.

240. ზოგიერთი ადამიანის დანახვაზე ცხოვრება მოგინდება, ზოგიერთისაზე კი – მის დატოვებაზე თანახმა ხარ. ეს უკიდურესობა ადამიანს ახასიათებს, მაგრამ არა იმდენად, რომ ვინმეს გულისთვის იმქვეყნად გადაბარგდეს.

241. ბუნება ყველა სახის ფლორას და ფაუნას ამრავლებს. ასევე, საზოგადოებას უნდა ჰყავდეს ყველა გაგების, გონების და ხასიათის ხალხი. ვინ იცის, სად და რაში გამოადგება, რადგან აბსოლუტურად უვარგისი და გამოუყენებელი ადამიანი არ არსებობს.

242. მკორტნავ ცხოველებს რომ ესწავლათ ხორცისმჭამელი მხეცების ხოცვა ან კო-ლექტიური თავდაცვა, მაშინ ბუნების ჰარმონია დაირღვეოდა. ასეთივე დისჰარ-მონია შეაქვს პლანეტის წესდებაში ადამიანს თავისი "მოხერხებულობით" და ვინ იცის, ფლორისა და ფაუნის რამდენიმე სახეობა გაანადგურა მან საბოლოოდ.

243. ადამიანის ცხოვრების გზა სუფთა წყლით, პურის ყუით და კვნიტი მარილით იწყება, რათა სხვა, მისთვის ხელმისაწვდომი, პატივისცემის მოპოვებაში გადაი-ზარდოს.

244. მასწავლებელი არც ახლო ადამიანია და არც ყველაზე უკეთესი, მაგრამ მას მთელი ცხოვრება იხსენებ, მის ნასწავლს იყენებ და პატივისცემით ეპყრობი.
245. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისი საქმე და მისწრაფება, მაშინ იქმნება ქვეყანა და მოყვასის სიყვარული.
246. გამოცანაა ადამიანის უგუნურება, რომელიც სამყაროს ძალზე ეთავხედება და შედეგს არად დაგიდევს.
247. ადამიანი უფრო ადვილად იყვარებს, ვიდრე შეიძულებს, მაგრამ ცდილობს ეს არ შეიმჩნიოს, გამოხატოს.
248. ადამიანის საწყისი სულიერება ჯანმრთელი უნდა იყოს, ამის შემდეგაა შესაძლებელი მისგან ყოველივეს გამოთლა.
249. ყველას თავისი ბედი, გასაქანი, შესაძლებლობა აქვს, მაგრამ ყველაფერს ადამიანის შინაგანი ბუნება, შემართება წყვეტს.
250. ყველა ცოცხალ არსებას, გარდა ადამიანისა, თავის გადასარჩენად ზღვარგადაუსვლელი თანდაყოლილი აგრესია ახლავს.
251. გააჩნია ადამიანს, რა მიზნებს ისახავს წარუმატებლობის ასაცილებლად და რამდენად შეეფერება ეს ღირსების კანონებსა და გონიერებას.
252. ადამიანის განსაკუთრებული ნაწილების, ენის და გონების, ალესვის ხარისხზეა დამოკიდებული ჩვენი ბედის გამართლება ცხოვრებაში.
253. ადამიანიდან რა გამოვა, სატანა თუ ანგელოზი, არავინ უწყის, მაგრამ რეალური ცხოვრებისთვის ორივე მიუღებელია.
254. ადამიანთა ფიქრში ბევრი ოცნების ბალასტია, შემოქმედებითი საქმე ცოტა, ამიტომაცაა პრაქტიკული გამოსავალი უკეთესი ცხოვრებისა ასე უმნიშვნელო.
255. ადამიანის სისუსტე მისი წინდაუხედაობა და მარადიულობაზე ფიქრია, იგი ისე ბერდება, თავის საუკეთესო ამქარში სურათის გადაღებას ვერ ახერხებს, რათა ისტორიას ფაქტად წარუდგინოს.
256. ადამიანი სამყაროს შემეცნების ერთ-ერთი ორგანოა, რომელზედაც გავლენას ახდენს შემოქმედი, გარემო და საკუთარი ხუშტურები.
257. ყველა დრო თავის დაღს ასვამს ცხოვრებას და ადამიანი იძულებულია ამ პერიოდს მოერგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრება გასრისავს.
258. ადამიანს ყოველთვის უნდა დაუტოვოთ საცთუნებელი, რათა შეცდეს, გადაცდეს და მაშინ გვექნება მისი შეფასების და შესაბამისად მოპყრობის უფლება.
259. როდესაც ადამიანის შინაგან ბუნებაში შეიჭრები, ბევრ უწმინდურებას აღმოაჩენ ცხოვრების მიღებულ დოგმებთან შედარებით, მაგრამ როდესაც ყველაფერზე ხელის ჩაქნევას გადაწყვეტ, სწორედ მაშინ აღმოაჩენ ადამიანს და მასში ბევრ საგულისხმოს და კარგს წააწყდები.
260. ხშირად ადამიანი ცხოვრების იმ საამო წუთებს დასცინის, როდესაც ყველაზე ბედნიერი, უცოდველი იყო და ცხოვრებისეულ სიბინძურეზე წარმოდგენა არ ჰქონდა. ეტყობა ეს სულის ღაღადი კი არა, გონიერების ნაყოფია, რომელსაც უნდა თანამედროვეობას ფეხი აუბას.

261. ადამიანი უნდა ცხოვრობდეს თავისი ღირებულებით და არა ფასით, რადგან ამ უკანასკნელის ცოდნა ხელს უშლის ცხოვრების მოწოდებით მოწყობაში.
262. ადამიანის ბრძოლის მიზანია დაამტკიცოს, ვინ უფრო სამართლიანი და უკეთესია ცხოვრების ყველა სფეროში.
263. ადამიანის თავისუფლებას განსაზღვრავს მისი საჭიროება ახლობლებისათვის, ქვეყნისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უუფლებოა და აქ მატერიალური სახსარი არაფერ შუაშია.
264. ყოვლისშემძლე დროა და არა ადამიანი, რომელსაც ამის აღიარება უჭირს, რადგან ამ დროის გასაყვანად თავადაც უნდა იჩალიჩოს.
265. ადამიანად ის იქცევა, ვინც გარე ძალებთან შერწყმას და შინაგანი ბუნების მოთოკვას ახერხებს.
266. ძირითადად ადამიანის ხასიათი ბედია და მისი მომავალი.
267. ყველა ადამიანს აქვს გარკვეული შანსი დასახული მიზნის მისაღწევად, მხოლოდ განსხვავება სურვილის სიმძაფრეში და დროშია.
268. ადამიანი უნდა განვსაჯოთ ქვეყანაში არსებული ყოფის ფარგლებში, სადაც „ნაბიჯი მარცხნივ, ნაბიჯი მარჯვნივ", ხშირად სიცოცხლის ტოლფასია.
269. ადამიანის ჩამოყალიბებაზე გარემო და აღზრდა ახდენს გავლენას. პიროვნებად, კონკურენცია და კარიერისთვის ბრძოლა გაქცევს, ხოლო კაცად იბადებიან.
270. იმისთვის, რომ კარგად იცხოვრო, ადამიანობისკენ უნდა გქონდეს მიდრეკილება და მისი ფასი იცოდე.
271. ბედი ხანდახან ორ ბრწყინვალე ადამიანს მტრებად აქცევს, ისე რომ, ამ დაპირისპირებაში მათ ბრალი არ მიუძღვით და არაფრის შეცვლაც არ შეუძლიათ, რადგან ისინი ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ და მათი შემდგომი დაახლოება თუ მამაზეციერმა არ ინდომა მოშურნეთა დახმარებით, ამიტომაც მთელი ცხოვრება მტრებად დარჩებიან.
272. ადამიანს ფული და ნივთები ახალისებს, მაგრამ მის მოსაპოვებლად გზების ძებნა აფორიაქებს და ნერვებს უშლის.
273. საზოგადოების დანიშნულებაა ადამიანი იქამდე არ მიიყვანოს, რომ ყველაფერს ფეხებზე დაიკიდოს, მათ შორის, სულის პოეზია და ის, რაც სწამდათ ძველად.
274. ადამიანი ფილოსოფიური გაქანებით უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ ამისთვის ცხოვრების პერსპექტივასაც უნდა ისახავდეს და ჭკუაც ჰყოფნიდეს.
275. ადამიანს თუ ცხოვრებაში საიდუმლო და ხიბლი არ გააჩნია, მაშინ მისი არსებობა ცხოველისას დაემსგავსება.
276. ადამიანის ჭუჭყიან სულში ჩახედვა, გაჭუჭყიანებულისგან განსხვავებით, ბევრს არ მოსწონს და მიზეზის დასადგენად ტვინის განძრევაც არ ეხალისება, რადგან მისი აზრით პირველი გადასაგდებია, ხოლო მეორის გარეცხვა, გაახლება შეიძლება, მაგრამ ღირს თუ არა, ეს უკვე სხვა საქმეა.
277. ყველა ადამიანმა საზოგადოებას განვითარების გარკვეულ ეტაპზე სარგებელი უნდა მოუტანოს, ან უნდა მოვატანინოთ.
278. აქტუალური პრინციპებით ცხოვრება განვლილი ეტაპია ჯაფით დატვირთული ადამიანისთვის.

279. თეორიულად ადამიანს იმ მხარეს შეუძლია დაცემა, რომლისკენაც თავად მოინდომებს, მაგრამ პრაქტიკულად მანძილი, დრო, ძალზე მცირეა და დაცემაც მოულოდნელი.
280. ადამიანს არა აქვს უფლება სიყვარულს გვერდზე ჩაუაროს, ხოლო განგებას – ის უსიყვარულოდ დატოვოს.
281. ადამიანს სახსარის შოვნა, სახელის მოპოვება, თავის გამოცდა, სჭირდება, წინაღმდეგ შემთხვევაში, დროს მუქთად ყოფნაში, ენის ქავილში და სიბერის მოლოდინში გაატარებდა.
282. თუ ბედი ადამიანს ეთამაშება, არც ადამიანი იბნევა მასთან თამაშში და სულ მამაძაღლობის მცდელობაშია, ხოლო თუ არ გაუმართლებს, უბედობას აბრალებს.
283. გონივრული აკრძალვების გარეშე ადამიანი გადაგვარდებოდა და ადამიანად დარჩენა გაუჭირდებოდა.
284. ადამიანს აქვს ბედნიერების თავისებურად გაგების უფლება იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას მისი ბედნიერება და ყოფა ფეხებზე ჰკიდია.
285. ადამიანს მარტო ბედი ვერაფერს უშველის, თუ მან ცხოვრების გამოცდა არ ჩააბარა, თავს მობილიზება არ გაუკეთა, ნერვები არ მოთოკა და ცხოვრების საკუთარი დამცველი ჯავშანი არ მოირგო.
286. ადამიანის გულში მოხვედრა, ყოველგვარი საშვის გარეშე, ძალზე ბევრს ნიშნავს ორივესთვის.
287. ადამიანის წარმატების შემადგენელი ნაწილია: გამართლება, იღბალი, ბედი, რომლის კოქტეილს მონდომება აკავშირებს, მაგრამ მისი გამოყენება ცალ-ცალკე სჯობს, რათა მის წარმატებაში ხელი ერთმანეთს არ შეუშალონ.
288. ადამიანის ფიგურის გამოძერწვა ყველა მასალიდან შეიძლება, მაგრამ გააჩნია მძერწავს და სახელოსნოს იმიჯს, რომელსაც მისი წარმოჩენაც და კრიტიკაც უნდა შეეძლოს.
289. ადამიანმა დაბადებიდანვე უნდა დაიმკვიდროს თავისი ადგილი სამყაროში და მხოლოდ ამის შემდეგ შეეცადოს ისწავლოს, იგრძნოს ამ ადგილის დაკავების უპირატესობა და მოვალეობა.
290. ზოგჯერ რაც უფრო ახლო ეცნობი ადამიანს, მით უფრო ხვდები, რომ მისდამი სიყვარული თანდათან ქრება და მასთან ურთიერთობა შეჩვევა-მოვალეობაში გადადის. ამიტომაც ზოგიერთის სიყვარულს შორიდან ლოლიავი სჭირდება.
291. ცივილიზაცია ხშირად თავადაა კატასტროფების, ომების და ნერვების აშლის მუდმივი წყარო, რომლის წინაშე ადამიანის გონიერებაც და მოთხოვნებიც უძლურია.
292. ცოდვის ჩადენასაც თავისი წესები და საზღვრები აქვს, რადგან ადამიანი მის გარეშე ვერ იარსებებდა.
293. ადამიანის საბოლოო ფიქრი მაინც სიწყნარე და მისკენ მიმავალი გზების ძებნაა.
294. ადამიანთა ბედი გარეგნულად სხვადასხვაა, მაგრამ განცდებით ერთნაირი და მსგავსი.

295. ადამიანისთვის გამოზომილი სიკეთის კეთება უფრო სასარგებლოა, ვიდრე განუსაზღვრელი სიკეთის – ეს ზომიერების შეგრძნებას აკარგვინებს.
296. ადამიანი უნდა იმსახურო თავისი შესაძლებლობებით და არა – სურვილებით.
297. მომავალში ადამიანთა ბედს რობოტები გადაწყვეტენ, მაგრამ რამდენად უკეთეს იქნებიან დღევანდელ სახელმწიფო მოხელე-რობოტებზე, ამას დრო გვაჩვენებს.
298. ყველაზე მეტ სისულელეს ადამიანი სკოლაში, არმიაში, სასწავლებელში სჩადის, რასაც მისთვის დიდი ვნება არ მოაქვს.
299. სიავე ადამიანის ერთ-ერთი თვისებაა, რომელსაც იშვიათად იყენებს, მაგრამ ვერ მოიშლის. თავხედობა შეძენილი თვისებაა, რომლის გაყუჩება შესაძლებელია, თუ ძალას დავუპირისპირებთ, ხოლო უკულტურობა ძნელი გასაგებია, რადგან არ იცი, თანდაყოლილია თუ შეძენილი.
300. ყოველივე გენიალური ბუნებამ ჩვენამდე შექმნა, ხოლო ყოველივე ტექნიკური სისულელის აღმოჩენა გენიალურ ადამიანებს დაუტოვა.
301. ადამიანმა ან უნდა იცოდეს, ან უნდა გრძნობდეს როდის გაუყუჩდეს ცხოვრებას, რათა რაც მოპოვებული აქვს, ის შეინარჩუნოს და დარჩენილი წლები არ გაიმწაროს, რადგან ეს სამყარო მარტო მის სათლელად არ გაუჩენია მამაზეციერს, სხვებსაც აქვთ ხელები დაკაპიწებული და ეჩოობისკენ მიდრეკილება.
302. აღზნება, აღმაფრენა, გახელება ადამიანის ნერვების აფეთქების შედეგია და მას სასიკეთოდ გამოიყენებს თუ სამამაძაღლოდ, დამოკიდებულია პიროვნების გენზე, აღზრდაზე, შემთხვევაზე.
303. ცხოვრებას თავის კანონები აქვს, სურვილებს – თავისი მისწრაფებანი, მაგრამ გონიერების ხელოვნება ის არის, რომ ადამიანის ამ ორი შეუთავსებელი ორგანო, გული და ტვინი, ერთმანეთს მოარიგოს, პიროვნებად აქციოს და სიკეთე აკეთებინოს.
304. სიბერეში ყველაფერს ნაკლებად განვიცდით, მათ შორის, იმ ასაკსაც, რომლის ჭკუით, გრძნობით, სილაღით გვინდოდა გვეცხოვრა.
305. ადამიანს ძალზე ეგოისტური გამოხდომაა, როდესაც ახლობელს შენზე ფიქრს ავალებ და არა – ზრუნვას.
306. ზოგიერთ ადამიანთან მეგობრობას ისევ მტრობა სჯობს.
307. ადამიანმა იმდენი კრედიტი უნდა გასცეს, რომ თავად არ გაკოტრდეს და მეგობრების, ოჯახის სიყვარულიც არ გააკოტროს.
308. ცოცხალი ადამიანის სულს არ შეიძლება ეძინოს, რადგან მისი არსებობა და სიცოცხლე სათუო ხდება და ეჭვს იწვევს.
309. ადამიანს აზრები მაშინ ეწამლება, როდესაც პასუხისმგებლობის ისეთ ტვირთს ან აიკიდებს ან აჭიდებენ, რომლის ტარება ხელარეწოფება და თავის გასამართლებლად ათას სისაძაგლეს სჩადის.
310. ადამიანი თავისი ბუნებით რელიგიური არსებაცაა და მომხვეჭელიც, რადგან ამ უკანასკნელის გარეშე ის ვერც იარსებებდა და ვერც რაიმეს იწამებდა.
311. მოვალეობის შეგნების გარეშე ადამიანის უფლებები არაფერს ნიშნავს.

312. ადამიანში ყოველთვის იბრძვის ეშმაკი და ანგელოზი. მართალია, თეორიულად ანგელოზად ყოფნა სჯობს, მაგრამ პრაქტიკულად ეშმაკობის გარეშე ცხოვრება არ გამოვა.
313. ადამიანისთვის დიდი ბედნიერებაა, როდესაც იმ საქმეს ავალებენ, რაც მას სიამოვნებს და ამისთვის კარგ გასამრჯელოსაც უხდიან. ეს იგივეა, ქალმა მამრთან ისიამოვნოს და საჩუქარსაც ხელი გამოკრას.
314. ადამიანს იმის მოსმენა სურს, რაზეც თავისი აზრი და რელიეფური წარმოდგენა აქვს.
315. ადამიანად ორჯერ იქცევიან: ერთხელ, როდესაც იბადებიან, მეორედ, როდესაც ბერდებიან, შუალედში კი ხან დიდებად გადაქცევას ლამობენ, ხან კი ბავშვობის წლების გახსენების მცდელობაში არიან.
316. ადამიანს ხშირად ბუნების წინააღმდეგ ბრძოლა უხდება, რომელშიც მისი გამარჯვება შეუძლებელია, მაგრამ თავის გატანა აუცილებელია.
317. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, მათ შორის, სანატრელი ქალის თვალების შემონათებასაც.
318. ადამიანი მაინც სუსტი არსებაა. სასიამოვნო ტყუილი, რომ სული უკვდავია, მას არ სწამს, მაგრამ გულით და სულით უნდა რომ დაიჯეროს.
319. დღეს ნორმალურ გარემოში შეიძლება ადამიანი შეცდეს, მაგრამ კომპიუტერი ამას არ დაუშვებს.
320. ადამიანს თუ კაცობა არ გააჩნია, მისი ცოდნა კი არ რგებს, არამედ ვნებს საზოგადოებას.
321. ყველა ადამიანი უნდა ეძებდეს, ქმნიდეს მზესიტყვაობის ისეთ ფორმულას, სადაც ერთ აფორიზმში ჩატეული იქნება მთელი მისი ყოფის მიზანი, მოვალეობა, რომელიც შეაფასებს მის განვლილ ცხოვრების კრედოს.
322. ყველაზე ძნელი შესაფასებელი ადამიანის ბუნებაა, ხოლო მისი სული შეფასებას არ ექვემდებარება.
323. ადამიანს ყველაზე მეტად ის მოსწონს, ვინც ხელს არ უშლის საკუთარი ქონების გაფლანგვასა და უყაირათო ხარჯვაში.
324. სინდისი ძალზე საინტერესო ფენომენია ადამიანის შეგნებისთვის, მაგრამ ის ხშირად იცვლის შეხედულებას ცხოვრების დონის ამაღლების და ტექნიკური პროგრესის ზეგავლენით.
325. როცა ადამიანი თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს ეცნობა, უკმაყოფილოა ასაკის მატების და იმ დროში ცხოვრების, რომელშიც მას მოუხდა ყოფნა.
326. ხანდახან ჩვენი ადამიანური სისუსტის გაცნობიერება გვაცოფებს, ნუთუ ყველანი ასეთი უსუსურები და უვარგისები ვართ?
327. გამბედაობა და კონსერვატულობა უხიაგ ადამიანებსაც კი მატებს რაღაც დივიდენდებს.
328. ადამიანს სიმკაცრე და ლმობიერება ფულის მონეტასავით ორივე მხარეს აქვს ამოტვიფრული და იმას იყენებს, რომელ მხარეზეც დაუსვამს ბედი.
329. ადამიანისთვის მთავარია როგორ ელაპარაკები და არა ის, რას ელაპარაკები.

330. ადამიანისთვის შესაფერისი ზედმეტი სახელის გამოძებნა იოლია, მაგრამ მისი მოშორებაა ძნელი.
331. ადამიანმა თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ანგარიში უნდა გაუწიოს სინდისს, კანონის წინაშე შიშს და თავისი "ხოშის" გასწორების აუცილებლობიდან გამომდინარე შედეგს.
332. აქებენ ჩუმად, ლანძღავენ ხმამაღლა, ესეც ადამიანის ვირეშმაკობის ერთ-ერთი ხერხია, გარეშეთათვის თვალის ასახვევად და საქმის შინაურულად საკეთებლად.
333. არიან არაცნობილი, მაგრამ ნამდვილი ადამიანები, მაგრამ მარტო პატიოსნებით ცნობილი ვერ გახდები.
334. სარკიდან ადამიანის ნატურა სულთან ერთად არ იხატება.
335. ადამიანის პატიოსნებაში, რომელიც საქმეს ჯერ არ გამოუცდია, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს და არც მაინცდამაინც უნდა ვენდოთ.
336. ადამიანის აღზრდის ერთ-ერთი კრიტერიუმია საკუთარი ინსტინქტების კონტროლის უნარი და ტრადიციების პატივისცემა.
337. ზღაპრის ასრულებას ფიზიკურ კანონებთან შეხება და ქიმიური რეაქციების გამოყენება სჭირდება, რადგან ადამიანის ბიოლოგია დიდიხანია მზად არის ზღაპრული ოცნებების ასახდენად და შესაჩვევად.
338. გენიალური ადამიანის ბედნიერება არავითარმა კარიერამ, სიმდიდრემ და ტაშისკვრამ არ უნდა შეიწიროს, რადგან ყოველივე ეს წარმავალია, ხოლო სიდიადე უკვდავი, მაგრამ ეს დიდი ადამიანიც ხომ ადამიანია, ოღონდ სხვაზე მეტად შეტრიალებული ჭკუით.
339. გაჭირვება ადამიანის სულის სარწმუნოებით დაპყრობის გზაა.
340. ზოგი ადამიანი მიღწეული შედეგებით ცხოვრობს, ზოგიც წინასწარ დასახული და განუხორციელებლი ამოცანებით.
341. ზოგ ადამიანს დაღვინება უფრო ნაძირალობისკენ უბიძგებს, ვიდრე სათნოებისკენ.
342. ადამიანი ცდილობს იბატონოს სამყაროს გარკვეულ ობიექტებზე, სანამ მას ამის უფლებას აძლევენ და უთმობენ.
343. სინაზის შემოტევა ყველა ადამიანს წელიწადში ერთხელ მაინც უნდა უღიტინებდეს, რათა სხვაც გაამხნეო, იმედი მისცე და თავადაც გულით ისიამოვნო სიკეთის გამეტებით.
344. ადამიანი დებიტს წარსულიდან იღებს, კრედიტს მომავლიდან, ხოლო დღევანდელი ვალის ჩამოწერა ისევ ცხოვრებამ უნდა იკისროს.
345. ადამიანი ყველა ამქვეყნიური სიამის შეცნობისაკენ უნდა ისწრაფოდეს, მაგრამ გამოზომილი დოზებით, განსჯით, რათა იმდაგვარი რამ არ ჩაიდინოს, რაც ყელში გაეჩხირება.
346. სატანას მიზნად აქვს ადამიანის გამოსასწორებლად სისაძაგლის და სიბინძურის ჩვენება და ამიტომაც ისჯება ჩვენს ცნობიერებაში ეს შესანიშნავი პედაგოგი.
347. ადამიანს ნაკლიც უნდა ჰქონდეს, თორემ ამქვეყნად მეგობრების შეძენა და ცხოვრება გაუძნელდება.

348. ადამიანთა მოდგმა ისეთივე უვარგისია, როგორც ყველა დროს და მის გადაკეთებას საუკუნეები ვერ შველის.
349. ადამიანისთვის იმის ცოდნაცაა მთავარი, ვინ იმსახურებს სიმართლის თქმას და ვინ – არა.
350. ადამიანი ისე უნდა მიიცვალოს, რომ ამქვეყნად დარჩენილ ახლობლებს არავითარი ხინჯი არ დაუტოვოს და იმქვეყნად წასულ ნათესავებს არაფერი სისაძაგლე არ ჩაუტანოს.
351. ადამიანს გადაწყვეტილების მიღების არ უნდა ეშინოდეს, მაგრამ ცხრაჯერ უნდა გაზომოს.
352. სმა და მეინახეებთან ყოფნა ადამიანის უკეთ გასაცნობად არის საჭირო.
353. არცერთი ადამიანი არ იძენს იმაზე მეტს, რასაც ჰკარგავს, ყოველშემთხვევისათვის ფილოსოფია ასე ღაღადებს.
354. ადამიანებს განასხვავებს ძალაუფლება, ფული, თანამდებობა, განათლება, ხოლო ეს უკანასკნელი სურვილისამებრ ყველას საკუთრება შეიძლება გახდეს, მაგრამ ადამიანებს პირველი სამისკენ გაურბით გონება, თვალი.
355. ადამიანს სხეულის ნორმალური ტემპერატურა აქვს მუდმივი, თორემ სულის წვა სხვადასხვა სითბურ ენერგიას გამოყოფს.
356. ვნება და ნიჭი ადამიანისთვის აუცილებელია ერთდროულად, ღმერთმა თუკი გაიმეტა.
357. ადამიანს საყოველთაო ღირებულების შეგრძნების უნარი არ უნდა დავაკარგვინოთ, თუ გვინდა ამქვეყნად გამთბარი სულით იცხოვროს.
358. ადამიანის შეფასება ძნელია, რადგან ხან მასზე ასხმულ ტანსაცმელს ვერ ვაფასებთ, ხან კი მისი გონიერების კრიტერიუმებს.
359. ადამიანს შესაძლებლობა დიდი აქვს, მაგრამ გამოყენების კოეფიციენტი აქვს ნაკლები ან უმნიშვნელო.
360. სიკეთის კეთება და სხვის კეთილდღეობაზე ფიქრი თეორიულად ძალიან კარგია, მაგრამ პრაქტიკულად ადამიანს ძალზე ფიტავს და აბერებს.
361. თუ ადამიანს ნებისყოფა ჰყოფნის, ცხოვრებას რეალურად უყურებს და ბუნებით შურიანიც არ არის, მაშინ ის ნერვებდამშვიდებული მაინც წავა იმქვეყნად, ოღონდ ცოტათი მოგვიანებით.
362. ფაქტობრივად ადამიანს არც კანიბალიზმისთვის დაუნებებია თავი, არც გლადიატორების არენაზე გამოყვანისთვის და არც ერთმანეთის ღალატისთვის. უბრალოდ, ჩვენში დაბუდებულმა გენურმა კოდმა უფრო ცივილიზებული სახე მიიღო ყაჩაღობის, სპორტის და პოლიტიკის სახით.
363. არიან ადამიანები, რომლებიც წინამძღოლის გარეშე არ ვარგანან და მათ ვერც თავისუფლებისადმი და ვერც დემოკრატიისადმი სიყვარულს მოსთხოვ.
364. ადამიანისთვის ყველაზე ძნელი ასატანია ლოდინი და სისულელის მოსმენა.
365. ნამდვილ ადამიანში დანახვისთანავე ჯიში უნდა შეიცნონ.
366. ძნელია ისეთი დარჩე, როგორიც ხარ, უფრო ძნელია ერთბაშად შეცვლაც, რადგან ადამიანი მარადჟამს ცუდსა და კარგს, სიავესა და სიკეთეს შორის დგას და აქ

გამარჯვება ძალზე ძნელია, მაგრამ შესაძლებელი, ამას ღირსების შენარჩუნება ჰქვია.

367. ცეცხლიც კი ვერ სპობს უკვალოდ იმ სიბინძურეს, რასაც ადამიანი ტოვებს ამ სამყაროში.

368. ჩვენი ცხოვრების და არსებობის ორიენტირი ადამიანია, რომელიც ძველებურად ფულის მონად დარჩა.

369. ადამიანი ბუნების გულკეთილობის შედეგად გალაღებული მაიმუნია.

370. ადამიანი უკეთ გამოიჭედება, თუ მას თავიდანვე მხარის დამჭერი არ ეყოლება და ცხოვრების წინააღმდეგობას არ შეეპუება.

371. ნდობის სურვილით იბადებიან და ნდობის ბაკილით იწამლებიან, რადგან ადამიანს ნდობის გარეშე ცხოვრება ძალიან უჭირს.

372. ბედთან დაშორება-დაახლოება შეესაბამება ადამიანის საქმის გამოსწორება – გაუარესებას, რადგან ამ უკანასკნელს ბედი კი არ ეთამაშება, არამედ თავად ეთამაშება ბედს.

373. ადამიანს უნდა ყველაფერში პირველი იყოს, მათ შორის, სიჯიუტეშიც.

374. ადამიანი უნდა ფლობდეს თავისი გრძნობების მართვის ხელოვნებას, რათა თავი ბედნიერად იგრძნოს.

375. ყველა ადამიანი ამ ქვეყანას თავისი კოდით, მისიით, ევლინება, მათ შორის, ნაძირალაც, რომელიც სამკურნალო შხამის სახით არის შესული ხალხში, რათა ბრბოს წესიერების ფასის შეცნობის საშუალება მისცეს.

376. სინდისი ისეთი სიმდიდრეა, რომელიც არაფერში გამოდგება, მაგრამ მის გარეშე ადამიანი ადამიანად ვერ იქცევა.

377. რამდენი დამალული და დაუმალავი ნაკლი აქვს ადამიანს იმისათვის, რომ სხვას იგივე ნაკლით საქმე გაუჩინოს.

378. ადამიანი სიყვარულის, სიკეთის და სხვისთვის სასიამოვნო აზრების გასაზიარებლად არის მოსული ამქვეყნად, თუ სხვა ყოველდღიურობას მხედველობაში არ მივიღებთ.

379. ცნობილი ადამიანები მაშინ მეგობრობენ, როცა თავის შესაქები და მოსაწონებელი არეალი, სფერო, გადანაწილებული აქვთ (კ. გამსახურდია და გ.ტაბიძე).

380. ზედმეტი ყურადღება და გადაყოლა ძალიან ღლის და ნერვებს უშლის ადამიანს.

381. ცნობილი ადამიანების ავტობიოგრაფია ზოგისთვის სულის მოსაფხანიცაა და გასაგებიც, ხოლო მათი ნამოღვაწარი ხშირად მათვისვე გაუგებარი და უინტერესოა.

382. ადამიანი ხშირად ნივთს თავის კაპრიზის დასაკმაყოფილებლად იძენს და არა – გამოსაყენებლად.

383. ხასიათით ცხოველთა მოდგმიდან ადამიანს ყველაზე მეტად თხა ჰგავს, ორივენი დაუჯერებლები და თავის ჭკუისანი არიან.

384. ადამიანს ცხოვრება აიძულებს ბოროტიც იყოს და კეთილიც, ხოლო პროპორციას ტრადიციები და გარემო ადგენს.

385. ხშირად ადამიანები მაღალ იდეალებს მაღალ დაფინანსებასთან ერთად თმობენ, საბოლოოდ კი არც ფული რჩებათ და არც იდეები.
386. ადამიანზე კარგი უნდა ვთქვათ, ოღონდ არა ხელაღებით, ამას მოითხოვს თანამედროვე ტექნიკური პროგრესი და დროც ასეთია.
387. ადამიანი ყოველთვის გამონახავს იმის მიზეზს, რომ მიქელ-გაბრიელს იმ ქვეყნად არ წაყვეს, მაგრამ მიქელა ისეთი არიფი არ არის, ყველას ალიბი გულთან მიიტანოს, მასაც თავისი გეგმა აქვს შესასრულებელი.
388. მოდაზე გადაპრანჭული ადამიანი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ჩვენი წინაპარი მაიმუნია.
389. სიკეთეს ადამიანი არ ივიწყებს, უბრალოდ, მახსოვრობა აქვს გარკვეულ დრომდე დაქვეითებული, სანამდის არ დასჭირდები.
390. ადამიანი სიკეთის კეთების საწყისებს უნდა ეზიაროს, რათა შედარების დროს ნამოღვაწარის საწონი სიკეთის კეთებისკენ გადაიხაროს და ცხოვრების მათემატიკამ მისი კაიკაცობა გამოიყვანოს.
391. ადამიანი უნდა ეცადოს განტევების ვაცის როლი არ შეასრულოს უღირსის კარიერის აღმავლობის გზაზე.
392. ადამიანმა სიძულვილს ფეხი არ უნდა დაადგმევინოს საკუთარ სულში.
393. ადამიანმა სრულიად უნდა მოიხადოს თავისი სასჯელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას კანონის კვლავ დარღვევის სურვილი გონებაში უღიტინებს.
394. ადამიანის მუყაითობის ხარისხს განსაზღვრავს თავი, ხელები, გული და სექსიც, რადგან ის შემოქმედებითი შრომის ნაწილია.
395. ადამიანის ბედნიერება და უბედურება საუკუნის ფურცლების გადაბრუნებას ვერ უძლებს და ამით მომდევნო თაობების განვითარებას არ აფერხებს და არც ზედმეტ ტვირთად აწევს.
396. ადამიანზე შთაბეჭდილება მაინც არ უნდა გაგვიფუჭდეს, რაც უნდა გაწბილებულები დავრჩეთ მისი წარსულის ქექვით.
397. ბუნება ადამიანებს ისტორიული სიცილით დაგვყურებს, რადგან წარსულისგან ვერაფერს სახეიროს ვსწავლობთ.
398. თუ ამქვეყნად ადამიანს თავისით ადგილის მონახვა უჭირს, იმქვეყნად მამაზეციერის ნებით ადგილს აუცილებლად მოუნახავენ.
399. მოხერხებული ადამიანია ის, ვინც თავისი ჭკუით სხვასაც თავის წესზე მოაქცევს.
400. გადამეტებული ადამიანობა, პატიოსნება, სიწმინდე, მისაღები და კარგია თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად ცხოვრებაში გრიალის საშუალებას გვისპობს და ამქვეყნად მხოლოდ არსებობის უფლებას გვიტოვებს.
401. ადამიანს იმ იდეების უმეტესობა, რასაც ფლობს, სხვისთვის უნდა და ზოგჯერ ამისთვის გასამრჯელოსაც არ თხოულობს.
402. ადამიანთა მცირე ნაწილისთვის ერთ-ერთი სასიამოვნო კაიფია ახალ იდეებთან ჩუმი გასაუბრება და კოლეგებთან ხმამაღალი კამათი.
403. ყველა ადამიანი თავისუფალი, თანასწორი და ღირსეულია, მაგრამ ამას განსაზღვრავს და ამკვიდრებს გარემო, ბედი და თავად ადამიანი.

404. ადამიანი ცხოვრების წყურვილით უნდა დაიბადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ცხოვრება ყოველთვის ძნელი და გაუგებარი იქნება.
405. ადამიანის გონიერების მუსკულატურა და სულის ჰაეროვნება ყოველთვის მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ უყვარდეს და სხვაც მასზე იყოს შეყვარებული.
406. ადამიანი რაც უფრო მეტად განათლებულია და თავისუფალი, შინაგანად უფრო მეტს მიჰქარავს.
407. ადამიანისათვის სიკეთის კეთება როგორც თავისთვის, ასევე სხვისთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა.
408. პუნქტუალობა, ფულის დროულად დაბრუნება, სიტყვის პატრონობა, ის იშვიათი სიმდიდრეა, რომლითაც ადამიანთა ძალზე მცირე ნაწილია დაჯილდოებული.
409. ზოგი ადამიანურ სიმდაბლესაც სიამოვნებით ისაკუთრებს თავის წრეში საკუთარი თავის წარმოსაჩენად.
410. შენდობასაც ცოდნა სჭირდება, რადგან შენ ადამიანი ხარ და არა ღმერთი.
411. ადამიანი ის გაუთლელი მორია, რომელიც სანამდის არ დაილევა, სულ გათლა სჭირდება.
412. ხშირად დიდი ადამიანი სამყაროს ბედით გვევლინება, მაგრამ სიცოცხლეს რაინდული ბედით ვერ ასრულებს.
413. ადამიანს თავი დაჩაგრული ჰგონია მაშინაც კი, როდესაც სხვას სამართლიანად ექცევიან.
414. ბევრი უნიათო ადამიანისთვის ლეგენდებით ცხოვრება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არარაობად იქცევა.
415. წარმატება გვაამაყებს, გვადიდგულებს და სხვის თვალში უფრო საჭირო ადამიანად გვხდის, ვიდრე სინამდვილეში ვართ.
416. სისაძაგლე ჭკვიანი ადამიანის ფეტიში ვერ იქნება, მაგრამ გასათვალისწინებელია და საჭიროც..
417. პესიმისტი, ეგოცენტრისტი, ოპტიმისტი, დამკვირვებელი, ალტრუისტი, ყველა თავის გაგებით და ბუნებით ცხოვრობს და მათი მიდრეკილება ადამიანთა ყოფას არ ეწინააღმდეგება.
418. არიან ისეთი სულწაწყმედილი ადამიანები, რომელთა მიღებაზე იმქვეყნად ჯოჯოხეთიც კი თავს იკავებს და სააქაოში გვიჩენს თავსატეხს.
419. ადამიანებს ცხოვრების საოცარი წესები გვაქვს: კანონს ყველა ვარღვევთ და ყველანი ცოდვილნი ვართ, მაგრამ პირზე პატიოსნება, წესრიგი გვაკერია და სხვასაც ამას ვუკიჟინებთ. უფრო დიდი საოცრება კი ისაა, რომ პატიოსნების მომხრეა ისიც, ვისაც სალაფავთან არ უშვებენ და ისიც, ვინც სალაფავი უკვე ამოასუფთავა.
420. ადამიანის დანიშნულებაა ამქვეყნად მოვლენა, ნაშიერის აღზრდა, დიდხანს სიცოცხლის მცდელობა, ქვეყნის ეკონომიკურად მომაგრება და უდრტვინველად რიგის დათმობა მომდევნო თაობისთვის.
421. მამაზეციერის ნებაა ამქვეყნად ადამიანის მოვლენა, ანგელოზის პროფესიის დანათვლა, ხოლო ადამიანის – ამ წყალობის რეგულირება შეხედულებისამებრ.

422. ადამიანს თუ უნდა დანაშაულიდან თავის დაძვრენა, ყოველთვის მონახავს ისტორიულ საწყისებზე თავის გასამართლებელ ალიბს.
423. თუ გსურთ ადამიანებთან უღრუბლო ურთიერთობა შეინარჩუნოთ, ცოტათი იწუწუნეთ, ფული არავის ასესხოთ და ჭკუა არავის დაარიგოთ.
424. ქვეყნის ღირსშესანიშნაობის ნახვით დატანჯულ ტურისტებს ხალისით გული მაინც ეროვნული კულინარიის გასაცნობად მიუწევთ და შეიძლება უნახავი ღირსშესანიშნავი ადგილებიც კუჭის ინტერესებს ანაცვალონ. რას იზამთ, სანახაობითი საოცრება ხშირად კუჭის ამოყორვას მაინც ვერ ჯობნის, ასეთია ადამიანთა მოდგმის ბუნება.
425. ადამიანისთვის მოსაწონი და მისაღები ხდება ის, რასაც დავაჩვევთ.
426. სულიერების დეფიციტის შევსება და მისი მოთხოვნა ადამიანის ბუნებაში დევს და იძულებულია სხვადასხვა რელიგიით, დოგმებით შეივსოს.
427. ადამიანი მანამ არის ახალგაზრდა, სანამდის ამის სურვილი აქვს და სიზარმაცის და ჩამოყალიბებული მენტალიტეტის დაძლევა შეუძლია.
428. ადამიანი ყოველთვის ცდილობს დროის მოტყუებას და ცხოვრების ტვირთის სიმძიმის ცენტრის იმდაგვარად გადაადგილებას, რომ სიცოცხლის სურვილსა და სიცოცხლის უნარს შორის თავისუფლად შეინარჩუნოს წონასწორობა.
429. ჭკვიანს იმდენის გაკეთება არ შეუძლია, რამდენისაც ავანტურისტული ბუნების მქონე ადამიანს, რომელსაც საკუთარი მოხერხებულობა და ვირეშმაკობა აქვს.
430. ზოგჯერ ადამიანი ცხოვრების საუკეთესო წლებს სიმართლის ძებნაში და სხვის კირკიტში კარგავს, შედეგად კი ცხოვრება უფრო ცუდი, დარდიანი და მოსაწყენი ხდება.
431. თუ გონიერი ადამიანები ერთმანეთს ვერ ეგუებიან და ერთად საქმის კეთება არ შეუძლიათ, ის მაინც უნდა მოახერხონ, რომ ერთმანეთს პატივი სცენ და ერთმანეთზე ცუდი არ ილაპარაკონ.
432. ადამიანში, ეტყობა, მშვენიერება თავიდანვეა ჩადებული, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად მისი გაკეთილშობილების ნაცვლად ხშირად არაკაცობას ვიმკით და ღვინის სმის ნაცვლად, მაჭრის სმა გვრჩება სასიამოვნო გასახსენებლად.
433. ყველაზე სასიამოვნო ადამიანისათვის იმ საკითხზე მსჯელობაა, რომელიც არაფერს გავალდებულებს, გაყვედრის, ენის ალესვაში გეხმარება, მეორე დღეს კი საუბრის შინაარსიც არ გახსოვს.
434. თუ ადამიანი ხშირად ყვება თავისი უბედურების შესახებ, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ყურადღების მიიპყრობა სურს და გამორჩენასაც ელის, რადგან ნამდვილი უბედურება უსიტყვოა და კომენტარებს არ მოითხოვს.
435. ადამიანს ყოველთვის უნდა ჰქონდეს სულის საგოგმანო ნავსაყუდელი, რომელიც განწყობის შესაფერისად იქით გაგზავნის, საითაც მოესურვება, შემდეგ დასვენებული, დამშვიდებული, სხეულს გამოსაჯანმრთელებლად დაუბრუნდება, რათა თავს ახალი ძალით, ვნებით მოემსახუროს.
436. ადამიანი უნდა ვაცინოთ მისი შესაძლებლობის ფარგლებში, ხოლო უნდა ვატიროთ შესაძლებელ ფარგლებს ზევით, რათა ცხოვრების ყისმათიდან მეტი სარგებელი გამოიტანოს.

437. როდესაც მეგობრები სუფრასთან ერთმანეთს ვხვდებით, ყველას უხიაგი ხასიათი უკან იხევს და ვიწყებთ ერთმანეთის მოფერებას, ერთმანეთს ვამდიდრებთ სიხარულით, საკუთარი თავიც უფრო გვიყვარდება, მოგვწონს და ადამიანურები ვხდებით.

438. ადამიანის თავისუფლად აღზრდას სახელმწიფოს სამართლიანი კანონები და მისი ეკონომიკა უდგას სათავეში და არა – უპასუხისმგებლო თავისუფლება, რომელიც ბოლოს, ადამიანთა მოდგმისთვის მოსაბეზრებელი ხდება.

439. იმქვეყნად გადაბარგებისას გული არაფერზე არ უნდა დაგვწყდეს, რადგან ადამიანს, ვისაც თავისი ეპოქის სიბრძნე მოსავს და მოხერხებულობა ქუდს ახურავს, ამქვეყნად სადარდელი არაფერი რჩება.

440. ადამიანი მანქანა არ არის, ის ჩვეულებრივი ცხოველია, რომელსაც უდიდესი მიდრეკილება აქვს კომფორტისკენ, რასაც გადაადგილების საშუალებით, მანქანით იკმაყოფილებს.

441. ბუნება იშვიათად გვიმასპინძლდება მუქთად, რისკის და თავდადებული შრომის გარეშე, ამიტომაც ადამიანმა სიკეთე ისე უნდა აკეთოს, რომ მას თუ არა, მის მომავალს, ქვეყანას, არგოს.

442. ადამიანის ადგილი, რომელიც ცდილობს ამქვეყნად ყველაფერი ნამუსიანად წარმართოს, ჩვენს პლანეტაზე ძალზე შეზღუდულია.

443. ადამიანი უნდა ცდილობდეს ცხოვრებაში სხვას გზა გაუკვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხორციელად თუ არა, სულიერად მაინც დაიღუპება.

444. არის ადამიანთა კატეგორია, რომელიც ზედმეტი არსად არ არის და ყველა მის გამოყენებას თავის სასარგებლოდ ცდილობს, მაგრამ ამას ყველა ვერ ახერხებს, ამ კაცის თავისებური ბუნების გამო.

445. ადამიანის თვისებაა ანგარიში გაუწიოს დროს და ყველანაირად ეცადოს მომავლისკენ გაიხედოს, რადგან ამას ასაკი აიძულებს, რომელიც ასე სწრაფად უახლოვდება.

446. ადამიანმა უკანმოუხედავად, შინაარსიანად, დაუნანებლად უნდა განვლოს თავისი წუთისოფელი, რადგან მას უკან დაბრუნების და ცხოვრებაში დაშვებული შეცდომების გამოსწორების საშუალებას არავინ მისცემს.

447. ადამიანი კომპიუტერი არ არის, ზრდილობის ,,ფაილით'' რომ მოამარაგოთ და იმისდა მიხედვით მოიქცეს, რაც თქვენ იმ დღეს გესიამოვნებათ. ის მაინც ცოცხალი არსებაა თავისი იმპულსებით და გარემო პირობების ზემოქმედებით.

448. ადამიანს არ უნდა აპატიო, თუ მან სისაძაგლე გააკეთა, როგორც მას ეს გენში უდევს და სულ არ არის გამორიცხული რომ არ გაიმეორებს, თუ ამის საშუალება მიეცემა და სარგებლიანი იქნება.

449. ადამიანი, რომელმაც ოქრო იპოვა და სახელმწიფოს ჩააბარა, ცნობილი პიროვნება და განსჯის საგანი ხდება, თუმცა მის წესიერებაში ურწმუნო თომებს ეჭვიც ეპარებათ, მეტს ნახავდაო, მეორემ, რომელმაც ნაპოვნი არ გაამხილა და თავის ჭკუაზე მოიხმარა, პატიოსანი კაცის სახელი გაუკილავად და შეუმჩნევლად შეინარჩუნა, ასე რომ, ყველაფერს თავისი ფასი ადევს, ოღონდ ადამიანს ცხოვრების გამოცდილება და ავტორიტეტის ფასწარმოქმნის ცოდნაც სჭირდება.

450. ადამიანს უფლება აქვს აღფრთოვანებით აკეთოს ის საქმე, რომელიც მას სიამოვნებას ჰგვრის, მატერიალურ მხარეზე კი მაშინ ფიქრობს, როდესაც თავის სიამის ყველა წილი მიიღო და დანარჩენი სხვა დაგვიანებულია.
451. ნიჭი განგების მიერ გაცემული სესხია, რომელსაც კრედიტის ფარგლებში არასოდეს არ აბრუნებენ, ადამიანური სისუსტისა და ხელგაშლილობის გამო.
452. ადამიანის საბოლოო მიზანი საკუთარი თავის შეცნობა უნდა იყოს და არა – პოვნა მეგობრის, ქალის, ფულის და მათ შორის თავის ნაკლოვანებებისაც.
453. ადამიანის აზროვნებას ასაკობრივად არავითარი წინსვლა არ გააჩნია, მიუხედავად მისი ისტორიული გამოცდილებისა, რადგან მასში ჩაბუდებულ ეგოიზმის ბაცილას ვერავითარი აზროვნება და ცოდნა ვერ კლავს..
454. შეიძლება ჩვენი მოქმედებით ადამიანები იდიოტები ვიყოთ, მაგრამ არც იმდენად, რომ გონიერი ცხოვრების შეცნობა რიგის მიხედვით ვერ შევძლოთ, დაწყებული მაიმუნიდან, ძაღლიდან, დელფინიდან, დათვიდან, სპილოდან, ღორიდან და ასე შემდეგ. მაგრამ ამ ღირსეულთა რიგში, რატომღაც ‘‘ჰომო საპიენსი’’ არ დგას, რაც სამყაროს უსაფრთხოებას წკიპზე აყენებს.
455. ადამიანი რატომღაც შედეგებზე აგებს პასუხს და არა პროცესზე, რაც ყოველთვის სწორი არ არის, რადგან ისეთ ფაქტორს, როგორიცაა „ბატონი გამართლება’’, ანგარიში უნდა გავუწიოთ და სამართლიანობის მარაქაში და კანონებში გავრიოთ.
456. ადამიანს და სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს თავისი ღირებულების საზღვარი, ავტორიტეტი და თაობებთან კავშირი.
457. ცივილიზაციით დაავადებულ ზოგიერთ ადამიანს რაც უფრო უზრუნველყოფილი ცხოვრება აქვს, მით მეტი მოთხოვნილება უჩნდება ველურ და არაჩვეულებრივ სანახაობათა საცქერლად და სხვის ტანჯვას ინტერესით და სიამოვნებით შესცქერის.
458. ადამიანები ყოველთვის ფხიზლად უნდა იყვნენ და ცდილობდნენ მოახლოებული სულის სიბერის მოშორებას.
459. არის ადამიანი, რომელიც რაღაცას თავისთვის ქმნის, ვიგინდარებს ტაშს უკრავს, დროს ატარებს, უმადურია. საოცარია, რომ ამდენი უსაქმურის ხელში საზოგადოება წინ მიიწევს.
460. ადამიანის უჭკუობის ისტორიის უბედურება ის არის, რომ უკვე აპრობირებულ უჭკუობას თავისი ჭკუით აკეთებს.
461. ადამიანს იდეოლოგიის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, რადგან მისი ცნობისმოყვარეობა და ფანტაზია ისე ვერ გაიფურჩქნება, თუ მისი არჩეული რწმენის ცერემონიალს არ ნახავს და მასში მონაწილეობას არ მიიღებს.
462. ყველაზე საშინელება ის არის, რომ ადამიანს ცხოვრება აიძულებს ფულთან იმეგობროს, რომელიც ყველაზე ფაქიზ და წმინდა გრძნობას რყვნის, მაგრამ კარგად ფუთავს.
463. ადამიანმა უნდა დაადგინოს გაჭირვების ჟამს გვერდზე ვინ უდგას, რათა ამ დროს ვიღაც ვიგინდარა მხრებზე არ წამოასკუპდეს და მწუხრით გამოწვეული გულგრილობა მის დასამცირებლად არ გამოიყენოს.

464. პატიოსანი ადამიანი სხვისი ფულის ფლანგვასაც ვერ უყურებს გულგრილად, რადგან ფულადმა სახსრებმა თავისი წილი სამუშაო წესიერად უნდა შეასრულოს, ხოლო პატიოსნებამ – თავისი, რათა საზოგადოებაში წესრიგი არ დაირღვეს.

465. მაიმუნისგან ადამიანის წარმოშობა დაუჯერებელია, მაგრამ საუკუნეების მანძილზე ადამიანის მოდისადმი დაუფიქრებელ დამონებას რომ უყურებ, არ შეიძლება ევოლუციის თეორია არ იწამო და ამ ურწმუნოებაში რაციონალური მარცვალი არ შეიგრძნო.

466. ადამიანი, რომელსაც სიცოცხლის დაისზე იმქვეყნად გადასაბარგებელი ტვირთი გამზადებული აქვს, თავის ამბიციებს ვერ ეშვება და სიცოცხლის ბოლო დღეებსაც დაპირისპირებაში ასრულებს, ეტყობა ეს კოდი ჩადებულია მასში, თორემ სიცოცხლის ბოლო დღეებს ამ ჭიდილს არ გადააყოლებდა.

467. ადამიანს ჰგონია, რომ ის განსაკუთრებული ინდივიდია და თუ ამას გარეშენი ვერ ამჩნევენ, იძულებულია წაიტრაბახოს: „სამჯერ ვიყავი დაჭრილი და აქედან ორჯერ სასიკვდილოდ, მაგრამ ქალის სიყვარულმა გადამარჩინაო".

468. საინტერესო მოსაუბრის ნახვა ადამიანისთვის ძალზე ბევრს ნიშნავს და ეს გონებას უნათებს, რადგან მათი ჭუკჭუკის თემა წარმატებებზე საუბარია და სიამოვნების მისაღებად ესეც საკმარისია.

469. თუ ადამიანის დროულად გამოკვერვა არ მოხერხდა, მაშინ მისი საჭრისით გამოძერწვა მაინც უნდა შეეცადო.

470. ძირს ვაცლით ადამიანთა ურთიერთობას, როდესაც უგუნურების ტლაპოში ვცდილობთ გონიერი კაცის შეტყუებას, რათა ჭუჭყი ავკიდოთ და გონება დავუბინდოთ. ასეთი მცდელობის შედეგად გონიერება გადაიზრდება მოხერხებულობაში და საკუთარი თავის გარდა ის სხვას აღარ გამოადგება.

471. თუ ადამიანი ცხოვრებაში ყველაფრით კმაყოფილია, მაშინ ის ან სულით ავადმყოფია, ან უბრალოდ, რეგვენია.

472. ადამიანს ყოველთვის კარიერა თვალს ვერ უბნელებს, ხანდახან მასაც ესმის სინდისის ხმა, რადგან სხვანაირად ცხოვრების შთაგონება არ გამოდის.

473. ადამიანს იმდენს აფასებენ, რამდენის წართმევაც შეიძლება, ხოლო მისი რეალური ღირებულებაა იმდენი, რამდენის გაცემა თავისი ნებით შეუძლია.

474. სიყვარული, სექსი, არსებობისთვის სასიხარულო ბრძოლაა, ხოლო სიკვდილიდან თავის დაღწევა ადამიანის სიცოცხლის ძირითადი სტიმულია.

475. ადამიანი სამყაროს საოცრებაზე გადამეტებით არ უნდა დაფიქრდეს და ძირითადად ისეთი უნდა მიიღოს, როგორსაც ხედავს, თორემ ცხოვრება გაძნელდება, ხიბლს დაკარგავს, ამასთან ისიც გაითვალისწინეთ, რომ ადამიანი განვითარებული ცხოველია და თავის მოძმისგან ბიოლოგიური საწყისებით არაფრით გამოირჩევა.

476. ფარაონის პირამიდებიდან საიდუმლო გამოძახილის, ტექნოლოგიური ენერგეტიკის პირველადობის აღიარების და ცხოვრების ყოველდღიური გამოცანების გარეშე სიცოცხლე აზრს დაკარგავდა, ამიტომაცაა, რომ ადამიანი ამ უცნაურობების ამოცნობის მცდელობაზე ხელს ვერ იღებს.

477. როდესაც სულს არ უხარია, მაშინ სხეულის განკურნებაზე საუბარი ძალზე ძნელია, ამიტომ ადამიანი უნდა ეცადოს სიცოცხლისადმი ჰარმონიული მიდგომა შეინარჩუნოს, თუ უნდა გამოჯანმრთელდეს და ამქვეყნად დიდხანს იხეტიალოს.
478. ადამიანს რომ შეეძლოს არაფერზე არ იფიქროს და უბრალო რამეზე ნერვები არ იშალოს, ალბათ, კარგად იცხოვრებდა, მაგრამ ბედნიერად თავს ვერასდროს იგრძნობდა.
479. ჭრელი, უიმედო, უმიზნო, შემთხვევით უზრუნველყოფილი ადამიანი საზოგადოების გარყვნის მიზეზი და ბაირაღია.
480. ადამიანის ცხოვრების აზრია სხვისი მოწონება, აღფრთოვანება, გაკვირვება დაიმსახუროს, ხოლო შემდეგ მოდის ფული, ამოყორვა, სექსი.
481. ადამიანს შეცდომა და არა გადაცდენა არ უნდა ვაპატიოთ, რადგან პირველი თანდაყოლილი ბუნების ბრალია, მეორე გარემო პირობებში გაურკვევლობის, მაგრამ შემდგომი ურთიერთობისთვის ორივესთან მანძილი უნდა დავიტოვოთ, რადგან პირველი გაუგებრობა უკვე მოხდა.
482. ადამიანის დაუფასებელი, საუკეთესო თანამგზავრია ჯანმრთელობა, ხოლო თუ მას ფულიც და ბედიც დაემატება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მამაზეციერია ჩარეული თქვენს ამქვეყნად მოვლინებაში.
483. არის ხალხის კატეგორია, რომელსაც კოლექტივში ცხოვრება არ მოსწონს და მიაჩნია, რომ იდეა კი არ არის მთავარი სამყაროში საცხოვრებლად, არამედ ადამიანი, რომელიც თავისუფლების იდეით დაპროგრამებული, სულ დავის და კამათის ხასიათზეა და მასზე სხვა გონიერების არგუმენტი არ მოქმედებს.
484. შეიძლება წუთისოფელი ისე განვლოთ, რომ ცხოვრების უკმაყოფილო არ იყოთ, მაგრამ რადგან ადამიანი ხართ, თქვენს თავს დაწუწუნების უფლება მაინც უნდა მისცეთ.
485. ადამიანს ვიღაცის და რაღაცის მიმართ პასუხისმგებლობა აბერებს და არა – ასაკი, რადგან სული მარად ახალგაზრდაა.
486. საზოგადოების კრახს აჩქარებს გარყვნილება, უპრინციპობა, სიდუხჭირე და არა – პოლიტიკური პარტიების დემაგოგიური იდეები, რადგან თუ ადამიანს საკმარისი სალაფავი აქვს, ყოველგვარ იდეოლოგიას ეჩვევა და აფეტიშებს, მითუმეტეს, თუ ამისთვის ხოტბას შეასხამენ და კარიერის კიბეზე აარბენინებენ.
487. ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე დიდი წამალია წესრიგის დაცვა და წესიერ ხალხთან ურთიერთობა.
488. საპატიო ჯაჭვი იმ ადამიანებისთვის არის გამოგონილი, რომელიც უყვართ, მაგრამ ეშინიათ რაიმე არ მიქაროს.
489. ადამიანის ღირსებებს აფასებს ის, ვისაც ურთიერთობა ჰქონდა უგუნურთა ფარასთან.
490. მთავარია, ადამიანს უთხრათ რა არის სიკეთის მადლი და როდესაც მას ამის საშუალება მიეცემა, მისდაუნებურად სიკეთეს გააკეთებს, რადგან აღზრდა ერთია, საქმიანობა – მეორე.
491. ბუნებას ბევრი საოცრება და მშვენიერება ახასიათებს, მაგრამ მის სამკაულად მონათლული ადამიანი დამცველად არ გამოდგება, რადგან მის სილამაზეს ებრძ-

ვის, სულ იმის ცდაშია, ეს საოცრება ამოხსნას და მშვენიერება მისთვის გასაგებ სილამაზეს და კეთილდღეობას დაუმორჩილოს. ბუნება კი არად დაგიდევთ.

492. მამაზეციერმა, ეტყობა, უდანაშაულობის პრეზუმპცია ადამიანის კოდში დროულად ჩასდო, ალბათ იმიტომ, რომ ყველაზე დიდი სენი, უნდობლობა, გადააშენებდა "ჰომო საპიენსს" და მისი კვლავწარმოება აღარ მოხდებოდა.

493. მშობლებს დღეს ნაშიერის ჩასახვა და აღზრდა ევალებათ (ხვალ ეს ვალდებულებაც მოეხსნება), დანარჩენს ტელევიზია, ინტერნეტი, ქუჩა იღებს თავის თავზე. ხვალ თუ სექსი ინტერნეტმა შეითავსა, მაშინ გარემო პირობების საჭიროებაც გამოირიცხება და ადამიანის აღზრდა – ჩამოყალიბება მთლიანად საინფორმაციო საშუალებების ხელში გადავა.

494. სულიერი სიწმინდე, ღირსება, ცვალებადია, მაგრამ ადამიანის ბუნება შინაგანად უცვლელია, უბრალოდ, სხვის დასანახად გადასხვაფერდება.

495. არეულობებით, რევოლუციებით თავმობეზრებულ ადამიანთა გაერთიანებას არც იდეა გააჩნია და არც მიზანი, მათ მხოლოდ უზრუნველი ცხოვრების სურვილი რჩებათ.

496. ადამიანად მაშინ გრძნობ თავს, როდესაც განიცდი, გრძნობ, იტანჯები, ტირი, იცინი და ამ გრძნობების კოქტეილში სიკეთეს ჭედავ.

497. რომ დაუკვირდეთ, ადამიანი მთელი ცხოვრება რაღაცას თამაშობს, რაღაცისთვის იღვწის, საჩუქრად კი ამქვეყნად ყოფნის დროებით უფლებას იძენს.

498. ადამიანი ცხოვრებისთვის აუცილებელი სისაძაგლის ჩადენას ნელ-ნელა უნდა მივაჩვიოთ, რათა შემდეგ თავის წარმოსაჩენად და საამაყოდაც გაიხადოს.

499. ნაძალადევი სამოთხე ცხოველისთვისაც კი მიუღებელია, თუ კი მას არ აიძულებენ, ადამიანი კი შეგნებულად მიდის. პირველი – საჭმლის გულისთვის, მეორე – თავის მოსაწონებლად, რაც სასუსნავსაც არ გამორიცხავს.

500. მსოფლიო გონიერება, ინტერნეტი, ინფორმაციის ზღვა მასალას ფლობს, მიუხედავად ამისა, ყოველთვის რაოდენობრივი ცოდნა თვისობრივში ვერ გადადის, ამისთვის საჭიროა მამაზეციერის მადლით დაჯილდოებული გონიერი კოდი, რომელიც ყოველ ზევით ნათქვამს წინ დაუდგება, თუ ასეთ ადამიანებს მოვძებნით და წარმოვაჩენთ.

501. მხოლოდ ადამიანის შექმნამ მისცა ბუნებას საშუალება თავისი თავისთვის საღი თვალით შეეხედა, მაგრამ ამასთან თავის ნამოღვაწარითვის მოუფიქრებელი ქმედებით მიყენებული ზარალის ატანაც მოუხდა.

502. მსოფლიოს მოქალაქე სიყვარულისთვის თავდადებული, მშვიდობის, მეცნიერების, ხელოვნების, ევოლუციის გამაფეტიშებელი ადამიანია.

503. ზოგჯერ დრო ისე საოცრად აცუნცრუკდება, რომ ადამიანი სათუო იდეებისთვის ყველაფერს სწირავს და ეს პერიოდი ამ ქვეყნის მოქალაქეთა მომავლისთვის სასარგებლოა თუ ურგები, ძნელად მისახვედრია.

504. ადამიანები იყოფიან ოპტიმისტებად, რეალისტებად, პესიმისტებად, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლით ბოროტებისა და სიკეთის ჩადენაში.

505. ყველა საინფორმაციო ფონდი არის ადამიანის შეგნების წინ წაწევის ბიძგი, იმ პირობით, რომ გონიერება სწრაფად ივიწყებს ინფორმაციის ჩენჩოს.

506. გავა დრო და ის კი არ უნდა ვიდარდოთ, რომ კაცად ვიქეცით და წლები მოგვემატა, არამედ ის, რომ ჩვენი გასავლელი წლები ადამიანურად გავათრიოთ.
507. ველურ პირობებში ადამიანის ბიოლოგია მომხვეჭელობაა, წართმევაა, დაძაბულ სიტუაციაში ყოფნაა, საზოგადოებაში ცხოვრებისას კი ის იცვლება ბიზნესით, თანამდებობით, ორთქლის აბანოში დაძაბულობის მოხსნით.
508. ბავშვებს აინტერესებთ საიდან ჩნდება ყოველივე. დიდებს – სად იკარგება ყველაფერი, ხოლო ასაკგადაცილებულ ადამიანს არც არაფრის ნახვა და არც არაფრის დანახვა არ უნდა.
509. ადამიანთა მოდგმას არც საუკუნეები ცვლის და არც საკუთარი წლების მატება, რადგან მას გონება კი არ მართავს, არამედ გენი, რომელიც მოწოდებულია ყოველივე დამთავრებულის თავიდან დაწყებისათვის.
510. ცივილიზაცია და თანამედროვე კინემატოგრაფია ადამიანურ ინსტინქტს აღარ ტოვებს და გადაგვარების გზაზე აყენებს მის მრწამსს, მეგობრობის ინსტიტუტს და ყველაფერს ფულის შოვნას და პირადი ინტერესების წარმოჩენას უმორჩილებს.
511. დღევანდელი ადამიანი ცდილობს ყოველივე წინასწარ დაგეგმოს და მის მიერ წარმოდგენილ რობოტს დაემსგავსოს. ქორწინების პირველ ღამეს საგანგებოდ შეძენილ პრეზერვატივებს იყენებს, რათა ღმერთი არ გაუწყრეს, დაგეგმილზე ადრე ბავშვი არ გამოუტყვრეს და კარიერის მიღწევაში ხელი არ შეეშალოს.
512. ყველა ადამიანი თავისი ბუნებით მებრძოლი ჯარისკაცი უნდა იყოს, თუ წინააღმდეგობა შეხვდება.
513. თავის წრეში წარმოსაჩენად ადამიანი ყველაფერს სილამაზისთვის აკეთებს, ცუდსაც და კარგსაც.
514. ცხოველურ რეფლექსს სიყვარულის, გამრავლების, კვების პროცესი მოწესრიგებული აქვს, ხოლო ადამიანს არეული, რადგან ყველაფერს თავისი სიამოვნებისთვის აკეთებს, ბუნების ნაკარნახევი კაპრიზად ეჩვენება და არად დაგიდევთ, ამიტომაცაა მისდაშეუმჩნევლად ხშირად რომ ისჯება.
515. ადამიანი თავისუფლებას ისე უნდა იყენებდეს როგორ ხასიათზეცაა, რა თქმა უნდა, სხვისი თავისუფლების გათვალისწინებით, რადგან თავისუფლებას მაშინ აქვს ფასი.
516. მთავარია, დროისა გვწამდეს და არა – ადამიანის, რადგან პირველი კანონზომიერად მიედინება, მეორე კი – ნახტომებით, ზიგზაგებით, მიუხედავად იმისა, რომ ისიც განვითარების კანონზომიერებას ემორჩილება და მისი სურვილია გონების და კულტების განვითარების ტემპი მისთვის გასაგები პარამეტრებით განისაზღვროს.
517. ადამიანს 25 წლამდე ის სახე აქვს, რაც ღმერთმა მისცა, 45 წლამდე ის, რაც თვითონ შექმნა, 65-მდე რომელსაც თვითონ იმსახურებს, ხოლო 65 წლის ზევით მიქელას პეროგატივაა, როდის წააცუნცულებს და რა სახეს მიუსადაგებს იმქვეყნად.
518. ვერც სხვის და ვერც საკუთარ შეცდომებზე ადამიანი ვერაფერს სწავლობს, იმდენად დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე და შესაძლებლობებზე.

519. სამწუხაროდ, ხარისხიან ადამიანთა რაოდენობის საშუალო შეწონილის მონაცემებს დედამიწაზე არავინ აქვეყნებს და არც განსაზღვრავს, რადგან ყველას ჩვენი მოვლენა ამქვეყნად აუცილებელი და უნიკალური გვგონია.
520. ყველაზე მეტი „მირაჟი" ადამიანის გონებაშია და რასაც მეტს ფიქრობს მასზე, ხვდება, რომ ის უფრო მეტად შორდება რეალობას.
521. ადამიანი არ შეიძლება მშვიდად იყოს, თუ ის უპატიოსნო და არაადამიანია.
522. კარგი აზრები მიდიან და მოდიან, მაგრამ ადამიანის მენტალიტეტის შეცვლა ძალზე ჭირს.
523. სხვის სახეზე სიხარულის დანახვა და მისი გათავისება ადამიანის დიდ ბუნებაზე მიუთითებს.
524. ადამიანი სულ ჩქარობს და თავისი "ზოშის" გასასწორებლად არად აგდებს მოსალოდნელ მსხვერპლს, ეკონომიკის კანონებს, სახელმწიფო აღმშენებლობის პერსპექტივას, ოღონდ დღევანდელი უმწიფარი აზრები თავს მოგვახვიოს და მათი დანერგვა უზრუნველყოს.
525. მოთმინება, სულ ცოტა ბედი, დიდი სიყვარული და ყველაფერზე ხელი მიგვიწვდება და ადამიანთა სიცოცხლეც საამური ხდება.
526. ზოგი ადამიანი ჩრჩილივით არის მოვლენილი ამქვეყნად, მისთვის სულ ერთია, ვისი ქურქით ჩაიგემრიელებს პირს.
527. ნორმალურმა ადამიანმა თავის შესახებ არასდროს იცის სიმართლე და ის, თუ რას ჭორაობენ გარეშენი მის შესახებ.
528. საოცარია, მაგრამ დიდხანს კარგად მოპყრობას ვერცერთი სქესის წარმომადგენელი ვერ უძლებს, რადგან ადამიანი მოწოდებულია ცხოვრებისთვის და არა – არსებობისთვის.
529. შედარებით ჰუმანურ, აზრიან, სოლიდარულ თანამედროვე ადამიანს, ხელს არ უშლის გულჩვილად ხოცოს თავისი თანამოძმე ღილაჯზე თითის დაჭერით და ნემსის გამოყენებით.
530. თუ ადამიანს ფული არ აინტერესებს, ის უკვე საშიში პიროვნებაა და თუ ამას ქალისადმი გულგრილობაც ემატება, ის თავისთვისაც საშიში ხდება.
531. ზრდილობა, მოკრძალება, სათნოება სასწაულებს ახდენს, თუ ადამიანს ვაიძულებთ ამ გარემოში გარკვეული დროით იცხოვროს.
532. ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ ექიმებს და მესაფლავეებსაც კი ცრემლი გადმოსცვივდეთ.
533. ადამიანური კაპიტალის დაგროვების საშუალებაა: შრომისმოყვარეობა, განათლება, სურვილი, ფანტაზია და თვით ადამიანურობა.
534. კულტურულ ადამიანსა და ინტელიგენტს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი განათლების, აღზრდის შედეგად ხდება, მეორე კი ჯერ უნდა დაიბადოს და შემდეგ უნდა ეზიაროს ცოდნას და ალღო აუღოს მის ირგვლივ მყოფთ.
535. არ შეიძლება ცხოვრების გამოცდილებას მოკლებული შემთხვევით გალაღებული ადამიანი ჭკუას ასწავლიდეს სხვას სამართლიანობის მომიზეზებით, მაშინ, როდესაც ამ უპატიოსნობის მიზეზი თვითონაც არის.

536. არც ბრბოს ტაშმა უნდა გაცდუნოს, არც ლანძღვამ და არც უყურადღებობამ. მაგრამ სად გაექცევი ადამიანურ სისუსტეს, რომელსაც თავის წარმოჩენის სურვილი ჰქვია?

537. როდესაც ადამიანი თავის საყვარელ საქმეს აკეთებს, ასაკი უკან იხევს და მაშინ შეიგრძნობს ირგვლივმყოფთა სიმშვენიერეს და მისწრაფებას შემოქმედებისკენ.

538. ყველა ადამიანში თავისებური მხატვარი ზის, მაგრამ უნდა დაუცადოს თავის აღმაფრენას, მუზის მოსვლას, ფორტუნას და მისთვის სასიყვარულოდ განწირულ პარტნიორს.

539. ადამიანებს თავიანთ სიამისთვის ცხოვრება უჭირთ: ერთი ნერვიულობს, ყველაფერს განიცდის, სტრესი უჩნდება, ჯანმრთელობა ერყევა, მეორეს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია და უსაქმურობა აწუხებს, მესამეს მიზანი აქვს დასახული და მას უნდა ყოველივე ანაცვალოს. ასე და ამრიგად, ამ დაპირისპირებაში, ბრძოლაში, თანდათან ვიჩუტებით, ხმაურით ან უხმაუროდ ვემშვიდობებით გარე სამყაროს და ამით ყველაზე მეტად თავს ვისჯით.

540. ყველა დრო თავის შესაფერის ავანტურისტული ბუნების ადამიანებს ბადებს, თორემ ვინ იფიქრებდა, რომ ტექნიკური პროგრესი ასე მომხიბვლელი იქნებოდა ამ ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოვებული ვიგინდარებისთვის.

541. ჩვენი მასშტაბური იმედები და შიში ყოველთვის არ სრულდება და ამიტომაც ვრჩებით ადამიანებად.

542. ადამიანის თავის მოგიჟიანების მიზეზი სიახლის შეგრძნებაა და მისი რეალიზაციის მცდელობა.

543. არის არაპრესტიჟული პროფესიები, რომელსაც გონიერების ჩაღრმავების და ცხოვრების ალგორითმის ცოდნის გარეშე ბინძურს მივაკუთვნებთ, მაგრამ მათ გარეშე სიმყრალეში ვიკოტრიალებდით და ჩვენი ყოფა მოვარდნილ ღვარცოფს დაემსგავსებოდა, რომელიც თავის გზაზე ყველაფერს წალეკავდა, რადგან ადამიანი ის ანგელოზი არ არის, როგორც თავისი ,,ყბედობით'' ცდილობს დაგვიმტკიცოს.

544. ზოგს სიმაღლე, ასაკი, კილოგრამები, ნაოჭები აქვს ზომაზე მეტი. ეს ერთადერთი შემთხვევაა, რომლის ზედმეტად მითვისება არ უნდა ადამიანს, მაგრამ აქედან არაფერი სასიკეთო არ გამოდის.

545. ადამიანი ცხოვრობს ცხოველური, ადამიანური და მე-20 საუკუნის ბოლოს მიერ შემოთავაზებული გადაგვარებული სექსუალური ინსტინქტებით. ეტყობა, ეს ერთ-ერთი ხერხია მამაზეციერის მიერ ამ პლანეტაზე ჭარბი მოსახლეობის შესამცირებლად, რადგან დაავადებებით, კატასტროფებით, ბუნებრივი კატაკლიზმებით, პლანეტის მოსახლეობა სასურველ ნორმამდე ვერ დაიყვანა.

546. გამოქვაბულის ადამიანები, დღევანდელ ადამიანთან შედარებით, თავიანთ მოძმეთა მიმართ გაცილებით შემწყნარებლები იყვნენ, ეტყობა მათ ნაკლებად ჰქონდათ ურთიერთობა დღევანდელ სტრესთან, თორემ ასე არ მომრავლდებოდა კაკისკვლა, რომლის მრავალფეროვნებაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ჩვენს პირველყოფილ, კაციჭამია წინაპრებს.

547. სახლზე, კულტურაზე, სამშობლოზე უკეთესი სასიკეთო აზროვნება ადამიანად ჩამოყალიბებისათვის სხვა არ არსებობს, მეტის მცდელობა კი საკუთარ აღზრდას გიუფასურებს.
548. ბუნების შვილთ წითელი წიგნის სახით თავისი კონსტიტუცია აქვთ, რომელიც მათ უფლებებს იცავს, უფრთხილდება, ამიტომაც მთავრობა და ადამიანთა მოდგმა მას პატივისცემით და მოწიწებით უნდა ეკიდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანთა მოდგმას და პლანეტას საფრთხე ემუქრება.
549. ტრაგედიაა, როდესაც ადამიანი წარმოდგენით რაღაცას ეპოტინება და ის კი ავიწყდება, რომ პარტნიორთათვის მთავარია სულიერი ჰარმონია და არა ვიღაცის ჯინაზე მისი მისაკუთრება, რადგან ასეთი ხვითო გარეთ სხვას უბრმავებს თვალებს, სახლში კი – თავის თავს.
550. სიძნელეების გამონახვა და სისულელეების ჩადენა ადვილია, რეალური საქმის და სიკეთის კეთება – ძნელი, თუ ადამიანს სათანადო აღზრდა არ მიუღია.
551. ადამიანის ინტელექტის მაჩვენებელი მისი ბუნება და სულია და არა ინტენსიურად ბიბლიოთეკებში ხეტიალი და წიგნის კითხვა.
552. ადამიანები აშკარა გარყვნილებას ეწევიან, კვდებიან და კვლავ ფენიქსად მოგვევლინებიან, მხოლოდ ერთი მიზნით, რომ ისევ სექსს ეზიარონ სხვა სამყაროს წარმომადგენლებთან ერთად.
553. უსუსური ადამიანის გაცივება სიტყვითაც კი შეიძლება, თუ ამას უგუნურება და უხერხულობა ემატება.
554. ადამიანის თავხედობა იქამდე მიდის, რომ მომავალში თავის პარტნიორის სექსუალურ მომსახურებასაც კი რობოტებს დაავალებს, გარდა პოლიტიკური მოღვაწეობისა, სადაც თავი შეუცვლელი ჰგონია და სხვა გასართობი მის გონებას აღარ იზიდავს.
555. დიქტატურა მაშინ იწყება, როდესაც დამნაშავის და დანაშაულის დაფიქსირება ქვეყანაში არავის აწუხებს, რაც ადამიანთა მოდგმას ამხეცებს და სახეს აკარგვინებს. ეს არის მკაცრი ძალის გამოვლენის საწინდარი.
556. ცდუნებისთვის მამაზეციერმა ადამიანი დასაჯა, ჩვენ რა უფლება გვაქვს მას არ მივბაძოთ და ბიოლოგიურად გადაგვარებული ადამიანი შევიწყნაროთ, ან მათგან თავი არ დავიცვათ.
557. რადგან შენც ადამიანი ხარ, არ შეიძლება ყოველთვის კარგი და მოსაწონი იყო, მაგრამ კრიზისის დროს შენი ცხოვრება რომ წარმართო, მონსტრად არ უნდა იქცე.
558. ველური სიამოვნებისთვის ადამიანი თანხას დაუფიქრებლად ხარჯავს, მაგრამ ნამდვილი სიამოვნების მისაღებად ფულის გამეტება უჭირს.
559. ფულით და რეკლამით ბევრი უხიაგი საქმის კეთება შეიძლება, მაგრამ ადამიანური საქმის კეთებას დრო, გონების სასიკეთოდ შემოტრიალება, გამართლება სჭირდება.
560. ადამიანის ფსიქო-ფიზიკა ის გამოუცნობი მდგომარეობაა, როდესაც შინაგანი ბუნების სიამაყე ენაზე კბილების დაჭერის საშუალებას არ აძლევს.

561. სახე მდიდრული, სული წამპალი, ამ გამოუმჟღავნებელი მონაცემებით ადამიანის შეცნობა გვიანაა, ან არ გვიხდება.
562. ხანდახან ხელი და არა თავი წარმართავს ადამიანის ცხოვრებას, რადგან ის გაცილებით მეტყველი, მგრძნობიარე, მთრთოლავი, ხელმარჯვეა და მასთან ყოველივე ადამიანური და ღვთაებრივი უფრო ახლოს დგას, ვიდრე მისი ჭკუაა.
563. ადამიანი კი არა, თვით საზოგადოება უნდა გაერკვეს, თუ რას წარმოადგენს ის თავის ქვეყანაში, რა სულიერ და მატერიალურ ყოფაში უნდა იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავალი.
564. ადამიანის იმიჯისთვის მთავარია როგორ და როდის მიდიხარ და არა ის, რითი მოხვედი და ვისი რეკომენდაციით.
565. ადამიანთა უმრავლესობისთვის რწმენა მთავარი არ არის, მთავარი მატერიალური კეთილდღეობაა და რამდენად გამოადგება ეს კარიერის თავის ჭკუაზე მოთოკვაში.
566. თავისი შრომით, შემართებით, მცდელობით ადამიანმა ღმერთსაც უნდა მისცეს საშუალება, რომ მას დაეხმაროს, რადგან ლოცვა-ვედრება საძირკვლის გარეშე სახლის მშენებლობის მცდელობაა.
567. ბევრის მცოდნე, სხვისთვის სანატრელი ადამიანი, თავისთვის უინტერესოა, რადგან ცხოვრების ორომტრიალმა წლები შესძინა და ხორცი დაუჩაჩანაკა, თავისი ნაფიქრი ვერ განახორციელა, შედეგად გონების ჭყლეტა აღარ ეხალისება და არც სიცოცხლე ეჩვენება საამო.
568. ენერგიის შენახვის და კვლავწარმოქმნის კანონი სიცოცხლის მარადიულობაზე მიუთითებს და ამით ადამიანს შანსს აძლევს მომდევნო საუკუნეებს კვლავ მოევლინოს, ამიტომ მან დღეს ყველგან სიყვარული უნდა თესოს, თორემ მეორედ მოსულს ამ სამყაროში ცხოვრება მის გარეშე ძალზე გაუჭირდება.
569. ადამიანი უკანა რიცხვით გონიერია, მაგრამ მომავალი მაინც არა აქვს შეცდომებისგან დაზღვეული, რადგან მისი არდაშვება თანდაყოლილი ნიჭის, ანალიზის უნარის, ცხოვრების გამოცდილების და გამართლების შედეგია.
570. ადამიანი ფიზიკურად ბერდება, როდესაც რაღაც უმიზეზოდ ეტკინება, ქრონიკულ დაავადებაში გადაეზრდება და ეჩვევა კიდეც, მაგრამ არა –სულიერად, რადგან მუდამ ყმაწვილივით მომხიბვლელია და ხორციელ დაავადებაზე ყურადღების გამახვილება არ უნდა.
571. შეიძლება ადამიანი მოგწონდეთ, მთელ შეგნებულ ენერგიას მასზე ფიქრს ანდომებდეთ და ეს დიდ სიამოვნებას განიჭებდეთ, მაგრამ სხვისთვის შესაძლებელია ამ გრძნობების გაგება უგუნურად გამოიყურებოდეს.
572. ადამიანთა მოდგმა სხვადასხვა საზოგადოების ნარკომანებისგან შესდგება: თუთუნის მწეველნი, ჩიფირის მოყვარულნი, ალკოჰოლის ტრფიალნი, უზომოდ მჭამელნი, ტკბილეულზე დაფეთებულნი, ლაყბობის მოყვარულნი. ასე რომ, სანამ ადამიანი დაპროგრამებულ რობოტად არ გადაიქცევა, მისი ჩვენს ჭკუაზე მოქცევა შეუძლებელია.

573. ასაკის მატებას, ცხოვრების გამოცდილებას, სამყაროს შეუცნობადობის საბოლოო შეგნებას, ყველა გონიერი ადამიანი ღმერთის არსებობამდე მიჰყავს, რადგან აღარც სურვილი, არც შესაძლებლობა აქვს ელოლიავოს პლანეტის სასწაულებს.

574. საინტერესოა, ადამიანი ამდენ საწვავს რომ იღებს დედამიწისგან, შემდგომ რა საშუალებით აპირებს ამ გავარვარებული, გაბერილი სფეროს საწვავით უზრუნველყოფას, ისე რომ თავის ორბიტას არ მოსწყდეს და სამყაროში უგზო-უკვლოდ ხეტიალი არ დაიწყოს. ეტყობა, ამის საფიქრელად მას არ სცალია, რადგან მუცლის ამოყორვას და ფუფუნებას არის გადაყოლილი.

575. ზოგი ადამიანი ფლუგერს მოგვაგონებს, რომელსაც ქარის მიმართულებით ბზრიალი არ ეშლება და თავიც მოსწონს, რომ ცხოვრებას და უფროსის სურვილებს ალღოს უღებს, ამიტომ ის ვერც ზევით აიწევა და ვერც ქვევით დაეცემა, რადგან ფლუგერის კანონით ცხოვრობს.

576. ადამიანის შინაგანი სილამაზე გაიძულებს გარეგნული დაივიწყო და ნაკლი არ შეამჩნიო გარკვეულ დრომდე.

577. ზოგჯერ ადამიანს უკან მოხედვის, თავიდან დაწყების, სულის და ხორცის გაწმენდის სურვილი უჩნდება, რომელშიც დამხმარედ სარწმუნოება და თავის ფანტაზია ევლინება.

578. ღმერთს იმდენი სასწაული აქვს შექმნილი ამ სამყაროში, რომ გაუგებარია, ევოლუციის საოცრების ჩვენებით რატომ უნდა შეეწუხებინა თავი, რასაც მას მეცნიერებას ამოფარებული, მის მიერ შექმნილი ადამიანი აბრალებს.

579. ადამიანი, რომელსაც ყოველდღიურად ლუკმაპურის შოვნა უხდება და ამას ახერხებს კიდეც, საყოველთაო სიყვარულით არის გარემოცული, ვიდრე ის, რომელსაც ყოველივე მემკვიდრეობით ერგო და სხვაც და საკუთარი თავის სიყვარულიც ფეხებზე ჰკიდია.

580. ზოგი ადამიანი თავისი ცხოვრებასაც განსჯის და ახლობლისასაც და თანახაა სხვისი სისულელეების გამო პასუხი აგოს.

581. როდესაც ადამიანი ადამიანს არ დაემორჩილება, სხვისი ხელებში შემყურე აღარ იქნება, თეორიულად მაშინ შეიქმნება ბრწყინვალე საზოგადოება, მაგრამ პრაქტიკულად მკაცრი მოთხოვნის, სამუშაოს დაკარგვის შიშის გარეშე ჯერჯერობით არაფერი ხეირიანი არ გამოდის და არც გამოვა.

582. მარტივი აზროვნების ადამიანები დიდ საქმეებს აკეთებენ, მაგრამ მათი გაგება გონიერებას ძალზე უჭირს და ამით საზოგადოება ბევრს იგებს.

583. ადამიანი უნდა გრძნობდეს, რომ მარტო არ არის ამქვყნად თავისი აზრით, ოცნებით, განსჯით, ამიტომ მის მომსახურებას ტელევიზია, რადიო, პრესა კისრულობს, ხოლო რა გამოდის აქედან, სხვა საქმეა.

584. ადამიანისთვის რწმენა – უდიდესი სიამოვნებაა, შეგნება – ქვეყნის სიყვარულია, ოჯახი – მამოძრავებელი ძალა, საქმიანობა – ამბიციების დაკმაყოფილება, სიყვარული – აღმაფრენა. მხოლოდ სიბერეა სხეულის ჭრაჭუნი, რომელიც ჩუმად გვეპარება და იმქვეყნად წასაცუნცულებელი გზების არჩევანს გვიტოვებს.

585. ადამიანს ბევრი რამის კეთება და გაგება არ ძალუძს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამისკენ არ ილტვის. როგორ ახერხებს ამას, ამაზე მომავალი თაობები იმსჯელებენ.
586. ადამიანი ოპტიმიზმს არასდროს უნდა ჰკარგავდეს, მაგრამ ხანდახან შემოჩენილი პესიმიზმი ყურად უნდა ვიღოთ, რომელიც გადამეტებულად გვიფრთხილდება და ცდილობს ცხოვრება არ აგვეწეწოს.
587. ადამიანის დამღუპველია სიბეცე, სიჯიუტე, სხვისი აზრის უპატივცემულობა და ის, რომ თავს ამ ქვეყნის მოქალაქედ არ გრძნობს
588. ყველა კარგი ადამიანი ჩვენი მეგობარი არ არის და არც ყველა ცუდი – ჩვენი მტერი.
589. ჩვენს სამყაროში თავის კულტურით, ცხოვრების წესით სამშიში მხოლოდ ადამიანია, რადგან ყველა დანარჩენი მისი პოტენციური მსხვერპლია.
590. ატომის გამოსხივება ადამიანის უგუნურების გადმოფრქვევასთან შედარებით არაფერია.
591. ადამიანს თავიდან რომ დაეწყო ცხოვრება, რას შეცვლიდა? სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე იმ მდედრებთან ახლო ურთიერთობას მოვიპოვებდი, რომლებიც ჩემი გამოუცდელობის გამო, თავის დროზე ხელიდან დამისხლტდნენ.
592. არ არის საჭირო გადაჭარბებით შევაფასოთ სამყაროში ადამიანის განვითარების დონე, რადგან საქმით არც თუ ისე გონიერად გამოიყურება.
593. ადამიანი ეტაპობრივად ვითარდება, მის დაღვინებას თანდაყოლილი ინტუიცია და ცხოვრების დაისის დაწყება სჭირდება და არა განვლილი დრო და უხიაგი ცხოვრების გამოცდილება, რომელიც რატომღაც ადამიანის ჩამოყალიბების სკოლად ითვლება.
594. კანონი ყოველმხრივ სამართლიანი არ შეიძლება იყოს, ის შეფარდებითია და აბსოლუტური სამართლიანობის ძებნას ადამიანი აბსურდამდე მიჰყავს.
595. დღევანდელი ცივილიზაციისგან განსხვავებით, მომდევნო ცივილიზაციას შეეძლება მხოლოდ ბროილერის მსგავსი ორფეხა არსებების გამოყვანა, მაგრამ ჩვენი გაგებით ადამიანის – არასდროს.
596. ადამიანმა უნდა ისწავლოს საინფორმაციო ფაქტების დიდი ოდენობით მონელება, მაშინ მისი ცხოვრება რეალური და ნაკლებ ნერვებმომშლელი იქნება.
597. მთავარი არა ადამიანის შეფასებაა, არამედ მისი დაფასება და ხალხში გამოყვანა – გამომზეურება.
598. ადამიანი საიდუმლოს გარეშე არ არსებობს და როდესაც ის ყველაფერს ჰყვება, იმის მაჩვენებელია, რომ მან სიცოცხლეზე უარი განაცხადა.
599. როდესაც ადამიანს სცემენ და შენ სეირს უყურებ, მაშინ ნაძირალა ხარ, ხოლო ვინც კამერით სურათს იღებს და რეპორტაჟს ამზადებს, მას იმდენი არგუმენტი აქვა, რომ გამოდავების შემთხვევაში თვითონ გამოხვალ ვიგინდარა.
600. მოსამართლე, არბიტრი, მსაჯი ღმერთის წარმომადგენლები არიან ადამიანთა სამსჯავროზე გარკვეული დროის, სინდისის და კანონის პატივისცემით.
601. აგრესიულ გარემოს ადამიანი მიჰყავს დანაშაულის ჩადენამდე. შემდგომ უკან მოხედვა და დაბრუნება ხშირად დაგვიანებულია.

602. “დასჯა! არ შეიძლება შეწყნარება! ან: დასჯა არ შეიძლება,!” შეწყნარება შენ ძახითი ნიშანი უძახე და ამ სამეფო დეპეშაში ადამიანის ბედი მასზე იყო დამოკიდებული.

603. მეორე ეტაპი ადამიანის აღსაზრდელად ზომიერი სუნთქვაა, რომელიც აუცილებელია პიროვნების ჩამოსაყალიბებლად.

604. ზოგჯერ ადამიანებს სიძულვილი აერთიანებთ უღირსი პიროვნების მოსაშორებლად, ხოლო სიყვარულის დიდი დოზა აშორებთ, იმდენად დიდია მათი გრძნობების შეთანაწყვილება, რომ არ შეუძლიათ ერთმანეთს რაიმე აპატიონ.

605. თუ ადამიანს ჩვენი გაგებით ყველაფერი აქვს და ყველაფერი მისთვის ცნობილია, ლამაზად აღარ გვეჩვენება და ჩვენში შეიძლება მომხვეჭელობის და შურის საგნად გადაიქცეს.

606. ადამიანი უნდა ცდილობდეს სიკეთეზე და სიავეზე მაღლა იდგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველდღიურობა გადასანსლავს.

607. თავისუფლებაა ის, როდესაც შენს ადამიანურ ვალს სიამოვნებით იხდი ქვეყნის და საკუთარი თავის წინაშე.

608. ადამიანი ყოველთვის რჩება მონა თავისი წარსულის, რომელიც აწმყოსთან შედარებით უფრო სასიამოვნოდ ეჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ გონების შინაგანი ოპოზიცია ამას არ ეთანხმება.

609. საერთოდ, ადამიანი სუსტი არსებაა, განსაკუთრებით, ქვეყნის კრიზისის და ოჯახის ნგრევის დროს და შეიძლება ისეთი რამ იკადროს, რასაც მისგან არ მოელიან.

610. ადამიანს ხელწიფება ღირსეულად დაეუფლოს ერთ-ორ სპეციალობას, მეტის არც შესაძლებლობა და არც სურვილი აქვს, ჩვენ კი მის შესაძლებლობას თურმე გადამეტებით ვაფასებდით.

611. ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს აღიარება, საზოგადოების თუ არა, თავის წრეში მაინც, ისეთ არაპოპულარულ პროფესიებშიც კი, როგორიცაა: ჯალათი, მეძავი, ქურდი, თაღლითი და სხვა ამდაგვარი.

612. ადამიანის უძღები და მერყევი ხასიათის გამო ბუნების ძალები გახელდებიან და ისეთ რამეს კადრულობენ, რაც ადრე მის დასასჯელად არ უკადრებიათ.

613. ადამიანი ამქვეყნად ტურისტად არის მოვლენილი, ამიტომ ამ სამყაროს ღირსშესანიშნაობას გულმოდგინეთ უნდა გაეცნოს, სიამოვნება განიცადოს, მომდევნო თაობის ტურისტებს თავისი გამოცდილება გაუზიაროს და ისე დატოვოს ეს ქვეყანა.

614. თავდასაცავად ადამიანს აქვს საშიში თანდაყოლილი ინსტინქტი, რომელიც თავის გადასარჩენად ყველაფერს იკადრებს, მაგარმ მასზე დიდ გავლენას ახდენს რწმენის დემაგოგია, აღზრდა და გარემო პირობები.

615. ადამიანი საუკუნეების მანძილზე მოწინააღმდეგის დასათრგუნავად იგონებდა სხვადასხვა იარაღს, მაგრამ მათ შორის ყველაზე საშიში სარწმუნოება, წიგნი და ფული იყო. დღეს ფანატიზმის ობიექტი საინფორმაციო საშუალებები და ბანკის საკრედიტო ბარათებია. ამრიგად, ცივილიზაცია ადამიანის საწყისს ვერ ცვლის და ის ყოველთვის ერთია: უგუნურება, შური, კარიერისკენ ლტოლვა.

616. გაღარიბებული სულის, ხორცის, რწმენის ადამიანების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, თორემ დამკვიდრდება საყოველთაო საყოფაცხოვრებო სისაძაგლე.

617. ადამიანის შესაცნობად გამოცდილი კაცისთვის ერთი შეხედვაც საკმარისია, გონიერისთვის – ერთი შეხვედრა, საქმიანისთვის – ერთი დღის ურთიერთობა, უსაქმურისთვის ადამიანის შესაცნობად წლებიც ცოტაა, რადგან ის სხვის იმედზე ცხოვრებისათვის არის დაბადებული.

618. ადამიანის შინაგანი ბუნება არასდროს არ მიესადაგება გარეგნულს და თუ ისინი ერთმანეთს უახლოვდებიან, მაშინ წესიერი სულის ადამიანთან გვქონია საქმე, ისე რომ ჩვენ ამის შესახებ ვერაფერი შეგვიტყვია.

619. ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც მამაზეციერის დანათლებით და თავის ნამოღვაწარით, ცხოვრების თეთრი ვირი როგორც ამქვეყნად, ისე იქით, დაბმული ჰყავს და სააქაოდ ზედმეტად დარჩენა იმიტომ სჭირდება, რომ გონიერებას სიწმინდის მეტი სითეთრე შემატოს.

620. ადამიანები არ ეწინააღმდეგებიან ტექნიკურ პროგრესს, მაგრამ ბუნება ყოველგვარი წინსვლის წინააღმდეგია, რადგან ეს ყოველთვის მისი გადასახდელია.

621. ადამიანს, რომელიც უმაღლესი და უმდაბლესი განვითარების საფეხურზე მყოფ მაიმუნების ნარევია, დაუღალავი შრომა და სხვისი შრომის დაფასება მართებს, რათა წინაპრებს არ დაუბრუნდეს.

622. შეიძლება ცხოვრებაში რაღაც-რაღაცეები შეგემალოს, მაგრამ დაფიქრებით, მავნედ, განზრახ, ცუდის გამკეთებელი არ უნდა იყო, თუ გინდა ადამიანის სტატუსში დარჩე.

623. უშეცდომო, ჭკვიან, წესრიგის მოყვარულ ადამიანთან ყოველთვის ცხოვრება ძნელია, რადგან მას რაღაც ადამიანურიც უნდა გააჩნდეს, რომელსაც შეცდომა, მიტევება, აღსარება ჰქვია.

624. ადამიანს ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად სჭირდება ინტელექტი, იღბალი, გამოცდილება – გამრავლებული შრომაზე, რადგან პირველი სამი ფსონის ქაღალდის მოსვლასავით არის, ხოლო მეოთხე პროფესიონალიზმი და დამახსოვრების უნარია.

625. განათლების მატებასთან ერთად იზრდება ადამიანის დაუსჯელობა და მეტი შემწყნარებლები ვხდებით, რაც ქვეყნის დაშლის და მოშლის მიზეზია.

626. საბოლოოდ მშვიდი ადამიანი უკეთ ცხოვრობს, ვიდრე თავქარიანი, რადგან პირველი კანონს, სტაბილურობას, ჯანმრთელობას სცემს პატივს, მეორე – თავის ვნებებს, უსამართლობას და ერთფეროვნება ჭირის დღესავით ეზარება.

627. უზრდელობა, სიბრიყვე, განზრახ სისაძაგლის ჩადენა არავის არ უნდა ეპატიოს, დანარჩენ შემთხვევაში, ადამიანები ვართ ჩვენი სისუსტით და სიძლიერით.

628. ხელოვნებაში სხვადასხვა ნარკოტიკია, რომელსაც ყველა ადამიანი უნდა მიეჩვიოს, მისით დაავადდეს და ამით კაცობრიობა უფრო წმინდა, შემოქმედი და თავის საქმის ერთგული გახადოს.

629. ადამიანი ადამიანურ შეწყნარებას იმსახურებს მანამ, სანამ ის ადამიანის „სტატუსში" გვევლინება, ხოლო როდესაც ის ამ „სტატუსს" ჰკარგავს და მხეცი ხდება, უნდა განადგურდეს, რადგან გონებით დაკოდილი ადამიანი-მხეცი გაცილებით საშიშია, ვიდრე ჩვეულებრივ დაკოდილი მხეცი.

630. რატომღაც დიქტატორის მმართველობის დროს რაფინირებული ადამიანების ოდენობა მატულობს, რომლის ძირი შიში, წესრიგი, მორჩილებაა, რადგან შენს მიმართ გამოჩენილი მცირე მზრუნველობა, მომავლის რწმენა, გაფილტრული შენი აზრები დიდი საქმეებისკენ წარგმართავს, მითუმეტეს, თუ უკვე წამოგებული ხარ განდიდების ანკესს, რომელსაც შენი სახელის უკვდავყოფის სურვილი ჰქვია.

631. ადამიანის კარიერისკენ მისწრაფების ბაკქანალიაში ძნელია საღ არგუმენტებზე და გარემოს დაცვაზე საუბარი, რადგან საკუთარი ქვეყანა ამ კარიერიზმს და სეპარატიზმს გაღარიბებამდე მიჰყავს, ხოლო სამყაროს გადარჩენის და ბუნების დაცვის საქმეში პირველ მტრად გვევლინება.

632. ხშირად საუკუნის იდეოლოგიური ჩანაცვლების გამო, ქვეყნის ბევრი თავდადებული და გონიერი ადამიანის აღიარება გვიანდება.

633. ადამიანის სიბრიყვე ისეთი კაპიტალია, რომელიც თუ არ გამოიყენე, მთელი ცხოვრება სანანებლად დაგრჩება, რადგან ვერაფერს შეასმენ და სხვა დაგასწრებს.

634. ადამიანს არ შეუძლია რაიმე იდეოლოგიის გარეშე ცხოვრება, რადგან მისი შეუზღუდავი ცნობისმოყვარეობა და ფანტაზია რწმენის ჩარჩოში თუ არ მოთავსდა, მისი გამოყენება საზოგადოებისათვის გაძნელდება.

635. ბედის გარდა ადამიანს დიდი მოხერხებულობა სჭირდება, რომ მისთვის განკუთვნილი დრო ბოლომდე განვლოს და გეგმის ზევით იცხოვროს.

636. დავამაგროთ ჩვენი ბედის შემოქმედებითი მისწრაფება მისთვის განკუთვნილ პარამეტრებში, ადამიანის დიდი ხელოვნება და ბედნიერებაა.

637. ადამიანის კულტურით, განათლებით, სათნოებით აღჭურვა შესაძლებლია სწავლით, სანახაობებზე დასწრებით, კამათით და მამაზეციერის მადლით, რადგან ამ უკანასკნელის გარეშე ყველა დანარჩენი საჩოთიროა, არასრულყოფილია.

638. სათნოება ადამიანის სანუკვარი ნიჭია, რომელიც წლების მატებასთან ერთად თანდათან გვშორდება და მოწყენილობას გვიმრავლებს.

639. ადამიანის გონებას იმონებს არა სარწმუნოება, არამედ ფული, კარიერა და იმის შეგნება, რომ მას დაუმსახურებლად შეუძლია სხვაზე ადრე ერთი ნაბიჯის გადადგმა.

640. ადამიანის დეგრადაციის მაჩვენებელია ისიც, რომ მას უჩნდება სურვილი თავისი საკუთრება განუსჯელად დაიტოვოს, ხოლო სხვისი – საკითხავი, სადაო, შესაჯერებელი გახადოს.

641. „ნაგავი", „არამზადა", „საძულველი", – თუ ამას გრძნობს და ამბობს თავის თავზე, მაშასადამე ის კიდევ ადამიანია და გადაგვარებას მისთვის ბოლომდე არ დაუჭერია წიხლი.

642. ბოლოს ადამიანი ხვდება თავის შეცდომებს, მაგრამ ამ ცოდვებით თამაშის სურვილს ვერასდროს მოიშლის.
643. არავის არა აქვს უფლება ადამიანს მისი ადამიანური თვისებები წაართვას, კანონს და ადამიანის თავისუფლების იდეებს ამოფარებულმა მძორად და ვიგინდარად გადაქცევაში დაეხმაროს.
644. ერთადერთი საქმიანობა, რომლის შედეგითაც ადამიანი უნდა თუ არა კმაყოფილი უნდა იყოს, არიან მისი შვილები, რადგან ამ შემოქმედების ალტერნატივა არ არსებობს.
645. სამწუხაროდ, ზოგჯერ ისე გამოდის, თითქოს ახლობლები იმისთვის გვინდა, რომ ჩვენი ცხოვრების მძიმე დღეებში ზურგი შეგვაქციონ და ნიშნის მოგების მიზნით ჭკუაც დაგვარიგონ.
646. ადამიანი სისტემატურად ცდილობს ცხოვრების უკეთ დაპროგრამებას, მაგრამ ყოველთვის უარესი გამოსდის და ალბათ, ეს არის კაცობრიობის განვითარების ბერკეტი.
647. ჰუმანიზმის პრინციპებზე აღზრდილი ადამიანი მკვლელი ვერ გამოვა, მაგრამ გარემოცვაც ხელს უნდა უწყობდეს, რადგან მასაც სჭირდება სიკეთის საკვები.
648. ადამიანი სიცოცხლეს ახალი თავგადასავლებით და სასიყვარულო ისტორიებით იხანგრძლივებს და მიუხედავად ასაკის მატებისა, ცხოვრების მადლის შეგრძნებას აგრძელებს.
649. როდესაც საკუთარი სახლის და ლოგინის დანახვა გახარებს და სიამოვნების ჟრუანტელს გგვრის, მაშინ იწყება შენი ჯეელობის და ადამიანური თვისებების დევალვაცია.
650. ამქვეყანას ბუნების კატაკლიზმები და ადამიანის უგუნურება ხელს რომ არ ურევდეს, ცხოვრება ძალზე გაჭირდებოდა, რადგან დამყაყებულ სამყაროში არსებობა აზრს დაკარგავდა, ადამიანს საფიქრალი, საზრუნავი მოეხსნებოდა და საზოგადოება ხოხვით დაიწყებდა გადაადგილებას.
651. სამწუხაროდ, ზოგჯერ ადამიანმა სახელოვანი და კეთილი კაცის სახელი რომ დაიმსახუროს, რამდენიმე კაცი უნდა ჰყავდეს გასტუმრებული იმქვეყნად. სამართლიანობაა ეს თუ უსამართლობა, განსასჯელი არ არის, მთავარია, რომ კაციკაცლისთვის გაქებენ.
652. წარმატებით ჩატარებული სექსუალური აქტის შემდეგ ადამიანის კმაყოფილება ერთ წუთამდის სძლებს, მერე იწყებს ფუსფუსს, საყვედურებს, პრობლემების განხილვას, რადგან ერთსა და იმავე მდგომარეობაში ყოფნას მისი ბუნება ვერ ეგუება.
653. ჩვენი შეხედულების დონეზე ძნელია კეთილის და ბოროტის შეცნობა, ხოლო სხვისი გამოცდილების დონეზე წარმოუდგენელი. რას იზამ, ასეთია ადამიანის ბუნება – მოქანავე „ავ ძაღლსა და ურწმუნო თომას" შორის.
654. თუ ადამიანი გრძნობს, რომ განგების რჩეულია და ამას სხვებიც უჩიჩინებენ, მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე არ დაიხევს.

655. არაკაცური საქციელის ჩადენისას უნდა გრძნობდე, რომ შენს ქმედებას რაღაც გამართლება აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენს ადამიანურობაზე საუბარიც ზედმეტია.

656. ადამიანმა თავისი შეხედულებისამებრ გარემო პირობების გათვალისწინებით შექმნა ღმერთი და არა – პირიქით და მკაცრი მრავალღმერთიანი კერპების სარწმუნოება შედარებით კაცთმოყვარე და შენდობის მომხრე რწმენამდე მიიყვანა. მომავალში, ალბათ, ღმერთი და სარწმუნოება ერთი იქნება – უფრო ლმობიერი და მოხერხებული, თუ ადამიანის ეკოლოგიურ უგუნურებას სამყაროს კანონზომიერების გამგებელმა სილა არ გააწნა.

657. ტერორისტები შინაგანად მთლად დალაგებულნი არ არიან, მაგრამ ტერორიზმისკენ მიდრეკილების ჰორმონი ჯერჯერობით მეცნიერებას ვერ აღმოუჩენია, ამიტომ ისინი ნორმალური ადამიანის ქურქში გახვეულნი გვევლინებიან.

658. ადამიანი ბევრად უფრო ღვთაებრივია, რადგან მისი იდეებით, სულით, სურვილით არის გაჭედილი მამაზეციერის ხატი.

659. ქვეყნის კონსტიტუცია, კანონი, მისდამი სიყვარული, ადამიანის შინაგანი მოთხოვნა უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება მიზანს ვერ მიაღწევს.

660. ფორმა პრეტენზიას აცხადებს ესთეტიკურობაზე, მაგრამ იშვიათად აღწევს მიზანს, რადგან ადამიანი და მისი ფუტლარი ხშირად ერთმანეთს არ შეესატყვისება.

661. ადამიანი უდიდესი კოსმოსია თავისი სათუთი სულით, რომლის წესრიგში მოყვანას ვცდილობთ და თანაც ჩაქუჩით.

662. წესიერი, მშრომელი, პატრიოტი ადამიანი არავის აინტერესებს მანამ, სანამ სისულელეს არ ჩაიდენს და ბაკქანალიას არ შეიტანს ბრბოს ცხოვრებაში, მხოლოდ მაშინ ხდება ის მასის ფავორიტი და ხსენების ღირსი. როგორ გინდათ ეს ხალხი სრულყოფილად ჩათვალოთ, როცა მათი სულები გონებისთვის გაუგებარი ბრბოს ხელშია.

663. თუ ადამიანს მორალის სასწორზე ავწონით, იმაზე უარესი მოგვეჩვენება, რაც ჩვენ გვეგონა და იმაზე უკეთესი, რასაც მასზე ვერ წარმოვიდგენდით.

664. თანამედროვენი მომავალ ისტორიულ პიროვნებას ადამიანური სისუსტეების გამო სათანადოდ ვერ აღიქვამენ, მაგრამ ჟამთა სვლა ამ პიროვნებას ადამიანური სხეულის ჩენჩოს ჩამოაშორებს და დაგვრჩება მისი გაკეთებული საქმე და სული, რომელიც მომავალ თაობებს აღაფრთოვანებს, რადგან მათ ადამიანთან კი არ ექნებათ საქმე, არამედ ისტორიასთან.

665. ფილოსოფია ჭეშმარიტების ძებნაა და არა ალეგორიული მინიშნება, რომელიც ადამიანს მოსწონს და არავითარი საერთო არ აქვს რეალურ ცხოვრებასთან.

666. ადამიანს უნდა ჰქონდეს რაღაც ისეთი, რისთვისაც შეუძლია მოკვდეს და მოკლას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ამქვეყნად მოსვლა უაზრობა იქნებოდა.

667. ოცნება შეუფასებელია და მას მთელი სამყაროს ოქროც ვერ გადაწონის, თუ ადამიანმა საკუთარ თავს არ უღალატა.

668. ზნეობა და უზნეობა, სიჩუქარი და საზღაური, საკადრებელი და უკადრებელი – ყოველივე ამას ადამიანი მუქთად იღებს, ოღონდ დროის შესაბამისად გამოყენება უჭირს.

669. უნდა ვწერდეთ იმას, რაც სინამდვილეში ადამიანის სულის სიღრმეში ხდება თავის პრაქტიკული გამოსავალით და არა იმას, თუ ვის როგორ მოეპრიანება თავის გამოუცდელი სურვილებით ჩაასწოროს ესა თუ ის მოვლენა.
670. ცხოვრებაში ყველამ თავისი უღრანი ტყე, უდაბნო, უნდა გაიაროს და შეეცადოს თავის ცხოვრების წყარო, ოაზისი, ნახოს, რათა მისგან მივიღოთ ადამიანი.
671. ადამიანი ხშირად სისუსტის გამო ქვეყნის ერთგული ძაღლის სტატუსს თავს ანებებს და მელად ან მგლად გადაიქცევა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის დღეს მისი მფარველი და რამდენად ეთვისებიან ისინი ერთმანეთს.
672. ადამიანს ჭკუა იმიტომ დაანათლა მამაზეციერმა, რომ სიყვარულის ბუდეში ჭუჭყი არ შეიტანოს, თუ ამას ვერ ახერხებს, არც ბუდეში ყოფნის უფლება აქვს, რადგან ჭუჭყის მოშორებისთვის ჯერ კიდევ მზად არ არის.
673. როგორც ირკვევა, ადამიანი ამ სამყაროს ერთადერთი გათავხედებული არსებაა, რომელიც სიახლის შეცნობის გაუმაძღარი სურვილით თავს ისე დაიპროგრამებს, რომ თავის არსებობას თვითონ გახდის სათუოს, ან დაუსვამს წერტილს.
674. ერთი შეხედვით, ბევრი გამოთაყვანებული ჰყავს ღმერთს გაჩენილი, მაგრამ მაინც მათი სისულელის გათვალისწინების წყალობით ადამიანი წინ მიიწევს, იღუპება და კვლავ ფენიქსივით აღმდგარი ევლინება ცივილიზაციას.
675. ღირსეული სიბერე და დრონატარები ასაკგადასულობა ცხოვრების დაისზე სხვადასხვანაირად გამოიყურება, მაგრამ საერთო ერთი აქვთ: ადამიანი ყველა ასაკში ადამიანად უნდა დარჩეს და გულს პენსიების წიგნაკი არ გააკაროს.
676. როდესაც სხვას ესვრი, ამით სხვა ადამიანის და მისი ახლობლების ბედს ჭრი, რყვნი საკუთარ სულს, საეჭვოს ხდი შენს მიმართ ახლობლების კეთილგანწყობას.
677. მოსაწყენნი არიან და შურსაც კი იწვევენ ის ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთი თავდავიწყებით უყვართ და გარეშეთ ვერც კი ამჩნევენ.
678. არის შემთხვევა, როდესაც რაღაცის გაკეთებას გთხოვენ, შენ კი ეწინააღმდეგები, მაგრამ შინაგანად ეს თამაში დიდ სიამოვნებას გგვრის, რადგან ადამიანისთვის უმთავრესია მისი დაფასება და იმის შეგრძნება, რომ უიმისოდ ამ საქმის კეთება ჭირს.
679. უდანაშაულოთა დასჯა შეუძლებელი გახდება, თუ ადამიანი საზოგადოების კანონებით და არა მისი სურვილებით იცხოვრებს, რომლის განხორციელებისას შეცდომებიცაა მოსალოდნელი.
680. ადამიანის წესიერების გარანტია სამართლიანი კანონების უცილობელი აღსრულებაა და არა – წესიერი აღზრდა.
681. ყველა ერთმანეთის წინაშე ვართ ვალში, მაგრამ ეს ვალი ყველას სხვადასხვანაირად გვესმის და მის გადახდას არავინ ჩქარობს, თუ ადამიანის ინსტინქტები და ბუნების ძალები არ დაგვეხმარნენ.
682. ღვეზელის გემო ჩაკბეჩისთანავე შეიცნობა, ადამიანის რაობა კი მასთან ორი ფუთი მარილის ჭამის შემდეგ, მაგრამ რად გინდა, გემოს ვერ გაუგებ.
683. პათოსი, სიწმინდე, იუმორი არის შლეგის და ჭკვიანის, ვიგინდარას და ერისკაცის, ეშმაკისა და ანგელოზის კოქტეილი, რომელიც ერთ ადამიანში თავსდება.

684. დრო ადამიანს მკურნალობს და აინვალიდებს კიდეც, მაგრამ გაცრუებულ სიყვარულს მხოლოდ დრო ევლინება სულის მძიმე ნალექისაგან განვლილი განცდის მკურნალად, რომლისგანაც ის თანდათან თავისუფლდება თუ მოისურვებს.

685. ყველა ნორმალურ ადამიანს თავის ერზე და წარმომობაზე დიდი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს და ჩუმად ამაყობდეს, მაგრამ გაწბილების შემთხვევაში გონიერი ცდილობს მიზეზების ახსნას, ხოლო უგუნური – პირადი გრძნობების გამოხატვას და საღი აზრის უგულბეველყოფას.

686. შეუთავსებლის შეთავსების მცდელობა კეთილის და გულუბრყვილო ადამიანის თვისებაა, შედეგად კი ყოველთვის თავად გამოდის დასჯილი.

687. სინდისი ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა, ხოლო თუ შეძენილია, თავის მოჩვენებითობას მისდაუნებურად გაამჟღავნებს.

688. არის ყოველდღიური მარტივი ურთიერთობა ადამიანთა შორის, რომელიც მათ აახლოვებს, ხოლო ნაციონალური გამოხტომა, ძველ ურთიერთობას დაუფიქრებლად ანგრევს.

689. მართალია, ადამიანი ცივილიზაციას ვერ შეეშვება, მაგრამ წინაპართა პირველყოფილ ბუნებრივ გარემოში ზოგჯერ მოხვედრა მას ძალზე გაახალგაზრდავებს და ენერგიის აღმდგენი ემოციებით დატვირთავს.

690. ჩვეულებრივი ნიჭის ადამიანს გადატვირთული განათლებით გზა ებნევა, ხოლო ჭკვიანს ხელის განძრევის სურვილი ეკარგება, რადგან ხვდება, რომ სამყარო უიმედო ხალხის ხელშია და დასაღუპადაა განწირული.

691. საზოგადოების ყველაზე ძვირფასი რესურსია მაქსიმალურად გამოყენებული ადამიანის შრომა, რომელიც შეიძლება იყოს მწარმოებლური და სასარგებლო. პირველში იგულისხმება დამხმარე სამუშაოები, რომლის გარეშეც პროდუქცია ვერ გამოვა, მეორეში კი – მზა პროდუქცია, რომლის ღირებულებასაც აზრი აქვს საერთაშორისო ბაზარზე გასატანად.

692. სამწუხაროდ, დემოკრატია ხელს უწყობს ადამიანის ქვენა გრძნობების ანომალურ გამოღვიძება–გამომზეურებას, რომელსაც დროთა განმავლობაში ყური და თვალი ეჩვევა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქმედება ბუნების ყველა კანონს ეწინააღმდეგება.

693. სიმდიდრე და სიღარიბე ერთნაირად აწბილებს ადამიანს, ოღონდ ყველას თავისი სამრეკლოდან.

694. თუ მომდევნო საუკუნეებში გონიერების დახმარებით მოხერხდება ომების აკრძალვა, მაშინ ადამიანებს უნდა მივცეთ სტადიონი, დარბაზი, სამართალი, სიყვარული, ლატარია და მრავალი სხვა გასართობი, პატარ-პატარა გამარჯვებების მისაღწევად, რადგან მის გარეშე ადამიანს არსებობა ძალზე გაუჭირდება, ამასთან დაპირისპირების ალტერნატივაც მონახულია.

695. თაობათა მენტალიტეტს ტექნიკური პროგრესი განსაზღვრავს. თუ XX საუკუნეში პროგრესს ფეხდაფეხ მივყვებოდით, XXI საუკუნეში სპორტულ სიარულზე გადასვლა მოგვიწევს, XXII საუკუნისთვის პროგრესს რომ აჰყვე, სპრინტი იქნება საჭირო, ფრენა უნდა ისწავლო. ცხოვრების ასეთ ტემპს სტანდარტული ადამია-

ნის ჯანმრთელობა ვერ გაუძლებს და გადაგვარებას დაიწყებს, თუ მანამდე ეყო გონიერება და ეს პლანეტა გაქრობას გადაარჩინა.

696. ცივილიზაციამ ადამიანი თითქოს უფრო წინდახედული და მოყვასი გახადა. სწორედ ეს იწვევს ერთმანეთში ურთიერთობის და სექსის გადაფასებას. აქ მთავარია საზოგადოებაში გარეგნული ხიბლის და ეტიკეტის დაცვა, აბა, ქაჯები ხომ არა ვართ, „ქალის ბინძური ხვრელისთვის" ერთმანეთს დავერიოთ და შეურაცხვყოთ.

697. პლანეტას მაშინ ეშველება, როდესაც ადამიანი ბუნებასთან საერთო ენას გამონახავს, მის პრეტენზიებს ანგარიშს გაუწევს და მომდევნო თაობებისთვის ეკოლოგიისთვის საჭირო საქმის კეთებას ხალისით შეუდგება.

698. თუ ვინმე დაინტერესებულია, ჭორმა ისეთი აგორება იცის, რომ ბევრ უდანაშაულო ადამიანს ქვეშ დაიყოლებს. მერე კი მისი ზვავიდან გამოძვრომა ძალზე ძნელი და სასიხარულო გაგიხდება, თუ უვნებელი გადარჩი, მაგრამ ჭკუის სწავლებისთვის მაინც არ გამოდგება.

699. ნორმალური ადამიანი ბოლომდე დამოუკიდებელი ვერ იქნება, იმდენად დიდია საკუთარი ნახელავის წარმოჩენის და თავის გამოჩენის სურვილი.

700. "შეუკვეთეს", "დაბრიდეს", "მოკლეს", "მოწამლეს", "მოაშორეს", "გაასაღეს" და სხვა ამგვარი გამოთქმებით ფასდება დღეს ადამიანის სიკვდილი და იმქვეყნად გადაბარგება.

701. ადამიანს თანდაყოლილი ღირსების შეგრძნება უნდა ჰქონდეს, თუ უნდა ბრბოში არ აითქვიფოს და თავი პიროვნებად იგრძნოს.

702. ადამიანი ბედნიერებას განიცდი, როდესაც შენი მეგობრის ცოლი ოჯახისთვის შეუვალი ციხე-სიმაგრეა და თქვენს მეგობრობას ესალბუნება.

703. ადამიანის უპირველესი მხარდამჭერი იმედია, რომელსაც თავის დროზე მამაზეციერი მაღლიდან უბოძებს.

704. ხანდახან სასიკვდილოდ ისეთ ადამიანს ვიმეტებთ, რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე შეიძლებოდა სიამტკბილობით გვეცხოვრა, რომ არა ბედისწერა, შემთხვევითობა, გაუგებრობა და აჩქარება ორივე მხრიდან.

705. ადამიანი ისე უნდა აღვზარდოთ, რომ მან შესძლოს შეიგნოს თავისი შეცდომები. ეს ნაღდი ქალის აღზრდას არ ეხება რადგან მას შეცდომის დაშვების უფლება არ აქვს.

706. უფრო ადვილია ადამიანს აუხსნა, რომ ის ბედნიერია და შესანიშნავი ოჯახი აქვს, ვიდრე ის, რომ კარგად ცხოვრობს.

707. სიკეთის, პატივისცემის, გემოს მაშინ ვიგებთ, როდესაც ადამიანი თავის უნარს არ უფრთხილდება და უსაქმურობით რყვნის.

708. მთლად უვარგისი ადამიანი არ არსებობს, უბრალოდ, მის ირგვლივ დროულად არ აღმოჩნდა ხალხი, რომ ის სარგებელით გამოეყენებინათ.

709. ადამიანი ხასიათის გარეშე უსულო არსებაა, მაგრამ დღეს ასეთებს უპრობლემოს უწოდებენ და მოწონებასაც იმსახურებენ.

710. ადამიანს თავის ჩართვა-გამორთვა სურვილისამებრ რომ შეეძლოს, ის დიდხანს იცოცხლებდა და სხვასაც არ გაუმწარებდა სიცოცხლეს.

711. ადამიანი საყვარელი საქმის კეთებით უნდა იღებდეს დადებით ენერგიას, რათა ეს სასიკეთო ემოციები თავის ახლობლებში გადმოანთხიოს.
712. მადლიერება და ღირსება სხვადასხვა რამაა, მაგრამ ზოგჯერ ადამიანს ერთდროულად ახასიათებს.
713. ადამიანს სჭირდება ერთადერთი სახლი, სადაც ის უყვართ და თავს კარგად გრძნობს, მაგრამ ის მაინც მიილტვის იმ შენობისკენ, სადაც მას არ უშვებენ.
714. იყო ცნობილი, ლამაზი, ძლიერი, ჭკვიანი, მდიდარი, ყველას ოცნებაა, მაგრამ არჩევანის შემთხვევაში უმეტესობა მაინც პირველს აირჩევდა, რადგან ადამიანს წარმოჩენა და თავის სხვაზე მაღლა დაყენება ყველაფერს ურჩევნია.
715. თუ ადამიანის დასჯა გვინდა, საქმის კეთება და ურთიერთობა ბიუროკრატებთან უნდა დავავალოთ.
716. ადამიანი პირველ რიგში სიმართლესთან უნდა მეგობრობდეს, მხოლოდ ამის შემდეგ ეძებდეს მეგობარს და მხარის ამბმელს.
717. ადამიანურ დრამას და ტრაგედიას თანამედროვე ადამიანი სცენაზე უფრო განიცდის ვიდრე ცხოვრებაში, რომელიც ხშირად შეუმჩნეველი და აღუქმელი რჩება.
718. სამყაროს გაწონასწორებას სიკვდილიც სჭირდება, როდესაც ადამიანი ამას შეიცნობს, ბუნების სიდიადით აღფრთოვანებული რჩება.
719. ზოგი ადამიანი სიტყვით იმის ცდაშია, რომ მწვანე ფერი წითლით არ შეიცვალოს, მაგრამ ჩუმად თანახმაა გაწითლების, მისი გამოუცნობი ბუნების და ცხოვრების უცოდინარობის გამო.
720. სინდისს არქივში ვერ ჩატენი და ცოდნას ბიბლიოთეკაში, რადგან ამას ხელს უშლის ადამიანის , მახსოვრობა და სინდისის ქენჯნა.
721. შეიძლება დაიბადო არა იმ ქვეყანაში, წყობაში, ოჯახში, დროში, ღირსეულ ადამიანად რომ ქცეულიყავი, მაგრამ რადგან მამაზეციერმა ასე ინება, ობლად უნდა იქცე და ყოველივე ადამიანური აღმშენებლობა თავიდან დაიწყო.
722. ადამიანის ბრბოდ გადაქცევის მიზეზია: დაუწმენდავი აზრები, დაობებული ჭკუა, გამოუყენებელი გონიერება და გაუმართლებელი ამბიციები.
723. ადამიანი უკეთესი ცხოვრებისთვის სარეველას გამოხშირავს, მტაცებლის რაოდენობას აწესრიგებს, ხოლო ადამიანთა მოდგმის გამოხშირვის რეგულირებას ბუნებას, განგებას და საკუთარ უგუნურებას ანდობს.
724. ზოგს იმდენი „ადამიანური" სისუსტე აქვს თავის საკეთილდღეოდ, რომ გიჭირს მას ადამიანი უწოდო.
725. არცერთი სასიკეთო საქმე არ რჩება უმადური ოპონენტების და პირადი გაწბილების გარეშე, მაგრამ მაინც სიკეთე უნდა ვთესოთ, თუ გვინდა ადამიანებად დავრჩეთ.
726. მოვა დრო და ტელევიზია მტკივნეული შეგრძნების, სუნის გადაცემასაც მოახერხებს ეკრანიდან, მაგრამ ეს გარანტი არ არის იმისა, რომ ადამიანი უფრო სამართლიანად გაერკვევა შექმნილ გარემოში.
727. ადამიანებს გამრთობი მსახიობი და მათთან სიახლოვე უფრო მოსწონთ, ვიდრე მათი კეთილდღეობის ხელისშემწყობი მეცნიერი. პირველს აღმერთებენ, აფეტი-

შებენ, ეთაყვანებიან, მეორის ნამოღვაწარით, ჭკუით კმაყოფილდებიან და ერთ დღესაც გამოუყოფენ მოსაფერებლად და ვალის მოსახდელად.

728. როდესაც ჰკარგავ ახლობელ ადამიანს, მაშინ ყველაფრის გადატანა გიადვილ-დება, იმდენად დიდი იყო ამ ადამიანისადმი თაყვანისცემა.

729. უნიათო ადამიანზე საშინელი არაფერია, როდესაც უდრტვინველად უყურებს სხვას, გაჭირვებიდან თავს როგორ დაიძვრენს, ან სხვას უცდის როდის მიეხმარება.

730. ველურობაც კი ამშვენებს ადამიანს, თუ ის კეთილი გულით არის ჩადენილი.

731. ადამიანის ჩამოყალიბებული კონცეფციები ყოველთვის მაღლა დგას ეპიზოდუ-რობაზე და შემთხვევითობაზე.

732. ადამიანს გახამებული პერანგის ტარებაც ყელში ამოსდის და ხანდახან ისეთ მახათს გაიყრის ყვერებში, რომ „გინესის წიგნში" ადგილი განაღდებული აქვს.

733. ყველა ადამიანში მხეცია დამწყვდეული, მაგრამ ზოგი ბალახისმჭამელია, ზოგ-საც ჩიჩიას გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, მიუხედავად ამისა, მის გამომწყვდევას ჩვენი აღზრდა, ოჯახი და მოვალეობის გრძნობა ახერხებს.

734. ბედნიერება და უბედურება ყველას თავისებურად ესმის, მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს ადამიანს ხელეწიფება და გაგებით ეკიდება.

735. ადამიანი მთელი ცხოვრება თანდაყოლილი, ფაქიზი, პატარა ანგელოზების კარ-გვაშია და სიცოცხლეს ისე ამთავრებს, რომ ამას ვერც ხედავს.

736. ადამიანი თეორიულად სულ იმის ცდაშია, უქმად გატარებული დრო აინაზღაუ-როს, მაგრამ პრაქტიკულად ამისთვის ის არაფერს აკეთებს.

737. ადამიანები იყოფიან კარგებად, ცუდებად, "ისე რა"-დ და ჩვენს შვილებად.

738. არ არის საჭირო ერთმანეთს ვუმტროთ ან ვუმოყვროთ, საკმარისია ადამიანე-ბად დავრჩეთ.

739. ადამიანს რაღაც წმინდაც უნდა დავუტოვოთ, თუ გვინდა არ გადაგვარდეს და სასიკეთოდ გამოვიყენოთ.

740. ადამიანი შვილებსაც იყოლიებს, სადგომსაც მოიწყობს, მათხოვარსაც განიკით-ხავს და ამ ყოველივეს თავისი სიამოვნების და სხვის ჯინაზე გააკეთებს, რადგან მისთვის მოვალეობის შეგნება კი არაა მთავარი, არამედ – სიამოვნების, რომელიც ყოველთვის წინ იდგა გონიერებაზე.

741. ადამიანის მამოძრავებელი ძალა მისი ჭკუიდან გამოწურული იმედია და იმის შეგნება, რომ შენს ნაშრომ-ნამოღვაწარს შენსავე ჯიშსა და ჯილაგს უტოვებ, მაგ-რამ ისინი ამას როგორ გამოიყენებენ, გამართლების საქმეა და შენ აღარ გეხება, რადგან იმქვეყნიდან ყურს ვერავის აახევ.

742. ადამიანი რაც უფრო ხშირად იცვლის გარემოს და თავს გამოცდას უწყობს, მით უფრო დიდხანს ცხოვრობს და უკეთ შეიგრძნობს სიცოცხლის ფასს.

743. როდესაც სახალხო, წმინდა დღესასწაული აღინიშნება, არამზადაც კი სათნო, მოკრძალებული, ანგელოზი ხდება და მის შემხედვარეს სული გიმშვიდდება, რომ ადამიანთა მოდგმა არც ისე გადაგვარებულა, როგორც გვეგონა.

744. სენსაცია ადამიანის გონების დამაბნელებელი, გამაოცებელი, გამოსაფხიზლებე-ლი საშუალებაა მომავალ რეკლამირებულ სენსაციამდე.

745. მხეცსა და ადამიანს შორის ის სხვაობაა, რომ მხეცი მაშინ ჭამს, როდესაც შია, ადამიანი მაშინ, როდესაც დროს ნახავს.
746. ყველა ადამიანის ოცნებაა იყნოსოს იმ ყვავილის და იმ მდედრის სუნი, რომელიც ჯერ არ უგემია.
747. ადამიანი პრინციპებს უნდა აყენებდეს წინ და არა პირად ურთიერთობებს, თუ უნდა მას პატივს სცემდნენ და აღიარებდნენ.
748. სულიერ ბიზნესს მატერიალური ცვლის, მატერიალურს – სულიერი, მაგრამ რომელია პირველადი და რომელი მეორადი, ბობოქარი სული ვერ გარკვეულა, რადგან ის ადამიანია და შეუთავსებლის შეთავსებას ცდილობს.
749. ადამიანისთვის მთავარია გაგებით და არა კანონით ცხოვრება, რადგან პირველით პატივს გცემენ, მეორეთი გაფასებენ.
750. ადმიანი უნდა ეცადოს თავისი უგულობით, უყურადღებობით არ მიიცვალოს სიცოცხლის პერიოდში.
751. შეუცვლელნი არ არსებობენ, არსებობენ გადაადგილებულნი, გადასხვაფერებულნი და ცხოვრების ორომტრიალს მორგებული ადამიანები.
752. ადამიანი ფსიქოლოგიურად ძლიერი ცხოველია, რომელიც თავის გენეტიკური გადასახედიდან სამყაროს სხვა ცხოველებისგან განსხვავდება, ამიტომ სამყაროს მასთან ურთიერთობა გართულებული აქვს, რადგან თავის კეთილდღეობისთვის ხვალ რას მოიმოქმედებს, ვის და რას გაწირავს, თავადაც არ უწყის.
753. განათლებაც კარგია და კუნთიანი სხეულიც, მაგრამ უხიაგის სამსახურში არ უნდა ჩავაყენოთ. უბრალოდ, უნდა ვეცადოთ ჩვენი წარმოდგენით ვიცხოვროთ და ადამიანურად ვიარსებოთ.
754. ადამიანის სისწორეს არსებული ცხოვრების წესი განსაზღვრავს, მიუხედავად იმისა, რომ ყველას თავის მსმენელი და გულშემატკივარი ჰყავს.
755. ოცნება ადამიანის კარიერას, გამდიდრებას არ შველის, მაგრამ ძალზე ამშვიდებს და დიდ სიამეს განაცდევინებს.
756. დიდებას, აღიარებას ის ნაკლი აქვს, რომ პირად თავისუფლებას გვაკარგვინებს და სხვისი შეხედულება-განსჯის მსხვერპლი ვხდებით. ეს იგივეა, ადამიანის პირად ჰიგიენაში სხვა ჩაერიოს და მისი აუცილებელი საკეთებელი მის დაუკითხავად აკეთოს.
757. როდესაც ადამიანს არავისგან არაფერი უნდა, სიყვარულისთვის არ არის დაბადებული და ოჯახის შექმნასაც ყოველი შემთხვევისთვის ახერხებს.
758. სიჩუმის კოდექსის გაფეტიშებას პრაქტიკულად მეტი ვნება მოაქვს, ვიდრე ჰუმანური მიზნებით დაბეზღებას, მითუმეტეს თუ შენივე ,,მეგობრის'' საიდუმლოების შენახვა ადამიანთა სიცოცხლეს ემუქრება.
759. არ გამოიყენო შემთხვევა – სიუსულელეა, გამოიყენებ და შეიძლება სხვას ავნო, ასე რომ, ისიც შენმა ადამიანობამ უნდა განსაზღვროს.
760. შეიძლება ვირეშმაკობისთვის ადამიანი ციხის ნაცვლად ,,საგიჟეთში'' მოხვდეს, თუ დროზე ვერ მოთოკავს თავის ამბიციებს, ნერვებს.
761. ირონია ყველაზე დიდი წამალია ადამიანის სტრესიდან გამოსაყვანად.

762. დანაშაული ადამიანის თავისუფალი აზროვნების შებოჭვაა და არა მისი ოპონირება, ცენზურა.
763. ბუნებამ გამოაწრთო ადამიანი, ხოლო ადამიანმა სიძულვილი ისწავლა და შედეგად ბუნების მიმართ ბრძოლისუნარიანი გახდა.
764. ადამიანი კი არ უნდა იდგეს მიწაზე, ჩარხთან, ქალთან, არამედ, უბრალოდ უნდა ფლობდეს მათ, მისი ხელი რომ იგრძნონ.
765. დრომ ბიოეთიკის დაცვა აუცილებელი გახადა, თორემ კლონირების შედეგად შეიძლება მივიღოთ გონიერი ადამიანი, სულიერი სამყაროს გარეშე.
766. ადამიანი ჭამით კი არ იკურნება, არამედ შიმშილით, მათ შორის, სულიერი ტრავმისგან და მოჭარბებული სისხლისგან.
767. ადამიანის უგუნურება იმიტომ ზეიმობს, რომ ვიღაცას სჭირდება, თორემ ბრბოს ამბავი რომ ვიცით, ამ ვირისთავებს ხელად გადაუვლიდა.
768. ჩვენს მიერ კერპად ქცეული გმირი ხშირად მასზე წარმოდგენას გვიხუნებს, რადგან ისიც ადამიანია, მასაც თავის ჭკუაზე უნდა ცხოვრება და ჩვენი პრეტენზიები მის მიმართ მისთვის მიუღებელია.
769. ადამიანის ემოციებით დატვირთვა-განტვირთვას ხელი არ უნდა შევუშალოთ, თუ გვინდა საქმე პიროვნებასთან გვქონდეს და არა საქმიან რობოტთან.
770. ღმერთმა ადამიანს იმიტომ მისცა მეტყველების და ეშმაკობის უფლება, რომ დაგვკვირვებოდა და ხანდახან ჩვენზე გულიანად ეცინა.
771. სტრესის გასაოცარი ძალა ადამიანში იმ დაუფასებელ შესაძლებლობებს აღვიძებს და ყურადღების ცენტრში აქცევს, რომელზეც წარმოდგენა არ ჰქონდა.
772. მახსოვრობა ყველა ადამიანის ხვედრია, მაგრამ ზოგი ყველაფრის დამახსოვრებას იბრალებს, იმისდა მიხედვით, რაც მსმენელს ესიამოვნება და თავადაც წარმოჩნდება, რას ვიზამთ, ადამიანის სისუსტეს ასაკი არა აქვს.
773. შორსმჭვრეტელ ადამიანსაც კი არ ელევა ყოველდღიური საზრუნავი და საკეთებელი.
774. ყველა მცენარე და სიტყვა ადამიანის მკურნალია, მათ შორის, შხამიანიც, ოღონდ მოზომილი.
775. მარადიულობის შეცნობის მეტაფიზიკა ადამიანს თავსატეხს უჩენს, თუ ხორცის გაქრობა თვალსაჩინოა, სული სამუდამოდ დასატოვებლად არ ემეტება და სარწმუნოების დოგმებზე დაყრდნობით ცდილობს ამ სამყაროში მარად დარჩენას.
776. საკუთარი თავის ფასის და ღირსების მცოდნე ადამიანი საქმისადმი ერთგულია, მაგრამ იშვიათად, რომ ვინმეს ბოლომდე უერთგულოს, თუ ის მისმა სულმა ბოლომდე არ მიიღო.
777. უკომპრომისობა ადამიანისათვის კარგია ღირსების დასაცავად და არა – ცხოვრების მოსაწყობად.
778. ადამიანი ყოველთვის შემართებით რომ იყოს, ეჭვი ჩაის კოვზით უნდა მიიღოს, ღალატი ნემსით შეიშხაპუნოს და შურის აბები გადაყლაპოს.
779. ვინც ადამიანს ძილის და ვნებიანობის დროს ხელს უშლის, ის ბუნებით ვიგინდარაა, მისთვის ინტიმის ანბანი უცნობია და მისი შეცნობის მცდელობა ამაოა.

780. ადამიანს არა აქვს უფლება სიბერისთვის გადანაწილებული ბედნიერება ჯეელობაშივე გაანიავოს.
781. ადამიანის სულის დევალვაცია მაშინ იწყება, როდესაც სამშობლოს გაგებაში ჩვენდა შეუმჩნევლად მატერიალური სუროგატისკენ მისწრაფება ჩაერევა.
782. ეგოიზმის ცივ ბუნებას ყოველთვის მოსწონდა ცეცხლოვანება, ხელშეუხებელი გულუბრყვილობა და ადამიანის მიამიტობა.
783. ადამიანის ბედი დამოკიდებულია შემთხვევაზე, ღმერთის ნებაზე და ცხოვრების იუმორით აღქმის ნიჭზე.
784. ცივილიზაცია ადამიანებს აშორებთ და მათ ერთმანეთი სულ ნაკლებად სჭირდებათ. ეს გარემოება ადამიანს მომავალში თუ არ გადააგვარებს, დღევანდელ ცხოვრების ღირებულების კაიფს მაინც დააკარგვინებს. ამის მაგალითებია, მანქანა, ტელევიზორი, კომპიუტერი, ფიჭური ტელეფონი და ვინ იცის, მომავალში კიდევ რა გასართობი იქნება.
785. „ასაკს ადამიანის სული განსაზღვრავს და არა მისი ფუტლარი", კარგი ნათქვამია, მაგრამ სულს თუ ჯანმრთელი სხეული და მატერიალური უზრუნველყოფა არ ეხმარება, მაშინ მისი ასაკი არავის აინტერესებს.
786. ადამიანი ხანდახან ახერხებს თავის ბედს და აზრებს გაექცეს, მაგრამ თავად ამით მაინც არ იცვლება.
787. შეურაცხყოფა, ვალი, ადამიანს ხანდახან უფრო ადრე აწვენს სამარეში, ვიდრე მოურჩენელი დაავადება და ნასროლი ტყვია.
788. როდესაც ადამიანს სიავე გვერდით ამოუდგება, ის აზროვნებას ჰკარგავს და თავის წარმოსაჩენად რას მოიმოქმედებს, თავადაც არ უწყის.
789. ადამიანს, რომელიც ცხოვრებით გადამძღარი არ არის, ბევრი კარგის კეთება შეუძლია, თუ შეუძახებთ.
790. გულს, ადამიანის შინაგანი ორგანოების მეურნეობაში წარმოსაჩენად, მრავალი ფუნქცია აკისრია, მაგრამ აქედან უმთავრესი სულიერი ნაწილია და არა სისხლის მჩქეფარების მოწესრიგება.
791. დესერტად კოცნა და მის შედეგად მიღებული ღიმილი, ნაბიჯ-ნაბიჯ გზას უკვლევს ადამიანებს.
792. ყველაზე მთავარია ადამიანში გაუფრთხილდეთ მის ღირსებას, რომლის შეუმჩნევლად დაკარგვის შანსი ყველა ჩვენგანს აქვს.
793. ადამიანის სურვილი, ვიყოთ მდიდარი ჯანმრთელი თუ ჯანმრთელი მდიდარი, თითქოს ერთი და იგივეა, მაგრამ გააჩნია ვის რის პირველადობა ურჩევნია და რა კომპრომისზე წავა.
794. სასწაული იწყება ადამიანით, რომელიც ყოველთვის იმის ცდაშია, როგორმე თავი გაიოცოს და სხვაც გააოცოს.
795. რატომღაც არც დრო და არც გონიერება გვყოფნის, რომ კარგ ადამიანს მოვეფეროთ და მოვიკითხოთ.
796. ადამიანს ხანდახან სიჩლუნგე სჭირდება სულის დასამშვიდებლად, ხორცის დასაწყნარებლად, სათნოების წარმოსაჩენად, აზრის გასაზიარებლად. მაგალითად,

ეკლესიაში სიარული, ლოცვა, მოძღვრის არჩევა, რათა ჭუჭყიანი ცნობიერება გვერდზე მოიგდოს და სული განწმინდოს.

797. ადამიანის და სამყაროს ურთიერთობა ორივესთვის დიდი გამოცდაა, რადგან პირველის ვალია არ ავნოს მეორეს, ხოლო მეორემ არ გასწიროს და უმიზეზოდ არ დაჩაგროს პირველი.

798. ხანდახან ადამიანის საქმიანობა ცნობილი უნდა იყოს ღმერთისთვის, ფსიქიატრისთვის, რადგან მის ქმედებაში გადატრიალებული ჭკუა ჩანს.

799. თუ ადამიანს ცხოვრების ორიენტაცია დაკარგული აქვს, მიზანს ვერ ხედავს და იმედი არაფრის აქვს, მის ირგვლივ ქაოსი ისე დამდგარა, რომ ვერც ამჩნევს.

800. სულის სისუფთავის შესანარჩუნებლად ადამიანმა ბავშვივით ხალასი, მიამიტი სუფთა გრძნობისთვის გულის კუნჭულში ადგილი უნდა დატოვოს.

801. არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრებაში ყველგან აგვიანებენ, მაგრამ მათი იმედის და ოცნების კვერი ადრე თუ გვიან მაინც ცხვება.

802. როდესაც სხვაზე ფიქრობ და თავი არ გახსენდება, მაშინ საყვარელი ადამიანისთვის შეუძლებელს გააკეთებ, თუ განგებამ არ გაგწირა.

803. ადამიანს ევოლუცია, განვითარება გარდაქმნის, მაგრამ ისე არა, რომ თავის ინტერესებზე წინ სხვისი დააყენოს.

804. თავის შესაცნობად ადამიანს თითქმის მთელი ცხოვრება სჭირდება და ალბათ იმქვეყნად ყოფნის ნახევარიც.

805. ადამიანი ისეთი წესიერი უნდა იყოს, რომ მოწინააღმდეგეებსაც კი უჭირდეთ მისთვის ვნების მიყენება, ან ისეთი ვირეშმაკა, რომ მასთან შეხვედრას ერიდებოდნენ, თორემ საშუალო ადამიანად ყოფნისას ყველა ცდილობს ერთმანეთი აჯირითოს.

806. ბოლოს ისეთი ადამიანები შემოგრჩებიან, როგორიცაა: დაგვიანება, ვალის დაუბრუნებლობა, სიტყვის შეუსრულებლობა, რასაც ადრე ვერ იტანდი და რასაც ასაკობრივი გაწბილების დაავადება, ფეხებზემკიდიაობა ჰქვია.

807. ადამიანის რწმენა ხშირად კარიერას, კეთილდღეობას, წარმოჩენას ემსახურება, რომელსაც ზოგისთვის სამყაროს გონიერება ჰქვია.

808. ბოლომდე არასდროს გვეხსნება ჩვენს მიერ ჩადენილი შეცდომები და ცოდვები, მაგრამ ამ გრძნობის დათრგუნვაში გვეხმარება იმის შეგნება, რომ ადამიანი ცოდვების ჩასადენად არის მოვლენილი ამქვეყნად.

809. ბავშვს სწავლას აძალებენ და ყველამ იცის, რომ ეს მის საკეთილდღეოდ კეთდება, მაგრამ ზარმაცს თუ დააძალებენ მუშაობას, ეს ადამიანის თავისუფლების და დემოკრატიის დარღვევად ითვლება.

810. ადამიანს სიმახინჯის ნახვა უფრო ახალისებს, ვიდრე სილამაზის, რადგან პირველი ყველასთვის გასაგებია, მეორე გემოვნებას მოითხოვს, რომელიც სიამოვნებასთან ერთად საკუთარი თავის შეცნობის საშუალებასაც გვაძლევს.

811. არის იშვიათი ღირსების ადამიანი, რომელიც როგორც არ უნდა ამოსვაროონ ტალახში, არც თვითონ და არც მის სახელს ჭუჭყი არ მიეკარება, იმდენად სუფთაა მისი ნამოღვაწარი.

812. ადამიანი ბუნების მბრძანებელი კი არა, გაუზრდელი ბავშვია, რომელსაც ხანდახან თავში წამორტყმა დააფიქრებს, მაგრამ სწავლით მაინც ვერაფერს სწავლობს.
813. ადამიანი ასაკს უნდა შეესატყვისებოდეს თანამდებობით, შემოქმედებით, ურთიერთობის უნარით და აქ გონიერება არ არის მთავარი, მთავარია ინსტინქტებით მართოს თავი საზოგადოებაში მისთვის განკუთვნილი ადგილის შესანარჩუნებლად.
814. მდიდარი ადამიანისგან განსხვავებით, ღარიბი კარგი კაცია, რადგან მისი გამოცდა არ ხერხდება – რა აქვს, რას განდობს, რას გინაწილებს, ხოლო თუ მდიდარმა ყველა ბედოვლათის თხოვნა დააკმაყოფილა, ისიც გაღარიბდება, ამიტომაც მისი სიძუნწე და ცუდკაცობაც სახეზეა.
815. არიან კარგი და "ისე რა" ადამიანები, ამ უკანასკნელს სულ "აცე-აცეო" უნდა ვუძახოთ და ხოტბა შევასხათ, იქნებ შექება დაიჯეროს და კარგის დონეზე ამაღლებას შეეცადოს. ამით კარგი ადამიანი უფრო მშვიდად და უკეთ იგრძნობს თავს.
816. ზღაპრის და სასწაულის დაჯერების გარეშე ადამიანის ცხოვრება ზოგჯერ შეუძლებელი გახდებოდა.
817. ადამიანის ხშირი გაწბილების მიზეზი მისი ნაოცნებარი ცრუ ილუზიების შეუსრულებლობაშია.
818. ადამიანს სიყვარულის მრავალსახეობა აცოცხლებს, აღაფრთოვნებს, ჟინს უღვიძებს, თორემ, როდესაც ერთი შემორჩება ხელში სალოლიაოდ, ის უკვე კარგი ცხოვრებიდან არსებობაზე გადადის.
819. ადამიანს ბედნიერების და უბედურების დროსაც სჭირდება გამზიარებელი. პირველი იმისთვის, რომ უფრო ბედნიერად შეიგრძნოს თავი, ხოლო მეორე, რათა სხვასაც გაუზიაროს თავის გაჭირვება და შეიმსუბუქოს მწუხარება.
820. ყველაზე დიდი ცოდვა უმადურობაა, მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელებული და ადამიანიც, როგორც ცოდვილი, აქედან იწყება.
821. ადამიანი ცდილობს მისთვის მისაღები მოსაზრებები მკაცრ რეალობას შეუხამოს და გონიერებისთვის მისაღები ღირსეული აზრები მოგვაწოდოს, მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ რაც უნდა იყოს და რაც არის სხვადასხვაა და ადამიანი არასდროს არ იქნება ის, რაც გვინდა იყოს.
822. ეტყობა სისულელე ადამიანთან უფრო ახლოა, თორემ ამდენი შესატყვისი სიტყვა: "ბლაგვი", "ჩლუნგი", "დალაბრა", "ბოკო", "პირგაცვეთილი", "გაუთლელი", "რეგვენი", "უბირი", "უწვრთვნელი" – არ ექნებოდა.
823. ადამიანად მაშინ ხარ აღიარებული, თუ შენს და შენი ხალხის ცოდვებს, შეცდომებს, სხვას არ გადააბრალებ და განტევების ვაცის ძებნაში დროს არ დაკარგავ.
824. შესაძლებლობის ფარგლებში დარჩე ადამიანად, თქვენს დიდ ბუნებაზე მიუთითებს.
825. ადამიანის ხსოვნა უკვე შევსებული ფურცელია, რომლის გადაწერა არა, მაგრამ შელამაზება შეიძლება, თუ მომავალ თაობას დასჭირდა.
826. ადამიანი ძალაუფლების მოსაპოვებლად იმდენ თავისუფალ დროს კარგავს, რომ თუ ამისთვის მოწოდებული არ არის და მასში სიამოვნებას არ ნახულობს, მარტო საშოვარისთვის არ უნდა გაისარჯოს.

827. ადამიანმა თავი რომ შეიცნოს, ზევიდანაც უნდა ჰქონდეს რაღაც დამადლებული.
828. ყველა დიდი ადამიანი იმიტომ გვეჩვენება დიდად, რომ არ ვცდილობთ დიდები გავხდეთ.
829. ადამიანს არ მისცე სიმშვიდე – საშინელებაა, მისცემ და – უბედურება, არადა უსაქმურობისგან დაუმარხავ ლეშად იქცევა.
830. ადამიანს რაღაც ამაღლებულიც უნდა აწუხებდეს, მაგრამ ისე, რომ თანამედროვეებმა იგი სულელად არ ჩათვალონ.
831. როგორ ხმამაღლაც არ უნდა ჟღერდეს „ადამიანი", მას თავისი ზღვარი აქვს, რომელსაც ვერ გადაახტება.
832. ადამიანი იმის მიხედვით ფასდება, თუ რას ემსახურება მისი დასმული კითხვები, შენიშვნები: საქმის გამოსწორებას, კეთებას თუ გამოჭერის სიხარულს, თავის გამოჩენას თუ ცოდნის გამომზეურებას.
833. ნამოღვაწარის დღესასწაული, მეგობრობის უნარი, სულის შესაძლებელი გამოხატვა – აი, ის ფენომენი, რის გულისთვისაც ადამიანმა უნდა იცხოვროს.
834. ადამიანის დანიშნულება საპასუხო გრძნობების გაცემაა და არა მისი დახურდავება.
835. ხანდახან ადამიანი ისეთ გამოცდას გადის, რომ ყოველდღიური ცხოვრებისეული სიძნელეები მისთვის შეუმჩნეველი რჩება.
836. კანონი პირველ რიგში ერის, ქვეყნის, ადამიანის, გამოსწორების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ითვალისწინებდეს დემოკრატიულ პრინციპებს და სხვა ქვეყნების ეკონომიკურ გამოცდილებას, რადგან მის გარეშე კანონიერების დაცვა შეუძლებელია.
837. თავხედობამ, თვითდაჯერებამ, ადამიანი შეიძლება დაღუპვის პირას მიიყვანოს, მაგრამ არა ის, ვინც რეალური ცხოვრება იცის და წინაპართა ისტორიაში ერკვევა.
838. ადამიანს ყოველდღე უნდა აწუხებდეს სინანულის სინდრომი, როდესაც წინადღის დაგეგმილი ყოველთვის ხელარეწიფება.
839. ესეც თავისებური ბედნიერებაა, როდესაც ადამიანი მომზადებული, ღირსეულად ხვდება უკანასკნელ ღამეს, რომელსაც სიკვდილის ცეკვა ჰქვია.
840. ადამიანი უნდა ფასდებოდეს მისი სპეციალობის და არა ნიჭის მიხედვით, თუ გვინდა ცხოვრების პირობები გავიუმჯობესოთ ნიჭის დევალვაციის ხარჯზე.
841. ადამიანად დარჩენა ადამიანის თანდაყოლილი სისუსტეა.
842. ადამიანია ის, რომელთანაც საუბარს წერტილი არ ესმება, პირიქით, მრავალწერტილებს ტოვებს, რათა მეორედ მოსვლისას ეს წერტილები მოსპოს და ყოფისთვის საჭირო ამოსახსნელი კიდევ მრავალი წერტილი დატოვოს მომდევნო გამოჩენამდე.
843. ფოტოგენურობა, მომხიბვლელობა, არ იძლევა საშუალებას ადამიანს ენდო, დაეყრდნო, სანამდის მის ბუნებას არ ჩასწვდები.

844. ბევრი ნიჭიერი ადამიანი ტყუილად იღვწის დიდებისათვის, მათ განგებამ მეორე, მესამე როლი არგუნა, მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთის რჩეულნი წარმოაჩინონ.
845. უგვანო ადამიანს არასდროს ექნება იმის ღირსება, რომ სხვისი ღირსება შეაფასოს და დატკბეს.
846. როდესაც ადამიანს არაფრის თავი არა აქვს, მას არც თავში ჩარტყმა შველის და არც მასში ტვინის ჩადება.
847. რწმენაც და სალოცავიც ადამიანის მოგონილი და აშენებულია, თავის წარმოსაჩენად, მათზე დასაყრდნობად და სახელმწიფოს ძლიერების გასამტკიცებლად.
848. ადამიანს იმ ყოფისკენ მიულტვის გული, სადაც ყველაზე მეტად გრძნობს თავს პიროვნებად.
849. ადამიანი გაათმაგებული სიამოვნებას იღებს, თუ თავის საქმიანობაზე, ქმედებაზე პასუხს აგებს.
850. ადამიანს საკუთარი შხამის გადმონთხევის უნარს მოწესრიგებული საზოგადოება და ყოფითი ღირებულება უკარგავს.
851. ყველა ადამიანმა რომ თავისი ადგილი იცოდეს ცხოვრებაში და თავის მოწოდებით იმსახუროს, მაშინ ამქვეყნად ყოველგვარი უსამართლობა მოისპობოდა.
852. ეტყობა ადამიანში სულიერი ჭარბობს ხორციელს, თორემ ამხელა ტექნიკური პროგრესის შემდეგ განა არ არის დრო, ერთი ღმერთი და სარწმუნოება ვიწამოთ, რათა ჩვენი გაყინული გონიერების პროგრესი ცოტათი გავალღვოთ და ახალ ჭეშმარიტებას ვეზიაროთ.
853. ადამიანთა ღირსება შეიძლება სექსუალურ შესაძლებლობებზეც იყოს დამოკიდებული, მაგრამ გადის დრო და ასაკი ყველას ათანასწორებს და აქ მჟღავნდება, ვინ ვინ არის და ვინ რისი პატრონია.
854. მიუხედავად ბუნების კაპრიზის წინაშე ადამიანის უძლურებისა, ის მაინც იმის ცდაშია, რაიმე წაღლიტოს მას და მისი თავხედობა შემდეგ როგორ დაისჯება, ამას არად დაგიდევთ.
855. ამბიციების მქონე ადამიანი რომ მუშაობისთვის არ არის დაბადებული, ფაქტია, მაგრამ რისთვისაა, მისთვისაც საიდუმლოებად რჩება, რადგან ამის შესახებ ბუნებამაც არა იცის რა.
856. წარმოუდგენელია, მაგრამ ლოგიკურია, ლოგიკურია, მაგრამ შეუძლებელია, შეუძლებელია, მაგრამ უკვე გაკეთებულია. ასე რომ, ყველაფერი პირობითი და შეფარდებითია ადამიანთა წარმოდგენაში და რეალობის დანახვაში.
857. ადამიანის გონება ყველაზე მეტად დასვენების დროს არის დაკავებული.
858. არცერთი ადამიანი ბოლომდე არ იცნობს თავის შესაძლებლობებს, რომელსაც გარემო პირობები აკისრებინებს, შეაძლებინებს.
859. ერთი შეხედვით ადამიანი ინსტინქტების, გრძნობების, ნაყოფია, ვიდრე გონიერების მაგრამ რა ვუყოთ შემოქმედს?
860. არიან რჩეულნი, რომლებიც ხვალისთვის იღვწიან და სხვასაც იქითკენ ხალისით ერეკებიან, მიუხედავად იმისა, რომ არ იციან, ამ მომავალს მოესწრებიან თუ არა. ისინი არიან საკუთარ თავზე უსაშველოდ შეყვარებული და ფანატიზმით დაავადებული ადამიანები.

861. დიდ უგუნურებასთან არ გვექნებოდა საქმე, ადამიანს რომ შესძლებოდა ფეხებზე დაეკიდებინა მთავრობაც, დროც და ამ დროში მოფუსფუსე ხალხიც.

862. კომერციის და ეშმაკობის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი თავისი დაუბეგრავი სიმდიდრის გასამართლებლად ისეთ მდიდარ, გარდაცვლილ ბებოს გამოჩხრეკს, რომლის მსგავსი არც არავის ჰყოლია და არც არავის გაუგია. თქვენ წარმოიდგინეთ, რაღაც მანქანების წყალობით უჯერებენ კიდეც.

863. ადამიანი მანკიერების გარეშე არ იბადება. მის ცუდს და კარგს შინაგანი ბუნება და აღზრდა განსაზღვრავს. სპარტანელმა ყმაწვილმა მელიას ლეკვი რომ მოიპარა და ტანსაცმელში დამალა, ეს მისი ბუნება იყო, ხოლო ხმის ამოუღებლად, უსიტყვოდ, მწყობრში დაცემა, როდესაც ცხოველმა მუცელი გამოაჭამა, გარემო პირობა – აღზრდა.

864. თუ პიროვნება უფროსად ვარგა და ადამიანად არ უქნია ღმერთს, თავად თანამშრომლები არიან დამნაშავენი, რადგან მათ ასეთი ორგანიზებული „პითეკანთროპი" სჭირდებათ.

865. ადამიანს ემოციებზე აყოლა შეიძლება სანანებელიც გაუხდეს, მაგრამ რადგან ცოცხალი არსებაა, ამის უფლება უნდა დავუტოვოთ და შემწყნარებლურადაც მოვექცეთ.

866. ფოლკლორული აღზრდა ადამიანს სულიერად ამაღლებს, მაგრამ ვარსკვლავად ვერ აქცევს და ამას მაშინ ხვდებიან, როდესაც ფასეულობაში გაერკვევიან და თავადაც ძველმანად იქცევიან, რომლის ქექვასაც ახალ თაობას ისევ მოჩვენებითი ვარსკვლავების ციმციმის ყურება ურჩევნია.

867. უკეთესის სურვილის მიუხედავად ზოგიერთი ადამიანი იმიტომ ცხოვრობს ღარიბად, რომ გამდიდრებისათვის მას არც ნიჭი, არც მონდომება არ გააჩნია და პრაქტიკულადაც არაფერს აკეთებს.

868. გადამეტებული სიღარიბე და სიმდიდრე შურის ზღუდეა და იმქვეყნად ადამიანს დროზე ადრე ეპატიჟება.

869. ადამიანი გამოუსწორებელი თავხედი არსებაა, მაგრამ მის ჭკუაზე მოსაყვანად, კანონით მისი მუხრუჭების გაპოხვით და მისი უცილობელი აღსრულებით მაინც შესაძლებელია.

870. ადამიანში უნდა მოგვწონდეს შესაძლებლობა და არა – გარეგნობა და ქცევა. რას ვიზამთ, სულის გასალაღებლად შეიძლება ასეც არის, მაგრამ ძლიერი და საიმედო ოჯახის შესაქმნელად პირველი სჯობს.

871. ადამიანს, ცხოვრება რომ არ გაუჭირდეს, მიზნის მისაღწევად რაღაც საქმიანი კერპი უნდა გამონახოს (შვილების აღზრდა, სახლის მშენებლობა, საზოგადოებრივი საქმიანობა), თორემ უსაქმურობის ჭია დახრავს და მისი ცხოვრება არსებობას დაემსგავსება.

872. თუ ადამიანებს ადამიანური ქცევის თანდაყოლილი ნიჭი არა აქვთ, მაშინ უნდა ვაწვალოთ, ვასწავლოთ, ვაგინოთ, რომ იქიდან ხალხი მივიღოთ და არა ბრბო.

873. ზურგია, რომელიც ასე ამხნევებს გმირობას და უბიძგებს ადამიანს გამბედაობისკენ.

874. რადგან სიცოცხლე არც ისე ხანგრძლივია, ადამიანი ცხოვრების მიმართულების ძებნისთვის თავს არ იწუხებს და არც დროს კარგავს.
875. რწმენა ადამიანისთვის შთამომავლობით ნაბოძებია, ის უძლურებისა და პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების შედეგიცაა.
876. ადამიანს უნდა მივცეთ უფლება მთლიანად შეიგრძნოს ცხოვრების პეწი, სიხარული და სიბინძურეც კი, რათა ამქვეყნად ერთხელ მოსული, იმ ქვეყანას მხოლოდ ანგელოზად არ მოევლინოს და არ გაუჭირდეს, რადგან ამქვეყნიდან გადაბარგებული ვიგინდარების რაოდენობა იმქვეყნადაც დღითი-დღე მატულობს.
877. ცხოვრების გამოცდილების მიუხედავად, ადამიანი ხშირად იმას ირწმუნებს, რაც მას სურს და ჰგონია, რომ ასე უნდა იყოს. სწორედ ეს ჯიუტი ოპტიმიზმია, სიცოცხლეს რომ უხანგრძლივებს.
878. რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ადამიანის ევოლუციის მიზეზი ყბედობაა, რომელშიც იშვიათად გამოთქმული რაციონალური მარცვლებიც მონაწილეობს.
879. ადამიანს ის უნდა მოსთხოვო, რაც შენგან დაივალა, ხოლო რაც მამაზეციერმა უსახსოვრა, ის თავისი ნებით უნდა გაიღოს.
880. თუ ადამიანს აღფრთოვანების შედეგად ბუნებრივად სიცილიც შეუძლია და თვალების ცრემლებით დანამვაც, ეს მის გულწრფელობაზე მიუთითებს.
881. ადამიანი არა მარტო მოქმედებით, არამედ თავისი ოცნებით, იუმორითაც უნდა შეფასდეს, რათა განისაზღვროს მეგობრად გამოდგება თუ თანამგზავრად.
882. განსაცდელი და არა სიღარიბე აფასებს და აახლოვებს ადამიანებს ერთმანეთთან.
883. როგორც კი გამოჩენილი ადამიანი ხალხის საკუთრება ხდება, თავისუფლებას ჰკარგავს და ხატად იქცევა. აქ ორი ვარიანტია: ან დროულად უნდა წარმოჩნდეს და სხვისი ცხოვრებით იცხოვროს, ან სიკვდილის შემდეგ წარმოაჩინონ და თავისი ცხოვრებით ისიამოვნოს. გონიერებისთვის ეს უკანასკნელი მისაღებია, რადგან ამქვეყნად ერთხელ ვცხოვრობთ, მაგრამ ცდუნებას ვერ ვუძლებთ, ვინაიდან აპლოდისმენტების მიღება მხოლოდ სიცოცხლეში ხერხდება.
884. ადამიანთა შორის დამოკიდებულების განსაზღვრა რთული და უმადური საქმეა და მათი ურთიერთობის გაკილვა გაუგებრობას კიდევ უფრო გაუგებრად აქცევს.
885. ყველა ჩვენგანს თავისი სინდისის ღმერთი უნდა ჰყავდეს, გრძნობდეს, ხედავდეს კიდეც, თუ უნდა ადამიანად დარჩეს.
886. ზოგ ადამიანს მამაზეციერის ნაჩუქარი გონიერება იმიტომ არ აწყობს, რომ მას სურვილი აქვს იცხოვროს და არა იარსებოს.
887. ხშირად ოპტიმიზმი არადამაკმაყოფილებელი ინფორმაციის შედეგია, მაგრამ ადამიანს ამ ქვეყნიდან უიმედოდ წასვლა მაინც არ შეუძლიან.
888. ადამიანის ბედნიერების კრედოა ვინმეზე ზრუნვა, სიხარულის, სინანულის განცდა და მისი საქმიანობის შემჩნევა.
889. შიში – რიდი, იმედი – ირონია, სიცოცხლე – ფასი, ეს არის ადამიანის ცხოვრების შემეცნების ბალანსი.
890. ადამიანის ნამდვილი ბედნიერებაა ჩანაფიქრის რწმენით და არა ბედის წყალობით განხორციელება.

891. ევოლუციის შედეგად ფრინველები უფრო განვითარების მაღალ დონეზე აღმოჩნდნენ, რადგან ადამიანი დღესაც საფრენი აპარატების გაუმჯობესებას ცდილობს.

892. როდესაც ადამიანი პრეტენზიას არაფერზე აცხადებს, საკითხავია, ის უზრუნველად არსებობს თუ ცხოვრობს. იცის კი, ამ სამყაროს როგორ უნდა მოეფეროს, შეეთვისოს, მოექცეს?

893. ადამიანი უნდა შეეცადოს ყველგან სიხარულის, სიკეთის, გონიერების პოზიციაზე იდგეს, რათა შეეძლოს თქვას, რომ ამქვეყნად იცხოვრა და სხვასაც მისცა ამის საშუალება.

894. ადამიანი მაშინ ქმნის რაიმე ღირებულს, როცა თავს მოიქაჩლებს, სიყმაწვილის სენი გადატანილი აქვს და პატივმოყვარეობის ბზიკი უკვე შეუძვრა.

895. ადამიანი არც თავისი და არც სხვისი თავმოყვარეობის გაღიზიანებას არ უნდა მოერიდოს, თუ უნდა ქვეყანამ თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე იცხოვროს და თვითონაც შიგ იარსებოს.

896. დამსახურებულ გამარჯვებას მოჩვენებითი გამარჯვება დიდხანს არ ცვლის, რადგან ის ადამიანების გულის ფილტრში გადის და ამით ამაყობს.

897. ადამიანს ხანდახან ისეთი სიმახინჯე მოსწონს, სხვას რომ აოგნებს, აქ მთავარი ის კი არ არის, ვინ მოხიბლა, მთავარია, თქვენ მისდამი ძველი განწყობა შეინარჩუნოთ.

898. თეორიულად შეთქმულებაში არცერთი წესიერი ადამიანი არ მონაწილეობს, მაგრამ პრაქტიკულად „მე არ ვხედავ" და ამ მომგებიანი წაყრუების წყალობით მისი თანამონაწილენი ვხდებით.

899. წესიერების ხატად ყოფნა ყოველთვის შეუძლებელია, რადგან რეჟიმის დარღვევაც ბიოლოგიური მოთხოვნაა და იმის გახსენებაც, რომ ჯერჯერობით ადამიანი ხარ, მაგრამ ამ გადაცდენამ რწმენას ზიანი არ უნდა მოუტანოს.

900. ადამიანს უხიაგი ცხოვრება და გადამეტებული თავმოყვარეობა აყაჩაღებს, რომლისთვის უკვე სულერთია ვის რა ზიანს მოუტანს, ვისთან როგორ ნაძირალობს.

901. ადამიანს თავხედობაც წარმოაჩენს, მაგრამ მთავარია, რა დრო შეხვდება, ვინ არის დაინტერესებული, ვინ განსჯის და როგორ უნდათ მონათლონ, ხულიგნად თუ გმირად.

902. ადამიანები უნდა ცდილობდნენ ერთმანეთს სიტყვით მაინც მოუტანონ ბედნიერება, იმედი, სიყვარული და ის ცხოვრების საერთო სიძნელეები გაუზიარონ, რომელიც მოსაუბრეს ზურგს გაუმაგრებს, იმედს ჩაუსახავს და დაამშვიდებს: „მარტო მე არ ვყოფილვარ უყისმათოო".

903. ადამიანი ზოგჯერ იმიტომ კი არ არის წესიერი, რომ ასეთი დაიბადა, უბრალოდ, ამჟამად ასაკი, ფული, დრო და საშუალება არა აქვს უწესო იყოს.

904. ადამიანს სიტყვითაც არ უნდა მოუკლა ის ხატი, რომელზეც თუ არ ლოცულობს, ცდილობს იწამოს მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ყველაფრის ჩამდენია.

905. სიტუაციიდან გამომდინარე, პირველ რიგში ადამიანისთვის ღირსება, პიროვნებად დარჩენაა, მთავარი, შემდგომ ორფეხა ცხოველად ყოფნა და მისი ინტელექტი.
906. ადამიანის ყველაზე დიდი დაწყევლაა – გეცხოვროს შეცდომების გარეშე!
907. შიგნით ეკლიანი მავთული, გარეთ გასაფრენად გამზადებული ანგელოზი – ადამიანის თავდაცვის იარაღებია.
908. უცხო ადამიანის ვნებების გამოცნობა საკუთარის შეცნობასაც ნიშნავს და შენი ცხოვრების აზრის გაგებასაც.
909. ადამიანმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ის არა მარტო მონადირეა, არამედ ნანადირევიც და შეიძლება მისი ამბიციების ნასუფრალად იქცეს.
910. პროპაგანდა ის ნარკოტიკია, რომელიც ადამიანს ასულელებს, მაგრამ ისიცაა, მას ადამიანადაც რომ ტოვებს.
911. ცხოვრებაში არის წუთები, რომელიც ადამიანს აიძულებს კაცურად მოიქცეს და თავის დაძვრენის შანსს არ უტოვებს.
912. ადამიანის შესაცნობად ხანდახან იმ წყალქვეშა ქვების მონახვაცაა საჭირო, რომელზეც მას ცხოვრებაში ფეხი უცდებოდა.
913. ხშირად ადამიანი იმიტომ სჩადის სისაძაგლეს, რომ თავის შემდგომ წესიერებას ფასი დაადოს.
914. ადამიანს მოწესრიგებული, გამოზომილი, ნაჩუქარი დიდხანს არაფერი მოსწონს, რადგან ამაში თავისუფლების დაკარგვას, ციხეს ხედავს. ის სულ იმის ცდაშია, ყველგან თავისი წესით, ჭკუით, სიამოვნებით იცხოვროს. თუ რამდენად აძლევენ ამის საშუალებას ერთმანეთს სამყაროს შვილები, ეს სხვა საქმეა.
915. თქვენს მიერ შექმნილ ზღაპარში სამყაროს კასტრირება და მასში თქვენი რწმენით, ოცნებით, იმედით ცხოვრება იმის გარანტიაა, რომ ნანატრი აუცილებლივ აგიხდებათ, რადგან ყველა ადამიანის სურვილი ზღაპარში ცხოვრებაა.
916. ხანდახან სისულელის ჩადენა და შემდგომ მისი გახსენება გსიამოვნებთ, რადგან ის ჯეელობის წლებს და ადამიანის წინაპარი რომ მაიმუნი იყო, იმას გახსენებთ.
917. ცხოვრების ლელო ხშირად საშუალო ნიჭის ადამიანებს გააქვთ, თორემ საბოლოო ლელო ყველასთვის ერთია.
918. რამდენი სულელური სიტყვა გვაქვს ნათქვამი და საქმე ნაკეთები სიცოცხლის მანძილზე და თურმე რა ცოტა სიკეთის კეთებაა საჭირო იმისათვის, რომ ჩვენც ვიცხოვროთ ადამიანურად და სხვაც ვაცხოვროთ.
919. ხელოვნება, სპორტი, ადამიანს ცხოველურ ინსტიქტებს კი არ უნდა უღვიძებდეს, არამედ ბოღმის, ემოციების, უარყოფითად დაგროვილი ენერგიისგან დაცლის ელექსირად უნდა გვევლინებოდეს.
920. ადამიანს ბედი ეთამაშება, ის კი თავს ირთობს და პროტეჟეს სურვილი, სწრაფვა, ხშირად ფეხებზე ჰკიდია.
921. გონიერი ადამიანი არ უნდა ეცადოს თავისი სახელმწიფოს და ხალხის ჭეშმარიტ შეცნობას, განსაკუთრებით გარდატეხის ძნელ პერიოდში, რადგან ეს პატრიოტული გრძნობები გაკოტრებას იწვევს და გაოცებული ფიქრობს – „ნუთუ ამათი

სიყვარულის გულისათვის ვიყავი მზად ყოველთვის თავის შესაწირად, რათა ჩემს ქვეყანას და ერს უკეთესი ისტორია ჰქონოდა?".

922. გამოავლინო შენი ნიჭი იმგვარად, რომ მასზე მოთხოვნილება იყოს, ყველაზე დიდი ბედნიერებაა ადამიანისთვის.

923. ზოგ ადამიანში ეტყობა მათხოვრობის კოდი საკმარისადაა ჩადებული, ამიტომაც სჭირდება მას სალოცავი სახლი და კულტის მსახური, რომელიც მის თხოვნას დააკმაყოფილებს, მაგრამ სალოცავი სახლი ბანკი არ არის, ლოცვისთვის, შევედრებისთვის კრედიტი რომ გასცეს.

924. იუმორის დანიშნულება ადამიანის სტრესიდან გამოყვანაა, გახალისებაა და არა მისი აღზრდა, რადგან ამისთვის მას დრო არ რჩება, ამიტომ ახალ ჭკუის საჯიჯგნს უნდა მიაგნოთ.

925. მოხდენილი ხუმრობა ადამიანის სხეულს უდუნებს და სულს უხალისებს.

926. ადამიანი საკუთარ თავს უნდა დანატროდეს და თავი გოროზად მოჰქონდეს, რადგან სხვანაირად ბრბო არც პატივს სცემს და არც შეიყვარებს.

927. საზოგადოებას პირველ რიგში სულით უნდა მართავდნენ, შემდეგ მოდის გონიერება, ძალა, მოხერხებულობა, რადგან ბუნტს ადამიანში სულის დისკომფორტი იწვევს, რომელსაც ხშირად მატერიალური ბაკქანალიაც მხარს უბამს.

928. ყველა ჭკვიანი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ თავისი დროის შვილია, თავის დროზე ადრე იბადება, რადგან თანამედროვეებს მისი გაგება არ სურთ.

929. მართალია, მეხსიერების შეკეთება შეიძლება, მაგრამ ტრანსპორტის შეკეთებისგან განსხვავებით, ეს ადამიანის სიცოცხლეს არ ახანგრძლივებს.

930. მთავარია ადამიანმა სული და ხორცი სიცოცხლეში არ გახრწნას, თორემ მიწაში მისი გახრწნა საჭიროცაა და აუცილებელიც.

931. თუ ადამიანს, კუთხეს, ხალხს და მის ბუნებას ახლოს არ იცნობ, არ გიყვარს და პატივს არ სცემ, არც უნდა გაეხუმრო, რადგან ერთმანეთს ვერ გაუგებთ და ამ გულღია იუმორს კუდი გამოებმება, – გახუმრებას დამსახურება სჭირდება.

932. ადამიანი, რომელიც იუმორის ნასუფრალით ცხოვრობს, თავის წინაშე უკვდავებასაა ნაზიარები.

933. ადამიანი უკეთესი ქვეყნის მოქალაქე რომ გახდეს, თავის ჩამომავლობის ძველი ხის ძირი და ეროვნება უნდა შეიცნოს, თავისი გვარის გაგონებისას ყველასთან ნათესაური წარსული მოძებნოს და თავისი ქცევით სცადოს წინაპარი არ გააწბილოს.

934. ადამიანის გონება რწმენას და ქალისადმი ტრფობის ღიტინს უნდა დაემორჩილოს, თუ გინდ ის თავის გამოგონილიც იყოს.

935. ძნელია იმ ადამიანებთან საუბარი, რომელთათვისაც ორჯერ ორის ოთხობა იმდღევანდელ განწყობაზეა დამყარებული.

936. გართობის ინდუსტრიით ბევრი ადამიანია დასაქმებული, რადგან სხვაგან მათი ხეირიანი საქმიანობა არც მოხერხდებოდა, არც მოესურვებოდათ და არც ხელეწიფებოდათ, რადგან განგებას მათთვის ამდაგვარი ბედი უჩუქებია.

937. ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ ღმერთს მისი შეშურდეს, ანგელოზებმა ტაში არგუნონ, ხოლო ეშმაკი მორცხვად იღიმებოდეს თავის დაუდევრობისთვის, რადგან მის წინააღმდეგ ინტრიგის მოწყობა ვერ მოიფიქრა.

938. ადამიანი ცვალებადი მოვლენაა, რომელიც ძირითადად კარგი მანერებით იბადება, მაგრამ ცხოვრებას თავის კორექტივი შეაქვს და მასზე აყოლას, წაბაძვას მოითხოვს, რაც მისი სულის და სხეულის გადაგვარებით მთავრდება.

939. ადამიანს არ ძალუძს თავი დააღწიოს ცდუნების კაიფს, მაგრამ კონტროლის გაწევა აუცილებელია.

940. ტელესერიალები მსუბუქი ჟანრის ნარკოტიკია, რომელიც ხანდახან ასე სჭირდება ადამიანებს, რათა ისინი ერთმანეთის თვალში ამაღლდნენ ან რისხვა დაიმსახურონ.

941. ადამიანებს ხალასი ნიჭი აერთიანებთ, სათუო და შემთხვევითი კი ყოფს.

942. ეტიკეტის დაცვას რაც მეტად ვცდილობთ, მით უფრო ჭუჭყში ვეფლობით, რადგან ადამიანს სულიერი მდგომარეობა, განწყობა აიძულებს ქცევის ნორმები დაიცვას და არა მის მიმართ მონური მორჩილება.

943. თუ არ იგინები, არ სვამ, ქალებში არ დაეთრევი, ყველა ეჭვის თვალით გიყურებს, რადგან მათ შენ'ში ადამიანი უნდათ დაინახონ და არა – ხატი.

944. ადამიანი წარმატებისთვის ყოველთვის მზად უნდა იყოს, არავინ იცის, ღმერთის წყალობა თავზე საიდან და როდის წამოადგება.

945. თავისუფლებამ სათანადო აღზრდის და საუკუნეებით დაწერილი ტრადიციების გარეშე ადამიანის კეთილგონიერება და ღირსება დაბლა დასწია და წუნდაუდებელი მანერების პატრონი არამზადა წესიერ ადამიანად წარმოაჩინა.

946. ადამიანი მისდამეუცნობლად თეატრში, კინოში იმედის მოსაპოვებლად და იმ ტაკი-მასხრობის საცქერლად მიდის, რომელსაც მისი მსახურნი წარმოადგენენ.

947. ადამიანი სამყაროს ერთ-ერთი უნიკალური გონიერი პოპულაციაა, რომელიც ყველაზე მეტად უნდა ემორჩილებოდეს ბუნების კანონებს, რადგან მას კარგად ესმის, რომ გადაგვარების შემთხვევაში მისი პოპულაცია გაქრება.

948. ადამიანის სურვილია, რომ ვიღაცას გაუტოლდეს, შეცდომა არ ჩაიდინოს, ამისათვის კი საჭიროა ვიღაც კერპად გაიხადოს და გააღმერთოს.

949. სული მძიმე, გამოუცნობი მატერიაა, მასთან შერკინებაში ადამიანად დარჩენა კი – დიდი ხელოვნება.

950. ადამიანის დევიზი უნდა იყოს: იცხოვროს და შეძლებისდაგვარად სხვასაც ხელი არ შეუშალოს ცხოვრებაში.

951. ადამიანის თვითშეგნებას წიგნიერება, ცხოვრების გამოცდილება აკვალიანებს და არა – ნაციონალიზმის ჭია და დაუსაბუთებელი სურვილი – „ჩვენ ყველაზე უკეთესნი ვართ."

952. ახალგაზრდობაში რაღაცა გაგახსენდება და ფიქრობ, რამხელა დრო გასულაო, სიბერეში კი ყოველივე გუშინდელივით გეჩვენება, ეტყობა, ასაკში ადამიანი მახსოვრობას ჩენჩოს აშორებს და ის ნათელი ამბები რჩება გასახსენებლად, რომელიც არც თუ ისე ბევრი იყო მის ცხოვრებაში.

953. დიდი ადამიანი გულუბრყვილობასთან ერთად, ჩვენი მოკლე ჭკუით, უჭკუოც უნდა იყოს.
954. ბედნიერია ის ადამიანი, რომელმაც ცხოვრების ვერაგობის შესახებ არაფერი იცის და არც აინტერესებს, მითუმეტეს, თუ წინაპარმა მას მილიონები დაუტოვა მეურვესთან ერთად.
955. პრაქტიკულად არავის ეძლევა იმ ხანაში ცხოვრების საშუალება, რომელშიც მისი გონება მოისურვებდა, რადგან ოცნების აღსრულების შემთხვევაში, ადამიანი მაინც სხვა დროში მოინდომებდა ცხოვრებას.
956. ცუდ ადამიანშიც შეიძლება კარგის ნახვა და მისი სასიკეთოდ შემოტრიალება, თუ ქვეყანა თავს მოიქაჩლებს, კანონს დაუმორჩილებს და თანდაყოლილ ცუდ თვისებებს ახლოს არ გააკარებს.
957. ადამიანის გულის მოპოვება ძალის ჩვენებით შეიძლება, მაგრამ არა ომის შედეგებით.
958. ფილოსოფიაზე ხუმრობა შინაგანად ყველაზე ტკბილი სიამის განცდაა, რაც ადამიანს ცხოვრებაში რგებია.
959. ადამიანის ყველა ორგანოს აქვს ტალღების საკუთარი რხევა, რომელიც განკუთვნილია წყვილთა მიზიდვისთვის, მოფერებისათვის, სიყვარულისათვის.
960. ღმერთი მიუწვდომელია, სამყარო შეუცნობადია, ცხოვრება გაურკვეველია, სიყვარული განუსჯელია და ამდენ გაუგებარ აურაში ადამიანი კიდევ კარგად ახერხებს ცხოვრებაში ლელოს გატანას.
961. საოცარია, სამყაროში ყოველივე რა კანონზომიერად არის შექმნილი და რა საქციელშეზღუდულად გამოიყურება ადამიანი.
962. ადამიანი მცირე შესაძლებლობის შემთხვევაშიც კი უნდა ეცადოს იყოს ბედნიერი, ჯანმრთელი, უდარდელი და იმედით აღსავსე, თუ ამის ჭკუა ეყო, რადგან ის ერთხელ ევლინება ამქვეყანას და სხვა სისულელეზე ფიქრით დროს გაცდენა არ ღირს.
963. ბევრი ადამიანი გვხვდება ცხოვრებაში, რომელსაც მეგობრობაზე აქვს პრეტენზია, მაგრამ მეგობარი, რომელიც ცხოვრების ბოლომდე შემოგრჩება და შენთან ერთად ბოლომდე ლელოს გაიტანს, ერთეულია, ან შეიძლება ვერც იპოვოთ, ან ზოგი რამ მიუტევოთ ახალგაზრდობის მოსაგონებლად და დაღვინების ხარჯზე.
964. დღეს ადამიანებს საკვებად ერთმანეთის ხორცი რომ გამოეყენებინათ, შეიძლება უფრო გაფრთხილებოდნენ ერთმანეთს, რადგან ნერვებაშლილის ხორცს გემო უფუჭდება, წონაში იკლებს და შეიძლება ეს მატერიალური მხარე მაინც ყოფილიყო ერთმანეთის მოფერების მიზეზი.
965. იმაზე საშიში ადამიანი არ უნდა იყოს, ვისაც ცხოვრების დღეები დათვლილი აქვს და მის ოცნებას ახდენა არ უწერია, მაგრამ ეს არ ხდება, რადგან ასეთი ცხოვრების მიზეზი თავადაა.
966. ტერორისტი და ქილერი სინონიმებია, თუ პირველს რელიგია, ნაციონალიზმი და დაფინანსებული ფანატიზმით ასულელებს და აკვიატებული აზრებით მასობრივად სპობს უდანაშაულო ადამიანებს, მეორესთვის თითოეულ ადამიანს თავისი ფასი

და ღირებულება აქვს და იმქვეყნად გასასტუმრებლად ყველას თავის პრეისკურანტს ადებს.

967. ბუნებაში ერთის სიკვდილი მეორეს სიცოცხლეს უხანგრძლივებს, ხოლო ადამიანს თვისტომის სიკვდილი თითქმის არაფერს მატებს, მაგრამ ამ საქმეში ადამიანი ბუნების კანონისგან განდგომას არ აპირებს.

968. არიან ადამიანები, რომელთაც ტყუილის თქმა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებთ, მაგრამ თუ მიუთითეს, არც გაწითლდებიან, ისე გაიცინებენ, თითქოს კეთილი რამ ახარესო და თავს დამნაშავედ სულ არ გრძნობენ.

969. ყველა მშიშარა კაცი ტრაბახა და პირველ წინააღმდეგობამდე მოჩვენებითი ვაჟკაცია. საოცარია, მაგრამ სწორედ ასეთი ადამიანები გვევლინებიან ლიდერებად.

970. ახალგაზრდას ფუფუნებაში აღზრდა აფუჭებს, სიღარიბეში – აწრთობს, მაგრამ სჯობს საშუალო პირობებში აღზარდოს, ვინაიდან ის მაინც ადამიანია.

971. გვარი, სახელი, მეტსახელი – სარკეა ადამიანისა, რომელშიც სხვაც იხედება და თვითონაც აღიქვამს თავის თავს.

972. ზოგიერთი ადამიანი გრძნობს თავის ნაკლოვანებებს, მაგრამ თავს არ იწუხებს, ვინაიდან მათ გამოსწორებას შრომა სჭირდება.

973. ადამიანი თავის აწმყოს და მომავალს კრიტიკული თვალით უნდა უყურებდეს ყოველგვარი მიკერძოების და შეღავათის გარეშე, ხოლო წარსულს – ღიმილით.

974. ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ არის სრულიად გულწრფელი, როცა ანდერძს წერს. სხვა შემთხვევაში ცუღლუტობს, იტყუება და ამას ხშირად გაუცნობიერებლად აკეთებს.

975. უკმაყოფილება, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანის სულიერი განწყობაა და ხშირად, შინაგანი მოთხოვნილება.

976. გონება და სიბრძნე ადამიანს ტვინისა და სახის ნაოჭებს უღრმავებს, რაც მეცნიერისთვის სილამაზის განსახიერებაა.

977. ადამიანის მშვენიერება თანდაყოლილი და შეძენილი თვისებებით ფასდება, მაგრამ გაცნობისას შეძენილს მეტ ყურადღებას ვაქცევთ.

978. ადამიანი თავს რომ ბედნიერად გრძნობდეს, მას სჭირდება: ცხოვრების ქვაკუთხედი – რწმენა, შრომა, ოპტიმიზმი და სიცოცხლის აზრი – ცოლი, მომავალი თაობა, კერძო საკუთრება.

979. ადამიანი უნდა ცდილობდეს ღრმა სიბერეშიც ადამიანურად იცხოვროს, სული არ ათრიოს, სხვისი მოსავლელი არ გახდეს და თუ ბუნებამ ასე ინება, ეფტონაზიას – ცხოვრებიდან თავისი ნებით წასვლას, უნდა მიმართოს და ღმერთი ამ ცოდვასაც აპატიებს.

980. თანამედროვე ცივილიზებული მოქალაქე – ეს არის ტექნიკური პროგრესის შედეგად მიღებული, თავის თავზე შეყვარებული ადამიანი მაღალი შრომისუნარიანობით, პრაქტიკული ცხოვრების დონით, ყოფიერებასთან ურთიერთობების თავისუფლებით, დაკნინებული ინტელექტით და სექსუალური შესაძლებლობებით და დაავადებული ნერვული სტრესით.

981. ადამიანში ჩადებულ კოდში ყველაზე პროგრესულია ის, რომ იგი ყველა ახალგაცნობილში დადებით პიროვნებას ხედავს და განვლილი ცხოვრებიდან ცდილობს მხოლოდ კარგის გახსენებას.

982. ადამიანის კუჭი ძალზე ჰგავს ღორისას, მაგრამ საოცარი ის არის, რომ ჭკუითაც არ არის დაშორებული დიდად მისგან. თუ სხვადასხვა ასაკის და წარმოშობის გოჭებს ერთ სადგომში მოვათავსებთ, ისინი ერთმანეთს კბენას, საკვების წართმევას დაუწყებენ, მაგრამ საკმარისია მათ ჩაუსვათ გაბერწებული დედა ღორი, სადგომში წესრიგი და სიმშვიდე გარანტირებულია. ხომ არ გეცნობათ შრომა-გამასწორებელი ბანაკების ცხოვრება?

983. ადამიანის ბუნებაა – იმას დაუწყოს ბრდღვნა და კბენა, ვინც კარგს უკეთებს, ვინაიდან კეთილის მკეთებელმა იცის ამ კაცის სისუსტე. ის მყრალი ორმო, საიდანაც ამოიყვანა და სული რომ მოათქმევინა, მოწმედ აღარ სჭირდება.

984. დაუმსახურებელ ქებას დამსახურებული კრიტიკა სჯობს, რადგან ეს უკანასკნელი გვაფხიზლებს, მაგრამ ადამიანს მაინც პირიქით ურჩევნია.

985. პატიოსანი კაცი ადამიანის ჯიშის ძალზე იშვიათი ნიმუშია, წითელ წიგნშია შესატანი და სახელმწიფო ვალდებულია იგი დაიცვას და მოუაროს.

986. ადამიანი არ უნდა ცდილობდეს სამყაროზე ძალადობას, თორემ ბოლოს გაბახებული თვითონ გამოვა.

987. ჭკვიანი ადამიანები შორეულ ვარსკვლავებს გვანან, დროთა განმავლობაში მათაც აღმოაჩენენ, გააფეტიშებენ და გარყვნიან.

988. გართობის კულტურა მასისათვის და მეგობრებისათვის სხვადასხვაა და როდესაც ხალხის მხიარულებისათვის მოწოდებული ადამიანი ამ ორ რამეს ერთმანეთში ურევს, ეს იმის ნიშანია, რომ კულტურა საფრთხის წინაშე დგას.

989. საინტერესო ამქვეყნად ის არის, რომ თვალით უხილავ ბაქტერიებზე იზრდებიან ერთუჯრედიანები, ისინი კვებავენ მწერებს, მწერები მათზე მოზრდილ თაგვებსა და ფრინველებს, შემდეგ ამ ორგანიზმებით იკვებებიან დიდი მხეცები და ფრინველები, მათ კვებას კი წერტილს უსვამს ადამიანი ან სიკვდილი, ხოლო ყოველივე ამას ისევ ბაქტერიები მოინელებენ. ყოველივე ეს შესანიშნავად იცის ამ განვითარებულმა ორფეხა ცხოველმა, მაგრამ ცდილობს თავისზე სუსტზე იბატონოს. როგორც ირკვევა, ეს აუცილებლობით არის ნაკარნახევი.

990. ადამიანს თუ საინტერესო და იმედისმომცემი ცხოვრება აქვს, მისი მოდგმა მრავლდება, ხოლო თუ უზრუნველყოფილი – მცირდება.

991. როდესაც საზოგადოების თავშეყრის და სანახაობის ადგილებში უმსგავსოება მძლავრობს, მაშინ ვიღაცის და რაღაცის შემოსავალი მატულობს. ეტყობა ადამიანი მაინც ორფეხა ცხოველია და ჭკუაზე წიხლის დაჭერას და გონიერების გამოჩენას ქვენა გრძნობების მომრავლება არ აძლევს.

992. ადამიანს მისთვის მიუწვდომელი იდეების და მითებისა შეუმოწმებლად სჯერა, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში დაუჯერებელი და ეჭვიანია, მანამ სანამ თვითონ არ წაიტეხს ფეხს.

993. ზოგჯერ ადამიანისთვის მოახლოებული წარმატება დამღუპველია, აქ იწყება ეიფორია, თვითდამშვიდება და მოდუნება, ე.წ. ,,სახლის მოახლოების სინდრომი'', რამაც შეიძლება წარმატება ხელიდან გამოგვაცალოს.

994. როგორც კარგი კორომის ჩამოყალიბებას ესაჭიროება უღრანი ტყე, ისე ადამიანის ჩამოყალიბებასაც ესაჭიროება უღრანი გარემო – მღელვარება, რისკი, თავგადასავლები.

995. ადამიანს როგორც ტყუილის, ისე სიმართლის შეულამაზებლად თქმა ძალზე უჭირს. ეს უფრო მისი თანდაყოლილი არტისტიზმის, ფანტაზიის ბრალია, ვიდრე მისი ცუდად აღზრდისა.

996. მოახლოებული საშიშროება ადამიანის ჩამოყალიბების და მისი ამოცნობის შესანიშნავი საშუალებაა.

997. ყველა ადამიანი უნდა შეეცადოს თავისი სიცოცხლის პერიოდში ისიამოვნოს იმით, რომ სახლი ააშენოს საკუთარი გემოვნებით და თავის მომავალს დაუტოვოს.

998. თუ გინდა გაიგო რას წარმოადგენს ადამიანის სული, მას უნდა უყურო მხიარულების დროს, ხოლო ხორცის ყველაზე საუკეთესო შემმოწმებელი სექსია.

999. ადამიანი უნდა ეცადოს ბავშვების გარდა კიდევ რაიმე ღირსშესანიშნავი შექმნას.

1000. ადამიანის ოცნება, გაფრინდეს მთავარეზე, მისი მორიგი კაპრიზია და რომანტიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

1001. საფიქრელია, რომ ადამიანი თავიდანვე მამაძაღლად იბადება, მაგრამ ანგელოზის სახით გვევლინება. ამიტომაა, რომ მისი შეცნობა ჭირს. როდესაც მის ნამდვილ სახეს ჩაწვდები, თავი გეცოდება, რადგან შენც ამ ტომის წარმომადგენელი ხარ.

1002. ზოგიერთი ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა მის კანქვეშ შენახულ ქონში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მის ბობოქარ სულში.

1003. ადამიანი სიცოცხლის მანძილზე მრავალ სისულელეს სჩადის, მაგრამ გენეტიკურად მაინც სიკეთისთვისაა დაბადებული. ამ თესლის გაღვივებას შესაფერისი ნიადაგი და გარემოს შექმნა სჭირდება.

1004. ყველაფრის თქმა და მითუმეტეს, დაწერა არ შეიძლება და არც არის საჭირო, თორემ ადამიანს ფიქრის უნარი წაერთმევა და დღეს იგი ბომბივით აფეთქდება, როდესაც შანსია, რომ ის ხვალ ყვავილად მოგვევლინოს.

1005. არსებობს შავი სიკვდილი – ყავა, მწვანე – ჩაი, მსუქანი – ხორცი, ტკბილი – შაქარი, სანეტარო – ქალი და ა.შ. ყველა ისინი ადამიანის სიამოვნებისთვის არის გაჩენილი და თუ ბოლო ერთი გვაქვს, ჯანმრთელ სიკვდილს რით არ სჯობს დაავადებული სიკვდილით იმ ქვეყნად გადასახლება.

1006. ზოგჯერ ადამიანი წარმატების მიღწევის შემდეგ უძლურდება, იმდენად დიდია ემოციური წნეხი.

1007. უახლეს ტექნიკას უვიცი ადამიანი უფრო უდრტვინველად ეგუება, ვიდრე მცოდნე, რომელსაც სულ ამ სიახლის შინაგანი ბუნების ახსნა აწვალებს.

1008. მხიარული ადამიანები უფრო ადვილად წყვეტენ პრობლემებს, ვიდრე ბრაზიანები და სერიოზულები.

1009. მხიარულ ადამიანს სახენათელი სჯობს, სინათლე მის სახეზე უფრო კაშკაშებს.
1010. ყველა ნორმალურ ადამიანს უნდა თავისებური კარიერის გაკეთება, სურს, რომ მას იცნობდნენ, ამიტომაც სიმორცხვე და ზედმეტი თავმდაბლობა დავიწყებისკენ გადადგმული ნაბიჯია.
1011. ყველა ადამიანს აქვს შინაგანი მაღვიძარა, რომლის საათის ისარი დროის შესაბამისად არ გადაადგილდება.
1012. ჭკვიანი ადამიანი წაგებულ ვითარებაშიც კი მოგებული რჩება, რადგან ცოდნის ჰორიზონტს იფართოებს და შემდგომში ამ შეცდომას არ იმეორებს, ხოლო სულელისათვის მოგება-წაგება სულ ერთია, ვინაიდან იგი ცხოვრების გზის გაკვლევას არ ცდილობს.
1013. ყველაფერი წარმავალია, გარდა ადამიანის ხასიათისა და მენტალიტეტისა.
1014. ადამიანი უკმაყოფილოა იმითაც კი, რომ ტყეში დათვი თათაწეული არ ესალმება და ემალება. ის კი ავიწყდება, რომ სხვის სამფლობელოში იმყოფება, თავგასული ბატონივით არ უნდა მოიქცეს და სტუმარ-მასპინძლის სტატუსი დაიცვას.
1015. საოცარია, ადამიანს ყველაზე მეტად იმ ამბის გახსენება ართობს, როცა მისი სიკვდილ-სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ალბათ, გადარჩენით მიღებული სიამოვნება იმდენად ძლიერია, რომ ეს კაიფი მას სიცოცხლის ბოლომდე გაყვება.
1016. ადამიანი ისეთი ჯამრთელი ორფეხა ცხოველია, ყველა გაჭირვებას და უბედურებას რომ გადაიტანს, მხოლოდ ერთი პირობით, მას იმედი არ უნდა მოუშალოთ.
1017. ბედნიერება ის წუთიერი მითია, რომელიც ადამიანს ყოველთვის არ აწუხებს. ადამიანის ბედნიერებასთან უფრო ახლო დგას ჰარმონიული ცხოვრება.
1018. ადამიანი სისაძაგლეს თავისი ნებით არ აკეთებს. ძლიერს – აიძულებენ, ხოლო კერკეტა თვითონაც ეწირება და შინაურსაც გაწირავს.
1019. ბუნებაში არაფერი არ იკარგება. ცხოველთა სამყაროც ბუნების კანონებს ბაძავს და ემორჩილება. მხოლოდ ადამიანი, ეს მოაზროვნე ავანტურისტი, არად აგდებს ბუნების კანონებს, კაპრიზობს და აჩანაგებს მას. ეტყობა, ბუნება ამ თავხედობისთვის ერთხელ ყურსაც აახევს მას.
1020. ადამიანი სახელის და აღიარების მოპოვებას სიცოცხლის 60% ანდომებს. დანარჩენი 40% მას ყოფნის ცხოვრების გასალაღებლად და გასაწბილებლად.
1021. ყველა ადამიანთან ურთიერთობა შესაძლებელია, თუ ის ბუნებით მავნე არ არის.
1022. ადამიანმა სახელის გაფრთხილება ჩასახვისთანავე უნდა დაიწყოს.
1023. ადამინი ყველაზე საშიში გონიერი ძუძუმწოვარაა, რომლის განვითარება სულ უფრო და უფრო მეტ სარფთხეს უქმნის როგორც ბუნებას, სხვა ძუძუმწოვრებს. ასევე კოსმოსს.
1024. ადამიანი პატარა მიკროკოსმოსია და ამ პლანეტაზე ალბათ იმდენი ღირსეული იბადება, რამდენიც ვარსკვლავია ცაზე, მაგრამ მისი დამთვლელი და გამმჟღავნებელი არავინაა.

1025. ადამიანმა გასართობად თამაშები მოიგონა, გააფეტიშა, ქომაგები შემოიკრიბა, რეკლამა გაუკეთა, ტოტალიზატორი გაათამაშა და ამ სპექტაკლის წარმოსაჩენად მოგებულს მილიონები გადაუხადა. შედეგია ხალხის გართობა-გაბითურება.

1026. ადამიანი ცუდი მაგალითების ჩვენებით არ გამოსწორდება. მას არც კარგი მაგალითი უშველის თუ უხიაგია.

1027. ადამიანი ასაკის მატებასთან ერთად ხვდება, რომ უმჯობესია რეალურ ცხოვრებაში სხეული მოვაწყოთ მოხერხებულად, ვიდრე ყური ვუგდოთ სულის ბობოქრობას.

1028. ადამიანებს სისულელის ელემენტები კი შეგვეპარება, მაგრამ ერთმანეთის მიმართ შემწყნარებლობას ვერ ვიჩენთ და მის გამოაშკარავებას და გამომზეურებას ვჩქარობთ.

1029. ადამიანის შორსმჭვრეტელობის ნიშანია: მტერი ისე არ უნდა აიგდო და მეგობარი ისე არ უნდა გაიშინაურო, რომ ორივე სანანებელი გაგიხდეს.

1030. ადამიანის ადგილსამყოფელი და აღზრდა განსაზღვრავს მის ხასიათს, ტრადიციებს, გემოვნებას და ქალისადმი დამოკიდებულებას.

1031. ადამიანის შთაგონების ფერებია სიყვარული, პატრიოტიზმი, მოვალეობის გრძნობა, რომელსაც ბევრი სიკეთის გაკეთება შეუძლია ქვეყნისთვის, ხალხისთვის, მაგრამ უმადურობის გამო ყოველთვის ამის კეთება არ ხერხდება.

1032. ადამიანის ღირსებას და წესიერებას ვერავითარი ფულის კეთება ვერ შეედრება.

1033. ადამიანი ყოვლისშემძლეა და ეს ამაყად ჟღერს, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ მას ამ ჟღერადობის დახურდავებაც შეუძლია.

1034. ადამიანს თავისი თაობის სინდისი ყოველთვის ადრეულად მიაქანებდა საფლავისკენ, რადგან მის შეურაცხყოფილ სულს სხვანაირად არ შეუძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ დარჩებოდა დაჩაგრული ცოცხალმკვდარი.

1035. ზოგჯერ ადამიანი ვერ ეთანხმება საღ ჭეშმარიტებას, მიუხედავად იმისა, რომ გონება ამას მოუწოდებს, მაგრამ მისი ბუნება აღზრდას ეწინააღმდეგება, ამიტომაცაა, რომ ჭეშმარიტება თავის გზით ჩაგვივლის.

1036. ნიჭიერი ადამიანი ის იშვიათობაა, რომლის განმეორება უნდა ეცადონ, მაგრამ ვერ უნდა მოახერხონ.

1037. შურისსაძიებელ მიზეზს ადამიანი ყოველთვის ნახავს, მაგრამ რომ არ ნახოს, ამისთვის გონიერებამ თავად უნდა იმარჯვოს.

1038. ადამიანს რწმენის, კერპების, რიტუალების გარეშე ცხოვრება უჭირს, რადგან ეს ის ნარკოტიკია, რომელიც ადამიანის აფორიაქებულ სულს ამშვიდებს და სხეულს თავისუფლად ატარებინებს.

1039. მიუხედავად ჩვენი სურვილებისა, ადამიანის მოდგმა ზნეობრივი დაცემის გარეშე ვერ იარსებებს, რადგან ამას არ დაუშვებს მამაზეციერი – ეს გამორიცხავდა მის საჭიროებას.

1040. გონიერების ინტენსიური მუშაობა ხშირად ადამიანს ეხმარება დაბერების პროცესების შეჩერებაში და მისი გენეტიკის ფარგლებში გასუქებაში.

1041. ადამიანი თავის ფიქრებს ისე არსად არ აჭენებს, როგორც დასვენების დროს.
1042. თაობებს სკლეროზის მსგავსი ისტორიული ცოდნა აქვთ და ადამიანებს გასაოცრად მოკლე მახსოვრობა. ამიტომაა ამდენი ბოროტება და ცინიზმი რომ დასეირნობს.
1043. სიმშვიდე, სიწყნარე და ხმაურის გარეშე საკითხის გადაწყვეტა ყველაზე დიდი ხელოვნებაა ადამიანთა ურთიერთობებში.
1044. ხელი რომ არ გაიწვდინოს და არ ივიშვიშოს, ადამიანს უნდა ჰქონდეს ღირსების გრძნობა, ამისთვის კი საჭიროა გენი, აღზრდა, ღირსეული სახელმწიფო და მისი წინამძღოლი.
1045. პროგრესის მამოძრავებელი ძალა არის ცხოვრებით ადამიანის მუდმივი უკმაყოფილება. კმაყოფილება სიკვდილს აჩქარებს.
1046. ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასია მისი აზრები, მაგრამ ისინი უფრო ძვირფასი ხდება, თუ მათ სხვებიც იზიარებენ.
1047. ყველა ადამიანს ჰქონია ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად ისეთი შემთხვევა, რომლის ტირაჟირება მას არ სურს.
1048. ფაქტობრივად, ადამიანი ერთნაირად ბედნიერია და უბედური. მიუხედავად იმისა, ვისი მოქალაქეა, რა ეროვნებას ეკუთვნის, რა თანამდებობა უკავია, რომელ სახელმწიფო წყობაში უხდება ცხოვრება და მისი ლიდერი როგორ უწამლავს გონებას.
1049. ადამიანისთვის შთაგონება ფრთებია, პატრიოტიზმი კი – სიკეთის მკეთებელი თავისი ქვეყნისა და ხალხისთვის.
1050. კრისტალურად სუფთა და შეუვალი ადამიანი, რომელიც აზროვნებს და ფანატიზმის ნიშნები არ ახასიათებს, პიროვნულად ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუ მას არაფერი ეშლება ირგვლივმყოფთა მიმართ.
1051. საზოგადოების მორალით სჯობს პირდაპირ თქვა სიმართლე, ვიდრე შემოვლით, ხელების ქნევით, თუმცა ყველა მორალის მიუხედავად ადამიანს მიკიბულ-მოკიბული თქმა ურჩევნია სიმართლის პირში მიხლას.
1052. ყველაზე ძვირფასი შენაძენი ადამიანისთვის სიკეთის შეძენაა.
1053. ქრთამს ადამიანი კი არა, მისი თანამდებობა იღებს.
1054. წინასწარ აკვიატებული აზრი ადამიანს ცუდ სამსახურს უწევს და მის იმიჯს საფრთხეში აგდებს.
1055. ინტელიგენტი მაღალი სულის და რწმენის ადამიანია, რომლისთვისაც თავისი ხალხის ბედნიერება პირველადია, მომავალს იმედით შეჰყურებს, მაგრამ რამდენად ახერხებს თავისი სურვილების ასრულებას, ეს სხვა საქმეა.
1056. ადამიანის ბედნიერება ის არის, რომ თავის სიკვდილს ვერ ესწრება და ვერ გაიგებს საბოლოოდ მის საფლავთან წარმოთქმულ მლიქვნელთა დითირამბებს, როგორც ირკვევა, მამაზეციერს აქაც არაფერი შეშლია.
1057. სიბერის მხნედ ჟღერა დამოკიდებულია ადამიანის გონიერებაზე, ჭკუაზე, ცხოვრებაზე, ფულის შემორჩენასა და დარჩენილი ქონების ჭკვიანურ გადანაწილებაზე.

1058. ცნობისმოყვარეობა საშველს არ აძლევს ადამიანს, კიდევ ერთხელ ფეხი არ წაიტეხოს სხვის მაგალითზე.
1059. ირონია და სკეპტიციზმი, რომანტიზმი და ნარცისიზმი, ადამიანს ცხოვრების კატაკლიზმების გადატანაში და გამოწრთობაში შველის.
1060. ცხოველები მდედრის დასაპყრობად და ჯანმრთელი თაობის გასაგრძელებლად წელიწადში ერთხელ ეცილებიან ერთმანეთს, ხოლო ადამიანები დღეს არ აცდენენ და აქ მომავალი თაობა არაფერშუაშია.
1061. მოდა ხელს უწყობს ადამიანის სხვა დიალექტიკურ განვითარებაზე გადასვლას და სულის შინაგანად გაშიშვლებას, რაც უდიდეს ინტერესს იწვევს.
1062. სათანადო აღზრდას მოკლებული ადამიანი ქერქიჭამია მატლივითაა, რომლისთვისაც სულერთია რას ჭამს, ხის ქერქს თუ სტრადივარიუსის ვიოლინოს.
1063. ცხოვრება თავისებური თამაშია, თუ შეგიძლია ითამაშე, თუ არა და წადი, მაგრამ რა ვუყოთ ადამიანის ბუნებას და ყოყლოჩინობას.
1064. სამწუხაროდ, არც ერთი კეთილი საქმე არ რჩება გაწბილების გარეშე, და ბევრი უღირსი ქმედება ხელიდან უძვრება მართლმსაჯულებას, მიუხედავად ამისა, ადამიანი მაინც სიკეთის კეთებისკენ არის მოწოდებული.
1065. სიმართლის დანახვა და მისი წინასწარმეტყველების გამართლება აწბილებს ადამიანს, უმძიმებს სულის წმინდა სიმებს, როდესაც ცხოვრების დაისზე ჭეშმარიტების წინაშე აღმოჩნდება.
1066. ფილოსოფიაში მეტისმეტად გადავარდნა ადამიანის ცხოვრებას ხიბლს უკარგავს, რადგან ჭეშმარიტების ძიება ყოველთვის სიკეთის მომტანი არ არის.
1067. ბედნიერია კი ის ადამიანი, რომელსაც არჩევანი არ უხდება ცუდსა და კარგს, ბოროტსა და სიკეთეს შორის?
1068. სიცოცხლე თავისებური სასწაულია, მაგრამ კიდევ უფრო საოცარი ის არის, როგორ გაუფრთხილებლად ეპყრობა მას ადამიანი.
1069. არიან ხელჩამოსართმევი ადამიანები, მაგრამ ხელჩამოურთმევლებს ეს დისკრიმინაცია მაინც და მაინც არ აწუხებთ.
1070. გადამეტებული ბედნიერებაც შეიძლება ადამიანის მორალური მკვლელობის მიზეზი გახდეს.
1071. სექსში, ბიზნესში, მეცნიერებაში, კაცობაში, შოვინიზმი და ნაციონალიზმი არ არსებობს, არსებობენ უნიათო ადამიანები, რომლებსაც უნდათ, რომ თავიანთი უძლურება არაკაცურ იდეოლოგიას ამოაფარონ.
1072. გონიერების მიუხედავად, ყოველთვის არ შეგვიძლია თავს ვაჯობოთ, იმდენად დიდია ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანთა ზემოქმედების წნეხი.
1073. არ შეიძლება ადამიანი ნაძალადევად თავის თაობაში ჩავჩურთოთ, მას ხომ სხვა ცოდნა და ურთიერთობის უნარი გააჩნია.
1074. ქვეყნისათვის საჭირო ადამიანის აღმოჩენა ან დაკარგვა მთავრობის პრეროგა-ტივაა.
1075. უდიდესი ბედნიერებაა, როდესაც ადამიანს ენდობი, ხოლო ღვთის წყალობაა, თუ ის ამ ნდობას ბოლომდე გაამართლებს.

1076. ძაღლის ერთგულების ნიჭი რომ ადამიანს დაჰყოლოდა, ეს სამყარო ყვავილების ქვეყნად გადაიქცეოდა, სადაც მხოლოდ სიყვარული იბატონებდა.
1077. ზოგჯერ არაწესიერებამდეა მისული ზოგიერთი ხანშიშესული ადამიანის ახალგაზრდული სული, ენერგია, მისი ქცევა და მოქმედება. მაგრამ აქ დამნაშავეა არა მარტო დამჟავებული ასაკი, არამედ დრო და მისი მენტალიტეტი.
1078. მატიანე ქვეყნის ისტორიას აღწერს, ისტორია – ხალხისას, ლიტერატურა – ადამიანისას, რადგან ეს უკანასკნელი აღწერას და შეჯერებას არ ეშვება.
1079. გაწბილების მიუხედავად, თუ სიკეთესთან კავშირი გაწყვიტე, მაშინ ადამიანობაზე პრეტენზიას ვერ განაცხადებ.
1080. ნამდვილი ადამიანური ენერგია შეიძლება შემოგვრჩეს სპორტში და ჩვენს რაობაში, ყოველგვარი სტიმულატორების გარეშე.
1081. ცხოვრებისეული რეფლექსები (სიძულვილი – სიყვარული, დამწუხრება – სიხარული, შური – სიკეთე) რომ არა, პითეკანტროფი დღეს ადამიანად ვერ იქცეოდა.
1082. ნიჭიერებას პირველყოფილი ადამიანის ინსტინქტების ოპტიკური სამიზნე აქვს, რომელიც თავისი დიდების გასროლით მიზანს არ აცდენს.
1083. ყველა საუკუნე თავის ხარკს ითხოვს, ადამიანის სიწმინდის, სინაზის, სიკეთის სახით.
1084. ძნელია იყო ღმერთი, მაგრამ ჩვენს დროში არც ადამიანად დარჩენაა ადვილი თუ სახსარი არ გააჩნია.
1085. კარგი არ შეიძლება ბევრი იყოს, თორემ ადამიანის გონება მიეჩვევა და რაღაც ისეთი უკუღმართის დანახვას შეეცდება, რომელსაც საერთო არა აქვს სიკარგესთან.
1086. ადამიანის გონიერი კავშირი წყალთან, მიწასთან, ჰაერთან, ცხოველთან, განსაზღვრავს დედამიწის სიცოცხლისუნარიანობას.
1087. საკუთარი იდეების და იდეალების დაცვა ადამიანთა თავგანწირვას ითხოვს, ან მისკენ მიმავალი გზის სისხლით გაპოხვას.
1088. სისულელეც შენი ხელწერით უნდა ჩაიდინო, ვინ იცის, შეიძლება დიდ ადამიანად გაღიარონ.
1089. ბოროტების ხარისხი მეტ-ნაკლებად სიცოცხლის შენარჩუნების მხრიდან უნდა განისაზღვროს და არა ზოგიერთის სიცოცხლის გათავხედებით, რადგან ცოცხალ ადამიანს, თუნდაც ღარიბს, რაღაცის მიღწევის შანსი აქვს, მაგრამ მდიდარ მიცვალებულს – არაფრის.
1090. დიდი ადამიანები არ კვდებიან, ისინი საჭიროების ჟამს იმ ქვეყნიდან დარიგებას არ გვაკლებენ და იძულებულნი ვხდებით მათ სიდიადეზე ვიფიქროთ.
1091. ადამინისათვის ცხოვრებაში ყველაფერი ტკბილად მისაღები უნდა იყოს, მათ შორის სიკვდილიც, თუ მან თავისი ცხოვრება აღასრულა რწმენით, სიყვარულით და მოვალეობის მოხდის გრძნობით.
1092. თეორიულად ადამიანს გამოსწორების ვადა სიკვდილამდე აქვს, მაგრამ პრაქტიკულად შანსი ნულის ტოლია.

1093. ტყეში სიარული, მასში დროებით დაკარგვა, დაბნევა, შემდეგ კი საკუთარი ძალებით გამოღწევა – ყველა ადამიანისთვის, განსაკუთრებით შემოქმედისთვის, უდიდესი კაიფია.

1094. ადამიანები რჩევას იმისთვის კი არ გთხოვენ, რომ შენი გონიერი პასუხით ისარგებლონ, არამედ, აინტერესებთ, თუ რამდენად ემთხვევა მათი ნააზრევი თქვენსას.

1095. ადამიანის ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი წლებია, რადგან სიცოცხლეს ვერავითარი ფულით ვერ იყიდი.

1096. არიან ადამიანები, რომლებსაც უსიამოვნება გართობად მიაჩნიათ, ხოლო გართობა – ველური ბუნების გამომჟღავნებად.

1097. ჩინური ფილოსოფიით, ვისაც სიცოცხლეს შევუნარჩუნებთ, მთელი ცხოვრება მას უნდა ვუპატრონოთ. კავკასიელ მთიელებში უნებლიე მკვლელი ვალდებულია მოკლულის მშობლებს და მათ შვილებს უპატრონოს. იაპონელები, მკაცრი დასჯის მომიზეზებით, დამნაშავის მაგიერ მის ახლობლებს სჯიდნენ, რადგან ადამიანის აღზრდის სხვა ფილოსოფიურ გზას იმ დროს მათ ვერ მიაგნეს.

1098. როდესაც ადამიანებს გადამეტებული ამბიციები ერთმანეთში მორიგების საშუალებას არ აძლევს და თან ერთმანეთის შურთ, ყოველთვის კონფლიქტური სიტუაცია იქნება, სიამაყის, ნიჭის და შესაძლებლობის მიუხედავად.

1099. ვინ არის საშიში საარჩევნო კამპანიის წარმართვისას: უნიათო პოლიტიკოსი, მლიქვნელი ვიგინდარა თუ საეჭვო გზით გამდიდრებული „ოლიგარხი?" – ადამიანები, რომლებსაც ამ მედროვე ვიგინდარებს კანდიდატებად თავის წარდგენის უფლება მისცეს.

1100. ადამიანების და ძაღლის ერთგულებას შორის ის სხვაობაა, რომ თუ დააპურებთ და ხელს მოუმართავთ, ძაღლი სიკვდილამდე თქვენი ერთგული დარჩება, ხოლო ადამიანი თუ წელში გაიმართა და თქვენზე მაღლა დადგა, შეიძლება მისმა „შეურაცხყოფილმა" მადლიერებამ ჭირი მოგჭამოთ.

1101. ხანდახან ქვეყნის ბედის ბორბალი უპერსპექტივო ადამიანების ხელში ხვდება, თუ ისინი ამ ბორბალის დატრიალებას მოახერხებენ, მისი გაჩერება შემდგომ ზევითაც აღარ ძალუძთ და ბევრ ახლობელსაც გასასრესად ქვეშ მოიყოლიებს.

1102. არიან ადამიანები, რომლებზეც არგუმენტები არ მოქმედებს და ეს არც თუ ისე ცუდია, რადგან ამ სიჯიუტის გარეშე ეროვნულობა დებიტ-კრედიტის ბუღალტერიას დაემსგავსებოდა.

1103. იმიჯის ასამაღლებლად საჭიროა მოხერხებული ადამიანი იყო, იმ პირობით თუ ირგვლივ მყოფნი ყეყეჩები არიან, რომლებსაც არ უნდათ დაინახონ სხვაობა ჭკვიანსა და გაქნილ კაცს შორის.

1104. ხელმოკლე ადამიანისთვის ღირსება, პატიოსნება და ზნეობა ცხოვრების ნორმაა. მაგრამ როგორც კი გამდიდრდება, მორალზე ლაპარაკის სტატუსს იტოვებს, ხოლო ადამიანური ღირსება და პატიოსნება სადღაც თანდათანობით ქრება.

1105. როგორც ადამიანს, უნდა გიხაროდეს მოწინააღმდეგე ოპონენტის „ფეხზე ფეხის დაბიჯება", მაგრამ როგორც მოქალაქეს ამის სურვილი არ უნდა გქონდეს, რადგან აქ სხვების ინტერესებიცაა ჩადებული.

1106. პრეტენზიას კარგი ცხოვრების მიმართ მაშინ უწერია ახდენა, თუ ფიქრს და სწორი გადაწყვეტილების მიღებას ვისწავლით, ქვეყნის მმართველს ავირჩევთ და თავზე კი არ წამოვისკუპებთ, არამედ დავიქირავებთ, ანგარიშს მოვთხოვთ, აი, მაშინ ვიგრძნობთ თავს ადამიანად და ჩვენს ირგვლივ მყოფთ კი – ხალხად.

1107. ნორმალური ადამიანები არანორმალურ გარემოში არ შეიძლება იყვნენ ნორმალურები.

1108. დაბადების დღეს ადამიანმა თავის ხანდაზმულობა კი არ უნდა დააფიქსიროს, არამედ ის საორიენტაციო დრო, რომელიც საჭიროა ჩანაფიქრის განსახორციელებლად და დროის სატარებლად.

1109. ადამიანს უნდა შთავუნერგოთ და არა დავაშინოთ, რადგან შედეგი აქვს გამოუცნობი და სავალალო.

1110. ადამიანის ყველაზე დიდი ნიჭია თავის დაუმადლებლად შენახვა.

1111. ყველა ადამიანი თეორიულად წესიერია, მაგრამ პრაქტიკულად თუ საშუალება მიეცა, თაღლითობასაც არ გაურბის, ამიტომ შენც მოხერხებულად უნდა იცხოვრო, რათა თეორიის და პრაქტიკის მსხვერპლი არ გახდე.

1112. ძალა ყოველთვის უხეშობის გამოვლინება არ არის, თუ ის ადამიანს სწორ გზაზე აყენებს და ცხოვრებაში თავის ადგილს მიუჩენს.

1113. მორალი დედის საშოდან უნდა ჩაუნერგოთ, რათა დიდობაში ადამიანად ივარგონ.

1114. ნორმალური ადამიანის აზრი ერთია, მომავალი თაობა დააყენოს სიცოცხლის გადასახედზე, მაგრამ თავად იმქვეყნად გადაბარგების ასაკის დადგენა უჭირს.

1115. თუ გნებავთ თქვენს მიმართ ადამიანი კარგად განაწყოთ, მიეცით მცირე სისულელის ჩადენის უფლება და შემდგომ ერთად მოინანიეთ.

1116. ზოგიერთ ადამიანს შინაურ ფინიასავით უნდა მოექცეთ, დატუქსვით შემოიფარგლეთ. ამით ორთავე კმაყოფილნი დარჩებით, რადგან ერთმანეთს არც ნერვებს აუშლით და არც ხასიათს გაუფუჭებთ.

1117. ზედმეტი სითამამე ადამიანს აუზრდელებს და უფასურს ხდის.

1118. ტვინის ჭყლეტა ადამიანს არ ვნებს. პირიქით, ეს ხახუნი ახალ ენერგიას მატებს.

1119. ადამიანი ბუნებით მაინც უკულმართია, ხანდახან ისეთ საქმეში შეეცდება ხელის ამორევას, რასაც არც ნიჭი აკეთებინებს და არც ხელეწიფება.

1120. სამსახურის კიბეზე ასულს არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ადამიანი ხარ.

1121. ადამიანი, რომელიც ზედმეტს მოიხმარს, იძულებულია გაყიდოს აუცილებელი და ისიც, რაც მას არ გააჩნია – სინდისი.

1122. ადამიანი ამქვეყნად სხვისი სიამოვნებისათვის არის მოვლენილი თავის დაუვიწყებლად, მაგალითად: გარჯით რომ გულს იჯერებს, გაოფლიანდება და გაიფიქრებს, დღეს ოჯახს რაღაც შევმატეო, სიამოვნების ყლუპი გადაცდება, კვირაობით რაიმე საკითხის გადაწყვეტაზე ფიქრობს, ოპტიმალურ ვარიანტს მიაგნებს და გაიფიქრებს – ხედავ, რა ჭკვიანი ვარო, ვიღაცა გაჭირვებულს დაეხმარება, ნახევრად კეთილი ვარო და ასე შემდეგ, მართალია, სიკეთეს თითქოს სხვისთვის აკეთებ, მაგრამ თვითონ განიცდი ყველაზე მეტ სიამოვნებას.

1123. ადამიანს ხშირად ახალისებს სხვისი მარცხი, განსაკუთრებით, თვითონ თუ „უიღბლოა". ამით თავს იმშვიდებს და ახლობლებში ალიბი აქვს, ხომ ხედავ, ჩემზე გლახები სხვანიც ყოფილანო.
1124. ასაკთან ერთად ადამიანის პატარა სისუსტეები მატულობს რომელიც მისთვის უცნობია.
1125. შეუძლებელია ყოველთვის ადამიანმა თავის თავს აჯობოს და როდესაც ამას ახერხებს, სასწაულს ახდენს.
1126. ადამიანი ხშირად უნდა დაიცალოს დაგროვილი უარყოფითი ენერგიისგან. კარნავალებზე, სტადიონებზე, თანამეინახეებთან სუფრაზე და სხვა გასართობ ღონისძიებებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრბოში ეს ამოხეთქავს რევოლუციების, პერესტროიკის სახით. ამოფრქვევის შედეგად მიყენებული ზარალი ხალხისთვის დიდია, მაგრამ დიდი წვალების შემდგომ აღდგენას ექვემდებარება.
1127. თუ ადამიანი სიცოცხლით გადაღლილია, ყველაფერი ეზარება და უიმედოდ ებრძვის თავის მდგომარეობას, მაშინ დროულად მისი გარდაცვალება ყოველთვის სიავედ არ უნდა ჩაითვალოს.
1128. ადამიანის სურვილია პირველ რიგში იყოს დიადი, ცნობილი, ყველასთვის საყვარელი, თუ ეს არ გამოსდის, არც ფულზე და ცოდნის შეძენაზე ამბობს უარს და თუ ამასაც ვერ ახერხებს, მაშინ ბედს ურიგდება და ცხოვრობს ისე, როგორც შეუძლია.
1129. ადამიანი შინაგანი სიმშვიდისათვის ბევრ სისულელეს ჩადის – იღებს იმ რწმენას და რიტუალს, რომელიც მოსწონს ან შთამომავლობით ერგო, მაგრამ სერიოზულად არც ესმის მისი შინაარსი და წარმოშობის მიზეზები და არც აინტერესებს ამ საკითხზე ჭკუის ჭყლეტა.
1130. ადამიანი ენას თავის დღეში არ დაასვენებს, რადგან ის გონების დასვენების წინააღმდეგია.
1131. კაცის სიძუნწე და ყაირათიანობა მისი საქმიანობისაგან შორს მდგომისათვის ძნელი დასადგენია. მთავარია, ვის რა სურს ამ ადამიანში დაინახოს.
1132. ადამიანი, რომელიც თავის ტალანტის, შრომის, მცდელობის საზღაურს არ იღებს და არ შეუძლია განახორციელოს ოცნების ნაწილი მაინც, ის საზოგადოებისთვის საშიში ორფეხა ცხოველია და მას უნდა ვერიდოთ.
1133. ადამიანი მაინც სულიერი ცხოველია და მას, პირველ რიგში, სიყვარულთან სულის სიახლოვე აერთიანებს, რადგან ტანის სილამაზისადმი აღფრთოვანება სულიერების ჩაურევლად გამოცდას ვერ უძლებს.
1134. ისტორიის გაკვეთილებმა ადამიანს ვერაფერი ასწავლა, რადგან ის დღევანდელობით ცხოვრობს.
1135. ადამიანი, რომელიც ამ სამყაროს სულიერებას გრძნობს და მომავალში დედამიწის გაქრობაში ეჭვიც არ ეპარება, ის მომავალს ეჭვის თვალით უყურებს და ცხოვრების სიამე ბოლომდე ვერ ეწაფება.
1136. ადამიანს დრო და შესაძლებლობები ცვლის და არა წლების მატება.
1137. ყველა მონაცემით ადამიანი ბუნებასთან ჰარმონიაში უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ მას თავისი ხუშტურებით ცხოვრება ურჩევნია.

1138. გულიან ადამიანს საქმე არ გამოსდის, რადგან ის ადამიანებს მეტად აფასებს, ვიდრე სინამდვილეშია, უგულოს საქმე უკეთ მიდის, რადგან ადამიანებს ისე ეპყრობა, როგორც თითქოს არ უნდა მოეპყრას, მაგრამ კარგი და ცუდი დანახვით კი არ უნდა შეფასდეს, არამედ საქმით და შედეგით.

1139. ადამიანს შეიძლება ყველა უფლება წაართვა, სიცილის და ტირილის გარდა.

1140. პირველ რიგში ჩვენ ბუნების შვილები ვართ და ადამიანებად უნდა ვიქცეთ. შემდგომ უნდა ვეცადოთ ერისშვილად დავრჩეთ, ქვეყნის მოქალაქე გავხდეთ და სამყაროს შვილად მოვევლინოთ, რათა ჩვენი ნიჭი წამოვაჩინოთ იმგვარად, რომ სხვასაც არგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს ვერც ერს ვარგებთ და ვერც სამშობლოს.

1141. ადამიანს უნდა ვუსურვოთ ყველაზე მთავარი: რაც შეიძლება ნაკლები იყოს მის ცხოვრებაში ტელეფონის მოულოდნელი ღამის ზარები.

1142. ყურადღება, ზრდილობა, თავაზიანობა მისასალმებელი ქცევაა, მაგრამ ნეგატიური პოზიციაა და თავის მოსაწონებელი ფანდია, რომელიც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ შედეგს არ იძლევა, მით უმეტეს, როდესაც ადამიანთა უმრავლესობა უმადურია და ზოგ მათგანს ამის საფასურად მათრახის გადაკვრა სჭირდება.

1143. ადამიანისათვის ძალზე დიდი მაცდუნებელი დემონია ცივილიზაცია, რომელსაც წინ ვერაფერი აღუდგება.

1144. ცრურწმენა ადამიანის სურვილის, მისწრაფების, თავისებური დამამშვიდებელი პრეპარატია.

1145. ადამიანი სუსტი, ხარბი, გაუგებარი არსებაა, რაც უნდა დიდი წარმოდგენა გვქონდეს მასზე და საკუთარ თავზე.

1146. რელიგიის, ეროვნულობის ერთ-ერთი უსამართლობა ისიცაა, რომ ადამიანს თავს ახვევს გაუაზრებელ რწმენას, ტრადიციების ზეწოლას, რომლის არჩევანი მას სიმწიფეში უნდა გაეჯერებინა.

1147. ადამიანის რაობა სულის სიდიადით არის ამოშენებული და არა მუდამჟამს ზეიმისთვის გამზადებული სხეულის აგურით.

1148. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს რაღაც თავისი, განსაკუთრებული, ისეთი სულიერი, რომლის შეხება კი არა, მოფერებაც არ შეიძლება.

1149. გარკვეულ საზოგადოებრივ ფორმაციაში ადამიანი თანდათან დეგრადირდება და ჩამორჩება, წინ წასასვლელად მას ახალი მორალი, რწმენა და გათავხედებული იდეები სჭირდება.

1150. ადამიანი უცნობ სისულელეს, ყბედობას, უფრო სიამოვნებით აღიქვამს, ვიდრე კანონზომიერებას, პერსპექტივის მქონე მსჯელობას.

1151. ადამიანი შემთხვევის, ბედისწერის, ბედნიერების, ლოდინში ატარებს სიცოცხლეს.

1152. ადამიანის საზომი მისი ქცევაა და არა აზროვნება.

1153. სიყვარული ადამიანის პიროვნებად აღიარებაა.

1154. სამყაროს მონა, ადამიანი, ბუნებაზე თავხედობს, ეს უკანასკნელიც ვალში არ რჩება და შიგადაშიგ ალიყურსაც გააწნავს, მაგრამ ორფეხა ვერც ჭკუას სწავლობს და არც ეპუება, ხოლო სამყაროს როდის მოსწყინდება მათი დაპირისპირების და თავხედობის ყურება, არავინ უწყის, რადგან მისი გაბრაზება კაცობრიობის დასასრულის მაუწყებელი იქნება.

1155. ემოციური, ამბიციური, რწმენა ადამიანისთვის აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრება ვერც წინ წაიწევდა და არც სიცოცხლეს ექნებოდა ფასი.

1156. უბედურება – ბედნიერება, გაუმართლებლობა – გამართლება, ყოველთვის გვერდიგვერდაა, მიუხედავად იმისა, ადამიანს სამართლიანად ეჩვენება თუ უსამართლოდ.

1157. თანამედროვე ადამიანის პრობლემაა რომელ პერსპექტიულ საზოგადოებაში ამოივსოს კუჭი და რომელ პრესტიჟულ კლინიკაში დაიკლოს წონა დროის დაკარგვის და ძალისხმევის გარეშე.

1158. ადამიანისთვის ყველაზე სასიამოვნო გართობა მასლაათია და არა გონების კონტროლით საუბარი.

1159. ადამიანი სინდის-ნამუსზე ფიქრის უნარს მაშინ კარგავს, როდესაც მისი სიცოცხლე საფრთხის წინაშეა ან შია.

1160. ადამიანმა მიწა თავისი შრომით უნდა გაალამაზოს, რადგან უდაბნოში სიკვდილის და დამარხვის წარმოდგენა საშინელებაა.

1161. კეთილი ნების ადამიანი ყოველთვის სიავის წინაშე დაუცველია, რადგან მას ყოველივე თავისი გულკეთილობით, უსუსურობით და ადამიანის მგლის ბუნების შეუცნობლობით მოსდის.

1162. რატომღაც ადამიანს სხვისი ფულის თვლა, საცვლებში ქექვა, ჭუჭყში ხელების ფათური სიამოვნებს, ალბათ, იმიტომ, რომ ხალხის უმრავლესობა ცხოვრებაში ვაგონია და ორთქლმავლის შერჩევას ფიქრობს.

1163. ადამიანად რომ ვიქცეთ, მთელი თავით მაღლა უნდა ვიდგეთ საკუთარ აზროვნებაზე, ხასიათზე, ქვენა გრძნობებზე.

1164. ადამიანისთვის მთავარია რიტუალი და იქ მისი სულისთვის ადგილის მოპოვება, ხოლო რწმენა შეჩვევაა და წინაპართა ნანდერძევი.

1165. ავანტურიზმის სული ყველა ადამიანში უნდა ბუდობდეს, ოღონდ მისი გამოყენების ოდენობას და მოსათმენ თავხედობას დრო და საზოგადოება განსაზღვრავს.

1166. ადამიანი სიამაყით, სიყვარულით, ერის ისტორიის ცოდნით უნდა ავღზარდოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის ქვეყანაც და ხალხიც დაკარგულია, რადგან აღფრთოვანების კოშკის შეგრძნების უნარის რაობა თავის ეროვნულობის მიმართ უქვეითდება, უქრება.

1167. ადამიანის გარდაცვალების ტრაგიზმს მისი ასაკის მიხედვით განვიცდით, ხოლო დამსახურებას რეკლამირებული რეგალირების მიხედვით ვადგენთ.

1168. ადამიანი ცოდნის გარდა ყველაფერს დატოვებდა მისთვის 20 წლის ასაკი რომ დაებრუნებინათ, მაგრამ ცხოვრების გამოცდილების დაგროვილი მარაგი რამდენად შეუწყობდა ხელს მის გაჯეელების შეცნობას, ეს უკვე სათუო და სადაოა.

1169. „საზოგადოებრივი ცხოველი, „ადამიანი", ცხოველთა ჯოგისგან იმით განსხვავდება, რომ მას აღებ-მიმცემლობისთვის და თავის სარჩენად ფული და მისი შოვნა სჭირდება, ხოლო ჩვენი პლანეტის ოთხფეხა „ზემლიაკები" მის გარეშე თანაარსებობასაც ახერხებენ და გამრავლებასაც, ისე, რომ ბუნების კანონებს არ არღვევენ.

1170. ადამიანთა უმრავლესობა ყოველთვის ინსტინქტებით ცხოვრობდა და საზრდოობდა და არა გონებით, რომელიც მას იშვიათად აწუხებს და სჭირდება.

1171. ადამიანი ხანდახან იმას წაეპოტინება, რაც არ იცის და დილეტანტია, მაგრამ მოსწონს და ეთაყვანება, მომავალი კრახის შეგრძნების მიუხედავად.

1172. ადამიანისთვის უმთავრესი მომავალია, მაგრამ რატომღაც თავის წარსულს მისტირის, რომელიც პირველისგან განსხვავებით არც აფრთხობს და არც აღელვებს, მაგრამ იმ ახალგაზრდობას აგონებს, რომლის ანალოგიც დღეს მისთვის გაუგებარია.

1173. ნამდვილად თავისუფალი მაშინ არის ადამიანი, როდესაც მას ყველაფრის კეთება შეუძლია თავისი სინდისით და სახელმწიფო აპარატის მეთვალყურეობით, რომლის შესახებ მან უნდა იცოდეს, მაგრამ არ უნდა გრძნობდეს.

1174. ადამიანს „სინდისი" არ აძლევს ნებას, სხვას იმაზე მეტი მოახვეჭინოს, რაც მის შურიან თვალებს ეჩვენება.

1175. წარსულით სიამაყე, მისი პატივისცემა, ადამიანად გვაქცევს, ხოლო აწმყოს აღიარება მოქალაქედ.

1176. ცუდ ადამიანშიც შეიძლება კარგის მოჩხრეკა, მაგრამ არ ღირს, იმდენად მცირეა და უმნიშვნელო.

1177. ყველა ადამიანის ოცნებაა იყოს ლამაზი, ძლიერი, პატივმოყვარე, შეძლებული, ხოლო როგორ და სად განახორციელებს ამას, დღეს დიდ მნიშვნელობას არავინ ანიჭებს.

1178. ყველა ადამიანის სურვილია ცხოვრებაში ერთხელ თავს სულს ფესტივალი მოუწყოს.

1179. ადამიანს იმ სურვილის დაკმაყოფილებაც უნდა, რომელიც ჯერ არ მოუფიქრებია და არც იცის.

1180. გაწითლების უნარი საკუთარი ქცევის გამო იშვიათ ადამიანთა ხვედრია.

1181. ალბათ ყველაზე კარგი მკურნალი ადამიანისთვის დროული სიკვდილია, რომელიც მას ყოველგვარი დაავადებისგან ანთავისუფლებს და არჩენს.

1182. ზოგი ადამიანი გაუზრდელი ბავშვივით იქცევა, რომელიც მოვალეობას არად დაგიდევთ, საკუთარი გართობისთვის არავის ეპუება, თან პრეტენზიები და საყვედურის თქმაც სხვის მიმართ არ ავიწყდება.

1183. ყველა ადამიანი მისთვის განკუთვნილი დროის ჯალათია, თუ ამ დროის მონაკვეთს უხიაგად იყენებს.

1184. ადამიანს სხვა რელიგიებისა და მორწმუნეთა გაცნობა საკუთარ რწმენას აკარგვინებს და მათ შორის რაღაც საშუალოს, ახლის ძებნას იწყებს, რომელიც ხშირად სექტად მოგვევლინება.

1185. არიან ადამიანები რომელთაც მოწონება შეუძლიათ და არა სიყვარული, ღალატი შეუძლიათ და არა – ერთგულება, გულგრილნი არიან ყველას და ყველაფრის მიმართ, მაგრამ ისინიც ადამიანები არიან და ისეთები უნდა მივიღოთ როგორებიც არიან, რადგან მათი გამოსწორება ჩვენს შეძლებას აღემატება, ხოლო მცდელობა დროის დაკარგვის ტოლფასია.

1186. ადამიანს ის უფრო სძულს, ვისაც შეურაცხყოფა მიაყენა, ვიდრე ის, ვინც თავად შეურაცხყო, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის სოციალური მდგომარეობით მასზე მაღლა დგას.

1187. ჩვენთვის საძულველ ადამიანს ადრე თუ გვიან სამაგიერო მიეზღვება, თუ არ დავეხმარებით და მიქელ-გაბრიელის საქმეში არ ჩავერევით.

1188. ადამიანი, რომელიც ასაკით წარსულს ეთამაშება, შეიძლება აწმყოს წინაშე ყოველთვის მართალი არ იყოს, მაგრამ ამის აღიარება უჭირს.

1189. ყველა ადამიანისგან რაღაცის სწავლა შეიძლება და მისდამი თანაგრძნობაც, მაგრამ სხვისი ჭირი შენად არ უნდა გაიხადო, თორემ შეიძლება საბოლოოდ სათრევად შენ აგკიდონ.

1190. ცუდ ადამიანზე საშინელი ისევ უცნობი ადამიანია, რომელსაც ჯერ თავისი ვერაგი ბრჭყალები არ გამოუჩენია.

1191. ადამიანი ოცნებით ყველაფერს იღებს იმ შემთხვევაში, თუ იმაზე ფიქრობს და ნატრულობს, რაც არ არსებობს.

1192. პირველ რიგში ადამიანისათვის ქვეყნის ძლიერებაა აუცილებელი, შემდგომ – ფუფუნება, რადგან პირველის გარეშე მეორე საფრთხეშია და შენს ჭკუაზე პოლიტიკაში მჯობნის-მჯობნის გარეშე არავინ გაგრიალებს.

1193. ადამიანი სიკვდილის შემდეგ ცხოველადაც იქცევა და მცენარედაც, გააჩნია, განგების ნებას – საიდან დაიწყებს მის ჩამოყალიბებას და შექმნას.

1194. ადამიანი როდესაც თავისი სამშობლოს მატერიალური და ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობაზე ზევით ამაღლდება, ის სამყაროს შვილია და იგი სხვა ქვეყანაში ბედს უნდა ეწიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავისთვისაც, ერისთვისაც და ისტორიისთვისაც შეიძლება დაუხარჯავად დაიკარგოს.

1195. არიან ადამიანები, რომლებსაც ყოველგვარი შეკითხვის გარეშე ყველა საკითხზე დიდი ხანია პასუხი გაცემული აქვთ, მაგრამ მათ ნაღვაწს არც არავინ იყენებს და არც არავის ჭირდება.

1196. ადამიანისთვის მთავარია მამაცობა, რისკის გაწევის უნარი, შიშის რეალური შეცნობა, გახვეული ღირსების მატიანეში, რომელიც ხშირად თავს საყვედურობს, რატომ არ არის გმირი.

1197. შუამავლობის ნიჭი ადამიანის უარყოფითი თვისებაცაა, რადგან რაღაც. მიზნით შენ იმას ლაპარაკობ, რასაც არ ფიქრობ და ნებაყოფლობით იმას აკეთებ, რაც შენთვის შეიძლება არავის უთხოვია და არც გინდა, მაგრამ საქმეს სჭირდება.

1198. ყველა ადამიანს აქვს ნაკლი და ზადი, მაგრამ ზოგს ეს მეტად აქვს გამოხატული, ზოგსაც საშუალო შეწონილად, ხოლო ზოგისა კი ნაკლები და შეუმჩნეველია. სწო-

რედ ასეთი უზადო ხალხია საშიში და საზიფათო, რადგან არავინ იცის, სად, როდის, ვისთან გადმოანთხევს დაგროვილ უარყოფით ენერგიას.

1199. ადამიანის სული ფაქიზი კონსერვატორია, რომელიც ხშირად ტექნიკური პროგრესის, ახალი იდეების, შემოტევის შედეგად დანაგვიანებას ვერ იტანს. შედეგად, საკითხის მოგვარება რევოლუციებით, შეხლა-შემოხლით, გაჯანჯლებით, ისევ სიახლესთან შეთანხმების ხარჯზე ხდება.

1200. ადამიანი დროს კი არ აცდენს, არამედ მას თავის სიამოვნებისთვის და სხვისი კეთილდღეობისთვისაც იყენებს, აქ მთავარია ის, თუ ქვეყანამ და მისმა ახლობლებმა ამ ადამიანისგან რა ხეირი ნახეს.

1201. ადამიანს სიცოცხლეში ხშირად ეყრება თავზე ბედნიერების ნამსხვრევები, რომელსაც ვერც აჩჩნევს და ვერც გრძნობს, რადგან ბედნიერება განუსაზღვრელი, მოულოდნელი, დასამახსოვრებელი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ფასი დიდი იქნება, ღირებულება კი – უმნიშვნელო.

1202. ადამიანი თავად რომ არ ნახულობდეს მოუფიქრებელ შეზღუდვებს, ის ძალზე ბევრ სასიკეთოს გააკეთებდა.

1203. ადამიანის მიღწევები დამოკიდებულია გონიერ წინააღმდეგობაზე, კეთილისმდომ ოპონენტებზე და საქმისადმი სიყვარულით შემართებაზე.

1204. ადამიანს ბედნიერება – უბედურებაზე შედარებითი წარმოდგენა აქვს და მისი შეფასება ცხოვრების დონის და ტრადიციების გათვალისწინების გარეშე ძალზე უჭირს.

1205. ადამიანის ამქვეყნად მოვლენისას მთავარია რომელ ანგელოზს ეძინა: სილამაზის, ბედის, ჭკუის, თუ საერთოდ, ყველას მკვდარი საათი ჰქონდა გამოცხადებული, რადგან ერთ-ერთის სიფხიზლე ცხოვრების შანსს გვიტოვებს.

1206. დღეს ადამიანი და მისი ბუნებაც უმართავი და გაუგებარია, რადგან ხალხი მოყვასის ცუდ ქცევასაც გულით არ გმობს და შურს კიდეც – აქ მაინც ვარგებულიყავიო.

1207. ამ ბოლო დროს ადამიანი არა მარტო ფიზიოლოგიურად, არამედ სულიერადაც ღორს ემსგავსება, რადგან თუ ტალახში არ გაკოტრიალდა, არავინ აჩჩნევს, ციხეში მოხვედრა რეიტინგს უმაღლებს და საქმეში ეთვლება, ხოლო „მასმედია" მხოლოდ იმათ შემჩნევაში, სამართლის ძებნაში და ქება-დიდებაშია, ვინც რაღაცაში თავი გამოიჩინა და მიქარა.

1208. მორალისტი და ჭკვიანი ადამიანი მანამ არის მოსათმენიად აღფრთოვანების ღირსი, სანამ ჩვენს კარიერას არ დაემუქრება და ტვინს რეცხვას არ შეუდგება.

1209. ადამიანები ყველგან თავისებურად ბედნიერები და ყბედებიც არიან, მაგრამ ერთი პირობით, ერთს შეუძლია ხალხს თავი დაამახსოვროს, ხოლო მეორეს ეს არ გამოსდის.

1210. ადამიანმა არა მარტო სიამოვნებისთვის, არამედ უსიამოვნებისთვისაც ფულის გადახდა უნდა ისწავლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის მოქალაქედ ვერ გამოდგება.

1211. ადამიანი სასწაულს ახდენდა არა თავის კუნთებით, არამედ გონიერებით, გულისხმიერებით, სიყვარულით, რომელსაც ჩვენი საქციელი ჰქვია.
1212. ადამიანი ოცნებით გამაგრებულ სისულელეს რომ არ სჩადიოდეს, მაშინ ცხოვრებას ემხი დააკლდებოდა და თავის პეწს და აზრს დაკარგავდა.
1213. ადამიანები, რომელთათვის ყველა ქვეყანა სამშობლოა, ყველა ერი მათი ერია, ყველა ხალხი მათი ძმებია, თუ კი მათი მის მუქთად და მათივე ჭკუაზე შენახვა შეუძლია.
1214. ადამიანისათვის საკუთარი თავის სასიკეთოდ შეცნობა ყველაზე დიდი ბედნიერებაცაა და ამბიციური სისუსტეც.
1215. ადამიანი გაცილებით მეტად უნდა ენდობოდეს სულთან და ბედთან შერწყმულ საკუთარ სასწაულს.
1216. ადამიანი კი არ უნდა შევაფასოთ, არამედ უნდა დავაფასოთ, თუ გვინდა მისი სულიერი სამყაროს შეცნობა და გაგება.
1217. ადამიანის გაუხსენებლობას ისევ ჯობს ცუდად იხსენებდნენ, რადგან გახსენების გარეშე ის ისტორიის თეორიისთვისაც მკვდარია.
1218. ადამიანს უნდა შეეძლოს თავის დაცვა მოძმისგან და თავს მოხვეული სარწმუნოებისაგან, თუ უნდა დროის შესატყვისად და თავისი ჭკუით იცხოვროს.
1219. ადამიანებს შორის ურთიერთობა იცვლება, მაგრამ ერთმანეთისთვის ნაჩუქარი სულიერი განწყობა რჩება და დიდხანს ობი არ ედება.
1220. ლამაზი ადამიანების ყოლა ყველაზედ დიდი სიმდიდრეა ქვეყნის ღირსებისათვის, რომელსაც რატომღაც დიდად არც არავინ აფასებს და არც არავინ უფრთხილდება.
1221. ადამიანს სიცოცხლე ერთხელ ეძლევა, ხოლო თავად მრავალის შექმნა შეუძლია მეტად საინტერესო და სასიამოვნო წესით და იმის შეგრძნებით, რომ მან სამყაროს ყველაზე ძვირფასი სიცოცხლე აჩუქა.
1222. ადამიანები ცდილობენ გუშინდელი ფილოსოფიიდან თავის დაღწევას, მაგრამ საკაცობრიო ღირებულებანი უცვლელი რჩება და მორალის მუხრუჭებს ხელიდან ვერ უსხლტებიან.
1223. ადამიანი სიავით იბადება, სიკეთით იცხოვრებს და მადლით იმ ქვეყნად გადაბარგდება იმ შემთხვევაში, თუ მის აღზრდაში დროულად მიიღებს მონაწილეობას, მშობლები, მასწავლებლები და ის საზოგადოება, რომელიც ჯეელის ჩამოყალიბების პერიოდში არ გადაირევა, ბრბოდ არ იქცევა და თავის წამპალ ბუნებას ვადაზე ადრე არ გამოავლენს.
1224. ადამიანის ბუნება და მისი ჭკუა ბნელ სამყაროს მიეკუთვნება და გამოკვლევას არ ექვემდებარება, მეცნიერებამ რაც უნდა მოინდომოს.
1225. კარგია, როდესაც ადამიანს რეალურ ოცნებასთან ოცნებით მიახლოება შეუძლია.
1226. ადამიანი იმის მიხედვით არის ბედნიერი, რწმენა, ოცნება, რაობა ცხოვრების სინამდვილეს როგორ მოარგო.

1227. ზოგი ნიჭიერი ადამიანი ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოში და აშშ-ში რომ დაბადებულიყო, ამ ქვეყნების პრეზიდენტობაზე განაცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ რადგან სხვაგან დაიბადა და აღიზარდა, თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ რევოლუციონერად და ტერორისტად გვევლინება.

1228. ხშირად ადამიანი სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს და ეს არის მისი ნების გამოხატვა და ყველაზე დიდი გმირობაც, რადგან მან თავისი ნიჭი და მისწრაფება სხვისი უფრო დიდი ნიჭის წარმოჩენას შესწირა.

1229. ადამიანს, წარმოსახვით წამში შეუძლია მისთვის საინტერესო ცხოვრების გავლა თუ მომავლის დანახვის და შეცნობის უნარი ზევიდან მომადლებული აქვს.

1230. ადამიანი იქ უნდა ცხოვრობდეს, სადაც უნდა და არა იქ, სადაც ოცნებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერც სამშობლოს გამოადგება და ვერც თავს, რადგან სხვისთვის გაუგებარი საკუთარი ამბიციები ამის საშუალებას არ მისცემს.

1231. ირკვევა, რომ ყველაზე უკეთესი იჭვნეული ადამიანია, ხოლო რომელმაც ყველაფერი იცის და თავში ეჭვიც კი არ გაუელვებს, ის დამონებისთვის და სხვის დასამონებლადაა განწირული.

1232. ადამიანს გაუცხოების სიმპტომი მაშინ ეწყება, როდესაც საყოველთაო ღირებულებები და მისაბაძი პირების ბიოგრაფია დევალვაციას განიცდის და სულის დასამშვიდებლად მხოლოდ ფულის შოვნის მცდელობა რჩება.

1233. ადამიანს ყველაზე მეტად სხეულის ჭრაჭუნითაც კი სიბერესთან შეხვედრა უნდა უხაროდეს, რადგან ეს პაემანი შესაძლებელია სულაც არ შემდგარიყო და გონებას განსასჯელი, გასახსენებელი და სასაყვედუროც არაფერი ექნებოდა.

1234. ადამიანისათვის იუმორის გრძნობა საკუთარი ღირსებითაა მთავარი, რათა სიამაყით განვლოს წუთისოფელი და არ გაათრიოს.

1235. ადამიანის ფეხები და გარჯა – კვებას, ხოლო თავი და მოხერხება სახელის მოხვეჭას სჭირდება.

1236. ადამიანს ყველაზე მეტად მის გვერდით ღარიბის ცხოვრების უნდა ესირცხვებოდეს, იმ შემთხვევაში, თუ მას უსაქმურობის ჭია არ ღრღნის და მის მოსაშორებლად ხელის განძრევაც არ უნდა.

1237. არიან ადამიანები, თაობები, რომლებიც არასდროს ჭაბუკები არ ყოფილან, რადგან განგებამ მათვის ბავშვობა არ გაიმეტა.

1238. ყველაზედ მეტი შარლატანი თავის მიმართ ის ადამიანია, რომელიც ყველაზედ მეტად თავს ღალატობს და ეთაღლითება.

1239. შეუგნებელი ადამიანის ყველა უღირსობას სიყვარულის საყვირის შეგრძნება ხაზს გადაუსვამს და თანდათან ბიშტსაც უჩვენებს.

1240. ადამიანი სამყაროს უსასრულობის პატარა ნაგლეჯია, მაგრამ დიდი გულის მქონეა.

1241. ადამიანი გადაგვარებაშიც პროგრესს და სიახლისკენ ლტოლვას შეიცნობს, თუ ამის ნიჭი აქვს.

1242. ადამიანს სიმდიდრე კი არ აფუჭებს, არამედ მისი გამოყენების არცოდნა.

1243. დღეს ადამიანის გაოცება უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოტყუება, რადგან პირველს შინაგანად ეწინააღმდეგება, ხოლო მეორეზე სადღაც თანახმაა და სიამოვნებს კიდეც.

1244. ადამიანის ბედისწერა მისი ხასიათია და არა ის გარემო, სადაც ცხოვრობს, რადგან სურვილის შემთხვევაში მისი გამოცვლა ყოველთვის შეეძლო.

1245. ადამიანის დანიშნულებაა ცხოვრებას იუმორით უყუროს, რაიმე სამხიარულო გამოძებნოს, თავადაც ისიამოვნოს და სხვაც ასიამოვნოს.

1246. ადამიანი ასაკს მაშინ დააფასებს, როდესაც მის ფასს შეიცნობს და არა – იგრძნობს.

1247. ადამიანი თავის კმაყოფილი არასდროს არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თავის უსუსურობას სიცოცხლის ბოლოს შეიცნობს.

1248. ეტყობა, ადამიანის გონიერებას თუ უგუნურებას ყველაფრის კეთება შეუძლია და ეს ყველაზე მეტად უნდა გვაფრთხობდეს მასში.

1249. ადამიანს ისე არაფერი არ აფუჭებს, როგორც ცხოვრებაში რამდენჯერმე გამართლება, რადგან შედეგს თვითდაჯერება და გაამაყება მოსდევს, რომელიც მომავალში ფეხის წატეხვის საწინდარიცაა.

1250. ადაიმანს, რომელსაც სიცოცხლე უყვარს, ცხოვრებაზე მისთვის გაუგებარი აზრებით არ უნდა ძალადობდეს.

1251. ადამიანს საჩუქარს კი არ უნდა ვჩუქნიდეთ, არამედ ანკესს მისი ნიჭის შესაფერის სატყუარს, რათა დროულად დაკვალიანდეს და ცხოვრება არ გაიჭირვოს.

1252. ადამიანი მიზნისკენ, სიყვარულისკენ, სრულყოფილებისკენ მისწრაფებაა.

1253. ადამიანის კაპრიზის სრულყოფას საზღვარი არ აქვს და აქ გონიერება არაფერშუაშია.

1254. ენა ადამიანს ღმერთმა თავის აზრის დასაფარავად მისცა, ჭკუა – ენის საკონტროლებლად, ხოლო ინტუიცია შექმნილ გარემოში მის წარმოსაჩენად.

1255. ადამიანის გონიერებაზე პასუხისმგებელი ენაა, ქცევაზე – ხელები, გარეგნობაზე – პირი კუჭთან კავშირში.

1256. ადამიანი არც გულჩვილობისთვის უნდა შევიცოდოთ და არც სიმკაცრისთვის გავამტყუნოთ, წინააღმდეგ შემთვხევაში, საზოგადოება ვერ იარსებებს, ერთფეროვნებისა და გამოუცდელობისგან გადაგვარდება.

1257. ადამიანი დიდხანს მაშინ ცხოვრობს, თუ გულით უყვარს და გონიერება ამ გრძნობას სიყვარულითვე აკონტროლებს.

1258. ადამიანის შესაძლებლობა ფოცხზე ფეხის დაბიჯების და ქვაზე ფეხის წამოკვრის ყველა დროში ამოუწურავია, იმდენი ახალი სისულელეა ჩასადენი და აუთვისებელი.

1259. ადამიანის მტარვალი ბუნება ხანდახან თავს შეგვახსენებს და ამას არც ტექნიკური პროგრესი შველის და არც ცხოვრების გამოცდილება, რადგან მისი მიზანია თავისთავის კომპენსაცია, საზღაური, ამქვეყანას რომ მოევლინა.

1260. ადამიანს ხშირად თანდაყოლილი ადრენალინი ატყუებს და არა მისი სიბრიყვე და ჭკუამხიარულება, რადგან ზოგს ყველა თავგადასავალი სატრაბახოდ მიაჩნია, მიუხედავად იმისა, ის მის გონიერებაზე ლაპარაკობს თუ უგონობაზე.
1261. ადამიანს, რომელიც 24 საათი ფანქარ-ქაღალდით არის შეიარაღებული, ძილშიც კი ჩართული აქვს აზროვნების კომპიუტერი მის დასაფიქსირებლად და ამით ჩუმ კაიფს განიცდის. ბედნიერია მიუხედავად იმისა, რომის ამას გრძნობს, მაგრამ შედეგს ვერ ხედავს.
1262. ადამიანს ხშირად გამოაქვს სიკვდილის განაჩენი, მაგრამ მისი სამართლიანობა თავისი დროის ყოფიერებამ უნდა განსაჯოს და არა დღევანდელმა კანონიერებამ და სინდისის ქენჯნამ.
1263. ხანდახან ადამიანს ყოფიერების ბნელი წარსული წამოეწევა და მის ტყვეობაში აღმოჩნდება, რადგან საზოგადოებას ამ წარსულის მქონე კაცი არ ეპიტნავება.
1264. ადამიანთა დაახლოებას ურთიერთობის ფაქტორი განსაზღვრავს და არა სურვილი, დამოძღვრა, რადგან ყველა სხვა მცდელობა განწირულია ნაცნობობისთვის და არა მეგობრობისთვის.
1265. ადამიანს ეჭვიანობა უმეტესწილად სათადარიგო ნაწილებად აქცევს, რომელიც ხშირად ისე ძველდება და ცვდება, რომ გამოუსადეგარი ხდება.
1266. ადამიანის უმადურობას ზღვარი არ აქვს, განსაკუთრებით იმათგან, ვისგანაც ამას არ მოელი.
1267. აღზრდილი ადამიანი კანონს პატივს სცემს, აღიარებს, აღუზრდელი მას მაშინ ცნობს და ემორჩილება, როდესაც სასჯელის აღსრულების წინაშე აღმოჩნდება.
1268. ადამიანის ვიგინდარად ქცევას თანდაყოლილი ნაკლი, განაწყენება სჭირდება, ხოლო პოლიტიკოსად ქცევას ნაციონალიზმის მოშველიება და ყბედობის ნიჭი.
1269. როდესაც ადამიანის უგვანობას ხედავ, ყველაზე არანორმატული ლექსიკაც კი ლამაზ სიტყვებად იქცევა მის შესამკობად.
1270. ადამიანის სიბრიყვის შემცირებას არავითარი წლები, დრო და ისტორიული გამოცდილება არ შველის და დღეს ერთ სულ მოსახლეზე მათი რაოდენობა ხშირად იზრდება.
1271. ადამიანს იმაზე მეტი შეუძლია, რასაც ასწრებს და იმაზე ნაკლებს აკეთებს, რის მოსწრებაც აუცილებელია.
1272. ადამიანურ ფაქტორს ყოველდღიური ყურადღება და კონტროლი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანები კადრებად არ გამოდგებიან.
1273. ადამიანს თავისუფლება კი არ სჭირდება, არამედ მისი შესაძლებლობის გარანტია, რადგან ოცნებით ყველაფრის კეთება შეუძლია, სანამ არაფერს აკეთებს.
1274. ერთგული ადამიანი თუ მონად გადაგექცა, ეს შენი სულის გაფლანგვაა, რადგან სულ იმის ცდაში უნდა იყო რამე არ აწყენინო და მტრად არ მოიკიდო.
1275. სარეველასა და უტიფარ ადამიანს შორის ის მსგავსებაა, რომ სადაც არ გვინდა, იქ ხარობენ, ხოლო სადაც გვჭირდებიან იქ გვიგანებს
1276. ადამიანს თუ სიცოცხლე უნდა, ბევრ მიზეზს გამონახავს, რომ იცოცხლოს, ხოლო თუ სიკვდილი გადაწყვიტა, ამისათვის ერთი მიზეზიც საკმარისია.

1277. ადამიანის ყოფაში რომ გაერკვევი, ხვდები, რომ უმრავლესობას ცხოვრება ისე არ აქვს აწყობილი როგორც უოცნებია, მაგრამ თავი უნდა მოგაჩვენოს და ხშირად გამომწვევი ქცევის მიზეზიც ეს არის.

1278. ადამიანი შეიძლება სულთან მარტოდ დარჩეს, მაგრამ სხეულს სხვასთან ურთიერთობის გარეშე არსებობა უჭირს.

1279. ამბობენ, ადამიანს სიყვარული მამაზეციერმა ავხორცობისთვის და ტანჯვისთვის გამოუგზავნაო, მაგრამ როდესაც ლომების ჯოგში უფროსად ახლად მოვლენილი ხვადი დედა ლომებს ლეკვებს უხოცავს, რათა დროულად აძუება დააწყებინოსდა ამისათვის მას არავინ ჰკიცხავს. რატომ უნდა ვუსაყვედუროთ ქალებთან ურთიერთობისთვის მამაკაცს, თუ მისი ცხოველური ბუნება მდედრის დანახვისას თავს ვერ იკავებს.

1280. გარკვეულ საგანგაშო გარემოში ადამიანი კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ ის მეთავისეა, დაუნახავი არსებაა და იშვიათად, პიროვნება და კაცი.

1281. თუ ადამიანთა ურთიერთობა ქვეყანაში საპასუხო და საწინააღმდეგო რეაქციას არ იწვევს, ეს სახელმწიფო ფუფუნებისგან დამყაყებულია და მას ტერიტორიის გულგრილობის ჭაობიდან განთავისუფლება ჭირდება.

1282. რატომღაც ადამიანთა უმრავლესობა აკვიატებულ იდეებს ეხმაურება, რეალობას ყურად არ იღებს, მდგომარეობიდან ოპტიმალურ გამოსავალს არ ეძებს და იმით კმაყოფილდება, რაც მოსახდენია მოხდესო.

1283. ცნობისმოყვარე ადამიანისათვის მთავარი ის კი არ არის, რა უდევს თავში, არამედ რას მოახერხებს თავის გამოსაკვებ – შესამოსად და ირგვლივმყოფთა გასაკვირვებლად.

1284. ადამიანი იმიტომ მიდის იმქვეყნად, რომ მან თავის მისია შეასრულა, მაგრამ ვისი დავალებით იყო გამოგზავნილი და რა შეიხახვისთავა, არავინ უწყის და ეს მომდევნო თაობებს დაუტოვა საფიქრებლად.

1285. ადამიანი სამყაროს გონიერების სიმძიმის ტარებას თავის მხრებზე ცდილობს, მაშინ, როდესაც მას ამას არავინ ავალებს თავისი გაუმაძღარი ბუნების გარდა.

1286. ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასიც და გაუფასურებულიც ჯანმრთელობა და სიცოცხლეა, ოღონდ იმ ასაკიდან, როდესაც მის გადაფასებას და დაფასებას იწყებს და სწავლობს.

1287. თუ ადამიანს აზრი აეკვიატა და მისით ტკბობა შეიცნო, მაშინ ყოველნაირი აკრძალვა უძლურია.

1288. ადამიანი მაშინ ვერ გრძნობს წლების მატებას, როდესაც მისთვის ყველაფერი სულ-ერთი არ არის და იღვწის სიცოცხლის და ბედნიერების შესაცნობად.

1289. ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბებას უამრავი დრო სჭირდება, ხოლო მათ გარყვნა-გადაგვარებისთვის ერთი დღეც ბევრია.

1290. ადამიანისთვის მთავარია ყველა დროის საკუთარი ფრთების და თავისი წლების შესაფერისი საწვავის ფლობა.

1291. ადამიანისთვის კაცობა უნდა იყოს დიაგნოზი და არა კარიერისთვის ლტოლვა.

1292. ადამიანი ცხოველური წარმოშობისაა თუ ღვთაებრივისა, ამისთვის მისი სულის შეცნობა ყველაზედ დიდი სიბრძნეა, სულერთია, ამას ლოგიკის საშუალებით ახერხებთ თუ ინტუიციით.

1293. ადამიანის ცხოვრება ყოველდღიურ განათლებას, თავის წინაშე ანგარიშგებას და ღვთისადმი მორიდებას ეწირება.

1294. ადამიანებს იმიტომაც უჭირთ ურთიერთობა, რომ სიყვარული ყველას თავის სასარგებლოდ ესმის.

1295. ადამიანი გონიერების ხარჯვას ერიდება და არა ენერგიისას, რადგან ის მუდამ მზად არის თავშესაქცევი, გამოუსადეგარი აზრების მოსასმენად, შესაჯერებლად, ვიდრე გონიერებისათვის გამოსადეგი წინადადებების განსახილველად, გამოსაყენებლად.

1296. არ უნდა ვეცადოთ რომ ადამიანიდან რამე ცუდი გამოტყვრეს, თორემ ის ყოველთვის დაგიმტკიცებთ, რომ თქვენ მართალი ხართ.

1297. ადამიანი ცხოვრების აწყობას თავის შესაძლებლობებზედ მეტად უნდა ცდილობდეს და შესაძლებელზე მეტს უნდა ცოცხლობდეს.

1298. ადამიანს სიცოცხლისგან ერთი რამ უნდა – კარგი ცხოვრება, ოღონდ თავისებურად და მისი გაგებით.

1299. ადამიანისთვის სიცოცხლე ყველაზე ძვირფასია, მაგრამ მომხვეჭელობას და სახელს ხშირად წინ აყენებს.

1300. ადამიანს პიროვნებასთან გატოლება სიამოვნებს, მაგრამ მის ჯობნას უკვე ვეღარ იტანს.

1301. ადამიანს ყველა თავის უინიციატივობაზე, უსაქმურობაზე, პასუხი უნდა ვაგებინოთ, თუ გვინდა საქმიანი საზოგადოება მივიღოთ.

1302. ყველა ადამიანისთვის დედა რელიგია, მამა სარწმუნოება, ბაბუა საყვარელი ღმერთი, ბებია მფარველი ანგელოზი უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, ეს ხატები იმსახურებენ ამდენ მოწიწებას თუ არა.

1303. ასაკში ადამიანი ნაკლებად აგრესიული ხდება, რადგან იმქვეყნად გადაბარგების მოახლოებას გრძნობს და ამ ქვეყნიდან კეთილი სახელით უნდა წავიდეს.

1304. ადამიანის ქმედებას გონებიდან წამოსული შინაგანი და სულიერი ხმები აკონტროლებს, სადაც პირველი მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს და სულ წინ გიბიძგებს, მეორე გიბრალებს, არჩევნის საშუალებასაც გიტოვებს, მაგრამ დასახული მიზნის მიუღწევლობას არც ის გპატიებს.

1305. ადამიანზე დაკვირვება საინტერესოა, მაგრამ მაინც უშედეგოა, რადგან სად და როდის გამოტყვრება მისი ნაზრევის შედეგი, არავის უწყის.

1306. რატომღაც ადამიანს გადამეტებული სერიოზული ქცევა აჩიავებს და პროგრესისკენ გზას უღობავს.

1307. დანაშაულის ჩადენის საწყისი მაინც აფექტის და ეფექტის ხელშია და ეს ასე ხელაღებით რომ არ მოხდეს, ადამიანს ადამიანური აღზრდა სჭირდება.

1308. არიან ადამიანები, რომლებზეც ვერ იტყვით კარგები არიან თუ ცუდები, მაგრამ მათ სხვანაირად ცხოვრება არ შეუძლიათ.

1309. ადამიანს დღემდე ვერ ამოუხსნია რა არის პირველი: სული – გრძნობების აღმაფრენა, ხორცი – სიამისკენ მისწრაფება თუ გონიერება – გააზრებული ანგარიშგება, რადგან ხაბა-ხუბის გარეშე მათი ცხოვრება არ გამოდის.

1310. უვნებელი ტრაბახა ტყუილი ერთ-ერთი ხერხია ადამიანთა ურთიერთობის და დაახლოვებისა, რადგან მათ ჰგონიათ, რომ შემდგომში ისინი ერთმანეთს გამოადგებიან.

1311. ადამიანთა შეხვედრა შეიძლება გაუგებრობად ჩაითვალოს და არა შეცდომად, წინააღმდეგ შემთხვევაში წარსული არ იარსებებდა.

1312. სინდის-ნამუსი, აღზრდა, ლმობიერება და ტრადიციები ყველა ჩვენგანს მძიმე ტვირთად აწევს, მაგრამ მის გარეშე „ჰომო საპიენსი'' ადამიანად ვერ იქცეოდა.

1313. ადამიანი თავის ნაოცნებარიდან ბევრ რაიმეს ვერ ისრულებს, მაგრამ გონიერება ნაოცნებარის საამებლად ყველაფრის კეთებას ცდილობს.

1314. გონიერებისათვის საქმე და პერსპექტიული ადამიანი არსებობს და არა მისი ავტორიტეტი.

1315. საუკუნის ნაადრევი აზრები დამღუპველად მოქმედებენ ადამიანების მსოფლმხედველობაზე, მის დაღვინებაზე, მრწამსზე, რადგან ყველაზე დიდი აკლიმატიზაცია სამყაროში გონიერებას სჭირდება.

1316. ადამიანისთვის ერი – მშობელია, ნიჭი – სარწმუნოება, ფული – შემქმნელია, ხოლო ერთ-ერთის უქონლობით ცხოვრება ძნელდება და ქვეყნის მოქალაქედ ჩამოყალიბება ჭირს.

1317. ის რაც ჩვენ არ გვეხება სტატისტიკაა, ხოლო რაც გვაღელვებს – შემთხვევა და ამის გაცნობიერება არავითარ აღზრდას და დაფინანსებას არ მოითხოვს, რადგან ეს ადამიანის ბუნებაა.

1318. ადამიანთა უმრავლესობა ქამელეონია და სიკეთის კეთებას სხვის ხარჯზედ ცდილობს, ხოლო ფერს იმისდამიხედვით იცვლის ვინ მოვა მის საუფროსოდ.

1319. ხშირად ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ცხოველები უფრო განვითარებული არსებანი არიან, ვიდრე ადამიანები. თუნდაც იმიტომ, რომ ცხოველები თანდაყოლილი ინტუიციით წყვილდებიან, მშობიარობენ, თაობებს ზრდიან, ისე რომ მათთვის ეს არავის უსწავლებია, მაშინ, როდესაც ადამიანს ამდენი ცოდნის მოპოვების საშუალება აქვს და მაინც ბოლომდე ვერ გარკვეულა თავის მისიაში ამქვეყნად.

1320. ადამიანისთვის, რომელიც ბევრ რაიმეში ერკვევა და საქმე იცის, მისთვის ის სიხარულიც ცნობილია, რომელიც სხვის თვალში ასე ხალისიანად გამოიყურება.

1321. ადამიანს სიბერის და მარტოობის კი არ ეშინია, არამედ იმის, რომ მისი სამსახური არავის დასჭირდება და ჭკუასაც არავინ დაეკითხება.

1322. ადამიანს მთელი სიმართლე თავზე ერთბაშად არ უნდა გადმოაყარო, თორემ მან შეიძლება ქვეშ მოიქციოს და გასრისოს.

1323. ჭკვიანი ადამიანია ის, ვინც იცის, რომ შეცდომას მაინც დაუშვებს, მაგრამ ამჯერად ანალიზით და წინასწარი შედეგის ცოდნით.

1324. ადამიანი უნდა ეცადოს ისე იცხოვროს, რომ თავის ქალებზე ზრუნვა სხვას არ მიანდოს, მისი ცხოვრებისთვის გამოყოფილი მხიარული წუთებით სხვამ არ იმხიარულოს და მასზე არ თქვან, ჩაძაღლდაო.

1325. ადამიანისათვის სისულელის ჩადენის ღიტინი ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რომელსაც სითამამეს ფული ან დაუხარჯავი ძალა აძლევს, მაგრამ განხორციელებას ტრადიციები, ცხოვრების წესი და განათლება უშლის.

1326. ადამიანს, რომელიც თვითდამკვიდრებას ცდილობს, ხშირად არა აქვს რეიტინგი, ვინაიდან ის ანგარიშს არ უწევს ირგვლივ მყოფთა მოთხოვნებს რადგან თვითნაბადი ნიჭი ყოველთვის მოწონებას არ იმსახურებს.

1327. ადამიანი იბადება გარანტირებულ სიკვდილთან ერთად, ამიტომ ფიქრით, ოცნებით თავი არ უნდა შეიზღუდოს.

1328. ურთიერთ სჯა-ბაასის დროს ადამიანები სიკეთეს, სამართლიანობას ქადაგებენ და კაცობაზე დებენ თავს, მაგრამ როგორც კი ერთმანეთს დაშორდებიან, ღმერთისა და თავისი თავის წინაშე მარტო დარჩებიან, სულ საწინააღმდეგოდ იქცევიან. ეტყობა ამ უკანასკნელის შიში ნაკლებ აწუხებთ, ვიდრე თავიანთი თანამოძმე ნაშიერებისა.

1329. როდესაც ადამიანი ჩემს წინაშე თავს იწონებს თავისი მოსვირინგებული ტანით, ევოლუციური განვითარების სისწორეში ეჭვი მეპარება, რადგან ორფეხა ცხოველი არც ისე დიდი მანძილით დაშორებია თავის პირობით წინაპარს.

1330. ხანდახან ისეთ დანაშაულს გაიგებ, თავიც შეგეზარება და ადამიანთა მოდგმაც, მაგრამ იმაზე კი არავინ ფიქრობს, რომ ამ დანაშაულის ძირი უხიაგი მთავრობა, უჯიშო ხალხი და მისი უმართავი ეკონომიკაა.

1331. გონიერ ადამიანს დღეს დაღვრილ სისხლზე მეტად, ხვალ და მომავალში დასაღვრელი უფრო მეტად უნდა აწუხებდეს, მაგრამ ამას მხოლოდ გონიერება ხედავს და გრძნობს და არა ყოვლისმხილელი თვალი.

1332. ადამიანის მაიმუნთან მსგავსებას, პირველ რიგში, მისი მაიმუნური ჩვევები ადასტურებს.

1333. დრო შეიცნობს და ცვლის ადამიანს და არა ადამიანი – დროს.

1334. ჯიუტები ვერ იტანენ საკითხის ბუნდოვანებას, გადაუწყვეტელობას, საქმის ბოლომდე მიუყვანლობას. უყვართ სხვისი სწავლა-დარიგება. ასეთი ადამიანები დიქტატორებად გვევლინებიან და ისტორიული ქარიშხლის ამოვარდნის პერიოდში მათ გარეშე საკითხი არ წყდება, ე.ი. ქვეყნის მართვა ჯიუტების პერსპექტივა ყოფილა და არა ჭკვიანების, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროით მაინც.

1335. ადამიანი იმ ასაკს უნდა აღწევდეს, როდესაც შვილთა-შვილიშვილი ჭკუის დარიგებას დაუწყებს, ახალი თაობები თავიანთ შესაძლებლობებს აგრძნობინებენ და იმქვეყნად დამშვიდებული წავა გვარის გამგრძელებლების შემოწმება-გადამოწმების შემდეგ.

1336. ერთ ადამიანს მეორის მაგიერ პასუხს ვერ ვაგებინებთ, მაგრამ ამას პოლიტიკოსები, სამართალდამცავები და მამაზეციერის თვითმარქვია წარმომადგენლები მაინც ახერხებენ.

1337. წუთისოფელს ბოლომდე უძლებენ ბრაზიანი, მყრალი ხასიათის, უხიაგი ადამიანები, რომლებიც ზედმეტად არიან თავიანთთვის გასაგები, მომატებული ენერგიით გადატვირთულნი, რაც მათი სიცოცხლისუნარიანობის გარანტიაა.
1338. ადამიანი მანამდეა მკაცრი და დაუნდობელი, სანამ საკითხის აზრს ბოლომდე ვერ სწვდება, ვერ ერკვევა.
1339. ღირსება რომელიმე წრის, კასტის პრივილეგია არ არის, ის ყველა ჩვენგანის საკუთრებაა, თუ გსურს ადამიანის სახელი დაიმსახურო.
1340. ნაკლი, გარყვნილება, საქმის გაჭიანურება არსებობდა და იარსებებს და ის ადამიანთა გამობრძმედა-შერჩევას ემსახურება, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით კლანირებულ ან რობოტად ქცეულ ადამიანებს, რომლებიც ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავებით რა სიურპრიზს შემოგვთავაზებენ, არავის უწყის.
1341. კაცობრიობის ისტორიას მრავლად აქვს ისეთი ფოცხი და სიპი ქვა, რომელზეც ადამიანს ფეხი არ დაუბიჯებია და კინჩხი არ წაუტეხია, ამიტომაც ადამიანი და კაცობრიობა ამ აუცილებელი ისტორიული ტრავმისათვის მზად უნდა იყოს.
1342. პატარა ადამიანია ის, ვისაც დიდი ემოციები აქვს და გამოფხეკილი ჯიბე, ხოლო დიდია, ვისაც სავსე ჯიბე აქვს და ნაკლები ემოციები, მაგრამ აქაც არის ბედნიერი გამონაკლისი, რომლის გარეშეც ცხოვრება აზრს დაკარგავდა, რადგან ოცნება, შემართება, ეშხი, გაქრებოდა.
1343. ადამიანთა უმეტესობა ილუზიებით, იმედებით, ცხოვრობს და რეალობაში ფეხის შეყოფა აფრთხობს. მიუხედავად მატერიალური დისბალანსისა, უმეტესობას ასეთი ცხოვრება და მთავრობის გინება აწყობს.
1344. ყველაზე ძნელი სასწავლია იყო ადამიანი და ის, რომ არ გადაგვარდე.
1345. ადამიანს რატომღაც სიცოცხლეზე მეტად სახელის დატოვება ურჩევნია, რომელსაც დროთა განმავლობაში ამქვეყნად დავიწყების ბინდი გადაეფარება ხოლო იმქვეყნად მას ეს სჭირდება თუ არა ჯერჯერობით გაურკვეველია.
1346. ადამიანი სიყვარულს ეპოტინება და შედეგად მრავლდება, რათა სამყაროს სილამაზე შეიცნოს, ღმერთი იწამოს და მის ნამოღვაწარს ხოტბა შეასხას,
1347. ტრადიციების მონამ, კანონების და წესრიგის პატივისმცემელმა ადამიანმაც კი არ იცის სად და როდის გაუწყდება სინდისის ძარღვი.
1348. ცოდვას ყველა ადამიანი სჩადის, მაგრამ ხშირად წარმოდგენაც არ აქვს თუ ეს უნამუსობაა.
1349. ფუფუნებით „გატანჯული" ადამიანი ხანდახან ისეთი რისკის გაწევის ხასიათზე დგება, რომელიც მისი სულის ყივილს სჭირდება, მაგრამ ხორცი ეწინააღმდეგება.
1350. ხშირად თანამდებობა გაიძულებს დაივიწყო ადამიანი რომ ხარ, რადგან შენს ავტორიტეტს უნდა მოერგო და მისი ღირსი გახდე.
1351. ბავშვი ადამიანის მოწყვლადობაა (სუსტი ადგილია), დამაღვინებელია და სისულელეზე ფიქრის თავიდან მოშორების საშუალებაცაა, რადგან მის წინაშე რეალობაა, რომელსაც ზრუნვა და ხალხში გამოყვანა სჭირდება.
1352. სრულყოფისკენ მისწრაფება ადამიანის ბუნებაში ჩადებული ადრენალინია, რომელიც მისი შინაგანი შეგრძნობით ეყრდნობა ახალგაზრდობას და მათთვის

გასაგებ გონიერებას, რომელიც ხშირად სისულელის კეთების მოთხოვნაა, რათა თავი გადაამოწმოს და შეიგრძნოს ის უცნაური სიხარული საკუთარი თავის პატივისცემისა, რომელიც სხვას ხშირად სიბრიყვე ჰგონია.

1353. ადამიანებს ხშირად ისეთებად ვიღებთ, როგორიც წარმოგვიდგენია, რასაც მათი შეხედულება, მეტყველება გვკარნახობს და და არა ისეთად, რის შემძლეცაა და სინამდვილეშია.

1354. ადამიანის და მამაზეციერის ძირითადი მცდელობაა გამოკვებოს, ასწავლოს, გაართოს, უმკურნალოს და საბოლოოდ დაიჭიროს, დაისაკუთროს, სხვისი სული და ხორცი.

1355. ადამიანთან სიკვდილზე ახლო არაფერია და კიდევ კარგი, რომ ამაზე ხშირად არ ვფიქრობთ.

1356. ადამიანისას ვერაფერს გაიგებ: იმასაც აქებს, ვინც ღირსია და იმასაც, ვინც არ იმსახურებს, პირველს იმიტომ, რომ ღიმილი დაიმსახუროს, ხოლო მეორეს – რისხვას რომ ასცდეს.

1357. ადამიანმა დაბადებიდანვე სამყაროს ბედნიერ და საჭირო შვილად უნდა იგრძნოს თავი, მცირე დროით გაჭირვებაც სასურველია მის დასაძლევად, თავის შესაცნობად, მაგრამ მუდამ გაჭირვებაში და ცხოვრების სწავლაში ჩვენი მტერი იყოს, სიცოცხლე როდისღა უნდა მოასწროთ?

1358. ვითარების გათვალისწინებით თავისი შესაძლებლობებით ოპტიმალურად მოქმედი ადამიანი – პიროვნებაა.

1359. ადამიანს კარგი ცხოვრება კი არ უნდა ვაჩუქოთ, არამედ უნდა შევაჩვიოთ, რადგან პირველში ძალადობის ნიშნები იგრძნობა, მეორეში ნებაყოფლობითი ე.ი. სასაყვედუროც არაფერია თუ ღმერთი გაუწყრება და კარგი ცუდით შეეცვლება.

1360. პირველ რიგში, ჩვენი დაუფარავი სისუსტეებით ადამიანები უნდა ვიყოთ, შემდგომ პიროვნება და ქვეყნის მოქალაქეები.

1361. სამწუხაროდ, უცნობია, როდემდე, რა დროით და როდის იქნება კიდევ ადამიანი ბედნიერი.

1362. ზოგი უზნეო ადამიანის წესიერად გადაქცევა ლამაზმანის „გამოსწორებას" ჰგავს, რომელმაც პროფესიას თავი დაანება, ღვთისა და ასაკის მატების შემწეობით.

1363. რეკლამა და ქორწინება აიძულებს ადამიანს თავის შესაძლებლობებზე მეტი იცხოვროს.

1364. ადამიანი ერთი შეხედვით სუსტი არსებაა, რომელიც დაუნახავმა ვირუსმა, წვეთმა წყალმა და ქარის ქროლვამ შეიძლება მიწიდან აღგავოს, მაგრამ რამდენ ზარალს აყენებს ან თავს როგორ იცავს მისი მოქიშპე ბუნებისაგან სამყაროს გონიერი შვილი, ეს მისი საიდუმლოებაა.

1365. ის კი არ არის მთავარი, ჩვენ რა გვინდა, არამედ ბუნებას რა სურს, სამყაროს სულს რა ესალბუნება, რადგან ადამიანი, უნდა თუ არა, გარემოს კაპრიზს ემორჩილება, მაგრამ არ ემონება.

1366. ყველა მოხერხებული ადამიანი, თავისი გონიერების წყალობით ბედნიერი, მისდაუნებურად თაღლითია, რადგან ამის გარეშე სიმდიდრე და მაძღარი ცხოვრება მას არ გამოსდის.

აზრები

1367. ცეკვის ენას მეტი პატივისცემით უნდა მოვეპყროთ, რადგან ეს ენა ყველა ენაზე გასაგებია და დიდ შთაგონებას, აზრს მოითხოვს.

1368. არსებობს სიტყვა კომპრომისი, რომელიც სიკეთის, გონიერების, ქველმოქმედების სინონიმია და ყველა ჯიუტობაზე, შეხლა-შემოხლაზე მაღლა დგას და მას ალტერნატივა არა აქვს.

1369. ჩქარი ქმედება ყოველთვის გამოზომილ აზროვნებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში „მოჩქარეს მოუგვიანდეს" აქსიომას ვაწყდებით.

1370. ახალგაზრდის ბუნებას ლიდერი სჭირდება, შუახნისას – უფროსობა. ისინი ხშირად ერთმანეთსაც ნახულობენ, მაგრამ ყბედობისა და დაპირებების გარდა ხშირად არაფერი გამოსდით.

1371. ამქვეყნად ორად ორი ნარკოტიკი არსებობს: ქალი და მეცნიერება, დანარჩენი ხობია და ჩვენი გაუთლელი გონიერების უგუნურება.

1372. არის კითხვები, რომელზედაც პასუხის გაცემა ბრძენს უჭირს, მაგრამ ბრიყვი თავისუფლად პასუხობს, ვინაიდან თავის სიტყვებზე პასუხს არ აგებს.

1373. ყველანი ველურად ვშფოთავთ, ვარკვევთ ჩვენს აზრებს, ერთმანეთზე ვძალადობთ და ამას ჭკუის დარიგებას, აზრთა გაზიარებას ვეძახით.

1374. გაჭირვება – შიმშილი, ეროვნულობა – თვითშეგნება, პატივმოყვარეობა – გახსენება, და ყოველივე ეს სინანულის სინონიმია.

1375. ხანდახან ჭკუანაღრძობი და ახირებული კაცი ისეთ აზრებს ამოთხრის თავიდან, რომ თანამედროვეთა გაოცებას, აღტაცებას და აღშფოთებას იწვევს. იგი ამ აზრებს ისეთი სიჩქარით თხრის, რომ თანახმაა, ამ ორმოში თვითონაც ჩაწვეს და სხვაც ჩააწვინოს.

1376. ძალად ინტელიგენტობაც მოურჩენელი და გადამდები დაავადებაა, რომელსაც თავის წარმოჩენის სურვილი ასულდგმულებს.

1377. რას დაემსგავსებოდა სამყარო, ყველას რომ შეეძლოს თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მაშინ დაიწყებოდა "შენ გინდა – მე არ მინდას" ძახილი.

1378. შეიძლება შენი ოცნების და სწრაფვის კურსიდან არ გადაუხვიო, მაგრამ თუ გზის შეცვლა აუცილებელია, უნდა დათანხმდე.

1379. დრო ისეთი მანქანაა, რომლის შეჩერება შეუძლებელია, ხოლო სიჩქარის უკან გადართვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

1380. თუ სურვილი გაქვს, შეგიძლია სხვისი აზრების გათავისება, მაგრამ უფრო ძნელია შენს აზრებს სხვა აზიარო და შენი მოყვასი გახადო.

1381. როდესაც ტალანტი ვერ აღწევს თავის საწადელს, მას არა აქვს უფლება დამნაშავე თავის კეთილისმდომებში ეძებოს. ეს უფრო მისი ცხოვრების ლაბირინთების არცოდნის და ბედის ბრალია.

1382. მწარმოებლის, გამყიდველის, შრომის უპატივცემლობის შედეგია მომდევნო ეტაპზე მათი მოტყუება, რადგან მომხმარებელი სათანადოდ ვერ აფასებს მათ საქმიანობას და ღვაწლს.

1383. ყველაზე მეტად ის ხმაურობს პატიოსანი ცხოვრების სიძნელეებზე, ვინც თავისი საქმიანობის გამო ყველაზე ნაკლებად უნდა წუხდეს.

1384. ყველა დროს თავისი ტექნიკური პროგრესი ახასიათებს და შედეგად – თავისი გამომუშავებული მორალი.

1385. ზოგისთვის შრომა ცხოვრების მიზანია, ბედნიერებაა, მაგრამ გარჯის დაფასების, გართობის და დასვენების შესაძლებლობების გარეშე ყოველივე ეს ხიბლს კარგავს.

1386. თაობების ჩამოყალიბებისთვის აღზრდა, ტრადიციების გონივრული დაცვაა მთვარი, ხოლო დანარჩენი: სწავლა, გამოცდილება, ცხოვრების სიბრძნის გააზრება შესაძლებელია ადრეულ ასაკშიც.

1387. მრავალმხრივი აღმოჩენა იწვევს 100-წლიან ნგრევას ბუნებისას და მოითხოვს მის 1000-წლიან აღდგენით სამუშაოებს.

1388. თუ გინდათ რომ პატივისცემა, სიყვარული და კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ, საჭიროა იშვიათი შეხვედრა, რაც ხელს შეუწყობს პირველადი ურთიერთობიდან კარგის გახსენებას, რომელსაც დროთა განმავლობაში ობი ეკიდება, მაგრამ მეხსიერება არ უნაგვიანდება.

1389. აკეთე სიკეთე და განერიდე, ნუ ითხოვ საპასუხო ქმედებებს, სულერთია, შენ მას სხვა მხრიდან მოიმკი. ასეთია მამაზეციერის განაწესი.

1390. ნიჭი, ოპტიმიზიმი, სიცოცხლის უნარი კარგი გვაქვს, მაგრამ რეალიზმი გვაქვს ძნელად გადასატანი, რადგან დროულად ჭკუასა და სიბეჯითეს არ ვუხმობთ და ყველაფრის ზერელედ ყურებაში ვფლანგავთ დროს.

1391. კაცუნებად და ვიგინდარებად არ ხდებიან, ისინი იბადებიან, უბრალოდ, გარემოს მანტიაში არიან გახვეულები, ექსტრემალურ პირობებში საფარი ველარ შველით და მჟღავნდებიან.

1392. სიმკაცრე თუ ყველასთვის ერთნაირია, მაშინ ის მოთხოვნილებად გადაიქცევა, საქმესაც წაადგება და სასაყვედუროც არაფერი იქნება.

1393. ყველაფრის არსებობა და რწმენა შეიძლება, თუ გინდა გჯეროდეს და სურვილი გაქვს რაიმეს ეთაყვანო.

1394. ილუზიონისტსა და ილუზიას შორის ის განსხვავებაა, რომ პირველს თვალებით ხედავ და გონებას აჯერებ, ხოლო მეორეს ვერც ხედავ, არც გჯერა, მაგრამ შენი ოცნებით ცოცხლობ, რაც დიდ სიამეს განიჭებს.

1395. ცივილიზაცია უსწრებს ჰუმანიზმს და სპობს მას ტექნიკური პროგრესის დახმარებით, რადგან ის კაცთმოყვარეობასთან შეხების წერტილებს არ ტოვებს.

1396. პიროვნებებს მითი ქმნის, მითს კი – თავისი ოცნების გმირის გაფეტიშებას მონატრებული ადამიანი.

1397. როდესაც დაცვა და კეთილისმდომნი ხელშეუხებლობის გარანტიას გაძლევენ, მაშინ არის ყველაზე მეტად შენი სიცოცხლე საფრთხეში.

1398. ცხოვრების აზრია სიცოცხლესთან ურთიერთობით მიღებული სიამოვნება.

1399. მიეცით სხვასაც საშუალება იცხოვროს, ეს ფილოსოფია კი არ არის, არამედ მომავალი თაობის კვლავწარმოების და სამყაროს გადარჩენის აუცილებლობითაა გამოწვეული.
1400. ჭკვიანი კაცი აკრძალულ აზრებს თავში უნდა ინახავდეს და ისიც უნდა იცოდეს, ვის უნდა უწილადოს გონების ნათავხედარი.
1401. ადამიანებისგან განსხვავებით, დრო ვერ მკურნალობს ომის ნამსხვრევებით დაკაწრულ მიწას და ჩვენი ვალია ამ ჯართიდან გამოჭედილი სახნისით მიწა ვაბრუნოთ, რადგან ეს გაცილებით ნაკლებად მტკივნეულია მისთვის.
1402. თუ ყველაფერი გვაქვს და რაიმე მაინც არ გვყოფნის, ეს უდიდესი ბედნიერებაა, ესე იგი, ცხოვრება აზრს არ ჰკარგავს.
1403. სილამაზე შველის ყველა ჩვენგანს, ვისაც მისი შეცნობა შეუძლია.
1404. მოსწავლე გამოცდაზე, შპარგალკის გარეშე, ველზე გაჭრილი უთავო მხედარია, ან მამაზეციერისგან აღჭურვილი გონიერება.
1405. ცხოვრების აზრია შენი გზის და ადგილის მონახვა, რა საქმიანობა გიტაცებს, რა ახდენს შენზე გავლენას, ვინ ხარ შენ, რისთვის მოხვედი ამქვეყნად, – საჭრიჭინოდ, თუ საცხოვრებლად.
1406. შენი ამქვეყნად მოვლენის აუცილებლობა შენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, იმ შემთხვევაში, თუ ის ზომიერების ფარგლებში მატერიალურად არის გამაგრებული და დაფასებული.
1407. ყველაზე მომგებიანი და ხელსაყრელი ბავშვების მისწრაფებაზე და გონივრულ აღზრდაზე გაცემული კრედიტია.
1408. კაზინოში თამაში არის დროის გაცდენა და "ზოშის" გასწორება გონიერებასთან ანგარიშსწორების გარეშე.
1409. დღევანდელი განათლება უფრო მატერიალურია, ვიდრე სულიერი, მაგრამ გარეგნულად სულის სიმშვიდეს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ეს მომხვეჭელი „ტეხნოკრატები".
1410. „ლამაზია" და „მოდაა", მაინც სხვადასხვა განზომილებაა, პირველი მუდმივი ცნებაა, მეორისკენ მუდმივად მიილტვიან, მიუხედავად იმისა, რომ ღირებულების მცოდნე გურმანებში თავს პირველით იწონებენ.
1411. თევზი და ადამიანი უბედურებას არ გადაეყრება, თუ პირი დამუწული, მოსასმენი აპარატი გამორთული აქვს და დასანახ მოწყობილობაზე შავი სათვალე ექნება აფარებული.
1412. მე-20 საუკუნეში კი არ ცხოვრობდნენ, არამედ სხვადასხვა ომებით, სისტემების შეჯახებით, რევოლუციების ჩანაცვლებით დრო გაჰყავდათ.
1413. დროისთვის ფეხის აყოლა სჯობს და არა გადაყოლა.
1414. სიმართლის პირში მიხლა ყოველთვის აუცილებელი არ არის, მაგრამ თუ იტყვით, მისი გაფეტიშებით თავი არ უნდა შეიწუხოთ, თორემ თანამედროვეებს ხელები დიდი ხანია ეფხანებათ ვიღაცაზე და ქვების სროლას არ დაგამადლიან.
1415. სახის გამომეტყველება და ხასიათი არ უნდა მიმოვფანტოთ უკეთესის ძებნის მიზნით, რადგან სიცოცხლე ერთია და ამ დროს მის აკრეფაში დავხარჯავთ.

1416. ასკეტიზმია ის, რომელიც შენს ყველა სიხარულს და ვირეშმაკობას შეიწირავს.
1417. ხანდახან შენი აზრების გაცვლაც შეიძლება სხვისაზე, ფულის და ცოლის აზრების დამატებით.
1418. ხვადი მგლის შვილი არ შეიძლება ძუკნა ძაღლად იქცეს და ლაქუცი დაგიწყოთ, ამიტომაა, რომ ისინი, მიუხედავად სიმცირისა, პატივისცემას იმსახურებენ.
1419. საზოგადოების აზრიც იმას უპირისპირდება, ვინც ფინანსური საცვლების, სხვისი ჭუჭყის, რეცხვას და ქექვას საზოგადოების წინაშე დაიწყებს.
1420. უსინდისოს სტატუსით ცხოვრება ჯობს დიდ ქალაქებში, ვიდრე პატარაში, სადაც ყველამ ერთმანეთის ყველაფერი იცის და ერთმანეთის საქმეში არამკითხე მოამბესავით ერევა.
1421. ოცნებით თავი არ უნდა შეიზღუდოთ, თუ გინდათ კარგად დაიძინოთ და შესანიშნავ ხასიათზე გაიღვიძოთ.
1422. კაპიკადაც კი არ ფასობს ის გრძნობა, რასაც ფასი ადევს, მაგრამ ის სახსრებს, დროს გვიზოგავს და ჯანმრთელობისათვის სარგებელი მოაქვს.
1423. წესიერება მომადლებული ნიჭია და ის ცალკე დგას ყველასგან. ამასთან ის იმდენად უმწიკვლო და გამოუცდელია, რომ როგორც კი უნიჭობასთან დაიწყებს ურთიერთობას, მაშინვე გავლენის ქვეშ ექცევა და მის სამსახურში დგება.
1424. აზრის დაფიქსირებაა მთავარი და არა – შინაარსის.
1425. მიღებული ცოდნა აყენებს ეთიკის საკითხებს, რადგან ის კაცობრიობის სულსაც ემსახურება.
1426. სამართალი მაჭანკლობას ვერ იტანს, ის თვითონ ირჩევს ჭეშმარიტებას და ყველასგან დამოუკიდებელია.
1427. უდროობის დრო არ არსებობს, თუ არ ეძებ ჭეშმარიტებას.
1428. ყველაფერი ოქრო არ არის, რაც კარგად დევს და არც ჯართია ყველაფერი, რაც უადგილო ადგილზე აღმოჩნდება, მთავარია ცოდნა, გამოცდილება, ორიენტაცია.
1429. გულუხვობა სილამაზეს, ხასიათს არ გამოხატავს, რადგან ის ცალკე დგას, ზევიდან მომადლებული ნიჭით.
1430. არმომხდარი ნაოცნებარი უფრო გვაღელვებს, ვიდრე მომხდარი და აღელვებაგადატანილი.
1431. საქმე თუ არ გიყვარს, მას ნიჭი და შეძახილი არ შველის.
1432. მანქანის გადაადგილებას ენერგია უზრუნველყოფს, ხოლო მის მართვას – სულის სიამოვნება.
1433. უნდა ეცადო ცხოვრებაში წყაროს წყალი სვა და სხვასაც აგემო, მაშინ ექნება აზრი ამქვეყნად ცხოვრებას.
1434. გემოვნების წინამორბედია: აღზრდა, გარემო, თანდაყოლილი ნიჭი და ის სამართლიანი ჭიტლაყი, რომელიც საიდან წამოვა, არავინ უწყის.
1435. სიბრიყვის ნამდვილი ძმა სისულელეა, მიუხედავად ამისა, ახლობლების ჯინაზე სიბრიყვე მაინც მომხიბვლელად გამოიყურება სულელებისთვის.
1436. მატერია თუ შეგნება? ამ გაუგებარ მეტამორფოზას ვერც საუკუნეების გამოცდილება უგებს რაიმეს და ვერც დაუზოგავი გონიერების ხარჯვა.

1437. პროფესიონალისთვის ისე არაფერი არ ფასობს, როგორც კოლეგების სამართლიანი ოპონირება.
1438. უშედეგო აზროვნება ტვინის ფუჭი ცვეთაა, მაგრამ მის გარეშე საღი აზრის ჩამოყალიბება არ გამოვა.
1439. "ოპტიკურ ყავარჯენს" – სათვალეს დანიშნულებისამებრ ყველა არ იყენებს, ის ხშირად სილამაზის, იმიჯის, მოდის მსხვერპლიც ხდება.
1440. გამოზომილი აგრესია კარიერისთვის და თუნდაც იმისთვის, რომ შეგამჩნიონ, აუცილებელია.
1441. ზოგს ჭკუისმაგვარი აზრი რომ გაუელვებს თავში, ერთი თვე ავად ხდება, ხოლო თუ არაფერი აწუხებს, მთელი ცხოვრება „ბიულეტენზე" იმყოფება.
1442. სიბრიყვეს, სისულელეს, სიბეცეს, სიშტერეს, ერთი აზრი აქვს, მაგრამ მათ შორის სხვაობის დადგენას მაინც ვცდილობთ.
1443. სიცოცხლის აზრია სულის სინაზისა, გულის მხურვალების, გონების სილაღის, ხელების რაობის შესაძლებლობის გამოცდაა.
1444. ბრძენის სამყოფელში ხშირად ცალთვალა უხიაგიც კაცია.
1445. ჭეშმარიტების ჩარჩოები ძველია, მაგრამ ყველა საუკუნეს თავის შესწორება და ეშხი შეაქვს.
1446. აფორიზმი მოაზროვნიდან გამოწურული, დაღვინებული აზრია, რომლის შესმა გალაღებით ყველას შეუძლია, მაგრამ მისით თრობა ერთეულთა ხვედრია.
1447. სურვილები ჩვენს საჭიროებას ყოველთვის არ ემთხვევა რაც ხშირად კანონზომიერიც არის და ბუნებრივიც.
1448. აზრი უნდა იყოს მრავალფეროვანი, მოკლე და შენი სულისთვის საცნობი.
1449. დიადი აზრები კომპრომისს ვერ იტანს, რადგან მცირედი დათმობაც კი აზრის გარყვნა და საქმის ღალატია.
1450. საოცარია, მეორე პირის დახმარებით როგორ უფრთხილდება ბუნება ფლორისა და ფაუნის ახალამოწვერილ, ახალშობილის სიცოცხლეს, სანამ ყლორტი ტოტად არ იქცევა და არ დაფრთიანდება, მათზე ზრუნავს. რამდენ სიკეთეს და სიახლეს შემატებდა კაცობრიობას, ადამიანს, სამყაროს ამ საოცარი კვლავწარმოების პროცესის შემეცნება.
1451. განათლება კითხვის შედეგია, გამოცდილება – ინფორმაციის მოპოვების, პირველი ცდილობს მსოფლმხედველობის მადლის შინაარსს პრაქტიკულად ჩაწვდეს, მეორე კი მისი მექანიკური მოხმარებითაც კმაყოფილდება.
1452. არის უცვლელი ღირებულება – სიყვარული, არის ცვალებადი – ტრადიციები, მაგრამ დევალვირება შეიძლება პირველმა უფრო სწრაფად განიცადოს, ვიდრე მეორემ, რადგან ამ უკანასკნელის გადაფასებას საუკუნეები და ტექნიკური პროგრესის ზომაზე მეტად გათავხედება სჭირდება.
1453. ჭკვიანი თავისთავადაა ბედნიერი და არა უბედური, როგორც ეჩვენება, რადგან მას აზრები შიგნიდან მოსდის და თუ თავის დაფასება ისწავლა, სასაყვედურო ამქვეყნად არაფერი აქვს.
1454. სამართლიან სამყაროში არც ევოლუციის პროცესებთან გვექნებოდა საქმე და ვერც მისი ბინადარი განვითარდებოდა ასე უგზოკვალოდ.

1455. გრძნობების მძევლად ყოფნა, სასიამოვნო ტყვეობის სტატუსია, მაგრამ ამ ეიფორიის გაგრძელება დიდხანს არ ხერხდება.

1456. შენი გაუმართლებელი თვითდაჯერებული პრეტენზიებით, შენი ქვეყნის ისტორიაზე სხვისი ტომის წარმომადგენელი არ უნდა აიძულო ისტორია გაგიჩხრიკოს და ნაგავი ამოქექოს, თორემ ისეთ რაღაცას აღმოაჩენს ჩვენს ერამდე 2-3 ათასი წლის წინათ, რომ შენი თვითდაჯერებულობის საბუთი არარაობად იქცევა და შენ ამ ტომის მდგმური და არენდით გაცემული მიწისმფლობელი გახდები.

1457. ალკოჰოლი ახალგაზრდებს თავში უვარდებათ და გონება ერევათ, მოხუცებს კი – ფეხებში და სიარული ეშლებათ. ამ კანონზომიერებით თითქოს ახალგაზრდები გონების დეფიციტს განიცდიან, მოხუცები კი – ჯანმრთელობის. სინამდვილეში ახალგაზრდები სმის ნორმას ვერ ადგენენ, მოხუცები კი თავიანთ შესაძლებლობებს ვერ ითვალისწინებენ. ასე რომ სმას არც გამოცდილება შველის და არც დილეტანტობა.

1458. ბრძენის მონახვას – ჭკუა სჭირდება, მსმენელისას – გაჭირვება, გონიერების გამოყენებას – მმართველად დაბადება, შრომის დაფასებას – ზემდგომის ხასიათი, თავმდაბლობას – ინტელექტი. ყოველივე ზემოაღნიშნული კი აზრთა კოქტეილია, და აღმოჩენის საწინდარი.

1459. იდიოტები ამქვეყნად ყოველთვის მეტნი არიან და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ჭკვიანების დოღს ქიშპობის გარდა, არავითარი სიკეთე არ მოაქვს საზოგადოებისთვის, რადგან ჭკუა ადამიანის ბუნებას, მის გენეტიკას ვერ სჯობნის.

1460. დანაშაულია, როდესაც ბრბოს შენი გამოგონილი თავისუფალი, საეჭვო აზრებით სისხლით და საუკუნეებით გადამოწმებულ ადათების აღრევას სთავაზობენ, რომელიც ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება.

1461. ჩვენს აშკარა მტრებს ამ ქვეყნიდან წასვლა თავის დროზე ვუსურვოთ, ხოლო რომლებიც ქვეშქვეშობენ – ადრე, რადგან თუ პირველს ვერ უმკლავდები, შენი ბრალია, ხოლო თუ მეორეს – შენი უეშმაკობის, მიუხვედრელობის, დაუფიქრებლობის ბრალია და ეს უფრო სახიფათოა.

1462. ცხოვრების აზრი საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად, გვარის, ჯიშის და ჯილაგის გამგრძელებლის დატოვებაა, რადგან სხვა უფრო ხელშესავლებზე ფიქრი და ნატვრა ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელია.

1463. ცხოვრება აზრს არასდროს კარგავს, რადგან მომდევნო თაობა უკეთესი დროისთვის აღსაზრდელია, მაგრამ რაც შეეხება პირად სიამოვნებას, მასზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, როდესაც შენ და მთავრობას ღირებულება და ღირსება დაკარგული გაქვთ.

1464. „შენ შეგეძლო მხოლოდ ასეთი ლამაზი ცოლი მოგეყვანა", „შენი ნახელავია ასეთი დიდებული შვილები", „შენ შესძელი 6 მილიარდიან სამყაროში ასეთი დიდებული სახლის აშენება" და ასე შემდეგ. ამ პატარ-პატარა წალაქუცებით შეგიძლიათ თავსაც პატივი სცეთ და სიცოცხლეც გაიხანგრძლივოთ, აქ გარეშეთა აზრს მნიშვნელობა არ აქვს, თუ თქვენს თავს თქვენვე დააჯერებთ და ამ საკითხს სადისკუსიოდ არ გახდით.

1465. ორატორი გულღია მოსაუბრეა, პოლიტიკოსი – სიტყვებით მოთამაშე, ხოლო ღირსეულ კაცს ზედმეტი განათლების გამო არცერთი ხეირიანად არ გამოსდის, ამასთან ბრბო წინააღმდეგია ამ კაცის ღირსეული აზრების მოსმენისა.

1466. შეიძლება მშობელი ყოველთვის არ იძლეოდეს მისაბაძ მაგალითს, მაგრამ შვილს უფლება არა აქვს მშობლების საამაყო პიროვნება არ გამოვიდეს და მისით არ იამაყონ.

1467. თანამდებობა უნდა მოირგო და არა მოერგო, თუ გინდა კოლეგებს ამ თანამდებობაზე დაამახსოვრდე.

1468. ჩვენს მოსაზრებას წინასწარ რეკლამას ნუ გავუკეთებთ, რადგან რაც კარგი გვეჩვენება, სხვას მის მიმართ სხვა შეხედულება აქვს, რომელსაც შეიძლება ქურდობა, შურიანობა, კონკურენცია დავარქვათ.

1469. ჩვენი ვალია ვაკეთოთ და არა ვასწავლოთ, რადგან განგებას ყველაფერი მისთვის გასაგები გზით მიჰყავს და სამყაროს განვითარების საქმეში მაინც „ბრიყვის" როლს გვაჯერებს.

1470. სამართლიან და დროულ სიკვდილს იქ უნდა ვცეთ პატივი, სადაც დაგვეწევა და არა მლიქვნელურს – „ღმერთს კარგი ხალხი იქაც სჭირდებაო".

1471. აზარტულ მოთამაშეს ბანქოს და მახსოვრობის იმედი უნდა ჰქონდეს, პოლიტიკოსს – ფულის და იმიჯის, ხოლო მექალთანეს ხვედრია მომხიბვლელობა და ის, თუ რა რეკლამა აქვს ქალებში.

1472. არის ზოგიერთი საკითხი ისტორიაში, რომლის შეცვლა არ შეიძლება. უკეთესია, თუ მას დავივიწყებთ და აღარ მივუბრუნდებით, მაგრამ მისი ჩუმი ანალიზი გონიერთათვის სავალდებულოა.

1473. იმას, რაც დღეს საზოგადოებაში პატივს არ დაგდებთ, ნუ გამოამზეურებთ. შემდგომ, დაღვინების ჟამს, ან თქვენ გაიზიარებთ მათ აზრს, ან ისინი მიაგებენ პატივს თქვენს ნამოღვაწარს.

1474. შრომაც და დროსტარებაც ზოგმა არანორმალური იცის, ზოგისთვის ყოველივე ზომიერია მისაღები, ზოგს არაფერი არ აინტერესებს. არადა, ყველამ ის უნდა მიიღოს, რასაც იმსახურებს და ისიც, რაც არ ეკუთვნის.

1475. ყველა ჩვენი უბედურება ფაქტობრივად ჩვენივე ბრალია, მაგრამ ამის არც დაჯერება გვინდა და არც გაგება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ დავმშვიდდებით.

1476. სიკეთის კეთებასაც გაკონტროლება სჭირდება, რათა უბედურების და გზააბნეულების მომრავლებას ხელი არ შევუწყოთ.

1477. თუ გამოცდილების წლები წინ არ უძღვის მდედრის და მამრის ურთიერთობას, ერთმანეთის გაფრთხილება გაუჭირდებათ.

1478. მართალია, ერთმანეთის აზრებს პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ სისულელის და არაფრისმთქმელი სიტყვების მოთმინებით მოსმენა დიდი ვაჟკაცობაა, რომელიც ყველას არ გააჩნია.

1479. თავში რაც უნდა საინტერესო და დიდი აზრები გიტრიალებდეს, თუ მას სხვა ვერ იგებს, შენი იმიჯი და მატერიალური შესაძლებლობა ამ გაუგებარი ხალხის „ბაირამობაზეა" დამოკიდებული.

1480. გმირობის ჩადენის წინაპირობა შინაურებისა და ახლობლების ეფექტური სიყვარულია და არა ხალხისა, რომლის შეცნობითაც ყოველთვის ვერ ავღფრთოვანდებით.
1481. ჭკვიანი აზრის გამოუთქმელობის უფლება არავის აქვს, ხოლო გავრცელება, მის უდიდებულესობა შემთხვევას მივანდოთ.
1482. დრო, რომელშიც დაიბადე, აზრიანად უნდა გამოიყენო, რადგან შენი ამ დროში ყოფნა თავისებური ლატარიაა, რომელიც აუცილებლად უნდა ითამაშო, რადგან დრო, რომელშიც ცხოვრება მოგიწია, შენს არჩევანს არ ექვემდებარება.
1483. სხვას კი არ უნდა ურჩიოთ, აზრი უნდა გაუზიაროთ, თუ გინდათ სიყვარული და თანადგომა დაიმსახუროთ.
1484. ყველანი უცოდველად დაბადებულნი ვართ, მაგრამ სიცოცხლის ამ ტვირთის გატანა ბოლომდე არ ხერხდება.
1485. სისუფთავე, სხეულთან ერთად, სულის პროფილაქტიკაცაა.
1486. პროფესია მარტო სპეციალისტებს არ უნდა დავუტოვოთ საჯიჯგნად, არამედ იმათაც უნდა ვანდოთ, ვისაც არაორდინალური აზროვნების უნარი აქვთ და რაღაც ახლის დანახვაც შეუძლიათ.
1487. ყველა საქმეს სკეპტიკოსი სჭირდება, რათა აღფრთოვანება, მისწრაფება, შემართება დაბალანსდეს და შედეგიც არ დააყოვნებს.
1488. ორიგინალური აზრების დაბადება მოსვენებას გიკარგავს და ეს არის შემოქმედის უდიდესი ბედნიერება, ხოლო მისი განხორციელება – ბედნიერებას მოკლებული სიამოვნება.
1489. ზოგს მიაჩნია, რომ განვლილი სიცოცხლიდან ათი წელი იცხოვრა, ზოგს – ორი, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც თავის ამქვეყნად მოსვლაში ეჭვი ეპარებათ.
1490. აზრიც ისევე გაგიფრინდება, როგორც ჩიტი, თუ დროზე არ მოახდინე კალმით მისი დატყვევება, თორემ მეორედ როდის გესტუმრება, ეგ უკვე არავინ იცის.
1491. არის საზოგადოების აზრი, არის ცხოვრებისეული აუცილებლობა, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და ორივენი მართლები არიან, რადგან პირველი საჭიროა საზოგადოების ფორმირებისთვის, მეორე – ცხოვრების გაადვილებისთვის. დავუშვათ, სტუდენტს ახლო ურთიერთობა აქვს ქვრივ დიასახლისთან, ერთი სექსს და ქალთან ურთიერთობას ეუფლება, მეორე ქალურ მოთხოვნებს იკმაყოფილებს, ხოლო საზოგადოების აზრი ვალდებულია ეს ორივესთვის მომგებიანი ურთიერთობა დაგმოს, რათა ახალგაზრდა ამ ქალს არ შემორჩეს და მომავალი თაობის გამგრძელებელი არ გადაგვარდეს.
1492. იარაღი ენაა, თუ ის დემაგოგიური მჭერმეტყველების ყუმბარებით არის აღჭურვილი, რადგან ისე ბომბავს მასების აზროვნებას, რომ ხალხი ბრბოდ გადაქცევას ვერც ხვდება და ვერცა გრძნობს.
1493. სიზარმაცე ყველა ჩვენგანის ბუნებაში დევს და თავს იმის მიხედვით ვაღწევთ მას თუ რა პერსპექტივა გამოგვიჩნდება.
1494. მხატვრული ძალადობა – (კარატე, ტაიკვანდო, კუნფუ, აიკიდო) უფრო ძალისმიერ ბალეტს მოგვაგონებს, ვიდრე ატლეტთა შერკინებას, რომელსაც ფილოსოფიური ძირი აქვს და აქედან გამომდინარე – მსოფლმხედველობაც.

1495. ქვეყნის ზოგი მმართველი გადამუშავებული მასალაა – ყავლგასული ნივთია, მაგრამ ამას ვერც თავად გრძნობს და ხალხიც მის ხატს ვეღარაფრით იშორებს.
1496. როდესაც ჩვენი ყოფიერება აღზევების ტახტზეა წამოსკუპებული, ყველა ქვევით მყოფნი შერეკილი გეჩვენება და ალბათ, ეს ასეც უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც შურის საბაბი იქნებოდა და არც მჯობნის ჯობნის სურვილი, რომელიც ასე საჭიროა მომავლის რწმენასთან შეერთებისათვის.
1497. ყველა ცუდი აზრი უღიმღამო იდეების და ფანტაზიის უქონლობის შედეგია.
1498. ცივილიზაციის აზრია ადამიანის დოგმებიდან განთავისუფლება გადამლაშების გარეშე.
1499. „მთლად უსინდისო არ ყოფილა" – სინდისს ასეთი შეფასება არ გამოადგება, რადგან ის ან გაქვს, ან – არა.
1500. იდეალისტებს მიაჩნიათ, რომ ჩვენ ერთი გეგმა გვაქვს ცხოვრებაში, ჩვენს ფორტუნას – სხვა და ამ ჭიდილშია ცხოვრების აზრი, მადლი და ყავლის გასვლა.
1501. არ არსებობს ისეთი წმინდა და სუფთა აზრი, რომლის გამოხატვა არანორმატიული ლექსიკის დახმარებით არ შეიძლებოდეს, რადგან ის სიტყვების მუსიკა ოღონდ თავისი ორანჟირებით აჟღერებული.
1502. სამწუხაროდ, ნიჭსაც ისეთივე რეკლამა, სარფიანი გაყიდვა სჭირდება, როგორც უნიჭობას, ოღონდ გარანტიის გარეშე.
1503. ეკლიანი ვარდი უეკლოსგან განსხვავებით იმაზე მიგვანიშნებს, რომ სილამაზე ასე ჰარი-ჰარალოდ მოსაპოვებელი, მოსაწყვეტი, არ არის.
1504. კამათიდან ჩხუბში გადაზრდილი დავა ჭეშმარიტებად ვერ იქცევა.
1505. ჭკუის ჭყლეტა მაშინ არის ტირაჟირების ღირსი, თუ ის სხვისთვისაც გასაგები და მისაღებია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აზრი გარკვეულ დრომდე უნდა დაკონსერვდეს. მისი სხვისთვის თავზე მოხვევა დანაშაულია, რადგან ამ აზროვნებისთვის ეს დრო მოუმწიფებელია.
1506. მართო ქვეყანა მაშინ ხარ ღირსი, თუ საკუთარი შვილის გადაცდენას, დანაშაულს ისევე განსჯი და დასჯი, როგორსაც სხვისას, რაც მომდევნო თაობებზე ზრუნვის მაჩვენებელია.
1507. ბედნიერია ის ქორწინება, როდესაც ერთის ყბედობა და უმიზეზო ვიშ-ვიში მეორეს „იავნანად" ეჩვენება და მისი მავნე გამონაბოლქვი გულთან ახლოს არ მიაქვს.
1508. როდესაც შეცდომას უნებლიედ ჩადიხარ და არ განიცდი, ეს ქვეყნის ძლიერებაზე მიუთითებს, როდესაც იგივე ქმედებას სხვისი დახმარებით იმეორებ და დაფიქრდები, ეტყობა, ქვეყანაში რაღაც ხდება, ხოლო როდესაც შეცდომის ჩასადენად გაიძულებენ და ნერვიულობ, იმ ქვეყნის საქმე წასულია და მას სასწრაფო შველა სჭირდება.
1509. ყოველთვის თავის აზრზე, სიტყვაზე, საზოგადოების შეფასებული ქანდაკებები დგანან და ის ცოცხალი არსებანი, ვისაც მათი შურთ.
1510. ხშირად შენს შეხედულებაზე, რწმენაზე, ყოფნა წამგებიანია სხვის თვალში, მაგრამ შენი სულისთვის, ბუნებისთვის არის სასიამოვნო, საამაყო.

1511. ადვილია სხვის აზრებთან შერკინება და კრიტიკა, მაგრამ გაცილებით ძნელია საკუთარი ნააზრევისთვის პრაქტიკული გზის მიცემა, გინდაც ის დემაგოგიის საწყისებით იყოს გამაგრებული.

1512. საჩუქარი იმას უნდა მიართვა, ვისაც შენი გემოვნება სწამს და შენს მცდელობას აფასებს, ხოლო რომლისთვისაც სულერთია, ფული უნდა აჩუქო.

1513. ჭკუანაკლულობა და რწმენა იმისა, რომ ყველაზე ჭკვიანი ხარ, სინონიმებია.

1514. დალხინების დროს საკუთარი თავის იმედი გვაქვს, გაჭირვებისას – ღმერთის, რას ვიზამთ, ასეთია ადამიანის უმადური ბუნების მრწამსი.

1515. წესით თანამდებობა დიდი ბუნების მქონე ხალხისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ მას, რატომღაც უწესოდ, ჯუჯა გრძნობების მქონი უმეცრები ისაკუთრებენ.

1516. თავის დროზე როდესაც კონიაკის და ქალის რეალური ფასი არ ვიცოდი, ერთს სათრობად ვიყენებდი, მეორეს – ვნების დასაოკებლად, ხოლო როდესაც მათი დაფასება ვისწავლე, ხარისხიანი კონიაკის შოვნაც გაჭირდა, გაძვირდა და დასაფასებელ ქალსაც, შენი გამოცდილების მიუხედავად, ახალგაზრდული ენერგიით ვერ „ესექსები". ე.ი. ხარისხს დრო აფასებს, ხოლო აზრს ჩვენთვის განვლილი დრო ქმნის.

1517. სამწუხაროა იმ საზოგადოებაში, ქვეყანაში, ცხოვრება, სადაც სახეირო საქმე რომ წამოიწყო, შენი სამეცნიერო ტიტულების დამალვა გიწევს. ახალ გამომცხვარ კომერსანტთა „საძმო" ვერ გაიგებს, რადგან შენ სხვა საქმისთვის და სხვა ქვეყანაში ცხოვრებისთვის ხარ მოწოდებული.

1518. ყველა პრობლემის გადაჭრა შეიძლება ნაწილ-ნაწილ, კომპრომისებით, თუ ორმხრივი სურვილი იქნება, აუცილებლობა გვაიძულებს და დროში არ „ვიწვებით".

1519. საკითხის გადამეტებული გაფეტიშება, დანაშაულია პირველ რიგში საკუთარი თავის, შემდგომ იმათ წინაშე, ვინც საქმის კურსში ჩააყენეთ, იმედი ჩაუსახეთ და რაღაცას დაჰპირდით.

1520. თქვენს თავზე კეთილი სიტყვის სათქმელად შინაურებში შეუმჩნეველი სიკეთე უნდა თესო, ხოლო გარეშეთათვის შინანურებმა ხმამაღალი, შესამჩნევი და რეკლამირებული სიკეთე უნდა აკეთონ შენი სახელით.

1521. სიკეთის კეთება ყოველთვის საპასუხო ქმედებას არ იწვევს, რადგან სიკეთის საკეთებლად ადამიანი უნდა მომწიფდეს და მასზე დრომ და გამოცდილებამ უნდა წაიმუშაოს.

1522. ნახო ქალი, რომელიც მამაკაცის მცდელობას სათანადოდ აფასებდეს, იშვიათობაა, ხოლო კაცის ნახვა, რომელსაც ქალის სათნოება, საქმიანობა ისე შეეფასებინოს როგორც მდედრს წარმოუდგენია და სურს, უფრო დიდი იშვიათობა.

1523. ზოგიერთი აფორიზმის წაკითხვისას შენდაუნებლიედ უდიდეს სიბრძნეს შეიგრძნობ, რომელსაც შენი გონება ვერ ერევა და გაბრაზებულს არც გინდა მეორედ გადაიკითხო, ჩაწვდე, რადგან წინასწარ გრძნობ, რომ ის შენი აზროვნებისთვის არ არის და მისი გაგება შენს შეძლებას აღემატება.

1524. ჩვენ სამყაროს განახლება, შეცოდება არ შეგვიძლია, მაგრამ ფორმას და შეგნებას კი ვუცვლით.

1525. შენი სურვილების გათავხედებისა, გარკვეულ გარემოში და გარკვეულ პიროებებში, სხვისი ამბიციების გათვალისწინებით არ უნდა გრცხვენოდეს.
1526. აღიარებულ თამადასაც სჭირდება სუფრის კონტიგენტი რათა მეინახეთა მოსმენით თავადაც ისიამოვნოს და ნაბახუსევზე თავის ტკივილი არ გამოყვეს.
1527. ტალანტი აგზნებით გამოწვეული აღმაფრენაა, აყვანილი სხვადასხვა ხარისხში.
1528. მორალი ყველა საუკუნეში ამართლებს, ოღონდ დაფინანსება სჭირდება განსხვავებული.
1529. ისტორიისთვის განკუთვნილი პიროვნებებია თავგზას რომ უბნევენ ადამიანებს და აიძულებენ მათი ვირეშმაკული აზროვნებით და სურვილებით იცხოვრონ, რაც პროგრესის მიუხედავად ძალზე ძვირი უჯდება სიცოცხლეს, რადგან ყოველივე თავიდან დასაწყები და გასაკეთებელი ხდება.
1530. ყველა სახის შრომა, რომელზეც მოთხოვნაა, უნდა დაფასდეს, განაწილდეს და თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას სრულფასოვანი საზოგადოების ჩამოყალიბება გაუჭირდება.
1531. ყველა ცდილობს უკეთ იცხოვროს, ვიდრე სჭირდება და იმსახურებს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის სხვას ავნოს და ამით დანანებით, მაგრამ მაინც თავისებურად გაიხაროს.
1532. ნამოღვაწარს რომ გაეცნო, აზრის სხვასთან გაზიარებას უნდა შეეცადო, რეცენზიებს უნდა გაეცნო, გონიერება უნდა შეაჯერო, აზრი უნდა დააღვინო, კიდევ ერთხელ უნდა დააჭაშნიკო, მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ეს შემოქმედი თავად იწამო, ხალხმაც მიიღოს და ისტორიას საკუთრებაც გახდეს.
1533. უკვდავების ხანა არ არსებობს, მაგრამ მასთან გახახუნებას სიცოცხლის წლების არც ერთი მონაკვეთი არ ჰყოფნის.
1534. რატომღაც ყველანი ჩვენს დროში ვიბადებით და სხვის დროში მივიცვლებით.
1535. სიცოცხლეს ყოველთვის გამოხმირვით სიკვდილი ახლავს, რათა ადამიანთა მოდგმა დაფიქრდეს, ცხოვრების აზრს ჩაწვდეს და რაიმე სახეირო თავსაც და სხვასაც შესძინოს.
1536. ლამაზად ყბედობას და ოცნებას ისევ ლამაზი აზროვნება და შედეგიანი ფიქრი ჯობს.
1537. ძალზე ძვირი გვიჯდება გულის მოფხანა და ნიშნის მოგება, რადგან თუ ვინმემ გაგვანაწყენა, მაშინვე მისი წარსულის ჭუჭყიანი საცვლების ქექვას ვიწყებთ და ყველა მის ქმედებაში ცუდის დანახვას ვცდილობთ.
1538. ჩვენი სხეულის ყველა ნაწილს თავისი ღირსება აქვს და მისივე ფასი ადევს, განსაკუთრებით ეს ეხება გარეგნობას, ხმას, სიარულს, ჯდომას, გაღიმებას, სექსუალურ შესაძლებლობას და ათას სხვა მრავალს, რომლის დანახვა, შემჩნევა და დაფასება თავისებურ ნიჭს მოითხოვს.
1539. სამყაროში, ჩვენი მცდელობის და სიცოცხლის გარდა, არც არაფერი ქრება და არც არაფერი იკარგება.
1540. ნამუსიანად რომ იცხოვრო, სულ ცოტა ნამუსი უნდა გქონდეს და გამოუსწორებელი ოპტიმისტი უნდა იყო.

1541. ჩვენი სიცოცხლე, ჩვენს გარდა, ყველას იმის მიხედვით აინტერესებთ, რამდენად საჭირონი ვართ მათთვის და ჩვენთვის ამის გაცნობიერება სიბერის ჟამს ძნელი გადასატანია.

1542. ყველა აზრს მოვლა-პატრონობა და აღზრდა სჭირდება, რათა ის ცუდში არ გადაიზარდოს და თავშისაცემი არ გაგვიხდეს.

1543. თავხედობა ზოგისთვის თავის დაცვის და უსუსურობის დამალვის საშუალებაა, ზოგისთვის – დაცინვის და გამხიარულების, ხოლო ზოგი მას სხვის დამცირებისთვის და თავისი უკუღმართი ხასიათის გამოსახატავად იყენებს, ასე რომ, უტიფრობასაც თავისი ბუნება და პარამეტრი აქვს.

1544. ძლიერი რომ იყო და გაღიარონ, მტრის ხატი უნდა შექმნა და ებრძოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენ არავის სჭირდები, არც არაფერს შეგეკითხებიან და შენი სიდიადე ყველას თავის შეუმჩნევლად ჩაივლის.

1545. არის შემთვხევა, როდესაც ადამიანი სიკეთე-ბოროტების კეთების გასაყარზე დგას და რას მოიმოქმედებს, იღბალზე, შემთხვევაზე და ნერვებზე დამოკიდებული და არა აღზრდაზე და გონიერებაზე, რადგან ეს უკანასკნელი იმ წუთში მასთან არ იმყოფება.

1546. ხმირად შეკითხვას პასუხი აფუჭებს ან არაფრისმთქმელი აზრები.

1547. აზრი, რომელიც საზოგადოების სამჯავროზე განსასჯელად გამოაქვთ, ალბათ, მთავრობასაც სჭირდება, რადგან ხალხს ზევიდან ის არაფერს შეეკითხება თუ მასში მათი ხეირიც არ არის ჩადებული.

1548. აზროვნება ტალანტის წარმატების გარანტია, მაგრამ შეიძლება პირიქითაც მოხდეს.

1549. ასაკში შენი ტანჯვა-წამების შედეგის ნახვა ცხოვრების აზრი, მიზანია.

1550. გამზადებული აზრების ფრქვევა, კეთილისმდომი კრიტიკის გარეშე, საზიანოა.

1551. მტკიცე აზრების გამოხატვა ნიღაბის აფარებით ყველაზე საშიშია, რადგან მის უკან რა იმალება, არავინ იცის.

1552. საკუთარ თავთან გასაუბრების შედეგად მცდელობა იმისა, რომ ყველაფრის მოსწრება შენი აზრების შესაბამისად შეუძლებელია.

1553. ღირსებასაც მისთვის გასაგები ღირსება აქვს და მის შეურაცხყოფას სიცოცხლეს ანაცვალებს, რადგან ყველაზე მეტად ამ დროს მას თავი უყვარს და სხვის აზრს არად დაგიდევთ.

1554. უხამსობა სიბრიყვეა და ამ დროს გადმონთხეული არანორმატიული ლექსიკაც კი ვერ ხვდება მიზანს, აზრს ჰკარგავს და ყურიც ცუდად აღიქვამს.

1555. ლამაზი თეორიები ლამაზი ქალივით მომხიბვლელია, მაგრამ არასაიმედოა და გამაცრუებელი.

1556. სიამოვნებასა და კაეფს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ყველასთვის გასაგები და მრავალჯერადია, ხოლო მეორე იშვიათი და ერთეულთა ხვედრია.

1557. არავის აქვს უფლება თავი იქ გასწიროს და სხვაც გააბრიყვოს, სადაც ამის საჭიროებას წინდახედული რეალობა არ მოითხოვს.

1558. დიქტატურა რაც უფრო დროზე დაანებებს თავს სამყაროს ისტორიაში ხეტიალს და მაყურებლის როლს დასჯერდება, მომავალი მისი ხალხისთვის მით უკეთე-

სი იქნება, რადგან მოჭარბებულ ძალ-ღონეს და ძლიერებას ქვეყნის კეთილდღეობას დროულად შეალევს.

1559. ის, რაც ჩვენ ვიცით და გამოგვიცდია, შეიძლება ბევრისთვის საინტერესოც იყოს და მიუღწეველიც და პირიქით, მაგრამ სურვილს მათ დაახლოვებისას საერთო მნიშვნელამდე (კონსესუსამდე) მაინც ვერ მივყავართ.

1560. საყოველთაო აღიარება არაფერია, თუ იმ სახლმა, ქუჩამ, უბანმა არ გაგიხსენა, სადაც დაიბადე და აღიზარდე, რადგან ყველაზე უკეთ მათ მოეხსენებათ შენი აღზევების ჟღერადობის პეწი და ფასი.

1561. ურთიერთობის გაღრმავებისას ყოველთვის არის მისი გაფუჭების, ხოლო კონსერვატიული მიდგომით – ძველის შენარჩუნების, საშიშროება თუმცა ცხოვრება ხდება მოსაბეზრებელი.

1562. გონიერების რესურსის მოცდენა პატარ-პატარა საკითხების გადაჭრაზე, ძველი ცოდვების მონანიებაზე იწვევს დაბნეულობას, დეზორგანიზაციას და გზას უხსნის დემაგოგიას, რომელსაც ყველაფრის დამტკიცება და გაქიაქება შეუძლია, დანაშაულია.

1563. ერთ კაცს კარგი სურვილებით ბევრის კეთება შეუძლია, თუ მას სხვისი დამორჩილება-დაბრიყვების უნარი შესწევს.

1564. ძნელია განათლებულ დებილთან საუბარი, რადგან მას თქვენთან მასლაათი კამათად ეჩვენება და ცდილობს კრიჭაში ჩაგიდგეთ, თავი წარმოაჩინოს, რათა თავისი დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობა თქვენთან ქიშპობაში დაიკმაყოფილოს.

1565. გონიერ კაცს, რომელმაც დროს და ფულის შეჯერების ყადრი იცის, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ჰგონია, რომ სჯობდა მდიდარი, უზრუნველი ყოფილიყო,რაც შეეხება ჯანმრთელობას, როგორმე მოევლება და აქ დგება მისი ჭკუა ეჭვის ქვეშ, გონებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

1566. პიროვნებაა ის, ვინც უპირველესად სულის პრეტენზიებს იკმაყოფილებს, ხოლო შემდეგ – სხეულისას.

1567. ცუდია, როდესაც წესიერ კაცს ეშმაკთან გზავნიან, რომელზეც წარმოდგენა არ აქვს, მაგრამ თუ ამ შეხვედრას გადაურჩა, მაშინ ის კვადრატში გაეშმაკებული მოგვევლინება.

1568. მცდელობა, ამქვეყნად ყველაზე მართალი კაცი იყო, ტრაგიკული შეცდომაა, რადგან თანამედროვეთათვის შენი წესიერების ფორმულა უცნობია და მათგან გარიყული რჩები.

1569. ზოგჯერ მდიდარი კაცის ქცევა, რაც უნდა უგუნურად გვეჩვენებოდეს, მაინც სასარგებლოდ გამოიყურება, რადგან როდესაც ის იძენს მისთვის უვარგის ელიტარულ ნამოღვაწარს, უნდა თუ არა, ამით მის შემქმნელს ხელს უმართავს, მიუხედავად იმისა, რომ მისი რეალური შეფასების არც სურვილი აქვს და არც ხიბლი.

1570. ადამიანი თავისუფლების აზრს მაშინ გრძნობ, როდესაც ყველაფერს უკანმოუხედავად ტოვებს და სად მიდის ვერ ხვდება.

1571. თუ გინდათ მოსაუბრის სიმპატიები დაიმსახუროთ, მას უნდა ესაუბროთ მისი მენტალიტეტის ენაზე იუმორით და ორაზროვნად უთხრათ თქვენი სათქმელი, აქ ჭეშმარიტების ქრონოლოგია მთავარი არ არის.

1572. ძნელია იმ კაცისგან მორალის კითხვის ატანა, რომელმაც ახალგაზრდობა აკვარიუმში გაატარა, სიმწიფეში მშობლის ნაჩუქარი ცხოვრებისეული გემით შეცურდა ზღვაში კაპიტნად და სხვას ზევიდან დაჰყურებს გაქათქათებულ პერანგში გამოწყობილი, ხალხს სიწმინდის და კეთილგონიერებისკენ მოუწოდებს და პრაქტიკულად არაფრის გაცემა და სარგებლის მოტანა არ შეუძლია.

1573. თუ მოხერხებული ხარ, კეთილდღეობის მისაღწევად სხვა პარამეტრები აუცილებელი არ არის, რადგან ესაა ცხოვრებაში გამართლების უმთავრესი ალგორითმი.

1574. დაღვინება შეიძლება გაცილებით მეტ მატერიალურ და სულიერ საზრდოს გვაძლევს, მაგრამ შინაგანად ჩვენი ბუნება არ ეთანხმება, რადგან ჯეელობას ყავლი გასდის.

1575. დიდი პიროვნება უნდა იყთ, რომ დაძლიო შენი ემოციები, გრძნობები და საზრიანად, მშვიდად ისაუბრო მომხდარ ფაქტზე, ისე, რომ სხვამაც იგრძნოს შენი მისწრაფება, გამჭრიახობა.

1576. ღირსეული კაცი თავის უკანასკნელ საიდუმლოსაც ამქვეყნად ტოვებს, იქნებ ვინმეს გამოადგეს და გაითვალისწინოსო.

1577. ზედმეტი წონის ხალხმა უნდა შეძლოს საკუთარ მოცულობასთან შეჩვევა, თავის და ნერვების დამშვიდება და რჩევა-დარიგების უგულვებელყოფა.

1578. „აქ წესიერი ვარ, იქ უწესო,'' ამ მენტალიტეტით წესიერებაზე თავის დადება, „ან სხვა ჩემზე უარესია,'' არ შეიძლება, რადგან შენს მხარეს ხალხი რომ დადგეს, ყველაფერში შენი წესიერება უნდა ანათებდეს, ბრწყინავდეს.

1579. ხშირად წარმოთქმული სიტყვის აზრი ჩვენს განწყობას შეეფერება, ხოლო ფრთიანად ნათქვამი აფექტის შედეგია, მაგრამ ამ უკანასკნელი სიტყვების ავტორობამ შეიძლება გაცილებით მეტი დივიდენდები და სიამოვნება მოგიტანოთ, ვიდრე წინასწარ მოფიქრებულმა სიტყვამ.

1580. სიამის განცდა ყოველთვის ქალს და დროსტარებას არ მოაქვს, ხშირად ამ გრძნობას საკუთარი ნიჭის შეგრძნება და საქმის სასიამოვნოდ კეთება გვგვრის.

1581. სიბერის არ გეშინია, თუ შენს განვლილ გზას კელაპტარივით ეპყრობიან და აფასებენ.

1582. უღირსი კაცი ავტორიტეტს და პატიოსნებას პატივს არ სცემს, მისი კერპია ძალა, რომელსაც სიამოვნებით ემორჩილება, ემონება და აწყობს.

1583. ნიჭიერი კაცი არ შეიძლება სრულად გასაგები იყოს თანამედროვეთათვის. მას თავისი ასაფრენ-გასაფრენი აქვს და თავისი აეროდრომის ძიებაში ჰკარგავს დროს. ეს განაპირობებს მის განწყობას, ხასიათს, ურთიერთობებს.

1584. სივრცის გაადამიანურება ყველა ჩვენგანის ვალია, რათა მომდევნო თაობებს ცხოვრება გაუადვილდეთ.

1585. ხანდახან ერთ კაცში იმდენი ენერგია და ძალაა, რომ ასეულებს მობილიზებას უკეთებს, თავის ჭკუაზე ატარებს და ამ ერთ კაცზეა დამოკიდებული ხალხის კეთილდღეობა თუ იმედის გაცრუება (მაგ.: ჯარში – გენერლის, თეატრში – რეჟისორის, ხალხში – პრეზიდენტის).

არჩევნები

1586. სახელმწიფოს ხელმძღვანელისთვის მთავარი ქვეყნის ინტერესები, მისი ეკონომიკური შესაძლებლობების გამოვლენაა და არა ის, თუ რა იმიჯით მივა არჩევნებზე. ვინც საქმეს აკეთებს, მას რეკლამა არ სჭირდება. ამას ამომრჩეველი ყველაზე კარგად ხედავს და თუ ვერ ხედავს, მით უარესი მისთვის.

1587. რადგან გაგიმართლა და შენი ხალხის არჩეული გახდი და არა რჩეული პრეზიდენტი, ეს მაინც გაითვალისწინე: მომავალ არჩევნებამდე მკვეთრი პოლიტიკური მოძრაობები არ გააკეთო, რათა ხალხმა ეჭვი არ შეიტანოს თავის უგუნურებაში, გულგრილობა არ დასჩემდეს და ყველაფერი მოსაბეზრებელი არ გახდეს მათთვის.

1588. ქვეყანა რომ ამოვთხაროთ იმ ნაპრალიდან, რომელშიც მამაკაცმა პოლიტიკოსებმა ჩააგდეს, ახალ არჩევნებში ხმა ქალებს უნდა მივცეთ. თუ ისინი ქვეყნის კრიზისადან გამოყვანას ვერ შეძლებენ, მაშინ მამაკაცების უსუსურობას გაინაწილებენ და იმქვეყნად სუფთა სინდისით წასვლის უფლებას მოგვცემენ, რადგან ამ სიმაღლის ათვისებაში მათი ხელიც ჩაერია და იქ ვერაფერს დაგვაყვედრიან.

1589. პოლიტიკაში ფასდება არა იდეების სიმრავლე, რეალური ეკონომიკა, ინტელექტი, მცდელობა, არამედ ის ძალა და რესურსი, რეალური სიტუაცია, რომელიც დღეს მისაღებია ამომრჩევლისთვის, რომელსაც ბევრ ცოდნას და გამოცდილებას ვერ მოსთხოვ, რადგან ის ყურებით და თვალებით აკეთებს არჩევანს და მათი გემოვნება მრავალნაირი და გაუგებარია.

1590. იურისტები უშვებენ შეცდომებს, შეცდომებისგან არც სასამართლო და პროკურატურაა დაზღვეული, არც პოლიტიკოსები რჩებიან ვალში, ყველა მათგანი თავისი შეცდომების ჩამოწერის მიზეზს ნახულობს, მხოლოდ დოყლაპია ამომრჩეველი რჩება ყველასგან გაბახებული და მოტყუებული. იგი ერთ ჭეშმარიტებას ვერ იგებს: მას შეცდომის კი არა, გადაცდენის უფლებაც არა აქვს!

1591. სამყაროს, ძირითადად, უნამუსო ჩინოვნიკები მართავენ, მის გადარჩენას კი სილამაზეს აკისრებენ, მაგრამ ამ ქაოსის მოყვარულ ამომრჩეველს პატრონი და საღი აზროვნება არ უჩნდება, ამიტომ მის სამართავად ყველა "ილვწის", ვისაც არ ეზარება.

1592. უგვანო პოლიტიკოსები ტერორისტებს აძლევენ ლიცენზიას უდანაშაულო გამოყეყეჩებული ამომრჩევლების ამოსახოცად და დასაშინებლად.

1593. არჩევნები თავისებური ომია, მას წესიერი მანერებით და გარეწრების დახმარების გარეშე ვერ მოიგებ, რადგან ამომრჩევლების უმრავლესობას საღად აზროვნება და შექმნილ გარემოში გარკვევა არ სურს.

1594. თავისი კერპის შექმნა ყველა ამომრჩევლის ოცნებაა, რადგან იმედი აქვს ზედმეტი ფიქრისა და ზრუნვისგან განთავისუფლდეს, მაგრამ ოპოზიციას იმედი უცრუვდება, რადგან თვითონ თამაშგარე მდგომარეობაში რჩება და ამ წყენის გადატანა უჭირს.

1595. პოლიტიკა ისეთი ვირუსია, რომელიც ამომრჩეველზე უნდა გამოიცადოს, შედეგად ელექტორატი იძულებულია იავადმყოფოს და დიაგნოზის დასმის შემდეგ გამოჯანმრთელდეს მეორე არჩევნებამდე, მაგრამ პოლიტიკის საწინააღმდეგო იმუნიტეტს მაინც ვერ გამოიმუშავებს, რადგან მორიგ რეკლამას ისევ წამოეგება.

1596. შინაგანად სასიამოვნო, გარეგნულად ღარიბი პოლიტიკოსი არ არსებობს, არიან მისგან სულიერად გაბითურებული, განუსჯელად ზარმაცი ამომრჩევლები, რომლებიც ხმის მიცემას ამადლიან.

1597. უსიყვარულოდ შეყრა და დაუნანებლად განშორება არჩეული დეპუტატების და ქვეყნის მმართველის ხვედრია. პირველი ცდილობს მეორეს დაეხმაროს, რომ შეცდომა არ დაუშვას, ხოლო მეორე კი იმის ცდაშია, პირველი კანონის დარღვევასა და გადაცდენაში ამხილოს და თავისი სავარძელი გაამაგროს.

1598. პრეზიდენტის გადაცდენა დანაშაულია ამომრჩევლის წინაშე, მისი შეცდომა ყველა არსებულ დანაშაულზე უარესია, ხოლო ჩადენილ დანაშაულს იმხელა ზარალი მოაქვს ქვეყნის აღმშენებლობისთვის, რომ მისი შესაფერისი სასჯელი ჯერ არ დაწერილა და არც გამოუგონიათ.

1599. ყველა პრეზიდენტს აქვს აზრი თავის ამომრჩეველზე და ქვეყნის ეკონომიკაზე, იმ გვარად, რომ თავიც არ დაივიწყოს.

1600. პრეზიდენტს ირჩევს უმრავლესობა, მაგრამ ის ვალდებულია უმცირესობასაც სურვილი დაუკმაყოფილოს და გადაწყვეტილებაც პერსპექტივით მიიღოს, რომელიც ოპონენტთა შემცირებას ქვეყნის წინსვლას და უსაფრთხოებას წაადგება.

1601. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ პოლიტიკოსს ინფარქტამდე და ინსულტამდე მიჰყავს თავისი ხალხი, ამომრჩეველი მაინც ამ კაცს ანდობს ქვეყნის მკურნალობას.

1602. წინათ პოლიტიკოსები ერთმანეთს ეკამათებოდნენ, რიგდებოდნენ, ირჩევდნენ, ვირიშვილობდნენ, დღეს კი მათ საყოველთაო არჩევნები მოიგონეს, მოუმზადებელი, მოსმენის მოძულე ხალხი ქვეყნის მართვის საქმეში გაიყვანეს და ვირიშვილობის სტატუსი გადაუნაწილეს.

1603. ლიდერებად არც ხდებიან და არც ჩნდებიან, უბრალოდ, ისინი იბადებიან და მათ გამოვლენას დრო, გარემო და ხალხის „უგუნურება" სჭირდება.

1604. პარლამენტი ის კლუბია, სადაც საუკუნეობით გამობრძმედილ კანონებს თავის ჭკუაზე გადაწერენ და შემდეგ ამომრჩეველს აცნობენ, თანაც აყვედრიან, ნახეთ როგორ ვსაქმიანობთ, არ გეგონოთ თქვენი წყალობით პურს ტყუილ-უბრალოდ ვჭამთო.

1605. ქვეყანა, ხალხი, მაშინ იმსახურებს აპლოდისმენტებს, როდესაც არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს ისეთი სამართლიან ნიშნებს უწერენ, რომლის ჭეშმარიტებაშიც ეჭვი არავის ეპარება.

1606. პარლამენტი ლამაზმანების დოღია და ამ ბორდელში სამუშაოდ დასარჩენად მომავალი დეპუტატები ფსონს თავად ჩადიან.

1607. თუ სახელმწიფო მოღვაწე, პოპულარულისგან განსხვავებით, მომდევნო არჩევნებზე დროულად არ იფიქრებს, მაშინ ქვეყნისთვის მისი ზრუნვა ფიასკოდ მოუბრუნდება, რადგან მას აღარ აირჩევენ.

1608. პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა შენი ნების გამოხატვაა, მაგრამ არჩეულს თუ აქვს შენი ნების გამოხატვის სურვილი – ეს სხვა საქმეა.

1609. იმისათვის, რომ კანდიდატის ლამაზი სიტყვების კორიანტელში საზოგადოება სწორად გაერკვეს, მომავალ თაობას ბავშვობიდანვე, თამაშის საშუალებით უნდა შევასწავლოთ პარლამენტი, არჩევნები, კამათის კულტურა.

1610. ყველა ხალხი იმსახურებს ცხოვრების იმ დონეს, რასაც მისი გონება და ინტელექტი წვდება პრეზიდენტობის კანდიდატების არჩევის დროს.

1611. ბრბო ყოველთვის აზროვნებისა და ჭკუის ჭყლეტის წინააღმდეგია. სწორედ ამიტომ ირჩევს ის მოლაყბე, უსინდისო მატყუარა კანდიდატს და საქმიან შემოქმედს მანდატის გარეშე სტოვებს.

1612. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ბრბო განგებ ირჩევს უხიაგ ხელმძღვა-ნელს, რათა თავისი უსუსურობა და უსაქმურობა სხვას გადააბრალოს და თავი იმართლოს.

1613. რაც უფრო დემოკრატიულია არჩევნები და სახელმწიფოში მდგომარეობა სტაბილური, მით უფრო ნაკლები ამომრჩეველი იყენებს თავის უფლებებს, ხოლო თუ ქვეყანაში მდგომარეობა დაძაბულია და დემოკრატიას ალიყური აქვს გაწნული, მაშინ ამომრჩეველი გაცილებით მძვინვარე და აქტიურია.

1614. უღირს მთავრობას ის ხალხი ირჩევს, რომელსაც თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, პროტესტის ნიშნად არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს და თავს არ უყადრებს. შედეგად არჩევანი მერყევ ადამიანებს და ვიგინდარებს რჩებათ.

1615. თავად ამომრჩეველმა უნდა დაიცვას თავისი კანდიდატის ღირსება და პატიოსნება, მისი წესიერი გზით სახელმწიფო მმართველობის ოლიმპზე აყვანისას.

1616. პარლამენტი თუ სულით გარყვნის ბუდეა, მისი ამომრჩეველი ხორციელი ბრიყვი ლამაზმანია.

1617. არჩევნები ის ერთადერთი შემთხვევაა, სადაც ბრბო გამოდის გამარჯვებული და გვიან ხვდება ამ გამარჯვების უაზრობას, რადგან არჩეული პარლამენტი ძაღლის კუდივით გაუსწორებელი რჩება.

1618. ზოგ პოლიტიკოსს საარჩევნო პროგრამა იმდენად ზოგადი და უნივერსალური აქვს, რომ ხმას საკრედიტო ბარათებივით ყველა დოყლაპიასგან იღებს.

1619. ძალაუფლება იმდენად ახლოს უნდა იყოს ამომრჩეველთან, რომ ეგონოთ, რა შთამბეჭდავად და გულმოდგინებით უსმენენ მათ ყბედობას.

1620. პოლიტიკაში ხშირად წელქვევითი რეიტინგის მქონე „პოპულარული" ადამიანები მიძვრებიან და ამომრჩევლის მხარდაჭერასაც ისინი ნახულობენ, რადგან ბევრს ქვეყნის მართვა საარჩევნო ბერიკაობა ჰგონია და მათ რომ თავის არჩეული ცხვირში ამოარტყამს, ამაზე არავინ ფიქრობს და თავსაც დამნაშავედ არავინ გრძნობს.

1621. პოლიტიკოსს მატყუარას დიაგნოზი იმიტომ აქვს დასმული, რომ ამას საზოგადოება აიძულებს, რადგან ყოველთვის სიმართლის თქმის შემთხვევაში ის ჩვეულებრივი მომაკვდავი ხდება და მას წინ არავინ დაიყენებს, არავინ აირჩევს.

1622. ქვეყნის პრეზიდენტი ხალხს მამად, ეკონომიკის მცოდნე მოჭადრაკედ, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ მორწმუნედ, სიტყვის პატრონად, შემოქმედ პოლიტიკოსად უნდა მოევლინოს და არა ისე, როგორც სინამდვილეში შემოგვეჩეჩება: ინტრიგანი, ფანტაზიორი, სიტყვის გამტეხი, მომხვეჭელი, ეკონომიკაში უვიცი და პოლიტიკაში მობანავე. რაც შეეხება ღიმილს და მომხიბვლელობას, ეს ორივე კატეგორიისთვის აუცილებელია, თორემ უვიცი ბრბო თავის ბედის არენდაზე ხელშეკრულებას არ გაგიფორმებთ.

1623. ქვეყნის ხელმძღვანელის ნდობის კრედიტის დევალვაცია ამომრჩევლის მხრიდან მაშინ იწყება, როდესაც ის მართვის ეშხში თანდათან შედის და თვალსაც აჩვევს. მაგრამ ქვეყნის კონსტიტუცია ორი არჩევის შემდეგ მას მოქალაქეთა მომსახურების უფლებას უკარგავს და ხალხს ჯავრის ამოსაყრელად დრო აღარ რჩება, რადგან ახალი არჩევნები კარზეა მომდგარი და ყოველივე თავიდან არის გასავლელი.

1624. საზოგადოებას ვირეშმაკური ნიჭით დაჯილდოვებული თავხედების უმცირესობა მართავს და "ხომს" ისე ისწორებს, როგორც მოეხასიათება, მაგრამ საოცარი ის არის, რომ რაღაც მანქანებით მათ ხალხი სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის ნებას რთავს და ამ ავანტურას მშვიდად უყურებს რაღაცის მოლოდინში.

1625. როდესაც ქვეყნის მმართველი პიროვნებად მიდის, მაშინ ამომრჩეველთა პასუხისმგებლობა რამდენჯერმე იზრდება, რადგან აქამდე მის ზურგს იყვნენ ამოფარებულნი, ეხლა კი საფრთხის წინაშე დგანან, რადგან ,,ვიგინდარობის კანონის'' თანახმად, სახელმწიფოს სათავეში ვინმე შემთხვევითი რეფორმატორი არ მოხვდეს.

1626. ბრბოში სამწყობრო სიარული ზოგს ხელისუფლებაში მოსახვედრად სჭირდება, ზოგს თავის ნერვების დასაწყნარებლად და დაბოღმილი ენერგიის გამოსათავისუფლებლად, ყველა რაღაცა სარგებელს ეძებს, ბრბო ცხვარივით ყველას მიყვება იმ იმედით, რომ კარგ საძოვარს მიადგებიან.

1627. ამომრჩეველი ხმის მიცემის დროს, შიშისგან უნდა თრთოდეს, რომ ერის წინაშე დანაშაული არ ჩაიდინოს და უგვანო დეპუტატი ხალხს თავზე არ წამოასკუპოს.

1628. ძნელია ხალხის არჩეულ დეპუტატზე თქვა აუგი ისე, რომ მის ამომრჩეველს შეურაცხყოფა არ მიაყენო და მის ვიგინდარობას არ შეეხო, ამიტომაცაა, შედეგი ორივე მხარეს ფეხებზე ჰკიდია, რათა ორივე არ გაილანძღოს.

1629. დეპუტატს მახსოვრობაც არჩევითი აქვს, არჩევნების დაწყებიდან მის დამთავრებამდე.

1630. სიკვდილსა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველას თანასწორად აქვს. ერთი მამაზეციერის წყალობაა, მეორე "ქვედაზეციერის", კონსტიტუციის, დახმარება.

1631. ამომრჩევლის დილეტანტური ოცნებაა იცხოვროს ისე, როგორც მას მოესურვება, კანდიდატის "ვალია" დაეთანხმოს მათ მოთხოვნებს და არჩევის შემდეგ ისე მოიქცეს, რის საშუალებასაც შექმნილი სიტუაცია და მისი მმართველობის ნიჭი იძლევა.

1632. ძლიერ გარემოებათა, თუ სხვა რამეთა გამო, კახპები და პოლიტიკოსები იმას ჰყიდიან, რაც შემდეგ უსასყიდლოდ თან მიაქვთ. თუ პირველი ანაზღაურებას მაშინვე იღებს, მეორეს არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მხარდამჭერთა არმია რჩება გასასტუმრებელი.

1633. მოწოდებით დეპუტატის ვალია სავარძელში გაისარჯოს ამომრჩევლისთვის, ვიდრე ხელშეუხებლობის მარაგი შექმნას დემოკრატიის პრინციპებისათვის.

1634. ჯარისკაცისთვის ხმის მიცემა მისი მწყობრში სიარული და ბრძანების განუსჯელი შესრულებაა, რადგან გონებით არჩევანის გაკეთებას ფიცის ერთგულება, წუნარად ცხოვრების სურვილი და უინიციატივობა არ ანებებს.

1635. არჩევანიდან არავინ არის დაზღვეული, მათ შორის, არც ცოლის მიერ არჩეული ქმარი.

1636. არჩევნები ფულიანი ტომრების შეჯიბრია, სადაც დაუფიქრებელ არბიტრად ხალხი გვევლინება, რომელიც კი არ უნდა მსჯელობდეს, არამედ საღი გონებით უნდა ცდილობდეს ისეთი დეპუტატი აირჩიოს, რომელიც ჩანთას მაინც შეახვედრებს.

1637. ვინც გარემოს ზეგავლენის და შინაგანი ბუნების მოთოკვას ახერხებს, ის იქცევა პიროვნებად, ვინც ამას ვერ ახერხებს, რჩება ამომრჩევლად და სხვის გამფეტიშებლად.

1638. ფართო განხილვის გარეშე რეფერენდუმის, არჩევნების მოწყობა უფრო დიდი ძალადობაა, ვიდრე დიქტატურა, რადგან პირველ შემთხვევაში დამნაშავის მოძებნა შეუძლებელია, ხოლო მეორე შემთხვევაში დამნაშავის ვინაობა მაინც ცნობილია.

1639. ფართომოხმარების ამომრჩეველი ქვევრია, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს, ის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მხედველობაში არ მიიღება, მაგრამ არჩევნების დროს მათი „დაბმის" გარეშე არაფერი გამოვა.

1640. საარჩევნო კამპანია ანანიზმით იწყება, ოპტიმიზმით სულდგმულობს და პესიმიზმით მთავრდება, თუ ხალხმა არ იცის ცხოვრების ამ ეტაპზე ვის უნდა ანდოს ქვეყნის ბედი.

1641. დღევანდელი საყოველთაო თავისუფალი არჩევნები ყოვლად უვარგისია თავისი პრაქტიკული შედეგებით, მაგრამ ყველასთვის მისაღებია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც თეორიას და პრაქტიკას ერთმანეთთან თანამშრომლობა არ სურთ, მაგრამ შედეგით ორივე კმაყოფილია.

1642. წესიერ არჩევნებში მონაწილეობაზე ყველა თანახმაა, მაგრამ მოქალაქედ ყოფნა ბევრს აფრთხობს, რადგან უმეტესობა წინააღმდეგია საარჩევნო ბიულეტენში მისი ინიციალების შეტანისა.

1643. მთავარი არჩევნებში მონაწილეობა კი არ არის, არამედ ხმების შენს სასარგებლოდ გადაანგარიშება.

1644. ამომრჩეველი ან ღმერთის თვალით უნდა ირჩევდეს, ან არჩევნებში არ უნდა მონაწილეობდეს. რადგან იგი ძალზე ახლომხედველია.

1645. არჩევნებში ხმებს კი არ უნდა ითვლიდნენ, არამედ უნდა წონიდნენ, მხოლოდ ამის შედეგად უნდა დადგინდეს კანდიდატის დაპირებების რეალური ფასი და ისე მიეყიდოს ხალხს.

1646. ამომრჩეველი საარჩევნო ურნასთან ღმერთის, სინდისის, გონიერების, ემოციების წინაშე მარტო დგას და არჩევანი გულის და ინტუიციის დახმარებით უნდა გააკეთოს.

1647. მომავალი თაობა ისე აქტიურად რომ იღებდეს მონაწილეობას სახელმწიფო არჩევნებში, როგორც წარმავალი, პოლიტიკაში ამდენი ვიგინდარა ვერ იფარფაშებდა, რადგან გულით არჩეული ყოველთვის გონებით ნავაჭრს სჯობს.

1648. ამ კანდიდატებს ვერაფერს გაუგებ, იმის მაგივრად, რომ სახელმწიფოს ეკონომიკაზე, მართლმსაჯულებაზე, საქმეზე, ილაპარაკონ, ზღაპრებს ყვებიან პატრიოტულ თემებზე და თავიანთ უმწიკვლობაზე. საინტერესოა ისიც, რომ თავსაც აჯერებენ და აზრდაც არ მოსდით, რომ ასეთი პოლიტიკურად საჭურისი დეპუტატები არც ქვეყანას გამოადგება და არც ოჯახს, რადგან ერს საღი, უკომპრომისო ეკონომიკა და პოლიტიკა სჭირდება და არა „ვაშა"-პატრიოტიზმით დაკაიფებული დეპუტატები.

1649. დეპუტატის ეთიკა და მისი შრომისუნარიანობა დამოკიდებული უნდა იყოს მისი მუშაობის რეგლამენტების განუხრელ დაცვაზე, რომელიც გამოიხატება საჯარიმო ქულების დარიგებით და შემდეგ ეტაპზე დეპუტატის მანდატის გაუქმებით. შედეგი: ყველაზე შრომისუნარიანი და წესიერებით აღსავსე პარლამენტი.

1650. პარლამენტში ყოველდღე სამოქალაქო ომია, ამიტომ იქ ყოფნა დიდ მოთმინებას და ნერვების დაძაბვას მოითხოვს და ამ ჯოჯოხეთში ყოფნას ბევრი დეპუტატი ქვენა გრძნობების გამოვლენით და სარგებელით ინაზღაურებს.

1651. დღეს დეპუტატებს სუნით ვირჩევთ და არა ჭკუით და ვინ როდის და რა დროს ამყრალდება, არავინ უწყის, მიუხედავად ამისა, არჩევანს მაინც წამხედურობით ვაკეთებთ და არა ჩვენი დაფიქრების შედეგად.

1652. დეპუტატობა უშედეგო აქტიურობაა სახელმწიფოს დამყაყებული აპარატის გასაწმენდად, მაგრამ დიდი იმედია რწმენის შესანარჩუნებლად.

1653. დღევანდელი დეპუტატები მგლის გაუმაძღარ ხროვას მოგვაგონებენ, რომლებიც დახვრეტის ღირსნი არიან, მიუხედავად ზოგიერთის მიმართ აშკარა პატივისცემისა.

1654. ქვეყნის მმართველმა თავის ამომრჩეველს გიჟის პერანგი სიყვარულით, საქმის ცოდნით და მასთან შეთანხმებით უნდა ჩამოაცვას.

1655. ყველა ვიგინდარას შეუძლია ქვეყნის პრეზიდენტი გახდეს, თუ ის გაბრიყვებულ ამომრჩეველთა ხმებს მოაგროვებს, მაგრამ ხალხსაც უნდა შეეძლოს თავის სიბრიყვისთვის ჯავრის ამოყრა და გამბრიყვებლისთვის ცხვირიდან ძმრისდენა, წინაალმდეგ შემთხვევაში, ვერც ვიგინდარების ოდენობა შემცირდება და ვერც ხალხი გამოსწორდება, თუ გონიერებასთან მიახლოვებული შურისძიება არ ისწავლა.

1656. დიქტატორულ და თავისუფალ არჩევნებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველ შემთხვევაში არჩევანი ნაძალადევია და განტევების ვაციც ცნობილია, მეორე შემთხვევაში ნებაყოფლობითია და ვაცის როლსაც თავად ასრულებ. შედეგი ორივე შემთხვევაში ერთია – დეპუტატი ქაქია, რადგან პოლიტიკაში თეორია პრაქტიკას იშვიათად ემთხვევა.

1657. არჩევნები იმის შემოწმებაა, თუ რამდენად ემთხვევა კანდიდატის შესაძლებლობები ხალხის სურვილებს და სახელმწიფოს ინტერესებს.
1658. კრიმინალური დრო, საზოგადოება და არა მათ მიერ არჩეული მთავრობა, რადგან შეიძლებოდა უკეთესის ამორჩევა, შერჩევა და არა არჩევა.
1659. არჩევნებში მონაწილეობა პირველ რიგში პასუხისმგებლობაა სხვის მიმართ და მერე – შენი ნების გამოხატვის მცდელობა. ამის გაუთვალისწინებლობა ყველას მიმართ დანაშაულია.
1660. დეპუტატობის კანდიდატები იგივე მეძავი დიაცები არიან, ქუჩაში გამოფენილნი, რომელთაც საფასურად ყველას სამურ ცხოვრებას და სიყვარულით ორგაზმს ჰპირდება. როდესაც თავისას გაინაღდებს, ეხლა უკვე საქმიან ხალხთან იწყებს თამაშს, რადგან უფულოებმა და უგუნურებმა ის უკვე აირჩიეს და ფულის სამოვნად შარაგზაზე დააყენეს.
1661. ქალსა და ამომრჩეველს კარგი ცხოვრების ალგორითმი აინტერესებს, პირველისთვის მთავარია კარგი ჩოყლაყი და სახარჯო ფული, მეორესთვის პიროვნება მთავრობაში და რეალური კეთილდღეობა. როგორ უნდა გაკეთდეს, ეს მათ არ აწუხებთ.
1662. პარლამენტი სულით დავადებულთა სამყოფელს მოგვაგონებს, სადაც ავადმყოფებად და მკურნალებად თავად დეპუტატები გვევლინებიან.
1663. საზოგადოება უნდა მომწიფდეს თავისუფალი არჩევნებისთვის, მაგრამ მათთვის ამის მთქმელის კარიერა ნულის ტოლია.
1664. ხალხს მაშინ უჩნდება თვითმარქვია მმართველობის მოთხოვნილება, როდესაც არჩეული დეპუტატები იტყუებიან და მათზე დაკისრებულ მოვალეობას სახელმწიფო მართვისას, უხიაგი ქმარივით თავს არიდებენ.
1665. მთავრობას ხალხთან ურთიერთობა არჩევნების შემდეგ არ აინტერესებს. ის ან ეშმაკს უნდა ჩაეხუტოს, ან ღმერთს. მიუხედავად ამისა, ის ვალდებულია ყური უგდოს ამომრჩევლებს და დაიცვას ისინი ხელყოფისგან.
1666. ხალხი დიდებული გვყავს, მაგრამ ამომრჩეველია უგუნური და ფეხის ხმას აყოლილი. ამიტომაა, რომ სახელმწიფო წყობა ჭრაჭუნობს და ჯახირობს. თუ უკეთესი არჩევანი არა გვყავს, ამ მანქანის დაზეთვა მაინც მოვახერხოთ, რომ ხმაურმა არ შეგვაწუხოს.
1667. ხალხის სიბრიყვეს საზღვარი არა აქვს: სცენის აქტიორს და გამრთობს ქვეყნის მმართველად ირჩევენ, ცხოვრების მცოდნეს და მის საღად მოაზროვნე რეჟისორს უადგილოდ ტოვებენ, რადგან ხალხისთვის გართობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დაფიქრების, განსჯის შედეგად მიღებული სიამოვნება.
1668. ხალხი პირველ რიგში ხმას აძლევს სიმპათიებს, მატერიალურ კეთილდღეობას, ხოლო სახელმწიფო ინტერესები ბოლო ადგილზეა.
1669. ხალხს თავისუფლებისთვის არჩევანის უფლება უფრო სჭირდება, ვიდრე დემოკრატია, კომუნიზმი, კაპიტალიზმი.
1670. სინამდვილეში არჩევნებიც, ხალხის ნებას არ გამოხატავს. უბრალოდ, ეს სურვილია ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია ტექნიკური პროგრესის წინ წაწევის ტემპზე და არა პოლიტიკოსების ნება-

ზე, რომლებიც განვითარების პროცესს ანელებენ ან ფეხდაფეხ მიყოლაში ხელს არ გვიშლიან.

1671. ხალხი ყველაზე ინტიმური მასალაა ხელისუფლებისათვის არჩევნებამდე და ყველაზე ვულგარული – არჩევნების შემდეგ.

1672. მთების, მინერალური წყლების, ვაზის, ყბედების, ტალანტების, ვალების ქვეყანაში ვცხოვრობთ და საოცარია – არც ისე ცუდად, როგორც ვწუწუნებთ და როგორ არჩევანსაც ვაკეთებთ.

1673. მოხერხებულობა და თანამდებობა უფლებას გვაძლევს, ხალხის ნდობით აღჭურვილნი მათ მსახურად ავმაღლდეთ, ყოველგვარი ქვენა გრძნობების და პატივმოყვარეობის გარეშე, რადგან თუ არა მათი ნება, ჩვენც ჩვეულებრივი ამომრჩეველი ვიქნებოდით.

1674. რეფერენდუმები ყოველთვის დემოკრატიის მაჩვენებლად არ გამოდგება, რადგან რეფერენდუმზე ხალხმა შეიძლება ისეთ აზრსაც დაუჭიროს მხარი, რასაც გონიერება არ ისურვებდა.

1675. ხალხი ძალაუფლებას მის მიერ არჩეულ მთავრობას ანდობს, მთავრობა კი არავის არაფერს ნდობს, ამიტომ ხალხი იძულებულია და თავისი კუთვნილი ძალაუფლება უკან დაიბრუნოს, რათა კვლავ სხვას გადასცეს.

1676. თანამშრომლობას და მომსახურებას ხალხის არჩეული ხელისუფლება სხვადასხვანაირად იგებს, თავისთვის სასარგებლოდ და სასიამოვნოდ.

1677. პოლიტიკური პარტიები შეხედულებით და შეცდომებით უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ამავე დროს მთავარია მათ ლიდერებს რა დასათაურების ცხოვრების წიგნის კითხვა იტაცებთ და როგორ ახმოვანებენ მის რეზიუმეს. ამის შემდეგ კეთდება არჩევანი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხშირად მზად არიან ამომრჩევლის ღალატისათვის ადგილის და იმიჯის შესანარჩუნებლად.

1678. ზოგჯერ იმდენი შემთხვევითი კანდიდატი მონაწილეობს არჩევნებში, რომ არჩევანის გაკეთება აზრს ჰკარგავს, რადგან ჩვენს წინაშეა პოლიტიკური უვიცობის კაზინო და მოგებული ვინ დარჩება, ფორტუნა გადაწყვეტს და არა ხალხი.

1679. „მადლობელი ვართ, სანამ ჩვენთან ხართ, სანამ გვჭირდებით", ეს არის ყველა კანდიდატის კარიერის ცხოვრებისეული კრედო და ამას ვერავითარი მორალი ვერ შველის.

1680. სახელმწიფოს ხელმძღვანელისთვის მთავარი ქვეყნის ინტერესები, მისი ეკონომიკური შესაძლებლობების გამოვლენაა და არა ის, თუ რა იმიჯით მივა არჩევნებზე. ვინც საქმეს აკეთებს, მას რეკლამა არ სჭირდება. ამას ამომრჩეველი ყველაზე კარგად ხედავს და თუ ვერ ხედავს, მით უარესი მისთვის.

1681. პრეზიდენტი საარჩევნო კამპანიის პერიოდში კი არ უნდა ბობღავდეს და რაღაც-რაღაცეებს კი არ უნდა ეპოტინებოდეს ხალხის გულის მოსაგებად და სამართავად, არამედ უნდა დააბიჯებდეს და ცდილობდეს მმართველობის კვალი დატოვოს.

1682. ხალხის არჩეული პრეზიდენტი თუ გეზარება და გულს გისივებს, მომავალ არჩევნებამდე შენს ხალხსაც უნდა გაეცალო.

1683. ზოგს დეპუტატად არჩევა იმიტომ უნდა, რომ მუმიასავით ხელშეუხებელი იყოს, ოღონდ პირამიდაში გამოკეტვის გარეშე.

ახალგაზრდობა – ჯეელობა

1684. ახალგაზრდობა თაობათა როტაციის და თავის დროის ვირეშმაკობის გარეშე მისთვის გასაგებ ცხოვრების ეშხს დაკარგავდა.

1685. ახალგაზრდობას სიბერის ყველა რეგალიების ყიდვა და მითვისება შეუძლია უსიტყვოდ, მხოლოდ რაზეც შეიძლება ივაჭროს – სახელია.

1686. რამდენი ჯიშიანი ახალგაზრდა იღუპება უფროსების უპასუხისმგებლობით და უყურადღებობით – საგანგაშოა, რომლებმაც მათ ახალგაზრდულ აღმაფრენას და დროებით სიბრიყვეს ალღო ვერ აუღეს.

1687. ახალგაზრდობის ოცნებაა, წმიდათა-წმინდა ალი აანთოს ქვეყნის განვითარების საკურთხეველზე და იმედის ბაირაღი ააფრიალოს, მაგრამ ირგვლივმყოფი ცხოვრებაგამოვლილი ურწმუნონი უკლავენ ამ იმედს და დროთა განმავლობაში ისიც გულგრილი ხდება თავისი წინამორბედივით.

1688. გადამეტებული ნიჭით „დამახინჯებული" მომავალი თაობა, თავისი მიზნის მისაღწევად და საამებლად მიისწრაფის, ისე რომ სერიოზულად ამაზე არც ფიქრობს.

1689. წინა თაობა მომდევნო თაობების სასარგებლოდ ზარალდება და ეს ზარალი ახალგაზრდობას ხიდად ევლინება, თუ მასზე სასიკეთოდ სიარულს მოისურვებს.

1690. ბურუსი, ამბიციები, შემოქმედებითი საწყისი, სამართლიანობის გრძნობა, ახალგაზრდის ლაღი სულის საწყისია, რომელიც უსამართლობას ვერ ითმენს და ბევრჯერ თავის და სხვის ტაბიკებს ამტვრევს, თუ გაუმართლა და აპეური არ წაუჭირა ცხოვრებამ.

1691. ყველა თაობამ თავის გზა უნდა გაიკვლიოს, რათა თავისი ჯიშის და ჯილაგის გვარიშვილობა, ძირძველი ძირი, მომავალი თაობებისთვის საამაყო იყოს, მითუმეტეს დღეს საინფორმაციო საშუალებები წინაპრის ცოცხლად წარმოჩენის საშუალებას იძლევა.

1692. ყმაწვილის აღზრდა მისი ნიჭის შეცნობის, გამოვლინების თვალსაზრისით არის მთავარი და არა მშობლების სურვილის და კაპრიზის დასაკმაყოფილებლად.

1693. ახალ თაობას არც ქრთამი აუღია, არც მოუპარავს და არც ქვეყნისთვის ულალატია, მაგრამ სად არის იმედი იმისა, რომ ამას არ ჩაიდენს და მშობლებივით ცოდვილი არ გამოვა, თუ ეს უკანასკნელნი მის ღირსეულად აღზრდას არ ეცდებიან.

1694. ახალგაზრდა რა ინფორმაციის მფლობელიც ხდება, იმასვე ამოგვიყრის ცხოვრების კომპიუტერზე, ამიტომ რეკლამას და მომხვეჭელობისკენ ლტოლვას, მისი სული და ხორცი არ უნდა გადავაყოლოთ და ველურად არ უნდა ვაქციოთ, რადგან ცხოვრების ცოდნა და ცხოვრებაში სიარული სხვადასხვა რამაა.

1695. ახალგაზრდობა არ იცნობს რეალურ სამყაროს, მაგრამ როდესაც შეცნობას მოინდომებს, მაშინ იწყება ადრეულად შეძენილი სულიერი სიმდიდრის თანდათანობით დაკარგვა.

1696. როგორც მშობელს, ისე სპონსორს არ ირჩევენ და ეს ახალგაზრდის ტალანტის მაჩვენებელია, რადგან ზევიდან დანიშნული კეთილისმდომნი მის წარმოჩენაზე ზრუნავენ.

1697. ყმაწვილი ბედნიერია იმით, რომ ახლობლები, მეგობრები ჯერჯერობით ისეთი ჰყავს, როგორიც წარმოუდგენია და არა ისეთი, როგორიც სინამდვილეში გვევლინებიან არსებობისათვის ბრძოლაში, რასაც ცხოვრების დაისზე ხვდება და არა ახალგაზრდობაში, სანამ მშობლების იმედზე ცხოვრობს.

1698. ახალგაზრდობას თავისი კერპი სჭირდება, რადგან ავტორიტეტებს ისინი ან ვერ უგებენ, ან ვერ ეგუებიან.

1699. ახალგაზრდებს მათთვის გასაგებ ენაზე უნდა ელაპარაკო, ხოლო ასაკოვან თაობას კი იმ ენაზე, რომელიც ახალგაზრდობისთვის უკვე მოძველებულია.

1700. რამდენი სისულელე შეიძლება ჩაადენინოს ეროვნულმა ისტორიამ თავის სამშობლოზე და ხალხზე ალალად შეყვარებულ ახალგაზრდას, რომელიც დაღვინების ჟამს ღიმილით იხსენებს თავის წარსულს და ვერ გარკვეულა სიკეთის კეთება უნდოდა თუ ბოროტება, მაშინ როდესაც თურმე ყველაფერს თავისი დრო აქვს და ყველაფერი თავისი ნებით მოდის და მიდის.

1701. ზოგჯერ გვეჩვენება, რომ შოუ-ბიზნესი ახალგაზრდობის დეგრადირებისთვის და უვარგისი მთავრობის გადასარჩენად არსებობს, თორემ რა აუცილებლობაა, ვალებით გამოტენილი ქვეყნისათვის მათი მოწვევა. ეტყობა ვიღაცას აწყობს უინიციატივო, კრეტინი და სულიერი საკვების არმქონე ახალგაზრდობა, რათა ისინი ადვილად მართონ და მათ კარიერის წალეკვით არ დაემუქრონ.

1702. მუსიკის თანამედროვე მიმდინარეობების ბაკქანალია და იდიოტიზმამდე მისული სიმარტივე, ახალგაზრდობისთვის თავის წარმოჩენის და თვითდამკვიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. ეს ყოველთვის ასე იქნება, ამასთან რაც უვარგისი და ჩამოსაშორებელია, ნამდვილი ხელოვნების ღუმელში დაიფერფლება, რათა წმინდა ნადნობი მომდევნო თაობებს დარჩეს განსასჯელად.

1703. დახეული ჯინსით სიარული მოდა და თავის მოწონების საშუალება გახდა, მაგრამ ორჯერ ორის ოთხობა არასოდეს არ იწვევდა ეჭვს და ამგვარი ტანსაცმლის მოდაში დარჩენაც გამორიცხულია, რადგან ის უბრალოდ, ახალი თაობის თავისებური კაპრიზია, რომელიც გრიპის დაავადებასავით გაივლის, მაგრამ მომდევნო წელს რა ახალმოდის გრიპს მოგვიტანს, ალბათ მამაზეციერის იუმორზეა დამოკიდებული.

1704. ახალგაზრდის გაუხედნავ სილაღეს ვერცერთი სიამოვნება ვერ შეედრება, თუ ის შეძლებს ღირსებით წარმოადგინოს ახალგაზრდული სული.

1705. ეტყობა ახალგაზრდებს სიუხეშე უფრო მოსწონთ, ვიდრე სილამაზის შეგრძნება, რადგან უხეშობაში ადვილია თავის წარმოჩენა, ვიდრე სილამაზის ოლიმპზე ასვლის მცდელობა.

1706. დღევანდელი თაობა უწიგნურია, ინფორმირებულია და ძალზე ნიჭიერია, ყოველ შემთხვევაში, ასე გვეჩვენება.
1707. ახალგაზრდა მოხუცისთვის ეშმაკობაში ჯობნას იმიტომ ვერ ახერხებს, რომ ეს უკანასკნელი უკვე პენსიაზეა და თავის დრო მოძოვილი აქვს.
1708. ამაყი ახალგაზრდა უპატრონოდ დატოვებულ ნივთს მოგვაგონებს და მისი მოქალაქეობრივი ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, კარგი ადამიანი ნახავს მას თუ ცუდი.
1709. ახალგაზრდას მოუწესრიგებელი სექსის გარდა თუ კიდევ რაღაც სხვაც აინტერესებს, ის სწორ გზაზე დგას და მას ყველაფერი წინ აქვს.
1710. მომდევნო თაობებს წარსული ისტორიის ლაბირინთებში მოგზაურობა თავისი „საკვოიაჟით" უყვარს და შთაბეჭდილების და დასკვნების გაკეთებას თავისი სარკმლიდან ცდილობს, ისე რომ ანგარიშს არ უწევს წინაპრების მენტალიტეტს, რწმენას და ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობებს.
1711. პატიოსნად სიკვდილი შესაძლებელია, მაგრამ რამდენად მისაღებია ახალგაზრდა დაუსაქმებლისთვის, რომელიც არავის აინტერესებს და ისიც იძულებულია გადაცდეს თავის გატანის და უკეთესი ცხოვრების იმედით, მაგრამ უკვე დაგვიანებულია, რადგან სისაძაგლის ჩადენას მიეჩვია და მის გადაჩვევას მკვეთრი არგუმენტები, ასაკის მატება და პირადი ცხოვრების მოგვარება სჭირდება.
1712. რატომღაც დაღვინებული ასაკი უფრო გვაწყობს, ვიდრე თავქარიანი ახალგაზრდული. ალბათ იმიტომ, რომ ჯეელობის გახსენება შეგვიძლია, ხოლო მომავალი თაობა გასახსენებლის შექმნას ახლა იწყებს. ამიტომაცაა ახალგაზრდობა ასე მოუქნელი, მოუხერხებელი, გვეჩვენება, როდესაც თავი ჩვენზე მეტად ჭკვიანი და ყოვლისშემძლე ჰგონია.
1713. ახალგაზრდობას მრავალი ახალი ამოცანის ამოხსნა შეუძლია, მაგრამ საკითხის გადაჭრა უჭირს, რადგან გამოცდილების დეფიციტს განიცდის.
1714. ახალგაზრდობა ის ხალასი ფენომენია, რომელსაც ეჭვი არ ეპარება თავის უნიკალობაში, სიკეთეში, კარგ მომავალში და იმაში, რომ თავის პრინცს და პრინცესას აუცილებლად ნახავს.
1715. ახალგაზრდობა გასამართი იარაღია, რომლის გასროლას წინა თაობა დიდი ინტერესით ელოდება, რათა დაინახოს მისი დამოძღვრის შედეგი.
1716. ასაკი თავისებური განწყობაა სულისა, რომელსაც წლების შესაბამისი წესიერება, ღირსება უნდა ჰქონდეს, რომლის დაჭაშნიკება მომავალი თაობისთვის საშური უნდა იყოს.
1717. ყველა თაობას წინა თაობების შეცდომები რომ გაეთვალისწინებინა, დღეს ისეთ მორალურ და ტექნიკურ პროგრესს მივაღწევდით, რომ მომავალ თაობას თავის შესაფერისად ბევრი რამის გაკეთება გაუჭირდებოდა.
1718. დღევანდელი თაობა, როგორც ჩვენ გვგონია, „ფანერისას" მიეკუთვნება, მისთვის ფულის შოვნაა პირველადი და არ იცის, როგორ მოიშოროს წინა თაობის მორალური ღირებულებანი, რათა თავის გეგმებით და ჭკუით გემრიელად იცხოვროს, მაგრამ რატომღაც ჩვენი ახალგაზრდობა გვავიწყდება თავის მაქსიმალიზმით.

1719. მთავრობაში თბილი ადგილის მაძიებელი ბევრია, მაგრამ მასში დასაჯდომი სკამია ცოტა, რომელთა უმეტესი ნაწილი დაჯავშნულია, დაბეგრილია, ეს კი მომავალ ახალგაზრდა მოხელეებს მანამ არ ესმით, სანამ თვითონ არ მოიკალათებენ ამ სავარძელში.

1720. ღმერთმა ნუ ქნას, არ გვყავდეს პოეტური სულის, ფრთიანი სიტყვის მოყვარული ახალგაზრდები, მათ გარეშე ცხოვრება ეშხს და აზრს დაკარგავდა.

1721. თავისი წილი სისულელის ჩადენის სურვილი ყველა ახალგაზრდამ თავის დროზე უნდა დააბალანსოს, რათა ნაშთი დიდობაში არ გადაყვეს.

1722. არანორმატული ლექსიკით დაინტერესება ყველა ჯეელის საყმაწვილო სენია, რომელიც უნდა გადალახოს ძალდაუტანებლად, უმტკივნეულოდ და რეციდივის გარეშე.

1723. ახალგაზრდების სურვილია იცხოვრონ მრავალფეროვნად, გემოვნებით, მაგრამ ამის საშუალებას არც თანდაყოლილი გენი იძლევა და არც მატერიალური შესაძლებლობები და როდესაც ამას ხვდებიან, უკვე აღარაფერი უხარიათ სიმშვიდის მეტი.

1724. ახალგაზრდობის შეცდომები სიბერის ჟამს გვინდა გავიმეოროთ, ოღონდ ქალების მიმართ დაშვებული, დღევანდელობის გადასახედიდან ჩასწორებული.

1725. თუ ახალგაზრდა კაცს მომავალში წარმატების იმედი არა აქვს და წინსვლის აღრენალინი არ უღიტინებს, მისი ცხოვრება დამთავრებულია.

1726. ახალგაზრდა ცხოვრებას ეზოში, ქუჩაში, შეხლა-შემოხლაში, სწავლობს და არა წიგნის კითხვით და მისგან განათლების მიღებით, რადგან დაუსწრებელ სწავლას ბევრი ნაკლი აქვს.

1727. სახელის დატოვება ამქვეყნად პირველადია, სიცოცხლე – მეორადი, სახელის დატოვების სურვილი უფრო მეტად ახალგაზრდებს აქვთ და სიცოცხლესაც ადვილად წირავენ, ვიდრე ჭარმაგნი, რადგან ახალგაზრდა დოგმებს განუსჯელად იღებს, ჭარმაგი კი ამას თავის გამოცდილებას და ცოდნას ამატებს.

1728. შენი წილი შეცდომები სასურველია ყმაწვილობის პერიოდში მოიცილო, რადგან ხანდაზმულობაში შეცდომებს არავინ გაპატიებს და მთელი ცხოვრება შეცდომების გამოსწორებას მოუნდები და სინდისის ქენჯნის ტვირთით იცხოვრებ ამქვეყნად.

1729. ახალგაზრდებისთვის, მიუხედავად მათი უდიდესი ენერგიის პოტენციალისა, დრო მიიზლაზნება, რადგან მათ არანაირი ზრუნვა არ აწევთ კისერზე, სხვაზე ზრუნვა კი სიბერის მოახლოების სიმპტომია, ამიტომ არის რომ ხანდაზმულობაში დრო კი არ მიდის, მიფრინავს.

1730. ახალგაზრდობას ძირითადად პროცესი აინტერესებს და არა – შედეგი, რადგან ეს უკანასკნელი ჯეელების სულს, ენერგიას, შემართებას, ვერსად გაექცევა.

1731. ბავშვია ის, რომელიც ზარმაცია, ყალთაბანდია, ხანდახან გაკვეთილსაც აცდენს, თორემ რომელიც ბეჯითობს, არ ცელქობს და სკოლის გარეშე ვერ ძლებს, ის ჯეელია, რომელსაც სკოლა დიდი ხნის დამთავრებული უნდა ჰქონდეს.

1732. ბავშვობა რაც უნდა ცუდ დროში და გარემოში გაატაროთ, მაინც სასიამოვნო მოსაგონარია, თუ ბუნებით შეუმჩნეველი უგულობა, რომლის გამოსწორება უკვე დაგვიანებულია, ნაკლად არ დაგყვათ.

1733. ახალგაზრდული შეცდომები ხშირად მოგვიანებით ჩადენილ შეცდომებს ასწორებს, როდესაც ოჯახის შექმნა და მომავალი თაობის ყოლა უკვე დაგვიანებულია.

1734. ახალგაზრდობაში ადვილია იყო ბედნიერი, განსაკუთრებით მაშინ, თუ გრძნობ, რომ შენი საქმიანობით სხვაც ინტერესდება.

1735. ახალგაზრდობა, მისი მატერიალური პირობების მიუხედავად, ყოველთვის ბედნიერია, სიჭარმაგის დროს კი, როდესაც სიმდიდრესთან ერთად ჭკუა უგროვდება, იგი თავს ნაკლებ ბედნიერად გრძნობს. ეს, ალბათ იმის ბრალია, რომ ობის მოკიდებას და ჭრაჭუნის დაწყებას უკვე გრძნობს.

1736. მოზარდების პირველი "პიკნიკი" არის მოულოდნელობასთან, გამბედაობასთან, სიმორცხვის გადალახვასთან, გრძნობების აფორიაქებასთან, პირველ კოცნასთან, უმიზეზო სიცილთან, პირველადი გრძნობების გამომჟღავნებასთან შეხვედრა. მოკლედ ეს მოგვაგონებს დამონებული გლადიატორების პირველ ბრძოლას თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

1737. ახალგაზრდების გაუთვალისწინებელი და ჭარმაგების გათვალისწინებული მაქსიმალიზმია ქვეყნის ბოროტების და სიკეთის საფუძველი.

1738. ახალგაზრდის მიერ გინების დაწყება ნიშნავს, რომ აკვარიუმიდან მდინარეში გადასვეს და ზღვაში შესაცურად ემზადება.

1739. ახალგაზრდობა ცხოვრებაში გაწბილებას იუმორით ან ზომიერი განცდებით უნდა შეხვდეს, სიჭარმაგე – ცხოვრების გამოცდილებით და უსიამოვნებისადმი თავის არიდების ცოდნით.

1740. თაობათა ბრძოლას მაინც ახალგაზრდები იგებენ, მაგრამ დივიდენდებს დრო განსაზღვრავს და არა თაობათა ბრძოლა.

1741. თანამედროვე, ნორმალურ ახალგაზრდობას ქვეყნის პრობლემები კი აწუხებთ, მაგრამ არა იმდენად, რომ ქალზე, გართობაზე და სწავლაზე უარი თქვან.

1742. სულიერების აღდგენის გარეშე ქვეყნის აღდგენა შეუძლებელია, მაგრამ მისი აღდგენა მაინც ხალასი სულით დაბადებულმა, თავის ღირსეულ წარსულზე აღზრდილმა, მომავალმა თაობამ უნდა იკისროს, რადგან გახარებული სული ახალ სიოს ქროლვას სათანადოდ ვერ ეგუება და ვერც უგებს.

1743. დღევანდელი ახალგაზრდობის უმეტეს ნაწილს თავისუფლად აზროვნებისთვის ფიქრი დროის დაკარგვად მიაჩნია და უნდა, რომ ყველაფერი დაღეჭილი და გადამუშავებელი მოინელოს.

1744. ახალგაზრდების სულის ამბოხი წინა თაობისთვის მიუღებელი და გაუგებარია, მაგრამ მშობლების რისხვისგან მათ იმქვეყნიდან ბებია-ბაბუები იცავენ, რომლებისთვისაც მათი შვილების ქცევა ასევე გაუგებარი და მიუღებელი იყო.

1745. ახალგაზრდების ტვინის ცარიელი უჯრედები დროულად უნდა ამოივსოს სპორტის, ცეკვის, სიმღერის, ხელგარჯილობის და მრავალი სხვა დამხმარე ცოდნით, რადგან დაღვინებისას მათი ათვისება დაგვიანებულია, ამასთან, სწორედ ეს მეორეხარისხოვანი განათლებაა, რომელიც არა ერთხელ გამოადგებათ თავის წარმოსაჩენად, ცხოვრების გასაადვილებლად, ამასთან გზას დროულად გადაუკეტავს სისულელის ჩადენის სურვილს.

1746. ახალგაზრდობას სიბერის ყველა რეგალიების ყიდვა და მითვისება შეუძლია უსიტყვოდ, ოღონდ რაზედაც შეიძლება ივაჭროს – სახელია.

1747. ახალგაზრდების ცხოვრება სისულელეების ჩადენის გარეშე ეშხს დაკარგავდა, მაგრამ ერთი პირობით: უსახური "კლიჩკა" არ უნდა აგყვეს, კარიერის კეთებაში ხელი არ უნდა შეგეშალოს და შთამომავლობას დამცირების ტვირთად არ უნდა დაუტოვო.

1748. ახალგაზრდობას წინა თაობის არ უნდა შურდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ის თავის ასათვისებელ ასწლეულს ხვდება: ამოუცნობი პირობებით, ცხოვრებისეული სიძნელეებით და თავის გასავლელი ცხოვრების გზით.

1749. ყველა ახალი თაობა ტყავს უნდა აძრობდეს ძველს იმ შეცდომებისთვის, რაც მათმა წინამორბედმა ჩაიდინა, რათა მომდევნო თაობებმა ცდა არ დააკლონ, რომ ვალმოხდილნი იყვნენ თავიანთი შვილების და შვილიშვილების მიმართ.

1750. კარგია, როდესაც ახალგაზრდობას პრეტენზია ცხოვრების გამოცდილებაზე დაბადებიდანვე არ დაჰყვება, მაშინ პლანეტა გადაგვარების საფრთხის წინაშე დადგებოდა, რადგან ყველა შეეცდებოდა თავიდანვე ანგარებით ეცხოვრა.

1751. ძველებმა თუ ქვეყანა ნათელი მომავლის ნაცვლად, ნაბიჯ-ნაბიჯ უფსკრულის პირას მიიყვანეს, ახალგაზრდებმა ამ გადაადგილების შეჩერება უნდა შესძლონ, ერთი ნაბიჯით დაიხიონ ისე, რომ უკან დაბრუნება არ იფიქრონ და იმსჯელონ, რა სახის ხიდის გადება იქნება მომგებიანი უფსკრულის გადასალახად.

1752. ყველა უბედურება იმას მოაქვს, როდესაც ახალგაზრდობა წინა თაობების წინააღმდეგ გამოდის. ტრაგედია უფრო მძაფრდება დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნებში.

1753. გამოცდილმა მოხელემ, რომელსაც ცხოვრების თეთრი ვირი დაბმული ჰყავს, იცის, რომ ინიციატივა ისჯება, ხოლო ახალგაზრდას რომელსაც არც ვირი ჰყავს და ტაბიკების მტვრევაც ეხალისება. ჭკუის ხარჯვას ენერგიის ხარჯვას ამჯობინებს და გარკვეული შედეგსაც აღწევს.

1754. არის თაობათა ხასიათი, რომელსაც მოჭარბებული ენერგიის მქონე ახალგაზრდობა არ ინდობს, ხოლო საზოგადოებას არც მათი მოუწესრიგებელი ენერგიის დანახვა უნდა და არც მათი ესმის.

1755. ახალგაზრდისთვის აუცილებელია ბედნიერი ჭარმაგის დანახვის მოდელი, რათა ცხოვრება გაიხალისოს და იმედის შანსი იქონიოს.

1756. ომიანობის დროს წინა თაობის გავლენა მატულობს, მშვიდობიანობის დროს მცირდება, არეულობის დროს უფროსი თაობის იმიჯი ძალზე ილახება, ხოლო ახალგაზრდობა ახალი გზების ძებნასა და ფეხის წატეხვას უნდება.

1757. ახალგაზრდას უნდა ვასწავლოთ მოჭარბებული ენერგიის რაციონალური ხარჯვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუხარჯავი სტიქია უბედურებაში გადაიზრდება.

1758. როგორც დღეს ირკვევა, ახალგაზრდობაში არც თუ ისე ჭკვიანები და მოხერხებულები ვიყავით, როგორც მაშინ გვეჩვენებოდა და გახარებულნი ვართ, რომ ასე მოხერხებულად დავუძვერით იმ ქარიშხლიან წლებს, მაგრამ რა გინდა ქნა, თუ მთელი ჩვენი წარმატების და წარუმატებლობის ნაწილი იმ ასაკზე მოდის, რომელსაც დღეს ასე ვუფრთხივართ.

1759. ყველაფერი კარგია, რაც ჩვენ ახალგაზრდობაში მოგვწონდა, ყველაფერი ცუდია, რაც ახალგაზრდებს მოსწონთ. ეს არის უკმაყოფილო თაობათა სამართლიანობის კრედო და ამას ყოველთვის ვერ დაუპირისპირდები, რადგან დაუბერებელი გული ამის საშუალებას არ იძლევა.

1760. ახალგაზრდის ყველა არარაციონალურ მოქმედებას, ემოციურ შეხლა-შემოხლას, ვიღაცის გაფეტიშებას, ის უზრუნველი ახალგაზრდული ასაკი ამართლებს, რომელმაც ზედმეტი დრო რაში დახარჯოს, არ იცის.

1761. მშობლების აზრით, ახალგაზრდები ისეთივე გახდებიან, როგორიც მათი წინაპრები იყვნენ, არადამაკმაყოფილებელი მსოფლმხედველობით და ქცევით.

1762. ჭარმაგები ვალდებულები არიან სიხარული მოუტანონ ახალგაზრდობას, მაგრამ ისინი ამისთვის მადლობის თქმას არ აპირებენ, რადგან ამას წინაპართა მოვალეობას მიაკუთვნებენ.

1763. ჭკვიან, პერსპექტიულ ახალგაზრდაზე დახარჯულ ფულს მსოფლიო მოიხმარს, ხოლო უნიათოზე, უნიჭოზე, დახარჯული „უნიტაზში" მიდის.

1764. ჩემი თაობის ახალგაზრდობა საქმიანიც იყო და დროსაც ატარებდა. ახლანდელი ახალგაზრდობა საქმიანია, მაგრამ მათი დროსტარება რომანტიზმს არის მოკლებული და პრაქტიციზმშია გადასული.

1765. ჭკვიანი აზრების მოსმენა ახალგაზრდისთვის მისასალმებელია, მაგრამ მათი ცხოვრებაში რეალიზების პრობლემა გულთან ახლოს არ უნდა მივიტანოთ, თორემ დროზე ადრე დაგვაბერებს, ახალგაზრდობის ასაკს, წლებს წაგვართმევს.

1766. ჭარმაგი ასაკი ახალგაზრდებისთვის მიმზიდველია, უბერებელი გულით, სულით და საანდერძოდ გამზადებული დანაზოგით.

1767. ახალგაზრდობას თავისი კერპების ქმედება კანონად უნდა რომ აქციოს, ამიტომაცაა, უფროსი თაობა რომ ცდილობს კერპების შერჩევას მომავალი თაობისთვის, მაგრამ ამისთვის დრო არ ჰყოფნის, თან "პერესტროიკას" ვერ ახერხებენ და არც არაფერი გამოსდის.

1768. უფროსი თაობის აზრით, ცივილიზაციის მიღწევები, გადამეტებული თავისუფალი აზროვნება, ქცევა, ახალგაზრდას ნშირად ხელს უშლის ნორმალურად იცხოვროს, მაგრამ რა ჰქნას ამ თაობამ, თუ ასე ცხოვრება მოსწონს?

1769. ახალგაზრდობა გამოყოლილი და აღებული ვალით ცხოვრობს და ცდილობს ყველანაირი სიამე იგემოს, რადგან ის ინტუიციით ხვდება, რომ დაკარგულ ჯეელობას ვერავითარი ფულით და კარიერით ვერ აანაზღაურებს.

1770. ახალგაზრდების ბედნიერება ის არის, რომ ძველი თაობისთვის გადატვირთულ დღეს ცდილობს დასაქმდეს, რომ თავისი მოჭარბებული ენერგია დახარჯოს და საღამოს ჩვენთან ერთად უდრტვინველად დაიძინოს.

1771. სილამაზის კონკურსის ჩატარება ქალების სიმშვენიერის გამომზეურების ჩვენება კი არ არის, არამედ იქ დამსწრე ახალგაზრდების თავშეკავების კონტროლის კონკურსი.

1772. დღეების სწრაფი სვლა პირდაპირპროპორციულია წლებთან და საქმიანობასთან. ასაკი, რაც უფრო ახალგაზრდაა და დაკავებულია საქმით, მით ნელა მიიზლაზნება.

1773. ჯანმრთელი ახალგაზრდობაა: საქმიანობის სწორად მართვა, ერთმანეთთან თანამშრომლობის უნარი, ურთიერთდახმარება, ბუნებასთან და მთავრობასთან სიამტკბილობა.
1774. მეგობრის სტატუსი ჯეელობის დროს აღმაფრენაა, ერთგულებაა. დაღვინების ჟამს – მოვალეობა, ხათრი.
1775. რატომღაც, ახალგაზრდობას შეცდომებისთვის გაცილებით მეტს ვთხოვთ, ვიდრე სიბერეში ცოდვებისთვის.
1776. პროვინციალიზმს ყოველთვის ახასიათებდა ძველის სიდიადე და ახალგაზრდული ყვინჩილური გამოხტომები.
1777. უბედურებაა, როდესაც მამაკაცს ახალგაზრდა ქალის შეყვარება არ შეუძლია, რათა გაჯეელდეს და სიცოცხლის ეშხს გაეთამაშოს.
1778. ახალგაზრდობაში აქტიური შვებულების შემდეგ ყოველთვის გვჭირდებოდა მოკლევადიანი დამატებითი პასიური შვებულება, დღეს როდესაც დასვენების დროის ნაკლებობას არ განვიცდით, სულ აქტიური შვებულების გატარების ოცნებაში ვართ.
1779. ჩვენი მსოფლმხედველობის მეშვეობით! სამყაროს საბოლოოდ შეცნობის მცდელობა ახალგაზრდა კაცის ახირებაა, რომელიც დროთა განმავლობაში მის უაზრობას ხვდება და აღარც აინტერესებს.
1780. ჩვენდა გასაოცრად, ასაკში თურმე არც იმდენად ჭკვიანები და გამოცდილები ვართ, ამიტომაც საქმის კეთება მაინც გამოუცდელ ჯეელებს უნდა გადავულოცოთ, რადგან ზოგიერთ საქმიანობას დაუფიქრებელი სილაღე, მონდომება სჭირდება.
1781. აწმყოში ქვეყნის სამშენებლო მასალა ახალგაზრდა თაობაა, მაგრამ იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ საძირკველზე მოხდება მისი დაწყობა.
1782. ახალგაზრდისათვის ცხოვრების აზრი შეხლა-შემოხლაშია, სიბერეში კი – შინაგანი და გარეგანი აგრესიის დამალვაში.
1783. ახალგაზრდობის ხვედრია ჰაერში ფრენა და ვარსკვლავების წყვეტა, მაგრამ მიდის დრო და ფრთებშეკვეცილნი მიწისკენ მივექანებით და უკეთეს შემთხვევაში, მისი საბნის ქვეშ ვქრებით.
1784. ახალგაზრდობა სიცოცხლეა, სილაღეა, გამოუყენებელი დროა, უზრუნველობის რელიგიაა, რომლის ფასსაც ასაკის მატებასთან ერთად ვიგებთ და ვაფასებთ.
1785. ახალგაზრდობაში ყველა ვცდებით, ვცოდავთ, მაგრამ სიჭარმაგის გადასახედიდან ამ აღსარების თქმა ახალგაზრდებისთვის რატომღაც ყველას გვავიწყდება.
1786. ახალგაზრდობასა და სიბერეში ერთი და იგივე საკითხი, ერთი და იგივე თავით, ერთნაირად იაზროვნო და ირწმუნო შეუძლებელია, რადგან დრომ შეიძლება ვერაფერი გვასწავლოს, მაგრამ ახლოს დანახულს წინ ვერ აღუდგები.
1787. კლასიკური ყოფიერების პრინციპზე დაყრდნობით ახალგაზრდის აღზრდა, გარემოს გაუთვალისწინებლად, ყოველთვის არ ამართლებს, რადგან ჩვენს დროში, სამწუხაროდ, მთავარი სურვილია და არა იმის განსჯა, რა შეიძლება და რა არა.
1788. ახალგაზრდობის მოჭარბებული ენერგიის დასაცლელად და გასახალისებლად სპორტი, დისკოთეკა, კარნავალი, ალკოჰოლი, აუცილებელია, რადგან ჯანმრთელ

ორგანიზმში ენერგიის აღდგენა სწრაფად ხდება და საჭიროა ეს ძალა დროულად დაიხარჯოს, რათა პოლიტიკურ სუფრაზე არ გადმოიღვაროს და საზოგადოებისთვის განკუთვნილი ყოფის შეცვლა და განადგურება არ მოინდომოს.

1789. იმის ცოდნაც დიდი კულტურაა, როცა წარმავალმა თაობამ იცის, მომავალ თაობებს რა სახის სიმდიდრეს უტოვებს, რათა მათ შეეძლოთ ამით თავის წარმოჩენა.

1790. ახალგაზრდობამ უნდა განსჭვრიტოს რის წინააღმდეგ შეუძლია პროტესტით გამოსვლა და რის არა, რათა ხალხმა რაღაცაში ბრალი არ დასდოს და ჟამის შემოტრიალებისას ცუდად არ მოიხსენიოს.

1791. სიბერეში ხვდები ახალგაზრდობაში დაუფასებელი მარგალიტების ფასს, მაგრამ უკვე დაგვიანებულია, რადგან დღეს არც მარგალიტების სილამაზე გვახელებს და არც ჯეელობა.

1792. სამწუხაროდ, დრო ცხოვრების დაისზე სელექციის საძირეზე დაბრუნებას გვიწყობს და გამოგვაჩენს – „რანი ვიყავით.” ვინ როგორ შეხვდება ამ გაახალგაზრდავების დაისის დასასრულს, არავინ უწყის.

1793. ახალგაზრდობა უკომპრომისოა, ის მარადიულ ფასეულობებს წარმავალს უდარებს, რომლის გარეშეც ცხოვრება დღეს შეუძლებელი გახდებოდა, რადგან ადრეულ წყალში დაღვინების პერიოდს გადის, ამიტომ და მის არსში დღესვე უნდა გავერკვეთ, ალღო ავუღოთ და მხარი ავუბათ.

1794. უფროსის დაფასება ჩვენი ასაკის საფეხურზეა დამოკიდებული. ახალგაზრდას გიხარია: „მან ჩემზე კარგი თქვა”, შუა ხანში: „მან ხელფასი მომიმატა”, „დამაწინაურა”, 50 წლის შემდეგ: „მაგის დედაც ვატირე, ეგ რით არის ჩემზე უკეთესი”, ასე რომ ავტორიტეტი ასაკის მენტალიტეტის პირდაპირპროპორციულია.

1795. ხანდახან სიბერის ჟამს ნანობთ იმ კარგი საქმის კეთებას, რომელმაც სახელი და აღიარება მოგიტანათ და ფიქრობთ, რა სულელი იყავით ახალგაზრდობაში ამ საქმისთვის თავი საფრთხეში რომ ჩაიგდეთ, მაგრამ რადგან ყოველთვის დაღვინება დაბრძენებას არ ნიშნავს, ხოლო ახალგაზრდული ჟინი შემართებას, ამიტომ მოგვიანებით საქმიანობის რევიზია გამჭრიახობას მხარს ვერ აუბამს, რადგან ყოველივეს თავის დრო და გარემო გვაკეთებინებს.

1796. მასას კლასიკური აზროვნება არ ძალუძს და არც სურვილი აქვს, რადგან მაშინ ცხოვრება ძალზე მოსაწყენი იქნებოდა, ხოლო გართობისათვის დაბადებულ ჯეელებისგან ახალგაზრდა ბებრებს მივიღებდით, ამას კი სამყაროს გონიერება არ დაუშვებს.

1797. მორალს წინაპრები ქადაგებენ, კანონებს მამები წერენ, აღსრულება შვილებს ევალებათ, მაგრამ იმაზე კი არავინ ფიქრობს, რომ 21-ე საუკუნე წინა ასწლეულთან შედარებით 2-3-ჯერ მაინც დაიჩქარებს როგორც ტექნიკურ, ასევე მორალურ პროგრესს და ეს საუკუნეებით მიღებული იარარქია ახალგაზრდებისათვის მისაღებ ლოტოს კოჭს ვერ ამოაბრწყინებს.

1798. ყველა თაობას თავის ჟანრი აქვს და მისთვის გასაგებ დეტექტივს ეცნობა. მომდევნო თაობის ვალია წინა თაობის შემოქმედების შეფასება, მანამდე სანამ თავისთვის რაიმე ღირსშესანიშნავს არ შექმნის, რაც ძველებმა ვერ მოახერხეს.

1799. მომავალი ბებრებსაც აქვთ, მათ მომავალი თაობის დროულად მომწიფებას ხელი უნდა შეუწყონ, თავის დროზე აიბარგონ, რათა ახალგაზრდობამ თავისი მომავალი მართოს.

1800. ბავშვს ცელქობას დასჯით ვერ მოვაშლევინებთ, უბრალოდ, მან სიყმაწვილის პერიოდი უნდა განვლოს, გაიზარდოს.

1801. საოცარია, მაგრამ ფაქტია: რაც მეტს ვსაქმიანობთ ახალგაზრდული ენერგიით, იმდენად მეტი დრო გამოუყენებელი გვრჩება ხალისიანად დასახარჯავად.

1802. თქვენთვის განკუთვნილ სიწყნარის სიმფონიაში ახლობლების ჰანგები და ახალგაზრდების ჯაზ-მუსიკა ახლო არ უნდა გაიკაროთ, თუ გინდათ მშვიდად იცხოვროთ.

1803. მომავალი ყოველთვის ბანკროტია, თუ მას ახალგაზრდული შემართებით დროულად არ შევეგებებით.

1804. ახალგაზრდა ბებრად უნდა ჩაითვალოს ის კაცი, რომელსაც კარიერაზე ფიქრი გონებაში არც უღიტინებს და ამისათვის არც არაფერს ცდილობს.

1805. წარსული, ჩვენი ასაკის მატებასთან ერთად, უფრო და უფრო უკეთესი ხდება, რადგან ახალგაზრდობას გვაგონებს.

1806. ხელგაშლილობა, ხელმოკლეობა, მიკედლება, უკომპრომისო ახალგაზრდები, ყოველივე ეს ცხოვრების გასავლელი მარათონია და ყოველივე ამის გამოცდა მაჩვენებელია იმისა, რომ თქვენ ტყუილად არ გიცხოვრიათ ამქვეყნად.

1807. ახალგაზრდობა ადვილია, მაგრამ ძნელია წინაპართა ნამოღვაწარს ელოლიავო, გამოასწორო და შენს ჭკუაზე მოიყვანო.

1808. მაღალი საზოგადოების ახალგაზრდობას დემოკრატიის სასიამოვნო ჟრუანტელი უვლის მშობლების სიმდიდრის ხარჯზე.

1809. ახალგაზრდობის უმეტესობამ ინსტიტუტში უნდა ისწავლოს. მთავარი სპეციალობის მიღება კი არ არის, არამედ დაღვინება, შენი ასაკის ხალხთან, პედაგოგებთან ურთიერთობა.

1810. ახალგაზრდისთვის ქალი ღვთაებრივი სუნის მქონე არსებაა, რომელმაც არ იცის მოჭარბებული და ვნებაში აღრეული ენერგია როგორ ხარჯოს ან ამ მცდელობას როგორ დაუფასებენ.

1811. ტერორს და სხვა სისაძაგლეს თავის გარემო, აღზრდა, რწმენის ჩანერგვა სჭირდება, რომელსაც მოუმწიფებელი ჯეელი დედის რძესავით ირგებს და მშობლების ამაგი ფეხებზე ჰკიდია.

1812. სპორტი შენი ქვეყნის სიყვარულის უსიტყვო სახელმძღვანელოა და იმის მაჩვენებელიც, რომ ყველაფერი ფულზე არ იყიდება, ყოველ შემთხვევაში, ჯეელობაში.

1813. ტემპერამენტიან, ჟინიან, ნიჭიერ, მოხერხებულ, კარიერისტ ახალგაზრდობას უნდა ვანდოთ ქვეყნის მართვის მეორე ადგილები დაღვინებამდე, ხოლო პირველი იმ ასაკს, რომელსაც დროულად დამუხრუჭება შეუძლია, კომპრომისების დიდოსტატია და სხვისთვის ჭკუის სწავლება არ ეზარება. მიუხედავად სახელმწიფოს მართვის ხელოვნების ამ აქსიომის ცოდნისა, ხალხი მაინც ამბიციების მქონე მო-

ლაყბეს ირჩევს, რომელსაც ნამამაძაღლარის ეჩოსავით თავისკენ თვლა აღარ ეშლება.

1814. 35 წლის შემდეგ იწყება მეორე ახალგაზრდობა, 50 წლის შემდგომ – მესამე, ხოლო 65 წლის შემდეგ თუ კიდევ ქალებში რაღაცას ახერხებ და ამით ახალგაზრდობას ნიშს უგებ, მაშინ სასაყვედურო ამქვეყნად არაფერი გქონია, რადგან სხვების თეთრი შური უკვე დაიმსახურე და ზოგიერთ ქვრივ ქალს ისევ შენი იმედი აქვს.

1815. უკეთესობის მოლოდინი ახალგაზრდობის თანამგზავრია, ხოლო კორექტივი მასში დროის ბატონობას შეაქვს, როდესაც დაისი ახლოვდება და ახალგაზრდული ცდუნებაც დამცხრალია.

1816. ის გამოუცდელი ასაკია ბედნიერი, რომლისთვისაც ცხოვრებას ჯერ კითხვის ნიშანი არ დაუსვამს.

1817. ბებერ ხელოვნებას ახალგაზრდობამ სიძველის მტვერი უნდა ჩამოაცილოს, გაითავისოს და ეცადოს ძველის სულისთვის მიუღებელი, მაგრამ მათი გონიერებისთვის გასაგები, ტკბილად მოსაგონარი ახალი მელოდია შექმნას, მაშინ გახდება ის მისაღები და მუდმივი ყველა თაობისთვის.

1818. თაობათა ბრძოლას მაინც ახალგაზრდები იგებენ, მაგრამ დივიდენდებს ამ ბრძოლისას განსაზღვრავს დრო და არა მცდელობა.

1819. მოწყენილობას, მარტოობას, ახალგაზრდული აღტყინება ვერ ეგუება, რადგან მისთვის მეწყვილეს მოძებნა აუცილებელია, რათა თავისი ნაღდი და ქვენა გრძნობები გამოამზეუროს და თავისი ჯეელობით გაიხაროს.

1820. თეორიულად ახალგაზრდობა, თუ გაუმაგრებულია ცოდნით, შემართებით, სიყვარულით, ისევ ცხოვრებაგამოვლილი სიბერე ჯობს, რადგან სისულელის ჩადენისგან დაზღვეული ხარ, მაგრამ პრაქტიკულად უტუ ჯეელობასაც კი არაფერი შეედრება.

1821. მოჩვენებითობა, თითლიბაზობა, ერთი შეხედვით მიუღებელია, მაგრამ ეს ანცობა ახალგაზრდობაში ერთეული შემთხვევა უნდა იყოს, რადგან ის ცხოვრებას ალაღებს, ახალისებს, მაგრამ მეგზურად არ გამოდგება.

1822. ახალგაზრდობამ, სახელმწიფოს ხელში განტევების ვაცად რომ არ იქცეს, დალხინებასთან ერთად გაჭირვებაც უნდა გამოსცადოს, რათა სული გაილაღოს, გონება გამოაწრთოს და სხეული გაიკაჟოს.

1823. ახალგაზრდობაში ჯეელობისთვის რაღაც უნდა გავიღოთ, ხოლო სიბერეში გაწეული ცხოვრებისთვის რაღაც ანგარიში უნდა ჩავაბაროთ, თორემ თაობათა ცვლა სწორი გზით ვერ ივლის.

1824. მინდა! იმსახურებს თუ არა, ახალგაზრდისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ისიც ადამიანია და მასაც უნდა ამ ცხოვრებას ნაღები და ნიღაბი მოხსნას და მასში გაერკვეს.

1825. როდესაც გვგონია, რომ ჭკვიანები და ყოვლისმემძლეები ვართ, ახალგაზრდები და გამოუცდელები ვართ, როდესაც ბევრი რამ ვიცით, უკვე ვბერდებით და შეუპოვრობას ვკარგავთ, ასე რომ, ხშირად საქმე მაინც რქების მტვრევით და მიწოლით კეთდება, ვიდრე დაფიქრებით და განსჯით.

1826. ასაკმა ასაკს უნდა გაუგოს და ერთმანეთი ხანშიშესულები აღარ მოგვეჩვენება, როგორც ეს წლები ახალგაზრდობის გადასახედიდან გვეჩვენებოდა.
1827. ყველაზე ძვირად ჩვენი ახალგაზრდობა და მასზე მოგონება ფასობს.
1828. სიბერეში ავადმყოფურად ვაფასებთ იმას, რასაც ჯეელობაში ვერც კი წარმოვიდგენდით, პირველ რიგში, ასაკს და გაცემული სიყვარულის უკუგების ხარისხს.
1829. ჯელობის ენერგია, შემართება, მისწრაფება ხშირად დღევანდელ ჩვენს ჭკუას, ნაცნობობას, გამოცდილებას ფორას აძლევს, რადგან ბედის ფორტუნა უმეტესად ახალგაზრდული მონდომების მხარეს დგას.
1830. დღესასწაულია, როდესაც ცხოვრება გიმძიმს, მაგრამ ახალგაზრდობის ხარჯზე ყველაფერი გიხარია.
1831. გამოცდილებას მომდევნო თაობის გამოუცდელი შესაძლებლობის უნდა სჯეროდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხეირს ვერც დაღვინებული გონიერება ნახავს და ვერც ახალგაზრდული შემართების გამჭრიახობა.
1832. მთავარი ის კი არ არის რა დროში ვცხოვრობთ, არამედ გარემოს შესატყვისად მომდევნო თაობებს როგორ ეხერხებათ სტრიქონებს შორის ცხოვრების კითხვა.
1833. ზოგიერთ ახლებურად წარმოჩენილ აზრს საკაცობრიო გამოცდილებით არ გინდა დაეთანხმო, მაგრამ აწმყოში მცხოვრებმა ახალგაზრდობამ მისდაუნებლიედ მოიწონა და გაითავისა.
1834. მომდევნო თაობებმა პირველ რიგში დროს უნდა გაუგონ, თუ უნდათ თანამედროვე ცხოვრების ოლიმპს მიუახლოვდნენ.
1835. პიროვნებისთვის მომდევნო საუკუნის ისტორია ისეთი იქნება როგორც მას უნდა, როგორსაც ფიქრობს და როგორიც სჭირდება მის აღზრდილი მომდევნო თაობათა ნაშიერთ.
1836. პროფილაქტიკისათვის, ხანდახან, მოგონილი საბაბის ხარჯზე, ბავშვის დასჯა აუცილებელია, მაგრამ მისი უმტკივნეულო დასჯის ხერხი უნდა გამოინახოს.
1837. ყველა ბავშვი გენიოსი იქნებოდა, ჩვენ რომ მათი ფანტაზიის ალგორითმის შედგენა შეგვძლებოდა.
1838. კვების რაციონის უცოდინარობა, უყურადღებობა, ტრადიციების უქონლობა იწვევს მომავალი თაობების სულიერ და გარეგნულ გადაგვარებას იმათ ხარჯზე, ვინც საკვების მოხმარების ფასი და ყადრი იცის.
1839. წინაპრები მომავალი თაობების წინაშე მუდამ ვალში არიან, რადგან მათი დანატოვარი შთამომავალთა ამბიციებს დღევანდელი გადასახედიდან ვერ აკმაყოფილებს და მათ ეჩვენებათ, რომ წინამორბედებს გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლოთ.
1840. ახალგაზრდობა თანდათანობით მიდის, ხოლო გონიერება ერთბაშად, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ჩვენთვის ფაქტობრივად არავის უბოძებია.
1841. იყო ახალგაზრდა შენი დამსახურება არ არის, ის წარმავალი გამართლებაა და თუ ის დროულად არ შევავსეთ: ჟინით, ვნებით, საქმენით საგმირონით, სიბერეში თავის დამშვიდება და დარჩენილი ცხოვრების გადატანა გაგვიჭირდება.

1842. ის, რაც ახალგაზრდას ჭეშმარიტებად ეჩვენება, ასაკგადაცილებულისთვის საეჭვო ჭეშმარიტებაა, ხოლო რაც უკანასკნელისთვის სამართლიანი და მისაღებია, ის პირველისთვის მიუღებელია. ამრიგად, თაობათა შეხლა-შემოხლის პროცესი, საკუთარ შეცდომებზე სწავლა, საზოგადოების განვითარების აუცილებელი პირობაა.

1843. სინამდვილეში მარტივი, ცხოვრებაში მოთოკილი, ადამიანის სურვილია ახლობლების კარგად ყოფნა, სამუშაო და სამყოფი სიმდიდრე, ხოლო „ჭკუანაღრძობი," ენერგიამოჭარბებული ახალგაზრდობის ხვედრია სურვილების აშვება, რომლის გარეშეც სამყარო ვერ გახალისდებოდა, მაგრამ პირველის უპირატესობას ჯეელებიც ცხოვრების დაისზე ხვდებიან, როდესაც თავისი წილი ტაბიკები უკვე დამტვრეული აქვთ.

1844. ღირსეულმა შვილმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მისი მოხუცი მშობლები მსხვრევადი ხატები არიან და მათ მოფრთხილება და დაყვავება სჭირდებათ, რათა ამქვეყნად ყოფნა გაუხანგრძლიოს.

1845. ახალგაზრდობისაგან განსხვავებით მოხუცებულებისთვის დრო იმიტომ გარბის, რომ მათ ცხოვრების გამოცდილებამ დროის ფლანგვის მეთოდები ასწავლა.

1846. თავისუფალი სიტყვა, სექსი, ბაზარი, ჭორი, ყოველივე ყვითელი პრესის მოსაწესრიგებელია, რადგან მომავალი თაობის აღზრდა მათ უვარდებათ ხელში, ხოლო ბრბოდ ქცეული ახალგაზრდობა გონს რომ მოეგოს, ამას დაღვინება და იმდენი დრო სჭირდება, რომ გამოსწორება აზრს კარგავს.

1847. შვილებმა უნდა აკეთონ ის, რაც მშობლებმა ვერ შეძლეს, აქვთ თუ არა ამის ნიჭი, მისწრაფება და შესაძლებლობა, რადგან სამყაროს განვითარებასთან გამიჯვნას არავინ აპატიებს.

1848. ის, რაც ახალგაზრდობაში საოცარი, საოცნებო, სასაცილო გვეჩვენებოდა, ცხოვრების დაისზე ღიმილის მომგვრელია, რადგან დღევანდელი ჩვენი ნერვების სადენები გაცილებით მეტი ძაბვის ემოციურ დატვირთვას მოითხოვს.

1849. ახალგაზრდები რქებით, ახალგაზრდული მონდომებით აწვებიან საქმეს და როდესაც გამარჯვებულები გამოდიან, ამ სიხარულს ვერავითარი ჭკუით მოპოვებული გამარჯვება ვერ შეედრება.

1850. შემართება, დროსტარება, ახალგაზრდობის ხვედრია. ღმერთთან მეგობრობა, სალოცავში სიარული – სიბერის, რადგან დროის გარკვეულ პერიოდში ყველა იმით ინტერესდება, რაც მას აღელვებს და ანაღვლებს.

1851. „ეს მშობლები მოსაწყენი და მომაბეზრებელი ხალხია, სულ შენი სიკეთით, ჭკუის დარიგებით ტკბებიან და შენს გემოზე ცხოვრების უფლებას არ გაძლევენ." – ასე ფიქრობს ჯეელობა, სანამ ოჯახის მოვალეობის და სიყვარულის აპეურები არ წაუჭერენ.

1852. ახალი თაობის საქმიანობით უკმაყოფილება ძველი თაობის ავადმყოფობაა, თუმცა, არც ძველი თაობის წინაპრები გამოირჩეოდნენ ლმობიერებით, მაგრამ კომპრომისზე ყოველთვის უხდებოდათ წასვლა, რადგან საშიში ასაკის მოახლოებას ვერავითარი ცოდნა, ალტერნატივა და კაპრიზი წინ ვერ დაუდგება.

ბედი – შემთხვევა – ყისმათი

1853. ჩვენდაუნებურად ვირჩევთ ცხოვრების მომავალს, შევიცნობთ, ვგრძნობთ, სად არის ჩადებული ჩვენი ყისმათი, ინტუიცია, ინტელექტი, მაგრამ ბოლოს ყოველივეს წყვეტს შემთხვევა და არა ბედი.

1854. ზოგს ისეთი ყისმათი აქვს 4-5 წელიწადში ერთხელ როტაციის წესით ქმარს იცვლის უკეთესის გამოსავლენათ და თქვენ წარმოიდგინეთ უმართლებს და თავისასაც აღწევს.

1855. ზოგს ბედი ისეთ ცხოვრებას გაუმზადებს, რომ ჯობდა მასში არ ეცხოვრა, შორიდან ეყურებინა და თავის დროს დალოდებოდა, მაგრამ ეტყობა, ასეთი ბედის ხალხიც სჭირდება მამაზეციერს, ჩვენს აღსაზრდელად და ხალხში გამოსაყვანად.

1856. ხაკერობა ბედია და არა კრიმინალური ნიჭი.

1857. შემთხვევა ბედის ყველაზე დიდი კანონზომიერება და კოზირია.

1858. შეიძლება ბედი მაინცდამაინც არ გწყალობდეთ, მაგრამ თუ ბუნებით ხართ ბრძენი, ცხოვრება ყოველთვის წესრიგში გექნებათ.

1859. სიბერის უკუღმართობა ისიცაა, რომ თანდათან ხელიდან გეცლება იმედი და რწმენა.

1860. ორმაგი ბედნიერებაა, თუ სულს საგოგმანებელი სამუშაო უშოვნეთ, რომელიც თქვენს გათამამებულ სულს დეპრესიას ახლოს არ გააკარებს.

1861. მოდა და მისი ინდუსტრია ყველაზე მეტ გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე, დღეს ტატუირება, სარწმუნოების გაფეტიშება, ტერორიზმიც კი მოდად იქცა, რადგან ძველი ღირებულებების ინსტიტუტი მოიშალა, მაგრამ მისი თანდაყოლილი ბუნება ზოგს ჭარბად დაჰყვა, ხოლო რა პროვოკაციაზე წამოეგო, ეს უკვე ბედის საქმეა.

1862. ცხოვრება ხელოვნების ნიმუშია, ხოლო მისი წარმართვა შენს მონდომებაზე, ბედ-იღბალზე და როგორი მეორე ნახევარი შეგხვდება, იმაზეა დამოკიდებული.

1863. ზოგს გაუმართლა მისი მშობლები ქალაქში რომ ცხოვრობდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ჯაფა დაადგებოდა ქალაქელის სტატუსი რომ მიეღო და დღესაც თავის სოფლის მიწას უბაყუნებდა თოხს.

1864. დემოკრატიაც თავისებური ბედია, რომელიც არ უნდა იყიდებოდეს, არც უნდა ყიდულობდე და არც არავინ უნდა გჩუქნიდეს.

1865. ზოგს ისეთი ბედი დაჰყვება, საფლავიც რომ გაუთხარო, იქედან ნავთი ამოხეთქავს და თავის ნაშიერს იმ ქვეყნიდან დაუწყებს პატრონობას.

1866. ამბობენ, ბედი ძლიერის მხარეს არისო, ძალზე ძლიერ მხარეს ბედი კი ეხუტება, მაგრამ ხშირად მუხთლობს.
1867. ბედის წყალობის მიუხედავად არავინ იცის, რას მოგვიტანს მომავალი.
1868. ჯარისკაცის სიცოცხლის 20 პროცენტი დამოკიდებულია ოფიცრებზე, 70 პროცენტი ბედზე, 10 პროცენტი კი მის ხელშია დარჩენილი.
1869. რატომღაც დედაქალაქი თავიდან ტალანტს არ აფასებს და მის გარეშე კარიერის კიბეზე ასვლას ფიქრობს, ეტყობა სათაო ქალაქში მცხოვრებთ თავი ნიჭიერები და ბედის რჩეულნი ჰგონიათ.
1870. ჩვენ გვეჩვენება რომ მუდამ ვაგვიანებთ, სხვები გვასწრებენ, ბედი არ გვწყალობს, მაგრამ ცხოვრება მაინც თავისი გზით მიგვაჩანჩალებს.
1871. ხანდახან შეიძლება ჩვენი ბედი არც ისეთი უიმედო იყოს, როგორც თქვენ გგონიათ და სხვას ეჩვენება.
1872. ცხოვრება ვერაფერს გვასწავლის, თუ სურვილი არ გვაქვს ჩვენს რეალურ ყოფას ჩავუკვირდეთ, გავაანალიზოთ, და ბედიც დავიხმაროთ.
1873. ბედის უბედურია ყველა, ვისაც ამქვეყნად თავის მოსვლის აზრი ვერ აუკრეფია და მოვალეობაზე არასოდეს უფიქრია.
1874. ბატონი ბედი უნდა გახლდეთ თან, თორემ დანარჩენი ყველა ამქვეყნიური სიკეთე არასაიმედოა.
1875. მოღვაწეობის ბედი, რომელსაც გაგრძელება არა აქვს და ფინიშამდე ვერ აღწევს, მაინც ისტორიის კაპრიზია და მეტი არაფერი.
1876. განვლილი ცხოვრება ჩვენი ბედია და მასზე წუწუნის უფლება არავის აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ საინტერესოა და სხვისგან განსხვავებულად განვლეთ.
1877. მსახურთა თავგანწირულ მოვალეობას ადვილად ივიწყებენ. რას ვიზამთ, ასეთია უმადური და აუცილებელი სამსახურის ბედი.
1878. უკვდავება მარტო ნიჭიერებით, მოხერხებულობით არ მოიპოვება, მას გონიერება და ბედიც უნდა მიაშველო.
1879. გამართლება განა ის ბედია, რომელიც ხელს გიმართავს, არამედ ის, რომელიც ხელს არ გიშლის შენს ჭკუაზე საყვარელი საქმით იყო დაკავებული.
1880. ხასიათი არის ყველა ჩვენგანის თანდაყოლილი და შეძენილი ბედის ნაერთი.
1881. არავის აქვს უფლება სხვისი ბედი მართოს, გარდა სიყვარულისა და ისიც გარკვეულ ფარგლებში.
1882. ყველა საქმეს გამართლება, ბედი და ღმერთის ჭიტლაყი სჭირდება, რაც უნდა გონიერება, ნიჭი, გამოცდილება იყოს ჩარეული.
1883. ბედი ყოველთვის თეთრებით თამაშობს, უბედობა იძულებულია შავით ითამაშოს და იეშმაკოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამარჯვებას ბედის არჩეული წესიერება, გონიერება იზეიმებს, რადგან მოხერხებულობაც არანაკლები ნიჭია.
1884. ბედი ხშირად მას წყალობს და უფრთხილდება, ვისაც დიდი მიზნის განხორციელება აქვს ზევიდან დამოძღვრილი.
1885. ოცნების და ბედის რეალიზაციას თავისი ჩალიჩი სჭირდება და თუ საჭიროა, დროსაც უნდა გაუსწრო.

1886. ბედთან შეხმიანება არასდროს გვიან არ არის, თუ ღმერთი გწყალობს.
1887. ომი არ ირჩევს ვინ უნდა იცოცხლოს და ვინ უნდა მოკვდეს, ამას ბედი განაგებს და ის ბედნიერი შემთხვევაა, რომლის იმედითაცაა, რომ ჯარისკაცი სამშვიდობოდ მიდის.
1888. ბედის წაღმა შემოტრიალებისთვის აუცილებელია მისი ზურგით შემოტრიალების მიზეზის გარკვევა, დადგენა.
1889. შემთხვევაა ყველაფრის თავიდათავი და არა მისი ავან-ჩავანი.
1890. შემთხვევა იმასთან მიდის, ვინც ეძებს, ბედი – ვინც ცდილობს, ყისმათი – ვინც ლაღობს.
1891. დრო წყვეტს ისტორიის ბედს და არა აწმყოს აღფრთოვანებული გამოძახილი.
1892. ნიჭი შემართების, აღმაფრენის, გემოვნების, სილამაზის კოქტეილია, ხოლო მისი დეგუსტაციის წარმატებას ბედი, შემთხვევა წყვეტს.
1893. გამბედაობა და სურვილი ყველა წინააღმდეგობას დათრგუნავს, თუ მას თავის ყისმათი და გონიერებაც მიემხრობა.
1894. ბევრი ჩვენგანი უფლისწულად იბადება, რომელსაც გარემოებათა გამო ტახტზე ასვლა არ უწერია.
1895. ერთდროულად ფული, პოპულარობა, წესიერება სიახლის მკეთებელი ბედის რჩეულის ხვედრია, მაგრამ ეს იმდენად იშვიათობაა, რომ სათვალავში არ მიიღება.
1896. სიკვდილი ყველას შორიდან გვიღიმის და თუ ბედმა ღირსეული ცხოვრება გვაცალა, შეიძლება მას გაღიმებული, ხელებგაშლილი შევხვდეთ, აბა, ცას ხომ ვერ გამოვეკერებით?
1897. იღბალს ყველა ხელის გაუნძრევლად ელოდება, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ის ისეთი ჭირვეული ქალბატონია, მუქთად არავის არაფერს უწყალობებს, ხოლო შეყვარებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია.
1898. ერთი და იგივე საქმეში ერთს ბედი წყალობს, მეორეს – არა. აქ ბედი არაფერ შუაშია, მიზეზი ჩვენ თავში უნდა ვეძებოთ, რადგან საქმეს, ბედის გამართლებას, ჩვენი ჭკუის ჭყლეტა და ოფლის დენა დავაკელით.
1899. ხანდახან ბრმა ფორტუნა დაუმსახურებლად გადმოგხედავს მოწყალების თვალით, მაშინ უნდა დაიკაპიწო ხელები, ჭკუას წიხლი დააჭირო, რომ ბედის ნაჩუქარი ხელიდან არ გაგიძვრეს და დასაცინი არ გახდე.
1900. ბედნიერებას და მეგობრობას აქვს თავისი ნიშნები, საზღვრები და რადგანაც ბედი ისე არ გვწყალობს, რომ ვინმემ არ გვიღალატოს და არ გაგვყიდოს, ამიტომ ეს ნიშნები გვაფრთხილებს და საჭიროა მათი დამახსოვრება.
1901. ყველა თანამდებობაზე დანიშნულმა უნდა იცოდეს, რომ ის სახელმწიფოს სამსახურში მივლინებაში იმყოფება თავისი სურვილით და უკან დაბრუნებაზე წინასწარ უნდა ემზადებოდეს, ხოლო როდის მოხდება მისი მივლინებიდან დაბრუნება დამოკიდებულია ბედზე, გარემო პირობებზე, პრეზიდენტზე და ცოტათი შენზეც.
1902. იმისთვის, რომ ქალი ერთი ნახვით არ შეგიყვარდეთ, მეორედაც შეხედეთ წინა მხრიდან და უკანა აღმჭნებ ნაწილებს თვალი მოარიდეთ, თუ ამანაც არ გიშველათ, მაშინ მესამე ნახვისას სასიდედროს გაეცანით, რათა წარმოიდგინოთ 25-30 წლის

შემდეგ რა ხვითოს პატრონი იქნებით. თუ ამანაც არ გაჭრა, ცოლად მოიყვანეთ, ეტყობა, თქვენი ხვედრიც ეგ ყოფილა და ბედს ვერსად გაექცევით.

1903. მომავალი ჩვენთვის უცნობია და არავინ იცის, როგორ შეტრიალდება შთამომავლობის ბედი და ჩვენი ყოფა, რადგან სიმდიდრის გარდა, მომავალ თაობებს მრავალმხრივი პრაქტიკული განათლების და ჯანმრთელობის გასაკაჟებელი საწყისი შთაგონება უნდა დავუტოვოთ.

1904. ფანატიზმს, მოხერხებულობას, მისწრაფებას, ვირეშმაკობას, კარიერისკენ მივყავართ, ხოლო ინერტულობა, კეკლუცობა, სულიერი ამაღლება, პატიოსნება, მას გვაშორებს, მაგრამ შედეგი რატომღაც მაინც ბედის და შემთხვევის ხელში ტრიალებს.

1905. პოპულარობა და ბედი მაშინ მოდის და მიდის, როდესაც არ ელოდები, თუ პირველს ნიჭი, შრომა, წვალება, თავის გადადება და ყველა თაყვანისმცემლისთვის ღიმილის ჩუქება სჭირდება, მეორე განგების ნებაა და არავინ იცის რისთვის და რა დროს დაგასაჩუქრებს.

1906. ხანდახან ბედს მადლობა უნდა ვუთხრათ, რომ ახალგაზრდობაში ის სისულელე არ ჩაგვადენინა, რომელიც ჩვენი ცხოვრების კრედოს არ ეთვისება და ჩვენი მორალის ყოველდღიურ ღონას გადაგვარჩინა.

1907. ბედის დაცინვიდან არავინაა დაზღვეული, მაგრამ მას მაინც ჩვენი გაუფრთხილებლობა, უცოდინარობა, მცონარობა, გულგრილობა უძღვის წინ.

1908. როდესაც ვიღაცას რაღაცას ვუწილადებთ, აქ იფარება ჩვენი სიამოვნების, სიხარულის, გულკეთილობის გრძნობა და ის, რომ ბედის რჩეულნი ვართ.

1909. ცხოვრების საყრდენ წერტილად ძნელად მოსაძებნია ნდობა, ხოლო ბერკეტად ბედიც გამოდგება, რომლის ნახვაც ხანდახან ხერხდება.

1910. ვინმეზე ბედის თავზე მოხვევა მისი შემდგომი ჩამოყალიბებისა და ადამიანად ქცევის საქმეში სამშიში და სარისკო საქმეა.

1911. ბედის დამარცხება შეუძლებელია მხოლოდ იმათთვის, ვისაც მიზნის მისაღწევად თავის გადადება არ შეუძლია.

1912. ხანდახან არ არის საჭირო გავაფუჭოთ, შევწყვიტოთ არასასურველი დღე, რათა ჩვენსკენ უკანალით შემობრუნებულ ბედის ფორტუნას ანგარიში მთლიანად გავუსწოროთ.

1913. არის ჯადოქრის პროფესია, რომლის დაცინვას ავადმყოფიც იტანს და მისი ავადმყოფობაც, რადგან არავინ იცის, ბედისწერა და მკურნალი ერთად რა სასწაულს მოიმოქმედებს.

1914. დაჯერებით ყველას არ უნდა დაუჯერო, მაგრამ შენი ბედნიერების ბედისწერის ნდობა გარდაუვალია, რადგან ის არაფერში არ შეცდება, თუ შენი სიზარმაცით და გაუბედაობით ხელს არ შეუშლი.

1915. ცოდვის ჩადენა ერთისთვის მართლაც ცოდვაა, მეორისთვის ნდომის და მაცქერალის ეშხის დაკმაყოფილებაცაა, რადგან ცოდვის ჩადენასაც თავისი ყისმათი და ზომიერება სჭირდება.

1916. დაუოკებელი ქვრივი ჯობს, თუ ბედნაცვალი ქალი, რომელსაც არ შეუძლია შეურიგდეს იმ ბედს, რაც მას „უსამართლოდ" ბუნებამ არგუნა? გასართობად ორივე კარგია, მაგრამ საბოლოოდ მათთან დაწყვილება განსჯას მოითხოვს, რადგან ხომ შეიძლება შენზედაც ხელი მოეცაროთ და დაქვრივდნენ, რადგან ბედი აქვთ ასეთი.

1917. შენი მომავლის და ბედის წყალობის შეჩერება შეუძლებელია, რადგან ის მიწიერს არაფერს ემორჩილება და გონიერებას ყოველთვის ანგარიშს არ უწევს.

1918. ისიც დიდი ბედნიერებაა, ცხოვრებაში რაც სხვას არ გამოსდის, შენი მოხერხებულობით, ბედის გამოცდით, მათ ჯინაზე შენ რომ გამოგყავს და შედეგს აღწევ.

1919. ცხოვრების ყველა წუთის დაფიქსირებას და დამაგრებას უნდა ვეცადოთ, რადგან ვინ იცის, ვისი ბედი როგორ გაჭენდება და ცხოვრების გაელვების რა ნაწილზე რომელი რეკლამა დასჭირდება.

1920. შემთხვევა და ბედი ერთმანეთს ავსებენ. მათი რეალიზაცია და შემთხვევითობასთან მიახლოვება ჩვენი გადაადგილების ინტენსივობასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება ბედს, ის ყველას საკუთარი აქვს.

1921. სიკვდილს, თავგანწირვას, მიზნის მისაღწევად, საბოლოოდ აღარაფერი აზრი არა აქვს, იმდენად დიდია და გაუგებარი ჩვენი ქვეყნის ბედის თამაში ისტორიის წინაშე.

1922. ყოვლისშემძლეა მონდომება, ყველაფერის მკისრებელია ნიჭი, ყოველივეს გამკეთებელია ბედი, შემთხვევა, თუ ნიჭი და მონდომება გაერთიანდა.

1923. სხვაზე კარგად რომ იცხოვრო, უნდა გქონდეს ბედი, ოჯახი და იმ ქვეყნებში იცხოვრო, სადაც სარფიანად იბადებიან, იზრდებიან და კვდებიან.

1924. არის გამოთქმა „გეშინოდეთ იმათი, ვინც გეტყვით, რა უნდა გააკეთოთ", მაგრამ ვინც იცის რა უნდა გააკეთოს, უთქმელად ჩასაფრებულია და თქვენს მიერ შეცდომის ჩადენას უცდის, და მთლიანად თქვენი ბედის წყალობაზეა დამოკიდებული: განწირული ხარ თუ არა ფეხის წასატეხად.

1925. სამყაროში ჩვენს ბედს შემთხვევითობა მართავს, რომელსაც მოვალეობა და აღზრდის მცდელობა ჰქვია.

1926. მისი უდიდებულესობა შემთხვევა – და ცხოვრებაში ყველაფერი თავდაყირა დგება, ოღონდ არავინ უწყის, ეს ბედის საჩუქარია თუ მისი უკუღმართობა.

1927. ბრძნულ დარიგებას მაშინ იყენებ, თუ ბედი გწყალობს, უბედობის შემთხვევაში ის არ გამოგადგება.

1928. დრო-ჟამი თავს არ გათრევინებს, თუ ცხოვრებას ფეხი აუწყე და საკუთარი ბედი არ გააწბილე.

1929. ყველა ადამიანს ცხოვრებაში ბედი ერთხელ მაინც ეწვევა. ეს შემთხვევა ადამიანმა ხელიდან არ უნდა გაუშვას, არ უნდა იზარმაცოს, თორემ მთელი სიცოცხლე სანანებლად დარჩება.

1930. სისხლის დაღვრა ყოველთვის მტრობას არ ნიშნავს, თუ ის საერთო საქმისათვის იღვრება და ბედიც ასეთი გაქვს.

1931. ჩვენი ცხოვრების მომავალს, ჩვენი გაგებით ვარჩევთ, შევიცნობთ, ვგრძნობთ, ამიტომ აქ არის ჩადებული ბედიც, ჩვენი შესაფერი ცოდნა და ინტუიცია.
1932. ბედთან ჭიდილი დრამაა და არა ტრაგედია, რომელშიც აზარტიც უნდა იგრძნობოდეს.
1933. ყისმათი – ეს ნიჭის და იღბლის ერთობლივი ღაღადია.
1934. შემთხვევა უდიდესი ფაქტორია ადამიანის ბედის მართვაში, ასევე შურის და კმაყოფილების ბაზისია ახლობლებთან ურთიერთობაში.
1935. პური თუ ოქრო? ვინ იცის, იქნება ამ ოქროთი ბედმა ისე დაგჭედოს, რომ პურის ჭამის ხალისიც დაგიკარგოს.
1936. ბედი ბრმაა, მაგრამ თავისი ფავორიტების მონახვა არ ეშლება.
1937. იმაზე მეტი ცოდვა არ უნდა ჩაიდინოთ, რაც განგების ლიმიტით გაქვთ ნებადართული, მითუმეტეს, თუ ბედმა თავისუფალი ცხოვრების უფლება გაჩუქათ.
1938. სამწუხაროა იმ ხალხის ბედი, რომელსაც მომდევნო თაობა საყვედურობს, თქვენ ასე კარგად რომ არ გებრძოლათ და არ გაგემარჯვათ, ახლა უკეთესად ვიცხოვრებდითო.
1939. ზოგი სურვილს ავარჯიშებს, ზოგი – შესაძლებლობას, მაგრამ მიზნის მისაღწევად მაინც თავდადება და ბედის თავის დროზე გადმოხედვაა საჭირო.
1940. მიწაზე ფეხით სიარულს და ჰაერში ფრენას ორთავეს სწავლა, ნიჭი და ბედი სჭირდება.
1941. ყველას ოცნებაა თანამედროვეების მიერ იყოს გაგებული, აღიარებული, მოწონებული, ასე რომ ყველაფერს ბედი უნდა და თავის საუკუნესთან შეწყვილება, რადგან 10 წელი – მარჯვნივ, 10 წელი – მარცხნივ, დაგვიანებულმა, ან ნაადრევმა ამქვეყნად მოსვლამ პატივმოყვარე ოცნება შეიძლება აუხდენელი დაგიტოვოს.
1942. ყველა ეპოქას თავისი ყისმათი აქვს, რაც ადრე გაერკვევი, ცხოვრება მით უფრო გაგიადვილდება.
1943. ილუზიებს არ ეხუმრებიან, მისით ტკბებიან, კაიფობენ და მანამ უცდიან, სანამ ბედს არ ეწევიან.
1944. ბედის, განგების წყალობაა, როდესაც ადამიანს სამსახურიდან სახლში მოუხარია და სახლიდან – სამსახურში, დასვენების დღეებშიც არ იბნევა და მოწყენილობას ახლოს არ იკარებს.
1945. ყველა ბედზე მონადირე შემართებით უნდა გრძნობდეს, სად ელოდება წარმატება, ისე, რომ სხვას არ ავნოს.
1946. წარმატება-წარუმატებლობა ბედის წყალობა, დროის დამსახურებაა და გონიერ ახსნას არ ემორჩილება.
1947. წყვილს ბედი ახვედრებს და განგება ააშორებს, რადგან ეს უკანასკნელი ამით თავისი უნებლიე შეცდომის გამოსწორებას ცდილობს.
1948. ბედი ალბათ არ არსებობს, არის შემთხვევა, რომელმაც მხარი რომ დაგიჭიროს, ყოველთვის ყალყზე შემართული უნდა შევეგებოთ და ისიც ჩვენს მხარეს დადგება.

1949. ჩვენ ბედში არ უნდა ჩავერიოთ, მხოლოდ სტარტზე უნდა ვიდგეთ მუდამ გასაფრენად გამზადებულნი.
1950. ბრბოს ფსიქოლოგიის ცოდნა ავანტურისტს აძლევს საშუალებას წაღმა ნატარები ქვეყნის ბედი უკუღმა შეატრიალოს.
1951. როდესაც გონიერება მიგვატოვებს, მაშინ ჩვენ ვრჩებით იმ თავისუფლების და ბედის ამარა, რომელიც ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ ეშმაკმა შემოგვაპარა.
1952. ყველა წარმატების უკან წარუმატებლობა დგას და ამიტომაც შენს შემთხვევითობას და ბედს მცდელობა არ უნდა დააკლო.
1953. ცოტაოდენი თავის განძრევა, წამლიქვნელება, შეძახება, სიყვარულით დამოძღვრა და ცხოვრებაც გახალისდება, ბედიც ალუჩზე დაჯდება და ჩვენკენ შემოტრიალდება.
1954. ბედი უფრო ადამიანის ხასიათია, რომელიც უსასრულობამდე უნდა განვავითაროთ და გავუგოთ.
1955. ძნელია ქალის განსჯა, თუ ის ალღოთი გამორჩეულია და თავისი ბედის მჭედელია.
1956. იღბლის ვულკანის გამოღვიძებას ყველა ჩვენგანი გაფაციცებით ელოდება, მაგრამ ის დაუკითხავად გვევლინება გარკვეულ დროს და ისიც ჩვენი ბედის ჭკუაზე.
1957. ჭკუის მოხმობა ყოველთვის საჭიროა, შენს ბედის ვარსკვლავს სჭირდება ის თუ არა.
1958. ზოგს ძალზე უჭირს მორჩილება და თავისუფლების დაკარგვა, მაგრამ ბოლოს ბედს მორჩილდება და თავისი უფროსის გაფეტიშება უწევს, რადგან სატრაბახო და თავის წარმოსაჩენი სხვა არაფერი რჩება.
1959. გამართლება, ბედი, ყოველგვარ ინტელექტს ეხმარება და ხშირად მასზე მაღლა დგას.
1960. ბედი სამართლიანია: ხომ შეიძლება ის უფრო უყურადღებო ყოფილიყო, ვიდრე დღეს შენს მიმართ არის?
1961. ყველას სურვილია უყვარდეთ, პატივს სცემდნენ, მაგრამ ამ საყოველთაო სურვილს ხშირად წინ ეღობება შენი ბედი, შემთხვევა და იმ მამაზეციერის ნება, რომელსაც მზადა ვართ ყველა ჩვენი გადაცდენა და წარუმატებლობა მას გადავაბრალოდ.
1962. ყველაზე მეტი მადლობა ჩვენ ბედს, შემთხვევას, გარემოს, უნდა ვუთხრათ და არა იმათ, ვინც აღგვზარდა და გაგვაჩინა, რადგან მათი მცდელობა წინა პირობების გარეშე ფარსს დაემსგავსებოდა.
1963. თუ იღბალი ჭირვეული რამაა, მაშინ უიღბლობა ბედის ახირება და მისი ოინია.
1964. ყველა ჩვენგანი ბედისწერის ჯარისკაცად არის დაბადებული და ნებით თუ უნებლიედ მას ემსახურება თავისი შეგნებით, ბედის წყალობით და მამაზეციერის შემწეობით.

1965. 10 წელი პიროვნებისთვის შეიძლება ეპოქაც იყოს, სასჯელიც და განვლილი ხანაც, იმის მიხედვით, რა სურს თავად, რა დროში ცხოვრობს და ბედი როგორ წყალობს.

1966. ძირითადად ბედი გვკარნახობს, რა ნიჭით დავდგამთ ჩვენი ცხოვრების ეპიზოდებს და როგორი იმპროვიზაციით ვიცხოვრებთ.

1967. ჩვენი ბედის მბრძანებელი დრო და შემთხვევაა და არა მამაზეციერი, რომელსაც ჩვენთვის ყოველთვის არ სცალია.

1968. გაზარმაცებულ ბედს გამოსაფხიზებლად შემთხვევაც უნდა დავახმაროთ და გულის ტალღები სხვადასხვა ასაკის დასაპყრობად უნდა გავუშვათ, იქნებ მისთვის სახეირო მეწყვილეს გადაეყაროს.

1969. სატრაპი, ბედის სურვილის მიუხედავად, საბოლოოდ მაინც განტევების ვაცის როლს ასრულებს.

1970. ბედია ის, რომელიც ცხოვრებაში ხანდახან გვიღიმის, ხოლო შემთხვევა, რომელიც ამ ღიმილს დაიჭერს და პრაქტიკულ შედეგს მოგვცემს.

1971. ბედი იშვიათად ამართლებს ჩვენს მოლოდინს, რაც ცხოვრების წინასწარ დაგეგმას გვიშლის, მაგრამ რეალობის შეცნობაში გვეხმარება.

1972. ქალებთან ურთიერთობაში ბევრი შეცდომა მოგვდის, მაგრამ ბოლოს ჩვენი ბედის წერტილის დასმა ხშირად რომელიმე მათგანთან ხდება და მათ მიმართ დაშვებული ყოველი შეცდომა საბოლოოდ ამ გზით გამოისყიდება.

1973. ხანდახან საკუთარ საქმეშიც არ უნდა ჩაერიო, თვითდინებაზე უნდა მიუშვა და ბედს ანდო, რათა თავს არ უსაყვედურო და უკადრისი არ აკადრო.

1974. სამართლიანია თუ უსამართლო ბედის ამღვრევით, ყველა ჩვენგანი საკუთარ გზას ეძებს და ამ მცდელობაში შეიძლება ვიღაცას გზა გადაურბინოს, მაგრამ არ უნდა შეეჯახოს რათა ცხოვრების გზა არ აირიონ.

1975. თუ ბედი ჩვენს ხელშია, სად არის მაშინ მომადლებული ნიჭი, შემთხვევა და ყოვლისშემძლე ღმერთი? ალბათ, ოცნებაში, რომელსაც ხანდახან აღსრულება უწერია.

1976. ბედს, მის იმედზე მყოფი ადამიანი ფეხებზე ჰკიდია, თუ ის ცხოვრებას ეპუება და ფხას არ იჩენს.

1977. უნდა გვჯეროდეს ჩვენი შესაძლებლობისა და ბედის ყისმათის, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლე ეშხს დაკარგავს, ცხოვრება – აზრს.

1978. ბედის უკულმართობაა, როდესაც შინაგანად საფრენად ხარ გამზადებული და რეალობა მიწაზე გაფორთხიალებს, რადგან, ეტყობა, იქ არ დაიბადე, სადაც შენს ყისმათს თავი უნდა წარმოეჩინა.

1979. წარმატების ვულკანი რომ გააღვიძო და ბედის წყალობა შენსკენ შემოატრიალო, გონიერება – მოხერხებულობასთან ერთად, უამრავი ნერვების წყვეტა ჭირდება.

1980. შენი ბედი საყოველთაო ორგაზმს უნდა იწვევდეს, თავის შეცნობით და მხარ-დამჭერთა გამოცნობით.

1981. სილამაზე სულის დაბნეულობით ბუნებრივ არჩევანს აკეთებს, ხოლო გონიე-რება იგივეს გარეგნობით და საბანკო ჩეკით ცდილობს, მიუხედავად ამისა, პირველს ბედი იშვიათად წყალობს, მასზე დიდი მოთხოვნილების გამო.

1982. რადგან ცხოვრება ქაოსია, ხოლო ბედი შემთხვევითობის და აუცილებლობის ალგორითმია, ადამიანი მოწოდებულია ფორტუნას დროულად ხელი წაავლოს, რათა ნაადრევად ზურგი არ შეაქციოს.

1983. თუ თქვენი ბედის აჩრდილი მოწყვიტეთ, თავმდაბლად მოიქეცით, ის მაინც არ გამოაგდგება.

1984. ჩვენ მაინც ბედის მარიონეტები ვართ და ამას ცხოვრების დაისზე ვხვდებით.

1985. მთავარია არწივი მოწოდებით იყო და არა ბედის შემწეობით, თორემ სკამზე წამოსკუპებული ყველა ვიგინდარა და მხდალი არწივთა ოჯახსაა მიტმასნილი გარ-კვეულ დრომდე.

1986. ბედისწერასთანაც საერთო ენის გამონახვას უნდა ვეცადოთ, რათა უკეთესო-ბის იმედით ვისაზრდოოთ და ცუდისთვის მზად ვიყოთ.

1987. საკუთარი ყისმათის შეცდენაც შეიძლება, თუ მისივე წესებით ვითამაშებთ და მონდომებით ვითვალთმაქცებთ.

1988. ლოგიკა – ოცნებაა, შემართება – მოთმინებაა, მიზნის მისაღწევად და იმისთვი-საცაა, რომ ბედის ალუჩზე დაჯდომა, ინტუიციით იგრძნო.

1989. დღევანდელი დღე ყოველთვის ხვალინდელის დასაწყისი არ არის; მთავარია, ეს დღე ვის მფლობელობაში იყო და ვინ აჯირითა ამ დღის ბედის ვარსკლავი.

1990. ცხოვრება სიამოვნებაზე და ტკივილზეა აგებული, სიცოცხლე კი მისწრაფება-ზე და იმედზე, ხოლო ყისმათი ყოველივე ამათ თავის ჭკუაზე მოთარგმნის და გაამ-წესებს.

1991. ცხოვრების გამოცდილება მედიცინას მოგვაგონებს, იცი როგორ დასვა დიაგნოზი, როგორ უმკურნალო, მაგრამ არაფრის გარანტირება არ შეგიძლია, რადგან ცხოვრებაში ცოტა იღბალიც საჭიროა.

1992. სიზარმაცის და ოჯახის ინტერესების გამო ვემორჩილებით ვიღაცას და ჩვენს ბედს.

1993. ბედის ირონია უკანასკნელი სტადიაა დაცინვისა საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ როგორ შემოტრიალდება შემთხვევა, ყისმათი, არავინ უწყის.

1994. ყველას ჰგონია, რომ უფრო მეტის ღირსი იყო, მაგრამ იმას სჯერდება, რაც მოახერხა და ბედმა უწყალობა.

1995. ტლაპოზე გადახტები თუ ჩავარდები, დამოკიდებულია შენს ყისმათზე, გონიე-რებაზე, წინაალმდეგ შემთხვევაში, ცხოვრების სიბინძურის სიღრმის განსაზღვრა მოგიწევს და იქიდან გასვრილს ამოძვრომა, ჭუჭყის მოშორება. შენი გაწმენდა კი გარკვეული მითქმა-მოთქმის სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

1996. თავისი ბედის ჩიტის დაჭერას ყველა ვერ ახერხებს, რადგან ზოგს ფრენის დაწყება თანდაყოლილი ნიჭის წყალობით უჩნდება, ზოგსაც რეპეტიტორ-პროტექციის, ხოლო ვის გაუღიმებს ბედი, ეს უკვე შემთხვევის წყალობაა.

1997. შემთხვევაა ბედის ავან-ჩავანი და არა პირიქით.

1998. ისტორიის თარგზე ცუღლუტად მორგება შეუძლებელია, უნდა გავერკვეთ იმ ეპოქაში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, თუ გაგვიმართლა და ამ ხანას მშვიდად მოვერგეთ, მაშინ ბედნიერ ვარსკვლავზე ვყოფილვართ დაბადებულნი.

1999. ბედნიერებასაც თავის საზღვრები აქვს, კუთვნილი მიგეზღოთ თუ მოხერხებით მიიღეთ.

2000. ბედნიერება და სიამოვნება ყოველთვის ერთად ყოფნას და ერთმანეთის შევსებას ვერ ახერხებს.

2001. ბედნიერებას არ შეიძლება თავის სულიერი ირონია არ ჰქონდეს.

2002. ზოგს ისეთი ყისმათი აქვს, რომელ პარტნიორსაც არ უნდა ესექსოს, ყველა იღბლიანად თხოვდება, ამის შემხედავ ქალებს ისღა დარჩენიათ, რომ ამ მამრთან ინტიმი ინატრონ.

2003. მომჭირნეობა თანდაყოლილი თვისებაა, ხელგაშლილობა შეძენილი, რომლის დრო იმ ყივილზეა დამოკიდებული, სანამდის გზააბნეული ბედი მასთან არის.

2004. სხვისი ბედის არ უნდა შეგშურდეს და მისი ნასუფრალის მითვისებას ნატვრითაც არ უნდა შეეცადოთ, რადგან ბედს არ იპარავენ, მისთვის იბრძვიან და მისივე წყალობით მასვე მოიპოვებენ.

2005. ხანდახან ისეთ საქმეში დადგება ბედი შენს გვერდით, რომ გაოცებას ვერ მალავ, ეტყობა მამაზეციერსაც რისკიანი და თავნება ხალხი უყვარს და ამიტომაცაა რომ ხშირად მათ ეხმარება.

2006. ხანდახან ბედის კაპრიზი და შექმნილი გარემოება შეიძლება შენი კარიერის საწყისად იქცეს. ამ დროს მთავარია არ დაიბნე და რაიმე არ შეგეშალოს.

2007. საოცარი რამ არის ბედი, ერთ წუთში შეუძლია შენი ცხოვრების კარტის არევაც, დაწყობაც და ჩაწყობაც, ისე, რომ მთელი ცხოვრება დაგამახსოვროს.

2008. ვინ არის ქვეყნის მნგრეველი?! ალიბის მქონე ხალხი, მის მიერ არჩეული მთავრობა თუ მამაზეციერი, რომელმაც ამ სახელმწიფოს ასეთი ბედი და ისტორია აჩუქა.

2009. საოცარია ბედი: ხანდახან ისეთი რამ ხდება აღიარების და დიდების ღირსი, რომელსაც არაჩვეულებრივობასთან არავითარი კავშირი არა აქვს, ხოლო გენიალური აღიარების გარეშე რჩება, რადგან მას სათანადო დონის მეხოტბე არ გამოუჩნდა.

გენიოსი

2010. გენიოსს დაცინვის არ ეშინია. ყველაფერს რომ უფრთხის და უფრთხილდება, მოუმწიფებელი გონიერებაა მუდამ უკან რომ იყურება ჩუმად, ჩემზე რამე უკეთური არ წამოსცდეთო.

2011. ჯადოქრობა, ბოროტება და იქედნური სიხარული, ადამიანის გენიასთან ერთად წარმავალია, მაგრამ პირველი ორი უსუსურობის გამო უფრო ხშირად აწუხებს ადამიანის გონებას, ვიდრე უკანასკნელი, ამიტომაცაა ცხოვრებასთან ჭიდილი ძლიერისთვის საინტერესო.

2012. ნიჭიერი და თვით გენიოსიც, რომელთა ხვედრია წიგნების ქექვა, არ შეიძლება ჩაითვალოს გამარჯვებულ ადამიანად, თუ მან არ იცის არსებული ცხოვრების წესი.

2013. ადამიანის გენია აუხსნელია, არაორდინალურია, მიზანსწრაფულია, ახასიათებს კონკრეტული ნიჭი გონიერების უმაღლესი გამოვლენით, ჩავარდნები, აღმავლობა, ცვალებადობა, უხასიათობა. ამასთან, აღზრდა, ტრადიციები, გარემო, მასზეც ახდენს გავლენას, მიუხედავად იმისა, რომ გენიალობა და უგუნურება გვერდი-გვერდ დააბიჯებენ.

2014. შეიძლება კარგი კაცი იყო, შენი დროისთვის გაუგებარი გენიოსიც, მაგრამ პიროვნებად მაშინ იქცევი, როდესაც ვიღაცას სჭირდები და უნდიხარ, წინააღმდეგ შემთხვევაში შენი პრეტენზიები ადამიანის სახელის დამსახურებას ვერ გასცდება და ამ არეულ და გაუგებარ სამყაროში ეს არც თუ ისე ცოტაა.

2015. ყველა ადამიანში შეიძლება ნიჭის აღმოჩენა, თუ მისი ტალანტის გამოვლინება გენიოსის ხელში იქნება – მცირე გამონაკლისის გარდა.

2016. ადამიანთა მოდგმა მისდა შეუმჩნევლად მრავალ თვითნაბად აზრს აფრქვევს, რომელშიც დაუმუშავებელი ალმასიც და ნაკლებად ძვირფასი ქვებიც გამოერევა, მაგრამ მათი აზროვნებისთვის ძნელია ამდენი ფუჭი ქანის გადამუშავება და ძვირფასი აზრების გადარჩევა. ამისთვის არსებობენ გენიოსები, რომლებიც ამ ბალასტიდან ბრილიანტს და სხვა ძვირფას ქვებს მიიღებენ, ენის, აზრის სამკაულს შექმნიან და გამოფენენ.

2017. ყველა ადამიანი გენიოსი იქნებოდა, მათ რომ თავიანთი ნაფიქრის, აზროვნების ფილტრში გატარების საშუალება მისცემოდათ.

2018. როდესაც ზოგიერთი ამბობს, რომ მას ტვინი შერყეული აქვს, ან თავზე დიდი წარმოდგენისაა, მაშინ განდიდების მანიით დაავადებულ ადამიანთან გვაქვს საქმე ან გენიოსთან.

2019. იმის შეცნობას და უხმო სიამოვნების შეგრძნებას, რომ შენი აღზრდილი შენზე რამდენიმე თავით მაღლა დგას და გენიოსია, არაფერი შეედრება.

2020. გენიოსის, სახელოვანი ადამიანის, სახელი უფრო ჟღერს, ვიდრე მისი ნახელავის, რადგან მისი რეალური შემფასებელი ერთეულია, ხოლო ღირებულება და ფასი ყველას ინტერესს იწვევს და მისი გაგება ყველასთვის ხელმისაწვდომია.

2021. გენიოსები აზრებით არ იბადებიან, განვითარების სტიმულს მათ გარემო პირობები და სამყაროს განვითარების ინტელექტი აძლევს.

2022. წვრილმანებისგან შემდგარი ცხოვრება ბევრს ნიშნავს, მაგრამ არა – გენიოსისთვის.

2023. გენიოსმა გენიოსი რომ აღიაროს, ამას წინდახედულება, აღზრდა და საკუთარი „მეს" მოთოკვა სჭირდება და არა – გენიოსობა.

2024. გენიოსი, რომელიც თანამედროვეებზე რამდენიმე წლით ადრე იბადება, სულაც არ არის დამნაშავე იმაში, რომ ისინი მას ვერ უგებენ, ხოლო მომდევნო თაობებს გონიერების ამაღლება კი დრო და დაცდა სჭირდებათ.

2025. ყველა საქმეს თავისი გენიოსი და თავისი ჯალათები ჰყავს, რომლებიც თავისდაუნებლიედ ამ საქმიანობას ხვეწენ და კლასიკურ ხელოვნებამდე აჰყავთ.

2026. ბუნება გენიოსების შთამომავლებზე ისვენებს და არა ნიჭიერ შთამომავალთა ხარჯზე.

2027. თუ გვინდა ბედნიერნი ვიყოთ, ხმამაღლა ერთმანეთს სულ გენიოსები და საუკუნის მოვლენა ხარო, უნდა ვუძახოთ, ამას სხვა შენნაირიც გაიგებს და ბრბოს ტაშის დაკვრაც განაღდებული გაქვს, რომლის ხარისხის შემოწმებას შენს სიცოცხლეში, იმედია, არავინ დაიწყებს.

2028. გენიოსის შეფასება პირადი ცხოვრებით არ შეიძლება, რადგან ნიჭი და ცხოვრების უნარი მას ცალ-ცალკე ეძლევა და მორალის და ტრადიციების დაცვით მისი შეფასება აბსურდამდე მიგვიყვანს.

2029. მაკიაველი იყო მოაზროვნე, რომელმაც თავისი გონიერების წარმოსაჩენად და თანამედროვეთა გასაგებად თავისი აზრები პოლიტიკურ ფაბულაზე ააგო და მომავალი თაობებისათვის ბრწყინვალედ გათვალა, ხოლო მისი თანამედროვეებისთვის გაუგებარი იყო და მათ ვერაფერი შეასმინა. ამის მიზეზია ის, რომ თანამედროვეებს არა აქვთ სურვილი, ან ხელს არ აძლევთ გენიას გაუგონ, რადგან როგორც მათ ჰგონიათ, ის თანამდებობის ან სალაფავის გადანაწილებაში ეცილება.

2030. არის ღვთისნიერი პირი, რომელიც ხალხის აზრს პატივს სცემს, არის თვითნაბადი გენიოსი, რომელსაც სხვისი აზრი არად მიაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ხალხის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს, უკვდავება გარანტირებული აქვს.

2031. გენიოსები პროვინციებში იბადებიან, სიკვდილის სურვილი პარიზში აქვთ, ცხოვრებისა – დედაქალაქში, ხოლო ყველაზე მეტად იგი მის მიერ დავიწყებულ პროვინციაში ახსოვთ.

2032. რაკეტმშენებელი კოროლიოვი სხვებთან ერთად ქმნიდა თანამგზავრებს და მისი პირადი გენია მრავალთა წარმატებაში გადაიზარდა, ხოლო სამყაროს პირველ კოსმონავტს, გაგარინს, კოსმოში გასაფრენად სხვები ამზადებდნენ, იგი მარტო გაფრინდა და ერთი კაცის წარმატება გმირობად მოგვევლინა. ამიტომ ეს

უკანასკნელი მეტად ცნობილია სამყაროში, ვიდრე ნიჭიერი კოროლიოვები, რომელიც სათაყვანებელია გონიერებისთვის. ამრიგად, ყველა თავისას იმკის და დრო გადაწყვეტს ვინ არის პირველი.

2033. გენიოსს ყოველთვის თავის საუკუნეში უჭირდა ლაპარაკი, ხოლო მომდევნო საუკუნეები მასზე აღტაცებით ბაასობენ.

2034. ჯარისკაცობა, გენერლობა, ეს მოწოდებაა და ქვეყნის ამოუხსნელი სიყვარულის ფიცია, ზემდგომის, კანონის უსიტყვო მორჩილებით. ამ წყნარ ჭაობში გენიოსი მხედართმთავრებიც იბადებიან, თუ თავის გამოსაჩენად უგნური პოლიტიკოსები საომარ სიტუაციას შექმნიან.

2035. ყველა გენია მისი თაობისთვის გაუგებარია და მას მომდევნო თაობების გონიერების და აღიარების იმედი აქვს, რომელიც გაუგებრობას და გულგრილობას წინა თაობების მსგავსად იმეორებს. ამიტომ თაობებს გონიერების იმედი კი არ უნდა გვქონდეს, არამედ ერის მატერიალური კეთილდღეობის, რათა დრო გამოინახოს გენიის დასაფასებლად და თავის მოსაწონებლად.

2036. კანონზე მაღლა დგომის უფლება არცერთ ჩვენგანს არა აქვს, მათ შორის გენიოსსაც, რადგან ეს სისხლის აღრევის და გადაგვარების ტოლფასია.

2037. ნიჭის ნამოღვაწარი ნაზიარებია განგების მხარდაჭერასთან, რომელიც შემოქმედს სიღარიბეს და გაჭირვებას არ აკლებს, მაგრამ არც შიმშილით ხდის სულს, რათა მომდევნო გენიოსებს, მათი კოლეგების ისტორიის ცოდნით იმედის გზა გაუნათოს.

2038. დიდია მხატვარი, თუ სიცოცხლეშივე დაფასებულია თავის მეგობრებსა და კოლეგებში, ხოლო თუ მას ცნობენ და მასები მის დავიწყებას ვერ ახერხებენ, გენიოსობას წინ არაფერი უდგას.

2039. დღეს ბევრი შედევრი უცნობი გენიოსის ნახელავია, რომელთა დადგენაზე სამყაროს საუკეთესო ცნობილი თავები იხარჯებიან.

2040. თუ კლასიკოსად წოდებულის განხილვა სუფრაზე დაიწყეს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მას გაუმართლა და მის გენიალობას ყურადღება მიაპყრეს, ხოლო მსჯავრის დადების ადგილს და გარეგნულ იერს მნიშვნელობა არა აქვს.

2041. სხვადასხვა კულტურამ ერთმანეთთან უნდა იკამათოს, იბრძოლოს მხოლოდ ქაღალდზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეროვნული კულტურა ვერ განვითარდება, ის კი არა, ძველდონეზე დარჩენაც გაუჭირდება, თუ რომელიმე გენიოსი არ გამოუტყვრა განგების ნებით.

2042. ხელოვანი მაშინ ცხოვრობს, თუ ის თანამედროვეებს სჭირდებათ, ხოლო საზრდოობს, როდესაც თავის დაუფასებელ გენიას შეიგრძნობს.

2043. კარმენივით მომხიბვლელი, თავნება, ლამაზმანი რამდენიც გინდათ, იმდენი იყო უყურადღებოდ დარჩენილი ყველა დროში, მხოლოდ მერიმეს და ბიზეს გენიამ აქცია ის დაფიქრების, განცდის და ოცნების ქალად.

2044. თეორიულად ელიტარული კულტურა ვერასოდეს გახდება მასობრივი, მაგრამ რა ვუყოთ ჭეშმარიტებას, რომ „ყოველივე გენიალური მარტივი და ყველასთვის მისაწვდომია", ე.ი. მთავარია რა ნიჭი და გენია ქმნის შედევრს და არა ხალხის ჯოგად წარმოდგენა.

2045. კრიტიკა გენიას ფეხებსაც ვერ მოსჭამს, პირიქით, ის განადიდებს მას მომდევნო საუკუნეებისთვის.
2046. პოეტის ლექსის მელოდიურობას და თვითმყოფადობას მოზრდილები უკეთ აფასებენ და მის იმიჯს ისინი სწევენ, ხოლო უფროსი თაობის ვალია ახალგაზრდა თაობას დაეყრდნოს, ენდოს და ახალი გენიით აღფრთოვანდეს.
2047. დღეს წიგნის წერას თავზესაყრელი დრო და დაუნანებელი ფული სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, რა გრჯის, ხელოსანი კაცი ამ საქმის გენიოსებს გაეჯიბრო.
2048. პოეზია, უპირველეს ყოვლისა, ქალია, სიყვარულია, პატრიოტიზმია, მხატვრის გეომეტრია და სულის აღმაფრთოვანებელი მუსიკაა, რომელიც ბუნებაში ჩადებული კოდის გენიას გარკვეულ პირობებში ამოაფრქვევს.
2049. ყველა ნაწარმოები თავისი დროის შესაფერისად უნდა დაიწეროს, რათა მომდევნო თაობებთან რეკლამა გაკეთებული ჰქონდეს, თორემ დღეს რომ შექსპირი, რუსთაველი, დოსტოევსკი და ბევრი სხვა გენიოსი თავისი შედევრებით მოგვლინებოდა, მათი ნაწარმოებების ტირაჟი პოპულარული დეტექტივების ავტორების წიგნების სიახლოვესაც კი ვერ დადგებოდა.
2050. შექსპირის გენიის აბებია სენტენციები თავისი იუმორით და ფილოსოფიით.
2051. ჟურნალისტიკა საშუალო ნიჭის ხალხისთვის არის განკუთვნილი და არა გენიოსისთვის, რომლის გვერდით დგომითაც, ჟურნალისტიკა ამაყდება და ფასდება.
2052. წერის ოსტატია ის, ვინც გააზრებულ ჩუქურთმით სიტყვას კაზმავს, ხელოვანია – რომელიც თავის ფანტაზიას ქაღალდზე გააჭენებს, ხოლო გენიოსია ის, ვისაც თავის ნამოღვაწარში სიტყვის ჩადგმა შეუძლია ისე, რომ გაგაოგნოთ და აგაფორიაქოთ.
2053. გამოჩენილი მიცვალებულების სახელი ცოცხლებს უფრო აღელვებთ, ვიდრე თავად გენიოსებს და მათ ნაშიერთ და ესეც საზოგადოების წინსვლის და თავისებური „სიბრიყვით" საკუთარი „მეს" წარმოჩენის საყრდენი ბერკეტია.
2054. არიან გენიოსები, რომლებიც ყველგან არიან, საქმეს აკეთებენ, მაგრამ არავის ეტმასნებიან და არც არავინ ცდილობს მაინცდამაინც მათ პრივატიზაციას, რადგან გრძნობენ, რომ ისინი სამყაროს ეკუთვნიან.
2055. გენიოსს ანგელოზები და ჭკვიანი ადამიანები უნდა ეხვიოს თავს, რათა მისი აზრები ხალხამდე მიიტანონ, ბრბოს რომ არ ჩაუვარდეს ხელში.
2056. გენიოსები ახალგაზრდობაში სარწმუნოების და ღმერთის კრიტიკით ხალისობენ, სიბერეში კი ამ გართობას ერიდებიან, ეტყობა შიში და მორიდება მამაზეციერის წინაშე მათთვის მთლად უცხო არ უნდა იყოს.
2057. გენიოსები, ერთი მხრივ, უბედური ხალხია, ისინი ამ ცხოვრების ზიპლი-პიტოებით არ ინტერესდებიან, ხოლო მეორე მხრივ, ბედნიერნი, რადგან თავის სულს ალაღებენ და მას უსასყიდლოდ ემსახურებიან.
2058. გენიოსი თავს უფლებას აძლევს ისე იაზროვნოს, როგორც მის ეპოქას მოეპრიანება, ხოლო ეპოქას გენიის ფიქრი ხშირად ფეხებზე ჰკიდია.
2059. გენიოსის სურვილია და გენის მცდელობაა მოსახლეობის მოძველებული დოგმების შეცვლა, მაგრამ ხალხი აზრების შესაცვლელად გვიან ღვინდება.

2060. გენიოსია ის, ვინც დროს უსწრებს, განსაკუთრებულად აზროვნებს, გონებას საჯირითოდ იყენებს, ახლო დგას ტალანტებთან, კავშირშია მარადიულობასთან, არ ასვენებს ამქვეყნის ამაოება და თავისი შემართებით ცდილობს სამყარო წინ წაათრიოს, რადგან თანამედროვენი ვერ უგებენ და ეწინააღმდეგებიან.

2061. მსოფლიო გონიერების ცენზორი ამავე პლანეტიდან აღზევებული გენიოსი უნდა იყოს, ისიც აღიარების შემდეგ.

2062. გენიოსს ხშირად ხელარეწიფება თავის აზრები ისე გამოხატოს, რომ ბრბომ გაიგოს და ესეც მიზეზია თანამედროვეთა მისდამი უყურადღებობისა.

2063. გენიოსი, სხვებისგან განსხვავებით, ბავშვივით მიმნდობია, მაგრამ სამაგიეროს გადახდა იცის მკაცრი და უცნაური, თუ ნიჭი საქმიან გატაცებად არ გადაექცა.

2064. გენიოსი ირგვლივმყოფთა შორის შედარებით უჭკვიანესი ადამიანია, მაგრამ თავისი გონების ამბიციების წინაშე – უვიცი და უსუსური.

2065. მომდევნო საუკუნეებში გენიოსები ნაკლებად არ დაიბადებიან, მაგრამ მათი რეალიზაცია იქნება გაძნელებული, რადგან მეცნიერული ინტელექტი იქნება გადაულახავი.

2066. გონიერება, ნიჭი და მონდომება იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს, თუ შეხვდებიან, გენიოსი გარანტირებულია.

2067. მეცნიერების უგზოუკვლოდ განვითარება ხვალ უგუნურ გენიოსებს მოგვიმრავლებს, რომელთათვისაც ცხოვრებისეული ბევრი სიამე უცნობი და მიუღებელი იქნება.

2068. ნიჭიერი კაცი გონიერების მეგზურად ვერ გამოდგება, რადგან გონიერება აღზრდას, გარემოს, მოთმინებას მოითხოვს, ხოლო გენიოსს დამფინანსებელი და დამფასებელი სჭირდება და არა მეგზური მეცნიერების მწვერვალებზე გასაყოლად.

2069. გენიოსებიც თავისი სიამოვნებისთვის ცხოვრობენ, ჩვენ კი – მათი ნამოღვაწარის გასაფეტიშებლად, გასაცნობიერებლად.

2070. გალილეო გალილეი გენიოსი, მაგრამ დაბნეული პიროვნება იყო, თუმცა არა იმდენად, რომ მეცნიერული აღმოჩენისთვის ინკვიზიციის ეშაფოტზე მოხვედრილიყო, რადგან ყველაფერს თავისი დრო აქვს და თავის განწირვა მეცნიერებაში უმეცარი ოპონენტებისთვის არც წინათ და არც ახლა ნამდვილად არ ღირს.

2071. გენიოსები კი იბადებიან დროულად, მაგრამ იძულებულნი არიან თავის დროს გაუსწრონ და სხვა დროის შეგრძნებით იცხოვრონ, რადგან მათ ფასს და ღირებულებას საუკუნეები განსაზღვრავს.

2072. გენიოსია ის, ვინც თავის კოლეგებს, ოპონენტებს, მათს უვიცობას დაუმტკიცებს და ყველას კმაყოფილს ტოვებს, რადგან მათთან პაექრობა იკადრა.

2073. გენია გონიერების ბალანსის დარღვევის და ზემოდან დაყრილი ნიჭის შედეგია, რომელსაც თავისებური სიშმაგე და თავხედობაც ახლავს.

2074. უაზრობის აზრზე მოყვანით ბევრი საშუალო ნიჭი გენიოსობას ცდილობს და სურვილი აქვს თავი საქმის უბადლო მცოდნედ, მოჭარბებული ნიჭის პატრონად მოგვყიდოს.

2075. ჭკუასთან მიახლოებული, აბსტრაქტული სისულელე ხშირად თუ არ გამოავლინე, გენიოსად არავინ ჩაგთვლის, არც შენით დაინტერესდებიან და არც აღფრთოვანებას გამოხატავენ.

2076. იშვიათად გენიოსი ჩვენი გაგების წესით ცხოვრობს, მაგრამ თავის ყოფას ეჭვით არასდროს უყურებს, რადგან ხშირად რაც მისი გენიალობისთვის დასაშვებია, სხვისთვის მიუღებელია, მიუხედავად ამისა, ხალხი მის ,,გამოხდომებს'' შეწყნარებით, ინტერესით და გაურკვეველი სიამაყით ეკიდება.

2077. დროის უგუნურებიდან თავის დაღწევას გენიოსებიც არ ცდილობენ, რადგან გენიალობა მათთვის ზევიდან ბედის ფორტუნით არის ნაწყალობევი, ხოლო სიცოცხლე უახლოესი წინაპრის ნაჩუქარია იმ დროის ღირებულებებთან ერთად.

2078. ყველაზედ დიდი ბედნიერება ქვეყნისათვის ის იშვიათი ნიჭია, რომელსაც ვიღაცა საერთო სისულელეში, ერის გენის მარგალიტებს დაეძებს და აღმოაჩენს კიდეც.

2079. ეშმაკი გენია ჩვეულებრივ გენიოსთან შედარებით უფრო მოსაწონი იყო, არის და იქნება, რადგან მათი ნამოღვაწარის თუ არა, მისგან მომავალი გზების ლაბირინთების იუმორში გახსენება ხომ ყველასთვის შედარებით გასაგებია.

2080. გენიოსი სამყაროს საკუთრება და ხალხი ვალდებულია მას გაუფრთხილდეს და მოუაროს, რათა მან შესძლოს განგების დავალების პირნათლად შესრულება.

2081. გენიოსი არ შეიძლება იყოს ბედნიერი ადამიანი, რადგან მას ბევრი წინაალმდეგობის გადალახვა უხდება.

2082. გენიოსია ის ადამიანი, რომლის პრივატიზაციაზე სურვილს აცხადებს სამშობლო, სასწავლებლები და ქვეყნები, რომლებმაც ის წარმოაჩინა და ხალხმა გაითავისა.

2083. გენიოსები, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის წარმატებას თვალს ადევნებენ და ხანდახან აღფრთოვანდებიან კიდეც, სახალხოდ ამის გამჟღავნებას ერიდებიან, რადგან ისინი თავის სიდიადეს ვერ ელევიან.

2084. გენიოსები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ოღონდ თავისი გონების ხიბლით გადატრიალებული ჭკუით, მისთვის გასაგები აზრებით და სხვისთვის გაუგებარი ქმედებით.

2085. გენიოსის ნიჭს და მის რაობას საყოველთაო პრივატიზაცია განსაზღვრავს და არა დაუღვინებელი თანამედროვენი, რომლებმაც მისი ფასის დადგენა მომავალ თაობებს და დროს გადაულოცეს.

2086. გენიოსმა რომ სიამოვნება არ მოიკლოს, სიცოცხლეში კოლეგების აღიარებით უნდა დაკმაყოფილდეს და სიკვდილის შემდეგ ბრბოს აღფთროვანებით.

2087. გენიოსი, თუ ის გონიერიც არის, თავისი სიამოვნებისთვის და სხვის დაუყვედრებლად უნდა იცხოვროს, სიკვდილის შემდეგ ბრბოს გასახარებლად და გასაამაყებლად.

2088. ხშირად გენიოსი მისი ნიჭის არადამფასებელ თანამედროვეებთან და მეუღლესთან ცხოვრობს, რადგან აღიარებამდე იძულებულია ხელმოკლედ იცხოვროს, ხოლო როდესაც მოვა მატერიალური კეთილდღეობა და დაფასება, ცოლს და თაყვანისმცემლებს ეს უკვე საკმარისად აღარ ეჩვენებათ.

2089. გენიოსი არ შეიძლება მატერიალურად გამაგრებული არ იყოს, თორემ იმდენი სისულელის ჩადენა შეუძლია, რომ მასზე უამრავი ანეკდოტები შეითხზება თანამედროვეთა მონაწილეობით და ბევრ წინაპარს შთამომავლობა ყურს აახლეჩს.

2090. გენიის სურვილია თავისი საუკუნის მომსახურება, მაგრამ მას რატომღაც ვერ უგებენ და მის შესაცნობად სიკეთე და სიავე ერთად ილტვის.

2091. გენიას თავის შედევრების შესაქმნელი რეფერენდუმის და არჩევნების ჩატარება არ სჭირდება, რადგან მას თავისი შეხედულება აქვს თავისუფლებაზე და მოვალეობაზე, სწორედ ასეთ ღვთის ნიჭით დაჯილდოებულ მმართველებს ამოჰყავს ქვეყანა ჩვენი უნიჭობით გათხრილი ორმოდან.

2092. გენიოსებიც ისევე ჭკუას აცდენილი და გადაცდენილნი არიან, როგორც სხვა შერეკილები, ოღონდ „პლუსის" ნიშნით.

2093. სისულელესა და სიჭკვიანეზე მაღლა გენიოსი დგას, ხოლო მათ შორის ვინ რას წარმოადგენს, დრო და შემთხვევა გვაჩვენებს.

2094. საუკუნეებშიც ხდება ბედნიერი გამონაკლისი, როდესაც დედამიწაზე გენიოსების დოღი იმართება, მაგრამ ეს მოვლენა სახელმწიფოების მართვასა და მის ძლიერებაზე გავლენას თითქმის ვერ ახდენს.

2095. ბევრი მზარეული და პოეტი აწვალებს გაზქურას და ქაღალდს, მაგრამ მათ შორისაც ხომ გამოჩნდებიან გენიოსები, ვინც კუჭს გვიხალისებს და სულს აგვიღფრთოვანებს.

2096. გენიოსისთვის დამახასიათებელი ცოდვები ღიმილის მომგვრელია, ცოდვილისთვის კი – აუტანელი.

2097. მეუღლისთვის გენიასთან ერთად ცხოვრება ოთახში – შეუძლებელია, ბინაში – მოსათმენია, სახლში – შესაძლებელია, შორი-შორს – საუკეთესოა და ამით ორივე კმაყოფილია, რადგან ერთი ტრაბახობს, რომ მას ისეთი ღვთისნიერი ცოლი ჰყავს, ხელს არ უშლის საქმიანობაში, მეორე კი, მას ისეთი ცნობილი და გენიალური ქმარი ყავს, რომ მასზე არ ეჭვიანობს.

2098. სამყაროს გენიოსების რაოდენობის წარმოჩენაში არ უნდა შეევეჭროთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ სტატუსის მინიჭება ხალხს ძალზე აამაყებს და შინაგან სიამეს აგრძნობინებს.

2099. გენიოსი საზოგადოების წესებს იშვიათად ეთვისება. ის სიკვდილის შემდეგ კულტად იქცევა, მის მიერ თავის დროზე შემოთავაზებული ცხოვრების წესი მოდაში შემოდის და გაკიცხვასაც ვერავინ ბედავს.

2100. დრო ერთეული გენიოსებისა წავიდა, მაგრამ მათზე მოთხოვნილება არ შემცირებულა, რადგან ზოგჯერ მათი გაელვების გარეშე სამყარო პეწს, აზრს, დაკარგავდა.

2101. გენიოსია ის, ვისაც მუზა და ღმერთი ერთად აკითხავს, ხოლო უკვდავია ის, ვისაც ამ მადლის დანატოვარი იმქვეყანასაც არ ასვენებს და მომავალ თაობას მის საფლავთან ჩააფიქრებს.

2102. ზოგჯერ სისულელეში მეტ-ნაკლები გენიალობა ზის, რომლის დანახვა ერთეულთა ხვედრია.

2103. ნიჭს დროის შესაძლებლობებზე დამთხვევა წარმოაჩენს და არა ყავლაგასული გენია.

2104. ნიჭის ტყვიამფრქვევმა რომ კარგად იმუშაოს, ერთმა უნდა ისროლოს, მეორემ ტყვიებით მოამარაგოს, ორი გენიოსი ამას ერთად ვერ შესძლებს, რადგან ორივეს თავის წარმოჩენის ჭია აწვალებს, ამიტომ ერთმანეთს გზას ვერ დაუთმობენ და ვერც მოემსახურებიან.

2105. ომის მთავარი საშინელება ის არის, რომ მასში შეიძლება გენიოსი დაიღუპოს ან ვერ მოასწროს თავის ნიჭის გამოვლინება, რადგან თაობები მიდიან და მოდიან, ომობანას თამაშიც მთავრდება, მაგრამ გენიოსები იშვიათად იბადებიან ყველა დროის და ერის წარმოსაჩენად.

2106. სამშობლოს მიერ თავისი გენიოსის დარცხვენით აღიარება სხვისი „სამშობლოების" დამსახურებაა.

2107. გენიოსი პლანეტის შვილია და მას ეროვნულობა არ სჭირდება, პირიქით, ერს სჭირდება ის თავის წარმოსაჩენად, ამიტომ მასზე მონოპოლიის მოსაპოვებლად სამშობლომ დროზე უნდა იზრუნოს, თორემ სიკვდილის შემდგომ მის გაფეტიშებას და პრივატიზაციას სპეკულაციის სუნი ასდის.

2108. ქართველების მრავალმხრივი ნიჭის გარკვეული წილი სხვა ქვეყნის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ, ამას გვკარნახობს გამოცდილება, რადგან ერთ ოჯახში ორი გენიოსი ვერ მოთავსდება, ხოლო თანაარსებობის საშუალებას არც ბუნების კანონი იძლევა და არც ქართული გენი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვიმკით ქარიშხალს, რომელიც საბოლოოდ, მაინც სხვისი ინტერესების გამარჯვებით დამთავრდება.

2109. სახელმწიფოს პატიოსანი პროფესიონალი უნდა მართავდეს და არა გენიოსი, რადგან მისი ნამოქმედარი საუკუნეების საკუთრებაა და მისი გადაკეთება ერთი თაობის ცხოვრების მცოდნე უსუსურ მომდევნო პოლიტიკოსებს უხდებათ. მათი თვალსაწერი კი გენიოსის ნაზრევს ვერ წვდება და ყოველივეს თავიდან დაიწყებენ, ამიტომაა, რომ გენიოსი პოლიტიკაში საბოლოოდ არ ამართლებს.

2110. არ არსებობს სახელმწიფოს მართვის საკითხი, რომლის გადაწყვეტა გონივრული, რაციონალური და გაბედული კანონებით არ შეიძლებოდეს, მაგრამ ამისთვის სახელმწიფოს უნდა ხელმძღვანელობდეს გენიოსი ეკონომისტი და არა – პოლიტიკოსი. თუ ასეთი პიროვნება ღმერთმა არ მოგვამადლა, მაშინ პრეზიდენტად უბრალო, წესიერი, გონებაგახსნილი გლეხის არჩევა სჯობს.

2111. მაკედონელის წარმატება დამოკიდებული იყო მოწინააღმდეგის მიერ მის შეუფასებლობაზე და არა მხოლოდ მის სამხედრო გენიაზე და მიხვედრილობაზე.

2112. გენიოსმა ფული კი არ უნდა აკეთოს, არამედ მისკენ მისასვლელი გზები უნდა გამართოს და გვაჩვენოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ამქვეყნად მოვლენის მიზანი დაკარგულია.

2113. გონიერება, ნიჭი და შრომისმოყვარეობა იშვიათად ხვდებიან. ერთმანეთს და თუ შეხვდებიან, ერისთვის გენიოსი გარანტირებულია.

2114. გენიას არა აქვს ასაკი, სქესი, სახე. ის ცალკე დგას ამაღლებული, რათა მასზე ილოცონ.

2115. გენიოს მაშინ გამოსდის ხალასი ნამოღვაწარი, თუ გარემოსთან ახლოა, დროის ფლანგვას მოერიდება და ამა ქვეყნის ძლიერთაგან შორს დადგება, მაგრამ ნიჭიც ამ ქვეყნის შვილია და მასაც ცხოვრება უნდა.

2116. ქალს არ აწყობს მამაკაცის სიდიადე, მას ურჩევნია მოსიყვარულე, შემომტანი, ქალის კაპრიზის აღმსრულებელი მეუღლე, ვიდრე თავის საქმეზე შეყვარებული "გამოთაყვანებული" გენიოსი, რომელიც მიწიერ ცხოვრებას არად დაგიდევთ.

2117. საოცარი ქალია ის, ვინც გენიას თავდავიწყებით შეიყვარებს, თავს მოაწონებს, სიამოვნებით ემსახურება, არ ეცდება თავის გამოჩენას და მის გვერდით ყოფნითაც დაკმაყოფილდება. ცხოვრებაში ორი ნაბიჯით უკან მიჰყვება, რათა მისი ჩრდილის ნაწილიც არ გამოეპაროს და თუ მასთან ერთად ხანდახან მის ბიოგრაფიაში გაიელვებს, ამის მადლიერიც იქნება.

2118. ქალი საწოლში ან ხვადს უნდა დასჯერდეს ან გენიოსს, ორივე ერთად იშვიათი მოვლენაა და ყველას ხვედრი ვერ იქნება.

2119. გენის და ქალის საქციელი განსჯას არ ექვემდებარება, რადგან ქალი ყოველთვის მართალია, ხოლო გენი ყოველთვის თავისას აკეთებს.

2120. ცხოვრებისთვის მოუმზადებელი ბრიყვი შეიძლება გენიოსი იყოს, ხოლო ბრიყვი ცხოვრებაგამოვლილი ჭკვიანი არასდროს არ იქნება.

2121. ტვინს, რომელსაც კარგად უვლიან, იშვიათად იძლევა რაიმე გენიალურს.

2122. ამბობენ, არსებობს ორი გენია, კეთილი და ბოროტი, მაგრამ ისინი ნიჭს ავლენენ იმის მიხედვით, თუ რა გარემო პირობებია შექმნილი მათი მოღვაწეობის პერიოდში.

2123. წესიერი საზოგადოების ჩვეულებრივი წევრი კარიერის კიბეს რიგის მიხედვით უნდა მიჰყვებოდეს, გენიოსებს კი ამ კიბის მწვერვალი ურიგოდ უნდა ეთმობოდეს, რათა კარიერის კიბის მომპოვებელთა რიგი შეამციროს.

2124. მშობლების მადლიერნი მზრუნველობისთვის უნდა ვიყოთ და არა ჩასახვისთვის, რადგან არავინ იცის, მათ რომ შეცდომით ეეშმაკათ ჩვენი ჩასახვას წინ (ელოთათ, ეკაიფათ) ჩვენგან შეიძლება გენიოსი გამოსულიყო და არა ჩვეულებრივი მომაკვდავი, თუმცა ვინ იცის? ყოველივე განგების და შემთხვევის წყალობაა და არა ჩვენი მშობლების მონდომების.

2125. იმ გენიას, რომელიც ყველასთვის და არავისთვისაა, რაც შეიძლება მეტად აქებენ, მიუხედავად იმისა, რომ მისი უმეტესობას არ ესმის.

2126. სხვისი აზრების გამეორებას სჯობს შენი შექმნა, მაგრამ რა უნდა ქნა, თუ გენიოსის აზრები ასე შეესატყვისება შენს განწყობას და მსოფლმხედველობას. ამასთან ნათლიაც დაიჩაგრება, თუ მისი ნათელი აზრები დროულად არ გაიხსენე. დავიწყებას მიეცემა თანამედროვე ინფორმაციის გრიგალში.

2127. გენიოსის მშობლებიც თავიანთ ახალგაზრდა ნაშიერებზე ცუდი წარმოდგენის არიან და სათანადოდ არ აფასებენ, ხოლო შვილები თავიანთი მშობლების ფასს მაშინ სწავლობენ, როდესაც ისინი მზად არიან მათზე აზრი შეიცვალონ ან ამქვეყნად უკვე აღარ არიან.

2128. თანამედროვეებისგან განსხვავებით, გენიოსს, ან ქვეყნისთვის საჭირო პიროვნებას, მომდევნო თაობები უკეთ გრძნობენ, ვიდრე ამ კაცის თანამედროვენი, რადგან ამის საშუალებას არ იძლევა შური და მზის ქვეშ ადგილის მოპოვებისთვის ბრძოლა.

2129. გენიას შურით უყურო შეუძლებელია, მისით უნდა აღფრთოვანდე, რადგან გენიად იბადებიან და ჩვეულებრივ მოკვდავთ მათთან ხელი არა აქვთ.

2130. გენიოსის ავტორიტეტის საბუთად გამოყენება და მის ზურგს ამოფარება შენი ნაცოდვილარის დასამტკიცებლად, მკრეხელობაა, რადგან დასადგენია, რა და

ვისთან თქვა, რა ხასიათზე იყო, ამასთან ისიც ადამიანია, მასაც ხუმტური აქვს თავში და მერე – როგორი.

2131. გენიოსის ნაცნობობა, მასთან ურთიერთობა, მისაღებია, მაგრამ მასთან ცხოვრება – აუტანელი.

2132. ზოგიერთი გენიოსი თანამედროვეთა როზგს იმსახურებს გულგრილობისა და ცხოვრების მიმართ უყურადღებობის გამო.

2133. კოლექტიური ჭკუა მხოლოდ ვიგინდარებს აძლევს უფლებას თავზე წამოსკუპდეს, ხოლო გენიოსს არაფერს პატიობს და ყოველნაირად ხელს უშლის ოლიმპზე ასასვლელად.

2134. გენია და სიავის კეთება შეუთავსებელია, მაგრამ ისინი ერთმანეთის გვერდით დგანან და შეიძლება ერთმანეთშიც გადაიზარდონ, თუ მათ ცალ-ცალკე არ გავუფრთხილდებით.

2135. გენიოსობა ბერმუხაა და მისი ნაშრომი საუკუნეებს ეთამაშება, მოხერხებულობა სწრაფმზარდი ნაყოფიერი ხეა, რომლიც ნაყოფს დროულად ისხამს და ასევე უდროოდ დავიწყებას მიეცემა.

2136. არის გენიოსი სამყაროსთვის გაჩენილი, არის ნიჭი მასების გასაოგნებლად დაბადებული. მათ საერთო ენის გამონახვა უჭირთ, მაგრამ ერთმანეთით აღფრთოვანებულები არიან.

2137. ყველა ცოდვის გადახდა, როგორც მოწმეს, მაინც გენიოსს მოუწევს, რადგან მის მიერ მოყვანილი ფაქტები და ნაზრევი მიზეზია იმისა, რომ მისი დროის ხალხმა მომავალი თაობის წინაშე თავი დამცირებულად და უხერხულად არ იგრძნოს.

2138. ბუნების საოცრება ისიც არის, რომ ჭკვიანი ხალხი შთამომავლებად უზრუნველყოფილ სულელებს გვიტოვებენ, ხოლო სულელები ხანდახან არაუზრუნველყოფილ ვირეშმაკ გენიოსებს.

2139. გენიალობაც თავისებური დაავადებაა და არა ნაკლებ საშიში, ვიდრე შიზოფრენია და სხვა მისთანები, თუ ის თავის პალატა-ლაბორატორიაში არ იქნა დაკავებული.

2140. ვინ იცის ღმერთს რამდენი გამოუმჟღავნებელი სულით დაავადებული ჰყავს ამქვეყნად და გაუხედნავი გენიოსი, ხოლო ხვალ რას მოიმოქმედებენ ისინი, ეს მისთვისაც უცნობია.

2141. გენიოსები თავიანთ ამქარში, უვიც ხალხს ვერ ეგუებიან, მაგრამ როდესაც ბედის ალბინოსი, ორი კლასის განათლების მქონე ერთი მილიონერი ხდება და მეორე სახელმწიფო მოღვაწე, რაც პრექტიკულად მეცნიერებაში ეკონომიკურ ან საზოგადოებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხს შეესატყვისება, გონიერების რაობა ეჭვს ქვეშ დგება, რადგან ამ განათლების მქონე ხალხი საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში თანდაყოლილი ნიჭის მიუხედავად ასეთ სიმაღლეებს ვერ დაიპყრობენ, თუმცა არც გენიალობაა მთლად დალაგებული და უბედო ხალხის ხვედრი.

2142. გენიოსის მოვლენა მამაზეციერის კაპრიზია, რომლისთვისაც მამა შემთხვევაა, დედა ბედია, ხოლო მისი ცხოვრება ყველას ნების აღსრულებაა.

გენი-გენია

2143. საბოლოო შედეგებისკენ მიზანსწრაფული ყოველდღიური სვლა სჯობს, თავის ერთი მოგიჟიანებით საწადელის მიღწევას, მაგრამ შენც ადამიანი ხარ და იმის შეგრძნებას, რომ სულ უღელი გადგია, შეჩვევა და თანდაყოლილი გენი უნდა.

2144. ადამიანის ორგანიზმში კეთილი აღზრდის გენის გამოყოფა თუ მოხერხდება გადასანერგად, მაშინ რა ვუყოთ ამდენ აღუზრდელ ვიგინდარას და ანტიპოდს, რომლებიც ასე ახალისებენ ცხოვრებას. მათ სისულელეებზე მრავალი ექსპერიმენტი ტარდება, რაც საზოგადოების წინსვლას ხელსაც კი უწყობს.

2145. ადამიანი ყოველთვის ვერ სჯობნის თავის გენს, ხასიათს, კარიერისკენ მისწრაფებას და თავის მაქსიმალიზმს, თუ ის ბუნებამ დაანათლა.

2146. წესით ადამიანმა უნდა იცხოვროს ისე, თითქოს ყველა დღე მისთვის უკანასკნელია და ეცადოს ირგვლივ მყოფთ ეს დღე სასიკეთოდ დაამახსოვროს და მავანთაგან შური არ გამოიწვიოს, მაგრამ ამისთვის მარტო სურვილი კი არა, გენებიც უნდა გეხმარებოდეს.

2147. ადამიანების წაკამათების მიზეზი განათლება და ცენზი არ არის, ყოველივე ჩვენგანში ჩადებულია მამლაყინწის გენი, ამიტომ თეორიულად ადამიანებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, დაუვალებლად უნდა იცხოვრონ, მაგრამ ეს სიყვარულზე უარის თქმის ტოლფასია. ესე იგი, წაკინკლავება სიყვარულის სინომიმი ყოფილა.

2148. ახლობელია ის, ვისთვისაც თავის განწირვა არ გენანება, მეგობრისთვის ამის განხორციელებას გარემოება გაიძულებს, უცხო ადამიანისთვის აღზრდა გაკეთებინებს. საბოლოოდ კი ყოველივე კეთილი გენის ბრალია, მის გარეშე კი უამრავი ალიბი მოინახებოდა, სხვისთვის თავი რომ არ გადაედო.

2149. ადამიანს სიკეთის კეთება გენში უდევს, მადლიერებისა – აღზრდაში, მიუხედავად ამისა, მას წინ ეღობება გონების ამბიციები, ბუნების მომადლებული შემართება და ოჯახის ნაწვალები წრთობა, ყოველივე კეთილი ჩანაფიქრი რომ აღსრულდეს, ზოგს ამისთვის ჭიტლაყიც არ უნდა დავამადლოთ.

2150. რა „გაუტყდა" ადამიანის თავმოყვარეობას! თურმე მისი გენეტიკური კოდის 50% წვიმის მატლების იდენტურია, ხოლო მისი გენის 95% – გამოყენებისთვის უვარგისი.

2151. ადამიანი იბადება ანგელოზად და სურვილი აქვს ანგელოზებთან მოხვდეს, მაგრამ რამდენად აძლევს ამის უფლებას საკუთარი გენი და გარემო, სხვა საქმეა.

2152. პერსინგი, სხეულის სხვადასხვა ნაწილებში რგოლების გაყრა – კიდევ ერთხელ მიუთითებს პირველყოფილი ადამიანის გენის უცვლელობაზე და საზოგადოების სპირალურად განვითარების სისწორეზე,რომელიც გარკვეული დროის გასვლის

შემდეგ კვლავ დაუბრუნდა საზოგადოებას პირველყოფილი ინსტინქტით, ოღონდ ამჯერად სხვა ცივილიზაციას ამოფარებული.

2153. სიზარმაცე და ბეჯითობა ჩვენს წინ იბადება და რომელს აირჩევ ცხოვრების მეგობრად შენს გენზე, აღზრდაზე და გარემოებაზეა დამოკიდებული.

2154. ეკრანზე საშინელების ჩვენებას და მასზე ყბედობას ზოგი ადამიანი უფრო სექსუალურად და სანატრელად აღიქვამს, ვიდრე ლამაზი არსების დანახვას და მასთან ყოფნას. რას ვიზამთ, ასეთია ზოგიერთის გენი და მასზე ხელის მოთბობის საშუალებას ხომ არ დაკარგავს მოხერხებული ნიჭის რეჟისორი და ფულის ყადრის მცოდნე პროდუსერი?

2155. ცნობისმოყვარეობის კოდი, ზომიერების უგულებელყოფა, მოდას აყოლა, წარმოჩენის სურვილია, თანდაყოლილი გენია ადამიანთა მოდგმის, რომელიც მომდევნო საუკუნეებშიც ჩაადენინებს უამრავ სისულელეს, მიუხედავად გამოცდილებისა და ინფორმაციის ფლობისა.

2156. დრო ადამიანის თავისებურ სელექციას ეწევა, მაგრამ გენს ვერაფერს უხერხებს.

2157. უნდა ამაყობდე იმით, სადაც შენ დაიბადე, ამისთვის ღმერთს მადლობა უნდა შესწირო, რადგან ჭკუის შეცვლის კი, მაგრამ გენის შეცვლის ალტერნატივა შენ არ გაგაჩნია.

2158. ადამიანს სხვის მიმართ მზრუნველობის კოდი მეტ-ნაკლებად დაბედებული აქვს, თუ ამ ბუნების წყალობას მადლიერების გრძნობასაც დაუმატებს, მაშინ ყველა კრიმინალი და ადამიანური ხუმტური დახურდავდება, რადგან სიკეთის კეთება მომგებიანი და დაფასებული იქნება, როგორც მატერიალურად, ასევე სულიერად.

2159. არის გენი, თესლი, რომლისგანაც წესიერი ადამიანის გამოსვლა ძალზე საეჭვოა, განსაკუთრებით უნდა ავირიდოთ პოლიტიკაში მისი გაძვრომა.

2160. ადამიანის ჩამოყალიბება, წარმოჩენა, ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ მისი თანდაყოლილი გენი როგორ ერგება დღევანდელობას.

2161. ზღაპარი მაშინ დამთავრდება, როდესაც ჩერჩეტები გადაშენდებიან, რადგან ადამიანს ტუტუცობისკენ მიდრეკილება გენში უზის, მას ვერავითარი განათლება და ცენზი ვერ შველის და ბედნიერების შეგრძნება თავის მოგიჟიანების გარეშე ვერ წარმოუდგენია.

2162. თავმდაბლობა დამოკიდებულია თვით ადამიანის გენზე და იმაზე, თუ რა ხარისხის სულის და ხორცის პატრონია სინამდვილეში.

2163. ადამიანი უგულო და მესაკუთრე იბადება, მაგრამ მას აღზრდა, რელიგია, ცხოვრება, სასიკეთოდ აყალიბებს თუ გენმა ხელი არ შეუშალა.

2164. ადამიანს წარღვნა მოუვლინეს, მაგრამ მისი გენის გამოსწორებას მაინც არაფერი ეშველა.

2165. ადამიანის გენი მისი მომავალი ცხოვრებისთვის დიდი იმედია, მაგრამ პატივმოყვარეობამ და ეკონომიკის ხუმტურმა შეიძლება ცხვირი მოამტვრევინოს.

2166. ცხოვრებისეული ოთხი განზომილება: გენი, განათლება, ბედი და შემთხვევა წყვეტს ადამიანის მომავალს. სხვა ყველა მეორეხარისხოვანია.

2167. იმის მაგივრად, რომ ადამიანი დატკბეს შეგნებით, რომ მან წინა თაობებთან შედარებით მეტი შეიცნო და უკეთ ცხოვრობს, ის თავის კანში ვერ ეტევა და სულ ძველ, საეჭვო დიდებას მისტირის, ეტყობა წარსულის გახსენება და მისი გაფეტიშება გენში უზის.

2168. ქვეყნის მოქალაქეა, ვინც საკუთარ ამბიციებთან, ქვენა გრძნობებთან, გენთან, ბრძოლას ახერხებს და ხშირად გამარჯვებულიც გამოდის.

2169. ნაცნობის მიღწევებით გახარება ადამიანს გენში უდევს და სათავისოდაც აღაფრთოვანებს, იქნებ როგორმე მივუახლოვდე და მეც რამე ვიხეიროო.

2170. ბავშვი სიყვარულის, შემთხვევის, ვნების, ბედის წყალობაა, ხოლო მისი მოვლა – პატრონობა ბუნებრივი მოთხოვნილების, მოვალეობის, ღვთის ნებაა და იმის შეგრძნებაც, რომ შენ ადამიანი ხარ და საკუთარი გენის წინაშე ვალი გადასახდელი გაქვს.

2171. ადამიანს თავისი წილი გართობაც სჭირდება და მოწყენილობაც, მხოლოდ პროცენტს მისი გენი, ბუნება და ხასიათი განსაზღვრავს.

2172. ადამიანმა პირველ რიგში თავის გენთან, ბუნებასთან, უნდა გამონახოს საერთო ენა და არა საზოგადოებასთან, რომელსაც დამყაყებისკენ აქვს მიდრეკილება.

2173. თანამდეროვე ადამიანისათვის პირველი კარიერაა, შემდეგ – სულიერება და რწმენა, რადგან შური და მოჩვენებითობა გენში აქვს ჩადებული, წინააღმდეგ შემთვხევაში ის „ჰომო საპიენსად" – ადამიანად, ვერ იქცეოდა.

2174. ადამიანი ცხოვრების მანძილზე ბევრ შეცდომას უშვებს და მისდაუნებლიედ უფრო მეტ ცოდვას სჩადის, მაგრამ ეს დანაშაულად მას მანამ არ ეთვლება, სანამ გონება არ ჩაერევა და გენი არ გადაუგვარდება.

2175. ადამიანი არ შეიძლება იყოს ყოველთვის და ყოველმხრივ ბედნიერი, ამას მისი გენი და ბუნების კანონზომიერება არ დაუშვებს, რადგან კაცობრიობა გადაშენდება.

2176. საოცარია: ცივილიზაციას, ტექნიკურ პროგრესს ადამიანი მაიმუნისგან კიდევ უფრო უნდა დაეშორებინა, პირიქით კი მოხდა. არ ვიცი ეს რისი ბრალია, თანამედროვე მაიმუნების განვითარების, თუ ადამიანის გენეტიკური კოდის უკან დაბრუნების.

2177. ქალის და კაცის ქცევების და მოვალეობების აღრევა ანარქიას და კულტურის დევალვაციას იწვევს, რადგან მამრის და მდედრის თანასწორუფლებიანობა სხვადასხვა ცნებაა და მას თავისი გენეტიკური კოდის გასაღები აქვს, რომლის გაღება ყველას ხვედრი არ არის.

2178. ვინ იფიქრებდა, რომ ამ საუკუნეში ახალგაზრდები პაპუასების დონეზე დავიდოდნენ და რკინის რგოლებს იქაც გაიყრიდენ, სადაც აბორიგენებს აზრადაც არ მოსვლიათ, ეს ყოველივე ბიჭების ხელოვნურ კვებაზე გადაყვანის, ბუნებრივი გენის გადაგვარების და მისი უდიდებულესობა მოდის საოცარი მეტამორფოზის ბრალია.

2179. ჩვენს ბედს ჩვენივე გარემოში გამოვლენილი გენი და შემთხვევა განსაზღვრავს.

2180. ჯერჯერობით, თაობიდან-თაობამდე გენი თავის შეუცვლელობას და ხელშეუხებლობას ზეიმობს, მაგრამ სანამდე მისცემს ფარფაშის უფლებას ადამიანს, ეს დამოკიდებულია მის გონიერებაზე და მოდაზე.

2181. ბავშვი, გარდა იმისა, რომ ჩვენი გენის ბიოლოგიური მოვალეობაა, დროსტარებაცაა, გასართობი მზრუნველობაც, მომავლის იმედიც, სასაუბრო თემაც, თავის მოწონების საშუალებაც და ჩვენი აუხდენელი ოცნების საცდელი პოლიგონიც.

2182. გონებისთვის გადაჭარბებული ფიქრი მავნებელია, რადგან მას სამყაროს დასასრულამდე მივყავართ, რაც შენი ჯიშის და ჯილაგის კვლავწარმოებას აზრს უკარგავს და სიცოცხლის მარადიულობის კანონებს აუფასურებს.

2183. აშშ, რაც უნდა დემოკრატიული, თავისუფალი ქვეყანა გახდეს, მის კოლონიალისტად ჩამოყალიბებულ გენს არაფერი ეშველება და ყოველთვის შეეცდება დაჩაგროს ის ქვეყნები, რომლებიც მასთან შედარებით ქვის ხნის იარაღითაა აღჭურვილი და მისთვის საჭირო ქვეყნის სიმდიდრეს გასაძარცვად მას არ დაუთმობს.

2184. მართალია, წინა თაობის გენს გამართლება არ სჭირდება, მაგრამ მისი გაგება და თანადგომა აუცილებელია, რადგან ის ჩვენი გენის საძირეა.

2185. გენს არავისი და არაფრის არ უნდა სჯეროდეს, ხოლო თუ დაიჯერებს, იძულებული იქნება ცხოვრება სიფრთხილით, სიავით დაიწყოს, რადგან მას უცხო გარემოში უხდება ცხოვრება.

2186. სისულელის გამეფებას ტახტი და ვახში არ სჭირდება, ის ჩვენ გენში დევს და როდის ამოუშვებს ამ ჯინს, ჩვენზეა დამოკიდებული.

2187. მამა ასწავლის ქალიშვილს და აღზრდის ვაჟიშვილს, დედა კი ასწავლის ვაჟიშვილს და აღზრდის ქალიშვილს, რადგან ცოდნა განათლების შედეგია, ხოლო აღზრდა – სქესთა საერთო ენის გამონახვის, გენეტიკის და გარემო პირობების.

2188. კანონის დარღვევისგან, მით უმეტეს, გადაცდენისგან, არავინაა დაზღვეული, თუ ჩვენს ვენებში ისეთივე ლაღად მოჩქრიალე სისხლი თამაშობს, როგორც კრიმინალური მიდრეკილების გენია.

2189. ტრამვაის კანონია ცხვირს ნუ გამოყოფ! – ეს კანონი კარგია წყნარი ცხოვრებისთვის, მაგრამ რა უნდა ქნა თუ ამ კანონით ცხოვრების საშუალებას არ გაძლევს შენი გამოთაყვანებული მთავრობა, თანდაყოლილი შენი კოდი-გენი, რომელსაც ჰგონია, რომ შენ მეტისთვის ხარ მოწოდებული.

2190. სანამ კოლექტიური პასუხისმგებლობა თითოეულის გენში არ ჩაიდება, მანამ პრაქტიკულად ჩვენი გადემოკრატება და კანონისადმი პატივისცემა შეუძლებელი გახდება.

2191. გმირობის ჩადენას გენში ჩადებული მოყვასისადმი სიყვარული და ადრენალინის ოდენობა განსაზღვრავს და არა შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონი.

2192. ხშირად სამართლიანი და კანონიერი მსჯელობა ადამიანის ბუნებას არ შეეტყვისება, რადგან მის ჩამოყალიბებაში მენტალიტეტი, გენი, სექსი და სქესი იღებს მონაწილეობას, რომელთაც ურთიერთგაგების სურვილი არ აქვთ.

2193. აფორიზმების, სენტენციების, რჩევა-დარიგებების, მზესიტყვაობის ავტორებს ჰგონიათ, რომ მათი ნამოღვაწარი თაობებს ზრდის, სინამდვილეში ამ ნამოღვაწარს ის ითვისებს, ვინც ისედაც კარგი პიროვნება დადგება, რადგან მის გენში გვარიშვილობა ზის.

2194. ნადირობა, თევზაობა, ავტომანქანებით ჯირითი, მდედრის მოპოვების მცდელობა, მამაკაცის შინაგან გენშია ჩადებული, რაც ამ გენის ცივილიზაციისკენ ლტოლვაზე და გადაგვარების გზაზე დადგომისკენ მიგვითითებს.

2195. მამრს, რომელიც მდედრს არ უყურებს, გარდა ცუდი გენისა, აქვს სხვა რამ აღზრდაშიც, რომელმაც ქალის მიმართ პატივისცემა დააკარგვინა.

2196. კაცობას კაცური გენი იმსახურებს და არა კაცობის მცდელობა.

2197. კაცი ყველაზე მეტად განიცდის ქალთან შერცხვენას, რადგან ეს მისი მამაკაცური ღირსების დაკნინებაა. ხოლო ქალს ეშინია მარტო დარჩენის, ვინაიდან მისი გენეტიკური კოდი ვინმეს პატრონობაა.

2198. მამაკაცისთვის, რომელსაც თავისთავზე მეტად ქალი უყვარს, სულერთია, გოგო დაიბადება თუ ბიჭი, მაგრამ როდესაც პირიქით არის, მაშინ მას თავის დასამშვიდებლად, გენის გასაგრძელებლად, ვაჟი სჭირდება, რადგან სიცოცხლის გასახანგრძლივებლად სხვა გზას ვერ ნახულობს.

2199. წესიერი კაცი გენეტიკურად უნდა დაიბადოს, ხოლო წესიერ კაცად ყოფნა ეს უკვე კანონის და მის ირგვლივ შექმნილი გარემოს დამსახურებაა.

2200. ადამიანი ვერ ცვლის თავის გენეტიკურ კოდს. ასაკის მატებასთან ერთად მხოლოდ ერთს სწავლობს – თავის დროზე ენას მუხრუჭი დაადოს, რათა თავისი მეობა შეინარჩუნოს.

2201. მამობა პირველ რიგში სიამაყეა, ხოლო ვაჟის მამობა, შენი გენის „მეს'' წარმოჩენა.

2202. ცხოვრებით ემოციების კორიანტელში ეფლობი, თუ შენი ქვეყნის მეობისთვის იღვწი და ღირსეულ თაობებს უტოვებ, რადგან გენეტიკური ვალი სამყაროს წინაშე გადახდილია.

2203. თვითდაჯერებული რწმენა, გადამეტებული საკუთარი "მე", ნაშიერის უყოლობა, უაზრო გამბედაობის, თავხედობის ძირია, რადგან მომავალი თაობის გაფრთხილება მას არ აწუხებს, ის კი სახელის დატოვების მცდელობაშია, ამასთან ვალის მოხდა ვიღაცის წინაშე ყველა მამაკაცს გარკვეული დოზით გენში უზის.

2204. სიამაყესა და კარისკაცობას არ შეუძლია ვინმესადმი ბოლომდე ერთგულება და აქ მეცნიერება არაფერ შუაშია – ადამიანის თანდაყოლილი გენია.

2205. ცხოვრება ყოველთვის თავისას მიისაკუთრებს – გარემოს, განათლების და გენის გათვალისწინებით.

2206. კატეგორიულობას ისევ დიპლომატია სჯობს, მაგრამ დიდ დროს მოითხოვს. ამასთან რომელს აირჩევ იარაღად – გარემო, აღზრდა და გენი განაპირობებს.

2207. მშობლებს, სურთ შვილი ღვთის მსახური გამოვიდეს, მაგრამ რატომღაც სატანის მსახური გამოდის და პოლიტიკაში მიძვრება, ამასთან კანონის დაწერას და მის გვერდის ავლასაც სწავლობს. ეტყობა რაღაცა მსგავსი თილისმა არსებობს სახელმწიფოს მართვასა და სარწმუნოების წარმართვას შორის, თორემ ერთი გენის ხალხის საქმიანობა ასე არ აირეოდა.

2208. შთამომავლობა არის წინაპართა გენეტიკური პრაქტიკის განხორციელება, თეორიასთან შეუთანხმებლად.

2209. ბავშვის გარეგნობა ძირითადად გენების შეწყვილებაზეა დამოკიდებული და არა მშობლების გარეგნულ მომხიბვლელობაზე.
2210. ქილერი უცნობს ფულის გულისთვის კლავს, ნაცნობს უფულოდ, მხოლოდ ცოლია ერთადერთი პიროვნება, რომელიც რისთვის ხრავს თავის ქმარს, წარმოდგენა არა აქვს, არც აინტერესებს. ის თავის გენეტიკურ ხუმტურს ისწორებს.
2211. ბავშვის ქცევის სიმპტომი ოჯახში აღზრდილი გენის პირდაპირპროპორ-ციულია.
2212. ღირსეული გენისთვის მშობლებისგან მარტო გვარის და სახელის მიცემაც კი უდიდესი სიმდიდრის გაცემის ტოლფასია.
2213. ბავშვები თავიანთი მშობლების აღზრდის მსხვერპლნი არიან, ხოლო უფროსე-ბი თავისი გენის და აღზრდის, მაგრამ მომავალი ისე იცხოვრებს, როგორც მოეპ-რიანება, ოღონდ თავისი მანკით და ნაკლით.
2214. პათოლოგიურად ერთგულ ცოლს ერთფეროვანი ოჯახური ცხოვრება არ აკმა-ყოფილებს, მაგრამ ვერც სხვა გამოსავალს ნახულობს, რადგან მისი პატიოსანი გენი „პროგრესთან" მიახლოების უფლებას არ აძლევს.
2215. გვარის გაგრძელებაზე განაწყენებული მამა შვილში დედის გენის მისთვის მიუ-ღებელ ნაწილსაც პოულობს და ეს მას ძალზე აცოფებს, მაგრამ რატომღაც ავიწ-ყდება, რომ შვილი დედის ნაწილიცაა და ამაზე ადრე უნდა ეფიქრა.
2216. თუ მთავრობის სათავეში მუხაა, იგი შეიძლება ბერმუხადაც იქცეს, თუკი მისი ნერგის გენში ამბიცია ჩადებულია.
2217. ზოგიერთი ცხოველის ქცევას რომ აკვირდები, კიდევ ერთხელ გაოცდები გენის სიდიადით, რომლის მორჯულებას არავითარი აღზრდა და დასჯა არ შველის.
2218. საბოლოო შედეგის მისაღწევად მიზანსწრაფული სვლა სჯობს, ვიდრე ერთხელ თავის მოგიჟიანებით საწადელის მიღწევა, მაგრამ შენ ადამიანი ხარ და იმის შეგრ-ძნებას, რომ სულ უღელი გადგას, შეჩვევა უნდა და თანდაყოლილი გენი.
2219. მასწავლებელი მოსწავლეს იმაზე მეტს ვერაფერს ასწავლის, რასაც ქუჩა, თანა-ტოლები და თანდაყოლილი გენი.
2220. გენური ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე ძნელია და მას ვერავითა-რი გონიერება და ისტორიის გამოცდილების ცოდნა ვერ შველის, რადგან ამ მიდ-რეკილებაში კარიერისკენ და გამორჩენისკენ მიმავალი გზა მოჩანს.
2221. ერთგულების გენის გამოყოფა თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პრაქტი-კულად სპერმის გამორჩევაც უნდა ვისწავლოთ, რადგან ერთიდაიგივე საშოდან მონოგამიის შედეგიც გამოდის და პოლიგამიისაც და ამას ხანდახან ადამიანის ბუნების და რწმენის შეცვლაც ემატება.
2222. ბრბოს გენის პოლიტიკოსებიც არიან და დეპუტატებიც, მთავარია, ქვეყნის მმართველი არ იყოს ბრბოს გენის მატარებელი.
2223. ცუდ გზებზე მოსიარულე ქვეყნის წინსვლის შემშლელ ვიგინდარა მმართვე-ლებისთვის ასფალტი რომ გადაგვეგო, ხალხსაც ეშველებოდა და საუკუნეობით დაბეჩავებულ მენტალიტეტსაც, მაგრამ ალბათ ჩვენი გენების გამო, ამ ქვეყნის საქმისთვის ბრბოს არც სატკეპნი მანქანის გამოყენება სურს და ვერც სოლიდა-რობას იჩენს.

2224. ერს თავისი საუკეთესო გენის წინაშე მუხლის მოდრეკა შეუძლია, მაგრამ დაჩოქება – არასდროს.
2225. სადღეგრძელოები სამშობლოზე, სუფრა, ლოცვაზე დასწრება, სიმღერა და ცეკვა, საღვთო რითმია, ყოველივე ამის მიუხედავად ადამიანს თავის თავზე და ეროვნებაზე ამაღლების უფლებას მისი გენეტიკური კოდი არ თანაუგრძნობს.
2226. ეროვნება, პირველ რიგში, ცნობიერებაა, შემდგომ ტრადიციებზე აღზრდა და შემდეგ ის გენი მოდის, რომელიც პირველადი და უცვლელია, მაგრამ გარემოს და მის მენტალიტეტს წინ ვერაფერი უდგება.
2227. უგუნურების და კატაკლიზმების მატება პირდაპირპროპორციულია ნგრევის, ხოლო ისტორიისადმი მლიქვნელობა, კუდაბზიკობა, მაამებლობა უკუპროპორციულია ერის წარმატების. მაგრამ რა უნდა ჰქნა, თუ ნარცისიზმისკენ მიდრეკილება გენში დევს?
2228. სიყვარულმა და ცივილიზაციამ მონარქებსაც გადაუბრუნა გონება და გენი. დღეს ისინი ქვრივებზე, ბავშვიან ქალებზე ქორწინდებიან, არად დაგიდევენ გვირგვინს და მის ღირსებას. ასე, რომ რასაც მათი წინაპრები ჩუმად აკეთებდნენ და დაბალ ფენებს აკითხავდნენ ჯიშისა და ჯილაგის გასაუმჯობესებლად, ეხლა ამას კანონიერად სჩადიან და სხვათა შორის, მეფობასაც ითავსებენ.
2229. ამქვეყნად გენით თანდაყოლილი სიყვარულისთვის უმთავრესია პარტნიორი და ნაშიერი.
2230. უპასუხო სიყვარულისთვის თავის დადება, ცუდი აღზრდის, გენის და თავმოყვარეობის უქონლობის ბრალია.
2231. გემოვნების ფორმირებას, გარდა აღზრდისა და გარემო პირობებისა, თანდაყოლილი ნიჭი და წესიერი გენის წინაპარი სჭირდება.
2232. გენს, რწმენას, ქონებას, მთავრობას, მემკვიდრეობით გვიტოვებენ, ხოლო ხასიათს, ფუტლარს, ჩვევებს, მენტალიტეტს, საჩუქრად გვთავაზობენ.
2233. ნაშიერის დანაშაულის გარკვეული ნაწილი, გენზე, გარემო პირობებზე და მშობლებზეა დამოკიდებული.
2234. ყველა ქალის სურვილია თავისი ლიმონის ხასიათი ლიმონათად წარმოგვიდგინოს, მაგრამ ამ საწარმოს ასამუშავებლად მას დრო, აღზრდა და განგების მიერ მინიჭებული გენიც არ შველის.
2235. ქალებს ჰგონიათ, რომ მამაკაცები ღორები და არასაიმედონი არიან, მაგრამ რა იციან, რომ ამაში მათი გენი და მამაკაცის დანიშნულებაა დამნაშავე.
2236. ქალი და კაცი სხვადასხვა სამყაროა, სხვადასხვა გენების ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ამ პლანეტაზე ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებენ და მუდამ საერთო ენის გამონახვის მცდელობაში არიან.
2237. კომპრომატების შეკრება ქალის საწინააღმდეგოდ ველური გენის გამოძახილია, რომელსაც ძირითადად ვიგინდარები ფლობენ მემკვიდრეობით.
2238. ტელეგენია ის გენური დაავადებაა, როდესაც ქალი პირველი ორსულობის შემდეგ ავადდება იმით, რომ მომდევნო მამაკაცებთან შეძენილი ბავშვები, პირველი მამრის გენის აგრესიას განიცდიან და მას ემსგავსებიან, ქალის ალიბი აქ უძლურია, რადგან ფაქტი სახეზეა.

2239. ზოგიერთი ქალისათვის თავისუფლება პირველადია, ზოგისთვის ოჯახის სიმტკიცე და შვილზე გადაყოლა, მაგრამ ყველა თავისი სიმართლით და გონიერებით იქცევა, რადგან მთავარია მაინც აღზრდა, შენთვის განკუთვნილი საუკუნის მენტალიტეტის, შენი გენის და ის, თუ ვინ რაში გრძნობს სიამოვნებას.

2240. ზომიერი, უდრტვინველი განზომილება მშვიდი ცხოვრების დედაა, მაგრამ ეტყობა მამრის გენის თავზეხელაღებულ რაობას, თავის წარმოსაჩენად ეს არ აწყობს და ყოველივე კანონზომიერებას თავდაყირა აყენებს. ყოველ შემთხვევისათვის დღემდე ასე იყო, მაგრამ ქალთა ემანსიპაცია ამ საქმესაც მოუვლის და ხვადების ფარფაშსაც წერტილს დაუსვამს.

2241. ყველა ქალში კახპის ვირუსის ჩხირია ჩაბუდებული და თუ მას თანდაყოლილ ავხორცობის გენი არ წაუჯიკავებს, მისი დამორჩილება და რაციონალური მრუშობა გონიერების საზღვარს ემორჩილება.

2242. უკეთესის გამოვლინების მიზნით ქალების ერთმანეთთან შედარება მკრეხელობაა და ამას ბარბაროსის გენის მქონე ხალხი ჩადის, რადგან ყველა ქალს თავისი განუმეორებელი თილისმა აქვს.

2243. ტრადიციებზე აღზრდილი ქალიშვილი ქალწულობას მეცნიერებისთვის კი არ ინახავს, უბრალოდ მას ხრომოსომები და გენი სხვა აქვს, რომლის შესწავლა მეცნიერებასაც არ აწყენდა, რადგან პატიოსნებაზე მას სხვა წარმოდგენა აქვს.

2244. რაც უფრო ძლიერი გენი და ჯიშია, მით უარესია საზოგადოებისთვის. ისინი პირადი ცხოვრების ინტერესებისთვის უმცირეს დანაშაულსაც არ პატიობენ.

2245. უნდა იცხოვრო მარტივად, მხიარულად, ლოგინში ყოფნის დაფასებით, თუ ამას შენი გენი აიტანს.

2246. შინაგანი ოპტიმიზმი და მიზანდასახულობა აიძულებს ადამიანს ცხოვრების სწორ გზაზე იაროს და სიკეთე აკეთოს, თუ ის გონიერებამ აღზრდა, გენმა არ უღალატა და საზოგადოებამ სულში არ ჩააფურთხა.

2247. ქალთან პირველად შეყრა და გაყრა ადამიანის გენში ჩადებული გენეტიკური კოდის, ხუმრობის შედეგია, იგივე ქმედების მეორედ ჩადენა შეიძლება იუმორს მივაწეროთ, ხოლო მესამედ ამის გამეორებას თავისი სახელი, სისულელე, დაერქმევა.

2248. მიწისქვეშ ამოდებულმა ადამიანებმა თავის დროზე იმდენი იშრომეს, იმოღვაწეს, რომ ჩვენი თაობის ამ დრომდე მოყვანა მოახერხეს, გასაგრძელებელი გენი და გზა-კვალი გვიჩვენეს და ვალმოხდილნი წავიდნენ.

2249. ბავშვი საუკეთესო კაპიტალდაბანდებაა, რომელიც მატერიალურ მოგებას არ იძლევა, მაგრამ ყველაზე მომგებიანი ბიზნესია, რადგან მისგან სულიერი მოგება უდიდესია და შენს გენს უკვდავყოფს.

2250. ოცნებას, უდარდელობას, პატივმოყვარეობას რა ჯობს, მაგრამ არა დიდი ხნით, რადგან ჯანმრთელ გენს უსაქმოდ ყოფნა დიდხანს არ შეუძლია.

2251. თეორიულად ცუდი არც ამინდი, არც ქალი, არც ბავშვი, არც სამშობლო და არც სამუშაო არ არსებობს. არსებობს უნიათო მამაკაცი, ცუდი ტანსაცმელი, უვარგისი აღმზრდელი, გაზულუქებული შვილი, არაპრესტიჟული საქმიანობა, მაგრამ რა ვუყოთ შენთვის განკუთვნილ გენს, რომელიც გადაკეთებას ვერ იტანს.

2252. არ შეიძლება ყოველივე იმის ძაგება, რაც არ გესმის, ვერც ვერასოდეს გაიგებ და შენი არასდროს იქნება, რადგან შენი გენი, კულტურა, მენტალიტეტი სხვა საშოში, სხვა გარემოში და სხვა ურთიერთობაში ჩამოყალიბდა.

2253. არ უნდა ეცადო სხვას რაიმე თავზე მოახვიო, რადგან ყველას თავისი აზრი, აღზრდა, გენი აქვს, ამიტომ სჯობს შენი ქმედებით შეაგონო, თუ სჭირდება, უშენოდაც შეიგნებს.

2254. სხეულის, სულის, გაყიდვა, ანაზღაურებაზე, გარემოზე , გენზეა დამოკიდებული და არა სურვილზე.

2255. უზრდელობა – შურის, უვიცობის, თავზე გადამეტებული წარმოდგენის და ალბათ, თანდაყოლილი გენის შედეგია.

2256. ცოლი უღელიცაა, განგების ნებაც, ვალის მოხდაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, საალერსოდ მაინც „სხვისი სჯობს ჩვენსას'' და განგების ჩადებულ ამ კოდს დაღვინება არ შველის.

2257. გავა რაღაც 500 წელი და ჩვენგან მხოლოდ ენა და დამწერლობა შეიძლება დარჩეს, დანარჩენი წარმავალია და იმის მიხედვით გაიმეორებს თავის წარსულს და გენს, რა გარემოშიც მოხვდება.

2258. ამქვეყნად ყოფნის დრო ძალზე მცირეა, ამიტომ დრო სისულელეებს არ უნდა შეალიოთ და საკუთარი სიამოვნებისთვის იცხოვროთ, მაგრამ რა უნდა ქნათ, თუ ისეთი გენი დაგამადლეს, რომ სიტუტუცის გარეშე წუნარი ცხოვრება არ შეგიძლიათ?

2259. მანერა, აღზრდა, ეტიკეტი, მოდა, საზოგადოება და მათ ცოდნას დამატებული გენური შესაძლებლობები იმ კოკტეილს იძლევა, რომლის შესმა ხშირად სასურველ შედეგს არ გვაძლევს, რადგან მას თავდადება დავაკელით.

2260. ცხოვრების წესის შეცვლას ან რეკონსტრუქციას, ისევ თანდათანობით გაუმჯობესება, შეჩვევა სჯობს, თორემ როგორ შეიცვლება, გადაგვარდება არავინ უწყის, რადგან შეიძლება ისეთი ჩვევების გენი გამოიმუშაოს, რომლის შეცვლა არც ისე ადვილია.

2261. როგორ უნდა გიყვარდეს შენი თავი, გენი და შთამომავლობა, როგორი თავხედი უნდა იყო, რომ შენი შვილი 80-90 წლის შემდეგ როგორც მომდევნო თაობის შემცველი სასიკვდილოდ გაიმეტო და თავი იმით დაიმშვიდო, რომ მას შენ ვერ ნახავ.

2262. ყველას უნდა ხანგრძლივი, ჯანმრთელი, ნაყოფიერი ცხოვრებით ცხოვრება, რომელიც შემკული იქნება გასახსენებელი თავგადასავლებით, კურიოზებით, სადაც გამარჯვებულნი გამოვდივართ, მაგრამ ამის საშუალებას არ იძლევა ჩვენი გენი, გონიერება და ის განკუთვნილი დრო, რაც ბედმა გვარგუნა.

2263. სიცოცხლე განგების თავისებური წარმავალი საჩუქარია, რომელსაც თავისი გენი, კოდი უსახსოვრა, ხოლო როგორ გამოიყენა საჩუქარი შთამომავლობამ, ის ცხოვრების, ბედის, შემთხვევის და შენი გვარის ისტორიის განსასჯელია.

2264. ცხოვრებაში ყველას ჩვენი გენი და შესაძლებლობა გვექაჩება, შედეგად ზოგს ქალაქში მიგვაქროლებს, ზოგიც მიწაზე რჩება.

2265. ცხოვრების ოლიმპზე ნათესავები ზედმეტია, მაგრამ მათ სჭირდები, ფეხის წატეხვისას მათი მხარში დგომა საჭიროა, მაგრამ ისინი გერიდებიან. რა სჯობს: ნა-

თესაობის მადლიერება თუ უმადურება, ისე რომ შენმა გენმა, ტრადიციებმა, სულმა, საკუთარმა ცხოვრებამ არ იზარალოს, არავის უწყის.

2266. ბავშვი ღვთის საჩუქარია, მაგრამ შეიძლება ასე არ გვეჩვენოს, თუ მას მოვლა-პატრონობას დავაკლებთ, ბედი გვიმუთხლებს და ჩვენი გენიდან სასიკეთო ნაწილი არ დაყვება, დაიკარგება.

2267. ჩრდილოელი ქალიშვილის შავტუხობა ან ბედის ცუღლუტობის ბრალია, ან წინაპართა გენის კოქტეილის, ან მზის სხივების. მეოთხე მიზეზის მოყვანა დიდ გონიერებას არ მოითხოვს, რადგან ეს ღალატია.

2268. მთელი ცხოვრება წაღმა მოსიარულეს, სიბერის ჟამს გული უტყდება და ნანობს, თავის დროზე მარცხნივ რომ არ გაიხედა, მაგრამ იმას ვერ ხვდება, რომ ეს მის გენში არ იდო.

2269. საიდუმლოს შენახვას აღზრდა, განათლება არ შველის თუ ენა უსწრებს შენს გრძნობებს, გონიერებას, ასეთი უნდა დაიბადო და გენმა უნდა განსაზღვროს შენი რაობა, ხარისხი.

2270. ქორწინება ყველაზე იაფადღირებული ხერხია სიყვარულის, სექსის, დარიგების, მომსახურების, ნაშიერის და შენი გენის უკვდავების გამგრძელებლის მისაღებად.

2271. ხშირად გენიის სიყვარული, სისუფთავე, წინასწარ ჭვრეტა გვეხმარება იმ საქმეში, რომ კაცობრიობა არ გადაგვარდეს.

2272. პასიური ინტიელიგენციის ჩვეული გამოთქმებია: „თავგახეთქილი სიმართლე", „გაკოჭილი, ამბოხებული სული", იმის მაგიერ, რომ ქვეყანას მოთმინებით, ერთგულებით ღირსეული "ჯილა" შევურჩიოთ სამართთავად და ქვეყანა განვკურნოთ. მაგრამ ამის უფლებას, ეტყობა, ჩვენში ჩადებული გენი (თავზე გადამეტებული წარმოდგენა და „მე მაგან როგორ უნდა მაჯობს") არ იძლევა.

2273. ჩვენი უბედურება შემდეგშია: საკუთარი თავი სხვაზე ჭკვიანი გვგონია, ვუთანაგრძნობთ გონებით, ვირჩევთ ფუტლიარით, ღღეში ერთხელ ვფიქრობთ და მთელი კვირა განვიცდით-ეს სისულელე რამ მოგვაფიქრებინაო, ვჩქარობთ კარგად ვიცხოვროთ, ისე, რომ მასზე რეალური წარმოდგენაც არა გვაქვს, ყველაზე სათუთი გრძნობების გამოხატვას ჩხუბით ვამთავრებთ, დიდხანს ვცონარობთ, მაგრამ თუ საკბილო გამოჩნდა, სწრაფად ვაზროვნებთ (სად მოვიპოვოთ და ვინ როგორ გადავაგდოთ და მოვატყუოთ), ერთმანეთს ბედნიერებას ვუსურვებთ ოჯახურ და პირად ცხოვრებაში, მაგრამ ყველა თავისებურად ცდილობს ბედნიერი იყოს ცალ-ცალკე. ასე, რომ ეტყობა ჩვენი უბედურება ჩვენივე გენეტიკურ კოდშია და ამას არაფერი ეშველება.

2274. ინტელექტუალურ სამყაროში გაყოფა შეუძლებელია, რადგან ერთდროულად არ შეიძლება იყო მდიდარიც და ნიჭიერების განსახიერებაც, რადგან თუ ერთისთვის ფულის შოვნის ცოდნაა მთავარი, მეორე თავისი გენის უზრუნველყოფაზეც თანახმაა, ოღონდ ნიჭიერების სამყაროში დარჩეს, რათა სხვასაც ასიამოვნოს, აცხოვროს და საქმიანობიდან მიღებული სიამოვნება თავადაც არ მოიკლოს.

2275. ყბედობის, ჭორაობის გენი ორივე სქესის წარმომადგენლისათვისაა დამახასიათებელი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალებსა და კაცებში სხვადასხვა ასოციაციას, განსჯას, გავკილვას იწვევს.

2276. ბრბო და ხალხი განუყოფელია, მათ ერთმანეთის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენიათ, რადგან ჩვენი გენის უხილავმა უარყოფითმა ნაწილმა შეიძლება იყივლოს და ნაშიერი ბრბოს წარმომადგენლად მოგვევლინოთ. ნუ დაღონდებით და იმედს ნუ გადაიწურავთ, თქვენს შთამომავალში ხომ დადებითი მეტია და შეიძლება რომ შვილიშვილები ხალხად მოგვევლინოთ და პიროვნებად იქცნენ.

2277. ხალხში და ბრბოში აღმოცენებულ გენს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ცდილობს შენსავით იაზროვნოს, მეორე ამაყობს და შენს ღირებულებაზე წარმოდგენაც არა აქვს.

2278. არის ხალხი, რომელსაც არავითარი საქმე არ აქვს ოცნებასთან, უბრალოდ უნდა იცხოვროს, ისე კი, – „კაცია და გუნება", გენია და მისი ბუნება.

2279. ძალადობაც ნიჭიერი ხალხის პროგროგატივაა, რომელსაც აქვს თავისი დადებითი მომენტები: თუ ძალად გაუპატიურებული ქალი ენერგიულ ბავშვს შობს, თუ ციხე გამოსწორების საწინდარია, თუ დაძალებული სწავლა გენიოსს გვჩუქნის და ასე შემდეგ. ეტყობა ძალადობაც მაშინ ამართლებს, თუ გენის საფუძველზე რაღაცის შენება შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაძალება აზრს კარგავს.

2280. პარაზიტები, ბაცილები, სხვისი სხეულით იკვებებიან, იმ სხვაობით, რომ თუ სხეული მოკვდა, პარაზიტიც თან წაყვება, ხოლო ბაცილა ორგანიზმს ეჩვევა. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ხალხი მაინც პარაზიტულ ცხოვრებას ირჩევს, ხოლო გენის შეცვლის მცდელი ბაცილა არავის აღელვებს.

2281. ჩვენმა მეოცნებე ინტელიგენციამ ვერ გაიგო, რომ ხალხს ნამდვილი დემოკრატიისკენ მისწრაფება არა აქვს და აქედან ხეირი არ გამოდის, მაგრამ ისინი თავის ხალხზე მაინც „მზრუნველობენ", რევოლუციის და „პერესტროიკის" ახალ ვარიანტებს ახვევენ თავს, ის კი ავიწყდებათ, რომ ყველა ქვეყანამ იმ პარამეტრებით და მენტალიტეტით უნდა იცხოვროს, რაც მისთვის წინაპრის გენს უბოძებია.

2282. სხვისი წყენა რომ ყველამ საკუთრად მიიღოს, შეიძლება მოვიდეს სიმართლის „მეუფეობა", მაგრამ ინფარქტების გავრცელების საშიშროება გაჩნდება, რადგან ამდენი უგვანო გენის ხალხს, ჩვენი გულშემატკივრობა არ ეყოფა და არც სხვისი წყენის თავზე მოხვევაა მთლად მართებული.

2283. ხშირად უნდა მოვისმინოთ ჩვენი ხალხის შეულამაზებელი ისტორია, რომ გავერკვეთ, რამდენად მოქმედებს თანამედროვე ცივილიზაცია მათი გენის შეცვლაზე, რათა გადაგვარება შევაჩეროთ.

2284. განვითარებულ ქვეყნებში რატომღაც თავქარიანების ოდენობა მატულობს. რას დავაბრალოთ? ცხოვრების დონის ამაღლებას, იდეალების დაკარგვას, სარწმუნოებისადმი დამონებას თუ გამომზეურების საშუალებების გაფართოებას, მითუმეტეს, როდესაც ადამიანის გენი ძნელად იცვლება, ხოლო ყეყეჩობის ოდენობის ლიმიტი ერთ კვადრატულ კილომეტრზე გადაანგარიშებით მამაზეციერს ზევიდან აქვს დაშვებული.

2285. ხშირად ბავშვის კაპრიზი მშობლის გენის კაპრიზია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა წონით და ასაკობრივ კატეგორიაში გვევლინებიან.

2286. როდესაც შვილი, როგორც ამქვეყნად, ისე იმქვეყნად მყოფი მშობლების სადღეგრძელოს შესმას ხალისობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ღირსეული აზრდა და კეთილი გენი თან დაჰყოლია.

გონიერებასთან ახლოს

2287. ჩვენი სულის ძირითადი სამყოფელი სხვა გალაქტიკაა და დედამიწაზე ჩვენთვის მისჯილი ასაკით ვართ გადმოსახლებული. აბა, სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას ჩვენი დამოკიდებულება ბუნების მიმართ დედამიწაზე.

2288. სამწუხაროდ, თანამდებობა არა მარტო მდგომარეობაა საზოგადოებაში, არამედ ქრთამის მიღების საშუალებაც, რადგან ეს ადგილი ხშირად კრედიტითაა ნაყიდი და გადახდილი თანხის ამოღებას თავნით ცდილობს.

2289. კილერსა და ექიმს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ფულის გულისთვის კლავს, ხოლო მეორე უფულოდ არ მკურნალობს. შედეგი ერთნაირია: ორივე კლიენტს იმქვეყნად წასვლას უჩქარებენ.

2290. არის ახალგაზრდობა და ასაკს გადაცილებული თაობა, მათი ბრძოლა გარდაუვალია და მისი გამომწვევი ყოველთვის ცხოვრებაგამოცდილი მშობლები არიან, მიუხედავად ამისა, მათ წინასწარ იციან, რომ ეს ბრძოლა წაგებული აქვთ, რადგან მათ გამარჯვებას ბუნების კანონი – თაობათა ცვლა არ დაუშვებს.

2291. ფანატების ზოოლოგიური ინტერესი მსახიობის მიმართ მატერიალური კეთილდღეობის გარანტიაა, ხოლო სულიერი სიამოვნება მისთვის, მის კეთილისმსურველ თაყვანისმცემლებს მოაქვთ.

2292. პრაქტიკულად უტოპიის განხორციელება შეუძლებელია, მაგრამ მაინც მთავარია, ვინ მართავს ქვეყანას.

2293. მოდა დღევანდელი თაობის კონგლომერატის დაღვინება, დაოჯახება და შვილის აღზრდაა, რათა პროცესის გავლის შემდეგ საშუალება ჰქონდეს, თავის შვილს მოდაზე აყოლა თუ არა, გადაყოლა აუკრძალოს.

2294. ყოველთვის, ყველა დროში, მთავარია დროულად გაჩერება, რა მიღწევები და პერსპექტივებიც არ უნდა გესახებოდეს წინ.

2295. ფალსიფიცირებული პროდუქტის წარმოება ნიშნავს მყიდველისა და მწარმოებლის ურთიერთუპატივცემულობას, რადგან ხარისხიანი წარმოებული პროდუქციის დანახარჯები მყიდველს არ უნდა აანაზღაუროს, ხოლო ძველი, ფალსიფიცირებული, მოყირჭებული აქვს. გამოსავალი ერთია, მყიდველმა ხარისხიანი ძვირი პროდუქციის მიღება შეიზღუდოს და იაფ ფალსიფიცირებულს ახლოს არ გაეკაროს.

2296. ტირანია ზომიერი დამცირებაა, რომელსაც კანონი არ კრძალავს და აღსაზრდელისთვის ზოგჯერ აუცილებელია იმ პირობით, თუ მწვრთნელს აღსაზრდელის მიმართ უარყოფითი ემოციები არ უგროვდება.

2297. ჩვენში ყველა განზომილებებით გენიალური და სულით მდიდარი ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ხელმძღვანელის როლისადმი გვაქვს დაუდევარი და უაზრო დამოკიდებულება.

2298. შენობით მომართვას დამსახურება და აღზრდა სჭირდება, ან დიდი გაუზრდელობა და თავხედობა.
2299. მხოლოდ მაძღარ ხალხს შეუძლია აიძულოს სხვა გამაძღარი აცხოვროს პატიოსნად.
2300. როდესაც ერის შვილი მსოფლიოს მოქალაქე ხდება თავისი ნამოღვაწარით, დიდი ბედნიერებაა ქვეყნისთვის რადგან სახელი ხალხს რჩება და ნამოქმედარი კი – სამყაროს.
2301. ღირებულება არის ნამდვილი და მოჩვენებითი, მაგრამ მის გარჩევას ასაკი, დროის ჭაშნიკი და პიროვნების ბუნება განსაზღვრავს.
2302. თანამდებობა გაჭრილი კარტივით არის, რომელსაც მხოლოდ იმიტომ გაიხსენებენ, რომ დარიგებულ სათამაშო კარტებში შემთხვევით არ აერიოთ.
2303. პიროვნება არ შეიძლება იყოს უაზროდ წესიერი, რადგან ქვეყანას ეს ძალიან ძვირი დაუჯდებოდა.
2304. ქორწინება ბუნებისგან ნაბოძები ხელგაშლილობაა, რომელიც აუცილებელია შენი და ქვეყნის ჯილაგის გასაგრძელებლად და გადასარჩენად.
2305. ქალი კაცისთვის რომ მომხიბვლელი იყოს, ხშირად უნდა იცვალოს კაბები, ხოლო კაცს რომ ქალი არ მობეზრდეს, უნდა იცვალოს ქალები. რას ვიზამთ, ბუნებას ასე დაუწესებია და მის კანონს წინ ვერ აღვუდგებით.
2306. ინტერნეტით მეტისმეტად გატაცება და მისი დახმარებით მეგობრების, სიყვარულის ძებნა, იწვევს გარეგნობისადმი ყურადღების მოდუნებას, ცხოვრებაში შენთვის განკუთვნილი სისულელის ლიმიტის გაზრდის მცდელობას, სათუთი გრძნობების სხვაგვარად გაგებას და გონიერებისთვის მიუღებელი განზომილების მიღებას.
2307. გინეკოლოგი ის მამაკაცია, რომელიც პრობლემებს იქ ეძებს და ფულს იქ შოულობს, სადაც სხვები სიამეს ნახულობენ და ფულს ფლანგავენ.
2308. მეგობრობა არალოგიკური, სათუთი, ადვილად მსხვრევადი, სუფთა გრძნობის საგანია, ამიტომ ის ფულში, ქალისადმი სიყვარულში, ადამიანურ სისუსტეში არ უნდა გამოიცადოს, რადგან ეს გამოცდა ხშირად ცუდად მთავრდება.
2309. საქორწინო "გორკა" ყველაზე უკეთ გამოხატავს შეუღლების არსს თავისი სიამით, სიმწარით, რომელიც არცერთი ოჯახის შექმნას არ ასცილებია.
2310. კარგი გვახსოვს, ცუდს სწრაფად ვივიწყებთ, ეს არის ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის მთავარი მაჩვენებელი – ელექსირი.
2311. ყველას უნდა, რომ მშობლიური მხარე გამოირჩეოდეს კულტურით და კლიმატის თავისი რეკონსტრუქციით, რათა მას მეტი მნახველი და შემქები ჰყავდეს.
2312. დღეს სიყვარულიც და აღფრთოვანებაც მატერიალურისკენ მიისწრაფის.
2313. მშრომელ კაცს არა აქვს უფლება მშიერი იყოს, მაგრამ ჩვენს დროში ესეც შესაძლებელი ყოფილა, თუ ის ზედმიწევნით პატიოსანია.
2314. მმართველისთვის ძალაუფლება ხალხის ნაჩუქარია და შემდგომ წუწუნი, საყვედური მიუღებელია, რადგან დიდი ფული, ტელევიზია-პრესა, ყველას ასულელებს.

2315. ნდობა ის ბუმერანგია, რომელსაც ისვრი და აღარ დაბრუნდება, ხოლო თუ დაიბრუნე, ბუმერანგად აღარ გამოდგება.
2316. თუ არავინ გაქებთ და არც გაძაგებთ, მაშინ თავი თქვენ თვითონ შეიქეთ და დაგატყდებათ რისხვა "მოყვასთა".
2317. ავყია დეპუტატმა ვაშლი შეჭამა და მოწინააღმდეგე ფრაქციის, "იაბლოკოს", ხელმძღვანელს უთხრა: ხვალ გაჩვენებ, თუ ვინა ხარო!
2318. შეუღლება სახელმწიფო ექსპერიმენტია, რომლისგანაც რატომღაც თავს არ იკავებენ, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილ მამაკაცებს ტალონით არიგებენ, ყოველ შემთხვევაში, ქალებს ასე სჯერათ.
2319. უშვილობის გამართლება იმით, რომ დროს ვერ პოულობს – მიუღებელია, მაშინ მოინახება ის, ვისაც დრო ამ საქმისთვის თავზე საყრელი აქვს და თანაავტორობასაც არ დაამადლის.
2320. კოცნა ძალზე არაჰიგიენური პროცედურაა, მაგრამ ის არის წყვილთა საჯილდაო ქვა და დიდი სიამოვნებისა და თრთოლვის მომნიჭებელი.
2321. კარგია ისეთ ასაკს თუ მიაღწევ, რომ შენს დატირებაზე არავინ ფიქრობს და იმქვეყნად შენი წასვლა არავის ენაღვლება.
2322. უვარგისი შეიძლება ყავაც, ჩაიც, სასმელიც იყოს, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანზე, მთავარია, ვისი ნახლაფორთებით და რა გარემოშია გაზრდილი.
2323. ყველა დასამახსოვრებელი საქმე სამ განზომილებას უნდა პასუხობდეს: ისტორიულს, ესთეტიკურს, ანეკდოტურს.
2324. ცოდნა, სიკეთე, გონიერება არ უნდა დატვირთო მოუფიქრებელი ფანატიზმით, რადგან ისინი ერთმანეთის მიმართ შეუთავსებლები არიან და ამ სიმდიდრის ფლობა ყოველთვის გამართლებას არ ნიშანვს.
2325. დიდება საქმიანობას მოაქვს, პოპულარობა ხალხში ხშირად გამოჩენას, ღირსება კი თანდაყოლილია და იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ დიდებას და პოპულარობას რა დოზით ურევთ ერთმანეთში.
2326. სამწუხაროდ, საზოგადოების რჩეულთაც ახასიათებთ ყოველდღიური ადამიანური ნაკლოვანებები, ეს კი მათ უკვდავებაზე და მემუარებზე გავლენას არ უნდა ახდენდეს.
2327. ტვინის შერყევა, სხეულის გადაგვარება, სულის გარყვნა, გრძნობების ჩოჩქოლის შენელება, ჰაერის შერყვნა, ყოველივე ამას ერთი ძირი აქვს, რომელსაც უგულობა ჰქვია და ადამიანს იმქვეყნად დაგეგმილზე ადრე გააცილებს.
2328. მატერიალური და სულიერი სიძლიერე ერთმანეთთან ახლოს უნდა იდგნენ, რადგან დანაწევრებულ დიეტაზე დიდხანს ყოფნა მათ ძალიან უჭირთ.
2329. თეორიულად ცხოვრების გამოცდილება სხვის შეცდომაზე უნდა შეიძინო, მაგრამ პრაქტიკულ შედეგს მაინც საკუთარ შეცდომაზე ფეხის წატეხვით ვღებულობთ.
2330. ზოგისთვის მთავარია პარტნიორთან უთანხმოება სიკვდილის შემდეგაც ჰქონდეს, თორემ სიცოცხლეში ეს მისი მამოძრავებელი ძალა და გასართობია.

2331. ცუდი აღზრდის და უწესო ცხოვრებისკენ მიდრეკილებაა კუჭის სკლეროზია და იმავე მკურნალობას მოითხოვს, რასაც ნარკომანია და ლოთობა, ოღონდ ნებაყოფლობით და შეგნების მცდელობით.
2332. უბრალოდ იცხოვრო, მცირედით გაიხარო – ყველა დიდი ადამიანის გონიერება ბოლოს ამ ოცნებამდე მიდის.
2333. ოდესღაც ყველაფერი პირველად იწყება და მთავრდება, გარდა ადამიანის უცვლელი სულისა.
2334. ბედნიერების ფორმულა არსებობს, მაგრამ მისი მოპოვება ძნელია ცხოვრებაში გამართლების გარეშე.
2335. კარტისა და პოლიტიკური თამაშობების დროს პარტნიორებზე და ბედზე ჩივიან, რადგან ყოველივე გამართლებაზე, ზევიდან გადმოხედვაზე და იმაზეა დამყარებული, თუ როგორ ხასიათზეა მამაზეციერი.
2336. ყველაფრის მოსმენა საინტერესოა, რასაც სიახლე და სიტყვის მჩქეფარება დაჰყვება, მათ შორის ანეკდოტი, ბილწსიტყვაობა და ჭორი.
2337. ზოგჯერ უსიტყვო მინიშნება უფრო გასაგები და მნიშვნელოვანია, ვიდრე სიტყვების კორიანტელის დაყენება.
2338. მორალის მიუხედავად, ღალატი წყვილთა შორის ბიოლოგიური კანონზომიერებაა, სახეობათა მომრავლების, მათ დასაცავად და სექსუალური დაწყებითი განათლების მისაღებად.
2339. სიამაყე დამოკიდებულია ნერვებზე, გარემო პირობებზე და იმაზე, თუ ვინ მართავს ქვეყანას.
2340. ქვას წვეთი ხვრეტს, ხოლო ადამიანს – მისთვის მიუღებელ ერთ სიტყვას გადაყვება.
2341. არავის აინტერესებს დიდების მეორე მხარეს რამდენი მოშურნე, შემწუხებელი, მთხოვნელი ჰყავს.
2342. გონიერებას მოკლებული ჩხუბი ყველას შეუძლია, მაგრამ უჩხუბრად გამარჯვება და რთული სიტუაციიდან გამოსვლა ერთეულთა ხვედრია.
2343. სასურველია საერთო შეხედულება ჭკვიანისა გქონდეს, რომელშიც იგულისხმება ჩადენილი და ჩასადენი ყველა სისულელე.
2344. ზოგჯერ შექმნილი მდგომარეობა არც ისე უიმედოა, როგორც გვეჩვენება, მაგრამ არც ისე მარტივადაა მოვლენილი, როგორც ამას ჩვენს ბედს ვაბრალებთ.
2345. მთავარი ის კი არ არის, რის მოცემას აპირებ, მთავარია, თუ რისი დატოვება მოახერხე.
2346. ბავშვის ჩასახვის მტერი მარტო „პრეზერვატივი" კი არ არის, არამედ ეკონომიკა, კარიერა, დროსტარება.
2347. თვითგვემაა შეგნება იმისა, რომ მიჰქარე და ყველაზე დიდი დასჯაა, რაც მამაზეციერს მოუგონია.
2348. მართალია, გრძნობების უქონლობა დამღუპველი არ არის, მაგრამ მისი აღდგენა ბევრს აცოცხლებს და სწორ გზაზე აყენებს.
2349. მატყუარები ყველაფრის მცოდნენი არიან, მაგრამ არა იმ დონეზე, რომ რაიმეში გამოიყენონ და სერიოზული საქმე აკეთონ.

2350. ბუნება ვერ იტანს ფუფუნებას, რადგან ესეც მისი გადასახდელია.
2351. ყველაზე დასანანია წაფორხილება იქ, სადაც არ ელი და ყველა კანონის და განგების თანახმად ეს არ უნდა მომხდარიყო.
2352. ბედოვლათი რატომღაც პირველი შეხვედრისას საინტერესოდ და მომხიბვლელად გამოიყურება.
2353. კარგის ყველაზე დიდი მტერი თავად სიკარგეა, რადგან ის სრულყოფილებისკენ მიილტვის.
2354. ბრბო ყოველთვის წინააღმდეგია რამე ახლის კეთების, მაგრამ ყოველთვის თანახმაა ძველის დანგრევის.
2355. სისულელეს ჭკვიანი გამომეტყველება ვერ შველის და პირიქით.
2356. მედროვე კაცისგან მხარის დაჭერას და შექებას უნდა ერიდო, რადგან მას შენით ვაჭრობა უკვე დაწყებული აქვს, ფსონში ჩადებული ყავხარ და დივიდენდების თვლაშია.
2357. მორალი და რწმენა აკრძალვებით და დიქტატით ვერ შეიცვლება, ის მოთმინებით, მოფერებით უნდა გარდაიქმნას.
2358. კიდევ კარგი, ოცნება და რეალობა ერთმანეთს რომ არ ემთხვევა, თორემ დღეს კაცობრიობა კარგახნის გადაშენებული იქნებოდა.
2359. გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს ყველა დარგში ექნება მეტნაკლები წარმატება. ამიტომ, მათ ყოვლისმომცველი რელიეფური ცოდნა და კოლეგებთან კამათის საშუალება უნდა მივცეთ.
2360. დღეს დედამიწაზე ყველაფერი მოსაწესრიგებელია, მაგრამ უმთავრესია რაციონალური კვება, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ყველა ხალხის ცხოვრების ნირს, გონიერების საწყისს, რადგან ყველა ცოცხალი ორგანიზმის მოსპობა ცოდვაა და მსუნაგობისთვის მათი მოპოვება დანაშაულიცაა.
2361. ფილოსოფოსისთვის მეგობრობაზე უფრო მაღლა ჭეშმარიტება დგას, პოლიტიკოსისთვის – საკუთარი იმიჯი, ბიზნესმენისთვის – მოგება, დიქტატორისთვის – მისი აზრების გაზიარება, მხოლოდ მეგობრისთვის რჩება მეგობარი განუსჯელად.
2362. ზოგჯერ ცოდნა გონებას ვერ არწმუნებს, ვერ სჯობნის, თანამედროვე სამყაროს გაგებასა და ტექნიკური პროგრესის აღქმაში.
2363. რუსი ხალხის ნაკლი ის არის, რომ მან საკუთარი ტრადიციების და მშობლის კულტის შექმნა ვერ მოახერხა და თაობების აღზრდა თვითდინებას და ევროპის კულტურის ნაგლეჯებს მიანდო.
2364. „ის სარდალია უდიდესი, რომელსაც საქმე ომამდე არ მიჰყავს", მაგრამ ამ გენიალობის შესატყვისი გაწვრთნილი ჯარი ყავს.
2365. „გონიერი სხვის შეცდომებზე სწავლობს, სულელი – თავისაზე". გამოდის, რომ ჭკვიანი არაფერს თაკილობს და ბრიყვის გამოცდილება მისთვის გაკვეთილია.
2366. პრაქტიკულად ცხოვრებას ისეთს ვიღებთ, როგორც სინამდვილეშია, მიუხედავად იმისა, რომ გონიერება ამის წინააღმდეგია და ყველაფერში არ ეთანხმება.
2367. სიმკაცრე არასოდეს არ აგებს, თუ ის გონივრულია და პრინციპული.
2368. მწარე ენა წამალია, მისი მინიშნებული, საქმიანი, დამცინავი ნათქვამი შიგ ჯიგარში გხვდება, გარკვეულ მომენტში გონებას გაგიმწარებს, შემდეგ სწრაფად

გაგივლის, განკურნებული უფრო საღად დაუწყებ ცხოვრებას ყურებას და გონივრულად მოექცევი ირგვლივმყოფთ.

2369. ბავშვის გაზრდა ყველას შეუძლია, მისი აღზრდა კი მრავალი თაობის, გენის, ტრადიციების შეჯვარებისთვის წვალების შედეგია.

2370. სამწუხაროდ, ყველა უმაღლესდამთავრებულს ინტელიგენტს ვერ ვუწოდებთ, რადგან განათლებული ხალხი ძალიან ბევრია, ხოლო მცოდნე თითებზე ჩამოსათვლელი და ამის აღრევამ ინტელიგენტი საგინებელი გახადა.

2371. არის ორი დიდი გამოგონების პერსპექტივა: თმების ამოყვანა და თმების მოშორება, რომელიც კაცობრიობისთვის პრობლემად გამხდარა, როგორც ფულის ქონება და არქონება, საზოგადოებისა და პიროვნების დაპირისპირება. ასე რომ, კაცობრიობას ჭკუის ჭყლეტისთვის საკითხი მოგვარებული და გარანტირებული აქვს.

2372. დაკუპაჟებული ცოდნა ის სიმდიდრეა, რომელსაც ხანდახან მოხერხებულობაც კი ვერ შეედრება.

2373. გონიერების ტალღაზე გასვლას ასაკი, გაჭირვება, გამოცდილება სჭირდება.

2374. გონიერების საზრდოს დაგროვება, რომელიც ბრძოლას და ჭკუის ჭყლეტას არ მოითხოვს, საზოგადოებას ვერ განავითარებს და დეგრადაციის გზაზე დააყენებს.

2375. ჭკუა-გონების ასავსებად ერთი გზა არსებობს მხოლოდ: ინფორმაციის მიღება და ცხოვრებისეული გამოცდილება. მათგან მოდის მრავალი გზა და ბილიკი, რომელზეც სიარული ბევრს არ სურს, ხოლო ზოგიერთი კი ვერც ამჩნევს.

2376. სხვადასხვა განვითარების და მენტალიტეტის მიუხედავად სხვა საუკუნეებთან ყველაზე მეტად სისხლისღვრა გვაკავშირებს, ეტყობა, მის გარეშე ან პროგრესი ვერ იარსებებდა ან ადამიანის გონიერება წინ ვერ წაიწევდა.

2377. გონებას ეშინია სამყაროს შეცვლის, მაგრამ სულ მისი გადაკეთების მცდელობაშია.

2378. პატიოსნება და სიყვარული არასოდეს ყოფილა გონიერების პროდუქტი, მაგრამ მათ ისეთი სათუთი მემბრანა აკრავს, რომლის შეხების უფლება ყველას არა აქვს, რაც უნდა კარგი მიზნით იყოს მოტივირებული.

2379. გრძნობის მონობა არ ნიშნავს სიამაყეზე ხელის აღებას და დავიწყებას.

2380. გონიერებით შესრულებული სასიკეთო საქმე იმდენ აღფრთოვანებას ვერ იმსახურებს, როგორც მოხერხებით შესრულებული დანაშაული.

2381. ნაციონალიზმის ურჩხული თუ შეგეცოდა და ცოტათი კარი გაუღე, ყოველგვარ გონიერების საზღვარს დაჰკარგავს და სიმწრით ჩამოყალიბებულ და აწყობილ ქვეყანას წალეკვას დაუპირებს.

2382. ფსიქოლოგიური განათლება წესიერი კაცის ხელში კეთილშობილებაა, გარეწარისთვის – იარაღი.

2383. გონების თამაშის შედეგი აზროვნების სისწრაფეზე, სილაღეზე და შეუპოვრობაზეა დამოკიდებული.

2384. ყოველგვარი არეულობა და რევოლუცია კულტურის, მეცნიერების და საღი აზროვნების ორგანიზებულად დაქვეითების საწინდარია.

2385. ტვინი ისეა მოწყობილი, როგორც ბიუჯეტი, თუ ერთი სტატია იზრდება, მეორე – მცირდება, ერთს ინტელექტუალური ცოდნა აქვს, მეორეს – პრაქტიკული, მესამეს – მუსიკალური და ასე შემდეგ. ხოლო მათი ინტერესების შეზღუდვა ჩვენი გონიერების შესაძლებლობის ფარგლებშია, მაგრამ მთავარია, მათ როგორ გადავანაწილებთ.

2386. თუ მგელი ყმუის და ძაღლი ყეფს, ეს იმის ნიშანია, რომ თქვენ თქვენს ადგილზე ზიხართ.

2387. ტექნიკური პროგრესის წინსვლა კარგად არის შერწყმული მოდის ცვალებადობასთან, მაგრამ გონიერებას ყოველთვის არ შეუძლია ჩასწვდეს მათ კავშირს, რომელიც შინაგანად ყოველთვის იგრძნობა.

2388. ფაქტი და რწმენა სხვადასხვაა, მაგრამ ორივე გონიერად მოპყრობას მოითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ პირველი რეალობაზეა აგებული, მეორე კი – შთაგონებაზე.

2389. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცნობთ იმ საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობთ, ჭეშმარიტებას მის შესახებ მომდევნო თაობები იგებენ მათთვის შექმნილი ისტორიით.

2390. ანდერძით მოპოვებული სიმდიდრე ადამიანს ვერ აყალიბებს, რადგან მისი აღზრდა შესაძლებელია მისთვის საკუთარი ჩარჩოების შექმნით და გონიერებით მოპოვებული სიმდიდრის ხარჯზე.

2391. ყველა საუკუნეს თავისი გაგება და მენტალიტეტი აქვს, ხოლო ქვეყნის მმართველს თანდაყოლილი გონიერება, რომელმაც თავისი საუკუნის უგუნურებას უნდა აჯობოს და თავისი ნააზრევი ნამოქმედარით გაამართლოს.

2392. არის დანაშაული, რომლის დაფარვა კვადრატში აყვანილი დანაშაულია, ხოლო ლმობიერება – კუბში.

2393. გონიერების უქონლობა არ შეიძლება შეიცვალოს კეთილი სურვილებით და მონდომებით.

2394. დიდი გონიერება დაფიქრების და მოწყენილობის საფუძველია, მაგრამ მასში ოპტიმიზმიც ბევრია, გააჩნია ვინ არის ამ სიმდიდრის პატრონი და რა ცხოვრებისეული ხედვით არის დაჯილდოებული.

2395. გონიერება ხშირად ვარდება უხერხულ მდგომარეობაში, მაგრამ უგუნურებას გამოჰყავს ამ მდგომარეობიდან.

2396. შეცდომა და რისკი ნაწილია ექიმის, სამართალდამცავების, ჯარისკაცების, პოლიტიკოსების და ზოგიერთი სხვა პროფესიის წარმომადგენლების საქმიანობის, რომლებსაც არა აქვთ უფლება ეს თავის დასაძვრენად და დასამშვიდებლად გამოიყენონ.

2397. თუ სჭირდება, ვიგინდარას თავის დახრა გენიოსივით შეუძლია, რათა გასიამოვნოს და „ერთგულება დაგიმტკიცოს".

2398. ერთგულება ყოველთვის წესიერებას არ ნიშნავს, ხანდახან ის გამოუვალი მდგომარეობის შედეგიც შეიძლება იყოს.

2399. ბედნიერება შენს არჩევანზეა დამოკიდებული, გამართლება კი – ფორტუნაზე.

2400. თუ მარტოობა ქალს აჭკნობს და მამაკაცს ათაყვანებს, მაშინ ის აზროვნებას საბოლოო წერტილს უსვამს.
2401. გამოცდილება გონიერების გარეშე არაფერია, ხოლო გონიერება გამოცდილებით დიდი ძალაა.
2402. ბევრისთვის პესიმისტის შეცდომები გაუთავებელი განძი უნდა იყოს ოპტიმიზმისთვის, მაგრამ ეს ასე არ ხდება.
2403. სიღარიბის დაწყების სიმპტომებია: თავის შეცოდება და თავის შედარება იმასთან, ვისაც ცხოვრებაში „შემთხვევით" გაუმართლა.
2404. გონების ქვაბი ხანდახან იჟანგება და ტვინს აღარ ადუღებს, ამიტომ მას დასვენების და ალკოჰოლით ტვინის ძარღვების გაფართოების, გაწმენდის საშუალება უნდა მივცეთ, რათა შემდგომ თავის საქმის კეთება შესძლოს.
2405. გონივრულად და მოხერხებულად დასმული კითხვა შენთვის სასურველი პასუხის მიღების საწინდარია.
2406. საქმიან და ბუნებრივ მეგობრობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი საჭიროების შემთხვევაში გახსენდება, მეორე – უსაქმურობის დროსაც.
2407. გონიერების, რწმენის გადასხვაფერებას, შეცვლას, ისინი ახერხებენ, ვისაც ის არ გააჩნია, ან მომავალში ახალი სასუსნავი და კარიერა დაინახა.
2408. სიჩლუნგეს არ აქვს საზღვარი, ფარისევლობას ზომა-წონა, თუ ვინმეს სჭირდები და შენ გამოყენებას ცდილობს.
2409. ვინც თავის ჭკუით იცხოვრა და მოკვდა, მას ამქვეყნად არაფერი დაუკარგავს.
2410. ყოველდღიურ ბრძოლაშია გუშინ, დღეს და ხვალის გაგება და ქმედება.
2411. სხეული და გონიერება ერთია, მათ ერთმანეთის გარეშე სიტყვით არსებობა – კი, მაგრამ ყოფნა არ შეუძლიათ.
2412. ხშირად, ძმობა კი არ წყვეტს საკითხს, არამედ ძალა, მოხერხებულობა, შესაძლებლობა.
2413. ყველა სისულელეში გონიერების მარცვალიც დევს.
2414. შექება ყველაზე მეტი საზღაურია ჩვენი სულის გახალისების და გახსენების.
2415. დღეს დავის ყველაზე უმტკივნეულოდ გადამჭრელი, პატიოსანი წესებდაცული პაექრობაა.
2416. ყველას შეგიძლიათ გაუგოთ, თუ მასში აზროვნების ძებნას არ დაიწყებთ.
2417. გონიერებას არც სწავლების ეშინია, არც გაკიცხვის და არც შეცდომების აღიარების.
2418. მოთმინება თავისებური ბედნიერებაა და ზოგჯერ გონიერებასაც უტოლდება.
2419. საკაცობრიო და თანამედროვე ღირებულებების ფასი ძნელი დასადგენია, რადგან პირველი მოსაბეზრებელია, მაგრამ მუდმივია, მეორე სახალისოა, მაგრამ წარმავალი.
2420. სული გონების მეოცნებე მოგზაურია, რომელიც სხეულს აკაჟებს და ალაღებს.
2421. ყველაზე ჭკვიანურია სულელურ კითხვებს პასუხი არ გასცეთ, თორემ ამ მცდელობით თქვენს ტვინს დაინაგვიანებთ, ხოლო კითხვის პატრონის ტვინს მტვერსაც კი ვერ მოაშორებთ.

2422. გონიერების ტალღაზე გასვლას შეჭირვება, გამოცდილება და ასაკი სჭირდება.
2423. გონიერ ადამიანს იმიტომაც უჭირს ცხოვრება, რომ დემაგოგია და ერთსა და იმავე საკითხზე საუბარი უსაქმურობად, დროის დაკარგვად მიაჩნია, ხოლო მისი ოპონენტები ამაში ხედავენ საქმეს და ცხოვრება სხვანაირად ვერ წარმოუდგენიათ.
2424. უფლება საზოგადოების გონიერებაზე მაღლა დგას, ხოლო უგუნურება მისი ნაშიერია.
2425. არ არის საჭირო ბევრის შეძენისკენ სწრაფვა, მთავარია გონიერი, ყაირათიანი და შემოქმედებითი ხარჯვა.
2426. მაძღარი ნიჭი მკვდარი ნიჭია, რადგან მას წინააღმდეგობებით გასავლელი გზა არ აწრთობს. რას იზამ, ამ გვემის გარეშე ვერც ფოლადი, ალმასი და ოქრო აღწევს თავიანთ დიდებას.
2427. ყველა მომდევნო საუკუნე ადამიანის გრძნობების აფორიაქების საუკუნეა, ოღონდ სახეშეცვლილი და წინა საუკუნისათვის გაუგებარი.
2428. გონიერება ზევიდან მომადლებული ნიჭია, მანერების დახვეწილობა თანდაყოლილიცაა და შენაძენიც. ამ ორი სიკეთით შეიძლება გამოირჩეოდე, მაგრამ პირველის დასაფასებლად ხალხია საჭირო, მეორესთვის ბრბოც საკმარისია.
2429. მართალია, "მარტო წვრთნა ვერას უზამს, თუ ბუნებამაც არ უშველაო", მაგრამ წესიერი წვრთნა და კაცის გონების გასანათებლად გონიერი აღმზრდელიც არ არის ცოტა.
2430. თუ გინდათ ისიამოვნოთ ნუგბარით, ისე უნდა გასინჯოთ, რომ არ იკითხოთ, როგორ და რისგან არის გაკეთებული, თუმცა გონიერ ხალხს ამის ამოცნობა დიდ სიამოვნებას ანიჭებს.
2431. მეწარმე-ტექნოლოგის ზედმეტი განათლება დამღუპველია მისი მომხმარებლისთვის, რადგან ის ისეთ ალ-ქიმიკოსობას მიმართავს, რომ ძნელი ხდება ფალსიფიცირებაში ზღვარის აღმოჩენა, ამიტომ ასეთ განათლებულს საკმარისი ანაზღაურება უნდა მივცეთ, რომ მან თავისი "ზედმეტი" ცოდნა ნატურალური პროდუქტის და ხარისხის გაუმჯობესებას მოახმაროს.
2432. შეიძლება რამე არ გწამდეს, მაგრამ მოგწონდეს. მე არ მწამს მარხვის იდეოლოგია, მაგრამ მომწონს მისი გონიერება, რადგან ის წინამორბედია ადამიანის ჯანმრთელობის და სახელმწიფოს საკვები პროდუქტების ეკონომიური ხარჯვის. შეიძლება არ გწამდეს ქალის პატიოსნების, მაგრამ თვითონ ქალი ძალზე მოსაწონია. რას იზამ, ასეთია ცხოვრება.
2433. გონება შეიძლება იყოს წიგნიერი, მაწანწალა, ელიტარული, რომელიც სიტყ-ვას აფერადებს, ეშხს მატებს ვულგარული გამოთქმის ხარჯზე, ხოლო ბილწ-სიტყვაობა არანჟირებული უნდა იყოს სიტყვის მუსიკით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის, არც უნდა ვიხმაროთ.
2434. წარმოების განვითარებას ხელს უშლის: სიზარმაცე, ინერტულობა, სიმხდალე, უიმედობა, შური და უსუსური მთავრობა, რომელიც დიდი ხანია საჭიტლაყეა, მაგრამ სად არის პატრონი და საზოგადოების აზრის პრაქტიკული გაქანება.
2435. ხანდახან ცუდ სიზმრებს სარგებლის მოტანაც შეუძლია, რათა ცხადში ცხოვრებას რეალურად შევხედოთ და მობილიზებულები დავხვდეთ.

2436. გონიერების განსჯით ეს ქალი შენი შესაფერისია, მაგრამ სული და ხორცი ამას არ ეთანხმება, ასე რომ გონიერება ყოველთვის ჭეშმარიტების გზაზე ვერ გვაყენებს.

2437. უნდა ვეცადოთ, ამ სამყაროს პიროვნებებად მოვევლინოთ და არა – დედიშობილად, სადაც ტანსაცმელთან ერთად გონების ნასახიც კი მიკროსკოპით არის საძებნი.

2438. ჩვენი გონიერება თვითნახადი ვისკივით გადაიქცევა და მისი დეგუსტაციით ყოველთვის კმაყოფილნი ვიქნებით, თუ ჭკუას ჯერ ბუნებრივი დუღილის საშუალებას მივცემთ, მერე ცხოვრებას გამოსახდელ ქვაბში ავადუღებთ და ჩვენი სულის სპირალში გავატარებთ.

2439. სიტყვის მადნის ბალასტის და ტვინის ნაჭყლეტის გადამუშავებას დღეს ბევრი ახერხებს, წიგნადაც აფიქსირებს, მაგრამ გონიერების სუპერმარკეტში მკითხველის მოძებნაა ძნელი, ხოლო ფართო მომხმარებლის ბაზარი მის ნაკლებობას არ განიცდის.

2440. ნიჭიერების კულტურაში გადაყვანა გონიერებას, მოთმინებას, სხვა კულტურებთან ზიარებას და ერის კოდისთვის გასაგებ ამ სიმდიდრის გამოცდილების გადახარშვას მოითხოვს.

2441. უგვანო ქვეყანაში ბიზნესი ომსა და მოყვარულ სპორტს იყენებს, ხოლო ხეირიანში – მშვიდობას და პროფესიულ სპორტს, თუ მას გონიერების და სოლიდარობის ვაქცინასაც შეუშხაპუნებთ, ქვეყნის აყვავებაც არ დააყოვნებს.

2442. გული სიყვარულის საკუთრებაა, გრძნობები – თვალის, ემოციები – ყურის, სურნელი – ცხვირის, სიმხურვალე – ტუჩების და როდესაც მათი წრე შეიკვრება, გონიერებისათვის ადგილი არ რჩება და იმ კომპიუტერს ვემსგავსებით, რომლის პროგრამაში რამდენიმე წამის წინ ხაკერმა წაიხულიგნა.

2443. თუ სიღარიბე დანაშაულის დედაა, მომხვეჭელობა მამა, მაშინ მათ ნაშიერს ცხოვრების პირობების შექმნა დასჭირდება და არა აღზრდა აფორიზმების სროლით და გონივრული გამონათქვამებით.

2444. სულის დროებით ბუნტს ყველა განვიცდით, მაგრამ იმდენი გონიერება უნდა გვეყოს, რომ მუდმივად ბუნტში არ გადაიზარდოს და ამ სისულელით ახლობლები და საკუთარი სიცოცხლე არ გავტანჯოთ.

2445. გონიერება ეჭვის ქვეშ არ უნდა დადგეს, რადგან ყველა სიკეთის კეთებაზე ხელს აგაღებინებს და აქ გონიერებაც ვერაფერს გახდება.

2446. თუ გარდაუვალია, სჯობს ჭკვიანს თავი მოუხარო და ძლიერს მუხლებში არ ჩაუვარდე, რადგან პირველისთვის – გონიერების, ხოლო მეორისათვის ძალის დემონსტრაციაა აუცილებელი.

2447. ხელები უნდა მუშაობდეს აზროვნების სიჩქარით, რათა ხელგარჯილობა შეესატყვისებოდეს გონიერების ნდობით მომადლებულ პასუხისმგებლობას.

2448. პროტექციონიზმისთვის, კარიერიზმისთვის, მეგობრობა არ არსებობს, ის მხოლოდ შეიძლება გადაიზარდოს პარტნიორობაში, ქრთამის მიცემაში, რადგან მეგობრობის ინსტიტუტი ფულის ერთობლივ კეთებას ვერ იტანს.

2449. სულით შეიძლება რევოლუციონერი იყო, მაგრამ გონება უნდა იყოს ტაქტიანი და შემწყნარებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი ფარსს დაემს-

გავსება და შენი ნამოქმედარის ხოტბით მოხსენიებაც კი სულის სიამოვნებისათვის უკვე დაგვიანებული იქნება.

2450. მოჭარბებული სიღარიბეც და სიმდიდრეც სიყვარულს ვნებს, იმ განსხვავებით, რომ პირველიდან თავის დაღწევას სიმშვიდე მოაქვს, ხოლო მეორედან თავის დაღწევა გვიჭირს და გვანერვულებს.

2451. მოყირჭებული არც მშვენიერება ვარგა, არც სიამოვნება, არც სილამაზე, არც სიყვარული და არც თავისუფლება.

2452. თუ შენი სინდისი ალაპარაკდა, რეგლამენტს თავზე ნუ მოახვევ.

2453. თეორიულად შვილისთვის ყველაზე ძვირფასი და ძვირი ქონება მშობლის კეთილი სახელია, სადაც ის იღვწოდა, ვიდრე ანდერძით დატოვებული ქონება.

2454. საღი გადაწყვეტილება თავად მოგაკითხავს, თუ არ იჩქარებ, არ ინერვულებ და გონებას ფიქრით გადაღლი.

2455. ძნელია იმის შეგნება, რომ შენ არასდროს არ ყვარებიხართ, თუ ეს ცოლშვილია, ასატანია, რადგან მათ მოლოდინი ვერ გაუმართლე, მაგრამ საშინელებაა იმის შეცნობა, თავის დროზე მშობლებსაც თუ არ ყვარებიხარ, რადგან შენი მოვლენით ეტყობა ვერავის არგე.

2456. ხანდახან ერთი შეყვირებით ზვავი ჩამოწვება, მაგრამ ყვირილით საფრთხეში მოყოლილთ ვერ უშველით.

2457. ორგანიზაციული ნიჭის გარეშე არაფერი სახეიროდ არ წყდება: არც სიყვარულში, არც მეგობრობაში და არც იმქვეყნად გადაბარგებაში.

2458. სიმართლის მთქმელმა ფხიზლად უნდა უყუროს გარემოს, საქმის ვითარებას, ხალხის ბედს და ამის შემდეგ გამოთქმული საღი აზრი მოწმობს პატრიოტიზმს.

2459. სიცოცხლის გაღება არის სინდისის, აღზრდის, სიყვარულის დამსახურება ვიღაცის ან რაღაცის მიმართ, გამოხატული სულიერი აღმაფრენის დროს. ამასთან, ძალზე ინტიმური და თავისებური ხელოვნება, რომელითაც თავს არავის ამადლი.

2460. თუ რაიმეს შეცვლა არ ძალგვიძს, როგორმე უნდა გადავიტანოთ, გადავხარშოთ ჩვენს შეგნებაში, ცნობიერებაში ჩვენი უძლურობა.

2461. ერთ უმნიშვნელოდ აალებულ კვარს, მომავალში სითბოს და სინათლის მოცემაც შეუძლია, თუ მის სიკეთეს ყველა შეიგრძნობს და უპრეტენზიოდ უპატრონებს.

2462. რატომღაც მშობლების ფასს შვილიშვილები უფრო იგებენ, ხოლო მათ ღირებულებას კი – სიჭარმაგეში შესული შვილები.

2463. გონიერი კაცი შეიძლება ბევრ ისეთ რაიმეს ხვდებოდეს, რომლის დაწერის უფლება მას არა აქვს, თუნდაც ის, რომ დედამიწა მეორე 20 საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვიდან ვერ გადაიტანს, ღმერთი იმ სახით, ჩვენ რომ წარმოგვიდგენია, არ არსებობს, რომ ამქვეყნად ყოფნა ამაოებაა და სხვა ამგვარი, ჩვენთვის გაუგებარი უიმედო პერსპექტივა.

2464. ხანდახან გულს უფრო დაეჯერება, ვიდრე ცვალებად და ადამიანის გონებისთვის გახუნებულ ფაქტებს, რადგან გული მუდმივი განცდებია, სიყვარულია, სიცოცხლის ბაზისია და ამიტომაცაა ცივი გონებისთვის გაუგებარი.

2465. წინაპართა ნაფუძვარზე სახლს ადგილის დედის ძახილი და ის შეუცნობელი მოვალეობის ძალა აშენებს, რომელიც შენთვის არავის დაუვალებია.
2466. პოლიტიკა, ხელოვნება, თავისი მაყურებლის წინაშე გულღია, გულწრფელი, გაგულისებული ვერ იქნება, რადგან მაშინვე კრიზისის წინაშე აღმოჩნდება. ისინი მაცქერალთ ისე უნდა წარუდგნენ, რომ მათი უგუნური ფანტაზია მაყურებლის გონიერებას, განწყობას მიესადაგოს.
2467. საქმე, რომელიც თვითონ გეძებს თავის წარმოსაჩენად, შენს პიროვნებად ყოფნაზე მიუთითებს.
2468. ნიჭი ყუმბარასავითაა, ადრე თუ გვიან მაინც იფეთქებს, თუ მასში ასაფეთქებელი რამ დევს.
2469. უკადრებელის კადრება სიყვარულის დროსაც კი არ არის დასაშვები, როდესაც გონიერება დროებით კაიფით დაბინდული გაქვს და რას მოიმოქმედებ, ხშირად განსჯას არ ემორჩილება.
2470. ტანჯვა ჭკუას კი გვმატებს, მაგრამ არც იმდენად, რომ შემდგომში აღარ შევცდეთ და არ განვიცადოთ.
2471. სიავის წამალი დითირამბებია.
2472. ყველაზე ძნელი საკითხიც კი გონიერი კაცისათვის ადვილად გადასაჭრელია, თუ მასში პოლიტიკას და ამბიციებს არ ჩავრევთ.
2473. გონიერი კითხვების დასმა ისევე ძნელია, როგორც მათზე გონიერი პასუხის გაცემა.
2474. ინტეგრაცია, მოდერნიზაცია, დიდ გონიერებას ითხოვს, ამიტომ საკუთარი კარგი არ უნდა დავივიწყოთ, რათა უცხოს არ მივადგეთ შესაცნობად, შესაყვარებლად, რომელიც ჩვენთვის სხვაა და გაუგებარი.
2475. დაავადებულ ხესაც კი, ჯანმრთელ ხესთან შედარებით, ტემპერატურა მეტი აქვს.
2476. ჩვენ ამქვეყნად ბევრი რამის შეცვლა არ შეგვიძლია, ამიტომ, გონების ჩაურევლად ყოველივეს გულთან ახლოს მიტანამ შეიძლება სისულელემდე მიგვიყვანოს.
2477. ბრძნული გონება ყოველთვის სამართლიანად განსჯას ვერ ახერხებს, რადგან უნდა სამართალი თავის გემოვნებას დაუმორჩილოს.
2478. ამბობენ, არწივი ოცდაათ წელს ცოცხლობსო, ყვავი კი – სამასს. თუ ვისი ცხოვრება ჯობს, გემოვნების და გონიერების საკითხია.
2479. ყველაზე ჩქარა ცვდება მადლიერება, მაგრამ მომდევნო თაობა ამ მადლიერებას რატომღაც დაუმსახურებლად იმკის.
2480. სიავე, მოძულეობა გენეტიკურია და ის შეიძლება დროებით მიიცვალოს, მაგრამ არასდროს კვდება.
2481. ხშირ შემთხვევაში ბავშვები ჩვენი ანარეკლები არიან, ბედნიერ შემთხვევაში კი ჩვენ არ გვგვანან.
2482. როდესაც უმეტესობის აზროვნება საზიზღრობაა, თან ცინიზმი და თვითდაჯერებაც ერთვის, ამაზე მეტი სიტუტუცე ადამიანის გონებისთვის არ არსებობს.

2483. გონიერებას ეჭვიც აქვს და სჯერა კიდეც შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონის, რომლის არსებობას ვერ უმხელდნენ ცხოვრების ოლიმპზე მყოფს.
2484. ბოლოს სიბერეც მიდის და ხელში გვრჩება ჩვენთვის უცხო უსასრულობა.
2485. ამ საუკუნის გონიერმა ბოდიშის მოხდამ შეიძლება მომდევნო საუკუნეებს ძალზე არგოს.
2486. გამბედაობის, შეუპოვრობის, შრომისმოყვარეობის კოქტეილი ცხოვრებაში ხშირად ყოველგვარ ნიჭზე უკეთეს შედეგს იძლევა.
2487. გონიერ კაცს კარგი მსმენელი კი არა, საქმიანი კაცი სჭირდება.
2488. ზოგს გონიერებასთან ერთად შეიძლება ფანტაზიაც აწუხებდეს და თავადაც ნიჭიერი იყოს, მაგრამ ხშირად ცუდი განმხორციელებელი.
2489. ყველაფრის შველა და მოგვარება შეიძლება, მაგრამ გააჩნია, რა ფასად და ვისი გონიერებით.
2490. მთელი ჩვენი ცხოვრება სწავლაა, მაგრამ მაინც უსწავლელი რჩები და ფეხს სწორედ იქ წაიტეხ, სადაც შენი განათლება და გამოცდილება უნდა გიფარავდეს.
2491. საბუთი ყოველთვის ისე ძლიერ ვერ ასახავს რეალობას, როგორც მის წარმომდგენს ჰგონია, მაგრამ მოპასუხეს კი გონებას ურევს.
2492. ადათების დაცვა ეროვნულობის, გონიერების, სამართლიანობის გამოვლენაა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვჯერა და გვინდა.
2493. საოცარია, რა მცირე გონიერებაა საჭირო იმისათვის, რომ ქვეყანა ეკონომიურად წესიერად მართო და რა დიდი ვირეშმაკობა, რომ ხალხი დააძაბუნო და შენს სასარგებლოდ ამამაძაღლო.
2494. სიჯიუტე, თვითდაჯერება სიბრიყვის ან გენიოსობის ნიშანია, მაგრამ გონიერებას მაინც ვერ დავარქმევთ, რადგან გონიერება სიჯიუტის და ცოდნის იმგვარი შეხმატკბილებაა, რაც ღირსეული ცხოვრების საშუალებას გვაძლევს.
2495. გონიერება, შეგნება ბოლოს სიყვარულს მაინც ჯობნის, ამის შესახებ რაც უნდა ვილაქლაქოთ და ვირატრატოთ.
2496. ტყუილად არავინ არაფერს აკეთებს, სიკეთის კეთება სხვაზე გადაწერილი ვალი და ვახშია, რომლის გადახდას გული ყველას ავალდებულებს, მიუხედავად იმისა, რომ გონიერებას მისი გადახრის არ სჯერა.
2497. გენეოლოგიით ტრაბახი, დღევანდელი ინტელექტის და ტექნიკური პროგრესის პერიოდში, თავქარიანობა და უნიჭოთა თავხედობაა.
2498. სიკეთის მკეთებელმა ბოროტება რომ არ მოიმკას, ის გაჯანჯლებით, დამადლებით, წვეთ-წვეთობით უნდა აკეთოს, რადგან საბოლოოდ გამოზომილი სიკეთის კეთება გონიერებას მოუხმობს, კეთილშობილებას შეიგრძნობს და სათანადოდ აფასებს.
2499. შეძლებას, ფუფუნებას, ღირსების ლაგამი უნდა ამოვდოთ, თორემ გათავხედდება, გადაამლაშებს, წინაპრის ამდენ მონდომებას და დანატოვარს წყალში გადაყრის და თან გადაყვება.

2500. ყველა გათავხედებულის დასჯა და ჭკუაზე მოყვანაც შეიძლება, გარდა სტიქიის გათავხედებისა, რომელიც გარემოს და ადამიანთა მოდგმის დაპირისპირების შედეგია.

2501. ხანდაზმულებმა წარსულით უნდა იცხოვრონ, ოღონდ აწმყოს გადასახედიდან, მომავლის განუსჯელად დანახვით.

2502. ნათელი გონება თუ მოსწრებული ენა, ეს უკანასკნელი უფრო ხალასი ნიჭის შედეგია ვიდრე პირველი, რომელსაც სიდინჯე და განსჯა უხდება.

2503. სწავლა და პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავება უერთმანეთოდ არ უნდა არსებობდეს.

2504. მოქალაქეა ის, ვისაც საკუთარი ქვეყანა აქვს და იქ ცხოვრობს, ხოლო ადამიანია ის, ვისაც ეროვნება აქვს და სხვა სახელმწიფოში ცხოვრებას ეგუება.

2505. ავ ენასაც არ აქვს ძვალი, მაგრამ ძალზე მწარედ ჩხვლეტს მათ, ვისაც ენაზე შხამი არ აქვს წასმული.

2506. სამყარო იცნობს იმ გონიერ მოხერხებულ ვიგინდარებს, რომლებსაც ელიტა აფასებს და არა იმათ, ვისი გონიერებაც ამას იმსახურებს.

2507. როდესაც გონიერება დაძაბული მუშაობის გამო წკიპზეა მისული, მაშინ აქვს ცხოვრებას აზრი და შედეგს კაეფი მოაქვს, მაგრამ რომ არ გადაიწვას, მისი გაგრილებაც და ხანდახან გამორთვაც უნდა შევძლოთ, თორემ ჩვენს სიამოვნებას ბაზის შინაურები ვერ გაიგებენ და გინებას დაგიწყებენ.

2508. გონიერი კაცისათვის ის კითხვებია სასიამოვნო, რომელზეც პასუხის გაცემა უჭირს.

2509. ღირსების დაკარგვა იწვევს: უზნეობას, ულმობლობას, გულქვაობას, დანაშაულის გაფეტიშებას, რომლის წინ წამოწევაში ყველაზე დიდი წვლილი მოჩვენებით გონიერებას მიუძღვის.

2510. სიჭარმაგეში ხვდები, რომ კარიერაში ისეთი არაფერი არ ყრია, რომლის გულისთვისაც ცხოვრების გართულება და მისი ზოგიერთი სიამის მოკლება ღირდეს, მითუმეტეს, თუ ასაკის მატებასთან ერთად ყველა მოგონება ბინდით იფარება და ყველაფერი სულერთი ხდება.

2511. პროფესიის მოპოვებას, სიყვარულივით, გამბედაობა და თავის გაწირვა სჭირდება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მისგან ღალატი გამორიცხულია.

2512. ზოგს თავისი ჭკუის შესატყვისი „კანონზომიერი" სიბრძნე ხუმრობით წამოცდება და თუ მერე სადმე თავის ნათქვამს ყური მოკრა, სინამდვილედ იღებს და ჭორად ავრცელებს.

2513. ბედნიერებაა, როდესაც შენ სჭირდები სხვას და ღმერთი სხვას გამოსაცდელადაც არ დაგაჭირვებს – არ გაწბილდესო.

2514. დრო ძვირფასია მაშინ, როდესაც ის ცოტა გვრჩება და ჩვენს გარდა სხვასაც სჭირდება.

2515. სიჭარმაგეში ახალგაზრდობის ცოდნას ვამჩნევთ, მაგრამ არ ვაღიარებთ და არ ვაფასებთ.

2516. თუ ჭკუა ფეხებს ზედმეტად აშრომებს, მაშინ ხელებს რა უშლის ამ თავს წამოარტყას და გონიერებისკენ მოუხმოს.
2517. დროის ჭაბურღილი ცოდნის ათვისების უნარს განსაზღვრავს, მისი გამოყენების რაობა – ხარისხს.
2518. ძველს მაშინ იხსენებენ, თუ ახლის მიმართ სიყვარული უხარისხო გამოდგა და პეწი დაკარგა.
2519. ახლობლის აღზევება იმ საფეხურამდე არ უნდა ინატრო, რომ შენთვის ვერ მოიცალოს და გადაავიწყდე.
2520. ამქვეყნად ყველაზე ძვირი სიტყვის შესრულებაა და არა აღსრულება.
2521. თვალთმაქცობა ყოველთვის სათნოებით ინიღბება და სხვისი მანკიერებით სარგებლობს.
2522. სიცოცხლეს მაშინ შევიგრძნობთ, როდესაც რაღაც გაკეთებული გვაქვს და უფრო მეტის გაკეთების სურვილი გვიპყრობს და შესაძლებლობაც არსებობს.
2523. თანამდებობას გონიერება, საქმიანობა კი არ ინარჩუნებს, არამედ დრო და ის დაჯგუფება რომელიც ამჟამად სათავეშია.
2524. ზნეობა ინდივიდუალურია, მასზე შეიძლება ვილაპარაკოთ, წიგნები ვწეროთ, მაგრამ არ უნდა ვასწავლოთ, ვურჩიოთ, თუ ამას არ გვთხოვენ.
2525. ბრძენი საზოგადოებას უკვირდება, შეისწავლის, აანალიზებს, ხოლო მასთან საუბარს ერიდება, რადგან მასში თავისი ნამოღვაწარის გამგებს ეძებს.
2526. სიკვდილის ძირითად მიზეზს, სიბერეს, ყველა გაურბის, მაგრამ დაბერებას ჩუმად ყველა ვნატრობთ.
2527. შვილის აღზრდა მშობლების მიერ შენზე გაცემული კრედიტის დაფარვის მცდელობაა.
2528. გონიერების გაქანებას თავის არეალი სჭირდება, სახელმწიფო მართვას თავისი ვირეშმაკობა და სიდინჯე. პირველი მოწოდებულია ქვეყნის აღმავლობისათვის, მეორის სურვილია ამ წინსვლას თანდათანობით მიაღწიოს, რათა მოჭარბებულმა უმართავმა ენერგიამ ქვეყანას სადმე შემთხვევით არ გადაჩეხოს.
2529. ყველა გონიერება თავისი დროის ლიმიტს ამოწურავს, ამიტომ ის მეცნიერების ახალმა მიღწევებმა უნდა კვებოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრება დროს ვერ დაეწევა.
2530. იმისათვის, რომ ისე იცოცხლო, როგორც გინდა მოკვდე, დიდი ძალისხმევა და გარჯაა საჭირო, რადგან კეთილი სახელი მუქთად არ მოდის, მას დამსახურება უნდა.
2531. ლმობიერება, შენდობა, მოუხერხებელი გონების შედეგია, სამაგიეროს გადახდა სიმკაცრეა, მოხერხებული სიავის ნაყოფია და განსაკუთრებულ შემთხვევაში უიმისოდაც არაფერი გამოდის, მაგრამ ამ უკანასკნელის სამართლიანობის შეგრძნება მაინც გონების თანხმობით ხდება.
2532. ალბათ ბრძენია ყველაზე მდიდარი, რადგან მას იმაზე მეტი არ ჭირდება, რაც აქვს, მაგრამ მის ოპონირებას ახლობლები, ირგვლივმყოფნი, ეწევიან და თავის შეხედულებებით ცხოვრების საშუალებას უსპობენ.

2533. არეულობის დროს გონიერება პირველი ყრის ფარ-ხმალს, ბრიყვის და ვიგინდარას მორჩილი ხდება, განაწილებისას ყველგან აგვიანებს, ამასთან ყველაფერს თმობს და სხვის იმედზეა, იმის მაგიერ, რომ ფხა გამოიჩინოს, თავსაც შეუძახოს და სხვასაც და ქვეყანა იხსნას განსაცდელისაგან.

2534. ზოგმა ბევრი რამ იცის ერთი შეხედვით უსარგებლო, მაგრამ გონიერება იძულებულია ეს აზროვნების ჭუჭყი ტვინის რომელიმე უჯრედში შეინახოს, რადგან მისი ცოდნის გარეშე, საჭიროების ჟამს, ცხოვრება გაძნელდებოდა.

2535. გონიერი კაცისთვის აზრის გამოთქმა წერილობით ჯობს, რადგან დაფიქრებისთვის, შეჯერებისთვის, განსჯისთვის მეტი დრო რჩება, ხოლო პოპულარული ადამიანისთვის სიტყვიერი გამოსვლაა მთავარი, რომელიც აზრს საკმაზს არ აკლებს. საქმისთვის რა ჯობს – ძნელი სათქმელია, მაგრამ ამ უკანასკნელს მსმენელი გაცილებით მეტი ჰყავს, ვიდრე პირველს მკითხველი, რადგან ამ ბოლო დროს კითხვა მოდაში აღარ არის.

2536. თანამდებობებზე ის ადამიანები უნდა დაინიშნონ, ვისაც გონიერება აირჩევს და არა – ხალხი, რადგან ეს უკანასკნელი ხმასაა აყოლილი, გარეგნობას და ლამაზ ყბედობას ეთაყვანება და ამიტომაც ხშირად ცდება.

2537. გაწვრთნასა და აღზრდას შორის ის სხვაობაა, რომ პირველში მატერიალიზმი ჭარბობს და სხვისი მეთვალყურეობით იწვრთნები, მეორეში – იდეალიზმი, სადაც აღზრდაში გონიერებაც ერევა და საჭიროების ჟამს ჩვენს ქცევას დამუხრუჭების ბერკეტი უვითარდება.

2538. წესით დღეს ყველა საკითხს გონიერება უნდა წყვეტდეს და არა ძალადობა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ისევ ძალაა მოდაში, რომელიც გონებასაც თავისი ინტერესებისათვის იყენებს.

2539. რატომღაც გაუგებარი და საჩხირკედელაო ყოველთვის საინტერესო და კარგია, ვიდრე ის, რაც ცნობილია, ნაღდია და ჩვენს გონებას ხელეწიფება.

2540. გარეგნობას შეიძლება მეტი პეწი მივცეთ ან დავაკლოთ იმის მიხედვით, განათლებას, რწმენას, შემართებას, დავუმატებთ თუ წავართმევთ.

2541. ყველაზე დიდი გონიერებაა, როდესაც სხვა ხალხის უკეთ ცხოვრების მიზეზებს იკვლევ და არ გმურს.

2542. გონიერი ქალი მამაკაცს ყელში არ წაუჭერს, არც თოკს დაუმოკლებს და მის ცუღლუტობას არ შეამჩნევს, რადგან ბუნებით ნაწყალობებმა ხვადობამ მასში ძუკნა არ დაინახოს, მითუმეტეს, რომ მამრის ღირსების უდიდესი წილი, უნდა თუ არა ქმარს, მაინც ცოლს ხვდება, ხოლო მოჭარბებული ხვადობის გაცემული მცირე ნაწილი კი სპონსორობად უნდა ჩაეთვალოს.

2543. დღევანდელი „ჰომო საპიენსიც" მაშინ იქცევა ადამიანად, თუ ის ვინმეს დასჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის „მოაზროვნე" ცხოველად დარჩება.

2544. გონიერი ცხოვრება სულს აწრთობს, სხეულს აკაჟებს, სიბერეს ანელებს, მაგრამ დრო და შემთხვევა ყოველთვის თავის ადგილს მიუჩენს, დროულად იქნება ეს თუ უდროოდ.

2545. ჩვენი სიმდიდრე ნაცნობობაა, ურთიერთგაგება სიამოვნებაა, ხოლო საერთო გულისხმევით საქმის კეთება ჩვენი არსებობის გვირგვინია.
2546. სიავის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოზომილი სიკეთე და უკომპრომისო სიყვარულია საჭირო.
2547. ნორჩი სულის საჯალათო თუ საჭრეთელი სკოლაა, ყველაფრის კარგი გაგებით და გახსენებით.
2548. ყველაზე მოკლე გზა ჭეშმარიტებისკენ უკვდავებისკენ მისასვლელი სიმართლეა, რომლის კეთება, თქმა, ჭირს, მაგრამ საქმის, სიკეთის საკეთებლად აუცილებელი და შეუცვლელია.
2549. იღბალი, ბედნიერება, არ იყიდება, ის ან მოჰყავთ ან საკუთარი მცდელობით თავად გევლინება.
2550. ნამდვილ მეგობრობას პრაქტიკულად ალტერნატივა არ გააჩნია.
2551. თანამეინახეთა დროსტარებაა ის ერთადერთი შემთხვევა, სადაც ერთდროულად ორი ჭეშმარიტების თანაარსებობაა შესაძლებელი.
2552. ყველა დრო თავისებურად აფრენს, მატრაკვეცობს და აქ ასაკი და დაბრძენება არაფერშუაშია.
2553. დამარცხება წაგების ტოლი არ არის, რადგან გონიერი კაცისთვის მარცხი წარმატების საწინდარია და არა – რევანშისა.
2554. დამშვიდებული სინდისით პენსიაზე გასვლა მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც რაღაცის დატოვებას შეძლებ, რადგან ამქვეყნად ყოფნის აზრი რაღაცის კეთებაა.
2555. დებულება გაზომვით მოწმდება, თეორია – ცდებით, სიყვარული – შეჩვევით, ასე რომ, თეორია პრაქტიკის გარეშე მხოლოდ ოცნებაშია გამარჯვებული, რადგან შედეგი გაურკვევლობას ვერ იტანს.
2556. საქმე ქონებაში კი არა, მის შეგრძნებაშია, რადგან სურვილებს გონება განაგებს, ცხოვრებას – ადამიანის გული.
2557. გონებისთვის ციფრებით თამაში სულის მუსიკაა, ხოლო დანარჩენებისათვის სიტყვების მოსაბეზრებელი რახარუხი.
2558. გვესიზმრება არა ის, რაც გაფაციცებით გვახეტიალებს ჩვენს გაუგებარ რეალობაში, არამედ ის, რაც უსაქმურად დაყიალობს გონებაში, რადგან ცხადში ნაოცნებარის ძილში ზღაპრად ნახვის წინააღმდეგნი არ ვართ.
2559. ჭკვიან კაცთან საუბარი სასიამოვნოა, მაგრამ ძნელია მასთან ურთიერთობა თუ ამისთვის შენი გონება და სული მზად არ არის.
2560. კაპრიზი და დავა ხშირად გონიერების გამოხატვაცაა, პიროვნების გამოვლენაცაა და იმის შემოწმებაც რამდენად წესიერია როგორც ადამიანი.
2561. ცხოველს ადამიანისგან განსხვავებით ნებისყოფაც ყოფნის და საკვებს მაშინ ეტანება, როდესაც შია, ხოლო მისი უფროსი ძმა თავაშვებულია და უსაქმურობით უფრო მეტს ჭამს, ვიდრე სჭირდება, მიუხედავად ამისა, ერთს ცხოველი ჰქვია, მეორეს – ადამიანი, სადაც გონიერებაც იგულისხმება.

2562. გამოუცდელები, ბიუროკრატის კედელს თავს ურახუნებენ და ზოგჯერ გაანგრევენ კიდეც, გამოცდილები კი ამ კედელს ახლოსაც არ ეკარებიან და შორიდან უყურებენ თავად როდის დაინგრევა, მაგრამ იმ უკანასკნელთ ავიწყდებათ, რომ კაცობრიობა ამ დატეხილი თავების გარეშე ბიჯს წინ ვერ წასდგამდა.
2563. გონიერებიდან გამოწურული რისკი მეცნიერებაც არის, ეკონომიკური ბუმიც და კაცობრიობის პროგრესიც.
2564. ისტორია რომ სიყვარულზე და ძალადობაზე არ იყოს აგებული, არავის დააინტერესებდა.
2565. ის, ვინც იცის რა არის ფენომენი, უკვე ადამიანი არ არის, მამაზეციერთან წილნაყარია.
2566. მოხუცს თუ ბებრებთან ურთიერთობა და სიმარტოვე არ უყვარს, ის თავის ასაკის დამღვინებელია და მისთვის განკუთვნილი წუთისოფლის ნექტარის შესმას თავის გემოზე აპირებს.
2567. ბრბოს არ აჰყვე, ცხოვრება გაგიჭირდება, ამიტომაც მათთან უნდა იყო, მაგრამ შენს ჭკუაზე სიარულს უნდა შეეცადო და ისინიც აიყოლიო, რადგან არც ერთი სახის ჯანყს და დაპირისპირებას საბოლოო სასიკეთო შედეგი არ მოაქვს.
2568. სილამაზე ოცნების სასუსნავია, ძნელია მისთვის თავშესაფრის მოძებნა, იმდენად დიდია მასზე მოთხოვნა და მის მიმართ გაუცნობიერებელი ამბიციები.
2569. უგონობის ხაფანგში არ გაება ძნელია, რადგან სპეკულაციური ღირებულებების გადაფასებას თავს ვერ ანებებ.
2570. ნიჭიერებას რომელსაც ხშირად თავის ცოდნაში ეჭვი ეპარება თავისი საქმის ყველაზე პერსპექტიული პროფესიონალია.
2571. ღირსებასაც თავისი ღირსება აქვს, რომლის გაგება ხშირად სხვისთვის გაუგებარი და უაზრობაა.
2572. ღირსება სხვადასხვაა, მაგრამ მიზანი, ფულის შოვნა და კარგი ცხოვრება, ერთია ზოგის გაგებით.
2573. არის იდეები, აზრები, რომელთა გამხელა ფართო საზოგადოებისთვის შეუძლებელია, მაგრამ გონიერთათვის აუცილებელიც და საჭიროც.
2574. წუთის ფასს ჩვენი განწყობა და მისი გამოყენების ხარისხი განსაზღვრავს.
2575. გონიერება გადაჭარბებული ენერგიაა, რომლის შესაძლებლობას ვერც ადამიანის ფიზიკური ძალა განსაზღვრავს და ვერც მისი სულის ყივილი.
2576. უნამუსობა საზიზღრობაში რომ არ გადაიზარდოს, ზომიერების დაცვაა საჭირო.
2577. ქორწინება უბედური შემთხვევაა თუ ბედნიერი აუცილებლობა, კაცობრიობა დღემდე ბოლომდე ვერ გარკვეულა.
2578. გონიერება მხოლოდ ნიჭის რეალიზაციის შემდეგ მოდის.
2579. დიდ პიროვნებებს ხშირად დიქტატორული ქვეყნები ჰქმნიან, რადგან დემოკრატიულ ქვეყნებს კულტის შესაქმნელად არც დრო ჰყოფნით და არც ქვეყნის ლმობიერი კონსტიტუცია აძლევს ამის უფლებას.
2580. დროის მანქანა ყველა ჩვენს ოცნებას, მოგონებას, უკან მოისვრის და შიშველი რეალობის წინაშე დაგვაყენებს.

2581. ცივილიზაციას ჭკვიანი იდიოტები ქმნიან, მოხერხებული საქმოსნები იყენებენ, ხოლო მატიანეს გადაყოლილი ისტორიკოსები ყოველივე ამას აფეტიშებენ და ფასს ადებენ.

2582. თევზებიც გონიერი ადამიანებივით კვდებიან, ოღონდ უხმაუროდ და დანანების გარეშე.

2583. ხანდახან უსამართლობამაც უნდა ჭამოს პური, ზოგიერთი უგვანოს მისამართით.

2584. ბუნებას არაფერი არ ეშლება, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანის ვირეშმაკული აზროვნება მას ბოლომდე ვერ წვდება.

2585. ზოგის სტუმრობა მასპინძლისთვის დიდი დაფასებაა, მაგრამ ამ ოჯახის სასურველი სტუმარი არ არის, აქ თანამდებობისთვის განკუთვნილი გამორჩენითი გონიერება და კარიერის აჩრდილი ხარობს.

2586. რატომღაც სამყაროს ისინი ეძიძგილავებიან, რომლებსაც რაღაცა უჭირთ, ხოლო დალხინებულთ აზრი ათას სისულელეზე გაურბით, იმდენად აქვთ ცხოვრება მოყირჭებული.

2587. ჩვენ ყველას „ძლიერთაგან ამა ქვეყნისამან" ან თანამდებობა ან რაიმე ნებართვა გვჭირდება, მათ კი ჩვენგან მორჩილება და ქრთამი, თორემ, რატომ გარჯიდნენ მავანთ-მავანნი თავის უკანალს თანამდებობის სკამის სახეხად?

2588. საქმეს, რომელსაც პოხი უსვია, წაერთმევა თუ არა, მისი გასინჯვა-დაჭაშნიკება ყველას უნდა.

2589. ყველა ჩვენგანი შიშობს, რომ ცხოვრებამ გვერდზე არ მოისროლოს, არ გარიყოს და ამქვეყნად ყოფნა უმიზნო არ გაუხადოს.

2590. ჭკვიანებმა იციან თავისი ყველა უპირატესობა სულელებთან შედარებით, რომლებიც მათ პატივს არ სცემენ და ვერც ვერაფერს აგებინებენ, რადგანაც სისულელე და სიჭკვიანე სხვადასხვა ცნებაა და მათგან ჰიბრიდის მიღება შეუძლებელია.

2591. გონიერებას ყოველთვის სიკეთე, აღფრთოვანება არ მოაქვს, რადგან მას ბევრი ვერ იგებს, ეს კი ორივე მხარის განაწყენებას იწვევს.

2592. შეიძლება ყოფილმა ავტომანქანის ქურდმა უბრალო პატიმრიდან ავტოსალონის დირექტორობამდე დიდი გზა განვლო, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ამ განვლილი გზის მარშრუტი არ გავიწყდება, შეიძლება ერთხელაც შეგეშალოს და ძველი ადგილი მოინახულო, რადგან ამ გზაგამოვლილებს იმ გზის დავიწყება მოსვენებას არ აძლევათ.

2593. ბუნებამ ყველას თავისი თავდაცვის იარაღი გაუჩინა: მთებს – ზვავი, ოკეანეს – ცუნამი, მიწას – გვალვა, ქვეწარმავლებს – შხამი, ცხოველებს – სირბილი, ფრინველს – სიმაღლე, თევზს – სიღრმე, მხოლოდ ბუნების თავხედი შვილი, ადამიანი, დატოვა დაუცველი, რომელიც ამას არ იმჩნევს და ჭკუის წყალობით თავი ყოვლისშემძლე ჰგონია.

2594. სანამ ცოცხლები ვართ, ჩვენთვის სიკვდილი არ არსებობს, მოვკვდებით და მის გაგებას ვერ ვასწრებთ, ვიფრინოთ ამქვეყნად ჩვენს კუთვნილ წუთისოფელში უპა-

რაშუტოდ, რათა იმქვეყნად გადაბარგების ჟამს დედამიწას ისე დავენარცხოთ, რომ სიკვდილი ვერ შევიცნოთ, თორემ ფრენის შეწყვეტა და პარაშუტით ქვევით დაშვება ავადმყოფობასაც ჩამოგვატანინებს და სიკვდილის შეცნობასაც გვასწავლის.

2595. თავის შეცნობაა ყველაზე ძნელი, მაგრამ მისი შეცნობა იმ დონეზე მაინც უნდა მოხერხდეს, რომ თავს ხიფათი არ შევყაროთ და არ გავიუბედუროთ.

2596. ჩემი ნება რომ იყოს, ყველა ბინის აივანზე იმდენ დროშას გამოვკიდებდი, რამდენი ვაჟიც ჰყავს ოჯახს, რადგან თუ „ჩემი სახლი ციხე-სიმაგრეა", მაშინ მას თავისი დროშა, გერბი და დამცველებიც უნდა ჰყავდეს და ამის შესახებ ირგვლიმყოფმაც უნდა გაიგოს.

2597. რაც უნდა დიდი საქმე ვაკეთოთ, პატარა სიამტკბილობა არ უნდა მოვიკლოთ, რადგან ამის მოსურნე ასაკს, სურვილს და შესაძლებლობას უკან არავინ დაგვიბრუნებს.

2598. აზროვნებას თუ თავისუფალი დრო, სახსარი და სითბო სჭირდება, მოხერხებულობას ყოველივე ეს უზრუნველყოფილი აქვს, მაგრამ დროს ვერ ნახულობს, სახსარი არ ემეტება, რომ ჭკუის ჭყლეტისგან გამოყოფილ სითბოს გემო გაუგოს.

2599. ჭკვიანი კაცისთვის რწმენა დიდი ბედნიერებაცაა და უბედურებაც, რადგან ფაქტების უცილებლობის მიუხედავად მისი შეცვლა უჭირს.

2600. გადამძღარი კაცი პროგრესის მხოლოდ მომხმარებელია, რაც პროგრესის და ცხოვრების დონის ამაღლების თავისებური ხელის შეწყობაა.

2601. შენი გაბრაზება ვინმეს მიმართ ქაღალდზე უნდა დააფიქსირო, გაასწორო, რედაქტირება გაუკეთო, დააყოვნო და ამის შემდეგ გაგზავნო ან დახიო, ხოლო გაბრაზებულზე ნათქვამი მაჭარივითაა, ვარგისიანობაც ნაკლები აქვს და შედეგიც, ხოლო ნათქვამს აღარაფერი ეშველება.

2602. მოწყალების გაცემასა და სპონსორობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ცდილობს მოიკლოს ისე, რომ არ შეიმჩნიოს, მეორის მოკლება შეუმჩნეველია და მისდამი კეთილგანწყობილ სახელს იხვეჭს.

2603. კაცობრიობა დანახარჯების და ჯანმრთელობის თვალსაზრისით უნდა მიუდგეს, სპორტული სახეობების განვითარებას, რომელიც სხეულის დამახინჯების და სიცოცხლის შემოკლებასთან ერთად, სამყაროში სხვისთვის გადანაწილებულ პროდუქტებს შთანთქავს.

2604. დედები ერთმანეთს უნდა უფრთხილდებოდნენ, რათა სამყაროს ამბიციურმა მამებმა მათ შვილებს ერთმანეთი არ ამოახოცვინონ.

2605. შვილებს იმდენი ქონება უნდა დაუტოვოთ, რომ შენს ღირსეულ დასაფლავებას ეყოს, ანდერძი იმდაგვარად უნდა დაწეროთ. რომ ერთმანეთს არ დაერიონ და მის ფლანგვას ხელი არ უნდა მიჰყონ.

2606. თაობათა ურთიერთობაში საუკეთესო ვარიანტია ზღვარის დაცვა, რადგან ძალიან დაახლოვება დედიკოს შვილებს იძლევა, ხოლო დაშორება ვირიშვილებს.

2607. აანგელოზად ყოფნა ადვილია, თუ კარიერის კიბეზე შედგომა, სახრავის მოპოვება და ქალის ალერსი არ გჭირდება.

დემოკრატია

2608. დემოკრატიის ატრიბუტებია – ოპოზიცია, ტერორი. დიქტატურის – რევოლუცია, ტერორი. სოციალიზმის – სიყვარული, სიძულვილი, ტერორი. სწორედ ტერორის მოთმენა ხალხის გამოუსწორებელი უგუნურებაა და არა ფორმაციის შეცვლა, რომელიც საზოგადოების განვითარებას მაინცდამაინც არ ესაჭიროება.

2609. დემოკრატიის ნაკლი ის არის, რომ ყველას თავისებურად ესმის. სინამდვილეში დემოკრატია მოწოდებულია ჯანსაღი ოპოზიციის, კანონების განხორციელების, სახელმწიფო მექრთამე მოხელეების წინააღმდეგ, ხალხის დასაცავად და არა სალაყბოდ, ქაოსის, უნდობლობის, ქვეყნის, ძალის და ავტორიტეტის გამოსაცდელად.

2610. მართვადი დემოკრატია შვილიშვილია დიქტატურის, რომელსაც გამოცდილების რქები ჯერ არ ამოსვლია და ჯერჯერობით უზრუნველად დაკუნტრუშებს.

2611. აქამდე ისტორიას პიროვნებები და დიქტატორები ქმნიდნენ, ხოლო დემოკრატების ხვედრი იყო კრიტიკა და სახელმწიფოს ნგრევა, როგორც დღეს ირკვევა, არც თუ უანგაროდ.

2612. საყოველთაო დემოკრატიული ძმობის ილუზია მაშინ დამთავრდა, როდესაც "ნატოს" ქვეყნებმა, ამერიკის თამადობით, იუგოსლავიის ბომბებით ჭკუის სწავლება დაიწყეს, რადგან თურმე არც დემოკრატია არსებობს ძალისა და "კანონიერების" გამოყენების გარეშე.

2613. ყველა დემოკრატია ფულის და კანონიერების დაცვის გარეშე მორიგი ბლეფია.

2614. ჩვენზე ანგელოზები მაშინ იცინიან, როდესაც ღმერთს სძინავს და ვერ ხედავს, ან არ უნდა დაინახოს, ყბადაღებული დემოკრატიის პრინციპების დაცვის მიზნით როგორ ხოცავს ხალხი ერთმანეთს შიმშილით.

2615. დემოკრატია არის ხალხის რეალური გამომზეურება, ხოლო დიქტატურა ამ ცოდვების დაფარვის მცდელობა.

2616. თვითნებობა და ანარქია დემოკრატიის ლოზუნგით მაშინ არის გამართლებული, თუ ის სიმშვიდეს და ხალხის ინტერესებს არ არღვევს.

2617. დემოკრატია გონიერების მეფობას არ წყალობს, ხოლო მეფე – გონიერებას, ამ გაკვეთილებით გამოვლილი დაბნეული საუკუნეების გონიერება კვლავ ძალას ეთაყვანება და არა – ცხოვრების გამოცდილებას.

2618. დემოკრატია ეიფორიაა, მაგრამ ადამიანი ჭეშმარიტების ძებნის გარეშე მაინც ვერ განვითარდებოდა.

2619. დემოკრატიის პერიოდში მისაბაძი პიროვნების ცხოვრებას თავისუფლების დემაგოგიური ქადაგება და ქვეყნის უხიაგი მართვის მცდელობა უშლის ხელს.

2620. ქალის და მამაკაცის რეალური თანასწორუფლებიანობა დამოკიდებულია ერის კულტურაზე, მის მენტალიტეტზე და იმაზე, თუ ქვეყნის ეკონომიკა რა დონეზე აფინანსებს დემოკრატიის სახელოსნოს.
2621. დემოკრატია, მკაცრი პასუხისმგებლობაა შენი ამომრჩევლების წიანაშე და მოჩვენებითი უპასუხისმგებლობა ოპონენტების მიმართ.
2622. შინაგანად კონსტიტიციური დემოკრატი, გარეგნულად პოლიტიკური ექსტრემისტი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპოზიცია გადათელვას მოუნდომებს.
2623. ხანდახან გადამეტებით განათლებაზე და დემოკრატიაზე თავდადება ვნებს სახელმწიფოს ინტერესებს, რადგან პირადს ნაკლები ყურადღება ექცევა.
2624. ძნელი სათქმელია, რომელი ჯობს, დემოკრატია, კანონიერება თუ წესრიგი, მაგრამ გადამეტებული ყველაფერი მოსაბეზრებელია.
2625. ინტელიგენცია ეჭვის, კამათის, ჭორის გარეშე ვერ იარსებებს, ეს კი ყოველთვის კარგად არ მოქმედებს დემოკრატიული იდეების დაცვაზე.
2626. დემოკრატია და სამართლიანი წყობა მაშინ არის, როდესაც ხალხი ღირებულების ფარგლებში და ღირსების შეგრძნებით ცხოვრობს.
2627. დიქტატურა ცრუ კერპებს ჰქმნის, ხოლო დემოკრატია თავად იკეთებს რეკლამას და კერპი ხდება.
2628. დემოკრატია ცუდი მმართველია, მაგრამ დიდი იმედების მომტანი.
2629. აბსურდია, როდესაც დემოკრატიას არ ვაგინებთ და არ ვაღიარებთ დემოკრატიის შედეგად მიღებულ გინების უფლებას.
2630. დემოკრატიას კანონის გამკაცრება არ ვნებს და არც ღირსებას შეულახავს, მაგრამ მას დიდად ვნებს მისი დემაგოგიამდე დაყვანა თავისუფლების, თავაშვებულობის მოშველიებით.
2631. დემოკრატიის ნორმები მიუღებელია, თუ ისინი უარყოფითად მოქმედებენ ადამიანის აღზრდაზე.
2632. დღეს ჩვენთან დემოკრატია უფრო მეტად ბაზარია, მაგრამ მისდა გასაოცრად, ხანდახან საქმეც გამოსდის.
2633. დემოკრატია, თავისი მომხიბვლელობის მიუხედავად, თავზე მაინც კარიერისტებს და ბიუროკრატ მლიქვნელებს ისვამს.
2634. დემოკრატია მასების ჭიდილია, შეჯიბრია – იქნებ ბრბოს რაიმეს გამორჩნენ.
2635. დემოკრატია ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ძალაუფლებაა, ოღონდ გააჩნია, ვინ როგორ გამოიყენებს.
2636. ცივილიზაციის მონები ყველა დემოკრატიულ ავანტურაზე თანახმანი არიან, ოღონდ ყველანაირ სიახლეს ეზიარონ, იმას აღარ დაგიდევენ, კარგია თუ ცუდი.
2637. დემოკრატია იმ ლამაზ ქალს მოგვაგონებს, რომლის ათვისება გვინდა, მაგრამ ეს ჩვენს ძალებს აღემატება.
2638. მდედრის და მამრის დემოკრატიულ საწყისებზე ჩამოყალიბებული ურთიერთობა მოვალეობად არ უნდა იქცეს, ვნების გაღება ხარკის გადახდას არ უნდა

ემსგავსებოდეს, რადგან ხარკს დამონებულნი იხდიან, ხოლო მონას კი არავინ არაფერს ეკითხება, ისე ყიდიან.

2639. ბუნებას, მისი გადამეტებული ექსპლუატაციისა და პლანეტის მოსახლეობით გადატვირთვისთვის, კაცობრიობის დასჯის მეტად ორიგინალური და სასიამოვნო ხერხი აქვს. მან ქალისა და მამაკაცის სიყვარული მოგვივლინა საჭურისობის და ლესბოსელობის სახით, ნარკომანიასთან, შიდსთან, ალკოჰოლთან, სიგარეტთან და ათას სხვა ვირუსთან ერთად და მისი კულტურის ბაცილის დანერგვას შეუდგა დემოკრატიისკენ მიმავალ, ვითომცდა ცივილიზებულ, სახელმწიფოში.

2640. დემოკრატიის პრინციპების თვალსაზრისით, ნარკომანს უფლება აქვს თავის ჯანმრთელობას ისე მოექცეს, როგორც ის ჩათვლის საჭიროდ, მაგრამ რა ვუყოთ იმ კრედიტებს, რაც მას სამშობლომ და მშობლებმა მისცეს აღსაზრდელად, ასე ხომ ვერ შევახავისთავებინებთ, მაშინ სახელმწიფო გაკოტრდება და გაქრება, თუ ყველასგან ვალების ამოღებაზე ხელი ავიღეთ.

2641. რადგანაც დემოკრატიას სათანადოდ აღზრდილი შვილები სჭირდება, სამწუხაროდ ის ყოველთვის წესიერების დედად ვერ გამოგვადგება, მითუმეტეს, თუ აღსაზრდელებს ძველი ცხოვრების წესი აქვთ გამოყოლილი და თვალი სულ წაცუღლუტებისკენ გაურბით, ხოლო სხვებს წესიერებაზე, მორალზე და ძმობაზე ეღადავებიან.

2642. დღეს კაცობრიობას დემოკრატიის, თანასწორუფლებიანობის სტატუსით მატრიარქატი ისე ეპარება, რომ მამაკაცები თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებენ, ისე აღმოჩნდებიან ძლიერი სქესიდან სუსტი სქესის სტატუსში.

2643. ყველა თაობამ სამართლიანობა თავის თაობასთან უნდა გაარკვიოს, რადგან რწმენა, აღზრდა, გარემო პირობები, საერთო ჰქონდათ და აქედან გამომდინარე, ცხოვრების ხედვაც და დემოკრატიაც.

2644. სათანადო დაწყებითი განათლების უქონლობამ დემოკრატიის გაკვეთილები ძალზე გაგვიგრძელა და უინტერესო გახადა, რადგან საგნები: ეკონომიკა, მენეჯმენტი, ტექნოლოგიური პროგრესი, საბანკო საქმე და წარმოება, ჩვენთვის დაუძლეველი გახდა.

2645. სიცილი არა მარტო სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს, არამედ ჩვენი დამოუკიდებლობის, ბედნიერების და მომხიბვლელობის დემოკრატიულად გამომხატველიცაა.

2646. ყველა ისტორია ნაღვლიანია, მაგრამ ზოგს ეხერხება მისი გამოცოცხლება, გამხიარულება და გადემოკრატება.

2647. დემოკრატიის დროს განგების თვალი ხალხის ხედვას უნდა დაემთხვეს, მაგრამ ხანდახან თუ არ შევანჯღრიეთ ეს ნანატრი დემოკრატია, ნარცისიზმით დაავადდება და ყოველივეს თავდაყირა დააყენებს. მის ადგილზე დასაბრუნებლად კი ყოველგვარი სისაძაგლის გავლა თავიდან დაგვჭირდება.

2648. ლარივით პირდაპირობა და სიმართლე, მოგეცა ლხენა, კარგია, მაგრამ თანამედროვენი ვერ გაგიგებენ და დაგღუპავენ დემოკრატიის სახელით.

2649. მოჭარბებული ღმერთმა ყველაფერი გვაშოროს, მათ შორის, ისეთი დემოკრატიაც, რომელიც პრეზიდენტს იმასაც კი უკიჟინებს, ქალებს ნუ ეტრფით, ხელზე ნუ ეამბორებით, ნუ ულიმით, თორემ, ამით მათი სქესის სისუსტეს ხაზს უსვამთ და მათ ინტერესებს ლახავთო.

2650. პატიოსნება სათუო სიკეთის მომტანია, მაგრამ დემოკრატიული საწყისების გაუთვითცნობიერებლად სიმართლის პირში მიხლისთვის და მოწესრიგებული ცხოვრებისთვის ადამიანები მზად არ არიან.

2651. როგორც ირკვევა, დემოკრატიული ცენზურა მაინც საჭირო ყოფილა, რათა გზა გადაუღობოს ამდენ ვიგინდარა ხელოვანს.

2652. საზოგადოებისათვის წესრიგი და კომპრომისი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყბადაღებული დემოკრატია და შიშველი სამართლიანობა.

2653. სიკვდილის შემდეგ ცარიელი რეაბილიტაციის მიღება, სახელმწიფოს დემოკრატიისაგან გადახრას მიუთითებს და მეტს არაფერს.

2654. თანამედროვე ცივილიზაცია დემოკრატიისკენ მიისწრაფის, მაგრამ არა განუსაზღვრელად, რადგან ეს საზოგადოება საფრთხეს უქმნის.

2655. საოცარია, მაგრამ როდესაც ქვეყანაში ცხოვრება აწყობილი აქვთ, კანონებზე, მორალზე, ტრადიციებზე, წესიერებაზე გარეგნულად ჭკუა-ნაღრძობებად გამოიყურებიან, განსაკუთრებით მათთვისაა გაუგებარი მათი მენტალიტეტი, ვინც მათი ცხოვრების დონეს ვერ მიაღწია და დემოკრატიის პრინციპები ვერ გაითვისა.

2656. კომუნიზმის მშენებელი მაღალი იდეების მქონე ხალხისთვის მღვდლობა და ეკლესიაში სიარული აკრძალული იყო. დღეს სწორედ ეს ხალხი დაეთრევა ეკლესიაში და ზოგი მღვდლად კურთხევასაც ცდილობს, ზოგიც რწმენის გამოუსწორებელი დამცველია. ამით რომ დემოკრატიაც დასცინიან ამას არაფრად აგდებენ.

2657. მოთმინებასაც თავის ოფოფები ჰყავს, მაგრამ არა ყბადაღებული ფსევდოდემოკრატიისკენ მისწრაფებაში, რომელიც გარემოებათა გამო, დემოკრატიას ამოფარებული დემოკრატიით შეიცვალოს.

2658. თავისუფლების ხარისხის მაჩვენებელი: მოთმინება, დაყვავება და პიროვნების თავისუფლება ცივილიზაციის ცინიზმის უმაღლეს საფეხურთან მიახლოვებაა, რომელიც დაფიქრებას და განსჯას მოითხოვს, რადგან კაცობრიობა და მისი დემოკრატიული გონიერება საფრთხის წინაშეა.

2659. დემოკრატიულ ქვეყნებში უბედობას მივყავართ მთავრობის სადავეებთან, დიქტატორულში – სიჩუმეს, მაგრამ სისხლის-სამართლის პასუხისმგებლობას არც ერთი არ ითვალისწინებს თუ საქმეს უგანე და დანაპირები არ გამოგდის.

2660. ბიზნესში მეგობრობას ნდობის კრედიტის მრავალჯერადი შემოწმება-გადამოწმება განსაზღვრავს, ხოლო დემოკრატიულ, დაუძალებელ ნაცნობობას არც ვალი ჭირდება, არც ვახში და არც შემოწმება, რადგან ის სულების სიახლოვეზეა აგებული, რომელიც ან გვაქვს ან არა.

2661. ყველაზე მკაცრ დიქტატორსაც არ შეუძლია ადამიანის ყბედობის აკრძალვა, რადგან ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნილების ხელყოფაა.
2662. XXI ასწლეული ბიზნესის, გარყვნილების და სამართლიანობის ძებნას გადაყოლილი საუკუნეა, რომელიც დემოკრატიაზე და პროგრესზეა დაფეთებული და რამდენ სისულელეს ჩაიდენს, არავის უწყის.
2663. დემოკრატია სხვისი უფლებების, საქმიანობის პატივისცემაა, და საზოგადოების მიერ მიღებული კანონების და ტრადიციების მიმართ ანგარიშის გაწევაა.
2664. დემოკრატიასთან კონტრაქტით ყველაზე მეტად სარგებლობს საყოველთაო სპეკულაცია, ჩაუძირავი ძალაუფლება და ვაჭრობა, რომლებიც თავს ყველგან და ყოველთვის კარგად გრძნობენ.
2665. სიმართლის თქმა მაშინ არის კარგი, როდესაც მისი მოსმენა სურთ, მაგრამ სად გინდა ისეთი ჯანმრთელი სიმართლის ნახვა, რომლის ცოდნა უმრავლესობას ასიამოვნებს, მაშინ როდესაც თავის მიმართ სიმართლის თქმას დემოკრატიაც ერიდება.
2666. დემოკრატია მართვადიც არის და თავისუფალიც. იგი თავად არაფერს ნიშნავს, თუ მას დაღვინება, ტრადიციები და ცხოვრების გამოცდილება თან არ ახლავს.
2667. გარყვნილება დემოკრატიის გილიოტინა, რომლის უყურადღებობითაც მრუშობამ ფეხი გაიდგა.
2668. დემოკრატია, აღსრულებითი კანონების და შემოქმედებითი ეკონომიკის გარეშე არარაობა და დაცინვის ობიექტიც ხდება და თავსაც საფრთხეში იგდებს.
2669. დემოკრატიამ ყურით მოთრეულ ღირებულებებს არ უნდა გადააყოლოს წესრიგის დაცვის მცდელობა, ეკონომიკა და პოლიტიკა.
2670. სხვისი ფრთებით შემოტანილი, ხმას აყოლილი დემოკრატია, ყველაზე საშიშია იმ ქვეყნისათვის, სადაც ეს უცნობი ჩიტი დაფრინდება, რადგან არ იციან მას როგორ მოეპყრან.
2671. დემოკრატია გონიერი ნაციონალური ინტერესების და სახელმწიფოებრიობის შეჯერების გარეშე არარაობაა.
2672. აშშ-ს ფუყე დემოკრატია „გაეროს" სანქციის გარეშე დაწყებულ ომებში გამოჩნდა, მისი გამარჯვების იდეოლოგია, მომავლის გათვალისწინებით, გაცილებით წამგებიანია მისი იმიჯისთვის, ვიდრე ის ეკონომიურ ხეირი, რასაც სხვა ხალხების აზრის ფეხებზე დაკიდების შედეგად მიიღებს.
2673. დიქტატორის, ძალადობის მონატრების ფენომენი ფსევდოდემოკრატიაა, რომელიც ვალად აღებულ კრედიტებს თავის ანგარიშზე მიითვლის, ხოლო ვალს ქვეყანას და მომდევნო თაობებს აჰკიდებს.
2674. დემოკრატია პროცედურაა ხალხის მომსახურების სურვილისა და არა ის, რაც შენ გინდა გაინაღდო და წახვიდე.
2675. დემოკრატიის შენებას პირველ რიგში გამოცდილი ნიჭის მქონე მშენებელი სჭირდება და არა ამბიციების მქონე პოლიტიკოს–არქიტექტორები, რომელთა რაოდენობა უხიაგ ქვეყანაში თანდათანობით იზრდება.

2676. დემოკრატიული მმართველობა, დიქტატორული მმართველობისგან იმით განსხვავდება, რომ პირველს ყბედობის ინსტიტუტი მოწესრიგებული აქვს, მეორეს ეს სასწავლებელი არ სჭირდება. მაგ. პრეზიდენტმა გთხოვათ თუ დროს გამონახავთ ხვალ 12 საათზე მობრძანდით ჩემთან შესახვედრადო, ალბათ, თქვენ უკვე გამოიჩინეთ მოწყალება და ხვალ დანიშნულ დროს მიბრძანდებით და თქვენს თანხმობას ავღნიშნავ, რომ შეხვედრაზე უარს არ ამბობთ. ხოლო მეორე მხარე აკონკრეტებს – ხვალ 12 საათზე პრეზიდენტთან იქნებით. მართალია, შედეგი ერთია, მაგრამ აღზრდა, მოვალეობის შეფასება, მენტალიტეტი და პროცესის წარმართვა სხვადასხვაა.

2677. საოცარი ხალხია დემოკრატები, სიტყვით თავის წინაპარს მათ მიერ ჩადენილი ყაჩაღობისთვის კიცხავენ, მაგრამ მათ დანატოვარს ფრჩხილებით ებღაუჭებიან, დღევანდელი აშშ და რუსეთი არ აპირებენ კოლუმბის და ერმაკის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების აბორიგენებისათვის დაბრუნებას.

2678. პრესა სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ თავიდან ოპიუმია, შემდეგ საწამლავი ხდება და ბევრსაც გადაიყოლებს. დემოკრატიის ხელში კი – პრესა თავიდანვე საწამლავია, ყველას წამლავს, მაგრამ არა – მომაკვდინებლად, რადგან საზოგადოებას მის წინააღმდეგ იმუნიტეტი აქვს გამომუშავებული.

2679. ერი და პიროვნება პარალელურად უნდა განვითარდეს, თუ გვინდა შევქმნათ დემოკრატიული და არა პატარა კულტების სახელმწიფო, რომელიც სამწუხაროდ, დემოკრატიის დამკვიდრებამდე ხშირად აუცილებელიცაა.

2680. დემოკრატია ყველა მოქალაქის უბედობას და ჭკუის გამომზეურების მოსმენას მოითხოვს, მაგრამ პრაქტიკულად ის იმ საინფორმაციო საშუალებებით სარგებლობს, ვისი ყბედობაც დივიდენდებს იძლევა.

2681. ზოგიერთი ძალად დემოკრატი „ერმაკს" ბანდიტს უწოდებს, ივანე მრისხანეს – მეფეს, ხოლო მთავრობის ხელმძღვანელს, რომელმაც მრავალი მილიარდი ტყუილად გადაყარა შეიარაღებაში – პრეზიდენტს, მაგრამ არავის არ უნდა იმის აღიარება, რომ საზოგადოების სწორი განვითარების გზა კომპრომისია და არა ისტორიის ნაგვის ქექვა.

2682. ჩვენი დემოკრატიის ნაკლი ის არის, რომ ვითომდა კოლექტიურად მიღებულ მცდარ გადაწყვეტილებებზე პასუხისგება არავის უნდა, ამიტომაა, რომ ავანტურისტი სახელმწიფო მოხელენი დაუსჯელად რჩებიან, რადგან დემოკრატია ქრთამმიუღებელ წილში უზით.

2683. დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი პირობაა: ეკონომიკის სიძლიერე, სრულყოფილი კანონმდებლობისკენ სწრაფვა და გარდაუვალი აღსრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ სამართლიანობაზე ზურგამოფარებულ გამოძალვას, მექრთამეობას და რეკეტს.

2684. დემოკრატია ისეთივე ფიქციაა, როგორც დიქტატურა – გააჩნია, ვინ მართავს სახელმწიფოს, რა ნიჭის და გაქანების ხალხი დგას სათავეში, როგორ ესმით მათ ხალხის სამსახური, ეჩოსავით ყოველთვის თავისკენ მიითლიან, თუ ხალხსაც უწილადებენ თავიანთი მართვის შედეგს.

2685. არ არსებობს შემოსავლიანი კრიმინალური საქმიანობა, რომლის წილშიც თუ დემოკრატიულ მთავრობას გაიყვან, ხელი არ მოგიმართოს, ხოლო ჩინოვნიკს თუ ქრთამს მისცემ, ეს საქმიანობა რომ არ გაამართლოს.

2686. ნაპოლეონი და გორბაჩოვი თავიანთი აზრების გასახორციელებლად ხალხში რეფერენდუმებს ატარებდნენ. პირველმა საფრანგეთის სიძლიერეს მიაღწია და ისე დაამხეეს, ხოლო მეორემ ვერაფერს ვერ მიაღწია, ისე გადადგა, მაგრამ ორთავენი ისტორიაში შევიდნენ როგორც დიდი რეფორმატორები. ამის მიზეზია დემოკრატიული პრინციპების გატარება და ბრბოს უგვანობა.

2687. გულის კუნჭულში ხელმოცარულ დემოკრატიას სტალინი მოსწონს. დღევანდელი ანარქიის პირობებში მის გადამჭრელ ღონისძიებებს ბევრი სიამოვნებით გამოიყენებდა, მაგრამ ამისათვის მათ შორსმჭვრეტელობა და ქვეყნისათვის თავდადება აკლიათ.

2688. დღეს სამყაროს დემოკრატიული ჰუმანიზმი ასეთია: სიკვდილმისჯილს მკურნალობის სახით ჯერ მეჭეჭი უნდა მოამორონ, შემდეგ დასჯის სახით – თავი, იმის მაგივრად, რომ თავიც შევუნარჩუნოთ და მეჭეჭის წარმოშობის წინააღმდეგ მათზე ცდები ჩავატაროთ, რადგან სიკვდილს და დემოკრატიული ჰუმანიზმით შეთითხნილ კანონს ყველაფერი ჯობს.

2689. როდესაც ადამიანებს ერთმანეთში მოლაპარაკება არ შეუძლიათ მთავრობის გარეშე, პირველ რიგში ეს მათ უკულტურობაზე მიუთითებს და არა დემოკრატიის პატივისცემაზე.

2690. არის დემოკრატია, სამართლიანობა, კანონი. არის მათი „გაბახების" მცდელობაც, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერას გახდება, თუ წესიერებას გადამეტებული პუნქტუალობით დავიცავთ.

2691. იდეოლოგია ყველა ქვეყანაში უნდა მეფობდეს, მაგრამ არ უნდა მართავდეს, თუ გვინდა პრესტიჟული, დემოკრატიული სახელმწიფოს მიღება.

2692. ცხოვრების ფსკერზე აღმოჩენილ ადამიანებს თავის ჭკუაზე ცხოვრება სიცოცხლეს უმოკლებს, სახელმწიფოს ჭკუაზე ყოფნა სიცოცხლეს უხანგრძლივებს, მაგრამ ამას დემოკრატიის და თავისუფლების ინსტიტუტი ადამიანის უფლებების დისკრიმინაციად თვლის.

2693. ყველა საუკუნეს თავის ვირეშმაკა შეუჩნდება, ამიტომ არც რომის იმპერიის დანგრევა არ უნდა გვიკვირდეს, არც შუა საუკუნეების ინკვიზიციის ფარფაში და არც აშშ თავაშვებული თარეში, რომელიც ყოველივეს ყასიდად, დემოკრატიის და თავისუფლების მონაპოვრის დასაცავად სჩადის.

2694. დემოკრატიასაც თავის ხუშტურები აქვს. წინათ გიჟი იყო თავისუფალი კანონმდებლობისგან, დღეს ყბედი და პოლიტიკას მიტმასნილი ხალხი და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ გიჟს უფრო მეტ პასუხს სთხოვენ, ვიდრე პოლიტიკაში გარეულ ყბედს.

2695. დემოკრატიის დროსაც სამართლიანი და მისაღებია ის კანონი, რომელიც ქვეყნის ძლიერებას და აყვავებას ემსახურება, როგორი ჭორებითაც უნდა იყოს შეზავებული.

2696. დემოკრატია დროის ყივილია და ყოველთვის სახელმწიფოს მოწყობის მოდელად არ გამოდგება, რადგან მას ეროვნულობის ძირი არა აქვს და სანამ გაიკეთებს, დემოკრატიის ხეც ხმობას იწყებს, ისევ საძებნი ხდება იდეოლოგიის სხვა ნერგი, რომელიც ერის ინტერესებს, ტრადიციებს, ეროვნულ ღირსებას არ უნდა უპირისპირდებოდეს.

2697. ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს ძირი რევოლუციის ჭირი იყო, რის გადატანის შემდეგ აქაც მთავრობა ხდება ლეგიტიმური და ქვეყანა იწყებს აღმავლობის გზაზე სვლას.

2698. დიქტატორულ ქვეყანაში სიტყვისთვის სიკვდილით სჯიან და ამით მათ უკვდავებას უზრუნველყოფენ, დემოკრატიულში კი იმავე უბედობისთვის ამას არავინ გაღირსებს.

2699. დიქტატურიდან განსხვავებით, დემოკრატიის გაუპატიურება ადვილია, მაგრამ უბედურება ის არის რომ ამას შემთხვევითი უგვანონი ცდილობენ.

2700. დემოკრატიის პრინციპებს კი არ უნდა გადავაყოლოთ საქართველო და ქვეყანა ნგრევის პირას კი არ უნდა მიიყვანოთ, არამედ მისი სასარგებლო და თქვენთვის გასაგები პოსტულატები უნდა გამოიყენოთ ქვეყნის ასაყვავებლად.

2701. დემოკრატია ის რომანტიკოსია, რომელიც ზომიერებას ვერ იცავს, ის მოქმედებს და ისეთ კანონებს იღებს, რომ საკუთარ თავს საფრთხეს უქმნის და შესაძლებელია ყველაფერი თავიდან დასაწყები გაუხდეს.

2702. გამჭოლ ქარზე აღზრდილ ერს ინგლისელები დაარქვეს, ყინულზე გაზრდილებს – ესკიმოსები, ღვინოზე აღზრდილებს – ქართველები, დათვებმა აღზარდეს რუსები, კენგურუებმა – ავსტრალიელები და ასე შემდეგ. მაგრამ რა კლიმატურ პირობებში და რა ცხოველთა სამყაროში აღიზარდა ჩვენი მომხიბვლელი, უხიაგი დემოკრატია, რომელმაც ვერც წესრიგი დაგვიმყარა და ვერც ქვეყნის ეკონომიკას დაადგა თავი.

2703. გამოუცდელ დემოკრატს ყველაფრის კეთება უნდა, ყველას უნდა ასიამოვნოს, პირველ რიგში, თავის თავს. ბოლოს ცხოვრების გამოცდილება არ ჰყოფნის, პირველივე წინააღმდეგობისას, ყველაფრის დაკარგვის შიშით, გამოუსწორებელ მექრთამედ იქცევა და ბოლოს ქვეყნის საჭურისად გვევლინება.

2704. დიქტატურის და ტოტალიტარიზმის დროს ყველაზე მეტად ფულის ქურდობით გამდიდრებულ მედროვეს უნდა ეშინოდეთ და ყველაზე მეტად მათ უნდა დაიცვან დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება და კანონის დიქტატურა, რათა ნაპარავი ქონებიდან რაღაც შერჩეთ.

2705. ზოგს პიროვნებად და მოღვაწედ თავისი ქვეყნის დიქტატორული წყობის წინააღმდეგ შებრძოლება ხდის, ხოლო დემოკრატიულ სახელმწიფოში ის ფართომოხმარების ჩვეულებრივი ობივატელი იქნებოდა და თავისი ნიჭით ამქვეყნის ისტორიაში ჩვეულებრივ მოკვდავად შევიდოდა.

2706. მოუმზადებელ დემოკრატიას მისი პრინციპები დემაგოგიამდე დაჰყავს, ქვეყნის მმართველობა კორუფციამდე, ამიტომ მათი შეჯერება-შეჯახება აუცილებე-

ლია გამოცდილების მიღების მიზნით, რის შედეგადაც ქვეყანა თანდათანობით თავისუფლებისა და კანონის პატივისმცემელ სახელმწიფოდ გადაიქცევა.

2707. უფულო დემოკრატია მისი პრინციპების დასაცავად ვერ გამოდგება.

2708. დემოკრატიულ ნორმად უნდა ჩაითვალოს, თუ აღსაზრდელის დასჯაზე მეტად პედაგოგის დასჯა ამართლებს.

2709. უძალო და მოუმწიფებელი დემოკრატია ყველაზე უღიმღამო ფორმაა სახელმწიფოს მართვისა, რადგან ხალხი იმასაც კარგავს, რითაც თავი მოსწონს და რისთვისაც თავის ქვეყანა უყვარს.

2710. ჩვენი დღევანდელი დემოკრატია შედეგით არაფრით განსხვავდება ტოტალიტარიზმისგან, რადგან ხალხი მაინც იმ ვიგინდარას წამოისვამს კისერზე, ვინც ამის ღირსი არ არის.

2711. დემოკრატიზმს ამოფარებული დემაგოგია ნარკოტიზმის, უგუნურობის და ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად არ გამოგვადგება, რადგან ის ჩვენი უმწიფარი თაობის ცუდი მაგალითის მაჩვენებელი, გადამდები დაავადებაა, რომელიც ახლობლების ჯანმრთელობის შერყევას და გადაგვარებას ემუქრება. აქ კაცთმოყვარეობაზე, კეთილგონიერებაზე და შემწყნარებლობაზე ლაპარაკი არ გამოგვადგება.

2712. ზოგს ამბიციების დასაკმაყოფილებლად ფსევდოდემოკრატიულ სახელმწიფოში ურჩევნია ცხოვრება, ვიდრე კანონის დიქტატურის მქონე ქვეყანაში. ამასთან, თავისი ყბედობით, უსაქმურობით, მისდაუნებურად ხელს უწყობს დემოკრატიულ ღირსებათა გაუფასურებას დიქტატორული რეჟიმის დასამყარებლად და სინდისის ქენჯნასაც არ განიცდის.

2713. "პატრიარქატად" გადაკეთებული სამყარო დღეს მდედრს არ აწყობს, ეტყობა არც "მატრიარქატი" იყო დიდი ხვითო. ეხლა ცდილობენ საერთო ძალებით დემოკრატიული "ჰერმოფროდიტის" ოქროს შუალედი შექმნან, მაგრამ როგორც ყოველთვის, გვავიწყდება რომის იმპერიის და მისი ღმერთების ნგრევის მიზეზები, სამყაროს განვითარების სპირალური კანონზომიერება და ის, რომ ყოველივე თავიდან იქნება დასაწყები.

2714. დემოკრატია და მართლმსაჯულება სხვადასხვაა, მაგრამ ერთმანეთის გარეშე მათი არსებობა წარმოუდგენელიცაა და მიუღებელიც.

2715. სახელმწიფო დემოკრატიაა, როდესაც ყველაფერი მკაცრ წესრიგს ემორჩილება, რათა ყველაზე დიდი, ჩვენი ქვენა მსაჯული ბუნება არ გავაბრაზოთ და არ გადავიკიდოთ.

ებრაელები

2716. დაუშვათ, უცნობი ნიჭიერი ებრაელის კინო-სცენარი ღირს 100 დოლარი, რეკლამას პროდიუსერის წინაშე უკეთებენ სხვა ცნობილი ებრაელი სცენარისტები და აიძულებენ დამკვეთს 10-ჯერ მეტი გადაიხადოს და ეხმარებიან ამ ნიჭიერ კაცს მაყურებლისთვის დასამახსოვრებელ სცენების არანჟირებაში. შედეგად ყველა მოგებულია: სცენარისტი თავის კეთილმოსურნეებთან ერთად ინაწილებს გადიდებულ ჰონორარს, პროდიუსერი დიდ მოგებას და მაყურებელი ღებულობს კარგ ფილმს. ქართველები ამ პროცედურას უკუღმა გააკეთებდნენ. ფილმი შეიძლება ნიჭის წყალობით კარგი გამოსულიყო, მაგრამ მოგების გარეშე.

2717. გერმანელ ფაშისტ ჯარისკაცს რკინის ბალთაზე ეწერა – „ჩვენთან არს ღმერთი", რეიხში კი სხვა ნაცისტი ამბობდა – „ებრაელი ვინ არის, ამას მე ვადგენ". მაგრამ, მთავარი ის კი არ არის, რისი თქმა გვინდა, მთავარია, თქმის შედეგად რას ვიმკით.

2718. ებრაელები სხვის ქვეყანაში ვერაფერ ღირსშესანიშნავ აშენებულს ვერ ტოვებენ, რადგან ისინი ყოველთვის იმ დარგის ამოქაჩვას ჰკიდებენ ხელს, რომელშიც სხვები მოგებას ვერ ნახულობენ. ამ დარგის ფინანსურად გზაზე დაყენება დიდ ენერგიას მოითხოვს, ამიტომაა რომ სახელმწიფოს რჩება გზაზე დაყენებული დარგი, ხოლო ებრაელებს – ამდენი წვალების შემდეგ ნაშოვნი ფული.

2719. ფული სახელმწიფო აპარატში მამაძაღლობით იშოვება, ამიტომაა რომ ებრაელები ამ ხალხთან მეგობრობენ და "სასუსნავი" ადგილის დაკავებას ცდილობენ. შედეგად სახელმწიფოს ეკონომიკა ამდენ ქურდობას და განუკითხაობას ვერ უძლებს. ბრბოს დამნაშავე სჭირდება და ებრაელებს სახელმწიფო დანაშაული ბრალდებათ, ხოლო მათ მფარველებს – საყოფაცხოვრებო.

2720. მცირე ერის წარმომადგენლები და ებრაელები უნდა მოერიდო იმ ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში ყოფნას, სადაც ისინი ცხოვრობენ, თუ თავიანთი საქმიანობით ვერ არგებენ მოქალაქეთა ფართო ინტერესებს, რადგან ამ სახელმწიფოს მმართველი ვიგინდარა ხელმძღვანელებისთვის მოხერხებული გონებით ნაშოვნი, ნამამაძაღლევის, განაწილება, მათ, ბრბოს თვალში, საბოლოოდ, განტევების ვაცის როლს არგუნებს.

2721. სარწმუნოების, ტრადიციების გამტანი და პატივისმიმგები ერი ბრბოს ანერვიულებს თავის თავისადმი გადამეტებული სიყვარულით, რადგან საქმეში ყველას ანგარიშიან, უღალატო ებრაელებთან ყოფნას ამჯობინებს, რადგან მათთვის შემოსავლიანია პატიოსანი სამსახური თავისი რწმენისა და პარტნიორის მიმართ.

2722. ებრაელები შვილს ქალის საკუთრებად სთვლიან, მაგრამ გვარს მაინც მამისას აძლევენ. აბა, მამაკაცების ამ მახეს, ჭკვიანი და ანგარიშიანი ებრაელი ქალი ხელიდან ხომ არ გაუშვებდა.

2723. სოფლის კლუბში „საწყალ" ჰეგელს და ფოიერბახს ლექტორი ერთს მარცვლის პოვნას აბრალებს, მეორეს – მატერიისას, გლეხები ამ ებრაელების საცოდაობით იწვიან, ასე მცირე ნაქურდალისთვის არ დაიჭირონო.

2724. ებრაელები სხვა სარწმუნოებების მიერ დევნამ, ზიზღმა აიძულა სხვებზე მეტად მოხერხებულნი და მდიდრები ყოფილიყვნენ, ვაჭრები, ბანკირები გამხდარიყვნენ და ესეც მათთდამი შურის და არა სიყვარულის მიზეზი გახდა.

2725. ებრაელები შვილს რომ ქალის საკუთრებად თვლიან, სწორი აზრია, მაგრამ მამის გვარის უარყოფა მიუღებელი, რადგან თუ მამრს გვარის გამგრძელებლის და ოჯახის შექმნის იდეით არ "დავაბამთ", მისგან მხოლოდ თავისუფალ ხვადს მივიღებთ, რაც მომავალი თაობის აღზრდას ვნებას მოუტანს.

2726. ებრაელური ალიბია, თუ მან ერთი კილოგრამი ნაპოვნი ოქროდან თავისთვის 250 გრ აიღო, ხოლო დანარჩენი უკანვე მიწაში დააბრუნა, რადგან კანონის თანახმად მას ამ ოქროს 25% ეკუთვნოდა. აბა, კანონის პატივისმცემელი ებრაელი კანონს ხომ არ დაარღვევდა.

2727. ებრაელები ყოველთვის ცდილობდნენ სისულელესა და გონიერებას შორის შუამავლის როლი შეესრულებინათ. თავის სახელით და სხვისი ხელებით სიკეთე ეკეთებინათ, ამ საქმიანობით ფულიც ეშოვნათ და სახელიც.

2728. განსხვავება ებრაელსა და ქართველ საქმოსანს შორის ის არის, რომ თუ ებრაელი სხვისი ხელით ცდილობს სიკეთის კეთებას, თავსაც არ ივიწყებს და ეს ხელეწიფება კიდეც, ქართველს სხვისი შესაძლებლობებით უნდა თავისი ცხოვრების მოწესრიგება და შემდგომ სიკეთის კეთება, რომელიც იშვიათად გამოსდის.

2729. წესით ებრაელზე და დელფინზე ნადირობა უნდა შეწყდეს. ერთი გონიერი ცხოველია მიწაზე, მეორე კი გონიერების მფრქვეველია წყალში.

2730. ებრაელი ხალხის გენიალობის ფორმულაა ორი ქერქეტას მორიგება, ერთმანეთის რეკლამირება და მხარის დაჭერა თავის სარგებელით და სასარგებლოდ.

2731. ებრაელი ყველა ქვეყნისათვის საწვავია, მიუხედავად იმისა, რომ ბენზინის სუნი ყველას არ მოსწონს, მაგრამ საჭიროების გამო სწრაფად ეჩვევიან.

2732. ზოგს ებრაელი, გარდა იმისა, რომ განტევების ვაცის მოვალეობას ასრულებს, მოსაწველადაც უნდა.

2733. ებრაელები ბევრს იმიტომ არ უყვარს, რომ ისინი ფულს ვაჭრობით შოულობენ, სახელს – მეცნიერული კვლევით. ვაჭრობა კი წამატების გარეშე არ არსებობს, მოტყუებულ კაცს შენდამი სიმპათიებს ვერ მოსთხოვ, ხოლო მეცნიერება ყველასთვის გასაგები არ არის და ამიტომ არც შენთვის გაუგებარ ენაზე მოსაუბრე კაცის მიმართ იქნები კეთილგანწყობილი.

2734. ებრაელი ხალხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი საუკუნეების მანძილზე კარგად ერკვეოდნენ ცხოვრებისეული ფიზიკის კანონებში – რაც მეტი იყო დაწოლა, მით უფრო მეტად მატულობდა მათი ორგანიზებული წინააღმდეგობა. ამით მათ თავიც გადაირჩინეს და კაცობრიობასაც ბევრი რამ შესძინეს.

2735. სიონიზმის აზრია დანაწევრებული ერის შეკავშირება, რომელიც დროის გარკვეულ პერიოდში კრიზისს განიცდის. რატომღაც, განტევების ვაცის როლი ყოველთვის სხვა მცირე ერის, უხმირესად, ებრაელების, წარმომადგენლებს ეკისრებათ. ეტყობა ქრისტემ სხვა ერების გაერთანების მისიაც ამ საუკუნეების მიერ ნაგვემ, განათლებულ, მოხერხებულ ძველ ერს დააკისრა.

2736. ებრაელები ყველა ფორმაციას, წყობას, აგრესიას ხელიდან წარმატებით უძვრებიან და მუდამ საკაცობრიო ფინალში ხვდებიან.

2737. ებრაელი ხალხი, თუ იმედი ექნებათ, რომ მათ ინტელექტუალურ და ქონებრივ საკუთრებაში არავინ შეეცილება, საოცრებებს მოახდენს.

2738. ებრაელი ხალხი, მისი კულტურა, სარწმუნოებამ კი არ შეინახა, არამედ ფიზიკის კანონმა „რაც მეტია წინააღმდეგობა", თორემ ყველა რომ მოფერებოდა და შეეყვარებინა, ეს ერი დღეს გადაშენებული იქნებოდა, ვინაიდან დრო-ჟამს, ცივილიზაციის მოთხოვნებს, ბევრი სარწმუნოება, ერი, შეეწირა.

2739. არაბებს, თავიანთ ოქროს მიწაზე, ერთი დაუმუშავებელი თვითნაბადი ალმასი ჩაუჯდათ დაუკითხავად ებრაელების სახით და იმის მაგივრად, რომ ბრილიანტად აქციონ, თვითონაც იხეირონ და ისინიც ახეირონ, მათ თავისი ძირძველი ადგილიდან მოკვეთას უპირებენ, რადგან მათ ამ ხალხის რეალური გამოყენების შესაძლებლობები ვერ გაითავისეს.

2740. ხალხმა, რომელმაც წარმოშვა ქრისტიანობა და მარქსიზმი და მისი მიწა მუსლიმანებისთვისაც წმინდა ადგილად იქცა, თავის ებრაულ რწმენას არ იცვლის, მიუხედავად ამისა, სულ სხვისთვის და სხვის მიწაზე ფუსფუსებს, ოღონდ საკუთარი რწმენის სათუთად მოვლის და მოფერების ხარჯზე.

2741. ანტისემიტიზმის ბაცილა იმ ქვეყნებში ვრცელდება, რომლებსაც ნიჭმოკლებული მოქალაქენი ან შეზღუდული გონების მქონე, ბრბოს მიერ არჩეული, ქვეყნის მმართველი ჰყავთ.

2742. რადგან ქართველები კარიერისტები არიან, სხვა ერის წარმომადგენლებს, მათ შორის ებრაელებსაც, სახელმწიფო სამსახურში თანამდებობებზე ვაჭრობისგან განსხვავებით იშვიათად აწინაურებდნენ. მათი ეკონომიური დანაშაულის ჩადენა უკეთეს შემთხვევაში ხდებოდა საყოფაცხოვრებო და არა სახელმწიფო დონეზე, ამიტომ ამ ორ ხალხს შორის, ყოველთვის სიყვარული იყო, რადგან ისინი ერთმანეთს არაფერში ეცილებოდნენ.

2743. თუ ქართველი ებრაელის ყისმათით დაიბადე, აქედან მაინც არაფერი სახეირო არ გამოვა, რადგან ჩვენს ხელგაშლილობას, ფეხებზემკიდიაობას, ვერავითარი ებრაელური გენი ვერ უშველის.

2744. სიკეთის კეთებას ქართველიც და ებრაელიც სხვის ხარჯზე ცდილობს. პირველი ამას უმთავრესად თავის მოსაწონებლად აკეთებს, მეორე – მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, შედეგად ქართველს – დაცარიელებული ჯიბე, გარეშეთა ღიმილი, ებრაელს – სავსე ჯიბე და სხვათა შურიანი მზერა.

2745. ევრორემონტზე ებრაელებს და ევროპელებს არაფერი სმენიათ, მაგრამ ამ რემონტზე შესანიშნავი წარმოდგენა აქვთ რუსებს და ქართველებს.

2746. ებრაელი ერის სიდიადეა, როდესაც სხვის ქვეყანაში თავის სამშობლოს აურას ქმნის და ენას, დამწერლობას, სარწმუნოებას ინარჩუნებს. შედეგად თავიც შემოინახა, საკუთარი სახელმწიფოც აღადგინა და სხვა ერებსაც ბევრი რამ მისცა, მაგრამ შური ყოველივეს თავისი ჭკუით განსჯის და თავის უნიათობას მათ აბრალებს.

2747. ებრაელ ერს ერთი ღირსება აქვს, ისე გაგიშინაურებს და გაგიშინაურდება, რომ ახლოსაც არ გაგიკარებს, რათა მის ეროვნულობას, რწმენას და საკუთარ მეს არ შეეხო და ეს არის ამ ერის გადარჩენის და უკვდავების გარანტი.

2748. ხელოვნების, მეცნიერების, ფულის ნაჯვარი იძლევა ყოფიერების შედეგს და ეს ყველაზე ადრე და უკეთ ებრაელმა ხალხმა გაიგო და შეისისხლხორცა.

2749. დიდი ლეონარდო და ვინჩიც ებრაელი იყო და მისი ცხოვრების ეპიზოდები ბევრს არ მოსწონდა, მაგრამ მისი გენიალობის საწყისი ის ფანტაზია იყო, რომელსაც ამრავლებს მომავლის იმედი.

ეკონომიკა, ბიზნესი

2750. კრედიტის აღება მაშინაა გამართლებული, როდესაც ქვეყანას საკუთარი კვალიფიცირებული მუშახელი არ ყოფნის, იქმნება ომის დაწყების საშიშროება, შესაძენი აქვს აუცილებელი ნედლეული და მზა პროდუქცია, რომელსაც თავად ვერ აწარმოებს. დანარჩენ შემთხვევაში კრედიტის აღება დანაშაულია ქვეყნის და მომავალი თაობის წინაშე.

2751. განათლების დაკრედიტება ფეთქებად ეფექტს იძლევა ეკონომიკაში, თუ ქვეყანა მზად არის აფეთქების შედეგად მიღებული ცოდნის ქონების გამოსაყენებლად.

2752. ნაციონალური ინტერესები, საყოველთაო სამართლიანობა, პრინციპების დაცვა, ხალხის კეთილდღეობა, სხვადასხვა რამაა, მაგრამ წესიერ სახელმწიფოში განზომილება ერთი აქვთ – ძლიერი ეკონომიკა.

2753. ვიგინდარა ხელმძღვანელები დემოკრატიას თამაშობენ მაშინ, როდესაც საჭიროა სწორ ეკონომიკურ რელსებზე დგომა და გადამჭრელი ღონისძიებების გატარება, რადგან ხალხი დიქტატორული მთავრობისგან გაღატაკებულია და სახელმწიფო ვალშია გადავარდნილი.

2754. პოლიტიკა გაცუცურაკებაზეა აგებული, ხოლო ეკონომიკა ამას ვერ იტანს, მიუხედავად ამისა, ერთმანეთს კარგ სამსახურს უწევენ, თუ ისინი გონიერი კანონებით არიან შედუღაბებულნი.

2755. თუ ქვეყნის სათავეში მოსულს არ შეუძლია ეკონომიკური იმპულსის მიცემა და ხალხის დარაზმვა, ეს ნიშნავს, რომ მმართველი "არ შედგა" და ის ფორმალურად აწვალებს თავის მოვალეობას.

2756. ანგარიში ძნელია, ყბედობა ადვილი, ამიტომაცაა მთავრობაში ამდენი პოლიტიკოსი და არც ერთი ღირსეული ეკონომისტი.

2757. პიროვნება და ქვეყნის მოქალაქეა ის, ვინც ხალხის დროებით გატუტუცებაზე და პოლიტიკაზე მაღლა დგება, თავისი მოხერხებულობით შესძლებს ეკონომიკის წამოწევას, სამუშაო ადგილების შექმნას და დაივიწყებს ყველა იმ დაუმსახურებელ ლანძღვა-გინებას, რაც მას თანამემამულეებმა არგუნეს.

2758. არიან ქვეყნები, რომლებსაც ეკონომიკისკენ მიმავალი გზები არ აინტერესებთ, მხოლოდ მიმდინარე მიმართულებებით კმაყოფილდებიან და იმაზე არ ფიქრობენ, რომ ადრე თუ გვიან ამ გზების შენება მოუწევთ.

2759. პოლიტიკის გამო ქვეყნის დაზარალება საწყენია, იგი ხშირად ბიუჯეტს მთლიანად ნთქავს ქვეყნის ინტერესებს ამოფარებული და სინამდვილეში არც პოლიტიკასთან, არც ეკონომიკასთან საქმე არა აქვს.

2760. პოლიტიკა ღმერთმა ცოდვების ჩასადენად და მოსანანიებლად მოგვივლინა, ხოლო ეკონომიკა ამ შეცდომების თავის მოსაქონად.

2761. ყველაზე პერსპექტიული და უსისხლო ომი იდეოლოგიურია, რომელიც მოითხოვს მოთმინებას, მლიქვნელობას, სპონსორობას, ვაჭრობის მცდელობას, ყოფითი ელემენტების აგიტაციას, რაც ნელა მოქმედი საწამლავია და როდის გაფშიკავს მოწინააღმდეგე ფეხებს, ეს მის ეკონომიკაზეა დამოკიდებული.

2762. ეკონომიკას იმდენი ჩასაფრებული პირობითობა და აუცილებლობა ახასიათებს, იმდენ ანგარიშს და წვალებას მოითხოვს, რომ მისი გააზრება ხალხს კი არა, თვით სპეციალისტებსაც არ ძალუძთ, მითუმეტეს, თუ მასში პოლიტიკა ერევა და ბევრი რამ გამართლებაზეა დამყარებული.

2763. უნდა ვცდილობდეთ ბაზრის კონიუქტურის გაუმჯობესებას და არა კონკურენციის გაბაზრებას, რათა ყველაფერი თავიდან დასაწყები არ გახდეს.

2764. რეალურ ეკონომიკას წერა-კითხვა არ სჭირდება, უბრალოდ, მას ხელი არ უნდა ვახლოთ და დაბეგვრის კანონები არ უნდა შევუცვალოთ.

2765. ერთ-ერთ სოფელში მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდა კაცს დააჭიდეს, რომელმაც ჩემპიონი ბეჭებზე გააკრა. მორალი – შენ შეიძლება მსოფლიოში საუკეთესო იყო, მაგრამ არა ამ სოფელში. ასევეა ზოგი პოლიტიკოსი, რომელიც სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებთან სიმპატიებს იმსახურებს, ხოლო საკუთარ ქვეყანაში ელემენტარული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება არ შეუძლია.

2766. პოლიტიკა – ეს არის ეკონომიკის სტაბილიზაცია, სიტყვის წონის ფასი და ტექნიკური პროგრესის გრიალი.

2767. დღევანდელი ეკონომიკურ განვითარების პირობებში დრაკონული მეთოდებით უნდა იმოქმედო, რომ ეროვნული სიმდიდრე დაიცვა და არ გააფლანგვინო.

2768. სიახლის დანერგვას დაუღალავი სულის, დაუოკებელი ენერგიის, დადასტურებული ეკონომიკა, გაანგარიშებული მოგების სტიმული და სპონსორი სჭირდება.

2769. ერთი ადამიანის მიერ მეორის დასაქმება კარგი ანაზღაურებით, დიდებული ექსპლუატაციაა ზოგიერთისთვის, მაგრამ არა ეკონომიკისათვის.

2770. კანონგარეშე სახელმწიფოც რომელსაც გონიერი ეკონომიკა არა აქვს.

2771. პოლიტიკა ეკონომიკას ყბედობის გარეშე ფულის შოვნას და თავის გემოზე ცხოვრებას არ ანებებს.

2772. სადაც ეკონომიკა მოიკოჭლებს, იქ პოლიტიკა იქაჩება, ხოლო იქ, სადაც ეკონომიკა ვაჟკაცობს, პოლიტიკა მშვიდად არის, მაგრამ სხვის ჭკუის სწავლებაზე ხელს არ იღებს.

2773. სოციალურ დემაგოგიას ქვეყნის ინტერესები ეწირება და მის ეკონომიკას ანგრევს, მაგრამ მის „გონიერების" შერყვნას, ზოგჯერ საერთო სიმდიდრიდან გადანაწილებაც ახდენს.

2774. სხვა სახელმწიფოს დაპყრობა მასზე იძულებითი ქორწინებაა და გაყრის შემთხვევაში, მეწილეობაც, მაშინ როდესაც „თანასწორუფლებიანობის" და „ურთიერთპატივისცემის" საფუძველზე შესაძლებელია ბაზრების დაპყრობა, იაფი ნედლეულის გატანა და ეკონომიკური ძალადობის თავზე მოხვევაც.

2775. ზოგიერთი ახლადშექმნილი სახელმწიფო იმ მამლაყინწას მოგვაგონებს, რომელსაც უკანალში ისეთი ეკონომიურად მოსვრილი საცხი აქვს ამოსმული, რომ

მას გულიანად ყივილის საშუალებას არ აძლევს და ყივილის ნაცვლად კნავილი ამოსდის.

2776. როდესაც სახელმწიფოს ინტერესები კანონს წინ აღუდგება, მაშინ იწყება მთავრობის იმიჯის ჭრაჭუნი და დამპალი წყობის ნგრევა, რომლის შიგნით ხალხის დატოვება ვერ ხერხდება. ეს კი იწვევს სამოქალაქო ჭიდილს, შედეგად ყოველივე თავიდან დასაწყებია და ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ რელსებზე გადაყვანა დიდხანს ვერ ხერხდება.

2777. ქვეყანა წელში მაშინ იმართება, როდესაც ბიუჯეტის დიდ ნაწილს განათლებას ახმარს, მომავალში კი ყველაზე უკეთ ანაზღაურებს ამ დანახარჯს.

2778. ჩაცმის კულტურა და პეწი წარსადგენი ბარათია ხალხის, რიტუალების, ღირსების, მსოფლმხედველობის და იმის, თუ რა პერსპექტივა აქვს მომავალში ქვეყნის ეკონომიკას, პოლიტიკას.

2779. ახლადმონათლული სახელმწიფო ნახევრადკრიმინალურია და კრიმინალური ეკონომიკით გამოირჩევა. ეს წყობა ყველას აწყობს, რადგან ხალხში შურისძიების გრძნობა დათრგუნული არ არის და ყველას იმედი აქვს, რომ ბედი მოუვა და შემთხვევით ისიც გამდიდრდება.

2780. სახელმწიფოს, როგორც ძროხას, კოლექტივი უნდა პატრონობდეს, მაგრამ მათ ერთი მწველავი ეკონომისტი უნდა ჰყავდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოც გაღარიბდება და ძროხაც გაბერწდება.

2781. სახელმწიფომ ისეთ ეკონომისტ-ფინანსისტს უნდა მიანდოს ფულის ამოკრეფა და ხარჯვა, რომელსაც მთლიანად მიესადაგება გამოთქმა: "ბოზ დედამთილს რძალი არ გაუბოზდებაო".

2782. ქვეყანას უაზრო ყბედობა კი არ ანგრევს, არამედ გაუგებარი ეკონომიკა, ერთფეროვნება, იმედის გაცრუება, უხიაგი მმართველი და ალბათ, განგების ნებაც.

2783. ქვეყნის ეკონომიკა დამოკიდებულია გონიერი ხალხის გამოვლენაზე და მათს გამოყენებაზე.

2784. ზოგჯერ სახელმწიფოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას სხვადასხვა კორიდორებით ცდილობენ (მწვანე კორიდორი, თავისუფალი კორიდორი) მაგრამ მთავარია მცდელობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

2785. საწარმოს მართვა და წარმოების ცოდნა სხვადასხვა რამაა. პირველს ორგანიზაციული ნიჭი და მკაცრი დისციპლინა სჭირდება, მეორეს – კი ჭკუა და ეკონომიკის გამოცდილება.

2786. სწორი და არა ნაუცბათევი გადაწყვეტილება რომ მიიღო, დამოკიდებულია შენს მენტალიტეტზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და ყისმათზე. დავუშვათ გთავაზობენ ერთდროულად 1 მლნ დოლარს, ან 30 დღეში 1 ცენტს, ყოველდღიური გეომეტრიული პროგრესიით, აქ არჩევანი დამოკიდებულია თქვენს ერუდიციაზე და შექმნილ გარემო პირობებზე, რათა ამ საქმეში 10 მილიონ დოლარზე მეტი არ იზარალოთ.

2787. გონიერი კაცის ხელში ყველაფერი რეალურ მოგებას უნდა იძლეოდეს, მათ შორის, სილამაზე, კაცთმოყვარეობა, მოწყალება, ეკოლოგიის დაცვა, სპონსორო-

ბა. ეს ისეთი გონიერად გასაცემი კრედიტია, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკას აუ-ცილებლად მოგება უნდა მოუტანოს.

2788. თუ ეკონომიკაზე დასადები აგური ნდობის ცემენტით არის გამაგრებული, რომელსაც ხელებდაკაპიწებული ხალხი შეადუღაბებს, იმ ქვეყნის პროგრესს წინ ვერაფერი დაუდგება.

2789. ხელფასის აუნაზღაურებლობის შემთხვევაში გაფიცულთა მთელი უბედურება ის არის, რომ მათ ყველა რანგის ხელმძღვანელთან უხდებათ შეხვედრა მოლარე-ეკონომისტის გარდა.

2790. ცივილიზაცია ჭკვიანური ეკონომიკის გარეშე არარაობად იქცევა და სინანულს დაგვიტოვებს წარსულისადმი.

2791. უგვანო სახელმწიფო ეკონომიკა მოქალაქეებს ცხოველად აქცევს და ისეთ რაღაცას აკისრებინებს, რაც მის შინაგან ბუნებას, აღზრდას ეწინააღმდეგება.

2792. თუ რა სახის და შემადგენლობის არმია ეყოლება ქვეყანას, დამოკიდებულია მის ეკონომიურ შესაძლებლობაზე და იმაზე, თუ როგორ ესმით მოქალაქეებს სიტყვა "თავისუფლება".

2793. უგუნური მიზეზების გამო, უნიათო ქვეყნის ეკონომიკაში არაფრის კეთება არ შეიძლება, თუ პარაშუტი გამზადებული არ გაქვს კრახის შემთხვევაში გადმოსახ-ტომად.

2794. სადაც მასა ერთმანეთს საქმით პატივს არ სცემს და ერთმანეთს არ ენდობა, იმ ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე საუბარიც ზედმეტია.

2795. ყველას აინტერესებს ის საკითხი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია: ვის ხელშია ჩრდილოვანი ეკონომიკა – ყველა მმართველის! თანაც ჩრდილის მოშო-რება შეუძლებელია.

2796. ბანკირის ქვის გულიც შეიძლება გალღვეს, თუ ის კრედიტორში პერსპექტიულ კაცს დაინახავს, რომელიც მოწოდებულია საქმის კეთებისათვის იცის ეკონომიკის ანბანი და გარჯა არ ეზარება.

2797. ქვეყნის ეკონომიკაზე პოლიტიკის უმნიშვნელო შარი-შურიც კი გავლენას ახ-დენს.

2798. პატრიოტიზმი ეკონომიკის გარეშე საბოლოოდ ძნელი წარმოსადგენი და გასა-ხარებელია.

2799. თანამედროვე ეკონომიკას არც ქალამნებიანი ვაჟა-ფშაველა სჭირდება და არც ბოხოხიანი შოთა, მაგრამ მის გარეშე ერს ლაზათი და თვითმყოფადობა მოაკლდებოდა.

2800. სანამ მესაკუთრეს არ შევიყვარებთ, არ მოვმწიფდებით, ტექნიკურ პროგრესს ფეხდაფეხ არ ავედევნებით, ფულის ყაირათიან საქმეში ჩადებას და ხარჯვას არ ვისწავლით, მანამ ქვეყნის ეკონომიკურ ხსნაზე ლაპარაკი ზედმეტია.

2801. ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელია იდეები, კარგი იდეებისათვის – მშვიდობის გარანტია, ხოლო მის მისაღწევად – ქვეყნის ძლიერი ეკონომიკა. ძლი-ერ ეკონომიკას კი მოხერხებული მმართველი და ხალხის სოლიდარობა სჭირდება.

2802. არის ეკონომიკა, რომელიც კანონთან კეკლუცობს, საკმარისია სულ უმნიშვ-ნელო გადაცდენა და კანონი დარღვეულია, ასეთი ეკონომიკა სუფთა ხელებით,

მხურვალე ჭკუით და სახელმწიფოს ინტერესებისთვის უნდა კეთდებოდეს, როდესაც ქვეყნის ჭაობიდან ამოთრევა აუცილებელია.

2803. ეკონომიკა ვერ იტანს ქალწულობას და ონანიზმით ორგაზმის განცდას, რადგან ეს იწვევს გადაგვარებულ სექს-ბიზნესს ბავშვის დაბადების გარეშე.

2804. დაბეგვრა ემსახურება ბეგარის გადამხდელის გაბეჯითებას, რათა მეტი იაზროვნოს, გარისკოს, იმოძრაოს და არა იმას, რომ სახელმწიფოს მარჩენალმა სული განუტევოს და ბიუჯეტი დაიობლოს.

2805. ისე არაფერი არ აუფასურებს ცოლის თვალში ქმარს, როგორც მოქიშპე ქალის ქმრის თანამდებობა და უკეთესი ეკონომიური შესაძლებლობები.

2806. საქმიანობა შემოსავლის პირდაპირპროპორციულია. როგორც კი მათი დაყოფა დაიწყება თანამდებობებად, პრესტიჟულობად, შემოსავლის წყაროდ, მაშინ იწყება კორუფცია, ტყუილი და ეკონომიკის დაქცევა.

2807. რის კეთებაც შეგვიძლია, არ ვაკეთებთ, ვინაიდან ეს დღეს არაპრესტიჟულია, რაც პრესტიჟულია, იმის კეთებას ვცდილობთ, მაგრამ არ ვიცით. ამიტომაა, რომ ჩვენი ეკონომიკა ერთ ადგილს ტკეპნის.

2808. თვით ყველაზე უაზრო ტერორიზმის წამალიც კი ეკონომიკაა, რადგან დავადებული ქვეყნის სხეულზე ამოსულ ფურუნკულებს მარტო ამოწვა არ შველის, ის რეციდივს სხვა ადგილას მოგვცემს, რადგან სახელმწიფო ცოცხალი ორგანიზმია და ის გონიერების, კომპრომისის და მატერიალური კეთილდღეობის გარეშე ვერ იარსებებს.

2809. საბაზრო ეკონომიკა ცხოველთა სამყაროში ყველაზე უკეთაა გამოხატული, რადგან ერთმანეთს თავს მაშინ ესხმიან და სტომაქს მაშინ ივსებენ, როდესაც შიათ, არაფერს არ აგროვებენ და თავად არეგულირებენ თავიანთ ოპტიმალურ ოდენობას, სანამ მათ საქმიანობაში სამყაროს ორფეხა მეთავისე მონსტრი არ ჩაერევა და ყოველგვარ კანონზომიერებას თავისებურად არ აურ-დაურევს.

2810. მართალია, გამართლებაზე და პოლიტიკაზე დამყარებული ეკონომიკა მეცნიერებად არ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ არც მეცნიერების სხვა დარგებს ულხინთ, თუ გამოყენების დრო არ დაუდგათ ან გარემოს არევ-დარევამ მათი საჭიროება არ სცნო.

2811. დისკრიმინაციას ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკური შესაძლებლობა ეწევა და არა ჩვენი მსოფლმხედველობა და დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

2812. ეკონომიკის ხელოვნება შემდეგშია: ყველა ღირსეულს საქმე მისცეს და ყველა უღირსი შეძლებისდაგვარად დაასაქმოს.

2813. ეკონომიკას, პოლიტიკისგან განსხვავებით, არც უკანალის გაქნევა შეუძლია და არც იდეებით და იდეალებით დიდხანს ცხოვრება, მას მოთმინება, გონიერება და გამართლება სჭირდება.

2814. ეკონომიკის წარმატება ადამიანის შემოქმედებით ჭკუაზე, ორგანიზაციულ ნიჭზე, პატიოსნებაზეა დამყარებული ტექნიკური პროგრესის ქარიშხალი წინ უნდა მიაგელვებდეს.

2815. როდესაც ქვეყნის ეკონომიკა კოჭლობას იწყებს და მართვის სადავეები ხელიდან ეცლებათ, ცდილობენ ეკონომიკა სარწმუნოებით შეცვალონ და თავიანთი უდღეური მმართველობა ამით გაიხანგრძლივონ.

2816. წარმატებას კრედიტით იხდიან, წარუმატებლობას – ბითუმად. და აქ ეკონომიკა არაფერ შუაშია
2817. ეკონომიკის მიზანია მოსახლეობის დემოგრაფიის გაუმჯობესება, ოღონდ მისთვის გასაგებ ხარისხში.
2818. ეკონომიკაში წესიერება და ფულის საქმიანი გადანაწილებაა მთავარი და არა მისი შოვნა.
2819. აკვიატებული იდეოლოგიის წაღმა შემოტრიალებისთვის შიმშილი და ტანჯვა არ ღირს, რადგან ეკონომიკის მხარდაჭერის გარეშე ყველა რწმენა უკან დატრიალდება, ქვეყანა და ხალხი უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან ყოველივე თავიდან ექნებათ დასაწყები.
2820. კაპიტალი, მისთვის გარკვეული სიმპატიების მიუხედავად, ფეხს იქ იკიდებს, სადაც კარგად იბარტყებს, დაგეგმავს ეკონომიკას და ცხოვრების საშუალებას თავსაც და სხვასაც უშფოთველად მისცემს.
2821. ადამიანი უნდა დავინდოთ, მაგრამ ეკონომიკის უცოდინრობა არ უნდა ვაპატიოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ბიუჯეტის შემავსებელ მოქალაქედ ვერ იქცევა.
2822. ეკონომიკა და პოლიტიკა მოწინააღმდეგეები არიან, მაგრამ ერთმანეთთან კავშირს არ წყვეტენ, რადგან თუ ისინი ერთმანეთს საფუძვლიანად არ იცნობენ და ურთიერთის არ ესმით, მაშინ იმ ქვეყნის, ხალხის და მმართველის საქმე ცუდადაა.
2823. ერთ-ერთი ჯანმრთელი კორიდორი, რომელსაც ეკონომიკა და ყაირათიანი ხარჯვა ჰქვია, არავის სურს მიიღოს, რადგან ვისაც ეკონომიკის გამოსწორება ევალება, მას ყაჩაღობისკენ გაურბის თვალი.
2824. ეკონომიკის წარმატება რეკლამის ხელოვნებაზეა დამოკიდებული, პოლიტიკა კი, მოხერხებულ აგიტაციაზე და წილში ჩამჯდარ ეკონომიკაზე.
2825. საბაზრო ეკონომიკის დროს სამშობლოს სიყვარულმაც ფული უნდა გადაიხადოს.
2826. ნამდვილი ეკონომიკა დროებითი აღებ-მიმცემლობას ბორდელის გარეშე არ ვითარდება.
2827. სახელმწიფოში, ოჯახში, კონფლიქტის მიზეზი გაკოტრებული ეკონომიკაა, მაგრამ არც გათავხედებულ გაუკონტროლებელ ეკონომიკას მოაქვს სიკეთე.
2828. განათლებაზე ეკონომია მეწველი ძროხის დაკვლის შედეგად აღებული ფულის ტოლფასია.
2829. თეორიულ, პრაქტიკულ, ქურდულ, ეკონომიკას ერთნაირი შემართება და სხვადასხვა ბედი სჭირდება, რომელიც სხვადასხვა გარჯასა, გაგებასა და გადანაწილებაში გამოიხატება. თუ პირველს ცხოვრების ორომტრიალში არავინ ახელოვნებს, სახეიროდ სამეცნიერო ხარისხი რჩება, მეორე წიგნში ჩახედვას ერიდება და რაღაცას თავისი ჯიბისთვის სარგებლობს, მესამის ბერკეტი ქრთამის გაღება და უხარისხო პროდუქტის გამოშვებით ფულის გადაღუნვაა და ყველაზე მოგებულიც ის რჩება, თუმცა მისი მომხვეჭელობის საბოლოო შედეგი მაინც ბედის განსასჯელია.
2830. ეკონომიკას თავის მსოფლმხედველობა, მომავლის რწმენა და გონიერი პოლიტიკა სჭირდება, რადგან მის გარეშე ის კრიზისებისთვის იქნება განწირული.

2831. ქვეყნის წინსვლისთვის დროგამოშვებით აუცილებელია ეკონომიკური აგრესია – გადამეტებული მომჭირნეობა, რესურსების რაციონალური გამოყენება, ძლიერი ხელი, ანგარიშიანი ცივი გონებით, პოლიტიკის და დირიჟორის ხელოვნებით.

2832. საბოლოოდ სახელმწიფოს სიძლიერის მაჩვენებელი მაინც რეალიზებული ეკონომიკა და ტექნიკური პროგრესია და არა – შეიარაღება თავისი ატრიბუტებით, რადგან ეს უკანასკნელი ადრე თუ გვიან თავის ძლიერებას გადაყვება, ხოლო ანგარიში, ვაჭრობა, პროგრესისკენ მისწრაფება, დარჩება.

2833. სიყრმის მეგობრობაც კი ვერ უძლებს ცუდ ეკონომიკას და სიბერის გამოცდას.

2834. მსაყვედურობენ, შენი შეძლების კაცმა თავის პატივისცემა არ იცი, თვითმფრინავით ეკონომკლასით დაფრინავ, ფასიან სპეცგამოსასვლელს საერთოს ამჯობინებ და ასე შემდეგ. მე კი მგონია, რომ ჩემი ოპონენტები სცდებიან, რადგან ამ ეკონომიით მორჩენილი თანხით ზოგს წიგნს გამოვუცემ, ზოგსაც გაჭირვებაში ვეხმარები და ეს ქველმოქმედება მე საკუთარი თავისადმი მეტ პატივისცემად მიმაჩნია.

2835. ხალხი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიდან რომ ამოვიდეს, თავისი წინამძღოლი უნდა უყვარდეს და პატივს სცემდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრიზისი დიდხანს გასტანს.

2836. ღარიბ სახელმწიფოს, გარდა იმისა, რომ დაბეგვრა აქვს არარეალური, თავისი გადამეტებული საბიუჯეტო ხარჯებიც სხვას უნდა რომ „დააწეროს". ეს იწვევს ეკონომიკის მოშლას, სახელმწიფო ვალების აღებას და თავისი ხალხის, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის, დაკაბალებას.

2837. სავალუტო ოპერაცია შეიძლება ჩაატარო საოპერაციო მაგიდაზე, თუ ამის საშუალებას მდიდარი პაციენტი გაძლევს.

2838. დღეს საქართველოს ესაჭიროება ისეთი ხელმძღვანელი ეკონომისტი, როგორიც აინშტაინი იყო მათემატიკაში. ჩვეულებრივი, ფართო მოხმარების ეკონომისტები, ქვეყანას კიდევ დიდხანს გააწვალებენ.

2839. საოცარია, რა ძალის საწამლავით ჟღენთენ ამერიკელები იმ ქაღალდს, „დოლარი" რომ ჰქვია და რომელიც ასე ამოძრავებს ამ ხალხს? ალბათ ამ „საწამლავს" ეკონომიკა და სახელმწიფოს სიძლიერე ჰქვია.

2840. ზოგს ისეთი ჯამაგირი აქვს, თვის პირველ ნახევარში ასე თუ ისე ჰყოფნის, მეორე ნახევარში კი, ასე თუ ისე, გამოძრომას ახერხებს. ესეც თავისებური ეკონომიკის ხელოვნებაა.

2841. სახელმწიფო საკუთრების პირობებში ეკონომიკური მეცნიერება ვერ გაიხარებს, რადგან ამ ფორმაციის დროს ზედმეტი ფულის კეთება მხოლოდ სახელმწიფო ქონების ქურდობით შეიძლება, ეკონომიკა კი ამის წინააღმდეგია.

2842. ეკონომიკა უნდა აშენდეს ტექნიკური პროგრესის, წიაღისეული სიმდიდრის, ხალხის მენტალიტეტის ბაზისზე და ზევიდან დაბედებული საკაცობრიო ბედით გათვალისწინებული ქვეყნების აღმავლობის როტაციული პრინციპების დაცვაზე.

2843. ფასეულობა ოქრო კი არ არის, არამედ ანგარიშსწორების მისდამი დამოკიდებულებაა, თავისებური გარანტია უცხო პირთა შორის, რადგან მისდამი ღირებულებათა დამოკიდებულება საყოველთაოდ არის აღიარებული.

2844. ქვეყნის ეკონომიკა დამოკიდებულია აზრის გადამცემ საშუალებებზე, რომელიც არ არის მომხვეჭელობას გამოკიდებული, პირველ რიგში უნდა ასწავლიდეს მმართველობას, მართლმსაჯულებას, შრომითი საქმიანობის ანბანს და ანალიზს უკეთებდეს ისტორიის ქარტეხილებს.

2845. მყიდველი კმაყოფილია, ფირმა ბედნიერია, საგადასახადო გალაღებულია, ბიუჯეტი ხელებდაკაპიწებულია, იწყება შემოსავლების განაწილება და ყველაფერს თავის ხიბლი აკლდება, რადგან ყველა უწყებას ჰგონია, რომ მეტის ღირსია და ეკუთვნის.

2846. ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიურად ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ მასში მცხოვრებნი ქურდობასა და ერთმანეთის გადაგდებაში უფრო მეტ ორგაზმს განიცდიან, ვიდრე მუშაობასა და პატიოსნებაში.

2847. გონიერებით ჭვრეტა და ქვეყნის მოხერხებული მართვა, მთავარია ეკონომიკისთვის და არა პოლიტიკისთვის, რომელიც თავის საარჩევნო პროგრამაში უნამუსოდ ყბედობს ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, ისე, რომ წარმოდგენა არა აქვს ფულის შოვნაზე და იმ კლერკის ცოდნაზე, ვინც ეს პროგრამა დაუწერა.

2848. სულიერი ღირებულება ადამიანების ერთად დგომას ნიშნავს და ყველა ეკონომიკაზე მაღლა დგას, რადგან მის გარეშე ვერც ქვეყნის მართვას ვისწავლით და ვერც ქვეყნის ბიუჯეტში შემოსული ფულის ყაირათიან ხარჯვას.

2849. კაპიტალია დანადგარები, ნედლეული, ენერგია და ის თანხა, რაც წარმოების ამუშავების საშუალებას იძლევა, ხოლო თანხა, რომელიც საყიდლებს, გართობას, ჩეჩმაში გასაშვებს ხმარდება, ეკონომიკად ვერ ჩაითვლება, მაგრამ მისი გონიერად მოხმარების გარეშე კაპიტალს აღმავლობა გაუჭირდება.

2850. ეკონომიკა და ბიზნესი ყბედობის, ფორტუნის, რეკლამის და უნიათო მთავრობის გადასარჩენი ინსტიტუტი არ არის, მისი ვალია სამუშაო ადგილების შექმნა-გამოძებნა, ფულის მომკის პერსპექტივით.

2851. თუ წინათ ბრძოლას მამაკაცები იგებდნენ ოჯახის და სამშობლოსათვის, დღეს ამ ბრძოლებში მამაკაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობენ და არც ეკონომიკურ და არც პოლიტიკურ სარბიელზე არაფრით ჩამოუვარდებიან.

2852. ათასჯერ ხუთის და ხუთჯერ ათასის ტოლობის მათემატიკურად გაიგივება სწორია, მაგრამ თუ პირველი ბიუჯეტის შევსებას შესაძლებლად ხდის, მეორე მას აობლებს და ეკონომიკას პრობლემებს უქმნის.

2853. მუშისთვის ცხელი საამქრო მარტენის ღუმელია, საქმიანი ხალხისთვის – ორთქლის აბანო, სადაც ოფლის ღვრას და ეკონომიკური საკითხების მოგვარებას უფრო სერიოზულად უდგებიან, ვიდრე მეტალურგიულ ქარხანაში ხელფასის გამომუშავების საკითხს.

2854. პოლიტიკოსსა და მეძავს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს ეკონომიკაში არაფრის მოტანა არ შეუძლია თავისი უცოდინარობის გამო, ხოლო მეძავს თავის რჩენაც შეუძლია და ბიჭების დავაჟკაცებაც.

2855. ალკოჰოლი, პოლიტიკა, ეკონომიკა, გაცილებით ახლო მეგობრობენ ერთმანეთთან, ვიდრე სიფხიზლე, გონიერება და სამართლიანობა.

2856. ხალხმა პირველ რიგში ეკონომიური თავისუფლება უნდა მოიპოვოს და შემდეგ აქვს აზრი პოლიტიკურ თავისუფლებას, რადგან მარტო ეროვნულ თავისუფლებისთვის ბრძოლა თაფლწასმულ ქაქით სავსე კასრს მოგვაგონებს, სადაც თაფლი სწრაფად ილევა და ქაქი გვრჩება და სანამდის გაგრძელდება მისი თქვლეფა არავის უწყის.

2857. ეკონომიკისა და ვაჭრობის, ქალისა და კაცის საოცარი ურთიერთობა ერთმანეთს ჰგავს. ყველა ქალი პატიოსანია და ყველა ღირსეულ მამაკაცს საყვარელი ჰყავს. ეკონომიკა ყველას ჭკუას ასწავლის, მაგრამ უჭკუო ვაჭარიც კი მასზე უკეთ ცხოვრობს.

2858. წესიერი მოთამაშე დანიშნული ბანქოთი არ ითამაშებს, მაშინაც კი, თუ სხვა არ გააჩნია, ხოლო ჩვენი ეკონომისტი პოლიტიკოსები, რომლებმაც საზოგადოებას რამდენჯერმე წაატეხინეს თავისი თამაშით კისერი, მაინც ამ დანიშნული ბანქოთი თამაშობენ. ხალხიც მსუბუქი პროტესტის მიუხედავად, ეტყობა, რაღაც ხეირს ნახულობს ამ თამაშში, თორემ არ მისცემდა ამ ყეყეჩებს დანიშნული ბანქოთი თამაშის უფლებას.

2859. ხალხის ყველაზე მეტად გადამგდები და მომტყუებელი არის სახელმწიფო, რომელიც თავისი უნიჭო ეკონომიკური კომბინაციებით კალოს იღებს, ქურდობს და შედეგად მომავალ თაობას ეკოლოგიურად დაბინძურებულ, ბუნებრივი სიმდიდრეებისაგან გაჩანაგებულ და ვალებით გატენილ ქვეყანას უტოვებს.

2860. ყველა ერმა თავისი საუკუნის რეაბილიტაცია უნდა შეძლოს, მაშინ იქნება სახელმწიფოც და ეკონომიკაც დამოუკიდებელი.

2861. არის ხალხი, რომელიც დღისით მრავლდება, ზოგი ამ საქმეს ღამე ანდომებს, სარგებელი ამ უკანასკნელის ის არის, რომ ეს პროცესი შედეგიანია, ეკონომიურია და დილისთვის სამუშაოდ გასაცემი ენერგია აღდგენილია.

2862. ხალხს თავისი ქვეყნის მოქალაქეებად აქცევს კარგი ხელმძღვანელი, გარედან – სხვა სახელმწიფოს მიერ მისი შევიწროება, მოხერხებული პოლიტიკა და შედეგიანი ეკონომიკა.

2863. ამერიკული "კოვბოის" უნაგირი რუსულ, მძიმედ მოსიარულე ცხენების ეკონომიკას დაადგეს და მოინდომეს ამ „რაშის" გაჭენება კაპიტალიზმის მწვერვალების დასაპყრობად, მაგრამ ცხენმა სვლა არ ააჩქარა და ბოლოს უკან შემოტრიალდა საჭმლის უქონლობის გამო.

2864. ზოგიერთი პოლიტიკოსის სურვილია ხალხთან ერთად ასკინკილით გაიაროს ეკონომიკის ის ფათერაკიანი გზა, რომელიც სხვებმა ნაბიჯ-ნაბიჯ განვლეს. ამასთან, ბრბოს არც კი ეკითხებიან, შეუძლია თუ არა ამდენი ხტუნაობა.

2865. რეფორმა, უპირველესად, ხალხის საქმეა და მანამ არაფერი ეშველება, სანამ რეალურად თავის ხელში არ აიღებს ეკონომიკის სადავეებს.

2866. კანონისა და ღმერთის წინაშე ყველანი თანაბარი ვართ, მაგრამ ეკონომიკა ვერ იტანს თანასწორობას, ერთნაირ ხედვას, რაც ხელს უშლის საზოგადოების განვითარებას.

2867. სამწუხაროდ, საბოლოოდ ხვდები, რომ შენი კანდიდატი ის აღმოჩნდა, რომელთანაც საყდრის აშენება არ შეიძლება რადგან ეკონომიკაზე წარმოდგენა არ ააქვს.

2868. ბიზნესში ხელაღებით რისკზე წასვლა დაუშვებელია, რადგან ის იქ უნდა აგროვებდეს კაპიტალს, სადაც ფინანსები დაავადებულია. ეს დაავადებული ცხოველის და ჯანმრთელი მხეცის ურთიერთობას მოგვაგონებს, რადგან ეს წესი ჯანმრთელი ფაუნის აღდგენაზე დადებითად მოქმედებს, ასევე ბიზნესი დადებითად უნდა მოქმედებდეს სახელმწიფოს გაძლიერებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიზნესმენი გაკოტრდება, ხოლო სახელმწიფო გაჩანაგდება.

2869. ბიზნესი უნამუსობის შემთხვევაში მდიდრდება, ამიტომ ამ სტატუსში გარკვეულ დრომდე უნდა დარჩეს.

2870. ერების, ხალხების, ერთმანეთზე მისევა დიდი ბიზნესია, მაგრამ სიცოცხლის და ამბიციების ხარჯზე, სადაც ამ სანახაობის ყურებით სხვა „გულშემატკივარი" ქვეყნები მდიდრდებიან და მოსახლეობას სეირს აყურებინებენ.

2871. ვისაც ეკონომიკაში და ბიზნესში არ სძინავს, ის ფულსაც შოულობს, რადგან სახელმწიფოს მიერ უხიაგი კანონების სარტყლის მოშვებას და მოჭერას თავის სასარგებლოდ იყენებს.

2872. ბანკი თუ არ ცდილობს ყოველწლიურად საწესდებო ფონდის გადიდებას, იმის მაჩვენებელია, რომ ის დიდი რეკეტისთვის ემზადება, ან რეკეტიორებმა ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ სულს ძლივს ღაფავს. ასე რომ, გაკოტრების სუნი უკვე ტრიალებს და დროა კლიენტმა თავს უშველოს.

2873. სიმდიდრეს მაშინ აქვს ფასი, თუ შენს ჭკუაზე ხარჯვის უფლება გაქვს, ხოლო თუ პარტნიორები, აპეკუნები, გყავს სახელმწიფოს სახით, ასეთ საერთო ქონებას, რომ არ გადაცდე, უქონლობა სჯობს.

2874. რადგან კომერცია მოგებაზე არის აგებული, მოგება – ვაჭრობაზე, ვაჭრობა კი – მოტყუებაზე, ამიტომ ბიზნესის ნიადაგზე მეგობრობის ნერგი ვერ გაიხარებს.

2875. ადვილად და სწრაფად გამდიდრება მხოლოდ ქურდობით და მოტყუებით შეიძლება, რასაც ჩვენში დღეს ბიზნესს და კომერციას ეძახიან.

2876. ძალაუფლება ყველაზე დიდი ბიზნესია, მაშინაც კი, როდესაც ის არ ქურდობს.

2877. ბიზნესი ბიზნესია და სხვის უპასუხისმგებლობაზე პასუხს არ აგებს, აქ ადამიანური მორალი ყოველთვის მისაღები არ არის – გაგაკოტრებს და შენი წესიერებით სხვა ისარგებლებს, რადგან კანონისგან განსხვავებით, დამნაშავე ყველაფერში ბაზრის მოთხოვნილებაა და არა – მომწოდებელი.

2878. ადამიანის შრომის ყველაზე საუკეთესო შემფასებელი ბაზარია, რაც უნდა უსამართლოდ გვეჩვენებოდეს, რადგან საბაზრო ეკონომიკა მოდაშია. ამიტომ მწარმოებელმა პირველ რიგში ჯერ მყიდველი უნდა მოაჯადოოს და მერე შექმნას პროდუქცია.

2879. დატანჯული ღიმილის ავტორია ყველა შენს ირგვლივ მყოფი, ვისაც სურვილი აქვს ფული დაგცინცლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ბიზნესი დაზარალდება, რადგან შენ სხვისგან შეიძენ საქონელს. ამრიგად, სადაც ინტერესების შეჯერება

ხდება, იქ ღიმილი გარდაუვალი ატრიბუტია, რადგან უიმისოდ კაპიტალი ვერ იარსებებს.

2880. ვაჭრობა კეთილდღეობის მოპოვების ბიზნესის სკოლაა, რომელშიც ტყუილი არ უნდა ჟღერდეს.

2881. ბაზარია ის, როდესაც შენს სიტყვას ფასი არა აქვს, სერიოზულად მას ყურად არავინ იღებს და არც არავინ გევაჭრება.

2882. ბიზნესი ყველაზე დაუცველი საქმიანობაა, რომელსაც გამყიდველობა, შური, რეკეტი თან ახლავს, მას ყველა მეწველ ძროხასავით უყურებს და ისე ექცევიან, თითქოს ყველა მისი მოწილეა.

2883. კარგი გვარის სიცოცხლისუნარიანობა და ჟღერადობა დამოკიდებულია ჯაჭვზე დიდი პაპა – პაპა – მამა, შვილი – შვილთაშვილი – დიდი პაპა და ასე შემდეგ. ხოლო წესიერი ბიზნესის მორზეს „ანბანია საქონელი-ფული-საქონელის" უწყვეტი ხაზის გატარება.

2884. ქვეყანაში, სადაც სილამაზეზე განსაკუთრებული მოთხოვნა არ არის, ბიზნესზე ლაპარაკიც ზედმეტია.

2885. ბიზნესის კეთილდღეობა დამოკიდებულია ქალების და ბავშვების მყიდველობით თავქარიანობაზე.

2886. კაცი ფულთან ურთიერთობისათვის წინასწარ უნდა მოემზადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მან ბიზნესს ხელი არ უნდა მოჰკიდოს.

2887. ბიზნესში მაშინ გრიალებს უნიჭობა, როდესაც სახელმწიფოს შემთხვევითი ხალხი მართავს და ნაპარავი ფულია დასამალავი.

2888. კაპიტალი რომ დააგროვო, ეშმაკი და მოხერხებული ადამიანი უნდა იყო, მაგრამ, ვინ იცის, რა ჯობს, იყო ჭკვიანი და ღარიბი მეცნიერი, რომელიც თავისი სიამოვნებისთვის ცხოვრობს, თუ მოხერხებული ბიზნესმენი, რომელიც, თავისდა შეუცნობლად, ფაქტიურად სხვისთვის მუშაობს და თავის თავს ბევრ ნამდვილ სიამოვნებას აკლებს.

2889. ხელაღებით ნდობა ის სისულელეა, რომელიც ბიზნესის ლექსიკონში არც სწერია და არც არასდროს ჩაიწერება.

2890. ახალი რუსი, ახალი ქართველი – ყველა ერთი მასალითაა გაკეთებული, რწმენაც ერთი აქვთ – რაც შეიძლება მეტი მოიხვეჭონ.

2891. ნაციონალური თამაშები საზოგადოების განვითარების ჰუმანიზაციის შედეგია. მათში მონაწილეობა პატრიოტ დილეტანტში დიდ სიამოვნებას იწვევს, მაგრამ მატერიალური დაინტერესებისა და ბიზნესის კეთების გარეშე ის თავის კუთხეს ვერ გასცდება.

2892. მეცნიერები იმიტომ კმაყოფილდებიან მცირე გასამრჯელოთი, რომ ცნობის-მოყვარეობას საზოგადოების ხარჯზე იკმაყოფილებენ. მაგრამ თუ ფული დააგროვეს, ბიზნესის დატოვება რატომღაც უჭირთ და სინანულით იხსენებენ თავის „ჰობს".

2893. თუ ხალხი მზად არის დასანერგად მიიღოს მეცნიერის ნამუშევარი, მაშინ ამ ქვეყნის ბიზნესის ჰიმნი პატივისცემას იმსახურებს.

2894. ეკონომისტსა და ბიზნესმენს შორის ის განსხვავებაა, რომ ეკონომისტი გეგმავს ბიზნესში ფულის კეთებას, ბიზნესმენი კი ამ გეგმას ანხორციელებს. შედეგად, ეკონომისტს თავისი პროექტი და სახელი რჩება, ბიზნესმენს კი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა და აღურიცხავი ფული.

2895. ბიზნესმენი მორალურად ვალდებულია ყველა კარგი წამოწყების სპონსორი იყოს, მაგრამ, თავისი საქმიანობის და თავისი თავის მიმართ – არავითარ შემთხვევაში.

2896. ყველას აქვს აქტიურობის ბიოლოგიური დრო, რომელიც ხელიდან არ უნდა გაუშვას, თორემ ამას კაპიტალდაბანდება არ გაპატიებს.

2897. ბაზარი არის: შრომა, გამრავლებული მყიდველის ინტერესებზე ფრჩხილებში, გამოკლებული რეკლამის შესაძლებელი დათმობა.

2898. ბიზნესი ვერ ითმენს დემოკრატიულ მანერებზე აწყობილ პოლიტიკურ ონანიზმს.

2899. ზოგს ისეთი სასწაული ბიზნესი აქვს, რომ იძულებულია თავისი სიკვდილიც კი ცოლის სახელზე გადააფორმოს.

2900. რათა შეწყდეს ჭორი შენი სიძუნწის და სისულელის შესახებ, არ არის საჭირო ბიზნესში, სადაც არაფერი გესმის, თავის შეყოფა და იქ ფულის დაბანდება.

2901. ბიზნესში ის აღწევს წარმატებას, ვინც ცხოვრებაში ხვალის გასაკეთებელს დღესვე აკეთებს, რადგან პარლამენტს, მთავრობას და მათს კანონიერებისკენ მისწრაფების ხუმტურს ჩვენი მტერი ენდო.

2902. პირველ ხანებში მოვალეობის გრძნობა შემოსავლის მატებასთან ერთად იზრდება, მერე ეჩვევი, გგონია დაიმსახურე, შემდგომ თავსაც ამადლი და ბოლოს, შეიძლება დანაშაულიც ჩაიდინო, რადგან შენი მოვალეობის გრძნობიდან აღარაფერი რჩება სასიკეთო ამ სიმპტომების შემჩნევის შემთხვევაში, თვითონ უნდა დააკონსერვო ბიზნესი.

2903. როდესაც ქვეყნის მოთხოვნები ემთხვევა ბიზნესის შესაძლებობებს იმ სახელმწიფოს მსოფლმხედველობა და ბიუჯეტი წესრიგშია.

2904. მოდაზე აშენებული შენობა 10–წლის შემდეგ შეიძლება დავიწყებას მიეცეს, ხოლო 100–წლის შემდეგ ისევ მოდაში შემოვიდეს და ტურისტების მექად იქცეს, ამიტომაც სიახლესთან ბიზნესით უფრო ახლო უნდა ვიდგეთ და მისი დაფინანსება არ უნდა დავიზაროთ.

2905. ბიზნესში პრინციპების დაცვაა მთავარი და არა – გადაგვარებული მოგება, რომელსაც ხშირად კრიმინალის ან ვირეშმაკობის სუნი ასდის.

2906. ბიზნესის და ბავშვის კეთებას გადამეტებული ფიქრი და განსჯა ვნებს და ბოლოს ხელში ჩვენი უხიაგობის გასამართლებელი ალიბი შემოგვრჩება.

2907. მოწინააღმდეგე ნიჭიერი კაცი პარტნიორად რომ გავიხადოთ, ჭკვიანური ბიზნესის ანა-ბანაა, მაგრამ საქმის ცოდნის ანბანს ხშირად წინ შური აღუდგება.

2908. ძუნწი, მომხვეჭელი, არარაობა, პოლიტიკოსების გამო ზარალდება ბიზნესი და ქვეყანის, ეკონომიკა. მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც ამ ვიგინდარებზე ამყარებს იმედს.

2909. საოცარი ალიბი გახდა „ბიზნესი" ვითომდა საქმიანი ხალხისთვის, რომლებიც თავის უხიაგ მოქმედებას ამართლებენ – „რას იზამ, ბიზნესი-ბიზნესია" და ამ ცნებას ამოფარებული, წლობით ჩამოყალიბებულ ადამიანურ ურთიერთობას წყალს ასხამენ, რადგან საქმეში მოგება, ფული ჩაერია.

2910. დღეს თამბაქოს გონიერი მწარმოებელი სიგარეტს ინსტრუქციის თანხლებით გაყიდის, რომელშიც აღინიშნება სიგარეტის მოწევის წესი: „ნაფაზის დარტყმის გარეშე". ამასთან, თამბაქოს კოლოფზე უნდა დაიხატოს გველის თავი და სიგარეტის მოწევით დახოცილი ხალხი. შედეგად: ხალხზე ზრუნვის ალიბი, ახალი სახის უფასო რეკლამა და მომატებული რეალიზაცია. ფარსი გათამაშებულია და ეკოლოგების შედავების საბაბიც მოხსნილია.

2911. სიმდიდრე ისტორიის უქონელ ხალხს კულტურასაც აშოვნინებს, წარსულსაც შეუკოწიწებს, ეროვნულ სიამაყესაც შეუქმნის და ოპონენტებსაც მოიკვარახჭინებს მათი ცხოვრების წესის შესამკობად და გასავრცელებლად.

2912. ბიზნესია სიგარეტი, ავტომობილი. მისი გამონაბოლქვი ათეულ ათასობით ადამიანს კლავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სახელმწიფო უარს არ ამბობს ამ ბიზნესის წილში "ჯდომაზე".

2913. ბიზნესი ადამიანს ყველაზე უკეთ გამოსცდის, გაჩვენებს, რამდენადაა ის თავისი ქვეყნის მოქალაქე.

2914. ღარიბ ეკონომიკას ღირსებას და წესიერი გზით სარჩოს მოპოვებას ვერ მოსთხოვ, ერთმანეთს ვერ გაუგებენ, რადგან საქმე ადამიანის ადამიანურ ყოფნა-არყოფნაზეა მიმდგარი.

2915. ფულის უყაირათო ფლანგვა ისევ ქვეყნის და მისი მთავრობის ბრალია, რადგან მან ის ეკონომიური სიამოვნების მანქანა ვერ შექმნა, რომელიც ადამიანის წუთიერ სიამოვნებას მომავლის ოცნების აღსრულების სიამოვნებაში გადაზრდიდა.

2916. „სახელმწიფო აზროვნებაა", როდესაც ყველას თავისი აზრი აქვს მოსაძებნი და მომხრენი არიან თავისი ინტერესები დროებით გვერდზე გადადონ, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების განსამტკიცებლად.

2917. ქვეყანას უხიაგი ჯარისკაცები მანამ ეყოლება, სანამ მას ბიზნესის წესიერ გენერალს არ მოუნახავენ.

2918. ბიზნესი თავისებური სარწმუნოება, დიქტატურა, ბედისწერა, კაპიტალის ნებაყოფლობით მონობაა, რადგან მის გარეშე არცერთ ინვესტიციას, მეცენატობას, სახელის მოხვეჭას, დასახული მიზნის მიღწევას, დიდი დღე არ უწერია.

2919. ეკონომიკაში 2X2 ყოველთვის ოთხი არ არის, რადგან მასში ერევა მათემატიკისთვის მიუწვდომელი ახლომხედველი პოლიტიკოსის, ყოფითი ტრიგონომეტრიის ინტერესებისათვის გასარკვევი და აუცილებელი ალგორითმები.

2920. სულით აზიელის, სურვილით ევროპელის იმ ხიდზე სირბილს, რომელიც ცივილიზაციებზეა გადებული, ჯერჯერობით სიკეთე არ მოაქვს, გარდა იმისა, რომ სირბილში მუდამ ჩვენთვის გამოსადეგი ეკონომიკის ძებნაში ვართ და ამით მხოლოდ მორბენლის ფორმას ვინარჩუნებთ და სხვა რეგალიებს ვერ ვიმკობთ.

2921. ბიზნესის და სიამოვნების ერთდროული ბედისწყალობა ძირითადად ახალგაზრდა ასაკში უნდა მოხდეს, რადგან ისინი დიდხანს ერთმანეთს ვერ ეგუებიან და საპირისპირო შედეგს იძლევიან, ალჩუზე კი კოჭი ყოველთვის არ ჯდება და ამიტომ არჩევანი ბიზნესის სასარგებლოდ კეთდება, რადგან ეს უკანასკნელი უფრო საიმედოა, ვიდრე სიამოვნებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად უფრო შრომას და თავის მოწონებას ემსგავსება.

2922. კაპიტალი თანდათან ილევა, თუ არამწარმოებლურად იხარჯება, ამის შესახებ ინფორმაცია ჟონავს რადგან მას შესატყვისი სწორი ეკონომიკა ვერ მოვარგეთ.

2923. გამოუცდელი და წესიერი ხალხი ყველაზე დიდი ბიზნესია ირეშმაკებისთვის.

2924. ლაპარაკი კი ვიცით მოხდენილი, ტრადიციების გათვალისწინებით, მაგრამ ჩვენზე შექმნილი კარგი შთაბეჭდილების ეკონომიკით გამაგრება არ გვეხერხება, რადგან მისი შესაბამისი არც ტრადიციები გვაქვს და არც შემართება.

2925. უხიაგი ეკონომიკის ქვეყანაში ორთქლმავლების მიგრაცია ხდება, ვაგონები ადგილზე რჩებიან, ბოლმით იჟანგებიან და ისევ ორთქლმავლის მემანქანეთა დაბრუნებას ელოდებიან, რომელთა მიგრაციის შესაჩერებლად ამ ვაგონებმა არაფერი იღონეს.

2926. როდესაც ოცნებას მიჩვეული დემოკრატიული რომანტიზმი მთავრდება და ეკონომიკის მატერიალიზმი იწყება, რომანტიზმი კვლავ ნაცარქექაობას უბრუნდება, მაგრამ წაციცქვნას მიჩვეულს, უსახსროდ ყოფნა აღარ უნდა, რადგან დროებით ქვეყნის ოლიმპზე ყოფნის დროს სხვის ჯიბეში ხელის ფათური ისწავლა.

2927. ნაციონალიზმის უპირველესი მკურნალი ჯანსაღი ეკონომიკაა, თუ ამ უკანასკნელში მოიკოჭლებთ, დიქტატურას უნდა მიმართოთ, თუ ამის თავიც არ გაქვთ, მაშინ ლოდინის პოლიტიკას, თუ ესეც არ შველის საქმეს, მაშინ ჭიტლაყი ქვეყნის ამ უნიათ მმართველს!

2928. ბუნებაში, ასევე ეკონომიკაში უაზროდ არაფერი იკარგება, თუ ქვეყნის მომავალი მოხერხებული შთამომავლის ხელშია და მათ კვლავწარმოებას არაფერი ემუქრება.

2929. სუსტ ეკონომიკას ავანტურა და ომის დაწყება არ შველის, რადგან პრობლემების გადაწყვეტაში ის მხსნელად ვერ მოგვევლინება.

2930. ბევრი ქვეყანა ცხოვრების პირობების ამაღლების პრეტენზიებით გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ბუნებას და მომავალი თაობის ეკონომიკას.

2931. ბიზნესში წარმატება მომენტია, შემთხვევაა, სიახლის ატაცებაა, თავდადებაა, რეკლამა და რისკია, მაგრამ ბუნებრივი ნიჭი და იღბალიც გასათვალისწინებელია.

2932. საფუძველმორყეულ სახელმწიფოს არც "ფატიხას" ეკონომიკურ საფუძველზე გადაწერილი კანონი აწყენს, რომელიც ქურდობას, მექრთამეობას და სხვა მამაძაღლობას სალ კლდესავით აღუდგებოდა და ყველა სახელმწიფოს ყალთაბანდ მოხელეს იმქვეყნად გაისტუმრებდა.

2933. სახელმწიფომ ეკონომიკური აყვავება რომ დაიწყოს, სიტყვის გატეხისა და „გადაგდების" წინააღმდეგ უმკაცრესი კანონები უნდა შემოიღოს. რადგან ნდობა დიდი თავნია ბიზნესში.

2934. დღეს დადგმული სპექტაკლი, გადაღებული კინო, დაწერილი მუსიკა, ასახავს ხალხის დღევანდელ სულიერ განწყობას და მის ეკონომიკურ შესაძლებლობებს.
2935. ომის დრამატურგია ხშირად კომედიად იქცევა, როდესაც გამარჯვებულს დამარცხებული ხალხის ეკონომიკის გაუმჯობესება უხდება და ვერ გარკვეულა, ამ ომში დამარცხდა თუ გამარჯვებული გამოვიდა.
2936. საზოგადოების ასპარეზი რომელიც 40-60 წლიან თაობებს დაივიწყებს იმ ქვეყნის ეკონომიკა წელში გაბზარულია და ვერ იღიღინებს.
2937. ზოგიერთი მთავრობის ხელში, ეკონომიკის დევალვაციის ხარჯზე, მოქალაქეებს ხშირად ექმნებათ საშიშროება "მილიონერებად" გახდომისა.
2938. ქვეყანა, რომელიც პოლიტიკურად და ეკონომიურად არასტაბილურია, ეკოლოგიურადაც საშიშია, ამიტომაც მასთან ურთიერთობას ყველა უფრთხის.
2939. სიყვარულს ქორწინება უნდა მოჰყვეს, აალებულ ცეცხლს ნაკვერჩხალი, ფულს სურვილების ასრულება. ასე, რომ ყველაფერს თავის „ფინიში" უნდა ჰქონდეს, თუ გვინდა სიამტკბილობით ვიცხოვროთ.
2940. ეკონომიურად ჩამორჩენილი სახელმწიფოების ხალხის მიგრაცია განვითარებულ ქვეყნებში დემოკრატიის თავისებური აგრესიაა კაცთმოყვარეობის, თანასწორუფლებიანობის დროშით მდიდარი ქვეყნების მიმართ, ხოლო სამყარო რა ეკონომიკურ და პოლიტიკურ დივიდენდებს მიიღებს, ეს მომავლის საქმეა.
2941. გადაჭარბებული ცივილიზაცია გადაგვარების გზაზე აყენებს ეკონომიკურად ძლიერ და პოლიტიკურად თავხედ ქვეყნებს. ღარიბი ქვეყნებიდან მოსახლეობის მიგრაციამ გაფეტიშებულ ქვეყნებში შეიძლება მდიდარი აბორიგენები გადაშენებისგან იხსნა, რადგან ცივილიზაციის ბოლო ამ ქვეყნების აღმშენებლობის დასასრულია.
2942. ცხოვრებაში იმდენი ამოუვსები ეკონომიური ნახვრეტია, რომ ჩვენი მდგომარეობა ხანდახან მაფიოზის, „რაზბორკის" შედეგად დახვრეტილ გონებას ემსგავსება და ამ სიცარიელის ამოვსება სულის წრთობით, სხეულის წვრთნით, თავისადმი შეძახებით და ჩვენი ვარსკვლავის გაბრწყინების იმედად უნდა ვცადოთ.
2943. ბიზნესს უყვარს დანაწილებული სიყვარული და ერთმმართველი ძალა, სხვისი ცხვირის ჩაუყოფლად.
2944. ყველა დროის ყველაზე გარანტირებული „ბიზნესი" იყო ვაჭრობა, პოლიცია, ალკოჰოლი, სიგარეტი, წამალი, შოუ, პროსტიტუცია, სახელმწიფო რეკეტი, ინფლაცია.
2945. წესიერი გზით ბიზნესში დიდი ფულის შოვნა ძნელია, მაგრამ არც სიბინძურეში შეტოპვაა რეკომენდებული, რათა მთელი ცხოვრება დასვრილმა არ იარო და ეს მყრალი სუნი მომავალ თაობებს არ დაჰყვეს.
2946. რამდენი უფხო ნიჭიერი იკარგება ბრბოს უყურადღებობით, მაგრამ ამ გულგრილობას ყველაზე მეტად უგერგილო ქვეყნის ეკონომიკა განიცდის, რომელიც ჭაობიდან ვერ ამოთრეულა.

ეჭვი

2947. სამართალი, რომელიც საქმეს ვნებს და უსამართლობა, რომელიც საქმეს წაადგება, სხვადასხვა განზომილებაა. თეორიულად პირველის პირველობა განსჯას არ ექვემდებარება, ხოლო პრაქტიკულად მეორე უნდა განხორციელდეს, მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანობა უკვდავია, ხელშეუხებელია, ხოლო საქმის კეთება დღევანდელობისა და მომავლის განსასჯელი.

2948. ჩამორჩენილ ქვეყანაში, მოწინავესთან შედარებით, მოაზროვნე გონება რატომღაც მეტი იბადება, მაგრამ თავიანთი შესაძლებლობების დემონსტრირება ხეირიან სახელმწიფოში უხდებათ. თანამოქალაქენი თავის ქვეყნის ღირსეულ შვილებს სიხარულით აცილებენ სხვა ქვეყნებში დასაკარგავად, იმ იმედით, რომ ბედი გაულიმებთ, გამდიდრდებიან და ყველანი უკან დაბრუნდებიან. მერე გადის დრო, იქით წასულები უკან არ ბრუნდებიან, აქ დარჩენილი იქ არავის უნდა, შედეგად, პირველსა და მეორე ქვეყანას შორის განსხვავება უფრო იზრდება.

2949. არის გმირობა, არის ავანტურა, არის სამშობლო, არის უაზრო პატრიოტიზმი, ყოველივე ამის გვირგვინია მოხერხებული გონიერება, რომელსაც ეშმაკობა ჰქვია.

2950. კორუფცია თავის ქვეყანას აშენებს, ხალხი – თავისას, ხოლო თუ ვინ რამდენ აგურს დებს მის მშენებლობაზე, ეს ხალხის მიერ არჩეულ ქვეყნის მმართველზე, მის პატიოსნებაზე, მოხერხებულობაზე, გონიერებაზეა დამოკიდებული.

2951. როდესაც ჭიანჭველების ბუდეს დააკვირდებით, მასში პირველყოფილი საზოგადოების ელემენტებს შეამჩნევთ, ალბათ ასეთივე დაკვირვებას ჩვენზე უცხოპლანეტელებიც აწარმოებენ, მათზე კი უცხო გალაქტიკის სხვა უფრო განვითარებული არსებები და ასე შემდეგ. როგორც ჩვენ, ალბათ ისინიც არ ერევიან ერთმანეთის საქმეებში და იგივე აზრის არიან, რა აზრისაც ვართ ჩვენ ჭიანჭველებზე. ამ დაკვირვებებში მთავარია ის, რომ საზოგადოების წესი კი არ იცვლება, არამედ მისდამი მიდგომა, რომელიც ტექნიკური შესაძლებლობებიდანაა გამომდინარე.

2952. ერთისთვის რწმენა, საქმის კეთება, ცხოვრების ადრენალინია, მეორისთვის – უბედობა, სულის განცხრომა, ყველას თავის სარწმუნოება აქვს და სულსა და ხორცს თავის შეხედულებისამებრ ამზადებს იმქვეყნად გადასასვენებლად.

2953. ლენინმა კი დაწერა, ინტელიგენტი ქაქიაო, მაგრამ თუ ასე ჩუმად და უსასრულოდ ყარდა, ამდენი ცხოვრებისეული, ისტორიული გამოცდილების შემდეგ წარმოუდგენელი იყო, თუმცა კარიერისაკენ და კარგი ცხოვრებისაკენ სწრაფვას ვერავითარი წინაპარი, გონივრული დამოძღვრა ვერ შველის.

2954. ბუღას ნახირში აღარავინ უშვებს, რადგან მან თავისი სექსუალური შრომით პატრონი უნდა არჩინოს, ამიტომ მწყემსი იძულებულია სექსოპათოლოგის პროფესიაც იკისროს და პატრონს შეატყობინოს, როდის სჭირდება მის ძროხას ბუღის

მომსახურება, რათა ნახირი ნამატის და თვითონ სამსახურის გარეშე არ დარჩეს. ვინ იცის, რა მოელის მამაკაცთა მოდგმას ამ აქსელერაციის პირობებში.

2955. იმის გასაგებად, თაფლია უკეთესი თუ ცვილი, სავალდებულო არ არის მთელი კასრი „ქაქის" შეჭმა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მართვის ისტორიული გამოცდილება მის ბოლომდე მირთმევას გვთავაზობს და უგუნურება იდეების რწყევით მთავრდება. გადის დრო და ყველაფერს თავიდან ვიწყებთ, რადგან მამაზეციერის ერთხელ და სამუდამოდ მონიჭებულ კოდს რევოლუციისკენ სწრაფვის ვერ გავექცევით.

2956. ჭორიკნობაა ისტორიის საწყისი, რომელსაც თაობები შელამაზებულს გადასცემდნენ მომდევნო თაობებს, ამ წარსულის საეჭვო გაელვარებას. ეს გრძელდება მანამდე, სანამ ვიღაცას ისტორიის წარსულის მოჩხრეკვის სურვილი არ აეკვიატება და სიმართლეს არ იყვირებს. ყველა ამ ფაქტის რევიზიის ჩატარებას იწყებს, გადის დრო, ყოველივე დავიწყებას ეძლევა და კვლავ ისტორიის შელამაზება გრძელდება, რადგან იმ დროის წარმოჩენის სურვილი ასეთია.

2957. რაც კეთდება სიყვარულით, მათ შორის უარყოფითიც, იწვევს სულის სიმების დაკმაყოფილებას და ხორცის მუსკულატურის დამშვიდებას, მხოლოდ ესაა, ტვინის ნაოჭები არ ისვენებენ, სანამ თავის ნამოქმედარს ყველა კუთხიდან არ შეხედავენ.

2958. გონიერი საუბარი დასტაქარის ლანცეტს მოგვაგონებს, სადაც სიტყვა ისეა შერჩეული, რომ შენიშვნა გულს არ სტკენს, პირიქით ის აიძულებს თავს მობილიზება გაუკეთოს, შეცდომები გამოასწოროს და ამით თავსაც ასიამოვნოს და ოპონენტსაც.

2959. ჭორაობა დიდ სიამოვნებას გვანიჭებს, მაგრამ სულსაც ბაასი სჭირდება თქვენთვის სასიამოვნო ფიქრთან და ოცნებასთან.

2960. თეორია გამოცდის გარეშე ნულს უტოლდება, მისი მოსაზრება რაც უნდა რეალურად გვეჩვენებოდეს.

2961. არის სიტყვა, რომლის ხმამაღლა თქმა არ შეიძლება, რადგან ის მომავალ თაობას გონებას ურევს, უღირს საქმიანობას უფეტიშებს და ცხოვრების ფათერაკებზე ქროლვის სურვილს უღვიძებს.

2962. მთელ ჩვენს ცხოვრებას საკუთარ კომპლექსებთან თეორიულ ბრძოლაში ვატარებთ, რომელიც ხელს არ გვიშლის დრო ჩვენს ჭკუაზე ვატაროთ.

2963. პატრიოტული ორგანიზაცია, რომელსაც სამართლიანი ამბიციები აქვს ბრბოს წინაშე, ვერც თავის ხალხს და ვერც სახელმწიფოს ძლიერებას კარგს ვერაფერს მოუტანს.

2964. უკეთურობაა, როდესაც შენიანები გატყუებენ, შენ კი გონიერებას დამორჩილებული თავს ხმის ამოღების უფლებას არ აძლევ, რადგან ისინი მიზნის მისაღწევად, ამ შინაური საქმის გარეთ გამომზეურებასაც არ ერიდებიან, მათ შესანიშნავად იციან, რომ ეს შენს იმიჯს წესიერების მოძულე, „კეთილისმდომ" ახლობლებში ქვევით დასცემენ.

2965. ის საზოგადოება, სადაც ყველას ყველაფრის თქმა შეუძლია და პრესის თავხედობას ანტაგონიზმამდე მივყავართ, გადაგვარების საფრთხის წინაშე დგას.

2966. თავისუფლების, დემოკრატიის, ტკბილად ცხოვრების, გარანტია მუდმივი სამუშაო და ღირსეული ანაზღაურებაა და არა პატიოსნება – უღირსი ანაზღაურებით წესიერების გარანტი, რადგან ეს უკანასკნელნი დიდხანს ერთმანეთს ვერ ეთვისებიან და იწყება დამნაშავის და განტევების ვაცის ძებნის კამპანია.

2967. „ქმრის მოყვარულთა" პარტიის შექმნა ბევრ სხვა პარტიებს აჯობებდა მისდამი ერთგულებით და მრავალფეროვნებით. ამასთან, კანდიდატს მდედრის მოტყუება და ჰაეროვანი დაპირებების მიცემა გაუჭირდებოდა, ოპონენტებად შინაურები ეყოლებოდა. ამას ქალის პრაქტიკულ-მატერიალურ-შეძენითი აზროვნებაც დაემატებოდა, ქვეყნის საქმე წინ წაიწევდა და მეტი რეალური საქმე გაკეთდებოდა.

2968. ყურანის თანახმად, დედაკაცი მამრის წინ არ უნდა მიაბიჯებდეს, მაგრამ თუ ეს გზა დანაღმულია და ყურანის წერის დროს ნაღმის არსებობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ, მაშინ რა ვალდებულია მუსლიმანმა მამაკაცმა თავი შესწიროს ქალებს და ყურანის დოგმებს.

2969. სიყვარული ადამიანური გრძნობაა, პოლიტიკა გონიერების ჭრაჭუნის შედეგად მიღებული ნაციონალური ინტერესის დაცვა, დიპლომატია კი ფაქიზი მემბრანა, რომელიც ამ ორი გრძნობის გაერთიანებას ცდილობს, მაგრამ შედეგს მაინც ქვეყნის ძლიერ ეკონომიკაზე და სამხედრო ძალაზე დაყრდნობით აღწევს.

2970. მეორადი ჰიგიენური მდგომარეობა უკვე ძალადობაა საკუთარ თავზე, რაც გამოიხატება გადამეტებული ყურადღებით კვებაზე, ჰიგიენაზე, ჩაცმაზე, რადგან ჩვენი ცხოვრების ამ ნაწილს ჩვენი ჯანმრთელობის უმიშროება ავალია.

2971. დეფიციტის ქვეყანაში სამართალსაც თავისი ინტერესები უჩნდება, ერთს სასმელის სმის დროს, შემთხვევით, საფეთქელში შებოლილი ძეხვის დარტყმით შემოაკვდა თანამეინახე, სასამართლო შემადგენლობა კი იმის ძიებაში იყო, სად იპოვა ბრალდებულმა ეს ძეხვი.

2972. სპორტი ლოგიკას და წინასწარმეტყველებას არ ემორჩილება, ამიტომაცაა რომ ქომაგებს გაოცების მძიმე ლოდი ადევთ და მათ გადამეტებულ ყურადღებას იმ დონეზე მიჰყავს სპორტსმენები, რომ ისინი თანახმანი არიან მოგებისთვის ყველაფერი გაიღონ და თავის კეთილისმსურველთ „ბიშტი" არ აჩვენონ და გაახარონ.

2973. ხარისხსა და სილამაზეს შორის სხვაობის კავშირი ყველაზე მეტად მისმა მწარმოებელმა იცის, მისთვის მთავარია რეკლამა, აქედან გამომდინარე სახელი და შემოსავალი. ამიტომაა, რომ დალაქი ხშირად გაუპარსავია, მეორე თავისთვის წონანაკლულ ღორის ხორცს მიირთმევს, მესამე ფეხმოტეხილ ქათამს, ხოლო მეკარტოფილე პირველ რიგში კვირტებამოწეულ კარტოფილს სანსლავს.

2974. არისტოკრატული სული და არა გარეგნობა, ჭკუა-გონიერებით და არა შეხედულებით, ღირსება საქმით და არა ფუტლარით ფასობს, მაგრამ პირველად გარეგნული ხიბლი მოქმედებს, რადგან დანარჩენის გარკვევა დროს და რეკლამას მოითხოვს.

2975. ბუნებას თავისი კანონები აქვს და ის პლანეტის განადგურებას არ დაუშვებს. თუ ადამიანის ჯიუტ გონებას ომებით, დაავადებებით ვერ მოერევა, მაშინ საშუალო სექსს შემოიღებს მოდაში, გააფეტიშებს და ამ მხრივ მოახდენს მოსახლეობის რეგულირებას.

2976. ცივილიზაცია თეორიულად სულ უფრო აადვილებს და სრულყოფს სანახაობებში მკვლელობას, პრაქტიკულად კი ყოველივეს აკეთებს მის აღსაკვეთად, მაგრამ ყველა საუკუნეს, განვითარებას თავისი კუთვნილი მსხვერპლი მაინც მოაქვს და მას ვერავითარი თეორია და პრაქტიკა ვერ შველის.

2977. ყველა ეპოქას თავის ნაკლი ემგზავრება, ერთი ნაკლის აღმოფხვრის შემდეგ მას სხვა ნაკლით ცვლის და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ მამაზეციერი სამყაროს დასასრულზე არ იფიქრებს.

2978. შენი ნაშიერი ხანდახან ისე გაგაბრაზებს, რომ იმ მშობლების გშურს, რომლებიც შვილებმა დროულად დატოვეს, ცხოვრება მოიწყვეს და მათ იშვიათად აწუხებენ მონახულებით, მაგრამ ქარიშხალი გადაივლის და შენს ნაშიერთან ყოფნა კვლავ გათბობს და გახარებს.

2979. ვირსა და სახედარს შორის ის სხვაობაა, რაც დოქტორსა და პროფესორს შორის. მეორე თანამდებობაა, პირველი სამეცნიერო ხარისხი, რომელიც საშუალებას იძლევა პროფესორის თანამდებობა შეაბა სამეცნიერო ხარისხის ურიკაში და თავს და ოჯახს სარჩო უზიდოს.

2980. ეკლესია შეიძლება სიცოცხლეში ვერ ააშენო სიღარიბის გამო, მაგრამ მისი დაწყება შენს დროში აუცილებელია, რადგან სხვანაირად ქვეყნად არაფერი აშენდება და ჩვენი მოვლინება ამქვეყნად ხიბლს დაკარგავს.

2981. რომ გვცოდნოდა 200 წლის შემდეგ ჩვენი ნახლაფორთები იდეა როგორ განვითარდებოდა და ხორცს შეისხამდა, გამოგონების დროს ღიმილს მოგვგვრიდა და შეიძლება ხელიც არ მოგვეკიდა მისთვის, მაგრამ თავის დროზე რომ არ გვეყოჩაღა, მომავალ თაობას ისტორიის სწავლაც არ დასჭირდებოდა.

2982. ნამდვილ მდედრს ქალობა ბავშვობიდანვე ეტყობა, ხვადს – ბიჭობიდანვე, ხოლო მათი ამ ნიჭის გამოვლენა გარემო პირობებზე, პარტნიორზე და ეკონომიურ კეთილდღეობაზეა დამოკიდებული, რადგან სხვა შემთხვევაში ნიჭი ნახევარფაბრიკატი იქნება.

2983. ყლორტის ფილოსოფია, ანუ ბუნების სიმშვენიერის აღქმა, მიუხედავად ტექნიკური პროგრესის გათავხედებისა, ერთეულთა ხვედრია, რადგან მასა მაინც კუჭის ამოყორვას, სანახაობებსა და დროსტარებას არის გადაყოლილი და მისი გემოვნების შეცვლას ვერავითარი საუკუნეების ქარტეხილი და გამოცდილება ვერ შველის.

2984. არის ძალაუფლება იდეალების, ბიზნესის, მთავრობის, მასების, მაგრამ გონიერების ძალაუფლებას არც არავინ სცნობს და არც არავის სჭირდება, რადგან მის უკმარობას არავინ განიცდის.

2985. ტექნიკური პროგრესის დაჩქარება უმცროს-უფროსობის ინსტიტუტის დაშლას იწყებს, რადგან წარმავალი თაობისთვის მისი მიღწევები თანდათანობით მი-

უწვდომელი ხდება, ხოლო მომავალი თაობა ახლა იწყებს მისი შედეგებით აღფრთოვანებას, შედეგად, წინა თაობის მიერ შთამომავლობის აღზრდა თამაშგარე მდგომარეობაში რჩება.

2986. დამნაშავე ბავშვი კი არ არის, თუ ის პატარობისას მშობლებს ხელიდან გაუფრინდა, დამნაშავეა საზოგადოება, რომელმაც ასეთ მშობლებს თაობის კვლავწარმოების უფლება დართო.

2987. კარგი ღვინო და ქალი ეტიკეტის და ჩაცმულობის მიხედვით არ ირჩევა, არამედ საკრედიტო ბარათის შესაძლებლობებით და დაჭაშნიკების ცოდნით.

2988. სიცოცხლის სასწაული მაშინ ქრება, როდესაც განცდებს ჰკარგავ, არავის ბედი არ გაწუხებს და გრძნობ, რომ განწირული ხარ სიმარტოვისთვის.

2989. ჩინოვნიკები თავიანთი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად საზოგადოების ყველა შესაძლებელ და შეუძლებელ სიკეთეს ყლაპავენ და მათ ეს სულის კრიმინალად არ მიაჩნიათ, რადგან ისინი მხოლოდ ხორცის გვემით და ძიძგნით ჩადენილ დანაშაულს იცნობენ.

2990. შტამპით მოწოდებულ სიმართლეს ყველა ყლაპავს, რადგან ამბიციები, ცხოვრებაზე შეხედულება თითქმის ყველას მსგავსი აქვს, ხოლო ახლის, რაციონალურის, ორიგინალურის, არც მოსმენა უნდათ და არც განსჯა, რადგან ეს ზედმეტ დაფიქრებას და ჭკუისღრძობას მოითხოვს.

2991. არავინ იცის, ვინ არის მართალი, მაგრამ კანონიერების და სახელმწიფო ინტელექტის დასაცავად, მთავარია ვიცოდეთ ვინ უნდა დავსაჯოთ, რადგან სამართლიანობის ძებნას ბევრჯერ ძალზე შორს მივყევართ.

2992. იღბალი ბედნიერებასთან ხელიხელჩაკიდებული დადის, ხოლო უბედურება არც არავის ესალმება და ხელსაც არავის ართმევს, მაგრამ თუ დაჭირდა, ხელის წავლებას ისიც ახერხებს.

2993. დიდი პიროვნების წასვლა ყოველთვის ვაკუუმს ტოვებს თავის დარგში, რაშიც თვითონაც დამნაშავეა, რადგან თავის ჩრდილში ვერ აღზარდა ისეთი ღირსეული შემცვლელი, რომელსაც მოთმინება ეყოფოდა და სიცოცხლეში თავის კეთილისმყოფელს აღიარებაში არ შეეცილებოდა.

2994. დღეს მავანთა შემოწმება თუ ოფიციალური შემოსავლის მიხედვით მოხდება, მაშინ ყველა მათგანი სახელმწიფო კმაყოფაზე იქნება გადასაყვანი ციხეში.

2995. ცოდნა ისეთი საიმედო და აუცილებელი რამ არის, რომ მისი მიღება ყველა წყაროდან შეიძლება, მათ შორის ბინძურისგანაც, ერთი პირობით, თუ ცოდნას მოწყურებული ადამიანი პიროვნება და წესიერი კაცია.

2996. რასაც მეტ და მეტ საოცრებას და სისულელეს შესთავაზებ თანამედროვეებს, იმდენად მეტ შემოსავალს და სახელს იხვეჭენ მომდევნო თაობები; ეიფელის კოშკი, ეგვიპტის პირამიდები და სამყაროს სხვა საოცრებანი, თანამედროვეთათვის კულტურის, განსჯის და შემოსავლის საგანი გამხდარა.

2997. სოციალიზმის შეცდომა პირველ რიგში მუცლის ამოყორვაზე ფიქრი და მატერიალური დიზაინის უგულვებელყოფაა, კაპიტალიზმის კი – პირადი სიმდიდრის

დაგროვების გაფეტიშება და გადანაწილებაზე ხელმომჭირნეობა, ვინც ამ ორი „იზმის" შერწყმა მოახერხა, იმ ქვეყნების ცხოვრების მოდელია მისაღები.

2998. შეიძლება ასაკით აკმაყოფილებდე შენს სექსუალურ შესაძლებლობებს, მაგრამ გულს და თავაწყვეტილი ახალგაზრდობის გახსენებას – ვერასოდეს.

2999. განგებას თავისი კეთილისმდომი ხუშტურები აწვალებს, მამა რომელიც გვარის და სახელის გარდა სხვა ვერაფერს უტოვებს შვილს, მაინც ჩუქნის იმ შეუცნობელ „სხვას", რომელიც გაულაღებლად გაზრდილ კაცს ხელს წამოარტყამს და თავისი შვილებისთვის ძვირადღირებული ანდერძის დამტოვებელს გახდის.

3000. მართალია თევზი თავიდან ყარს და კუდიდან იწყებენ მის გასუფთავებას, მაგრამ კუდი ამას მაინცდამაინც ვერ გრძნობს, რადგან ამყრალებისთვის გამზადებული ტანი თავთან ახლოს დგას და მის გადანაწილებას და ათვისებას ცდილობენ მავანნი, რომ სიმყრალემ ქვეყანა არ წალეკოს.

3001. ინვესტიციის დროს რისკს დამფინანსებელი ეწევა, სესხის დროს – სახელმწიფო. ზარალის შემთხვევაში პირველი თავის ჯიბიდან ზღავს, მეორე – ხალხის, მაგრამ პირველის რისკი ძირითადად გამართლებულია, ვიდრე მეორის მოჩვენებითი გარანტია, რომელსაც თავნის დაბრუნებაც კი უჭირს. მაგრამ საინტერესოა ის, რომ ყველა კმაყოფილია ამ უკანასკნელის უგერგილობით და ბანკები კვლავ ანდობენ კრედიტს ამ უხიაგ სახელმწიფო მოხელეებს. სად არის ძაღლის თავი დამარხული, ყველამ იცის (ქრთამ-მახინაციაში), მაგრამ ყველა გაყუჩებულია და ვალის დაბრუნება არავის აწუხებს.

3002. რომ იაზროვნო, კამათია საჭირო. რაიმე ღირსეულის შესაქმნელად – ჭეშმარიტების ძებნა. ერთმანეთის რომ არ გვშურდეს – ყოფითი პირობების გაუმჯობესება. სხვისი წარმატება რომ გვიხაროდეს, ჩვენც უნდა შეგვეძლოს ვთქვათ „ნახირნახირო". ასე რომ, ყველაფერი ყოფიერების საზღვრებშია.

3003. ეტყობა, ყველა ახალი შეფუთული დიდი ზომის შენაძენი უნდა აღვნიშნოთ, თორემ რატომ დაახატავდა „ფუჟერს" მწარმოებელი თავის ნახელავს, მხოლოდ იმისთვის, რომ გაერკვია მისი თავია თუ ბოლო?!

3004. ცხოვრების აზრს ჩვენ თვითონ ვნახულობთ, ამას თუ თანდაყოლილი ნიჭიც დაეხმარება, მაშინ ამქვეყნად ჩვენი მოსვლა გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

3005. გადაძღომა, კარგი ცხოვრებისკენ მისწრაფება, ადვილად ფულის შოვნის პრაქტიკა, იწვევს ყველა საქმიანობის გაფეტიშებას, რაც დიდ შემოსავალს იძლევა. ამასთან ერთად იწყება გამოგონილი იდეოლოგიით ცხოვრება, რომელიც რეალურთან ჩამოშორებით იწვევს მათს აღგვას, საზოგადოების შეუმჩნეველ გადაგვარებას და ფენიქსის სახით სხვა იარარქიის აღდგენას.

3006. რეფორმის ყველაზე მძიმე შედეგია მთელი თაობის მოცდენა, რომელმაც ამ რეფორმების მისაღწევად გარკვეული დრო ქუჩაში ლოზუნგებით ხეტიალს მოანდომა.

3007. საოცარია, მაგრამ „არ ვიცი, ვერაფერს ვხედავ, საკუთარი აზრი არ გამაჩნია", ყველა დროში იყო მშვიდი, უზრუნველი ხორციელი ცხოვრების ალიბი, თუ სულის გაღარიბებას მხედველობაში არ მივიღებთ.

3008. ასაკით ბებერის თანდათან „დაორსულება", უსირცხვილო თვალის ღორმუცელობის ბრალია, რომელიც კუჭს უსინდისოდ აიძულებს ზომაზე მეტი საკვები ტემპში მიიღოს, იმის მაგივრად, რომ ნელ-ნელა გადაამუშაოს და ღიპს დეფორმირების საშუალება მისცეს და თავის სიმსუნაგეს ეჭვით შეხედოს.

3009. უკომპრომისობა, უპრეტენზიულობა, უბრალოება ერთეული თანამდებობის გონიერ მფლობელთა ხვედრია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეორიულად დაფასებული ეს თავმდაბლობა პრაქტიკულად არ გამოდგება, რათა შენით სხვამ არ ისარგებლოს და ბოლოს სხვისი გასაქირდი და ჭკუის დასარიგებელი არ გახდე.

3010. ნაკლოვანებაც, ეტყობა, თავისებური ტალანტია, გააჩნია, ვინ რა კუთხით შეხედავს და რის აღმოჩენას აპირებს მასში.

3011. ძალზე მომრავლებულ დილეტანტთა გამო, გონიერების დამფასებელი შემცირდა, მითუმეტეს, რომ მას ყოველდღიური საქმიანობა და დატვირთვა სჭირდება, მაშინ როდესაც ცხოვრებაში გამოუწრთობი ახალგაზრდობა თავის ენერგიას და დროს კომპიუტერში, დისკოტეკაში, სასმელსა და წამალში ხარჯავს.

3012. ხანდაზმულებს ძალიან უყვართ ჯეელებისთვის გონიერი რჩევა-დარიგების გაღება, რადგან უგონო რჩევის ლიმიტი ახალგაზრდობაში ამოწურეს და დღეს ნაფიქრალის განხორციელების თავი აღარ აქვთ.

3013. ყველა პაიკის ოცნებაა დედოფლად გასვლა, რომელიც თამაშის წესების თანახმად მეფის დაცვას და კეთილდღეობას უნდა შეეწიროს, რაც ბოლოს და ბოლოს, მოსაბეზრებელი ხდება.

3014. სტუდენტები, სამწუხაროდ, ამავე სტატუსით დარჩებიან, თუ ცხოვრების ფონი არ გამოიცვლება და დაღვინების საშუალებას არ მისცემენ ქვეყნის პოლიტიკას.

3015. მასწავლებლობა ღვთის ნაბოძები ნიჭია, რომელიც სიამოვნებას უნდა განიცდიდეს იმით, რომ მისი ცოდნა ვიღაცას გამოადგება და იმედს არ ჰკარგავდეს, რომ მისი აღზრდილებიდან სახელოვანი ხალხი გამოვა.

3016. ბრბო გულგრილად ან გადამეტებული აღმაფრენით უჭერს მხარს ყველა ავანტიურისტს, რომელსაც სერიოზულად თავის დაჭერის და რაღაცის დაპირების უნარი აქვს.

3017. ქალი ბუნების გონიერების დიდი საჩუქარია, მაგრამ არც მამაკაცის შექმნაზეა ნაკლები ჭკუა ნაჭყლეტი, თუმცა იმ წვალებას არაფერი შეედრება, რასაც მამაზეციერი იტანს ამ ორი სქესის შესაგუებლად.

3018. გონიერების ფრიადოსნები კვლევით ინსტიტუტებში მუშაობენ. საშუალოები, ცხოვრების მცოდნენი , სამინისტროებში და მათ ხელმძღვანელობენ, თუ დასჭირდათ, ამ ხუთოსნებს ცხოვრების ალგორითმსაც ასწავლიან და დატუქსვასაც არ აკლებენ.

3019. ნიჭი, გამრავლებული დაუთრგუნავ ენერგეტიკაზე და გაყოფილი დიდ ბავშვობაზე, იძლევა შემოქმედს ან ვიგინდარას, ოღონდ ეს დამოკიდებულია მნიშვნელის სიდიდეზე.

3020. სულის სილამაზე ტექნიკური პროგრესის გრიალს ვერ იტანს, მაგრამ როგორც იაპონელებმა დაგვანახეს, თანამშრომლობა შესაძლებელი ყოფილა მომთმენი ხალხის და მისი ბედით დაინტერესებულ მმართველთა ხელში.

3021. სპორტში ფერადი ლითონების განაწილება სახელის, სიყვარულის, მატერიალური კეთილდღეობის მომტანია, ხოლო ჩვეულებრივ ყოფაში ლითონს მხოლოდ შემოსავალი მოაქვს.

3022. საუკუნეებს უნდა გავუგოთ გონიერებით და არა ინსტინქტებით, მაგრამ პრაქტიკულად პირიქით ხდება და მთელი ჩვენი ცხოვრება სიამოვნებისკენ ამ ინსტინქტებით ვილტვით.

3023. პოლიცია, ისევე როგორც მეგობარი, არავინ იცის, გაჭირვების ჟამს დაგეხმარება, ფეხს დაგიდებს თუ შენი დასახმარებელი გახდება.

3024. უპერსპექტივო, ღარიბი ოცნება რასაც უნდა იმას დაამტკიცებს და იფილოსოფოსებს, რა ენაღვლება, თავისთავის გარდა ოპონენტი არავინ ჰყავს.

3025. არის ადგილები, სადაც გაუხდელი კაბით სიარული უფრო სირცხვილია, ვიდრე სიტიტვლე ზღვაზე, აუზში, მეუღლესთან ლოგინში და ასე შემდეგ.

3026. პრესტიჟულ უბანში ცხოვრება კარგი აღზრდის გარანტიას არ იძლევა, მთავარია აღსაზრდელმა ისეთი სახელი და მენტალიტეტი შთაბეროს თავის უბანს, რომ ეს უბანი საინტერესო და პრესტიჟული გახდეს.

3027. სიბრიყვეა, როდესაც თავის მოსაწონებლად ცხოვრების მედლის ერთ მხარეს უყურებ, ხოლო მისი გაუმჯობესების მცდელობისას მას საერთოდ ჰკარგავ.

3028. მორალია ის, რომელიც მთელი ცხოვრება გვკვებავს და არა ის, რომელიც ვალდებულებისკენ მოგვიწოდებს.

3029. ფრთიანი გამოთქმა მარტო სიტყვის მასალაა და სულის აღმაფრენას ემსახურება, ხოლო სენტენცია დატვირთულია პრაქტიკული აზროვნებით, ხორცსაც შეისხამს, სიამოვნებასაც გვანიჭებს და ცხოვრებაშიც გვადგება.

3030. გონებაჩლუნგი, რომელსაც საზოგადოებაში ჩუმად ყოფნა შეუძლია, შეიძლება გენიოსადაც მონათლონ, ამიტომაც ფასდება სიჩუმე ოქროდ, რადგან ნამდვილი ოქრომჭედელის შემფასებელი ცოტაა, ხოლო ოქროს ლავის მოყვარული დილეტანტები – საჭიროზე მეტი.

3031. ძალადობა არ უნდა აღვიქვათ როგორც გასართობი, რადგან ის აღზრდას ვნებს, მაგრამ ხანდახან ხელსაც უწყობს მოჭარბებული ადრენალინის გამოყოფას და შედეგად გონიერების დაცვას.

3032. ყველას არგო და არვის ავნო, ეს ერთეული სპეციალისტების ხვედრია, რადგან სხვა დარგებში ამის უფლებას არ მოგცემს სახელმწიფოს ვიგინდარა ელიტა და ხალხის ბრბოდ გადაქცევის თანდაყოლილი სურვილი.

3033. სიჭკვიანე და სისულელე ძმები არიან, მაგრამ არა ტყუპისცალნი, რადგან მათი ქცევა და მოქმედება ყველა შემოქმედი, რისკიანი, ავანტურისტული სულის ხალხის პროგროგატივაა.

3034. კლიენტია ის, ვინც ძვირადღირებულ მომსახურებას მოითხოვს, ხოლო ვინც ჩვეულებრივი მომსახურებით კმაყოფილდება, კომფორტის მომხმარებელია, იაფად გამოძვრომის მცდელობით.

3035. ცრუ იდეებით ისევე უნდა დავინტერესდეთ, როგორც ბავშვი ინტერესდება ნაჩუქარი ახალი სათამაშოთი მანამ, სანამ მას არ დაშლის და არ გაერკვევა მის არსში, რომელსაც იქვე მოისვრის და ისევ მისთვის ძველ, ცნობილ სათამაშოს უბრუნდება, ხოლო ადამიანი თავის უცვლელ ღირებულებებს, მენტალიტეტს.

3036. სტრესულ სიტუაციაში დროს ვერ ნახულობ საკუთარ თავზე დასაფიქრებლად და თავს ისე უუცხოვდები, რომ ცხოვრების ტალღა როგორც უნდა, ისე გაბურთავებს.

3037. იცხოვრო ისე, რომ ერთხელ მოკვდე, ამაყთა ხვედრია, რადგან ის გრძნობების აღმაფრენასაა ამოფარებული. ბრბო რამდენიმეჯერ შეურაცხმყოფელ სიკვდილსაც გადაიტანს, ოღონდ იმქვეყნად დროზე ადრე არ გადაბარგდეს.

3038. ძალა, მიუხედავად იმისა, რომ საქმეს თავის სასარგებლოდ წყვეტს, დიპლომატიას მაინც პატივს სცემს, რადგან საბოლოო გადაწყვეტილებას ეს უკანასკნელი უსვამს წერტილს.

3039. ოფიციოზი, რომელიც მოწყურებულია სითბოს და სიახლოვეს ახლობლებისგან, ყველას სიცივეს ურიგებს და ჩაფიქრებისთვის დროს ვერ ნახულობს, რათა მიხვდეს, რომ ისიც ჩვეულებრივი მოკვდავია.

3040. შენი წინამორბედების განადგურება, შემდეგ კი შენი აღზრდილებით საკუთარი თავისა, არის დიქტატურის თვითმომსახურება, რომელსაც თავადაც შთაბერავდი სულს.

3041. სიბერე დასკვნებისკენ იხრება, პოლიტიკა იმედიანობისკენ, ,,კიდევ ვიღაცას ვჭირდები'', მაშინ როდესაც ყველამ იცის, რომ ყავლი გასული აქვს და მისი მრჩევლად ყოფნაც კი უგვანობად მიაჩნიათ.

3042. ანეკდოტი ის ფენომენია, რომელიც შენ გაწუხებს და გაფიქრებს. წიგნად გამოცემა მას ინტიმს უკარგავს, უცხო სხეულივით გვევლინება, თანამეინახეებს ვეღარ ამხიარულებს, რადგან მისი ორგინალობა დაკარგულია.

3043. სტრესების მოთოკვის უებარი წამალია წიგნების, ხელოვნების, ბუნებაში ხეტიალის საშუალებით საკუთარი თავის ჯობნის მცდელობა.

3044. ზოგიერთი ქვეყნის მარადიული პრობლემაა: ვინ მისცემს დაუბრუნებელ სესხს, ვინ უპატრონებს და ვის ნახმარ ფეხსაცმელს მოირგებს უკეთ სიამაყით, მისთვის გასაგები მოხერხებულობით და გულუბრყვილობით.

3045. სულელები ვერ იტანენ ფართო აზროვნებას, გადაუწყვეტელ საკითხებს, მათ უკვე ყველაფერი იციან და ამიტომ ყველა აზრი დამთავრებულად მიაჩნიათ, უყვართ სხვისთვის ჭკუის სწავლება, დარიგება და ამას მთელი გულით და სულით სჩადიან. გამოდის, რომ არც ისე ცოტა სულელია ჩვენს ირგვლივ.

3046. უგერგილო მთავრობის ხელში თაობათა საშუალო ნამატი შედარებით ნაკლებია, ვიდრე ომიანობის დროს საიმედო მმართველის ხელში.

3047. რამდენი რამ ვიცით, რომელიც არ გვჭირდება და არც გვადგება, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, რადგან ცოდნა არ შეიძლება უსარგებლო იყოს გონიერი ადამიანისთვის.

3048. ჯოჯოხეთურ სამოთხეში ცხოვრობ, როდესაც შენს გვერდზე მყოფი ქალი ვერ გაკმაყოფილებს, დოქში უვარგისი ღვინო ასხია და შენთვის მიუღებელ მუსიკას გასმენინებენ.

3049. გონიერი, სერიოზული ნაწარმოები ერთეულებისთვისაა. მათი ვალია ეს ნამოღვაწარი გაითავისონ და მათ წაუკითხავად ბრბოს საყვარელ ნაწარმოებად აქციონ.

3050. ლამაზი პოეზია სიცოცხლეა, თავისებური ნარკოტიკია, მითუმეტეს, მხატვრულად წაკითხული, ხოლო ცხოვრება პროზაა, თავისებურად შელამაზებული რეალობით, მით უმეტეს, კარგად დადგმული.

3051. სიღარიბე დამამცირებელია, პროსტიტუცია იძულებაა, ქურდობა ცუდია, მაგრამ ყოველივე ამას ვეჩვევით და ცხოვრება მაინც ჩვენთვის გაუგებარი გზით გრძელდება.

3052. ბალანსი არის იარაღი, ფინანსების, შესაძლებლობების და სხვა ყოველივე მისთანების მარეგულირებელი, დამაწყნარებელი, ავანტიურის შემაჩერებელი, რათა ვიღაც უგუნურმა ურთიერთობაში არეულობა არ გამოიწვიოს.

3053. ცირკი მოულოდნელად ორმაგი სიამოვნებით გვაჯილდოვებს, გაზარმაცებულნი სახლიდან გამოვყავართ და ბავშვობას გვახსენებს, ხოლო პატარა, ვის ხათრითაც ცირკში მივდივართ, ჩვენზე მეტად ნასიამოვნები რჩება, რომ არაფერი ვთქვათ ცირკის თავისებურ ხელოვნებაზე.

3054. ბედის სიმუხთლეა, როდესაც ზოგს სიკვდილის შემდეგ ეძლევა უფლება ამქვეყანაზე სამუდამო ცხოვრების, ზოგს კი – სიცოცხლეში, ოღონდ აქ უკვდავებისკენ მიმავალი გზებია სხვადასხვა.

3055. სიკვდილის დროსაც შერჩევა უნდა, რათა თანამოქალაქეებს დაამახსოვრდე და შენი იმქვეყნად გადაბარგება იქნებ რამეში გამოიყენონ.

3056. თეორიულად შენი სწორის, ტოლფერის, გარეშე ცოლქმრობა კი არა, ნაცნობობაც არარეკომენდებულია, მაგრამ ცხოვრება საწინააღმდეგო აზრისაა.

3057. ვისაც ბევრს უკრძალავენ, იმას ბევრის კეთებაც შეუძლია, მხოლოდ ამისათვის სათანადო პოლიტიკური კლიმატი და ახალგაზრდა სულის შენარჩუნებაა საჭირო.

3058. აღმზრდელის და მოქანდაკის პროფესია შეუპოვარ შრომას და თავდადებას მოითხოვს, რადგან ორივე ქვის კოდვას მოგვაგონებს: თუ მეორე ამას ნიჭით და საჭრეთლით აკეთებს, პირველი – მოთმინებით, ცოდნით, თავდადებით. თუ მოქანდაკე თავისი ნაშრომის ავკარგიანობას დროულად შეიგრძნობს, აღმზრდელს ამისთვის მთელი სიცოცხლეც არ ყოფნის, რადგან მისი გამოძერწილი მომავალმა თაობებმა უნდა შეაფასონ.

3059. სული – ხელოვნებაა, საჭმელი – საწვავია, სექსი – მოთხოვნილებაა, სიყვარული – გამართლება, ოჯახი – შემოქმედებაა, შვილი – კვლავწარმოება, შვილიშვილი – კვლავწარმოების გაგრძელება, სამუშაო – აუცილებლობა, სიკვდილი – ამქვეყნიდან წასვლის გარანტია.

3060. მთავრობა, ქურდობა, კახპობა ერთი მაფიაა, მხოლოდ გარეშეთათვის არის წარმოდგენილი სხვადასხვა ტანსაცმელში გაურკვეველი შესაძლებლობებით და ერთნაირი მენტალიტეტით.

3061. პარადოქსია, როდესაც ყველა დარგში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დიდად ფასობს და მათ ჭა გახსნილი აქვთ სხვადასხვა ფირმებში, გარდა სექსისა, რადგან ამ დარგის პროფესიონალებს ოჯახის შესაქმნელ ფირმებში არავინ ხალისით არ იწვევს.

3062. იცხოვრეთ როგორც საჭიროა, როგორც გინდათ, როგორც გსურთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, მაძღრად და სხვის ჯინაზე – უკეთ.

3063. პირველი გათხრებისას ნაპოვნი გაიძულებს, რომ მომდევნო ნაპოვნი უფრო სარფიანი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძიება-ძებნით დაავადებულთათვის მცდელობა აზრს დაკარგავდა და კაცობრიობა თავისი წარსულის შეცნობის გარეშე დარჩებოდა.

3064. ღირსება და გონიერება მაინცდამაინც ერთად ვერ ბალახობენ, რადგან პირველი შელახვის შემთხვევაში მაშინვე თხოულობს მის აღდგენას და ზარალს არად დაგიდევთ, ხოლო მეორე წყენას გადაყლაპავს, დროს შეურჩევს, ზარალის გარეშე სამაგიეროს გადაუხდის და თავის ღირსებასაც გამამზეურებს.

3065. მათემატიკაში ყველა ციფრი გამრავლებული ნულზე, ნულის ტოლია. ასევეა ცხოვრებაში: როდესაც ცოლ-შვილი გყავს და ოჯახი არ გაქვს, როდესაც სამშობლო გაქვს და სამუშაო არ გაქვს, როდესაც ქვეყნის მმართველი ხარ და ქვეყანაში ავტორიტეტი არ გაქვს.

3066. ასაკი კატასტროფაა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამას შენ'ში სხვებიც გრძნობენ და ამჩნევენ.

3067. ყოველივე ვითარდება, იხვეწება, მათ შორის, სიყვარულის და სიძულვილის ხელოვნება, სიცოცხლის გახანგრძლივების და დამოკლების, კაიფის მიღების და იმ ქვეყნად სიამით წასვლის ხერხებიც.

3068. ქვეყანა მუდმივი სარკოფაგია, თაობათა ცვლის ველური შიშით და ფაქიზი გულის გადაქანცვით.

3069. საუკუნეებმა თეორიული სიბრძნე მეტი დაგვიტოვა, ვიდრე ცხოვრების გამოცდილება, რომელთა შეჯერებით, მივიღეთ სიბრძნის ცდომილება, რაც გვაიძულებს, სამყაროს მიერ დაგროვილ ცხოვრებისეულ აქსიომებს დღევანდელი გამოცდილების თვალით გადავხედოთ და საჭიროებისამებრ ახლებურად შევალამაზოთ.

3070. სიკეთე – სიავე, ნათელი – ბნელი, ქრთამი – ძღვენი, ყოველივე ეს საზოგადოებას, სამყაროს განვითარებას სჭირდება. როგორც სარეველა ჭანგა ბალახი, რომელიც საძოვრებს ეროზიისგან იცავს, ხოლო მხვნელ-მთესველს სისხლს უშრობს მისი მოსპობით.

3071. მორალს ჯაჭვის გაგლეჯა კი შეუძლია, მაგრამ აზრი არა აქვს, რადგან ის მაინც სხვა ჯაჭვით შეიცვლება, თუნდაც უფრო გრძელით და მოოქროვილით, რადგან ირგვლივმყოფნი მორალის გარეშე ცხოვრებას არ დაგვანებებენ.

3072. ზოგიერთი რწმენის მოდას აყოლილი, იმ ლამაზმანს მოგვაგონებს, რომელიც ყოველ კვირას მოძღვართან მონანიებაში ატარებს, ხოლო ორშაბათიდან კვლავ ძველ გზას ადგება. მოძღვარს რატომ აწუხებს, ან თვითონ რისთვის იწუხებს თავს, მისთვის გაუგებარია, მაგრამ თუ რწმენის მოდაა შემოსული?

3073. ძალა შინაგანი განწყობისა, უდიდესია და მას მთების გადატრიალება შეუძლია, მაგრამ სჯობს ისე გადანაწილდეს, რომ ის ჯანმრთელი სულისა და ხორცის გადანაწილებას მოვახმაროთ.

3074. ასაკთან ერთად მოდის ეგოიზმი, სინანული და ცდილობ შენი ნამოღვაწარი გასახსენებელი გახადო, თორემ დუნდები და დარჩენილი ცხოვრება აზრს ჰკარგავს.

3075. ისტორიას ცოცხლებზე ლაპარაკი არ უყვარს, რადგან თავის ნაცოხნარს მისი შეხედულებისამებრ ვერ გაყიდის.

3076. ხშირად ძალაუფლება, ეჭვით თუ უიმისოდ ალიყურს ძალით იმსახურებს, ეს ან უსაქმურობის შედეგია ან გონიერების უსუსურობის.

3077. გონიერი სხვის შეცდომებზე სწავლობს, საშუალოდ გონიერი – თავისაზე, მაგრამ უგონოს არავის შეცდომაზე სწავლა არ უნდა და თავისი გზით ბრიყვობს.

3078. ისტორია ძველი არასოდეს არ არის, ის ყოველთვის თანამედროვედ იკითხება, მაგრამ მომდევნო თაობები მისგან სასარგებლოს მაინც ვერ სწავლობენ.

3079. ტერორის ქანქარის შეჩერება შეუძლებელია, თუ მას რაიმე გამოგონილი საბაბით თავისიანებს არ მიუსევ.

3080. როდესაც ცდილობენ გონებიდან მონის მენტალიტეტის გამოდევნას, ხელში სიცარიელე რჩებათ და უფრო დამფრთხალნი უყურებენ სანუკვრად მოპოვებულ თავისუფლებას.

3081. ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მკერდზე მუშტების ბრაგუნი საჭირო არ არის, რადგან ეს სიმართლეზე ბეჭდის დასმას არ ნიშნავს.

3082. როდესაც გინდათ გული ვიღაცას გადამეტებულად გაუხსნათ, მაშინვე ჩნდება სულის ჭუჭყიანი საცვლები, რომლის გამომზეურებასაც არ ფიქრობდით.

3083. ყველაფერი საკუთარ კეთილდღეობას არ უნდა მოახმაროთ, თორემ სულით გაღარიბებული გადაბარგდებით იმქვეყნად.

3084. თეორიულად ჯეელობიდან სიბერემდე ხელის გასაწვდომი მანძილია, ხოლო სიბერიდან იმქვეყნად გადაბარგებისთვის პრაქტიკულად, მხოლოდ ფეხების გაფშეკის რეალობაღა რჩება.

3085. მზის ქვეშ ადგილის მოძებნა ბედთან ჭიდილია, მაგრამ საპატიოა, ხოლო ჩრდილის ქვეშ ყოფნა განცხრომა, უდარდელობაა, მაგრამ ამის საშუალებას შინაურების მომხვეჭელი ბუნება არ გაძლევს.

3086. ძნელია მარტო სულზე იფიქრო და ანგელოზს მიბაძო, როდესაც სარჩენი გყავს ოჯახი და ნაშიერი.

3087. მიუხედავად ჩვენი გაფაციცებული მცდელობისა კარგად ვიყოთ, ეს მაინც მეორადია, ხოლო ქვეყნის კეთილდღეობა პირველადი, რადგან პირველის მეორადობას და მეორის პირველადობას არც ერთისთვის სიკეთე არ მოაქვს.

3088. წიგნის წერას ნიჭი, გარჯა, დაფიქრება სჭირდება. ნამოღვაწარს ოპონენტი, შემქები, აღიარება. "ნაჩალიჩარს" კარიერა, ყოფითი სტანდარტების გაუმჯობესება და ბოლოს, დასამარხი აკლდამა. მაგრამ თუ ღმერთი გაწყრა, ბედმა გიმუხთლათ და თქვენი ნაფიქრალი არ გამოვიდა, მაშინ კრიტიკოსის აზრი ნაკლებად სარწმუნოდ უნდა ჩავთვალოთ, რადგან ის პრაქტიკულად ვერ ამტკიცებს ორჯერ ორის ოთხობას.

3089. უცხოპლანეტელები ან ფიზიკურად სუსტები არიან, ან ძალზე კეთილები, ან რაიმე ცხოვრებისეული სისუსტე სჭირთ, თორემ მარტო ჩვენზე დაკვირვების გამო იმ სისულელეებს არ მოგვითმენდენ, რასაც ბუნების და ერთმანეთის მიმართ ჩავდივართ.

3090. სუფთა წერა, ჭამა, დროსტარება, სექსი და მრავალი სხვა თავისებურად მომხიბვლელია, მაგრამ მას შინაგანი ბუნების, აღზრდის, კულტურის გარეშე ვერ ვეთაყვანებით.

3091. ყველაზე მეტად მდედრს მამრის ცოდვების შურს, ხოლო მამაკაცს ქალის უპასუხისმგებლო წლების.

3092. „არ მოატყუო საკუთარი თავი", – ეს უნდა გავიხადოთ ცხოვრების კრედოდ, თუ გვინდა დასახულ მიზანს ფრთები შევასხათ.

3093. ხმელეთზე სანიტრის როლის შესრულებას მგლები ცდილობენ, ოკეანეში ზვიგენები, ხოლო საზოგადოებაში – ქურდები და არა საზოგადოების ყასბები, რომლებიც ასოცირდებიან, ყაჩაღებთან,მეკობრეებთან, ქილერებთან. ეტყობა, სამყაროს სჭირდება ეს პარაზიტი სანიტრები, თორემ ამდენს რატომ აძუნძულებდა მამაზეციერი მათ ამქვეყნად?

3094. რა არის სამართლიანობა? ამ საკითხის გადაწყვეტის უფლება თვით მამაზეციერს არა აქვს, რადგან მას ტექნიკური პროგრესის მიღწევები და გარემო პირობა განსაზღვრავს.

3095. ძველ, საეჭვო, უვარგის მთავრობას იმიტომ მივტირით, რომ ამის უფლებას ახალის უგვანობა გვაძლევს, რომელსაც ისე სწრაფად უნდა გადააკეთოს სახელმწიფოს მართვა თავის ჭკუაზე, რომ ხალხმა შეჩვევა ვერ მოასწროს, ის უცხო სხეულია ხალხის გონიერებაში და სანამ შეეჩვევიან, ძველდება, შედეგად სხეულიც შესაცვლელია მთავრობაც და ყოველივე თავიდან არის დასაწყები.

3096. როდესაც არ ვიცით რა ხდება სხვის დაუწმინდავ სულში, არც მისი გაკიცხვის უფლება გვაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვისი უმფოთველობა შევწიროთ ჩვენ სულიერ ბრძოლას და მისი თანამონაწილენი გავხდეთ.

3097. ცხოველთა სამყაროში სექსის საქმე მოწესრიგებულია: არწივი ყვავზე არ გადაირევა, ლომი მელაზე არ დაფეთდება, ხოლო გონიერ ორფეხა სამყაროში ტოლსწორის შექმნის პრობლემა მოხსნილია და ბუნების კანონებზე ძალდატანების მცდელობა მიაჩნიათ თავისუფლების და გონიერების ქარტიად.

3098. პიესის ავტორის ბიძაშვილ-მამიდაშვილია ყველა ის რეჟისორი, რომელიც მის იმიჯს მაღლა სწევს და ჯიბეს უსქელებს. ის მოგვაგონებს მრავალშვილიან მამას, რომელსაც ცოლადყოფილების და შვილების მონახულება ხანდახან უხდება, მის ნახლაფორთალზე აზრის შესაქმნელად და დასატკბობად.

3099. ძალზე მლიქვნელური მიღწევები ჰქონდა სსრ კავშირს ხალხთა მეგობრობასა და თანასწორუფლებიანობის საქმეში, რომელიც ქვეყნის ფუძედ არ გამოდგა, რადგან როგორც კი ეკონომიკამ მოიკოჭლა და ხალხს ენის ტარტალის საშუალება მიეცა, მაშინვე ყველა მტყუან-მართლის ძებნას შეუდგა, ყველაფრის სხვაზე გადაბრალება დაიწყო და ფეხზე სიმწრით წამომდგარი ქვეყანა უგუნური ავანტურისტების ღვარცოფს წაალეკვინა.

3100. დამნაშავე დიქტატორი კი არ არის, არამედ მოსახლეობად წოდებული ბრბო, რომელსაც მოსწონს ნიჭით დაჯილდოვებული ეს ვიგინდარა როგორ უგრეხს კისერს, მასზე ერთი საფეხურით ზევით ასულ მოძმეს და იმას კი ვერ ხვდება, რომ ხვალ კარიერამოპოვებული, ისიც ამ დღეში ჩავარდება, სხვა, მისდაგვარი მოძმის სასიხარულოდ.

3101. საინფორმაციო მაუწყებლობის გათავხედებამ, სამყარო ერთ დიდ სოფელს დაამსგავსა, სადაც ყველამ ერთმანეთის ყველაფერი იცის და ჭორაობის საუკეთესო საბაბს იძლევა ორფეხთა გასართობად.

3102. დემაგოგიას თავისი პრინციპები აქვს: ჯერ საკითხის მკვეთრი დრამატიზება უნდა მოახდინოს, შემდეგ გაარკვიოს მიზეზები და ადგილზევე გვაჩვენოს პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა.

3103. მატერიალური დახმარების წინააღმდეგი არავინ არ არის, ხოლო იდეოლოგიური დახმარება ბევრს არ მოსწონს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი გაცილებით მეტ შემოსავალს იძლევა ჭკუაგახსნილთათვის, ვიდრე ერთჯერადად გამოწვდილი მათხოვრის ხელის მოოქროვება.

3104. ქომაგი სულით სამართლიანი, მაგრამ გონებით უსამართლო არბიტრია, რომლისთვისაც მთავარია სულის გათბობა – განათება. თუ ეს მისმა გუნდმა ვერ შესძლო, მას ბოღმის გადმონთხევის საშუალებას აძლევს, მაგრამ საკმარისია ერთი მოგებაც, რომ მას ყოველივეს შეუნდობს და გააღმერთებს. ასე გრძელდება სულისა და გონების ჭიდილი. იმ სიამოვნების მისაღებად, რომელიც მხოლოდ ქომაგისთვის არის ცნობილი.

3105. ევოლუციის არსებობა ეჭვის ქვეშ დგება, რადგან ადამიანმა მას შემდეგ რაც შესაძლებელი კუდი დაკარგა, თანდაყოლილ ეგოიზმს ვერაფერი მოუხერხა. ხოლო ქალიშვილებმა ამდენი ევოლუციის შემდეგ საქალწულო აპკიც კი ვერ მოიშორეს, რომელიც თანამედროვე ცხოვრების განვითარების პირობებში, როგორც ქალებს ჰგონიათ, ზედმეტ ტვირთად აქვთ აკიდებული.

3106. განგებას ეტყობა თავისებური ხუშტურები აქვს, თორემ ეს ბუნების უდიდესი ინჟინერი და თავისი საქმის ფანატი, რატომ დაკარგავდა დროს ამდენი საოცრების შესაქმნელად, თუ მას ბუნების ავ შვილს, ადამიანს, მიანდობდა.

3107. როგორც კოლექტიურ პასუხისმგებლობას, ასევე კოლექტიურ უპასუხისმგებლობას სიკეთე არ მოაქვს, რადგან ყველა ერთმანეთთან კავშირშია, ყველა ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებს, მაგრამ ამის აღიარება, პიროვნების თავისუფლების დოგმებს ამოფარებულებს არ გვინდა.

3108. პოლიციაში მოღვაწეობა ბევრს მისი სიბინძურისთვის არ მოსწონს და კრიჭაში უდგას თუ მას ზედმეტი „წესიერების არყის" გადაკვრაში გამოიჭერს, მაგრამ არაფერს აკეთებს, რომ მას სამუშაო პირობები გაუუმჯობესოს, ცოტა მაინც ჭუჭყი მოაშოროს, მიუხედავად იმისა, რომ გაჭირვების ჟამს მას აკითხავს საშველად.

3109. მამაკაცის ცხოვრების აზრია თავის სამყაროში ყოჩაღად ყოფნა, ბევრი ქალის მოპოვება და საამაყო ოჯახის შექმნა. ქალის მიზანია თაყვანისმცემლების რიგის დაყენება, თავისი ოცნების მამაკაცის მოპოვება და შესაშური ოჯახის შექმნა, ხოლო ნაშიერების მიზანია, რაც შეიძლება მეტი თავის ჭკუის ხალხის შეძენა, სექსუალური ენერგიის გადამეტებული ხარჯვა და მშობლების მიმართ მზაკვრობის ჩადენა, რათა ისინი ბებიებად და ბაბუებად დროზე ადრე გადააქციონ.

3110. ომი რომ კომიკურ სახეს მიიღებს, ყოველივეში რომ ეჭვი შეგეპარება და თავისი მაყურებელიც ეყოლება, აშკარაა, რომ ამ ქვეყნის მსახიობები ხეირიანი პოლიტიკოსი – რეჟისორის ნაკლებობას განიცდიან.

3111. რადგან ხარისხიანი ნიფხვის და ტამპექსის გარეშე ადამიანის ინტიმური ჰიგიენა ზარალდება, ამიტომ მის გაცნობიერებას რეკლამა კისრულობს, მაგრამ ჩვენი ესთეტიკა და მორალი მორცხვობს, მაშინ როდესაც პირიქით უნდა იყოს და ის სისუფთავის „რუპორად" გვევლინებოდეს. ასეთ უხერხულობას ბიზნესი აწესრიგებს, რომელიც ყველა „კეკელკობის" დანახარჯს იხდის.

3112. საოცარია, მაგრამ ადამიანის მხეცად გადაქცევას და ღირსების დაკარგვას ბრძანება, კანონი და უგვანოთა გაფეტიშება სჭირდება, რადგან ქვეშევრმდომებში ყოველთვის გამოირჩევიან ხელმოცარული ვიგინდარები, რომლებიც დიდი სიამოვნებით აღასრულებენ კაცობრიობისთვის მიუღებელ ამ უხიაგი მმართველის გადაწყვეტილებას, სასუსნავის და სხვისი ჭინჭების მისათვისებლად.

3113. არის ინტელექტუალების ელიტა, რომლებიც თავიანთ ვნებებს ხელოვნებით, მეცნიერებით, სიკეთის კეთებით იკმაყოფილებენ, არის ჩინოვნიკი ინტელიგენტების ელიტა, რომელთა ხობი მომხვეჭელობა, კარგი ცხოვრებისკენ დაუოკებელ სწრაფვაა, მაგრამ საზოგადოების წინ წაწევისთვის ორივე ელიტა საჭიროა, ოღონდ დაბალანსირებული.

3114. სატირა, იუმორი, ირონია, ფელეტონი, იგავ-არაკი, ანეკდოტი, ჩუმი საბრძოლო იარაღია და იქ ისხამს ფრთებს, სადაც საზოგადოება არასრულყოფილია, ხოლო მისი მმართველნი და ცნობილი პირნი საქმის კეთების ნაცვლად ერთმანეთის ქიმპობაში არიან.

3115. კომერციის დამსახურებაა ის, რომ ამ ბოლო დროს იუმორი სულ წელს ქვევით მიძვრება და იქ ურტყამს, სადაც ადრე არ იკადრებდა.

3116. მუსიკას შვიდი ნოტი აციკროვნებს, ლიტერატურას ანბანის 33 ბგერა, მაგრამ ნაწარმოების ხარისხი მაინც ნიჭზე, დროზე, შემფასებელზეა დამოკიდებული და არა გამოხატვის შესაძლებლობებზე.

3117. წინამძღოლმა ხალხს ცუდის გაფიქრების საშუალებაც კი არ უნდა მისცეს, რათა ის უბედურებას არ გადაეყაროს.

3118. როგორც ქალი იბადება ლამაზმანობისთვის, ასევე „სექსეტიც" იბადება დასმენისთვის, ორივესთვის პროფესის დასაუფლებლად მინიშნებაც კი საკმარისია.
3119. სამწუხაროდ, მომავალ თაობას ვუტოვებთ არა მარტო ჭუჭყიან სამყაროს, არამედ უდიდეს ცოდნას და გამოცდილებას მის გასანადგურებლად.
3120. მუზის მსახურთ სიყვარულის ახსნა ნაკლებად დაეჯერებათ, რადგან ეს მათი სამსახურია და თავისი საქმიანობით გადაღლილებს უჭირთ ჭეშმარიტ გრძნობაში გარკვევა.
3121. 16 წლის გოგონას ქცევას ერთი და იგივე მამაკაცი სხვადასხვანაირად აღიქვამს და სხვა თვალით უყურებს, თუ მისი შვილია: მერე რა მოხდა, ჯერ პატარაა, თუ მეზობლისაა: ამხელა გოგოა, ვერ უნდა მიხვდეს? თუ ნაცნობის შვილია: დედამისიც მასეთივე თავქარიანი იყო, თუ უცნობისაა: გათქვირული მკერდის და უკანალის პატრონს რა ჭკუა მოეკითხება?
3122. ზოგჯერ ცხოვრების პირველ ნახევარს თავისი მომაბეზრებელი დარიგებით მშობლები გვიწამლავენ, ხოლო მეორეს, თავის პრეტენზიებით – შვილები.
3123. ნიადაგის სტრუქტურის აღსადგენად ადამიანმა ნაკელის სახით ის ვალი უნდა დააბრუნოს გაზაფხულზე, რაც შემოდგომაზე მოსავლის სახით, კრედიტად აიღო.
3124. სიზარმაცე, უპასუხისმგებლობა, სურვილები, ზოგიერთისთვის ფართო სულის გამოვლინებაა, რომელსაც პარამეტრი თუ არ შეუკვეცეთ, ცხოვრება გაჭირდება.
3125. წინათ უნიფხვო ქალი სიღარიბის მაჩვენებელი იყო, დღეს – სიმდიდრის და ნამუსთან თავისუფალი დამოკიდებულების, ასე, რომ მომავალში ამ პრობლემის ახლებური გაგების საკითხი კვლავ დადგება, ოღონდ რა კონტექსტში, მომავლის საქმეა.
3126. საფრთხეს ყველაზე მეტად ის უფრთხის, ვისგანაც ყველაზე მეტად მოსალოდნელია ამ საფრთხის შექმნა.
3127. მეორე ქორწინება, პირველისგან განსხვავებით, მოთმინებას, დაკვირვებას, დაღვინებას, გამოცდილებას იძლევა თავი დაიზღვიო მოულოდნელი სიურპრიზებისგან.
3128. საოცარია, მაგრამ ხალას, ნაღდ საბუთებში უფრო მეტი ტექნიკური ნაკლია შესამჩნევი, ვიდრე ყალბში, რადგან ეს უკანასკნელი ერთი კაცის ნამამაძაღლებია, ხოლო ნამდვილში მრავალის ხელია ნაფათურები.
3129. ჯალათის მჯავრდადებულსაც და მჯავრდამდებელსაც ეშინია, რადგან თუ პირველისთვის ყველაფერი ნათელია, ფეხის გადაბრუნების შემთხვევაში მეორესთვისაც გასაგებია, თუ ვინ იქნება მისი სულის ნათლია.
3130. მოხუცებულების დაფინანსება დამოკიდებულია საზოგადოების მორალურ მრწამსზე და მათს დამსახურებაზე ქვეყნის და მისი ეკონომიკის წინაშე.
3131. ძალადობა, ქურდობა, აგრესიულობა მუდმივი თემაა, რომლის გამოსწორების საკითხი მუდამ იქნება კაცობრიობის წინაშე მეტ-ნაკლები წარმატებით, მაგრამ მაინც უშედეგოდ, რადგან ცუდის და კარგის გარეშე ცხოვრება აზრს დაკარგავდა.

3132. ნიჭიერებაც, გონიერებაც დროს ემორჩილება და ზუსტად იმდენს იძლევა, რაც განგებას სურს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამყაროს განვითარების ბალანსი დაირღვეოდა და არავითარ სიკეთეს კაცობრიობას არ მოუტანდა.

3133. ქალი თუ გვერდზე გიწევს და მის დასაპყრობად არაფერს ცდილობ, ამას უკაცობა ჰქვია და აქ ალიბი არ გამოდგება. ასევეა ქვეყნის მმართველიც, თუ ხალხის აყოლიება და სწორ გზაზე ტარება არ შეგიძლია, ამას ვირეშმაკობა ჰქვია, ისტორია კი ვერავითარ გამართლებას მის მმართველობას ვერ მოუძებნის.

3134. ამქვეყნად ჩვენი ყოფნის ერთი ვარსკვლავი ყოველ წელიწადს დედამიწაზე დაენარცხება და სიცოცხლის კლების ამ პროცესს რატომღაც პურმარილით ავღნიშნავთ.

3135. ძლიერი ქვეყნის მმართველი მოხელეებად ჭკვიანებს არჩევს და ვისაც თავს გაუვა, გამოსასწორებლად მიაბრძანებს სადაც ჯერარს, ხოლო სუსტი თავისზე ნაკლებ ჭკუისას შეარჩევს, ეს უკანასკნელი – მასზე ნაკლებს, რათა დაკავებულ ადგილს არ შეეცილოს, შედეგად ვიღებთ უგვანო მოხელეთა ბრბოს თანამდებობით, ძალაუფლებით, რომელსაც თავისი კეთილდღეობის გარდა, არაფრის კეთება არ უნდა.

3136. ყველა ახალ დროს ძველი ყოფის შესწორება მოაქვს, მაგრამ სიტყვიერად ყველას ჩაუსწორებელი ძველი ურჩევნია.

3137. სამწუხაროდ, ბრბოს უმეტესობა წელს ქვევითა კიდურებით ფიქრობს, რომელსაც ჯდომის გარდა რამე „ღირსშესანიშნავი" საქმის კეთება არ შეუძლია და მისთვის ისიც დიდი საქმეა.

3138. საოცარია, მაგრამ აღმომჩენი უფრო ფასდება, ვიდრე ის, ვინც საუკუნეების წინათ შედევრი შექმნა და ეს სადღაც სწორიც არის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, შედევრს ხომ ვერ ვიხილავდით?

3139. უპერსპექტივო ის ჭეშმარიტებაა, ის ქვეყანაა და ის ხალხი, რომელსაც თავის დაცვა უხდება საკუთარ სახლში.

3140. ცხოვრება თეორიულად უფრო საინტერესოა, ვიდრე კინოში, მაგრამ პრაქტიკულად ფილმში შემოთავაზებული ცხოვრება უფრო საინტერესო და სანატრელად გვეჩვენება.

3141. „თეთრ ხალხს" მწირ ხელფასზე წესიერი ცხოვრება არ შეუძლია და შეიძლება ისეთი რაიმე იკადროს, რაც მისი სითეთრიდან არაფერს დატოვებს.

3142. ყველაზე მეტად მან იცის ტყუილის ფასი და ხარისხი, ვისთვისაც პროვოკატორობა პროფესიაა.

3143. ზოგს არ უყვარს არასასიამოვნო კითხვების დასმა, რადგან მასზე არასასიამოვნო პასუხებია გასაცემი.

3144. ქალისთვის „მინდა" გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მამაკაცისთვის, რადგან მდედრი ითხოვს თავისი სურვილის ასრულებას, ხოლო მამრი იმას ირჩევს, რაც ქალს უნდა.

3145. კინოში სანახაობრივად ადამიანურობის ლოგარითმების ჩვენებაა საინტერესო, ცხოვრებაში კი მისი რეალობის ალგორითმების.

3146. ცრემლი შეიძლება სიამაყისაც იყოს და თავის მოწონებისაც, იმ შრომის და წვალების დასაფასებლად, რომელიც დიდი მიზნის მიღწევას თან ახლავს.
3147. მცდელობა ლამაზად გამოიყურებოდე, დიდ შრომას და მოქიშპე მდედრებთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობას და გამარჯვებასაც მოითხოვს.
3148. ჭკვიანები სხვის სისულელეზე მდიდრდებიან, ხოლო სულელები თავის სისულელეზე კომპენსაციას ითხოვენ, რადგან ჩვენი სისულელით ვიღაცამ ხომ ისარგებლაო.
3149. სილამაზის ეტალონის შეცვლა წლებზე, საზოგადოების აზრზე, ტექნიკურ პროგრესზე, ცხოვრების დონეზე და შემთხვევითობაზეა დამოკიდებული.
3150. „თევზი რომ თავიდან ყარს", ძალიან მოხერხებული თავისმართლებაა კუდისთვის, რომლის ქნევაზე იყო დამოკიდებული თავის ამყრალების სიჩქარე.
3151. ნიჭი, რომელიც სიკვდილის შემდეგ კულტად იქცევა, იშვიათად ერწყმის არსებული საზოგადოების წესებს და ისიც იძულებულია თავისი მოიგონოს, რომლის გაკიცხვასაც ვერავინ ბედავს.
3152. ომი რყვნის შეგნებას, საზოგადოებას ორად ყოფს, ამჟღავნებს გმირულ და დამდაბლებულ სულს, ამასთან ყველა თავისებურად მართალია და ჭეშმარიტების დადგენა არავის სურს.
3153. ყოველთვის ნაყოფი არ არის მთავარი, მთავარია ის ხე, საიდანაც მოწყვიტეს, რადგან შემდგომი მოსავლის ხარისხის ბედი ამ ხის მსხმოიარობის ხარისხზეა დამოკიდებული და არა – ნაყოფზე.
3154. როდესაც იცი, რომ ერთ თვეში სიკვდილი განაღდებული გაქვს, გგონია ისე იგრიალებ, როგორც არასდროს, მაგრამ სინამდვილეში მის მოახლოვებაზე ფიქრობ.
3155. ხელკეტის ხმარება მთავრობისთვის კანონის პატივისცემაა, ხალხისთვის დანაშაულია, რადგან მეორემ პირველს ამის უფლება არჩევნებით უძღვნა, ხოლო პირველი მეორეს არაფერს ჩუქნის.
3156. ადრე ჭინჭები იყო ცოტა და ბავშვები ბევრი, დღეს პირიქითაა. ასეთ მდგომარეობას თითქოს ყველა განიცდის, მარამ ვისაც ბალანსის აღდგენის სურვილი აქვს, მას აღარაფერი შეუძლია, ხოლო ვისაც შეუძლია, ის ცხოვრების მოწყობით არის დაკავებული.
3157. საოცარია, მაგრამ რაც უფრო ცუდად ფიქრობ შენს ხალხზე, ქვეყანაზე, მატერიალურად მით უფრო უკეთ ცხოვრობ და მყარად დგახარ ფეხზე, რადგან შენი თავის იმედი შენვე ხარ და უკეთ არკვევ ცხოვრების ორომტრიალს.
3158. ფიქრი – რწმენით, სულით, აღმაფრენით, შემოქმედებითი წვა – თავით, გონიერებით. მიუხედავად იმისა, რომ პირველს ვაიდეალებთ, ვეტრფით, მეორე მოგვწონს, თავს ვიგიჟებთ საქმის გაუკეთებლად.
3159. ძალიან ჭკვიანს პრაქტიკულად არავითარი სარგებელი არ მოაქვს ირგვლივმყოფთათვის, გარდა სასიამოვნო ყბედობისა.
3160. სამყაროში ძალზე ცოტაა წმინდა სანთლის ამნთები, მაშინ როდესაც ჩაქრობის მოსურნე უწმინდურები გაცილებით მეტია, რადგან მათ გონიერებას მომეტებული გაჭახჭახება თვალებს უბრმავებს და ამას ასე ადვილად ვერ ეჩვევიან.

3161. სოციალიზმის ტვირთის საფასურად სულ იმის ცდაში ვიყავით, რაიმე არ შეგვშლოდა, ხოლო კაპიტალიზმის დროს გვრთგუნავს ხვალინდელი დღის უიმედობა. თუ პირველი გეგმაზომიერებით და გადამეტებული ყურადღებით ნერვებს გვიშლიდა, მეორის უყურადღებობაა დაძაბულობის მიზეზი. ეტყობა, ადამიანს ყოველივე ზომიერი და ცვალებადი სჭირდება, რათა უკეთ გაიცნოს ცხოვრების არსი.

3162. თავისუფლება მომხიბვლელია, ცხოვრების სტილია, სიამაყეა და ყველა ამ ბედნიერების მომცემი ხალხის ნებაა და ყოველივეს დაკარგვაც შეიძლება, თუ გადავამლაშებთ და ზომიერებას არ დავიცავთ, იმავე ხალხის არჩეული მთავრობის დახმარებით.

3163. თავმდაბლობა ყველას არ ამშვენებს, განსაკუთრებით სიკვდილს, რადგან ამქვეყნად თუ შეუმჩნევლად მოხვედით, თქვენი იმქვეყნად წასვლა მაინც უნდა იყოს პომპეზური, შესამჩნევი, გულის დამწყვეტი.

3164. პირაკრული ძაღლი თუ ვერ ყეფს, იძულებულია ჰაერი მაინც გააფუჭოს და თავისი სამსახური დაგვიმტკიცოს ზოგიერთ მოხელესავით.

3165. სიცოცხლის ნაძრახობა, სიკვდილის სახელოვნება, გარემო პირობებზე, ცხოვრების დონეზე, ადამიანის უფლებების გაფეტიშებასა და მოვალეობის უგულებელყოფაზე გახდა დამოკიდებული.

3166. ადამიანმა ბევრი გასამართლებელი, ახლებურად გასააზრებელი, საშუალება მოიპოვა მაგარმ მას ძველებურად გონებას უმღვრევს სხვისი წარმატება, სიმდიდრე რაც საზოგადოების ერთსულოვნებამ წყალს უყენებს და ძვირად უჯდება მითუმეტეს, თუ თქვენი მენტალიტეტი სხვას არ აწუხებს.

3167. როდესაც ერთი წყობა ინგრევა და მეორე არ აშენებულა, ვიღებთ კბილგაუსინჯავ ტოტალიტარულ თავისუფლებას, რომელიც როგორც ირკვევა, არავის სჭირდება.

3168. ვალმოსახდელი მემორიალური დაფები შენობებზე ადასტურებს, რომ ჩვენ თქვენ გვიყვარხართ, გვახსოვხართ, მაგრამ ჯერჯერობით თქვენი დაფასება მეტად არ შეგვიძლია.

3169. ეტყობა, ჯობს მარტომ ვიცხოვროთ წინდაუხედავად და ცუდად, ვიდრე ერთად და დამაკმაყოფილებლად, რადგან პირველი იძლევა საშუალებას კრიზისიდან გამოსვლის, მეორე გარანტირებულ საშუალო ცხოვრებას და მუდამ საკრიზისო გარემოში ყოფნის საშიშროებას.

3170. „ენალოგია" არის მეცნიერება ღვინოზე, მაგრამ მისი შემსმელი რა მეცნიერებას მივაკუთვნოთ, ჯერ ამაზე არავის უფიქრია.

3171. „ბრმა შემთხვევითობა, ძალადობა" ვიგინდარას პატრიოტიზმია, რომელიც ღუპავს, აჩანაგებს ქვეყანას და მისი ქაოსის ელჩად წარმოგვიდგება.

3172. ცენზურა ღირსების და ცენზურა გემოვნების სხვადასხვა რამაა, პირველისთვის მთავარია ყველა ყვავილი გაიფურჩქნოს, ოღონდ შერჩევით, მეორესთვის სულ ერთია რომელი გაიფურჩქნება – ოღონდ აყვავდეს.

3173. ჩვენ თავისუფლების პირველი თანამგზავრები ვართ და გონიერებით ორბიტაზე გასვლა არ გვიწერია, მაგრამ ჩვენი ნაშიერნი ამ თავისუფლებას ჩვენზე მეტად

შეიგრძნობენ, თუმცა იქნებიან თავისუფლები თუ არა, ძნელი სათქმელია, რადგან აბსოლუტური არც თავისუფლება არსებობს და ვერც იარსებებს და გამოდის მსუბუქი ყოფაქცევის ქალების ერთმანეთზე წაყვედრება: „შენ ჩემზე უფრო მეტი ბოზი ხარო".

3174. თავის წრეში ცნობილი მილიარდერი ონასისი, მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების საკბილო და ყველასათვის საცნობი მაშინ გახდა, როდესაც მსოფლიოში ცნობილი კაცის ნასუფრალით ისარგებლა და აშშ მოკლული პრეზიდენტის ქვრივზე იქორწინა.

3175. თუ სულელისთვის ყველა დღე დღესასწაულია, რატომ ჭკვიანი ვერ ახერხებს კვირაში ერთი დღე აქციოს დღესასწაულად? – აქ მოუცლელობა მხედველობაში არ მიიღება, ცხოვრებას ვერ მოასწრებს და ყველაზე დიდი ჭკვიანი სულელი დარჩება.

3176. 100-ჯერ დაბადების დღეს რომ გისურვებენ პურ-მარილის გამართვით, ეს საასიამოვნოა, მაგრამ თუ იგივე დაქორწინების აღსანიშნავად გისურვეს, ძალზე ცოტა, რადგან მეწყვილესთან შეჩვევას, სიამტკბილობას და ურთიერთობის მოგვარებას დრო არ ეყოფა.

3177. სამხიარულოდ სულელის დანახვა ცხოვრების სცენაზე ძალიან გვახარებს, ხოლო ჭკვიანის გამოჩენა ნერვებს გვიშლის, რადგან თუ საცქერალს ადრე დატოვებ, შეიძლება ქაჯად ჩაგთვალონ და შენც იძულებული ხარ ჩუმი ოხვრით, ტანჯვით უყურო.

3178. ყველაზე ბნელით მოცული და საეჭვო მარტივი საქმეა, რადგან ის, ასე უბრალოდ, გასაგებად და ყოველგვარი ფსიქოლოგიური დატვირთვის გარეშე წარმოგვიდგინეს.

3179. ერთი შეხედვით რამდენი სულელი ჰყავს ამ ქვეყანას, მაგრამ იძულებულნი ვართ ენას კბილი დავაჭიროთ, ემოციები და გონიერება მოვთოკოთ, რადგან ზოგჯერ მათ შორის ჩვენი ახლობლებიც გამოერევიან.

3180. რადგან 2X2, მოდის მიუხედავად, ოთხია, შენი ჯეელობის სიბრიყვით ტატუირებით დადაღული ტანი, მისი მოდიდან გასვლის შემდეგ, შენი უგუნურების გასახსენებლად სიცოცხლის ბოლომდე უნდა ატარო.

3181. დაღუპული გმირის პატივისცემა ცოცხლების შეცდომების გამართლების მცდელობაა, რათა მათ მიერ მომავალში დაშვებული შეცდომების გამოსწორება კვლავ ამბიციური ახალგაზრდების ხარჯზე შეძლონ.

3182. ნაციონალური უბედურებაა, როდესაც ღირსეული კაცი ქვეყნისთვის დიდ საქმეს აკეთებს, რომელსაც არც არავინ აფასებს და არც არავის სჭირდება, რადგან აქ ფულია გაბატონებული.

3183. ალკოჰოლის საოცრება ის არის, რომ როცა სვამ, გსიამოვნებს, გონებას გიხალისებს და ისე გთიშავს, ვერცა გრძნობ.

3184. თავისუფლებაა ის, რასაც სარგებელი მოაქვს ყველასათვის და ხელს არ უშლის სხვას თავისი საქმე აკეთოს, მაგრამ რატომღაც ეს აქსიომა ყველას თავის სასარგებლოდ ესმის, ხოლო ის, რომ თავისუფლება წესრიგია, წესიერებაა, ურთი-

ერთპატივისცემაა, ამის გაგების საშუალებას არ იძლევა ჩვენში დაბუდებული მომხვეჭველობა.

3185. რა ეშველებოდა შოუ-ბიზნესს, ეს გამოუცდელი, შხვართივით გოგონები მზად რომ არ იყვნენ გასატიტვლებლად, თავის სიქორფის საჩვენებლად, მაცქერალი ბრბოს გონების და სულის ასამღვრევად.

3186. კომუტატორის და კომენტარების საშუალებით შეიძლება ყველა სახელმწიფო წყობის ფორმაციები გაირბინო თავისი „იზმებით", მაგრამ ნორმალურ ცხოვრებას და მოფერებას ვერ ეღირსო, რადგან შენი ამქვეყნად სირბილის გამოცდილება არავის სჭირდება და არც დიდი სიკეთე მოაქვს.

3187. გმირობის, თავდადების ტრაგიკული ისტორია იყო ყოველთვის ჩვენი ხალხის გადამრჩენი, რომელსაც ხშირად გამოუჩნდებოდა ხოლმე თავის ერზე შეყვარებული ღირსეული „შერეკილი".

3188. მდედრის და მამრის ლიტერატურული მსოფლმხედველობაც სექსუალურია და ურთიერთსაწინააღმდეგო მზერას აფიქსირებენ ქაღალდზე. მკითხველის ვალია მათს ნაწარმოებებში კონსესუსის ძებნა და მათი შემოქმედებით დატკბობის მცდელობა.

3189. თეორიულად მასწავლებლისთვის სიმდიდრე მისი მოსწავლის ცოდნაა, პრაქტიკულად – აღზრდილის კარიერა. შემოქმედებითი თვალსაზრისით კი – როდესაც ყოფილი მოსწავლე არ ივიწყებს მის ამაგს და ცოდნას, რომელიც მოსწავლეს 5%-თაც არ გამოსდგომია.

3190. ეკოლოგია მალე წაუყენებს კაცობრიობას თავის ულტიმატუმს – ან ბუნების გონიერი დიქტატურა, ან პლანეტის გავერანება. ამრიგად, დღეს არის გადასაწყვეტი ადამიანის დასჯა-შეწყნარების საკითხი, რადგან ხვალ მისი დასჯა გარდაუვალია.

3191. ვარსკვლავი, ეს სათუთი, ყველასთვის საოცნებო და მიუწვდომელი სიტყვა, ისე გააუპატიურეს, რომ მისი მოსმენაც კი გვეხამუშება, ხოლო შოუ-ბიზნესის წყალობით ისე მომრავლდნენ, რომ ძნელი გასარჩევია, ვის ვარსკვლავს და ვისი მთვარის ნატეხს გვაჩეჩებენ ხელში.

3192. ზოგი არა მარტო სხვის ადგილს იკავებს ცხოვრებაში, არამედ, სხვისი სულის მითვისებაზე ფიქრობს იმქვეყნად.

3193. სამყაროს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს გონიერება და შეგნება კი გაუნათდა, მაგრამ ადამიანთა ხოცვას მაინც არაფერი შველის.

3194. არის პროფესია მეტყევის, მონადირის, მეთევზის, ყასბის, რომელთა გამოჩენა ეკლესიაში ცოდვის ჩასადენად წააქეზებს მრევლს და გაახსენებს რომ შეშა დასამზადებელია, ირემი მოსაკლავია, თევზი დასაჭერია, ღორი დასაკლავია და ეკლესიას მლოცველი აკლდება, რადგან ახსენდებათ, რომ ამდენი საქმეა საკეთებელი.

3195. თავის წარმოჩენის, დაუხარჯავი ენერგიის მიზეზია, ერთი შეხედვით, გონებისათვის ამდენი გაუგებარი კარნავალების, ფესტივალების გამართვა, რაც მაიმუნის მაიმუნობას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე "ჰომო საპიენსის" გონიერების ევოლუციის შედეგს.

3196. უკეთ რომ ვცხოვრობდით, ვიტყუებოდით, კომუნიზმში შესვლით ვიბრიქებოდით, მაგრამ კაპიტალიზმზე კი, თურმე სიმართლეს ვამბობდით.

3197. დაულაგებელ ქვეყანას მკურნალად ქირურგი სჭირდება, დალაგებულს თერაპევტი, მაგრამ მთავარია სწორად გაკეთდეს ექიმის არჩევანი, რომ მის რჩევა-დარიგებას, მკურნალობას უსიტყვოდ დაემორჩილო.

3198. მამის გამოცდილი, დაღვინებული ენერგია, რომელიც შვილის გაუხედნავ, ველურს შეერწყმის, ყველასთვის მისაღები პროგრესული ენერგიაა, ხოლო მოძველებულის და ახალგაზრდულის დაპირისპირება, ან ერთმანეთის მიმართ უყურადღებობა, ბევრ თავსატეხს იძლევა.

3199. ქვეყნის საუკეთესო მოქალაქედ აღიარება სიცოცხლეშია შეუძლებელი, თორემ საუკეთესო ქალბატონად და ვაჟბატონად აღიარების სტატუსის გამოჩხრეკა შედარებით ადვილია.

3200. კომპოზიტორ ბახის ხობი იყო მუსიკის წერა და ბავშვების კეთება (20 შვილიდან 4 კომპოზიტორი იყო), მაგრამ პროფესია უწოდო საქმიანობას, რომელიც უდიდეს სიამოვნებას განიჭებს, ენა არ მოგიტრიალდება.

3201. გარემოებათა გამო შეიძლება ისტორიამ ქვეყნის მართვის პულტთან დგომა შემოგთავაზოს, რადგან შენი მოწინააღმდეგეები შენზე ნაკლები ვიგინდარები აღმოჩნდნენ და კოლექტიური გონება, ჭეშმარიტების წუთები და გვირაბიდან გამოსვლის მცდელობა ფეხებზე დაიკიდეს.

3202. რომანტიკოსს თეორეტიკოსის მენტალიტეტი შეესატყვისება, მატერიალისტს – პრაქტიკოსის. პირველი ცდილობს ვარდს როგორმე სიცოცხლე გაუხანგრძლივოს, ხოლო ღორის ბედი ფეხებზე ჰკიდია. მეორეს ორივეს ბედი ანაღვლებს, მხოლოდ ერთი პირობით: რა მაქსიმალური სარგებლობის მიღება შეიძლება მათგან. ისე კი, ღორის ხორცზე არც ერთი არ ამბობს უარს.

3203. სიცოცხლის დაუმადლებელი გაღება ძალზე ინტიმურია: სინდისის, სიყვარულის, აღზრდის თავისებური ხელოვნებაა, რომელიც ვიღაცის და რაღაცის მიმართ ხშირად წინასწარ მოფიქრებული ეფექტის შედეგია.

3204. ბრძოლა წესების გარეშე იმიტომ კი არ არის უგერგილო სახეობა, რომ ის სპორტის აჯაფსანდალია, არამედ იმიტომ, რომ ის ველურ ჟინს უღვიძებს ადამიანს და რყვნის კაცობრიობის ქცევის წესების მონაპოვარს ექსტრემალურ პირობებში, რომ „წაქცეულს არ უნდა დაარტყა", „ისე უნდა დაამარცხო მოწინააღმდეგე, რომ არ შეურაცხყო".

3205. უმოკლეს ხანში რობოტოტექნიკა ალბათ ისეთ სიმაღლეებს მიაღწევს, რომ ერთმანეთის ამოსახოცად გაშვებული ატომური მუხტით გაწყობილი რაკეტები შუა გზაში შეხვდებიან, ერთმანეთს მიესალმებიან, შეხვედრას სასმელით აღნიშნავენ და ერთი მოუნდომებს მეორეს გაცილებას სახლში და ვაი, იმ ვიგინდარა მმართველის ქვეყანას, ვისაც ეს ორი დაუპატიჟებელი სტუმარი ერთდროულად კარზე მიადგება.

3206. ნიჭს – უნიჭობას, გონიერებას – უგონობას, უნარს – უუნარობას დრო, მაცქერალი, დაფინანსება განსაზღვრავს, ხოლო მოგვიანებით ისტორია ყველას თავის ჭკუაზე დაწურავს, დააღვინებს, დააჭაშნიკებს.

3207. ნაძალადევი რეკლამა შეურაცხყოფს პიროვნების თავისუფლებას, მაგრამ რადგან ის შემოსავლიანი საქმეა, ამიტომ „აუცილებელიც არის და მშვენიერიც".

3208. საწოლში კაცი ტელევიზორს უყურებს, იმიტომ რომ ქალისგან დაისვენოს, ქალი კი, რომ დამთავრდეს ეს „საინტერესო" გადაცემა, რათა ყველაფერი თავიდან დაიწყონ.

3209. მასებისთვის სამართლის გამომზეურება ზოგჯერ არარეკომენდებულია, რადგან სიმართლის გაგება აზროვნებას, მოთმინებას და შინაგან სამართლიანობას მოითხოვს.

3210. დასმენასა და ინფორმაციას შორის ის სხვაობაა, რომ პირველს ეჭვიანობის ბზიკი უზის და შედეგი უცნობია, ხოლო მეორე აანალიზებს ცნობას და ცდილობს შედეგის გამოცნობას.

3211. ალკოჰოლი, თამბაქო, ბორდელი, კაზინო ადამიანის მისწრაფებაა, მისთვის განკუთვნილი ცხოვრებისეული ნაკლისკენ, ხოლო მის მისაღებ ფორმებში მოქცევა სახელმწიფოს საქმეა და აქედან ამოღებული თანხები ამავე ნაკლის პროფილაქტიკას უნდა მოხმარდეს.

3212. დასმენაც (მსტოვრობაც) თავისებური ინსტიტუტია, მიდრეკილებაა მეცნიერებისკენ, სადაც დაზვერვა, გამჟღავნება საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებას სწავლობს და თვითონ მცირედითაც კმაყოფილდება, იმ შეგნებით, რომ მან სამართლიანობას რაღაც შესძინა.

3213. კარგი ფერმერი თავის ფერმებში მოყვანილი ნაკელით და ღამის ოქროთი უნდა ანაყოფიერებდეს მიწას, მას იმდენი საქონელი უნდა ჰყავდეს, იმდენი მუშახელი ემსახურებოდეს, რომ სხვისი სამათხოვრო ამ ფრონტზეც არაფერი ჰქონდეს.

3214. ჩხუბი მოუთმენლობის, სისულელის ნაყოფია, სიამტკბილობა კი სიმშვიდის, გონიერების. პირველი თუ ძვირი გვიჯდება, მეორე მომგებიანია, მაგრამ ჩვენი სიჯიუტის გამო დაპირისპირებაში გამოყოფილი ადრენალინი, სათავგადასავლო გასახსენებელით, მეტ სიამოვნებას გვანიჭებს.

3215. ჩვენთვის შეუმჩნევლად სამყარო თანდათან ერთიანდება, რაც შეცვლის სახელმწიფოს პირველობას და ერის მეორადობას, რომლის პროპაგანდა დღეს ასე მოდაშია.

3216. მოდა ბუნების კურიოზია – გუშინ რომ ლამაზი გვეჩვენებოდა, დღეს ულამაზოა, ხოლო ხვალ ისევ თავს მოგვაწონებს. ალბათ, საზოგადოებრივი აზრის განვითარების დონეც ჩვენთვის შეუცნობადი და გაუგებარია.

3217. ხანდახან ნაკლთან შეხვედრაც დანაშაულია, რათა ის მომხიბვლელი, მისაბაძი არ გახდეს და მოდად არ იქცეს, რომელსაც თავის დროისთვისაც გაუგებარი ხუშტური ახასიათებს.

3218. ზოგს ჰგონია, რომ დაბალ თანამდებობას პატარა საწყენი ახლავს, დიდს – დიდი, მაგრამ განცდა უსიამოვნების შეგრძნებისა ერთია, რადგან საქმე ღირსებასთან გვაქვს და აქ თანამდებობა და განწყობა არაფერშუაშია.

3219. ჭეშმარიტების ძებნა ყველას სურვილია, მაგრამ ყველას ხვედრი არ არის, ყველაფერს თავის დრო სჭირდება, აჩქარება კი ბევრს გონებას უბნევს და ცხოვრებას უმწარებს.

3220. ყველა ხოშის გასწორებას და სიბინძურესაც შეიძლება ფილოსოფიური საწყისი დავუდოთ საფუძვლად, მაგრამ საზოგადოებას თავისი მორალური განზომილებები სჭირდება და არა ხუშტურების რეაბილიტაცია. მაგალითად „სვინგერობა".

3221. „ეკრანის თვალის" დაავადებით ისინი ავადდებიან, ვინც ბედის და შემთხვევითობის წყალობით დროზე ადრე მიაღწია წარმატებას, ხოლო ვინც ოფლის ღვრით და თანდათანობით ავიდა ამ წარმატების კიბეზე, ის ვერ ასწრებს „ამომავალ ვარსკვლავად" თავის შეცნობას და გაყოყოჩებას.

3222. ნაპოლეონი თავისი გენიალობით ყველა დროის ნიჭიერ ავანტურისტად დარჩება, რადგან ბევრი ფილოსოფიურად ამოუხსნელი და ამოხსნილი ამოცანები დაუტოვა სამყაროს.

3223. სავარძელი მარადიული თემაა, რადგან ის განსაზღვრავს მზის ქვეშ დაკავებული ადგილის ხარისხს და არა მზით გამთბარი სულის მცხუნვარებას.

3224. მშობელი, შვილზე ზრუნვის მომიზეზებით, ნეხვის სასუქად არ უნდა იქცეს. უმჯობესია, მას თევზის ჭერა ასწავლოს დაჭერილი თევზის მოვლა-პატრონობით, რადგან ცოდნის მიღების, შემართების გარეშე დატოვებულ დოვლათს ობი არ მოეკიდოს და იმ „ღამის ოქროდ" არ იქცეს, რომელიც სასუქადაც კი არ გამოდგება.

3225. მამაკაცი იმაზე მეტად სუსტი არ უნდა იყოს, რაც მას არ ეპატიება, ხოლო ქალი სისუსტის მორევში უნდა ცურავდეს და სხვისდა შეუმჩნევლად იყოს მომხიბვლელი.

3226. ცხოვრების გამოცდილების რეგალიების მოპოვება უფრო ძნელია, ვიდრე ცნობის და სამეცნიერო წოდების, რადგან ეს უკანასკნელი ძალისხმიერებას, მონდომებას მოითხოვს, ხოლო პირველი – ნიჭის და წინაპართა აზრის პატივისცემას.

3227. ერთისთვის ყველაფერი მისაწვდომია, მეორისთვის – მიუწვდომელი. ზოგს ეს სიცოცხლის აზრი ჰგონია სანამ, მანამ ცხოვრება მასაც მიწაზე არ დაანარცხებს.

3228. შეიძლება მიცვალებული გაიხსენონ მოლაპარაკე, გონიერი, მოაზროვნე, ან ყბედი, უაზრო, უგონო, ასე რომ სამართლიანად ოპონირება მიწის ქვევითაც შესაძლებელია და მიწის ზევითაც, მთავარია, დასკვნები არ შევალამაზოთ.

3229. არიან დიქტატორები, რომლებსაც თურმე ქვეყნისთვის და მომდევნო თაობებისთვის ბევრი რამ კარგი უკეთებიათ ყოველ შემთხვევაში ისტორია მათ საქმიანობაზედ ასე ღაღადებს.

3230. ხელფასის ოდენობას და მამაკაცის ღირსების შესაძლებლობას, რატომღაც სამუშაოს დაწყების და დაოჯახების შემდეგ კითხულობენ, როცა სტატუსი უკვე დაფიქსირებულია.

3231. ნორმალური ადამიანები ერთად იწყებენ ცხოვრებას, მაგრამ ზევით არ იყურებიან, რათა გადაწყვეტილების მიღება ღრუბლიან ამინდში არ მოხდეს, როდესაც ღმერთი მთლად კარგად ვერ ხედავს მის მიერ შერჩეულ წყვილთა ბედს, რათა შეყვარებულთა დაშორების შედეგი მას არ დაბრალდეს.

3232. სიავესაც თავის ტრიუმფი აქვს, რომელსაც ისტორია უფრთხილდება და სიკეთის გაკვეთილებზე მეტად წარმოაჩენს.

3233. ბუნება დიდ ცირკს გვიწყობს თავისი ილუზიონისტობით, ფერთა გამის ჩვენებით, კატაკლიზმებით და მის მბრძანებლობას ვერავითარი არგუმენტი ვერ შეედავება.

3234. დღეს ღიმილს იწვევს იმ აკრძალვის რაობა, რომელიც თავისუფალი საზოგადოების შექმნის მოტივით მთავარი გვეჩვენებოდა – პრესის და სიტყვის თავისუფლება, ემიგრაციაში წასვლა, ჭინჭები, სტრიპტიზი, თავისუფალი სიყვარული და ათასი სხვა. მაგრამ ყველაზე დიდი თავისუფლება ფული, სამსახური, მომავლის იმედი ყოფილა, რადგან მათ გარეშე სხვა ყველაფერს აზრი არა აქვს.

3235. ბარგ-ბარხანიან ქალს წინათ ადგილსაც უთმობდენ და წაღებაშიც ეშველებოდნენ. ეს მორალური სიამოვნების მომგვრელი იყო, რადგან მათი ქმედება კარგ აღზრდას და ოჯახისშვილობას ამტკიცებდა. დღეს ამას იშვიათად თუ ვინმე აკეთებს, რადგან ტვირთაკიდებული ქალი ბიზნესმენად აღიქმება და წინასწარ მის მოგებაში იდება კარგი ტრადიციები, რომლის რაობა კი არა, ღირებულება აინტერესებთ.

3236. აბსოლუტიზმი – წესიერების, გონიერების, სიყვარულის, სიმშვიდის სიმბოლო მოუმზადებელი საზოგადოებისთვის გაუგებარია და გარკვეულ დრომდე მიუღებელი, ამიტომ ხალხზე გაბრაზებას, მათ გინებას და ცილის წამებას უნდა მოვერიდოთ.

3237. კარტის მოთამაშე წაგებამდე ნაპოლეონია, წაგების შემდეგ – ხელებაწეული ტყვე, რომელსაც რა თამასუქზეც გინდათ ხელს მოაწერინებთ.

3238. ორმაგი სტანდარტის გარეშე ვერც სარწმუნოება და ვერც სახელმწიფო ვერ იარსებებს, რადგან რწმენა და ძალაუფლება რჩეულთა ხვედრია, რომლებიც პირველ რიგში კაიფს ემსახურებიან, შემდგომ საქმეს და აქედან ხალხს თუ რაიმე ერგო, ესეც დიდი ხეირია.

3239. დროულად სიკვდილს არც სიკეთე მოაქვს, არც ვნება, რადგან ეს გარდაუვალი პროცესია კვლავწარმოებისთვის, დადგენილი სამყაროს მიერ, ხოლო ამ კანონზომიერების ხელყოფა გამოიწვევს ახალი ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობას სამყაროსთან, სიცოცხლის გახანგრძლივების მცდელობასთან დაკავშირებით.

3240. ჭკვიან კაცს საზოგადოება იმიტომ ითმენს, რომ მისგან ცხოვრების გაუმჯობესებას მოელის, თორემ ბევრი მათგანი ჩასაქოლია, რადგან სიკეთესთან ერთად სიავეც ბევრი მოაქვთ, მაგალითად, გარემოს დაბინძურება.

3241. ხანდახან ცხოვრებაში ხდება გასაოცარი და შეუძლებელი რამ, რომელსაც ვერც გონიერება და ვერც ვერანაირი თეორია გამართლებას ვერ უძებნის.

3242. ტვინი არ შეიძლება გარე სამყაროზე არ იყოს "მიერთებული", რადგან ხანდახან ისეთი ჭკვიანური აზრებით იკვებება ჩვენი გონების მიმღები საინფორმაციო საშუალებები, რომ გაოგნებული რჩები.

3243. ასაკის მატებასა და ემოციების დაცხრომასთან ერთად, უკვე ცუდს ვერაფერში ვხედავთ, რადგან ყოველივეს ცხოვრების გადასახედიდან თავშეკავებით ვაფასებთ, ვაანალიზებთ.

3244. წარსულის გახსენება არ გვაძლევს უფლებას ვინმეს ვუსაყვედუროთ, მაგრამ მთლად დავიწყებაც არ გამოდის, რადგან თუ ფეხი დაგიცდა და დრო გიხელთეს, წაგაყვედრიან, ამიტომაა, რომ სისულელის ჩადენას ვერავითარი შემთხვევითობა და ახალგაზრდობა ვერ ამართლებს.

3245. მეოცე საუკუნე ორი წყობის შეჯიბრის ცირკის არენა გახდა, სადაც კოსმოსში გასვლა ამ საუკუნის ატრაქციონს დაამსგავსეს, იმდენად დიდი იყო ერთმანეთის ჯობნის სურვილი.

3246. გვინდა ვიცოდეთ, რა სურს ღმერთს, ან მათთან მიახლოვებულ ხალხს, რათა ჩვენც გვქონდეს საშუალება ცხოვრებას „აცე-ვირო" ვუთხრათ, მაგრამ რა ვუყოთ ამ აჯანყებულ სულს, მუდმივი რომ არაფერი მოსწონს?

3247. ფული, ძალაუფლება, გარკვეულ დრომდე ყველაფერს კადრულობდა და კადრულობს, მაგრამ თავში წამორტყმის დრო მაინც ყველას უდგება.

3248. მდედრი ყველაფერს მწვავედ განიცდის, მაგრამ სწრაფად უშინაურდება მიუჩვეველ გარემოს. მამრი ნაკლებ ემოციურია, მაგრამ ახალ პირობებთან შეგუება უჭირს, რადგან ქალი ყველაფერს თავისად უყურებს, ხოლო მამრს ამისთვის დრო სჭირდება.

3249. ზოგი დიქტატორი დროის შეცვლას მოჩვენებით ახერხებს, მაგრამ როდესაც მისი მმართველობა მთავრდება, დრო თავის ადგილზე ბრუნდება და თავის გასავლელ დასაღვინებელ მონაკვეთს ამჯერად უფრო დიდი გაჭირვებით და ამბიციებით გადის.

3250. შეყვარება ოცნებაა, პატარძლობა თეორია, ქორწინება საწარმოო პრაქტიკა, ოჯახი რეალობაა, შვილი მოვალეობა, შვილიშვილი სიამაყეა, შვილთაშვილი სიამაყეა კვადრატში. ამასობაში თუ მამაზეციერმა ცოტა კიდევ გაცალა, სიყვარული შეჩვევაში გადაიზრდება, რომლის მოფერება-გაფრთხილების სურვილი კი გაქვს, მაგრამ აღარ გეხალისება.

3251. ქალს და მამაკაცს ცხოვრების კრიტერიუმები თითქმის ერთი აქვთ, მაგრამ პირველს მოდისა და ირგვლივმყოფთა ჯინაზე მისი გაგება არ სურს, ხოლო მეორეს პირველის მოტივების გააზრება უჭირს.

3252. სახელმწიფო წყობა შეიძლება თანამედროვეობის მოთხოვნების ცხოვრების ყლორტებზე გადაამყნონ, მაგრამ უნდა ეცადონ თავის ფესვები შეინარჩუნონ, რათა ვიღაცის იშტა-სურვილზე დამოკიდებული არ იყოს.

3253. რწმენით სიკვდილი სჯობს, თუ გახუნებული რწმენით სიცოცხლე? – ალბათ ეს უკანასკნელი, თუ ხორცი არ დალპა, რადგან სულს ასე თუ ისე გონება, გარემო პირობები მოუვლის, ხოლო გახრწნილი სხეულის წინაშე ბუნებაც და მორალიც უძლურია.

3254. იდეალების ღალატი და ცხოვრების თავიდან დაწყების მცდელობა სიბრიყვეა, მხოლოდ საფუძვლის გადახედვა, ზოგიერთი ბაზისის გადაკეთება და ახლის მიშენებაა ცხოვრების წარმატებით გაგრძელების საწინდარი.

3255. ღირებულებათა მტერი ფულსა და დემოკრატიას ამოფარებაა, რომელსაც მომდევნო თაობები ეჩვევიან და ამ ვირეშმაკობაში ვერც თავში ხელის წამორტყმას გრძნობენ და ვერც უხერხულობას.

3256. ფაქტობრივად ყველა თავისი დროის პიესაში მონაწილეობს, რომლის რეჟისორიც უცვლელია, ოღონდ ერთს დიდ როლს შეახვედრებს, მეორეს – პატარას, აქ მთავარია, როგორი მსახიობია და ვინ როგორ იყენებს მას ცხოვრებაში.

3257. ტექნიკური პროგრესი ხალხებს და ქვეყნებს აახლოვებს, მაგრამ გარკვეულ შურსაც აღძრავს, რომელსაც გონიერების მობილიზებით და განსჯით უნდა მოვერიოთ, თორემ ისტორიის ვერაგულ გაკვეთილებზე დაყრდნობით, ეს სიამტკბილობა შეიძლება ბაზრების დაპყრობასა და სისხლისღვრაში გადაიზარდოს, თანასწორუფლებიანობის, დემოკრატიის საფუძვლები ფარატინა ქაღალდი გახდეს, ახლადგამოჩეკილი სუპერსახელმწიფოს მონსტრი მმართველის წინაშე.

3258. ჭარმაგობის ჟამს ქალს ჩვენთვის ცნობილი გამოცდილებით და ეტალონებით ვაფასებთ, ხოლო თუ მდედრის შეფასებაში გონების არითმეტიკასაც ჩავრევთ, ეს უკვე სიამოვნება კი არა, განცხრომისკენ მისწრაფება იქნება, რომელსაც სიყვარულთან საერთო არაფერი აქვს.

3259. მათემატიკა თუნდაც იმიტომ არის დიდი მეცნიერება, რომ ორი მინუსის შეერთება პლუსს იძლევა და ეს განზომილება სამყაროს ურთიერთდამოკიდებულების ფილოსოფიურ ახსნას იძლევა.

3260. რწმენა, იმედი, კერპი, ყოველგვარ წინააღმდეგობას გადალახავს ხალისით, ბედნიერების შეგრძნებით, რაც უნდა ზიანი მოჰქონდეს ცხოვრების ამ სამ განზომილებას.

3261. სამართლიანობას ევოლუცია და ტექნიკური პროგრესი განსაზღვრავს, თორემ რა სამართლიანობას უნდა მივაწეროთ ის, რომ დინოზავრების შემდეგ გაჩენილმა ადამიანმა, მათს გადაშენებას ხელი შეუწყო, ხოლო ახალი სარწმუნოებების დოგმებმა ძველი კერპთაყვანისმცემლური რწმენა უკან მოისროლა?

3262. ადამიანს, ერს, ხალხს, ქვეყნის მმართველს, არ შეუძლია ყველაფერში მართალი იყოს, რადგან სიმართლე შეფარდებითია სინდისის, ინტერესების, ხალხის და ქვეყნის წინაშე, ხოლო ხელოვნებაა იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ყველას თუ არ მოეწონება, არც არავის გაახელებს.

3263. მადლიერება, სიკეთის კეთება, თითქოს ყველაზე ხელსაყრელი კაპიტალდაბანდებაა, რომელიც დიდ მოგებას გვპირდება, მაგრამ სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ არის, განსაკუთრებით, თუ ქვეყანა გადატრიალებულია და კრედიტ-დებიტის და ინფლაციის თამაშით მოსახლეობას სული აქვს ამოხდილი.

3264. ხანდახან მთავრობის საქმიანობის იმდენად შეგრცხვება, იძულებული ხდები მის წინააღმდეგ ადამიანობის ვირუსი შექმნა და მის საწინააღმდეგოდ სახალხოდ გაილაშქრო, რათა ტაშფანდურა ბრბოს აცრა ჩაუტარო და ის თავისი ქვეყნის მოქალაქედ აქციო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ახალი ვირუსის კულტურის გამოყვანას აზრი არა აქვს.

3265. პირადი საკუთრება კეთილდღეობის სინონიმია, ურომლისოდაც ადამიანი ძალაუფლების გარეშე მყოფ გენერალს მოგვაგონებს, რომელსაც ჯარი არ ჰყავს, მაგრამ ბრძანების გაცემის უფლებას არავინ ართმევს.

3266. მამაზეციერი რატომღაც იმ წარსულ ნარჩენებსაც ინახავს, რომლის გახსენება არავის სჭირდება, თუმცა გონება მაინც ჩხირკედელაობს, რათა შეცდომების არსს ჩაწვდეს და კაცობრიობის შემდგომი საქმიანობა სიკეთისკენ შემოატრიალოს.

3267. მუქთამჭამელი ყველა ქვეყანაში საკმაოზე მეტია, მაგრამ საერთაშორისო – „გაეროს" მუქთამჭამელთა ამ რაოდენობით მომრავლებას ვერც ერთი სამყაროს ბიუჯეტი ვერ გაუძლებს.

3268. ჭეშმარიტება და მორალი დოგმებს ეყრდნობა, მაგრამ დროის ცვალებადობას ვერ უძლებს, რადგან წინა თაობების აღმოჩენილ ამ ცნებებს მომავალი თაობა თავის ჭკუაზე და გემოზე თარგმნის, დროის ყივილის მიღწევების შესაბამისად.

3269. მშობლებმა შვილები რევოლუციებში, გარდაქმნაში, ქურდულ რომანტიზმში არ უნდა დაკარგონ, რადგან ვიგინდარების მიერ მათი რეკლამირება და ეკრანიდან ჩვენება უდიდესი დანაშაულია ახალგაზრდობის წინაშე.

3270. „შავი მაგია", „შავები", „შავი ქამარი", ყოველივე შავი მომხიბვლელია, მაღალ პროფესიონალიზმზე მიუთითებს, მაგრამ უარყოფითი აურა ახლავს, თუნდაც „შავი მზარეულის" წარმოდგენა, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ მის გაკეთებულ ღვეზელს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შეუძლია იმქვეყნად ხალხის შავად გასტუმრება.

3271. ამბობენ, ომი სამართლიანიც არის და უსამართლოცო, მაგრამ კაცის კვლა ყველა შემთხვევაში უსამართლოა და ყველაზე მეტად ამას შინაგანად ერთმანეთზე წასეული მეომრები გრძნობენ, მაგრამ ერთმანეთის კვლას მაინც აგრძელებენ.

3272. აზროვნებით ყველანი პესიმისტები ვართ და ქვეყნის უვარგის მმართველობაზე ვსაუბრობთ. ოცნებით ყველა ოპტიმიზმს ვაძლევთ თავისუფლად ნავარდის ნებას, ხოლო საქმით ყველა რაღაცას ჩუმად ვჩალიჩობთ, რათა მომავალს სადღაც წავეხახუნოთ.

3273. ზოგი ერთხელ ცხოვრობს ამქვეყნად და თავსაც თავის გემოზე იგიჟიანებს, ზოგს კი ყველა თაობასთან უნდა ცხოვრება, მოგიჟიანებისთვის დროც არ რჩება და თავსაც ამიტომ იკავებს.

3274. რატომღაც, არავინ ცდილობს საღი აზრის პარტიის შექმნას, რომელსაც ქვეყნის რომელიმე რეგიონში თავისი მოსაზრებების დამადასტურებელი ლაბორატორია ექნებოდა და შედეგებით ქვეყანას მმართველ პარტიად მოევლინებოდა. ეტყობა, საღი აზრი და პოპულარობა ერთად ვერ მოვლენ.

3275. „წელში გავწყდი, ან ისე ვიყავი, ფეხები იღლიაში მქონდა ამოდებული" – ქართულად, „ვტრიალებ, როგორც ციყვი ბორბალში" – რუსულად, „ვისვრი ოთხივე თოფიდან" – ფრანგულად, „ღვიძლს ვაფურთხებ" – ესპანურად, „არ ვიცი, არც დასვენება, არც სიმშვიდე" – გერმანულად. ეს ფრაზები აზრობრივი თარგმანიცაა და იდენტურიც, მაგრამ თავიანთ ენაზე შესატყვისი და უფრო გასაგებიც.

3276. სიმღერის, ცეკვის, განათლების, სწორად აღზრდის სკოლა ყველგან ერთია, მხოლოდ ცხოვრების წესი და მაყურებელია სხვა, რომლებსაც თავისი არაკომპეტენტურობით და ტრაბახით თავი მოაქვთ.

3277. როგორც ირკვევა, მამრები უფრო მეტს ტრაბახობენ ნაცნობებში ქალთან წარმატებაზე, ვიდრე მდედრები კაცების „დაბმას", რადგან მამაკაცს თავის მოწონებისკენ ხვადის ჟინი უბიძგებს, ხოლო მდედრს – გარკვეული დრო და გარემო.

3278. ერთმანეთის ჯინი, უაზრო ზვიადობა, გაძარცული გრძნობები, ეს არის ქვეყნის გადაგვარებისკენ მიმავალი გზა, რომელსაც წინ სულიერი ღირებულება აღუდგება. რაღაცა სასწაულით უფრო გამძლეა, ვიდრე მატერიალური. ეტყობა სულიერებას წინაპართა ისტორიის ცოდნა იცავს.

3279. როდესაც ღრმად გაესაუბრები ცხოვრებას, გაოცებული აღმოაჩენ, თუ როგორ მოშლილი ყოფილა ეს სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები და საერთოდ, როგორ ახერხებენ ქვეყნის მართვას, როდესაც ამდენი უსაქმური, ყბედი, ვიგინდარა იჩემებს მოქალაქეობას.

3280. მოხელის ყალბი ყურადღება შეიძლება საქმის კეთებას არ შველის, მაგრამ შენს თავმოყვარეობას ხარკს უხდის და გამშვიდებს.

3281. პროლეტარიატი ის უხერხემლო, უნებისყოფო, უინიციატივო, ერთგვაროვანი მასაა, რომელიც უსაქმურობისაგან იჟანგება და იმის ცდაშია, რომელიმე ავანტიურისტი მემანქანის ორთქლმავალს გამოებას ვაგონივით და თანაბრად გაანაწილოს მოგება სადგურებს შორის.

3282. ინფორმაციის საშუალებების მოდერნიზაციის სისწრაფე გვაიძულებს ჩქარი ტემპით ვიცხოვროთ, ოღონდ წინანდელი ურთიერთობის სითბოს და ღირებულების დევალვირებით.

3283. ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს, უფლებები სხვადასხვა რამაა და მათი შერწყმა და გამომზეურება დიდ დაფიქრებას, ნიჭს მოითხოვს, რათა მათმა დაბალანსებამ დადებითად იმოქმედოს საზოგადოების არჩეული წყობის შესაძლებლობებზე.

3284. ჩვენ რომ წინაპრების გამოსწორებული შეცდომების ხარჯზე გვეცხოვრა, მაშინ ცხოვრება მკაცრი და უინტერესო იქნებოდა, თან ჩვენი ჩასადენი სისულელის ლიმიტის ხელყოფაცაა და შეცდომებსაც არავინ ჩაგვადენინებდა, რომელიც ცხოვრებას ასე ახალისებს.

3285. ვარსკვლავთა ავადმყოფობა, სიმაღლეში ზრდის ნაცვლად, სისქეში მატებით გამოიხატება, რაც მისი პოპულარობის დაქვეითების და სასაქონლო ღირებულების უფასურების მაჩვენებელია.

3286. წყვილის პირველად გაყრის მიზეზი ოცნების კომკის მსხვრევის შედეგია, მეორედ – დაუმთავრებელი კომკის შენება, მესამედ – განშორების კომკისთვის საძირკველის გაუთხრელობა, მეოთხედ კი – ქრონიკული ავადმყოფობა ან შენიღბული ლამაზმანობა.

3287. სიყვარულს, კაცობას, ისე არასდროს არ უჭირს, როგორც ქვეყნის განვითარების გზაჯვარედინზე ყოფნისას, რადგან ამ დროს მრავლდებიან სითბომოკლებული ბავშვები, გავააწეული ქალები და სულიერი ღირებულებით მოვაჭრე მამაკაცები, რომლებიც ფულის შოვნას და მისი გონიერ მოხმარებას გზას უღობავენ.

3288. სოციალიზმის დროს ყველას „სევდიანი კაიფი" ეჭირა და თავის წარუმატებლობის მიზეზად სახელმწიფო „განტევების ვაცად" ჰყავდა, კაპიტალიზმში დაბრუნების შემდეგ, ამ ვაცის გადამბარებელიც არავინ დარჩა.

3289. წითელი და თეთრი ინტელიგენციის კამათი ორივეს დამარცხებით დამთავრდა, რადგან წითლები სანამ უგუნურები იყვნენ და ტვინი ფანატიზმით ჰქონდათ არეული, იმარჯვებდნენ, მაგრამ როგორც კი განათლებული თაობა წამოვიდა, ფანატიზმი დაიკარგა, ეჭვიც შეეპარათ იდეოლოგის სისწორეში. ე.ი. ეჭვია ყოველგვარი იდეოლოგიის ლპობის მიზეზი, და არა ფანატიზმი.

3290. ერთი და იგივე ამბავი ხელოვნებისთვის უფრო გასაგები, ადვილად გადმოსაცემი ხდება, ვიდრე ცხოვრება თავისი ბუნებრივი რეალობით. ეტყობა, მასწავლებელი ყველგან და ყველაფერში საჭიროა, მხოლოდ ჩვენი შეფასების უფლების გარეშე.

3291. სოციალიზმი ხალხის სამსახურს აფეტიშებს ქვეყანაზე ზრუნვით, კაპიტალიზმს ქვეყნის სამსახურად ხალხის კაპიტალზე ზრუნვა მიაჩნია.

3292. ნიჭის პატრონი სიყალბეს, ფალსიფიცირებას ყველგან და ყველაფერში გრძნობს და დილემის წინაშე დგახარ მათი ნამუშევარის შეფასებისას – „ეს ნაკლებ სიყალბეს სჩადის, ვიდრე მეორე", რადგან ორთავეს უარყოფითად შეფასების შემთხვევაში შენი აზრი საჭირო აღარ გახდება.

3293. გამწვავებულ სიტუაციაში არჩევანი არც ისე დიდია საქმის მოსაგვარებლად, რადგან მოლაპარაკება გიხდებათ ცუდსა და ძალზე ცუდს შორის, ან თავზე უნდა აიღოთ ერთჯერადი რადიკალური ღონისძიება, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს დემოკრატიასთან, მაგრამ საბოლოო შედეგი გაცილებით ჰუმანურია, თუმცა აქ შეცდომას არავინ გაპატიებს.

3294. გამარჯვებული დამარცხებულის მოქრთამვას სატყუარა ტერიტორიების გადაცემით არ უნდა შეეცადოს, რადგან ისტორიის გაკვეთილების თანახმად, ეს უკანასკნელი რევანშის სურვილით ყოველთვის იქნება ჩასაფრებული. მისთვის შექმნილ „ოქროს გალიას" გარკვეულ დროში თავს დააღწევს და საბოლოო გამარჯვება მას დარჩება. ამის შესანიშნავი მაგალითია უკრაინისთვის ყირიმის გადაცემა,

ლიტვისთვის – ვილნიუსის ოლქის. შედეგად რუსეთმა ყირიმი დაკარგა, ხოლო ბელორუსიას ოლქი დააკარგვინეს.

3295. ვიცით როგორ ვცხოვრობთ, ასე ცხოვრება არ შეიძლება, მაგრამ ფაქტობრივად სხვანაირად ცხოვრებაც არ შეგვიძლია და არც გვინდა, რადგან სხვისი კარგი გამოცდილების გადმომღერება აღზრდას, ცოდნას და შემოქმედებითს შრომას მოითხოვს.

3296. ასაკის მატება ცვლის შეხედულებებს, ურთიერთობებს, შესაძლებლობებს და ბევრ სხვას – „რაც გვწამდა ძველად". ყოველივე ამის შეჯამებას ცხოვრების დაისზე ვცდილობთ და საშუალო შეწონილი ქცევის ნორმები გამოგვყავს მომავალი თაობებისთვის, რომელიც აღარ სჭირდებათ.

3297. კარგი უფრო გადამდებია ვიდრე ცუდი, მაგრამ მთავარია, ვინ როგორი მომხიბვლელობით ფლობს ამ თვისებას და რა ჟესტიკულაციის ჩვენება შეუძლია.

3298. იმისათვის, რომ გცნონ, მოდას უნდა აჰყვე, რომ გაღიარონ საკუთარი თავის შემკობა უნდა გეხერხებოდეს, რომ უკვდავგყონ, მოდით და რეკლამით უნდა იკაშკაშო, ამასთან, აღიარების ფესვებს დროის სანელებლები უნდა მოაფრქვიოთ, თუ გინდა სიცოცხლეში უკეთ იცხოვრო, ვიდრე შენმა სახელმა სხვა დროში.

3299. ყველაზე დიდი სიმდიდრე საკვანძო საკითხებში საკუთარი საღი აზრის გამოხატვაა რეალიზება.

3300. ამქვეყნად იცხოვრო ისე, როგორც სამოთხეში, მაინც მოგბეზრდება, რადგან ყველაფერს თავის დასაწყისი და დასასრული აქვს.

3301. მოვალეობის, სავალდებულოს, გეგმიურის შესრულება ყოველთვის გვიჭირს, რადგან გვგონია მის გაკეთებას ყოველთვის მოვასწრებთ, ეს იგივეა, როდესაც ზღვისპირას მცხოვრები მთელი წელი ზღვაში შეუსვლელი რჩება.

3302. როდესაც სარწმუნოების დოგმებში, მორწმუნეთა მსოფლმხედველობაში და მათ ქცევაში ეჭვი შეგეპარება, მაშინ ხდება გასაგები, რა უმწეოა სულის ყივილი, იმ სიცარიელის ამოსავსებად, რომელსაც სამყაროს შეუცნობლობა ჰქვია.

3303. თქვენთან სასაუბროდ სასიამოვნო განწყობა პირდაპირპროპორციულია მეორე მხარისთვის საუბრის საშუალების მიცემისა, წარმოჩენისა და აღფრთოვანებისა.

3304. არის ენა, რომელსაც არავინ გასწავლის, მაგრამ ზოგჯერ ცხოვრება გაიძულებს გამოიყენო და იგრძნო მისი თავხედობის სიმშვენიერე, რომელიც მკურნალად გვევლინება გულის და ნერვების დაწყნარების თვალსაზრისით.

3305. რუსული არაყი და მომხიბვლელი რუსი ქალი, ფრანგული შამპანური და მიმზიდველი ფრანგი ქალი – საუკეთესოა სამყაროში, თუ პირველი რეკლამას და თავის დაფასებას ისწავლის, ხოლო მეორე მედიდურობას მოუკლებს და მისაწვდომი გახდება.

3306. რაც მეტი სიძნელეების წინაშე ვდგებით, მით ნაკლები დრო გვრჩება ცხოვრებისათვის სასაყვედურო, იმ შემთხვევაში, თუ ეს შენი მისწრაფებისა და სიამოვნებისთვის არის განკუთვნილი.

3307. ასაკის მატებასთან ერთად შვილები სულიერად თანდათან გვშორდებიან და მათ ადგილს მათი ხორციელი ნაშიერი იკავებს. ეს არის ალბათ ცხოვრების ფილოსოფია, რომელიც გვამშვიდებს და შთამომავლობის მიმართ ნაკლებ პრეტენზიულს გვხდის.

3308. მოსწონდე ვინმეს თავისებური ნიჭია, რომელიც მოჩვენებითობაზეა დამყარებული და იმაზე, რამდენად მისაღებია ეს თქვენთვის.

3309. მე ვარ გენერალ-მაიორი იმ ჯარების, რომელიც არავის შეუიარაღებია და არც სერიოზულად სჭირდება ქვეყანას, მაგრამ წოდება თავმოწონების და ტრაბახის საშუალებას მაძლევს.

3310. ხშირად შენი და ეპოქის აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ ეპოქის დოგმებს ხომ ვერ გადაახტები?

3311. კომფორტი და მოხერხებული ცხოვრება, თითქოს ერთი და იგივეა, მაგრამ პირველს თავისუფლების მადლი აკლია, მეორეს – ცხოვრების პეწი, ასე რომ, თავისუფლებაც და პეწიც თითქოს ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ ტყუპისცალობას ვერ დაიქადნიან.

3312. ზოგჯერ ოპონენტს ნაწარმოების აზრი კი არ აინტერესებს, არამედ ფრთიანი კითხვა – „სად ნახე, საიდან აწაპნე?".

3313. მთავრობა მაშინ უყვართ, თუ მისგან რაიმე გამორჩენას ელოდებიან.

3314. საზოგადოება აზრს კი არ ქმნის, არამედ ცდილობს სხვისი შეიძინოს და გაითავისოს.

3315. კრიტიკოსები ძვირად არ იყიდებიან, მაგრამ ვიღაცისთვის მათი ნამუშევარი ღირს ძვირი, რომელიც სხვას იაფად გაყიდვას უპირებს.

3316. მოდა ჩვენს სიცოცხლეში ორჯერ კვდება და ორჯერვე სფინქსივით აღდგება, მომდევნო თაობებისთვის სიხარული, სილაღე მოაქვს, ჩვენ კი წლების გახსენება და მახსოვრობის გავარჯიშება გვრჩება.

3317. ბედნიერება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ენერგიით და ოდენობით შეგვიძლია მისი დაუფლება.

3318. აზრები, რომელიც „პირუეტებს" ასრულებენ, როგორც ჩვენ, ასევე სხვის გონებაში საყურადღებოა, გასაანალიზებელია და დასადგენია, მათი სრულწლოვანება რამდენად არის მზად ცხოვრების მოწმობის მისაღებად.

3319. ხანდახან არის საიდუმლო შენი მეგობრისათვის, რომელიც თითქოს მან უნდა იცოდეს, მაგრამ მისმა გამხელამ შეიძლება მეგობარიც დაგაკარგვინოს და მას ცხოვრებაც აურიოს.

3320. მიმბაძველობა კარგია ცხოვრების გასაუმჯობესებლად და არა – სიდიადის მისაღწევად.

3321. ინტელექტი და განათლება ხშირად ერთად ვერ მოვლენ, რადგან პირველი თანდაყოლილია, სულიერია, მეორე – შეძენილი, მატერიალური.

3322. ცხოვრების მოყვარულია ის, ვისაც ადრენალინის გარეშე ცხოვრება არაფრად ულირს.

3323. მასწავლებლების უბედურება ის არის, რომ სხვას ასწავლიან, თავად კი დროსთან შედარებით გაუნათლებელი რჩებიან.
3324. სამყარო თანდათან სისულელისკენ თოხარიკობს, რომელსაც თუ ხანდახან გიჟის პერანგს არ ჩამოვაცმევთ, მისი დაწყნარება, დაღვინება, გაჭირდება.
3325. თეატრი და ეკლესია ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს, რადგან პირველს მრავალი პრემიერის დადგმა უხდება, ხოლო მეორე ერთხელ დადგმული პრემიერით გვიმასპინძლდება.
3326. სიბერის სიმპტომებია: ფანტაზიის, აზროვნების, ცხოვრებისაკენ ლტოლვის მოდუნება, მცდელობა ნერვების მოუშლელობის და წყნარად ყოფნა.
3327. კლასიკამ სპორტშიც განიცადა დევალვაცია, წინათ თუ კრივი ხელებით ფარიკაობად მიგვაჩნდა, დღეს ცხვირპირის დანაყვად გვაჩერებენ, ამიტომ ჩემდა გასაოცრად, ქალების მუშტით ფარიკაობის ყურება უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებს, ვიდრე ვაჟების მუშტების ქნევა.
3328. ძველ თაობას უნდა გამოცდილება ახალ თაობას დააწიოს, მაგრამ ამ უკანასკნელის დაწევა ჯეელობის გამო შეუძლებელი ხდება.
3329. სიმართლის გაგებას ტყუილთან შედარებით თავში მეტი წამორტყმა უნდა, მაგრამ მაინც ერთი და საფუძვლიანი, რაც ერთი უცნობიდან უცბად ორივეს ცნობილად ხდის.
3330. ებრძვი ბაქტერიას და ბაღლინჯო გამოგიხტება, ამ უკანასკნელს ტარაკანა შეცვლის, ტარაკანას – თაგვი, თაგვს – კატა, კატას – ადამიანი და ეს უკანასკნელი ისევ ბაქტერიების სარჩო ხდება, მაგრამ სულელების რაოდენობა, ამ მუდმივი სპირალის მიუხედავად, არასდროს კლებულობს.
3331. ცხოველები ტერიტორიას მონიშვნით ისაკუთრებენ და დემოგრაფიული აგრესიისგანაც თავს ვერ იკავებენ, მაგრამ ადამიანის კაპრიზისგან განსხვავებით, ფაუნის ამ კაპრიზს ბუნების კანონზომიერება ადვილად უმკლავდება.
3332. მკვდრები თავიანთი დაუფიქრებელი მამაცობით და ლეგენდებით ცოცხლებს აბრიყვებენ და ისინიც დაუფიქრებლად მათ გზას ადგებიან, იმის მაგვრად განსაჯონ ეს ქვეყანას, ერს ჭირდება თუ მის უგვანო მართველს.
3333. სიყვარულის და სიძულვილის ენა იმქვეყნად წასულთა საფლავებზე აღმოცენებულ მცენარეებსაც კი ესმით.
3334. სულის მოწყობა – რწმენას მოითხოვს, რწმენა – სარწმუნოებას,სარწმუნოება – ხორცს, ხოლო ხორცის დაცხრომას ვნება სჭირდება, ვნებას – შემართება, ცხოვრება კი, რომელიც ყოველივეს ერთდროულად და დაუყოვნებლივ ითხოვს, ბოლოს იმას სჯერდება, რასაც ბედი არგუნებს.
3335. ალბათ მისდაუნებურად განგებაც უშვებს შეცდომას, თორემ რა მიზეზებით აბადებინებს „ტასმანიის ეშმაკს" 32 ნაშიერს, მაშინ როდესაც ამ ფრთოსან მღრნელს მათ გამოსაკვებად მხოლოდ ოთხი ძუძუ აქვს.
3336. ყოველივეს გარემო ჰქმნის, ხოლო ნიჭით შექმნილს, ორანჟირებას მაშინ უკეთებს, როდესაც მასში რაღაც ააღელვებს და მისთვის საინტერესოს დაინახავს.

3337. მტკიცე ნების, საზოგადოების მობილიზების, კერძო საკუთრების, გონიერი სახელმწიფო აპარატის გარეშე დემოკრატიაზე, პროგრესზე და ცხოვრების მაღალ დონეზე ლაპარაკი ზედმეტია.

3338. ზოგი ქვეყანა არისტოკრატის ქვრივის წარმოდგენით ცხოვრობს, რომელიც სამყაროს ლომბარდში ყველანაირი ეროვნული სიმდიდრის დაგირავებას ცდილობს, რათა მიღებული ნასუფრალით უზრუნველად იცხოვროს.

3339. რის აშენებაც უნდოდა წინა თაობას, მათმა ნაშიერმა ნახა, რას ააშენებს მომდევნო თაობა, ამას ძველი თაობა ვერ მოესწრება. ასე რომ, დავა თაობებს შორის წყლის ნაყვაა.

3340. სიბრიყვესაც თავის პარამეტრები და საზღვრები აქვს, რომელიც ზომიერ ფარგლებში ღიმილს და სიამოვნებას გვანიჭებს, ხოლო გადამლაშება – ზიზღს და ბრაზს.

3341. ასაკში სისხლის დუღილს სურვილი სჯობს, ახალგაზრდობაში – პირიქით, რადგან პირველს ანგარება, ანგარიში, ამოძრავებს, მეორეს – სიცოცხლე, დაუდევრობა.

3342. ბედნიერია ის, ვინც ძალზე ბედნიერი არ არის, რადგან ყოველივე ამქვეყნად ლიმიტირებულია და ბოლომდე არავინ არაფერს გარგუნებს და შეგარჩენს.

3343. ცხოვრების მიმართ უკმაყოფილება უსაქმურობის და უნიათობის აუცილებელი შედეგია. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროგრესი ვერ იფოფინებდა.

3344. შემთხვევითი გამარჯვება-დამარცხებისთვის პროცესს მნიშვნელობა არა აქვს, დრო ნთქავს, ისტორიაში გადადის, ხოლო ისტორიული ფაქტების ამოქექვა პროტესტის რაობაზე და მისი გაქიაქება უფრო მომავალი თაობების გართობას ემსახურება, ვიდრე მათ განათლებას.

3345. განათლება-გაუნათლებლობა, კულტურა-უკულტურობა, სიმდიდრე-სიღარიბე, ჯობნა-არ ჯობნა, სადაო საკითხია. კულტურულ, განათლებულ, მდიდარ რუსეთში ომი არ ყოფილა, მაგრამ მის ტერიტორიაზე უამრავი უპატრონო ბავშვი დაეხეტება, ხოლო ,,ღარიბ, გაუნათლებელ, უკულტურო'' ჩეჩნეთში, სადაც ომი არ მთავრდება, ერთ უპატრონო ბავშვსაც ვერ ნახავთ. ე.ი. სწორად აღზრდა ყოფილა უმთავრესი და არა მოჩვენებითი თანამედროვე კულტურა, რომელიც პიროვნების თავისუფლებას არის მიტმასნილი.

3346. სახელმწიფო უმშიროებასა და სამედიცინო პროფილაქტიკას შორის ის სხვაობაა, რომ ეს უკანასკნელი ავადმყოფისთვის ინტიმურ დაავადებას მისი ნებართვით სწავლობს, მკურნალობს და საიდუმლოდ ინახავს, ხოლო პირველი ,,გონიერებით დაავადებულთ'' მათ დაუკითხავად სწავლობს, აკვირდება და ტირაჟირებას მაშინ აკეთებს, როდესაც ზევიდან თითს დაუქნევენ.

3347. კაცობის წესით, წაქცეული არ უნდა დაწიხლოთ, თამაშის წესები უნდა დაიცვათ, ქალს პატივით მოეპყროთ და მეგობრის ცოლს, როგორც მდედრს ისე არ შეხედოთ, მაგრამ ფულის კეთების კულტმა დღეს ყველა წინა გონიერი კულტურა თავისებურად დააჭიტლაყა.

3348. სამყაროს გონიერებამ თავის დასაცავად მენაგვენი და მათი საქმიანობის შედეგები მოგვივლინა. ფლორის გამხმარი წარმომადგენელი საბოლოოდ მტვრად

აქცია, ხოლო სვავს, აფთარს, ზვიგენს და მისთანებს მძორით კვება და ნიადაგის განოყიერება დააკისრა. ამასთან, ადამიანის საბოლოო გზაც ამასვე ამსახურა. ასე რომ, ყველაფერი მიწის გაპოხვას ემსახურება და ბუნების საწყისიც და სიცოცხლეც მისგან გვევლინება და არა კოსმოსიდან, როგორც ეს ბევრს ჰგონია.

3349. ყოველივეს განმგებელი ასაკია, რომელსაც ჩვენდა უნებურად გულიც, სულიც ემორჩილება და გონებაც გადაიბირებს. გემის კატასტროფის შედეგად ერთ კუნძულზე კაცები აღმოჩნდნენ, მეორეზე – ქალები. სახელდახელო თათბირზე ახალგაზრდა მამრებმა ტივით კუნძულზე გადასვლა მოინდომეს, შუახანს მიტანებულებმა დაფიქრება ამჯობინეს, ხოლო უფროსმა ასაკმა იმედი გამოთქვა, თავად გვესტუმრებიანო, დაღვინებულმა მამრმა კი ყველა დაამშვიდა, ნუ დაობთ, აგერ ჭოგრიტი მაქვს და ყველანი ვისიამოვნებთო. ასე რომ, ყოველივეს ასაკიდან გამომდინარე ვნება მართავს და არა ჭკუა გონება.

3350. სუფთა რასების თეორია მითი აღმოჩნდა: რელიგიას, ეკონომიკას, ენას და ისტორიულად ერთნაირ ბედს ცალ-ცალკე ერის შექმნა არ შეუძლია. რადგან მას ღირსება, ტრადიციები, კულტურა, კულტები, ძალა, გარემოს კოქტეილი ქმნის, რომელსაც ყველა ერთნაირად ეთაყვანება.

3351. გადამეტებულ მორალისტებს და მორწმუნეებს უკიდურესობა ახასიათებთ და ყველანი საშიშნი არიან, რადგან მავანთა სხვადასხვა ბუნების გამო ურთიერთგაგება შეუძლებელია.

3352. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი უჟმური ხასიათით და ბედით სხვის ჯინაზე მაინც უნდა ვიცხოვროთ და ვიგრიალოთ, რათა სიცოცხლის დაისზე შევიგრნოთ მისი ფასი.

3353. თუ ზურგს უკან გაქებენ, სასაყვედუროც არაფერი გქონია და თქვენი საყვედური ყველას და მათ შორის, თავის მიმართაც, მოხსნილი გაქვთ.

3354. ზოგი ცხოვრებაში მაშინ იღვიძებს და საქმის დაწყებას ცდილობს, როდესაც იმქვეყნიდან უკვე მოუკაკუნეს.

3355. სხვისადმი დაცინვა ავანსია საკუთარი თავის დაცინვის და კრედიტია მომავალი თაობის ღიმილით გახსენების.

3356. ცხოვრების დაისზე ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი სულ ერთი წამით გონიერებაში გაიელვებს და ამ ინფორმაციის პატრონი ვერ მიმხვდარხარ, ინაღვლო თუ დატკბე შენი განვლილი გზით.

3357. წარსულს იმიტომ მივტირით, რომ იქ ჩვენი შესაძლებლობების და ავტორიტეტის წარმოჩენას და ოპონირებას ჩვენვე ვკისრულობთ, რადგან სხვა შემდავებელი არავინ გვყავს.

3358. როდესაც ასაკით დამძიმებული ცდილობ შენი განვლილი გზა სხვისას შეუდარო, რათა მოინანიო, გაოცებული რჩები – რამდენად უცოდველი ყოფილხარ სხვასთან შედარებით.

3359. მართალია, ცრურწმენა მანკია, სისულელეა, მაგრამ თუ მისი ნაწილობრივ გჯერათ და ყოველი შემთხვევისთვის უფრთხით, ამით ხომ თავს იმშვიდებთ, უფრო

ფრთხილი, მობილიზებული ხდებით და ესეც ნერვების დამშვიდების ერთ-ერთი საშუალებაა.

3360. რა ქნას პროფესიონალმა მძარცველმა და გაძარცულმა კარატეს მწვრთნელ-მა, თუ სახლში ისეთი ცოლები ელოდებიან, რომლებსაც ქმრების პროფესიონ-ალიზმში ეჭვიც არ ეპარებათ, თუმცა არც ერთს სახლში ფული არ მიაქვს. განა დაუჯერებენ, რომ პირველმა ვერავინ გაძარცვა და მეორემ ნებაყოფლობით ჩააბარა ხელფასი.

3361. ეჭვიანობას იუმორის ეშინია, მაგრამ სატირის წინაშე ყველა ეჭვიანი თავს ხრის.

3362. სამყარო გადატვირთულია ყურმოკრული ამბებით, ეჭვებით და ყურმო-უკვრელად გაკეთებული საქმეებით.

3363. ეჭვიანობასა და სიძულვილს შორის სხვაობა დიდია, მაგრამ მათ შორის მანძილი მაინც ერთი ნაბიჯია.

3364. უმტრო კაცი თუ გინდ გენიოსიც იყოს, მომდევნო თაობების გაქირდვას და ეჭვს იმსახურებს.

3365. თუ ეჭვიანობას ჩავაბუდებთ იქ, სადაც საჭიროა, აუცილებლად მოგვცემს ნაპ-რალს, რომელშიც დემაგოგიური ფაქტების ჩალაგებით შესაძლებელია ყოველგ-ვარი აფეთქების მოხდენა.

3366. სწორედ უზრდელის თავშეკავება იწვევს ეჭვს და ის ხდება განსჯის საგანი.

3367. სიბერეა ის ძალა, რომელიც ახალგაზრდობის აქსიომებს ეჭვს აკადრებს.

3368. ყოველთვის წარმატება ეჭვს უნდა იწვევდეს შენს სიდიადეში და აუცი-ლებლობაში.

3369. ქვეყნის დაღუპვა თუ არ გინდა, სახელმწიფო მმართველზე იეჭვიანე შენთვის და არა სხვებთან ერთად.

3370. შეიძლება იდიოტად გთვლიან და ამაში ეჭვის შეტანა თქვენი პრეროგატივაა, მაგრამ რა ვუყოთ თქვენს ნამოღვაწარს, როდესაც მისი შეფასება უმრავლესობისთვის დამაკმაყოფილებლადაც კი ძნელია, თუმცა ერთეულების მიერ თქვენმა აღიარებამ სიკვდილის შემდეგ შეიძლება უკვდავებასაც გამოკრას ხელი.

3371. გადაწყვეტილება მაშინ უნდა შეიცვალო, თუ ის ხმამაღლა არ გაგიხმოვანებია, რადგან პირის გაღება შენთვის არავის დაუძალებია და არც არავის სჭირდება შენს კაცობაში ეჭვის შეტანა.

3372. ერთმანეთის ჭიდილში ყოველივეს ეჭვის ქვეშ ვაყენებთ, არაფრის დაჯერება არ გვინდა, ამასობაში დროც გადის, სიჭარმაგეც გვიახლოვდება, რომელიც თავისი ჩვევებით გვასაჩუქრებს, რაც ურთიერთგაუგებრობას კიდევ უფრო აძლიერებს.

3373. უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი ქმედებით სამყარო ცოტათი უკეთესი გავხადოთ, მაშინ ექნება ცხოვრებას აზრი და ყველაფრის გადაბრალება უტვინო მთავრობა-ზე და თანამედროვეთა უხიაგობაზე არ მოგვიწევს.

3374. წარსულის ქარცეცხლში გამოვლილ ვეტერანებს წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მივცეთ საშუალება ყველა უდროოდ წასულის მოგონების და მათ წინაშე

მუხლის მოდრეკვისა, რათა თავიანთი განვლილი გზის საჭიროებაში ეჭვი არ შეეპაროთ.

3375. ხანდახან სახელმწიფოს მმართველი ისეთ მარტივ საქმეს ვერ გაითვალისწინებს, ეჭვი შეიძლება შეგეპაროთ – ვერ ითვალისწინებს, თუ განგებ თავს ისულელებს.

3376. სხვის ქეიფში მხიარულება, თეთრი ტყუილი, შავი ტრაური, ეჭვს იწვევს, რადგან მხოლოდ საკუთარი განცდაა ნამდვილი და ეჭვმიუტანელი.

3377. მინისტრის კაცობაში, რომელიც 200 ლარს (12 გრამ ოქროს) იღებს გასამრჯელოდ თვეში და სიწმინდეზე გელაპარაკება, შეუძლებელია ეჭვი არ შეიტანოთ, პატიოსნებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

3378. ეჭვიანობა ყველა იმ აუცილებელი გრძნობებიდან, რაც ადამიანს აქვს, ყველაზე უარესია. ის მიისწრაფის ძალადობისკენ, რომელიც სულს რყვნის და ხშირად დიდი ვნებაც მოაქვს სიყვარულის სახელით.

3379. ნაციონალიზმი ბლიცგამოძახილის და აფექტის ფუჭე იარაღია, რადგან მას არასდროს მყარი საფუძველი არ აქვს და ის ყოველთვის მარცხდება.

3380. ხანდახან სხვისი ხსოვნის გახსენება ხარკის დემაგოგიურად აკრეფის მცდელობის კარგი ოინია.

3381. ძალდაუტანებლად თავსაც უნდა დაეხმარო და სხვასაც თუ საკუთარი თავის გჯერა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქველმოქმედებას აზრი არ აქვს.

3382. საკუთარი ხინჯის დაუნახავად ცხოვრება შეიძლება, მაგრამ სხვისი ნაკლის დაუნახაობა სიცოცხლეს აუტანელს გახდიდა.

3383. ავტომანქანა, ქალი და მამაკაცის ღირსება იქ გვაწბილებს, სადაც არ ველით და ყველაზე ნაკლებ იქ გვჭირდება მათი კვატნის დადება – ღალატი.

3384. ღალატი ყველაზე დიდი ცოდვაც არის და ძალზე ძნელია მისი ფენომენის შეცნობა, მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად, მისდაუნებლიედ, სიკეთეც მოაქვს და შექებასაც იმსახურებს.

3385. ყველა ახლადგაცნობილს გაოცებით და სიყვარულით უნდა ესალმებოდე, მაგრამ ჯიბეში „ბრანწი" – სამი თითის კომბინაცია უნდა გეჭიროს, რადგან არავინ უწყის როდის გამოგადგება შენი ეჭვი ამ ადამიანის შესაცნობად და განსასჯელად.

3386. სიბრიყვე, გამრავლებული მცდელობაზე, გვაძლევს უგონობას და აქ სამრავლნამრავლის ოდენობას აზრი არ აქვს, რადგან ჯამი უცვლელია.

3387. დღეს ზოგს თავის წინაპართან ერთად სუფრასთან ჯდომაც შერცხვებოდა, იმგვარად ვართ ცივილიზაციისაგან გათავხედებულნი.

3388. ეჭვი ხვადის მიერ მონიშნული ტერიტორიაა, რომლის წრეში მისადმი ძუს სიყვარულია დამალული მონოგამიური სიყვარულის გამოსაცდელად.

3389. ეჭვიანობა სიყვარულის წამახალისებელია, მაგრამ ზომიერების ფარგლებში.

3390. ყველა ჩვენგანს მიაჩნია, რომ რაღაცა ისეთის გაკეთება შეეძლო ამქვეყნად, რაც სხვას არ გაუკეთებია, ცოტა ბედი რომ ჰქონოდა და გამართლებოდა.

3391. ეჭვიანობის ფენომენი რატომღაც წინასწარ განწირულია სამართლიანობისგან და მას უსამართლობასთან, ახირებასთან, აიგივებენ, არა – და, ეჭვიანობას ყო-

ველთვის რაღაც ბუნებრივი საფუძველი აქვს, მიუხედავად იმისა, სამართლიანია თუ უსამართლო.

3392. სიკვდილი უდიდესი სიამოვნებაა თუ უდიდესი გაწბილება, სულის დამშვიდება თუ ხორცის გადაგვარება, ეს არავინ იცის. დასკვნა ერთია: სულს მამაზეციერს ვაბარებთ, ხორცს კი დედამიწაზე ვტოვებთ, ასე რომ, ამქვეყნად ადამიანის მხოლოდ სახელი რჩება, რომელსაც მაშინ იყენებენ, როცა ვინმეს სჭირდება წარმოსაჩენად.

3393. ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ ყველანი ამქვეყნიდან გამქცევნი ვართ, რადგან ჩვენი ადგილი, ბუნების კანონის თანახმად, სხვას უნდა დავუთმოთ, მაგრამ სრულფასოვნად შეგვცვლიან თუ არა, არ გვეკითხებიან.

3394. როგორც კი სამყაროს ყოფიერებას გავართულებთ და მის სიღრმეს ჩაწვდომას შევეცდებით, მაშინვე გვეწყება თავის ტკივილი, გრძნობების მოჭარბება, ცხოვრების იდეალებისთვის ბრძოლა, შედეგად, სიბერეში ყველაფერი მიღებულ ჩარჩოში ჯდება და სულის ბობოქრობაც იფერფლება.

3395. ცივილიზებული – არაცივილიზებული, განათლებული – გაუნათლებელი, მდიდარი – ღარიბი, მორალის ბარიკადის სხვადასხვა მხარეს დგანან, მაგრამ პრინციპები ერთი აქვთ, ცხოვრება ყველას ერთნაირად კარგად უნდა, რადგან მათი აზრით, არავინ არავისზე მეტი არ არის.

3396. არავის არ უნდა უმტკიცოთ, რომ თქვენ ამქვეყნად მოსვლის უფლება გქონდათ, საკუთარი თავის გარდა.

3397. პიროვნების და საზოგადოების დამოკიდებულება არ იცვლება, იცვლება ცივილიზაცია და დრო.

3398. რატომღაც ფოცხს ყოველთვის ერთი და იგივე ადგილზე ვაბიჯებთ ფეხს და ისე ვეჩვევით ცხვირპირში ცემას, რომ სადღაც სიამოვნებას განვიცდით და იუმორის ხასიათზეც ვდგებით.

3399. ცრურწმენით განსჯა დიდი ფულის შოვნის წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ იმისკენ, რომ ის ადამიანს უკეთესობისკენ ვერ უბიძგებს და ვერც გარდაქმნის.

3400. გეჩვენება, რომ ოთხფეხაზე უკეთ ორფეხას ენდობი? მაგრამ ეს უკანასკნელი ისეთ რაიმეს იკადრებს, რომ გაოცებისგან აღარ იცი, ნდობის სტატუსი ვის მიანიჭო.

3401. აჯობო შენს თავს, ყველას პრეროგატივა არ არის და შეიძლება არც უნდა იყოს, რადგან მაშინ ბუნებრივობას ყავლი გაუვიდოდა და ხელოვნურობას გავაფეტიშებდით.

3402. ყველა მოვალეობიდან ვადამდე ნებაყოფლობით განთავისუფლებას მარტოობამდე მივყავართ და ბოლოს იმის ცდაში ვართ, ვინმეს ავეკიდოთ.

3403. ტალანტი და ნავარჯიშები მეხსიერება თუ გაგიფრინდა, ნიჭიერი კაცისთვის მეტად ძნელი ხდება მისი დაწევა, რადგან ეს შინაგანი ძალების მობილიზებას მოითხოვს, რომელიც მას ასე უჭირს.

3404. ხშირად მართალ კაცს არ უმართლებს, მაგრამ ამაში თვითონაც არის დამნაშავე, რადგან რეალურ ცხოვრებაში სიმართლესაც განზავება სჭირდება.

ვექილომანია

3405. წარსულის გადამეტებული ცოდნა არასაიმედო ვექილია, რომელსაც დიდება არც ერთი ერისთვის არ მოუტანია.

3406. მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტებაზე ფიქრი ვექილისთვის უწესობაა, ის მოწოდებულია ყველა ღონე იხმაროს იმისათვის, რომ კლიენტი დაიცვას სახელმწიფოს ძალადობისგან.

3407. ვექილის გარდა ყველას შეუძლია თქვენზე კარგი თქვას, თუ ეს მათ არაფერი ულირთ.

3408. თუ სამართალია, ვექილს თავის ქონება იმ უგუნურებისთვის უნდა ეანდერძა, ვისგანაც სიმდიდრე დააგროვა, მაგრამ რადგან ვექილს სამართალიც თავისებურად ესმის, ქონებას იმას უტოვებს, ვისთვისაც ემეტება.

3409. თუ სხვის უფლებებს ანგარიშს უწევ, მაშინ შენი უფლებების დაცვის უფლებაც გაქვს.

3410. ეროვნული იდეის დაცვა, ეს არის ტერიტორიის მთლიანობა, საკუთარი და სხვისი ბაზრების ათვისება, დამოუკიდებელი პრეზიდენტი, სახელმწიფოს ღირსების პასტულატების დაცვა და მცდელობა არ იყო სუსტი, უპასუხისმგებლო და რაც მთავარია, თავში წამორტყმას არ გვიბედავდნენ თავხედი მეზობლები და რაც მთავარია ვექილი არ უნდა გჭირდებოდეს.

3411. სურვილი თუ გაქვს, ყველა ორფეხა ცხოველის გამართლება და შეწყალება შეგვიძლია, ამისთვის არსებობს დემაგოგია, ფულის და სახელის მოყვარული ვექილები.

3412. ვექილს ბრალდებულის დაცვის დროს პასუხს არ უნდა თხოვდნენ თავის გამონათქვამებზე, რადგან ის ეპაექრება მოსამართლეს, ხოლო ამ უკანასკნელს ფორად ისიც ეყოფა, რომ განაჩენი თვითონ გამოაქვს.

3413. სამწუხაროდ, ისეთი დრო დადგა, რომ ღმერთის წარმომადგენლებსაც და ქვეყნის საუკეთესო შვილებსაც რკინის გისოსებით დაცვა და ვექილი სჭირდებათ უანდერძოდ დატოვებული ახლობლების, მისი საფლავის სანახავად მოსული ტურისტებისაგან და რწმენას მოკლებული ვიგინდარებისგან, რომლებიც ამ ბოლო დროს ჭაობის ჭიასავით ვრცელდებიან სამყაროში.

3414. არარენტაბელურია სიკეთე გაუკეთო იმ კაცს, რომელიც არ იმსახურებს, შესაძლებელია მხოლოდ მოწყალება და ვექილის მომსახურეობა.

3415. პარტნიორთა ურთიერთობაში არის ჰუმანიტარული, იურიდიული და მეგობრული არგუმენტები, რომელთა დაცვა ყველასთვის და ყოველთვის აუცილებელია.

3416. შეცდომები შეიძლება დაუშვათ: ეთიკური, მეთოდური, მორალური, განზრახ, უცოდინარობით და სხვა, რომელიც გვეპატიება, ან თავს ჩვენვე შევუნდობთ, მაგრამ შენი ამქვეყნად მოსვლის შეცდომას არავინ გაპატიებს და შეგინდობს ვექილის გარდა.

3417. სამართლიანი საქმის კეთება კონფლიქტების გარეშე შეუძლებელია, რადგან საქმით არც ისე ცოტანი არიან მისი მოწინააღმდეგენი და დამცველნი.

3418. სხვის სიმართლეში ცხვირის ჩაყოფა მსაჯულად ყოფნაა, უმადური საქმეა და უნდა ვეცადოთ ამ ანკესზე არ წამოვეგოთ და ვექილის მანტიაში არ გავეხვიოთ.

3419. პირველკაცობა ძნელია, მაგრამ თავის გადადებაც უნდა შეგეძლოს, თუ გინდა სამსახურის, ხალხის მსახურის და დამცველის როლში გამოსვლის სიამოვნება განიცადო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ადგილი მლიქვნელებს, მექრთამეებს და ვექილებს მოგიმრავლებთ, რაც საბოლოოდ სულის და გონების სიამოვნებას ვერ მოგიტანთ.

3420. ძალა მაინც სიმართლეშია, მიუხედავად იმისა, რომ მას ეჭიდავებიან, მომხიბვლელობას უკარგავენ, ფულით ეჩალიჩებიან, კანონებით ებაზრებიან, მჭევრმეტყველოებით უპირისპირდებიან, ვექილს დაიქირავებენ, მაგრამ ხშირად სიმართლის სანთელ-საკმეველი მაინც თავის გზას პოულობს.

3421. სიცოცხლის ხელყოფის უფლებას ვერცერთი ვექილი ვერ გაამართლებს, სანამ ამქვეყნად მოსვლის და ახლობლებისადმი ზრუნვის კრედიტს არ გავისტუმრებთ და ისიც საკითხავია: გვაპატიებენ ამ ვალს, თუ გადაგვახდევინებენ.

3422. შენი უგუნური არჩევანისთვის სხვა საქმეში არ უნდა გაიყვანო, რათა შთამომავლობა არ დაისაჯოს და ვექილის აყვანა არ დასჭირდეს.

3423. უგვანო შენს სასიკეთო მცდელობას მაინც ვერ გაიგებს, ამიტომ სიმართლე იმას უნდა უთხრათ, ვინც ამას იმსახურებს და ვექილი არ სჭირდება.

3424. ქვეყნის ინტერესების დასაცავად ზოგჯერ უსამართლობაც შესაძლებელია, თუ ბავშვსა და ქალს თვალზე ცრემლი არ მოადგება და ვექილის მომსახურეობა არ დაგვჭირდება.

3425. სამყაროს სიმდიდრეების მითვისება ყოველთვის ჩვენს ხელში არ არის. მას თავდაცვის უნარი და მოძალადეთა დასჯის განუსაზღვრელი შესაძლებლობა აქვს ყოველგვარი ვექილის გარეშე.

3426. მკაცრი და დაუფარავი სიმართლე ზოგიერთ მოყვარესაც არ უნდა აკადრო, თორემ იმას შეიყვარებს და შეისისხლხორცებს, ვისაც მისი საქმე და იმიჯი ფეხებზე ჰკიდია და ვერავითარი ვექილის მომსახურეობა ვერ გიშველის.

3427. ბუნებასთან ჰარმონიაში ყოფნა ღირსეულ ადამიანთა ცხოვრებაა, მაგრამ ყველას ხვედრი არ არის, რადგან ზოგს ცხოვრებასთან შერკინება მოსწონს, ზოგიც ავანტურისტად იბადება, ცხოვრებას ირთულებს. ასე რომ, ამ ქვეყანას ყველა თავისი პროგრამით, დავალებით ევლინება და მათი განსჯა და დაცვა ჩვენს ძალას აღემატება.

3428. ოპონენტს თქვენს სიმართლეს მაინც ის სიმართლენარევი ტყუილი ურჩევნია, რომელიც გონებას უხალისებს, სულს უთბობს და ამ მიკერძოებაში ადამიანის

ბუნებაა დამნაშავე, რადგან სხვანაირად ის ამქვეყნის მბრძანებელი და ვექილი ვერ გახდებოდა.

3429. ვექილი სჭირდება სიყვარულსაც, ოჯახურ ურთიერთობასაც, ეშმაკსაც, რადგან გონიერებასაც კუდის ამწევდამწევი და დამრიგებელი მოსწონს.

3430. ბუნებას ვექილი და მოფრთხილების ალიბი კი არ ჭირდება, არამედ სათუთი მოპყრობა და შეხმატკბილება.

3431. ვინც მეტს შოულობს, იმ წყობის, ცხოვრების, დროის ბრძენიც ის არის, მიუხედავად გონების ოპონენტობისა, რადგან მარადიული ღირსებების გადაფასება ჭკვიანი ხალხის დაუდევრობის შედეგია ყოველგვარი ვექილომანიის გარეშე.

3432. ქრთამი მაშინ მოისპობა, თუ მოხელეს მისი აღება მძიმე შრომად მოეჩვენება და მას დამცველი არ ეყოლება.

3433. ამბობენ, ყველამ დამსახურების მიხედვით უნდა მიიღოსო, სწორედ ამ დამსახურების შეფასება, განაწილება, ხალხთა ურთიერთობაში ეტალონად არ გამოდგება, მაგრამ ვექილს ამის ძალა შესწევს.

3434. სამართლის განსასჯელად და პატიოსნად საცხოვრებლად ყოველთვის საჭირო იქნება ვექილი, ოქროს საკრედიტო ბარათი და ცხოვრების დივიდენდების მოიმედე აქციები, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალს ყველა თავისკენ მოთლის.

3435. რატომღაც ჰგონიათ, რომ ჭეშმარიტება ორი განზომილების შუაშია და მესამეს აღმოსაჩენად თავს არავინ იწუხებს, რომელიც ხშირად გადაუჭრელი საკითხის გადამჭრელიცაა, რეალური ჭეშმარიტების დამდგენიც და თავდადებული ვექილიც.

3436. ქრთამი ყველაზე ნაღდი იარაღია მოწინააღმდეგე სახელმწიფო სტრუქტურების დასაპყრობად, ომის გარეშე, რომელიც ვექილის მომსახურეობას არ ითვალისწინებს.

3437. ყველა ადამიანს აღმოაჩნდება ისეთი ნათესავი, ნაცნობი და „კეთილისმდომი", რომელსაც დიდი სიამოვნებით დაივიწყებდა ერთხელ და სამუდამოდ ვექილის გარდა.

3438. გამარჯვებულს არ ასამართლებენ, მაგრამ ოპონენტები ზურგსუკან მორცხვად ჰკიცხავენ, რადგან გამარჯვებულის მოწყალე თვალის შევლების და ნასუფრალის წილადობის იმედი აქვთ და თუ დასჭირდათ ვექილობასაც არ იუკადრისებენ.

3439. პატიოსნება – უპატიოსნობა, წესიერება – უწესობა სულის სიამაყესა და სხეულის გვემას შორის ჭიდილია, რომელსაც საბოლაოდ სიკეთეს ვერ ეთვისება, რადგან დაპირისპირება რაღაც-რაღაცეებს ჩალიჩობს, რომელსაც ვექილის გარეშე სულისთვის სიმყუდროვე ვერ მოაქვს.

3440. ვექილს განსასჯელის დასაცავად კანონის ერთი მუხლი აინტერესებს, ხოლო მოსამართლის ხელოვნებას – სხვადასხვა მუხლების შეჯერება და სამართლიანი განჩინების დროული გამოტანა.

3441. უფასო კანონი არ არსებობს, არსებობენ კანონის „დამცველი" ფასიანი ჩამწყობი ვექილები.

3442. რასაც ხალხი მოგიტევებს და გაპატიებს, იმას კანონი, ოპონენტი და მოსარჩლეს ვექილი არ გაპატიებს.

3443. ვექილი და პატიოსნება შეუთავსებელია, თუმცა გააჩნია კლიენტის შესაძლებლობას.

3444. უწესობას კანონი ვერ იტანს, თორემ ძალიან ბევრი ვექილი ჰყავს, რადგან სამთავრობო და ეკონომიკური კრიზისის დროს ხალხს, ფაქტიურად, არ უნდა კანონით იცხოვროს.

3445. საქმიანი კაცი, რომელიც უარს ამბობს ქალებთან საწოლში გამარჯვებაზე, იძულებულია ვექილის დახმარებით მოგებულ პროცესებში გამარჯვებით იზეიმოს.

3446. განგებამ შექმნა მზე, სექსი, ვექილი. ტარტაროზმა – მზის დარტყმა, ქორწინება და მეორე ვექილი, ასე რომ, თუ მამაზეციერი სულის საქმეს გვაკეთებინებს, ურწმუნოთათვის საქმის კეთება დემონს აქვს ჩაბარებული.

3447. მომჩივანი და მოპასუხე კანონებს მიგდებულ ძროხას ერთი თავიდან ექაჩება მეორე – კუდიდან, ამ დროს ორივეს ვექილები ერთმანეთთან შეთანხმებულად ძროხის ცურს ორივე მხრიდან მშვიდად წველიან და საქმე რაც უფრო გაჭინაურდება, მით უფრო მეტი რძე შეხვდებათ, ხოლო მოპაექრეებს – ნერვების აშლა და დროის დაკარგვა უკეთეს შემთხვევაში კი რაც ხელში უჭირავთ.

3448. დღეს, ადამიანის ბიოლოგიის და მეცნიერების მოშველიებით ყველაფრის გამართლება შეიძლება, მაგრამ არ არსებობს ვექილი, რომელიც კაცობის დაკარგვას გაამართლებდა, რადგან ეს მისი მეობის დაკარგვის პირდაპირპროპორციულია.

3449. სიყვარული შესანიშნავი ვექილია გარკვეულ დრომდე და მკაცრი პროკურორი ამ დროის გასვლის შემდეგ.

3450. შენი ცოლის ყველა მამაკაცი ვექილი ჯოჯოხეთშია გასაგზავნი, თუნდაც იმიტომ, რომ მამრთა მოდგმის სოლიდარობას ჩრდილს აყენებს.

3451. ვექილის ვალია კანონში საძრომიალოს ძებნა, დანაშაულის კოსმეტიკა, კლიენტისათვის დასაცავი კედლის აღმართვა და ყოველივე ამ მცდელობისათვის დაფინანსების მიღება, სადაც შესაძლებელია მოპასუხე პროცესის წარმართვით და შედეგით უკმაყოფილო დარჩეს, მაგრამ ვექილი არასდროს.

3452. ვექილის სინდისი ფულია, მოგებული საქმე ღირსება, რადგან ამას პროცესის რეკლამა მოითხოვს.

3453. აფორიზმის ინდულგენცია ვექილსაც სჭირდება, საჭიროების ჟამს თავი წარმოაჩინოს და მოპასუხის სასარგებლოდ ერთი აგური დადოს.

3454. აფექტს, ფანტაზია და ვექილი ერთდროულად სჭირდება.

ზრდილობიანი სალამ-ქალამი

3455. თუ უხიაგ კაცზე გეტყვიან, რომ ის ძალიან მდიდარი და გავლენიანია, რა თქმა უნდა, მასზე აზრი არ უნდა შეიცვალო, ერთი პირობით – თუ თქვენ ის არ გჭირდებათ ფსონში ჩასადებად.

3456. უფულოსა და ფულიანს შორის ის განსხვავებაა, რომ უფულოს მიერ ჩადენილი სიგიჟე საყვედურს იწვევს და ისჯება, ხოლო ფულიანისა – მოდაში შემოდის და მისაბაძი ხდება.

3457. ბოროტება და სიკეთე, სიყვარული და სიძულვილი, საქმიანი და უსაქმური, სხვადასხვა ცნებებია, მაგრამ უერთმანეთოდ არ არსებობენ.

3458. ეშმაკი კაცი კაპიტნობას არ დათანხმდება, მისთვის მგზავრად ყოფნა უფრო მომგებიანია, რადგან თუ კაპიტანს რაიმე შეეშალა, პასუხს მას მოსთხოვენ, მაგრამ თვითონაც რომ გადაყვება, ამას არ ფიქრობს, ეს დაუფიქრებლობა კი დიდი ბედნიერებაა უსაქმურისთვის, მაგრამ არა მოხერხებული კაცისთვის.

3459. როდესაც მახსოვრობა ცელქობს და ხულიგნობს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ შენი გონიერების მარგალიტების დაკარგვის დროც დამდგარა. მის შესანახად და საანდერძოდ კი ბლოკნოტის, კალმის შეძენა და გამუდმებით მათი ტარება მოგიწევს.

3460. ზოგს სალამ-ქალამის გარეშე საკითხის გადაწყვეტაც კი უჭირს, თუმცა გონებაში უკვე გაცრილი აქვს და გადაწყვეტილი. ეტყობა აქ აღმოსავლური მენტალიტეტია დამნაშავე, რადგან შევაჭრების გარეშე საკითხის გადაწყვეტა კაიფს კარგავს და ადრენალინის გამოყოფას ამუხრუჭებს.

3461. პატარ-პატარა ცოდვები ყველას გვადევს კისერზე, მაგრამ მთავარია ზევიდან როგორი თვალით დაგვცქერიან, მნიშვნელობა არა აქვს, ზეციურია თუ ზემდგომია, რადგან გადაცდენის ცუდად დანახვის შემთხვევაში შედეგი ერთია, ან მიწასთან გაგვასწორებენ, ან მის ქვეშ ამოგვდებენ.

3462. ბედისგან დაჩაგრულს არც შინაური სცემს პატივს და არც გარეული. ხანდახან კი შეწყალების თვალით გადმოხედვასაც ამადლიან.

3463. ჩვენ ერთს ვოცნებობთ, ფორტუნა სხვას გვთავაზობს, ხოლო ცხოვრება, სიამტკბილობით და სიამაყით განვლის ფიქრში, უღიმღამოდ მიგვაჩანჩალებს.

3464. ყურებს და თვალებს ყველაფერი ერთნაირად ესმით და ერთნაირად ხედავენ, მაგრამ ნათქვამს და დანახულს ისე აღიქვამენ როგორც პატრონს ესმის და სიამოვნებს.

3465. მეგობრობა ეს არის ურთიერთგაფრთხილება, ჩვენი ჟინის გასასწორებლად, ერთმანეთის საფრთხეში ჩაუგდებლობა და ერთმანეთის იმიჯის ამაღლება, რადგან ამ პრინციპების დაცვის გარეშე ნამდვილი მეგობრობა ვერ იარსებებს.

3466. სამწუხაროდ, ზოგჯერ პატიოსნება სათუო კეთილისმყოფელი და სიკეთის მომტანია, რადგან სიმართლის პირში მიხლისთვის და მოუწესრიგებელი ცხოვრებისთვის ადამიანები მზად არ არიან.

3467. ბედნიერების გარანტიაა მოყვასის სიყვარული, შემართება, იმედი, რომელიც არ იკარგება, ხოლო თანამდებობა, ფული, ფეტიში, წარმავალია და მას არ უნდა გავეტიროთ.

3468. ზოგიერთის მეგობრობა ისეთ მასპინძელს მოგვაგონებს, რომელიც ყველაფერს გპირდებათ, ყოველთვის გეპატიჟებათ და კონკრეტულად არც დროს და არც შეხვედრის ადგილს არ გინიშნავთ.

3469. მართალია დედისგინება არავის უყვარს, მაგრამ პრესის, ქვეყნის, თავისუფლების და კარიერის შენარჩუნებისთვის ჩვეულებრივი მოკვდავი ყველაფერს ეჩვევა.

3470. ზრდილობა ზოგისთვის ის იაფფასიანი სუნამოა, რომლის სურნელი გამაღიზიანებლად მოქმედებს, მაგრამ მისი თავიდან მოშორება ვერ წარმოუდგენიათ.

3471. სიტყვიერი შეურაცხყოფა, რომელიც შენს კაცობას ეხება, გაცილებით მკაცრად უნდა დაისაჯოს, ვიდრე ფიზიკური, რადგან მასში ცინიზმია დამატებული.

3472. ზოგჯერ მძიმე გამონათქვამები უზრდელობად არ ითვლება, ის საყოველთაო ღიმილს და ხარხარს იწვევს, რადგან ამ არანორმატულ ლექსიკას თავისი ალიბი და თქმის ადგილი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მისი ორაზროვანი ნათქვამი სამაზროვან ბილწსიტყვაობად აღიქმება.

3473. სათნოებაა მოძღვრის სიტყვა, გადამრავლებული მოწყალებასა და დარდის ცოდნაზე.

3474. "დილა მშვიდობისა – საღამო მშვიდობისა" სახლში უნდა გვქონდეს განაღდებული, ხოლო "დღე მშვიდობისა" – სამსახურში.

3475. კეთილი სიტყვა ბევრ ჭკუანაღრძობს სასიკეთოდ კისერს მოატეხინებს.

3476. ყველა უბედურება თუთიყუშს თავის ტვინის და არა ენის, გამო მოსდის რადგან ტვინი არა აქვს.

3477. ჩვენ ვაღიარებთ მათ, ვისაც ხშირად ვახსენებთ, მაგრამ იშვიათად ვიხსენებთ.

3478. მხოლოდ პურის უკმარისობა აიძულებს საეჭვო ღირებულების პიროვნებას, იმ პროფესიებს პატივით მოეპყროს, რომელიც მისთვის არაპრესტიჟულია.

3479. ზოგს შეუძლია ყველაზე და ყველაფერზე დიდებულად ისაუბროს, თუ აქედან მისთვის რაიმე სასარგებლო გამოტყვრება.

3480. შექება სულის გასალაღებელი და გასალამაზებელი ელექსირია.

3481. გაუგო – მიტევების, შეწყნარების მაჩვენებელიცაა, მაგრამ არა ყველგან, ყველასათვის და ყოველთვის.

3482. ეტიკეტი ისევე აწესრიგებს ადამიანთა შორის ურთიერთობას, როგორც საგზაო ნიშნები ავტომობილთა გადაადგილებას.
3483. ზოგჯერ შემთხვევით წამოსროლილი ლამაზი ფრაზა გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე გონებით ნამოღვაწარი ღაღადი.
3484. გამოუმჟღავნებელი დიდი ქურდი პატარა ქურდებს ვერ იტანს და სულ მათ ძაგებაშია.
3485. ორი სხვადასხვა სქესის, ხანშიშესული ადამიანის ზრდილობა, თავაზიანობა, მოკრძალება არ ნიშნავს იმას, რომ 40 წლის წინათ ისინი ასეთები იყვნენ. ეს განაპირობა მათი სხეულის დაღვინებამ.
3486. ბოროტებას მუდამ სიკეთე უდგას დარაჯად, სიძულვილს – სიყვარული, ქურდობას – პატიოსნება, შიმშილს – მაძღრობა და ასე შემდეგ. მაგრამ მეორე პირველს არ უნდა იმეორებდეს, რადგან წესიერმა კაცმა პატიოსნად უნდა იცხოვროს, რომ უწესობა წესიერებაში არ აითქვიფოს.
3487. ყბედსაც შეუძლია დროულად პირის დამუწვა, თუ თვალები დროზე დაანახებენ ვის ეკამათება.
3488. უფროს-უმცროსობის უნივერსიტეტი შეიძლება გაიარო, მაგრამ ღირსება თუ არ გაქვს, დიპლომი ვერას გიშველის.
3489. რადგან არც თუ ისე ბევრს ვუყვარვართ, ამიტომ ვისაც ვუყვარვართ მათ სათუთად და ყურადღებით უნდა მოვეპყროთ, თუ გვინდა ამქვეყნად სიკეთის თესლი და თესვა შევინარჩუნოთ.
3490. არის მეგობრის უღირსი თხოვნა, რომელზეც უნდა უთხრათ, რომ არ გაგიგიათ, რადგან მეგობრობაზე მაღლა სინდისი, ღირსება, მოვალეობა დგას.
3491. მეგობრობა მლიქვნელობით, გამორჩენის მცდელობით, კი არ მაგრდება, არამედ სიმართლით, წესიერებით, საქმით.
3492. სიკეთის კეთება მაინც მომგებიანია სულის დასამშვიდებლად, ვიდრე სიავისა, როგორც უნდა სამართლიანი და აუცილებელი გვეჩვენებოდეს გახელების ჟამს.
3493. გვინდა თუ არა, მომდევნო თაობამ უნდა იცოდეს წინაპართა დამსახურება ქვეყნის წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ წინა თაობებმა თავის დროზე არ იზრუნეს, რათა მათი ხსოვნა შეენახათ და პატივი ეცათ.
3494. იდეალური არაფერი არ უნდა ვეძებოთ, იმით ვისიამოვნოთ, რაც გვაქვს, რაზედაც ხელი მიგვიწვდება, ამით თავსაც ვარგებთ და ირგვლივმყოფ შურიანებსაც.
3495. სენტიმენტალობის გარკვეულ პერიოდში უსიტყვო სიმები ყველას სულს უნდა ესალბუნებოდეს, ეს ცრემლით არის გამოწვეული თუ წყნარი გოდებით.
3496. ქება ყველას უხდება, მაგრამ, ყველა არ უნდა შევაქოთ, რადგან შექება ცუდი საქმის მკეთებლისაც შეიძლება.
3497. სახელის და მოშურნის მოპოვება ერთდროულად ხდება. ფეხის წატეხვისას ორივე ერთდროულად ქრება.

3498. წინაპრის, ან შენი თანამედროვის წინასწარ გაკეთებული კარგი საქმე მომავალი ჭკვიანი თაობისათვის უდიდესი სტიმულის მიმცემია.
3499. საყვარელი სამუშაო, გარანტირებული შემოსავალი, ბედნიერი ოჯახი და ბოლოს, რომ არ გშია და გწყურია, ეს არის ნამდვილი ბედნიერება, რომელსაც მანამ ვერ გაიგებ, სანამ ყოველივე ამით უზრუნველყოფილი ხარ.
3500. სახელის მოპოვებას გამბედაობა, გამართლება, დრო სჭირდება თავის შეწუხებით და მცდელობით.
3501. მუდამ სიკეთის კეთება მისასალმებელია, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ სიბრიყვედ არ იქცეს.
3502. კომპლიმენტის მთქმელიც ლამაზდება ჩვენს თვალში, საკუთარი სხეულის და სულის სილამაზეზე რომ არაფერი ვთქვათ.
3503. ჭკვიანი კაცისთვის მლიქვნელობა აუტანელია, მაგრამ დედის გინებას მაინც ურჩევნია.
3504. ერთი გულწრფელი ბოდიშისათვის შეიძლება კაცს აპატიოთ ისეთი რამ, რის პატიებასაც ვერასოდეს წარმოიდგენდით.
3505. პასუხისმგებელი პირის მოქმედებაზე პირველ რიგში ხალხი აგებს პასუხს, რადგან მათი აღზევება ხალხის ჩუმი თანხმობის და ნაყალბევი აღფრთოვანების შედეგია.
3506. „მერე რა მოხდა, წამომცდა". სწორედ ეს უკონტროლო სიტყვაა ყველა ბოროტების თესლის მიმოფრქვევის საწყისი, რადგან სად აღმოცენდება, როგორ განვითარდება, არავის უწყის.
3507. ცხოვრების დაისზე ყველა ფარდის ამაყად დახურვას და აპლოდისმენტებს ითხოვს.
3508. ვეცადოთ ისე ვიცხოვროთ, რომ ჩვენით იტრაბახონ, ხოლო ჩვენ მათი ტრაბახით დავტკბეთ და მათვის შეუმჩნეველ, სასიამოვნო მოგონებების ეიფორიაში გავეხვიოთ.
3509. ასაკი უფრო წლებს, ინტუიციის გამოცდილებას, გვმატებს, ვიდრე სიბრძნეს და შორსმჭვრეტელობას, რადგან ამ უკანასკნელით იბადებიან.
3510. მორწმუნეთაგან მოძღვარი ნებაყოფლობით აღსარებას იღებს, საგადასახადო-სავალდებულო – ფინანსურს, პირველი სულს აძლევს შვ ებას, მეორე – ჯიბეს და ორივეს თავის მოვალეობის პირნათლად მოხდა ანიჭებს სიამოვნებას.
3511. იმიჯის ასაწევად რატომ არ უნდა წაუტირო სხვის უბედურებაზე, თუ ის შენ არ გეხება, სულს არ გიძრავს?! მოდი და გაიგე, სად არის სადიზმი, იუმორი, ფარისევლობა და სად პატივისცემა, თანადგომა.
3512. გულში ყველას განრიგი უნდა ჰქონდეს შედგენილი, რის მიტევება შეუძლია სხვისთვის და რის არა და ეს ყოველ შემთხვევაში ცნობილი უნდა იყოს მის ირგვლიმყოფთათვის.

3513. არის ხელსაყრელი და მოხერხებული დარიგებები, დამოძღვრა, რომელიც წლობით შეგიძლია არ შეცვალო და ვერც ვერავინ შეგედავება, მაგრამ შენთვის არის მოსაბეზრებელი და გადასახალისებელი.

3514. კერპის შექმნა ფუჭი და უმადური საქმეა, მაგრამ სასიამოვნო სულის ღიტინიც ახლავს.

3515. ფანტაზიორების, რომანტიკოსების შეცდომებსა და მიღწევებზეა აგებული მომავალი თაობების კეთილდღეობა, მაგრამ ხშირად მათი იდეების განმხორციელებელი ცუდი ხალხია, რომელთათვისაც გადამეტებული პრაქტიციზმ–ფულიციზმია მთავარი და ცდილობს ამ სამყაროს ნგრევას და ხანდახან მის გადაგვარებასაც ახერხებს.

3516. ერთ მეთევზეს ანკესის ტივტივას თამაში აღელვებს, მეორეს – ანკესზე მოფართხალე თევზი, მესამეს – ქვაბში მოხარშული და მიუხედავად ამისა, ყველა მეთევზე ნადავლის წილში ზის.

3517. ახალი ამბები, თუნდაც კარგი, დაეჭვებით უნდა მივიღოთ, რათა ყველა სახის სიახლის გაცნობას შევეჩვიოთ და ნერვები არ დავიწყვიტოთ.

3518. წინასწარ საკუთარი ბედის ცოდნა, ჩვენს ბედზე ძაღლს დააყეფებაა თუ არა, ძნელი წარმოსადგენია.

3519. ლოდინიც თავისებური ხელოვნებაა, ოღონდ დასახული გეგმით, გარკვეულ დრომდე.

3520. ვეცადოთ ცხოვრებაში ისეთი რამ არ ჩავიდინოთ, რომლის მონანიება საკუთარი თავის წინაშე ვერ შევძლოთ.

3521. ხელზე ამბორი სურვილი სულის მოთხოვნილება უნდა იყოს და არა – მიმბაძველობა.

3522. ამქვეყნიდან ზოგი რიგით მიდის, ზოგიც – ურიგოდ. ამ უკანონო კანონიერების გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებდა.

3523. მტკიცება მანამ არ იყიდება, სანამდის თავად გზას არ გაიკვლევს და თავს არ წარმოაჩენს.

3524. თავს, გვინდა თუ არა, მაინც უნდა მივხედოთ, რათა სხვამ მოუვლელობით ჩვენს მაგალითზე თავის სიბერე არ შეიჯავროს.

3525. ყოველივე ორიგინალური, გადაჭარბებული, განსაკუთრებული, დასამახსოვრებელია და ისტორიის საკუთრებაა, ხოლო ყოველივე ნორმალური, ხელმოსაწვდომი, მასობრივი, რომელზედაც ქვეყნის ძლიერება დგას, ისტორიისთვის დაუფასებელი და უინტერესოა.

3526. ქალებისა და კარიერისთვის დუელში წარმატებას ასაკი წყვეტს.

3527. დაბადების დღეს ყოველწლიურად კი არ უნდა აღვნიშნავდეთ, არამედ დამრგვალებულ თარიღებს, რადგან წლების მატებით გამოწვეული სინანული, ყოველი წლის ნაცვლად, ხუთ წელიწადში ერთხელ მოგვიწევს.

3528. პენსია დამსახურებული გედის სიმღერაა.

3529. სიკეთის კეთებას ხშირად პროცენტი არ ერიცხება და ზოგჯერ თავნიც იკარგება. ე.ი. სიკეთის კეთების სურვილიც კოტრდება.

3530. ვინ იცის, რა არის ვალი და მოვალეობა, რა უნდა ვაკეთოთ და რა არა. ალბათ, სრულყოფილად არავინ, თუ ამ აქსიომას ამოსახსნელად ადამიანის ბუნებაც არ წაეხმარა.

3531. აბსოლუტური ღირსებაც მავნებელია და პატიოსნებაც, რადგან ამქვეყნად ყოველივე თავის დროსთან და გარემოსთან უნდა იყოს გაწონასწორებული.

3532. ბედნიერებას თავისი განზომილება აქვს, მაგრამ დროთა ჭიდილში ამ განზომილებაშიც ხდება უსაყვედურო ცვალებადობა.

3533. ზოგჯერ საკუთარ რწმენაში ეჭვის შეტანას შენც უნდა ეცადო, რადგან უშეცდომო ამქვეყნად არავინ და არაფერია.

3534. უზრდელის მობიოდიშებას აზრი არა აქვს, რადგან ამას წამხედურობით აკეთებს და არა სინანულით.

3535. ზოგს ბოდიშის მოხდის შემდეგ შეიძლება სახეში სთხლიშო, ისე მოუქნელად და დაუფიქრებლად გებოდიშება.

3536. ჭორაობაში ყოველთვის სისაძაგლე არ დევს, რადგან ზოგჯერ მას სიმართლის თქმის დედად მიიჩნევენ.

3537. ყველაფრის თქმა და გამოხატვა შეიძლება მოხერხებულად, ორ-სამ აზროვანი იუმორით, მხოლოდ მათში გარყვნილება არ უნდა იგრძნობოდეს.

3538. ხმასაყოლილები ყოველთვის აფასებენ იმ ვარსკვლავებს, რომლებსაც ახლოს არ იცნობენ და ვისი ცოდვებიც მათთვის უცნობია.

3539. ეჭვი იგივე ცოდვაა, მაგრამ ჭეშმარიტების დასადგენადაა აუცილებელი.

3540. ღვინის ხარისხზე დილეტანტები ბოთლის შეფუთვით და ეტიკეტით მსჯელობენ, ადამიანზე – ჩაცმულობით, ჩინ-მედლებით, მაგრამ რამდენად შეესაბამება ფორმა შინაარსს, ეს უკვე სხვა საქმეა.

3541. დროის გარკვეულ მონაკვეთში წლებს დღესასწაულიც მოაქვს, მაგრამ არავის ინდობს.

3542. ნიჭიერი კაცის გვერდზე ყოფნა ყოველთვის სასიამოვნო არ არის, მაგრამ, მის ნიჭთან ყოფნა – სიამოვნებას გგვრის.

3543. ერთი თავს ბევრი რამის თქმის უფლებას აძლევს, ისე, რომ რისხვა არ გამოიწვიოს და შექებაც კი დაიმსახუროს, მეორეს კი იმავეს გაფიქრების უფლებაც არა აქვს, რადგან მას ეს არ დაუმსახურებია.

3544. თანამედროვე ცივილიზაციის და მსოფლმხედველობის პირობებში, აუცილებლობის გარეშეა ჩადენილი, გმირობა უაზრობაა რადგან სიცოცხლე არც ისე ხანგრძლივია, რომ ჩვენ სხვისი საქმე ვაკეთოთ და მათი სისულელე გამოვასწოროთ.

3545. იყო უბრალო, როგორც სიმართლე, საყოველთაოდ მისაღებია, მაგრამ ამით ქალების პრეტენზიებს ვერ დააკმაყოფილებ და სხვისი დაწუნებულით, ნასუფრალით, დაჯერება მოგიწევს.

3546. რეკლამა უფრო ჰუმანურია პროგრესის მიმართ, ვიდრე პროგრესი რეკლამის მიმართ, რომელიც პროგრესის ნაკლს მოთმინებით ასწორებს და რეკლამას უწევს.

3547. საქმე, რომელიც ძალად აამყრალეს, დიდ ეროტიკულ შოკს არ იწვევს და არც ბედის სიმუხთლეა, რადგან ნაძალადევი რეკლამა უკვე გაგიკეთეს და შეიძლება რაიმე სასიკეთოსაც გამოჰკრა ხელი.

3548. ქალის გარეგნობის რაობის წინდახედული და მოსალოდნელი ეფექტით შეფასება მამრისთვის ძალზე ძნელია, რადგან ერთს თავის სილამაზის აქციების დაკარგვის ეშინია, მაგრამ ამისთვის არაფერს ცდილობს, მეორე სულ მომხიბვლელობის აქციების შეძენაშია და თუ შემთხვევით ხელთ რაიმე იგდო, მას არავის დაანებებს.

3549. კლოუნი უაღრესად სუფთა სულის ინტელიგენტი ადამიანია, რომელიც თავის უცნაური ჭკუის გამო, სხვადასხვა სასაცილო მდგმოარეობაში ხვდება და ხშირად საოცარ გამოსავალს ნახულობს.

3550. კითხვა იმიტომ კი არ უნდა დასვა, რომ ჩაგეთვალოს, არამედ იმისათვის, რომ პასუხად გონიერების ნაჟური სითხე მიიღო და შენი ცნობისმოყვარეობა დაატკბო.

3551. ენა ზოგის ხელში ლამაზმანია, ზოგიც მისი ქალწულობის დაკარგვის წინააღმდეგი, მაგრამ ფაქტი ერთია, ენა უყაირათო მოქცევას ვერ იტანს.

3552. სასმელს შეიძლება თავი აარიდოთ, მაგრამ ცხოვრებასაც ხომ არ აარიდებთ თავს, არადა, სხვანაირად როგორ გინდათ გაერთოთ და სტრესი მოიხსნათ?

3553. ინფორმატორის უკულტურობამ და ინფორმაციის უკონტროლობამ შეიძლება დეპრესიულ მდგომარეობაში ჩააყენოს მაყურებელი და მსმენელი.

3554. კარგია თუ მაშინ დაგიშლიან ლაპარაკს, როდესაც ტრიბუნაზე გამოსვლას არ აპირებ.

3555. ენაკვიმატი, მოსწრებული სიტყვის თქმა, ყველას შენს მხარეს ვერ განაწყობს, მაგრამ თავის შეკავებაც ძნელია, რადგან შექმნილ გარემოში ნიჭი გამომზეურებას მოითხოვს, თორემ სიტყვა ეშხთან ერთად ფასსაც დაკარგავს, ხოლო სამასლაათო ამბავი „ბაიკას".

3556. სტუმარ-მასპინძლობა ტრადიციების და შენი განწყობილების წინაშე ვალის მოხდაა.

3557. შემართებას ყოველთვის რეაგირების უფლება არ უნდა მივცეთ და ამაზე დრო არ უნდა დავკარგოთ, რადგან მიზნის მისაღწევად პირდაპირ სიარული და რქებით მიწოლაც საკმარისია.

3558. თუ რაიმე უმტკივნეულოდ მოიპოვე, მისი მოვლა და ექსპლოატაციაა ძვირი, პირველ რიგში, ეს ეხება ქალს და მანქანას.

3559. წესიერების ქადაგებასა და წესიერებას შორის დიდი ზღვარია, არც ერთი რწმენა, იდეოლოგია, აღზრდა-მზრუნველობა არ არსებობს, რომ მათს უდ-

რტვინველ მოწოდებასა და მოქმედებაში ქვენა მიზნები არ იყოს ჩადებული და მის მონოპოლიზაციას არ ცდილობდეს.

3560. როცა ნიჭი უნიჭობას სარფიანად ყიდის, ესეც დიდი ნიჭია.

3561. მშობლების ზურგის დაფასებას ჩვენი ცხოვრების დაისზე, ასაკში შესვლისას, შევიგრძნობთ, და მის აღიარებას ჩვენი შვილების მოქმედება გვაიძულებს.

3562. კარგი იყო საუბრის დროს ზოგს სიტყვის სიჩქარე შურის გარეშე მოეწესრიგებინა, თორემ ყბედობის დროს ისეთი რამე წამოსცდება, რომ სულ ავარიულ სიტუაციებს შექმნის და ბოდიშის მოხდის მიზნით სულ სიტყვის მანქანის კეთებაში იქნება.

3563. ჭეშმარიტება ხანდახან უფრო სურვილებს ეყრდნობა, ვიდრე ფაქტებს და ეს უკანასკნელიც ვერაფერს ხდება.

3564. კარიერისკენ მიმავალი გზა, რომელიც გონიერებაზე და ორგანიზაციულ ნიჭზე გადის, ღვთის მომადლებული პროფესიონალიზმია, მაგრამ კარიერას მაინც პროტექციით აღწევენ.

3565. არავის არ შეუძლია აკრძალოს ის დღესასწაული, რომელსაც დრო და ჟამი ჰქვია და რომლის აღნიშვნასაც ახალი წელი გვახსენებს.

3566. პროგრესის წინააღმდეგნი არ ვართ, მაგრამ მას ჩვენი ასაკი, ჩვევები ხელში ადნება.

3567. შუაკაცობა უმადური, მაგრამ აუცილებელი საქმეა, რადგან ამქვეყნად ბრიყვებს რა გამოლევს.

3568. იდეალური წყვილი დღეს არც ხელოვნებაში, არც წიგნში, არც ინტერნეტში არ არსებობს – მოსაწყენია, უინტერესოა, რადგან სულმა განიცადა დევალვაცია.

3569. აღფრთოვანების, სიხარულის გარეშე ამქვეყნად მოსვლა სირცხვილია,ხოლო წყენის, დარიგებების და სახელის დატოვების გარეშე – იმქვეყნად წასვლა.

3570. ყველა ასაკს თავისი კაიფი აქვს, მაგრამ ყველას არა აქვს აღქმის უნარი.

3571. ერთეულთა ხვედრია ერთ სიტყვაში ინტონაციის დახმარებით აკინძო, შეადუღაბო და გადმოსცე გრძნობის სიღრმე, დახვეწილად გამოხატო ნატიფი აზრი, თან ბუნებრიობა და სილაღე არ დაუკარგო მას.

3572. აზროვნება სიბერეს უთანასწორო ბრძოლას უმართავს, სადაც მხოლოდ სიცოცხლის გახანგრძლივებაა შესაძლებელი.

3573. ხშირად სიმართლის მოსმენა-დანახვა არავის უნდა, გარდა იმ იშვიათი გამონაკლისისა, ვისაც მისი მოსმენის ნიჭი და დასკვნების გამოტანის უნარი აქვს.

3574. რაგბი უპირველესად მოედნის ხედვაა და საკუთარი ჟინის მოთოკვის უნარია, მიუხედავად იმისა, რომ შერკინების შედეგს დაგროვილ ქულათა ოდენობა წყვეტს.

3575. რაგბიში უხეში ძალის წარმოჩინას მოითხოვს, მაგრამ არა სილამაზის და აზროვნების ხარჯზე.

თავისუფლება

3576. თავისუფლების მოპოვების საწინდარი, როგორც წარსულში, ასევე აწმყოში, კრიზისია, რომელიც ადამიანს ახსენებს თავის ეროვნებას და აიძულებს მომავალში უკეთესი ცხოვრების მიზნით, თავის ძირძველ სამშობლოში გადაიხვეწოს და ამ სახელმწიფოს ძირითადი მოსახლეობაც თან გაიყოლოს.

3577. როდესაც სულიერ თავისუფლებას გრძნობთ, მაშინ ამჩნევთ, თუ რა ლამაზი და მოზრდილი სული გქონიათ.

3578. თავზესაყრელი თავისუფალი დრო, მოჭარბებული ენერგია, ცხოვრებით გამოწვეული სიხარული, თავისუფლების შედეგია და იმისიც, რომ რომ შენ სარჩენი და საზრუნავი არავინ გყავს.

3579. თავისუფალი სულის მსახურს ურჩევნია რაიმე ერთს ემსახუროს და თავისუფალი იყოს, ვიდრე საზოგადოების წესრიგის ჩარჩოში იყოს ჩატეული და თავისუფლება შეუზღუდონ.

3580. თუ სიტყვის თავისუფლება საზოგადოების სინდისს, ნამუსს, მომავალს გვირყვნის და ერს გადაგვარებისკენ მიაქანებს, ასეთ თავისუფლებას ტაბუ უნდა დაედოს.

3581. თავისუფლად ყოფნა არ ნიშნავს უკეთ ყოფნას და მის სინონიმად არ გამოდგება.

3582. სიტყვის თავისუფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ინტელექტის, გაქანების, ეკონომიური შესაძლებლობების და საქმიანობის საზოგადოებასთან გვაქვს საქმე.

3583. თავისუფლება და სილამაზე ორივე მსხვერპლს მოითხოვს.

3584. გადამეტებული თავისუფლების ქადაგება გამოიწვევს განუკითხაობას პოლიციაში და საზოგადოებაში, რადგან დანაშაულის ჩამდენს უფრო მომგებიანი პირობები ექნება საზოგადოების ხარჯზე. ეს კი კანონის მორჩილი ხალხის გაბოროტებას გამოიწვევს.

3585. თავისუფლება ბედის საჩუქარია, მაგრამ მისი დაკარგვაა ძალზე ადვილი, თუ მას არ გავუფრთხილდებით და დიდ შემართებას არ შევაგებებთ.

3586. მოვალეობის ტვირთი თუ გაწევთ, არ შეიძლება თავისუფალი იყოთ და უკომპრომისოდ აზროვნებდეთ, თუ ბუნებით უგვანო და სულელი არ ხართ.

3587. სადაც სარწმუნოება და მორალი გაფეტიშებულია, იქ თავისუფლება და ინტელექტი წაგებაშია.

3588. ადამიანის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს დანაშაულის გამო, მაგრამ არავინაა უფლებამოსილი გასვაროს და ღორს დაამსგავსოს, რადგან სას-

ჯელის მოხდის შემდეგ ის საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი უნდა გახდეს.

3589. თავისუფლებასა და თავაშვებას შორის დიდი სხვაობაა, პირველი ცდილობს კაცობრიობის მონაპოვრით იმოქმედოს, მეორე კი – ამ მონაპოვარს ამოფარებული ინსტინქტებით.

3590. თავისუფლებასა და თავხედობას შორის ერთი ნაბიჯია და მას ყველა ისე იყენებს, როგორც მოესურვება და სჭირდება.

3591. ერთგულებაა სულის შეგნებული თავისუფლება.

3592. როდესაც არც მუშაობა უნდათ და არც არავინ აძალებთ, ასეთი თავისუფლება პოტენციურად მზად არის სისულელის ჩასადენად.

3593. საზოგადოების განვითარების ყველაზე დიდი მიღწევით, სიტყვის და სინდისის თავისუფლებით რატომღაც იშვიათად სარგებლობენ და დანიშნულებისამებრ არ იყენებენ.

3594. ჩვენ მარტოხელა, მოუმზადებელ თავისუფლებაში აღმოვჩნდით და ყველას ხელში შეგვრჩა ჩვენი შესაძლებელი თავისუფალი ორმოს ამოთხრა.

3595. სიტყვის თავისუფლება სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება და იქ იძლევა უკეთეს შედეგს, სადაც კაპიტალის სასუქს ცოდნით შეიტანენ და მის მოსაფრქვევ მანქანას კარგად შეზეთავენ.

3596. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლებას თავის ამინდი სჭირდება, ცხოვრების ჭექა-ქუხილი ხასიათს უფუჭებს, რადგან მოწესრიგებული თავისუფლებაც მოსაბეზრებელია.

3597. თავისუფლება არც უნდა ვიყიდოთ და არც უნდა დავკბინოთ, ის გონიერებით და მოხერხებით უნდა გავითავისოთ.

3598. თავისუფლება წესრიგის გარეშე შეუძლებელია, წესრიგი – კანონის პატივისცემის და აუცილებელი აღსრულების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში დავრჩებით ნანატრი თავისუფლების გარეშე, სადაც ვერც ცხოვრება მოვასწარით, ვერც შეფასება და ვერც მისი შეგრძნება.

3599. პიროვნების თავისუფლების სინონიმია: დემოკრატიული აზროვნება, ჭეშმარიტების ძიება და შინაგანი შესაძლებლობების საზოგადოების საკეთილდღეოდ გაღება, თავის დაუვიწყებლად.

3600. დღეს არანორმატული ლექსიკა ხმარებიდან თითქმის გაქრა, იმდენად თავისუფალი გახდა მისი გამოყენების არეალი.

3601. ეტყობა თავისუფლებასაც თავისებური ლაგამის ამოდება სჭირდება, თორემ სიგიჟის სიმპტომებმა გრიპივით იწყო გავრცელება, ამდენი ვიგინდარა გამოავლინა და საზოგადოება დააზარალა, ამასთან ისინი აზრის ნაცოდვილარის გააზრებას და განხილვასაც მოითხოვენ.

3602. თავისუფალი ყველაფრისაგან არავინ არ არის, მთავარია, რას ვუწოდებთ ჩვენ თავისუფლებას და რა მიგვაჩნია კრიტერიუმად მის განსასჯელად.

3603. არავინ ისე ხშირად არ ვნებს თავის ხალხს, როგორც თავისუფლება და თავად ის ხალხი, რომელიც მათ მართვის უფლებას ანდობს.

3604. თავისუფლების რაშს ყოველ შემთხვევისთვის ლაგამი ამოდებული უნდა ჰქონდეს, რათა ყველასთვის მოულოდნელად ჭენება არ დაიწყოს იქ, სადაც საჭირო არ არის.

3605. თავისუფლების ნამდვილი ფასი და მისი წყალქვეშა რიფების საშიშროება იმათ არ იციან, ვინც მის იდეებზეა აღზრდილი.

3606. პირად თავისუფლებას თავისი დემოკრატიული ეკონომიკის ჩარჩოები აქვს. ყველა ვალდებულია საზოგადოებიდან თავისი მოვლინებით აღებული კრედიტი უკლებლივ გადაიხადოს, შემდგომ, თუ ძალიან უნდა, ჩვენს წინაპრებს ვადამდე ადრე მიჰყოლია.

3607. თავისუფლება განზრახ შეცდომას არ ითვალისწინებს, რადგან იგი უფასურდება.

3608. თავისუფლება კარგია, მაგრამ მისი გამოკვება გახდა ძნელი და ზოგისთვის – მიუწვდომელი.

3609. თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა სხვადასხვა მოთხოვნებს და კაპრიზის დაკმაყოფილებას ემორჩილება.

3610. თავისუფალი საზოგადოება ყველას იმის მიხედვით გვესმის და აღვიქვამთ, თუ რა სარგებელი გვაქვს ჩვენთვის ჩაფიქრებული.

3611. თავისუფლებისთვის რისკის გაწევა შეიძლება, მაგრამ არა – თავის გაწირვა, რადგან ის იმდენად არ ფასობს, როგორც თავიდან გვეჩვენება.

3612. თავისუფალი ხალხი არ იბადება, თავისუფლებას მონდომებით, ძალისხმევით მოიპოვებენ.

3613. სულიერი თავისუფლებაა აკეთო ის, რაც შენ მოგწონს უზრდელობის გარეშე.

3614. შენი შეხედულებისამებრ გამოიყენო დრო, აირჩიო საქმიანობა, სრული ბატონ-პატრონი იყო საკუთარი თავის, ამას თავისუფლება ჰქვია. მაგრამ ამ ღირსი ყველა არ არის, რადგან ზოგიერთი დაბადებულია იმისთვის, რომ სხვამ გაართოს და დაასაქმოს.

3615. სიბრძნის გაგებას, ჭკუის გარდა, თავისუფალი დრო და სახსარი სჭირდება, თორემ დღევანდელი მენტალიტეტი სულ ფულის ძებნაში და მისი გაფეტიშებით არის დაკავებული.

3616. მონური ფსიქოლოგია "კის" თუ "არას" თქმის საშუალებას არ იძლევა, ამისთვის საჭიროა შენი თავის განთავისუფლება მონური იდეოლოგიისგან, რათა შეიგრძნო შენი ამქვეყნად მოვლინების მნიშვნელობა და შეუთანხმდე შენს სულიერ აღმაფრენას.

3617. განათლების მიღება ციხედ გადაიქცევა და ჯოჯოხეთს დაემსგავსება, თუ იქ მყოფთ სწავლა არ ეხალისებათ, ხოლო თუ პირიქითაა, მაშინ მის სწრაფვას თავისუფლებისაკენ ვერავითარი სამოთხე ვერ შეედრება.

3618. როდესაც ცოლ-ქმარი ერთმანეთს ეყრება და თავთავიანთ ჭკუაზე სურთ ცხოვრება, ესეც პიროვნების თავისუფლების ქარტიის დამსახურებაა, მაგრამ რა თავისუფლების უფლებების მოტივით რჩება მათი ნაშიერი ამ თავის-

უფლების მსხვერპლი? ასე რომ, ყოველივე გაფეტიშებული, გადამეტებული, მსხვერპლს მოითხოვს და ამგვარი თავისუფლების აუცილებლობას დრო შეამოწმებს.

3619. ნამოღვაწარი ისეთი კონსტრუქციის უნდა აიგოს, რომ შიგ ყველას შეეძლოს თავისუფლად ბორიალი, იმის ნახვა და შეგრძნება, რაც მის სულს და გონებას ესიამოვნება.

3620. გადამეტებული მგრძნობიარობა დამოუკიდებლობისკენ მისწრაფების მქონე ადამიანის თვისებაა, მაგრამ მათ არ უნდა დაავიწყდეთ მთავარი – ცხოვრებაში გადამწყვეტი მაინც ბრძოლის მოგებაა თავისუფლების მოპოვებით.

3621. დემოკრატიამ, თავაშვებული თავისუფლებისკენ ლტოლვამ, საზოგადოება ისე არ უნდა გარყვნას, რომ დიქტატის ქვეშ შექმნილი მკაცრი კანონების მათრახის გამოყენება დასჭირდეს ქვეყნის და შთამომავლობის გადასარჩენად.

3622. თავისუფლება ის აპეურია, რომელიც ისე უნდა მოვირგოთ და მოვარგოთ, რომ ყველამ საზოგადოებისთვის კეთილი საქმე აკეთოს.

3623. ჩვენ არ ვიბრძვით ჩვენი თავისუფლებისთვის, უბრალოდ ვცდილობთ ეს თავისუფლება რაც შეიძლება ვიღაცას ძვირად მივყიდოთ, რადგან ვაჭრობის გარეშე თავისუფლება არ არსებობს.

3624. სიტყვის თავისუფლება უკეთესი ცხოვრებისთვის და ჩვენი ამბიციების გამომზეურებისთვის გვინდა, თუმცა ბევრი თავისუფლებას ყბედობისთვის იყენებს.

3625. რაც მეტია ტექნიკური პროგრესის მიღწევები, მით უფრო მეტად სჭირდება ტვინს მათგან გამოთავისუფლება, თუ უნდა სიცოცხლე გაიხანგრძლივოს და სკლეროზს გადაურჩეს.

3626. სიტყვის თავისუფლება სინდისის თავისუფლებასთან შედარებით გაუზრდელად გამოიყურება და თავისი მორალით სინდისს ახლოსაც ვერ გაეკარება.

3627. თავისუფლება და პასუხისმგებლობა ყველა თაობამ თავზე უნდა იდოს, რათა შთამომავალმა ღირებულებები და თავისუფლება შეისისხლხორცოს და სხვაში არ აურიოს.

3628. უვნებელი სიტყვის თავისუფლების და დემაგოგიის შეერთება ბირთვულ იარაღს იძლევა და მის აფეთქებას შეიძლება მთავრობის გადაყოლაც მოყვეს.

3629. თავისუფლება აუცილებელია, მაგრამ მას ყველაფერი არ უნდა ვანაცვალოთ, რადგან მომავალ თაობებსაც მივცეთ საშუალება ცხოვრებაში თავისი წილი თავისუფლება დაადგინონ.

3630. თაობა თავისუფლებისთვის უნდა მომწიფდეს, მოემზადოს, აღზარდოს თვითნაბადი ლიდერი, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ქმედება ჩალიჩს დაემსგავსება, რადგან მონის მენტალიტეტს ვერ მოიშორებს. ამის შესანიშნავი მაგალითია დღეს, დასამარებისთვის გამზადებული სახელმწიფო სათავეში მყოფი, ყოფილი კომუნისტი ლიდერები.

3631. თაობამ თავისუფლება უნდა დაიმსახუროს და არა შემთხვევის წყალობით ფეხი წამოკრას, რადგან ისტორიული გამოცდილებაა სავალალო და მის გამოსწორებას დიდი დრო და ჭრაჭუნი სჭირდება.

3632. თავისუფლება მოვიპოვეთ, მაგრამ ანგარიშს აღარ გვიწევენ, სხვაზე დამოკიდებულები ვიყავით, მაგარმ ქვეყნის რიდი ჰქონდათ. პირველმა არეულობა, ტერორიზმი, უმუშევრობა, შური გაგვიბატონა. მეორე, გაუგებარი წყობის მიუხედავად, დეფიციტის, სიწყნარის, სიმშვიდის გარანტი იყო, რომელი ფორმაცია ჯობს? ეს თაობების და ტექნიკური პროგრესის პრეროგატივაა.

3633. თავისუფლება, მარწუხების გარეშე, აღვირახსნილობაში გადაიზრდება, თუ არ გვეცოდინება საჭიროების ჟამს თასმების ცოდნით და გამოცდილებით მოჭერა.

3634. თავისუფლება ეს აბსტრაქციაა, ხოლო მასზე გადამეტებული ფიქრი და ზრუნვა ცხოვრებას საგიჟეთში დაგვასრულებინებს.

3635. თავისუფალ ქვეყანაში ქრთამის მიღება უნდა იყოს უსაყვედურო და დაუმადლებელი, რომელშიც შენი პროტექციის ოფლის წვეთებიც უნდა იყოს გარეული.

3636. არც თავისუფალი საზოგადოება იძლევა ტალანტებს და არც ცენზურა, აქ მთავარია ქვეყნის სტაბილურობა, და ნიჭის გამოჩენაც არ დააყოვნებს.

3637. ხანდახან განუსაზღვრელი თავისუფლება ბრბოს ძალაუფლებაში გადადის და დემოკრატიის, სახელმწიფოებრიობის აღსადგენად ისევ დიქტატურის საწყისების გამოყენებაა საჭირო, ამიტომაც მთავარი თავისუფლება, დემოკრატიის დაცვა კი არ არის, არამედ ზომიერების, გონიერების დაცვა.

3638. სიტყვის თავისუფლება ჭორიკნობით იცვლება და ამის შემჩნევას უსაქმურობის მოტრფიალე თანამედროვე სამყარო არ ცდილობს, რადგან მათ სხვანაირად არც აზროვნება სჭირდებათ და არც – თავისუფლება.

3639. ქვეყნის მომავლის წინაშე შეიძლება მართალიც იყო, მაგრამ დღევანდელობის და ხალხის წინაშე – დამნაშავე. დღევანდელი ჩეჩენი ერის შვილები ცამდე მართლები არიან, როდესაც მათ სახელმწიფოებრიობა სურთ, მაგრამ ასევე ცამდე არიან დამნაშავენი თავის გენოფონდის წინაშე, რომელიც ამ გამმათავისუფლებელ ბრძოლას ეწირება, რადგან ქვეყნის თავისუფლებას გარემოს და ეკონომიკის არგუმენტები იძლევა,

3640. თვითგვემის გარდა სხვა არაფერი გვაძლევს იმ თავისუფლებას, რაზეც ჩვენ ვვოცნებობთ.

3641. თავისუფლების საწყისია შიშის ზურგს უკან მოგდება, ეკონომიკის წინ წაგდება და შენი მისწრაფებით ამაყი სიარული.

3642. ზოგჯერ ჩვენი თავისუფლება იმდენად კორუმპირებულია, რომ ყოველგვარი სახელმწიფოებრივი მზრუნველობისგან და ზედამხედველობისგან გვინდა თავისუფალი ვიყოთ.

3643. ყველაზე ძნელია თავისუფალ აზრს მოუნახო მისთვის საკადრისი გამოყენება.

3644. თავისუფლებას მაშინ აქვს ღირსება და ცენზიც მაშინ ემატება, თუ მისი ფასი გაცნობიერებული გვაქვს და მისი სასიკეთოდ გამოყენების უნარიც შეგვწევს.
3645. ქვეყანაში არეულობა და თავისუფლების ნანგრევებით აღზევება იძლევა საშუალებას, რომ ვიგინდარებმა თავისი სახელი უკვდავჰყონ.
3646. თავისუფლების ყლუპი ყველამ უნდა ვიგემოთ, მაგრამ ისიც უნდა შევიცნოთ, თუ როგორ ყარს ეს თავისუფლება უგვანოთა ხელში.
3647. სამართლიანობა ის არის, როდესაც ადამიანს იმდენ თავისუფლებას ვაძლევთ, რომელსაც ვერც იყენებს და არც სჭირდება.
3648. თავისუფლების სინდისთან შერწყმა, მარადიული გამოძახილი და ბრძოლაა საზოგადოებასა და გონიერებას შორის.
3649. თავისუფლებაა ის, რასაც გრძნობ და გსიამოვნებს და არა ის, რასაც მათლაფით მოგართმევენ და თავზე გახვევენ, რადგან მუქთად ამქვეყნად არაფერია, ყოველივე ბალანსს და ანგარიშსწორებას მოითხოვს.
3650. თავისუფალი აზროვნება, სიტყვის თავისუფლება, ცნობიერების სასუსნავის გარეშე არარაობაა, მიუხედავად ამისა, ყველა თავისუფლებას გაჰკივის, რადგან ყბედობის უფლება მათ თავისუფლება ჰგონიათ.
3651. მარტოობა და თავისუფლება სხვადასხვაა, მაგრამ ორივეს ეგოიზმთან აქვს კავშირი.
3652. თავისუფლების გარეშე ვერც სიავე ითარეშებდა და ვერც სიკეთე, მაგრამ გონიერი მოთოკვა სასწორს სიავიდან სიკეთისკენ გადაწონის.
3653. ყველაზე დიდი ნარკოტიკი თავისუფლებაა, მაგრამ არა მუქთად მიღებული, რადგან უნებისყოფოების და ვიგინდარების ხელში მაცდუნებელი და დამღუპველია.
3654. თავისუფლება ზოგიერთს სიბრიყვე, წინდაუხედაობა და სხვების მიმართ უპატივისმცემულობა ჰგონია.
3655. თავისუფლების ირონიაა, როდესაც ნაოცნებარ თავისუფლებას გაძლევ და მაშინვე თავს კონტროლის უნარს უკარგავ, ბოლოს კი ირკვევა, რომ შენ მისი გამოყენების თავი არ გაქვს, მითუმეტეს, თუ ეს თავისუფლება ფასეულობაში ვერ გადაგყავს, რადგან თავისუფლების შესაგრძნობად თავიდან დაბადება, აღზრდაა საჭირო.
3656. ნამდვილი თავისუფლების ფასი იმანაც არ იცის, ვინც თავისი სიბრიყვით მზად არის დაუფიქრებლად მისთვის თავი გასწიროს.
3657. თავისუფლებასა და თავხედობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ერთ საქმეს ჰკიდებს ხელს და მთელი ცხოვრება ცდილობს ამ საქმით იყოს დაკავებული, მეორე დილეტანტობის მიუხედავად თავის წარმოჩენას ცდილობს და მრავალ საქმეს ჰკიდებს ხელს, აქედან რა გამოდის ეს მის ნიჭზე და შემთხვევაზე არის დამოკიდებული.

იმედი

3658. იმედი არის სიყვარულის დიდი სამმართველო, სადაც გაერთიანებულია ხალხთა ფართო მასები, რომელთაც შენი გონებით ქვეყნის სამსახურში აყენებ.

3659. იმედი, კარიერა და სახელის უკვდავყოფა ეს ის ანკესია, რომელზეც ყველა სიამოვნებით ეგება და მისგან გაქცევას არავინ ცდილობს, თვით განსაცდელის ჟამსაც კი.

3660. ამქვეყნად კაცს გამარჯვების მაგნიტი, სხეულის განცხრომა ამოძრავებს, ხოლო იმქვეყნად – საიქიოში სულის ტრიალი. საბოლოოდ, განწმენდის იმედით ცხოვრობს.

3661. დროული და გამოზომილი დახმარება გულუხვობის და სიკეთის მაჩვენებელია იმედთან ერთად.

3662. სანუკვარი ოცნება, ასრულებული დიდი ძალისხმევის და ჯახირის შემდეგ, ხიბლს ჰკარგავს და არა იმედს, რომელიც ისე ძალიან აღარ გახარებს.

3663. ცხოვრება მაშინ არის საინტერესო, როდესაც საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების არ გეშინია და ყველაფერს აკეთებ ამ საქმის იმედიანად შესასრულებლად.

3664. ხელოვნებაში და მეცნიერებაში სერიოზულად უნდა ეძიო სიახლე, თუ გინდა, რომ შეუძლებელს მიაღწიოთ ცხოვრებაში, სახალხო ოვაცია დაიმსახუროთ და მომავალს იმედით უყუროთ.

3665. წინმავალ დროს, რომელსაც უკან სვლა არ შეუძლია, თავისი წესი, იმედი და ტრადიციები აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილზე გაიფოფრებოდა და სიცოცხლე არ გაგრძელდებოდა.

3666. გუშინ! საჭირო და აუცილებელია, მაგრამ ხვალის იმედის გარეშე სიცოცხლეს აზრი არა აქვს.

3667. მიუხედავად მცდელობისა, ჩვენი ცხოვრებისეული ვალი გადავიხადოთ, იმქვეყნად მაინც დავალიანებულები მივდივართ, იმ იმედით, რომ მას მომავალი თაობა ჩამოგვაწერს ან შეიტყაპუნებს.

3668. რომანტიზმი საზოგადოების იმედია, ძალაუფლებაცაა და პოლიტიკაც, რომლის სწორად წარმართვის შემთხვევაში, შეუძლია ცივილიზებული გზით რეალური მოგების მიღება.

3669. ენთუზიაზმი ჟინია, კრედიტით ცხოვრება კი – იმედი და მატერიალიზმის დებიუტი.

3670. სიცოცხლის უკვდავება ჩვენს საქმიანობის იმედზეა დამოკიდებული, რადგან კაცობრიობამ სხვა უკეთესი ვერაფერი გამონახა უკვდავების დასამკვიდრებლად.

3671. ყველა გარემოში ბედნიერად ყოფნას და მის შეგრძნებას თავისი მუღამი სჭირდება იმედთან ერთად.

3672. რევოლუცია, "პერესტროიკა", ნაციონალიზმი, ასულელებს ბრბოს და ჭკუის სწავლების საშუალებას არ აძლევს საუკუნეებს, რადგან ადამიანის სიცოცხლის აზრი იმედია და მისი დაკარგვა–განადგურების ტოლფასი.
3673. ყველა საუკუნეს უნდა, რომ მომდევნო ასწლეული უკეთესი იყოს, მხოლოდ თავის წარმოდგენით, გაგებით და იმედის დამუღამებით.
3674. ჩვენთვის განკუთვნილ წუთისოფელში ხშირად ვიმყოფებით ცხოვრების პლატფორმაზე, სადაც იმედის მატარებელი ან არ ჩანს, ან ძალზე აგვიანებს.
3675. რევოლუცია შედეგია, სულის სიმშვიდის კრიზისის, მომავლის ჩამქრალ იმედის და კარიერის მიღწევის რიგგარეშე მცდელობის.
3676. არასრულყოფილების კომპლექსი ჰკლავს თავისუფლებას და იმედს, რომელსაც სიკეთის კეთება და შველა ჰქვია.
3677. ტალანტმა ყოველთვის უნდა მიაღწიოს თავისას, თუ მის გამარჯვებას სხვა ტალანტი არ გადაეღობება იმედით, რწმენით.
3678. ინტუიციით უნდა ცხოვრობდე, მასზე იმედს ამყარებდე, მასთან უნდა თამაშობდე, შედეგით ჩუმად კაიფობდე და განიცდიდე.
3679. შვილებისთვის მთავარია პირველ რიგში მშობლებს ერთმანეთი უყვარდეთ და შემდგომ თავიანთი ნაშიერი, რათა ოჯახის სიმყუდროვის საიმედო სახურავი იცავდეს, რომელსაც იმედი ქვია.
3680. სიკვდილი თავისებურად გაუგებარი სამყაროა, რომელზეც ყველას თავისებური წარმოდგენა და იმქვეყნიური ცხოვრების იმედი აქვს.
3681. თილისმის დანიშნულებაა სიკეთის კეთება, რწმენის ჩანერგვა, იმედის მოცემა და არა – პროტექცია და სასწაულის მოხდენა.
3682. ლიდერს არ ეკითხებიან, მას უბრალოდ იმედით მიჰყვებიან, მაგრამ განვლილი გზის დახსომებაა საჭირო, რადგან არავინ იცის, უკან მარტო მოგიხდება დაბრუნება თუ არა.
3683. როდესაც რწმენა იკარგება, იმედი მაინც ღვივის, რადგან ამ უკანასკნელის დაკარგვა იმქვეყნად ნებაყოფლობით გადაბარგების ტოლფასია.
3684. სწავლა და საღი დასკვნების გამოტანა იმედიანი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, ხოლო პირველის უგულებელყოფა და მეორის უუნარობა უიმედო პესიმიზმისას.
3685. ტვინი არ ქრება, ოქრო არ ლპება, მათ შემოქმედებითად გამოყენებას თანამედროვეთა უსუსურობის გამო არავინ ცდილობს, მხოლოდ იმედიღა რჩება მომდევნო თაობის გონიერებისა.
3686. ყველას აქვს იმედი, რომ ვიღაცას რაღაცაში გამოადგეს, რათა მისი გამოყენებაც შეძლოს.
3687. საბედნიეროდ, ყველაფერი არც ისე უიმედოა, როგორც შორიდან გარკვევით მოჩანს.
3688. მდიდარი ნათესავები ღარიბი ახლობლების გაცნობას არ ცდილობენ, ხოლო ღარიბებს მდიდარი ნათესავების გაცნობის ჩუმი იმედი უღვივით.
3689. სიმდიდრე ბევრს ათავხედებს, მაგრამ ამის პირში თქმას ერიდებიან და თავქარიანობად უთვლიან, რადგან ყველას მისგან გამორჩენის იმედი ასულდგმულებს.

3690. სამწუხაროდ, სილამაზე ვერ შველის სამყაროს დამშვიდებას, მაგრამ, სასიამოვნო განცდის ტკბილ წამებს და დამოძღვრის იმედს არ გვაკლებს.
3691. მონის ოცნებაა გასათხოვარი ქალივით კარგ პატრონს მიეყიდოს, მაგრამ თვითონ რომ გამოვიდეს მყიდველის როლში, ამისათვის არც გონების შეწუხების, არც თავის საფრთხეში ჩაგდების და არც რისკის გაწევის სურვილი არა აქვს.
3692. სისულელეა ის, რასაც ვერ ვგრძნობთ და ვამჩნევთ, ხოლო რასაც შევიცნობთ, ის თეორიულად მაინც გამოსწორებას ექვემდებარება და სხვები იმედით შეჰყურებენ.
3693. იმედი და „ნეტა" იმქვეყნად გადაბარგების დროსაც არ უნდა მოკვდეს.
3694. იმედი ის წამალია, რომელიც აუმჯობესებს სიცოცხლისუნარიანობას, თუ მანამდე უიმედობის ავადმყოფობა გაქვს გადატანილი.
3695. იმედი ის ჰორმონიაა, რომელის უჯრედიც გონიერების სიკვდილის შემდეგაც მუშაობს.
3696. იმედის ტყუილუბრალოდ წამება არ შეიძლება, რადგან ის ჩვენი სიცოცხლის გასახარებლად და დასამშვიდებლად არის მოწოდებული.
3697. მოკრძალება ბრწყინავს, თავსაც წარმოაჩენს, წარმატებას სკეპტიკურად ეკიდება, რადგან მომავალში უკეთესის კეთების და შექმნის იმედი აქვს.
3698. წამიერი გაელვებაც მისაღებია, თუ ის დღესასწაულის მოახლოების იმედს გვისახავს.
3699. ბედის იმედი, აზროვნების და მოხერხებულობის გარეშე, მხოლოდ მეოცნებე უსაქმურებს აქვთ.
3700. იმედს რატომღაც რწმენა ყოველთვის მხარს არ უჭერს და ხშირად აწბილებს.
3701. ჭეშმარიტება არ ფასდება, რადგან არავის აქვს მისი ნახვის და გააზრების იმედი.
3702. მოხუცისადმი პატივისცემა და მადლიერებაც სიყვარულია, მაგრამ მტვერგადაწმენდილი და იმედით სავსე.
3703. მთელი ჩვენი ცხოვრება ცდა და იმედია, რასაც ბედთან კავშირი არა აქვს.
3704. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ინსტინქტი ყოველთვის გონებაზე წინ დგას იმედთან ერთად.
3705. ერთი ოპტიმისტი ათობით პესიმისტს უდრის და სამჯერ მეტს, ვისაც თავისი აზრი და იმედი არ გააჩნია.
3706. ქვეყნის უკუღმა დატრიალებული ბედი წაღმა შემოტრიალდება, თუ ხალხი ქვეყნის მოახლოებულ კრიზისს მომავლის იმედით შეეჭიდება.
3707. რაც შენდება, კეთდება, ყველაფერი მისაღებია, თუ ის საუკუნეებს უძლებს და მომავალი თაობების გაოცებას და ინტერესს იმედით იწვევს.
3708. პეტრე პირველისთანა მმართველი, რაც უნდა შერეკილობისკენ მიდრეკილება ჰქონდეს, თუ სიახლის მოყვარულია და ცხოვრებაში მისი გამტარებელი, თავისას ყოველთვის იმედიანად მიაღწევს.
3709. ჩვენ წინა წლებს იმიტომ მივტირით, რომ მაშინ არა მარტო ახალგაზრდები, არამედ უფრო ნათელი, სუფთა და უმწიკვლოები ვიყავით და მომავალს აღგზნებითა და იმედის თვალით შევყურებდით.

3710. თავიდან ციხის დანახვაც არ გინდა, მაგრამ თუ იქ დიდხანს გაყურყუტეს და ცხოვრებაშიც არ გაგიმართლა, მისი იმედიღა გრჩება.
3711. ქურდობასაც თავისი წესი აქვს: ისე სამართლიანად უნდა იქურდო, რომ ანგელოზისთვის თვალებში შეხედვის უფლება დაიტოვო და მოძღვრის შენდობის იმედი გქონდეს.
3712. დიდება – კვამლია, წარმატება – შემთხვევითობა, სიკვდილი – აუცილებლობა. საიმედოა მხოლოდ თავმდაბლობა და გონიერება, რომელიც უცვლელად უნდა გახლდეთ მთელი ცხოვრება და მისი იმედით უნდა ცხოვრობდეთ.
3713. პატიოსნება ძნელი გადასახარშია მაშინ, როდესაც თქვენი აღმამფრენელი პატიოსნად გეტყვით, რომ თქვენ მისი ოცნების სტანდარტებს არ აკმაყოფილებთ და თქვენი წესიერების მოიმედეს იმედი აქვს, რომ მას შეუნდობთ.
3714. თუ თქვენი ბედის გამო ცხოვრებას უნდა გვერდზე ჩაგიქროლოთ, ფეხი მაინც დაუდეთ და მისი დროებითი ზღართანით ისიამოვნეთ, ამქვეყნად მარტო უსიამოვნებისთვის ხომ არა ხართ გაჩენილი? იმედიც ხომ უნდა დაიტოვოთ.
3715. ძველი ხიდის, გვირაბის, მეგობრების იმედი უფრო გვაქვს, ვიდრე ახლის, გამოუცდელის, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძველი ხანდახან იმედს არ გვიმართლებს, მაგრამ მის დასაცავად ყოველთვის მზად გვაქვს ჩვენს მიერ შეთითხნილი კალამბური .
3716. "რა კარგი იქნებოდა, რომ ნაოცნებარი აგვხდომოდა" – იმედი მოეცა, ჯანდაბას გამართლებულიყო, მაგრამ არა ყოველთვის.
3717. გაფრენილი ახალგაზრდობის გახსენება ყოველთვის სიამეს გგვრის. ამასთან, თუ იმპროვიზაციის უნარი შეგწევს და შენს წარსულს იუმორით და გამოგონილი ამბით შეალამაზებ, ამით შენც კმაყოფილი დარჩები და სხვასაც იმედის ხასიათზე დააყენებ.
3718. შეიძლება იყო უფულოდ, უქალოდ, უსახსროდ, უიმედოდ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, უბედურ არარაობად.
3719. ჩვენი ოცნების უსახელო პლანეტად ის ითვლება, სადაც განუსაზღვრელი დროით შეიძლება ისეთი თავდავიწყებით მხიარულება, რომელიც იმქვეყნადაც გამორიცხულია.
3720. ბრიყვული დიდების დაკარგვას საეჭვო ხარისხის მეგობრები და თქვენი კლიენტურა არ გაპატიებთ. მათ, საჭიროების შემთხვევაში, თქვენი დახმარების დიდი იმედი აქვთ.
3721. იდეოლოგიის შეცვლა გარკვეული გარემოპირობების გამო შესაძლებელია, მაგრამ იმედი რომ რწმენას ვერავითარი კეთილდღეობა ვერ შეცვლის.
3722. შიმშილისთვის ბრძოლამ შეიძლება შენი ბუნებისთვის მიუღებელი შეცდომა, დანაშაული და ცოდვაც კი ჩაგადენინოს, თუ იმედს და შემართებას დაკარგავ.
3723. ურთიერთპატივისცემა, ბედნიერება, იმედი არის ძირითადი განზომილებები ხალხზე ზრუნვის გამოხატვისა, თუ რა მანქანებით ახერხებს ამას მთავრობა, ოპონირებას არ ექვემდებარება, მაგრამ კრიტიკა ამ სიკეთის შესანარჩუნებლად აუცილებელია.

3724. მარადიულ ცნებებს: სამშობლოს, სიყვარულს, სიკეთეს, მეგობრობას, ხშირად სხვის ანაბარა ვტოვებთ, იმ იმედით, რომ ვიღაც გადამთიელს დაუძმაკაცდება და ყველაფერი გამოსწორდება.

3725. საქმიანი დახმარება, იმედის მიცემა, არის ერისშვილების ის უდიდესი კულტურა, რომლითაც რეკლამას არავინ იკეთებს და თავის წარმოსაჩენად არ გამოდგება, რადგან ჯერ-ერთი, უნიათო მთხოვნელი მოგიმრავლდება და გულსაც დაგაყვედრიან: „ისიც ასე ხელგაშლილად მოიქცეოდა, ფული რომ ჰქონოდა".

3726. სიცოცხლის აზრი იმედის არდაკარგვასა და მის ლოლიაობაშია.

3727. ჯობს შენი მბჟუტავი ვარსკვლავის გამონათების იმედი გქონდეს, ვიდრე სხვისი გაკაშკაშებულის, რადგან ის მაინც სხვისია.

3728. თუ ვინმეს სჭირდები და შენი იმედი აქვს, შენს ყველა მოთხოვნას უსიტყვოდ ასრულებს, საკმარისია სული მოითქვას, თავისი გაინაღდოს, ან შენგან გაცნობილ საჭირო მავანს დაუახლოვდეს, რომ შესაძლებელია ჭკუის სწავლებაც გაკადროს, ხოლო შენზე რომ წაიჭორავებს, უეჭველია. ალბათ, ეს იმ „მონობის" პერიოდის დაგროვილი ბოღმის ამონთხევაა, რომელსაც იმდროინდელი თავშეკავება განაპირობებდა.

3729. კომუნიზმის ნოსტალგია გამოწვეულია ყოველდღიური სიხარულის და იმედის მართვის მახინჯი ფორმებით, ხოლო ფსევდოდემოკრატებისა – სიცოცხლის აზრის შემცველი კომპონენტების დევალვაციაში.

3730. ნდობა კონვერტირებულ ვალუტაზე მეტია, რადგან იქ იმედიც ღვივის.

3731. სიკვდილის შემდეგ რეაბილიტაციის იმედით ზოგი კაცი არას და არავის არაფრად დაგიდევს და თანაც თავს იმშვიდებს, მაინც გამამართლებენო.

3732. თუ თქვენ ერთხელ ყველაფერში გაგიმართლათ, მაშინ ზევიდან ნაწყალობევ ამ სიცოცხლეს გაფრთხილება და გადარჩენა სჭირდება, რათა მისი იმედის საძირე, ყველას გულში ღვიოდეს და ცხოვრებას იმედიანად უყურებდნენ.

3733. სათუთად შეხება, იმედის მიცემა, მის ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება, ურთიერთშერწყმა, შეხმატკბილება, არა მარტო სიყვარულია, არამედ მისი სიმფონიაცაა, რომლის აღქმა მსმენელსაც ატკბობს და მაცქერალსაც.

3734. ჩვენს ქვეყანაში დაპირებებით და იმედით ცხოვრება უფრო ადვილია, ვიდრე დაპირებების საქმეში გადახარშვა, რადგან ბუხარში ცეცხლის შესანთებად არავინ იღვწის.

3735. სპორტი არის თვითშეგრძნებისთვის, გააზრებისთვის, ტაშის დამკვრელებისთვის, ხოლო თუ შედეგს გინდათ მიაღწიოთ, პირველ რიგში თავს უნდა აჯობოთ, საკუთარი შეგრძნებით და გააზრებით ქომაგთა იმედები გაამართლოთ.

3736. სიყვარულს არც პასუხი მოეთხოვება და არც გონიერება, მაგრამ იმედი, ფიქრი, ოცნება ბედის გაღიმებაზე, მკრეხელობად არ ჩაითვლება.

3737. გენერლები ომისთვის წარსულის აზარტით ემზადებიან და მომავალს ბუნდოვნად, მაგრამ იმედით უყურებენ.

3738. პროფესია, რომელიც ნორმალური ცხოვრების საშუალებას იძლევა, იმედს გაძლევს და გამდიდრებს, ყველა პერსპექტიულია, გარდა იმისა, რომელიც სულის მოწოდებით და ნიჭის დახმარებით კეთდება, რადგან მის მოსყიდვაზე არც დრო მოქმედებს და არც ფული.

3739. სიცოცხლის რაობაა: მისი მჩქეფარების შეგრძნება, ცხოვრების დანახვის მცდელობა და დაღვინების შემოტევის შეცნობა არეული იმედების კოქტეილში.
3740. ნაკლის ქონასაც ჩვენთვის რაღაც სიამოვნება მოაქვს, თუ არ გვამჩნევენ და არ გვაგრძნობინებენ, ამიტომ ჯობს იქ გამოვამზეურდ, სადაც არ განსჯიან და ნურც მის გამოსწორებას ვეცდებით სხვის დასანახად და საიმედოდ.
3741. იმედს უნდა ვაჯობოთ გამოცდილებით და შემართებით და ბედის მოცუნცულებაც არ დააყოვნებს.
3742. მომავლის იმედს, ჩვენი გაწბილებული ახალგაზრდული წლების გახსენება გვმატებს.
3743. ერთი ნამდვილი სიხარული ყოველდღიურობის მოწყენილობას, სევდას დიდი ფორით გადაუხურავს, რომელიც ძველი ნაღველის ხიდებს წვავს და ახლის იმედით გადებას იწვევს.
3744. ილუზიების და იმედის გარეშე ცხოვრებას არც ფასი აქვს და არც აზრი.
3745. კვოტა ჭირდება უნიათ ხალხს, რომელიც შემადგენელი ვაგონებით გამზადებულნი არიან იმედის ელმავალზე მისაბმელად.
3746. ყველაზე მეტ შემოსავალს, ჩვენი შვილების სწავლაში მათი მასწავლებლები იღებენ, ხოლო მშობლებს სახელი და იმის იმედი რჩებათ, რომ თუ გაუმართლათ, ვალს შთამომავლობის გაგრძელებით გადაუხდიან.
3747. პარადი ქვეყნის მატერიის მოჩვენებითი დემონსტრაცია, სულთან შეხლა-შემოხლის ხარჯზე, ოღონდ მომავლის იმედით და რწმენის გახსენებით.
3748. ირგვლივმყოფნი შეიძლება სწორ რჩევებს გაძლევენ, მაგრამ მათ ყური მაინც არ უნდა უგდო, რადგან წყვილის ურთიერთობაში ყველაზე კარგი მრჩეველი იმედიანი გულია.
3749. იდეებისათვის ბრძოლა მოგებას არ იძლევა, მაგრამ დივიდენდები და იმედი, რომ ოდესღაც შემოსავალს მოგვცემს, თეორიულად სულდგმულობს.
3750. სპორტი, ცირკისგან განსხვავებით, ერთადერთი შემთხვევაა, სადაც ადამიანი ცხოვრებას ზევიდან არ დაჰყურებს და მას თანასწორად და იმედით უყურებს.
3751. ოცნება, იმედი არის კონვერტირებული და დევალვირებული, მაგრამ მათ არსებობას ნაკლები სიამე არ მოაქვს.
3752. თანასწორობის მომიზეზებით რევოლუციის, პერესტროიკის მსგავსი შოუს მოწყობა ტრაგიკულად მთავრდება, რადგან ძმობის საწყისი იმედი და ადამიანის შემართებაა.
3753. იმედი იმისა, რომ იმქვეყნად რაღაცა არსებობს, სულს გინათებს, ხოლო იმის ცოდნა, რომ ამ ქვეყანას დიდხანს ვერ შემორჩებით, არც გულს გვიღონებს და არც გონებას გვიბნევს, იმდენად დიდია ბუნების კანონზომიერების შეცნობის და შეჩვევის ფაქტი.
3754. სანთელი პირველ რიგში ბედნიერებისთვის, იმედისთვის, სიყვარულისთვის ინთება და არა მარტო რწმენის, ტრადიციების და რიტუალის აღსასრულებლად.
3755. ხშირად რწმენა იკარგება, მაგრამ იმედი არსებობს, პირიქით რომ ყოფილიყო, რწმენა აზრს დაკარგავდა.
3756. ხანდახან გონების სამყაროში სიწმინდის ჩირაღდანი სადღაც იკარგება, მაგრამ მისი პოვნის იმედი მუდამ ღვივის.

3757. წინაპრების საეჭვო წარმატებებს თავის დასამშვიდებლად ხშირად ის ხალხი იხსენებს, ვისაც ცხოვრების აწმყო აუწყობელი აქვს და მომავლის იმედი არ უნდა დაკარგოს.
3758. ქაქი ბევრია ამქვეყნად, მაგრამ რადგან გავჩნდით, ვალდებულნი ვართ ვიცხოვროთ და სიყვარული, შენდობის უნარი, იმედი არ დავკარგოთ.
3759. გულუბრყვილობას, უპრეტენზობას, ყოველთვის აქვს იმედი, რომ მას როდესაც მოეფერებიან და დააფასებენ.
3760. დღეს იქიდან, რაც ჩვენ არ მოგვწონს, ბევრი რამ მომავალი საუკუნეების საკუთრებაა და იმედი იმისა, რომ ყველაფერი გამოსწორდება – მიზერია.
3761. მთავარია რწმენა, შეგრძნება, ფიქრი, განსჯა, იმედით არსებობს ისე, როგორც გეცხოვრება, როგორც გიმართლებს, ყოველგვარი საყვედურის და უკუფიქრის გარეშე.
3762. იმედი იმისა, რომ ცოდვილის სასიკეთოდ მოქცევა იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ცოდვების ჩადენის მისთვის განკუთვნილი ლიმიტი საბოლოოდ ამოიწურა.
3763. ბევრს ჰგონია, რომ ყველაზე მეტ სიყვარულს მაშინ დაიმსახურებდა, ბედი, ახლობლების იმედი და ნორმალური პენისი რომ ჰქონოდა.
3764. სხვის მიმართ გაწეული დახმარება ჩვენი იმედის მიერ გაცემული კრედიტია, რომელიც დებიტად უნდა დაგვიბრუნდეს, თუ გაგვიმართლა.
3765. საკუთარი თავი განგების შეცდომად არ უნდა ჩათვალოთ, თორემ ეჭვი შეგეპარებათ თქვენი გაჩენის აუცილებლობაში, თქვენს ღირსებაში და იმედს დაკარგავთ, ხოლო ამ უკანასკნელის გარეშე სასიკეთო საქმის კეთება შეუძლებელია.
3766. მორცხვობა მაშინვე უკან იხევს, როგორც კი იმედი გამოჩნდება და ბედს მოელი.
3767. სიბერე იკურნება იმედით, თავაზიანი მოპყრობით და იმის შეგრძნებით, რომ ის ვიღაცას კიდევ სჭირდება.
3768. მისი უდიდებულესობა იმედი, მისი უდიდებულესობა გაწბილება არის ჩვენი ცხოვრების სვლა-გეზი საბოლო გზა.
3769. წარსული გვაღელვებს, აწმყო ყალყზე გვაყენებს, მაგრამ ცხოვრების მოსაწყობად მაინც მომავლის რწმენა და იმედია საჭირო.
3770. იმედი, ოცნება შეუცნობელი კაიფია, რომელიც ხშირად გვაწბილებს, მაგრამ მას თავს მაინც ვერ ვანებებთ, რადგან მაშინ ცხოვრება გათავდებოდა.
3771. ოპტიმიზმი, იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს სიბრიყვის და „ურა"–პატრიოტიზმის ხარჯზე.
3772. რადგან სიავე ძალადობით არ აღმოიფხვრება, მას წყენა, ურთიერთმონატრება, სიყვარული უნდა დავუპირისპიროთ და გონიერი სიტყვებით, ურთიერთპატივისცემით იმედიანად უნდა ვუმკურნალოთ.
3773. ზოგი იძულებულია დიდხანს იავადმყოფოს და არ მოკვდეს, რადგან მისი ადგილი სამოთხეში დაჯავშნული არ არის და ისიც იძულებულია მომავლის იმედით, „ინკოგნიტოდ" იარსებოს.
3774. ვინც ჯანმრთელია, მას ცხოვრების იმედიც უნდა ჰქონდეს, ვისაც იმედი აქვს, მას ყველაფრის კეთება შეუძლია, ვისაც ყველაფრის კეთება შეუძლია, ის სულიერადაც ჯანმრთელი უნდა იყოს.

კანონი კანონია

3775. მასების ბუნტს სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციები მხარს უჭერენ, თუ ამ უკანასკნელის ნება ირღვევა, მაგრამ არეულობის დროს კონსტიტუციის ფარგლებში ქვეყნის კანონიერად მართვა შეუძლებელია, ამიტომაცაა, რომ ბუნტის აქტიური წევრები პასიურ ოპონენტებზე ჯავრს იყრიან, რათა შემდგომ ახალ მთავრობაში კარიერა გაიკეთონ.

3776. რატომ ცხოვრობს ზოგიერთი აშკარად ხელგაშლილად? იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ არ არსებობს სამხილი, ან არ უნდათ მისი მხილება, ხოლო სხვა საჭირო კანონი მის ხელგაშლილობას ხელს ვერ შეუშლის.

3777. რატომღაც საკუთარი სხეულის განზრახ დაზიანება კანონით ისჯება, ხოლო სულის ნებაყოფლობით დამახინჯება კანონგარეშეა.

3778. კანონი ხალხის ნების სასარგებლოდ იქმნება, მაგრამ რატომღაც კანონის აღმსრულებლები უკეთ სარგებლობენ მისი დარღვევის ხარჯზე.

3779. არის ერთი შეხედვით უმნიშვნელო კანონები, რომლის გულისთვისაც კონსტიტუციის გადაკეთება არ ღირს, მაგრამ რა უნდა ვქნათ, თუ საზოგადოების ამ უყურადღებოდ მიგდებულ კანონებს ლპობის ბაცილა შეუჯდა და თუ დროზე არ ვუმკურნალეთ, არც კონსტიტუცია დაგვჭირდება და არც სახელმწიფოს მართვა და ეს ნარკომანიაა.

3780. წინათ კანონის ეშინოდათ, ახლა რცხვენიათ, გამოსწორების გზაზე დგანან, რადგან „პროგრესი" ასე მოითხოვს.

3781. კანონი ექიმის პროფესიასავით არის, მას პატივს ვცემთ, მაგრამ ვცდილობთ არ ვეამხანაგოთ, არ შევამჩნიოთ და ერთმანეთი არ დაგვჭირდეს.

3782. ძალაუფლებას ვხედავთ, კანონს კი არა, მაშინ როდესაც კანონის სახელით ყველას დასჯა შეიძლება იმ ცოდვებისთვის, რომელიც დიდი ხანია მივიწყებული გვაქვს.

3783. სასამართლო გადაწყვეტილება ნაკლებ მოსაწონი და წამგებიანია, თუ ის დანაშაულის შემცირებისთვის არ იბრძვის.

3784. წესიერ, რეალურ კანონებს და მის აღსრულებას შენი ქვეყნის პატიოსნება და სიძლიერე იძლევა და ამის შესახებ ინფორმაციის მიღება და მისი უნარიანად გამოყენება-გააზრება ქვეყანას ავტორიტეტსაც უქმნის და მატერიალურ სიკეთესაც.

3785. კანონის და კანონიერების დიქტატურა ერთი და იგივე არ არის, რადგან კანონი დასჯის შუალედებს მიუთითებს, ხოლო კანონიერება ამ შუალედებში სიმართლის ძებნაშია.

3786. კანონი არ უნდა შევურაცხვყოთ და უარვყოთ, მას უნდა მოვეფეროთ, პატივი ვცეთ და ის ყოველთვის შეღავათიანი იქნება დამნაშავესთვის.
3787. ქაოსსა და წესრიგს შორის კანონი დგას და ვალდებულია მათ შორის წარმოქმნილი გაუგებრობა მოაწესრიგოს. მაგრამ კანონის აღსრულება მის დიქტატურაზეა დამოკიდებული და არა კანონის მომხიბვლელობასა და კანონიერებაზე.
3788. კანონის დედააზრია დანაშაულის დამტკიცება და მისი პროფილაქტიკა და არა დამნაშავის დადგენა და დანაშაულის ჩადენის პერსპექტივა, რადგან მართლმსაჯულებაში ქულებით გამარჯვება დაუშვებელია.
3789. საწყალი კანონი – სისხლის სამართლის მუხლის თანახმად დამნაშავეა ის, რომელიც სხვა პირს აყენებს ზარალს. ე.ი. ორიანის დაწერა სტუდენტს აკარგვინებს სტიპენდიას, იმიჯს. ასე, რომ ,,კანონის'' თანახმად ლექტორი ვალდებულია უვიცი სტუდენტი დამაკმაყოფილებელი ნიშნით დაასპონსოროს, თუ უნდა მას კანონთან ,,გართულება'' არ ჰქონდეს.
3790. ზოგჯერ კანონიდან გადაცდენა ეს ის სამართლიანობაა, რომელიც სიცოცხლეს უხანგრძლივებს და იძულებითი სიხარული მოაქვს ადამიანისთვის. სიმსუქნესთან ბრძოლა, უმამაკაცოდ დარჩენილი ქალისგან ნაშიერის ყოლა, სიძვის დიაცისთვის გამომუშავებული თანხის ძალად დაგროვება, ,,ბომჟისთვის'' ზონაში სამუშაოდ დასაქმება, ავადმყოფის ძალად მკურნალობა და ასე შემდეგ.
3791. კანონიერ ქვეყანაში საზიზღრობაა ღარიბი იყო, ხოლო ქვეყანაში სადაც კანონს პატივს არ ვცემთ სასურველია სიმდიდრე. მაგრამ ღარიბსაც და მდიდარსაც ამ საკითხის თავისებური გაგება აქვს.
3792. საყოველთაო არჩევნები დემოკრატიის ნაყოფია, ამისთვის ერიც უნდა მომზადდეს და ქვეყანაც, როგორც მატერიალურად, ასევე პოლიტიკურად, წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩეული უნდა იქნეს კანონების დიქტატურის მომხრე პიროვნება პარლამენტის უხუცესთა საბჭოს დახმარებით.
3793. კანონი და კანონიერება არის ძირი საზოგადო წესრიგისა, რომელშიც თანაბრად უნდა იყოს შეჯერებული ხალხის კულტურა, ემოციები, სამართლიანობის გრძნობა, პროფილაქტიკა და აქ პოლიტიკისა და სხვა მენტალიტეტისთვის ადგილი არ რჩება.
3794. მოსაფერებელია ის კანონი, რომელიც ბევრს ლაპარაკობს, პროფილაქტიკას ეწევა და ნაკლებად სჯის.
3795. კანონი მშობელივით უნდა გვექცეოდეს და არა დედინაცვალივით, სადაც დედა – პროფილაქტიკაა, მამა – დასჯაა, ხოლო დედინაცვალი – უკანონობა.
3796. კანონი, რომელიც ბოლომდე ვერ წყვეტს საკითხს და კუდებს იტოვებს თავისი ქვეყნის უსახსრობის გამო, არ შეიძლება კანონად ჩაითვალოს.
3797. რა ქნას პოლიციამ, თუ მის ირგვლივ სახელმწიფო კრიზისია და ათასობით მისი მოქალაქე კანონს პატივს ვერ სცემს გაჭირვების გამო, მაგრამ სამართალდამცავის ვალია, ამ შემთხვევაში, კანონი ლმობიერად აკანონოს ყოველგვარი ფულის დაცინცვლის გარეშე.
3798. კანონის აღსრულებაა აუცილებელი და არა შესრულება, თუ მის ნებას გრძნობ.

3799. რაღაც პრინციპებისთვის სიმართლის დაცვა გონიერ ხალხში აღფრთოვანებას ვერ იმსახურებს, მაგრამ კანონის და კანონიერების განმტკიცებისთვის ამის მცდელობა აუცილებელია.

3800. სწორი და შეუვალი კანონი ქვეყნის ეკოლოგიაა, თუ ის ხალხის კულტურას და მენტალიტეტს შეესატყვისება.

3801. ბანდიტი რომ ბანდიტს კლავს, ერთ-ერთი სანიტარის როლს ასრულებს, მაგრამ ამას მეორე უბედურებისკენ, მონოპოლიზაციისკენ მივყევართ, ეს კი საშიშია სახელმწიფო უშიშროებისთვის, კანონის პატივისცემაზე რომ არაფერი ვთქვათ.

3802. დადგენილებაში, კანონში, საძრომიალოს დატოვებისას მას ყოველთვის ისე გაიგებენ, როგორც მოხერხებულ ხალხს მოესურვება, ამიტომ მათი დროზე გამოშვება, შეცვლა კი არ არის მთავარი, არამედ მათი დაწურვა, რაფინირება და ისე წარმოჩენა, რომ მისი შემოვლა და მასში ძრომიალი შეუძლებელი იყოს.

3803. კანონი არ შეიძლება იყოს სამართლიანი ან უსამართლო. ის უნდა იყოს გარკვეული დროის პერიოდისთვის საჭირო და აუცილებელი.

3804. დემოკრატიულ ქვეყანაში სასამართლო გადაწყვეტილება არ განისჯება და აქსიომად აღიქმება, მაგრამ ამის გარანტიას იძლევა სისტემა და წლებით განმტკიცებული ნდობა.

3805. კანონსაც ბედის რჩეული და ავტორიტეტი არ უნდა ჰყავდეს, მისი ვალია კანონის პირნათლად აღსრულება.

3806. სახელმწიფო ძალოვნებას კანონის და მისი დიქტატურის დოზირებული კოქტეილის შერწყმა იძლევა, მაგრამ მაინც მთავარია, ვინ ახორციელებს მას და ვის ხელშია ეს კანონიერება.

3807. დანაშაული კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს, მაგრამ სასჯელის შემსუბუქების ალტერნატივა („სულით ავადმყოფი”) მის შესრულებას ხელს არ უნდა უშლიდეს.

3808. კანონი და ღირსება შესაძლებლობების გარეშე ვერ იარსებებს და თუ არსებობს, მისი ყოფნა სულს ღაფავს და მოჩვენებითია.

3809. საზოგადოების ხინჯი ალკოჰოლი, სიგარეტი, კაზინო და სხვა ამგვარი, თუ „გაგებით” და ყალთაბანდობით იკრიბება, გადასახადმა სახელმწიფოს მოხელენი უნდა შეინახოს, ხოლო თუ კანონით – სახელმწიფოს ბიუჯეტი.

3810. არ არსებობს კანონი, რომლის დარღვევა არ შეიძლებოდეს და არ არის კანონი, რომლის აღსრულება შეუძლებელი იყოს.

3811. კანონი და კანონიერება, რომელიც ვნებს ადამიანთა მოდგმის აზროვნებას, ხანდახან ინიციატივას მოითხოვს ამ კანონიერების დასარღვევად.

3812. სწორედ იმედია, ადამიანს რომ აკავებს რაიმე სისულელის ჩადენისაგან, რადგან კანონის აღსრულება მაინც დროებითი ღონისძიებაა.

3813. პატარა და დიდ ქურდებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს მაშინვე ციხეში სვამენ, ხოლო მეორენი ჩუმად უცდიან კანონის სამართლიანობას.

3814. თუ რაიმე უპატრონოდ დევს, დაუკითხავად იღებ და იყენებ, ეს ყაირათიანობაა, ხოლო კანონისთვის – ქურდობა, რაც ფაქტობრივად შემნახველის უვარგისობას მფარველობს.

3815. კანონი კი არ უნდა გამკაცრდეს, არამედ არ უნდა გადამწიფდეს, თორემ ის კარგავს თავისი დანიშნულებას და მასში საძრომიალო გზებიც იზრდება, ამასთან, მის მორგებას თავის ნიჭისა და მოხერხების მიხედვით ცდილობენ.

3816. კანონის აღუსრულებლობა, ან მისი გადამეტება, ქვეყნის წინაშე უდიდესი დანაშაულია.

3817. რადგან ცხოვრების სიბინძურეს ყველაზ მეტად ხელს სამართალდამცავი ორგანოები უფათურებენ, მათ ყველაზე მეტად უნდა იცოდნენ კაცობის ფასი და კანონი აქ არაფერშუაშია.

3818. გამომძიებელს უნდა უყვარდეს ეჭვმიტანილი, უნდა ეფერებოდეს, ელოლიავებოდეს, რათა შესძლოს მისი ფაქტებით სიამოვნებით დახრჩობა.

3819. თუ არ იცით, როგორ მოექცეთ სელექციურად შერჩეულ დამნაშავეს, მაშინ დასაჯეთ ის კანონის და კანონიერების გათვალისწინებით.

3820. სასამართლოზე რაც საჭიროა, იმ სიტყვას დამცველი ამბობს, რაც არა – პროკურორი, საბოლოო გადამწყვეტ სიტყვას – მოსამართლე, ხოლო სასჯელმისჯილის ბოლო სიტყვა საზოგადოებისადმი ვალის მოხდაა, თუ მისი გამოსწორების დაწყების მცდელობა, ძნელად სათქმელია.

3821. იქნებ ყბადაღებულ კანონს და კანონიერებას ისევ ის ალტერნატიული განსჯა სჯობდეს, რომელიც დამნაშავის გამოსწორების საშუალებაა და შემოსავალს იძლევა.

3822. სამართლის ზეიმი და კანონის დიქტატურა სხვადასხვაა – პირველი დამნაშავის დასჯას ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს, ხოლო მეორე მცირე გადაცდენასაც ასამართლებს.

3823. კანონი მაშინ კანონობს, თუ მას აქვს მორალური უფლება განსჯის, დასჯის, შეწყალების და დაჯარიმებით ფულის აღებისა.

3824. დემოკრატიაზე, კანონზე და კანონიერებაზე გადაკვდომა საზოგადოების წევრებში შურისძიების, უპატივცემულობის სურვილს არ უნდა იწვევდეს.

3825. არის უფლება, არის სიავით მმართველობის უფლება, რომელსაც კანონიერების სახელით ვერაგულად იყენებენ.

3826. მოსახლეობისთვის პირველადია სამართლის განსჯა, შემდგომ მოქალაქეობრივი ხედვა და სხვა ატრიბუტები, ქვეყნის და სამშობლოს სიყვარულის გამოსახატავად.

3827. კანონის ვარგისიანობა ეკონომიკამ უნდა განსაზღვროს და არა მორალმა. თუ დამნაშავე თავისუფლების საფასურად მიყენებულ ზარალს ანაზღაურებს და მის აღრიცხვაზე ამყვან მართლმსაჯულებას კანონით კუთვნილს უწილადებს, რა აუცილებელია ამ დამნაშავის ციხეში გამოკეტვა, რჩენა და დაცვა?

3828. კანონის პატივისცემა კი არ ქმნის გაუგებარ სიტუაციას, არამედ მისი აღმსრულებელი ხალხი, რომელიც რამდენიმე ვიგინდარის გამო, კანონმდებელს მი-

ზეზს აძლევს მათ დასცინოს, ქრთამი გამოძალოს კანონის გაუკუღმართების და გამკაცრების ხარჯზე.

3829. კანონის საფუძველზე ბევრ ჩვენთვის არასასურველ პირს შეგვიძლია ფეხი წავატეხოთ, მოვარჩინოთ და მადლობის თქმაც გამოვტყუოთ.

3830. კანონმდებელმა და კანონის აღმსრულებელმა უნდა იგრძნოს კანონის პერსპექტივა და მისი ეფექტური მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონი აზრს კარგავს.

3831. არაკონსტიტუციური კანონი სამართლიანი შეიძლება იყოს და უნდა მივიღოთ კიდეც, ოღონდ უნებისყოფო და უმწეო ხალხისთვის, ვინც კანონთან ურთიერთობაში წკიპზე დგას. მაგალითად: ბომჟები, უპატრონო ბავშვები, ნარკომანები, რომლებსაც უძრავი ქონების გაყიდვა-დახურდავება დადგენილებით უნდა აეკრძალოს.

3832. ყველა კონსტიტუცია, კანონი, კარგად და სამართლიანად იწერება, მაგრამ ტრადიციულად ან არ სრულდება, ან ცდილობენ საკუთარ ინტერესებსაც რაიმე წასცხონ.

3833. სამართლიან საზოგადოებაში კანონის საზღვრებში ხალხი იმას აკეთებს რაც მოეხასიათება, ყოველგვარი ვექილის, ქრთამის, „ბლატის'', ზურგის გარეშე.

3834. სასჯელის კანონით გაგებაც არსებობს და კაცური გაგებაც, რომელშიც ადამიანიც იგულისხმება, ხოლო კანონს მხოლოდ განყენებული დანაშაული აინტერესებს და მიზეზს, ტრადიციებს, არად დაგიდევთ.

3835. სიტუაციის მიუხედავად, როდესაც წითელ შუქზე არ გადადიხარ, უდიდესი პატივისცემაა თავისადმი და სხვის მიმართაც, რომ მათ კანონის დარღვევა არ აკადრეთ.

3836. კანონი ხანდახან ონანიზმს ემსგავსება, როდესაც დამამძიმებელი სამხილი მასალების შემდეგ დამნაშავეს პირობით სასჯელს აკმარებენ, სხვანაირად, ჩვენი უფლებების დაცვა, პიროვნების თავისუფლების მომიზეზებით, ხელიდან გაგვისხლტება, რადგან ხალხიც და კანონიც დასაჭურისდება და კეთილი სულის შენარჩუნება ქვეყანაში გაჭირდება.

3837. სრულყოფილ სახელმწიფოში სიტყვა "დამსმენი", "ჩამშვები," არ არსებობს, არსებობენ კონსტიტუციის, კანონის დამცველი მოქალაქენი, რომლებიც კანონის დარღვევას პირად შეურაცხყოფად აღიქვამენ და მომხდარის შესახებ აცნობებენ პოლიციას. დანაშაულის ჩამდენის დასჯა კი მათი შეურაცხყოფის კომპენსაციაა. დამსმენის ინსტიტუტი ჩამორჩენილ ქვეყნებშია და მათი კულტურა დანაშაულის წაყრუებას და „ჩემი რა საქმეა'' გაბატონებას ემსახურება.

3838. ზოგჯერ კანონის დარღვევა გადამეტებული მოვალეობის შეცნობითაც არის გამოწვეული ოჯახის და ახლობლების წინაშე, რომელსაც ხშირად კანონმდებლებიც უნდა ითვალისწინებდნენ.

3839. ეჭვმიტანილი, რომელიც ფაქტების სასაფლაოა, პოლიციაში სიყვარულს არა, მაგრამ პატივისცემას იმსახურებს, იმიტომ, რომ სასამართლოში არც ერთ მხარეს

არ აწყობს დაგროვილი ქულებით საქმის გადაცემა, რადგან სასამართლოს განაჩენი ორივე მხარისთვის წინასწარ შეუცნობია.

3840. კანონმა, დემოკრატიის და სამართლიანობის მომიზეზებით, სიბრიყვე არ უნდა დაიბრალოს, რომ არ დასცინონ. მაგ: ემიგრანტები განზრახ ჩადიან დანაშაულს, რომ ციხეში მოხვდნენ და უფასო სასტუმრო, საჭმელი, გართობა მიიღონ, თან იმუშაონ და ფულიც იშოვნონ, რაც მის სამშობლოში სანატრელი ჰქონდათ.

3841. ბუნებაში არაფერი არ ხდება მოულოდნელად. აქ შემთხვევითობა და აუცილებლობა ბატონობს ალბათობის კანონთან ერთად.

3842. კანონის მიღება მორალური მხარდაჭერის და გამართლების გარეშე დაუშვებელია, რადგან ის შეიძლება სამართლიანი იყოს, მაგრამ სამართლიანობის დაცვა იყოს შეუძლებელი.

3843. სამართალი კანონის არგადახვევაში, ბრალდებულის არგაჭყლეტაში და საზოგადო ინტერესების გამოხატვაშია.

3844. კანონზე მაღლა არ უნდა დავდგეთ, თუმცა მის უკან ამოფარებაც დიდი ნიჭია, მაგრამ რამდენად სამართლიანი და ადამიანურია, ეს სხვა საქმეა.

3845. ზოგჯერ კანონმდებელი არცოდნის თუ ცოდვის წყალობით კანონს ერთ სიტყვას დააკლებს, ან შეუცვლის,შედეგად კანონი ვერ კაკანებს და ჭანჭიკმოშვებული დაგორავს.

3846. კანონის პატივისცემის უპირველესი გარანტია ძლიერი ეკონომიკა და გონიერი სახელმწიფო მმართველობაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალზე ბევრი უსამართლო და უხიაგი რამ გაკეთდებოდა კანონს ამოფარებით.

3847. სამწუხაროდ, ინტერესები ყოველთვის კანონზე მაღლა დგება. ეს არის უპრეცედენტო ძალადობა კანონიერების წინაშე, რომელსაც თანამდებობაზე მყოფი ყველა ვიგინდარა განუსჯელად კადრულობს.

3848. დადგენილება, რომელიც კანონში საძვრომიალო ხვრელების ამოსაქოლად და კანონიერების დასახმარებლად არის გამოცემული, მართლმსაჯულებას აუფასურებს, ავტორიტეტს ულახავს და კანონს თავად აგდებს განსასჯელში.

3849. კანონი ძალიან ბევრია, ხოლო ადამიანის დამცველი კანონიერება და მისი აღსრულება ძალზე ცოტა.

3850. ცალკეულ დამნაშავეს კანონი უტევს, ამარცხებს, კისერს უგრეხს, ხოლო თუ იგივე დანაშაულს მასა სჩადის, მაშინ კანონი კრთება და ხშირად დამნაშავის დამცველიც კი გამოდის. საინტერესო არითმეტიკა აქვს პოლიტიკას, მთავრობას, თავის დასაძვრენად, ხოლო ბრბოს თავისი უფლებების წარმოსაჩენად.

3851. კანონის დამრღვევი რეციდივისტად არ იბადება, მაგრამ ისიც გადაცდება გაუთვალისწინებელ შემთხვევათა გამო.

3852. კანონის კირკიმალა თავხედობა ხანდახან ძნელი ასატანია, მაგრამ აუცილებელიცაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება, როგორც თანაარსებობის გარანტი, გაქრებოდა.

3853. კანონშემქმნელი ორგანოების მთელი უბედურება ის არის, რომ თავი ყველაზე მცოდნე ჰგონიათ და კანონის დაბადების ექსპერტებს: ქურდებს, მექრთამეებს და

სხვა დამნაშავეებს არაფერს ეკითხებიან და არც მათი აზრი აინტერესებთ, ამიტომაცაა, რომ ეს კანონები წლებს კი არა, დღეებსაც ვერ უძლებს და გამოსვლისთანავე გადაკეთებას, შენიშვნებს, შეცვლას საჭიროებს.

3854. სახელმწიფოს მიერ მიღებული უხიაგი კანონი ისევე უხიაგად სრულდება, რადგან მას ხალხის მხარდაჭერა და გონიერების ბაზისი გამოცდილი აქვს.

3855. ფაქტი ის ფენომენია, რომელსაც სული არა აქვს და საძრომიალოს არ ტოვებს.

3856. კანონს გარემო, ტრადიციები, ცხოვრების გამოცდილება და ზოგიერთ წესიერ ადამიანზე ზრუნვა წერს.

3857. ბევრი ძალად პატრიოტი – გამფლანგველი დაუსხლტება ხელიდან „პოლიციას" და არა „სუკს".

3858. არსებული კანონები სახელმწიფოს შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს, ხოლო მთავრობა ამ კანონების დაცვის ხარისხზე.

3859. ახალგაზრდები კანონს არ იცნობენ, მაგრამ პატივს სცემენ, ჭარმაგები კანონს იცნობენ, მაგრამ მისი ასავლელი გზებიც იციან და შემთხვევებიც, ამიტომაა, რომ კანონის პატივისცემა კი არ არის მთავარი, არამედ მისი ზედმიწევნით ცოდნა, რათა ციხე არ გადაიტვირთოს უვიცობის მიზეზით.

3860. მაშინაა ნამდვილი კანონიერება, როდესაც პასუხისმგებლობის მოხსნა, დანაშაულის სხვაზე გადაბრალება, შეუძლებელია და სიმკაცრეც გონიერებასთან არის შერწყმული.

3861. კანონით ბუნებასაც დროული დასვენება, მოფრთხილება და მოფერება სჭირდება.

3862. ბრბო არც „ჯოღორების" გარეშე უქნია ღმერთს და არც პოლიციასთან ერთად, რადგან მათ ამბიციებს კანონის და კანონიერების მიმართ ზღვარი არა აქვს.

3863. სუსტი და წესიერება კანონსა და კანონიერებაზე მორგებას ცდილობს, ძლიერი და ფულიანი კანონის დარღვევასა და კვალის აბნევის მცდელობაშია.

3864. ხალხს თუ მივცემთ საშუალებას, მთავრობის ყველა უხიაგ კანონს, გადაწყვეტილებას, თავის ჭკუაზე თარგმნის, გამოასწორებს და აღსასრულებლად მოხერხებულს გახდის.

3865. დანაშაული არა მარტო ხდება, ვითარდება კიდეც, თუ მას დროული პროფილაქტიკით არ მოვგუდავთ.

3866. ყველა საკითხი შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით უნდა განვსაჯოთ და არა უსახო კანონით და მისი მხარდამჭერი კანონზომიერებით.

3867. მოსამართლე შეიძლება არ იყოს სიყვარულის ობიექტი, მაგრამ პატივისცემას იმსახურებდეს, თუ ის არ ეტმასნება „ძლიერთა ამა ქვეყნისას".

3868. ამბიციების მოთოკვა ადამიანის ცნობიერების ალტერნატივაა, რომელსაც გონზე დროულად მოსაყვანად კანონმდებლობის გარდაუვალი აღსრულების დამუქრება სჭირდება.

3869. სიმართლე და ტყუილი შეფარდებითია, გააჩნია, რომელი მხრიდან, ვინ შეხედავს და რამდენად კანონის მორჩილია.

3870. კანონი და საზოგადოების ცხოვრების წესი თანაბარშეწონილი, გასაშუალოებული უნდა იყოს, თუ გვინდა კანონიერებამ ყოველთვის და ყველგან იზეიმოს.
3871. კანონზე სამართლიანი ამქვეყნად არაფერი არ უნდა იყოს, ხოლო კანონიერება მის დაცვას და სამართლიან აღსრულებას რწმენით უნდა ემსახურებოდეს.
3872. სიავის და სიკეთის კეთება დაუწერელი კანონების და საზოგადოების დადგენილი ზომების ზევით ძალზე საშიშია.
3873. ქვეყნის მმართველი კანონის მონა არ უნდა იყოს, მაგრამ მის დარღვევასაც არ უნდა ცდილობდეს, რათა კანონის სამართლიანობაში ეჭვი არავის შეეპაროს.
3874. კანონი უნდა იყოს მოკლე, მარტივი, ერთსახა და საძრომიალო ხვრელებამოვსებული.
3875. სამართალი ინდივიდუალურია, ამიტომ მის მიმართ ყველანი ყურადღებით უნდა ვიყოთ.
3876. წესრიგი აღიარებას არ ნიშნავს, მაგრამ აღიარებას წესრიგის დამყარება შეუძლია.
3877. კონსტიტუცია ის საბუთია, რომელიც ადამიანს აძლევს შეცდომების და აღსარების, მორიდების და სიკეთის კეთების უფლებას კანონის და კანონიერების ფარგლებში.
3878. ძალაა სიმართლე, რომელსაც საბოლოოდ მაინც კანონი გადასწონის.
3879. კანონმდებელს შეიძლება რაღაცაზე ხელი წასცდეს, მაგრამ თავის გათახსირების უფლება არა აქვს, რადგან მის უკან გონიერება უნდა იდგეს და არა უსინდისობა, თორემ დასჯა არ ასცდება.
3880. კანონი და კაცობა იშვიათადაა პირდაპირპროპორციული, ხოლო სამყაროს და კაცობრიობას ყოველთვის უნდათ უკუპროპორციულნი იყვნენ ერთმანეთის მიმართ.
3881. ეპიდემიას და აჭრილ საზოგადოებას ლოკალიზაციის გზით შველიან და არა თვითეულს ცალ-ცალკე, ამიტომ გარკვეულ დრომდე საყოველთაო მკაცრი კანონების შემოღება და აღსრულებაა საჭირო, სადაც ნაბიჯი მარცხნივ, ნაბიჯი მარჯვნივ კანონით უნდა დაისაჯოს.
3882. ჭეშმარიტი კანონის გონიერება ის არის, რომ აღსრულებისას მის მოწინააღმდეგეთა ინტერესები არ ილახება.
3883. სამართალს და კანონს გამარჯვებულნი წერენ, სუსტები იცავენ, მოხერხებულნი მის დარღვევას ცდილობენ, ხოლო ძლიერნი მათ ასრულებენ, როდესაც კარიერის კიბეზე ფეხს წაიტეხენ.
3884. თუ კანონი აკრძალვას ან შელამაზებას მოითხოვს, მის საწყისზე ვერაფერი ღირსეული ვერ აშენდება, რადგან კანონი ერთმნიშვნელოვანია.
3885. არის კანონი, არის კანონიერი გარემო, სადაც საზოგადოების მართლწესრიგი ადამიანთა სინდის-ნამუსზეა დამოკიდებული და არა კანონის ძალაზე და შეუვალობაზე, რაც სახელს უტეხს კანონის უზენაესობას. მაგალითად: საზოგადოების საკუთრების შეძენა, გასხვისება ან მოქალაქეობის მიღება ქორწინების და სხვა კანონიერი საძრომიალოს დახმარებით.

3886. მამაკაცური გაგება პიროვნების ინტერესებს, ტრადიციებს იცავს, ხოლო კანონი მოქალაქის, ქვეყნის ინტერესებს. პირველი თავის გაგების და ჭკუის სწავლების დამკვიდრებას ცდილობს, მეორე – ერთმნიშვნელოვანი კანონის მრავალმნიშვნელოვან გაგებას და მორჩილებას.

3887. არაფერი აკეთო და ისე იცხოვრო კარგად, დანაშაულებრივი ბიზნესია, რადგან თქვენი წესიერება და კანონთან დამოკიდებულება განსასჯელი ხდება.

3888. კანონი დრომ უნდა წარმოშვას, ხოლო მისი ჩასახვა, დაორსულება, შობა, მაინც პიროვნების საქმეა და არა – ხალხის.

3889. კანონს, მანქანასავით თუ ყველა ჭანჭიკი მოჭერილი არა აქვს, ისე ვერ იკანონებს, ხოლო ჭანჭიკის მოშვების და დაკარგვის შემთხვევაში მას საძრომიალო ყოველთვის დარჩება, კანონიც სრულყოფილად ვერ იმუშავებს და სულ მარცხის წინაშე იქნება.

3890. კანონს ადამიანის დასჯის უფლება აქვს და არა – შეურაცხყოფის, მაგრამ თუ დასჯის შეღავათს ითვალისწინებს, მაშინ ეს უკანასკნელი წყენას არ იმჩნევს.

3891. ექიმობა დიდებული პროფესიაა: ქალს შინაურების თხოვნით ხელებს უფათურებს, ქმარი კი ჰონორარს უხდის. კბილის გადასაკრავი ოქროს მთელ საფასურს იღებს, ნახევარს კი აბრუნებს "კარონკის" სახით. ცოცხალ არსებას აბორტის დახმარებით სიცოცხლეს უსპობს, პასუხს კი არავინ სთხოვს. ეტყობა ეს ყველას კარზე მომდგარი პროფესია სამართლიანად არის ჩახუტებული მართლმსაჯულებასთან, თორემ რომელი კანონი აიტანდა ამდენ ხელის გარტყმას.

3892. ფეხბურთის თამაშის დროს ჩაგიტარეს ფინტი და უკანალით მოგსვეს, ხოლო თამაშის დროს შემთხვევით ხელით შეგეხნენ: პირველი შენი პროფესიონალიზმის შერცხვენაა, მაგრამ კანონიერია და ითმენ, ხოლო მეორე შენი პიროვნების შეურაცხყოფად გეჩვენება და ვერ ითმენ, რადგან უკანონობასთან გაქვს საქმე. ამრიგად, შეურაცხყოფა შეიძლება იყოს კანონიერი და უკანონო, დაუშვებელი და დაშვებული, მთავარია, საზოგადოება როგორ აღიქვამს კანონის აღსრულებას.

3893. კანონის სახელით არ არის საჭირო გამოვხატოთ, ვინმეს დავანახოთ სიბრიყვემდე მისული მისდამი რწმენა.

3894. თუ გინდა მართო და შეგრჩეს, კანონის პატივისცემაც უნდა შეგეძლოს, რათა სხვისი მმართველობის დროსაც კანონიერებამ იკანონოს.

3895. კანონის ცხოვრებაში დანერგვას სამი ძირითადი განზომილება აქვს: რამდენად სამართლიანია, რამდენად შესრულდება და რამდენად მომგებიანია და სამი გვერდითი: ვის ჭირდება მისი ასრულება, რა პოლიტიკა ტარდება სახელმწიფოში და ვინ მართავს ქვეყანას.

3896. პოლიცია თავისებური მასონური ლოჟაა, სადაც მხოლოდ ცნობისმოყვარენი მუშაობენ, რომლებიც ინტერესდებიან მოქალაქის ბიოგრაფიით, საქმიანობით. თუ გაუმართლათ და მოქალაქე მათთან მოხვდა, ფაქტსაც გამოძალავენ დაუწერელი კანონების ფარგლებში.

3897. ზოგიერთ ქვეყანაში ისეთი კანონები აქვთ, რომ სიმართლის მისაღწევად კუბოს კარამდე უნდა იწანწალო და იმქვეყნიდანაც მოსვენება არ მისცე.

3898. კანონი ხშირად არ ემთხვევა ხალხის აზრს და ეს სწორიცაა, რადგან ყველასთვის მისაღები და სამართლიანი კანონი არც დაწერილა და არც აღსრულებულა.

3899. თუ მკვლელი ერთს კლავს და სიკვდილით ისჯება, სახელმწიფო ქონების ქურდი მთელ ერს ნელი სიკვდილით ემუქრება, შიმშილიც ბევრს უღებს ბოლოს, მაგრამ კანონით პირველი მკვლელია, მეორე კი – დამნაშავე, არადა, პირიქით უნდა იყოს.

3900. კანონის მიღება და მისი შესრულება ტრადიციებზე, ხალხის ბუნებაზე და მის კულტურაზეა დამოკიდებული. ჩვენში თუ კანონებს ადვილად ვიღებთ, მის ასრულებაზე თავს არ ვიწუხებთ, ან შემოვლის გზებს ვეძებთ, რომელიც კანონის მიღების დროს სპეციალურად დავტოვეთ, მისი ავლის საშუალება რომ გვქონოდა. გერმანელი კანონს ძნელად იღებს, მაგრამ თუ მიიღო, მისი ასრულება გარანტირებულია. მიუხედავად სხვადასხვა ტრადიციებისა და მენტალიტეტისა, რატომღაც ეს ორი ერი შედარებით უკეთ უგებს ერთმანეთს.

3901. როდესაც დამნაშავის კეთილმოსურნენი მოსამართლესთან ტელეფონით საუბრობენ და წინასწარ ხვდებიან მას, ასეთი მოსამართლის პატიოსნებაში ეჭვი უნდა შეგეპაროთ.

3902. კანონს არ უნდა გადააბიჯოთ, მას შეიძლება შემოუაროთ, ორმო გაუთხაროთ, შიგ ჩააგდოთ კიდეც, მაგრამ როგორც სახელმწიფოს იმუნიტეტს და დანაშაულის პროფილაქტიკის ინსტიტუტს, პატივი უნდა ვცეთ.

3903. თანამდებობის პირისთვის უნდა არსებობდეს სასამართლოში ორი განზომილება: დამნაშავე, არ არის დამნაშავე და რჩება თანამდებობაზე, ან სამუდამო პატიმრობა. აქ მესამე განზომილება – გადაცდენა, თანამდებობიდან მოხსნა, მხედველობაში არ მიიღება. ასეთი სასამართლო პირობა საშუალებას მოგვცემდა, თანამდებობაზე სამშობლოს საუკეთესო მსახურნი მიგვეღო.

3904. მკვლელობის უფლების მისაკუთრება არავის აქვს, ის განსაკუთრებული ღონისძიებაა და საზოგადოებისთვის თავსმოხვეული პრეროგატივა.

3905. მომავალში, განყენებული თავისუფლების ნაცვლად, იქნება სინდისის თავისუფლება, რომელიც ყველას თავისი აქვს და მისი კორექტირება კანონების დახმარებით ყველა დროში გარდაუვალია.

3906. გადასახადების კანონი ყველასთვის ერთნაირი უნდა ჟღერდეს, ხოლო ბიუჯეტის შევსება ყველასათვის დედა, უნდა იყვეს და არა დედინაცვალი, მხოლოდ ამის შემდეგ იქმნება სახელმწიფო და ყალიბდება მისდამი პატივისცემა.

3907. განუსაზღვრელი არც სამართალი უნდა იყოს და არც უსამართლობა, თორემ შეუძლებელი გახდება მათში რაციონალური მარცვლის აღმოჩენა, რითაც ხალხის ფსიქიკა და კანონმდებლობა დაზარალდება.

3908. კანონიერების გასაძლიერებლად შეიძლებოდა ყველა შეცდომა სისხლით ჩამოგვერეცხა, მაგრამ ის ისეთ ცოდვის ტალღებად იქცეოდა, რომ სამყაროს წალეკავდა და კანონიც აღარ დაგვჭირდებოდა.

3909. ადამიანთა ურთიერთობას უნდა აწესრიგებდეს სისხლის ნათესაობაზე აგებული კანონი და კანონიერება, რომელიც მომავალი საუკუნეების ცივილიზაციამ არ უნდა გააუბრალოოს, რათა ქვეყანა არ დაჩაჩანაკდეს.

3910. კანონს იმიტომ კი არ იღებენ, რომ ყველასთვის ერთნაირად განსაჯონ, არამედ იმათთვისაც, ვისაც პატრონი ჰყავს, თავიანთთვის შეღავათები გაითამაშონ.
3911. კანონი რაც უფრო ტლანქია და პირდაპირი, უკეთ მუშაობს, რადგან მისი შემოვლა ძნელია.
3912. კანონი ყველასათვის ერთი უნდა იყოს და იქ ადამიანის სისუსტისათვის ადგილი არ უნდა დარჩეს.
3913. ზოგჯერ კანონით ცხოვრება არც მთავრობას აწყობს და არც ხალხს, რადგან მთავრობა ვერ იქურდებს, ხალხი კი ვერ იეშმაკებს. რა ქნან, ორივე თუ ასეთ ცხოვრებას არის მიჩვეული. ამიტომაც არ ენდობიან ერთმანეთს.
3914. ახლადგამოსული კანონის ცხოვრებაში გატარება უფრო ადვილია, ვიდრე ძველის. ძველს ობად ედება როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი განმარტებები, რომლებიც ამუხრუჭებენ მის განხორციელებას.
3915. კანონი და ცხოვრების პირობები ყველასათვის მისაღებია, მაგრამ მოსაწონი არ არის.
3916. კარგ კანონზე ამბობენ „მკაცრია, მაგრამ სამართლიანიაო",მაგრამ ხშირად ეს სამართლიანობა იწვევს ბევრ კამათს, რადგან ყველას ჩვენი სამართალი გვაქვს.
3917. კანონი არ შეიძლება იყოს ცუდი ან კარგი, ბლაგვი ან მახვილი, ველური ან მიუღებელი. ის ემსახურება საზოგადოებაში დანაშაულის პროფილაქტიკას და დასჯას. ის მორალური კოდექსია, რომელსაც ხალხი სცნობს, პატივს სცემს და ემორჩილება.
3918. კანონთან ვისაც თავისმართლება ხშირად უწევს, ის წმინდა წყლის დამლევად ვერ ჩაითვლება და უნდა ვერიდოთ.
3919. ქვეყანას, სადაც დიდსა და პატარას ქურდობისკენ უჭირავს თვალი, ესაჭიროება უხეში კანონები და მოწესრიგებული მმართველი.
3920. კანონი ყველას მეტნაკლებად იცავს, ვისაც მისი დაფინანსება შეუძლია.
3921. ბევრი შეძენილი ნაკლი აღმოაჩნდა ხალხის არჩეულებს და კანონის მიღებისას ცოტა თუ არ წაივაჭრეს, თავის იდეებს ვერ ჰყიდიან. რას იზამ, თუ პარლამენტი მათ აღმოსავლეთის ბაზარი ჰგონიათ და კანონები დახლზე გასაყიდად გამოფენილი საქონელი.
3922. დღეს ქურდული ტრადიციების გამგრძელებლები მხოლოდ ხაკერები არიან, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ ეშხისთვის სჩადიან კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი დღევანდელ დამნაშავეებს დაემსგავსებიან, სადაც ქურდი, ბანდიტი, რეკეტი, აგენტი, ციხეში ყველა არეულია და ყველა თავისი პრივილეგიებისთვის იბრძვის.
3923. მორალური შეურაცხყოფის ფაქტორი ძალიან უსულო ბრალდებაა, თუ ის ზარალის შეფასებით და მოსამართლის განჩინებით არ არის გამაგრებული.
3924. პოლიცია აუცილებელია, მაგრამ უმადური სამუშაოა, რადგან ის ვერ ახერხებს შესაბამისი ზღვარის დადებას ბანდიტიზმსა და მცირე გადაცდენას შორის, მითუმეტეს, თუ ფაქტზე არ წაასწარი, ყველა წესიერების განსახიერებაა.

3925. ჩვენი საზოგადოება იმ მრავალთავიან გველეშაპს ჰგავს, რომელსაც რამდენი თავიც არ უნდა წააჭრათ, მის ადგილზე ორი ამოდის, ამიტომ თავების მოჭრას კი არ უნდა ვცდილობდეთ, არამედ მის სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლოს მიკვლევას, რომელსაც კანონი, კანონიერება და სხვის საქმეში ჩაურევლობა ჰქვია.

3926. კონსტიტუცია მაღლა დგას ყველა კანონზე, დადგენილებაზე, ქარიშხალზე და გაკოტრებულ რევოლუციაზე.

3927. ცხოვრების როტაციის კანონია: სამსახურში ახალგაზრდა თანამშრომელმა უნდა შეგცვალოს, მაგრამ როგორც ცხოვრების გამოცდილ „საკვოიაჟს", ხელს არ გახლებენ ადრეული დამსახურებისთვის, თუმცა ამას აშკარად არ გაგრძნობინებენ.

3928. რა არის კარგი და ცუდი, რა არის კანონიერი და უკანონო, ეს დამოკიდებულია არა ტრადიციებზე, კანონზე, არამედ შექმნილ სიტუაციაზე. ის განსაზღვრავს მის ავკარგიანობას და სამართლიანობას.

3929. ერის, ენის, ტრადიციების გადაგვარება, გადასახადის გადაუხდელობა და სეპარატიზმი დანაშაულია, ეს არავის ეპატიება და მის აღსაკვეთად მორალის კანონის დარღვევაც კი ხმაურის გარეშე დასაშვებია.

3930. სულგრძელობა და სიბრიყვე, გულკეთილობა და გულუბრყვილობა სინონიმები არ არიან, მაგრამ მათი სული ერთმანეთთან ახლოს დგას, ამიტომ უპრიანია პიროვნების განსჯა საზოგადოებაში მიღებული კანონით მოხდეს და არა სიკეთის ხარჯზე.

3931. კანონი ბრბოს ზოგჯერ ჯოგად აქცევს, მაგრამ ზოგიერთისთვის ამ კანონებთან ზიარება ცხოვრების დასაწყისში აუცილებელია, რათა ის იქცეს სასარგებლო ადამიანად.

3932. ჩვენ ვეძებთ იმ სამართალს და სიმართლეს, რომელიც ჩვენ მოგვწონს და გვსიამოვნებს.

3933. სურვილი კანონზე მაღლა არასდროს არ უნდა დადგეს, რაც უნდა კარგი მიზნები ჰქონდეს დასახული.

3934. არის სათნოება, კულტურა, განათლება, რომელიც კანონის მორჩილთ ახასიათებს, მაგრამ ერთად ვერ სძლებენ და განცალკევებას მოითხოვს. ასეა ცხოვრების ფიზიკის კანონი - ორი დადებითი პოლუსი ერთმანეთისგან ცალკევდებიან.

3935. არის კანონი, არის მისი გეგმა, არის მისი რეალურად გამოყენების პირობა და არის აღსრულება, მაგრამ, ყოველივე ამას ახლავს ბევრი "მაგრამ" და ამიტომ უჭირს კანონს და კანონიერებას დღესასწაულის მოწყობა.

3936. თუ ხელქვეითი ერთგანზომილებიანი არ არის, ის მაინც მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე ეჭვმიტანილი.

3937. "გრინპისი" ისეთი მოხულიგნო ახალგაზრდებისგან შესდგება, რომლებიც ეკოლოგიის მტრებს პატივს არ სცემენ და კანონს არად დაგიდევენ, ხოლო კანონის დამცველნი სხვის დასანახავად მათ კანონით ებრძვიან, გულში მხარს უჭერენ და

შინაგანად მათ მხარეს დგანან, რადგან ისინი ცდილობენ მომავალ თაობას უფრო სუფთა სამყარო დაუტოვონ.

3938. „ძველი ბიჭების" გამართლება გადაგვარებულ სახელმწიფოში იმ მიზეზით შეიძლება, რომ ისინი კანონის დარღვევით ცდილობენ კანონიერების აღდგენას, რომელიც ქვეყნის მესვეურებს ფეხებზე ჰკიდიათ.

3939. ყველა წყობის დროს შეიძლება კარგად ცხოვრება, თუ კარგად შეისწავლი ამ სახელმწიფოს კანონებს და მისი ასრულების პრობლემებს.

3940. იუველირი, რომელსაც ოქროს მტვერითაც შეუძლია კარგად იცხოვროს, პროფესიას არ ღალატობს, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ კანონის და კრიმინალის ზღვარზე იმყოფება.

3941. დანაშაული თუ ნორმალური თაობის კვლავწარმოებას ეხება, ის ლმობიერ სასჯელს მოითხოვს და არა კანონს ამოფარებულ დასჯას.

3942. ერთგულება კანონზე მაღლა არ უნდა იდგეს, რადგან ჩვენ ქვეყანას ვემსახურებით და არა – პიროვნებას, მაგრამ პრაქტიკულად ჩვენი ქვეყნისადმი სამსახურის ნებართვა სწორედ პიროვნებაზეა დამოკიდებული.

3943. ყველაზე ნაკლების მკეთებელის ალიბია იმ მასალების მოძიება, რომელიც კანონმდებლობას ხელს უშლის საქმიანობაში.

3944. სულელებისათვის კანონი არ იწერება, მაგრამ კლინიკაში დაუწერელი კანონებია მათთვის დამტკიცებული.

3945. არის ძაღლისშვილის დანაშაული, რომელიც კანონიერად კეთდება და მორალთან არავითარი ურთიერთობა არა აქვს.

3946. ომი არის უსამართლობის სამართლიანად ქცევის მცდელობა, რომელსაც შედეგის მიხედვით აკანონებენ.

3947. პარკინსონის კანონს კომპეტენტურობა არ სჭირდება, რადგან დროის ძალაუფლება ძალზე ეცემა და ცოდნას, არცოდნას და არცოდვას ერთი ფასი ედება.

3948. ძალადობის დაუსჯელობა ანგრევს მსოფლიო წესრიგს, ბუნების კანონებს და ადამიანთა ურთიერთობის ჰარმონიას.

3949. მოთმინების კულტის დანერგვა ქვეყანაში, სახლში, სამსახურში, ქუჩაში, მისასალმებელია, მაგრამ დაუსჯელობის სიმპტომი აღმოცენდება და ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსება.

3950. საზოგადოება უნდა იმართებოდეს გულის, სიყვარულის, სიკეთის კარნახით, მაგრამ უნდა ცხოვრობდეს კანონისადმი პატივისცემით და ღირსების დაცვით.

3951. ზოგისთვის სიტყვა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე დამამტკიცებელი საბუთები და საქმე.

3952. სიმართლის ყველაზე დიდი მხარის დამჭერი ძალაა ან კანონი, რომელსაც ზეიმის უფლება მისცეს.

3953. არის ქმედება, რომელიც ნერვებს გიშლის, გეუხერხულება მისი მოსმენა და ყურება, მაგრამ კანონი და გონიერება მის მხარეზეა და საწინააღმდეგოდ ხმაც ვერ ამოგიღია.

3954. იმქვეყნად მშობელი უნდა წავიდეს თუ შვილი, ბუნების ჩარევის გარეშე, მისი კანონზომიერების დარღვევამდე მიგვიყვანს რომელიც არავეთარ კანონს არ ემორჩილება.

3955. შემთხვევა სამყაროს ყველაზე დიდი კანონიერი, სამართლიანი მოვლენაა, ბედი კი ყველაზე დიდი საოცრება, რომელთა ფენომენი ახსნას არ ექვემდებარება და არც კანონს ემორჩილება.

3956. სამართალი ყველას ჩვენი გვაქვს მანამ, სანამ თითს არ მოგვაკაკვინებენ და სიმართლეს არ გვაზიარებენ.

3957. ერთს კანონი და კანონიერება სხვისთვის სჭირდება, ხოლო მეორეს – გართობა, დროსტარება თავისთვის, ხოლო ყველაზე სამართლიანია ის, რომელიც ორთავეს თავის სასარგებლოდ უთავსებს.

3958. პოეზიას, მუსიკას, არ კლავენ, რადგან ცხოვრება ძალზე გამარტივდებოდა სიცოცხლე აზრს დაკარგავდა და კანონის კანონიერებაც არვის დასჭირდებოდა.

3959. მორალს კანონი არ აქვს, მორალი ღირსების, კაცობის პრეროგატივაა.

3960. უგვანო ქვეყანაში კანონის აღსრულებას ერთი ნაკლი სჭირს – მუხლების მიხედვით ფრჩხილებში უნდა ეწეროს იმ თანხის ოდენობა, რაც ამ კანონის აღსრულებას სჭირდება.

3961. ბუნებაზე დაკვირვების შედეგად შექმნილ ადათ-წესებს ჩვენს საუკუნეში ქარიშხლად მოვარდნილი ტექნიკური პროგრესიც ვერ ცვლის, რადგან თვით ბუნების კანონებია უცვლელი.

3962. სილამაზის ზეიმს მისი ფორტუნისთვის დამახასიათებელი „უნამუსობის კანონის" მწარე გემო არ უნდა დაკრავდეს.

3963. ბუნებას თავისი კანონები აქვს, ცხოვრებას თავისი გამოცდილება, მაგრამ მათ ერთმანეთზე დაკვირვების გარეშე ყოფნა არ შეუძლიათ.

3964. ყოვლისშემძლე პიროვნება კანონზე მაღლა არ უნდა დადგეს. ამით ორივე იგებს: ყოვლისშემძლე პატივისცემას იმსახურებს, ხოლო კანონის უზენაესობის შეგრძნება ცხოვრებას ალამაზებს და საინტერესოს ხდის.

3965. ბიუროკრატის წამალია: ქრთამი ან მკაცრი კანონი, რომელიც ყოველთვის ვერ ამართლებს. ამიტომაცაა, რომ ბიუროკრატის მძიმე ბორბალს გადასატრიალებლად ისევ ქრთამს აპოხინებენ.

3966. კანონი იმდენად ზნეობრივი და სუფთა უნდა იყოს, რომ ის ცაცია ხელს არ უნდა დავამკვიდრებინოთ, მაგრამ მართლმსაჯულებაში არც გამოუცდელი, წიგნით ნაჯახირევი კაცის საქმეა სამართლის წერა და განსჯა.

3967. დანაშაულს რომ ჩადიხარ, იმდენი სამხილი არ უნდა დატოვო, რომ წელში მოგხაროს და კანონის წინაშე ვერ გასწორდე. თუ ეს არ შეგიძლია, სჯობს შრომით მოხრილმა ჰაერზე წელში გამართულმა იარო.

3968. რადგან ქონება მისი გადანაწილებისას სამუდამოდ იკარგება, აქ ხელგაშლილობა, გადამეტებული გულკეთილობა და ამაღლებული გრძნობების გაფეტიშება, რომელიც მრავალფეროვანია, მოსატანი არ არის. აქ მთავარია კანონის და კანონიერების აღსრულებას წინ არ აღვუდგეთ.

3969. სამართლიანობით სარგებლობა ყველას ხვედრი არ არის, მას აღზრდა, თავისუფლების ჯანსაღი გაგება და გენი სჭირდება, ამიტომ მის აღდგენას ყოველთვის სარგებელი ვერ მოაქვს, ხოლო ავი კაცისთვის შეიძლება დამღუპველიც იყოს.

3970. რადგანაც სტერილურ გარემოში არ ვცხოვრობთ და არც კანონები გვაქვს დახვეწილი, დასაშვებია გვქონდეს საკუთარი სიმართლე, იმ პირობით, თუ შენც იგივეს დაიმსახურებდი, რისთვისაც სხვას დასჯი.

3971. სიმხდალე დანაშაულად არ ითვლება, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც ის არ უნდა ვაპატიოთ. კერძოდ, თუ საქმე საკაცობრიო საქმის მარაქაში და კანონების ორომტრიალში უნდა გავხვიოთ.

3972. ვისაც დრო არ ყოფნის კანონის დამცველთა რიგში ჩადგეს და ქუჩაში წესიერად იმოძრაოს, მას შანსი აქვს რიგგარეშე მოხვდეს პათანატომთან და თავზე საყრელი დრო ექნება სასაფლაოზე წამოსაწოლად.

3973. ცხოვრება თავისებური სამართლიანობის ატრაქციონია, გუშინ ქვეყნის თავში იჯექი და ყველა პატვის გცემდა, დღეს კი სარდაფში ხარ. ასე რომ სამართლიანობაც შეფარდებითი და შემთხვევითია და ვის სად წამოეწევა, არავინ უწყის.

3974. ჩვენ საკმაოდ კარგი წესები, ტრადიციები და კანონები გვაქვს, შემსრულებლები კი ყოველთვის ცუდი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვგონია.

3975. ტელევიზიის მიერ ჩვენთვის მიუღებელი გადაცემების გამუდმებული ჩვენება ძალადობის და გაუპატიურების ტოლფასია, ხოლო შედეგი, მოგვეწონება თუ არა, მეორე საკითხია, ამიტომაც კანონი უნდა კანონობდეს, ხოლო მოძალადე უნდა ისჯებოდეს, მაშინ გვექნება სამართლიანობაც და ყოფიერების ჰარმონიაც.

3976. გარემოს კანონებია ჩვენთვის მთავარი, თორემ დანარჩენი მოგონილია, უარყოფილია, მიუღებელია, გაწბილებულია. აი, რას გვაძლევს ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი ბუნების ძალებთან კავშირის გარეშე.

3977. შეიძლება „თითით საჩვენებელი" მოქალაქე ისიც იყოს, ვინც მკვლელობას ჩაიდენს, პოლიციაში დარეკავს და თავის დანაშაულს აღიარებს.

3978. მორალი და ბიზნესი ორი სხვადასხვა რამაა, რადგან ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს ცალ-ცალკე, ოღონდ სინდისიერად და კანონის ფარგლებში.

3979. ანდერძის დატოვებისას ნაწყენი რომ არ დარჩნენ, პირველ რიგში თავს უნდა ასიამოვნო და ქონება გაყოფილი დატოვო ტრადიციებზე დაყრდნობით ოღონდ კანონთან შეთანხმებით.

3980. იბადებიან გუგული მშობლები, რომლებსაც არ შეუძლიათ ნაშიერის აღზრდა, ამიტომ მათ უნდა დაეკისროთ ალიმენტის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ, ხოლო ამ უკანასკნელს ბავშვების, კანონის პატივისცემით აღზრდა.

3981. გენეტიკურად დანაშაულისკენ მიდრეკილების ხალხი უნდა „მივაბრძანოთ საიდაც ჯერარს", ხოლო მათ ამყოლ მასას საინტერესო სამუშაო შევთავაზოთ, ცხოვრების პირობები გავუუმჯობესოთ, რაიმე რწმენისკენ მიდრეკილება გაუღვივოთ და ამ პროფილაქტიკის ჩატარების შედეგად კანონის დამრღვევი და დასასჯელიც არავინ იქნება.

3982. ვიგინდარებად, ნაძირალებად არ ხდებიან, ისინი უბრალოდ იბადებიან, იზრდებიან, ვაჟკაცდებიან და ზიანს გვაყენებენ, იმიტომ, რომ ყველაფერი ბუნებას მივანდეთ, მოვაკელით ზრუნვა, აღზრდა, დროულად დასჯა და კანონისადმი პატივისცემის შეცნობა.

3983. როდესაც წყვილს ერთად სძინავს, აქ დამნაშავე შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონია, რადგან ნავთი რაც უნდა უხარისხო იყოს, მისი ცეცხლთან სიახლოვე დაუშვებელია.

3984. ცუდი იდეების ჩუქება საჭირო არ არის, რადგან მზაკვრობის "კანონის" თანახმად, ის აუცილებლივ განხორციელდება და დანაშაულის გადმობრალებასაც თქვენზე ეცდებიან.

3985. სიტუაციის შეფასება შეუძლებელია, თუ მოკვლეული მასალები არ არსებობს, რადგან მის გარეშე ვინმეს დასჯა და განსჯა, არა მარტო კანონის, არამედ ღმერთის წინაშეც დანაშაულია.

3986. დანაშაული ხანდაზმულობის ვადის გასვლით არ მთავრდება, ის მთელ ცხოვრებას დაღს ასვამს და გულში ყველა მზადაა წამოგაყვედროს.

3987. გამოუცდელობის ნაკლი ის არის, რომ აუცილებლობის გარეშე გამოწვეულ დანაშაულს დაუფიქრებლად ჩაიდენს და საშიშ დამნაშავედ მოგვევლინება, რაც მისი ცხოვრების ბედისწერა ხდება.

3988. აღიარებ დანაშაულს, შედარებით ნაკლებად დაგსჯიან, არ აღიარებ და შეიძლება არაფერიც არ მოგისაჯონ, აქ მთავარია, რა ცენზის მქონე გამომძიებელთან გვაქვს საქმე და ვის ინტერესებს ემსახურება.

3989. იმ დანაშაულის გამოვლინებაა ძნელი, რომელსაც ანგელოზი ჩადის, თორემ ვიგინდარების გამოჭერა პროფესიონალისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

3990. თუ წესების დაცვით ვიცხოვრებთ და კანონიერების დიეტასაც დავიცავთ, მაშინ კარგის და ცუდის გარჩევა კი გვეცოდინება, მაგრამ რეალური ცხოვრების შეცნობა გაგვიჭირდება.

3991. ჩხუბში დამნაშავე ყოველთვის ისაა, ვინც უფრო დიდია, ჭკვიანია, მოხერხებულია, რადგან მან თავისი ოპონენტი მოწინააღმდეგედ ვერ შეიცნო და აქ კანონი არაფერ შუაშია.

3992. ერთწამიან დანაშაულს გამოსასწორებლად მრავალი საუკუნე სჭირდება, ხოლო გამოსწორდება თუ არა, არავინ იცის.

3993. ზოგჯერ სამართალი საბოლოოდ პურს მაშინ ჭამს, როდესაც ცოცხალს ვეღარ რგებს, ხოლო საზოგადოებისათვის უკვე სულერთია.

3994. თანამდებობრივი და სამხედრო ფორმაში ჩადენილი დანაშაული გაცილებით მკაცრად უნდა ისჯებოდეს, რადგან მათ სახელმწიფო გაჰყავთ დანაშაულის თანამოზიარედ.

3995. დროა სამყაროში დამყარდეს იურიდიული მშვიდობა და გონიერი კანონების აღსრულება, ყოველგვარი დემაგოგიის და შებრალების გარეშე, თუ გვინდა სამყარო მუდმივი კრიზისებიდან ვიხსნათ.

3996. სახელმწიფოს შეუძლია დამნაშავეს შემწყნარებლურად მოექცეს, თუ ზარალი მას ადგება, მაგრამ პიროვნებისთვის მიყენებული დანაშაულისთვის სასამართლოს ლმობიერება დაუშვებელია.

3997. ცოდვა და დანაშაულია, კანონის წინაშეც როდესაც კარგად ცხოვრობ, ისე, რომ არ ცდილობ?!

3998. კაცობას და კანონს შეცდომა არ ეპატიებათ. პირველ შემთხვევაში, მეგობარს კარგავ, მეორე შემთხვევაში, დაუმსახურებლად ვირის აბანოს ხეხავ.

3999. პატიოსნებას და სიმართლის თქმას თავისი კანონიერ საზღვრები აქვს და ამ საზღვრების გადალახვა ხანდახან უმადურობას და სისულელეს უტოლდება.

4000. დაფარულ დიქტატურასთან გვაქვს საქმე, როდესაც მოსამართლე სამართლიანობას ისე „სამართლიანად" განსჯის, რომ დამნაშავეს ვერ აღმოაჩენს.

4001. შეიძლება დედამიწამ, მილიონი წლის განმავლობაში, რამდენჯერაც მიაღწია ცივილიზაციის უმაღლეს საფეხურს, იმდენჯერვე დაინგრა და კვლავ აღსდგა, რათა ადამიანისთვის საარსებო წიაღისეული დაეგროვებინა და გარემო პირობები აღედგინა, იმდენად უყაირათოდ ეპყრობა ადამიანი კანონით დაცულ ბუნების კანონებს.

4002. პიროვნების დეგრადირება, რაც უნდა მაღალ ფრაზებს იყოს ამოფარებული, კანონის წინაშე დანაშაულია: სხვის ომში საბრძოლველად წასვლა, სიყვარულის განზრახ ღალატი, ექსტრემალურ პირობებში ნებაყოფლობით დიდხანს ყოფნა და მრავალი სხვა.

4003. საბაზრო კრეტინიზმი და ქარის წისქვილებთან ბრძოლაა, როდესაც სულიერი ღირებულებებით ვაჭრობას, გადაფასებას, კონტროლს არავინ უწევს და კანონს კი მონაწილეობის მიღებაც არ სურს.

4004. კანონის ბადის ქსელში მუდამ ხოჭოები ებმებიან, ხოლო ქვეწარმავლები რაღაც საძრომიალოს ნახვას მაინც ახერხებენ და ამ ბადეში მოყოლილ წვრილფეხობას მუქთად მიირთმევენ.

4005. საკაცობრიო დანაშაულის საწყისი ზოგჯერ საყოფაცხოვრებო ცელქობაა, რომელიც მკაცრად უნდა დაისაჯოს, რადგან ის საზოგადოებას რყვნის. მაგალითად: ტელეფონი განდო და სალაპარაკოდ დაგითმო უცხო ხალხმა, თქვენ ბოროტად გამოიყენეთ და უნებართვოდ დარეკეთ საზღვარგარეთ, საუბრის ხარჯები კი პატრონს დააწერეთ. შედეგად ეჭვის ქვეშ დადგა სიკეთის კეთება, რომლის დამკვიდრებასაც ადამიანთა შორის საუკუნეები დასჭირდება.

4006. ქვეყანაში, ხალხი რომელიც სეზონური გამოფხიზლებისთვის არის გაჩენილი, კანონი ვერასოდეს იზეიმებს.

4007. ქურდსა და პოლიციას ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, ერთს უპასუხისმგებლო ხალხი არჩენს, მეორეს კი – უპასუხისმგებლო მთავრობა, ამიტომაც არის, რომ ჩვენ არც კრიმინალი გვაკლია და არც პოლიციის სიმრავლე.

4008. დანაშაული, რომელსაც სიკეთის მკეთებლის წინააღმდეგ ჩადიან, უდიდეს ცოდვად უნდა ჩაითვალოს და ამ არაკაცობის ჩამდენს მთელი კაცობრიობის წინაშე სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

4009. არის რაღაც წმინდა, ბუნების და კაცობრიობის გამოცდილებით შემოწმებული კანონები, რომელზეც აუგად ფიქრი კი არა, განსჯაც კი მკრეხელობაა.
4010. კანონი კანონია, მაგრამ ქვეყნის პრესტიჟი და სახელმწიფოებრიობა მის უმნიშვნელო დარღვევებს, თავის წარმოჩენას და ვინმეს ერთგულებას არ უნდა გადავაყოლოთ.
4011. ქცევის მოდელის დასამკვიდრებლად თავად იდეა უნდა იყოს ლამაზი, იმედის მომცემი, სამართლიანი, თუ გვინდა ხალხმა აიტაცოს, კანონით გაამაგროს და გაითავისოს.
4012. ცოდვას ადგენს ღირსების კანონები, რომელიც დროზე, საზოგადოების გონიერებაზე და ცხოვრების გამოცდილებაზეა დამყარებული.
4013. ყველა თაობა ცხოვრობს და იღუპება თავისი კანონით და სხვისთვის თავსატეხ ისტორიას ტოვებს.
4014. მართალია, დამნაშავეს კანონის რისხვის ეშინია, მაგრამ მას უპატივცემულოდ ეპყრობა, უდანაშაულო კი თავის ბედს უფრთხის და კანონსაც პატივს სცემს, თუმცა მასთან შეხვედრას ერიდება.
4015. კანონის უზენაესობის დაცვის აუცილებლობას საუკუნეების ჭიდილი სჭირდება და არა დღევანდელი სამშობლოსა და მოყვასისადმი გაუაზრებელი, დაუფიქრებელი, სიყვარული.
4016. გულუბრყვილობაში ბევრი დასანანი და გულამაჩუყებელია, მაგრამ ცხოვრება თავისი შეუვალი კანონების გამო, მას თამაშგარე მდგომარეობაში ტოვებს.
4017. სიბერე სიყვარულსაც აზროვნებად აქცევს კანონსაც მიუსადაგებს და ბუნების კანონზომიერების განუხრელ შეგუებაზე გადაჰყავს.
4018. სამართალს არ უნდა ჰყავდეს რჩეული, მაგრამ ამ პატივსაცემ და საჭირო ხალხს სად წაუხვალ და ისიც იძულებულია სამართლიანობა ითამაშოს, თუ უნდა შეხლა-შემოხლის გარეშე იცხოვროს და არა იარსებოს.
4019. ნამდვილი პოლიციელია ის, ვისაც ორჯერ მეტი სიყვარული და სიძულვილი შეუძლია კანონიერების ფარგლებში და დანაშაულის მიმართ გულგრილობის ჭია არ უჩნდება.
4020. კანონის აღსრულებას და სამართლის ძებნას მაშინ აქვს ფასი, თუ ის სოციალურ და ეკონომიურ ეფექტს იძლევა, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონის შესრულება თვით კანონს ემსახურება და არა საზოგადოებას და კანონიერებას.
4021. სიმართლის თქმით და გონიერი კანონების შემოღებით მთავრობა პირველ რიგში ხალხს სცემს პატივს, შემდეგ ქვეყნის ავტორიტეტს და მოხელის ამბიციებს.
4022. სახელის და ღირსების ფასი კანონით არც ისწავლება და არც განისაზღვრება, მაგრამ კანონის და კანონიერების ცოდნა პატივისცემას გაიძულებს.
4023. კანონია ის, რომელსაც ვერც შემოუვლი, ვერც შენს ჭკუაზე მოთარგმნი, ვერც გვერდს აუვლი ხოლო გადახტომაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრა მაინც ყველასთვის სამართლიანია და სათნო.
4024. ის კანონია კანონიერი, რომელთანაც შევაჭრება კი არა, მისი დარღვევა აზრადაც არავის მოსდის.

4025. კანონმდებელმა მთავარია ისეთი ჯარიმა, აკრძალვა, არ შემოიღოს, რომ კანონის და პოლიციის მცდელობას დასცინოს.
4026. ბრიყვი, უხეში, კანონები უკეთ მუშაობს, ვიდრე გონიერებასთან გაარშიყებული, რადგან პირველს ვერაფერში შეედავები, ხოლო მეორე სულ კონსენსუსის ძებნაშია.
4027. ბევრი კანონი ცოდავს და კანონმდებელი მიზეზთა გამო ცდება, მაგრამ ამის საყოველთაო აღიარება ქვეყანას უსუსურ ფესვებს გამოუჩენდა და გახმობის წინაშე დააყენებდა, ამიტომ კანონს უნდა მოვეფეროთ, თანდათან უცოდველი უნდა გავხადოთ. ამასობაში სხვა კანონმდებელიც მოვა, ქვეყანასაც ეშველება.
4028. სიტყვის თავისუფლება და ხმის დაყრა, ჭორების გავრცელება, სხვადასხვა რამაა და ეს უკანასკნელი კანონის წინაშე პასუხს მკაცრად აგებს წესიერ სახელმწიფოში.
4029. ყველა კანონს უნდა ჰონდეს თავისი ღირსება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დიდხანს ვერ იბოგინებს.
4030. ყველა კანონი უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ ცოტ-ცოტა დავარღვიოთ, შემოვუაროთ ზარალის მიუყენებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრება გაძნელდება და სიცოცხლე თავის ეშხს დაკარგავს.
4031. ერთი კანონის დარღვევა იწვევს მეორის გადაცდენას, თუ პირველი კანონისადმი უპატივცემულობა მეორე სარგებელთან მიახლოებული პატივისცემაა.
4032. კანონი მაშინ მზეობს, როდესაც ადამიანს კაცად აქცევს მისი სურვილის მიუხედავად.
4033. კანონის მთავარი ღირსება ის არის, რომ მას გაბაზრების უნარი დაუკარგოს.
4034. მართალია, სულელებისთვის კანონი არ იწერება, მაგრამ რაღაც კანონის მსგავსი შეზღუდვები და შეღავათები უნდა განისაზღვროს, რათა მათ გვერდზე მყოფი ობივატელისთვის მისი უფლებებიც გასაგები იყოს.
4035. არ იყიდება კეთილი სახელი, სული, სიყვარული, ბედნიერება, მაგრამ არსებობს მრავალი ხერხი მათი შესყიდვის, პრივატიზაციის, მითვისების. ასე რომ, ადამიანის ვირეშმაკი ბუნება კანონიერსაც და უკანონოსაც, თუ მოინდომებს, თავისად აქცევს.
4036. შეცდომის უფლება ყველას გვაქვს, მაგრამ მის ფასს საზოგადოება, კანონი და ჩვენი განვლილი გზა ადგენს.
4037. კანონი ყველასთვის კანონია, საზოგადოების აზრი ყოველთვის ცვალებადია, ხოლო ამ ორი მონსტრის არჩეულ ქვეყნის პირველ პირს აქვს უფლება კანონთან, აზრთან, სინდისთან თავის შეხედულებისამებრ ივაჭროს. ამას კი შეწყნარება, შებრალება და მოფერება ჰქვია.
4038. მართალია, კანონი სხვადასხვაა, მაგრამ დანაშაულის აღიარების და ჩვენების მიცემის გამოძიების მეთოდები ყველა სახელმწიფოში ერთია: ძალადობა და არა ძალისხმევა.
4039. კანონს ამბიციები არ უნდა ჰკვებავდეს, თორემ გათავხედდება, ღირსებას დაკარგავს და „გლახის ძღვნად" გადაიქცევა.

4040. ბანდიტი პოლიციელისგან იმით განსხვავდება, რომ პირველი თავის დაწერილი კანონებით მოქმედებს, ხოლო მეორე საზოგადოების შექმნილით და მისივე დავალებით. სხვა შემთხვევაში მათ შორის სხვაობის აღმოჩენა გაჭირდებოდა.

4041. არის ქმედება, რომლისთვისაც არავინ ისჯება, რადგან კანონმდებელმა ამ კანონის საჭიროება თავის დროზე ვერ დაინახა, რადგან მას თავისი ქვეყნის მოქალაქენი ამდენად გადაგვარებული არ ეჩვენებოდა.

4042. ყველა სახის გულგრილობა კანონით რომ ისჯებოდეს, საზოგადოება ბევრ უგვანო დანაშაულს და მათ შორის, მოხელეთა ალიბით გამაგრებულ ბიუროკრატიზმსაც თავიდან აიცილებდა.

4043. კანონის სამართლიანობას სამართლის ბაზა, მოქალაქეთა ნდობა და მისი აღსრულების სურვილი განსაზღვრავს და არა კანონმდებლის მონდომება.

4044. არის დანაშაული, რომლის ჩამდენი ადამიანად არ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ საზოგადოება ვალდებულია მისი დასაცავი გარემობანი ეძიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ქვეყანას კანონის პატივისმცემელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება გაუჭირდება.

4045. ხშირად სიმართლეს ყველაზე მეტად ისინი მალავენ, ვისაც ყველაზე ნაკლებ აწყობს მისი დაფარვა, რადგან ის ცხოვრების ავ-კარგში ვერ გარკვეულა.

4046. შურისძიება მაშინ გამოცოცხლდება, თუ კანონი არ მოქმედებს და მიძინებულია.

4047. სიმართლე კანონიერი და გასატარები უნდა იყოს ამ საზოგადოებისათვის სადაც ის მოქმედებს და არა იმათვის ვინც ძლიერი და კანონმდებელია.

4048. კანონის უპატივცემულობისთვის პასუხი ხალხს უნდა მოვთხოვოთ და არა მმართველ ელიტას, რომელიც მასამ თავის უპასუხისმგებლობის და გულგრილობის გამო თავზე წამოისვა.

4049. მკაცრი ან ლოიალური კანონი ყოველთვის სამართლიანი ვერ იქნება, თუ ვირის აბანოში განწესების სამართლიანობა და ვადა თვით მსჯავრდებულმა შინაგანად არ გაითავისა.

4050. სამართლიანი მოსამართლე უნდა იყოს და არა კანონი, რომელიც მხოლოდ ხელსაწყოა, ხოლო მის მორგებასა და განჩინების გამოტანაში გონებასთან ერთად გულის სიმებიც უნდა ერეოდეს.

4051. თავისუფალი აზროვნების გამოსავალი კონსტიტუცია, კანონი და საქმის კეთებაა.

4052. ჯუნგლის კანონი მაშინ ყივის, როდესაც ძლიერებას და შეძლებას გრძნობ და აქ მშვიდობის ღაღადი და გონიერების ნაღვაწი არ ჭრის.

4053. ყველაზე მეტად ის მთავრობაა დასასჯელი, რომელიც წესიერ კაცს აიძულებს სამართალი კრიმინალურ სამყაროში ეძიოს.

4054. სამართალი და კანონი ხშირად ერთმანეთს არ ეხმატკბილება, მაგარმ მათ აერთიანებს საქმის მისახვედრად გადაჭრა, როცა სამართალიც კმაყოფილია და კანონიც, რადგან პირველი ტრადიციების ამბიციებს აკმაყოფილებს, ხოლო მეორეს განსასჯელიც არაფერი რჩება.

4055. გედების ფერმის გაშენება კი არ არის დანაშაული, არამედ ის, რომ მას სილამაზის, აღმაფრენის საწყისის დაკვლა და მის მიმრთმევთ მომრავლება შეუძლია.
4056. ფორმალიზმი იცავს ადამიანებს გათავხედებული ძალაუფლებისგან, ხოლო ძირს უთხრის ქვეყანაში წესრიგის რეალურ და დროულ დამყარებას და კანონის ძალის ჩვენებას.
4057. მთავარი დამნაშავე და დანაშაული კი არ არის, არამედ ინტერესები, როგორ წამოაჩენენ და რა კანონიერების გარნირს შემოუწყობენ.
4058. კოროზიული (საძრომიალო იგულისხმება) კანონის მიღებას, მისი უგულებელყოფა სჯობს, რადგან სამართალს და სამართლიანობას ძალა ეცლება.
4059. ზოგს უშინაარსო სიცოცხლე ურჩევნია შინაარსიან ცხოვრებას, ოღონდ კანონი, კანონიერება და ტრადიციები არ დაირღვეს.
4060. ღმერთის რისხვა, მისი გულმოწყალე ბუნების გამო, იმდენად საშიში არ არის, რამდენადაც ძალაუფლება, რომელსაც კანონი და კანონიერება სხვის დასასჯელად და გამორჩენისთვის უნდა და მამაზეციერივით კეთილი გულმავიწყობით არ გამოირჩევა.
4061. პირველ რიგში ნაქურდალის ხელის დამცლელი უნდა დაისაჯოს ქურდზე მკაცრად, თუ გვინდა ამ ხელობას ბაზისი გამოვაცალოთ.
4062. ამბობენ, მორალი გამოგონებული სიავეა, ხოლო კანონი და კანონიერება ცხოვრებით გამოწვეული უხამსობა, მაგრამ მათ გარეშე ცხოვრება გაჭირდებოდა და მათს აუცილებლობას უნდა შევეჩვიოთ.
4063. კანონს მექრთამეობისკენ მიდრეკილება არ უნდა ჰქონდეს, ის მიუდგომელი საზღვრებით უნდა იყოს შემოსაზღვრული და ძალზე ნაკლები საძრომიალოთი.
4064. კანონით და კანონიერებით ქვეყნის მართვა იმ რთული კონსტრუქციის მანქანას მოგვაგონებს, რომელსაც ერთი ჭანჭიკიც რომ აკლდეს, ნავარაუდევ სიჩქარეს ვერ განავითარებს, ხოლო პოხის უქონლობის შემთხვევაში ბიჯის წინ წადგმა გაუჭირდება.
4065. უაზროდ ფაქტების წარმოჩენა სიბრიყვეა, რადგან მას არც ალიბი აქვს და არც გამართლება და კვლავ კანონი ავნებს რაიმეს.
4066. თანამდებობას, კანონმდებლობისგან განსხვავებით, სხვა შესაძლებლობა, ხიბლი და საშუალებები აქვს კანონის გვერდის ასავლელად, ხოლო კანონმდებლობა თანამდებობის სურვილს ყოველთვის გვერდს ვერ აუვლის, ამიტომ თანამდებობა უხეში კანონებით უნდა დაიბორკოს ყოველგვარი საძრომიალოს გარეშე.
4067. მოვალეობას უნდა ვასრულებდეთ და არ უნდა ვაჭარბებდეთ, რადგან კანონი და კანონიერება ამ სასიკეთოდ გათვლილ მცდელობით, საბოლაოდ ზარალდება და მომდევნო თაობას საფრთხე ემუქრება.
4068. სხვადასხვა ინტერესი და პროფესია ერთსა და იმავე სიმართლეს შესაბამისად აღიქვამს და ისე წარმოაჩენს, თავზე ვის როგორი წარმოდგენა აქვს და როგორ მოსწონს სიმართლის ვირი.
4069. საწყენია, როდესაც ბრიყვები არ ისჯებიან კანონით, რადგან მათ გაცილებით მეტი ზარალი მოაქვთ, ვიდრე ვიგინდარებს.

4070. ეჭვიანობა არის ეჭვმიტანილი ფაქტების გამომზეურების მცდელობა, რათა საქმე განსჯამდე მივიდეს.
4071. სიმართლე და სამართლიანობა გვიყვარს სხვაში, ხოლო საკუთარი ალალმართლობის დასამტკიცებლად ალიბის ალიბს მოვიშველიებთ.
4072. პრეზიდენტის თხოვნა, მართალია, კანონზე მაღლა არ დგას და არც კანონია, მაგრამ ის კანონზე უკეთ სრულდება.
4073. ბერძნებს სახელმწიფო კანონებს სოლონი უწერდა, ხოლო ჩვენს კანონებს მომხვეჭელი სახელმწიფო ქურდები და ავანტურისტები წერენ.
4074. ბრძანებით, კანონით არ შეიძლება სამუდამოდ იმის აკრძალვა, რაც ცხოვრებით აპრობირებულ – შემოწმებულია, რადგან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ „სანთელ-საკმეველი თავის გზას მაინც არ დაკარგავს".
4075. პოლიციის ვალია ნაგვის მოშორება, ვექილისა - ამ ნაგვის ქექვა, პროკურორის ვალია განსაზღვროს ნაგვის სიმყრალე, ხოლო მოსამართლის - რამდენად მისაღებია ამ ნაგვის სუნის სუნთქვა-მოთმენა.
4076. კანონის კანონიერი გზით შემოვლა დიდი ხელოვნებაა, მაგრამ მასზე გადაბიჯება დანაშაულია, პირველ რიგში, საკუთარი თავის წინაშე, რადგან უკადრებელი იკადრე და სხვასაც აკადრე.
4077. აკრძალვა და ნებართვის გაცემა კანონის სინონიმებია, მაგრამ დიდი საშუალებაა ქრთამის ასაღებად.
4078. ეთიკის და მორალის დაცვა აუცილებელია, მაგრამ მართვის საქმეში თუ სახელმწიფო ეფექტურობით ვერ გამოირჩევა, ის იძულებულია კანონი გაამკაცროს, უხეში გახადოს.
4079. არის ხალხი, არის პროტესტი, პირველი კანონს ემორჩილება, პატივს სცემს, მეორემ კანონი თავისი გაგებით, თავისივე სასარგებლოდ უნდა მოიხმაროს. თუ კანონს პატივს არ ვცემთ, მან უნდა გვაიძულოს ვიცხოვროთ სინდისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ბორდელს დაემსგავსება.
4080. კანონმდებლობაში ისეთი საძრომიალო არ უნდა დავტოვოთ, რომ ადამიანს ჭკუა გადაუტრიალდეს და ძრომიალის ხასიათზე დადგეს.
4081. პოლიციაში ბევრი კარგი ხალხი მსახურობს, რომლებსაც გარკვეული თანხის საფასურად შეუძლიათ „სამართლიანად" მოგვემსახურონ და ამაში დამნაშავეა მათი შრომის დაუფასებლობა – დაბალი ხელფასი.
4082. არის კანონი, რომელიც ზოიერთ დანაშაულს, უსამართლობას უნდა შეურიგდეს თუ მისი გამოვლენა არ ხერხდება და დიდ ზარალს არ გვაყენებს. მაგ. მეტროში ერთი მგზავრისთვის ნაყიდი ბილეთით შეგიძლიათ მთელი დღე ისეირნოთ.
4083. კანონით შეიძლება ყველაფერი რიგზე იყოს, მაგრამ ადამიანობაში შეგვეშალოს, თუმცა, დრო-ჟამისთვის ეს უკანასკნელი ნაკლებ საინტერესოა.
4084. დემაგოგიური სიმართლეა – როდესაც გარემოების გაუთვალისწინებლად გამოგვაქვს კანონიერი, მაგრამ ცხოვრებისთვის მიუღებელი მცდარი გადაწყვეტილება.

4085. ბრძანება, კანონი ორაზროვანი არ უნდა იყოს, მას არ უნდა ამშვენებდეს ძახილის და კითხვის ნიშანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეშევრდომნი მას ისე გამოიყენებენ, როგორც მოეხასიათებათ.

4086. მუშაობისგან განსხვავებით, ალიბს, რომ არ იმუშაოს, ყველა გამონახავს და მაინც, კანონმდებელი ადამიანის საქმიანობას უნდა აწესრიგებდეს, რადგან ადამიანის რაობა აღზრდა-დასაქმების გარეშე შეუძლებელია.

4087. კანონის კანონიერი გზით შემოვლა დიდი ხელოვნებაა, მაგრამ მასზე გადაბიჯება დანაშაულია, პირველ რიგში, საკუთარი თავის წინაშე, რადგან უკადრებელი იკადრე და სხვასაც აკადრე.

4088. აკრძალვა და ნებართვის გაცემა კანონის სინონიმებია, მაგრამ დიდი საშუალებაა ქრთამის ასაღებად.

4089. კაცობას და კანონს სხვადასხვა განმსაზღვრელი პარამეტრები აქვთ, მაგრამ ისინი მაინც ტყუპისცალები არიან და ვერცერთის პატიებას ვერ დაიმსახურებს.

4090. დამოუკიდებელი და გამაძღარი სასამართლო შეუვალია, მაგრამ თუ ამას მისდამი სიყვარული და პატივისცემა ემატება, მაშინ ამ ქვეყანაში სამართლიანობას წინ ვერაფერი აღუდგება.

4091. პოლიცია საზოგადოებაში ხშირად მენაგვის როლს ასრულებს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ცხვირზე ხელის აფარებით არ უნდა იძახოს – ფუ, რა ცუდი სუნი ასდისო, ვინაიდან ეს ნაგავი მისივე დაყრილია.

4092. კანონის დარღვევა კეთილი საქმეებისათვისაა დასაშვები და არავითარ შემთხვევაში, ეგრეთწოდებული "სახელმწიფო ინტერესებისთვის".

4093. კანონიდან ჯგუფურად გადაცდენის დროს ნაშოვარი იყოფა, ხოლო სასჯელი კი თითოეულისთვის მატულობს, კარგი იქნებოდა პატიმართა დასჯა აქაც ნაშოვარივით გადანაწილებულიყო, მაგრამ საშიში არაფერია, ჩვენთან კოლექტიური ქურდობა არ ისჯება.

4094. თავისუფლებასა და თავხედობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი დაწერილ კანონებს ემორჩილება, მეორე – დაუწერელს.

4095. წესით, კანონმა ბრბოს უმრავლესობის მხარდაჭერით უნდა იზეიმოს, ეს კი ყოველთვის არ არის სამართლიანი, ამიტომ ამ კანონის სიცოცხლისუნარიანობა მაინც მოხერხებულთა და დიპლომატთა ხელით მოითარგმნება.

კულტურა, ხელოვნება

4096. თეატრი – ფანატიზმია, პიესა–ლიტერატურა, სპექტაკლი – რეჟისორია, მაყურებელი – განტევების ვაცია, რომელიც ვალდებულია ხელოვნების თავისებურ მაფიოზებს ანგარიში გაუწიოს და წარმოდგენებზე იაროს, რადგან სხვადასხვა ნიღბის მოყვარული ავანტურისტების ნაცოდვილარით ხანდახან ისიამოვნოს, აღფრთოვანდეს და იამაყოს კიდეც.

4097. ხელოვნების, იდეოლოგიის, მსახურნი პირად ურთიერთობაში არასდროს ავლენენ იმ ხასიათს, როგორიც წარმოგვედგინა, რადგან მათ თავიანთ იდუმალ სულიერ მუზასთან ჭუკჭუკი უფრო ეხალისებათ და სიამოვნებთ, ვიდრე იმათთან, ვინც ისინი კერპად აქცია.

4098. გაწონასწორებული, სუფთა ხელოვნება აგვამაღლებს, მისი დანახვა გვთრგუნავს, სამყაროს გვიცისკროვნებს, სიცოცხლეს გვანდომებს, სიხალისეს გვჩუქნის, ხოლო ვინც ამას ვერ გრძნობს და არ განიცდის, ის ამეტებს თავის ხელოვნებას და მისგან ღირსეული პიროვნების მიღება გამორიცხულია.

4099. ერის კულტურას პროპაგანდა სხვისმა შვილებმა უნდა გაუკეთონ, ხოლო წარმოდგენით მისმა შვილებმა უნდა წარმოადგინონ, რადგან სხვა, მისდა უნებურად, თავისი კულტურის ნოტებს გაურევს, სხვა ინტონაციას და ჟღერადობას მიანიჭებს და შეუმჩნევლად თავისებურ პეწს დაუკარგავს ერს, რომელსაც თავის წარმოჩენის ასეთი იმედი ჰქონდა.

4100. ხანდახან უდიდეს გარეგნულ წესიერებაში, უდიდეს ადამიანურ კულტურაში ერის არსებობისადმი უდიდესი უკულტურო დამოკიდებულებაა დაბუდებული, რომელიც მას გადაგვარებით და გაქრობით ემუქრება.

4101. კულტურას ხელეწიფება: ეკონომიკის, მრეწველობის, ადამიანის სულის გადარჩენა.

4102. კულტურა შეიძლება იყოს: მოვალეობის გრძნობის, შინაგანი ღირსების, სიკეთის კეთების და რაც მთავარია, იმის არ დავიწყება, რომ ადამიანი ხარ.

4103. კულტურის მებაღეობა ყოველთვის არსებობდა მოგზაურობის, მიწერ-მოწერის, ურთიერთმხარდაჭერის გზავნილების ხარჯზე, რაც ქვეყნის აყვავების ბაზისია.

4104. ყველა დროს თავისი ამღვრეული ხელოვნება სჭირდება თავისი დაწმენდით, დაღვინებით, ფანებით და მაყურებლით, მანამ მომდევნო თაობა თავის ასამღვრევ ხელოვნებას არ გამოთხრის.

4105. ხელოვნებასთან ზიარება ემოციების დაოკება და ადამიანთან ურთიერთობის დამყარების საწინდარია.

4106. ხელოვანი უნდა ცდილობდეს ორი შეურწყმელის, ცის და დედამიწის, შეერთებას, თუ უნდა აღიარება მოიპოვოს. თუ მოახერხებს, უკვდავება გარანტირებული აქვს.

4107. ყველა საუკუნის ხელოვნების ვალია დათრგუნოს ქვენა გრძნობები, გამოავლინოს სიმამაცის, სათნოების, სიკეთის გზა. აქედან რა გამოვიდა და რაც გამოვა, მომავალი თაობის, მათთვის გასაგები პოსტულატების თავის გემოვნების კოქტეილში გადახარშვით მიღებული ხელოვნება იქნება.

4108. ყველა კულტურა ცდილობს თავი გადაირჩინოს იმ ბაკქანალიიდან, რომელიც მის ქვეყანას რატომღაც პერიოდულად ეწვევა ხოლმე, გარკვეული წლების როტაციის შემდეგ.

4109. ძირძველ კულტურულ გარემოსთან ურთიერთობის გაწყვეტა უნდა შემცირდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მის აღუდგენლად ქვეყნის ფეხზე წამოდგომაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ხალხის ერთ მუჭად შეკვრა და პატრიოტული გრძნობების გაღვივება შეუძლებელი ხდება.

4110. ხელოვნება იმედის ისეთი შანსია, რომელიც გეხმარება შენი ოცნებით ყველა დააჯერო, რომ ისინი პრინცები და პრინცესები გახდებიან და ერთმანეთს შეხვდებიან. ეს ის კეთილი მატყუარაა, რომლის დახმარებითაც სხვის ცხოვრებაში ვიჭრებით და ვაკეთილშობილებთ.

4111. თეატრი პატარა სახელმწიფოა სახელმწიფოში, თავისი პრინცესებით და პრინცებით, სადაც დაფინანსება მეორე ადგილზეა, აპლოდისმენტები კი – პირველზე.

4112. კლასიკა იმითაც არის მომხიბვლელი და მომგებიანი, რომ ყველა დროს და დიქტატს ერგება და მოურიდებლად აკრიტიკებს.

4113. შემოქმედი ყველაზე ბედნიერი მშიერი არსებაა, რომელიც თავისი შემოქმედებით ნაყრდება, ხოლო ხორციელ შიმშილობას მისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ეს მხოლოდ მისი ფიზიკური არსებობისთვის არის საჭირო.

4114. ხელოვნებისკენ ლტოლვა, ფუჭ, მოჭარბებულ, სექსუალურ ენერგიას მოთხოვს, რომლის დახარჯვა მისი მფლობელისთვის აუცილებელია, რადგან ის რეალურ სასიყვარულო ურთიერთობაში ყოველთვის არ გადაიზრდება.

4115. ყველა ხელოვნების საშო ხალხურია, მაგრამ შემქმნელი და მშობელი ყავს სხვადასხვა.

4116. ოპერა ვოკალების ომია, სადაც დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს მომღერლებში თავის წარმოსაჩენად.

4117. რატომღაც გამოცდილი რეჟისორები კლასიკაზე ძალადობენ, აბახებენ და თან ტაშის დაკვრას, აღიარებას, ხატად დარჩენას ლამობენ. ეტყობა ასაკის მატება მათზედაც მოქმედებს და ახალ ნაწარმოებს ან ვერ იგებენ, ან ვერ ბედავენ დადგან ისე, რომ თანამედროვეებმა გაიგონ.

4118. ხელოვნებაა, როდესაც ფრაზებს, მუსიკას, სიმღერას, ფერწერას, ხალხი გაითავისებს.

4119. დღეს ახალი „შექსპირების" გაგონება თეატრში არავის სურს, რადგან რეჟისორებს ძველთან აქვთ ანგარიში გასასწორებელი, რათა ის თავის ჭკუაზე მოიყვანონ და დროებით მაინც ხელოვნების ოლიმპზე აღმოჩნდნენ.

4120. ჭეშმარიტი შემოქმედი მაინც თავისი დროის შვილია და ხანდახან თანამედროვეთათვისაც გაუგებარი, მაგრამ მომდევნო თაობებისთვის მარად მისაღები და გასაგები.

4121. ხელოვნებაში ყველაფერი ნარკოტიკია, რაც მაყურებელს აღაგზნებს, აბრუებს, აღაფრთოვანებს, მაგრამ გამოზომილ დოზებში, რათა მისი მოთხოვნილება აუცილებლობაში თუ გადაგვეზარდება, ცხოვრება სასიამოვნოდ გაჭირდება.

4122. ხელოვნება, ანბანის და ენის შემდეგ, ეროვნების მთავარი დამცავი მექანიზმია.

4123. კულტურა არ შეიძლება უსახური, უგემოვნო, გაუგებარი იყოს. თუ მას ყურადღებით, გულის ჩვენებით, სათუთად მოვეპყრობით, მაშინ მისი სიმების გაუგებარ ჰანგებს ჩვენი გონებაც ჩაწვდება.

4124. ტრადიციებდაკარგული და დრომოჭმული კულტურა დროულად უნდა იქნეს დავიწყებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაცინვის და გაუგებრობის საგანი ხდება.

4125. ყველა ფესტივალი, კონფერენცია, კონგრესი არის ამ დარგის ვარსკვლავების ინვენტარიზაცია ხელოვნებაში, მეცნიერებაში, საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

4126. შექსპირის პიესების სანახავად მაყურებელი უნდა მომწიფდეს და არა – რეჟისორის ამბიციები.

4127. ხელოვნებისათვის ასაკი არ არსებობს და არა ხელოვანისათვის.

4128. მხატვრის ნამუშევარს ისინი ეთაყვანებიან, ვისაც ხელი მოცარული აქვს, ხოლო ხელგამართულები მას ყიდულობენ.

4129. რეალობაში რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი გონებისათვის იმაზე მეტი სიამოვნების მომნიჭებელი არ არის, ვიდრე თეატრი და ხალხური შემოქმედება.

4130. არის მხატვრის ნამუშევარი, რომელსაც არავითარი მხატვრული ღირებულება არ გააჩნია, გარდა მყიდველის უგემოვნო ფანტაზიისა და აჩემებისა.

4131. კრიტიკა ხელოვნების სადარაჯო ძაღლია, რომელშიც ბევრი უჯიშოც გამოერევა, მაგრამ ხელოვნებას მათ გარეშე გაუჭირდებოდა.

4132. მათემატიკა თავისებური ხელოვნებაა, რომელსაც ბევრად ნაკლები შემფასებელი, მაგრამ უამრავი დამფასებელი ჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების ეს სახე ბევრისთვის გაუგებარია.

4133. მუსიკა უფრო აერთიანებს სხვადასხვა ეროვნების ხალხს, ვიდრე მწერლობა, რადგან პირველს დამწერლობა და სასმენი აპარატი ერთი აქვს, ხოლო მეორეს ენაც სხვა აქვს და დამწერლობაც.

4134. ინტონაცია ყველა ენის თავისებური მუსიკაა, ხოლო მეტყველება ამ მუსიკის ორანჟირებაა.

4135. აღსარების თქმა პირველ რიგში ხელოვნებაშია აუცილებელი და არა ეკლესიაში, რადგან მის გარეშე არაფერი ღირსშესანიშნავი არ შეიქმნება.

4136. ყველა რეჟისორს ჰამლეტი ელანდება და სულ იმის ცდაშია, თავისებურად გადააკეთოს, გარდასახოს.
4137. ხელოვნებას თავისი ღირსება აქვს, საზოგადოებას – თავისი, მაგრამ ღირებულებების გარეშე ორივე ფარსია.
4138. სინამდვილე არა მარტო მისი შემქმნელ-შემოქმედია, არამედ ხელოვნებას მაყურებელიც ქმნის თავისი შეფასებით.
4139. ხშირად ერთმანეთს თანაუგრძნობს ორი შემოქმედის საქმიანობა, მაგრამ არა მათი განსხვავებული ხასიათი.
4140. კომიკოსის დანიშნულებაა ხალხში იუმორით გაინავარდოს და შეურაცხყოფის მიუყენებლად იხულიგნოს.
4141. მუსიკის და ღმერთების ენა ერთეულების ხვედრია, ხოლო ამეტყველება, შეგრძნება ყველას საკუთრებაა და ყველა თავისებურად ახერხებს.
4142. ხელოვნებას აქვს თავისი სული, რომლის გაგება ყველა სულიერის ხვედრი არ არის.
4143. ხელოვნება იბადება, იღვწის შემოქმედის ნიჭით და შურიანობით კვდება.
4144. ხელოვნება ჭეშმარიტია, თუ მას დროის აპრობაცია გამოვლილი აქვს.
4145. ტალანტი, ნიჭი, აღიარების და რეკლამის გარეშე ხელოვნებაში იჩაგრება.
4146. რა არის ტელე-სერიალებში ცუდი – ხალხს ათაყვანებს. რა არის კარგი – გიჟის პერანგს გადააცმევს და სულს უმშვიდებს.
4147. ხშირად დიდი ხელოვნება სულით დაავადებულთა და ჭკუანაღრძობი ხალხის ხელშია ჩავარდნილი, რომელთა დაავადებას ვერც თვალი ამჩნევს და ვერც ხალხი ხედავს, რადგან ამ უკანასკნელს მათი ქმედება ამხიარულებს და აოცებს, რადგან თავადაც არ სურს ყოველთვის დალაგებულ და სრულ ჭკუაზე იყოს.
4148. ხელოვნებაც თავისი დროის, მსოფლმხედველობის, საზოგადოების, პოლიტიკის და ეკონომიკის შვილია.
4149. უღირსი შემოქმედება არ არსებობს, არსებობს მისი ცუდი გამგები და აღმქმელი, ყოველ შემთხვევაში მის შემქმნელს, წარმომდგენს ასე ჰგონია.
4150. ხელოვნება ის ერთადერთი სფეროა, რომელზეც, თუ შეგიძლია, ხელი უნდა აიღო, რადგან მისი და შენი წარმოჩენა გაწბილებაზე, ნერვების წყვეტაზე, გამართლებაზე და კიდევ რაღაცაზეა დამოკიდებული, რომელიც არავინ იცის.
4151. რ. სტურუას სპექტაკლები მოგვაგონებს უხვად გაწყობილ დღევანდელ ქართულ სუფრას, რომელზეც ყველაფერი თავსაყრელი, მომხიბვლელი, გემრიელია, მაგრამ ღვინოა უვარგისი. ან, მისი სპექტაკლების რეჟისურა, მხატვრობა, მუსიკა დიდებულია, მაგრამ პიესაა სუსტი და გაუგებარი, არადა, ამ პიესის ავტორი შექსპირია.
4152. კულტურა გარკვეული დროით შეიძლება დავასახიჩროთ, დავივიწყოთ, მაგრამ ერი მის გადაშენებას არ დაუშვებს და ყოველივე აღსდგება.
4153. ხელოვნებაა ის, რაც დანახვისთანავე აგაღელვებთ, ხოლო მისი აღქმის და განსჯის სურვილი მოგვიანებით დაგებადებათ.

4154. ხელოვნება ახალ-ახალ უაზრობათა დოღია, რომელშიც რატომღაც გონება შთაგონებით და მონდომებით ჭეშმარიტების მარცვლებს ეძებს.

4155. ერის კულტურა გამოვლილი ტრადიციები, ზომიერებაა და არა ქვეყნის სიმ-დიდრით გადაპრანჭვა და ცხოვრებაგამოვლილი წეს-ჩვეულებების დავიწყება, რადგან თავქარიანობას საბოლოოდ არც ხალხისთვის მოაქვს სიკეთე და არც ქვეყ-ნისთვის.

4156. აგრარული კულტურა ქალის გამოფიტვის, ბავშვთა სიმრავლის და ცხოვრე-ბის სიდუხჭირის გამომხატველია, ხოლო მწარმოებლური, მომხვეჭელი კულტუ-რა ქალის ემანსიპაციის, ბავშვების სიმცირის და კომფორტის მოპოვების მცდე-ლობაშია. ორივე კულტურა თავისი საზოგადოების ყოფის, მსოფლმხედველობის გამომხატველი და დამცველია, აქ კი ყოველთვის მამრის ბუნება იჭყლიტება.

4157. მხატვრის შემოქმედების ცხოვრებისეულ ხედვას ლამაზი იდეების გადმოსაცე-მად თავისი ჭვრეტა და ხედვა სჭირდება, რათა ნამდვილმა ხელოვნებამ ტილოზე გაიცისკროვნოს.

4158. ხელოვანი თავის ნამოღვაწართან ერთად იფერფლება, ავიწყდებათ, იკარგება, ზოგიერთი ბედნიერი გამონაკლისის გარდა.

4159. ერთი შეხედვით ხელოვნება სიყვარულზე უნდა იყოს აგებული, მაგრამ მას შურით და ნიჭით აშენებენ და ეს არის მისი წინსვლის ბერკეტი.

4160. პოეზია და მუსიკა სულისა და ნიჭის ყველაზე თავისუფალი და შეუცნობელი გამოვლინებაა.

4161. მასობრივ და ეროვნულ კულტურას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ხალხის გამოყეყეჩებისთვის არის განკუთვნილი, დიდ შრომას არ მოითხოვს და ამიტომ პოპულარულია, ხოლო მეორე, მისაღები რომ გახდეს ფართო ფენებისთვის, დიდ შემოქმედებით წვას და განათლებულ საზოგადოებას ითხოვს.

4162. ყველა ერს თავისი კულტურა აქვს, კულტურიდან სარგებლის მიღება ბრბოს სულის გასაღებია, ამ გასაღების მორგება ერის რაობის გაგების საწინდარია.

4163. არტისტები დიდი ბავშვები არიან, ამიტომ მათს მიბაძვას და გაფეტიშებას უნდა მოვერიდოთ, რადგან ჩვენ უნდა დავბრძენდეთ და დავღვინდეთ. ბრძენს კი ბავშვების აყოლა არ ეკადრება, მათით მხოლოდ უნდა აღვფრთოვანდეთ და მათ მარაქაში არ უნდა გავერიოთ, თორემ რაც დიდ ბავშვს ეპატიება, ჭკუის კაცს იმას არავინ აპატიებს.

4164. დიდი მსახიობის ხელოვნება მაყურებელთან ერთად მთავრდება, რადგან ის თავისი დროის განუმეორებელი შვილია, მისი რეაბილიტაცია პირვანდელი სახით მომავალი თაობის წინაშე, იმ პეწს და განცდას ვერ აღწევს, რადგან ყველა დროს თავისი ნიჭიერი ხალხი ჰყავს და თავისი მენტალიტეტი და პრობლემა აწუხებს.

4165. ხელოვნება მოწოდებულია, რომ უბრალო ამბავი გაამუქოს, გაართულოს და ის ხასიათები გამოაჩინოს, რომელიც ამ ამბის გმირებს არ გააჩნიათ და ყოველივე ეს ემოციებში შეზავებული წარმოადგინოს.

4166. მსახიობი – ეს უბერებელი ბავშვია, რომლის ცელქობას ყველა სიამოვნებით და შემწყნარებლურად უყურებს.

4167. მსახიობს, სხვა პროფესიებთან შედარებით, ის უპირატესობა აქვს, რომ, თუ ჩვეულებრივი მოკვდავი ცხოვრებაში ერთ-ორ პროფესიას იცვლის, იგი მრავალ პროფესიას თამაშობს და განიცდის, ყოველგვარი დანიშვნისა და არჩევნების გარეშე.

4168. როცა მომსახურების კულტურა მლიქვნელობის დონეზე დადის, იქ მაღალ მატერიებზე ლაპარაკი ზედმეტია.

4169. კულტურა, რომელიც ყოველთვის აგიტაციის მიზნით გამოიყენებოდა, მარილის მოხმარებას მოგვაგონებს, მეტი მოგივა გადაამლაშებ, ნაკლები ეროვნულობას ვნებს, აქაც ზომიერების დაცვაა საჭირო, რათა კულტურაზე გადამეტებულმა „ზრუნვამ'' ნაციონალიზმთან არ მიგვიყვანოს და ეს სიმწრით მოპოვებული მშვიდობა და ურთიერთპატივისცემა ცხვირში არ ამოგვადინოს.

4170. ზოგი ხელოვნების მარაქაში იმიტომ ერევა, საზოგადოებაში აღიარებულ ხალხზე ჭორებს მოკრას ყური და ამით მეტი სიამოვნება მიიღოს, ვიდრე ხელოვანის ნამოღვაწარით.

4171. მსახიობს იმისდამიხედვით იღებენ კინოში, რამდენად მომხიბვლელია მისი გარეგნობა, ხოლო ნიჭს მეორე ადგილზე აყენებენ და თუ აქ გონიერება ხმას იმაღლებს დისკრიმინაციის წინააღმდეგ – შედეგად საპრემიო ფილმი გამოდის.

4172. დროის შეგრძნება, გამკლავება, გამოყენება, ეს არის ყველა დროის ცხოვრების ხელოვნების ამოცანა.

4173. უმაღლესი და მოჩვენებითი კულტურის გარჩევას მაშინ ვახერხებთ, როდესაც სიმდაბლეს სჩადიან, რადგან თანდაყოლილი, რაფინირებული კულტურის მატარებელი ინტელიგენციისგან სიმდაბლის ჩადენა ნაკლებად მოსალოდნელი გვეჩვენება.

4174. კინომატოგრაფიამ ეკრანიდან გაყარა: მუშა, გლეხი, ინჟინერი, მასწავლებელი და ბევრი სხვა. კარი გაუხსნა ქილერს, ბანდიტს, პოლიტიკოს-ავანტურისტს და სხვა ვიგინდარას, მაგრამ ბიზნესს თავისი კანონები აქვს და ბრბოს იმას აწვდის, რაც მათ ჯიბეებს მოაჩხრეკვინებს.

4175. ის, რაც მსახიობს ეპატიება და საზოგადოებაში შემწყნარებელ ღიმილს იწვევს, საზოგადოების სხვა წევრის იმიჯისთვის მომაკვდინებელია.

4176. ხელოვანს მოწონების სამი განზომილება აქვს: ის საზოგადოებას არ მოსწონს, მოსწონს და ბრბო აღფრთოვანებულია. მართალია, საზოგადოების მოწონება და მისი თაყვანისცემა უდიდესი მიღწევაა, მაგრამ ბრბოს გადარევას ვერ შეედრება, რადგან ვარსკვლავისკენ მიმავალი გზა ბრბოს დახმარებით ხდება.

4177. ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ თუ პოლიტიკა ხელოვნებაა, მაშასადამე მსხვერპლი გარდაუვალია და პოლიტიკოსებისადმი სასაყვედუროც არაფერი უნდა გვქონდეს.

4178. არის ხელოვნება ინდივიდებისთვის, არის დიდი ხელოვნება ყველასთვის, მაგრამ არის ხელოვნება სახელმწიფოს მართვის, რომლის ''იმიჯმაისტერობა'' არის ყველა ხელოვნების მატერიალური მომაგრების და მასზე აზრის შექმნის ძირი.

4179. „მსახიობს საწყის ეტაპზე საყვარელი რეჟისორი კი არ უნდა ჰყავდეს, არამედ შეყვარებული", თუ უნდა ხელოვნებაში რაიმეს მიაღწიოს.
4180. თაყვანისმცემლების დაპყრობის პირველი ეტაპია თავი დაამახსოვრო მაყურებელს, თუ ეს შესძელით, მაშინ მოწონებას და აღფრთოვანებას წინ ვერაფერი დაუდგება.
4181. სამწუხაროდ, ნიჭიერი ერი ყოველთვის კულტურული არ არის, რადგან ნიჭი ბუნების მადლია, კულტურა კი მოთმინების, დაუღალავი შრომის, თავმდაბლობის შედეგია.
4182. განათლება, ერთი მხრივ, კულტურის განვითარებას უწყობს ხელს, მეორე მხრივ, მის განადგურებას, აქ მთავარია, ვინ არის ამ კულტურის შემოქმედი და ვის როგორ ესმის კულტურა საზოგადოებაში.
4183. კულტურას უფულობის გამო პროსტიტუციისკენ არ უნდა ვუბიძგოთ, რათა ერთი ლუკმა პურისთვის ყველას ემსახუროს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე საკუთარი თავი ჰყიდოს.
4184. ქცევაა ერის კულტურა და არა ნიჭი, საჭიროების დროს რომ წამოაჩენს.
4185. ხელოვანთა დიდი ნიჭია, როდესაც რაღაცის წერა, შექმნა შეუძლიათ, მაგრამ უფრო დიდი ნიჭიერებაა, როდესაც ამ ნაწერიდან დაწერილის ამოღება შეუძლიათ.
4186. ხელოვნების ავადმყოფობა ის არის, რომ მას ყველა იგებს, მხოლოდ გემოვნება და აღქმის უნარია სხვადასხვა და ერთმანეთისთვის გაუგებარი.
4187. წინათ თავისუფალი კულტურისთვის ვიბრძოდით, ახლა კულტურას ვებრძვით და უსახსრობით ვიხრჩობით.
4188. ცივილიზაციას თავისი გამოგონილი უკულტურო კულტურა ღუპავს, რომელიც ბუნების და საღი აზრის წინააღმდეგ მოქმედებს.
4189. მაყურებელმა კარგად იცის, რომ უარყოფითი გმირის გაიგივება შემსრულებელთან არ შეიძლება, მაგრამ გონების კუნჭულში მაინც ქვებით უმასპინძლდება. რაც უფრო დიდია მსახიობის ხელოვნება, მით უფრო დიდია მისთვის სასროლად გამზადებული ქვების რაოდენობა და სიდიდე.
4190. მაყურებელი თუ სპექტაკლზე ტირის, გულიანად იცინის, გაფაციცებით უსმენს, მსახიობს თავის მოვალეობა შეუსრულებია, ადამიანს კი დაეხმარა ცხოვრების არსის გარკვევაში, გააკეთილშობილა და იმ ღამეს ძილში ასე განწმენდილი და იმედით აღსავსე ჩააბარა მამაზეციერს.
4191. ქვეყნის არეულობის პერიოდში რატომღაც ყველაზე ნაყოფიერად კულტურა იღვწის, თავისი ახალი სახის დამკვიდრებას ცდილობს, პრემიერების, უამრავი წიგნების და გაზეთების გამოცემის ხარჯზე. აღიარებას კი ქვეყნის დაწყნარების შემდეგ იმის.
4192. მაყურებლის სულზე ჭრილობის და მსახიობის სახეზე ნაოჭების დატოვება ხელოვნების უმაღლესი პილოტაჟია.
4193. მსახიობის ცხოვრების აზრია სცენაზე დაკარგულ და მოპოვებულ აპლოდისმენტებზე ლაზღანდარობა.

4194. ხელოვნება უნდა გიყვარდეთ და არ უნდა ცდილობდეთ ის გეთაყვანებოდეთ, გეკედრებოდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი ჯოჯოხეთური ნიჭით, შტამპებით, სიმბოლოებით, სიზარმაცით ანგრევთ მას.

4195. მსახიობის პროფესიაა გრძნობების, განცდების, შურის, სცენაზე გადმონთხევა რეჟისორის მთავარსარდლობით.

4196. შემოქმედი ადამიანი მაინც თავისას მიაღწევს ადრე თუ გვიან, გზას გაიკვლევს და კარგადაც იცხოვრებს, მაგრამ არა განცხრომით.

4197. როდესაც შეგნება და მსოფლმხედველობა ერთმანეთს გაუგებენ და შეერწყმებიან, მაშინ ექნება ადგილი ახალი კულტურის და მოდის დამკვიდრებას.

4198. ხელოვანს პრემია ნიჭისთვის, ღირსებისთვის, შეუპოვრობისთვის უნდა მიენიჭოს და არა – დამსახურებისთვის, შეწყალებისთვის და საზოგადოების მიკერძოებული აზრის დასაკმაყოფილებლად.

4199. სისულელის წარმოდგენის ხელოვნებაში ზომიერება უნდა დავიცვათ, თუ გვინდა ამ სისულელემ დიდხანს პოპულარობით ისარგებლოს.

4200. მემკვიდრეებს ყოველთვის აინტერესებდათ ხელოვნებისთვის შეუფასებელი ნაანდერძევი ნივთის ფასი და არა მისი ისტორიული ბედი.

4201. ხანდახან უცხო მუსიკა და სიტყვები უფრო სასიამოვნო გასაგები ხდება, ვიდრე საკუთარი, რადგან მასში სულია დაუზოგავად ჩადებული და ეს არის მიზეზი, რომ მას ყველა ითავისებს და აღფრთოვანებას გამოხატავს.

4202. ხელოსნები ეჯიბრებიან ერთმანეთს, თორემ ხელოვანები ერთმანეთის ნამოღვაწარს პატივით და შურით მოიხსენიებენ.

4203. არავინ იცის, განათლებულ მაყურებლად ყოფნა სჯობს თეატრში, თუ საშუალო მსახიობად – სცენაზე, მაგრამ არჩევანში, ეტყობა, უმთავრეს როლს მაინც შემთხვევა ასრულებს.

4204. ქრთამის მიცემაც ხელოვნებაა, რადგან უნდა გრძნობდე, ვის რა მისცე, რატომ და რა პერსპექტივით.

4205. ვარსკვლავები კაშკაშებენ თუ ანათებენ? ამ საკითხს მოევლება, თუ ხელოვნებისთვის გამოსადეგ სათანადო ნედლეულთან და საქმის მცოდნე სულის გამნათებელთან გვაქვს საქმე.

4206. მსახიობი კი არ არის დამნაშავე თავის ვულგარული ქცევის გამო, არამედ საზოგადოების ნაწილი, რომელიც ხელოვნების ამ ნაცოდვილარში დიდ ფულს იხდის, რადგან ცნობისმოყვარეობა სხვაა და უნიჭობის რეკლამა და დაფინანსება – სხვა.

4207. ტალანტი ქმნის, განათლება მის შემოქმედებას სწავლობს, წიგნებს აქვეყნებს, ლექციებს კითხულობს, თავისებურ სიამოვნებას პოულობს და ცხოვრების სახსარსაც შოულობს.

4208. რომის იმპერიის კულტურა მთელი სამყაროს საკუთრებად ითვლება, მაგრამ მასთან ზიარების შედეგად მიღებული შემოსავლით რატომღაც მარტო იტალიის ბიუჯეტი ივსება.

4209. არის კულტურული ცივილიზაციის ეტაპები, რომლის გამოტოვება მრავალ ერს, ქვეყანას, დიდ სარგებელს მოუტანდა.
4210. ხელოვნების მისიაა დაამტკიცოს დაუმტკიცებელი და ამ თამაშში მაყურებელსაც მიაღებინოს მონაწილეობა.
4211. მსუბუქი მუსიკის უბედურება ის არის, რომ მისი კაშკაში შემსრულებელ ვარსკვლავთან ერთად ქრება, ხოლო კლასიკურის ის, რომ მისი შემქმნელი ვარსკვლავის კაშკაში სიკვდილის შემდეგ უფრო და უფრო მატულობს.
4212. მაყურებელია მთავარი მონსტრი, რომელზეცაა დამოკიდებული მსახიობის კეთილდღეობა და კერპად ქცევა, ხოლო რაც შეეხება მის უკვდავებას, ეს უკვე ნიჭის რეალიზაციის პრეროგატივაა.
4213. სილამაზის და ტალანტის შეცნობის და შეფასების უნარი თუ შეგრჩათ, თქვენ ცხოვრობთ და შეგიძლიათ პერსპექტივასაც მიუახლოვდეთ.
4214. ხელოვანი თავსაც არ უნდა გამოუტყდეს, რომ ნორმალურია, ის მარჯვენა ყურს მარცხენა ხელით უნდა იფხანდეს, თუ უნდა ხელოვნების ავანგარდში ჩათვალონ.
4215. ჩხუბი ამ ხელოვნების უცოდინარი ხალხის პრეროგატივაა.
4216. კარგი სიმღერა ზოგჯერ უფრო ძლიერად თრგუნავს ადამიანის გონებას, ვიდრე მისთვის განკუთვნილი ყუმბარმტყორცნის დანახვა.
4217. სანახაობის ყურებას, გართობის ცოდნასაც, თავის ასაკი და მენტალიტეტი სჭირდება.
4218. ბუნება თვითონ ქმნის შედევრებს, რასაც ჩასაფრებული ნიჭი სჭირდება, რომელიც გაიაზრებს მას, წარმოაჩენს და განწყობის ფორმას მოუნახავს.
4219. მსახიობობა დიდამბიციებიანი გამომშრალი თავმოყვარეობაა.
4220. იმისგან, ვისაც საკუთარ თავზე გაცინება შეუძლია, შესაძლებელია პიროვნების მიღება.
4221. დადგება დრო, როდესაც პასუხს ვაგებთ ჩვენს აღმოჩენაზე, რადგან ის დღევანდელ კულტურას, ეთიკას არ შეესატყვისება.
4222. ხელოვნებაა ის, რაც ტვინის არევის შემდეგ რაღაც სასარგებლოსაც დაგიტოვებს.
4223. არტისტის მოვალეობაა ცოდვების, ბედნიერების, პატიოსნების ჩვენება მისი ინტერპრეტაციის დახმარებით.
4224. ფერწერაზე, მუსიკაზე, ლექსზე და ქალზე რომ რაღაც-რაღაცეების განმარტება დაგჭირდებათ, მათ ხიბლი აღარ აქვთ.
4225. მსახიობსა და ქურდს შორის ის სხვაობაა, რომ ერთი თეატრში იმკის აპლოდისმენტებს, მეორე – ციხეში.
4226. კულტურა ერს უნდა ემსახურებოდეს და სხვას მოიმსახურებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახრავს მთლიანად მიითვისებენ, ხოლო ერს გამოხრულ სახელს დაუტოვებენ.
4227. კულტურა ღვთის მადლია, მაგრამ მისი საწყისი, აღზრდა, რელიგიურ დოგმებს, რწმენას უნდა ემყარებოდეს.

4228. ხელოვნებიდან, ნიჭიდან, განკურნება შეუძლებელია, ხოლო მათგან დაავადება, დასნეულება, შესაძლებელიცაა და აუცილებელიც.
4229. მოდას აყოლილი რეჟისორები დღეს ერთმანეთს კლასიკოსების შემოქმედების დამახინჯებაში ეჯიბრებიან, რისგანაც მხოლოდ პიესის ავტორის დასახელება და გადაფხრეწილი აფიშა რჩება.
4230. ერთი მსახიობის თეატრსაც სჭირდება პრივატიზაცია აპლოდისმენტებით.
4231. ცხოვრებაში მოლხენის ცოდნა ხელოვნება და დიდი ნიჭია.
4232. გამარჯვების ცოდნა ხელოვნებაა, რომელიც შემართების გარეშე არც შედეგს იძლევა და არც იმედს.
4233. არქიტექტურა უსულო გიგანტების შერკინებაა, რათა სული ჩაიდგან.
4234. კლასიკა ძნელი აღსაქმელია ბრბოსთვის, თუ ის დეტექტივის საკმაზით არ არის გადამლაშებული.
4235. იყო მუდამ ახალგაზრდა და თავქარიანი ხელოვანთა ხვედრია, ხოლო მათი შეფასება და შექება – მასების.
4236. თანამედროვე კლასიკა უფრო მდარე ხარისხის გვეჩვენება, ვიდრე ძველი, რადგან მან ვერ მოასწრო უკვდავების დამკვიდრება.
4237. კარგი მთხრობელია ის, რომელიც შენგანვე მოსმენილს ისე გადმოგცემს, რომ შენთვის ახლა ხდება ცნობილი ის, რაც ინფორმაციის მიღების დროს ვერ აღმოაჩინე.
4238. ყველაზე დიდი ხელოვნება ადამიანის სულის ტილოზე გადმოპირქვავება, წარმოჩენა და ყველასთვის გასაგებად დახატვაა.
4239. თეატრი ნებაყოფლობითი ციხე თუ არა, მოხალისეთა კოლონია მაინც არის მსახიობთა ამქრისთვის.
4240. მართალია, კულტურა დღეს წელსქვევით დავიდა, მაგრამ გონიერების ზღვარი მას არ გადაულახავს.
4241. ნიჭიერი ხელოვანი მაჭარს მოგვაგონებს, რომელიც შინაგანად არ ღვინდება. მას საქმის ცოდნა უნდა მოვთხოვოთ და არა – დაღვინებული ჭკუა.
4242. დაღვინებული ხელოვანისთვის სანატრელია მშვიდი ატმოსფერო, ხოლო დამწყებისთვის – პირიქით.
4243. ხელოვანი თავის წამიერ ნაფიქრალს მთელი წელი განიცდის და მის განსახორციელებლად დრო აღარ რჩება.
4244. ხანდახან ხელოვანი ხალხს უნდა გამოეყოს, თუ უნდა ხალხმა აღფრთოვანებით მიიღოს ან მისი არყოფნა თავისი მუზის ნაგვემით დაუბრუნოს.
4245. ნიჭსა და კულტურას შორის დიდი სხვაობაა: პირველი განგების ნაწყალობევია, ხოლო მეორე – სხვისი და საკუთარი ნამოღვაწარის პატივისცემას მოითხოვს. ვინ იცის, ეგვიპტის პირამიდების მშენებლობა თავისი დროის ნიჭის გამოხატვა იყო, თუ მათი ეკონომიკის უკულტურობის.
4246. ნაღდი ხელოვნება და მშობელი: ერთი ეჭვიანი და შურიანია, მეორე – მკაცრია და მომთხოვნი. ორივეში კი დიდი სიყვარული იმალება თავისა და მომავლის წინაშე.

4247. საკუთარ ბავშვზე მეტად დიდი ბავშვის მსახიობის, ქცევა არ უნდა გაგიკვირდეთ რაც შეეხება აღფრთოვანებას, მას თქვენი პატარა უფრო იმსახურებს, ვიდრე ასაკგადაცილებული მუტრუკი, რომლის ხელოვნებასაც თქვენ ემონებით და ბაძავთ, ალბათ იმიტომ, რომ მას რეკლამა აქვს, ხოლო საკუთარი პირმშოს იმიჯზე ვერ ზრუნავთ, რადგან ვერ მოგიცლიათ.

4248. იცხოვროს და თავის დროს დაუცადოს, ეს არის პატარა მსახიობის ოცნება სცენაზე, რომელიც თუ პოლიტიკის აქტიორებს მიეტმასნება, შეიძლება დიდი როლიც ითამაშოს სახელმწიფოს აღმშენებლობის თეატრში და ბრბოს აპლოდისმენტებიც დაიმსახუროს, ყოველ შემთხვევაში, ისტორიული გამოცდილება ამის წინააღმდეგი არ არის.

4249. საჩუქრის ჩუქება ხელოვნებაა, მაგრამ უფრო დიდი ხელოვნებაა ეს საჩუქარი დასაჩუქრებულმა გაითავისოს და ძღვნად, ქრთამად, უსარგებლო ნივთად არ მიიღოს.

4250. არის სპეციალობა, რომელიც ვერ გაგამდიდრებს, მაგრამ არც სხვის გაღარიბებაში იღებ მონაწილეობას, რაც დიდ მორალურ სიამოვნებას განიჭებს საკუთარი თავის და სინდისის წინაშე. ამ სპეციალობას ხელობა ჰქვია.

4251. პროფესიული სიყრუის გამომუშავება მთელი ხელოვნებაა, რათა ინფორმაციის პროცესს გამოეთიშო და მხოლოდ შედეგი აღიქვა, ამით ნერვებსაც გაუფრთხილდები და სისულელის მოსმენით გონების დანაგვიანებასაც.

4252. ის ხელოვნებაა სულის საიდუმლოების ზეიმი, რომელსაც სხვა მთელი სხეულით შეიგრძნობს, ხოლო ის, რაც სხეულის ცალკე ნაწილებად აღიქმება, ხელოვნების ავანგარდია, რომელიც სულის პირველადობას გამორიცხავს და შემოქმედის ნიჭის ინსტინქტებს აამოქმედებს, რომელსაც შემდგომ ახსნა-განმარტება აღარ სჭირდება.

4253. თუ მსახიობი სცენაზე მიტანილი სუფთა სულით სულს უნათებს ასევე სუფთა სულით მისულ მაყურებელს, მაშინ ორივე მხარე იმ დღეს ბედნიერია.

4254. თუ სხვაზე ზეგავლენის მოხდენის ხელოვნების თასმები ხელთ არ გვიპყრია, მაშინ ხელოვნების, პოლიტიკის, ვირეშმაკობებს ხელი არ უნდა ვახლოთ.

4255. გახდაც და ჩაცმაც შეიძლება პრესტიჟულ პროფესიად აქციოთ თუ ამას მომხიბვლელად, საქმის ცოდნით, ღირსების დონეზე ახერხებთ და გაფინანსებენ.

4256. როდესაც სხვა ერის ნაწარმოებს ასრულებ სცენაზე, ამ ხალხის ხასიათში და სულში უნდა შეაღწიო, სხვანაირად შენი ნიჭის მცდელობა შეფასდება, როგორც ლამაზი ლიმუზინი მისი მართვის ნებართვის გარეშე.

4257. შემოქმედის აღფრთოვანება არც იყიდება, არც გაჩუქდება, ის უბრალოდ იმ ნიჭის წვის პროცესია, რომლისგანაც გამოყოფილმა სითბომ ჩვენი სული უნდა გაათბოს.

4258. მსახიობის ამქვეყნად მიღებული აპლოდისმენტები იმქვეყნად მისი ცრემლით გაცილების საწინდარია.

4259. ცხოვრებაში, კინოში, მთავარი ის კი არ არის, ვინ არის მართალი და რომელ გმირს უჭერთ მხარს, მთავარია, ვის მხარეს არის ბედი და კინოს რეჟისორი.

4260. როდესაც ხელოვნებაში გეკითხებიან, ორჯერ ორი რამდენიაო, უნდა მიხვდე, რომ პასუხი კი არ აინტერესებთ, არამედ რაღაც მათთვის შეუცნობელი, გაუგებარი, რომლის ტოლობა ორივესთვის უცნობია.

4261. ჩვენ მსახიობის სულის ხელოვნებას ვუდგებით ფეხზე და არა – პიროვნებას, რომელსაც გული გრძნობს, ხოლო სხეული მადლობას უხდის.

4262. ხელოვნების ვალია ყველა ასაკში გაახალგაზრდავება და იქიდან საუკეთესოს შენარჩუნება, რადგან მის გარეშე რაიმე წარმატებაზე და პერსპექტივაზე საუბარი ზედმეტია.

4263. თუ ტალანტში ნაპერწკლის გაელვებას დავინახავთ, მხოლოდ მაშინ უნდა ვუჩვენოთ გზა ხელოვნებისკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდ ცოდვას დავიდებთ, რადგან საშუალო ნიჭი სხვის წარმოჩენას ემსახურება.

4264. თუ ხელოვნების მსახური არ ხართ, დღიურის წერას ჯობს გონებაში ხანდახან გაელვებული აზრები ჩაიწეროთ, იქნებ რომელიმესაგან აფორიზმი მოგვევლინოს და ყველამ ვისარგებლოთ.

4265. ცნობისმოყვარეობისათვის ცოდვის ჩადენა ხელოვნებაა, ოღონდ სხვას ზიანი არ მიაყენო.

4266. ინტელექტი და განათლება ორთავე აღზრდის ხელოვნებას მოითხოვს.

4267. კინო არა მარტო ხელოვნებაა, ფულის კეთების ფაბრიკაცაა და ჩვენი ყოფის კანონმდებელიც, რომელიც უმეტესად თვალში მოსახვედრ, სათუო საქონელს უშვებს, გულს გვიხალისებს, სულს რყვნის და გონებას აკვირვებს – ამ სისულელის ყურებით როგორ ვცდებიო.

4268. სპონსორს, შემკვეთს, გადამხდელს, სათანადო დაფასება სჭირდება, რადგან მათი ქველმოქმედება, საქმიანი წინადადება, ფულის გაღება, შედეგებით ხანდახან ავტორზე მაღლა დგომას თუ არა, თანაავტორობას მაინც იმსახურებს, რადგან მათ გარეშე ზოგიერთი შედევრი დღის სინათლეს ვერ ნახავდა. ეგვიპტის ფაშას კომპოზიტორ ვერდისთვის ოპერა ეგვიპტის მოტივებზე რომ არ შეეკვეთა, სამყარო ვერ მიიღებდა ყველა დროის მარგალიტს, ‘‘აიდა’’-ს. ასევე – გენიოს მხატვრებს, მეცნიერებს, მწერლებს. ამიტომ ეს ხალხი ნაშრომის ავტორთან ერთად უნდა მიეწეროს როგორც თანაავტორი, იმ პირობით, თუ ინიციატივა მათგან მოდიოდა, რადგან ყველამ თავისი კუთვნილი სამართლიანად და ზომიერად მიიღოს.

4269. ხელოვნება ღმერთისგან მომადლების გარეშე უკეთურობაა და მასში რაც ნაკლებ მონაწილეობას მიიღებს ადამიანი, მით უფრო უკეთესი გამოვა, მაგრამ ხალხის წინაშე მას მაინც რეალიზატორი სჭირდება.

4270. ხელოვნება არის რეალური ცხოვრება თავისი ხინჯით და იმიჯით.

4271. ხელოვნებას მშვიდობის აურა უნდა ახასიათებდეს, ხალხს აერთიანებდეს და არა ტრაბახით მათზე ბატონობდეს: მე უფრო განვითარებული და მდიდარი ვარო.

4272. სპეციალობის მიმზიდველობის ხარისხს განსაზღვრავს დროის რაობა, მატერიალური უზრუნველყოფა, ხელოვნებას კი – საუკუნეები და მასთან ჭიდილი.

4273. რეკლამას ხშირად აჩვენებენ, მაგრამ ნაკლებად ვიცნობთ მის შემქმნელებს, რადგან მათ შემოქმედებას კინოდარბაზებში ვერ ვუჩვენებთ და ვერც ოსკარით ვაჯილდოვებთ.
4274. მსახიობი სცენარს ზედმიწევნით ზუსტად მისდევს, მაესტრო ტექსტს აჟღერებს, ხოლო რეჟისორი ტექსტს ამდიდრებს და ხუმრობასაც თავისებურად შეაზელს. ამასთან, გრძნობების დაკლებას და გადამლაშებას ერიდება, რადგან ღმერთის მომადლებულ ნიჭის მრავალფეროვნებას მოფრთხილება და ზომიერი ხარჯვა სჭირდება.
4275. მსახიობი მუზის და ღმერთის სიყვარულის მსხვერპლი უნდა იყოს, მხოლოდ ამ პროცესის გავლის შემდეგ შეიძლება ეწოდოს აქტიორი.
4276. სცენაზე ცნობილი კომიკოსის დანახვაზე ავანსად სიცილი მან ცხრატყავგადამძვრალი მცდელობით, შემოქმედებითი წვით უნდა გადაიხადოს.
4277. დღეს თეატრში კლასიკის დადგმას წაუკითხავად, თავის გააზრებით, ფანტაზიით ცდილობენ.
4278. ნაანდერძევი კულტურის საგანძურიც კი მალე გაიფლანგება, თუ ახალი არ შევქმენით და ჩვენი მცდელობაც არ დავუმატეთ.
4279. ერთი შეხედვით, ბუნებას უცნაური კანონი აქვს: სექსის ცოდნა, რომელიც ხელოვნებაა, მოსახლეობას ამცირებს, ხოლო არცოდნა ამრავლებს. ასე რომ, ხელოვნება არც ამ საქმეშია ყველასთვის სარფიანი და ხელმისაწვდომი.
4280. შემოქმედებითი შრომით გაძღომა სიცოცხლის ელექსირია, რომლის შედეგს დაღლილობის, სიამოვნების შეგრძნება და განცდა მოაქვს.
4281. შემოქმედი, რომელიც თავის ნამოღვაწარს სულსაც თან ატანს, ცოდვაა, რადგან ნახელავი ბაზარზე გასაყიდად გააქვს, რითაც მისი სულის თავისუფლების პატივისცემა გაყიდული ნივთიდან მიღებული თანხის ოდენობაზეა დამოკიდებული.
4282. სიძნელეების სწრაფი დაძლევა ხელოვნებაა და ამ სასიამოვნო შეგრძნებას არაფერი შეედრება.
4283. განცდა, წუხილი, ტკივილი ნამდვილი შემოქმედის მამოძრავებელი ძალაა, მაგრამ ის ხომ შეცოდების ღირსია.
4284. მხატვრის დანიშნულებაა ადამიანის სულიერება ისე დახატოს, რომ გარეგნული მომხიბვლელობა და პეწი არ დააკლოს.
4285. ფოტოაპარატსა და კინოკამერას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ბუნების საოცრებებს აფიქსირებს, მეორეს კი ამ საოცრებებში თავისი კორექტურა სჭირდება.
4286. რეჟისორობა მოთმინების და გადამჭრელი ხასიათის მქონეთა პროფესიაა, მის გარეშე მსახიობთა გალაღებულ, გათავხედებულ ბანდასთან ვერას გახდები, თუ თითოეულს მათრახით და სასუსნავით წვრთნის დოზა არ შეურჩიე, რადგან ხანდახან ნიჭიერებასაც სჭირდება მოთოკვა, რათა საერთო წარმატება ყველამ იზეიმოს.
4287. თეატრის რეჟისორსა და ქვეყნის მართვის რეჟისორობაში ის მსგავსებაა, რომ ორთავე სპექტაკლს დგამს, ერთი – თეატრის, მეორე – ქვეყნის მაშტაბით, რაც შეეხება ოპონენტებს და ტაშის დამკვრელთ, ეს არცერთს არ აკლია.

4288. ხელოვნებას მასებისთვის სინანული, ბედნიერება, იმედი უნდა მოჰქონდეს და არა მათი გამოთაყვანება, გაღიზიანება, აგრესია, მაგრამ თუ პირველის აღქმას აღზრდა, დრო, კაცთმოყვარეობა სჭირდება, მეორესითვის თავხედობა, კაიფი და ფულის მოხვეჭაც საკმარისია.
4289. კულტურის გაფეტიშება, პირველ რიგში, ამ ცივილიზაციისათვის არის საშიში, რადგან სხვის ხელში ის გადაგვარდება, გადასხვაფერდება და გაირყვნება, რაც ამ კულტურას მოძველებისკენ, გაქრობისკენ უბიძგებს.
4290. ხელოვნების საგანი ყველაფერი შეიძლება იყოს, გარდა სულის ღალატისა.
4291. ქმნილება შეიძლება იყოს შექმნილი სულის საიდუმლო სერობისთვის ან დასვენება-გართობისთვის, რომლის განხორციელებისას ხელოვანმა მასზე არ უნდა იფიქროს, რადგან ჩვენი ინტუიცია შემოქმედებით წვას უნდა ვანდოთ, თუ გვინდა მასში აღვიქვათ ჯანსაღი აზროვნების სიმშვენიერე.
4292. როდესაც ბრძოლა, შეჯიბრი, შერკინება, ხელოვნებიდან ხელოსნობაში გადადის და თან გამორჩენაც ემატება, პიროვნებისთვის ეს ძნელად საყურებელია, მაგრამ ბრბოს, რომელსაც ასე ბინძურად ატყუებენ, გასართობად და დროის სატარებლად მიაჩნია. ამას ადამიანის გონების საუკუნეებში გაჭენება ვერაფერს შველის.
4293. მსახიობის ხელოვნება და მისი ხასიათი ერთიანია, ოღონდ ეს გარეშეთათვის შეუმჩნეველია.
4294. ხელოვნება, უნდა თუ არა, მაცქერალს ემლიქვნელება და მისი მასხარა ხდება, რადგან ამ გზით რაღაცას მიგვითითებს, გვასწავლის და გვსაყვედურობს კიდეც.
4295. სიმღერა სიყვარულს ჰგავს, ოღონდ უნიჭობას ვერცერთი ვერ იტანს.
4296. ჭეშმარიტების დანახვა ხელოვანის საქმეა, იგი ხშირად იმ „უმნიშვნელოსაც" ხედავს, რომელიც მრავალთათვის შეუმჩნეველია.
4297. ხელოვნების ძალა იმაშიცაა, რომ სისულელის ჩადენის იმტაზე მოსულ ადამიანს ის არ ჩაადენინოს და მხოლოდ სულის აფორიაქება აკმაროს.
4298. კულტურამ უნდა გარისკოს, თავი წარმოაჩინოს, რეკლამა უნდა გაიკეთოს, კუმირები უნდა შექმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში კნინდება, იფერფლება, კვდება.
4299. ცივილიზაცია კულტურისგან იმით განსხვავდება, რომ ის ყოველთვის აგრესიულია, ხოლო მეორე პირველს მშვიდად უყურებს და თუ რაიმე სასიკეთო ნახა, ჩუმად გაითავისებს და კულტურად წარმოგვიდგენს.
4300. ხელოვნება თავისებური რეკლამაა, კომერციაა, ჰიპნოზია, გაოგნებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არავინ იწამებდა და ეთაყვანებოდა თუნდაც მოკლე დროით.
4301. ხელოვნება, რომელიც ადამიანს სიცოცხლეს უწამლავს, აეჭვებს, აფრთხობს, მომავლის იმედს უკარგავს, შემოსავლისთვის განკუთვნილი მცდელობაა და ხელოვნებას ძალად ეტმასნება.
4302. რაც მოგვწონს და დაგვაფიქრებს, ის არის ხელოვნება, დანარჩენი მიტმასნებაა და ფულის იოლად გამოგლეჯვის მცდელობა.

4303. ხელოვნებაში ხალტურა-ბალახტარობა მაშინ იწყება, როდესაც სულიერების ნამოღვაწარი გონების ნაჩალიჩარია.
4304. ხელოვნება აღგვზრდის, ძალაუფლება გვიმორჩილებს, მაგრამ ადამიანი თავის სულიერ მოთხოვნებს ისევე აცხოვრებს, როგორსაც აცხოვრებდა მრავალი საუკუნის წინათ.
4305. მუზეუმის ნაქონი წარსულის რელიქვიები, გადასაყრელი არ უნდა დარჩეს, ის ჩვენი მცდელობით სასიკეთოდ უნდა შეიცვალოს, თორემ იძულებულნი ვიქნებით, ყველანაირ ძველმანს ვეთაყვანოთ და ხატად ვაქციოთ.
4306. ხელოვანი, რომელიც მეგობრობს ძლიერთა ამ ქვეყნისა, კარიერას ან ცუდად ამთავრებს ან რეალური ხელოვნებიდან მიდის, რადგან კარიერას და ფულს გემო გაუგო და შემოქმედებისთვის არც ცალია და ვერც გულს უდებს.
4307. ხელოვნებაში უკვდავი, ეტყობა, მაინც მუსიკა, მხატვრობა, პოეზიაა, რადგან მათ პირველობის ყავლი არ გასდის.
4308. მსახიობის მიერ მაყურებლის გამხიარულება ერთია და თავის დამცირება – მეორე, როდესაც უკადრისსაც კადრულობს, რათა ხალხი გააცინოს.
4309. საზოგადოება განვითარების რაც უფრო დაბალ დონეზე დგას, მისი კულტურის პრიმიტივი მით უფრო რთული და საოცარია.
4310. ყველა მსახიობის ოცნებაა მაყურებელს გმირის სულიერი განწყობა წარმოუჩინოს, ხოლო მაყურებელი უფრო გარეგნული სილამაზის ჩვენებაზე დაგეშილი. რადგან მაყურებელი ყოველთვის მართალია, იმას სთავაზობენ, რაც მას დღეს ესიამოვნება.
4311. დღევანდელი პროდიუსერები, რეჟისორები, მაყურებელს სანახავად კი არ იწვევენ, არამედ მათ ჩათრევას ცდილობენ, რადგან შოუ-ბიზნესი სექსის, ძალადობის, ნარკოტიკების გარეშე ძნელი წარმოსადგენი გახდა, სულიერი მოთხოვნილება ხორციელით შეიცვალა, რომლის დაკმაყოფილება გარყვნილებამ ხელი იგდო დემოკრატიის სახელით და თავისუფლების მორალის ამ საწებელში სვრის, როგორც მოეხასიათება.
4312. თავად ხელოვნებაა მარადიული და არა მათი შემქმნელნი, რომელნიც თავის დროის ხალხის აღფრთოვანებას და მომდევნო თაობების მადლიერებას იმსახურებენ, რადგან შესაფერი ნიჭით თავად დროა დაჯილდოებული და არა მისი რეალიზატორები.
4313. იყო დრო ხელოვნებაში, როცა „ნაბიჯს მარცხნივ, ნაბიჯს მარჯვნივ" გადადგმა გმირობას უდრიდა, ხოლო როდესაც შენი ხეტიალი არავის აინტერესებს, გმირობის ვარსკვლავი სიტყვიერი ვარსკულავით შეცვალეს, მიუხედავად იმისა, ფანების ხელში ეს ვარსკვლავები კაშკაშებენ თუ ბჟუტავენ.
4314. რადგან ხელოვნება ხალხს აერთიანებს, ის პასუხისმგებელია მათი რაობის და მორალის წინაშე, მაგრამ ამის საშუალებას სახელისათვის და გამორჩენისათვის მცდელობა არ იძლევა, რადგან ხელოვნების გარეშე შენც ჩვეულებრივი ადამიანი ხარ.

4315. კულტურაც ირყვნება, გადაგვარდება, კვდება, მაგრამ ფენიქსივით აღსდგება, სიახლის სიოს დაჰბერავს და კვლავ მგზნებარებით მოგვევლინება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრება აზრს დაკარგავდა.

4316. ხელოვნება მუდმივია, ერთეულია, „ტუსოვკა" დროებითია, მრავალნაირია, ხოლო თაობათა კავშირის გარეშე სულიერებასთან ერთად ხელოვნებაც ზარალდება და კნინდება.

4317. მოდა მიდის და მოდის, მაგრამ ჭეშმარიტი ხელოვნება უკვდავია, რადგან ის ცხოვრებაში გათავხედებულთა დუღილს უყურებს, მაგრამ თავად მშვიდად არის და დროის დაღვინებას უცდის. ამიტომაცაა, რომ უკვდავება გარანტირებული აქვს.

4318. კულტურა ყოველთვის ეთამაშება აკრძალვებს, მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გააქვს, მანამ ეს აკრძალვები არ გაუქმდება, ცივილიზაცია გარყვნილების უმაღლეს საფეხურს არ მიაღწევს, რათა გამოგონილი კულტურის ხატება დაინგრეს და ყოველივე თავიდან გახდება დასაწყები.

4319. პირველ რიგში ხელოვნება სულის აღტაცებას უნდა ემსახურებოდეს და არა სხეულის აღტყინებას, რომელიც სიყვარულში ხელოსნობისთვისაა განწირული.

4320. სიხარულის დეფიციტის შესავსებად ხელოვნებაა მოწოდებული, ხოლო ბედნიერებისა – იმის შეცნობა, რომ ხალისის ყავლი კიდევ არ გაგსვლია.

4321. მსახიობისთვის მაყურებელი მტერია, ხშირია უმადურობაც, ამიტომაც მან მათზე არ უნდა იფიქროს და თავისი ხელოვნებით, პუბლიკა უნდა დააჩოქოს და ისე ათამაშოს, როგორც მოეპრიანება.

4322. მსახიობი პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს სიყვარულის და აპლოდისმენტების მიმართ, რომელსაც მას ჩუქნიან, წინააღმეგ შემთხვევაში მისი შემოქმედება ფუყეა და დავიწყებას მიეცემა.

4323. დღეს გართობის მთელი ინდუსტრია მომხმარებლის სულის მონაწილეობის გარეშე იქმნება და მას კულტურას უწოდებენ.

4324. სხვისი კულტურისადმი დამონება ყველაზედ დიდი დანაშაულია საკუთარი ხალხის და ქვეყნის წინაშე, რადგან ერს გაქრობის წინაშე აყენებს.

4325. ხელოვნების ვარსკვლავები პოტენციური მაყურებლის გასულელებას და ფულის დაცინცვლას ცდილობენ, რადგან ჩვენი დროის ადამიანს რეკლამის მედიატორების გარეშე ზედმეტად ფეხს ვერ გადაადგმევინებ.

4326. თუ ხელოვნება საზოგადოების პრობლემებს არ ეხმაურება, ის ქარაფშუტა ლამაზმანია, რომლითაც აღფრთოვანებულნი არიან, მაგრამ სერიოზულად გულში ადგილს არავინ უთმობს.

4327. დიდი ხელოვნება იდეოლოგიურად მავნებელია, რადგან ხალხს ისეთ საკითხზე აფიქრებს, რაზეც ადრე არც უფიქრია.

4328. მაცქერალს ყოველთვის ვალი აქვს ხელოვნების წინაშე, მათ უნდა ისწავლონ იმის შეცნობა და გათავისება, რაც მანამდე არც უნახავთ და მოუსმენიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც ხელოვნება განვითარდება და ვერც შემოქმედი მოითქვამს სულს.

4329. კინო მხოლოდ რეჟისორის ქმნილებაა და მომავალში მის ამ შემოქმედებით საკუთრებას კომპიუტერული გრაფიკა მოემსახურება და უზრუნველჰყოფს.
4330. რადგანაც ერთის კულტურის გაგება მეორისას არ გამორიცხავს, დგება დრო როდესაც შვილმა მშობელი თავის კულტურას უნდა აზიაროს, აღზარდოს და რაც უფრო დროულად მიხვდებიან ყოველივე ამას ყოფილი აღმზრდელები, მით უფრო გაუადვილდებათ ცხოვრება.
4331. კულტურულ და უკულტურო კამათს შორის სხვაობა ის არის, რომ ჭეშმარიტების დასადგენად არცერთს არ სცალია, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ამას ცდილობს.
4332. ყველა დროის ხელოვნება, მის დღევანდელობას ემსახურება ოღონდ მეტი გაზვიადებით, გაავებით და გაამაყებით.
4333. ხელოვნებაა იცხოვრო ხალხთან, რომლის არც ხასიათი, რწმენა, შესაძლებლობები, მენტალიტეტი არ შეგესატყვისება, მაგრამ მშვიდობის შენარჩუნების და ცხოვრების დონის ამაღლების მცდელობა ამ ბარიერებს წარმატებით სძლევს.
4334. კულტურა მაშინ იკარგება, როდესაც სამშობლო, პატრიოტიზმი, სიყვარული, თავმოყვარეობა სათუო და ვიღაცის დასაცინი გახდება.
4335. ხელოვნება უნდა აღაგზნებდეს იმ პროცესებს და სიკეთისკენ შემოატრიალებდეს, რომელიც ჩვენს ყოველდღიურობას ასახავს.
4336. კულტურა სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლის შედეგების რკვევაა და სხვა არაფერი.
4337. ტექნიკური პროგრესის საჩუქარს ყველაზე ფრთხილად კულტურა და განათლება უნდა მოეპყრას, რათა სამშობლო მისდაუნებურად ფესვებგარეშე არ დაურჩეს.
4338. კულტურის კარები ყველასთვის ღიად არ უნდა დავტოვოთ, რადგან სხვა კულტურის შემოტევა ხშირად აგრესიულია და თვითმყოფადობას გვაკარგვინებს.
4339. კლასიკა მუდმივია, მხოლოდ დრო და დრო, დროის თითლიბაზობაზე, უკუღმართობაზე შურს იძიებს და ისევ ბატონდება.
4340. მხატვარი თავის საქმეში ბრწყინვალე პოეტი და ფერების უბადლო ლოტბარი უნდა იყოს.
4341. ხელოვნებას უყვარს ტერმინების ინფლაცია, გრძნობების გაფეტიშება და აზროვნების უგულებელყოფა გარკვეულ ზღვრამდე.
4342. მსახიობი მამაკაცი კუბში აყვანილი ღვთაება მაინც უნდა იყოს, რომ კვადრატში აყვანილ მსახიობ ქალს გაუტოლდეს.
4343. მსახიობისთვის ყველა როლი მისი სახესხვაობის ნათარგმნი ისტორიაა.
4344. ხელოვანის წარმატებით ნამდვილი მაყურებელი შეიძლება ჩუმადაც აღფრთოვანდეს, ხოლო გადამეტებელი ოვაციების მომწყობი მაცქერალები მედროვენი არიან, როგორც მათი კუმირი. პირველთ ხელოვნება ესმით, მეორენი ხმას არიან აყოლილნი და რეკლამის დროებით მსხვერპლად გვევლინებიან.
4345. მსახიობი რომ ცხოვრებაში რამდენიმე პარტნიორს იცვლის, ეს მაყურებლის უყურადღებობის ბრალია, რადგან „საეჭვო რეკლამის" გარეშე ის ვერ ხვდება ვისი ნიჭი უნდა დააფასოს და ვის წარმოდგენებზე უნდა იაროს.

4346. კულტურა შეგონებით, აკრძალვებით იწყება და სატანური ჩანაფიქრის გამომზეურებით მთავრდება, დროებით დაიფერფლება და კვლავ მკვდრეთით აღდგება.

4347. ხელოვნებაში ყოველივე ხალასი უნდა იყოს და არა მართალი, რადგან მისი შემფასებლები ძირითადად ის ხალხია ვისთვისაც მოდა და დროს ყივილია უმთავრესია და მთავარი.

4348. ვისაც ბალეტი უყვარს, ის სულიერ სიამოვნებას განიცდის, ვისაც არ უყვარს, ხორციელი წარმოსახვითი სიამოვნებიდანაც შორსა დგას.

4349. ხელოვნება ღმერთს კი არ ეჯიბრება, არამედ ცდილობს გვერდში ამოუდგეს, მისი თაყვანისმცემლები მოიზიდოს, რწმენა ჩაუნერგოს და მუზის მსახურად აქციოს.

4350. ნაწარმოების ხარისხს დრო განსაზღვრავს, მაგრამ აჟიოტაჟი, რეკლამა და პრეზენტაცია არ აწყენს.

4351. სანახაობასა და სპექტაკლს შორის ის სხვაობაა, რომ პირველზე მეორედ დასწრების წინააღმდეგი არ ვარ, ხოლო მეორის ხარისხის მიუხედავად დარბაზში ქუდი რომ შემიგდონ, მეორედ იქ შემსვლელი არ ვარ.

4352. შენ – მე, მე – შენ, შემოქმედებას თუ არ ანვითარებს, არც ჰკლავს, მაგრამ რეკლამა და მატერიალური „რამე-რუმეები" ასეთ შემოქმედებას კაპდაბანდებამდე მიჰყავს.

4353. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნება თაობათა ანარეკლია, ის აგრესიას არ უნდა იწვევდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ერს ტრადიციების და ღირებულების დაკარგვით ემუქრება.

4354. ნიჭი ყოველთვის თავისი დროის შესაფერის აპლოდისმენტებს იმკის, მაგრამ დღევანდელი ცივილიზაციის მიღწევებმა, ხმის ჩამწერებმა და ვიდეოკამერებმა ბევრ ლეგენდას დათვური სამსახური გაუწია, რადგან მათი ნამოღვაწარის შეფასება მომდევნო თაობებს მოუწევთ თავიანთი გადასახედიდან, რომელთა აზრი თავიანთი წინაპრების აზრს იშვიათად დაემხთვევა, ეს კი ისტორიის კუთვნილებას, რომელიც თავის დროის შვილი იყო, ჩრდილს მიაყენებს და დღევანდელობის ოპონირებას ყველა ვერ გაუძლებს.

4355. ზოგი ყველაფერს კადრულობს, რომ ცნობილი გახდეს, მაგრამ როგორც კი თავისას მიაღწევს, თაყვანისმცემლების ახლოს გაკარებაც არ უნდა და ყოველნაირად ცდილობს თავის გამფეტიშებლებს თავი აარიდოს.

4356. შემოქმედმა ხშირად არ იცის რას ქმნის, მაგრამ ის ამაზე არ ფიქრობს, იმდენად გართულია სამყაროს ყოველდღიურობის აღქმაში და თავის ჭკუაზე მოთარგმნაში, რომელიც შეიძლება შემოქმედის სიმშვენიერედ მოგვევლინოს.

4357. დღეს გადამრჩენელი სამომავლო ტრადიციები გვშველის, ხელოვნება, კულტურა, განათლება წელს ქვევით რომ არ ეშვება.

4358. ყველა შემოქმედი თავის საქმის „შამანია", მაგრამ სიმხდალეც ახლავს, იმდენად დიდია ხელოვნების ჯადოქრის სახელის მოხვეჭის ეჭვი.

4359. ხშირად მელოდრამის რეიტინგი მაღალია მაღალმხატვრული ღირებულების ნაწარმოებთან შედარებით და ეს უფრო ქალის კაპრიზს ჰგავს, რომელსაც ვერც კაცი უგებს და ვერც მამაზეციერი.

4360. მხატვარ მალევიჩის კვადრატი ყველას მოსწონს, მაგრამ რატომ, ვერ გეტყვიან, არც იციან და ვერც გაუგიათ.

4361. ხანდახან იუმორით ნათქვამი უფრო გასაგებია ხალხისთვის, ვიდრე მეცნიერული მტკიცება. გურამიშვილის ძეგლის არსი ავტორმა ვერ აუხსნა „შემფასებელთ", ვინაიდან ეჭვს იწვევდა მისი გასაწყლებული ფიგურა წიგნით ხელში. მაგრამ, როგორც კი ერთმა ანცმა წამოიძახა: „რამდენიც მაგას რუსის ქალებში უვლია, ნეტავი სული როგორ შერჩა"-ო, ეს ძეგლი ყველასათვის გასაგები და მისაღები გახდა.

4362. არის ნიჭიერი მსახიობი, რომელსაც რადიოთი დიდი სიამოვნებით უსმენთ, ტელევიზიით კი ვერ უყურებთ. რას იზამთ, თქვენ აღზრდას გონება იმდენად ვერ სჯობნის, რომ სცენაზე მსახიობის ქცევა შეითვისო.

4363. მოკიაფე ვარსკვლავი ჰყავს ფეხბურთის გუნდს, მეცნიერებას, ხელოვნებას, ეტყობა, ასეთივე სოლისტი ფერწერულ ტილოსაც ესაჭიროება. მონალიზა ლამაზ ქალად აღიარო – ენა არ მოგიტრიალდება, მაგრამ მისი ღიმილის შეუმჩნევლობა შეუძლებელია.

4364. მსახიობის ერთგულება ოჯახისა და მეუღლისადმი ქროლვისდაგვარია, მაგრამ მისი ერთგულება მაყურებლის მიმართ ურყევია.

4365. ქცევაა ერის კულტურა და არა ნიჭი, საჭიროების დროს რომ წარმოაჩენენ.

4366. ხანდახან, როდესაც კარებს გიმტვრევენ, ეს შეიძლება ბედნიერების შეგრძნებაც იყოს, თუ ის თეატრის სადარბაზო ალაყაფია და დღეს შენ ამ სცენის ვარსკვლავი ხარ.

4367. ხელოვანი ვალდებულია თავისი შემოქმედებით ყველა რჯულის გადაგვარებულ ვიგინდარას სიყვარული გაუზიაროს, რადგან სულის კუნჭულში ყველა მათგანი ცხოვრების თავიდან დაწყების იმედით ცოცხლობს, მაგრამ რეალობას თავის კანონებიც აქვს და ის ცხოვრების დრამატურგიას არ ემორჩილება.

4368. ხელოვნება გაფრენის, ჩაფრენის, დაღვინების გარეშე არ არსებობს, მაგრამ როდესაც დამშვიდებულ გონებაზე თვალს გადაავლებ შენს ნახელავს, გიკვირს, ნუთუ ეს ჩემი ნაკეთებიაო.

4369. თანამედროვე ხელოვნებას, რომელიც კრიჭაში უდგას კლასიკურს, დიდ ხნის სიცოცხლე არ უწერია, თუ აზრთა შერწყმა, საერთო ენის გამონახვა არ მოხდა და პირველმა საკუთარი ბზიკებით ფრენას თავი არ დაანება.

4370. ხელოვანს ხან ფული ღუპავს და ხან უფულობა, მაგრამ ძირითადი დამღუპველი მაინც მისი შეუქმნელი ნაწარმოებია.

4371. ბევრი უღირსობა, უკულტურობაა თანამედროვე ხელოვნებაში, მაგრამ ამ ამღვრეული კოქტეილის გარეშე წინსვლა არ ხდება. იგი დროთა განმავლობაში დადუღდება, დაწყნარდება, დაილექება, რაც საჭიროა, დარჩება, რაც არა და ისტორიის კანალიზაციის კუთვნილება გახდება.

4372. ზოგი რეჟისორი ისეთ ცუღლუტ კინოს გადაიღებს, სპექტაკლს ისე მოდერნიზებულად დადგამს, რომ ძალადმაცხონე და ძალად შემიღიტინეა. იძულებული ხარ აუგი არ თქვა, თორემ იტყვიან: თანამედროვეებს ვერ უგებს და ჩამორჩენილიაო.

4373. კულტურულია ადმიანი, რომელსაც თვითკონტროლის, თავშეკავების ძალა შესწევს, ხოლო ნიჭიერია ის, ვისაც სულის გაშიშვლება იმ დონეზე შეუძლია, რომ ნიჭიერებაც გამოავლინოს და ლეღვის ფოთოლიც არ დაკარგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ერის კულტურას დროზე ვერ წაადგება და არც თანამედროვენი დაუშვებენ ამას.

4374. მსახიობი თუ მთელი დაძაბვით არ თამაშობს, ის ენერგიას კი არ გასცემს, არამედ პირიქით – მაყურებლისგან ითვისებს აპლოდისმენტების, აღიარების სახით, რადგან მაყურებლის ჩაწერტება, გულისხმევა, მსახიობს აჯეელებს და სიამით კვებავს.

4375. ფანატებსა და ვარსკვლავებს შორის გონიერების ბარტერი არ ხერხდება, რადგან მასში ან ქომაგთა სიყვარულია ყალბი ან ხელოვნების თვალთვალია შემოქმედება.

4376. მსახიობის ავადმყოფობის მკურნალი დარბაზში მაყურებელი და მისი აპლოდისმენტებია და თუ იგი მსახიობს ყვავილებითაც ამკობს, კარგად ყოფნა გარანტირებული აქვს.

4377. არტისტული ნატურისთვის მთავარია ირგვლივმყოფთ აჩვენოს თავისი ღრმა სულიერი განცდა, ხოლო თუ რას ფიქრობენ მასზე და მის ხუშტურებზე, არ აინტერესებს.

4378. მსახიობისთვის დრო საკონტროლო გასროლასავითაა, თუ მან თავის დროზე მისთვის განკუთვნილი როლი ვერ ითამაშა, თავისი რეჟისორი ვერ ნახა, მომდევნო როლით მაყურებელი ვერ მოხიბლა, ის თეატრისთვის მკვდარ სულად იქცევა.

4379. რადგან მსახიობის პროფესია მეორადია, ის მუდამ პატარძალივით უნდა იყოს, მისი ბედი ხომ რეჟისორის არჩევანზედაა დამოკიდებული: წარმატების შემთხვევაში ცოტა ხნით პირველი ხდება, მაგრამ შემდგომ ისევ საქმიანი თაყვანისმცემლის როლშია.

4380. ყველაფერს ბედი და თავხედობა უნდა: დამწყები მსახიობი ყველასათვის ნანატრ ვარსკვლავთან ალერსით ერთობა და ამას მუშაობაში უთვლიან, ფულსაც უხდიან და სახელსაც უხვეჭენ.

4381. ხელოვნებაა გიყვარდეს და უყვარდე, ეჯავრებოდე და ვერ იტანდე. თუ პირველის ერთგულება სიცოცხლეში სამოთხეს გპირდება, მეორის – ფარსია, ცხოვრების ყოველდღიურობით და კაპრიზით.

4382. შემოქმედება, ხელოვნება, თავადაა პოლიტიკა, მართალია, პასიური, მაგრამ გაცილებით აღმაფრთოვანებელი და წინდახედული.

4383. მაყურებლის ვალია მსახიობის შრომის მოწონება, მსახიობის სურვილია მის სანახავად მოსულთა „დაშოკვა", წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი პაემანი არ შედგება.

4384. ხელოვნებას ყოველთვის აქვს ორმაგი ძირი, ერთ-ერთი მათთვის, ვისაც ყველაფრის გაგება თავის ჭკუაზე და შეხედულებით უნდა.
4385. როდესაც ნიჭიერება სასაცილოზე ტირის და სატირალზე იცინის, ხელოვნება კი არა, ხელოსნობაა, რომელიც ერთჯერად ეფექტზეა გათვლილი.
4386. ხელოვანი ყოველთვის მომავალს შეჰყურებს იმედის თვალით, ვიდრე აწმყოს, რადგან მან ეს დრო ხალხის დაღვინებას და დაჭაშნიკებას უნდა მოახმაროს.
4387. არის ხელოვნება, რომელიც უკვდავი და საუკუნეების საკუთრებაა, არის ხელოვნება (კინო, თეატრი) მალფუჭადი და მას ყველა დროში ახლებურად გააზრება და მსახიობთა თამაში ესაჭიროება, რადგან მას ახალი თაობა ისე ვერ აღიქვამს, როგორც ამას წინა თაობა ახერხებდა.
4388. არის კლასიკური, ეროვნული ხელოვნება, რომელიც ხალხს სჭირდება და დასაძალებელია, არის ფსევდოხელოვნება, ადამიანის ვირეშმაკობაზე გათვლილი, რომელიც არავის სჭირდება, მაგრამ რეკლამირებულია. შედეგად, პირველი მარადიულია და ღარიბი, მეორე მდიდარია და წარმავალი.
4389. ნიჭი დუღილის შემდეგ გონიერების ამოფრქვევაა, ხოლო კულტურა, ამ ამონაფრქვევის მოვლა-შენახვა, გაფრთხილება და წარმოჩენა.
4390. ხელოვნებაში პოპულარობის გარანტი თავხედურად შემოტანილი სიახლეა, ხოლო წარმატებისა – შემოქმედებითი ნიჭი, მიუხედავად იმისა, რომ პირველს დროის ვიგინდარობა და ცხოვრების გზაჯვარედინზე ყოფნა სჭირდება, ხოლო მეორეს – გაჭირვება-დალხინების კოქტეილი, რწმენა და ჩამოყალიბებული მენტალიტეტი, რომელსაც კულტურა ჰქვია.
4391. ზოგი ხელოვანი ხალხს კი არ ემსახურება, მას ემსახურებიან პოპულარობის, ფულის შოვნის და ვარსკვლავად გამოცხობის მიზნით.
4392. ხელოვანი მაშინ ხარ, თუ ცდილობ რაღაც ხელთუქმნელი შექმნა და ამით შენი ცხოვრების გაგრძელებას აზრი მისცე.
4393. არის ევროპასა და აშშ-ზე უფრო დიდი სიმდიდრის მფლობელი ერები. ამ სიმდიდრეს კულტურა ჰქვია.
4394. მაყურებლის ვალია მსახიობის შრომის მოწონება, მსახიობის სურვილია მის სანახავად მოსულთა „დაშოკვა", წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი პაემანი არ შედგება.
4395. სამაგიერო კულტურის ქადაგება მიუღებელია, რადგან ყველამ თავის კულტურას უნდა უპატრონოს და განავითაროს.
4396. ცივილიზაცია და კულტურა ერთმანეთისგან შორს დგანან, მაგრამ უერთმანეთოდ ვერ ძლებენ და მუდამ საერთო ენის გამონახვის ძებნაში არიან.
4397. ზოგჯერ ძალაუფალის ცუღლუტობას საზღვარი არ აქვს, ისეთ პოლიტიკურ სპექტაკლს დადგამს და ისეთი ემოციების ბაზარს გაუშვებს, რომ მისი თანამედროვენი გეცოდება, რომ ეს კაცი რეჟისორი არ არის და თავის შესაძლებლობებს, ნიჭს, კინოსა და თეატრის წარმოსაჩენად არ იყენებს.

ლიტერატურა, მწერლობა

4398. იუმორში გამოიხატება ნაციონალური ხასიათი და ეს მძიმე წუთების განსამუხტავად სჭირდებათ.

4399. ტირანის იუმორია, როდესაც უდანაშაულოდ რეპრესირებულ ყოფილ მინისტრს „გულაგში" ყოფნას სტალინი დასვენებად უთვლის და ისევ მინისტრის თანამდებობაზე აბრუნებს.

4400. ანეკდოტი მხიარული, ჩახლართული, მოკლე კვიმატი მოთხრობაა, მოულოდნელი დასასრულით.

4401. წიგნის წერა ცხოვრების დაღვინებული აქსიომების შეჯერების, რევიზია-გადასინჯვის და მისი ახალი კუთხით დანახული პოსტულატების დამკვიდრების მცდელობაა.

4402. იუმორში გამოიხატება ხალხის ნაციონალური ხასიათი და ეს მათ მძიმე წუთების განსამუხტავად სჭირდებათ, მათ ხომ სიცილის გარდა არაფერი აბადიათ.

4403. მწერლობა მაინც სხვისთვის ჭკუის სწავლების მცდელობაა და არა აზრის გაზიარება, მაგრამ უბედურებაა თუ მას ნიჭი, ფანტაზია, მიზანსწრაფვა, სიწმინდე, ცხოვრების რეალური ცოდნა არ გააჩნია, რადგან სწორ წინასწარმეტყველად ვერ მოგვევლინება, რათა მისი სახელი ამქვეყნად დარჩეს. ამით თავსაც იღუპავს და წიგნის მოყვარულსაც ღუპავს, კითხვას აძულებს.

4404. აშუღურ სახელმწიფოში სიტყვის ლამაზად თქმა მეტ პატივში იყო, ვიდრე საქმე. ამჟამად ეს კინტოს სინდრომიც შეიცვალა, ეხლა უხიაგი სიტყვების კორიანტელის დაყენება თავის გამოჩენის სინონიმია, ხოლო საქმისადმი დამოკიდებულება უარესი გახდა.

4405. გინებასაც თავისი გამჭრიახობა სჭირდება, რადგან გააჩნია ვის და რისთვის აგინებ, არავინ იცის, იმიჯის შესაძენად თუ დასაკარგად, რადგან თქვენ ის უკვე უფასო რეკლამით დააჯილდოეთ.

4406. მეღვინეობას თავისი პოეტი სჭირდება და პოეზიას – თავისი, მაგრამ დღეს ნამდვილი პოეტის აღმოჩენა ორივეს უჭირს, რადგან წინ შეჩვეული ჭაშნიკის ძველი გემოვნება ეღობება თვითმყოფადი ტექნოლოგიებით და პოეზიით.

4407. ზოგიერთი გონიერი წიგნის შინაარსი რომ იგრძნო, თვეა საჭირო, რომ გაიგო, ერთ წელზე მეტი, რა თქმა უნდა, გონიერების და ემოციების სათანადო მობილიზაციის შემდეგ.

4408. ეროტიკულ ლიტერატურას ყველა კითხულობს, მაგრამ იძენს 10%, დეტექტივით ძირითადად ახალგაზრდობა ინტერესდება და ამ ლიტერატურის გასაღების პროცენტი 20-ს აღწევს. სერიოზული ლიტერატურით გონიერება ინტერესდება, მაგრამ მისი გასაღების პროცენტი ხუთსაც ვერ აღწევს, გაუგონიათ, რომ

პოეზია საკაიფოა და მისით დატკბობის მსურველი ერთ პროცენტს არ აღემატება, ხოლო დანარჩენი განათლების სადავეები ინტერნეტის ხელშია და რას კითხულობს ჩვენი ახალგაზრდობა და რით ინტერესდება, არავინ უწყის.

4409. როდესაც გოგონამ ვაჟის ფეხსაცმელს თავისი წვრილი ქუსლი ჩაარჭო, ვაჟს სიმწრისაგან ამოხდა: „მემყნობი, გენაცვალე?!", და ამან ირგვლივმყოფთა შორის მხიარულება გამოიწვია, მაგრამ პირუკუ ქმედება ვაჟის ლანძღვით და გოგონას შებრალებით დამთავრდებოდა. ასე რომ, იუმორსაც თავისებური მატრიარქატი ახასიათებს.

4410. ირონია უმადურების და უვარგისების უკანასკნელი გამოსავალია.

4411. იუმორი მივიწყებული სათუთი გრძნობების გახსენების ნაღველია.

4412. წიგნში შენი სულია ჩადებული და რა სასიხარულოა, რომ ამ სულის მყიდველი საკმაოდ ბევრია და უფრო სასიხარულოა, თუ ვინმე შენი სულის ამაღლებას მოინდომებს.

4413. მზესიტყვაობაში ლამაზად, ფილოსოფიური საწყისებით, იუმორით გვახსენებენ და გვკარნახობენ იმას, რაც ჩვენ შესანიშნავად ვიცით და მეექვსე გრძნობით ვგრძნობთ.

4414. კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო მთარგმნელი, თანამედროვე მასობრივი კულტურისთვის, თეატრი, კინო, ტელევიზია, ინტერნეტია, ამიტომ სხვა უკეთესი ამსახველი ჯერჯერობით მას არ ჰყავს.

4415. ლექსი რომ წაიკითხო, ის შენად უნდა იგრძნო, შეითვისო, სულის მუსიკა დაუწერო, მხოლოდ ამის შემდეგ იგრძნობ პოეზიას და აზრი შეგექმნება მის ავტორზე.

4416. კარიკატურა, იუმორი, ანეგდოტი, სიყვარულის თავისებური ახსნაა ქვენა გრძნობების გარეშე.

4417. მწერლის ნაწარმოების ჩხრეკა იმ თვალსაზრისით, რომ მის პირად ცხოვრებაში ცხვირი ჩაყო და ქვეყანას მოჰფინო, უზრდელობაა და მას ვერცერთი მეცნიერების ამოფარება ვერ გაამართლებს.

4418. ანეგდოტი უნდა იყოს გამჭვირვალე და მახვილგონიერი, როგორც ყველა მიმზიდველი ქალი.

4419. თანამედროვე რომანის მოთხოვნაა სამეცნიერო–პოპულარული ლიტერატურის წარმოდგენა რომანის სახით, რადგან მარტო სენტიმენტალიზმით და ცხოვრების აღწერით მწერალი შორს ვერ წავა.

4420. მწარე იუმორია, როდესაც ორიგინალურს, ზოგადსაკაცობრიოს, სასაცილოს გათქმევინებს შენი ცხოვრების ყველაზე პასუხსაგებ მომენტში.

4421. წიგნი უნდა იწერებოდეს მათთვის, ვისაც იუმორის გრძნობა აქვს და უაზრობის თავის ნაჭუჭში არ უშვებს.

4422. მწერლისთვის მთავარია მომდევნო თაობებს და საუკუნეებს მოწონებით ჩაეხუტოს, ხოლო თანამედროვენი თუ ტკბილ სიტყვას გაიმეტებენ, უნდა დასჯერდეს.

4423. მწერალი, რომელიც ყველა დროის მკითხველს ცენზის მიუხედავად აიძულებს წიგნი რამდენჯერმე გადაიკითხოს, მას სხვა რეგალიები შესამკობად და ასაღიარებლად არ სჭირდება.

4424. როდესაც მკითხველი წიგნს ისე ვერ აღიქვამს როგორც ავტორს წარმოუდგენია, ეტყობა იმ დროს ღმერთს მკითხველისთვის არ უწირნია, ან ავტორი დაუტოვებია წირვის გარეშე.

4425. მწერლობა სულის საგოგმანებელია და სხეულისთვის ტანჯვა, მაგრამ როდესაც დაამთავრებთ და წიგნს გამოსცემთ, სულის გოგმანი ქრება და მას სხეულის ტანჯვაც უკან მიჰყვება.

4426. მწერალსა და წიგნის ავტორს შორის ის განსხვავებაა, რომ მწერალი წიგნს მხატვრული ფანტაზიით აფორმებს, ავტორი კი კონსპექტს წერს, იმას, რასაც მკითხველი იმახსოვრებს და შინაარსი გამოაქვს სიამოვნების განცდის გარეშე, რაც პრეზერვატივის ხმარებას მოგვაგონებს.

4427. წიგნს ორი შემოქმედი ჰყავს: მწერალი და წიგნის ავტორი, სადაც პირველი განიცდის, მეორე კი ქმნის. ამ უკანასკნელის დაწერილი შინაარსი მკითხველს ამახსოვრდება, მხოლოდ განცდისა და სიტყვის ნამდვილი სილამაზის შეგრძნების გარეშე.

4428. ხანდახან ისეთ გემრიელ და აზრიან წიგნს წაიკითხავ, ყველაფრის სურვილი დაგეკარგება, ამაზე უკეთესი რა უნდა შევქმნაო. დრო გადის, ცხოვრება წინ მიდის და თქვენ კვლავ ქმნით. აქ შიში არაფერშუაშია, უბრალოდ, დრო გვჭირდება ამ საუკეთესო ნაწარმოების გადასახარშავად და დასავიწყებლად.

4429. წიგნის წერისას არც განათლება, არც განათებაა მთავარი, მთავარია ზევიდან დანათლება.

4430. მწერალი უნდა ეცადოს პირველ რიგში ნაწარმოების გმირების ხასიათი აჩვენოს თავისი შესაძლებლობის და ნიჭის მიხედვით.

4431. ნაწარმოები მახვილგონიერებით და იუმორით დროში და სივრცეში ადგილს ერთდროულად იმკვიდრებს.

4432. მწერლობა ეს არის ღმერთის მიერ შემოთავაზებული შთაგონების ზუსტი გაშიფვრა, საჭირო სიტყვის დაუღალავი ძებნა და მისი ძერწვა.

4433. ლექსს, რომელშიც ბევრი პოპ-მუსიკაა, აზრსმოკლებული ფანტაზიით, მკითხველისთვის საბოლოოდ რის თქმა უნდა, თვით პოეტისთვის უცნობია, მაგრამ მოწონება გარანტირებული აქვს, თუ ვინმემ რეკლამა გაუკეთა.

4434. მაჩანჩალები, უნიჭონნი ყოველთვის ბერავენ იმ ამბავს, რომელსაც ისინი აკრიტიკებენ და თვითონ საქმის აღებას არ ცდილობენ, პასუხსაც არაფერზე აგებენ.

4435. მუსიკის გარეშე სამყარო გაღარიბდებოდა, ფერწერის გარეშე ბევრს დაჰკარგავდა, მაგრამ იუმორის გარეშე ცხოვრება გაუჭირდებოდა.

4436. პოეტი ის აღმაფრენაა, რომელიც შენი სულის სიმღერას და სათქმელს გალობს, რადგან ღმერთს ხელი მოეცარა და ამის გამოხატვა პირადად არ ძალუძს.

4437. კარგი წიგნი გასაგები ვერ იქნება ეკონომიურად გაღარიბებული ხალხისთვის, ის მომავალი თაობისთვის არის განკუთვნილი, რომელსაც უზრუნველი ზედმეტი დრო ექნება, რათა წიგნიდან გონება შეივსოს საღი აზრებით და არა მისთვის უცნობი ცხოვრების გამოცდილებით.

4438. სენტენცია ლიტერატურის სასმისში ჩასხმული მათემატიკის, ფილოსოფიის, იუმორის კოქტეილია.

4439. კარგი სცენარია ის, სადაც საინტერესო ამბავი კარგად და მოხერხებულად არის აღწერილი თანამედროვე მენტალიტეტისთვის გასაგები ჭორების შეკეთებით.
4440. ცენზურისა და კრიტიკის კრიტერიუმი სხვადასხვაა და მათ მოლაპარაკებას მაგიდასთან დაჯდომა და საკითხის გადაჭრა სჭირდება და არა ერთმანეთის ლანძღვა-გინება, რადგან ორივეს აქვს უცილო არგუმენტები.
4441. არის იუმორის კატეგორია, რომელიც თავისი სიმძაფრით სპეციალურ ადგილს და კონტინგენტს მოითხოვს მის მოსასმენად და მოსაყოლად.
4442. პოეზია დროშაა არარსებული სიზმრებისა, რომელიც გადატანილია ქაღალდზე.
4443. შემოქმედის საფლავზე სეირნობა მაშინ იწყება, როდესაც მის ნაშრომს ისე გადააკეთებენ, როგორც მოეხასიათებათ და ოპონენტიც ქვევიდან ვერავითარი კრიტიკით ვერ მიწვდება.
4444. ერუდიცია ინფორმაციის მტვერია, რომელმაც ძველი წიგნებიდან ჩვენს თავში გადმოინაცვლა, მაგრამ პრაქტიკული შედეგის სარეალიზაციოდ ვერ იცლის და არც სურვილი აქვს.
4445. პოეზია აღმაფრენის მელოდიაა, სულის ნაგოგმანევი სალოცავია, რომლის ფაქიზ „მემბრანაზე" ყველა ხალხმა თავის ენაზე უნდა ილოცოს.
4446. წიგნის თარგმანი და რედაქტორობა, ისე როგორც მუსიკაში, ნაწარმოების თანხლებას მოითხოვს, რადგან მის გამოცემას აჟღერება, ამღერება სჭირდება.
4447. პოეზია სულის საიდუმლოა, პროზა – გულის სუნთქვა, ხოლო დრამატურგია ორთავეს სიცილის და ცრემლის საკმაზით ამკობს.
4448. ერი, კუთხე, პროფესია, რომელიც გაკილვის, ანეკდოტში მოხვედრის გარეშე დარჩება, იმის მაჩვენებელია, რომ ამ ხალხის ცხოვრებას თვითმყოფადობა და ეშხი აკლია.
4449. ხშირად ჩვენი სენტენციები უფრო სასურველი ფანტაზიის შედეგია, ვიდრე რეალური ცხოვრების გამოცდილების ფილოსოფიის, მითუმეტეს, თუ მას იუმორიც ახლავს.
4450. იუმორი უნდა დაემატოს ყველა სახის ურთიერთობას, თუ გინდათ იგი აზრიანი და სასიამოვნო გამოვიდეს.
4451. ბობოქარი და შინაარსიანი ცხოვრების გასავლელად საყოფაცხოვრებო დრამა და სატირა აუცილებელია.
4452. წიგნის ფურცლებში შეიგრძნობა ავტორის სული, ცივად შებოლილია თუ კალმახივით ფართხალებს.
4453. წიგნით დაინტერესების პირობაა: რეკლამა, ახალგაზრდული სული, დრო და მატერიალურად დამაკმაყოფილებელი განცხრობა.
4454. ანეკდოტმა ღიმილი უნდა მოგგვაროს თავისი გაფრენით თავისუფალი იუმორის სამყაროში.
4455. ტექსტში ფრაზების თამაში სიტყვების გადაადგილებით და აზრის დატვირთვით მწერლის საქმეა, ხოლო მისი რეზიუმეს სათნოების აჟღერება – პოეტის.

4456. სამწუხაროდ, წიგნი ისე არ იწერება, რომ ავანტურისტებს, დემაგოგებს მისი მოშველიება, დამოწმება გაუჭირდეთ.
4457. კრიტიკის კრიტიკაა, რომელიც ჯერ ნერვებს უშლის და შემდეგ აწყნარებს ადამიანს.
4458. ლიტერატურის ხარისხს სიტყვების, გრძნობების და სიუჟეტის თამაში კი არ განსაზღვრავს, არამედ მის ნიჭში ჩადებული მუსიკალური აზროვნების ჟღერადობაც.
4459. მწერლობა სასიამოვნო ბაზარია ქაღალდზე, ორი, სამი გონიერი ფრაზით განელებული.
4460. პოეტის ცოლი ქურდის დაქალს მოგვაგონებს, რომელიც ყოველთვის "ატასზე" დგას და უცდის პარტნიორის წარმატებას.
4461. იუმორი დოპინგია სატირისა და გარყვნა აფორიზმისა, დედისგინების გარეშე.
4462. ისტორია ყოველთვის გადაადგილების საშუალებებზე იქმნებოდა და იწერებოდა, მაგრამ შეიძლება დღეს ეს ინტერნეტის დახმარებით გაკეთდეს.
4463. სინამდვილეში პოეტი სხვისთვის უმიზნო და უსულო საგნებში რეალობას და მატერიალურს ხედავს.
4464. ხმამაღლა წერა შედეგს არ იძლევა, რადგან კრიტიკა მას ისე მაინც ვერ გაუგებს, როგორც თქვენ გინდათ.
4465. მწერლისთვის ყველაზე ძნელია თავისი დროის აღწერა, რადგან მკითხველს ჰგონია, რომ ის ცოტათი უკეთესია იმ დროზე, რომელშიც ის ცხოვრობს.
4466. დიდი იუმორი დიდ სისულელესაც იტანს, მაგრამ პატარა არანაირ სტანდარტისკენ გადახრის ამტანი არ არის, რადგან უნიჭობას განზომილება არა აქვს და არც მაყურებელი ჰყავს.
4467. იუმორი უნდა შეიგრძნო, იწამო, სიამოვნებით დადნე, მხოლოდ ამის შემდეგ ჰპოვებს ის შენს სულში ფასს.
4468. წელსქვევითა იუმორი ნიჭის გარეშე უზრდელობაა.
4469. იუმორი მაყურებელთა შეუმჩნევლად ფილოსოფოსობს და მისთვის გასაგები ესთეტიკის გზით გვასწავლის სიმართლის მოსმენას ცხოვრების გამოცდილების ხარჯზე.
4470. შეიძლება კრიტიკოსები შემოქმედების „ნასუფრალით" იკვებებიან, მაგრამ მათ ეს ნასუფრალი საკმაოდ უნდა მივაწოდოთ, თუ შემოქმედიც შეძლებს სიცოცხლეში დანაყრებას.
4471. ვისაც იმდენი იუმორის გრძნობა აქვს, თავის თავს დასცინოს, მისგან კიდევ შეიძლება რაიმე ხეინიანის გამოძერწვა.
4472. კრიტიკა ხიდან მარტო ნაყოფის მოწყვეტით არ კმაყოფილდება. ის უფრო ველურ სიამოვნებას განიცდის, თუ ხილს ტოტებიანად ამტვრევს და ამ ქმედებით ვინმე შეაშჩნევს.
4473. იუმორი იბადება ქვეცნობიერად, ამიტომაა, რომ ჩვენი ცხოვრება სულ იუმორს და სატირას გვაგონებს.

4474. ზოგს ჰგონია, რომ სამი უდიდესი გამოგონება – წიგნი, ტელევიზია და ინტერნეტი – განათლების მიღებაში ერთმანეთს ხელს უშლის. ეს ასე არ არის, დღევანდელი წიგნი, ეს ლურსმნული დამწერლობაა, რომელიც საინფორმაციო იმპულსებმა უნდა შეცვალოს და საყოველთაო ცნობიერებას ეზიაროს. ასეთია განვითარების კანონზომიერება.

4475. წიგნის კარადის აგური წიგნია, წაკითხული წიგნი – მისი დუღაბი, წაუკითხავი კი – მისი ინტერიერი.

4476. ავტორი უნდა შეეცადოს ისეთი ნაწარმოები შექმნას, რომ მოლაყბე მკითხველს მოსალოდნელ შეკითხვებზე პასუხი გაცემული დაახვედროს. ამ შემთხვევაში, ავტორთან სენსაციური ინტერვიუ შეიძლება არ გამოვიდეს, მაგრამ, ისიც კარგია, რომ ლაყბობის მოყვარულს პირის დაწვის საშუალება მიეცემა.

4477. დოსტოევსკის ნაწარმოები იგივე დეტექტივია, ოღონდ ნიჭიერების მადლით მირონცხებული და აღგზნებული სულით ფრთებგამოსხმული, რომლის გაცნობიერებით თავს იწონებენ, მაგრამ მის იდუმალებაში შეღწევა ერთეულთა ხვედრია.

4478. პოეტები ბევრ ლამაზ და ჰაეროვან ქალს უმღერიან, მაგრამ ცოლად რატომღაც ჩვეულებრივი, მიწიერი, სათნო ქმნილებები მოჰყავთ, რომლებიც მათ ემსახურებიან და უგებენ.

4479. შემხვედრი აზრები არსებობს ყველა გამოყენებით და სერიოზულ მეცნიერებაში. მათი შეჯერებით იქმნება აღმოჩენები და გამოგონებები. ყველაზე ცუდად შემხვედრ აზრებს ეგუება ერთი შეხედვით ყველასათვის ხელმისაწვდომი დარგი, რომელსაც ლიტერატურა ჰქვია.

4480. მწერალი საზოგადოების მენტალიტეტს ვერ ცვლის, მაგრამ მათ აზროვნებას ხინჯს უტოვებს და ზოგჯერ დააფიქრებს კიდეც.

4481. ეპითეტი: „სექსუალური ცხოველია", გინებაა თუ კომპლიმენტი, უნდა ეცადოთ ინტონაციით დაადგინოთ.

4482. პოეზია ლოცვაა, ოღონდ გააჩნია, იმ დღეს ვინ რომელი მუზის ღმერთს ეთაყვანება და ვინ რა განწყობაზეა.

4483. ყველა წიგნს აქვს შინაარსობრივი და ემოციური დატვირთვა, მასში გარკვევა მკითხველის პრეროგატივაა, მაგრამ რამდენად საინტერესოდ იკითხება წიგნი ავტორზე და საზოგადოების მენტალიტეტზეა დამოკიდებული.

4484. ლიტერატურას სჭირდება დახვეწილი ლექსიკა და არა ენის აგრესია, ცუდი მეტყველება, რასაც ხშირად ემოციას და თავის ადგილს მოკლებული არასასაუბრო ლექსიკით ვანაგვიანებთ. აქ იწყება ენის და ერის გამხიარულება და არა – გადაგვარება.

4485. მწერალი თუ ხარ, ფილოსოფიურად უნდა შეხედო გარემოს და სულის გაშიშვლებას, არ უნდა ფიქრობდე: ამის დაწერა დღეს შეიძლება, თუ არა. წინაალმდეგ შემთხვევაში, შენი ნამოღვაწარი ხელოსნობას დაემსგავსება, უკვდავებას ვერ წაეპოტინება და საზოგადოების იმდროინდელ მენტალიტეტს მოემსახურება.

4486. კრიტიკოსის გადამეტებული ყბედობა შემოქმედს უკვდავებისკენ თითქოს ჭას უხსნის, მაგრამ სიცოცხლეში კრიტიკოსის ხულიგნური გამოხტომები შემოქმედს

აიძულებს თვითონაც ხულიგანი გახდეს, მათივე მეთოდით თავი დაიცვას და წუნარ ცხოვრებას გამოეთხოვოს.

4487. პოეზია მაინც ქალისადმი, ჩვენი ამქვეყნად მოვლინებისა და გააზრებისადმი დამოკიდებულებაა.

4488. მწერალმა პირველ რიგში უნდა წეროს ცხოვრების ეშხის შემცნობი და გამოცდილებით დახუნძლული ხალხისთვის და არა უსაქმურობისგან წიგნის კითხვით დაოსებულთათვის, რომელთა ამპარტავნობა, არბიტრის როლის მიკუთვნებაში და მის განსჯაშია, იმის მაგივრად, რომ ნამოღვაწარით ისიამოვნოს და მისთვის სასიამოვნო სტრიქონები გაითავისოს.

4489. პოეტს ბუნების გარდა მასწავლებელი არ უნდა ჰყავდეს, ლექსი ვულკანის ამოფრქვევის შედეგი უნდა იყოს, გემოვნება – შეუცნობადი, ჰაეროვანი, მელოდიური. ასეთ საწარმოში შექმნილ სტროფებს ღვთიური მადლიც უნდა დაყვებოდეს, მაშინ ეს პოეზია კრიტიკას ნიავივით ჩაუქროლებს და მასების საგოგმანო გახდება.

4490. რა არის ცხოვრებისეული კომედია და რა არის ტრაგედია, ამას ჩვენთვის განკუთვნილი დროის მონაკვეთი და ამ მონაკვეთის მმართველი ვირიშვილები წყვეტენ.

4491. არავის მისცეთ უფლება ოპტიმიზმი და იუმორის შეგრძნება დაგაკარგვინოთ, რადგან ეს თქვენი სიცოცხლის გახანგრძლივების ხელყოფაა.

4492. როდესაც ქვეყანაში იუმორი მოიკოჭლებს, იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფოებრიობა საფრთხეშია, ან ნგრევას იწყებს, ან დიდი ძილისთვის ემზადება, რადგან უკვე ყველამ ყველაფერი იცის, ყველა ყველაფერს მიეჩვია და ყველას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია.

4493. ლიტერატურას მათემატიკა არ უყვარს, მაგრამ პატივს სცემს, რადგან სიუჟეტი, ნაწარმოების ფაბულა, მის გარეშე ვერ იარსებებს, ფილოსოფიას მოკრძალებით ეპყრობა და წინააღმდეგი არ არის მასთან იმეგობროს, რადგან მისი გონიერების ცენზი და სიტყვის მადლი სხვანაირად არ გამჟღავნდება. იუმორი უყვარს, მაგრამ მისი ზომიერად მოხმარების მომხრეა, რადგან სიცილ-ტირილის გადაჭარბება ნაწარმოებს თავის დაღს ასვამს!

4494. თუ კარგ ხასიათზე ხარ და დროის სიმცირეს არ განიცდი, მაშინ მისწრაფება სერიოზული ლიტერატურის კითხვისკენ გაქვს, ხოლო უხასიათობის და დროის მოკვლის სურვილის შედეგია გაურკვეველი ღირებულების წიგნის გადაკითხვა. ასე რომ წიგნის კითხვა მაინც მატერიალური ყოფილა, ვიდრე სულიერი, რადგან გონება სიმდიდრით გინდათ დატვირთოთ.

4495. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი თავისი დროის შვილია, მისი გმირები მისივე თაობის დონკიხოტები უნდა იყვნენ, თუ უნდა, რომ მას გაუგონ და მის გმირებზე მომდევნო თაობები აღიზარდონ.

4496. იუმორი უნდა იყოს ბუნებრივი, კონცენტრირების გარეშე და ხალხს სატკივარს, საფიქრალს მიანიშნებდეს.

4497. ენაკვიმატობა ავის თქმის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ მასში ერთი სხარტული გაელვებით სიკეთე და იუმორი უნდა მძლავრობდეს და გაკილულის იმიჯს მიწასთან არ უნდა ასწორებდეს.

4498. ანეკდოტის მარტო ქულებით წარმატება კი არ უნდა გგვრიდეს სიამოვნებას, არამედ თავისი ნოკაუტით და აპერკოტითაც აღფრთოვანებას უნდა გვანიჭებდეს.

4499. წიგნის ნამდვილი მკითხველია ის, ვინც თავს წიგნის გმირის ადგილზე აყენებს და კითხვაზე – მე იმ სიტუაციაში როგორ მოვიქცეოდიო, მიუკერძოებლად პასუხობს.

4500. დიდი მწერალია ის, ვინც სენტენციების კორიანტელის საკმაზს, სიტყვის და აზრის შეზავებას, მკითხველისთვის სასიამოვნოდ და გასაგებად მოახერხებს.

4501. მწერალი ვალდებულია თავის შემოქმედებაში მკითხველი გაარკვიოს ქვეყნის წარსულსა, აწმყოსა და მომავლის ისტორიაში და აქ თანამედროვე მოღვაწეთა დანდობა, მათზე შეღავათების გაწევა დანაშაულის ტოლფასია, რადგან ეს იწვევს მკითხველის დაბნევას და მოტყუებას.

4502. კარგი იუმორი არ ძველდება, მაგრამ გარეგნობას, ადგილსამყოფელს და ავტორს ხშირად იცვლის.

4503. ირონია ყველაზე მძლავრი იარაღია და მისი გამოყენების უფლება ყველას არა აქვს.

4504. მუზა შემოქმედის უდიდესი ძალაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად არ გვესტუმრება. ეს ყველაზე საპატიო და ნანატრი სტუმარი შემდგომშიც რომ გვესტუმროს, დიდი ძალისხმევა და შრომა გჭირდება.

4505. მაქებართა მუდმივი სერენადა თუ გინდა დაიმსახურო, მათზე თეთრი ლექსები მაინც უნდა დაწერო.

4506. მწერლის მაგიდაზე ქაღალდის ნაგლეჯები უფრო ფასობს, ვიდრე მთელი საწიგნე, რადგან ეს ნაგლეჯები ბალასტია ფრთიანი აზრების, რომელიც გადამუშავების შემდეგ სიტყვის ხვითოდ უნდა მოგვევლინოს.

4507. მწერლის ნაწარმოებსაც დაღვინება სჭირდება, რადგან მაჭარს სხვა გემო და სხვა მკითხველი ჰყავს, დაუკუპაჟებელ ღვინოს – სხვა მსმელი, ხოლო ორდინალური ღვინის მსმელია ნაწარმოების შემფასებელი.

4508. კინოსცენარსა და წიგნს შორის ის სხვაობაა, რომ პირველის მიხედვით გადაღებულ ფილმში, ყველაფრის დამტკიცება შეიძლება, ხოლო წიგნში ეს არ ხერხდება.

4509. მუზის გარეშე შექმნილი ყველა ნახელავი ხელოსნობაა, მუზით შექმნილი შემოქმედება კარგია, მაგრამ ბრბოს პირველზე უფრო მეტი მოთხოვნილება აქვს.

4510. ისეთი ნაწარმოების შექმნა ნამდვილად არ ღირს, რომლსაც შენი ცუდისმდომიც კი ვერ შეამჩნევს.

4511. იუმორი სატირისგან იმით განსხვავდება, რომ მას ვიღაცა ქმნის ვიღაცაზე, სატირას კი ყველა ისმენს და თავისთავს ხედავს.

4512. არის ნაწარმოები, რომელსაც თქვენობით უნდა ელაპარაკოთ, მიუხედავად მისი ხარისხისა, რადგან მან ტირაჟი და თავისი მკითხველი უკვე მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ მას ტვინის განძრევა არ ჭირდება.

4513. აუტანელია იმ უზრდელური გაპამპულების ყურება, რომლის ავტორსაც ჰგონია, რომ იუმორს წაეთამაშა.

4514. იუმორი სრულად არ ითარგმნება, რადგან მას სული თავად უნდა შთაბერო.

4515. ერთი ბრიყვის გაბრიყვება, მეორეს გაცუცურაკების მიზნით, იუმორად არ ჩაითვლება.

4516. ნაწარმოები კარგად შეფასდება, თუ აღქმისუნარიან მკითხველს მისი განმარტება არ დასჭირდება.

4517. საქმის მცოდნე გენერალი, რომელიც ერთ კაცს გაწირავს და ათასს გადაარჩენს, გმირად ითვლება. კრიტიკოსს, კი, რომელიც თავისი კრიტიკით ერთ კაცს გასწირავს და ათასებს სხვისი გაბიაბრუებით სიამოვნებას ანიჭებს, გმირად არავინ თვლის. გენერალსა და კრიტიკოსს შორის ის განსხვავებაა, რომ გენერლის გაწირული კაცი უკან აღარასოდეს მობრუნდება, გაკრიტიკებული კი კრიტიკოსისათვის ზურგში დანის ჩასაცემად ყოველთვის მომარჯვებულია.

4518. რომანი ყველასთვის სამარადისო არაა, მაგრამ ის უკვდავებას ეზიარება, თუ მას პროზად გადავაკეთებთ და დროგამოშვებით გადაკითხვით სულს გავუთბობთ.

4519. იუმორის წარმოჩენას გურმანი და ნიჭიერი მზარეული სჭირდება.

4520. მწერალი პასუხისმგებელია ღმერთის, სინდისის და მომავლის წინაშე, რადგან არ შეიძლება ის მარტო გასართობად წერდეს, მან თავისი დაღი უნდა დაასვას სულიერებას, რათა მომდევნო თაობების ხორცი გალაღდეს, ეროვნულობა ამაღლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიტერატურა ბაზარს დაემსგავსება და ამ ვაჭრობით საბოლოოდ ხეირს ვერც მკითხველი ნახავს და არც მწერლის ხსოვნა დარჩება.

4521. ნაწარმოებს, რომელსაც ყველა იგებს და არ გამახსოვრდება, დეტექტივია, ის, რომელიც გგონია გაიგე და ვერ ახმოვანებ, ფილოსოფიაა, რასაც მოგვიანებით ჩაწვდები და გონებას გაგინათებს, აფორიზმია, ხოლო ზემოთ აღნიშნულის ხაბახუბა ლიტერატურასთანაა ნაზიარები.

4522. წიგნი იწერება იმისათვის, რომ შენი ცოდნა, გრძნობების ჩოჩქოლი, მსოფლმხედველობა, ცხოვრების ხედვის იუმორისტული ფანტაზია სხვას გაუზიარო, ხოლო თუ ნამოღვაწარი მოწონებას დაიმსახურებს, სახელს მოგიტანს და მატერიალურად ფეხზე დაგაყენებს – შენი საქმე კვადრატში, კუბში გიკეთებია.

4523. მწერალი თავისი ხალხის თავქარიანობის მესაიდუმლე უნდა იყოს, ხოლო პოეტი – სულის გათავხედების.

4524. ზოგიერთი სიტყვით მეომარი და საქმით მოქეიფე პოეტი დღეს უსულგულო პოლიტიკოსად იქცა და ეჩოსავის მანაც ისწავლა თავისკენ თლა.

4525. მწერლობა ნუგეშისცემა, ოცნების მხარდაჭერა, სიცოცხლის გახალისება და იმედის დაკვალიანებაა.

4526. კარგი წიგნი ყოველთვის დაუმთავრებლობის გრძნობას უნდა გიტოვებდეს და სურვილს შენი წარმოდგენით გააგრძელო სიუჟეტი.
4527. ხანდახან სენტენციებში თავის დროზე დაუწერელი სარკაზმის ფილოსოფიაა მთავარი და არა იუმორი, რომელსაც უნდა ყველას ასიამოვნოს.
4528. ყველა დრო ძველ ნაწარმოებებს თავისებურად იგებს, მაგრამ სცენაზე წარმოჩენისას მას უნდა ამ ეპოქასაც გაუსწროს.
4529. მწერალი თავის ეპოქას უნდა აღწერდეს ძველის გადასახედიდან, ახლის გააზრებით.
4530. მწერლობაში მთავარია სიტყვის ამაღლება, ამღერება, მასთან ჩალიჩი, მაგრამ არა – გონიერების და სულიერების ხარჯზე.
4531. კარგი წიგნი სამჯერ მაინც უნდა წაიკითხო, ჯეელობაში, სიჭარმაგეში, ცხოვრების დაისზე და საბოლოო განაჩენი ისე უნდა გამოუტანო.
4532. მწერალმა აზრები კი არ უნდა აბურდ-დაბურდოს, აურ-დაურიოს, არამედ გმირის სულს ამ აზრებში გამარჯვებული ძრომიალი უნდა ასწავლოს, იმგვარად, რომ მკითხველმაც ისიამოვნოს და ავტორის სინდისიც დამშვიდებული იყოს.
4533. მწერლობა ენის კვიმატობაა, ზნე-ჩვეულებების შენი შეხედულებით ამღერებაა, სიტყვის მადლის შეცნობაა, უაზრობის აზრიანად წარმოჩენაა, ენის სიწმინდის და უხეში გამონათქვამების იმგვარი შერწყმაა, რომ მთლიანობაში მწერლის ნამოღვაწარი წიგნი ლამაზი მოგეჩვენოს და ფრთები შეგასხას.
4534. წიგნი ადამიანს ზნე-ჩვეულებებს ვერ შეაცვლევინებს, მაგრამ მასში დროებითი კორექტივი შეაქვს.
4535. ხელოვნება და მწერლობა ახალი აზრების ახირებული გამოთხრა და მისი სხვადასხვა ფერებით დაფარვაა.
4536. ირონიას თუ ყელში ხელს მარჯვედ წავუჭერთ, მისგან შეიძლება იუმორიც მივიღოთ და სატირაც.
4537. მწერალმა ისე უნდა წეროს, როგორც ფიქრობს და ხედავს და არა ისე, როგორიც უნდა იყოს ჩვენი რაობა.
4538. დიდი ბედნიერებაა ისეთი მოწესრიგებული წიგნის დაწერა და წარდგენა, რომელიც ყველა დროის მკითხველს აღაფრთოვანებს, საუკუნეების შემოტევას გაუძლებს და შემქმნელს უკვდავებას უსახსოვრებს.
4539. მწერლობა ძველი სიტყვების და აზრების ალღოიანი გადახარშვა, – განლაგებაა, რომლის გასაღებია თანამედროვეობის სულის ჩაბერვა გრძნობების სიღრმით და დახვეწილი გემოვნებით იმგვარად, რომ მკითხველმა თავისებური ტკბობა და გონების გადახალისება განიცადოს.
4540. მწერლის ბევრ ნაწარმოებს დაღვინება ესაჭიროება, მაგრამ ამისთვის მას სიცოცხლე არ ეყოფა და ისიც იძულებულია, მკითხველის დაღვინებული გონების იმედზე იყოს.
4541. მწერლისთვის მთავარი დღევანდელი მკითხველი კი არ არის, არამედ მის მიერ გამოშვებული წიგნი, რომელიც დროის ჭაშნიკს უძლებს და თავისი გურმანი არ ელევა.

4542. მწერალს რომ მკითხველზე კარგი წარმოდგენა ჰქონოდა, იშვიათად გამოუშვებდა წიგნს ან საერთოდ არ დაწერდა.
4543. არის კარგი, საშუალო, ცუდი და ცუდზე ცუდი ნაწარმოებიც, რომელსაც აუცილებლად თავის მეხოტბე გამოუჩნდება, თუნდაც იმიტომ, რომ თავი გამოიჩინოს და „ორიგინალურ" გემოვნებას ხაზი გაუსვას.
4544. მწერლის შეცნობა მისი სისხლის ანალიზით შეიძლება, რადგან მის წიგნის გმირებში ავტორის რაობის, მსოფლმხედველობის, სისხლი დუღს.
4545. წიგნს უფრო მეტი დაუღვინებელი, მოყვარული მკითხველი ჰყავს, ვიდრე დაღვინებული პროფესიონალი, მაგრამ წიგნი მაინც ამ უკანასკნელისთვის იწერება.
4546. პოეზია შენი სულის მხურვალების მიპატიჟებაა შენთვის სათაყვანებელი პოეტის ცეცხლოვანებასთან.
4547. ზოგი მწერალი მკითხველს საზოგადოებრივი აზრის წყალსატევიდან ნემსკავით ამოაგდებს, ზოგიც წყალქვეშა გასროლაზე წამოეგება, ზოგი ხმას აყოლილი მკითხველიც ბადის მოსმაში მოყვება, ზოგსაც აკრძალული ხერხით დინამიტის აფეთქებით იჭერენ, ასე რომ, ყველას თავის მკითხველი და თაყვანისმცემელი ყავს, გააჩნია დროს, მოდას, ცხოვრების წესს.
4548. წიგნის დაწვა პროტესტის, ავტორის მკვლელობის და მისი რეიტინგის ამაღლების ტოლფასია, მისი მაკულატურად ჩაბარება კი ავტორის უღიმღამო სიცოცხლის მაჩვენებელი პროცესია და სახელის დევალვირებაა, ხოლო საჭირო და კარგ წიგნებს, რომლებიც წიგნის თაროებზეა გამოფენილი, არც პროტესტით აწუხებენ არც პროცესით და რომ არ დაობდეს, ხანდახან მოინახულებენ და ავტორსაც გაიხსენებენ.
4549. კარის პოეზია არის ჯართი, რომლისგანაც ლექსების რახა-რუხის გამოწვა შეიძლება და არა სიტყვის მუსიკალური ფოლადის გამობრძმედა.
4550. მწერალი თავისი ნაწარმოებების ლაბირინთებში ფიქრით, ოცნებით, სია-მაყით დაძვრება და იქ ჩალიჩობს, სადაც მოეპრიანება, მაშინ, როდესაც წერის ნიჭის გარეშე ასეთ საამო ცხოვრებას ვერასდროს გაინაღდებდა.
4551. მწერლის ვალია ახალი იდეალების აღმოჩენა, სულიის სიმებთან შეთამაშება და არა – არსებული სინამდვილის ახსნა და წარმოჩენა, რაც უმადური საქმეა.
4552. არის ნაწარმოები, არის კულტურა, ის რომ შეიგრძნო და გონება შეათამაშო, მარტო ამ ქვეყანაში დაბადება არ კმარა, ამისთვის სათანადო აღზრდა და გარემოცაა საჭირო.
4553. ანეგდოტი ცხოვრების მხიარული ხედვაა ვირეშმაკული ნიჭით, ხოლო იუმორი – ცხოვრების უვერტურის მხატვრული გადახვევა, უგნურთა შემოტევიდან თავის დაცვით და დროებითი განიარაღებით.
4554. ლექსი, აფორიზმისაგან განსხვავებით, განგების წყალობაა, სულის სიდიადეა, სიტყვის მუსიკაა, აღმაფრენაა, რომელსაც რითმის კანონები პატრონობს და აკონტროლებს, ხოლო აფორიზმი გონიერების გადმოფრქვევაა, ფილოსფიის ზეიმია, იუმორში შერწყმული სულის სილამაზეა, კუდმოქნეული აზრის დაბოლოებით. ის, რაც პირველს ეპატიება და შეუმჩნეველი დარჩება, მეორეს ასე ადვილად არა-

ფერს აპატიებენ, რადგან მისი მკითხველი არა მარტო გემოვნებაზე, არამედ გონიერებაზეც აცხადებს პრეტენზიას.

4555. ალბათ მწერლობა ისიცაა, რომ ხალხს წააკითხო, მოასმენინო ის, რის დანახვა, შეცნობა არ სურს და სიამოვნებს, მაგრამ ეს ერის მომავალს და გამოცდილებას სჭირდება.

4556. შემოქმედება უფრო თერაპიაა, ვიდრე ხელოვნება, რადგან ის ჩვენი სულის განკურნებას ცდილობს და ხალისს მატებს.

4557. კარიკატურა მებრძოლი ჯარისკაცია, სატირა ეფრეიტორია, იუმორი ზემდეგია, რომლებიც ჩამორჩენილობას, გულგრილობას, უგერგილობას ერთნაირად აღიქვამენ, მაგრამ სხვადასხვა ტონალობაში ნათელი ღიმილით გამოხატავენ.

4558. გადაღლილი რომანტიკოსისთვის სულერთია მწერალია თუ ლიტერატორი, ოღონდ მოასვენონ და შეკითხვები არ მისცენ.

4559. მთავარი, მრავალფეროვანი თავხედობის შეცნობა და არა საყოფაცხოვრებო იუმორის, რომელსაც უხამსობაც თან ახლავს.

4560. შავ იუმორში მთავარი მისი აღქმა, განწყობა, საკუთარი ფილოსოფია და ვინ წამოაჩენს რათა სიცოცხლის ყველა პირობებში ღიმილით მოვეპყრათ, მის საბოლოო წერტილის დასმამდის.

4561. ანეგდოტი არის დროის აღამდგენი, სიცილისთვის განკუთვნილი, ყველასთვის ცნობილი დაშიფრული ინფორმაციის ინტელექტუალური სექსი, რომლის სურვილია სხვას მიანიჭო სიამოვნება, მაგრამ თავად მეტად ისიამოვნოს თავისი მოხერხებული თხრობით.

4562. იუმორისტია ის, ვინც შემთხვევით იმ ოთახში ხვდება, სადაც მისთვის კარი გამოხურულია და „გაუგებრობას" თავისი ხუმრობით არც გადაამლაშებს და არც გადაითამაშებს ვისმეს საამებლად.

4563. პოეზიაზე, პროზისაგან განსხვავებით, ძალადობა არ შეიძლება, რადგან ის სულის ამოფრქვევის შედეგია, რომელიც წმინდა ძაფების ნაღვაწით არის შემკული.

4564. სიტყვას მაშინ აქვს ფასი თუ ის დროის ყივილს ერგება, ხოლო მადლი თუ ვინმეს სულს ესალმუნება.

4565. მწერლები სხვადასხვა სტილით და აღქმით თხზავენ, მაგრამ აკრიტიკებენ ერთფეროვნად.

4566. პოეტისათვის ლექსი ბავშვივითაა: მის ჩასასახად წუთიერ გაელვებაზე ნაკლები ჭირდება, მაგრამ მასზე ლოლიავს და ხალხში გამოყვანას სიცოცხლის შემდეგაც აგრძელებს.

4567. მწერლობასა და ხელოვნებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი სულიერად მატერიალურია, მეორე მატერიალურად არის სულიერი.

4568. კარგი ლექსი შენთვის გასაგები ნარკოტიკია, რადგან კაიფის დაჭერას იმდღევანდელი განწყობა, გარემო, გემოვნება განსაზღვრავს.

4569. მომდევნო საუკუნის პროზაიკოსს აწმყოში მცხოვრებნი ვერ ეგუებიან, მიუხედავად ამისა, ასეთ ნააზრევს უნდა მივეძალოთ, იქნებ ჩვენს დროში რაიმეს გადმოღება, გათავისება მოხერხდეს.

4570. ხანდახან დიალექტი იმდენად განსხვავდება ჩვენი აღქმის უნარიდან, რომ ის სხვა ტომის წარმომადგენლად გვეჩვენება.

4571. ეტყობა დროს ისეთი პროგრესისკენ მივყავართ, რომ კალმის ჩუქურთმის მოყვარული ხალხი თავის შემოქმედებას საკუთარი სიამოვნებისთვის გაყვება და წაიკითხავს, იმდენად ცოტა ეყოლება ახალ წიგნს მკითხველი.

4572. კრიტიკა თავისი დროის განსჯის მსახურია და ყველა ნაწარმოები თავისი დროის შესატყვისად უნდა განსაჯოს, ოღონდ მომდევნო საუკუნის გადასახედიდან.

4573. ყლორტის ფილოსოფია, მეორადი ჰიგიენური მდგომარეობა, ქმრის მოყვარულთა პარტია, ბიზნესიც თავისებური სარწმუნოებაა, ერის მორალური ორგაზმი, ნაკლოვანებაც ტალანტია, თავისუფლების ირონია, სულის გასაყიდი სერთიფიკატი, ოპტიკური ყავარჯენი და მრავალი ამგვარით განმარტებითი ლექსიკონის შედგენა თავისებური ლიტერატურული შოუა, რომლის გამოყენებაც მწერლობაში აუცილებელია, თუ გვინდა მან გონიერებით იგრიალოს და არ იარსებოს.

4574. წიგნის წერა ადვილია, მასზე მუშაობაა ძნელი, გამოშვება ქვის კოდვას უდრის, ამიტომ მწერალი წიგნის გამოცემისთვის მზადებას და არა – წერას, 10-15 წელი უნდება.

4575. მწერალს ჰგონია, რომ წიგნის გარკვეული ნაწილი ფურორს გამოიწვევს, მომდევნო თავი რატომღაც სუსტი ეჩვენება, მკითხველი კი პირიქით ირჩევს. აქ ან მკითხველის გემოვნებაა მოუმზადებელი, ან მწერალი ვერ აფასებს მკითხველის გემოვნებას.

4576. წიგნი წესით იმათთვის უნდა იწერებოდეს, ვისაც აზროვნების შედეგად მიღებული სიამოვნების განცდა შეუძლია და სულიერებით, გონიერებით გვხიბლავს, მაგრამ მათ ამისთვის არც დრო ყოფნით და არც სახსარი.

4577. მწერლობა ხელოვნების ერთ-ერთი დარგია, რომლის სურვილია, სიამოვნების მინიჭებასთან ერთად, მკითხველს სოციალური დაცვის სტატუსის იმედი მოუპოვოს და მისი საიმედო მეგობარი გახდეს.

4578. პოეზია საამო სიტყვების, ცნობილი აზრების და უცნობი შედარებების სასიამოვნო მუსიკით შეზავებული საოცრების კოქტეილია.

4579. მწერლობა არის აზრის ფილოსოფიის და სიტყვის ჭიდილი, აგებული თანამედროვე მკითხველისათვის საინტერესო თემაზე.

4580. ღრმა შინაარსის წიგნის მკითხველი, გარდა განათლებისა, მეცნიერებასა და ცხოვრებაში კარგად ჩახედული უნდა იყოს, გონება უჭრიდეს, იუმორის გრძნობაც ჰქონდეს და არც ფილოსოფიაზე იყოს მწყრალად. სად გინდა დღეს ასეთი მკითხველი ნახო? ალბათ უსახსრო წიგნის მოყვარულებში, რომელთაც უკვე ყველაფერი მობეზრებული აქვთ.

4581. მწერალი ყველა სახის მკითხველისთვის წერს, მაგრამ პირველ რიგში თავის ამბიციებს იკმაყოფილებს, ხოლო მისი ნამოღვაწარი საუკუნეების საჯიჯგნი და შესამოწმებელია.

4582. პოეზიაა ის, როცა ერთი სტრიქონის შეფრთხიალება ჯიგარს აგიწვავს, გონებას გაგინათებს, სულს შეგითბობს და სიამოვნებისგან წმინდა სანთელივით დაგღვენთავს.
4583. მწერალი მანამ წერს ხალასად, სანამ ენის საიდუმლოებას არ შეიცნობს და მის გაკულტურულებას არ დაიწყებს, მაგრამ მას ავიწყდება, რომ ეს ქმედება სხვა ხელობის ხალხის საქმე და საფიქრალია მიუხედავად მისი ამაგისა.
4584. ნამდვილი ლიტერატურა ძალზე ცოტაა და მისი დაჭაშნიკების უნარი ყველას არ შესწევს, ამიტომაც მკითხველი მასობრივ ლიტერატურას ეტანება, რომელიც ჩვენი გადაადგილებისას მგზავრობის დროს ამოკლებს და არც ტვინის უჯრედებს ახურებს.
4585. სიტყვები ბერდებიან, მაგრამ არ ქრებიან და ნიჭიერი მწერლის ხელში ფენიქსივით აღმდგარნი, სასიამოვნო ხმოვანებით გვევლინებიან.
4586. მწერალმა ფიქრისათვის დრო უნდა გამონახოს, მასალების მოსაგროვებლად ხალხში იტრიალოს, ხოლო წერის დროს მისი განმარტოება წიგნის ხარისხის მაჩვენებელია.
4587. მწერლის და სცენარის ავტორის გარეშე რეჟისურა, მსახიობი და ცირკი თავისი შაპიტოთი ძალზე უღიმღამოდ იარსებებდა.
4588. მწერალი მისთვის სასიამოვნო აზრების ქაღალდზე გადმოსახლებას ნაჯღაბნი ანბანის დახმარებით ცდილობს.
4589. ყველა დროის ლიტერატურას თავისი ღმერთკაცი მწერალი უნდა ჰყავდეს, რომელსაც უნდა უსწორდებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების აზრს უკულტურო ლიტერატურა წალეკავს.
4590. მწერალს უნდა შეეძლოს სუფთა ფურცლებზე თავისი დაუწერელი რომანის წაკითხვა.
4591. ლიტერატურა არის კუდიანი სიტყვის მადლიანი მოქნევა წიგნის რომელიმე აბზაცში.
4592. მკითხველისთვის ყველაზე კარგი წასაკითხავი რომანი იქნებოდა ის, რომელსაც თავად დაწერდა, ამის ნიჭი რომ ჰქონოდა.
4593. დღეს რომ შექსპირი გამოჩენილიყო, თავისი შემოქმედების აღიარებისთვის მას გაცილებით მეტი დრო დასჭირდებოდა, ვიდრე დღეს აქვს, რადგან წინ აღუდგებოდა საერთო კომპიუტერიზაცია და წიგნის კითხვისადმი გულგრილობა.
4594. ლამაზი სიტყვაც აუქციონზე გასატანია, რათა მას უფრო მეტი ფასი დაედოს.
4595. აფორიზმი არის ყველა ფრთიანი აზრის და სიტყვის საწყისი, რომელიც მწერლის ნამოღვაწარში საძირკვლად და ბალავრად თუ არა, მის შესაკრებად მაინც გამოდგება.
4596. პირადად გაცნობის შემდგომ ნამოღვაწარი უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე ავტორი, რადგან შექმნილს ნიჭიერი გამხმოვანებელი ბევრი ჰყავს.
4597. დღეს რომ ერთი და იგივე ტექსტი ათჯერ დამეწერა, ერთმანეთს არცერთი არ დაემსგავსებოდა, რადგან მისი შესრულების ხარისხი იმ დროის მონაკვეთის განწყობაზე იქნებოდა დამოკიდებული, რა დროსაც ეს ტექსტი დაიწერა.

4598. წიგნი არსებობს საკითხავი, გამოსაფენი და თავის მოსაწონებელ-წარმოსაჩენიც.
4599. მწერალი არ უნდა იყოს რომანის გმირზე და შინაარსზე ნაკლებ ჭკვიანი, გარეგნულად მაინც, თორემ მკითხველი ამას ვერ გაიგებს და გაწბილდება.
4600. მწერალს მეტყველება თავის გამოსაჩენად სჭირდება, საუბარი – აზრების დასაჭაშნიკებლად, წერა – აზრების დასაფრენად და დასამაგრებლად. ასე რომ, ერთი კაციდან სამს ვიღებთ და ერისთვის ისიც ხეირია.
4601. პოეტი წარსულს და მომავალს გულით და სულით ეთამაშება და ამიტომ აწმყოს მისთვის შესაძლებელი სერიოზულობით ექცევა.
4602. ერთ ფრთიან აფორიზმს შეუძლია ცხოვრების არსშიც გაგარკვიოს, შენი თავიც შეგაცნობინოს და შეიძლება რომანის დაწერის ხასიათზეც დაგაყენოს.
4603. გონიერების მოყვარულს თავადაც ნიჭი სჭირდება, ამიტომაცაა გონიერი წიგნის მკითხველი ასე ცოტა.
4604. ენა განვითარებული კონსერვატიზმი უნდა იყოს, თუ გვინდა მისი სილამაზის და თვითმყოფადი მომხიბვლელობის შენარჩუნება.
4605. სიტყვა არ ქრება, ის უბრალოდ დავიწყებას ეძლევა, რომელსაც მოგვიანებით სულის არქეოლოგები აღმოაჩენენ და ხელოვნების ნიმუშად აქცევენ.
4606. ღირსეული თარგმანის გარეშე მწერლის ნაწარმოების სიტყვების და ნიჭის თამაში შეიძლება გაბახდეს და თარგმანი ბირჟაზე სიტყვის აქციების თამაშს დაემსგავსოს.
4607. მკითხველისგან განსხვავებით, მწერალს მკითხველის ამორჩევა და მისი დამატებითი დაკვალიანება თავისი ნაწარმოებით არ შეუძლია.
4608. მწერალმა ისე რომ გაიგოს თავის ნამოღვაწარის შინაარსი, როგორც ზოგი მკითხველი იგებს, შეიძლება თავი ჩამოიხრჩოს.
4609. წერა-კითხვა სამყაროს განვითარების ძირია და არა თავისი დროის გენიალობა, რომელთა აზრები დაფიქსირების, დამწერლობის გარეშე, ფიქცია იქნებოდა.
4610. შექსპირი ბევრს არ წაუკითხავს, მაგრამ ღმერთივით მის პირველადობაში ეჭვი არავის შეაქვს.
4611. მწერლობა არის ცნობილი და შეთხზული ფაქტების მუსიკალური აჟღერება, აზრის მარცვლების ნოტებად გამოყენებით.
4612. წიგნი ისე უნდა წეროთ, როგორც ფიქრობთ და არა ისე, როგორც პაექრობთ და ლაპარაკობთ.
4613. ნაწარმოები მწერლის შვილია, ხოლო ხელახლა რამდენიმეჯერ გამოცემული – შვილიშვილი.
4614. პოეტია ის, ვისი ლექსის წაკითხვასაც დროგამოშვებით სული გთხოვთ და ხორციც სიამოვნებისგან თბება.
4615. ლექსიკონი წამალივითაა, მიუხედავად აუცილებლობისა, მისი ხმარება ყველას ეზარება.
4616. არის საკუთარი ნაწარმოები, რომელიც მწერალს არ მოსწონს, მაგრამ ვის რაში სჭირდება მწერლის აზრი, თუ ის ბრბოს მოსწონს და გაითავისა.

4617. პოეზია არ ითარგმნება, ის თავიდან უნდა დაიწეროს ნიჭიერი მთარგმნელის მიერ, რომელსაც თანაავტორად არავინ მოიხსენიებს.
4618. მწერალი იძულებულია ენაზე ენითვე იძალადოს, რათა რაღაც ორიგინალური და ახალი გამოუვიდეს.
4619. ხშირად მწერლის შემოქმედების უყაირათობა უგერგილო რედაქტორის ბრალიცაა.
4620. ფილოსოფია, ლიტერატურისგან განსხვავებით, თავად არაფერს ამტკიცებს, ის უბრალოდ მეცნიერებების, გამოგონებების და სხვადასხვა აზრთა მიღწევების საქმის კურსში გვაყენებს.
4621. ლიტერატურა ცდილობს ენა ქუჩის ქალობიდან ქალწულად თუ არა, პატიოსან ქალად მაინც აქციოს, ხოლო მწერალი ამ ქალის სექს-ბომბად გადაქცევის მცდელობაშია და თუ ეს ვერ მოახერხა, ვნებიან ქალად მაინც უნდა წარმოგვიდგინოს.
4622. არის ლიტერატურა, რომელსაც თავისი სუნი და გემო აქვს, რომელიც მხოლოდ წიგნის გურმანთათვის არის განკუთვნილი და ფართო მოხმარების მკითხველთათვის მისი სიდიადე შეუმჩნეველი რჩება.
4623. მწერალი ხვდება, რომ დრო უკანმოუხედავად გარბის და ცდილობს მომდევნო თაობებს რაღაც დაუტოვოს და დროის მონაკვეთი ქაღალდზე დაამაგროს.
4624. მწერალი თვითკმაყოფილი იდიოტია, რომელიც თავისი ნააზრევით და ფანტაზიით სხვას ცხოვრებას უწყობს ან ურევს. მაგრამ, დიდი იდიოტი შეიძლება ერის ნამუსადაც იქცეს.
4625. მწერალი არ შეიძლება მთლად დადებითი პიროვნება იყოს, ამას მისი გმირები, კრიტიკოსები არ დაუშვებენ.
4626. მწერალმა უნდა წეროს არა ყველასათვის, არამედ თითოეული ჩვენგანისათვის. მაშინ მისი წარმატება გარანტირებულია და არა ჰონორარის მიღება.
4627. მწერალი საზოგადოების მენტალიტეტს ვერ ცვლის, მაგრამ მის აზროვნებას ხინჯს უტოვებს და ზოგჯერ დააფიქრებს და შეავაჭრებს კიდეც.
4628. სერიოზული მწერლისათვის ფუფუნებაში ცხოვრება მისი მომავალი ნაწარმოებების ხარისხის უკუპროპორციულია, მათ უკვე აკლდებათ განცდა და ფილოსოფია.
4629. წიგნი ქაღალდზე იქნება დაწერილი თუ პაპირუსზე, წიგნად უნდა დარჩეს, რადგან ის არის ერის გადამრჩენი და მისი ენის შემნახავი. წიგნის მოსპობა ენის კოდის მოსპობის ტოლფასია.
4630. წიგნი არის აზროვნების სულის გრიალი, ხასიათების ლაბირინთებში გარკვევა, პერსონაჟთა ურთიერთობის დადგენა, რაც ცხოვრებას ასე გვიმსუბუქებს და ძალას გვმატებს, რათა წიგნის გმირების წინასწარმეტყველების ახდენის იმედი ვიქონიოთ.
4631. ნამდვილი ლიტერატურა მათთვის არის, ვინც ცხოვრებამ არ გასრისა, ცხოვრობენ ნერვებაუშლელად, აქვთ ცხოვრების პირობები, სულიერად მდიდრები არიან და რჩებათ დრო წიგნის წასაკითხად.

4632. მწერლის ვალია ცხოვრების სიხარულის ჩვენება (რომელსაც ვერ ვგრძნობთ) და მწუხრის გაანალიზებით მისი შემსუბუქება.
4633. სენტენციები პოეზიაა თავისებური რითმით, ან უიმისოდ, ხოლო ვინც ამას ვერ გრძნობს, მისი სიბრძნესთან დაახლოება დაუდუღებლობის გამო ნაადრევია.
4634. ჯადოქარი ყველა მწერალს ჰყავს ოთახის კუნჭულში დამალული და იმ დროს დაესესხება, როდესაც ხელები აქვს აწეული და შველას არსაიდან ელის.
4635. კარგი წიგნის კითხვა გაცილებით ინტიმურია, ვიდრე ქალთან ალერსი, რადგან ამ ინტიმში შენი აფორიაქებული ტვინის ჭყლეტა და განცდა დევს.
4636. ცენზურა, კრიტიკა, გვაიძულებს გავეცნოთ იმ ინფორმაციას, რომლის წაკითხვა ადრე არც კი გვიფიქრია.
4637. მხოლოდ პოეზიას და მუსიკას შეუძლია გადაგვარებული სამყარო გააპატიოსნოს და გონს გადაცდენილი ხალხი ცხოვრების იშტაზე მოიყვანოს, თუ კითხვის და მოსმენის სურვილი გაუჩნდებათ.
4638. უწიგნურობა, ლაღი ლექსის გარდა, არავის უხდება, რადგან პოეზია მაინც გულუბრყვილო ხალხისა და ბუნების შვილია, რომელიც მაინც მამაზეციერის დამოძღვრით და ხელმოწერით არის გამოგზავნილი ადამიანების წიაღში.
4639. სულით და გონებით ნაწერი ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ, რადგან პირველის გარეშე სიტყვას ეშხი, პეწი, სითბო ეკარგება, ხოლო მეორის გარეშე – აზროვნების ის უნარი, რომელიც ამქვეყნიურ რეალობას სიცოცხლეს მატებს.
4640. ხანდახან ერთმა ჭკვიანურად ნათქვამმა ფრაზამ შეიძლება მოშურნეთა უდიდესი არმია მოგაშოროს. ბულატ ოკუჯავაზე ერთმა პოეტმა თქვა: „ეს არის ლექსის თქმის ახალი საშუალება მუსიკის გამოყენებითო" და ამით ყველა მუსიკოსი, მომღერალი, დეკლამატორი და პოეტი განაიარაღა.
4641. ლეგენდები არ იყიდება და არც ვინმეს სურვილით იქმნება, ის დაღვინებული ფანტაზიის ნაყოფია, რომელსაც ისტორია ქაღალდზე ამაგრებს, რათა ამ სამყაროს მოჰფინოს და ადამიანებს სული აუფორიაქოს.
4642. წიგნის ხარისხს დამახსოვრების მარგი ქმედების კოეფიციენტი განსაზღვრავს, რომელშიც დაფიქრება, განცდა, აღფრთოვანებაც შედის, ხოლო ფუყე ეიფორის მომგვრელი წიგნი მაშინვე გვავიწყდება და სხვა ამგვარ ნამოღვაწარს გარკვეულ ასაკამდე (დაღვინებამდე) ნარკოტიკივით ეძებს.
4643. ქალზე წარმოდგენით დაწერილი რომანი, მიუხედავად იმისა, რომ საინტერესო საკითხავია, მაკულატურაა, მაგრამ მდედრთან ნამდვილი რომანი, რომელიც აღფრთოვანებას იწვევს და მათზე კარგი წიგნის დაწერაც შეიძლება, არავის აინტერესებს, რადგან რატომღაც რეალობა უინტერესო ხდება.
4644. გრძნობამოჭარბებული ხალხისთვის ლიტერატურული სტრიპტიზიც საკმარისია, ხოლო გრძნობადაცლილებისთვის არც ფრთიანი სიტყვის ეროტიკას მოაქვს სიამოვნება და არც გაუაზრებელ პორნოგრაფიას.
4645. ენა არ შეიძლება იყოს ცუდი ან კარგი, მთავარია მას კარგი მსმენელი და მფარველი ჰყავდეს, რომელიც სხვის სარკეში ყურებას არ იუკადრისებს რათა თავადაც გალამაზდეს.

მამაკაცი

4646. მამაკაცისთვის თვალების ჟუჟუნი ისეთი სიმართლის დეტექტორია, რომელიც კაცს გულს გადაახსნევინებს და მთელი სიმართლით წარმოაჩენს.

4647. ბუნებით კაცები ოჯახის საქმეში ზარმაცები და უნიათონი არიან, ამიტომ მათი ენით გამათრახებაა საჭირო და არა ჭკუის დარიგებით გაროზგვა.

4648. კაცის ენით მსუბუქად გამათრახება აუცილებელი და მამრისთვის სასიამოვნოც კია, მაგრამ ქალისთვის არ გამოდგება, სჯობს მას არაფერი უთხრათ, თორემ თავის სასტიკ იარაღს, ცრემლებს დაგახვედრებთ და ისევ მამრი გამოვა დამნაშავე.

4649. ყველა იმ სიამოვნებიდან, რაც ღმერთს გაუჩენია, მამაკაცი ალბათ ქალს აირჩევდა, მაგრამ ამას ასაკი და ჯანმრთელობა უნდა უწყობდეს ხელს.

4650. საკუთარი თავისადმი პატივისცემა უკანასკნელი სავანეა მამაკაცისთვის და თუ ეს დაკარგა, მან ხელი უნდა აიღოს ძლიერი სქესის წარმომადგენლობაზე.

4651. ბიჭის კაცად აღზრდა მამის ავტორიტეტზე, ოჯახზე და გარემოზე არის დამოკიდებული. თუ ასეთი იდეალური გარემო არ არსებობს, მაშინ ისე უნდა შევუქმნათ მოდელი, რომ მან როგორც ამხანაგებთან, ასევე ქალთან ისწავლოს ურთიერთობა.

4652. რომანტიკოსია ერთ ქალზე უიმედოდ შეყვარებული მამაკაცი, რეალისტი – მრავალ ქალთან ურთიერთობის მოტრფიალე, ფანატიკოსია მის მიერ არჩეული ქალისთვის მრავალი სისულელის მომთმენი, ხოლო, ჩვეულებრივი, ობივატელი მამაკაცია ოჯახის შემქმნელი, ჯანმრთელი ერის გამმრავლებელი, რომელსაც ქალები სათადარიგო შემადგენლობაში იტოვებენ.

4653. სამი ქორწინების ვეტერანმა მამაკაცმა, ცოლად იმხელა „რუბილნიკიანი" წუნკალი ქალი მოიყვანა, რომ აშკარა იყო მეოთხე ვეტერანობას ააცილებდა და საიქიოს გაისტუმრებდა.

4654. კაცი რომ ჩხუბს ეძებს, დედა შეგაგინეო დაიბრალებს.

4655. თაფლობის თვის დამთავრების შემდეგ "იერიშობანა" არ არის რეკომენდებული, რაც გასარკვევი და გასაკეთებელი იყო, უკვე მოახერხეთ, ახლა დროა ჯანმრთელობას გაუფრთხილდეთ და ცოლთან თანაარსებობა ისწავლოთ.

4656. კაცი, რომელიც არ სვამს, არც ეწევა, არც ქალებში დადის და მაინც ავადმყოფობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ფრთები ამოსდის და მამაზეციერთან სასაუბროდ ემზადება.

4657. როდესაც მამაკაცი პრინციპულობას ჰკარგავს და სხვადასხვა დათმობაზე მიდის, მაშინ მის გარშემომყოფნი მშვიდობიან და წყნარ ცხოვრებას იძენენ.

4658. მამაკაცს ფული ხელს არ უშლის, უქონლობა უბნევს გონებას და მის იმიჯს დაღმართისკენ მიაქანებს.

4659. თუ ქალზე მოძალადე ხარ, ისეთი მამაკაცური ღირსება მაინც უნდა გქონდეს, რომ ქალის ქმარი ამ დანაშაულს თუ დაივიწყებს, ქალმა მაინც არ უნდა დაგივიწყოს.

4660. მამაკაცმა ცოლის ჭკუაზე იმიტომ არ უნდა იაროს, რომ მას თავისი გეში აქვს და ყველას ჭკუაზე სიარული, როგორც მამაკაცს, გადააგვარებს.

4661. კაცის ზომიერად ხერხვა აუცილებელია, მაგრამ ქალი არ უნდა ეცადოს მისთვის მოსაწონი ხელოვნების ნიმუშის გამოძერწვას, რადგან ისიც საკმარისია, თუ მისგან გათლილ მორს მიიღებს.

4662. მამაკაცები და მსახიობები დიდი ბავშვები არიან. ორთავეს ძალიან სიამოვნებთ გადამეტებული ქება-დიდება.

4663. კაციდან მამაკაცის გამოძერწვა ქალის დიდ ხელოვნებას მოითხოვს. მნიშვნელობა არა აქვს ეს ქალი დედაა, სიდედრი, ცოლი, საყვარელი თუ ქალიშვილი.

4664. მამაკაცი ეფიცება ქალს: საჭირო რომ იყოს შვიდჯერ სიკვდილი და ერთხელ შენთან ყოფნა, მე ამ მწარე ხვედრს ავირჩევდი ნეტარებით, მაგრამ საჭირო რომ იყოს 10-ჯერ სიკვდილი და ერთხელ ქალთან ყოფნა, ამ შემთხვევაში ვაჟის გონიერება გაიღვიძებს და მიხვდება, რომ ქალთან ყოფნას აქვს ფასი და არა სიკვდილს, თუნდაც საყვარელი ქალისთვის.

4665. თანამედროვე მამაკაცები მრავალცოლიანობის წინააღმდეგნი იმიტომ არიან, რომ ეს ითხოვს დიდ სუფსიდიებს და საგრძნობი ჯანმრთელობის ხარჯვას.

4666. ხოლესტერინის მოშიშარი, დიეტაზე მჯდომი, მშიერი მამაკაცი, ქალს სულის საამებლად – კი, მაგრამ სხეულის საგრიალოდ არ გამოადგება.

4667. ერთი თავისჭკუისა და დროსმატარებელი მამაკაცი კეთილისმდომებმა დაარწმუნეს დაოჯახების აუცილებლობაში, რათა სიბერის ჟამს წყლის მომწოდებელი ყოლოდა. დაუჯერა კეთილმსურველებს, ეყოლა შვილები, გაისარჯა, ისე როგორც ყველა მოკვდავი და როდესაც უკვე დაბერებულს წყალი მიაწოდეს, მას რატომღაც, მისი შესმის სურვილი დაკარგული ჰქონდა.

4668. არის მამაკაცების კატეგორია, რომელთა გულისთვის ქალებს დაბერების და მოდუნების უფლება არა აქვთ.

4669. სხვისთვის ცუდის მდომი მამაკაცი ცოდოა, რადგან როდესაც ის გარდაიცვ-ლება, ისე ქრება ამქვეყნიდან, რომ უხეირო ძეგლის დადგმასაც ვერ ახერხებს.

4670. მუსულმანური სარწმუნოების მამაკაცები, ამ ბოლო დროს, ერთ ცოლზე მეტს არ ირთავენ, რადგან მიხვდნენ, რომ უნდათ თუ არა, ცოლებს და შვილებს ემსახურებიან.

4671. მამაკაცს, რომელიც ქალებში დაძვრება და სექსუალური სკლეროზის გამო სახლს ვერ აგნებს, ეს "ავადმყოფობა" სიბერედ არ უნდა ჩავუთვალოთ.

4672. ქალებს ურჩევნიათ მამაკაცის დაკუნთული სხეულის მაგივრად მისი პენისი იყოს დაკუნთული და სისხლსავსე.

4673. ოტელოს ხვედრი ცხოვრებაში იმ მამაკაცს ერგება, ვისაც ქალისადმი დიდი პატივისცემა და სიყვარული აქვს და არა იმას, ვისაც რამდენიმე ქალი ჰყავს სექსით „დანახრჩობი".

4674. ჩვენ წმირად არ გვესმის მამაკაცი საით მიილტვის, რისთვის მოევლინა ამქვეყანას და რისთვის ცხოვრობს. ალბათ იმისთვის, რომ ქალს ყვავილები მიართვას, რომანტიკული საღამოები მოუწყოს და საჩუქრებით დააჯილდოვოს, მის ცხოვრებას აზრი მისცეს და მისი ამქვეყნად გაჩენა გაამართლოს.

4675. მამაკაცებს ქალები უყვართ მათი შეუცნობლობის გამო, რითაც ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში ანცვიფრებენ მათ.

4676. მართალია, აღვირახსნილი მამაკაცი ქალთან ურთიერთობაში მოწონებას ვერ დაიმსახურებს, მაგრამ ვერც ქალთან ურთიერთობას აუკრძალავ, რადგან ის მამრის მოვალეობას ასრულებს, ამასთანავე ქალებთან ურთიერთობის გამოცდილების გარეშე და მათზე აზრის შეუქმნელად ცოდვაა მისი ამქვეყნიდან წასვლა.

4677. ნამდვილმა მამაკაცმა ისე ვნებიანად უნდა შეხედოს ქალს და თვალებით გახადოს ტანსაცმელი, რომ ქალმა მორცხვად ითხოვოს თვალებით გახდილი ტანსაცმლის დაბრუნება.

4678. მამაკაცი ციხეში ჯვარს რომ იწერს, იმაზე მიუთითებს, რომ სისულელეებს თავს არ დაანებებს, რადგან პირველი სისულელის გამო თავისუფლება იძულებით დააკარგვინეს და ციხის გალიაში ჩასვეს, ხოლო მეორე შემთხვევაში თავისი ნებით კარგავს თავისუფლებას.

4679. კაცი მარტო სილამაზით, გონიერებით და საქმიანობით კი არ უნდა მოგწონდეს, არამედ ქალის შეუცნობელ ბუნებასაც უნდა ესალბუნებოდეს.

4680. ჭკვიანმა კაცმა ქალს ყველაფერი უნდა უთხრას ისე, რომ ვერაფერი გააგებინოს, რადგან ამქვეყნად ყველაფერი ცვალებადია, მათ შორის ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაც და სიყვარულიც.

4681. მამაკაცის საქორწინო საჩუქარი ქალის სატყუარაა იმასთან შედარებით, რაც მან თავის მზითევით, შრომით, თანადგომით, შვილების აღზრდით უნდა მოგიძღვნას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ნერვების მოშლის საფასურად, მაგრამ მაინც მამრის გვარისა და ჯილაგის გასამრავლებლად.

4682. მამაკაცის უფლებების გაფართოება ქალთა სამყოფელში სულაც არ ნიშნავს კაცის სიამოვნებაზე ზრუნვას, უბრალოდ, მამაკაცის შეუმჩნევლად ქალებმა დაიწყეს მისი ექსპლუატაცია.

4683. თუ მამაკაცების ჩვევა ერთი ყურით მოსმენა და მეორედან გამოშვებაა, ქალები ინფორმაციას ორივე ყურით ისმენენ და შედეგს პირიდან გადმოანთხევენ.

4684. თუ მამაკაცს ქალიშვილის ტანადობა, თვალები, ხმა, სიარულის მანერა და ჩაცმულობა მოსწონს, რა უფლება აქვს მაშინ ქალს, მამაკაცის გემოვნება ეჭვის ქვეშ დააყენოს და ცოლად გაყოლაზე უარი უთხრას.

4685. მამაკაცი ვალდებულია ყველა ქალის კმაყოფილი და მადლიერი იყოს, რომელიც მას ღმერთმა გამოუგზავნა და არგუნა, თორემ სიბერის ჟამს მოაგონდება თავისი უგნურება.

4686. მამაკაცი პირველ სილის სიმხურვალეს მაშინ იწვნევს, როდესაც საზოგადოებრივ ტრანსპორტში ადგილს ახალგაზრდა გოგონა დაუთმობს. იგი მიხვდა, რომ მისი დაისი დადგა, განიცდის, მაგრამ დაჯერება არ უნდა, თუმცა ამ სილის ბრახა-

ბრუხს თანდათანობით ეჩვევა და შემდეგ სწყინს კიდეც, ადგილს თუ არ დაუთმობენ. ახალგაზრდებო! გაუფრთხილდით დაისის პირას მყოფი მამაკაცის გრძნობებს, რადგან თუ ქალისთვის ადგილის დათმობა თავაზიანობაა, მამაკაცისთვის ეს შეღავათი ცხოვრებაზე განაწყენების დასაწყისია.

4687. მამაკაცი მაშინ არის ბედნიერი, როდესაც მთავრობა, სამსახური და უფროსი ფეხებზე ჰკიდია და მათზე არ არის დამოკიდებული.

4688. როდესაც რესტორანში შედიხარ, ფული ჯიბეში უნდა ჩაიდო, რადგან იგი ძაღლი არ არის, რომ გამოგეკიდოს. ან იმდენი იმიჯი უნდა გქონდეს, რომ შენს დანახვას ძაღლის დანახვა ერჩიოთ, რომელიც ნასუფრალს მაინც გაუსაღებს მათ.

4689. მამაკაცის საუკეთესო ასაკი ის არის, როდესაც ქალს და სასმელს არ ირჩევს, აზროვნებით თავს არ იწუხებს და ნამოქმედარისთვის თავს არ საყვედურობს.

4690. მამაკაცისთვის ქალის სტანდარტული სილამაზე კი არ არის მთავარი, არამედ მისი სხეულის არადამახასიათებელი ფორმა, რომელიც ინდივიდს ანიჭებს გარკვეულ ხიბლს და მამაკაცის თვალში იწვევს აღტაცებას.

4691. ბევრი უნიათო მამაკაცი ხელმარჯვე ქალს ნატრობს, რომ დაისვენოს და თავის ჭკუის ოჯახი შექმნას, მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ მუყაითი ქალი მას არც ლოგინში და არც სხვა საქმიანობაში მოსვენებას არ მისცემს.

4692. მამაკაცი, ქალის შემდეგ, ყველაზე ამოუცნობი არსებაა ამქვეყანაზე.

4693. ყველა მამაკაცის ვალია სამშობლოს ემსახუროს, ქალს მოემსახუროს, რადგან ამ უკანასკნელთან ფარისევლობის გარეშე არაფერი არ გამოდის.

4694. მამაკაცი ქალს მოიპოვებს, იბრძვის, უფრთხილდება, სახსარს შოულობს, ბინას უწყობს, შვილების გაზრდაში ეხმარება, ბაზარში ეგზავნება და ათასი სხვა. მთელი სიცოცხლე მის სამსახურშია, მხოლოდ ერთის საფასურად: იმ ქვეყნად ცრემლით გაისტუმროს ამდენი წვალების შემდეგ.

4695. ბედნიერია ის მამაკაცი, რომელიც თავის არჩევანში ერთდროულად ან დროთა განმავლობაში ნახულობს იმედოს, სულიკოს, გულიკოს და მის შესატყვისი მნიშვნელობის ალეგორიულ ქალებს.

4696. ზოგიერთ ვაი-მამაკაცს თავი იმითაც მოაქვს, რომ მისმა ცოლმა სად არ იწანწალა, ვის არ გაჰყვა, მაგრამ მაინც მასთან ბუმერანგივით დაბრუნდა, რადგან ყველასგან განსხვავებით, ის უყვარდა ნამდვილი სიყვარულით, მაგრამ რატომღაც ავიწყდება, რომ ქალს შეუძლია ქმარი პამპერსივით გამოიყენოს და მოისროლოს, თუ კი ამის შანსი კიდევ მიეცემა.

4697. ზოგიერთი მამაკაცი მშობლად არ არის დაბადებული, ის მხოლოდ მწარმოებელია, ამიტომ ის ბავშვის მამობის სტატუსს ფლობს და არა – უფლებას.

4698. იყო ქალების ფავორიტი – ეს დიდი ხელოვნებაა, რადგან ყველას ერთმანეთისგან ნამალევად უნდა გაუზიარო შენი მომხიბვლელობა, ვაჟკაცობა, ფული, საჩუქრები, ქათინაური.

4699. ზოგიერთი მამაკაცი ქალს გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებით იცნობს, ზოგი – საზოგადოების თავშეყრის ადგილებიდან, ზოგი ქირაობს, გააჩნია, ვინ რა მენტალიტეტის პატრონია.

4700. ბედნიერია ის მამაკაცი, ვისთანაც მომხიბვლელ ქალს ყოფნა მოუნდება და უფრო მეტიც, ვინც ამ მშვენიერი არსების ნდობას გაამართლებს.

4701. მამაკაცისთვის, რომელიც მეუღლისთვის სიამოვნების სავალდებულო მინიმუმის მინიჭებაზე თავს იკავებს, სიმულანტობს, ავადმყოფობას იგონებს, თავს იკატუნებს, დაისი უკვე დამდგარა, რომლის დაჯერება მამრს არ უნდა და მდედრს არ აწყობს.

4702. ნავარჯიშები ლამაზი მამაკაცი, რომელიც იწვევს მხურვალე სურვილს, დაეუფლონ სხვადასხვა ასაკის ქალები, სამწუხაროდ, სექსუალური შესაძლებლობებით შეზღუდულია, რადგან ქალებისთვის აუცილებელი რაობა ამ კუნთების დაგროვებას გადააყოლა.

4703. ზოგიერთი მექალთანე რომ დაბერდება, ახალგაზრდა ქალებისგან ურთიერთობას, ყურადღებას, პატივისცემას და შეღავათს ითხოვს წარსულში წარმატებული სიყვარულისთვის, როგორც ეროტიკული ფრონტის ვეტერანი.

4704. კაცები თავიდანვე მაფიოზებად იბადებიან და მათ ნამდვილ მამაკაცურ ურთიერთობას, პატივისცემას და მეგობრობას ვერავითარი ქალის ხრიკი და კაპრიზი წინ ვერ აღუდგება, გარდა ერთისა, რომელსაც მდედრისადმი სიყვარული ჰქვია.

4705. ზოგიერთი მამაკაცის ღიმილი მხოლოდ მდიდარი და ძლიერი პროტეჟეს მქონე ქალების გულის მოსაგებად და მათი თავის საქმიანობაში ჩასაბმელად არის მოწოდებული.

4706. მამაკაცი ქალის ღირსებას ვერ აფასებს მანამდე, სანამ მისი გატაცება, მოწონება, სურვილი, მცდელობა, რომანის კორიანტელს არ დააყენებს და თავისი სისუსტის მომიზეზებით ქალს უტყუარ "ალიბს", ცოლად შერთვას, არ დაუპირებს.

4707. ნამდვილი მამაკაცი მრავალ ქალს უნდა ეთაყვანებოდეს, რადგან მან თავისი ოცნების ქალის ნახვა თუ ვერ მოახერხა, წარმოდგენა მაინც იქონიოს მასზე.

4708. ბერბიჭობის მიზეზი ისიც არის, რომ მისთვის განკუთვნილი სიამის მიღება ჯერ ვერ მოახერხა, ცხოვრების ისეთი ქვები გადაატრიალა, რომლისთვისაც ჯობდა ხელი არ ეხლო და არც ისეა მომწიფებული, გაცემაზე რაიმე იფიქროს.

4709. მამაკაცი ღირსეულად უნდა შეხვდეს კლიმაქსს, იმ გაგებით, რომ მდედრთან მისთვის განკუთვნილი ჭუკჭუკის დრო რაციონალურად, გეგმის გადაჭარბებით გამოიყენა და იმედი აქვს წარმოსახვით სექსშიც "იგრიალებს" და თანამეინახეთა შორის თავისი სექსუალური შესაძლებლობების ტრაბახით თავს არ შეირცხვენს.

4710. მუქთას მიჩვეული კაცი ვერასოდეს ვერ გააკეთებს იმას, რაც მამაკაცმა უნდა აკეთოს, რომლისთვისაც გარემო პირობები და მოუხერხებლობა ალიბათ არ გამოადგება.

4711. მამაკაცის ბედნიერებაა: თევზაობა, ნადირობა, ღრეობა, სიგარეტის გაბოლება, ქალის გულის მოპოვება, ქალების: სუპერმარკეტი, სუპერშოკი, სუპერსალონი, სუპერჭინჭები, სუპერსაზოგადოება, სუპერმამაკაცი. მოკლედ, ყოველივე ამაღლებული და გასუპერებული.

4712. მამაკაცი თავის თავისადმი პატივისცემას არა მარტო ქალთან მიმართებაში, არამედ მისდამი თავდავიწყებულ სიყვარულშიც უნდა ინარჩუნებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებრობამდე არც ისე შორი მანძილია.

4713. მამაკაცისთვის მთავარი უნდა იყოს, რომ მასზე აფრენდნენ ქალები, მაგრამ მდედრების საბედნიეროდ, მისი ბუნება ცდას ვერ იტანს და ამიტომაცაა, რომ ინიციატივას თვითონ იჩენს.

4714. მამაკაცი იმ მამალს უნდა ჰგავდეს, რომელიც იმ დედალსაც კი უმღერის, წვნიანში რომ ჩადეს.

4715. მამაკაცისთვის სასიამოვნოა, თუ ის მდედრის სულის და ფიქრის მბრძანებელია, ხოლო თუ სათაყვანებელიცაა, დიდი ბედნიერებაა, რადგან ამას სიყვარული ჰქვია.

4716. მამაკაცის კურორტზე გაგზავნა მისი ფრონტზე გაგზავნის ტოლფასია და იმის შეგრძნება, რომ ომი ყოველივე იქ ჩადენილ ცოდვას ჩამოაწერს.

4717. თუ ქალზე იფიქრა, ცუდად ხდება, თუ იმიჯის ასაწევად მდედრთან ყოფნა იყიდა მწირი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ორი კვირა ბიულეტენზეა, მაგრამ რა ქნას მამაკაცთა მოდგმამ, თუ სიამაყის გაფეტიშების გარეშე ამქვეყნად ყოფნა ეუხერხულება.

4718. გიტარასა და როიალს შორის იგივე განსხვავებაა, რაც არასერიოზულ და სერიოზულ მამაკაცს შორის, რომელთაგან პირველი ჩხუბის და აყალმაყალისთვის სულ მზად არის, ხოლო მეორეს სოლიდარობა და კლასიკური აღზრდა ამის საშუალებას არ აძლევს.

4719. მამაკაცები მარცხნივ იმიტომ დადიან, რომ მარჯვნივ სავალდებულო სიყვარულისთვის გული არ მიუწევთ, ხოლო ცენტრში სიარული აღარ ეხალისებათ ცოლის ასაკის, მასთან ცხოვრების სტაჟის და მისი ხასიათის გამო.

4720. მამაკაცი ჯერ პიროვნება უნდა იყოს, თუ ქმარი, სადაო საკითხია და ქალთა სამყარო სხვადასხვა კონტექსტში ამის განხილვას მიუკერძოებლად ვერ ახერხებს.

4721. მამაკაცები ქალის გულისთვის ჰკარგავენ: თავს, გულს, ხელებს და მათ შორის იმ ნეკნსაც, რომელიც ევამ მათ დაუბრუნა და ამით მოსიყვარულე ოჯახის ევებს ძალზე ანაწყენებენ.

4722. მამაკაცმა ცდა არ უნდა დააკლოს, რომ თავისი ლელო გაიტანოს, ხოლო ქალმა თავის მამაკაცი აირჩიოს, მიუხედავად იმისა, რომ მამაზეციერი იშვიათი გამონაკლისის გარდა ჩვენს მცდელობას არ ასაჩუქრებს.

4723. ზოგი ცერცეტა მამაკაცი თავის საყვარელს ისე აფეტიშებს, რომ სხვა მამაკაცს სურვილი უჩნდება ამ გატკეპნილი გზის გადამოწმების, ჭეშმარიტების დადგენის – რეკლამა რამდენად შეეფერება სინამდვილეს.

4724. მამაკაცი ქალთან იმ ქორწინებას ეწირება, რომლის ინიციატორად მამრის შეუმჩნევლად მდედრი გამოდის და მამაკაცსაც ნებაყოფლობით ყულფში აყოფინებს თავს.

4725. მამაკაცი პირველ რიგში პატივს სცემს საქმიანობას, წესიერებას, ქალი – დაპირებას და მატერიალურ კეთილდღეობას.

4726. ზედმეტად მომრავლებული მამრების გამოხშირვას მამაზეციერი ომებით, ავტოავარიებით, ლოთობით და სხვ. მისთანებით ახდენდა. დღეს კი კაცისთვის განკუთვნილ თავხედობაში ემანსიპაციის მომიზეზებით ქალებიც ეცილებიან,

ოჯახური დატვირთვისგან თავს ითავისუფლებენ და მთელ ენერგიას საზოგადოებრივ საქმიანობას და მამაკაცთან გათანაბრებას ანდომებენ.

4727. მამაკაცი მდედრში პირველად ქალს, საყვარელს, ოჯახს ხედავს. ქალი კი, მამრში სიყვარულს, შესაძლებლობას, მამაკაცს.

4728. მამაკაცი იძულებული იყო კოცნა გამოეგონებინა, რადგან ეს ერთადერთი მშვიდობიანი საშუალებაა, რითაც შეიძლება ქალის საუბრის შეჩერება.

4729. კაცისთვის, მამაკაცად რომ იგრძნოს თავი, აუცილებელია სამსახური, ოჯახი, ახლობლები, ცხოვრების მიზანი. ქალისთვის – მამაკაცის ჭკუა, ერთგულება, დაფინანსება და სექსუალური ჰარმონია.

4730. როდესაც მამაკაცი მის ღირსებას სექსოპათოლოგთან წააცუნცულებს, ეს მომაბეზრებელი კრიტიკის ბრალია ქვევიდან, რადგან საყვედურების ჩასაწმობად არც არგუმენტი და არც შესაფერისი ალიბის გამონახვა არ მოხერხდა.

4731. უხიაგი მამაკაცია, ვისაც სახლში და სამსახურში, მიუხედავად მისი უპრეტენზიობისა, შეჭმას ვერ უხერხებენ და ყველას თავის ჭკუაზე ატარებს.

4732. ხშირად მამაკაცები იმ ქალებს ღალატობენ, რომლებმაც საკუთარი თავის შესაყვარებლად დრო ვერ გამონახეს, ხოლო ამ ღირსეული ქალის სიყვარულს რომ ჭკუაც უნდა დააყოლონ, ეს მამრებს მხედველობიდან რჩებათ.

4733. მამაკაცმა ხანდახან თავისი ხასიათი და მდედრისკენ მიდრეკილებაც უნდა გამოაჩინოს, თუ უნდა ცოლი კეთილ, გონიერ, მორჩილ არსებად გადააქციოს.

4734. მამაკაცი იუმორის გარეშე საშინელებაა. საკუთარი თავის წინაშე მისი პიროვნების არსებობა აზრს კარგავს.

4735. ძლიერი მამაკაცი ქალთან ურთიერთობას არ გაურბის, მაგრამ საყვარლის ყოლას არ დაუშვებს, რადგან ის ოჯახის პოტენციური მნგრეველია.

4736. მამაკაცმა უნდა შეძლოს ცოლის პროფესიამდე ამაღლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ქალთან ოჯახის შექმნა არ ღირს.

4737. ზოგიერთ მამაკაცს ქალების რაოდენობა საშუალებას არ აძლევს სიყვარულს ეზიაროს, რადგან რაოდენობა ხარისხში ვერ გადაყავს და დროში იწვება.

4738. თეატრის, კინოს, ცირკის, მუზეუმის, პარკის, ტყეში შვილიშვილის სეირნობის საუკეთესო პირობაა მამაკაცის იმპოტენცია, რადგან აქტიურ ფრონტზე ცხოვრებამ საბოლოოდ ჩამოწერა, დარჩა მხოლოდ ზემოთხსენებული ხეირი.

4739. ყველა მამაკაცი ბუნებით თავისებურად გათავხედებულია, ამიტომ მის რჩეულს უნდა ქონდეს მოთმინების და ნაკლის არშემჩნევის უნარი. ამას თუ ცოტათი სიყვარულიც დაემატა, მაშინ ოჯახის ჰიმნი დაწერილად უნდა ჩაითვალოს.

4740. მამაკაცებს უყვართ ქალთან ავარიულ სიტუაციებში მოხვედრის შედეგების გახსენება, ხოლო ყმაწვილებს ამ "ავარიისკენ" მიმავალ გზებზე სეირნობის მოყოლა.

4741. მამაკაცის ხელმძღვანელობით მიღებული გადაწყვეტილება, ოჯახის წევრებთან თათბირის შემდეგ, ეს მამრის სიძლიერეზე და ტრადიციების პატივისცემაზე მიუთითებს.

4742. მამაკაცი, ფულთან ერთად, უნდა გავაიგივოთ თანდაყოლილ ადამიანობასთან. პრაქტიკულად პირველს ვაფასებთ, მეორეს – თეორიულად. მატერიალიზმი

ადამიანისთვის მაინც პირველადია, ხოლო სულიერის გახსენება, პირველის მოყირ-ჭებამ და მუცლის ამოყორვამ იცის, ან პირიქით, ზედმეტად შიმშილმა.

4743. მამაკაცი თავის ვირეშმაკული ბუნების გამო, ცდილობს მისთვის განკუთვნილი ტვირთი ქალს აჰკიდოს, შედეგად მატრიარქატ-ფემინიზმს რომ მიიღებს და თავიდან მოუხდება მზის ქვეშ ძალის გამოყენებით თავის უფლებების აღდგენა, ამას ვერც დღევანდელი ინტელექტი კარნახობს და ვერც ცივილიზაციის ისტორიის გამოცდილება.

4744. მამაკაცი, ალბათ, რაღაცას გასცემს ან რაღაცას იღებს, რაც აღწერას არ ექვემ-დებარება, თორემ მდედრი სექსუალური მომსახურებით თავს არ შეაწყენდა მამაკაცს.

4745. მამაკაცის მიერ ქალის ხარისხზე ყურადღების გამახვილება საკუთარი თავისადმი ცუდი დამოკიდებულებაა, თუ პირიქით, ეს კიდევ სადაო და დასადგენია.

4746. მამაკაცის ბედნიერება დამოკიდებულია ქალების რაოდენობაზე, მათ ხარისხზე და მამაკაცური ღირსების გამომჟღავნების შესაძლებლობაზე, ხოლო ფულისა და ფუფუნებისკენ მისწრაფების სურვილი მაშინ უჩნდება, როდესაც გონება და მამა-კაცური ღირსება დაღვინებას იწყებს.

4747. მამაკაცის უმწეობა უფულობასა და იმპოტენციაში გამოიხატება, ქალის გააქტიურება ფულის ხარჯვის მცდელობაში და გაკაპასებაში.

4748. ძალიან ჭკვიან კაცს გარეთ ხალხი არ წყალობს, ოჯახში – ცოლი. კომპენსა-ციად მიტევების აღიარება რჩება, რაც პიროვნების მიმართ ყველა გაუგებრობას გადაწონის.

4749. როდესაც კახპა მამაკაცს თავის მეგობრებში აყვედრის: "თუ იარაღი არ გივარ-გოდა და ხმარებაც არ შეგეძლო, ან დროს, ან ფულს რატომ ჰკარგავდიო", ეს უკვე ახლობლების ოინია და ლამაზმანის მაღალი დაფინანსების მცდელობა, თორემ მამაკაცს ყველაფერი წესრიგში აქვს, ოღონდ მეგობრები ჰყავს უშნოდ შეხუმრებული.

4750. ტრადიციების მქონე ერის აღზრდილ მამაკაცს უჭირს თავის თავზე გადაბიჯება და მეგობრის ქალისგან შემოთავაზებული სიყვარულის მიღება, მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იცის, "შეურაცხყოფილ" ქალს შურისძიების შანსი რომ აქვს.

4751. ადრე დაოჯახებული მამაკაცებიდან ყველაზე ხელის ჩაქნევა არ შეიძლება, მაგრამ თანამეინახედ რომ არ გამოგადგებათ იქიდან ჩანს, რომ სიყვარულით გაბრიყვდა და თავისი წილი საფრენი ფრთები დროზე ადრე შეიჭრა.

4752. მამაკაცის ცხოვრებისეული პოსტულატია: თუ ახალგაზრდას მოჰყავს ცოლი, სიბერეში გადაირევა სხვა ქალზე, თუ სიბერეში მოჰყავს, ახალგაზრდობაშია ნაგრიალები, ხოლო მრავალცოლიანობის კანონის უქონლობა მათ უფრო აცუღლუტებთ, რადგან სასიყვარულო ბატალიებზე თავის შეკავება ყველა ასაკში უჭირთ.

4753. ქალებში სიარული და დროსტარება კი არ არის დანაშაული, არამედ ამის აფიშირება და ცოლთან აუცილებელი სექსუალური მინიმუმისაგან თავის არი-დება.

4754. მამაკაცის უხასიათობა და კარგი ხასიათი დამოკიდებულია ქალზე, ფულზე და ქვეყნის უსაფრთხოებაზე, ხოლო ქალისა – შვილებზე, ოჯახზე და მასზე, თუ რას ამბობენ გარეშენი მის ოჯახზე.

4755. მამაკაცმა, ხელობასთან ერთად, ოჯახის საქმიანობაც უნდა იცოდეს, მაგრამ აუცილებლობის გარდა სახლში თავი არ უნდა დაისაქმოს, რათა ცოლი არ გაა-ფუჭოს და დიასახლისობაზე, ოჯახზე გული არ აუცრუოს.

4756. საუკუნეების შეხლა-შემოხლა მამაკაცს ვერასდროს ასწავლის, რომ მისი ქმე-დება ყოველთვის მართალი არ არის, რადგან ის ყოველთვის ცდილობს დემაგოგი-ის მოშველიებით თავის სიმართლის გატანას.

4757. მამაკაცები კარგები ხდებიან, როდესაც დუნდებიან, იღლებიან ვნების შედე-გად დაკარგული ენერგიის ხარჯზე, მაგრამ თავს მაინც მოიგიჟიანებენ.

4758. ნამდვილი მამაკაცი არ უნდა მიეკუთვნებოდეს იმ სქესს, რომელიც მარტო შარვალს ატარებს, ის უნდა იყოს გონიერი მექალთანეც, სხვანაირად მამრის ავ-ტორიტეტი მდედრში არ მაღლდება.

4759. აღსრულდა იდიოტის ოცნება, გმირობა ჩაიდინა ახლადგაცნობილი მდედრთან იქორწინა, იმის მაგიერ რომ დაკვირვებოდა, თანდათან მოეხიბლა, დაეპყრო, რად-გან აფექტით აღებული ციხე-სიმაღლე, გონიერებით დაპყრობილთან შედარე-ბით, ეფექტურია, მაგრამ ხშირად სწრაფად დასატოვებელიც ხდება.

4760. მოკეტე, დაკეტე სალაყბო, დამუწე ღრანჭი, შეეშვი გველივით სისინს, ამკობენ ამ ეპითეტებით ხვადები ძუებს გაბრაზების ჟამს, მაგრამ საკმარისია ქალის ალერსს დაეწაფოს და მის გაღიმებულ სახეს შეხედოს, რომ რამდენიმე წუთის წინ შეუ-რაცხყოფილ ტუჩებს მამაკაცი დიდი სიამით ეწაფება და გველის შხამს შედარე-ბული ენიდან ნექტარს იღებს.

4761. მამაკაცი, რომელსაც უნარი აქვს ყველა ღილი შეკრული ჰქონდეს, წესიერების, საქმიანობის პირნათლად შესრულების, ცხოვრების წესიერი მხარის მცოდნე და მოვალეობის მონად გვევლინება.

4762. საბოლოოდ მამაკაცად ჩამოყალიბება მაინც ცხოვრებასთან, დედასთან, სი-დედრთან შეჭიდების და ურთიერთობის შედეგია, ხოლო, თუ რა სასარგებლო გაკვეთილები გამოიტანა ამ უნივერსიტეტის დამთავრებისას, ამას ცოლთან შემ-დგომი ასპირანტურა და ოჯახის გაძღოლის დოქტურანტურა გადაწყვეტს.

4763. ყველა დროში მამაკაცი უგვანო მექალთანეა და ეს გარემოება ქალების ხელში მოდიდან არ გადის.

4764. ზოგიერთ მამაკაცს ჰგონია, რომ ოჯახში ქალის გავლენა ღამით უნდა ძლიერ-დებოდეს, რაც მის სექსუალურ მოთხოვნას ხარისხიანად დააკმაყოფილებდა, მაგ-რამ თვითონ თუ არის ყოველთვის მზად ამ მომსახურებისთვის, ამაზე საუბრისგან თავს იკავებს, ხოლო თუ უსაყვედურებენ, ათას მიზეზს მოიგონებს თავის გასამარ-თლებლად.

4765. დამნდობი ქალები და გაიძვერა ხვადები, ეს არის სტანდარტული ნაკრები მამაკაცების მიერ შეთხზული პიესებისა, მაგრამ ცხოვრებაში პირიქითაც ხდება,

რადგან ბევრი მამრი განიცდის პიესაში ანგელოზებად წარმოდგენილი ქალებისგან შევიწროვებას.

4766. იდეალური ქალი მამაკაცს არაფერში ედავება, შენიშვნებს არ აძლევს, ჭკუას არ ასწავლის, სხვას არ ადარებს და მასზე მინდობილ საქმეს კომენტარების გარეშე აკეთებს, მაგრამ რამდენად იფერებს მამრი ამ ღვთით ნაჩუქარ მოვლენას და მოსწონს თუ არა, ეს მისი ხუშტურების პროგროგატივაა.

4767. ხვადი, რომელსაც ნაკლი არა აქვს, მამაკაცად ვერ გამოდგება და მასზე ქალების ზრუნვა, მოფერება, იმედის დამყარება არამია.

4768. თუ მამაკაცი რამდენიმე გულით აღიჭურვება, ეს ბევრისთვის შეუმჩნეველი დარჩება, მაგრამ თუ მას მეორე თავს დავადგამთ ჭკუის მოსამატებლად, ეს ყველას დასანახი და განსასჯელი გახდება, ამიტომ ქალების სიყვარული და მათი დემონსტრაცია კი არ არის დასაგმობი, არამედ უტვინო თავების წარმოჩენა და გონების დეფიციტის ჩვენება.

4769. ნამდვილი მამაკაცი კარგი საძოვრის დაუფლებას უნდა ცდილობდეს, ხოლო ხვადი მუდამ ახლის ძებნაში იყოს. რას ვიზამთ, ყველას თავისი უნდა მიეზღოს, რათა კარგის და ცუდის შედარების უფლება გვქონდეს.

4770. მამაკაცის ყურზე საყურე სხვადასხვა ასოციაციას იწვევს: თუ ეს მოდისთვის ხარკის გაღებაა, შეიძლება ქვენა გრძნობები ამოქმედდეს, ხოლო თუ საყურე მოსასმენი აპარატის როლს ასრულებს, სხვა ამბავია.

4771. პენსიაში გასვლამდე სახელი, მამაკაცი, ამაყად ჟღერს, ამიტომ ვინც 60 წლამდე ყოჩაღობდა, არწივობდა, მას გასახსენებელიც აქვს და თავის მოსაწონიც.

4772. მამაკაცი რაღაცას უნდა მართავდეს: ან ცხენს, ან მანქანას, ან ოჯახს, ან სამსახურში უნდა იყოს რაღაცის უფროსი, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ფასი კაპიკია.

4773. მამაკაცი, ოცნების ქუჩაზე ყვავილებს უფენს სათაყვანებელ ქალს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ იმ მდედრს ქუჩაზე სეირნობის სურვილი არა აქვს და მამრის მცდელობა ფუჭი გამოდის.

4774. მამაკაცია ის, ვინც თავის თავში დარწმუნებულია, მოდას არ არის გადაყოლილი, ჭკუა უდუღს, აქვს თავის მენტალიტეტი, შინაგანი ბუნება და მისთვის გასაგები სილამაზე.

4775. მამაკაცისთვის პირველ რიგში გონებაა სექსუალური, მერე მოდის მისი სულიერება და არა მისი ფიზიკური შესაძლებლობა.

4776. მამაკაცი მთელი ცხოვრება იმის ცდაშია, როგორმე მდედრის ყურადღება მიიპყროს და რამენაირად მის „გადამეტებულ მზრუნველობას" თავი დააღწიოს.

4777. ქალებს ყველა კაცი მამაკაცი ჰგონიათ.

4778. ქალი მამაკაცის სექსუალური ფანტაზიის წყაროა, ხოლო მამაკაცი ქალისთვის – დაფინანსებისა, გამოდის, რომ მამაკაცს უფრო ნაზი, სულიერი გრძნობები ამოძრავებს, ვიდრე დედაკაცს.

4779. სინამდვილეში მამაკაცებად არ ხდებიან, უბრალოდ ისინი იბადებიან და პირველივე სერიოზულ გამოცდისთანავე გამომჟღავნდებიან ქალის წინაშე.

4780. ემოციების გაუმაძღარი მომხმარებელია ის მამაკაცი, რომელიც ცხოვრებას ქალით იწყებს, საყვარლებთან გრიალებს და ცხოვრებას მათთან დაუმშვიდობებლად ამთავრებს.

4781. ქალი თუ ეშხს და პეწს ჰკარგავს, მამაკაცის ბრალია, რადგან მან ისე ვერ წარმოაჩინა თავი, რომ მდედრს ის აღფრთოვანების წყაროდ და ფარად ეგრძნო.

4782. თუ სუფრას ქალი ამშვენებს, მამაკაცები ცდილობენ თავი მოაწონონ მას, ხოლო თუ მარტონი არიან, ერთმანეთს. თუმცა ორივეს თავისი კაიფი აქვს, ოღონდ როტაციის პრინციპი არ უნდა დაივიწყონ.

4783. მამაკაცი და ვირი მოგრძო თოკით უნდა დავაბათ და იმის ილუზია შეუქმნათ, რომ თუ ძალიან წინააღმდეგობას არ გაუწევენ მდედრს და დათანხმდებიან თოკის თანდათან დამოკლებას, ცხოვრების სიამტკბილობის მინიმუმი მაინც ექნებათ გარანტირებული.

4784. მამაკაცის დევალვაცია იწვევს ქალის მატერიალიზაციას და მას თავისუფლად მიმოქცევის ვალუტად აქცევს.

4785. მამაკაცისთვის ყველა ქალი ცხოვრების თავისებური ისტორიაა, შეყრის სილაღით თუ დაშორების ტრაგიზმით, მათი ურთიერთობა რაც უნდა შემთხვევითი იყოს.

4786. შეიძლება სხვისი ცოლები ავებიც არიან და თავიანთ დაქალებზე უფრო უარესებიც, მაგრამ მამაკაცებს ეს ქალები რატომღაც უფრო პერსპექტიულ და ოჯახის ქალებად ეჩვენებათ.

4787. ცოლმა ქმარს თავი თანდათან უნდა შეაჩვიოს, თორემ მამაკაცი რომ ერთდროულად ჩაწვდეს რა ხვითოს ხელშია ჩავარდნილი, ქალი შეიძლება მეუღლის სტატუსის გარეშეც დარჩეს.

4788. ყველა სათუო ასაკის მამაკაცის ოცნებაა თავისი 54 წლის არასექსორენტაბელური ასაკის ცოლის დროებით შეცვლა სამ თვრამეტი წლის გოგონათი, ბოლო კუდის მოსაქნევად.

4789. მამაკაცს ისეთი გული უნდა ჰქონდეს, რომ ყოველთვის შეეძლოს მის რომელიმე პარკუჭში სასურველი ქალისთვის ვაკანსიის მონახვა.

4790. ქალისთვის ღირსეული მამაკაცის ატრიბუტია: თანამდებობა, მომხვეჭელობის უნარი, ცუდი მამაკაცის: უფულობა, უფულობა და უფულობა.

4791. ქალთა ბატალიებში ნაცოდვილარ ნაცოლარ მამრს, ოჯახის მიმართ გაურკვეველი გრძნობა უჩნდება და ვერ გარკვეულა იმ ბედნიერებაში, რასაც უღლის მორგება და კაცობრიობისთვის ჯანმრთელი თაობის კვლავწარმოების უნარი ჰქვია.

4792. მამრების უსუსურობა იწვევს მდედრის სულიერ გაკოტრებას, რადგან მომხიბვლველობის დივიდენდი ხვადის დასათრგუნავად მოთხოვნილების გარეშე რჩება.

4793. დანა-ჩანგალივით შემართულ მამაკაცს იმედი აქვს, რომ კრედიტუნარიან დედაკაცს ბიფშტექსივით ჩანგალზე წამოაგებს, იმას კი არ ფიქრობს, რომ ამდენი შესაძლებლობის მანდილოსანს თავისი ჭკუის და გემოვნების ინსტრუმენტების შეძენა არ გაუჭირდება.

4794. ბევრ მამაკაცს თავიდან რომ დაეწყო ცხოვრება, ვერაფერს შეცვლიდა, გარდა იმისა, რომ ცხოვრების კარტოთეკას იმ ქალებსაც დაუმატებდა, თავის დროზე რაღაც მიზეზის გამო მისი ხვედრი რომ არ შეიქმნა. ხოლო მდედრთა მოდგმას ეს მაკიაჟი რომ ჰქონოდა, კიდევ ერთხელ გულს იჯერებდა და უფრო მეტად ეცდებოდა თაყვანისმცემლების გაოგნებას.

4795. მამრის უარი ქალთან სექსუალურ ურთიერთობაზე, ხვადებში ცუდ ტონად ითვლება, ძუებში გაურკვეველ ემოციებს იწვევს, მხოლოდ ცოლია ამ მამაკაცით კმაყოფილი, რომელმაც მისთვის განკუთვნილი იშვიათი სექსუალური აქტი სხვა მდედრს რომ არ არგუნა.

4796. მამაკაცს კონკრეტულობა და აკრძალული ხილის მოწყვეტა მოსწონს, ხოლო ქალს ყოველივე ამაღლებული, სულიერი, რომელიც უძრავი ქონებით, ფუტლარის სილამაზითაა გამაგრებული და თუ ამას მამრის ჭკუაც დაემატება....

4797. მამაკაცი თვალით ხედავს, გონებით ადარებს, ხოლო ხელს იმას მოხვევს, ვინც მისთვის გემრიელი და მოხერხებული ქალია.

4798. მამრი ხანდახან იმ ქალს სწყალობს, რომელმაც მისი სისუსტე ნახა, მაგრამ იგივე სისუსტის ნახვას მამაკაცი სხვა მამრს არ აპატიებს.

4799. ნაადრევად მოსული, გონიერი კაცის ამქვეყნად მოვლენა ყველასთვის საინტერესოა, სადაოა, გაუგებარია, მაგრამ ბოლოს საყოველთაოდ მისაღებია.

4800. მამაკაცები კარგად არ იცნობენ ქალის ბუნებას, არც ქალები იცნობენ მათ უკეთესად, ამიტომაცაა, რომ მდედრის თვალში მამრთა უმეტესობა ღორთან ერთად აღიქმება, განსაკუთრებით ისინი, ვისაც იცნობენ და მათზე რაიმე სმენიათ.

4801. დღეს მამაკაცებმა ოჯახის უფროსის სოციალური სტატუსი უნდა მიიღონ, რადგან მთლად წავიდნენ ხელიდან, სულ თავის დაძვრენის ცდაში არიან და ცდილობენ ყველაფერი ქალს აჰკიდონ.

4802. პროფესიის იძულებით ხშირი ცვლა მამაკაცს სიბერეს უჩქარებს, სამსახურის თავის ჭკუაზე გამოცვლა ენერგიას მატებს, ხოლო სხვადასხვა ქალთან ურთიერთობა აახალგაზრდავებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლე საფრთხეშია.

4803. სექსუალური აგრესიაა ეროტიკის და პორნოგრაფიის მუქთად ჩვენება, რადგან ეს არის მამაკაცის ღირსებაზე ძალადობის, დისკრიმინაციის მიზეზი, რაც ხვადის მამაკაცურ შესაძლებლობებს აქვეითებს, რის შედეგადაც ქალები ზარალდებიან.

4804. ცოლთან დროებითი დაშორება, პირდაპირპროპორციულია მისი დროებით საყვარლით შეცვლისა, რადგან მამაკაცის ფიზიოლოგია გონიერების ვაკუუმის შევსებასთან შედარებით უფრო სექსუალური ვაკუუმის შევსებას მოითხოვს.

4805. მდედრთა ზოგიერთი ნაწილი დამთხვეულ მამაკაცებზე გიჟდება, მაგრამ ოჯახის შექმნა-შენარჩუნების გარანტი მაინც ფართომოხმარების და სექსში ასაკით დასაჭურისებული მამაკაცები არიან.

4806. ყველა ნორმალურ მამაკაცს ყოველთვის რაღაცა უნდა ქალისგან, მაგრამ რამდენიმესგან, მიუხედავად სხვისი მწარე გამოცდილებისა.

4807. ზოგჯერ მამაკაცისთვის აუცილებელია თავის მოტყუების კომპრომისზე წასვლა და უსინდისოდ ცხოვრების სიყალბის ცქერით დატკბობა მომავალი თაობის

შესაქმნელად, წარმოსაჩენად და ვალის აღსრულების იმედით, თუ გინდა მოიპოვო ნამდვილი ცხოვრებისეული ტკბობა.

4808. „ვინც ჩვენ პატივს არ გვცემს, ის ვნახე დამარხული", ფხიანი გამოთქმაა, მამაკაცი ვალდებულია ამ პრინციპზე აღიზარდოს, რა თქმა უნდა, იმქვეყნად სხვისი გასტუმრების მცდელობის გარეშე.

4809. ლამაზი მამაკაცი ერთდროულად არ შეიძლება იყოს ჭკვიანი, მოხერხებული, გულადი და ხვადიც.

4810. ქალი იღებავს თმებს, იკეთებს მანიკურს და თავი წესრიგში მოჰყავს, რათა მამაკაცების გრძნობათა აფეთქება მოახდინოს, მაგრამ ხვადების უმრავლესობას ქალის ეს ესთეტიკური მხარე შეუმჩნეველი რჩებათ.

4811. უცოლო მამაკაცი დიდი საკბილოა ქალებისთვის, მიუხედავად ამისა, მამაკაცი უნდა გაუფრთხილდეს მათთან ურთიერთობას, რადგან ცოლის მოყვანა მაინც ბედის და პირადად მისი მომწიფების საქმეა.

4812. მამაკაცს რომელიც თავის მოკვლას გადაწყვეტს, სჯობს ეს უგუნურება ცოლის მოყვანით შეუცვალოთ, რითაც თავდ უფრო მკაცრად დაისჯის, რადგან იმქვეყნად ნებაყოფლობით გადაბარგებით ამქვეყნიური ზრუნვისაგან თავს დაიძვრენს.

4813. ჭკვიან მამაკაცს ისეთი განცალკევებული და განსხვავებული აზრები უნდა ჰქონდეს თავისი ცოლისგან, რომ ამის შესახებ მას არაფერი გააგებინოს.

4814. ბევრ მამაკაცს ცოლი იმიტომ მოჰყავს, რომ თავი ეცოდება და სურს ოჯახის მართვის მეორეხარისხოვანი სანიტარულ-ჰიგიენური ნაწილი მდედრს გადააბაროს, ის კი ავიწყდება, რომ პირველხარისხოვანი ნაწილი, დაფინანსება და საგარეო ურთიერთობაც თან უნდა მიაყოლოს.

4815. როდესაც მამაკაცის ღირსებას ქალზე ფიქრისთვის აღარ სცალია და უფრო „სერიოზულ" საკაცობრიო საქმეებზე „ჩალიჩობს", მაშინ იწყება სიცოცხლის დევალვაცია, რომელსაც ზოგი გონიერების მომატებას და დაღვინებას ეძახის.

4816. ზოგიერთ მამაკაცს რა უცბად შეუძლია ქალის გულის მოპოვება და რა უხიაგად, არაპროფესიულად იყენებს ამ ნიჭს მასთან ურთიერთობაში.

4817. სიცოცხლის მოყვარულ ხვადს სიბერეში ქალებთან ურთიერთობაში ფეხი უცდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქალი არ უყვარს. უბრალოდ, ამაში მამაკაცის ღირსებაა დამნაშავე, რომლის მოჭარბებული ფანატიზმი, თავშეუკავებლობა, ამპარტავნობა და მამრის სტატუსი ბობოქარ ასაკს გაატანა.

4818. ყველაზე ლამაზი, მიმზიდველი, მამაკაცში მისი ხასიათი, გონიერება, მისწრაფება და ცხოვრების შეცნობის ნიჭია.

4819. მამაკაცები სუსტები კი არ არიან, არამედ ქალები ცდილობენ მათში ასეთები ამოირჩიონ, რომლებიც საერთო მეურნეობაში ადვილი სამართავები იქნებოდნენ. საბოლოოდ ისინი თავისი არჩევნით კმაყოფილები არიან თუ არა, ეს ცხოვრების სხვა „უვერტიურაა".

4820. მართალია, უემხო ეროტიკას თავსნაჯობარი მარხულობა სჯობს, მაგრამ სად გაურბიხარ მამაკაცის იმიჯს და მის ბუნებრივ მოთხოვნილებას?

4821. საკუთარი ვნებების დათრგუნვა, დაოკებაა ვაჟკაცობა, თორემ მისთვის ფრთეების შესხმა ყველა ჯანმრთელ კაცს ძალუძს.
4822. მამაკაცის უსაქმურობა მდედრისთვის მისაღებია მაშინ, თუ მათ ურთიერთობას მოჭარბებული გრძნობები კვებავს.
4823. მამაკაცის ღირსება ლამაზი ქალის შემჩნევა კი არ არის, არამედ მისი შინაგანი სამყაროს და სულის აღმაფრენის შერჩევა და შეჯერება.
4824. როგორც ნამდვილ ხვადს, ქალი უნდა გიყვარდეს, მაგრამ როგორც მამაკაცმა, ის შენი მუზის დასაყრდენად უნდა აქციო.
4825. მხოლოდ იმ მამაკაცის შეყვარებაა შესაძლებელი, რომლის გულისთვისაც ნაშიერს გააჩენდით და იმისაც, ვისაც თქვენი დაუდევრობის გამო მომავალ თაობას უკვე უზრდით.
4826. საოცარი ხალხია ეს მამაკაცები, თავიანთი ცოლებისთვის ვერ მოუვლიათ და სხვასაც ეარშიყებიან, ელაქუცებიან და სახლში სავალდებულო მინიმუმის შესრულებისთვის უარის სათქმელად ათას ხრიკებს იგონებენ.
4827. მამაკაცმა ქალებში ისე უნდა გაანათოს, რომ მათ ბალიშზე თმებიც დაკარგოს და ხანდახან ჭკუაც ზედ მიაყოლოს, მაგრამ ისე არ უნდა აითქვიფოს, რომ მამაკაცის გემი დაკარგოს და ცოლს ხელში სალოლიაოდ მბჟუტავი ნათება შერჩეს.
4828. მამაკაცი ქალის ფასს ჭარმაგობის ჟამს იგებს, როდესაც ყურძენი დაწურულია, მაჭარი დადუღებულია, ღვინო დაკუპაჟებულია, ჭაშნიკი აღებულია და სმის დროც დამდგარა, რათა გაიგო რამდენად მათრობელაა სიჭარმაგის ეს ჭაშნიკი.
4829. მამაკაცი ყოველთვის აღასრულებს მდედრის სურვილს, ხოლო კაცი ყოველთვის იმას ითხოვს, რაც ქალს უნდა.
4830. მამაკაცი ბევრ ქალს ამშვიდებს, მაგრამ სიამეს ყველას ვერ გვრის.
4831. როდესაც მრავალშვილიანი მამა ოჯახს ტოვებს და სხვა ქალთან გარბის, ის ქალთან კი არა – ჯადოქართან მიდის, ხოლო აზრი, რომ ის თავისიანებს დაუბრუნდება, ძალზე სათუოა და ოჯახმა თავს დროზე უნდა მიხედოს.
4832. ყველა მამაკაცს აღსაზრდელად და ჩამოსაყალიბებლად რამდენიმე ქალი სჭირდება, ერთი კი განსაკუთრებულად, რომელიც მას კაცად ჩათვლის.
4833. ზოგიერთი მამაკაცი ისე შეეჩვია ცოლის ჩხუბს, მასთან შეკამათებაც კი ეზარება და ბრანწს ქალს თავის ხელით აჩვენებინებს.
4834. ქალისადმი ჯანსაღი ლტოლვაა მამაკაცს რომ აყალიბებს.
4835. გონიერმა კაცმა თავის გრძნობებს საყვარელი ქალის მიმართ ერთხელ მაინც უნდა მოუწყოს გამოცდა და პირველის შეუცვლელობაში დარწმუნდეს.
4836. საოცარია, ეს ახალგაზრდა მამრები ამდენ შხვართითვით გოგონების ცქერას როგორ უძლებენ და ქვენა გრძნობებით აბობოქრებულნი როგორი თავშეკავებით უყურებენ პერსპექტიულ საკბილოს.
4837. ძალაუფლებით და სიმდიდრით აღჭურვილი მამაკაცი ასევე სექსუალური შესაძლებლობებითაც აღჭურვილი რომ იყოს, მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მაგრამ ამას არ დაუშვებს მისი ნერვული სისტემის ცვეთა და მამაზეციერის სამართლიანობა.

4838. როდესაც მამაკაცი საყვარლის სტატუსს ჰკარგავს ოჯახში, ის ქმრად გადაიქ-ცევა, სახლში ყვავილების ნაცვლად მწვანილი მოაქვს და სიყვარულის ნაცვლად ცოლს ვიტამინებს ჩუქნის.

4839. ცოლების ცვლა კი არ მატებს მამაკაცებს ღირსებას, არამედ ერთი ქალის ერთგულება.

4840. მამაკაცის ასაკი იმ ქალის ასაკით განისაზღვრება, ვისთანაც ცხოვრობს.

4841. მოხერხებული მამაკაცი წელიწადში ერთხელ მაინც სხვადასხვა ქალთან თაფ-ლობის თვეს უნდა ატარებდეს, მაგრამ ეტყობა ასე არ წირავს ღმერთი, მამაკაცის სექსუალური შესაძლებლობა და მისი ბიუჯეტი, თორემ ქალთან ტკბობის ამ წესს რატომ დაიკლებდა.

4842. მამაკაცი ოჯახში ყოველთვის ჩიტის უფლებით სარგებლობს, თუ მას რაიმე არ შემოაქვს.

4843. ქალის წინაშე „ჩესტს" იღებენ, კაცურად იქცევიან, არ ტრაბახობენ და არ იტყუებიან ნამდვილი მამაკაცები.

4844. მართალია, სიყვარული სამყაროს თავის ჭკუაზე ატრიალებს, მაგრამ მაინც მამრის ღირსებაზე არის დამოკიდებული მისი სიჩქარის მოწესრიგება და სიყვარუ-ლის ბრუნვის ტემპის შენარჩუნება.

4845. მდედრს შეუძლია სხვადასხვა მიზეზთა გამო, მისთვის უსიმპატიო მამრს ლო-გინში ჩაუგორდეს, მაგრამ მამრს ამის გაკეთება არ შეუძლია, რადგან მის მამაკა-ცურ ღირსებას ქალის რაობაზე თავისი გაგება აქვს, რომელიც განსჯას და მცდე-ლობას არ ემორჩილება.

4846. არავინ იცის კაცისთვის ბედნიერებაა თუ უბედურება, აღაგზნო ამდენი ქალი შენს მოსაპოვებლად, დასაპყრობად.

4847. მამაკაცის შერცხვენაა, როდესაც ქალი მას ფულის გულისთვის მიჰყვება, მაგ-რამ გასაგებია. როდესაც კაცი მიჰყვება ქალს ქონების გულისთვის, ეს გაუგება-რია, რადგან აქ მოვალეობების აღრევასა და ღირსების გადაადგილებასთან გვაქვს საქმე.

4848. ნადირობა, თევზაობა, ალპინიზმი, მამაკაცთა მოდგმის საიდუმლო სერობაა, რომლის გაგება და მათით ტკბობა ყველას არ უწერია.

4849. მშიერ მამაკაცს სახლში მხოლოდ საჭმელი სჭირდება და არა ის მიზეზები, თუ რატომ სტოვებენ მშიერს.

4850. ალკოჰოლის შემდეგ მამაკაცის ღირსების იმიჯი ქალებში დაბლა იწევს, მაგრამ თანამეინახეებში აწეულია.

4851. ხვადია ის მამაკაცი, ვინც ახალგაზრდობაში რაც კი გაიფაჩუნებს, დაუპეპლავს არ გაუშვებს, ხოლო დაღვინებისას ამ შარი-შურს განზრახ არ ამჩნევს, მაგრამ თავის სასიყვარულო საქმეს მაინც აკეთებს.

4852. მამაკაცს ისეთი ღირსებაც უნდა ჰქონდეს, რომელიც ქალისთვისაც კი გაუგე-ბარი იქნებოდა.

4853. ცუდი და მამაძაღლი მაშინ გაგინებს, როდესაც მას მამაკაცად არ სცნობენ.

4854. რადგანაც აღარ გავახალგაზრდავდებით და არც გაგვეზრდება, მდედრი იმით უნდა ვასიამოვნოთ, რაც გაგვაჩნია, თუ გვინდა სიცოცხლე გავიხანგრძლივოთ და თავს შევუძახოთ..

4855. სწორ ცხოვრებას მაშინ ვიწყებთ, როდესაც ცოლშვილისთვის არც ფული, არც ჯანმრთელობა აღარ გაგვაჩნია.

4856. ყველა მამაკაცს აქვს თავის აზრის საზოგადოებაში გამოთქმის უფლება, თუ ის ცოლისას ემთხვევა.

4857. რადგან მდედრის სურვილის შეცნობა მამრის ვალია, მან ქალის სათვალეების მიღმა დამალული სიყვარულის და ალერსის მოწყურებაც უნდა ამოიცნოს, ლინზები მოხსნას მის ბეც თვალებს, ღრმად და ალერსით ჩახედოს და ამ ქალის ფასი თვითონაც იგრძნოს და მასაც აგრძნობინოს.

4858. მამაკაცი ის დიდი ბავშვია, რომელსაც ხანდახან ჯიუტობის და ვირეშმაკობის სურვილი მოეძალება და თავის მოთოკვა უჭირს.

4859. მამაკაცს უფროსობას სიამოვნებით უთმობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კისრის პულტის ჩაგდების მსურველთა ოდენობა ოჯახში ბევრია.

4860. მამაკაცის წარმატების დიდი ნაწილი მდედრზე არის დამოკიდებული, მაგრამ ეს მაინც სიტყვის მასალაა ქალების წასაქეზებლად, რადგან გააჩნია მამაკაცსაც.

4861. ცოლის მოყვანა თავისებური მონანიებაა, აღსარების თქმაა საკუთარი თავის წინაშე, იმ ცოდვების, გადაცდენის, გაწბილების გამო, რაც თქვენი ქმედებით და უმოქმედობით ჩაგიდენიათ სხვა ქალების მიმართ.

4862. მამრისთვის ქალის სექსუალური შესაძლებლობების თანდათანობითი შეცნობა კაიფია და არა მისი მონათხრობით და ნახვით შესწავლა.

4863. მოჩვენებითი ძალადობით მამაკაცმა ასაკოვან ქალს უნდა მისცეს საშუალება მისგან თავის დახსნისა, რათა მდედრმა შეიცნოს მამრის მტაცებლური ბუნება და თავი კვლავ დედოფლად იგრძნოს.

4864. მამრი, რომელიც ყოველგვარი მცდელობის გარეშე, ქალის ალერსს ეზიარება, ხვადი კი არა, კაცად გადაცმული არსებაა.

4865. ყველა მამაკაცის ოცნებაა „ქალი შოკოლადში", მაგრამ რატომღაც „ცოლით ჟელეშიც" კმაყოფილდებიან.

4866. სარეცელის დაკავების თანამდებობის პირადობის მოწმობა ყველა მამაკაცს უნდა მოეთხოვებოდეს.

4867. როდესაც შვილის ასაკში მამა ქვიდან გამოთლილი ტიტველი ნაკვთის დანახვაზეც კი აღიგზნებოდა, ხოლო დღეს მისი ვაჟი ამ ქანდაკებას მშვიდად უყურებს, საქმე გვაქვს მამის თავშეუკავებლობასთან, გაუზრდელობასთან, მაგრამ მის მამაკაცურ შესაძლებლობასთან, ასევე შვილის კულტურასთან და იმედთან, რომ იგი მამას ხვადობაში არ შეარცხვენს.

4868. მამაკაცის ერთი და საბოლოო სურვილი ოჯახის შექმნაა, რადგან ბუნებით ბევრი „პოტიკის" თავი არა აქვს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ გამოდის, რადგან მისი მოდგმის არსებობა ამქვეყნად ეშხს დაკარგავდა.

4869. სიყვარულში თუ მამრს სექსუალური ჯანმრთელობა ხელს არ უწყობს, კატასროფაა, რადგან თუ გონებით გიგებენ, გულით გიცოდებენ.
4870. როგორც კი მამრი ფულის ასიგნაციების მდედრის საფეთქელთან მიდებას ისწავლის, იქ მექალთნის მზესიტყვაობა, პოპულარობა ყოველგვარ ხიბლს კარგავს, რადგან სულის სიმშვენიერე მატერიის ურჩხულმა ჩაყლაპა.
4871. აქტიური მამაკაცის ღირსება წყვილის ბედნიერებაა, ხოლო ზარმაცი ორივესთვის უბედურება, რადგან ერთს თავი ეჭრება, ხოლო მეორე შეურაცხყოფილია, შოკშია, რადგან ფიქრობს, ნუთუ მას ისეთი ქალური ხიბლი არ გააჩნია, რომ ეს უსაქმური სწორ გზაზე დააყენოს?
4872. ფაქტობრივად მამრი მდედრთა შორის ჩუმი ნადირობის ნადავლია, რომელიც ერთმა მიისაკუთრა, რასაც მამაკაცი გვიან შეიგრძნობს.
4873. ნამდვილი მამაკაცი ყოველთვის უნდა ეძებდეს მიზეზს სახლში რომ დროზე არ დაბრუნდეს, თუმცა ამას არ უნდა აკეთებდეს.
4874. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცისთვის ოჯახი ტკბილი ეკალია, სალოცავად მაინც სხვაგან გაურბის გული.
4875. ყველა მამაკაცის რეფლექსი ლამაზი ქალის დანახვისას მისი ხელის ამბორის სურვილი უნდა იყოს და არა – კოცნის.
4876. არიან ქალები, რომელთა ხელში თავის წარმოჩენა ძნელია, ამიტომ მამრი ან უნდა შეეგუოს მამაკაცური ეშმაკობით ამ მდედრს, ან გაეყაროს მამაკაცური მოხერხებულობით.
4877. მამაკაცი უქალოდ მაინც მამრი არ არის და მას ვერავითარი რეგალიები და ძველი დამსახურება ქალების წინაშე ვერ შველის, გარდა სიბერის სტატუსისა, როდესაც „ხვალინდელზე" ხელი ჩაქნეული აქვს.
4878. სამწუხაროდ, ღირსეული მამაკაცები ცოტანი არიან, რადგან ქალები მათ ისე ვერ ხედავენ, თუ რეგალიები, დაფინანსება არა აქვთ.
4879. იმ მამაკაცის ხელში, რომელიც თავის სიჯიუტით წუთიერი სიამოვნებისთვის და პატივმოყვარეობისთვის ცხოვრობს, საწყალი ქალები სულ დაზაფრულნი და ზედმეტნი არიან.
4880. ერთნი ჯიშიან ქალებზე ქორწინდებიან, მეორენი უჯიშოებსაც არ ივიწყებენ, მესამენი ვერც ჯიშს იხსენებენ და ვერც ჯილაგს, ამის მიზეზი ხარისხის ძებნა კი არ არის, არამედ ის, თუ რა ნიჭი, ბუნება დაგამადლეს ზევიდან და რა „ყისმათის" პატრონად გვევლინები ქვევით.
4881. მეძავთან ურთიერთობის უფლება ყველა მამაკაცს აქვს, გარდა ქვეყნის ოლიმპისკენ მიმავალი ნაძირალისა, რომელიც მასთან ეშხის გულისთვის კი არ წვება, არამედ სურვილს იკმაყოფილებს, ამასთან, თავისი შესაძლებლობა, მოთხოვნილება, პასუხისმგებლობა ერთმანეთში ერევა.
4882. მამისთვის ძნელი და მტკივნეული გასაგებია: გუშინ მისი საყვარელი ცუგრუმელა ბავშვი იყო, დღეს კი ანალიზს აბარებს ორსულობაზე.

4883. მამაკაცი ფორმაში მაშინაა და ქალებიც მაშინ იწყებენ გადარევას მასზე, როდესაც ის საძაგელიც არის და მომხიბვლელიც, მოუთოკავიც და დამყოლიც, უხეშიც და ალერსით სავსეც.

4884. როდესაც სექსუალურ მომსახურებაში მამაკაცი ქალს ფულს უხდის, ან სექსუალურად ძალიან უჭირს, ან თავის იმედი არა აქვს და როგორც ხვადი, ღმერთს არ უქნია.

4885. სულის სინაზე, სისუფთავე, ერთგულება, ნოსტალგია ქალების მიმართ, ასაკის მატებასთან ერთად კაცებს მალე გაუჩნდებათ, მაგრამ გვიან იქნება.

4886. მამაკაცს უნდა შეეძლოს ქალს იმ საყვარელი ყვავილების ენით ელაპარაკოს, რომელიც არც მას ესმის და არც მის რჩეულს.

4887. მამაკაცი სისულელეს თუ კარგად ჩაუკვირდება, მასში ბევრი დემაგოგიური ჭეშმარიტების დანახვას შესძლებს.

4888. მამაკაცებს რომ წარმოდგენა ჰქონდეთ რამდენ შრომას, ენერგიას, მატერიალური რესურსების ხარჯვას მოითხოვს ქალის სილამაზე, მიმზიდველობა, ჰაეროვნება, მაშინ რაიმე შეღავათს გაიმეტებდნენ მათი შერჩევისას.

4889. ყველაზე მიმზიდველ მამაკაცად ქალისთვის ის ითვლება, ვინც ცოტ-ცოტას ცუღლუტობს, მაგრამ ამისთვის ალიბი ყოველთვის მზად აქვს, რადგან ანგელოზთან ცხოვრება თვით ღვთისმოსავ ქალსაც უჭირს.

4890. მამაკაცი პატიოსანი წარმატებისთვის და გვარის გაგრძელებისთვის უნდა ისწრაფოდეს და არა იმისათვის, ვინმეს ავნოს ან სიცოცხლე მოუსწრაფოს.

4891. მამაკაცმა გასაქიაქებლად არასდროს სხვის საცვლებში ცხვირი არ უნდა ჩაჰყოს, განსაკუთრებით თუ ეს ქალს ეხება.

4892. ასაკის მატებასთან ერთად მამაკაცი ქალის შეცნობას იწყებს და გეშიც უნვითარდება, მაგრამ შესაძლებლობა უქვეითდება და მარტო ყნოსვა რჩება.

4893. ზოგი მამაკაცის მიმართ სიყვარული პირველივე ფეხმძიმობისას დევალვაციას განიცდის, ხოლო მომდევნოზე სიყვარული უფერულდება და ისიც მეუღლის უფროსი შვილი ხდება, შედეგად უყვართ თუ ეცოდებათ, ამაში ვერ გარკვეულა.

4894. მამაკაცის ღირსების დევალვაცია მაშინ იწყება, როდესაც მდედრთან სიამოვნების შემდეგ მისი გაცილება დაეზარება.

4895. მამრი მდედრის ცალკეულ სექსუალურ ნაწილს უფრო აღიქვამს, ვიდრე მთლიანობაში მის სიმშვენიერეს, რადგან გონიერება ერთბაშად ამდენ შეუმჩნეველ სილამაზეს ვერ ერევა და მაღალი ძაბვის დენის მოვარდნასავითი ჭკუის უჯრედებს წვავს. ამიტომ მამრს ყველაფერი გამოზომილი, აწონილი უნდა მივაწოდოთ, თუ გვინდა, როგორც მამაკაცი პენსიაში ნაადრევად არ გაგვეპაროს.

4896. მამაკაცად მოვლენა დიდი მოვალეობაც არის და ბედნიერებაც, რადგან უფლება გეძლევა აირჩიო მდედრი, რომელსაც შენი გვარის გამგრძელებლის გაჩენა უნდა ანდო, ხოლო თუ პირიქით მოხდა, მაშინ შენი ნაშიერი შენს გვარს კი არ აგრძელებს, არამედ ატარებს.

4897. მამრი ვალდებულია თავი უბილეთოდ გამოსცადოს კაცის სახელის მოსაპოვებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრება თავად მოუწყობს ბილეთებით გამოცდას და შეიძლება საშემოდგომო დავალიანებაც გამოაყოლოს.

4898. მამრს ქალთან წარმატებისათვის სჭირდება მდედრის ფსიქოლოგიის ცოდნა, მის ოცნებებზე თამაში და რაიმე სერიოზულზე მინიშნება.

4899. მამაკაცის დასაუფლებლად ქალმა უნდა მონახოს მისი ცხოვრების ოპერატიული მონაცემები და იმის მიხედვით მოამზადოს საჭმელი, მოირთოს-მოიკაზმოს, რადგან მამრის "დაბმა" ხელოვნებაა და ხელოსნობას ვერ იტანს.

4900. მამაკაცი ყველა დროში უყოფდა მდედრს თავის კუთვნილ ძალაუფლებას, მაგრამ ყოველთვის შეუმჩნევლად და თავის სასარგებლოდ.

4901. თუ კაცი მამაკაცად ამაღლდა, ყველა ქალი მის ფერხთით განერთხმევა.

4902. ზარმაცი, რეგისტრირებული მამაკაცის ღირსება, ყოჩაღ უსაქმურობაზე გაცილებით მეტი ღირს, რადგან ქალის ყველა უფლება და მოვალეობა აქ არის დამალული.

4903. კაცებს საგვარეულოს ქალები უქმნიან და ომის შედეგსაც ყველაზე მეტად ისინი გრძნობენ, ხოლო სულელი მამრები ერთმანეთს ომში სპობენ, ქალს დედობის მისიასაც ავიწყებენ და იმით ახარებენ, რომ მათმა შვილებმა სხვები ამოხოცეს და ჯავრი იყარეს. აი, სადამდე დაჰყავს ქალის მისია მამრების უგუნურებას.

4904. მამაკაცს მუდამ გადანახული უნდა ჰქონდეს სათადარიგო გონიერება, რომლის შესახებაც ქალებმა არც არაფერი უნდა იცოდნენ და არც წარმოდგენა ჰქონდეთ.

4905. საეჭვო კაცები, ჩვენი სურვილის მიუხედავად, ნამდვილ მამაკაცებად არასდროს იქცევიან, რადგან ასეთად უნდა დაიბადონ.

4906. მამაკაცია ის, ვისაც ცოლიც ყავს და საყვარელიც, ხოლო რომელიც ორივეს ღალატობს და სხვა ქალებშიც დაძვრება – ხვადია და ღმერთმაც ხელი მოუმართოს ამ სადავიდარაბო საქმეში.

4907. მამაკაცი დიდი ბავშვია, ცელქობის ლიმიტის შენარჩუნებით, ამიტომ მისმა მეწყვილემ დედის მოვალეობაც უნდა იკისროს დატუქსვის უფლებით – „შენს ადგილზე დაეტიე" და ეს ისეთი ტონით უნდა იყოს ნათქვამი, რომ ერთდროულად გაბრაზებაც, მოთხოვნაც იგრძნობოდეს, რაც მამრს თავის ადგილს მიუჩენს.

4908. ზოგი მამაკაცი სექსს მეუღლესთან შუამავალ–პრეზერვატივის გარეშე ვერ ბედავს, იმდენად დაშინებულია და უყვარს თავი.

4909. ნამდვილ მამაკაცს მორალური ხელშეკრულება უნდა ჰქონდეს დადებული ყველა იმ ქალთან, ვისთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონია და ვალდებულიცაა საჭიროების შემთხვევაში ამ ქალის წინაშე თავი წარმოაჩინოს.

4910. მამრები ან კაცუნებად ან ხვადებად იბადებიან, ხოლო ამ უკანასკნელის სიმცირის გამო, ქალები იძულებულნი არიან მათ შორის კომპრომისი მოძებნონ.

4911. მამაკაცმა ქალს, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ხანდახან გამაფრთხილებელი ყვითელი ბარათიც უნდა აჩვენოს და მის გაწითლებას არ შეეცადოს, რადგან ეს ოჯახის დატოვების ტოლფასია.

4912. მამაკაცის ოცნებაა ყველა მომდევნო ქალზე წარმატებით დაქორწინება, ხოლო ქალის – ყველა შემდგომ მამაკაცთან საბოლოოდ ოჯახის შექმნა.
4913. მდედრის ყველა დაპყრობა ხვადის დღესასწაულია, რომლის სიამე, სიამაყე დიდხანს გაჰყვება სალაპარაკოდ, სატრაბახოდ ჩუმი ტკბობისთვის.
4914. ნამდვილი მამაკაცი ემსახურება რწმენას, ღირსებას და სამშობლოს. სხვა ატრიბუტები: ოჯახი, მომავალი თაობის აღზრდა, მეგობრობა მისი კაცად ჩამოყალიბების შედეგია.
4915. როდესაც მამრს მექალთანეობა ცოდვად მიაჩნია და ცოლის კაპრიზსაა ამოფარებული, ის არც მასთან უქნია ღმერთს, სხვა ქალთა მოდგმის იმედის გამართლებაზე რომ არაფერი ვთქვათ.
4916. ძლიერი ხასიათი, კულტურა, თავზე წარმოდგენა, ყველა ნამდვილი მამაკაცის ხვედრი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ოჯახში ვერ იუფროსებს.
4917. მამაკაცის თვალების შემონათებას ახალგაზრდა ქალი „დაბრძანდი, ბიძიათი" პასუხობს და ერთდროულად ადგილსაც უთმობს ტრანსპორტში, მის ღირებულებასაც ადგილს მიუჩენს და იძულებულს ხდის საკუთარ თავსაც და ღირებულებასაც რევიზია ჩაუტაროს.
4918. მამაკაცს უნდა ჰქონდეს იმის სურვილი და უნარი, რომ ქალს ყველა დღე აჩუქოს ისე, რომ ეს ხარკის გაღებას არ ჰგავდეს.
4919. კაცი ბუნებით ქალის დამპყრობი უნდა იყოს და არა მომპოვებელი, ხოლო საზოგადოებაში – ჩვეულებრივი მოყვასი. შედეგად, მამაკაცს ქალთა მოდგმის სიყვარული და თანაგრძნობა გარანტირებული აქვს.
4920. ასაკის მატების სიმუხთლე ის არის, რომ ქალის მიმართ გეკარგება სურვილი და გრჩება მოვალეობა.
4921. მამაკაცი ღალატისთვის კი არა, მდედრთა მომსახურებისთვის არის შექმნილი, მაგრამ ერთს ეს ეხერხება, მეორეს – არა და მთელ რისხვას ეს უკანასკნელი იმის ქალებისგან.
4922. მამაკაცი შექმნილია ქალის ღალატისთვის და ოჯახის ერთგულებისთვის, ხოლო ვინც ამ მამრის ცელქობიდან ტრაგედიას არ ქმნის, პროფილაქტიკას ეწევა და ცდილობს კონკურენტუნარიანი იყოს როგორც ქალი, ის გადის ცხოვრების ფინიშზე უდანაკარგოდ.
4923. ნამდვილი მამაკაცის გადაშენება ცივილიზაციამ დაიწყო და მას თუ დროულად არ მივხედავთ, მოკლე ხანში დინოზავრების ქსოვილივით ძებნას დავუწყებთ, სინჯარებში გამოსაყვანად.
4924. ხვადი, მამაკაცი, კარგი გაგებით ბუნებით მესაკუთრე უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, მისი წინაპარი ხიდან ადრე ჩამოვიდა თუ გვიან.
4925. საწყენია, როდესაც ტრანსპორტში ქალიშვილი შენს ვნებიან შეხედვას ადგილის დათმობით უპასუხებს და შენს მამაკაცურ შემართებას კარგ ორიანს დაუწერს.
4926. ნაღდი მამაკაცისთვის ქალი თავისებური საკუთრებაა და უნდა ცდილობდეს თავისი მოძრავი ქონების იმდაგვარად შენარჩუნებას, რომ ცხოვრებაში „როქის გაკეთება" არ მოუხდეს.

4927. ბიჭი მომავალი მამაკაცისგან იმით განსხვავდება, რომ სათამაშოების ჰობს იცვლის.
4928. ყველა მამაკაცი ქალის სხეულის მოპარვას ცდილობს, სინამდვილეში კი მის სულს იპარავს.
4929. ნამდვილი მამაკაცი მთლად სანდო არაა და მთელი ცხოვრება ფერებას, ლოლიავს, ანგარიშის გაწევას მოითხოვს, რათა 50 წლიანი ცხოვრების შემდგომ სხვასთან არ გაგეპაროთ ახალგაზრდულად თავის მოსაგიჟიანებლად.
4930. ღირსეული მამაკაცი თავს უნდა მოერიოს და ცოლად ის ქალი არ მოიყვანოს, ვისაც ადრე თავდავიწყებით სხვა უყვარდა, რადგან ღალატის ვირუსი მასში უკვე ჩასახულია, აცრილია ის თუ აუცრელი.
4931. მამრის ღირსებების წარმოჩენისას კულტურის, გარყვნილების და ურილოგიის ინტერესები სხვადასხვაა.
4932. დემონი ის მამაკაცია, ვინც ქალს ხიბლავს და ნეტარების ტყავს აძრობს, ხოლო რქიანი მამაკაცი შეიძლება ეშმაკიც იყოს, მაგრამ არა – ქალისთვის.
4933. მამაკაცებს ეზარებათ სუსტი ნებისყოფის კაცუნები და დამთმობი, უპრეტენზიო ქალები.
4934. ბრძოლა თავისებური ადრენალინის გამოყოფაა, სიცოცხლის შეგრძნება მწვერვალია, ხოლო იმ ქალის დაპყრობაა კოსმოსი, რომელიც ასე სჭირდება მამაკაცს სულის გასალამაზებლად, დასამშვიდებლად, სიცოცხლის ყველა მონაკვეთზე.
4935. თავისი „მასტის" ქალის დანახვაზე კაცი თავს გამოუსწორებელ მექალთანედ უნდა გრძნობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მამაკაცის მაღალი წოდება უნდა ჩამოერთვას.
4936. მამაკაცს და ქალს ის აქვთ საერთო, რომ ორთავეს არ სჯერა ქალის.
4937. მამაკაცი სუვენირივით უნდა იყოს და თასივით ერთი ხელიდან მეორეში უნდა გადადიოდეს, თუმცა გააჩნია მამაკაცსაც და მის ხვადურ შესაძლებლობებს.
4938. მდედრს, რომელიც წინასწარ, შეუჩვევლად, მამრს ჭკუის სწავლებას დაუწყებს, თავს ამადლის, გონიერი მამაკაცი მეწყვილედ არ ინდომებს, თუ სიყვარულმა და თავდავიწყებამ ამის უფლება მისცა.
4939. მამაკაცი თავისი ბუნებით მეთავისეა, მესაკუთრე, მაგრამ ქალს ისე ჩუმად ჰყავს მითვისებული, რომ მამრი ამას მხოლოდ ცხოვრებს დაისზე იგებს.
4940. მამაკაცს სიცოცხლეს რბილი, ზომიერი კლიმატი და ზომიერი სათნოების ქალი უხანგრძლივებს.
4941. მამაკაცისთვის მისი ღირსების ქვედა სართულის გამოსწორება უფრო ადვილია, ვიდრე სულიერი მდგომარეობის, რადგან პირველზე რაღაც სტიმულატორები მაინც მოქმედებს, ხოლო სულის აღმაფრენას თავისი გაგების ქალთან შეხვედრა სჭირდება.
4942. გონიერ კაცს რაც ქალში მოსწონს, იშვიათად ხიბლავს და მის პრივატიზაციაზე კიდევ ერთხელ დააფიქრებს.
4943. ქალის მოდური, გრძელი კაბა მისი მფლობელის ნაკლოვანებებს მალავს, მაგრამ არა გამოცდილი მამაკაცის გამჭრიახი თვალისაგან.

4944. ჯარმა ბიჭი მამაკაცად უნდა აქციოს, ხოლო მამაკაცი ცხოვრებამ უნდა გამოთალოს.
4945. მამაკაცის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია ქალზე, ასაკზე, ფულზე, ხოლო მისი პრივატიზაცია–მისაკუთრება სექსუალურ შესაძლებლობაზე.
4946. როდესაც მამაკაცი ხშირად აღნიშნავს, რომ ამა და ამ ქალთან შეხვედრა სიამოვნებას ანიჭებს, მას მხედველობაში სექსი არა აქვს.
4947. მამრის იმიჯი ქალისთვის არაფერია, თუ ის კარიერით, ფულით, თანამდებობით არ არის გამაგრებული.
4948. როდესაც ქალს თავისი თავი ისე არ უყვარს, როგორც თავის მამაკაცი, მამრისთვის დიდი ბედნიერებაცაა და უბედურებაც, რადგან მან თავისი ბედნიერების ქვენა გრძნობებს მუხრუჭი უნდა დაადოს.
4949. მამაკაცები აჩვევენ ქალებს იმაზე არ გაწითლდნენ და არ ისირცხვილონ, ხოლო შემდგომ პროფესიად გაიხადონ ის, რასაც ადრე ვერც წარმოიდგენდნენ.
4950. მექალთანე ცოლს სიცოცხლეს უმწარებს, ხოლო სარეცელს ულამაზებს, წესიერი კაცი ქალს ნერვებს უწყნარებს, მაგრამ სარეცელს სათანადო მადლს ვერ სცხებს. თუ მდედრი სიცოცხლეს დიდხანს აპირებს, პირველი ვარიანტი სჯობს, რადგან სიცოცხლის დაისზე მექალთანეს სხვა ქალებთან კურკური კი არა, ცოლის მინიმალურად დაკმაყოფილებაც ზედმეტი ეჩვენება.
4951. კაბა რაც მოკლეა და ტანზე შემოტმასნილი, მით უფრო მეტად იქცევს მამაკაცთა ყურადღებას, ვიდრე ლამაზი გარეგნობის, თავისუფლად ჩაცმული მდედრი.
4952. „მე ქალი არა ვარ, ვინმეს ვუყვარდე, ჩემი სურვილია პატივს მცემდნენ და ჩემით ამაყობდნენ", – ეს უნდა იყოს მამრთა მოდგმის უმთავრესი დევიზი.
4953. კაცი ბედნიერად გრძნობს თავს, როდესაც სიბერის ჟამს იმ კანდიდატურებს გადახედავს, რომლებზეც ჯვარი არ იფსკვნა.
4954. პასუხისმგებლობას მოკლებული მამრი სათუო მამაკაცია და ის ამქვეყნად ქალის სათრევად არის გაჩენილი.
4955. მუდმივად ერთგულება ეს არის მამაკაცის შეზღუდული სურვილების შეყვანა ქალის გულში, მისი სულის მოსაპოვებლად.
4956. კაცი, რომელსაც ქალი უყვარს, მისგან ყველაფერს ითხოვს, ხოლო ვისთანაც ყოფნა ეხალისება, მისგან მხოლოდ სექსს.
4957. ცოლებს თუ კარგად დაუკვირდებით, ბოლოს ჩვენს დედებს ემსგავსებიან, მაგრამ ამას მამაკაცები გვიან ვამჩნევთ.
4958. ქალი, რომელსაც ეთაყვანები, ძალად არ უნდა მიგათრევდეს ლოგინში, შეიძლება შეიზარო.
4959. მამაკაცს ქალის გაშიშვლებაზე მეტად მისი მომნუსხველი გამბედაობა აღელვებს.
4960. კოცნის ხელოვნება პრაქტიკულად უნდა აითვისოთ, მრავალი გამოცდილი და გამოუცდელი ქალების დახმარებით, რადგან ყველა თავის პოტენციურ ცოდნას და კაიფს იძლევა.

4961. ჯენტლმენია ის მამაკაცი, რომელსაც მგლის მოთმინება აქვს, შეუცნობელია, იცავს მორალს და ბავშვების და ქალების მიმართ დამთმობია.
4962. მამაკაცები რქების დადგმას რომ შეუშინდნენ, მაშინ ვერც ერთი ქალი ვერ გათხოვდება.
4963. გონიერი მამაკაცი საყვარლებს ოჯახის გასამაგრებლად იყენებს და არა მის დასანგრევად.
4964. კაცისათვის მოხერხებულ ქალთან ურთიერთობა გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მისი შეყვარება.
4965. ვისაც სურვილი აქვს, იმას არ შეუძლია, ვისაც შეუძლია იმას არ სურს, ეს გამოთქმა ქალთან ურთიერთობისას არ გამოგადგებათ, რადგან თუ მდედრთან ხართ, შეუძლებელი უნდა შესძლოთ.
4966. მამაკაცმა რომ სიცოცხლე გაიხანგრძლივოს, ცოლი კი არ უნდა გამოიცვალოს, არამედ მეუღლის დასახმარებლად განკუთვნილი მისი ქალები.
4967. მამაკაცისათვის მოკლე კაბა სათაგურია, ხოლო მასში გაყოფილი გრძელი ფეხები – სატყუარი.
4968. ჭკვიანი მამაკაცი არ ეცდება ქალში დაინახოს გონიერების ნიშნები – გაწბილება იცის.
4969. არიან მამაკაცები, რომლებისთვისაც ქალის ყველა „არა" მიუღებელია, ასეთი ჯიუტობით ეუფლებიან მათ და ხდებიან მათი ფავორიტები.
4970. ჩვენ იმ ცოდვების აფიშირება გვიყვარს, რომელსაც სხვა მამრიც დიდი სიამოვნებით აიკიდებდა.
4971. მამაკაცებს ჰგონიათ, რომ ყველა ქალი ერთნაირად კარგია, ამიტომ მათ შორის საუკეთესოს ამოსარჩევად ყველას დაჭაშნიკებას ცდილობენ.
4972. ქალები მამაკაცებს მათ მიერვე მოხლაფორთებული სათაგურით იჭერენ.
4973. ნამდვილ მამაკაცს მხოლოდ ღირსების მქონე ქალი სცნობს და აფასებს.
4974. ნამდვილი მამაკაცი ქალებზე უნდა ნადირობდეს და ისეთი შემართებით უნდა ამსახუროს მამრის ღირსება, რომ დაივიწყოს თავისი გენეტიკური მოწოდება, შერკინება, ნადირობა და მთელი ენერგია მდედრს დაახარჯოს.
4975. მამაკაცი სერიოზულად ეჭვიანობს როდესაც უყვარს, ქალი ყოველთვის ეჭვიანობს, უყვარს, თუ არ უყვარს, – ის ამით ერთობა.
4976. მამაკაცი თუ ქალს ღალატობს, ის უფრო სანატრელია ქალისთვის, ხოლო თუ ქალი ღალატობს მამაკაცს, ის მაშინვე ჰკარგავს მომხიბვლელობას მამაკაცის თვალში და ნივთად იქცევა.
4977. მამაკაცი, რომელსაც ეჭვიანობის დამალვა არ შეუძლია, ქალის ხელში დაცინვის საგნად იქცევა.
4978. მამაკაცი თავის მთელ ენერგიას ქალს ახმარს, უნდა მას ეს, თუ არა.
4979. მამაკაცის ყველაზე დიდი შემმოწმებელი ქალია, რომელსაც მთელი ცხოვრება გამოცდას აბარებს. ესენია: დედა, საყვარელი, ცოლი, ქალიშვილი, თანამშრომელი და ალბათ, ანგელოზიც.

4980. თუ მამაკაცს ქალისთვის არაფრის მიცემა არ შეუძლია, არც მათ მიმართ რაიმე თხოვნის და პრეტენზიის წაყენების უფლება აქვს.

4981. კაცი რომ სხვის ქალთან დადის, ამ კაცის ცოლის ბრალია, ვინაიდან გარდა იმისა, რომ ის თავისი ქმრის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს, ამ კაცისათვის მოუხერხებელიც არის.

4982. მამაკაცისთვის ქალი ხშირად განვლილი ეტაპია და არა – მომავალი, როგორც ამას ქალები ფიქრობენ.

4983. ვინ არის წესიერი კაცი? – ქალთა პატივისმცემელი, ნაქურდალი ნივთების შესყიდვაზე უარის მთქმელი, მშობლების მოსიყვარულე, ცხოველთა მოყვარული და უწინარესად, ფულის დროულად ჩამსესხებელი.

4984. ყველა ნორმალურ მამაკაცს უნდა, რომ მისი ქალი იყოს სხვა მამაკაცისგან ხელშეუხებელი, ტყუილია, ვითომდა თანამედროვე მამაკაცს უნდა, რომ ყველაფერი პირიქით იყოს და არ თქვან მასზე ჩამორჩენილიაო.

4985. თუ ცოლთან საქმის გასარჩევად მიდიხარ, ყოველ შემთხვევისთვის ჩაფხუტი უნდა დაიხურო, რა იცი, იქნებ გამოგადგეს.

4986. მამაკაცის ღირსებას და მუზას აქვთ კრიტიკული დღეები, როდესაც ქალის დანახვაზე არ რეაგირებენ.

4987. მამაკაცს შეუძლია იყოს ქალის ფეხებთან, მის ხელთ ქვევით, მაგრამ არა მხრებს ზევით, რასაც კისერზე ჩამოჯდომა ჰქვია, თუ უნდა სიყვარული შეინარჩუნოს.

4988. ყველა უცოლო მამაკაცს ჰგონია, რომ სულ პატარა რაღაც უშლის ხელს ცოლის მოყვანაში. ფაქტიურად, ის არ არის მომწიფებული უღლის დასადგმელად და ასაკი აქ უმთავრეს როლს არ თამაშობს.

4989. სიბერის მოახლოების შიში ზოგ მამაკაცს აიძულებს ფიზიკურ ვარჯიშს, ზოგს კი – გონებრივს, ვინაიდან ქალთან ვარჯიში არც ეხალისებათ და არც შეუძლიათ.

4990. მამაკაცისთვის ყველაზე დიდი ნარკოტიკი ქალია და მისი შეცვლა სხვა სიამით უზნეობაა და დამღუპველია.

4991. ზოგიერთი უხიაგი მამაკაცი დაუქორწინებლობით დიდ საქმეს აკეთებს, სიცოცხლეს არ უწამლავს ორ ადამიანს და მათ მომავალ ნაშიერს.

4992. ქაცვს ცხენს ფაფრის გასაუმჯობესებლად აჭმევენ, კაცს კი – ჟინის.

4993. მამაკაცისა და ქალის ჭორაობა იმით განირჩევა, რომ კაცები ქალებზე სიმთვრალეში ჭორაობენ, ხოლო ქალებს კაცებზე და დაქალებზე ჭორაობისთვის ალკოჰოლი არ სჭირდებათ.

4994. ნამდვილი მამაკაცი ბუმერანგივით არის, ყოველგვარი ხმაურის გარეშე იფრენს, ისეირნებს, დროს გაატარებს და ხალხში მაინც უმანკო სახით დაბრუნდება.

4995. მამაკაცი თავისი ღირსების დამკვიდრებას ქურდულად არ უნდა ცდილობდეს. იგი მან საჯაროდ უნდა მოიპოვოს.

4996. მამაკაცისათვის ცხოვრების საწყის ეტაპზე ჯარში სამსახური თვითდამკვიდ-რების აუცილებელი პირობა და სამშობლოსათვის ვალის გადახდის მცდელობა.

4997. როდესაც მამაკაცს სიყვარული შეუძლია, მას ქალთან თანაარსებობის გამოცდილება არ გააჩნია, ხოლო როდესაც გამოცდილებას იძენს, მას მოხერხებული ქალი რჩება ხელში.

4998. ზოგიერთი კაცი შურით სხვაზე იბოღმება, მასზე მეტი გამოცდილება და თანამდებობა მაქვსო, მაგრამ ნაკლებ ხელფასს ვიღებო, თუმცა ავიწყდება, რომ ის იღებს, ხოლო, ვისაც შურს – ის გამოიმუშავებს.

4999. კაცი ქალთან ლაყბობის ხასიათზე მოჰყავს მის მამაკაცურ ღირსებას.

5000. შიდსის გავრცელებამ ზოგ შემთხვევაში დადებითი შედეგი გამოიღო: ცუღლუტ, ცელქ მამაკაცებს ცოლები იმდენად „შეაყვარა", რომ მათ გვერდიდან ველარ იშორებენ.

5001. ჭკვიანი მამაკაცი სხვისი წარმატებით ხარობს, მაგრამ თავის თავსაც არ ივიწყებს, რომ ცხოვრებას არ ჩამორჩეს.

5002. ბევრ მამაკაცს ჰგონია, რომ მისი ძარღვებში მაღალი ძაბვის ენერგიაა, მაგრამ იგი ვერც ანათებს და ვერც აციცხოვნებს.

5003. ძლიერი სქესი ამ ბოლო დროს სუსტი სქესის წარმომადგენლებს ნებაყოფლობით უყოფს ძალაუფლებას. ვინ იცის, რისი ბრალია ეს, მამაკაცის სურვილისა – ცხოვრება გაილამაზოს, თუ საქმიანობის ძნელი ნაწილი ქალს აჰკიდოს გადასაწყვეტად.

5004. ნამდვილი მამაკაცის გარჩევა შეგვიძლია, თუ მას ნიშანს დავადებთ, მაგრამ დამღა განწყობას აფუჭებს.

5005. კაცი, როცა მის წინ მდგომ ლამაზი ქალის უბეს ან ლამაზად შეტყუპებულ ხორცსავსე ბაყვებს თვალს მოარიდებს, ამ წუთიდან იწყება მისი მამაკაცური ვატერლოო – დასასრული.

5006. "ანტიკა" მამაკაცია ის, ვისაც ასაკი არ ეტყობა და წლებთან ერთად მისი ფასი თეორიულად მატულობს.

5007. მართალია, მდიდრულად ჩაცმული ქალი მამაკაცისთვის სატყუარაა, მაგრამ არც იმდენად, რომ ლამაზად გახდილს ამჯობინოს.

5008. ურთიერთგრძნობებით ქალის კვება კარგია, მაგრამ, კაცმა საკუთარი თავიც არ უნდა დაივიწყოს.

5009. ახალგაზრდა კაცის აგრესიულობა კარგია საქმის კეთებისათვის, მაგრამ უბედურებაა უსაქმურობისათვის.

5010. ცერცეტაზე ბედნიერი კაცი არ არსებობს. იგი არც არაფერზე იჭყლეტს ჭკუას და არც ეჭვი არაფერში ეპარება. პირადი ცხოვრებისთვის იქნებ ასეც ჯობდეს, მაგრამ გააჩნია მამაზეციერმა როგორ დააპროგრამა.

5011. ჭკვიანი კაცი ყოველთვის შექმნის ისეთ უმტკივნეულო, სამართლიან გარემოს, რომ ის ქალმა მიატოვოს. ამით ის რამდენიმე კურდღელს იჭერს: ქალის თავმოყვარეობა არ ილახება, არ შორდებიან როგორც მტრები და ქალს მთელი ცხოვრება სანანებლად რჩება მის მიერ დაშვებული შეცდომა.

5012. როდესაც ჯვარს იწერ, ქალს ჰგონია ის მიგყავს სამოთხეში, გამოუცნობისაკენ და მისასალმებელია, თუ გარკვეულ პერიოდამდე მის ოცნებას ხელს არ შეუშლი.
5013. რა ძალით უნდა შეუკურთხო კაცს, რომ მისგან ადამიანი დადგეს. თუმცა კაცად მაინც ვერ იქცევა, ვინაიდან, კაცად უნდა დაიბადო.
5014. კაცი – ჯოკერი ყველასათვის სანატრელია, ყველა მის გამოყენებას ცდილობს, მაგრამ თავისად არავინ თვლის. მასთან შეხვედრა ბედზე – ყისმათზეა დამოკიდებული და მოითხოვს მის აზრიან გამოყენებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაბრაზდება და ახლოს არ გაგეკარება.
5015. მამაკაცი დაბადებულია ბედნიერებისათვის, ქალი კი იმისათვის, რომ კაცს კუთვნილი ბედნიერება აჩუქოს. მაგრამ, რატომღაც, ისინი არ ჩქარობენ და ბედნიერება თვალსა და ხელს შუა უქრებათ.
5016. კაცის ძალზე ფიქრიანად გადაქცევა სიბერის ვირუსის შეპარვაზე მიგვითითებს.
5017. ნამდვილ მამაკაცს პირველ რიგში უყვარს ქალი, მასწავლებელი და ბედთან ჭიდილი.
5018. მამრისთვის მემკვიდრე ვაჟის დატოვების გარეშე იმქვეყნად წასვლა დანაშაულია თავის წინაპრების წინაშე, რადგან მისი გენის ყველა ნიშანთვისება საბოლოოდ დასამარებულია და იმქვეყნიდან საკითხი გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
5019. მამრის ქალებთან მოხერხებული ძრომიალი სულს ამხნევებს, სხეულს აკაჟებს, ავტორიტეტს მატებს, მისი შურთ. მოკლედ, ყველა კმაყოფილია, მათ შორის, ცოლიც, რომელსაც წარმოდგენაც არ აქვს, თუ ქმრის ცუღლუტობამ ცხოვრებაში რამდენ უხერხულ შეხლა-შემოხლას გადაარჩინა.
5020. რადგან ყველა ქალი აღმოჩენას მოითხოვს, კაცი იძულებულია ერთ ქალს მეორესთან უღალატოს, რათა მისთვის განკუთვნილი ქალი აღმოაჩინოს.
5021. არსებობენ მამაკაცები, რომელთა ერთი ქალის კუთვნილებაში ყოფნა დანაშაულია, რადგან დანარჩენ მდედრთა ბუნება და ფსიქიკა ძალზე ზარალდება საკუთარი თავის წინაშე, მისი თუნდაც თეორიული დაჭაშნიკების გარეშე.
5022. კაცები თუ ისეთები არ არიან, როგორც ქალებს უნდათ, თავად არიან დამნაშავენი, რადგან დაბადებიდან დავაჟკაცებამდე მათ აღზარდეს, ხოლო შემდგომ ჭკუის სასწავლებლად ისევ მათ გადაიბარეს, ასე, რომ ყველაფერი თავს და ერთმანეთში საერთო ენის გამოუნახველობას დააბრალონ.
5023. ქალის დასაპყრობად გულმა და გონებამ უნდა იმსჯელოს, ხოლო სექსმა ივაჟკაცოს, თორემ პირველი ორის თათბირით მდედრთან ურთიერთობა ვერ მოგვარდება.
5024. წესით, ბახუსიდან და ჩვენთვის ურგები ქალიდან თავის დასაღწევად, ისევ ბახუსმა და სხვა ქალმა უნდა გვიშველოს, მაგრამ პრაქტიკა ყოველთვის ამას ვერ ამტკიცებს, რადგან ეტყობა ჩვენ არც სმა ვიცით და არც ქალთან ყოფნა გვეხერხება.
5025. რაც უფრო მეტად გვიყვარს ქალი, მით ნაკლებად შეგვიძლია შეცდომა და გადაცდენა ვაპატიოთ.

5026. შეყვარებული მამაკაცი ბოლოს ხვდება, რომ ქალი ხატი არ არის და ისიც ჩვეულებრივი მდედრად ქცეული ქალით კმაყოფილდება.
5027. მამაკაცი ფასდება დანაპირების ასრულებით, დედაკაცი – დანაპირების ასრულების მოთხოვნით.
5028. არის ათასი საშუალება იმისა, ცუდი კაცი იყო და კანონი არ დაარღვიო, მაგრამ იყო კარგი და კანონი არ დაარღვიო, თითქმის შეუძლებელია.
5029. ამბობენ, ყველაზე ძნელია საიდუმლოს, წყენის, კარგი გართობის დამალვა, უფრო ძნელია, კარგ კურტიზანკასთან გატარებული შთაბეჭდილებების დამალვა, მაგრამ ამას თანდაყოლილი მამაკაცური ჯენტლმენის ღირსება გაიძულებს.
5030. კაცის დაცემის კუთხეს ქალის აღქმის კუთხე განსაზღვრავს, მისი გაუგებარი ბუნებით და შეწყალებით.
5031. თანამდებობა დროებითია, კაცობაა მუდმივი, ამ აქსიომის მიუხედავად, კარიერისკენ მიმავალი კიბის არბენის სიამოვნებას ვერავითარი "მუდმივი" და "საბოლოო" ვერ ეღობება.
5032. კარგად რომ დაუკვირდეთ, მამაკაცი თავისი ბედის და მოვალეობის მონაა, ხოლო ქალი თავის ბედის მაძიებელი და სიცოცხლის აღმსრულებელი.
5033. კაცს მაშინ გაუმართლებს, თუ ისეთი ცოლი შეხვდება, რომელსაც შეეძლება თავის ჩარჩოში დატევა.
5034. ომი ყოველთვის ახალი ისტორიის და მამრთა გამოხშირვის დასაწყისია.
5035. კაცობაში ყველაფერი არ იყიდება, მაგრამ არც არაკაცები ყიდულობენ ყველაფერს.
5036. ძალადობის კულტი მანამ იარსებებს, სანამ ხვადების ჯიში არსებობს, რადგან მათი ბიოლოგია და გენეტიკა გონიერებას და გამოცდილებას ჩამორჩება.
5037. მამაკაცისთვის ქალის შეცნობა მისი ამოუწურავი შესაძლებლობაა, ხოლო ქალისთვის კაბა – მისი ფანტაზიის ამოუწურავი საშუალება.
5038. სანამ კაცი კაცის უფროსია და თაობათა ცვლა მიმდინარეობს, მანამ მონობის ინსტიტუტი იქნება, რადგან მის გარეშე კაცობრიობა წინ ნაბიჯს ვერ წადგამს.
5039. ხშირად მამაკაცები ვერ ნახულობენ საერთო ენას, ამიტომ მათ საშუალება უნდა მივცეთ ძალის გამოყენებით გაარკვიონ ურთიერთობა. რადგან ძალების მოსინჯვა, ოღონდ, ქალებისა და ბავშვების ჩაურევლად, ორივეს რეალურ საშუალებას აძლევს გადაამოწმოს თავისი შესაძლებლობები.
5040. მამაკაცი უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ როგორ აკეთებს თავის საქმეს, რა სიამოვნებს, რას განიცდის თავის ნახელავის ხელის შევლების დროს.
5041. მამაკაცის ცხოვრების აზრი, ქალის ბუნების გაგების ფუჭი მცდელობა კი არ არის, არამედ შეჩვევა და თანაარსებობის უფლების მოპოვება.
5042. ვაჟკაცობა თავისებური ფენომენია და მას ყველა სიძნელის დაძლევა შეუძლია, გარდა მზაკვრობისა, რომელიც შავი გონიერების ნაყოფია და არავითარი კავშირი არა აქვს კაცობასთან.

5043. მამაკაცს ქალის მომაბეზრებელი ზრუნვა და ჭკუის სწავლება ახელებს, მაგრამ თუ ამ „სიკეთეს" ვერ შეიგრძნობს, უფრო უხეში ხდება. ასე რომ, სიკეთის მიღება ნებაყოფლობითია.

5044. ჭკვიანი მამაკაცი ეცდება ქალების ჩხუბს არ დაესწროს, რადგან მოსამართლის როლის კისრება ის სისულელეა, რომლის ჩადენას ცხოვრებაში მეორედ ვერ მოახერხებ.

5045. მამაკაცის ენერგიით დამუხტვა იმისთვისაც არის აუცილებელი, რომ ამ ენერგიის ლომის წილი ქალების გულის განათებას და გაღვივებას მოახმაროს.

5046. მამაკაცისთვის სიყვარული სექსუალური მიდრეკილება კი არ უნდა იყოს, არამედ მისი სამუშაო, მონდომება, მცდელობა, რათა ის შეინარჩუნოს.

5047. ნამდვილი მამაკაცი საყვარელ ქალს აძლევს სიყვარულს, სარჩოს და არა ღირსებას.

5048. მამაკაცისთვის სიყვარული მისი ნაზი გულის და ღირსების გამოხატვაა და ამასთან თუ ბედის წილნაყარიც ერთვის...

5049. ნამდვილ მამაკაცს თავისი ხასიათი უნდა ჰქონდეს, მაგრამ დამყოლი. მაშინ ის ბედის საჩუქარს იქ მიიღებს, სადაც არ ელოდება.

5050. ყველა მამაკაცმა უნდა იცოდეს, რომ დედაკაცი პირველ რიგში დედაა და სხვა ეპითეტებით ქალის შემკობა მის განწყობაზე, გონებამახვილობაზე, მსოფლმხედველობაზე და რა იშტაზეა მოსული, იმაზე არის დამოკიდებული.

5051. ჭკვიან კაცად ის ითვლება, ვინც გულის კარნახს ყურადღებას არ აქცევს, ხოლო მამაკაცად ის, ვინც გულის ძგერას ითვალისწინებს.

5052. მამაკაცის ფასს ქალები ადგენენ, ხოლო მის ღირებულებას კაცის ცხოვრების წესი განსაზღვრავს.

5053. კაცის სიცოცხლის მიზანი ქალის გულის დაპყრობა უნდა იყოს და არა მისი მოპოვება.

5054. მამაკაცს ცხოვრების გავლა ორი ღირსებით უხდება: პირადი და მამაკაცური. მამაკაცური ღირსება ხანდახან ისეთ ქალზე გადაირევა, რომელსაც პირადი ღირსება არ ეთანხმება. არადა, პირად ღირსებას ხანდახან მამაკაცური ღირსება ისეთ სილას გააწნავს, რომ მამაკაცის იმიჯი მდედრის თვალში ძალზე ეცემა, ამ ორი ღირსების დავის პროცესი ასაკთან ერთად ნელდება, მაგრამ მამრს ხომ მაინც ამ ორი ღირსებით გატარებული ცხოვრება რჩება ტკბილად მოსაგონარი.

5055. მამაკაცის ღირსება, ტვინის ნაოჭების მომატებასთან ერთად, მდედრის მიმართ პრეტენზიული ხდება, მაგრამ ვის რაში სჭირდება ტვინზე ნაოჭების მომატება და სიბრძნის შეძენა, თუ მამაკაცის ღირსება კაცობრიობის უმშვენიერეს ნაწილს თავისი მოვალეობის შესრულებას დაამადლის.

5056. მოხუცი მამაკაცი უნდა მოერიდოს სექსუალური განათლების გადაცემას უმცროსი თაობისათვის თუნდაც იმიტომ, რომ მან ამ საქმიანობის ლიცენზიის უფლება დიდი ხანია დაკარგა.

5057. კაცი, რომელიც დაპირებებს ასრულებს, ძალზე იშვიათია, ამიტომ მას განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ, რათა, სიტყვის კაცი ზოგიერთი ცხოველივით არ გადაშენდეს.

5058. პოპულარული და საქმიანი კაცი ხალხს რომ თავს გაუყადრებს, ზოგიერთს მისი მოწველის სურვილი უჩნდება. იმას კი ვერ ხვდებიან, მას რომ სითბო და მოფერება სჭირდება. ამ პირობებში კი თვითონაც უფრო მოგებულნი დარჩებიან.

5059. მამრი მთელი სიცოცხლის ნახევარს ქალებზე ფიქრში ატარებს და ამის საფასურად ბოლოს უღელში თავის გაყოფა და ოჯახის ტვირთის თრევა უხდება, ამასთან ენის სახრის გადაკვრასაც არ ამადლიან, თუ ღმერთი გაუწყრა და სხვა მდედრზე ფიქრი გაბედა.

5060. ჰარამხანის ყოლა ყველა მამაკაცის ჩუმი ოცნებაა, რომელიც გადამეტებულ ჯანმრთელობას, შემართებას და ჯიბის მოჩხრეკვას მოითხოვს და ამ სურვილის სისულელეს მაშინ ვხვდებით, როდესაც ცხოვრება განვლილია და მისი აპეურების მოჭერის კვალს ნაღვლიანად ვიხსენებთ.

5061. მდედრს ხშირად მამრის დასჯა და შენდობა მოსწონს, ხოლო ამ უკანასკნელს მისდამი სიყვარულის დასამტკიცებლად ის დარჩენია, ზომიერების ფარგლებში ამის საბაბი მისცეს.

5062. მამაკაცს არ უნდა დაავიწყდეს, ჟამთა სვლასთან დაკავშირებით როგორ გახადოს შეყვარებული ქალი ბედნიერი, ყოველგვარი ილუზიის გარეშე.

5063. მამაკაცის სილამაზეა ქალის სამსახურის უნარი, ხიბლი და ის მატერიალური კეთილდღეობა, რის გაცემის უნარიც შესწევს.

5064. მამაკაცობა მაინც მისი ხვადური შესაძლებლობაა, შემდეგ გონიერება და გული.

5065. მამაკაცები არ ტირიან, ისინი ბედის უსამართლობას ნაღვლობენ და სიბრაზისგან ცრემლებს ვერ იკავებენ.

5066. მამაკაცის ღირსების ქურდი, „პუტანა", ის არის, ვინც სასტუმროში ბარგს თავად შეგატანინებს, სულ არ მოგათქმევინებს, ალერსით დაგაჯილდოვებს, ხოლო საფასურად ტვირთის გადადგილებისათვის გაწეულ ხარჯებს გასამრჯელოდ ჩაგითვლის.

5067. მამაკაცისთვის ლამაზი ქალი ის მეთევზეა, რომელმაც სატყუარით ანკესზე წამოაგო და ახლა თანდათან თავისკენ მიითრევს და კაციც სიამოვნებით ნებდება.

5068. კაცს, რომელსაც თავისუფალი ნავარდის ჟინი არ აწუხებს, ის ღირსეული მამაკაცი ცოლისთვის ვერასდროს გახდება.

5069. მამაკაცის ცრუ ფიცს ქალი ჭოჭმანით თანხმდება, მამრი სურვილს იკმაყოფილებს, მდედრი – ალიბით გამაგრებულ ვნებას.

5070. ნიჭიერ მამაკაცს ქალები, სასმელი, დუდუკი, ოჯახი, ხელს არ უშლის საქმის სასიკეთოდ კეთებაში.

5071. ხშირად კაცს ქალის მოხიბვლა საჩუქრებით უფრო ხელეწიფება, ვიდრე შეგონებით და სიყვარულით, ეტყობა, ყველაფერს თავისი დრო და ასაკი მართავს, ამას-

თან სულს თავისი ზეიმი სჭირდება, სხეულს თავისი, ხოლო მამრის ინტუიცია ხან ერთ მხარეს გადაიხრება, ხან – მეორეს.

5072. უცოლო კაცი რისკიანია, საქმიანია, დროც საკმარისი აქვს იმისათვის, რომ კარიერა გაიკეთოს. ამასთან მისი უფროსის განათხოვარი, შინაბერა, გაუთხოვარი ქალიშვილებისათვის პერსპექტიული სასიძოა, რაც მას შანსს აძლევს მის მიმართ „ზევით" კეთილგანწყობილნი იყვნენ.

5073. მამაკაცის სოლიდური დუმილი გაიგივებულია დედაკაცის დაუდგრომელ ხასიათზე და მათ გათვითცნობიერებულ სიყვარულზე.

5074. მამაკაცის თავისუფლებას წერტილს ისევ ქალი უსვამს და ამ ძამლმრეობისთვის მას არავინ სჯის.

5075. გონიერ კაცს ხშირად უჭირს იმ ხალხის გაგება, რომელსაც ჩვენ ადამიანებს ვუწოდებთ და დღევანდელი ცივილიზაციის შვილებად მიგვაჩნია.

5076. ყველა მამაკაცს აქვს უფლება ქალის გულში ადგილის მოპოვებისა, მაგრამ უმიზნოდ მასში არ უნდა დასახლდეს.

5077. ყველა მამაკაცი უნდა ცდილობდეს ღირსეული პარტია იყოს ლამაზი და მიმზიდველი ქალებისთვის, ხოლო ცხოვრებაში ხელს იმას გამოჰკრავს, რასაც შემთხვევა და მამაზეციერი უწყალობებს.

5078. მამაკაცის ვალია ქალი უზრუნველყოს ქათინაურებით, საჩუქრებით, სექსით და ამის სასიამოვნო შედეგით – ნაშიერით, რათა მდედრისთვის არცერთმა ღამემ ტყუილუბრალოდ არ ჩაიაროს.

5079. სიტყვა „მამაკაცს" ორი განზომილება აქვს და ერთი შინაარსი: „მამისს" სახელი რომ ატაროს, შვილი უნდა ჰყავდეს, „კაცისა" – ის ღირსეულად უნდა აღზარდოს.

5080. მამრისთვის ზომიერი უხეშობა, იუმორის შეგრძნება, სილამაზის აღქმის უნარი, აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მამაკაცად არ გამოგადგებათ.

5081. მამაკაცის გულს თანდათანობით ძალზე საინტერესო ბილიკები ეხსნება და მის გზად ან გამზირად გადაქცევა თანდაყოლილი მომხიბვლელობით, შეძენილი გამოცდილებით, შეიძლება თუ გულკეთილობას თან ვაახლებთ.

5082. მამრებს სილის გაწვნა და დაშაქრული ენა აბამს და არა მოფერება და უეშმაკო ერთგულება.

5083. მამაკაცების განაზება ქალების გაუხეშებას იწვევს და თუ კაცი ქალში მორჩილებას, მისი სურვილების ნაზად აღსრულებას ეძებს, ქალი უხეშობს და ხვადების ძებნაშია, რადგან ორივე მხარეს ცხოვრებიდან იმის აღება და მოსწრება უნდა, რაც მათ დღეს მოსწონთ და რაც მათ მენტალიტეტს ეკადრება.

5084. მამაკაცია ის, ვინც ავ დედაკაცს „კატოკივით" გადაუვლის, დაბუბნის, გაანაზებს და ქალად აქცევს.

5085. მამაკაცს ქალის სიტიტვლე კი არ მოსწონს, არამედ მისი დედიშობილა ბუნებრივი მაკიაჟი, მოდური საცვლების წარმოჩენა, თვალების გაელვება, საამო სუნი, გეშში არეული, ხოლო რაც შეეხება გონიერებას და სულს, ამის აღსაქმელად დრო აღარ რჩება.

5086. ღირსეული მამაკაცი კაცს მოსაკლავად არ გაიმეტებს, მხდალი კი ვერ გაბედავს ან ტყვიას ააცდენს.
5087. ზედმეტად თავსაც არ უნდა გადაჰყვე, რადგან საბოლოდ არც ის დაგიფასებს პატივისცემას და მოსალოდნელი შედეგის ნაცვლად ხანდახან ისეთ ავადმყოფობას გამოთხრის, რომ შენი მცდელობა ფუჭი გამოდის.
5088. კაცობა ისიცაა, თუ წამხედურ მეტოქეებსაც ამრავლებ და შენს პატივისმცემელ მოწინააღმდეგებსაც.
5089. მამრი სამ თვეში თუ ერთხელ მაინც არ ბრაზობს, მას მამაკაცად სახლში არავინ ჩათვლის.
5090. მამრის თვალების შემონათება ხშირად მისი მოვალეობის აღსრულების მცდელობაა და არა ქალის გულის დაპყრობისა.
5091. ცოტას კეთება, ზოგჯერ ბევრის და ხარისხიანის კეთებას ნიშნავს, თუ ამას გონიერი კაცი ცდილობს.
5092. მამაკაცის ღირსებას ქალებზე დახარჯული დროის გადანაწილება განსაზღვრავს, რადგან აქაა მისი საწყისი და გონიერებისათვის გასახსენებელი სიამე.
5093. ღირსეული კაცი ხშირად იძულებულია ღიმილით ის გაიხსენოს, რაც არ ახსოვს, შეიძლება არც მომხდარა და ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ თაყვანისმცემელი არ უნდა გააწბილოს, რადგან ის მასზე დროებით შეყვარებული ადამიანია – „ფანატია".
5094. შვილი მამისათვის ყვერებში მახათის გაყრაა, ხოლო შვილიშვილი ამ გაყრის გახსენების შედეგი.
5095. მამაკაცი, პირველ რიგში, მოწოდებულია მდედრს აგრძნობინოს, რომ ის ანგელოზი, ღვთაება, სექსბომბაა და ამის შემდეგაა ქალი.
5096. მამაკაცმა რომ ქალის გული მოიგოს, მას სხვისთვის შეუცნობელი რამდენიმე ღირსება უნდა ჰქონდეს, ხოლო ფავორიტი რომ გახდეს, ერთი შესამჩნევი ღირსებაც საკმარისია.
5097. თუ სხვა ქალებზე გული მიგდის, მაშინ მათში ის საუკეთესო ეგზემპლარი უნდა აღმოაჩინო, რომელიც ჯერ შენს სხეულს არ რგებია და შენს სულს არ მოფერებია.
5098. ქალი რომ გადარიო, შენ'ში ის ციხე-სიმაგრეს უნდა ხედავდეს. ხოლო თუ სექსს გაზიარა, სამჯერ მეტად ამაღლებული უნდა ეჩვენებოდე. ამის მიხვედრა და განსჯა მამაკაცისთვის ძალზე საინტერესო და სასიამოვნოა.
5099. ქალზე გადარევა და შენად შეცნობა სხვადასხვა ცნებაა და სხვა თილისმაშია გახვეული.
5100. ანგელოზი მამაკაცების საქმე ოჯახი არ არის, რადგან ისინი თავიდანვე არსებობისთვის არიან გაჩენილნი და არა – ცხოვრებისთვის.
5101. ჯერ მამაკაცმა უნდა აგრძნობინოს მდედრს ქალობა, ხოლო შემდგომ ქალმა მამრს ოჯახის რაობა.
5102. კაცისთვის ქალის მოპოვება თოფის მიზანში მოხვედრაზე და ყისმათზეა დამოკიდებული, ქალისა კი – სურვილსა და ნანადირევად ჩაბარებაზე.

5103. გადამეტებული კუდის ქნევა მამაკაცის ღირსების მარგი ქმედების კოეფიციენტს ქვევით ექაჩება, ხოლო ქალის მომხიბვლელობა ზევით მიიწევს, რადგან პირველისთვის ეს წახალისება სამუშაოდ გადაიქცევა, ხოლო მეორე მის მუდმივ მომხმარებლად.

5104. მამაკაცი მხოლოდ მაშინაა შესაბრალისი, როდესაც მდედრისკენ თვალი არ გაურბის და გული არ მიუწევს, სხვა შემთხვევაში ის კაცია და გაჭირვებას, ბედის დროებით ზურგის შექცევას, გაუძლებს და გადაიტანს.

5105. მამაკაცს თავისი ქალიშვილის გათხოვება უფრო ახარებს, ვიდრე სხვისი ქალიშვილის გათხოვება და რძლად მოყვანა.

5106. ალბათ მამაკაციცაა დამნაშავე, როცა მისთვის საყვარელ ქალს მისი დანახვა არ უნდა.

5107. მამაკაცს ქალის მოფერება განაიარაღებს, ქალს კი მამაკაცის უსიტყვო საყვედური.

5108. ქალი, მთავარია, პირველ რიგში უღლის გაწევაზე დაგთანხმდეს, ხელის მოწერა და ჯვრისწერა ყოველთვის მოესწრება.

5109. ძნელია ქალი არ გიყვარდეს ცრემლისთვის, ლამაზი ღიმილისთვის, თვალების ჟუჟუნისთვის, სისულელისთვის, კარგი აღნაგობისთვის, გრძელი თმებისთვის, სასიამოვნო ჯდომისთვის, "ყურებიდან" დაწყებული ფეხებისთვის, ჩვენი შვილების გაზრდისთვის - და ძნელია არ გეჯავრებოდეს ანჩხლი ხასიათისთვის, ფულის გამოძალვისთვის, ჭორაობისთვის, სიგარეტის, ღვინის სმის, კარტის თამაშის დაშლისთვის. მამაკაცის ვალია ოქროს შუალედის ძებნა. რადგან სიცოცხლე ქალის ამ ორი განზომილების გარეშე აზრს დაკარგავდა, ხოლო ქალი კი – თავის ხიბლს.

5110. ქალის ათი მცნება: იგი სუსტი არსებაა, ინტელექტით არ გამოირჩევა, ინერტულია, უყვარს შვარცნეგერის მსგავსი მამაკაცები, თვითონ არ იცის რა უნდა, ეჭვიანია, სექსი კაცის ჯინაზე მაშინ სურს, როდესაც მამაკაცს არ ეხალისება, ერთი და იგივე თემაზე ლაპარაკის მოყვარულია, არასდროს არ აქვს ჩასაცმელი და ბოლოს – ვამპირია. როდესაც მამაკაცი გაითვალისწინებს და გაერკვევა ამ ცნებებში, ამის შემდეგ აქვს უფლება ცოლის მოყვანისა.

5111. თუ გინდა ქალთა მოდგმას მოეწონოთ: ქალს თვალებში არ უნდა შესციცინოთ, არც მისი სილამაზე შეაქოთ, არც ზედმეტი ყურადღება გამოიჩინოთ. რომ გიყვართ და მოგწონთ სხვას უნდა ათქმევინოთ. ქალის დაპყრობისთვის გეგმა მზად გაქვთ, ოღონდ თქვენი ახსნა სიყვარულის თაობაზე არ უნდა გააჯანჯლოთ.

5112. ერთი შეხედვით ულამაზო ქალს შეიძლება ჰქონდეს იდუმალებით მოცული უსაზღვრო ხიბლი, რომლის ამოცნობა ყველა მამაკაცის ხვედრი არ არის.

5113. ქალის ულამაზესი ფუტლარი და სექსუალური შესაძლებლობები იმ იშვიათ შემთხვევაში ეთანხმება ერთმანეთს, თუ ღმერთს რამე შეეშალა, ამიტომაა მამაკაცის მისწრაფება იქითკენ, რომ მრავალ ქალს აუღოს ჭაშნიკი, მითუმეტეს თუ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, რაც მამაკაცს სიამის გარდა თვალსაწიერის განვითარების საშუალებას აძლევს.

5114. ქალის თავისუფალი ტერიტორია არაფრით არ განსხვავდება დაკავებულისგან, გარდა ერთისა. უკანასკნელთან რომანს გარკვეული დროით ეწევი და არა სამუდამოდ, რადგან შენი მამაკაცური ბუნების ძახილი გაიძულებს ამ ქალთან ყოფნას.

5115. ასაკგადაცილებული ლამაზმანების მომსახურება გაცილებით ნაკლებად ფასობს, ვიდრე გამოუცდელი გოგონების, რადგან მამაკაცები ქალის სინორჩეს სცემენ პატივს და არა კურტიზანკას გამოცდილებას, რომელსაც ამდენი ღვაწლი მიუძღვის მამრთა სქესით გათვითცნობიერებასა და დაამებაში.

5116. შენდა გასაკვირად შეხვდები ქალს, რომელსაც ისე ვერ ექცევი, როგორც სხვებთან ხარ შეჩვეული და იგი შენი ცოლობის კანდიდატი ხდება.

5117. ქალს შეიძლება პატივს სცემ, მოგწონს, ყველა მონაცემებით შენზე მაღლა აყენებ, შესაფერისიცაა, მაგრამ არ გიყვარს, ეს კი ბუნდოვანი გრძნობაა, რომელსაც ვერ იშორებ, რადგან ყველანაირად გაწყობს და ვერ შორდები, განსაკუთრებით ცხოვრების დაისზე.

5118. შენთვის განკუთვნილი ქალი ნემსკავით უნდა დაიჭირო და არა ბადით, რადგან პირველი სატყუარი, რომელზედაც მდედრი წამოეგო, მარტო შენი ნახელავია, ბადეში მოყოლილი კი საერთო ნაჩალიჩარია, ასარჩევია, გასაყოფია.

5119. ქალთან, რომელიც მამაკაცზე მაღლა თავის თავს აყენებს, შეუღლება შეიძლება, მაგრამ მამრს ყოველთვის საძებარი ექნება თავისი ადგილი ოჯახში.

5120. თუ ქალის შეცნობის უნარით ხართ დაჯილდოვებული, მაშინ მისი კაპრიზები და გარეშეთა აზრი ყურად არ უნდა ვიღოთ.

5121. ცოლის და დედის გაიგივება არ შეიძლება, რადგან ცოლი ქმრის ჯიბის რეკეტია, დედა – შვილებზე გადაფარებული აფთარი, მაგრამ ორივეს ქმედებაზე პასუხის გამცემი საბოლოოდ მაინც მამაკაცია.

5122. მამაკაცისთვის ქალის მთავარი ფასადი და სულის ლოჯია მისი მკერდია.

5123. მამაკაცი მდედრით არ დაინტერესდებოდა, ამის საშუალებას ქალი რომ არ აძლევდეს გარეგნობით, ქცევით და იმ შეუცნობადი თილისმით, რომლის ახსნა გონიერებას უჭირს, რადგან ის სულის კომპეტენციაა.

5124. ქალში მამაკაცი უპირველესად უნდა ეძებდეს მის სულს, რადგან ქალის გაურკვეველი ბუნება ამ სულის მფლობლია და სექსუალური აქტის წარმატებით ჩატარების შემთხვევაში, ამ სულის სწორ გზაზე დაყენება დროებით გარანტირებულია.

5125. ქალს ხანდახან 300-400 გრ. არაყი, შექმნილი გარემოება და ჟინი ისე მოგაწონებს, რომ იმ დროს მასზე უკეთესი არავინ გეჩვენება, რადგან სხეულში სისხლი თუხთუხებს და გონება დაბინდულია.

5126. ნამდვილი მამაკაცი ყოველთვის კმაყოფილია, თუ ნაშიერი მას ჯობნის, ნამდვილ ქალს კი სხვისგან ჯობნის არცერთი ვარიანტი არ ახალისებს.

5127. ზოგი მამაკაცი ქალის ბაღნარს ირონიით მოიხსენიებს, მაგრამ არავინ უწყის, რამდენი განცდა, ოცნება, ჭიდილი, სახსრები ხდება საჭირო მის დასაუფლებლად.

5128. მკაცრი შეიძლება მგელიც იყოს და კურდღელიც, გააჩნია მათ ამბიციებს ზურგს ვინ უმაგრებს.

„მასმედია”

5129. ჟურნალისტიკა თავისებური მაფიაა, სადაც ერთმანეთთან „ბრძოლას” მათთვის მხოლოდ მატერიალური სიკეთე მოაქვს.
5130. სინამდვილეში გაზეთი ისაა, რომელიც სასარგებლო რჩევებს და სწორ ინფორმაციას გვაწვდის და არა მკითხველის სატყუარი – საეჭვო სკანდალებით, რომლის გარეშეც ხალხს გაზეთს ვერ გააკარებ.
5131. დღეს „მასმედიამ” ლიტერატურა გააბახა, გახრწნა, რადგან ამის გარეშე წიგნმა კონკურენცია ვერ გაუწია.
5132. დღეს „მასმედია” ცოდვილების და მათი გამოგონების გარეშე ვერ იარსებებდა.
5133. ჟურნალისტიკა დიდი სუპერმარკეტია, სადაც არავინ არაფერს ყიდულობს, მხოლოდ ათვალიერებს.
5134. „მასმედიისთვის” სიცარიელე, სიწყნარე, უკონფლიქტობა, მისი დამარხვის მომასწავებელია.
5135. ჯანმრთელ საზოგადოებაში „მასმედიის” ყმუილი და კუდის ქნევა შეუმჩნეველი არ რჩება.
5136. შოუ-ბიზნესი და „მასმედია” ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებენ, ხოლო პირველი მის გარეშე ვერც იარსებებს.
5137. ჟურნალისტებს, მათი პროფესიიდან გამომდინარე, დიდ ზრდილობას და ტაქტს ვერ მოვთხოვთ, რადგან მან ის კითხვა უნდა დასვას, რომელიც ყველას აინტერესებს, მაგრამ სხვას ამის საშუალებას ზრდილობა და ტაქტი არ აძლევს.
5138. თუ „მასმედიის” მიერ გამზეურებული ფაქტების ღაღადს ზემდგომი ყურად არ იღებს, მაშინ მთავრობის ორგანიზებულ დანაშაულთან გვაქვს საქმე.
5139. ტელევიზია იგივე ბორდელია, თუ ამ უკანასკნელში ლამაზმანები თავისი შრომით შოულობენ ფულს, ტელევიზია თავად ტიტვლდება და ხალხის სულის გარყვნას ბიზნესის კეთების ხარჯზე ცდილობს, თან გვმოძღვრავს, თუ არ მოგწონვარ, ნუ მიყურებო.
5140. სარკეში დანახულის და „მასმედიაში” დანახულ-მოსმენილ-წაკითხულის დაჯერება არავის გვინდა, მაგრამ ყველაფერს ვეჩვევით და წლებიც თავისას აკეთებს.
5141. ჟურნალისტიკა ყოველთვის შემოქმედებით ფორმაში უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი კომერციიდან არაფერი დარჩება.
5142. ტელევიზიის ნაკლი ის არის, რომ ცდილობს ადამიანში დაგროვილი ქვენა გრძნობები გამოავლინოს, განაზოგადოს და მასზე საეჭვო ღირსების ფული აკეთოს.

5143. სულის დაწყნარება და ბოღმის ამოყორვა ყველას გვინდა, მაგრამ არც ყველაფრის ჭამა და არც ყველაფრის მომზადება შეიძლება „მასმედიის" სამზარეულოში.

5144. მასობრივი კულტურა, პოპ-მუსიკა, აბსტრაქციონიზმი, მანამ იარსებებს, სანამ არსებობს ჟურნალისტიკის მიერ გაგებული სიტყვის თავხედური თავისუფლება და არა სინდისის თავისუფლება, რომლის დაფინანსებას არავინ ცდილობს.

5145. ცენზორი ლიტერატურის პოლიციაა თავის კანონებით, განსჯით, შეწყალებით და ტელეფონის ზარის ზეგავლენით.

5146. ცენზურა „მასმედიას" მისივე საკეთილდღეოდ სჭირდება, მაგრამ ვინც ამ თანამდებობაზე სამუშაოდ დაგთანხმდებათ, ცენზორად ის კი არ უნდა დანიშნოთ, არამედ მისი ოპონენტი.

5147. დღეს იმდენი პიროვნება გახდა ცნობილი და ღირსეული „მასმედიის" დახმარებით, რომ მათში პიროვნების დანახვა გაძნელდა.

5148. ტელევიზია იძულებულია თავსაც დასცინოს და მაყურებელსაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის პოპულარობას დაკარგავს და ვერ იარსებებს.

5149. ტელევიზია დამამცირებელი, დამცინავი ორგანიზაციაა, იგი რეკლამის სახით დღეში რამდენჯერმე ტვინში გვიდებს რომელიმე საქონლის იმიჯს და თვეში ერთხელ აკეთებს ორწუთიან გადაცემას მის უვარგისობაზე, შემდეგ ისევ მის ქებას აგრძელებს და ამით სინდისის ქენჯნასაც არ განიცდის, რადგან პატიოსნებას უფულოდ დამაჯერებლობა აკლია.

5150. საინფორმაციო სალაყბოში პრაქტიკული აზრის გამოსახატავად ნაკლებად ცნობილი პირები უნდა მოვიწვიოთ, თუ ქვეყნის ძლიერება გვინდა, რადგან, პოპულარულებმა რაც იცოდნენ, დიდი ხანია გაგვანდეს და ახლა თავის მოსაწონებლად ყბედობაღა დარჩათ, ხოლო საზოგადოებისთვის უცნობთ გაუზიარებელი ცოდნა, შემართება, თავზესაყრელი აქვთ და ჯერ-ჯერობით ლაყბობისთვის არ სცალიათ.

5151. არის საკითხი – ნარკოტიკების და ასაფეთქებელი მასალების დამზადება, ჭორის გავრცელების ხელოვნება და სხვა ამგვარი, რომელსაც საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს, ხოლო მის გამომზეურებას – ფული, რეკლამა, კარიერა, მისი ვითომც გაბედული ავტორისათვის. ამ საკენკს სიამოვნებით მიირთმევენ ჭორებს მონატრებული მშობლები, ხოლო რას მოუტანს შვილებს, არ აინტერესებთ, მითუმეტეს, რომ სიტყვის თავისუფლება დაცულია.

5152. ცხოველური შიში, „მასმედიის" ტოტალური გამოყენება, ხანდახან ერთადერთი საშუალებაა თანამოქალაქეთა დასაცავად ტერორიზმისგან, ბანდიტიზმისაგან და სხვა იზმებისგან, რომელიც დემოკრატიის იდეებს აკიდებულ ხალხს არ სურთ გაიგონ, მიუხედავად იმისა, რომ "იზმების" რაოდენობა საუკუნეების განმავლობაში თუ არ მატულობს, არც კლებულობს ყოველ 1000 სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით.

5153. გონიერი „მასმედია" უნდა უფრთხილდებოდეს თავისი ხალხის წყენას და მათ სულიერ გარყვნას, რადგან ეს მცდელობა ხორცსაც ამყრალებს და არც „მსმენელს" დააყრის ხეირს.

5154. სარფიანი „მასმედია" იძულებულია კიდევ უფრო მსუბუქად ჩაიცვას და სხვისი სულის, სხეულის ნაწილები უფრო მკვეთრად გამოაჩინოს, რადგან ჩაცმული, დავარცხნილი, ცხოვრებააწყობილი, დამშვიდებული კულტი არავის აინტერესებს და არც არავის უნდა.

5155. საოცარია, მაგრამ ვიგინდარებს კალმის, სიტყვის, უფრო ეშინიათ, ვიდრე ტყვიის, რადგან მათაც მათთვის გასაგები ღირსება აქვთ თავიანთ წრეში.

5156. სიტყვის, პრესის, პიროვნების, თავისუფლება მხოლოდ დეკლარაციაა, რომელიც ცალმხრივად არის გაგებული და არც არავის აინტერესებს, რადგან ის არც თავისუფალია, არც უბიწო და ზოგჯერ შემოსავლის მომტანიც.

5157. პრესა პოლიტიკის და ხელოვნების დაწურული ნაჟური წვენია, რომლითაც სულის ჩაკოკლოზინებაცაა შესაძლებელი. თუ ამ საქმის მსახურმა ხალხმა მისი ელექსირის გამოყენება იცის.

5158. ცხოვრების იდეალს ძალზე აფუჭებს „მასმედიის" საშუალებები, რომლებიც ათასი საზიზღრობით გვათვითცნობიერებენ, იმის მომიზეზებით, რომ ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს.

5159. პირობითობაა საზოგადოების მიმართ პოლიტიკურ-პატრიოტული კეკლუცობა, რომელიც „ორი კურდღლის", ხალხის და ქვეყნის მმართველის, გამოჭერის საშუალებას იძლევა. ამასთან, შესამჩნევ სვლებსაც ვაკეთებთ პირადი კარიერისთვის. „მასმედიის" საშუალებით ვიძახით, „მეც ნახირ-ნახირო", მაშინ როდესაც ქვეყნის და პრეზიდენტის ბედი დიდად არ გვაღელვებს. რას ვიზამთ, ასე ჩალიჩობს ზოგიერთი და მათ შორის ჩვენი გამორჩეული „უხერხემლო" ინტელიგენცია.

5160. „მასმედია" იგივე ბიზნესია, მისი ვალია სხვადასხვა აზრების და სხვისი ცხოვრების ღირსშესანიშნავი მასალების მოპოვება, შეჯერება და შემდეგ ყველა მათით ვაჭრობა-გასაღება.

5161. პრესა იკვებება შემთხვევითი ამბებით და იმ მძორით, რომელსაც გადაუგდებენ, ხოლო თუ ამ მასალებს საკმაო მყრალი სუნი აუვა, შეიძლება კონკურენტებმა ძაღლებივით ერთმანეთი დაკბინონ, რას იზამ, ფული ჭრილობას აშუშებს, ნაკბენის დაღი კი მათთვის მოწონების საშუალებაა. აი, ასეთია ამ პროფესიის ხვედრი.

5162. ტელევიზია ის მთავარი დამნაშავეა, რომელიც ყველა ოჯახის სიამტკბილობაში ერევა და ერთმანეთისგან ასე გვაშორებს, ამას ყველა კარგად ხვდება, მაგრამ მის ფანჯრიდან გადაგდებას არავინ ჩქარობს.

5163. დღევანდელი „მასმედია" რადიაქტიული მტვერის მატარებელია პორნოგრაფიის ჩვენებით და ცხოვრების უშნო წესის დანერგვით, რომელსაც საკუთარი კარგის წარმოსაჩენად და პატრიოტული გრძნობების გასაღვიძებლად დრო აღარ რჩება.

5164. პრესა მთავრობისთვის ანჩხლი რძალივით უნდა იყოს, თუ ქვეყანაში საქმე კარგად მიდის, მაშინ ახლო ნათესავები არიან, თუ ცუდად – შეურიგებელი მტრები.

5165. ჟურნალისტიკა წელსქვევით არ უნდა დაეშვას, რადგან მისი მიზანია წყენა და არა ტკენა, მკურნალობა და არა მოწამვლა, თუმცა ეთიკის ცოდნის მიუხედავად, წელსქვევით დარტყმის ცდუნება დიდია, რადგან ის მეტ სახელს, ჰონორარს, მფარველს იძლევა.

5166. ტელევიზია ის თავხედი სტუმარია, რომლის გათიშვა სასმელის გარეშეც შეიძლება, მაგრამ "პახმელიაზე" გამოსვლა უმისოდ ჭირს და იძულებული ხარ, კვლავ დათვრე და მისი საინფორმაციო სასმისი შესვა.

5167. ჟურნალისტიკა ელეგანტური თაღლითობაა ვიღაცის და რაღაცის მიმართ, მაგრამ თავისუფლების მაინც დიდი მონაპოვარია.

5168. „მასმედიის" დანიშნულებაა ბუზი სპილოდ გვიქციოს, გონიერების მიზანია სპილო ვირის ზომამდე მაინც დავიყვანოთ, რათა ინფორმაციის წყაროების ვირიშვილობას ჩავწვდეთ.

5169. პროფესიონალი ჟურნალისტის მიზანია ყოველდღიურობაც კი ახლებურად წარმოგვიდგინოს, თუნდაც ისტორიის სანაგვის ანალოგი იყოს წარმოდგენილი.

5170. ქორწილის გენერლები (თანამდებობა ძალაუფლების გარეშე), პრესა და ტელევიზია, იმით ამაყობენ, რომ ცნობილ ხალხთან მასლაათობენ, ნარცისივით იქცევიან და იმას არაფრად აგდებენ, რომ მათს ყბედობას სერიოზულად არავინ იღებს და არც არავის სჭირდება, იმდენად განყენებულ და სარეკლამო თემას ჰკიდებენ ხელს.

5171. თავისუფლება „მასმედიის" გარეშე არ არსებობს, მაგრამ მისი მრავალმხრივი ყბედობა ადამიანს გონებას უმღვრევს და ის სიტყვიერ ონანიზმს ეჩვევა.

5172. ტელევიზია ძირითადად ფუტლარის საჩვენებელი საწარმოა და არა – გონიერების, აქ ჭორი უფრო ფასობს, ვიდრე საქმე.

5173. ბულვარული პრესაც ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრია, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს იმ იდიოტების ცხოვრების სიხარული, რომლებსაც არ სურთ იყვნენ პოლიტიზირებული და სურვილი აქვთ თავიანთ ნაჭუჭში იცხოვრონ.

5174. ჟურნალისტები იყოფიან: საყარაულო, სამონადირეო, დეკორატიულ, მებრძოლ და ქუჩის ძაღლებად, რომლებიც თავიანთი ყეფის ტონალობით მოსვენებას არ აძლევენ მექრთამეებს, მამაძაღლებს და ვიგინდარებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი, მათი ნასუფრალითაც კი იკვებება. რას იზამთ, ასეთია ეს პროფესია, მისი მენტალიტეტი, მსოფლმხედველობა და სინდისის ნორმები. აქ მთავარია ის, რომ მათ მშვიდად ცხოვრება არ შეუძლიათ.

5175. ჩვეულებრივთან შედარებით დაბრეცილ სარკეში ყურება უფრო საინტერესო და სამხიარულოა, ვიდრე შენთვის ნაცნობი ფიზიონომიის ყურება, რომელიც იმიჯის კეთებას და ათასნაირ ზრუნვას მოითხოვს. ამასთან „მასმედიის" „ყურადღებაც" გარანტირებული გაქვს.

5176. ხალხი თუ კარგად ცხოვრობს, „მასმედია" ამ სიმართლეს ვერ ეგუება, იძულებულია რაღაც გამოჩხრიკოს და სიტყვის თავისუფლებაზე ილაპარაკოს, რადგან საჭირო ინფორმაცია წინასწარ დაფინანსებულია, ხოლო ნამუსის თავისუფლება დიდი ხანია არეული აქვს.

5177. დღევანდელი ბანდიტები თავისთვისაც და მთავრობისთვისაც მუშაობენ, მაგრამ მათ ურთიერთობაში ხშირად „მასმედია" აქტიურად ერევა და დღეს ერთ მხარეს ყურება ძნელი და სახიფათო გახდა.

5178. მდორე და ჭრელი ცხოვრება უფრო დამყაყებული და აჭრელებული ხდება თუ „მასმედიას" ლამბაქით არ მოაქვს პლანეტის ცხელი ამბები და ჭორები. მაგრამ თუ ის არაფრად დაგიდევთ ტრადიციებს, სიწმინდეს, რომელიც საუკუნეობით იწრთობოდა და იხვეწებოდა, ეს უფრო სავალალოა.

5179. ჟურნალისტი იგივე დასტაქარია, რომელმაც უნდა იცოდეს, რის დაწერა, თქმა შეიძლება და რის არა. ეს იგივეა, ექიმი ავადმყოფის ახლობლებს მოუყვეს, ოპერაციის დროს როგორი მყრალი სუნი გამოსცა ავადმყოფის მუცლის ღრუმ, ან რამდენჯერ წამოასკუპეს "სუდნოზე".

5180. ადამიანი ყველაფერს ეგუება. დღეს ტელევიზორში საბანაო კოსტიუმებში გამოწყობილი ქალების დანახვა უფრო გვაკვირვებს, ვიდრე მათი ტიტლიკანა ხილვა.

5181. ტროას ომი ჰომეროსმა 300 წლის შემდეგ აღწერა, ხოლო თანამედროვე ომებიდან სამარცხვინო რეპორტაჟებს დღევანდელი საინფორმაციო საშუალებები პირდაპირ ბრძოლის ველიდან გადასცემენ. შედეგი უცვლელია, სისხლიანი თამაში მაინც არ წყდება.

5182. ყვითელი პრესა ბევრისთვის ერთადერთი თავშესაფარია ცარიელი სულის შესავსებად, რომელიც ასე აღაგზნებს სხვისი ნაგვის ქექვის მოყვარულთ. – რას ვიზამთ, ესეც ადამიანური სისუსტეა.

5183. „მასმედია" ოლიგარხების ხელში დეზინფორმაციის და კრიმინალის საშუალებაა დემოკრატიას ამოფარებული დროშით.

5184. ნამდვილ ხელოვნებასა და მის მსახურს შორის სხვაობის დადგენა ჭირს, რადგან ეგრეთწოდებული „ხელოვნების მსახურნი", რაც უფრო მეტ ჭუჭყს გადაქექავენ და რაც მეტად აფათურებენ ხელს სხვის ჭუჭყიან საცვლებში, მით უფრო მეტი მაცქერალი უჩნდებათ.

5185. ჭუჭყიანი საცვლების გამომზეურება ჟურნალისტის კარიერის ბაზისია, ხოლო საცვლების პატრონისთვის – ყურადღების მიპყრობის გარანტია. ბოლოს ყველა კმაყოფილი რჩება ბრბოს გარდა, რომელმაც პრესის აურზაურისგან ვერაფერი სარგებელი ნახა, ხოლო რეპორტაჟის გმირს თაყვანისმცემლები და მიმბაძველები გაუჩინა.

5186. საინფორმაციო საშუალებები, როდესაც გადაცემას რეკლამის ხარჯზე რამდენჯერმე წყვეტენ, სიტყვის თავისუფლებას ამოფარებული ძალადობაა, ხოლო თავისმართლება, – „თუ არ გინდა, სხვა არხზე გადართე" – დემაგოგია, რადგან მე

თავისუფალი მაშინ ვარ, როდესაც ჩემს ნერვულ სისტემაზე არ თამაშობენ, ამიტომ რეკლამა გადაცემის დასაწყისში და დასასრულს უნდა გადაიცეს.

5187. სინდისისდაკარგული ჟურნალისტიკა, რომელიც წინასწარ არის ნაყიდი, იმითაც არის საშიში, რომ დემაგოგიას და ტყუილს ამოფარებულს სურვილი აქვს თავისმაგვარი გახადოს ტელემაყურებელი. ეს იგივეა, როდესაც ნარკოტიკების გამსაღებელი უფულოდ ასინჯინებს საწამლავს თავის პოტენციურ კლიენტებს.

5188. „ჭკვიანი არ იტყვის, სულელი ვერ მიხვდებაო,'' – ჭირი მოგჭამათ ამ სენტენციამ, რადგან დღევანდელი „მასმედია'' ყველაფერს დაწვრილებით აღწერს და დებილსაც ისეთ რამეს აკისრებინებს, რასაც გონება ვერასდროს მოისაზრებდა.

5189. უნიჭო რეკლამებით დახუნძლული ტელევიზია იმ გაბახებულ მეძავს ემსგავსება, რომელსაც მომსახურებისთვის ფული არ გადაუხადეს, რადგან გამოცდილმა მაყურებელმა ის სხვა პროგრამაზე გადართო და უკან გადმორთვა დაავიწყდა, შედეგად რეკლამა ერთ კურდღელსაც ვერ იჭერს და რეკლამის მიმცემს მომავალში დაფიქრება და ამ ძალადობის აღკვეთა მოუწევს.

5190. პრესაც ცუდ დღეშია: კაცზე კარგს დაწერ, ტირაჟი არ ვრცელდება, ცუდს დაწერ, ტირაჟის გაყიდვა გარანტირებულია. რა ქნას პრესის მუშაკმა, მასაც ოჯახი ჰყავს შესანახიო, მისი პროფესია წერაა, არადა, მკითხველს პრესაში მხოლოდ ინტრიგები და სენსაციები აინტერესებს.

5191. იმუშაო კორესპონდენტად გაზეთში, ეს არის ყველაზე დაწყევლილი პროფესია, რაც ღმერთს დღემდე შეუქმნია, რადგან არ იცი, რას და ვის ემსახურები, ცდილობ თავის გამოჩენას და თან გინდა შეუმჩნეველი დარჩე, ძაღლურ ცხოვრებას ეწევი და სიამოვნებას განიცდი, გინდა კეთილი იყო, მაგრამ ბოროტება გამოგდის და ბოლოს რა გინდა, თვითონაც არ იცი.

5192. ჟურნალისტი იძულებულია უმნიშვნელო მოვლენაც კი გაბეროს და ეფექტური სათაური მოუძებნოს, რომელიც ტექსტს არ შეესატყვისება, მაგრამ ეს მათი პროფესიის და მატერიალური მდგომარეობის ბრალია, თორემ შინაგანად ისინიც მშვიდი და კატაკლიზმების გარეშე ცხოვრების თანახმანი არიან.

5193. სახელმწიფოში, სადაც ფულის შოვნაა გაფეტიშებული და ხვალის იმედი არა გვაქვს, იქ ღრმა პოეზიას და პროზას ადამიანის გარდაქმნა არ შეუძლია, რადგან ამას არ დაუშვებენ მდარე ხარისხის კარგად გაფორმებული ჟურნალ-გაზეთები და ტელევიზია.

5194. ტელევიზია და პრესა გვაძლევს საშუალებას გადავხედოთ იმ მენტალიტეტს, რომლის პირად ცხოვრებაში დანერგვას ადრე ვერც წარმოვიდგენდით.

5195. ტელევიზია და პრესა სახელმწიფო ხელმძღვანელს კი არ ირჩევს, ის მხოლოდ კუდს უწევს და ამ კუდის ქვეშ ვისაც ვისი დანახვა სურს, იმის მიხედვით აკეთებს არჩევანს.

5196. ტელევიზია არის ამომრჩეველთა საღი აზრის შეჯახების და განადგურების იარაღი.

5197. უძველესი პროფესიის წარმომადგენლებს, მეძავსა და ჟურნალისტს, შორის ის სხვაობაა, რომ პირველი სხვებისგან დაუფარავად ყიდის სხეულს, ხოლო მეორე, ყველასგან დაფარულად – საკუთარ ნიჭს, სულს და რწმენას.

5198. ნამდვილი ჟურნალისტიკა იმიტომ იკარგება, რომ ბრბო სკანდალს, აგიტაციას, ტვინის გამორეცხვას სიამოვნებით ეთაყვანება და ემორჩილება.

5199. ჟურნალისტიკა და სენსაციების ძებნა სინონიმებია, რადგან ერთმანეთის გარეშე არც ჟურნალისტს შეუძლია და არც მის მიერ მოპოვებული სენსაციების მკითხველს.

5200. მენაღმესა და რეპორტიორს შორის ის მსგავსებაა, რომ ისინი წლობით მოპოვებულ ცოდნას და იმიჯს ერთი შეცდომის შედეგად კარგავენ. პირველი – სიცოცხლეს, მეორე – სიცოცხლის ტოლფას სახელს.

5201. ტელევიზიის რეკლამა ჩვენი სიამოვნების აუცილებელი ხარკია, რომელიც ხანდახან ისე გადაამლაშებს, რომ ამ სიამის მიღებაც აღარ გინდა.

5202. „აჩვენე, წერე, იკითხე", – ეს არის ყველაზე დიდი ბარბაროსობა „მასმედიის" მიმართ, როდესაც მთავრობა არ რეაგირებს და მინიშნება, რომ ქვეყანა ნგრევის წინაშეა, არავის აღელვებს.

5203. ხშირად ჩვენი დეპრესიის მიზეზი პრესაა, პრესის კი – უსახსრობა და აქედან გამომდინარე, ყველაფრის კისრება.

5204. ტელევიზია ის ინსტრუმენტია, რომელიც ნერვების აფორიაქების ხარჯზე ხალხს შველის სამყარო იხსნას ზედმეტი ინიციატივისგან.

5205. ცხოვრება თავისებურად დაგვცინის, პრესა – თავისებურად, წინდაუხედავად ვირეშმაკობს. 1815 წელს ნაპოლეონმა კინაღამ იმპერია დაიბრუნა და 13 დღე გახდა საჭირო პრესისთვის, რომ „კორსიკელი ურჩხული" კვლავ „მისი უდიდებულესობა იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე" გამხდარიყო და ეპითეტებით შეემკო.

5206. დღეს ტელევიზიას თავისი მამა – რეკლამა პატრონობს, დედა – რეჟისორი მის სამზარეულოში იღვწის, შვილებს, მომსახურე პერსონალს, მშობლების იმედი აქვთ, ხოლო ბრბო იძულებულია ფართომოხმარების კერძებით იკვებოს და იმით დაკმაყოფილდეს, რასაც გონების საკვებად მიუგდებენ.

5207. ძეგლი მაშინ იხანგრძლივებს სიცოცხლეს, თუ მას საეჭვო დიდება აქვს მოპოვებული და ტურისტებთან და „მასმედიასთან" შეხვედრას არ თაკილობს.

5208. ჟურნალისტი საზოგადოების ავი სანიტარია, რომელსაც დიდი ამბიციები აქვს, მაგრამ მცირე შესაძლებლობა.

5209. ხშირად ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ზომიერებას მოკლებული ჩვენი „მასმედია" სულ იმის ცდაშია, ადამიანებს ერთმანეთის ნდობა, სიყვარული დაუკარგოს და ერთმანეთი შეაძულოს.

5210. რომ შეიძლებოდეს, „მასმედიის" მუშაკებს მარილით დატენილი ტყვიებს პროფილაქტიკური თვალსაზრისით დავახლიდი, რადგან მათი ნამდვილი ტყვიებით დაცხრილვა არავის გამოადგება.

5211. არც თუ ისე ცოტაა ამქვეყნად გაუწონასწორებელი, შერეკილი ხალხი, რომლებიც ჟურნალისტიკის ფანტაზიით გაფორმებულ სიმართლეს თავისად მიიღებენ და ინდომებენ ამ დანაშაულის გამეორებას, ამიტომ სიტყვის თავისუფლებას ამოფარებული, რეკლამის და ჰონორარის მოიმედე პრესა არ უნდა აფეტიშებდეს დანაშაულს, თუნდაც ცუდი მხრიდან, რადგან ეს ფარული ძალადობაა ბრბოზე.

5212. უარყოფითი მაგალითების ჩვენება ადამიანის გამოსწორებას კი არ იწვევს, არამედ წაუბიძგებს ცუდი საქმისკენ. მაგრამ რა ჰქნას ჩვენმა ტელევიზიამ და პრესამ, თუ მათ რეკლამა ოჯახის შესანახად სჭირდებათ და შენახვის ხარჯებს სიტყვის თავისუფლებას აკისრებენ.

5213. რატომღაც ბანდიტებისა და ქურდების ნამოქმედარს უფრო სენსაციურად აჟღერებენ, ვიდრე სპეცსკოლებში გამოზრდილი სახელმწიფო უშიშროების ბიჭების ცელქობას, ალბათ იმიტომ რომ პირველნი თავიანთ სახსარს გამოიმუშავებენ, მეორენი იღებენ. ამასთან რეკლამა ყველა სფეროში მომგებიანია. რაც მეტს გავაფეტიშებთ დამნაშავის მოხერხებულობას, მათი გამოაშკარავება და დაჭერა უფრო მეტ დივიდენდებს იძლევა.

5214. ტელესერიალები იგივე ნარკოტიკია, იმ განსხვავებით, რომ ტელენარკომანი ამ წამალს უფასოდ შოულობს და თავის საქმიანობით სახელმწიფოს დიდ ზარალს ვერ აყენებს.

5215. ზოგიერთი ტელესერიალი იგივეა, ოპიუმის მიღების შემდეგ თავს რომ გატკივებს, ახალგაზრდებს რყვნის, საკუთარ ტრადიციებზე ხელს აღებინებს.

5216. ურთიერთდაბეზღების და ბოღმის დანთხევის დრო წავიდა. მოვიდა წერა-კითხვის და გაზეთში კომპრომატების გამოქვეყნების, მაგრამ ერთმანეთისთვის ნერვების მოშლის ცხოვრების წესი და ხალხის ცხოველი ინტერესი ჭორებისადმი უცვლელი დარჩა.

5217. კალმის ბანდიტებად კორესპონდენტების მონათვლა სიმართლეა და საამაყოც არის, რადგან წესიერი ქურდი პრესაში არავის სჭირდება.

5218. სამწუხაროა, როდესაც უწიგნურების დოღი ელექტროსაინფორმაციო საშუალებების მარულაში გადადის და წიგნის კითხვით მიღებული სიამოვნებისთვის არც დროს და არც ადგილს არ ტოვებს.

5219. რაფინირებული დამნაშავე, ბოზი, ნარკომანი, ქურდი, სექსეტი, მსხვერპლი, მომწოდებელი – ამ სიტყვების შეთამაშება პრესაში, ტელევიზიაში და მათზე ყურადღების გამახვილება დანაშაულის ტოლფასია.

5220. ღმერთმა ნუ ქნას, ისე ვიცხოვროთ, როგორც პრესა და ტელევიზია ჭიკჭიკებს ამ ცხოვრებაზე და არც ისე, როგორც ჩვენ გვინდა.

5221. საგაზეთო სტატიის ცილისწამებას თუ კაცი ემსხვერპლა, ასე თუ ისე დანაშაულია, მაგრამ ამ შემთხვევაში მიცვალებული უფრო გასაიცხია, რადგან ცხოვრების ორომტრიალს ალღო ვერ აუღო.

5222. ტელევიზიის და პრესის უხიაგობა ის არის, რომ თავის მენტალიტეტს ახვევს მოსახლეობას, მათთან შეპაექრება კი ძალზე ცოტა, საღად მოაზროვნე პიროვნებებს შესწევთ.

5223. პრესის დაწოლა კანონდამცავ ორგანოებზე აუცილებელია, რათა სასამართლოს ბორბალი კანონიერების საცხისით გაიპოხოს და მიუკერძოებლად იაროს სწორ გზაზე.

5224. კინოს და ტელესერიალებს პოპულარობის მიუხედავად, სხვადასხვა მომხმარებელი ჰყავს და სხვადასხვა მატერიალური თანადგომა აქვს.

5225. თუ გინდათ სულის ეკოლოგიას გაუფრთხილდეთ, პრესას და ტელევიზიას არ გაეკაროთ და წიგნებით და ხელოვნებით გაერთეთ.

5226. მასობრივი ინფორმაციის და მასობრივი აგიტაციის საშუალებები ერთმანეთში არევას ვერ იტანს, ისინი კორუფციის სხვადასხვა მხარეს დგანან, მაგრამ ერთ საქმეს აკეთებენ.

5227. ტელე-სერიალებს ის უბედურება სჭირთ, რომ მძაფრი სიუჟეტების ხარჯზე ცხოვრებისეული მორალით დამოწმებულ ბიოლოგიურ კანონებს ტაბუს ხსნის, უაზრო სენტიმენტალობისთვის განგვაწყობს და საბოლოოდ გაკოტრებულ გონებას გვიტოვებს.

5228. ტელევიზია რეკლამირებული წარმოებაა და არა რეკლამის გარეშე დარჩენილი ხელოვნება, როგორც ეს ტელევიზიის მუშაკებს სურთ თავზე მოგვახვიონ.

5229. ინფორმაციის საშუალება დიდებული ფსიქოთერაპევტია, რომელიც მეტნაკლებად ყველაზე ახდენს გავლენას.

5230. როდესაც პრესა და საზოგადოება ტაბუს დადებას ისწავლის იმ სახელოვან უღირსზე, რომელიც ცუდ გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე, მაშინ იქნება ქვეყნად სიწყნარე და ცხოვრების რეალური პროგრესისკენ სწრაფვა. (მარადონა საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში კი არ უნდა დაესახელებინათ, საერთოდ ამ სიიდან უნდა ამოეღოთ მისი ნარკომანობის გამო).

5231. ჟურნალისტი მოვალეა ყოველდღიურად შეიცვალოს პროფესიული აზროვნება, გააჩნია, ვინ არის მისი ფავორიტი - დამფინანსებელი.

5232. დაუნდობლად უნდა წერო მათზე, ვინც ყველაზე მეტად დაუნდობლად გიყვარს.

5233. ხშირად აღგვაფრთოვანებს ის, რასაც ტელევიზია, პრესა ჩაგვჩიჩინებს, ხოლო ხმას აყოლილებს გვავიწყდება ის, რაც თავისთავად ქების ღირსია და რის შექებაც აუცილებელია, რათა ერი წაახალისოს, სტიმული მისცეს.

5234. სიტყვა თავისებური იარაღია, ენის ლექსიკის შიდაწვის ძრავა, სიტყვის თავისუფლების დემოკრატიზაცია, განსაკუთრებით ამას მაშინ გრძნობ და გული ხარობს, როდესაც საქმესთან დაკავშირებით გემრიელად შეიკურთხები, შესაბამისი ატმოსფეროს გათვალისწინებით სტრესს მოიხსნი. ესეც ხომ თავისებური ხელოვნებაა ენის იარაღის ხმარებისა.

5235. ტექნიკური მიღწევების ფოკუსები და ინფორმაციის სიმრავლე მომავალ საუკუნეებში უამრავი იქნება, მაგრამ ადამიანის მგლური ბუნების შეცვლას არაფერი ეშველება, მაშინ ის ბიოლოგიური ცხოველის სტატუსს უნდა გამოემშვიდობოს.

5236. ეცადეთ კარგი ხმები თქვენს თავზე თვითონ გაავრცელოთ, დროთა განმავლობაში ინფორმაციის პირველი წყარო დავიწყებას მიეცემა, ხოლო თქვენ რომ ნიჭიე-

რი და განუმეორებელი ხართ, ბევრს დარჩება ტვინში ჩაჭედილი და ისინი ინ-ფორმაციის გამავრცელებელ ახალ წყაროდ მოგვევლინებიან.

5237. მოსახლეობის უმეტესობა ინფორმაციას იღებს ემოციების დონეზე და მასში გონიერების და ანალიზის ჩართვას საჭიროდ არ ცნობს. შედეგად თავზე წამოისკუ-პებს უხიაგ მმართველს, რომლის იქიდან გადმობრძანებას უფრო მეტ გრძნობების ჩოჩქოლს ახმარს, რადგან თავის შეწუხებას დროულად ვერ ახერხებს და ყოველივე ეს „მასმედიას" უნდა აკისრებინოს.

5238. შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები ჭორებისა და სკანდალის გარეშე ვერ იარსებებენ, ამიტომ ისინი იძულებულნი არიან ერთმანეთს ემსახურონ მასმედიის დახმარებით უგონო ფანების გაბრიყვების ხარჯზე, რადგან უიმისოდ ვერც პრესა გასაღდება, ვერც რეკლამა იხეირებს და ვერც ვარსკვლავები მიიღებენ თავიანთ გასამრჯე-ლოს.

5239. სუფთა წერა კარგად წერას არ ნიშნავს, არც ლამაზად წერაა მკითხველის მო-ზიდვის გარანტი, რადგან მკითხველის მოპოვება დამოკიდებულია დროულ რეკ-ლამაზე, სენსაციაზე და დროისთვის გასაგები ნაწარმის გამოშვებაზე.

5240. პირად ცხოვრებაში არავინ არ უნდა ჩავახედოთ, განსაკუთრებით ჟურნალის-ტები, რადგან ამ რეკლამას საბოლოოდ სიკეთე არ მოაქვს და სინანულიც გიპყ-რობთ, რომ იჩქარეთ და თქვენი წარმატების ზარს არ დაუცადეთ.

5241. მოწინააღმდეგე თუ არ გყავთ, თქვენ თვითონ უნდა შექმნათ ის „მასმედიის" დახმარებით, რომ არ დამყაყდეთ, არ გამცონარდეთ და სიცოცხლის ეშხის შეგრ-ძნება არ დაკარგოთ.

5242. სიტყვის თავისუფლება ღმერთის ნაჩუქარია და მთავრობის ნაბოძებია პრე-სისთვის, ხოლო ყბედობისთვის გაცემულ უფლებაზე ვის უნდა მოეკითხოს, ეს გა-ურკვეველია.

5243. საზეიმო სიტყვაში ბევრი სენტიმენტალობის დანახვა და სიმართლის შეცნო-ბაც შეიძლება, მაგრამ სამწუხაროდ, „მასმედია" ასე არ წირავს, რადგან ის საქმის-გან მოშორებით დგას.

5244. დიდი საქმეების კეთება გონივრული კამათის შედეგია და არა დღევანდელი ბაზრის, რომელიც ხალხის ინტერესებს, სიტყვის თავისუფლებასაა ამოფარებუ-ლი და ყველა თავისი ინტერესების დაფიქსირებას ცდილობს.

5245. ზერელე ყბედობით მოქსოვილი გარემო უნდობლობის, უსაქმურობის, უპრინ-ციპობის, შედეგია და არა – დროსტარება, როგორც ეს „მასმედიას" ჰგონიათ.

5246. ზოგი რეპორტაჟის დიდებული ოსტატია, მაგრამ მისი მეორედ მოსმენა ყველას არ სიამოვნებს.

5247. დღეს რაიმე ახალი და საქმიანი რომ თქვა, ძალიან ძნელია, რადგან ამის საშუ-ალებას არ იძლევა ჩვენი საინფორმაციო საშუალებები.

5248. ურთიერთდაბეზღების და ბოღმის ჩუმი გადმონთხევის დრო წავიდა, მოვიდა პრესით და ტელევიზიით ერთმანეთთან ანგარიშსწორების და ნერვების აშლისა, რომელსაც ჭკვიანი კაცი რეკლამად და საზოგადოებისთვის თავის გასაცნობად

იყენებს. შედეგი: ტყუილი მეტამორფოზა, არსებობის წესი და ხალხის ჩვევა უცვლელი დარჩა.

5249. თვითნებობას და პრესას დემოკრატიული ლოზუნგებით მაშინ აქვს გამართლება, თუ ის სხვის სიმშვიდეს არ არღვევს.

5250. ინფორმაციის ციკლის მატრიცას არ შეუძლია, რომ არ გაიმეოროს საზოგადოების განვითარების საფეხურები.

5251. ზოგი შეძლებულად იმიტომ ვერ ცხოვრობს, რომ ცხოვრების არითმეტიკის შესწავლას ტელევიზორში დეტექტივის ყურება ურჩევნია, ანგარიშსაც თავისი ჰალუცინაციის მიხედვით აკეთებს და თუ უსაყვედურებ, ამაყად გიპასუხებს: ფანტაზიორობას რა უფლებით მიკრძალავო.

5252. ჭკუანაღრძობი ხალხისა და პრესის მიერ გაბიაბრუებას ჭკვიანი კაცი არ აყვება. მისთვის მთავარია თავისი სინდისის წინაშე იყოს მართალი და ყურადღებით მოისმინოს მის მიერ აღიარებული ავტორიტეტების აზრი. ხალხი ჭრელია და მასში ფერის მიხედვით გამორჩევა არ ღირს.

5253. „მასმედია" თეორიულად მოწოდებულია ბრბო ხალხად აქციოს, ხალხიდან პიროვნება გამოარჩიოს. პრაქტიკულად პირიქით ხდება, რადგან რეკლამას ეწირება ყველაფერი.

5254. პრესა სულის მათხოვარია, რომლის წყალობასაც ის სენსაციამდე აბარტყებს, რეკლამასაც გაუკეთებს, გააფეტიშებს და თავსაც არ დაივიწყებს.

5255. საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელია დაპირისპირების თამაში, რაც რწმენის სხვადასხვაობაში, „მასმედიის" ცნობისმოყვარეობაში, ომებში, ტერორიზმში და სხვაში ჰპოვებს გამოხატვას ტექნიკური მიღწევების გათვალისწინებით.

5256. სამწუხაროდ, გმირს ისე წარმოაჩენენ, როგორც ეს პრესას და ხალხის ფანტაზიას სურს.

5257. დღეს სამხედრო წარმატება და მტყუან-მართალის გარჩევა უფრო „მასმედიაზე" დამყარებული ვიდრე გენერლებზე და სამართალდამცველებზე.

5258. ნატიფი და დღევანდელი გემოვნება სრულქმნილი ნაწარმოების განხილვისას ერთმანეთს ვერ ეთვისება, მაგრამ მათი აზრების შერწყმა და კომპრომისი ბევრ სარგებელს მოუტანდა ახალგაზრდა მკითხველის დაუხვეწავ გემოვნებას, თუ „მასმედია" გონივრულად ჩაებმება.

5259. ტელევიზიამ სიკვდილი გასართობი ჟანრი გახადა, ხოლო ვინც ამ ტრაგედიების შექმნის დიდოსტატია და მაყურებლისთვის თვალებიდან ცრემლის მოწყვეტა შეუძლია, ის დღეს არავის სჭირდება, მანამ ცხოვრება ამ საზოგადოებას ალიყურს არ გააწნავს და ამ გაუკუღმართებულ მხიარულებას თავზე არ დაამხობს.

5260. წინათ წიგნს გათვითცნობიერებისათვის, სიამოვნებისათვის და აზრის მოსაკრებად კითხულობდნენ, დღეს კი დროის გასაყვანად და წამხედურობით, რადგან დღევანდელი „მასმედიის" გადამკიდეს თავი ყველას ერუდიტი და ჭკვიანი ჰგონია.

5261. „მასმედიას" ჭუჭყი ასე თავხედურად იმიტომ გამოაქვს სააშკაროზე და ადამიანთა სულებს იმისთვის აბინძურებს, რომ ფიქრი დაავიწყოს და სარფიან კლიენტად აქციოს.

5262. ტელევიზია, მეცნიერებისგან განსხვავებით, ყოველთვის იმის ცდაშია, ადამიანები ინფორმაციით დებილად აქციოს, ცხოველური ინსტინქტები გაუღვიძოს და ამით თავადაც ხეირი ნახოს, ხოლო მეცნიერება ცდილობს ჭკუას გამოსავალი მისცეს, ინსტინქტი დააცხროს-დააღვინოს და ამით ხალხმა უკეთ იცხოვროს. ამ დავაში მაინც პირველნი იმარჯვებენ მეორის ხარჯზე, რადგან მოსახლეობის უმრავლესობას წუთობით მოპოვებულ სიამოვნება-სიმდირეს, სინზე მუქთად მორთმეული დელიტანტის ცოდნა და ფულთან ჩალიჩი ურჩევნია.

5263. დღევანდელი გაგებით რედაქტორსა და კორესპონდენტს შორის ის სხვაობაა, რომ პირველმა ალბათ უკვე ნახა დამფინანსებელი, ხოლო მეორე ამის ოცნებაშია.

5264. ტელევიზია, მისდაუნებლიედ, კარგსაც და ცუდსაც რეკლამას უკეთებს, რადგან მის გარეშე თავის შენახვა და წამოჩენა გაუჭირდება.

5265. მეგობრის ცოლზე ქვენა გრძნობებით თვალის შევლება საზოგადოების გადაგვარების, საეჭვო აღზრდის და „მასმედიის" უგვანობის ბრალია.

5266. საკუთარი თავის რეკლამა პატარა საქმე არ არის, თუ მას „მასმედიის" და ახლობლების დახმარებით მოახერხებთ, რადგან შედეგად ყველანი მოგებული რჩებით და თავსაც პატივისცემით უყურებ.

5267. უნდა თუ არა, ადამიანს ტელევიზია თავისი მხრიდან ემუქრება და მის ზომბის დონემდე დაყვანას ცდილობს.

5268. საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ცუდად მოქმედებს არა ეროტიკის და სექსის ჩვენება და პროპაგანდა, რომელსაც ადამიანი ვალდებულია ეზიაროს, არამედ შეუმჩნევლად მომაკვდინებელი ვირუსი ტელესერიალებისა, სადაც აჩვენებენ სისხლის აღრევას, მეგობრებისა და სისხლხორცის ღალატს, გადაგვარებულ სექსს, ძალადობას და სენსაციებს – რომლებსაც ადამიანი აფიქსირებს და აფიქრებინებს, ამ გზით ხომ შეიძლება მეც ცნობილი გავხდეო.

5269. არარეკომენდებულია პრესაზე პრესით დაწოლა, რადგან ის თქვენი სტრატეგიული მოკავშირეა, ხოლო თუ წესიერად მოექცევით და დააპურებთ, თქვენი თანამოაზრეც გახდება.

5270. ქილერი შეიძლება დაქირავებული ჟურნალისტიც იყოს, რომელიც თავისი სტატიებით არა ერთი პიროვნების, არამედ მთელი ხალხის იმედს ჰკლავს.

5271. დანაშაულია „მასმედიის" გადაჭარბებული ყურადღება არაკაცების ბიოგრაფიების მიმართ, რომელსაც საზოგადოებას ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად წარუდგენენ, სინამდვილეში სხვის უბედურებაზე უნდათ სენსაციის, იმიჯის, ფულის კეთება. ეს იგივეა, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობა გავამართლოთ: მისი მომხმარებელის თხოვნას ვაკმაყოფილებთო.

5272. პროსტიტუციისათვის დაბადებულ პრესას და ელექტრონული ინფორმაციის საშუალებებს კომუნისტებმა ქალბატონად გადაქცევა დაუპირეს და მცირე სახრავი მიუგდეს. მაგრამ, როდესაც სახრავი დამთავრდა, ისინი უძველეს ხელობას დიდი სიამოვნებით მიუბრუნდნენ და მდიდარი კლიენტების გაშმაგებულ ძიებაში არიან.

5273. შესაძლებლობას დრო და გარემო განსაზღვრავს და არა ნიჭი, რომელიც ყველა დროში მზად არის თავი „მასმედიის" დახმარებით წარმოაჩინოს.

5274. ადამიანის უფლებებს ყველაზე მეტად თავისი ჯიბის შემყურე ტელევიზია არღვევს, როდესაც გადაცემის კულმინაციულ ნაწილში რეკლამას ჩაგირთავს და უნდა გაიძულებს მას უყურო. შედეგად ვერც სანახაობით რჩები კმაყოფილი და ვერც რეკლამით, რადგან ნერვების აშლას შეეჩვიე და შენთვის ყველაფერი სულერთია.

5275. მთავრობას ჩვენი ხმების უმრავლესობის წყალობით ვქირაობთ და მისი ოპონირების უფლება კონსტიტუციით ყველას გვაქვს, მაგრამ პრაქტიკულად ამას, პირველ რიგში, ჟურნალისტები აკეთებენ, რომელსაც შეიძლება საზოგადოების აზრი, პროკურატურა და სასამართლო მოჰყვეს.

5276. ადამიანის ინფორმაციის გარეშე დარჩენა ჯოჯოხეთია, სამოთხეა საინფორმაციო ტალღებში ცურვა, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვით სულ ჯოჯოხეთის სიმარტოვეში გვინდა ყოფნა, საქმით კი ყბედობას სამოთხეს ვერ ველევით.

5277. ჟურნალისტი "კალმის ბანდიტია" თუ „კალმის ბაცანა" დამოკიდებულია ვინ აფინანსებს და რამდენად, ვის ზურგი აქვს და რა კარიერის საფეხურის დაკავებას სთავაზობენ.

5278. თუ ხალხის უმეტესობას ბინძური ჭორი და სხვის საცვლებში ქექვა იტაცებს, რა ქნას პრესამ, ხომ უნდა მოემსახუროს ხალხს, დააკმაყოფილოს საბაზრო მოთხოვნილება და თავისი კომერციის ინტერესები.

5279. არ არის საჭირო ხალხს „მასმედიის" დახმარებით კულტურა, ღირსების გრძნობა წავართვათ, რადგან „ობივატელი" ქვეყნის ღირსების ძებნას არ დაიწყებს და თავზე არც ნავლს დაიყრის, რადგან წამოძახილებს ქვეყნისთვის სიკეთე ვერ მოაქვს.

5280. ხანდახან საინფორმაციო საშუალებებიდან ისეთ რაიმეს შეიტყობ საკუთარ თავზე, რომ არ იცი, რა მოიმოქმედო – გაბრაზდე, გაიხარო, თუ ყველაფერი ყურადღების გარეშე დატოვო.

5281. დაკოდილ კითხვებზე ეროტიკული პასუხის გაცემა ძნელია.

5282. ფულის გულისთვის ადამიანი მრავალ დანაშაულს სჩადის, მაგრამ, იმ დანაშაულს, რასაც თანამედროვე ტელევიზია და პრესა სჩადის სიკვდილის, ძალადობის, სექსის და სხვა ბოროტებების ჩვენებით და აღწერით, ვერც ერთი დანაშაული ვერ გაუტოლდება.

მეობა

5283. გაუნათლებელზე განათლებულს იმ შემთხვევაში აქვს უპირატესობა, თუ ეს უკანასკნელი გაუნათლებელი ადამიანის საძირეზე ცივილიზაციის დამყნობას ცდილობს, უცდის შედეგს და თავზე თავის "მეობას" არ ახვევს.

5284. ხელქვეითის საკუთარი აზრის და „მეს" გამოხატვა არცერთ უფროსს არ უყვარს, გარდა ხელმძღვანელისა, ვისაც ქვეყნის მომავლის სჯერა და მის საკეთილდღეოდ იღვწის.

5285. თუ შევძელით სიყვარული ვასწავლოთ ჩვენს შინაგან იდიოტ „მეს", მაშინ პატივისცემა და მოფერებაც გარანტირებული გვაქვს.

5286. ზომიერი კვება და წესიერი ცხოვრება ყველა ჩვენგანის ოცნებაა, მაგრამ რამდენად მისაღებია ეს ქალისთვის, რომელიც გვერდით გიწევს და ყურძნის ნაჟურივით შესასმელად არის გამზადებული? ამ სიამოვნებიდან ხანდახან თავის შეკავება ჩვენს „მეობას" არ შეურაცხყოფს, მაგრამ ჩვენი ხვადობა რომ ილახება საკუთრი თავის წინაშე, ეს აშკარაა.

5287. კაცობა შეიძლება ბოთლში, ქალში, ფულში ჩავახრჩოთ, მაგრამ მეობა უნდა დავიტოვოთ.

5288. ცხოვრების ფილოსოფია: გიყვარდეს მოყვასი, თესო სიკეთე, იყო გულღია, სიტყვის მასალაა საკუთარი „მე"-ს გარეშე, რომელსაც ყოველთვის ბიბლიური ფილოსოფია უნდა შეუხამოთ, თუ გინდათ იცხოვროთ და არა იარსებოთ.

5289. როდესაც ადამიანი თუნდ "სამართლიანობის" გამო ვიღაცას სიცოცხლეს უსპობს, კლავს, პირველ რიგში თავის "მეს" იცავს და შემდეგ სამართლიანობის ინტერესებს. თუმცა შეიძლებოდა აგვეშორებინა დაზარალებულთა მთელი გამა, სადაც ერთი იმქვეყნად წავიდა, მეორემ სასჯელი მოიხადა, ხოლო მესამეს დრომ უმკურნალა.

5290. საკუთარი „მეს" დროზე ადრე წარმოჩენა მაშინ გვინდება, როდესაც ცხოვრება აწყობილია, ხალხმა ამოისუნთქა, რათა ვიგინდარამ თავი არ წამოყოს და ყოველივე თავიდან არ გაგვიხადოს დასაწყები და გასაკეთებელი.

5291. ზოგი ღირსების, თავისი მეობის, ძებნას მაშინ იწყებს, როდესაც მისი სახელი კრახის წინაშე დგას.

5292. ადამინისთვის დამახასიათეელია შეცდომა, გადაცდენა, დაბნევა, მაგრამ მთავარია, მან ეს შიგნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დანაშაულის პატიება ყოველთვის შენი „მე" არ გაპატიებს.

5293. სიბერის ჟამს იმ მოდარაჯე ძაღლს დავემსგავსე, რომელსაც სახლში წესრიგი ყველაზე მეტად სჭირდება და მთელი სადარბაზოს მაგივრად ნებაყოფლობით მის გაუმართაობას ყურად მე ვიღებ. მას ჯეელობაში ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი

და ვერც იმ პიროვნებას ვამჩნევდი, რომეც თავის დროზე ჩემსავით იქცეოდა და თავის „მეობას" სიკეთით წარმოაჩენდა.

5294. ძალაუფლება ადამიანს ეძლევა იმისთვის, რომ თავისი „მეს" მიმართ პატივისცემით განიმსჭვალოს და ხალხისთვის დასახულ მიზანს მიაღწიოს და არა იმისთვის, რომ ჩაისვაროს და თავი შეირცხვინოს.

5295. ჩვენი „მე" მოფერებას ნატრობს, მაგრამ არიან თეთრი ყვავები, ვიღაც-ვიღაცეები მართლა რომ უყვართ, რადგან მარტო მოწონება და წყნარი ცხოვრება მათთვის მიუღებელია.

5296. მთავრდება მადლიერების გრძნობის შეცნობა და იწყება ფაქტების გადაფასება, მადლიერებიდან კი აღარაფერი რჩება, რადგან ჩვენს ყოყლოჩინა „მეს" მიაჩნია, რომ ყველაფერს თავად მიაღწია, სხვის დაუხმარებლად.

5297. ჯარში სამსახური ადამიანის გაამაყებულ „მეს"წმინდანად აქცევს, თუ მას ქვეყნის სიამაყეს და სიყვარულს აგრძნობინებს.

5298. ადამიანს საკუთარი „მეს" მომწიფებისთვის დიდხანს უწევს ცდა, რადგან ის კი არ მწიფდება, არამედ პირდაპირ ბერდება, ლპება.

5299. ადამიანისთვის მთავარია ღირსება, პირადი „მე" და ხალხის მადლიერება, მაგრამ როგორ შეაფასებენ მის საქმიანობას მომავალი თაობები და ისტორია, ამის გაგებას ის ძვირფასი დრო სჭირდება, რომელიც მისთვის ამოწურულია.

5300. ეგოისტი რომ გახდე, ბევრი უნდა იმუშაო, იწვალო, ცხოვრებით გაწბილდე და იფიქრო, მე შეწირული ვარ, ის კი – ვიგინდარა და „გასამართლებელი საბუთი" თქვენი მეობისა ხელთ გიპყრიათ.

5301. „მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი", მაგრამ ამის თქმის და გაფიქრების უფლება მხოლოდ ჩემს მეობას აქვს თავის მიმართ და სხვას არავის, ასეთია ჩვენი ბუნება.

5302. ღარიბი კარიერისტის ფანტაზიაა შვილს ცხოვრების გააზრებაში დაეხმაროს და ამით ვალი მოიხადოს თავისი გაამაყებული „მეს" წინაშე.

5303. ზოგიერთი თავისუფლების არგუმენტების მომიზეზებით ღირსების დაკარგვაზეც თანახმაა და ვიღაცის ფულის მოხვეჭას სწირავს საკუთარ „მეობას" და თავად იკეთებს კაცობის „ხარაკირს".

5304. სიკვდილი სერიოზული რამ არის, იგი შენი „მეობის" საკუთრებაა, მას მხდალივით არ უნდა შეხვდე, მაგრამ მასზე არც ხუმრობა შეიძლება.

5305. რასაც რა ჰგავს, ალბათ იგივე წარმოსდგება ჩვენს გონებაში, „მეობაში".

5306. შენი თავის წინაშე მართალი უნდა იყო, მაგრამ ხანდახან ეს სიმართლეც შენი „მეობისთვის" სხვანაირი თვალით შეხედვას მოითხოვს.

5307. ბედნიერება და შური ძალზე პირადულია და შენი „მეობის" განსჯას არ ექვემდებარება.

5308. გამოცდილება ჩვენს მიერ ჩადენილი შეცდომების ზეიმია და ჩვენი გაამაყებული „მეს"-თვის ცხოვრების გაკვეთილია.

5309. თუ ცხოვრებაში ყველა გამარჯვება შენ ერთმა მოიპოვე, მაშინ სამყარო სხვისთვისაც გაუგებარია და შენი მეობისთვისაც საამო ვერ იქნება.

5310. რად გინდა ჭკუა, სამშობლო, ქალი, თუ არ გაქვს საკუთარი „მე"-ს შეგრძნება.

5311. სინდისი ჩვენი მეობის კარგი შემმოწმებელია, მაგრამ მთავარია ვისი კუთვნილებაა და ვის „მეს" ევალება მასზე ზედამხედველობა.
5312. სულელად უნდა ჩაითვალოს ის, ვისაც იმის ჭკუაც არ ყოფნის, რომ თავს დანატროდეს და საკუთარი „მე" ჰქონდეს.
5313. ყველა ჩვენგანს თავის უღირს საუკუნეში უხდება ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში, ხშირად ჩვენს „მეს" ასე ეჩვენება.
5314. მე ზევიდანა ნაბოძები ნიჭის საფასურს კი არ ვითხოვ, არამედ მისი გამომზეურებისთვის გაწეული შრომისას, რომლის საზღაურის გადახდა ყველა ჩვენგანის „მესთვის" სავალდებულოა.
5315. გონიერება და ღირსება მატერიალურია, რომელმაც სათანადო სარგებელი უნდა მოუტანოს პირველ რიგში სხვას, შენი სამართლიანი, საკუთარი „მეს" დაკმაყოფილების ხარჯზე.
5316. ჯერ თავის მიხედვა და საკუთარი „მეს" დაცვაა საჭირო, შემდგომ საერთო ინტერესებზე ზრუნვა სხვისი ინტერესების გათვალისწინებით.
5317. ხელოვანი უნდა იყოს მებრძოლი, თავისი „მეს" კლანჭების გამომჩენი, შემწყნარებელი, შეიძლება არასამართლიანიც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მლიქვნელი, რადგან ადრე თუ გვიან გააქიაქებენ.
5318. აწმყოს შეხება და მომავლისთვის თვალის გასწორება შეუძლია მას, ვინც ერის საუნჯეს უფრთხილდება, გულით არ მკრეხელობს და ცდილობს თავისი „მე" საქმით წარმოაჩინოს.
5319. დიდი ვალის გადახდას ვერც სამშობლოს, ვერც მეგობრის და ვერც ქალის დიდი სიყვარული ვერ იტანს, მაგრამ თავი რომ ბედნიერად იგრძნოთ, საჭიროა თქვენს „მეს" შესაძლებლობების, ზომიერების, ფარგლებში მოექცეთ.
5320. როდესაც შენს წინაშე უხამსობას სჩადიან, დაყოვნება, პასუხის გაუცემლობა უზნეობაა საკუთარის „მეს" წინაშე.
5321. ჩვენ რომ ნაკლოვანებები არ გვქონდეს, ასე სასიამოვნო არ იქნებოდა სხვისთვის მისი შემჩნევა და ჩვენი „მეს" წარმოჩენა.
5322. ყველაზე ძნელია ჭარმაგობის ჟამს შენში დამკვიდრებული „მეს" ილუზიების გადაფასება.
5323. რადგან თანამედროვე საზოგადოებაში ყველა ტიტულს და პრესტიჟული ქონების მიღებას ყავლი გასული აქვს, დღეს თავად უნდა შექმნა შენი საქმე, კარიერა, სახელი და შენი „მე", თუ გინდა პატივით გიხსენიებდნენ.
5324. ჰარმონიულია ის პიროვნება, რომელიც ხალხს იზიდავს, მარტოს შეუძლია არ მოიწყინოს და გასართობი საქმიანობა თავის „მესაც" გამოუნახოს და სხვასაც.
5325. სიბერე ნაკლებ შესამჩნევი და მოსაბეზრებელი ხდება, თუ თავს შენი დროის მესაკუთრედ ჩათვლი და საკუთარ „მეობას" არ დაკარგავ.
5326. ზოგიერთ ჩვენგანს იმ გამოუვლენელი ჭეშმარიტების გამოვლენა აწუხებს, რომელიც ყველას თავისი „მე" შესატყვისი აქვს.

5327. ცუდი ნიშანი, დათარსვა, არის გონების სიღრმეში ჩადებული აქსესუარი, რომელიც ჩვენი მცდელობის მიუხედავად, მაინც შინაგანად გვაწვალებს, გვწამს და ვუფრთხით და აქ ჩვენი „მეობა'' არაფერ შუაშია..

5328. არც ისეთი გენიოსობა ვარგა, რომელიც პირადი „მეს'' გაფეტიშებისათვის ზარალდება.

5329. თუ შეეცდები ყველას გაუგო, მაშინ შენი „მე'' ულუკმაპუროდ და სხვისთვის გაუგებარი დარჩები.

5330. ბოლო დროს ჩვენი ლანდის ანარეკლიც აღარ მოგვწონს, მაგრამ კმაყოფილი ვართ თუ ვინმე შეგვამჩნევს და ჩვენი „მე'' არ დახურდავდება.

5331. რეკლამამოკლებული და დაუსჯელი წესიერება არავის არ სჭირდება, რადგან ის ჩვენს „მეს'' ვერ წარმოაჩენს.

5332. ზოგი ეროვნების დაკარგვით ცხოვრებას ნახულობს, თავს შველის, მაგრამ თავის „მეს'' ჰკარგავს.

5333. განწირული სულის გადასარჩენად საკუთარი „მეს'' და ღირსების ხელყოფაც კი გვეპატიება.

5334. სიღარიბე ცუდი მინიშნებაა, ის სულს სიბინძურეში გვიმყოფებს, სადაც ჩვენი კაცობა და „მე'' არაფერს ნიშნავს.

5335. თავის წინაშე სინდისია პირველადი, რომელიც შენვე გასამართლებს, თორემ ღირსება, სამშობლოს სიყვარული, ჭეშმარიტების ძებნა, მაინც მეორადია თუ შენ „მემ'' იკადრა.

5336. ასაკს მდიდრული მარტოობა უყვარს, ხოლო სიბერეს – სევდიანი მარტოხელობა და შენი „მეობისგან'' აღარაფერი რჩება.

5337. ეპოქას არ უნდა ვედაოთ, რადგან ბოლო სიტყვას ჩვენს „მეობაზე'' მაინც ის ამბობს.

5338. სინდისი ის ქონებაა, რომელსაც გინდა მოიხმარ, გინდ – არა და ყველა პრეტენზიაც საკუთარ „მესთან'' გექნება.

5339. სხვისი პრობლემების სწრაფად გადაჭრა შენი „მეობის'' გადასახედიდან ადვილია, საკუთარის სიტუაციაში გარკვევა და საკითხის დროულად მოგვარება – ძნელი.

5340. სამართლიან სახელმწიფოში და წესიერი პრეზიდენტის ხელში მოქალაქე თავის "მეს'' და სახელმწიფოს ეკონომიკის უშიშროებას იცავს: დასმენა-პროფილაქტიკით და სურვილით, სამართლიანად იცხოვროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას თავისი ქვეყანა არ უყვარს და მოვალეობაზე და კეთილდღეობაზე ხელი აქვს აღებული.

5341. ხანდახან ცხოვრება ყველა სურვილზე, სიტყვაზე, მოვალეობაზე ძლიერი აღმოჩნდება და ამით ჩვენს საკუთარ „მეს'' ძალზე გაგვინაწყენებს.

5342. არ დაკარგო შენი „მეობა'', აი, ეს არის ცხოვრების არსი, რადგან შეიძლება ყველაფერი გქონდეს, რაღაცას მიაღწიო ცხოვრებაში, მაგრამ შენ თავს "მეს'' დაკარგვას ვერ აპატიებ.

5343. იმიჯი არის თქვენი შესისხლხორცებული ქცევა, როდესაც თქვენს „მესთან" არ თამაშობთ და სხვის თვალში უხერხულობას არ იწვევთ, ის თქვენს ბუნებას უნდა გამოხატავდეს, რომელსაც თავის დროზე ცოტათი მიუახლოვდით და გაითავისეთ.

5344. თუ გინდა თავს ასიამოვნო და სიცოცხლეც გაიხანგრძლივო, ძილის წინ უნდა ეცადო თავი კარგი ინფორმაციებით გამოიტენო. საკუთარ თავზე კარგი სიზმრები ნახო, ასეთი ჭკვიანი რა დედამ მშობა და რა მამამ შემქმნაო, მოკლედ თავს უნდა დანატროდე, რადგან ჩვეულებრივი, ფართომოხმარების ადამიანისთვის სხვა სიამის მიღწევა და თავისი „მეს" წარმოჩენა შეუძლებელია. თუ კარგად აწყობილ ოჯახს არ ვიგულისხმებთ.

5345. სიღარიბე დანაშაულად არ ითვლება, მაგრამ ადამიანის „მეობას" შინაგანად დიდად ამცირებს და რყვნის, თუმცა ზოგიერთი თავის სიღარიბეს პატიოსნებით ხსნის, ხოლო ოჯახის წევრები – უპასუხისმგებლობით, მოუხერხებლობით და გაუბედაობით.

5346. ურთიერთობა მეუღლესთან, ბავშვებთან, მეგობრებთან, თანამშრომლებთან, თვითმყოფადი კულტურაა, თუმცა ხასიათის, ღირებულების შეფასებას განსაზღვრავს ტრადიციები, რეალური ცხოვრება და შენი „მე".

5347. დაბუდებული სიყვარული, სათავგადასავლო ფილმია, – „არ მიაწვები, შენსას ვერ გაიტან" – აი ცხოვრების ეშხის, სისხლის მჩქეფარების მომატების და შენი „მეს" წინ წამოწევის უნარიანობის მაჩვენებლები.

5348. დღესასწაულებს იმიტომ ვაწყობთ, რომ მოჭარბებული ენერგია და საკუთარ თავზე წარმოდგენა მოვთოკოთ, აზრზე მოვიდეთ, თუ რით უნდა დავასაქმოთ გალაღებული ჩვენი „მე" დღესასწაულის შემდეგ.

5349. შვილების სრულწლოვანებას ძირითადად მათი ასაკით აღვიქვამთ და არა გულით და გონებით, რადგან ყოველივეს კი ვერ ვხედავთ, რომ მათ თავიანთი ამბიციური, ცხოვრებაში დასამკვიდრებელი „მე" და სექსუალური მოთხოვნილებები გაუჩნდათ.

5350. დასასრულის მისაღწევად თავის მოფერებაზე, შეცდომაზე არ უნდა იფიქრო, რადგან მოდუნება, საკუთარ თავზე ხელის გადასმა, ხოლო მიზნის მიღწევას კი თავისი „მე" სჭირდება.

5351. სხვაზე გადაყოლა და გმირობის ჩადენა კი არ არის მთავარი საკუთარი „მეს" ამბიციების დასაკმაყოფილებლად, არამედ საკუთარი თავისთვის შემოქმედებითი ცხოვრების მოწყობა. ამით სხვასაც მეტ სარგებელს მოუტან და სიბერის ჟამს სახელმწიფო ხაზინისკენ ხელის გაშვერაც არ დაგჭირდება წესიერი და უმწიკვლო მუშაობის დასაფასებლად.

5352. შეიძლება არ იყოს ლამაზი, მაგრამ თუ ძალაუფლების მოყვარულია და გაყოყოჩებული „მე" აქვს, მაშინ მისი მშვენიერება საკუთარ თავში ეჭვს არ იწვევს, ხოლო სხვას მის მოსაპოვებლად ბევრ სისულელეს ჩაადენინებს.

5353. ყველა საქმეს პროფესიონალის დიდი ადამიანური შემართება, საკუთარი „მეს" წარმოჩენა და სიცოცხლისაკენ ლტოლვა სჭირდება, რათა თავისი საქმის კეთებით გულით და სულით ისიამოვნოს.

5354. რადგან შენი „მე”-თი ერთხელ ევლინები ამქვეყანას, საცოდაობაა მისი შესაძ-ლებლობის რეალიზაციის გარეშე დარჩენა და გადამკვდარი პატრიოტიზმის ბუ-რუსს ამოფარება, თუ შენს ქვეყანაში თავის წარმოჩენის საშუალება მოსპობილი გაქვს.

5355. უნდა ვეცადოთ ყველა მოძღვრება გავითვალისწინოთ და ჩვენთვის ღირსეული ვაღიაროთ, მაგრამ საკუთარი „მეობაც” არ უნდა დავივიწყოთ.

5356. სხვისი ნამოღვაწარის გააზრება მაშინ უნდა დაიწყოთ, როდესაც „ბისზე” მდედ-რის დანახვა ხელს არ ჩაგაქნევინებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა აზრი აქვს ოპონენტობას და შენი „მეს” წარმოჩენას.

5357. ყველა „მემ” სიმართლის თავისი წილი უნდა გადაიხადოს, თუ უნდა შესამჩნევი გახდეს.

5358. შენი მტრის მტერი შენი „მეობის” მეგობარი ვერ იქნება, რადგან მტრობას მიჩვეულს მეგობრობისთვის აღარ სცალია.

5359. პირველ კაცად ძალად არ უნდა გაიქაჩო, მაგრამ მისკენ არც მისწრაფება უნდა დაკარგო და არც შენი „მეობა”.

5360. ყველა ჩვენგანი აგენტია, დამსმენი თავისი პატივისცემის, სამსახურის, გენის, ენის და ჩვენთვის ცნობილი ყველა იმ ზნის, რომელსაც მზის ქვეშ ადგილის მოპო-ვება, კარიერა და „მეობა” ჰქვია.

5361. პოპულარული პიროვნება შეიძლება დამსახურებულ პენსიაზე წავიდეს, მაგ-რამ რომ არ დაივიწყონ, თავისი იმიჯი გასაქიაქებლად უნდა დაუტოვოს თაყვანის-მცემლებს თავისი „მეობის” გარეშე, რათა თავიანთი ველური ინტერესებით და სიყვარულით გული იჯერონ.

5362. იცხოვრო მოდაზე და ყველას ჯინაზე, ძალზე სათუთი, ამაღლებული და მომხიბ-ვლელი კომბინაციაა შენი „მეობის” წინაშე.

5363. ისე არ უნდა მოიქცე, რომ ხალხის ნაწილმა ზედმეტად ჩაგთვალოს, შენი „მეობა” არ გაითვალისწინონ და შენი იმქვეყნად გასტუმრების საკითხის გადაჭრა აუცი-ლებელი გახდეს, როგორც ამ დროის და ამ ქვეყნის ვიგინდარობის ულირსი კონ-კურენტი .

5364. თანდაყოლილობის მიუხედავად, ღირსება და შენი „მეობა” მაინც ძნელი შე-სანარჩუნებელია და მისი ხელყოფის უფლება არავის არ უნდა მივცეთ.

5365. ყველა ჩვენგანი შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდეს, მაგრამ იქი-დან მასხარად გამოძვრომა თუ კაცად დარჩენა, ჩვენ „მეზეა” დამოკიდებული.

5366. საყოველთაო აღიარებას კოლეგებში აღიარება ჯობს, რადგან პირველ შემთხ-ვევაში აკიდებული დიდების ტვირთის ზიდვა აღარ გვეხალისება და საქმესაც ვნებს, ხოლო კოლეგებმა შენი რეალური ფასი იციან და შენი „მეობისაც” საზოგადოებისგან განსხვავებით.

5367. ცხოვრებამ გაკვეთილებიც უნდა ჩაგვიტაროს და ჩვენც ჩვენი წილი შეცდომე-ბი დავუშვათ, მაგრამ ისეთი სისულელეები არ უნდა ჩავიდინოთ, რომ ცხოვრება-ში ჩვენს „მეს” დაღი დაესვას.

5368. შენს მიმართ პატივისცემა არ დააყოვნებს, თუ ნათქვამს შენი „მეობა'' ასრულებს და პატივს მიაგებს.
5369. გადამეტებული შრომის ძალა დროთა განმავლობაში გვაღიზიანებს საკუთარი თავის მიმართ, „ასეთი მოუხერხებელნი და ბედისგან დავიწყებულნი როგორ ვართ, რომ სხვამ მამუშაოს'', რაც სტიმულს გვაძლევს თავს შევუძახოთ, ჩვენი „მე'' წარმოვაჩინოთ და მონის ფილოსოფიას, „სხვამ მამუშაოს'', თავი დავაღწიოთ.
5370. ჩვენს ორეულს სარკეში სიყვარულით, რწმენით და ხანდახან კრიტიკულადაც უნდა შევხედოთ, თუ გვინდა სარგებელი მოვუტანოთ ჩვენს „მესაც'' და საზოგადოებასაც.
5371. უნდა იყო პრაქტიკული – ცხოვრებაში, ლირიკული – ურთიერთობაში, მაგრამ საკუთარ სულს ვერსად გაექცევი, გონიერება რაც უნდა უკან გეწეოდეს, რადგან შენი „მე'' ამას არ დაუშვებს.
5372. ყველა უნდა ვეცადოთ, რათა ჩვენი „მე'' ყველგან დიდი ასოებით დავწეროთ.
5373. თითქოს შენი „მეობის'' წინაშე შენ უნდა იყო ყველაზე დიდი ავტორიტეტი, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობი და შეულამაზებლად ეტყვი სათქმელს, მაგრამ რატომღაც სხვის წამოძახილს უფრო უჯერებ და გულთან ახლოს მიგაქვს.
5374. „მეობა'' თქვენი შესისხლხორცებული ქცევის იმიჯია, რაც სხვის თვალში უხერხულობას არ იწვევს და თქვენს ბუნებას გამოხატავს, რომელიც თავის დროზე მიიახლოვეთ და გაითავისეთ.
5375. ეცადო იყო პატიოსანი, უკვე დიდი მიღწევაა შენი თავის წინაშე, თუმცა შეიძლება ყოველთვის არ გამოგივიდეს შენი „მეობის'' გადამკიდეს.
5376. კაცი, რომელიც არაფრისმთქმელი ფრაზებით კამათობს, განათლებული დებილია და მისთვის გასაგები „მეც'' ახასიათებს.
5377. საკუთარი გზის და საკუთარი „მეს'' გადაკეთება ძალზე ძნელია, თუ მას ამბიციები და კარიერისკენ ლტოლვა არ ახლავს.
5378. ქვეყანაში ყველას უნდა ჰქონდეს თავისი „მე'', რათა უკეთ ვაკეთოთ საქმე „ჩვენ.''
5379. შენი თავი თავად უნდა შეჰქმნა, რადგან მის „მეს'' ძებნას არავინ დაიწყებს.
5380. შინაგანი წესიერება არის იმ ინტიმური ცხოვრების არგამხელა, რომელიც მხოლოდ შენ „მეს'' ეკუთვნის.
5381. გვარს ამკვიდრებს პიროვნება და არა მისი ეროვნება. საზოგადოება პიროვნებას ცნობს და არა მისი „მეობის'' წარმომავლობას.
5382. საკუთარი თავის მოტყუება, ფუყე ოცნებებზე დაყრდნობით, ყველაზე დიდი ზარალის მომტანია საკუთარი თავისთვის, „მეობისთვის'' და შენი მოიმედე ხალხისთვისაც.
5383. მდედრის უპირველესი ვალია მოდას საზღაური გადაუხადოს, შვილები გააჩინოს და თავის „მეს'' გონივრულად ანგარიში გაუწიოს, ამ საფასურის გადახდის შემდეგ მივიღებთ მისგან ნამდვილ ქალს.
5384. თუ გვინდა ჩვენი ავტორიტეტი და „მეობა'' ვიხსნათ, ბედს დროზე უნდა შეევეხმიანოთ და ოჯახში კლიმატის შეცვლას უნდა ვერიდოთ.

5385. თუ ჩვენს თავში არ დავინახავთ მტერს და აგრესორს, მაშინ ქვეყნის აღმავლობასაც ეშველება და ხალხის კეთილდღეობასაც, რადგან მტრის სახის შექმნა უსუსური, უნიათო, უმეცარი მმართველობის „მეს'' წარმოჩენის შედეგია.

5386. ქალებს აერთიანებს და ფემინიზმის გზას გაუყენებს „პახმელიაზე'' გაკეთებული, უსუსური, მოლაყბე მამაკაცთა ჯოგი, რომლებიც მდედრებს აიძულებენ თავიანთი „მე'' წინ წამოსწიონ და მამრისთვის მინიჭებული უფლებები გაითავისონ.

5387. კანონისგან გადახვევა სამართლიანობის ალიბის ფარგლებშიც კი დაუშვებელია, მაგრამ თუ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ, მაშინ „მეს'' უსაფრთხოების უპირატესობა უდაოა და გამართლებულიც.

5388. სამწუხაროდ, ჩვენი თავის წინაშეც ვიჭრებით და სხვის წინაშეც ვერ ვახერხებთ ჩაუჭრელად ცხოვრების გავლას, იმდენად დიდია ჩვენი „მეს'' გაუგებარი ამბიციების ძალა.

5389. ფულის ჭუჭყის საპონია დროსტარება და შენი ამბიციური „მეობის'' წამოჩენა.

5390. ადამიანმა საკუთარი თავის მიმართებაში თავი არ უნდა იმართლოს, რადგან ის ყოველთვის დამნაშავეა თავის „მეობის'' წინაშე.

5391. პრინციპი პრინციპად, მაგრამ თან საქმეც, თორემ თუ სულს ვაწამებთ, კომპენსაციის სახით ხანდახან სხეული უნდა გავალაღოთ, რადგან ორივეს დაჩაგვრა არც ჩვენი „მეობას'' გამოადგება და ცხოვრებასაც უაზროდ გავლევთ.

5392. დაჩოქებით არავის წინაშე არ უნდა დაიჩოქო, რადგან შენ პირველ რიგში ადამიანი ხარ, შემდგომ – შენი „მეობის'' მსახური და ცის ქვეშ საკუთარი ადგილის მძებნელი.

5393. არის შემთხვევა, როდესაც მოხელე სამართლიანად იქცევა მაშინ, როდესაც ამის გაკეთება საჭირო არ არის და არავინ ავალებს, ეს სულის ბობოქრობის ბრალია, რომელსაც ხანდახან შენი „მეობის'' და თავის წარმოჩენა უნდა.

5394. ხშირად სექსს და ფულსაა არის ამოფარებული ადამიანის „მეობა'', კაცობა, საზოგადოების აზრი, რომელიც გარკვეულ შემთვხევაში გამოცდას ვერ უძლებს და მათი შერკინება უმეტესად ქვენა გრძნობების გამარჯვებით მთავრდება.

5395. რაც უნდა მყვარებოდა, მე ალბათ ვერც მსახიობს მოვიყვანდი ცოლად და ვერც აზიზად ნახმარ დედაკაცს, რადგან ჩემში ჩემი „მე'' ყველა სიყვარულზე მაღლა დგას და ამას ჩემს თავს ვერც ვაკადრებდი და ვერც ვაპატიებდი.

5396. საოცარია კაცობრიობის ხვედრი, დედამიწას წუთი-წუთზე წარღვნა ელოდება და ადამიანებს ერთმანეთში მიწა ვერ გაუყვიათ, სამუშაოს ერთმანეთს ეცილებიან, პოლიტიკოსობენ, ყბედობენ. მაგრამ ეტყობა ადამიანს ჭკუას ვერავითარი საფრთხე ვერ ასწავლის, სანამ ამბიციური „მე'' ექნება.

5397. თუ გაჭირვებულ ახლობელს, ჩუქების სანაცვლოდ, საქმეში ჩააყენებ, ნაჩუქარ ფულზე მეტს აშოვნინებ, სულს რომ მოითქვამს, თავსაც დაგამადლის, თავის დაუზოგავად ერთგულ შრომასაც გაიხსენებს და შემთხვევის ალიბის ძებნაშია რომ როგორმე გიორგულოს. აქ ადამიანის ამბიციური ბუნებაა დამნაშავე, რომელსაც მობეზრდა შენი უფროსობა და უნდა თავისი „მეც'' წარმოაჩინოს.

5398. თავისუფლების შეცნობის მენტალიტეტი საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება, მაგრამ არ იცვლება დამორჩილების პრინციპები, რადგან ანგარიში იმას უნდა გაუწიო, ვინც სამსახურს და კარგ ხელფასს გაძლევს, ასე რომ, თავისუფლებაც თავისებური ვაჭრობაა ცნობილი პრინციპით „შენ – მე, მე – შენ".

5399. ვისაც თავი არ ავიწყდება, ის მომავალში ბატონ-პატრონია თავისი შთამომავლობის, მომავლის გვარის აღიარება-აღმავლობის და თავისი ნანატრი „მეობის".

5400. ერთგან სამსახური და კოლეგებთან ყოფნა გირჩევნია, მეორეგან მეტს გიხდიან და ჩვენს სიამოვნებას და მეობასაც წერტილი აქ ესმება.

5401. მე მომწონს გარემოსთან შერწყმული მომხიბვლელობა და ქალის მომხიბვლელობასთან შერწყმული გონიერება, რომლებსაც, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ აქვთ, რადგან ყველას თავისი „მე" აქვს.

5402. შიში, ყბედობისაგან განსხვავებით, საქმის მკეთებელია – ავისა თუ კარგის. ეს შიშის მთესველის წესიერებაზე, მეობაზე და მის განზრახვაზეა დამოკიდებული.

5403. სხვისადმი სიყვარულს მაშინ ააქვს ფასი, თუ პირველ რიგში საკუთარი თავის შეყვარებას მოახერხებ და ყოველთვის ადამიანად დარჩება შენი „მე".

5404. სიამაყის გადაყლაპვას კომპრომისი მოაქვს, მაგრამ შედეგის მიუხედავად საკუთარი „მეს" უპატივცემულობას იწვევს.

5405. მშობლის ვალი მოთმინება, აღზრდა და შვილის მეობის აღზევებაა სხვის თვალში.

5406. მრავალჯერადი წარმატებისთვის ყველაზე მეტად კაცობა პოლიტიკას და ბიზნესს სჭირდება, რომელსაც ზურგს წესიერება, სხვისი ინტერესების გათვალისწინება და საკუთარი „მესადმი" პატივისცემის შეცნობა უნდა უმაგრებდეს.

5407. ტელევიზია რეალურ ცხოვრებას სპობს, ღირსებას აკნინებს, „მეობას" გვაკარგვინებს, საზოგადოების აზრს ფეხებზე იკიდებს. საბოლოოდ მას რეკლამიდან მიღებული ფული რჩება, ხოლო ხალხს თავზე ჩამოსაცმელი გიჟის პერანგი, მაგრამ ერთმანეთის გარეშე ყოფნა არ შეუძლიათ.

5408. გმირობა სიცოცხლისადმი ლტოლვაა, შენს ჭკუაზე ცხოვრების სურვილია და საკუთარი სიკვდილის სწორად გამოყენების მცდელობაა შენი „მეობის" დასაბანდებლად.

5409. „ხარა-კირი" თვითმყოფადი ამბიციების, თავმოყვარეობის და საკუთარი „მეს" პატივისცემის უდიდესი გამოვლენაა.

5410. ისე მარტივად ღმერთის რწმენა, როგორც რელიგია ქადაგებს, მე არ შემიძლია, ხოლო იმგვარად როგორც მე წარმომიდგენია და მწამს, ვერც გონება წვდება და ვერც ჩემი რაობა, „მეობა", ხასიათი.

5411. პირველ რიგში, საკუთარი თავი თავად უნდა მოგწონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარემშეებთან ურთიერთობა შენი „მეობა" და სიცოცხლის ჩანგი აზრს დაკარგავდა.

5412. სიკეთის მოლოდინით ვცხოვრობთ და სიკვდილის ცდით ვარსებობთ, ხოლო რომელს ავირჩევთ, ეს ჩვენს ბედზე, ბუნებაზე, ირგვლივმყოფებზე და საკუთარ „მეობაზე"-ა დამოკიდებული.

5413. თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება უჭირთ, რადგან მეორეს დიდი დრო, გამოცდილება სჭირდება, ხოლო პირველი თანასწორუფლებიანობას, შენი "მეობის" გამო, ძნელად ეგუება.

5414. რა საუკუნეშიც გვიხდება ცხოვრება, იმ დროს უნდა ავყვეთ, ოღონდ საკუთარი „მეს" და ბუნების გათვალისწინებით, რადგან ადამიანს წარსულის განსჯა, თავისი ყოფის სხვასთან შედარება და ნაოცნებარი უტოპიის წარმოდგენა სიამოვნებს და ტანჯავს.

5415. განსაზღვრულ საფეხურამდე სწრაფვა საძიძგნის ძებნაა და არა კარიერისა, რადგან კარიერა არა მარტო საკუთარი თავის ჯობნაა, არამედ საზოგადოებაში შენი „მეობის" გამორჩევის სურვილიცაა.

5416. აღზრდა, რწმენა, ის ამბიციური თილისმაა, რომელიც შედეგის განჭვრეტის მიუხედავად ძალას არ ეპუება და იდეალებს, ტრადიციებს, აფექტში ამაყად ეწირება მისი „მეობის" სულის ამაღლების სანაცვლოდ.

5417. წარსულ დროთა მეფობის ნახვა ყველა ჩვენგანის ოცნებაა, მაგრამ შედეგი აქვს უშედეგო, თუ თავად პიროვნებად არ ხარ დაბადებული საკუთარი „მეთი".

5418. საუბარი იმაზე, რაც ენაზე მოგადგება, სიბრიყვის ნიშანია, ხოლო იმის თქმაც, რაც მუდამ გაწვალებთ და ფიქრობთ, არც ეს არის დიდი „მეობის" მაჩვენებელი, რადგან სიტყვა საქმის გარეშე არარაობის ტოლფასია.

5419. ნამდვილი მამაკაცი საქმეს ბოლომდე მიყვება, მაგრამ დრო და დრო თავის „მეობაზე" ფეხის დაჭერა და გარემოებათა ანალიზი მასაც არ აწყენს.

5420. მე ერთს იმიტომ ვეხმარები, ვპატრონობ, რომ მეორეს ის დაეხმაროს და ჩემი დასასპონსორებელი არ გახდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი „მეობის", ქველმოქმედება აზრს კარგავს.

5421. ოპონენტობა უმადური საქმეა და ვალის მოხდას არ სცილდება, რადგან ჩვენს გაამაყებულ „მეს" ყოველთვის არ სურს გათავხედებული ოცნების რაშიდან დროებით ჩამოხდომა, ტაიჭის მოწესრიგება და ისევ ყალყზე შედგომა.

5422. ჩემი მეგობრები ხშირად იმას ოცნებობენ, ფული როდის შემოაკლდება, იქნებ ახალ საქმეს მოჰკიდოს ხელი და ჩვენც საქმეში ჩაგვაყენოსო. ეს ჩემი მეობის სასარგებლოდ ლაპარაკობს თუ საწინააღმდეგოდ, ჯერ კიდევ გასარკვევია.

5423. მე ის მაინტერესებს რაც ცხოვრებაში გამომადგება და ისიც თუ ფეხს წავიტეხ, რადგან მე ადამიანი ვარ, და ჩემთვის არავის ჩამოურთმევია ქვენა გრძნობებით ცხოვრების უფლება.

5424. პოლიტიკას იმიტომ ვერ ვიტან, რომ მას ხალხის „დაბმა" აინტერესებს, ხოლო მე საქმე, მაგრამ უბედურება ის არის რომ ბრბო მისი გონიერების დაბორკვის გარეშე საქმეს არ განდობს და ეს „დილემაა", რომ სახელმწიფოში წესრიგის დამყარებას აჭიანურებს.

5425. მოდა, მოდად, მაგრამ მე ჩემი „სეროჟას" მიერ გაპარსული თავი მირჩევნია, რომელსაც მისი გამოცდილი უხეში ხელი ატყვია, ყოველგვარი სუნამოებისა და თანამედროვე ვარცხნილობის გარეშე.

5426. კაცი თავისი „მეობით" მდედრის სხეულის ჯაშუში უნდა იყოს, მოწოდებით კი მისი სულის მსტოვარი.

5427. მე ბედნიერი კაცი ვარ რომ სოციალიზმის საფეხურებზე შემდგომაც მოვასწარი, განუსჯელად მისი კომუნიზმში შესვლის მცდელობასაც, გამოუცდელი დემოკრატიულ კაპიტალიზმის გაფეტიშებასაც და უგვანოთა მართველობასაც და იმ დასკვნამდე მივედი რომ ყოველივე განგების, ქვეყნების როტაცის კანონს ემორჩილება, რადგან ჩემი ერი, თავისუფლების მოპოვების საღი ჭკუის მოტვინვით კიდევ ერთხელ ასე არ უნდა გადარეულიყო.

5428. სული სხეულის სათბუნებელში დიდხანს ვერ გასძლებს, რადგან მას თავის მეობის გამოსაჩენად ღმერთზე და ბედზე ერთდროული დაყრდნობა ჭირდება.

5429. ქვეყნის პრეზიდენტობას მაშინ აქვს ფასი, თუ გრძნობ რომ ეს თანამდებობა ღვთის მადლით გეკუთვნის და ამ ხალხს მხოლოდ შენი მხარდაჭერა ჭირდება.

5430. ადამიანისთვის უპირველესია მისი მეს წამოჩენა და დაფასება, შემდეგ მოდის სამშობლო, ეროვნულობა, ყოფიერება და ქვეყნის სამსახური, მიუხედავად ამ ბუნებრიობის ჭეშმარიტებისა, ჩვენი ძალად პატიოსანი ცნობიერება მას მოთარგმნას თავის შეხედულებისამებრ ცდილობს.

5431. ჩემი „მე" დიდის დიდებით ყოველთვის ვიცხოვრებ, პატარათი და საყოველთაოდ არასდროს.

5432. ერთის უსიამოვნება შეიძლება მეორის სიამოვნება იყოს და ეს არის შურის, გაუტანლობის და საკუთარი „მეს" უქონლობის შედეგი.

5433. მიზნის მისაღწევად ღირსება, თავმოყვარეობა, დროებით გვერდზე უნდა გადავდოთ, მაგრამ ანგარიშგაუწევლობაც არ იქნება, სადღაც კბილს მოჭრის ჩვენს მეობას.

5434. ამბიციების დაკმაყოფილებას დრო, ადგილი, შესაძლებლობა და შენი „მეობის" მსოფლმხედველობა სჭირდება.

5435. ჩვენ გვგონია, რომ საკუთარ თავსა და ნამოღვაწარში კარგად ვერკვევით, მაგრამ ის რაც მოგვწონს, ხშირად გარეშეთათვის გაუგებარია, ხოლო ის რაც სხვის აღფრთოვანებას იწვევს, ჩვენ სუსტი და ნაუცბათევი გვეჩვენება. ასე, რომ თავის შეცნობა და ჩვენი „მეობის" შეცნობა სხვადასხვაა და სხვა ცხოვრებისეულ განზომილებებს ემორჩილება.

5436. ყოველდღე საკუთარ თავსა და სხვასაც უნდა დაუმტკიცო, რომ შენი „მეობით" რაღაცაში ვარგიხარ და ამქვეყნად ტყუილად არ მოსულხარ.

5437. ყველა ჩვენი ცუდი ქცევა შემთხვევითია, ან გამონაკლისია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვინდა, გვჯერა და ჩვენი მეობაც ამას მოითხოვს.

5438. მლიქვნელობის ნიჭი თუ გაქვს, პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა ასიამოვნო, რათა თავი დროებით მაინც იგრძნო ვარსკვლავად, პიროვნებად და საკუთარი „მე" გააფეტიშო.

5439. ნაკლი ყველას გვაქვს, მაგრამ ის ძალზე შეფარდებითი და სათუოა, რადგან ჩვენი მეობის, კაცობის, ვარგისიანობის განტოლება აქედან გამოჰყავთ.
5440. თუ ვინმეს თქვენი შექება დაავიწყდა, თქვენს თავს თვითონ გაუწიეთ პირფერობა, რათა სტიმული მიიღოთ და მთელი დღე თქვენი „მე" უხასიათოდ არ იყოს.
5441. შენი თავის წინაშე ყველაზე დიდი მოუსყიდავი მსაჯულ-მოსამართლე თვითონ ხარ, მაგრამ არ არის გამორიცხული, შენი თავის ფასი არ იცოდე და შენს მეობას ვერ აფასებდე.
5442. უნდა ეცადო, რომ პირველი იყო შენს თანასწორებში, მაგრამ შენი „მეობით" არ უნდა გადაამლაშო.
5443. სპეციალური განათლება ხელს არ გვიშლის, მაგრამ ჩვენს მეობას ტვირთად აწევს, რადგან სპეციალობით მუშაობის სურვილი დრო და დრო გვიჩნდება.
5444. მამაკაცი შეიძლება ყოველთვის მართალი არ არის, მაგრამ მას თავისი „მეობის" წარმოსაჩენად მუდამ ორი გადაწყვეტილება უნდა ჰქონდეს: ერთი, რომელსაც თავისად თვლის და მეორე, რომელშიც ეჭვი არ ეპარება.
5445. ძალიან ბევრი უნდა იწვალო, მცდელობა არ დააკლო, რათა ცხოვრებაში რაღაცას რეალურად მიაღწიო და შენი „მე" გაითავისო.
5446. ვნება, ჟინი, უნდა მიიღოთ მცირე დოზით, თუ გინდათ ცხოვრების სიამე და მისი მადლი შენმა მემ ბოლომდე გაითავისოს.
5447. არარაობა ის წყობაა, სადაც ჩემი ადამიანური „მე" საფრთხეშია, ვკარგავ აწმყოს იმედს, მეშინია მომავალი თაობის ბედის და გაპარტახებული ქვეყანა მუდმივად სპონსორის ძებნაშია და სიყვარულთვის დრო ვერ გამოუნახია.
5448. ყველა ადამიანს თავისი სახელი, სინდისი და საკუთარი მეობა უნდა ჰქონდეს განურჩევლად სქესისა, ასაკისა, საქმიანობისა.
5449. ადამიანის ღირსებას არ უნდა გადააბიჯოთ, რადგან მის გარეშე პიროვნება არ არსებობს, ხოლო პიროვნებების გარეშე დარჩენილი სახელმწიფო თავის „მე"-ს კარგავს.
5450. ადამიანები ხანდახან ისეთ რამეზე დაობენ და ხოცავენ ერთმანეთს, რომ მაყურებლის გაოცებას იწვევს. ჩვენ ეს, ერთი შეხედვით, მარტივად გვეჩვენება, საქმე კი გვაქვს პირადი „მე"-ს წარმოჩენასთან. ასე რომ არ იყოს, ცხოვრება ხიბლს დაკარგავდა, წესიერება და პატიოსნება აღარ გახდებოდა ბჭობის საგანი.
5451. კარგის და ცუდის აღება სხვისგანაც შესაძლებელია, თუ შენი სულის თვითმყოფადობის და მეობის შენახვას მოახერხებ.
5452. ყველა ჩვენგანის საწყისი ადამიანია, დიდ პიროვნებად მხოლოდ თანამდებობა და ჩვენს მიერ შექმნილი იმიჯი ხდის, შემდეგ ბედისგან „დაჩაგრული" საზოგადოების ხარჯზე თავის მეობით იფხორება და ავიწყდება, რომ ის ჩვეულებრივი მოკვდავია, თუმცა ამას ჩვენი დაუმსახურებელი ტაში და უდრტვინველი „ფეხებზემკიდიობაც" ხელს უწყობს.
5453. ადამიანს გადაწყვეტილების მიღების და საკუთარი „მეს" გამოხატვის უნარი არ უნდა წავართვათ, თორემ საბოლოოდ მას არც ღირსება დარჩება და არც კაცობა.

5454. ფხიზელ ცხოვრებაზე გადასვლის შემდგომ შენს ირგვლივ უხიაგ ადამიანთა რიცხვი გაცილებით იზრდება და შენ მესთვის უფრო შესამჩნევი ხდება.
5455. რამდენადაც ავია ზემდგომი და უპატიებელი, იმდენად ფხიზელია და აჯანყებული ქვეშევრდომის სული. როდესაც ლმობიერი და კაცთმოყვარეა ხელმძღვანელი, მაშინ დუნდება შემართება, ჩლუნგდება გონება, ხორცი განცხრომისკენ მიილტვის და ნელ-ნელა სისხლს უწყალებს თავის „მეობას".
5456. ადამიანი ტრაგედიასაც კი თავის წარმოსაჩენად და ქვენა გრძნობების დასაკმაყოფილებლად იყენებს: ისეთ აკლდამებს აშენებს, რომელიც მის სახელს ისტორიას გადაულოცავს უკვდავსაყოფად და თავის უკუღმართ „მეს" დაიკმაყოფილებს.
5457. ადამიანი ხშირად უნდა უყურებდეს ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, ცდილობდეს ბუნების შვილად დარჩენას, თავისი მეობა დროებით სიამოვნებას არ უნდა ანაცვალოს.
5458. ადამიანისთვის მეობა ყველა ნაციონალიზმზე მაღლა დგას და ის თავის წარმოსაჩენად სჭირდება, მერე ჩნდება სამშობლოსადმი რეალური სიყვარული და ამქვეყნად კეთილი სახელის დატოვების კულტი.
5459. ადამიანი ცდილობს საქმიანობით, ცხოვრების ცოდნით გაერთოს, მაგრამ მას არაფერი ღირსშესანიშნავი არ ავიწყდება „მეობის" წამოსაჩენად.
5460. ზოგჯერ ადამიანი თავის „მეს" წარმოსაჩენად მზად არის პარტნიორთან ღვთაებრივი სიამოვნება სამუდამოდ დაივიწყოს და უმადურობის წიხლი უთავაზოს.
5461. ახალგაზრდას თავის წარმოსაჩენად ზომიერი თავხედობა შველის, თუ ის ხელოვანების ან მეცნიერების შვილია, რადგან იძულებულია ავანსად შეფასებული თავისი თავი დღე და ღამე გამოაწრთოს და მიუახლოვდეს წინასწარი ტრაბახით გაცემულ ვექსილებს და ეს სასურველია როგორც საქმისათვის, ისე თავისი „მეს" წარმოსაჩენად.
5462. ახალგაზრდობის აგრესიულობა „მეს" ჩამოყალიბება-დამკვიდრებაში უფროსებისგან თავის დაღწევის პირობითი რეფლექსია. ამასთან, ეს მისი ცხოვრებაში გასვლის დებიუტი – პრემიერაა.
5463. გადამეტებული, გაუაზრებელი, ცივილიზებული დემოკრატია საზოგადოებას ათაყვანებს და ქვეყნის ძლიერება პოლიტიკურ საჭურისობას ეწირება, თუ მთავრობა თავის „მეობას" არ წარმოაჩენს და მოქალაქეებს მისდამი პატივისცემას ხელიდან არ გამოსტაცებს.
5464. ბოლოს და ბოლოს, შვილს ჩვენი სიამოვნებისთვის და პირადი "მეს" წარმოსაჩენად ვზრდით, რათა ის შეცდომები გამოვასწოროთ, რომლის გამოსწორების საშუალება გამოუცდელობის გამო თავის დროზე ჩვენ არ მოგვეცა.
5465. უგუნურებაა, როდესაც მმართველი არ შეეცდება, მისთვის ნაბოძები ძალაუფლება თავისი ქვეყნის ასაყვავებლად გამოიყენოს, რადგან სხვა ამაზე უკეთესი შანსი თავის „მეს" წარმოსაჩენად, სახელის უკვდავსაყოფად, სიყვარულის და ცრემლის წასაყოლად მას აღარ ექნება.

5466. სილამაზე არსებობს თავსმოხვეული, შეძენილი, ბუნებრივი და ნამდვილი. პირველი შოუა, ბიზნესია, სხეულის მოდერნიზებაა, მეორე – შრომა, მისწრაფება, შენი „მეს" წინაშე თავის მოწონებაა, მესამე – ღვთის მადლია, სინატიფეა, გამოუცდელობაა, ხოლო მეოთხე – ნამდვილი სილამაზეა, ყველა სილამაზის კოქტეილია, პრაქტიკულია, კარგი ცხოვრების ფინიშით.

5467. აღზრდის საძირკველი ოჯახია, კედლების – სკოლა, ფანჯრების – ქუჩა, სახურავი სამსახურია, ხოლო კარები – ცოლის პრეროგატივა, რომელიც ცდილობს ჩვენი განათლება თავისებურად დაალაგოს და თავის ჭკუაზე გაგვიღოს და დაგვიკეტოს ჩვენი მეობის კარები.

5468. ამაყი იმათ არ უყვართ, ვინც კარიერის და ფულის გულისთვის თავის „მეს" პატივი ახადა და თუ მათ ეს გულადი კაცი ხელთ ჩაუვარდებათ, დაეძგერებიან და ჯავრის ამოსაყრელად დაფლეთვას მოუნდომებენ, რადგან ამ ადამიანში თავიანთი სიამაყის დამარხვას, გაბითურებას ხედავენ.

5469. გადამეტებული თავისუფლება ანგრევს გონებას, ოჯახს, სახელმწიფოს და აკმაყოფილებს ავადმყოფურ "მეს" მშენებლობას, რომელსაც არავისთვის სიკეთე არ მოაქვს.

5470. იუმორის წარმოჩენის დროს თავიც უნდა მოისულელოთ, მაგრამ ისე, რომ საკუთარ „მეს" არ გადაუაროთ.

5471. არ უნდა ვეცადოთ თანატოლებში ბიჭი თეთრი ყვავი იყოს. მას ჩხუბიც უნდა შეეძლოს და დაცვაც, ოღონდ კაცურ საწყისებზე, თავის მეობის და მორალის პრინციპების გათვალისწინებით.

5472. ყველა მამაკაცს თავისი სახე, სინდისი და "მე" უნდა ჰქონდეს.

5473. ცოლია ის, რაც შენმა ბედისწერამ შეგახვედრა და გაგწირა, ხოლო მეუღლეობა – გამართლება, რომელიც ჭაპანს შენთან ეწევა საზოგადოებაში აზრის შესაქმნელად, ოჯახის და შენი „მეობის" წამოსაჩენად.

5474. კომუნისტური იდეების ოპონენტები არიან ხისთავიანი შემსრულებელი ბოლშევიკები, რომლებმაც თავიანთ გავერანებულ „მეს" რა მოუხერხონ თვითონაც არ იციან.

5475. ჩვენ მუდამ რაღაცას ვწირავთ და ვეწირებით, მაგრამ მას დრო და ჩვენი მეობის ხელშეუხებლობა უნდა ამართლებდეს.

5476. ცოლ-ქმარს შორის ნეგატიური ემოციების სიყვარულით გაცვლა არის ოჯახში ომობანას თამაში, სადაც ჩვენი "მეს" გამყარება საოჯახო მეურნეობაში სექსის დახმარებით უნდა მოხდეს.

5477. ვიღაცის ჯინაზე კახპობის დაწყება შინაგან გადაგვარებაზე მიუთითებს და პირველ რიგში სულის, რწმენის და საკუთარი „მეს" მიმართ არის ღალატი.

5478. სიყვარულის გამძლეობას ჩრდილს აყენებს მაღალი ინტელექტი, მატერიალური დამოკიდებულება, კარიერისკენ სწრაფვა, საოჯახო საქმე და ქალის მიერ თავისი „მეს" გაფეტიშება.

5479. სიყვარულის სენის წამალია თანდათანობით სხვისი შეყვარება. თვითდაჯერება, თვითკმაყოფილება, ღირსების წარმოჩენა, დამოკიდებულია შენ საქმიანობაზე,

მაგრამ სიყვარულში ყოველივე ზემოთ აღნიშნული კეთდება უანგაროდ, შენი „მეს" წინააღმდეგ წაუსვლელად.

5480. სიყვარულსაც თავის მეობა გააჩნია და მერე როგორი... განსაკუთრებით გაწბილების ჟამს.

5481. სიყვარულისთვის დროებით თავის დაკარგვა საინტერესოცაა და მოსაგონადაც სასიამოვნო, მაგრამ მის უსასრულოდ გაგრძელებას ვერც საკუთარი მეობა აიტანს და ვერც ტრფობის ავტორიტეტი, რადგან ამ სასიამოვნო დაგიპნოზებას არც ბრბო გაპატიებს და არც ცხოვრება.

5482. სექსისგან განსხვავებით, სიყვარულის მომიზეზებით ქალის დაფინანსება და მასში გრძნობების დაბანდება თავის მოტყუებაა, ხოლო მამაკაცურ მეობაზე საუბარი კი ზედმეტიცაა და საეჭვოც.

5483. სიყვარულსაც თავისი კულტურა, ტრადიციები, აღზრდა, სჭირდება, რათა სხვისი სატრფოსკენ თვალი არ გაგექცეს და შენი „მეს" არქონება ცივილიზაციას და თანამედროვე გაგებას არ დააბრალო.

5484. ინფლაციის საშინელება ის არის, რომ არა მარტო აუფასურებს ჩვენს შრომას, ჯიბეს, მეობას, არამედ ჩვენს გონიერებას და მორალსაც ზედ მიაყოლებს.

5485. ფული ის ხელსაწყოა, რომელიც სიამოვნებით იცვლება ცივილიზაციის კეთილდღეობაზე ჩვენი მეობის წარმოსაჩენად.

5486. ქალისა და ოპტიმიზმის გარეშე ცხოვრებას ფასი არა აქვს, ხოლო თუ ამას შენი მეობის უქონლობაც თან ახლავს, მაშინ ცხოვრება აზრს ჰკარგავს.

5487. ცხოვრების უდიდესი კაიფი საკუთარი ღირსების და მეობის შეცნობაშია.

5488. ჩვენ „მეს" ეკუთვნის ეს ცხოვრება და უნდა ვეცადოთ მანამ გაგრძელდეს, სანამდის ეს შეგვეძლება.

5489. იმ სიტყვის აზრი, რაც ყურს ცუდად ხვდება, გონებას აბნევს, სულს აღაფრთოვანებს, ხორცს ააღელვებს და ჯიგარს ამოგიტრიალებს, ღვთის ნაკარნახევია. მას თავისი მუსიკაც აქვს და თავისი „მეც", მაგრამ მაინც ბილწსიტყვაობაა.

5490. ამქვეყნად ძირითადად სიყვარულის საძებნელად მოვდივართ, რომელიც ჩვენი მეობით გვინდა გამოვხატოთ, მაგრამ რამდენად ვახერხებთ ამას, ცხოვრების ორომტრიალი და მისი დაისი გვიჩვენებს.

5491. ხალხი თავისი ეროვნული "მეს" უპირატესობას იმით გამოხატავს, რისი საშუალებაც აქვს. გარეშეთათვის ეს ღიმილის მომგვრელიც შეიძლება იყოს, მაგრამ ასეთი ეროვნული ფანატიზმი ერის გადასარჩენად ჩადო ბუნებამ.

5492. პატარა თავგადასავლებზე ყველა თანახმაა, მაგრამ დიდზე მხოლოდ სულით ავანტურისტები და მოჭარბებული ადრენალინის მქონე ხალხი თანხმდებიან, რათა ბევრისთვის გაუგებარი თავისი „მე" არ გააწბილონ.

5493. პირადი ღირსების შეგრძნებას მოკლებული და გაღიზიანებული ხალხის ხვედრია თავდავიწყებული და უიმედო სიყვარული, მაგრამ ამავე დროს გაფაციცებით ცდილობენ პირადი „მეს" წარმოჩენას.

5494. საოცარია, მაგრამ კაცი მონდომებით და რქების მიწოლით უფრო მეტს აკეთებს დასახული მიზნების მისაღწევად, ვიდრე ცოდნით და გამოცდილების დახმარებით, რადგან შემართებას უკან სვლა თავის "მეს" მიმართ დაზიანებული აქვს.

5495. ადამიანი ამქვეყნად ბედნიერებისთვის, სიხარულისთვის, სიკეთისთვის, თავის "მეს" წარმოსაჩენად არის დაბადებული, ამიტომ მას უნდა მივცეთ უფლება სიცოცხლე სიამით დაამთავროს, თუგინდ „ეფტინაზიის" გამოყენებით.

5496. ჩვენ ყველანი ხელგაშლილები ვართ სხვის ხარჯზე, ხოლო ნებაყოფლობით გულკეთილობას აღზრდა, გარემო, თანდაყოლილი მეობა და ტაშის დამკვრელი სჭირდება.

5497. ყველა ვალის გადახდა შეიძლება ამქვეყნად, გარდა საკუთარი თავის წინაშე ვალისა, რადგან ამქვეყნად არსებობს ეჭვი, იღბალი, რომელსაც შეიძლება ყოველივე გადავაბრალოთ: „მე რომ ასე მეკეთებინა, მე რომ ამ საქმეში გამმართლებოდა" და ასე შემდეგ.

5498. დღეს ურთიერთშეხების და კულტურის საზღვრების გადამეტებული გაფართოება უაღრესად მოსაბეზრებელი გახდა, რადგან აბორიგენების კულუტურას და მათ მეობას ვერაფერი სახარბიელო ვერ შეჰმატა.

5499. მამაკაცის მეობას მისი ცოდნა და შესაძლებლობა განსაზღვრავს, ქალისთვის უცოდინარობა და სიყვარულია განუსაზღვრელი.

5500. ქალების გამაერთიანებელი და საუფროსო საწყისია „პახმელიაზე" გაკეთებული მამაკაცები, რომლებიც ვერ რიგდებიან და ერთმანეთის ვნებას არაფერი ურჩევნიათ, რაც ქალს აიძულებს თავისი „მე" წინ წამოსწიოს და გაითავისოს.

5501. ქალი და მამაკაცი გარკვეულ საზღვრებში უნდა ცხოვრობდნენ, რომლის დარღვევა ხანდახან შეუძლებელია, ოღონდ სიყვარულის, ოჯახის, მეობის შესანარჩუნებლად. თუ ეს არ ძალუძთ, მაშინ საზღვარს არც უნდა გაეკარონ.

5502. მე და ჩემს ერს ცხოვრების სხვადასხვა გაგების სურვილი გვამოძრავებს. ის დღევანდელობით არსებობს, ხოლო მე დღევანდელი ნიჭის ეფექტის გაღების სურვილით ვსულდგმულობ.

5503. ცხოვრების დაისზე ხვდები, რომ არც ერთი ქალი არ ღირს იმად, შენი მეობა, მსოფლმხედველობა, შენთვის განკუთვნილი თავაშვებულობის ხანა და ბევრი სხვა საკაცობრიო სიამე მას შესწირო და ანაცვალო.

5504. ზოგი დროებით დაპირისპირებაში ნახულობს კაიფს და თავის მეობას გამოხატავს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ახლობლების და კანონის საწინააღმდეგოდ მიმართული.

5505. ქვეყანას, რომელსაც ხელი ექავება ნაქურდალის წართმევა-გაყოფაზე კანონიერების მორგებით, ის საკუთარი „მეს" მქონე სახელმწიფოდ ვერასოდეს იქცევა, რადგან ეკონომიკური უძლურობა აიძულებს ქურდობას წილში ჩაუჯდეს.

5506. სხვისი იმედით სამშობლოს დაცვა ან ამ საქმისთვის სხვა ეროვნების ჯარის დაქირავება, ძალაუფლების უგნური ფუფფუნებაა, უპატივცემულობაა, საკუთარი ქვეყნის მეს და ხალხის მიმართ.

მეცნიერება

5507. ნიჭი ადრე თუ გვიან თავს წამოყოფს, მაგრამ რა ხარისხით და საჭიროებით მეცნიერებისთვისაც, ძნელი წარმოსადგენია.

5508. მეცნიერება აზროვნებს, ცოდნა იქაჩება, სიახლის აღმომჩენი ქუხს, მაგრამ ყოველივე ეს დაკვირვების უნარია და თუ არ დავაგვიანებთ, შედეგიც არ აყოვნებს.

5509. დიდ ადამიანებს ნიჭი, გარემო, ფილოსოფია ბადებს და არა – დედიკო და მამიკო.

5510. ორაზროვნება ფილოსოფიის დედაა, ხოლო მისგან წარმოშობილი მრავალაზროვნება ფილოსოფიის მამობაზე დებს თავს.

5511. მეცნიერება იგივე პოეზიაა, ოღონდ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, მას კარგი დაფინანსება სჭირდება.

5512. ლოგიკური აზროვნება ზუსტ მეცნიერებათა ხვედრია, ამიტომაცაა, რომ უმეტესობას მისი გაგება უჭირს და არც მისი განხორციელების სურვილი აქვთ.

5513. ცნობისმოყვარეობა ბადებს გამოგონებას, გამოგონება – ფულის შოვნის სურვილს, სურვილი აიძულებს გამომგონებელს ხალხი თავის მიღწევებს აზიაროს; ხოლო ხალხს სიახლის ზიარება იმგვარად უნდა, რომ საქმეში ფული არ ჩადოს.

5514. მეცნიერების მოუმწიფებელი ნაყოფის მოკრეფა არ ღირს, რადგან ვერც ისიამოვნებ და ვერც ისარგებლებ.

5515. თანამედროვეთათვის დიდი მეცნიერი მთლად დალაგებულად არ გამოიყურება, მაგრამ მისი ნაცნობობით აღფრთოვანებულნი არიან.

5516. კოლექციონერობა, ინტერესების დაყოფის მიხედვით, უკვე მეცნიერებაა, რომელიც გასაგებლად, უკეთ შესასწავლად და წარმოსაჩენად მომდევნო თაობებს რჩება.

5517. სამეცნიერო ნაშრომის რეზიუმე იგივე აფორიზმია, ამიტომ ის სხარტად და მოქნილად უნდა დაიწეროს.

5518. დაფიქრება ყველა მეცნიერის ვალია, ხოლო აღმოჩენა ერთეულ ბედნიერთა ბედისწერაა.

5519. მეცნიერება ცდების და შეცდომების ხარჯზე გალაღებული თავისებური ქიმიაა.

5520. მეცნიერება ცოდნის გამოყენების და არა სამეცნიერო ინფორმაციის დაგროვების უნარია.

5521. მეცნიერებაში შეიძლება მოვიდეს დაინტერესებული უნიჭო და დაუინტერესებელი ნიჭიერი, სადაც პირველს შანსი აქვს მეცნიერების ფორტუნისთვის შემთხვევით ფეხის წამოკვრის, ხოლო მეორე – უშანსოდ დარჩენის.

5522. მეცნიერების მუდმივ საჭიროებაზე ისიც მიუთითებს, რომ ის სამყაროს ამომწურავად ვერასოდეს შეიცნობს, ამასთან ცოდნას შენახვა, დაგროვება, გავრცელება და სიახლისაკენ სწრაფვა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი თავიდან სახლაფორთო გახდება.

5523. მეცნიერი ის ადამიანია, რომელსაც თავის ნამოღვაწარზე ეჭვი ებადება, მაგრამ მაინც ამტკიცებს.

5524. ერთდროულად გონიერებაც და ინტელექტიც ღმერთის წყალობაა და მეცნიერების წინსვლის საშუალებასაც, თუ ქვეყანა იაფი მუშახელის ნაკლებობას არ განიცდის.

5525. თეორია, მოსაზრება პრაქტიკის და აპლოდისმენტების გარეშე, მომხიბვლელი, ლამაზი უშვილო ქალია.

5526. მარტივის და ოპტიმალურის მოფიქრება და განხორციელებაა მეცნიერებაში ყველაზე ძნელი.

5527. ეპოქას უსწრებენ ერთეულები, მაგრამ ამუხრუჭებენ უკან ჩამორჩენილი უმრავლესობები.

5528. ცნობილი მსახიობი გაცილებით მეტ ოვაციებს იმკის, ვიდრე ამ დროის ყველა ცნობილი მეცნიერი ერთად აღებული, მიუხედავად იმისა, რომ მათი დახასიათება მატერიალურ ღირებულებაში გადაყვანით გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ამ დროის სცენის და ეკრანის ვარსკვლავები, ერთად აღებული.

5529. ცოდნას ნამდვილი შემნახველი და დამფასებელი მეცნიერება სჭირდება და არა ინტერნეტში მიღებული ინფორმაციით კმაყოფილი დილეტანტი.

5530. ჭეშმარიტება და "პერპეტუუმ მობილე" არ ამოიხსნება და პატენტის გაცემა ორივეზე აკრძალულია, მიუხედავად იმისა, რომ ორივესთან მიახლოება და აღმოჩენის მცდელობა მეცნიერებაში დღემდე გრძელდება და გაგრძელდება.

5531. აფორიზმი არის ფილოსოფიის მიწიერება შოკოლადში, შეზავებული ცხარე აჯიკით, ყოველ შემთხვევაში მეცნიერებას ასე ჰგონია.

5532. დღეს, სამწუხაროდ, სამეცნიერო ხარისხი არც თანამდებობას, არც ფულს და არც მიბაძვას არ იმსახურებს, რადგან ყოველივე ყოფიერების ხელშია.

5533. იდეებს თავიდან ბიუროკრატიზმი ამუხრუჭებს, მაგრამ შემდგომ აღფრთოვანების ღირსნი ხდებიან, თუმცა მეცნიერისთვის შესაფერისი სიამოვნება და აღფრთოვანება აღარ მოაქვს.

5534. მთავარია, გონიერ ადამიანს ფიქრის საშუალება მივცეთ, თორემ რა აღმოჩენას წამოარტყამს ფეხს, თვით შემოქმედისთვისაც უცნობია.

5535. დღეს ჩვენში ყოვლისშემძლე მეცნიერება უყურადღებობის გამო რაღაცას ფაფხურობს და თავის საათს ელოდება, მანამდე თუ არ შემოგვადნა ხელში.

5536. არის თანდაყოლილი, შეძენილი, შეთვისებული სულის დეპრესია, რომელიც ხშირად მეცნიერულ კვლევას წილში უზის, რადგან სულ კარგ ხასიათზე ყოფნა ცხოვრების მადლის შეცნობას ფასს უკარგავს.

5537. მეცნიერებას გეგმები აქვს და არა პრობლემები, მანამ საქმეში სახელმწიფო ბიუროკრატია არ ჩაერევა.

5538. ჩვენი ფიქრების გაფხვიერება ყოველთვის სიკეთით არ ბოლოვდება, ხოლო გონიერების გაჯიქებას ზოგჯერ ბედოვლათობამდე მივყევართ, რადგან ფიქრი და მეცნიერება სინონიმებად უნდა ვაქციოთ და შეკავშირებული ერთ მხარეს მივმართოთ, თუ გვინდა საწადელ შედეგს მივაღწიოთ.
5539. ქვეშევრდომად აღზრდილი გონება, მეცნიერებაში აღზრდილ გონებასთან შედარებით უფრო მიმთვისებელია, ვიდრე გამცემი.
5540. ცივილიზაციასთან მიახლოება სულის გარყვნილების გარეშე არ ხერხდება, გონებაზე რომ არაფერი ვთქვათ.
5541. მეცნიერებისათვის ყველა გონიერი ხერხია მისაღები, რაც ქვეყნის უსაფრთხოებას და ხალხის გაძლიერებას ხელს უწყობს და აქ რაღაც დრომოჭმული დოგმების გაბატონება, იმ თვალსაზრისით, რომ რაღაცის კეთება შეიძლება ან არა, სიბრიყვეა.
5542. ყველაზე საშიში მოვლენის მიზეზი ქვეყანაში განაწყენებული ბრბოა, რომელსაც გონიერების ძარღვები გადამწვარი აქვს და მეცნიერების საწყისებს ეტმასნება.
5543. გულს ყოველთვის გონიერება ვერ ჯობნის, მაგრამ ვერც გული დაიქადნის მეტ გამარჯვებებს, რადგან ამას ჩვენს ირგვლივ მყოფნი არ დაუშვებენ.
5544. გონიერება უფრო მათემატიკური ყაიდისაა, მაგრამ ჰუმანიტარული საწყისების გარეშე ვერ იარსებებს.
5545. ვინმე დაარწმუნო შენს გონიერებაში გაცილებით ძნელია, ვიდრე რაიმე ახლის აღმოჩენა მეცნიერებაში.
5546. გონიერება შეიძლება ვარდის სუნითაც მოვწამლოთ და ჩოვახრჩოთ.
5547. შეიძლება ყოველთვის ჭკვიანად ვერ ვიქცევით, მაგრამ მეცნიერებისაკენ სწრაფვა ყოველთვის უნდა გვქონდეს.
5548. ცნობიერება ბუნების ვირეშმაკობაზეა შეყვარებული და ამის შემყურე მეცნიერება გაოცებას ვერ ფარავს.
5549. ყველა გონიერების შენება იმედზე და შემთხვევაზეა აგებული.
5550. მეცნიერებას სასწაულის არ სჯერა, მაგრამ იმედს არ კარგავს.
5551. მეცნიერებაში უგუნურებაც კარგად იყიდება, თუ მას სათანადო რეკლამას გაუკეთებთ და ფერ-უმარილს წავუსვამთ.
5552. ეშმაკობა პატარა ჭკუის მაჩვენებელია ძველი გამოცდილებით, ხოლო გონივრად საქმის კეთება, დიდი ჭკუის მარაგია ახლებურად საქმის წარმართვით.
5553. მელა არ შეიძლება ლომზე ძლიერი და გონიერი იყოს, მაგრამ ასეც ხდება.
5554. ეშმაკთან შერკინებისას მეცნიერება ეშმაკობას არ კადრულობს, ამიტომაცაა, რომ ეშმაკობა თავის უმნიშვნელო წარმატებებს ზეიმობს.
5555. ბრბო ვერ უგებს გონიერებას, მისთვის ინსტინქტებით ცხოვრება უფრო მოხერხებული და მისაღებია, ხოლო როდესაც გაუჭირდება, ყველაფერს მეცნიერებას აბრალებს, რათა თავისი უგუნურება მას აზღვევინოს.
5556. გონიერების ოდენობა პირდაპირპროპორციულია მეცნიერებაში ახალთ-ახალი საოცრების აღმოჩენისა.
5557. გონიერება მამაზეციერივითაა, მართალია, მას პატივს სცემენ, მაგრამ მანამდე არავის არ ახსენდება, სანამ არ გაუჭირდებათ.

5558. გამოუვალი მდგომარეობა მხოლოდ ადამიანის უგუნურებაში შეიძლება ვეძიოთ, რადგან ცხოვრებაში მისგან დაძვრომის მრავალი ხერხი არსებობს, თუ გონიერებას მოვუხმობთ.

5559. საზოგადოება, რომელიც ყველა პროგრესულ აზრს უყურადღებოდ ტოვებს, საშუალებას არ აძლევს მეცნიერებას ქვეყნის ავ-კარგზე იფიქროს. სწორედ ეს უყურადღებობაა ის შხამი, რომელიც ყველას სიცოცხლეს უმოკლებს.

5560. ინფორმაციის წყარო უნდა იყოს ადამიანის გონიერების რესურსი და არა სამყაროს გონიერება, რათა მეტისმეტი შედეგით არ გადაიწვას.

5561. სენტენციები ჩვენი გაფრენილი აზრების ისტორიის წინამორბედია, გონიერებაში დასაღვინებლად გამზადებული.

5562. ღირსება თუ გონიერება? თეორიულად გონიერება წინ დგას ვიდრე ღირსება, რადგან სიცოცხლე ყველაზე ძვირფასია, რომელიც ბოლოს უნდა გაიმეტო, მაგრამ ღირსების საკითხის წამოჭრისთანავე პირველად ის ეწირება ისე, რომ გონიერება ჩარევასაც ვერ ასწრებს.

5563. ზოგი სიკვდილისთვის წინასწარ ემზადება და ჰგონია უკვე იცის, როგორ უნდა მოკვდეს, მაგრამ თვითგანათლება სხვა არის, ცოდნა და რეალობა სხვა, ამიტომ ის, რისი შეცნობის მცდელობაც გონიერებას გვირევს, იგი არ უნდა გადავღალოთ და სხვა უფრო მიწიერზე ვიფიქროთ.

5564. მსოფლიო გონიერებაში ჩარევის შემთხვევაში გრძნობ, თუ რა პატარა მწერად ხარ მოვლენილი ამ სამყაროში და ხალისი გეკარგება. ამიტომაცაა რომ გადამეტებული ფიქრი და აზროვნება სერიოზულ საკითხებზე სავალალოა, განსაკუთრებით მაშინ, თუ გონიერებას არ სურს რაიმე მიწიერზე და ხელმისაწვდომზე იფიქროს და იაზროვნოს.

5565. ხანდახან გაუმართლებელი დიდსულოვნებაც აბნევს სამყაროს გონიერებას.

5566. მეცნიერებას ყველაფერი მოძრაობაში მოსწონს, ამით სხვასაც და თავსაც დასვენების საშუალებას უსპობს, რაც ყველასთვის არ არის მისაღები და შესაძლებელი.

5567. თავის დროზე ქვეყნის ნგრევასაც ეშველებოდა და ოჯახებისასაც, მაგრამ გონიერების ნგრევის შეჩერება შეუძლებელია.

5568. ყოვლისმცოდნე სპეციალისტის და პრაქტიკული ჭკუის ფანტაზიის მქონე დილეტანტის პაექრობა ყოველთვის დიდ შედეგს იძლევა. თუ სპეციალისტის მიერ უამრავ მოგებულ პაექრობას ერთი მაინც გამოერევა დილეტანტის მოგებული, ეს კაცობრიობისთვის დიდი ბედნიერებაა, რადგან აქ იბადება აღმოჩენა, გამოგონება, რომელიც ხალხს უნდა ემსახუროს.

5569. ნაპოლეონმა ეგვიპტეში მეცნიერები და ვირები საფრანგეთის არმიის შუაში მოაქცია და მათ სიცოცხლეს უფრთხილდებოდა. დღეს არც ვირებს უფრთხილდებიან და არც მეცნიერებს, იმიტომ რომ მეორენი არარენტაბელურნი არიან, ხოლო პირველნი ცოტანი და ხმის ამომღებიც არავინაა.

5570. ხანდახან მეცნიერება არ შეესატყვისება პრაქტიკას და ცხოვრებას, მიუხედავად დაგროვილი ცოდნისა და დამტკიცებული თეორიებისა.

5571. ტექნიკური პროგრესი და მეცნიერების წინსვლა რატომღაც ხალხს სულიერად აღარიბებს და უგუნურებაში ისე გადადის, რომ ამას ვერ ამჩნევს და ფიქრითაც თავს არავინ იწუხებს.

5572. თიხაზე წერა პაპირუსმა შესცვალა, ეს უკანასკნელი – ქაღალდმა, ქაღალდი – რადიო-ტელევიზიამ, ინტერნეტმა, ხოლო ამ უკანასკნელს რა შეცვლის ეს მომავლის თავსატეხია.

5573. მეცნიერება არის შეუცნობელი კეთილდღეობა, რომელსაც ისე ვეჩვევით, რომ მის საოცრებას ვერც კი ვამჩნევთ.

5574. თანამედროვე მეცნიერებას რეალურად ყველაფრის შექმნა შეუძლია. ამისთვის მას სჭირდება კატაკლიზმები, დაფინანსება, დრო და რაც მთავარია, შემთხვევა. ვინ იცის, სად წაიტეხს ფეხს და საიდან დაუცურდება ტვინის კრამიტი.

5575. დაკვირვებით რომ გადავხედოთ მეცნიერების რომელიმე დარგის მიღწევებს, პოპულარული ლიტერატურის გამოყენებით ფორმულების გარეშე, რომელიც ასე აბნევს ადამიანის ცნობიერებას და აფეტიშებს მეცნიერებას, მივხვდებით, რომ ტექნიკური პროგრესი არც ისე შორს წასულა, როგორც ეს დღეს ჩვენ გვეჩვენება.

5576. ჭკვიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ, სულელები ამას ვერ ახერხებენ, თავის შეცდომებზე აფიქსირებენ განათლებას, მაგრამ ეს არ ეხება სექსუალურ მეცნიერებას, სანამდე თვითონ არ წაიტეხ ფეხს, სწავლა შეუძლებელია.

5577. ორიგინალური აზრის დაბადება, რომელიც მოსვენებას არ გაძლევს, შემოქმედის უდიდესი ბედნიერებაა, ხოლო განხორციელება ბედნიერებას მოკლებული სიამოვნება, რადგან ამას მეცნიერის დიდი დრო მიაქვს.

5578. ნობელის პრემიას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ღირსეულ მეცნიერებს და პიროვნებებს ფასიან ბილეთს აძლევს ისტორიაში შესასვლელად, ხალხის წინასწარი აღიარების დაუხმარებლად.

5579. პითაგორას თქმით ცოლს, ბავშვს და ხალხს არ უნდა ვეთათბიროთ, მაგრამ რა ვუყოთ დემოკრატიულ პრინციპებს და იმ ნიჭს, რომელსაც მოთმინება ჰქვია და თუ არ გამოვიყენებთ, ვულკანივით ამოიფრქვევა და გონიერებიდან არაფერი დარჩება.

5580. დღეს უყურადღებოდ დარჩენილი მეცნიერება ხვალ ინტერესსმოკლებული ფართომოხმარების ყოველდღიურობად იქცევა.

5581. მეცნიერების ბარათი ყველა ჩვენგანისგან გაფრთხილებას ითხოვს, რადგან ის ადვილად იჭმუჭნება, ძველდება და ხშირად რესტავრაციას არ ემორჩილება.

5582. ლურსმანი და მელანი კაცობრიობის ცივილიზაციის წარმოჩენის და განვითარების სისხლია, ხოლო ინტერნეტი ამ სისხლის კომპიუტერით შეცნობა.

5583. ხანდახან ისეთი სულელური იდეის გამოყენება ხდება, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ ვერც წარმოვიდგენდით. ასე რომ, ყველა იდეის, ფანტაზიის, ნაყოფი ადრე თუ გვიან რეალიზებულია.

5584. სტატისტიკასა და მეცნიერებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველმა ისიც კი უნდა იცოდეს, რაც ერთი შეხედვით საჭირო არ არის, ხოლო მეორემ ისიც, რაც პირველს არასოდეს ეცოდინება.

5585. მეცნიერებაში ყველაფრის ცოდნაა კარგი და არა ყველაფრის კეთება, რადგან პროფესიონალიზმი დევალვაციას განიცდის.

5586. მეცნიერება საერთო სიმდიდრეა, მაგრამ მისი სარგებლიანობის განაწილებაა არათანაბარი, ალბათ მისი ხვედრი ასეთია – სახელი ერთს, სახრავი სხვას.

5587. კონკურენცია მეცნიერებას მანამ აკითხავს, სანამ ერთ-ერთი საბოლოოდ არ გაკოტრდება.

5588. ფრთიანი და მომხიბვლელი სიტყვა აინშტაინის „ფარდობითობის თეორიაზე" ადვილად შესაგრძნობი კი, მაგრამ გასაგები არ უნდა იყოს ყველა მოკვდავისათვის, თორემ მეცნიერება თავის ეშხს დაკარგავდა.

5589. კიბერნეტიკა ფილოსოფიის გამგრძელებელია, მაგრამ უსულოდ, უგულოდ და ცივად.

5590. მეცნიერება იძულებულია თავისი ეპოქის შესაძლებლობებით იცხოვროს, რადგან ისტორია თავისი გადასახედიდან შედეგს აფასებს და არა პროცესს.

5591. საოცარია მეცნიერი, რომელიც რაღაც აზრს აიკვიატებს, მთელი ცხოვრება მის ამოხსნას წვალობს და შედეგით თუ არა, პროცესით ტკბება, სხვასაც თავს აწონებს და ტაშსაც იმსახურებს.

5592. ფსიქოლოგიაში ამოხსნილი განტოლებები უმაღლესი მათემატიკის ყველა ამოუხსნელ განტოლებაზე მაღლა დგას.

5593. მრავალმხრივი ნიჭი საშუალებას არ იძლევა, რომ ერთ მეცნიერებას ბოლომდე ჩაჰყვე და მის გენიალობას ჩაწვდე, მაგრამ იმის საშუალებას იძლევა, რომ შენი მეცნიერული მრავალმხრივი ნიჭით თავად ისიამოვნო.

5594. ჭადრაკი-100, დღეს ურთულესი თამაშია და ის უფრო კომპიუტერების შესაჯიბრებლად არის წარმოჩენილი, ვიდრე მოჭადრაკეებისთვის. მას რომ ადამიანი ღირსეულად დაეუფლოს, მისი აზროვნება, მახსოვრობა გაცილებით უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე აქამდე აღებული ჭადრაკის ყველა ჩემპიონისა ერთად და აქ მეცნიერება არაფერ შუაშია.

5595. დღევანდელი ცხოვრების გამოუცდელი საზოგადოებათმცოდნეობის მეცნიერ-რეფორმატორები იმიტომ არიან გასაკიცხნი, რომ თავიანთი უნიჭობით მეცნიერება გააბახეს და ხალხს ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს პოლიტეკონომიის უსუსურობა.

5596. ჭკუა – ნიჭია განგების მიერ მომადლებული, გონიერება ჭკუას დამატებული ცხოვრების გამოცდილება, ეშმაკობა – ჭკუა, ნაბეგვი გამოცდილებით, ყოველივე მათგანს გონიერება აერთიანებს, მაგრამ ცხოვრებაში სხვადასხვა წარმატებას იმკიან. ხალასი ჭკუა არავის ემორჩილება და იჩაგრება, გონიერება თვითონ ირჩევს უფროსს, ხოლო ეშმაკობა, რომელიც ყველა ულირსს ეთაყვანება, მალე მის ადგილზე წამოსკუპდება.

5597. იმისთვის, რომ რაიმე სერიოზული ვაკეთოთ, სულ არ არის საჭირო თავი რაღაცას მიარტყათ, სტრესი მიიღოთ, ან ჭკუანაღრძობი დაიბადოთ. აქ მთავარია ტვინის ნაოჭები ფუჭი ოცნების „ბალასტისგან" დროზე გავანთავისუფლოთ, მცონარობას თავი ვანებოთ და ჩვენი ინტელექტის შესაბამისად ვიცხოვროთ.

5598. ნიჭი თავისებური ინსტრუმენტია, ხოლო დიდი ტალანტი, აყვანილი კვადრატში, კუბში და მომდევნო ხარისხებში, მეცნიერებაში საშიშია, რადგან ყოველივე გადაჭარბებულიდან რა გამოვა არავინ იცის, სიკეთის მთესველი თუ ქვეყნის დამქანცველი.

5599. სწავლისკენ ზედმეტად ლტოლვამ შეიძლება ზოგჯერ თქვენი ნამდვილი მისწრაფება მეცნიერებისადმი ჩაკლას და ცხოვრება გაგიძნელოთ, ამიტომ ჯობს პროფესია მოწოდებით აირჩიოთ, ვიდრე მისი პრესტიჟულობის მიხედვით, რადგან ეს უკანასკნელი მოდასავით ცვალებადია, ხოლო მოწოდებით საქმიანობა – მუდმივი და სასიამოვნო.

5600. ერთი შეხედვით, ცოდნის შეძენა სასარგებლოა, მაგრამ არა ყველასათვის, რადგან ის თავისებური იარაღია და სახელმწიფოსგან ლიცენზირებას და კონტროლს მოითხოვს. (მაგ. ასაფეთქებელი საქმის ცოდნა, ნარკოტიკების დამზადება და სხვ.).

5601. ზოგჯერ შეიძლება გაგიმართლოთ და მეცნიერებაში მთები გადააატრიალოთ, მაგრამ სჭირდება კი ვინმეს ამ სამუშაოს ჩატარება, რადგან ზოგჯერ მადლობასაც არ გაღირსებენ, მატერიალურ წახალისებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

5602. მიუხედავად შენი მსოფლმხედველობისა, ინტელექტისა და გონიერებისა, ზოგჯერ მზად ხარ შენი ერის სასარგებლოდ გაუმართლებელი სისულელე ჩაიდინო. მიუხედავად იმისა, რომ სამყაროს განვითარების ზოგადსაკაცობრიო კანონები შენთვის ცნობილია და დედამიწის გაქრობის პირობაც მომავალში თითქმის გადაწყვეტილად გეჩვენება.

5603. არჩევანი უნდა გაკეთდეს არა მარტო გულით, სულით და გონებით, არამედ სხეულის სხვა ნაწილებითაც, რათა პირი საჭმლის გარეშე არ დარჩეს, ყურები – მუსიკის, თვალებს სილამაზის აღქმის სურვილი არ გაუქრეს, ფეხებს სპორტი არ დაავიწყდეს, ხელებს უმუშევრობისგან ქავილი არ აუტყდეს და რაც მთავარია, ძუს და ხვადს ერთმანეთის სიყვარულის და მომსახურების სურვილი შერჩეთ და ამის ცოდნა არა ნაკლები მეცნიერებაა.

5604. ფილოსოფია არ არის რეალობას მოწყვეტილი აზროვნება, ის არ უნდა წერდეს მხოლოდ იმას, რაც მის სულს ესიამოვნება, გონებას უცისკროვნებს, სიტყვას ფრთებს გამოასხამს, მას ცხოვრებაში პრაქტიკული გამოყენების სტატუსიც უნდა ჰქონდეს მომზადებული.

5605. მასწავლებელია ის, რომელიც ბრძენის ნიღაბს ატარებს და სიყვარულით აღსაზრდელის დასჯის და მანძილის დაცვის უნარი შესწევს.

5606. ხალასი ნიჭი განგებამ თავისი უმანკო უმეცრებით მოგვივლინა და მისი ზედმეტად გარყვნა სწავლებით საჭირო არ არის, რადგან გადამეტებული სწავლება საშუალო ნიჭის და უნიჭოთა პრეროგატივაა.

5607. სამეცნიერო საბჭოს და ოპონენტებს, რომლებიც თქვენს აზრს იზიარებენ, მაინც უნდა შეეკამათოთ, რადგან საჯაროობა არ გამოვა, დისერტაციის დაცვა და ბანკეტი თავის ეშხს დაკარგავს, ამასთან არაფერი ექნებათ წასამადლებელი.

5608. ზოგიერთ მეცნიერს ჭკუა გულში უდევს იმდენად დიდი სიყვარულით აკეთებს თავის საქმეს.

5609. მეტყველებას, აზროვნებას, მის შინაარსს, ენის სილამაზე უნდა წყვეტდეს და არა გრამატიკის ლაბირინთებში ხეტიალი და მეცნიერული დასაბუთება.
5610. კონკურენტს არ უნდა ებრძოლო, უბრალოდ, შენი შემართებით, ცოდნით უნდა აჯობო.
5611. ის წიგნიერებაა მისაღები, რომელიც ცხოვრების ორომტრიალში კარგად ერკვევა და ყველასათვის შეუძლია კუთვნილი ალიყურის დაბრუნება.
5612. მეცნიერების ერთი ნაწილი მოდაში შემოსულ სხვის ენაზე ლაპარაკობს, მაგრამ წერით მშობლიურ ენაზე წერს, რადგან ყბედობა და ენის ცოდნა სხვადასხვაა, მითუმეტეს, თუ მისი ნამოღვაწარი სხვა ერისთვის ამ ეტაპზე სულერთია, უცხოა.
5613. საშუალო ნიჭის პატრონი შეიძლება ცნობილი მეცნიერი და ქვეყნის ღირსეული შვილი გახდეს, თუ მის შეუპოვრობას საქმისადმი ერთგულ ახირებას დაუპირისპირებთ.
5614. უახლოეს დროში მისამართი დაახლოებით ასეთი გვექნება: პირველი ქუჩა 6/2 ნახახულევი, ხონი; – საქართველო, ევროპა, დედამიწა, ან აბონენტის ნომერი ოცდაათნიშნიანი ციფრით: 000.000.000 000.000.000 006 289.006 002 და ეს იქნება ჩვენი საბოლოო მოსაძებნი, როგორც ამ, ისე იმქვეყნად.
5615. ოპონენტთან საუბარში თქვენი გაცნობიერება-მიხვედრა თქვენს ნიჭზე მიუთითებს, ხოლო აღიარება – თქვენს გენიალობაზე.
5616. ტალანტი ყოველთვის ცალკე დგას საზოგადოების აზროვნებისგან, მაგრამ ცდილობს, რომ ეს არ შეამჩნიონ.
5617. ნიჭიერებისთვის აუცილებელია დროებითი გაჭირვება, სიძნელეები, რათა მის ნაწარმოების, სავალდებულო სერიოზულობა დაეტყოს და საჭირო ოდენობით სევდაც დაემატოს.
5618. ბუნებასთან სიახლოვე, მისი შეცნობის მცდელობა და სიყვარული იძლევა იმის ძალას, რომ შენი ნამოღვაწარი ღირსეულთა შორის მოხვდეს და სამყაროს საკუთრებად იქცეს.
5619. ერთდროულად აღმფოთება და სურვილი, ჩაწვდეთ თქვენს წინაშე წარმოდგენილ ნიჭის ნაყოფს, იმ შემოქმედის სიდიადეზე მიუთითებს, რომელსაც აღიარება წინ აქვს.
5620. რადგან არსებობენ ცუდი აღმზრდელები და არა – ცუდი ბავშვები, ამიტომ მათ უნდა მივცეთ ის აუცილებელი განათლება წერა-კითხვის გარდა (სპორტი, ცურვა, მუსიკა, ცეკვა, კომპიუტერი), რომლის შესწავლა ახალგაზრდობაში არ გაუჭირდებათ და დროც არ დარჩებათ ცელქობისთვის, მხოლოდ ისე, რომ ბავშვებსაც გასახსენებელი დარჩეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა მცდელობა პედაგოგიური მეცნიერების ფუჭია.
5621. რატომღაც ჰუმანიტარული ინტელიგენციის სურვილია ტექნიკურ ინტელიგენციას ჭკუა ასწავლოს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათი მიღწევა „ტექნარეებზეა" დამოკიდებული და მარტო პატრიოტიზმზე თავის დადება ერს შორს ვერ წაიყვანს.

5622. ყველა ჩვენგანმა უნდა ისწავლოს საუკუნეების გამოცდილების ფონზე თავისი დროის ღირებულებების დაფასება და გადაფასება.
5623. მეცნიერების პროგრესისთვის ხარჯი ხალხმა რეკლამისადმი დამონებით უნდა გაიღოს, რათა მათ პატარ-პატარა გამოგონებებს ფირმებმა რეალიზაცია გაუკეთონ, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი აღმოჩენებისკენ მიმავალი აზროვნება უსახსრობის გამო შეჩერდება.
5624. მეცნიერება ყველას საკუთრებაა, გარკვეული პრივილეგიებით.
5625. განსაზღვრულ, გამოზომილ ცხოვრების წესსა და ყოფას მეცნიერებისათვის და ხელოვნებისთვის უდიდესი შემოქმედებითი ზიანი მოაქვს.
5626. ცხოვრებაში მთავარია კარგი იდეები და ნათელი გონება, მაგრამ ყველაფერ ამას მიხვედრა და გაგება არ უნდა?!
5627. დღევანდელი თაობა მაინც უწიგნურია, მისი ცოდნის არეალი ტელევიზიის, კომპიუტერების, ინტერნეტის დახმარებით რაც უნდა მიმზიდველი გვეჩვენებოდეს, რადგან მან წიგნის ყიდვის, წაკითხვის და მისი განსჯის კულტურა დაკარგა.
5628. მეცნიერებას ბევრი დიდი მოაზროვნე აწვალებს, მაგრამ, როგორც არმიაში, აქაც დიდი სარდალი მაინც ერთია.
5629. მეცნიერი იგივე მანიაკია, თუ მას საინტერესო აზრი აეკვიატა.
5630. დიდი ოჯახების აღდგენა კვლავ მოსალოდნელია. თუ მეცნიერება მიაღწევს ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ას წლამდე გაზრდას. სახელმწიფოს კი პენსიონერთა შენახვის სათანადო ხარჯები არ ექნება, წინაპრებზე ზრუნვა ისევ მომავალ თაობებს მოუწევს.
5631. საყოველთაო განათლება, საყოველთაო მომწიფების მომტანი უნდა იყოს, რადგან აქ სწავლის დრო კი არ არის მთავარი, არამედ საზოგადოებაში ყოფნის ანაბანის შესწავლა, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად უნდა შეიგრძნოთ.
5632. შეიძლება საქმის კარგი მცოდნე იყო, მაგრამ უჟმური ხასიათის და ცუდი მეგობარი. თუმცა მეცნიერი მაინც თავისი საქმიანობით უნდა შეფასდეს, რადგან საქმიანობა მატერიალურია, ურთიერთობა კი – სულიერი. ამასთან, ნიჭიერი კაცი ყველას მოსაწონი ვერ გახდება.
5633. ზუსტ მეცნიერებათა მსახურთ ღირსების პრობლემა არ აწუხებთ, მათთვის მთავარია შეუცნობლობაში გარკვევის სურვილი და არა ის, თუ ამ სურვილის დაკმაყოფილებას რა შედეგი მოაქვს.
5634. წიგნის კითხვა თავისებური თარგმანია შენი სულის ძახილის, ხოლო კომპიუტერთან ჯდომა შენი სხეულის ცნობისმოყვარეობის დაღლაა.
5635. განათლება აუცილებელია, მაგრამ ის ყოველთვის ხელს ვერ გვიწყობს უკეთ ვიცხოვროთ, თუ მას მოხერხებულობა და პროტექცია არ წავამატეთ.
5636. განათლება გამოცდილების და ფანტაზიის გარეშე არაფერია.
5637. მათემატიკის სიმშვენიერეს მაშინ გაიგებთ, როდესაც ამოხსნილ ამოცანაში ჩადებულ მუსიკას შეიგრძნობთ და აქედან გამომდინარე თეორემას ააჟღერებთ.
5638. უნიჭო, ამბიციური, ადამიანი პოლიტიკაში მიძვრება, მაგრამ ჭკვიანიც იძულებულია იგივე გააკეთოს, რათა შესძლოს მისი ნიჭისათვის შესაფერისი საქმის

კეთება. სინამდვილეში კი პირიქით ხდება – ჭკვიანი დიდკაცობის ბაცილით იწამლება, ხოლო უნიჭო კარიერისტს აკეთებინებენ ჭკვიანისთვის განკუთვნილ საყვარელ საქმეს.

5639. ნიჭი, გარემო პირობები, მატერიალური შეესაძლებლობა, თავისუფალი დრო, ჭკვიან კაცს საშუალებას აძლევს ტვინი თავისი სიამოვნებისთვის გაცვითოს.

5640. მათემატიკა კლასიკურ "ხელოვნებას" მიეკუთვნება და მას საკუთარი დიდებული ჟღერადობა ახასიათებს, მაგრამ მსმენელი ჰყავს ცოტა, ვინაიდან მისგან სპეციალურ განათლებას მოითხოვს.

5641. ფილოლოგია ის მეცნიერებაა, რომელსაც ღიმილით ვუყურებთ, მაგრამ მთელი სერიოზულობით გვჭირდება.

5642. „ექსტრიმი" წარსულის და მომავლის ნაწილია, ეთიკა კანონებისადმი დამორჩილების სურვილია, რელიგია ბუნების კანონების თავის ჭკუაზე მომთარგმნელია. მხოლოდ მეცნიერებაა, რომელიც ამ ლაბირინთებში გზას იკვლევს და ჭეშმარიტების დადგენას ცდილობს.

5643. მეცნიერების მიღწევები ადამიანის კულტურას ხვეწავს და მის ცხოვრებაში სათანადო ადგილს შეუმჩნევლად იკავებს, მაგრამ ბედნიერებას არ მატებს, რადგან ცოცხალ არსებას მისწრაფებები არ ეცვლება, ხოლო სულის და სხეულის გადაღლის შედეგად ნაკლებ ემოციური ხდება.

5644. მეცნიერება საოცრების და აბსურდის მეტნაკლები ჰარმონიაა.

5645. მეცნიერება, რაც მეტ ილუზიებს გაგვიქრობს, იმდენად მეტი ახლის შეცნობის იმედით გვასაზრდოებს.

5646. სამყაროს სიამტკბილობის ბერკეტი მაინც მეცნიერთა ხელშია, რადგან თუ დედამიწას რომელიმე კომეტა დაემუქრა, ყველანაირი დაპირისპირება გვერდზე გადაიდება, რადგან შიში არა მარტო შეიქმს სიყვარულს, არამედ აფრთხობს და აერთიანებს ხალხს.

5647. სინერგეტიკა – სწორხაზოვანი, შეთანხმებული, საერთოენაგამონახული მეცნიერებაა, რადგან ურთიერთგაგების გარეშე ყოფიერების ვერცერთი დარგი ვერ იარსებებს და ეს, პირველ რიგში, სამყაროს შეთანწყვილებას და ხალხთა ურთიერთობას ეხება.

5648. შემოქმედი თავისი ხუმტურების მოუხედავად, ძალიან პროდუქტულები და სამომავლო საქმის მკეთებლები არიან, თუ მათ დროზე გავაკრიტიკებთ, გავუგებთ, შევეშველებით.

5649. ცოდნას იმ შემთხვევაში აქვს ფასი, თუ რაიმეს აღმოაჩენს და ნამოღვაწარს ცხოვრების რეალობას აზიარებს.

5650. გზის გავლას ერთი ცოტა დროს ანდომებს, მაგრამ დიდ ენერგიას ხარჯავს, მეორე ნაკლებ ენერგიას ხარჯავს, მაგრამ დიდ გზას გადის, ხოლო ჭეშმარიტების დასადგენი ოქროს შუალედი ყველას თავისი აქვს, თავისი აღქმით და ხიბლით.

5651. მოხერხებული ბიზნესმენი გამოუცდელ ახალგაზრდებისაგანაც ნახავს ხეირს და გამოცდილ ასაკსაც დასცინცლავს თავისას, მაგრამ მეცნიერებას ვერაფერს დააკლებს, რადგან მათ დასაცინცლი გონების გარდა არაფერი აქვთ.

5652. ფილოსოფია ღიმილის მომგვრელი სპეციალობაა, ხოლო ფილოსოფოსის დანახვაზე არ იცი გაიღიმო თუ სერიოზული სახე მიიღო, რადგან შენს წინაშე დაუმუშავებელი ალმასი დევს, რომლის ფასის დადგენილი არ არის.

5653. მეცნიერება ცხოვრების წინსვლის გასაღებია, მთავარია თანამედროვენი მას აწმყოში როგორ გამოიყენებენ, თორემ მომავალის კარები რომ გაღებული აქვს, ეს ცხადზე უცხადესია.

5654. სამწუხაროდ, მეცნიერებასაც სჭირდება თავგანწირული ჯარისკაცები, რომელთა როლსაც დღეს საცდელი ცხოველები ასრულებენ.

5655. მეცნიერება უფრო საკუთარი სიამოვნების შეცნობაა, ჟინის გასწორების კაეფია, ვიდრე სახელის და სიმდიდრის მოპოვება.

5656. არის მოვალეობა, არის სიყვარული, მაგრამ გადამწყვეტ ჟამს ვის მხარეს დადგებით, ჯერ კიდევ უცნობია, რადგან არჩევანს სულიერი მდგომარეობა, აღზრდა, გარემო წყვეტს, სადაც ნამდვილი ღირებულებები ტრფობას, ემოციებს, გონიერებას ხშირად ადგილს არ უტოვებს და ამ საკითხებზეც მეცნიერებას ფიქრი არ აწყენს.

5657. მეცნიერების მიღწევები, პირველ რიგში, ქვეყანას ეკონომიკურ ძლიერებას უნდა მატებდეს და არა – სამხედროს, თუ უნდა ხალხმა ცხოვრების ეშხი შეიცნოს.

5658. მეცნიერების სიახლე სამყაროს საკუთრებაა და არ შეიძლება ვინმეს კუთვნილებაში დარჩეს.

5659. ცოდნის შეძენას და არა მის გამოყენებას ეწირება ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები, რაზედაც ასე ვირჯებოდით, ვვოცნებობდით ჩვენ და ჩვენი მშობლები.

5660. მეცნიერული ამბიციები პრაქტიკიზმს ვერ დაიკვეხნის, რადგან საკუთრივ ჭკუის ჭყლეტას ყველა საქმიანობას ურჩევნია.

5661. უტოპიისაკენ სწრაფვა ყოველთვის კრახით მთავრდება, მაგრამ მის იდეალებს მეცნიერება მაინც ვერ ეშვება.

5662. მეცნიერება ყველა დროის შვილია, მას ყოველთვის შეუძლია თავისი ჭკუის სასიამოვნოდ სხვის გონებაში ჩხირკედელაობა.

5663. მეცნიერიც თავისებური ავტორიტეტია, ძველი ბიჭია, ოღონდ თავის ხალხში, დარგში, კოლეგებში.

5664. რწმენის დოგმები გარემოზე დაკვირვებისა და ემპირიული გზით მოპოვებული ცოდნის შედეგია და არა მეცნიერული კვლევა-ძიებისა, რომელსაც მამაზეციერი ხელმძღვანელობდა.

5665. ცოდნის შეძენა პირველ რიგში შენი შინაგანი სიამოვნების და უპირატესობის გამოხატვაა, ხოლო ამას შემდგომ ის შეიძლება სხვამაც გამოიყენოს და იხეიროს.

5666. სიყვარულისგან განსხვავებით მხოლოდ მეცნიერება მიიკვლევს გზას ცდისა და შეცდომების გაანალიზების ხარჯზე.

5667. გონების საწარმოში, ხშირად ერთი გაელვებით შექმნილი ქმნილება გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე სხვა დროის შექმნილი სასაქონლო ღირებულების მქონე წლობით ნაჯაფ-ნატანჯი.

5668. ტექნიკურმა პროგრესმა შურს, დაუნდობლობას, გაზარმაცებას, ვერაფერი არგო და ერთეული „ვუნდერკინდების" ხარჯზე მასა კიდევ უფრო ყბედ-უსაქმურად აქცია, რომელსაც გამოსაკვებად ბიოინჟინერიის მიღწევები არ მოსწონს, მაგრამ არც ხელებდაკაპიწების სურვილი უჩნდება.

5669. მეცნიერებაც მამაძაღლობისკენ მიდრეკილებაა, მაგრამ კარგი გაგებით და სიამის თავისებური შეცნობით.

5670. ძნელია იმ ხალხთან კამათი, რომლებსაც სურთ 2X2 ხუთი იყოს, მაგრამ საინტერესოა.

5671. მეცნიერების დღევანდელი აღმოჩენები გაოცებას იწვევს, მაგრამ უგუნურების საზღვრების დარღვევას ვერ ახერხებს.

5672. როდესაც ეცნობი თანამედროვე მიღწევებს, ძნელია რაიმე არ იწამო და გონებას მეტი საფიქრალი და საზრუნავი არ გაუჩინო.

5673. მამაზეციერის ნაპერწკალია: მომადლებული ჭარბი ცოდნა და ფანტაზია – გამოყენებით მეცნიერებაში.

5674. სიამოვნების მიღება ცოდნას, მსოფლმხედველობას მოითხოვს, რომელიც ყოველდღიურობას არ ახასიათებს, რადგან მას არადამღლელი მოხმარებით აღტაცებაც თან უნდა ახლდეს და ესეც მეცნიერებაა.

5675. წაბაძვა, მიბაძვა პლაგიატობას არ უნდა ნიშნავდეს, ის იმ შემთხვევაში თუ მეცნიერება სიახლის ძებნაშია და საკუთარი ნაზრევის ჩადებას საქმეში ცდილობს.

5676. თავხედობა თუ ნიჭი, მეორე პირველის გარეშე დარცხვენილია, ხოლო პირველი მეორეს გარეშე არარაობა. ასე რომ მათი შეერთება იძლევა მეცნიერებაში შედეგს, უიმისოდ კი ამ საკითხების დასმა და განსჯა რჩება.

5677. მთავარია მეცნიერულ აზრს ჩენჩო ჩამოშორდეს, თავისუფლებისგან გალაღდეს – შედეგად ყოველივე შესაძლებელი, რეალობად იქცევა.

5678. იდეიას ჭკუასთან ერთად ის გამოცდილება ჭირდება, რომელსაც მეცნიერული გამოსავალი ექნება.

5679. აზროვნება და ინიციატივა ერთმანეთის გარეშე არ ვარგობენ, რადგან პირველი მეორესგან განსხვავებით სალოცავი ხატია, პასიური მლოცველია და სხვისი ნასუფრალის შემყურე, მიუხედავად იმისა, რომ სამყაროს მეცნიერება მის გარეშე ნაბიჯს წინ ვერ წადგამდა.

5680. უახლოეს ხანში შეიძლება შემოვიდეს ახალი სახელმძღვანელოები: დედათმცოდნეობა, მამათმცოდნეობა, ხვადმცოდნეობა, სექსმცოდნეობა და ასე შემდეგ, რომელთა წარმომდგენლებს მეცნიერება ახლებურად შეხედავს და წარმოაჩენს.

5681. საოცარია, რატომ ამრავლებს დემოკრატია, თავისუფლება, ამდენ შარლატანს და ვიგინდარას, რომლებიც ფსევდომეცნიერების გამოყენებით ხალხს ისე დასცინიან, თვალსაც არ ახამხამებენ.

5682. მეცნიერებისადმი გულცივი დამოკიდებულების მიზეზია: ან ჯერ არ მომწიფებულხარ, ან გარემო გაქვს უვარგისი, უინტერესო ან უბრალოდ სწავლისთვის არ ხარ დაბადებული.

5683. როგორც ტუზი აფრიკაშიც ტუზია, ასევე, გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოვებული კაცი ყველა დარგში გამომგონებელია, ვინაიდან მის გონებას ახლის შექმნის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

5684. იმ შინაგან სიამოვნებას, რომელსაც მათემატიკოსი განიცდის რაიმე რთული ფორმულის ამოხსნის, ან შექმნის შედეგად, ქალთან სექსუალური ურთიერთობაც კი შეიძლება ვერ შეედაროს.

5685. ზოგჯერ უაზრობა კარგ ხელში მოხვედრისას შეიძლება გონიერი ნაფიქრალის საფუძვლად იქცეს და სიკეთეც მოიტანოს.

5686. ფილოსოფიის კითხვა გონებას გინათებს, შენს მახსოვრობაში ეჭვს არ გაპარებს და ყბედობის ხასიათზე გაყენებს, რადგან ის ყველასთვის მისაწვდომი არ არის.

5687. ტალანტი ერთის შეხედვით, გახელებული, უგუნური აზრებია, მოუთოკავი ემოციებით და ზომას გადასული ჟინით, მისწრაფებებით, სინამდვილეში კი დროის რეაქტორში გადასამუშავებლად გამზადებული ნიჭის ნედლეულია, რომელიც კაცობრიობის საკუთრება უნდა გახდეს.

5688. მეცნიერებას, რომელიც განვითარების და გაოცებისთვის არის მოწოდებული, თავის მორალი აქვს და მისთვის ყველა ის ნორმა შეუთავსებელია, რომელიც მის ამბიციებს ვერ აკმაყოფილებს.

5689. მეცნიერის კაეფია იქ იჩხერკედელაოს და გონიერება დღეს იქ ავარჯიშოს, სადაც საალბათოა, რათა ეს საეჭვო ხვალ ხელმისაწვდომი გახადოს, დროდადრო მიღწევებიც გაიხსენოს და ისიამოვნოს.

5690. არის მეცნიერების მსგავსი ეკონომიკა, არის პოლიტიკა, რომელიც მეცნიერებაზე პრეტენზიას აცხადებს, საზოგადოებისთივს კი ორივე საშიშია.

5691. უტოპია მეცნიერებას არ მიეკუთვნება, მაგრამ ზოგისთვის ის გაცილებით მეტს ნიშნავს.

5692. ფუნდამენტური მეცნიერება ამოუცნობი საიდუმლოების ამოხსნას ემსახურება, რათა ახალი ცოდნის შეძენა მოვახერხოთ, რადგან მომდევნო ცივილიზაცია აქედან იწყება.

5693. ვიწრო წრისთვის ცნობილი, მასშტაბური აზროვნების მეცნიერი საშიშია, თუ ის საქმიანობს მთავრობის დავალებით და მისი საქმიანობა სხვადასხვა მიზეზით საზოგადოებისთვის უცნობია, რადგან არსებობს გამოგონების იარაღი, რომელმაც უნდა გაისროლოს კიდეც და შემთხვევით შეიძლება ეს სამყაროს განადგურების ტოლფასად დაუჯდეს.

5694. სერიოზულ გამოგონებებს მომავალში განათლებული, არასპეციალისტი დილეტანტები მოახდენენ, იმდენად დიდია „მსოფლიო გონიერების", ინტერნეტის, საინფორმაციო ბანკი და მომავალი თაობის ხალასი გონიერება.

5695. მეცნიერების კვლევის გვირგვინია მიმდინარე პროცესების ახსნა და არა შედეგების დემონსტრაცია, მაგრამ დაფინანსება მათ გარეშე გაჭირდებოდა.

5696. თავზესაყრელი ინფორმაცია ცოდნა არ არის, რადგან განათლება ნიჭის და ანალიზის შედეგია.

5697. 80 წელს გადაცილებულმა კათედრის გამგემ ამ თანამდებობაზე მრავალწლიანი მიტმასნება იმით ახსნა, რომ მას ამ ხნის განმავლობაში არცერთი ასპირანტი არ აღუზრდია, რაც მეცნიერებისთვის უდიდესი მკრეხელობაა, მაგრამ თანამდებობის შენარჩუნების მცდელობის ხერხი ფაქტია.

5698. ტექნიკური პროგრესი არის საზოგადოების ტრადიციების, საქმიანობის და მენტალიტეტის ავან-ჩავანი.

5699. ცოდნა საქმის კეთების სინონიმი არ არის, უბრალოდ, მეორე პირველის საქმეში გაყვანის მცდელობაშია.

5700. ფილოსოფოსი ცდილობს იმ მომავლის გამოჭერას, რომელიც ძველ თაობას ასე აფრთხობს და აშინებს.

5701. ფილოსოფია გამოუყენებელი რეფლექსების მეცნიერებაა, რომელიც გონიერების, გარემოს, ზემოქმედების, გაჭირვების შედეგად მოგვევლინება და რადგან ადამიანს არ უჭირს დაკარგოს მომავლის დაჭაშნიკების სურვილი, ამიტომაც რჩება ეს თავსატეხი საგანი მომავლის მეცნიერებად.

5702. ფილოსოფოსობა ან დროის დაკარგვაა, ან აზრის დაჭაშნიკება, რადგან ის არის სამყაროზე ეკოლოგიური დაკვირვებისა და უამრავად დაკარგული დროის შემდეგ მიღებული ინფორმაცია.

5703. ცხოვრება თავისებური ფილოსოფიური არითმეტიკაა ჩვენი რაობით და გაგებით.

5704. ყველა ჩვენგანი დაბნეული ფილოსოფოსია. ფილოსოფოსობა – კი, მცდელობაა დაბნეულობა არ შევიმჩნიოთ.

5705. გმირს თავისი ბიოგრაფიის აღსაწერად ფილოსოფია არ სჭირდება, მაგრამ ისტორიას მისი მატიანის გალამაზება ფილოსფიის გარეშე არ ხელეწიფება.

5706. აქამდე სული იდეალური გვეგონა, ახლა ირკვევა – მატერიალურია. ძნელი გასაგებია, რას გამოიწვევს ადამიანის გონებაში ფილოსოფიის ამ მნიშვნელოვანი საკითხის აღრევა.

5707. ცხოვრების ფილოსოფია ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი წასვლაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვახერხებთ და ამიტომაც ვითრევთ ფეხს.

5708. მეცნიერს აღიარებენ, ხოლო მსახიობს, სპორტსმენს, პოლიტიკოსს და სხვას აფეტიშებენ. პირველი აკადემიური მოვლენაა და მუდმივია, ხოლო მეორე ემოციებზე დანერგილი და დროებითი.

5709. ტალანტს და მათ შორის, კრიმინალურსაც, თავის "შტამპი" ახასიათებს და სპეციალისტების აღფრთოვანებას იწვევს. თუმცა ტალანტი თავის ხელწერის გამო მის მფლობელს ციხისკენ მიაცუნცულებს. ასე რომ, ყველა ტალანტი, მათ შორის მოყირჭებული, ბოლოს თავისებურად მოსათოკი ხდება.

5710. ფილოსოფოსია ის, ვინც დროს უსწრებს, მომავალზე ოცნებობს, ფანტაზიორობს, ძველს არ ივიწყებს, სიახლის ანალიზს არ ზარდება და მის შედეგებს ხელაწეული არ ბარდება.

5711. მეცნიერება ჭკუანაღრძობი პატარა ჯგუფის ხალხისგან შედგება, რომელთა მიზანია თავისი სიამოვნებისთვის იცხოვრონ და შედეგი სხვასაც უწილადონ, ამასთან სხვის დაყენებულ ცდებს კრიტიკის თვალით შეხედონ და გადაამოწმონ.

5712. მეცნიერებისთვის საინტერესოა, თუ ცოდვაც დიდია და იდეაც გლობალურია, რადგან შედეგის გამოყენება ხალხის პერსპექტივაა, ხოლო სიახლის ძებნით მიღებული სიამოვნება მათი საკუთრებაა.

5713. მე ძალიან მომწონს ფარდობითობის თეორიის პოპულარული ახსნა: „როდესაც ქალი გიზით მუხლებზე, გსიამოვნებთ და გათბობთ, დროც სწრაფად გარბის, ხოლო როდესაც ცხელი უთო გადევთ მუხლებზე, გწვავთ და არ გსიამოვნებთ, დროც იწელება, თორემ თეორია „ენერგია ტოლია მასისა და სინათლის სიჩქარის კვადრატისა", ბრბოსთვის ყოველთვის გაუგებარი დარჩება.

5714. იყო დიდი მეცნიერი, ღმერთის წყალობაა, შენი შრომის აღიარება, ბედის დროულად მოკითხვა შენი დამსახურებაა და სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული, რადგან განგების წყალობის გარეშე ცხოვრება შეუძლებელი გახდებოდა.

5715. ქვეყნის დანაშაულია, როდესაც მეცნიერებისთვის წილნაყარი კაცი ბიზნესს, პოლიტიკას და კარიერისთვის ბრძოლას ეწირება.

5716. თუ მეცნიერების ყველა სიახლეს საზოგადოება ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისკენ მიჰყავს, ხელოვნებაში სიახლის ძებნა ყოველთვის სულის განწმენდისთვის ბრძოლას ვერ დაიბრალებს და ზოგ შემთხვევაში ის დეგრადაციამდე დაყავს.

5717. ზოგჯერ აკრძალვა დიდ კაიფს იწვევს საკუთარი თავის წინაშე. როდესაც აკადემიკოს ხარიტონს სტალინმა აუკრძალა თვითმფრინავით ფრენა, ეს პირველ რიგში სახელმწიფო ინტერესებზე ზრუნვა და მეცნიერის უდიდესი დაფასება და პატივისცემა იყო.

5718. მეცნიერები პოლიტიკური დროის ცვალებადობას და მის გამოყენებას სერიოზულად არ უდგებიან, რათა ამ "სისულელეზე" დრო არ დაკარგონ, აგვიანებენ საქმის გარკვევას, ცხოვრების რითმში ვერ ჯდებიან და ამიტომაცაა, რომ მათ ყველაზე მეტად უჭირთ ცხოვრება.

5719. აღმოჩენასა და გამოგონებას შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ, ეს უკანასკნელი უფრო სწრაფ შედეგს იძლევა.

5720. მეცნიერება ჭკუანაღრძობი პატარა ჯგუფის ხალხისგან შედგება, რომელთა მიზანია თავისი სიამოვნებისთვის იცხოვრონ და შედეგი სხვასაც უწილადონ, ამასთან სხვის დაყენებულ ცდებს კრიტიკის თვალით შეხედონ და გადაამოწმონ.

5721. მეცნიერებისთვის საინტერესოა, თუ ცოდვაც დიდია და იდეაც გლობალურია, რადგან შედეგის გამოყენება ხალხის პერსპექტივაა, ხოლო სიახლის ძებნით მიღებული სიამოვნება მათი საკუთრებაა.

5722. მათემატიკა ის უცხო ენაა, რომელიც ყველაფერს თავის ენაზე თარგმნის და ხშირად მისი თარგმანი დედაენაზე მეტად გასაგებია მათემატიკის მცოდნე ხალხისთვის.

5723. აღმოჩენისადმი ყნოსვა მეცნიერებისთვის თავისებური უცნაურობაა და განგების უდიდესი ნაბოძებია. ის შეიძლება ბედის, გამართლების გვერდით დადგეს.

ნალოლიავები აზრები

5724. წლები მიფრინავენ, მათ კი ვერ დაიბრუნებ, განსაკუთრებით დღევანდელი დაღვინებული ჭკუით.

5725. დაუფიქრებელი გულკეთილობა არ უტოლდება დაუფიქრებელ კეთილგანწყობას.

5726. სამხრეებიანი ადამიანები ისევე თავისუფლად, უზრუნველად უნდა გრძნობდნენ თავს, როგორც მოსახლეობის სხვა ნაწილი, მხოლოდ მეტი სიწმინდე, შემართება, მზადყოფნა უნდა ახასიათებდეთ უსამხრეებო ხალხის დასაცავად, რათა აზრი ჰქონდეს მათ შენახვას და მოფერებას.

5727. აღიარების ყველაზე დიდი გარანტია საკუთარი თავის წინაშე პირნათლად ყოფნაა, რადგან კოლეგები ამას შეამჩნევენ და რეკლამასაც არ დაგამადლიან.

5728. დროთა განმავლობაში მონატრებას იწყებს „ძველი სახლის მეგობრობის" სინდრომი და აქ ასაკი არაფერ შუაშია. უბრალოდ, გონება ღვინდება, იწმინდება და გასახსენებლად რჩება ის საუკეთესო, რომელიც დიდ სიამოვნებას გგვრის.

5729. როდესაც სული ხარობს და ტანი სიამის ჟრუანტელს განიცდის, ხორცი მოითხოვს გაფრთხილებას, რადგან ის დიდხანს ვერც გადამეტებულ უსიამოვნებას და ვერც სიამეს ვერ იტანს.

5730. მთელი ცხოვრება ვვაჭრობთ ერთმანეთით და ჯერჯერობით საკუთარი თავის მოსყიდვაც ვერ შევძელით.

5731. თავის განძრევა ისე, რომ სხვას არ ავნო, დიდი ხელოვნებაა, ხოლო რომ არგო, ეს დიდ ნიჭს და შინაგან ძალას მოითხოვს.

5732. სხეულის და სულის ვარჯიში განუყოფელია, ერთ-ერთის სიზარმაცე მეორეს დააზიანებს.

5733. თავიდან ყველანი ანგელოზებზე ვქორწინდებით, მაგრამ რატომღაც ეშმაკები, ალქაჯები გვრჩება მეორე ნახევრად, ან ჩვენი არჩევანი არ არის სწორი, ან ისინი შეცდნენ ჩვენს მითვისებაში.

5734. სამწუხაროდ, სიტყვის ფასს მაშინ შევიგრძნობთ, როდესაც ხნოვანებას აღტყინების უნარი დაქვეითებული აქვს და მზესიტყვაობა გონებას სასიამოვნოდ უდუღებს.

5735. სიკვდილის დრო მაშინ გიდგება, როდესაც შენს აზრებში გარკვევას ვეღარ ახერხებ და გული გკარნახობს ძრავის გათიშვას.

5736. პიროვნულობა ავი ძაღლის როლს გვაკისრებს და გვიშლის ვიყოთ სექსუალურები, რათა სხვაც ვაცხოვროთ და ჩვენც ვისიამოვნოთ.

5737. სიმართლე ბევრია, მაგრამ არც ჭეშმარიტება ჟღერს ყოველთვის ერთადერთ სიმართლედ.

5738. სიყალბე არის ის, რაც სიკეთის კეთებაზე ხელს გაღებინებს ან დაგაფიქრებს.
5739. მეოცნებე უსაქმურისა და ურწმუნო თომას შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი ვერაფერს იძენს და მეორე ვერაფერს ქმნის.
5740. კლასიკა იწერება სულის მოთხოვნილების შედეგად და შემდეგ მოდის ანაზღაურება, ხაბა-ხუბა ნაწარმოები კი მატერიალური გამორჩენის მიზნით, რომელიც სულის საამებლად არ გამოდგება.
5741. ფანტაზია განვითარების შედეგია, ხოლო ოპტიმიზმი ყველა ჩვენგანის ადამიანური საწყისია.
5742. თქვენი ღირსების გამოყენება დანიშნულებისამებრ, ეს მავანთა პატივისცემის გარანტიაა.
5743. ბედნიერი ბავშვობის გახსენება გაჭირვების ჟამს ჩვენს სულსა და ხორცს მშველელად მოევლინება.
5744. საკუთარ პრობლემებს რომ ვაჯობოთ, გარეთაც უნდა გავიხედოთ და სხვისი გასაჭირიც უნდა გავიზიაროთ.
5745. არის ფანტაზიები, რომლის შესახებაც არ საუბრობენ, მაგრამ დიდად სიამოვნებთ ასეთ სურვილს თუ სხვაშიც, ან ეკრანზე აღმოაჩენენ და თავს სასიამოვნოდ გაქურდულად იგრძნობენ.
5746. აალებული სანთელი ხელში ისე უნდა დაიღვენთოს, რომ მისი თბილი ნაღვენთის შეგრძნებით ჩვენი ოცნების ნაწილი მიანც ავისრულოთ.
5747. ეთიკური ნორმები ზნეობა ერთია, მაგრამ პირველს გარემო გვკარნახობს, მეორეს – შინაგანი ბუნება.
5748. დილის განწყობა მთელი დღის შემართების პოტენციური საფუძველია, მშვიდი ძილის და ახალი დილის კეთილად დაწყების პერსპექტივაა.
5749. ბავშვს ყველაფრის ნება უნდა მივცეთ, მათ შორის, სიყვარულით მისი დასჯისა.
5750. სიმდიდრე ყოველთვის შიშის გრძნობის დათრგუნვაში ვერ გვეხმარება, რადგან მთავარია, რა გზით არის შეძენილი ეს ავლა-დიდება.
5751. ცხოვრების დაისზე ხვდები, რომ ყველაზე სასიამოვნო მოსაგონარი ბავშვობა და ოჯახში გატარებული წლებია.
5752. ბედნიერება ყველაზე ხანმოკლეა, მაგრამ ყველაზე სასურველი, ცხოვრების ხაბა-ხუბა რაც უნდა კარგად გვქონდეს დრო ნატარები.
5753. არის ნეტარი ოცნება, რომელსაც დროც ვერ მკურნალობს.
5754. სინაზის შეგრძნებას და დაფასებას თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება, რადგან შეძენილი ცოდნით მას ვერ გაუგეს.
5755. კეთილ სახელს საქალწულე აპკივით უნდა გავუფრთხილდეთ და მის შენარჩუნებას შევეცადოთ.
5756. საბაბი ოპტიმიზმისთვის ყოველთვის მოინახება, მაგრამ მისი რეალიზება და სწორ გზაზე დაყენებაა ძნელი.
5757. სული ხელოვნების, სიამის, იდეოლოგიის მსახურია, სხეული კი – მისი მპყრობელი, კეთილისმყოფელი, რომელიც მატერიალიზმს ემსახურება, მაგრამ სული ხორცის გარეშე რეალურს, ხელშესავლებს ვერაფერს ჰქმნის.

5758. ყალბ სილამაზეს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, ნაღდს – ღირსეული, მაგრამ ცხოვრებისთვის მოუმზადებელი.
5759. ყველას თავისი ზეციური ღვთაება უნდა ჰყავდეს, თავისი თვალთახედვა, სიხარული, სიყვარული უნდა უღიტინებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არსებობს ამქვეყნად ცხოვრების გარეშე.
5760. სხეულის აღმგზნები მისი ახალგაზრდა ასაკია, სურვილია, სურნელია და მისი შეზავება ყავლგასულ სხეულთან აუცილებელია, თუ ლაღად გინდათ იცხოვროთ და ცხოვრების ამ ნაწილს გასახსენებელი დაუტოვოთ.
5761. შენს პრინცს სინით არავინ მოგართმევს, მაგრამ მცდელობა არ უნდა დააკლო.
5762. ჯარისკაცობა სამშობლოს სამსახურში, საამაყოა, მაგრამ ლოგინში ოფიცრობა თუ არა, გენერლის ადიუტანტობა მაინც უნდა შესძლო, თუ გინდა მავანი მდედრის პატივისცემა დაიმსახურო და წინ წაიწიო, სამსახურში ჩადგე და ქვეყანას ოფიცრის რანგში ემსახურო.
5763. ვირეშმაკობას თუ გულუბრყვილობაც არ ახასიათებს, მაშინ 50 წელს გადაცილებულ ხალხს ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა ძალიან გაუჭირდებათ.
5764. „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი!" – იქნებ სჯობს შეწუხებულ სიცოცხლეს, სიკვდილი მოსვენებით, ან უპერსპექტივო სიცოცხლეს, განცხრომით სიკვდილი, რადგან საძრახისობას, სახელოვნებას, დღეს სხვა დატვირთვა, გაგება და მატერიალური წახალისება აქვს.
5765. თავმდაბლობის ღირებულებას სხვა გაგება აქვს, მისით შეიძლება მთელი მსოფლიო მუქთად მოიაროთ ისე, რომ მორიდებულიც დარჩეთ და აღიარებულიც.
5766. მაშინ ვიქნებით საზოგადოების ღირსეული წევრები, როდესაც ყველა ჩვენგანი ეცდება გვირგვინოსნები ვიყოთ უგვირგვინოდ.
5767. ნერვიულობა და ფიქრი შეუთავსებელია, ამიტომაც ზედმეტი ფიქრი უნდა გამოვრთოთ და მხიარულ ტალღებზე გადავრთოთ, თუ გვინდა არც თავს ვავნოთ და არც სხვას.
5768. ახალი გვერდის გადაფურცვლა ცხოვრებაში ყველას სურვილია, მაგრამ ზოგჯერ მაინც ადრე გამოცემული გვერდების კითხვა გვიწევს, გარემოებათა გამო ჩაუსწორებლად.
5769. სიბერე ბევრ დაუფასებელს აფასებს და გვასწავლის, მას მჩქეფარე სიყვარული აღარ შეუძლია და მოფერებით კმაყოფილდება, რადგან მათ ერთმანეთი სჭირდებათ.
5770. გადაჭარბებული კეთილშობილება ხშირად საქმეს ვნებს, რადგან საქმიანობას ორგანიზატორული ნიჭი და კეთილშობილებისთვის მიუღებელი ადამიანური მოპყრობა სჭირდება.
5771. სიბერის ჟამს, შენიანების გარდა თუ კიდევ ვიღაცას სჭირდები, ეს იმის მაჩვენებელია, რომ შენ კიდევ ცხოვრობ.
5772. მეგობრობა საქმიანი სიყვარულია და შენი სულის და შეხედულებების „პროდუქტია". აქ გონიერების და საერთო ინტერესების ძებნა კანონზომიერებას არ ემორჩილება.

5773. დაბერებაც უნდა შევძლოთ ლამაზად, მოხერხებულად, რათა, როდესაც ნამდვილად დავბერდებით, უსარგებლო არ გავხდეთ.
5774. ხანდახან ფხიანი სიტყვის გულისათვის ტყუილის თქმა ცოდვად არ ითვლება.
5775. სრულყოფილი ქმნილების მიღება ნარჩენებიდანაც შეიძლება, გააჩნია, ვინ გადაამუშავებს და ვისი გონიერი ხელი მოხვდება.
5776. თანაგრძნობა და არა – შეცოდება, რადგან ეს უკანასკნელი უფრო მტკივნეულია.
5777. ბავშვი ორის სიყვარულის შედეგია, შვილი – ამ სიყვარულის მოვლის და დაფასების გვირგვინი.
5778. ხის მარადმწვანეობას ადრე უკვდავებას მიაწერდნენ და უკვდავების რეგისტრში ატარებდნენ, დღეს კი მიცვალებულის გასაპატიოსნებლად ხმარობენ.
5779. მედლით დაჯილდოება შენი მოწოდების, აღმაფრენის, წვალების შედეგია. დრო გადის და შეფასებების იმიჯი მცირდება. ბოლოს კი ვიღაცის რელიქვიად იქცევა.
5780. თქვენ ისე არ გიყვართ, როგორც გამოხატავთ და ისე ვერ განიცდით, როგორც გიყვართ.
5781. სიბერის ბრალია თუ ხელმომჭირნეობის, მაგრამ 60 წელს მიახლოებული ადამიანი უფრო დიდი სიამოვნებით იღებს სტუმრებს საკუთარ სახლში, ვიდრე თვითონ სტუმრობს სხვას.
5782. ყველა ამბავში კარგ მთქმელს კარგი გამგები სჭირდება, თორემ ზოგიერთ რუსს მრავალჟამიერის შემოძახილში „მალო ჟრალი" ეყურება და შეშინებული მასპინძელს ეხვეწება მეტი ჭამა აღარ შეგვიძლია და ნუღარ დაგვაძალებთო.
5783. სპორტი წარმატებისთვის შოუ – ბრძოლაა, რომელსაც ქომაგებისთვის სიხარულიც და გაწბილებაც მოაქვს, თავისი ვნებებით, განცდებით, მათი სულის საამებლად და გამოსაცდელად.
5784. წარმატება ყველა ახალ საქმეში აუცილებელია, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად აღიარება მის ხარისხს არ შეესატყვისება.
5785. „უზომოდ მშრომელის" ბედნიერებაა თავისი გაგებით მართალი იყოს, თავისი და დავალებული საქმის წინაშე.
5786. სიკეთის ფორმულა ასეთია: თქვენზე მეტად გაჭირვებულს უნდა დაეხმარო და ის უცნობი ძალა, რომელიც არავის შეხვედრია, ერთხელ მაინც მოგცემს გაჭირვებიდან ამოძრომის საშუალებას.
5787. სიკეთის კეთებასაც თავის დრო, ხასიათი და მარიფათი სჭირდება.
5788. „საუღლე ხარს საშკორავში შეეტყობა", ქვეყნის სასიკეთოდ გამზადებულ კაცს – აკვანში.
5789. ყოველივე სასიკეთოს შესწავლა შესაძლებელია, თუ ირგვლივ შესაბამისი აურა გვაქვს შექმნილი და გარშემო კეთილისმდომნი გვახვევია.
5790. სიმართლეს არასდროს არ სტოვებენ მარტოს, მას ბევრი ეტმასნება და თავისებურად თარგმნის.
5791. იყო მოყვასი – ბუნების წყალობაა, თანდაყოლილია. იყო თავაზიანი – შეძენილია, წინასწარ გაანგარიშებულია.

5792. სიკეთეს არ სჭირდება მთარგმნელი. მართალია მას ზოგჯერ ცუდად თარგმნიან, მაგრამ მაინც დედანია მთავარი.
5793. თუ კაცზე ამბობენ კრამიტი დაცურებული აქვსო, ნუ ეცდებით მის ადგილზე დაბრუნებას, ამისათვის პროფესიონალები არსებობენ.
5794. ინტელიგენციას იმიტომ უწოდებენ უპასუხისმგებლოს, რომ ის არ ფიქრობს, თუ რა მოჰყვება მის მიერ ბრბოს წინაშე ნათქვამ მართალ სიტყვას და სურვილიც არ აქვს გაერკვეს ბრბოს იმწუთიერ განწყობაში.
5795. გატიტვლებულ აზროვნებასაც ჰყავს თავისი მხარდამჭერი, თუ ის სულით „ნუ-დისტია".
5796. სულიერი სიახლოვე ხშირად ხორციელის საწინდარია, მაგრამ მას თავის დროზე მიხვედრა და გამოყენება უნდა.
5797. ვინც ავია და წუნკალი, ხშირად ის მართალიც არის და ძლიერიც.
5798. ბედნიერებას მაშინ ვხვდებით, როდესაც სული ტკივილისგან თავისუფლდება.
5799. სულის საყოველთაო ზეიმია ის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ყველას ერთმანეთთან ყოფნა უნდა და ერთიმეორის წარმატებისა არავის წყინს.
5800. ყველას ჩვენი ლაზათი მიგვაქვს ამ ქვეყნიდან და ყველა ჩვენს ნალოლიავებ ოცნებას აქვე ვტოვებთ.
5801. ჩვენ გვაქვს ჩვენი ღირებულებები და ევროპული ცივილიზაციის გადმოშუშვას ხშირად ჩვენი შეგნება-მსოფმხედველობისათვის არავითარი სასიკეთო არ მოაქვს.
5802. გრძნობები სადღაც იმალებიან და გვრჩება მხოლოდ მადლიერება, რომელიც ძაღლი არ არის, ყველას კუდი გვიქნიოს, რადგან მაშინ არც გრძნობები დარჩება და არც მადლიერება.
5803. ყველა დედას ბავშვისთვის ძუძუს მიცემა ღვთაებად აქცევს, რადგან ის სიცოცხლეს ელოლიავება და უფრთხილდება.
5804. ზღაპარი გვეხმარება გადავინახოთ ბავშვობის ის ოცნება, რომელზეც დიდობაში სერიოზულად არასოდეს გვიფიქრია და ხანდახან ამ ილუზიებით სიამოვნებით ვიცხოვროთ.
5805. ბავშვობა ის ზღაპარია, რომელსაც უნდა ეცადო ძალზე არ დაშორდე, თუ გინდა ხალისი და სიცოცხლე გაიხარგრძლივო.
5806. ხანდახან სიტყვები არ არსებობს, რომ შენს სიყვარულს მიმართო და მოეფერო.
5807. ბოთლში დაბუდებული ბედნიერებაც ბედნიერებაა, მაგრამ გაგება და მხარდაჭერა აქვთ სხვადასხვა.
5808. მადლიერების გრძნობის იმგვარად წარმოჩენა, რომ სიკეთის მქნელს წილში არ ჩაუჯდეს, ერის კულტურის ნაწილია და ადამიანის დიდ ბუნებაზე მიუთითებს.
5809. იმ სიამოვნებას არაფერი შეედრება, როდესაც პატარა გაკვირვებული თვალებით გეკითხება, ამ სისულელეს როგორ მეკითხებიო და შენც მორცხვად იღიმები.
5810. თავის წარმოსაჩენად ისევ ტრადიციულ სინდისს უნდა ვენდოთ, რაც უნდა არქაულად გამოიყურებოდეს.

5811. ომი იგივე კაზინოა, სადაც ხოშის და ქვენა გრძნობების გასწორება ათასობით ადამიანს ათამაშებს და მანამ აზარტი არ უცხრებათ სანამ პასუხისმგებლობა ცხვირში ჭიტლაყს არ ამოარტყამს.

5812. გარკვეული ცხოვრებისეული დაძაბულობა უხერხულობას გვიქმნის ჩვენი სიზმრების სასიკეთოდ წარმოჩენაში.

5813. დაბერებაც მოხდენილად უნდა შეძლოთ, რათა სიმპატიები დაიმსახუროთ და არა შეწყალება.

5814. თავის შეცნობა და შეცოდება სხვადასხვა ცნებაა და სხვა განზომილებებს ემორჩილება, მაგრამ აზრი ერთია – თავი უყვარს.

5815. ყველას უნდა მოუსმინო, მაგრამ თავი არავის უნდა გაუყადრო, რადგან ხელქვეითები თავიანთ მოვალეობას და შესაძლებლობას ერთმანეთში აურევენ.

5816. ბედნიერებასაც თავისი გამოზომილი ყოფიერება და ფული ჭირდება.

5817. შენი ნაშიერი ის ერთად-ერთი ფენომენია, რომელმაც რაც უნდა გაწყენინოს, გაგწიროს, ფეხებსაც ვერ მოჭამ.

5818. საქმიან ადამიანს პირველ რიგში შეფასება ჭირდება და არა დაფასება, რადგან ამ უკანასკნელისთვის თავის დრო და წლებია გამოყოფილი.

5819. თუ თავს სხვის დაუხმარებლად არგე, ავტორიტეტს შეიძენ, თუ სხვისი დახმარებით – დაბადებული ხარ სიყვარულისთვის და დროა დაიწყო თავის დამოძღვრა.

5820. ნამდვილი მეგობარია ის, ვისაც ჯერ არ შეუფასებიხარ, არ იცის რისთვის გცემს პატივს და რატომ უყვარხარ.

5821. კარგია, როდესაც მეგობრები ერთმანეთს დაბადების დღეზე და დღესასწაულებზე ხვდებიან, ხოლო ჩვენი მტრები – ყავარჯნებით საავადმყოფოში. მაგრამ როგორ გინდა ამდენი ხიფათის მონახვა მათთვის, რომ კისერი მოიტეხონ?

5822. ძნელია სხეულს მუდამ ასიამოვნო, თუ გონება ერთჯერადი აზროვნებისთვის გაქვს განკუთვნილი.

5823. შენი საქმის გრძნეული რომ იყო, განგების მადლიც უნდა წაგეცხოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შანსი გაქვს იყო შენი ხელობის პოეტი, მაგრამ ჯადოქრობის გარეშე.

5824. სიმართლე სუფთა სპირტს ჰგავს, მისი გაუზავებლად შესმას ცოდნა და დაფასება ჭირდება და ყველასთვის არ შეიძლება.

5825. სწრაფვა რაღაცისკენ აუცილებელია, თუ გინდ არ გამოგდიოდეთ, მაგრამ სურვილი, შეუპოვრობა თავისას მაინც გაიტანს, რომელიც გაგაამაყებთ და სხვა მისწრაფებასაც გაგიჩენთ.

5826. მეგობრობა ბაღში არ იზრდება და არც სუფრაზე ღვინოსავით იღვრება, მაგრამ მისი საწყისი მაინც შენი გარემოა, სულის მოთხოვნა და დაუყვედრებელი სამსახური.

5827. რა სჯობს: ფულისთვის თუ სახელისთვის ჩადენილი გმირობა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტი ერთია, გაკეთებული სამუშაო ანაზღაურებას ექვემდებარება,

სახელმწიფო მენტალიტეტის და მისი რეალური ეკონომიკის შესაძლებლობის შესაბამისად.

5828. უგუნური ქვეყნის მხედრების უბედურება ის არის, რომ დოღის ცხენს სულ უფრო და უფრო უჭირს სიმაღლეების დაძლევა და მხედრის ზურგიდან გადმოგდება, თუ სადმე ფეხი არ წაიტეხა.

5829. სხვისი გარემო ბატარეებზე მომუშავე მიმღებს გვაგონებს. საკუთარ სახლში მუდმივ ხაზში ხარ ჩართული და თავს იმედიანად გრძნობ თუ არ გიმუხთლეს და გაუფრთხილებლად არ გამოგირთეს.

5830. „დაუბანელი" რუსეთის და „გიჟვრაცუა" საქართველოს ხალხი ერთმანეთთან სიამტკბილობით მეზობლობენ, მაგრამ მათი ამბიციური, ვირეშმაკა მთავრობები ურთიერთგაგების სურვილს მოკლებულნი არიან, რადგან „დაუბანელი" „გიჟვრაცუას" თავის უმცროს ძმად მიიჩნევს, ხოლო ეს უკანასკნელი ვერავის უფროსობას ვერ იტანს, თუ მის მთავრობას მუქთად არ აფინანსებენ.

5831. ყველა ქვეყანა ზრდის თავისთვის სახელმწიფო ბანდიტებს, რომლებიც გარეგმოებათა გამო სახელმწიფოთა შორის საერთო ენის გამონახვის შედეგად შეიძლება აღარ დასჭირდეთ და მათ მოშორებას შეეცდებიან. ამიტომაა საჭირო გონიერება, რომ ბოლომდე არც არავის ენდო და რაც არავინ იწამო, რათა განტევების ვაცის როლი არ გაათამაშონ.

5832. "მერსედესი" და ძმანი მისნი, მსუბუქი ავტომობილები, იგივე ლამაზმანებია, რომლებიც თავისი კეკლუცობისთვის, მომსახურებისთვის და სიამოვნების მონიჭებისთვის გარკვეულ თანხას თხოულობენ.

5833. ბაღში გადარგულ შუახნის ხეს, დროდადრო ყველა აღტაცებით და გაოცებით უყურებს და უკვირთ, საიდან გაიზარდა ამხელა, როდესაც მასზე არც არავის უწერია და არც რეკლამა არავის გაუწევია. ამ ხის გახარებას ნიჭი, მატერიალიზმი და ჩუმი კაიფი ჰქვია, რომელიც ბევრისთვის გაუგებარია.

5834. მთავარია ვიცოდეთ რა გვინდა, დანარჩენი ჩვენი თავხედური ნიჭის საქმეა.

5835. მანქანა, რომელსაც შეუძლია თავად იფიქროს, იმედია, ხვალ უხიაგ ხალხს ფიქრს აუკრძალავს.

5836. ცხოვრება სულ სხვა რამ არის და არა ის, რაც ჩვენ გვგონია და რაც ჩვენ წინამორბედებს ეგონათ.

5837. ავტორიტეტი იმიტომ არის საჭირო, რომ ყველა უგვანომ კითხვა არ დაგისვას, არ გათავხედდეს და არ შეგედაოს.

5838. ზოგიერთი სარწმუნოება ღმერთის სახის ხატვას კრძალავს და ალკოჰოლურ სასმელს რეკომენდაციას არ აძლევს, შედეგად მხატვრობა არ განვითარდა და სასმელით თავის გაბრუება ნარკოტიკით შეიცვალა. ორი საღი დოგმის მიუხედავად, შედეგი საპირისპირო მივიღეთ, რადგან სამართლიან გაანგარიშებაში ადამიანის სისუსტეები და მისი ბუნება არ იყო გათვალისწინებული, რაც რწმენის რევიზიის დასაწყისია.

5839. მე მოწმე ვარ ჩემი საუკუნის ორომტრიალის, სხვა – თავისის, მაგრამ ჩვენი ნანახის ერთ აზრზე დაყვანა არ ხერხდება და ყველა მხარე თავისებურად აწბი-

ლებს ისტორიას. ხოლო ეს უკანასკნელი, დროთა განმავლობაში მემატიანეთა მონაწილეობის გარეშე, საშუალო სიმართლეს გამოიყვანს და ისე წარუდგენს მომავალ თაობას განსასჯელად.

5840. სისხლს ექიმიც ადენს და ჯალათიც, მაგრამ მათი საქმიანობის მიზეზი სხვადასხვაა, ქვეყნისთვის გამოსადენი სისხლი ყველასთვის ერთია და ყველამ თანაბრად უნდა გაიღოს და არ ეცადოს სხვის ხარჯზე ხელი მოითბოს.

5841. სუსტი ქალების დრო უმოწყალოდ გარბის და უნიათო კაცებისა გვიახლოვდება, რას იზამ, ცივილიზაციას და თანასწორუფლებიანობას თავისი რეკეტი ახლავს და თავის ხარკს ითხოვს.

5842. მართალია ტირანია ბრბოს სიმახინჯეზეა აგებული, მაგრამ ქვეყანა ქაოსიდან გამოჰყავს და თავისი გაგებით მოწესრიგებულს, ისევ პოლიტიკურ ბორდელში აბრუნებს მოუწესრიგებელი დემოკრატიული სიმახინჯის წარმოსაჩენად, რადგან ტირანი უკვე მიიცვალა ან ცხოვრებამ განაჩენი უკვე გამოუტანა.

5843. დამამშვიდებელი ენერგეტიკის წარმომადგენელია ვერცხლი, რომელსაც მოძღვარი ეკლესიაში იყენებს, ხოლო აღმაფრენისაა – ოქრო, რომელსაც ბიზნესმენი ბანკში ინახავს. ასე, რომ ამ ორი ენერგეტიკის შერწყმაა ცხოვრების აზრი.

5844. კაცობრიობის ისტორია უფრო ბოროტებასთან არის ნაზიარები, ვიდრე სიკეთის კეთებასთან, რომელსაც იმქვეყნად გადაბარგების წინ იხსენებ და შენი ნამოქმედარით, ცოდვებით თავი პატარა ბოროტების მკეთებლად წარმოგიდგენია.

5845. ძალაუფლების შენარჩუნების ფორმულაა: საკითხის გაუმწვავებლად გადაჭრა, კომპრომისებზე წასვლა, ეკონომიკური ბერკეტების ძებნა და ხალხის დასანახად ყოველდღიურად მათზე ზრუნვა.

5846. სიცოცხლის ნაკლი ის არის, რომ ასაკის მატებასთან ერთად უფრო ცოდვილნი ვხდებით, სიკვდილის ბედნიერება ის არის, რომ ცოდვებს წერტილი ესმება და დავიწყებას მიეცემა. მაგრამ ვინ იცის, რამდენად მისაღებად გამოიყურება ჩვენი ჭკუის ეს ნაცოდვილარი.

5847. ნიჭი თუ საზრიანობა? პირველი ხალასი ბობოქარი გაურკვევლობაა, მეორე შემოქმედება, შედეგიანი მომხიბვლელობით, მიუხედავად ამისა, ნიჭი აღგვაფრთოვანებს, თავს გვამახსოვრებინებს, ხოლო საზრიანობა სასიამოვნო დავიწყებას ეძლევა.

5848. ვინც ვითომ სამყაროს კანონზომიერებაში უკეთ ერკვევა, ის ყურებჩამოყრილია და გაფაციცებით შეჰყურებს ქვეყნის მომავალს.

5849. ტყუილის თქმა საჭიროების ჟამს ყველას უნდა შეგვეძლოს, მაგრამ აუცილებლობის გარეშე არ უნდა ვიკადროთ.

5850. დროიდან გაქცევა გვაიძულებს ვიყოთ ენთუზიასტები, რათა ჩვენი გონიერებისთვის შესაფერისი საქმე მოვნახოთ.

5851. როდესაც მეგობრები ძალზე გვაქებენ, ან ვბერდებით, ან ჩვენგან რაღაცის გამოდნობა კიდევ შეიძლება.

5852. იცხოვრო – დიდი ბედნიერებაა, იარსებო – არც ისე დიდი ბედენაა, მაგრამ უბედურებად მაინც არ ითვლება.

5853. ჭკვიანი კაცი კრიზისსაც თავის სასარგებლოდ იყენებს, თუ იცის ქვეყნის მმართველთა ვირეშმაკობანი.
5854. მიუხედავად შესაძლებლობებისა, ზოგს გამარჯვების სურვილი არა აქვს და ჩრდილში ყოფნას არჩევს, რადგან ყველა წარმატების ნაკლი ისაა, რომ მისი დევალვაციის პროცესიც დაიწყება და სხვის დასანახავად ეს უფრო ძნელი ასატანია.
5855. დადგება დრო, როდესაც დავფიქრდებით, რათა გავერკვეთ, რამდენად სამართლიანი ვიყავით თავის წინაშე და რამდენად ემთხვევა ერთმანეთს განვლილი ცხოვრება და ჩვენი სამართალი.
5856. ხათრიანობა თავის დაუცველობაა, რითაც სარგებლობენ ზოგიერთები და ცდილობენ ზურგზე მოგექცნენ, ამიტომაც ხათრიანობა და სიკეთის კეთება სხვადასხვა ცნებაა, რადგან ეს უკანასკნელი გონიერების, თავისადმი მიყენებული სიამოვნების შედეგია და არა ხასიათის.
5857. არიან ისეთები, რომლებმაც ბრწყინვალედ იციან ლაპარაკი, არიან ისეთებიც, რომლებიც ბრწყინვალედ მუნჯდებიან. ეს ორი უკიდურესობა იმითაც არის საინტერესო, რომ მათი შეხვედრა საქმიანი ურთიერთობით მთავრდება.
5858. როდესაც შენი ამქვეყნად მოვლინება არავითარ სატრაბახოს არ იძლევა, იძულებული ხარ წინაპრების და ნაცნობების სიმარჯვით მოიწონო თავი.
5859. როგორც არ უნდა ვითვალთმაქცოთ, ზოგჯერ ჩვენს უხიაგ ბუნებას ვერ ვაჯობებთ და მაინც გამოვავლენთ თავს.
5860. ყველაზე ძნელიც და ადვილიც შენი სინდისის წინაშე გარკვევაა, მხოლოდ ერთის პირობით: ვინ ხარ შენ თვითონ?
5861. ჩვენ ვნანობთ არა იმ ცოდვებს, რომლის ჩადენაც მოვახერხეთ, არამედ იმასაც, რაც ჩაფიქრებული გვქონდა და რაც ჩვენდა უნებურად უნდა ჩაგვედინა.
5862. აღზრდის დროს მთავარია ის წამი არ გამოგვეპაროს, რომელსაც პიროვნებად ჩამოყალიბება და პირველი ალიყურის გაწნის უფლება ჰქვია.
5863. საკუთარ გრძნობებზე მაღლა დგომა ძალზე ძნელია, მაგრამ თუ ეს შესძელით, მაშინ შეგიძლიათ თქვათ „თავდავნატრიო".
5864. იმ საქმით გარჯა, რომელიც ხელგეწიფება, უდიდესი სიხარულია, საღვთო გზაზე დგომის ტოლფასია, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ბევრს არც ესმის და ვერც აფასებს, რადგან მან არც გართობის ფასი იცის, არც შრომის და ცხოვრებასაც უმიზნოდ ფლანგავს.
5865. ცივილიზაცია თავად გვკარნახობს განვითარების და გარყვნილების გზებს, მაგრამ არჩევანის უფლებას არ გვისპობს.
5866. სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ძვირი სინდისის ყიდვაა, რომლის ღირებულებაც შეფარდებას არ ექვემდებარება.
5867. სიამოვნება ბევრ ისეთ რამეზე თვალს გვახელინებს, რასაც უსიამოვნების დროს ვერ ავიტანდით.
5868. პროფესიონალი და დაქირავებული ჯარისკაცის მომზადების ხარისხი ერთნაირია, მაგრამ მისწრაფებაა სხვადასხვა. პირველი თავის ხალხს, ქვეყანას იცავს, მეორე – დამქირავებელს, პირველი ქვეყნის მტრებს ანადგურებს, მეორე – მოწი-

ნააღმდეგეებს. ამრიგად, ნდობის საფუძველი სხვადასხვა აქვთ, მაგრამ შედეგი ერთია.

5869. ორი უსაქმურისთვის ყბედობა და ოცნების მორევში ცურვა დიდი იმედის მომცემია, სანამდის მოშივდებოდეთ.

5870. ყველა ჩვენგანი უნდა ეცადოს, რომ მომხიბვლელი ქალი, ლამაზად გამოთქმული აზრი და ფრთიანი სიტყვა მიისაკუთროს.

5871. "ჯიპში" ორი აზრი დევს: ფართო სარგებლობის ავტომობილი და საერთო სარგებლობის ქალიშვილი. ასე რომ, სიტყვა "სარგებელი" ორივე შემთხვევაში გათვალისწინებულია.

5872. ჩვენი ხელგაშლილობის გამო ვიძლევით რჩევებს და არა – სახსრებს. სულ საწინააღმდეგოდ მოვიქცეოდით, ჩვენს რჩევებს რაიმე ღირებულება რომ ჰქონდეს.

5873. ყველა ანომალია ადამიანის ნიჭის გამოხატვის ბერკეტია, სასიკეთოდ გამოუყენებელი იქნება თუ არა, ეს სულერთია, რადგან ნიჭი ნიჭია.

5874. წესრიგი – ეს მშვენიერებაა, სილამაზეა, გონიერებაა. აბა, წარმოიდგინეთ მშვენიერი ქალის ჩვენება ბრბოსთვის, ხელოვნების ქმნილების უდაბნოში გამოფენა, ჭკვიანური აზრების თქმა უადგილო ადგილას, ვთქვათ, შენს მოწინააღმდეგე პოლიტიკოსებთან.

5875. ფასეულობების გადახედვა გარკვეული დროის განმავლობაში შესაძლებელია, მაგრამ მისი ძირფესვიანად შეცვლა საჭირო არ არის-არ ამართლებს.

5876. გაჭირვება არ იძლევა საშუალებას პრინციპულები ვიყოთ, ხოლო სიღარიბე მას მთლიანად გამორიცხავს.

5877. მეგობრობა ვერ იტანს დაუდევრობას, პრეტენზიულობას, უყურადღებობას, ამბიციურობას, შურს, ანგარებას, სიხარბეს, დანაპირების შეუსრულებლობას, სიცრუეს, ღალატს და ათას ამგვარ უხიაგობას.

5878. ცხოვრება მოძრაობაა, სალაფავზე ყოველდღიური ფიქრი და ყბედობა, ყბედობა, ყბედობა.

5879. ზოგი საკუთარი სინდისის ხმის მოსმენას ცდილობს, მაგრამ ვერაფერს ხდება, რადგან მას არც ერთი საინფორმაციო არხი არ გადასცემს და იძულებულია მთელი ცხოვრება სინდისის გარეშე იცხოვროს.

5880. უფლებას, იდგე სცენაზე, ტრიბუნაზე, ოჯახის თავში, სახელმწიფოს უხელმძღვანელო, ამას დამსახურება, აღზრდის სისტემა, საქმისადმი სიყვარული და სწრაფვა სჭირდება.

5881. ხანდახან გამარჯვების უმტკივნეულო ყიდვა საჭიროა, რადგან ყოველთვის ბრძოლით მოპოვებულ წარმატებას სიხარული ვერ მოაქვს, იმდენ ძალას, მომზადებას, ნერვების დაწყვეტას, წვრთნას და თავის გვემას მოითხოვს.

5882. თუ არ შეუძლია მეორე იყოს, ეს ყველა საქმეში მისასალმებელია, მათ შორის ცუდშიც, რადგან ბრბოსთვის და სენსაციის მომწოდებლისთვის ეს კარგა მოზრდილი ლუკმაა.

5883. დემაგოგია ფილოსოფიის შავი იუმორია, რომლის ნამდვილი გაგება ჭირს, რადგან შედეგები აქვს სათუო, ამასთან ძნელი დასაჯერებელია, რომ ჭეშმარიტებას ემსახურება.

5884. საწყალი "ჯიშიანი ძაღლები", რა თვალით უნდა შეხედონ თავიანთ უჯიშო, უმადურ პატრონებს, რომლებსაც იმის თავიც კი არა აქვთ, რეკლამირებული ძაღლის საკვები და მოდური ტყავის ყელსაბამი შეუძინონ, ამ უნიათო ხალხის მაღალ საზოგადოებაში გამოსაჩენ მედალოსან ძაღლებს.

5885. სიკვდილი მაშინ გიახლოვდება, როდესაც გარდაუვალად ხედავ წყნარი ცხოვრების მოახლოებას სხეულის ჭრაჭუნით.

5886. ზოგი ბუნებით ისეთი მოწამლული და უხიაგი კაცია, თავისი ნერწყვი შემთხვევით რომ გადასცდეს, მოიწამლება.

5887. ამბობენ ადამიანს ახალგაზრდობა ალამაზებს და ქალაქებს – სიძველეო, მაგრამ არც ახალგაზრდა ქალაქები გამოიყურებიან ულამაზოდ, თუ მათ გამოცდილი და ნიჭიერი არქიტექტორები დააგეგმარებენ.

5888. უნდა ვეცადოთ პრობლემები არ შევიმჩნიოთ და შეიძლება ის თავისთავად გაქრეს, თუ ეს ასე არ მოხდა, ნერვების აშლას ხომ გადავურჩებით პრობლემის წარმოშობის პერიოდში.

5889. პოლიტიკა და ძალაუფლება ყოველთვის იყო განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული საშიში ვიგინდარას ხვედრი.

5890. შიმშილი ძნელი გასაძლებია, მაგრამ სულის შიმშილს არაფერი შეედრება.

5891. როდესაც სცენაზე საზოგადოების გაჭირვებას აჩვენებენ და მსახიობის თამაში ხალხის მოწონებას იმსახურებს, მაშინ მსახიობი ავანტურისტია, ხოლო მისი შემყურე ხალხი – მაზოხისტი.

5892. ყველა დიქტატორს ერთი დედა ჰყავს, მაგრამ მამაა სხვადასხვა, რადგან ისტორიას და დროს ერთი უფრო კეთილშობილად ეჩვენება, ვიდრე მეორე.

5893. ტალანტი თავისებური მადანია, სადაც შენი ნიჭის გამოსაფენად უამრავი ნაგვის გადაქექვა გჭირდება.

5894. ცივილიზაციის სიმხეცე თავისი შესაძლებლობით ყველა ბოროტებაზე უმეტესია.

5895. მხოლოდ სულელები იტანჯებიან იდეისთვის და ისეთი სექსისთვის, რომელიც არაფერს გვავალდებულებს. როდესაც ყოველივე ამას გაითავისებენ, პირველნი ურწმუნონი და მეორენი ვიგინდარები ხდებიან.

5896. ყოველთვის კმაყოფილი ვერ იქნები შენი საკუთრებით, თუ შენ ამ დარგის პროფესიონალი არა ხარ, იგი ყოველთვის დოტაციას მოითხოვს.

5897. ყველაფერს თავისი დრო, ასაკი და სილაღე სჭირდება, დაგვიანებულად რაიმეს კეთება ნაძალადევია და თავის გამოჩენის და ახლობლების განსჯა-განჭვრეტის საგანი ხდება.

5898. სათუთი საქმე უროს ქნევით არ კეთდება, მაგრამ არც ჩაქუჩის კაკუნით გამოდის რამე, თუ მას ცოდნას და გამოცდილებას არ მოვახმართ.

5899. სიკვდილი ხელგაშლილი ატრაქციონია ობივატელისთვის და გმირობის ჩადენის მეოცნებე იდიოტისთვის.
5900. გრძნობებს სულიერი სითბოთი უნდა უმკურნალოთ, ხოლო სულს – გრძნობების გაფანტვით.
5901. იდეოლოგია სულიერი სამყაროს დონორი და ძალაუფლების ფარული იარაღია.
5902. ბევრი ჭკვიანი იდეა იბადება და იწერება, მაგრამ ყოველთვის გამგები არ ჰყავს, ამიტომ ყოველივე პროგრესული იკარგება და თავიდან აღმოსაჩენი ხდება.
5903. პატიოსნებას, სიკეთეს, სიმართლეს თავისი საზღვრები აქვს, მისი დარღვევის მცდელობა სულს ვნებს, ხორცს კი რყვნის.
5904. როდესაც ცხოვრება ჭირს, არავის აინტერესებს, რა არის კარგი და რა ცუდი, მიუხედავად იმისა, რომ კუჭის ამოსაყორად ყველაფერი გამართლებული არ არის.
5905. გვეყოფა ისტორიის უკან ჩანჩალი და კუდის აწევა, დროა არქაულობის მენტალიტეტი მოვიშოროთ, მის უკანალში თავი შევყოთ, წინა რიგებში გავფხაკურდეთ, რათა ისტორიამ ჩვენს უკან ითოხარიკოს.
5906. ქალისა და ხალხისადმი მკაცრად მოპყრობა სიმპათიებისა და სიყვარულის მომასწავებელია და ამ მორალს საუკუნეობით ინახავენ და აფეტიშებენ.
5907. თუ თვეებს ტოტებს დავაჭრით, საამურ დღეებს დავიგრძელებთ და ცხოვრებას გავიხანგრძლივებთ.
5908. ვაი-პატიოსნება, ვაი-სირცხვილი და მრავალი სხვა "ვაი", ყველა ვაი-ჭკუის შედეგია.
5909. დიდი პიროვნებაა ის, ვინც კარიერის დაკარგვას ყურად არ იღებს და ყველაფერს თავიდან იწყებს ხალისით და უსაყვედუროდ.
5910. ნიჭი სხვაა, გონიერება – სხვა. პირველი გონიერებას არ თხოულობს, მეორესთვის ნიჭის ელემენტები, ინფორმაცია, გამოცდილება აუცილებელია.
5911. სიძნელეების დასაწყისი, გაჭირვება ერთგულების დევალვაციის, გაკოტრების პირდაპირპროპორციულია.
5912. საქმე, რომელიც ადვილად გამოდის, არ ჩანს, რადგან მასში იმდენი ნიჭი, შრომა და ბედის წყალობის წილია ჩადებული, რომ შედეგს ვეღარც ვამჩნევთ.
5913. ნაკლს და მისი „თამასას" ყველას თავისი წილი აქვს, ხოლო ვის რა სიმაღლის აღება შეუძლია, დამოკიდებულია გარემო პირობებზე და დარჩენილ სინდისზე.
5914. ჭეშმარიტება ყოველთვის გვერდითაა, მაგრამ მთავარია ვის და რისთვის სჭირდება, ან საერთოდ სჭირდებათ კი?
5915. იცხოვრო ისე, როგორც გინდა და დარჩე სუფთა, დიდი ნიჭია, მაგრამ უფრო მეტად ამ ნიჭით ისინი აღფრთოვანდებიან, რომლებმაც იციან როგორ არ უნდა იცხოვრონ.
5916. სილამაზე სიკეთის, აღიარების, მოფერების გარეშე კვდება და მას თუ ვერავინ ამჩნევს, ამ საზოგადოების საქმე მთლად კარგად არ არის.
5917. „ბუნტი" თავისებური გაგება, უსინდისობა, კეთილგანწყობაა, ხანდახან გონიერებაც – პირველ რიგში საკუთარი თავის წინაშე.

5918. კრივში და ცხოვრებაში ერთი გადამჭრელი საბოლოო დარტყმაა მთავარი, რომელსაც ნოკაუტი ჰქვია, დანარჩენი, მუშტებით ფარიკაობა, თვალის სეირია.
5919. ვარდები ჩვენთან სუნით და ფერით საუბრობენ და ჩვენს ინსტინქტს, შემეცნებას თავისი მომხიბვლელობით ატყვევებენ, ხოლო ვინც ამას ვერ გრძნობს, ეკლით ჩხვლეტენ.
5920. პროფესია ის არის, რაც შენს სულს შეიერთებს და ბევრ სარფიან საქმეზე უარს გათქმევინებს.
5921. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი ჯარი უფრო საშიშია სამხედრო სასწავლო მანევრებისას, ვიდრე ომიანობის დროს – ის მაშინვე ნებდება.
5922. სიკეთე მადლიერების ტემპერატურის საზომია, ოღონდ სიცოცხლის დაისზე.
5923. არაფერი არ არსებობს ისეთი, რომლის მოთმენა, გადაწყვეტა, მოთარგმნა არ შეიძლებოდეს, ისე რომ ზედმეტად არ შეგვამჩნიონ.
5924. სინდისი ის შეუცნობელი შინაგანი საქმეა, რომელიც ყოველთვის გვაფრთხილებს, ვიღაცა ზევიდან გვითვალთვალებსო.
5925. სირცხვილსა და უსირცხვილობას შორის ის მსგავსებაა, რომ ორივე მანტოშია გახვეული. მხოლოდ ერთი – სიამაყის, მეორე – სიბრიყვის.
5926. არის წარმოსახვითი პრინციპები, რომელსაც დღევანდლობასთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ იმდენად დიდია ამ პრინციპების შთაგონება, რომ მას წარმატებით იცავენ.
5927. ზოგის სოციალური მდგომარეობა იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა სოციალური დონის სუფრაზე მოიპოვებს ჯდომის უფლებას.
5928. ბედნიერება რომ არ დაობდეს, ხანდახან სიძნელეების შექმნა სჭირდება, რათა ახლებურად შეიგრძნონ მისი სიამე.
5929. სულის „პროსტიტუციას" ვერანაირი სხეულის გარყვნილება ვერ შეედრება, იმდენად დიდია ამ გადაგვარების შედეგი.
5930. სული სავსეა დაკარგული და შეძენილი გაელვებებით, რომელსაც მატერიასთან არაფერი ესაქმება.
5931. მხოლოდ უსასრულობას არა აქვს დროის მრიცხველი, დანარჩენი ყოველივე დროში იწვის.
5932. მოთმინება დიდი სიმდიდრე, ხელოვნება და გონიერებაა, თუ მისი პრაქტიკული გამოსავლიანობა ჩვენს ხელთაა.
5933. ჩვენთვის მიუღებელი გაუგებრობის გაგება არავითარი სიკეთის მომტანი არ არის.
5934. ბედნიერების ფორმულა შინაგანი ურთიერთგაგებით იწერება.
5935. გული ჩვენი სულის და სხეულის ყველაზე ემოციური ლაკმუსია და მის ფეთქვაზეა დამოკიდებული ჩვენი ამქვეყნად ხარისხიანად ყოფნის სერენადა.
5936. ძალზე ნიჭიერები, მათდა საბედნიეროდ, დიდებული იდიოტებიც არიან, რადგან ამ ქვეყანას თავისი სათვალთვალოდან უყურებენ.
5937. ბუნებრიობა დიდი მადლია, მაგრამ ყველას ხვედრი და განსასჯელი არ არის.
5938. სიბერე იგივე მებრძოლი მამალია კასტრირების შემდეგ.

5939. ცრურწმენა გონიერების და ნერვების მუქთა ცვეთაა.
5940. თვითმფრინავით მგზავრობა დროს ამცირებს, მაგრამ შიშის ფაქტორს ვერ გვიხსნის.
5941. ლოგიკა მაშინ გამოყოფს თავს, როდესაც ურემი უკვე გადაბრუნებულია.
5942. უცნობი ქალიც მოგვწონს და კაციც, გაცნობის შემდეგ მოწონება კმაყოფილებით გვეცვლება, უარესნი რომ არ გამოდგნენ.
5943. სულის შენახვა და მოვლა-პატრონობა გაცილებით უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე სხეულის.
5944. მწიფე ყველაფერი კარგია, სანამ ლპობას და ამყრალებას არ დაიწყებს.
5945. ჩვენი წინაპრები არ ფიქრობდნენ, ისინი ინსტინქტებით მოქმედებდნენ, დღევანდელობა ბევრს ფიქრობს, მაგრამ უპირატესობას, მისდაუნებლიედ, მაინც ინსტინქტებს ანიჭებს.
5946. ენის ამოდგმა და მჭევრმეტყველება სულს ინახავს, ხელის განძრევა და მუყაითი შრომა – სხეულს.
5947. ჭეშმარიტების მჭევრმეტყველებით დადგენა ძნელია, ის უფრო ძალის პრეროგატივაა.
5948. ზოგიერთისთვის სამუშაო სიცოცხლის ელექსირია, ზოგისთვის სიკვდილის ტოლფასი, მაგრამ მამაზეციერი ყველაფერს აწესრიგებს, უსაქმურებს ერთფეროვნება და საყვედურები სწყინდებათ. მათი ინიციატივით ქვეყნად არეულობა იწყება და სამშობლოს მხსნელ ჯარისკაცებად გვევლინებიან, ბეჯითებს თავსაც აყვედრიან და საპატიო შენახვასაც ავალებენ.
5949. ნორმალურ ქვეყანაში, ვისთვისაც ერთი ბატის ჩაბარებაც კი დანაშაული იქნებოდა, დღეს ათასნაირ ასოციაციებს, პარტიებს, საზოგადოებებს ჰქმნიან და სულ ვიღაცას რაღაცას ედავებიან, ჭკუას ასწავლიან. საკმარისია ყეყეჩს საქმე მიანდო, ისევ შენგან მოითხოვს საქმის კეთებას და უგუნური თავის მართლებაც გამზადებული აქვს.
5950. საფრანგეთში თუ სასაფლაოს მიწის რენტას არ გადაიხდი, შენი წინაპრის ძვლებს ამოყრიან და მიწას სხვას მიაქირავებენ, რის შედეგადაც ამ ქვეყანაში სასაფლაოების რაოდენობა არ იზრდება. ერთი შეხედვით ველურ კანონს, თავისი გამართლება აქვს, ან ღირსეული შთამომავალი უნდა დატოვო, ან ის პიროვნება იყო, რომ შენ საფლავს გაუქმება ვერ აკადრონ და სიკვდილის შემდეგ სახელმწიფოს ხარჯზე იარსებო.
5951. დაკვირვებული თვალისთვის ღიმილი ბევრად მეტია, ვიდრე თვით მომღიმარი, მაგრამ საქმეში მაინც წესიერება, ინტერესები, შედეგია აუცილებელი და არა გამოუცნობი ღიმილი, რომელსაც პარტნიორები ასე დაუმადლებლად უნაწილებენ ერთმანეთს საქმის დაწყების წინ.
5952. ყველა ქვეყანას ჰყავს ნაგავი ინტელიგენცია, თავის მომეტებული ამბიციებით, ყბედობის შესაძლებლობით, რელიეფური განათლებით და რეალური ცხოვრების უვიცობით, რომელთა სურვილია ქვეყნის საჭესთან ჯდომა და თავის მოწონე-

ბა. საკმარისია მას მისცეთ ამ მანქანის დაძვრის უფლება და ქვეყნის ავარიაც გარანტირებულია.

5953. ფრანგებმა მოდად პარიკი და სუნამო იმიტომ შემოიღეს, რომ მომრავლებული რწყილები, ტილები დაემალათ და დაუბანელი ტანის სიმყრალე დაეფარათ, რადგან ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჰიგიენა მათ დაასნეულებდა, მაგრამ დღევანდელ ხვადებს რა რწმენა აიძულებს შეღებილი გრძელი თმა – წვერი ატაროს, ყურები გაიხვრიტოს, ძვირფასეულობა აისხას და კეკლუცობაში ქალებს გადაამეტოს?

5954. უძლიერესი იმპერიების დაშლის მიზეზი ფუფუნებაში ცხოვრება და მისკენ მიმავალი გზების ძებნა, ბუნების კანონების ერთმანეთში აღრევა და მორალის უკუგდება იყო. სიმდიდრით, ძალაუფლებით გაყოყოჩებული მოქალაქეები, თავისუფლების დოგმით ყველა თავის ქმედებას ამართლებენ და სახელმწიფოს ინტერესები ფეხებზე ჰკიდიათ, ამერიკელი აბორიგენები თავის ქვეყანას დაიბრუნებენ, თუ ისინი ამქვეყნის ორომტრიალში, აშშ-ში ჩამოსახლებულ მოსახლეობასთან არ გაითქვიფებიან და თავიანთი წინაპართა მორალით იცხოვრებენ.

5955. ზოგს თავისი ამქვეყნად მოსვლის აუცილებლობა, სხვისი დაჩაგვრის ხარჯზე უნდა რომ დაამტკიცოს, მაგრამ ის ავიწყდება, მასზე ზევით მდგომი იერარქიული კიბის ბინადართ უფრო დიდი სურვილი აქვთ მისი დამცირებისა, რადგან ისინიც იმავეს დამტკიცებას ცდილობენ.

5956. წინათ ხალხი ღარიბი იყო, მაგრამ სულით – მდიდარი. დღეს სულით გაღარიბდა, სხეულიც გაამათხოვრა. ყველა მუცლის ამოყორვას ცდილობს და გამოცარიელებულ ტვინის უჯრედებს რაღაცა ნაგავით ავსებს. წინა თაობების ამ გამოცდილებას მომდევნოები ჭკუის მოსახმობად ვერ იყენებენ და არც ცდილობენ.

5957. სათუო მეგობრობა, თუ ამის შესახებ ორივემ იცით, იმით არის მომხიბვლელი, რომ გარეგნულად ერთმანეთს კარგად ეპყრობით, თუ საქმე გამოვიდა, ხომ კარგი, თუ არა და არც ერთმანეთის გწყინთ.

5958. მართალია, ჩვენი ცხოვრების ყვავილები და იმედი შვილებია, მაგრამ მშობლებმაც თავს უნდა მოუარონ, გაუფრთხილდნენ, რადგან საპყარის პატივისცემა მოვალეობაა და არა მისწრაფება.

5959. საზოგადოებას ევოლუციის გასავლელად წინასწარი მომზადება და მეზობელი ხალხის წარმატებისადმი შური სჭირდება.

5960. მაწანწალა ლოთი ფიქრობს, რომ თრობა და უსაქმურობა მისი პრეროგატივაა და მას ამ საქმეში მთავრობაში მოხვედრილი ზოგი ვიგინდარა ეცილება.

5961. გაუგო და ეჭირისუფლო – ამ ორი რამის გაიგივება არ ივარგებს და ვერაფერს კარგს ვერ მოგვიტანს.

5962. იმუშაო იდეისთვის, შენი მისწრაფების დასაკმაყოფილებლად, თუ ფულისთვის, ძნელი საქმეა, რადგან უერთმანეთოდ მუშაობა არ გამოდის, უფულობა იდეების გაუფასურებას იწვევს და გამორჩენისკენ გიბიძგებს და აქ იდეალებისთვის ადგილი აღარ რჩება.

5963. როდესაც ცნობილი პიროვნება საზოგადოებისთვის უცნობ პირზე იტყვის, ჩემი მეგობარიაო, ეს იმ კაცის დაფასებაა, მაგრამ როდესაც ეს კაცი ცნობილ პიროვნებაზე იტყვის ჩემი მეგობარიაო, ეს კვლავ იმ კაცისადმი იწვევს მოწონებას. ორივე შემთხვევაში უცნობი კაცი უფრო დაფასებული და პოპულარული ხდება, თორემ ცნობილ პიროვნებას არაფერი ემატება, ზოგ შემთხვევაში შეიძლება იმიჯიც დაუზარალდეს ამ კაცუნას სამეგობროდ თავი როგორ გაუყადრაო.

5964. ყაზარმული ბედნიერება ზოგისთვის მიუღებელია, რადგან ისინი მცირედით კმაყოფილდებიან, მაგრამ რა ვუყოთ ბრბოს, რომლის ყაზარმიდან გაშვება ბევრ არეულობას და გაუგებრობას იწვევს. ეტყობა, ყველაფერს განსხვავებული და აპრობირებული ქმედება სჭირდება.

5965. როდესაც სამყაროს შეცნობას შეეცდები, მიხვდები, რომ ჩვენი პლანეტა მარტო ღმერთის ნაჩალიჩები არ უნდა იყოს, რადგან ამას შემოქმედის განუსაზღვრელი ფანტაზია და შესაძლებლობები ვერ მოერეოდა, იმდენი საოცრებაა ამ ქვეყანაზე ამოსახსნელი ადამიანის მიერ.

5966. უფრთხილდით ცრუ წინასწარმეტყველებს, მათში ჯადოქარია დაბუდებული. იმათ თქვენთვის შეპირებული გზა უკვე გაიარეს და თავში რაღაც დემონური დატოვეს. ამიტომაცაა, რომ ასე ღრღნის ჩვენს სულს და ცდილობს კეთილისმსურველად მოგვევლინოს.

5967. ქორწინება და გმირობის ჩადენა ერთმანეთის ტოლფასია და საერთო ეკონომიკა აერთიანებს, რადგან პირველი, ხანგრძლივი დროის კონტრაქტი და საეჭვო აქციებში ფულის დაბანდებაა, ხოლო მეორე სხვების უსუსურობის, სიმხდალის შედეგი და ბრბოს წამიერი აღფრთოვანების მიღებაა.

5968. ყველაზე საამო ტკბილი ძილია და თუ ამ სიამოვნებას ზმანება და სიზმრებიც ახლავს, ადამიანისთვის ამას ბევრი ცნობილი სიამე ვერ შეედრება.

5969. „ყოველგვარი სიღარიბე სჯობს შვილის სარფიან გაშვილებას", მაგრამ ბავშვს აღარ ეკითხებიან, უნდა თუ არა ღარიბ მშობლებთან ცხოვრება. მაგრამ რადგან სიცოცხლეს მამაზეციერი მხოლოდ ერთხელ იძლევა და სიღარიბეც მუდმივი არ არის, შენს ნაშიერს თავის ქვეყანაში უფრო ხელი მოემართება.

5970. არის ნიჭი შედეგიანი – თავის წარმოჩენით, ალალი – თავისი დაფასებით, ლაყბობის ნიჭით თავის გამოსაჩენად, ხოლო ამ ბუნების ნაბოძების შემფასებელია საუკუნეები, მომავალი თაობები და იმ დროის მენტალიტეტი, როდესაც ამ ნიჭის შეფასებას მოინდომებენ.

5971. განშორება თავიდან გრძნობებს აცხარებს, შემდგომ გვაფორიაქებს, მომდევნო დრო ნერვების აშლას ეთმობა, ბოლოს კი ვმშვიდდებით. გრძნობების რეანიმაციის შემთხვევაში, განშორება იგივე სიმპტომებს იძლევა, მაგრამ გრძნობების შეჯერებით და ჭკუის მოხმობით.

5972. ჩვენდა შეუცნობლად ყველაზე დიდი ბედნიერება ისაა, რომ საშუალება გვაქვს დღისით ვიმუშაოთ და ღამით დავისვენოთ. ეს ჭეშმარიტება შეიძლება სიცოცხლის ბოლოსთვისაც შეუცნობელი დაგვრჩეს.

5973. სულის ბედნიერებაა თუ ცხოვრებას ჭუჭყის გარეშე გაივლის, მაგრამ რა უნდა ჰქნას, თუ ცნობისმოყვარე სხეული ტალახში გასვრისთვის არის ახუნტრუცებული და თავის შესაკავებლად ვერაფერი მოუხერხებია?

5974. ყველა ჩვენგანმა საკუთარი თავის შეცნობის ინსტიტუტი უნდა ჩამოაყალიბოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ირწმუნებს იმას, რასაც სარკეში ხედავს და რასაც მასზე ლაპარაკობენ, ხოლო სინამდვილეში რასაც წარმოადგენს და მასზე რასაც ფიქრობენ, მისთვის შეუცნობელი დარჩება.

5975. უფროსების მიზანი უნდა იყოს წესრიგის დამყარება მოზარდების სულში, რათა მათ ჩვენში დაინახონ თანასწორი და არა – ზემდგომი.

5976. უფროსთან, მოძღვართან, ხშირ შეხვედრას უნდა ერიდო, ინფარქტი არ დაგემართოს, უკანონობის მანქანა არ დაგეჯახოს, ხოლო მოძღვართან შეხვედრა ორივე მხრიდან საშიშია, რადგან შენთვის წირვის აღსასრულებელი ფული უკვე ფსონში აქვს ჩადებული.

5977. პატიოსნება რა ქვეტექსტშიც არ უნდა მოვიხსენიოთ, ის თავისებური ეტალონია, რომელთანაც ყველა უნდა ცდილობდეს გატოლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქაოსი საზოგადოებრივ ურთიერთობაში გარანტირებულია.

5978. სიკვდილის „დაფასება" მაინც კოლექტიური ღონისძიებაა ცოცხლების გასაბრიყვებლად და მიცვალებულისგან დროულად გასათავისუფლებლად.

5979. ყველაზე დიდი კონტრაბანდა „შენი ხსოვნის" საუკუნეებში გადატანა – გათამაშებაა.

5980. თეორიულად ყველანი პოტენციური მკვლელები ვართ, მაგრამ ზოგი ამას სხვისგან შეუმჩნევლად ჩადის, ზოგი კი პირიქით, ვერ ფარავს.

5981. სარისკო საქმის ჩადენა საშიშია, მაგრამ არა იმათთვის, ვისაც დაძაბულ გარემოში მოხვედრა სურს, რათა თავსაც და სხვასაც დაანახოს თავისი შესაძლებლობები, რომელსაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს ექსტრემალური მდგომარეობიდან გამოსავლის მონახვა.

5982. ქამარი – პედაგოგია, სიტყვა – მასწავლებელი, ფული – წახალისება, ცხოვრება – აღმზრდელია, მამა – მარჩენალია, დედა – დამსჯელია. მიუხედავად ამ რიტორიკისა, ყველაზე მეტად თავს დავალებულად პედაგოგისა და დედისაგან მივიჩნევთ.

5983. ყოფილი მეგობრები ყველაზე დიდი მტრები არიან, მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულის, პატივისცემის, რაღაც ნაწილი ჯერ კიდევ წაუშლელია.

5984. შეცდომის დაუშვებლად ვერ ვიცხოვრებთ, მაგრამ არც ისე უნდა შევცდეთ, რომ მთელი ცხოვრება თან გაგვყვეს და შიგადაშიგ გვაჟრჟოლებდეს.

5985. თუ სასმელი 2 საათით გვიმცირებს სიცოცხლეს და თამბაქო – 4-ით, რაღა ვთქვათ სამუშაოზე, რომელსაც ყოველდღიურად ცხოვრების საუკეთესო დრო და წლები მიაქვს. მაგრამ საბედნიეროდ არა სიცოცხლის ხარჯზედ.

5986. ბავშვს მარტო ჩვენთვის არ ვაჩენთ, უბრალოდ ბუნების კანონზომიერებას ვითვალისწინებთ და ვალს ვუხდით.

5987. ზოგი უხმო, უნერვო, ფლეგმა, ჩასაფრებულია ჩვენს გვერდით და თავის უმ-ფოთველობით, სიწყნარით, გულგრილობით ყველას გადათელვას და გადაგდებას ლამობს.

5988. ვინც ნაპრალს დიდხანს უყურებს, მან უნდა იცოდეს, რომ ნაპრალი ქვევიდან უმზერს და მის მიზიდვასაც ცდილობს.

5989. ბრბოს დაკომპლექსება გაცილებით საშიშია, ვიდრე ამ ბრბოში მყოფი თითო-ეული მისი წევრის არასრულფასოვნება.

5990. სიხარბე არიფსაც ღუპავს და გამოცდილ საქმოსანსაც, რომელსაც ისე მოუმ-რავლდა მუქთა კუბოში ჩაწოლის მსურველნი, რომ თვითონაც თანახმაა ამ საც-ხედრეში ჩაკოტრიალდეს.

5991. ძირძველმა პროფესიებმა: ბოზობამ, შუამავლობამ, პოლიტიკანობამ, შამანო-ბამ და ექიმბაშობამ საუკუნეების გამოცდას გაუძლო და სხვადასხვა სახეცვლი-ლებით კიდევ მრავალ საუკუნეებს გაუძლებს.

5992. პრესტიჟულის შეძენა ყოველთვის ძნელია, ხოლო მისი შენახვა – გაცილებით ძვირი.

5993. ზოგი იმდენად ვერ გრძნობს ფოცხზე ფეხის დაბიჯებას და შუბლის ტკივილს, რომ აგრძელებს ექსპერიმენტს ფოცხის ან შუბლის გატეხვამდე.

5994. მბრძანებლის ავტორიტეტი და „დისტანციის" შეუვალობა მსახურისთვის არ არსებობს, რადგან მან შესანიშნავად იცის თავისი პატრონის ცხოვრებისეული სისუსტენი. ის მაინც ფეხის ხმას არის აყოლილი და განადიდებს თავის მბრძანებელს, რადგან მასთან სიახლოვე „კლერკის" ავტორიტეტსაც მაღლა სწევს.

5995. ღირსება – პროცესია, სიყვარული – შედეგია და აქაც სხვაობას ეძლევა მნიშ-ვნელობა, რადგან ხანდახან პირველს მეორე ეშმაკურად შეუჩნდება და პროცე-სიც მტკივნეულად მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ დრო-ჟამი ღირსების პარამეტრებს სიყვარულის გადასახედიდან შეგვახედებს და ზოგიერთ ცხოვრე-ბისეულ დოგმაზე ხელს აგვაღებინებს.

5996. ქვეყნის მშენებელია ის, ვინც გარეგნულად სხვისგან არაფრით გამოირჩევა, მაგრამ სხვაზე უკეთესი ცხოვრებისეული ბალანსი აქვს, სხვისთვის შეუმჩნეველი ნიჭის, შემართების, მცდელობის წყალობით.

5997. მიწიერის და სულიერის მითვისებას არავინ დაგანებებს, თორემ ოცნებით ცაში ნავარდზე და ვარსკვლავების მითვისებაში ხელს არავინ შეგიშლის.

5998. არ არსებობს ბედნიერი დასასრული, ბედნიერება შენი ხსოვნის გაგრძელებაა.

5999. მორცხვობა და გაუბედაობა მალავს სულის სისასტიკეს და თავისადმი უძლუ-რებას.

6000. სამწუხაროდ, ბევრ პროფესიას კარგი მუშაობისთვის ისტორია არ წარმოა-ჩენს, მაგრამ საკმარისია პროფესიონალს ავარია მოუვიდეს, ან რაიმე მიქაროს, რომ ის არა მარტო ხალხისთვის ხდება ცნობილი, არამედ ისტორიის საკუთრება-დაც იქცევა.

6001. საქმით ანგარების დამარცხებას არავინ ცდილობს, ჩუმად კი ყველა შეძლების-დაგვარად თავის სასარგებლოდ ეხმარება.

6002. ერთი კაცის წარმატება მეორის უგნურებაზე და შემთხვევაზეა დამოკიდებული. მაგ. ლენინის მიერ რუსეთის თავზე წამოჯდომა ნიკოლოზ მეორის უხერხემლობაზე, სტალინისა – ტროცკისაზე, ელცინისა – გორბაჩოვისაზე და ასე შემდეგ, რადგან მისწრაფებაში სურვილი კი არ არის მთავარი, არამედ მიზანდასახული შედეგი, სადაც გარკვეულ დრომდე გამარჯვებულის ოპონირებას ვერავინ ბედავს.
6003. ყველა გატაცება, ჰობი, მანიაკობის პირდაპირპროპორციულია და მის გარეშე საზოგადოებას განვითარება გაუჭირდებოდა, ხოლო ადამიანს – ცხოვრება.
6004. არის სახეები: თანამგრძნობი, დაინტერესებული, არაფრისმთქმელი, რომლისთვისაც ყველაფერი სულერთია, მაგრამ ყოველ მათგანს ადამიანური გამოხედვა აქვს და ვერავითარი უხიაგი მოქმედებისთვის პასუხს ვერ მოსთხოვთ.
6005. სადო-მაზოხიზმი თავისებური დავადებაა, რომელსაც სიყვარულთან და მისი გულისთვის ჯოჯოხეთში წასვლასთან არავითარი კავშირი არ აქვს.
6006. მოხერხებული ყოფა გარეშე თვალისთვის ყოველთვის მოსაწონი და ლამაზი არ არის, მაგრამ გარკვეული დროით შებოჭილობიდან თავის დახსნის საშუალებაა, რომელსაც ან სხვისი თვალი შეეჩვევა ან მოგიწევს ცხოვრების შეცვლა.
6007. სასურველ კაცს მაშინ უნდა ცნობდე, როდესაც ბედი ალჩუზე უზის, თორემ ზევიდან რომ დაიქნევენ და კაცუნად ჩათვლიან, იმასთან ნაცნობობა არც მას თავად რგებს და არც შენს ყოყლოჩინობას მატებს პეწს.
6008. ნიღაბი ისე საშიში არ არის, როგორც მისი შემქმნელის ამბიციები, სურვილები.
6009. სუსტი ყბედობით ენის გალესვას ცდილობს, ძლიერს კი დიდი ხანია კბილები ნამალევად ალესილი აქვს და შემთხვევას უცდის.
6010. თავხედობა არა მარტო უცოდინარობის შედეგია, არამედ აღზრდისაც, რადგან თავის დროზე ამ კაცის უკანალს ქამრის დარტყმა და ყურს ახევა დააკლეს.
6011. ძალიან ძნელია ბოლომდე შენით კმაყოფილნი იყვნენ ან შენ იყო ვინმეს კმაყოფილი, მაგრამ ეს არის ცხოვრება და მას ვერსად გავექცევით.
6012. დედაკაცების სულის გადარჩენა ამქვეყნად ხვადებს უნდა მივანდოთ, იმქვეყნად – ხვადობის მსურველ ეშმაკებს.
6013. სულის განწყობის და მისი შესაძლებლობების ექსპერტი არ არსებობს, მაგრამ ქალები ამის განსჯას მოითხოვენ და უკვირთ, მათ კაპრიზს მამრები რომ ვერ იგებენ.
6014. ძუნწი შთამომავლობის დახმარებით, საკუთარ ქონებას კაცი სიკვდილის შემდგომ უკეთ ანიავებს, ვიდრე სიცოცხლეში მის ხარჯვას ახერხებდა.
6015. კარიერისკენ მიმავალი გზა, გვინდა თუ არა, მოხერხებულობის, ცბიერების, გონიერების, სიბინძურის, გზაა.
6016. ბრბო ყოველთვის ჭირვეული და თავქარიანი იყო და ყოველთვის ცდილობდა ხალხს გამოყოფოდა, რათა თავი კიდევ ერთხელ მოეგიჟიანებინა და კვლავ მას დაბრუნებოდა.
6017. შტერსა და სულელს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ოქროს დუმილით დუმს და ძნელად შესამჩნევია, ხოლო მეორე განუწყვეტლივ ყბედობს და თავი ჭკვიანად მოაქვს.

6018. მრწამსისთვის ყველაზე ცუდია, როდესაც ნიჭიერი ადამიანის ამბიციები კარიერის კეთებას, ლუკმის მოვლა-პატრონობას და მისი გადიდების მცდელობას ეწირება.
6019. უნამუსობა სიჭკვიანის სინონიმი არასოდეს იქნება, მაგრამ ხშირად უკეთ არსებობს.
6020. გრძნობებს უსაქმური ადამიანები არიან აყოლილნი, თორემ საქმიანი კაცი ამ გრძნობების აფორიაქებას შრომაში ახშობს.
6021. თეთრი ყვავებია საზოგადოებას რომ ანვითარებენ და ანგრევენ, მაგრამ რადგან ისინიც იბადებიან, ეტყობა, მათ გარეშე ცხოვრება შეუძლებელია, რადგან საზოგადოების განვითარება მათ გარეშე სანამდის მრავალჯერ ფეხს არ მოიტეხს, სიკეთე არ მოაქვს.
6022. მთელი ცხოვრება ისე იცხოვრო, რომ არავინ მოგწონდეს და მაინც ყველას აქებდე, ელაქუცებოდე, მლიქვნელობაა და მასაც თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება.
6023. ორგულობა, მცდარობა, თავქარიანობის სინონიმი არ არის, მაგრამ სიყვარულს აუფასურებს და წყვილის დაშორებას ხელს უწყობს.
6024. პატიოსნებაზე თავს მდიდარიც დებს და ღარიბიც, მიუხედავად ამისა, არცერთი არ არის უბილწო, რადგან სინდის-ნამუსს იმის მიხედვით ხმარობენ, თუ რა სარგებელს ნახავენ ამ წესიერებიდან.
6025. ნიჭიერებასა და გონიერებას შორის ის სხვაობაა, რომ ორივე მამაზეციერის ნაბოძვებია, ოღონდ უკანასკნელი – დიდი წვალების, შემართების და ჩალიჩის შემდეგ.
6026. ასაკის მატების ორგულობიდან მხოლოდ სიფრთხილე და ნაცნობობა გვრჩება, ისიც თუ გაგვახსენდა და გავახსენდით.
6027. ყველა ჩვენგანში ის ანგელოზი ცოცხლობს, რომელიც სატანად გადაქცევის წინააღმდეგი არ არის.
6028. დღეს სასაფლაოც ბიუროკრატიზმის ბაცილით დააავაადეს, მიცვალებულებსაც მიღების საათები დააწესებინეს.
6029. არის ოცნება, რომელსაც იცი მთელი ცხოვრება ვერ აისრულებ, მაგრამ მასზე ფიქრს თავს ვერ ანებებ, რადგან ის შენთვის სათუთი და სათაყვანოა.
6030. რა ცოტას ნიშნავს დამნაშავისთვის, ავანტურისტისთვის, ადამიანის რაობა, მისი სიცოცხლე და რამდენი შრომა სჭირდება მის შექმნას, შენარჩუნებას და ბოლოს იმქვეყნად სახელით გასტუმრებას.
6031. როგორ გვიყვარს სხვისი ჭუჭყიანი საცვლების გამომზეურება და როგორ არ მოგვწონს, როდესაც ჩვენი ფანტაზია სიბინძურეს იქ ვერ ნახულობს.
6032. ზევით ჩვენზე რაც უნდა კარგი თქვან და ხშირად არ გაგვიხსენონ, მიწისქვეშ ყოფნა მაინც ძნელია, მითუმეტეს, შენზე ნათქვამი კეთილი სიტყვა არც გათბობს და არც გახალისებს.
6033. მოგზაურობა პირველი ნაბიჯიდან იწყება, მატიანე პირველი ჩანაწერიდან. მოგონება ქალთან პირველი მარცხის შედეგია, სიყვარული პირველი თვალე-

ბის შამონათებაა. ასე რომ, საწყისი და ტკბილად მოსაგონარი ყველაფერი პირველია.

6034. ნოსტალგია წარსულის მიმართ კი არა დღევანდელობის მიმართ უნდა გვქონდეს, რადგან საქმე ხშირად ისე არ მიდის, როგორც ეს ჩვენს გამოცდილებას, მცდელობას და ამბიციებს ეკადრება.

6035. ხანდახან ძალზე მდიდრები საზოგადოებაში კრეტინებივით იქცევიან და ეს მის ირგვლივმყოფთათვის არავითარი უხერხულობას და წარბის შეკვრასაც არ იწვევს, რადგან ყველა მისგან რაღაც სარგებელს მოელის.

6036. ფორტუნა ყოველთვის ერიდება ნამდვილი მამაკაცისთვის ზურგის შექცევას და ნამდვილი ქალის წინ პირისპირ დგომას.

6037. გემოვნებას მოსწონს, ხოლო ვინც გემოვნებასთან მწყრალადაა, ის აღფრთოვანებულია.

6038. თავი დასახრჩობად წინასწარ არ უნდა გაიმეტო, თუ წყალი ჯერ კიდევ არ ჩანს და მასში შეტოპვას არავინ გაძალებს.

6039. ოცნებაში სიმართლე და სიყვარული, სიცრუეზე და ორპირობაზე ყოველთვის იმარჯვებს, რეალობაში კი წესრიგი, ბიზნესი, პროგრესი და მცდელობაა უმთავრესი.

6040. დღეს ცივლიზაცია, საზოგადოების განვითარების დონე, რეკლამა, საშუალებას იძლევა სისულელე აკეთო, მას საქმიანობა დაარქვა და არც თუ ისე ურიგი ფული იშოვნო.

6041. სამყარო წესრიგისა და ქაოსის გარეშე ვერ იარსებებს, რადგან ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან და ურთიერთს ავსებენ.

6042. ტალანტი შინაგან მენტალიტეტს არ ემორჩილება და სათანადოდაც ვერ აფასებს, რადგან მას თანდაყოლილი ღირსება და ფასეულობები აქვს.

6043. ამქვეყნად მხოლოდ მოგონება, სიყვარული და შენი დანატოვარი აზროვნება რჩება, იმქვეყნად კი მიგვაქვს: დროსტარება, იმედი და ის ოცნება, რომლის განხორციელებაც ვერ მოხერხდა.

6044. ყველაზე ნაკლები ყბედობა მათემატიკის შემდეგ ფილოსოფიას უნდა ახასიათებდეს, რადგან მისი აზრები მუდმივია, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების „მათ – ანალიზს" ყოველთვის არ ემორჩილება.

6045. სიახლის კეთება ყველა თაობისთვის, რწმენისთვის, აუცილებელია, მიუხედავად იმისა, რომ მისი შეცნობა ყველას ხვედრი არ არის, მაგრამ ის რაც კარგია, დროულია, დარჩება, რაც არა და თავად გაქრება და ჭირსაც მოგვჭამს.

6046. სული მეტ-ნაკლებად ყველას მონისა გვაქვს, მთავარია სხეული არ გადაგვარდეს და მონობას არ შეეჩვიოს, რადგან ზოგს სხვისი გაფეტიშების, ნებაყოფლობით დამორჩილების გარეშე ცხოვრებაზე და გამორჩენაზე ფიქრი უჭირს.

6047. სიკეთესა და სიძულვილს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს დაუფიქრებლად, დაუმადლებლივ აკეთებ და სულს სათნოება ეფინება, ხოლო მეორეს

ნიშნის მოგებით, რევანშის წყურვილით და აქ შენი სული ვირეშმაკულ სიამაყეს განიცდის.

6048. დრო ქმნის ღირებულებებს და არა ადამიანი, ამიტომაც ზოგის უცნაურობებით მოხვედრას ისტორიაში შემწყნარებლად უნდა მოვეკიდოთ.

6049. სიბრძნის მოსმენას მაშინ მოაქვს სარგებელი, თუ ჩვენში შიში, უნდობლობა, ეჭვი არ დაისადგურებს.

6050. უგვანო ქვეყანაში მეგობრობის სანაცვლოდ ფული რომ არ გადაგიღუნონ და თავი არ დაგაყვედრონ, შეუძლებელია.

6051. საოცრების შეცნობაში სულის აღმაფრენას გონიერება არ უნდა სჭარბობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სილამაზესთან კავშირი კნინდება.

6052. მართალია, გონიერება დროს ვერ ებრძვის, მაგრამ მცდელობა არ უნდა დავაკლოთ, რომ ეს მონაკვეთი ჩვენს სასარგებლოდ შემოვატრიალოთ.

6053. ბრბოსა და თინეიჯერებს შორის ის სხვაობაა, რომ მათ კუმირი რატომ უყვართ არც იციან და მისგან არც არაფერს ელიან, ხოლო მასამ ისიც იცის რატომ უნდა შეიყვაროს და რის გამოდნობასაც უნდა ეცადოს.

6054. გული სულის ღაღადს ხშირად არ ეთანხმება, გონიერება ტვინის ჭყლეტვის შედეგს, მაგრამ ჭეშმარიტება ადრე თუ გვიან თავისას იტყვის და თავის ადგილს მიუჩენს.

6055. ადამიანად სიყვარული გვაქცევს, კაცად – ოჯახის ტვირთი, მოქალაქედ – მოვალეობა ვიღაცის და რაღაცის მიმართ.

6056. მარადიული მიმზიდველობა და სულის სილამაზე წარმატების გარანტიცაა და უკვდავებაც.

6057. ბოლოს ირკვევა, რომ თურმე ყველგან ერთნაირად ცხოვრობენ, სადაც ჩვენც გონებით და შემართებით გვინდა დავმკვიდრდეთ.

6058. შეცოდების ღირსი ბევრი არ არის, დაყვავება და მიტევება კი ყველასი შეიძლება.

6059. სიბრძნის ბაზისი წლები კი არა, ზევიდან მომადლებული ნიჭია.

6060. მდიდარმა კაცმა რომ დედიშობილამ ირბინოს, მის იმიჯს არაფერი მოუვა და შეიძლება მისაბაძი გახდეს, მაგრამ ჩვეულებრივი მოკვდავი თავის ჩაცმით და აღჭურვილობით უნდა დაფასდეს, რადგან მის ქმედებას მატერიალური გამაგრება არა აქვს და ხალხის აზრს ფეხებზე ვერ დაიკიდებს.

6061. ცუდად ჟღერადი ზედმეტი სახელი შემდეგში თქვენი მცდელობით შეგიძლიათ ძალზე პოპულარული გახადოთ, ხოლო სასიამოვნო ტალღებზე აჟღერებულიც კი თქვენი მოქცევით შეიძლება ირგვლივმყოფები და თაყვანისმცემლები ისე შეაზაროს, სინანულის გრძნობა სიძულვილში გადაეზარდოთ.

6062. პიროვნებად მაშინ შედგები, როდესაც მტერიც და მოყვარეც შენზე ღირსებით ლაპარაკობს.

6063. მომხიბვლელობისაგან განსხვავებით, სილამაზეს განსაკუთრებული მოვლა და მოფერება სჭირდება, თორემ ისე შეუმჩნევლად დაგიკრავს თავს, რომ ის არავის გამხარებელი და გასახსენებელი აღარ იქნება.

ოჯახი

6064. როცა ეკონომიკის თვალსაზრისით გადახედავ თუ რამდენი ჯდება ოჯახის შენახვა, ნერვები გეშლება. დავუშვათ, ოჯახის შენახვა წელიწადში გიჯდება 10 ათასი დოლარი. ეს არის თანხა 100 მაღალი კლასის კახპის ათვისებისა. სიამოვნებას ცოლსა და მეძავს შორის დიდი ზღვარი უდევს. ცოლს თუ ახასიათებს ჭირვეულობა, ნაუცბათევობა, საყვედურები – სექსის უმაღლესი ტექნიკით შეიარაღებული კახპა, სულ ღიმილით, ალერსით ცდილობს გასიამოვნოს. ესე იგი, ამ თანხით სულ სექს-გრიალით შეგეძლო გეცხოვრა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის, რადგან ეკონომიკას თავისი სიმართლე აქვს, ოჯახს კი თავის ხუმტურები.

6065. მეუღლე ქმრისთვის ჩუმი უბედურებაა, მაგრამ მამაკაცი ამას ვერ აჩჩნევს, რადგან ის ნელ-ნელა, შეუმჩნევლად აკარგვინებს თავის უფლებას მამრს.

6066. ბავშვისთვის დედის კანონზე ზევით სხვა არ არსებობს, მისი აღსრულება ბავშვში წყენას არ იწვევს, მაგრამ იგივე კანონის აღსრულება დედის წაქეზებით, მამის მიერ, მას მთელი ცხოვრება ამახსოვრდება.

6067. ქალებმა უნდა აღზარდონ მამაკაცები, ხოლო მამაკაცები უნდა შეეცადონ შეაჩერონ სისულელეების ჩადენის პროცესი, რომელზეც აგებულია ქალისა და კაცის ურთიერთობა.

6068. ბავშვები რომ ჩვენი მომავლის მეგზურები არიან, ამას ქალები შინაგანად გრძნობენ, ხოლო მამაკაცებს ამის აღიარების მეტი აღარაფერი რჩებათ, რადგან ბავშვები უკვე მათ გვარს ატარებენ.

6069. ეთიკა და ესთეტიკა ოჯახური ცხოვრების იდეალად არ გამოდგება, რადგან მამაკაცის თანდაყოლილი უსაქმურობა და მეუღლის საოჯახო საქმეზე მუდმივი ზრუნვა ამის საშუალებას არ იძლევა.

6070. კეთილისმდომთა მოწონებული წყვილი, რატომღაც პაემანს ერთმანეთს ვერ უნიშნავენ და გარეშეთა შეფასებით შეუფერებელი წყვილებივით ქორწინდებიან, ოჯახს ქმნიან.

6071. ბავშვის აღსაზრდელად დედობა საკმარისი არ არის, მთავარია ქალს თან დედობის ნიჭი დაჰყვეს.

6072. პარტნიორთა კარგი ურთიერთობა ოჯახს ამტკიცებს, მაგრამ წყვილებს, მათი ბუნებიდან გამომდინარე, ამ ოქროს კანონის დაცვა ძალზე უჭირთ.

6073. ცოლ-ქმარი თვითონ იმზადებს მეტოქეს, როდესაც საერთო ნაცნობს ზომაზე მეტად აქებენ, კარებს ფართოდ უღებენ და სულის კუნჭულში უშვებენ, იქ, სადაც მათი ადგილი არ არის, თან ტრაბახობენ: ეს საჩუქარი მუქთად მივიღეთ, მისი სიქველის გამოო.

6074. ცოლ-ქმარს ხანდახან ერთად ცხოვრების საიუბილეო თარიღის გადახდა აკავშირებთ.

6075. რა სიბრიყვეა, სხვის ოჯახს გვარის გაგრძელების საშუალება მისცე, ნიადაგი მოუმზადო და კიდევ მაღარიჩად მზითევი მიაყოლო. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვას მიწა დაუმუშაო, დაუთესო, მოუარო, მოუმკა, მიუზიდო და მადლობის ნიშნად თავი მოუხარო.

6076. ქორწინება მძიმე უღელია ნამდვილი მამაკაცისთვის, რომელსაც აიძულებენ თავის პირვანდელ პრინციპებს გადაუხვიოს და ოჯახის სარჩენად ისეთ გზასაც კი დაადგეს, რასაც ადრე ვერც კი წარმოიდგენდა.

6077. ზოგი ცოლი ისეთი სიმდიდრეა, რომ მის ნახვას დიდხანს უნახაობა სჯობს. მაგრამ რა უნდა უყო შთამომავლობას და შენს მოვალეობას გვარის გაგრძელების თაობაზე?

6078. წესიერი იყო და მოუსყიდავი – ეს უოჯახო ახალგაზრდა კაცის ხვედრია. თუ ასეთი გინდა დარჩე, ოჯახის შექმნაზე გაფიქრებაც არ უნდა გაბედო და შენს თავს დრომასავით უნდა გაუფრთხილდე.

6079. ცოლის გახსენება ოკეანის გახსენებას არ უნდა იწვევდეს, ოკეანის გახსენება – გემზე მოგზაურობას, გემზე მოგზაურობა კი – პირიდან საქმებას.

6080. საწყალ კაცებს მაშინაც ადანაშაულებენ, როდესაც გაბრაზებული ცოლისგან ნასროლ თეფშს აიცილებს და შუშას ჩაამსხვრევს. შუშის ჩასმის ხარჯები და ორგანიზაცია ისევ მამაკაცმა უნდა ითავოს თავისი დანაშაულის გამოსყიდვის და ცოლთან შერიგების აღსანიშნავად.

6081. ცოლის თხოვის შემდეგ მამაკაცი ხვდება, რომ კანონი ცოლის მხარეზეა და არ აძლევს მას უფლებას გამოცვალოს ან ნათხოვარი უკან დააბრუნოს.

6082. ქმრის ერთადერთი პარტია ოჯახი უნდა იყოს, ყველაფერი უნდა იღონოს ამ პარტიის გასაძლიერებლად და პარტიის უფროსის ცოლის გულის მოსაგებად. წინააღმდეგ შემთხვევაში ან პარტია უნდა გამოიცვალოს ან მანდატი ჩააბაროს.

6083. ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ქალის "ღრმა" აზროვნება იწვევს ოჯახში აბობოქრების შემოტანას, ეჭვიანობის ბაცილის გავრცელებას, ამიტომ ბედნიერია ის ოჯახი, სადაც მეუღლე მსუბუქად ფიქრობს და აზროვნებს.

6084. მეუღლე შეიძლება გარეგნულად ისეთი არ იყოს როგორიც თქვენ გინდათ, მაგრამ ბუნებით აუცილებლად თქვენი მოსაგები უნდა იყოს, რადგან მასთან გაძლება შეუძლებელი იქნებოდა.

6085. როდესაც ცოლი ქმარს აყვედრის, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები შენ შემოგწირეო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი დარჩენილი ცხოვრებიდან უარესი დღეები გელით, რადგან ასაკი მის ანჩხლობას და ხუმტურებს ბოლოს უღებს და თქვენც მომავალს იმედის თვალით უნდა შეხედოთ.

6086. იდეალური ცოლი ის არის, რომელსაც ესმის, მაგრამ ხმას არ იღებს.

6087. ცოლს რომ უსმინოთ, ბინის რემონტი არასოდეს არ დამთავრდება. მთავარია ბინის შეკეთება დროზე შეწყვიტოთ, თუ გინდათ, რომ თქვენც მოისვენოთ, ცოლსაც ნერვები და ემოციები მოუთოკოთ.

6088. როდესაც კაცი სასურველ ქალს ხელს სთხოვს, ეს არის მამაკაცის მიერ გამოვლენილი ყველაზე დიდი ეგოიზმი, რადგან ის ამ ქალს დასაკუთრებას და ოჯახის უღელში გაბმას უპირებს და ქალს აპეურები როგორ მოერგება, ამას არ დაგიდევთ.

6089. მართალია, თქვენი მეუღლე ისეთივე "შუშპარა და მჩქეფარედ" გამოიყურება, როგორც 20 წლის წინათ, მაგრამ მისი "ფუტლარის" შენარჩუნება დღეს გაცილებით ძვირი გიჯდებათ.

6090. ზოგი ქორწინების ღამეს სექსში ატარებს, ზოგი კი ქორწილში შემოსული ფულის და საჩუქრების თვლაში განიცდის ორგაზმს.

6091. მდგრადი ოჯახის შექმნას კონსერვატული ტრადიციები, ოჯახიშვილობა და კარგი ჩამომავლობა სჭირდება. თუ ამას ახალგაზრდობის ურთიერთმოწონება და კარგი მაჭანკლებიც თან ახლავს, ოჯახის უდრტვინველი მომავალი გარანტირებულია.

6092. ოჯახის დანგრევის უამრავი შემთხვევითი და სერიოზული საბაბი არსებობს. ოჯახის შენარჩუნება და არდანგრევაა ვაჟკაცობა.

6093. ცოლად ის კი არ უნდა მოიყვანოთ, ვისზეც გიჟდებით, არამედ ვინც მოგწონთ, რადგან პირველი მაღალი ძაბვის დენზე არის ჩართული, თქვენი დაწკრიალებული ნერვების კაბელები ვერ გაუძლებს და გადაიწვება. ამიტომ სჯობია ნორმალური ძაბვა მიაწოდოთ თქვენს ნერვებს.

6094. განსხვავება ყაჩაღსა და მეუღლეს შორის ის არის, რომ პირველი ითხოვს ან სული ან ფულიო, ხოლო მეორე არჩევანის უფლებას არ გაძლევს და ორივე ერთდროულად მიაქვს.

6095. ცოლ-ქმარს ვერაფერს გაუგებ, ისინი შეუღლების უდიდესი შეცდომის 50 წლისთავს ოქროს ქორწილით აღნიშნავენ.

6096. ჩხუბი, კამათი ცხოვრების გამოცდილების უდიდესი ინსტრუმენტია, რათა შეინარჩუნონ ურთიერთობა ქალმა და მამაკაცმა.

6097. ქორწინება ბედნიერებაა თუ უბედურება, ეს არის კაცობრიობის უმთავრესი საფიქრალი საკითხი, როდესაც მამაკაცები ამ საკითხის შესწავლას შეუდგებიან და ხვდებიან, რა არის ბედნიერება, გვიანღაა, რადგან ისინი უკვე დაოჯახებულები არიან.

6098. როდესაც მამაკაცი ქალს ეუბნება: თუ ცოლად არ გამომყვები, თავს მოვიკლავო, ეს მართალია, რადგან ცოლად რომ გაყოლოდა, ამ ასაკამდე ვერ მიაღწევდა, რადგან ამ ქალის საყვედურებს ვერ გაუძლებდა.

6099. სამწუხაროდ, ცოლქმრული უღლის დადგმის შემდეგ პირველ წელს კაცი ლაპარაკობს და ქალი უსმენს, მეორე წელს ქალი ლაპარაკობს და კაცი უსმენს, მესამე წელს ორივენი ლაპარაკობენ და მეზობლებს თავი აქვთ მობეზრებული მათი მოსმენით.

6100. ემოციების ოქროს მარაგის კანონის სამკუთხედი ღაღადებს: თუ გიყვარს, უნდა გიყვარდეს, თუ დროს ტარება გინდა, უნდა ატარო და თუ ატყობ, რომ ოჯახის შესაქმნელად მომწიფდი, უნდა შექმნა კიდეც. მაგრამ არა იმ პარტნიორებიდან, რომელიც თავს გახვევია, რადგან ცხოვრების პირველი ეტაპი საყმაწვილო სენი იყო, მოქალაქედ ჩამოყალიბებას კი სხვა ხალხთან ურთიერთობა და პარამეტრები სჭირდება.

6101. თუ სახლში მოსული ნასვამი ქმრის ჯიბეში ცოლის მიერ აღმოჩენილ აღრიცხულ თანხასთან ერთად აღურიცხავიც აღმოჩნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ქმარს ოჯახურ გამოსაფხიზლებელში იდილია ელის და დილას ნაზი საყვედური, თავს გაუფრთხილდიო, წინააღმდეგ შემთხვევაში კაცს ცივი შხაპი და საკომპენსაციო პრეტენზიების სია, რომელსაც თუ უმოკლეს დროში არ გადაიხდის, აცნობებენ მის ახლობლებს და შეარცხვენენ სამსახურში.

6102. ზოგს ისეთი უნიათო ქმარი ხვდება, რომ მასთან გაყრის შემდეგ, ნათესავები ქალს ამ კაცთან ყოფნას გათხოვებაში არ უთვლიან.

6103. სანამდის ქალ-ვაჟი ერთმანეთს უღელს დაადგამენ, მათი შეხედულება მომავალ ცხოვრებაზე ზღაპარივით კეთილია, მაგრამ როგორც კი შეუღლდებიან, ზღაპარიც მთავრდება, რადგან ოჯახის აპეური იწყებს მოჭერას.

6104. ცოლი როდესაც ქმარს ღალატობს – 70 პროცენტი მამრის ბრალია, 20 პროცენტი აღზრდის, 10 პროცენტი ქარაფშუტობის და მოჭარბებული სისხლის, რომლის გამოსწორებას არც არავინ უნდა ეცადოს და არცაა საჭირო. ბუნებას თავისი ალბინოსები სექსშიც ესაჭიროება.

6105. ყველა ქმრის ნატვრაა, იმდენი ჯანი და შეძლება ჰქონდეს, რომ მთელი ღამე ცოლს ისე უღალატოს, როგორც ამას მათი მეორე ნახევრები ფიქრობენ.

6106. ქმრის ყველაზე დიდი საჩუქარი მეუღლისთვის ის არის, რომ საზღვარგარეთ მივლინებაში მდივან-მთარგმნელის გარეშე მიდის და ამ დროში დაგროვილ სექსუალურ ენერგიას ცოლს მოახმარს, მაგრამ ქალები ამას ყოველთვის ვერ ხვდებიან და აფასებენ. მათ უფრო იქიდან ჩამოტანილი ზიზილ-პიპილოები ურჩევნიათ, მატერიალური და არა სულისა და სხეულის დამამშვიდებელი.

6107. როგორ უნდა უყვარდეს და აფასებდეს მეუღლე თავის ცოლს, რომ ისეთი ხოში მოიკლოს, როგორც არის ფეხბურთი, კარტი, სასმელი და მეგობრებში გართობა. ეს მამაკაცი ან ძალზე მიჯაჭვულია ოჯახს, ან სიბერის ჰორმონები ხალისს უკარგავს.

6108. ცოლად გაჰყვეს ჩვეულებრივ მოკვდავს ქალისთვის ცოტაა, ნახოს კარგი მამაკაცი, წარმოუდგენლად ძნელია, ასე, რომ მდედრს პრობლემები არ ელევა და იძულებულია იმას დასჯერდეს, რაც რეალურად არსებობს.

6109. ოჯახის შექმნისას თეთრხელებიანი "დედიკოს ბიჭი", ასე თუ ისე ასატანია, მაგრამ უსაქმური და უვიცი ნაზი მდედრი უღლის გაწევას ვერ მოახერხებს, თუ მათ ქმრის ფინანსები არ უმაგრებენ ზურგს.

6110. ცოლ-ქმარმა ერთმანეთთან კამათის თემა რომ არ გამოძებნონ შეუძლებელია, მაშასადამე ოჯახი ცოცხლობს და ერი მრავლდება.

6111. ცოლ-ქმარი შეიძლება უკეთესი წყვილი ყოფილიყო ერთმანეთისთვის, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ისინი სიცოცხლის დაისზე ხვდებიან.

6112. ბავშვის ყოლა სიამოვნების შედეგი კი არ არის, არამედ ჩვენი სიამოვნების გაგრძელება, რადგან მასზე ზრუნვის, მოფერების გარეშე ბევრ სიამოვნებას და ნეტარებას მოვიკლებდით.

6113. ძნელია იმ ქალს უსაყვედურო, რომელმაც დედობის სტატუსი ბოლომდე ვერ გაიცნობიერა და ქალიშვილმა ნაადრევად ბებიად აქცია, მაგრამ უფრო ცუდ მდგომარეობაშია ამ მანდილოსნის ქმარი, რომელიც ქაფქაფა ქალთან იყო მიჩვეული ურთიერთობას და ახლა ბებიას უნდა "ეგლახაოს" საწოლში.

6114. ყველა ოჯახის მართვას და რწმენას თავისი დაუწერელი კანონები ამოძრავებს და ამ უკანასკნელის განხორციელებით, შეიძლება მივიღოთ პატარა დამოუკიდებელი მინი-სახელმწიფო, ან ყველას აზრს აყოლილი და დამოკიდებული ყეყეჩი.

6115. ზოგი ქალი მოწოდებულია მდიდარ ქმარს არ გაეყაროს, მისთვის ქვრივის და მომავალი პატარძლის სტატუსის შენარჩუნება უფრო მოხერხებულია, რათა ამჯერად სიყვარულით უფრო მოხერხებულად მისთხოვდეს ახალგაზრდა მამაკაცს და მის მომდევნო ქმარს მისცეს საშუალება დროზე ადრე დაქვრივდეს.

6116. ცოლ-ქმარი რომ მეტ ფანტაზიას იჩენდნენ ურთიერთობაში, გადამეტებულად თავს არ იტვირთავდნენ ახლობლების ზრუნვა-პატრონობაში, უფრო ხშირად გაიხსენებდნენ თაფლობის დღეებს, გაცილებით ბედნიერად და ხალისიანად იცხოვრებდნენ.

6117. წყვილები ოჯახის შექმნისას, თუ თავიანთ ფემინიზმს და ტრადიციონალიზმს დაუწყებენ გაფეტიშებას, დაივიწყებენ ურთიერთპატივისცემას, მოთმენას, სიყვარულს, მათ ვერავითარი "იზმენები" ვერ უშველით.

6118. წარმოუდგენლად ძნელია მეუღლის დაკარგვა, რადგან ოჯახში მისი ყაყანი შენ სიმშვიდეს და სიამოვნებას გგვრიდა, ისე იყავი შეჩვეული.

6119. ბედნიერ შვილიშვილებს უბედნიერესი ბებია-ბაბუა ჰყავთ, როგორც საიქიოში ისე ააქაოში.

6120. ცოლები სიამოვნებით წმენდენ პიჯაკებს, შარვლებს, ხოლო ფეხსაცმლის გაწმენდას ივიწყებენ, რადგან მას ჯიბე არა აქვს მიკერებული.

6121. ავყია ცოლმა გადამთვრალ ქმარს ერთხელ გახადა ტრუსიკი და ის ახლობლების და შინაურების დაცინვის საგნად აქცია, ეს ქმედება რამდენჯერ ჩაუდენია ქმარს, მაგრამ ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ კაცმა თავისი მოვალეობა სხვას არ უნდა დააკისროს.

6122. ცოლ-ქმარს შორის საიდუმლო ისევე საშიშია, როგორც სრული გულწრფელობა. ნდობაზე და პატივისცემაზე აგებული ურთიერთობა იძლევა საშუალებას, გქონდეს შენი საიდუმლო, რომელიც საჭიროა ურთიერთ გაფრთხილებისთვის.

6123. მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაში ნებისმიერმა გვერდზე გახედვამ შეიძლება ოჯახი არ დაანგრიოს, მაგრამ დიდი უსიამოვნება და აყალ-მაყალი გამოიწვიოს.

6124. მამები ყოველთვის ცოლების ჩრდილში დგანან, რადგან ჩასახვასა და შობას შორის დიდი სხვაობაა. პირველს სიამოვნება მოაქვს, შედეგს კი დედის სასიამოვნო ტანჯვა და სიამაყე, რომ მან გამოზარდა შვილი. მამებს მხოლოდ დაპატენტების მოწმობის გაცემის უფლება რჩებათ, გვარის მიკუთვნების სახით.

6125. მამაკაცს ქალი კომფორტის შესაქმნელად მოჰყავს, ხოლო მდედრი ცოლად ამ კომფორტის თავისთვის მოსაწყობად მიჰყვება.

6126. სიძეს, რომელმაც ქალი ინათხოვრა "მამაკაცის ღირსებით" გაცნობილი ნათესავებიდან, ცოლის მხარე "ბინძურ ნათესავად" თვლის და თან საყვედურობს, ქალს და ოჯახს უკეთესად უნდა მიხედოო, ხოლო კონტრაქტის პირობა "ქალის ნათხოვრობის" შესახებ აღარავის ახსოვს.

6127. უბედური ხარ, როდესაც არ ეკუთვნი შენი გულის რჩეულს, მაგრამ შეიძლება ეს მომავლის ბედნიერებაც არის, რადგან სიყვარულს ძალზე დიდ მოთხოვნებსა და პრეტენზიებს უყენებენ, რომელსაც ხშირად ის ვერ უძლებს და შედეგად გაყრა, პრეტენზიები და ხშირად სიძულვილიც ემატება.

6128. პატრიარქალური და პარტნიორული ოჯახი სხვადასხვა ცნებაა, პირველი განწირულია სულის სამოქალაქო ომისთვის, მეორე მოვალეობათა გადანაწილებისთვის. ცხოვრების დაისზე ორივე მხარეს სიამე ეკარგება და ეჭვი ებადება ამქვეყნად მათ მოვლენის აუცილებლობაზე.

6129. ცოლი სამშობლო კი არ არის, მისი ღალატი რომ არ შეიძლებოდეს ...

6130. ცოლქმრობის აუცილებელი პირობაა: ქმარმა არ უნდა იცოდეს რას ფიქრობს მასზე ცოლი, ცოლმა არ უნდა იცოდეს რეალურად რის გამკეთებელია მისი ქმარი.

6131. ტკივილის წამალი ყვირილია, მოწყენილობის – სიყვარული, ცოლის მოთვინიერების – ფული ...

6132. ყველა სიკეთის მომტან მამას უხიაგი შვილი "პწკნაურსაც" კი ამადლის, რომ მან გვარი გააგრძელოს, შვილიშვილები აჩუქოს და მათ გაჩენაში მონაწილეობა მიიღოს.

6133. ცოლ-ქმრის პოლემიკა ერუდიციის გაცვლის მიზნით არ ხდება, მისი მიზანია დაზვერვის მონაცემების და ეჭვის გამომზეურება, პოზიციების გადასინჯვა.

6134. ცოლ-ქმრობის სიმტკიცეს არ შველის ის, რომ ქორწინების ხელშეკრულება ზეცაში ფორმდება, მიწაზე სახელმწიფო ამოწმებს, წესრიგში კი სარწმუნოებას მოჰყავს. მას ყოველდღიური შრომა, განცდა, მშენებლობა სჭირდება, სადაც ყველა თავის წილს თანაბრად გაიღებს.

6135. ქორწინება ძაღლის ყელსაბამივით რომ არ გადაიქცეს, აღმაფრენა და დაცემაც ესაჭიროება, თუ ეს არ ხდება, მაშინ მამაზეციერი იძულებულია განსაცდელი მოგვივლინოს, რათა უკეთ შევიგრძნოთ ოჯახური ცხოვრების სიამტკბილობა.

6136. ფემინიზმი იმის მომასწავლებელია, რომ ქალი, რომელმაც მამრი აირჩია, მწარმოებლის როლს უნდა დასჯერდეს, დედა კი ბავშვს საკუთრებაში იყვანს. ეტყობა ზედმეტი უგუნური განვითარება და ცივილიზაცია კვლავ ცხოველთა სამყაროსთან დაგვაახლოვებს.

6137. რაც უფრო შორს ვიმყოფებით სახლიდან, რატომღაც უფრო მეტი ლამაზი, მომხიბვლელი და ოჯახის ქალი გვხვდება, მით უმეტეს, თუ შენს მოტიტყნულს სადილს ვერ დავარქმევთ და შენს ნაცოდვილარს გარეცხილ-გაუთოებულს.

6138. ოჯახის შესანარჩუნებლად საჭიროა ურთიერთმოსმენა ნიშნის მოგების და წამოძახების გარეშე, ორივეს აზრის კომპრომისი და რაც მთავარია, მოთმინება და კიდევ მოთმინება, რადგან ჩხუბი ერთხელ იძლევა ან არ იძლევა შედეგს.

6139. ცოლ-ქმრობა გენიალური იდიოტიზმია, რადგან სექსი მეუღლის პრეროგატივაა და ნისია კრედიტად არ განიხილება, მაგრამ ქალები უფრო სრულყოფილ ხერხებს ფლობენ ოჯახის და შვილების სახით მის დასაბრუნებლად, ვიდრე კრედიტის გამცემი ბანკები.

6140. ცოლთან ცხოვრების 25 წლისთავის აღნიშვნისას თუ 10 წელი კომმარში, 10 წელი ჯოჯოხეთში და გაუგებარი 5 წლიდან ერთი წელი ბედნიერად გატარებულ დღეებს მიაკუთვნე, ბედს მადლობა შესწირე და საყვედური მის მიმართ გულში არ გაივლო.

6141. სამწუხაროდ, მოზარდებს მშობლები ისეთი ასაკის ჰყავთ, რომ მათ არ ძალუძთ ცუდ ჩვევებს გადააჩვიონ, ხოლო ხასიათის გამოსწორებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

6142. თუ ქალი ყოველდღე ენით "ხერხავს" მამაკაცს და ის ამას ვერ გრძნობს, აქ ოჯახური "შპს" შეუქმნიათ, სადაც მორის როლს მამრი ასრულებს და სახერხს მდედრი ხელმძღვანელობს. ამ მცირე ბიზნესით კი ორივე კმაყოფილია.

6143. ზოგიერთი ცოლი, ქმრის ტანზე ამოცმულ ქალის საცვალსაც არ შეიმჩნევს, ზოგი კი პომადის ნაკვალევსაც არ აპატიებს, შედეგად პირველს – ოჯახური იდილია, მეორეს – უოჯახო, გაამაყებული სათუო ბედნიერება.

6144. შეიძლება მდედრი ოჯახში პატარა-პატარა შერკინებებს იგებს, მაგრამ ომი მაინც მამაკაცს აქვს მოგებული, რადგან მან ოჯახი-სახელმწიფო შექმნა და ტახტის მემკვიდრედ თავის გვარის გამგრძელებელი დატოვა, ხოლო პროცესი მხედველობაში არ მიიღება.

6145. მამის გაღიმებული სიმკაცრე საუკეთესო წამალია ყრმის აღსაზრდელად, ხოლო ქალიშვილისათვის მოფერება, რომ მომავალში მამაკაცის ხელში იქცეს ქალად.

6146. მთავრდება მუზა, გრძნობა და იწყება რეალური ცხოვრება, თავისი ალგორითმებით. ამდენი ნალოლიავები სიყვარული სადღაც ქრება და შენთვის უძვირფასესი ადამიანი შენი შვილის მწარმოებლად და "კაი" ნაცნობად იქცევა.

6147. ინტერნატის და ინტერნეტით გაზრდილ ბავშვებს შორის ის მსგავსებაა, რომ ორთავეს მშობლები არ უვარგათ, რადგან ბავშვს ბავშვობის ხალისიან და უზრუნველ ასაკს ჰპარავენ.

6148. ცოლქმრული ურთიერთობა ერთმანეთთან სიცოცხლის წართმევა-დაბრუნების თამაშია და მოგვაგონებს მებადურის და ოქროს თევზის ზღაპარს, სადაც ცოლისგან თავმობეზრებული მეთევზის პირველი თხოვნაა მისი დედაბრის სიკვდილი, მეორე თხოვნა მისი გაცოცხლება, ცოტახნის დაფიქრების შემდეგ, მესამე სურვილია დედაბრის კვლავ იმ ქვეყნად გასტუმრება, ამჯერად ნელი სიკვდილით.

6149. თუ ცოლს ღალატობთ თვალდაუხამხამებლად, სინდისის ქენჯნის გარეშე და ღიმილის გადმოფრქვევით, ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახზე ხელი არ აგიღიათ და ეს მორიგი ჟინიანობაა.

6150. მამაკაცი ყოველთვის ებრძოდა ცხოვრებას, რომ მისთვის სარჩო გამოეტაცა და ოჯახი შეენახა, დღეს, ამას ქალებიც შესანიშნავად ახერხებენ, შედეგად ბავშვი

მამის ავტორიტეტის და აღზრდის გარეშე დარჩა, რამაც ამდენი ჰერმაფროდიტი და ცისფერი გაამრავლა პლანეტაზე.

6151. ანგარებით ცოლის მოყვანა და სიყვარულით ცხოვრების სურვილი ერთმანეთს არ ეთანხმება, თუ შენ ქონების მონა არა ხარ.

6152. თუ ცოლ-ქმარი ერთ სხეულს წარმოადგენს, მაშინ ცხოვრების მრგვალ თარიღებს ისე გადააგორებენ, რომ ერთმანეთთან განშორება აზრადაც არ მოუვათ და დარჩენილ წუთისოფელს სიამეში გაატარებენ.

6153. ანგარებით, უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახი წუნის გარეშე ვერ იქნება, მაგრამ ხშირად ასეთი ოჯახი უფრო საიმედოა, ვიდრე უანგაროდ და სიყვარულით შექმნილი, რადგან ორივე მხარე გარიგების საქმის კურსში იყო და სასაყვედუროც ერთმანეთის მიმართ არაფერი აქვთ.

6154. ოჯახის შესაქმნელად, გარდა სურვილისა, საჭიროა, რომ ცოლის ცოტათი გეშინოდეთ და ელაქუცებოდეთ, ცოტათი გიყვარდეთ და გძულდეთ, ცოტათი სხვა ქალითაც ერთობოდეთ, მაშინ ოჯახის შექმნის აქსიომა დაცული იქნება.

6155. სიყვარულის გადაფასებას იწვევს შენთვის კერპად ქცეული ქალიშვილის გათხოვების შემდგომი პერიოდის ჯოჯოხეთად გადაქცევა, რომლის გამართლება ოჯახზე, ბავშვებზე ზრუნვაა.

6156. შვილი დედას თვალს არიდებს გაკვეთილების არცოდნისთვის, დედა მამას პერანგის გაუუთავებლობისთვის, მამა დედას თვალებში ვერ უყურებს ხელფასის დაგვიანების გამო. ასე და ამ რიგად გრძელდება ჩვენი ყოფა, რადგან იცვლება ცხოვრება, არ იცვლება თვალის არიდების წესები.

6157. თუ ქალმა მამაკაცი თავის მფარველად შეიგრძნო, მისი კაპრიზის მიუხედავად, მაინც გამართულ ოჯახს მივიღებთ, ხოლო კაპრიზის გარეშე იდეალურს.

6158. ოჯახის შენარჩუნების ფორმულაა: ყოფითი ბაზისი, მომღიმარი ცოლი, ახლობლებში ავტორიტეტი, არეული მოწონების მატერიალურ კოქტეილში, წინაალმდეგ შემთხვევაში, იწყება შესასმელი ცხოვრების დეგუსტაცია, აზრთა სხვაობა და „ჭრელი ბაზარი".

6159. სანამდის ქორწინების ინსტიტუტი არსებობს, მას უნდა მიესადაგოს თანამედროვე ოჯახის შექმნის გაგებაც („სოჟიტელი"), სამოქალაქო ქორწინება, მეგობარი, მკურნალი და მათი გვირგვინი – ეკლესიაში ჯვრისწერა.

6160. კაცმა ქალის მორჩილება უნდა დაიმსახუროს თავისი ღირსების წარმოჩენით, ხოლო ქალისადმი კაცის თანადგომა მისი სათნოების საფასურია. თუმცა ამ სახის წყვილთა ღუღუნი ბედის რჩეულთა ხვედრია.

6161. სექსუალური შერწყმის შედეგად დაბადებული ბავშვები მოცინარნი არიან.

6162. პოეზია ვალდებულია ემსახუროს ჩვენს სულიერ და ზნეობრივ სრულყოფას, მაგრამ ოჯახი მატერიალურ სრულყოფას ეწირება. ასე გაიელვებს ჩვენი ცხოვრების გონიერების მანიფესტი, რომლის მომდევნო თაობა, თავისთვის გასაგებ პოეზიას მოეფერება, თუმცა მატერიალიზმის მოთხოვნებს მაინც ვერ გაექცევა.

6163. უკომპრომისო ბედნიერი ოჯახი, არ შეიძლება წყნარი იდიოტების მიერ არ იყოს შექმნილი, რადგან სხვა შემთხვევაში ის უნდა ჩქეფდეს, ბობოქრობდეს ნგრევის და წარღვნის გარეშე.

6164. ოჯახის ნგრევის დაზღვევაც შესაძლებელია და კონტრაქტის პირობებიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება, მაგრამ რამდენად სრულყოფილი და სამართლიანია კომპენსაცია, ეს დაზღვეულებს არ აინტერესებთ.

6165. ცოლის მოყვანისას უნდა გაერკვეთ, რა მიზნით იდებთ უღელს, სექსმა შეგაწუხათ, მომწიფდით, დრო მოვიდა, ჯიშიანი ნაშიერების კვლავწარმოება მოგწონთ, სარფიანია, მარტოობა მოგწყინდათ, თუ უბრალოდ მოგწონთ. ყველა ამ საკითხებში გარკვევის შემდეგ გვირგვინი დაიდგით და მამაზეციერს მოწყალება შესთხოვეთ, რადგან თქვენს მცდელობას რა მოერგება მანაც არ უწყის.

6166. მეუღლეობა იმას უნდა შესთავაზოთ, ვისთანაც ერთად შვილების გაჩენის და აღზრდის სურვილი მაინც გიჩნდებათ.

6167. ცოლქმრული ურთიერთობა იმ ილუზიით არ უნდა ვკვებოთ, რომ როდესმე რაიმე გამოსწორდება, რადგან არ არსებობს შერჩევის პერიოდი მატერიალური დამოძღვრის გარეშე, რომელიც ერთიმეორისთვის მუხრუჭად გადაიქცევა.

6168. რაც მეტს ვასწავლით შვილს, მით უფრო მეტად რჩება მშობელი უყურადღებოდ, რადგან მათ მიერ შვილზე აკიდებული განათლების ტვირთის ზიდვა, მოუცლელობის ბალასტის ჩამოშორების გარეშე შეუძლებელია და ამდენი მცდელობის შემდეგ ეს ტვირთი მშობელი ხდება.

6169. ოჯახი ვალია, მომხიბვლელობაა, აუცილებლობაა, გარდაუვალია, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი და სიყვარული ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს, რადგან სიყვარული ვითარდება, იფერფლება, შეიძლება სიძულვილშიც გადაიზარდოს, ხოლო ოჯახის შექმნა მუდმივ ღირებულებებთან უნდა გაიგივდეს, წინასწარი დაფიქრების, გამოცდის შემდეგ.

6170. ცხოვრების ფორმულა და ბედი სხვადასხვაა: პირველი მომხიბვლელობა, კდემამოსილებაა, მგრძნობიარობაა და შენი ოცნების ქალია, ხოლო მეორე, შენი ცოლია, რომელმაც რაღაცის გამო მოგხიბლა და ბედმაც არ გაგაწბილა.

6171. 27 წლამდე მშობლებისთვის ბავშვი მოწოდებულია ოჯახის შესაქმნელად და მის რაობის გამოსარკვევად, ოჯახის გასამყარებლად და ცხოვრების რეალურად დასანახად, 43 წლის ზევით ბავშვის ყოლა საშუალებას გვაძლევს სიამოვნების, თავის წარმოჩენის, გართობის და იმის, რომ მომავალში ერთმანეთს აზრებს გავუზიარებთ და დამლაპარაკებელი, მომვლელი გვეყოლება, მანამდე, სანამ თავისი პრობლემებით დაიტვირთებოდეს.

6172. თეორიულად ძნელი წარმოსადგენია, რომ ორი აბსოლუტურად მორგებული წყვილი დაოჯახდეს, როდესაც ასარჩევად 6 მილიარდიანი სამყაროს არეალი არსებობს, მაგრამ რა გინდა რომ ქნა, როდესაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია და ასეთი ოჯახების შექმნა არავის აკვირვებს.

6173. ზოგი ქმარი ისე განიცდის ცოლის მშობიარობას, რომ გახარებულია ქალიშვილის შეძენით, რადგან მომავალში ის მამასავით არ გაწვალდება მშობიარობას ჟამს. რას ვიზამთ, ყველას თავისი განცდა ჰგონია მთავარი.

6174. ყველა მამაკაცი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას თავისი წარმომავლობის წინაშე. ის პირველ რიგში ისეთ მდედრთან უნდა ცდილობდეს დაწყვილებას,

ვისაც ჯიშიანი თაობის მოცემა შეუძლია, რაც შეეხება სიყვარულს და ხასიათის შეწყობას, ეს მეორადი საკითხია და ტრადიციების დაცვის შემთხვევაში, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მოევლება.

6175. მიუხედავად იმისა, რომ ყვავს თავის ბახალა უყვარს, ზოგიერთი მშობელი, თვითონ არის თავიდან აღსაზრდელი, რადგან ზოგჯერ შვილს საშოვარზე ქუჩაში უშვებს ან სხვას აზრდევინებს.

6176. „ბლიც-კარიერა" უფრო ფასობს, ვიდრე კარგად აწყობილი ოჯახი, რომლის სიძლიერე თავისებური კარიერაა და სახელმწიფოს დასაყრდენი, მაგრამ ისტორიული მეცნიერება მისკენ რატომღაც ზურგშექცევით დგას და მისი შესწავლა აზრადაც არ მოსდის.

6177. ყველა ოჯახს აქვს ხელშეუხებელი რესურსი სითბოს და სიყვარულის, რომლის გამოყენება დამოკიდებულია გრძნობების კრიზისის კორიანტელზე და მისი ხელახლად სულის ჩადგმის მცდელობაზე, რათა ადრე განაწყენებული სუსტი არსება შინაურებისთვის გულის დედოფლად გადაიქცეს.

6178. მამაკაცის ნაშოვნს ქალი ფლანგავს თავისი საჭიროებისთვის, ყოველ შემთხვევაში ანგარიშის მცოდნე მამრის აზროვნება ასე განსჯის, ხოლო ქალის მათემატიკისადმი უპატივისცემლობა საბოლოოდ ოჯახის მოწყობა – მოწესრიგებით მთავრდება.

6179. როდესაც მამაკაცი ცოლის მოყვანას გადაწყვეტს, ყველას უნდა იგი წესიერ კაცად მიიჩნიოს, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პრაქტიკულად დადებით ტოლობას მოგვცემს ორი უარყოფითი განზომილება: კაცის ხუშტური და ქალის კაპრიზი.

6180. თეორიულად გონიერ კაცს მომხიბვლელი მოსიყვარულე, მისი ფასის მცოდნე ქალი სჭირდება, პრაქტიკულად ის, რომელიც მას საყვარელ საქმიანობაში ხელს არ შეუშლის.

6181. ოჯახის შესაქმნელად ჯანმრთელი თაობის მომცემი სათნო ქალბატონი სჯობს, ვიდრე სუპერმოდელი და სილამაზის დედოფლად დაბადებული, რომელიც მამრისგან გადამეტებულ ზრუნვას მოითხოვს. საბოლოოდ, ასეთ მამაკაცებს ბუნების წყალობით განებივრებული ქალები ვერ აფასებენ და ბეზრდებათ, რადგან კაცი კაცის ამპლუაშია საინტერესო და არა ჩვრად გადაქცეული.

6182. ყოფილი მეუღლეობა უცბად ხსნის ყოველგვარ პრობლემას: ანგარიშის ჩაბარებას, ნერვების მოშლას, ეჭვიანობას და სხ. ეტყობა, ყველა ეს გაუგებრობა ძალად შექმნილი „მზრუნველობაა," თორემ ასე უცბად ამ ტვირთის მოხსნა არ გაგვახარებდა.

6183. ყველა ფორმაციაში, სახელმწიფო წყობაში, მამაკაცის სურვილის მიუხედავად, ქალი ყოველთვის მბრძანებელი იყო და ქმარი შემსრულებელი, თვითდაჯერებული ხვადი ხვდებოდა ამას თუ არა.

6184. დაოჯახებისას მამრი ჯანმრთელ თაობაზე უნდა ფიქრობდეს და არა თავის სულის აღმაფრენაზე და სექსუალურ აღტყინებაზე, რადგან ოჯახში დედა სხვა ცნებაა, ცოლი სხვა.

6185. ცოლ-ქმრის ურთიერთობის მზე ბავშვია, კაპრიზი მშობლების ჭკუაზე აღზრდა.

6186. ცოლსა და საყვარელს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს უკვე „პრივატიზებული" ყავხარ, ხოლო მეორე ამისკენ ილტვის. მიზნის მიღწევის შემთხვევაში ყველაფერი ოჯახის დაშლის საშიშროებით მთავრდება, რათა თავიდან დაიწყოს ყოველივე, თუ ასაკმა არ გიმტყუნათ.

6187. გვიან დაოჯახება ადრეულთან შედარებით სულ ცოტა 15-20 წლის ეკონომიას იძლევა. ადრე დაოჯახებული მისთვის განკუთვნილ გალაღების დროს შვილების და შვილიშვილების გაზრდას ახმარს და მათი მფარველობის ცდაშია, ხოლო გვიან დაოჯახებულს მისთვის განკუთვნილი სიამის დრო თავზესაყრელი რჩება, მაგრამ არავინ იცის როდის შეგეყრება, მსხვრევადი, სათუთი გრძნობა – სიყვარული, რომელსაც გონიერება, ეკონომიკა და გამოცდილება ფეხებზე ჰკიდია.

6188. პატარა ბავშვის ცელქობის ხვედრია თეფშის გატეხვა, მოზარდისა – მშობლების ოცნების გაცრუება, რომელშიც ამდენი სიყვარული, იმედი და შრომა იყო ჩადებული.

6189. ქორწინება ან ომია, ან მოწყენილობა, ხოლო მათ შორის გამავალი გზაა ოჯახის შექმნის მცდელობა.

6190. ოჯახში მანამ გრძელდება სიამტკბილობა, სანამ წყვილები ერთმანეთს ეთათბირებიან, ეკითხებიან, მაგრამ ოჯახის მართვას თავის კანონები აქვს და მაინც ერთი უფროსი სჭირდება.

6191. სიყვარულს ავსებს წყვილთა მრავალი თვისება, ხასიათი, თუ რამდენად აინტერესებს ცოლს ქმრის საქმიანობა, მაგრამ ქმრის საქმეში, თვისებებში, ხასიათში ჩაურევლად.

6192. შეუღლების ყველაზე მეტი უგნურება სწორედ ის არის, რომ ცხოვრებას ჩვენ თავად ვუწყობთ გამოცდას.

6193. თუ ცოლ-ქმარი 24 საათი ერთადაა, სხვა გზა არ არის, ერთი ვაშლის ნაყოფად უნდა იქცნენ და სიყვარული და პატივისცემა ურთიერთგაგებაზე უნდა გაცვალონ.

6194. ფლირტი შეყვარებული ცოლ-ქმრისთვის მთელი ცხოვრება გრძელდება, ხოლო შეთვისებისთვის ფლირტს მზრუნველობა ჯობნის.

6195. ოჯახური კრიზისი ყველას კარზე მიუკაკუნებს, მაგრამ მისგან გამოძვრომა განგების დახმარებით ერთეულთა ხვედრია.

6196. მდედრის გარეგნობა მამრის „დაბმის" საწინდარია, მაგრამ მას მაინც ქალის სულში დაბუდებული ტკბობის ბაქტერიები განსაზღვრავს, რომლის დაკუპაჟების ხელოვნებაზე და დეგუსტირებაზეა დამოკიდებული საბოლოოდ ჩვენი მომავალი ოჯახის რაობა.

6197. ხანდახან სიყვარული კი არა, შექმნილი მდგომარეობა გაიძულებს მთელი სიცოცხლე ოჯახი ვალად აიკიდო, ისე, რომ ვერც გარკვეულხარ, მოგწონდა ეს ქალი როდესმე, თუ მუდამ მოვალეობას ასრულებდი.

6198. სექსი, სიყვარული, მოვალეობა სხვადასხვა განზომილებაა, ხოლო ოჯახის შექმნისას აუცილებელია ამ გრძნობებში გარკვევა და შეხმატკბილება.
6199. სიძეობის თამაში ყველას მოუწევს, ვისაც ჰარმონიული ოჯახის შექმნა უნდა, აქ ცოლის ნათესავებთან კეთილგანწყობაც იგულისხმება.
6200. ოჯახში ლიდერობის მცდელობა, არა მარტო მათ ცუდ ბუნებაზე მიუთითებს, არამედ არასაკმარის ნდობასა და განელებულ სიყვარულზე.
6201. შეყვარებულ და შეჩვეულ ცოლს შორის ის სხვაობაა, რომ თუ ადრე შენს დანახვაზე ფინიასავით წკმუტუნებდა და ჩუსტები მოჰქონდა, ეხლა ყველაფერი პირიქით ხდება.
6202. ბოლოს ცოლი იმ ფინიას ემსგავსება, რომელიც ყველას უყეფს, რათა ვიგრძნოთ ვინ არის სახლში უფროსი.
6203. ხანდახან ცოლ-ქმრის გაყრის მიზეზი სხვადასხვა გემოვნებაა: ცოლს სხვა ხასიათის და ფუტლიარის მამაკაცები მოსწონს, კაცს სხვა გარეგნობის და სათნოების ქალი, მაგრამ ერთმანეთის ჯინაზე მაინც ერთად ცხოვრობენ.
6204. წუწუნი მაშინ იწყება, როდესაც ცხოვრების გამოცდილება, აზროვნება პრაქტიკას არ ემთხვევა და სწორედ ეს აზრებია, ოჯახს რომ ანგრევს.
6205. ცოლი ის თავხედი პიროვნებაა, რომელიც მამაკაცს აძლევს ნიჭის გამომჟღავნების ან არ გამომჟღავნების საშუალებას, რომელიც ზევიდან აქვს ნაბოძები.
6206. მატერიალური ბაზისის გარეშე მუქთა სიყვარული ნიღაბაფარებულ „ალფონსს" ვერ წარმოუდგენია, ხოლო ოჯახის შექმნაზე ხომ საუბარი ზედმეტია.
6207. ქორწინება სოციალური აუცილებლობაა, სექსუალური შესაძლებლობის გამოვლინებით გარკვეულ დრომდე, ხოლო სიყვარული გაურკვეველ დრომდე გრძელდება და ქორწინების გარეშე სოციალურ საჭიროებას არ წარმოადგენს.
6208. გარიგებით მეზობლად დაქორწინებას, ისევ შორიდან, უქომაგოს მოყვანა სჯობს, რადგან წაკინკლავების შემთხვევაში გულშემატკივარი არ ეყოლება და წასვლაც დაეზარება.
6209. შვილები ძალიან ეგოისტები ხდებიან, როდესაც მშობლების ასაკის მატებას და მათ ქონებას უყურებენ.
6210. ქორწინება არის ორი მგრძნობიარე უგუნურის შეუღლება, კარგი მიზნებით, ოცნებებით და ამოცანებით.
6211. დიდი ბედნიერებაა, როდესაც ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ცოლ-ქმარს ერთმანეთის სიყვარულში ერთხელაც არ შეპარვიათ ეჭვი.
6212. გაანჩხლებულ ცოლს ნოტაციებით თავმობეზრებული მთვრალი ქმარი ეუბნება: მე მაგის თავი არ მაქვს, დამეხმარე, რომ ბრანწი გაჩვენოო.
6213. ცხოვრებაში ყველა კარგის გახსენებას ცდილობს, მხოლოდ ცოლ-ქმარია ის ფენომენი, რომელიც ყოველთვის ცუდს იხსენებს, რათა ერთმანეთისთვის საყვედურის თქმა შესძლონ.
6214. წყვილმა ერთად და სიამტკბილობით დიდხანს რომ იცხოვროს, საჭიროა ხანდახან განშორება ან ოჯახში ერთის დიქტატურასთან მეორის სასიამოვნო შეგუება.

6215. პირველი ცოლი ისე უნდა გიყვარდეს და ენდობოდე, რომ მომდევნო ცოლებიც მას აარჩევინო და ასეთი „დაფასებით" ასიამოვნო.
6216. მშობლების სურვილია შვილის ცხოვრებისეულ გაიმპოტენტებას არ მოესწროს.
6217. სიყვარულის აფექტში წყვილის მიერ აღებული ვალდებულების ნახევარი თუ მაინც სრულდება, ამ ოჯახს სიამტკბილობა გარანტირებული აქვს სიცოცხლის ბოლომდე.
6218. ყველა მშობელს შვილის ბედნიერება თავის ფანტაზიის დასაკმაყოფილებლად, სიამოვნების მისაღებად და სხვებისთვის ბრანწის საჩვენებლად უნდა.
6219. ქალის სახელოსნოს ბედნიერებაა შვილების გაჩენა და იქ მოფუსფუსე მამაკაცის ღირსების მოფერება, რადგან ოჯახის იმიჯი აქედან იქმნება.
6220. როდესაც ამბობდნენ ოჯახი, იგულისხმებოდა მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, მათი ქომაგი დიდი ბებია-ბაბუები, საქმეში გასული მეორე ნახევრის ახლო ნათესავები და არა დღევანდელი ოჯახი, ცოლ-ქმარი, ბავშვი.
6221. ოჯახური გალიის დამფინანსებელი ქმარი უნდა იყოს, მშენებელი ცოლი, რომელიც მამრის დაუკითხავად ამ გალიას შეუმჩნეველს, სასიამოვნოს და აუცილებელს გახდის.
6222. მამაკაცს ცოლის ერთგულება ყოველთვის ვერ გამოსდის, მაგრამ ცოლი ვალდებულია ერთგული იყოს, ან ეს როლი ითამაშოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მამაკაცთა გადაგვარების შეჩერება შეუძლებელი გახდება.
6223. ცოლქმრობა თავისებური შეზღუდვებია, სიყვარულის მუხრუჭია, მაგრამ მომავალი თაობების კვლავწარმოების და მათზე სიყვარულის გადანაწილების აუცილებლობაა, ამასთან ოჯახის ინსტიტუტის ახლებურად დანახვა და წარმოჩენაა.
6224. ცოლქმრობა თავისებური ომობანას თამაშია, დაუხვეწელი წესების გარეშე.
6225. დაოჯახების სურვილი ჩვენს ბიოლოგიურ საათზედაა დამოკიდებული და არა სიყვარულ-მოწონებაზე, ხოლო, ამ დროისთვის გასწრება-დაგვიანება ცოლქმრულ სიამტკბილობის გარანტიას არ იძლევა.
6226. სიყვარულის გარეშე ოჯახის შექმნა მის ნგრევას არ ნიშნავს, პირიქით, შეიძლება მისი განმტკიცების საშუალებაც იყოს, რადგან წყვილს ეშინია, არ გამჟღავნდეს, რომ მათ სიყვარული არ შეუძლიათ.
6227. ხშირად პატივისცემა, მოწონება უფრო ძლიერ ოჯახს ქმნის, ვიდრე ცარიელი სიყვარული მოვალეობის შეგრძნების გარეშე.
6228. მრავალშვილიანი ოჯახის წევრებს თავიანთი მატერიალური გაჭირვება რომ ახსოვთ, სამ შვილზე მეტის ყოლის წინააღმდეგნი არიან, ხოლო დედისერთების ოცნებაა მრავალი შვილი, რომელიც სამი ბავშვის ყოლით მთავრდება.
6229. მრავალშვილიანი ოჯახი პატარა სახელმწიფოა, რომელიც პატივისცემაზე, ზომიერ სიყვარულზე და ურთიერთ საქმიან დახმარებაზე უნდა იყოს აგებული და არა იმ ქონების გაყოფაზე, რომელიც პრაქტიკულად არაფერია.
6230. რატომღაც მამა-ვაჟის, სიძე-სიმამრის, ტანდემი უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე დედა-ქალიშვილის, რძალ-დედამთილის, რადგან მდედრს მეტი სიყ-

ვარული და მოვალეობა აქვს თავის გულისხმევით შექმნილი ოჯახის მიმართ, ვიდრე მამრს და ამიტომაცაა, რომ მისთვის გასაგები მონდომებით უფრთხილდება მას.

6231. ქალი მამრის არჩევისას მასზე ინფორმაციას აგროვებს, ახლობლებს აზრს უზიარებს, მაგრამ უარყოფითი ბალანსის შემთხვევაშიც არჩევანს არ ცვლის, ხოლო მამაკაცი ინფორმაციას არ აგროვებს თავის რჩეულზე, მაგრამ დაზვერვის მონაცემებს ამ ქალის „კეთილისმყოფელნი" აწვდიან და ამის მიუხედავად, ოჯახს ქმნიან. ასე, რომ დაზვერვის მონაცემები და ჭორი არაფერ შუაშია, თუ მათი ბედი ზევით დიდი ხანია გადაწყვეტილია.

6232. მიუხედავად თავიანთი უყურადღებობისა, ქმარზე უკეთ ვერავინ ამჩნევს ცოლის ასაკობრივ ცვლილებებს, რომლის გაფიქრება, დანახვა მდედრს არ სურს, ხოლო მამრს მისი შემჩნევა.

6233. ადამიანი, რომელიც არც მოგწონთ და არც მოგეწონებათ თქვენი ბუნებიდან გამომდინარე, მეწყვილედ არ უნდა აირჩიოთ, რადგან ერთ-ერთისთვის ის განტევების ვაცია და ამით პარტნიორს აუბედურებს, ამიტომ დაოჯახებამდე თქვენს გრძნობებს და ხასიათს კიდევ ერთხელ უნდა დაეკითხოთ.

6234. დაოჯახების დროს დადებული საქორწილო ხელშეკრულება უნდობლობის ბრალია თუ წინდახედულების, ცხოვრება გაარკვევს.

6235. საყვარელი ცოლის ანჩხლობა ზოგს მალამოდ ედება გულზე, სანამ ერთ ნოტზე აგებულ მდედრის სოლოს შეეჩვეოდეს, შეჩვევის შემდეგ რატომღაც ახლა სხვა ნოტის მოსმენას ინდომებს შეჩვევამდე.

6236. ქალი თუ კარგ კაცს უსიყვარულოდ მიჰყვება, მათ ცხოვრება ხელში შემოადნებათ, თუ სიყვარულით ცხოვრება უგრძელდებათ. ასე, რომ გულს ვერ უბრძანებ, ხოლო განცდას ჭკუას ვერ ასწავლი, რადგან სიყვარული თავის ხუმტურებს მოითხოვს, რომლის გარეშე ის ფასს დაკარგავდა.

6237. ყველა ოჯახი თავის სიძნელეებით თუხთუხებს და ეს დუღილი თუ ქვაბიდან არ გადმოდის, ე.ი. ცხოვრება თავის გზით მიდის, მის წევრებს უყვართ და პატივს სცემენ ერთმანეთს.

6238. ოჯახის შემქმნელია საშუალო ნიჭი და მისი გამგებელი მეუღლე, ქვეყნის დასაყრდენია, რადგან ქვეყნის და ოჯახის შესაძლებლობას ეკონომიკაში ქალის კაპრიზი აწესრიგებს.

6239. ოჯახი გულისხმიერების კომპოზიციაა, რომლის ალგორითმის ამოხსნა ჩვენს განვლილ ცხოვრებაშია.

6240. ცოლ-ქმრის გაყრის მიზეზი მაინც ეგოიზმია და არა თავზე გადამეტებული წარმოდგენა, ამბიციურობა, სხვადასხვა ხასიათი.

6241. ქორწინების მთავარი საყრდენი ურთიერთპატივისცემაა, მოვალეობის გადანაწილებაა და ის, თუ ქალი არ არის ფულის შემომტანი ოჯახში.

6242. ქალი ქარიშხალი, ფეიერვერკი, ვულკანი უნდა იყოს საზოგადოებაში. ნაზი, შრომისმოყვარე, მოყვასი ოჯახში, მაგრამ ეს სულ მამაკაცების სურვილია, რომლებმაც თავად არ იციან, რა სურთ.

6243. ორი სხვადასხვა არსება, სქესი ქმნის ოჯახს, იმისთვის, რომ თავიანთი საიდუმ-ლოებები შეინახონ, ერთმანეთს არ გაუზიარონ და ბოლომდე ერთმანეთს არ ენ-დონ. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ახალგაზრდობაში ჩადენილი სისულელეების ტირაჟირება ოჯახის სიმშვიდეს ვნებს.

6244. როდესაც მამაკაცი ამბობს, რომ ის ყველაზე ჭკვიანია, ხოლო ქალი ყველაზე ლამაზი, მათ ესმით, რომ მეორე ასეთ ბრიყვს ერთმანეთის გარეშე ვერ ნახავდნენ.

6245. ქალის ლოგიკა, შესანიშნავი მანიპულიატორია, რომელიც მამაკაცს ცხოვრე-ბას კი არ უმწარებს, არამედ ეხმარება, რათა ქალმა ყველა საქმე თავის სასარგებ-ლოდ გადაჭრას, სადაც მამაკაცსაც შეიძლება რაღაცა სახეირო შეხვდეს. ყოვე-ლივე ამას მამაკაცი ცხოვრების ბოლოს ხვდება, როდესაც ყველაფერს ეჩვევა.

6246. ბავშვი არა მარტო სიყვარულის შედეგია, არამედ გონების ჭყლეტისაც, სადაც ქალი მის მოვლას კისრულობს, ხოლო მამრი ზედამხედველის როლში გვევლინე-ბა, ხოლო თუ პირიქით ხდება, მაშინ იწყება მეორე ეტაპი გონების ჭყლეტის, საჭი-რო იყო თუ არა მისი გაჩენა.

6247. წესით, ერთადერთი გულშემატკივარი ანგელოზი ქმრისთვის ცოლია, მაგრამ რა უნდა ვუყოთ ამდენ უპატრონო ანგელოზებს, ასე მოწყენილი რომ დაფარფატებენ ცაში, რომლებსაც პატრონი და გამგები მამრზე ნაკლებად არ სჭირდებათ.

6248. ქალის მიმართ აღფრთოვანებით დაღლილებმა უნდა დავისვენოთ, გონიერე-ბის აზროვნებას საშუალება მივცეთ და ამის შემდეგ თუ ეს აღფრთოვანება არ გაგვივლის, ბედს უნდა დავმორჩილდეთ.

6249. მამრი და მდედრი ერთმანეთს სიბერისკენ მიათრევენ, ნელ–ნელა ძირავენ ურთიერთს, გარეგნობაზე, ჯანმრთელობაზე ყურადღების მოდუნებით და ერთმა-ნეთის ყურებით, ვინ-ვის გაასწრებს იმქვეყნად წასვლას. რას ვიზამთ, როდესაც სხვანაირად ცხოვრება არ გვეხერხება და არც ბუნება გვწყალობს ყოველთვის.

6250. არიან „დამყაჩაღებელი" მამაკაცები, რომლებიც ქალის ყურადღებას უმალ იპყრობენ და ისაკუთრებენ, არიან „ტვინიკოსები", რომლებიც ქალებს მოკლე დროში აოგნებენ და ითავისებენ, არიან „კაცები", რომლებიც ქალის გაცნობას და გაოგნებას ძველმოდურად ცდილობენ. პირველს ქალთან ურთიერთობა აქვს მოკლე, რადგან საქმეში კონკურენცია ერევა, მეორესთან მატერიალური პრობ-ლემები იჩენს თავს, ხოლო მესამე კატეგორიის მამაკაცები არიან ოჯახისთვის და უღლის დადგმისათვის გაჩენილები.

6251. წინათ თუ მამაკაცს ქალი სიყვარულს ჩუქნიდა, არც მამრი რჩებოდა ვალში. დღეს დროის სიმცირის და შემოსავლიანი გონების ჭყლეტის გამო იძულებულია იყიდოს – დროც ნაკლები ეხარჯება და თანხაც. შედეგად საქმიანობაში კრედიტ–დებიტზე აქვს ყურადღება გამახვილებული, რადგან მას სხვანაირად ცხოვრება უკვე აღარ შეუძლია.

6252. ოჯახურ კონფლიქტში ყველა დამარცხებულია, მაგრამ ყველა გამარჯვებაზე ფიქრობს და ცდილობს ერთმანეთს კონტრიბუცია სიტყვიერად გადაუხადოს, რად-გან ყველას თავის ჭკუაზე და გემოზე უნდა ცხოვრება, მაგრამ უკვე სხვა სახლში.

6253. ხვად მამაკაცს ცოლიც სჭირდება და მისი შემცვლელიც, სუსტისთვის ერთი ზედმეტია, ხოლო მეორე თავზეა საყრელი. რომელი მამრი სჯობს და სჭირდება, ეს ქალმა თავად უნდა განჭვრიტოს თავის გენეტიკით, სექსუალური ფილოსოფიით, ჭირვეული ჭკუით.

6254. აღმოსავლეთში მამის კულტია გამეფებული, მაგრამ შვილები დედებს უფრო პატივს სცემენ, რადგან ისინი ხშირად იცავენ პირმშოს ამ კულტის კანონიერი რისხვისაგან.

6255. ოჯახი – ეს ბევრი სამუშაოა, მოთმინება, მოთხოვნებია, კამათია, აზრთა შეჯახებაა, მაგრამ ყოველივე სიყვარულით არის შეზავებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ღირსეული ნაშიერის, თაობების აღზრდა გაჭირდებოდა.

6256. ოჯახში მთავარი ის კი არ არის, ვინ უკეთ ეწევა უღელს და ვინ ზარმაცობს, ვინ არის ყოველთვის მართალი და ვინ მტყუანი, არამედ ის, რომ საქმე ამ საკითხებზე სამსჯელოდ არ უნდა გავხადოთ.

6257. წყვილის სანატრელი წამის გაელვება და ისინი ნეფე-დედოფლად მოგვევლინებიან! მაგრამ რამდენად არიან მზად და როგორ გასწევენ ამ უღელს, ეს ბედის და მათი შემართების საქმეა.

6258. მიუხედავად განაზებისა, ქალისთვის საქმროს ასარჩევად 5 წუთიც საკმარისია, ხოლო მამაკაცისთვის ქალის მოსაწონებლად ერთი წუთიც ზედმეტია, მაგრამ ოჯახის შესაქმნელად და თავისუფლების დასაკარგად წყვილისთვის მოსაფიქრებელი დროის გაჯანჯლებაა საჭირო.

6259. არსებობს ქალის და მამაკაცის ღირსება, რომელიც მათ სხვადასხვანაირად ესმით, მაგრამ ძირი და მოსაფრთხილებელი ერთი აქვთ.

6260. დილას და საღამოს ქალის ფართომოხმარების შეკითხვების მიმართ მამაკაცის პასუხი თავშეკავებული, მრავალმხრივი, არაფრისმთქმელი უნდა იყოს, თუ უნდათ ორივე მხარემ მშვიდობიანად ითანამშრომლონ და თვითკმაყოფილება ერთმნიშვნელოვნად შეინარჩუნონ.

6261. ქალი ოჯახში გაცილებით მეტია, ვიდრე საზოგადოებაში მისი საქმიანობა, პროფესია, თუნდაც იმიტომ, რომ ის ამისთვის ხელფასს არ იღებს.

6262. ქალი მამაკაცს ძირითადად მისი ნიჭის, შესაძლებლობის მიხედვით ირჩევს, ხოლო მამრისთვის მთავარია მდედრის მომხიბვლელობა, გარეგნობა და მისთვის უცნობი სხვა ატრიბუტები, რომელსაც ადრე თუ გვიან მდედრი მაინც გამოამჟღავნებს საკუთარი ბუნების და გარემოს წყალობით.

6263. როდესაც პირველად მამაკაცი სახლში ღამით არ ბრუნდება, ამას ორი ქალი: დედა და ცოლი განიცდის. პირველს ეშინია რაიმე ფათერაკს არ გადაეყაროს, მეორეს სხვა ქალის საწოლში თავი რომ არ ამოყოს, ამ ორი ვარიანტიდან სჯობს ისევ ცოლის შიში აღსრულდეს, უფრო ჰუმანურიც არის და სამართლიანიც, რადგან კარგი ქალის ქმარს თუ ოჯახში მიუხარია, ის სხვის სახლში ღამეს არ გაათევს.

6264. როდესაც შვილების ასაკს ფეხდაფეხ მიჰყვებით, გეჩვენებათ, რომ ცხოვრებისთვის ისინი არასდროს მზად არ არიან, ხოლო ჩვენ მათ ასაკში დიდებიც ვიყავით, საქმესაც ვუძღვებოდით და თავიც ყოვლისშემძლე გვეგონა. რას ვიზამთ, მამების მზრუნველი დაეჭვება შვილების ხვედრი და მათზე ზრუნვაა.

6265. ქორწინებამდე ქალთან ყოფნა უმაღლესი ნეტარებაა, ქორწინების შემდეგ შეიძლება უმაღლეს დასჯად იქცეს, ვინ არის ამ აქსიომაში დამნაშავე, საუკუნეების გადასახედი პასუხით ვერ გვანებივრებს.

6266. მეორე ნახევარი, პირველთან შედარებით, უფრო ეშმაკი და მოხერხებული უნდა იყოს, მაშინ იქნება ჰარმონია, სიყვარული და კიდევ ისეთი სასიამოვნო რამ, რომელზედაც ჯერ არ უფიქრიათ.

6267. ნამდვილი მამაკაცი უპატრონო ქალს მოეფერება, სულს გაუთბობს, მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრებს მისთვის ადგილის მიჩენაზე თავის ცხოვრებაში.

6268. ქალი, რომელიც მცდელობის გარეშე, ერთდროულად ცოლიც არის, საყვარელიც, სიდედრიც, დედაც, ქალიშვილიც, ცხოვრების ლელოს გატანა გარანტირებულია.

6269. ზოგი ქმარს ეძებს, ზოგსაც სიყვარული შემოეპარა და ოჯახს შექმნის, ეს კი სულის გამხნევების და მის ფორმაში ყოფნის მაჩვენებელია.

6270. სუსტი ხვადია ის მამაკაცი, რომელიც ქალებისკენ არ იყურება და არ ცელქობს, ხოლო ქალი, რომელიც ამ ცელქობაში ტრაგედიას დაინახავს, არაშორსმჭვრეტელია და ეტყობა უინტერესოც.

6271. უხიაგი და ანჩხლი ქალი ქმარს თავის ჭკუაზე მართავს და უკეთეს ოჯახს ქმნის, ვიდრე ჭკვიანი და მოყვასი.

6272. მეგობრების არჩევა და ძაღლის აღზრდა ჩვენი ნებაა, მაგრამ შენი ნაჩალიჩები ოჯახის და მისი წევრებისა რა მოგახსენო?!

6273. არც ქალებს ესმით მამაკაცური ყბედობის საჭიროების და არც მამაკაცებს ქალის, ჭორაობის აუცილებლობის, თუ გინდ ერთმანეთზე ბევრად ჭკვიანები იყვნენ.

6274. წინათ თუ ქალის ნაზი ჩურჩული გაოგნებდა, დღეს შვილების ხმის გაგონებაზე დნები და მასთან ენამოჩლექით მასლაათი განიჭებს სიამოვნებას. რას ვიზამთ, როდესაც განგებას ყველაფერი გენიალურად აქვს მოფიქრებული. თუ ვინ, რომელ ასაკში და რა ხარისხის სიყვარულს უნდა ეზიაროს, რომლის გარეშეც ოჯახი არ შეიქმნებოდა.

6275. წყვილს თუ ერთმანეთი უყვარს, მაშინ ცოლი სამზარეულოში უნდა საქმიანობდეს, ხოლო მამაკაცს მეგობრებთან საუბრის უფლება მისცეს, ყურის დაგდებით, რათა მოგვიანებით, ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, მრჩეველის როლი შეასრულოს და არა – ლიდერის.

6276. თეორიულად ოფიციალურ სიყვარულს და სავალდებულოს, სჯობს არაოფიციალური და სამოქალაქო, მაგრამ პრაქტიკულად პირველი უფრო გამძლეა და საიმედო, ვიდრე მეორე, რომლისგანაც სიტყვის ფარფატი და საეჭვო მოსაგონარი რჩება.

6277. ქორწინებამდე მამაკაცი რაინდის როლს თამაშობს, ქორწინების შემდეგ – მეომრის, სიბერეში კი ტყვედ დანებება უნდა, მაგრამ დამტყვევებელი არავინ ჩანს.

6278. ქალს, რომელსაც მამაკაცთა მოდგმის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია, ოჯახის შექმნას უნდა მოერიდოს და არა ნაშიერის ყოლას, რადგან ეს კავშირი მასაც გააწბილებს და ოჯახის თავკაცსაც.

6279. არის ქალის ჭირვეულობა, რომელიც ხშირად მამაკაცისთვის გაუგებარია, ამ დროს სჯობს მამრი შეუმჩნეველი იყოს, რადგან ჭირვეულობა თქვენი სახით დამნაშავის ძებნაშია.
6280. ზოგ სამუშაოს სიყვარული და ამ საქმის სარფიანობა ცხოვრების დაისზე მის შექმნილ ოჯახს ეტყობა.
6281. ვაჟიშვილს მამის სიყვარულს დედა უნდა უნერგავდეს, ხოლო სხვისადმი პატივისცემას – მამა.
6282. ცოლი ოჯახში საქმით უნდა დატვირთო, რადგან შენ რომ „თავის ახალგაზრდობა შემოგწირა", დაასაქმებ თუ არ დაასაქმებ, მისი ვალი მაინც არ გეხსნება.
6283. როდესაც პოეტური სინაზე ქრება, იწყება ოჯახის შექმნის პროზა, რომელსაც ცოლქმრობა და მოვალეობაში გადაზრდილი სიყვარული ჰქვია.
6284. ასაკში მამაკაცსა და ქალს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ან თეთრი თმებით რჩება ან გამელოტებული თავით, ხოლო მეორე კვლავ ან ქერა, ან შავი, ან წაბლისფერი თმით გვევლინება.
6285. ქალის მრიცხველად ნათქვამი ყოველთვის უნდა გაიყოს კაცის ხასიათის მნიშვნელზე, ხოლო მამრის ნათქვამი მრიცხველი უნდა გაიყოს ქალის ჭირვეულობის მნიშვნელზე და მათი შესაკრებთა ჯამით მივიღებთ ქალის მნიშვნელობას ოჯახში.
6286. ძალზე დამჯერი შვილები და ქმარი ღმერთმა გამოროთ, მოსაბეზრებლები არიან.
6287. ქალი სახლის მოახლე ლამაზმანია, რომელიც ანაზღაურებას კრედიტით იღებს და თანხას ოჯახის საჭიროებისამებრ ჩამოწერს.
6288. თუ დღისით ქალების გავლენა მამაკაცებზე ნაკლებია და ღამით ეს გავლენა სასიამოვნოდ მატულობს, მაშინ რა მამაკაცების უზურპაციაზე და ქალების ფემინიზმზეა საუბარი.
6289. ქალი ოჯახში ყოველთვის პრივილიგირებული იყო, მაგრამ დღეს ის ამას ვერ გრძნობს, რადგან აღარ შემორჩა ის სათნოება, ნეტარება, მომხიბვლელობა, რომელიც მას ოჯახის შექმნამდე ჰქონდა და ეს წლების ჭირვეულობა ოჯახზე მზრუნველობას უნდა რომ გადააბრალოს.
6290. ცოლქმრობა ჩუმი მაზოხიზმია, რომელსაც ზოგი მთელი ცხოვრება ვერ გრძნობს.
6291. მეგობრის ოჯახი საკუთარში არ უნდა აგერიოს და არ უნდა განსაჯო, ყველა თავის თავს მოუვლის.
6292. ხანდახან ბერბიჭა ცოლს იმიტომ ირთავს, რომ თავის უგერგილობის ნაწილი დაოჯახებას აჰკიდოს.
6293. სიყვარულის ახსნა ანგელოზზე უნდა ვისწავლოთ, ხოლო ცოლად ის უნდა მოვიყვანოთ, ვისაც ჩვენი ბედი ვერ გაექცა.
6294. თუ კარგი სამუშაო თანამდებობას შეესატყვისება, კარგი ანაზღაურების საწინდარია, რომელიც გასაფლანგად ცოლის ხელში გადადის, ხოლო ეს უკანასკნელი კი ჩვენი ჭკუის დასარიგებლად და ნერვების ასაშლელად არის მოწოდებული.
6295. კაცისთვის მთავარია ქალის გაცნობა, ქალისთვის მამრის შეცნობა, მაგრამ ეს ურთიერთობის დაწყების და დროის გაცდენის საბაბი არ უნდა გახდეს.

6296. კარგი მეუღლე: დილით სასიძო უნდა იყოს, შუადღეზე – მშრომელი მამა, საღამოს – ქმარი და ღამე – საყვარელი.
6297. ქორწინება ორი გულუბრყვილო წყვილის გადაწყვეტილებაა, რომლებსაც სიყვარულის სახელით სამშობლოს უნდათ მომავალი თაობები აღუზარდონ.
6298. ქმარს უნდა ცოლს სექსუალური ჯოჯოხეთი მოუწყოს საწოლში, მაგრამ ბუნების კანონის, „მოყირჭების" წინააღმდეგ, ვერაფერს ხდება.
6299. როგორი არგუმენტიც არ უნდა მოვიყვანოთ, როგორც არ უნდა ვიღაღადოთ ბერბიჭობის სასარგებლოდ, წყვილისთვის ოჯახი და მასში სულიერი სიმყუდროვის დამკვიდრებაა მთავარი.
6300. ცოლისთვის ქმარი ყოველთვის პატარა ვირუკელაა, იმისდა მიუხედავად, მამაკაცი მიხვდება ამას თუ არა.
6301. ოჯახი გრძნობების ღელვის დროს არ შენდება, მის მშენებლობას ქარიშხლის ჩადგომა და სიყვარულის სიოს ქროლვა სჭირდება.
6302. მომეცით საყრდენი და არც დედამიწას გადავაბრუნებ, არც ჩემს აზრებს მოგახვევთ თავზე, არც სადღეგრძელოს გეტყვით, უბრალოდ, ამ საყრდენის ხარჯზე შევქმნი ჩემს ნაოცნებარ ოჯახს და გემრიელად ვიცხოვრებ.
6303. ადამიანები იმიტომ ქორწინდებიან, რომ შემდგომი არჩევანის უფლება მოისპონ, ხოლო ცხოველები ამ სისულელეს ერიდებიან.
6304. სხვადასხვა სქესის ბედნიერება ძველად ის იყო, რომ მოლეკულასავით მიილტოდნენ ერთმანეთთან შესაერთებლად, დღეს კი შეყრა-გაყრაა მოდაში.
6305. ქალის და კაცის შეერთება სატანის და ტარტაროზის დაწყვილების ტოლფასია, სადაც ჯოჯოხეთში ცხოვრებას არცერთი არ აპირებს.
6306. მამაკაცი ოჯახში უფროსი უნდა იყოს, თუ ამის უფლებას ოჯახის წევრები მისცემენ.
6307. მამაკაცის ფასი ოჯახში მისი სიტყვა-პასუხით დგინდება, ხოლო ქალისა მისი სიდინჯით.
6308. მარტომ შეიძლება ისაუზმო, სადილად სადმე წაიხემსო, მაგრამ ვახშამი შინაურების გარეშე არც ვახშამია და არც ოჯახი.
6309. ქალის ცრემლი ქმრისთვის დროებითი „ვეტოა" მისი მამაკაცური ცელქობის და ახალგაზრდობის გასახსენებლად.
6310. მშობლების სიყვარულის გარდა ყველა სხვა სიყვარული თავად უნდა დაიმსახურო.
6311. ცოლქმრული ურთიერთობის დაზღვევა ყველაზე სარისკო ბიზნესია და ამიტომ ვერცერთი სადაზღვევო კომპანია მის დაზღვევას ვერ ბედავს.
6312. თუ მამაკაცს შეუძლია რამდენიმე ქალის გაბედნიერება, ცოლმა უნდა გამოიჩინოს მდედრის სოლიდარობა და სხვა ქალებსაც მისცეს ოჯახის ყოლის იმიტაციის საშუალება.
6313. ოჯახური ტრადიციების შექმნა დამოკიდებულია მამაკაცის ძლიერ ხასიათზე და დედაკაცის მიერ ამ ხასიათის გასწორებაზე.

6314. მამა უფრო მშვიდად უყურებს თავის შემცვლელ შვილს, ვიდრე დედა თავის შემცვლელ რძალს მიუხედავად იმისა რომ ყველას საზრუნავი ნანატრი შვილიშვილი მალე მოევლინა მათ.
6315. დაბადება პატარასთვის ბედნიერებაა და არა დამსახურება, ხოლო მისი მშობლებისთვის ღვთის წყალობაა ჯიშის და ჯილაგის გასაგრძელებლად.
6316. გავუფრთხილდეთ ბავშვებს, ისინი კიდევ ბევრ სისულელეს ჩაგვადენინებენ სანამდის ცოცხლები ვართ.
6317. ცოლქმრობა კატა-თაგვობანას თამაშია, სადაც ასაკის მატებასთან ერთად ცოლი სულ უფრო კატის როლში გვევლინება.
6318. ქალი ან უნდა გაგვირიგონ ან უნდა გვიყვარდეს, სხვა გამართლებული გზა ოჯახის შექმნისა არ არსებობს.
6319. დიდი ოჯახის შექმნა გაცილებთი ადვილია, ვიდრე მისი წევრების სურვილის დაკმაყოფილება,რაც შეეხება მათ ფანტაზიებს, ის ყოველგვარ გაგებას ეწინააღმდეგება.
6320. ცოლს არა მარტო იმის უფლება აქვს ქმარს უთხრას, რომ ის უვარგისია, არამედ დაუმტკიცოს კიდეც მდიდარი მეზობლის მაგალითზე.
6321. კაცს ცოლი მოჰყავს თავისი სისულელის გამო, ქალს ცნობისმოყვარეობა არ ასვენებს. შედეგით მართალია ორივე უკმაყოფილოა, მაგრამ პროცესი აქვთ კარგად გასახსენებელი.
6322. ოჯახის ბედნიერება არც დიდ სიყვარულზეა დამყარებული და არც ლატარიის მოგებაზე, ის მთლიანად დამყარებულია ცხოვრებაში საერთო გამართლებაზე.
6323. როგორც კი საყვარელი ქალი მეუღლე ხდება, მაშინვე იწყება მისდამი ჩვენი აღფრთოვანების ზიგზაგური ხედვა.
6324. ერიდეთ იმ ქალის ოჯახში შესვლას, ვინც თქვენს ჭკუაზე არ ითარგმნება.
6325. „შვილს უნდა მოექცე მტრულად, მოყვრულად რომ მოგექცეს" სათუო მაქსიმაა, თუნდაც იმიტომ, რომ მშობლებს ამისთვის დრო არა აქვთ, ხოლო შვილებს ეშმაკობა და მახსოვრობა აქვთ განვითარებული.
6326. ოჯახი ის ორგანიზაციაა, რომლის დაცვას მისი წევრები მანამდე ცდილობენ, სანამ სიყვარულის საძირკველის ნგრევა გარადუვალი არ გახდება.
6327. მიზანსწრაფული მშობლების მზრუნველ ავანტურას შვილის ბავშვობა არ უნდა შეეწიროს.
6328. ოჯახში ყველაზე დიდი კაპიტალი დედაა, რომლის სიყვარულის დებიტ-კრედიტით ყველა ოჯახის წევრი სარგებლობს, ყოველგვარი გირაოს ჩადების გარეშე.
6329. წყვილის ბედნიერებას ჭედავს კომპრომისი, ურთიერთდანდობა და დათმობა.
6330. ფაქტობრივად ქორწინება არაფერია, გარდა ორთა კავშირისა, რომელიც დრო და დრო გრძნობების ჭაშნიკის შეკეთებისთვის მესამე დამაკავშირებელს აჩენს.
6331. ცოლის მოყვანა არც ისეთი იაფი სიამოვნება ყოფილა, როგორც თავიდან გვეგონა.
6332. შვილების ყოლა სადავიდარაბო სიმდიდრეა, მაგრამ სასიამოვნოც და აუცილებელიც.

6333. მშობლები მაშინ გვეცლებიან ხელიდან, როდესაც ისინი ძალზე ძვირფასნი ხდებიან ჩვენთვის.
6334. მშობლები ცდილობენ ბავშვის თავის ჭკუაზე აღზრდას, ბავშვი კი მშობლების თავის ჭკუაზე მართვას.
6335. ზოგიერთი ქალის ხელში მამაკაცი ორ კოცნადაც არ ღირს, ზოგის ხელში კი კოცნით დახრჩობის ღირსია, ეს იმ შემთხვევაში თუ არჩევანში ბედმა არ გიმუხთლა და ცხოვრებამ, სიამტკბილობის ლელო ბოლომდე გაგატანინა.
6336. ცხოვრება რომ გაიხალისოთ და მუდამ სიყვარულზე ზრუნავდეთ, ცხოვრების ყველა ეტაპზე ოჯახში პატარა ბავშვი უნდა იყოლიოთ, მაგრამ ამასაც ტრადიციები და საკუთარი ბუნების შესწავლა, გამოვლენა სჭირდება.
6337. ქალს, რომელიც ოჯახს კერპად გაიხდის და ქმარს გააბედნიერებს, ყოველნაირად ხელი უნდა შეუწყოთ, რომ აზრი და ქმედება არ შეცვალოს.
6338. სილამაზე ქალის პრივილეგიაა, სულიერი სიმდიდრე – მამაკაცის, მაგრამ მათი შერწყმა იმ ოდენობით, ორივე მხარეს რომ აწყობდეს, შეუძლებელია, ამიტომ იმით უნდა დაკმაყოფილდნენ, რაც მოახერხეს.
6339. მოსიყვარულე წყვილი, სიყვარულთან ერთად მცირე დოზით შხამსაც უნდა უზიარებდნენ ერთმანეთს, რათა სიამტკბილობის პერიოდის გასვლის შემდგომ ოჯახური დავის საწინააღმდეგო აცრა ჩატარებული ჰქონდეთ და ამ გზით გაუგებრობის იმუნიტეტგამომუშავებულებმა სიყვარულს ჩრდილი ვერ მიაყენონ.
6340. ცოლის ყოველდღიური ჯუჯღუნი, ჭიჭყინი, საყვედურები ქმრის მიერ ასატანი პრეროგატივაა და მას არც გაპროტესტების უფლება აქვს და არც განსჯის, რადგანაც ეს ოჯახური საიდუმლოების გაცემის ტოლფასია.
6341. შვილის აღზრდას ძირითადად დედა კისრულობს, მაგრამ მასზე გავლენას ახდენს მამის ავტორიტეტი, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა ოჯახში, საზოგადოებაში და იმ შეუცნობად გარემოში, სადაც მის შვილს მოუხდება ყოფნა.
6342. იმ ოჯახში, სადაც სიყვარულის და ურთიერთპატივისცემის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ, სრული ჰარმონიაა და სიცოცხლე ჩქეფს.
6343. წყვილს აახლოვებს ბედი, ერთნაირი გემოვნება, სხვადასხვა ხასიათი, აშორებს უბედობა, სხვადასხვა გემოვნება და ერთნაირი ხასიათი.
6344. მშობლის სურვილია, რომ ბუნებამ მის ნაშიერზე არ დაისვენოს და ეს სიამოვნება თავადაც გაიზიაროს.
6345. ოჯახის შენების დროს, მამრს უნდა რომ მუდამ ბედნიერი იყოს თავისი ვირეშმაკობის და მოხერხებულობის წყალობით, ხოლო ქალის სურვილია ბედნიერება უწვალებლად და უეშმაკოდ შეინარჩუნოს.
6346. ზოგჯერ შვილები ცდილობენ მშობლებს ასწავლონ თუ როგორ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, მაგრამ მცდელობა მათს გამოუცდელობასა და ოჯახის არყოლაზე მიუთითებს.
6347. ოჯახში რომ იბატონო, ამიტომ თავი ყველას მსახურად უნდა გამოაცხადო და ყველა შენს შეუცვლელობაში დაარწმუნო.

6348. ცოლის მოყვანა კი არ არის ძნელი, არამედ მასთან თანაარსებობა, რადგან ვერ გარკვეულხარ მიჰქარე თუ გაგიმართლა.
6349. ბედნიერებაა წყვილის უდიდესი სერობა, სანამ მესამე, საკუთარი პირმშო ან მოქიშპე არ ჩაერევა და სიყვარულის მათლაფას თავისკენ არ მიიწევს.
6350. ჩვენი ცხოვრების კულისების ნახვის უფლება მხოლოდ ექიმს, ცოლს და იშვიათად შვილს უნდა ჰქონდეს.
6351. ოჯახის შენარჩუნების ფორმულაა ბიუჯეტის, თანაგრძნობის და სიყვარულის რაციონალური ხარჯვა.
6352. ცოლები მიდიან და მოდიან, მაგრამ მათი სინჩხლის ესტაფეტა ერთმანეთზე გადაუცემლად ოჯახში რჩება და მუდმივია.
6353. მკვლელობის ახსნა ცოტა ძნელია: ჯალათი განაჩენის გარეშე თავს არ მოჰკვეთს, ჯარისკაცი ბრძანების გარეშე არ გაისვრის, ხოლო ექიმს არც სასამართლოს გადაწყვეტილება სჭირდება და არც არავის მითითება, ისე შეუძლია მოკლას ავადმყოფი, რომ პასუხიც არ აგოს. ასევე შეიძლება მოექცეს მეუღლე თავის ნასვამ ქმარს და პასუხიც არაფერზე აგოს.
6354. შესაძლებელი რომ იყოს, ზოგიერთი შვილი მშობლებს არავითარ შემთხვევაში არ მისცემდა ოჯახის შექმნის უფლებას – იმდენად შეუთავსებლები არიან ისინი.
6355. ზოგი აღსაზრდელად იმდენად უხიაგია, მართლა წეროს მოყვანილი რომ იყოს, როგორც წუნს, უკან დააბრუნებდი, მაგრამ, რა უნდა ქნა, როცა შენი ნახლაფორთალია.
6356. ტელესერიალებში, კინოში, თეატრში მთავარ გმირებს ცოლები ძალიან უყვართ, მაგრამ ეს თამაშისათვის განკუთვნილი დიდი ჰონორარების დამსახურებაა. ცხოვრებაშიც ცოლებმა ასე რომ უხადონ ქმრებს ჰონორარი, განა მათ სიყვარულს დაამადლიან?
6357. ბედნიერი ქორწინება სამუდამოა, მაგრამ მართლაც ბედნიერია?
6358. ერთი ნახვით შეყვარება არის დროის, ფულის, ნერვების ეკონომია და განცდების გამოთავისუფლება, როცა საქმე ცოლთან გაყრაზე დადგება.
6359. ოჯახის წევრები თუ ერთმანეთს ხელს არ უშლიან, მათ დემოკრატიისათვის დიდი ხანია მიუღწევიათ და ბედნიერ ოჯახად უნდა ჩაითვალონ.
6360. სახლში ქალი პრემიერმინისტრია, რომელსაც შეთავსებული აქვს ფინანსთა, განათლების, საგარეო საქმეთა და სხვა მინისტრის პოსტები.
6361. ზოგი მეუღლე გამწევი ცხენივით არის, ის უყვართ თვინიერებისა და გადატანილი ტვირთის ოდენობის გამო. იგი დოლში პრიზის ასაღებად და თავის გასახარებლად არასოდეს მიიღებს მონაწილეობას.
6362. ოჯახის წარმართვის ქვაკუთხედი უნდა იყოს გონიერი პოლიტიკა თავისი კომპრომისებით და ერთმანეთის საქმეში ჩაურევლობა.
6363. სამწუხაროდ, ჩვენ არც მშობლებს ვირჩევთ და არც შვილებს, ბოლოს როგორც ირკვევა, არც ცოლია ჩვენი შესაფერისი.
6364. ყველაზე საშიში ბედნიერი ქორწინებაა, რადგან ის იძლევა ამ ქვეყნიდან უდრტვინველად წასვლის საშუალებას.

6365. მამაკაცთან საბოლოოდ დარჩენის შანსი მაშინაა გარანტირებული, თუ მან თავისი სიამოვნებისთვის განკუთვნილი ქალების ლიმიტი ამოწურა.
6366. ამბობენ, ქალს მამაკაცი მუდამ შიშში უნდა ჰყავდეს, სხვასთან რომ არ გაექცესო. ეს ამართლებს, თუ ის მამაკაცს უყვარს და სხვაგან წასასვლელი გზა არ გააჩნია.
6367. ქმრებს რომ არ უთმობდნენ და თავის ეშმაკობას არ იყენებდნენ, თავისი ქმრების ხელში ჩავარდნილი ქალთა მოდგმის ნახევარი დიდი ხანია სასაფლაოზე იქნებოდა წამოწოლილი.
6368. რატომღაც კაცების უმეტესობა ქალებს შეათვალიერებს ქვემოდან ზემოთ, ხოლო ქალების უმეტესობა კაცებს ზემოდან ქვემოთ, ვინაიდან კაცს პირველ რიგში სექსი აინტერესებს, ქალს კი ოჯახი და ვინ იქნება ამ ოჯახის უფროსი.
6369. ქალის და კაცის შეერთების მიზეზი ზოგჯერ ერთის უსაქმურობა და მეორის გადაღლილობაა.
6370. სურვილი – შექმნა ოჯახი და სურვილი – გიყვარდეს, სხვადასხვა რამაა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი უფრო საფუძვლიანად გამოიყურება.
6371. „ფატა" თეთრი ბაირაღია მამაკაცის მიმართ, მაგრამ შეუვალობის დროშა მისი ახლობლების წინააღმდეგ.
6372. თუ თქვენი მეუღლის ქცევა ყველა საზღვარს გასცდა, საკუთარი საზღვარი უნდა გადაკეტო, რომ მასაც არ გადმოცდეს.
6373. თუ გინდათ ოჯახში სითბო შეინარჩუნოთ, ზომიერად აღფრთოვანდით თქვენი არჩევანით.
6374. არის მომავალი თაობის წინაშე ვალდებულება, რომელიც ყველა ნორმალურმა ადამიანმა უნდა დაიცვას, თუ მას თავის ნაშიერზე გული შესტკივა. ფიზიკური სიმახინჯით დაბადებულებმა და ფსიქიურად ავადმყოფებმა შვილები არ უნდა იყოლიონ, თუ არსებობს მცირე შანსიც, რომ ისინი მათ დაემსგავსებიან.
6375. ოჯახისთვის შვილები სიყვარულის გამაღვიძებელი კერაა, რომელიც მომავალში სიყვარულის, მოვალეობის მორებად აგიზგიზდება.
6376. სამსახურის გარდა არსებობს პირადი ცხოვრებაც, რომელსაც ცოლ-ქმარი, რატომღაც, დავაში ატარებს.
6377. უკომპრომისო ცხოვრებას რა სჯობს, მაგრამ მოსაწყენია და არც მაინცდამაინც დიდი ხნის სიცოცხლის გარანტიას იძლევა.
6378. ყველა დღესასწაული ქალს უნდა მოაწყობინოთ, ხოლო დაფინანსება მთლიანად თქვენი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ დღესასწაულს ვერც შეამჩნევთ.
6379. ბავშვის შობა და აღზრდა ყველა ქალის ოცნებაა, მაგრამ ძნელია ამ ბავშვისათვის კარგი მამის შერჩევა.
6380. ქმრისთვის კარების იქით ჩემოდნის გადგმით მთავრდება ცოლთან ურთიერთობა, ხოლო ქალისთვის ჩემოდნის გადგმა ქალთან დამშვიდობებას სულაც არ ნიშნავს და მამაკაცი მრავალ სიურპრიზს უნდა ელოდეს.
6381. ცოლად გაყოლა მამაკაცზე გადაყოლას არ ნიშნავს.

6382. ქალთა საზოგადოება მაშინვე ამჩნევს თუ ქმარი ცოლზე ჭკვიანია და მაღლა დგას, ხოლო თუ პირიქითაა, იგი მას თითქმის შეუმჩნეველი რჩება.
6383. ქორწინება და ოჯახის შექმნა ბედის საქმეა, ხოლო შენთვის მონიჭებული დრო არის მუდმივი, ამიტომ ეს ცხოვრება უნდა შეუხამო ამ დროს და ისე იცხოვრო, რომ ამ ქვეყნიდან გულნატკენი არ წახვიდე.
6384. თუ მეუღლესთან ურთიერთობა საყოფაცხოვრებო სექსზე გადადის, იწყება მეუღლის თვალში ქალის ეშხის, სიმშვენიერის და მომხიბვლელობის დაკარგვა. ამიტომ, ცოლი ყოველთვის ფორმაში უნდა იყოს, როგორც სამზარეულოში, ისე საწოლშიც.
6385. მამაკაცის ცხოვრებას აზრს აძლევს მისი ოჯახის ციხე-სიმაგრე, რომელსაც იცავს ნდობით აღჭურვილი სპასალარი – მეუღლეთუხუცესი და მის განაწყენებას უნდა ერიდო.
6386. ეცადეთ, ქალთან გქონდეთ კარგი ურთიერთობა და არა დიდი სიყვარული. ოჯახის შექმნისათვის ეს პრაქტიკულად დამღუპველია.
6387. კარგად აწყობილი, შეხმატკბილებული. ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახი გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე კარგად უზრუნველყოფილი, მაგრამ არეული.
6388. ოჯახის ქალი საზოგადოების განვითარებაში პროგრესია, ხოლო დიასახლისი მისი გვირგვინი.
6389. ოჯახი და სახელმწიფო ჩამოყალიბებული ტრადიციების მიხედვით უნდა იმართოს.
6390. ქალებს თანდაყოლილი ეშმაკობა აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის გაჩენა, მოვლა, აღზრდა მათ კისერზე გადადის, ისინი მათ მამის გვარზე სწერენ. ამით მამებსაც აბეჯითებენ და პრეტენზიის წაყენების უფლებასაც მოიპოვებენ.
6391. ზოგჯერ მამაკაცი სმას ეჩვევა იმიტომ, რომ სახლში უჭკუო ქალი ჰყავს და გარეთ ასეთივე მეგობრები.
6392. დიდი ბავშვი – დიდი პრობლემა, პატარა ბავშვი – პატარა პრობლემა, მაგრამ, ამ პრობლემის ოდენობა და მშობლების არაორდინალურ პირობებში მოხვედრა აძლიერებს შვილებისადმი სიყვარულსა და მზრუნველობას.
6393. თუ ოჯახში მართლმსაჯულებას ბაბუა იცავს, გულისხმიერებას ბებია, ეკონომიკას მამა და წესრიგს დედა, ასეთი ოჯახის ტრადიციებზე აღზრდილ ბავშვს დაუფიქრებლად უნდა ვანდოთ გვარის მომავალი.
6394. ოჯახს აერთიანებს ეკონომიკური სიძლიერე, ხოლო სიღარიბე ჰყოფს. ამასთან ყველა დამნაშავის ძიებაშია და საქმის გამოსწორებაზე არავინ ფიქრობს.
6395. სიყვარულიდან სიძულვილამდე მანძილის ძლიერ სიმცირეს ისიც ამტკიცებს, რომ ცოლი, შენი უახლოესი და ერთგული მეგობარი, გაყრის შემდეგ პირველ მტრად იქცევა და შენი დანახვაც არ უნდა.
6396. „ბედნიერია" ის მამაკაცი, რომელსაც ოჯახში ერთი პატარა დავალება აქვს დაკისრებული – ფული მოიტანოს. სხვა მხრივ მას არც არავინ აწუხებს და არც არაფერს ეკითხებიან.

6397. ყველანაირი „გაფრენის" ავტორი ცოლი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ნივთების შემომტანი „მეგობარგე" ქმარი არ დაემორჩილება, რომელიც ასე სჭირდება ჰარმონიული ოჯახის შექმნას და რომელზედაც მამრებს წარმოდგენა არა აქვთ.

6398. ქორწინება ორი ნერვებაშლილი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის მცდელობაა მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ჩატარებამდე ოჯახში.

6399. ქორწინება ის ზვავია, რომელშიც გამოუცდელი შეყვარებულები ხვდებიან, ამ ზვავიდან გამოსვლას ცდილობენ, ამასობაში კი იმდენი დრო გადის, რომ ცხოვრების ფართხალს ეჩვევიან და იქიდან გამოძვრომის მოთხოვნილებაც უქრებათ.

6400. მოახლედ დაბადებულს, ცოლად შენი შვილების დედასაც კი ვერ აქცევ, მაგრამ რას იზამ, შენ უნდა გასწიო ორივეს უღელი, რადგან საზოგადოებას ოჯახი სჭირდება და არა ოჯახში შინაპარტიული ბრძოლა.

6401. ოქროს ქორწილი უამრავი შეცდომით, გაწბილებით არის სავსე. მან მრავალ განსაცდელს გაუძლო, რადგან ცხოვრების რეალობას დროზე აუღო ალღო და თავიანთი დაწყვილების ბედნიერება აქამდე მოიტანა.

6402. ნამდვილი მამაკაცის ხვედრია მოვალეობის ტყვეობაში ყოფნა. ქალისათვის ნამდვილი მამაკაცი მთელი სამყაროა, ხოლო მასზე ზრუნვა მას კაცის ტყვედ აქცევს.

6403. ზოგჯერ ცოლის გაკაპასება და ლანძღვა გულზე მალამოდ მოგეცხება, თუ იცი, რომ მისი ქმედება შენზე ზრუნვით და სიყვარულითაა გამოწვეული.

6404. საიმედო ცოლი ძალზე ბუნებრივი, კარგი დიასახლისი, გონიერი კაპრიზის მქონე უნდა იყოს, იმ შეგნებით, რომ მისი მეუღლე მასზე მეტი თუ არა, ნაკლები არაფრით არ არის.

6405. თუ თქვენი საუბარი ცოლთან გონიერი აზროვნებით, ღიმილით, საამო სურნელით დაიტვირთა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მალე ჯიბეების მოჩხრეკა მოგიწევთ.

6406. ქორწინება არც სიყვარულია, არც სიძულვილი და არც შურის შედეგი. ის გარკვეულ დროში, შემთხვევის წყალობით, ქალის და მამაკაცის პარტნიორად დაწყვილებაა, რომელიც ნარდის თამაშს მოგვაგონებს, სადაც ყველაფერს კამათელის გაგორება და აზრიანი თამაშის მარათონი წყვეტს. მხოლოდ ცხოვრების თამაშის ბოლოს ირკვევა, ვის ბედი წყალობდა და ვის ჭკუის ნაჩალიჩარი.

6407. ოჯახის შენარჩუნება ძირითადად ქალზეა დამოკიდებული და მის სურვილზე – შეიმჩნიოს ქმრის ცელქობა სხვა ქალებთან, თუ ყოველივე დროს და ასაკს მიანდოს.

6408. დღეს მამაკაცის საყრდენია: სამსახური, ოჯახი, მეგობრები. ქალის: სამსახური, ოჯახი, ქმარი. წინათ კი ოჯახი, ოჯახი, ოჯახი.

6409. ოჯახში სამართლიანი განსჯა ძნელია – ყველას თავისი უფლება, შეღავათი და სალამ-ქალამი სჭირდება. ამასთან, სამართალის დაუყოვნებლივ განსჯას ყველა მოითხოვს, მაშინ როდესაც მისი კონსტიტუცია და კანონი სახელმწიფოსგან განსხვავებით არავის დაუწერია და არც არავის მიუღია.

6410. ვაჟის კალთის ქვეშ გამოკერების დრო პირდაპირპროპორციულია მშობლების კისერზე ჯდომის ხანგრძლივობის და ამ უკანასკნელთა "სიყვარულის" დაფასების.
6411. ზედმიწევნით პატიოსნება და სახელმწიფოზე დანდობა გადამეტებული შიშის შედეგია, საკუთარ თავზე შეყვარება და უპასუხისმგებლობაა ოჯახისა და ახლობლების წინაშე.
6412. მითხარით, ვინ გიწევთ უღელს, ვინ არის თქვენი მეგობარი, რა ჯიშის ძაღლი გყავთ, ვისთან მეზობლობთ და გეტყვით, ვინ გამოვა თქვენი პირმშო.
6413. თუ ქორწილი ზევით წყდება, ქვევით რა ჯანდაბა ჭირს, რომ იყრებიან. ეტყობა ეს ცოდვილი დედამიწაა დამნაშავე ყველაფერში, ზევიდან წამოსულ სიგნალებს სწორად რომ ვერ იღებს.
6414. ამქვეყნად ყველაფერი შეწყვილებულია: კაცს ხარჯვა უყვარს, ქალს კი – შეძენა, კაცი სახელისთვის იბრძვის, ქალი – ოჯახისთვის, ასეთი კანონზომიერების გარეშე კაცს მხოლოდ ფულის ხარჯვა შერჩებოდა, ტკბილად მოსაგონებლად, ხოლო ქალს – შეძენის სურვილი და გულისტკენა.
6415. ბავშვის კომპიუტერისადმი გადამეტებული მიდრეკილება მშობლების მოუცლელობის, მათთან ურთიერთობის დეფიციტის და ბავშვის მომავლის მიმართ საზოგადოების გულგრილობის მაჩვენებელია.
6416. გაყრა თავისუფლების მოპოვების საშუალებაა, დაქორწინება გამბედაობაა ყულფში თავის გაყოფით, მაგრამ სამყაროში ჩვენი კეთილდღეობა ამ შეყრა-გაყრაზეც არის დამყარებული.
6417. ის საშუალება, რომელიც ქალს ქმარს კიდევ უფრო მეტად აყვარებს, დიდი ხნის წინათ არის აპრობირებული: ფული, საჩუქარი, ქათინაური.
6418. წინამძღოლები, ცხოველებიც და ადამიანებიც, იშვიათად არიან კარგი მამები, რადგან მათ ჰგონიათ, უფრო დიდი საქმე აქვთ დავალებული განგებიდან, ვიდრე ღირსეული ნაშიერის პატრონობა და კარგი ოჯახის შექმნა.
6419. ხანდახან უმანკო ტყუილის თქმაც საჭიროა ოჯახის სიამტკბილობისთვის.
6420. ძუ და ხვადი ერთი მოდგმისა არიან, მაგრამ ოჯახში იმის მუსიკაზე ცეკვავენ, ვისაც საბაზრო ეკონომიკაში და ფულის შოვნაში უფრო გაუმართლა.
6421. ხანდახან საჩვენებელი ქორწილი პირდაპირპროპორციულია საჩვენებელი ოჯახის დანგრევისა.
6422. მშობლები ხშირად თავისი გადასახედიდან უფრო რეალურად ხედავენ შვილის მომავალს, მაგრამ შვილებს თავისი შეცდომების გადასახედიდან ცხოვრება უფრო მოსწონთ.
6423. ყველას აქვს თავის საზღვრები დაცული, ცოლის გარდა.
6424. დედა შვილისთვის უცოდველია, როგორც რომის პაპი, ხოლო შვილი დედისთვის ცოდვილია, ოღონდ მუდამ მართალი.
6425. თუ ცოლი ანგელოზი გყავთ, მაშინ თქვენი ადგილი ზევით არის და არა ამ ცოდვილ მიწაზე.

6426. დღევანდელი უსაქმური რობოტების წარმოჩენა ამ საუკუნის საოცრებაა, ხოლო მომდევნო საუკუნის რობოტები, ყოველგვარი გაოცების გარეშე, ოჯახის მოსაბეზრებელი წევრები გახდებიან.

6427. სიყვარული დროებითი სატკივარია, ოჯახი მუდმივი საზრუნავი, ხოლო მათი შერწყმა და წესრიგში მოყვანა მთელი ცხოვრებაა საფიქრალი.

6428. ღირსეული მშობლების წინაშე შვილი მოვალეობას იხდის, უღირსთა წინაშე – ვალს.

6429. რაც უნდა გავაფეტიშოთ ცხოვრების სიამენი, რომელი რწმენაც უნდა მივიღოთ, მაინც ''ალილუიას'' ძახილი მოგვიწევს, რადგან ადამიანს, პირველ რიგში, ოჯახის და ცხოვრების პერსპექტივის დანახვა სჭირდება.

6430. უორიენტაციო მამრისა და მდედრის დაწყვილება მომსახურების ბიუროს მიერ საქორწინო გაცნობით, კეთილი საქმეა თუ არა ეს სხვა საკითხია. აქ მთავარია, რომ დღევანდელი დღით ვიცხოვროთ, ხოლო ხვალინდელი მამაზეციერს და იღბალს გადავაბაროთ, თუ გვინდა ცხოვრება გავიადვილოთ.

6431. ჭეშმარიტებისთვის საზღვარი არ არსებობს, მაგრამ მას ცხოვრებისეული თვალსაზრისით უნდა შეხედო, რადგან შენს უკან ოჯახი და იმ წინაპრების საზოგადოება დგას, სადაც შენ გიწევდა ცხოვრება და შენი გვარ-ტომი აქამდე მოიყვანა.

6432. მამაკაცის და ძაღლის მოთვინიერებას თავიდან ჯაფა და მოთმინება სჭირდება. უპირველესად მას მოუწყვეთ მოხერხებული საწოლი-ბუნაგი თქვენს გვერდით, ტელევიზორით, მიეცით საშუალება რაიმე კოლექციის შეგროვების და ხრახნების მოჭერის, თავი რომ ოჯახის მარჩენლად იგრძნოს. ყოველდღე მოუმზადეთ საჭმელი გემრიელი და მაძღრისად, ლუდის ბარში ძრომიალის მიზეზი რომ მოუსპოთ. მიეცით პატარ-პატარა დავალებები, მათ შორის, პურის მოტანა და ბავშვის ბაღიდან მოყვანა. ბრძანების შესრულებისას დააჯილდოეთ ღიმილით, კოცნით, საჩუქრით. შეუსრულებლობის შემთხვევაში გადმოყარეთ მისთვის გაუგებარი ცრემლი. ასე და ამრიგად, ველური ხვადისგან თანდათანობით მიიღებთ დამჯერ ფინიას, რაც თქვენ ქალურ კაპრიზს საბოლოოდ სიამეს მოუტანს.

6433. არიან შვილები, რომლებიც მშობლის ოცნების ეტალონს უახლოვდებიან, მაგრამ მათი წარმოსახვის აღსრულება მაინც იმ მეორე ნახევარზეა დამოკიდებული, რომლითაც ფორტუნა მათ დაასაჩუქრებს.

6434. ბებიების პატივისცემაზე და ბაბუების ყოფილი შესაძლებლობების აღიარებაზე არის დამყარებული სამყაროს სითბოს გაცემა და მამაკაცური ტრადიციების ღირსების გაგრძელება.

6435. სიცოცხლის დაზღვევა ოჯახივითაა და პრაქტიკულად ხარჯის გარდა არაფერს იძლევა იმ გადასახადის საფასურად, რასაც შენ იხდი, თუ მანამდე ღმერთი არ გაწყრა და დაზღვევის ფულის აღება შენინანებს არ მოუწია.

6436. გარეგნობა არ არის ოჯახის სიმყარის საფუძველი. მთავარია ხასიათი, სუნი, ასაკი, ფული და ის გარემო პირობები, რომლის სიმებზეც ჩვენი ნერვებია აწყობილი.

6437. რიქშას რომ არ ჩაუჯდე ეტლში შენი შეხედულებების გამო, მედლის მეორე მხარეც გაითვალისწინე: მას ოჯახი დარჩა მშიერი.
6438. კაცისთვის ხმის ჩამორთმევის უფლება ოჯახში მაშინ იწყება, როდესაც მამაკაცის ღირსებას სულ უფრო და უფრო უჭირს თავისი მოვალეობის შესრულება და პენსიაზე მიიპარება.
6439. კუდაბზიკა მშობლებმა შვილის განათლებას ხელი ისე არ უნდა შეუწყოს, რომ გატყიურდეს და საჭიროების ჟამს მშობლებს და თავის ქვეყანას არ გამოადგეს.
6440. კარგია, როდესაც აირჩიე შენი საყვარელი ქალი, ბავშვების დედა და არა ცოლი, რომელსაც ჰგონია, რომ ოჯახის უფროსობა მოიპოვა და ქმრის პრივატიზაცია უკვე მოახდინა.
6441. ოჯახის უდიდესი კაპიტალია გამრჯე მეუღლე, რომელიც ყველა ინფორმაციას უძლებს და შეუცვლელი „ვალუტაა".
6442. ქორწინებამ გააფართოვა თავისი მსოფლმხედველობა და მოგვევლინა შეცვლილი სახით: სტუმარი მეუღლე, სამოქალაქო მეუღლე, მეგობარი მეუღლე, საქმიანი მეუღლე. ასე რომ, საზოგადოების განვითარება ცვლის მის მენტალიტეტს, ქორწინება სახეს იცვლის.
6443. პარტნიორთა კარგი ურთიერთობა ოჯახს ამტკიცებს, მაგრამ დიდხანს ვერც ერთი მამაკაცი ვერ უძლებს, რადგან მისი ბუნება რუტინას ვერ ეგუება.
6444. ოჯახის პირველი მტერი ამბიციურობა, ემოციურობა, გაუნათლებლობა და სიყვარულის ანა-ბანას უცოდინარობაა.
6445. ნამდვილი ოჯახი მოხუცების გარეშე არასასურველია. ეს იგივეა, რაც ბიბლიოთეკა ბუკინისტური ლიტერატურის გარეშე.
6446. არსებობს ოჯახის მართვის პრინციპები და არა – წესები.
6447. ინტელექტუალური ქალი კარგია საზოგადოებაში კაცისთვის იმიჯის ასამაღლებლად, მაგრამ წამებაა ოჯახის მეურნეობის სამართავად.
6448. ბედნიერი ქორწინების საწინდარია წყვილის სხვადასხვა ხასიათი და ერთნაირი აზრები ცხოვრებაზე.
6449. ოჯახში წესრიგი ქალმა უნდა უზრუნველყოს, კარიერა – ქმარმა, ხოლო თუ პირიქით ხდება, ეს უკვე ოჯახი კი არა, ოჯახუნაა.
6450. თვალის გასახარად გათხუპნული, გაპრანჭული, მოლაყბე, ენერგიული ჟესტიკულაციის ქალი სჯობს, ხოლო ოჯახისთვის – დინჯი, არისტოკრატიული მანერების, წყნარად მოსაუბრე გაუთხუპნავი ქალი, მაგრამ როგორც კი ცოლად მოიყვანთ, მათ შორის განსხვავება ნულამდე დადის. ასე რომ, მამაკაცის ბედი მაინც ლატარიაზეა დამოკიდებული.
6451. ზოგი ქალი ცოლად იბადება, ზოგი ოჯახის მსახურად და აქ ვერაფერს გახდებით.
6452. ქალისა და მამაკაცის მიერ გაწყობილ სუფრათა შორის ის სხვაობაა, რომ მდედრი ერთ თავ საჭმელს ხუთ თეფშზე გადაანაწილებს, ხოლო მამრი ხუთ თავ საჭმელს ერთ მათლაფაზე მოათავსებს, რადგან პირველს საჭმლის მომზადების მრავალფეროვნების ფანტაზია არ ყოფნის, ხოლო მეორეს – ერთფეროვანი თეფშების რეცხვის სურვილი.

6453. ულირსი შვილისთვის მდიდარი მშობლები ძალიან დიდხანს ცოცხლობენ.
6454. შვილი მკაცრად უნდა აღზარდო, მაგრამ, არა იმდენად, რომ შენს შვილიშვილებზე ჯავრი იყაროს, მე ასე მზრდიდნენო.
6455. თუ მოინდომა, ცოლი ქმარს ერთ წამში მაიმუნად აქცევს, მაშინ როდესაც პირიქით პროცესს კაცობრიობამ საუკუნეები შეალია.
6456. არ არის სავალდებულო ძნელად აღსაზრდელი ბავშვებიდან ცუდად აღზრდილი მშობლები, ბებია-ბაბუები და ცუდი წინაპრები ჩამოყალიბდნენ.
6457. ცოლი მაშინ უნდა მოვიყვანოთ, როდესაც ჩვენში ოჯახის კულტის შეგრძნება ჩამოყალიბდება, ვეძებთ თანამეცხედრეს, უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს და არა მაშინ, როცა ეროსის ლატარია შემოგვთავაზებს კანდიდატურას და მოწონება ოჯახის შექმნის ბაზისად მოგვეჩვენება.
6458. ცოლი ქალის ის ნაირსახეობაა, რომელსაც ენდობი, აღმერთებ, ცოდვებსაც შეგინდობს, ზურგსაც გაგიმაგრებს და შენი ნაშიერის კეთილდღეობის გარანტია.
6459. ცოლის მოყვანა და ოჯახის შექმნა შემთხვევის, გემოვნების, გამართლების საქმეა.
6460. ცოლ-ქმრული ურთიერთობა საკუთარი სკოლის ჩამოყალიბების ტოლფასია, სადაც ისწავლება; სექსი, ფსიქოლოგია, ჰარმონია, სითამამე, ეკონომიკა, და ურთიერთგაგების ხელოვნება, რომლის საწყისი სიყვარული და ნაშიერზე ზრუნვაა.
6461. საკუთარი შვილის წინაშე წარმოსაჩენად ისტორია შენზე შვილიშვილებმა უნდა შექმნან, რადგან ნაშიერის მისდაუნებლიე დაუფასებლობას, შენი რაობა დიდებაში ვერ გადაჰყავს, პიროვნებად ვერ აღგიქვამს ისე, როგორც მოგწონს და გეკადრება.
6462. შვილი ფუტკარია, შვილიშვილი თავფლია და ბაბუას ამ უკანასკნელზე თვალის შევლება და ალერსი მოსწონს, რადგან თავის და ქვეყნის წინაშე მოხდილი ვალით სული გოგმანებს და იმქვეყნად გადაბარგება არც ისე საშიში ეჩვენება.
6463. ბალახტარობა – ხალტურის წინააღმდეგი არავინაა, თუ ის ოჯახის გაძლიერებას ემსახურება, რადგანაც ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ძლიერების საფუძველიცაა.
6464. ოჯახური ცხოვრებისაკენ მიდრეკილება იმითაც არის გასაკვირი, რომ ზოგი რამდენჯერმე ქმნის სხვადასხვა ქალთან ბუდეს, მაგრამ ერთი შედეგით და ერთიდაიგივე საკითხზე ფეხის წატეხვით.
6465. მდედრი და მამრი ღმერთის საუკეთესო შემოქმედებაა, მათი ნაშიერი კი – საუკეთესო გამოგონება.
6466. ცოლ-ქმარს ერთმანეთი თავისებურად უყვარს, მაგრამ დროის ჭაშნიკის გათვალისწინებით.
6467. წესიერი კაცის გადაგვარების ბერკეტი ოჯახიცაა, რომელიც აიძულებს იქურდოს, მექრთამე გახდეს, ითაღლითოს, რათა შინაურები იმის სანახევროდ მაინც შეინახოს, როგორადაც მათი თავმომწონე ამბიციები მოითხოვს.
6468. იმასთანაც ცხოვრობენ, ვინც არ უყვართ და იმასთანაც, ვინც სძულთ, მაგრამ ოჯახის საკაცობრიო ფუნქციას ორივე მხარე ასრულებს მომავალი თაობის

კვლავწარმოების, აღზრდის და ქვეყნის გაძლიერების საქმეში, ამიტომ ყოველთვის მთავარია შედეგი და არა ის, თუ პროცესი როგორ წარიმართება.

6469. ქალის და კაცის უმწიკვლო მეგობრობა მაშინაა შესაძლებელი, თუ ისინი ერთმანეთში სქესს არ ხედავენ, რადგან სადაც ვნებაა, იქ ამგვარ მეგობრობაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

6470. ქორწინება ფაქტიურად სამოქალაქო ომის დასაწყისია, რომელიც სხვადასხვა ინტენსივობით და მცდელობით მიმდინარეობს, ამასობაში ნაშიერებიც იზრდებიან, მშობლების დაწყებულ ომობანას ისინი აგრძელებენ ახალი სიტყვიერი შეიარაღების ხარჯზე მეტი ინტენსივობით და ოჯახის საბრძოლო თეატრში მეტი უფლებების მოპოვების მცდელობით.

6471. ცოლ-ქმრობა ერთმანეთის დანდობაა, შენდობაა, შეწყალებაა, ოღონდ მიქარვების გარეშე.

6472. ყველა მამა უნდა ცდილობდეს ნაშიერს ლამაზი დედა მოუნახოს, ხოლო ყველა შვილი უნდა ცდილობდეს დედას მზრუნველი მეუღლე შეუნარჩუნოს.

6473. ნამდვილი სიძე, რძალი, მაინც პირველი ქორწინებიდანაა, ხოლო შემდგომი შეძენილია, დროით და ყოფით გამაგრებული.

6474. მამრის საბოლოო სიბრძნეა ცოლის შემდგომ მიიცვალოს და დაძაბუნება უსუსურობა ახლო არ გაიკაროს.

6475. სულის ჭრილობის სამკურნალო სახლია და ამას ყველაზე უკეთ მისი მოწყალების და, ცოლი და მოწყალების ძმა, ქმარი, უნდა გრძნობდეს სანიტარ შვილებთან ერთად.

6476. ქორწინება მამაკაცისთვის ოჯახური იდეალის მიღების იმედია, ქალისთვის დანაპირების განხორციელების მცდელობა და ეს ყოველივე რეალურია თუ ერთმანეთს საშუალებას მივცემთ ისე ვიცხოვროთ, როგორც მოგვეხასიათება და გვსიამოვნებს გონიერების ფარგლებში.

6477. შვედური – სამთა ოჯახი იმის მაჩვენებელია, რომ ერთი-ერთს რაღაც უჭირს და მოადგილე ხდება სამეურნეო დარგში, თორემ ნამდვილ პარტნიორს სიყვარულში მოზიარე არ უნდა დაჭირდეს.

6478. ხშირად ქალს თავი ეცოდება, რომ ამ კაცთან მოუწია ცხოვრება, ხოლო მამაკაცს ქალი ეცოდება, ასეთ ღირსეულ მამაკაცს რომ ვერ გაუგო.

6479. ცოლ-ქმრობა შემოქმედებითი საწარმოა, სადაც მომავალი თაობის ლიცენზირებულ კვლავწარმოებას აწესრიგებენ.

6480. ერთ მხარეს არის კაცი-ქალაჩუნა ე.ი. მინუსი, მეორე მხარეს მამალი ქალი თავისი შემართებით, ე.ი. პლუსი. მეორე მხარე არის კაცი, მამაკაცად დაბადებული, ე.ი. პლუსი და ქალი, დედოფლად დაბადებული, ე.ი. პლუსი, ან მინუსი. მიუხედავად ბუნების კანონების ვირეშმაკობისა, ქალ-ვაჟის დაწყვილებაში მათემატიკის კანონებიც ერევა და ერთნაირი ნიშნების და ხასიათის ნამრავლი სასურველ ოჯახს არ იძლევა.

6481. მდედრის წინაშე ყოველთვის მამრია დამნაშავე, რადგან მან ისეთი პირობები ვერ შეუქმნა ან ისე ვერ წაუპირფერა, რომ მათი გაყრა არ მომხდარიყო. ან იჩქარა და არჩევანი გულით გააკეთა და არა მისი ვნებისთვის შესატყვისი სუნით.

6482. გამგებიანი ცოლი მეუღლის წარმატების ერთი მეოთხედია, ხოლო თუ მას შემწყნარებლობაც დაემატა, მაშინ ის ქმარს წარმატების ნახევარში უზის და ეს წყვილისთვის სიყვარულის და ერთგულების გახსენების ტოლფასია.

6483. ქმრები ყოველთვის ნიჭიერები და ყოვლისშემძლენი იქნებიან, თუ ისინი ცოლების მხარდაჭერას და სულიერი ფხის გამოჩენას იგრძნობენ.

6484. ცოლის მოყვანა კი არ არის ვაჟკაცობა, არამედ მისი კაპრიზის მოთოკვა, დიასახლის-დედად ქცევა და ქმრის დიდ შვილად აღიარება.

6485. ქმარს ცოლი მანამდე უყვარს სანამ სხვა ქალს ნახავდეს, ხოლო ცოლი ყველა მის მომდევნო ქმარზე შეყვარებულია, სანამ იმ ქვეყნად არ გაისტუმრებს.

6486. კაცისთვის ქალი ერთი გაელვებაა, ხოლო ქალისთვის იმედია, გაახალგაზრდავებაა, ოჯახის შექმნის პერსპექტივაა.

6487. ოჯახი ქალის ბუნებაზე და მის განწყობაზეა დამყარებული, მაგრამ მას მაინც მამაკაცის უხეში ძალა და მოხერხებული ჭკუა უნდა მართავდეს.

6488. ცოლის ბედნიერება ქმრის ჟინზეა დამოკიდებული, ხოლო ქმრისა – ცოლის ხასიათზე.

6489. თავისი ბუნების გამო ქალი ყოველთვის გამოცანაა, ხოლო კაცი უნდა თუ არა ამ გამოცანის ამოსახსნელად არის მოწოდებული.

6490. ბევრი წყვილი გარეგნულად შესაფერისად გამოიყურება, მაგრამ საძაგლად ცხოვრობენ, რადგან მათი ერთად ყოფნა მამაზეციერს არ უბრძანებია და ბუნების დაუწერელ კანონებს ეწინააღმდეგება.

6491. საოცარია ღმერთო შენი სამართალი, გვაცნობ მომხიბვლელ პატარძლებს და ხელში გვიტოვებ ოპონენტ ცოლებს, რომელთანაც ნალოლიევი სიყვარული, შვილების და ოჯახის შემდეგ, თუ მესამე ადგილზე გადაინაცვლებს, კარგია.

6492. ამბობენ, სიყვარული ქალისთვის ბრმაა და ის ყურის გდებას ანიჭებს უპირატესობას, მამაკაცი კი ყრუა და მისთვის თვალების დაჟუჟუნებაა უმთავრესი. ეტყობა, პირველს მჭერმეტყველება აჰიპნოზებს, მეორეს – მეტყველი თვალები, ხოლო ორივეს ოჯახის შექმნისთვის დამდგარი დრო.

6493. მოხერხებული მამაკაცი თავის მოდრეკით ცოლთან სულ ,,კონსენსუსის'' ძებნაში უნდა იყოს, თუ უნდა ოჯახში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ხოლო როდესაც ქალი ამ ,,სიაფანდს'' ხვდება, უკვე გვიანაა, ჭაღარა შემოეპარა.

6494. ქალის ნერვების აშლის მიზეზი ფეხსაცმელი, ჩანთა, თავსაბურია, ხოლო კაცისთვის მათი უაზრო განახლების ყოველთვიური სურვილი.

6495. გონიერი მამაკაცი ქალთან ურთიერთობის მოწესრიგებას ლოგინში ცდილობს, ხოლო ყველა ჭკვიანი ქალი თავისი წილი სიამოვნების გამოძალვაშია, ასე რომ, წყვილთა შორის სხვაობა სქესშია და არა სექსში.

6496. ცოლ-ქმრობა კატა-თაგვობანის თამაშია, სადაც კატა ყოველთვის კაცი უნდა იყოს, მაგრამ თავი თაგვად უნდა მოჰქონდეს და ცოლს კატობას თუ არა ფისუნიობას მაინც უნდა აბრალებდეს.

6497. როდესაც ამდენი შეჭიდების შემდეგ ცოლთან ურთიერთობას ისწავლი, მის უმიზეზო პრეტენზიებს შეეჩვევი და ყურად არ იღებ, მიხვდები, რომ ამ გამოცდილების მიღებას გარკვეული დრო და ნერვები შეეწირა. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოცდილება ბევრს სჭირდება, არავის უნდა და აღარც შენ გადგება, რადგან დრო და ყავლი გასული გაქვს.

6498. კაცები ვერ ხვდებიან, რომ თუ ცოლები დროზე უღალატებენ, მათთვის დიდი ბედნიერებაა, ხოლო მოგვიანებით ღალატი ოჯახურ მოვალეობას მძიმე ტვირთად აწვება.

6499. შეგიძლიათ თუ არა იმ ქალის შეყვარება, ვისაც თქვენ არ უყვარხართ და თქვენ მას ქალადაც არ თვლით? – გააჩნია პირობებს, რადგან ხანდახან ვაჭრობის საფუძველზე შექმნილი ოჯახი უფრო გამძლეა, ვიდრე კუბში აყვანილი სიყვარულის შედეგად შექმნილი.

6500. ეჭვიანი ცოლი ის ბერკეტია, რომელიც მამაკაცს გეზს აძლევს დამატებით ჩაიდინოს ის ცელქობანი, რომელზეც თავის დროზე არ უფიქრია.

6501. ცოლი ის პიროვნებაა, რომელიც ბედნიერებას მოგვაქირავებს გარკვეული ქცევის, გარჯის და გასამრჯელოს საფასურად და ხათრით.

6502. ცოლი იმ მოთვინირებულ ცხოველს მოგვაგონებს, რომელიც მისი სურვილის ასრულების შემდეგ სახალხოდ, მოურიდებელი კოცნით გაჯილდოვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ამ ქმედებას საფუძვლად თავპატიჟს და სირცხვილს დაუდებდა.

6503. შვილი ყველაზე ძვირფასს ართმევს მშობელს – თავის თავს, როდესაც მისგან უხიაგი ვინმე გამოდის და მშობლის პატივისცემა ავიწყდება.

6504. ანგარიშიანი ქორწინება ყველაზე მეტად გამძლეა და სრულყოფილი, თუ ვარაუდი სწორად არის გათვლილი და დაფინანსებული.

6505. ერთთან დროს ატარებენ, მეორე ცოლად მოჰყავთ, ამის მიზეზია ის, რომ პირველი ოჯახის შესაქმნელად პრაქტიკულად მოუმზადებელია, რაც შეეხება მეორეს, ის ამისათვის დაბადებიდან მზად არის.

6506. პირველი შვილი ოჯახის საძირკველია, მომდევნონი კი – ზედნაშენი, ნაბოლარა კი სასურველია. მათი ლამაზად შექმნა არქიტექტორის – ქმრის და მშენებლის – ცოლის დიდ შემოქმედებით ნიჭს და მოთმინების ხელოვნებას მოითხოვს.

6507. ბავშვი დანამატი არ უნდა იყოს მამაკაცის და ქალის ურთიერთობაში, ეს ბუნების წყალობა, რომელიც გააზრებასა და დაფასებას მოითხოვს ყოველგვარი კვლევა-ძიების გარეშე.

6508. მრავალშვილიანი დედის ბედი არც თუ ისე საინტერესოა, მისი შვილები ქვეყნის სხვადასხვა მხარესაც არიან მოფენილნი ეკონომიკის, საკუთარი მისწრაფებების, შეხედულებების გამო და მშობელს მათი ერთად შეყრა იშვიათად უხდება.

6509. სიზმრის ახსნის მინიმალურმა ცოდნამ შეიძლება შენი ოჯახის და ახლობლების ბედნიერების მიზეზიც გაგხადოს.
6510. ბავშვი მამით უნდა ამაყობდეს, დედით ლაღობდეს, ბებოს თავს აფარებდეს, ბაბუს იმედი ჰქონდეს.
6511. ცოლის მოყვანა გამოუსწორებელი ეგოიზმია საკუთარი თავის მიმართ და არა სიკეთის გამოვლენა ქალისადმი, რომელსაც ტვირთად ოჯახი და შვილები უნდა აჰკიდო და სამშობლოსა და ახლობლების სიყვარული დააყვედრო.
6512. კეთილისა და ბოროტის გაჯრებისას უხერხულობას შევიგრძნობთ. ქალმა, რომელმაც ოჯახს 10 ღირსეული შვილი აღუზარდა, არავინ იცნობს, მაგრამ თუ ცნობილი კაცის ლოგინში შემთხვევით მოხვდა, ის უცბად მსოფლიოს პრესის და ტელევიზიის ყურადღების ცენტრში ხვდება, ამასთან ცეტი მამაკაცების ხელის მთხოვნელთა რიგი უდგას.
6513. ქალები განიცდიან ყველა წვრილმანს და ხშირად ბუტიაობენ, მათ შორის იმას შეუძლია ოჯახის შექმნა, ვისაც მამაკაცთან სასიყვარულო თამაში ეხერხება, მათდამი სერიოზული ურთიერთობა აკავშირებს და იმ მამაკაცს მოხიბლავს, რომელმაც დაღვინებისთვის უმეტესი თავისი წილი ქალებისა დააჭაშნიკა და ახლა მშვიდი ცხოვრებისკენ მიურბის გული.
6514. ქალი, რომელსაც პურისგან მძივის და შაქრიდან კულონის გაკეთება და სამკაულად გამოყენება შეუძლია, ის არ შეიძლება ოჯახის ქალი არ იყოს. ამ მორთულობით ქალმა შეიძლება ირგვლივ მყოფნი გააკვირვოს, მხოლოდ გააჩნია ვინ ჩამოიკიდებს და ვის კისერზე აკიაფდება ეს სამკაული.
6515. თუ ქალი ქმრის მიმართ ზრდილობას და თავაზიანობას ივიწყებს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ის მამაკაცს მიეჩვია და ოჯახიც ფართომოხმარების სახეს იძენს.
6516. ქალი თუ ერთგულად გვაჩვენებს თავს, იგი ვერაგია, თუ ის თავის სასიყვარულო ამბებს მალავს, თავისუფლების მოყვარული ფემინისტია, თუ ქალი ერთს ლაპარაკობს, მეორეს სჩადის და მესამეზე ფიქრობს, ის ცბიერი ქალია, თუ თავის გასამრჯელოდ ფულს იღებს, ის სიძვის დიაცია, ხოლო თუ ქალი იმას აკეთებს რაც მოეპრიანება და რასაც გული უკარნახებს, ის ნამდვილი ქალია და მისი განთესვა ოჯახიდან კასაციას მამაკაცების მხრიდან არ ექვემდებარება.
6517. ქალი წმინდა გზაზე ოჯახმა უნდა დააყენოს და არა მოძღვარმა. თუ ის ამას არ შეეცდება, ესე იგი ის მიხვეულ-მოხვეული გზით სატარებელი კანდიდატია.
6518. ყველა ქალის სურვილია თავისი ოცნებით აშენებულ სახლში იცხოვროს, მაგრამ ბოლოს ქმრის ნახევრადაშენებულ, დაუმთავრებელ, ოცნებასმოკლებულ სახლში უხდება ოჯახის შექმნა.
6519. ქალისთვის ზღაპარი ყოველთვის "იყო და არა იყოთი" იწყება, მაგრამ გადის დრო და -"ძვირფასო, შეიძლება სამსახურში შემაგვიანდე"-თი გრძელდება და ეს ალიბი-მითი აუცილებელია ოჯახის გასამტკიცებლად.
6520. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ქალის ნორმალური მდგომარეობაა ჰორიზონტალურად წოლა და წყნარად ყოფნა, მაგრამ მას რომ სითბო და ოჯახის ზურგის გამაგრებისთვის დაფასება სჭირდება, ამას ყოველთვის გონება ვერ ჩასწვდება.

6521. ქალი ფასეულობების თავისებური შემფასებელია, მისთვის პატარა საოჯახო ომების მოგება მამაკაცის დახმარებით აუცილებელია, რადგან დიდი ომის მოგება, მას ცხოვრებისადმი ინტერესს დაუკარგავდა, ხოლო მამრს იმიჯს. ორივეს კი ოჯახის ნგრევის პერსპექტივას შეუქმნიდა.

6522. ოჯახის ბურჯი ის ქალია, რომელიც თავის სიჭკვიანეს მალავს და მამაკაცს თავისი მომხიბვლელობით და მოხერხებულობით იქით მიახედებს, საითაც მას მოეპრიანება.

6523. ჭკვიანმა ქალებმა ყველაფერი იციან, მაგრამ ოჯახში გულუბრყვილო ჯობია, რადგან მას ყველაფრის კეთება შეუძლია.

6524. ქალი მამაკაცის მიმართ თავს ვალდებულად, მორჩილად და თავმდაბლად არ უნდა გრძნობდეს, მაგრამ უნდა ახსოვდეს, რომ ის ოჯახში მეორე პირია და მისი პირველ პირთან ურთიერთობა, მის მიერ თილისმად ქცეული ნორმების დაცვას მოითხოვს.

6525. ქალები ხშირად იმათ ვერ მიყვებიან, ვისზეც ოცნებობენ და იმ მამაკაცით კმაყოფილდებიან, ვინც თანახმაა მათზე ჯავრი იყაროს, ტკივილი მიაყენოს და აჩვენოს, ვინ არის ოჯახის ავან-ჩავანი.

6526. უნდა შევძლოთ ჩვენი მტრების პატიება, გვასწავლის ქრისტე. გონება ეთანხმება, მაგრამ სული ბობოქრობს და სისხლის აღებას ითხოვს. მის დასაწყნარებლად კი ისევ გონიერი მდედრი და ოჯახის ტვირთი გვევლინება.

6527. გონიერი ქალი სახლში ყოველთვის პირველი ვიოლინოა, მაგრამ მეორეთი კმაყოფილდება, რადგან მისთვის ოჯახის ჟღერადობაა მთავარი და არა სოლისტობა.

6528. ქალი ადრე თუ გვიან ყოველთვის გაგვაწბილებს ეს რომ არ შევიმჩნიოთ, გონიერება, მოთმინება და ასაკის დაღვინებაა საჭირო, რომელიც სამწუხაროდ ცხოვრების დაისზე გვეწვევა.

6529. ცოლად ის კი არ უნდა მოიყვანო, ვისი ფასიც შენ იცი, არამედ ის, ვინც შენი ფასი იცის.

6530. ოჯახის ყოლა დიდი შეცდომაა, მაგრამ უოჯახოდ დარჩენა უფრო მეტი უგნურება.

6531. საცოლესა და ცოლს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს ხანდახან ხედავ და გსიამოვნებს, ხოლო მეორეს ყოველდღე და გსიამოვნებს თუ გწყინს, ვერ გაგიგია.

6532. იდეალური მეუღლის ყოლა არარეალურია, მაგრამ კაცი ამისკენ უნდა ისწრაფოდეს, ცდილობდეს, რათა წარმოსახვით რეალობას მოერგოს და მეორე ნახევარიც მოარგოს.

6533. უგუნურებაა ცოლ-ქმრობის მრგვალი თარიღის სახალხოდ აღნიშვნა, რითაც კიდევ აძლევთ საშუალებას სტუმრებს გაიხსენონ ის სისულელე, რაც შეუღლებამდე და შეუღლების შემდეგ ჩაგიდენიათ.

6534. ასაკის მატება ცოლის ჩხუბს „იავნანად" მოგივლენს, რომელიც არც გადუნებს და არც გაფხიზლებს.

პოლიტიკა

6535. უბრალო მხვნელ-მთესველმა რომაელმა ლუციუს ციცინატისმა, რომელიც ხალხმა სარდლად და დიქტატორად აირჩია, მეზობელი მტრული ტომების განადგურების შემდეგ ისევ მიწის დამუშავებას მიჰყო ხელი. დღევანდელი ხელმძღვანელი კი, სანამ არ მოკვდება ან არ დაამხობენ, თანამდებობას არ თმობს. ეტყობა, ეს თვით საზოგადოების ბრალია.

6536. დამოუკიდებლობისთვის "ტინგიცობა" მაშინ იწყება, როცა მემარცხენე ოპოზიცია ცდილობს მემარჯვენეს ჩაეხუტოს და ცენტრისტობის საჭიროება საერთოდ მოსპოს.

6537. პოლიტიკა ერთისთვის საჭმლისთვის ბრძოლაა, მეორისთვის ცოდნის მიღება, მესამისთვის კი უსაქმურობის გამართლებაა, მოკლედ ყველა რაღაცისთვის ჩალიჩობს, იბრძვის, გარდა რწმენისა, რომელიც მაშინ აგონდებათ, როცა მისგან რაიმე გამოსადნობს ელიან.

6538. პოლიტიკის გაიაფებაც შეიძლება და ხარისხის გაუმჯობესებაც, თუ მათ არჩევნებისას საერთო საგამოცდო ბილეთებზე პასუხის გაცემას მოვთხოვთ საქმის კეთებით და ყბედობის გარეშე.

6539. თუ საჭიროა, თავი საკუთარი წმინდანებისთვის უნდა გაწირო და არა კანონისათვის, რომლის რეალობაში აღსრულდება ყველას თავისებურად ესმის, თავის სარგებელს ნახულობს და ყველა ერთნაირად პატრიოტულად ყაყანებს. მაგალითად, აფხაზეთის ომი, სადაც უგვანო და მომხვეჭი, ვიგინდარა პოლიტიკოსების გულისთვის ამდენი ახალგაზრდა უპერსპექტივოდ ჩაწვა მიწაში.

6540. პოლიტიკური „უტკა" – ჩახმახი ბინძურად კეთდება, მაგრამ მთავარია ამომრჩეველს როგორი სოუსით მივართმევთ და გავატუტუცებთ.

6541. პოლიტიკაზე ფეხმორთხმით ყბედობა და ოცნების ღადარის ქექვა ყველას შეუძლია, მაგრამ სახელმწიფოს მართვა და ხალხის წვრთნა ერთეულთა ხვედრია.

6542. პოლიტიკურ ასპარეზზე რომ გახვიდე და დასახულ მიზანს მიაღწიო, ტლაპოშიც უნდა შეტოპო. აბა, შენს გემოზე ტლაპოს ზევით ვინ გახტუნავებს.

6543. პოლიტიკოსმა ქვეყნის მომავალზე და ხალხზე უნდა იფიქროს, თუ უნდა ქვეყანა რიგიანად მართოს, ხოლო თუ დიდხანს უნდა მართოს, მაშინ დღევანდელობას ანგარიში გაუწიოს და არც თავი დაივიწყოს.

6544. დანიშნული და გაჭრილი კარტებით არ თამაშობენ, მაგრამ პოლიტიკოს შულერებს ეს არ ეხებათ, რადგან ხალხია დამნაშავე, რომ მათ სახელმწიფო კაზინოში სათამაშოდ უშვებენ.

6545. პოლიტიკოსობას და ღვინის სმის კულტურას ერთი რამ აქვთ საერთო, ორივე მათრობელად მოქმედებს ადამიანზე, მაგრამ დაუთრობლად სმა ორივე დარგში ერთეულების ხვედრია.

6546. პოლიტიკა წარმავალია, ხელოვნება – მუდმივი, თუ მეორეს ნიჭი უნდა, პირველისთვის კი სიტყვების ფარფატიც საკმარისია.

6547. თუ პოლიტიკა ჭუჭყიანი საქმეა, მაშინ მომავალი პოლიტიკოსი ჭუჭყში უნდა დაიბადოს, მისმა უნიათო მთავრობამ რომ თავისი უვიცობით და მექრთამეობით აატალახა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თავის ქვეყანას ვერ უშველის.

6548. სხვა ქვეყნიდან უჭუჭყოდ მოსული პიროვნება, რომლისთვისაც ადგილობრივი ჭუჭყის მოშორების ხერხები უცნობია, პოლიტიკოსობას ვერ შესძლებს.

6549. პოლიტიკოსების მომრავლება ქვეყანაში მიუთითებს მთავრობის უხიაგობაზე, რადგან ბევრ ავანტურისტული ხასიათის კაცს აფიქრებინებს, ასეთ სისულელეს მეც კი არ დავუშვებდიო და უჩნდება სურვილი თავი პოლიტიკაში სცადოს. ასე ემატება ქვეყანას ახლადგამომცხვარი და კარგი ცხოვრების მაძიებელი პოლიტიკოსი.

6550. სასურველია კაცობა-ადამიანობა პარლამენტის წევრებსაც ჰქონდეთ, რომ პოლიტიკოსებზე იმედი არ გადაგვეწუროს.

6551. პატიოსანი პოლიციელი, ქურდი, გაცილებით მეტს ნიშნავს სახელმწიფო ძლიერებისთვის, ვიდრე პატარა პოლიტიკური მოღვაწე და პარტიის ლიდერი.

6552. მებაღე დეკორატორზეა დამოკიდებული სხვადასხვა ჯიშის ყვავილებისგან თაიგულის შეკონება, ასევეა პოლიტიკური მოღვაწეც. მის მიწაზე დასახლებული სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისაგან შეუძლია ვარდის თაიგულიც მიიღოს და ეკლიანი ბარდიც, უყვავილოდ და უვარდოდ.

6553. რა დონეზეც არის სახელმწიფოში ღვინის და პროდუქტების ფალსიფიცი-რება, იმ დონეზეა პოლიტიკაც, რადგან ორივე ცდილობს მოიპოვოს იაფი პოპულარობა. რატომღაც ამ სიტუაციას ხალხიც და მთავრობაც ეგუება, მაგრამ ორივემ იცის, რომ დიდხანს ცხოვრება ასე არ შეიძლება.

6554. ზოგიერთ პოლიტიკოსს შარდის ბუშტის შეუკავებლობა ჭირს და რაც ენაზე მოადგება, თუ არ ამოაფრქვია, ჩაისველებს და თავს უფრო შეირცხვენს, მაგრამ ის ავიწყდება, რომ ამ ამოფრქვევას სათანადო ფეხსადგმელი სჭირდება.

6555. არაფრისმომცემი მოლაპარაკებები იმითაც არის მისასალმებელი, რომ მსხვერპლი არ არის, ადგილი აქვს დროის კოლექტიურ უპასუხისმგებლო ხარჯვას, "ღადარში მსუნთქავ ნაღვერდალს და იმედს", ამასობაში "ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონიო".

6556. ყველა უბედურება ამქვეყნად პოლიტიკის და ცხოვრების სწრაფად გაელვებას მოაქვს, რადგან დროის სიმცირე არ აძლევს საშუალებას პოლიტიკას იმდენ ხანს იცოცხლოს, რომ თავისი დანაპირები შეასრულოს. მიტოვებულ ხალხს სხვა ვიგინდარა იგდებს ხელში, რომელსაც თავისი ხუშტურები აქვს.

6557. პოლიტიკოსები და არაპოპულარული ვიგინდარები ცდილობენ სახელმწიფოს მართვას, რომელიც პროფესიონალი ავანტურისტების, სახელმწიფო მოხელეების, თაშეყრის ადგილია და მთელი ცხოვრება უვიც ბრბოს ეთამაშებიან.

6558. უგუნურებიც გატაცებით იღებენ მონაწილეობას პოლიტიკურ შოუში და იმედოვნებენ, რომ "დიდ მოგებას" გამოკრავენ ხელს, მაგრამ იმას კი ვერ ხვდებიან, რომ მათი კარიერა ხელმოცარულია.

6559. ცხოვრება პოლიტიკურ ტოტალიზატორს ჰგავს, თუ ითამაშებ – წააგებ, არ ითამაშებ – მშრალზე დარჩები. ასე, რომ ჯობს ითამაშო, რადგან თუ ვერ მოიგებ, ადრენალინს მაინც შეიგრძნობ და მიხვდები, რომ ამქვეყნად მოსული იყავი საცხოვრებლად და არა საარსებოდ.

6560. პოლიტიკოსი მაშინ ხარ, როდესაც შინაურსა და გარეულს შენს გარშემო ისე ატარებ, რომ წაგებული პოლიტიკის შემდეგაც შენს ავტორიტეტში ეჭვი არ შეეპარება, რადგან პოლიტიკური კარტი დარიგდა ისე, რომ ამ პარტიის მოგება შეუძლებელი იყო, ეს იმ შემთხვევაში, თუ ხალხს შენი რევანშის იმედი აქვს, ურისკო და უნიათო პოლიტიკოსს კი ხალხი ვერ შეიყვარებს.

6561. დიქტატურა თუ დემოკრატია, ეს არის პოლიტიკოსების კამათის ძირითადი საგანი, მაგრამ ამათ ორივეს სჯობს მეცხვარის საქმიანი კრედო. ვინც დოლის დროს მეტ ბატკანს შეინარჩუნებს და ჯანმაგარ ცხვარს დატოვებს, იმ ჩობანის პოლიტიკური წყობა ჯობს ყველას. თუმცა ბევრს საკუთარი თავის ცხვრად წარმოდგენა, სახელმწიფოს ხელმძღვანელის წინაშე დამორჩილება და კანონის პატივისცემა შეურაცხყოფად მიაჩნია.

6562. „ჰუმანიტარულ კატასტროფად" მოინათლა იუგოსლავიის დაბომბვა. აქ პოლიტიკურ ცინიზმს საზღვარი არა აქვს, "ნატო" ბომბავს სახელმწიფოს, მხოლოდ იმის გულისთვის, რომ იქ მცხოვრებთ "სამართლიანი სიკეთე მოუტანოს" და ახალი მორალი მოახვიოს თავს, რომელიც ძალის გარეშე ვერ იარსებებს, მაგრამ ამ გზას, რაც უნდა კეთილი ზრახვები ჰქონდეს, ჯოჯოხეთისკენ მიექანება.

6563. პოლიტიკა შეიძლება არ გიყვარდეს, მაგრამ იძულებული ხარ მონაწილეობა მიიღო, რადგან შენი უპასუხისმგებლობის შედეგად არ მოვიდეს პოლიტიკოსი, რომელიც დაგცინებს.

6564. პოლიტიკოსისთვის მთავარია მის ირგვლივ ხალხის შემოკრება და მათ ბედ-იღბალზე "შეწუხებული" ნიანგის ცრემლსაც არ ამადლის.

6565. უშიშროების საბჭოს ხუთი ქვეყნის მოუქნელი ვეტოს დადების პროცედურა "გაეროში" ვერავითარ სერიოზულ საკითხს ვერ წყვეტს. ვეტოს დამდებ ქვეყანას უნდა დაევალოს საკითხის მოგვარება სამი თვის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ საკითხზე მეორედ ვეტოს დადების უფლებას უნდა კარგავდეს აი, საკითხის გადაწყვეტის წინაპირობა და მსოფლიო წესრიგის დამყარების ალტერნატივა.

6566. გათავხედებულ მდედრსა და მამრს სექსუალურ ხელოვნებაში გასარკვევად ნარკოტიკი, ალკოჰოლი, ნამამაძაღლევი ფული სჭირდება. სადაც სექსი დიდ როლს არ თამაშობს, მათ პოლიტიკოსივით კონკურენციის განცდის შედეგად გამოწვეული გაწბილების და იმედის წერტილში მოხვედრის სიხარული ასულდგმულებთ.

6567. იღბლიანი პოლიტიკოსი ისეთ დროში უნდა მოღვაწეობდეს, რომელშიაც შეხლა-შემოხლისას მოწინააღმდეგე მას ვერ უნდა სჯობნიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკითხების გადაწყვეტისას ის შეუმჩნეველი უნდა დარჩეს და ყველგან კომპრომისი და ნეიტრალიტეტი ეძებოს.

6568. პოლიტიკაში იმან უნდა იმოღვაწოს, ვისაც შინაგანი არტისტიზმი, მოთმენის და მოსმენის უნარი აქვს. შეფურთხებულს იწმენდს, შექებას ყურად არ იღებს, მაგრამ არაფერს არ ივიწყებს და ყველას სამაგიეროს მიუზღავს.

6569. პოლიტიკოსი რომ ამტკიცებს, ორჯერ ორი ხუთიაო, ეს ნორმალურია. მაგრამ იმის მტკიცება, რომ ცხრაა, ამას ვერცერთი პოლიტიკოსის იმიჯი და ქვეყნის ბიუჯეტი ვერ გაუძლებს.

6570. ვიგინდარა პოლიტიკოსებისთვის ჯარისკაცებმა ერთმანეთი უნდა მოსპონ. ისინი ერთმანეთს არ იცნობენ და ერთმაენთი სძულთ. მაგრამ იმის გამო, რომ საზოგადოებამ სწორი არჩევანი ვერ გააკეთა და სახელმწიფომ კი მართვას თავი ვერ გაართვა, ეს უდანაშაულო ახალგაზრდები ერთმანეთს უაზროდ უნდა შეეწირონ.

6571. პოლიტიკაში შენი შეხედულებისამებრ სიყვარული ნიშნავს, რომ სოციალისტური წყობა კომუნისტური გაგებით აჩუქო იმ ქვეყანას, რომლის მიმართაც სიმპათიები არ გაგაჩნია, თუმცა ყოფილი სოციალ-კომუნისტების მიერ არც კაპიტალიზმის რეანიმაციას აუყვავებია ქვეყანა.

6572. ყველა დროს თავისი სიმღერა აქვს, ყველა პიროვნებას — თავისი აყვავების დრო და ეს ყოველივე პოლიტიკურ სიტუაციას მოაქვს, რადგან ხანდახან ვიგინდარა ხდება პრესის აჟიოტაჟის გმირი, ხოლო რეალური გმირი ჩრდილში ღაფავს სულს.

6573. პოლიტიკაში ყოფნა სუფრაზე ღვინის სმას მოგვაგონებს, სადაც შენი მრწამსის მომხრენი სხედან თუ მოწინააღმდეგენი, სუფრის წარმართვის წესსა და უნარს მაინც უნდა ინარჩუნებდე.

6574. პოლიტიკა კამათლის გორებას ჰგავს და ის იმარჯვებს, რომელმაც იცის რა დროს უნდა გააგოროს პოლიტიკურად დამაგნიტებული „ძაღლის ძვალი".

6575. პოლიტიკაში იმის კეთება, რაც შენი ქვეყნისთვის სასარგებლოა, ყოველთვის თეთრი პერანგით არ ხერხდება, რადგან მას იმდენი წყალქვეშა ქვები ახლავს, რომ მათ შორის გზის გაკვლევა დიდ ნიჭს და მცდელობას მოითხოვს, ამასთან არც შენი თავი უნდა დაივიწყო, რადგან შენი გაკეთებულის მივიწყების შემდეგ სამშობლოს ხელი არ გაუშვირო და არ აიძულო შენზე იზრუნოს.

6576. რომელი უფრო დიდი დამნაშავეა, პოლიტიკოსი, რომელიც ხალხს სასაფლაოზე აგზავნის თავისი ამბიციები რომ დაიკმაყოფილოს და მიწაში ჩაფლობით ხორცს აფუჭებს, თუ კაციჭამიების ტომის ბელადი, რომელსაც თავის გამოსაკვებად მისმა წინაპრებმა ტრადიციად ადამიანის ხოცვა ასწავლეს, რადგან ირმის დაჭერა და მოკვლა უფრო რთული საქმე იყო.

6577. პოლიტიკური პარტია არის ინტელექტუალური ხელმოცარული უსაქმურების ცირკი, დიდი ამბიციებით და რომლითაც სარგებლობენ მოხერხებული გარეწრები, ვიგინდარები.

6578. შენი გონიერება არ არის იმის გარანტი, რომ გუნდის გარეშე პოლიტიკაში რამეს მიაღწევ, მაგრამ უფრო ძნელია გამარჯვების შემდეგ ამ ჯგუფის წევრების დაკმაყოფილება, რადგან ამას ვუნდერკინდის ჭკუაც არ ყოფნის.

6579. პოლიტიკა ჭუჭყიანი, კრიმინალური, უმადური, ფლიდის ხელობაა, მიუხედავად იმისა, რომ პრესტიჟულ და საჭირო პროფესიას განეკუთვნება. რადგან მის გარეშე ამდენი ჭკუანაღრძობი ხალხის მოთოკვა გაგვიძნელდებოდა.

6580. სულით ავადმყოფებსა და პოლიტიკოსებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველნი წელიწადის გარკვეულ დროს შეუძლოდ ხდებიან, პოლიტიკოსებისთვის დაავადება გეგმაზომიერად და სიტუაციის შესაბამისად წლის ყველა პერიოდში მისაღებია.

6581. ცხოვრებაში შეიძლება დიდი რეჟისორი, პიროვნება იყო, მაგრამ პოლიტიკაში უსუსტესი, რადგან ბრბოსთან "ბაზარი" მოხერხებული ვიგინდარების ხვედრია.

6582. წესიერ ხალხს არ ესმის, რომ თუ ისინი ჭუჭყიანი პოლიტიკით არ დაინტერესდებიან, მაშინ ეს მეძავი დაინტერესდება მათი საქმიანობით და ეს გაცილებით ძვირი დაუჯდებათ.

6583. ისტორია კარტის თამაშის ტოლფასია, იმ განსხვავებით, რომ შენდაუნებ-ლიედ გადაცდენას და არაპროფესიონალიზმს არავინ გაპატიებს, მაგრამ შენი პოლიტიკის გაბახების შედეგად გადამხდელად ხალხი გვევლინება.

6584. სამართლიანობის დასადგენად ისტორიას "აიწონას" ერთად-ერთი მეთოდი აქვს. ერთ პინაზე სიკეთე იდება, მეორეზე – ბოროტება. პოლიტიკოსებისთვის ეს მეთოდები მიუღებელია, ხოლო უკეთესის შემოთავაზება მათ არ ძალუძთ და არც აწყობთ, რადგან მათი რეკომენდაციებით შედგენილი ბიუჯეტის უკანალი ყოველწლიურად ირღვევა მათ სასარგებლოდ.

6585. ომი არის მოუმწიფებელი მსოფლმხედველობის შედეგი და უგვანო პოლიტიკიდან თავის დაძვრენის საშუალება.

6586. პოლიტიკოსს, რომელსაც ბევრი საქმის კეთების სურვილი აქვს და ამას ვერ ახერხებს, რატომღაც თანამედროვენი წყალობენ, ხოლო საქმის მკეთებელს – ისტორია. ეტყობა, ყველაფერი დაღვინებას და კუპაჟს მოითხოვს, რაც კი მომავალმა თაობამ უნდა შეაფასოს.

6587. ჯალათის საქმიანობას პროფესია უწოდო, ენა არ მოგიტრიალდება, მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცევი. დაპირებებზე აგებული პოლიტიკოსის უგერგილობის შედეგად სოციალური პირობებისთვის თავის მოკვეთა და ბიუჯეტის სეკვესტრირება ყველა ჯალათის მიერ პროფესიულად შესრულებულ სამუშაოს გადაამეტებს.

6588. პოლიტიკა სიბინძურეა, ძალადობაა, სისხლია, სხვის სულში და სხვის საცვლებში ცხვირის ჩაყოფაა, რათა ყველაზე დიდი სიწმინდე და სიმართლე დაადგინოს, რომ მომავალში სხვა ჭუჭყით არ მოსვაროს.

6589. პარკინსონის დაავადება პოლიტიკაში მაშინ იწყებს მოქმედებას, როდესაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი თავისი უხიაგი მართვით ხალხს გაახელებენ და ქუჩაში გამოიყვანენ, აცახცახებული მმართველნი კი სად შეძვრნენ, არ იციან. გარკვეული დროის შემდეგ სოროებიდან გამოძვრომას იწყებენ და ყოველივე თავიდან იწყება, რადგან მათ ცხოვრება ვერაფერს ასწავლის.

6590. ქვეყანას გონიერი ლოცმანი და კაპიტანი სჭირდება, რათა თავის პოლიტიკურ გემთსაყუდელში უშფოთველად მიიღოს სხვა ქვეყნის გემები და თვითონაც ეხერხებოდეს სხვის ნავთსაყუდელში ხიფათის გარეშე დგომა.

6591. ვირუსის საწინააღმდეგოდ იმუნიტეტის გამომუშავება ყველასთვის საჭიროა, ხოლო პოლიტიკოსებისთვის აუცილებელია გინებისა და ჭორების იმუნიტეტი.
6592. პოლიტიკას თავისი ხუშტურები აქვს და თავისი ოფოფები უზის ბუდეში, მათი შეცნობა და მასთან დაახლოება ყველა პრეზიდენტისთვის აუცილებელია.
6593. პოლიტიკა მკაცრია და დაუნდობელი, მას გრძნობის სიმების აჟღერებასთან საერთო არაფერი აქვს.
6594. სტალინის ერთმა სამართლიანმა ფრაზამ, მეორე მსოფლიო ომის დროს – „ჰიტლერები მიდიან და მოდიან, გერმანელი ხალხი რჩებაო", – მთელი გერმანელი ერი თუ არა, მისი გენოფონდი ხომ იხსნა საბოლოო განადგურებისგან! ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა ჯარების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მას რომ მეორე სიმართლე ეთქვა: გერმანელი ხალხია დამნაშავე ჰიტლერის აღზევებაში და ის სამინელი დანაშაულობები ეჩვენებინა ჯარისკაცებისთვის, რაც ფაშისტებმა ჩაიდინეს, შურისძიების ტალღას ააგორებდა და დღეს გერმანელი ერი ასე აყვავებული და გალაღებული არ იქნებოდა. პოლიტიკაში არის ორი სიმართლე და რომელსაც წამოსწევს ქვეყნის მმართველი წინ, ბრბო იმ მხარეს მიბრუნდება.
6595. პოლიტიკოსის მუშაობა იმის მიხედვით ფასდება, თუ რა გზას გვიჩვენებს უკეთესი ცხოვრებისკენ, როგორ აბამს ამ საქმეს თავს და არა – ყბედობით, უაზრო დაპირებებით და ხალხის გაცუცურაკების მცდელობით.
6596. პოლიტიკოსის ხვედრია იმიჯის ხან ამაღლება, ხან დადაბლება და საგანგაშოც არაფერია, მაგრამ მთავარია პოლიტიკურ ბატალიებში არ დაჩაჩანაკდეს, რადგან მერე სახელის დაბრუნებაზე საუბარიც კი ზედმეტია.
6597. პოლიტიკა ყოველთვის იყო ინტერესების და არა ემოციების სფერო. ჩვენთან რატომღაც ყველაფერს პირიქით აკეთებენ.
6598. ზოგი პოლიტიკოსი ყურადღება რომ მიიქციოს, საცვლების გამომზეურებას და შარვლის თავზე ჩამოცმასაც არ ერიდება, რათა საკადრისი ილუზია შეუქმნას და სანუკვარი იმიჯი, თუნდაც უარყოფითი, ხელთ იგდოს.
6599. პოლიტიკოსის ვალია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ძალების მობილიზება, მიღებული შედეგებით ხალხის დაპურება, ხოლო მოქალაქის ყველა კაპრიზის გადაჭრა ფუფუნებამდე მიუყვანლად – არარეკომენდებულია.
6600. ჩვენი პოლიტიკური კულტურა, კომპრომისების ძებნის ნაცვლად, ერთიმეორესთან ბრძოლით გამოიხატება, ხოლო მესამე ამ დროს ჩრდილშია წამოგორებული, სადღეგრძელოებით და ნარდის თამაშით ერთობა და უცდის, პირველი როდის დაანგრევს ამქვეყანას, რათა თვითონ ამ ნანგრევებზე ამოვიდეს.
6601. შეუძლებელია პოლიტიკური პარტია თავის თავზე არ ფიქრობდეს, მიზნის მისაღწევად სისაძაგლეს არ ჩადიოდეს, არ გაჰკიოდეს, ხალხისთვის ვიღვწიო და ბარბაროსი მხარის დამჭერნი არ ჰყავდეს.
6602. როგორც კი მამათა და შვილთა ურთიერთობა კონფლიქტური ხდება და ახალგაზრდობა იმაზე მეტის მითვისებას მოინდომებს, რის საშუალებასაც საზოგადოების განვითარების პროცესი იძლევა, მაშინვე იწყება კატაკლიზმები პოლიტიკაში,

ქვეყნის დაბეჩავება და ყველაფერი თავიდან დასაწყები ხდება, წინაპართა გამოცდილების გათვალისწინებით.

6603. პოლიტიკაში მთავარია თქვენი პასუხისმგებლობა ისტორიამ გაამართლოს, უკვდავყოს, თორემ მოკვდავი თანამედროვენი თქვენზე რას იტყვიან, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

6604. პოლიტიკაში უნდა იყო ჯადოქარი, ეშმაკი, ვიგინდარა, მაგრამ ყოველივე ამას ლამაზად უნდა წარმოადგენდე, თუ გინდა ყოველთვის შენ მოგანდონ ქვეყნის სიმძიმის ცენტრის გადანაწილება.

6605. პოლიტიკოსისთვის კონსტიტუცია იგივეა, რაც მორწმუნეთათვის ბიბლია, თორა, ყურანი, მან იგი ხშირად უნდა იკითხოს, რათა რაიმე არ შეეშალოს და კანონს და კანონიერებას შემთხვევით ფეხი არ დააბიჯოს.

6606. ფანატი პოლიტიკოსები სახელმწიფოს მართვის ყველა სართულზე გვხვდებიან და სად რას შესცოდავენ გარემო პირობებზეა დამოკიდებული, მანამ კი თავს გონიერად და ჭკვიანად გვაჩვენებენ.

6607. პოლიტიკოსი იძულებულია მოხერხებული ტყუილი თქვას, რათა თვითონაც გამოცოცხლდეს და ამომრჩეველიც გამოაცოცხლოს, რადგან ყოველდღიურ სიმართლეს თვითონაც და ხალხიც კარგად ხედავს.

6608. პოლიტიკა დაუმთავრებელი აშკარა ბრძოლა და ჩუმი შეჯიბრია, თუ ვის მეტის მიტაცების უნარი აღმოაჩნდება.

6609. პოლიტიკოსი, რომელსაც ბლომად უხდიან, ასევე ბევრს საუბრობს და ხელს არ უშლის თავის ნალაპარაკევის, ნააზრევის, ცხოვრებაში მისი მონაწილეობის გარეშე დანერგვას.

6610. პოლიტიკის და ბრბოს უბედურება ის არის, რომ პირველი დროის მოთხოვნილების შესაბამისად იტყუება, ხოლო მეორემ, მცდელობის მიუხედავად, რანაირადაც არ უნდა დაადგას ფოცხს ფეხი, ტარი მაინც თავში ხვდება და იმას ვერ ხვდება, რომ ფოცხის ხმარების დრო პოლიტიკაში წავიდა და გონებას უნდა ჩაუღრმავდეს.

6611. პოლიტიკა მოთმინება, დაკვირვება, სხვისი შეცდომების ანალიზი და გაშლილი კარტებით თამაშის მცდელობაა, ხოლო აჩქარება, მოხერხებულობით ევროპის საბჭოში უკანა კარიდან შეძვრომა, რათა ,,მეც ნახირ-ნახირ'' დამინახეთო, პოლიტიკა არ არის. ჯობს ქვეყნის ერთ მუშტად შეკვრა და საშინაო ეკონომიკის წარმოჩენა, მოუმწიფებელი თავის მოწონების გარეშე.

6612. პოლიტიკაში სუფთა გულით და რწმენით უნდა მოხვიდე და არა სუფთა ჯიბითა და ხელებით.

6613. ისტორიის გადაკეთება, შეცვლა, არ ძალგვიძს, მაგრამ პოლიტიკურ კომპიუტერში მისი გადატანა და ისეთი შეუმჩნეველი ჩასწორებების გაკეთება შეიძლება, ყველა პოლიტიკურ პარტიას რომ თავის სასარგებლოდ დასკვნების ,,გამოტანა'' შეეძლება.

6614. როგორც ავკაცობას, ისევე პოლიტიკას თავისი დაწერილი და დაუწერელი კანონები აქვს, ამიტომ საჭიროა, პირველ რიგში, შენს პრეტენზიულ მომხრეებს დაერიო, რათა აღზევება არ დაგამადლონ და სხვებმაც იგრძნონ შენი ძალა.

6615. გულახდილობა პოლიტიკაში წარმოუდგენელია, მაგრამ ამ როლის გაუთამაშებლობაც დაუშვებელია, რადგან პოლიტიკა ამ დივიდენდების გარეშე არ არსებობს.

6616. როდესაც პოლიტიკაში მოდიხართ, შემსრულებელთა ჯოგი უკვე რიგში დგას და თავის თავს გთავაზობთ, ამიტომ მათში ძნელია ქვეყნის ერთგული ჯარისკაცის მოძიება, რომელიც თავს გადადებდა უმადური ხალხისა და საქმისადმი.

6617. პოლიტიკური მოღვაწის მოქმედებას, რომელიც თავისის რეჟიმის ხალხს თავის ჭკუაზე ხმარობს, ვერავითარი ქალთან ძალადობა ვერ შეედრება.

6618. პოლიტიკა, რომელიც თავის იდეოლოგიაში გამორიცხავს იმას, რასაც სირცხვილი ჰქვია, ქვეყანას ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანს.

6619. პოლიტიკური ექსპანსიის, „პერესტროიკის", რევოლუციის, დროს ადამიანთა ურთიერთობაში იმდენი ჭუჭყი წამოყოფს თავს, რომ სანატრელი ხდება იმ თაობის ბედი, ვინც ამ სიბინძურეში კოტრიალს გადაურჩა და იმაზე წარმოდგენა არ დაუკარგავს, რასაც ყველაზე მეტად ეთაყვანებოდა და სამშობლო ჰქვია.

6620. პოლიტიკოსი უყვართ ახლოდან და შორიდან, ხოლო მის რეალურ საქმიანობას მათ შორის მყოფნი აფასებენ, მაგრამ მისი ქვეყნის ოლიმპზე ყოფნა მაინც შინაგან ინტრიგებზე და ბრბოს გახელებაზეა დამოკიდებული.

6621. პოლიტიკაში ბევრს ნიშნავს პატარ-პატარა მტკიცე ნაბიჯის გადადგმა, რათა ყველა მხრის ნება იქნეს შეჯერებული, ხოლო დიდი ნაბიჯებით სიარულს პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს, რადგან ის ძალადობის სენით ყარს.

6622. ზოგიერთი პოლიტიკოსი წარუმატებლობას წარმატებად ისე ასაღებს, რომ სინდისი არ ქენჯნის.

6623. თუ მომავალს გავითვალისწინებთ და საქმეს ღრმად ჩავწვდებით, პოლიტიკაში 2X2 საბოლოოდ მაინც ოთხია.

6624. ძალაუფლება კაზინოში თამაშს ჰგავს, სანამ ყველაფერს არ წააგებ, პოლიტიკას ვერ ეშვები და შენი ბედის, ჭკუის სიმუხთლის და ჩვეულებრივ მოკვდავად გადაქცევისა არ გჯერა. ამასთან,იმდენი გონიერებაც არ გყოფნის, რომ შენთვის მოუწვდომელ საქმეს მოეშვა და იმას დასჯერდე, რაც ძალგიძს, მითუმეტეს, როდესაც პოლიტიკურ მარაქაში გარევის საჯარიმო ტალონი უკვე გახვრეტილი გაქვს.

6625. პოლიტიკა მამაკაცური, საშიში, დაუფასებელი, მიმზიდველი, მომწამვლელი თამაშია, რომლისთვისაც ბედის გაღიმებაა აუცილებელი.

6626. საღი პოლიტიკის კრედოა სიძულვილის დავიწყება და ქვეყნის ნამდვილი ინტერესებისთვის ხალხის დარაზმვა.

6627. მწერალს თავის აზრები ქაღალდზე გადააქვს, რომელიც ყველაფერს ითმენს, პოლიტიკოსს კი – ხალხზე, რომლის მოთმინებასაც საზღვარი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მათი მოქმედება ხალხზე მზრუნველობასაა ამოფარებული. პირველის ნახლაფორთალიდან რაღაც რჩება, ხოლო მეორის ნაწვალები არავის აინტერესებს.

6628. აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციაზე დგომა, სამწუხაროდ, პოლიტიკის გარეშე არ ხერხდება.

6629. პოლიტიკა მაინც პრაქტიკული ნიჭის მქონე ხალხის საქმეა და არა – გაუთლელის, ყბედის, ფსევდოპატრიოტის და თეორეტიკოსის.

6630. პოლიტიკოსის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამოიცნოს დაპირისპირებული მხრიდან რომელი გამოვა დამცირებული, მაგრამ ხშირად სურვილი და რეალობა ერთმანეთს არ ემთხვევა და ის ფიასკოს წინაშე დგება, მაგრამ ყველას ჯინაზე, მაინც სიცოცხლეს უსირცხვილოდ აგრძელებს.

6631. პოლიტიკაში ბევრი ღიმილით შედის, მაგრამ უკან გაუღიმებელი ბრუნდება, რადგან ძალაუფლების მექანიზმი, რომელიც შორიდან ასე მიმზიდველი გვეჩვენება, ძალზე მუხთალია, თუ სქელი კანი არა გაქვს, რათა ყველა დამსახურებულ და დაუმსახურებელ დარტყმებს გაუძლო, რადგან პოლიტიკაში უდიდესი ნებისყოფის, ვერაგი ბუნების ხალხი რჩება, რომლებიც ახლო ადამიანებს ისე შორდებიან, თითქოს არც კი იცნობდნენ. ამასთან, პოლიტიკოსი ხანდახან ადამიანურ ღირსებებსაც უნდა ამჟღავნებდეს, რათა ხალხის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახუროს.

6632. პოლიტიკაც თავისებური მოდაა და იყოფა თვალის ასახვევ და გონიერების ასარევ ხელოვნებად, ხოლო თავის რეალურ დანიშნულებას, ხალხს ემსახუროს, ვერც ახერხებს და არც გამოსდის, რადგან ადამიანის თანდაყოლილი გენი, შური და მომხვეჭელობა ამას არ ანებებს.

6633. პოლიტიკა, ჩვეულებრივი ვაჭრუკანობაა,კრედიტ-დებიტის თავისებური გაგებით, მხოლოდ არა პატიოსნების, სამართლიანობის, ღირსების და ღირებულების სასარგებლოდ.

6634. პოლიტიკოსები სიტყვით ხალხს ემსახურებიან, ხოლო საქმით და მათი უსულგულობით ადამიანები სიცოცხლეს კარგავენ.

6635. პოლიტიკის აზრი ყველაფრის დაპირება, გახარება, ამ ბედნიერებაში გახვეულთა ჩუმად გადასანსვლა და იმქვეყნად ბედნიერად გაშვებაა. ხომ შეიძლებოდა პოლიტიკოსს დანაპირები შეესრულებინა, მაგრამ მიქელ-გაბრიელი ამ ბედნიერ კაცს დროზე ადრე წამოწეოდა. ასე, რომ პოლიტიკას და მიქელას რაღაც კავშირი მაინც აქვთ.

6636. პოლიტიკამ როგორც უნდა აღგვაფრთოვანოს, აგვაცუნცრუკოს, მაინც სათუო ფასეულობაა, რადგან სად გაგვიცრუებს იმედს და სად გაგვანაწყენებს, თავადაც არ უწყის.

6637. პოლიტიკა და თანამდებობა ძალიან საინტერესო მატერიალიზებული საწამლავია, რომლის შესმის შემდეგ ყველა პროფესიონალიზმზე და ქვეყნის მმართველობაზე დებს თავს.

6638. მართალია, პოლიტიკა უფულო კაცის საქმე არ არის, მაგრამ არც ვიღაცის დაკრულზე უნდა იცეკვო, არც ყრუ-მუნჯობა, დაბრმავება არ გამოდგება, რადგან მშიერი, კბილებალესილი ავანტურისტები მოდიან, რომლებიც თავისი ინტერესებისთვის ყველაფერს იკისრებენ.

6639. მთელი ცხოვრების განმავლობაში პოლიტიკით თამაში ან აზარტია, ან ავადმყოფობა, ან ის, რომ სხვა რამეზე ხელი არ მიგიწვდება.

6640. პოლიტიკას და ისტორიას უნდა ყველაფერი უკანა რიცხვით აკეთოს, ცდილობენ წინაპრების უხეირო ისტორია და მათი დაობებული აზრები დღის სიახლედ წარმოგვიდგინონ და დაგვმოძღვრონ. ამის უფლება კი მათ ჯერ-ჯერობით ვერ მოიპოვეს.

6641. პოლიტიკოსიც თავისი უგვანო ხალხის, სამყაროს შვილია და ტყუილად სხვას ნურაფერს დავაბრალებთ.

6642. საოცარია, რომ არის პოლიტიკა, ხალხი რიგდება, ბიზნესი ხელშესახებ წერტილებს ნახულობს, ხელოვნება ყოველგვარ ბარიერს ხსნის, მაგრამ პოლიტიკოსები, ქვეყნის ინტერესების მომიზეზებით, საერთო ენის გამონახვას ვერ ახერხებენ, რადგან ქვეყნის მართვა ვიგინდარებს აქვთ მინდობილი.

6643. ადამიანის თვისებაა გააადამიანურო ძალადობაც და სიხარულიც, სადაც ძალზე ბევრი იყო მეგობრობა, სითბო, მოკრძალება და შიშიც. ხოლო დ.ს.თ. ახალგამომცხვარმა პრეზიდენტებმა სიყვარულის მილგაყვანილობა, პოლიტიკის სანტექნიკის უცოდინარობის გამო, მწყობრიდან გამოიყვანა და დღეს მის შეკეთებაზე ფიქრობენ, მაგრამ ძალა აღარ შესწევთ.

6644. ქვეყნის მმართველად მაშინ გიცნობენ, როდესაც შენზე ნათქვამ ანეკდოტებში, ხუმრობაში, მორიდების და პატივისცემის ნიშნებიც ჟღერს, ხოლო როდესაც მარტო დაცინვა რჩება, ეს პოლიტიკოსის ყავლის გასვლაზე მიუთითებს და დროზე უნდა წავიდეს, რათა „შემაფურთხეთ, მოვიწმინდავ!" ქვეყნის უნიათო მმართველს არ დაემსგავსოს.

6645. უხიაგი მთავრობა ქვეყნის მართვას „ნახმარი", ყავლგასული პოლიტიკოსებით ცდილობს და ქალწულობაზე თავის დამდებ პოლიტიკოსებს ახლოსაც არ იკარებს, სანამ მათ მრუშობაში არ დარწმუნდება და ჭუჭყში არ გასვრის. მაგრამ საოცარია, ძველი მმართველი რატომ ცდილობს ამ ჭუჭყის დატოვებას, თუ მომდევნო მთავრობა მას ამ ჭუჭყში ბანაობით სულს ამოხდის.

6646. ზოგი პოლიტიკოსი ღელეზეც არ გადამხტარა და სხვებს თავისი კაპიტნობით გემზე ეპატიჟება სასეირნოდ და ცხოვრების მოსაწყობად.

6647. არის დაწყევლილი მეგობრობაც (რუსეთი, ჩინეთი, აშშ) სადაც უერთმანეთოდ ყოფნა შეუძლებელია და იძულებული ხარ იმეგობრო. წინ კი შიშით იყურები და წინააღმდეგი არ ხარ, რომელიმეს ჯინაზე, ერთ-ერთთან ბლოკი შეკრა, რათა ამ მეგობრობით თავი დაიზღვიო და ერთმანეთის ცუდი ზნე არ გამოავლინო.

6648. დიდიხნით პოლიტიკაში უშედეგოდ ყოფნა ადამიანს ათაყვანებს, ფსიქიურად აავადებს და საზოგადოებისთვის, ოჯახისთვის, გამოუსადეგარს და საშიშს ხდის, თუ მან თავს დროზე არ უშველა და მიწიერ საქმეს ხელი არ მოკიდა.

6649. პოლიტიკოსს არ უნდა სჯეროდეს, რომ ვიგინდარა კაცად იქცევა, ბრბო – ხალხად, მისი გულისხმევის და დიქტატის გარეშე.

6650. მეძავის და პოლიტიკოსის ფასი იცვლება, მაგრამ დაპირებები უცვლელია.

6651. ხალხს არც უნდა მიმართო და არც არაფერი უნდა ასწავლო, ის უნდა მიუშვა თავის ჭკუაზე იმგვარად, რომ სათავეში შენ მოგაქციოს.
6652. მსოფლმხედველობის დაკარგვა იწვევს ქვეყნის დაკნინებას და მის გადასარჩენად წარმოიშობა აგრესიული იდეოლოგია: ნაციონალიზმის, შოვინიზმის, სარწმუნოების გაფეტიშებით, რომელიც ფაქტობრივად ფაშიზმს წარმოადგენს.
6653. სახელმწიფოს მმართველი არ შეიძლება ყოველთვის და ყველას მიმართ სამართლიანი იყოს, ხანდახან მან უსამართლობაც უნდა გამოუჩინოს, თუ უნდა თავის ჩანაფიქრს ქვეყნის საკეთილდღეოდ სიცოცხლეში ეწიოს.
6654. პოლიტიკაში ძნელია სხვისი ნამდვილი სახის შენარჩუნება, საკუთარზე რომ არაფერი ვთქვათ.
6655. მშიერი და გადამძღარი პოლიტიკაა საშიში და არა საერთოდ პოლიტიკა.
6656. კომუნისტური პარტია ხალხის სინდის-ნამუსად აცხადებდა თავს, მაგრამ დღევანდელი პარტიები ამ სასიამოვნო ტვირთის ტარებას არ ცდილობენ, ამასთან თავსაც გვაყვედრიან.
6657. კანონი რომ არა, ჩვენს ჯიბეში ხელის ფათურს თითქმის არცერთი პოლიტიკოსი არ იუკადრისებდა.
6658. მთავარია პოლიტიკით არ მოიწამლოთ, თორემ მას შეუძლია უნაგირი დაგადგას და თავის ჭკუაზე გათოხარიკოს.
6659. პოლიტიკაც ჩვეულებრივი ბიზნესია, მაგრამ უფრო სარისკო, საშიში, რადგან პოლიტიკისთვის მადლიერების, ღირსების და მოვალეობის გრძნობა უცნობია. ამ განცხადებით პოლიტიკაში დიდხანს ვერავინ გაჩერდება.
6660. მოვა დრო და მარქსიზმის საბაზისო იდეები თანამედროვედ აჟღერდება სხვა პოლიტიკოსი კომპოზიტორების და შემსრულებლების ხელში.
6661. ომში მთავარია მოწინააღმდეგის სულიერი სამყაროს დაპყრობა, რაც შეეხება გამარჯვებას წყალში, ჰაერში, ხმელეთზე, ის თავად მოვა, არ დააყოვნებს.
6662. სამყაროს ჭკუაზე მოსვლას და მის გონიერებას მაშინ დავიჯერებ, როდესაც ასირიელებს, ქურთებს და უსამშობლოდ დარჩენილ სხვა ერის შვილებს ნებაყოფლობით დაუბრუნებენ ძველი ისტორიული ტერიტორიების გარკვეულ ნაწილს, სახელმწიფოს შეაქმნევინებენ და თავიანთ თვითმყოფად ენას და კულტურას აღუდგენენ, რომელთა არსებობა დღეს ბეწვზე ჰკიდია.
6663. ხშირად პოლიტიკოსი ბატონობის გზით მოპოვებული აზრებით ცხოვრობს და ცდილობს ჩვენც გვაცხოვროს.
6664. პოლიტიკა ცხოვრების მხარდამხარ დაბორიალობს, მაგრამ მისგან მაინც შორს არის.
6665. გარდაცვლილი პარტიის პოლიტიკური მოღვაწე სწრაფად იცვლის აზრს ახალი პარტიის ლიდერის შეხედულებისამებრ და მის სასარგებლოდ.
6666. დაუხარჯავი ენერგიის ხარჯზე ზოგჯერ ქვეყანაში გაურკვეველი პოლიტიკური სიტუაცია იქმნება, როდესაც ხალხს სურს ბრბოდ იქცეს და მას ამის უფლება სისხლის დაღვრის ფასადაც არ უნდა მივცეთ, თუ გვინდა ხალხი და ქვეყანა უარეს დღეში არ ჩავარდეს.

6667. პოლიცია ყოველთვის ეხმარება მთავრობას ქვეყნის პასიური მართვისას, ქარტეხილების ჟამს კი ბრბოს მხარეს დგება და ახალ მთავრობას და პოლიტიკოსს ეძებს, რომ დაემორჩილოს.

6668. პოლიტიკოსი ხელობას თავის გამოსაკვებად ვერ ისწავლის, რადგან ის შინაგანად მუდამ მთავრობაში მოსახვედრად არის გამზადებული.

6669. ადამიანმა მარსზე ყინული აღმოაჩინა, შემდეგი ექსპედიცია ოქროს და ალმასს მოიძიებს, დაიწყება პლანეტის დაპყრობა, და პოლიტიკა ამ აგრესიას დროებით ჩასახლებას დაარქმევს.

6670. ყველა პოლიტიკოსი საკუთარ თავზე ფიქრობს მაშინაც, როდესაც სხვის დასანახავად ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დამყარებას ცდილობს და მაშინაც, როდესაც მმართველობის სადავეები შემთხვევით ხელში ჩაუვარდება და დანაპირებზე ზურგის შექცევას არ თაკილობს.

6671. ხალხი – არგუმენტია, პოლიტიკა – ფაქტი. მათ შორის მაშინ ჩამოვარდება შუღლი, თუ ბრბოს ვინმე ავანტურისტი პოლიტიკოსი თავში ხელს ისე მოხერხებულად წამოარტყამს, რომ რაც ჭკუა ჰქონდა შერჩენილი, იმასაც თავის სასარგებლოდ დააკარგვინებს.

6672. მეოცე საუკუნე დიქტატურის, დაპირისპირების, პოლიტიკური ექსპერიმენტების და ტექნიკური პროგრესის საუკუნე იყო, რომელმაც თავისი გამოკვლევებით ბევრი საჭირო გამოცდილება აჩუქა მომდევნო საუკუნეებს, რომლის გამოყენებას ზოგიერთი ქვეყანა რატომღაც არ ცდილობს და კვლავ ექსპერიმენტისკენ გაურბის თვალი.

6673. პოლიტიკა ყოველთვის ცდილობს კანონზე მაღლა დადგეს, რადგან ყველასთვის მისაღები კანონიც კი სათანადო გახედვნას მოითხოვს.

6674. პოლიტიკაში შეიძლება ყველაფერი არ იყიდება, მაგრამ ვაჭრობა მაინც აუცილებელია, იქნებ ფასი რამეს დაუგდოთ და ამით თავი წარმოაჩინოთ.

6675. სამწუხაროდ, ქვეყნის ზოგიერთ მმართველს ენერგია გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე ტალანტი და იმასაც უნაყოფოდ ცდილობს დახარჯოს.

6676. როდესაც ჩვენს წარსულ პოლიტიკურ ცხოვრებას გადახედავ, გაკვირვებული რჩები, როგორ მართავდნენ ეს ვიგინდარები ამ სახელმწიფოს, რა იმედით და აღფრთოვანებით უყურებდი მათ უსაქმურ საქმიანობას, მაგრამ, ეტყობა, ყოველივეს შემთხვევითობა მართავს და განსაზღვრავს.

6677. როდესაც პოლიტიკა სიმწიფეში შედის, მაშინ ბევრი ძველის გადარჩევა და დატოვება მოგვიწევს და იმას მივითვისებთ, რაც აუცილებელია.

6678. პოლიტიკოსის იმიჯი მის რეალურ პოლიტიკას შეესატყვისება, რადგან ხალხის ნაწილმა რაღაც მიზეზით აითვალწუნა და კარიერისკენ მისასვლელი გზა მოუჭრა, რათა პოლიტიკაში ბორიალისთვის თავი დაენებებინა.

6679. უფულო პოლიტიკა ბევრს არ გვპირდება, მაგრამ მაინც უკეთეს შედეგებს იძლევა ქვეყნის მმართველობის ჟამს.

6680. პოლიტიკის პატარ-პატარა საიდუმლოებების გამომზეურება აქცევს ქვეყანას და ხალხს ბრბოდ. ამ უკანასკნელს შური, კარიერისკენ ლტოლვა, მომხვეჭელობის

ჟინი შეუჯდება და უპასუხისმგებლობაში – („სადაც წვრილია, იქ გაწყდეს”) გადაჰყავს. შედეგად ყოველივე მიღწეული ნულზე ჯდება და თავიდანაა დასაწყები.

6681. დროის მოტყუება არავის არ შეუძლია, მათ შორის პოლიტიკის ილუზიონისტებს, ფაკირებს.

6682. ომი არის უგვანო პოლიტიკოსების მიერ გაფსკვნილი კვანძის გახსნა გონიერების გარეშე – ხმლით.

6683. პოლიტიკოსისთვის მთავარია თავისი ამქარის ყოლა და მათი ჩვევების ცოდნა, რაც შეეხება მის გაფეტიშებას, ის არ დააყოვნებს.

6684. სამწუხაროდ, პოლიტიკოსები უკეთ ერკვევიან ხალხის უკუღმართ ბუნებაში, ვიდრე ის ფილოსოფოსები, რომლებიც ადამიანის გონებას ამდიდრებენ.

6685. პოლიტიკიდან თავის დაძვრენა შეიძლება, მაგრამ მისი შედეგებიდანაა თავის დაძვრენა ძნელი.

6686. პოლიტიკა უმაღლესი მათემატიკის საწყისებით უნდა იმართებოდეს, მაგრამ ბევრს ის ბრიყვოლოგია ჰგონია და პოლიტიკას ანანიზმით ამთავრებს.

6687. პოლიტიკა, პრაქტიკული გამოსავლის გარეშე, ლაყბობაა, გამოსავლით – თავისებური დროსტარებით ყბედობა.

6688. პოლიტიკურ ჭიდილში მხოლოდ მეორე პირები ერკინებიან ერთმანეთს, პირველნი კი დინჯად საუბრობენ.

6689. გონიერი კომპრომისი პოლიტიკის საფუძველია, ხოლო ურთიერთშეთანხმების მიღწევა – გვირგვინი.

6690. ზოგიერთ პოლიტიკოსს სულელური აზრები აქვს, მაგრამ მათზე მტკიცედ დგომა იმიჯს უმატებს.

6691. როგორც ჩვეულებრივი, ასევე პოლიტიკური მაზოხისტებიც ფსიქიურად დაავადებულები არიან. სხვისი დახმარებით საკუთარ გვემას ისინი სიამოვნებით აღიქვამენ, ყველას კი არწმუნებენ, რომ ამას ხალხის კეთილდღეობისთვის ჩადიან.

6692. მეცნიერები საუკუნეების განმავლობაში ასწორებდნენ თავის შეცდომებს და წინ მიიწევდნენ, ხოლო პოლიტიკოსები ყოველთვის ერთსა და იმავე შეცდომებს უშვებენ და გამოსწორებას არავინ ცდილობს.

6693. ჭკუის სასწავლებლად ზოგ პოლიტიკოსს ელჩად აგზავნიან ისეთ ქვეყანაში, რომელიც რუკაზეც კი არ ჩანს. ეს იგივეა, როცა მწარმოებელი რეკლამას უწევს მწყერის ძეხვს, რომლის პროპორციაა ცხრა მწყერი ერთ ძროხაზე.

6694. კლოუნი პოლიტიკაში მიუღებელია, მაგრამ, როგორც სოფელს გასამხიარულებლად სჭირდება ერთი გიჟი, ისე პარლამენტსაც მდორე სხდომების გამოსაფხიზლებლად ესაჭიროება ერთი მასხარა.

6695. სამწუხაროდ, გიჟი უფრო ცნობილია ხალხისათვის, ვიდრე ჭკვიანი, ამიტომაა, პოლიტიკოსები რომ ცდილობენ დაცინვის საგნად ქცევას, რათა პოპულარობა მოიხვეჭონ. გამოდის, რომ ჩვენი უნიათო პოლიტიკოსების თანამდებობებზე დაწინაურება ჩვენივე სიყეყეჩის ბრალია.

6696. პოლიტიკა კი არ არის ბინძური, მისი მსახურნი არიან ჭუჭყიანები, ისინი საკუთარი ამბიციების გამო ვერ ახერხებენ თავისი რიგებიდან დაასახელონ ნამ-

დვილი ლიდერი, რათა ხალხიც მოასვენონ და სახელმწიფოსაც ძლიერებისაკენ გზა გაუხსნან.

6697. პოლიტიკოსსა და ხელოვანს ერთი სნეულება სჭირთ: თუ ისუნთქეს ლაყბობის და შექების მტვერი, მათი იქიდან გამოგდება ძნელდება.

6698. ბევრი დღევანდელი პოლიტიკოსის საწყისი დედის სამოში ქალური იყო. ეტყობა, შემდეგ „პერესტროიკა" მოხდა და მამრი სქესი მივიღეთ. ამის დამამტკიცებელია სახელმწიფოს მართვაში „ვაი-ვიში" და ქალური მანერების გაფეტიშება ცხოვრებაში.

6699. ზოგჯერ პოლიტიკაში პარლამენტის ან პრეზიდენტის უხერხემლობის გამო ისეთი ღვარცოფი მოვარდება, რომ ქვეყანას წალეკვას დაუპირებს. პოლიტიკოსებმა ოღონდ თავი გადაირჩინონ და ღვარცოფი დედაქალაქს აარიდონ, სტიქიას მიმართულება შეუცვალონ, სხვა ქალაქებს რა მოუვათ, აღარ უწყიან. ამის შემდეგ დედაქალაქს რა უფლება აქვს ქვეყნის დედობაზე თავი დადოს, თუ შვილების გადარჩენა არ შეუძლია და მათი გაწირვისას არც კი ყოყმანობს.

6700. ვიგინდარა პოლიტიკოსები სიტყვით თანახმანი არიან ყოველგვარი დაფინანსების და გადასახადის აკრძალვის, ხოლო ბიუჯეტი დასაფინანსებელ თანხებს საიდან გაიღებს, მათ არ ანაღვლებთ, ბრბოს ხომ ასიამოვნებენ.

6701. პოლიტიკა თავისებური სტრიპტიზია, გააჩნია, ვინ როგორ გაატიტვლებს სულს, სხეულს, რადგან სამუშაო ადგილების შექმნით და ეკონომიკის მაჩვენებლებით საარჩევნო შოუს მონაწილენი ფაქტობრივად არც ინტერესდებიან.

6702. ცხოვრება, წუთისოფელი მაინც პოლიტიკას ემსგავსება: რატომღაც, ორი ბოროტების არჩევანში ყოველთვის მესამე გხვდება.

6703. პოლიტიკოსები და მორწმუნენი ორთავე დემაგოგები არიან, მათთვის ფაქტების ღაღადი არაფრისმთქმელია და ჯიუტად იცავენ თავიანთი ჭკუის ნაცოხნ-ნაცოდვილარს.

6704. პოლიტიკა ემოციებს აყოლილი და გრძნობებგადაკეტილი ხალხის პროფესიაა, რომელშიც ხანდახან ქალიც გამოერევა.

6705. პოლიტიკოსი მამაკაცისაგან გონიერ სიტყვა-პასუხს ელიან, ხოლო იგივე პროფესიის ქალის, გარეგნობის შეფასებითაც კმაყოფილდებიან. ეს უნებლიე, თანდაყოლილი უსამართლობა რომ აღმოვფხვრათ, მთავრობაში ქალთა 50% მონაწილეობის უფლება კონსტიტუციის მოთხოვნებით უნდა გამაგრდეს, ამასთან, რასაც ქალის, მამაკაცისთვის გაუგებარი გონიერება, ექსტრემალურ პირობებში მოიმოქმედებს, ის მოწინააღმდეგე სქესს აზრადაც არ მოუვა.

6706. არის პოლიტიკოსი, რომელიც რაც უნდა გაბერო, მისი მოღვაწეობიდან მაინც ნული გამოვა.

6707. კაცს, რომელსაც ამბიციების გარდა, არც ნიჭი გააჩნია და არც სიმდიდრე, იძულებულია კარგი ცხოვრებისთვის პოლიტიკაში ეძებოს გამოსავალი.

6708. არამზადები და მედროვენი, მართალია, არ გვიყვარს, მაგრამ პოლიტიკაში არაფერნი ყველგან ისინი არიან.

6709. ძალაუფლება უარყოფს პრინციპულ, პატიოსან, წესიერ ადამიანებს, რადგან მათ არ შეუძლიათ დიდხანს ნიღბის ტარება, მაგრამ პოლიტიკა ნიღბის გარეშე შეუძლებელია, რადგან უამისოდ ძალზე ძნელია ხალხის მართვა.

6710. პოლიტიკაში, სამწუხაროდ, უმეტესად პირობითი რეფლექსებით მოღვაწეობენ და არა – გონიერებით.

6711. რასაც ფასი არა აქვს, ის არც იყიდება, რაც არ იყიდება, ცრუ პატრიოტიზმი და სიცრუეა, რადგან ყველაფერს თავისი ფასი უნდა ჰქონდეს, ასე ფიქრობენ პერსპექტივაში რქების დასადგმელად გამზადებული პოლიტიკოსები.

6712. ისტორიის პოლიტიკაა პოლიტიკური პარტიების, დაჯგუფებების მომსახურება.

6713. ქალწულობა პოლიტიკოსმა სხვის დასანახავად არ უნდა დაკარგოს, რადგან მისი აღდგენა შემდგომ ჭუჭყიანი ხელების დახმარებით უნდა მოხდეს. ამგვარი უმანკოება ხალხის თვალში მაინც სუროგატია.

6714. ბიოსექსუალური პოლიტიკაა, როდესაც პოლიტიკა, ხელოვნება და გარეწ-რობა შეჯერებულია, ხოლო ბრბოს მოწონება ამ ამოუხსნელი "ინტეგრალების" პროცენტულობაზე არის დამოკიდებული.

6715. სინდისი და პოლიტიკა იმდენად შორს დგანან ერთმანეთისგან, რომ მათ დაახ-ლოვებაზე კი არა, მათ ერთად დასაფლავებაზეც კი ლაპარაკი ზედმეტია.

6716. გენერლისგან განსხვავებით, პოლიტიკოსს პენსიაში ვერ გაუშვებ, მაგრამ გა-ნაწყენებული პენსიონერი გენერალი კი შეიძლება პერსპექტიულ პოლიტიკოსად მოგვევლინოს.

6717. პატიოსნების ცნება ძალიან ცვალებადი და გაუგებარი ხდება, თუ მასში პო-ლიტიკა ერევა.

6718. პოლიტიკოსის და მამაკაცის მიზანსწრაფვა სხვადასხვა შედეგს იძლევა, რადგან პირველმა შეიძლება მთელ ხალხს მოუტანოს უბედურება, მეორემ – მხოლოდ ერთ ქალს.

6719. პოლიტიკური მანჭვა-გრეხა და კლასიკური პროსტიტუცია თითქმის ერთი და იგივეა, მხოლოდ დამფასებელი და დამფინანსებელი ჰყავთ სხვადასხვა.

6720. ცუდი მოცეკვავისთვის მამაკაცის ღირსების ატრიბუტია ხელისშემშლელი, ხოლო ცუდი პოლიტიკოსისათვის – კონსტიტუცია.

6721. საშუალო პოლიტიკოსისთვის მუდმივი ინტრიგანობა, დემაგოგია, თავის წარ-მოჩენის მძლავრი იარაღია, მაგრამ არა ჩამოყალიბებულ და სამართლიანი კანო-ნების მორჩილ ქვეყანაში.

6722. გონიერების ვამლი – ნიუტონის ასოციაციას გვიქმნის, განხეთქილებისა – ევასი, მაგრამ „იაბლოკოს" პარტია რა ასოციაციას დაგვიტოვებს, ეს მთლიანად გამარ-თლებაზე და მომავალის იღბალზეა დამოკიდებული.

6723. იმ საზოგადოებას, რომელსაც უპასუხისმგებლობა ნაჩუქარი აქვს, პოლიტიკის ხვედრი მუდამ ზიგზაგი და „იერიშობანა" იქნება.

6724. სამყაროს ამომავალი ვარსკვლავები ნათებას და მათით აღფრთოვანებას პო-ლიტიკანები მართავენ და ამ დღესასწაულს ხიბლს და პეწს უკარგავენ.

6725. პოლიტმიმომხილველი მასხარას როლს უნდა თამაშობდეს, რაც მას ყველაფრის თქმის უფლებას მისცემს და ქვეყნის პირველ კაცთან ხალხის სათქმელს ისე მიიტანს, რომ ამ უკანასკნელს არ გაანაწყენებს.

6726. დღევანდელი ჩვენი პოლიტიკა დამყარებულია პროგრესულ ტყუილზე და რეგრესულ სიმართლეზე.

6727. სულელები და ბრიყვები პოლიტიკაში ძალზე საჭიროა, რადგან მათ გარეშე თავის წარმოჩენა და მათზე წამოსკუპება გაჭირდებოდა.

6728. მთავრობა უნდა ეცადოს თავის პოლიტიკურ მრწამსზე მაღლა დადგეს.

6729. თუ გინდათ პოლიტიკაში დიდხანს დარჩეთ, ეცადეთ ნეიტრალური იყოთ და რაიმე დარგის მცოდნის ავტორიტეტი მოიპოვოთ. ამასთან, თქვენი ერთგულება გარკვეულ ეტაპზე ლიდერის მიმართ 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს, რადგან გუშინდელმა მტრებმა დღეს „დამეგობრება" და თავისი უნიჭო პოლიტიკის ალიბად განტევების ვაცის ძებნა იციან.

6730. რადგან მთავრობა რასაც უნდა იმას კადრულობს და არმიაც მხარს უჭერს, ამიტომ ოპოზიცია განცხადებებს და ქმედებას გაცილებით მეტი პასუხისგებით უნდა მოეკიდოს, თუ უნდა პოლიტიკაში რაიმეს მიაღწიოს, რადგან ვიღაცის ნებით ზევით დაბრძანებული, თავისი ნებით ქვევით არ ჩამოეთრევა.

6731. ქვეყნებს თავიანთი უჯიშო პოლიტიკა ამოძრავებთ, ხალხს ერთმანეთის მიმართ ჯიშიანი სიყვარული, ამიტომ ყველანაირად უნდა ვეცადოთ ჯიშიანებს უჯიშოებმა არ გვაჯობონ, რაც უბედურების და ორომტრიალის მომტანია.

6732. როდესაც მართალი არ ხარ და საბოლოო სიტყვას ისე ამბობ, რომ ღობეყორეს არ ედები, შენგან ლიდერი უკვე გამოსულია, ხოლო თუ მართალი ხარ დროებით რიგით პოლიტიკოსობას უნდა შეეგუო.

6733. ყველა უიღბლო პოლიტიკოსის მიზანია საზოგადოებაში ქაოსის შეტანა, რადგან წმინდა წყალში თევზის ჭერას ცოდნა, მოთმინება, ცენზის ამაღლება სჭირდება, მღვრიე წყალში კი ვირეშმაკობაც საკმარისია.

6734. ყავლგასული პოლიტიკოსების ამბიციური უარყოფითი ენერგია რომ დავაოკოთ, საჭიროა მათთვის შეიქმნას ფართო მასშტაბის უხუცესთა სალაყბო, რაც ხალხს გონების დაწმენდის საშუალებას მისცემს, ხოლო მთავრობას – ქვეყნის აღმშენებლობისას.

6735. პოლიტიკურად ნესტიან კლიმატს ხალხი ბავშვობიდან უნდა შეაჩვიოთ, თორემ შემდგომში ნერვებზე ითამაშებს და მასთან შეგუება ჭირს.

6736. მოღვაწე, რა დავალებულიც უნდა იყოს ვინმესგან, ფინია ძაღლად არ უნდა გადაიქცეს, რადგან შემდგომ, პოლიტიკაში ბომბორად მოვლენა ძალზე გაძნელდება.

6737. პარტია უნდა იყოს სარწმუნოება: პატიოსნების, პროგრესის, სამართლიანობის, ერთგულების, სხვისი აზრის პატივისცემის და ნიჭიერი კადრების წარმოჩენის სამჭედლო და არა ბრბოს საკუთრება, რომელიც მას ისე მოექცევა, როგორც მოეპრიანება.

6738. რწმენა, რომელიც შურს აღვიძებს და არა – სიყვარულს, პოლიტიკური პარტიაა, რომლის ხელმძღვანელები მოძღვრებად კი არა, ტარტაროზებად უნდა ჩავთვალოთ.

6739. როგორც სიკვდილს, ასევე პოლიტიკის სიბინძურეს ვერ გაექცევი ისე, რომ თავისი ჭუჭყი არ წაგაცხოს, თუ საზოგადოებას შენი აზრი აინტერესებს.

6740. თუ გინდათ არასასურველი პარტიის სიყვარულს საბოლოოდ თავი დააღწიოთ, ეცადეთ შეიძულოთ და არა უბრალოდ დაშორდეთ.

6741. ვაჭრობა და სპორტული შეხვედრა უნდა შედგეს ყველა ამინდში და ყველასთან, რადგან ეს თავისებური პოლიტიკაა პროგრესის, მშვიდობის დაცვის სურვილით და გარანტიით.

6742. ტექნიკური პროგრესის და პოლიტიკური აზროვნების დაშორება არ შეიძლება. ისინი საზოგადოებრივი აზრის განვითარების და პოლიტიკური შეხედულების გადაფასების წილში სხედან.

6743. პოლიტიკოსს, რომელსაც საქმის გაჭიანურება და გაშლილი ბანქოთი თამაში უყვარს, ყოველთვის ექნება დიდი ანალიტიკოს-პოლიტიკოსის სახელი, სახრავის გარეშე, რადგან ფულზე თამაშობენ დახურული, დაუნიშნავი ბანქოთი და აქედან გამომდინარე, მოგება-წაგების ერთნაირი პერსპექტივით.

6744. რაც მეტად ცდილობ პოლიტიკოსებისადმი უკეთ განეწყო, მათზე ცუდის თქმის მით უფრო მეტი საფუძველი გეძლევა.

6745. გმირობა და ანტიგმირობა ორივე "საამაყოა", ოღონდ მათი გაფეტიშება დამოკიდებულია დროზე და ბრბოს პოლიტიკურ შეხედულებაზე.

6746. პოლიტიკაში მთავარია, თუ როგორ დარიგდება სინდისის ბანქო და ვინ რა მოხერხებული გონიერებით აპირებს მოგების ან წაგების შემთხვევაში იმიჯის შენარჩუნებას.

6747. გაიარო სიცოცხლე ჭუჭყში, ისე რომ არ გაისვარო, პოლიტიკაში შეუძლებელია, ხოლო ცხოვრებაში ღმერთის რჩეულთათვის – შესაძლებელი.

6748. ვიგინდარა ყოველთვის მრავალი პარტიის წევრია, ის ყველას ყველაფერში ეთანხმება, იმის მიხედვით, ვინ უზრუნველყოფს მის კარიერას და მატერიალურ კეთილდღეობას.

6749. პოლიტიკა არის ეკონომიკის სტაბილიზაცია, სიტყვის წონის ფასი და ტექნიკური პროგრესის გრიალი.

6750. გამარჯვებული პოლიტიკოსი ჰაერში მონავარდე არწივს მოგვაგონებს, რომელიც ყველას ზევიდან დაჰყურებს და თქვენი დედაო, აგინებს, მაგრამ როგორც კი წინააღმდეგობას წააწყდება, ფრთებს დაიმოკლებს და ჩემი დედაო, იძახის. რას იზამ, არწივობა სკამია, რომელიც გარკვეული დროით მასზე წამოსკუპების ნებას გაძლევს.

6751. სისაძაგლესაც მოაქვს თავის დადებითი შედეგები, რადგანაც სამყაროს ორი გათავხედებული ქვეყანა საერთო ინტერესების დასაცავად, სხვა ვიგინდარა ქვეყნის წინააღმდეგ დროებით იკვრება და მშვიდობიანი ურთიერთობის პერსპექტივაც ჩნდება, ოღონდ როდემდე, არავინ უწყის.

6752. ინტელეგენციას ზრდილობა და ტაქტი აქვს შეურყვნელი, პოლიტიკა და აზროვნება კი მერყევი და ზოგჯერ გამყიდველიც.

6753. პოლიტიკურ ეთიკას მადლიერების პრინციპების დაცვა ნაკლებად ანაღვლებს, თუ დასჭირდა, მტრებსაც კი დაეხმარება, ვიღაცის, რაღაცის და სათუო პრინციპების დასაცავად.

6754. პოლიტიკას არ შეუძლია ჭეშმარიტებასთან და სამართლიან საქმესთან მეგობრობა, მას თავისი ინტერესები მართავს და თავისი ხუშტურების დაკმაყოფილება უნდა.

6755. პოლიტიკაში საკითხი საყოველთაო ძალისხმევის შედეგად, ერთი დარტყმით უნდა გადაიჭრას. ყოყმანის, დროის გაყვანის, გაჯანჯლების შემთვხევაში მივიღებთ ისრაელ-პალესტინის მსგავს გაუთავებელ დაპირისპირებას, არადა ამ საკითხის გადაჭრა შეიძლებოდა ამ სახელმწიფოთა 15-20 წლის ურთიერთიზოლაციით, ,,ბერლინის კედლის'' მსგავსით. შედეგად, დროთა განმავლობაში, ისინი საუკეთესო მეზობლები გახდებოდნენ.

6756. რეფერენდუმი ხალხისთვის გიჟის პერანგის ჩამოცმაა, რადგან მართვის პრინციპები და მთავრობის პოლიტიკა უღიმღამო, უდღეური აღმოჩნდა.

6757. თავმოყვარეობა, თვითდაჯერება, თავშეუკავებლობა პოლიტიკის საშიში მტერია და ვის სად წაატეხინებს ფეხს, არავინ უწყის.

6758. ქვეყანას ვერც მომეტებული ინიციატივის მქონე და ვერც უინიციატივო პოლიტიკოსები მართავენ, ის უნდა მართოს საშუალო ამბიციის მქონე, ქვეყანაზე შეყვარებულმა ხალხმა, ან ქვეყნის გადასარჩენად და სამართავად განგებით მოვლენილმა პიროვნებამ.

6759. პოლიტიკაში წინასწარ განმჭვრეტი გონიერება კი არ არის მთავარი, არამედ გადასაჭრელი საკითხის მომწიფება, რომელიც მოქმედების საშუალებასაც იძლევა ხალხის ნებართვით და წარმატების გარანტიასაც, სადაც მსხვერპლი და დროის გაცდენა ანგარიშში არ შედის.

6760. პოლიტიკას თავისი მათემატიკა და ინტეგრალები აქვს, ის შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონს ემორჩილება, ოღონდ დროის შერჩევით და გამართლებით.

6761. პოლიტიკას გულგრილად მართავს მორცხვი უმრავლესობა, რომელსაც ოპონირებას უკეთებს აგრესიული ურცხვი უმცირესობა.

6762. აბრეკი იგივე ქურდი და ყაჩაღია, ოღონდ თავისი პოლიტიკური პეწით და სიმართლით.

6763. სოციალისტური შრომის გმირის წოდებას იღებდნენ მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, ხოლო დემოკრატიის ტრადიციების გამტარებელთათვის გმირები გადამყიდველები, ბიზმესმენები, რეკეტიორები არიან. ყოველ მათგანს თავისი მომხიბვლელობა აქვს: სადაც მეტია სახელმწიფოს ძალადობა, იქ მეტი წესრიგია, მაგრამ საყოფაცხოვრებო პროგრესია ნაკლები, ხოლო სადაც ადამიანის კეთილდღეობა წინ არის წამოწეული, იქ სახელმწიფოს დიქტატურა და წესრიგი მოიკოჭლებს.

ასე რომ, პოლიტიკაშიც ყოველივე არსებობის კანონს ემორჩილება, რომლის გაგება ყველას არ შეუძლია და არც არის საჭირო.

6764. პოლიტიკოსია ის ვინც თავის ამომრჩეველს აიძულებს იზრუნოს საკუთარ კეთილდღეობაზე მისი იმედით.

6765. „ნატოს" და რუსეთის ურთიერთობის ბედნიერება ის არის, რომ მათ საერთო მტერი, ტერორიზმი, გამოითხარეს და ჯერ-ჯერობით, ერთმანეთის მიმართ დაპირისპირება არ სჭირდებათ.

6766. რომ არა ჩინეთის კომუნისტური პარტიის დღევანდელი ეკონომიური მიღწევები, მისი იდეები მთლად თუ არა, დიდი ხნით დაიმარხებოდა, დღეს კი მათი შედეგები იმათშიც კი შურს და ნოსტალგიას იწვევს, ვინც მისი არსებობის წინააღმდეგი იყო. ასე რომ, გონიერების პატარა ხრახნის შემოტრიალება და შედეგი აშკარაა, ამასთან სარწმუნოებას, იდეოლოგიას, პარტიულობას, ყოველთვის ფულით და ქვეყნის ძლიერებით აფასებდნენ.

6767. პოლიტიკა თავისებური გაიძვერობა ლამაზი სურვილებით, ზრდილობა-მოწიწებით და უკანალის გაქან-გამოქანებით.

6768. პოლიტიკოსისთვის სტატისტიკა ყველაზე დიდი ჭეშმარიტებაა, მიუხედავად მისი გაბაზრებული შედეგების გაანალიზებისა.

6769. პოლიტიკაც თავისებური ხელოვნება, მისწრაფებაა და იმის საშუალებაცაა, რომ საკუთარ თავსაც და სხვასაც დაუმტკიცო, შენი ქვეყნისთვის საჭირო და აუცილებელი რომ ხარ.

6770. პოლიტიკაში ქალი ძირითადად კამათის შესაჯერებლად, კანონის გასალამაზებლად არის მოწოდებული და არა – მამაკაცებისთვის კონკურენციის გასაწევად, რადგან ქალი თუ პოლიტიკოსად დაიბადა, მამაკაცისგან განსხვავებით, მართვის სადავეებს ხელთ ადვილად იგდებს და ქვეყანა სტაბილური მართვით თანდათან აღმავლობისკენ მიჰყავს.

6771. პოლიტიკა, საკითხის დასმა, მისი სამთავრობო ტენდერში გამარჯვება – განხორციელებაა და არა კონიუქტურული საკითხის წამოჭრა, უაზრო კამათი – უღიმღამო შედეგით.

6772. პოლიტიკა პირველ რიგში კანონმდებლობის გონივრული აღსრულებაა და არა ხარისხიანი კანონების მიღება.

6773. პოლიტიკა საკითხის შედეგიანად გადაწყვეტაა და არა გაუთავებელი პროცესი.

6774. პოლიტიკა დაახლოების გზებს კი არ ეძებს, არამედ გამორჩენას, რაც ხელს უშლის ხალხს შეთანხმება-მორიგებაში.

6775. უგვანო პოლიტიკოსისათვის გულგრილობაა მთავარი იარაღი, მაგრამ რატომღაც უმეტეს ქვეყნებს ასეთი ვიგინდარები მართავენ.

6776. პოლიტიკა უსინდისო ხალხის საქმე არ არის, მაგრამ სათავეში მაინც ისინი გვევლინებიან, რადგან ზოგს უნდა რომ ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილოს და თავის ჭკუაზე იხუმროს და ძალზე ნაწყენდება თუ მისი უცნაური ექსპერიმენტი გასახუმრებლად არჩეული სილას გააწნავს.

6777. პოლიტიკა თავისებური სპორტული ხულიგნობაა, სადაც გამარჯვებულიცაა და დამარცხებულიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უინტერესო საქმიანობად იქცეოდა, ხოლო ცხოვრება წელს გაათრევდა და ეშხსა და აზრს დაკარგავდა.

6778. პოლიტიკოსია ის, ვინც ხალხის ნალოლიავები სურვილის გასახორციელებელ საშუალებებს და ხერხებს ხედავს, დანაპირებს ასრულებს, სამშობლო უყვარს, ხოლო რაც შეეხება პატიოსნებას, იმ გაგებით როგორც ბრბოს ესმის, მას არც ქვეყნის სამართავად გამოადგება, არც კარიერის მოსაპოვებლად და არც ისტორიაში ადგილის დასამკვიდრებლად.

6779. დღევანდელი „დსთ" ქვეყნების გაერთიანება დაუბანელ ხალხს მოგვაგონებს, რომელთა უნიათობით პოლიტიკა, ეკონომიკა ყარს და ეს სიმყრალე რომ დამალონ, ყოველნაირ სუნამოს იფრქვევენ, მაგრამ იმას კი ვერ ხვდებიან, რომ საკუთარი საარსებო გარემო უნდა შექმნა, რადგან ერთი სიმყრალის მეორით შეცვლით ძველი სიმყრალე არ მოისპობა.

6780. საეჭვო ღირებულების, ჭუჭყიანი ფანტაზიის შემთხვევითი შედეგები ხშირად პოლიტიკოსის ხელში დროებით სიცოცხლისუნარიანი ხდება, რაც ქვეყანას საბოლოოდ სიკეთეს არ უქადის.

6781. მთავრობა, რომელსაც ხალხის ნდობის ფაქტორი 90%-ით დაკარგული აქვს და ის მაინც სათავეშია, ამ ქვეყანაში ან ხალხია სულიერად დავადებული, ან წარსულის ნამოღვაწრით ცხოვრობს, ანდა პოლიტიკური მაზოხიზმია მისთვის სიამის მომტანი და გასართობი.

6782. პოლიტიკაში იმიჯი კი არ არის მთავარი, არამედ სურვილი და ფული, მთავრობაში რომ მოხვდე.

6783. პოლიტიკა არის გადაადგილების საშუალება ერთი პარტიული აზროვნებიდან მეორეში, კონიუქტურ გათვალისწინებით.

6784. პოლიტიკაში თუ გაგიმართლა, ის მაინც ხელოსნობაა და არა ხელოვნება, რადგან მოწინააღმდეგე მხარესაც ასეთივე პრეტენზია აქვს და მათი ჭიდილი ხელოვნებად ვერ გადაიქცევა.

6785. ყველა დროის ისტორია ყოველთვის ემსახურებოდა პოლიტიკას და მის დაკვეთას ასრულებდა, ასე რომ, მატიანის სიმართლის დადგენას და მოძებნას ხანდახან ყავლის გასვლაც არ შველის.

6786. პოლიტიკაში ხშირად ის საქმე მიჰყავთ დაპირსიპირებამდე, რომელსაც შეიძლება ადგილიც არ ჰქონოდა, რომ გონიერება, სიდინჯე, გამოეჩინათ და მასების ბედი თავისი ამბიციებისა და ბედისთვის არ ენაცვლებინათ.

6787. მსახიობი ისეთივე დილეტანტია პოლიტიკაში, როგორიცაა პოლიტიკოსი სცენაზე, მიუხედავად ამისა, ისინი ერთმანეთს ბაძავენ როგორც ცხოვრებაში, ასევე საყოფაცხოვრებო სცენაზე.

6788. სუფთა პოლიტიკას ჯერ არც ერთი ამბიციების მქონე პოლიტიკოსი არ დაუნაყრებია, გარდა ვიგინდარა, მექრთამე, მიმწოლი „ლობისტებისა", ამიტომაა, რომ პოლიტიკა ვიღაცას და რაღაცას არის ამოფარებული.

6789. პოლიტიკა მამაკაცური ხასიათისაა, მაგრამ დედაკაცურიც ბევრი ახასიათებს, რადგან დემოკრატიას ამოფარებული სულ ალიბის ძებნასა და იმის მცდელობა-

შია, თავის საწინააღმდეგოდ არავის ავნოს და კარიერა გაიხანგრძლივოს, იმის ნაცვლად, რომ საქმეს ეწიოს, რისკიც გასწიოს და ქვეყანას და ხალხს რეალურად რაიმე არგოს.

6790. საწინააღმდეგო აზრი არ გამორიცხავს საწინააღმდეგო აზრს და ეს არც ცუდია და არც კარგი, მაგრამ არა პოლიტიკისათვის, რადგან ეს მას ხელს უშლის კარიერის კიბეზე ფეხის შედგმაში და თავის წარმოსაჩენაში.

6791. ხშირად, პოლიტიკაში ის მოლაყბე ხდება ისტორიის ყურადღების ღირსი, რომელსაც მოსავლელად ერთ ბატსაც არ ვანდობდით.

6792. პოლიტიკოსი ყველა ხალხთან უნდა ეძებდეს თავისი ნათესაობის ფესვებს, თუნდაც მათი წარმოდგენა თეორიულადაც კი ძნელი იყოს.

6793. გონიერების კუნთების კულტურის დემონსტრაცია პოლიტიკაში აუცილებელია და თუ ამ სილამაზეს თქვენი მოწინააღმდეგე არ ამჩნევს, მაშინ კუნთების კინეტიკური ენერგია პოტენციურში უნდა გადავიყვანოთ, რათა თქვენი დარტყმა მოულოდნელი, ერთდროული და გადამჭრელი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის დემონსტრაციას აზრი არ აქვს.

6794. პოლიტიკოს ქალს მკაცრ ანგარიშს უდგენენ, მორალს უკითხავენ და წინაღობას უქმნიან, მაგრამ მისი კოლეგა მამაკაცის მიმართ იგივე მოთხოვნა არვის აზრადაც არ მოსდის, ალბათ იმიტომ, რომ მდედრმა თუ პოლიტიკაში ფეხი გაიდგა, მამრების დროს სატარებელი ადგილი პოლიტიკაში აღარ დარჩება.

6795. არიანი მდედრები, რომლებშიც მამაკაცის ხრომოსომები სჭარბობენ და მათ ქალთა სპორტულ შეჯიბრებაში არ უშვებენ, რადგან მამრის უპირატესობა ექნებათ, პოლიტიკაში მოღვაწეობას კი ასეთ ქალბატონებს არავინ უკრძალავს და მათი მამაკაცებთან შეჯიბრში წარმატება საზოგადოებას დიდ ხეირს აძლევს.

6796. ძალიან "მომგებიანი" უნდა იყოს ხალხის სამსახური 21-ე საუკუნეშიც, ჩვენს პოლიტიკოსებს ამ საუკუნის ბოლომდე რიგი დაკავებული აქვთ მთავრობაში მოსახვედრად და ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრი ძილს და მოსვენებას აკარგვინებს.

6797. ხალხის განწყობის გამოცნობა და მისი ორგანიზაცია არის პოლიტიკური მოღვაწის მთავარი ნიჭი, დანარჩენი: თავხედობა, არაპრინციპულობა, ვიგინდარობა და მრავალი სხვა „სიკეთე" თავისით მოვა.

6798. ხალხის აზრს ისე აბურთავებენ, როგორც მოეხასიათებათ, მთავარია, რა დონის პოლიტიკოსია თავდამსხმელი და როგორ მოხერხებულად შეუძლია ხალხის აღფრთოვანებისგან გათიშული თავების მოფხანა.

6799. არის ქვეყანა, სადაც ხალხი უგუნურების ანათემაზეა გადაცემული, მას მკურნალობა სჭირდება, რომლის სურვილი მას არ გააჩნია. იგი თვითმკურნალობაზეა გადასული და პოლიტიკურ ექიმბაშებთან წამლობს.

6800. სპორტი ერთ-ერთი ძალისმიერი ორგანოა, ხალხის მოჭარბებული ენერგიის წასამართავად და პატრიოტული გრძნობების გასაღვივებლად, რაზეც ხელს კვლავ პოლიტიკა ითბობს.

6801. მარხვის პერიოდში სარწმუნოება შეღავათს აძლევს მეომრებს, მოგზაურებს, ავადმყოფებს, ასეთივე შეღავათით მთელი სიცოცხლე სარგებლობენ პოლიტიკოსები, რომლებიც ცოტათი მეომრებიც არიან და მოგზაურებიც, გონიერების დავადებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

6802. აგიტაცია და პროპაგანდა გონიერი დოზებით საქმის საკეთებლად არის მოწოდებული, გადაჭარბებული – თანამემამულეთა გასაბრიყვებლად.

6803. ორმაგი სტანდარტები აშშ-ს მტრებს უმრავლებს, მას ბაძავენ, მაგრამ უხამსობამდე მისული სიმდიდრის გამო არ უყვართ, ამასთან თავის ხელგაშლილობით ყველას თავს აბეზრებს, რადგან ის მისდამი კეთილგანწყობას კი არ იმსახურებს, არამედ შეისყიდის.

6804. ქალი მთელი ცხოვრება პოლიტიკოსობისადმი მოწოდებითაა დაკავებული, ხოლო მამაკაცის „საქმიანი" პოლიტიკა ხშირად უსაქმურობის და უნიჭობის შედეგია.

6805. უმრავლესობა უმცირესობას ყოველთვის ხარისხიანობით ვერ ჯობნის, პოლიტიკაში უმრავლესობა წყვეტს ვინ იქნება ქვეყნის მმართველი, ხოლო მეცნიერებაში უმცირესობა – ვინ იქნება მეცნიერული მიმართულების სადავეების მპყრობელი.

6806. პოლიტიკურ მოღვაწეს, როგორც ყველა მოკვდავს, შეცდომა შეიძლება ვაპატიოთ, მაგრამ, დანაშაული – არასოდეს, რათა სხვისთვის მაგალითი იყოს და პოლიტიკაში ორომტრიალი ბაღნარში გართობა არ ეგონოს.

6807. უბრალო ამბების ლამაზად გართულება კლოუნს მაყურებელს მატებს, პოლიტიკოსს – ამომრჩეველს, მათი შეთანაწყვილების მცდელობა კი პოლიტიკური კლოუნადის სახით ორივესთვის დამღუპველია.

6808. არავინ იცის სიტყვას სად გაგაწყვეტინებენ და რას მოიმოქმედებენ შენი ოპონენტები, მაგრამ მუშტი რას მოიმოქმედებს წინასწარ ცნობილია.

6809. არიან აზარტული პიროვნებები, რომელთაც ხელი რასაც უნდა მოჰკიდონ, ყველგან წარმატებას აღწევენ, მაგრამ არ ცდილობენ პოლიტიკური სცენის მტვერი იყნოსონ. არადა მათი სახელმწიფო მართველობაში ჩაბმა დიდ მოგებას მოუტანდა ხალხს.

6810. ენა არსებობს: ცეკვის, გონიერების, ხიბლის, სიმღერის და პოლიტიკის. პირველი ოთხი სიამოვნებას გვანიჭებს, ბოლო კი – გვაწბილებს.

6811. იყო პოლიტიკაში ბატონი დეგენერატი, შეუცვლელი ბედნიერებაა კოლეგებისთვის, რომლებსაც შენით კარიერის კეთების იმედი აქვთ.

6812. სუსტს უნდა უთანაგრძნო, ძლიერს მხარი დაუჭირო, ამას გვასწავლის პოლიტიკა და წარსულის გამოცდილება, თუ ცხოვრება გინდა და არა – არსებობა.

6813. ვინმეზე განაწყენებას, ზურგშექცევით ცხოვრებას და სიარულს პოლიტიკაში სიკეთე არ მოაქვს.

6814. კაპიტალს, მაფიას და პოლიტიკას მორალი არ გააჩნია და ეს საქონელი საკაცობრიო სტანდარტებს არ ემორჩილება, მოთხოვნითაც არ სარგებლობს, მაგრამ შინაგანად ბევრი არ არის წინააღმდეგი მათი მისაკუთრების.

ჟიურის აზრები

6815. არ არსებობს ტრაგედია, შემთხვევა, რომელზედაც ფელეტონის, ანეკდოტის შექმნა არ შეიძლებოდეს, მაგრამ არსებობს ტაქტი, დროის ფაქტორი, ზღვარი, რომლის გადალახვას სხვა თუ არა, თავი არ გვაპატიებს.

6816. რაგბი თავდაჭერილი და თავისუფლად მოაზროვნე ხალხის თამაშია, რომელთაც რისკი სიამოვნებას ანიჭებთ და არ იციან მოჭარბებული ენერგია სად დახარჯონ. აქ შესაძლებელია ნავარჯიშები სპორტსმენის მეორადი გამოყენებაც, რომელმაც რაღაც მიზეზების გამო ადრე არჩეულ სპორტის სახეობაში აღიარება ვერ ჰპოვა. სპორტის ამ სახეობაში, უდიდესი ნერვების დაძაბვის საფასურად არასრულყოფილი კომპლექსების დათრგუნვას ცდილობენ და ისწრაფიან ლელოს გატანას, რომელსაც ბურთის „დამიწება" ჰქვია. რაგბი ეს არის შერკინება მთელი ცხოვრების მანძილზე, რითაც ბედნიერებას აღწევენ.

6817. სიყვარული ხელოვნებაა, მაგრამ ჟამთა სვლა მაინც ხელოსნობას დააახლოვებს, რადგან სულიერი იმ მატერიალურში გადადის, რომელსაც ოჯახი და ეკონომიკა ჰქვია, რომლის გარეშე არც გვარი გაგრძელდება და არც მომდევნო თაობა აღიზრდება.

6818. თუ 20 წლის ხარ და სიყვარულზე არ ფიქრობ, მაშინ შენ გული არა გქონია, მაგრამ თუ 40 წელს გადააბიჯე და ოჯახიც არ შეგიქმნია, მაშინ არც ტვინი გქონია.

6819. როდესაც მამაკაცი მოდის მონად იქცევა, აქ ქალის მომნუსხველი ხელია გარეული, ხოლო, როდესაც მოდური ტანსაცმელი ფორმად გადაექცევა, ეს უკვე ცოლადქცეული ჩვეულებრივი ქალის დამსახურებაა.

6820. გლეხის ჭკუა პრაქტიკულია, ინტელიგენტისა – თეორიული. პირველი ჰაერში არ დაფრინავს, თანამოძმეებს ადვილად არ ენდობა, თავის ჭკუაზე ცხოვრობს, მეორე მაღალ მატერიებს დასდევს, ყველაფრის წესრიგში მოყვანას ცდილობს, მაგრამ ცხოვრების გამოცდილება არ აქვს და ადამიანთა უგვანობაზე ბუნდოვანი წარმოდგენისაა, ამიტომაც მათი დაახლოება სასურველია, რათა განათლების მარაგი პრაქტიკულ-მატერიალურ რეალობაში გადაიზარდოს.

6821. სიკეთე შეიძლება შექებით, შეძახებით, გაწყრომით და სხვა ამდაგვარი შეძახილით იძულებით ვაკეთებინოთ ულიაგ კაცს. ბუნებით კეთილს კი არც შეძახება სჭირდება და არც ყოველდღიური „აცე-აცეს" ძახილი.

6822. თუ თავს სხვის დაუხმარებლად არგე, ავტორიტეტს შეიძენ, თუ სხვისი დახმარებით, მაშინ დაბადებული ხარ სიყვარულისთვის და დროა დაიწყო თავის დამოძღვრა.

6823. უკომპრომისო, უშიშარი, ხარ მანამ, ვიდრე შენგან შველას არავინ მოელის და გული არავიზე შეგტკივა.

6824. მოკრძალება აღიარებული ხალხის საქმეა, ხოლო ნიჭიერ უცნობ ახალგაზრდობას, საწყის ეტაპზე ეს დიდებული ადამიანური თვისება ჯერ არ გამოადგება.
6825. საკუთარ ბუნებას ყოველთვის ვერ დამალავ, ადრე თუ გვიან მაინც გამოჟონავს.
6826. სულიერი მეგობარი, შენგან პირველად იმედის გაცრუების შემდეგ, მეორედ ძნელად გასაბრიყვებელი ხდება, მაგრამ ხორციელზე ამას ვერ ვიტყვით, რადგან ტყუილი, ეტყობა, მასაც ხელს აძლევს.
6827. საოცარია, მაგრამ შენი პერანგის სიახლოვეს დაისის მოახლოვებისას და რაიმე უბედურების გადატანის შემდგომ უფრო გრძნობ.
6828. ბედნიერებაა, როდესაც შეგიძლია ბუნების შეცნობა, გარემოს აღქმა, მოწოდებით საყვარელი საქმის კეთება, სიყვარულით ოჯახის შექმნა, შენი ნაშიერით ტკბობა და შენი გამხსენებელი თაობის დატოვება.
6829. როდესაც მარტო ქეიფობ, ეს მწარე ლხინია, რომელსაც ყოველთვის ვერ გრძნობ, რადგან ამ გარემოებას უკვე მიეჩვიე.
6830. ის ტრაბახობს კარიერით და განიცდის ველურ სიამოვნებას სიმდიდრით, ვისაც ცხოვრებაში მოჭარბებული ამბიციების გარდა არაფერი ჰქონია.
6831. ზოგი ბუნებით ისეთი გაიძვერაა, რომ თავის მოტყუებაც კი არ ეთაკილება.
6832. უნიკოტინო თამბაქო, უალკოჰოლო ღვინო, პრეზერვატივით ქალის სიყვარული, ჩემი თაობისთვის მიუღებელია, რადგან ის, ალბათ, თანამედროვე პროგრესს ვერ აღიქვამს.
6833. მთავარია, სიკეთის საკეთებლად სურვილი აღგეძრათ და აკეთოთ, თორემ თუ გაქვთ თანამდებობა და საშუალება, რომ აკეთოთ სიკეთე, ეგ ვერაფერი დასაქადნია.
6834. გონება ყოველთვის სამართლიანად განსჯას ვერ ახერხებს, რადგან განსჯა მას თავისი გემოვნების მიხედვით სურს.
6835. ჯარისკაცი საზოგადოებაში თითქოს უსულო სხეულია, რომელიც შენ გიცავს და შენ მისი მადლიერი არა ხარ. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ 18 წლის ცხვირმოუხოცავ ბიჭს ქვეყანა ამდენს ავალებს, მისი ცხოვრება არც გვაინტერესებს და მის სიკვდილს ტრაგედიად არ ვთვლით.
6836. სამი წუთი სირცხვილი და განაღდებული ახალგაზრდობა, სამი წუთი ღირსება და განაღდებული შური, სამი წუთი ბედნიერება და განაღდებული კომპრომატი, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ პირველ ცნებებს მეორესთან ყოფნა უჭირს და ისინი ცალ-ცალკე განხილვის საგანია.
6837. ძნელია ელაპარაკო თანამემამულეს, რომელსაც ცხოვრებაზე თავისი წარმოდგენა აქვს, ამასთან თავის წარმოჩინების და სახელმწიფო ქონების მითვისების დიდი სურვილიც.
6838. კოლექტიური სინდისი არ არსებობს, ის ძალზე ინდივიდუალურია და შენთვის არის გასაგები.
6839. მებაღე მაშინ ააყვავებს ქვეყნის ბაღნარს, თუ მისი და ხალხის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა.
6840. ჩვენი საუკუნის სინამდვილეში შეიძლება გაკვირვება გამოიწვიოს გაცვეთილმა მორალმა და პატიოსნებამ, რადგან ის ამ საზოგადოებისთვის მიუღებელია.

6841. განათლება, ზრდილობა, კულტურა, სამწუხაროდ, სინონიმები არ არიან, რადგან პირველი შეძენილია, მეორე მოჩვენებითია, ხოლო მესამე თანდაყოლილი და საუკუნეებთან ნაწრთობი მოვლენაა.
6842. გემოვნება განხეთქილების ვაშლია: აღზრდის, ესთეტიკის, განათლების, სარწმუნოების და სხვა მრავალის.
6843. ომი გაუგებარი ხელგაშლილობის მოვლენაა, რომელსაც სადაო საკითხის გადასაწყვეტად სიამოვნებით და დაუფიქრებლად იყენებენ.
6844. ტალანტი ყურად ჭკუას არ იღებს, ამის საშუალებას მას თავის მსოფლმხედველობა არ აძლევს, ყოველივეს არასერიოზულად უყურებს და ამიტომაც უჭირს მყარად ფეხის მოკიდება ამ პლანეტაზე.
6845. ნორმალურად ყოფნა ფაქტობრივად დიდებული რამეა: არაფერი გტკივა და არაფერი გაწუხებს, მაგრამ ვინ აფასებს?
6846. მომავალში დედამიწაზე სამუშაო ადგილების შემცირების მთავარი მიზეზი იქნება ტექნიკური პროგრესი, მაღალი ხარისხი და გამომუშავებული პროდუქციის უსაშველოდ ხანგრძლივი გარანტია - რეკლამები.
6847. ტალანტი საშიშია იმიტომ, რომ ის ანგრევს თანასწორობას, მაგრამ მას მეორე მხარეც აქვს: სულ ქვის ხანაში ხომ არ ვიცხოვრებთ.
6848. მომადლებული გონიერების და ადამიანური სიმპტომების გაიგივება დასაშვებია. მხოლოდ ნიჭს იმ სოუსით უნდა წარმოდგენა, როგორც ის საზოგადოებას სურს.
6849. ცხოვრებაში გამახსოვრდება შენი კარიერისკენ მიმავალი გზის არჩევანი.
6850. ცოდნა და რწმენა ერთმანეთს არ ეთანხმება, ამიტომაცაა, რომ ბედნიერებისთვის სიბრძნე არ გვყოფნის.
6851. სინდისზე საუბარი და სხვისი გაკიცხვა ყველას ეხალისება, მაგრამ ყველას სხვადასხვანაირად და თავისებურად.
6852. ბედნიერების კონვერტის იდუმალების გახსნის კაიფი ტელეფონით, ფაქსით, ან ინტერნეტით შეიცვალა, მაგრამ სრულყოფილია თუ არა ეს, გემოვნების საკითხია.
6853. სისულელე და თავისუფლება არ შეიძლება სინონიმები იყვნენ, როგორც ეს ზოგიერთ, ადამიანის უფლებების დამცველ ვიგინდარას, ჰგონია.
6854. ცოდნა და "უგზოუკვლო" განათლება კი არ არის უბედურების მომტანი, არამედ ნიჭისადმი უყურადღებობა, რომელიც შეიძლება გაუკულმართებული მავნებლობის სახით მოგვევლინოს.
6855. რისთვის მოვედით ამქვეყნად, ამის ახსნაში ბოლომდე ვერც იმქვეყნად გადაბარგება დაგვეხმარება.
6856. ყველაზე ლამაზის სურვილია, უპირველესად იყოს მოდური. ინტელექტს და გონიერებას იმ შემთხვევაში იყენებენ, თუ აღმოაჩნდებათ.
6857. ბუნების სამართლიანობა იმითაც გამოიხატება, რომ თუ საჭიროა ჰერმოფროდიტ თევზს მამრად აქცევს, მამრითვე დანაყრდება, ხოლო ამხელა მუტრუკ ვეშაპს ისე ვიწრო საყლაპავს მისცემს, რომ წვრილი ზომის ზღვის პროდუქციის გარდა ვერაფრით გამოიკვებოს.
6858. არანივთიერია სილამაზე, სიბრძნე, სიცილი, სიყვარული, რომლის პატრონი ყველა სიმდიდრეზე მაღლა დგას.

6859. პატიოსნება ოდესღაც მაინც სიკეთის დედას მიეშვილება.
6860. ბედნიერი და ამაყი მაშინ ხარ, როდესაც შენი სინდისი სუფთაა, მას აფასებენ და უსინდისოებს ზევიდან დაჰყურებ.
6861. ცხოვრებაში არის შემთხვევა, როდესაც შემოთავაზებული წინადადება თქვენთვის შეუფასებელი ღირებულებისაა, ყოველ შემთხვევაში, მის შემოთავაზებამდე ასე გვეგონა.
6862. „დუეტი" არასდროს არ გამოვა იქ, სადაც ერთ-ერთის სურვილია მარტომ ითამაშოს, პარტნიორის სახელით, მის დაუხმარებლად.
6863. ჩვენი ცხოვრება წარსულის ჭკუით გვახსოვს და ახლის შეძენით, ანალიზით თავს არ ვიწუხებთ.
6864. სულელი ფიქრობს, რომ ის ჭკვიანზე ჭკვიანია. ხალხისთვის ამ სახის „ვუნდერკინდები" გამოუსადეგარია.
6865. ეგზოტიკური წარსული სხვებისთვის უფრო საინტერესო და განსჯის საგანი ხდება, ვიდრე ამ წარსულით აღფრთოვანებული ავტორისათვის.
6866. დისიდენტობა და ხულიგნობა თეორიულად ერთმანეთისგან შორს დგანან, მაგრამ პრაქტიკულად ერთმანეთის გარეშე მათთვის სასურველ და სწრაფ შედეგს ვერ აღწევენ, რომ შეამჩნიონ.
6867. ჩვენს წინაპრებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმაზე, რაც ჩვენ გვახსოვს, ვიცით და გვეცოდინება მათ შესახებ.
6868. არის დანაშაული, რომლის დროსაც მთავარია დამნაშავის ძებნა და არა იმის, ვინ იყო მართალი.
6869. საქმის წარმატებისათვის პირველ რიგში საჭიროა: სიტყვის კაცობა, საგარეო ავტორიტეტი და დაუღალავი სწრაფვა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანით.
6870. ჩვენი მენტალიტეტის გამო ერთ ადგილს ისე ენერგიულად ვტკეპნით, რომ წინ ფეხის წადგმაზე არც ვფიქრობთ და მის საჭიროებასაც ვერ ვგრძნობთ.
6871. გაჭირვებაში დახმარებულს თქვენი თავი მხოლოდ გაჭირვებისას ახსენდება და თუ ერთხელ ხელი არ გაუმართეთ, ყველა წინა დამსახურება წყალში ჩაგეყრებათ.
6872. ხარისხი და კონკურენცია სხვადასხვაა, თუ პირველი კარგია, მის გამოშვებას წყვეტენ, რადგან ძვირდება, ხოლო თუ კონკურენტუნარიანია, მის გამოშვებას ადიდებენ, რადგან იაფდება.
6873. დოყლაპიების მოძიებაზეა დამოკიდებული შენი ოცნებებით აგებული ციხესიმაგრის სარფიანად გაყიდვა.
6874. სიავის ანატომია იმის გაგების მცდელობაა, თუ ვინ ხარ და რა ადგილს იკავებ საზოგადოებაში ასაკის ცვალებადობის კვალობაზე.
6875. ღირსებისთვის ბრძოლა მარტოსულების ხვედრია, რომელთაც ვალად ახლობლებზე ზრუნვა არ აწევს.
6876. რწმენა უფრო მატერიალურია, ვიდრე სიყვარული.
6877. ყველაზე უკეთ საყოფაცხოვრებო დონეზე ხდება ნაციონალიზმის პატრიოტიზმად გადაფასება.
6878. განათლების ნაყოფი ხშირად აკითხავს მოხერხებულობას და არა – ჭკუას.

6879. დაუფარავად სიმართლის თქმა იქ, სადაც ეს არავის სჭირდება, დიდი სისულელეა.
6880. მსუბუქი მრეწველობა და მსუბუქი ყოფაქცევა სხვადასხვა წარმოებაა, მაგრამ ერთმანეთისკენ მიილტვიან.
6881. იმ დროს ამ დროსთან ალერსი და განსჯა არ გამოადგება.
6882. სიკვდილი ცუდი ნატურაა, მისგან არავითარი ღირსეული და გრძნობების ამაფორიაქებელი არ შეიქმნება.
6883. პატიოსნება და გულახდილობა პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ ხარჯიანია და ბევრ უხერხულობას გვიქმნის.
6884. თუ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, ვალდებულნი ვართ აღვზარდოთ გადასახადის გადამხდელიც, რათა პენსიაში გასვლის და სხვაზე მუქთად ჩამოკიდებისა არ შეგვრცხვეს.
6885. ფორტუნას უყვარს გაბედულები, ლამაზები, ახალგაზრდები და რაც მთავარია, იღბლიანები.
6886. ნიჭიც თავისებური დაავადებაა, არ შეიძლება მან ისე არ იავადმყოფოს, როგორც მას სიამოვნებს.
6887. ცოლს მამაკაცი ირჩევს, მსახიობს – რეჟისორი, ხოლო შექების უმეტეს ნაწილს პირველნი იმყიან მეორისადმი თავდადებისათვის, რადგან მათ ისინი არ გააწბილეს.
6888. გმირობასთან დაფიქრება, ანალიზი, შეუთავსებელია.
6889. ხშირად სიახლოვის გამო იმას ვერ აღვიქვამთ, რაც ცხვირწინ გვიდევს და ყურში ჩაგვჩიჩინებენ.
6890. ჭკუა თავისებური გაურკვეველი პიროვნებაა, რომელიც რას მოიფიქრებს და მოიმოქმედებს, არავინ უწყის.
6891. შექმნილი გარემოება ქმნის შედეგს და არა შედეგი – გარემოებას.
6892. კაცი თავისუფლების ცდუნებას არ უნდა აყვეს, რადგან თავისუფლება ერთია, კანონი – მეორე, ცხოვრება – მესამე და მათ გაუთვალისწინებლობას ვერავითარი პატივმოყვარეობა ვერ შველის.
6893. თავად არ ვიცით რა გვაქვს, მაგრამ ზედმეტად ვაფასებთ იმას, რაც არ გვაქვს.
6894. რეკლამა იგივე მაჭანკალია, რომელიც გვთავაზობს საცოლეს, მაგრამ მის ცოლად და დედად გადაქცევის ხარისხზე გარანტიას არ იძლევა.
6895. ყველამ იცის, რომ კარიერისკენ მიმავალი გზა საბოლოოდ მიწაზე ზღართანით მთავრდება, მაგრამ ამას არავინ ეპუება, რადგან ამქვეყნად ყოველივე დროებითია და მოსაგონარი რაღაც ხომ უნდა დაგვრჩეს.
6896. არავის არ ხვდები და არც არვის აცილებ, ვალიც არავისი გაწუხებს, არავის ფეხქვეშ არ ეგები, არავიზე გიჟდები და არც არავინ იკლავს თავს შენი სიყვარულისთვის – ეს გახლავთ ადამიანისთვის ყველაზე სასიამოვნო და უდრტვინველი, ბუნებრივი მდგომარეობა, რასაც ახალგაზრდობაში ვერ ვგრძნობთ და ვერ ვაფასებთ.
6897. მოუსყიდავი კაცის პროგროგატივაა იმის ცოდნა, რაც სხვამ არ უნდა იცოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ბევრისთვის უბედურების მომტანია.

6898. სამყაროში ყველაფერი შესაძლებელია, მხოლოდ ნამოქმედარის გამოსწორებაა შეუძლებელი.
6899. რთული პიროვნება შეიძლება იყოს კეთილი, ბოროტი, ნაკლიც ჰქონდეს და სინდისიც აწუხებდეს, მაგრამ უკვდავებაზე ხელის აღება მასაც უჭირს.
6900. რეკლამა იქამდე გვიხმობს, სანამდის არ მივხვდებით, რომ სპექტაკლის სანახავად თეატრში წასვლაა აუცილებელი. კინოფილმისგან სიამოვნება კინოთეატრში უნდა მიიღო.
6901. რეკლამა გვაიძულებს მოვშორდეთ ტელევიზორს და ხალხში გავერიოთ, რათა მდაბალხარისხოვან მუქთად სიმოვნების მიღებას და აღქმას გადავეჩვიოთ.
6902. მორალურად და სულიერად ადამიანის გარყვნა და ამ ბედოვლათობაში თავის დაჯერება სიბერის მოახლოებას იწვევს.
6903. პრაქტიკულად ჯობს იყო ცოცხალი ტურა, ვიდრე მკვდარი ლომი, მაგრამ თეორიულად, სიტყვის მასალად, სხვის გასაბითურებლად – პირიქით.
6904. მადა პირველი ნაჭრიდან იწყება, კამათი – პირველი სიტყვიდან, სიამოვნება – პირველი გაღიმებიდან, ამიტომაც უმჯობესია ყოველივე პირველს პატივი ვცეთ, მას თანდათანობით ვეზიაროთ, რადგან დინჯად ნაკეთები საქმე გაცილებით შედეგიანი და სასურველია.
6905. უნდა იცხოვროთ ფანტასტიკურად, მოხერხებულად, შინაგანად თავაშვებულად და სიყვარულიც დროულად გეახლებათ, თვითონ ამოგდებთ ლაგამს ისე, რომ ყველა თქვენი პლატონური და პრაქტიკული ორგიებიდან არაფერი დაგრჩებათ და ყოველივე განვლილი სასიამოვნო დავიწყებას მიეცემა.
6906. მოვა დრო და ალქიმიკოსებს ღიმილით აღარ მოიხსენიებენ, რადგან მათი მიზანი, ლითონის ოქროდ ქცევა, მისი მხატვრები ფიზიკა-ქიმია ადრე თუ გვიან დედანს თუ არა, ასლს მაინც დაემსგავსება.
6907. საკუთარი უფლებისთვის რომ იბრძოლო, შენს მოვალეობაშიც უნდა ერკვეოდე, რადგან ცხოვრება მარტო ცალ კარში თამაში არ არის.
6908. ნამდვილი ცა ის არის, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვნახოთ ჩვენი ორეული, გამოსახულება, ლანდი და ყოველივე ეს სიამით აღვიქვათ.
6909. გრძნობების გამოცდილება ხშირად ხელს უშლის გრძნობების გაფურჩქვნას მორიგ გამოცდილებამდე.
6910. საზოგადოებაში ყოველთვის შრომით არ მოიპოვება კეთილდღეობა, თუ გამართლების სასწაული დროზე არ მოგვევლინება.
6911. ახალი გზების გაყვანას ჯობს ჯერ ძველი გავაფართოვოთ და შევაკეთოთ, შემდეგ კი დავიწყოთ უმოკლესი მანძილის ძებნა მიზნის მისაღწევად.
6912. გამოუსწორებელ დანაშაულს ჩადიხართ, თუ მემკვიდრეობას ვერ აგრძელებთ, ან ღირსეულ შემცვლელს არ ტოვებთ.
6913. ხანდახან, დროის გარკვეულ მონაკვეთში, გამარჯვების ინსტინქტის შეცნობაა საჭირო, რომ შენზე ძლიერი მოწინააღმდეგე დაამარცხო.
6914. შენს წინ არავინ გაუშვა, ახლობელი ბიზნესში არ გაიკარო, ეცადე საჭირო კაცი იყო, ყველას თავს ნუ გაუყადრებ და მრავალი სხვა შეგონებანი გამოუცდელ

ახალგაზრდა კაცის ბუნებისთვის მიუღებელია, გვიან ხვდება შეცდომებს და იმასაც, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო, რადგან ყველამ თავის წილი კინჩხი უნდა მოიტეხოს.

6915. საზიზღრობაა მორალის მიმართ პირმოთნეობა, მაგრამ არც მას უნდა შეულახო ღირსება. ანგარიში უნდა გაეწიოს საზოგადოების უმწიფარ აზრს, თუმცა მის უწესო აზროვნებას უნდა ვებრძოლოთ, რადგან მორალის მიზანია ადამიანის მოდგმის მოთვინიერება და გასაფრენი ფრთების კოორდინირება.

6916. მოხუცებულები მთელი დღეობით აბეზარი ბავშვების ბურთებისაგან საკუთარ ფანჯრებს წარმატებით იცავენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მეკარის როლში გამოდგებიან.

6917. ხანდახან კარგად გაკეთებული სუროგატიც ტოვებს დიდ შთაბეჭდილებას, მაგრამ ცხოვრების ეტალონად ვერ გამოდგება.

6918. მეგობრობის დებიუტს ყოველთვის არა აქვს მეგობრული დაბოლოება – „ყაიმი და პატი".

6919. თვითმფრინავის და ხე-ტყის დამამზადებელი სპეციალისტები ინჟინრებად იწოდებიან, მაგრამ სულის ინჟინრობა გაცილებით ძნელი საქმეა.

6920. თეორიულად, ფულის და მეგობრის ჩახუტებას საქმეში არაფერი უშლის, მაგრამ მეგობარი თქვენთან თანასწორობის პრობლემას ვერ გადალახავს და პრაქტიკულად, ერთობლივი საქმიანობა მეგობრის დაკარგვას უდრის.

6921. მშობლებმა, მასწავლებლებმა, ქვეყნის მმართველმა საკუთარ მაგალითზე კარგი ქცევით უნდა აღზარდონ, გამოაწრთონ საზოგადოების მომავალი შვილები, მოქალაქენი და გადასახადის წესიერი გადამხდელნი.

6922. ჭკუის მარაგის შექმნა და მისი ჰუმანიტარული დახმარების გზით უფასო დარიგება ყველაზე დიდი მადლი იქნებოდა ღარიბი ქვეყნებისთვის, მაგრამ სამწუხაროდ, ეს არავის უნდა.

6923. ყველანი ვცდილობთ ცივილიზაციის ფუფუნების ყავარჯნებით სარგებლობას, რომელსაც ყველანაირად ვხვეწავთ და ვაუმჯობესებთ, რადგან მის გარეშე ცხოვრებაში გავლა გვეხამუშება.

6924. საოცარია, მაგრამ ფაქტია, შექმნილი შედევრი შემქმნელზე უფრო ჭკვიანად გამოიყურება.

6925. ცოდნას მაშინ აქვს ფასი, როდესაც რაც შენ იცი, ის სხვისთვისაც ცნობილია, ოღონდ შენ ცოტათი უკეთ იცი.

6926. პესიმიზმი და ოპტიმიზმი შემოსავლის ოდენობაზე და მის ყაირათიან ხარჯვაზეა დამყარებული.

6927. სულის პროსტიტუციაში ყველა ხეირს ნახულობს: უნიჭობაც, „მასმედიაც" და მაყურებელიც. პირველი სახელს იხვეჭს, მეორე – გადიდებულ ჰონორარს, ხოლო მესამე გულს იოხებს – საკამათო ნახა.

6928. ყველა მოქალაქეს სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაზღვეული უნდა ჰქონდეს, რადგან ქვეყანას ღირსეულთა დამსახურება სწრაფად ავიწყდება და იქნებ დაზღვევას ფულს მაინც გამოვრჩეთ თავის დასამახსოვრებლად.

6929. ფუფუნებასა და შეძლებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თევზის ჭამას ეჩვევა და ირყვნება, მეორე კი თევზის ჭერის სხვადასხვა ხერხებს სწავლობს და სხვასაც ასწავლის. შედეგად პირველს მოსდევს სახელმწიფოებრივობა და მისი ინფრასტრუქტურის ნგრევა, მეორეს კი – დროებით ხელმოცარული ქვეყნის აღმავლობა, წინსვლა და ეს მანამ გრძელდება, სანამ აქაც ფუფუნება და გარყვნილება არ დაისადგურებს.

6930. წარმატება დაუსრულებელი პასუხისმგებლობაა თაყვანისმცემლების, დამფასებლების და იმ ჯილდოს გამცემთა წინაშე, რომლებმაც შენს აღიარებას საფუძველი დაუდეს და იმიჯი შეგიქმნათ.

6931. წარსული გვეხმარება, მაგრამ ვერ გვიხსნის დღევანდელობას.

6932. გმირობას შენი ქვეყნის, ხალხის ინტერესების დაცვისთვის გაძლევენ და არა სამართლიანობისთვის და იმისთვის, რომ ქვეყნის უნიათო, მოუქნელ პოლიტიკოსს კარიერა შეუნარჩუნე, რადგან ქვეყნის მართვის ხელოვნება პროფილაქტიკაა და არა მისი უგულებელყოფის შედეგად მიღებული მოვლენების გამოსწორება.

6933. აგრესიას ბადებს შიში იმის მიმართ, რაც არ ვიცით და რაშიც არ გვინდა გულით გავერკვეთ.

6934. ცხოვრების გზის არჩევის განსაზღვრა ჩვენი მორალი და ის ბედნიერი შემთხვევაა, რომელიც მას ესალბუნება.

6935. პატარა-პატარა სტრესები ჯანმრთელობასაც უხდება, კარიერასაც და ოჯახის ჩამოყალიბებასაც, რადგან მის გარეშე ნაბიჯის გადადგმა გაგვიჭირდება.

6936. ინტელიგენციაა ის ერთადერთი, რომელიც პროტესტის გამოთქმაზე თანახმაა, მაგრამ დიდხანს გაფიცვა არ შეუძლია, რადგან სხვისი უსაქმოდ დატოვება მისი კარიერის დასაწყისია, ამიტომაც მათ ერთი ხმა და ერთი გზა არასდროს ექნებათ.

6937. ისტორიის საუკეთესო გვერდები შეთქმულებაზე, შეხლა-შემოხლაზე იქმნება, რომლის ბობოქრობის საბოლოო შედეგს სხვები იმკიან, რადგან საბოლოოდ ცხოვრებაში ყოველივე ისე რჩება „როგორც ყოველთვის" – ყველაფერი თავიდანაა დასაწყები.

6938. სიძულვილი და ზიზღი, მეგობრობა და სიყვარული, გარემოებათა გამო სრულიად შესაძლებელია სინონიმები გახდეს.

6939. ახალწვეულები ადრეგაწვეულებივით იქცევიან, თუ დროზე ადრე არ დაასახიჩრეს და არ მოკლეს. საქმიანობის ყველაზე ძნელ უბნებზე ისინი იბრძვიან, ცდილობენ, როგორც ომიანობის, ასევე მშვიდობიანობის დროს.

6940. გადაცდენას მაშინ აქვს ფასი, თუ მას შენთვის სიამოვნებასთან ერთად შემეცნებაც მოაქვს და ცხოვრების ავკარგს გასწავლის.

6941. სინდისი ცოდვებისგან განწმენდის საწარმო არ არის, რადგან მისმა გადამუშავებამ სინდის-ნამუსის დავიწყება და გადაგვარება იცის.

6942. თეთრი იშვიათათ არის თეთრი თუ მას მიკერძოებით დავაკვირდებით, ხოლო შავი ყოველთვის შავია და სხვა ელფერიც დაჰკრავს და პირველისგან განსხვავებით თავის იმიჯს მაინდამაინც არ უფრთხილდება.

6943. ისტორიას ცინიკურად უყვარს მოვლენების გამეორება და დავიწყება, რომელსაც მომდევნო თაობების ბუნება ყურად არ იღებს, რადგან ფსონში მათი ამბიციები და კარიერის საფეხურებია ჩადებული.

6944. ხანდახან ბანალური გარემო ძალზე შეეტყვისება იმ ადამიანთა შემოქმედებას, რომელიც თავისი ბუნებით ამ იდილიას ვერ იტანს და მასთან ურთიერთობაც კი ეზარება.

6945. ძალადობის გამოვლინებასაც თავის მიზეზი აქვს, მაგრამ არა იმდენად, რომ ასეულობით უნიათო და დანაშაულებრივად დამყოლი ხალხი შეიწიროს ისე, რომ მათ შესახებ ისტორიამაც არაფერი იცოდეს და არც მათი ბედის მოქექვა აინტერესებდეს.

6946. იდეალისტი ყოველთვის კარგი საზარბაზნე ხორცი იყო, ავანტურისტი კი ამ ზარბაზნის განუსჯელი დამიზნებელი.

6947. ყველაზე ძნელია მონობის ატანა საკუთარი თავის წინაშე, რომელსაც ვერ ამჩნევ და ვერცა გრძნობ.

6948. ჩვენ თუ ბუნებას თავს ვესხმით, ისიც ამითვე გვპასუხობს, კაცობრიობის მიღწევებს სულ კრიჭაში უდგას და აუგად თავს ახსენებს.

6949. გემოვნებას გასაქირავებლად არავინ გათხოვებს, მაგრამ მასზე საკუთარის მორგება შესაძლებელია, თუ ბუნებრივი ნიჭით ხარ დაჯილდოებული.

6950. სიცოცხლე არის არაორდინალური, გასაოცარი რაობა, რომლის შეფასება თვით მამაზეციერსაც უჭირს.

6951. ყოველივე დასამახსოვრებელს თავის დროზე პიროვნება აკეთებს და სჩადის, რათა განსჯის, მიმხრობის და ცხოვრების ტკბობის საშუალება მისცეს ხალხს.

6952. ზოგჯერ ქვენა გრძნობებით ნათქვამ „მე ვიტყვი სიმართლეს" გადაგვარებამდე, გარყვნილებამდე მივყავართ, რადგან ხალხს სათაყვანებელი პირებს ისტორიული მოვლენების ჭუჭყიან საცვლებში ვაძრომიალებთ და ადამიანებს წმინდანებს, სალოცავებს აღარ ვუტოვებთ.

6953. ხშირად ტალანტი თავის ნიჭს, მავანთა უგერგილობის გამო, ზევით აბრუნებს, რადგან რეალიზაციას ქვემოთ ვერ ეღირსა და როდის გამოგზავნის ამ ნიჭს ხელმეორედ მამაზეციერი, არავინ უწყის.

6954. ბევრი ჩვენზე ჭკვიანიცაა და მოხდენილიც, მაგრამ ასეთ ხალხთან შეხვედრა იშვიათად გვიწევს, რადგან ჩვენს ამბიციებს სხვისი აღიარება ხშირად ხელს არ აძლევს.

6955. სანამ შემოთავაზებული წინადადების არსში არ გავერკვევით, მის წინააღმდეგ წინასწარ ნუ განვეწყობით, იმის გამო, რომ ვერ გაიგეთ, აზრს ვერ ჩაწვდით, მეტი საქმე მოგემატებათ, რადგან ამ ქმედებით სხვასაც ვნებთ, თავსაც, ქვეყანასაც და აქ თქვენი თავმოყვარეობა და გარჯა არაფერშუაშია.

6956. არ არის საჭირო ნაადრევად დაღლილებად გამოვიყურებოდეთ, დროც დადგება და ნდომა არნდომა აღარ გვიშველის.

6957. ძალაუფლებას რა სურს, თავადაც არ უწყის, ხოლო რა ოინს წამოიწყებს და რა შედეგს მოიმკის, ამაზე წარმოდგენაც არ აქვს.

6958. „ისტორიას ის ქმნის, ვინც შემთხვევას იყენებს", ხოლო ვისაც შემთხვევა აკითხავს, მას თანამედროვენი ახლოს არ იკარებენ, თუ ბედი და შესატყვისი დრო თან არ დაემთხვა.

6959. განდიდებისკენ მისწრაფება, ტრაგედიისკენ გვიბიძგებს, სამართლიანია ეს განგების მხრიდან თუ უსამართლო, ძნელი გასარკვევია, მაგრამ დროს რომ ბეზრდება ერთიდაიგივე პირის დიდხანს მფარველობა, ეს ნაღდია.

6960. ყველა ქვეყანას, წყობას, ხალხს, თავისი იდიოტები ჰყავს, თავიანთი მსოფლმხედველობით, იმიჯით, გართობის მცდელობით.

6961. ისტორიაში მოხვედრილს ყველა დროში გამოუჩნდება მიმბაძველი და თაყვანისმცემელი, ამიტომ მასში მოხვედრილი უხიაგი ადამიანები იშვიათად უნდა მოვიხსენიოთ, ხოლო ვიგინდარები უნდა გავიხსენოთ ინიციალების გარეშე.

6962. დაბერება და იმქვეყნიურ სამყაროსთან დაახლოებაზე ფიქრი მაშინ იწყება, როდესაც მოწინააღმდეგე სქესთან ურთიერთობა არ გაღელვებს და შენთვის სავალდებულო სასიყვარულო მინიმუმიდან თავის დაძვრენას ცდილობ.

6963. თუ არ გამოვცდით, შორიდან არც სიბერის მოახლოება გვაშინებს, ვერც საფრთხეს ვგრძნობთ და არც გონებას არავინ გვიფუჭებს.

6964. მთავარი ცარიელი სიმართლის თქმა კი არ არის, არამედ ის, თუ რას მოიმოქმედებს და მოგვცემს ამის თქმა.

6965. ჭკვიანი კაცისთვისაც ძნელია თანამედროვენი და იშვიათად, წინაპრებიც, ხანდახან გინებით არ მოიგონოს, ზოგჯერ იმდენად ბრიყულად გამოიყურება ზოგიერთი მათი „ნამოღვაწარი".

6966. ხშირად თავის სასარგებლოდ ყველა თავს ისულელებს, ხოლო სხვის დასარიგებლად, სარგებელის მოსახვეჭად ყველა თავისი ჭკუის გამოვლინებას ცდილობს.

6967. საქმიანობას მიტმასნებულს თავად საქმე არ იკარებს, თუ ის საქმის შემართებით მკეთებელი არ არის.

6968. თითქოს ასაკის მატება თანდათანობთ გვიხსნის პასუხისმგებლობას ქვეყნისა და შინაურების წინაშე, მაგრამ ჩვენი ბუნება ამის უფლებას არ გვაძლევს, რადგან ასაკში უფრო მეტად დამთმობი და კეთილისმსურნველნი ვხდებით.

6969. ჭაობიდან სიავეს ამოტივტივების საშუალება არ უნდა მივცეთ, თორემ სიმყრალის უკან ჩაბრუნება გაჭირდება.

6970. სახელოვანი მშობელი ჯვარია და არა ფარი, მას რომ ამოეფარო. მითუმეტეს, რომ ყოველთვის ყურადღების ცენტრში ხარ და ყველა მოჩერებულია დააწყებინებ მშობლებს საფლავში კოტრიალას თუ არა.

6971. ბიუროკრატი მხოლოდ თავის თავს კვებავს და სხვას თანაუგრძნობს ჩუმი გინებით.

6972. თუ სიცოცხლის ეშხი არ შემოგრჩა, მაშინ დღეგრძელობა სასჯელია თუ წახალისება არავის უწყის.

6973. შენობა, ნივთი, ხშირად მოინელებს თავის მფლობელს და სწორედ ეს ხდება მისი პატრონის მოხსენება-გახსენების საბაბი.

6974. თუ ემოციური ზარალი დათვლას არ ექვემდებარება, მატერიალურისა შესაძლებელი და ზოგი კარგ დივიდენდებსაც გამოთხრის.
6975. ჟანდარმი პოლიციელის ძმა და მილიციონერის ბიძაშვილია, ხოლო წესრიგის დამყარება მის გარეშე არეულ ქვეყანაში შეუძლებელია.
6976. რწმენისათვის ციხეში ჩაჯდომა ვერავის ვერაფერს დაავალებს, საკუთარი თავისა და ოჯახის გარდა.
6977. გადამეტებული რწმენა, პარტიულობა, ნაციონალიზმი ნარკოტიკია და ხალხის ბრბოდ გადაქცევისა და დამორჩილების მცდელობა, რაც დროთა განმავლობაში საწინააღმდეგო ქმედებას იწვევს, რადგან მათი ადამიანებად ქცევა ძნელდება.
6978. ომის მიზანია წესრიგის დამყარება მისი წამომწყების სასარგებლოდ, მაგრამ ხშირად პირიქით ხდება და თავის მცდელობას ეწირება.
6979. მომდევნო თაობები ისე არ უნდა მოიქცნენ, რომ წინა თაობებს ურთიერთის მიმართ სიკეთის კეთება უსაყვედურონ.
6980. თუ ოცნება გვისრულდება, ისიც უნდა გვახსოვდეს, კიდევ ვის უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი მცდელობის გარდა.
6981. ზღაპარი სიკეთის და სიბრძნის მღაღადებელია, რომელსაც ბევრი ბავშვი ვერ აღიქვამს, მაგრამ შეიგრძნობს და მასზე აღიზრდება.
6982. ბავშვი ის შენაძენია, რომელიც ბედნიერებასა და მოვალეობას შორის ზღვარს შლის, მიუხედავად იმისა, რომ მშობლები მისგან მეტს მოელიან და თავის ამბიციებს მუდმივი საყვედურებით და ჭკუის სწავლებით გამოხატავენ.
6983. ცოდვა, ჩადენილი შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონის გათვალისწინებით, არც თუ ისე დიდ დანაშაულად გვეჩვენება.
6984. ხალხი უნდა გიყვარდეს, ბრბოს უნდა მოერიდო, მასას შორიდან უნდა უყურო, მაგრამ ბოლომდე თავი არავის არ უნდა გაუყადრო, რადგან ხშირად შენდამი ერთგულება და ხოტბის შესხმა კონიუნქტურაზეა დამყარებული.
6985. ყალყზე შემდგარი გარდუვალი სიკვდილი ყველა პატივმოყვარე ამბიციას აკმაყოფილებს.
6986. კეთილი კაცისთვის უდიდესი ბედნიერებაა ისწავლოს გონივრული უარის თქმა, რათა ცხოვრების დაისს სინანულით არ გადახედოს.
6987. სინდისის წინაშე თავს მორცხვად რომ არ გრძნობდეთ, გაჭირვებაზე არ უნდა დაიწუწუნოთ, რადგან ეს თქვენი უნიათობის, უყურადღებობის, უყაირათობის შედეგია.
6988. შენი სული სხვას უანგაროდ უნდა უსახსოვრო, თუ გინდა მისი სილაღე და ცხოვრების აზრი შეიცნო.
6989. ზოგჯერ ყალბ სილამაზეს ბევრი თაყვანისმცემელი გამოუჩნდება, ხოლო ნაღდი და მიწიერი იძულებულია მოწონებით დაკმაყოფილდეს.
6990. საქმის საკეთებლად რწმენა და შემართებაა მთავარი და არა დრო და ასაკი.
6991. დროის სიბრიყვესთან ბრძოლა შეუძლებელია, მისი მკურნალი ისევ მოთმინება და დროა.

6992. მხოლოდ ადამიანის შემოქმედებაა ყოფიერების დროის საზომი, ხოლო ისტორიას წლებთან და გარდაცვალებასთან თავისი ანგარიში და ზომა-წონა აქვს.
6993. არავისთვის შენი სიცოცხლის განწირვა არ ღირს, რადგან საბოლაოდ ამ ძღვენს გონიერებისგან განსხვავებით გულით არავინ დაგიფასებს.
6994. ნიჭიერებისთვის ფულის მონობა მკრეხელობაა, უფულობა კი საცოდაობა.
6995. გამოცდილება, ის ნინუას წვენია რომელიც სიცარიელის შესავსებადაა დამოძღვრილი, რომელსაც გამოუცდელობა ყოველთვის დასაღვინებლად არ იყენებს.
6996. ქვეყანას შეწირული ხალხი სჭირდება და არა გაწირული.
6997. გაჭირვებიდან ისევ გაჭირვებამ, გაჭირვებით უნდა გამოგიყვანოს გამარჯვებული.
6998. კაცი რაც უფრო მდიდარია, ან თანამდებობა უჭირავს, მისი ნათესავების და კეთილისმსურველთა რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და საუკუნეების ჩაქროლება არაფერს ცვლის.
6999. დედაქალაქი ყოველთვის რაიონების ტერიტორიების სისხლით იკვებება, მიუხედავად ამისა, ყველას თავს ამადლის, საყვედურობს, ბუზღუნებს.
7000. დღეს ცენზურა სიბინძურის მხატვრულად გადმოცემაზე და მათი პერსონაჟების გმირებად წარმოჩენაზე აუცილებელია, რადგან ვიღაცა სულელს უგუნურების განხორციელება სინამდვილეში არ მოუნდეს და ვიღაც შერეკილი მწერლის, რეჟისორის ალიბს, დემაგოგიის ხოშის გასწორებას და ჯიბის გასქელებას უდანაშაულო ახალგაზრდობა არ შეეწიროს.
7001. შენდობა ხელოვნებაცაა, ღირსებაც, გონიერებაც, მაგრამ არა ყველასთვის, რადგან ეს საყოველთაო უპასუხისმგებლობაში გადაიზრდება და თაობები ამას არ გვაპატიებენ.
7002. არის სიმართლის თქმის ხელოვნება და არის მოსაწყენი ცარიელი სიმართლე, ამასთან ყველა იტყუება და მის შელამაზებას ცდილობს.
7003. ყველაფერს თავის გამართლება აქვს და ყოველივეს შეიძლება მოენახოს გამართლება, მაგრამ ეს სხვადასხვა ცნებას, ღირსებას და ღირებულებას განეკუთვნება.
7004. ხმას აყოლილ პატივისცემას, გულით გაღებულთან შედარებით, სხვა განზომილება, სხვა აფექტი და ეფექტი აქვს.
7005. ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებით კვება ისეთ ალქაჯს გამოზრდის, რომელიც მომვლელებს ცხვირს მოატეხინებს და შეჭმას დაუპირებს.
7006. ზოგისთვის სიკვდილი უფრო ადვილია, ვიდრე უმიზნოდ ამქვეყნად ფართხალი.
7007. იუდად იბადებიან და მისი გამოცნობა გარემოებათა დახმარებით დიდი ხელოვნებაა.
7008. გონიერება უმცირესობის უპირატესობაა, მაგრამ საკითხს მაინც უმრავლესობა წყვეტს ყოფიერების ხარჯზე.
7009. ისტორიის თეთრი წერტილები ემოციებს და ფანტაზიას არ უნდა შევავსებინოთ.

7010. ცოდვებს ის სჩადის, ვინც ინტუიციით მისი ფასი იცის.

7011. ლოგიკას მხოლოდ ლოგიკით უნდა დაუპირისპირდეთ, რომელიც უკეთესი ცოდნით და მახსოვრობით იქნება აღჭურვილი.

7012. თავაშვებულების ნებართვა საკუთარი თავის მიმართ, სხვას სიავედ, სიღარიბედ მოევლინება, რომელიც დროთა განმავლობაში ამ გათავხედებას ბუმერანგივით უკან შემოუტრიალებს.

7013. გარეთ ყოველთვის გაღიმებული უნდა გამოიყურებოდე და შენი ბოღმის მარაგი შორს უნდა დამარხო, რათა შეგეძლოს შეძლებისდაგვარად ის შენს ახლობლებში, ან ნევროპათოლოგთან გადმოანთხიო.

7014. საოცარია, სიმართლე ტყუილით გაზავების გარეშე საზოგადოებაში ყოველთვის უნდობლობას და ეჭვს იწვევს.

7015. ხანდახან გრძნობებს სიტყვებით ვერ გამოვთქვამთ, ისე ღრმად არის ჩადებული ასაჟღერებელი ჰანგები ადამიანის სულში.

7016. ყველა თავისებურად და თავისი ბედით კვდება და ნაადრევად უერთდება ვადაზე ადრე გარდაცვლილ უმრავლესობას.

7017. მზესიტყვაობა იმით განსხვავდება აფორიზმისგან, რომ მას ირონიაც აქვს შეზავებული გონის დამატებით გასანძრევად და სიამის მოსაგვრელად.

7018. მოღალატესა და პროვოკატორს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი სამშობლოს ინტერესებს ფულზე ყიდის, მეორე კი მარიონეტია, ამას სხვისი ნებით ახორციელებს და ეს ეამაყება.

7019. რადგან ქვეყანა მექრთამეებითაა სავსე, სიმართლეზე რქებით მიწოლა და თავის გაწირვა არ ღირს. ჯობს მოთმინება და მოხერხებულობა დაუპირისპიროთ.

7020. ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ვიღაცამ გითხრათ -"გამარჯობა, მამა" და ეს იმ ჯეელობის უზრუნველი წლების სიხარულის გამოძახილის საზღაური იქნება, რომლისთვისაც ყველა ჯანმრთელი მამაკაცი მზად უნდა იყოს.

7021. უსიამოვნებასა და უბედურებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველ შემთხვევაში კარგავ იმას, რაც შეიძლებოდა სხვისიც ყოფილიყო, ხოლო მეორე შემთხვევაში იმ ქვეყნად წასვლით შენთვის განკუთვნილი საკუთრება, სიცოცხლე, იკარგება, თორემ ცოცხლად დარჩენილს დროის ფაქტორის უკმარისობის წამალი კურნავს.

7022. თუ სასიკეთო საქმის კეთება გაიძულებთ ცოდვის ჩადენას, მაშინ წმინდანად ყოფნა სულ არ არის საჭირო, რადგან ამით ვერც საქმეს უშველით და ვერც სულის სიწმინდეს.

7023. ცდუნება – სურვილი, ვაცდუნოთ – ვუსურვოთ, გვაცდუნონ – ვისურვოთ, დიდი ცხოვრების რებუსია, მაგრამ სიკეთისგან მაინც შორს დგას.

7024. თუ ქვეყნის დუღაბის ქვების მიმოყრას დავიწყებთ, საჭირო დროს ქვეყნის დიდების ლოდების შეგროვება არ მოხერხდება.

7025. ტალანტიც უნდა უწილადებდეს ხალხს თავის სიმდიდრეს და მატერიალურად მათზე ზევით ძალიან არ უნდა იდგეს, თუ უნდა გაჭირვების ჟამს ბრმაც მის მხარეს დადგეს.

7026. ნაძარცვის გაყოფა და ცუდად დადებულის მითვისება საძრახისი საქმეა, მაგრამ აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველასთვის დაკარგულია.

7027. ბიუროკრატიას სახელმწიფოს მიერ მიმდინარე „რემონტის" ჩატარება არ სჭირდება, ის თავს ყოველთვის მოუვლის და თუ საჭირო იქნება მკვდრეთითაც აღდგება.

7028. მიწიდან ზევით ავარდნა, საკუთარი თავის შეცნობის გარეშე, არ ღირს, რადგან მაშინ დავარდნა ღირსებით არ მოხერხდება.

7029. მამრის ინსტინქტი დაბადებიდანვე ომობანას თამაშია, მდედრის – ოჯახობანას, დღევანდელი საზოგადოება ხვადის ინსტიქტებით ცხოვრობს და დედის ინსტინქტები მივიწყებული აქვს. ვინ იცის, იქნებ დღეს ქალის ინტუიციით ცხოვრება ჯობდეს, რომ ამდენი სისხლი და ბოღმა არ გადმონთხეულიყო.

7030. სამყაროს არა მარტო სილამაზე გადაარჩენს, არამედ მისთვის კარგად შერჩეული გონიერება, ეკონომიკა და ღირსეული პირი – კარიერით.

7031. თუ რაიმე კარგის კეთება გაქვთ გადაწყვეტილი, არავის ანდოთ, რაც უნდა დიდი ნდობით და ავტორიტეტით სარგებლობდეს ადრესატი, – ძირითადად, ნდობა არ ამართლებს.

7032. სიყვარული, თანამდებობა, ფული, როგორც მოდის, ისე მიდის. პირველს ჯეელობაში აქვს ფასი, მეორეს – ახალგაზრდობაში, მესამეს – დაღვინების ჟამს. დრო მიდის და ფასი ყველაფერს შებრუნებით ედება, გარდა თანამდებობისა, რომელიც ყველა ასაკში მომხიბვლელი და დაფასებულია.

7033. მზესიტყვაობა ანუ ტვინის საჭყლეტი ალგორითმებია ის, რაც ყველამ ვიცით, მაგრამ არ გვახსოვს, არ გვიფიქრია, არც სურვილი გვქონია, თუმცა მისი გონებაში გახმოვანება სასიამოვნო აღმაფრენას გვანიჭებს.

7034. თვალი, ყური, ხელი გრძნობებთან გვაახლოვებს, სუნთქვა, გულისცემა, ოხვრა შეცნობის საიდუმლოებას გვაძლევს, ფიქრი, ოცნება, განსჯა სამყაროსთან გვაკავშირებს და გვაიძულებს ვიფიქროთ იმაზე, რაც პრაქტიკულად ჩვენთვის მიუწვდომელია.

7035. მიაღწიო სრულ კომფორტს შეუძლებელია, მისი ძებნა კი უმადური საქმეა.

7036. ჩვენი ცნობიერების ყველა ინსტიტუტს საიდუმლო ექსპლუატაცია უნდა გავუწიოთ, თუ გვინდა ვისიამოვნოთ.

7037. ნადირობა, სიყვარული, ძებნის მოპოვების სინონიმებია და აქ სხვისი რჩევა და დარიგება ყურად არ უნდა ვიღოთ.

7038. კახელებსა და იმერლებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ბრიყვობას ცდილობს, ხოლო მეორე – ბრიყვობის დამალვას.

7039. კოლექციონერობა თავისებური მოწოდებაა, სადაც თავად სული თხოულობს იმის შეგროვებას, რაც სხვას აზრადაც არ მოსვლია.

7040. რეპუტაციას, იმიჯს, წლები გვიქმნის და დღეები გვაკარგვინებს, ამიტომ ცხოვრებაში გადაწყვეტილების მიმღებ წამებს უფრო სჭირდებათ მოფრთხილება, ვიდრე ლაღად მიმავალ წლების შემქმნელ დღეებს.

7041. ჯარში სამწყობრო მომზადება მართლაც ჭკვიანმა ხალხმა მოიგონა, რათა ახალგაზრდის მოზღვავებული ენერგია საჭირო მიმართულებით წარიმართოს.
7042. სიკეთის კეთება დავალებით სიკეთე არ არის, მაგრამ თუ სხვანაირად არ ხერხდება, მაშინ ასეთი სიკეთის სუროგატიც მისაღებია.
7043. ყავარჯნებზე მდგომ სახელმწიფოს უჭკვიანესი შლეგი უნდა მართავდეს, რომლისაც ვირემშაკებს უნდა ეშინოდეთ, ხოლო მოხერხებულნი ერიდებოდნენ, რადგან ყველა მათგანის მიზანი გამორჩენაა.
7044. ასაკსაც თავის გაწვევა აქვს იმქვეყნად, რომელიც დემობილიზაციას არ ექვემდებარება.
7045. უალტერნატივო წესიერებას თავის ზადი და წუნი აქვს, რადგან ვიგინდარები შენი პატიოსნების ხარჯზე ზურგზე შემოჯდომას და მოკალათებას შეეცდებიან.
7046. შუა ასაკი იმვიათად არის განაწყენებული, ეს უფრო ჯელობის და სიბერისთვის არის დამახასიათებელი.
7047. გონიერებით რაიმეს წინასწარ განჭვრეტა ძნელია, თუ მასში გული თავის სურვილით არ ჩაერევა.
7048. ყველანი ყველაფერს ჩვენი სიამოვნებისთვის ვაკეთებთ და ამ საქმეში თუ საკმარის ფულს გვიხდიან, რა გვაქვს ცხოვრებისადმი სასაყვედურო. ეს იგივეა, მეძავს ასიამოვნო, შენც ისიამოვნო და მატერიალურად მოამაგრო.
7049. საქმიანობით გამოწვეულ სიამოვნებას ერთი აუცილებელი პირობა აქვს, მუშაობა სავალდებულო არ უნდა იყოს და განრიგს არ უნდა გთხოვდნენ.
7050. სტრესი სულის ეკოლოგიაა, რომლის საშველად ყველა მზად უნდა იყოს, რადგან ის გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ყველას კარებზე დააკაკუნებს.
7051. ძალიან კარგი შეიძლება ძალიან ცუდად მოგვევლინოს თუ ზომიერებას არ დავიცავთ, გონიერებას არ მოვუხმობთ და ბუნების კანონებს ქუდს არ მოვუხდით. მაგ.: ქალთა გადამეტებული ემანსიპაცია.
7052. შინაური ქურდი ყველაზე საშიში დამნაშავეა, რადგან ის პირველ რიგში მორალს იპარავს და იმედიც აქვს, რომ ამისთვის შეიძლება არ დაისაჯოს.
7053. ჭეშმარიტება გონების ალგორითმია, რომლის მიზანია ამოუხსნელის ამოხსნა.
7054. ფრთიანი სიტყვა ტვინს უნდა გიბურღავდეს, ჯიგარს უნდა გიწვავდეს და სიამის მადლი უნდა ჰქონდეს მოსხმული, ასეთი სიტყვის მადლის ხაბა-ხუბა, კაცობრიობას რომ თავისი გონების სამზარეულოში შეაქვს.
7055. სიმართლე იმიტომაც არის სიმართლე, რომ მან ბევრს გული უნდა დასწყვიტოს, ზოგს თავშიც უნდა წამოარტყას, შეაჩვენოს, სწორ გზაზე დააყენოს, სწორი ცხოვრება ასწავლოს.
7056. დროს რომელშიც ვცხოვრობთ, ასაკი, აზროვნება, ტექნიკური პროგრესი უნდა მოვარგოთ, აწმყოს კაპრიზების და მომავლის იმედის შეჯერებით და გათვალისწინებით.
7057. პირველ რიგში ნიჭი კი არ არის დასაფასებელი, არამედ ის ხალხი და გარემო, რომელმაც შენს ტალანტს წარმოჩენის საშუალება მისცა.

7058. ინტელექტუალური, საამო შრომაა, როდესაც კლასიკას ეცნობი, როდესაც ხელოვნებას – მისგან მხოლოდ კაეფი გვრჩება, დაფიქრების და ჭკუის ჭყლეტის გარეშე.
7059. მიზანს მაშინ აქვს ფასი თუ მას სხვისთვის შეუცნობელი ადამიანური ბედნიერება და სიხარული მოაქვს.
7060. ჩინოვნიკი, განათლების მიუხედავად, მაინც ინტელექტის პატრონი "ჩინუშაა", ინტელიგენტი კი ძველი არისტოკრატიის შემცვლელია იმ პირობით, თუ მაღალი სული და თავის დაცვის უნარი თანამდებობის და ჩინის უხმარებლად შესწევს.
7061. ქალაქის მცხოვრებნი იკვებებიან, იმ პროდუქტებით, რომლის მოვლა-პატრონობაზე წარმოდგენაც არა აქვთ, საკმარისია ეს საზრდო მოაკლდეთ, მათი კაპრიზი ქრება და ყველა სოფლის მეურნეობის შესწავლას იწყებს. კრიზისი ქრება, სოფელი უყურადღებოდ რჩება, ესე იგი, სოფლის და ქალაქის ჩასახუტებლად კრიზისი უნდა მოვიშველიოთ.
7062. მოდა არის დროის და არა ეპოქის ეპიდემია.
7063. კოლექციონერები განსაკუთრებული სახის ბედნიერებაზე მონადირე ხალხია.
7064. უგუნურებასა და გონიერებას შორის ზღვარი თითქმის წაშლილია, ორივეს ქონების შემთხვევაში კი საინტერესო პიროვნება ხდები.
7065. როდესაც თვალის ფსკერი საცრემლად აგექავება, ეს შენი კარგი ბუნების და სხვისი სიტყვის მადლის მაჩვენებელია.
7066. სხვის დასანახავად ხშირად ისინი ჭირვეულობენ, ვისაც ცხოვრებაში არაფერი უნახავთ და ეჩოსავით ყოველივეს თავისკენ ითლიან.
7067. ზარმაცი ყველაზე მეტად მოუთმენელია, რადგან ეშინია მისი გასაფლანგი დრო სხვამ არ მიითვისოს.
7068. პიროვნებაა ის, ვისი გაკეთებული საქმეც სასიამოვნო გაკვირვებას იწვევს, თანაც მისი ყოველთვის გვწამს.
7069. ზოგი იმისთვის კი არ მოგზაურობს, რაიმე ნახოს, არამედ თავად ეჩვენოს სხვებს, თავი გააცნოს და ამა თუ იმ ქვეყანაში ყოფნა თავისმოწონების აქტივში ჩაიწეროს.
7070. რა ამაყები და სულით მდიდრები ვიყავით, როდესაც პატარები გახლდით!
7071. საღი აზრები უხიაგი კაცის ხელში საშიშია, რადგან მისი ყადრი არ იცის.
7072. მომავალში ვინ იფიქრებს, რომ ადამიანის პატარა თავი ასეთ დიდ რაღაც-რაღაც იდეებს ითოხარიკებდა? ალბათ, გონიერი კომპიუტერი, რომელიც ადამიანის ჭკუის სადარი ვერასოდეს ვერ გახდება.
7073. ექსტრემალურ პირობებში რეალური მდგომარეობის შეფასება ჭკვიანი კაცისთვის ადვილია, მაგრამ ძალზე საწყენი, „რომ მან ეს ადრე ვერ გაითვალისწინა", რაც ხანდახან ხელს უშლის სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.
7074. კარგი აღზრდა ის კი არ არის, შენ რაიმე გიხიმანდრონ და პაუხი არ გასცე, არამედ ეს ვერ უნდა გაგიბედონ.
7075. კაცობაზე თავის დადება ადვილია, შენარჩუნება, კაცად დარჩენა, ძნელი.
7076. ციხიდან განთავისუფლებულმა პატიმარმა, ქვეყანაში ახალი სიოს ქროლვა უნდა იგრძნოს და ისიც, ჰქონდა თუ არა მის დასჯას აზრი, თუ გვინდა ქვეყანამ გამოსწორებული, იმედის მომცემი, მოქალაქე ჩაიბაროს.

7077. ამაყი სიტყვაა „ამხანაგო", რადგან მისი რაობა მის ჟღერადობაშია და ყველა წოდებაზე, მიმართვაზე მეტად გამოხატავს მოსაუბრისადმი დამოკიდებულებას.
7078. არჩევანს ყველა თავად აკეთებს, მიუხედავად იმისა, იფიქრა თუ არა მან ამ არჩევანზე.
7079. ჩვენ მოკლე მანძილზე მოაზროვნე მორბენლები ვართ დიდი მიზნებით და დამიზნებით და ჩვენი აზრით, მომავალ თაობებს ახალ იდეების საძირკველს ვუქმნით.
7080. სულით თავისუფალი მოქალაქე თავისი სინდისის წინაშე არ იტყუება.
7081. სულით ავადმყოფს დუელში არ იწვევენ, მეძავს უმანკოებაზე არ ელაპარაკებიან, პოლიტიკოსს მორალს არ უკითხავენ, ასე რომ ყველას თავისი ნიშა აქვს.
7082. „ჭეშმარიტება ყველას თავისი აქვს" – ყოფითი ფილოსოფიაა, რადგან ფილოსოფიური ჭეშმარიტება საყოველთაოა.
7083. ბედნიერება ყოველთვის სათუოა, სათუთია, უსასრულოა, მანამ, სანამ ჯიშის გამგრძელებელი არსებობს და შეუძლიათ მომდევნო თაობებმა თავის ამქვეყნად მოვლინება ზევიდან ჩასძახონ ბედნიერ წინაპარს.
7084. ალბათ, იქამდე ჯობს სიცოცხლე, ვიდრე შენს მიმართ შენი ახლობლების უგვანო დამოკიდებულებას გაიგებდე.
7085. ამქვეყნად ცარიელი არაფერია, ყველაფერს თავისი ადგილი და თავის პატრონი ჰყავს, ამიტომ სამყაროსთვის უმიზნო ყურება არ გამოდგება, რადგან ყველამ უნდა ვიცოდეთ ჩვენი ადგილი ამ წარმოსახვით სიცარიელეში.
7086. ჩვეულებრივი მოკვდავისთვის მთავარია ბედნიერების და სიხარულის მინიჭება და არა ზოგიერთი ჭკუანაღრძობივით ჭეშმარიტების ძებნა.
7087. ჭადრაკის ყუთში მეფეც და პაიკებიც ერთნაირად იყრება, მაგრამ დედოფალში გამსვლელი გონიერი და მოხერხებული პაიკის მათთან ჩაყრაა ცოდვა.
7088. ხანდახან ჭეშმარიტების დადგენაც შეიძლება, მაგრამ მაინც ერთი გაელვებით, ერთბაშად უნდა შევიცნოთ.
7089. სიჩლუნგეს არც ეკამათებიან და არც განსჯიან, უბრალოდ მას ყურადღებას არ აქცევენ, რადგან ეტყობა, ასეთი სახეობის ადამიანთა არსებობაც სჭირდება სამყაროს, თუ რატომ, ეს მისი პრეროგატივაა.
7090. დავარცხნილ სიტყვებს და აზრებს დაუთოებული ჭკუა სჭირდება, ხოლო აზრიან სიტყვებს და საქმის კეთებას – დაუუთოვებელი გონიერება.
7091. მცდელობას მაშინ აქვს აზრი, თუ წარმატების მოპოვების უნარი შეგწევს, წაგების სწავლაც შეგიძლია და ბედის უკუღმართობას ზურგს არ უჩვენებ.
7092. არ იყო მონაწილე სისაძაგლის, დიდი შეღავათია სულის სიმშვიდისთვის.
7093. ძაღლის და მავანის გაბრაზება და იმედის გაწბილება არ ღირს, რადგან ორთავე ავი ხდება და თავისიანების კბენას სწავლობს.
7094. სულიერი ღალატის პატიებაა ძნელი, თორემ ფიზიოლოგიურის, ასე თუ ისე, შესაძლებელია, რადგან ხორციელსაც თავის წილი უნდა მივუგდოთ და დროულად გავისტუმროთ, რათა სულის ღალატის ვალი არ დავიდოთ.

რედაქტორის დაწუნებული აზრები

7095. ბედნიერების შაბლონია მოყვასის სიყვარული, ღვინით დროსტარება, გონიერების დაუფლება, მაგრამ მაინც ყველაფერი შემთხვევაზეა დამოკიდებული, რომელსაც მამაზეციერი ცხოვრებაში ერთხელ გჩუქნის და ეს შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა დაგისხლტეს.

7096. იდიოტი ბედნიერ სულელად მოგვევლინება და თავს ყველაზე ჭკვიანად წარმოიდგენს, ინტუიციით იცხოვრებს და მისი სულის ფილოქსერა ალეგორიულ პიროვნებად გადაიქცევა, თუ ამას უსაშველო ბერბიჭობა და სასმელის ჩასანსვლაც დაემატება.

7097. როდესაც თანამდებობის პირს ან ცნობილ პიროვნებას უმეგობრდებით, ცხოვრებას სიამაყით და იმედის თვალით უყურებთ, იმის მაგივრად, რომ ეცადოთ თქვენითაც იამაყონ და საკუთარ ბედზე იოცნებოთ.

7098. წიგნი ისე უნდა იყოს დაწერილი, მასზე რომ დაჯდე, გონებამ შეიწოვოს, მაგრამ რა ჰქნას ავტორმა, თუ ზოგს საჯდომის ნერვებიც დაზიანებული აქვს.

7099. გაუგებარია, როდესაც მათხოვარი არავითარ გადასახადს არ იხდის და მოითხოვს მასაც თანაბარი პატივი მიაგონ, მისი აზრი გაიზიარონ და ჭკუა ჰკითხონ, ხოლო უფრო მეტი თავხედობაა, როდესაც ის იმუქრება, რომ კანონს არ დაემორჩილება. ხომ არ გეცნობათ ზოგიერთი სახელმწიფო, რომელსაც ხელი სამათხოვროდ აქვს გაწვდილი.

7100. ზოგი არ ცდილობს მოუსმინოს სინდისის ხმას, რადგან არცერთ არხზე ასეთი გადაცემა არ არის.

7101. ცივილიზაციას არ შეუძლია იცხოვროს ეკლების აჭრის, ვარდების ჩუქების და სიმაღლეების აღების გარეშე.

7102. ზოგიერთს ცხოვრებაც კი ვერ წარმოუდგენია ისე, თუ ის თავისი წარმოსახვითი ცხოვრების რომანის გმირი არ არის.

7103. ხილერი ოპერაციას დანის გარეშეც კარგად ატარებს და ბრბოში დიდ გამოხმაურებას იწვევს, თუ თავის საქმიანობისთვის ისეთ ავადმყოფობას გამოიგონებს, რომელიც ილუზიონისტის ოსტატობასაც ემორჩილება და "პაციენტის" სტრესიდან გამოყვანის უნარიც შესწევს.

7104. სულის უხერხულობის შეგრძნება საშუალებას გვაძლევს ჩვენთვის მონიჭებული ცხოვრებით ვიცხოვროთ.

7105. ბრძოლა უსამართლობისა და უვიცობის წინააღმდეგ ყველა ჩვენგანის ვალია და არა მოვალეობა.

7106. ახალგაზრდობასა და სიბერეს შორის ბარტერი თითქმის შეუძლებელია, ხოლო თუ ვინმე ცდილობს, ძალზე ძვირი უჯდება და უშედეგოდ.

7107. თუ ასაკის ტარება გიჭირთ, მაშინ იწყება სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი, ამიტომ ამ "შტოპორიდან" რომ გამოხვიდეთ, მისი მოხდენილი ტარება უნდა ისწავლოთ.
7108. სამწუხაროდ, კეთილი საქმე არ რჩება დაუსჯელი, რადგან დღევანდელი და ადრინდელი გაგებით, სიკეთის კეთება სხვადასხვაა და გადახდაც ვისაც როგორ ესმის, იმის მიხედვით ხდება.
7109. განცხრომის სიტკბო, გაწბილების სიმწარე, სულის თავისებური ტკივილი და ადამიანის ხორცის გვემა ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია და საინტერესოც.
7110. ტალანტით ყველაფრის კეთება შეუძლებელია, რადგან იღბალი უფრო დაფასებულია, მას ეთაყვანებიან და მასზე ოცნებობენ.
7111. მიზნის მისაღწევად უკან დასაბრუნებელი ხიდების დაწვაა საჭირო, ხოლო კარგი ცხოვრების მოსაწყობად – მისი დატოვება.
7112. მლიქვნელი უფრო მეტ სიამოვნებას განიცდის, ვიდრე ის, ვისაც განზრახ აფეტიშებს, ალბათ იმიტომ, რომ ის ამ ქცევაში ბევრი განუხორციელებელი ოცნების განხორციელებას ხედავს, რომელშიც ამ კაცის "დახმარებაა" ჩადებული.
7113. ფხიზელი ცხოვრების წესში, ცუდი არაფერია, მაგრამ თავის მოგჟიანება სულსაც ამჩატებს და სხეულსაც.
7114. ბუნების საუნჯის შეგრძნების უნარი ფართო მოხმარების სიამოვნებას არ უნდა გაუტოლოთ და დავახურდაოთ.
7115. სადაც იარაღი საჭირო გახდება, იქ ესმება წერტილი დაზვერვას და დიპლომატიას, იწყება ინტელექტუალების ბანდიტიზმი, რომელსაც მსტოვრობასთან და პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს.
7116. კლასიკა და მაფია უკვდავია, როგორც სიყვარული და სიძულვილი, ცოლი და ქმარი და ასე შემდეგ.
7117. ცხოვრება გაგვიადვილდება, თუ მას არხეინად ვუყურებთ, მაგრამ რა ვუყოთ გრძნობების კორიანტელს, რომლის გარეშე ვერც პიროვნებად ვიქცევით და ვერც ქვეყნის მაღვიძარად.
7118. ტალანტი რეალიზაციისთვის უნდა ეძებდეს ეთიკურ ნორმებს, რათა უზნეობაში არ აგვერიოს.
7119. ტალანტი და თავხედობა ერთმანეთისგან შორს დგანან, მაგრამ ერთმანეთს ძალიან ეხმარებიან.
7120. მოდა ტექნიკური პროგრესის, საზოგადოების წაყრუების, ინტელექტის „წარმოჩენის" და შენი მენტალიტეტის პირმშოა.
7121. მადლობის თქმა დიდი პატივისცემაა, განსაკუთრებით თუ მატერიალურად არის გამაგრებული და იდეოლოგია დროებით ადგილს უთმობს.
7122. საზოგადოების გონიერების უკუმაჩვენებელია კუჭის ამოყორვის და ნაჭრების შემოხვევის მიზნით მეცნიერებაზე, ინტელექტზე, პატრიოტიზმზე უარის თქმა. რის შედეგადაც განვითარება ჩერდება და გაუგებრობისკენ მივდივართ.
7123. ნარცისიზმსა და პრაქტიციზმს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი დაუმსახურებლად თავმომწონე ტრაბახაა, ეკონომიკა ფეხებზე ჰკიდია, მეორეს – მომჭირნეობის და თავის მცდელობას გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

7124. კატა-ქალი: რადგან მეფერებიან, მე მას ვჭირდები, მე მეუფე ვარ. ძაღლი-კაცი: რადგან მომენდო, ვეცდები ვუერთგულო, მაგრამ გადის დრო და სიამტკბილობის იდილია არ გამოდის, რადგან ჩვენი საზოგადოების ურთიერთაღზრდის მენტალიტეტი შედეგს არ იძლევა.
7125. სამწუხაროდ, შინაურ ცხოველებს სიყვარულისთვის, მზრუნველობისთვის ერთი უბედურება ელით, ისინი თავისი მფარველის კეთილდღეობას უნდა შეეწირონ, რადგან ადამიანი, მომდევნო თაობის საყვარელს თავად ეწირება.
7126. დემაგოგია ისიც, ვინც ყოველივე ზნეობრივში ერკვევა, მხოლოდ თავისი ბუნებითაა უზნეო და მის გაფეტიშებას ცდილობს.
7127. ბევრი უღირსი ცხოვრობს ამქვეყნად, მაგრამ პირობები არ უნდა შევუქმნათ ისეთი, რომ ეს ბუნება გამოამჟღავნონ.
7128. მეგობრობა, აგებული ბიზნესზე, გამოცდაგამოვლილი ურთიერთობაა, ხოლო მეგობრობა, აგებული მხოლოდ პირად ურთიერთობაზე, მუდამ გამოცდის ჩაბარების მოლოდინშია.
7129. უხიაგ წარსულს, რომელიც თან გდევს, ვერც გაყიდი და ვერც გაასაჩუქრებ, მაგრამ თუ საზოგადოების მენტალიტეტს გარყვნი, მას ლმობიერებით შეხედავენ და მისაბაძსაც გახდიან.
7130. ხშირად ყველაზე ღირსეულად ის თვლის თავს, რომელსაც არაფერს ეკითხებიან და ყველაზე შორს დგას საკითხის გადაწყვეტისგან.
7131. ძალა, რომელსაც სულიერი საწყისი არ ახლავს და თავისი იდეოლოგია არ გააჩნია, განწირულია დამარცხებისთვის.
7132. ღირსების დუმილი ბოროტების და შეურაცხყოფის კოკტეილის განაჩენია.
7133. რწმენას მაშინ აქვს ფასი, თუ მას არ ღალატობენ, მის აღსადგენად ყოველკვირა შენდობას არ ითხოვენ და ბოდიშს არ იხდიან.
7134. ყველა ფრთიანი გამონათქვამის უკან გასაფრენად გამზადებული ფრთაგაშლილი სული დგას.
7135. სენტიმენტალობა და რეალობა ერთმანეთს ვერ ეგუება, მაგრამ თუ კაცად ხარ დაბადებული, მაინც სათნოებამ უნდა იყივლოს.
7136. ასაკთან ღირსეულად შეგუება უფრო საინტერესო და მომხიბვლელი ხდება, თუ მას თან ახლავს შენი კერპად აღიარება და გაფეტიშება.
7137. წესიერებას, პატიოსნებას მაშინ ედება ფასი, თუ მისი ნაყოფით სხვებიც სარგებლობენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველივე გულუბრყვილობაა.
7138. სინდისი თუ კიდევ მორცხვობს და იკინის, მაშასადამე, ჯერ არ მომკვდარა.
7139. სულელი შორიდან იწყებს, ხოლო გონიერი მოკლედ და გასაგებად ამთავრებს.
7140. სოციალური მშვიდობა ის ბედნიერებაა, რომელსაც არც აფასებენ და არც აღფრთოვანდებიან ანდერძით მიღებული ამ სიმდიდრის მემკვიდრეები.
7141. აზრს გამოხატავს ინტონაცია, ჟესტიკულაცია და არა ქაღალდზე დამაგრებული სიტყვა.
7142. თავმდაბლობაზე, შინაგან კაიფზე, ყველაზე მეტად მოქმედებს იმის შეგრძნება, რომ შენი მოვლინება ამქვეყნად აუცილებელი და საჭირო იყო.

7143. შურიანები და ვირეშმაკებიც კვდებიან, მაგრამ მათი შთამომავალია უკვდავი.
7144. მკაცრი რეალობა ვერ იტანს დროის გაყვანას, საკითხის გადატანას და შემდეგ განხილვას.
7145. სულით ავადმყოფსაც თავისებური კეთილშობილური ზნე, ბუნება და სიამაყე აქვს, თორემ რჩეულის სახელს არ დაიბრალებდა.
7146. ბრძოლა სიკეთესა და უკეთურობას შორის ათადან-ბაბადან დაწყებული გრძელდება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არც უკეთურობის ბალანსი შეცვლილა და არც სიკეთისა.
7147. „ასეა საჭირო" და „ასეა მიღებულის" გარეშე მეგობრებთან, ნათესავებთან, მეზობლებთან ურთიერთობის დამყარება შეუძლებელი გახდებოდა.
7148. მოწყენილობა შენი უსუსურობის გამო არაფრის მომტანია, რადგან ყოველივე ხალისით და ბრძოლით მოიპოვება.
7149. მისცეთ ის, რაც მას უნდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ თქვენ მასზე ზრუნავთ. უბრალოდ, ან გეშინიათ, ან თხოვნით თავი მოგაბეზრათ, ან შეიძლება აძლევთ იმას, რაც მას საბოლოოდ ვნებს.
7150. შეიძლება ბრიყვისგან თავის დაცვას მივაღწიოთ, მაგრამ არა სულელისგან, რომლის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს.
7151. არიან უშვილო მშობლები, რომელთა მომავალ ბავშვებს ძალიან გაუმართლათ, რომ მათ ასეთი მშობლები ღმერთმა არ არგუნა.
7152. სიცილი გონიერებაა, გამჭრიახობაა, მომხიბვლელობაა, მოწყენილობაა, სიმარტოვეა, გადაღლა და უიმედობაა.
7153. ღირსება ყველას თავისებურად ესმის, მაგრამ ძირი მაინც ერთია, რომელსაც „კაცობა და სხვას არ უნდა ავნო", ჰქვია.
7154. ხანდახან გოგონასთვის ცხოვრების ტრიგონომეტრიაზე ლექციის წაკითხვა დაგვიანებულია, რადგან მას პრაქტიკული დახმარება სჭირდება და არა ჭკუის სწავლება.
7155. სადაო საკითხია, რა სჯობს: უყვარდე, თუ რიდით და პატივისცემით გეპყრობოდნენ. ალბათ გააჩნია თაობას, დროს და ხალხის მენტალიტეტს.
7156. ზოგჯერ ძაღლური ერთგულება შენი მოდგმის დაუფასებლობაა და ჭეშმარიტების ღალატიც.
7157. ზოგჯერ როგორ ზედაპირული ხდება მიმართვა: „ღრმად პატივცემულო!" რომლისგანაც მარტო სიტყვები რჩება, მუსიკის, გააზრების, გრძნობების და პატივისცემის გარეშე.
7158. შემთხვევითი მილიონერის ცოლს – ხელებზე ბრილიანტის ბეჭდების გაბრწყინებით სცნობენ, ხოლო მოწოდებითის – ამაყი გამოხედვით და თავის დაჭერით.
7159. ტვინის და ტანის წონის შეფარდება არ შეიძლება გონიერების და ჯანმრთელობის პირდაპირპროპორციული იყოს, აქ სხვა მაღალი ძაბვის სხვაობის შეჯერებაა საჭირო, რათა შენც და სხვასაც გონიერება გაუნათოს.
7160. ჭეშმარიტების შეცნობა ერთეულთა ხვედრია და მას შესაცნობად უბედურება არ სჭირდება, უბრალოდ, მწუხარება ასოცირდება ჭეშმარიტების მიახლოებასთან.

7161. ქვეყნის საქმე მაშინ კნინდება, როდესაც მისთვის ნიშნის მოგება ნაშიერთ ეხალისებათ და ეს სიძულვილში გადადის.
7162. ღობემძვრალები უკეთ იწყობენ ცხოვრებას, ვიდრე პირდაპირ მოსიარულენი, პირველის ცხოვრებით ახლობლები ინტერესდებიან, მეორეთი – ხალხი, რომლის დაუფასებლობის მიზეზია მოსახლეობის გულგრილობა და სახელმწიფო მოხელეთა შეუთანხმებელი საქმიანობა.
7163. რწმენა ხანდახან ის უხიაგი ძალაცაა, რომელიც ყველაფერს გაკადრებინებს და გაგაკეთებინებს.
7164. არიან თანდაყოლილი „ძალად მეგობრები", რომელთა დაკარგვა აუცილებელია, რადგან ისინი დროის თამაშს ვერ უძლებენ და შენს კარიერას ვნებენ.
7165. სიმდიდრე ანგარიშია, ის თავის გვერდით უგუნურებს არ გააჩერებს თუ მას სიყვარული არ ჰქვია.
7166. ამბობენ, შეუძლებელია: წყლის დახრჩობა, ქარის ჩაყენება, სიმართლის ჩახშობა, თუმცა გააჩნია, ვინ არის ამით დაინტერესებული.
7167. გამოუყენებელი ნივთიც შეიძლება იყოს ლამაზი, თუ მას კლასიფიკაციას მივანიჭებთ, მის შეგროვებას დავიწყებთ და კოლექციონერი გავხდებით.
7168. ზოგს მახსოვრობა ღამით უბრუნდება და ისიც ციცინათელასავით თავისი მოკლე ჩართვა-გამორთვით.
7169. ის გაუგებრობა, რომელიც ყველასთვის გასაგები გაუგებრობაა, ვიღაცის სურვილია გაუგებრად დარჩეს, მაგრამ მის წინააღმდეგ გამოუსვლელობაც ხომ დიდი გაუგებრობაა?
7170. სიტყვაც შეიძლება იყოს მარადისობის მსხვერპლი, თუ მას პატრონი არ ჰყავს.
7171. არაფრიდან არაფერი არ იქმნება ოცნების ბაზრის გარდა.
7172. ხელმოცარულს, არაფრის რეალურად შემოთავაზება არ შეუძლია, გარდა თავისი ამბიციებისა.
7173. მოთხოვნილების უქონლობა მოვალეობის დაკარგვის ტოლფასია, ხოლო შემოწმების გარეშე დარჩენილი საქმე, პასუხისმგებლობის დაკარგვის სინონიმია.
7174. შემოქმედი ბუნება ყველაფერში ახლის მაძიებელია, ამიტომ ზუსტი საქმის საკეთებლად არ გამოდგება.
7175. იდიოტი ყოველთვის ნახულობს თავისზე დიდ იდიოტს და ამით ყველას აკვირვებს.
7176. საკითხს ძალისხმევა წყვეტს და არა ძალა.
7177. პრინციპები კარგია, როდესაც საჭირო დროს გამოგაჩნდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უზრუნველი ცხოვრების ხელის შემშლელია.
7178. ცოდოა იმ გარემოში ცხოვრება, სადაც ბაზისიც კი არ არსებობს იმისი, ცოტათი რომ შენი ქვეყნით წაიტრაბახო.
7179. ეგოიზმი, საზოგადოებასთან ერთად, მოწოდებულია სულის წარმოსაჩენად, რომელიც ამ დროს უდიდეს სიამოვნებას განიცდის.

7180. ყველაფერი ვიღაცისთვის და რაღაცისთვის კეთდება, იმგვარად, რომ გონიერება, შეგნება, ამის ახსნას ვერ პოულობს.
7181. ღირებულებათა გადაფასება ასაკის მატებასთან ერთად უფრო რეალური და საინტერესო ხდება, მაგრამ ცხოვრების პეწი აკლდება.
7182. ტალანტს საუკუნეები უკეთებენ აპრობირება–მოწონებას, ხოლო თავისი საუკუნე მის შესაცნობად იშვიათად იწუხებს თავს, რადგან ის უფრო მისთვის გასაგებ სიამოვნებაზე ფიქრობს.
7183. სულელის სინონიმებია: ტუტუცი, ჩერჩეტი, ბრიყვი, უგუნური, მოსულელო, მოგიჟო, ცეტი. შედეგიც ერთი აქვთ – სისულელე ჩადენილია.
7184. რაოდენობა არასდროს ყოფილა ხარისხის და ასორტიმენტის შემცვლელი, ის ყოველთვის დამღუპველად მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე.
7185. პროფესიის დაცინვაა, როდესაც მკვლელობას ატყობინებ მის ნათესავებს და თან ეკითხები, ხომ არ იცი, ამას ვინ ჩაიდენდაო.
7186. ცარიელი გონება ცოდნის ნაცვლად ინფორმაციით იტვირთება, ცოდნისთვის ისევ სავსე გონება ნახულობს ადგილს.
7187. მხოლოდ უკიდურესობაა ერთეულთა წარმატების დედა.
7188. სუსტი ნებისყოფა ცუდი მაგალითების და ცუდად აღზრდის შედეგია.
7189. გემოვნების ცვალებადობა რეკლამაზე, ტექნიკურ პროგრესზე და შურზეა დამყარებული.
7190. გამოცდილება ძვირადღირებული ქონებაა, თუ ის სხვის შეცდომებზეა შეძენილი.
7191. ბრძენი იბადება, მაგრამ წლები მისგანაც წილს და შეღავათს თხოულობს.
7192. რჩევა-დარიგება ყოველთვის აღსარება არ არის, მაგრამ შენი გულის ნაფიქრალი და ნაოცნებარი რომ არის, ეს ფაქტია.
7193. პატიოსნებით პრაქტიკულად არცერთი საუკუნე არ გამოირჩეოდა, რადგან მას კონკურენტუნარიანობა უწესობასთან შედარებით ყოველთვის დაკარგული ჰქონდა.
7194. მთავარი ის კი არ არის, კარგია თუ ცუდი, არამედ რამდენად უკეთესია სხვასთან შედარებით.
7195. სისულელის კეთება-არკეთებას ასაკი არ შველის, რადგან ის თანდაყოლილია.
7196. სილამაზე – ბედნიერების, ჭკუა კი უზრუნველი ცხოვრების გარანტი არ არის.
7197. მშვიდობის მოყვარული ხშირად დაცინვის, უძლურების სიმბოლოა, ჩხუბის და დავიდარაბისა კი – ვაჟკაცობის, სადაც ერთ-ერთისთვის დამარცხება, დამცირება გარანტირებულია, ხოლო მშვიდობის მოყვარული ორივეს ნიშნს უგებს. კითხვას: – მშვიდობა თუ ომი?, სამწუხაროდ, შემთხვევის კაპრიზი განსაზღვრავს და არა – ჩვენ.
7198. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია სულს ხრწნის, ქვეყანას დევალვაციის გზაზე აყენებს და ხალხს დაბალხარისხოვანი სამყაროს პროდუქტად აქცევს, თანაც თავზე წარმოდგენა ექმნებათ, რადგან უკომპლექსონი არიან.

7199. სად არის ცხოვრების საძირე! – მთელი მსოფლიო მას ეძებს, რათა თავის ტრადიციები დაამყნოს და ნერგებად წარმოაჩინოს.

7200. ზოგჯერ ზომიერი ასკეტიზმი და დესპოტიზმი საჭიროა, რადგან ის ბევრ თავქარიანს აწყნარებს, რათა ცხოვრება ასე უღიმღამო, უსარგებლო და უსამართლო არ მოეჩვენოთ.

7201. ივარჯიშო, ითამაშო, სხვადასხვა განზომილებაა, რომელიც ხშირად ერთმანეთს არ შეესატყვისება. ასევეა სტატისტიკაც, რომელმაც ყველაფერი იცის, მაგრამ არაფრის კეთების უფლებას არ აძლევენ.

7202. კაცობრიობის ღირებულებები უცვლელია, მიუხედავად მომდევნო თაობების გაჯიუტებისა და რევიზიის ჩატარების მცდელობისა.

7203. დადგენილი ფორმულა მოითხოვს საკითხის ერთნაირ მოაზრებას და გაგებას, ხოლო ფორმალური კი – გადასინჯვას.

7204. ბრძენი არასდროს არ იქნება ქვეყნის მმართველი, ამის კეთებას მისი თვითმარქვია პროტოტიპები ცდილობენ.

7205. პასუხი სუბიექტურ კითხვაზე ობიექტურად, საკითხის შეუსწავლელად, ფანტაზიის და კომპრომისის გარეშე, შეუძლებელია.

7206. ბიზნესის მთავარი კაიფია საკუთარ სინდისს მიახლოებული თავისუფლება.

7207. წიგნის სერიალი „ქალის რომანი" ზოგისთვის იგივე ნარკოტიკია, სულის გალაღებული შერყვნით, ოღონდ ჯანმრთელობის შეურყვნელად.

7208. ჭორი მეტაფიზიკის წინამორბედია და მათ ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ.

7209. კორუფცია, ქრთამი, გასამრჯელო, ძღვენი – გამოძალვის სხვადასხვა ხერხია უკიდურესი უგვანობიდან უკიდურესი სიამოვნების განცდამდე.

7210. ხშირად საკუთარი სულის წინაშე კეთილი საქმის გაუკეთებლობა რჩება დასჯილი და გაბახებული.

7211. არის საკითხები, რომლის თავიდან დაწყება ყოვლად დაუშვებელია: სასიყვარულო ისტორია, პოლიტიკური კამპანია, მეგობრობის აღდგენა, მოვალისთვის კიდევ ფულის მიცემა, დანიშნული კარტით თამაში და სხვა მრავალი ამის მსგავსი. ყოველივე ამის ცოდნის მიუხედავად, რომ არ მიქარავ – დაზღვეული არავინაა.

7212. რადგან სუნს თავისი მელოდია აქვს, კაციც ქალივით სასიამოვნო ჰანგზე აწყობილი სუნამოთი უნდა "ყარდეს", თუ უნდა მდედრის კეთილგანწყობილება დაიმსახუროს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

7213. "პრესტიჟის" ძალის დასადგენი ბარომეტრი გამოგონილი რომ იყოს, მაშინ ყველა თავის შესაძლებლობებით დაკმაყოფილდებოდა და ამდენი ძალისხმევა და სიბინძურე აღარ იქნებოდა საჭირო მის მოსაპოვებლად.

7214. გვახსოვდეს, რომ ბუნება არასრულყოფილი მანქანაა, რომელსაც ადამიანი იყენებს ისე როგორც მოეპრიანება, სანამდის მის ნამოღვაწარს ჯართად არ აქცევს და მას – მტვრად.

7215. ქრთამის რაიმე სერიოზულ რიცხვზე გამრავლება მექრთამის ოჯახს ახარებს, ხოლო ნულზე გადამრავლება მუცელს ახალისებს, ამასთან, მექრთამე ძროხა ხომ არ არის, სახლში მოიწველოს, მანაც უნდა გაიღოს ქრთამი ოჯახის შესანარჩუნებლად, რადგან ოჯახური იდილიის სავალდებულო გრაფიკიდან მუქთად ამოვარდნას არავინ მოუთმენს.

7216. ნამოღვაწარი ყველასთვის ცნობილია, ხოლო მისი შემოქმედი ცოტას თუ აინტერესებს, რადგან დილეტანტების თვალში შედეგია მომხიბვლელი და არა პროცესი.

7217. მოყვასის თავზე მეტად შეყვარებას ასაკი, გამოცდილება, გონიერება, მოვალეობა, გაბრაზება, გაღიზიანება, ურთიერთდამოკიდებულება და ცხოვრების ბევრი სხვა პარამეტრების შერევა სჭირდება, რომელსაც გარკვეულწილად აღზრდა და გარემო ეხმარება.

7218. უპასუხისმგებლო, ყოყლოჩინა, თავხედი თაობაა ის, რომლისთვისაც ავტორიტეტები არ არსებობენ, მათთვის, პირველ რიგში, მატერიალური კეთილდღეობა და თავდავიწყებული შრომაა პირველადი, ამის უფლებას კი მათ ინფორმაციის მიღების განუსაზღვრელი საშუალებები აძლევს და ამიტომაც ჰგონიათ, რომ წინა თაობის ცხოვრებისეული გამოცდილება მოძველებულია და არ დასჭირდებათ.

7219. ელექტრონიკის განვითარების მიუხედავად, მომავალში ადამიანების მსგავსად, ალბათ ყეყეჩი რობოტებიც მოგემსახურებიან, რადგან სიყეყეჩე მასიურობის, კონტროლის მოდუნების და ადამიანთა უპრინციპობის შედეგია.

7220. მუქთად მიღებულ სიამოვნებას ისე სასიამოვნოდ ძლიერ ვერ აღიქვამ, როგორც იმას, რომლის დაფინანსება-ორგანიზებაში შენი შრომის ნაყოფიცაა ჩადებული.

7221. ადამიანი რომ არ გადაიქცეს მომნელებელ „კანალიზაციად" ინტელექტია საჭირო, საკვები ისე არ უნდა მივიღოთ, რომ ნეკნების ნაცვლად ქონი გამოგვიჩნდეს.

7222. სასიამოვნო სიმხეცეა შენი ნააზრევის რეალიზაცია, რომელსაც აპრობირება არ გაუვლია და გაამართლა აუცილებლობით გამოწვეული მიზეზების გამო.

7223. შენი "გორი", თანამდებობა, ცენზი ყოველთვის უნდა გახსოვდეს, მაგრამ ამით უსინდისოდ არ უნდა სარგებლობდე.

7224. შეხვედრისას თვალის გუგების გაფართოება ყოველთვის თქვენთვის სასურველი ადამიანის დანახვას არ ნიშნავს.

7225. გამბედაობა, პოლიტიკა, კარიერა, მოთმინება და მომენტის შერჩევაა.

7226. ჩვენი ვალია უკმაყოფილების გამოხატვა საფლავების გაქრობის შემდეგ და თუ საქმეში არ დაგვჭირდა, ამასაც ყოველთვის ღირსეულად ვერ ვაკეთებთ.

7227. ზოგი ისეთი დაუნახავია, რომ მას თავისი ცხოვრების ბედნიერი დღეების შემჩნევაც არ უნდა, რადგან მისი სულიერი მექანიზმი წუწუნისთვის არის აწყობილ-მოწოდებული.

7228. სურვილის ვექტორი ის ფენომენია, რომელიც ყველა წინააღმდეგობას გადალახავს და მიზანს მაინც მიაღწევს.

7229. კუნთებს შედეგს შემდეგ ნახულობენ და როდესაც ინტერესდებიან ვარჯიშით, პროცესით, ნამოღვაწარით.
7230. ბედნიერება ყოველთვის უგონოა, რადგან ის ხშირად ძალზე მცირედით კმაყოფილდება.
7231. ოცნებაგაჭენებულ სიმართლეს აქვს გემო და ეშხი, თორემ ჭეშმარიტება, რომელიც თავის საზღვრებშია მოქცეული, მომხიბვლელობითაც კმაყოფილდება.
7232. თუ ფანტაზია მხოლოდ კოსმიურია და მასში იუმორის ნიშნები არ ჩანს, კაპიკია მისი ფასი.
7233. არის საქმე, წამოწყება, რომელსაც ხელსაც არ მოკიდებდით წინასწარ რომ გცოდნოდათ, რამდენ წინააღმდეგობასთან და განმჯანჯლებელთან გექნებოდათ საქმე, მაგრამ საბედნიეროდ თქვენმა არცოდნამ და შემართებამ თეორიულად გამოუსვლელი საქმე პრაქტიკულად გამოიყვანა.
7234. მეგობრობას, რომელიც ბედნიერების, სულიერი ძმობის, იმედის მომტანია, ძალზე ეკონომიური გაგება აქვს, რომელიც ქვეცნობიერად გათვლილია გრძნობებზე, შესაძლებლობებზე, დროის დაკარგვაზე, მაგრამ ყოველივე წყალში იყრება, თუ თქვენ არავის სჭირდებით და სხვისი სულის გალაღება და გონების განათება არ შეგიძლიათ.
7235. ზოგიერთს წესიერება იმიტომ აკერია პირზე, რომ მისთვის ქრთამი არავის შეუძლევია, თანამდებობა არავის შეუთავაზებია და აკრძალული ხილი არ უგემნია.
7236. ძველის გახსენება ძალზე ძვირი გვიჯდება, თუ მისგან ახალი დასკვნების გამოტანა გვიჭირს.
7237. „მოთმინება და შრომა ყველგან გზას გაიკვლევს", მაგრამ ამისთვის ზოგჯერ არც დრო გვყოფნის, არც შეგნება და არც ახალგაზრდული მაქსიმალიზმის დაოკება, რადგან სიცოცხლე უმოწყალოდ გარბის.
7238. თუ წარსულს ხშირად ვიხსენებთ, ვაფეტიშებთ და შევნატრით, მაშინ მომავლის, სიცოცხლის, ეშხის შეგრძნებას ვკარგავთ და ნაბიჯის წინ წადგმა გვიჭირს.
7239. მოდასაყოლილმა რომ თვალის ყავარჯენი ატაროს, ამისთვის ცოტა ჭკუაა საჭირო, მაგრამ ამასთან ცუდსაც უნდა ხედავდეს და ხვდებოდეს.
7240. საოცარია, რატომ უნდა ჯობდეს ცოდნას, დახმარების სურვილს „არ ვიცი, არ შემიძლია", მაგრამ პრაქტიკას და ცხოვრების გამოცდილებას სად გაექცევი. მიუხედავად ამისა, არის სხვა რაღაც ჩვენთვის უცნობი, ღვთაებრივი, რომელიც ამ ბუნებით კეთილ ხალხს ყოველთვის ეხმარება ისე, რომ მათდამი კეთილგანზრახვას არ აგებინებს.
7241. რატომღაც ნათელ მომავალს დღეს ყველა სხვისი ხელებით და გონების ნაცოდვილარით ელოდება და ვერ ხვდებიან, რომ ეს ის გულგრილობაა, რომელსაც კარგი არაფერი მოაქვს.
7242. თავის რიფების საპატიო მოქალაქე შეიძლება თევზიც იყოს, თუ ის ფაუნის იშვიათ სახეობას წარმოადგენს და თანაც ძვირად ფასობს.
7243. ხასიათს პროგნოზი და ანალიზი კი არ გვიჭუჭყიანებს, არამედ რეალობა, რომელმაც ჩვენი წინასწარმეტყველების მცდელობა უარესი შედეგებით გაახუნა.

7244. არაორდინალურ ცოდნაა და განათლებას თავისი ცენზი და ჭკუადამჯდრობა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ცუდად მოქმედებს ბრბოს იმ ნაწილის ცნობიერებაზე, რომელთა წარმომადგენლებიც საზოგადოებაში არც თუ ისე ცოტაა.

7245. ტერიტორიების, ხალხების, ტრადიციების, ენის მსგავსება და საერთო ენის გამონახვის მცდელობა ყოველთვის იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ხალხებს ერთი რწმენა და სარწმუნოება ჰქონოდა, მითუმეტეს, თუ ღმერთი ყველასათვის ერთია და დღეს ეს ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ამას არ დაუშვებენ, რადგან მათ საჭიროებას ყავლი გაუვა.

7246. გონიერება, ღირსება, სიბრიყვე, კაცთმოყვარეობა, სიძულვილი, შური ყოველივე ერთ ქვაბ-ქუდაშია მოთავსებული, ხოლო ამ ტვინის ამრევი კოქტეილის გარეშე ადამიანი რობოტად იქცეოდა და სათანადო მუხრუჭებსაც აამუშავებდა, რომელიც სიცოცხლეს გააუფასურებდა.

7247. მართალია ისტორია სისხლით იქმნება, მაგრამ ტრაბახით, სიამაყით, სიყვარულით მოიხსენებენ ისინი, ვინც ამ სისხლისღვრას არ შესწრებია და არ განუცდია.

7248. საქმის კეთებისათვის ავტორიტეტის გაფრთხილების მომიზეზება და გაფხორვა არ არის საჭირო, რადგან თავად გაკეთებული საქმეა ავტორიტეტი.

7249. სახელოვანი მიცვალებულები, თავქარიან და მეოცნებე ცოცხლებს ყოველთვის აბრიყვებდნენ, აღაგზნებდნენ და დიდების ანკესზე წამოაგებდნენ იმქვეყნად ვადამდე გადასაბრძანებლად, მაგრამ ამ ფატალისტებს ავიწყდებათ, რომ გმირობა და სახელის მოპოვება გამოუვალი მდგომარეობის შედეგია და არა ვიღაცის სურვილი და ნება.

7250. ისტორიას ის პირებიც ახსოვს, რომლებიც დროის შემოტევას ვერ უძლებენ, ხოლო მათი იმიჯის შემქმნელი ხალხის რაობაზე და მათზე, ვინც ამ პირებს ისტორიაში წარმოჩენის უფლება მისცა, ხშირად წარმოდგენაც არ აქვს.

7251. ყველა თავის შესაძლებლობების რეალიზაციას დროულად უნდა შეეცადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს დროის დაკარგვაცაა და ცხოვრების შესაცნობი წლებისაც.

7252. ცაციების განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოების ჭორს ისიც ეხმარება, რომ ყოველივე გამარცხენებული: მარცხნივ წასვლა, შემოსავალი, ყურება შინაგანი პროტესტის გამოხატვაა და თუ გაგვიმართლა, ეს ჩვენი სულის, სხეულის ზეიმიც არის და სასიამოვნო მოსაგონარიც.

7253. ქვეყნიდან დაშორებულისთვის, სამშობლოს, სტატუსის, შენარჩუნება ორ შემთხვევაში შეიძლება გვექნება ურთიერთპატივისცემა, საშუალებას თუ მოგვცემენ მას ვემსახუროთ.

7254. ზოგჯერ თავშეყრის ატმოსფერო საზეიმოა, ხოლო მიზეზი არც თუ ისე სასიამოვნო, მაგრამ ეტიკეტი მოითხოვს იქ იყოთ და იმხიარულოთ.

7255. ყველა დროში არსებობდნენ პარაზიტები და თუ საზოგადოებას უნდა, რომ მათი შენახვა ძვირად არ დაუჯდეს, ისეთი საქმიანობა უნდა გამოუნახოს, რომ გართობა და ენერგიის დახარჯვა მათთვის სამუშაო იყოს.

7256. ბრბოს ოლიმპზე ვიგინდარას არც აყვანა უჭირს და არც მისთვის ცხვირპირის დამტვრევა, თუმცა გააჩნია ვიგინდარას ვირეშმაკულ ნიჭს, რომელსაც ზოგჯერ თავის გაღმერთებაც შეუძლია, მისი დამფასებელი ბრბოსთვის ჭკუის სწავლებაც და თავში ხელის წამორტყმაც.

7257. ამბობენ, დღევანდელი ცივილიზაცია იმ პირველყოფილ ადამიანს უნდა უმადლოდეს, რომელმაც გაბრაზების ჟამს, იმის მაგივრად რომ მოწინააღმდეგისთვის ქვის ნაჯახით თავი გაეტეხა, მხოლოდ გინებით იჯერა გული.

7258. მატერიალიზმის გაუმაგრებელი კანონი, მექრთამეობისთვის და უგვანო ხალხის გადაბირებისთვის არის განკუთვნილი და ის, თუნდაც იდეოლოგიით გამაგრებული, წესისამებრ ვერ მოქმედებს.

7259. ყველა დღესასწაული მიზეზს გვაძლევს, ერთმანეთს ქებით შევძახოთ და სასაყვედურო სათქმელი სხვა დროსთვის გადავინახოთ და დავემსგავსოთ იმ სირაქლემას, რომელსაც ქვიშაში თავი ჩაყოფილი აქვს და უკანალი საზეიმოდ გამოჩენილი უჩანს.

7260. გენერლები სირბილისგან თავს იმიტომ კი არ იკავებენ, რომ მშვიდობიანობის დროს ეს სიცილს იწვევს და ომიანობის დროს პანიკას, არამედ ეს მათ მთავარსარდალს და ხალხს არ მოეწონება, რომელიც მათ საქმიანობას მშვიდობიანობის დროსაც აღფრთოვანებით უყურებს.

7261. ომი ცივილიზაციის ღირებულებებთან ბრძოლაცაა და ცივილიზაციის განვითარების ბაზისიც, მაგრამ ბევრ საჭოჭმანოს და სადავოს უტოვებს მომდევნო თაობებს.

7262. „მონებს თავისუფლებას აძლევენ, თავისუფალი ბუნების ადამიანები კი მას თავად მოიპოვებენ". კარგი ნათქვამია იმ ავანტურისტის მიერ, რომელიც პასუხისმგებლობას არავის მიმართ არ კისრულობს, მომავალ თაობებზე არ ფიქრობს და დაუწმენდავი სისხლი უდუღს.

7263. არის ქცევის ნორმები, რომელიც საზოგადოების აზრით დაცვას მოითხოვს, მაგრამ პრაქტიკულად არ გამოგვდის, რადგან ჩვენი ტრფობის კრედიტი ჯერ არ ამოწურულა.

7264. დედამიწის არც გაჩერება შეიძლება და არც შეჩერება, მაგრამ სხვა პლანეტაზე გადასვლის პერსპექტივა რჩება თუ დედამიწას თავის დისიდენტები გამოუჩნდება მათთვის გასაგები სიმართლით და სამართლით.

7265. უშინაარსო სიმღერები შოუ-ბიზნესის კუთვნილებაა, სადაც ხორცის აღტყინების მიუხედავად, სული ბოლომდე სიამოვნებას ვერ გრძნობს.

7266. ცუდი გემოვნების შეუმჩნევლობა არ ვარგა, მაგრამ მოდის გაუთვალისწინებლად, შენი გადასახედიდან განსჯა, უფრო მეტი უგვანობაა.

7267. ისტორიის ქანქარა არავის მხარეს არ დგას, მაგრამ მისი მოძრაობის სიხშირის მითვისებას და დაჩქარებას ბევრი ვიგინდარა ცდილობს.

7268. სიახლის შეცნობის რისკი დიდია, მაგრამ ცნობისმოყვარეობაა უფრო ძლიერი და მიმზიდველი და სწორედ ეს ადგმევინებს ნაბიჯს წინ ადამიანს.

7269. ხარისხიანს, კარგს ერთი კარგი თვისება აქვს, ყველას ხელი არ მიუწვდება და ცუდი, თუ მას დროულად ვერ აფასებენ და გაძვირებამდე მას შეძენას ვერ ასწრებ.
7270. ეპოქის ცვლა დამთრგუნველად არ მოქმედებს, თუ ის ძველსაც წარმოაჩენს.
7271. ცხოვრების მართლწერის გასწორებაა ძნელი, თორემ დაწერილ ორთოგრაფიულ შეცდომას ყველაფერი ეშველება.
7272. კარგად მოსაუბრე, თვალთმაქცმა მამაკაცმა შეუძლებელია ქალის გულის კარები არ გააღოს, ხოლო თუ მას თანდაყოლილი ინტელექტი და შემართებაც ემატება, ამ კარის გასაღებს სიყვარულის გარეშეც დაისაკუთრებს.
7273. ახალგაზრდობაში რეკლამირებულ უნიჭობას, გაცილებით მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს, ვიდრე დამოძღვრილ ნიჭიერებას.
7274. მტრისგან იმიტომ არ გვწყინს არაფერი, რომ საკადრისი პასუხის გასაცემად მუდამ მზად ვართ, მაგრამ მეგობრის გადაცდენას, ღალატს იმიტომაც განვიცდით, რომ მას მუდამ მოუმზადებელი ვხვდებით.
7275. ყველაზე უგვანო და სახიფათო ადამიანის დამცირებაა, რომელიც წელში რომ გასწორდება, არავინ იცის, რა სახის სამაგიეროს ბუმერანგივით დაგვიბრუნებს.
7276. მასწავლებლები იბადებიან, აღმზრდელები გვევლინებიან და თავიანთი აღზრდილებით გახსენებულნი, გაამაყებულნი, მადლიერების გრძნობით თანდათან იფერფლებიან.
7277. ქვეყნისთვის, სადაც ყველაფერი ქალის ზურგზე გადადის, უპრიანი ხომ არ იქნებოდა მიგვეცა უფლება ეკითხნა: „კიდევ აპირებს მისით სიამოვნებას, თუ ჩაიცვას ნიფხავი".
7278. დიდ ქალაქებში აღარ დადიან: მოძრაობის წესების დამრღვევნი, ავტო-ხულიგნები და ქუჩაში გადაადგილების არ მცოდნე, დაუდევარი მიცვალებულები, რომელთაც კანონი ვერც ვერაფერს აყვედრის და ვერც ჯარიმას გადაახდევინებს.
7279. ესთეტიკა გემოვნების ზოგიერთ აზრს ვერ ურიგდება, მაგრამ კანონიერ ამბიციებს ის არ უარყოფს.
7280. ამქვეყნად ყოველივე გონების და ინტუიციის დახმარებით უნდა მოასწრო.
7281. ადამიანური თვისებების მიწიერებამდე დაყვანას არ შეეცადოთ, რათა თაყვანისმცემლებს თქვენზე შექმნილი წარმოდგენა არ გაუფუჭოთ.
7282. წლებით დამოძღვრილი ადამიანის ცხოვრების გამართლებაა თუ ასაკოვან მეგობრებს იმქვეყნად გაისტუმრებს და ახალ მეგობრებს არ შეიძენს დაავადების სახით.
7283. განგება მხოლოდ ნიჭს კარნახობს გონებას და არა პირიქით.
7284. ზოგს შეეძლო უკეთ ეცხოვრა, მაგრამ ეხლაც არ რცხვენია თავისი უსაქმურობის, რადგან ბეჯითები და ზარმაცები იბადებიან გარემოსთან და შემთხვევასთან ურთიერთკავშირში.
7285. რეალობა რატომღაც ცუდად აღიქმება ჭეშმარიტებასთან სიჯიუტეში.

7286. იყო გარეგნულად სუსტი, ცუდია, ძლიერად ყოფნა ბუნებამ არ მოგამადლა, ამიტომაც ისევ სულის შემართებას უნდა მივხედოთ, რათა ცხოვრება არ გაგვეპაროს.

7287. არდადაგებით და ერთმანეთთან დროებით დაშორებით ზოგი წყვილი თავს უკეთ გრძნობს და ესეც ბუნების კაპრიზია და არა სურვილი.

7288. „სილამაზე რომ სამყაროს გადაარჩენს" სიტყვის მასალაა, სურვილია, რადგან დედამიწის გადარჩენას ერთობა, რწმენა, მუშტზე დაყრდნობილი გონიერება და მამაზეციერის ნება განსაზღვრავს.

7289. ნაოჭების მატება არა მარტო უიმედო ღიმილის, არამედ ჭკუის ჭყლეტის და ცხოვრებაში აუხდენელი სულიერი ტრავმის შედეგია.

7290. რწმენა ღირსების სინონიმია, ხოლო ღირსება რწმენის გარეშეც თავს კარგად გრძნობს, რადგან ის თვითმყოფადია.

7291. თუ სინდისი ყოფიერებია ნამუს ვერ უვლის ის ყოველთვის ამყრალდება და ხშირი რეცხვა არ უშველის.

7292. „ტრაკი ქართული, ტრაკი უნგრული, თურმე ჰქონიათ ენა საერთო" – ქალის საერთო სილამაზე და ცალკე საცქერალი, აკრეფილი მის სექსუალური ნაწილების და აქსესუარების შემფასებელი მამაკაცია და ჯობს ექსპერტად ის ვიყოლიოთ.

7293. შედეგი და სიმპატიები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, კომპრომისსაც ვერ ნახულობენ, მაგრამ ერთმანეთის აზრს ყურადღებით იზიარებენ.

7294. მუზეუმი უფასო სასაფლაოა და ფასიანი სულის ბორდელია მის დამთვალიერებელთათვის.

7295. არის რაღაცა, რომლის ახსნა მეექვსე გრძნობის გარეშე ძნელია, რომელიც ან უნდა იგრძნო, ან უნდა მიხვდე, შეიცნო და ეს მარტო მდედრის დაუფლებას არ ეხება.

7296. ყოველთვის წმინდანად ყოფნა მომგებიანი არ არის, მაგრამ სულიერი გარემო ცდილობს ამის ხშირად შეხსენებას.

7297. ღირსება, ეთიკა, მორალი კაცობის სახელმძღანელოა და არა კანონი ბედნიერი ცხოვრებისა.

7298. უხიაგ ქვეყანაში ჯარი ნახირია, რომელსაც ხალხი მთავრობის საკუთრებად მიიჩნევს და ის კი ავიწყდება, რომ მისი თანამოძმენი ქვეყნის ვალს იხდიან, რომ მათ გამხნევება, მხარდაჭერა სჭირდება, რათა ისინი ხალხის დამცველად და მსახურად იქცნენ.

7299. ძნელია ბრბო კარგი მხრიდან დაინახო, როდესაც მათ უგნურებას უყურებ, მიუხედავად შენი მცდელობისა, გაუგო, პატიებას მაინც ვერ ახერხებ.

7300. ავი კაციც სასარგებლო ადამიანია, თუ ის ძაღლის შვილად არის დაბადებული და მთავრობის კანონებს და მის აღსრულებას კრიჭაში უდგას, რათა კანონი სამართლიანობამდე ამაღლდეს.

7301. მცონარობა, უსაქმურად ყოფნა, სიცოცხლეზე ფეხის გადაბიჯების ტოლფასია.

7302. ხალხის ოცნებას ფული და ძალაუფლება მათზე გამოცდის შემდეგ იპარავს.

7303. არც ერთი ბედნიერება დიდხანს არ გრძელდება, მაგრამ მასთან წამიერი შეთამაშებაც კი ამქვეყნად ჩვენს მოსვლას ამართლებს.

7304. მომხიბლველი ქალი რომ არ შეაწუხონ კითხვით, რომელი საათია, სულ არ არის საჭირო უკანალზე საათის დამაგრება, მაგრამ თუ მოდაა...

7305. აზრთა ნგრევა ჩვენს დაობლებულ თავებში უნდა მოხდეს და არა ტვინებისათვის განკუთვნილ საგამოფენო სარდაფში.

7306. ორატორის ლამაზ სიტყვას მისი აზროვნების წარმოსაჩენი ღაღადი სჯობს.

7307. სიხარულს არ სჭირდება სიყვარული, რადგან მისი მაცდუნებელი ბედნიერებაა.

7308. პროფესიონალიზმსა და ხელოვნებას შორის ის მსგავსებაა, რომ პირველი ყოველთვის პატივისცემაშია, ხოლო მეორე მაშინ, თუ გაუმართლა და შეამჩნიეს.

7309. სიკეთის ან ბოროტების ჩადენისას მთავარია შედეგის ცოდნა და არა – მიმდინარე პროცესებისა.

7310. ყოველივე დავიწყებას ეძლევა, გარდა კარიერის ნაგლეჯების გახსენებისა და მშვიდი სიბერის მცდელობისა.

7311. არაფორმალები ის უცნაური ნეხვია, რომელიც პოლიტიკურად მოძველებული კანალიზაციის მილის გადატვირთვის შედეგად, გასკდომისთანავე თავს გამოყოფენ და კეთილი სურვილებით ისეთ ჭუჭყს და სუნს ააგორებენ, როგორსაც არავინ ელოდება, მაგრამ მის შეკეთებას არავინ ჩქარობს მანამ, სანამ ამ გარემოში სიმყრალის გამო ყოფნა აუტანელი არ გახდება.

7312. ზოგიერთის ზრდილობა, ინტელექტი, ორი ბუზის ქაქის ჭამას მოგვაგონებს, როდესაც ერთი გააქარებს, მეორე არცხვენს – ვერ ხედავ, რომ ვსადილობთო.

7313. რამდენად მოსაწონია ლამაზი მიცვალებულის ცქერა, ადამიანის ავადმყოფური გადასახედიდან უნდა შევიცნოთ, რადგან ჯანმრთელისათვის ამ სილამაზის ყურება და მიწაში ჩადება უკეთურობაა.

7314. ყველა ეპოქას თავისი ცხოვრების სტილი აქვს, უცვლელი ტრადიციებით და ხასიათით. რაც უფრო მდგრადი აქვს ეს უკანასკნელი, იმდენად საქმის კეთება უკეთესი და ხარისხიანია (გერმანელები, იაპონელები).

7315. არსებობენ სულელები, ცოდვილები, უნიათონი, რომელთა უბედურება ის არის, რომ ცხოვრებას დროულად ალღო ვერ აუღეს და არც ქვეყანა შეხვდათ შესაფერი.

7316. „კაცის თვალი ქალის უკანალში" – საკითხავია, რას ეძებს მშვენიერების აღსაქმელად მოწოდებული თვალი იმ სიბინძურეში, ალბათ იმის დანახვას რაც გონებას უბნევს და სიამოვნებას ანიჭებს, თორემ თვალის ჩინი თავის ავტორიტეტს ეჭვქვეშ რატომ დააყენებდა.

7317. საგანგებო შემთხვევას უნდა მივაწეროთ ეს დაბოღმილი ბედნიერება, თუ ზოგ პოლიტიკოსს თავზე ჭერი დაეცემა, მაგრამ უბედურება ის არის რომ ეს ასე არ ხდება.

7318. „ლაგერი" ბანაკად კი არა, ისევ რუსულ „გულაგად" უნდა ითარგმნოს, რადგან მას სხვა მნიშვნელობა, დატვირთვა და გასახსენებელი ახლავს.

7319. ყველას უნდა გვყავდეს ისეთი სათაყვანებელი პიროვნება, რომელთან მეგობრობაზე პრეტენზიას განცხადება უნდა შეგვეძლოს.

7320. ფიზიკური ტკივილის ატანა ნებისყოფის შედეგია, მისტიკურისა – სულიერი განცდის და ესაა ალბათ ყველას მიმართ ჩვენი ცნობიერების კაპრიზი.
7321. „ნედლი" გონება მოუმწიფებლობის მაჩვენებელია, „გადახარშული" – შეუპავალობის, „დაღვინებული" – გონიერების, მხოლოდ „შებოლილი" გონებაა საიდუმლოებით მოცული, რომელსაც ყველა მსუნაგად უყურებს, რადგან ჰგონიათ, რომ წარსული აქვს საინტერესო და საანდერძო.
7322. საბჭოთა კავშირში მსახიობი „აქტიორზე" მეტი იყო, დღეს იდეოლოგიის და ცენზურის გარეშე დარჩენილი ჩვეულებრივ მომაკვდავ კომენდანტად იქცა.
7323. ბალზამირებული წიგნი და მიცვალებული აზრები გარკვეულ ინტერესს იწვევს, მაგრამ მათ არავინ ყიდულობს.
7324. ქვეყნის ინტერესებისთვის ჩადენილი გმირობა, გარკვეული ანაზღაურება-დაფასებით, სახელმწიფოს ანთავისუფლებს საყვედურისაგან, ხოლო ანაზღაურების გარეშე გმირის და მისი ახლობლების ქვეყანას მძევლად უტოვებს.
7325. „რომეო და ჯულიეტას" რომ ჭკუა ეხმარათ და სიცოცხლეს ასე უგუნურად არ დამშვიდობებოდნენ, ვინ იცის, რამდენი საოჯახო ბატალიების აღწერა მოუხდებოდა შექსპირს: მაგრამ ეტყობა მწერალს დაეზარა ამეების აღწერა და დროზე ადრე გაისტუმრა იმქვეყნად სიყვარულისა და სიკეთისათვის შექმნილი ეს წყვილი.
7326. სიმართლესთან მიახლოება, სუბიექტივიზმისკენ სწრაფვა, ნგრევით ემუქრება ძვირადღირებულ მეგობრობას და ტრადიციების ინტერესებს.
7327. მუსიკის გარეშე ცხოვრება ხიბლს დაკარგავდა, მაგრამ როგორ გინდათ ამდენი მყვირალა, უაზრო, ახალი მუსიკა გადახარშოთ და გაითავისოთ?
7328. თუ დაცინვა წელში გვხრის, გვკაკვავს, შექება წელში გვმართავს, გვახალისებს, მაგრამ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე არცერთი საბოლოოდ არ მოქმედებს და ყველანი ჩვენი დროით მივდივართ იმქვეყნად.
7329. ყველა ჩვენგანს თავის გამყოფი კედელი, ფანტაზია, განცდა აქვს, რომელიც დამოუკიდებლობის ატრიბუტიცაა და მასში გაერთიანებულია შემოქმედებითი შრომა, სიახლისკენ სწრაფვა, უზრუნველი ფული და საკუთარ ბედზე გემრიელად გაცინების უნარი.
7330. რა თქმა უნდა, გაინტერესებს, რას ფიქრობენ შენზე და როგორ გექცევიან, მაგრამ უმჯობესია გაერკვე, თავს როგორ ექცევი და რის გაკეთებას აპირებ.
7331. ყოველი კვირის ბოლოს, რატომღაც, ახალ ცხოვრებას ყოველთვის ორშაბათიდან ვიწყებთ. მიუხედავად ამისა, ამ მონდომებიდან მაინც არაფერი გამოდის ჩვენი გულმავიწყობისა და უნებისყოფობის გამო.
7332. თუ სიბინძურეს არ ებრძვის, კაპიკია პიროვნების ფასი, მაგრამ თითქმის შეუძლებელია, რომ ისიც არ გაითხუპნოს.
7333. ყოველივეს თვალი, ყური იგებს, სული, გული ითვისებს, მიუხედავად იმისა, ხელოვნებასთან გვაქვს საქმე თუ ხელოსნობასთან, კაცობასთან გვაქვს საქმე თუ უკაცობასთან, მაცქერალი ოპონენტი ქების სათქმელად არის მოსული თუ ძაგების. ყოველივე ამას სხეულის დაზვერვის ორგანოები წარმოაჩენენ, ხოლო გონიერება განსჯის – განსაზღვრავს.

საზოგადოებათმცოდნეობა

7334. საზოგადოება სხვადასხვა სოციალური ფენის მქონე ადამიანთა გარეშე არ განვითარდებოდა და მათზე მინდობილი საქმე უგულოდ, უხარისხოდ შესრულდებოდა.

7335. სოციალიზმის უმთავრესი შეცდომაა მცდელობა საზოგადოების სხვადასხვა ფენების როგორც მატერიალურად, ასევე სულიერად გათანაბრებისა.

7336. სოციალიზმის ყველაზე მეტი დამსახურება ის იყო, რომ გათანაბრების იდეოლოგიის ნიადაგზე ბევრ უხიაგ ადამიანს არ აძლევდა საშუალებას თავისი სიბინძურე სხვისთვის დაენახვებინა, რადგან მას ცხოვრების მინიმუმი, სამუშაო და ხელფასი გარანტირებული ჰქონდა და სიტყვით, ხანდახან საქმითაც, ავკაცობას და ქურდობას გმობდა.

7337. პოლიციის ვალია ნაგვის მოშორება, ვექილისა - ამ ნაგვის ქექვა, პროკურორის ვალია განსაზღვროს ნაგვის სიმყრალე, ხოლო მოსამართლის - რამდენად მისაღებია ამ ნაგვის სუნის სუნთქვა-მოთმენა.

7338. ისტორია იმასაც გვასწავლის, რომ სახელმწიფო ხელმძღვანელს ამშვენებს გადამჭრელი პოლიტიკის განხორციელება, მათ შორის, ყოველთვის არც თუ გონივრულის.

7339. სტალინის მიზანი კომუნიზმის აშენება იყო, მაგრამ კომუნისტი უწოდო კაცს, რომელმაც ამ იდეოლოგიის ყველაზე მეტი თაყვანისმცემელი და მოამაგე იმქვეყნად გააცუნცულა, მკრეხელობაა, რადგან მან გააკეთა ის, რაც ვერ მოახერხეს კომუნიზმის სხვა ერთად აღებულმა მტრებმა.

7340. რევოლუციამდე რუსეთში ანარქიამ და სახელმწიფო უძლურებამ დაისადგურა, რევოლუციური გადატრიალების შემდეგ კი – სისხლის გამოშვებამ და დიქტატურამ. შემდგომი დრო შერჩეული ღირსსაყურებელი საქმეების განხილვასა და იდეოლოგიის პანაშვიდებზე სიარულში გავატარეთ, მომდევნო პერიოდი საშინელ კორუფციას და პერესტროიკას დავუთმეთ, დღეს უიმედობა და ანარქიის დასადგურების შიში გვაღელვებს და 21-ე საუკუნეს კვლავ ახალი ფორმის კანონის დიქტატურით შევხვდით. აქ, ეტყობა, ჩვენ უძლურები ვართ, რადგან ამას მოითხოვს ჩვენი აზროვნების განვითარების სპირალი.

7341. ზოგიერთ ჩვენს პოლიტიკოსს არავითარი საქმე არა აქვს სამყაროს, საზოგადოების და ეკონომიკური განვითარების კანონებთან, რადგან ის არ ცნობს მთავარ კანონს. ამქვეყნიდან იმაზე მეტს ვერაფერს წაიღებ, რაც ზევიდან მამაზეციერმა დაგამადლა.

7342. ათეიზმის მამებს რომ გამართლებოდათ და ეკონომიკაში წარმატებისთვის მიეღწიათ, დღეს ეს სარწმუნოება სამყაროში უპირველესი იქნებოდა, რადგან ის აწყობილია ყველასთვის გასაგებ საყოველთაო თანასწორობაზე. სამწუხაროდ, ჩვენს დროში ტექნიკური პროგრესის განვითარება იმ დონეზე არ მოხდა, სოციალიზმის იდეები რომ როგორმე გაეთრია, ხოლო პარტიის ლიდერები ორპირები, ფანტაზიორები, მექრთამეები აღმოჩნდნენ, რაც ახალჩამოყალიბებულმა სარწმუნოებებმა ვერ აიტანეს.

7343. კომპრომატების დიდი ოდენობა აღარ ისვრის, გონიერების ლულა ძალზე ხურდება, ტყვიების ფურთხებას იწყებს და რბილ ეკლად გადაიქცევა, რომლის ჩხვლეტას ვგრძნობთ, მაგრამ შევეჩვიეთ, ამიტომ ყველაფერი კანონით უნდა დაკონკრეტდეს, ლულაც ცივი გონებით გავაცილოთ და ყველამ თავისი მიიღოს დამსახურებულად.

7344. მეცნიერები პოლიტიკური დროის ცვალებადობას და მის გამოყენებას სერიოზულად არ უდგებიან, რათა ამ "სისულელეზე" დრო არ დაკარგონ, აგვიანებენ საქმის გარკვევას, ცხოვრების რითმში ვერ ჯდებიან და ამიტომაცაა, რომ მათ ყველაზე მეტად უჭირთ ცხოვრება.

7345. დიქტატორის გარეშე საზოგადოების წევრები თანასწორუფლებიანობას ვერ იტანენ, რადგან თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ და ყველას სურს თავისი თანამდებობიდან მაქსიმუმი მიიღოს.

7346. ჭეშმარიტ გამარჯვებად კომპრომისს ვერ მივიჩნევთ, მაგრამ მის გარეშე საზოგადოების განვითარება შეფერხდებოდა და გადაშენების გზაზე ამოყოფდა თავს.

7347. საზოგადოების ნაწილი რატომღაც თავისი უხეირო მთავრობის გადაყენებას განიცდის და როგორც "დაჩაგრული", მის გვერდზე დგება, იქნებ ვინმემ შემამჩნიოსო. ის კი ავიწყდება, რომ მან ქვეყანა პოლიტიკურ, ეკონომიკურ გაკოტრებამდე მიიყვანა, ხალხს რწმენა დაუკარგა და ეს ვიგინდარა მხარდაჭერის კი არა, ქვეყნის ისტორიიდან პანღურისკვრით ამოგდების და დავიწყების ღირსია.

7348. არავითარი სხვაობა დემოკრატიასა და დიქტატურას შორის არ არსებობს, თუ მათ ლპობის ბაქტერიები შეეპარათ, აქ დაუავადებელი ფუნქციების ძებნა ტყუილი მცდელობაა, მას გამოცდილი დასტაქრის ხელი სჭირდება, რადგან ჩვეულებრივი ექიმი ვერაფერს გახდება.

7349. დიქტატორული წყობა აწყობილია ძლიერ პიროვნებაზე, რომელმაც ყველას თავი მოაბეზრა დისციპლინის და პატიოსნების შანტაჟით, ჩუმად ყველა თანახმაა თავისუფლების მოპოვებაზე, ქონების და თანამდებობის შენარჩუნებაზე, რის შედეგადაც ვიღებთ წყობისადმი გულგრილობას, განხეთქილების ვირუსს და იმპერია მსხვრევის წინაშე დგება.

7350. რევოლუციის, „პერესტროიკის" მისტიკის დამთხვევა მაშინ ხდება, როდესაც ხალხი ბრბოდ გადაქცევაზე თანახმაა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილების მახსოვრობის "პროტეზი" გაუჩნდება.

7351. რევოლუციის უარყოფითი შედეგის შემდეგ ხალხს ფრთები ეკვეცება, დაბნეულობა ეუფლება, საეჭვო იდეას ნებაყოფლობით ემონება და ამ გაუგებარი ცხოვრების ლაბირინთებში ადვილი სატარებელი ხდება.

7352. სოციალიზმის იდეოლოგიამ ვერ შეძლო შეეჩერებინა მსოფლიო წყობის ქაოსი, პოლიტიკის ბორდელი და სიმყრალე, რომელიც კაპიტალიზმის საბედნიეროდ თანდათან იხრწნებოდა და სასიამოვნოდ ყარდა.

7353. აიძულო ქვეყნის ლიდერი ხალხი უყვარდეს, შეუძლებელია. მას ეს სისხლში უნდა ჰქონდეს, როგორც ღმერთის ნაბოძები, ხოლო ხალხი ამ რჩეულის ძებნაში უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სიზარმაცის საფასურად ვირეშმაკას მომსახურება მოუწევს.

7354. დღევანდელი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა პარადოქსული, კრიმინალური და გონიერებისთვის მიუღებელია. კიდევ უფრო გასაოცარი და გაუგებარია როგორ ენდობა მართმსაჯულება და ხალხი ერთმანეთს.

7355. ყველა მმართველის სურვილია ხელი ქვეყნის მუდმივი მართვის „პულტზე" გადაიტანოს, მაგრამ მის კულტად აღიარებას ხელს უშლის კონსტიტუცია, მოწინააღმდეგე პარტიები და პოლიტიკურად ნაწრთობი ავანტურული ნიჭი, რომლისთაც პირველი ორის წინააღმდეგობა გადაილახება, რადგან ერთ ცეცხლოვან სიტყვას და ვირეშმაკულად მოწყობილ პოლიტიკურ ხრიკს შეუძლია ბრბო აღაფრთოვანოს.

7356. ნაციონალიზმი არის მოსამზადებელი ბაზა, ხერხი, ვიგინდარა ელიტისთვის, რომელსაც სინამდვილეში ქვეყნისა და მომავალი თაობების ბედ-იღბალი ფეხებზე ჰკიდია, რადგან მათ „პატრიოტიზმზე" ტლეკინი პირველ სერიოზულ წინაღმდეგობისთანავე გამოუსწორებელ მექრთამეს ქვეყნის ინტერესების გამყიდველად აქცევს.

7357. საკითხის გადასაწყვეტად რეალურ აზრთან ჭიდილი პოლიტიკოსებს არ სჭირდებათ, ისინი პრობლემებს აგვარებენ სიტყვების თამაშით, რადგან ყველას თავისი ინტერესები ამოძრავებს, მათ კარგად იციან, მარტო საქმის კეთებას და ხალხის სამსახურს სიცოცხლეში არავინ დაუფასებს.

7358. პოლიტიკა, პროკურატურა, პოლიცია ის „შემოქმედებითი" ორგანიზაციებია, რომლებიც თუ მოინდომებენ, ისეთ საქმეს შეთითხნიან და ისეთ კაცს გასვრიან, ადრე რომ ვერც წარმოიდგენდით, თუ მათ პროვოკატორულ ხელოვნებას პრესის, მოსამართლის, სინდისის და ხალხის ნება წინ არ აღუდგა.

7359. ჭირი არსებობს შავი, ყავისფერი, წითელი, ყვითელი. მათი გაჭირვებით გადატანის შემდეგ, მომდევნო თაობების ზოგიერთ უგვანო პოლიტიკოსს უჩნდება სურვილი თავის ხალხს ერთ-ერთი მათგანი კვლავ შეჰყაროს.

7360. თუ პრეზიდენტია შენი მეგობარი, მისი თხოვნა სახელმწიფო მოღვაწის ბრძანებაზე მაღლა უნდა დააყენო, ხოლო როგორც მეგობრის თხოვნა, შესაძლებლობებზე მეტად უნდა აღასრულო.

7361. კომუნისტებმა ინფანტილური, თავისუფლებისთვის მოუმზადებელი, პირად პასუხისმგებლობას მოკლებული საზოგადოება შექმნეს, რომელიც სიტყვით სასწა-

ულებს ახდენდა, ხოლო საქმით სახარბიელოს ვერაფერს იძლეოდა, რადგან მის მმართველობას მთავარი ატრიბუტი, შიში, დააკლდა.

7362. ქვეყნის მმართველი მართვის საქმეში ცოტათი პოლიტიკური მუტანტიც უნდა იყოს, ოღონდ მისი წესიერება და ქვეყნისადმი სიყვარული ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

7363. როდესაც საზოგადოებაში დაპირისპირებულ მხარეთა პაექრობა არ მიმდინარეობს და მათზე გიჟის პერანგის ჩამოცმა შეუძლებელი ხდება, მაშინ იწყება ბომბების აფეთქება, რევოლუცია, „პერესტროიკა" და სხვა.

7364. ჩვენი გადემოკრატიულების მცდელობა ერთ ცნობილ ანეგდოტს მომაგონებს. სომხეთის რადიოს ეკითხებიან: შეიძლება თუ არა მამაკაცის დაორსულება? პასუხი: თეორიულად — არა, მაგრამ პრაქტიკულად ცდები გრძელდებაო. ასევეა ჩვენთვის დემოკრატია თეორიულად შეიძლება შესაძლებელიც არის, მაგრამ პრაქტიკულად, ჯერჯერობით, არაფერი სახეირო არ გამოდის.

7365. დიქტატორი იგივე ყაჩაღი, ძაღლი და მამაძაღლია, რომელიც ქვეყანას დასცინის და თავის ჭკუაზე უნდა რომ ატაროს, შედეგად – სახელმწიფო გადატრიალება ნანატრი თავისუფლებით, რომელიც შემდგომში თავაშვებულობასა და გარყვნილებაში გადადის და თავხედი მმართველი სანატრელი ხდება წესრიგის დასამყარებლად. ასეთია ისტორიის უკუღმართი კანონზომიერების მაგალითები.

7366. სოციალიზმის საოცრება ის იყო, რომ სიმდიდრე, ქურდობა, „ნებადართული" იყო გარკვეულ პროპორციებში, გადამლაშებისთვის კი სჯიდნენ. კაპიტალიზმის თავისებურება ის არის, რომ სიმდიდრისთვის და ალიბის მქონე ქურდობისთვის არავინ გსჯის, მაგრამ თუ დასჭირდათ, ვირის აბანოში გაგამწესებენ. როგორც ირკვევა, სურვილი ყოფილა მთავარი და არა წყობა.

7367. კომუნისტები ხელოვნურად ქმნიდნენ კეთილდღეობის მითს, მომავლის იმედს და ხალხიც ნარკომანივით ელოდებოდა ამ სიკეთეს, რომელიც უმეტესობას არ სჯეროდა. დემოკრატიამ ვერც ვერაფერი მოგვცა და ხვალინდელი დღის იმედიც დაგვაკარგვინა. ამავე დროს არსებობს ერთი რეალობა, რომ ჩვენი მეზობლები ჩვენზე უკეთ ცხოვრობენ.

7368. ჩვენი ტუტუცური რწმენის საფასურად ხან სტალინის „გულაგში" ვართ გამოკეტილი, ხან – დემოკრატიის,თან ვადარებთ რომელი ჯობდა და რომელი სამართლიანი იყო. პირველი, „გულაგი", თუ მაინც ქვეყნის აღმშენებლობაში იყო ჩაბმული, მეორე, ქვეყნის დაქცევაშია გაბმული ამდენი დაუსაქმებელი, დაავადებული პატიმრის ყოლის გამო. რატომღაც ეს უკანასკნელნი ფიქრობენ, რომ ყველაფერს თავის დროზე მოევლება ზევიდან ჩარევის გარეშე, ხოლო, თუ როდის, კომუნიზმში შესვლისამებრ გვიმალავენ.

7369. სიავის მთავარი წყარო იყო და იქნება საზოგადოების გულგრილობა და არა მთავრობა და მისი მხარდამჭერი ვიგინდარები, რომლებიც სიამოვნებას მოხვეჭაში და სხვის დაჩაჩანაკებაში ხედავენ, რადგან მათთვის უცნობია მმართველის მთავარი შინაგანი კაიფი, ჩაფიქრებული და გაკეთებული საქმის დღესასწაული, რადგან ღმერთს მართვის ასეთი ნიჭი მისთვის არ დაუმადლებია.

7370. სოციალიზმიც და კაპიტალიზმიც კაპიტალის გადანაწილებას თავისებური ქურდული მეთოდებით ცდილობენ, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ამას ხალხის „კეთილდღეობისთვის" აკეთებს, ხოლო მეორე – კაპიტალის „გასაჯანსაღებლად".

7371. რევოლუცია, „პერესტროიკა," საზოგადოების განვითარების დაჩქარების ნაძალადევი ტვირთია და არ ვიცით, დღეს ვაქოთ თუ ვაძაგოთ.

7372. საოცარია, ერი გაირყვნა, გადაშენების წინაშე დგას, მკვიდრი მოსახლეობა სამშობლოდან გარბის სახსრების საძებნად და ზოგს მაინც ეს ყბადაღებული, მოუმზადებელი თავისუფლება ურჩევნია, რადგან ყველაფერი მისთვის გაუგებარ პროგრესთან არის მიბმული.

7373. ვალის გადაუხდელობის მცდელობა ცივილიზაციიდან წასვლას და უკეთეს შემთხვევაში, ქვეყნის მმართველის გათავხედებაზე მიუთითებს.

7374. ალბათ ისტორიის კაპრიზია, როდესაც პროგრესულად მოაზროვნე სახელმწიფო მმართველის გადაწყვეტილებას შეუმჩნევლად მოიხსენიებენ, თუ ეს უკანასკნელი დიქტატით არ მართავს ქვეყანას.

7375. სოციალიზმის უცნაურობა ის იყო, რომ კაპიტალიზმის ყაიდაზე უნდოდა ცხოვრება და მუშის, ვაჭრის პროფესიას პატივს არ სცემდა, ხოლო კაპიტალიზმის საოცრება ის არის, რომ სოციალისტური მანერებით ცხოვრობს და კარგად ანაზღაურებადი პროფესია სირცხვილად არ ითვლება.

7376. ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკის მესვეურები, იმ ხელებაკანკალებულ ლოთს მოგვაგონებენ, რომელიც ახლახან მერსედესიდან გადმოვიდა და ჯიბიდან ხურდის ამოღებაც კი უჭირს, რათა დაბალი ხარისხის ალკოჰოლი მიიღოს. როდესაც სასმელის შესმას მოახერხებს და ხელები დაუწყნარდება, ჯიბიდან ამაყად იღებს საფულეს და რამდენიმე ბოთლ მაღალი ხარისხის სასმელს უკვეთავს, რათა მეორე დღეს გაიმეოროს წინა დღის სერენადა.

7377. ცვედანი მთავრობა გველის ტყავშია გახვეული, მაგრამ მისი აღარავის სჯერა, ყველას გონებას და გულს უმღვრევს, იმედს აკარგვინებს და ეს გრძელდება მანამ, სანამ ხალხს ახალი რწმენა იმედად არ მოევლინება ძველის მოსაშორებლად.

7378. „ღია საზოგადოება" ნათელი იდეების ეტალონია, მაგრამ რამდენად შესაძლებელია ჩვენი ერის და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით მასთან მიახლოვება, ეს საზოგადოების გონიერებაზეა დამოკიდებული.

7379. ქვეყნის პრეზიდენტთან მეგობრობას და კოლეგებში მაღალ რეიტინგს პურზე ვერ წაუსვამ, თუ ის საქმით, პროტექციონიზმის პოლიტიკით არ იქნა უზურნველყოფილი.

7380. პოლიტიკური ბიუჯეტი ჯობს, თუ რეალური სახელმწიფო ბიუჯეტი, ჩვენს ქვეყანაში ეს ჯერ კიდევ საკითხავია.

7381. გაუგებარი პოლიტიკის სახელმწიფოში, შეიძლებოდა „დუელის" სტატუსის შემოღება დეპუტატებისა და მთავრობის წევრთათვის, რაც ძალზე წაადგებოდა ამქვეყნის ეკონომიკას და მის სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბებას.

7382. რეიგანს პოლიტიკურმა თამაშმა და ავანტურამ აშშ პრეზიდენტთა ელიტაში ადგილი დაუმკვიდრა, რადგან მას ოპონენტად სსრ კავშირის მშიშარა, მიამიტი,

პრეზიდენტი, გორბაჩოვი, ჰყავდა. შედეგად, ორი იმპერიიდან ერთის გათავხედება – გაძლიერება მოჰყვა დემოკრატიის სახელით, ხოლო მეორის დაუძლურება – დემოკრატიის დროშით.

7383. მე-20 საუკუნე ავი გენიოსების: ლენინის, სტალინის, ჰიტლერის, „ჭკვიანი" პოლიტიკოსების: ჩერჩილის, დე-გოლის, რუზველტის, სიავის შემსუბუქების მცდელების: ხრუშჩოვის, კენედის, გორბაჩოვის, მოლაყბე ავანტიურისტების: მუსოლინის, ფრანკოს, იაპონიის იმპერატორის, უქნარების: ნიკოლოზ II, ჩემბერლენის, ბრეჟნევის, მეოცნებე იდიოტების: მაო-ძე დუნის, კიმ-ირ სენის, ხო-შიმინის საუკუნე იყო, თუმცა არც სხვა საუკუნეებს აკლდათ ავი და უაზრო მმართველები, მაგრამ ამდენი დემონის და სატანა ხაბა-ხუბას გარეშე.

7384. რუსეთის ისტორიას ხმამაღლა სალანძღავი სტალინიც ჰყავდა და ჩუმად საგინებელი, ძალად გადემოკრატებული გორბაჩოვიც, მაგრამ ფაქტი ერთია, კიდევ ერთი ასეთი „პერესტროიკა" და რუსეთის იმპერიიდან მის დემოკრატიას შეწირული ავტონომიებიდან ოლქები დარჩება.

7385. კონსტიტუციის დარღვევით, ჩეჩენთა მასობრივი გადასახლებით, დიქტატორ სტალინს ამ ხალხის გენოფონდისათვის იმდენი ზარალი არ მიუყუნებია, რაც ფსევდოდემოკრატებმა, ელცინმა და პუტინმა მიაყენეს ჩეჩენ ხალხს, თავიანთი წინდაუხედაობით და კონსტიტუციის დაცვის მომიზეზებით.

7386. პოლიტიკური წყობა, რომელიც ტექნიკური და გონიერების პროგრესისთვის მოუმზადებელი მოდის, ყოველთვის ერთი კაცის ახლად მომწიფებული გონიერებით და ძველი გადამწიფებული ტრადიციების დიქტატით უნდა იმართოს.

7387. დროული დამუნჯება, საჭიროებისამებრ ლაპარაკი, საუბრისთვის ენის აწყობა, არის მმართველი აპარატის მთავარი ხელოვნება, რაც შეეხება საქმეს, ეს ერთეული გაუხედნელი ჯეელების საქმეა, რომლებსაც არც მათრახის ეშინიათ და არც მოფერებაზე ფეთდებიან, მაგრამ სხვებზე უკეთ თოხარიკობენ.

7388. პროლეტარიატის ფარული ხიბლი ბევრისთვის გარეგნულად მოსაწონია, მაგრამ მასში ჩაღრმავება ყველას ხელარეწიფება, ამიტომაც ეს წყობა მეორეხარისხოვანი ჰგონიათ.

7389. ჯარისკაცების უკან მდგომ მთავრობას თავისი ძლიერების დემონსტრაცია სურს, ხოლო ჯარისკაცი რას ფიქრობს თავის მთავრობაზე და როგორ ეამაყება მისთვის სამსახური, სხვა საქმეა და სხვა შეხების წერტილები აქვს.

7390. ვულგარული კულტურის, მეობის პროტესტის წარმოსაჩენი ფორმა, ტერორიზმი არ უნდა არსებობდეს, რადგან მათ უდანაშაულო ხალხის სისხლის ღვრასთან აქვთ საქმე. ის უნდა შეიცვალოს გაფიცვით, პროტესტით, ოპოზიციის შექმნით, რათა ადამიანმა სულიერი და მატერიალური ამბოხი დაიკმაყოფილოს.

7391. ომი არის ძალაუფლება, ფული, ბაზრების დაპყრობა, ავტორიტეტი, რომელიც ფაქტობრივად გამარჯვებული მხარის მმართველის ამბიციების დაკმაყოფილებას ემსახურება და დროთა განმავლობაში, მაინც გამარჯვებულის გაწბილებით მთავრდება.

7392. ერთი გონიერი ადამიანისთვის განუსაზღვრელი უფლებების აკიდება დანაშაულია, რადგან ოპონირების გარეშე არც არაფერი იქმნება და არც არაფერი ღირსშესანიშნავი ხდება, ხოლო საყვედურის მთქმელი, დამსახურების მიუხედავად, ყოველთვის გამოინახება.

7393. ყველა სისტემა თავისთვისაც და ადამიანისთვისაც ბოლოს მისაღებია, თუ საზოგადოებაა უწესო.

7394. საოცარია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ დემოკრატიული წყობა უმთავრესად სექსუალური უმცირესობის უფლებების და მორალის დაცვისთვის იღვწის, ხოლო დემოკრატიული პოსტულატებით გატაცებული უმრავლესობის ინტერესებს თანდათან უმორჩილებს უმცირესობას და უმრავლესობას მხოლოდ მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებას და მათ გაგებას სთხოვს.

7395. თემურ წყობას თავისი სიბრიყვე ჰქონდა, მონათმფლობელურს – დესპოტიზმი, ბატონყმობას – სიყეყეჩე, კაპიტალიზმს – სიავე, სოციალიზმი მოუშუშებლობით გამოირჩეოდა, ხოლო კომუნიზმისკენ „ნეტას'' ოცნებით მივდიოდით, ყოველგვარი ისტორიული კანონზომიერების და საზოგადოების მომწიფების გარეშე.

7396. არის შემთხვევა, როდესაც ორი ბრწყინვალე ადამიანი თავიანთი სიმართლით ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდეს და ორივე დაიღუპოს. ერთი – ფიზიკურად, მეორე – სულიერად და აქ ვერაფერს გავხდებით, რადგან საზოგადოების გონიერებამ პრაქტიკულად შესაძლებელი სამართლიანობის პიკს ჯერ ვერ მიაღწია.

7397. ცხოვრების გამოცდილებას მოკლებული ავანტურისტული ბუნების მქონე ადამიანები, თავისი ამოცოხნილი აზრების და დანაშაულებრივი უპასუხისმგებლო მოქმედების გამართლების და თავის დაძვრენის მიზნით, თანამოაზრეებს უმცირესი დანაშულისათვის სასიკვდილოდ სწირავენ და ამ სამართლიანობას ამოფარებულნი კარიერის კიბის არბენას ცდილობენ. გადის დრო და იგივე მეთოდებს მათ მიმართ უფრო დიდი ვიგინდარები იყენებენ, ამის მაგალითებია საფრანგეთი, რუსეთის რევოლუციები, „პერესტროიკის'' შედეგები.

7398. მორიდების ინსტიტუტი უკანონობას უფრთხის, რადგან უკანონობა რევოლუციის წინაპირობაა, რომელიც ყველასთვის ერთნაირად საშიშია, რადგან მან არც მტერი, არც მოყვარე და არც "ისე-რა'' კაცი იცის.

7399. საზოგადოება მაშინ დგას ფეხზე, როდესაც უგვანო ბუნების ადამიანებს არ აძლევს საშინელების ჩადენის საშუალებას და დროულად მიაბრძანებს იქ, სადაც ჯერარს. პროფილაქტიკის ეს ღონისძიება კომუნისტურ წყობას არ ემლებოდა და ვინ იცის, მისი მეთოდების შერევა დემოკრატიის კოქტეილში ქვეყანას რა შვებას მოუტანდა.

7400. საოცარია ეს ხალხი! პოლიტიკოსს ქურდობაზე დაიჭერ და პოპულარობა განაღდებული აქვს, არ დაიჭერ და პოპულარობის გარეშე ღუნავს ამ ფულს და კიდევ დიდგულზეა. ბოლოს ვერ გარკვეულხარ, რა აამუშაო, კანონი თუ გამოცდილება, რომ ეს ვიგინდარა გმირი არ გახდეს და ადგილში არ შეგეცილოს.

7401. ცხოვრების წესის შეცვლა დრო-ჟამის საქმეა და არა – მავანის, რომელიც რაღაც მანქანებით ქვეყნის სათავეში მოექცა, მითუმეტეს, როდესაც არსებობს

ცხოვრების გამოცდილება, მისი ფილოსოფია და მისი სახელმძღვანელო, რომელსაც წესი და რიგი ჰქვია.

7402. რევოლუცია საზოგადოების ზნის და წესის ვადამდე შეცვლის დროზე ადრე მცდელობაა. ქვეყნის სამართავად მოუმწიფებელი ხალხი მოდის და ყოველივე ძველი, წამებით ნაკეთები, თავიდან არის დასაწყები.

7403. სიბრიყვე ქვეყნის მმართველების მიერ ყოველთვის კარგად არის ორგანიზებული, სადაც ხალხი გაცუცურაკებულ-გატუტუცებული გამოდის, ხოლო ელიტა ნებივრობს და მდიდრდება.

7404. საშინელი სანახაობაა, როდესაც პოლიტიკურად შექმნილ რთულ სიტუაციაში ქვეყნის მმართველი უსუსურია და წარმოდგენა არა აქვს რა მოიმოქმედოს.

7405. ტერორი ფულთან, ფანატიზმთან, ამბიციებთან, საზოგადოების შეცვლასთან თუ არ არის კავშირში და სხვის ტერიტორიაზე არ მოქმედებს, პარტიზანია.

7406. ცრუ დემოკრატიის შედეგად ანარქიას ვიღებთ და ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული, დიქტატურის დროს ყაზარმული წესრიგია და ერთი კაცის ნება-სურვილი. რა ჯობს: დემოკრატიის დროს მუქთად ნაშოვნი ფული, რომლისთვისაც შეიძლება მოგკლან, თუ დიქტატურის დროს მოპარული, რომელსაც წაგამწარებენ? ვინ იცის, გემოვნებაზე არ დაობენ, მაგრამ ფაქტია, საზოგადოებას ერთფეროვანი ყოფნა არ შეუძლია, რადგან ჰგონია არწივივით ამაყად იცხოვრებს და ყვავივით დიდხანს იცოცხლებს.

7407. ტერორი პოლიტიკის ერთ-ერთი უკიდურესი სახეა და მას მაშინ მიმართავენ, როდესაც მმართველი პარტია მაფიას შეეკვრება, ან ქვეყნების ერთი დაჯგუფება სხვა ქვეყნების ინტერესების წინააღმდეგ გამოდის, რომლებსაც ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდებენ, რომ იძულებულნი ყოველგვარი სისაძაგლე იკისრონ, რასაც ერისთვის, რწმენისთვის, სამშობლოსადმი ფანატიკური სიყვარულით შერეკილი ხალხი სჩადის, მათი მიზანია უსუსურობიდან თავის დაღწევა, საშინელების დათესვა, რათა მათაც თავიანთი კბილები აჩვენონ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად.

7408. ომობანას თამაში დღეს ტერორიზმის და პატარ-პატარა კონფლიქტების სახით გვევლინება და არასდროს არ მოისპობა, რადგან შინ და გარეთ ის პრივილეგიების გადასანაწილებლადაა მოწოდებული.

7409. სანამ საზოგადოებაში ერთმანეთის მიმართ შურის, ყოყლოჩინობის, მოსპობის სურვილი არ დაუცხრებათ, მანამდე ომობანას თამაშის მსურველები არ დაილევიან.

7410. ჯობს ცივი ომი და ერთმანეთის მტრულად ყურება, ვიდრე სიყვარულის ფიცი და საომარ ცეცხლში ავტომატის გამოყენება.

7411. ომის პირველი მსხვერპლი უდანაშაულო ბავშვები, ქალები და გონიერებაა.

7412. ისტორიას წაგებული ომების მიზეზები იმდენად არ აინტერესებს, რამდენადაც მოგებული ომების ბზინვარება და ბრწყინვალება.

7413. ყველა ომი გარეწრების დახმარებით იწყება, რომელსაც უფრო ხშირად პატიოსნები ეწირებიან.

7414. ხალხი ხშირად გმირად იმას მოიხსენიებს, ვინც ომში ორთაბრძოლა მოიგო, წაგებული მათი ახლობლების მოსახსენებელია, შეიძლება მან უფრო მეტი გმირობა ჩაიდინა და სიცოცხლეც უფრო სამართლიანად გასწირა, ვიდრე გამარჯვებულმა, მაგრამ ბრძოლა წაგო სიმცირის გამო. ამიტომაცაა, რომ გამარჯვებულებს მოგებული ბრძოლის გახსენება აძლევთ ხელს და არა იმ საკითხის რევიზია, რისთვისაც ომი დაიწყო.

7415. კომუნიზმი კაცობრიობის დიდებული ოცნებაა, მაგრამ მისკენ მიმავალი მოკლე გზის გავლა სხვადასხვა იდეების ხურჯინით უმეტესობას არ სურს.

7416. კარიერას დღეს ეწირება სამშობლო, ხალხი, სინდისი და ის უნამუსობით მიღებული თანამდებობაც, რომელმაც საზოგადოება აქამდე ამგვარმა ცხოვრებამ მიიყვანა.

7417. პოზიტიური მეთოდებით შეიძლება გარკვეული საპრობლემო საკითხების თანდათანობით გადაჭრა. მაგ. აშშ-ში თეთრკანიანების და ზანგების ურთიერთობის მოგვარება ნებაყოფლობა– ძალდატანების გამოყენებით, სადაც მეწარმეს, პროდიუსერს აიძულებენ სამუშაოდ აიყვანოს და კინოში დაასაქმოს ეს ორი რასის წარმომადგენელი, სიკეთის და ბოროტების დაბალანსებით.

7418. საზოგადოებათმცოდნეობა ბრიყვული წესიერების საქმე არ არის, ის უფრო გონიერი უწესობის უპირატესობაა.

7419. ზოგჯერ გრცხვენია სხვისი ქვეყნის თავხედობის, რომელიც შენს ქვეყანაში თავის უსინდისო გამარჯვებას თესავს, სადაც საბოლოოდ მოსამკელი აღარავისთვის რჩება.

7420. თემური წყობა არის უფროსების მიერ უმცროსების ექსპლოატაცია, მონათმფლობელების დროს – მონათმფლობელის მიერ მონის ექსპლოატაცია, ფეოდალიზმის დროს – ბატონის მიერ ყმის ექსპლოატაცია. კაპიტალიზმი არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სოციალიზმი – ადამიანის მიერ სახელმწიფოს ექსპლოატაცია, კომუნიზმი — სახელმწიფოს მიერ სახელმწიფოს ექსპლოატაცია, ასე რომ სამყაროს დედა-აზრი ექსპლოატაცია ყოფილა.

7421. ზოგ ქვეყანაში ჭორი ხშირად იმიტომ მართლდება, რომ მას ზევიდან ქმნიან, აწვდიან, ხალხის რეფლექსების, რეაქციის, შესამოწმებლად, შესაჯერებლად.

7422. სოციალიზმმა სახელმწიფოს ხარჯზე ხელგაშლილობა გვასწავლა, ხოლო კაპიტალიზმის საყრდენ ხელმომჭირნეობაზე გადასვლა და მისი გათავისება სოციალიზმის ტრადიციებზე აღზრდილებს ძალიან გვიჭირს.

7423. როდესაც დიქტატურას სჭირდება, გარეგნულად სიმპათიურიც არის და მომხიბვლელიც, მაგრამ არა შინაგანად და თავისი ბუნებით.

7424. საზოგადოებათმცოდნეობას და პოლიტოლოგიას მეცნიერებას ვერ მივაკუთვნებ, რადგან მისი კვლევის შედეგები მთლიანად დამოკიდებულია ბედზე, დროზე, შემთხვევაზე, რომელსაც თან ერთვის გაუტანლობა, ვირეშმაკობა, კარიერისთვის ბრძოლა.

7425. როდესაც მასადქცეულ ერთ ნაწილს აზროვნება დაკარგული აქვს და მეორეს – რეალობის შეგრძნება, მაშინაა საჭირო იმ ერთადერთი კაცის მონახვა, რომელიც

ქვეყანას ფეხზე წამოაყენებს და მათრახის გადაჭერას არ დაამადლის, რათა ბრბო ხალხად აქციოს.

7426. დიპლომატია პოლიტიკისგან იმით განსხვავდება, რომ პირველი იღებს გრძელვადიან სესხს, მეორე – მოკლევადიან ვალს, რომლის ყაირათიანი დაფარვა ყოველთვის არ ხერხდება.

7427. ცოდნაა თავისუფლების ძალად შეყვარების „პერპეტუუმ მობილე".

7428. თავისუფლება არის დიქტატურის სტატისტიკის ბოროტად გამოყენება არშემდგარი დემოკრატიის გასამართლებლად.

7429. იმაზე საშინელება არ არსებობს, როდესაც ქვეყნის სამართავად უნიფხვო, უვიცი ხალხი მოდის, რომლებიც ადგილის შესანარჩუნებლად არაფერს ითაკილებენ.

7430. საბოლოოდ, აგრესიის მსხვერპლი თავად აგრესორი ხდება, ამას უიმედოდ გვასწავლიან ისტორიის გაკვეთილები.

7431. საზოგადოების მართვა სქელკანიანების საქმეა, მაგრამ თუ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება გვინდა, მაშინ ქვეყნის მართვა შედარებით თხელკანიანებს უნდა ვანდოთ, ხოლო თუ სახელმწიფოს ძლიერება საფრთხეშია, მაშინ ქვეყნის მართვას სქელკანიანები დაისაკუთრებენ.

7432. მშვიდობის მთესველი ვერასდროს მშვიდობას ვერ დაიცავს, თუ ჰუმანიტარულ დახმარებასთან ერთად მუშტის ძალასაც არ აჩვენებს ქვეყანაში დარჩენილ მმართველ ვიგინდარებს, ვინც ქვეყანა ამ დღემდე მიიყვანა.

7433. საბჭოთა კავშირი იყო სხვადასხვა ხალხის საერთო საცხოვრებელი, მათ სულიერი და ეკონომიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე კი ზრუნავდნენ, მაგრამ მათი ეროვნული ხუმტურების დაოკებაზე სერიოზულად არავინ ფიქრობდა, ამიტომაც ამ წყობამ ჩვენი ჭირი წაიღო.

7434. იმ საზოგადოების არც ტრადიციები უქნია ღმერთს, არც იდეოლოგია და არც ხალხი, სადაც უპატრონო ბავშვები უყურადღებოდ დაეხეტებიან და დანაშაულს სჩადიან.

7435. საზოგადოებისთვის საშველად ერთი დიდი პოლიტიკოსის ყოლაც საკმარისია, ხოლო დასაღუპად – რამდენიმესი.

7436. ძალაუფლება დემაგოგების გარეშე წარმოუდგენელია, არ ახეირებენ.

7437. ტირანია უმოკლეს დროში ჭრის იმ პრობლემებს, რომლისთვისაც დემოკრატიას მრავალი წელი სჭირდება, ამიტომაც დროზე ადრე გადაიწვება, მოულოდნელად ემხობა და იშლება.

7438. ცივილიზებული ქვეყნები ხანდახან ჯუნგლის კანონსაც უნდა იყენებდნენ, რათა ცივილიზაცია დაიცვან.

7439. მოვალეობა და პასუხისმგებლობა მთავრობასაც უნდა ჰქონდეს და ხალხსაც, რადგან სხვანაირად ქვეყანა არ იმართება.

7440. რევოლუცია ყოველთვის იყო თავის ქვეყანაზე უგუნურად შეყვარებულ ადამიანთა და ცხოვრების ფსკერზე მყოფ ბუნებით ავანტურისტთა ხვედრი, რომელთა შორის, იშვიათად, ნიჭიერი პოლიტიკური ჯალათებიც გვევლინებიან.

7441. როდესაც ქვეყნის მმართველი კანონიერი ბელადია, მაშინ ქვეყანა ძლიერია, ხალხის ცხოვრების დონეც მაღალია და გონიც დაბინდულია.
7442. მთელი სამყარო თავისებური თეატრალური ნაგავსაყრელია, სადაც ყველა ერთმანეთს სიტყვიერ ჭუჭყში სვრის, მაგრამ სერიოზულად არავინ ისვრება.
7443. პოზიციის და ოპოზიციის უბედურება ის არის, რომ რეალური არც პოლიტიკა აქვთ, არც ეკონომიკა და არც სახელმწიფოს მართვის გეზი და ყოველივე ამ ნაკლის ამოქოლვას, ყბედობით და ვაშა-პატრიოტიზმით ცდილობენ.
7444. საზოგადოების მიერ „გალახული" ცხენების შეცვლის წინააღმდეგი მმართველობის უღელტეხილზე თავად ქვეყნის პრეზიდენტია.
7445. რევოლუციას ბრძოლის და ერთი კერპის მეორეთი შეცვლის მეტი არაფერი ხელეწიფება. ეს კი სისხლისღვრაში გადაიზრდება, ხოლო მისი შედეგები მოსაბეზრებელი და ამაზრზენი ხდება.
7446. „ღია საზოგადოება" შეიძლება იყოს ნათელი იდეების მატარებელი ეტალონი, მაგრამ რამდენად შეიძლება მას ჩვენი მენტალიტეტი ერის ინტერესებს მიუსადაგოს, ქვეყნის განვითარების პერსპექტივაზე და გარემოსთან მორგების პოლიტიკაზეა დამოკიდებული.
7447. ხალხიც ბედნიერია და ქვეყნებიც, როდესაც მასაც და მეზობლებსაც თოფი დაჟანგული აქვთ და მის გასაწმენდად ვერ იცლიან.
7448. როდესაც მოწინააღმდეგე პატივს გცემს და გერიდება, მასთან შეიძლება დროთა განმავლობაში არც თუ ისე ცუდი ურთიერთობა გაიჩარხოს.
7449. დამპყრობლის ტერიტორიის ნაწილობრივ ოკუპირებას, საბოლოოდ, დაპყრობილი ქვეყნის მომდევნო თაობები ახერხებენ.
7450. ხალხს ჰგონია, რომ ის უკეთეს ქვეყნის მმართველს უნდა იმსახურებდეს და არა უკეთეს თანამოქალაქეებს, რათა შემთხვევითობა თავზე არ წამოიჯინონ.
7451. მშვიდობის ჩიბუხის მოწევაზე ყველა თანახმაა, ოღონდ ერთმანეთისგან გამორჩენის ხარჯზე.
7452. დიპლომატია ერთმანეთის სულსა და გულში შეძვრომის მცდელობაა, მაგრამ უკანალში ძრომიალს ვერ იტანს.
7453. ძაღლს ხანდახან იმასაც უქსევენ, ვისი ნდობაც და დანახვაც მობეზრდათ.
7454. უგონობის დასამტკიცებლად, როდესაც არც ფაქტები გაქვს და არც მტკიცებანი, ყველაზე ხელსაყრელია ნაციონალიზმს ამოფარება.
7455. ძალადობის საუკუნეები სხვა ქვეყნების და ხალხების მიმართ ყოველთვის სწორად ვერ იქცეოდნენ და აზროვნებდნენ, როგორც დღეს ეს ზოგ ვაი-პატრიოტს ჰგონია.
7456. ძლიერი ქვეყანა, რაც უნდა დემოკრატიულად მოჰქონდეს თავი, ქედმაღლობას და მუშტის მოღერებას ვერ მოიშლის, სუსტი კი – მლიქვნელობას, ხელების აწევას, ფარისევლობას.
7457. სულიერება აძლებინებს სიღარიბეს და დროზე ადრე გადადგომისგან იფარავს უხეირო ქვეყნის მმართველს.

7458. როდესაც სხვას ჩვენზე გაჭირვებულს, დამცირებულს ვხედავთ, თავს ისე უბედურად აღარ ვგრძნობთ. ეს აქსიომა ცნობილია ქვეყნის ყველა ვიგინდარა მმართველთათვის, ამიტომ ისინი ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ცხოვრების საშუალო დონე მოსპონ და ხალხი მდიდრებად და ღარიბებად დაჰყონ, რათა თავად გაბატონდნენ.

7459. ყველა ქვეყანამ ცხოვრებაში თავისი გზით და მარიფათით უნდა იაროს, რადგან სხვისი კარგის მიბაძვას, შენსაზე მოურგებლად, ზიანის მეტი არაფერი მოაქვს, მითუმეტეს, თუ ამ კარგში პირველ რიგში საცუცნავს ეძებ. ამის შესანიშნავი მაგალითია სსრკ-ის და აშშ-ის ურთიერთობა: რაც ცუდი ჰქონდა პირველს, – პიროვნების და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, ცენზურა, დიქტატურა, აშშ-მა გადაიღო 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ხოლო აშშ-ის უარყოფითი: ნარკომანია, სექს-ინდუსტრია, ფულის გაფეტიშება, სსრკ-ის ყოფილმა ქვეყნებმა შეისისხლხორცეს. ასე, რომ სხვის კარგს ჭიშკარი კი არ უნდა გაუღოთ, არამედ კარებიდან შემოუშვათ, ამის შესანიშნავი დამოწმებაა ჩინეთის ეკონომიური აღმასვლა.

7460. ხშირად საზღვრები, ეროვნება, გვაქვს, მაგრამ ბრბოდ ქცეული ხალხი ხალხად აღარ უქნია და ეს რომ სახელმწიფოს გაქრობით ემუქრება, არავის აწუხებს.

7461. ყველა ქვეყანას სამართავად სოლისტი სჭირდება, მაგრამ კარგი გუნდის და ორკესტრის შექმნის გარეშე მხოლოდ მისი სოლისტობა დარჩება მოსაგონებლად და არა – ქვეყანა, ხალხი, რომელსაც სახელმწიფო ჰქვია.

7462. ბრძოლა ხალხს, ერებსა და სარმწუნოებას შორის კი არ მიმდინარეობს, არამედ ცივილიზაციასა და ბარბაროსობას შორის და ხშირად ამ უკანასკნელს თავი ყოვლისმცოდნედ და შემძლედ მიაჩნია.

7463. „პერესტროიკა" ძველი სახლის ნგრევას და ახალი სასახლის დაუგეგმავ შენებას არ ნიშნავს, რადგან სხვისი წარმატებების გამო შურისგან გახელებულებს ისე გვეჩქარება, თავშესაფრად კარვის დადგმა რომ საღი აზრის მოსმენაც არ გვინდა, იმდენად დიდია აჩემებული ჰორიზონტის დაპყრობის სურვილი.

7464. სოციალიზმს ბევრი საკითხის საინტერესოდ გადაწყვეტა-მოგვარება შეუძლია, მაგრამ არა – გადაჭრა, რადგან ის გადანაწილებისთვის არის მოწოდებული.

7465. ომს იმიტომ იწყებენ, რომ ვიღაცამ თავი გამოიჩინოს, გამდიდრდეს, ხოლო როდესაც ეს ავანტურა დამარცხებით დასრულდება, ხალხს არჩევანს უწუნებენ და კონტრიბუციასაც მასვე ახდევინებენ.

7466. საბჭოთა წყობა ადამიანის სისუსტის ჩვენებას ერიდებოდა და სიკეთისკენ მოუწოდებდა, დღევანდელი წყობა გაურკვევლობაა, სულ ადამიანის სისუსტის ჩვენებასა და საკუთარი თავის სიამოვნების მცდელობაშია, ხოლო, რა გზით და რა ღირებულების ფასად, ამას არად დაგიდევთ.

7467. ალბათ სხვა დიქტატორების მშობლებსაც ცოდვები ჰქონდათ, მაგრამ სტალინი და ჰიტლერი ლოთის შვილები იყვნენ, რომლებმაც თავისი ავი ნიჭიერების წყალობით ერთმანეთს მილიონობით ადამიანი ამოახოცვინეს, რათა სამყაროსთვის თავის დასამახსოვრებელი ისტორიული შოუ ეჩვენებინათ.

7468. უსამართლოდ ამაღლება-დაცემისგან არავინაა დაზღვეული და დაცემაზე განსაკუთრებით მაშინ უნდა ვიფიქროთ, როდესაც ჩვენი ოცნების ფრთები გაშლილია და უკან მოუხედავად ფარფატებს.

7469. ნაციონალური ინტერესები ყოველთვის მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, მაგრამ საქმის კეთებისთვის ორთავეს მოთოკვა აუცილებელია.

7470. ერთმნიშვნელოვნად მოვლენების შეფასება შეუძლებელია. სტალინს თავის დროზე რეპრესიები რომ არ ჩაეტარებინა, ვერც ბელადი გახდებოდა, ვერც ომს მოიგებდა, არც მამას დაუძახებდნენ და არც მის გარდაცვალებას იგლოვებდნენ. ამიტომ დრო უნდა შეფასდეს და არა ჩვენი საღი აზრები.

7471. ქვეყანა ძირითადად ერის შვილებით უნდა ამაყობდეს და არა ისტორიაში მოხვედრილი ვიგინდარებით, რომლებმაც საბოლოოდ როგორც თავის, ისე სხვა ხალხებს ბევრი გაჭირვება, დამცირება არგუნეს და საკუთარი ერიც გადააშენეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ჰეგემონია საუკუნეები გრძელდებოდა. (შუმერები, ძველი ეგვიპტე, რომი და მრავალი სხვა).

7472. ქვეყნის მმართველი ქამელეონიც უნდა იყოს, მაგრამ არა თავისი ქვეყნის მიმართ.

7473. ტერორიზმსაც აქვს თავის ავყია სიმართლე, განა საზოგადოება არ არის დამნაშავე, რომ მათ ისეთი მთავრობა ჰყავთ, რომელთანაც ტერორისტებმა საერთო ენა ვერ გამონახეს?

7474. უხიაგი მთავრობის დროს ვიგინდარების დოღი კი იმართება, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებული რეალურად არ გამოვლინდება.

7475. არის აზრები, სიტყვებიც, რომლის კონფისკაცია მთავრობის დადგენილებით დღეს შეიძლება უფრო მომგებიანი იყოს, ვიდრე გამოქვეყნება, შემდგომ მისი უარყოფა და მათთან ბრძოლა.

7476. საზოგადოებაზე მსჯელობა თავისებური თაღლითური თამაშია, უაზრო შეხლა-შემოხლით, მომეტებული ამბიციების ხარჯზე.

7477. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალისტებს ერთნაირი კულტურა და სხვადასხვა ცხოვრებისეული კულტები ასაზრდოვებთ, მათ შესანიშნავად იციან, რომ ბოლოს ყველაფერი ნგრევით დამთავრდება, მაგრამ ავანტურის წამომწყებნი ძალადობენ და ისტორიულ აუცილებლობას არ ელოდებიან, რითაც თავიანთ ხალხს გაცილებით ბევრს ვნებენ.

7478. სხვა ქვეყნის ხალხების მიღწევებით ემიგრანტების მიერ მათ დაუკითხავად სარგებლობა, იგივე ქურდობის ტოლფასია, რადგან ყველა თავის ქვეყანაში წესრიგის დამყარებას უნდა ცდილობდეს, რათა სამყაროს სხვა მცხოვრებმა თავისუფლად ამოისუნთქოს.

7479. როდესაც ბრბოს მიერ გაფეტიშებული კულტის მიმართ „არ მჯერას'' ბაცილა ხალხს შეეყრება, მას არც გონის მოკრეფა შველის და არც კრახიდან ქვეყნის გამოყვანის მცდელობა, სანამ ამ კულტს ყავლი არ გაუვა.

7480. პეტრე I-მა რუსეთს ევროპისკენ გაუხსნა სარკმელი, კაზაკმა ერმაკმა – აზიისკენ და გაცილებით მეტი ტერიტორია და სიმდიდრე შემატა იმპერიას, მაგრამ ისტორიამ დაფასება და პატივი სხვადასხვა არგუნა, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლე ორივემ დროზე ადრე, ტრაგიკულად დაასრულა.

7481. „პერესტროიკის" უდიდესი დამსახურება ის არის, რომ სსრკ-ში მცხოვრებ ხალხებს გადაასხა გამოსამჟღავნებელი სითხე და ექსტრემალურ პირობებში ყველა ერის შვილების და მათი მთავრობების ნამდვილი სახე წარმოაჩინა.

7482. ჩვენს ქვეყანაში თავის დროზე ყველაფერი წესრიგში იქნება, მაგრამ მანამ სიცოცხლე საფრთხეშია და დროის უკმარისობას განვიცდით.

7483. ძველი საბერძნეთის სენატში ახალი კანონის პროექტის წარმომდგენს სკამზე შეაყენებდნენ და თავს ყულფში აყოფინებდნენ. თუ სენატს კანონი არ მოეწონებოდა, სკამს გამოაცლიდნენ. დღეს რომ ჩვენი დეპუტატებისთვის მოგვეწყო ასეთი ექსპერიმენტი, ბევრი კარგი კანონი დაიწერებოდა, ან პანაშვიდებზე სიარულით გადავიღლებოდით.

7484. ეკოლოგია არის ის ძალა, რომელიც ჩვენს პლანეტას მსოფლიო პარლა-მენტს ჩაუყენებს სათავეში.

7485. თემური წყობა და სოციალიზმის იდეები, მიუხედავად მათი მიმზიდვე-ლობისა, ცხოვრებაში დიდხანს არ მკვიდრდება, რადგან საზოგადოებას უმრავლდება მოლაყბე უსაქმურები, თავისი ძველი სამსახურების გამფეტიშებელი ხალხი, რაც ახალ თაობას აღიზიანებს და უსაქმურების სასარგებლოდ თავდავიწყებულ შრომაზე უარს ათქმევინებს.

7486. საოკარია, ამქვეყნად ყველაფერი როგორ კანონზომიერად არის განაწილებული. მდიდარს ღმერთმა ქურდი და უნიჭო შვილი მოუვლინა, მექრთამეებს – პოლიცია და რეკეტი, ხოლო გონებადაბნულ ხალხს – მოლაყბე ხელმძღვანელი, რომელიც შემდგომში დიქტატორით იცვლება.

7487. როცა საზოგადოებას თავისუფლება თავზესაყრელი აქვს, მაშინ მას კანონმდებლობა და კანონის აღსრულება უნდა ჰქონდეს მკაცრი, ვინაიდან ბევრი თავისუფლება ანარქიას იწვევს.

7488. მათემატიკოსებმა საზოგადოების განვითარების ფორმულა უნდა შექმნან, რათა საზოგადოებას უშველონ და პოლიტიკოსებს პროსტიტუციისკენ მიდრეკილებისგან ხელი ააღებინონ.

7489. დიპლომატიაში გამორიცხულია მოწინააღმდეგეზე გამარჯვება ტყუილის თქმით და ლაყბობით. ამ შემთხვევაში მოგიწევს დიპლომატისათვის ასე წარმტაცი და ტკბილი კატორღის დატოვება.

7490. საზოგადოება, ადრე თუ გვიან, გამოძვრა „პერესტროიკის" კლანჭებიდან, მაგრამ რა უყოს ცუდ ემოციებს, იმ ვიგინდარა და უვიც პოლიტიკოსებს, ვინც ხალხს ასეთი სატყუარა მიუგდო.

7491. თომას მორის უტოპიური სოციალიზმის იდეები მარქსმა საფუძვლად დაუდო თავის შრომებს, ლენინმა განახორციელა, ხოლო ჭკვიანმა დენ-სიაო-პინმა ჩინეთში დაამტკიცა, რომ სოციალიზმის იდეები უტოპია არ არის. ასე რომ, ყველა დროში

სიბრძნიდან სიცრუემდე ერთი ნაბიჯი იყო გადასადგმელი, მხოლოდ იმ პირობით, ვინ გადადგამდა ამ ნაბიჯს, ბრძენი, თუ ავანტურისტი.

7492. ხელმძღვანელი თუ ხელქვეითებს თანასწორად ელაპარაკება, აინტერესებს მათი აზრი, მთხოვნელს გულისყურით უსმენს და ცდილობს დაეხმაროს, იგი ან ზევიდან გამოგზავნილი ანგელოზია, ან წყალი აქვს შეყენებული და მოსახსნელად არის გამზადებული.

7493. ყველამ შესანიშნავად იცის, რომ დიდი ისტორიული ცვლილებები ყოველთვის დრამატულად მიმდინარეობს და მათზე დიდი სიამოვნებით არაფრის მქონე და უსაქმური ვიგინდარები მიდიან. გასაკვირი ის არის, რომ ამ ორომტრიალის დროს ვისაც ყველაზე მეტი აქვს დასაკარგი, ისინიც ჩუმ თანხმობას აცხადებენ და ხშირად სათავეში მოქცევასაც ცდილობენ. ალბათ, ეს თანდაყოლილი ავანტურისტული ნიჭის ბრალია.

7494. ძალაუფლება რყვნის ხელისუფლებას, ეს უკანასკნელი – ხალხს, რომელიც ბრბოდ გადაიქცევა და გარყვნილი ძალაუფლებიდან არაფერს ტოვებს, რათა თავი უფრო გადაიგვაროს. ამის შემდგომ მოდის გაურკვეველი მმართველობა, რომელსაც დემოკრატიული დიქტატურის დამყარების სურვილი უჩნდება.

7495. საზოგადოების პროგრესის ტემპის დაჩქარებაში და დამუხრუჭებაში წინა თაობაა დამნაშავე, რომელმაც სანახაობებზე სიარულს უკლო და მუზის მსახურნი აიძულა მოუმწიფებელი თაობისთვის კულტურის სუროგატი შეეთავაზებინა, რადგან მათი ნახლაფორთალის შემფასებელი და გადამხდელები ისინი არიან, ხოლო ტელევიზორს მიჯაჭვულ, გაზარმაცებულ, თაობას უკვირს, ეს რა უგვანობას აჩვენებენო, ის კი ავიწყდება, რომ „მუსიკას ის უკვეთავს, ვინც იხდის".

7496. თანამოაზრეთა ტერარიუმის არსებობაც აუცილებელია საზოგადოების განვითარებისთვის, მაგრამ მთავარია ვინ მართავს ტერარიუმს და ვის კანონებს ემორჩილება.

7497. ჩინოვნიკები და ბიუროკრატები ერთი ხელსაწყოთი არიან გაკეთებულნი. ისინი მოკვდავის თხოვნაზე არ რეაგირებენ, ხშირად თანამდებობას კარგავენ, იშვიათად ციხის კარებსაც მიადგებიან და განტევების ვაცის როლს ასრულებენ, მაგრამ შინაგანად მაინც გულქვა მოხელეებად რჩებიან.

7498. მღვრიე წყალში თევზის დაჭერა კი შეიძლება, მაგრამ დანახვაა ძნელი, არ იცი, თევზის მაგივრად რას ამოიღებ, ამის შესანიშნავი მაგალითია ჩვენი "პერესტროიკა".

7499. როგორი ამბიციურებიც არ უნდა ვიყოთ ჩვენი მთავრობის მიმართ, მათი ამბიციები ხალხის მიმართ გაცილებით მეტია, რაც მათ უსუსურობაზე მიუთითებს.

7500. კრეტინად უნდა ჩაითვალოს ის, ვინც რევოლუციების, "პერესტროიკის" დროს სათავეში მოსული ვიგინდარების მიერ ნაუცბათევად შეთითხნილ კანონებს პატივს სცემს და ასრულებს. შედეგი – ცარიელ-ტარიელად დარჩენა.

7501. რა ქნას რუსეთმა, თუ განგებამ მისი უკიდეგანო ქვეყანა პოლიტიკური და ეკონომიური პოლიგონის ლაბორატორიად გადააქცია და მსოფლიოს უნდა დაუმტკიცოს პრაქტიკული მაგალითების ჩვენებით, თუ როგორ არ უნდა იცხოვროს სამყარომ.

7502. კოლმეურნეობებს და კაზაკურ მეურნეობებს შორის დიდი სხვაობა არ იყო. სტალინს რომ არ ეჩქარა და ამ მეურნეობის მართვა თავისებურად განევითარებინა სხვა რეგიონებშიც, დღეს სოციალიზმის პრინციპებიც გაამართლებდა და სსრ კავშირიც არ დაიშლებოდა.

7503. დღევანდელ ომობანას თამაშში გაურკვეველია, ვინაა მტყუან-მართალი. ამ საკითხს ახლებური "მსოფლმხედველობით" უდგებიან, მაგრამ ომის წარმოების ჭეშმარიტება ძველი რჩება: ხალხი იხოცება, გამარჯვებული კი ყოველთვის მართალია.

7504. სამყაროს გონიერების, ჩვევის, ქცევის წესები და საუკუნოებით მოპოვებული კულტურა, საკაცობრიო უგუნურებაზე შემოსკუპებულმა უბაზისო „პერესტროიკამ" თავდაყირა დააყენა და ყოველივე თავიდან დასაწყები და შესაცვლელი გახადა.

7505. „ზვიადიზმი" დამონებული ხალხის შვილების და შვილიშვილების განთავისუფლების შედეგია, რომლებსაც რეპრესიების შესახებ მხოლოდ მონაყოლი დილეტანტის ცოდნა აქვთ. ამ ნერვებაშლილი ხალხის გამოხტომის შედეგია „ზვიადიზმი", რომელმაც ისიც კი არ უწყის, რომ ამ გაფეტიშებამ მიიყვანა მეწაღის შვილი დიქტატორობამდე.

7506. სოციალიზმისთვის უშრომელობის პრობლემები არ არსებობს, მისი ამოცანაა დასვენება კაპიტალიზმის მიღწევებზე და მისი მონაპოვრის გადანაწილება.

7507. ქრთამის ოდენობა და თანამდებობის მოცდენის საშიშროება მოხელეს სინდისისთვის ადგილს თითქმის არ უტოვებს.

7508. რევოლუციას ის ხეირი მოაქვს, რომ ადამიანებს დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევს, რათა შემდგომში სასწრაფოდ დაივიწყოს.

7509. თუ ავადმყოფობა და ნერვების დაწყვეტა არ გინდათ, უნდა ისწავლოთ ყოველგვარ პარტიების, დაჯგუფებების, თანამოაზრეების მიმართ განურჩეველი დამოკიდებულება.

7510. რატომღაც გამარჯვებული ყოველთვის მართალია, თუ დამარცხებულმა სამაგიეროს გადახდა ვერ მოახერხა, ეს ძალადობა გამართლებულია და მას ისტორია ურთიერთობის ეტალონად წარმოგვიდგენს.

7511. საკონტროლო პუნქტი საყოველთაო ისტორიასაც უნდა ჰქონდეს, რათა ერთის წარსულის სიდიადემ მეორის წარსულის სიდიადის შური არ გამოიწვიოს და მომდევნო თაობებს თავიანთი წარსული საკამათო და საჭიდაო არ გაუხადონ.

7512. ინტელიგენცია ხშირად ბუნებით უნებისყოფოა, თუ სარგებელს ნახავს, შეუძლია ყველას მიეყრდნოს, შეხედულებები ხშირად იცვალოს და ყველაფერს გამართლება მოუძებნოს.

7513. საქმიანობა ჩვენი გადადგომის შემდეგ ფასდება და არა ჩვენი მოღვაწეობის დამთავრებისას.

7514. ნაციონალიზმის ბოდვა ბოლომდე არ უნდა იწამოთ, რადგან ის მაინც გაკოტრების კანდიდატია.

7515. ყველა რევოლუცია გასართობი შოუთი იწყება და ტირილით მთავრდება. მისი დაწყების მიზეზია ის, რომ დამყაყებული ცხოვრება ყველას სწყინდება და უმოძრაობის შედეგად დაგუბებული პოლიტიკურად დაბოღმილი სისხლი გამოშვებას მოითხოვს, შედეგად ვიღებთ უპასუხისმგებლო ხალხს და ზნედაცემულ მთავრობას, ან პირიქით, ორივეს ერთად.

7516. ყველა ჩვენგანი უნდა იცავდეს საზოგადოების წესიერებას, რომ არ მოხდეს მისი ხელყოფა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იწყება სხვადასხვა რევოლუციები, რომელსაც საზოგადოება მიჰყავს უბედურებამდე, ხოლო მომავალი თაობა გაუგებრობამდე, მათ კი საბოლოოდ ამ სტრესიდან გამოსვლა უჭირთ.

7517. ნაციონალურ საკითხში მტყუან-მართლის გარჩევა შეუძლებელია და აქ ალტერნატივა არ არსებობს. ძლიერ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ამ მუხტის ამომფრქვეველ ღილაკზე უნებლიედ ფეხის დადგმა არ მოგვიხდეს.

7518. საზოგადოება უნდა გადავარჩინოთ ზნეობრივი დეგრადირებისგან, როდესაც ის იმაზე მეტს მოიხმარს, რაც სჭირდება და იმაზე მეტს მიირთმევს, რაც მისთვის არის განკუთვნილი.

7519. მივცეთ ჩვენს ისტორიულ ფესვებს დასვენების საშუალება, მოვეშვათ არაფრისმომცემ ფანტაზიას, რევოლუციებს, "პერესტროიკებს" და 10-15 წელიწადში სახელმწიფოც გვექნება, დემოკრატიაც, შევინარჩუნებთ კულტურას, ახალსაც შევიძენთ და არც ჭაობად გადავიქცევით.

7520. საზოგადოებაზე ხელი არ უნდა ჩაიქნიოთ და ეცადოთ მათთან ერთად იცხოვროთ, მიუხედავად იმისა, ეთანხმებით თუ არა მათ აზროვნებას, იმ შემთხვევაში თუ თქვენი ნიჭიერება ამ ხალხის საქმიანობაზე მაღლა დგას, ეცადეთ იმ რელსებზე გადაიყვანოთ, რომელიც თქვენთვის მისაღებია.

7521. იმ სახლის კედლები, რომელიც ცუდ საძირკველზე დგას, შეკეთებისას სკდება, ჯობს შეკეთება შევწყვიტოთ, სახლი დასანგრევად მოვამზადოთ და როდესაც მოვღონიერდებით, ყველაფრის კეთება თავიდან დავიწყოთ.

7522. ბრბო ყოველთვის თავისი დროის ერის მამას კლავს, ხოლო დიქტატურის ბაბუას ფეხებში ეგება, რადგან მას იმდენი აზროვნება არ ჰყოფნის, ამ კაცის გვერდით იაროს და ღირსეულად იცხოვროს. მას ურჩევნია მასზე იარონ და რაღაც მიუგდონ.

7523. ღირსება და მისთვის სიკვდილი ყოველთვის ერთი და იგივე არ არის, ეს თვითონ ადამიანმა უნდა განჭვრიტოს და ფეხის ხმას, პატრიოტულ ახურებას არ აჰყვეს.

7524. ქვეყანას წითლების, ცისფერების თუ პროლეტარიატის შეერთება სულერთია დაღუპავს, ამიტომ საზოგადოება თავის სიფრთხილეს უნდა გამოხატავდეს ყველა დაჯგუფების და შეერთების მიმართ.

7525. ძალაუფლების მოსაპოვებლად ხალხთან ერთად მონად უნდა იქცე, მაგრამ რომ შეგამჩნიონ, უნდა იყვირო და იხმაურო.

7526. რუსეთი 12 ივნისს თავისი კოლონიებიდან განთავისუფლების დღეს აღნიშნავს. აქ არავითარი ცინიზმი არ არის. კოლონიები ცხოვრებას ალღოს უღებენ, წურბელებს ემსგავსებიან და დამპყრობელს სისხლს სწოვენ, ვითომ მისი

გაჯანსაღების მიზნით. ჭკვიანი დამპყრობელი – ინგლისი ამას თავის დროზე მიხვდა და გონს მოეგო.

7527. ხანდახან სამხედრო სამსახურს ნაციონალური იდეებით გატუტუცებულნი კი არ ლამობენ ომს, არამედ ისინი, ვინც ერის მმართველ ელიტას უნდა წარმოადგენდნენ და ყოველივე ღონეს უნდა ხმარობენ, რათა ომი არ ატყდეს მეზობლებში.

7528. ომი ის ფენომენია, რომელიც უცხო ადამიანებს აღაგზნებს ერთმანეთის უკეთ ამოსაჟლეტად, ცივილიზაციის რაც შეიძლება მომეტებული მიღწევების ხარჯზე.

7529. ყველა პროვინციული კომპანია, განვითარებული სისაძაგლის წინააღმდეგ, ადამიანური გრძნობების შესანარჩუნებლად და მომავალი თაობის სულის გადასარჩენად არის მიმართული.

7530. თუ ერთ მოჩხუბარ მხარეს უნდა თავისი რისხვა შერიგებით შეცვალოს, მარტო მისი სურვილი ამისთვის საკმარისი არ არის.

7531. სოციალიზმის კრახის მიზეზი მის სწორხაზოვნებაშია. ის არ იძლეოდა საშუალებას ხალხს თავის წარმოსახვით საქმიანობაში შეცდომები დაეშვა და ფეხი წაეტეხა. იგი ყოველივეს მზამზარეულს სთავაზობდა. მიუხედავად ამისა, ბევრი მისი პოსტულატი დღესაც მისაღებია და ნოსტალგიას იწვევს (ეკოლოგიური პროდუქტები, გეგმიური წარმოება, რეალიზაციის პრობლემა, რეკლამა და სხვა).

7532. ნაციონალისტი შეიძლება იყოს დებილიც, მავნეც და ისეთიც, რომელიც თავს არასდროს ივიწყებს, ყოველ შემთხვევაში, ამ ჯგუფის სხვა სახეობა მე არ შემხვედრია.

7533. შემოქმედება, ხელოვნება, თავადაა პოლიტიკა, მართალია, პასიური, მაგრამ გაცილებით აღმაფრთოვანებელი და წინდახედული.

7534. ტერორიზმი სამყაროში მცხოვრებ იმ ხალხის სტიქიური უბედურებაა, რომელთა გულგრილობის მიზეზითაც საზოგადოებაში ამ სახის დანაშაულმა ფეხი მოიკიდა.

7535. ტერორიზმს საძრომიალო ალიბი არ უნდა დავუტოვოთ, თუ გვინდა მას ვებრძოლოთ და გავანადგუროთ.

7536. თანამედროვე ტერორიზმი ეს არის ბანდიტიზმი ალიბით და „მასმედიის" რეკლამით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მხოლოდ ბანდიტიზმად დარჩებოდა და მასთან ბრძოლა გაცილებით ადვილი იქნებოდა.

7537. ძირგამომთხრელი საქმიანობა ძალაუფლების მოსაპოვებლად ისტორიისთვის აუცილებელია და ბოროტებად არ ითვლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება დამყაყდებოდა, გადაშენების წინაშე დადგებოდა, ასე რომ, ბოროტებაც საუკუნეების თავისებური აზროვნებაა.

7538. ცივილიზაციის საწყისი მსხვერპლთშეწირვა იყო და ადამიანი მას დღესაც ხარკს უხდის. ამის მაგალითია დღევანდელი ომობანას და ტერორიზმის თამაში და ამდენი და უდანაშაულო ადამიანთა უმიზნო მსხვერპლი, რომელიც განგების და ბუნების ყოველგვარ კანონს ეწინააღმდეგება.

7539. რევოლუციის კომედიურობა თუნდაც იმაში მდგომარეობს, რომ მისი ძირითადი კანონი რაღაც აკვიატებული იდეებისთვის ერთმანეთის დაჭმა და ამოხოცვაა, რომელზედაც რეალური წარმოგენაც კი არ აქვთ.

7540. სოციალიზმი დიდებული წყობაა, მაგრამ გაჭირვებას, სიტყვის თავისუფლებას, ტექნიკური პროგრესის უგულვებელყოფას, სათავეში ვიგინდარების ყოფნას და უწესრიგობას ვერ იტანს. მაგრამ საზოგადოება არ წყალობს, რადგან მათ პირველ როგში თავის ჭკუაზე ცხოვრება უნდათ.

7541. გენოფონდის და მშვიდობის შენარჩუნება ყველაზე დიდი პატრიოტიზმია, რომელიც ხანდახან სულიერების შელახვის ხარჯზეც ხდება, მაგრამ ვერავითარ ხმლის ქნევას ვერ გავამართლებთ, რომელიც საბოლოოდ შედეგს არ იძლევა.

7542. გლობალიზაციას წინ ვერაფერი აღუდგება, გარდა ჩვენი მენტალიტეტისა და ეროვნული თავმოყვარეობისა, რომელიც მეტნაკლებად ყველა ხალხმა უნდა შეინარჩუნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრება გაჭირდება, ხოლო სამყაროს პეწიც დააკლდება და შემფასებელიც.

7543. სახელმწფოებრიობის და კერძოდ, სსრ კავშირის დაშლა, ქუჩის ფაქტორია და არა – გონიერებისა და განსჯის, რადგან ქუჩას თადარიგში ყოველთვის ჰყავს ბედის მაძიებელი ვიგინდარები, რომლებიც ყველაფერზე თანახმა არიან, ოღონდ სხვის წინ თუნდაც ერთი დღით ითოხარიკონ.

7544. ინტელიგენცია როდესაც ქუჩაში გამოდის, იმ ქვეყანაში „ავარიაა" და მას კაპიტალური რემონტი სჭირდება.

7545. დიპლომატის გენია მაშინ ვლინდება, როდესაც არგუმენტების მოშველიებით მოწინააღმდეგეს თანამოაზრეების და მომხრეების გარეშე დატოვებ.

7546. მე-20 საუკუნე იყო დიქტატორების და პიროვნებების საუკუნე, სადაც ძმური კავშირი იყო დამყარებული სიკვდილსა და დიდებას შორის.

7547. ცივილიზაციის შედეგად ცხოვრების დონე რაც უფრო მაღალია და მის სიკეთეში ეჭვი არ ეპარებათ, სახელმწიფოს წყობაც მით უფრო სათუთია და მსხვრევადი, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ხალხი ეჭვიანობით არის დაავადებული. გამოთიშეთ რუსეთ-საქართველოში ორი კვირის განმავლობაში სინათლე და აქ სერიოზული არაფერი მოხდება, იგივე ქმედება აშშ-ში და მთავრობის შეცვლა, ეკონომიკის კრიზისი და საერთო ქაოსი გარანტირებულია.

7548. დემოგრაფიული აფეთქების მიზეზი სიღარიბეა და იმის შეცნობა, რომ ბავშვების დასაქმება უფრო ადვილი და იაფია ღარიბ ქვეყნებში. ამასთან განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა მისდა შეუცნობლად ეგვიპტის და რომის იმპერიების მსგავსად ადგილს უთმობს განვითარებადი ქვეყნების აქტიურ მოსახლეობას, რომლებიც აბორიგენების ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ისინი უკვე სხვა ახალი ერის შვილები არიან.

7549. მბრძანებლად დაბადებული ბოლომდე საქმის კარგი შემსრულებელი ვერ იქნება და პირიქით, რადგან ერთს ამას უფლებას ამპარტავნული გონება არ აძლევს, ხოლო მეორის ამბიციებს ორგანიზებული ნიჭი და შემართება არ ჰყოფნის.

7550. კომუნიზმი იმ ქვეყნებში შენდება, სადაც ამაზე სერიოზულად არც უფიქრიათ, იქ წესრიგი და ბიზნესი ისე დაუძალებლად ჩაეხუტნენ ერთმანეთს, რომ შერწყმა არც კი უგრძვნიათ.

7551. კაპიტალიზმის ვიტრინების გამოფენა სოციალიზმის ხერხებით არ ხერხდება, ისევე როგორც კერძო საკუთრებისა – კომუნისტური მეთოდებით.

7552. სამართლებრივი აზროვნება, თავის სივრცე ჭირდება, სადაც კლიმატი პოლიტ-ვიგინდარებიდან გასუფთავებას მოითხოვს, რათა წინა მთავრობის მინისტრები ოპოზიციაში არ იყოლიოს.

7553. ქვეყანაში, რომლის მმართველობაშიც დღეს „ბორდელია", ხვალ კომუნიზმის აშენება არ გამოვა, ოცნების საწყისში რაც უნდა საიმედო გამოიკვეთოს.

7554. ქვეყნის ჭკვიანმა მმართველმა ღარიბი და დოტაციური ნაციონალური ტერიტორიები დროულად უნდა მოიშოროს, რადგან მათ მუქთად ინახავს, ბაზრებს უთმობს, მაგრამ ისინი მაინც უკმაყოფილონი არიან და თუ გაგიჭირდა მათი შენახვა, გადაგიდგებიან, ვალსაც დაგადებენ და გულსაც დაგამადლიან.

7555. სადაც საზოგადოება არ არის ფხიზლად, იქ მმართველი ყოველთვის შეეცდება იმაზე მეტი მიითვისოს, რაც არ ერგება და ირგვლივ მყოფთ თავი დაამახსოვროს, ხოლო სადაც სიფხიზლეა, იქ მსახურობენ თავის წარმოსაჩენად და იმისთვის, რომ გულმავიწყმა ისტორიამ დაიმახსოვროს.

7556. ეთიკის და მორალის დაცვა აუცილებელია, მაგრამ მართვის საქმეში თუ სახელმწიფო ეფექტურობით ვერ გამოირჩევა, ის იძულებულია კანონი გაამკაცროს, უხეში გახადოს.

7557. ომი მასობრივი ღონისძიებაა და გამარჯვების შედეგად არმია ირყვნება, თუ მას პოლიციის ფუნქციებს აჰკიდებენ და პარტიზანებს და ტერორისტებს შეუსევენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სამუშაო ერთმანეთს ჰგავს. მაგრამ მათი აღრევა დაუშვებელია, რადგან პირველს უცნობ მტერთან აქვს საქმე, მეორეს ნაცნობ ვაი-მოყვარესთან და მათ შორის მაძებრის ნიჭის ხვედრია მტერ-მოყვრის გარჩევა.

7558. ცივილიზებული ფუფუნებისკენ გადამეტებული მისწრაფება შუა სქესის მომრავლებასა და საზოგადოების გადაგვარებას იწვევს, ხოლო ის პურიტანული ქვეყანები, რომლებიც ამ „მომხიბვლელობისგან" თავს იკავებენ და მხოლოდ პროგრესულს იღებენ, ამ ფუფუნების გარეშე ძლიერდებიან.

7559. იმ ქვეყანაში, სადაც საზოგადოებრივი აზრი და უფლება-მოვალეობის შეგნება არ არის, ლაპარაკი დემოკრატიაზე, პროგრესზე და ეკონომიკაზე ზედმეტია.

7560. იმპერიისთვის წვრილმანია მომავალი თაობის და ხალხის ბედი, რადგან სახელმწიფო ჰეგემონიაა გაფეტიშებული, რასაც მომავალში მსხვერპლად ეწირება იმპერია.

7561. ანტისემიტიზმის ბაცილა იმ ქვყნებში ვრცელდება, რომლებსაც ნიჭმოკლებული მოქალაქენი ან შეზღუდული გონების მქონე, ბრბოს მიერ არჩეული, ქვეყნის მმართველი ჰყავთ.

7562. ზედმეტ ცივილიზაციას გარყვნილებამდე მივყავართ, გარყვნილებას გულგრილობამდე, გულგრილობას ქვეყნის ნგრევამდე, მაგრამ უკან მოხედვას და უკან დახევას არავინ ფიქრობს. შედეგად, ღმერთი ყველაფერს გვაზღვევინებს და ყოველივე თავიდან დასაწყები და საწვალებელი გახდება.

7563. თავისუფალი ადამიანი სულ სხვანაირად, მომავლის იმედით სუნთქავს, მაგრამ გადის დრო, რომელიც ოცნებას გადააყოლე, ხელების დაკაპიწება დააგვიანე და სხეულმა მისთვის აუცილებელი რამ, საკვები მოგთხოვათ, მაშინ იწყება ქვეყნის ჭრაჭუნი და განტევების ვაცის ძებნა, რომელიც საქმის კეთებისთვის დროს არ ტოვებს.

7564. ტიმოკრატია – (საკუთრების ცენზის დადგენა) მოქალაქეთათვის აუცილებელია, თუ გვინდა ამ საზოგადოებამ დიდხანს იარსებოს ყოველგვარი სტრესების გარეშე.

7565. სანამ რუსეთი ლენინის თამადობით კომუნისტებს ნახავდა, დაბნეული იყო და გზის გარკვევა უჭირდა, დაიკარგნენ კომუნისტები და მომავლის სიო საით უბერავს, დღემდე ვერ გარკვეულან.

7566. საზოგადოება იდეოლოგიის და რწმენის დუღაბის გარეშე ქვიშის გორას მოგვაგონებს, რომელიც უყალიბოდ ვერ იარსებებს, რადგან ენთუზიაზმი და სოლიდარობა ვადაზე ადრე ქრება.

7567. ბრბოს ზედმეტი წესიერება არ მოსწონს, მაგრამ ამით ამაყობს.

7568. ნაციონალიზმი ვიგინდარების ხელში კარიერიზმის და მომხვეჭელობის სინონიმია, ხოლო დოყლაპიებისთვის – ტაშის დაკვრის გამართლების საშუალება.

7569. პასიურ შთამომავალს დაუბრუნოთ მისი წინაპრის ქონება, წინა მთავრობის მიერ ექსპროპრიირებული, მთლად სამართლიანად არ გამოიყურება, რადგან მისმა მფლობელმა თავის დროზე მათი დაცვა და უსამართლო მთავრობის მოსვლა ვერ აღკვეთა. ეს იგივეა, კაზინოში ფული შენი უხიაგობით წააგო და წაგებულის დაბრუნება შენმა შთამომავალმა უკან მოითხოვოს.

7570. დიქტატურას და დემოკრატიას ორთავეს ცოდნა სჭირდება, სად უფლება და კანონია გამოსაყენებელი, სად – ძალა და მათრახი. მთავარია არ გადაამლაშო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის მართვა გაჭირდება.

7571. ევროპის ცივილიზაცია, ალბათ, მომავალში გადაყვება იმ ცოდვას და პროგრესს, რაც მან დედამიწის სხვა კონტინენტებზე შეიტანა.

7572. როდესაც ქვეყანა თავის წამყვან ბორბლებს ვერ მართავს, საკუთარი ველოსიპედი მაინც უნდა შეიძინო, რადგან ასეთ მემანქანეზე დანდობა ძნელია.

7573. ცხოვრება ბუნტის თეატრს წარმოადგენს, სადაც უინიციატივო ქვეყნის მმართველის მიზეზით დამყაყებულმა ბრბომ, რომელიც გამოუცდელობის გამო არაფერი არ გამოსდის, ყველაფერს ედება და უარეს მდგომარეობაში ვარდება, შესაძლებელია ყოველგვარ „პერესტროიკას" მხარი დაუჭიროს.

7574. თვითმყოფადობა საზოგადოების გარკვეულ ეტაპზე მუხრუჭად ევლინება ქვეყანას, მაგრამ ძველ ტრადიციებთან ახლის შერწყმა აუცილებელია ქვეყნის სტაბილურობისა და წინსვლისთვის (მაგ. იაპონია, ჩინეთი).

7575. თუ პიროვნების შრომას ხალხი არ აფასებს, ის საზოგადოება ქვეყანას შვებას ვერ მისცემს.

7576. ცეზარის მზარეულმა, სტუმრები რომ გაეკვირვებინა, მოხარშულ კიბორჩხალებს ცოცხალი კიბორჩხალა შეურია და ისეთი შთაბეჭდილება შექმნა თითქოს სინაზე კიბორჩხალები მოძრაობდენ. სწორედ ასეთი სახელმწიფოს მმართველნი მართავენ დღეს სამყაროს მრავალ ქვეყანას, რომელთა მოსახლეობის გონება ამდაგვარი ილუზიებით იკვებება და უსაქმურობითაა გადახარშული.

7577. პროგრესს და რეგრესს თავისი მიზანი აქვს და დროთა განმავლობაში ერთმანეთს ცვლიან, მაგრამ საზოგადოების განვითარებისთვის ჯობს მათ ერთმანეთის გვერდზე იარონ და ერთმანეთი აკონტროლონ, რადგან მის სიკეთეს ის საზოგადოება განსჯის, რომელსაც განგება თავისი სიამოვნებისათვის მისივე ხუშტურებით მართავს და ადამიანის წინასწარ გათვლილს თავის ჭკუაზე აკანონებს.

7578. ის ქვეყანა, საზოგადოებაა ელიტარული და მარადიული, სადაც მათ მოქალაქეობას ფული და რეკლამა არ აცდუნებს, გონიერებას არ უმღვრევს, სულს არ ურყვნის, რადგან კერპის, სათაყვანებელის მოწონება, პატივისცემა მუდმივია, ხოლო სიყვარული და გაფეტიშება მოდის ყივილია და დროებითი.

7579. საზოგადოებას არავის ვალი და ვაზში არ აქვს, გარდა – ჩვენს შორის ქვეყნის სამართავად საუკეთესოს შერჩევისა, რათა საშუალება მოგვცეს მას ვემსახუროთ ჩვენი გონიერების და ბედის შესატყვისად.

7580. განსწავლულობა, მოთმინება, გონიერება, ურთიერთსიყვარული, კომპრომისების ცოდნა, რამდენ პარაზიტულ პროფესიას ჩამოაშორებდა საზოგადოებას, რომელსაც დღეს მუქთად ვინახავთ და მათ გარეშე არსებობა არ შეგვიძლია: პოლიცია, ჯარი, პოლიტიკა, ვექილი და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა.

7581. არაპოპულარული რეფორმების გატარება გარჯის მომატების ხარჯზე უნდა მოხდეს და არა ცხოვრების დონის გაუარესების და გართობის შემცირების ხარჯზე.

7582. მოხელეს ჭკუა რომ ვასწავლოთ, მისი გადაწყვეტილება კოლექტიურად უყურადღებოდ და მისი ყველანაირი ყეფა და კბენის მცდელობა რეაგირების გარეშე უნდა დავტოვოთ.

7583. ძალაუფლება მაშინ გვისმენს, როდესაც მის ამბიციებს ჭკუა ემსახურება და ფონს უქმნის.

7584. უხიაგ ქვეყანაში ყოველთვის არის გმირობის ჩადენის შესაძლებლობა, თავისი წუთიერი გაფეტიშებით და სამუდამოდ დავიწყებით.

7585. ისტორიას თავქარიანები ქმნიან გულგრილი ხალხის ხარჯზე, რომლებმაც სტატისტის და გამკიცხველის როლი მიისაკუთრა.

7586. ქვეყნებს შორის საზღვრების დაწესება შესაძლებელია, მაგრამ ხალხებს შორის – შეუძლებელი, თუ მათი ურთიერთობა სიკეთის საძირეზეა იყო დამყნობილი.

7587. ჩვენს პლანეტაზე ბევრი დამოუკიდებელი ქვეყანაა, მაგარამ მათში სახელმწიფოებრიობის შექმნა ერთეულებმა მოახერხეს, ხოლო დანარჩენი ქვეყნებიდან

რამდენი იქცევა სახელმწიფოდ, ძნელი სათქმელია, იმდენად დიდია ხალხების ბუნების სხვაობა და გარეშე თვალისთვის შეუმჩნეველი მენტალიტეტი.

7588. სახელმწიფო ქალი არ არის, რომ გვიყვარდეს, მას პატივს უდა ვცემდეთ, მაგრამ პასუხსაც უნდა ვთხოვდეთ.

7589. ქვეყნის ისტორიის არასასურველი გვერდები არ უნდა ამოვყაროთ, მაგარმ არც ბრბოს არ უნდა დავანებოთ საჯიჯგნად, რადგან ანალიზის გაკეთების თავი მას არ აქვს, ისე კი სახეიროს ვერაფერს გაიგებს.

7590. ყველა ჯანყი ოპტიმიზმის აფეთქებას იწვევს, რომელიც თანდათანობით პესიმიზმში, გულგრილობაში გადაიზრდება და გაწბილების სილის გარტყმით მთავრდება, რადგან ქვეყნის მართვის სადავეებს ძველი მმართველი ელიტა იპყრობს, რომელმაც სიტყვით ძველი ყოველივე დაგმო, ხოლო ახლებური მართვის არაფერი გაეგება და ცხოვრება ისევ ჭრაჭუნ-ჭრაჭუნით მიდის.

7591. თავისუფლებასაც თავის პარამეტრები აქვს და აქ ყველაფრის დაშვება და ხინჯის შეუმჩნევლობა საზოგადოებას რყვნის და სახელმწიფო წყობის გადაგვარებას იწვევს.

7592. საზოგადოება, რომელიც თავს არ იტკივებს ქვეყნის ეკონომიკაზე, ბიუჯეტზე ფიქრით, მას უფლება არ აქვს მოითხოვოს სამართლიანი და მაძღარი ცხოვრება და მთავრობას უსაყვედურროს, რადგან ეს მმართველობა მისი გულგრილობის და უგერგილობის შედეგადაა მოსული.

7593. საზოგადოებას, განვითარების გზაზე, ბევრ შემთხვევით და მისთვის გაუგებარ კულტურასთან მოუხდა შეხვედრა, რომელიც თანდათანობთი დაიწმინდა, დაღვინდა და კლასიკად იქცა, რათა სხვა ამგვარ ახალ კულტურებს გაეცნოს, დაადუღოს და თანამედროვეთა გემოვნებას დაუმორჩილოს.

7594. ხშირად ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის მეოცნებე მოქალაქენი ვართ და იმის მაგიერ, რომ სულით თავისუფალნი ვიყოთ და საქმეს სიყვარულით დავემონოთ, დროს ყბედობაში და კინკლაობაში ვატარებთ.

7595. საზოგადოების მენტალიტეტსა და მრეწველთა კულტურას შორის ის მსგავსებაა, რომ მათ ერთმანეთს უნდა გაუგონ, მხარი დაუჭირონ და საჭიროების შემთხვევაში მორალურად და მატერიალურად დაეხმარონ.

7596. დემოკრატია სადღესასწაულო პროცედურაა, რომელიც ძალადობის გარეშე აღწევს თავის სურვილს.

7597. საზოგადოებას არასოდეს არ ჰქონდა უნარი, გონივრულად პასუხი მოეთხოვა მთავრობისათვის, რომელიც მისი წყალობით თავზ წამოასკუპდა ის თავის უკმაყოფილებას მუდამ სტიქიური გადატრიალებებით, რევოლუციებით მოიმოქმედებდა და მუდამ გაწბილებული ცხოვრების „აფსაიტში" რჩებოდა.

7598. ფიქრი იმაზე, რომ შენი პარლამენტი გყავს, სულს უხარია, მაგრამ მათი ყურება და მოსმენა საზიზღრობაა, ხოლო მათზე გავრცელებული ჭორები შოკს იწვევს. ისე კი არავინ იღუპება, რადგან სერიოზულად არავინ ნერვულობს.

7599. სოციალიზმი იდეოლოგიას გვიფეტიშებს, კაპიტალიზმი – ფულს, გონიერ საზოგადოებაში ორივე „იზმი" პატივისცემამდე დადის, შეჯერდება და პერსპექტივაში ეკონომიკის ბერკეტების მცოდნე კომუნიზმად მოგვევლინება.

7600. საზოგადოება მაშინ იქმნება, როდესაც ყველას საკუთარი თავის იმედი აქვს, განსჯას არ გაურბის და საჭიროების შემთხვევაში საერთო მხარდაჭერას გრძნობს.

7601. ფორმულა: "გვინდოდა გვეცხოვრა და გამოვიდა, როგორც ყოველთვის, უარესად", ეს იმის მიზეზია, რომ საზოგადოების განვითარების ეტაპს ვახტებით, ვჩქარობთ, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის გაკვეთილებზე ფეხმოტეხილი გვიხდება სიარული.

7602. ამერიკელები თავიანთ პრეზიდენტს იმპიჩმენტს ზედმეტი სექსუალური ენერგიის დასაოკებლად უწყობენ, ხოლო სხვა ქვეყნები ზნეგადასული პოლიტიკური იმპოტენციისთვის.

7603. საოცარია საზოგადოების ყოფა: ცუდად ცხოვრობენ – ქურდობენ, ყაჩაღობენ. კარგად ცხოვრობენ – იჩხირავენ, ირყვნებიან. საშუალო ფენამ კი ეს მუქთახორები უნდა არჩინოს.

7604. წინა წყობა ზოგიერთში ნოსტალგიას იმიტომ იწვევს, რომ კომუნისტები სიხარულს და იმედს არ აკლებდნენ ხალხს, თუმცა მახინჯი ფორმებით, ხოლო ფსევდოდემოკრატებმა სიცოცხლის აზრის ეს კომპონენტი მოსპეს და ხალხი იძულებულია მომავალს მდიდარი მეზობელი ქვეყნების იმედით უყუროს.

7605. ბრბოს მხოლოდ ოვაციები შეიძლება გამოსტყუო, ის ყოველთვის გამარჯვებულის მხარეს არის, თავის ტაშს და შეძახილებს არ მოგაკლებს, ოღონდ საქმეს და დახმარებას ნუ მოსთხოვ.

7606. თუ კანონის დარღვევას არავინ ცდილობს, არც ხეირს იძლევა და ვერც ხოშს გისწორებთ ე.ი. მან თავისი დრო მოჭამა, ან სასწაული მოხდა და ხალხი იქცა საზოგადოებად.

7607. საზოგადოების მდორე განვითარება, უსახსრობა და ზოგიერთი სარწმუნოების დოგმები, უამრავ ნიჭიერ ადამიანს გვაკარგვინებს, რომლებსაც შეეძლოთ სამყარო გაეოცებინათ. თავის დროზე ფორტეპიანოს უქონლობამ და მაჰმადიანური სარწმუნოების დოგმამ ბევრი ნიჭიერი კომპოზიტორი და მხატვარი დაგვაკარგვინა.

7608. ხანდახან სურვილი გებადება განთავისუფლდე დროის ძალაუფლებისგან და შენს ჭკუაზე გაინავარდო, მაგრამ მაშინვე წინ გეღობება საზოგადოების აზრი და შენში ჩამოყალიბებული მენტალიტეტი, რომელსაც „თავ კონტროლი გაუწიე" ჰქვია.

7609. არის საზოგადოების ნაწილი, რომლის ცხოვრების გეზის შეცვლა და შველა დაგვიანებულია.

7610. საზოგადოების მართვის და მისი წინსვლის ფორმულაა თავისუფალი შრომა გამრავლებული ხარისხზე და გაყოფილი სახელმწიფო აპარატზე. მრიცხველის გადიდება გარანტიაა მნიშვნელის უსაქმურობის შემცირებისა.

7611. გულახდილობით დაავადებული საზოგადოება ისევე უდღეურია, როგორც მისი დაფარვის მოსურნე, მთავარია, განისაზღვროს ვინ არის თქვენი პარტნიორი ან ოპონენტი.

7612. მკვიდრი საზოგადოების ბედს პირველ რიგში ყოფიერება წყვეტს, შემდეგ მოდის სამართლიანობა და დემოკრატიული ამბიციები.

7613. კონსერვატიული აზროვნება, ეროვნულობის გაფეტიშება, დემაგოგი ლიდერის გამონახვა, იწვევს ქვეყნის დროებით ეიფორიას მომდევნო ნგრევით, რადგან ჩვენი უხეირო ქმედება ქვეყნის საკეთილდღეოდ ჩატარებულ მისიად მივიჩნიეთ.

7614. იმ ქვეყნიდან, სადაც იმედიც კი იყიდება და მისით სპეკულიანტობენ დროულად აბარგება ჯობს.

7615. შეუთავსებლის შეთავსება ხელოსნობაა და არა ხელოვნება, რომლის შედეგსაც გარკვეული დროის გასვლის შემდეგ საზოგადოება მოიმკის, ხოლო ამის გამკეთებელი პოლიტიკოს-ილუზიონისტი დიდ სახელს ტოვებს, რომელსაც ვერც ხალხი ელევა და ვერც ისტორია.

7616. ბარბაროსობასა და დემოკრატიას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ერთი ხელის მოსმით იშორებს პოლიტიკურ ოპონენტებს, ხოლო მეორე მხარდამჭერსაც და მოწინააღმდეგესაც – თანდათანობით.

7617. ზღვარი შიშისა და სირცხვილის გრძნობებს შორის „პერესტროიკის" შემდეგ წაიშალა.

7618. გადამეტებული სენტიმენტალობა, კეთილშობილება და უტაქტო ყარაჩოხელობა ქვეყანას ანგრევს და თავსაც ვნებს, რადგან ის რეალობისგან შორს დგას.

7619. ნაციონალიზმი ერის პირველობას ქადაგებს, პატრიოტიზმი – ქვეყნისას, ამ ორი სახის სიყვარულის გადამეტებული გამომჟღავნება ხალხის კეთილდღეობისთვის ალტერნატივის გარეშე დამღუპველია. შედეგი ნულია: გაბერბიჭება ან ქვეყნის გადაგვარება.

7620. „პერესტროიკამ" ერთი სასწაულიც შემოგვთავაზა: ჯიშიანი ძაღლები და მათი უჯიშო პატრონები, რომელთაც უპატრონო ბავშვების გაზრდას ძაღლთან სეირნობა ურჩევნიათ.

7621. შედეგის გათვლის მიუხედავად, ზოგ ახლად გამოჩეკილ ქვეყნებში სამოქალაქო ომი მაინც ატყდებოდა, რადგან ომის დამწყებთ დასაკარგი არაფერი აქვთ.

7622. დაავადებულ საზოგადოებაზე ყველა იცინის და მათ შორის ყველაზე მეტად ის, ვინც ამ საზოგადოებაში ცხოვრობს და ვინც ეს საზოგადოება ამ დონეზე დაიყვანა.

7623. ლაჩარი და გამყიდველი მშვიდობიანობის დროს კანონით არ ისჯება, მათზე არც ღირსების შელახვა და არც სინდისის ქენჯნა მოქმედებს, მაგრამ საზოგადოება ვალდებულია იფიქროს მათ ნაშიერზე და ისინი ისეთივე მიიღოს, როგორც არიან.

7624. ყველაზე დიდი დანაშაული მინდობილი საქმის მოუგვარებლობა და თანამდებობაზე ძალაუფლების გარეშე წამოსკუპებაა, რადგან ამ დროს ხალხი იჩაგრება, სიკვდილი დროზე ადრე მოდის, კრიმინალისკენ ხელს უბიძგებს, ნერვებს უწეწავს და ეს უსუსურობა თუ ფეხებზემკიდიაობა რადიაციასავით შეუმჩნეველი მტერია საზოგადოებისთვის.

7625. დღეს ჩვენი საზოგადოების დროშა – ფულია, გერბი – შურია, ჰიმნი – უმადურობა, რადგან ყველა ერთმანეთის ჯიბრშია და რეალურად ქვეყნის ბედზე არავინ ფიქრობს.

7626. ცხოვრება ერთს გვკარნახობს, საზოგადოება – მეორეს, ამიტომ პირველი უფრო ახლოსაა ჩვენთან, რადგან საზოგადოება თავის კანონებს დაუნანებლად და ურცხვად ცვლის.

7627. ცხოვრების აზრია: ძუმ შობა უნდა შესძლოს და ხვადმა – მდედრის და ნაშიერის დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოების საძირკველის მორღვევა და მისი ზედნაშენის ნგრევა გარანტირებულია.

7628. სიჭარმაგეში იმის გახსენებაც გრცხვენიათ, რასაც ახალგაზრდობაში სიამოვნებით ჩაიდენდით, მაგრამ ცხოვრება იმითაც არის საინტერესო, რომ ჩანაფიქრი უნდა განგეხორციელებინათ, რადგან სხვანაირად საზოგადოება ვერც განვითარდება და არც პროგრესი გვექნება.

7629. საცოდავია მშობელი, რომელსაც შვილის გამოკვება არ შეუძლია, შედეგად ბავშვი შეურაცხყოფილია, საზოგადოება ყასიდადაა აღშფოთებული, ხოლო მთავრობას ეს პრობლემა ფეხებზე ჰკიდია. მერე გვიკვირს, რატომ არ გვიმრავლდება კანონის მორჩილი მსახურნი.

7630. „უსაქმურებს" საზოგადოება 40 პროცენტზე მეტს ბადებს, მათ ხანდახან შემოქმედებსაც უწოდებენ... ამ ადამიანებს ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი თავისსარჩენი ფულის გამოსამუშავებლად: ეროტიკული შოუ-ბიზნესით, პროსტიტუციით და დღეს საზოგადოებისთვის სხვა მიუღებელი, არაპრესტი-ჟული საქმიანობის დახმარებით, რადგანაც ეს ბიზნესი თავისებურ შემოქმედებას, ცოდნას, შრომას მოითხოვს. მათი ვალია სხვას მიანიჭონ სიამოვნება, რა ხერხით, ამაზე არ დაობენ.

7631. სამშობლოს, ქვეყანას, მაინც უინიციატივო, საშუალო დონის ხალხი ინარჩუნებს, ინიციატივიანები და გონიერნი არეულობის დროს მას ტოვებენ თავისი მსოფლმხედველობის, მატერიალური პირობებისა და კარიერის გასაუმჯობესებლად. სამშობლოში მათ მხოლოდ კარიერის ამბიციები აბრუნებთ, რომელსაც არავინ სთავაზობს, ამიტომ ეს საზოგადოების თავისებური ნაღებია და მათი ნაშიერი სამშობლოსთვის დაკარგულია.

7632. საზოგადოებას მართავს მისთვის მიუღებელი „ვეფხვის ფილოსოფია", რომლისთვისაც შერკინების შედეგს მნიშვნელობა არ აქვს, ის მაინც მისი ბოკვერის მოწინააღმდეგის დასჯას მოითხოვს. ამ საზოგადოებაში თუ გამოჩნდება პიროვნება, ვინც სამართლიანად მოიქცევა, ის ქვეყანასაც ააყვავებს, ოღონდ სიცოცხლეშივე, რადგან შემდგომ ყველაფერი ძველებურად წარიმართება. ადამიანებს ხომ ინსტიქტები, ქვენა გოძნობები მართავენ და არა – გონიერება.

7633. ბრბოს დამსგავსებულ საზოგადოებას ხან ზვიადი მოსწონს, ხანაც ედუარდი, ზოგჯერ მიშიკოსთვისაც თანახმაა თავი გადადოს, ხოლო საბოლოოდ რა სურს თავად არ უწყის, რადგან კარგ ცხოვრებას იყო მიჩვეული და მსგავსის დასაბრუნებლად ვის და როგორ ამოსდოს ლაგამი ვერ გარკვეულა.

სუფრის ფილოსოფია

7634. საჭმლის მიღება დიდი ხელოვნებაა, ზომიერი ჭამა ღმერთის მომადლებული, თანდაყოლილი ნიჭი, ხოლო სწორი კვება სიცოცხლის გახანგრძლივების უპირველესი პირობაა.

7635. ჭამა ყველას უნდა, მაგრამ ამას ზომიერად ყველა ვერ ახერხებს, გამოზომილი კვება ერთეულების ხვედრია.

7636. ღვინო შეიცავს იმ მიწის წვენს, სადაც ვაზი იზრდება, იმ მევენახის ოფლს, ვინც უვლიდა, იმ ტექნოლოგის პატიოსნებას, რომელმაც ღვინოდ აქცია და იმ მყიდველის დეგუსტირების ნიჭს, რომელმაც დააჭაშნიკა და ყველას ნაჯაფი შეაფასა.

7637. მსოფლიოში ახალი კვებითი ღირებულებების დიქტატურის დამყარებაა საჭირო, რათა ადამიანის წონა შეეფარდებოდეს მისი სულის და ხორცის ჰარმონიულ განვითარებას, რადგან ერთის მუცლის ამოყორვა მეორის მუცლის გვრემას იწვევს და თანამოძმეთა ჯიშის დაბალანსებას ხელს უშლის.

7638. იქ, სადაც სუფრის მადლი იციან, სტუმარ-მასპინძლის ურთიერთობა ღვინით იწყება, სადაც სასმელის ხარისხი ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თორემ მასპინძლის მცდელობა ვალის მოხდას ემსგავსება და არა პატივისცემას.

7639. ჩვენი ბედისწერა და ღირსება ღვინოში არ უნდა გავფლანგოთ, ხოლო ყოველივე დანარჩენის ქარისთვის გატანება შეიძლება, რადგან ცხოვრებაც ხომ გვინდა. ამასთან, სასიკეთო მცდელობას ბოლომდე არავინ დაგვიფასებს.

7640. როდესაც კაცობრიობა ალკოჰოლიანი სასმელით ცხოვრებას ისწავლის, მაშინ მისი ყოფა გაცილებით ხალისიანი გახდება და ტონუსამაღლებული საქმეს ბარაქას დააყრის.

7641. თამადაა ის, ვისაც სიტყვით, ქცევით, დარბაისლობით, შეუძლია თანამეინახეების დარწმუნება სიტყვის მადლის სიდიადეში, რომელსაც სუფრის წევრების სული, სხეული შეიგრძნობს მზესიტყვაობის და ალკოჰოლის დახმარებით.

7642. მზარეულის ხელოვნება ბავშვის ჩასახვას მოგვაგონებს, ერთს მეორესთან შეურევ და მესამე უცნობს მიიღებ, რომლის შეცნობა საინტერესოა, სასიამოვნოა და საყვარელიც, რადგან აქ შენი ფანტაზიის ნაწილიც დევს.

7643. სუფრასთან ელეგანტურად ჯდომა, ლამაზად ჭამა, მომხიბლავი ბაასი ხელოვნებაა და თანდაყოლილი ნიჭის წყალობა. ეს ღვთით მონიჭებული მადლი ყველამ რომ გაიამხანაგოს, დაიახლოვოს, დიდი მონდომება და მცდელობაა საჭირო.

7644. "ტრივტოვანს" (მაძღარი საკვები) და ღვინოს სხვადასხვა თვისებები აქვს: ერთით ძალზე ვნაყრდებით, მეორეთი კი ძალზე ვთვრებით, მაგრამ ორივე საწოლისკენ და ძილისკენ მიგვაქანებს.

7645. არის სტუმარი, რომელსაც კარებზე დაკაკუნება არ სჭირდება, რადგან ხელები აქვს დაკავებული, ხოლო ფეხი ისე კარგად აქვს ნავარჯიშები კარების გასაღებად, რომ მის ჭიტლაყს ვერავინ გრძნობს.

7646. სუფრა სახალხო და ეფექტური ფორმაა დიპლომატიისა, რომელიც საკითხის გადაჭრას მანამ გვიადვილებს, სანამ გონება ნუნუათი გვაქვს გახურებული და ქვენა გრძნობების გამოსავლენად დროს არ გვიტოვებს.

7647. ნათესაობა ის გაერთიანებაა, რომელიც პერიოდულად თავს იყრის, რომ გემრიელად მოილხინოს ნათესავების ოდენობის ცვალებადობასთან დაკავშირებით.

7648. სტუმარი თუ თავის ნებაზე მიუშვი, ან გამოთვრება, ან ფხიზელი დარჩება. პირველ შემთხვევაში, მასპინძელია უკმაყოფილო, მეორეში – სტუმარი. გამოსავალი ერთია: სტუმარ-მასპინძლის წესის ცოდნა და ვის ეკუთვნის სტუმრის სტატუსი.

7649. სტუმარი გადამეტებული პატივით არ უნდა მიიღოთ, რათა ბოლოს არ გკადროთ, ქალის საშუალებაც ხომ არა გაქვთო.

7650. პურმარილზე დარჩენა და პურმარილის მიღება მაინც სხვადასხვა გაგებაა და მათი სხვადასხვა დატვირთვის და გრძნობების გამოხატვის მაუწყებელია.

7651. საუბარი თუ არ შემზადდა სხვადასხვა სანელებლებით, დიეტური საჭმელივით მოსაბეზრებელი ხდება.

7652. ზოგჯერ რესტორანში მიმტანთან დაახლოება არა მარტო ანგარიშში მოტყუებას იწვევს, არამედ ულუფაშიც და ხარისხშიც.

7653. კულინარული ხელოვნების ნაწარმი რომ შეიქმნას, შეფ-მზარეულმა პირველ რიგში კერძი სიყვარულით უნდა შეაზავოს, რადგან მარტო რეცეპტებით და კულინარიის ანბანით შედეგრი არ მიიღება.

7654. ხელოვნება და კულინარიაც კომპრომისებზე და ფანტაზიებზე იქმნება, რაც შეეხება შეფასებას და გემოვნებას, მოგვიანებით გვიჩნდება და მასზე არ დაობენ.

7655. მამაკაცი, რომელსაც მარტივად საჭმლის მომზადებაც არ შეუძლია, ვერასოდეს თავისუფალი ვერ იქნება და ვერც ოჯახში იგრძნობს თავს დამოუკიდებლად.

7656. კაცებს იმიტომ გამოსდით გემრიელი საჭმელი, რომ მისი მომზადებისას არც პროდუქტს ზოგავენ,არც ენერგიას და არც კუჭს.

7657. უბრალოდ ჭამა არსებობის ხერხია, ლამაზად და გემრიელად ჭამის ცოდნა ლამაზი ცხოვრებისკენ მიდრეკილებაა.

7658. დიეტა ცუდი მზარეულია, მაგარამ კარგი მკურნალი და მოდელიორია.

7659. სუფრაზე ღვინო იმითაც არის საინტერესო, რომ სურვილის, განწყობის შესაბამისად წამოცდენილ დაპირებას სიფხიზლეში მთელი გონიერება უნდა მოახმარო, რომ სიტყვა არ შეგირცხვეს და „ბეყე" არ გამოხვიდე.

7660. კულინარია არის მზარეულის მიერ შემოთავაზებული ჟონგლიორობა, ნივთიერებებთან და ვიტამინებთან შეხლა-შემოხლით, ორგანოლეპტიკის პილოტაჟის შეგრძნებით და დიზაინით.

7661. არაყი არა მარტო მათრობელა სითხეა, ნაციონალური იდეაცაა: წამლობა, სტრესის მოხსნა, წარუმატებლობის დავიწყება და უიღბლო კაცისთვის დროებით შვების მოტანა.

7662. კულინარულ სასწაულს ის მზარეული ქმნის, რომელიც საჭმლის მომზადებისას 40% პროდუქტს და 60% სულს ხარჯავს.

7663. სტუმარი მოგწონს თუ არ მოგწონს, სუფრა უნდა გაუშალო, რათა ოჯახის იმიჯს და ტრადიციებს არ ვუღალატოთ და გადავაგვაროთ.

7664. „ვალერიანკა" ძალად ყარაჩოხელი არისტოკრატების „ბუტერბროდია" კონიაკით გამოთრობის შემდეგ.

7665. სადღეგრძელო სასმისის აღებისთანავე უნდა დაიბადოს, ფხიანი სიტყვით უნდა მიიზიდოს, აამაღლოს, ასიამოვნოს, გააამაყოს თანამეინახე და იმ დღეს პიროვნებად აქციოს. აი, რა დანიშნულება აქვს თამადობას.

7666. კულინარიაში ფლორის და ფაუნის მსხვერპლის ოდენობა განსაზღვრავს ადამიანის გემოვნებას და მადას.

7667. გამოცდილი მზარეული ყველა თავის მარცხს კულინარიაში მაიონეზით, სანელებლებით, დიზაინით ასწორებს, გამოუცდელი კი ყოველივეს ჩუმად სანაგვეში გადაუძახებს, რადგან მას ნედლეულის ხარჯვის ყადრი და ფასი ჯერ ვერ გაუცნობიერებია.

7668. კარგი კულინარის ნახელავის სუნს არა მარტო უნდა ვგრძნობდეთ, არამედ უნდა გვესმოდეს, ვხედავდეთ, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენს მსუნაგობაზე.

7669. ცარიელი სიმართლე უბრალოდ მოხარშული მკერდის ხორცია, ხოლო გურმანისათვის – ხაშლამაა, თავისი პრინციპებით და ფეტიშით.

7670. ზოგიერთისთვის მთავარი ის კი არ არის, გული ვისზე მიუდის, არამედ, ღიპი მოაწყოს მოხერხებულად და სტომაქი არ დააღონოს.

7671. წვნიანის მოსამზადებლად ზოგისთვის მადუღარაც საკმარისია, ზოგისთვის კი სამზარეულოც ცოტაა, ასე რომ, ყველაფერს გემოვნება, მოთხოვნილება, ნიჭი, ხასიათი, წყვეტს და არა – გარემო და აღზრდა.

7672. ლამაზი კულინარიის შედევრი მსუნაგობას ანელებს, კუჭს თოკავს და საკვებიც უფრო რაციონალური და სასარგებლო ხდება.

7673. დღეს ინტერნეტით ხალხის დაპატიჟებაც შეიძლება, ადგილზე გამასპინძლებაც და თამადობაც, მაგრამ რამდენად მოიკიდებს ფეხს ჩვენთვის გაუგებარი ეს სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტი, დრო გვიჩვენებს.

7674. კვების პროდუქტების ტექნოლოგიური გადამუშავება ხელოვნებაა, ხოლო უდანაკარგოდ გამოიყენოს ნედლეული და ხარისხიანი პროდუქცია მიიღოს ცხოველის, თევზის უკანასკნელი ღმუილის და სუნთქვის გამოკლებით, ეს გონების უდიდესი შემოქმედება , ეკონომია და შინაგანი კულტურაა.

7675. ქართველებს ჩვენი კულინარიის ფასი და მისი ეკონომიური დათვლა რომ გვცოდნოდა „მაკდონალდი" დიდ ხანია „გრუზდონალდის" მაგვარი მომსახურების სფეროთი შეიცვლებოდა.

7676. ქართული სუფრის მთავარი ატრიბუტები: მეინახენი, ღვინო, ხოლო სუფრის სიმაძღრე ყოველთვის არ მიუთითებს მის სიკარგეზე.
7677. დღევანდელი საქართველოს ნაციონალური იდეა სუფრა, თამადა, კრედიტების ქურდობა და ოპტიმისტური წუწუნია.
7678. წინათ, პურ-ღვინოიან ქართველებს, უპურ-ღვინო კაცთან მოლხენას ბოხლოწას ჭამა ერჩიათ, დღევანდელი ქართველებისთვის მასპინძლის რაობის პირველადობა არ არსებობს, მთავარია სტომაქის ამოყორვა.
7679. შურიანობის ერთ-ერთი მიზეზი ქართველისთვის სტუმართმოყვარეობაცაა, დაიბოღმება, ვინმემ რომ სტუმრის მიღებაში აჯობოს.
7680. ქართველი კაცის მსოფლმხედველობა და ხასიათი ქართულ სუფრას და სადღეგრძელოს არ გაშორებია, მაგრამ რას ერჩი, ღვთის მადლით ამ შფოთიან საუკუნეს ხელიდან უსხლტება და ჯერჯერობით ავად თუ კარგად თავი გააქვს.
7681. სამწუხაროდ, საქართველო ორი ბოროტებისგან ირჩევს ორივეს და ამის აღსანიშნავად სუფრის გაშლასაც არ აყოვნებს.
7682. ქართველებს რამდენიმე სამეცნიერო აკადემია ჰქონდათ, რომელთა ფუნქციონირება დამოკიდებული იყო დრო-ჟამზე და მავანის დაფინანსებაზე. მხოლოდ ქართული სუფრის აკადემიაზე ვერ ახდენდა გავლენას ცხოვრებისეული კატაკლიზმები. ამიტომაა, რომ დღეს ეს აკადემია უფრო დიდი პატივისცემაშია, ვიდრე ის აკადემია, რომელიც გონიერებას, კითხვას და ჭკუას მოითხოვს.
7683. ვალი სუფრით და კარგი სადღეგრძელოებით არ გადაიხდება, მაგრამ საქართველოში ამას ახერხებენ.
7684. მსოფლიოს ქვეყნები ერთიმეორის ჭკუას პატივს სცემენ, მაგრამ სიყვარულში მხოლოდ ქართველებს უტყდებიან. ეს, ალბათ, ჩვენი ერის "გიჟვრაცუობის", დაუფიქრებელი სტუმართ-მოყვარეობის და განგების დანათვლის შედეგია.
7685. ქართული სამზარეულოს მრავალფეროვნების და ოდენობის გადამუშავება დაუზიანებლად ატომურ რეაქტორსაც გაუჭირდებოდა, მაგრამ რა ქნას ადამიანის ორგანიზმმა თუკი სუფრა გემრიელია?
7686. კულინარია არის დიდი შოუ, სადაც ყველა ნედლეულს თავის მიზან-სცენა აქვს და კვების რეჟისორის ხუშტურზეა დამოკიდებული როლების განაწილება.
7687. პურ-ღვინოს მოყვარე ქვეყანა ყოველთვის პატრიოტიზმს არ შეიძლება ამოეფაროს, მან დიალოგი უნდა ისწავლოს სხვა ხალხის შვილებთან, არა მარტო სუფრასთან, არამედ მოლაპარაკების მაგიდასთანაც, მოეფეროს მას, თავისი კულტურის შვილად გაითავისოს, ამ ერის შვილის დადებითი კოდი შეისისხლხორცოს.
7688. ყავა სექსივით უნდა იყოს: ქაფქაფა, ცხელი, ტკბილი, რომელსაც ხანდახან ყინულიანი წყლის მოსმით ვაგრილებთ.
7689. ნამდვილი სიყვარული ხაშლამასავით და მწვადივით უნდა იყოს, ყოველგვარი სანელებლების გარეშე, რათა მისი გემო მთლიანად შევიცნოთ.
7690. კონიაკი ელიტარული სასმელია, ის არა მარტო უნდა გიყვარდეს, არამედ უნდა სცნობდე, აფასებდე. იგი უნდა გათბობდეს, მისი თაიგულის სურნელებით უნდა ტკბებოდე. ეს იგივეა, რომ ქალი გიყვარდეს და არ იცოდე მისი ფასი.

7691. გადაძღომა უნდა დავიცვათ გრძნობების ზედმეტი გამოვლენისა და სიყვარულისგან, თორემ კლასიკური სიამოვნების ნაცვლად მივიღებთ ხაბა-ხუბას და გაურკვევლობას: ჭამა თუ ლამაზი ქალი?

7692. ქალის კულინარიის კურსებზე წასვლა იმიტომ გადაწყდა, რომ ოჯახმა ძაღლი შეიძინა და მას დეგუსტატორობის საქმე მიანდეს.

7693. ყველაფერი გადამეტებული და მათ შორის, სასმელის სმა იწვევს ყოველგვარი ორიენტაციის დაკარგვას და მათ შორის სექსუალურისაც, რაც ქალს ყველაზე მეტად აღაშფოთებს.

7694. მეოჯახე ქალის გაკეთებულ საჭმელს, რატომღაც უსაქმურისას ამჯობინებენ, რადგან მის მიერ მომზადებული სათქვლეფი ეგზოტიკური ეჩვენებათ, იშვიათად მომზადების გამო, ამასთან ეს საკვები დეგუსტაციას და ნიშნის დასმას მოითხოვს და ამით უფრო საინტერესოს ხდის მას.

7695. ზოგი მამაკაცი მაცივარში ნამყოფ ნახევარფაბრიკატს ჰგავს, რომელსაც გონიერი ქალი ოჯახის ცხელ ტაფაზე დადებს, წვენსაც გამოადენს, ოხშივარსაც აუყენებს და სიამტკბილობითაც მიირთმევს.

7696. სამზარეულო ქალივითაა, სანამ შეიცნობდე, მანამდე საინტერესოა, შემდგომ კი მოვალეობად, ჩვევად იქცევა.

7697. ალკოჰოლი დროებითი თავისუფლების და სიამოვნების მომცემ იმ გველს მოგვაგონებს, რომელიც გარკვეული დროის მონაკვეთში დედოფლად გადაიქცევა. მიუხედავად იმისა, რომ ნამთვრალევზე ცუდად მოიხსენიებენ, იმ წუთშივე თანახმანი არიან მას თავი კვლავ დააკბენინონ, იმდენად დიდია თანამეინახეებთან ყოფნის და გართობის სურვილი.

7698. ლობიო ის მუსიკალური და ქიმიური იარაღია, რომელიც ლოგინში საარტილერიო მომზადებით ამოწმებს ადამიანის სტომაქის მზადყოფნას საჭმლის მიღებისათვის და მისი სრულყოფილად ათვისების შესაძლებლობას. ამ ქიმიური სწავლებისა და თავდასხმის შემდგომ ყველანი კარგ ხასიათზე დგებიან, თანაც მოწინააღმდეგე არ ჰყავთ, რადგან წინა დღეს ყველამ დიდი სიამოვნებით მიირთვა ეს საჭმელი.

7699. ხაშის პატივისმცემელისათვის ძნელი გასაგებია ყავის ლოგინში მირთმევის კაიფი.

7700. არაყი სასიამოვნო ძალადობაა, ღვინო – სასიამოვნო დანებება, კონიაკი – სასიამოვნო ალმაფრენაა, პირველს თრობას დროზედ ადრე მიგვაბარებს, მეორე თავის ბინძურ საქმეს ადრე თუ გვიან მაინც აკეთებს, მესამე იმ თანამენიახეებთან ჟუჟუნებს, რომლებმაც ამ სასმელის ფასი და ყადრი იციან, რადგან ამ ღვთაებრივი სითხით კაიფობენ და არ თვრებიან.

7701. ღვინის სმა სულიერი გასაუბრებაა ალკოჰოლთან, მისგან გამოწვეულ სიამოვნებაზე კი დამოკიდებულია ჩვენი მასლაათის ხარისხი და ხალისი.

7702. ჯენტლმენის მენიუა: კონიაკი და ლიმონი, მამაკაცის – ღვინო და მწვადი. ლოთის კი – არაყი და მჟავე კიტრი.

7703. სტუმარი-მასპინძლის თეთრი ვირია, რომელიც ცდილობს პეწით და რიდით მოესიყვარულოს მას.
7704. საჭმელი უფრო გემრიელი გეჩვენება, თუ ის მუქთაა, მაგრამ თუ გმასპინძლობენ, მისი ორგანოლეპტიკა უმაღლესი შეფასების ღირსია.
7705. სახლში ჭამა იძულებითი ღონისძიება და ყოველდღიურობაა, სტუმრად ყოფნა კი მთელი პროცესია, დიდი სიამოვნება და მოსაგონარი.
7706. დაუპატიჟებელ სტუმარს „აბუჩი" ჰქვია, ხოლო დაუპატიჟებელ ნასვამს „აბუჩის აბუჩი".
7707. ღვინის, ამ გასამხიარულებელი და მასტიმულირებელი საშუალების ამჟავებას თვით მამაზეციერი არ დაუშვებს, თუ მისი ზომიერი მიღების და მადლის ფასი გვეცოდინებოდა.
7708. ღვინის ზომიერად მსმელები ღვთისნიერი და წესიერი ხალხია, მაგრამ ემოციების და შეკურთხების გარეშე.
7709. კუჭის სიამოვნების თვალსაზრისით თემატურად ერთი სახის სუფრა სჯობს, მაგრამ თვალის გაძღომა უფრო ძნელია და ამიტომ სუფრას მრავალფეროვანს ირჩევენ.
7710. სუფრასთან უნდა ეცადოთ კარგი მადის მქონე თანამეინახეების გვერდით არ აღმოჩნდეთ, რადგან მაშინ თავის დაცვაც მოგიწევთ, რათა მეორე დღეს მადიანი ხალხის გამონაყოფში არ მოხვდეთ.
7711. თუ გნებავთ საჭმელს გემო ჩაატანოთ, უნდა მიირთვათ უპუროდ და კარგად დაღეჭოთ, წყალი და სასმელი არ მიატანოთ, ამით სიამოვნებასაც გაიხანგრძლივებთ და ეს ნუგბარი გარკვეული დროით აღარ მოგინდებათ.
7712. ღვინო და საერთოდ, სასმელი, საუკეთესო ლაკმუსია ადამიანის შინაგანი ბუნების გამოსავლენად.
7713. ალკოჰოლი გინებას ვერ იტანს. ვინმეს ჯიბრზე არ უნდა მივეძალოთ. უბრალოდ, მისი სმა და დაფასება უნდა ვისწავლოთ ცოლების ჯინაზე.
7714. შეჯიბრი ღვინის სმაში, დამარცხებულის გაბიაბრუება და დაცინვა წესიერი საზოგადოების მახასიათებლად არ ითვლება, მაგრამ ხშირად ასეთი უზრდელობა დადებითად მოქმედებს ხალხის სმის კულტურაზე.
7715. მომხიბვლელად სმა ცოდნას, ნიჭს და შინაგან ბუნებას მოითხოვს.
7716. ღვინო საოცარი სითხეა, მან შეიძლება ადამიანი ვირადაც აქციოს და ფრთაშესხმულ რაშადაც, მხოლოდ მისი დოზირება წამალივითაა საჭირო.
7717. დროსტარება კი არ არის დანაშაული, არამედ უსაქმოდ დროის „მოკვლა", არაფრის კეთება.
7718. მავნე ალკოჰოლის სმა კი არ არის, არამედ ინდივიდისთვის საჭირო ოდენობის დაუდგენლობა და გამხიარულებული თავისთვის კონტროლის გაუწევლობა.
7719. ყველაფერი წარმავალია, ყოველივე დავიწყებას ეძლევა, მხოლოდ მუდმივი და დაუვიწყარია საჭმლის მიღება.
7720. დეგუსტატორი ბუნებით დაჯილდოებული დიდი ხელოვანია და ზოგი მისდამი ხოტბას ანეკდოტით გამოხატავს. თვალახვეულ დეგუსტატორს შებოლილ ძეხვ-

ზე აყნოსვინეს, ოდესურია, ნახევრადშებოლილიო, შემდეგ მოხარშულის ნაჭერი მოუტანეს ცხვირთან – მოსკოვურიაო, შემდეგ კოლეგა ქალმა მკერდზე ასუნებინა – კრაკოვიო, – ვერ გამოიცანიო, არ დაამთავრებინეს სიტყვა კოლეგებმა, ხოლო დეგუსტატორმა გაარძელა, კრაკოვის 24, ბინა 15, ასე, რომ ამ ანეკდოტმა დეგუსტატორების პროფესიას მარკა აუწია.

7721. ლოთობას, თრობას, ღრეობას, ქეიფს 1000-ზე მეტი სინონიმი აქვს სხვადასხვა ხალხის ენაზე, იმდენად სასიამოვნო და საკამათოა სმის პროცესი.

7722. თუ ალკოჰოლი გიშლით ხელს მუშაობაში, ეს არ უნდა იყოს იმის საბაბი, რომ მას თავი დაანებოთ, უბრალოდ, საკუთარი თავის მობილიზებაა საჭირო, რათა ალკოჰოლსა და სამუშაოს თავ-თავიანთი ადგილი მიუჩინოთ, თორემ სასმელის გარეშე სტრესების გადატანა გაგიჭირდებათ.

7723. ღრეობასა და დროსტარებაში ის სხვაობაა, რომ პირველის დროს ყოველივე მოჭარბებულია და სხვისი დახმარებით თავაშვებით ილხენ, ხოლო მეორისა – ზომიერება ყველაფერში დაცულია და ლხინიც თავისი წეს-ჩვეულებით, შენი მონაწილეობით მიდის.

7724. ხანდახან გულკეთილ მასპინძელსაც და მის თავხედ სტუმარსაც გინდა გულიანად შეუკურთხო და ამ წვეულებას სიამოვნებით ტოვებ, რადგან შენ აქ დროსტარებისთვის მოხვედი და არა უზრდელი გამოხდომების მოსასმენად და ნერვების ასაშლელად. ამიტომაც სტუმრების შერჩევის დროს გონიერებასაც უნდა მოუხმოთ.

7725. მიირთვით, ნუ მოგერიდებათ, ამ საჭმლით არ მოიწამლებით, არიან ასეთი მასპინძლებიც და ესეც თავისებური "სტუმართმოყვარეობაა", რადგან მთავარია შედეგი და არა პროცესი.

7726. პოეტის საფლავზე ყვავილების მიტანას და ლექსების კითხვას, ზოგჯერ შეიძლება პურმარილის მიტანა სჯობდეს, ამით თქვენც კმაყოფილი დარჩებით და ვალმოხდილიც წამოხვალთ, რადგან თქვენი წარმოდგენით, იმქვეყნად მყოფს სული გაუმხიარულეთ.

7727. გონიერება და კუჭი წინასწარ შემზადებული უნდა გვქონდეს ყოველგვარი სისაძაგლის გადასახარშავად და მოსანელებლად.

7728. საჭმელი რომ გემრიელი გამოვიდეს, სანელებლებით გულით და არა წინასწარ აკვიატებული გემოვნებით უნდა შეაზავოთ.

7729. სასმელი უნდა შეისვას მცირე დოზებით, ოღონდ ძველის გახსენებით, აწმყოსთან შედარებით და მომავლის გემოვნებით.

7730. საჭმლის მიღება აზრის წარმოშობის საფუძველია, ხოლო ალკოჰოლის ზომიერად მიღება აზრის ზედნაშენი და მისი მეუფეა.

7731. კომუნისტებმა დანა-ჩანგლის ხმარება კი ასწავლეს ხალხს, მაგრამ დელიკატესების გამოშვება დაივიწყეს და ბოლოს უცხოეთი დაიხმარეს.

7732. დიდი ცოდვაა ცოცხალი არსებისთვის სიცოცხლის მოსწრაფება, მაგრამ უფრო დიდი ცოდვა და დანაშაულია, როდესაც ადამიანი მის მიერ მოპოვებულ სარჩოს

უყაირათოდ იყენებს და იმაზე მეტს მოიხმარს, რაც მის ნორმალურ არსებობას და ჯანმრთელობას სჭირდება.

7733. ქალი ამქვეყნის მიწის მარილია, კაცი პურ-ღვინო, შვილი ნაღებია, ასე რომ ცხოვრების სუფრა გაშლილია, მთავარია, ერთად შეკრებით, გულის შეჯერებით და გონიერი განსჯით ერთმანეთს ვასიამოვნოთ, რათა ეს სუფრის მადლი განგებამ არ დაგვამადლოს.

7734. ცუდის და კარგის შეცნობა ინტელექტს, თანდაყოლილ გენს და აღზრდას მოითხოვს, ცხოვრების გურმანისათვის გაურყვნელი ღვინო, შოკოლადი და ქალი იმსახურებს აღფრთოვანებას, ხოლო უამრავი ფართო მოხმარების მოკვდავთათვის შეჯერებული ღვინო, შოკოლადი და გამოცდილი ქალი. გემოვნებაზე არ დაობენ, მაგრამ ცხოვრების მადლის აღქმა აქვთ სხვადასხვა.

7735. საჭმლით და ქალით ტკბობის გემო თანდათანობით უნდა გაიგო, რადგან მათი დეგუსტირება თავისებური ნიჭის და ხელოვნების შედეგრია, რომელსაც შეჩვევა ჭირდება.

7736. კარგად მომზადებული კერძი თავადაა თამადა, რომელიც სუფრის შესამკობი სადღეგრძელოს თქმას თავადვე ითხოვს.

7737. გაკვირვებას და აღშფოთებასაც კი იწვევს თანამედროვე საკვები სუროგატების დადებითი შეფასება ჭარმაგი ადამიანების მიერ, რომლებიც რეკლამას უფრო ენდობიან, ვიდრე თავიანთ მახსოვრობას, გემოვნებას და ხოტბას ასხამენ თანამედროვე პროდუქტად წარმოდგენილ ტექნოლოგიურ ფალსიფიცირებას.

7738. ცუდი კამპანიაა, როდესაც ხუთი კაცის დასალევს ერთი სვამს, ხოლო სხვები ჯანმრთელობას უფრთხილდებიან, აქ ორივე მხარეს ერთმანეთი ფეხებზე ჰკიდია. მაგრამ ის კი არ იციან, რომ იმქვეყნად წასვლის შანსი ერთნაირი აქვთ.

7739. სტუმარს იმიტომ კი არ ვცემთ პატივს, რომ მას ვასიამოვნოთ, პირველ რიგში ჩვენ უნდა გვსიამოვნებდეს სტუმრის მიღება და მასთან ყოფნა თუ ამ გამასპინძლებით სტუმარიც ისიამოვნებს, ამის საწინააღმდეგო არაფერი არ უნდა გვქონდეს.

7740. კულინარიის რეცეპტიც ნაციონალური სიამაყეა და მისდამი უყურადღებობაც ერის ღალატია.

7741. გურმან კლასიკოსსა და გურმან ხელოვანს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი ნატურალური, გაურყვნელი პროდუქტების კულინარიას სცემს პატივს, მეორე საკმაზებით შენელებულ-შეზავებულს. მაგრამ ორივე ჭკუის და თვალის გაძღომის სასიამოვნო "პერპეტუუმ მობილეს" ემსახურება თავისი პარამეტრების დადგენით.

7742. უზომოდ მჭამელი იგივე ნარკომანია, ერთი კუჭს იმხიარულებს, მეორე კი გონებას, ორივე კი საზოგადოების ხარჯზე კაიფობს.

7743. საჭმლის მირთმევასა და ჭამას შორის ის სხვაობაა, რომ პირველ შემთხვევაში სული ზეიმობს, მეორე შემთხვევაში კი მუცლის ამოყორვა ხდება.

7744. ცხოვრებაში მთავარი ის კი არ არის, რას სვამ, რას ჭამ, რამდენს იწონი. მთავარია ვისთან სვამ, ვისი სამზარეულოს შედეგრს ეცნობი და შენს წონას როგორ მოხდენილად ატარებ.

7745. საჭმლის 80 პროცენტი თვალების გაძღომისთვის არის განკუთვნილი, მხოლოდ 20 პროცენტია კუჭის ამოსაყორად. ალბათ, ამიტომაცაა ნათქვამი: თვალი ჭამს და თვალი სვამსო და არა – პირი ცმაცუნობსო.

7746. უძრავ–მოძრავი ქონებისგან განსხვავებით, მუცლის ამოყორვა დაბეგვრას და კონტროლს არ ექვემდებარება, რაც მოუწესრიგებელი ცხოვრების, უსაქმურობის და ცოდვების ჩადენის ერთ-ერთი მიზეზია.

7747. სასმისით შექებისთვის ზოგჯერ თანახმა ვართ თავი გავყოთ ყოველივე საეჭვოში დაუფიქრებლად და ხალისით.

7748. კულინარია სულის მოწოდებაა, წარმოსაჩენი ხელოვნება, თავისებური მეცნიერება ტრადიციებთან ჭიდილით, რომლის საყრდენი ფილოსოფია – სტუმარია.

7749. რაციონალური კვება, ცხიმების, ცილების, ნახშირწყლების და ვიტამინების შეჯერება კაცობრიობამ ისწავლა, მიუხედავად ამისა, სიმდიდრით გათავხედებული ქვეყნები გამოუსწორებლად დასცინიან ბუნებას, როდესაც ტყავს, შიგნეულს და ცხიმებს საქონლის საკვებად აქცევენ, იმის მაგივრად, რომ თავად გამოიყენონ და რაციონალურად იკვებონ.

7750. ცუდი ხასიათის კაცი სასმელის სმას უნდა მოერიდოს, რათა სასმელს სახელი არ გაუფუჭოს და მსმელს იმიჯი.

7751. არაყი სტრესის ჩუმად მოსახსნელი საშუალებაა და მისით მკურნალობა ნაციონალური იდეაა ჩრდილოეთში მცხოვრები ზოგიერთი ხალხისათვის.

7752. თვრებიან არა დროსტარებისთვის, ურთიერთგაცნობისთვის, არამედ პასუხისმგებლობის დროებითი მოხსნის, ბუნებრივი მუხრუჭების აშვების, ცხოველური ინსტიქტების დაბრუნების და ბევრი სხვა გაუგებარი მიზნის გამო, ისე რომ, ბევრი ჩვენგანი ამას ვერც კი გრძნობს.

7753. იმქვეყნად კაცი ისე არ უნდა წავიდეს, რომ ნამდვილი ქალი, ნამდვილი ღვინო არ იგემოს, რადგან ამის გარეშე ამ სამყაროს დატოვება დიდი ცოდვაა.

7754. ქართული სადღეგრძელო მზაკვრულია, როდესაც ამბობს: იმათ გაუმარჯოს, ვინც ჩვენ გვიყვარს და იმათაც, ვისაც ჰგონია, რომ უმაგათოდ სიცოცხლე არ შეგვიძლია.

7755. შრომა და ღვინო ვერ მეგობრობენ, მაგრამ, თუ ერთმანეთს გემო გაუგეს, უერთმანეთოდ ყოფნა ვეღარ წარმოუდგენიათ.

7756. ღვინის სმასა და ქალთან ჭუკ-ჭუკში ის სხვაობაა, რომ პირველს შეიძლება დაეჩვიო და გალოთდე, ხოლო მეორეს რომ შეეჩვევი და ხვადად იქცევი, სამწუხაროდ, ამის საშიშროება არ არსებობს.

7757. სტუმარმა წასვლის დრო მასპინძლის სახის გამომეტყველების მიხედვით უნდა აღიქვას.

7758. სიმსუქნე ცუდი აღზრდის, სასმელ-საჭმლის მიღების ბუნებრივი მუხრუჭების უცოდინარობის და უგულებელყოფის შედეგია. წამის რაღაც მონაკვეთში არც ალკოჰოლის მიღება გსიამოვნებთ და არც საჭმლის, ამ შემთხვევაში უნდა შეწყდეს სხეულის გამოკვება და გარეშეთა საყვედურები.

7759. სტუმარმა, რომელმაც სუფრის მადლი არ იცის, მასპინძლის დაუფასებლობის და სტუმართმოყვარეობის ცრუ ტრადიციების ბრალია, რადგან სტუმარ-მასპინძლის ინსტიტუტი აგებულია პატივისცემაზე, სიყვარულზე და აზრების ურთიერთდამთხვევაზე.

7760. თქვენთვის თუ გაუგებარია თქვენი მთავრობის მოქმედება, ეს იმას მიუთითებს, რომ თქვენ ცოტა დაგილევიათ, თუ თქვენი თანამეინახენი მთავრობას არ აგინებენ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ სუფრაზე ჭუკ-ჭუკს გადაჩვევიხართ, სერიოზულ სმაზე ხელი აგიღიათ და დღეს თქვენთვის ყველაფერი სულერთია.

7761. ღვინოზე დახარბება უსამართლობის მომიზეზებით, სმაზე მიძალება, სისულელეა, რადგან ზომიერი სმა თავად არის სამართლიანობა, ამიტომ ღვინოს სვამენ და არ ეძალებიან, რათა ადამიანში დაბუდებული უსამართლობა არ გაირ-ყვნას და გათავხედდეს.

7762. კარგი ყოველთვის სამართლიანი არ არის და არც განსჯას ემორჩილება, მაგრამ ყოფიერება ყველა სამართალს და განსჯას იმორჩილებს და თავის ჭკუაზე მოიყ-ვანს. მაგალითად: სხვადასხვა სასმელის შერევა კონიაკში ველურობაა, მაგრამ თუ ამ რეკლამის გარეშე სათანადო ოდენობით არ საღდება, სამართლიანობა და სწო-რი განსჯა უკანა მხარეს რჩება.

7763. შეუთავსებელი სანოვაგე არ არსებობს, არსებობს კარგი მზარეული, რომელ-საც გვერდით უნდა ჰყავდეს ფანტაზიის მქონე კულინარი.

7764. ლოთობა, სისულელის ჩადენა, დროსტარება, იმ ხალხის უპირატესობაა, ვინც ამქვეყნად ცხოვრებისათვის არის მოსული და არა – სახელისათვის.

7765. ღვინის ფალსიფიცირების დიდოსტატი, ჩვენი საწყალი მხარის კაცი, ამ ღვთი-ურ სითხეს რამდენი ხანია რყვნის და ამაში არც პატენტს თხოულობს და არც ჩინ-მედლებს, მაშინ როცა უცხოური მეწარმეები ცდილობენ გათახსირება წეს-რიგის მარაქაში გარიონ და რეკლამას უკეთებენ უალკოჰოლო, დაბალხარისხო-ვან, სხვადასხვა წვენებით და არომატიზატორებით შეზავებულ ეგრეთწოდებულ ღვინოს. ჩვენსას იმდენი წესიერება მაინც ყოფნის, რომ ხალხი გააბრიყვოს, მაგრამ არა გამოალენჩოს და გამოატვინოს.

7766. სუფრის წესი ასეთია: ისეთი ხალხი უნდა მიიწვიო, რომლებსაც ერთმანეთი გულზე თუ არ ეხატებათ, ერთმანეთის დანახვაც არ უნდა აფრთხობდეთ, წინააღ-მდეგ შემთხვევაში, მათს ყველა უხიაგობაზე შენ აგებ პასუხს.

7767. დეგუსტირების შედეგად მიღებული სიხარული შეიძლება მიკროსკოპული იყოს და დიდი სიამოვნებაც განიცადოთ, თუ ამ კულინარიის შედევრი შენს ჯანმრთელობას ვნებს, რადგან გრძნობები მაშინ უფრო მძაფრია და გაცის-კროვნებული.

7768. საკვების მიღებას აქვს ბიოლოგიური მუხრუჭები: როდესაც წუთის გარკვეულ მონაკვეთში მისი მიღება არ გსიამოვნებს. სწორედ ეს არის სიგნალი იმისა, რომ საჭმელ-სასმლის მიღება უნდა შეწყვიტო, სიამოვნების რა ოლიმპზეც არ უნდა იდგეს თქვენი მადა.

7769. ღმერთის მომადლება ტაფამწვარში არ უნდა აურიოთ, ის უფრო სერიოზული შემოქმედების, გონიერების, კულინარის ღირსია.

სამშობლო – ერი

7770. რადგან ნამუსი ერის მაკონტროლებელი იმიჯია, იძულებულები ვართ გავწმინდოთ, გავაპრიალოთ და ისე წარვუდგინოთ საზოგადოებას.

7771. დაფეხმძიმებულია ერის პატიოსნება, როდესაც სინდისიერად, პატიოსნად, უკან მოხედვით შენს განვლილ ცხოვრებას კრიტიკულად აფასებ.

7772. ძირითადად თავის მოსაჩვენებელი ერი ვართ და არა გამოსაჩენი, როგორც ეს ჩვენ გვგონია.

7773. საკუთარი ერი იმდენად უნდა გიყვარდეს, რომ შენი ქცევით მოერიდო მის აუგად მოხსენიებას, მაგრამ ამის საშუალებას უნდა იძლეოდეს შენი სამშობლოს სიძლიერე, ეკონომიკა და თანამემამულეთა თანდაყოლილი ხუმტურები.

7774. ცივილიზაციის პლაცდარმების აღება დასაშვებია მანამდის, სანამ ის ერის გაქრობას არ ემუქრება.

7775. გადაგვარებული პორნოგრაფია, სიავე, სისხლის აღრევის ჩვენება ეკრანზე, პრესაში, ეს სატანური გამოხტომაა შენი ერის წინაშე და მოსახლეობის დახვრეტის ტოლფასია.

7776. "ჰუმანური" დემოკრატიით აღჭურვილი მკვლელი მთავრობა, თვეობით ხელფასებს და პენსიებს არ არიგებს და ნელ-ნელა აუჩქარებლივ მასიურად იმქვეყნად ისტუმრებს ერისშვილებს. არაჰუმანური დიქტატორი კი დაშინების მიზნით, ერთდროულად რამდენიმე მოწინააღმდეგეს ციხეში გამოკეტავს. პირველნი უშიშრად იხოცებიან, მეორენი შეშინებულნი ცოცხლობენ. თქვენ იტყვით: "საღორეში ღორიც ჭამს", მაგრამ ამის შესახებ ასაკოვან ღრუტუნას უნდა ვკითხოთ: სღორეში სალაფავის ჭამა ურჩევნია თუ რკოსთვის ტყეში წანწალი?

7777. ქვეყნის მატიანე ერისთვის სისხლის გამოშვების ისტორიაა და ვინც ეს ყველაზე უკეთ მოახერხა, მატიანეში აღნიშვნის ღირსი ხდება.

7778. სამშობლოს უშიშროებისთვის პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს მოუმწიფებელი ვიგინდარების მენტალიტეტს, ბრბოს ყბედობას, ხალხის მრავალფეროვან აზროვნებას, სახელმწიფო ელიტის კორუფციას, რადგან ამ მოვლენებში გაურკვევლობამ შეიძლება შემოგვთავაზოს საღი გონებისთვის ამოუხსნელი ალგორითმები, რომელსაც უარყოფითი ენერგიის დაგროვება ჰქვია და მისი დროული გამოშვება ერის სასიცოცხლო და სტაბილური ცხოვრების პირობაა.

7779. სამშობლოს სიყვარული მის სიძლიერეზე და ისტორიაზეა აგებული, მშობლების – ჩვენდამი ზრუნვაზე, მეგობრობის – თანადგომაზე, თანამშრომლების – დაფასებაზე, ხალხის - შენს აღიარებაზე და ასე შემდეგ. მხოლოდ ქალის და კაცის სიყვარულშია გაუგებრობა, რომლის განტოლებები თავისი უცნობის ამოუხსნელობით არის საინტერესო ყველა ერისშვილითვის.

7780. ყველა ერმა თავის ნაციონალურ იდეაში უნდა ჩადოს პირველ რიგში ჯანმრთელი ოჯახი, ჯანმრთელი მომავალი თაობა და ჯანმრთელი სამშობლოს სიყვარული.

7781. გვირაბის ბოლოს შეიძლება სინათლე არ ჩანდეს, მაგრამ ერისშვილებს იმის იმედი მაინც უნდა ჰქონდეს, რომ გვირაბს გამოცდილი გვირაბგამყვანი (მარკშეიდერი) თხრის.

7782. ბედნიერია ის ერი, ვისი მოქალაქეობის მიღებაზე სხვა ერები ერთმანეთს ეცილებიან და შენ არჩევანის უფლება გაქვს.

7783. სამშობლოს სიყვარულია მისი ნაკლოვანებების ჩუმი აღიარება და მასთან გაშმაგებული ბრძოლა.

7784. ერს თუ წიგნის წასაკითხად არ სცალია და არც გარემო პირობები უწყობს ხელს, ქვეყნის ეკონომიკა, კულტურა და თავდაცვისუნარიანობა კიდევ დიდხანს იჭრაჭუნებს.

7785. ხშირად მას, რაც ჩვენ გვინდა და ვვოცნებობთ, ყოველთვის სიკეთე არ მოაქვს. ზოგჯერ სამშობლოს სიყვარულსაც, რომელიც შეიძლება შენი დედინაცვალი გახდეს.

7786. ერს, რომელსაც არა აქვს უნარი თავისი ეროვნული სიმდიდრის გაფრთხილების და მოვლა-პატრონობისა, კულტურულ ერად არ ჩაითვლება, მას მხოლოდ ფარული ნიჭი რჩება სხვისი ერის სამსახურში თავის გამოსაჩენად, რადგან ის თავისი ერის გულგრილობით გაწამებული შეიძლება საუკუნეობით შეუმჩნეველი დარჩეს.

7787. "ჩვენი უღონობა სხვას ღონედ შეუქმნია, ჩვენი უსაქმურობა სხვას საქმედ გაუხდია, ჩვენი უცოდინარობა სხვის ცოდნად ქცეულა და ამეების წყალობით ჩვენი ქვეყანა დღეს წარმოადგენს თაფლს, რომელსაც ბუზი ბაღდადიდან მოჰყავს". ერის მამის, ილიას, ეს ნათქვამი, როგორ ემთხვევა ერის შეუცვლელ კოდს, რომელიც დღეს ასე აჟღერდებოდა: ჩვენი ნარცისიზმი, სუფრისადმი გადამეტებული სიყვარული, სხვას გაკვირვების საგნად გაუხდია, ჩვენი უნიათობა – ვაჭრობად, ჩვენი განათლება სხვის მომსახურების მცდელობაშია და გაუნათლებელი ყეყეჩი გვაცუცურაკებს, ჩვენი უპირობა, ავყიობა, დიდკაცობისკენ მიდრეკილება სხვის სიმდიდრედ ქცეულა. ყოველივე ამის წყალობით და ჩვენი გეოპოლიტიკის იმედით, უცხოელები ჩვენი ქვეყნის ასათვისებლად ხუთივე კონტინენტიდან მოილტვიან.

7788. ყველა ერს აქვს თავისი ისტორიის გავლის პერიოდში შავი წერტილები, მაგრამ ოპოზიცია ამით ბოროტმა სიხარულმა არ უნდა მოიცვას, რადგან თუ თვითონაც ფეხი დაუცდა, სხვაც გაიხარებს და ამით სამშობლოს ზიანს მიაყენებთ.

7789. სამშობლოდ იმ ქვეყანას გაიხდი, ვინც შენს შრომას დააფასებს და გაღიარებს, როგორც თავის მოქალაქეს, შენზე იზრუნებს და გაგიფრთხილდება.

7790. სამშობლოს სიყვარულს ყველა განიცდის, მაგრამ ზოგჯერ თავად არ უყვარს თავისი დამცველი შვილები, რომლებიც "საზარბაზნო ხორცს" წარმოადგენენ სამხედრო ხელოვნების და მატერიალური აღჭურვილობის არქონების გამო.

7791. სამშობლოს ნაღდ სიყვარულს მაშინ შეიგრძნობ, როდესაც მასთან პირისპირ დარჩები, არც გასაქცევი გაქვს, არც საიდანმე დახმარებას ელი და იძულებული ხარ შენი მცდელობით თავი გაიტანო და ბოლომდე მისი ერთგული დარჩე.

7792. ცხოვრების წესი და ნოსტალგიის გრძნობა ყველას სხვადასხვა გვაქვს, მაგრამ სამშობლო ყველასთვის ერთია, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ჩვენი წარმოდგენა ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა.

7793. ყველა ვერ იქნება თავის ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, ყველა მოქალაქეს არ შეუძლია თავის ქვეყნის მმართველი გახდეს, ყველა მმართველს არ შეუძლია იყოს თავის ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, რადგან მოქალაქეობას თანდაყოლილი ერისშვილობა, კაცობა და ბედი ერთდროულად უნდა დაჰყვეს.

7794. სხეულის ტკივილი ზოგჯერ ადამიანს მოთმინებას აკარგვინებს, სულის ტკივილი კი – თავისადმი პატივისცემას, ამ ტკივილების კოქტეილი შეიძლება „მისი გორის", სამშობლოს, ეროვნული თავმოყვარეობის ტკივილიც იყოს, ოღონდ ღირსების დაკარგვის გარეშე.

7795. წესით, ძალაუფლებისთვის კი არა, სამშობლოს სასიკეთოდ უნდა იბრძოდნენ, მაგრამ ძალაუფლების გარეშე ნაოცნებარისთვის ყველა ბრძოლა წაგებულია.

7796. უხიაგი მთავრობა საცხოვრებლად ქვეყანას გაცვლევინებს, მაგრამ სამშობლოს ვერ გიკარგავს.

7797. ყველა მოქალაქე ვალდებულია სამშობლოსათვის საჭიროების ჟამს თავი გასწიროს, მაგრამ არავინაა ვალდებული სხვისი შეცდომებისათვის სიცოცხლით პასუხი აგოს.

7798. ახლობლებისაგან დაუფასებლობა სამშობლოს უმადურობიდან იმით განსხვავდება, რომ ახლობლებს მანამ ახსოვხარ, სანამ ისინი ცოცხლობენ, ხოლო სამშობლოსთვის გაკეთებული სიკეთე მარადიული ხსოვნის მომტანია და თუ მან არ დაგივიწყა, შენი მცდელობა ამქვეყნად არ გახუნდება.

7799. ყველაზე მეტად, ალბათ, შენი მშობელი მიწის სიყვარული უნდა შთაინერგო, რომელსაც ვინ იცის რა არ უნახავს და რა არ გადახდენია შენი უმსგავსო თანამემამულეებისა და გადამთიელებისგან.

7800. ცარიელი პატრიოტიზმი არაფერია, თუ მას მისი ორგანიზებული სიყვარული და საქმის კეთება არ ახლავს სამშობლოს მიმართებაში.

7801. სწორედ სამშობლოს ტრაგიკულ მომენტებს გავყავართ პატრიოტიზმის უმადურ გზაზე.

7802. სამშობლო შეიძლება თავად აირჩიო, მაგრამ უნდა გწამდეს ისიც, რისთვისაც არჩევანი შეაჩერე ამ ქვეყანაზე.

7803. პატრიოტიზმს განსაზღვრავს ცხოვრების წესი, ეროვნება, ტერიტორია, სიძლიერე, სასიამოვნოა შეგრძნება იმისა, რომ შენ ქვეყნის ვალმოხდილი და დაფასებული შვილი ხარ.

7804. ზოგისთვის სამშობლო სულის ქისაა, ზოგისთვის – მასში ჩადებული ოქროს ფული, ზოგიც უფულოდ არსებობს. გააჩნია, ვის როგორ გაუმართლებს სამშობლოს სიყვარულში.

7805. სამშობლოს რაც უნდა ულხინდეს, პატრიოტისთვის ის მაინც დატანჯულია, ხოლო ნაციონალისტისთვის გადაგვარების გზაზე დგას, რადგან მათ ხელს არ აფათურებინებენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში.
7806. სამშობლო მოსავლელად მასზე შეყვარებულ ადამიანებს სჭირდებათ, მაგრამ რატომღაც გასაპუტავად ვიგინდარებს უვარდებათ ხელში და ისინი გვევლინებიან მის პატრონად.
7807. ზოგი დაღვინების ჟამს სამშობლოს ფულის, საქმიანობის, ქალის გულისთვის ირჩევს და ამავე მიზეზით სტოვებს, რადგან სამშობლოდ წოდებული დედა დედინაცვლად ექცათ და ერთმანეთს ვეღარ უგებენ.
7808. ხანდახან სამშობლო ჯოჯოხეთია, თუ ჭკვიანური აზრების მოსმენა და სიკეთის მადლი არ აინტერესებთ ჩვენი ქვეყნის ოლიმპზე მოკალათებულ ვიგინდარებს.
7809. სამშობლო ზოგისთვის პურის ნაჭრის ზომაა, ზოგისთვის მისი გამოცხობის შესაძლებლობა, ზოგსაც ობლობა აწყობს, რომ სინდისზე არ შეაგდონ და პურის ნაჭერი არ მოსთხოვონ.
7810. სამშობლოს და სისხლს თავის ყივილი ახასიათებს, რომელიც დედის თხოვნასავითაა და მის უგულველყოფას სული არ დაუშვებს, რაც უნდა გაურკვეველი ანგარიშსწორება ჰქონდეს მასთან, რადგან მათი შემოხმიანება ყველა ბრძანებაზე და მოვალეობაზე მაღლა დგას.
7811. სამშობლოს სიყვარული ის ფენომენია, რომელზედაც ფერ-უმარულის გარეშე სიმართლის თქმა არც ხალხს მოსწონს, არც მთავრობას, არც მავანს და არც იმ მომავალ თაობას, ვისი გონიერების დასადუღებლადაც ეს ითქმება.
7812. სამშობლო გულით უნდა გიყვარდეს და არა პოლიტიკოსის მსგავსად, რომელსაც მისი სახელი ენაზე აკერია, ხოლო ქვეყნის ბედი ვაჭრობის საგნად გაუხდია.
7813. თუ სხვა ერის შვილი შენს ენაზე ლაპარაკს ცდილობს, იგი შეიძლება შენი ხალხის შვილად გადაიქცეს.
7814. ერის ბედნიერებაა, როცა სხვა ხალხის მიმართ იჩენს მოთმინებას, რადგან ეს ხალხი შენს სამშობლოს რწმენით და შემართებით მოემსახურება და შენი ნაწილი გახდება.
7815. სამშობლოსადმი სიყვარული ათას უხერხულ სიტუაციაში მოგახვედრებს, მაგრამ უნდა გაუძლო. და უპატრონო
7816. ურთიერთმოქიშპე შუაგახლეჩილი ერი უპატრონოდ მიტოვებულ ნივთს ჰგავს, ვინც ნახავს, ის მიისაკუთრებს.
7817. გონიერი სახელმწიფოს მეთაური უნდა ეცადოს სახელმწიფო ტერიტორიის და განსაკუთრებით სასაზღვრო ნაწილი აბორიგენებით არა ნაკლებ 60%-ით დაასახლოს, რაც ქვეყნის ერთიანობის და სიძლიერის გარანტიაა.
7818. მოაზროვნე ხალხი ყოველთვის მზად უნდა იყოს დაიცვას სამშობლო მის მიერ არჩეული მთავრობისაგან, ტაშის დამკვრელი ვიგინდარებისგან და თუ საჭიროა ამ საქმისათვის, პატრიოტი უნდა შეეწიროს კიდეც.
7819. ეკატერინე II სხეულში რუსული სისხლი არ ჩქეფდა, მაგრამ მას შემართებას მატებდა რუსი ფავორიტი მამაკაცების თაყვანისცემა, ნდობა და ისიც დიდებუ-

ლად მართავდა ახლადშეძენილ სამშობლოს. ადამიანისათვის მთავარია მისი ღირსების დაფასება და არა წარმოშობისა.

7820. ყველა თაობა ამ სამყაროს მაქსიმალურ ექსპლუატაციას უწევს და მომდევნო თაობებს ჩვენს დედამიწას უფრო და უფრო გამოფიტულს უტოვებს. ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ ჩვენ დედამიწა არენდით გვაქვს აღებული და არა სამშობლო.

7821. დაკუნთული მამაკაცების ყოლა ყოველთვის არ ნიშნავს ერის სიძლიერეს. დანაოჭებული ტვინი უფრო ადგება მამულს.

7822. კაცმა უნდა იცოდეს, რისი გულისთვის უნდა გასწიროს თავი – სამშობლოსათვის, ტრადიციებისათვის, უფლებისათვის, თუ ნაშიერის გადარჩენისათვის.

7823. დღეს სამშობლო რომ შეიყვაროს და მის მიწაზე იცხოვროს, ზოგი კომფორტს ითხოვს, ზოგსაც გარშემომყოფთა სიყვარული სჭირდება. მიუხედავად სხვადასხვა მოთხოვნებისა, სახელმწიფომ ისინი უნდა დააკმაყოფილოს, თუ უნდა ერმა იარსებოს.

7824. სამშობლო თუ თავის შვილს თავს არ ახსენებს, შვილსაც თანდათან ავიწყდება სამშობლო. ხოლო მის მომდევნო თაობას გვარი რჩება და იმასღა ფიქრობს, გვარიც როგორ მოიშოროს.

7825. სამშობლოს სიყვარული და მთავრობის სიყვარული ერთი და იგივე არ არის, მაგრამ შენ ერს თუ წესიერი კაცი უდგას სათავეში, მაშინ შენი ხალხის მიმართ დადებითად განეწყობა და გულზე მალამოდ გეცხება.

7826. არის გარემოება, როდესაც შეღავათი შენს თავსაც კი არ უნდა აკადრო. წინაღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი დაემსგავსება ფარსს და ცხოვრებაც სამშობლოსათვის აზრს დაკარგავს.

7827. ხალხის არჩეული ლიდერი მტერთან და მოყვარესთან საერთო ენის გამონახვას, ჭკვიანი და წესიერი ხალხის დაახლოებას, ავტორიტეტის ამაღლებას უნდა ცდილობდეს. ამისთვის მას უნდა ჰყავდეს ძლიერი არმია, სამართლიანი კანონდამცველი ორგანოები, სახელმწიფოსთვის გამოსადეგი მსახურნი და, რაც მთავარია, პირადულს ყოველთვის უკან უნდა აყენებდეს, რადგან მას ისიც ეყოფა, რომ პირველ კაცად შედის თავისი სამშობლოს ისტორიაში.

7828. სახელმწიფოში და ოჯახში უკმაყოფილების მიზეზი უსაქმურობა, უმუშევრობა, უფულობა, უსამართლობა, მოდუნებაა. ამ გარემოს შესაცვლელად ადამიანი უნდა იბრძოდეს და ამ ბრძოლაში სიამოვნებას უნდა ნახულობდეს. მაშინ სახელმწიფოს, ეროვნულობის და ოჯახის კრიზისსაც მოევლება.

7829. სახელმწიფოს და ერს, რაც უნდა კარგად ჰქონდეს საქმე, არ უნდა მოეშვას. ერთისთვის ეს ფინანსური კრიზისით მთავრდება, მეორესთვის – სულიერი და ფიზიკური ტრავმებით.

7830. ერი, რომელიც საქმიანად არ იყენებს თავის ინტელექტს, მუდამ უკან ჩანჩალისთვის არის განწირული.

7831. როდესაც ხელმძღვანელი სახელმწიფოს ინტერესებისათვის დანაშაულს ჩადის, მას თავისი სამშობლო თავზე მეტად უნდა უყვარდეს. ამის შესანიშნავი მაგალითია თურქეთის სულთანი, რომელმაც თავის თხუთმეტ ვაჟს თავები დასჭრა და ერთი

დატოვა, რათა შვილებს ტახტისთვის დავა არ მოსვლოდათ და სახელმწიფო განსაცდელში არ ჩაეგდოთ.

7832. თუ მოქალაქე დაფიქრდება ჩადგეს თუ არა სამშობლოს დამცველთა რიგებში, დაეხმაროს თუ არა წყალში ჩავარდნილს, როდესაც მას ამის შესაძლებლობა აქვს, მისი დაფიქრების მიზეზი იმის მაუწყებელია, რომ ქვეყანას დიდი ხანია არაკაცები ხელმძღვანელობენ და მასზე არავის უზრუნვია.

7833. დაუფიქრებელი გულკეთილობა დანაშაულია შენი ოჯახის, სამშობლოს და სამყაროს გონიერების წინაშე.

7834. ერი მაშინ არის ძლიერი და ჩამოყალიბებული, როცა გაჭირვებას ყველა გულისხმევით, ნებაყოფილობით და თანაბრად გაინაწილებს.

7835. ერის ხელმძღვანელმა ისე უნდა წაიყვანოს საქმე, რომ ბრბო ხალხად გადაქციოს.

7836. სახელმწიფო მმართველად და ერის შვილად საშუალო ნიჭის და ზნის პრინციპული, მოხერხებული ხელმძღვანელიც გამოდგება ოღონდ ერთი პირობით – არ უნდა ჰქონდეს მიდრეკილება მოხვეჭისაკენ.

7837. კარგი მმართველი – შობადობის რეგულირება, ეროვნული სიამაყის ზრდა, ეკონომიკის და თავდაცვის უნარიანობის ამაღლებაა. ცუდი მმართველი – მექრთამეობა, ქვეყნიდან ერისშვილობის გაკრეფა, ეკონომიკის დაქვეითება, სამათხოვროდ ხელის გაწვდენაა. ყველაფერი ეს ხალხისთვის ცნობილია, მაგრამ, რატომღაც მაინც მოლაყბე ლამაზმანი პოლიტიკოსის არჩევა ურჩევნია თავის განძრევასა და დაფიქრებას.

7838. ზოგჯერ შენი უვიცობა დიდი ბედნიერებაა იმ ერისთვის, რომელსაც წარმოადგენ, ვინაიდან ზერელე ცოდნით შეიძლება უფრო უკეთესი შთაბეჭდილება დატოვო.

7839. ერმა, თავის თავს პატივი რომ სცეს და პატრიოტიზმის გრძნობა გაიძლიეროს, აუცილებლად სჭირდება პატარ-პატარა ცხოვრებისეული წარმატებები, ხოლო თუ ისინი მასშტაბური იქნა, მას აღაფრთოვანებს და ახალი საქმეების საკეთებლად აღაგზნებს.

7840. უცხო ქვეყნის შვილს შენს შვილზე მეტად უნდა შეუწყო ხელი, რომ მან შენი ქვეყანა თავის სამშობლოდ გაიხადოს. ის ყველაზე მეტად პატრიოტია, რადგან სულ იმის შიშშია, ვინმემ მისი უცხოტომობა არ გაიხსენოს.

7841. ერის სულიერი სიძლიერის წახალისება გარკვეულ პერიოდში, გაცილებით მეტ როლს თამაშობს ერის გასაერთიანებლად, ვიდრე მატერიალური. ამიტომ სახელმწიფოს ხელმძღვანელი უნდა ეცადოს ამ სულიერი ფონდის მატერიალურად დაფინანსებას, რაც უნდა უჭირდეს სახელმწიფოს და უკუგებაც არ დააყოვნებს.

7842. ეკატერინე II გაბრაზების დროს წყალს მოსვამდა და პირში იგუბებდა, რათა აფექტის დროს გონიერ იმპერატრიცას უკადრისი რამ არ წამოცდენოდა. კარგი იქნებოდა ეს ხერხი ჩვენს დეპუტატებს და სახელმწიფო მოღვაწეებსაც ესწავლათ და შეიძლება მათ ერისშვილობაში ეჭვი არ შეგპაროდა.

7843. პრეზიდენტს, სახელმწიფოში, ყოველთვის ეყოლება ჭკუანაღრძობი ერის-შვილები და არაჯანსაღი ოპოზიცია. მაგრამ ეს სულაც არ მოითხოვს მათი დათ-რგუნვის და არ არის მიზეზი სამშობლოზე განაწყენების.

7844. ერის ისტორიაზე შექმნილი წიგნი ყველა ოჯახში უნდა იდოს და მას უნდა კითხულობდნენ არა მარტო გატაცებით, არამედ სინანულითაც, რათა ჩადენილი შეცდომები მომდევნო თაობამ არ გაიმეოროს.

7845. მხოლოდ ერის შვილს და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანს აქვს თავისი ერის კრიტიკის უფლება. ერის კრიტიკის უფლებას დამსახურება უნდა.

7846. დიდი და განვითარებული ქვეყნები, მეტწილად, ვერ ახერხებენ პატარა ქვეყნების გადაყლაპვას, თუ ამ უკანასკნელს ცხოვრების თავისი ეროვნული ჟინი აქვს.

7847. პოეტად და თავისი ქვეყნის ნამდვილ მოქალაქედ ყოფნა ყველას არ შეუძლია, რადგან ორივე თანდაყოლილ ნიჭს მოითხოვს. მაგრამ ყველა უნდა ეცადოს რაც შეუძლია ის აკეთოს და თავის შესაძლებლობა გამოამჟღავნოს, იმ იმედით, რომ თავის სამშობლოს რამეში მაინც გამოადგნენ.

7848. წინამძღოლად, ერისშვილად, მმართველად ის უნდა ჩაითვალოს, რომელიც პირველ რიგში სხვას აპურებს, ხოლო შემდეგ თვითონ იკვებება.

7849. ქვეყანას როგორ ეშველება ყველამ „იცის"ვისაც ბურთულიანი კალამი უჭი-რავს და მიკროფონით ტრიბუნაზე ასვლის საშუალება აქვს. მაგრამ, ვისაც სამშობლოს კრიზისიდან გამოყვანის ნიჭი და სურვილი აქვს, ზემოთ აღნიშნულს ვერ ფლობს.

7850. სახელმწიფოს მართვას სჭირდება სამშობლოს სიყვარულით დაავადებული გონებაგახსნილი, სავარძელში ჯდომას მიჩვეული ხელმძღვანელი, რომელსაც ამინდის მიუხედავად ფუტკარივით დაუღალავი შრომა ძალუძს.

7851. სახელმწიფოში ან მგლები უნა დათარეშობდნენ, ან ძაღლები. მგლების მოშო-რება და ამოხოცვა შეიძლება, მათზე ძაღლების მიშვებით. გაავებული ძაღლებიც თანდათან უნდა დააბა, ოღონდ სალაფავი არ უნდა მოაკლო. ეს არის არეული სახელმწიფოს მართვის და სამშობლოს შესაძლებლობის სიყვარულის ალგორითმი.

7852. თევდორე მღვდელმა ერთ დღეში დამპყრობლები იქ მიიყვანა, სადაც ქვეყნის უსაფრთხოებას ესაჭიროებოდა, ხოლო ებრაელმა მოსემ თავისი ხალხი 40 წელი უგზო-უკვლოდ ატარა უდაბნოში, ყოველივე ძველის დასავიწყებლად და არსა-დაც არ მიუყვანია. ისმის კითხვა: რომელმა უფრო მეტი სარგებელი მოუტანა თავის ხალხს – მოსემ, რომელიც თავის გონიერებით ცოცხალი გადარჩა და ხალხიც აღზარდა, თუ თევდორემ, რომელიც სამშობლოს ერთგულებას შეეწირა, ხოლო მისი ხალხის ბუნება იგივე დარჩა.

7853. დრობა, ჰიმნი, გერბი სიწმინდის სიმბოლოა და არა ნაჭრის ნაგლეჯი, დოლის ბრახუნი და ბავშვების სათამაშო ქვიშა. უამისოდ ცხოვრებას ფასი დაეკარგებოდა, ადამიანი ვერ ჩამოყალიბდებოდა მოქალაქედ, ხოლო მის გარეშე არც სამშობლო, არც სახელმწიფო არ გვექნებოდა და გაღარიბებული სულით დღესაც მაიმუნის გვერდით ვიცხოვრებდით.

7854. სამშობლოსა და მოქალაქეობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი შენ გირჩევს, ხოლო მეორეს – შენ.

7855. გიორგი ბრწყინვალის დიდება შეიძლება ბევრს ავანტურისკენ უბიძგებდეს, მაგრამ გააჩნია პიროვნებას, რომელზეც სამშობლოს ბედ-იღბალია დამოკიდებული.

7856. სამშობლოს სიყვარული გიძლიერდება, თუ მას შენ სჭირდები და შენგან მოითხოვს პრაქტიკულ საქმიანობას და თავდადებას. თუ ასე არ ხდება, სამშობლოს სიყვარული ფიქციად იქცევა და რჩება მარტო განცდები.

7857. ენა სამშობლოს აუცილებელი ატრიბუტია. მშობლიურ ენაზე საუბარი და მისი გავრცელება სამშობლოს სიყვარულის პირობაა.

7858. სამშობლოს სიყვარულში პირველადია შენი ქვეყნის სიძლიერე, შენი საქმიანობის დაფასება და შედეგად ეროვნული სიამაყე. ხოლო, როდესაც ქვეყანა პარტახდება, პირველ ადგილზე წარმოჩინდება ვაიპატრიოტიზმი, უსაქმურობის, ბედოვლათობის დასაფარავი და მზის ქვეშ ადგილის „მოსაპოვებელი" საყოფაცხოვრებო ნაციონალიზმი და თავის ქვეყანაზე „შეყვარებული," გაბითურებული, „ეროვნული ძალები" ჯოგად გარბიან საშოვარზე სხვის ქვეყანაში და თუ იქ კარგად მოეწყვნენ, მათს ეროვნულობას, პატრიოტიზმს წერტილი ესმება.

7859. თუ სამშობლო ზურგს შემოგაქცევს, შენც იძულებული ხარ იგივე გააკეთო და სხვის სამსახურში ჩადგე.

7860. სამშობლომ უნდა მოგცეს შენს გემოზე ცხოვრების საშუალება სხვებისთვის ზიანის მიუყენებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენი და ქვეყნის ურთიერთობა დედინაცვლის და გერის ურთიერთობას გვაგონებს, ხოლო მათი ურთიერთობის მოგვარება დიდ გონიერებას და კომპრომისზე წასვლას მოითხოვს, რაც სამწუხაროდ ბევრ ერს არ შეუძლია.

7861. საბოლოოდ შენი სამშობლო ხდება ის ქვეყანა, ვისაც ახსოვხარ, ვინც პასუხისმგებლობას იღებს შენს მოვლა-პატრონობაზე და ღირსეულ დამარხვაზე.

7862. სპორტი შენდა შეუმჩნევლად გასწავლის სამშობლოს სიყვარულს, პატივისცემას და გაამაყებს, შენ რომ შენი ხალხის შვილი ხარ.

7863. სამშობლოს სიყვარულის ბაირაღი მაღლა არ უნდა ავწიოთ სხვა ხალხის ინტერესების ხარჯზე.

7864. სამშობლოს, სადაც ცხოვრება გაძნელებულია, უფრო ხალისით სწირავენ სიცოცხლეს, ვიდრე იმ ქვეყანას, სადაც ცხოვრება ლაღობს.

7865. ყველა პრობლემის შეჯერება, განკურნება, დავიწყება შეიძლება, გარდა ეროვნული პრობლემებისა, ის იშვიათად ემორჩილება მშვიდობიან კომპრომისს.

7866. ქვეყნის სიკეთისკენ, სიყვარულისკენ შემოტრიალება, სამწუხაროდ, მუშტის დარტყმის და სისხლის დაღვრის გარეშე არ ხერხდება და ამ დროებით სისაძაგლის ჩადენის უფლება იმ კაცმა უნდა მოიპოვოს, ვისაც სამშობლო თავს ურჩევნია.

7867. ქვეყნის, ერის საქმე ყოველთვის მხურვალე გულით კეთდება და არა გონებით, რადგან ამ უკანასკნელისთვის ვაჭრობა, მერყეობაა დამახასიათებელი, რაც საქმის კეთებას ხშირად ვნებს.

7868. ერმა სისაძაგლის, სიბინძურის, სიავის დამალვა სხვასთან ლამაზად უნდა ეცადოს, ხოლო თავისთვის მკაცრად, რათა ამ სიგლახემ ფეხი არ გაიდგას.

7869. ნაღდი ჯიში, სისხლი და გვარიშვილობა არ იტყუება, მაგრამ ის შეიძლება ხელიდან გაგვიქრეს, თუ მას ფუფუნებაში ვამყოფებთ და წრთობის გარეშე მოვუვლით.

7870. ერზე წარმოდგენის შექმნა მისი წარსულის ავ–კარგით უნდა დაიწყოთ, მის ფანტაზიის ნაყოფს და სულს ეზიაროთ, მასთან პური გატეხოთ, მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება ამ ხალხის გაცნობა, შეფასება, დაფასება.

7871. ერი პირველ რიგში გულით გვიყვარს, შემდგომ გონებით ვაფასებთ, რადგან აქ ბევრია სადაო და განსასჯელი.

7872. სამშობლოს სიყვარული, მასზე ზრუნვა და ფიქრი უფრო ადვილია, ვიდრე მეზობლის, მოყვასის შეყვარება, მასთან საქმის წარმართვა ან უკონფლიქტოდ დაშორება.

7873. პატრიოტიზმი სამშობლოს სიყვარულია თუ მის მიწაზე დაბადებიდან გარდაცვალებამდე რჩები და შენს სანაცვლოდ ღირსეულ შთამომავალს სტოვებ, ყველა სხვა ქმედება მხოლოდ სიტყვის მასალაა.

7874. ერი ისე დააგლახავა თავისმა უნიათმა მთავრობამ და პოლიტიკურმა ტინგიცობამ, რომ დღეს სამათხოვროდ გაუხდა საქმე და მუდამ სპონსორის ძებნაშია, მაშინ როდესაც ამ ხალხს არც თავისი შინაგანი ბუნება და არც ღმერთის ნაჩუქარი მიწა ამის უფლებას არ აძლევს.

7875. ერმაც იცის გაკოტრება, როდესაც თავისი ქვეყნის არენდის ფულს ვერ იხდის, ხალხი მშიერია და სხვაგან გარბის. რამდენი ერი გადაშენდა უსახსრობისა და თავდაუჭერელი ფუფუნების გამო, მათი ადგილი კი სხვა ერმა დაიკავა, უფრო გამრჯემ და ხელმომჭირნემ.

7876. ერის შენარჩუნების საიდუმლო ემისარი – საქართველოს ქალია, რომელიც უნდა ამშვენებდეს მის დროშას, თავის შვიდქიმიანი ვარსკვლავით და ჯვარით, თეთრი სიწმინდის ბაირაღს, რომელზედაც ზოლებად გაიელვებს შავი-ცუდი დღეების, წითელი-ჟინის, მწვანე-ულამაზესი ქვეყნის აღმნიშვნელი ფერები.

7877. ეთიკური ნორმები, ტრადიციები თაობებმა უნდა შემოინახონ, რადგან ხშირად სახელმწიფოს მათი გარყვნისკენ თვალი უჭირავს, რათა უხიაგი მართვა, მომხვეჭელობა გაამართლოს, მოწონების ტაშიც დაიმსახუროს იმისთვის, რომ ტრადიციებზე აწყობილი ქვეყანა ჯოჯოხეთად არ გადაგვიქცია.

7878. ყველა ჩვენგანის სული მოგზაურობის შედეგად მოსულა ამ მიწაზე, სამყაროში დიდი წანწალის შემდეგ, რის შედეგადაც დედამიწაზე დაიწყო მიწის პრივატიზაცია. ზოგს მეტი ერგო, ზოგს ნაკლები და მითვისებულ მიწას დავარქვით სამშობლო, ენას – პოლიტიკა, საქმიანობას – ეკონომიკა. მიუხედავად ყოველივეს კლასიფიცირებისა, ამ პლანეტის გაყოფა დღემდე ვერ დავამთავრეთ. იმის მაგიერ, რომ

ამქვეყნად ბედნიერება, სიამოვნება ვეძიოთ და ცხოვრება სამოთხედ ვაქციოთ, დღესაც ომობანობის და კონფლიქტის საბაბს ვეძებთ, ის კი გვავიწყდება, რომ ამქვეყნად ამ სახით და შესაძლებლობებით ერთხელ მოვდივართ.

7879. ერის უსაფრთხოებისთვის ყველაზე საშიშია შემთხვევით გამდიდრებული და გადიდკაცებული ვიგინდარა.

7880. ერს სამართავად სიამაყის შეგრძნება, ტრადიციების და მისი სიმბოლოების დამცველი სჭირდება, რომელიც ჭკვიანმა ინგლისელმა ხალხმა თავის დედოფალს აჰკიდა, აბა, სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ხალხის თაყვანისცემა მონარქების მიმართ, რომლის შენახვა საკმაო თანხა ჯდება.

7881. სამყაროში ერის არსებობა და მისი საქმიანობის ხარისხი პირველ რიგში ლიტერატურით, მუსიკით, ხელოვნებით უნდა შეფასდეს, შემდეგ მოდის ტერიტორიის შემომატების და მმართველი ელიტის საქმიანობის სერენადა. ხოლო დანარჩენ სახელოვან პირთა წარმოჩენა ჩვენი ისტორიის სავიშვიშოა.

7882. ეროვნული ტრადიციების გახსენება, გაფეტიშება, ზოგჯერ უხერხულობას ქმნის თანამედროვეთა წარმოდგენის წინაშე, მაგრამ მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ყველაზე მეტად ერის წარმოჩენა და ფესვების შენარჩუნება.

7883. სამშობლოს, ქვეყნის დიდებას, საეჭვო ღირსების პატრიოტები უკეთესის აშენების მომიზეზებით ანადგურებენ, როდესაც გამოზომილი და სამყოფი ცხოვრება ბეზრდებათ, შედეგად კი უვარგისი ძველი წყობის სამართლიანობაც კი სანატრელი ხდება ამ აჩქარების გამო.

7884. ყველას ოცნებაა თავის დროზე სამშობლოში მიიცვალოს, მაგრამ ეს დამოკიდებულია მამაზეციერზე და იმ იდიოტურ შემთხვევაზე, რომელიც ჩვენს ზურგს უკანაა ჩასაფრებული.

7885. ყველა ერის კულტურის ბაზისი სამართლიანობის საწყისია, სიყვარულში არეული.

7886. სამშობლოს კეთილდღეობას ღირსეულნი ეწირებიან და არა უღირსნი, რომელთაც აგურის კი არა, კენჭის დადებაც კი არ უფიქრიათ ქვეყნის აღმშენებლობის საძირკველზე.

7887. კულტურა, რომელიც ერის ჯანმრთელობას არ უფრთხილდება, მის წინსვლას ხელს ვერ უწყობს, დოვლათის შექმნას და პროგრესს ანელებს, ეს კულტურა რაც უნდა თვითმყოფადი იყოს, მისი მფლობელი კულტურულ ერად არ უნდა ჩაითვალოს.

7888. უვარგისი კაცი თავისი ერის ისტორიას აზვიადებს, რითაც სარგებელს გამოელის, მაგრამ ამით ის ფულს ვერასდროს იშოვნის.

7889. სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა შეუღლება ახალი ჯიშის გამოყვანის მცდელობაა, რომელსაც თან სდევს თავისებური აზროვნება და მსოფლმხედველობა, მაგრამ ნაშიერის ადამიანად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს გარემო და აღზრდა თამაშობს.

7890. კულტურული ერი ის არის, რომელმაც ყველაფრის ფასი და ყადრი იცის და თავისი პრაქტიკული საქმიანობით და არა ლაყბობით ერის სიმდიდრეს კიდევ ერთ აგურს დაუმატებს.

7891. ეროვნება არის რწმენა, გარეშეთა დამოკიდებულება შენდამი და დაბადების ადგილის ნოსტალგიური სიყვარული.

7892. უხიაგი პოლიტიკოსი – მთელ ერს მაჩანჩალის, მათხოვრის მენტალიტეტს შესძენს. ერიც კმაყოფილდება ამ მცირედით, რადგან მისგან დაუღალავ შრომას და თავდადებას არავინ მოითხოვს.

7893. ერი რომ ამაღლდეს, მან თავისი წინამორბედი წინაპრის დაცემა უნდა ნახოს და გააანალიზოს, მაგრამ ქართველებს არც ეს გვშველის.

7894. ერის მამაა ის, ვინც საჭიროების შემთხვევაში შვილს გაროზგვასაც არ დაამადლის, ოღონდ დიდი სიყვარულით.

7895. ზოგადსაკაცობრიო და პატრიოტულ აზრებს ურთიერთგაგება აქვთ, მაგრამ ერთმანეთს ვერ ეხუტებიან, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული წარმოშობის ძირი ერთი აქვთ, მაგრამ ყველა მათგანს თავისებურად ესმის სამშობლოს კეთილდღეობა და მასზე ზრუნვა, მთავარი ის არის, რომ თავის ხლაფორთით რაღაც სარგებლის მიღების სურვილი ამოძრავებთ.

7896. ყველა ერს აქვს თავისი სული, ხასიათი, შემართება, რომელიც განსაზღვრავს ამ ხალხის ცხოვრების პერიოდს და არა – საუკუნეების ქარცეცხლში გამოვლას.

7897. უცნობი მხარის მონახულება შენი სამშობლოს შეცნობის კიდევ ერთი საშუალებაა. ხოლო შენს სამშობლოში ხეტიალი მისი მონატრებაა..

7898. სულის ძახილი, განათლება, სისხლით მენტალიტეტი, ქვეყნის სხვადასხვა ხარისხის სიყვარულია, მაგრამ მათი კოქტეილი ერის კარგ მსახურს იძლევა.

7899. ეროვნული აღზრდა გადამწყვეტია მენტალიტეტის შეძენისათვის, რომელიც, სურვილის მიუხედავად ძნელი მოსაშორებელია.

7900. ქვეყნის პრეზიდენტის კულტად აღიარება არა, მაგრამ პიროვნებად და ერის შვილად მისი შეცნობა აუცილებელია.

7901. ეროვნული ამბიციები მისასალმებელია, თუ ის რეალობაზე, ზომიერებაზე და თვითშეგნებაზეა დამყარებული.

7902. „ვინც გაფრთხილებულია წინასწარ, ის შეიარაღებულიცაა", ამიტომ ყოველთვის იარსებებს ერის შვილების მსტოვართა ინსტიტუტი, როგორც დღევანდელი, ასევე ხვალინდელი გაგებით, რომელთა შესაძლებლობები განუსაზღვრელი უნდა იყოს.

7903. სამწუხაროდ, სამოქალაქო ომის და ძალმომრეობის გარეშე ერი ვერ ყალიბდება, მიუხედავად იმისა, ეს ჩვენი გონიერებისათვის მისაღებია თუ არა.

7904. ჩვენ დიდებული ქვეყნიდან ვართ, მაგრამ პატრონი არ გვყავს, როგორც კი გამოჩნდება ერისშვილი, მაშინვე იწყება სამშობლოს აყვავება და საამური ცხოვრების რწმენა.

7905. სამწუხაროდ, ქვეყნის მმართველი, რომელიც ერისშვილიც გვგონია, ხალხი 4-5 წლით ირჩევს, ის კი თურმე 1-2 წლის გამოზამთრებისთვისაც არ არის მზად.

7906. სამშობლოს სიყვარული მაინც მატერიალურია, მიუხედავად იმისა, რომ სულიერი აღზრდა მასში მოჭარბებულად დევს, თუმცა გააჩნია ადამიანს და გარემო პირობებს.

7907. ყველა ქვეყანას, ერს და კუთხეს წინასწარ თავსმოხვეული შეხედულებისამებრ აღვიქვამთ, მანამ ახლოს არ გავეცნობით, მათ გვერდით არ ვიცხოვრებთ და საქმიანობაში ერთმანეთს არ გამოვცდით.

7908. „ენა ქვეყნის ამომგდებია", თუ მას კბილებით დამჭერი მუხრუჭი მოშლილი აქვს, მაგრამ გონების წაბიძგებისა და აფექტის გარეშე მაინც უძლურია.

7909. სამშობლო და ეროვნება თქვენი მშობლებია, რომელიც სითბოსთან ერთად ბევრ რამესაც გაკლებთ, მაგრამ თქვენი ვალია შვილებს თქვენზე კარგი აზრი შეუქმნათ.

7910. ცუდია, როდესაც გმირობის ჩადენას საუკუნეები კი არ ცდილობენ, არამედ ერთეული პატრიოტები, რომლებსაც ბრბოს მოლაყბე ნაციონალისტები და ვიგინდარები ურჩევნია.

7911. უხიაგ ქვეყანაში ჯერ სახელს შეგირყვნიან და შემდგომ არკვევენ, ცოდვილი ხარ თუ უცოდველი. სამწუხაროა, რომ ხშირად ეს შენი სამშობლო და შენი ხალხია.

7912. სტუდენტური სტიქია არ არის საშიში – როგორც აბობოქრდება, ისე ჩადგება, უფრო საშიშია ამ წლების ამოქროლება–ჩაქროლების სამშობლოს სიყვარულის პეწის შეგრძნების გარეშე გაყვანა.

7913. არმია პირველ რიგში ძლიერია სულით, გამოცდილებით, იარაღით, რომელსაც შემდგომ უნდა დაემატოს რწმენა, ნდობა და სამშობლოს სიყვარული.

7914. მსტოვართა ბებრუხანა ინსტიტუტი, გვინდა თუ არა, წარმოადგენს ქვეყნის პეწს, სამშობლოს ძლიერებას და ერს თავზე წარმოდგენას უქმნის.

7915. ერმა სიყვარულიც უნდა დაიმსახუროს და სიძულვილიც, თუ უნდა ჩამოყალიბებულ ერად მიიჩნიონ.

7916. ერის დაფასებეული და დაუფასებელი შვილები თავიანთ წარმატებას ქვეყნის წინაშე საფლავის ქვებიდანაც კი გრძნობენ.

7917. გმირი ხშირად ერის ისტორიაში კვდება, რადგან სამშობლოს ცნება დევალვაციას განიცდის.

7918. სამშობლოს დაცვა და აყვავება უხმაუროდაც შეიძლება, მაგრამ დამფასებელია ცოტა.

7919. ბევრ გენერალს ზოგჯერ ეფრეიტორი სჯობს, რომელიც ქვეყნის სათავეში მოხვდება, ბევრ გენერალსაც შეიწირავს და ქვეყანასაც ზედ მიაყოლებს.

7920. ენის ღირსება არც ენაზეა დამოკიდებული და არც პირზე, მას ერის ისტორია და მისი მარაგი განსაზღვრავს.

7921. ერი ხშირად ეთამაშება თავის წარმოდგენით შეკეთებულ ისტორიული ხანის ბედნიერებას.

7922. ქვეყნის სარკე ერის სინდისია, რომელშიც ხშირად იყურებიან, მაგრამ არა იმისთვის, რომ ნაკლი შეამჩნიონ და გამოასწორონ.

7923. ეროვნულობას სულს უმშვიდებს ქვეყნის წარსული, ლიტერატურა, მეცნიერება, მხედართმთავრები. სიმძლავრეს მატებს ნათელი აწმყო და მომავლის პერსპექტივები.

7924. კარგი იქნებოდა ყველა ერი, მხოლოდ უმანკო ბავშვებისა და უბრალო ადამიანებისგან რომ შედგებოდეს.

7925. გუთანი,ჩაქუჩი, ადლი, კალამი, ქნარი – აი, რა არის პირველადი და მთავარი ქვეყნის და ერის კეთილდღეობისათვის.

7926. რა დონეზეც შეგიძლია მშობლიური ენის შესწავლა, ზუსტად იმ დონემდე შეისწავლი უცხო ენასაც, რადგან ლინგვისტიკაც ბუნებით ბოძებული და ეროვნების წყალობით შეძენილი ნიჭია.

7927. ენის, დროშის, ჰიმნის და წესრიგის გარეშე ადამიანისა და საზოგადოებრივი წყობის ჩამოყალიბების დაწყება უგვანობაა.

7928. როცა საჭიროა ერის ინტერესების დაცვა და ერიც შეკავშირდა, მაშინ ტანკებიც იფრენენ.

7929. ერის ინტერესების დამცველად საშუალო ნიჭი და უნიჭობა გვევლინება, ხოლო ნიჭიერება თავისი მოწოდებით კვალიანდება და იქ ირჯება, სადაც მის გონიერებას ხელს უწყობენ. ასე მოპოვებული წარმატება გაცილებით მეტის მომცემია ერის წარმოსაჩენად, ვიდრე აბორიგენების სამშობლოსადმი თავისებური სიყვარული.

7930. ყველა კონტრიბუცია, რაც გამარჯვებულმა ქვეყნებმა გერმანელ ხალხს დააკისრეს, დიდი ხანია გადახდილია, დღეს კი თავის ნებით, ყოფილი ტყვეების სასარგებლოდ, სინდისის კონტრიბუციას იხდიან, რაც ამ ერის სიდიადეზე მიგვანიშნებს, რომელსაც არც აღსარების თქმის და მონანიების არ რცხვენია.

7931. ერი გარედან არ ისპობა, მას თვითმკვლელობა ანადგურებს, რაც თავისი კულტურის სხვასთან აღრევაში, უკეთესი სასუსნავის ძებნაში, მსოფლიო ცივილიზაციის გაფეტიშებაში და ეროვნულობისადმი სიყვარულის, რწმენის განელებაში გამოიხატება.

7932. არიან ქვეყნის შვილები, რომლებიც საუკუნეებს ხსნიან და ხურავენ, ერს წარმოაჩენენ და სიკეთის კეთების გზაზე აყენებენ.

7933. ამბობენ „თუ ერს წარსული არა აქვს, არც მომავალი ექნებაო", მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან დღევანდელობას მაინც თაობის შემართება და მისი მომავალი მართავს.

7934. ჩემი ერი ბუნების დიდი განძი სანატრელი ნატვრისთვალია, ცდუნების მიუხედავად, მისი ხასიათის გადაკეთებას არ ვისურვებდი და სამყაროს, როგორც მის საკუთრებას, ხელუხლებელს შემოვუნახავდი.

7935. ძლიერება ერს პატივმოყვარეობას უღვიძებს და ათავხედებს, სწორედ ამას უნდა ვერიდოთ, რადგან ეს არის უზრუნველი ცხოვრების წინაპირობა.

7936. ზოგჯერ შენი ერის უაზრო საქციელი ისეთ ხასიათზე დაგაყენებს, რომ შენი უღირსი წინაპრის ამნისტირება არ გინდა. ცდილობ ისტორიულ მოვლენებში გონებით გაერკვე და პატრიოტული ემოციები გვერდზე გადადო.

7937. უარყოფითი ფაქტების გამომზეურება ერისთვის არაფრისმთქმელი მასწავლებელია, ხოლო დადებითი ფაქტების გაფეტიშება და გათავისება დიდ სიამოვნებას გვანიჭებს, თუმცა სწავლით არც ის გვასწავლის რაიმეს.

7938. ყველა ერს აქვს თავისი საშინაო და საგარეო მოხმარების თვითმყოფადი კულტურა, რომლის აყღერებასაც თავის ჭკუაზე ცდილობს.

7939. უგვანო მთავრობის ხელში ძნელი გასაგებია, სად იწყება პოლიტიკა და სად მთავრდება იუმორი, რადგან მათ ნამოქმედარს სასიკეთო დაბოლოება ერის რაობისთვის ძნელად მისახვედრია.

7940. თუ თქვენ ცოდნას და გამოცდილებას სამშობლო ვერ ამჩნევს, ნუ მიეძალებით. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენს ერს ამ ეტაპზე არ სჭირდებით და როცა დასჭირდებით, ქვესკნელიდან ამოგიღებენ.

7941. ყველა ერის შვილი უნდა ცდილობდეს, რომ მის მმართველს თავის ხალხზე გაცინების საშუალება არ მისცეს.

7942. ყველა ერს აქვს შესაძლებლობა, რომელიმე საუკუნის ისტორია სასიამოვნოდ ააყღეროს, მაგრამ საკითხავია: ეს დროის კაპრიზია, მამაზეციერის საჩუქარი, ერის პოტენციალი, თუ ისტორიული აუცილებლობა, რომ ერმა იკაიფოს და სხვა ხალხებთან თავი წარმოაჩინოს.

7943. საერთო-საკაცობრიო მორალის და ტექნიკური პროგრესის ათვისებას ექსტრემალური მეთოდით მესამე რიგის ქვეყნების ყველა წარმომადგენელი ვერ ახერხებს და საერთოდ მორალისა და ეკონომიკის გარეშე რჩება. ამიტომ ერს, სხვა ერებისადმი მიბაძვა არ გამოადგება, თვითონ ჰარმონიულად თუ არ განვითარდა.

7944. სიბრიყვეს საზღვარი არა აქვს, მისი გამართლება რაღაც აუცილებლობის პირობით, ერის დაცინვაა, რადგან გავა 100 წელი, ჭეშმარიტება დავიწყებას მიეცემა, მომავალი თაობა მატიანის შელამაზებას მოინდომებს და უღირსს მიაწერეს იმ გმირობას, რაზედაც არც კი უფიქრია და ისტორიაში ამ ვიგინდარას ერის მამად გაატარებენ.

7945. ნაძირალას სამშობლო ფულია, მაგრამ მათ გარეშე გაჭირდებოდა, რადგან ჩვენი სამშობლოს უშიშროებას საფრთხე შეექმნებოდა და მოწინააღმდეგის ზრახვები ჩვენთვის უცნობი იქნებოდა.

7946. ძნელია გიყვარდეს სამშობლო, რომელსაც შენ არ უყვარხარ და არც ახსოვხარ, მაგრამ უფრო ძნელია შენი ეროვნების კოდის და აღზრდის მოშორება, რომელიც განგებამ გარემო პირობების დახმარებით შენ გარგუნა.

7947. ზოგს სამშობლო სარფიანობისთვის მოსწონს, ამიტომ ქვეყანას უპასუხისმგებლო ხალხი რომ არ დაეპატრონოს, მასამ აზროვნება უნდა ისწავლოს, რათა ქვეყნის პატრონად ღირსეული პირი დაიქირაოს.

7948. ძნელია სხვისი კულტურის რაობა ისე გამოხატოთ, რომ მას რაღაც არ დააკლოთ, რადგან იმ თანდაყოლილ შეუცნობად მადლს, რომელიც მის ეროვნულობაში დევს, მეექვსე გრძნობით ვერ აღიქვამთ.

7949. თქვენ კი არა, პირველ რიგში სამშობლო უნდა იყოს ბედნიერი, რომ მის ფესვებზე თქვენი სახით ასეთი უნიკალური ხე აღმოცენდა და ერს თავის წარმოჩენის

საშუალება მისცა. ასე უნდა იფიქროს ყველამ, ვინც პიროვნებად იქცა, რათა იმაზე მეტი გააკეთოს, რაც ხელეწიფება, სხვისმა შურმა და ავმა თვალმა რომ ვერაფერი ავნოს.

7950. ერს სჭირდება დიდი შვილი, თუ დიდ შვილს – ერი წარმოსაჩენად, სადაო საკითხია, მაგრამ როდესაც დედა შვილს გერივით ექცევა და მისი განდიდების შემდეგ თავის წარმოსაჩენად დედინაცვალივით წაეპოტინება, ხელს არ უშვებს, ჩვენც ნახირ-ნახირო, ამ ერის წესიერების და ჭკუის სწავლების იმედი არ უნდა გვქონდეს.

7951. ერის განვითარებაზე თუ ლანდშაფტი მოქმედებს, მის კულტურაზე – ეკონომიკა, თვითმყოფადობაზე – მენტალიტეტი, ხოლო მასობრივი შოუ-ბიზნესი მოწოდებულია ფულის მოხვეჭისთვის, გონიერების გამოსათაყვანებლად და ყოველგვარი ძველად გადამოწმებული ელიტარულის დასავიწყებლად.

7952. გარკვეული საუკუნეების ატირებული მფლობელები ვართ, ჩვენი სახელმწიფოებრიობით და სამშობლოს შეძლებით, მაგრამ ეს არც ნუგეშის მომცემი და არც სიდუხჭირიდან თავის დაღწევის საშუალებაა, მთავარია ურთიერთშერწყმა და ხელების დაკაპიწება.

7953. წინაპრები უნდა ეცადონ ისეთი რამ არ ჩაიდინონ ერის წინაშე, რომ მომავალ თაობათა გასაკილნი გახდნენ, თორემ რომ გაიხსენებენ, ეს გარანტირებულია.

7954. პატრიოტიზმის არც გაქირავება და არც დაქირავება შეიძლება, ის ქვეყნის საკუთრებაა და არანაირ პრივატიზაციას არ ექვემდებარება.

7955. ერის გადარჩენის აუცილებელი პირობაა: ენის ცოდნა, პასუხისმგებლობის გრძნობა, გაყოფა, გამრავლება და არ იყოს ტრაბახი.

7956. ისე უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო, რომ გაუგებარი იყოს იმ ადამიანისთვის, რომელიც შენთან უზრუნველყოფილად ცხოვრობს და აზროვნებს.

7957. სამშობლოს დაცვა ხელოვნებაა, მისი დამცველის გამოზრდა – ღმერთის წყალობა.

7958. ინტერნაციონალური ბუნება დიდებულია, მაგრამ არა იმდენად, რომ შენი ფესვების სიყვარული უკან გადაწიო, რადგან მის გარეშე ღირსეული არაფერი აღმოცენდება.

7959. ერის სულის მოქალაქეობაა პირველადი, შემდეგ მოდის შემოქმედება, საქმიანობა, შემართება, რადგან შენმა ყოფამ, ქცევამ, სხვას სულის წასაბილწად ხელი არ უნდა წაუბიძგოს.

7960. წინაპრის, სამშობლოს, ერის გაგების არეალი, განათლების მიღებასთან ერთად ინტერნაციონალურ ცნებად გადაიქცევა, როგორც ეკონომიკაში, ასევე პოლიტიკაში, რასაც ყოველთვის სიკეთე არ მოაქვს ქვეყნისთვის, რადგან ადამიანი უმეტესად იმით უნდა დაკმაყოფილდეს, რასაც თვითონ ქმნის, მისი კლიმატის, ტრადიციების, ცოდნის, გათვალისწინებით და იმ ვალის დაბრუნების შეგნებით, რაც მისი გაჩენის შედეგად მომავალი თაობის კვლავწარმოების სახით ვალად დაუტოვეს მშობლებმა.

7961. თუ ფლორის და ფაუნის ნაკრძალი გვაქვს, რატომ არ უნდა გვქონდეს იმ მცირე ერების ნაკრძალი, რომლებიც გადაშენების გზაზე დგანან და არ შეუძლიათ თავის დაცვა მოჭარბებული ცივილიზაციისა და ფუფუნებისგან, რომელიც მათი გაქრობის მიზეზია. განა ერის რაობა და შენარჩუნება ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე ფლორისა და ფაუნისა.

7962. ერს რომ ვიღაცის გმირად გახდომა და მასზე ლოცვა აუტყდება, ვერავითარი სამართლიანი არგუმენტი წინ ვერ აღუდგება.

7963. ისტორიული პიროვნებების და მათი წარსულის პატივისცემა უნდა ვისწავლოთ გაფეტიშების და ვაშა-ვაშას ძახილის გარეშე, მათი დროის ღირებულებათა გათვალისწინებით, მაშინ უკეთ შევძლებთ დღევანდელობის დანახვას და იმის გაგებას თუ ვის უნდა ვანდოთ ერის,ქვეყნის ბედი და სამსახური.

7964. ერი, რომელიც თავისი შვილების მომადლებულ ნიჭს და სიდიადეს ვერ იყენებს და კარიერისთვის ბრძოლაში ჩაებმება, ის მუდამ მაჩანჩალა ნარცისი იქნება, უგონოდ თავზე შეყვარებული.

7965. ეროვნება არის, ქვეყანაც ვითომ არსებობს, ხალხსაც რაღაც აწუხებს, მაგრამ თუ ის მუშტივით შეკრული არ არის, ერი არ არსებობს და ბრბოს ხალხს ვეძახით.

7966. მამულის წინაშე ვალის მოხდისას ალიბი, მათ შორის სამართლიანიც, მიუღებელია.

7967. ზომიერი ტრაბახი სიამაყეს და კარგ განწყობილებას გმატებთ, გადამეტებული ტრაბახი დაცინვის საგნად გაგხდით, ხოლო ნაციონალობით ტრაბახი კი შენი ერის წინააღმდეგ განაწყობს ხალხს.

7968. ის არის დიდი ერი, რომელიც სხვა ერის წარმომადგენლებს არ აიძულებს მათ ჯინაზე მოიგონონ თავიანთი წარმომავლობა.

7969. ერის ისტორიაში გარკვევის მიზნით, ბრბოდან მოდენილ ხმებსაც უნდა აეწყოთ, ამასთან, არც ხალხის ნამდვილი ინტერესები უნდა დაივიწყოთ.

7970. სამშობლოს გაცნობიერება, მისდამი სიყვარული, პატრიოტიზმი, დამოკიდებულია ტექნიკურ პროგრესზე და სრულყოფილ საშუალებებზე სამყაროში გადასაადგილებლად, რის შედეგადაც პირველ რიგში გადავიქცევით საკუთარი პლანეტის პატრიოტებად, მერე – ევროპელებად, ქართველებად, თბილისელებად, „ოქროს" უბნელებად, „გოგოლის" ქუჩელებად და ამ დანაწევრებაში ჩვენი დედამიწის სიყვარული პირველადიც იქნება და ეროვნულიც.

7971. ზოგიერთი საზოგადოების და პიროვნების შემყურეს, ერის მენტალიტეტი გარკვეულ ეტაპზე კრამიტდაცურებული გეჩვენება.

7972. ერი რომ ნამდვილ ხალხად იქცეს, ის ტელევიზიისა და პრესის ჭორებზე მაღლა უნდა დადგეს.

7973. სისაძაგლის ჩადენა ერის სიკვდილია, მაგრამ არც ნამეტანი სიკეთის კეთებაა სიცოცხლის ხანგრძლიობის შემსწავლელი ლაბორატორია.

7974. ჩვენდა შეუმჩნევლად, აპატიას, უიმედობას, ერისადმი უპატივცემლობას გაცილებით მეტი მსხვერპლი მოსდევს, ვიდრე ავადმყოფობას და ხელმოკლეობას.

7975. კაცი, რომელიც ყველაფრით უზრუნველყოფილია, ცხოვრებასთან არც ჭიდილი განუცდია და არც ამის სურვილი ჰქონია, ერს წინამძღოლად ვერ გამოადგება.
7976. ვაშა-პატრიოტიზმია – როდესაც ისვრი პატრიოტულ ლოზუნგებს და რეალობა ფეხებზე გკიდია.
7977. სამშობლო მაინც სამშობლოა და არავინ იცის, ნოსტალგიის ვირუსი ვის როდის შეეყრება და რა სახის წამლობას მოსთხოვს.
7978. ზოგი დანანებით იტყვის თავის ერზე „რანი ვიყავით და რანი ვართო" – რაც ვიყავით, ის დავრჩით, უბრალოდ, ჩვენს გარშემო დრო, მეზობლები, გარემო, იცვლება და მათ როგორც შეეძლოთ, ისე ჰყვებოდნენ ფეხის ხმას.
7979. ნაციონალიზმი, პატრიოტიზმი, შოვინიზმი იმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ პირველში არ არის სიყვარული, მეორეში – სიძულვილი, მესამეში – მოყვასის ნდობა.
7980. ნაციონალისტები სიტყვით მზად არიან თავი გაწირონ სამშობლოსათვის, მაგრამ ამას რატომღაც სხვები ჩადიან.
7981. ერს თავისი სახელმწიფო არენდით აქვს აღებული და თუ ვერ მოუვლის, იგი გადაშენდება, რადგან ზევიდან ყველაფერს ხედავენ. ამის შესანიშნავი მაგალითია მრავალი ერის გაქრობა ამ პლანეტიდან.
7982. როდესაც შენს სამშობლოს ვიგინდარები ჩაუდგებიან სათავეში, ეს ნიშნავს, რომ ერს სისულელის ვირუსი შეეყარა, რომელსაც ვერავითარი პროფილაქტიკა ვერ შველის, მკურნალობას კი დრო სჭირდება. ჯობს მას დროზე გაეცალო ეპიდემიის ჩამთავრებამდე, სანამდე შენც არ დაგასნეულა.
7983. მხოლოდ ეკონომიურად ძლიერ ერს შეუძლია ჰქონდეს ნაციონალური ხასიათი, რომელიც სხვისათვის მისაბაძი და გასათავისებელი იქნება.
7984. "უტუ" (უტოპიური) პატრიოტიზმი გადაიზრდება ავანტურაში, გულგრილობაში, მომხვეჭელობაში, წაგლეჯაში, მათხოვრობაში, ვალების აღებასა და ჩაჯიბვაში და კიდევ ვინ იცის, რამდენი ჭირისა და ვარამის საფეხურები უნდა გაიაროს ერმა, რომ სახელმწიფო სახელმწიფოს დაემსგავსოს და გონიერებამ იზეიმოს.
7985. შრომა შეიძლება არ მოგვწონს, მაგრამ მაინც მისი დროშით ყალიბდება ეროვნულობა, ხალხის ხასიათი და გონიერება, რომელიც ქვეყნის ბაირაღად მოგვევლინება.
7986. მოქალაქე ჯერ ერს უნდა ემსახუროს და მერე ღმერთს, რადგან საყრდენის გარეშე, პირიქით სამსახური ორივესთვის გამოუსადეგარია.
7987. ერის შვილმა სიცოცხლე პენსიის ასაკამდე მაინც უნდა გაიხანგრძლიოს, რათა ქვეყანას მისი კუთვნილი გადასახადი დროულად და უდანაკარგოდ გადაუხადოს.
7988. იდეური მაზოხიზმი უფრო ერის უბედურებაა ვიდრე ბედნიერება, რადგან ხშირად იმას ნათლავენ ხატად, რომელიც ამას არ იმსახურებს.
7989. განვითარებულ საზოგადოებაში სამშობლოს სიყვარული შეიძლება ხელფასზე, სამსახურზე გადაიცვალოს, რადგან ფაქტობრივად შენი მფარველია ის, ვინც გამუშავებს და სახსარს გაძლევს.
7990. ეროვნება, ხალხების დაჯგუფება, ერთი ზომის საცერშია გაცრილი.

7991. ყველა ახლო ერი, კუთხე, ერთმანეთის დასაცინ საკბილოს ეძებს და თუ საკბილო მიზანში მოხვდა, ამით ორივე მხარე ხარობს.
7992. წესიერ საზოგადოებაში დედა, სამშობლო, მასწავლებელი ერთნაირი სიყვარულით უნდა სარგებლობდნენ და საერთო ვალს უნდა იხდიდენ სამშობლოს წინაშე.
7993. მხოლოდ გონიერ ერს შეუძლია გამოავლინოს სასიკეთოდ ეროვნული ხასიათი და ნაღდი დივიდენდებიც მიიღოს.
7994. ყველა დროს თავისი გაგების გმირები ჰყავდა, მაგრამ თავის წამოჩენისთვის, მომხვეჭელობისთვის და თავგადასავლებისთვის ჩადენილ გმირობას ყავლი არასდროს გაუვა.
7995. ნამდვილი პატრიოტიზმი სუფთა, საქმიანი, შეუბღალავი უნდა იყოს, მას ქვეყნის უხიგი მმართველობის ჭუჭყი არ უნდა სვრიდეს და თუ თავის გაწირვა საჭირო გახდება, განსჯით, სიამაყით, ვალისმოხდით უნდა აღსრულდეს და არა აფექტში და ვიღაცის და რაღაცის შიშით.
7996. ზოგისთვის ფულის უქონლობა სამშობლოს უქონლობას ტოლფასია.
7997. მთავარია შენს ქვეყანას ემსახურო, ხალხს არგო, ერი გააამაყო, რა გზით, რა იდეოლოგიით და რწმენით, რა საშუალებებით, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ ბოლოს შეგრჩება.
7998. წასული გმირები მანამ არ ახსენდებათ, სანამ ქვეყანას, ერს არ გაუჭირდება და ძალაუფლება შეკურთხების ღირსი არ გახდება.
7999. პატარა ქვეყანაში უფრო ძნელია კარიერის კიბეზე არბენა, ვიდრე დიდში, რადგან პირველს უსაქმურობით და შურით მიკროსკოპში იმის დანახვაც სურს, რაც არ ჩანს, ხოლო მეორეს იმდენი საქმე აქვს საკეთებელი, რომ იმის დანახვაც არ უნდა, რაც ჩანს.
8000. სამშობლოს ისე უნდა უყვარდე, როგორც შენ გიყვარს, მაშინ ხდები ქვეყნის მოქალაქე და საზოგადოების მსახური, რადგან სამსახური ურთიერთპატივისცემის და გადამეტებული სიტყვიერი და ზომიერი მატერიალური დაფასების გარეშე ვერ იარსებებს.
8001. სამშობლო განტევების ძროხა არ არის, თუ არ იწველება დაკლა და ზურგი შეაქციო, მაგრამ არც რძის მოცემის იმედი არ უნდა დაიკარგოს, თორემ სამშობლის სიყვარული და შიმშილი განათლებული ადამიანისათვის შეუთავსებელი და გაუგებარია, რათა თავად უღირსად არ იქცეს.
8002. ყველანი სამშობლოს ჯარისკაცები ვართ და დროზე ადრე განაწყენებულნი თადარიგში არ უნდა დაგვითხოვონ, რათა საჭიროების ჟამს მთავრობა ერთგული ხალხის გარეშე არ დარჩეს.
8003. სხვა ერის შვილი უფრო უკეთ ემსახურება ახალ სამშობლოს, თუ ის ქვეყნის პირველი კაცი ხდება, ალბათ იმიტომ, რომ ის ამ ხალხის ტრადიციებთან შედარებით ნაკლებად არის მიბმული და მათ ყოფას უფრო საღი თვალით და მენტალიტეტით უყურებს, მის ნიჭიერებაზე და გამართლებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

8004. ენა საუკუნეების მანძილზე მდიდრდება, ეროვნული ხდება და ახლებურად მეტყველებს, მაგრამ მისი სიძირეს გამდიდრება სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან მორალს მიეკუთვნება და მასში გონიერების მინიმუმმა მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა.

8005. სამშობლოს შენი წინაპარი კი არ გირჩევს, არამედ მატერიალური გარემო პირობები და შენდამი დამოკიდებულება-მოთხოვნილება.

8006. ზოგი ქვეყანა ისეა დაგლახავებული, რომ ქვეყნის სამსახური ვაჟკაცობად, ერის წინაშე ვალის მოხდად ითვლება.

8007. სამშობლოს თუ თავს არ შესწირავ, ხმა მაინც უნდა მივაწვდინოთ, შეიძლება ორივეს სადმე გამოგვადგეს, თუ მეტის გაკეთება ერთმანეთის მიმართ არ ძალგვიძს.

8008. ჩვენ მაშინ ვხდებით პატრიოტები, როდესაც სამშობლო ქვეყნად გადაგვექცევა, სახელმწიფოს დაემსგავსება, მას არ ვივიწყებთ და არც ვავიწყდებით.

8009. ეროვნული კულტურა აღიარებულია თუ უღიარებელი, არაკონვერტირებულია თუ კონვერტირებული, ის შედარებას, გადახურდავებას არ ექვემდებარება, რადგან თვითმყოფადია.

8010. სამშობლოს, ქვეყნის სიყვარულს ღირსებაც უნდა ახლდეს, ხოლო სახელმწიფოებრიობის სივყარული მოვალეობის რეალური შეცნობაა.

8011. ჰუმანიზმის მხოლოდ სულიერად აღზრდა მუშტის მოღერების ცოდნის გარეშე ერის, სახელმწიფოებრიობის წინაშე დანაშაულია.

8012. სამწუხაროდ, როდესაც დედა-სამშობლო გაგიპურმარილდება და მსუბუქ ყოფაქცევის დედაკაცად გადაიქცევა, ფულის და სათქვლეფავის გულისთვის თავსაც გაყიდის და შენც არ დაგინდობს.

8013. ვეთაყვანებით სამშობლოს მიწას, ვაგინებთ მთავრობას, მაგრამ პირიქით რომ ყოფილიყო, იქნებ „აცე-აცეს" ძახილით მთავრობაც აგვემუშავებინა და მიწისთვისაც ის გამოგვეტყუებინა, რის გაცემასაც ის არ აპირებს.

8014. აჭრილ ქვეყანაში, პოლიტიკოს-ექიმბაშ ტიტანთა რაოდენობა ავტომატურად იზრდება, სადაც საღი აზრი, ისტორიის გამოცდილება და ყურსი გდება არავის აინტერესებს, რადგან ყველა სამშობლოზე შეყვარებული უსაქმური დილეტანტი იმ საქმეში ცდილობს პირველობას, რაც არ გაეგება და ხელარეწიფება.

8015. ყველა ნაღვაწი აწმყოს სამსჯავროზე არ გაიტანება, მაგრამ არც არქივებში უნდა დავაპატიმროთ, რათა საუკუნის გადასახედიდან შესაძლებელი იყოს წარმოვაჩინოთ ერის რაობა.

8016. სიმართლე გონიერების ჩარევით და მომავლის ჭვრეტით განისაზღვრება და არა – აწმყოს რეალობით, მითუმეტეს, რომ ეს სიმართლე შეიძლება ეროვნულიც იყოს და სამშობლოს რაობისთვის აუცილებელი.

8017. ერის რაობის მთავარი ღირებულება მოსმენა-განსჯაა, ხოლო თუ ამ ყურისგდებიდან მარგალიტები გადმოცვივდება, მაშინ ქვეყანას შეყეფვასაც ვერავინ აკადრებს.

8018. ყველა დროში ერის რაობას ანალიზის შედეგად გამართლება უნდა მოვუძებნოთ, თუ გვინდა წინა საუკუნეებში დაშვებული შეცდომები არ გავიმეოროთ.
8019. კულტურა განუყოფელია, მაგრამ ეროვნული სიოს თავისებური ქროლვით და შეგრძნებით.
8020. არის მოსახლეობა, რომლისთვისაც სულის კომფორტია უმთავრესი, არის ხალხი, რომელთათვისაც სულის წრთობაა მთავარი, მაგრამ ეროვნულობას და სახელმწიფოებრიობას ამ ორი მასის მოზელის შედეგი იძლევა.
8021. ტრადიციები ერის მომავლის პერსპექტივაზედ უნდა ფიქრობდეს და არა წარსულის ღირებულებებზე, რომელიც დღეს ყოველთვის მისაღები არ არის.
8022. ეროვნულ კულტურას ხშირად კარგის მდომი ცუდი მეგობრები ყავს.
8023. პატრიოტიზმის გარეშე ყველა რწმენა და სახელმწიფოებრიობა აზრს კარგავს.
8024. ერისთვის დიდი ბედნიერებაა იმის ცოდნა. რა არ უნდა გააკეთოს და თავი ვის არ უნდა გაუყადროს, ხოლო სახელმწიფოსათვის – რა არ მოიმოქმედოს, რომ საქმე გაყადრებამდე მივიდეს.
8025. სამშობლო „კვარაცხელიას ჯიშის ძროხა" თუ არა, ბერწი მაინც არ უნდა გამოგადგეს, რომ სხვაგან შეჩერებაზე და გადაბარგებაზე არ იფიქრო.
8026. ქვეყნის ნაღდ ისტორიას უნდა ვცეთ პატივი და არა იმას, ვისაც ერის საამებლად „ისტ-ანალიზის" შელამაზება-შეკოწიწება სურს.
8027. ერთმა თუ მეორე ერის წარმომადგენელი ანეგდოტში მოხსენიებით გაითავისა, ეს ამ ერების მეგობრობის საწინდარიცაა და ჭიქის აწევის მიზეზიც.
8028. ტერიტორია სახელმწიფოდ მაშინ იქცევა როდესაც მისი მოსახლეობა სიმართლის მოსმენას და თქმას ერის და სამშობლოს საქმის საკეთებლად ისწავლის.
8029. ერის მიმართ საუკუნეთა ლმობიერება დამოკიდებულია მის შემართებაზე, ურთიერთგაგებაზე და შეუძლებლის შეძლებაზე.
8030. ერი სულიერების გამოძახილია, მაგრამ მოუვლელობის შემთვხევაში მატერიის ორომტრიალი უჯოკრავს.
8031. საზოგადოების ერთიანობას, სახელმწიფოს ძლიერებას ძალიან ვნებს გულუბრყვილო პატრიოტიზმი, ვაშა-ნაციონალიზმი და საყოველთაო ინტერნაციონალიზმი, რადგან ყოველივე ეს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ემუქრება.
8032. ფუყე კაცის ქვეყნის პირველ პირად აღზევება მატიანისთვის უცხო არ არის, მაგრამ ერის დაცინვა და ქვეყნის ამოგდებაა, რადგან სახელმწიფობრიობა მხოლოდ ნამოქმედარს – აფასებს და არა – ყბედობას.
8033. მომთმენები მოუთმენლების ხარჯზე სახელმწფიოებრიობასაც აღიდგენენ, ეროვნებასაც ინარჩუნებენ, სიცოცხლესაც იხანგრძლივებენ და თაობებსაც წარმოაჩენენ.
8034. ერმა უნდა ისწავლოს თავისი შეცდომების არა მარტო აღიარება, არამედ მისი გაანალიზება საუკუნეების მანძილზე, რათა თავისი ხალხის კოდი გაარკვიოს და სიკეთისკენ მიმართოს.
8035. პიროვნებას, რომელსაც ვერ აკადრებ ჰკითხო, თუ რომელ ერს ეკუთვნის, ის თავისი ერის ყველაზე დიდი შვილია, მაგრამ პრაქტიკულად, ყველაზე ნაკლებად

სასარგებლო თავისი ერისთვის, რადგან თავისი ერის გასაფეტიშებლად მატერიალურ დივიდენდებს არ იძლევა.

8036. ერის ბედნიერებაა ქვენა გრძნობების გარეშე სხვისი წარმატებით გახარება, ხოლო ადამიანის - ამქვეყნად საკუთარი სახელის დატოვების რწმენა.

8037. პროფესიონალი თავისი საქმიანობით სამშობლოს სიყვარულს და თავის უპირატესობას ამტკიცებს და ამისთვის მას არც ნაციონალიზმზე ჩაჭიდება სჭირდება და არც ქვეყნის წარსულით თავის მოწონება, რადგან ის თავადაა თავისი და იმ ქვეყნის ისტორია, სადაც საქმიანობამ წარმოაჩინა.

8038. სულის გაყიდვის სერთიფიკატი ყველა ადამიანს თავისი აქვს და მისით ვაჭრობას მაშინ იწყებს, როდესაც დედა-სამშობლო დედინაცვლად მოევლინება, სულის სიწმინდის ნაცვლად ხორცის ცარიელი ფასი დარჩება, რომელსაც ადრე ეროვნება ერქვა.

8039. პატარა ერში ჩადენილი დანაშაულის მიმართ ხმაური უფრო მეტია, ვიდრე სასჯელის ზომა, დიდ სახელმწიფოში კი, სადაც ხალხის რაოდენობა ათეულ მილიონებს ითვლის – პირიქით.

8040. თუ შენ არ შეგიძლია გაშიშვლდე და შენი ნაზრევი თქვა, იმიტომ რომ ვიღაც ვიგინდარები ქვებს დაგიშენენ, მაშინ ერისკაცად ყოფნის კაიფს თავი უნდა დაანებო და მაღაზია იყიდო. მენდეთ, ეს უფრო სარფიანი საქმეა.

8041. სამშობლო და პატიოსნება, სიტყვით ხალხიც და მთავრობაც ამას გაჰკივის, მაგრამ მათი გონება, ცხოვრება ისე გაირყვნა, რომ სიტყვა და საქმე მათ ერთმანეთს გაურბის და ვირეშმაკობაზე არც ერთი ხელს არ იღებს.

8042. სამწუხაროა იმ სამშობლოს მოქალაქეობა, რომელიც თავის შვილებს აიძულებს სხვა ქვეყანაში საშოვარზე მიმოიფანტონ და მათ იმ აბიტურიენტ „პინგვინივით" უყურებს, რომელიც უსირცხვილო რექტორის ხელში, იძულებულია სხვაგან მოემზადოს, ფული გადაიხადოს და ქრთამი გაიღოს.

8043. სპეცდანიშნულების მეომრებს თავდაუზოგავი ვარჯიშისთვის არც ოლიმპიურ თამაშებზე ეპატიჟებიან და არც მედლების მოპოვების შანსი აქვთ. ისინი ასრულებენ ფინანსურად გამაგრებულ, სხვისთვის გაუგებარ იდეოლოგიურ შეკვეთას, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია. მათი დაღუპვა მხოლოდ ახლობლებს აწუხებთ, ხოლო სხვებისთვის ისინი მხოლოდ ჯარისკაცები არიან.

8044. ჭეშმარიტი ხელოვანი ცდილობს ხელისუფლებიდან შორს იდგეს, მაგრამ არც ისე უნდა დაშორდეს, რომ სამშობლო დაკარგოს და შიმშილით სული ამოძვრეს.

8045. ყველა ერმა თავისი განვითარების ოპტიმალური ფორმულა უნდა შეიმუშაოს: ღმერთის მადლი, ერის გენეტიკური კოდი, სიყვარული მრიცხველში ჩადოს და გაყოს მნიშვნელში ჩადებულ შურზე, თვითკმაყოფილებაზე, გულგრილობაზე, ხოლო ნაშთი, განაყოფი არ უნდა გამოიყვანოს, რადგან მომდევნო თაობა მნიშვნელის შემცირებას უნდა ეცადოს, წინაპარი კარგად მოსაგონარი რომ ჰყავდეს.

8046. მოჭარბებულად ნაციონალური იდეის ქადაგება, ერისთვის ნარკოტიკის მიცემის ტოლფასია რადგან ამქვეყნად ყველანი თოჯინებად ვართ მოვლინებული და მარიონეტებზე ამდენი დროის ხარჯვა არ ღირს.

8047. ხალხს, რომელსაც ტაშ-ფანდურა, შეწუხებული სახით თავის მოჩვენება და კომედიანტობა ეხერხება,შეიძლება ერის გადაშენების წინაპირობა გახდეს.

8048. სამწუხაროა, როდესაც ერის ისტორია უფროსი თაობის კუთვნილება ხდება და მომავალ თაობას, სხვა ქვეყნის ისტორიის კერპები იზიდავს. მას თავისი ფესვები აღარ აინტერესებს, რადგან გადამყნობილ ფესვებზე ნაყოფი უფრო მსხვილად და მომხიბვლელად გამოიყურება. ის კი არავინ უწყის, უნდა თუ არა ერის კოდს ამ "გაკულტურებულ" მცენარესთან მყნობა.

8049. არცერთ ერს არ შეუძლია ასე დიდხანს აიტანოს ის მთავრობა, რომლის ატანაც ფაქტობრივად შეუძლებელია უგვანო საქციელის გამო, მაგრამ ჩვენი ხალხი ამას ახერხებს, რადგან ეცოდებათ: მთავრობიდან რომ გააგდონ, უმუშევრები დარჩებიან, ველარ მოიპარავენ და შიმშილით დაიხოცებიან.

8050. ბოლომდე პასუხისმგებლობა ჩვენს ხალხს არ ახასიათებს, ის შერჩევით არის პატრონი თავისი მიწის და ეს არის ჩვენი ეროვნული თავქარიანობა.

8051. ყველა „ნაციას" თავისი პრიორიტეტი ახლავს და თუ ამ თვითმყოფადობას დაკარგავს და სხვა ხალხში გაითქვიფება, გადაშენდება.

8052. სათქმელი, რომელიც დაფიქრებას, განსჯას, შორსმჭვრეტელობას მოითხოვს და მხოლოდ ერთეული ერის შვილები ახერხებენ მის გაგებას, ბრბოსთვის არ არის განკუთვნილი და არც მასების მხარდასაჭერად გამოგადგებათ.

8053. ერი ბრბოდ და ხალხად იმის მიხედვით იყოფა, თუ რა საქმის კეთებაზე უბიძგებენ ხელს ერთმანეთს და რა რეალური შედეგის მიღების უფლება აქვთ.

8054. ეროვნება, ხალხი გასაკვირი კონგლომერატია, რომელიც ურთიერთშერწყმას, მოფერებას, პატივისცემას, ბუნების და ღმერთის მხარდაჭერას მოითხოვს.

8055. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ხალხის შეწონილი ინტელექტი საშუალოზე დაბალია და ეს არის ის ძალა, რომელმაც ერს თავისი თავი აქამდე მოატანინა, თორემ დიდი ინტელექტის და პრეტენზიის მქონე ხალხი ამ სამყაროს დიდხანს ვერ შემორჩებოდა.

8056. ხელმოცარული ერი არ არსებობს, არსებობს ფეხებზემკიდია, მხიარულების მოყვარული ხალხი, რომელიც ბედნიერებას ცხოვრების მოკლე მანძილების დაძლევაში ნახულობს.

8057. ერი, რომელიც თავის ღირსეულ შვილზე არაჯანსაღ ჭორებს ავრცელებს, ველური სიხარულია, თუ ადამიანური სისუსტე, ძნელი სათქმელია, მაგრამ თავს რომ პატივს არ სცემს, ნაღდია.

8058. ყველა ნორმალურ ადამიანს თავის ერზე და წარმოშობაზე დიდი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს და ჩუმად ამაყობდეს, მაგრამ გაწბილების შემთხვევაში, გონიერი ცდილობს მიზეზების ახსნას, ხოლო უგონო პირად გრძნობებს გამოხატავს და საღი აზრის მოსმენა არ სურს.

8059. ერი მორალური ორგანიზმია და საუკუნეში ერთხელ კრიზისის გადატანა თუ არა, შეჯანჯღარება აუცილებელია, რათა ხალხი არ მოდუნდეს, რუტინის ობი არ მოედოს. ასე, რომ პესიმიზმი დროის გარკვეულ პერიოდში მისი უგვანობის გამო

გულთან მისატანი არ არის, რადგან ის განვითარების თავის სწორ გზას მაინც ნახავს, როდესაც ამას მამაზეციერი მოისურვებს.

8060. მრავალეროვნულ ქვეყანაში მუდმივი კონფლიქტი ეროვნებასთან დაკავშირებით კუთხურობასა და გამორჩენის მცდელობაში გადადის და მას ნამდვილ ეროვნულობასთან, გენოფონდის და ენის გადარჩენა- განვითარებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

8061. ერი გონიერების კამათია, ურთიერთდანახვის სიხარულია, სიყვარულია, პატივისცემაა და თანადგომაა, ხოლო ურთიერთკილვა, ჯიბრი, შური, მოტყუება, ,,ერობანობის'' – მოჩვენებითი სიყვარულის თამაშია.

8062. ერთი ერი მეორის ხასიათს ისე გადმოსცემს, როგორც მას მოსწონს და წარმოუდგენია, ეს არც საწყენია და არც სასაყვედურო.

8063. ხშირად, სამშობლოს და შენი ხალხის სამსახურის სურვილი ვიღაც მედროვე მმართველის ხასიათზეა დამოკიდებული და შენც იძულებული ხარ სხვას ემსახურო, შედეგად შენი წარმატება შეიძლება ერის ღირსებას კი წაადგეს, მაგრამ დიდება და სახრავი სხვა ერის შვილებს დარჩეს.

8064. სამართლიანი აზრის გამოთქმა ყველაფერზე და ყველგან შეიძლება, გარდა შენი ერის რაობისა, რადგან სიმართლის თქმამ მომავალი თაობის თვალში შეიძლება მისი დევალვაცია გამოიწვიოს და გარემოებათა გამო ერის რაობამ ინფლაციაც განიცადოს.

8065. პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი, ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ხალხი კოლექტიურად თავის ერში დადებითს ეძებს და ეს სულიერი მოთხოვნა თავის წარმოჩენის და სხვათა ჯობნის სურვილიცაა.

8066. სამშობლო საზღვრების, ენის, ურთიერთმოფერების და ურთიერთგაგების გარეშე დიდხანს ვერ იარსებებს.

8067. არეულობის შედეგად სახელმწიფოს სათავეში მოდიან ცრუ დემოკრატები და ცინიკოსი თაღლითები. რას იზამ, ეს ჩვენი ერის რაობის აქსიომაა.

8068. კაცისკვლა სამართლიანი ხელობაა სამშობლოს დასაცავად და ჯობს პროფესიონალებს ვანდოთ, რომ ნაკლებ სულიერ ტრავმებთან გვქონდეს საქმე, მაგრამ მისი გადმოქართულება მაინც შეუძლებელია.

8069. მოჩვენებითი და ძალად პატრიოტები, ერის ნამდვილად მოყვარულ შვილებს ნებას არ აძლევენ აკეთონ ერის საქმე, რადგან მათ ხალხის ინტერესები, თუ თვითონ დაინტერესება არა აქვთ, ფეხებზე ჰკიდიათ.

8070. სხვა ერის შვილს თუ დაუყვავებ, იგი შენი კულტურის მატარებელი ხდება, ხოლო თუ გაუჯავრდები – თავისი ერის კულტურის წარმომჩენი. რა არის უკეთესი უცხო ქვეყნის შვილისთვის – მოფერება, თუ გაჯავრება? ეს კიდევ საკითხავია.

8071. ჯელობაში ჩვენი ერის მიმართ მეტი პატრიოტები ვართ და მისთვის განწირვა არ გვიჭირს, ვიდრე მაშინ, როდესაც ჩვენი ვალი ოჯახის, მომავალი თაობის, ქვეყნის წინაშე აღსრულებული გვაქვს და იმქვეყნად წასასვლელად დიდი დრო არ დაგვრჩენია, რადგან ჩვენი ბევრი ადრინდელი რწმენა ცხოვრებამ და ჩვენს ირგვლივ მყოფებმა გააბინძურეს.

საქართველო – ქართველები

8072. რუსეთში თუ ინიციატივიანი ხალხი ისჯება, საქართველოში შურიც ემატება.
8073. დღეს საქართველო სამყაროს განვითარებას მაჩანჩალასავით, მეც „ნახირ-ნახირ"-ო მიჰყვება და მისი უნიჭიერესი შვილები თავიანთი შესაძლებლობების გამოფენას სხვა ქვეყნებში უკეთ ახერხებენ, ვიდრე საკუთარ სამშობლოში, სადაც კუდაბზიკობის და შურიანობის ვირუსიდან განთავისუფლებას ჟამთა სვლა ვერ შველის.
8074. ხუთმილიონიანი საქართველო დაყოფილია ხუთ მილიონ პროვინციად, სადაც ყველას თავისი დაუკმაყოფილებელი ამბიციები აქვს.
8075. საქართველო იმ ადამიანების სამშობლოა, რომლებიც მის საკეთილდღეოდ პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ, სიყვარულის დეკლარირებაში კი ბადალი არა ჰყავთ.
8076. მართალია ქართველები სუფრასთან პოეზიის, ცეკვა-სიმღერის, მზესიტყვაობის ტრფიალნი არიან, მაგრამ თამადობის გენერლები მათ შორისაც კი თითზე ჩამოსათვლელია.
8077. ქართველები კარგი ორგანიზატორები ვართ, არც ფანტაზია გვაკლია და არც იმპროვიზაცია, მაგრამ გვაკლია ის მთავარი, რაც გერმანელებს თავზე საყრელად აქვთ – პუნქტუალობა.
8078. საქართველო დღეს ძალად მაცხონე ოპტიმისტების ქვეყანაა, რადგან პესიმისტებმა და მერყევმა ელემენტებმა დიდი ხანია მიატოვეს.
8079. საქართველოს თავისუფლების მოსაპოვებელ სწორ გზაზე დასაყენებლად ათასი რჯულის „ფორმალების" და „არაფორმალების" შეჭიდება არ არის საჭირო, მას უბრალოდ თავის ბუნებრივი გზით და ტრადიციების დაცვით განვითარების საშუალება უნდა მივცეთ.
8080. ხშირად ქართველების ბედოვლათობა იმაში გამოიხატება, რომ თავი ბედის რჩეული ჰგონიათ და იმაზე მეტს იღებენ თავზე, რაც შეუძლიათ, ამასთან, მოძმის მიმართ შურსაც ვერ ელევიან, ამიტომ ამ ხალხს სამართთავად მკაცრი ხელი სჭირდება, სხვაგან მოპოვებული ავტორიტეტით.
8081. ქართველები სხეულით აზიელები არიან, სულით ევროპისკენ მიილტვიან, მაგრამ გონი არჩევანის საშუალებას არ აძლევს, რადგან ის ამ ორი კონტინენტის მსახურად არის გაჩენილი.
8082. საქართველოს ყოველთვის ერთი პრობლემა აწუხებდა – ქვეყნის სათავეში ღირსეული მმართველის მოსვლა.
8083. ზოგიერთი ქართველი იმდენადაა თავის შესაძლებლობაში დარწმუნებული, რომ მისთვის ყველაფერი გასაგებია, მათ შორის გაუგებარიც კი.

8084. დღეს საქართველოში მიცვალებულის სახელის მაჩვენებელი გადატყლარჭული ქელეხია და არა მისი დამსახურება.
8085. თუ ადრე პარიზი ქმნიდა ფრანგებს, დღეს თბილისს რა უშლის ხელს შექმნას ნაღდი ქართული კოლორიტი?
8086. ზოგი ქართველისთვის ზედგამოჭრილია უკვდავად დარჩენის სარწმუნოებრივი რწმენა, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა ამქვეყნად აღებული ვალის იმ ქვეყნად ჩასესხება.
8087. ქართველებს, თანდაყოლილი ნიჭის მიუხედავად, საუკუნეების გადასახედიდან, მაინც ბევრი სიბრიყვე აქვთ ჩადენილი პოლიტიკაში, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკაზე და მუდმივი ჯარის შექმნაზე.
8088. ქართველები ისე ვაქებთ ჩვენს ქვეყანას, თითქოს მდგმურებს ვეძებთ მისთვის მისაქირავებლად, რადგან სხვა გზისთვის ვერ მიგვიგნია სახსარის საშოვნელად, ამ ღვთის მიერ ნაჩუქარ მიწაზე.
8089. საქართველო, როგორც სახელმწიფო, ჯერჯერობით გაურკვეველი საამაყო წარსულის და საეჭვო საამაყო მომავლის ქვეყანაა.
8090. ქართველების ეკონომიკა თამადობის ფენომენთან არის გათანაბრებული, ლამაზი, მომნუსხავი, სასიყვარულო აზრიანი სიტყვებით – უსაქმოდ.
8091. ჩვენ მონები ვართ ჩვენი ოცნების: ღირსეული ქართული სახელმწიფოს შექმნის.
8092. საქართველოს პოლიტიკა საღი და პატიოსანი ეკონომიური პოლიტიკის გარეშე ნულის ტოლფასია.
8093. საქართველოში მომეტებული ემოციების და ღვინის სმის გარეშე არაფერი სახეირო არ კეთდება, თუ რა სახით და მიღწევებით, ამის მაჩვენებელი მისი დღევანდელი ეკონომიკა და პოლიტიკაა.
8094. საქართველო კრედიტების გამოყოფისთვის და გამოყენებისთვის ჯერ არ მომწიფებულა, ხოლო გადაღუნვისთვის და თავის სიამოვნების მოსახმარად დაბადებამდე მზად არის.
8095. ქართველები ცალ-ცალკე და უცხო გარემოში შესანიშანვები არიან, მაგრამ ერთად შურიან ბრბოდ გადაიქცევიან და მათი ნიჭისა და მისწრაფებისგან აღარაფერი რჩება.
8096. ქართველები წინასწარ იმ მეგობრის შესანდობარს სვამენ, რომელიც მათ შორის ყველაზე გვიან გარდაიცვლება, რადგან ეს კაცი მეგობრებს სადღეგრძელოს გარეშე არ უნდათ იმ ქვეყნად გაუშვან.
8097. ქართული სუფრის მადლი ის არის, რომ ის მამაკაცებს ზრდის და არა სუფრის ვიგინდარებს, ლოთებს.
8098. ქართველებიც იყოფიან ვაგონებად და ორთქლმავლებად, ხშირად ეს შეფარდება 15:1-ზეა, ამიტომ ხელმძღვანელის ხვედრი, რომელსაც არ გააჩნია დასაბუთებული შემოქმედებითი ეკონომიური ფანტაზია, მაინც ვაგონად ყოფნაა, რადგან მისი გაორთქმავლება ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს.

8099. ქართული ეთნოსის და სხვა ეროვნების შვილების სისხლის დამატების ხარჯზე იქმნებოდა საქართველოს მოქალაქეობრივი სახელმწიფო კოქტეილი, მიუხედავად დროდადრო მისი დოზების ცვალებადობისა. საქართველოს შვილებმა გაჭირვების ჟამს, ისტორიული გამოცდილების მიუხედავად, მაინც ვერ მოიშალეს შურრი, ღალატი, დანის ზურგში ჩაცემა. ეტყობა ქართული სისხლის სიძლიერის და ნიჭის ბრალია, რომ საუკუნეების განმავლობაში არ მოხერხდა თუნდაც ამ უარყოფითი ხასიათის და გენის შეცვლა.

8100. არის ხალხი, ქვეყანა, რომლისთვისაც ფულის სესხება კი არა, ჩვენებაც არარეკომენდებულია, იმდენად არ იციან მისი დაბანდების და გამოყენების ყადრი. მაგალითად: დღევანდელი საქართველო და მისი ეკონომიკა.

8101. ცხოვრებაშიც და გზაშიც წინ ლიდერი და ელმავალი მიგვაქროლებს, ყველა კომფორტის მოპოვების მცდელობაში და ვაგონების ხარისხის შეფასებაშია, ხოლო როდესაც ქვეყანაში კრიზისი იწყება და ვაგონები ელმავლობას ცდილობენ, მაშინ ახსენდებათ ქართველებს ღირსეული ლიდერი და გამწევი ძალის ფასი.

8102. საქართველოში ყველა წყობა სიცოცხლის უნარიანი და მოსათმენია თუ მას ქვეყნის მართვის პერიოდში ორიანებთან ერთად დადებითი და მაღალი ნიშნების მიღება შეუძლია და რწმენის, მიზნის მიღწევის ხარჯზე პლუსები ჭარბობს მინუსებს.

8103. საქართველოსთვის მკვახე არც თავისუფლება უქნია ღმერთს და არც ვაშლი, ორივემ კბილის მოჭრა და მუცლის გვრემა იცის, რადგან მოუმწიფებელი მხოლოდ მწიფეს ასოციაციას ქმნის, ამ უკანასკნელის სურნელისა და სასიამოვნო გემოს გარეშე.

8104. ქართველზე დიდებული და სტუმართმოყვარე ხალხი არ არსებობს ამ პლანეტაზე თუ საფანტავი ფულითაა უზრუნველყოფილი, წინააღმდეგ შემთხვევაში შურიანი და გაუტანელი ხდება და ხანდახან ზურგსუკან იმასაც უკურთხებს, ვინც მას მასპინძლობს.

8105. ქართველებისათვის მთავრობა, თავის ხალხთან შედარებით ყოველთვის უარესია, ყოველ შემთხვევაში საზოგადოების ცალკეული წევრები ამაში დარწმუნებულნი არიან და მათ გადარწმუნებას არავითარი საბუთი არ შველის.

8106. ეროვნულ სიამაყეს, პატრიოტიზმს მაშინ აქვს აზრი და ფასი, როდესაც ერთმანეთის მიღწევებით ვტრაბახობთ, ვამაყობთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოძალვასთან, სპეკულაციასთან გვაქვს საქმე, რადგან ერთის წარმოჩენა ათასებს მუქთა დივიდენდტებს აძლევს და ეს ქურდობად, სირცხვილად არ ითვლება, ხოლო ქართველები პირიქით, გამადლიან კიდეც, ხომ ხედავ, ზედმეტად გაგიხსენეთო.

8107. საქართველოს მთავრობაში რაღაც სასწაულით მოხელეთა მცირე ნაწილი შედარებით პატიოსნებას ინარჩუნებს და ესაა, ეტყობა, ქვეყნის გადაშენებისგან ხსნის მექანიზმია, რომელიც ზევიდან არის ჩადებული

8108. თუ საქართველოს ისტორიას და მისი ხალხის ბუნებას თვალს გავადევნებთ, გაკვირვებული დავრჩებით, როგორ არ წარმოიშვა შემდეგი გვარები: სამოთხიძე, ადიდეძე, ჯოჯოხეთაძე, ცუდსამოთხიშვილი, ფუჭსამოთხიშვილი, სამოთხფუჭი,

ღმერთაძე, უღმერთოშვილი, ეშმაკაძე, ანგელოზიშვილი, ვირეშმაკაშვილი, სიბრიყვიძე, გაუტანლიძე, გაცუცურაკებაძე, ჩამშვებაური, ღალატიშვილი, შურიანიძე, ვალდაუბრუნებაძე და ასე შემდეგ.

8109. ყველას ჩვენი ანგარიში და პრეტენზიები გვაქვს სახელმწიფო მმართველობასთან და წყობასთან, მაგრამ არ უნდა გადავამლაშოთ და შექმნილი პირობების გათვალისწინებით ვეცადოთ სარგებლიანად ვიცხოვროთ. მაგრამ წესიერ კაცს საქართველოს მმართველობაში ახლოს არავინ გაიკარებს.

8110. საქართველოში ყველა ჩვენგანის წარმოდგენა შეიძლება ვიგინდარად და პიროვნებად, დროის, ხალხის და ოპონენტის სულის გარყვნილების შესაბამისად, მაგრამ არიან ერთეულებიც, რომელთა გაშავება არ ხერხდება და ეს პიროვნებები ქმნიან ჩვენი ქვეყნის ისტორიას.

8111. ზოგი ქართველი გამოუცნობი განტოლებაა, რაც უნდა კარგად მოეპყრო და უპატრონო, მაინც შენს ჯინაზე სხვას უმღერის ბაიათს.

8112. სანამდის საქართველოში ქურდი და ვიგინდარა პატივისაცემ კაცად არის ქცეული, ის ქვეყანა სახელმწიფოდ არასოდეს არ იქცევა და ყოველგვარი მცდელობა ზედმეტია.

8113. არა მგონია, რომის იმპერიაზე დიდი იმპერია დღეს ვინმემ შექმნას, თავისი ისტორიის და ცხოვრების გამოცდილებით, რომლითაც მთელი სამყაროს ჭკვიანი მამები პატივისცემით იმსჭვალებიან, მაგრამ მისი პრაქტიკაში გამოყენების პარამეტრები ნულის ტოლია, თორემ რამდენ ქვეყანას იხსნიდა გამოცდილების დროული გამოყენება და რამდენ ქართველს დღესაც გამოადგება რომის ისტორიის ჩხრეკვა, ვინ იცის.

8114. ქართველს ქართველი შორიდან უყვარს და ახლოდანაც, გააჩნია რის მოპოვებაში ეცილებიან ერთმანეთს და რა დივიდენდებს მისცემს ერთის აღზევება მეორეს.

8115. საოცარია ცხოვრება: საქართველოში დღეს ვინც ციხეში უნდა იჯდეს, ის ასამართლებს იმას, ვისთვისაც შეიძლება ქვეყნის მართვა გვენდო და ვინც ხალხისგან შეუმჩნეველი და გარიყულია, რადგან ხალხს მოსმენა, შერჩევა, დაფიქსირება ეზარება და იმას ჯერდება, რასაც მიუგდებენ.

8116. მშვიდობიანობას იმსახურებენ ძალის ჩვენებით, სამართლიანობით და სხვის საქმეში ჩაურევლობით და არა სადღეგრძელოებით და „მასმედიაში" ყოყლოჩინობით. დროა ქართველებმა ეს ჭეშმარიტება გაიგონ.

8117. ღარიბი ქვეყნის ტვირთია: უწესო გონიერება, ცუდი ზზები, მექრთამეობა, გულგრილობა. გამოსავალია: გონიერების მათრახი, კანონის უზრუნველყოფა, ინვესტორების მოზიდვა. მიუხედავად ქვეყნის მართვის ამ აქსიომის ცოდნისა, ქართველებისთვის უმთავრესია მამაზეციერის ლოცვა-კურთხევა და ქვეყნისთვის რიგიანი მმართველის ჩუქება.

8118. ჩვენი ისტორიის შემქმნელი წინაპარი დიდი ტრაგიკომიკოსი იყო, რომლის გაკიცხვის უფლება, მიუხედავად სურვილისა, ჩვენ არ გვაქვს, რადგან ვინ იცის, იმ

დროს რომელ ქვეყნის აყვავებას გადმოხედა მოწყალების თვალით მამაზეციერმა ჩვენი წინაპრების ხარჯზე.

8119. ქურდობის საწინააღმდეგოდ ხმის მიცემა უკვე დაგვიანებულია, რადგან ეს სენი ქვეყანას დიდი ხნის უკან შეეყარა და მის მორჩენა – პროფილაქტიკაზე არც კი ზრუნავენ, რადგან ამ ქრონიკული დაავადებით მეტ-ნაკლებად უხიაგი მთავრობაც ხეირობს.

8120. ქართველებისთვის პოლიტიკა პირველადია, ეკონომიკა მეორადი. პირველი სადღეგრძელოა, ხიბლია, ხელგაშლილობაა. მეორე ანგარიში, ქვების კოდვა, ხელმომჭირნეობა. ამიტომაა, რომ საგარეო პოლიტიკაში რაღაც გამოგვდის, მაგრამ საშინაო ჭრაჭუნობს და სანამ ეკონომიკის პოსტულატებს წინ არ წამოვწევთ, ქვეყანაც და მისი პოლიტიკაც მანამდე იბედოვლათებს.

8121. საქართველოს მიწა „დღეგრძელობისთვის" არის განწირული და თუ ფულს საზღვარგარეთ იშოვნით, საცხოვრებლად და დასამარხად კი ამ კუთხეს აირჩევთ, არავითარი ქართული ქათინაური და სიყვარული არ დაგაკლდებათ.

8122. ქართველების საქმისადმი დამოკიდებულებაში უარყოფითი ის არის, რომ როდესაც სამუშაოს სთავაზობენ, მას სურვილი ებადება თავის კორექტივის შეტანის, მისთვის მთავარია გაჩვენოთ თავის ერუდიცია – „მეც ნახირ-ნახირო" და იქით დაგიწყოთ ჭკუის სწავლება, თქვენს მიერ შეთავაზებული საქმე თქვენვე აგკიდოთ გასაკეთებლად, ამჯერად, მისი ხელმძღვანელობით და თანაავტორობით.

8123. საქართველო ყველა საუკუნეში, განვითარების უმეტეს სფეროში, კრიზისს განიცდიდა, მაგრამ ამ კატასტროფული მდგომარეობიდან ყოველთვის სხვისთვის დაუჯერებელ იმედს გამოყავდა.

8124. ზოგიერთ ქართველს, უპირველესად, მასზე სიმართლის მოსმენის ეშინია, რადგან ყველას თავი ტალეირანი ჰგონია.

8125. ეკონომიკური პრაქტიკული აზროვნება საქართველოს არ ჰქონდა და არც გააჩნია, რადგან მას ამის საშუალებას არც მისი გენი, არც თავზე გადამეტებული წარმოდგენა მისცემს.

8126. ქართველისთვის ყველაზე ღირებულია მეგობრობის ძვირფასი ქვები სიყვარულის სამკაულში, მისთვის მეგობრობას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სიყვარულს და ის ამით განსხვავდება პლანეტის სხვა ბინადართაგან.

8127. ქართველი შეურაცხყოფად იღებს იმას, რაშიც სხვა ამხილა, მაგრამ სხვის მიმართ ჩადენილ ასეთსავე ცოდვას ივიწყებს, სხვის წესიერებას და გადაცდენას სჯა-ბაასის საგნად ხდის და თვითონ კარგ კაცობაზე თავის დადება არ ავიწყდება.

8128. ზოგიერთი ქართველის თანდაყოლილ ამბიციებს საზღვარი არა აქვს. ხელგაწვდილი, შარვალგარღვეული, მაინც ელიტისკენ მიილტვის. ეტყობა ამ მაღალ საზოგადოებაში ყოფნის მცდელობას ინდივიდუალური, თანდაყოლილი ნიჭის კარნახი აიძულებს, მაგრამ ქვეყანა ჰყავს ღარიბი და სულიერად მდიდარი ბედოვლათი.

8129. ქართველი, სხვა ერისგან განსხვავებით, ნიჭიერი, გათლილი ყეყეჩია, რომელმაც იცის რა უნდა და რა არ უნდა გააკეთოს, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანაში მას ხელს უშლის გადამეტებული ამბიციები და ბედოვლათობა.

8130. იმას, რასაც ქართველი ვერ იგებს, სხვისთვის გასაგებია, ხოლო რაც მისი გადატრიალებული გონებისთვის მისაღებია, სხვისთვის გაუგებარი, გასაზრებელი, მიუწვდომელია, რადგან ქართველს საწინააღმდეგოს თქმა გენში აქვს ჩადებული.

8131. ზოგიერთი ქართველის თქმით მას ყველაზე მეტად ტყუილი ეზარება, მაგრამ წინააღმდეგი არ არის სხვა მოხერხებულად მოატყუოს და თვითონაც ცოტათი მოტყუვდეს, რათა თავის წარუმატებელი საქმიანობის შემთხვევაში, მასაც ალიბი ჰქონდეს – „მომატყუეს, მოვტყუვდიო".

8132. ზოგიერთი დღევანდელი ქართველის პრეროგატივაა შარვალგამოხეული, ხელგაწვდილი, თავაწეული სიარული და მაღალ მატერიებზე ყბედობა, მოხერხებული ღალატით თავის გამოჩენა და ყველაფრისადმი „ვაჟკაცური" გულგრილობა.

8133. ალბათ, ყველა იმაზე ფიქრობს და წერს რაც აკლია, თორემ საქართველოს მატიანეს და დღევანდელ ყოფას რომ უყურებ, დაუჯერებელია ჩვენი წინაპრის ულვაშის თამასუქობა, ვალის დაბრუნება და სიტყვის გაუტეხელობა დასწამო. ეტყობა ერთეული ალბინოსები ჩვენც გვყოლია, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში საბუთად ვიშველიებთ.

8134. სეპარატიზმი და ამბიციურობა ქართველებს გენში უზით და მისი წინა პლანზე გამოსვლის მიზეზია ღირსეული წინამძღოლის უყოლობა.

8135. ხშირად საქართველოს უღირსი შვილები და საქმეები რატომღაც საუკუნის დასაწყისში და დასასრულს ევლინება და მაშინ ხდება ერის დაგლახავება ყოველგვარი კრიზისით.

8136. იყო დრო, როდესაც ქართველებს ჩაგრავდნენ, ისეთი დროც იყო, ჩვენ რომ ვჩაგრავდით, მაგრამ სწორედ ამ ჩაგვრა-ჩაგრულობის მიზეზია სულის დაზიანება, რადგან ყველაფრის გადახდა მას უხდება.

8137. მხიარული ტრაგიზმით არის დაავადებული ქართული გენი და მთელი მისი ისტორიის მანძილზე იშვიათად თუ ვინმე ახერხებდა მის განკურნებას.

8138. საქართველო იყო და არის თავისი დაუდეგარი ხასიათით, ნიჭიერი ხალხით და კუდაბზიკა ვიგინდარა მოხელეებით. ეტყობა მამაზეციერს ეს უკანასკნელი სახეობაც სჭირდება გასამრავლებლად.

8139. „უბედურია ის ქვეყანა, ვისაც გმირი არ ჰყავს, მაგრამ საშინელებაა იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც გმირი სჭირდებათ" – ხომ არ გეცნობათ დღევანდელი საქართველო?

8140. დღევანდელი საქართველოს გამო ნაღველი მეუფლება და არა სირცხვილი, რადგან მას თავისი უმწეო პოლიტიკის და უღიმღამო ეკონომიკის გასამართლებელი საბუთი არა აქვს.

8141. როდესაც ქართველი ერი თავის საუკუნეში რეაბილიტაციას შესძლებს და წინა საუკუნეების გადამეტებულ განსჯას შეეშვება, მაშინ იქცევა სახელმწიფოდ და ეკონომიურადაც დამოუკიდებელი გახდება.

8142. ქართველებს ხშირად გვინდა რომ სხვისი გული მოვინადიროთ და ჩვენზე კარგი ვათქმევინოთ, ის კი გვავიწყდება, რომ ერის ღირსება მისი ეკონომიკა და ხელების დაკაპიწებაა და არა უადგილო-ალაგას ძრომიალი და სხვისი გულის მოგება.

8143. საქართველო თავის შესაძლებლობების გადაფასების შემდეგ თავისუფლების და აყვავების ნაცვლად, ჰუმანიტარული დახმარების, კრედიტების პარვის და დაკაბალებისკენ წავიდა.

8144. დღეს საქართველოში ბარდაგი იმიტომაა, რომ ის უმეტეს ნაწილს აძლევს ხელს. თუმცა ყველა წუწუნებს და უკმაყოფილოა, მაგრამ არავის სერიოზულად ხელის განძრევა არ უნდა.

8145. ქართველი ერის დამღუპველიც და ამშენებელიც მისი მაქსიმალიზმია, თუ წინათ ფუჭად ყოყოჩობდა, დღეს თავს ტყუილად იკატუნებს.

8146. საქართველოს ბევრი დღევანდელი მრჩეველი მისი პოლიტიკის, ეკონომიკის და მენტალიტეტის გაუთვალისწინებლად იმ ჩრდილოელ ესკიმოსს გავს, რომელიც სამხრეთელ ზანგს ასწავლის, თუ როგორ უნდა მოიქცეს ტროპიკული წვიმების დროს.

8147. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ქართველი ერის ყოფნა-არყოფნა ყოველთვის მისი შვილების ნიჭსა და სიჯიუტეზე იყო დამოკიდებული.

8148. საქართველოსაც აქვს ბრწყინვალე მომავალი, მაგრამ ჩვენ იქამდე ვერ მივაღწევთ, თუმცა იმ ქვეყნად ამ იმედით გადაბარგება მაინც სასიამოვნო შეღავათია.

8149. თუ სხვა ქვეყანას კაცი სჭირდება სამართავად, საქართველოს გონიერი ტარტაროზი, სატანა, რადგან ამდენი ეშმაკისა და დემონის მასაში სხვაგვარად გზის გაკვლევა ძნელია.

8150. საქართველოში არც ადრე, არც ახლა და არც მომავალში არაფერი არ გაკეთებულა და გაკეთდება ნებაყოფლობით – ძალადობის გარეშე, იმდენად დიდია ჩვენში აზრთა სხვაობის დამანგრეველი შედეგი.

8151. ეტყობა, საქართველოს გაჭირვების ჟამს ღმერთი მაინც არ ივიწყებს, მაგრამ თავის თავს რატომ არ ეხმარება, რატომ უცდის სხვის დახმარებას და რატომ მიჰყავს ამ ნიჭიერ ხალხს საქმე უკიდურესობისაკენ, ან რატომ შურთ ერთმანეთის, გაუგებარია.

8152. საქართველოში ყოველთვის „მარადიული ბალაგანი" იყო, თუ მას მკაცრი ხელი არ მართავდა და ფუჭი ქანებიდან ოქროს აზრის დასაჭერად საცერი არ ეჭირა ხელში.

8153. საქართველო თავის დღეში ლამაზი ბუნების, ლეგენდების და წარსულის მოსაგონარი ქვეყანა იყო, ალბათ ეს სილამაზე და მომხიბვლელობაა დამნაშავე, რომ მისი შემყურე ხალხი ტკბობას ვერ ელევა და საქმის დროულად მიხედვა ავიწყდება.

8154. ქართველები სულის გადანაწილებაში, რევიზიაში თუ არ მონაწილეობენ და კარიერისკენ არ უჭირავთ თვალი, მათზე კარგი ხალხი უცხო ტომისთვის არ არსებობს.

8155. საქართველო ყველა სხვა ტომის შვილს ეთაყვანება, ეფერება, ვინც მას აღიარებს, მაგრამ თავად ქვეყნის საქმეზე გადამკვდარი ადამიანის აღიარებას დიდი გაჯანჯლების შემდგომ ახერხებს.

8156. რაც უნდა მოგწონდეს, ქართველი მენეჯერი 3 წელზე მეტი არ უნდა გააჩერო, რადგან მისი მენტალიტეტიდან გამომდინარე იმდენად დაგიახლოვდება, რომ თავსაც დაგაყვედრის და წილში ჩაჯდომასაც მოგთხოვს.

8157. ღმერთის მომადლებულ, მოჭარბებულ ენერგიას და ნიჭს ქართველები რატომღაც უაზრო დროსტარებაში, კამათში, შურიანობაში კარგავენ, იმის მაგივრად, რომ ერთ მუშტად შეკრულებმა ქვეყნის საქმე აკეთონ, მაგრამ ჩვენს გენში პატივმოყვარეობის ანტისხეულია ჩადებული და ეშინიათ, ერთმანეთს რომ არ გადაასწრონ, ვაითუ ხელმოცარულნი დარჩნენ.

8158. ქართულ კოდს ერთ ნატვრას ვადარებ: „ნეტა ერთი ივანეს ცოლი მომცა და პეტრეს მამაკაცური ღირსება, რას ვიგრიალებდიო" ან „ქართველებმა ებრაელებივით ურთიერთგატანა ვიცოდეთ, რა მაგრები ვიქნებოდითო".

8159. ქართველი კაცის სული სიკეთისათვის არის მოწოდებული. მას შეუძლია სტუმარს დაუმტკიცოს და დაარწმუნოს იმაში, რომ ის დიდი პიროვნებაა, სამყაროსათვის მოვლენაა,.

8160. ქართველების სიყვარულის უნარი, მათი ნიჭიერება, სტუმართმოყვარეობა აღიარებულია, მაგრამ პატივისცემას არ იმსახურებენ, რადგან ამდენი პლუსის მქონე ერს, ამდენი მინუსის – შურის, ბედოვლათობის უფლება არ აქვს. ეტყობა მამაზეციერს ქართველებისათვის ნაჩუქარ თავის მიწაზე გული სწყდება და ისევ თავისად სთვლის და რა ხასიათზეც არის, იმ ჭკუაზე გვათამაშებს. რას ვიზამთ, ვიღაც ხომ უნდა გავიყვანოთ ჩვენი ბედოვლათობის წილში. – ესეც ჩვენი ბუნებაა.

8161. თანდაყოლილი ნიჭის წყალობით ნამდვილი ქართველი იშვიათად მარცხდება, ხოლო მის დამდაბლებასა და სახელის გატეხვაში იმ ნაციონალისტი ვირიშვილების ხელი ურევია, რომლებსაც ცარიელი ამბიციების გარდა არაფერი გააჩნიათ და იმის ცდაში არიან, უვიცი თავი როგორმე წარმოაჩინონ, ერი დემაგოგიური მოწოდებებით გააბრიყვონ, ბრბო აიყოლიონ, თავზე წამოასკუპდნენ და რა მოხდება, ფეხებზე ჰკიდიათ.

8162. ქართველებს ბევრი დიდებული პოეტი ჰყავს, მაგრამ ამ პოეტებს პატრონი არ ჰყავთ, რომ წარმოაჩინონ და სამყაროს გააცნონ.

8163. საქართველოს მართვა მხოლოდ მკაცრი ხელით და მოხერხებული გონებით შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ იარსებებს ის, როგორც ქვეყანა, გაუგებარია.

8164. ზოგ ქართველზე ჭკვიანი და გულკეთილი არავინაა, თუ მას მუქთა ფული აქვს ნაშოვნი.

8165. ინგლისს პატივს სხვა ერების თვალში მაინც შექსპირის გენია მიაგებს და არა იმპერიის ყოფილი დიდება, რომელიც დროებითი და წარმავალია, ასევეა საქართველოსთვის რუსთაველის გენია, რომელსაც შედარებით ნაკლებად იცნობენ, ისევე როგორც საქართველოს.

8166. არ მახსოვს, რომ დიდ გაჭირვებასა და ფულთან ურთიერთობაში ყველაზე „დიდი" ქართველი არ ჩაჭრილიყოს, რაც შეეხება სხვა ერს, მათი განსჯის უფლება მე არ მაქვს.

8167. ქართველებსა და რუსებს არა მარტო მეზობლობა გვაახლოვებს, არამედ გარჯისადმი ერთნაირი დამოკიდებულება და დროსტარებისკენ ლტოლვა. ვინ იცის, იქნებ ცხოვრების მადლის შეგრძნება ჩვენი გაგებით სჯობდეს, მითუმეტეს საწინააღმდეგო იმისა, რომ დროსტარება არ ვიცით, ჩვენთვის არავის უკადრებია.

8168. ქართველებს წარსული და მომავალის იმედი ყოველთვის კარგი გვქონდა, მაგრამ აწმყო გვაქვს თითქმის ყველა დროში უღიმღამო, უხერხემლო და გაუგებარი.

8169. საქართველოს ყველა კუთხეს თავისი ოფოფები ჰყავს და ამ ოფოფების გაფრენას ყველა თავისი შესაძლებლობებით და პეწით ცდილობს.

8170. ღმერთის შექმნილი: კახელები ცოტათი უხეშები არიან, გურულებს ნამეტანი წარმოდგენა აქვთ თავის თავზე, რაჭველები მეტისმეტად დინჯები არიან, იმერლები ნამეტანი ფარისევლები, მეგრელებს თავისი თავი უნაკლო ჰგონიათ. ყოველივე ამის გათვალისწინებით შექმნეს ქართველებმა თავისი თავი და ღმერთს მისთვის შემონახული მიწაც გამოსტყუეს. ამით მათ ღმერთი ქართველებზე ზრუნვას ჩამოაშორეს და დასვენების საშუალებაც მისცეს, მაგრამ შეცდნენ, დღეს მაინც ღმერთისკენ აქვთ ხელი გაწვდილი, რადგან ჭკუა და მოხერხებულობა ბოლომდის მაინც არ ყოფნით.

8171. საქართველო სამოთხის ქვეყანაა, მაგრამ აბორიგენები მისი კეთილდღეობის დამკვიდრების წინააღმდეგნი არიან, რადგან ერთმანეთის გადაგდების და გინების გარეშე მათთვის ცხოვრებას აზრი არა აქვს.

8172. ზოგიერთი ქართველის სამშობლოსადმი სიყვარული შემდეგნაირად გამოიყურება: მოგვეცით ბატონო უფლება, დაგვრთეთ ნება, ერთგულად და სიყვარულით გემსახუროთ ერთ მილიონ დოლარად წელიწადის ყველა დროს.

8173. დღეს საქართველო უყელსაბამო ფინიას მოგვაგონებს, რომელსაც ლუკმას მიუგდებენ, ჭკუას არიგებენ, მის ყეფას და წკმუტუნს ყურადღებას არ აქცევენ. რა ვიცით, იქნებ ასე თავისუფალ ფინიაობას, ჯაჭვზე დაბმული ნაგაზობა სჯობდეს, რომელსაც ერთი პატრონი ყავს და ყველას თავისი მოვალეობა აკისრია.

8174. ქართველებს გადამთიელის უნიჭო მოსაზრებები უფრო გვაინტერესებს, ვიდრე თანამემამულის გონიერება და შესაძლებლობა.

8175. საქართველოს ნაციონალური იდეა უნდა იყოს ენა, სამშობლო, რწმენა, ეკონომიკა, კულტურა, პრეზიდენტი, ერის ისტორია, იდეა, სამართლიანობა, ურთიერთყურადღება, წამახალისებელი პატარ-პატარა გამარჯვებები, ერთიანობა და რაც მთავარია მოთმინება.

8176. ქართველები ზოგს მათი თავქარიანობისა და გულუბრყვილო სტუმართმოყვარეობისთვის უყვართ, რადგან სხვა ამ გულკეთილობით გაკეთებულ სისულელეს ვერც მოიფიქრებს და არც გააკეთებს.

8177. ქართველმა ერმა სხვა ხალხებივით თავისი ჩამოყალიბების პერიოდში სხვადასხვა გზები გაიარა და მწარე გამოცდილება შეიძინა, შედეგი კი უარყოფითია, რადგან ხასიათი აქვს არხეინი, ამიტომაა, რომ ცხოვრების დაწყება ხშირად თავიდან უხდება.

8178. საქართველოში სტუმარი მასპინძლის თეთრი ვირია, მაგრამ თუ ზედმეტად შეყოვნდება, ჩვეულებრივ სახედრად გადაქცევის შანსს ინარჩუნებს.

8179. ქართველები, თავისი ნარცისიზმით სამყაროს ჩვეულებრივი შვილები ვართ, ოღონდ ცოტათი უკეთესნი. ყოველ შემთხვევისთვის ჩვენ ასე გვწამს.

8180. ქართველს იმდენად არ ულხინს, როგორც თავს გვაჩვენებს, იმდენის კეთება არ შეუძლია, რაც გულით უნდა აკეთოს, მაგრამ იმდენად არ უჭირს, რამდენიც წუწუნი ისწავლა.

8181. სამწუხაროდ დღეს საქართველოში ზოგიერთისთვის "შემაფურთხე, ვერ მოვიხოცავ?" საზოგადოებაა, რომელიც სხვის მორალს და კეთილშობილებას კრიტიკის ცეცხლში ატარებს, ხოლო თვითონ ზნეობაც და მეგობრობაც ფეხებზე ჰკიდია, თუ ფულის გამოტყუების შანსი გაუჩნდა.

8182. საქართველოში მწარმოებელი ბუღებიდანაც სამჯერ მეტ სპერმას იღებენ, ვიდრე ამერიკაში. ისე რომ იქ რაც სიამოვნებად ითვლება, ჩვენთან სატანჯველ შრომას ამსგავსებენ.

8183. ქართველს საკუთარი ქვეყნის სამსახურში თავის გამოჩენა უფრო უჭირს, ვიდრე სხვის ქვეყანაში. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ბევრი მეთვალყურე ჰყავს, კონკურენცია და შური დიდია, ყველა რაღაც სარგებელს ხედავს მასში, ხოლო სხვაგან ხელს არავინ უშლის ამდენი "მზრუნველობით".

8184. საქართველოს გამთლიანებისთვის მისი მამები ურჩ ქართველებს ძელზე სვამდნენ, მარგილზე აცმევდნენ, ბოთლზე დააბრძანებდნენ და უკანალს უვარჯიშებდნენ. გაამტყუნე თავის ერზე შეყვარებული პოლიტიკოსი - ერის მამები, თუ დღევანდელი მათი შვილები ჭეშმარიტებას არად აგდებენ და კარიერის მოსაპოვებლად უკანალის თამაში და ყბედობა ყველა საღ აზრს ურჩევნიათ.

8185. ქართველები ნაყალბევი ფანტაზიის იმედით ცოცხლობენ, საქმიანობენ, განიცდიან, იმედს არ კარგავენ, იქნებ გაცემული ჩამასესხონ და ამაგი დამიფასონო, თუმცა მევალე სადღეგრძელოში ტკბილ სიტყვას არ დაგამადლის, მოგეფერება, ხოლო დანარჩენი მას არ აღელვებს და არც აინტერესებს.

8186. საქართველო ყოველთვის იყო მეზობელი ქვეყნების "სასიძოებისთვის" მომხიბვლელი საპატარძლო, რომლებიც მის დასაპყრობად ყველაფერს კადრულობდნენ, მაგრამ ის მაინც ცდილობდა ქალწულად დარჩენილიყო, ან ღირსეული არჩევანი გაეკეთებინა, რათა პოლიტიკური შინაბერობა არავის დაებრალებინა. რამდენად იღბლიანად ახერხებდა ამას, დღევანდელი ისტორია და ეკონომიკა მეტყველებს.

8187. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა მე-12 საუკუნეში სცადეს ერთმორწმუნე რუსეთთან მოყვრობა და თავიანთი ქალწული მეფე თამარი რუსეთის ტახტის მაძიებელს მიათხოვეს, მაინც უფროსი ძმისგან მთავრობის დონეზე წმირად ღალატს ჰქონდა ადგილი, რადგან ცხოვრების ხედვა და მასშტაბები გვაქვს სხვადასხვა. რაც ქართველისთვის წმინდაა, ალბათ ის რუსეთისთვის ჩვეულებრივი ყოველდღიურობაა, და სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული.

8188. ვისაც ქართველობა უნდა, ის საქართველოში, მის ტერიტორიაზე უნდა აღიზარდოს. სხვაგან გაზრდილი ქართველი საქართველოს ვერ გამოადგება, თუნდაც იმიტომ, რომ მისი მსოფლმხედველობა ზედმეტად ზოგადსაკაცობრიოა. ეს კი დამღუპველია ქართული ძირისათვის და საერთოდ მცირე ერისათვის.

8189. ქართული ბუნება კონსერვატულია. პროგრესიდან, სამწუხაროდ, მხოლოდ ადვილად ასათვისებელს და მისთვის მოსაწონს აღიქვამს. ეს კი ყოველთვის კარგი როდია.

8190. ყველა ერს და განსაკუთრებით, ემოციურ ქართველებს, ესაჭიროებათ ფეხბედნიერი ლიდერი. ისე ყველაფერს დროის შერჩევა და ყისმათი უნდა.

8191. თუ ქართველს სამუდამო საცხოვრებლად სხვა ქვეყანა მოეწონა, ეს ნიშნავს, რომ იგი ქართველად შემთხვევით არის დაბადებული ან მის აღზრდაში წესიერმა ხალხმა ვერ მიიღო მონაწილეობა.

8192. ქართველს სიკეთე წვეთ-წვეთობით უნდა გაუკეთო, რათა ვითარებაში თანდათან გაერკვეს, შრომას მიეჩვიოს. ეს არის და იქნება სახელმწიფოს მართვის აქსიომა.

8193. საქართველოს ისტორიულად რომ გონიერი მმართველი ჰყოლოდა საუკუნეში ერთხელ მაინც, დღეს მისი ტერიტორიის რუქა პირდაღებულ ზვიგენს უნდა ჰგავდეს და არა ყბაჩამოღებულ, დანაწევრებულ, უკუდო, უფორმო მასას.

8194. ალბათ საქართველოს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, ლიმიტის ზევით ამდენი ჭკვიანი და დროის მატარებელი ხალხი რომ არ ჰყავდეს, მაგრამ სწორედ ეს უკიდურესობაა, რომ ამ ერს სხვა ერისგან თავის გამოარჩევს და განასხვავებს.

8195. საოცარია, ქართველებს მუდამ გადასარევი წარსული აქვთ, გერმანელებს – აწმყო, იაპონელებს – მომავალი, რომლის შესახებაც ამ ბოლო ორმა ქვეყანამ არაფერი იცის, პირველისგან განსხვავებით.

8196. ზოგიერთი ქართველისთვის, თეორიული თავქარიანობა ბედთან შეურიგებელი ბრძოლაა, „რომ ის არავისზე ნაკლები არ არის", „უბრალოდ ბედმა არ გაუღიმა" და სხვა ამგვარი. მაგრამ გამართლებას რომ თავდაუზოგავი გარჯა, სწავლა, გაუთავებელი გადაადგილება სჭირდება, ამის არც გაგონება და არც დანახვა სურთ.

8197. ეტყობა ქართველები ჭარბად გასამრავლებელი ხალხი არ ვართ, თორემ ერთმანეთს დავჭამთ, არც გადასაშენებელი, რადგან ჩვენი გადაშენება სამყაროს ლაზათს და პეწს დაუკარგავს.

8198. ქართველები კუდაბზიკა, ამაყი ერია, მაგრამ ღირსებებიც არ აკლიათ.

8199. ქართველი კაცი ძირითადად დიდებულია მეგობრობაში, მზესიტყვაობაში, ხელმძღვანელ პოსტზე, სუფრაზე, ურთიერთობაში, გონებამახვილობაში, მხოლოდ ერთი პირობით: დიდ ფულთან არ უნდა ჰქონდეს საქმე და საქმეში მეგობრები არ უნდა ედგნენ.

8200. ქართველ კაცს უყვარს სხვის იმედზე ყოფნა, თუმცა მან შესანიშნავად იცის, რომ ამ იმედიდან არაფერი სერიოზული არ გამოვა, მაგრამ რა ქნას, თავისი სიზარმაცე და შრომისადმი მონოტონური სიძულვილი სხვას ხომ უნდა გადააბრალოს.

8201. რამდენი შესანიშნავი გაქართველებული, შერეული წყვილის ნაშიერი, ქართველების რძლები და სიძეები, საქართველოს ნამდვილი შვილები უნდა

გამხდარიყვნენ, მაგრამ "პერესტროიკამ" და ჩვენმა უნიათმა ეკონომიკამ ისინი სხვა ქვეყნებში გადახვეწა და სხვა ერების გამრავლებასა და გაძლიერებას შეუდგა. ჩვენ კი ხელში შემოგვრჩა ადგილობრივი "შირპოტრები", რომელიც ქვეყნის მართვას ცდილობს და ერის ხარისხიანი გამრავლება ფეხებზე ჰკიდია.

8202. მყიდველ-მომხმარებელი ამერიკაში მეფედ ითვლება, იაპონიაში ღმერთად, ხოლო საქართველოში ვერ გასცდა "ბომაჟის" მყიდველის სტატუსს, ფულის ქრონიკული უკმარისობის გამო.

8203. გერმანელებს რომ ვიკინგების ჩაფხუტისათვის დაეცინათ, რქები დაადგეს და ისე გამოხატეს თავიანთი მცდელობა, რადგან ისინი ხშირად ტოვებდნენ თავიანთ ადგილსამყოფელს და შესაძლებელი იყო მათი ცოლები სხვისი კერძი გამხდარიყო. ქართველებმა რქებს უფრო რომანტიული სახე მოუძებნეს, მას იყენებენ ღვინის სმაში შესაჭიდებლად. გერმანელები თავიანთ მეტოქეებს დასცინიან, ხოლო ქართველები შეჯიბრში მხიარულებას გამოხატავენ. ვიკინგები ეჭვიანობდნენ – ჩემი ცოლი სხვასთან ხომ არ არისო, ხოლო ქართველები გახარებული იყვნენ ცოლს რომ დროებით შორდებოდნენ და ამას ყანწის შესმით აღნიშნავდნენ, ცივსისხლიან ვიკინგებს ცოლები აწუხებდნენ, რომ გაეთბოთ, ხოლო ცხელსისხლიანი ქართველები თვითონ აწუხებენ ქალებს და შედეგიან ალერსს ღვინის სმით აღნიშნავენ.

8204. საქართველოში ყველა წინააღმდეგია საზოგადოებრივი სირცხვილის განაწილებისა, ხოლო წარმატების შემთხვევაში, უამრავი მსურველია გადანაწილების და წილში ჩაჯდომის.

8205. ზოგიერთი ქართველი კაცის ხასიათი მიზანსწრაფულია პირველ წარმატებამდე, შემდეგ სტაბილური და ბოლომდე საქმის მისაყვან შრომას დროსტარება და თავის წარმოჩენა ურჩევნია.

8206. ქართველ კაცს ფულის ჩასესხება უჭირს, თორემ სპონსორის გამოძებნა და თხოვნა კი იცის. ამაყი და მადლიერი თავის მოწყალეს ყველგან აქებს, ადიდებს და თუ საჭიროა, ერთ ორიგინალურ პურმარილსაც არ დაამადლის, მართლა მათხოვარი არ გეგონოთო.

8207. მსოფლიო ცდილობს ცოტა ალკოჰოლი მიიღოს და ისე შეხარხოშდეს, ქართველი კი ბევრი დალიოს და ფხიზლად იყვეს. ყველაფერი უცნაური ვიცით ამ ოჯახაშენებულებმა, რადგან ჩვენი სიტყვის მადლი ფასობს და არა – საქმის.

8208. „ვაიმე ბიჭო" ქართველები გადაგვარების გზისკენ უბიძგებენ ერს და მის ინტერესებს, ისინი მხოლოდ ყბედობით არიან ერის შვილები და მათ საქმის კეთებით თავის გამოჩენა და გამორჩენა მიაჩნიათ.

8209. როდესაც ქართული მენტალიტეტის კოდს ეცნობი, აღმოაჩენ, რომ ილია ჭავჭავაძე და დავით კლდიაშვილი დიდი სულიერი მოძღვარნი ყოფილან და გიხარია, რომ თავის "გიჟვრაცუობით" ჩვენი ერი აქამდე მოვიდა.

8210. მეოცე საუკუნის ბოლო წლების მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ ილიას, აკაკის და კლდიაშვილის გენია ქართველების კოდის დადგენაში უდიდესია.

8211. სამშობლოს სიყვარულით დაბოღმილ ქართველს ერის ფეხებზე დაკიდება მართალია უჭირს, მაგრამ მისი მკურნალობაც რომ ფეხებზე ჰკიდია?!
8212. ქართული ბიზნესი ახლობლების გადაგდებაა, რადგან ფულის შოვნის არც ჭკუა ყოფნის და არც ნამუსი, მაგრამ უცხოს და შორებელს ამას ვერ გაუბედავს, რადგან იცის, რომ ამ უსინდისობას გადააყოლებენ.
8213. ქართველს საკუთარ თავზე კი აქვს დიდი წარმოდგენა და სურვილი, რომ იყოს არისტოკრატი, მაგრამ მისი გამჭვირვალე საქმიანობა და შესაძლებლობა ამის უფლებას არ აძლევს.
8214. ქართული აზროვნების სტილი სადღეგრძელოა, რაც შეეხება პოლიტიკას, მოხერხებულობას, რელიგიას – მეტაფორაა.
8215. ზოგ ქართველს სირაქლემასავით თავის დამალვა ურჩევნია ქვიშაში და იმაზე არ ფიქრობს, რომ მისი უკანალი ყოველგვარ კუკუ-მალობას წერტილს უსვამს. სჯობს უკანალი დავმალოთ და გამოყეყეჩებული თავი გავანძრიოთ, რომ საფრთხე ავიცილოთ და გავერკვეთ შექმნილ მდგომარეობაში.
8216. იუმორის გრძნობა ყველას ხვედრი არ არის, ამისთვის საჭიროა ნიჭი, რომელიც ქართველს საკმაოდ აქვს მომადლებული.
8217. ქართველი ბიზნესმენი დაგპატიჟებს, სუფრას გაგიშლის, მოგესიყვარულება, შემდეგ ფულს გთხოვს და რა თქმა უნდა, არ დაგიბრუნებს, სამაგიეროდ, შემდეგი პურმარილი გარანტირებული გაქვთ, თუ ვალს არ მოსთხოვთ.
8218. საოცარია ქართველის ბუნება, როცა თავისას გაინაღდებს, მერე ზარმაცდება, ცოლთან ლოგინში ურთიერთობისა არ იყოს.
8219. ქართველს გონიერებასთან ჩახუტება უჭირს, თორემ ჭკუა და მოხერხებულობა იმდენი აქვს, სხვასაც დაურიგებს და დარჩება კიდეც.
8220. ქართველს თუ სხვაზე გადაბრალების ალიბი აქვს, ის ცოდვას ხალისით სჩადის და შეურაცხყოფას არაფრად აგდებს.
8221. ქართულ აღზრდას ერთი უპირატესობაც აქვს, მან იცის, რომ მეგობრის ცოლს „სხვანაირად" არ უნდა შეხედოს, მდედრის მონდომების მიუხედავად.
8222. საქართველოში კვლავ დაიბადებიან დიდი პოლიტიკოსები, მაგრამ სამწუხაროდ, მათ სხვაგან უნდა იმოღვაწონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამშოლო არ აღიარებს.
8223. საქართველო სახელის მქონე შვილს უფრო აფასებს, ვიდრე ეროვნული საქმის მკეთებელს და მასზე გადამკვდარს.
8224. ზოგი ქართველის მენტალიტეტია „არც ვიყოთ და არც ვთქვათ, – თავი არ მოვიწონოთ, არ შევუძახოთ. მაშინ ხომ სიცოცხლე ეშხს დაკარგავდა?"
8225. ქართული ეკონომიკის აღორძინების საფუძველია სხვადასხვა ერებთან ერთობლივი საწარმოების შექმნა, ჩვენთვის დამახასიათებელი თეთრი შური და საგარეო ურთიერთობების ნიჭი, მიუხედავად ჩვენი პატრიარქალური სიმპატიებისა.
8226. რუსები იყოფიან: "კრუტოი" და "ვსმიატკუ", ქართველები კი ცხოვრობენ გადახარშულად და თოხლოდ, მაგრამ კვერცხების გარეშე.

8227. ქართველებს თუ წინათ უაზროდ მდიდრებად მოგვქონდა თავი, დღეს უმიზეზოდ ვწუწუნებთ. ალბათ, ორივე შემთხვევაში ეს უაზრობა მომგებიანია. გააჩნია დროს და რა არის მოდაში ფულის საშოვნელად.

8228. ქართველებს ღმერთისგან მომადლებული ბევრი ნიჭიერი პიროვნება ჰყავს, მაგრამ ხალხი ამ პიროვნებებს საქართველოს კეთილდღეობისთვის არ იყენებს პრინციპით: – მე მაგან როგორ უნდა მაჯობოს, ან ამას მეც ხომ გავაკეთებდიო.

8229. ქართველი ერი კეთილი და ნიჭიერია, მაგრამ ბრბო ჰყავს ავყია, თვითდაჯერებული და სიაფანდი – არცთუ ისე ცოტა.

8230. ქართველები მთელი ცხოვრება წარსულს მივტირივართ, საინტერესოა, რა ცხოვრება გვქონდა ასეთი, რომ მისი წარმოსახვითი სიმდიდრე და მიმზიდველობა არ ილევა და სულ წინა საუკუნეების ქებაში ვართ.

8231. ისეთი ნიჭიერი ხალხი, როგორიც ქართველები არიან, როგორ შეიძლება ასეთი უხერხემლო და უნიათო იყოს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში, ასეთი გაუტანელი, შურიანი და უპირო თავის მოძმესთან ურიერთობაში.

8232. ქართველები მხოლოდ ნიჭის და ტრადიციების ხარჯზე არსებობენ და არა – კულტურისა და გონიერების. აბა, რას მივაწეროთ ის ამბავი, რომ თავის დროზე ყაზბეგს ტალახს ვესროდით, ვაჟა-ფშაველას მჯღაბნელს ვუწოდებდით და სიცოცხლეში ხეირიანი წიგნის გამოცემა ვერ ვაღირსეთ, ხოლო ილია გინების ობიექტად გავიხადეთ და ტყვიით გავუხვრიტეთ შუბლი. თუმცა, ამ ერის შვილების დასაფლავებას ხალხი და ვიშ-ვიში არ დაჰკლებია, რადგან მათ, მავანთა დასაფლავებაზე დასწრება და პატივის მიგება ურჩევნიათ, ვიდრე სიცოცხლეში ხელის გაწოდება, დახმარება და გვერდში დგომა.

8233. საქართველოში ყველა ერთმანეთს აგინებს ჩუმად, მაგრამ სხვა ერებთან ერთად შეკრების დროს ამ გინებას ვეტო აქვს დადებული.

8234. სამწუხაროდ, ქართველები აწმყოს ხალხი არა ვართ, სულ წარსულით ვჯილაობთ და ყველას ჩვენს ისტორიას ვაყვედრით, იმის მაგივრად, რომ სიცოცხლეში ერთმანეთს საქმით მოვეფეროთ, წინ წავიწიოთ.

8235. იაპონელებს რომ გაეცნობი, ერთი შეხედვით, ცალ-ცალკე ბრიყვის შთაბეჭდილებას ტოვებენ, ერთად კი სასწაულებს ახდენენ. ქართველები ცალ-ცალკე ყველა გენიოსის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ერთად რომ შეიყრებიან ...

8236. მე მართლა მოდას აყოლილი ქართველი კაცისა რა ვთქვი ... განა შეიძლება "ბორჯომისა" და "ლაღიძის წყლის" პატრონი, "პეპსი-კოლას" ეტანებოდეს და აღმერთებდეს?- ეს არის ჩვენი ეკონომიკის პერსპექტივა?

8237. პიროვნების მიმართ უმადურობის გრძნობა ძლიერი საზოგადოების ხვედრია, ე.ი. ქართველები ძლიერთა კატეგორიას განეკუთვნებიან, რადგან ავად თუ კარგად, ამ დრომდე მოაღწიეს, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროის გამოჩენილ პიროვნებას სიცოცხლეში სათანადოდ არ აფასებენ.

8238. საშუალო მაჩვენებლებით 15 კაციდან ერთი აქტიურია, ეს მაჩვენებელი ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით თანდათან მცირდება, ხოლო საქართველოში პირველობისკენ ლტოლვა პირველი – მეორეზე გათვლის საშუალებას არ

იძლევა, მაგრამ საოცარი ის არის, რომ სადაც ხალხი უფრო დინჯია და ნაკლებ ინიციატივიანი, იქ ცხოვრება უკეთესია და დაწყნარებული.

8239. საქართველოს ეთნოსად მიმაჩნია: აფხაზები, ქართველები, ინგილოები, ლაზები, ოსები, სვანები. კუთხეები: კახეთი, ფშავ-ხევსურეთი, ქართლი, სამაჩაბლო, მესხეთ-ჯავახეთი, სამეგრელო, სამურზაყანო, აჭარა, გურია, იმერეთი, რაჭა და დღევანდელი ეკონომიური სიდუხჭირის შედეგად დაკარგული მისი მკვიდრი ეთნოსი სომეხი, აზერბაიჯანელი, ქურთი, რუსი, ქართველი ებრაელი. ამ ხალხს ქართული კულტურის დიდი ნაწილი გათავისებული ჰქონდა და ისინი ორი ერის თანდგომას და სიყვარულს ემსახურებოდნენ, დღეს კი გადახვეწილებმა არ იციან რა ირწმუნონ, რადგან ბაზისი, საქართველო, როგორც სამშობლო, თანდათან ფეხქვეშ ეცლებათ.

8240. სხვა ერის წინაპრებსაც ქართველებზე ნაკლები ისტორიის ტაბიკები არ უმტვრევიათ, მაგრამ უშენებიათ კიდეც და მომდევნო თაობებისთვის ღირსშესანიშნაობაც ბევრი დაუტოვებიათ, ამიტომ თუ პრეტენზიებს ვუცხადებთ წარსულს, ჩვენც უნდა ღირსეულ წინაპრად ვიქცეთ, რათა მომდევნო თაობამ ჩვენი წინაპრობით გაიხაროს.

8241. ქართველების წინამძღოლი, სერიოზული, მომთხოვნი და იუმორის გრძნობით უნდა იყოს დაჯილდოვებული, წინააღმდეგ შემთხვევაში მის პიროვნებას არ აღიარებენ და ვერც საქმე წაიწევს წინ.

8242. დღევანდელი პრეზიდენტი ამ დროის ქართველების ხელში, კიდევაც კარგად უძღვება ქვეყანას, რადგან მას პირად ურთიერთობაში ღვთის ნაჩუქარი "ფემინა" აცისკროვნებს, თუმცა კაცმა რომ თქვას, არც დიდ გორელ, ლოთ მეწაღის შვილს უნდა ემართა იმპერია, მაგრამ რა უნდა ქნას ხალხმა თუ ამ მოღვაწეთა გამოხედვაში და პოლიტიკურ ვირეშმაკობაში განგების ხელი ურევია.

8243. სანამდის ერი "გიორგი ბრწყინვალის", ამ რაციონალური პოლიტიკოსი მეფის დაფასებას არ ისწავლის და სათანადოდ არ შეაფასებს მის ნაღვაწს, მანამდე საქართველო ვერ გაიგებს, რა არის ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწე.

8244. დღეს მძიმე მდგომარეობაშია საქართველო, რომელმაც 5,5 მილიონიანი, ადგილზე დამაგრებული მოსახლეობით სოციალიზმის დიქტატურიდან თავი დაიხსნა, განახევრებული მოსახლეობით, პოლიტიკური აშლილობით თავისუფლება მოიპოვა, კაპიტალიზმის გზას შეუდგა, მისი ძირითადი გენოფონდი სხვა ქვეყნებში სამუშაოს საძებნელად გადახვეწა და უკან შემოტრიალებაზე არ ფიქრობს.

8245. „პერესტროიკამ" იმდენი ზარალი მიაყენა ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხს, რაც თავის დროზე ვერ შესძლეს შაჰ-აბასმა, მურვან ყრუმ, თემურ-ლენგმა და სხვა გადამთიელებმა. „პერესტროიკის" დროს რესპუბლიკიდან უკმაყოფილო ადამიანები თვითონ წავიდნენ და უმეტესი მათგანი აღარ დაბრუნდება. შაჰ-აბასის მიერ ძალით გადასახლებული ქართველების შთამომავალს კი დღესაც დაბრუნების სურვილი აქვს.

8246. ამბობენ, ფეხბურთი და ბრიჯი ინგლისელებმა მოიგონესო, კალათბურთი და ფრენბურთი – ამერიკელებმა, ჰოკეი – კანადელებმა, პრეფერანსი – რუსებმა,

ლელო კი – ქართველებმაო, მაგრამ, სადაც საჭიროა, ვერც რუსები თამაშობენ პოლიტიკურ პრეფერანსს და ვეღარც ქართველებს გაქვთ ამ ბოლო დროს ლელო.

8247. საოცარია, მაგრამ ჯერჯერობით ფაქტი ჯიუტია. საქართველოში პოეზია, პროზა, ხელოვნება, მეცნიერება და სხვა, მაშინ წარმოჩინდება, ყვავდება, ვითარდება, როდესაც ქვეყანა სხვისი მორჩილების ქვეშ იმყოფება ან ძალზე უჭირს, რადგან ერი ამ დამპყრობლის ჯინაზე იკვრება და თავის მაქსიმუმს ავლენს, ხოლო თავისი სახელმწიფოებრივობის დროს ნიჭის მაქსიმუმს ერთმანეთთან ქიშპობას, დევნას ანდომებს. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ეს არის ჯინიანი და მოქიშპე ქართველების კოდის, გენის ალგორითმი და ამას აღარაფერი ეშველება თუ სამყარომ გენის შეცვლა არ ისწავლა, რომელსაც ჩვენთვის მატერიალური უზრუნველყოფა და წესრიგი ჰქვია.

8248. ქართველს სტაბილური, მონოტონური მუშაობა არ შეუძლია, როგორც კი სიღარიბეს თავს დააღწევს, უფროსობისკენ მიიწევს. არ საზღვრავს თავის შესაძლებლობას და ხმირად კაცობაშიც იჭრება.

8249. ქართველების უბედურება ის არის, რომ სხვისი ყურმოკრულად გაუგიათ და სჯერათ, თავისი ზედმიწევნით კარგად იციან და ერთმანეთს არ ენდობიან, და არაფერი გამოსდით. ისე რომ საკუთარ თავს ჩვენ თვითონ ვწყევლით - „შენი არ გცოდნოდეს და სხვისი არ გაგეგოსო".

8250. მე ქართველი ლამაზმანებიც არ მემეტებიან უცხო ქვეყანაში, ფულის საშოვნელად გადასახვეწად, რადგან მატერიალური მომძლავრების შემდეგ, ისინი უცხო ტომთა ცოლები უნდა გახდნენ და მათი ნაშიერი მოამრავლონ.

8251. მწირ და დაავადებულ ბუნებას დიდი საქმის კეთება შეუძლია: თავის დროზე აფხაზეთში მალარია რომ არ ყოფილიყო, დღეს ეს ტერიტორია რუსი კოლონიზატორებით იქნებოდა დასახლებული და სადაო არც აფხაზებს და არც ქართველებს არაფერი ექნებოდათ.

8252. იჩქარეთ აუჩქარებლად! დაგვმოძღვრა მიწის განაწილების ჟამს ქართველებთან ნაქეიფარმა ღმერთმა და ყოველ საუკუნეში 10-20 წელი ისე ჩაგვიქროლებს, ვერც ვეწევით და ვერც ვამჩნევთ.

8253. ღმერთო! დაიფარე საქართველო ზედმეტი ლმობიერებისაგან, რომელიც მას ათას სისულელეს ჩაადენინებს და თავს არაფერში დამნაშავედ არ იგრძნობს.

8254. ეშხიანი ქართული, ქალაქური სიმღერების სხვა ენაზე თარგმნა სისულელეა. ის თავიდან უნდა დაწეროს ნიჭიერმა კაცმა, რომელსაც სხეული ქართული აქვს, მაგრამ სული სხვა ერის სამსახურში ჩაუყენებია, თუნდაც ბულატ ოკუჯავა.

8255. ქართული ბუნებისთვის სინქრონული ცურვა, ძნელი განსახორციელებელია.

8256. ქართველების კოდია: გაჭირვების ჟამს – ამბიციები, შავი შური, პურღვინო. დალხინების ჟამს – ამბიციები, თეთრი შური, პურღვინო. ოქროს შუალედში ყოფნისას – ამბიციები, შური, პურღვინო, პურღვინო, პურღვინო.

8257. ოთარ რამიშვილს რომ ისეთივე ცხოვრების გზა გაევლო, როგორც ბ.ოკუჯავამ გაიარა, ან ინგლისურენოვან ქვეყანაში დაბადებულიყო, – უპოპულარესი პიროვნება იქნებოდა მსოფლიოში.

8258. ზოგ ქართველს სამშობლო ისე „უყვარს", თავსაც კი დასდებს მის სადიდებლად თუ მას ცუდი არაფერი დაემართება და მოუა.
8259. იმდენი შენიღბული ცუდი და კარგი ქართველს რომ აქვს, ბევრი სხვა ერი ვერ დაიქადნის. ეს გენი შეყვანილია საღვთო კომპიუტერში, რომლის სხვა გენით შეცვლა ჯერ-ჯერობით არ ხერხდება.
8260. სანამდის ქართველი ერი თვითგვემას არ ისწავლის და თავს არ დაანებებს განტევების ვაცის ძებნას და სხვის იმედზე ყოფნას, მანამდის ნამდვილ, ძლიერ სახელმწიფოდ ვერ გადაიქცევა.
8261. ვისაც თავისი ხალხი უყვარს, ის მათი მექისეც უნდა იყოს.
8262. ქართველ გენს სხვისი ჭკუის სწავლება, ანუ კუს მუცელზე ხოხვის ფილოსოფია არ გამოადგება, ის საფრენად არის მოწოდებული.
8263. ქართველების მრავალხმიანობა კარგად მაშინ ჟღერს, თუ მისი ლოტბარი და სახელმწიფოს წინამძღოლი პიროვნებაა.
8264. თუ ქვეყანა დაწყნარებულია და ვინმეს "კრიშის" ქვეშ ვიმყოფებით, ქართველებს ერთმანეთი ძალიან გვიყვარს სხვების ჯინაზე. თუ აირია, ვიშ-ვიშობს, განაწყენებულია, სიყვარულს სითბოს აკლებს და ამ ვაკხანალიაში, რა თქმა უნდა, თვითონ არავითარი "წვლილი" არ მიუძღვის.
8265. ქართულ გარემოცვაში, ჩვენი აღტკინება, შემოქმედება, პოლიტიკანობა რაც უნდა უმნიშვნელო იყოს, გვირგვინის ძიება მოსვენებას არ გვაძლევს.
8266. ქვეყანა, რომელიც წიაღისეულით და თავის მუშახელით ვაჭრობს საზღვარგარეთ, ვერასოდეს ღირსეულ სახელმწიფოდ ვერ იქცევა, სანამ თავის ნაწარმის გამოშვება-გასაღებას არ ისწავლის.
8267. საქართველო სიყვარულია, რწმენაა, სიამაყეა, პატრიოტიზმზე და პიროვნების თავისუფლებაზე აგებული საყდარია, რომელსაც ქვეყნის კანონიერება და სიძლიერე უნდა იცავდეს.
8268. გმირობის ჩადენა ყველას შეუძლია, თუ თავისი თავი მოყვასზე მეტად არ უყვარს. როდესაც ესპანელებმა მავრები დაამარცხეს, მავრების ემირმა, ალმანსორმა, შავი ჭირი შეიყარა და ისე ჩაბარდა მტერს. თვითონაც დაიღუპა და ესპანელთა მთელი კარიც ჭირს გაატანა. არც ჩვენი თევდორე მღვდელი და მეფე დიმიტრი თავდადებულია დავიწყების ღირსი.
8269. რა უნდა უწოდო კაცს, ალბათ დაუფიქრებელი პატრიოტი, რომელიც თავისი საყვარელი გუნდის საქომაგოდ თამაშზე დასასწრებლად უცხოური ავტომანქანით და მობილური ტელეფონით მოდის, გუნდის დასახმარებლად კი სამლარიანი ბილეთის აღებას თავს არიდებს. ვინ იცის, როდის ისწავლის ქართველი კაცი თავის თავის ჭეშმარიტ დაფასებას, ეკონომიკის პატივისცემას და მეტიჩრობაზე უარის თქმას.
8270. წაართვა ერთს და უწილადო მეორეს, ეს ქვეყნის ბიუჯეტის პრეროგატივაა, მაგრამ თუ ეკონომიკა წინ არ მიიწევს, მაშინ საშემოსავლო პერანგიც შაგრენის ტყავივით მცირდება, თუ ერთს ცხოვრების შანსი რჩება, მეორეს არსებობის სა-

შუალებაც ეკარგება და ქვეყანა ბუნტის და ძალად გადანაწილებისკენ მიჰყავს სამწუხარო საქართველოში ამის საშიშროებს რომ ვერ ხედავენ.

8271. ჩვენი უკულტურობა და ვირეშმაკობა იმაშიც მჟღავნდება, რომ ნიჭიერ ხალხს სამშობლოში გაფურჩქვნის საშუალებას არ აძლევენ და ჩვენი ქვეყნისთვის განკუთვნილ მოსავალს სხვას აკრეფინებენ.

8272. არის გენეტიკურად დიქტატურისთვის განკუთვნილი ქვეყნები, რომლებსაც დემოკრატია დაღუპავს, რადგან თავისუფლების მოჭარბებულ დატვირთვას მათი მოუმზადებელი მენტალიტეტი ვერ იტანს, მათ შორისაა საქართველოც.

8273. თავისუფლება და დემოკრატია რომ ფუჭია ჩვენში, ეს საქართველოს დედაქალაქის „ბომჟოგრადად" გადაკეთებითაც მტკიცდება.

8274. საქართველოს მართავას ცდილობს მორჩილად მორცხვი უმრავლესობა, რომელსაც ედავება აგრესიულად ურცხვი უმცირესობა და ეს უკანასკნელი ხშირად ამას ახერხებს.

8275. „შური კი არა, შეგნატრი, კი არ მოკლა, შემოაკვდა, ფული კი არ გაფლანგა, შემოეხარჯა", და ასე შემდეგ, რაც ერია კვიმატი, ისეთივე საკვიმატო სიტყვები აქვს.

8276. საქართველოში ქართული პოლიტიკა არ არსებობს, არის მხოლოდ მისი იმიტაციის და წარმართვის მცდელობა.

8277. ძირითადად საქართველოში წესიერებს თანამდებობებზე არ უშვებენ, რადგან ქლესების, ვიგინდარების და ეშმაკების საწყწადაა ეს ქვეყანა და ხალხი გაჩენილი.

8278. საქართველოს მთავრობის ახალი პროგრამით თეორიულად ყველა მოქალაქე გადაიხდის გადასახადს, ხოლო პრაქტიკულად ისევ ძველებურად გამოდის – შიგადაშიგ.

8279. სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიის დანიშნულებაა წარმოადგინოს, გააღვიძოს, სასიამოვნო და სამწუხარო ბრწყინვალე ფაქტები თანამედროვეთათვის გასაზრებლად, მათს გამოყენებას კი არავინ ცდილობს.

8280. საქართველოს საზოგადოება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნახერხისაგან შემდგარი დაუხერხავი ფიცარი იყო. რომელმაც დიდიხანია თავისი საქმე გააკეთა და ღირსების ისტორიაში სხვადასხვა შეფასებებით დაუმადლებლად შევიდა.

8281. შანსი ფოსტალიონი არ არის, ყოველდღე კარებზე რომ მოგადგეს, ის ერთხელ გესტუმრება ცხოვრებაში და თუ როგორ გამოიყენებ მას, შენს გაგებაზე და მარიფათზეა და ქართველმა კაცმა ეს უნდა გონში ჩაიდოს.

8282. შუაფენის გაბატონებაა საქართველოს საზოგადოებისთვის მთავარი და არა მისია მდიდარ-ღარიბებად დაყოფის, რადგან მის გარეშე ხეირიანად ვერც მეცნიერება და ხელოვნება, ვერც რეალური პოლიტიკა და სახელმწიფო იარსებებს.

8283. სხვა ქვეყნის უხეირო მმართველს ყოველთვის დროებითი გამოუვალი სიძნელეები აქვს საქათველოსას კი იმედიანი.

8284. სახელმწიფო დონეზე მექრთამეობის წინდაუხედავად გავრცელება ქვეყნის გაღარიბების და უძლურების სინონიმია საქართველოში კი ეს სინონიმი კუბშია აყვანილი.

8285. მიგრაცია იგივე აგრესიაა სხვა ქვეყნის მიმართ, ოღონდ უიარაღოდ და დიდი ამბიციებით ე.ი. სხვა ქვეყანაში გადასახლებულ ქართველიც იგივე აგრესორია ისე, რომ ამის შესახებ თავადიც არ უწყის.

8286. იდეოლოგია ყველაზე ძვირადღირებული საშუალებაა ქართველების სამკურნალოდ, რომელსაც ჩვენში მთავრობის სიბრიყვეც ემატება.

8287. ხაზინის უნამუსო ქურდისთვის საქართველოს სიყვარული მოჩვენებითი ბაირაღია, რომელსაც ყალბი სიტყვების კორიანტელით სამშობლოს თაობაზე დრომასავით აღმართავს. ქურდობის საშუალება თუ სხვა ქვეყანაშიც ექნება, ამ ბაირაღით სხვა სამშობლოსაც „მოესიყვარულება„ და „ერთგულებას'' შეჰფიცავს.

8288. ინიციატივიან ქართველ მედროვეებს რომ გაუძლო პოლემიკაში, მართლაც დიდი პოლიტიკური მოღვაწე უნდა იყო ან მათსავით უპრეტენზიო ბრიყვი..

8289. ჩვენი მთელი უბედურება ის არის, რომ სხვის ყველა ბოროტებას, ჩვენი სიბრიყვე, ღალატი უდევს წინ თავდებად და გამოცდილების მიუხედავად, საქართველოს გენი მაინც ერთსა და იმავე შეცდომას იმეორებს ჯიუტად.

8290. სარეველა მცენარე ხანდახან უფრო დასაფასებელია, ვიდრე კულტურული, მაგალითად, ჭანგას ბალახი, მის გარეშე საქართველოს მთები თავზე დაემხობოდა.

8291. ზოგიერთი ახლო მეზობელი შენს სახლსაც თავის საკუთრებად თვლის, მისი დამკვიდრებისკენ ისწრაფის და ახლო ნათესავებს არად აგდებს. ქართველებსაც გვყავს ერთი ასეთი მეზობელი და შორეული ნათესავი.

8292. პირადი ინტერესების გარეშე ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ ის ქვეყნის და ხალხის ინტერესებზე წინ არ უნდა დადგეს, წინააღმდეგ შემთვხევაში, სახელმწიფოებრიობა საქართველოში დიდხანს იჭრაჭუნებს.

8293. საქართველოში საზოგადოების აზრი მაშინ კი არ იღვიძებს, როდესაც საქმე ცუდად არის, არამედ მაშინ, როდესაც ქვეყნის საქმე უმჯობესდება და მთავრობა დანაპირების უმეტეს ნაწილს ვერ ასრულებს.

8294. ნიჭიერების, იუმორის, პოეზიის, საბადოს ჭაბურღილები საქართველოს ყოველთვის თავზესაყრელი ქონდა, მაგრამ მათი გამოყენების მარგი ქმედების კოეფიციენტი ყოველთვის მოიკოჭლებდა და ხშირად ხელსაც უშლიდა ქვეყანას ერთიანობის, ძლიერების განმტკიცებაში.

8295. საქართველოს დიდი შვილის, მოქალაქის, დადგენა მისი გარდაცვალების შემდეგაც ჭირს, რადგან ხშირად ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე, გამოჩნდებიან ამ ერის შვილების ნაღვაწის თავის ჭკუაზე ჩასწორების მსურველნი.

8296. უწესო ქვეყანაში პოლიცია ყველგან არის, მაგრამ საქმე არ ჩანს, წესიერში მათი ნახვა გაძნელებულია, მაგრამ გრძნობ სადღაც გვერდით დგანან, ამიტომაცაა, რომ წესიერ ქვეყნებში წესრიგი და კანონიერება უსიტყვო პატივშია, ხოლო უწესო საქართველოში ყველა წესიერებაზე გაჰყვირის.

8297. ჯარისკაცის კარგად შენახვა ძვირი ჯდება, მაგრამ ქვეყანას მისი ცუდად შენახვა უფრო ძვირი უჯდება, ამიტომაცაა მთავარი, საქართველომ განისაზღვროს რისთვის გვჭირდება ჯარი: ძალის დემონსტრაციისთვის, თუ ქვეყნის დასაცავად.

8298. ებრაელს და სომეხს ასამართლებენ, ქართველი და რუსი მოსარჩლენი არიან, შედეგად პირველებს ამართლებენ, მეორენი მოპასუხენი ხდებიან, რადგან პირველნი გაჭირვების ჟამს საერთო ენას ნახულობენ, ხოლო მეორენი დალხინების ჟამსაც ამას ვერ ახერხებენ, არ ვიცი, ეს ნააზრევი ვის როგორ მოეწონება, მაგრამ თუ ჭეშმარიტებად არ გამოდგება, სიმართლის რაღაც მარცვალი ხომ დევს.

8299. საქართველოს ყოველთვის ჰქონდა შესაძლებლობაზე მეტი სურვილები, მაგრამ ყოველთვის ჰყავდა ცუდი შემსრულებლები, რომლებიც სხვის ჯინაზე მასზე დაკისრებულ საქმეს ყოველთვის ბალახტარობით აკეთებდნენ.

8300. საქართველოს ტაშის დამკვრელი და თავის წამოჩენის მსურველი ბევრი ჰყავს, მაგრამ სიყვარულით სილის გამწვნელი და საქმის მკეთებელი – ძალზე ცოტაა.

8301. ბევრი ნიჭიერი ქართველი ემსახურებოდა და ემსახურება სხვა ერის აღზევებას, რადგან საკუთარმა სამშობლომ მათ ამის საშუალება არ მისცა და ისინიც სხვა ქვეყნის შვილობილნი და შვილები ხდებიან, ამიტომაც დროა გავიგოთ, რომ სხვის ეზოში გადარგული ხის ნაყოფი სხვისია და ჩვენ მარტო ნერგის წარმოშობის საკითხი გვრჩება სალაქლაქოდ.

8302. მიუხედავად იმის გაცნობიერებისა, რომ ყველაზე მეტი ვნება „საქართველოსთვის ისევ ქართველებს მოაქვთ", ჩვენ დამნაშავეს მაინც სხვაში ვეძებთ და გვიკვირს, რომ მოწინააღმდეგე ჩვენს მხარეს არ იკავებს მაშინ, როდესაც ჩვენთვის მომადლებული სტუმარ-მასპინძლობის და ურთიერთგაგების ნიჭის წყალობით მტერი შეიძლებოდა მეგობრად გაგვეხადა.

8303. ქართველები ერთი ნიჭიერი, თავზე შეყვარებული, არხეინი ხალხი ვართ, რომლებიც ცხოვრებას ისე ვხედავთ, როგორც მოგვწონს, გვსურს და ვგრძნობთ.

8304. საქართველოს ელიტა ძალაუფლებას, კარიერას, ფულს, ყველაფერს სწირავს ისე, რომ არც უკან იხედება და ადამიანურ ღირებულებებსაც არად დაგიდევთ, იმდენად დიდია კარიერის კიბეზე არბენის გენეტიკური სურვილი.

8305. ქართველებს ჩვენი წინაპარი საქართველოზე დამაშვრალი, წელზე წნელშემობმული და გაცვეთილ ხმალჩამოკიდებული წარმოგვიდგენია, მაგრამ სამწუხაროდ, მთლად ასე არ არის, რადგან ერთმანეთისადმი გენეტიკური შურის და ჯინის გამო, არც ხმალი გვიცვეთია ბოლომდე, არც მონდომება და არც გონიერება.

8306. საქართველოს უხიაგ მმართველს შეიძლება ბევრი რამ ეპატიოს, გარდა ტერიტორიების დაკარგვისა და ერის გადაგვარებისა.

8307. ადამიანებს ერთმანეთან ყოფნა აახლოვებთ, ხოლო ქართული ყოფით დაახლოებას თავისი ჯიში და ჯილაგი მოსდგამს.

8308. საქართველო ჯერჯერობით შოუს მომწყობი სახელმწიფოა, რომელიც პოლიტიკური და ეკონომიური ხეირის სანახავად, ყურადღებას პატარ-პატარა კონფლიქტების მოწყობით იპყრობს, მაგრამ ავიწყდება, რომ ამით მისდაუნებლიედ სახელმწიფოებრობას კარგავს.

8309. საქართველო ყოველთვის იყო ნიჭიერთა ანტაგონისტური გაერთიანება და არა სახელმწიფო, რომელიც მისდაუნებლიედ დიდი პოტენციალის მქონე ხალხს ყოველთვის აიძულებდა დაეტოვებინა ვიწრო ჩარჩოებში ჩასმული თავისი ქვეყანა და ისინი სხვის მსახურებად გაეხადა, რათა შემდგომ სამშობლოს ამ შვილებს წარმატებებით უპერსპექტივოდ ეტრაბახა.

8310. ქართველები თავის გადაჭარბებულ სტუმარ-მასპინძლობას უკვე თავად დასცინიან, მაგრამ ჭკუას ვერ სწავლობენ და ვერც ისწავლიან, რადგან ეს ტრადიცია მის გენთან, ბუნებასთან არის შერწყმული.

8311. ქართველებმა შინაგანი კონტროლი, ეროვნული სულის პატივისცემა და თავხედობამდე მისული სიამაყის დაოკება უნდა შეძლონ.

8312. ხომ არ შეიძლება ქვეყანა, ერი, თავისი არსებობის 10% თავისუფალი იყოს და იმასაც ერთმანეთის ჭამაში ატარებდეს და თან სამშობლოს სიყვარულსა და თავდავიწყებაზე ქაქანებდეს. ეს არის, ალბათ, ქართული გენის გამოცანა.

8313. ის ქრთამი, რომელიც ქართულ ძღვენს ჰგავს, ბევრ ქვეყანაში ზოგჯერ საქმის კეთების სინონიმია, მხოლოდ არა – საქართველოში.

8314. დღეს საქართველო ეკონომიკის თუ თავისი ხასიათის ნაბიჭვარია, ძნელი გასაგებია, მაგრამ წინათ რომ არ იკადრებდა, იმ მუქთა დახმარების, გრანტების მონაა.

8315. საქართველო ყველა დროში იქნება გარედან დემოკრატიული, პროგრესული იდეების მატარებელი ქვეყანა, შიგნიდან – დიქტატურის და ნაციონალიზმის ტყვეობაში მყოფი ქურდული გაგების სახელმწიფო. რადგან ერთი ჭკვიანი კაცის სამართავი ქვეყანაა.

8316. ქართველები იმ რომაელ გლადიატორებს მოგვაგონებენ, რომლებმაც ბედის რაღაც მანქანების წყალობით მონობას თავი დააღწიეს და გასამრჯელოც მიიღეს. შედეგად გლადიატორს ყველაფერი შემოეხარჯა, ძველი დროის დიდებას იხსენებს და თანახმაა ვიღაცას მონად ემსახუროს, მაგრამ მორცხვობს და არ იცის, ეს მონობის სტატუსი რა ფერ-უმარილში შეახვიოს, რომ თავაწეულმა და გაამაყებულმა შეხედოს ირგვლივმყოფთ.

8317. ქართული ღვინის, სახელმწიფოებრიობის და ხალხის გარყვნა ერთდროულად იწყება.

8318. საქართველო ყოველთვის დარჩება დაპირებების ქვეყანად, რადგან მის შვილებს მათვის ნაცნობი შესაძლებლობების მიუხედავად, მტკიცედ სწამთ, რომ რეალურად მათ ღმერთი აუცილებლად მიეხმარება, ხოლო რა დამსახურებისათვის, არ აინტერესებთ.

8319. ქართველები კი ვერ იგებენ, არამედ არ იგებენ იმას, რაც მათ მენტალიტეტს, აღზრდას, ჯერ ვერ მოერგო.

8320. საქართველო დღეს ერთმანეთზე განაწყენებული ეთნოსის ტერიტორიაა, რომელსაც რეალური ნაციონალური იდეა არ გააჩნია, ცხოვრება თავის კლიმატურ და გარემო პირობებში ურჩევნია, მაგრამ სხვაგან გადახვეწაზეც თანახმაა, სამშობლოში დაბრუნების იმედით, ამაყობს თავის წარსულით და კუთხურობით,

ქართველობით, მაგრამ სახელმწიფოებრიობისგან, მის შვილებს რომ გაგვიხარდება, ჯერ კიდევ შორსაა.

8321. დღეს საქართველოს რეფორმები ხულიგნობასთან უფრო ახლოა, ვიდრე წესიერებასთან და საღ აზრთან, რომელსაც სახელმწფო რეგულირება ჰქვია.

8322. ქართული გენის უმთავრესი საზრუნავია კარიერისთვის ბრძოლა, აქედან გამომდინარე, ძალაუფლებით, სასუსნავით და რა თქმა უნდა, თავის ზომაზე მეტად მოწონებით.

8323. ქართველებს, მისი თავქარიანი ხასიათის და ნიჭის წყალობით, ქვეყნის მმართველად მოხერხებული და მომთხოვნი პიროვნება უნდა ჰყავდეს, რომელიც ჭკუასაც დაეკითხება და მუშტსაც უჩვენებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საუფროსო სადავეების დაჭერა გაუძნელდება.

8324. ძირითადად საქართველოს სახელმწიფოებრიობა საუკუნეების მანძილზე მკაცრი, უპასუხისმგებლო და არაეფექტური იყო, რადგან მისი სახელმწიფოებრიობა წესრიგზე, წესიერებაზე და ურთიერთგაგებაზე არ იყო აგებული, მიუხედავად იმისა, რომ მისი შვილები მუდამ კაცობაზე, სამშობლოს და მოყვასის სიყვარულზე დებდნენ თავს.

8325. საქართველოს მამობას ისევ მისი მამინაცვლობა სჯობს, ტყვიას მაინც არ გესვრიან და იმას მაინც არ დაგაყვედრიან, რომ შენზე ნაკლებად სამშობლო არ გვიყვარს, არც შენზე ნაკლები ჭკუისანი ვართ და წესიერებისკენ რატომ მოგვიწოდებ და გონიერებას რატომ გვიბნევო.

8326. ქართველები საკუთარი ინდო-ევროპული რასის წარმომადგენლები არიან, ახასიათებთ საღიც და უპასუხისმგებლო აზროვნებაც, გულკეთილები არიან და სუფრა თამადის წესრიგით უყვართ, ქალს ეტრფიან და მუსიკაზეც მწყრალად არ არიან. მოკლედ, ფეხებზემკიდია ავები და უპასუხისმგებლოდ კეთილი გულისანი არიან.

8327. საქართველო ღმერთის „პახმელიაზე" შექმნილი ქვეყანაა და როგორც დროსტარების კარგი მოსაგონარი – მას მფარველობს, თორემ ამდენი ვირეშმაკობისთვის დიდი ხანია მისთვის თავში უნდა წამოერტყა.

8328. ქართველები სხვის ისტორიაში ყოველთვის უკეთ ცხოვრობდნენ და თავს კარგად გრძნობდნენ, ვიდრე საკუთარში, რადგან იქ მისი იმდენად არ შურდათ, რამდენადაც სამშობლოში.

8329. საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ, ის ხშირად კუთხეებად დაყოფილი ქვეყანა იყო და იშვიათად – სახელმწიფო. მას ქვეყნის მართვის ტრადიციები და სურვილიც შიგადაშიგ ჰქონია, რადგან მას მუდამ რამდენიმე მმართველის სამართავ ქვეყნად მიიჩნევენ.

8330. ხშირად ქართველი კაცის უბედურება ის არის, რომ მან წესიერად არც ფულის კეთება იცის, არც ხარჯვა და არც ის წილი, რაც მას ეკუთვნის.

8331. საქართველოში ყველა შურისგან განაწყენებული ჰამლეტია, რუსეთში – არშემდგარი ცხოვრების ლოთი.

8332. საქართველო მოწამეობის და ოინბაზობის ნიჭით დაჯილდოებული ქვეყანაა, რომელმაც რა უნდა აკეთოს სხვაზე ნაკლებად არ იცის, მაგრამ საქმისადმი თავდადებას სამშობლოს სიყვარულზე ლაყბობით დროსტარება ურჩევნია.

8333. საოცარია, მაგრამ დრო და დრო საქართველო ბრიყვების, მაწანწალების, ღარიბების ქვეყნად გვევლინება თავისი თვითმყოფადი ჭკუისა და ამბიციური ნიჭის წყალობით.

8334. საოცარია ქართველი კაცის ბედი: სხვა ქვეყანაში სახელს იხვეჭს და სხვა ერის შვილებს პატრონობს, ხოლო მისი სამშობლო სხვისი საპატრონო და ხელის შემყურეა, სამწუხაროდ, ასეთია ჩვენი გენის, ხალასი ნიჭის და შურიანი ბუნების უკუგების შედეგი.

8335. გადამეტებით მცდელობა, სხვაზე მეტად გამოჩნდე სტუმართან, მეგობრებთან, სიყვარულში, ხშირად ცუდად მოქმედებს ქართველების სახელმწიფოებრიობის გაგებაზე, მოქალაქეობის ვალის ცოდნაზე, ეროვნულ თვითშეგნებაზე და ქვეყნის ინტერესებზე.

8336. ქართული სადღეგრძელო ლოცვაა, ხოლო ლოცვა სადღეგრძელოდ ვერასოდეს იქცევა, რადგან მას სიტყვის პეწი და კუდის მოქნევა აკლია.

8337. ქართველს ეს აქვს კარგი: თუ ვისმეზე წამოცდა ჭკვიანიაო, მერმე გადამტკიცება მის თავმოყვარეობას უჭირს.

8338. ალბათ ცხოვრებაში ყველამ ჩვენი წილი ტაბიკები უნდა დავამტვრიოთ, მაგრამ ქვეყნის ურმის გადაადგილებაზე, მისი სიამით გაკუნტრუშებაზე, ქართველებმა უარი არც თავს და არც სხვას არ უნდა ვაკადროთ.

8339. საქართველო კვლავაც წარსულის „მიღწევებით" ცხოვრობს, რადგან მუდამ აწმყო ჰქონდა საეჭვო და დაუდევარი.

8340. ქართველები მეტწილად საზრიანებიც არიან და ნიჭიერებიც, მაგრამ ხშირად ქვეყნისთვის ყოველგვარი სარგებელის გარეშე და ეს არის ჩვენი ეროვნულობის აქილევსის ქუსლი, სადაც ნიჭი და შური ერთად ვერ ბალახობენ და იძულებულნი არიან სხვაგან ეძიონ საძოვარი თავის წარმოსაჩენად.

8341. საქართველოს მიწაზე დაბადება ღვთის წყალობაა, მადლია, ხოლო ცხოვრება – ღვთის გამოცდა, რეალური ღირსების შეცნობის გარეშე.

8342. სამწუხაროდ, ქართველებს ხშირად სხვა ხალხის კარნახით უხდება თავისი შვილის ღირსების აღიარება.

8343. ძნელია რაიმე სერიოზული მოსთხოვო ქვეყანას, რომელზეც ისტორიული გამოცდილება ზეგავლენას ვერ ახდენს და ამდენი სისულელის ჩადენის მიუხედავად კიდევ კმაყოფილი არ არის, რომ ამ სამყაროში ყოფნის არენდა შეუნარჩუნდეს.

8344. საქართველოს ისტორიული რაობისათვის რა ჯობდა, რუსთაველი ჰყოლოდა როგორც მწერალი თუ მისი რანგის პოლიტიკური მოღვაწე, რათა ხალხს უკეთ ეცხოვრა. ალბათ ჩვენი გადასახედიდან პირველი, რადგან ჩვენს თავს მის გარეშე დღევანდელი სიამაყით ვერ აღვიქვამდით.

8345. ნობელის პრემია ქართველისათვის უდიდესი აღიარებაა, დაფასებაა, დაფინანსებაა და იმის საშუალებაც იქნებოდა, რომ მისმა ხალხმა უკეთ გაიცნოს.

8346. „ბედკრულ საქართველოს ბედი მაინც არ იცვლება": წინათ იყო და მის შვილებს მეომარ მამლუქად ჰყიდდნენ, დღეს სხვა ქვეყნების წარმოსაჩენად თავად მიეყიდებიან, ოღონდ უიარაღოთ.

8347. ხშირად ჩვენი მენტალიტეტის და აღზრდის გადასახედიდან გვჯერა, რომ სხვის ტრადიციებზე და მორალზე მაღლა ვდგავართ, მანამ მასში გონიერება არ ჩაერევა თავისი გამოცდილებით.

8348. ქართული თეატრის პატივმოყვარე რეჟისორები შექსპირით არიან დაკავებულნი, ხოლო ფეხისხმას აყოლილი მაყურებელი – მისი ყურებით და შეფასებით.

8349. ქართველი გარეგნობით, აზროვნებით, ევროპისკენ მიისწრაფის, მაგრამ სულით, აღზრდით, აზიაში რჩება, სიმდიდრე ამერიკელივით უნდა მხოლოდ ქართული ცხოვრების წესით.

8350. პოეზია საქართველოს ბედისწერაა, რადგან მისი ეშხის გარეშე არც სიკეთის კეთება შეუძლია, არც ბოროტების და არც უსაქმურობისგან უკანალზე ხელების დაწყობა.

8351. ქართველ ქალებს იმდენად უყვართ თავიანთი მამაკაცები, რომ სახელმწიფოს მართვაში არ ეცილებიან, თორემ ვინ იცის იქნებ ჩვენს პოლიტიკოსებს და ეკონომისტებს უფრო ევარგნათ.

8352. ერთ კაცს ამუნათებენ: არ გრცხვენია, ქართველი კაცი რომ მათხოვრობო? აბა რა ვქნა, ჩვენს მთავრობასავით ქვეყანას ოფისად ხომ ვერ ვაქცევ ჰუმანიტარული დახმარების სათხოვნელადო. ასე რომ, გადამეტებულ თხოვნასა და მათხოვრობას შორის სხვაობა დიდი არ არის.

8353. ხშირად საქართველოში საქმის მიყვანას რაღაც მიზეზით ბოლომდე არ ცდილობენ და ეს უხიაგობა რატომღაც განსჯას არ ექვემდებარება.

8354. ქართველები სადღეგრძელოში ცხოვრებისეულ აქსიომებს ისე მჭერმეტყველად, სიყვარულით, იყენებენ და განსჯიან, რომ თანამეინახის გულს სიამით ესალმუნება და ეფერება, თუმცა ჭეშმარიტებისათვის მათი განსჯის ფასი ნულია, ყველაფერი იმდენად ცნობილი და ტრადიციულია.

8355. ხანდახან ღმერთს ლიმიტირებულზე მეტი ნიჭიერი ქართველის გამოშვება უხდება და ამას სიკეთის ნაცვლად უბედურება მოაქვს, თუ თავის დროზე ერთი ნიჭი მეორეს სხვა ქვეყანაში არ გაეცალა და იქ არ გაითქვა სახელი; ნიჭიერების ტერიტორიების მონიშვნის შემდეგ, იცოცხლე, კარგი გადაძახილი აქვთ, ოღონდ ერთმანეთის საქმეში ჩაურევლად.

8356. ნებაყოფილობით ქართველს საერთო საქმისთვის ფულის გაღება უჭირს, თორემ გადამთიელთან, უკანასკნელ შარვალს გაიძრობს, რათა თავი და ერი გამოაჩინოს, და ამ გენის, კოდის გადაკეთებას არაფერი შველის.

8357. საინტერესო, რა მოხდებოდა?! საქართველოს მეზობლებს რომ მართლმადიდებლობა მიეღოთ მუსლიმანური სარწმუნოების ნაცვლად. თუ საქართველო სხვა ერებთან ათქვეფას გადარჩებოდა, მაშინ დაპირისპირება ჩვენი ბუნების გამო გაცილებით მეტი იქნებოდა. რადგან სხვას ხომ რწმენის მომიზეზებით ჩვენზე წინ არ გაუშვებდით და მათთან თავის „გაყადრებაც" გაგვიჭირდებოდა.

8358. ქართველებისთვის უკეთური აღმოჩნდა ჩვენი მენტალიტეტით გაგებული თავისუფლებაში არეული დემოკრატია, რადგან ყველა ცდილობს ქვეყნის საქმე" თავის სასარგებლოდ როგორმე აკეთოს.

8359. ქართველების მართვა არც გარყვნილი დემოკრატიით შეიძლება და არც გაურყვნელით რადგან მისი გენი, ქვეყნის საკეთილდღეოდ გონივრულად მოქნეული მათრახის გარდა სხვას არაფერს სასიკეთოდ არ ემორჩილება.

8360. იაპონელები ერთგულებით გამოირჩევიან, ჩინელები – უფროსის პატივისცემით, ინგლისელები – წესიერებით. ქართველებმა დღეს ეს ყველაფერი დავკარგეთ და მხოლოდ უაზრო და მიამიტი სტუმართმოყვარეობითღა გამოვირჩევით, თუმცა ეს ყველაფერი სხვას უფრო მოსწონს ჩვენში.

8361. სამწუხაროდ, ქართველები მიცვალებულის პატივისცემით უფრო იწონებენ თავს, ვიდრე ცოცხლის. და ესეც ჩვენი ბუნების კაპრიზია, რადგან მიცვალებული ველარაფერში შეეცილებათ, ხოლო, თუ კარგად წაუტირებენ, მოყვარული და გულჩვილი კაცის იმიჯსაც შეიძენთ.

8362. ჯერჯერობით საქართველოს ხელოვნება სოციალისტური რეალიზმით სულდგმულობს, წარსულის ნაცოხნარით ცხოვრობს და აწმყოსკენ თვალს მორიდებით აპარებს.

8363. ბუნებას, განგებას თავის კანონები და კანონზომიერება აქვს და გვინდა თუ არ გვინდა მას ვემორჩილებით. ჩვენ კი ჩვენი იდიოტური რევოლუციებით, გარდაქმნებით ამ კანონებს ვეტენებით, ვითომ რაღაცის შეცვლაში ვმონაწილეობთ, რომელიც ყოველთვის კისრის მოტეხვით მთავრდება, ამის შესანიშნავი მაგალითია „პერესტროიკა", რომელმაც საქართველოს მოსახლეობა გაანახევრა, ომები მოგვიტანა და ქვეყანაც გარყვნა.

8364. არიან მელომანი პოლიტიკოსები რომლებიც თვალს დახუჭავენ და გრძნობენ არა მარტო მუსიკას, შემსრულებელს, არამედ იმ დარბაზსაც, სადაც სრულდება ეს ნაწარმოები. როდის გაუღიმებს საქართველოს და როდის ეყოლება ასეთივე „მუსიკათმცოდნე" პოლიტიკაში?

8365. ყველაფერი დროზე, შემთხვევაზეა დამოკიდებული, თორემ სტალინის ნიჭის მქონე კაცს საქართველოში, პოლიტიკური კარტის დარიგებაში რაც არ უნდა ეშულერა, ის მსოფლიოში ცნობილ ამ დონის პიროვნებად ვერ გახდებოდა.

8366. საქართველოს პოლიტიკაში ბევრჯერ ჰქონია გამყინვარების პერიოდი, მაგრამ მისი ეკონომიკა რაღაცნაირად თავს ითბობდა და სიცოცხლეს ინარჩუნებდა.

8367. საბჭოთა კავშირის დროს საქართველო ილუზიონისტებისა და ქურდების რესპუბლიკა იყო, დღეს ილუზიები გაქრა და ქურდობა სახელმწიფო პოლიტიკად იქცა.

8368. შევსვათ იმისთვის, რომ ამქვეყნიდან ღირსეულად წავსულიყავით და არა ვალმოხდილი, რადგან ჩვენ ვალი არავისი გვაქვს და თუ გვაქვს, ისიც ჩვენი მევალეების ბრალია, რადგან კი არ უნდა გასესხონ, არამედ უნდა დაგასპონსორონ. რას ვიზამთ, ასე მოგვწონს ქართველებს.

8369. სახელმწიფო მართვისათვის ჭკვიანი ხელმძღვანელი ჯობს, მაგრამ იგი ხშირად არ ევლინება თავის ხალხს. ჯობს დავჯერდეთ საშუალო ნიჭის ხელმძღვანელს,

რომლის დროსაც სახელმწიფო სტაბილურია და ნელა ვითარდება, მაგრამ ქართველს ბუნება და თანდაყოლილი ემოციები ამის საშუალებას არ აძლევს.

8370. „ადგილის სამყოფელი ადამიანისთვის მისი გულია", მაგრამ ქართველების შთამომავალი თუ სხვა ქვეყანაში ცხოვრობს, მათი გული სწრაფად ორდება, თუ გაუმართლა საქმიანობაში, ახალ სამშობლოს მოეკიდება, ამიტომ მარტო აფორიზმებით ცხოვრება არ გვარგებს, რადგან ეს იგივეა, სამშობლოსათვის იკაკანო და კვერცხი სხვა ქვეყნის ბუდეში დატოვო.

8371. ქართველი კაცი გენეტიკურად მუხლს იდრეკს სამშობლოს, დროშის, ქალის წინაშე, ალბათ ესაა, რომ აგრძელებს ერის რაობას.

8372. სახელმწიფო, რომელიც თავის მიცვალებულს პატივს არ სცემს, ცოცხლებიც ფეხებზე ჰკიდია. თუ ეს სახელმწიფო შენი სამშობლოა – ნამდვილად არ გაგიმართლა – ერთხელ დაიბადო და ისიც ასე უმადურებაში?! მაგრამ, სამშობლოს, მშობელს და ძალაუფლებას არ ირჩევენ, რადგან ის ღვთის ნებით მოგვევლინება, ყოველ შემთხვევაში ასე გვჯერა ქართველებს.

8373. სამშობლოს სიყვარული დამოკიდებულია მის ეკონომიკურ სიძლიერეზე და სამართლიანობის პრინციპების დანერგვაზე. სამწუხაროდ ასევეა საქართველოშიც, რომლის აღიარება ძალად პატრიოტებს რატომღაც უჭირთ.

8374. საქართველოშიც სამართლიანი წესებისა და ნაზუქის პოლიტიკის გამოყენება მიზანს ყოველთვის აღწევს, მაგრამ ნამდვილი დემოკრატიის ქვეყნებში მას იყენებენ კონსტიტუციის, სასამართლოს და ხალხის ნების დახმარებით.

8375. ხშირად საქართველოს ისეთი დრო უდგებოდა, როდესაც არავითარი კანონი არ მოქმედებდა გარდა სიყვარულისა, რომელსაც ის კრიზისიდან გამოჰყავდა.

8376. საქართველოში პოლიტიკოსებს ყველას თავი ტალეირანი ჰგონია, ომში – მაკედონელი, მაგრამ ეკონომიკაში მისაბაძი ავტორიტეტი ვერ გამოძებნეს და ამიტომაცაა ეს დარგი ასე უყურადღებოდ მიტოვებული.

8377. არის დანაშაული, რომელიც ადამიანს სიკვდილის შემდეგაც არ ეპატიება. მაგ., სტალინის მიერ საქართველოს ტერიტორიების გასხვისება.

8378. ჩვენი გენი პარაზიტ ლამაზ მცენარეს მოგვაგონებს, რომელიც დიდი ხის ტოტზე იყო მოკალათებული და სილამაზითა და მომხიბვლელობით გამოირჩეოდა, მაგრამ როგორც კი ტოტს მოაშორეს, მაშინვე იწყო მოწყენა და სხვა ხის ტოტების ძებნა, რადგან მასზედ გადასახლდეს და თავი ისევ მოიწონოს.

8379. ზოგი ქართველი სინათლის და გაზის უქონლობას რუსების ვირეშმაკობას აბრალებს, მაგრამ დემოგრაფიის გამოსწორებასაც რუსებს ხომ არ დავავალებთ?

8380. ქართველებს ერთმა ერმა სახელმწიფოს მთლიანობა აღუდგინა, მეორემ ქალაქი აუშენა, ხოლო მესამე სიტყვით ლაციცს არც ადრე აკლებდა და არც ახლა ზარდება, მას აქ არც არაფერი დაუტოვებია და არც არაფერში უდევს წვლილი. ხალხი ამ უკანასკნელის "ამაგს" ყველაზე მეტად აფასებს, სიხარულით იღებს – აი, რა ძალა აქვს უძვლო ენას.

8381. ქართველების პატიოსნების რენესანსი მაშინ დამთავრდა, როდესაც გირაოდ ულვაშის ღერის მიღებაზე გამსესხებელმა უარი განაცხადა.

8382. შეიძლება საქართველოში დღევანდელ ხელფასზე იცხოვრო? – ვინც ეცადა, ყველამ იმქვეყნად წასვლა არჩია.

8383. ჩვენი უბედურება შემდეგშია: საკუთარი თავი სხვაზე ჭკვიანი გვგონია, ვუთანაგრძნობთ გონებით, ვირჩევთ ფუტლიარით, დღეში ერთხელ ვფიქრობთ და მთელი კვირა განვიცდით – ეს სისულელე რამ მოგვაფიქრებინაო, ვჩქარობთ კარგად ვიცხოვროთ, ისე, რომ მასზე რეალური წარმოდგენაც არა გვაქვს, ყველაზე სათუთი გრძნობების გამოხატვას ჩხუბით ვამთავრებთ, დიდხანს ვცონარობთ, მაგრამ თუ საკბილო გამოჩნდა, სწრაფად ვაზროვნებთ (სად მოვიპოვოთ და ვინ როგორ გადავაგდოთ და მოვატყუოთ), ერთმანეთს ბედნიერებას ვუსურვებთ ოჯახურ და პირად ცხოვრებაში, მაგრამ ყველა თავისებურად ცდილობს ბედნიერი იყოს ცალ-ცალკე. ასე, რომ ეტყობა ჩვენი უბედურება ჩვენივე გენეტიკურ კოდშია და ამას არაფერი ეშველება.

8384. ბოლომდე პასუხისმგებლობა ქართველებს არ ახასიათებს, ის შერჩევით არის პატრონი თავისი მიწის წინაშე და ეს არის ჩვენი ეროვნული თავქარიანობა.

8385. ვინ იცის, ღმერთი ასეთი გულკეთილი და მიმტევებელი რომ არ ყოფილიყო ჩვენს მიმართ, იქნება უკეთაც გვეცხოვრა, მაგრამ მაშინ, ალბათ ქართველებიც არ ვიქნებოდით, რითაც თავი დღეს ასე მოგვაქვს.

8386. ქართველის ნაციონალური იდეა – ოცნებაა, ამერიკელის – სიმდიდრე, გერმანელის – წესრიგი და ასე შემდეგ, მაგრამ რომელი ქვეყნის წარმომადგენელია ბედნიერი ან უკეთ ვინ შეირგო ცხოვრება ძნელი სათქმელია, რადგან ყველას თავისი მენტალიტეტი, პატრიოტიზმი და გაგების ბზიკი უზის გონებაში.

8387. ხანდახან ქართველშივ კი ბილწსიტყვაობა, ხმამაღალი სიტყვა, პოხია, რომელიც სამუშაო ბორბალს ადგილიდან დასძრავს და ააჩქარებს კიდეც, მაგრამ დიდი საქმის სატრიალებლად არ გამოდგება, რადგან ხეირიანი ბიზნესის კეთებას სიდინჯე და სხვა სამართავი ძალა სჭირდება.

8388. „ვისაც ჩვენი არეულობა არ მოსწონს, იმის "დაწყობილის" დედაც ვატირე," ასე ფიქრობს ზოგი ქართველი და მართალიც არის, რადგან ყველა ერს თავის ოფოფები უნდა ჰყავდეს, თუ ის საღ აზროვნებას მიესადაგება.

8389. საქართველოში, ნიჭის ყივილის და სულის გათავხედების გარეშე ლექსის წერა უკეთურობაა, მაგრამ სასიამოვნო შეგრძნებაა, შენაც ნახირ-ნახირ ხარ და აცეაცეს შეძახილსაც გრძნობ.

8390. ქართულ ენაზე ყველა ნაწარმოების თარგმნა და ახმოვანება შეიძლება თუ მას მომადლებულ ნიჭს, სიტყვის ეშხს, მონდომების აფექტს, მოჩვენებითობას და ჩვენთვის დამახასიათებელ შურს („იმან როგორ უნდა მაჯობოს") დავუმატებთ.

8391. ძნელია იმ ქართველთან ლაპარაკი, რომელსაც თავი ეკონომიკის ნეხვში აქვს შეყოფილი, ბიუჯეტის ტიტველი უკანალი უჩანს და კრედიტის მიღების გულისთვის ყველაფერზე თანახმაა, ხოლო, როდესაც დროებით სულს მოითქვამს, მაშინ ახსენდება თავის მეობა და წარმომავლობა, მომდევნო სესხის აღებამდე.

8392. შენი კერპების სიყალბე, მათთვის ყველა რეგალიების ჩამორთმევა და სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, ყველაზე მეტად საწყენია ცხოვრების დაისზე, რომელსაც აქამდე მთელი რწმენით და შეგნებით ეთაყვანებოდი – დღევანდელო საქართველო.

8393. რატომღაც ქართველი ერის რაობას ბუნება მაინც თავისებურად განჭვრეტს: ვითომდა ჭკვიანი, ვითომდა გონიერი ყველას და ყველაფრის ოპონენტი, ყველგან ცხვირის ჩამყოფი, რატომღაც ვერავითარ ხელშესახებს ამქვეყნად ვერ ტოვებს, ამით უფრო მის მიერ გაქილიკებული ხალხი გამოირჩევა.

8394. სათუთი იუმორის ფილოსოფიური ნაღველი ახლავს ქართული ხელოვნების ნიმუშებს და ეს არის მისი ზოგადსაკაცობრიო ძირი.

8395. კანონით დღეს საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, მაგრამ პრაქტიკულად შიმშილით დასჯა გრძელდება და ეს ხელს არ უშლის სინდისის ქენჯნის გარეშე ევროპის გაერთიანების წევრობის კანდიდატი იყოს, ხოლო ევროპის საბჭოს ეს არ აღელვებს, რადგან ფორმალურად დემოკრატიის ქარტიის ნორმები დაცულია.

8396. კრიმინალის დრამად მიღება, მისი გულთან ახლოს მიტანა, შეცოდება საქართველოს ნაციონალური ჟანრია, რადგან ჩვენი ცხოვრებიდან გამომდინარეს ეჭვი კანონში გვეპარება, მოსამართლეშიც და კანონიერების აღმსრულებლებშიც.

8397. სამართლიანობის პრინციპს კანონი და კანონიერება უნდა მართავდეს, და არა ქვეყნის პირველი პირის ამბიციები, მაგრამ ქართულ გენს მისდა საკეთილდღეოთ, თუ საუბედუროდ, ასე არასდროს უწერია.

8398. საქართველოში დღესდღეობით სინდის-ნამუსის დამხმარე და განმსჯელი პოეზია, ხელოვნება, მეცნიერება, სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტია და არა იურისტი, ფული. კარგია ეს თუ ცუდი, ამას ჩვენს ბუნებას ჯერ-ჯერობით ვერც დრო-ჟამი უმტკიცებს და ვერც მშიერი კუჭი.

8399. ჩვენ ღარიბები იმიტომ კი არა ვართ, რომ მამაზეციერმა ასე ისურვა, არამედ, ჩვენი გონება ვერ მიდის იქამდე, რომ ვიყოთ მდიდრები, თანაც თავის შეწუხებაც არ გვინდა.

8400. გონებით საქართველოს და რუსეთის დაპირისპირება გაგება შეუძლებელია, მაგრამ უგნურება ამას აკეთებს.

8401. სამშობლოში ჩაბერებული ძალად პატრიოტები, რომლებიც ყველაფრით ვაჭრობენ, რაზედაც ხელი მიუწვდებათ, მაინც ჯობს ქვეყნისათვის იმ პატიოსან, შემოქმედ ქართველებს, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ, რადგან პირველი სამშობლოში ქაქანებს და კვერცხსაც იქ სდებს, რომელშიც შემთხვევით ერთი-ორი ჯანსაღიც გამოერევა, ხოლო უცხოეთში გადაკარგული, იქიდან ჩვენთვის კაკანებს, მაგრამ ჯანსაღი კვერცხები იქვე რჩება და თავის ქვეყანას ვერანაირად ვერ წაადგება, რადგან ის სხვა გარემოშია გაზრდილი.

8402. „დღეს რომ ილია ცოცხალი ყოფილიყო მაინც მოკლავდნენ", ეს ჩვენი თავქარიანი ბუნების და მაქსიმალიზმის – „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ", ბრალია.

8403. ვიჩქაროთ, ოღონდ ფეხის აუჩქარებლად – ქართველებს კიდევ ასეთი დამოძღვრა გვინდა? სულ აღარ გავანძრევთ ხელ-ფეხს.

8404. ხალხს თავის ბუნებიდან გამომდინარე ცხოვრებაზე და ერთმანეთზე ფხიზელი თვალით ყურება უჭირს. რუსებმა ფხიზლობის ჟამს გერმანელები მოსკოვამდე მიუშვეს და ფრანგები მოსკოვში შეუშვეს, შემდეგ აზრზე მოვიდნენ, სასმელს დაეწაფნენ, ბერლინშიც შევიდნენ და პარიზშიც. ასე არიან ქართველებიც, როდესაც ფხიზლობენ ერთმანეთს ჭამენ, პურმარილზე კი ერთმანეთს ეხვევიან და ძმობას ეფიცებიან. ამიტომაც დამპყრობლები პირველ რიგში ვენახის აჭრას ითხოვდნენ, რადგან ნუნუას მოყვარული ქართველები მხოლოდ სუფრასთან იყვნენ ერის შვილები და ალკოჰოლის გაყოლამდე, გამოფხიზლდებოდნენ და კვლავ შური, გაუტანლობა ისადგურებდა. შეიძლება იუმორში არეული ეს თეორია ჭეშმარიტებასაც არ არის მოკლებული, ვინ იცის.

8405. ქართველები იშვიათად ამბობენ სიმართლეს იმის თაობაზე, რომ ისინი სხვებზე არც უკეთესები არიან და არც ნიჭიერები, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ მათი მიწის პატრონს საერთო მარაქაში აღრევის უფლება არ აქვთ, რადგან მათ გაცილებით მეტი მოეთხოვებათ, ყოველ შემთხვევაში „მე" ასე მჯერა.

8406. დღევანდელი საქართველოსთვის მე არც ვენებს გადავიჭრი და ვერც თავს გავწირავ, რადგან მისმა გაუგებარმა პოლიტიკურ-ეკონომიურმა რაობამ ერის შვილი სამყაროს შვილობილად მაქცია.

8407. ჩემისთანა კაცს საქართველოში არავინ მოეფერება, მაგრამ დაფასებული იქნება, რადგან მე რეალურად მინდა ცხოვრება და არა – ოცნებაში.

8408. ქართველი ყველანაირად ცდილობს, მის გენში ჩადებული სტუმრის პატივისცემის კოდი აღასრულოს, თუნდაც თანამოქალაქეების უფლებების და კანონის დარღვევის ხარჯზე. ეს ქმედება მას ვაჟკაცობად და თავის „მეს" გამოხატვად ეჩვენება.

8409. საქართველოს უბედურებაა შური ერთმანეთის მიმართ, კარიერისკენ წესების გარეშე სწრაფვა და უგერგილოდ ფულის ხარჯვა, რომელზეც ყველა ჩვენგანის „მე" დროგამოშვებით მეტ-ნაკლებად ქორწინდება.

8410. ვაი-პატრიოტმა ქართველებმა, გადაგვარების გზაზე დააყენა ერი და მისი ინტერესები. ისინი მხოლოდ სიტყვით არიან ერის შვილები და მისი "დიდი საქმის" მკეთებლები.

8411. ჩვენს რაობას რომ დააკვირდები, გაოცდები რა თავქარიანი, ფეხებზემკიდია ხალხი ვართ ქართველები, მაგრამ ეტყობა, თავი მაინც ჩვენთვის დამახასიათებელი ნიჭით გაგვაქვს, ხოლო მომადლებულ ტალანტს ერთმანეთის შურით, ხმირად საკუთრებაში არ ვიტოვებთ და სხვა ხალხების სამსახურში ვბანდდებით და ამიტომაცაა ალბათ, რომ ღმერთი გვწყალობს და მთლად გადასაშენებლად არ ვემეტებით.

სახელმწიფო – ძალაუფლება

8412. მთავრობის ხელმძღვანელები კარიერის დასაწყისში ხშირად არც ქურდები არიან და არც მექრთამეები. ამისკენ მათ სახელმწიფოს "კეთილშობილი" მსახურნი უბიძგებენ, გამდიდრების სურვილს უღვიძებენ, რაც ხალხსა და ქვეყანას მძიმედ აწვება კისერზე.

8413. სახელმწიფოში ხალხის სიმშვიდე და მღელვარება დამოკიდებულია ერთ-ფეროვან, უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე, რომელიც საბოლოოდ ბეზრდებათ და რაღაცის შეცვლა სწადიათ. განვითარებულ ქვეყნებში ამ მოყირჭებას უამრავი კარნავალებითა და ათასი სულელური გართობებით უკეთებენ რეგულირებას.

8414. სახელმწიფოს უდიდეს მმართველად ის უნდა ჩაითვალოს, რომელსაც მის გონივრულ მართვაში ქალები და ღვინო ხელს არ უშლიან.

8415. ზოგიერთი მმართველი ავისმქმნელად არ არის დაბადებული, მაგრამ მისი მოქმედება ბოროტების ტოლია, რადგან არეულ მრევლს ზოგჯერ სიავის გარეშე ვერ დააწყნარებს.

8416. გადასახადების ამოღების ასეთი ხერხიც არსებობს: სახელმწიფოში აწინაურებენ მექრთამეებს, გამომძალველებს, ერთი წლის შემდეგ იჭერენ და მათი ნაძარცვ-ნაპარავით ბიუჯეტს ავსებენ, ასე იყო კომუნისტების დროს, თუმცა დემოკრა-ტიულ სახელმწიფოშიც არ გამოირიცხება ასეთი მეთოდი.

8417. ახალგაზრდებს შეიძლება შევუნდოთ პოლიტიკური ანცობა, მაგრამ მომწიფებულ პირებს ეს არ ეპატიებათ. მითუმეტეს, ანცობის ხასიათზე თუ სტაჟიანი პოლიტიკოსები არიან და შემდეგ თავს იმართლებენ, ერთი გვინდოდა და მეორე გამოვიდაო. სახელმწიფო მოღვაწეს მეორე რომ გამოსდის, ამიტომაცაა რომ ის სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, რადგან უგუნურმა ადამიანების ცოდვა დაიდო.

8418. სახელმწიფო და პირად ზნეობას სხვადასხვა განზომილება აქვს. ის, რაც სახელმწიფოს ეპატიება და მოწონებასაც იმსახურებს, პირადისთვის ყოველთვის მისაღები არ არის. პირველში გონიერება, მოხერხებულობა, სამართლიანობა უნდა ჭარბობდეს. მეორეში – ემოციები, ურთიერთგაგება, სიყვარული, თუმცა გონიერება არც აქ გვაწყენდა.

8419. „მაკდონალდსის" შემოსვლა სახელმწიფოში ნიშნავს სახელმწიფოს აღიარებას "გაეროს" შემდეგ. ისრაელის პრემიერ-მინისტრის არ იყოს: როდესაც ახლადჩამოყალიბებულ სახელმწიფოში პირველი ქურდი დაიჭირეს, მან გახარებულმა თქვა, ეხლა კი ჩვენზე შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოდ ვიქეცითო.

8420. სახელმწიფოს მმართველს დემოკრატიაზე ფიქრი კი არ დაღუპავს, არამედ დემოკრატიის თამაში, რათა მომხვეჭელობა და ნანატრი კარიერა გაინაღდოს.

8421. ძალაუფლებასთან ახლოს ყოფნა საშიში და ცვალებადია, თუ გაგიმართლა და არჩევანის წინაშე არ დაგაყენეს, სჯობს ნეიტრალიტეტი დაიცვა, თუ გინდა დიდხანს გაძლო მთავრობაში, რადგან ძალაუფლება დაფიქრებაზე მწყრალად არის და მოქმედებს მხოლოდ ინსტინქტით.

8422. სახელმწიფო მოხელეს აღარ ეკითხებიან, უნდა თუ არა მას საზოგადოებამ პატიოსნად იცხოვროს, მაშინ მისი საჭიროება ხომ გამოირიცხება?

8423. სახელმწიფო, რომელიც არ ზრუნავს მოქალაქეების კეთილდღეობაზე აკვნიდან საფლავამდე, ვერც ის მოთხოვს ხალხს, იზრუნოს მასზე არჩევნებიდან არჩევნებამდე.

8424. მთავრობას საზოგადოების საშუალო კლასი იმ მამაძაღლების თავშესაყრელად მიაჩნია, რომლებიც ერთმანეთს არ ვნებენ, მაგრამ დიდ ძალას წარმოადგენენ.

8425. რევოლუციონერი მეფე კარგია იმ შემთხვევაში, თუ ის ბრბოს არ აიყოლიებს და თავისუფლებას ისე მისცემს, რომ კრიმინალი არ დაიმადლოს, რადგან ის თავს ვერ გაართმევს ამდენი ქურდის და ვირეშმაკას პრეტენზიებს და სახელმწიფო აყვავების მაგივრად დანგრევის პირას მივა.

8426. სახელმწიფოებრიობა ყველასთვის ერთია, ხოლო მისდამი დამოკიდებულება პიროვნებაზე, კარიერაზე, დროზე, პოლიტიკაზეა დამოკიდებული. ასეთ დამოკიდებულებას კარგად გრძნობენ დამბეგრავი და საგადასახადო ორგანოები, ამიტომაა, რომ თითოეული ლარი სხვის ჯიბეში პირად შეურაცხყოფად მიაჩნიათ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბიუჯეტი სათანადოდ არ ივსება და მათი შენახვის ხარჯებს – სახელმწიფო თავს ვერ ართმევს.

8427. ჩვენი დემოკრატიის ნაკლი ის არის, რომ ვითომდა კოლექტიურად მიღებულ მცდარ გადაწყვეტილებებზე პასუხისგება არავის უნდა, ამიტომაა, რომ ავანტურისტი სახელმწიფო მოხელენი დაუსჯელად რჩებიან, რადგან დემოკრატია ქრთამმიუღებელ წილში უზით.

8428. მუყაოს კოლოფებში რძე ნაკლებად მჟავდება, რადგან სინათლე არ ხვდება, ხომ არ შეიძლება ჩვენი მთავრობაც სინათლეშეუვალ კაბინეტებში მოგვეთავსებინა, რომ ქრთამისკენ ხელი არ წაუცდეთ და თავიანთი სიმყრალით ხალხი მჟავე ხასიათზე არ დააყენონ.

8429. ქვეყნის ხელმძღვანელს იმდენი ჭკუა კი უნდა ეყოს, რომ ვიგინდარებს არ მისცეს ბრბოში პოპულარობის მოპოვების საშუალება, რათა ისინი შემდგომ არ მოევლინონ ხალხს სამართავი სადავეებით ხელში, რადგან რევოლუციებს და დაუფიქრებელ რეფორმებს არავითარი სიკეთე არ მოაქვთ, ყოველ შემთხვევაში, უკვე წარმავალი თაობისთვის.

8430. მდიდარი სახელმწიფოსთვის სხვა ქვეყნებში ომი და ეკონომიკური კრიზისები აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მომრიგებლად არავინ დაუძახებს, არც სესხს სთხოვენ და არც იარაღს შეიძენენ მისგან და მისი დაისი დაიწყება. ამიტომაა, რომ პატარა-პატარა ომებისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების ნაკლებობას არ განიცდის სამყარო.

8431. ეს საუკუნე ისე გაერთო ადამიანის უფლებების გაფეტიშებით, რომ სახელმწიფოებრიობის პირველადობა დაივიწყა და მას მხოლოდ მოვალეობის აღსრულებას ვთხოვთ. ეს იგივეა, ბანკში მოსახლეობამ ფული არ შეიტანოს და კრედიტზე პრეტენზია განაცხადოს. ამას ქვეყნის გადაგვარებამდე მივყავართ, რადგან სახელმწიფოს მართვის ხელოვნება მის სიძლიერეშია და არა მათხოვარი ბრბოს დაკმაყოფილებაში.

8432. სახელმწიფო მოღვაწე თავის თავზე არ უნდა ფიქრობდეს. "ნატოს" ქვეყნების აგრესია იუგოსლავიის წინააღმდეგ მისი ხელმძღვანელის უხერხემლო პოლიტიკის შედეგი იყო. მას რომ აგრესორი გაეფრთხილებინა, რომ მისი ქვეყნის დაბომბვის შემთხვევაში, გეომეტრიული პროგრესიით დახვრეტდა აჯანყებულ კოსოველებს, მაშინ ამ ხალხის გენოციდში ბრალი "ნატოს" დაედებოდა და ამ ომის აცილების შანსიც გაჩნდებოდა.

8433. არც მშრომელები და არც სახელმწიფო აპარატი არ იკლავს თავს შემოქმედებითი მუშაობით, მაგრამ დიქტატორულ სახელმწიფოში მშრომელი ხალხის უკეთ ცხოვრებაზე ზრუნვის პროპაგანდა პირველ ადგილზე დგას. ეტყობა ეს ბიუროკრატის დასათრგუნავი და ხალხის თავის მოსაქონი ხერხია, რათა პირველმა თავის კანდიდატურა არ წამოაყენოს, ხოლო მეორემ დიქტატორი გააფეტიშოს და პირველი კაცის ადგილი შეინარჩუნოს.

8434. სახელმწიფოსაც შეუძლია თავის დამახინჯება და ინფლაციის სარკეში თავის მოწონება, მაგრამ მთავარია, რას ვთვლით სილამაზედ: მრავალი ნულით გაფორმებულ ბანკნოტს, თუ ნოლების უკმარისობით "გულდათუთქულ" დოლარს.

8435. გიორგი ბრწყინვალის მიერ დაუმორჩილებელი 400 თავადის სტუმრად მიპატიჟება და ამოხოცვა საქართველოს გაერთიანების მიზნით, უზნეობაა. მაგრამ კიდევ უფრო დიდი უზნეობა იქნებოდა ამ ბრძოლისთვის 100-ჯერ მეტი ქართველის ამოხოცვა, რაც შინაურ ომებს გამოიწვევდა,

8436. სახელმწიფო გადატრიალებას უნიათო მმართველები, გაპარტახებული ეკონომიკა და დემოკრატიას მიუჩვეველი ბრბო ახდენს და არა მყვირალა გენერლები, რევოლუციონერები, "პერესტროიშჩიკები", სიმართლის მაძიებელი ყბედები, რომლებიც მთავრობაში დაუმსახურებლად მოსვლას ცდილობენ და მის მისაღწევად არაფერზე უკან არ იხევენ.

8437. სახელმწიფო მოხელესაც უნდა ვკითხოთ, უნდა თუ არა, რომ ყველამ პატიოსნად იცხოვროს, მაშინ ხომ მისი სამსახური საჭირო არ გახდება. ამდენი მლიქვნელობით და მაამებლობით თავი იმისთვის კი არ უწვალებია და დაუმცირებია, რომ საკუთარი უკანალით გამთბარი თანამდებობის სკამიდან არაფერი იხეიროს და ხელფასზე იცხოვროს.

8438. სახელმწიფო ხელმძღვანელის ერთმა მხურვალე და დამაჯერებელმა სიტყვამ შეიძლება ასეულობით ჯარისკაცი იმქვეყნად ნებაყოფლობით გაისტუმროს, ხოლო უგერგილო სიტყვამ სიცოცხლე შეუნარჩუნოს და ავანტურაზე ხალხი არ წამოეგოს.

8439. მთავრობის ხელმძღვანელი, რომელიც პიროვნების საქმეში ჩარევას ცდილობს კონსტიტუციის ხარჯზე, პოტენციური ბანდიტია, რომლის შესახებ არც თვით უწყის და ვერც სხვა ბედავს აუწყოს.

8440. დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი პირობაა: ეკონომიკის სიძლიერე, სრულყოფილი კანონმდებლობისკენ სწრაფვა და გარდაუვალი აღსრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ სამართლიანობაზე ზურგამოფარებულ გამოძალვას, მექრთამეობას და რეკეტს.

8441. როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, მთავარი "პერესტროიკა" და რევოლუციები კი არ არის, არამედ ადრე დაშვებული შეცდომების გამოსწორება და უნარიანი წინამძღოლის მონახვა.

8442. ნამდვილ ძალაუფლებას მთავრობის მეთაური მაშინ ფლობს, როდესაც უდანაშაულოს არავინ სჯის და ყველანი კანონს ემორჩილებიან.

8443. ომში მოწინააღმდეგის დამარცხება უფრო ეფექტურია, ვიდრე მისი დატყვევება, რომლის პატრონობა შემდგომ ტვირთად აგეკიდებათ.

8444. კორუფციის მიზეზი არა მარტო გამყიდველი სახელმწიფო მოხელეებია, არამედ სუსტი ეკონომიკა, ცუდი კანონმდებლობა და მშიშარა პოლიტიკოსები, რომლებსაც სათავეში მოსვლისთანავე მექრთამეობისთვის გამზადებული თავიანთი ხალხი მოჰყავთ.

8445. როდესაც ავანტურისტი მთავრობა ბრბოს უსიტყვო თანხმობით ომს გააჩაღებს, მაშინ გარეწრები – ფულის და პოლიტიკოსები იმიჯის კეთებას იწყებენ , ხოლო ჭკვიან ხალხს გონიერება არ ჰყოფნის, რომ ეს ვიგინდარები სახელმწიფო სავარძელს არ გააკარონ.

8446. ზოგიერთისთვის ტელევიზიის დახმარებით შეიძლება ხელის წამორტყმა, პოლიტიკოსისთვის თანამდებობის დაპირებით, ჭკვიანი კაცისთვის ჰონორარის გადიდებით, მხოლოდ პატიოსანზე არაფერი მოქმედებს, მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მაინც გონიერმა მმართველმა უნდა მართოს, რომლის დანახვა ბრბოს არ ძალუძს, ან არ სურს, რადგან ის მათნაირი არ არის და მათი ინსტიქტებისთვის მიუწვდომელია.

8447. დამარცხებულ ძალაუფლებას უნდა ეყოს ვაჟკაცობა და მოხერხებულობა, რომ განაწყენებისთვის ადგილი არ დაიტოვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას უღიმღამო მომავალი ელის.

8448. სახელმწიფო რაობაზე თავის დადება ერთეულთა ხვედრია, რომელიც თავისი ქვეყნის სახელს და კარიერას უნდა ებღაუჭებოდეს. ამიტომ ქვეყნის კეთილდღეობა შენი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით პირად ინტერესებს უნდა დაუმორჩილო, გონებისთვის მოსაწონია ეს თუ არა.

8449. სსრ კავშირი და იუგოსლავია თავს რომ დასხმოდნენ გერმანიას და "ნატოს", აგრესორად გამოაცხადებდნენ, რა სიმართლეც არ უნდა ყოფილიყო მათ მხარეს, რადგან ისტორია მხოლოდ ფაქტებს აფიქსირებს და თავისი ხუშტურები აქვს, ამიტომ სახელმწიფოს ხელმძღვანელს დიდი გამჭრიახობა სჭირდება, რომ ომი მოწინააღმდეგემ დაიწყოს და აგრესიაც მას დაბრალდეს.

8450. როგორც მამა ვალდებულია შვილი სწორ გზაზე დააყენოს, ასევე ქვეყნის პრეზიდენტი ვალდებულია სხვადასხვა მეთოდებით და კანონის დაცვით ხალხს უპატრონოს და ცხოვრების საარსებო პირობები შეუქმნას.

8451. ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობა იმის რეალურ უფლებას უნდა იძლეოდეს, რომ სახელმწიფო მოხელეს დამაკმაყოფილებელი ხელფასი გადაუხადოს, ან მისცეს ოფიციალური საშუალება თავი დაიკმაყოფილოს, ხოლო პრეზიდენტს ამის შემდეგ ექნება უფლება მოხელეს პატიოსანი და თავდადებული შრომა მოსთხოვოს.

8452. კონსტიტუციის აღსრულებისთვის მთავარი ხარისხი კი არ არის, არამედ მისი შესრულების კულტურა და როგორი ტემპერამენტის, ტრადიციების, მართლმსაჯულების ხელშია სახელმწიფო საქმე.

8453. ქვეყანას ან ძლიერი პრეზიდენტი უნდა მართავდეს ან ტრადიციების მქონე უფლებამოსილი პარლამენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ხალხის ცხოვრება კარგახანს იჭრაჭუნებს.

8454. მართალია, სახელმწიფო გადატრიალებას უმწიფარი პატრიოტები ახერხებენ და შედეგით ვიგინდარები სარგებლობენ, მაგრამ ქვეყანას სწორ გზაზე მაინც კრიზისი და გაჭირვება დააყენებს, თუ სათავეში ცხოვრებაგამოვლილი გონიერი ავანტურისტი ჩაუდგება, რომელსაც მისთვის განკუთვნილი სისულელის ჩადენის ყველა ლიმიტი ამოწურული აქვს და მშვიდი ცხოვრებისკენ ისწრაფის.

8455. სახელმწიფოებრიობის ნგრევის პირობა: იდეოლოგიის სიჭარბე და უამრავი პოლიტიკური პარტიების მომრავლება, უამრავი კანონების მიღება, ფულის ბანკნოტების ახალი ნულებით დამშვენება და ახლადგამომცხვარი ვიგინდარა პოლიტიკოსების თარეში პარლამენტში.

8456. ყველა ზევით მოხვედრილ პოლიტიკოსს მოსწონს დიქტატორისადმი მორჩილება, მაგრამ მის მეთოდებს, სხვის დასანახავად, სასტიკად აკრიტიკებს, თუმცა ის ვერ გაუგია, ამ რეპრესიების ჩატარება რა ნერვების და მოთმინების ფასად დაუჯდა თავის დროზე გამომცხვარ ბელადს.

8457. პროფესიონალი, ენერგიამოჭარბებული ვაჟების საჭიროების შეუფასებლობა სახელმწიფოს ყოველთვის ძვირად უჯდება, რადგან თუ სახელმწიფო არ იმსახურებს, ის სხვის პირადი ინტერესების დაცვას მოემსახურება და ქვეყნის ნორმალურ განვითარებას პრობლემებს შეუქმნის.

8458. კერძო საკუთრება და პრივატიზაცია ქვეყნის აყვავებისთვის მისასალმებელია, გარდა სახელმწიფო აპარატისა, რომლის მესაკუთრე ყველა დროში და ფორმაციაში ხალხი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გარანტირებულია სხვადასხვა პოლიტიკური სოუსით შემზადებული კატაკლიზმები.

8459. თუ პოლიტიკოსი სხვის საქმიანობას ზომიერად აძაგებს და თავისი ნაკლოვანებების აღიარება და გამოსწორებაც არ ავიწყდება, იმის მაჩვენებელია, რომ მას სურვილი აქვს მთავრობაში მოხვდეს. მიზნის მიღწევის შემდეგ ამას არად დაგიდევთ, რადგან შანსი სახელმწიფო მათლაფასთან მიახლოვებისა უკვე მიეცა.

8460. გაურკვევლობის შოკში მყოფი ქვეყნისთვის აუცილებელია მეთაური, რომელიც მის ხვალინდელ დღეში გარკვეულია და განუხრელად ატარებს თავის ხაზს, ხალხის ქცევის და აზრის მიუხედავად.

8461. ქვეყნის მმართველია ის, ვინც ყველა გამოუვალ მდგომარეობისაგან არა მარტო გამოსავალს, არამედ სარგებელსაც ეძებს და ნახულობს კიდეც.

8462. მოქალაქეთა დაუმორჩილებლობის აქცია, ჩუმი, მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვა კი არ არის, არამედ ყველაზე დიდი წინააღმდეგობის გაწევა, რომელიც შეუმჩნევლად უთხრის ძირს, როგორც სახელმწიფოს, ასევე მმართველი პარტიის ძლიერებას და ავტორიტეტს.

8463. სამწუხაროდ, დეპუტატებს არ ესმით, რომ კანონი სახელმწიფოს სჭირდება, რომ იარსებოს და პარლამენტარებს, რომ იცხოვრონ, თორემ ხალხს მათ გარეშეც შეუძლია ბრბოდ ყოფნა.

8464. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, სანამ ქვეყნის მმართველი თავისიანების დასჯას არ დაიწყებს, მანამ ის სახელმწიფო მოღვაწედ ვერ ჩაითვლება და ვერც ისტორიაში მოიპოვებს სახელს.

8465. თუ სახელმწიფოს დავალებით მოწინააღმდეგეს ანადგურებ – გმირი ხარ, თუ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე – კრიმინალი. ე.ი. სინდისი ჩვენი საკუთრება კი არ არის, არამედ ქვეყნის მეთაურის და იმ პარლამენტის, რომელთა ჭკუის ქვეიფს შენი სინდისი უნდა მოარგო.

8466. ქვეყანაში, სადაც უსამართლო საქციელისთვის დიდძალ ქრთამს შემოგთავაზებენ, პატიოსნად ვერ დარჩები, კოლეგები ვერ გაგიგებენ და გიჟად ჩაგთვლიან, მაგრამ ისმის კითხვა, ღირს კი ასეთ ქვეყანაში სამართლისთვის თავის გადადება, თუ ეს მდგომარეობა არავის უკვირს?

8467. ქვეყნის პრეზიდენტობა გოლგოთაცაა, სიამაყეცაა, კაცობაცაა, ბუნების წყალობაცაა და რაც მთავარია პასუხისმგებლობაცაა მომავალი თაობების და ისტორიის წინაშე.

8468. ძნელია დიქტატორობა, ვინაიდან მთელი ცხოვრება, ნიჭი, ვირეშმაკობით ნოტების წერას და მის აჟღერებას უნდა მოახმარო, რათა სახელმწიფო მართვაზე აწყობილი, სასიამოვნო მუსიკა მიიღო და მსმენელის აღიარება და თაყვანისცემა დაიმსახურო.

8469. როდესაც ვიღაცის გადასარჩენად მაშველსა და პოლიციელს საფრთხეში აგდებს სახელმწიფო, ეს გამართლებულია, რადგან აქ ქვეყნის ავტორიტეტის და მომავლის იმედი დევს სასწორზე, მაგრამ როდესაც ვიღაცის სათუო ამბიციების დასაკმაყოფილებლად რისკს ეწევიან, ეს დანაშაულია.

8470. დილეტანტობა სახელმწიფოს მართვაში და ქვეყნის ერთი რელსებიდან მეორეზე მოუმზადებლად გადაყვანა, რაც უნდა კარგი სურვილებით იყოს გამოწვეული, დანაშაულია (ხრუშჩოვი, გორბაჩოვი), ამას ჯობს ძველ რელსებზე სიარული და გონიერი მემანქანის მოსვლის იმედად ყოფნა.

8471. სახელმწიფოს მართვა არც ჯოჯოხეთია და არც სამოთხე, თუ მას მთელი შეგნებით და მოწოდებით ემსახურები, ხოლო სასურველი შედეგის მიღწევისას უდიდეს

მორალურ სიამოვნებას განიცდი, რომელსაც სიცოცხლეში იშვიათად თუ ვინმე დაგიფასებს.

8472. იმპერიას კუჭამოვსებული, გაზულუქებული, გონებადაცარიელებული მოქალაქეების უმოქმედობა ღუპავს, რომლებიც მორჩილების და მოპარული სიმდიდრის გადამალვის სურვილით არიან გამოყეყეჩებულნი.

8473. ქვეყნის მმართველმა და მისმა გუნდმა ყველა ღონე უნდა იხმაროს ქვეყნის წინ წასაწევად, თორემ მათი წასვლის შემდგომ ვიღას გაახსენდება „ჭიჭიკია" პრეზიდენტი და „ბიჭიკია" დეპუტატები.

8474. ქვეყნის მმართველის ვალია ყველა რჩევა-დარიგების მოსმენა, იქიდან საუკეთესოს ამორჩევა, გონებაში გადახარშვა და ცხოვრებაში გზის მიცემა და არა ხალხის ზურგზე წამოსკუპება.

8475. მმართველმა ქვეყანა ისე არ უნდა მართოს, რომ ისტორიისთვის განკუთვნილი ფურცელი შეუვსებელი დარჩეს და მისი ბიოგრაფიული მონაცემები წაუკითხავად გადაფურცლონ.

8476. ძალაუფლებას ავტორიტეტი ქონების მოსაპოვებლად სჭირდება და არა საქვეყნო საქმის საკეთებლად.

8477. იმდენად დიდია კარიერის კიბეზე ამსვლელთა კონკურენცია, რომ მთავრობა ყველანაირად ცდილობს გონიერი ინიციატივის მქონე ხალხი ამ კიბეს არ გააკაროს.

8478. საოცარია სახელმწიფო აპარატის ლოგიკა, აზროვნება: თუ ერთდროულად 21 ადამიანი დაიღუპა, ტრაგედიას დაარქმევენ და გლოვას გამოაცხადებენ, თუ იგივე რაოდენობის ხალხი 3 დღეში დაიხოცა, სამძიმარს ეტყვიან, ხოლო თუ ეს ოდენობა ერთ კვირაზე გადანაწილდა, მაშინ ამ ხალხის დაღუპვას არ ამჩნევენ.

8479. რქებს ქვეყნის მმართველს ყველა მინისტრი ადგამს, მაგრამ მართვის ხელოვნება ის არის, რქების მოცულობა და დადგმის ადგილი თავად უნდა განსაზღვროს, რათა რქიანის სახელი არ დაიმსახუროს.

8480. ბიუროკრატიას რაც ხელეწიფება, ეს არის საქმიანი ქაღალდების გახმიანება, თავის სასარგებლო იმპროვიზაციით.

8481. როდესაც სახელმწიფოში ბევრი აკრძალვებია, ხოლო ხალხი ამის მიზეზის კვლევას დაიწყებს, ამ სახელმწიფოს არსებობის დღეები თუ არა, თვეები დათვლილია.

8482. მმართველობას აპარატში ანგელოზები არ სჭირდება, მაგრამ ქვეყანას ანგელოზების მსგავსი წესიერება მაინც უნდა მართავდეს.

8483. უხიაგ მთავრობას არ უნდა შეედავოთ, ის თავის ვიგინდარა მსახურების დახმარებით უნდა დასაჯოთ, რათა მასზე ფიქრით სიცოცხლე არ გაიმწაროთ.

8484. „სახელმწიფო აჩრდილია მოქალაქის" – სწორედ ამ უკანასკნელისადმი უყურადღებობის მიზეზია, რომ ჩრდილი თავზე წამოგვაჯდა, რადგან მისთვის თითის დაქნევა მოქალაქეებმა დროულად ვერ მოახერხეს.

8485. სახელმწიფოს, მოუცლელი, საქმიანი შერეკილები მართავენ და არა ყველაფრის მცოდნე გონიერები, რომელთაც ქვეყნის მართვაში ჩარევა, წესიერების მო-

მიზეზებით, არ სურთ, არადა, უწესო ავანტურისტებს ქვეყნის ნგრევას რომ ანდობენ, ეს პატიოსნებად მიიჩნიათ.

8486. მოუწესრიგებელ სახელმწიფოში კანონების შესუსტებას, შემსუბუქებას, გაცილებით მეტი ვნება მოაქვს, ვიდრე მის სიავეს, სიმკაცრეს და კანონად ქცეულ უკანონობას.

8487. სახელმწიფოს ვალია თავისივე მოქალაქეთა გასულელება, მათსავე საკეთილდღეოდ.

8488. გზის მოძებნა სამართლიანობის დასამყარებლად სისხლისღვრის გარეშე ჯერჯერობით არ ხერხდება, რადგან შეხლა-შემოხლა და ქვეყანაში არეულობა, ეტყობა, ზოგიერთი სახელმწიფოს წყობა-მართვისთვის დღეს აუცილებელია.

8489. ქვეყნის მართვა დაფასებასა და მოვალეობასთან ერთად გონიერი მმართველისთვის უდიდესი სასჯელია, იმდენად დიდია ენერგიის, ნერვების მუქთად ხარჯვა იმ საკითხის მოსაგვარებლადაც კი, რომლის აუცილებლობაში ეჭვი არავის ეპარება.

8490. იმ სახელმწიფოს საქმე, რომლის მმართველი პოლიტიკური პრეფერანსის წესებს კარგად ფლობს და გონიერად თამაშობს, მუდამ სტაბილურად და წინსვლის პლუსით იგოგმანებს.

8491. სახელმწიფოების ერთმანეთთან დაახლოების პროცედურა ხელის ჩამორთმევა, ხელისმოწერა და ზურგსუკან ხელების გადაგრეხაა.

8492. ქვეყნებს ნაციონალიზმის იდეები და მომხვეჭელობა დაღუპავს და არა – სიმართლის ცოდნა ყველაზე და ყველაფერზე.

8493. ქვეყნის მმართველის მოვალეობაა სიჭარმაგის გამოცდილება ახალგაზრდების შემართებას დაამყნოს.

8494. კრიმინალის გარეშე სახელმწიფო მდორედ განვითარდება. ამის შესანიშნავი მაგალითია ამაზონის ჯუნგლების ინდიელები, რომლებიც თემურ ტრადიციებს დღემდე იცავენ.

8495. სახელმწიფომ განვითარების ისეთ დონეს უნდა მიაღწიოს, რომ უმაღლეს სასჯელად მისი მოქალაქეობის დაკარგვა ითვლებოდეს.

8496. სახელმწიფო აპარატი თავისი არაკომპეტენტური აკრძალვებით ხელს უწყობს კრიმინალის განვითარებას, რათა შემდგომში თვითონ მოითბოს ხელი და ხალხის თვალშიც ალიბი მოიპოვოს.

8497. ყველა თეატრს თავისი მაყურებელი ჰყავს, სახელმწიფოს – ხალხი, ოჯახს – მოზარდი თაობა, ამიტომაც ყველა მთგანს სჭირდება დიდი რეჟისორი, რათა შესატყვისი როლები სამართლიანად გაანაწილოს.

8498. მთავრობა სახელმწიფოს უკეთ მართავდა, თუ ჯერ მოუსმენდა ხალხს და მერე მიიღებდა შესაბამის კანონს. ამის შესანიშნავი მაგალითია, როდესაც პარკებში ბზებს აშენებენ, ხალხი კი მაინც თავისი გაკვალული ბილიკებით დადის.

8499. როგორც ცხოვრებამ დაგვანახა, ქუჩიდან მოსული ხალხი სახელმწიფოს არ უნდა მართავდეს, რადგან ის, საბოლოოდ, ქუჩას მაინც ვერ ელევა.

8500. ნადირობაში ზოგიერთისთვის მთავარია პროცესი და არა შედეგი. ისევე, როგორც ზოგიერთი სახელმწიფოს მეთაურისთვის მთავარია ის იყოს თავში, ხოლო ხალხი როგორ იცხოვრებს, სულ არ აინტერესებს.

8501. სახელმწიფო დანაშაული სხვის ტერიტორიაზე ჯარის შეყვანა კი არ არის, არამედ მოუმზადებელი „საზარბაზნე ხორცით" და პოლიტიკით საკითხის გადაწყვეტის მცდელობა.

8502. სახელმწიფოს ხელმძღვანელი უნდა ცდილობდეს თავს აჯობოს, გაიზიაროს მისი ბუნებისთვის მიუღებელი აზრიც კი, თუ ეს პოლიტიკურად გამართლე-ბულია.

8503. სანამ სახელმწიფოში პირველი კაციდან უკანასკნელამდე ყველას ქურდობისკენ უჭირავს თვალი, საჭიროა ზუსტი კანონები, რომელთაც ყველა აღასრულებს, მაგრამ არის პრობლემა – ვინ აიღებს პასუხისმგებლობას კანონების უცილობელ შესრულებაზე.

8504. საინტერესოა რა უფრო ვნებს სახელმწიფოს ძლიერებას – მოუთმენლობა და ძალის საშუალებით საკითხის გადაწყვეტის მცდელობა, რომელსაც ავანტურა ჰქვია, თუ წყლის ნაყვის მსგავსი მოლაპარაკება, რომელიც დროის გაყვანას და ლაყბობას მოგვაგონებს, ალბათ ორივე მისაღებია, თუ ავანტურის დროს დიდი ძალა გაქვს, ხოლო მოლაპარაკების დროს – ძლიერი არგუმენტი, მაგრამ ყველას ბინარული იარაღი ჯობს, რომელშიც ორივეა მოთავსებული და წინ ვერაფერი დაუდგება.

8505. არასტაბილურ სახელმწიფოში მდიდარი ოჯახები მთავრობის წევრებისათ-ვის ფულის შოვნის საშუალებაა, ხოლო სტაბილური სახელმწიფოსათვის – ბეგარის ამოღების მტკიცე გარანტია.

8506. სსრკ იყო „პატიოსანი" ქურდობის და „არაპროფესიონალი" ილუზიანისტების სახელმწიფო. დღევანდელ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) „უსაქმურების" და „ჭკვიანი სულელების" ქვეყანაა, სადაც ყველა თავს ისულელებს და მხოლოდ თავისთავზე ფიქრობს.

8507. ვამპირები მხოლოდ ღამით სვამენ სისხლს, მაგრამ სახელმწიფოს სათავეში მყოფ სისხლისმსმელებს უძილობა სჭირს და ამას დღეღამის განმავლობაში ჩადიან, რადგან დროის უქმად დაკარგვის და სხვა ვამპირებით შეცვლის ეშინიათ.

8508. ხალხს თუ თავისი სახელმწიფო მოღვაწის სიკვდილი, მათ შორის, დეპუტატისაც, თუ ცოტათი მაინც აწუხებს, მაშინ ეს ერი და სახელმწიფო ჩამოყალიბებულად უნდა მივიჩნიოთ.

8509. მხოლოდ ბრიყვების რემამ შეიძლება დაიჯეროს, რომ სახელმწიფო მაფია ქვე-ყანას იმ დემოკრატიული პრინციპებით მართავს, როგორიც ხალხს წარმოუდგე-ნია.

8510. ქვეყნის მართვა კი არ არის ძნელი, არამედ საკუთარი ამბიციისთვის ლაგამის ამოდება და საქმის მკეთებელი ხალხის აღმოჩენა და წარმოჩენა.

8511. სახელმწიფო სიტყვის თავისუფლებას ცენზურის გარეშე პატივს არ სცემს, ყურად არ იღებს.

8512. როდესაც ქვეყნის მმართველს მადლობას უხდიან იმისათვის, რაც გააკეთა, ხოლო უფრო მეტად ემადლიერებიან იმისთვის, რის გაკეთებაც ვერ მოახერხა, ამ ხელმძღვანელის თვითდაჯერებას და ტაშის დამკვრელების მლიქვნელობას საზღვარი არა აქვს, ხოლო ქვეყანას პერსპექტივა.

8513. ავტორიტეტსა და სახელმწიფო მოსამსახურეს შორის ის განსხვავებაა, რომ ქურდი იგონებს თავისთვის ნებაყოფლობით სამსახურს, ფრთებს ასხამს და თავის ავტორიტეტს იმსახურებს, ხოლო თანამდებობის პირს სამსახურში ავტორიტეტი აქვს, მაგრამ კარგი კაცის სახელის მოპოვებას ცდილობს, პირველზე დამოკიდებულია მის წრეში მისდამი ლოიალური დამოკიდებულება და მისი პროფესიის დაფასება, მეორეზე – თავის ქვეშევრდომისადმი კეთილი განწყობა და ნებაყოფლობით ფულის წაგლეჯა.

8514. სუფთა ხელებით! მხურვალე გულით!- ცივი გონებით! სხვისთვის მოწოდება მავანთათვის მომგებიანია, მაგრამ არეულ სახელმწიფოში ასეთი ლოზუნგებით ცხოვრება ჭირს და არც არავინ გიფასებს.

8515. თავისუფლების ფიქციამ და კერძო მესაკუთრეობის გაფეტიშებამ თუ ასე სწრაფად განაგრძო წინსვლა ადამიანის აზროვნებაში, XXI საუკუნე სამოქალაქო ომების, სეპარატიზმის, ქარცეცხლში გაეხვევა და ყველა მხარე, ოლქი, დასახლება ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფას მოითხოვს.

8516. თუ ქვეყანაში, ოჯახში, ყველას და ყველაფრის ყიდვა შეიძლება, ისინი დიდხანს სასიკეთოდ ვერ იარსებებენ.

8517. წინასწარი განზრახვით ვინმესთვის სიცოცხლის წართმევა ამორალურია, მაგრამ უფრო ამაზრზენია, როდესაც თანამდებობის პირი შენს ხარჯზე ცხოვრობს, ჭკუასაც გასწავლის, აუგის თქმასაც გიკრძალავს და შენი აზრის მოსმენაც არ უნდა.

8518. ქვეყნის მმართველს, რომელიც განუხრელად ასრულებს თავის მოვალეობას, ხალხის თხოვნა გულთან მიაქვს და ქვეყნის საქმეც კარგად მიჰყავს, ის ამ ქვეყნის შვილი არ არის, ეტყობა სხვა პლანეტიდან არის შემოპარული.

8519. პოლიტიკაში საზოგადოების თავიდან შენებას მისი ყოველდღიური რემონტი სჯობს, რადგან სახელმწიფოებრიობის საყრდენი წესი და ადათი კანონებითაა გამაგრებული და მისი განსჯა და გაბაზრება ახლიდან განსხვავებით საზოგადოებრივ აზრს დიდად არ ექვემდებარება.

8520. ახალ ძალაუფლებას ყოველთვის ვნებს ძველი მმართველობის ნაკლი, რადგან მას უკვე დამუშავებული ქონდა, სასუსნავის უკანონოდ მითვისების გზები.

8521. კონსერვატორები წესრიგს სცემენ პატივს, დემოკრატები – თავისუფლებას, სოციალისტები – სიმდიდრის გადანაწილებას, სახელმწიფოებრიობა სამივეს ამბიციების დაკმაყოფილებაზე თანახმა უნდა იყოს, მაგრამ მორიგეობით და თანდათანობით.

8522. ქვეყნის ნგრევა მაშინ იწყება, როდესაც ქურდსა და პოლიციას შორის სიყვარული და ურთიერთგაგება დაისადგურებს ნაცვლად კანონისადმი მოკრძალებისა და პატივისცემისა.

8523. სახელმწიფო არა მარტო ქვეყანაა, ერია, ხალხია, არამედ უპირველესად, იდეაა, რომლითაც ის უნდა ვმართოთ და ვასაზრდოოთ, რათა ჩვენს რწმენას ხინჯი არ შეეპაროს.

8524. როდესაც სახელმწიფო რაღაცას ჩირთი-ფირთობს თავის გასამართლებლად, ეშმაკის დაქირავებასაც არ მოერიდება.

8525. ხშირად მთავრობის და ხალხის დამოკიდებულება, ხვადის და ბოზის დამოკიდებულება მოგვაგონებს, სადაც პირველი ხოშს ისწორებს, ხოლო მეორე გარკვეული თანხის საფასურად მოვალეობას ასრულებს. ამ ურთიერთობით გარეგნულად ორივე უკმაყოფილოა, მაგრამ შინაგანად ყველა თავისას მიიღებს.

8526. ძლიერი ქვეყნების დასახლება იძულებულია ანგარიში გაუწიოს მცირე ქვეყნების მოსახლეობას, რადგან სახელმწიფოს სიძლიერე განგების ნებაზე და დროზეა აწყობილი და თავად როდის მოექცევიან ჩრდილში, ამას ვერ ხვდებიან, მაგრამ გრძნობენ და წინდახედულად იქცევიან.

8527. როდესაც ძალაუფლების მოსაპოვებლად კითხვები პასუხებზე საინტერესოა, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას ვიგინდარების ჯგუფი დაეპატრონება.

8528. სახელმწიფომ ქვეყნის ინტერესების შესაბამისად მოსახლეობის შესაძლებლობები უნდა გამოიყენოს, მოაგვაროს ეკონომიკა, მოიპოვოს ავტორიტეტი, რაც შეეხება დროს, წყობას, რწმენას, ეს მეორადია, მათ ყოველთვის მოევლება გონიერი მმართველის ხელში.

8529. სახელმწიფოს აპარატის წესიერება დამოკიდებულია კარიერის საფეხურების ჩვენებაზე, მმართველის პოპულარობაზე და მატერიალურ ანაზღაურებაზე, რასაც მათთვის მათრახის, მემათრახის და სალაფავის პოლიტიკა ეწოდება.

8530. თანამდებობაზე ინიშნებიან შესაძლებლობების და დამსახურების მიხედვით, ხოლო მათი აღრევა ან კომპრომისის გარეშე გადაადგილება არაფერ სასიკეთოს არ იძლევა, რადგან „ღმერთს ღვთისა და კეისარს კეისრისას" რატომღაც ყველას თავის სასარგებლოდ ესმის.

8531. თუ ღვთის მსახური სცოდავს, ის თავისი რჯულის სულიერ განწყობას ვნებს, ხოლო თუ პრეზიდენტი – მისი ხალხი ხორციელად ზარალდება, რადგან სერიოზული საქმის კეთება და ქვეყნის სამსახური საეჭვო ხდება.

8532. სისულელის დასამტკიცებლად უფრო მეტი ჭკუა იხარჯება, ვიდრე გონიერი წინადადების მისაღებად, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ მთავრობას არცერთის მოსმენა არ უნდა.

8533. ნაძირალები ოპოზიციაშიც ბევრია და მთავრობაშიც, ოღონდ გააჩნია როტაციის დროს ვისთვის ვისი ნაძირალა სჯობს.

8534. სახელმწიფოს ხელმძღვანელს რომ ცხვარს ადარებენ, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ცხვრის მოდგმას შეურაცხყოფას არ ვაყენებთ და ხელმძღვანელი ასე წყნარი და უეშმაკოა.

8535. მუქთახორა შეიძლება სახელმწიფოც იყოს, რომელშიც შეგიძლია შემოქმედებითად არ იმუშაო და თან მას რჩენა და პატივისცემით მოპყრობაც მოსთხოვო. ხომ არ გეცნობათ განვითარებული სოციალიზმი?

8536. დიქტატურის და მსხვერპლის ურთიერთობა სახელმწიფო წყობაზე არ არის დამოკიდებული, ეს ძალაუფლების ბუნებაა, რომელსაც თავისი ნამდვილი სახის დანახვა არ სიამოვნებს და ცდილობს სარკეში ის დაინახოს, რაც მას მოეპრიანება.

8537. სახელმწიფოს ქვეყნად ქცევის ფორმულა: პატარა-პატარა კანონიერი შეზღუდვები და ბევრი სამართლიანი შეუზღუდავი უფლებები.

8538. სახელმწიფოს და ქურდებს შორის თავისებური გარიგებაა – „ზედმეტად არცერთმა არ უნდა მიქაროს". წინააღმდეგ შემთხვევაში, შავი სამყაროს წევრები მათზე არანაკლებ საშიშ მთავრობას ლუკმას 'გამოაცლიან. რაც შეეხება ხალხს, მას მუქთა გმირების წარმოჩენა და სტატისტის როლში ყოფნაც აკმაყოფილებს.

8539. თუ გვინდა საქმეს ეშველოს და ქვეყანაშიც წესრიგი დამყარდეს, სახელმწიფოს მმართველმა სუსტი უნდა დაიახლოვოს, ხოლო ძლიერი არ გაათამამოს.

8540. სახელმწიფოს მართვას ცხოვრების მცოდნე, ნიჭით დაჯილდოებული გარეწარის ხელოვნებაც ესაჭიროება, ერთი პირობით: თუ ქვეყანას ჰყავს გონიერი მმართველი.

8541. ზოგი სახელმწიფოს სირცხვილს უფრო განიცდის, ვიდრე – საკუთარს, რადგან ქვეყნის იმიჯის დაქვეითება მას თავის გამართლების და წარმოჩენის საშუალებას უსპობს.

8542. არის სახელმწიფოები, რომლებიც თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური პარამეტრებით არ უნდა არსებობდეს და მაინც არსებობს. ყველაზე საკვირველია რაზე დგას მისი წამპალი ზედნაშენი.

8543. ძალაუფლებას თავისი მომხიბვლელი საწამლავი აქვს და მოხელე მას მანამ უფრთხილდება, სანამ მისი ინტერესები ქვეყნის ინტერესებზე წინ არ დადგება. ეს კი ქვეყანას ძალზე ძვირი უჯდება და ყველა საწამლავის შესმაზე ძნელი გადასატანია.

8544. ძალაუფლება არასდროს ცხოვრობდა ხალხის ცხოვრებით, ის ყოველთვის თავისთვის ცხოვრობს და წყობა აქ არაფერ შუაშია.

8545. სახელმწიფოა ის, რომელიც თავისი გადამეტებული ზრუნვით ხელს არ უშლის საკუთარ მოქალაქეებს თავიანთ გემოზე იცხოვრონ და ისიამოვნონ.

8546. სახელმწიფოთა ძლიერება ჩვენს პლანეტაზე როტაციულია და ამ სამართლიან ფენომენს შურის და შფოთვის გარეშე უნდა შევხვდეთ, ამაყად მოვიგონოთ ღირსეული წარსული, გავუფრთხილდეთ მოპოვებულ დღევანდელობას და ხელებდაკაპიწებული ველოდოთ მომავალში ჩვენი აღზევების რიგს.

8547. სახელმწიფოს სულელების და დოყლაპიების გარეშე არსებობა გაუჭირდებოდა, იმდენად დიდია მათი გულგრილობის მნიშვნელობა მათზე სახელმწიფო მოხელეთა წამოსკუპების საქმეში.

8548. თუ ქვეყნის სამართავად სამხედროები მოვიდნენ, თავისუფლება ისჯება და თუ არ მოვიდნენ, უგვანო მთავრობის ხელში მაინც ხალხია დასჯილი, რადგან ქვეყანას ასეთი უპრინციპო დამცველი ჰყავს ბრბოს სახით, რომელიც ვიგინდარებს ქვეყნის სათავეში ყოფნის უფლებას აძლევს და კიდეც მფარველობს.

8549. რადგანაც ქვეყნის მართვის საჭესთან ადგილს თანდათან ცოდვილნი იკავებენ, ისინი ცდილობენ თავიანთი წარსული ცხოვრების შელამაზებას, რეაბილიტაციას

და საზოგადოებისთვის გახამებულ-დაუთოვებულად წარმოდგენას და დამკვიდრებას.

8550. ველური, გაუთვალისწინებელი შემთხვევითობაა ის ფენომენი, რომელიც ზოგჯერ მთელი სახელმწიფოების და ხალხის ბედს წყვეტს.

8551. ეტყობა, ზოგი ქვეყანა სხვაგვარად მოაზროვნეთ ვერ იტანს, რადგან ამ „ჭკვიანების" სინდისზეა სახელმწიფოს მრავალჯერ დანგრევა, რომელიც მათრახის და სათქვლეფის გარეშე არ იმართება, მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტი დღემდე გრძელდება და ყოველთვის ყველაფერი თავიდან დასაწყები ხდება.

8552. რადგან ქვეყნის მართვის შედეგი მაინც სავალალოა, ბრბოს განსასჯელად ფიქრი რჩება, რომელი მმართველის დროს ცხოვრობდა უკეთ და როდის მოვა მშვიდი ცხოვრების ის დრო, როცა ვიგინდარები ქვეყნის სათავეში არ იქნებიან, მაგრამ ამისთვის ის არაფერს აკეთებს.

8553. თეორიულად მმართველის ვალია ხალხისთვის გაიტანჯოს, გაისარჯოს და მოვალეობის აღსრულების ეშხით დაიმუხტოს, მაგრამ იმდენი მოხერხებულობა უნდა ეყოს, რომ ამ მცდელობას არ გადაყვეს, ქვეყანა ბუნტამდე არ მიიყვანოს და თვითონაც არ მიჰყვეს.

8554. მოწესრიგებულ სახელმწიფოდ ის ქვეყანა უნდა ჩაითვალოს, რომლის ზრუნვა მოქალაქეს ალიბის გამოგონების უფლებებს არ უტოვებს დანაშაულის ჩადენისა და უსაქმურობის შემთხვევაში.

8555. სახელმწიფოს მართვა რომანტიზმით, ნაციონალური იდეის გარეშე! ეს სამშობლოს დამცველების შემართებას აკნინებს და ქვეყნის ინტერესებს არ შეესაბამება.

8556. სახელმწიფო მართვის სიბეცეა, როდესაც იგი კულტურის დაკნინებას, სულიერ სიღარიბეს, გონიერების დევალვაციას წინ არ აღუდგება და მათზე არ იზრუნებს.

8557. სახელმწიფო ჯობდა საშუალო ნიჭის ხალხს ემართა, რადგან ქვეყანა გადარჩებოდა შეხლა-შემოხლას, ხოლო ბრბო რამდენად კმაყოფილი დარჩებოდა ცხოვრების ამ მშვიდი „შტილით", ეს პოლიტიკური პარტიების პროგოგატივაა.

8558. პრეზიდენტს შეუძლია დამნაშავის შემორიგება, ციხიდან განთავისუფლება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დანაშაულის ამნისტია, რადგან მაშინ სახელმწიფოებრიობას შეექმნებოდა საფრთხე.

8559. მოუთოკავი, გაურკვეველი წყობის სახელმწიფო, მოსახლეობას აიძულებს ყველანაირ რისკზე წავიდეს და უმეტეს შემთხვევაში თავიც გადააყოლოს.

8560. სახელმწიფოს მშენებლობის და მისთვის პროექტის შედგენის სურვილი ყველას აქვს, ვისაც სავარძელში ჯდომა არ ეზარება, მაგრამ მცოდნე და პატიოსანი საქმეთა მწარმოებლის ნახვა პრობლემაა საუკუნეთათვის.

8561. სახელმწიფო წყობას აგლახებს ლიბერალების და სოციალისტების სათავეში დიდი ხნით მოსვლა, პირველნი ცდილობენ ხალხის გულის მოგებას გულთბილი მოქცევით, მეორენი – სხვისი ნაშოვნის გადანაწილებას. შედეგად, კერძო მესა-

კუთრეს გულმოდგინე შრომაზე გულს უცრუებენ და ღარიბი უსაქმურების ჯინაზე ისინიც თავის სიამოვნებისთვის ცხოვრებას იწყებენ.

8562. სახელმწიფოს ჰიმნი არის სამოქალაქო ხასიათის ლოცვა, დროშა, სულის მოწიწების გასათბობი სანთელი, ხოლო კონსტიტუცია იმედის მომცემი სახარება.

8563. როდესაც სახელმწიფო ნგრევას იწყებს, მაშინ ზოგი მის გადარჩენას ცდილობს, ზოგი ლოდინს ამჯობინებს, ზოგიც კი ქვეყნის აგონიის ბოლზე ხელს ითბობს და მატერიალურად ყველაზე მოგებული რჩება, ხოლო სულიერი სიმდიდრის მოპოვებას ნგრევის დროს ყავლი გასდის და ყველა გაურბის.

8564. სახელმწიფოში კორუფციის დაუმთავრებელი ყვავილობა იწვევს ამქვეყნის ჯანსაღი ნაწილის თავისებურ გადაგვარებას, რაც ბოლოს გადატრიალებით, დიქტატურით და აქედან გამომდინარე შედეგებით მთავრდება.

8565. გონიერ მექრთამეობას კი არ მოაქვს ქვეყნისთვის უბედურება, არამედ უგზოუკვლოდ მომრავლებული „ჩინოვნიკების" კორუმპირებულ, უსაქმურთა არმიას, რომელიც კალიასავით არის შესეული სახელმწიფოს ბიუჯეტს და ვალების გარდა არაფერს ტოვებს.

8566. მოუწყობელ სახელმწიფოში ძნელია გაიგო, როგორ უნდა იყო: კეთილი, გულგრილი, თუ ბოროტი, რადგან ასეთ ქვეყანაში ადამიანის ღირსებას განსაზღვრავს ფული, მისთვის ბრძოლა და ვინ გმფარველობს.

8567. სახელმწიფო აპარატის თავქარიანობა თავფეხიანად ჭამს თავის შვილებს, მის მომავალს და ამას ისე მშვიდად და უდრტვინველად ჩადის, თითქოს არავითარი საინტერესო და საოცარი არ ხდება.

8568. სახელმწიფო მართვა ერთია, საზოგადოების ინტერესების დაცვა – მეორე, მაგრამ ისინი ერთმანეთს არ უნდა ეჭიდავებოდნენ, თუ ქვეყნის სიკეთე და ხალხის კეთილდღეობა უნდათ.

8569. როდესაც ქვეყნის მმართველი ერის ინტელექტს თავის მსახურად გახდის, მაშინ იწყება ამ სახელმწიფოში მოქალაქეთა ტვინის აღრევა.

8570. ის სახელმწიფო, სადაც ძალის გამოყენება აიკრძალება, სახელმწიფოდ ვერ იარსებებს, რადგან ყბედობა დაკანონდება და წალეკავს ყოველივე გონიერს.

8571. ხანდახან ის, რაც ადამიანური გაგებით მიუღებელია, არაჰუმანურია, ამორალურია, სახელმწიფო ინტერესებისთვის მისაღებია, გასათვალისწინებელია, აუცილებელიცაა.

8572. თეორიულად სახელმწიფო ორგანიზაცია კანონმდებლობაზე მაღლა არ უნდა იდგეს, მაგრამ პრაქტიკულად მათ შერწყმას ჩვენი მოხერხებულობა წყვეტს.

8573. სახელმწიფო უშიშროებას თავის წილი ნაძირალებიც სჭირდება, რომლებიც უნდა დავუპირისპიროთ ქვეყნის სამართავად შემოპარულ ვიგინდარებს.

8574. სახელმწიფოს სამართავად მოხერხებული, გონებაგახსნილი, მიზნის მისაღწევად გაჯიუტებული ხალხი სჭირდება და არა – ჭკვიანი, დამყოლი, მოყვასი კეთილი „დებილები".

8575. სახელმწიფო არის სხვადასხვა ნიჭის და შესაძლებლობის ადამიანთა თავშეყრის ბუდე,სადაც ზოგს ქვეყნის აშენება სურა, ზოგს – ამბიციების დაკმაყოფილება.

8576. სახელმწიფო ბიუროკრატიის ჭაობში მურწას და კალმახის ნაშიერი ვერ გამრავლდება. ამას აპარატის ბაყაყები და ღორჯოები არ დაუშვებენ, მტაცებელი ზვიგენის თამადობით.

8577. სახელმწიფო მმართველის საქციელი ბიუჯეტის შესაძლებლობასა და სამხედრო სიძლიერეზეა დამოკიდებული, ხოლო ქვეყნის მართვის დანარჩენი ატრიბუტები, სამართლიანობა, თავისუფლება, კულტურის განვითარება, მიმდინარე პროცესია და მათი მართვის ავ-კარგიანობის გამართლების ალიბი ყოველთვის მოინახება.

8578. სახელმწიფოს მაინც ბრბოს ინსტინქტები და მისი მენტალიტეტი მართავს.

8579. თავს შეურაცხოფილად გრძნობ, როდესაც სახელმწიფო აპარატში ვიგინდარა მოხელეები სხედან და მათ უფლებას აძლევ ხალხის თავზე მოისაქმონ, ამასთან არავითარი პროგრესის გაგება და განხორციელება არ სურთ და სულ იმის ცდაში არიან, საზოგადოება ძველი გზით ასეირონ.

8580. სახელმწიფოს მმართველი ხალხზე კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ აიძულებდეს მას ქვეყნის საკეთილდღეოდ თავდავიწყებით იშრომოს და იღვაწოს.

8581. ქვეყანაში ყველაფრის მითვისება, მისაკუთრება, ყიდვა შეიძლება, გარდა სახელმწიფო გადაწყვეტილებისა, რადგან ეს ყველაზე დიდი დანაშაული და ცოდვაა, ჩადენილი თავის, ქვეყნის, ხალხის წინაშე.

8582. სანამ ხალხი თავის გონიერი შვილების აღმოჩენას, დაფასებას და ხელშეწყობას არ ისწავლის და სხვა ქვეყნის შვილების აზროვნების და შეცდომების ხარჯზე მათ საქმიანობას წინ არ წამოსწევს, მანამ ის ნორმალურ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდება.

8583. ქვეყნის პეწი და წარმატების ამსახველი შეიარაღებული ძალების სიძლიერეა და არა – პოლიციის აპარატის ოდენობა. რადგან პირველი ქვეყნის სინდისია, ხოლო მეორე ამ სინდისზე ჭუჭყის წამცხები, კრიმინალი და ქვეყნის უსუსურობა მათი ჩუმი თანხმობის და წაყრუების შედეგია.

8584. სახელმწიფო მართვის კრიტერიუმების ჩამოყალიბებას დროებით შიშიც, სიმკაცრეც სჭირდება თავისუფლების და დემოკრატიის მოპოვების ფონზე, სადაც ქვეყნის მმართველის გადაწყვეტილება ხალხთან დგომით განუხრელად უნდა აღსრულდეს.

8585. სახელმწიფოს ძლიერება რომ ფუფუნებაში გადაიზრდება, მას სიბერესავით ყველაფრის კეთება ეზარება, იფიტება და იძულებულია თავისი ყოფილი დიდება სხვას დაუთმოს, რას ვიზამთ, ყველაფერს თავისი დასაწყისი და დასასრული უნდა ჰქონდეს.

8586. ხშირად სახელმწიფოს სათავეში მცირე ვიგინდარათა ჯგუფია, რომლებიც „ემსახურებიან" ხალხს მანამ, სანამ ნერვებს არ მოუშლიან და ნაპარავ ფულს ან ღმერთი, ან მათი ვიგინდარობის მიზეზით მომხდარი რევოლუცია არ წაართმევს.

8587. მოხერხებული მმართველის ხელში ქურდობაც მომგებიან საქმედ იქცევა. საფრანგეთის მეფემ რეკლამის მიზნით კარტოფილი სახელმწიფო მიწაზე დაათესინა და დარაჯები მხოლოდ დღისით დაუყენა, შედეგად ევროპაში ყველაზე სწრაფად მისი მმართველობის დროს გავრცელდა ეს კულტურა.

8588. უხიაგ სახელმწიფოში ქვეყნის გაყვლეფას არც ლირიკოსები და არც ფიზიკოსები ხელს არ აკლებენ, მაგრამ ეს უკანასკნელნი რაღაცას მაინც ტოვებენ, ხოლო პირველნი ყბედობის გარდა მორალს გვიკოწიწებენ, რომელსაც მათი გადადგომისთანავე ყავლი გასდის.

8589. წესიერი ქვეყნის მმართველის ხვედრია აღფრთოვანება და წამების სიხარული თავის გაკეთებული საქმის მიმართ.

8590. თავისი ქვეყნის შვილს თუ მიწა ავ დედინაცვლად ექცა, თავად უნდა იქცეს გონიერ მმართველად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის სახელმწიფოებრიობა წყიპზე დაეკიდება.

8591. ქვეყანა, რომელიც სხვა ქვეყნის საშინაო დავალებას ასრულებს, იმ პატივისცემას ვერ დაიმსახურებს, რისი იმედიც ჰქონდა.

8592. ჩვენი სახელმწიფო მოგვაგონებს ფსიქიურად დაავადებულ ავადმყოფს, რომელიც გვაგინებს, შეურაცხყოფას გვაყენებს და არაფერზე პასუხს არ აგებს. ხალხიც ყურადღებას არ აქცევს და მისგან არაფერი არ სწყინს.

8593. ხელისუფლება ხელიხელ ჩაკიდებული დადის ღალატთან, გამყიდველობასთან, მლიქვნელობასთან, დიქტატურასთან ერთად, რადგან სხვანაირად მას ვერ შეინარჩუნებ, რაზეც ისტორიული მაგალითებიც ღაღადებენ.

8594. სახელმწიფოში ყველაზე საშინელია ნდობის კრიზისი, რის შედეგადაც ყველაფერი ინგრევა, ფასს კარგავს და რევოლუციის ვირს გამოაცოცხლებს.

8595. ტირანსა და გონიერ ხელმძღვანელს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ან უყვართ, ან ეზარებათ, მეორეს აფასებენ, პირველი თავის საქმიანობით თავს გამახსოვრებთ, რაღაცას გავალებთ, მეორე შეუმჩნეველია, რადგან თქვენ ხელს არაფერში გიშლით.

8596. ხელისუფლება ადამიანზე ძალადობს და თუ მას ეს კარგად ეხერხება და თან დანაპირებსაც ასრულებს, კიდევ მოსათმენია, თან სიმპათიებსაც იმსახურებს, მაგრამ როდესაც დანაპირებს არ ასრულებს, ღირსებას ჰკარგავს. ეს ყველა ძალადობაზე უარესია, რადგან მისი უსუსურობა საკუთარი თავისადმი და ქვეყნისადმი სიყვარულს გაკარგვინებს.

8597. თანამედროვე ჰუმანური ინტელიგენცია, როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, ტექნიკასა და პოლიტიკასთან ახლოს არ უნდა მივუშვათ. კეთილი ინებონ, წიგნები იკითხონ, კომპიუტერს წაეთამაშონ და ხალხისთვის მისაბაძნი გახდნენ განათლების მიცემაში, მაგრამ სახელმწიფოს მოწყობაში გვერდზე არ უნდა გავიკაროთ, რადგან მათ ყბედობის გარდა არაფერი გაეგებათ.

8598. არის პროფესია სამშობლოს დამცველის, არის სამშობლოს გამღლეტელის. საინტერესო ისაა, რომ ორივე პროფესიის ათვისება ერთი და იგივე ადამიანს შე-

უძლია, ოღონდ გააჩნია, წესიერ სახელმწიფოში ცხოვრობს თუ მოუწესრიგებელ-ში და ვინ მართავს ქვეყანას.

8599. ენის გაბატონება დამოკიდებულია სახელმწიფოს სიძლიერეზე და არა მის კეთილ ჟღერადობაზე თუ ლინგვისტურ შესაძლებლობებზე.

8600. უგვანო სახელმწიფოში ფული და ქრთამი ახდენს სასწაულებს, წესიერში კი – მატერიალური უზრუნველობა და ნიჭი.

8601. შეუძლებელია ყველამ ჭკუა ასწავლოს მთავრობას და აკრიტიკოს, მაგრამ არც მისი უყურადღებოდ დატოვება შეიძლება, რადგან მთავრობა ყოველთვის კი არ ცდება, როგორც ეს ყეყეჩ დილეტანტს ჰგონია, არამედ განგებ ისულელებს თავს, რაშიც ის გამორჩენას ხედავს.

8602. სახელმწიფოს, სადაც კროსვორდების ბუმია, უსაქმურობის და უმუშევრობის ვირუსი შეჰყრია და ამ დაავადებისკენ უზომო მიდრეკილება ჭკუის დემონსტრირება ჰგონიათ.

8603. სახელმწიფოს სამართლიანობა არ აინტერესებს, აქ მთავარია ვისი ინტერე-სები უნდა დაიცვას და სამართლიანობის დარღვევის შედეგად რა ხეირის ნახვა შეუძლია. აქ მორალი უკანა მხარეს არის გადატანილი და ზოგჯერ ზრდილობის გულისთვის მოიხსენიებენ.

8604. სახელმწიფოს ძლიერება დამოკიდებულია სუქებაზე დაყენებულ მოქალაქეთა ნება-სურვილზე.

8605. მძღოლი სულ არ არის დამნაშავე, ტრანსპორტში თქვენთვის სასურველი ადგილი რომ ვერ გამონახეთ. ასეა ცხოვრებაშიც, სახელმწიფო ხელმძღვანელი თუ გაძლევთ მგზავრობის საშუალებას, კეთილი უნდა ინებოთ და იმარჯვოთ, გაითვალისწინოთ თქვენი შესაძლებლობებიც.

8606. სახელმწიფოს უზადოდ გაძღოლა უდიდესი ხელოვნებაა, რომელიც იკრებს თავის ირგვლივ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს და ავითარებს მას.

8607. საუკეთესო სახელმწიფო წყობის ძებნა შეუძლებელია ქვეყნისთვის, თუ მისი სულიერი და ეროვნული მისწრაფება ხერხემალშია გადატეხილი, ხოლო გადატეხილ ხეზე წესიერი ყლორტები ვერ აღმოცენდება.

8608. ქურდობა საზოგადოების ბევრ ფორმაციას ახასიათებდა, მაგრამ ქურდულ წყობას ვერც კაპიტალიზმი უძლებს და ვერც სოციალიზმი, ვერც კომუნიზმი გაუძლებს და დაინგრევა, რადგან დასჯილისა და დამსჯელის ინტერესები სახელმწიფო ქონების მითვისების პირდაპირპროპორციულია.

8609. სახელმწიფო უნდა ცდილობდეს ყოველდღიურად თავის ხალხს იმედი და მომავლის რწმენა ჩაუნერგოს, თუგინდ ამის რეალური საფუძველი არ არსებობდეს.

8610. დაზვერვა სახელმწიფოს ისე ნელა მოსიარულე და შეუმჩნეველი გემია, რომ ბევრ სწრაფმავალ კატარღას კისერს მოატეხინებს, ამიტომ ტრანსპორტის ამ მომსახურებით ყველა სერიოზული სახელმწიფო სარგებლობს.

8611. სამწუხაროდ, კარგი საქმის კეთება ჭუჭყიანი მეთოდების გამოყენებითაც შეიძლება უგერგილო სახელმწიფოში.

8612. ის ქვეყანაა სახელმწიფო, ვინც თავის მოქალაქეს სიკეთის კეთების საშუალებას აძლევს და მის აუგს არავის ათქმევინებს.
8613. ჩამოუყალიბებელ ქვეყანაში ყველაზე გაჭირვებულ მდგომარეობაში სახელმწიფო სკამია. გარკვეული დროის მონაკვეთში ამდენი საჯდომის ნახვა და მომსახურება უწევს, ხოლო მისი შესაძლებლობები არავის აინტერესებს.
8614. ძალაუფლება იგივე ნარკოტიკია: თამაშს ანაშით იწყებ და ჰეროინით ამთავრებ. იშვიათად, რომ ამ ნარკო-ეიფორიიდან ვინმემ ღირსეულად გამოსვლა შესძლოს.
8615. ბიუროკრატიის გარეშე ქვეყანა ანარქიაში ჩაიფლობოდა და ცხოვრებაც ლაზათს დაკარგავდა, რადგან იგი წინააღმდეგობის გადალახვის გარეშე უინტერესო იქნებოდა.
8616. ქვეყნის ბედნიერებაა, როდესაც უფროს თაობას იმდენი გონიერება ჰყოფნის, რომ უმცროს თაობას თავის გამოჩენის საშუალებას აძლევს.
8617. დაზვერვა სახელმწიფოს პრეროგატივაა და მისადმი უყურადღებობა ქვეყნის მართვის სისტემის დასაჭურისებაზე მიუთითებს.
8618. სახელმწიფოსთვის, ადამიანისთვის, პირველადი დახმარების აღმოჩენა პირველი საქმე უნდა იყვეს, თორემ დაუხმარებლობისთვის "სამართლიან" არგუმენტს და კანონს ყოველთვის გამონახავ.
8619. სახელმწიფოს ერის მამა უნდა მართავდეს და არა მისი მორიდებული, მორალურად უფლებააყრილი მამინაცვალი.
8620. იმპერიას ამაგრებს დიქტატურა, სიღარიბე, მუდმივი ბრძოლა. აქცევს სიმდიდრე, გულგრილობა და შურიანობა.
8621. სახელმწიფო გვამს, კარიერის აღმავლობისას, წიგნების საწერად დრო არ რჩება, წარუმატებლობის შემთხვევაში, ნახლაფორთების შექმნა მის მიერ გარანტირებულია.
8622. პატიოსნება ძალაუფლების კვადრატში აყვანილი ქვეყნის წესრიგია კუბში.
8623. კერძო საკუთრების გარეშე შეუძლებელია ვაჭრობის რეგულირება და ასორტიმენტი, რადგან სახელმწიფოს ამის საშუალებას არ აძლევს პარაზიტული აპარატის სიმრავლე, გარანტირებული რეალიზაცია და დოტირების პერსპექტივა.
8624. უმწიკვლო სულელები კვადრატში ქვეყნის აღმშენებლობის საფუძველი და ძირია.
8625. ქვეყნის მმართველი სჯობს ეშმაკი იყოს, ვიდრე „პაჟალუსტა" უეშმაკო მოღვაწე.
8626. ძალაუფლებისათვის არსებობს ორი სახის ტყუილი: პატარა და დიდი, ხოლო საშუალო ტყუილს არც არავინ დაიჯერებს და არც დივიდენდების მომტანია.
8627. ქვეყნებთან ურთიერთობის არქიტექტორი დიპლომატია, მშენებლობა კი დამოკიდებულია თავსმოხვეულ პოლიტიკაზე და მმართველი ელიტის გონიერებამოხერხებულობაზე.
8628. მეფური წყობა განვლილი საუკუნეების და დღევანდელი ცხოვრების სიმბოლოა სიბრძნის, ეშმაკობის, მუხთლობის, ქვეყნისათვის სასარგებლოდ გამოყენებით.
8629. დაზვერვა სამწუხარო აუცილებლობაა სახელმწიფოთა ურთიერთობაში და აქ მორალზე, ამაღლებულ გრძნობებზე, ეთიკაზე საუბარი ზედმეტია.

8630. შეიარაღებული ძალები მარტო ქვეყნის სამსახური, აღჭურვილობა, ფარი არ არის, ის ერის ღირსებაა და იმის მიხედვით ფასდება, რამდენად ბრძოლისუნარიანია.

8631. ძალაუფლებას არავითარი სურვილი არა აქვს კომპრომისზე წასვლის, მაგრამ გარემოება აიძულებს იყოს შერჩევით კეთილი და თავისი ტყავის გადამრჩენი.

8632. ძალაუფლება კეკლუცობას ვერ იტანს, მას სამართლიანობა, პროგრესი და მკაცრი ხელი სჭირდება.

8633. ნომენკლატურა არის ცოდვების სხვაზე ხმამაღლა აკიდება და ამ მსჯავრის გახმოვანება.

8634. ქვეყნის მართვა და ხალხის აღიარება სატანის ნიჭით დაჯილდოებულთა ხვედრია.

8635. კარგად შეიარაღებული და მომზადებული ჯარი გონიერი ხალხის ხელში მშვიდობის დესპანია.

8636. გონიერი სახელმწიფო წყობაა ის, როდესაც გიჟმაც კი იცის, როგორ უნდა მოიქცეს.

8637. ქვეყნის მმართველი, რომელსაც თავის ხალხის აზრის გამოთქმის ეშინია, მმართველობის კი არა, ამქვეყნის მოქალაქედ ყოფნის ღირსიც არაა.

8638. კაბინეტი სახელმწიფო მოხელისთვის იგივე საყდარი და სალოცავია და ზოგიერთისთვის იქ სიბინძურის კეთებაზე ფიქრიც კი მკრეხელობაა.

8639. დანაშაულის ჩადენის სურვილი სახელმწიფოს უგერგილობაზე და მის მოჩვენებით სამართლიანობაზე მიუთითებს.

8640. სახელმწიფოს მმართველი მოხერხებულად უნდა მუშაობდეს და არა უხეიროდ მბრძანებლობდეს.

8641. ჩინოვნიკი მეუფეობდა და იმეუფებს კიდეც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებაყოფლობით არავინ დათანხმებოდა ჩინოვნიკის საეჭვო კარიერის ბაცილის შეყრაზე.

8642. სახელმწიფოს ხელმძღვანელის მიერ საქმის დაგვიანებით კეთება პროგრესის უდიდესი მტერია. მის შედეგად სახელმწიფო ქრონიკულად განვითარებადად რჩება.

8643. სახელმწიფო არ არის ის საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც შენს მოსაწონ კურორტზე გაგზავნის.

8644. არეულ ქვეყანაში ყველაზე მოხერხებულნი ჩვენი ნაშიერები იქნებიან, რომლებსაც აკვარიუმიდან პირდაპირ ჭუჭყიან ზღვაში მოუწევთ ცხოვრება და არსებობისთვის ბრძოლა.

8645. ერთი შეხედვით, ბევრი უჯიშო ადამიანი იბადება, მაგრამ დამნაშავე მაინც ქვეყნის მწყემსია, რომელმაც სახელმწიფო კადრების ჯიშიანთა შერჩევის ქრესტომათია ვერ დაგვიწერა.

8646. ზოგიერთი ნიჭიერი პოლიტეკონომისტი ხედავს, რომ მის ირგვლივ მყოფ ვიგინდარა ხალხს საკმაო მხარდაჭერა აქვს და რწმუნდება, რომ ეს სახელმწიფო მისი ზრუნვის ღირსი არ არის.

8647. ბრძოლა სახელმწიფოს მოხელეებთან ტყუილი წყლის ნაყვაა. მათი გულის მოგება შეიძლება ქრთამით, გადამეტებული ქებით და მცდელობით, მათ ამქარში შესვლით, ამის შემდეგ წმინდა რაიმე თუ დაგრჩებათ, შეგიძლიათ ბრძოლა დაიწყოთ.

8648. მომგებიანია ის "მოღვაწეობა," როდესაც შენი კარიერა გრძელდება ყველა მთავრობის ხელში, მის დასასრულს, ნაჭურდალს და შენს უსაფრთხოებას ჩრდილი არ ადგება და შენი შემცვლელი კლერკები ტკბილად მოგიგონებენ.

8649. ხელმძღვანელი რაც უფრო ცდილობს დიდ პიროვნებად მოგვაჩვენოს თავი, იმდენად დიდი სიაფანდია, რადგან პიროვნებად ჩამოყალიბების და მისი თამაშის ნიჭი ერთმანეთს არ უთავსდება.

8650. ჩვენი ქვეყნის უბედურება: სულელები მთავრობაში და ცუდი გზები სახელმწიფოში, მაგრამ არის მესამე უბედურებაც: ვიგინდარები გვიპროექტებენ ცხოვრების გზას.

8651. სახელმწიფოს მეთაური ხალხს მამად უნდა მიაჩნდეს და მის საყვედურებსაც და დასჯასაც ღიმილით ხვდებოდეს, როგორც მამისგან დატუქსული შვილი. მიუხედავად იმისა, რომ შვილი მამას ყოველთვის არ ეთანხმება და არც მის მითითებებს ასრულებს.

8652. როდესაც სახელმწიფოში ჭკუანაღრძობი ავანტურისტების დოღია ატეხილი, იქ მუშა-ცხენად ყოფნა არ გამოდგება. მთავარია აღვირის დაჭერას შეეცადოთ, რათა მხედრად დაბადებული, მაჩანჩალა ცხენის მედროგედ არ გადაიქცეთ და გაუგებრობის გამო ვინმემ არ მიგახვრიტოთ.

8653. ეცადე იბრძოლო, ნახო, გადაინახო ყოველივე მოპოვებული მთავრობისგან, რომელიც უარესი ბანდიტია, ვიდრე თქვენ, რადგან ცდილობს წართმეული არავის უწილადოს, ჯობს თქვენც მიბაძოთ მას და მუქთად არავის არაფერი მისცეთ.

8654. ქვეყნის მმართველი თუ პატრიოტია, სამართლებრივია და სახელმწიფოს ქვენა გრძნობების გარეშე მართავს, მაშინ მისი არადემოკრატიული და არაპოპულარული კანონები, რომელიც ქვეყნის დაშლას და გაპარტახებას წინ აღუდგება, გამართლებულია მხოლოდ ერთი პირობით – არ უნდა გადაამლაშოს.

8655. თანამდებობას ღამის ქოთანივით უნდა მოვეპყრათ, ხოლო მისი დაკარგვის შემდეგ, ეს ქოთანი თავზე უნდა ჩამოვამხოთ, რათა სახელმწიფო მოხელემ თეორიულად ხალხის პატივისცემა და სამსახური ისწავლოს, რომელსაც პრაქტიკულად მაინც ვერ ითვისებს.

8656. ცალკეული ძალაუფლების კუნძულების არსებობა რეგიონებისათვის მისასალმებელია, თუ ცენტრის მიერ გადებული ხიდებია, წინააღმდეგ შემთხვევაში, იქმნება არეულობის საბაბი და საკუთარი ძალაუფლების წარმოჩენის სურვილი კრიმინალით.

8657. ქვეყნის მართვა ეშმაკების და ეშმაკობის დახმარებით სხვადასხვაა. პირველ ვარიანტში ქვეყნის სამართლიანობაზე, ეკონომიკაზე, პერსპექტიულობაზე ლაპარაკი ზედმეტია, ხოლო მეორე შემთხვევაში საუბარი შესაძლებელია, მხოლოდ არა სრულყოფამდე.

8658. ვიგინდარების და შემთხვევითი ხალხის ქვეყნის სათავეში წარმოჩენა კიდევ ერთხელ გაიძულებს რევიზია გაუკეთო შენს ერს, სამშობლოს, სახელმწიფო წყობას და თანაუგრძნო, რომ საუკუნეების გამოცდილებამ და მისმა შეცდომებმა, მას და მის შთამომავალობას ვერაფერი სასიკეთო ვერ ასწავლა.

8659. მართალია, ილუზიებით სახლს ვერ ააშენებ, მაგრამ სახელმწიფო მოხელე-ილუზიონისტები სასახლეებსაც იშენებენ და არც ილუზიებით ცხოვრობენ.

8660. გმირობა ის კი არ არის, რომ შენს ზურგს ამოფარებული უხიაგი ქვეყნის მმართველის წაქეზებით სისხლს ღვრი, არამედ ის, რაც ამ მმართველს წინ წაიგდებს და აიძულებს კაცურად გამართოს ქვეყანა.

8661. ქვეყნის აღმავლობის საფუძველია: უმცროს-უფროსობის ინსტიტუტის არმოშლა, ბაზარი, ურთიერთგაგება, ახლისკენ სწრაფვა, ცუდის დავიწყება და რაც მთავარია, ნათქვამი სიტყვის უპირობო აღსრულება.

8662. ორდენებს არ იპარავენ, მას დამსახურების მიხედვით იღებენ, ამიტომ მათი ტარება სახელმწიფოს დღევანდელი მენტალიტეტის და მოდის მიუხედავად, არ უნდა შეგვრცხვეს.

8663. ხალხის რჩეული ჩანჩქერივით უნდა ჩქეფდეს, რაღაცას უნდა აკეთებდეს, კარგად გამოსდის თუ ცუდად, ეს სხვა საქმეა, მთავარია, ქვეყანა არ დამშვიდდეს, დამყაყდეს და ჭაობად არ იქცეს.

8664. საკუთარი სახელმწიფოს შესაძლებლობები გადამეტებულად არასდროს არ უნდა შეაფასოთ, რადგან საბოლოოდ ეს იმედების გაცრუებას და ყველაფერზე ხელის ჩაქნევას იწვევს.

8665. საოცარია, მაგრამ საუკუნეობრივი ფაქტებია, თუ როგორ შეუძლია ორი ქვეყნის ვიგინდარა მმართველის კაპრიზს შეეწიროს მილიონობით ადამიანის სიცოცხლე, რომლებსაც თურმე ერთმანეთთან სიამტკბილობით საუბარი და თანამეინახობაც შესძლებიათ.

8666. ამქვეყნად ზოგი პატარა, ზოგი მოზრდილი ჭანჭიკია, მაგრამ აქ იმ მოხერხებული ჭანჭიკის ადგილია, რომელიც ქვეყნის მართვის საშუალებას იძლევა.

8667. სახელმწიფო მოხელე, რომელიც გარანტირებული არ არის კარიერით და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით, არც უნდა ვამუშაოთ, რადგან მის გაუმხელელ ჩუმ პროტესტს გაცილებით მეტი ზიანი მოაქვს ქვეყნისთვის, ვიდრე მისი ადგილის ვაკანსიას.

8668. ქვეყნისა და ეკლესიის მეთაურის ჩახუტება და ურთიერთრევერანსი სახელმწიფოს მართვას არ შველის.

8669. იდეოლოგია – სარწმუნოების, ტრადიცია – კანონების, სიყვარული – შეხლა-შემოხლის, გარეშე ვერც ოჯახი იარსებებს და ვერც – სახელმწიფო.

8670. დემოგრაფიული აფეთქების სამშროების წინაშე დგანან ის ქვეყნები, რომელთაც დაბალი ინტელექტი აქვთ და არ გააჩნიათ საკვების მიღების კულტურა.

8671. ღირსეულმა მმართველმა სახელმწიფოს აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობისთვის ადამიანებით, მათი ხარისხის და რანგის მიუხედავად, ჭადრაკის ფიგურებივით დაუზოგავად უნდა ითამაშოს და ქვეყნის ძლიერების პარტიაც

მოიგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ხალხი და შთამომავლობა ვერ გაუგებს და მათზე ზრუნვას არ დაუმადლებს.

8672. ძალაუფლებასთან ყოფნა საშიშია, რადგან ის ცვალებადია, ჯობს მასთან ურთიერთობის ნეიტრალიტეტს დასჯერდე, თუ გინდა სახელმწიფო ელიტაში დიდხანს დარჩე, რადგან ძალაუფლებას ყოველთვის არ ხელეწიფება დაფიქრება და მოქმედებს ინსტინქტებით.

8673. საზოგადოება უნდა გადავარჩინოთ ზნეობრივ დეგრადირებას, როდესაც იმაზე მეტს მოიხმარს, რაც სჭირდება და იმაზე მეტი პრეტენზია აქვს, რასაც იმსახურებს.

8674. სახელმწიფოს სამართალი არ აინტერესებს, მთავარია ვისი ინტერესებია დასაცავი, სამართლიანობის დარღვევა რა დივიდენდებს იძლევა. აქ მორალი უკანა პლანზეა გადატანილი და მასზე ზრდილობის გულისთვის იფიცებენ.

8675. მოქალაქეობა მარტო პასპორტი არ არის, არამედ პასუხისმგებლობაა, მოვალეობაა და კარგად ცხოვრების მცდელობის გადასახადია, თუ შენს ქვეყანაზე მეტად სხვას არ გინდა არგო.

8676. ქვეყნის ზოგიერთ მმართველს გადაწყვეტილების მიღება კი არა, საკითხის დასმაც არ შეუძლია, მაგრამ ყველაზე დიდხანს უფროსობს.

8677. როგორც მართლწერაში, ასევე ქვეყნის მართვაში შეცდომა ყველას ეპატიება, გარდა პროფესიონალი სპეციალისტისა.

8678. ქვეყნის გადაგვარება მაშინაც იწყება, როდესაც ქურდული სამყაროს არქაული დოგმები დევალვაციას განიცდის და ერისშვილობას, ქრთამს, თაღლითობას, ბიზნესს, ამოფარებულთ „მეც ნახირ-ნახირობით" თავი მოაქვთ.

8679. პენსიონერის დიდხანს სიცოცხლე სახელმწიფოსათვის ზარალია, მაგრამ საამაყოა.

8680. სულელების და მედროვეების რაოდენობა სახელმწიფოში განუსაზღვრელია და სამწუხაროდ, მათთვის ლიმიტს არავინ აწესებს.

8681. მოხელეს თავისი მოღვაწეობიდან საამაყოდ მხოლოდ ორდენი, სიგელი და ჩუმად აღებული ქრთამი რჩება მოსაგონებლად.

8682. ომში გამარჯვება და დამარცხება კი არ არის მთავარი, არამედ ჯარისკაცის ამბიციების დაკმაყოფილება, რომელმაც, თანამოქალაქეებისგან განსხვავებით, ყველაზე ძვირფასი ქონება, სიცოცხლე, სასწორზე დადო და სრულიად სამართლიანად თავისი კუთვნილი პატივის და წილის მიღება სურს, რომლის გაცემა, რატომღაც, არც ხალხს და არც მთავრობას არ ეხალისება.

8683. მმართველი ხშირად ცდება იმის გამო, რომ ირგვლივ ჭკვიან ხალხს არ იჩერებს, არც ეძებს და არც ნაღვლობს, რადგან ის ამ ქმედებით სკამს დიდხანს ინარჩუნებს.

8684. გონიერი მმართველი საჭიროების ჟამს, თავისი საქმიანობით და სრულყოფილი გუნდის შერჩევა–მომზადების უნარით გამოირჩევა.

8685. სახელმწიფო კმაყოფაზე ყოფნა მოხელეს აამაყებს, ხოლო ხალხს რყვნის.

8686. ჭირვეული ინტელიგენციის და ავანტურისტი პოლიტიკოსების გარეშე სახელმწიფო არ იქმნება, ხოლო ჭკვიანი მმართველი ამ ოპონენტებს ქვეყნის სიკეთის, დოვლათის შესაქმნელად გამოიყენებს და მათ ფინია ლეკვებად აქცევს.

8687. ხელმძღვანელია ის, ვინც თავის ქვეშევრდომს საყვედურობს, ხოლო ქვეშევრდომებს ის ამ საყვედურებისთვის უფრო მეტად უყვართ, რადგან ეს სიყვარული პატრონყმურია, რომლის უკან მათზე მოამაგე, საქმის მკეთებელი კაცი დგას.

8688. მრჩეველი შემოთავაზებული წინადადებების კორიანტელს აყენებს, ხელმძღვანელი კი მოვალეა ეს კორიანტელი დააწყნაროს, საღად გაერკვეს და ერთადერთი სწორი გზა აირჩიოს.

8689. პირფერობა, მეხოტბეობა, ეს არის ქვეყნის დაქცევის დასაწყისი, რომელიც მას არც ისტორიას უტოვებს და არც სახელმწიფო წყობას.

8690. ბიუროკრატია არც მომკვდარა და არც მოკვდება, უბრალოდ, აქ საქმე გვაქვს ძალაუფლების შიგნით ბრძოლასთან, დანარჩენი კი ყველაფერი უცვლელია სახელმწიფოს მართვაში.

8691. საკუთარი მამის ჩამშვები პავლიკ მოროზოვი – ზნეობისთვისაა მიუღებელი, თორემ სახელმწიფოში წესრიგის დასამყარებლად და კანონმდებლობის დასაცავად უპრიანიც არის და ზედგამოჭრილიც.

8692. საოცარია, ცოდნა რომელიც ყველაზე მეტად ქვეყნის არეულობის დროს უნდა ფასობდეს, სწორედ მაშინ რჩება ყველაზე მეტად დაუფასებელი, რადგან ამ დროს სახელმწიფოს დილეტანტები მართავენ და ჭკვიანებთან, გამოცდილებთან, დაძმაკაცება მათ სასუსნავ კარიერას დააკარგვინებს.

8693. ძალაუფლება სხვისი სულის მოშხამვაცაა, მაგრამ მის გარეშე ვერც სახელმწიფო იარსებებდა და ვერც ხალხი იცხოვრებდა უკეთესად.

8694. როდესაც ქვეყნის ვითომდა ღირსეული „შვილები" უღირს „მამებს" თავზე წამოაჯდებიან, მაშინაა ამ ხალხის საქმე საჩოთირო, რადგან სახელმწიფოებრიობაა საფრთხეში.

8695. უმეტესობას მმართველობის სკიპტრა ურჩევნია დიდების კვერთხს, რადგან პირველი ცხოვრების სიამის ხორციელი შეცნობაა, ხოლო მეორე – სულის განცხრომის, რომელსაც დამსახურება სჭირდება.

8696. ზოგჯერ ისე უპასუხისმგებლოდ მართავენ ქვეყანას, გეგონება, რომ სათავეში ანცი ბავშვები უდგანან, რომელთაც არც ჭკუის დამრიგებელი მშობლები ჰყავთ და არც ყურის ამწევი ვინმე.

8697. ყველა სახელმწიფოს შეუძლია უცნაური მართვის შედეგად თავის, ჩეჩნეთი და პალესტინა ჰყავდეს, მითუმეტეს, რომ საომარი ფსიქოზის გაღვივება ადვილია, ხოლო მის ამტაცებელ ვიგინდარებს ბრბოში რა გამოლევს.

8698. სახელმწიფოს ყოველთვის ხელში ექნება ქვეყნის მართვის საკონტროლო აქციების პაკეტი, თუ არმია, პოლიცია და საგადასახადო სამსახური გაწვრთნილი ჰყავს და მის ხელშია.

8699. სახელმწიფო აპარატის თანამშრომლები იმიტომ არიან ბიუროკრატები და ყოყლოჩინები, რომ უმრავლესობის დაბალი პროფესიონალიზმი, გულგრილობა,

დამალონ, და უმცირესობის ვირეშმაკული პროფესიონალიზმი გამოძალვის ქვენა გრძნობებს ამოაფარონ.

8700. ყველა ჩვენგანი თავისი ქვეყნის ჯარისკაცია, მაგრამ ქვეყნის წინსვლა და წარმატება მაინც მის მხედარმთავარზეა დამოკიდებული და არა მეომრის მცდელობასა და გმირობაზე.

8701. სახელმწიფო კარის სარფიანი სამსახურია მიზეზი იმისა, რომ ფუყე ადამიანებს თავი მოაქვთ თანამდებობის პირის გვერდზე დგომით ან ხელის ჩამორთმევით.

8702. კრიმინალურ-დემოკრატიულ-მიტაცებითი რეფორმა შესაძლებელია მხოლოდ ღარიბ სახელმწიფოში, სადაც ძალაუფლება სუსტია და უიმედობისგან თავმობეზრებულებს ყველას ყველაფერი ფეხებზე კიდია.

8703. სამეფო კარსაც შემთხვევითი შთამომავალი იკავებს, თორემ რა უფლებითაა, რომ ხალხის სიყვარულს ამოფარებული, სახელმწიფოს და ქვეშევრდომთა ინტერესებს ფეხებზე იკიდებს.

8704. მოხელე ან ურწმუნო უნდა იყოს ყველაფრის მიმართ ან ფარისეველი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სახელმწიფო აპარატში არ გააჩერებენ და მართვა-გამგეობაში მონაწილეობას არ მიაღებინებენ.

8705. კარგი მმართველი ძალიან კარგად უნდა იცნობდეს თავის ხალხს, თავისი აზრი უნდა ქონდეს საკუთარ ბრბოზე და გადამეტებით არ უნდა აფასებდეს თავის შესაძლებლობებს.

8706. ქვეყნის მართვის ხელოვნებაა ნიჭიერი ხალხის გამოვლენა, გამოძებნა, საქმით დასაქმება, შედეგად თავადაც ისიამოვნებს თავისი ნამოქმედარით და ქვეყნის განვითარებაც ნაბიჯს წინ წასდგამს.

8707. იმ ქვეყნის მმართველი, ვისაც ძალაუფლება წელში ტეხავს, ხალხისთვისაც დაკარგულია და ისტორიისათვისაც.

8708. სახელმწიფო მოხელე ფეხმარდი, თავაზიანი, ჭორების მცოდნე, მოქნილი ენის პატრონი უნდა იყოს. მართალია მათ აზრს არავინ ეკითხება, მაგრამ ქვეყანის მმართველი მაინც მათზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებებს.

8709. ქვეყნის გონიერი მმართველი შინაურებს მისდამი პატივისცემას უნერგავს, მეზობელ სახელმწიფოებს – რიდს, ხოლო სახელის დასატოვებლად აკეთებს და აშენებს იმას, რაც მას უკვდავყოფს.

8710. ძალაუფლება ცინიზმს ვერ იტანს, მაგრამ პირმოთნეობას, თვალთმაქცობას, სიამოვნებით იღებს და სხვასაც ასევე ფარისევლობით პასუხობს.

8711. გონიერი სახელმწიფო მოღვაწე გაქარებაშიც სარგებელს უნდა ეძებდეს, იქნებ ამ გზით გაზი მოგროვდეს და მოსახლეობის გასათბობად გამოიყენოს.

8712. არ არის საჭირო ქვემეხებით საქმის კეთება, ამისათვის საკმარისიას მზაკვრობაში გამობრძმედილი მთავრობის სურვილი.

8713. სახელმწიფო უშიშროება თავისებური აღებ-მიცემობაა, სხვადასხვა სარგებლით, მსოფლმხედველობით, სიცოცხლის რისკით, კანონთან მსუბუქი აქცენტით და თავისებური ტონალობით.

8714. სახელმწიფოებრიობას პატარა-პატარა ბიუროკრატი ტირანები უფრო ვნებენ, ვიდრე თავად ტირანია, რადგან ისინი მის ზურგს არიან ამოფარებულნი და განუსჯელად მისი სახელით მოქმედებენ.

8715. სახელმწიფო თავისებური ჭაობია, რომლის მთლიანად ამოშრობა არავის აძლევს ხელს, რადგან ბევრი შემოთხვევითი ადამიანი, რომელიც ქვეყნის მართვას და პოლიტიკას არის მიტმასნებული უმუშევარი აღმოჩნდებოდა.

8716. ძალაუფლება კი არ აფუჭებს ხალხს, არამედ ბრბოდ ქცეული ხალხი აკარგვინებს აზრს ძალაუფლებას, როდესაც ერთმანეთის ჩასაძირავად არც ქრთამის გაცემას ერიდებიან და არც ჩაშვებას, იმის ნაცვლად, რომ კონტროლი გაუწიონ, კანონის აღსრულება და საქმის კეთება მოსთხოვონ ძალაუფლებას.

8717. პატივისცემა საკუთარი სახელმწიფოს მიმართ ნიჭიერ კაცს აძლევს საშუალებას აკეთოს გაუკეთებელი და ამ მცდელობას თავიც ანაცვალოს.

8718. მოხელე ისე უნდა ვაცხოვროთ, რომ სახელმწიფოს მისი დასჯის მორალური უფლება ჰქონდეს წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თავზე ფიქრობს, რადგან ხალხი, რომელიც მის კეთილდღეობაზე არ ფიქრობს და ამ თანამდებობაზე წამოასკუპა, უკეთეს მმართველს არ იმსახურებს.

8719. მოსახლეობის „დე-ფოლით" ინვალიდობის მიზეზი სახელმწიფოა, რომელსაც არც სინდისი აქვს, სერიოზულად პასუხსაც არავის თხოვს და ვერც დასასჯელად გაუმეტებიათ.

8720. ყველა ლაპარაკობს მთავრობის უგერგილობაზე, მაგრამ ქვეყნის ბიუჯეტის გაზრდის დაკვალიანებას, „ტენდერის" და არა არჩევნების ჩატარებას და დანაპირების შეუსრულებლობისათვის პასუხის მოთხოვნას არავინ ფიქრობს.

8721. უგვანო სახელმწიფოში მოხელე ქრთამს თუ არ იღებს, იმ სამსახურის შტატი დიდი ხანია გაუქმებულია.

8722. კარიერიზმი წესით სახელმწიფო აღმშენებლობას უნდა ემსახურებოდეს, სინამდვილეში კი პირიქით ხდება, კარიერა სახელმწიფოს ელამ თვალს იყენებს თავის წარმოსაჩენად და ქონების დასაგროვებლად.

8723. როდესაც ადამიანზე იმაზე უკეთ ვფიქრობთ, ვიდრე სინამდვილეშია, დანაშაულს ჩავდივართ სახელმწიფოებრიობის წინაშე, რადგან ყოველგვარი ცრუ ინფორმაცია მის სიძლიერეს ძირს უთხრის.

8724. ძალაუფლების მშვენიერების სილაღე უნდა შეიგრძნო, გამოსცადო, მხოლოდ ამის შემდეგ გაქვს განსჯის და კრიტიკის უფლება.

8725. ხელისუფლება ყოველთვის ძალაუფლების შენარჩუნებას ფიქრობს, მიუხედავად იმისა, შეუძლია მას ქვეყნის მართვა თუ არა.

8726. ყველა უსაქმური უნდა ცდილობდეს სახელმწიფოს მისცეს საბაბი, რათა ისინი გამოკვებოს.

8727. მოხელის ცხოვრება მიმზიდველია, მაგრამ ფუჭია, მისი მიზანია ვიღაციდან, რაღაციდან, სარგებელი ნახოს, ერთგულად ვერავის ემსახურება, რადგან თუ არ თვალთმაქცობს, მისი კარიერა ბეწვზე ჰკიდია, საბოლოოდ დამსახურებისათვის დაფასებული პენსია და დაუფასებლად მივიწყებაა მისი ფინიში.

8728. როდესაც მთავრობა ხალხთან ერთად ქაქის ჭამას დაეჩვევა, მას უნდა ეყოს შეგნება და ეს აღიაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა სახელმწიფოდ ვერ იქცევა.
8729. მოხელის წესიერება დამოკიდებულია გასამრჯელოზე და იმ კარიერის წინსვლის იმედზე, რომელიც მის ამბიციებს დააკმაყოფილებს.
8730. სახელმწიფო მოხელის საქმიანობა უნდა განისაზღვროს იმითაც, თუ რამდენად ზომმავს ის სხვის დროს, ნერვებს, სახსარს.
8731. გადაწყვეტილება ქვეყნისათვის თუ პრაქტიკული და სარფიანია, აშკარაა აქ პოლიტიკოსის ხელი არ ურევია.
8732. ქვეყანა, რომელიც ჯარისკაცის მოვალეობის შესრულებას ვიგინდარებს და დილეტანტებს ანდობს, სახელმწიფოდ ვერ იქცევა.
8733. ქვეყანა სამშობლოდ მაშინ გადაგვექცევა, როდესაც დედა შვილს მის დასაცავად გაიმეტებს, ხოლო სახელმწიფო ყველაფერს იღონებს, რომ ეს ძღვენი არ მიიღოს.
8734. გაჭირვებულ, გაუმართავ ქვეყანაში ცხოვრებას, ტალანტთან ერთად უნარი და შემართება სჭირდება, რათა ეროვნულობა და სახელმწიფოებრიობა არ დაიკარგოს.
8735. მოუწყობელ ქვეყანაში შენს ჭკუაზე მდიდრულად ცხოვრება სირცხვილია თუ ამ სახელმწიფოს მოქალაქე ხარ და არა მხოლოდ მასში მცხოვრები.
8736. მოხელე ყოველთვის ცდილობს ისეთი ხე დარგოს, რომელიც ყველა დროის შესაფერის ფულს მოისხამს.
8737. რეგიონის ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობა გამოწვეულია მათი უუფლებობით და იმითაც, რომ მათ ოფიციალურ ფულთან ურთიერთობა უნდობლობის გამო ფაქტიურად აკრძალული აქვთ.
8738. სხვისი სახელისათვის საკუთარი სიცოცხლის გაწირვა სისულელეა, მაგრამ ხშირად გარდაუვალი ხდება, რადგან სახელმწიფოს მმართველი ამას ხალხს უკვე აღარ ეკითხება.
8739. სახელმწიფო საკუთრებასა და კერძო საკუთრებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ითხოვს მომეცი და გავაკეთებო, მეორე – ვიშოვნი და საქმეს მივხედავო.
8740. ქვეყნის სიმდიდრის საყრდენი ადამიანია, შემდეგ – ტექნიკური აზროვნება, შემართება, ბიზნესი და დაღვინებული ამბიციები.
8741. სახელმწიფოსთვის ხალხი კაპიტალია, ბრბო – ინფლაცია, მხოლოდ ადამიანობა რჩება უცვლელ ვალუტად, რომელსაც მოქალაქე ჰქვია.
8742. ზოგჯერ სახელმწიფოს მართვის ხელოვნება თუ შენი აპარატის უღიმღამო საქმიანობას ხალხს საქმედ მოაჩვენებს, თავადაც სარგებელს ნახულობ, ხალხს აბაცნებ და ილუზიებით კვებავ, რადგან შენს წინამორბედს ესეც არ შეეძლო, თუმცა ამ სახის მმართველობა ხშირად კრახით მთავრდება, მაგრამ ეს უკვე შენს შემდეგ და სხვის ხელში.
8743. ქვეყნის მმათრველი ავი უნდა იყოს, მაგრამ ყველას სხვისთვის დასანახ სიკეთეს უნდა უკეთებდეს.

8744. სახელმწიფო წყობა მაშინ კი არ უნდა შეიცვალოს, როდესაც ამის შესაძლებლობა გვეძლევა, არამედ მაშინ, როდესაც ამის გარეშე ქვეყანა იშლება და სხვა გზა არ რჩება, იმდენად დიდი დანაშაულია ხალხში დამკვიდრებული რწმენისა და იმედის მოშლა.

8745. დაფინანსების გარეშე სახელმწიფოს მიერ ყველა წამოწყება სიბრიყვე და დანაშაულია, საღი აზრის მიმართ, რადგან ის კნინდება და დევალვირებას განიცდის.

8746. ხშირად ჯარისკაცთა სიცოცხლე სახელმწიფოს იმ ღირებულებებს ეწირება, რომელიც დროის გადამოწმებას ვერ უძლებს.

8747. ხანდახან შენს თავში ეჭვიც კი შეგეპარება, „ნუთუ მე ასეთი ჭკვიანი ვარ და სხვები კი უტვინოები", როდესაც მათ მიერ ქვეყნის მართვის შედეგს უყურებ.

8748. ხანდახან ქვეყნის წყობა და საზოგადოების უსაფრთხოება, კანონთან წკიპზე მდგომი სამართლიანობით უნდა დავიცვათ დასმენის ინსტიტუტის დახმარებით და ძალის ჩვენებით.

8749. მოკრძალება, სალამ-ქალამი, ხალხის მიმართ აზრს კარგავს, თუ სახელმწიფოს ბიუჯეტი შეუვსებელია ან არ იზრდება, რადგან ამ დანაშაულთან შედარებით ყველა სხვა ცოდვა არარაობაა.

8750. სახელმწიფოა ის, რომელიც ყველა ნიჭიერ ვიგინდარას ასწავლის და უსაქმოდ არ დატოვებს, რადგან ამ რჯულის ხალხზე გამოძებნილი სახსარია ქვეყნის სიმშვიდის და სიძლიერის გარანტი.

8751. სახელმწიფო მართვას არ სჭირდება ვირეშმაკი მმართველი და კარიერისტი მინისტრები, მისთვის ერთგულ და გამძღარ მოქალაქეთა სამსახურიც საკმარისია, რადგან პრეტენზიულ მოხელეთა ამბიციების დასაკმაყოფილებელ პირველობისთვის ბრძოლაში ქვეყნის და ხალხის ინტერესები ხშირად მივიწყებას ეძლევა.

8752. თუ საჭიროა, კანონი უნდა დაირღვეს, როგორც ძველი ღობე, რათა ხალხმა შესძლოს თავისუფლად ამოსუნთქვა, მაგრამ ღობის დარღვევას დაეჩვევა და არის საშიშროება სახელმწიფოს გარეშე დარჩეს.

8753. მთავრობის მიერ ხალხის გაფრთხილება თამბაქოს სარეკლამო რგოლია, სადაც ვალის მოსახდელად წვრილი ასოებით წერია: "ჯანმრთელობის სამინისტრო გაფრთხილებთ, თამბაქოს მოწევა ჯანმრთელობისთვის მავნებელია," ასეთ შემთხვევაში იტყვიან: "ცხვრებიც ცოცხლები არიან, მგლებიც ამ საქმიდან რაღაცას ვხეირობთო."

8754. სახელმწიფოს, რომელსაც მათხოვარი პრეზიდენტი, თავქარიანი მთავრობა, ლაყბობს მოყვარული ხალხი ჰყავს და საშინაოზე მეტად საგარეო საქმეები აინტერესებს, თავის ერს სწორ გზაზე კიდევ დიდხანს ვერ გაიყვანს.

8755. ჩვენი სახელმწიფო ყოველთვის დაუზღვეველ "ფორს მაჟორს" გვთავაზობს და არცერთი ჩანაფიქრი და დანაპირები არ სრულდება, ამიტომ დაზღვევას არავინ გვიხდის, დანაკარგს არავინ გვინაზღაურებს, რადგან ხალხი და პრეზიდენტი ერთმანეთში რეალური ხელშეკრულების დადებას ვერ ახერხებენ.

8756. ძალა, სიმარდე, მოხერხებულობა ველურ ბუნებაში, მოუწესრიგებელ ქვეყანაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფოს მიერ მიღებული ბუნების კა-

ნონები, რადგან აქ დასწრებაზეა ყველაფერი, ვინ – ვის, ხოლო ბრბო, როგორც ყოველთვის, დაბნეულობა-გაწბილებისთვის არის მოწოდებული.

8757. ქვეყნის მმართველი თავის ქვეშევრდომებს ღირსეულადაც აქცევს და უღირსადაც, თუმცა გააჩნია, როგორ გაუმართლებს ხალხი და ქვეყანაში შექმნილი გარემო.

8758. პოლიციაში მუშაობა ასე თუ ისე გაცნობს ქვეყნის მდგომარეობას, ხალხის ზნეს და შესანიშნავად გაგარკვევს შენი უფროსების და მთავრობის ვირეშმაკობაში.

8759. ხალხის კეთილდღეობისათვის სახელმწიფოს ღირსეულ მოღვაწეს ხანდახან კანონიერებასთან მიახლოებული ძალადობის უფლება აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს ნაცვლად მისი აბრევიატურა შერჩება უნიათო ხელში.

8760. სოლიდარობა ხალხსა და მთავრობას შორის ის ბერკეტია, რომელსაც შეუძლია ქვეყნის ყველა ორმოდან ამოთრევა.

8761. ქვეყნის მმართველი ხალხისთვის წესიერების განსახიერება უნდა იყო, ხელქვეითების მიმართ – მოხერხებულად მომთხოვნი, მეზობელი ქვეყნებისადმი – გონიერად მომხიბვლელიც და ვერაგიც , რათა მეზობლებს მისი ქვეყნის მიმართ რაიმე არ შეეშალოთ.

8762. ყველა დროშია საჭირო სხვადასხვა მენტალიტეტის, განათლების, მქონე უინიციატივო მორცხვი უმრავლესობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც სახელმწიფო შეიქმნებოდა და ვერც სახელმწიფო წყობა იარსებებდა, რადგან ამ უკანასკნელის ბაზისია საეჭვო თავისუფლების მქონე ხალხის მორჩილება.

8763. ქვეყნის სიღარიბეს და გაჭირვებას არავითარი გასამართლებელი ალიბი არ მოეძებნება. მათ შორის ერთმანეთის მოსმენის უნარის დაკარგვაც.

8764. მმართველს არ უნდა ეშინოდეს დაავადებული ხალხისათვის ოპერაციის გაკეთება და მწარე აბების მიცემა, თუ სწამს თავისი დასმული დიაგნოზის და მკურნალობის. რაც შეეხება პაციენტს, თუ მას განკურნების იმედი გაუჩნდება, მოითმენს და აღფრთოვანებასაც მოახერხებს.

8765. ხელისუფლება ქარია, ხალხი – ბალახი, ასე რომ ბალახის მოხრა ქარის ქროლვაზეა დამოკიდებული, მაგრამ ამ ბალახში გამოერევა სარეველა, რომელსაც ქარი ან ძირიანად მოსპობს ან თესლს დააყრევინებს, რის შედეგადაც იწყება ოპოზიციის გამრავლება და ქარსაც თანდათან უჭირს სარეველას წელში მოღუნვა.

8766. გადამეტებული წესრიგი და კანონისადმი მორჩილება სახელმწიფო წყობას წყალს უყენებს, რადგან წესიერ ცხოვრებას ხალხის ერთი ნაწილი ვერ უძლებს.

8767. მთავრობამ თავი უნდა დაანებოს ხალხის მომავლის ქურდობას, თუ უნდა ქვეყანა ღირსეულ სახელმწიფოდ იქცეს.

8768. სახელმწიფოს, ეტყობა, მაინც ბუნებით მშიშარა ხალხი მართავს, რადგან ისინი ძალაუფლების, თანამდებობის გარეშე არარაობანი ხდებიან.

8769. ქვეყანას ან ღირსებადაკარგული ხალხი მართავს, ან ისინი, ვინც თანამდებობის გულისთვის მისი დაკარგვის წინააღმდეგნი არ არიან.

8770. ლიდერი, გარდა იმისა, რომ უნდა დაიბადოს, თავისი კარიერის საფეხურებს დაპყრობის მცდელობა არ უნდა დააკლოს, ამავე დროს იგი ყოველთვის წესებით არ თამაშობს, ამიტომაც ცხოვრებას მიუჩვეველ ხალხში მოწონებას იმსახურებს.

8771. ბევრ ქვეყანაში კანონის და კანონიერების გალაღება, რაც უნდა პატივს სცემ-დნენ ქვეყნის კონსტიტუციას, მაინც ამ სახელმწიფოს მმართველის პოლიტიკაზეა დამოკიდებული.

8772. როგორც ქრისტიანს, შენდობა უნდა შეგეძლოს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს – კანონის ასრულება, რადგან სამართლიანობა თანამდებობის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს და არა ჩვენი პირადი ღირსებიდან. ამავე დროს უმიზნო ჰუმანიზმი და სახელმწიფოს მართვა ერთმანეთს ვერ ეგუება.

8773. ყველანი გონიერებას რომ მორჩილებდნენ, მაშინ არც სახელმწიფო იქნებოდა, არც უფროს-უმცროსობა და არც დაჯგუფებები, რომლის გარეშე სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელი გახდებოდა.

8774. ზოგი, ჩემთვის „ძვირფასი" ქვეყნის მმართველი, იმიტომ კი არ არის ჭიტლაყის ამორტყმის ღირსი, რომ იგი ღმერთის ნაწყალობებ ქვეყანას ვერ მართავს, არამედ იმიტომ, რომ მოსმენის და განსჯის უნარი წართმეული აქვს და სახელმწიფო მარ-თვას ეპოტინება, რათა სარგებელი ნახოს, ხალხის ბედი და ღირსება ფეხებზე დაიკიდოს.

8775. ძალაუფლება ის დიდებული ფინანსური ინსტრუმენტია, რომლის ძაღლიშვი-ლობას ბევრი კარგი წამოწყება ნულამდე დაყავს.

8776. ქვეყნის მმართველი პირველ რიგში უნდა ფიქრობდეს არა სამართლიანობაზე, კანონიერებაზე, არამედ იმაზე, თუ რა არგებს მის ქვეყანას, ხალხს, მხოლოდ ამის შემდეგ გამოინახება ამ ქმედების დამცველი სამართალიც და კანონიც.

8777. სამწუხაროდ, სარწმუნოებისთვის აზროვნება და მოქმედება სხვადასხვაა და ის დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აწყობს ამ რწმენის გამოყენება ქვეყნის მკაცრ და მოხერხებულ მმართველს, რადგან რწმენა თუ იგრძნო ძალა, მაშინვე იწყებს მის მომსახურებას.

8778. ძალაუფლება ერთდროულად ფლორაც უნდა იყოს და ფაუნაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ცალ-ცალკე, ან უსუსურ დემოკრატიას მივიღებთ ან უდღეურ დიქ-ტატურას.

8779. გაპარტახებულ ქვეყანაში იმდენად დიდია მოლოდინი ღირსეული კაცის მმარ-თველად მოსვლისა, რომ სულ მცირე საქმის კეთებისთვის მოსახლეობა მზად არის მასზე ილოცოს, გააფეტიშოს გარკვეულ დრომდე.

8780. ქვეყანა და მისი საზოგადოება მაშინ იმსახურებს საყოველთაო პატივისცემას, როდესაც საჭიროების დროს მოქალაქენი მზად არიან თავი გადადონ მის საკე-თილდღეოდ, ყოველგვარი იდეოლოგიის და ანგარების გარეშე.

8781. დაბალი ხელფასი და უყურადღებობა სახელმწიფო ინტერესების დამცველ კბილებალესილ მგელს დროთა განმავლობაში ცხოვრება ოჯახის ფინიად გადააქ-ცევს, რომელიც ყველა მომსვლელს ხელში უყურებს, მზად არის კუდი გაუქიცი-ნოს და პატრონის დასანახად ომახიანადაც შეჰყეფოს.

8782. ზოგ ქვეყანას იდეების პათოლოგიური ორსულობა აწუხებს და ამ ნაშიერიდან რა გამოვა, დიდად არ განიცდის.

8783. ძნელია იმ სახელმწიფოს გონზე მოყვანა, სადაც საქმიანი სულელების და უსაქ-მური ჭკვიანების სიმრავლე იგრძნობა.

8784. შეუზღუდავი თავისუფლებაა, რომელიც ადამიანებს, საზოგადოებას რყვნის და ამ თავისუფლების წითელ შუქნიშანზე შესაჩერებელი მუხრუჭები აღარ უმუშავებთ. შედეგად: სახელმწიფოს „ავარია", ყოველივე აქედან გამომდინარე.

8785. ეტყობა, არც დემონის, არც ტარტაროზის და არც სიავის გარეშე ქვეყანა არ იმართება, მაგრამ უნდა ვეცადოთ ქვეყნის მართვის ეს აუცილებელი შხამი გაჯანსაღების წამლად ვიხმაროთ რაც შეიძლება მცირე რაოდენობით, რადგან წარსული საუკუნეების ყველა პოლიტიკური ექიმობაში მის სასარგებლო თვისებებზე მიუთითებს.

8786. ქვეყნისთვის პროფესიონალი მეეზოვე გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე დილეტანტი მმართველი.

8787. საქმის გამოსწორების გზა ბევრია, მაგრამ შედეგი არ ჩანს, რადგან ამ გზებზე მოძრაობის წესების დაცვით სიარული არც მმართველს და არც ხალხს არ სურთ.

8788. სახელმწიფოს ხალხზე ზრუნვა გამოიხატება დაბეგვრასა და მმართველობითი აპარატის მიერ ფულის შოვნაში, ხალხის მადლიერება კი ამ ზრუნვისაგან თავის არიდებაში.

8789. ძალაუფლება იუმორს არ ცნობს, იუმორი ძალაუფლებისთვის ვერ იცლის, მიუხედავად დიდი სიყვარულისა, ერთმანეთს ძალიან უფრთხიან. პირველს დაცინვის ეშინია, მეორეს – სიცილის აკრძალვის.

8790. როდესაც მოლაყბეთა რაოდენობა აჭარბებს საქმის მკეთებელთა ოდენობას, მაშინ პარტიები კი არა, სახელმწიფოებრიობა იშლება.

8791. ჩვენი ძალაუფლება სურვილია, ხოლო სურვილი ყველასთვის კანონია, ასეთია ქვეყნის სათავეში მოსულ უმეტეს მმართველთა ბუნება, რომელიც ხალხის თავზე წამოსკუპებამდე ასეთი ძალაუფლების წინააღმდეგ სიტყვით იბრძოდა.

8792. ყველაზე შეუმჩნეველი და დაუფასებელი სახელმწიფო მოხელის სიკეთეა, რომელიც საქმეს არ აჯანჯღლებს, საქმიან რჩევა-დარიგებას იძლევა და პირნათლად იხდის ვალს ქვეყნის და ხალხის წინაშე.

8793. ძალაუფლება უნდა მივცეთ ღირსეულ მოქალაქეებს და არა იმათ, რომელებსაც ჰგონიათ, რომ მოიპოვეს.

8794. ძალაუფლება გონიერებაა, სიმკაცრეა, სამართლიანობაა და ბოლოს კაცობაც არის, რათა ისტორიის ფურცელზე შეუმჩნეველი არ დარჩე.

8795. ქვეყნის მმართველი შულერივით უნდა იყოს: დიპლომატიას თავის სიამოვნებისათვის არ უნდა თამაშობდეს, ცდილობდეს ფორტუნის შეცდომების გამოსწორებას მოხერხებით, ეშმაკობით და მობილიზებით.

8796. თუ სამართლიანობა საბოლოოდ დაიკარგა, მაშინ შენს ქვეყანაში ცხოვრებას ფასიც არა აქვს და სხვაგან უნდა გადაბარგდე, თუმცა თავს დამნაშავედ გრძნობ, რომ საქმე აქამდე არ უნდა მიგეყვანა. მიუხედავად ამისა, ისიც გესმის, რომ ამ უსამართლო ეპიდემიის საწინააღმდეგო ვაქცინას შენ ვერ შექმნიდი.

8797. ჭუჭყის ამოტივტივება ბრბოს ძალისხმევით არჩეული ხელმძღვანელის დამსახურებაა.

8798. ქვეყნის მართვაში ამდენი შეცდომები იმიტომ ხომ არ ხდება, რომ ძალაუფლება უზრუნველყოფს გარკვეული კატეგორიის ხალხის ინტერესებს?

8799. ცარიელი თავით, სუსტი ნებისყოფით და სამათხოვროდ გაწვდილი ხელით ქვეყანა არ იმართება.

8800. სახელმწიფოს მმართველები უმეტესად პროვინციიდან არიან, რადგან ისინი ცხოვრებას რეალურად უყურებენ, არავის იმედი არა აქვთ, თავიდან ნაკლებ ამბიციურნი არიან, გართობაზეც დროის დაკარგვის ნაკლები საშუალება აქვთ. როდესაც ისინი კარიერას იკეთებენ, ცდილობენ დაემსგავსონ დედაქალაქის მცხოვრებთ. აქ კი კარიერის დასასრულის დროც დგება.

8801. სახელმწიფოს მმართველი იგივე მსახიობია, ოღონდ რეჟისორობის შეთავსებით.

8802. ძალაუფლება მარტო სახრავი არ არის, ის საღეჭიცაა და თავისებური ხაფანგიც, რადგან კარიერის მომპოვებელთა ურთიერთშეხრამუნების მცდელობა, ყველას უკვე განაღდებული აქვს.

8803. სახელმწიფო მოხელე სულს გვპარავს, ნერვებს გვიშლის, კეთილდღეობას გვართმევს მხოლოდ იმისთვის, რომ კარიერა გაიკეთოს და ქრთამით იცხოვროს.

8804. თუ მოსახლეობა კლებულობს, ხალხი შიმშილობს, თვითმკვლელობა იზრდება, სახელმწიფო წყობა ქურდობაზე არის დაფუძნებული და ბანდიტებთან არის ჩახუტებული, ქვეყნის გადარჩენას ისევ იმედის სასწორზე ვდებთ, თუ ქვეყანას განგებამ ღირსეული წინამძღოლი არ მოუვლინა. აქ ხალხის გაუთლელი გონება არაფერ შუაშია.

8805. სახელმწიფომ ისეთ ფინანსისტს უნდა მიანდოს ფულის კრეფა და ხარჯვა, რომელსაც მთლიანად მიესადაგება გამოთქმა: "ბოზ დედამთილს რძალი არ გაუბოზდებაო".

8806. სახელმწიფო მოხელე–ჩინოვნიკი გარკვეული ძალაუფლებით აღჭურვილ განსაკუთრებული ჯიშის ფარას მიეკუთვნება, რომელიც მოწოდებულია ხალხს ემსახუროს კანონის რიდით და ზემდგომის შიშით, მაგრამ ისინი შექმნილი გარემოს მიხედვით მოქმედებენ და თავსაც არასდროს ივიწყებენ.

8807. ჭკვიანი კაცი მთავრობას არ წაეჩხუბება, ისე ასწავლის, რომ ამ უკანასკნელს ეგონოს, თითქოს შეთავაზებულმა აზრებმა თვითონ გამოჟონა ყურებიდან.

8808. სახელმწიფოს ხელმძღვანელი ტკბილი ეკლის როლს უნდა ასრულებდეს, რაც მეტად დაბეგრავს თავის ხალხს, მით უფრო მეტად უნდა უმატოს ღიმილს, თან სახელმწიფოს აყვავების და ხალხის დასაქმების საქმე უნდა აკეთოს, მაგრამ ამის შესახებ ხალხს არ უნდა გაუმხილოს.

8809. ჯიუტები ვერ იტანენ საკითხის ბუნდოვანებას, გადაუწყვეტელობას, საქმის ბოლომდე მიუყვანლობას. უყვართ სხვისი სწავლა – დარიგება. ასეთი ადამიანები დიქტატორებად გვევლინებიან და ისტორიული ქარიშხლის ამოვარდნის პერიოდში მათ გარეშე საკითხი არ წყდება, ე.ი. ქვეყნის მართვა ჯიუტების პერსპექტივა ყოფილა და არა ჭკვიანების, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროით მაინც.

8810. პატრიოტების საყვარელი წყობა დიქტატურაა და ესეც მამაზეციერის ნაჩალიჩებია, რათა სახელმწიფოს ერთი გათავხედებული მმართველი მეორით შეცვალოს, თორემ დემოკრატიის მიმდევარ და თავის ქერქში დატეულ ქვეყანას ხალხის დამჩაგვრელი და გამჟლეტი კატაკლიზმები არ სჭირდება.

სექსი და ლამაზმანი

8811. კოცნის კაიფი ტუჩების სიმხურვალეში, სინაზეში, ეშხშია, მაგრამ ამბორი გაცილებით მეტია, ვიდრე ლამაზი ქალის ტუჩების სიმხურვალე.

8812. ამბობენ, სხვადასხვა ქალის ბაღნარი, მამაკაცის ღირსების წარმომჩენი და სალესავია, მაგრამ თუ მამაკაციც იმსახურებს ამდენ პატივს ქალის მხრიდან ეს არავის აწუხებს, რადგან, ხომ შეიძლება ამდენ ლესვაში ღირსებას მარცხი მოუვიდეს და მდედრი სულ უპატრონოდ დარჩეს.

8813. წყვილი ყველაზე საუკეთესო, ერთმანეთის მისაღებ სუნს მაშინ გამოყოფს, როდესაც ერთმანეთისკენ მიილტვის, მას ვერავითარი პარფიუმერია და ზეთი ვერ შეედრება.

8814. სექსი კოლექტიური თამაშია, სადაც ორივე პარტნიორი სიამოვნების შედეგზე პასუხისმგებელია, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ქალი სპორტსმენია, ხოლო მამაკაცი მწვრთნელის როლით კმაყოფილდება.

8815. წვიმას და ქალს შეჭირვების დროს ყველა ნატრულობს და ოცნებობს. საწადელის აღსრულების შემდეგ ერთი ქოლგის ძებნაშია, მეორე საწოლიდან თავის დაღწევის მცდელობაშია.

8816. ჩვენი საუკეთესო ნახევრები, თავიანთ ცხოვრებას წესიერად უნდა ატარებდნენ, ყოველ შემთხვევაში მამაკაცებს ასე სურთ, მაგრამ რა ჰქნან ქალებმა, ისინიც ხომ ამქვეყნის ცოდვის შვილებად არიან მოვლინებულნი?

8817. დიდი სილამაზე ყოველთვის ვერც დიდ სიმდიდრეს იხვეჭს და ვერც გზას იკაფავს ცხოვრებაში. ეტყობა სილამაზის გამოყენებასაც ცოდნა სჭირდება.

8818. ორსულობა ქალის ბუნებრივი მდგომარეობაა, მხოლოდ სამჯერ მეტად არარეკომენდებულია პლანეტის ეკოლოგიური და დემოგრაფიული უშიშროებისთვის.

8819. სიამოვნების ჰორმონი "ენდროფინი" შველის თავის ტკივილს, არეგულირებს წნევას და იმუნოსისტემებს. ურჩევენ მამაკაცის ღირსებადაკარგულ ავადმყოფებს, ხოლო ღირსეულნი ბუნების მიერ შექმნილი ჰორმონებით მკურნალობენ, რომელსაც მდედრი ჰქვია.

8820. მექალთანე კაცი და ავხორცი დედაკაცი, ორივე ლამაზმანის სტატუსს იმსახურებენ საზოგადოებრივ საწყისებზე, ესე იგი, მომსახურება უფულოდ.

8821. გარყვნილებაა ის, როდესაც გინდა თუ არა, ყველასთან ჟინს იკმაყოფილებ, ბუნებრივი მოთხოვნილებაა, როდესაც პარტნიორს ირჩევ და სექსუალურ მკურნალობას ეწევი ჯანმრთელობის აღსადგენად, მომეტებული სისხლისა და სექსის დასარეგულირებლად.

8822. ველურობაა, ან ძალზე გიჭირთ, როდესაც სექსს ეწევით მდედრთან და სხვა ქალზე ფიქრობთ, ტელეფონზე საუბრობით ან ტელევიზორს უყურებთ. ეს სექსი

კი არა, შრომაა, მოვალეობის მოხდა და თუგინდ მკურნალობა, რათა მოზღვავებული ენერგია დაიოკო.

8823. სექსის ჩვენება შეიძლება იყოს წყვილების ურთიერთობის უნივერსიტეტი, აკადემია, მაგრამ შეიძლება იყოს პირიქით, რომელიც ცუდად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე და ხელს უწყობს ადრეულ ასაკში მათ ინვალიდად ჩამოყალიბებას, ესე იგი მთავარია კონტინგენტის შერჩევა, რომელსაც თავზე ვერავინ იღებს.

8824. სპიდი – მამაკაცის ღირსების ავტორიტეტის მტერია და არავინ იცის, რა მორალს შემოგვთავაზებს მამაკაცისა და ქალის უსაფრთხოებაში, მაგრამ ერთში კი დავრწმუნდებით, რომ ქალიშვილობის აპკის აუცილებლობას ნამდვილად აღადგენს.

8825. ბორდელი შეიძლება გადავაქციოთ დაუქალთანებელი ვაჟების მამაკაცებად ჩამოყალიბების პროფილაქტორიუმად, სადაც შეისწავლიან ჰიგიენას, ქალთან ურთიერთობას, პრეზერვატივის ხმარებას, ქალების პატივისცემას. ერთი შეხედვით მამაკაცებად ჩამოყალიბების მშვენიერი უნივერსიტეტია, სადაც ახალგაზრდები დაძალების გარეშე ისწავლიან ყოველივეს და მიიღებენ ცხოვრების ყველაზე აუცილებელ განათლებას.

8826. მამაკაცი ქალის ტუჩებით უნდა საზრდოობდეს და იქიდან ამოჰქონდეს ნექტარი. სიამოვნების მორევში უნდა შეცურაოს და სიამოვნებისგან თავბრუსხვევა განიცადოს, თორემ მარტო კოცნა ყველას შეუძლია, აქ კაიფია მთავარი.

8827. ქალს ურთიერთობის შემდეგ თუ ზურგს შეაქცევ და მასთან საწოლში დაიძინებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხორციელი შიმშილი დაიოკე. თუ შემდეგ ჯერსაც მიაყოლებ, მაშინ სულიერი შიმშილიც მოგიმორებია. ხოლო თუ შემდეგ ჯერზეც არ ამბობ უარს და ზურგს არ უჩვენებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ქალი თქვენთვის ღმერთს უჩუქებია.

8828. ქალის ვნებისყურის გამოქვაბულში მოხვედრისას მამაკაცის ღირსებას უფლება არა აქვს ან თავი დაზოგოს, ან ქალი დაინდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ წყვილის სიამოვნებას ბევრი რამ დააკლდებოდა.

8829. ქალის ლამაზ უკანალზე აღფრთოვანებულ მამაკაცებს თვალები უდიდდებათ და აღტაცებით ამბობენ: "ვა, რა დოლაბები აქვს, რა დიდებულად ატარებს", მაგრამ ქალის აღზრდა, თანდაყოლილი სილამაზე და კულტურა შეუმჩნეველი რჩებათ, იმდენად დიდია ამ დეტალის როლი მამაკაცის აღტაცებაში.

8830. ქალის ეს დიდებული ნაწილი, რომელსაც უკანალი ჰქვია, სულ სხვა რამისთვის არის განკუთვნილი და მოწოდებული და სულ სხვა რამეს ლამობენ მამაკაცის თვალები. მისი დანახვა სხეულს მოსვენებას უკარგავს და სულს ალაღებს.

8831. ქალის ბურთისებრ, ლამაზ უკანალს, მართალია ქალის თილისმას ვერ მივაკუთვნებთ, მაგრამ მამაკაცის წარმოსახვის და აღგზნების ეროტიკის ღმერთია, მისი ნარკოტიკი და აუცილებელი ატრიბუტი.

8832. ღმერთის რეკომენდაციით გაჩენილ ქალს თუ თვალით საჭმელი და სულის გამაღიზიანებელი უკანალი, საკაიფო უბე და ყურებიდან დაწყებული ფეხები აქვს, მაშინ ამ მდედრის სიდარბაისლე და სიკეკლუცე ეჭვს არ იწვევს.

8833. არაორდინალური მამაკაცისთვის მთავარია ქალში მისი "თაიგული" შეიგრძნოს, შეაფასოს და სიამით დატკბეს, ორდინალური მამაკაცისთვის მთავარია ამ მდედრის თავისი სიამისთვის მოხმარება, სხვა რამ მას ქალში არც აინტერესებს და არც უნდა.

8834. გარყვნილებაა, როდესაც ჟინს იკმაყოფილებ, ხოლო, როდესაც – ხორცს, მას ეროტიკული მკურნალობა უნდა ერქვას.

8835. მე ბრწყინვალე ცოლი მჰყავს, მას კი მესამე და ისიც ბრწყინვალე. ასეთია მამაკაცთა სოლიდარობა სიყვარულში ქალის მიმართ.

8836. ამბობენ ქალი და კაცი ვერასდროს გაუგებენ ერთმანეთს, რაც უნდა უყვარდეთ ერთმანეთი. ისინი უბრალოდ ერთმანეთს ეგუებიან.

8837. შეიყვარო – ეს ხელოვნებაა, ის ხელოსნობას არ ექვემდებარება.

8838. "ცისფერების" აზრით ძალზე გაუგებარი და გაფუჭებული ხალხი ცხოვრობს ამქვეყნად: "ერთმა მამაკაცმა მეორე მამაკაცს გულის გადასახალისებლად კვირაში ერთხელ უკანალი რომ აჩუქოს ხურუშიანს ეძახიანო".

8839. კოცნა მსახიობისთვის სამსახურებრივი საქმიანობაა, რეჟისორისთვის ქომაგობაა, მამაკაცი სიამეს განიცდის, მხოლოდ ყმაწვილისთვის არის ამბორი საამო გაგებით და საკაიფო.

8840. სიცოცხლეში მთავარია კოლექცია გაუკეთო მხოლოდ ცხოვრების ლამაზ წარსულს, თუ გინდა დიდხანს და ბედნიერად იცხოვრო.

8841. აჩვენო სექსი ან ტიტველი ქალი, ისე რომ მაყურებელმა უხერხულობა არ შეიგრძნოს, დიდი ხელოვნებაა. ბიზნესისთვის ხელობაა. ასე რომ ხელოვნება და ხელოსნობა იძულებულნი არიან იმეგობრონ.

8842. ცოლ-ქმარს შორის კვირაში ერთხელ "ხიფინგი" თუ არ ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ სიყვარულს წერტილი ესმება და ახალი ხელშეკრულების დადებას სიყვარულზე არავინ ცდილობს.

8843. ბორდელი ჟინის წამახალისებელი ორგანიზაციაა, რომელშიც მსახურობენ სექსუალური ფრონტის ჩუმი მებრძოლები, რომლებიც სიცოცხლეს ასე ახალისებენ და შენ შენი თავის წინაშე წარმოგაჩენენ. ასეთი სიამოვნებისთვის საზღაურის არგაღება უსინდისობაა.

8844. ასაკის მატებასთან ერთად სექსუალური ურთიერთობა უფრო მეტად პრეს-ტიჟული ხდება, თუნდაც იმიტომ, რომ საკუთარ შესაძლებლობებში რწმუნდები და ამაყდები.

8845. ერთთან სექსი მეცხრე ცაზე ყოფნას უდრის, ხოლო მეორესთან – ბინძური ტანის რხევას, რადგან ცხოვრებაც დანაკარგებისგან და შეძენისგან შედგება, ამ სიამოვნებაზე დაფიქრება არ ღირს, რადგან აქ ყოველივე შემთხვევაზე არის დამოკიდებული.

8846. ლურსმნის ჩარჭობა ჩაქუჩით და გასამრჯელოს მიღება, ეს ხელოსნის ხვედრია, მაგრამ იგივე ქმედება სექსის თვალსაზრისით ხელოვნებაა, რადგან ის მდედრის ვნების წარმოჩენას ემსახურება.

8847. პროფესიონალი ლამაზმანი მოწოდებულია მოუხსნას კომპლექსი მამაკაცებს, შეასწავლოს პრაქტიკული სექსოლოგია, ბრძოლისუნარიანი გახადოს და გააამაყოს

მამაკაცის ღირსება, გადაუხალისოს ცოლების მოყირჭებული სიყვარული, რათა უკეთ შესძლონ მათზე დაკისრებული გეგმური მოვალეობის შესრულება. ასე რომ მეძავები "სექსოპათოლოგის" მოვალეობას ასრულებენ და ცოლების და საცოლეების მადლიერება უნდა დაიმსახურონ, რადგან მათთვის განკუთვნილ მამაკაცებს მკურნალობენ და აკვალიანებენ.

8848. ახალგაზრდობაში შენს მიერ გაფეტიშებული "ფართო მოხმარების" ქალი თუ არ გნებდება, არც მისი ცოლად მოყვანაა რეკომენდებული სხვას რომ აჯობო და შენი ხოში გაისწორო, რადგან მისი სექსუალური განათლება, ხასიათი, მენტალიტეტი თქვენს ცხოვრებისეულ გაუნათლებლობას, სიბრიყვეს და არამტკიცე ხასიათს ვერ აიტანს.

8849. რაც უნდა მორალური უსაფრთხოების სადენები იცავდეს ქალ-ვაჟის ურთიერთობას, მათი ერთად დატოვება საშიშია, რადგან შემთხვევითი და აუცილებლობის კანონი არ გამორიცხავს დადებითი და უარყოფითი ფაზების ჩახუტებას და წყვილების აუცილებელ აღგზნებას, თავდავიწყებას, ავარიას და ახლობლების განაწყენებას.

8850. რატომღაც მამაკაცს ქალის სანიტარული, ყველაზე ინტიმური და ბინძური ნაწილები აღაფრთოვანებს და იზიდავს, ამ ანტისანიტარიაში ეტყობა მამაზეციერმა დიდი, კაცობრიობისთვის შეუცნობი სილამაზე ჩადო.

8851. დანაშაული ის კი არ არის, რომ გინდა ქალს დაეუფლო, დანაშაულია, როდესაც სურვილი გაქვს და არაფერი არ შეგიძლია, ქალს თავს აბეზრებ და გონებას ურევ შენი სექსუალური შესაძლებლობებით.

8852. ეროტიკა და სექსი ღმერთისგან მომადლებული ნიჭია და მისი დამსახურებაა, მაგრამ ბრბოს, როგორც ყოველთვის, მადლიერების გრძნობა არ გააჩნია და შემოქმედის ნაწყალობების კრიტიკას და აუგად მოხსენიებასაც კი ბედავს.

8853. პროფესიონალი ბოზის პროფესია ბროკერივით დიდ შრომას, შემართებას და თავისებურ ხელოვნებას მოითხოვს, რადგან ძნელია ამდენი სხვადასხვა ჭკუის, გაგების, ალკოჰოლით გაბრუებულ კაცუნებთან საერთო ენა გამონახო, ასიამოვნო და თანაც სარფიანად ივაჭრო.

8854. სექსუალური აგრესია პოლიტიკურისგან იმით განსხვავდება, რომ პირველი შენი თავხედობის საბოლაოდ კმაყოფილია, ხოლო მეორეს ტრაბახის და და პირების გარდა არაფერი უღონია.

8855. „დაგერხა, შე ოხერო, მექალთანევ!" ამას რომ მამაკაცს მიაძახებენ, ამით მას ქალები ნიშნს უგებენ, მაგრამ ყველა მდედრი დიდი სიამოვნებით შეუნახავდა ასეთ კაცს ვაკანსიას თავის გულში.

8856. როდესაც ბევრი სექსია პრესაში, ტელევიზიაში, ნაკლებად შედეგიანია ლოგინში, ის პარტნიორებს თავის წარმოჩენის მიზნით ცუღლუტობას აჩვევს, ბუნებრივი სიამოვნებისა და მუსიკის მოსმენის ნაცვლად, სავალდებულო სექსუალური გამების შესრულებას გვაიძულებს.

8857. ფემინიზმისკენ მიმავალი ქალების მოდგმას, როდესაც მამაკაცის გამოყენება დანიშნულებისამებრ მობეზრდებათ და სრულყოფილი ფალოსი მოსახერხებელი

ელექტრონიკით აღიჭურვება, ეს იქნება უსუსური მამაკაცის ხსნის და ქალის პატიოსნების შენახვის გარანტია.

8858. სქესობრივი სიამოვნება ისე ხანგრძლივი რომ იყოს, როგორც ნარკოტიკული, ეს სიამეც მავნებელი იქნებოდა და საზოგადოების ბჭობის საგანი გახდებოდა.

8859. სამსახურებრივი რომანი პროსტიტუციის სახეობაა, მხოლოდ უფრო მაღალი ჟღერადობით და მომავლის პერსპექტივით.

8860. ეროტიკასა და პორნოგრაფიას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თავზე პატარა ხელის აღების და უკეთესად ცხოვრების მცდელობაა, მეორე – თავზე დიდი ხელის აღება და სურვილი სარფიანი კარგი ცხოვრებისა.

8861. სპარტანული სექსი შეიძლება სიყვარულის ერთ-ერთ ვარიანტად აღიქვათ, რადგან წყვილების ურთიერთმოწონება არავითარ კანონზომიერებას და საღ აზრს არ ემორჩილება.

8862. შეუხედავ ქალებთან სექსუალურ ურთიერთობას მარტო სიმთვრალის და ჩვენი გულკეთილობის ალიბს თავს ნუ მოვახვევთ, მთავარია ის, რომ თქვენ მამაკაცი ხართ, ქალში ცდილობთ თანდაყოლილი ხიბლის აღმოჩენას და რაც მთავარია, მამრის მოვალეობა სწორად გესმით.

8863. ხვადების ინტერნაციონალურ სოლიდარობას და მდედრის ხელოვნურად შექმნილ კაპრიზს, ერთმანეთის ქიშპობის საფუძველზე, საზღვარი არა აქვს.

8864. წინათ ქალიშვილებს თავიანთი პრინცის კოცნა აცოცხლებდა, დღეს ამ ელექსირის როლს ქალებისთვის ამერიკული დოლარიც ახერხებს.

8865. როდესაც რეპორტიორი და მეძავი ინტერვიუს თაობაზე საუბრობენ, უნებლიედ მათი ღირებულების დადგენა გაწუხებთ და უპირატესობას მაინც მეძავს აძლევთ.

8866. რა ჰქნან ლამაზმანებმა, ხან "ცისფერები" ართმევენ მამაკაცებს და ფულსაც იქით უხდიან, სვინგერობის ბარტერმაც გააწყალა გული, მრავალცოლიანობის მოდაში შემოსვლა ფულიანი მამაკაცების დაკარგვას იწვევს, ნარკომანი სახსრების გარეშე ტოვებს მათ. ამას ემატება გასაბერი ქალების რეკლამა და ტელევიზიის ეროტიკული პროგრამა, რომელმაც მამრები თვითმომსახურებაზე გადაიყვანა. ამ სულიერი კრიზისისა და კონკურენციის პირობებში კიდევ კარგად ღაფავს სულს ეს კაცობრიობის უძველესი პროფესია და მისი მოჰიკანები.

8867. ბოზი შეიძლება იყოს მოწოდებით და ბოზი აუცილებლობით – აქ აღზრდა არაფერშუაშია, ყველაფერს შექმნილი სიტუაცია წყვეტს.

8868. "ჰომო საპიენსს" სიტყვა "მე შენ მიყვარხარ" მრავალმილიარდჯერ აქვს ნათქვამი, სხვადასხვა ქვეტექსტით და ცხადია, პლაგიატთან საქმე არა გვაქვს, რადგან მდედრისკენ ლტოლვას ყველა თავის სულს უდგამს და თავისი შესაძლებლობებით ახერხებს.

8869. მომავალ თაობას აინტერესებს პეტრე პირველის აფექტური მდგომარეობა, როდესაც მისი ბრძანებით თავმოკვეთილი საყვარელი ქალის ტუჩებს დააცხრა და არა – ამ ქალის სულიერი მდგომარეობა ჯალათის კუნძის წინაშე.

8870. სექსუალური სიყვარულის სწავლება კი არ არის ბარბაროსობა, არამედ გადაგვარებული სექსის სახესხვაობების ჩვენება, რომელიც საზოგადოებრივი აზრის შეგუებას და შენიღბული თანხმობის მიღების ვექსილის წინამორბედია.

8871. ლამაზმანებთან დროსტარება არ ნიშნავს, რომ ცხოვრება თქვენი სურვილისამებრ განვლეთ, თუ მას საყვარელ ქალთან უღლის დადგმით წერტილს არ დაუსვამთ.

8872. ხელოვნის ხელში ეროტიკაც და სექსიც ესთეტიკურია და შეიძლება ის ხელოვნების უკვდავ ქმნილებად მოგვევლინოს.

8873. დღევანდელი ფემინიზმი სექსთა შორის თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლის საბაბია, ამ სისულელეს იქამდე მივყევართ, რომ მოხერხებულ მამრთა მოდგმას კიდევ უფრო გავაყალთაბანდებთ და გადავაგვარებთ, ამით ისევ მდედრთა მოდგმა დაზარალდება.

8874. მდედრთან ხელის ფათურში ექიმი ფულს იღებს, "სტრიპტიზიორშას" უფუ-ლოდ თვალსაც კი ვერ შეავლებ, "პუტანისთვის" ფულის გადაუხდელობა გაუპატიურებად ითვლება, თუ ახალგაზრდა ქალი ქალიშვილი შეგხვდა, ცოლობა უნდა შესთავაზო. მდედრთან ურთიერთობის რებუსში ყველაფერი თავიდან არის გასარკვევი, რადგან ცხოვრება რასაც უნდა იმას გვახვევს თავზე, ხოლო ტაბუს ახსნა ყველაფერს და მათ შორის, მორალსაც, თავდაყირა აყენებს.

8875. მეძავის არაპრესტიჟული პროფესია პრესტიჟულად გადაიქცევა თუ ის პროფესიონალია, აქვს მოწყობილი სამუშაო ადგილი, უზრუნველყოფილია მაღალი ჰონორარით, ჰყავს კერძო სექსუალური მკურნალობისთვის განწყობილი მუდმივი კლიენტურა, ხოლო პაციენტების დაკარგვის დაისზე, იმდენი გონიერება – ყოფნის, სამუშაო შეიცვალოს და ოჯახი შექმნას.

8876. სექსში რომ კომპიუტერი და სხვა შუამავალი ჩაერევა, მაშინ სიამოვნება ონანიზმად გადაიქცევა, წყვილი – კი გასაბერ თოჯინად, რადგან შეწყვილება გრძნობამოჭარბებული რომანტიკის გარეშე არ არსებობს, თუნდაც იმიტომ, რომ საქმეში ყოვლისმცოდნე, უსულო ელექტრონიკა ერევა.

8877. არავის არა აქვს უფლება მისთვის განკუთვნილი ცხოვრების მინიმუმი მოიკლოს, თუ ეს ქალთან ურთიერთობას ეხება, ეკონომიკის თვალსაზრისით რაც უნდა გამართლებული იყოს, რადგან ამ დაკარგულ სექსუალურ წლებს ვერავითარი ფულით ვერ აანაზღაურებთ.

8878. ქალის აღგზნების ერთ-ერთი საშუალებაა მოზრდილი პენისი და დიდი თანამდებობა, ეროტიკისთვის კი ფულიც საკმარისია.

8879. ზოგიერთ ბალერონს ძირითადად ნიჭი ასაჭურისებს და არა ქალისადმი ტრფობა და მისი ხელით ტარება.

8880. სჯობს მდედრი ლამაზმანი იყოს და რაღაც სარგებელი მოჰქონდეს, ვიდრე შინაბერა – თავისთვისაც და მამაკაცთა მოდგმისთვისაც გამოუსადეგარი.

8881. მამაკაცი ვალდებულია თავისი იარაღი ყოველთვის წესრიგში იქონიოს, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს ქალი დაიცვას ყოველგვარი დეპრესიისა და უიმედობისგან.

8882. მამაკაცი თანახმაა ქალი ყველა ძაღლისგან დაიხსნას, საკუთარი საძაღლის გარდა.

8883. ქალთა დღესასწაული მამაკაცებმა მორიგი ქალების დაჭაშნიკებით უნდა აღნიშნონ, მაგრამ ალკოჰოლის მიღების შემდეგ ქვემდგომებს არ უნდათ, ზემდგომებს არ შეუძლიათ და ყოველივე თავის გზით მიდის.
8884. სიყვარულისთვის გაჩენილი ქალი მუდამ თავის დამფინანსებელი მამაკაცის და მომავლის პერსპექტივის ძებნაშია.
8885. საზოგადოებისთვის ბოზი ერთეული ხვადების მოუწესრიგებელი ტემპერამენტის მსხვერპლია, ხოლო ლამაზმანისთვის ყველაფერში მოუწესრიგებელი საზოგადოებაა დამნაშავე, სადაც ნამდვილი მამაკაცების ოდენობა თანდათან კლებულობს.
8886. ზოგიერთი ქალი საყვარელს ქმართან არ ღალატობს, რისთვისაც ქმრის მისდამი გულგრილ დამოკიდებულებას იყენებს.
8887. ქალიშვილს კი ახსოვს, რომ კარგ ოჯახშია აღზრდილი, მაგრამ მამრისკენ ლტოლვა ყოველთვის ოჯახს და აღმზრდელებს ვერ გაახსენებს.
8888. ზოგიერთი ქალის სხეულისთვის მამაკაცის ფულიანი ჯიბეა ყველაზე მეტად აღმგზნები ნაწილი.
8889. ქალს თვეში ერთხელ მაინც უნდა სთავაზობდეთ ახალ სექსუალურ „მენიუს," რათა ის იმდენად კმაყოფილი, გაოცებული და მოხიბლული დარჩეს თქვენით, რომ მომდევნო კვირაში ფართომოხმარების სექსს დაგჯერდეთ.
8890. სექსი შესაძლებლობის ფაქტების ჯამია და ის მელოდრამას და „დღეს ხასიათზე არ ვარს" ვერ იტანს.
8891. ხანდახან წარმოსახვითი სექსი უფრო უკეთეს ერექციას იძლევა, ვიდრე შენს გვერდზე მწოლი დედიშობილა ქალი.
8892. ეროტიკასა და სექსში მთავარი მორალია, რომელიც თაობებს, ტრადიციებს, გონიერებას, ყველას თავისებურად ესმით.
8893. სექსი წარსულის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი გადმონაშთია, რომელიც დროთა განმავლობაში იმპროვიზაციის გამეორებას მოითხოვს.
8894. ქალს იმ შემთხვევაში შეუძლია მამაკაცის კაცად ქცევა, თუ მამრის სექსუალური ლტოლვა ქალის მოთხოვნილებებს ემთხვევა.
8895. რეკლამა თავისებური ფასიანი მიპატიჟებაა სექსზე, ოღონდ არა – ლამაზმანის.
8896. ბორდელი უკანასკნელი იმედია მამაკაცის ღირსებით დევალვირებული მამრეობისათვის.
8897. გარყვნილებით გატაცება ხელოვნებაში უფრო უგუნურების ვირუსის დამსახურებაა, ვიდრე ეროტიკისა და სექსისადმი მიდრეკილების.
8898. ყველაზე ძნელი იმ ქალის დაპყრობაა, რომელსაც სექსუალური მოთხოვნილება მიძინებული აქვს.
8899. მექალთანე პროფესიული რისკის და მცდელობის გარეშე თავის სახელს ჰკარგავს.
8900. სექსში ადამიანს ოცნებაც და ამოცანებიც განსხვავებული აქვს, მაგრამ იშვიათად თუ მის მცირე ნაწილს მაინც ასრულებს.
8901. მამაკაცის ასაკს მისი სექსუალური შესაძლებლობა განსაზღვრავს, ქალისას – მისი სექსისადმი დამოკიდებულება.

8902. ქალის გულის მონადირება თუ გინდათ სექსიდან თავისუფალ დროს, საწოლში, ცხოვრების ამოუხსნელ ინტეგრალებზე არ უნდა ელაპარაკოთ და მისი სიამოვნების საქმეს დროულად მიხედოთ.

8903. ბანკირმა შესაძლებელია ქალის სექსუალური მოთხოვნილებები უფრო დააკმაყოფილოს, ვიდრე ფინანსური.

8904. ბიოლოგიური ფენომენი არა მარტო სექსია, არამედ აქტის ჩასატარებლად გამზადებული მდედრის გამოწვევა, თავის მომხიბვლელობით და სასიამოვნო ბუნებრივი სურნელით.

8905. თუ ფულით სიყვარულს ვერ იყიდი, ჯანმრთელობას ხომ მაინც გაიუმჯობესებთ მოთხოვნილების დაკმაყოფილებით.

8906. თეორიულად უსაფრთხო სექსი შენ ცოლთან ჭუკ-ჭუკი და სხვისი ცოლის წარმოდგენითი სექსუალური დაჭაშნიკებაა, მაგრამ პრაქტიკა თეორიის დასკვნებზე პასუხს არ აგებს.

8907. ყველა ქალის ოცნებაა მამაკაცი პირველი სამი განზომილებით: თანამდებობა, სიმდიდრე და სიამოვნების მინიჭების უნარი, ხოლო მამაკაცის პირველი სამი სურვილია: საკუთარი მეძავი ლოგინში, დიდებული დიასახლისი სახლში და დედოფალი საზოგადოებაში.

8908. ხელოვნება კი ხალხის საკუთრებაა, მაგრამ სექსუალური ხელოვნებით პურს მისი მცოდნენი ჭამენ თავისი შესაძლებლობებით, განმარტებებით და შეხედულებებით.

8909. სიჭარმაგეში ქალებთან ფლირტი გვიყვარს იმ საზღვრებში, რომლის დარღვევას არც ვაპირებთ და ვერც ვახერხებთ.

8910. როდესაც მამრი ქალს შეიგრძნობს, ლაღობს, ხოლო როდესაც მასზე ფიქრით ერთობა, ხვადობის დევალვირებაც აქედან იწყება.

8911. ხვად მამაკაცს სექსის ყადრის მცოდნე დედაკაცი არ გაექცევა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ხვადი სხვა ქალს მთლიანად ხელში არ შერჩეს.

8912. სექსუალური კომედიაა, როდესაც ერთ ქალს ეთამაშები, ცოლს ეგლახავები და ამ დროს შენს ახალ ფეტიშზე ფიქრობ.

8913. ზოგ ლამაზმანს მრავალ საწოლზე უხდება მოღვაწეობა, მას ამ საქმიანობას ხელოვნებად კი არა, შრომადაც არ უთვლიან და ის კი არ ესმით, რომ მომსახურებითი სექსი შრომაა და სიამოვნების იმიტაცია.

8914. ზოგჯერ ლამაზმანი ბებიის ვალი შვილიშვილის გენის გადასახდელი ხდება.

8915. ქალის ალტერნატივად სექსში მამაკაცი არ უნდა მოგვევლინოს, რის შედეგადაც იწყება ცივილიზაციის ნგრევა, ძირძველი სახელმწიფოების და ხალხის გაქრობა-გადაშენება.

8916. სხვის საწოლში ყოფნა გეხამუშება, მაგრამ არა სექსუალური ქალის სარეცელში.

8917. ცოლის კმაყოფაზე მყოფი მამაკაცი და დედლის კვერცხის დადებაზე ყივილის ამტეხი მამალი ერთსა და იმავე სექსუალური და მორალური პრინციპების წინაშე დგანან.

8918. ზოგჯერ სექსუალური შანტაჟი აუცილებელია პარტნიორის მოსაპოვებლად და დასაბმელად.
8919. მამაკაცია ის, რომელსაც ქალი ხიფინგის დროს ეხვეწება, მეტი აღარ შემიძლია, გვეყოფა, დაისვენეო და შედეგით ორივე კმაყოფილია, რადგან კაცმა ვნება დაიკმაყოფილა, ქალმა გაოცება – „ნუთუ ჯერ კიდევ ასეთ კარგ ფორმაში ვარო".
8920. ქალი მამაკაცისთვის იმ ასაკისაა, როგორსაც სექსის დროს აღიქვამს, ხოლო ქალი იმ ასაკს ეთამაშება, რომლის დროსაც მამრს შეუძლია გრძნობების კორიანტელი დაახარჯოს.
8921. ქალს მოღალატე მამრების მიმართ გონიერება მართებს, თუნდაც იმიტომ, რომ მთლად წესიერები სექსის მწვერვალზე ვერ აგიყვანენ. ამასთან, მამაკაცს პრეტენზიები მაშინ უნდა წაუყენო თუ მის შემცვლელს დაიგულებ.
8922. ამბობენ, სექსი ღარიბების, დაბალი ინტელექტის მქონე ხალხის პრივილეგიაო, გართობა – თავქარიანების, უსაქმურების, ხოლო სიყვარულისთვის ყველა ზემოთ აღნიშნული მეორადი ჰობია, რომელიც დროთა განმავლობაში აუცილებელი კომპონენტი ხდება მის გადასახალისებლად.
8923. სექსში მამაკაცისთვის სიამის ყველაზე მეტად მომგვრელია ქალის ბედნიერი თვალების დანახვა და იმის შეგრძნება, რომ ის ამჯერად ხვადი იყო.
8924. ბუნებით დონჟუანს საპატიო ასაკი ხელს არ უშლის ქალის გაარშიყებაში, რადგან თუ არაფერი შეუძლია, გულს მაინც აიჩქროლებს, სხეულს გააახლებს და სულს გაახარებს წარსულ დღეთა მოსაგონებლად.
8925. ისეთი ქალის მონახვა, რომელსაც ქმრისთვის არ უღალატია, შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ ერთხელ რომ ეღალატოს, შეუძლებელი ან უბრალოდ არ გაუმართლა.
8926. მექალთანესთვის ყველა ცეკვა ვერტიკალურად სიარულია, ჰორიზონტალური სურვილებით.
8927. სექსი წყვილთა მოვარდნილი გრძნობების აფეთქების შედეგია, სადაც ტვინი პასიურ მონაწილეობას იღებს და ის აგონიაში მყოფ ადამიანთა როკვას მოგვაგონებს, რომელთა გრძნობების გადმონთხევას ორგაზმი დროებით წერტილს უსვამს.
8928. ქალმა ერთხელ ასწავლა მამაკაცს მდედრთან ურთიერთობა, ხოლო მამრი ამის სანაცვლოდ მთელი ცხოვრება მათ სიამოვნებას და განათლებას ემსახურება.
8929. სექსზე უნდა ვილაპარაკოთ, ვიჭუკჭუკოთ, ოღონდ ხელების ფათურის გარეშე, მაშინ მივიღებთ ეროტიკული ჟღერადობის სპექტაკლს და არა გაშანშალებულ სექსს სცენაზე.
8930. ახალგაზრდების აზრი ჭარმაგისას იმიტომ არ ემთხვევა, რომ ჯეელების მამაკაცური ღირსების ძრავის ქანქარა ამის საშუალებას არ იძლევა.
8931. სექსი, რომელიც სიყვარულის მანტიაში არ არის გახვეული, ზოგჯერ მოსაბეზრებელიც ხდება და შეიძლება ზიზღიც გამოიწვიოს, ხოლო ნამდვილ სიყვარულს სექსი თავად აეკიდება, რათა მთელი ცხოვრება სიამეში გახვეული გაატაროს.
8932. მექალთანის ბუნებაა, შეუძლია თუ არა ქალებში უნდა იტრიალოს და სექსუალური გმირობის ადგილები მოინახულოს.

8933. ნაზი ხმით სექსუალური ყივილი და ვნებიანი თვალების შემონათება გარანტიაა პარტნიორის გულის მოგებისაც და უმადურობის გრძნობის ჩასახვისაც.
8934. მოდა მიდის და მოდის, მაგრამ მდედრის და მამრის ურთიერთობის მოდას ყავლი არ გასდის და არ ძველდება, მიუხედავად სექსოპათოლოგების მომრავლებისა.
8935. პორნობუმერანგი მოზრდილი მკერდი, გავაა და ჯანიანი ფეხების ამაღელვებელი ფარფატია, მაგრამ ფულის გარეშე ეს ბუმერანგი უკან დამბრუნებელი არ არის.
8936. ხშირად მამაკაცის საუბარი სიყვარულზე გამოძალვის ტოლფასია, რადგან მისი სიტყვების რახარუხის მიზანია დროებით იმის მითვისება, რაც მამაკაცს ასე ახელებს და სექსი ჰქვია.
8937. იმ ასაკს არაფერი სჯობს, როდესაც გული ქალისკენ მიგილტვის და ფეხებს დაუკითხავად მიჰყავხარ.
8938. ყველაზე დიდი სიამის მომტანი ჰარმონიული, თვითმყოფადი სექსია და მისი შეცვლა სხვა სიამოვნებით, დროს გაცდენა, დანაშაული ან პათოლოგიაა, რომელსაც მკურნალობა, შეგონება კი არა, ჯოხი სჭირდება ჭეშმარიტების გზაზე დასაყენებლად.
8939. უძველესი პროფესიები: პოლიტიკა და პროსტიტუცია, მათთვის გასაგებ თავისუფლებას და საზოგადოების პატივისცემას მოითხოვს, მაგრამ თუ პირველი ხალხს ენის ლაქლაქით და შეუსრულებული დაპირებებით ემსახურება, მეორე ამას სხეულის მიგვრით და სიამის მინიჭებით ადასტურებს.
8940. ასაკი სიყვარულს უკეთ ხედავს ვიდრე შეიგრძნობს, რადგან სექსს სულის ეროტიკა ჩაენაცვლება.
8941. სექსში დიდოსტატობა ერთეულთა ხვედრია, თორემ ეს რომ პირიქით იყოს, ოსტატებით და თანრიგოსნებით გადაჭედილი სამყარო დაიქცეოდა, რადგან ყველა ამ სიამოვნებას გადაყვებოდა და სარჩოს მოსაპოვებლად ვერავინ მოიცლიდა.
8942. ზოგჯერ მდედრს თუ ეროტიკული გახდის მაგიერ, ეროტიკულად ლამაზად ჩავაცმევდით, ამ შემთხვევაში, მაცქერალი გაცილებით მეტ ეროტიკულ სიამოვნებას მიიღებდა.
8943. სექსი არის მამრის სექსუალური შოვინიზმის შეგრძნების მოძალებული ენერგია და სულის და ხორცის დაწყნარების ელექსირი.
8944. დღეს ჭამა და სექსი სიამოვნებაზე გადაყოლა კი არ უნდა იყოს, არამედ ფიზიოლოგიური აუცილებლობა, რადგან სიამოვნება, რომელიც ჯანმრთელობას ვნებს და სიცოცხლეს გვიმოკლებს, დაგეგმარებას და ზომიერებას მოითხოვს.
8945. სილამაზე დამთრგუნავი, საშინელი ენერგია, ძალაა, მაგრამ მამოძრავებელი მაინც სექსია.
8946. ინტელექტუალური ავანგარდული სექსის მისაღებად საჭიროა ჩვენი აზროვნების გატიტვლება დაუფარავად.
8947. სექსი შრომისუნარიანობას და ინტელექტს აუმჯობესებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მძიმე შრომას განეკუთვნება. სიამოვნება და შრომა ორთავე უარყოფითი

მუხტითაა დატვირთული, მაგრამ მათი შეერთება მაინც აღმაფრენის პლუსებად გადაიქცევა.

8948. სექსი არის ურთიერთობა, ხელოვნება, ეთიკა, კომუნიკაციის აქტი, ბოლოს უდიდესი სიამოვნება და გრძნობების ამოფრქვევა.

8949. დაუმადლებელი უპასუხისმგებლო სექსი ფულმა იცის, დანარჩენ შემთხვევაში ყველასთან ვალში ხარ და პასუხისმგებელი.

8950. ინტიმი ერთისაა, ინტიმურობა ორის, სექსს მრავალი ესაკუთრება და ის მათი გონების და აფორიაქებული გრძნობების საჭუკჭუკო გადაუჭრელი საკითხია.

8951. სექსი ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვედრის ტოლფასია, სადაც წყვილი ერთმანეთს უნდა შეეფერებოდეს და გრძნობდეს, რადგან რასაც ერთმანეთში აღვივებენ, იმასვე იმკიან. ამასთან სექსი ის ერთადერთი მეცნიერებაა, სადაც წყვილების უვიცობა და შეცდომები მათივე ინიციატივით უნდა გამოსწორდეს, სხვის დაუხმარებლად.

8952. სექსუალურებად არა მარტო იბადებიან, არამედ ხდებიან კიდეც, თუ გაუმართლათ და კარგი ძუკნების და ხვადების ხელში გაიარეს.

8953. მონოტონური სექსი, მონოტონური ოჯახური ცხოვრება მამაკაცის სექსუალურ შესაძლებლობებს აქვეითებს, ხოლო ქალი მოვალეობის მოხდამდე დაჰყავს.

8954. პატარძლების ბაზარზე ძუები უფრო ადრე ამთავრებენ სიყვარულს და სექსუალურ კარიერას, ვიდრე დაუდგრომელი ხვადები.

8955. სექსუალური უმცირესობის და ნარკომანების მომრავლებას ის ხეირი მოაქვს, რომ მათთვის განკუთვნილი ძუკნები ნამდვილ ხვადებს დარჩებათ დასაჭაშნიკებლად.

8956. მორალის სიახლეა, გახალისებაა, თუ მდედრთან ახალი სექსუალური ტექნიკის ათვისებას ყველას მოსდებთ, თავს მოიწონებთ, რომ ეს ხელოვნება თქვენ საიდუმლოდ შეისწავლეთ და ამში დიდი ფულიც გადაიხადეთ.

8957. ღალატი და მეძავეობა სხვადასხვაა და ეს ორივე ცნება სექსის პრეროგატივაა. პირველი სურვილის დაკმაყოფილებაა, ხოლო მეორე პროფესიაა, ცხოვრების წესია და აქ მორალზე საუბარი მიუღებელია, რადგან ყველას თავის გაგება და დემაგოგიური სიმართლის თავისი ალიბი აქვს.

8958. ის კი არ არის დანაშაული, იყო სექსუალურად აღმამფრენი და ეროტიკულად მომხიბვლელი, არამედ შენი შესაძლებლობების გამომზიურების არცოდნა, რომელიც ვულგარულად გამოგდის, პორნოგრაფიას ემსგავსება და ქვენა გრძნობების გადაგვარებულ სურვილებთან ასოცირდება.

8959. თავდავიწყებული სექსის გარანტი სიყვარულით შეწყვილებული პარტნიორია, ხოლო დანარჩენთან ურთიერთობა დამოკიდებულია წყვილის შესაძლებლობებზე და მორალზე.

8960. სექსი იგივე თეატრია, სადაც ახალი მიმართულების ძებნაში მსახიობი, რეჟისორი, პიესის ავტორი, პროდიუსერი და თვით მაყურებელიც თვითონ ხარ, რადგან შენ როგორც ხელოვანი მოწოდებული ხარ, პარტნიორი სექსუალურ ორბიტაზე გაიყვანო.

8961. სექსი მაღალი ძაბვის ენერგიაა და ახალგაზრდას შეუძლია ჯანმრთელობის გაუფრთხილებლად უყაირათოთ ხარჯოს, რადგან დამუხტული სექსუალური ენერგია განტვირთვას მოითხოვს.

8962. ხვადის ვალია მდედრის ეროგენული ზონების მონახვა, სექსუალური წარმოების ამუშავება და სიამის მინიჭება, ხოლო ქალის – ამ საქმეში ხელის შეწყობა და თვალზე მადლიერების ცრემლის აციმციმება.

8963. დამორცხვებაა გადამეტებული სექსუალური ცნობისმოყვარეობა. კიდევ კარგი რომ ეს დილემა ყოველთვის იყო და არის წყვილთა ურთიერთობაში.

8964. ქალის სექსუალობაა მთავარი, თუ მამრის სექსუალური შესაძლებლობა?! ალბათ ეს უკანასკნელი, რადგან პირველი მაშინ ახსენდებათ, როდესაც მეორეს უჭირს.

8965. სექსი აზრის, სულის, ნერვების თამაშია, სადაც ყველაფერს წყვეტს ერთი მოხერხებული ღიმილი, ოხვრა, თვალის დაჟუჟუნება და ნეტარების განცდის ჩვენება.

8966. სექსის ხელოვნების სწავლაც შეიძლება, მაგრამ აქაც ზევიდან დამადლებული ნიჭი და შესაძლებლობაა საჭირო და მერე როგორი, რომელიც თვით გენიოსებსაც შეეხარბებათ.

8967. ქალი, სექს-ყუმბარა, იშვიათად ნახულობს ყუმბარამდგრად მყუდრო თავშესაფარს ოჯახის სახით, იმდენად დიდია კონკურენცია, ცდუნება ამ ყუმბარის ხელში ჩასაგდებად.

8968. სიცილს, ღიმილს, თვალების დაჟუჟუნებას, მოხდენილ სიარულს, ჯდომას, არც მთარგმნელი სჭირდება და არც რედაქტორი, რათა მისი წაკითხვით აღვფრთოვანდეთ და სიამე განვიცადოთ.

8969. ჩვენთვის განკუთვნილი წამები შეიძლება საათებად ვაქციოთ, თუ ქალის ალერსს ვისწავლით და შევირგებთ.

8970. თუ შენ უცოლოდ აპირებ ამქვეყნიდან გაპარვას, მაშინ მოძმეზეც ხომ უნდა იფიქრო, რომელიც იძულებულია შენი საქმე აკეთოს და შენთვის განკუთვნილ მდედრს გაეთამაშოს.

8971. სექსი 50 წლამდე მამაკაცებისთვის აქტიური სპორტია, 60 წლამდე მწვრთნელის სტატუსში გვევლინება, 60 წლის შემდეგ ეს სპორტი ხელოვნებად გადაიქცევა, რათა მეუღლის მომსახურების სავალდებულო მინიმუმს რაღაც ხერხებით თავი აარიდოს.

8972. საპირისპირო სქესების განსჯის საგანია, თუ რა სახის მკერდი მოსწონს მამაკაცს, როდესაც თვალი ზომას ვერ აღიქვამს, მას ხელის გული ცვლის, ხოლო ვნებისთვის ყველაფერი სულერთია, ამ მდედრის დაპყრობის გარდა.

8973. ქალის გავა, მკერდი და უბე საუკეთესო რეკომენდატორია სიყვარულის პარტიაში გასაწევრიანებლად, ხოლო თუ მას მომნუსხველი ღიმილი, თვალების ნაბვა და ყურებიდან დაწყებული ფეხებიც ემატება, ის თავადაა პარტია და ყველა ოჯახის პრემიერმინისტრობისთვის არის გამზადებული.

8974. მდედრის ყველანაირი სილამაზიდან ყველაზე მეტად მკერდი იმსახურებს კრიტიკას და თვითკრიტიკას მისი მფლობელის თვალში, სანამდის გაირკვეოდეს, რა

გემოვნების, ინტელექტის, ფინანსების მქონე მამრი დაადგამს თვალს და რა ხასიათზე დააყენებს ამ სიმდიდრის პატრონს.

8975. სასურველია მდედრი იყოს უკომპლექსო, ან შეეძლოს საკუთარი თავის სასარგებლოდ გამოყენება, რადგან ქალისთვის მთავარია, როგორ მიაწვდის თავს ირგვლივმყოფ მამაკაცებს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მამრის ოცნების ქალად ეს ქალი ვერ იქცევა.

8976. სექსი არა მარტო სიამოვნება და წყვილთა შერწყმაა, არამედ ვერაგობის იარაღიცაა, არაკაცობის ჩასადენად.

8977. მამაკაცისთვის ძალზე ინტიმურია, როგორი ქალი მოსწონს სინამდვილეში და სხვის გასაგონად.

8978. ბინძურ აზრებად ითვლება თუ სექსზე ფიქრობ, წმინდად – თუ სიყვარულზე, ერთგულებაზე, არადა, ერთმანეთის გარეშე არცერთს მომავალი არა აქვს, რადგან ჭუჭყი და სისუფთავე განუყრელია.

8979. ფიზიოლოგიური პროცესები სასიამოვნოა, მაგრამ სულს არ უნდა ეზიზღებოდეს, ამიტომ სული და ხორცი ერთმანეთს უნდა მოვარგოთ, შევარიგოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანი გადაგვარდება და ადრე დაიღუპება.

8980. ხელოვნება იგივე მსუბუქი ყოფაქცევის დედაკაცია, რომელიც სხვისი მოთხოვნილებების იმდაგვარ დაკმაყოფილებას ცდილობს, როგორც თავად წარმოუდგენია, ამით განიცდის სიამოვნებას და იღებს მატერიალურ სახსარს.

8981. მთელი ჩვენი სამყარო სექსით არის გადატვირთული, მასში აშკარა გარყვნილებას მხოლოდ ადამიანები ეწევიან, რომლებიც კვდებიან და კვლავ ფენიქსივით აღდგებიან, მხოლოდ ერთი მიზნით, რომ სექსს ეზიარონ და სამყაროს თავი დაამახსოვრონ.

8982. ქალი საჩუქრის გაღების და მიღების პრინციპით უნდა ცხოვრობდეს, თუ უნდა მას ეთაყვანონ და პატივი სცენ, რადგან ეს ქმედება გრძნობებაშლილი წყვილის ხვედრია.

8983. მამაკაცი არ უნდა იყოს ზომაზე მეტად ცივილიზაციით გაფუჭებული, გარყვნილებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

8984. სექს ლოდინი არ უყვარს, მის მოსაპოვებლად უნდა გაისარჯოთ, უკანალიც შეათამაშოთ, რათა თქვენი ტანის რხევის რეზონანსმა ვინმე მოხიბლოს, თვალი აუბას და თქვენი ხვედრი გახადოს.

8985. როდესაც ქალი მამაკაცს ეუბნება გეყოფაო, მამრისთვის მაინც კომპლიმენტია, რა ტონალობაშიც არ უნდა ჟღერდეს ეს გაფრთხილება.

8986. სექსი შეიძლება სულს არ აახლოვებს, მაგრამ სხეულისთვის ის მოთხოვნილებად იქცევა.

8987. სექსი ყოველთვის სასიამოვნოა, თუ სქესმა მისი გემო იცის და იცის პარტნიორს როგორ მოერგოს–გაეთამაშოს.

8988. წყვილისთვის მოხერხებული „სექსოდრომის'', საწოლის, მოწყობა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მთელი სახლის ავეჯით გაწყობა, რადგან ამ უკანასკნელს თვალი

ეჩვევა, დროთა განმავლობაში გამოცვლას მოითხოვს, ხოლო პირველის შეცვლას სხეული და სული ასე ადვილად ვერ ეგუება.

8989. რომ არ ჩაგთვალონ სუსტ პარტნიორად, სინაზე და ალერსი არ უნდა გადააჭარბოთ, მიუხედავად იმისა, რომ ქალთა უმეტესობას მოფერება ძალიან მოსწონს.

8990. კაცს სექსუალური შიმშილი ბუნებით თანდაყოლილი აქვს და აწუხებს, მაგრამ ეს ასე რომ არ იყოს, ის და მდედრი სქესის წარმომადგენლები უფრო დიდად შეწუხდებოდნენ.

8991. კაცი თუ ქალთან სასიყვარულო ნებივრობას ამთავრებს, მას ცალკე ურჩევნია ყოფნა, ქალს კი – პირიქით, იგი მაშინ ეკვრის კაცს, გამოსავალი – ერთმანეთს ანგარიში უნდა გაუწიოთ.

8992. ამბობენ ქალთან ერთხელ ინტიმური ალერსი საშუალოდ 5 კმ მანძილის გარბენას უდრისო, ეს თუ ასეა, მაშინ ჩვენს ცხოვრებაში არც თუ დიდი მანძილები გადაგვილახავს.

8993. ზოგიერთი ლამაზმანი, შეკითხვაზე, თუ რამდენი ქმარი ჰყავდა, ყოველ-შემთხვევისთვის სხვის ქმრებსაც მიითვლის, ჩემი ხელობის ქალებს იქნებ პენსია დაუნიშნონ და კაცების ოდენობა არ დამაკლდესო.

8994. ომში ყველა ჯარისკაცი არ იღუპება და არც მშობიარობას გადაყვება ყველა ქალი, მაგრამ ორთავე ეს საქმიანობა გმირობას გაუტოლდებოდა, სექსით სია-მოვნებაზე რომ არ იყოს საუბარი.

8995. ბევრ მამაკაცს ზოგი რამ მართლაც უსაქმოდ ჰკიდია, მაშინ, როცა ის უნდა მუშაობდეს, მუშაობდეს და მუშაობდეს.

8996. ყველა შუახანს გადაცილებულ მამაკაცს უნდა, რომ ცოლს არ უღალატოს, მაგრამ ამის საშუალებას არ იძლევა მამაკაცის ბიოლოგია და ლამაზი ქალები.

8997. სისულელეა, როდესაც სექსში დაწუნებული მამაკაცები კვლავ ცდილობენ დამწუნებელი ქალის გულის მოგებას, საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანათ.

8998. ქალად დაბადებულს ქალიშვილად ვერ გადააქცევ.

8999. მამაკაცთან ურთიერთობას მეძავი ფულით აფასებს, ბოზი – კარიერით, საყვარელი კი მასში რესტორანს, სექსს ხედავს და ნატურით აღებულ საჩუქარს. ცოლს სანუგეშოდ მხოლოდ მამაკაცის მიერ სახლში მიტანილი ხელფასის ნაწილი რჩება.

9000. ქალთან სიამოვნება მაშინ გხიბლავს, როდესაც მის გახსენებაზეც კი გეწყება გრძნობათა ჩოჩქოლი.

9001. ქალის ლამაზი მკერდი და გავა მამაკაცთა მოდგმის პირობითი საკუთრებაა, აღფრთოვანებისა და ბჭობის საგანია.

9002. ხალხთან დედიშობილად გამოჩენის უფლებას შეიძლება მილიონიდან ერთი ქალი იმსახურებდეს, რომლის სინატიფე აღფრთოვანებას იწვევს და კაცს ქალის სიტიტვლეს არ აგრძნობინებს.

9003. სექსზე უარყოფითად მოქმედებს გადამეტებული ცივილიზაცია, თანამედროვე კარგი ცხოვრებისკენ სწრაფვა თავისი დაძაბული გონებრივი შრომით და ნერვების

დაწყვეტით. ამ სტრესს ვერავითარი სექსუალური განათლება ვერ უკეთებს კომპენსაციას.

9004. სექსისადმი ნაკლები ყურადღება გახდა ამ პლანეტიდან დინოზავრებისა და სხვათა გაქრობის მიზეზი.

9005. ზოგიერთ მამაკაცს ურჩევნია დროზე ამოიღოს სექსუალური ტვინი საცვლიდან, რადგან დაყოვნება კარგ შედეგს არ მოიტანს.

9006. გარყვნილების და გადაგვარებული სექსისადმი მისწრაფების მიზეზია უსაქმურობა, უსახსრობა და ავადმყოფური ცნობისმოყვარეობა.

9007. ბორდელი – ეს არის მამაკაცთა გამასაჯანსაღებელი საწარმო, სადაც მამრებს სექსოლოგიაში ლექციას უკითხავენ და თან ავაჟკაცებენ.

9008. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ყველა ხალხი თავისი დროის სექსისა და პოლიტიკური ეროტიკის შვილია.

9009. გასაგებია, რომ ადამიანი განვითარებული ცხოველია, მაგრამ ისე არ უნდა განვითარდეს, რომ კარიერის მიღწევის საშუალებად საჭურისობა მიიჩნიოს.

9010. 16 წლამდე ქალი შამპანურს ჰგავს – მჩქეფარე და გაუხედნავია, 20 წლამდე თეთრ ღვინოს – საპატარძლოდ, ჯვრისსაწერად გამზადებულს, 30 წლამდე – არაყს – ჩქარა გათრობს, 40 წლამდე – სადესერტო ღვინოს, რომელსაც მუცლის ამოყორვის შემდეგ მაინც სიამოვნებით მიირთმევენ, 50 წლის შემდეგ ქალი კონიაკს ჰგავს, რომელსაც ნელ-ნელა ათბობენ, ყლუპებით სვამენ, დეგუსტაციას უკეთებენ, აფასებენ მისი დაკუპაჟების გზას და თავის აზრს გამოთქვამენ.

9011. „ცისფერები" არ მრავლდებიან, არც წითელ წიგნში შეაქვთ, მაგრამ სამყარო მათი „გენოფონდის" სიმცირეს მაინც არ განიცდის.

9012. სიტყვები: ეროტიკა, პორნოგრაფია, გახრწნა, ამორალობა და სხვა ასეთი გამოთქმები უდღეურად გამოიყურება, როდესაც მამაკაცი ტიტველ ქალს უყურებს და კონტროლს კარგავს.

9013. ლამაზმანებს ეშინიათ თავისი სილამაზის დაკარგვისა, მაგრამ წინააღმდეგნი არ არიან ხშირად გაასხვისონ და არენდის საფასური მიიღონ.

9014. თქვენი მამაკაცის საქციელი სექსში თუ ყველა ზღვარს გადადის, ეს ნიშნავს, რომ მან უკვე მოიპოვა „უვიზოდ" თქვენთან ყოფნის უფლება.

9015. ზოგი ბალიშს თავის დასადებად იყენებს, ზოგი გავის ქვეშ ამოსადებად, გააჩნია, ვინ რისი მფლობელია და ვის რა სახის სიამოვნება ესაჭიროება.

9016. რეკლამა და მეძავის პროფესია ერთმანეთს ჰგავს: არცერთს არ უნდა არასასურველი კლიენტის მომსახურება, მაგრამ ამას ორივენი ფულის გულისთვის ჩადიან.

9017. სექს-ბომბად დაბადებულ ქალიშვილს არ შეიძლება მოსთხოვო უმწიკვლოდ თავის ქმარს ჩაბარდეს.

9018. საცვლიდან ჭკუის ამოღებას დაბრძენება სჭირდება, ხოლო ბრძენი სექსში არავის არ სჭირდება.

9019. სექსითა და სიყვარულით მონიჭებული სიამოვნება განსხვავებულია, მაგრამ ერთმანეთის გარეშე ძალიან ბევრს ჰკარგავს, მათ შორის, პლატონური სიყვარულიც.

9020. ბორდელი მამაკაცის მომსახურების პროფილაქტორიუმია, მაგრამ ხომ შეიძლება ის სექსუალური თერაპიის და სიყვარულის ნიჭის დამკვიდრების ცენტრად გადავაქციოთ.

9021. არსებობს ქალის ორი სახის ცეკვა – ეროტიკული და პორნოგრაფიული. ერთი სულის გასალამაზებელი და აღსაფრთოვანებელია, მეორე – სხეულის გამაგიჟებელი და საგრიალო.

9022. ბუნებისმეტყველებაში ბევრი სერიოზული მეცნიერება სექსით იწყება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მის გამოსახატავად სხვადასხვა ტერმინებს იყენებენ. კავშირი, რეაქცია, შერევა, შერწყმა და სხვ.

9023. ტიტველი ქალი, რაც გინდა ცუდი აღნაგობა ჰქონდეს, მამაკაცში დადებით ემოციებს იწვევს. ეტყობა ეს ასე ისურვა შემოქმედმა და კიდევ კარგი, ამას აწი აღარაფერი ეშველება.

9024. ადამიანის დევიზი უნდა იყოს: გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. ეს ეხება ეროტიკული გარეგნობის ქალებს, რომლებიც ძალზე ტიტვლდებიან და მოწინააღმდეგე სქესის დაავადებას – მუდმივ ერექციას იწვევენ და მისი ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე არ ფიქრობენ, მეორე შემთხვევაში კი მამაკაცის თვალი ეჩვევა, აღარ რეაგირებს და შეთავაზებულ ქალზე უარს აცხადებს. ორივე შემთხვევაში სახეზეა ქალის ზომაზე მეტი თავხედობა, აგრესია, მაშასადამე, დანაშაულიც და ძალადობაც.

9025. ბოზის აღზრდა და ქალის აღზრდა სხვადასხვა ხელოვნებას მოითხოვს, მაგრამ თავისი სურვილების დაკმაყოფილებისათვის ორივეს მატერიალური წახალისება სჭირდება. განსხვავება ის არის, რომ ერთი ითხოვს, მეორე კი მოითხოვს.

9026. ქალი სექსუალურია ან ძალზე სექსუალური. უვარგისი ქალი ლოგინში არ არსებობს. არსებობენ მოუხერხებელი, უყურადღებო და ქალის მოფერების ხელოვნების უვიცი მამაკაცები.

9027. ქალი თუ თავის ლამაზ უკანალს გამოაჩენს, ეს მრავალი ერის წარმომადგენელს აღართოვანებს, მაგრამ კაცის უკანატანის ჩვენება ერების და სახელმწიფო ხელმძღვანელების შეურაცხყოფის ნიშანია.

9028. მეძავი თავის სხეულს ხშირად სთავაზობს თავისუფალი ბიზნესის საწარმოებლად, მაგრამ თვითონ მეწარმედ გახდომის სასტიკი წინააღმდეგია.

9029. ბოზსა და კახპას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ცდილობს თავისი ბიზნესი მომგებიანად დააკრედიტოს და დივიდენდებით იცხოვროს, ხოლო მეორე ნაღდ ანგარიშსწორებას სცემს პატივს და სათუო დივიდენდების გაგონებაც არ უნდა.

9030. კახპას ბევრი ყავს საწოლის თანამოაზრე, მაგრამ სულის არც ერთი, რადგან აქ ფული ბატონობს და მომსახურების რეკლამირებული ხელოვნება.

9031. მთელი ჩვენი ცხოვრება პარტნიორების, სქესების მოლაპარაკებაა ერთი და იგივე საკითხზე, რომელსაც პატივისცემა, ურთიერთგაგება, სიყვარული და "რატომ გამწირე – მიღალატე"(!) – ჰქვია.

9032. მდედრის ნუდიზმისკენ მიდრეკილება, ეს მამრისადმი შენელებული აგრესიაა, რაც იწვევს მოწინააღმდეგე სქესის აღფრთოვანებისთვის ეროტიკულ ნაწილებზე

თვალის შეჩვევას, შედეგი: ქალისადმი ნაკლები ლტოლვა, გეშის და მდედრის სურნელის უგულებელყოფა, რაც მამაკაცის ღირსების პრესტიჟის უდროოდ დაცემის გარანტიაა.

9033. დღეს სექსისადმი საბაზრო დამოკიდებულების შედეგად მოდაში შემოვიდა წონის დაგდება, სხეულის დაკუნთვა, მკერდის გაზრდა და ათასი სხვა ამგვარი მანიპულაცია.

9034. სექსში პარტნიორი, მკურნალი, მოძღვარი ის ახლობლები არიან, რომლებსაც დაუფარავად უნდა ანდო შენი ჟინის დაკმაყოფილება, სხეულის გამოჯანმრთელება და სულის განწმენდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხალხს ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ და კონკურენტებიც არიან.

9035. მკაცრი ჯარისკაცული ინტიმია „უვალნიტელი"-ს დათხოვნის მოწმობის – დროზე მიიღება, ქალთან სექსში შერკინება, მისი დადებითი ბალანსით დამთავრება და დროზე ნაწილში დაბრუნება.

9036. სტრიპტიზი შურის და ქალის კაპრიზის შედეგია: თუ ერთმა მდედრმა მამრების გასაბრიყვებლად კაბა დაიმოკლა, მეორემ პირველის ჯინაზე კაბა მოისროლა, მესამემ ტრუსიკიც ზედ მიაყოლა, მაგრამ ამ შეჯიბრებაში ქალებს რომ ხვადთა მოდგმა ხელიდან ეცლებათ, ამაზე არავინ წუხს, რადგან თუ წინათ ქალის კოჭის გამოჩენა მამაკაცებს ახელებდა, ეხლა მათ სიტიტვლესაც ვეღარ ამჩნევენ, ეს ბუნების კანონია და თვალის ძღომის და შეჩვევის სიმპტომი ჰქვია.

9037. არის ქალის ღალატი, არის პროსტიტუცია, რაც მამრისთვის აუცილებელია პარტნიორის მოძებნისთვის, ამიტომაცაა, რომ მამაკაცები ამ სახის ქალებს ეტანებიან და ცდილობენ შეამოწმონ თავიანთი მამაკაცური ღირსების შესაძლებლობა, რათა მნიშვნელობა არ დაკარგონ ქალთა მოდგმის წინაშე. ე.ი. მამრი ღალატს მდედრის საბოლოოდ შერჩევისთვის სჩადის.

9038. მამრის და მდედრის შეხვედრა ლეგენდაა, სიყვარული ღვთის ნებაა, ხოლო სექსი ჩვენი ავხორცობის დამსახურებაა.

9039. სექსი ნერვების დამაწყნარებელი და უსაფრთხო უნდა იყოს, ხოლო სიყვარული, რომელიც ნერვების მომშლელიცაა და მრავალი დავადების საწყისიც, ამაღლებული.

9040. "გეებს" თუ აქვთ თავიანთი უფლება საზოგადოებაში, ჩვენც ხომ ამ საზოგადოების უფლებამოსილი წევრები ვართ და გვაქვს უფლება ამ ხალხს არ თანავუგრძნოთ და მათთან შეხვედრა არ გვახარებდეს, მაშ, რა უფლებით აწვება ჩვენს ცნობიერებას პრესა და ტელევიზია, რომ ეს ხალხი შევიყვაროთ, შევისისხლხორცოთ და მისი ცხოვრების წესი გავიზიაროთ.

9041. კახპასა და ბოზში ის განსხვავებაა, რომ პირველისთვის ყველაფერი სულერთია, ხოლო მეორესთვის სულერთია ფულს ვინ გადაუხდის.

9042. ეროტიკა ფაქიზი მატერიაა და სულის სიამისთვის არის განკუთვნილი, ხოლო პორნოგრაფია – ხორცის უხეში სიამოვნებისთვის, მაგრამ მათდამი მისწრაფება ყოველდღიურად ჯაგრისით კბილების ხეხვას არ უნდა დაემსგავსოს, წინააღმდეგ შემთხვევაში პეწი და სიამე მოაკლდება.

9043. ეროტიკასაც თავის კდემამოსილების მუხრუჭები უნდა ჰქონდეს, რათა პირადი ჰიგიენის ინტიმის ნიშნები პორნოგრაფიაში არ გადაგვეზარდოს და სასიამოვნო ახურების ნაცვლად ზიზღი არ განვიცადოთ.

9044. სხეულის და სულის სიშიშვლეს მაინც ლამაზად ჩაცმული და დაპურებული ეროტიკა სჯობს, მიუხედავად ამისა, ადამიანის ჟინში პორნოგრაფიის საწყისი დევს და იქითკენ მიილტვის.

9045. ლამაზმანი სხეულს ათავხედებს, აამებს, აწყნარებს, მაგრამ სულს აავადებს, სიყვარული კი მკურნალობას სულიდან იწყებს.

9046. თეორიულად ქალთან ურთიერთობაში მამაკაცი შეიძლება ყველაფერში დამნაშავე იყოს, მაგრამ პრაქტიკულად – არაფერში, რადგან რა უნდა ჰქნას, თუ მას თავისი ჟინის ქალი არ შეხვდა და გული არ მისდის მასზე?

9047. დღეს მექალთანეს თავის საკაიფო ნიჭის გამოჩენის საშუალება მოესპო, და დღევანდელმა ცივილიზაციამ მასზე მოთხოვნილება დაკარგა, რადგან არსებობს მაგიური სიტყვა: „ხვალ, ოთხ საათსა და თხუთმეტ წუთზე, „ენ'' დოლარის ფარგლებში შეგიძლიათ მომემსახუროთ'' და ისიც თანახმაა.

9048. მოყვასს, მოხდენილ, მეოჯახე ქალს, ასევე მუყაითი, გამრჯე, გონიერი ქმარი ჰყავდა, რომელმაც, რატომღაც შეუხედავ, უჭკუო, მამრების მოყვარულ ქალზე გაცვალა და იმაზე, რაც არ ჰყოფნიდა თავის პირველ ცოლს და სხვას ამას ნაკლად უთვლიდა.

9049. სექსის სისტემატური ჩვენება კი არ არის ცუდი, არამედ, მასზე ლაყბობაზე მიჩვეული მამაკაცები, რომლებიც ლამაზი ქალის დანახვაზე გონებას არ კარგავენ, არ განიცდიან და აღფრთოვანებისგან სუნთქვა არ ეკვრით.

9050. მამრი გონიერებით, მამაკაცური ღირსების წარმოჩენით ფასობს. თუმცა მეორე დროებითია, პირველი მუდმივი, მაგრამ დროს სატარებლად და სიამის მოსაგვრელად რომელი ჯობს, ადვილი სათქმელია, თუმც ძნელად გასაგები, რადგან ყველა ასაკს თავისი გადასახედი აქვს.

9051. მამრები ცდილობენ მდედრებზე კარგი თქვან, მაგრამ ქალის ბუნების კაპრიზი იმის ცდაშია, მამაკაცს უსაყვედუროს, მეტად რომ აყოჩაღოს.

9052. ვნება რომ გულს აგიჩქროლებს და უკიდურეს სექსუალურ მდგომარეობამდე მიგიყვანს, მაშინ მიხვდები რა ქალთან გქონდა საქმე და იგრძნობ, როგორი მკურნალი ყოფილა შენი გაჭირვების.

9053. ყველა ლამაზმანს თავის მოსაწონი ლეგენდა აქვს, რომლის გახსენება სიამოვნებას და ტკბობას განაცდევინებს.

9054. ლამაზ მამაკაცს, ლამაზი ქალისგან განსხვავებით, პრობლემები ნაკლები აქვს, რადგან მას ქალები თვითონ მიეტმასნებიან და ნაკლის გამოვლენის საშუალებას არ აძლევენ, ხოლო ლამაზ ქალს მამაკაცები არ ასვენებენ, რის შედეგადაც ის უფრო ჭირვეული, მიუკარებელი, მომთხოვნი ხდება და ნაკლიც საკმარისზე მეტი უგროვდება.

9055. ჰომოსექსუალისტი, ეტყობა, საშუალო სქესია, მისი მკურნალობა არც ეფექტს იძლევა და არც საჭიროა, რადგან მორჩენის შემთხვევაში, მისი შთამომავალი ყოველთვის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს.

9056. საღი ბავშვების მისაღებად, მომავალში მდედრის საშოში მოსათავსებელი სპერმა რევიზიას გაივლის, რომელიც კაცობრიობის ჰარმონიულ განვითარებას წინ აღუდგება და ტექნიკური პროცესის წინსვლას შეანელებს, რადგან მეცნიერების წინსვლას მთლად დალაგებული ხალხი არ სჭირდება და მათი კონტინგენტის დასაკმაყოფილებლად ბუნებრივი გზით შერჩეული ჭკუანაღრძობი მამაკაცის საწყობია საჭირო.

9057. სექსის გარეშე ცხოვრება შეიძლება, მაგრამ არასასურველია, სტრესის გარეშე ცხოვრება კარგია, მაგრამ არ გამოვა, დიეტა გეგმიური კვებაა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე შეუძლებელია, ასე, რომ ჯობს ვიცხოვროთ ისე, როგორც ჩვენი ბუნება და განწყობა გვკარნახობს, თუ გვინდა ამ ქვეყნად არსებობა სიცოცხლედაც ჩაგვეთვალოს.

9058. ქალს თუ მამაკაცი მოსწონს, უმიზეზოდ ეჩხუბება და კამათის საბაბს ეძებს, ხოლო თუ ვაჟს მოსწონს, ცდილობს შეახვედროს თავის ამხანაგებს, ახლობლებს და ხშირად სთავაზობს ისეთ სანახაობებზე წასვლას, სეირნობას, სადაც ადრე ქუდი რომ შეგეგდოთ, ასაღებადაც არ შევიდოდა.

9059. კონსპირაციული საკურორტო რომანი ცხოვრების საჩუქარია, ბედის გაღიმებაა, სულის განცხრომაა და ჩუმი კაიფია, მას მინუსი არა აქვს, თუ სიცოცხლის დაისზე შენდაუნებურად სინდისის ქენჯნამ არ შეგაწუხა.

9060. იმპოტენცია შეიძლება სასჯელიც არ არის, მაგრამ ცხოვრების უდროო დაცინვა – ნამდვილადაა!

9061. თავის ფათერაკებზე და სექსზე დაგროვილი სიმდიდრით სხვაც აცინოს და თავადაც ისიამოვნოს, ეს დიდი ბუნების ადამიანთა ხვედრია.

9062. ადამიანი ხანდახან ისეთ გაუგებარ ეროტიკულ სისულელეს სჩადის, რომ მის გამოსწორებას მთელი დიპლომატია და ძალისხმევა სჭირდება.

9063. არის მდედრის და მამრის ბუნებრივი ფიზიოლოგიური სერობა, რომლის ზოგიერთი ყოფის ზედმეტად გაცნობიერება მათ ურთიერთობაში ბზარს გააჩენდა და შეიძლება მათი დაშორებაც გამოეწვია.

9064. ინტერქალიშვილი, ინტერბებია, ინტერშვილიშვილი – ყველანი ვალუტის მონები არიან და ყველა გადამხდელის ძებნაშია, მაგრამ სად არის პატრონი?

9065. ნათქვამია, "ბოზ დედამთილს რძალი არ გაუბოზდებაო", მაგრამ გააჩნია რძლის მოხერხებულობას, მის ავხორცობას, მამაკაცური ღირსებისადმი მის ცდუნებას.

9066. ქალ-ვაჟის აკვანში დაწინდვა და ქალწულობის კულტის აღდგენის საპირისპირო სიმპტომებია: დღევანდელი თავაშვებული სექსი და პროგრესული ვენერიული დაავადებანი.

9067. სექსი ტრაგედიამდე მიჰყავს სიმბოლიზმს, კარიერიზმს, ტრადიციონალიზმს, თავისუფალ აზრს, ქვენა გრძნობების ფანტაზიას და გადაგვარებულ ვნებათაღელვას.

9068. მდედრს შეუძლია ქალი გახდეს 16 წლიდან უსასრულობამდე, სანამდის კაცის დამაგრებას შესძლებს ზევიდან, ხოლო მამრი 16 წლიდან გარკვეულ დრომდე, სანამ მას ქალი არ გადმოაგდებს ზევიდან თავის სექსუალური უძლურების გამო.
9069. თუ თეატრი იწყება გარდერობიდან, მაშინ ეროტიკული შოუ ჰოლიდან უნდა დავიწყოთ.
9070. ლამაზმანსა და ცოლს შორის ის სხვაობაა, რომ ერთი ავანსს ითხოვს, მეორე – ხელფასს.
9071. დღეს ფოტოგრაფიის ხელოვნებად აღიარება, ძირითადად სექსუალური უგუნურების აფეთქების დამსახურებაა.
9072. შიდსით დაავადებული სექსუალურ ფრონტზე ხელმოცარული ნადირობის ტრფიალია, რომელიც ამ ეტაპზე რატომღაც ბედმა გასწირა და მას ამისათვის სინდისის ქენჯნასაც ვერ მოვთხოვთ.
9073. ზოგი ლამაზმანი ისე განიცდის, მის ძაღლს უჯიშო ხვადი რომ არ მიეკაროს, რომ მას დამცველ ტრუსებს აცმევს, თვითონ კი დედიშობილა დადის და ჯიშიან მამაკაცებს ფულიანები ურჩევნია, რადგან პატრონი არ ჰყავს, რომ ძაღლივით ჯავშანი ჩააცვას.
9074. ასაკში შესული ხალხისთვის სექსი გამაჯანსაღებელი თანამშრომლობა, ურთიერთობაა და არა – დიდი სიყვარული.
9075. როდესაც სახელმწიფო “ქმარი”, 35 წელს გადაცილებულ გაუთხოვარ ან უშვილო ქალებს ეხმარება ქვეყანაში სიცოცხლის აღზევებაში, აქ ამორალურის დანახვა საღი გონებისთვის ძნელია, თუ მამაკაცი და მისი სპერმა ზოგადსაკაცობრიო საქმეს აკეთებს.
9076. ზნეობრივი აკრძალვა ხელს არ უნდა უშლიდეს წყვილის ბედნიერებას, მაგრამ არც ბედნიერებამ უნდა დაიკიდოს ფეხებზე მორალი, რომელიც ასე უხდება მდედრისა და მამრის ურთიერთობას.
9077. ცივილიზაცია ხშირად ხუმრობს სექსუალურ საკითხებზე და დიდ მორალურ ზარალს აყენებს ხვადების მოდგმას, ამიტომ საჭიროა ღირსეული მწარმოებელი მამრების დატვირთვა გამრავლების საქმის მათზე გადანაწილებით, რათა საჭირო ოდენობის ჯანმრთელი თაობა მივიღოთ, თუნდაც მრავალცოლიანობის კანონის მიღების ხარჯზე.
9078. ინტიმური ცხოვრების უფლება თვით მამაზეციერსაც აქვს და მასზე ასე დაჟინებით ყურადღების მიპყრობა დაგვაბრმავებს და გონებას აგვიმღვრევს, რადგან ყველამ ჩვენი ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ და თუ საჭიროდ ჩათვლიან, ყოველივეს ზევიდან დაინახავენ და შეგვიწყნარებენ.
9079. ყველა სექს-ბომბას თუ თავისი ამფეთქებელი არ ჰყავს, მაშინ მისი საჭიროება გამოირიცხება და მუზეუმის საკუთრებად გადაიქცევა.
9080. გამოიყენო სილამაზე ქვენა გრძნობების მიზნით, არ არის ლამაზი, მაგრამ არც უიმისოდ გამოდის რაიმე. საკუთარი თავი ვინმე ღირსეულს ხომ უნდა შეასაღო.
9081. ინტიმს წარმოჩენა უნდა და არა მალვა, ლამაზ ტანს ჩვენება სჭირდება და არა შემოსვა, სულმა ვნების სითბო უნდა გამოყოს და არა უზადო აღზრდა. მართალია

პირველი ეფექტური ქმედებაა, მეორე – დასამახსოვრებელი, მაგრამ მათ გარეშე ურთიერთგაგება არ არსებობს.

9082. ამოუცნობ და განუმეორებელ სილამაზეს მიეკუთვნება მოხდენილი ღიმილის უნარი, ფეხებგადადებული ჯდომა, ყელმოღერებული დგომა, კდემამოსილება, ტანის ფლობა, თვალების ნაბვა, წარბის შეთამაშება, კიბეზე ტანის რხევით ასვლა-ჩამოსვლა, ლოგინის ლამაზი დაგება და სხვა ერთი შეხედვით წვრილმანი, რომელიც ასე ახელებს და ხიბლავს საპირისპირო სქესს.

9083. მამაკაცს ხვადად მდედრის წამლიქვნელება აქცევს, ხოლო ქალს მამრის კომპლიმენტები სიამოვნებისგან ძუობისკენ წაუბიძგებს.

9084. მომხიბვლელობა საშინელი იარაღია, რადგან მას მანამდე ემონები, სანამ ფეხს არ წაგატეხინებს და შენს საწოლში არ აღმოჩნდება.

9085. მომხიბვლელობა თილისმაა, მუდმივია და შინაგანი ბუნების გამომხატველი, რომელიც აღწერას არ ექვემდებარება, ხოლო სილამაზის წარმავლობის ჭირვეულობის მიუხედავად, მისი აღწერაც შესაძლებელია, მოგონებაც და ტკბობაც

9086. სილამაზე ის სექსუალური ფენომენია, რომელსაც არც საწვავი სჭირდება და არც თანდაყოლილი ორატორის ნიჭი, ის ყველასათვის გასაგები და მომხიბვლელია.

9087. მცირე ფლირტი გონებას აფხიზლებს, ძლიერი – გონებას ათაყვანებს, საშუალო ფლირტი კი ყველაფერს აბოლოებს და წერტილს უსვამს.

9088. რაიმე ლამაზი იდეა რომ განხორციელდეს, მისი ავტორი ამ იდეის შესაფერისად ლამაზი და სექსუალური უნდა იყოს.

9089. ხელაღებული ვნება, სიყვარული, ეჭვი, ყველაზე მეტად გვიბნევს გონებას და ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო ეს მცდელობა ძვირად გვიჯდება.

9090. პატიოსნება გრძელი კაბით არ იმალება, არც "ბიკინების" ამოცმაა უპატიოსნობის მაჩვენებელი, მაგრამ ადამიანის დაპროგრამებულ ვნებას და გონებას ავიწყდება, რომ სექსში პატიოსნება თავისებური ნიჭია, ხოლო – ერთგულება სულში დაბუდებული საწყისი.

9091. სისხლის და წნევის დარეგულირების წამალი მამრისთვის უპირველესად ვნებიანი ქალია და მკურნალობის სხვა წესი მას არ გამოადგება.

9092. სექსუალურად მგრძნობიარე ქალები დიდი სიამოვნებით მიისაკუთრებდნენ მამაკაცის ღირსების მუდმივ ასაფეთქებელ "პერპეტუუმ მობილეს", მაგრამ კაცები ეწინააღმდეგებიან და მუდმივი ძრავის შექმნაზე ხელი აიღეს, რადგან თავი შეეცოდათ.

9093. წესიერი ქალის მოყვანას თუ ვერ მოახერხებ ცოლად, მამაკაცებში ნამეტანი ნაგრიალების მოყვანაც არაა რეკომენდებული, რადგან მისი სექსუალური განათლება, ხასიათი, თქვენს გაუნათლებლობას და არამტკიცე ხასიათს ვერ აიტანს.

9094. ერთჯერადი ეროტიკის უფლება თვით მონაზონსაც აქვს, რადგან ჯოჯოხეთში რომ მოხვდეს, მიზეზი ხომ უნდა იცოდეს.

9095. სიყვარული სექსის გარეშე არ არსებობს, მაგრამ მარტო სექსი ოჯახის საძირკვლად ვერ გამოდგება.

9096. ზოგიერთი ჯიშის დედალი მორიელი მამალს ხვრელში შეიტყუებს და თუ მამალი დროზე ვერ გაექცა სქესობრივი განაყოფიერების შემდეგ, ჭამს. ასევეა ზოგიერთი შეტყუებული მამაკაცი – თუ დროზე ვერ გაიქცა, მთელი ცხოვრება ნელ-ნელა ხრავენ.

9097. სექსუალური ისტორია პირველ რიგში ტანმა უნდა შეიგრძნოს, რადგან ამ დროს მისი გონება მოკლეზეა ჩართული.

9098. თავისებური ხელოვნებაა, როდესაც სექსზე საუბარი ექსტაზს იწვევს, ხოლო ჩვენება – სულის საამო ექსპლოატაციას.

9099. მსუბუქი ეროტიკული ჩასუნთქვა, პირდაპირპროპორციულია მძიმე სექსუალური ამოსუნთქვის.

9100. ცივილიზაციისთვის „ცისფრებთან" და სხვა სექსუალური და სულიერი ორიენტაციის ხალხთან ბრძოლა ყველაზე ძნელი გადასატანია.

9101. მოწონებისთვის სექსი თერაპევტია, სიყვარულისთვის – ქირურგი, ხოლო ფლირტისთვის – ეროტიკული მასაჟი, მაგრამ არჩევანს ადამიანები უცნაურს აკეთებენ, რაც გონიერების მიერ შექმნილ ყველა სისტემას აღემატება.

9102. ეროტიკასა და პორნოგრაფიას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი სულის სათუთ სიმებს აღელვებს, მეორე ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილების ქვენა გრძნობებს, რომლის გარეშეც სიცოცხლე აზრს დაკარგავდა.

9103. მამაკაცის სურვილია პირველ რიგში ქალი სულიერად იყოს ძლიერი, მაშინ, როდესაც მდედრი შინაგანად ფიზიკური აგრესიისთვის არის გამზადებული, რათა მისთვის მისაღებ სექსსაც გამოკრას ხელი და ნაშიერსაც.

9104. მამაკაცი ბუნებით, სულით, მეომარი უნდა იყოს, ხოლო ცოლი მისი პარტნიორი სექსში, ცხოვრებაში, ავადმყოფობაში და იმქვეყნად გადაბარგებაშიც.

9105. ქალისთვის ნაძალადევი სექსი ხელოვნებას მიახლოვებული შრომა, შემოქმედებას მიახლოებული ორგაზმია და კულტურას მიახლოებული, ჰონორარის გამოძალვაა.

9106. ჯერჯერობით სექსუალური უმცირესობა იმიტომაც არის საშიში, რომ მათ თავისი მოვალეობა და თავისი გადაგვარებული სექსის დაკმაყოფილება სხვა მამრებს აჰკიდეს შესასრულებლად. თავად ვნების ეს მუწუკი – მუქთახორები საზოგადოებიდან იგივე პატივისცემაა – აღიარებას მოითხოვენ როგორც სექსში გარჯილი ხვადები.

9107. ქალიშვილის ქალად ქცევას მამრი სიხარულით, ვნების ბღავილით, ბილწსიტყვაობით აღნიშნავს, მდედრისთვის კი ეს სექსიცაა, გაოგნებაც და სასიამოვნო დანებებაც.

9108. კაპრიზი ქალის ბაღნარის მოსაპოვებლად, მამრმა თავი მაინცდამაინც არ უნდა დაიმციროს, რადგან მდედრის გადამეტებული თავპატიჟი მის საეჭვო ხარისხის ძუობაზე მიუთითებს და არა საწოლში მის ჯადოქრულ თილისმაზე, რომელიც მამრის გაურკვეველ ბუნებას ოცნებად აქვს გადაქცეული.

9109. იმისთვის, რომ პასიური მწეველი არ გახდე, ბევრმა კომპანიამ თვითმფრინავში სიგარეტის მოწევა აკრძალა, მაგრამ ჩვენი პასიური საჭურისობა ზოგ სატელევი-

ზიო კომპანიას არ აღელვებს, როდესაც ეკრანზე მოჭარბებულ გადაგვარებულ სექსს უჩვენებს და ალიბი იმისა, რომ აღგზნებული მაყურებელი ამ არხს ნებაყოფლობით გადართავს, გამორიცხულია.

9110. წელსქვევითა იუმორს სულითაც სექსუალური საწყისი აქვს და ამიტომაც ყველას აღელვებს და მორცხვ სიცილს გამოგვტაცებს.

9111. ყველა ქალის ოცნება სარეცელზე სექსუალურ გიგანტთან შეხვედრაა, სინამდვილეშია ხელში რჩება სექსუალური მანიაკი, ისიც უღიმღამო.

9112. ქალის და კაცის სექსუალური ურთიერთობა შეიძლება ზევით ცოდვად ითვლება, მაგრამ ღმერთის თაყვანისმცემლების და მრევლის გასამრავლებლად აუცილებელი და გარდაუვალია.

9113. წყვილის სექსუალურ ვერაგობას ის „კონსენსუსი" მოაქვს, რომ ერთმანეთზე აღარ ეჭვიანობენ.

9114. სექსუალური ქალისთვის ყველა მამრი კაცია, ქარაფშუტა ქალისთვის ყველა თანამდებობის მქონე – კაცია.

9115. ქალისადმი ლტოლვა მხოლოდ ვნების დაკმაყოფილებას ექვემდებარება და არა მასზე გაგიჟებას და ჭკუიდან შეშლას.

9116. ამბობენ ბუნების ყველაზე დიდი სიმახინჯე შეყვარებული ბებერი კაცია, მაგრამ ბერკაცობის ასაკი ვინ დაადგინა, თუ მამაკაცის ღირსება ისევ მიილტვის მდედრის ბალნარის დასანალმად.

9117. პრანჭია მამაკაცი და ავხორცი დედაკაცი სულით ერთმანეთს შეეფერებიან, მაგრამ მათი სხეულები ერთმანეთში ვერ თავისდება სხვადასხვა შესაძლებლობების და მოთხოვნილებათა გამო.

9118. ბუნება ქალის სილამაზეს თავის შეხედულებისამებრ წარმოგვიდგენს, მაგრამ ხვადების მოდგმას მის სილამაზეზე თავისებური წარმოდგენა აქვს, შეთანხმება ამ საქმეში ფოტოგრაფის ემმაკობას მოაქვს, როდესაც დიდი მკერდის წამოსაჩენ სამუალებებს „რეტუშით" ფარავს და მამრთა თვალის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

9119. XXI საუკუნე მეგობრული სექსის და მასტურბაციის საუკუნე გახდება, რადგან ადამიანი კარიერას და სამუშაოს გააფეტიშებს და სექსში ხშირად ხელოვნური მასტურბაციის საშვალებებს შეინაცვლებს, რომელიც არც დროის უკმარისობას გისაყვედურებს და არც დროსტარებას მოგთხოვს.

9120. ხშირად წყვილის გულღია სურვილებს ზიანს აყენებს წილში ჩამჯდარი მესამე პირი, რომელიც სიყვარულის, მეგობრობის, სექსისკენ ლტოლვის, სახელით თანამესარეცლედ გვევლინება.

9121. სილამაზე მაშინ იჩაგრება, როდესაც ცდილობს ის ხასიათი გამოაჩინოს, რომელიც ხშირად მამრისთვის ჯერ კიდევ მისთვის უცნობი ბრჭყალების გამოჩენის ტოლფასია.

9122. სილამაზე მშობლების ნაჩუქარი ქონებაა, რომლითაც უკეთ რომ ისარგებლო, ცხოვრებიდან კრედიტი უნდა აიღო, რომლის დაუფიქრებელმა გამოყენებამ შეიძლება ნაჩუქარიც დაგაკარგვინოს და გაგაკოტროს კიდეც. ასე რომ, სიმდიდრის-გამოყენება კვლავწარმოებას მოფრთხილება სჭირდება და არა გაფეტიშება.

9123. ხვადის მზერა, პირველ რიგში, მისთვის საინტერესო ქალის გავას ხვდება, შემდეგ – მკერდს, ფეხებს და სხეულის სხვა მომხიბვლელ „აქსექსუარებს", ხოლო როდესაც თვალები ძაღლის ერთგულებით ყურებას დაიწყებს, ეს უკვე სიყვარულით დაავადების სიპტომია და მამრს დროებით ან სამუდამოდ ამ ქალის ხელში გასაწირავად ამზადებს.

9124. სილამაზის საწყისი შემართება, მოთმინება, ნიჭია, მაგრამ წესრიგი მისი სურვილის აღმსრულებელია.

9125. სილამაზე, შეუხედაობისგან განსხვავებით, არ ცდილობს ინტელექტი იქონიოს, ამიტომაა, რომ ზოგიერთი ულამაზო მომხიბვლელად გვეჩვენება, რადგან ის თავის თავის სკულპტორიც არის და თავისი სულის არქიტექტორიც.

9126. ხვადობა ის არის ულამაზო ქალი შეიყვარო და მოეფერო, თორემ ლამაზის მოფერებას რა დიდი ავხორცობა უნდა.

9127. სილამაზე, უამრავ შემთხვევაში, სასაქონლო ღირებულებასთან ურთიერთობაში განისაზღვრება, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

9128. ზოგი მდედრი რაც მეტ სექს გითმობს, უფრო გბეზრდება. არიან ისეთებიც, რომლებიც შენდამი დამოკიდებულებით გშთანთქავენ, ისე, რომ არც ეწინააღმდეგები, რადგან შენი სადარი ის არის, ვისთანაც ყოფნა გსიამოვნებს და უიმისობა გიჭირს.

9129. სილამაზე უდიდესი სიხარულია, დაპირებაა, ბედნიერებაა, მაგრამ ულამაზობასაც თავისი მომხიბვლელობა და „ბაზარი" აქვს, თუ მის დანახვას შეეჩვიე, შეიყვარე და საწოლში ჯადოქარია.

9130. სილამაზის მტერია: სულის სიცარიელე, დევალვირებული ენერგეტიკა, ნაოცნებარის ყიდვა-გადაფასება, რომელსაც გარეგნობა არ აქვს, მაგრამ ქალის ინტუიციის და მომხიბვლელობის შესანარჩუნებლად აუცილებელია.

9131. როდესაც მოყირჭებულ, დედიშობილა ქალის გვერდზე მყოფი, მორიგ ჯერის მოხერხებას კაცი უცნობ ქალთან სექსუალური ფანტაზიის დახმარებით ცდილობს, ვერ გარკვეულოხარ, ეს ბუნების კაპრიზია თუ მამაზეციერის მორიგი ხუმრობა, რომელმაც მამრის მექანიზმი ამგვარი იუმორით ააწყო.

9132. სილამაზე ყოველთვის ხურდის გარეშეა, რადგან მას არ ევაჭრებიან და მისით არ ვაჭრობენ.

9133. ლამაზი მამაკაცის ქალისადმი ერთგულება სექსში თავისადმი ნარნარში და სიამის ღრუბლებში ფარფატში გამოიხატება.

9134. სექსი ფიზკულტურაც არის და კულტურაც, რომლის შეცნობა ველური ადრენალინის გამოყოფით იწყება და დაღვინებული გრძნობების ადრენალინის დაკონსერვებით მთავრდება.

9135. პროსტიტუცია სულის, ნერვების, სექსის, შეფიქრიანების, მკურნალია, ამასთან ის სოციალური სამართლიანობის, მოჭარბებული ენერგიის და ფულის გადანაწილებასაც ემსახურება.

9136. მამრის ნაღდ სექსუალურ მისწრაფებას სულით მეძავი შეიცნობს და არა სხეულის და ფულის, რადგან მამრის ღირსება, ძიების მდგომარეობაში ,პირველ რიგში სულს გრძნობს, რომელსაც შემდეგ სხეული აფიქსირებს.

9137. ეროტიკა იგივე პარნოგრაფიაა, რომელიც გვაღელვებს და თავს წარმოაჩენს წესიერების ფარგლებში.

9138. სექსსაც აქვს თავისი ღირებულებანი: ერექცია, ორგაზმი, ლტოლვა, რომელთა გარეშე ამ ქვეყნიდან წასვლა საცოდაობაა.

9139. სექსუალური კოლექციონერი ჩვენს შორის ყველა იყო, ვისაც ამაზე ხელი და ფანტაზია მიუწვდებოდა და დღეს ამ საქმეში ახალგაზრდობის გაკრიტიკება უგვანობაა.

9140. არის შემთხვევა, როდესაც საქმე მამაკაცმა ხვადის გეშით უნდა აკეთოს და მას უფლებაც არ აქვს სიცოცხლე ან თავისი სექსუალური შესაძლებლობა დაზოგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მამაკაცთა მოდგმას სახელს გაუტეხდა და მათ საჭიროებას საეჭვოს გახდიდა.

9141. ზოგიერთ ქალთან „შეცდენა" გმირობის ტოლფასია, მაგრამ შენს ცოლს ამას ხომ ვერ გააგებინებ, თუ რატომ და რისთვის...?!

9142. გათხოვება შედეგია პასუხსაგები სიამოვნების გახანგრძლივებისა.

9143. ქალის აფრიალებული კაბა ხვადს ყველაფერს ჩაადენინებს, ხოლო მამაკაცის გამობერილი საბანაო ტრუსი, მდედრს თავისი ნაოცნებარის ახდენის იმედს უსახავს.

9144. ნამდვილ სექსს მაშინ შევიგრძნობთ, როდესაც ალერსის დროს სხეული შინაგანად ყვირის.

9145. ხვადი მამაკაცისთვის სიყვარული რაც უნდა ამაღლებული იყოს, ის მისთვის მაინც შარვლის შესაკრავიდან იწყება და გრძელდება.

9146. განგების გაჩენილ მამრს ხშირად მდედრის სახის დანახვას მისი უკანალის ცქერით ტკბობა ურჩევნია და ეს არავის აკვირვებს.

9147. თუ წყვილმა ურთიერთ სულის მიწოდებას გულითაც გაუგო, გონებას ჭკუას აღარავინ ეკითხება და სხეულიც იძულებულია ცდუნებას დაემორჩილოს.

9148. ნუდისტების იდეოლოგისაგან განსხვავებით, ადამიანის სხეული რაღაცით უნდა იყოს დაფარული, წინააღმდეგ შემთვხევაში, მისი სექსუალური პოტენციალი ეროტიკის უქონლობის გამო დროზე ადრე ჭირს მოგვჭამს.

9149. სექსი, ორგაზმი, დროებითია, ხოლო სექსუალური მეცნიერება, კვლევა მუდმივი და შეუცვლელი კაეფია.

9150. არც ერთი სიამოვნება მეცნიერებას არ შეედრება, გარდა სექსისა, მაგრამ ვერ უჯოკრავს.

9151. ლამაზმანებსა და ბოზებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი იმ გასამრჯელოთი კმაყოფილდება, რაც ეკუთვნის, ხოლო მეორეს მეტის გამოძალვა უნდა და ამისთვის ყველანაირ სისაძაგლეს იკისრებს.

9152. წინათ ქალები მამაკაცებს ჩუმად უხდიდენ სამაგიეროს, ხოლო მამრები – აშკარად. დღეს კი ყველაფერი ხაბა-ხუბასავით აირია და სქესთა ქცევა და მენტალიტეტი კვლავ კვლევას და დაჭაშნიკებას მოითხოვს.

9153. ყველაზე საუკეთესო სექსოპათოლოგი შენი სულით და სუნით მოხიბლული ქალია.

9154. ხვად მამაკაცში გაცილებით მეტი შესაძლებლობაა ჩადებული, ვიდრე ერთი ქალისადმი სიყვარული და ერთგულება, ხოლო ქალში გაცილებით მეტია ცნობისმოყვარეობა და შემდგომ მოდის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი დანებება.

9155. გიტარის ფორმა, რომელიც მდედრს მოგვაგონებს მას იდეალურ ზომას 90X60X90 უნდა შეეხამებოდეს, მაშინ მასზედ ხელის შევლებაც განსაკუთრებულ ვნებასაც მოგვრის და საკრავიც გაოგნებით, აღმაფრენით სექსუალურად ააჟღერებს.

9156. სექსი სულის თავისებური გალობა და სხეულის სასიამოვნო დაღლა, სადაც საერთო ბედნიერება რამდენიმე წუთს გრძელდება, ხოლო წუთიერი თავდავიწყება რამდენიმე წამს, მაგრამ გონება ყოველივე ამის დაივიწყებას რამდენიმე წუთში ახერხებს.

9157. წყვილის ღალატი სხვადახსვა განსჯას მოითხოვს. მამაკაცი შეიძლება იმიტომ წაწლობს, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ მისი ქალი სხვაზე უკეთესი თუ არაა, სხვას არაფერში ჩამოუვარდება, ხოლო დედაკაცის ავხორცობა იმის მაჩვენებელია, რომ მან თავის ქალობაზე ხელი უკვე ჩაიქნია.

9158. დამატებითი დაბანდების გარეშე სიყვარულიც ხუნდება და სექსიც ხელიდან გვეცლება თუ ერთი ფულით არ გავამაგრეთ მეორე ლამაზმანის შენაცვლებით.

9159. მდედრის მიღწევებს მაინც მამრის შეფარება-დაფარება განსაზღვრავს, რადგან სექსს და სიყვარულს თავისი გაუგებარი ალგორითმი აქვს, კარიერას და ბიზნესს თავისი და მათი შერწყმა განგების ნებაზეა დამყარებული.

9160. არის მამაკაცთა ჯიშის ლიმიტირებული რაოდენობა, რომელთა გაცდენა ერთ ქალზე საცოდაობაა, რადგან ეს ზარალს აყენებს ერის სანაშენე მეურნეობის გენოფონდს.

9161. ბორდელში უფულოდ შესვლა იგივეა, რაც სინაგოგაში თავშიშველისა, რადგან შიში იმისა, რომ თქვენს ცუღლუტობას შეამჩნევენ, საბოლოოდ ვერც ხორცს რგებს და ვერც სულს.

9162. ზოგს მიაჩნია, რომ სექსს მორალი არ გააჩნია და სასიხარულოა, რომ ეს ასე არ არის.

9163. ზოგიერთ ქალთან „ხიფინგი" ცოდვა კი არა, კაცთმოყვარეობის ტოლფასია, მაგრამ ვინ არის დამაფასებელი, იქით გსაყვედურობენ და თავსაც გამადლიან.

9164. ზოგჯერ კაბაშემოტმასნილი, ჩვენი ფანტაზით ჩაცმული, ქალი უფრო გვაღელვებს და გვატკბობს, ვიდრე დედიშობილა, რომელიც რატომღაც სხვა გრძნობების ამშლელ ასოციაციასაც ნამეტნავად არ იწვევს.

9165. ქალი და კაცი ბინარულ იარაღს მოგვაგონებენ, ცალ-ცალკე საშიში არ არიან, მაგრამ მათი შეერთება იწვევს სულის და ხორცის სექსუალურ აფეთქებას, რომელიც ვნებათა ყურეს წალეკვით ემუქრება.

9166. ქალმა ქმრის ყველა ღირსება უნდა წარმოაჩინოს, გარდა მისი სექსუალური შესაძლებლობისა, რათა შურიანმა დაქალებმა მის დაჭაშნიკება და წართმევა არ მოინდომონ.

9167. ძუსა და ხვადის შეხვედრა ლოგიკურად უნდა დასრულდეს, მაგრამ პირველს თუ მაინც მოფერება, ახურება, „იმტაზე" მოყვანა ჭირდება, მეორე მდედრის დასაპყრობად ყოველგვარი მომზადების გარეშე მუდამ ფორმაში უნდა იყოს.

9168. სექსში არიან მოფუსფუსე, საქმიანი, მომთხოვნი, გულგრილი, მხირული, შემოქმედი, ენერგიული და კაპრიზი ქალები და მათთვის სიამოვნების დაკლებაში ბრალი ყოველთვის მამრების გამოუცდელობას არ მიუძღვის. ცოტა ქალებმაც მოინდომონ, ხასიათის შერწყმა ისწავლონ და სექსის ანბანს დაეუფლონ, გაისარჯონ, რადგან ამქვეყნად წყვილის ურთიერთობის უდიდესი მონაპოვარი „ორგაზმი" ასე ჰარი-ჰარალოდ არ მოდის.

9169. მაღალი ანაზღაურების კახპა, მსუბუქი ყოფაქცევის მორალით, მაღალი ღირსებით, გონიერებისთვის გაუგებარია, პატიოსნებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

9170. მსოფლიოს უდიდესი კოლონიზატორი, ინგლისი, დღეს ადამიანის თავისუფლების ერთ-ერთი უდიდესი პროპაგანდისტია. ასე ემართება ზოგიერთ მეძავსაც, როცა დაბერდება, პატიოსნებასა და ოჯახის სიწმინდეზე ყველაზე მეტად ის ქადაგებს.

9171. წყვილის ჯანმრთელად დაწყვილება და სქესობრივი მკურნალობა არის კაცობრიობის მთავარი საფიქრალი, ხოლო დანარჩენ საარსებოს, საზრდოს და სამყოფელის მოპოვებას თავად შესძლებს.

9172. კაცმა თავისი სიმართლე და ერთგულება ქალს სექსუალური შესაძლებლობით უნდა დაუმტკიცოს და არა თეორიული საბუთების მოშველიებით.

9173. მეძავი – ეს იგივეა, რაც ტრენაჟორი მამაკაცისათვის. ზოგს ქალთან კარგად ჩატარებული ორგაზმი სიამოვნებს, ზოგი კი ათეული ტონობის აწევით გამოწვეული დაღლისაგან განიცდის სიამოვნებას.

9174. კურდღლის სექსუალურ განცდას რომ ნახავ მისი დაწყვილების შემდეგ, არა მგონია, რომ ჩვენ მისი სახორცედ გამოყენების უფლება გვქონდეს.

9175. ხვადის არსებობის აზრია ძუსთან საერთო ენის გამონახვა, ჯიშიანი შთამომავლობის ჩასახვა და მის აღზრდაში მონაწილეობა, ხოლო მდედრის ვალია კარგად დახურდავება და ღირსეული მამრისთვის დანებება.

9176. მსუბუქი ყოფაქცევის ქალის საქმიანობას თუ სამუშაოს დავარქმევთ, მაშინ ვნებააშლილი მდედრის მცდელობა ხელოვნებად უნდა მოინათლოს.

9177. მადლიერების ღირსნი არიან ქარაფშუტა და ზერელე ქცევის ქალები, რომელთა დახმარებითაც ერი მრავლდება და ბიჭები მამაკაცებად გადაიქცევიან, თორემ სერიოზული, საქმიანი ქალების ხელში სექსუალური კატასტროფის წინაშე დადგებოდა ქვეყანა.

9178. ქალისთვის მთავარია მამაკაცის იმიჯი, ხელგაშლილობა, მატერიალური კეთილდღეობა და თუ ამას სექსიც დაემატება, ამას რა სჯობს, თუ არა და პირველი სამი პარამეტრის პატრონს სხვა მამაკაცის ღირსება სად გაექცევა.
9179. პროსტიტუცია არც გაჭირვების შედეგია და არც პროფესიის დაუფლების სურვილი, ის უბრალოდ ქალის მოწოდებაა და მას ვექილი არ ესაჭიროება.
9180. გულუბრყვილო, სათუთი ქალები ძალზე მიმზიდველნი და აღმგზნებნი არიან სექსში გამობრძმედილი მამრებისათვის.
9181. ქალს შეიძლება სიცილი უფრო სექსუალური ჰქონდეს, ვიდრე გარეგნობა, რაც მამრის "დასაბმელად" სრულიად საკმარისია.
9182. ქალი მოვალეა მამაკაცის სიყვარული მიიღოს და თან დაიხმაროს სხეულის სხვადასხვა ორგანოც, მაშინ გამოვა სიყვარულიც და სექსიც.
9183. ქალის ოცნების უცნაური რომანტიკაა: უხეში მამაკაცური ძალის გასინჯვა მხოლოდ სექსში და ალერსში.
9184. კარიერისკენ მიმავალ გზაზე ქალი შეიძლება ყველაფერზე წავიდეს, მხოლოდ სიყვარულის მსგავს სისულელეზე ფიქრის გარეშე, რადგან სიყვარული და კარიერა მდედრისთვის შეუთავსებელია სექსისგან განსხვავებით.
9185. ყურადღების გრაფიკის დაწესება ქალის მიმართ აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, სექსიც გაუფასურდება, თავაზიანობაც და ის შემორჩენილი სიყვარულიც, რომელსაც გაფრთხილება და მოცდა სჭირდება.
9186. ზოგს შენი გრძნობების დედოფლობა და სულის ტკბობა დამშვენდებოდა, მაგრამ რა ვქნათ, თუ მას მეძავეობისკენ აქვს მიდრეკილება და შენს ოცნებას აღსრულება არ უწერია.
9187. ცოლთან სავალდებულო სექსს თუ მოუმზადებლად და დროის დაკარგვის გარეშე ახერხებთ, ამას რა სჯობს, სხვა ქალთანაც განავარდებას მოასწრებთ, ისე, რომ საყვედურს ვერავინ გაკადრებთ.
9188. სექსი წყვილთა შორის ყველაზე საიდუმლო თამაშია, სანამ ისინი ერთად არიან.
9189. ონანიზმით წარმოდგენილი ქალის გაუპატიურება კანონით არ ისჯება და არც იკიცხება, მაგრამ მიუღებელია ეთიკის გათვალისწინებით, რადგან ძალადობა მაინც ძალადობაა, მის რა სახესხვაობასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე.
9190. ზოგისთვის ინტიმური ცხოვრება სასჯელია, მოვალეობაა, სინდისის ქენჯნაა და ეს მაზოხისტი კმაყოფილია თავისი ყოფით და არ ესმის, რომ ასეთი აკრძალვებით, გადამეტებული წესიერებით, მას ამქვეყნად არ უცხოვრია.
9191. ამბორი სულის მოთხოვნას განეკუთვნება და სიყვარულის გარეშე მისი მიღება ცოდვაა, ხოლო ვნება ფიზიოლოგიური მოვლენაა და პარტნიორის პატივისცემის გარეშე მიღება უკეთურობაა, მიუხედავად იმისა, რომ ის მამაკაცის ჯანმრთელობის უსაფრთხოებას ემსახურება.
9192. ყველაზე დიდი ეროტიკაა, როდესაც ქალ-ვაჟს ერთმანეთის ხელები უჭირავს და ერთმანეთს თვალებში შესციცინებენ, პორნოგრაფიაა, როდესაც ყურებიდან დაწყებული ფეხები მოზრდილ მკერდს და უკანალს მოხდენილად მიაგელვებს და ეს ქალი შენ არ გეკუთვნის, შემდგარი სექსია, როდესაც ქალი გატრუნულია და

სახე გაკვირვების და სიამოვნების ცრემლით აქვს დანამული, სიყვარულია, როდესაც ყველა ზევით მოხსენებულით შეიარაღებული ყაჩაღი, წამოგეპარება და ხელებს სიამოვნებით აგაწევინებს.

9193. თუ მდედრის და მამრის ურთიერთობების რეგულირება მათ შესატყვის სუნზე მოხდა, მაშინ გარეგნობა, ხასიათი მნიშვნელობას კარგავს.

9194. მე სექსი ჩემებურად მესმის: ყველაზე დიდი ორგაზმი მდედრის მადლიერი თვალებია და მის უპეებში ჩამდგარი სიამის ცრემლი.

9195. დამატებითი სითბოს მიღება ყველას ესაჭიროება და თუ ამას საკუროორტო რომანის სახით გამოვკრავთ ხელს, ეს მიანიშნებს ქალისა და მამაკაცის ინტიმურ დროებით მეგობრობაზე, სექსუალურ საწყისებზე.

9196. სასწაულის ჩადენას ქალიშვილს ვერ მოვთხოვთ, რადგან მასაც აწუხებს ადამიანებთან ურთიერთობის და მოწინააღმდეგე სქესთან ვნების გაზიარების სურვილი. ამიტომ მისი დიდი ხნით უპატრონოდ დატოვება, მაღალი მორალური მოთხოვნების და ოჯახის მატერიალურად მომძლავრების საბაბით არასწორია და მისი გადაცდენა ისევ მამრის არარეალური აზროვნების ბრალია.

9197. მეწყვილეს გრძნობები ირჩევენ, სექსს სხეულის ნაწილები აფასებენ და აქ პარტნიორების – მონდომება და გრძნობების არევ-დარევა არაფერშუაშია.

9198. მდედრის მოწონება–მიმზიდველობის დაკვალინებას მამაკაცის ღირსება ვერ იტანს, მას ამ საქმეში სხვისთვის შეუცნობელი ინტიმური შეხედულება აქვს და მისთვის გაუგებარი გრძნობების ეიფორიაში ვარდება.

9199. საოცარია ადამიანის მისწრაფება და საზოგადოების მორალი, ქალს რაც ბუნებისგან მინიჭებული, აღმაფრთოვანებელი აქვს, იმის დამალვას სთხოვენ, ხოლო რაც ღმერთს არ მიუცია, ქალი თვით მალავს და მაკიაჟს იკეთებს.

9200. ყველაზე ძვირფასი სასიყვარულო ურთიერთობებში ის არის, რომ ქალი დროზე მიდის სახლში, წინააღმდეგ შემთხვევაში ურთიერთგაგების ეკოლოგიას საფრთხე ემუქრება და სხვა ქალს თავის სექსუალური ღირსების გამომზეურების საშუალებას დაუკარგავს.

9201. ქალი სექსის გარეშე წარმოუდგენელია, მათ შორის, ერთი შეხედვით „მუდო" მდედრებიც, რომლებიც სათანადო ხვადის გამოჩენაზე სასწაულებს გვთავაზობენ და მაშინ მათი გვარი და სახელიც კი სექსუალურად გამოიყურება.

9202. ქალს ყოველთვის ძველებურად კი არ უნდა უყურო, არამედ შენც უნდა სექსუალურად განათლდე და შეიცვალო.

9203. ქალისთვის ნაძალადევი სექსი ხელოვნებას მიახლოვებული შრომაა და არა – სიამოვნება.

9204. ქალთან მაშინაც უნდა გსურდეთ „ხიფინგი", როდესაც ის გაკაპასებულია და არ მოგწონთ.

9205. ჯობს ქალი ლოგინში იყოს მიმზიდველი და სათნო, ვიდრე საზოგადოებაში, მაგრამ ამდენი ჭკუა ვინ მისცა მამაკაცთა მოდგმას.

9206. სიამოვნება პროსტიტუციამდე არ უნდა დაიყვანოთ, რადგან ეს, პირველ რიგში, დანაშაულია შენი თავის წინაშე.

სიდედრო–დედამთილობანია

9207. ამბობენ: "ჩაციებული სიდედრიც კარგია და შამპანურიცო", მაგრამ მისი მდიდარი ქალიშვილის ქმრობას არაფერი სჯობს, რადგან შენი სიდედრი-განძი უკვე კარგა ხანია მიწაში გყავს გადანახული და იქიდან თავის დარიგებებს და ქონებას გიწყალობებთ თქვენი შეხედულებისამებრ.

9208. ზოგიერთ სიდედრს ისე სძულს თავისი მომავალი სასიძო, რომ თანახმაა მისი სიდედრი გახდეს და საკუთარი „მე" აგრძნობინოს.

9209. რატომღაც ყველა მამამთილს კარგად აღზრდილი რძალი ხვდება და ყველა რძალს ჭკუანაღრძობი, გაფხორილი, თავის თავზე შეყვარებული "კლიაუზნიკი" დედამთილი.

9210. სიძე არ უნდა დანაღვლიანდეს, თუ ქვა ძაღლს ესროლა და სიდედრს მოარტყა, ესე იგი, განგებას ასე სდომებია.

9211. უკონტროლოდ ფული, ქალი და სიდედრი არავის არ უნდა ანდო. პირველით შეეცდებიან თქვენს გაკოტრებას, მეორის დაუფლებას, ხოლო სიდედრს შენს საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ.

9212. მართალია სიძე სიდედრის "ბინძური" და "თავხედი" ნათესავია და შეიძლება არ უყვარდეს იგი, მაგრამ შეუძლებელია პატივს არ სცემდეს იმ სიკეთისთვის, რომ იგი მისი შვილიშვილების მამა და მისი ქალიშვილის მოზღვავებული ქალური ვნების მომთოკავია.

9213. შეიძლება ეზოში უკბილო ავი ძაღლი გყავდეს, მაგრამ სამაგიეროდ სიდედრი მაინც უნდა გყავდეს ოქროსკბილებიანი აფთარი.

9214. ჭკვიანი სიძე ხშირად იფიქრებს სიდედრის სილამაზეზე, რათა ამ უკანასკნელმა სხვა მამაკაცებთან არშიყში დახარჯოს თავისი უარყოფითი ემოციები.

9215. როდესაც სიძეს სიდედრი უზის სახლში, იგი კარებზე აწერს: "ეზოში ავი ძაღლია", მაგრამ ეს წარწერა ყველასთვის ერთნაირი გასაგები არ არის.

9216. ლოგიკური მსჯელობა და ინტუიცია ცხოვრების სწორად წარმართვის საწინდარია, მაგრამ ეს წესი სიდედრის კარაბადინში არ სწერია, რადგან ის თავის წესებით მოქმედებს.

9217. ცხოვრებისეული ანტაგონიზმი სიდედრსა და სიძეს შორის მუდმივი პერპეტუუმ მობილეა, რომლის არსებობა გამოუცდელ სიძეს არ სჯერა, სანამ არ გამოსცდის.

9218. სიდედრი, თავისებური სარწმუნოება, რელიგია, კლანია და თუ ერთ ოჯახში ცხოვრობთ, მაშინ სერიოზულად თუ არა, ეს სარწმუნოება მოჩვენებით მაინც უნდა მიიღო. მით უმეტეს, თუ ამ კლანს ახალგაზრდა სიდედრებიც (ცოლისდები) ავსებენ.

9219. სიდედრს აგარაკზე უნდა მოეხმარო, ნახელავი შეუქო, თუ გინდა მეგობარი, თანამოაზრე და დამცველი გაიჩინო.
9220. კარგ და იდეალურ სიდედრს, მისგან დამოუკიდებლად ცხოვრება იძლევა, ხოლო თუ ის სხვა ქალაქში ცხოვრობს და ტელეფონიც არა აქვს, ეს უკვე ბედნიერებაა.
9221. სიდედრი ხშირად სარკეა თავისი ქალიშვილის, ამიტომ ცოლის მოყვანამდე უკეთესია პირველ რიგში სიდედრს გაეცნოთ ვიდრე საცოლეს.
9222. საოცარია მამაკაცების სოლიდარობა და ურთიერთგაგება: სიმამრი ყველაზე სანუკვარ ქალს, შვილს, თვითონ უწვენს ლოგინში სიძეს და სიძისთვის ყველაზე საძულველ ქალს თვითონ ეჯახირება.
9223. სიდედრს ამბიციები აწვალებს, ცოლს – უპასუხისმგებლობა, ცოლისდას – შური, სიძეს – უმადურება, მხოლოდ სიმამრი იქცევა უმანკო, ვალმოხდილი ადამიანივით, რომელმაც, როგორც შეეძლო ქალების ლაბირინთებიდან თავი დაიძვრინა, რადგან ის დროულად მიხვდა, რომ მამრი ამქვეყნად მდედრის საჯიჯგნად არის მოსული.
9224. სიდედრისთვის დედის დაძახება თავისებური ანომალიაა, მაგრამ სიძის „გაიძვერობა-წინდახედულობას" წინ ვერაფერი დაუდგება.
9225. სიძე-სიდედრის და რძალ-დედამთილის სერენადაში ახალგაზრდობის გამოუცდელობა და დაღვინებულების გადამეტებული ცოდნაა დამნაშავე. ამიტომ უფროსების არამკითხე რევიზიას ტკბილი სიტყვები, მოფერება და დამსჯელი დავალებები უნდა დაახვედროთ: ბავშვების მოვლა, საჭმლის კეთება და სხვა. აუფროსოთ წვრილმანი საოჯახო საქმის კეთებით, რათა ის კმაყოფილი დარჩეს, ხოლო მის დარიგებებს ფილოსოფიური სიმშვიდით უნდა შეხვდეთ.
9226. სიდედრის და დედამთილის მორჯულების წამალია ოჯახის უფროსობის დროებით მათზე გადაბარება.
9227. ძნელია დაეთანხმო სიდედრის მოსაზრებას მისი ქალიშვილის რაობაზე, მაგრამ ასევე ძნელია სხვა მდედრის მოსაზრებაზე თანხმობა, თუ რა არის ქალი, რა სინაზის და სიკეთის მოტანა შეუძლიათ მათ ჭკუაზე მოსიარულე მამრებისათვის.
9228. სიდედრიც ქალია, ამიტომ სჯობს ისიც ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს, ვინ იცის, სად გამოგადგებათ და ვის მხარეს დაიჭერს თქვენს ცოლთან ურთიერთობაში.
9229. სხვისი სიდედრი ყველა ასაკში მშვენიერია, რადგან მას ქალად აღიქვამ და არა საკუთარივით ალქაჯად და მტრად.
9230. ანჩხლი რძლის და უგერგილო სიძის ხელში, დედამთილს წვერი ეზრდება, სიდედრს – ულვაში, თუმცა არც ეს უკანასკნელნი არიან ანგელოზები, რადგან თავისი ეგიდის ქვეშ ოჯახის წევრების დამორჩილებას ცდილობენ და მათთან დრო და დრო ომობანას თამაშს ხელს არ აკლებენ.
9231. პატივისცემას იმსახურებს სიდედრი, რომელიც წინააღმდეგი იყო, რომ მისი ქალიშვილი თქვენი ცოლი გამხდარიყო, რადგან გაგრძნობინებდათ თუ რა ძნელი იქნებოდა მისი სიძეობა.

9232. სიდედრ-დედამთილის საქმიანობა საგარეო მინისტრისას ემსგავსება, რომელსაც ყოველივე სამართლიანად სურს გადაწყვიტოს, ოღონდ თავისიანების ინტერესებიდან გამომდინარე.

9233. ცოცხალი სიდედრისთვის სიძემ თაიგულის ფული ვერასდროს ვერ გადაინახა, ხოლო მიცვალებულისთვის ქელეხის ფულიც გამონახა, არც ყვავილები დაუკლია და მის ადამიანობაში ეჭვიც არავის შეპარვია.

9234. ალბათ ადამი ერთადერთი ბედნიერი სიძე იყო, რომელსაც სიდედრი არ ჰყოლია და წარმოდგენაც არ ჰქონდა რა სახის ხილთან ექნებოდა საქმე.

9235. სიდედრს სიძესთან ურთიერთობაში ისიც კი ავიწყდება, თავადაც რომ პატარძალი იყო, იმდენად დიდია სურვილი გამოცდილების ქალიშვილზე გადაცემისა.

9236. სიდედრიც საყვარელი ადამიანია და დედამთილიც, მაგრამ ამის შეცნობას იმ წლების მატება სჭირდება, რომელიც ასაკში ისე წამოგეწევა, რომ ვერც გაიგებ.

9237. სიდედრსა და მიცვალებულს შორის ის მსგავსებაა, რომ მათზე ან კარგი უნდა ილაპარაკო, ან არაფერი.

9238. სიდედრები ყველაზე კარგად მაშინ გექცევიან, როდესაც ისინი შენი სიძედ გახდომის წინააღმდეგნი არ არიან და თავისი ქალიშვილი უნდათ შემოგაჩეჩონ.

9239. სიდედრს რა სახის კომპასიც უნდა აჩუქოთ და სადაც უნდა გადაკარგოთ, მაინც მონახავს საყვარელი სიძის სახლისკენ მიმავალ გზას, რადგან იქ ის ფასდაუდებელი სიმდიდრე ეგულება, რომელსაც შვილიშვილი ჰქვია.

9240. შეცდომით ცოლის მოყვანაც და შვილების ყოლაც შეიძლება, მაგრამ ამ ბარგი-ბარხანით სიდედრთან გადაბარგება და საყვედურების მოსმენა, ლაქიობის და უნიათო ბუნების მაჩვენებელია.

9241. რატომღაც ყველა სიძეს ძნელად აღსაზრდელი სიდედრი ხვდება და ყველა დედამთილს – ცუდად აღზრდილი რძალი.

9242. სიდედრს შეიძლება მოეფერო, კარგი სიტყვა უთხრა. შესაძლებელია სხვადასხვა სქესის ადამიანებმა ერთმანეთს გაუგონ, მაგრამ რძალ-დედამთილის გაგება გაძნელებულია, რადგან საქმე გვაქვს ორი ქალის სიჯიუტესთან.

9243. ხანდახან მანქანის გასამართავად პატარა საფრქვევი ნემსის საჭიროების გამო იძულებული ხარ მთელი ჰაერშემრევი შეიძინო, ასევე მდედრის მიმართებაშიც – ქალი მოგყავს ცოლად თავის კაპასი სიდედრით და თითის დამქნევი სიმამრით.

9244. სიძე-სიდედრს, რძალ-დედამთილს მანამდე არ შეუყვარდებათ ერთმანეთი სანამ მათ ურთიერთობაში შვილიშვილთა სიყვარული და მათზე ზრუნვა არ ჩაერევა.

9245. ბოლოს და ბოლოს ცოლსაც ვეჩვევით და შვილების გამზრდელ ცოლის დედასაც, რომელსაც მაინც სიდედრი ჰქვია, მიუხედავად იმისა, რომ მიჩვევა, შეჩვევა, ადამიანთა ერთად ყოფნისას გარდაუვალია.

9246. სიდედრებს სიძეების მიმართ სულ მცირე მოთხოვნები აქვთ, ისინი უნდა იყვნენ მამაკაცური ბანკირები, რათა ზოგჯერ საშუალება ჰქონდეს მათაც უფასო კრედიტით ისარგებლონ.

9247. სიდედრი და დედამთილი გონიერი წყვილისთვის დიაგნოზი არ არის, ის უფრო გამოცდაა, რომლის ჩაბარება სათნოების, მოთმინების, პატივისცემის ცოდნას მოითხოვს.

9248. სიდედრის დანახვის დროს არ არის სავალდებულო ერთლულიანი თოფის ორლულიანით შეცვლა. უმჯობესია მის ქალიშვილს უკეთ მოეპყროთ და საჩუქარი გაუმზადოთ.

9249. ცოლი არის მიმზიდველი ქალი-შადრევანი და სიდედრის ზრუნვის ჭაობის ნაჯვარი.

9250. რძლის და დედამთილის ურთიერთობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ გაუკეთა პრივატიზაცია სამზარეულოს.

9251. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მამაკაცს სიდედრის პრობლემა არ აწუხებდეს, რადგან ეს უკვე სიბერის მოახლოვების მაჩვენებელია.

9252. სექსუალური ხვადი ის ელექსირია, რომელიც სიდედრს მივიწყებულ გრძნობებს აუფორიაქებს, თავის ბედზე ჩაქნეულ ხელს ააღებინებდა, ცხოვრების სიამეზე ფიქრს დააწყებინებს და სიძისთვის ჭკუის სწავლებისთვის ვეღარ მოიცლის.

9253. ჭორიკნები, სიდედრები კი არ არიან, როგორც ეს ბევრს ჰგონია, არამედ ისტორიის შემსწავლელ-შემთხზველი მემატიანენი, რომელთა უმეტესი ნაწილი ყოფილი სიძეები არიან.

9254. მრავალცოლიან კაცს რაღა დასჯა უნდა – ცალკე სიდედრების რაოდენობა აწუხებს, ცალკე – ალიმენტების.

9255. ინგლისში, ქალაქ გალფონდენში არსებობს ლუდის ბარი, სადაც იყიდება სენდვიჩი "სიდედრი", რომელშიც გამხმარ პურთან, ცხვრის ლორთან და მჟავე კიტრთან ერთად აუცილებელი კომპონენტია გველის ენა. ამ ბარის პატრონს არც მომხმარებელი აკლია და არც ფული.

9256. ექიმს, რომელიც სიდედრს მოარჩენს, არ შეიძლება მკურნალი ვუწოდოთ, რადგან ერთ-ერთი მხარე მაინც დაზარალებული რჩება.

9257. მლიქვნელობის და გამორჩენის რა პერსპექტივა უნდა ჰქონდეს სიძეს, რომ სიდედრის სურათი ჯიბით ატაროს?

9258. მარტოხელა მამაკაცს არც დედმამიშვილი ჰყავს – ქონებაში რომ შეეცილოს, არც ცოლი – ყოველ სისხამ დილით ჭკუა რომ დაარიგოს, არც სიდედრი – ცხოვრება რომ მოუწამლოს, მაგრამ იგი მაინც საცოდავი ადამიანია, რადგან ამქვეყნიურ ბევრ „სიამოვნებას" არის მოკლებული.

9259. ყველა ქალი დაბადებულია პოტენციური დედამთილობისთვის და თუ ის თავს წინასწარ მოამზადებს ამ საქმიანობისთვის, მაშინ მისი ვაჟის ოჯახს შეხლა-შემოხლით გამოწვეული მიწისძვრა კი ემუქრება, მაგრამ ნგრევა გამორიცხულია.

9260. ყველა დედამ ისეთი ვაჟი უნდა შვას, რომ ქალებმა ეს პერსპექტიული დედამთილი მადლიერებით მოიხსენიონ.

9261. მამაკაცს არ უნდა სახლში ავი სულების შეშვება და ყველა კარს კეტავს, მაგრამ რა უნდა უყოს ცოლს და სიდედრს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ უკითხავად გადაადგილების უფლება.

9262. წესით რძალ-დედამთილი ყველაზე უკეთ უნდა უგებდეს ერთმანეთს, რადგან უნდა თუ არა, დედამთილმა ესტაფეტით შვილი რძალს უნდა გადასცეს, ხოლო რძალმა მომავალ სარძლოს. მიუხედავად ამ საუკუნეებით გამოცდილი აქსიომისა, რძალ-დედამთილს შორის შავი კატა ისევ დახტუნავს.

9263. ეს ცუდ კაცს ჰყავს ცოლი და სიდედრი ოპონენტად, თორემ კარგი კაცის ოპონენტი მთელი სამყარო უნდა იყოს, რათა მან გააზრებული სიკეთე თესოს.

9264. ახლა ყველაფერი შეიცვალა: ძაღლს კატა უყვარს, სიძეს – სიდედრი, ალბათ, ეს ცივილიზაციის, ეკონომიკის და გონების უმუხრუჭო აზროვნების ნაყოფია, რომელიც სამყაროს ბინადართ საფრთხეს უქმნის.

9265. სიდედრ-დედამთილზე დედის დაძახება ადვილია, მზრუნველ მშობლად შეცნობაა ძნელი.

9266. ის რაც დედას ეპატიება, სიდედრ-დედამთილს ხელი მასზედ არასდროს მოემწიფებათ.

9267. ბოლოს ხვდები, რომ შენი ცოლი სიდედრისაგან არც ისე შორს მდგარა, როგორც ადრე გეჩვენებოდა.

9268. სიდედრ-დედამთილის ინსტიტუტთან დამოყვრების მიუხედავად, ის მაიც უცხო სხეულია რძალ-სიძის სულში.

9269. სიდედრი ღვთისნიერ ქალად უნდა მივიღოთ თუ ალქაჯად, ვინ უწყის, მაგრამ ფაქტია, სიძემ „გაუსაღა" ქალიშვილი, რომელიც შეიძლება შინაბერად დარჩენილიყო.

9270. სიდედრ-სიძის მონახულება პატარა დღესასწაულია იმ იმედით, რომ ეს ხშირად არ განმეორდება.

9271. ქალი ბებია იქნება თუ დიდი ბებო, მას არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ის თავის დროზე სიდედრიც იყო და დედამთილიც, ე.ი. სამყაროს მშვენება და სიცოცხლის საწყისი.

9272. სიდედრთან ურთიერთობა თავისებური ფილოსოფიაა, ყველას გასაგონად უნდა აქო და ოჯახს შენი ზედამხედველობის გარეშე ახლოს არ გააკარო.

9273. სიდედრი-დედამთილი, ერთი შეწვი და მეორე მოხარშე, ახალგაზრდების საკვნესად ყველა ერთია.

9274. სიძისაგან განსხვავებით, სიდედრის ქალიშვილს ქმრის შესაძლებლობების უფრო სწამს და იმედით უყურებს, ვიდრე ამ ოჯახს „შეწერილი დედიკო".

9275. ერთდროულად ნანატრ ქალიშვილზე ქორწინება და საძულველი სიდედრის ქელეხის გადახდა ყველა სიძის აუხდენელი ოცნებაა.

ტრფობა – სიყვარული

9276. სიყვარული ბედნიერების ჩანჩქერია და თუ კარგად მოვუფრთხილდებით, ჩვენთან ერთად სიცოცხლის ბოლომდე იჩუხჩუხებს.
9277. ისე არ უნდა შეიყვარო, რომ კვება მისი ნასუფრალიდან მოგიწიოს.
9278. სიყვარულისგან განკურნებას მხოლოდ ყოფითი სიმდიდრე მოაქვს, სულიერისაგან კი – სამუდამოდ გაღარიბება.
9279. სიყვარული ქარიშხლის, რომანტიკის, მშვიდობის, მრავალჟამიერი სიცოცხლის გარანტიაა და ემანსპირებულ ქალებსაც აიძულებს, მამაკაცებს შემოქმედებითად მიუდგნენ.
9280. სიყვარული საბოლოოდ მაინც მოვალეობის შეცნობაა და არა ცარიელი გრძნობების გორა, რომელიც გარკვეული დროის მონაკვეთში უდიდესი დღესაწაულია, აღტყინებაა.
9281. სიყვარული ავია, გაჭირვებულთათვის „ჰამლეტის ტრაგედიაა", მაგრამ არასდროს არ გწყინდება.
9282. სიყვარულმა ზოგს შეიძლება საჭოჭმანო საქმე და უაზრობა ჩაადენინოს, მხოლოდ იმდაგვარად, რომ სიყვარულისკენ მიმავალი გულის ძაფები არ დაზიანდეს და გაწყდეს.
9283. სიყვარული ერთადერთი ფენომენია, რომელსაც გაუგებრობა, სიდუხჭირე, სიმართლე ფეხებზე ჰკიდია და მაინც მართალი და სიცოცხლისუნარიანია, რადგან ის თაობების კვლავწარმოებას ემსახურება.
9284. სიყვარული შინაგანი სამყაროს მუხრუჭებიდან გვანთავისუფლებს, მრავალმხრივი კითხვის და ძახილის ნიშნებით.
9285. თუ სიყვარულია, ის დიდი დოზებით უნდა შესვათ, რათა ერთხელ ბოლომდე გამოსცადოთ მისით გამოწვეული მუხანათი მღელვარება, როგორც სიამის, ისევე შლეგობის, რათა შემდგომ ჩვეულებრივი ცხოვრებით იარსებოთ.
9286. დღეს სიყვარული რაღაც მონსტრს დაემსგავსა, მისი სახელით უკვე ყველა სისაძაგლის გამართლებას ცდილობენ და ახლობლების, მეგობრების მიმართ ჩადენილი არაკაცობა სათანადო გაკიცხვას აღარ იმსახურებს.
9287. სიყვარული სულის ინვალიდობაა, მაგრამ დიდი განცდაცაა, რადგან შენ ვიღაცისთვის ძვირფასი და საჭირო ხარ და შენც შეგიძლია მისი ხუშტური სიამოვნებით აიტანო.
9288. სიყვარულისთვის თავის დაკარგვა შეიძლება, სულის განუწყვეტელი მოფერებით, ოღონდ სახის და გონიერების საბოლოო გაფრთხილებით.
9289. სულის მოწყალების გაღება სიყვარულისთვის ყველაზე დიდი სიამის განცდაა.

9290. სიყვარულის დღესასწაულის დაჯერებაა ძნელი, თორემ მასზე ოცნება ადვილიც არის და ყველასთვის მისაწვდომიც.
9291. სიყვარული ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთებში შესაძლებელია, მაგრამ მისი სიცოცხლის ბოლომდე გატანაა ძნელი.
9292. სიყვარულს თავისებური მათემატიკა აქვს და არა გამრავლების მცდელობაზე დაყვანილი არითმეტიკა.
9293. სიყვარულს არც თავდები ჰყავს და არც გარანტი, მითუმეტეს, რომ მისი ჩასახვის პერიოდში ამაზე არავინ ფიქრობს.
9294. რამდენჯერმე სიყვარულით დაქორწინება ზოგისთვის სასიამოვნო პროცესია, მაგრამ გარკვეული დრო-ხანის შემდეგ ერთფეროვანი და მოსაწყენი ცხოვრების გახალისება ისევ ახალი ქორწინებებით შეიძლება, მაგრამ ასაკის მატება უშლის ხელს.
9295. მამაკაცი სიყვარულის დებიტ-კრედიტის დადგენაში კლავს დროს, ქალი კი სიყვარულის იდეალური აზრის ძიებაში.
9296. სიყვარულსაც თავისი გურმანი სჭირდება, რათა ტკბობის ლამპარი ბოლომდე ენთოს და დევალვაცია არ განიცადოს.
9297. გრძნობების მოთოკვის გარეშე ზოგს უიმედო სიყვარული აქცევს უსუსურად, ზოგს კი სიძულვილი – უდღეურად.
9298. სიყვარული ყოველთვის იყო ჰორმონების ძებნა და გამოჭერა ვნების გამოხატვით.
9299. ნამდვილი სიყვარულისაგან განსხვავებით, ანგარიშიანი სიყვარული დიზაინსა და მრავალფეროვნებას მოითხოვს, მაგრამ როგორც არ უნდა განსაჯო, ეს უკანასკნელი უფრო გამძლეა.
9300. სიყვარული იდუმალებაა, რომლის გამხელა მას ლაზათს და შეგრძნებას აკლებს. ნამდვილ აღმაფრენას ხმამაღლა არ ამხელენ.
9301. ყველაფერი შეიცნობა, სიყვარულის და ახლობლის ღალატის გარდა.
9302. ყველა სიტუაციიდან გამარჯვებული გამოსვლის ერთადერთი საშუალება სიყვარულის ნიჭია, ამ ნიჭის უქონლობა კი უბედურებაა.
9303. სიყვარული ეს არის მამაკაცის ღირსების და მისი ნაზი გულის სინონიმი, თუმცა ბედისწერასაც აქვს მნიშვნელობა.
9304. სიყვარული და ცოლქმრული ურთიერთობა ნამდვილი ოქროს ძარღვია, რომლის მოპოვებას თან ახლავს ეჭვი, თავხედობა, შემთხვევითობა. აქ მთავარია ნაპოვნი ბედნიერების სიცოცხლის ბოლომდე გონიერად გამოყენება.
9305. სიყვარული მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება გაწბილდეს, როდესაც საქმეში სიკვდილი და გულგრილობა ერევა.
9306. სიყვარულისა და სირცხვილის კულტურა ერთმანეთს ვერ ეგუებიან, მაგრამ ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებენ.
9307. სიყვარული გარკვეულ ეტაპზე დასვენებას მოითხოვს და თუ მას დროებით ჭირხლი შეეპარა, ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, ყოველივეს დრო მოაგვარებს.

9308. ღმერთის ემოციური სიყვარული ყოველთვის მთავრდება მატერიალური მოთხოვნებით. ასე, რომ სიყვარული, უფრო მატერიალურია, ვიდრე სულიერი.
9309. სიყვარულით წამება არის ადამიანის ყველაზე უკეთ შემმოწმებელი: იგი სუსტი აღნაგობის, გულმხურვალე არშიყს დაღუპავს, ხოლო ძლიერს კაცად გამოაწრთობს.
9310. ისიც დიდი სიყვარულია, როდესაც წყვილს მოკლე ხნის განმავლობაში ერთმანეთი ძალიან უყვარს და ენატრება, მაგრამ სიყვარულის მორევში გადავარდნისთვის დრო არ ყოფნით.
9311. პირველი კოცნის სურნელი, პირველი სიყვარული, პირველად შენი სასიყვარულო მცდელობის ანაზღაურება და ყოველივე პირველი, უცბად, ახალგაზრდობასთან ერთად ქარბორბალასავით ჩაგვლის და ყოველდღიურობის მონა ხდები.
9312. სიყვარული, რაც უნდა გავაფეტიშოთ, მაინც მატერიალურია, მას თავისუფლება და საზრიანობა სჭირდება.
9313. რაც უნდა ხშირად ეალერსებოდნენ ქალი და მამაკაცი ერთმანეთს, სიყვარულის მარაგს მაინც ვერ შექმნიან, რადგან სიყვარული საწყობი არ არის, ის ინდივიდუალურია და შენთვის მოსახერხებელი.
9314. ქორწინება და სისუფთავე პირველ რიგში საღი აზრია, ის ფართე გამოყენებას პოულობს და შემდეგ გვევლინება სიყვარული.
9315. სიყვარული ეს თავისებური თამაშია და ამას, ქალები უკეთ ახერხებენ, რადგან აქ თამაშის და სინამდვილის გარჩევა ქალებისგან განსხვავებით, მამაკაცებს უჭირთ.
9316. სიყვარული ნიჭია, ეს ნიჭი კი ერთეულთა ხვედრია და უბრალო მოკვდავთათვის მიუწვდომელი, რომელთაც ისღა დარჩენიათ ამ ნიჭს თაყვანი სცენ.
9317. შეუძლებელია ქალს ყველა მამაკაცი უყვარდეს. ერთი მას სჭირდება სექსის და მამაკაცთან ურთიერთობის სასწავლებლად, მეორე, სასურველი ბავშვის გაჩენაში რომ დაეხმაროს, ხოლო მესამე უყვარდეს იმ ზღვრამდე, როგორც ეს მას ესმის და მოეპრიანება.
9318. სიყვარული ალბათ ის არის, როდესაც მაგნიტივით რაღაც გიზიდავს და მისი შენდამი უხერხულ პირობებში ჩაყენების შემთხვევაშიც კი თავს დამცირებულად არ გრძნობ.
9319. სიყვარული ბრმა და ყრუა და რაც უნდა უმკურნალო, განსჯას არ ექვემდებარება.
9320. ძლიერი პიროვნება თუ არა ხარ, ძნელია თავის გადარჩენა შეშლილი სიყვარულისგან, რომელიც ისე მოულოდნელად მოგივარდება, რომ მისგან ვერც შვებას იგრძნობ და ვერც ხსნას. ამასთან, სუსტსა და უნებისყოფოს იმონებს და აჩაჩანაკებს.
9321. სიყვარულზე სუფთა, მხურვალე და სასიამოვნო ცეცხლის ალი არ არსებობს, მას ბედნიერების მუდმივი გამოძახილი თან ახლავს.
9322. სიყვარულთან თუნდაც მცირედი ზიარება და მისი შეგრძნება, არის ცდა მშვენიერებასა და სიწმინდესთან მიახლოვებისა.
9323. შეყვარებული ქალი და ჭკუა ერთმანეთისგან შორს დგანან, არც შეყვარებული მამაკაცი და ჭკუაა ერთმანეთთან ჩახუტებული, მაგრამ ქალების ჭკუაგადასულ

სიყვარულს არ ეპუება, თავიანთი გრძნობით აღფრთოვანებულები, ნარკომანებივით შედეგს არ დაეძებენ.

9324. სიყვარული ვერ იტანს გაშინაურებას, რის შედეგადაც ვკარგავთ წონასწორობას, გაფაქიზებული გვაქვს სმენა, მხედველობა, აღქმა, გაღიზიანებული გვაქვს ღირსების გრძნობა. მოკლედ, ღმერთის წყალობა შეიძლება ღვთის რისხვად გვექცეს. ამიტომ სიყვარულს გაშინაურება კი არა, დიდი მოფერება და გაფრთხილება უნდა.

9325. სიყვარულს ოროსანი შეგირდი არ უყვარს, რადგან სწავლაში დრო გადის და თქვენმა პარტნიორმა შეიძლება სხვა აირჩიოს.

9326. სიყვარული არაპროგნოზირებული სენია, ზოგს ქრონიკულ დაავადებად გადაექცევა, ზოგს კი ერთხელ შეეყრება, თავს მოიგიჟიანებს და ამ სენს მოიშორებს.

9327. სიყვარულმა ზომიერება არ იცის, გასახარია, თუ მას ჭკუის კონტროლიც ახლავს, მაშინ ის შესაფერის პარტნიორსაც ნახავს.

9328. სიყვარული იმითაც არის გაუგებარი, რომ წარმოსახვით გიყვარს ისეთი პიროვნება, რომელიც ეკრანზე არ გინახავს, მხოლოდ გსმენია მის შესახებ ან წაგიკითხავს, ხოლო ის ვინც შენს გვერდითაა და შენგან სიყვარულს მოელის, იმას ვერ ამჩნევ, იმიტომ რომ მის საქმიანობას ჯერ ობი არ მოსდებია და მის ნამოქმედარზე საყოველთაო აზრი არ შექმნილა. ეს შეიძლება იმის ბრალიც არის, რომ გამზადებული ძველი ღვინო უფრო მათრობელაა, ვიდრე მაჭარი, რომელსაც დრო და დაღვინება სჭირდება.

9329. ეს ამოუცნობი ფენომენი – სიყვარული ხანდახან ისეთ რაღაცას ჩაგადენინებს, რაც არავითარ საღ, ლოგიკურ აზროვნებას არ ექვემდებარება.

9330. სიყვარული ბუღალტერიას ვერ იტანს, მაგრამ ვერც დებიტ-კრედიტის უგულებელყოფა იძლევა მისი შენარჩუნების საფუძველს.

9331. სიყვარული უკიდეგანო, უჰორიზონტო, უსასრულოდ ეჩვენება მას, ვისაც მისი ვირუსი შეეყრება, მართალია ამ გრძნობით აღჭურვილები ერთეულები არიან, მაგრამ მათი განკურნების შემდეგ, ბევრს სიყვარულის ინვალიდობის სტატუსი გარანტირებული აქვს.

9332. სიყვარული აბრიალებულ კოცონს მოგვაგონებს, რომელიც კაცმა არ იცის საიდან და რომელი მხრიდან მოვიდა. კოცონი შეიძლება უცბად ჩაქრეს, ან პირიქით, ხანძარი გამოიწვიოს, მაგრამ მისი ჩაქრობა მაინც ხერხდება. ხოლო შემდგომ არის ძნელი, რომ ნაკვერჩხალი კვლავ არ აბრიალდეს, ან სულ არ ჩაქრეს. ასე რომ სიყვარულის ალის ჩაქრობის შემდეგ, "ავადმყოფმა" სწორ რეაბილიტაციაზე თავად უნდა იფიქროს.

9333. მოწონებით სიყვარული უფრო დიდი ბედნიერებაა, ვიდრე დიდი სიყვარული, როგორც მომავალი ოჯახისთვის, ასევე ოჯახების სიმტკიცისთვის მებრძოლი სახელმწიფოსთვის.

9334. თუ სიყვარული უდრტვინველად მიდის და მოდის, მაშასადამე მას არავინ არ დარდობს და არც არავინ იხსენებს.

9335. ვნება მიდის და მოდის, ხოლო მეტნაკლებად მყარი სიყვარული ბედნიერების თავი და თავია.
9336. სიყვარული ჭკუას არ უმატებს, მაგრამ არც ისეთი სულელი უნდა იყო, რომ ამ ტანჯვაზე უარი თქვა.
9337. რეალური სიყვარულის ფორმულა ალბათ არასოდეს დაიწერება, მაგრამ მის მრიცხველში აუცილებლად აითვლება სექსი, ორგაზმი და სულიერი აღტყინება, რადგან მათ გარეშე არც სიყვარულს და არც მომავალი თაობის გაჩენას ექნება ფასი.
9338. სიყვარული და შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა ახასიათებს მას, რომელიც თუ ცხოვრებაში მენაღმესავით ერთხელ შეცდა, მთელი ცხოვრება თავს გაიწამებს.
9339. არაპერსპექტიული და არაკონსტრუქციული სიყვარული შეიძლება საკუთარი თავისთვის სამარის თხრას უდრის, მაგრამ ანალიზს არ ექვემდებარება, რადგან სულია აბობოქრებული და მის დაწყნარებას პარტნიორის უგვანო მოქმედება ან დრო სჭირდება.
9340. მისაღები ნორმები უკან იხევს, როდესაც საქმე გვაქვს ნამდვილ სიყვარულთან, გრძნობებთან, მაგრამ არა იმდენად, რომ ყველაფერს ხაზი გადავუსვათ.
9341. სიყვარული თავისი ბუნებით ძალიან სათუთია. ის ერთეულების ხვედრია და არა ყველა მოკვდავის, მაგრამ ბედნიერების მომტანია თუ არა – ეს სხვა საკითხია.
9342. მამაკაცის და ქალის სიყვარული იმიტომ არსებობს, რომ თავიანთი შესაძლებლობები გადაამოწმონ სხვადასხვა დროს მოპირდაპირე სქესთან და კვალიფიკაცია აიმაღლონ, რადგან ამქვეყნად სწავლის გარეშე ვერაფერს მიაღწევ, ნიჭი კი ყოველთვის საკმარისი არ არის და მის გამოსავლენად ოფლის ღვრაცაა საჭირო.
9343. სიყვარული საბოლოოდ მიდის, ხოლო მოწონებას აქვს შანსი თავისი თავი კიდევ გაიმეოროს, რადგან პირველი სუფთა გრძნობაა და ჭუჭყიანი ხელის შეხებას ვერ იტანს, ხოლო მეორეში ფემინიზმის ნიშნებია, რაც ანგარებასთან არის ახლოს.
9344. ეჭვიანობა, შური, დაწვრილმანება – ამ გრძნობებით ცხოვრება ძნელია, მაგრამ ეს სიყვარულის თავისებური გამოხატვაა.
9345. სიყვარული ტკბილი ტკივილია, წუხილია, გრძნობების მოთოკვაა, რომელიც სულის სიღრმეში ამოდის და ვერავითარ ნაკლს ვერ ამჩნევს, გრძნობების გამხელა და სულის ამოფრქვევა სიყვარულის ვულკანს აწყნარებს და აშოშმინებს.
9346. სიყვარულის მოპოვებისთვის ბრძოლაში ტყვეების აყვანა არ ღირს, მაგრამ ტყვეს დანახვა ქალისთვის აუცილებელია.
9347. სიყვარული პასუხისმგებლობაა იმ პირის წინაშე, ვისაც თქვენთან ურთიერთობა სურს და ამ ურთიერთობას უფრთხილდება.
9348. სიყვარული გადაიხდება ტანჯვით, ურთიერთგაგებით, გულით, ფულით, ურთიერთდამოკიდებულებით.
9349. სიყვარული გარანტიაა ქარიშხლის, რომანტიკის, სიწყნარის და მრავალჟამიერი სიცოცხლის. ის ემანსიპირებულ ქალბატონებსაც კი აღაფრთოვანებს.
9350. სიყვარული გაცემის გარეშე არ არსებობს. მთავარია გაცემაში რას ვგულისხმობთ: გაღებას თუ ღალატს, რომლებიც სიყვარულის შემადგენელი ნაწილებია.

9351. სიყვარული შეუფასებელი და საკვირველი რამ არის, ის სამყაროს ყველა საოცრებაზე უფრო დიდი საოცრებაა.

9352. თუ ქალი პატიობს შეცდომას მამაკაცს, ესე იგი უყვარს, თუ მამაკაცი ქალს პატიობს ღალატს, ამ მამაკაცს ან რაღაცა უჭირს, ან გარემოება აიძულებს შემწყნარებელი იყოს, თუ ქალს სხეულში სისხლი უჩქეფს და ნამდვილი ქალია იგი შეცდომას კიდევ გაიმეორებს, ხოლო მამაკაცი თუ ნამდვილი მამაკაცია, უნდა ეცადოს რომ შემდგომ უშეცდომოდ იცხოვროს, რათა დრო მკურნალად მოევლინოს ქალის დაკოდილ გულს.

9353. სიყვარულს ძებნა სჭირდება, რადგან ის სხვადასხვაა: შეიძლება საყვარელი სამუშაო გქონდეს, საყვარელი მეგობარი გყავდეს, შეგხვდეს სასხვათაშორისო ცოლი, ან გამგები ქალი და არა სათაყვანებელი, რადგან მამაზეციერმა შენთვის ამდენი სიყვარული ვერ გაიმეტა.

9354. სიყვარულს თავისი დროის გამართლების და ღირსების საზღვრები აქვს, ხოლო ამ ზღვარის დაურღვევლობა ერთგულება, გაფრთხილება და ბედნიერების შეგრძნების უნარი.

9355. როდესაც კოცნის დროს გრძნობები გაფორიაქებს, აქ სიყვარულია შესაძ-ლებელი, ხოლო როდესაც სხვა რამეზე ფიქრობ, სიყვარულზე ლაპარაკიც ზედ-მეტია, მაგრამ დიდი კაპრიზები კოცნის მიმართ ჯიშს და ჯილაგს გადაგვიგვარებს და სიყვარულისთვის ადგილიც აღარ დარჩება.

9356. სიყვარულით უღელის დადგმა დიდი შეცდომაა, მაგრამ გაბედავს ვინმე, ეს დაუმტკიცოს შეყვარებულებს?

9357. გარეშემომყოფთათვის მწვავე განსჯის საკითხად იქცა, როდესაც უგონო სიყვარულით დაავადებულმა ახალგაზრდამ სათაყვანებელი ქალი მოკლა. ამავე დროს ხაზს უსვამენ, რომ სიყვარული ყველა სიტუაციაში მართალია და კრიტიკას არ ექვემდებარება.

9358. ქალსა და კაცს თუ ერთმანეთი უყვართ, გარკვეული უფლებების აკრძალვა პირველს ხანდახან სიამოვნებასაც კი ანიჭებს, ხოლო მეორეს შეზღუდვები აკნინებს.

9359. ქალს უფლება არა აქვს მამაკაცის ღირსების ამაღლებაზე არ იფიქროს, რადგან პატარა წარმატებებისა და აღიარების გარეშე მამაკაცი ვერ გამოუშვებს დაგროვილ ბოღმას და რა იფეთქებდა ოჯახურ ურთიერთობაში, არავინ იცის.

9360. სიყვარული დიდხანს ვერ სძლებს, მხოლოდ ფული და უძრავი ქონებაა ხანგრძლივი, თუ მასში გონივრულად დააბანდებთ. სამწუხაროდ, ამას ახლობლების მიერ ქონების გამოტყუების შედეგად ვიგრძნობთ.

9361. სრულყოფილი სიყვარული აბსურდად გადაიქცევა, თუ ადამიანს ღმერთის სიყვარულზე არანაკლებ მოყვასის სიყვარული არ ძალუძს.

9362. სიყვარული განუჭვრეტელი ფსიქო-ბიოლოგიური მოვლენაა, სადაც ზოგი უზრუნველად ცხოვრებას ეჩვევა, საზოგადოებაში თავისი ადგილი აქვს და ქორწინების შეწყვეტაზე გაფიქრებაც არ უნდა, ამბიციებს აყოლილისთვის პირველ საკითხად გაყრა დგას. ამით ბრბოში ეს უკანასკნელი მეტ სიმპატიებს იმსახურებს.

9363. სიყვარული საბოლოოდ მაინც მოვალეობის შეცნობაა და არა ცარიელი გატაცება. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ დროის მონაკვეთში ეს ბედნიერებაა, დღესასწაულია, აღმაფრენაა.

9364. სიყვარული როგორც მოდის, ისე მიდის, მაგრამ მრავალცოლიანობა მას აგრძელებს, განაახლებს, ცხოვრებაში სანანებელ ცოდვას არ გვიტოვებს, ეს შემთხვევაა, როდესაც რაოდენობა ცვლის ხარისხს, ქალების მიერ ერთმანეთის შევსების ხარჯზე.

9365. თუ ქალებს მამაკაცები ყურებით უყვართ, არც თანამედროვე მამაკაცები არიან კომპლიმენტის მოსმენის წინააღმდეგნი, რადგან მდედრი კაცის სიტყვაში თავისი ოცნების ნაწილს და პერსპექტივას ხედავს, ხოლო მამრი არჩევანის ქაოსიდან გამოსვლას. ბოლოს და ბოლოს მან თავისი შესაფერისი მდედრის ნახვა მოახერხა და ქალის სამყაროს ეზიარა.

9366. სიღარიბე თუ კარებიდან შემოგეპარა, სიყვარულს ფანჯრიდან ნახტომი გამზადებული აქვს. თუ უყვართ, ყველაფერს გაუძლებენ – ეს ცნება მოძველებულია, რადგან დღეს სიყვარულს მარტო ყურებს არ ანდობენ. მასში თვალი, გონება, მომხიბვლელობა ერევა და ამდენ გრძნობათა ორგანოს გაწბილებას კუჭი ვერ იტანს და ოჯახი იშლება.

9367. რომანს ზოგი სიყვარულს, შეჩვევას, ერთგულებას, შეცდომას არქმევს და როდესაც მთავრდება ურთიერთობა, ცხოვრების დაისზე მასზე უკეთესი მოსაგონარი არაფერი რჩება.

9368. სიყვარული შველის და აწბილებს ადამიანს, მაგრამ მისგან თავის დახსნას მაინც არ ცდილობს.

9369. გარკვეულ ეტაპზე სიყვარულსაც სჭირდება შვებულებაში გასვლა, რომ არ გადაიწვას და დასვენებით განებივრებულმა და აზრზე მოსულმა ყველაფერს თავის ადგილი მიუჩინოს.

9370. თუ სიყვარულს გავაფეტიშებთ, ადრე თუ გვიან მივხვდებით, რომ ქალი მომხვეჭელი სულის პატრონია და ყველაფერი მთავრდება მატერიით.

9371. სიყვარული მოდის შიშითაც და გრძნობითაც. სამწუხაროდ, პირველი უფრო ჩქარა მოდის და ერთგულია, ვიდრე მეორე, რომელიც რევერანსებით, განცდებით, სათუთი მოპყრობით მოვიპოვეთ.

9372. ბედნიერება და სიყვარული სიდიდით კი არ ფასდება, არამედ მისი გამოყენების და ურთიერთობის ცოდნის უნარით.

9373. სიყვარული ეჭვიანობის სინონიმია, მაგრამ არა ყურებამდე შეყვარებულთათვის, რომლებიც ვერც ვერაფერს აზროვნებენ და ვერც ვერაფერს გრძნობენ ერთმანეთის გარდა.

9374. სიყვარული და მისი იმიტაცია ერთი და იგივე შედეგს იძლევა – დაოჯახებას, ამასთან თუ ის წინასწარ დაფინანსებულია, მატერიალური კეთილდღეობა ეჭვს არ იწვევს. მაგრამ სულიერი...?

9375. ნამდვილი სიყვარული მოთმინებაა, ხოლო მხურვალე – წელქვეით დარტყმის საბოლოო ფაზა და ოჯახის დანგრევის შესაძლებლობა.

9376. სიყვარულს სჭირდება თავისუფლება და თუ მასში გონიერებასაც ჩავრევთ, ასეთ ურთიერთობას წინ ვერაფერი აღუდგება.
9377. სიყვარული საკუთრების და ფულის გარეშე არ არსებობს რადგან ქალთა ემანსიპაცია აგებულია კეთილდღეობასა და შესაძლებლობების გადაანგარიშებაზე.
9378. სიყვარულის დევალვაცია მაშინ არღწევს პიკს, როდესაც ქმრის ოქროს გულს და ასაკის მოძალებას, ცოლი ახალგაზრდის რკინისებურ ჯანმრთელობაზე გაცვლის.
9379. მართალია, სიყვარული გვაიძულებს ვეწამოთ, მაგრამ რამდენ ბედნიერებას გვანიჭებს ამ წამების საფასურად, უცნობია.
9380. სიყვარული მათემატიკა არ არის, ყოველივეს ვერ გაითვლი, მითუმეტეს, თუ ის არც ინტეგრალების ამოხსნას ემორჩილება და აქსიომის ჭეშმარიტებაც ფეხებზე ჰკიდია.
9381. ამბობენ ქალს ყურებით უყვარს, კაცს – კუჭით, მაგრამ ამ სიყვარულის შუამავალი მაინც ენაა, რადგან მომხიბვლელად მოსაუბრე ენას ვერაფერი შეედრება.
9382. ცხოვრებაში სიყვარულიც კი შეფარდებითი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველივე ირყვნება და იხრწნება.
9383. სიყვარული თუ ნაღდია, მისი უარყოფა, ან დამახინჯება საჭირო არ არის, რადგან გონების ეს სასიამოვნო ეიფორია ამის საშიალებას არ იძლევა.
9384. სიყვარულის გაუფასურება მისი საბოლოო შედეგის მიუხედავად შეუძლებელია. მისი შესაძლებლობების მოგონებით შეიძლება მხოლოდ ისიამოვნო.
9385. ქალის ხელში სიყვარული იარაღია, სექსი – ძალადობა, ცოლად გაყოლა – დამონება, რომელსაც მამრი სიამოვნებით ემორჩილება გარკვეულ დრომდე.
9386. სიყვარული კატა-თაგვობანას თამაშია და მისი მთელი კაიფი აქ გამოვლინდება, ხოლო საბოლოოდ ვინ ვის ბრჭყალებში აღმოჩნდება და ვინ როდის მოახერხებს ამ კლანჭებიდან თავის დაღწევას, ეს ბედის საკითხია.
9387. სიყვარული უცაბედი აფეთქების შედეგია, ხოლო ოჯახი ამ წვის შედეგად მიღებული ღადარი.
9388. სიყვარული სიცოცხლის ელექსირად რჩება მანამ, სანამ სული ახალგაზრდაა.
9389. სიყვარული სანსლავს დროს, გონიერებას, ჰაერსაც კი. სანაცვლოდ ბედნიერებას, იმედს, აღფრთოვანებას, რწმენას იძლევა და მის შესანარჩუნებლად მზად ხარ საყვარელ ქალთან ერთად ჯოჯოხეთის ფსკერზეც კი მოხვდე.
9390. განა ცარიელი სიყვარული ღირს იმ გრძნობების აფორიაქებად, რომ შემდგომ მთელი ცხოვრება გაიმწარო? იქნებ მოწონებული ანგარიშიანი სიყვარული სჯობს. ალბათ ყველაფერს თავისი დრო და დაღვინება სჭირდება.
9391. დაღვინებული სიყვარულია ის, რომელიც გრძნობებს იოკებს, გრძნობს მამაკაცის ბუნებას, გრძნობებს გაფრენის საშუალებას ფრთებს უკვეცავს და ყველა სურვილს დაუფიქრებლად არ ემორჩილება.
9392. სიყვარული ყოველთვის მიგვახვედრებს, თუ რას გრძნობენ პარტნიორები ერთმანეთის მიმართ, ხოლო ერთმანეთს რომ ხშირად ვერ უგებენ, ისიც ცხადია.
9393. შეყვარება დროებითი მოვლენაა, ის მოწოდებულია მოწონებისთვის, ახალი პერსპექტიული პარტნიორის ძებნისთვის, ან ძველი სიყვარულის საბანკო „ჩეკის" პრივატიზაციისთვის.

9394. სიყვარულს სიელმე და სიბრმავე რომ არ სჭირდეს, ეს ქვეყანა ან ძალზე დაწყობილი იქნებოდა ან საერთოდ არ იარსებებდა.

9395. თუ გიყვართ, გგონიათ ერთ დღესაც ვერ გაძლებთ უიმისოდ. გადის დრო და ეს ახალგაზრდული აქსიომა თეორიად გადაიქცევა, ხოლო თეორიის შეცვლის მცდელობას ბევრი მაცდუნებელი ჰყავს.

9396. პლატონური სიყვარულის, თეორიული სიამოვნების, ძებნა იქაა, სადაც პრაქტიკულად არაფერი არ ხდება და არც შეიძლება მოხდეს.

9397. სიყვარული არის შენთვის გაუგებარი, არაფრის გულისთვის ვიღაცის მიმართ დროებითი ლტოლვა და თავდავიწყება.

9398. სიყვარულის ატრიბუტები: ჟესტების ენა, თვალების დაჟუჟუნების უნარი, გულში ჩამწვდომი ღიმილი, ოხვრა და საამო ცხოვრების აზრის მიმცემი საკრედიტო ბარათი.

9399. ყველას და ყველაფერს თავის დრო აქვს, გარდა ქალის სიყვარულისა, რომელიც ადრეული ასაკიდან იწყება და უსასრულობამდე გრძელდება.

9400. ცხოვრების სიხარულს გასაღებით ვერ ჩაკეტავ და ვერც კარებს გამოუხურავ, რადგან სიყვარული ნერვებს გიშლის იმით, რომ შენს თავქეიფა აღმაფრენას ვერ უგებს და ჯინაზე ათასი სისულელისკენ გიბიძგებს.

9401. სიყვარული გამართლებაა, მაგრამ მისი არჩევანი ლატარიას არ უნდა მივანდოთ, რადგან მამრის ვალია მოიპოვოს მდედრის თანაგრძნობა და არა – სარეცელი.

9402. მიტევება და სიყვარულის უნარი ურთიერთობისთვის საიმედოა, მაგრამ მისი ცოდნის თამაშია გამოუსადეგარი, რადგან პირველში გაცილებით მეტია ბრძოლა, აფორიაქება, ჭეშმარიტების დადგენის მცდელობა და ბოლოს შეთვისება.

9403. მყარი ოჯახის შესაქმნელად პრაქტიკულად – შეჩვევა, ხოლო თეორიულად სიყვარული ჯობს. პირველის შედეგი დროს მოითხოვს და შეიძლება ისე დაბერდე, ვერც გაიგო, ეს ადამიანი გიყვარს თუ შეეჩვიე, ხოლო მეორე სწრაფად მოდის და სწრაფადაც შეიძლება ჩაიფერფლოს, სანამ კვლავ სხვა ფიჩხის შემკეთებელი სიყვარულის ალს არ აანთებს. ამრიგად შერჩევაც და სიყვარულიც ორივე ნიჭს მოითხოვს, ოღონდ გააჩნია, ვის რა აქვს ზევიდან ნაბოძები.

9404. ზოგჯერ სიყვარული კბილის ტკივილს ჰგავს, გულში გატარებულს, გონიერების ფილტრის გვერდით ავლილს, რომელსაც მკურნალობა არ შველის, ამოთხრას მოითხოვს.

9405. სიყვარული თავისებური თავის მოტყუებაა, განსაკუთრებული გაელვებაა, მოვალეობის შეგრძნებაა, ორივესთვის გასაგები კულტურა და კიდევ ათასი წვრილმანი, რომელიც ზოგჯერ უფრო მძიმედ მოქმედებს შეყვარებულთა ფსიქიკაზე, ვიდრე რაიმე სერიოზული პრობლემა.

9406. სიყვარულის სწავლაც შეიძლება და მიღწევაც. პირველი შესაძლებელია შენი მშობლის და ახლობლის სიყვარულის ხარჯზე, ხოლო მეორის მიღწევა შეიძლება თავდაუზოგავი შრომით, წესიერებით, სიტუაციაში გარკვევის ცოდნით.

9407. სიყვარულს ერთის დანახვა აცისკროვნებს, სხვების დანახვა ან არ უნდა, ან გულგრილია, გარდა იმათი, ვინც მას არჩევანს უწონებს და ქომაგობს.
9408. სიყვარული ავია, თავხედია, უცნაურია, ჯიუტია, უგუნურია, მაგრამ ყოველთვის მართალია და აქ ყოველგვარი კანონი, ტრადიცია, შეგონება უძლურია და არაფრის მაქნისი.
9409. სიყვარულს ერთი საკვირველება სჭირს, ის კი არ ცდილობს შენგან თავის დაძვრენას, არამედ პირიქით – შენ ცდილობ.
9410. სიყვარული თავგანწირვაა, მაგრამ არ არის საჭირო მაჯლაჯუნა მზეთუნახავად გადავაქციოთ.
9411. სიყვარულისთვის ეროვნება, წარმომავლობა, ფერი, აზროვნება არ არსებობს, ის აუხსნელი გრძნობაა, რომელიც მხოლოდ ორს ეკუთვნის.
9412. სიყვარულის გრძნობა განუსაზღვრელია, მაგრამ შეყვარებულების მოთმინებას და ურთიერთგაგებასაც აქვს საზღვარი.
9413. სიყვარულსაც გამოზომილი დრო სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ან კოკორის მოწყვეტა მოგვიწევს ან გაშლილი ვარდის, თუმცა არც გემოვნებაზე დაობენ და არც დროის გამოყენების ხარისხზე.
9414. შეყვარებასა და სიყვარულს შორის ის სხვაობაა, რომ პირველის შემთხვევაში სიყვარულის გრძნობის ანთება ან ჩაქრობა დამოკიდებულია პარტნიორთა ქცევაზე, საჩუქარზე, კარიერაზე. მეორეს კი, თუ ის ერთხელ ჩაქრა, მისგან მხოლოდ მწარე ბოლი დარჩება, უკეთეს შემთხვევაში ღადარს დატოვებს, რომელსაც პირველყოფილი აალება არ უწერია.
9415. მამაკაცის და ქალის რომანი ყოველთვის უაზროდ და მოულოდნელად მთავრდება, თუ მას გონიერებას, მოთმინებას და მატერიალურ თანადგომას არ მივაშველებთ.
9416. შედეგიანი სიყვარულის უმრავლესობა კომპრომისებზეა აგებული, რომელიც დროთა განმავლობაში რენტაბელური ხდება და ამბიციებიც თანდათან ქრება.
9417. სიყვარულის გარეშე ადამიანი უსუსურია, რადგან ყველაზე დიდი მიღწევა ქალისადმი სიყვარულია.
9418. სიყვარული თავისებური სათაგურია მომხიბვლელობის, საოცრების, ინტელექტის გამომზეურებისთვის, რომელიც შეგიტყუებთ, დაპირებებით აგავსებთ, შემდეგ კარს მოგიხურავთ და თავისუფლებასაც გარკვეული დროით ან სამუდამოდ უნდა დაემშვიდობოთ.
9419. სიყვარულს მოულოდნელობის ეფექტი უნდა ახასიათებდეს, ვნებათა ღელვა და იმის შეგრძნება, რომ შენ საბოლოოდ გაგიმართლა და მეწყვილე მონახე.
9420. რომანი პირველი შეხვედრით არის საინტერესო და საჩოჩქოლო, თორემ მეორე-მესამე შეხვედრა უკვე ანგარებაში გადადის.
9421. ტრფობა – ესთეტიკაა, ვნება – სიმძლავრეა, სიყვარული – თავდავიწყებაა, მოწონება – ჭკუის ნაყოფია, ყოველივე ეს გრძნობების გამოსახატავი მასალაა და მისი გვირგვინი ოჯახია.

9422. პირველი სიყვარული არ მეორდება, უბრალოდ შთაგონება მას იმეორებს და ჩვენც ვეთანხმებით.

9423. სიყვარული ღმერთის მიერ უანგარიშოდ დაბერტყილი სიკეთეა, რომელსაც ერთეულებს ურიგებენ.

9424. სიყვარული რაც უნდა თაფლში იყოს ამოწებული, მაინც ვერაგია და თუ მას დროზე ვერ მოვუვლით, სისხლს გაგვიშრობს და ნერვებს დაგვაწყვეტს.

9425. სიყვარულის ღალატისთვის ხალხი რკინის გისოსებს იქით რომ მოეთავსებინათ, ეხლა ყველა ციხეში იქნებოდა გამოკეტილი, რადგან სიყვარულის ღალატი საყოფაცხოვრებო დონეზე მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი მოვლენაა, მაგრამ ნამდვილი ღალატი და სიყვარულის გამოაშკარავება ერთეულთა ხვედრია.

9426. ცალმხრივი სიყვარული თავისებური განსაცდელია: სხვას უნდა ემსახურო, თვალებში უმზირო, დაემონო, სული გაიმწარო, ქალებს გამომცდელი თვალით შეხედო და ამით შენს კუთვნილ სიამეს პეწი დააკლო.

9427. სიყვარულის საოცრება ის არის, რომ ზოგჯერ, იქ გაპოვნინებს და იმასათნ შეგყრის, სადაც არ ელი და ვისაც ვერ იტან. ამას სჭირდება მხოლოდ საჭირო დრო და საჭირო წამის გაელვება.

9428. სიყვარული სულის ეგოისტური გამძაფრებული მდგომარეობაა.

9429. თუ ფული გაქვს, სამწუხაროდ, სიყვარულის შოვნაც შეიძლება. გარკვეული დაღვინების და ცხოვრების ანა-ბანას შემეცნების შემდეგ.

9430. სიყვარული ყაჩაღივით თავს იქ დაგესხმის, სადაც არ ელი და შენც ამ მოძალადეს დაბნეული და გახარებული დიდი სიამოვნებით ნებდები...

9431. სიყვარულის გახანგრძლივებას თავისებური გამოჭედვა სჭირდება, რადგან მარტო შიშველი გრძნობათა ღელვა მის შენარჩუნების გარანტად არ გამოდგება.

9432. ფულისთვის ადამიანი ხშირად უხიაგი საქციელის ჩასადენად მზად არის, მაგრამ ნამდვილ სიყვარულს ვერ უმკლავდება.

9433. სიყვარული თუ ხიდის გადების საშუალებაა, სიძულვილი მისი ძალად მითვისების მცდელობაა, მიუხედავად იმისა, ადრე თუ გვიან ერთმანეთს უნდა შეურიგდნენ, ხიდი გააფართოვონ, გაალაღონ, რადგან სხვანაირად სიამით ცხოვრება არ მოხერხდება.

9434. ბევრი ისტორია იწყება გრძნობების აფორიაქებით და სიყვარულისთვის ტრაგიკული დასასრულით – დაშორებით, მაგრამ ამის გამო არც სიყვარულის ეშხი გამქრალა, არც სულის და ხორცის ამაფორიაქებელი ტრფობა და ამ ამბებს ყოველთვის არც ისტორია გამოხმაურებია, მაგრამ სიცოცხლე და სიყვარულის კვლავწარმოება მაინც თავის გზით მიდის.

9435. სიყვარულის ფენომენი გონიერებას იშვიათად აკითხავს, რადგან ის თავის აზრებსა და ოცნებებზეა შეყვარებული და ფენომენისთვის სათანადო დროს ვერ ნახულობს.

9436. სიყვარული თავისუფალი და მეოცნებე ხალხის ბედია, ხოლო შეუღლება ანგარების და აზრიანობის შეჭიდების შედეგი.

9437. შლეგური სიყვარული უდიდესი ბედნიერებაა და ვინც ერთხელ მაინც გამოსცდის და ამ ცხოვრებით იცხოვრებს, უკან მოსახედი და სასაყვედურო არაფერი აქვს.

9438. სიყვარულის ლამაზი ამბოხი არა მარტო დასაშვებია, არამედ აუცილებელიცაა, რათა მათ ერთმანეთი უკეთ გაიცნონ და სულები დაამეგობრონ.

9439. სიყვარულის მიერ შენს დამონებას ნაცნობები ჩუმად შენატრიან და ამის გაცნობიერება შენთვის დამატებითი სიამის წყაროა.

9440. პირველმა სიყვარულმა თუ არ გაგიმართლათ, მის ძალით შენარჩუნებას ნუ შეეცდებით, რადგან თქვენს გრძნობებს სიმწიფე და გამოცდილება აკლია, მაგრამ ამ გრძნობის მიმართ სასიამოვნო მოგონება უნდა შეინარჩუნოთ და ეცადოთ მახსოვრობიდან არ ამოაგდოთ.

9441. დღეს ფული შეიქმს სიყვარულს, მაგრამ შიშით გამოწვეულ სიყვარულს ვერ შეედრება, რადგან ნამდვილ სიყვარულსაც უჭირს მასთან შერკინება.

9442. თქვენი სიყვარულის ანთებულ ალს ყველა უნდა ხედავდეს, მათ შორის ისინიც, ვინც წინააღმდეგნი არიან გასაგები მიზეზით და თქვენი ბედნიერების არ ესმით.

9443. სიყვარული და ვნება უასაკოა, ხოლო ხნოვანება შესაძლებლობის მტერი.

9444. სიყვარულს ძლიერები აშენებენ, სუსტები ანგრევენ და აქ ალტერნატივა არ მიიღება.

9445. პირველი სიყვარული და მეუღლე ერთი და იგივე გრძნობა არ არის, მაგრამ მიახლოვებაა ოცნებასა და მომხდარ ფაქტს შორის.

9446. სიყვარულის ბალადა ბოლომდე არც დაწერილა და არც დაიწერება, რადგანაც ის იმ ქვეყანაში გადაბარგების შემდეგაც გრძელდება.

9447. ზოგჯერ სიყვარულთან განშორება უფრო აძლიერებს ამ გრძნობას, ვიდრე სიახლოვე და ერთმანეთისთვის თავის მობეზრება.

9448. სულიერი ტრფობის გეოგრაფია ქალებს გაცილებით ფართო და მომთხოვნი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს.

9449. რადგან სიყვარული მუდმივი აფექტია, ამიტომაცაა, რომ შენს სიცოცხლეს დაუფიქრებლად გასცემ მის სასარგებლოდ.

9450. სიყვარული ყოველთვის ნახავს თავის გზას, მხოლოდ მთავარია რა გზას აირჩევს და რამდენ ხანში ერთხელ მოუხდება მისი შეკეთება.

9451. სიყვარულში ინტელექტია მთავარი და არა გრძნობათა ღელვა – მხოლოდ არა დედაკაცისთვის.

9452. სიყვარული თავისებური სულიერი ავადმყოფობაა და კეთილმსურველთა თანადგომას მოითხოვს ჭკუის სწავლების გარეშე, ამასთან, მისგან მოშორებით მყოფი სატრფოს ნაჩუქარი ნივთების სითბოც უნდა ამხნევებდეს და სიამესაც გვრიდეს.

9453. სიყვარულისგან გაწბილებული რომ არ დავრჩეთ, მარტო საჩუქრებს და სხვის კმაყოფაზე ცხოვრებას არ უნდა დავაჩვიოთ, საშუალება უნდა მივცეთ მან სხვაც დაასაჩუქროს.

9454. სიყვარულის ახსნის მრავალი ფორმა არსებობს, მაგრამ ყველა ქალს თავის ფორმის გასაღები უნდა მოვუნახოთ.
9455. თუ ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, ვერავითარი სისულელე, გაჭირვება ვერ ჩაშლის მათ ურთიერთობას, გარკვეულ დრომდე.
9456. საყვარელ წყვილთათვის ყველა შეხვედრა ბედნიერებაა, მაგრამ ხშირად ჩხუბით მთავრდება, რაც გადამეტებული სიყვარულის და ქალის თანდაყოლილი კაპრიზების ბრალია.
9457. სიყვარულს და სექსს, ბავშვს და ოჯახს, უმცროს-უფროსის ინსტიტუტებს სიამოვნება, სიხარული, ურთიერთპატივისცემა მოაქვს, მაგრამ სხვადასხვა ხარისხში და სხვადასხვა აღმაფრენით.
9458. სიყვარული ის ძალაა, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია და მის საწინააღმდეგოდ რაიმე არგუმენტის მონახვას აზრი არ აქვს.
9459. საყვარელი ღირსეულ მამაკაცს წესით არ უნდა ჰყავდეს, მაგრამ მამრი ყოველთვის არ არის დაზღვეული იმისგან, რომ თავს კონტროლს გაუწევს და ღირსებას გაუფრთხილდება.
9460. სიყვარული ძონძებშიც შესაძლებელია, მაგრამ შენარჩუნებაა შეუძლებელი.
9461. მოსიყვარულე წყვილები შეგნებულად ერთმანეთში ინტრიგებს არ ხლართავენ, მაგრამ მათი გადამეტებული გრძნობები თანდათან პრეტენზიული ხდება.
9462. სიყვარული ქიმიური რეაქციაა, რომელიც ხან გამოდის, ხან – არა, მთავარია, ცდას რა მენტალიტეტის და ცოდნის შეყვარებულები ატარებენ.
9463. სიყვარული დიდი ნაპერწკალია, მის აფეთქებას მოკლე დრო სჭირდება, მაგრამ ჩაქრობის შემთხვევაში, მის მეორედ აფეთქებას უკვე უბრალო გაელვება არ შველის.
9464. მუდმივ დენზე ჩართულ სიყვარულს, დრო და დრო გამორთვა სჭირდება, რომ არ გადაიწვას, რადგან მისი შეცვლა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ამიტომ სიყვარულს მიხედვა უნდა დროული ჩართვით და გამორთვით, რათა მისი საგარანტიო ვადა უვადოდ იქცეს.
9465. სიყვარულის ნექტარი წვეთ-წვეთობით უნდა მივიღოთ, თუ გვინდა დიდხანს შევინარჩუნოთ, რადგან მოზრდილი ყლუპებით შეიძლება გადაგვცდეს და მის გარეშე დავრჩეთ.
9466. სიყვარული და მეგობრობა ერთი რიგისაა, მაგრამ სულის და მოვალეობის სხვადასხვა გაგებით.
9467. სიყვარული ვაჟისთვის იწყება ქალის შემოფეთებული თვალებით, ხოლო ქალიშვილისთვის ქათინაურებით, დაგრძელებული ყურებით და სასიყვარულო ინფორმაციით.
9468. გრძნობათა დიალექტიკა: ვინც გიყვარს, მას არ უყვარხარ, ვისაც უყვარხარ, შენ არ მოგწონს, ბოლოს კი გრძნობების შეჯერება გვრჩება სიყვარულის გამოსახატავად.
9469. ერთის სიყვარული მეორისადმი და მეორის მოწონება პირველისადმი უფლებას იძლევა შეიქმნას ჰარმონიული ოჯახი, რადგან სიყვარულის ნიჭი ყველას არ გააჩნია.

9470. პარტნიორთა სიყვარული უდიდესი ჰარმონიაა, თუ მას მოთმინება, შემწყნარებლობა, ურთიერთგაგება ახლავს.
9471. პირველი სიყვარულის ქიმიური რეაქცია გამეორებას არ ექვემდებარება, ხოლო მომდევნო რეაქციის გამეორება, ბიოლოგიური მოთხოვნის გათავხედებაა.
9472. სიყვარული ერთი ადამიანის მონოპოლიაა, რომელიც ორის ბედნიერებაზე თავისებურად ფიქრობს, სანამ მესამე აღსაზრდელი არ გაჩნდება.
9473. სიყვარულზე რომ პატენტის გაცემა დაეწესებინათ, ხალხის გამრავლება შეფერხდებოდა, რადგან ამდენი გამომგონებლური ნიჭის მქონე ხალხს სამყარო ვერ შექმნიდა.
9474. ნამდვილი სიყვარული მოჩვენებას ჰგავს, რადგან მასზე ყველა ლაპარაკობს, ოცნებობს, მაგრამ არავის ჰქონია ბედნიერება ბოლომდე ისე გამოეცადა, როგორც მას სურდა.
9475. სიყვარულისაკენ მიმავალი ნაბიჯებია მოწონება, მზერის დაჭერა, პაემანი, ოფიციოზი. ხოლო ერთი ნახვით შეყვარებისთვის მხოლოდ ერთი ნახტომია გაკეთებული ნახვიდან ოფიციოზამდე.
9476. ძუს წაკეკლუცება და ხვადის სულის წიაღში სითბოს მარცვლის ჩაგდება მაშინვე იწვევს სიყვარულის ნაპერწკლის წარმოქმნას თუ სულის ბულულსაც დროზე მივაშველებთ.
9477. ქალისთვის საამო სულის ბერვა და მამაკაცის დროული ქათინაურების მოწოდება წყვილის გულის სიღრმეში სიყვარულის ალის ავარდნის საწინდარია, რომლის ჩაქრობა ძალზე ძნელი ხდება თუ საერთო მცდელობას სითბოს არ მოვაკლებთ.
9478. სიყვარული ახალგაზრდული გრძნობის გაღვიძების მორცხვი მცდელობაა.
9479. სიყვარული სულის მერყეობაა ანგელოზსა და ეშმაკს შორის, რომელიც ცდილობს სამყაროს აღქმა შეგვიცვალოს.
9480. სიყვარულის პატენტის მოპოვება ყველა მამაკაცს ხელარეწოფება და არც არის საჭირო, რადგან ის ერთეულთა თანდაყოლილი ნიჭია.
9481. მართალია სიყვარულს ფულიც ამაგრებს, მაგრამ სიხასხასეს დიდხანს ვერ ინარჩუნებს, მასში შეჩვევა, მოვალეობა შეერევა და ამ კოკტეილში რაიმე პირველადის დანახვა შეუძლებელი ხდება.
9482. ნამდვილ სიყვარულს გამჭრიახი თვალი ერთი შეხედვით გამოიცნობს, ხოლო მგრძნობიარე გული ამ სიამეს დაუნახავად შეიგრძნობს.
9483. შეყვარებულის როლში ყოფნა და ურთიერთობაში სიახლისადმი ლტოლვა, ეს სიცოცხლის წყურვილი და ოცნების ახდენის მცდელობაა.
9484. სიყვარული წმინდა გრძნობაა, რწმენაა და ამიტომ ის განსჯას, შუამავლობას არ ექვემდებარება.
9485. უიმედო შეყვარებულს ყოველთვის აქვს სასწაულის იმედი.
9486. ექსტრემალური სიყვარული თავისებური დიალექტიკაა ადამიანთა ურთიერთობაში, რომელიც თავისი ავანტურისტული ბუნებით ჩვენი დიალექტიკის მინდვრებში თავისუფლად დასეირნობს.

9487. სიყვარული ხანდახან წყევლაც არის, მაგრამ სასიამოვნო და გონების ამღვრევი.
9488. გლეხი მიწის სიყვარულში უნდა გამოიცადოს, რომელიც ბევრისთვის შეუცნობადი და გაუგებარია, ამასთან, ფიქრი მიწათმოქმედებით გამდიდრებისა აზრადაც არ უნდა გაივლოს, რადგან ეს სიყვარულისაგან შორსაა.
9489. შეყვარებული თუ არა, აღფრთოვანებული მაინც თუ არ ყოფილხარ, ჩათვალე, რომ არ გიცხოვრია.
9490. ვინც პატარა-პატარა სიყვარულის სიძნელეების გადალახვას მიჩვეულია, მას დიდი სიყვარულის გადატანაც არ გაუჭირდება.
9491. იდეალების ცვალებადობის გამო სიყვარული ასაკზე, შემთხვევაზე, გამართლებაზეა დამოკიდებული.
9492. სიყვარული სულის ჩუმი ბედნიერება და სხეულის ყოველდღიური გაკაჟებისთვის ველური ბრძოლაა.
9493. ზოგიერთი არაფრისმქონე მამაკაცი ქალისთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე სხვისი თავსაყრელი სიმდიდრე, ოღონდ სიყვარულის დაისის დაწყებამდე.
9494. სიყვარული თავისებური მეტამორფოზაა, მაგრამ ახლის შესაშვებად მაინც გულის განთავისუფლებაა საჭირო, ან გულის მთლიანად დახურვა და მაშინ სიყვარული მოწონების კვადრატებით, კუბებით და მამაკაცთა ნახირით უნდა შეიცვალოს.
9495. სიყვარული ხასიათის დაჭერა, გაწბილება და შეცდომების შენდობის უნარიც არის, თუ გვინდა, მისი დამადასტურებელი საბუთი, ქორწინების უფლება არ დავკარგოთ.
9496. სიყვარული იმდენად სათუთი, მსხვრევადი, ნატიფი გრძნობაა, რომ მის ტრანსპორტირებას არ უნდა შევეცადოთ.
9497. ფიზიკური სიახლოვე ჰორიზონტალურია, სასიამოვნოა. სულიერი ვერტიკალურია, მუდმივად გამოცდაშია და მის შესანარჩუნებლად კარგია სხვებისაგან მოშორებით ყოფნა, რომელიც თქვენს ურთიერთობას ან სიყვარულში გადაზრდის ან საბოლოოდ დაანგრევს.
9498. რადგანაც სიყვარული თავისებური ბედნიერებაა და დღევანდელობით ცხოვრობს, იმას უნდა დავჯერდეთ, რაც გვაქვს და ფიქრი, ხვალ რა იქნება, საჭირო არ არის. აქ მსჯელობა: „მომავლის იმედით ვცოცხლობ", არ გამოდგება, რადგან ეს აზროვნების ჩარევაა, რაც სიყვარულს პეწს აკლებს და მატერიალურს ხდის.
9499. სიყვარული თავისებური ინსტიტუტია, სადაც განათლების მისაღებად საჭიროა: აღზრდის ტრადიციების, ეროვნების, ურთიერთპატივისცემის საგნების შესწავლა. ამდენი წვალების შედეგად აღებული "ცხოვრების დიპლომი" შეიძლება უვარგისი გამოდგეს, როდესაც შენთვის ერთი საგოგმანებელი პირი გამოჩნდება, რომელიც ყველა შენს განათლებას წყალს გაატანს.
9500. სიყვარულის მეცნიერება თანდაყოლილ გენს და არტისტულობას მოითხოვს, რადგან განცდების კორიანტელის დაყენება, გაუგებარი ცრემლების ღვარღვარი,

კაპრიზი, შენდობა, მომნუსხველი ღიმილი, გულისამაჩუყებელი ჟღურტული, დალაგებული და უნიჭო ხალხის პრეროგატივა არ არის.

9501. ეჭვიანობა სიყვარულის, თავმოყვარეობის პრეროგატივაა, უამისოდ სიყვარული დეკლარაციის ძებნა და ჩუმი ანგარიშსწორებაა.

9502. სიყვარული და მომხიბვლელობა პირდაპირპროპორციულია წყენის, უიმედობის, შიშის. უკუპროპორციულია დროის, რომელიც მკურნალია და ყოველივეს თავის გზას მიუჩენს.

9503. ცოლ-ქმარმა ცხოვრების ფინიშს სიამტკბილობით რომ მიაღწიოს, ცხოვრება რამდენჯერმე ,,თავიდან'' უნდა დაიწყოს, რადგან შეხლა-შემოხლის გარეშე სიყვარული არ ღვივდება და თანადგომის სურვილს სკლეროზი უჩნდება.

9504. სიყვარული ისეთივე გვეჩვენება, როგორსაც ჩვენი ფანტაზია, მენტალიტეტი, აღზრდა, გარემო პირობები გვთავაზობს.

9505. სიყვარული თავისებური სისულელეა, ბოლოს ის მაინც ემორჩილება ძალაუფლებას, სახელს და ფულს.

9506. მართალია, სიყვარული ადამიანის გულში სამუდამოდ მკვიდრდება, მაგრამ სულიერი სიმშვიდე არ მოაქვს, რადგან ოჯახიდან განსხვავებით, სიყვარულის შენარჩუნება ძლიერი შინაგანი ბაზისის გარეშე ძალზე ძნელია.

9507. სიყვარული სიზარმაცეს ვერ იტანს, ის დაუღალავ შრომას, გაფრთხილებას მოითხოვს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ბედნიერ ცხოვრებაგავლილად ჩათვალო თავი.

9508. როდესაც სიყვარულში მეცადინეობ, უნდა ეცადო დაემსგავსო სექსის ჯადოქარს, რათა შენი განათლების შედეგი ხელოვნებად ჩაითვალოს.

9509. სიყვარულის სერენადა სექსზე, ასაკზე და დროის მეტამორფოზაზეა დამოკიდებული.

9510. სიყვარული არის მონოგამიური და პოლიგამიური. პირველის შემთხვევაში ის შენთან ყოფნით არის ბედნიერი, მეორე შემთხვევაში სხვასთანაც აქვს სურვილი თავი ბედნიერად იგრძნოს, შენც იძულებული ხდები მისი ბედნიერება გაიზიარო და შენც ბედნიერად იგრძნო თავი. ამ ორ მოვლენასაც სიყვარული ჰქვია, რომელიც ანალიზს და განკითხვას არ ექვემდებარება.

9511. ხშირად გვგონია, სიყვარული გვშველის, სასწაულის მოხდენა გვეხმარება, მაგრამ სამწუხაროდ მამაზეციერი ყოველთვის ასე არ ფიქრობს, როგორც ჩვენ გვჯერა და გვინდა.

9512. ნამდვილი სიყვარული ტირაჟირებისთვის არ გამოდგება. ის ერთეული გამოცდისთვის არის განკუთვნილი.

9513. სიყვარულისადმი არასერიოზულმა დამოკიდებულებამ სერიოზული სინანული იცის.

9514. სიყვარული მარტო განცდა, ალერსი და საყვარელთან ყოფნის სურვილი არ არის, ის ცხოვრების აზრის მომცემი ბერკეტია, თუ მას წყვილი რაციონალურად იყენებს.

9515. როდესაც ერთმანეთი უყვართ, ერთად ყოფნა ყოველთვის სანატრელია პატარ-პატარა შესვენებებით.
9516. ვინც არ მიდის სიყვარულის ლაბირინთების დასაძლევად და შესაგრძნობად, ყეყეჩია და მეტიც არ მოეთხოვება.
9517. საშინელებაა იმაზე ფიქრი, რომ შენი სიყვარული სხვას უნდა დარჩეს, შენ რომ რაიმე მოგივიდეს.
9518. არის სიყვარული, არის სულის დამპყრობი სატრფო, რომლის სიყვარული არც ისე ადვილია, რადგან შენთვის გაუგებარი გრძნობით ცდილობ დაემონო, ეთაყვანო, მაგრამ რამდენად არის ეს სიყვარული, როდესაც პარტნიორი შენს მისწრაფებებს ანგარიშს არ უწევს იმ წუთებში, არც გაინტერესებს და არც გინდა გაიგო.
9519. ნამდვილი სიყვარული ღმერთის რჩეულს ეძლევა და ისიც ერთხელ. დანარჩენ შემთხვევაში სიყვარული იმიტაციაა და შეიძლება ფართომოხმარების ნივთს დაემსგავსოს.
9520. როდესაც გიყვარს, ფეხებს მიჰყავხარ, ტვინის მუხრუჭი კი გათიშულია.
9521. მიუხედავად იმისა, რომ სიყვარული ბუნების მომადლებაა, მაინც ლატარიაა, როდესაც იმ ბურთულას ამოიღებ, რომელიც შენს სულს და ხორცს ესალბუნება.
9522. სიყვარულის უკვდავება უკიდეგანო სივრცეა, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული.
9523. ასაკს არასოდეს რჩება დრო დაუგეგმავი სიყვარულისთვის, დაგეგმილი მოვალეობისა და ტკბობისათვის.
9524. კვირეებით ერთად ყოფნით თუ გოგო-ბიჭი ვერ ძღება და ჰგონიათ სულ ასე იქნება, ცდებიან, მაგრამ ჯერ-ჯერობით, ისეთი სიყვარულია, რომ განსჯას არ ექვემდებარება.
9525. სიყვარული არც ისე ბრმაა, მასაც აქვს თავისი პრაქტიკული საწყისები.
9526. სიყვარული უსამართლოა, მოულოდნელია, გულის დამწყვეტია, მაგრამ მაინც სასიამოვნო ტანჯვაა.
9527. სასიყვარულოდ ქალს ყმაწვილი გამოუცდელობით ხიბლავს, მამაკაცი – თავისი გამოცდილებით, ხოლო ქალს ამ ბალანსის ვარგისიანობის გარკვევაში დრო ისე შემოადნება, რომ სიყვარული უკვე არცერთ თაობასთან აღარ ეხალისება.
9528. სიყვარული ეს პატარ-პატარა ქურდობაა, რომელსაც ერთეულები ახერხებენ დაუსჯელად.
9529. ხშირად პირველი სიყვარულის ტრაგედიის მიზეზია არჩევანი, რომელიც კეთდება გრძნობით და არა სულით.
9530. სიყვარულის შეგრძნება სასიამოვნოდ გაბნევს და შენი ოცნების ყველა განზომილება გარკვეულ დრომდე ახდენილი გეჩვენება.
9531. წყვილებს ძირითადად ერთმანეთის მიმართ მოწონება აკავშირებთ, რომელიც ხშირად გრძნობების ინფლაციას იწვევს, თუ მას არ ამაგრებენ ბავშვები და მოკლე დროით ხშირ-ხშირად ერთმანეთის უნახაობა.
9532. სიყვარული თავისებური სპექტაკლია თავის ანტრაქტებით და პრემიერებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მოკლე ჩართვით დამთავრდებოდა.

9533. სიყვარულში წნევის ცვალებადობას გულის აჩქროლება განაგებს, ამიტომაცაა, რომ სიყვარულს გულს უკავშირებენ და არა თავს, რომელიც ამ დროს საღად ვერ რეაგირებს.
9534. ფრთებგამოუსხმელი სიყვარული დამარხულია და ეს არის ყველაზე საშიში წყვილის ურთიერთობაში, როდესაც ამას მიხვდებიან.
9535. სიყვარულის ხანგრძლივობის მაჩვენებლად ხანდახან სასწორი გვევლინება, თუ ერთ პინაზე გრძნობები დევს, მეორეზე – მოვალეობა და არჩევანი ვერ გაგიკეთებია.
9536. სიყვარულში სათამაშოდ ყველა ხერხი კარგია, მაგრამ ფულს არაფერი შეედრება.
9537. ზოგი სულის და სხეულის დაყოფას ცდილობს, იმის მაგიერ, რომ სიყვარულის მეცნიერება ისწავლოს.
9538. სიყვარული თავისებური ავადმყოფობაა, მართალია ის გრიპივით გადამდები არ არის, მაგრამ გამოჯანმრთელებისთვის ერთიდაიგივე წამალი დრო ჭირდება.
9539. სიყვარულია გაბრწყინებული დილა, გრძელი ბედნიერი დღეები, ჭირხლი, რომელიც ხანდახან შემოგვეპარება, რათა სიყვარულის ბედნიერება უკეთ შევიგრძნოთ.
9540. ფლირტი დაცინვაა, აღფრთოვანებაა, მაგრამ ჩემი აზრით, ფლირტი ლეგიტიმური ტექნოლოგიაა მსუბუქი მანერით, სიყვარულის და არშიყის საწყისით.
9541. ბედნიერება ის კი არ არის, შენ რომ უყვარხარ, არამედ ის, რომ შენ გიყვარს და მის გრძნობებს თანაუგრძნობ.
9542. სიყვარული მოთმინებაა, თავის განწირვაა, გადაწყვეტილებების მიღებაა და ბოლოს ყველაფრის ფეხებზე დაკიდებაა.
9543. ერთად ცხოვრებაზე ერთობლივი მონოპოლიის დამყარება არის სამუდამო, ხანგრძლივი და დიდი სიყვარულის გარანტი.
9544. სიყვარული არა მარტო მძიმე გამოცდაა, არამედ მოვალეობაცაა, სიამოვნებაც, კვლავწარმოებაც და გულზე ხელების უსაყვედურო დაწყობაც, რადგან ამქვეყნიდან ისე მიდიხარ, რომ ამ ბედნიერების გამოცდა შენ გერგო.
9545. ქალი ალერსიანი, ნაზი მწერია, რომლის თილისმა შეუმჩნევლად შემოგიძვრება, დაგიმონებს, ჭკუას აგიმღვრევს და როდესაც კბენას შეგაჩვევს, გასაფრენად ვეღარ იმეტებ, რადგან ამ ძრომიალს სიყვარული ჰქვია.
9546. სიყვარულის მკურნალია დრო, საქმიანობა და სხვა მამაკაცით (ან ქალით) გატაცება.
9547. უნდა არსებობდეს სიყვარულის სტანდარტი, რომ ადამიანმა თავის ცუღლუტობის სურვილი არსებულ სტანდარტს შეუფარდოს და თავისი სიყვარულის ერთგული დარჩეს.
9548. სიყვარულია, როდესაც წყვილი ენდობა ერთმანეთს, ვერ წარმოუდგენიათ სიცოცხლე უერთმანეთოდ.
9549. სიყვარული არა მარტო შეუცნობი აღმაფრენაა, არამედ გაახალგაზრდავების, შემოქმედებითი წვის, ხალისიანი მუშაობის და ცხოვრების წყაროა გარკვეულ

დრომდე. მცირე შესვენების შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება, ოღონდ უფრო დაღვინების, დაწყნარების ფარგლებში.

9550. ის, რაც ადამიანს სიამოვნებას გვრის, ნიჭია, კრიმინალია, საშიშია ან საზოგადოებისთვის მიუღებელია, გარდა სიყვარულისა, რომელსაც ღირსეულ რეკლამას არავინ უწევს და ზოგჯერ ვერც ამჩნევს.

9551. სექსუალურ მოთხოვნილებებს, სწრაფვას, სიყვარულის ისტორიაში არ ურევენ, რადგან ეს უკანასკნელი მთელი ცხოვრება შენს საკუთრებაში რჩება.

9552. არის სიყვარული, არის მოვალეობა, მაგრამ საოცარი ის არის, რომ ხშირად მოვალეობა და კარიერა გადასძლევს, ამ ერთი შეხედვით დაუმარცხებელ მონსტრს – გრძნობას.

9553. სიყვარული ის ფსიქიური დაავადებაა, რომელსაც ფსიქიატრი ვერ შველის.

9554. სიყვარული საშინელი ძალაა, ის კონტროლს არ ემორჩილება, სანამ თავისას არ გაინაღდებს, ან სერიოზულად ფეხს არ წაიმტვრევს.

9555. ნამდვილ სიყვარულს მაშინ გაიგებ, როდესაც მთელი ცხოვრება დენთივით სავსე კასრზე ზიხარ და სათუთად უფრთხილდები შენი შვილების, ქმრის, ოჯახის, სამშობლოს უსაფრთხოებას.

9556. საქმიანობას და სიყვარულს ერთმანეთი არ მოსწონთ, მაგრამ პირველის წარმატება მეორეს ალაღებს.

9557. სიყვარულის სიკვდილი შიდსითაც შეიძლება და უიმისოდაც, მაგრამ პირველ შემთხვევაში სიამოვნება მაინც დაგრჩება.

9558. სიყვარული იმიტომაც არის ავი, რომ ამდენ ღირსეულ ქალებში იმას გადაეყრები, რომელიც სიცოცხლეს გიწამლავს და მაინც ვერ ეშვები.

9559. თავის შეწირვა არის სიყვარულის ძალა და არა ცხოვრების სიყვარული.

9560. პირველი სიყვარულის დავიწყება შეიძლება, მაგრამ არა ამ ცხოვრებაში.

9561. სიყვარული ადამიანს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე აყენებს და აქ გაუფრთხილებლობა დაუშვებელია.

9562. როდესაც შენი მამაკაცი იგვიანებს და შენ გონების დაკარგვამდე ჭირვეულობ, ეს სიყვარულია.

9563. ყველა სიყვარულს თუ თავისი ისტორია არა აქვს, ეს მხოლოდ გრძნობაა და სიყვარულად არ ჩაითვლება.

9564. მუზის მსახურთ სიყვარულის ხალასი ახსნა ნაკლებად დაეჯერებათ, რადგან ისინი სამსახურით იმდენად არიან გადაღლილები, გარკვევა უჭირთ, სად ცრუობენ და სად ეძებენ ჭეშმარიტებას.

9565. სიყვარული ისეთი ვერაგული გრძნობაა, რომელსაც ყოველთვის არ უნდა დაეყრდნო.

9566. ოცნებაც და სიყვარულიც შეიძლება სხვადასხვა გქონდეთ, მაგრამ მათი შეერთების გარეშე პირველიც დაიჩაგრება და მეორეც ვერაფერს იხეირებს, რადგან სიყვარულის ნაცვლად თანამშრომლობა გამოგვივა: „და ყველა თავის ინტერესებში დარჩება".

9567. სიყვარული სასჯელიც არის და საჩუქარიც, მთავარია მას ვინ როგორ შეინარჩუნებს, დააღვინებს, გამოიყენებს.
9568. სიყვარული არც წარსულის გამოცდილებას ცნობს და არც მომავლის პერსპექტივას შეიცნობს, მას ვერავითარი ოპონირება ვერ უძლებს.
9569. სიყვარულით ბედნიერება სიცოცხლის ეტაპებად იყოფა, სადაც სიყვარულს შეჩვევა ცვლის, შეჩვევას – გახსენება, გახსენებას – მოგონება და ამასობაში ის დროც მოვა, რომელიც ყველას კარებზე დააკაკუნებს და სიყვარულით გაგისტუმრებთ იმქვეყნად.
9570. სიყვარული თაობებს შორის ხშირად კვდება და აღდგება, მაგრამ არასდროს ქრება.
9571. სიყვარული ბაზარი არ არის, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის გარეშე არაფერი გამოდის.
9572. ჯვრის „ფსკვნა" არის სიყვარულის დამორჩილების და ჩარჩოში ჩასმის ცდა, სადაც თვისობრივობა რაოდენობრიობაში უნდა გადაიზარდოს.
9573. სიყვარულის ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტი წყვილთა შორის, მათი მშობლების განვლილი ცხოვრების გამოძახილიცაა.
9574. არის ხალხი, რომელიც ელტვის სიყვარულის ეტიკეტის უცილობელ დაცვას, ამ ხალხს სიყვარულის არამიწიერი გაგება აქვს.
9575. სიყვარული არის ელექტრომაგნიტური რხევების მატება გულის არეში, რათა წყვილთა ურთიერთობამ სინათლე ნახოს.
9576. ნამდვილი სიყვარული ვადამდე არ კვდება და არც ვადამდე მოდის.
9577. სიყვარული ის ყვავილია, რომელიც წუნია ქალს დროთა განმავლობაში სანანებლად უკან უბრუნდება დამჭკნარი სახით.
9578. რა უნდა ვაჩუქოთ ადამიანს, რომელსაც ყველაფერი აქვს და თანაც მოყირჭებული – მოულოდნელი, ნამდვილი სიყვარული.
9579. ყველა სასწავლებელში სიყვარულის აკადემიის სასწავლო კურსები უნდა ჩამოყალიბდეს, რათა ახალგაზრდობამ თავიდანვე შეიგრძნოს ქალის სიმშვენიერე და სინატიფე და არა მაშინ, როდესაც ის ცოდნა არცერთს აღარ სჭირდება.
9580. ერთადერთი სიყვარული, რომელიც დევალვაციას არ განიცდის, შენი თავისადმია, დანარჩენი ღმერთის, სამშობლოს, შვილიშვილის, შვილის, ცოლისადმე, ეს მოვალეობაცაა და ცხოვრების ღირებულების გამართლების განმსაზღვრელიც.
9581. სული თუ ახალ სასიყვარულო ისტორიისკენ წაგიბიძგებს, ე.ი. ცხოვრება გრძელდება და სიბერეც ვერ გეკარება.
9582. სამარადჟამო სიყვარული დიდი ბედნიერებისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ ადამიანის ცვალებადი ბუნება ამას ვერ ერევა.
9583. დაბადებიდან თვალთმაქცები ვართ, ამიტომაც სიყვარულზე ჭორაობა ჩვენს განსჯას არ ექვემდებარება.
9584. მგზნებარე სიყვარული საშიშია, ზომიერი და დაბალანსებული სჯობს, მაგრამ ეს უკვე ასაკის პრეროგატივაა.

9585. სიყვარული წყვილის დაუღალავ ყოველდღიურ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ აქ ჰორმონებმა და ბიოლოგიამაც უნდა იმუშაოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შენარჩუნება გარანტირებული არ არის.

9586. არის ცხოვრება, არის კანონი, არის სიყვარული, რომელსაც ადამიანის გავლილი და დაღვინებული ყველა კანონი ფეხებზე ჰკიდია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სიყვარული არ იქნებოდა.

9587. ნამდვილი სიყვარული რწმენის, გამოცდილების, სიკეთის გამოვლის შემდეგ მოდის.

9588. სიყვარული შორი მანძილიდან არის ოცნების მირთმევა ტელევიზორთან.

9589. სიყვარული ავია, ბრიყვია, ალოგიკურია, მაგრამ ძალზე საამო და მწველია. ვინც ამ სტრესით სერიოზულად არ დაავადებულა, მას ცხოვრების ნახევარიც კი არ უცხოვრია.

9590. გარკვეულ დრომდე, სანამდის გაერკვეოდეთ გიყვართ თუ არა, სიყვარული დამამცირებელი არ არის, თუ მოთმინების უნარი გაქვთ.

9591. სიყვარული რეალობას ძნელად ეგუება და ზღაპარში დარჩენა მოსწონს, მაგრამ გადის დრო, იწყება ცხოვრების სინამდვილის შეცნობა. ამასობაში სიყვარული ცხოვრებას ისწავლის, შეეჩვევა და ჩვეულებრივი ოჯახიც შეიქმნება.

9592. სიყვარულით გამოწვეულ ბედნიერებას არც გადაჭარბებული მაკიაჟი სჭირდება და არც განცდების გადამეტება.

9593. სიყვარული ყველამ ერთხელ ბატონებივით მაინც უნდა მოიხადოს, რათა თუ ბედმა გაუღიმა, მომდევნო სასიყვარულო "ინფექციას" აცრილი შეხვდეს და ეს დაავადება ადვილად გადაიტანოს.

9594. სიყვარული დაგროვილი გრძნობების, ემოციების აფეთქებაა, რომელიც არავითარ კანონზომიერება-დარიგებას არ ეხმიანება, სანამ აფეთქების შედეგს არ შეიცნობს და თავისი პარტნიორის რეალური „აღმოჩენით" გონება არ გაუნათდება.

9595. სიბრიყვის გამართლება მხოლოდ დიდი სიყვარულით შეიძლება.

9596. სიყვარული ერთი შეხედვით ბევრი სისულელის წამქეზებელია, გვეხმარება გრძნობების გადმოფრქვევაში, რის შედეგადაც დამაჭრებული სული ღვინოდ გადაიქცევა, რომელიც გამოუფხიზლებლად უნდა ვსვათ, სიყვარული რომ შევინარჩუნოთ.

9597. სიყვარული ბრმა იმედია და იმის რწმენაა, რომ თუ მოინდომებ, შენს ჭკუაზე ივლის შენი რჩეული, მაგრამ ეს ასე არ ხდება და დრო და დრო გაწბილებებით რთული გზის გავლა გიხდება.

9598. უგონოდ შეყვარებულთა სიმპტომებია: თავის ცუდად გრძნობა, "უიმისოდ" არ შეგიძლიათ, კვდებით, ვერც დროებით კარანტინის დაცვას ახერხებთ. ეს გრძელდება გარკვეულ დრომდე, იშვიათად – მთელი სიცოცხლე.

9599. სიყვარულისთვის თავის გადადება, ფრთების შეკვეცა, მოუწყობელი ცხოვრება, დროისა და სივრცისთვის ბედის მინდობა, წარმოდგენითი, არაგარანტირებული ბედნიერებაა, შენთვისაც და გულისწორისთვისაც.

9600. მამაკაცს ძვირფასი ქალი უყვარს და არა – ძვირადღირებული, ხოლო ქალს – ძვირადღირებული მამაკაცი და არა – ძვირფასი.

9601. სიყვარული თავისებური წამებაა, ძალადობაა, დღესასწაულია, ავადმყოფობაა, რომელიც, სამწუხაროდ, გადამდები არ არის.

9602. ასაკში შესვლისას, თქმა იმისა, რომ გიყვარს, ცოტაა, თუ მას პატივისცემა არ ვაახლეთ, რადგან დაღვინებისას გაფრთხილება სჭირდება.

9603. ბედნიერება სიყვარულშიც არის და მშვიდ ცხოვრებაშიც, ოღონდ ვისთვის როგორ...

9604. „შენი ლამაზი ისაა, ვინც გიყვარს". შეიძლება სილამაზის შემდეგი ვარიანტები გამოვყოთ: თანდაყოლილი – შეძენილი, საშინაო-საგარეო, მომხიბვლელი – სულიერი, გენეტიკური – ინტელექტუალური, ჩანერგილი–მახინჯი და სხვ. რადგან სიყვარული, სილამაზე ის ფენომენია, რომელიც არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება და ხანდახან ის სიმახინჯისთვის და ცოდვებისთვისაც კი მოსწონთ და უყვართ.

9605. სიყვარულში სტუმარი იქნებით თუ მასპინძელი, სულერთია.

9606. გადამწიფებული ქალ-ვაჟის ურთიერთობა ერთხელაც შეიძლება ქორწინებით დამთავრდეს, მაგრამ ეს მაინც გამოუვალ მდგომარეობაში მოხვედრის შედეგია და არა ფეთქებადი სიყვარულისა, რადგან თავდაპირველად წყვილს უკეთეს პარტნიორთა მონახვის იმედი ჰქონდათ, მაგრამ არ გაუმართლათ.

9607. შეყვარებისთვის ხანდახან სურვილიც საკმარისია, თუ ფანტაზიას ავამოქმედებთ და პარტნიორის ყველა ქცევას მოსაწონად მივიჩნევთ.

9608. სიყვარულისთვის სიტყვა სანელებელია, რომელიც ცხოვრების უკუღმართობას, შინაგან გაუგებრობას და ცუდი ხასიათის ბალანსს გვიგემრიელებს.

9609. სამწუხაროდ, ნამდვილ სიყვარულის და სითბოს ფასს მანამ ვერ ვიგებთ, სანამ ერთმანეთს არ დავცოფავთ, ვაგინებთ, დავკარგავთ.

9610. სიყვარული, ანუ „მე შენ მიყვარხარ": თვალების შემოფეთებაა, გულის ამოვარდნა, გაზშირებული სუნთქვა ნესტოების დაბერვით, სახეზე ალმურის ავარდნა, ნაბიჯის შეშლა, აზროვნების გათიშვა და კიდევ ის, რომლის დანახვა და შეგრძნება სხვისთვის შეუძლებელია, რადგან ის ამ ორისთვის არის განკუთვნილი ცალკეულად და ერთად.

9611. სიყვარული აღმაფრენაა, სიგიჟეა, დიდი ბედნიერებაა, რომელიც კორექტირებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ცვდება, ჩლუნგდება და პრაქტიკულად აღდგენას აღარ ექვემდებარება.

9612. სიყვარულის ჯიბეში ჩადება არ შეიძლება, მაგრამ მცდელობა მისი დახურდავების, გაყიდვის, ყოველთვის ცდუნების ქვეშ გვამყოფებს და თუ ეს მოხდა, მაშინ სიყვარულთან საქმე არა გვქონია.

9613. სიყვარულის დეფიციტი ჩასახვას ხელს არ უშლის, მაგრამ ის მაინც ბედნიერთა ხვედრია, დიდი ნიჭია და ღმერთს მადლობა უნდა შესწირო, რომ ის დაგანათლა.

9614. ქალის სიყვარულისგან ჯავშანჟილეტი ვერ დაგიცავს, რადგან მისგან ნასროლ ტყვიას ვერაფერი დააკავებს.
9615. სადაც ვნება, გრძნობების ქროლვა, სიყვარულის ნიშნებია, იქ არასდროს არ უნდა გამოვრთოთ გონიერება, რათა სანანებელი არ გაგვიხდეს.
9616. მარად შეყვარებული მამაკაცი უვარგისი ქმარია, ხოლო ვარგისია ის, ვისაც ცეცხლი განელებული აქვს, სიყვარულს ღადარში ინახავს და როდესაც დასჭირდება, ააალებს.
9617. ხანდახან კვამლს ერიდები და სიყვარულის ხანძარში ხვდები.
9618. სიყვარულის მტერი მაქსიმალიზმია, რომელიც ტაბუს არ ცნობს და არც რჩევას ემორჩილება, მაგრამ ასე რომ არ იყოს, არც სიყვარული დაერქმეოდა.
9619. სიყვარული, აყვანილი უგონობის ხარისხში, შეიძლება იყოს ეჭვიანობის შედეგად ჩადენილი დანაშაულიც.
9620. ორ ცეცხლოვან სილამაზეს შორის ძნელია უმჯობესის არჩევა, მაგრამ შესაძლებელია, რადგან საქმეში გული ერევა და არა გონება, რომელიც ამ საქმეს ვერ შველის.
9621. ქალი სულის დედოფალია სანამდის დაიპყრობდე, შემდეგ სხეულის დედოფლად გადაიქცევა, გადის დრო და იქმნება საშიშროება დედოფლობიდან დედაკაცობამდე, რადგან სიყვარულიც დაღლილობის და დაძველების კანონებს ემორჩილება, ხოლო მისი პროფილაქტიკა წყვილის და მამაზეციერის ნებაზეა დამოკიდებული.
9622. სიყვარული უფრო პოეტურია, ვიდრე ჰორმონალური, მაგრამ ამ უკანასკნელის გარეშე მას დიდი დრო არ უწერია.
9623. იმდენად დიდია შემთხვევის ძალა, რომ სიყვარულის სწორ გზაზე დაყენებას ღმერთიც ვერ ასწრებს.
9624. სიყვარული იკვებება დაპირებებით, ოცნებებით და ხანდახან რეალობითაც, წინააღმდეგ შემთხვევაში გახუნდება, ფერს შეიცვლის და მისი გადაღებვის სურვილი ან ორივეს ეკარგება ან უკვე დაგვიანებულია.
9625. ყველაზე ძნელი გადასატანია სიყვარულის უდროოდ დაკარგვა, მაგრამ ეს დაავადება განიკურნება, თუ მასში გონიერება ჩაერევა და მარტო ემოციების ხარჯზე არ დარჩებით.
9626. წყვილებს ისეთი სიყვარული უნდა შეეძლოთ, რომ მათი თავად ღმერთს შეშურდეს თავისი მადლის დაგვიანებით გადმობერტყვისთვის.
9627. სიყვარული მუდმივი გამოცანაა და ასევე დარჩება მარადჟამს, რადგან მისი ამოხსნა სიცოცხლეს აზრს დაუკარგავდა.
9628. ყველა ჩვენგანი უნდა ვისწრაფოდეთ ერთმანეთის სასიკეთოდ, სასიყვარულოდ, რადგან ყველას აქვს უფლება მოსწონდეს და მოწონებული იქნეს.
9629. სიყვარულზე თეორიების შექმნას ისინი ცდილობენ, რომლებმაც მისი ფასი და თავად სიყვარული რა არის, არ იციან.
9630. უკან დასახევი გზა ყველასთვის მოჭრილია, ეს სიყვარულსაც ეხება, რადგან ჩვენს წინსვლას და სიყვარულის ფესვების გადგმას ხელი არ შეეშალოს.

9631. სიყვარული – სიძულვილი, სიცოცხლე – სიკვდილი, შეყრა-გაყრა, დაწყვილებული მეგობრები არიან.
9632. სიახლოვე განცდაა, ეჭვიანობაა, სიძულვილია, სიავეა, შეხლა-შემოხლაა და მიუხედავად ამისა, ყოველივე ამას მაინც სიყვარული ჰქვია.
9633. ჭეშმარიტმა სიყვარულმა ყველაზე უკეთ იცის თავისი აურა და ნიჭი.
9634. სიყვარულით წყურვილის მოკვლა ბევრი სათნო, უპრეტენზიო ადამიანის განუხორციელებელი ოცნებაა, რადგან ჰორმონების დაქვეითება, გაუბედაობა, წესიერება ამას ვერ ახერხებს.
9635. სიყვარული ეს ისეთი ვაქცინაა, რომელმაც შეიძლება უდიდესი სიამოვნებაც და უსიამოვნებაც მოგანიჭოთ, მაგრამ აცრა აუცილებელია.
9636. ქვეყნის სიმტკიცის მაჩვენებელი და გარანტიაა ის, თუ საზოგადოებას რამდენად მოხერხებულად შეუძლია სიყვარულის საიმედოდ შეფუთვა, შენახვა.
9637. სიყვარულთან დაყოვნება, გაუბედაობა, მისი უარყოფა დანაშაულია, რადგან შენი ნაოცნებარის წინააღმდეგ მიდიხარ და მთელი ცხოვრება ხინჯად გაგყვება.
9638. „მილიონობით ხალხის სათაყვანებელი ვარსკვლავი არ შეიძლება ერთი ადამიანის საკუთრება იყოს". ამ „უსამართლობის" მიუხედავად, სიყვარულის ბაირაღით აფრიალებული ამისკენ უნდა ვისწრაფოდეთ.
9639. სიყვარული მარტო შეყრა – გაყრა არ არის, მას თავისი ნაიარევი დაჰყვება და მოსაშუშებლად დრო სჭირდება. თუმცა გააჩნია რას უწოდებთ სიყვარულს და რას უწოდებთ ვნებას.
9640. მართალია, სიყვარული ჯიუტი წყვილების ხელში არ იწვის, მაგრამ ჩუმად ისე იფერფლება, რომ ვერცერთი ამას ვერ ამჩნევს.
9641. შესაძლებელი რომ იყოს ქალის შეყვარება ნაწილ-ნაწილ, არჩევით, არა მთლიანად და დახარისხებულად, მაშინ მამაკაცის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.
9642. საყვარელთან ღადაობენ, ტოლთან თამაშობენ, სატრფოს ეტრფიან, სიდედრთან კეთილგონიერებას იცავენ, ხოლო ნამდვილი სიყვარულით კი ბიჭებს დედა უყვართ.
9643. სიყვარულის სახელით შეიძლება სიყვარულს უარი უთხრა და ეს იყოს უდიდესი ხარჯის გაღება ნამდვილი სიყვარულისთვის.
9644. სიყვარულს ვაჭრობა არ უხდება, რადგან მასში ბევრის გადახდა არ უნდათ, ცოტათი კი ის არ კმაყოფილდება.
9645. სიყვარული სანატრელი ოცნებაა ყოველგვარი თავის დახსნის მცდელობის, მოტყუების და თავისუფლების გარეშე.
9646. სიყვარული განცხრომის ფაბრიკაა, რომლის ამუშავებას აღფრთოვანება, მოთმინება, გონიერება, მომჭირნეობა, კვლავწარმოება და გრძნობების გადახალისება სჭირდება.
9647. არ არსებობს შექმნილი სიავის გარემო, რომლის კიდევ უფრო გაუარესება არ შეიძლებოდეს, თუ მას სიყვარული არ მფარველობს.
9648. სიყვარული ყველამ თავის რწმენას უნდა შეუხამოს, რათა თაფლობის თვისთვის გამოყოფილი სასიყვარულო დრო ღიმილში არ გადაიზარდოს და ცხოვრების დაისზე დანანებით მოსაგონარი არ გახდეს.

9649. სიყვარული პარტნიორის ნაგავ ხასიათს ვერ ამჩნევს და განშორების ნაცვლად ამ ნაგავში ხელების ფათურიც კი სიამოვნებს.
9650. ეჭვიანობა სიყვარულის ავ-კარგიანობის თამაშია, სხვადასხვა ხარისხში და ტონალობაში აყვანილი.
9651. განცდა, ჭოჭმანიც სიყვარულის ატრიბუტია, მაგრამ მთავარია, რომელი მხარე გადაწონის და როდის გამოანათებს მათი ვარსკვლავი.
9652. იმისათვის, რომ სიყვარული გონიერების ხელში აღმოჩნდება, უნდა ეწამოს და სხვაც აწვალოს.
9653. სიყვარულის ისტორია თვითშეგნებაა და მას არც სიგრძე აქვს და არც განი, ამიტომ მასთან მისასვლელი მანძილი ჯერ არავის გაუზომია.
9654. ეჭვიანობა სიყვარულის კაიფის ერთ-ერთი სახეა, რომლის ჟღერადობა დამოკიდებულია პარტნიორთა ქცევაზე და შეყვარების სიძლიერეზე.
9655. სიყვარული ის არის, როდესაც რამდენჯერმე წაიკითხავ და შინაარსი ერთი და იგივე გამოგაქვს.
9656. სიყვარულით მანამ უნდა იფოფინო, სანამ სურვილი გაქვს და აზრს არავის ეკითხები, რადგან შემდგომ ყოველივე დაგვიანებული და გაუგებარია.
9657. სიყვარული თავისებური სარწმუნოებაა, რომელსაც ცხოვრების გამოცდილება, რჩევა-დარიგების მიცემა არ შველის.
9658. სიყვარულს, ერთგულებას, ვერ იყიდი, მაგრამ მისი ძალით მითვისება შეიძლება.
9659. არსებობს ცოლის მოყვანის მიზეზი და მოტივი, და ორივე შემთხვევაში შეიძლება სიყვარული იყოს, რატომღაც ამას ჩვენი ინსტინქტები უფრო იგებენ, ვიდრე გონიერება.
9660. ნმირად, სიყვარულს მრავალი თვალი უთვალთვალებს, ელოლიავება, მაგრამ მაინც ერთ მხარეს უწევს გამგზავრება.
9661. სიყვარულთან მისასვლელი გზები, ფორმები და სულის ძახილი სხვადასხვაა.
9662. სიყვარული ზოგადი ხდება და არაფრისმთქმელი, თუ შენ გიყვარს და არ გპასუხობენ, მიუხედავად შენი განცდებისა.
9663. სიყვარული ფალსიფიცირებას ვერ იტანს და ცხოვრების ნაბახუსევზე მაშინვე თავს იჩენს, თუ მანამდე ნაყალბევი სასმელის სმას არ შევეჩვიეთ და ყველაფერი სულერთი არ გახდა.
9664. სიყვარულსა და შეყვარებას სხვადასხვა სიამის დიაპაზონები აქვს, თუმცა ერთ ტალღაზე სხედან და ახალგაზრდობაში მათი განსხვავება ჭირს.
9665. სილამაზე შეფარდებითია, ხოლო სიყვარულისთვის ფარდობითობის თეორია უცნობია.
9666. სიყვარული დროის გარკვეულ მონაკვეთში სულით თავისუფალი ადამიანების გამბედაობის შედეგია.
9667. სიყვარული და მოვალეობა თითქოს ტოლია, მაგრამ არა ყველგან და ყოველთვის.

9668. მართალია სიყვარული წყვილის გრძნობების და სულის დღესასწაულია, მაგრამ მისი არსებობა ყველას არ სჯერა, თუმცა მის ჩუმად შემოპარებას ყველა ელოდება.

9669. ცნობილია, რომ ანგარიშიანი ქორწინება უფრო გამძლეა, ვიდრე სიყვარულით შეუღლება, რადგან ეს უკანასკნელი მცირე გაწბილებასაც ვერ იტანს და შეხლა-შემოხლისთვის მოუმზადებელია, ხოლო ანგარებით დაოჯახება გაწბილებისთვის მზადყოფნაშია, რადგან ბევრი რამ მისთვის წინასწარ ცნობილია, გათვლილია და თავში სიყვარულის ქარის ქროლვის ნაცვლად, საქმიანი ნიავის შრიალით კმაყოფილდება.

9670. სიყვარულის მოპოვება ხელოვნებაა და მუყაითი შრომა, აქ სიზარმაცე და მარტო ფორტუნის იმედზე ყოფნა არ გამოდგება.

9671. სიყვარულის გრძნობა დღევანდელ სექსუალურ ვაკხანალიაშიც კი არ იკარგება, რადგან ის გარკვეულ ადამიანთა მოდგმისთვის ბუნებრივი აუცილებლობაა.

9672. როდესაც საქმეში სიყვარული ერევა გარანტიაზე და დაზღვევაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

9673. სიყვარულის აკადემიის ინსტიტუტები ყველა საუკუნეს თავისი ჰქონდა, მაგრამ მათი რექტორატის დაკომპლექტება იყო ძნელი, ამ დარგის სპეციალისტების ყველა დროში უკმარობის გამო, ამასთან სიყვარული განათლებას და კანონზომიერებას არ ემორჩილება.

9674. სიყვარული ის შეუცნობელი რეაქციაა, რომელიც შეუმჩნევლად ჟონავს თავში და სასიამოვნოდ იქ აფეთქდება, სადაც არ ველით.

9675. „მომწონს,'' „მინდა'' და „მიყვარს'' შორის დიდი სხვაობაა, რადგან პირველი შეფასებაა, მეორე – კაპრიზი, ხოლო მესამეა ის, რაც ყველა ჩვენს მცდელობას აერთიანებს და მისი ზუსტი სახელი სიყვარულია.

9676. გული შედგება სისხლძარღვებისგან, ჟანგბადისგან, აღმაფრენისგან, რომელსაც სიყვარულის სულიერი გარემოს დაფიქსირება ეკისრება და ხშირ შემთხვევაში მკურნალადაც გვევლინება.

9677. სიყვარული თავისებური სასიამოვნო სიმხეცეა, რომელიც ამ გრძნობების მოზღვავების მომიზეზებით არც თავს ინდობს და არც სიყვარულისთვის განკუთვნილ მსხვერპლს.

9678. ერთგულება სიყვარულში მაშინ ბობოქრობს, თუ შენთვის განკუთვნილი მეორე ნახევარი ღმერთმა გადმოგიგდო, ხოლო თუ მის ძებნაში ხარ, აქ ერთგულება არ გამოგივათ და ვერც ვერავინ მოგთხოვთ, საკუთარი დაღვინებული თავის გარდა.

9679. სიყვარული არა მარტო არ ცნობს საზოგადოების მიღებულ ნორმებს, არამედ არღვევს გონიერების ყოველგვარ საზღვრებს. ამის დასტურია როდესაც ახალგაზრდა ქალი ცოლად მიჰყვება დამნაშავეს, რომელსაც სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.

9680. სიყვარული შემოქმედების გარეშე ბრმა ლტოლვაა, რომელმაც სად იაროს და რა გზას დაადგეს, არ უწყის.

9681. სიყვარული გვაახალგვაზრდავებს, სიცოცხლეს გვმატებს და საშუალებას გვაძ-ლევს ასაკი არ შევიმჩნიოთ.
9682. სიყვარული გაცილებით მეტია, ვიდრე სიკვდილ-სიცოცხლის შერკინება, რად-გან მისი აურა შეუფასებელია.
9683. სიყვარულს ხვადი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ყიდის, მიუხედავად ამისა, მაინც ვცდი-ლობთ მასთან ერთად სიამის ბურუსში გახვეულებმა ვიცხოვროთ.
9684. უღიმღამო, უსულო სილამაზემ შეიძლება მოწონება დაიმსახუროს, ხოლო გა-ღიმებული, სულჩადგმული კი სიყვარულში გადაიზარდოს.
9685. სიყვარულზე უარის თქმის უფლება ადამიანს სიცოცხლის ბოლო წუთებშიაც არ აქვს, რადგან ის მისი მსხვერპლია, როგორც ამ, ისე იმქვეყნად.
9686. გული სინათლეს ასხივებს, გონება ცეცხლს აფრქვევს და ამ ორი ნათების შე-დეგი ნამდვილი სიყვარულია.
9687. შეყვარებულები ნათესავებში მხოლოდ სპონსორებს ხედავენ.
9688. მთავარია გწამდეს, რომ ადრე თუ გვიან თქვენს გულის კარებზე სიყვარული დააკაკუნებს, რადგან რწმენა ის ფენომენია, რომელსაც ყველაზე გვიან გასდის ყავლი.
9689. სიყვარული ალბათ ყველას კარებს მიადგება, მაგრამ ნამდვილი და მოჩვენები-თი სიყვარულის გამრჩევი მედიატორის მოძებნა შეუძლებელია და მისი შეცნობა ცხოვრების დაისზეც არ არის გარანტირებული.
9690. სიყვარულის წინაშე ჩვენდა უნებლიედ დანაშაული კი მოგვდის, მაგრამ მთავა-რია მავნებლობა არ ერიოს შიგ.
9691. სიყვარულის ტახტზე წამოსკუპება არ არის ძნელი, ძნელია უნებლიედ წამოჭ-რილ წინააღმდეგობებში გზის გაკვლევა, გამონათება.
9692. წყვილის სიტყვების უმწეო, შემთხვევითმა გადაგდებამაც კი შეიძლება სიყვა-რულის თესლი ახაროს.
9693. რაციონალურად უნდა გვიყვარდეს ყველა და ყველაფერი, მათ შორის ჩვენი ოჯახი, მისი წევრები და საკუთარი თავიც.
9694. სიყვარული თავისებური აზარტული თამაშია დიდი მიზნების ფსონში ჩადებით, სადაც მოგების სიხარულს ორივენი ერთდროულად ინაწილებენ, ხოლო წაგების შემთხვევაში სინანულს ცალ-ცალკე.
9695. არც სიყვარულის დაფარვაა ადვილი და არც სიძულვილის, თუ შენს წინაშე პიროვნება დგას.
9696. სიყვარული უმაღლესი გრძნობაა, მაგრამ მისი უგონოდ გამოყენება უდიდესი ცოდვაა.
9697. ქალს უნდა, რომ ტკბებოდეს თავისი მამაკაცით, ხოლო მამაკაცს უნდა მოპო-ვებული ქალის სიყვარული ოცნების ახდენით.
9698. სიამაყეს ხშირად სიყვარული ეწირება, ხოლო რამდენადაა გამართლებული ეს ამბიცია, ამას ცხოვრების დაისზე ვხვდებით.
9699. პერსპექტიული მამაკაცის მოსაპოვებელ სიყვარულში ყველა ქალს თავი მომხიბვლელად და აზრიანად უჭირავს.

9700. სიყვარული არაფრისგან იქმნება, იბადება და სისულელის გამო იკარგება, ქრება.
9701. სიყვარული თავისებური შეჯიბრია, სადაც წაგებულებიც არიან და მოგებულებიც, მაგრამ ყაიმი ოჯახია.
9702. ცხოვრების დაისზე საკაიფო გასახსენებლად სასიყვარულო თავგადასავლები რჩება და არა ოჯახი თავისი რეალობით და მოვალეობის მოხდით.
9703. ვისაც სიყვარულის გარდა სხვა არაფერი აინტერესებს, ის სიყვარულშიაც ცუდად ერკვევა და მის ფათერაკებშიც.
9704. ძირითადად სიყვარულის მოპარვით შესმა იძლევა კარგ დაბოლოვებას და არა თრობა, რადგან „პახმელია" იცის სათუო, რომელსაც ყველა ვერ ირგებს და იტანს.
9705. სიყვარული სულის ცეცხლოვანი ინტელექტის მატარებელია და მას რაციონალურ ქორწინებასთან საერთო არაფერი აქვს, მიუხედავად ამ უკანასკნელის გამძლეობისა.
9706. ქალისა და კაცის სასიყვარულო თამაშსა და ბრძოლაში საბოლოოდ მაინც ურთიერთგაგება იგებს.
9707. ვინც გიყვარს იმისი ყველაფერი გჯერა, ყველასი და ყველა ფაქტის ჯინაზე.
9708. სიყვარული თაღლითობის ყველაზე საშიში იარაღია, რომელიც ყველა შემთხვევაში სიამეს ტოვებს.
9709. სიყვარულიც ბოლოს ანგარიშია, მათ შორის მცირეც, დიდიც და უმწიკვლოც.
9710. სიყვარული გრძნობების ურთიერთგაქურდვაა, რომლის შედეგადაც ორივე მხარე კმაყოფილია.
9711. შენზე შეყვარებულ ქალიშვილს უნდა აღუთქვა მთელი სამყარო და გაუმასპინძლდე ნაყინით, მითუმეტეს, მას თუ შენს მეტი არავინ უნდა. ასეთი „სიყვარულის ბრიყვები" კარგი მეუღლეები დგებიან.
9712. ყოველი ახალი მამაკაცი შეყვარებული ქალისთვის მოვლენაა, იმედია, ოცნებების გაცრუებაა, კაცისთვის ყოველი ახალი ქალი ისტორიაა თავის აღფრთოვანებით და თავის მობეზრებით.
9713. სიყვარული ბედნიერებაა, ენერგიის მომცემია, გაუგებრობაა, სიბრიყვეა, მაგრამ აქ მთავარია მისი მადლი იგრძნო და გაითავისო.
9714. დღეს სიყვარულიც განიცდის დევალვაციას, მაგრამ მისი კურსის გამაგრებას ყველა ესწრაფვის და ცდილობს.
9715. სიყვარული თავისებური მარადისობაა, ყოველ შემთხვევაში დასაწყისში ასე გვეჩვენება.
9716. „მე შენ მიყვარხარ" – ეს სულის ისეთი მუსიკალური ტონალობაა, რომელსაც ყველა წყვილი თავისებურად ახმოვანებს და ისმენს.
9717. სიყვარული შებრალებაცაა, გაკაპასებაც, უმადურობაც, მაგრამ გადაჭარბების გარეშე.
9718. სიყვარულს უკიდეგანო სივრცე ახასიათებს და ღმერთის მის წინაშე პასუხისმგებლობა.

9719. ხშირად წყვილის მეგობრობა ოჯახის შექმნით არ მთავრდება, მაგარმ არც სიყვარული მთავრდება მეგობრული დაშორებით.
9720. შეიძლება არ გიყვართ, მაგარამ მისი ნამოქმედარით აღფრთოვანებული ხართ და შურით ტკბებით, – აქაც თავისებური სიყვარულია.
9721. სიყვარული ჯოჯოხეთიც არის, ნეტარებაც გარკვეულ დრომდე და კარიერის მიღწევამდე.
9722. სიყვარული მოვალეობაცაა, თავის შეწუხებაც, დროის დაკარგვაც და მას დანანებაც ემატება, თუ ამ საქმეში საბოლოოდ არ გაგიმართლათ.
9723. სიყვარულს შემართებასთან ერთად თავისი წილი ძალის, ღონის და შრომის უნარის წარმოჩენა სჭირდება.
9724. სიყვარულზე მასხარაობა არ ნიშნავს სექსით სხეულის გალაღებას.
9725. სიყვარულს მოფერება, გაფრთხილება, შეთბობა სჭირდება, რადგან მამაკაცი ცხოველი არ არის მარტო დანაყრებით დაკმაყოფილდეს, მისთვის ქალს საჭმლის გარდა, ყურადღების პატარა თილისმა ყოველთვის უნდა ჰქონდეს გადანახული.
9726. ბევრი ქალი თავის გულისსწორს არ უცდის, რადგან მან რაღაც მიზეზებით მოსვლა დააგვიანა და იმედგაცრუებული სხვასთან დაწყვილდა, მაგრამ რწმენა იმისა, რომ ნამდვილ სიყვარულს და თავის პრინცს იპოვნის, განუხრელად სჯერა და ეს მთელი ცხოვრება სულს უთბობ და აღაფრთოვანებს.
9727. სიყვარული არის წლობით შემონახული გრძნობების გამოზომილი ხარჯვა ოჯახის სიმყუდროვის სასარგებლოდ.
9728. ძლიერი სიყვარული ბედია, მაგრამ არა ბედობა, რომელსაც თავისი სანთელსაკმეველი აქვს.
9729. როდესაც შეყვარებული წყვილი ბედნიერებისგან ტირის, ამ გრძნობას ვერავითარი მიწიერი ვერ შეედრება.
9730. სიყვარული და მოვალეობა ზოგჯერ ერთი და იგივე გრძნობაა, მაგრამ პირველის პირველადობა უცვლელი რჩება, მანამ მეორე დევალვირებას არ დაიწყებს.
9731. სიყვარულით მხოლოდ გულის და სულის გათბობა შეიძლება, დანარჩენი სხეულის ნაწილების გათბობა სექსს უნდა მივანდოთ.
9732. სიყვარული თავისებური სენსაციაა, სერენადაა, რომელიც აჭრილია ჩვენი ცხოველმყოფლობის თარგზე.
9733. სიყვარულს ყავლი არ გაუდის, მაგრამ საკმაოდ ჭრაჭუნობს, ეკრანზე ამდენი დეტექტივების, საფრთხობელების, კოსმოსური ომების და სხვა სისულელეების დემონსტრატორთა ხელში.
9734. პირველი თვალის შემონათება ყოველთვის არ ჰგავს მომდევნო თვალის შევლებას, შეხედვას, რადგან ზოგისთვის სიყვარულის შემოპარებას დრო და გარემოს განსჯა სჭირდება, ხოლო ზოგისთვის თვალის ერთი შემოფეთებაც საკმარისია.
9735. სიყვარული სიღარიბეს არ იმჩნევს, თორემ კბილის ტკივილი შეუმჩნეველი არ რჩება.

9736. სიყვარული თავის ტკბილი მოტყუებაა, რომელიც წყვილს აძლევს საშუალებას თავი წარმოაჩინონ და შემართება ჩაინერგონ სულში, ხოლო დანარჩენი დროის და განგების საქმეა.
9737. სიყვარული თავისებური გაურკვევლობაა, გაუგებრობაა, რადგან არ იცის როგორ გაართვას თავი ამ უცბად მოვარდნილ ბედნიერებას თუ უბედურებას.
9738. ქალის მთავარი მიზანია გადაიტანოს იმ უხიაგი მამაკაცის გაცნობა და სიყვარული რომელიც მას ოცნებად ჰქონდა გადაქცეული.
9739. პაემანის რაოდენობის გაზრდა წყვილს დაახლოვების საშუალებას აძლევს და არა – სიყვარულს.
9740. სიყვარულის ალგორითმიდან მე გამოვარჩევდი: ხალას სიყვარულს, რომელიც მთელი სხეულით პარტნიორისკენ მიილტვის და სული მის გარეშე ვერ ძლებს, მორცხვ სიყვარულს, რომელიც გრძნობებს ვერ უმხელს, მაგრამ ყველა ხედავს მისი სულის ამბოხს, შეჩვეულ სიყვარულს, როდესაც შენი არჩევანის გვერდით ყოფნა გსიამოვნებს და სულიც გაქცევას არსად ლამობს.
9741. თუ წყვილი ერთმანეთის სიყვარულით გაკვირვებას შეძლებს, მაშინ მათ ერთმანეთთან საკამათოდ და ღალატისთვის დრო არც ექნებათ.
9742. სიყვარულის ვირუსი ეპიდემიას რომ იწვევდეს, ვინ იცის, რა დღეში ჩავარდებოდა კაცობრიობა.
9743. მარადიული სიყვარული ქალის პირველ დაორსულებამდე გრძელდება, შემდგომ ჩვეულებრივი მოვალეობის სტატუსის მქონე სიყვარულად იქცევა.
9744. იმ ქალს შეუძლია სხვისი სიყვარული, ვინც საკუთარ თავზე და მოვალეობაზე ნაკლებად ფიქრობს.
9745. სათუთი, მორცხვი ქალის გამოხედვა მამრისთვის გულში ჩამწვდომი, ამაფორიაქებელი და სიყვარულის საწყისია.
9746. სიყვარულის უგულებელყოფა არც დანაშაულია და არც შეცდომა, უბრალოდ, ეს არის ბედისთვის აცილების მიცემა შენი გამოუცდელობის და უვიცობის გამო.
9747. სიყვარული არა იმდენად ვნებათა ქარიშხალია, რამდენადაც ხელოვნება, გონიერება, ტანჯვის უნარი.
9748. სიყვარული ყველაფერს გვპატიობს, მაგრამ არაფერს არ ივიწყებს, მიუხედავად იმისა, რომ მას ამის დიდი სურვილი აქვს.
9749. სიყვარულის პროცესი უდაოდ გვსიამოვნებს, ხოლო წესით შედეგი უნდა გვატკბობდეს.
9750. იდეების, ილუზიების და ოცნების ციხე-სიმაგრეების შენახვა არც ისე ძვირი ჯდება, თუ სული გამთბარი გაქვს და იმედი იმისა, რომ ვინმე შეგიყვარებს.
9751. რა არის სიყვარული? სახლში ერთს გვასწავლიან, სკოლაში მეორეს, ხოლო ქუჩაში ვიგებთ იმ ხორციელ სიმართლეს, რომელიც ჩვენს აღზრდას, სულს არ ესალბუნება.

9752. სიყვარულის ფენომენი იმხელა საჩუქარია ადამიანთა მოდგმისათვის, რომ მის საოცრებაში დღესაც ვერ გარკვეულა.
9753. გონიერ კაცს გრძნობების საღი გააზრებაც, გაგებაც და მოთოკვაც შეუძლია.
9754. სიყვარულში მესამე ყოველთვის ზედმეტია, ბავშვის გარდა. თუ პირველი ოჯახის დანგრევას უწყობს ხელს, მეორე – მის გამაგრებას.
9755. ჟანგი ბევრ ლითონს ედება და გამოიყვანს მწყობრიდან, მხოლოდ სიყვარულს ვერაფერს აკლებს.
9756. ქალი და კაცი სიყვარულის ან სიძულვილისათვის გამზადებული ორი წიგნია, რომელთა გადაშლა რისკთან არის დაკავშირებული, მაგრამ საინტერესოა.
9757. მისი უდიდებულესობა შემთხვევა სიყვარულისა უცბად გეწვევა და მერე ხვდები, თუ რა საამურია ცხოვრება.
9758. ცოლ-შვილიან კაცს თუ სხვა შეუყვარდა, საფიქრებელია, რომ მას გაუმართლა და ნამდვილი სიყვარული ეწვია.
9759. სიყვარული – სასიამოვნო განცდები, სულიერი გვემა და კატორღული შრომაა, გარკვეულ მომენტში კი – ხელოვნება.
9760. სიყვარული ვზნებით, მღელვარებით იწყება, მთელ სხეულს ცეცხლი ედება და სიხარულისა და ბედნიერების დიდ ტალღად იქცევა, ხოლო შემდგომ კავშირში თავს იჩენს სიძნელეები, ჭირხლი. მაშინ არის საჭირო ხელების დაკაპიწება, რათა გრძნობები ჩაქრობას გადავარჩინოთ და თუ შესაძლებელია, ნაკვერჩხალი გავალვივოთ.
9761. თუ სიყვარულის აგური გამაგრებულია ფულის ცემენტით, ასეთი ოჯახის დანგრევა ძალზე ძნელია.
9762. სიყვარული დროებითი ავადმყოფობაა – გაოგნებით, ჩუმი განცდით, დროებითი გამოთაყვანებით, რომელსაც თან ახლავს დიდი შინაგანი სიამოვნება.
9763. სიყვარულს მოკლებული ქალი აფეტიშებს ერთ-ერთ მამაკაცს და შეიძლება მისი ნებაყოფლობითი მონა გახდეს, მაგრამ საკმარისია ნორმალური მამაკაცის გამოჩენა და ქალი თავისუფლებას ჰპოვებს, ხოლო წარსული მოსაგონებლადაც აღარ უნდა.
9764. საყვარელმა კაცმა რომ არ გიღალატოს, ან დროზე უნდა გაშორდე, ან გვიან ასაკში უნდა შეეყარო, ან გარკვეული დროით ტაიმ-აუტი აიღო.
9765. ჩემთვის სიყვარულში დემოკრატია მიუღებელია, მაგრამ, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, სამწუხაროდ, შესაძლებელი ყოფილა.
9766. სიყვარულსმოკლებული ქალის გაბრიყვება ადვილია, მაგრამ მისგან თავის დაღწევაა ძნელი.
9767. სიყვარული ზოგისთვის თავისებური მაზოხიზმია, რაც მეტს როზგავენ, მეტ სიამოვნებას განიცდიან.
9768. ნამდვილი სიყვარული მუდმივი განცდაა სულისა, ხოლო სიძულვილი მუდმივი ტანჯვა ხორცისა.

9769. კოცნა ყოველთვის არ ნიშნავს ტრფობის, სიყვარულის, მოწონების, პატივისცემის, წარმატების გამოხატვას. ის შეიძლება მლიქვნელობის და სიძულვილის ნიშანიც იყოს.

9770. სასიყვარულო ნექტარის, მომხიბვლელობის ძალა განუსაზღვრელად ლამაზი და წარმტაცია. ასე მსჯელობენ ისინი, ვისაც სიყვარული არ განუცდია.

9771. სიყვარულით ოჯახის შექმნის გაფეტიშება მითს ემსგავსება, რადგან წინასწარი გარიგებით და შეთანხმებით შექმნილი ოჯახი ორმოცდაათ წელზე მეტს სძლებს, ხოლო სიყვარულით შექმნილი ხშირად ორმოცდაათ დღეში იშლება.

9772. სიყვარულით ქალის მოყვანა, იცოცხლე, კარგია, მაგრამ ოჯახის შენარჩუნებაა ძნელი, რადგან სიყვარული ხშირ-ხშირად გაღვივებას მოითხოვს და მისი ცეცხლი რომ არ განელდეს შეშა თუ არა, ფიჩხი მაინც არ უნდა დააკლო.

9773. ზოგს იმდენი თაყვანისმცემელი ჰყავს, რომ სიყვარულისთვის დრო აღარ რჩება.

9774. მონოგამიური (ერთადერთის) სიყვარული – ერთეულთა ხვედრია, თავისი განცდებით, სიძულვილით, მაგრამ უდიდესი ინტენსივობით.

9775. ერთმანეთისგან დაშორებული ადამიანების მეგობრობის გრძნობა არსებობს ურთიერთპატივისცემის და სატელეფონო მიმოკითხვის ხარჯზე, მაგრამ სიყვარულისთვის ასეთი ქმედება დანაწევრებულ კვებას გავს. სიყვარული დიეტაზე დიდხანს ყოფნას ვერ იტანს.

9776. ახლობელის შეყვარებაც შეიძლება იმდაგვარად, როგორც შენი თავი გიყვარს, მაგრამ ფრთხილად უნდა იყო, ეს სიყვარული ყოველთვის არ ამართლებს.

9777. სექსი – ბუნებრივი მოთხოვნილებაა, სიყვარული კი ბუნების ნაჩუქარი იშვიათი ნიჭი. მათ შორის რომელია პირველი და რომელი მეორე, ძნელი დასადგენია. თუმცა, სიყვარული კონკურსში არ მონაწილეობს.

9778. როდესაც ადამიანს შემოქმედების და სიყვარულის მუზა ეწვევა, ტანი საოცრად მსუბუქი და ჰაეროვანი უხდება.

9779. ადამიანისთვის მთავარია ღირსება, სიხარული, მხოლოდ შემდეგ მოდის სიყვარული.

9780. სიყვარული ის ჯოკერია, რომელიც ყველა ცხოვრებისეული კანონის საწინააღმდეგოდ მოქმედებს და მაინც მართალია.

9781. ჭკვიანი კაცი საყვარელ ქალზე მეტად ამოუხსნელი არ უნდა იყოს.

9782. სიყვარული ის არის, როდესაც ყოველივეს პატიობ ადამიანს და გულით ცდილობ, სხვის თვალში მის საქციელს გამართლება მოუძებნო.

9783. სიყვარულს სიბრძნე კი არა, სულიერებაში გადასული გონიერება ჭირდება.

9784. ტრფობასა და სიხარულს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი დროს შორიდან ელაციცება და სხვას ბედნიერს თუ დაინახავს ისიც სიამოვნებს, ხოლო მეორისთვის დრო მისი სულის საკუთრებაა და მან მხოლოდ შენს სულს, სხეულს უნდა განაცდევინოს ნეტარება.

9785. სიყვარული ყველაზე დიდი ღირებულებაა, თუ შეინარჩუნე, მაგრამ მეგობრობა უფრო მაღლა დგას გარკვეულ დრომდე.
9786. დაუყოვნებლივ ბედნიერებას მიეკუთვნება მდედრის და მამრის ნაუცბათევი ურთიერთობა, რომელიც შეშლილთა თრთოლვაში გადაიზრდება, მიუხედავად იმისა, რომ ეს წუთიერი თავდავიწყება ზოგჯერ მწარე ბედნიერებად მოგვევლინება, რადგან ღირსების დაცემას და მორალს მხედველობაში არავინ იღებს.
9787. ზოგიერთ წყვილს სიყვარულის შესანარჩუნებლად და გასაახლებლად ტრაგიკომედიის გათამაშება და გაჭირვებაში ჩავარდნა სჭირდება, ეტყობა ამ სახის ადრენალინ – ელექსირი მისთვის აუცილებელია შელახული სიყვარულის გასამაგრებლად.
9788. სიყვარულს ქმნის სამყარო, ხოლო ღირსეული ხვადი აქცევს მას ჩვენი დროის სწორუპოვარ ლამაზმანად.
9789. სიყვარულის აუქციონზე მოსახვედრად უმეტესად ქალები ჩალიჩობენ და გარეგნობა ზომაზე მეტად წესრიგში მოჰყავთ, მიუხედავად იმისა, რომ მამრებს თავად ირჩევენ.
9790. სიყვარული სუფთაა, სენტიმენტალურია, მორცხვია. გაღიზიანებაა, ეჭვიანობაა, პრეტენზიულია, ანგარებაა, თავაზიანობაა, ზრდილობაა, ღიმილია, გარიგებაა, შეფასებაა, თანხმობაა. გარემოებათა გამო მომთხოვნია, კაპრიზია, თვალების დაჟუჟუნებით. ამგვარი გზებით იქმნება ოჯახები, გადის დრო, ყველაფერი ურთიერთობაში ერთმანეთს ემსგავსება და სასტარტო ჯგუფში მოხვედრის სურვილის ყველა განაწესი აზრს ჰკარგავს.
9791. შენ პატივს სცემ შენი გრძნობების ბენეფისს და არა იმას, რომ ქალი გიყვარს და მის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლია.
9792. კარგად იცხოვრო დიდი ხელოვნებაა, მაგრამ შენი ცხოვრებით კმაყოფილი იყო, ეს ერთეულთა ხვედრია, რომელთაც არც სიმდიდრე, არც გარეშეთა ბედი არ აღელვებთ, გარდა თავიანთი მისწრაფებისა.
9793. ბედნიერებას და სიყვარულს არ შეიძლება დაბოლოება ჰქონდეს, მას მხოლოდ დასაწყისი აქვს.
9794. სილამაზე საშინელი ძალაა, სიყვარული საშინელი ტანჯვა, მოხდენილი ტანი – საშინელი სიამაყეა. ხომ შეიძლება სიტყვა საშინელი ამოვიღოთ და ვთქვათ: სილამაზე, სიამაყე, სიყვარული. მაგრამ "სორე" (სად არის) ეფექტი, რომლის გარეშე ცხოვრება თავის ხიბლს დაკარგავდა და ადამიანებს აღფრთოვანების უნარს მოვაკლებდით.
9795. "შიში შეიქმს სიყვარულსო", მაგრამ ვიღაცის გაფეტიშება, სისულელეს აყოლილი, დაუფიქრებელი, ნებაყოფლობითი მონობაც სიყვარულის ბრალია, თუ თავის გამოჩენის სურვილი, ესეც საკითხავია.
9796. სიყვარული მთლიანად მინდობა და ყველაფრის მიტევებაა, მაგრამ ცოდვების რეციდივიდან დაზღვევის გარანტიად მაინც არ გამოდგება.
9797. სიცოცხლის ელექსირი სიყვარულია და შეიძლება ძირითადად მასზეც არის დამოკიდებული სიცოცხლის გახანგრძლივების პარამეტრები.

9798. ბავშვების და ცხოველების გაწვრთნა ჰუმანური ძალადობაა, მაგრამ თუ ეს მათდამი სიყვარულით კეთდება, შეიძლება გვეპატიოს.
9799. გულს თავისი კანონები აქვს და გონიერების ყველა წესს არღვევს და თუ სიჯიუტე გამოიჩინა, გამარჯვების გარდაუვალი მფლობელია.
9800. თავსმოხვეული რწმენის უაზრო ტრფობა ზოგიერთ ჩვენგანს სულს უმახინჯებს, ხორცს უმონებს და აზროვნებას აკარგვინებს.
9801. მოთმინება, სიკეთე, სიყვარული არის სამყაროს შეცნობის და საკუთარი მოყვასის შეყვარების ფორმულა.
9802. ყველა ხვადს აქვს წლები, რომლითაც იბრუნებს ახალგაზრდობას და უჩნდება სიყვარულის და ახალი ცხოვრების დაწყების სურვილი.
9803. უღირსი საყვარელი არსება ყველასთვის წამების იარაღია.
9804. ერთის მიერ მეორის შეყვარება მეორის მოთმინებაზეა დამოკიდებული.
9805. გულის უსისხლოდ დაკოდვა დიდი სიყვარულის ბრალია, რომელიც არავის კლავს, მაგრამ მთელი ცხოვრება დაღს ასვამს.
9806. შენი შესაძლებლობების რწმენა ისევე აუცილებელია, როგორც ქალისადმი სიყვარული და მისკენ დაუფიქრებელი ლტოლვა.
9807. ასაკში დიდი სხვაობით გათხოვება ან ცოლის მოყვანა ცოდვა არ არის, თუ ქვეტექსტი სიყვარულია და არა – ანგარება.
9808. თქვენ ძალიან უყვარხართ თქვენს რჩეულს, მისთვის ერთადერთი ხართ, მაგრამ როგორ გაიგოს მან, რომ თქვენ ყველაზე უკეთესი ხართ, თუ არ გიღალატათ და შედარების საშუალება არ მიეცა. წარმოიდგინეთ, რომ აქ დამარხულია ჭეშმარიტების მარცვალიც, დემაგოგიაც და სიყვარულიც.
9809. როდესაც შინაგანი სითბოს გამოსახატავად, სხვების დასანახავად, ახლობლები შენობით გელაპარაკებიან, მას მეორე მხარეც აქვს, ანელებ თავის მიმართ კონტროლს, ნაკლებ მოთხოვნებს უყენებ პეწს, მდედრის კაპრიზს და ეს ქალისთვის ავტორიტეტის დაკარგვის დასაწყისია, რომელიც სიყვარულის დევალვაციის დაწყების ტოლფასია.
9810. ბახუსი საუკეთესო ალიბია რათა ცოლს დავიწყებული სიყვარული აუხსნა, ასიამოვნო და მერე გამოფხიზლებულმა ყველაფერზე ხელები დაიბანო მოტივით: – არაფერი მახსოვსო.
9811. გადამეტებული მორცხვობა და თავხედობა ორივე დაავადებაა, ერთს ქალის ალერსი სჭირდება, მეორეს – ქალისადმი სიყვარულის სწავლა.
9812. სიყვარული შეიძლება იყოს: მჩქეფარე, წყნარი, უპასუხო, უანგარო, უმწეო, უიღბლო, ტრაგიკული და ამ ხათაბალაში გარკვევა და ცხოვრების მშვიდობიან ლიანდაგებზე გადასვლა თვითეულის მიზანი და ერთეულთა ხვედრია.
9813. ნაშიერის პიროვნებად ჩამოყალიბება, გარდა მოვალეობისა, თქვენი სიყვარულის გვირგვინიცაა.
9814. ყველა ჩვენგანი უნდა ეცადოს ცხოვრებაში ერთხელ მაინც სიყვარულის ქანდაკება გამოძერწოს.

9815. სიყვარული და სასიყვარულო თანამშრომლობა სხვადასხვა რამაა, ქმედება კი ერთი აქვთ – მოზღვავებული ენერგიის დაწყნარება. მიუხედავად ასეთი სიახლოვისა, ამ ურთიერთობების ერთმანეთში არევას გაუგებრობის მეტი არაფერი მოაქვს.

9816. არავის არაფერი არ უნდა შევარჩინოთ, რათა არ გაირყვნას, არ გათავხედდეს, მაგრამ დასჯის მეთოდებსაც კაცთმოყვარეობის გრძნობები უნდა ახლდეს რომელიც სიყვარულით უნდა იყოს შეფუთვნილი.

9817. მეგობრობა არა მარტო სულიერი ტრფობა და საწინააღმდეგო ხასიათების შერწყმაა, არამედ მატერიალურიც და ეს ასაკის მატებასთან ერთად მეღავნდება.

9818. სიყვარული და ვნება უასაკოა, სანამ ცხოვრების დაისი გამოცდას არ მოგიწყობთ და ასაკის მატებასთან ერთად ჭრაჭუნს არ დაიწყებთ.

9819. სიყვარული საშინელი იარაღია, რომელიც მსხვერპლს კი არ ეძებს, არამედ მსხვერპლი ეძებს მას და იმას შეაძლებინებს და გააკეთებინებს, რასაც ადრე ვერც კი წარმოიდგენდა.

9820. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ქალს მამაკაცი ირჩევს, ის მაინც უნდა დაემორჩილოს მდედრის ბუნების სამართლიან ახირებას: უმკურნალოს ცუდ კბილებს, განთავისუფლდეს ზედმეტი წონისაგან, ისწავლოს სწორი სიარული, მეტყველება, სიტყვაძუნწობა და დოზირებული იუმორი. ეს მოთხოვნები მანამ მოქმედებს, სანამ ყოველივე ამას სიყვარული ან მამრის საკრედიტო ბარათი არ გადაწონის.

9821. ყველა სიტუაციიდან გამარჯვებული გამოსვლის ერთადერთი საშუალება სიყვარულის ნიჭია, ხოლო მისი უქონლობა ჩვენთვის შეუმჩნეველი უბედურებაა.

9822. ყველაფერი შეფარდებით შეიცნობა სიყვარულის გარდა, თუ ეს შედარება მაინც გაკეთდა, ის სიყვარული არ ყოფილა.

9823. არაპერსპექტიული, არაკონსტრუქციული სიყვარული თავისთვის სამარის გათხრას უდრის, მაგრამ ანალიზს არ ექვემდებარება, ხოლო აბობოქრებული სულის დაწყნარებას მოწინააღმდეგე სქესის უგვანო მოქმედება ან დრო სჭირდება.

9824. უვიცობა თავზე დიდი წარმოდგენის შედეგია, სიამაყე – ყოყლოჩინობის, ზედმეტი ჭამა – უსაქმურობის, ხოლო თავდავიწყებით სიყვარულს რა იწვევს, ამის დადგენა არ ხერხდება და ალბათ, არც მოხერხდება, რადგან ეს კაცობრიობის რობოტად გადაქცევის მაჩვენებელი იქნება.

9825. არის პერიოდი მამაკაცის და ქალის ურთიერთობაში, როცა მათ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ, მიუხედავად იმისა რომ ერთმანეთს ვერ იტანენ, მაგრამ სიყვარულის ამ უკიდურესობის კაპრიზს გარკვეული დრო სჭირდება.

9826. სანელებლებს შესანელებლის გარეშე აზრი არ აქვს, რადგან ეს იგივე პლატონური სიყვარულია – მისით ტკბები, მაგრამ შენთვის მიუწვდომელია.

9827. წესით რამდენი გულიცაა, იმდენია სიყვარულიც, მაგრამ ნამდვილი, ‘‘გაფრენილი’’ სიყვარული ყველას ხვედრი არ არის.

9828. სიყვარულის ძებნა სულის ყველაზე მძიმე და მაცდუნებელი გამოცდაა, მითუმეტეს, თუ მისი გრძნეულებისგან თავის დაღწევა ყველა ბედნიერის ხვედრი არ არის.

9829. ყოველივე ნამდვილის შექმნა, რომელიც შემდგომ სიყვარულის კლასიკად მოგვევლინება, თანამედროვეთათვის ძნელი მისაღებია, რადგან ის თავის დროსაც უსწრებს და მომდევნო საუკუნეების გონიერებასაც ესალმუნება.
9830. „ამფროლოგია" და სიყვარული სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ დავადების ერთი საწყისი აქვს.
9831. სიყვარული ეს ის მეხის დაცემაა, რომლის შემდეგაც წყნარი ცხოვრება არ ხერხდება.
9832. სილამაზის გაგება, მისით დატკბობა, თავისებურ აღმაფრენას, შეფასებას და თვითგვემას მოითხოვს რომლის ბაზისი სიყვარულია.
9833. ასაკის მატება სისუსტის მაჩვენებელია რადგან ის სიყვარულს ანელებს და მასზე ფიქრი ადამიანის გონებას ობობას ქსელში ახვევს, რომელშიც ჩვენი გაცვეთილი ოცნებები გაიხლართებიან.
9834. ქალის და კაცის სხეულის მეგობრობა შესაძლებელია სულიერშიც გადაიზარდოს თუ არცერთს არ უნდა თავის შეწუხება ვნების დასაკმაყოფილებლად.
9835. როცა საყვარელი ქალი გეუბნება: ვერ ვასწრებ, არ შემიძლია, ეს ნიშნავს: არ მინდა, არ ვაკეთებ. ცხადია, ეს სიყვარულს საყრდენს აცლის.
9836. სიყვარული გარკვეულ დრომდე ცვლის ჩვენს ცნობიერებას და მის აურას.
9837. სიბერეში სიყვარული იმიტომ არის ტვირთი, რომ მოვალეობას ისე ვერ ასრულებ, როგორც შენს სურვილს და ჯეელობის გახსენებას ეკადრება.
9838. ფაქტიურად ქალი მამაკაცს, მისდა შეუმჩნევლად, მთელ ენერგიას აცლის, სიყვარულით იქნება ეს თუ უსიყვარულოდ.
9839. სიყვარული ავია და ამით ცხოვრების ვირისთავი ანტიპოდები სარგებლობენ მდედრის დაუკითხავად და შეუმჩნევლად.
9840. სიყვარულის კვლავწარმოებას მომწიფება, დამწიფება, გადამწიფებაც სჭირდება, რათა მის აბდა-უბდაში ასაკთან ერთად გავერკვეთ, თავისი დაღვინებით, შეჩვევით, სიტუაციის მოთხოვნების შესაბამისად.
9841. ინტიმს – დამორცხვება, მოკრძალება ალამაზებს, ხოლო გათავხედება, აჩქარება – სულს უმახინჯებს, პირველი საათნოებას, სიყვარულს დიდხანს ინარჩუნებს. მეორეს კი ქვენა გრძნობების ნაძალადევი გაღიზიანება ინტიმს უჩლუნგებს.
9842. ნამდვილი სიყვარულიც მოვალეობით და ფულით მაგრდება და არა იმით, „რას იტყვის ხალხი".
9843. უყვართ არა სილამაზისთვის, არამედ განსხვავებული ჯილაგისთვის, რომელსაც შეუმჩნევლად შენი დაპყრობაც შეუძლია და თავის ჩუქებაც.
9844. დიდი ბედნიერებაა, როდესაც წყვილი სულით, მოვალეობით, რწმენით, ერთმანეთს კუბოს ფიცრამდე მიჰყვება, ოღონდ სიყვარულის და არა ასაკის გადასახედიდან.
9845. ქალების სიტიტვლისკენ მისწრაფება მამაკაცთა დაუძლურების ბრალია, რადგან მდედრი იძულებულია მამრს რაც შეიძლება მეტი სატყუარი მიუგდოს, ხოლო სანამ გაგრძელდება ეს კატა-თაგვობანას თამაში, არავინ უწყის, რადგან ეგრეთწოდებული ეროტიკა დიდი ხანია პორნოგრაფიაში გადაიზარდა და ქალსაც სატყუარი აღარაფერი რჩება, გარდა სიყვარულისა.

9846. მარადიული ამქვეყნად სიყვარული და სიძულვილია და არა მათზე მიტმასნილი გაუგებრობა.
9847. ყველაზე დიდი საზღვარი ქვეყნებს შორის სიყვარული უნდა იყოს, რომლის გადანაწილება – დარღვევის წინააღმდეგი არავინ იქნება.
9848. სიყვარული აბდა-უბდაა იმათთვის, ვინც ამით არ დავადებულა და ვერც ვერასოდეს დაავადდება.
9849. სიყვარული ადამიანის გონიერებას აღემატება, დროის გარკვეული პერიოდის და ასაკის გათვალისწინებით.
9850. ბედნიერება სიყვარული და აღსრულებული მოვალეობაა ვიღაცის და რაღაცის მიმართ.
9851. სულით სიყვარულსაც არ უნდა ვემონოთ.
9852. კოცნაც აღრიცხვას მოითხოვს, რათა ტუჩები არ გაცვდეს, გრძნობები არ გაუფერულდეს და ალალი იყოს „რაც გვიკოცნია".
9853. სიყვარულის ხიდის გადება ორთა სურვილზეა დამოკიდებული, ხოლო მასზე უსაფრთხოდ სიარული – მოთმინებაზე, გონიერებაზე და ურთიერთპატივისცემის ნორმებზე.
9854. გრძნობებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, მაგრამ მატერიალიზმიც არ უნდა დავივიწყოთ, რათა სიყვარულის ძრავა არ დაჟანგდეს.
9855. სიყვარული უბრალო საქმე არ არის, გარემოებათა გამო მას შეუძლია ყველა ჩვენთაგანის სულის ამაღლებაც და გარყვნაც.
9856. სიყვარულის გაფეტიშება აუცილებელია, მაგრამ არა გათავხედებამდე, რადგან ის სიაოვედ მოგვევლინება.
9857. ერთი ნახვით შეყვარება მთლად დალაგებული ხალხის პროგროგატივა არ არის, რაც უნდა შინაგანი შურით უყურებდეთ და სურვილი გვქონდეს ამის დაჯერების.
9858. სიყვარულს გრძნობების დაჩიავება და მატერიალიზმით გათავხედება აკნინებს და სპობს.
9859. სიყვარულსაც აქვს მისთვის გასაგები გრძნობები და მგრძნობიარობა და ის განუხორციელებელი არ შეიძლება იყოს.
9860. სიყვარულისგან ჩვენ იმდენად დაუცველები ვართ, რომ ტყვედ ჩავარდნაც კი დიდ სიამოვნებას გვანიჭებს გარკვეულ დრომდე და ფეხის წატეხვამდე.
9861. სიყვარულისთვის ასაკს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არსებობს მხოლოდ სიყვარულის რაობა, რაოდენობა, ხარისხი.
9862. სიყვარული არსებობს ქორწინების, ნაცნობობის და სხვა ბევრი „ბის" გარეშე, მაგრამ უბედურებაა, თუ მის შეხებას ვერასოდეს გამოცდი.
9863. სიყვარული ბრმა და უგონო არ შეიძლება იყოს, მას ჩვენთვის შეუცნობელი გონიერების აურა ახლავს.
9864. სიყვარული გრძნობების კონგლომერატის თავისებური გაგებაა, მაგრამ თუ მატერიალიზმით და სულიერი სიმშვიდით არ არის გამაგრებული, დიდი დღე არ უწერია.

9865. ოცნება სიყვარულს არაფერს უხდის, მაგრამ სიყვარული მოხერხებით და ვერაგობით კარგად ფინანსდება.
9866. სიყვარული ის გრძნობა და სურვილების კორიანტელია, რომლიც მარადისობისთვის ლოცულობს, მაგრამ გადის დრო, ხდება შეჩვევა, შერწყმა და შედეგად ლოცვის მიზეზიც გვავიწყდება და პირველი გრძნობაც.
9867. სიყვარულს მტკიცება არ სჭირდება, უბრალოდ სიტყვების ხაბა-ხუბა ყურმა უნდა ისმინოს, სხეულმა უნდა იგრძნოს, თვალებმა საჩუქრად უნდა აღიქვას, ისე, რომ არ შეეჩვიოს და გულგრილობის მოსაბეზრებელი ობი არ მოიკიდოს.
9868. უსიყვარულოდ ცხოვრება შესაძლებელიცაა და ნაკლებად თავსატეხიც, მანამ მისი „ვერაგობით" არ დაავადებით.
9869. სიყვარულის მოპოვების ალგორითმია მოცდა განსაკუთრებულ შემთხვევამდე და გრძნობების იმგვარად მომწიფებამდე, როდესაც მისთვის ყველაფერი სულერთი ხდება.
9870. სიყვარული ხანდახან გადამეტებული საკაეფო ფიქრის შედეგია ვიღაცის მიმართ რაღაცის გამო.
9871. არის სიყვარულის ნიჭი და მადლი, ორივე ზევიდან ნაბოძებია, მაგრამ პირველიდან უფრო ძნელად ინკურნებიან.
9872. სიყვარულს ნათურასავით კაშკაში უხდება, თუ გადაიწვა, მის შეცვლას ნუ შეეცდებით, რადგან ვერც ძველებურად იკაშკაშებს და კიდევ იმის შიშში იქნები, არ გიღალატოს.
9873. სიყვარული გულჩათხრობილი და მორცხვია, მოწონებაა თამამი და გრძნობების ამშლელი.
9874. სიყვარული ჰორმონების და ჰარმონიულობის საიდუმლოებაა, რომელსაც ახსნა და განსჯა არ უწერია.
9875. სიყვარულში დამცირება არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ამბიციები, რომელსაც ალერსი თოკავს.
9876. სიყვარულის ენა და სულის ენა ერთმანეთთან ძალზე ახლო დგანან, მაგრამ დროთა განმავლობაში ურთიერთგაგება უძნელდებათ, რადგან ყველაფერს დროჟამი წყვეტს და ყავლი გადის.
9877. სიყვარული ფულივითაა, ან – არის ან არა, დანარჩენი მასზე ფუჭი ოცნება და ყალბი ფულით მისი ყიდვის მცდელობაა, რადგან მისი ნიჭი და მადლი ზევიდან უნდა დაგყვეს.
9878. სიყვარულის ყოველდღიურობა თანდათან ნელდება და ურთიერთზრუნვასა და შეგუებაში გადადის, რომელსაც საჩუქრები და შთამომავლებზე ზრუნვა ცვლის და ეს მამაკაცს სიყვარულში ეთვლება.
9879. სიყვარულის და დასვენების უნარის დაკარგვა, უგულებელყოფა, ადამიანს რობოტად აქცევს და ართმევს უფლებას თავს ადამიანი უწოდოს.
9880. რაინდობისთვის ადგილი ყველა დროში დარჩება, სანამ ამქვეყნად სიყვარული და ქალი იარსებებს.
9881. სიყვარულს ყველა ჩვენგანი ცხოვრებაში ერთხელ ოცნების ძეგლს უდგამს.

9882. სიყვარულიც მატერიალურია და მას ფიცი და სალამ-ქალამი დიდხანს ვერ ასაზრდოვებს, მასაც გამოკვება, რეალიზაცია და კუდის მოქნევა სჭირდება.
9883. სიყვარული ბოლომდე და სამუდამოდ წყვილისთვის დრო და დრო მოსაბეზრებელია, ხოლო მისი ხელახალი შეგრძნება და გახსენება ყოველთვის სასიამოვნო და ამაღელვებელია.
9884. თანამედროვე სიყვარული შესაძლებლობების სინონიმია, რადგან სულიერებას მატერიის გარეშე დიდხანს არსებობა არ შეუძლია.
9885. რწმენა და ხატი იქ არ შეიძლება იყოს, სადაც სიყვარულის აჩრდილი ოცნებაშიც კი არ დაბორიალობს.
9886. ნამდვილი შეყვარება ის კი არ არის, ვინც პირველი მოგხიბლავს და აღგაფრთოვანებს, არამედ ის, ვინც სიყვარულს დაიმსახურებს და გამოგადგება.
9887. ხმლით და მახვილით იქმნებოდა ბევრი იმპერია, რომელსაც ბევრი სიცოცხლე, სახსარი და გონიერება ეწირებოდა, მაგრამ სიყვარული ვერ ვნებდა, რადგან ის მარადიულია, ხოლო დანარჩენი ყველა დრო-ჟამის პრეროგატივაა.
9888. თავსმოხვეული გრძნობები ხშირად დაწვრილმანებულ სიყვარულთან შედარებით უკეთესიცაა და შედეგიანიც.
9889. გრძნობების ჰარმონია შენს სხეულზე აწყობილი სიყვარულის ენით უნდა ღაღადებდეს.
9890. სიავის მოსათოკი იარაღი დაუფიქრებელი სიყვარულია.
9891. სიყვარული ოპერასთან პირველ გაცნობასავითაა, ერთი ნახვით სულის საგოგმანებლად ან შეიყვარებ ან მის მიმართ მთელი ცხოვრება გულგრილად დარჩები.
9892. სიყვარულით დივერსია, დავალების მაქსიმალური შესრულებაა მინიმალური მსხვერპლის ხარჯზე, სადაც უდანაშაულო ახლობლები შედარებით ნაკლებად ზარალდებიან შენი გათავხედების შედეგად.
9893. სიყვარულია, როდესაც შენი სანატრელი თვალსაწიერიდან არ გშორდება, სულ იმაზე ფიქრობ და მასთან ყოფნას ცდილობ.
9894. სიყვარული უბედურება კი არა, ბედნიერებაა, მაგრამ დიდხანს არ გრძელდება და თუ გრძელდება, ახალ პრობლემებს გვიქმნის.
9895. სიყვარული მაინც დიდი ბედნიერებაა, რაც უნდა გადაგვარებული გვეჩვენებოდეს და რაც უნდა გადაგვხდეს მისი გულისთვის.
9896. მუდმივი, ალბათ, უმანკო სიყვარულია, ხოლო დანარჩენი სიტყვის საჯირითო ვნების დაცხრომის საშუალება და თავისებური ჩალიჩია, რადგან ყველა სიყვარულს თავისი კონსტიტუცია და მისთვის მისაღები კანონები ასულდგმულებს.
9897. სიყვარულის მოშველიება უმსგავსობის გასამართლებლად ალიბად არ გამოდგება, მაგრამ მხარდამჭერებს მაინც პოულობენ.
9898. სიყვარულის დიქტატურა ტექნიკურ პროგრესს, ევოლუციას, სამყაროს თანამედროვე შეცნობას მაინცდამაინც არ ემორჩილება, მაგრამ ტრფობას, შეძლებას, ტრადიციებს, მხარს ყოველთვის უჭერდა და კიდეც ემორჩილებოდა.
9899. სიყვარულის მარადიულობა უდიდესი ჰალუცინაციაა, მაგრამ სასიამოვნო ცდუნებაა და უდიდესი სიხარულის მომტანია.

9900. როდესაც შენიანები თანდათანობით შენსკენ მოდიან და არა მოილტვიან, ყოვლივე ქვენა-გრძნობების გარეშე, ესეც სიყვარულია.
9901. სიყვარული ყოველთვის იმაზე მეტია რაც ჩვენ ვიცით, გაგვიგია და ვფიქრობთ.
9902. ნეტარება და სიყვარული არა მარტო ერთმანეთისგან განსხვავდება, არამედ მათ სხვადასხვა გაგება და დატვირთვა აქვს, რადგან პირველი გაუთავებელი განცხრომაა, ხოლო მეორე – უწყვეტი განცდების კორიანტელი.
9903. სიყვარულს დრამატურგია, რეჟისურა არ სჭირდება, ის არის ან არ არის და „ბასტა".
9904. სიყვარული შეიძლება ყველაფერი არ არის, მაგრამ ყველაფრის საწყისია.
9905. სიყვარულის დღესასწაულს ადამიანის ბუნება, საქმიანობა და ცხოვრების კანონების შეგუება ახანგრძლივებს და არა – სიმდიდრე და მისი მოპოვების მცდელობა.
9906. სიყვარულის ქურდობა მართლმსაჯულებისათვის იგივე დანაშაული უნდა იყოს, რაც სხვისი ქონების მითვისება, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით სიყვარულის მიტაცებისთვის კანონი არც სჯის და არც ირჯება.
9907. შეყვარების დროს თვალები ამჩნევს, გული გრძნობს, სუნი შეიცნობს, სხეული თრთის, მოწონებისას კი თვალები ხედავს, სხეული ლაღობს, გული შეიყვარებს, ხოლო სუნი გამოცნობას ცდილობს.
9908. სიყვარული სხვისგან შეუმჩნეველი ტანჯვაც არის და გალაღებაც, იმ კუთხიდან დანახული, საიდანაც შენი გული ხედავს და გრძნობს.
9909. სიყვარულში პროფესორობას ისევ სტუდენტობა სჯობს, რადგან პირველისგან განსხვავებით ეს უკანასკნელი ცოდნას აღმავლობის წესით ეწაფება, ჯანი ემატება, დაღვინებისთვის დრო რჩება და ყველა ღონეს ხმარობს საკუთარი და მოწინააღმდეგე სქესის სულის და ხორცის შესაცნობად.
9910. სიყვარულში ანგარება არ უნდა ერეოდეს, მაგრამ დებიტ-კრედიტის გარეშე არსებობა უჭირს.
9911. სიყვარული საამო პროცესია, მაგრამ უკუგების გარეშე, რადგან მას სრულფასოვან რაობას ვერ მოვთხოვთ.
9912. სინამდვილეში ქალი და მამაკაცი თავის ხატებას ეთაყვანებიან, იყვარებენ და ხშირად ეს ჰგონიათ სიყვარული.
9913. თეორიულად სიყვარული და კანცელარია შეუთავსებელია, მაგრამ პრაქტიკულად ოჯახი უკეთესი გამოდის, რადგან პირველის სულიერებას რა სურს, საბოლოოდ ვერ გარკვეულა, მეორისამ კი წინასწარ ყველაფერი იცის და შეგუებულია.
9914. სიყვარულის ცეცხლი და სიყვარულის ლატარეა ერთმანეთს ვერ ედრებიან, მაგრამ ამ უკანასკნელზე უარს მაინც არავინ ამბობს.
9915. სიყვარული თავისებური რომანტიკული ზღაპარია, თუ გაგიმართლა და შენი სწორი ნახე. ამ ზღაპრიდან აღარაფერი შემოგრჩება, თუ მას ცხოვრების გამოსაცნობი ალგორითმები არ დაახმარე.

9916. იმ ბრბოს უმეტეს ნაწილში ვისაც ქვეყნის სათავეში ვიგინდარა მოჰყავს, სიყვარულში დაინვალიდებული, ყავლგასული ქალებია, რომლებმაც ამ ვიგინდარაში მათთვის გაუგებარი წარმოსახვითი სიყვარული ნახეს.
9917. სიყვარული და ჯანმრთელობა სინონიმები არიან, მაგრამ ამ უკანასკნელის გარეშე, პირველი ბროლის წარმოსახვით კოშკსაც კი ვერავის აუგებს.
9918. არის სიყვარული, არის მისი დეკორაცია, რომელია სულის ნაბოძები და რომელი ნაკარნახევი, ძნელი მისახვედრია, სანამ ოჯახის მდგრადობა ამ საკითხზე საბოლოოდ პასუხს არ გასცემს.
9919. ტრფობასა და მიჯნურობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველის გული ერთის საკუთრებაა, ხოლო მეორე მრავლისთვის არის გამიზნული და იმის ცდაშია, არჩევანში არ შეცდეს.
9920. სიყვარული, სიამოვნებასთან ერთად, ბევრ უხერხულობას გვიქმნის, მაგრამ მის გარეშე ცხოვრება მაინც უაზრობაა.
9921. ნამდვილი სიყვარული ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან ურთიერთობას ჰგავს: ბევრმა ნახა, მაგრამ ყველა ეჭვის თვალით უყურებს.
9922. სიყვარულის მიზეზით მასხარად აგდება, დაცინვა, ძნელი ასატანი არ არის, რადგან ვინც დაგცინით, ის დიდი სიამოვნებით გაგიცვლიდათ ადგილს, ვინაიდან ეს დაავადება მას არასდროს შეეყრება.
9923. სიყვარულს საზღვარიც აქვს, მანამ სასიყვარულო ბადეში თავს არ ამოჰყოფ.
9924. ყველა უცნაურობების და გაუგებრობის მიუხედავად, სიყვარული მაინც სიკეთის საკეთებლად არის მოწოდებული.
9925. სიყვარულის გარდა, ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი დეკორაციული და პირობითია მათ გამოყენებას, სიყვარულთან შეთანხმებით ხანდახან ვახერხებთ.
9926. უნდა ვისწავლოთ სიყვარულის გაცემა და არა ჩუქება, თუ გვინდა მივიღოთ ადამიანები ისეთები როგორებიც არიან და არა ისეთები, ჩვენ რომ ხელს გვაძლევს.
9927. სიყვარული სიცოცხლის ელექსირია, ხოლო მათი ნაჯვარი – სიკეთის აქსიომა. მიუხედავად ამისა, ოჯახის შექმნას ბევრი ისეთი რამ სჭირდება, რასაც გონიერება ყოველთვის ვერ გადახარშავს.
9928. სიყვარულს, რომელიც შთამომავლობას არ აგრძელებს, წინაპრების წინაშე მოვალეობის გრძნობა დაკარგული აქვს და ეს თანამედროვე კულტურის და თავისუფლების მონაპოვარი ჰგონია.
9929. სასიყვარული საქმესთან დროსტარების შერწყმას და შემაგრებას მოითხოვს, ცხოვრების მადლი რომ გავიგოთ და ვისიამოვნოთ.
9930. სიყვარულის ღირსი ალბათ ის არის, ვისაც განზრახ ღალატის პატიება, შენდობა არ შეუძლიან.
9931. ხალხის სიყვარულს ვერ იყიდი, მაგრამ შეძენა შეიძლება თუ ყბედობასთან ერთად ვაჭრუკანობის ნიჭიც გაბადია.
9932. სიყვარულს, დაღვინებასთან ერთად, გაუგებრობის ფაქტორიც ეხსნება, რადგან მასში გონიერების ნაწილიც ერევა და ვნებაც კლებულობს.

9933. სიყვარულს, გარდა ხუმტურებისა, სურნელიც უნდა ახლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დიდხანს არ გაგვყვება.
9934. არის შემთხვევა, რომლის მოგვარებაც სხვას არ უნდა ანდო და თავად უნდა იტანჯო და ამ სასწაულს სიყვარული ჰქვია.
9935. სიყვარულს თავი მაშინ უნდა დააჩაგვრინო და შეაჭმევინო, თუ პატიება, შენდობა გეხერხება.
9936. სიყვარული გონების ქილიკობა, გარმონების გაუგებარი კომბინაცია, აიწონა-დაიწონას ქიმიაა, რომელსაც გარკვეულ დრომდე ცხოვრების ალგებრის არაფერი გაეგება.
9937. ყველაზე მეტი თვალთმაქცობა მაჭანკლობას ჭირდება, ყველაზე მეტი მოფრთხილება – მოწონებას, მაგრამ ორივეს საწყისი სიყვარულის მცდელობაა.
9938. სიყვარული ახალგაზრდული გაუგებრობაა, რომელსაც დიდი იმედი აქვს იმ ცხოვრებისა, რომლის არც გამოცდილება აქვს და არც რაიმე მატერიალურით არის გამაგრებული, გარდა სურვილისა.
9939. სიყვარული ზოგჯერ თავისებური შანტაჟიცაა და ხშირად მას თავმოყვარეობასთან არაფერი ესაქმება.
9940. ცოლის ბედნიერება ქმრის ყისმათზე, შესაძლებლობაზე, ყურადღებაზეა დამოკიდებული და იმ სათუო გრძნობაზე, რომელსაც სიყვარული ჰქვია და ადრე თავს იტყუებდა.
9941. ზოგს პატივს სცემენ უნარიანობის გამო, ზოგიც უბრალოდ უყვართ, ვის უნდა ვანდოთ საქმის კეთება, თითქოს გარკვეულია, მაგრამ არა ყოველთვის, რადგან სიყვარული ხანდახან სასწაულს ახდენს იქ, სადაც არ ველით.
9942. სიყვარული, გარდა პასუხისმგებლობისა, სასიამოვნო სამუშაოა, რომელშიც კაპრიზიც ბევრია და სხვისთვის გაუცნობიერებელი სიამეც.
9943. მამრის და მდედრის ურთიერთობაში პირველ რიგში ხიბლია, შემდეგ მოდის ვნება, ურთიერთგაგება, მეგობრობა, შერჩევა, ურთიერთდანდობა და ყველა ამ ეტაპს პატივისცემა აჯამებს, რომელიც სინამდვილეში სიყვარულია.
9944. თავის შეცნობის მცდელობა ის უღალატო სიყვარულია, რომელიც დროის, გარემოს და ფაქტების ჭირვეულობას არ ემორჩილება.
9945. ნამდვილ სიყვარულს აღფრთოვანება, დაღვინება, დაჭამნიკება სჭირდება, მაგრამ დროის უკმარისობის გამო იძულებულნი ვართ ჩვეულებრივი, ფართო მოხმარების, სიყვარულით დავკმაყოფილდეთ.
9946. სიყვარული ვალდებულებაცაა, მოვალეობაც, მორჩილებაც, პასუხისმგებლობაც, ტრადიციების დაცვაც, სხვისთვის გაუგებარი ჩხუბიც და სიძულვილიც.
9947. სიყვარული აუქციონი არ არის, „ლოტი" რომ მოიგო, ის პირველ რიგში სულის განცდაა, ხორცის გაბეჯითება, გონების გაბრუება, რომელიც შესაფერის პარტნიორს ყოველთვის გამონახავს სხვის დაუხმარებლად.
9948. სიყვარულია ის, როდესაც მეწყვილეს მაშინაც ეთაყვანები, როდესაც არ მოგწონს და ამ გარანტიის სანაცვლოდ, დაუმადლებლად, მიწიერ სექსსაც მიიღებ და სულის ღვთაებრივ ეროტიკასაც.

9949. სიყვარული თავისებური სიგიჟეა, მაგრამ ამით მასზე მონადირენი არ კლებულობს.
9950. სიყვარულს სხვადასხვა სარწმუნოებასა და რასებს შორის ღმერთი კი არ კრძალავს, არამედ ამბიციები, რომლისთვისაც ეს გრძნობა მეორადია.
9951. სიყვარულს ასე ჰარი-ჰარალოდ ის არ დაკარგავს ვინც ცხოვრების ანა-ბანას უკვე დაუფლებულია.
9952. სიყვარული ის ნიჭია, რომელიც წყვილს დალხინების დროს ამთლიანებს და გაჭირვების ჟამს არ აცალკევებს.
9953. სიყვარულს მოიცადე, არ უნდა ვაკადროთ.
9954. წყვილის ურთიერთობაში თუ აუჭრელი გრძნობები ხალისით დაბორიალობს, ისინი შინაგანად შეიცნობენ ერთად ყოფნის აუცილებლობის სიამეს და მის სილამაზეს.
9955. სიყვარულს გავაკების საშუალება არ უნდა მივცეთ, მის შესანარჩუნებლად სულ აღმართზე უნდა ვიაროთ.
9956. სიყვარული გრძნობების ჩოჩქოლია, ყოველგვარი ბაზისის გარეშე.
9957. ხშირად სიყვარული საინტერესო წინაღობებს გვიქმნის, მაგრამ სასიამოვნოს, სალაღობოს, მოსაგონარს.
9958. სიყვარული ის შეუფასებელი ძვირფასი თვალია, რომლითაც ყველა ასაკში ამაყობენ და თავი მოაქვთ.
9959. სიყვარული შლეგობის გარეშე არ არსებობს, მაგრამ არც სიგიჟე არსებობს ვიღაცის გაფეტიშების და მიმბაძველობის გარეშე.
9960. სიყვარული ერთია, მაგრამ ლაბირინთებში აქვს ბევრი საძრომიალო და ვინც მასში დროულად გაერკვევა, ამ გრძნობის შეცნობას ის მოახერხებს.
9961. სიყვარულის ფილოსოფია მისთვის გასაგებ მსოფლმხედველობას ემორჩილება, რომელსაც გონებასთან შეხება აქვს, მაგრამ მის ანალიზს არ ცნობს.
9962. სიყვარული საერთო ბედნიერებაა თუ ერთისთვის იმედის გაცრუება, ამას ცხოვრების მონაკვეთი გვიჩვენებს.
9963. ვისაც სიყვარულისთვის სისულელე არ ჩაუდენია, მას სრულყოფილად არ უცხოვრია.
9964. ახალგაზრდა მამაკაცისთვის ძნელია გრძნობების ამოღება ტრუსებიდან, მაგრამ შესაძლებელია თუ ის სიყვარულით დაიკოდება.
9965. სიყვარული ვერც დაგეჭიდება და ვერც წაგაქცევს ერთი პირობით: თუ მისი სულიერების ჭაში არ ჩააფურთხებთ, საიდანაც მის ნექტარს ეწაფებით.
9966. სიყვარული ჩვენს გულში იმიტომ იწერება დიდი ასოებით, რომ ის მეექვსე გრძნობაა, რომელიც უსიყვარულოდ შეუცნობადია.
9967. სიყვარული გრძნობების აფეთქებას და სწრაფ დაბოლოებას მოითხოვს, მომენტს ხელიდან გაშვების შემთხვევაში, გრძნობების მატერიალურად გაფართოება მოგიწევთ.
9968. დაუფასებელი სიყვარულია დიდი შეცდომა, თავისი განცდებით და კაიფით.

9969. ზრდილობიანი სიყვარული არ არსებობს, თუ ის წყვილის სურვილების აღმსრულებელი არ არის.
9970. ნამდვილი სიყვარული თავისებური ტრავმაა, რადგან დროთა განმავლობაში ისიც მატერიალური ხდება და სულის გამოძახილიც თანდათან ჩიავდება.
9971. ჰორმონების მიახლოვებაა მოწონება, ხოლო ურთიერთგამოჭერა და მათი შეერთება სიყვარულია.
9972. სიყვარულის მატერიის განკურნება ყოფით სიმდიდრით შეიძლება, სულიერის კი სიძულვილით.
9973. ქალის სიყვარულში ყველა გაუგებრობის უკან მამაკაცის წარსული და მისი დაუდგრომელი ხასიათი ჩანს.
9974. სიყვარულის ძლიერი მხარე ის არის, რომ მას ყველაფერზე წასვლა შეუძლია, სუსტი გონების მუხრუჭები მოშვებული აქვს და შედეგს ვერ ჭვრეტს.
9975. თუ სიყვარულმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა, მის შეკეთება-განსჯას არ უნდა შევეცადოთ და ჯობს ყველამ თავის თავს მიხედოს".
9976. ყველა ღამე წყვილის ურთიერთობაში სიყვარულით უნდა მთავრდებოდეს, ეს დაფიქსირდება თეორიულად თუ პრაქტიკულად მნიშვნელობა არ აქვს.
9977. სულიერად დეფორმირებული სიყვარული, თავის ხუშტურების მიუხედავად, განსჯას ვერ იტანს.
9978. ადამიანი ყოველთვის და ყველგან სიყვარულს იცავს და ის ამ მოჭარბებული გრძნობების შესაცნობად რისკზედ დაუფიქრებლად მიდის და ეწირება კიდეც.
9979. სიყვარული კანით უნდა იცნო, გულის უნდა იგრძნო და სუნით უნდა შეიცნო, ამის შემდგომ სხეული როგორც მატერია, ყველაფერს ჩასწვდება და გაითავისეს.
9980. შედეგის მიუხედავად ტრფობის ალისთვის ადამიანის განსჯა მკრეხელობაა, რადგან ბედნიერების საფეხურებთან მოახლოვების მცდელობის დაგმობა უზნეობაა, შეცდომაა.
9981. სიყვარულის და ტკივილის აღრევა მაშინ იწყება, თუ ადამიანები მცდელობის მიუხედავად ერთმანეთს ვერ ავსებენ და ხასიათითაც ვერ ეწყობიან.
9982. ზოგს სიყვარულის ინერცია, სიცოცხლის ბოლომდე მიჰყვება, თუ მოთმინება ეყო და მიქეილ გაბრიელსაც არ სცალია.
9983. თეორიულად უნდა შევიყვაროთ გონიერების ფარგლებში და გარემო პირობების რეალობის გათვლით და ამის შემდგომ ვიფიქროთ ოჯახის შექმნაზე და სიყვარულზე.
9984. სამსახურებრივი რომანი ხშირად გატაცებაა და არა სიყვარული, რომელიც გონიერების გამოცდისთვისაა მოწოდებული.
9985. სიყვარული ყველასთვის საშიში შემთხვევაა, მაგრამ მისი შედეგის გადატანა პიროვნებას უფრო უადვილდება.
9986. მართალია, ეჭვი გვიწამლავს ცხოვრებას, მაგრამ მის გარეშე სიყვარულიც ვერ იარსებებდა.
9987. თადარიგში დგომა შესაძლებელია შეყვარებისთვის, მაგრამ არა სიყვარულისთვის.

9988. ეჭვიანობა უბედურებაა, მაგრამ მაინც სიყვარულის სინონიმია.
9989. გიყვარდეს, ურთიერთგაგებას, მიტევებას ნიშნავს და არა – ყველაფრის შენდობას, რადგან ღალატი სიყვარულისათვის ძნელი გადასატანია.
9990. იაპონური აღზრდის წესია დამნაშავის კი არა, მისი მოყვასის დასჯა. ასეა სიყვარულშიც. ვინც გიყვარს – იმის წინაშე ენა გებმება, ვინც მხოლოდ მოგწონს – ენას აფარფატებ.
9991. ჰარმონიული და პლატონური სიყვარული გარკვეულ დრომდე და გარკვეულ ასაკამდე შესაძლებელია, შემდგომ კი ყოველივე თავისი გზით მიდის.
9992. სიყვარული არ შეიძლება ყოველთვის მარადიული იყოს, რადგან ბუნებას თავის კანონები აქვს, ადამიანს – თავისი ხუშტურები, საზოგადოებას – თავისი შეზღუდვები, მიუხედავად ამისა, ხალხს სიყვარულის გარეშე ცხოვრება მაინც არ შეუძლია.
9993. სიყვარული არა მარტო ჩვენ გვცვლის, არამედ ჩვენი ცხოვრების წესსაც და დროებით გაურკვეველი სიამოვნების ეიფორიაში გადავყავართ.
9994. სიყვარული და გაგება ერთმანეთს ვერ ეგუება, მითუმეტეს, თუ აქ მესამე პირიცაა ჩარეული, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო.
9995. სიყვარული კონიაკივით ფასდება: კუპაჟის დროს ვადგენთ და დეგუსტაციას ვატარებთ, ჩვენი ასაკის ხალხის აღფრთოვანების გამოხატვით.
9996. სიყვარული და პატივისცემა ერთმანეთისაგან უნდა გამომდინარეობდეს, მაგრამ მათი შერწყმა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რჩეულთა ხვედრია.
9997. კარგია, როდესაც სიყვარულს ელოლიავები, მაგრამ ზომიერება არ უნდა გამოვრიცხოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება სალოლიაოს გარეშე დარჩეთ.
9998. სიყვარულის გაცვლა სამსახურზე, სამსახურის გაცვლა შვილის აღზრდაზე და ამ უკანასკნელის სიყვარულზე, ამ სამკუთხედის ამოხსნაა ცხოვრებაში მთავარი და ვინც ამას შესძლებს, ის რჩება ვალმოხდილი, გამარჯვებული.
9999. სიყვარული მამაკაცისთვის მანამ გრძელდება, სანამ ქალის სათნოებას გრძნობს, ხოლო ქალისთვის მამაკაცი ყოველთვის საინტერესო უნდა იყოს.
10000. ქალს თუ მამაკაცი უყვარს, არავითარ თხოვნას არ დაჰყვება, რომ მისი კაცი უდროო დროს გააღვიძოს და შეაწუხოს.
10001. სამყაროში არიან ჩვენთვის განკუთვნილი ქალები, რომლებიც ღირსნი არიან, რომ გულმოდგინედ ვეძებოთ და აღმოვაჩინოთ, რათა ისინი შემთხვევით სხვისი სარჩონი არ გახდნენ.
10002. გიყვართ რაღაცის გულისთვის, ან – არაფრისთვის, მოკლედ, სიყვარული შეუცნობადია, თორემ თქვენი სული ამ ემოციების კატასტროფას არ აყვებოდა.
10003. სიყვარულის უჯრედებმა ყოველდღიურად უნდა იმრავლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ღალატის კიბოს გადაეყრება და გრძნობათა ჭიდილი გამოხრავს.
10004. ასაკში ქალის მომხიბვლელობა და მისდამი ტრფობა კი არ უნდა შევაფასოთ, არამედ ჩვენი მამაკაცური შესაძლებლობა.
10005. მექალთანემ ქალს იმ კუთხიდან უნდა შეავლოს თვალი, საიდანაც მიმზიდველი და სატრფიალო ჩანს, რათა მოწონებას გემოც ჩაატანოს.

უიმედობა

10006. ხალხი რამდენჯერაც გსურთ იმდენჯერ შეცვლის „ნათელი მომავლისკენ" მიმავალ გზის მაჩვენებელს, ოღონდ ოფლი არ მოიდინოს და რეალურად არ იაზროვნოს, მისთვის მთავარია იოცნებოს, რომლის განხორციელებას მნიშვნელობა არა აქვს.

10007. პესიმისტები თუ ქვეყნიდან მიდიან, ოპტიმისტები, მისდაუნებურად, სახლში რჩებიან, შედეგად, პირველნი მატერიალური სიკეთის მიღების მცდელობაში არიან, მეორენი – სხვისთვის წასაყვედრებელი სულიერი სიამაყის გასაღების ცდაში.

10008. თუ ჩვენ ნათელ წარსულს მივუმატებთ გაურკვეველ მომავალს, მაშინ მივიღებთ დღევანდელ იმედმოკლებულ ყოფას, რომლითაც ვკმაყოფილდებით.

10009. სიძნელეებთან ბრძოლას იმ შემთხვევაში მოაქვს სარგებლობა, თუ მას გადალახავ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უიმედობას ბადებს და აკნინებს ადამიანს.

10010. იქ, სადაც ქურდობა და ქრთამი ჩუმად ლაღობს, გაცვეთილია მორალი პატიოსნება და ყოფაც.

10011. ვისაც შრომა უყვარს, სიმარტოვეს და დღის უსასრულობას ვერ გრძნობს, ხოლო ვისაც გარჯა ეზარება, ის უჩივის მოწყენილობას, უიმედობას და ყველაზე მეტად ისაა ცხოვრებით უკმაყოფილო.

10012. გადამეტებული ინფორმაცია სულს გვირყვნის, რეალური სამყაროს შეცნობას გვაიძულებს და იმედს გვაკარგვინებს.

10013. როდესაც ხალხის ნაწილი გარკვეულ პიროვნებას დაჩოქილი რაღაცას თხოვს, ეს ერის გადაგვარების და უიმედობის საწყისია, რადგან თხოვნა ერთია, დაჩოქება მეორე, რომელიც სულის გამოფიტვის, უსუსურობის ტოლფასია.

10014. შიმშილი, ეპიდემია, ომი, ალკოჰოლი, ნარკოტიკი – ამათზე უფრო დიდი ჭირია გულგრილობა, ხოლო უიმედობა მისი გვირგვინია.

10015. სიამეში და გაჭირვებაში ჩაყვინთვა-ჩაძირვა ხელის მოუსმელობის საფუძველი არ უნდა იყოს.

10016. ლოდინი დროის მოგების მცდელობაა და განახლების უშედეგო ოცნება.

10017. სიკვდილი მაშინაა საშიში, როდესაც ვიღაცის მზრუნველობა გაკისრია და მის დაბოლოებას ბოლომდე ვერ ახერხებ.

10018. უნდა ვერიდოთ დაკომპლექსებას, უიმედობას, აპათიას და არ უნდა გვეშინოდეს სხვისი გაკილვის.

10019. ამქვეყნად ნაღდი არაფერი იკარგება, მათ შორის, იმედგადაწურულიც, რადგან ადრე თუ გვიან ყველა თავისას მიიზღავს.

10020. პესიმიზმს იძლევა ორი ოპტიმისტის წაფორხილება, ხოლო ოპტიმიზმს – ორი პესიმისტური ხანის დამთავრების გამოცდილება.

10021. იმედის გაცრუებას ქალი უფრო გამოხატავს, ვიდრე მამრი, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს სიყვარულში და გრძნობების ჩოჩქოლში არაფერი ეშლება.

10022. ცხოვრებაში ორმა ტერორისტმა 200 კაცი აიყვანა, კინოში კი ორმა მაგარმა ბიჭმა 200 ბანდიტი გაანადგურა. ვის რად უნდა ასეთი ტუტუცური ადრენალინის შემცვლელი "ბოევიკის" ჩვენება, თუ ადამიანთა მოდგმა სინამდვილეში ასე უმწეოა.

10023. უსიამოვნებას ფილოსოფიურად უნდა შეხედოთ და ეცადოთ უფრო სასიამოვნო მოგონებაზე გადავრთოთ, თუ ეს მცდელობა მარცხით დამთავრდა, მაშინ ერთი გემრიელად უნდა მოილხინოთ. ეს კი სტრესიდან გამოსვლის წინაპირობა იქნება.

10024. თუ სხვამ გიღალატა, გაგყიდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენ თავს პატივს არ სცემ და იგივე უგვანობას ჩაიდენ და მოღალატე გახდები.

10025. გაუგებრობის და უბედურების გამომწვევი მიზეზი ერთმანეთის მოსმენის და პატივისცემის უნარის დაკარგვა იყო ყველა დროში.

10026. ტელევიზია ხანდახან ისეთ ოჯახურ გარჩევებში ჩაგვრთავს, რაც ჩვენი საქმე არ არის, ეს კეთდება იმისათვის, რომ უმუშევრები და პენსიონერები გამოთიშონ პოლიტიკაში ცხვირის ჩაყოფისა და ძალაუფლების გადანაწილებისგან და საბოლოოდ დაუკარგონ იმედი, რომ მათ საარჩევნო ხმას რამე მნიშვნელობა აქვს.

10027. მეგობრობა ყოველთვის იყო წმინდა და უღალატო ცხენის სატარებელი ტვირთი, მაგრამ დრო გადის, ტვირთი მძიმდება, ამას იმედების გაცრუებაც ემატება და განგებას მადლობას სწირავ, რომ ამ ჯაფისგან განთავისუფლდი.

10028. არიან თავისებური პრინციპების ნაკრძალის მფლობელი იდიოტები, რომლებსაც სიცოცხლის ფასადაც არ უნდათ თავის ჭკუანაღრძობ იდეებს შეელიონ და მას სიამოვნებით და ამაყად ეწირებიან. რას იზამთ, ასეთი ჯიუტებიც ალამაზებენ სამყაროს, თუნდაც იმითაც, რომ ჩვენ მათსავით თავგანწირვა არ შეგვიძლია.

10029. ჩვენს წარსულს ღიმილით უნდა შევხედოთ, ცხოვრების საფეხურებზე ასვლის დაწყების და კიბის თავში მოქცევის დროსაც, რადგან კიბე ჩამოვარდნილების გარეშე არ არსებობს.

10030. საკუთარი მოციქულები: ვექილი, ექიმი, ფსიქოთერაპევტი, მღვდელი, საქმიანობის სწორ წარმართვაში გვეხმარებიან და მამაზეციერისკენ უდრტვინველ გზას გვიკაფავენ, მაგრამ რად გინდა, ამით ხომ სიცოცხლის ხალისს გვიკარგავენ და უიმედობის მანტიაში გვხვევენ.

10031. ყველაზე ძნელი გადასატანია შენი რწმენის მსხვრევა და მეგობარ-ახლობლების მიმართ იმედგაცურება.

10032. თუ გვინდა ცხოვრებამ მუქთად არ ჩაგვიქროლოს და უიმედობა არ დაგვეუფლოს, ბედის ნაწყალობევი ხანდახან იერიშით უნდა ავიღოთ.

10033. წყალწაღებულისთვის ქვეყნის სიძლიერეს, სიმდიდრეს და მდინარის სიგრძე – სიგანეს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

10034. სიბრძნე სიმხდალისგან იმით განსხვავდება, რომ პირველი მომავლისკენ სვლა, ხოლო მეორე – უიმედო აწმყოა.
10035. არის ღალატი, რომელსაც არც ტალანტი, არც სიყვარული არ გაპატიებს ე.ი. ღალატსაც თავისი განზომილებები აქვს.
10036. უკიდურეს სიღარიბეზე, სიმდიდრეზე, უიმედობაზე საშინელება არაფერია, რადგან არ არის დანაშაული, რომელზეც ეს ხალხი უკან მოუხედავად არ წავიდოდა.
10037. რწმენის მოკვლა შეუძლებელია, მაგრამ დაკარგვა გულგრილობაში გადაზრდით შესაძლებელია და ეს არის კაცობრიობის უდიდესი ტრაგედია, ტვირთი.
10038. თუ ხშირად ძველის გახსენება გსიამოვნებს და ახლის შესაქმნელად გადაადგილება გეზარება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ყავლი უკვე გასული გაქვს.
10039. თუ ადამიანს კარიერის და ფულის საწყისებზე დაპირებებით, თავის ენაზე ესაუბრები – უმეტესობას უკადრის აკადრებინებ.
10040. ბედნიერებას ყველა თავისებურად აღიქვამს, უბედურებას – ერთნაირად, რადგან მას ძირითადად უსახსრობა, უდღეურობა, უმეცრება, ბედის დაცინვა ჰქვია.
10041. ტექნიკური პროგრესი დედამიწას ჩვენს თვალში ამცირებს და კოსმოსთან გვაახლოებს, ხოლო ადამიანის მურტალ ხასიათს, მისი გონიერება რა სახითაც უნდა დაღვინდეს, არაფერი შველის.
10042. სამწუხაროდ, ზედმეტ წესიერებას მატერიალურთან არაფერი აკავშირებს, ის მხოლოდ შენი სულის წესიერად მოსახსენებლად რჩება, როდესაც ამდენი წესიერებით გადაღლილი იმქვეყნად წესიერად გადასახლდები.
10043. პატიოსნება მარილივითაა, თუ ზომიერად შეაზავებ, ყველასთვის მოსაწონია, მაგრამ გამოჩნდებიან მარილიანი და უმარილო საჭმლის მოყვარულნი და შენს წესიერების მცდელობას, ჯანმრთელობაზე სხვადასხვა შეხედულების, გაგების, მომიზეზებით წყალს გადაასხამენ და უიმედობაც დაგვეუფლება.
10044. ბედნიერებაა, როდესაც გიგებენ ნააზრევს, ნამოღვაწარს ეთაყვანებიან და იმაზე ფიქრიც არ გინდა, რომ მალე მოყირჭდები, მიავიწყდები და იშვიათად გაახსენდებით ადამიანებს.
10045. ზოგი ცხოვრების დაისზე განიცდის იმას, რაზეც ახალგაზრდობიდან უნდა ეზრუნა და მისთვის მთავარ საკითხად დგება, რა პატივით დაასაფლავებენ, ლამაზი იქნება თუ არა კუბოში ჩადებული. ეს ხდება მისი ცხოვრების დასკვნის დედაზრი და გულით განიცდის იმას, რასაც ვერასოდეს დაინახავს და გაიგებს.
10046. ყოყმანი და ჭოჭმანი ყოველთვის ცხოვრების ამრევი და დაუფიქრებლობისთვის და განუსჯელობისთვის გამონახული დროა.
10047. უიმედობა სასტიკად თრგუნავს ადამიანს, მაგრამ გულგრილობას ვერცერთი უბედურება ვერ შეედრება. იგი ყველა იმედის ნიშანწყალს სპობს.
10048. წარსულსაც კი ვიღაცასთან ვიყოფთ, რომ არაფერი ვთქვათ დღევანდელობაზე, მომავალზე.

10049. სიავე ხანდახან სიკეთედ ევლინება ძალაუფლებას თავისი მოსვლით, რადგან ქვეყანა და მისი მოსახლეობა იმდენად აჭრილია, რომ ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია და ყველაფრის მიმართ გულგრილია.

10050. თავის მოკვლა მაინც ფარ-ხმალის დაყრაა, რადგან არ გინდა მიიღო ის, რაც ბედმა გარგუნა, ან შენი უგუნურების, სიზარმაცის, გაუბედაობის გამო ვალდებული გაგხადეს სულით და ხორცით გეტანჯა, რათა ცოდვები მოგენანიებინა.

10051. დაღვინების ასაკში შენს მენტალიტეტს და პატრიოტულ რწმენას რომ გადახედავ, გულზე შემოგეყრება, თურმე ესიყვარულებოდი შენთვის საყვარელ ხალხს, რომელიც ვიგინდარა პოლიტიკოსის ერთი თითის დაქნევაზე მზად არის ბრბოდ იქცეს, მაგრამ რა ქნას ახალგაზრდა კაცმა, თუ რწმენა და მთავრობის მოხელის მორჩილება გენში უზის, ცხოვრების რეალური გააზრება გვიან მოდის და უიმედობას ახლოსაც არ გაიკარებს.

10052. ასაკმა უნდა იგრძნოს, რომ მას სიყვარულისთვის სცემენ პატივს და არა საჭიროებისთვის, მაშინ ის ცხოვრებას ხვადად მოევლინება და თანამეინახის ყველა ქმედებას გაითავისებს.

10053. "გულაგი" არასდროს ყოფილა პატიმრის გამოსწორების საშუალება, ის უფრო მათი სულიერად და მორალურად განადგურების ჩუმი მცდელობა იყო.

10054. მმართველი პარტიისთვის ოპოზიცია არ არის საშიში, არამედ მისდამი გულგრილობაა მიუღებელი, რომელიც მას გადაგვარებისკენ უბიძგებს, ხოლო ქვეყანას – გაჩანაგებისკენ.

10055. დიპლომატიის სასწაული ის არის, რომ როდესაც რაღაცის კეთება შეუძლებელია, ირგვლივ უიმედობაა გამეფებული, მიზანი ასულდგმულებს და ხშირად გამარჯვებად აქცევს.

10056. ძალად პატიოსანი კაცი გარდა თავისი პატიოსნებისა, ამქვეყნად არაფერს ტოვებს და იმქვეყნად არაფერი მიაქვს.

10057. თავისუფლება ცოდვიდან, სიკვდილიდან, რწმენიდან არ ფასდება და მზად ვართ ამისთვის ყველაფერი და ყოველივე ჯვარს ვაცვათ, საკუთარი თავის გარდა.

10058. დანაშაული კი არაა უბედურება, როდესაც სიკეთის კეთება გინდა და ის არავის სჭირდება, რადგან მათ შენი წარმოჩენა, თავის უმწეო მდგომარეობის და საციცქნი ადგილის დაკარგვად ეჩვენებათ.

10059. ჭკუა ვერ აანალიზებს რას ვაკეთებთ, რას ჩავდივართ, ალბათ იმიტომ, რომ კომპიუტერის გადასახედიდან ველური გონების ცხოველები ვართ.

10060. ნამდვილი გულგრილობა მართლა ძნელი შესაცნობია და საშიში, რადგან ის ძალზე მოქნილია, მოხერხებულია და ქვენა გრძნობებით გარყვნილია.

10061. ტერორიზმი არის სიავის კავშირი საზოგადოების ყველაზე ავი შვილებისა, რომლებიც ცხოვრების ეშხსა და მადლში ვერ გარკვეულან და თავის მცდელობის გასამართლებლად ყველგან შიშს თესავენ.

ფულის შოვნის კულტურა

10062. მევალე ვალის გადაუხდელობისთვის კი არ უნდა დაისაჯოს, არამედ ქვეშ-ქვეშობისა და თაღლითობისათვის.

10063. კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის ალტერნატივა სოციალიზმია, ნაციონა-ლიზმსა და პატრიოტიზმს შორის – ეკონომიკა, რადგან ფულის რეალური შემოსავლების გარეშე ყველა "იზმი" უძლური ხდება.

10064. ყველაფერი ფულით არ განისაზღვრება, მაგრამ ყველაფერს თავისი ფასი აქვს, მათ შორის დახმარებასაც, რომელსაც ტალანტს აღმოუჩენენ, მიუხედავად იმისა, რომ ფულის გარეშე ის დაიკარგებოდა.

10065. სასურველია სამუშაო სიყვარულით აირჩიო და არა – ანგარიშით, მაგრამ აქ მედიატორად ფული გვევლინება და არჩევანის უფლებას ოჯახის წევრები იტოვებენ.

10066. მორალური კმაყოფილება ფულისა და მისი დასახარჯი ადგილების გარეშე, რომელსაც "გართობა", რესტორანი და "ჭინჭები" ჰქვია არ არსებობს.

10067. იმიჯი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა რაოდენობის ვალს განდობენ, ხოლო კაცობა – ვალის ვადამდე დაბრუნებაზე.

10068. როდესაც მაღაზიები გამოცარიელებულია, ფულის შენახვას აზრი არა აქვს და ადამიანი დელიკატესის შეძენის მცდელობაშია, თან სტუმართმოყვარეობის ჭია უჩნდება, რათა თავი მოიწონოს, ხოლო როდესაც დეფიციტის პრობლემა იხსნება, უკვე ფულს უფრთხილდება, რადგან მისი შოვნა გაძნელებულია და სტუმრისთვისაც აღარ სცალია.

10069. ფულის გამომუშავების პროცესში ის შეგრძნებაა საკაიფო, რომ შენ მისი წყალობით თავს დამოუკიდებლად გრძნობ.

10070. ფულთან ჩახუტებული ეკონომიკა ელექტორატის სიბრიყვეს და იდეურ მეძავეობას ვერ იტანს, თუმცა ყველასთან თანამშრომლობს.

10071. სირცხვილის გრძნობის გადალახვა კი ვისწავლეთ, მაგრამ ფულის შოვნას და პოლიტიკის დაღვინებას ვერაფერი მოვუხერხეთ, ხალხმა წესიერად და სამართ-ლიანად რომ იცხოვროს.

10072. პატიოსნება და წესიერება არაპერსპექტიულია თუ ის ფულის ხარჯვის ყაირათიანობას და თანამედროვე ცხოვრების წესს ვერ ეგუება და გადაგვარე-ბისთვისაა განწირული.

10073. ეკონომიკა სხვის აზრებს და დროებით კვებას ვერ ეგუება, მას სჭირდება იდეალური ფინანსისტი, რომელიც მუდმივად გამოკვებავს.

10074. უკულტურობაა, როდესაც ნაცნობ მწერალს წიგნს საჩუქრად სთხოვ და გავიწყდება, რომ წიგნის გამოშვება ფული ღირს და ამ თანხის ამოღების გარეშე მომდევნო წიგნს სინათლის ნახვა არ უწერია.

10075. ალბათ, ფულის შოვნის უთვალავი ხერხი არსებობს, თორემ ამქვეყნად ამდენი დაუსაქმებლის და გაჭირვებულის შენახვა წარმოუდგენელია.

10076. იმ ქვეყანაში, სადაც ფულის კულტი კომპიუტერისას ეთამაშება, პოეზიისთვის საგლახაოდ და სულის სალაღობოდ არავის სცალია.

10077. ფულის შოვნის კრედოს უბედურება ის არის, რომ ობივატელი ელექტორატის თვალში ქურდობას, მეძავობას, რეკეტს, შულერობას და ამგვარ სხვას, პროფესიებად მოგვივლენს და მისაბაძ სპეციალობად გადააქცევს.

10078. საქონლის გაცვლა, ვაჭრობა, განათლება და რაც მთავარია, პატიოსნება, სიმდიდრის მომტანია და თუ ამას წესიერება, ფულის შოვნის კულტურა და სახელმწიფოს ზრუნვაც ემატება, მაშინ ამქვეყნის პოლიტეკონომია სწორ გზაზე დასეირნობს.

10079. ფული მოხმარების საგანია. თუ მას გონივრულად არ მოვიხმართ და არ ვაბარტყებთ, ის უდროოდ გვეცლება ხელიდან და მერე იწყება ოჯახური სიძნელეები და ცხოვრებისთვის რეალური ბრძოლა.

10080. ფულის შოვნის მრავალი გზა არსებობს, მაგრამ ჭეშმარიტებისკენ ვერცერთს ვერ მივყავართ, რადგან ფული კანონიერი გზით არ იშოვება, მათ შორის, წესიერი გზითაც მოპოვებული.

10081. გადასახადი მეგობრობს დაბეგვრის შესაძლებლობასთან, მაგრამ სამწუხაროდ, ფულთან დამშვიდობება, მეგობრობის მიუხედავად, ყოველთვის ძნელი პროცედურაა.

10082. გადასახადი ისეთი უნდა იყოს, რომ მისი გადაუხდელობის შეგრცხვეს, მაგრამ აქაც თუ ადამიანმა სარგებელი არ ნახა, ფულის გაღება მაინც გაუჭირდება.

10083. მილიონერს ფული კი ჰყოფნის სიცოცხლის ბოლომდე თავის შესანახავად, მაგრამ სხვები ნერვიულობენ: როგორ დახარჯავს, ან მოასწრებს კი მის დახარჯვას?

10084. მართალია, მორალი და ბიზნესი ერთმანეთს ვერ ეგუება, მაგრამ მათი თანამშრომლობა და გვერდიგვერდ დგომა აუცილებელია, რადგან მშიერ კაცს მორალს ვერ მოსთხოვ და ვერც ფულის ყადრის ცოდნას.

10085. მართალია ფულში არ არის ბედნიერება, მაგრამ არც სიღარიბეში ყრია იმდენი სასიკეთო, რომ ზევიდან ნაკარნახევ მორალურ აკრძალვებს შევეწიროთ.

10086. სკლინტმა ფული იცისო, არ დაიჯეროთ, თორემ საწყალი „ასენიზატორი" დატანჯული უნდა იყოს ამდენი ფულის თვლით.

10087. ვაჭრობა ყოველთვის განწირული საქმიანობაა, მაგრამ ფულიან თავს ძირითადად კარგად გრძნობს.

10088. სიკვდილის ოფიციალური ინდუსტრია: ალკოჰოლი, სიგარეტი, იარაღით ვაჭრობა, ბიუჯეტის დეფიციტს 20 პროცენტით ფარავს, სახელმწიფო მოხელეების მექრთამე სულს – 30 პროცენტით, რას ერჩი ხალხს, თუ შემოსავლის 50 პროცენტით კმაყოფილდება და ხანდახან თავის უფლებებს პრესით, ტელევიზიით და დემონსტრაციაში მონაწილეობით გამოხატავს.

10089. გაუგებარია, მავანთა ხრიკებით ნაშოვნი ფული რით არის ქურდის მოპარულ ფულზე უკეთესი. ერთს ამის საშუალებას თავისი უფროსის უკანალში თავის შეყოფა აძლევს, ხოლო მეორეს – ცუდი აღზრდა და აზარტი.

10090. ფული არ შეიძლება იყოს ჭუჭყიანი ან სუფთა, მთავარია, რას ხმარდება და არა როგორ იშოვება.

10091. დიდ ფულსა და უფულობას ერთნაირი სიმპტომები აქვს, ის ყოველივე სათუთს უკარგავს ადამიანს და გადაგვარებისკენ ექაჩება, პირველის მიზეზია ფულის დაკარგვის შიში, ხოლო მეორე თავის უსუსურობაზე ნერვიულობს, სარჩენ ფულს რომ ვერ შოულობს.

10092. როდესაც ფული გაქვთ, სახელის მოხვეჭას ცდილობთ, როდესაც ამასაც მიაღწევთ, ისევ ფულის კეთებისკენ გიჭირავთ თვალი. ალბათ იმიტომ, რომ ამქვეყნად მუდმივი არაფერია და სიმდიდრეს შენი სიბერე გინდა ამოაფარო.

10093. ფული, სამწუხაროდ, ბევრი არასდროს არ არის, მაგრამ თუ მოინდომებ, შენს წილს ყოველთვის იშოვნი, მთავარია დრო.

10094. ფულია ჩვენი უცვლელი და ერთგული მეგობარი, რომელსაც არც ვყიდით და ვერც ველევით. მისი გულისთვის მეგობარს მტრად გავიხდით და მტერს – მოყვარედ.

10095. ყოვლისშემძლე ფული და ძალა ყველაფრის მომტანი არ არის, მაგრამ მათ გარეშე ცხოვრების კომფორტს და სიამაყეს ვერ შეიგრძნობ, მითუმეტეს, თუ შენს ირგვლივ ასეთივე მისწრაფების ხალხი დაბორიალობს.

10096. ჩვენი ცხოვრება ფულის კულტით იწყება და იმქვეყნად მდიდრულად წასვლის მეტიჩრობის კულტით მთავრდება.

10097. ადამიანი ყველაზე მეტად ფულთან ურთიერთობაში შეიცნობა, ამ დროს მჟღავნდება მისი ყველა უარყოფითი თვისება, რაც მას გენმა, ბუნებამ და აღზრდამ მიანიჭა და აქ გონიერების მუხრუჭი იშვიათად გამოიყენება.

10098. პატიოსნება დაუფასებელი სიმდიდრეა, წესიერება შეუმჩნეველი განძია, რომელსაც ფულის საკეთებლად იშვიათად იყენებენ.

10099. ფულის შოვნის სურვილი ოხერია, მას თანდათანობით თავის ჭკუაზე დაჰყავს მორალი, ადამიანთა ურთიერთობა, სიყვარული, ოჯახის შექმნის ტექნოლოგია, ათასი სხვა და ის, რაზეც წინათ წარმოდგენაც არ გვქონდა.

10100. უხიაგი მთავრობის ბიუჯეტი ყოველთვის მთვრალია, ვარდება, კისერს იტეხს, სულ სამკურნალოა, მისი კომიდან გამოყვანა არ ხერხედება, ეტყობა ამ ქვეყანაში ექიმიც შესაცვლელია და ფულის ამოღების მკურნალობის მეთოდიც.

10101. ფული იყო და იქნება ყველა ჩვენი მიღწევების, ჩავარდნების, უღიმღამო ცხოვრების თანამგზავრი. გვსიამოვნებს ეს თუ არა, მის მოპოვებაზე უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ.

10102. ცხოვრება ადამიანს ეშმაკთან შესახვედრად არ ამზადებს, ეს მან გადასცა აღზრდას, ფულს და ქუჩას.

10103. ფული თავისებური იარაღია და კედელზე ჩამოკიდებული თოფივით უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ, რადგან მან თუ არ იმოძრავა, ან კრედიტი შეჭამს ან ინფლაციის ჟანგი.

10104. საზოგადოება, რომელიც ღარიბია, თავისი წარსულით და კულტურით მოაქვს თავი, რომელიც მდიდარია – მომავლის გეგმებით და ფულის ხარჯვით. ისე კი, პირველი ფულს ნატრობს და იმედს, ხოლო მეორე – მშვიდ ცხოვრებას და დაუძაბავ ყოფას.

10105. ფული ცხოვრების იმპულსია, რადგან თანამედროვისათვის მის გარეშე არ არსებობს მორალი და ღირსება.

10106. ფულს კაბინეტებში ძრომიალი და კარიერისკენ სწრაფვა იძლევა და არა კაბინეტებში ყოჩაღად ჯდომა და ტელეფონით მასლაათი.

10107. ადამიანი ფულის კეთებას იმისთვისაც უნდა შეეცადოს, რომ ახლობლებს აჩვენოს თავისი გონიერების და მოხერხებულობის ძალა, რადგან ფულის შოვნა ყველას პროგროგატივა არ არის.

10108. ზოგჯერ ფული ცხოვრობს, იშვიათად მისი პატრონიც ერთობა, მაგრამ ამ უკანასკნელს შემოსავლების გამრავლების მცდელობა მეტ სიამოვნებას ჰგვრის, რადგან სხვა სიამოვნებისთვის მას დრო არ რჩება.

10109. ყველა კარგ წამოწყებას სიბინძურე მიეწებება და ისე გათხვრიან ამ სიახლეს, რომ მისი დანახვა შეგეზარება: დისკოთეკა – ნარკოტიკები, ვარსკვლავების გაფეტიშება – გარყვნილება, სპონსორობა – ქრთამის გამოძალვა და ასე შემდეგ. მაგრამ სისუფთავის შენარჩუნებას და წმინდად ყოფნას მაინც ფული და ხანგრძლივი სოლიდარობა სჭირდება, რადგან მათ გარეშე ყველა სასიკეთო წამოწყება უდღეურია.

10110. სიმდიდრე გარემოებათა შედეგია, მას გამბედაობა, თავხედობა, დროის შერჩევა და ღირსების ფეხებზე დაკიდება სჭირდება. ყოველივე ზემოაღნიშნული ჭკუაგონებად უნდა ჩაითვალოს თუ არა, ძნელი სათქმელია, განსაკუთრებით მათთვის, ვისთვისაც ფულის შოვნის ყისმათი არავის დაუბედებია და არც უცდია.

10111. ფულის შოვნა და არა შექმნა უგვანოთა ხვედრია, რადგან ისინი ხვალის სავალალო შედეგზე არ ფიქრობენ.

10112. უკონტროლოდ ფულის შოვნა და დევალვაცია ეკოლოგიური კატასტროფაა და გარემოს დაცვისათვის ბრძოლას მოითხოვს.

10113. ნაღვლიანი სინანულით განვლილ ბედნიერ დღეთა მოსაგონარი თქვენს მიერ დახარჯულ ფულში გამოიხატება და არა მის შოვნაში.

10114. წიგნის კითხვა, კროსვორდების ამოხსნა და ინტერნეტით გატაცება ერის კულტურის მაჩვენებელი არ არის, მანამ ინფორმაციას, ცოდნას ფულად არ ვაქცევთ, თავს არ წარმოვაჩენთ და სულს არ გავალაღებთ.

10115. ქვეყნის მოხელე გადასახადზე შეღავათების შემოღების მომიზეზებით ცდილობს ბრბოს ტყავის გაძრობას და ფულის კეთებას.

10116. ზოგიერთის ქცევას ფულის ოდენობა განსაზღვრავს და იმ ავტოხულიგანს მოგვაგონებს, რომელსაც ჯიბეში ფულის და თავში ოფოფების სიმრავლე აწუხებს, მზადაა თავისი ასაფრენიდან გასაფრენად და დიდი ჯარიმის გადასახდელად, ოღონდ თავისი ხოში გაისწოროს.

10117. არამი ფული კეთდებოდა და კეთდება მთავრობის შეცდომების, წაყრუების და მისი ჩუმად წილში გაყვანის წყალობით.

10118. როგორ გინდა ფულის ყადრის მცოდნე კაცს გააგებინო, რომ მის საათთან შედარებით იაფფასიანი საათის გაცვლას მისდამი პატივისცემის ნიშნად სთავაზობ, რომლის ღირებულებას მეგობრობის სტატუსი აქვს და აქ ფული არაფერ შუაშია.
10119. ფული სხვის თვალში მოხერხებულს გვხდის და არა – გონიერს.
10120. ორიგინალში ამდენი ფულის დაბანდება სიგიჟეა და ფსიქოლოგიურ მკურნალობას მოითხოვს, მითუმეტეს, რომ ბიზნესის გარანტიას არავინ იძლევა.
10121. თუ რესტორანში, კაზინოში, დასათრობად, დროის მოსაკლავად მიდიხართ, ეს ფულის დაწვის ტოლფასია, ხოლო თუ სტრესის მოსახსნელად, საქმის მოსაგვარებლად და იმიჯის ასამაღლებლად, მაშინ ფულის გამრავლებაა მოსალოდნელი.
10122. ფული არ შეიძლება ბრიყვი, უწესო, უზრდელი იყოს, ასე ისინი ფიქრობენ, ვისაც გონიერების, წესიერების, ზრდილობის გამო არ შეუძლიათ მისი მოხვეჭა, ყოველ შემთხვევაში, მათი ახლობლები ამ აზრზე დგანან.
10123. ფულს უყვარს ის, ვინც ბიზნესის წესებს, პატიოსნებას, მოგების მიღებას, სხვისი ინტერესების გათვალისწინებით პატივს სცემს.
10124. ფული გარკვეული დროით უზრუნველყოფს ჩვენს მისწრაფებას, რომლის გაგრძელება ისევ ფულის შოვნით იწყება.
10125. გაკოტრებული მილიარდერი მილიარდერია გარკვეულ დრომდე, ფულით იქნება ეს თუ უფულოდ.
10126. ფულს სხვა ცოდვა აქვს, ცხოვრებას – სხვა, მაგრამ ულირსისთვის მისი მიცემა უფრო დიდი ცოდვაა, რადგან შენ მას ისეთი რამ აფიქრებინე და გააკეთებინე, რომ შენი შემწეობის გარეშე ამას ვერც იკისრებდა და ვერც იკადრებდა.
10127. ფულის გარეშე შეუძლებელია მომხიბვლელი, თავისუფალი, საჭირო იყო, თუ შენ მამაკაცი ხარ და არა – მეცნიერი, რომლისთვისაც ფული მისი აზრების არსებობის წყაროა და არა მიზანი.
10128. ფული ცხოვრების ყველაზე დიდი ცენზორია და მასთან იდეოლოგიის ცენზორი ახლოსაც ვერ მივა, როგორც ეს გამოუცდელობის გამო გვეჩვენებოდა.
10129. ფულის ყველა უპირატესობის და საჭიროების მიუხედავად, ადამიანისათვის მაინც თანდაყოლილი სულია პირველადი და არა მოხვეჭილი ფული.
10130. ფულსაც თავის სუნი ასდის და მას ყველა სიამოვნებით ეჩვევა, მიუხედავად იმისა, სიკეთისთვის არის განკუთვნილი თუ არა. ამასთან მის გამოყენებასაც გონიერება, აღზრდა, გარემოს გათვალისწინება, სჭირდება.
10131. აღმოსავლეთი ფულის შოვნის პროცესების გამომზეურებას აფეტიშებს, დასავლეთი კი მისი შოვნის მეთოდების გასაიდუმლოებაშია.
10132. ფულს ისეთი ხალხი შოულობს, რომელიც წესით არ უნდა შოულობდეს, რადგან მათ არ იციან მისი ყადრი და ისე უთაოდ ხარჯავენ, თითქოს სამუდამოდ უნდა დაემშვიდობონ, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი კანონზომიერია, სხვანაირად ვინ შეინახავს ხელოვნებისადმი მიდრეკილ ამდენ ხალხს, რომელიც სხვათა გართობა-სიამოვნებისთვის არის მოვლინებული.
10133. ვინც პირველი წაეპოტინება, ჩაავლებს, მოიტაცებს, ისაა მაძღრად, რადგან პირველი ყოველთვის პატივშია და ფულიანია რისკის გაწევის საფასურად, რომელიც შორიდან ასე საეჭვო და სახიფათო ჩანდა.

10134. ქურდობა პატიოსანიც არსებობს, როდესაც 8 სართულიანი სახლის აშენება აქვს დაკვეთილი და 9 სართულიანს აშენებს. შედეგად, ფულს ამ ერთ, ზედმეტად აშენებული სართულის რეალიზაციით შოულობს და არა სამშენებლო მასალების გაყიდვის და სხვა მაქინაციების ხარჯზე, რომელიც მშენებლობის ხარისხზე მაინც მოქმედებს.

10135. ფული კეთდება ხალხის იმედზე, მის გაოცებაზე და იმის აგიტაციაზე, რომ კუნთების და გონების დაძაბვის გარეშე ცხოვრებაში შენთვის განკუთვნილ ლატარიის ბილეთს შენც ამოიღებ და სხვაზე უკეთ თუ არა, ნაკლებად არც შენ იცხოვრებ.

10136. უსუსური სული, გაუმართავი ჭკუა, დიდებული მასალაა ნაციონალიზმისთის, ხოლო ძლიერი სული და გონიერება პატრიოტიზმისთვის, მაგრამ დიდ ფულთან შეხვედრა პირველს მაშინვე აბნევს და ხელის ფათურს იწყებს, ხოლო მეორე პირველ შეხვედრას უძლებს, მაგრამ ფულიდან შორს დგომას არც ის აპირებს.

10137. არ მოგვწონს, როდესაც ფულის გულისთვის ვუყვარვართ, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევს ამ აზრთან შეგუება, რადგან მომხიბვლელობა თანდათან ხელიდან გვისხლტება, ხოლო საბანკო ჩეკის პრიორიტეტი უცვლელი რჩება.

10138. ფული უბედურება კი არა, ბედნიერებაა, მხოლოდ საკითხავია რა გზით არის ნაშოვნი, რას უნდა მოხმარდეს და ვის ხელშია.

10139. კარიერაზე უარის თქმის არავითარი ალტერნატივა არ არსებობს, გარდა ფულისა. დანარჩენი სხვა წვრილმანია და თითიდან გამოწოვილი, რათა შენი მოუხერხებლობა, უხიაგობა გაამართლო.

10140. შოუ-ბიზნესი დიდი ხანია მოდიდან გავიდოდა, მას რომ მოხერხებული ნიჭის, ანტისეპტიკური თვისებების, ფულიანი ავანტურისტები და დიდი ფანტაზიის მქონე ხალხი არ მფარველობდეს.

10141. ფულს შეიძლება ბოლომდე ბედნიერება არ მოაქვს, მაგრამ დიდებულად უწყობს ხელს კარგ ცხოვრებას, თუ თავის წარმოჩენას მოერიდები.

10142. ფული და ბედნიერება სხვადასხვა ცნებაა, რადგან პირველის დანიშნულება ცნობილია და ეჩვევი, ხოლო მეორე შეჩვევას არ ექვემდებარება, ის მუდამ თავისებური სასიამოვნო უცნობია.

10143. ბედნიერება, კეთილდღეობა, თავის წარმოჩენა გვინდა თუ არა ფულთან არის დაკავშირებული. ამიტომაცაა, რომ ამდენი მოყვარული ჰყავს კაზინოს, ლატარიას, ფასიან ქაღალდებს და სხვა მისთანებს, რადგან მოგებაში და არა თამაშში ღვივის კეთილდღეობის მოპოვების იმედი.

10144. ფულის კეთებას პრაქტიკულად შემოქმედებითი ნიჭი, გამოცდილება უფრო სჭირდება, ვიდრე ეკონომიკის თეორიულად ცოდნა და წინასწარი გათვლები.

10145. საბაზრო და ბაზრის ეკონომიკას აზრი ერთი აქვთ – ფულის მოხვეჭა, მაგრამ ფულის ხარჯვის შინაარსი და მისი კვლავწარმოებაა სხვადასხვა.

10146. ფულზე ამაღლება ყველას ხვედრი არ არის, განსაკუთრებით მათი, ვინც მის ნაკლებობას განიცდის.

10147. კარიერას, ფულს სუნი არ ასდის, მაგრამ საფლავში მაინც ამყრალდება.

10148. ანგელოზი არავინ არის, მაგრამ ფულის გულისთვის მეგობარი კი არა, ნაცნობიც არ უნდა გაყიდო.
10149. ამბობენ, ფულს და ჭკუანაღრძობ ხალხს ერთმანეთი უყვართ, რადგან მათ ერთმანეთთან ვაჭრობის არ ეშინიათ, არც თაკილობენ და არც ქრთამის მიცემაზე ამბობენ უარს ზევით წამოსკუპებული გონებადახშული კოლეგებისთვის.
10150. ფული უფრო დაკაბალებაა, ვიდრე თავისუფლება, რადგან მამაძაღლობას გვაჩვევს და წესიერი შრომის სურვილს გვიკარგავს.
10151. ადვილად ნაშოვნი ფული ის ძვირფასი ნივთია, რომელიც ყველაფერს თავად აქცევს ნივთად, ხოლო პატიოსნად ნაშოვნი ფული ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.
10152. ჩინოვნიკსაც (მოხელესაც) ყველაზე მეტად ფულის ნიშნების მქონესთან ეხერხება ბაასი, რადგან ამაში დამნაშავეა მისი შედარებით მცირე ხელფასი და პრაქტიკული შესაძლებლობა.
10153. მართალია, პრაქტიკა თეორიის გარეშე ბრმაა, ხოლო თეორია უპრაქტიკოდ მკვდარია, მაგრამ ამის მიზეზი კარგი მათრახის და ფულის უქონლობაა, რადგან მისი გადაჭრა გარკვეულ დროს მოითხოვს და გარკვეულ მომენტში ყოველივეს თავის გზაზე დააყენებს.
10154. ფული ზოგიერთის ხელში იგივეა, რაც თოფი უმწიფარი ბავშვის ხელში და არავინ უწყის, რას ფიქრობს და ფაქტობრივად რას მოიმოქმედებს.
10155. ფულის კეთების კულტი ძალად სულელების რაოდენობას ძალზე გვიმრავლებს.
10156. ფულის შოვნას თავისი წესი აქვს, მადლიერებას და უმადურობას – თავისი. თუ პირველისთვის ყველაფერი თითქმის ნებადართულია, მეორე მორალის მარწუხებშია მოქცეული და ვისაც არ ეზარება, კრიტიკის ცეცხლში ატარებს.
10157. საოცარია, მაგრამ სიამოვნება არანაკლები ფული ჯდება, ვიდრე უბედურება, მაგრამ ამაზე არავინ წუწუნებს.
10158. აღებ-მიმცემლობაში ყველაფერი ისე ადვილად არ გამოდის, როგორც კომპიუტერს გამოჰყავს, რადგან ცხოვრებას თავისი გამომთვლილი მანქანა აქვს, რომელიც ჩვენი ალგორითმებით შექმნილ პროგრამას არ ემორჩილება.
10159. საზოგადოების განვითარება ეს თავისებური კრედიტ-დებიტია, რომელსაც უფროსი თაობა უმცროს თაობას აძლევს, რათა მათ ქვეყნის ეკონომიკა წინ წასწინონ და პოლიტიკურ ავანტურაში არ გაებან, რადგან ქვეყნის ძლიერების ძირი ფულია და არა – ხმალი.
10160. ბრბოს უყვარს ცარიელი ხელებით მოგზაურობა, ოცნება და იქიდან მდიდარი ჯიბით დაბრუნება, თუმც ამ უტოპიაზე გულში არც ხალხი და არც საზოგადოება არ ამბობს უარს.
10161. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლება და ღირსება ძალზე მიმზიდველია, დაფინანსების გარეშე ორივე უინტერესო ხდება და პეწს ჰკარგავს.
10162. ზოგისთვის ფულის შოვნა პროფესია, სიამოვნება, მადლია, ზოგისთვისაც შესაძლებლობის მომტანი დანაშაული და ჰობია, რადგან მათ სხვადასხვაგვარად ესმით მისი ყადრი.

10163. ფული და მეგობრობა შეუძლებელია, ეს უფრო ფული და პარტნიორობაა, რადგან მეგობრობა ვერც ზომა-წონას, ვერც დებიტ-კრედიტს და ვერც სხვა ანგარიშებს ვერ იტანს.

10164. ფულს თვლა და დაფასება უყვარს, ის თავისებური ენერგიაა, რომლის გამოყენება და მართვა უნდა ვისწავლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვემსახურებით მას და არა ფული – ჩვენ.

10165. ინსტინქტი, შიში, ხსნის აკრძალვებს, ამიტომ ადამიანი თავის გადარჩენის მიზნით, თავისმაგვარს ახრამუნებდა და კაციჭამიად გვევლინებოდა. დღეს კანიბალიზმი ფულის შოვნის და კარიერის სურვილმა შეცვალა.

10166. მეგობრისთვის ფულის ჩუქება მატერიალური დანაკარგია, მაგრამ სულიერი შენაძენია.

10167. ცხოვრებაში ბევრი რამ არის ფულზე აუცილებელი, მაგრამ მის გარეშე ამ აუცილებლობას ვერ ეზიარები.

10168. ზოგი სიმდიდრეს შავი დღისთვის ინახავს, ზოგიც – შავი საუკუნისთვის, გააჩნია ფულის შოვნის ყისმათს და მისი ხარჯვის ინტენსივობის ცხრილს.

10169. ხელგაშლილები, დამწვრები, ყაირათიანები, იბადებიან და თავის ნებით ძნელად გარდაიქმნებიან, მაგრამ არსებობს წახალისების ბერკეტები, რომელთა ინდივიდებთან გონიერი გამოყენება ყველას შემოქმედად აქცევს.

10170. ფულის შოვნა ძირითადად კაცის საქმეა, ხარჯვა – ქალის, რათა მამაკაცები უფრო მზრუნველნი, მშოვნელნი და ალერსის მომხვეჭელნი გახდნენ.

10171. ფულს ცენზორი არა ჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ არასწორი გზით მოპოვებულს სიტყვიერად ყველა ებრძვის.

10172. ფული ცხოვრებას გვილამაზებს, სულს აბობოქრებს, თავისუფლების გარანტიას იძლევა, მაგრამ საკუთარი შემართებით ნაშოვნი და არა – ნაჩუქარი, რადგან შემდეგ საჩუქარს ვინ გაგიკეთებს, არ იცი.

10173. ყველაზე ჭუჭყიანი ფულია, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, მაგრამ მის მოშორებას არავინ ცდილობს, პირიქით, ყველას ამ სიბინძურეში უნდა ხელების ფათური. ამიტომ ჭუჭყში ბანაობას ტაბუს ვერ დავადებთ, მითუმეტეს, თუ ხანდახან ზოგიერთი განწმენდას მოინდომებს, ხელმოკლეთა და ქვეყნის სასარგებლოდ.

10174. ფული მხოლოდ ცხოვრებას გვიმსუბუქებს, მასთან ურთიერთობა კი თავისებურ მომზადებას და ეთიკას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შვებას ვერ მოგვიტანს.

10175. ავტორიტეტის და ფულის გაფლანგვა ერთ დღესაც შეიძლება, ხოლო შეძენას, რომელიც გგონია გეკუთვნოდა და ბედის რჩეული ხარ – მთელი სიცოცხლე.

10176. საფულე და კარიერა პირდაპირპროპორციული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე უღიმღამოდ გამოიყურება.

10177. ფული უფრო უმადურ ნაცნობებს გვიმრავლებს და მეგობრებს გვაკარგვინებს.

10178. საბანკო ჩეკის გულუხვობა სიამაყის გრძნობას მატებს მის გამცემს.

10179. ფული ადამიანს აფუჭებს, ინფლაცია ხალხის იმედს ასამარებს.
10180. სიყვარულის სტიმული არ შეიძლება ფული იყოს, მაგრამ მისი აღმშენებლობის საყრდენად ისევ ფული უნდა გამოვიყენოთ.
10181. ჩვენ ბევრი ვისწავლეთ ტრადიციული ბერძნული კულტურის დანერგვით და ბევრიც დავკარგეთ უტრადიციო ცივილიზებული ამერიკული კულტურის შემოშვებით, თუმცა ფულთან ურთიერთობაში არაფერი შეგვშლია.
10182. ცხოვრების ტკბილი ტექნოლოგია იმიტომაც არსებობს, რომ ტკბილად გამოვტყუოთ ფული იმათ, ვინც ჩვენი გაგებით ცხოვრების ყადრი არ იცის და მასში ვერ გარკვეულა.
10183. ერთი ხელფასი უფროსს და უფროსის უფროსს ვერ მოემსახურება.
10184. ფული ადამიანის მსგავს მაიმუნებს აწუხებთ და არა ნაღდ ადამიანებს.
10185. სახელმწიფო მოხელე სიავის განსახიერების და ფულის შოვნის საწარმოა.
10186. სახელმწიფოს მართვის ხელოვნება ფინანსების სხვადასხვა დარგებში იმგვარი დაბანდება და მოთხოვნაა, რომ მან იბარტყოს.
10187. ქალის გაახალგაზრდავებას და ასაკის შეუმჩნევლობას ფულიანობაც ხელს უწყობს.
10188. ფულის გაფეტიშების მომიზეზებით ზნეობის დაცემა და ნიჭის დევალვაცია საბოლოოდ ხალხის ზურგზე გადადის და მისი ასანაზღაურებელი ხდება, მაგრამ ამ საკითხის განსჯა მაინც დროს უნდა მივანდოთ, რადგან საზოგადოების განვითარება სპირალურია, ყოველივეს თავიდან დაწყებით.
10189. მომხიბლავია მხოლოდ სამხედრო ბიუჯეტი, ფორმის მუქთა ტანსაცმელი და არა – იქ სამსახური.
10190. ფული ყველაფერია, როდესაც არ გაქვს და მაშინაც, როდესაც მას ფლობ.
10191. ფული იკარგება გონების ერთ უგუნურ გაელვებაში და არა – დროში.
10192. თავისუფლებაა, როდესაც ფული ან არ გაგაჩნია ან თავზე საყრელად გაქვს. აი, საშუალო სახსარია, რომ თავსაც აწვალებს, სხვასაც და სულ თავისუფლებაზე ლაპარაკობს და ოცნებობს.
10193. მუშაობაა თუ გართობა, ვერ გარკვეულხარ თუ ფულს იმ საქმეში გიხდიან, რასაც სიამოვნებით აკეთებ, მაგრამ სადაც ფული ერევა, იქ სულისთვის, ეშხისთვის, ადგილი აღარ რჩება.
10194. სამწუხაროდ, ხშირად ფულს მეტი ძალა აქვს, ვიდრე კანონს, თუ მას თანამდებობა და ვინმეს ინტერესები არ იცავს.
10195. სადაც ლაპარაკია ფულზე, იქ ყველა თანახმაა მის მითვისებაზე, კანონიერი იქნება ეს თუ უკანონო.
10196. ფაქტობრივად ქალთან ფულით მიღებული სიამოვნება უფრო იაფი გვიჯდება, ვიდრე სიყვარულით, ურთიერთგაგებით, მაგრამ აქ სიამოვნების ხარისხი სხვადასხვაა.
10197. ინტერვიუში უფრო ადვილია მსახიობს დასტყუო თუ მასთან რამდენმა კოლეგამ იკოტრიალა ლოგინში, ვიდრე ამ კოტრიალის შედეგად მიღებული და შესრულებული როლების ჰონორარი.

10198. ცხოვრებაში ჩვენს მიერ ჩადენილ უამრავ შეცდომებს კიდევ ერთი შეცდომა ჩადენილი ფულისთვის ვერაფერს შემატებს ან დააკლებს, მაგრამ გააჩნია განგებას, რა შეცდომაზე მოგინდომებს გამოჭერას და დასჯას.

10199. ფულს უფრო მეტი სინდისი აქვს, ვიდრე მისი შოვნის მსურველს.

10200. დღევანდელ მოდას და ვარცხნილობას ხშირად ვერც თავს გაუგებ და ვერც ბოლოს, რადგან ყოველივე ამ უცნაურობას, გაუგებრობას, ფულის გამოძალვის სუნი ასდის.

10201. რაც არ უნდა ვიფილოფოსოთ სიყვარულის ფენომენზე, ის მაინც იწყება იდეალით და მთავრდება „ადიალით" რომელშიც სულის დაფინანსებაცაა ჩადებული.

10202. სულიერი სამყარო დაფინანსების გარეშე იარსებებს, მაგრამ ვერ იცხოვრებს.

10203. ზღაპარი იწყება უფულოდ და მოზღვავებული ოცნებით, როგორც კი მასში ფული და სინამდვილე ჩაერევა, ზღაპრიდანაც აღარაფერი რჩება.

10204. ფული, რომელიც ხალხს აფუჭებს, მაინც ცოდნაზე იცვლება, მაგრამ ცოდნასაც გააჩნია და ცოდნის საჭიროებასაც.

10205. ფულის მშოვნელ კაცს არ შეიძლება ერთი სამშობლო ჰქონდეს, ყველგან მისი სამშობლოა, სადაც ფულის კეთების საშუალებას აძლევენ.

10206. სიმდიდრეს პოლიტიკა კი არ სჭირდება, არამედ დიპლომატია, რათა ფულიანები ერთმანეთს გონიერად მოეფერონ, რადგან ერთმანეთის შეყვარებას მაინც ვერ მოახერხებენ.

10207. ზოგი ბანკი ქრონიკული სიკვდილის შემდეგაც კი ცოცხლობს, რადგან მის გაკოტრებას ცენტრალური ბანკის მესაფლავეები არ ამჩნევენ, ამყრალების საშუალებას აძლევენ, მაგრამ დასამარხად ვერ იმეტებენ.

10208. ჩიტების ბაზარი უფრო ვაჭრობის სასიამოვნო მაზოხიზმია, ვიდრე ბიზნესი და ფულის კეთება.

10209. ბანკი ის ორგანიზაციაა, რომელიც სიმდიდრეს სხვადასხვა მაქინაციებით იძენს და არა – საკუთარი შემართებით, რადგან გონიერებით ფულის შოვნა ძნელიც არის და ამის უფლებას არც არავინ მისცემს, რათა წესიერ ბიზნესს ხალისით გაეთამაშოს.

10210. სიყვარულის გარყვნა ფულმა იცის, მაგრამ მის გარეშე წესიერებაც და ერთგულებაც დიდხანს ვერ ძლებს.

10211. ფულის დაბანდება და საჩუქრის გაღება შინაურ სიყვარულსაც სჭირდება და საგარეო სიყვარულის დამუღამებაც.

10212. თუ თქვენ ფულის კეთება იცით, რომელსაც ბედნიერება არ მოაქვს, ყოველთვის მოინახება ისეთი კაცი, რომელიც თქვენ ამ უბედურების მიზეზიდან გაგათავისუფლებთ.

10213. ბანკების მიერ მოსახლეობის დაკრედიტება ვაჭრობის "პერპეტუუმ მობილეა" და საბანკო საქმის გაძლიერებაა.

10214. ფსიქოანალიტიკოსობა „ფულის მახეა", იგივე შამანობაა, ექიმბაშობაა.

10215. დრო ხანდახან უნამუსო ხდება და მორცხვებს, გაუბედავებს ვერ იტანს, რადგან თავისუფლება დემოკრატიას ამოფარებული ფუფუნებისკენ სწრაფვა და დაუმსახურებლად ფულის შოვნაა, რომელიც მათ არ ცნობს და არც სჭირდება.
10216. ფულის შოვნას და გასესხებას თავის კანონი აქვს და ანგარიშის, გარანტიის, გარეშე არავის არ უნდა ვანდოთ და დავუმორჩილოთ.
10217. ფული წესით იმ შემოქმედმა უნდა მოიტანოს, რომელსაც ზომიერების გრძნობა, სილამაზის შეგრძნება და ნახელავის შესაძლებლობის გამოხატვის უნარი შესწევს, მაგრამ თეორიულ ბედოვლათობას რეალური პრაქტიკიზმი არ ცნობს.
10218. ფული კარგსაც და ცუდსაც მისაღებ პროფესიად აქცევს, გაიძვერობას, ქურდობას – ბიზნესად, რამდენჯერმე განათხოვარ ქალს წესიერების სიმბოლოდ მოგვივლენს, მხოლოდ პატიოსნებას არ წყალობს და მას ზედმეტ ტვირთად მიიჩნევს.
10219. ცხოვრებაში ჩვენზე გაცემული კრედიტის გადახდა ჩვენი ბედის ჯიბიდან გვიხდება, ხოლო ჩვენს მიერ ნაშოვნი ფული განწირულია დროის სატარებლად და მის გასაფლანგად.
10220. სამყაროს პროგრესი, წინსვლა, ჭკუანაღრძობი ხალხის პრეროგატივაა, ხოლო ქვეყნის მშენებლობა, აღმავლობა, ფულის ყადრის მცოდნე შემოქმედი ხალხის.
10221. ფულის შოვნის პროცესი აფუჭებს ხალხს, მაგრამ ცხოვრებას დროებით ალამაზებს და ამშვენიერებს.
10222. ჭკვიანი კაცი შეიძლება პირში ვერცხლის კოვზით არ დაიბადოს, მაგრამ თავისი მცდელობით ვერცხლს პლატინით შეცვლის, რადგან ორივეს ერთი ფერი აქვს, ბევრისთვის ეს შეუმჩნეველი დარჩება და არ გააღიზიანებს, ხოლო ოქროს კოვზის შეძენა შესამჩნევია და გამაღიზიანებელიც.
10223. კეთილდღეობა დამოკიდებულია ქალზე, ტრანსპორტზე და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, რომელიც ფულის საწყისებით არის გამაგრებული.
10224. ყველა ნადზე უკეთესად ფული მუშაობს. ის სახლებს უკეთ აშენებს, მიწას ამუშავებს, ხალხს შენს მიმართ კარგად განაწყობს. ფული არა მარტო მამოძრავებელი ძალა, არამედ შენს მიმართ კეთილგანწყობილების შემქმნელიცაა.
10225. ოქროს თუმნიანი ლოგინშიაც ოქროს თუმნიანია. ის გათბობს, გაღელვებს და აღგაფრთოვანებს.
10226. ინტუიცია, ბედი და ფული სამი ქალბატონია. თუ ისინი გწყალობენ, არასოდეს გაგიჭირდება.
10227. ოქროს ძალა რეცხდა, რეცხავს და ყოველთვის გადარეცხავს ყველა საზღვარს და წინაღობას ძალაუფლების მცდელობის მიუხედავად.
10228. ზოგი ისეთი დამწვარია, ძვირფასი ნივთის ძვირად ყიდვას სიზმარშიც კი განიცდის და იღვიძებს.
10229. რეკლამა მოულოდნელად შემოვარდება ჩვენს სახლში, იპყრობს ჩვენს გონებას, თავმოყვარეობას და იწყებს ჩვენს ჯიბეში ხელის ფათურს.
10230. მოდა ხარკს კრედიტით იღებს, ხოლო მოდელის შექმნას დებეტით ცდილობს.

10231. ფულს უყვარს სიჩუმე და სტაბილურობა. იმ წარმოებებში, სადაც მუშაობა ექსცესების გარეშეა, საქმეც წინ მიდის.
10232. რეკლამა ჩვენი ძალად გათვითცნობიერების ბეგარაა, რომლის ღირებულებასაც ნივთის ყიდვის დროს ვიხდით.
10233. ინფლაციის დროს ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ დროებით ნულებით შევსებულ მილიონიანი ქაღალდის კუპიურებს წაეთამაშები, მაგრამ სამწუხაროდ, ნამდვილი მილიონერი ვერ გახდები.
10234. თქვენ ისეთი ხელგაშლილი ხართ, ბევრის მოცემას აპირებთ, მაგრამ რაღაც 10 ლარიც დამაკმაყოფილებდა – ეუბნება ღიმილით ტაქსის მძღოლი კლიენტს, რადგან მას გამოძალვის საკუთარი ხერხი აქვს.
10235. ცხოვრების დაწყების პირობები ყველას სხვადასხვა აქვს, მაგრამ, წარმატებას ის უფრო აღწევს, ვისაც საწყისი არაფერი გააჩნია, გონების გარდა.
10236. შემოსავლების დამალვის და ნაღდი ფულის მიმოქცევის ინსტიტუტის წინაშე არ არსებობს არავითარი წინაღობა, რომლის დაძლევას ის არ ცდილობდეს და არ ახერხებდეს.
10237. ფულის უქონლობა არ ნიშნავს დაბოღმვას და სინდისზე ხელის აღებას.
10238. არის დამწვარი, ხელმომჭირნე, თადარიგიანი გამცემი, ხალხი მათ ერთნაირად აფასებს, მაგრამ თუ ერთ-ერთი მათგანი დაიყოლია და სათხოვარი გამოსტყუა, დაბრუნებაზე აღარავინ ფიქრობს.
10239. ფულით გალაღებული ინვალიდია, დაკომპლექსებულია, რობოტია, რომელსაც არაფერი არ ანაღვლებს. ყოველშემთხვევაში, უფულოს ასე ჰგონია.
10240. მეგობრობა გარანტირებულია, სანამ ის არ ეხება ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს: ოჯახის ერთიანობას, ურთიერთპატივისცემას, ერთმანეთის საქმეში ჩაურევლობის პრინციპს, წინაპართა მიერ მიღებული პროგრესული წესებისა და ტრადიციების დაცვას და ავადსახსენებელ ფულს.
10241. ფული ყოველთვის ჩვენს დაწევაშია და იშვიათად გადაგვისწრებს. ალბათ, ეს არის ცხოვრების წინსვლის ბერკეტი.
10242. სადაც დიდი ფულია, იქ დიდი შურიც ტრიალებს და აქ გულჩვილობაზე ფიქრიც კი ზედმეტია, რადგან მათ ცხოვრებას ასეთი სევდიანი ხათაბალა ერგო.
10243. ვისაც ფულის შოვნა შეუძლია, ფულის ხარჯვა არ ეხერხება, მაგრამ ფული მუდამ აქვს, ხოლო ვისაც ფულის კეთება არ შეუძლია, მას ფულის ხარჯვის კულტურა არ გააჩნია და სულ ფულის უკმარისობაშია.
10244. კაპიტალი მსუბუქი ყოფაქცევის პროფესიონალი ქალივითაა, მას არ შეუძლია ფულის შოვნისაგან თავის შეკავება, ის ექსპანსიისთვის არის გამზადებული.
10245. მართალია, ფული ბევრი ადამიანური ცოდვის თანამოზიარეა, მაგრამ არა ყველგან და ყოველთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანთა მოდგმა ძალზე სწრაფად გადაშენდებოდა.
10246. სისულელის წარმოჩენას ვერავითარი ცხოვრებისეული „შპარგალკის" გამოყენება და საგამოცდო ბილეთის მოპარვა ვერ შველის, ხოლო დიდი ფული დროებით ამუხრუჭებს ბრიყვი კაცის ნამდვილი სახის წარმოჩენას სხვის თვალში.

10247. მართალია, ბედნიერება ფულით არ გამოიხატება, მაგრამ უფულობა რომ სიკეთის მომტანი არ არის, ამას ბევრი ჩიჩინ-ბიჩინი და მტკიცება არ სჭირდება.

10248. ფულს ცოდნა ხელს არ უშლის, მაგრამ ცოდნას ფულის შოვნის გულისთვის ბევრი სისულელე აქვს ჩადენილი.

10249. სამყაროს ეკოლოგიური დანაგვიანება მიეკუთვნება კანონს აცდენილი გმირების გაფეტიშებას, რომელიც უარყოფითად მოქმედებს აღზრდაზე და ქვეყნის საერთო სიმშვიდეს საფრთხე ექმნება, შიმშილის, სიცივის პერსპეტქივით, რადგან ბუნება არ მოგვცემს იმის უფლებას დაუყვედრებლივ ფული ისე ვიშოვოთ რომ მას ანგარიში არ ჩავაბაროთ.

10250. ფინანსები ყოველთვის სიამოვნებით ეთამაშება წესიერებას, რადგან დაგეგმილ მოგებას წესიერ ხალხთან ურთიერთობის მეტი შანსი რჩება.

10251. ფული მოწოდებულია შექმნილ დილემაში გამოსავალი მონახოს, როდესაც არ შეიძლება იმის შეკეთება, რაც არ დაზიანდება. არის დაზიანება, რომლის შეკეთება არ ღირს. არ ღირს ახლის შეძენა, რადგან ტექნოლოგია მოძველებულია.

10252. ფულთან ურთიერთობა, მათემატიკის გარდა, ფსიქოლოგიას, ნდობის ფაქტორს, გარემო პირობების ცვალებადობას შეიცავს, ხოლო ჩვენში ემატება ფაქტორი: ვინ არის ქვეყნის სათავეში და ვის მაფიას უჭერს მხარს.

10253. სიყვარულისა და სიძულვილის დაბეგვრა რომ შეიძლებოდეს, ქვეყნის ბიუჯეტი გალაღდებოდა, ხალხი გამდიდრდებოდა და თაობებს გზა ყველგან ხსნილი ექნებოდათ.

10254. გონიერად ფულის დაბანდება სახელმწიფოს ძლიერებას ამაგრებს და მოსახლეობის ცხოვრების დონეს აუმჯობესებს, მაგრამ შურიან ხალხს თვალი მაინც გაფიცვისაკენ უჭირავს.

10255. თავისუფლება ფულია, ფული კი – თავისუფლება, ეს გარემოება რაც უნდა სულს გვიხუთავდეს, ფაქტი ჯიუტია, ოღონდ არა შერეკილების ხელში.

10256. ევროპელები ჯერ ფულს აკეთებენ და მერე ატყუებენ ერთმანეთს, აზიელები კი პირველად ერთმანეთის მოტყუებას ცდილობენ, რომ სხვამ არ დაასწროს და მერე აკეთებენ ფულს, მაგრამ რა ქნას საწყალმა ევრაზიის შვილმა-ქართველმა, რა წყალში ჩავარდეს, საიდან დაიწყოს, თუ კი ორივე კონტინენტის მამაძაღლობის თვისება თან დაჰყვა?

10257. ეს ცხოვრება შინაგანი წესიერების და გარეგანი მატერიალური კეთილდღეობისთვის ბრძოლაა და აქ მეთოდების შერჩევა ფულის წესიერი გზით შოვნისთვის, დროის უქმად კარგვაა, რადგან ეს შანსი ცხოვრებაში ერთხელ გვეძლევა.

10258. თამაშობენ არა ფულისთვის, არამედ უსაქმურობის, აზარტის, არცოდნის გამო, რადგან არ იციან ფული რა გზას გაუყენონ, წარუმატებლობას როგორ ებრძოლონ და რეალობა როგორ აღიქვან.

10259. მშობელი, სკოლა, ქუჩა, ცოლი სხვადასხვანაირად გვზრდის და ამდენი განათლების მიღების მიუხედავად, მაინც სწორ გზაზე დგომა ჭირს, რადგან არცერთ მათგანს ფულის შოვნის ოპტიმალური გზა არ უსწავლებია, ვინაიდან ეს ჩვენი პრიორიტეტია.

10260. გარყვნილება არა მარტო ცხოვრების გარკვეულ მომენტებს გვიშაქრავს, არამედ სიცოცხლესაც გვიწვავს, ფულის კუპიურებით შენთებულს.

10261. ეგრეთწოდებულ ხელოვნების ნიმუშში და ვიღაცის ძველმანებში დიდი ფულის გადაყრა თავისებური ფსიქოთერაპიაა და წინასწარ მკურნალობას მოითხოვს, ხელოვნების რეკლამის სასარგებლოდ.

10262. ფულის და იარაღის გამოგონება არის მამაზეციერის მიერ დაშვებული ზოგიერთი შეცდომის გამოსწორების მცდელობა, როდესაც ცხოვრების რჩეულ მამაკაცს ჯღანი ფულით აჯობებს, ხოლო სუსტ მამრს შეუძლია იარაღის ძალით ძლიერის თავხედობის ალაგმვა. მოკლედ, ეს ფენომენი გამთანაბრებელია ჩვენი შეხედულებების, შესაძლებლობების და მდედრთან თავის მოწონების.

10263. ზოგიერთებს ფულის მშოვნელი კაცი მამაკაცად არ მიაჩნიათ, მხარჯველი ურჩევნიათ, მაგრამ ამას რა ბუღალტერია გაუძლებს, ეს არ აინტერესებთ, თუმცა არც ფულიანი კაცის უკანალში შეძვრომას და არც მისგან ფულის სესხებას არ თაკილობენ, მაგრამ მის ჩასესხებაზე მწყრალად არიან და თავიანთი უპირობა სირცხვილად არ მიაჩნიათ.

10264. უნამუსო კრედიტორებს ვალის ჩაუსესხებლობის მიზეზები არ ელევათ და ამით ერის ღირსებას რომ აბურთავებენ, არად დაგიდევენ.

10265. ცხოვრებაში ყველამ თავისი ადგილი უნდა დაიკავოს, მათ შორის ფულის საკეთებელმაც: შოუბიზნესმა, ესტრადამ, გასართობმა ლიტერატურამ და ბევრმა სხვამ, რადგან მათზე ხელი მიუწვდება ფართომოხმარების მაყურებელს, რომელიც კლასიკის სალოცავებამდე ვერ ამაღლებულა.

10266. ამქვეყნად ადამიანები ფულის მოსახვეჭად, სულის წასაწყმედად, ბავშვების გასაჩენად და სხვა ათასი საეჭვო სიკეთის საკეთებლად არიან მოვლენილნი და ამ სახის ხალხი ქმნის პარტიულ ტომებს, ირჩევს ქვეყნის ბელადებს. ასე იქმნება სახელმწიფო საეჭვო წარმატებებით და რეალური წარუმატებლობით.

10267. ყაჩაღი – სიცოცხლე ან ფული, ბანკი – ფული ან ყადაღა, მთავრობა – ციხე ან ფული, კარიერა – ფული და ფული.

10268. წინათ რის გამოფენაც სირცხვილად ითვლებოდა, დღეს ის ფულს აკეთებს, ამბიციებს იკმაყოფილებს და ეს წინა თაობის გარდა არავის უკვირს. გავა დრო და მომდევნო თაობების სირცხვილის კულტურას ახლებურად აღადგენენ. ამის გარანტი საუკუნეობით გამობრძმედილი ისტორიაა, რადგან ბუნება თავად იცავს მორალს და მის კანონზომიერებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანთა მოდგმა გადაშენდებოდა.

10269. როგორც ვიცით, ცხოვრებაში ყველაფერს ფასი აქვს, უწვალებლად ნაშოვნ ფულს მატერიალური სიკეთე მოაქვს და არა ბედნიერება, რადგან ჩვენ მხოლოდ მისი შესაძლებლობა ვიცით, ფულის შოვნის მარიფათზე კი წარმოდგენა არა გვაქვს.

10270. საეჭვო ნიჭის მიერ სპონსორობის თხოვნა, ფულის გამოძალვის და უსირცხვილო მათხოვრობის უმაღლესი პილოტაჟია, სინდისის ქენჯნის გარეშე.

10271. ძუნწი, ხელმჭირნე კაცი, რატომღაც ისეთ მემკვიდრეს ტოვებს, რომელსაც მიაჩნია, რომ მამაზე უკეთ მოიხმარს მის დატოვებულ ფულს და დაუფიქრებლად

ანიავებს მას. თითქოს ივსებს იმ დისკრიმინაციას, რაც მამის ხელში გაიარა, შედეგი კი სავალალოა: უტვინო შვილი ახალგაზრდობაში, ძუნწი მამის ხელში, ცუდად ცხოვრობს მამის გამო, ხოლო მოხუცებულობაში თავისი მფლანგველი ხასიათის გამო.

10272. სიამაყე და ცარიელი ჯიბე ერთმანეთს ვერ უგებს.

10273. ქრთამი საქმიანობის მამოძრავებელი ძალაა, ოღონდ გააჩნია, რაში იძლევიან, რა რანგის მოხელე იღებს და რა შეფარდებით.

10274. ფული უზრდელობის წინაპირობაა შემთხვევით გამდიდრებული კაცისთვის.

10275. ეკოლოგიურად სუფთა ფულის შოვნა და მისი მოპოვება ყოველთვის სასიამოვნოა, თუ მას სუფთა ოფლის სუნი დაჰკრავს, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ერთეულების ხვედრია.

10276. ომი უკულტურობის, სულიერი სიღარიბის, ურწმუნოების, უზრდელობის, ფულის მუქთად შოვნის კოქტეილია.

10277. ჩვენ ყველანი ფულზე ვზივართ, მაგრამ მორალი, გაუბედაობა, უინიციატივობა, ახლის აღქმის უუნარობა, საშუალებას არ გვაძლევს გონება გავანძრიოთ და ვიაზროვნოთ.

10278. მთავარი ის კი არ არის, რაზე ვსაუბრობთ, მთავარი ის არის, რომ საუბარში, ჩვენდა შეუმჩნევლად, ფული და მისი შოვნის გზების მონახვა იგულისხმება.

10279. ქრთამის შემოთავაზება კი არ არის უპატივცემულობა, არამედ იმაზე მინიშნება, რომ შენი ცხოვრება ისე ვერ მოაწყვე, სხვისი მატერიალური დახმარება, სპონსორობა რომ არ დაგჭირდებოდა.

10280. ცხოვრებაში ზოგიერთი ორ სკამზე ჯდომას ახერხებს და კმაყოფილების ნაცვლად მწუხრი ეუფლება, როდესაც ხვდება, რომ მეტ სკამზე შეეძლო ჯდომა და ფულის კეთება.

10281. ინვესტიცია არის გონიერების, ღირსების, ჯიბისა და ვიღაცისთვის თავის მოწონების ენერგია.

10282. ამორალური დღეს არაფერია, მთავარია ბლომად ფულს თუ შოულობ, ვინ არის შენი დამცველი და შენით დაინტერესებული.

10283. შედეგი უმთავრესია პროცესზე, მაგრამ ყველას პროცესი მოსწონს, რადგან ის არის ჩვენი სულის შემოსავლის წყარო.

10284. კრიზისი ინტელიგენციისთვის გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან ზოგიერთს მის გარეშე კარიერის, ფულის მოპოვება ვერ წარმოუდგენია.

10285. უხიაგ ქვეყანაში "მსუბუქი ყოფაქცევის" ქრთამის გაცემა აუცილებელია, თორემ ზევით მყოფნი ვერ გაიგებენ.

10286. ერთგულები იბადებიან, მაგრამ მის დროებით მოპოვებასაც ახერხებენ ფულის და თანამდებობის ხარჯზე.

10287. ხშირად იმ პროფესიებს ვაფასებთ, რომლებსაც მსხვერპლის გაცემაც შეუძლიათ და ფულისაც.

10288. ძუ იგივე ძუკნაა, რომელსაც ხანდახან წატირებაც შეუძლია, რომ მამრის ჯიბე ააცრემლოს.

10289. სილამაზე არა მარტო მსხვერპლს ითხოვს, არამედ მის ანაზღაურებასაც.

10290. სიმდიდრე წმინდა ძროხაა, ოღონდ მთავარია, ვინ აძოვებს, ვინ წველის და ვისი მფარველობის ხელშია.

10291. ოქრო ყადრის თვალსაზრისით იქ უფრო ძვირად ფასობს, სადაც მოიპოვებენ, რადგან იქ უკეთ იციან მისი ფასიც და ღირებულებაც.

10292. ცივილიზაცია ყველას არჩენს და არჩევს, მაგრამ ფულის მშოვნელ დებილებს ამრავლებს.

10293. ფული ჭკუას რეალიზაციაში ეხმარება, მოხერხებულობა – თანამდებობის მოპოვებაში, გონიერება მხოლოდ დარიგებას იძლევა, ამიტომაც არის ფულიან და თანამდებობის მქონე ხალხის კარებზე ჯოგად ბრბოს რიგი, რადგან თავი ყველას ჭკვიანი და მოხერხებული ჰგონია.

10294. ვაჭრობის ფრონტის მუშაკებს, რაც უნდა ენთუზიასტი და წესიერნი იყვნენ, პატივით მანამ არ მოიხსენიებენ, სანამ მათი მოგება მწარმოებლის მოგებაზე ნაკლები არ იქნება.

10295. ილუზიონისტსა და გამომგონებელს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თავის ნამუშევარს არავის უმხელს და ყოველ წარმოდგენაზე ერთსა და იმავეს თავიდან აჩვენებს და აოცებს მაყურებელს, ამასთან ფულსა და სახელს იხვეჭს. მეორე იძულებულია თავისი ნახლაფორთალი ყველას გააცნოს, კოლეგები გააოცოს, ფული და სახელი ერთხელ მოიპოვოს, ხოლო მოგებიდან ლომის წილით სხვებმა ისარგებლონ.

10296. ძველი ეგვიპტელები პირამიდებს აგებდნენ, რათა ფარაონებს თავისი ახლობლების უკვდავებისთვის ხაზი გაესვათ და საიდუმლოებები შეენახათ. დღევანდელი თანამედროვე სახელმწიფოს ფინანსური პირამიდის მშენებლებს არც უკვდავება აინტერესებთ, არც საიდუმლოს შენახვა და არც ისჯებიან, რადგან არავისი ეშინიათ.

10297. ზოგისთვის მთავარია არა ღირსება, არამედ ფული, რომელსაც უხდიან.

10298. რა არის პატივისცემა და რა არის გარყვნა: როდესაც ტაქსის მრიცხველი 2 ლარს დაწერს და 3-ს გადაუხდით, პატივისცემაა, ხოლო 2-ის მაგივრად 5 ლარის გადახდა – გარყვნა. სამწუხაროდ, ამას ბევრი დროებით გამდიდრებული ვერ ხვდება.

10299. უმდიდრესი კაცის დაჭერას დაავადებული თაობის მიერ შექმნილი და მემკვიდრეობით ნარგუნები სისტემა არ დაუშვებს, რადგან ფულს თავისებური სისუსტე და საამო ჟღერადობა აქვს.

10300. როდესაც იკარგება რწმენა, მაშინ იწყება ყველაფრით ვაჭრობა. მთავარი ის კი არ არის, რა ფასად გაყიდო, მთავარია სხვის ჯინაზე შენც ივაჭრო.

10301. ერისკაცობა და ფულის შოვნის უნარი დღეს კომპრომისზე მიდის და ერთმანეთთან ალიანსშია, ეს კი ქვეყნისთვის სარგებლობის მოტანის გარანტიაა.

10302. მომავალ იურისტებს არ აწყენდათ გარკვეული დროით საწარმოო პრაქტიკა თავის მომავალ კლიენტებთან "ვირის აბანოში" გაეტარებინათ და ცხოვრების

უნივერსიტეტის მეორე დიპლომი მიეღოთ, რათა მიხვდნენ, რომ ფულისკენ ლტოლვა ყოველთვის სიკეთის მომტანი არ არის.

10303. რეკლამასაც თავისი გონიერების, იუმორის პეწი უნდა დავაყოლოთ „– თუ რამე არ გვაქვს სუპერმარკეტში, იმის ბრალია, რომ ჩვენ, თქვენი ფულის უყაირათოდ ხარჯვას ვუფრთხილდებით".

10304. ბოლომდე ერთგულად დარჩენის ძალა ყველას არ შესწევს, როდესაც ხელის წაპოტინებით, ღალატის გზით კარიერის და ფულის შოვნის შანსი გამოჩნდება.

10305. ძვირფასი ნივთის შეძენა სულს სიამოვნებს, ჯიბეს კი ანერვიულებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ ნივთის გაცილებით იაფად შეძენა შეიძლებოდა, ფეხი ზედმეტად რომ გადაგედგათ.

10306. გონების ასარევად, მუცლის ამოსაყორად, გასართობად, რაღაც საშუალებებით ფულს ყოველთვის ვნახულობთ, ხოლო მოწესრიგებული ცხოვრებისთვის არც სახსარი გვყოფნის და არც დრო.

10307. მაღაზიის ერთადერთი მეპატრონე და დამფინანსებელიც მყიდველია, სანამ რაიმეს შეიძენს.

10308. აუტანლად წესიერი და ჭკვიანი პიროვნება აღფრთოვანებას იწვევს, მაგრამ მისგან შორს დგანან. დამეგობრებაზე და ერთობლივ საქმიანობაზე ხომ ლაპარაკი არ ღირს, რადგან ორივე მხარეს დასაახლოვებლად ხელს, ფულის უქონლობა და ნდობა უშლის.

10309. ფული ეტყობა განსაკუთრებული საქონელია, რომელიც არც იჭმება, არც ისმება, მაგრამ მამაზეციერივით ყოვლისშემძლეა.

10310. კრედიტორმა გადაწყვიტა ვალის ნახევარი თავისი მოვალისთვის ეჩუქებინა, მოვალემ დაპირების მიუხედავად, ვალი არ დაუბრუნა, კრედიტორმა კიდევ გაუნახევრა ვალი, მოვალემ შეპირებული კვლავ არ დააბრუნა, გაბრაზებულმა კრედიტორმა ლანძღვა დაუწყო, მოვალემ თავი იმართლა, რას მეჩხუბები, ცოტა დრო კიდევ მომეცი, ხომ ხედავ ვალს ნელ-ნელა ვფარავო. იუმორსაც თავისი საზღვარი აქვს, მიუხედავად მისდამი ორიგინალური მიდგომისა.

10311. ცოლად ის გამოდგება, ვინც 100 ლარიდან ხურდას დაგიბრუნებს და არა ის, ვინც თავს დამოუკიდებლად გრძნობს და თავზე დიდი წარმოდგენისაა. მისი შენდამი ერთგულება კი მატერიალურ უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული.

10312. იცოცხლე, სახელმწიფოს ჯიბეში ხელის ფათური, ადვილია, ლიცენზიის მოპოვება – ძნელი, რადგან ზედა წრეებში ეს ბატონობა ითვლება ყველაზე სარფიან საქმედ და სიქველედ, თუ არ წაგასწრეს.

10313. წუხილს და სიხარულს ადამიანი ჩვეულებრივი მოკვდავივით აღიქვამს, ვიდრე საქმე დიდ ფულს არ შეეხება.

10314. აზარტული თამაშობები კარგია, ისინი კონფლიქტის განმუხტვას ან მისგან გამოსვლის საშუალებას იძლევიან თუ ადამიანს აქვს შესაძლებლობა თავისი სიამოვნებისათვის ფული გაიღოს.

10315. ზოგი ამქვეყნად ფულის შოვნისთვის არის დაბადებული და არა ხარჯვისთვის და ამას მისთვის დიდი სიამოვნება მოაქვს.

10316. ფულის გულისთვის ემმაკიც ცეკვავს, ანგელოზიც და სისპეტაკის მქადაგებელი ჩვენი სულიც.
10317. ხშირად, რაც ფულს იძლევა, ის ხდება ჩვენს პროფესიად, მიუხედავად იმისა, მოგწონთ ის თუ სისულელედ გვეჩვენება.
10318. ვისაც კარგი ცხოვრება უყვარს, ის არც თაობების გამრავლებაზე ფიქრობს და არც ქალზე ზრუნავს, მისი მიზანია ფულის შოვნა, რათა ყოველივე იყიდოს.
10319. ლოთობა დაუფიქრებელი ვარჯიშია და ყალბი ფულის მოჭრით მიღებული სიამოვნებაა, რომელსაც ბოლო არ უჩანს.
10320. ახლობლის თხოვნა რომ დააკმაყოფილო, მას გარკვეული თანხა საქმის წამოსაწყებად უნდა გამოუყო, შედეგად მას საფიქრელი უჩნდება და ხელმომჭირნე ხდება, ხოლო შენთვის ის ხეირია, რომ დროებით მოგასვენებენ და ჭკუას მაინც არ გასწავლიან.
10321. ოქრო ადამიანის გარჯის ყველაზე დიდი აუდიტი – შემომწმებელია.
10322. კაცობა ფულის ყადრის და მისი კრედიტის სინდისიერად მომსახურების ცოდნაა, წინააღმდეგ შემთვხევაში, ყოველნაირი თავისმართლება ფიქციაა და „გადაგდება" ჰქვია.
10323. ყველა ჩვენგანი სამშობლოს, ქვეყანას, ხალხს უნდა ვემსახუროთ, მაგრამ მხარს იმას ვუჭერთ და სამსახურს იმას ვუწევთ, ვინც გვაფინანსებს.
10324. ტექნიკური პროგრესი საბოლოოდ ფუფუნებისკენ მისწრაფება და ფულია.
10325. ფულის შოვნისკენ სწრაფვა ტრადიციების და უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის დევალვაციას იწვევს, რადგან ფულმა ფული უნდა იშოვნოს, ხოლო ტრადიციას უკეთესი ტრადიციის შეძენა არ შეუძლია, თუ ის სულიერად, მატერიალურად და ცხოვრების სასიკეთო მაგალითებით არ აღივსო.
10326. სულის და ოცნების გარდა ყველაფრის ყიდვა შეიძლება, თუ კი ბლომად ფული გაქვს.
10327. ფული ხშირად სიყვარულის საიდუმლოებაც არის და კონიუნქტურაც, რომლის გამხელა თავის წინაშეც გვიჭირს.
10328. ურთიერთობა: საქონელი – ფული, ფული – საქონელზეა აგებული, ხოლო სიყვარული: ნისია – საქონელი, ნისია – ფული.
10329. ტალანტი და ნიჭი დღესაც ბევრია, მაგრამ მათზე მოთხოვნამ იკლო, რადგან ფულის გაფეტიშების ხარჯზე სულიერმა კულტურამ დაქვეითება იწყო.
10330. თანდაყოლილ კულტურას, ზრდილობისაგან განსხვავებით, ფულით შეთბობა და ზრუნვა სჭირდება, რადგან ის შეძენილია.
10331. ფულს ბედნიერება არ მოაქვს, მაგრამ ყველა წყენის მალამოდ გვევლინება.
10332. ქალმა რომ მამაკაცი აღიაროს, უპირველესი პირობა ფულია, შემდეგ ამ ფულს ამოფარებული თავად იწყებს ამ მამრის რაობის და ღირსების წარმოჩენას.
10333. ვარსკვლავების სიყვარული თაყვანისმცემლების მიმართ მატერიალურია და ფულსაა ამოფარებული, რადგან პოპულარობის გახანგრძლივებას სახსარი, რეკლამა, ჯილდო სჭირდება.

10334. ფული და ძალაუფლება დროებითია, ის მეძავი ქალივით ხან ერთს ჩაუგორდება საწოლში, ხან მეორეს და ყველასგან პატიოსნების და წესრიგის კერპების შეწირვას მოითხოვს.

10335. ყველა ომში მეტ-ნაკლებად გამარჯვების მოპოვება შეიძლება, გარდა ბაზრისთვის ომისა, სადაც საბოლოოდ ყველა დამარცხებულია, რადგან აქ საბოლოოდ ფული ბატონობს.

10336. ფული და სისხლი ძალაუფლების ხელსაწყოა და ჟანგბადია იმ სისტემის, რომლის უგვანო მთავრობას მისთვის განკუთვნილი ჰაერი არ ჰყოფნის.

10337. ფულის შოვნა ძალზე სექსუალურია და ის სენტიმენტებით და სანტიმეტრებით არ იზომება, ის მოიპოვება სულის გასალღებლად, ხორცის გასახელებლად, გრძნობის კილომეტრების დასაპყრობად, თუ ამდენის მოწადინებულს ჯანმრთელობამ არ უმუხთლა.

10338. ბიზნესში, პირველ რიგში, შენს მიმართ კეთილი განწყობა გაკეთებინებს ფულს, შემდეგ მოდის ნიჭი და შენი საჭიროება.

10339. კაცუნების დანაშაული მამრების წინაშე ის არის, რომ ქალს ფულისთვის გახდა ასწავლა და არა ვნების დაკმაყოფილება.

10340. ფულს სირცხვილი, კანონი, სამშობლო, ფეხებზე ჰკიდია, თუ ის არ იზრდება, არ სუქდება და თავის წილ მოგებას არ ნახულობს, ხოლო ირგვლივმყოფნი და ათი მცნება მაშინ ახსენდება თუ საშიშროებას განიცდის.

10341. ფულს მორალი არ სჭირდება, მაგრამ მორალს სჭირდება ფული, რათა მან ცხოვრებაზე თავისი შეხედულება შეინარჩუნონს, გადაგვარება არ დაიწყოს, დასაცინი და წამოსაძახებელი არ გახდება.

10342. ფული მოდის და მიდის, მაგარმ თავისადმი პატივისცემა მაინც უნართან ერთად რჩება, ხოლო დამსახურება – პიროვნებასთან ერთად.

10343. გონებით ნაშოვნი ფული ისევე იშვიათი და დასაფასებელია, როგორც მეცნიერების აღმოჩენები.

10344. წესიერ ბიზნესში ხელაღებით ფული არ იშოვნება, რადგან ის ბავშვივით ჯერ უნდა დაიბადოს, მერე მისი აღზრდა დაფასებით და რეალიზაციით უნდა ვისწავლოთ და თუ გაგვიმართლა და 10- წელიწადში მილიონერი გავხდით, ეს იქნება თქვენი გონიერების, შრომის, ბედის და წესიერების დემონსტრაცია.

10345. ანგარებას ალტრუიზმი (უმწიკვლობა) არ უყვარს, რადგან ის ფულის შოვნის ხელოვნებას მაზანდას უკარგავს.

10346. ფულისადმი სიყვარული კანონით აკრძალული არ არის, მაგრამ თუ გსურთ სულის აპლოდისმენტები დაიმსახუროთ, ის საზოგადოების აზრის და ტრადიციების შესაბამისად უნდა მოიხმაროთ.

10347. უგვირგვინო მეფობის გვირგვინი ღირსებაა, გვირგვინოსანისა – ძალაუფლება, ხოლო ფული ორივეს ყიდვა-მოსყიდვას ცდილობს და ხშირად მიზანსაც აღწევს.

10348. თუ ერთი მეორის შესაძლებლობებზე ამაღლდა და ფული იშოვნა, რატომღაც მეორე თანახმაა პირველს დაემორჩილოს და პატივით მოეპყრას, რადგან ამ მორჩილებაში გამორჩენისკენ სწრაფვა და დროის შერჩევაა ჩადებული.

10349. ხანდახან ცხოვრება ემსგავსება უსასრულო ბრძოლას ფულის ნიშნებისათვის და სიცოცხლე ისე ჩაგვიქროლებს, რომ ჩვენი ამქვეყნად მოსვლა აზრს კარგავს.

10350. ერთმანეთი უნდა ვაკონტროლოთ და ვენდოთ, ისე რომ ურთიერთს ხელი არ შევუშალოთ, რადგან წყენა „გადაგდების" ტოლფასი ვერასოდეს ვერ იქნება.

10351. ფულიც შეიძლება სიყვარულის საწყისი იყოს, მაგრამ მოხერხებულობასთან ვერ მოვა.

10352. სახელზე უკეთესი კაპიტალი, ისევ წესიერი გზით და თავის მოტვინვით ნაშოვი ფული შეიძლება იყოს.

10353. პატიოსნება ის კი არ არის ვისაც წაგლეჯვისკენ თვალი უჭირავს, მაგრამ ვერაფერს ხდება, არამედ ის, ვინც იცის „ხელის ჭუჭყის" ფასი და კუთვნილზედ მეტის მითვისებას არ ცდილობს.

10354. ჩემთვის საქმიანობის ის პირობებია საინტერესო, როდესაც სიახლის შეგრძნება, ცხოვრების ცოდნა და პროფესინალიზმი მოულოდნელად დადებით დაბოლოებას პოულობს და კანონიერებასთან წინასწარ გაანგარიშებული მოგება გამოიკვეთება, რაც შეეხება რეალურ შემოსავალს ადრე თუ გვიან ის მაინც მოვა.

10355. გონიერების დევალვირება მაშინ იწყება, როდესაც დაფუძნებულ ავტორიტარულ ხანას ბაკქანალია ცვლის, კულტურული რევოლუციით და ფულის გაღმერთებით.

10356. ფული და თანამდებობა ყველა საქმის თანაავტორია, რადგან გონიერების მისწრაფებას, უგვანო კუჭის ამოყორვა და ხელის წამორტყმა ჭირდება წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივე ადგილზედ ჩერდება, კნინდება, დამყაყდება.

10357. როდესაც ფული უფასურდება და თავის დანიშნულებას ვეღარ ასრულებს, საზოგადოებაში მაშინვე იწყება განვითარების ბერკეტების მოშლა ერთეულთა გამდიდრების ხარჯზე.

10358. დიდი ფულის შოვნისთვის ახალი გზების ძებნამ ნერვული სტრესი გამოიწვია და წყვილთა ურთიერთობაში ახალი კულტურა წარმოაჩინა. მათ შორის შუამავლად ნაღდი ანგარიშსწორება ჩადგა და ჯანმრთელი თაობის კვლავწარმოებას გადაშენება დაემუქრებოდა, რომ არა ჯანმრთელი საშუალო ქონების მამაკაცები, რომლებიც ფულის კეთებას გადაყოლილი ჭიაგამოხრული ხალხისგან განსხვავებით, თავის გემოზე ცხოვრობენ და მომავალი თაობების ნამატით და აღზრდით ხარობენ.

10359. "ბლატით" კომერციაში ფულის გახერხება წინდაუხედაობაა, ხოლო რეკომენდაციით გაცემა – სისულელე. კომერციის წესიერების გასაღები გარანტიაა და დასაბუთებული წინადადება.

10360. ინვესტიცია შეიძლება შენი ხასიათი, პატიოსნება, შრომა, ღირსება, გონიერება იყოს, რომლის სარფიანად საქმეში ჩადება დრომ უნდა მოიტანოს, რადგან ის ყველა კრედიტზე მაღლა დგას.

10361. ბედნიერი ის კი არ არის, ვინც მდიდრულად თავის ქეიფზე ცხოვრობს, არამედ ის, ვისაც აზრიანი ცხოვრებისთვის სახსარი ყოფნის.

10362. ქვეყანაში, სადაც „დეფიციტი" ისპობა, მაშინვე თავს წამოყოფს ფულის უკმარობა და ინფლაცია.

10363. არის ხალხის კატეგორია, რომელსაც ვერაფერს გააგებინებ, ამიტომ ჯობს მისცე მცირე თანხა და მოიშორო, ვიდრე ასწავლო ცხოვრება, ფულის ხმარება და აუხსნა, თუ რატომ არ უნდა მისცე ფული.

10364. ხალხი სულიერად უნდა იყოს მდიდარი, ცხოვრობდეს თავისუფლად და მისი ბედნიერება ფულზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, მაგრამ ეტყობა, ჩვენ არ ვიცით მისი შოვნის და ხარჯვის ყადრი, რადგან საკუთარი სიამოვნებისათვის ცხოვრება უფულობას ვერ ეგუება.

10365. არის ხალხის კატეგორია, რომელსაც მისივე ფულსაც კი ვერ ანდობ, ხოლო სესხებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

10366. სახელმწიფოს შესაქმნელად ხალხს საკუთარი კულტურის რესურსი უნდა გააჩნდეს, რომელშიც წესრიგი და ფულის კეთების უნარიც შედის.

10367. ადრე ფეხბურთს თამაშობდნენ სიამოვნებისთვის, პატრიოტიზმისთვის, ახლა ფულისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, ხოლო გულშემატკივრები ისევ ძველებურად ქომაგობენ მიუხედავად მათი რაობის შეცვლისა.

10368. ადამიანს რჩევა კი არ უნდა მივცეთ როგორ იშოვოს ფული, უბრალოდ ის შეგირდად უნდა ავიყვანოთ და ვასწავლოთ მისი შოვნა. ბოლოს ისიც ხეირია, განათლებულმა, ფულნაშოვნმა, ჩვენზე აუგი თუ არ თქვა.

10369. ფული და ტალანტი ერთად ვერ ძოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამქვეყნად ყველაფერი აირეოდა, რადგან ცხოვრების საფეხურების დაპყრობა აზრს დაკარგავდა.

10370. ლარისკენ მიმავალი გზა მისი ათვისების პირველი ნაბიჯის გადადგმასთან ერთად იწყება პერსპექტივებთან ერთად.

10371. ყოველთვის დიდი ოდენობის ფულის კუპიურებზე ფიქრი მაწყენარია, თუ ის არ გაზავდა სიყვარულით, დროსტარებით, სპონსორობით და სიკეთის კეთებით. რადგან მათ გარეშე ცხოვრება გაგეპარება და სიამეს ვერ შეიგრძნობ.

10372. ოთხმოც წელს მიღწეული ბუღალტერი ქალი კატეგორიულად აცხადებს: ფულის გარდა რაც გინდათ მთხოვეთო. კაცი ჩაფიქრდება და ეუბნება: - სხვა რამის თხოვნა, მართალი გითხრათ, ძალიან გამიჭირდება და საეჭვოა თქვენც დამთანხმდეთო.

10373. წესიერ საზოგადოებას ფული არ უნდა მართავდეს, მაგრამ ამდენი წესიერის მონახვა ერთ საზოგადოებაში ნამდვილად შეუძლებელია.

ფიქრები

10374. ზოგს საკუთარ თავზე დიდი წარმოდეგნა და საეჭვო საკაიფო ჭკუა აქვს და ძალზე უკვირს, რომ სხვები ამით არ აღფრთოვანდებიან.

10375. პედანტი საქმის კარგად შემსრულებელია და არა – საქმის გამკეთებელი.

10376. ცხოვრება ისე დატვირთული უნდა გქონდეს, რომ დაგავიწყდეს სისულელის ჩადენაც რომ შეგიძლია.

10377. რას დაემსგავსებოდა ჩვენი ცხოვრება, ყველას რომ შესაფერისი მეწყვილე აერჩია, ან ისე დაწყვილებულიყო, როგორც ამას საზოგადოების აზრი მიიჩნევდა.

10378. იყო ძლიერი და მომხვეჭი არწივი, ან ყველასთვის მომხიბვლელი და სანატრელი მერცხალი, ჭკუის დიდ ჭყლეტას და საზოგადოებრივი აზრის შეჯერებას მოითხოვს.

10379. ბელადებს, სარდლებს, ბევრი რამ ეპატიებათ, ხოლო შემსრულებელ ჯარისკაცებს – არაფერი, საინტერესოა, აქ ჩინია დამნაშავე, თუ ადამიანის უგუნური ცდა მორჩილებისა.

10380. არ არის აუცილებელი იყოთ ლამაზი, ელეგანტური და მიმზიდველი. მთავარია როგორი მომხიბვლელობით წარადგენთ თქვენს თავს ირგვლივ მყოფებთან.

10381. ყბედობის მიზეზია წესრიგში მოუყვანელი აზრების უპასუხისმგებლო ფრქვევა, რომელსაც დროს დაკარგვა და უსაქმურობა მოაქვს.

10382. მორალისტი თავისი ეპოქის ფოტოგრაფი უნდა იყოს და არა – მხატვარი, რომელსაც მავანთა სასიამოვნოდ, რაღაც-რაღაცეების ჩასწორება და შელამაზება შეუძლია.

10383. ნიჭიერი პიანისტის ხელოვნება ორკესტრში კარგი დირიჟორის გარეშეც გამოჩნდებოდა, მაგრამ სათანადოდ ვერ იბრწყინებდა, ასევეა გონიერი კაცის ბედი უნიათო მმართველის ხელში.

10384. ხელგაშლილობა და სიძუნწე ორივე დასაგმობია, მაგრამ ახლობლებში პირველი უფრო პატივშია, თუმცა ხელგაშლილობა რომ მთავრდება, ჭკუის სწავლებას მაშინ გიწყებენ თანამეინახენი.

10385. წესიერება და გამოუცდელობა, გამოცდილება და უწესობა სინონიმებია, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო ფასობს. წესიერებს ხშირად თავის მართლება უხდებათ, გამოცდილება სულ მართალია. გამოუცდელი პოლიციელი მამლაყინწების ჩხუბის აღვეთას დაწყებისთანავე შეეცდება, უწესო პოლიციელი ბოლომდე აჩხუბებს და გასავათებულებს სადაც ჯერ არს, იქ წარადგენს. შედეგად: წესიერებას მტკიცება სჭირდება, აზრზე მოსული ხულიგნების ჩხუბის მცდელობა რომ დაამტკიცოს, გამოცდილება კოლექტიურ წახალისებას ღებულობს ქრთამის სახით და მოჩხუბრებიც და კოლეგებიც მადლიერნი რჩებიან.

10386. ფაქტი და ჭეშმარიტება სხვადასხვა რამაა და მათ ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. მაგრამ ორივეს გამოყენება შეიძლება შენს სასარგებლოდ.
10387. წესიერები იბადებიან, ხოლო პატიოსნებად ხდებიან ან აიძულებენ.
10388. ძალადობა არის ტკივილის მძიმე შეგრძნება, ხოლო ნაძალადევი სიკვდილი – ქვეყნის მფლანგველობა.
10389. არ არსებობს ჭკვიანური აზრი, სისტემა, წყობა, რომლის დანგრევა ურა-პატრიოტებმა და ქვეყნისთვის გამოუსადეგარმა ვიგინდარებმა არ შეძლონ, თუ ამ ვირუსის გასავრცელებელი კლიმატი შეიქმნა. ამ ეპიდემიის მორჩენას მთელი თაობები ეწირება.
10390. თვალს ეშინია, თავი თუხთუხებს, ხელები აკეთებენ – ასე გვასწავლის და დაგვცინის ბუნება.
10391. რადგან ბუნების განაწყენება ძალზე ძვირი გვიჯდება, ამიტომ როგორც და-გვანათლეს, გვიანდერძეს და გვასწავლეს, ისე ცხოვრება ყოველთვის არ გამო-გვადგება.
10392. სტატისტიკა ყველაფერში ერკვევა, ყველაფერი იცის, გარდა ჭეშმარიტებისა.
10393. ოჯახი მოწმდება წლებით, სახელმწიფოს სიძლიერე – საუკუნეებით, რომ-ლებსაც ჭაპნის გასაწევად განკუთვნილი მათემატიკური დროც არ ჰყოფნით.
10394. სიტყვა "მადლობა" კარგი გამოსათქმელია და გაუთვალისწინებელი ხარ-ჯების წინაშე არ გაყენებს, მაგრამ მადლიერების გრძნობა, სიკეთის დაფასება, ერთეულთა ხვედრია.
10395. რწმენა გონების დასაპროგრამებელი კომპიუტერია და ყველა სიკეთის საფუძველი. თუ უხიაგი იწამებს ამაღლებულს, იგი მართლაც განწმენდილ, კარგ პიროვნებად მოგვევლინება.
10396. წიწაკას და ნიორს გაცილებით მეტი შაქარი აქვს, ვიდრე სხვა ბოსტნეულს, ასევე შეიძლება არსებობდეს სიკეთის მთესავი კაცი, რომელიც კეთილშობილების განსახიერებაა, მაგრამ მუქთად არავის არაფერს აძლევს, რადგან სისულელეებისგან შორს დგას.
10397. პატივს ვცემთ ყოველივე სრულყოფილს, მაგრამ აღვფრთოვანდებით ჩვენი შეძენილით, თუ ის უახლოვდება სრულყოფილებას.
10398. პატიოსნებას და სიმართლის თქმას თავისი საზღვარი აქვს და ამ საზღვრის გადალახვა ხანდახან უმადურობას და სისულელეს უტოლდება.
10399. სულისთვის თუ ღირსეული სხეულის საყდარი არ გერგო, მაშინ მისი რეკონსტრუქციისთვის უნდა მოიცალოთ, რადგან ერთის სიწმინდე მეორის სილამაზესა და ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული.
10400. ოპტიმისტს დღევანდელობა აიძულებს იყოს პესიმისტი მომდევნო რევულუციამდე.
10401. სულიერი ღირებულების გარეშე რამის კეთებას და გადაადგილებას შეიძლე-ბა ფასეულობა კი გააჩნდეს, მაგრამ არაფერი ღირსშესანიშნავი არ იქმნება.
10402. კრიზისის დროს მთავარი ბრბოს კონსოლიდაცია და ერთ მუშტად შეკვრაა, ვინც ამას მოახერხებს, ის არის დაბადებული ქვეყნის მმართველად მაგრამ ქვეყნის აყვავების დროთა განმავლობაში სხვა ნიჭის გამოვლენებიც ჭირდება.

10403. სიმართლე და სამართლიანობა კარგია, მაგრამ მატერიალურად გამაგრებული ბედნიერება უკეთესია, თუ ღირსების ზოგიერთ დოგმებს შეელევით.
10404. რატომღაც ყველა კარგი აზრის და საქმის ძირი საწოლში ფიქრია, ხოლო ტრიბუნა იმის წარმოსაჩენი, თუ რა სიძნელეები გადალახეთ ამ ღირსეული საქმის მოსაკვარახჭინებლად.
10405. ძვირფასია შინაგანი სილამაზე და არა – მისი ბრწყინვალება და საბაზრო ღირებულება.
10406. უმიზეზოდ არც ზრდილობა უნდა დუმდეს და არც სიყვარული, თორემ მაშინ გამოჰყოფს ფეხს უზრდელობა და სიძულვილი.
10407. სამწუხაროდ ტვინია, რომელსაც უხალისოდ ყიდულობენ და იშვიათად თუ ვინმეს სჭირდება, რადგან ყველას თავისი ჭკუით უნდა ძრომიალი.
10408. საოცარია, მაგრამ ხანდახან სისულელეც შობს ისეთ უჩვეულო სიბრძნეს, რომელსაც გონებისთვის ჭკუის საჭყლეტი მოაქვს, ხოლო კაცობრიობისთვის – სარგებელი.
10409. ძლიერმა სუსტს რომ უნდა შეუნდოს კლასიკური თეორიაა, მაგრამ პრაქტიკულად გასარკვევია, ვინ თამაშობს სუსტის და ვინ ძლიერის როლს.
10410. არ არსებობს სიავე, რომელსაც უფრო დიდი სიავე არ გამოუჩნდება, მაგრამ ვინც ერთხელ იწვნევს ცხოვრებაში ამ სილას, იმისათვის ყველაფერი სულერთი ხდება.
10411. ვინც შემოსავლისთვის იღვწვის, მას არ შეიძლება შინაგანად რაიმე წმინდა გააჩნდეს, რადგან მოგება და ღირსება სხვადასხვა წონით კატეგორიაში ჭიდაობენ.
10412. ძლიერია არა ის, ვინც იმიჯის ამაღლების მიზნით თავს ბევრის უფლებას აძლევს, არამედ ის, ვისაც თავის შეკავება შეუძლია, რადგან მას ადრე თუ გვიან დამსახურებულად შეამჩნევენ და არა ნაძალადევად.
10413. რადგან ყველას ჩვენი საქმე გვგონია მთავარი და საჭოჭმანო, ამიტომ გასანეიტრალებლად სჯობს სხვის საქმიანობასაც თვალი შევავლოთ, მაშინ ჩვენი „პრობლემებიც" სხვანაირად მოგვეჩვენება.
10414. აღზრდა გვაიძულებს, გონიერება ასწორებს, მაგრამ ძირითადად რასაც ჩაგვჩიჩინებენ, მაინც იმის მიხედვით ვიქცევით.
10415. ღირსება ტიტულებით არ იზომება, მაგრამ სახსარის უკმარისობა მას ლახავს.
10416. ხშირად სიმართლის თქმა უმწეობის გამომხატველია, მითუმეტეს, რომ ის არავის აინტერესებს.
10417. სიკვდილი ლოგიკურია და სამართლიანიცაა ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო.
10418. სულელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მარტო არ დარჩნენ, ხოლო ავანტურისტები – კონკურენტი რომ არ ჰყავდეთ.
10419. ზოგჯერ ნდობა გვაზარალებს, მაგრამ ყველას მიმართ ნდობის დაკარგვა უფრო დაგვაზარალებდა, არა მარტო მატერიალურად, არამედ სულიერადაც, რადგან რაღაცის მოპოვება, ქონება, აზრს დაკარგავდა.

10420. ღირსება ის საოცარი ფენომენია, რომელიც სამშობლოზე, სიყვარულზე, სარწმუნოებაზე, შვილზე და შვილიშვილზეც კი მაღლა უნდა იდგეს, რადგან მის გარეშე ყოველივე არარაობაა და უფერული.

10421. მოშურნენი, საეჭვო კეთილისმდომნი, მსაჯულნი, ახლობლები და კოლეგები არიან, ხოლო შენი უტყუარი და ყველაზე ერთგული მეგობარი გაკეთებული საქმეა.

10422. შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის შენი კარიერის მყიდველი, ბედი – ვისთან მოგიხერხდება შეხვედრა, ხოლო გონიერება – არჩევანი ვისზე გააკეთე.

10423. ყველა სიმართლეს და სამართლიანობას ითხოვს, მაშინ როდესაც ის ყველას მრავალფეროვანი გვეჩვენება, მაგრამ სამწუხაროდ, ერთია.

10424. ყველაზე მალე ბერდება: მადლიერება, სიკეთე, რომანტიზმი. უბერებელია: სიყვარული, ჩვევები, მომხვეჭელობა.

10425. ყველა საუკუნეს ჩვენთვის გაუგებარი ხუშტურები ახლავს და ყველა აწმყოს ჩვენთვის გასაგები სინანული.

10426. სიმდიდრეს ეროვნება არ უნდა ჰქონდეს, მას მხოლოდ მოვალეობა უნდა ეკისროს.

10427. ილუზიებით კვება შესაძლებელია, მაგრამ არა გადაძღომა – მასხრად აგიგდებენ.

10428. მიწას თავისი ყივილი ახასიათებს და მას ის უნდა უვლიდეს, ვისაც ამ ბგერების შეცნობა და ამღერება შეუძლია.

10429. პროტესტია ის ძალა, რომელიც ახლის თქმის საშუალებას იძლევა თავისი დეგრადირებით და აღმავლობით.

10430. არის ფასეულობები: წუთიერი – ქალი, გარდამავალი – კარიერა, მუდმივი – ღირსებაა და პენსიაში გასული გონიერება.

10431. ზოგს შეუძლია ჰქონდეს პრობლემა და იმასაც შეუქმნას, ვისაც ეს არ აწუხებს, აქაც თავისებური ნიჭია.

10432. პასუხისმგებლობა შეიძლება სულელებისთვის არის მოგონილი, მაგრამ ის მაინც ჭკვიანი ხალხის გამოგონილია და გადასატანია.

10433. მზე, მთვარე, ცა არის ჩვენი ოცნების რეალური მონაწილე, მოწმე, ხოლო ზღვა, მთა, ბარი – ჩვენი შეხების წერტილების რეალური დადასტურება.

10434. ყველას ყველაფერი ჩვენებურად გვესმის, ჩვენებურად გვინდა, ყველაფერში საკუთარი აზრი გაგვაჩნია, მაგრამ იძულებულნი ვართ საზოგადოების აზრს შევუთანხმდეთ.

10435. ფიქრი შეიძლება მრავალფეროვნად და სხვისი თავითაც, მაგრამ გააჩნია, ამას შენთვის რა სარგებელი მოაქვს.

10436. ავანტურისტი შეიძლება ზოგჯერ ტრიუმფატორიც იყოს, მაგრამ ცხოვრება მათ გარეშე სჯობს, რადგან ძირი აქვს წამპალი და მასზე ზედნაშენი მალე დაინგრევა.

10437. მარადისობასაც გააჩნია გაუჩინარების თვისება, თუ მისით არ ამაყობენ და არ უვლიან.

10438. პროფესიონალიზმს, ყველა სიკეთის მიუხედავად, ის ნაკლი აქვს, რომ აკეთებს იმას, რაც ასწავლეს და არა იმას, რის გაკეთებაც შეუძლია.
10439. პატიოსნება, წესიერება, ყველა დროსა და მთავრობის ხელში დაჩაგრულია, მაგრამ აღიარებას არავინ ამადლის და ყველა მთავრობა მისკენ მოგვიწოდებს.
10440. სინდისს მაშინ აქვს ძალა და დაფასება, თუ ის თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს და ირგვლივმყოფთ აციებს და ათბობს.
10441. ჭეშმარიტება არასოდეს იმ დოზით არ შეაფასებს სამართლიანობას, როგორც ამ უკანასკნელს შეეფერება.
10442. ყველა ეპოქას ახალი იდეები აწუხებს, რომლებიც ფაქტობრივად ძველზე არის დამყნობილი და აყვავებული.
10443. ბედნიერება მიზნის მიღწევაა, სიხარული – იმედის გამართლება, კაიფი – ორივე ერთად, მაგარამ ყოველივე დროებითი და წარმავალია.
10444. სილამაზე უნდა ეცადოს სხვას გაუგოს, რადგან ის თავად უკვე აღიარებულია.
10445. კერძო საკუთრება დიდი ძალაა, მიუხედავად იმისა, სახელმწიფო წილში გიზის თუ არა.
10446. ყველა ჩვენგანს აქვს ფასი და ღირებულება, ამიტომ გონიერი კაცი თავისი ღირებულებით სულს დაიმშვიდებს, მაგრამ ფასით იცხოვრებს, რათა ცხოვრება სხვასაც და თავსაც არ გაურთულოს.
10447. სიბერეს თავის მომხიბვლელობა და სილამაზე ახლავს, თუკი ლამაზად დაბერებას ახერხებ.
10448. მთელი ჩვენი ცხოვრება აუხდენელ ოცნებებთან ბრძოლა და ახდენილის დავიწყებაა.
10449. ოკეანე კაცობრიობისთვის იგივე გადმოტრიალებული კოსმოსია, სხეულზე სხვა დატვირთვით და სულის თავისებური განტვირთვით.
10450. ხასიათი ყველაფერს თუ არა, ბევრ რაღაცას წყვეტს, აღწევს და აკეთებს.
10451. სულმა არ იცის ოფლი, მაგრამ მცდელობისთვის სინდისთან ახლო დგას.
10452. სანამ ბავშვი ხარ, ცდილობ დიდებს ხალისი და სიხარული ასწავლო, ფიქრობ, რომ შენ დიდი პიროვნება გაიზრდები და ყველა პატივს მოგაგებს გადის დრო და აღმოაჩენ, რომ ჩვეულებრივი თავხედი, მომთხოვნი ორფეხა ნაძირალა ხარ და კვლავწარმოებისთვის შეიძლება არც გამოდგე.
10453. შენი თაობის მიმართ წყენას დაისის ჟამს შეიტყობ, რადგან ბევრ წმინდა გრძნობას და პრინციპს წყალი გადაესხმება და ტალახში ამოისვრება. შენთვის დარჩენილი გასავლელი გზა თვალდახუჭული სიარულის ნაცვლად ფრთხილად და შემოვლით უნდა იარო, რათა ტალახში არ გაისვარო და შენდა უნებლიედ სხვაც არ გასვარო.
10454. რადგანაც დაწყვილება შემთხვევით არ ხდება, სწორი არ იქნება ყველამ ისე აცხოვროს სული და ხორცი, როგორც მას მოეპრიანება და ანგარიში არ გაუწიოს მამაზეციერს და ახლობლებს.
10455. ეს საუკუნე, ბოლოს და ბოლოს, დამთავრდება და ახლის დასაწყისის წინაშე აღმოვჩნდებით, რადგან კაცობრიობის პროგრესს ვერავინ შეაჩერებს, ცხოვრების

გამოცდილების უარყოფითი შედეგის გარდა. აქ მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება მხედველობაში არ მიიღება.

10456. ისტორიაში გარკვევის შემდეგ არ არის საჭირო იმ სიწმინდეების განადგურება, რომელიც შენს წინაპრებს სწამდა, ან ძალით აწამებინებდნენ, მათ თავიანთი დრო და მსოფლმხედველობა ჰქონდათ.

10457. ძალიან ნუ დაიახლოვებთ ნათესავ-ნაცნობებს, ისინი მხოლოდ ამას ელოდებიან, რათა ჭკუის დარიგება და დაფინანსება გთხოვონ, შემდეგ მუქთა კრედიტის დაბრუნება, უკეთეს შემთხვევაში, გაგიჯანჯლონ.

10458. შენი მტრების მუქარას სერიოზულად ნუ მიიღებ, ისინი მხოლოდ შენი დაშინებით საზრდოობენ, ხალისდებიან, მაგრამ შენც არ უნდა დაგავიწყდეს ჩასაფრება, რომ უნებლიედ შენს მტრებს რაიმე არ შეეშალოთ.

10459. მეგობრები არ კვდებიან, უბრალოდ ისინი ფიზიკურად შენს გვერდით არ დგანან, ხოლო სულიერად შენთან არიან და სასიამოვნო მოსაგონარით გასულდგმულებენ.

10460. თუ გინდათ სიჭარმაგეში დროს ჩქარი სვლა შეაჩეროთ, თავი რეჟიმში ჩაიყენეთ, კვირაში ორი დღე იმიმშილეთ, სხეული ტანჯვით და საქმიანობით დატვირთეთ.

10461. მარტოობას მაშინ აქვს რაღაც გამართლება, თუ შენ ღმერთთან ხარ, ან თაყვანისმცემელი გყავს პლატონურად შეყვარებული და შენი ქმედებით საზოგადოებას სიწმინდის მაგალითს აძლევ.

10462. მიზნის მისაღწევად მარტო თავზე დადგომა საკმარისი არ არის, თუ შენი ნააზრევის განხორციელება გინდა და გამარჯვებისკენ ისწრაფი, ხელებიც უნდა დაიკაპიწო და მოხერხებულადაც მოიხმარო.

10463. ომში საერთო გამარჯვება შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ვინ იცის, რამდენი ღირსეული სიცოცხლე შეეწირა ამ სიბრიყვეს, რომელსაც შეეძლო სამყაროზე ზეგავლენის მოხდენა და ომობანას თამაშის შეჩერება.

10464. საშუალო განათლებით და საერთო აღზრდით დაკმაყოფილება დიდი უპატივცემულობაა საკუთარი თავისა.

10465. მონდომების შედეგად იმის კეთება თუ ჯერ კიდევ შეგიძლია, რაც გინდა, მაშინ ასაკი განსჯას არ ექვემდებარება.

10466. ყველა თავის სამყაროში იზრდება და არავის აქვს უფლება მათ ამ ცხოვრების შეცვლა მოსთხოვოს, მისი გადაკეთება შეიძლება მხოლოდ სიყვარულით, მისთვის საინტერესო საქმის კეთებით და გამაგრებული ზურგით, რომ შენ ვიღაცას სჭირდები.

10467. არის სიტყვები, რომელიც ენის წვერზე გადგას, მაგრამ მისი წარმოთქმა არარეკომენდებულია, რადგან ენას შეიძლება თავიც გადააყოლო და აქ სიტყვის თავისუფლების ქარტია დასაცავად ვერ აგეფარებათ.

10468. თუ გაგება შეგიძლია, პატიებაც უნდა შესძლო, ხოლო თუ ნამოქმედარის მიზეზია გაუგებარი, მაშინ პატიებაც გაუგებრობას იწვევს.

10469. იფიქრო სხვის მაგივრად: „მისი შესაძლებლობა რომ მქონდეს რას მოვიმოქმედებდიო", ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ სხვის საქმეს აკეთებთ.
10470. ჩვენ უნდა დავსვათ კითხვები, რომელიც ადრე თუ გვიან თავს წამოყოფს და ამისთვის პასუხის გასაცემადაც მზად უნდა ვიყოთ.
10471. ალკოჰოლი ცივილიზაციისთვის შავი ჭირიც არის, სიკეთის მომტანიც, მკურნალიც და ტვინის უჯრედების განმავითარებელიც, თუ ნატურალურია და ისმება მეგობრების, კეთილისმსურველთა გარემოცვაში, ზომიერების ფარგლებში.
10472. ის, რის მიღწევაც დღეს შეუძლებელია, შეიძლება თანდათანობით – ვაჭრობით, დათმობით, თუ პარტნიორები ირგვლივ მყოფთა აზრის გამოთქმას არ უფრთხიან.
10473. საქმროდ გამოუსწორებელი ბერბიჭა არ გამოდგება, რადგან მდედრის და მისი კაპრიზების პრივატიზაციის სურვილი დაკარგული აქვს.
10474. ნდობით ყველა კეთილისმდომს და ახლობელს უნდა ვენდოთ, მაგრამ არა იმდენად, რომ იარაღი ვათხოვოთ, მოზრდილი თანხა ვასესხოთ და ჩვენმა ძუკნამ მის სახლში გაათენოს.
10475. ასაკის მოახლოება ყველასადმი ნდობას გიღვიძებს, მიუხედავად შენი გამოცდილებისა და იმის შეგრძნებისა, რომ შენს ზურგს უკან „ჩამშვები" არაკაცი დგას.
10476. წყენა, რომ ახლობელს არ ენდეთ, საქმის მოკვარახჭინების შემდგომ დავიწყებას მიეცემა, მაგრამ ხელაღებით ნდობა შეიძლება სამუდამოდ სანანებელი დაგრჩეთ.
10477. ძლიერი თვითდაჯერებულია. თვითდაჯერებულობა – გაუფრთხილებლობის დედაა, გაუფრთხილებლობას კი სიძლიერის შედეგი ნულამდე დაჰყავს. ხოლო ნულის გამრავლება ყველა შედეგზე ნულის ტოლია.
10478. ამბობენ, სიყვარული სიკვდილზე ძლიერიაო, მაგრამ სიკვდილი – სიკვდილია და მას რეგალიები და შექება არ სჭირდება.
10479. გულგრილობა, ფეხებზემკიდიაობა სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს, სულს კი რყვნის და აკნინებს.
10480. თუ ორფეხა ოთხფეხა მხეცად იქცევა, მაშასადამე, ჩვენს წინაშე გაცილებით საშიში მტაცებელია.
10481. ბოროტება იმიტომაა ადამიანთან ახლოს, რომ ჩაფიქრებულს სწრაფად ახორციელებს, საბოლოო შედეგზე ფიქრით კი თავს არავინ იწუხებს.
10482. გაჭირვება იმითაც არის ცუდი, რომ იგი მთელ თაობებს გადააგვარებს. როდესაც ადამიანმა საკმარისი თევზი წაართვა ჩრდილოეთის თოლიას, მან ჯერ ისწავლა სხვა ფრინველებისათვის თევზის და მისი ნარჩენების წართმევა, შემდეგ თაობებში კი დაეუფლა ფრინველის ბარტყის მოტაცებას და ეს ლამაზი ფრინველი დღეს რეკეტიორად, ბანდიტად, მკვლელად გვევლინება. გამოსწორების გზა ერთია, ან მათზე უფრო ძლიერი მტაცებელი შევუსიოთ, ან ძველი თაობა ამოვხოცოთ, რათა ახალგაზრდა ფრინველები ცხოვრების ძველ ყოფას დაუბრუნდნენ.
10483. მარტივი ყურადღებას არ იპყრობს, მაგრამ ის ყველასთვის ხელმისაწვდომი და გამოსადეგია, მაგრამ ვინ აფასებს.

10484. ჩვენ ცუდად ვეპყრობით იმ საზოგადოებას, რომელსაც ჩვენ არ ვახსოვართ. შედეგად ვერც ქვეყანას ვრგებთ და საქმის კეთების სურვილსაც ვკარგავთ.
10485. საყრდენის ძებნას ძველში მაშინ ვიწყებთ, როდესაც საქმე სახარბიელოდ ვერ მიგვდის და ჩვენი შეცდომების დამალვა და სხვაზე გადაბრალება გვინდა.
10486. ბუნებრივი შერჩევა ბუნების ნომენკლატურაა, ხელოვნური შერჩევა – ადამიანისა, ხოლო რომელი სჯობს და ვის რა ურჩევნია, ეს გემოვნებაზე და ბუნების შვილის კაპრიზზეა დამოკიდებული.
10487. სამწუხაროდ, სამართლიანობა სიძლიერეზეა აგებული და არა ბუნების კანონებით გათვლილ წესიერებაზე.
10488. მოქალაქესა და პატრიოტს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ქვეყნის ინტერესებს სხვაზე მაღლა აყენებს, მეორე – სახელმწიფოს მმართველის კაპრიზებს, თუმცა ჟამთა სვლა და სხვადასხვა გარემოებანი მათ პრინციპებს, კარიერას და ცხოვრების ყოველდღიურობას წირავს.
10489. სიბრძნე სიყვარულიცაა, გონიერებაც, მოხერხებულობაც, დროსტარებაც და სიცილიც, თუ ყოველივე თავის რიგს ელოდება და დროს არ უსწრებს.
10490. მომავალი ყოველთვის გაანალიზებულ – განსჯილ წარსულში დევს.
10491. თავაზიანობა, ზრდილობა ნიჭიერების ერთ-ერთი ფენომენია, ხოლო ეს ნიჭი რაფინირებულ ინტელიგენტად რომ იქცეს, უნდა დაემატოს გვარიშვილობა და აღზრდა.
10492. გაუთხოვარი ქალის ასაკობრივი სერენადა ერთ წლამდე – აღუუ, 1 წლის – მომეცი, 2 – კაკები მომიტანეთ, 3 – მე თვითონ, 4 – უნდა გავლამაზდე, 5 – შეყვარებული ვარ, 6 – მაგას ცოლად უნდა გავყვე, 7 – როგორ მაბრაზებს, 8 – ერთი მაცემინა, 9 – რა შეუხედავია, 10 – აღარ მომწონს, 11 – რა უცნაურად მიყურებს, 12 – ვგონებ მოვწონვარ, 13 – ერთად ვსეირნობთ, 14 – კოცნა როგორ გამიბედა, 15 – ღმერთო, რა უხეშია, 16 – ეს ბიჭი სხვაზე უკეთესია, 17 – ნეტავი უყვარვარ? 18 – ჩვენი ოჯახის შესაფერისი არ არის, 19 – ხომ არ გავთხოვდე? 20 – ჯერ კარიერა უნდა გავიკეთო, 21 – ჩემი დაქალი გათხოვდა, 22 – მეც ხომ არ გავთხოვილიყავი? 23 – რატომ ვინმე გაგიჟებამდე არ მიყვარდება? 24 – ბევრს მოვწონვარ, 25 – იმას როგორ გავყვები, 26 – ეს ღარიბია, 27 – ალბათ, დროა გავთხოვდე, 28 – იმან სხვაზე დაქორწინება როგორ გაბედა, 29 – რა საძაგელნი არიან ეს კაცები, 30 – დროში ვიწვები, 31 – ნაცოლარს არ გავყვები, 32 – მირიგებდნენ, მაგრამ დამიწუნა, 33 – სხვის შვილებს ვერ გავზრდი, 34 – ვგონებ გაუთხოვარი ვრჩები, 35 – ერთი შვილი მაინც მოვასწრო, 36 – ნამდვილად ბედი არ მაქვს, 37 – კიდევ დამიწუნეს, 38 – აღარავის მირიგებენ, 39 – დეიდა დამიძახეს, 40 – რა უბედური ვარ, 41 – მაგათ ჯინაზე მაინც გავთხოვდები, 42 – ვინმე ხეირიანი ცოლგაყრილი მაინც გამოჩნდებოდეს, 43 – არც ხეირიანი ქვრივი ჩანს სადმე, 44 – სად დაიკარგნენ ეს კაცები, 45 – არც ბავშვებიანი კაცები ჩანან, 46 – ნაოჭები მეტყობა, 47 – სასწრაფოდ კოსმეტიკა, მასაჟი, წონის დაკლება, 48 – ვარჯიში უნდა დავიწყო, 49 – ასაკთან შედარებით ვგონებ კარგად გამოვიყურები, 50 – კაცები კიდევ მიყურებენ, 51 – დღეს ბებია დამიძახეს, 52 – კაცებო, თქვენი

დედა ვატირე, 53 – სულ ერთიდაიგივე ქალები თხოვდებიან, 54 – ის გათხოვილი უნდა იყოს და მე გაუთხოვარი? 55 – ის კაცი არ უნდა დამეწუნებინა, 56 – იმას რომ გავყოლოდი, დღეს ქვრივი ვიქნებოდი, 57 – რაღაც ყველაფერი მაწუხებს, 58 – მენსტრუაციული ციკლი შემიწყდა, 59 – ნეტავი მამაკაცს ვნახავდე მოსავლელად, 60 – დამლაპარაკებელი მინდა, 61 პენსიაში გამიშვეს, 62 – ბედი არაფერში არ მაქვს, 63 ტანი დამიმძიმდა, 64 – სულ მოვეშვი, 65 – თავს უნდა შეუძახო, 66 – მომკლა ექიმებში წანწალმა, 67 – რა ბიჭები მეძლეოდენ... 68 – ისე, ყველაფრის ღირსი ვარ, 69 – მე რომ შვილი მყოლებოდა, 70 – ჰაერზე უნდა ვისეირნო, 71 – ახლა გასათხოვარი შვილიშვილი უნდა მყავდეს, 72 – ბედი არ მქონია, 73 – ასე უპატრონოდ უნდა მოვკვდე? 74 – ვგონებ სიბერეში უფრო გავლამაზდი, 75 – ვინმეს უნდა მივეკედლო, 76 – პატრონი არ მყავს, 77 – ყველაფერი მე როგორ მაწუხებს, 78 – მოსაკლავი ვარ, უნდა გავყოლოდი ვინმეს, 79 – რა უნდათ ჩემგან, 80 – ყველა ჭკუას მარიგებს, 81 – მაგათ მე მოხუცი ხომ არ ვგონივარ, 82 – სიარული მიჭირს, 83 – როგორ გარბის ეს დღეები, 85 – პენსიას მიგვიანებენ, 86 – დღეს იმის დასაფლავებაზე ვერ წავალ, 87 – გარეთ გასვლა აღარ მინდა, 88 – ასაკი მაინც ტეხავს, 89 – ვჭრაჭუნობ, 90 – ეტყობა აღსასრულის დროც დამიდგება, 91 – თუ ამ ზამთარს გავაღწიე, 92 – ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ, 93 – სად წავიდე, 94 – ახლა რა დროსია, 95 – ამ წლამდე მივაღწიე, 96 – გამოვუძვერი ავადმყოფობას, 97 – უნდა ვეცადო გრიპი არ შემხვდეს, 98 – საოცარია, ცოცხალი ვარ, 99 – უნდა გავთხოვილიყავი. 100 – ვინ იცის, რა მომელის იმქვეყნად.

10493. პაექრობისას პირველ რიგში უნდა აჯობო საკუთარ კაპრიზს, შემდეგ მოდის გამარჯვება სხვაზე და საკუთარ თავზე.

10494. ხანდახან თვალებიდან მოჟუჟუნე, გაცისკროვნებული ცრემლი ბედნიერების მეტამორფოზაა.

10495. სირცხვილია გაზულუქებული ბედნიერება, მაგრამ ასევე სამარცხვინოა გადამეტებულად უბედურად თავის წარმოდგენა და ამის მომიზეზებით არაფრის კეთება.

10496. ასფალტის დაგებას ჩვენი ცხოვრების სავალ ბილიკებზე ყველა ჩვენგანი უნდა ეცადოს, რათა მომდევნო თაობებმა მოხრეშვის გარეშე თავის გასავლელი გზა არ დატოვონ, თუ ასფალტის დაგებას ვერ მოახერხებენ.

10497. შენი ოცნების პაემანი, რომელსაც მთელი ცხოვრება ელოდები და ეტალონად მიგაჩნია, თვალსა და ხელს შუა გიქრება და მის ავ-კარგს ცხოვრების დაისი განსჯის.

10498. ზოგი ამ ქვეყნად სულიერების პირველადობას ამჯობინებს, ზოგიც – სხეულის გალაღებას, მაგრამ შესაფერისი ჭკუა ნანატრი ცხოვრებისთვის ორივეს სჭირდება.

10499. ზოგს თანამდებობის გარდა არავითარი ღირსება არ გააჩნია, ახლოდან გაესაუბრები და გაოცებული რჩები, კაცი, რომელსაც წესიერ ქვეყანაში ერთ ბატსაც არ ანდობდენ მოსავლელად, საპატიო პიროვნებადაა მიჩნეული და ხალხს ხელმძღვანელობს.

10500. სამწუხაროდ, სიბერეში რწმუნდები, რომ ეს ქვეყანა და ხალხი შენი ზრუნვის ღირსი არ არის, მაგრამ რა უნდა უყო შენს ნაშიერს და იმ ჩამქრალ ამბიციებს, რომელიც იმედად კიდევ შემოგრჩენია.

10501. სიცოცხლეს სიზმარივით ვატარებთ, გაიღვიძებ და სიკვდილის დროც დამდგარა.

10502. ფანატიზმს, სისაძაგლეს, უნამუსობის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, რადგან ამას საშუალებას თავისი ბუნება და ისტორიაში რამენაირად მოხვედრის სურვილი უძლიერებს.

10503. უნდა ვეცადოთ ბედნიერები ვიყოთ, თუ გინდ ერთი ადამიანი გვიყვარდეს და უყვარდეთ.

10504. ნაციონალური იდეა თავისით არ მოდის, მას ჭკვიანი დამძალებელი სჭირდება, რომელიც რწმენის მათრახის გადაჭერით ისეთ გამოუვალ მდგომარეობას შეგვიქმნის, რომ ბავშვობიდან შევისისხლხორცებთ მშობლების პატივისცემას, შრომის აუცილებლობას, სამშობლოს სიყვარულს და იმასაც, თუ ვისი გორისანი ვართ. ამასთან სამართლიანობისა და თავისუფლებისადმი სიყვარული გენეტიკურად უნდა დაგვყვეს, რადგან მაშინ ნაციონალური იდეის რაობა თანდაყოლილი იქნება და არა შეძენილი, რომელიც ჟამთასვლის მსგავსად სანდო არ არის.

10505. მთელი ჩვენი ცხოვრება გვზრდიდნენ, გვასწავლიდნენ და როდესაც გგონია, რომ შენი განათლება აღარავის აინტერესებს, ამ დროს მასწავლებლად და მფარველად შვილიშვილები და მათი სიყვარული მოგვევლინება.

10506. მეგობრობის საფუძველია: აღზრდა, ერთნაირი ინტერესები, სხვადასხვა ხასიათი, შეცნობა, დაფასება, ზომიერებას ამოფარებული კამათი და ურთიერთაღიარება.

10507. გამარჯვება პატივისცემას იძლევა, ხოლო მის ხარისხს ცხოვრება, დრო, გარემო და ბედის უკუღმართობა განსაზღვრავს.

10508. სანამ არსებობს ლეგენდად ქცეული სურვილის ჭორი, მანამ ცხოვრობს სახელი და ახსოვთ მისი დრო.

10509. დაყრდნობა შეიძლება მათზე, ვინც ოპონირებას გვიწევს და არა იმ მათზე, ვინც ყველაფერში, გვეთანხმება, შენი იმედი აქვს და წარუმატებლობის შემთხვევაში, მზად არის ყველაფერი შენ გადმოგაბრალოს.

10510. როდესაც ნამეტნავად ერთგულებას გეფიცებიან ე.ი. შენით ვაჭრობენ და სარგებელს მოელიან, ამიტომაც ასეთ კეთილისმდომთა მიმართ სიფრთხილე გვმართებს.

10511. „შეცოდება ყველას შეუძლია, ხოლო ხელს ერთეულები გიმართავენ" სწორედ აქ არის „ძაღლის თავი დამარხული", რადგან სწორედ ამ კეთილ კაცს აქებენ, აძაგებენ, საყვედურობენ, გულით ერჩიან, ხოლო სტატისტი შემცოდებელი ქე ცხოვრობს ნერვებაუშლელად, დამშვიდებული, თავის ჭკუაზე.

10512. ყველა მორალი საეჭვოა და სადაო, თუ მას სიმდიდრე, კაპრიზი და ხალხის ხუმტური წარმოშობს.

10513. გმირები შერკინებას არ იგებენ, ისინი უბრალოდ პროცესს აჩქარებენ, რადგან შედეგს საერთო გულისხმევა და ცოდნა სჭირდება.
10514. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ უნდა ვეცადოთ მიქელ-გაბრიელმა ამის შესახებ უდროოდ არაფერი გაიგოს.
10515. წამხედურობას და რწმენას ხშირად შედეგი, ქმედება, ერთი აქვს, მიუხედავად მათი სხვადასხვა რაობისა.
10516. მხოლოდ ოცნების, შემდეგ შეიძლება შენს შესაძლებლობებს დაუჯერო და ნაფიქრალი ისე განახორციელო.
10517. ნაცნობების თავიდან მოშორება შესაძლებელია, მაგრამ არიან ისეთი ახლობლები, რომლებიც ქრონიკულ დაავადებასავით თან გდევენ და იძულებული ხარ მთელი ცხოვრება ათრიო.
10518. შეცდომა საკუთარ ქცევაში, ინსტინქტში უნდა ვეძებოთ და არა საკუთარ თავში, რომელიც ყოველთვის სხვა უკეთესი შედეგის მოლოდინშია.
10519. არის ვარსკვლავი ეკრანის თვალი, არის ვარსკვლავისებური შოუმენი, მაგრამ ორივეს ნათება ჩვენს პლანეტაზე აუცილებელია, რათა შედარების, შერჩევის და ხასიათის გასწორების უფლება დავიტოვოთ.
10520. ბუნება მიწისძვრით, ქარიშხლით, ვულკანის ამოფრქვევით, თავისებურად ერთობა, ხოლო ხანძარი, გვალვა, წყალდიდობა ხალხისთვის ჭკუის სასწავლებლად სჭირდება.
10521. სისულელეს და უპასუხისმგებლობას შედეგი ერთი აქვს, მაგრამ ამ უკანასკნელს ხალხი რატომღაც ვერ ამჩნევს.
10522. სამყაროს სინდისი არა აქვს, ის მხოლოდ ტერიტორიებს პატრონობს და თავის ინტერესების დასაკმაყოფილებლად, სინდისს, საჭიროების საწებელაში ამოსასვრელად იყენებს.
10523. სურვილი თავიდან უნდა მოვიშოროთ თუ არა, ძნელი სათქმელია, რადგან ჩვენი წვალების და ჩამოყალიბების საწყისი მისგან იწყება.
10524. გენიალობის გამოსავლენი ფორმულა, დროით შემოწმებული: კრიტიკაგავლილი სიახლის ატაცება, და თავის ჭკუაზე გადახარშვა-მოთარგმნა და ახალი შესაფუთით წარდგენა.
10525. მთლიანად დამოუკიდებლები მხოლოდ სიკვდილიდან ვართ, რადგან ცნობიერებიდან, შეგნებიდან დამოუკიდებელი არ შეიძლება ვიყოთ.
10526. ისტორიას ყოველგვარი ჭრილობის მოშუშება და დავიწყება შეუძლია, მაგრამ თუ დასჭირდა, მახსოვრობას არ უჩივის.
10527. ყველა ტალანტი მომდევნო ტალანტის საწყისია, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგვიჭირდებოდა ტალანტის გაგება.
10528. ხელში რომ ფაფა-ძუა მამაკაცი არ შემოგვრჩეს, მის გამოსაწრთობად სიძნელეებთან შეყრაა საჭირო, ხოლო თუ ეს არ ხერხდება, მაშინ სიძნელეებს მისი კეთილისმდომნი შეუქმნიან.

10529. სიბერეს ვერ მოვატყუებთ, ის მაინც თავის დროზე მოვა, ხოლო მასთან შეხვედრა და მისი დროებით გადავადება ჩვენს მცდელობაზეა დამოკიდებული.
10530. სიბერე მშვენიერება კი არ არის, არამედ ასაკი და გამართლებაა, რომელიც თავისებურ შეღავათს და პატივისცემას მოითხოვს.
10531. მარცხის შედეგია: პრეზიდენტის კერპად ქცევა, ხალხის გაბრიყვება, მოგონილი ომი და სასურველის გაფეტიშება.
10532. ზოგი ბუნებით ისეთი უკულმართი არამზადა იბადება, რომ მის გამოხშირვა-განცალკავებას საზოგადოებიდან მოითხოვს, რათა მომდევნო თაობებმა რიგიანად და წესიერად იცხოვრონ.
10533. ყველაზედ ძნელია იმის შეცნობა, რომ საქმეს რომელსაც რწმენით და გულმართლად ემსახურები, თურმე ფუჭი და დაუფასებელი ყოფილა.
10534. გამბედაობა სხვის ხარჯზე დიდი ვერაფერი ვაჟკაცობაა, თუ გულდიდობას შენი მხრივ რაიმე არ შეჰმატე.
10535. ყველა ქვეყანას, ერს, ჰქონდა თავისი ცხოვრების ფაეტონი და დღეს წარსულით ან აწმყოთი ტრაბახი, თავისმოწონება სიბრიყვეა, რადგან რიგში სხვა სახელმწიფოები, ხალხები, დგანან, რომლებიც თავისი ისტორიული კანონზომიერების ჯერს უცდიან და თავმომწონე ქვეყნების ისტორიის სანაგვეზე მოსროლას ელოდებიან.
10536. არსებობს საკითხები, მოვლენები, რომელთა ახსნა შეუძლებელია, რადგან რაღაცას შენც უნდა მიხვდე, გაიგო, იოცნებო.
10537. სიცოცხლეს გვიხანგრძლივებენ, გვიგრძელებენ და არ გვჩუქნიან, რადგან ეს უკანასკნელი მამაზეციერის, გარემოს და მშობლების დამსახურებაა და მას გაფრთხილება სჭირდება.
10538. ომი რომ მოიგო, იმაზე მეტად დაუნდობელი, გონიერი და მკაცრი მოყვასიც უნდა იყოს, ვიდრე შენი მტერია.
10539. დღეს ყოველთვის არ არის შესაძლებლობა თავს თავად უშველო, იმდენად დიდია ტექნიკური პროგრესის ვერაგობა უგვანოთა ხელში.
10540. თუ საქმის კეთება გვინდა, უნდა დავიწყოთ სამართლიანობის პრინციპი, გნებავთ ერთი კვადრატული სანტიმეტრიდან – გააჩნია რუკის მასშტაბს.
10541. მემკვიდრეობით სიყვარულთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მარტოხელა დედა ბავშვის აღზრდას კისრულობს, ხოლო თაობათა მენტალიტეტის ჩამორჩენასთან – როდესაც ამ ქალს არ ვეხმარებით.
10542. მანეკენი მოუვლელი ყვავილია, მოდელიერი კი მებაღე, რომელიც გემოვნებით უვლის, გამოჰყავს, რათა ბიზნესს და ბრბოს მოაწონოს, რადგან მოდას დრო გვკარნახობს და არა ამ ბაღში გავრცელებული ტრადიციები.
10543. რაღაც ვალდებულება და პატივისცემა გვაკისრია მომავალი თაობების წინაშე, თორემ მათი მომავლისა არც ძალიან გაგვეგება და არც გვჯერა.
10544. რბილი ვაგონი შეიძლება საქონლის ვაგონად გადავაქციოთ, თუ იქ ზომაზე მეტი ხალხის უკიდეგანო ღრეობას მოვაწყობთ.

ქალი

10545. ჭკვიანი ცოლისთვის მამაკაცი მონუმენტია, რომელზეც უნდა ლოცულობ-
დეს, მაგრამ რა ქნას ქალმა, თუ მას მოქანდაკედ ყოფნის სურვილი აქვს და თავისი
ნიჭის მიხედვით სურს გამოძერწოს საკუთარი ქმარი.

10546. ყველა ქალის ოცნებაა ხელში ჩააკვდეს თავის ფავორიტს და სიყვარულით
მოკვდეს ერთი პირობით: თუ მის ჯანმრთელობას არაფერი ევნება.

10547. ქალის ლოგიკა და პრეტენზიები განსჯას არ ექვემდებარება: ის მიცვალებულ
ქმარს იმასაც კი ამადლის, რომ კომფორტულად წევს საფლავში და არაფერს
ნაღვლობს, ხოლო მას, ცოცხალს, უხდება შვილებზე და ოჯახზე ზრუნვა. საინტე-
რესოა, ადგილების გაცვლა რომ შესაძლებელი იყოს, მოინდომებდა კი ქალი ასეთ
„განცხრომაში" ყოფნას?

10548. საოცარია, მაგრამ ქალებსაც ნაზი, მოთმინების მქონე, მზრუნველი ქმრები
მოსწონთ თურმე... თუმცა, გააჩნია ქალსაც და მამაკაცსაც. არაფერია იმაში
სამარცხვინო, რომ ქალები ეძებენ თავიანთ ვირებს და ცდილობენ ცხოვრების
პირობების გაუმჯობესებას და საზოგადოებაში სათანადო ადგილის მოპოვებას იმ
პირობით თუ ისინი ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდიან თავიანთ ჩოჩრებს.

10549. ქალი რამდენიმეჯერ იმიტომ თხოვდება, რომ დაუფიქრებელი მამაკაცები
ოჯახის გარეშე არ დაეტოვებინა.

10550. ცოლი თავისებური ხის მორია, რომელიც საჭიროა, მაგრამ მისი ტარებაა
ძნელი.

10551. ყველა ქალი დედოფალია დაბადებიდანვე, ხოლო თუ ამას თავს ჩააგონებს,
მაშინ მის დედოფლად აღიარებას მამაკაცებიც არ დააყოვნებენ.

10552. ზოგ ქალს ალტრუიზმი (მზრუნველობა სხვის მიმართ, როდესაც მას უჭირს)
სიყვარული ჰგონია, სიყვარული ალტრუიზმს არად დაგიდევთ და უიმედოდ
შეყვარებულს ალტრუიზმი "პერპენტუუმ მობილედ" ევლინება.

10553. აეროდინამიკის მიხედვით, ხოჭოსა და ქალს შორის ის მსგავსებაა, რომ ხოჭომ
არ უნდა იფრინოს, მაგრამ ის ფრინავს ყველა მეცნიერის ჯიბრზე. ასევე იქცევა
ქალიც. ყველა კანონების მიხედვით, ის არ უნდა გაყვეს ამა თუ იმ უხიაგ მამაკაცს,
მაგრამ კეთილმოსურნეების ჯიბრზე, ქალი ამას აკეთებს.

10554. საოცარია პირდაპირ, ქალები თავის ასაკს რატომ თვეობით არ განსაზღვ-
რავენ. მაგალითად: "1200 თვის ვარ". რამდენი მამაკაცია, რომ მათემატიკა არ
ეხერხება და ამით ისინი ასაკის დამალვის პრობლემას მოიხსნიდნენ.

10555. ჭკვიანი ქალი ასაკსა და ნაოჭებს რაც შეიძლება გვიან მიაქცევს ყურად-
ღებას, ხოლო ქარაფშუტა დაბადებიდან იმის მცდელობაშია, ნაოჭი არ გაუჩნდეს
და წლები არ დაეტყოს.

10556. რამდენი კარგი რამის გაკეთება შეიძლება ქალების გარეშე? – არაფრის – რადგან ჩვენ აღარ ვიქნებოდით, აღარ ვიარსებებდით.
10557. ემოციების დონეზე ქალების დისკრიმინაცია მიზანშეწონილია, მაგრამ არ ამართლებს მათი მომეტებული, დაუსაბუთებელი კაპრიზების გამო.
10558. ყველა ულამაზესი ქალი ერის სიმდიდრეა და ყველას საზრუნავი უნდა იყოს, რათა ვიგინდარას ხელში არ მოხვდეს, თუ დაგვიჯერა.
10559. ქალს თუ პირადი ცხოვრება მოუწყობელი აქვს, ამაში დამნაშავე არა მარტო მისი კაპრიზი, არამედ მამაკაცების უხიაგი ხასიათიცაა.
10560. ქალები ზოგიერთ კაცში იმიტომ ნახულობენ ქმარს, რომ მასში ვერ აღიქვეს მამაკაცი და რაც ბედმა მიუგდო, იმით კმაყოფილდებიან.
10561. ქალები მამაკაცებს მათი ნაკლისთვის უყვართ, ხოლო თვალის გასახარად მათი კარგი გარეგნობაც აკმაყოფილებთ.
10562. ქალის უჭკუობა მამაკაცისთვის გაუგებარ გონიერებაში გამოიხატება.
10563. ქალს აბერებს ძველმოდური თავის მოსართავი, მოდაგადასული ფეხსაცმელები, ზომაზე მეტი კოსმეტიკა და მამაკაცის უყურადღებობა.
10564. ქალი თავის დაისს მაშინ შეიგრძნობს, როდესაც სარკეში ყურება არ სიამოვნებს და მამაკაცები მის სხეულს მსუნაგად თვალს არ შეავლებენ.
10565. ქალს ქორწილში ოქროს ბეჭედს ჩუქნიან, ოქროს ქორწილში კი ჰულაჰუპის რგოლებს.
10566. ქალებს, მამაკაცებისგან განსხვავებით, სხვა ქრომოსომები აქვთ, ამიტომ მათთვის საზოგადოების კანონები და მისი დოგმები ყოველთვის მისაღები არ არის და საკითხს თავისებურად წყვეტენ, ყოველგვარი საღი აზრის კარნახის გარეშე, მაგრამ მაინც მართლები არიან და თავისას აღწევენ.
10567. ქალს შეუძლია თავის დაქალს აკოცოს, "სიყვარულით მოეფეროს", მაგრამ იქვე გავიდეს და გაჭოროს, თანაც არც თუ ისე უბოროტოდ.
10568. ქალის კოპწიაობის მიზანი ერთადერთია – სხვა ქალზე უკეთესი იყოს, ან ყოველ შემთხვევაში თავი დააჯეროს ამაში.
10569. ზოგიერთ ქალს თავი ყველაზე ლამაზად მიაჩნია და მის წარმოსაჩენად უამრავ რაიმეს ხმაროობს. ეს გრძელდება მანამ, სანამ ვინმეს არ ჩაბარდება და შვილები არ დაესევა.
10570. ქალი სამსახურში, ოჯახში და საწოლში – ამ სამი რამის გაიგივება, განსაკუთრებით დაღვინების ასაკში, იმათზე მიუთითებს, რომ ჩვენ ცხოვრება კიდევ კარგად ვერ შეგვიცვნია.
10571. ქალის დინამიური ხასიათი, მისთვის ამორჩეული მამაკაცის ასაფეთქებლად, გონებაშია წინასწარ მომზადებული.
10572. თუ ორი ქალი თავის სურვილში ერთმანეთთან შეთანხმებას მოახერხებს, სურვილი ღმერთის ნაბოძებად უნდა ჩაითვალოს.
10573. რა ქნას ქალმა, რომელსაც მამაკაცი შეხვდა, რომელიც სულ მთვრალია, ყოველთვის რაღაცა უჭირს, რაღაც სისულელეს ჩადის და თუ ეს კაცი შენი სამშობლოა, რომლის მაჭანკალიც შენი მშობლები იყვნენ.

10574. როგორ შეიძლება ქალს უსაყვედურო, თუ მას უნდა შვილის გაჩენის გზით თავისი ვალი მოიხადოს სამშობლოსა და ქვეყნის წინაშე. ხერხი შვილის გაჩენისა მხედველობაში მისაღები არ არის.

10575. ქალის ყველაზე სანუკვარ ადგილს ზრდილობიან ფორმებში და აღფრთოვანებით შემდეგნაირად ამკობენ: ფუმფულა, რბილი, სასირცხო ბაგეები, დიპლიპიტო, ვნებათა სავანე, კლიტორის ღიტინი, ვნებათა ყურის გამოქვაბული, უგონობის ნაპრალი, ცხელი პაწაწინა ჭრილი, ვიწრო შავი გვირაბი, ნეტარების ყუმბარა, კაცის სატყუარი, აღზნების წყარო, ეს დიპლომატია გრძელდება მანამდე, სანამ მისი პრივატიზაცია არ მოხერხდება.

10576. ყველა ქალის ოცნებაა, მთელი ცხოვრება დაუმთავრებელ ქანდაკებას წარმოადგენდეს და მისი დამთავრების ხელმყოფ მამაკაცთა რიგი ედგას.

10577. ცოლი მართალია ნათესავად არ ითვლება, მაგრამ მოყვრადაც მისი ჩათვლა შეუძლებელია, მისი გაუგებარი ხასიათის, მოულოდნელი გამოხტომების და მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილის უმიზეზოდ გამოწვევის გამო.

10578. ზოგ ქალს მამაკაცთან შვილი თუ გაუჩნდა, ის ამას თავის დამსახურებად მიიჩნევს, ხოლო მამაკაცს იმ მუშას ადარებს, რომელსაც სამუშაო შეუკვეთეს და ფული არ გადაუხადეს, რადგან ამ საქმიანობაში შენც ხომ ისიამოვნეო. თუ ქალი მატერიალურადაც გალაღებულია, ბავშვს თავისად თვლის. ალბათ მომავალში, ქალების მატერიალური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, საზოგადოება ასეთი ფაქტის წინაშეც დადგება.

10579. ზოგიერთ ქალს ისე უყვარს დაქალებში ლაპარაკი, დროზე თუ არ შეაჩერე, იქმნება ენაზე დამწვრობის მიღების და მზის მოკიდების საშიშროება.

10580. ქალს იმიტომ კი არ უნდა გაეყარო, რომ სიგარეტს სისტემატურად ეწევა, არამედ იმიტომ, რომ შენ როგორც მამაკაცი ფეხებზე ჰკიდიხარ და მალე შენს ყურებს საფერფლის მაგივრად გამოიყენებს.

10581. სამწუხაროდ, ქალები ზედმეტ უპირატესობას ანიჭებენ კოსმეტიკას, ის კი ავიწყდებათ, რომ ქალის ყველაზე დიდი სილამაზე არის მისი ბუნებრივი მომხიბვლელობა და არა ფერუმარილით სახის გათეთრება და ნაოჭების ამოვსება.

10582. ქალს ეპატიება ერთადერთი ტყუილი და თავის დამახინჯება, როდესაც ის ცდილობს თავის მოწონებას მორთულობით, ფერუმარილით, ნათხოვარი ტანსაცმლით და მიხვრა-მოხვრით.

10583. ზოგიერთ გოგონას ჰგონია, რომ ვაჟებს მოსწონთ ცხვირში და ყურებში , ან ჭიპში გაყრილი რგოლები, ნაირ-ნაირი საღებავით მოთხუპნული სახე, ექსტრავაგანტური ჩაცმულობა. პირიქით, კაცებს მოსწონთ არა მათი მორთულობა, არამედ მათი მსუბუქი ჭკუა, რითაც ისინი მამაკაცებისთვის ადვილად ხელმისაწვდომნი ხდებიან.

10584. ქალისას ვერაფერს გაიგებთ: ირთვება, იკაზმება იმ მამაკაცის წინაშე, ვინც არ მოსწონს, ხოლო ვინც უყვარს და გულს ესალბუნება მას მოურთავ-მოუკაზმავადაც მხიარულად გამოეგებება და მორთულობის გამოსწორებასაც არ ეცდება.

10585. სილამაზე ან ქალის მომხიბვლელობა ისეთი ტალანტია, რომელიც არც კანის ფერს, არც ინტელექტს, არც ეროვნებას არ ემორჩილება და თუ ამას აშოლტილი ფეხები ემატება წელზე მომჯდარი გავით, ეს ქალი სილამაზის კონკურსს გარეშეა.

10586. ქალის თვალების ჟუჟუნი, ტკბილად და ნაზად წარმოთქმული უშინაარსო სიტყვები გაცილებით სასიამოვნოდ მოქმედებს მამრზე, ვიდრე მის მიმართ წარმოთქმული საარშიყო სიტყვები.

10587. ქალის მომაბეზრებელი ზრუნვა და ჭკუის სწავლება ახელებს და აღიზიანებს მამაკაცს გარკვეულ ასაკამდე.

10588. ქალის არჩევანი მამაკაცის მიმართ თვით ქალისთვისაც ამოუცნობია, რომ არაფერი ვთქვათ ირგვლივ მყოფებზე.

10589. ქალები მამაკაცებზე არც უკეთესები და არც უარესები არიან, უბრალოდ ისინი თავიანთ ემოციებს მამაკაცებზე მეტად აძლევენ გაჭენების უფლებას.

10590. ყველა კანონით ქალები გულის კარნახს უნდა ემორჩილებოდნენ, მაგრამ არა ფემინისტი და ვამპირი ქალები, რადგან პირველისთვის მთავარია პირველობა საზოგადოებაში, ხოლო მეორისთვის განუწყვეტლივ ფულის თხოვნა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

10591. ამბობენ, კაცები არიან მიზეზი, ქალებს რომ ერთმანეთი არ უყვართ და მართალიცაა: რომელ კონკურენტ ფირმებს უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ისინი იძულებულნი არიან ითანამშრომლონ.

10592. ქალმა ქალს არ უნდა დასცინოს მისთვის პერსპექტიული მამრის წინაშე, თორემ ის თავის თავს დათვურ სამსახურს გაუწევს, რადგან გამორიცხული არ არის მამაკაცმა კონკურენტში თავისი საცოლე დაინახოს.

10593. ქალებზე ამბობენ ჭორიკნები და ენაგრძელები არიანო, მაგრამ საკუთარ საიდუმლოებას შანთით ვერ ამოგლეჯ, ვერ ათქმევინებ. თუ ფაქტის წინაშე დააყენე, მაშინაც ეცდება იეშმაკოს და თავი დაიძვრინოს.

10594. ქალის სიმდიდრე და სილამაზე ასაკთან ერთად ჰკარგავს მიმზიდველობას და არა მომხიბვლელობას.

10595. ხანდახან ახალგაზრდა ქალის სიზარმაცის მიზეზი სიყვარულია, ხოლო უიმედო სიყვარული მას უფრო საქმიანს ხდის და მინორულ ხასიათზე აყენებს.

10596. შენი ოცნების ქალი ისე პატიოსნად გეჩვენება, რომ იფიქრებ, ქმარსაც კი უარს ეტყვის მასთან სარეცელის გაზიარებაზე, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ არის.

10597. ქალი, რომელიც მამაკაცს მხოლოდ დღეში ერთხელ აძლევს დაფიქრების და სინანულის საშუალებას ცოლად რატომ შევირთეო, საუკეთესო მეუღლედ უნდა ჩაითვალოს.

10598. ცოლმა ქმარი რომ შეიყვაროს, ერთ-ერთი საშუალებაა ლიმიტირებული კეთილდღეობის ფულით დაფინანსება.

10599. ქალს თუ მამაკაცი მოსწონს, მას მეგობრობა არ უნდა შესთავაზოს, რადგან კაცს ძალიან უჭირს მეგობრობიდან სიყვარულზე გადასვლა და ხელის თხოვნა და გვირგვინის დადგმაც ძნელად გამოდის.

10600. ქალების თავშეყრის და სეირნობის მიზანია გამოფინონ თავიანთი შესაძ-ლებლობანი სილამაზის, მოხდენილობის, ტანსაცმლის ჩვენებით, რათა შემდგომში მამაკაცებს მისცენ საშუალება მათთან ცოლ-ქმრობის ურთიერთობის ხელშეკრუ-ლების გასაფორმებლად.

10601. ქალი სიყვარულისთვის არის გაჩენილი და თუ ამ გრძნობას ვინმე ძლიერად გაუღვივებს, იგი ცხოვრების არსს დაინახავს და მამაკაცს სიცოცხლეს და სიყვარულს გაუხანგრძლივებს.

10602. კლასიკურ ქალებად ისინი უნდა ჩაითვალონ, რომლებიც მამაკაცს სიყვა-რულს, სექსუალურ შესაძლებლობებს, შრომას უფასებენ და საყვედურებით არ ავსებენ.

10603. პროსტიტუციის ჭუჭყი ქალისთვის დიდია და მძიმე, ქრონიკული სენია, რადგან როგორც არ უნდა მოიცილოს ის ჭუჭყი, როდესაც კი მომენტი ჩაუვარდება, კვლავ მზად არის შეტოპოს ჭაობში.

10604. ქალის ტრაგედია პირველად ნაოჭების შემჩნევისას იწყება, მეორედ საყვა-რელი მეუღლის გარეშე დარჩენისას, მესამედ – მამაკაცების მისდამი გულგრი-ლობის შემჩნევისას, მეოთხედ – როდესაც შვილიშვილები თხოვდებიან და გამზრდელი ბებიკო აღარ ახსოვთ. დანარჩენზე ყურადღების გამახვილება არ ღირს, რადგან როცა შემდგომ იქნება, ის ყველას კარებზე დააკაკუნებს.

10605. ღვინო და ქალი სხვადასხვა ასაკისა და ჭაშნიკისა სჯობს, მაგრამ ძალზე დაძვე-ლებული არცერთი არ უქნია ღმერთს, ორივეს პეწი ეკარგება და მათრობლობა აკლდება.

10606. ხანდახან საჭიროა ქალმა დაივიწყოს, რომ ის ქალია, ცოლია და ცხოვრების ორომტრიალში გაერიოს, ქვეყნის და მამაკაცის საქმე აკეთოს ყოველგვარი ექსცესების გარეშე.

10607. ზოგიერთი მდედრი მამაკაცებში გრიალს ქალებისადმი სოლიდარობით და მათი ჯინის ამოყრით ამართლებს, რათა ყველა მიტოვებული ქალის სამაგიერო გადაუხადოს მამაკაცებს.

10608. ქალი თავის თაყვანისმცემლებს გრაფიკში სვამს მათი სილამაზის, სიმაღლის, ჭკუის, შესაძლებლობის მიხედვით, მაგრამ შეეპარება სიყვარული და გრაფიკიც ირღვევა და მოთხოვნილების სტანდარტიც.

10609. ზოგიერთი ქალი ისეა დარწმუნებული თავის მომხიბვლელობაში, რომ ღრმად ენდობა ყველა მამაკაცს, მიყვება მას სასეირნოდ, თავს იგდებს სექსუალური მოძალადის საფრთხეში და აზრადაც არ მოსდის რომ მისი პარტნიორი შეიძლება ქურდი იყოს, რომელსაც მხოლოდ მისი ჩანთა აინტერესებს.

10610. როდესაც ქალს ერთდროულად რამდენიმე მამაკაცი უთმობს ადგილს ტრანსპორტში, მიზეზი შეიძლება იყოს ამ ქალის განსაკუთრებული მომხიბვლე-ლობა ან მისი უკანალის სიდიდით გამოწვეული აუცილებლობა.

10611. ქალისთვის დრო საუკეთესო მკურნალია, მისი მორიგი კაპრიზების დასამშვიდებლად და ძალზე ცუდი კოსმეტოლოგი, რაც ქალს უფრო მეტად აღიზიანებს.

10612. ქალის ყველაზე ინტიმურ მომსახურებას რეალური დამფასებელიც უნდა ჰყავდეს, თორემ არც სიყვარული გამოვა და არც სექსი.

10613. ქალი ბევრ რამეზე თვალს დახუჭავს, თუ მას ეტყვიან: შენი სადარი ქალი სად არის, ვის შეუძლია შენ ქიშპობა გაგიწიოს, შენ ჭორებს როგორ ყვები და იმ ქალს თავს როგორ უყადრებ, ამ კომპლიმენტის შემდეგ მას სხვისი უპირატესობის დანახვა ძალზე გაუჭირდება.

10614. კაცების აუქციონზე ქალი რომ მონაწილეობას არ იღებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ქალის და ქვეყნის საქმე წიპზეა მისული და გადაგვარებისკენ მიექანება.

10615. ქალის მიზანია თავის სათაყვანებელი მამაკაცებისგან იყოლიოს შვილი და თუ ეს ვერ მოახერხა, მაინც უნდა გამრავლდეს, რაც არ უნდა დაუჯდეს, რადგან ქალად ყოფნა დედობის სინონიმია.

10616. საზოგადოების ყველა მორალი და დანაშაული ჩრდილში დგება, თუ ამ დანაშაულს ქალი სჩადის მომავალი თაობის გასამრავლებლად.

10617. ქალი მამრის გამაღიზიანებელი ნარკოტიკია, მამაკაცი კი შემსრულებელი. ამასთან ქალი ის ღვთაებაა, რომლის ყველა თხოვნა უნდა აღსრულდეს.

10618. ქალი მერყევი ელემენტია, ერთის ციხე-სიმაგრე შეიძლება პირველი შეტევისთანავე აიღო, მეორეს ხანგრძლივი ალყა სჭირდება, მესამე მოლაპარაკების შედეგად გნებდება, მაგრამ არიან ისეთი კერკეტი ქალებიც, რომლებსაც არც თვითონ უნდათ ისიამოვნონ და სხვების სიამოვნებაც ფეხებზე ჰკიდიათ.

10619. ქალებს მამაკაცების დასაჩუქრებისას მუქთაზე უყვართ გამოსვლა, თვითონ ისიამოვნებენ და თავსაც დაგამადლიან: შენი სიყვარული რომ არა, ამას არ ჩავიდენდიო.

10620. ქალის ნარკოტიკი მუდმივი ქათინაურია და ის უნდა გრძელდებოდეს შემდეგი თანამიმდევრობით: საჩუქარი – ქათინაური, სიყვარული – ქათინაური, ქათინაური – ფული, ქათინაური – ოჯახი, ქათინაური – ბავშვი, ქათინაური – შვილიშვილი, ქათინაური – სასაფლაო. რა გახდა ეს ქათინაური, მის ნაკლებობას ასე რომ განიცდიან ქალები. ვუთხრათ! ამისთვის ვიმწარებთ სიცოცხლეს მამაკაცები?

10621. ქალზე შეტევა – უკან დახევა, ქალთან ურთიერთობა – ტაქტის გამოჩენა, ქალის სუფრაზე მომსახურება – ხელოვნებაა.

10622. ანა კარენინასნაირი გრძნობების ქალის გაგებაა ძნელი, თორემ სიყვარულის გულისთვის ბევრი ქალი ღალატობს ქმარს, მაგრამ ისტორიაში ისინი არავის შეუყვანია.

10623. ზოგიერთ ქალს ისეთი კოსმეტიკა აქვს, რომ მამაკაცი მის ნაკლოვანებებს ვერ ხედავს: ერთ შემთხვევაში, როდესაც ქალს თავისი თილისმა აქვს, ხოლო სხვა შემთხვევაში მდიდარი მზითევი – საკრედიტო ბარათი.

10624. ღმერთი ხშირად თავს იკავებს სილამაზე და ჭკუა ერთ ქალს დაანათლოს, რადგან ასეთი ქალები თამამდებიან, სხვების მიმართ მოთხოვნილების უზომო გრძნობა უჩნდებათ და მათი თანდაყოლილი სათნოებიდან არაფერი რჩება.

10625. ქალი შეიძლება არ შეეფერებოდეს მოდასაყოლილ თანამედროვე სტანდარტს, მაგრამ გემრიელი ქალი იყოს და პერსპექტიული დედა, ამიტომ მოდას ნუ აყვებით, რადგან იგი ცვალებადია, ცოლი კი უცვლელი, ამასთან ჩვენთან რჩება და წასვლასაც არ აპირებს.

10626. ქალში ყველაზე მეტად გულწრფელობა ფასობს და არა მისი გათამაშებული სისუსტე და სიძლიერე.

10627. ქალისთვის მთავარია მისი ინტუიცია, რომელიც მას ხშირად შველის თავისი კაპრიზების გამოვლენის დროს.

10628. ქალი მაქსიმალისტი არ უნდა იყოს, უბრალოდ ის უნდა ერკვეოდეს მისი დონის შესაფასებელ სიტუაციაში, იყოს ჭკვიანი და რაც მთავარია არ იბნეოდეს.

10629. ბევრი კარგად გაზრდილი გოგონა ხშირად ცუდად აღზრდილი თანატოლებისკენ ისწრაფვის, ეს ალბათ იმის ბრალია, რომ წესიერად ყოფნასაც თავისი ლიმიტი აქვს და ამ დროს დაგროვილი ენერგია ამოფრქვევას მოითხოვს.

10630. არვინ არის წინააღმდეგი ქალის განათლებისა, მაგრამ ოჯახის სიამტკბილობისთვის უკეთესია, თუ ცოლი ქმართან შედარებით ცოტა გაუნათლებელი იქნება, თუ ეს არ ხერხდება, მაშინ კეთილი ინებოს მეუღლემ, გამოიჩინოს ქალური სიბრძნე და ეს როლი ითამაშოს.

10631. რვა მარტი (ქალთა საერთაშორისო დღე) და სამი მარტი (დედის დღე) ცხოვრებაზე გაავებული ბრბოს მიერ მოგონილი დღესასწაულებია, რადგან, როგორ შეიძლება ქალს წელიწადში ერთი დღე დაუთმო საფიქრელად და სახლაფორთოდ და ისიც მარტში, რომელიც ქალის ბუნების კატაკლიზმების ყველაზე უკეთ გამომხატველია.

10632. ზოგჯერ ქალისთვის სიყვარული აუხდენელი ოცნებაა, საფლავებზე დადგმული ძეგლია და ამ შარავანდედს მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარებს.

10633. ქალი ყოველთვის ცდილობს მამაკაცის გაოცებას, ხოლო მამაკაცთა უმრავლესობა ახერხებს ეს გაოცება არ შეიმჩნიოს.

10634. თუ ქალი მამაკაცს ამადლის, რომ მან საუკეთესო წლები აჩუქა, მაშინ მამაკაცსაც ხომ უნდა მოვექცეთ სამართლიანად, მანაც ხომ უსახსოვრა ქალს საბანკო ჩეკების საუკეთესო გვერდები.

10635. ქალები უფრო სანდონი არიან თავისი გრძნობების გამჟღავნებაში, ვიდრე მამაკაცები, რომელთაც ცუღლუტობა ახასიათებთ. ყოველ შემთხვევაში დღემდე ასე იყო.

10636. შენი ქალი სიმფონიური ორკესტრივით უნდა ააწყო, რომელსაც შენი დირიჟორობის ხელოვნება უნდა ემატებოდეს, ეს არის საყვარელი ქალის მართვის ალგორითმი და ოჯახის სიძლიერის ძირი.

10637. ყველანაირი ფერის თმის ქალი უნდა გვიყვარდეს და სიმპათიებს უნდა იმსახურებდეს მამაკაცებში, რადგან თმის ამ ფერებში ჩვენი განვლილი ცხოვრებაა და ქალთან შეხლა-შემოხლის პერიოდი და ეს ყველაფერი კეთდებოდა მამრის გულის მოსაგებად.

10638. რატომ არის რომ ხანდახან ქალები ეჭვიანობის ნიადაგზე ისე ჯიუტდებიან, რომ ამ ეჭვიანობით და სიჯიუტით კარგავენ თავიანთ მონაპოვარს.

10639. ზეიმზე წასასვლელად ქალები ახალ კაბებს იკერავენ, ხოლო კაცები ფრაკებს ეძებენ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქალები შინაგანად ზეიმობენ, ხოლო მამაკაცები ქალებს ზრდილობის გულისთვის უბამენ მხარს.

10640. ქალებს "სექსუალობა" აიძულებს ჩაიცვან გამჭირვალე კაბები, რათა კაცებს არჩევანის საშუალება მიეცეთ.

10641. ქალის წონის განზომილებიდან მთავარია თუ ერთი კილოგრამი რამდენად უფრო ლამაზია მომდევნო კილოგრამზე, ერთი სანტიმეტრი რამდენად უფრო მიმზიდველია და აღმგზნებია მომდევნო სანტიმეტრზე.

10642. ქალებს შორის დიდხანს მეგობრობა გამორიცხულია, რადგან ქალის ბუნება ამას არ დაუშვებს, თუ ისინი ერთმანეთს ხშირად ხვდებიან.

10643. თუ გინდა ერთდროულად ლამაზ, ჭკვიან, ერთგულ და ოჯახის მოყვარულ ქალზე იქორწინო, სულ ცოტა, მუსლიმანური მცნების მიმდევარი უნდა იყო, რადგან ერთ ქალში ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის პოვნა თითქმის შეუძლებელია.

10644. სილამაზეს ქალს სიყვარული უხანგრძლივებს და არა კოსმეტიკა და დიეტაზე ჯდომა, რადგან სიყვარული საჭირო კალორიების ხარჯვის გარეშე არ არსებობს.

10645. რა ქნას ქალმა, თუ ერთ მამაკაცთან რესტორანში ყოფნა სიამოვნებს, მეორესთან – ლოგინში, მესამე ოჯახშია შეუცვლელი, რომელი მამაკაცი გამოადგება? ალბათ ფულის მშოვნელი, რადგან დანარჩენი თვითონ მოვა.

10646. ზოგი ქალი მამაკაცს ცხვირსახოცივით მოიხოცავს და ყოველ შემთხვევისთვის ჯიბეში შეინახავს. ასეთი არსების მომხიბვლელობა სატყუარაა, უნებისყოფო, კონტროლდაკარგული მამაკაცისთვის.

10647. ნაკლები გარეგნობის დაქალს და შენზე შეყვარებულ სათადარიგო მამაკაცს, რომელიც ცოლად შერთვას გპირდება, უყურადღებოდ ნუ დატოვებ, რადგან არავინ იცის ცხოვრება როგორ შეტრიალდება და ის საჭოჭმანო მამაკაცი შეიძლება სანატრელი გაგიხდეს და ულამაზო დაქალი კონკურენტი.

10648. ქალის წინაშე მამაკაცის დამცირება, ამ უკანასკნელისთვის დიდი ტრაგედიაა, რადგან დათმობა და დამცირება სხვადასხვა განზომილებაა.

10649. ყველა ქალს შეუძლია ჩხუბი კოცნით დაამთავროს, ისე რომ თვითონაც ვერ იგრძნოს რას სჩადის, ამიტომ მათ ყველას მსახიობის თანდაყოლილი ნიჭი აქვთ და ემოციებს აყოლილი მათი ქმედება ბუნებრივად გამოდის, თუმცა მამაკაცებს ეს არაბუნებრივად გვეჩვენება.

10650. ქალი და მოდა ცვალებადია, მაგრამ მოდის ცვალებადობას ქალის ცვალებადობა ვერ ჯობნის, ალბათ იმიტომ, რომ ამ მოდასაც ქალის ხასიათი წყვეტს.

10651. ქალი ორი დილემის წინაშეა, რა აირჩიოს: სილამაზე თუ გონიერება. პირველს გამოყენება სჭირდება, მეორეს ბედი. ისე რომ ყველაფერი მაინც ბედ-იღბალზეა დამოკიდებული და არა ქალის არჩევანზე.

10652. ქალში აღმოჩენილია წიაღისეული, რომელშიც ბევრი სასარგებლო ქანია და ბევრი ბალასტიც, მთავარია ვინ არის მეშახტე, რა მონდომებით და შემართებით ამუშავებს ამ მადანს და რა სასარგებლოს დატოვებს ზევით.

10653. ქალი მამაკაცის სახეა, მაგრამ ზოგს ისეთი ხასიათი აქვს, რომ არც მისი იმიჯი გინდა და არც ნერვებაწეწილი და ნოტებზე აწყობილი ცხოვრება, რადგან ყოველივე ამის ატანა ჯანმრთელობის ვნებას.

10654. ოცნების კომპიუტერზედაც კი ძნელია შექმნა შენთვის საოცნებო ქალი, რადგან ასაკთან და გამოცდილებასთან ერთად გემოვნებაც გეცვლება და აქ კომპიუტერი ვერაფერს გახდება, ხოლო გემოვნების ცვალებადობა თვით ადამიანის ხასიათზეა დამოკიდებული.

10655. ქალები, როგორც შეუძლიათ, თავისი ღირსების წარმოჩენის მცდელობაში არიან, ხოლო მამაკაცები ამ ქალების ღირსებაზე ტრაბახით ცდილობენ გული მოიოხონ.

10656. ქალს აქვს თანდაყოლილი და შეძენილი ქალურობა. ბუნებრივი მკერდი, გავა, ფეხები, გულში ჩამწვდომი ღიმილი და სასიამოვნო ტემბრი, ხოლო ცრემლი, სექსუალური თამაში, მოქნილობა, მამაკაცის ხასიათზე აწყობა და ათასი სხვა მისი ნიჭის ნაყოფია, რომელიც ასე იპყრობს და იმონებს მამრს.

10657. ქალის "პოზიტივები": სილამაზე-სისულელე, მომხიბვლელობა-სისულელე, სიკოხტავე-სისულელე, კაპრიზები-სისულელე, სისულელე, სისულელე.

10658. ქალის ბაღნარის ყიდვა და არა მოსყიდვა ცოდვაა, მაგრამ რა ჰქნან უნიათო მამაკაცებმა, თუ მათ ქალზე დროის დაკარგვა არ უნდათ, სხვანაირად ქალის მოპოვება არ შეუძლიათ და მამაკაცის ღირსებას არად დაგიდევენ.

10659. ქალი გაჩენილია ლამაზი ცხოვრებისთვის და ის უნდა უზრუნველყოს მამაკაცმა, მაგრამ თუ მათ ამის სურვილი არ გააჩნიათ, ქალი იძულებულია სხვადასხვა ეშმაკობებს მიმართოს და გამოსტყუოს ამ ვაჟბატონებს მისთვის განკუთვნილი, ასე რომ ქალების მომხიბვლელობის მიზეზი მამრის ხელმომჭირნეობაა და არა მდედრის მისწრაფება ფუფუნებისკენ.

10660. ქალს, რომელზეც ცხოვრებაში რამდენიმეჯერ აპირებს შეუღლების განმეორებას, ცოლი კი არა, მეუღლე ჰქვია.

10661. ქალის ყველაზე დიდი თვისება მოთმინების უნარია, ყველაზე ძლიერი იარაღი ცრემლი და თუ ამას სიკეთე და გაგება დაერთვის, მის წინაშე ყველაზე ულამაზესი ქალიც კი ვერ იქნება კონკურენტუნარიანი, რადგან მას უკვე თავისი უკონკურსო მომხიბვლელობა გააჩნია.

10662. ყველა ქალის ყიდვა და მოხიბვლა შეიძლება ვერ შევძლოთ მამაკაცებმა, მაგრამ შევაჭრება და ქათინაურების თქმა აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალს არ ექნება საშუალება შეაფასოს თავისი თავი, რითაც მას ძალზე გაანაწყენებთ.

10663. პირველ რიგში ქალი და სექსი მომავალი თაობის კვლავწარმოების საზღვრებში უნდა იყოს დანახული, შემდეგაა სიყვარული, რადგან პირველის გარეშე ქალს არსებობა უჭირს, ხოლო მეორეს გადაიტანს როგორც სიყმაწვილის სენს.

10664. ქალი და ბრბო ერთმანეთს ჰგავს. მომწიფების პერიოდში პირველ შემხვედრ ვიგინდარას შეიძლება გაჰყვეს და მისთვის თავი მოიკლას. თუ არ გაუმართლა, სხვა პარტნიორთან კავშირზეც არ ამბობს უარს, მაგრამ პირველ გიჟურ განცდას ტკბილად იხსენებს.

10665. ქალი უფრო მეტი ჭეშმარიტების, სრულყოფილი იდუმალების მატარებელია, იგი მომხიბვლელი და ჰარმონიული არსებაა, ვიდრე მამაკაცი, რომელიც მის დასამორჩილებლად ყველაფერს კადრულობს, მაგრამ აქედან არაფერი სასიკეთო არ გამოდის, რადგან ეს ბრძოლა ქალის გამარჯვებით მთავრდება.

10666. რა ქნას ქალმა, თუ მას მამაკაცის ღირსების პრივატიზაცია და კაცის საკუთრებაში გადაფორმება სურს, ხოლო მამაკაცს კომუნალური ქალების მუქთა „ბალასტისკენ" აქვს მისწრაფება და ოჯახის შესაქმნელად არც მატერიალურად და არც მორალურად არ მომწიფებულა.

10667. მამრის სურვილია, რომ მდედრი მას პატივისცემით ეპყრობოდეს, ხოლო ქალისთვის მთავარია იყოს სიყვარულის ობიექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სიცოცხლე ცხოვრებად ვერ ჩაითვლება.

10668. სასურველ ქალთან ყოფნის სიამოვნებას სხვა არაფერი შეედრება, მაგრამ ერთი და იგივეს მუდმივად მირთმევა მაინც მოსაბეზრებელია.

10669. გამოგონებასაც აქვს თავისი ზღვარი. იმისთვის რომ ქალს ვასიამოვნოთ, სულ არ არის საჭირო რომ გამაცხელებელი ჩავუდოთ ლიფში, ამისთვის სხვა უფრო მიწიერი და სასიამოვნო საშუალება არსებობს.

10670. ქალწულობა ქალიშვილს ბევრი შემთხვევითი მამაკაცისგან და კომპანიაში მოხვედრისგან იცავს და მისი შენარჩუნება დაღვინების დაწყებამდე სასურველია. თუმცა გააჩნია მდედრის მისწრაფებას და იმას, თუ რა ოფოფები უტრიალებს თავში.

10671. ქალებს ჰგონიათ, რომ მდიდარი მამაკაცის მოპოვებას ჭკუა და გარჯა სჭირდება, ხოლო კარგ სექსუალურ პარტნიორთან ყოფნა ბედის წყალობაა, ამიტომაა, რომ ისინი ნაჩუქარს კბილს არ უსინჯავენ და ცდილობენ მაქსიმალური სიამე მიიღონ, ხოლო გათხოვებისას მამაკაცის გონიერებას და კრედიტუნარიანობას მკაცრად ამოწმებენ.

10672. მრავალცოლიანობის კანონის უქონლობა ეს არის ქალთა დემოკრატიული უფლებების შელახვა და ხელს უშლის მათ რთულ, საინტერესო და აზარტულ ცხოვრებას და აიძულებს დაკმაყოფილდეს მარტივი, უბრალო, უფერული ცხოვრებით, რადგან მეუღლედ ხვდებათ სხვისი დაწუნებული მამაკაცი.

10673. ქვეყანა, რაც უფრო ეკონომიურ სიდუხჭირეს განიცდის, ქალები სულიერად და გარეგნულად გაცილებით ლამაზები ჰყავს და ეს რომ გაირკვეს, საჭიროა ლამაზი და არა მომხიბვლელი ქალების ოდენობის განსაზღვრა ერთ კვადრატულ კმ-ზე, რადგან მომხიბვლელობაში მაინც ცივილიზაციის და ფულის ხელი ურევია.

10674. ძვირფასეულობა თუ სიყვარული? ამ კითხვით ქალის გონების გადაღლა არ ღირს, რადგან საბოლოოდ მაინც სიმდიდრისკენ გაურბით თვალი.

10675. ქალს არა აქვს უფლება შეძენილ სილამაზეზე უარის თქმისა, რადგან ის მოვალეა მამაკაცებს თვალში აღგზნების ნაპერწკალი არ დაუკარგოს და მათ მომრავლებას თუ არა გადაშენებას ხელი არ შეუწყოს.

10676. ქალი უნდა ცდილობდეს არა კარგი მამაკაცის ცოლობას, არამედ თავისი გემოვნების მამაკაცის პოვნას, რომელიც სხვისთვის გაუგებარია.

10677. ქალი მამაკაცის პარტნიორი და პატივისმცემელი უნდა იყოს, რადგან დანარჩენის ყიდვა და შეძენა მამაკაცს უკეთესის შეუძლია, მაგრამ ოჯახს სხვა პარამეტრები ასულდგმულებს და საზრდოს აძლევს.

10678. ყველა ქალს მოეპოვება თავის არსენალში ისეთი რამ, რომელიც წინ უნდა წარმოაჩინოს და მამაკაცი დაახარბოს. თუნდაც იმის თვითშეგნება, რომ ის ორიგინალური სილამაზის პატრონია.

10679. ყველა ქალს სამართლიანობის მიმართ გამახვილებული გრძნობა ახასიათებს და ეს მიმართულია ძირითადად მოწინააღმდეგე სქესის მიმართ, რადგან ისინი "გრძნობენ", თუ როგორ ჩაგრავენ ქალებს მათთვის გაუგებარი მიზეზის გამო, თუმცა სამართლიანობის არგუმენტების წარმოდგენას საჭიროდ არ მიიჩნევენ.

10680. ქალის ყველაზე ეროტიკული ნაწილია გარეშე პირთათვის აუხსნელი მისი ტვინია, ხოლო გონება და გული მასთან შეუთავსებელია.

10681. როდესაც ქალები გეწუბებიან, არავინ იცის ეს ბედნიერებაა თუ უბედურება, ან რამდენად ხელს გიწყობს მამაკაცური ჯანმრთელობა, შესაძლებლობა და ხასიათი.

10682. ქალისთვის სიყვარული და სარკისადიმი მიდრეკილება თანდაყოლილი ბუნებაა, მაგრამ ორივე მსხვრევადია, თუ სათანადოდ არ გაუფრთხილდით და არ მოუარეთ.

10683. კაცებზე მონადირე ქალები ბატკნებად წარმოგვიდგებიან, მაგრამ როგორც კი თავისას ოფიციალურად გაინაღდებენ, ცხვრობას უკადრისობენ და პირდაფჩენილ მგლებად გვევლინებიან.

10684. ქალის მოძალებული სიყვარული მამაკაცს აფრთხობს და აშორებს, მამაკაცის მოძალება ქალს აღაფრთოვანებს და აახლოებს.

10685. ქალი იძულებულია, შოკი გამოიწვიოს საზოგადოებაში, თუ გარეგნობა და მომხიბვლელობა ხელს არ უწყობს, რადგან სხვა გზა არა აქვს, რომ შეამჩნიონ.

10686. შეიძლება მამაკაცისთვის გადამეტებულად მებრძოლი ქალის დაჟინება სიყვარული კი არა, კაპრიზი იყოს.

10687. ქალს, რომელსაც ისე უყვარხარ, რომ ახლო ნათესავების აზრის გაგონება არ უნდა, ხოლო ფსიქიატრი მას მკურნალობას არ კისრულობს, მიგვანიშნებს ქალის აკვიატებულ აზრზე და არა დიდ სიყვარულზე.

10688. როდესაც ქალები თხოვდებიან, ისინი პირველ რიგში თავიანთ თავზე ფიქრობენ, კაცებს აიძულებენ ოჯახში ბარაქა და დოვლათი შემოიტანონ და მათაც უფლებას აძლევენ ხანდახან ამ სიკეთით ისარგებლონ.

10689. ქალისადმი სიყვარული და ქალის საჭიროება მამაკაცისთვის ორი ძალზე განსხვავებული რამაა.

10690. ქალში მისმა სურნელმა უნდა აღგაფრთოვანოთ და არა მისმა ფუტლიარმა, როდესაც ამას ხვდები, უკვე გრძნობები დაქვეითებული გაქვს და თუ ეს ასე არ არის, მაშინ სიყვარულის შეყრის პერსპექტივა კიდევ გაქვთ და ამას ვერავითარი ასაკი წინ ვერ დაუდგება.

10691. ყველა მომხიბვლელი ქალი სულის და თავისებური სურნელის ზეიმია და ეს სიამოვნება მანამ გრძელდება, სანამ სურნელს იმდენად შევეჩვევით, რომ ქალის სულიც მივიწყებას ეძლევა.

10692. ზოგიერთ მეოთხეჯერ დაქვრივებულ ქალს ისეთი ბედი აქვს, რომ მის მიერ გაკეთებულ სიკეთესაც კი, რაც მისი ცოლად გაყოლაში გამოიხატება, მამაკაცები ვერ აფასებენ და უდროო დროს იხოცებიან.

10693. ქალს უნდა მივცეთ შანსი ქალად იქცეს და არა არჩევნის საგნად, სადაც ის ლამაზმანად გადაიქცევა.

10694. მოხერხებული ქალი მონა არ უნდა იყო თავისი კაპრიზის, თავისი ინიციატივის. უნდა ეცადოს ქმრის სურვილის ასრულებით და სიამოვნების მინიჭებით, მის თავს თუ არა, კისერს მაინც გაუკეთოს პრივატიზაცია.

10695. ქალი სარკის წინ ბევრი ნიღაბის მორგებაზე ოცნებობს. ლოგინში ბევრი მამაკაცის მოთოკვაზე, ოჯახში დედამთილის დამორჩილებაზე, ცხოვრებაში კი საზოგადოების ჩვეულებრივი მორალის მარწუხებშია მოქცეული.

10696. ქალის და მამაკაცის სიყვარული არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება, მაგრამ მუქთაზე მაინც ვერ გაიფურჩქნება.

10697. ქალი, რომელიც მამაკაცს სიყვარულს ჩუქნის, პრეტენზიულია და საყვედურებით ავსებს, ხოლო, რომელიც სიყვარულს ყიდის, უპრეტენზიოა და მორჩილი, რადგან პირველის მიზანია თავის "მეს" განმტკიცება, მეორის კი – ფულის დაცინცვლა.

10698. მდედრის კანის სითბო სათნოებისკენ, სიკეთისკენ, სიყვარულისკენ, სექსუალური აღტყინებისკენ გვიბიძგებს. სითბოგაუცემელი კანი კი გიცილებთ სულერთს ხდის ქალთან ყოფნას. ასე რომ კანის მნიშვნელობა მდედრთან ურთიერთობაში განუსაზღვრელია.

10699. ჯარისკაცის, მებრძოლის დასვენება ქალია, ხოლო მის დაპურებას რა გზით მოახერხებს, ეს უკვე მდედრის ხელოვნებაა.

10700. ქალს გულის მოგება სჭირდება: ალერსი, ფული, ალერსი, ფული, ფული, ალერსი, ფული, ფული, ფული, ფული, ფული...

10701. ქალი არსებობს წარმოდგენით, ოცნებებით. მამაკაცი კი ცდილობს ლოგიკური გამოკვლევით და ინტუიციით იცხოვროს.

10702. მომხიბვლელობაში ქალის ჭკუაც იგულისხმება, ხოლო სილამაზე მის გარეშეც კარგად გრძნობს თავს. აბა რა ქნას, მამაზეციერმა, ყველას ყველაფერი რომ დაანათლოს, მისი საჭიროება ვიღას გაახსენდება?

10703. ცოდვაა ისარგებლო ნარკომანის, ლოთის და სხვების სისუსტით, მაგრამ თუ ეს ქალის ბედნიერებას ეხება და არ გამოიყენება, დანაშაულია.

10704. ქალი თვითმკვლელობამდე თავის ამბიციებს, თავზე წარმოდგენას, კაპრიზს და მოუწესრიგებელ გენს მიყავს, რომელიც მისდაშეუცნობლად დაბუდებულია მასში.

10705. ბუნებაში მამრის გამოხშირვა საჭიროც არის და აუცილებელიც. ამას მდედრები შესანიშნავად ახერხებენ მამაკაცებზე აუქციონის მოწყობით, რადგან

ცხოვრებაში ყველამ თავის ადგილი უნდა იცოდეს და ამასთან ქალიც ხომ უნდა ამაღლდეს თავის და სხვის თვალში.

10706. არიან ქალები, რომლებიც მეგობარსაც არ უნდა უსურვო, რათა ისე არ გააყოჩაღოს, რომ რობოტად აქციოს და გონიერებით დამონებული, მეგობრობისთვის მიუწვდომელი გახდეს.

10707. ქალი მერყევი ხასიათის მიუხედავად, აუღებელი ციხე-სიმაგრეცაა, ამიტომ, ამ ბარიერის გადალახვას, მამაკაცები შეტევით, არშიყით, მოლაპარაკებაგარიგებით ცდილობენ, ასე რომ მდედრის დაუფლების მრავალი ხერხი არსებობს, მაგრამ აქ მთავარი ქალის მინორულ ხასიათზე ყოფნა და დროის ფაქტორია.

10708. ქალის ლოგიკის გაგება მამაკაცისთვის აუცილებელი არ არის, მისი ვალია მოსმენა და თავის დაქნევა, მიუხედავად იმისა მის მხარეს არის თუ არა.

10709. ქალისთვის ექიმის რეკომენდაციით ჯანმრთელობის აღდგენა შესაძლებელი და საინტერესოა, მაგრამ ქმრის რეკომენდაციით კურორტზე იგივეს გაკეთება შეუძლებელი და უინტერესო ხდება.

10710. ქალებს მამაკაცები ეთაყვანებიან და ძალიან უყვართ, მაგრამ არა საკონკურსო ადგილებზე პარლამენტში, მთავრობაში და საერთოდ პოლიტიკაში.

10711. სახელმწიფოს გადაგვარების შედეგად ქალები მატერიალურ კეთილდღეობას აფეტიშებენ, ქალის ღირსებას არად დაგიდევენ და სამამულო მწარმოებელ მამაკაცს მომხიბვლელობის იმიჯს უკარგავენ.

10712. ქალი ეს სასწაულია, მაგრამ კიდევ უფრო დიდი სასწაულია შენდამი მისი სიყვარული.

10713. ქმრისგან თავდაღწეული ქალი დღესასწაულს ზეიმობს, ოცნებაში პრინცი ჰყავს გამზადებული, პერსპექტივაში კი ჩვეულებრივ ორფეხა მამრზე თხოვდება. ხელახლა ოჯახის დანგრევის თავიდან აცილებას კი ქალის გამოცდილება და ასაკი შველის.

10714. მრავალჯერ გათხოვილი ქალი მომდევნო მამაკაცისთვის მაინც ქმრის იარლიყის მიკერების მცდელობაშია, გამოცდილებას მხედველობაში არ იღებს და ისევ ბედისწერას ანდობს თავს.

10715. ქალაქში ერთიდაიგივე ქალების გათხოვება გვესმის - ამის მიზეზია ტრადიციებისადმი უსაშველო მონობა და დაკომპლექსება. ამასთან რა ჰქნან ამ გამოცდილმა ქალებმა, ვიღაცამ ხომ უნდა შეასრულოს ოჯახის შექმნის გეგმა.

10716. როდესაც ქალს არც ქმარი ჰყავს და არც საყვარელი, მისი ნაშიერის მამად მამაზეციერი უნდა გამოვაცხადოთ და ძიძობა ანგელოზებს მივანდოთ, რათა ბავშვი უპატრონო არავის ეგონოს.

10717. ქალისთვის ყველაზე მიმზიდველი მამაკაცი ის არის, ვინც სხვა მდედრთან ცოტ-ცოტას სცოდავს, რადგან ანგელოზებისთვის და პატიოსნებისთვის ამქვეყნად ადგილი აღარ რჩება.

10718. თუ ქალს შეუძლია ესიყვარულოს მამაკაცს, გონება დააკარგვინოს, ასეთ ნასროლ ბადეს მამრი, მისდა საბედნიეროდ, თავს ვერ დააღწევს.

10719. ქალს საზოგადოებაში უნდა მოექცნენ, როგორც დედოფალს, სარეცელზე როგორც "ხალხის მტერს", რათა მან ერთდროულად შეიგრძნოს სათნოების და

მამაკაცის ღირსების ფასი, რაც სიყვარულის გახანგრძლივების და ოჯახის მშენებლობის აქსიომაა.

10720. მთავარია, ქალს უყვარდეს და მერე ეს ქალი თუ მამაკაცს მოსწონს და მომავალში სიყვარულს 50 პროცენტსაც დაუმატებს, ასეთების დაწყვილება ოჯახის შესაქმნელად და გასამაგრებლად გამართლებულია.

10721. ლამაზ ქალს და სიცოცხლეს, ორივეს გაფრთხილება და მოვლა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ორივე გაგვიფრინდეს ხელიდან.

10722. შემოქმედებითი ფსევდონიმი ყველა ქალს უნდა ქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პროფესიონალიზმი სექსში ეჭვს იმსახურებს.

10723. ღმერთი ხანდახან ისეთ გარეგნობას, ტანს, გავას, მკერდს, თვალებს დაანათლავს ქალის ზოგიერთ უბანს, რომლის დანახვა აღფრთოვანებისგან სუნთქვას შეგიკრავთ, მაგრამ ამის აღწერა, გადმოცემა და აღბეჭდვა არც ერთ მხატვარს და თანამედროვე ტექნიკის საშუალებებს არ ძალუძთ.

10724. როდესაც ყველაფერს იგებ ქალების შესახებ, გგონია, ამის შემდეგ ძნელია მათი შეყვარება, მაგრამ რას უზამ ამ გულს, რომლისთვისაც არც ასაკი არსებობს და არც გონიერება.

10725. რაც მდედრს სურს, ის უნდა მამაზეციერსაც, ყოველ შემთხვევაში ქალებს ასე სწამთ და მათი ქცევაც ამაზე მეტყველებს.

10726. ზოგი მამაკაცი ქალს ძვირადღირებულ ბრილიანტად აფასებს და ყველა-ფერს აკეთებს მისი პრივატიზებისთვის.

10727. ქალს თუ მოწონებასთან ერთად თქვენდამი შეცოდების გრძნობაც უჩნდება, ესე იგი საქმე ალჩუზეა: უყვარხართ, მაგრამ ვერ გიმხელთ.

10728. ქალს ზოგჯერ იმის დანახვაც შეუძლია, რაც მამაზეციერისთვისაც კი წარმო-უდგენელია.

10729. ქალი ცხოვრების რეალური მაყურებელია, ამიტომაც მისი სულის დიალექ-ტიკას კერძო მესაკუთრული ჭია უჩნდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა უყვარს.

10730. უაღრესად ლამაზ ქალს ღმერთმა ქათმის ჭკუა და ხვადის დაპყრობის და გაოგნების უნარი მისცა, საიდანაც მამრი თავის ნებით იშვიათად ახერხებს თავის დაღწევას, ხოლო ძუ წესიერი ოჯახის შექმნას.

10731. ქალი შეიძლება გათხოვდეს სიყვარულისთვის, კარიერისთვის, რწმენისთვის, ფულისთვის, ინტერესისთვის, მოწყენილობისთვის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სხვის ჯინაზე, რადგან ეს არ ამართლებს.

10732. ასმა კაცმა თუ ლამაზ ქალს თვალი მოკრა და ყველა მას მიაჩერდა, მდედრი ამ მამრების ფარეხში თავის მამაკაცის არჩევას მაინც მოასწრებს, იმ დღის მენტალიტეტის და განწყობის შესაბამისად.

10733. ქალი იმიტომ გიჟდება ღირსეულ მამაკაცზე და მის მამაკაცურ ღირსებაზე, რომ მისი ძირითადი პროფესიაა იყოს გულდასაწყვეტი და დასამახსოვრებელი ქალი.

10734. ქალის გამოკვეთილი, მოხდენილი მკერდი და გავა დიდი ძალაა და მას მდედრი უნდა მიაქროლებდეს, მიაგოგმანებდეს და არა ატარებდეს და მიათრევდეს, რადგან მისი ტარების უცოდინარობით ბევრ სიამეს აკლებს მამაკაცთა მოდგმას.

10735. ქალის ბაღნარის გონივრული დაბანდებაც შორსმჭვრეტელობას მოითხოვს, მიუხედავად განცდების და ოცნებების მოთოკვისა, აქ მთავარია ცხოვრების დაისზე რა დივიდენდების მფლობელი ხდები.

10736. ქალებს ეკოლოგიაზე ჭორაობა უყვართ, მაგრამ ისინი რომ თავისი ფერუმარილით მამაკაცთა მოდგმას ალერსის დროს საწამლავით წამლავენ, ამ საკითხზე მსჯელობაც კი უგუნურობად მიაჩნიათ, რადგან ყველა გზა, რომელიც ქალის სილამაზის შენარჩუნებას ემსახურება გამართლებულია და განსჯას არ ექვემდებარება.

10737. ახალგაზრდა გოგონა პარფიუმერიის და ნაირ-ნაირი ნელსაცხებლების ხმარებას უნდა მოერიდოს, რადგან მისი ახალგაზრდული სურნელი და შესახედაობა ყველა სუნამოზე და პარფიუმერიაზე სანატრელი და მომხიბვლელი სუნია მამაკაცებისთვის.

10738. ქალები პირველ რიგში ინტერესდებიან მამაკაცის კარიერული და ქონებრივი შესაძლებლობებით. მისი სექსუალობა ამჯერად ნაკლებათ აინტერესებთ, რადგან გაყრის შემთხვევაში ქმრის ქონების წილში ჩაჯდომის და გარკვეული აქციების მოპოვების შანსი უჩნდებათ, ხოლო მეორე შემთხვევაში, ბუნების კაპრიზს, წყალობას წინ ვერავინ აღუდგება და ამ სიამოვნების შესაძლებლობა მას ყოველთვის აქვს, განსაკუთრებით მაშინ თუ ის ცნობილი ან მდიდარი პიროვნების მეუღლეა და საბანკო ჩეკიც განაღდებული აქვს.

10739. ქალად უნდა ჩაითვალოს ის, ვისაც მამაკაცი თვალებით ატიტვლებს და წინააღმდეგი არ არის დაეუფლოს მას, მიუხედავად იმისა, აქვს ამის შესაძლებლობა თუ არა.

10740. დედაკაცია ის, რომლის დანახვაზე მამაკაცს გაურკვეველი გრძნობა ეუფლება და მასში მხოლოდ მოსაუბრეს ხედავს.

10741. ქალღმერთია ის, ვისი ყველა ქმედებაც მამაკაცში ნეტარებას იწვევს და ამ ეტაპზეც მიუწვდომელი ეჩვენება.

10742. ჩვეულებრივი ქალებიდან კონკურენტუნარიანი მანდილოსნები უნდა გამოვძერწოთ: თეატრში რეჟისორმა, ოჯახში მეუღლემ, ქვეყანაში სახელმწიფომ. ეს იქნება მდედრისადმი ყველაზე დიდი ზრუნვა.

10743. ქალისთვის მთავარია იმის განცდა, რომ მისი ნახვა ვინმეს უნდა და მას ელოდება, რადგან წუხილის გარეშე ბედნიერების გადატანა არ შეუძლია და სიამეს ვერ შეიგრძნობს.

10744. ქალს ბევრის კეთება შეუძლია, მაგრამ საკითხავია, ვისთვის.

10745. ქალის სურვილი და ნდობა ერთმანეთს ვერ ეთვისებიან, მიუხედავად იმისა, რომ ერთი საწყისი აქვთ.

10746. მისი უდიდებულესობა ქალის ლოგიკაა, რომელზედაც ქალები არ ჭორაობენ, ხოლო მამაკაცები ვერაფერს უგებენ.

10747. ბებიობა იგივე დედობის გახსენებაა სხვა განზომილებაში, რომელიც შეხედულებას უცვლის ქალს.

10748. ქალზე უარესი მხოლოდ ქალი შეიძლება იყოს ღმერთმა იცის ეს ჩემი ნათქვამი არ არის.

10749. ქალი უგემურად მომზადებული საჭმლის გამოკეთებას სანელებლებით, ცხიმის დახმარებით ახერხებს, გარეგნობისას ფერ-უმარილით, "ჭინჭებით", პლასტიკური ოპერაციით, ხოლო ხასიათის გამოსწორებას – მოთმინებით, ყოველდღიური წვრთნით, რომლის წინამორბედი სიყვარულია.

10750. ზოგიერთი ქალი იმდენად უმადური იბადება, რომ ბებიაქალს გაჩენისთანავე აფურთხებს, საოცარია, მაგრამ სწორედ ასეთი მდედრისთვის იწყებენ მამრები ქიშპობას და ომს.

10751. რეალურად ქალის მთელი ცხოვრება 20-25 წელი და ორი-სამი ფეხმძიმობის გადატანაა.

10752. ქალი თავისებური განტოლებაა, რომლის ამოხსნა თითქოს ღირსეულთა ხვედრი უნდა იყოს, მაგრამ რატომღაც ამას უკეთ "უღირსნი" ახერხებენ.

10753. რაც უფრო მეტ თავისუფლებას ვაძლევთ ქალს, უფრო მეტად დაჩაგრულად გრძნობს თავს, რადგან მისი ბიოლოგიაა, ვიღაცამ უპატრონოს, ვიღაცაზე დაყრდნობა შეძლოს.

10754. ბედნიერი ქალი ხმაურიანია, მჩქეფარეა, ფეთქებადია. უბედური კი ჩუმი, გაუბედავი, ცხოვრებაზე დაბოღმილი. პირველი გაშლილ ვარდს მოგვაგონებს, მეორე გაუშლელ კოკორს, რომელსაც გაშლა არ უწერია. სხვისთვისაც და თავისთვისაც უმადურად აპირებს ამქვეყნიდან გადაბარგებას.

10755. ქალები არ ცდებიან, ისინი უბრალოდ ურევენ დროს, ადგილსამყოფელს და კაპრიზებს შორის გამავალ პარამეტრებს.

10756. ქალს მანეკენი რომ გამოუტყდება სიყვარულში, ისიც სიამოვნებს, ხოლო თუ მამაკაცმა მიანიშნა, რომ ის მისი კაიფია, მიუხედავად იმისა, ის თანაუგრძნობს ამ სიყვარულს თუ არა, თავის თავში სიამაყე და იმიჯი ემატება.

10757. ქალის სიკარგე ქმრების და მათი ახლობელი მამაკაცების აღზრდის დამსახურებაა, რომლებიც თავს აიძულებენ მორალური ნორმების ზღვარზე იცხოვრონ.

10758. ფემინიზმს, ემანსიპაციას, ქალს თანამედროვე, "ტუსოვკა", მის მიერ შერჩეული მამრის მენტალიტეტი აძლევს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩვეულებრივ ძუკნად მოიხსენიებდნენ.

10759. ცრემლი, ალერსი, მოთმინება, კაპრიზი, ეს ქალის საშიში იარაღია, რომელიც მამაკაცისთვის ჩასაფრებული ჯიქის ნახტომის ტოლფასი და მისი დამორჩილების ნებაყოფლობითი გარანტიაა.

10760. სარწმუნოება და ქალი ძალზე ინტიმურია და მათი არჩევანი არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება.

10761. ქალებს ტან-ფეხის, ბიუსტის და უკანალის შეჯიბრი აქვთ, ხოლო მამაკაცებს – გონების დემაგოგიური ხარჯვის, ფულის შოვნის გზების ძებნის და მამაკაცის ღირსების გაფეტიშებისა.

10762. რუს ქალზე მომთაბარე ტომებიდან დაწყებული, "ნაცმენებით" დამთავრებული, ყველა ძალადობდა, მაგრამ ნახმარი მაინც სხვები გამოდიოდნენ, რადგან მისმა აღზრდილმა შვილებმა უდიდესი ტერიტორია მოიპოვეს ევროპიდან დაწყებული, აზიით და ალიასკის აბორიგენებით დამთავრებული, ამიტომ რუსეთის

დროშას, გერბს, რუსის ქალის გამოსახულება უნდა ამშვენებდეს და არა ორთავიანი უტვინო არწივი, რომლის ნატურა ქათმისგან იყო გადაღებული.

10763. გიყვარდეს ერთი ქალი მთელი ცხოვრება, გენეტიკური ნიჭია ან პათოლოგიური გადახრა, ყოველ შემთხვევაში, მექალთანეს ასე ეჩვენება.

10764. საოცარია ქალის ბუნება, როგორც უნდა უზრუნველყო მისი გარდერობი, ისეთი კაბა, რომელიც მის მამაკაცს ეკადრება, მაინც არა აქვს.

10765. ქალსა და ქალურობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველისთვის სირცხვილია მთავარი, მეორისთვის ამ ცნებაზე მორიდებით ხელის აღება, თუ უნდა რომ მუდამ ქალურად გამოიყურებოდეს, რადგან ქალურობის საზღვარი არ არსებობს.

10766. ქალები გამოუცნობნი არიან, იმიტომ რომ ამ გამოცანებს თვითონ ქმნიან.

10767. საოცარია შეყვარებული ქალის ბუნება: ქურდს და ვიგინდარას ცოლად მიყვება და მერე უკვირს თავის უბედობის. იმის მაგივრად, რომ დროს კანარის კუნძულებზე ატარებდეს, კოლონიის სასტუმროში უხდება ყოფნა.

10768. ქალს და ხალხს რასაც მეტს დაასაქმებთ, უფრო საქმიანი და ენერგიულნი ხდებიან. ყოჩაღი მამაკაცის სექსუალური შესაძლებლობებით შეწუხებული ქალი თანახმაა ამ ფრონტზე თავი კიდევ მეტად შეიწუხოს, რათა საქმეში სხვა მდედრი არ ჩარიოს, ხოლო ხალხი მომატებული ანაზღაურების სანაცვლოდ, ბევრ ადამიანურ სიამეზე უარს ამბობს.

10769. ქალებს უნდათ, რომ ყველაფერში ძლიერნი იყვნენ, მაგრამ მათ ამის საშუალებას ქალური ლოგიკა, კაპრიზი და მამრის მიმართ ოცნებით თავდავიწყებული სიყვარული არ აძლევთ.

10770. ქალს და ქვეყნის ბიუჯეტს ყველა ხელს უფათურებს, ვისაც ამის უფლებას მისცემენ, იმ სხვაობით, რომ პირველისგან თანხმობის მიღებაა საჭირო, ხოლო მეორეს არაფერს ეკითხებიან.

10771. მდედრის რაობა ყველა მათემატიკურ რიცხვზე უფრო სრულყოფილად იშლება და შესატყვისი დატვირთვაც აქვს. სასიამოვნო: ქალიშვილი, გასათხოვარი, პატარძალი, დედა, დიდედა, დიასახლისი. უსიამოვნო: მეძავი, კახპა, ანჩხლი, ჭორიკანა, ძუკნა. გაურკვეველი: მასაჟისტი, მდივანი, კარიერისტი, ფემინისტი, ბიზნესმენი, მომხიბლავი. ლამაზი: ფეხები, მკერდი, უბე, გავა, ჯდომა, სიარული, სიცილი, ტუჩები, ყვრიმალი. აღმაფრთოვანებელი: ღვთაებრივია, ქალწულია, ნაზია, ქათქათაა, ანგელოზია, უმწიკვლოა, სექსუალური: ვნებათა ყურეა, ნეიტრონის ყუმბარაა, ბაღნარია. ყველა დასახელებული სიტყვის ჩუქურთმას თავისებური საკლები, მაკლები და დასაფიქსირებელი ჯამი აქვს.

10772. ქალს არც ნაზი ალერსი უნდა აკლდეს და არც მამაკაცის უხეში ძალა, ოღონდ ყოველივე დროის შესატყვისად, რათა ერთფეროვნება მოსაბეზრებელი არ გახდეს.

10773. ქალებმა უნდა ატარონ ის, რაც მათ და მათ ასაკს შეეფერება, ოღონდ უკმარისობის შეგრძნებით, ჩაცმაზე ზრუნვით, რაც მათ სულიერად ძალზე ალამაზებთ იმ ქალებთან შედარებით, ვინც სხვისი დიზაინერის გემოვნებით იცვამს.

10774. ქალს შეუძლია იყოს პიროვნებაც და სექსის ობიექტიც, მთავარია როგორ დაიჭერს და წარმოაჩენს თავს.

10775. ქალისადმი გრძნობას ზოგიერთი ხვადი წელს ზევით არ უშვებს, ხოლო გონიერებას წელს ქვემოთ.
10776. უმეტესი საქმიანი ქალის ხვედრია ღიმილის კეკლუცად გადმოფრქვევა ყველაფრის დაყნოსვა, ვითარებათა მოჩხრეკვა და „ბოსის" კომპლიმენტის დამსახურება.
10777. ქალისთვის ლოგიკაზე მაღლა ემოციებია. პირველის მოსასმენად მას არ სცალია, ხოლო მეორის გამომზეურება მისთვის ყველა სიმართლეზე მაღლა დგას და მისი შინაგანი მოთხოვნილებაა.
10778. თვალების შემოფეთება, დაჟუჟუნება, ჩაკვრა, განაბვა, წამწამზე ცრემლის ჩამოკიდება ქალის ხიბლის ის უნივერსალური გასაღებია, რომლითაც მამაკაცის გულს გააღებს და შიგ დაისადგურებს.
10779. ამბობენ, პირველი ფული ჩინური ბრინჯაოს დანები და ბერძნული დრახმა იყოო, მაგრამ სრულიად შესაძლებელია მათზე ადრე ქალი ყოფილიყო ფულის როლში, რადგან დღევანდელ ოქროს და დოლარის მყიდველობით გარანტიაზე, ქალი, როგორც საერთაშორისო „ვალუტა", ყველაზე მაღლა დადგებოდა, რომ არ ბერდებოდეს და ბუნებით ყველა მამაკაცს ეთვისებოდეს.
10780. ქალს 15 წლამდე ერთი პრეტენზია აქვს მამრის მიმართ, 25 წლამდე მეორე, 50 წლამდე მესამე და ასე შემდეგ, ხოლო მამაკაცს ყველა ასაკში, ერთი რამ უნდა ქალისაგან, მიუხედავად იმისა, შეუძლია თუ არა.
10781. არიან ქალები, რომლებიც მამრს მამაკაცად აყალიბებენ, არიან ისეთებიც, რომლებიც დედებს ემსგავსებიან და ცდილობენ ისინი დიდ ბავშვებად აქციონ.
10782. თუ ქალი მამაკაცს ეფერება, უგებს, მისი მოწინააღმდეგეების დაფრენა სიამოვნებას ანიჭებს, მაშინ მამაკაცს ფრთები ამოსდის და საფრენადაც გამზადებულია.
10783. ქალის გზა ცხოვრებაში ტრაგიკულია და ტრიუმფალური ისტორიაა დედის, საკუთარი თავის არ წარმოჩენის და ნაშიერების დამკვიდრებისა.
10784. ლამაზი მდედრის ფუტლარი ხვადების მეტ ყურადღებას იმიტომ იპყრობს, რომ ბეცი მამაკაცები უფრო ცოტანი არიან, ვიდრე გონიერები.
10785. მდედრთა მოდგმას თავიანთი სიმრავლე აიძულებს კეთილნი და დამყოლნი იყვნენ მამრების მიმართ, რათა საშუალება მისცენ მათი სიკეთით უმოწყალოდ ისარგებლონ.
10786. ქალს უნდა ჰქონდეს თავისი საქმე და საშუალება, რომ ღმერთისათვის ნაბოძები ნიჭი გამოიყენოს, რათა თავსაც ასიამოვნოს, სექსიც არ დაივიწყოს, ოჯახსაც მიხედოს, ქმარს ყურადღება მიაქციოს, შვილებიც ზარდოს, შვილიშვილების სიყვარულიც დაიმსახუროს. რაც ვერ მოასწრო თავს დააბრალოს. მისი საყვედური ცხოვრებაზე ქალის მომდევნო კაპრიზია, რადგან ყველა ზემოთ აღნიშნული ქალის ბუნების პროგროგატივაა.
10787. ქალების სხვისადმი სოლიდარობა გამოიხატება ცრემლის გადმოყრაში, შემდგომ თავის დამშვიდებასა და მომავალი ცხოვრების იმედში.
10788. ქალის მთავარი დანიშნულებაა ამქვეყნად უკვდავების ქმნა და ამ საქმეში მამრის თავის ჭკუაზე გამოყენება.

10789. ყველა ქალის ოცნება უღრუბლო ბედნიერებაა, მაგრამ თავის შეკავება და გაძლება არ უნდათ.
10790. იშვიათია მეოცნებე ქალის ბედნიერება, რომელსაც თავის ნაოცნებარისგან მიღებული სიამოვნების ნაცვლად არავითარი ხარჯის გაღება არ უხდება.
10791. როდესაც ქალი თხოვდება, ცდილობს საქმროს ზოგიერთი ნაკლი შეუმჩნეველი დარჩეს, რომელიც მისი და წლების მატების დახმარებით ძალზე მატულობს და ზოგჯერ აუტანელიც ხდება.
10792. ყველა ქალს გულის სიღრმეში გველი უზის, რომელთაგან ზოგიერთი შხამის გარეშეა.
10793. ლამაზ ქალსა და მომხიბვლელს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ლამაზი სულის დეფიციტს განიცდის, ხოლო მეორეს ეს სული შეიძლება ჰქონდეს.
10794. ქალები სხეულით ფიქრობენ და სიყვარულით ცდებიან.
10795. ყველა ქალი უნდა ცდილობდეს თვითონ გაერკვეს თავის რაინდში და წაახალისოს ან დასაჯოს ეს ურჩი ხვადი.
10796. ზოგი ქალი კი არა ჭირია, სადაც გაივლის ყველა მამრი მას ეწებება. თუ უნდა არავის იკარებს, ხოლო ვინც მოსწონს იმას თვითონ დროებით იწებებს. ასეთი მდედრი ძლიერი ხვადისათვის ნამდვილი ძუა და მის მოსაპოვებლად ტაბიკების მტვრევასაც არ დაერიდება.
10797. მამაკაცისგან განსხვავებით ქალის შურისძიება უსაზღვროა, რადგან მისთვის გასაგები „გონიერებით" ჰგონია, რომ არაადეკვატური ქმედებით ჯავრს იყრის მამრზე, რომელსაც აღარაფერი ანაღვლებს თუ მდედრზე ხელი ჩაქნეული აქვს.
10798. ქალი არ ღალატობს იმ შემთხვევაში, თუ მისი ხვადი უკეთესია. ფიქრობს, ყველა ერთი ოხერია და ირგვლივ არავინ არის ისეთი, რომ მისი შეცდენა მოახერხოს.
10799. ქალმა თუ ნაზად გაგაღვიძათ, ეს იმის მაჩვენებელი არ არის, რომ საღამოს, თუ მისი ნაზი მშვენიერება მატერიალურად არ იქნა შემაგრებული, „იავნანის" სიმღერით დაგაძინებთ.
10800. ღმერთმა ერთს კლასიკური სილამაზე უბოძა, მეორეს სექსუალური მომხიბვლელობა, მესამე საწოლშია ჯადოქარი, მეოთხე სამზარეულოს დედოფალია, მეხუთე შვილებზე გადამკვდარი დედაა და ასე შემდეგ. საინტერესოა, ყოველივე ეს მაქსიმალურად ერთ ქალში რომ იყოს მოთავსებული, აქედან ანგელოზს მივიღებდით თუ ჯადოქარს? ეს არავინ უწყის, მამაკაცების გარდა.
10801. ქალი უფრო ეშმაკია მამაკაცზე. ის ურთიერთობის გასარკვევად ხრიკებს მიმართავს, თან გულს ამადლის, თითქოს მასთან განშორება უჭირს, ხოლო მამაკაცი ქალს ნაჩუქარი საუკეთესო დღეებს არ ამადლის და უსიტყვოდ უნდა მასთან ურთიერთობის გაწყვეტა.
10802. გოგონა, ქალიშვილი, მანდილოსანი, უპრობლემო ქალი, ბებია, ქალბატონი – ამ ჯგუფის მდედრის რეალიზაცია დამოკიდებულია მამრის ასაკზე, სექსუალურ მადაზე და ინტელექტზე.
10803. „ღამის პეპლების" მომრავლება მორალის შეცვლა კი არ არის, არამედ ეკონომიკის უსუსურობის შედეგია, ქალს, რომელსაც შემძლე მეუღლე, ფულის ხარ-

ჯვის საშუალება და ღირსეული ნაშიერი ჰყავს, ის უღირსი მამაკაცის ხელში არ დახურდავდება.

10804. დიდი რიცხვების კანონი ჯიშიან ხალხზე არ ამართლებს, რადგან ზოგიერთ ქალს საკმარისია ხვადის შარვლის ტოტი გაეკაროს და სახეზე გვაქვს ქრონიკული ორსულობა.

10805. ქალზე კარგი ნათქვამიც კი გვაღელვებს, ხოლო აღსაფრთოვანებლად მისი ნახევრის ნახვაც საკმარისია. კაცის შესამჩნევად კი მისი მთლიანი ნახვაც არ კმარა, ხოლო რომ მოიწონონ, მას კარიერა, ქონება, განათლება და სხვა ამგვარიც უნდა დაემატოს.

10806. ანჩხლი ქალის ამქვეყნიდან წასვლას ყველა მშვიდად ხვდება და მის შემცვლელზე არავინ ფიქრობს, მაგრამ როდესაც სათნო ქალს ვკარგავთ, ყველას რაღაც გვაკლდება და სამძიმარში სინანულის აკორდები გაისმის, რადგან მისი შემცვლელის მონახვა არც ისე ადვილია.

10807. ღირსების ორიენტაცია იმ ქალის დასაპყრობად უნდა იყოს მიმართული, ვინც გულით თავის საყვარელ „პატარა პრინცს" ეძებს.

10808. ხვადს მდედრი ირჩევს, ხოლო თამაშგარე დარჩენილმა, დაწუნებულმა მამრებმა ამ ქალის სილამაზე, მომხიბვლელობა უნდა გადაინაწილონ და თანდათან დაივიწყონ.

10809. რადგან ჩვენი დემოგრაფია საფრთხის წინაშე დგას, ქალებმა მამაკაცები ისეთები უნდა შეიყვარონ როგორებიც არიან.

10810. როდესაც ქალიშვილი თავის ბიოლოგიური მოთხოვნილების და ქარაფშუტობის გამო ოჯახს ღალატობს და მათ დაუკითხავად უღირს ყმაწვილს მიყვება, მამა თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, რადგან ცოლისადმი განელებული სიყვარული მამა-შვილურმა გრძნობებმა აანთო და კვლავ ქალის გაწბილების მოწმე გახდა. ეტყობა მამრები დროთა განმავლობაში უნდა მიეჩვიონ სიყვარულის დევალვაციას, რადგან ვერავითარი დამოძღვრა, გამოცდილება საქმეს ვერ შველის, მითუმეტეს შვილის.

10811. ნამდვილი ქალია ის, რომელიც ქმრისაგან წარმოთქმულ ყოველგვარ სისაძაგლეს მის მიმართ, კომპლიმენტად იღებს.

10812. მამაკაცის ანალიზურმა ლოგიკამ და მისმა ღირებულებამ ჭირი მოგჭამათ და მომავალი ჩვენთვის – ქალის იმ გაუგებარ ლოგიკას აქვს, რომელიც მათდა გასაოცრად უკეთეს შედეგს იძლევა, რადგან მასში მდედრის თანდაყოლილი სიკეთე და სიყვარულია ჩადებული.

10813. ქალის გარეგნობას უნდა დავხარბდეთ თუ ხასიათს? პირველი მალფუჭადია, მეორე – ნაკლებად, ასე რომ, ცხოვრების დაისზე ამ უკანასკნელს უნდა დავხარბდეთ, თუ გვინდა ჯანი დიდხანს შეგვრჩეს.

10814. მოდის წარმართველად მაინც ქალები გვევლინებიან, ისინი აიძულებენ მამაკაცებს მათზე იზრუნონ. ამასთან თავის დროზე ქალებს ტენდერი რომ არ ჩაეტარებინათ მამაკაცებში, დღესაც ქურქების, დუბლიონკების მაგივრად მამრებს ლეღვის ფოთოლი ექნებოდათ აფარებული.

10815. მამრის დასაპყრობად ქალის არსენალის ყველაზე საშიში იარაღია მიმზიდველი თვალების მოხერხებული შეთამაშება, ნაზი მზერა მორცხვი ღიმილით, გულშიჩამწვდომი გამოხედვა დანამული ცრემლით.

10816. ქალს მეწყვილეს არჩევანში ნამეტან შეჯერებულ გონიერებას ნუ მოვთხოვთ, რადგან ცალკე ბუნების ყივილი აწუხებს, ცალკე ასაკის მატება, ცალკე ტრადიციების ვეტო, ცალკე დედობის სურვილი, ასე, რომ მისი შეცდომები მისაღებ ფორმებში საზოგადოებისათვის აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ შინაბერათა რიგი არ გამრავლდეს.

10817. ქალზე მშვენიერი მამაზეციერს არაფერი შეუქმნია და ვერც ვერაფერს უკეთეს გაიმეტებს, თუ ის მდედრის მშვენიერებას მამრის ჭკუას და ხასიათს მოარგებს.

10818. ბევრი ქალისათვის წიგნის კითხვა იგივე ელექსირია, რაც მამაკაცისთვის ალკოჰოლი, რათა დრო მოკლას და სისულელეზე არ იფიქროს.

10819. მამაკაცისგან განსხვავებით ქალი ემოციური, ჭირვეული, ალოგიკურია, მაგრამ მის გაოცებას, აღფრთოვანებას, გაწბილებას როცა მოეპრიანება მაშინ ახერხებს.

10820. მოწიფული ქალისათვის მთავარია მამაკაცის ბიოგრაფიის გულწრფელი და დაუფარავი მონაყოლი, რომ ის თავის ფავორიტად გაიხადოს, თუ შეიცოდა და ჩაიგონა, რომ ცხოვრებაში სიყვარულის სპონსორად უნდა მოევლინოს ამ მამაკაცს.

10821. ნუ ეცდებით ქალს თქვენ გაუგოთ, თქვენ გაგიგონ ან გადაარწმუნოთ ერთმანეთი, რადგან ეს უაზრო კამათში გადაიზრდება. სჯობს ყველა თავის აზრზე დარჩეთ, რადგან თავის დროზე საქმე აქამდე არ უნდა მიგეყვანათ.

10822. ყოველი გაყრა და ასაკი გავლენას ახდენს ქალის ხასიათზე, მაგრამ არა იმდენად, რომ მან თავის გამოცდილება არ გამოიყენოს ახალი ფავორიტების ძებნასა და მათ დაოჯახება-დაკაბალებაში.

10823. მოხერხებული ქალისათვის მესამე არასოდეს ზედმეტი არ უნდა იყოს, ის უბრალოდ სათადარიგოა, რადგან არავინ იცის მომავალში როგორ დატრიალდება ბედის ჩარხი.

10824. როდესაც შეუღებავ, უბრალო ქალთან გვაქვს ურთიერთობა, ოცნების გაცრუებაც ნაკლებია, რადგან შეცდენას და საღებავებით შენი მოწამვლის მცდელობას ადგილი არ ექნება.

10825. ქალები იბადებიან ბუნებით თავმდაბლებიც და ველურებიც, ხოლო სტრესი მათ აგულიანებს, ახელებთ და ხანდახან ისე წარმოგვიდგებიან, რომ მათი დანახვაც არ გვინდა.

10826. ქალთან ურთიერთობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოხერხებულად არის ის პრივატიზებული.

10827. ქალის ოცნებაა შეხვდეს იმ იდეალურ და დიდი სულის მამაკაცს, რომელსაც შეუძლია შეუნდოს ქალს მისი სისუსტენი, კაპრიზი, მაგრამ იდეალისტებს თავიანთი თავის სიყვარულის გამო ასეთი მდედრის შენდობა უჭირთ.

10828. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის შეუცნობელ შურისძიებას მწარე გემო დაჰკრავს, ის მაინც ქალების პრეროგატივაა, რადგანაც განაწყენებული მამაკაცისათვის სამაგიეროს გადახდა ქალის თავმოყვარეობას აკმაყოფილებს.

10829. ცხოვრებაში თავისი ადგილის დასაკავებლად ქალმა უნდა იცადოს, ხოლო მამაკაცი უნდა ეცადოს, მაგრამ რა ქნან აქტიურმა ქალებმა, რომლებიც ყოველთვის დროში იწვებიან?

10830. ქალის გულის მოსაგები ატრიბუტებია: საჩუქრები, მისთვის განკუთვნილი სადღესასწაულო თარიღების არ დავიწყება და წამლიქვნელება სიტყვებით: „შენ რომ არ შემხვედროდი, რა მეშველებოდა".

10831. ქალის ბოლომდე შეცნობა შეუძლებელია, მითუმეტეს ამის მტკიცება, რადგან ყოველთვის შეიძლება გამოჩნდეს კოლეგა, რომელიც იგივე სისულელის მტკიცებას დაიწყებს, რომ მას თქვენზე ადრე და უკეთ იცნობდა.

10832. ქალი მარტო ინტერიერი არ არის ოჯახში, ის გაცილებით მეტია და როდესაც ამას სათანადოთ ვერ აღიქვამენ, მაშინ გამოაჩენს იგი მამაკაცისათვის ისეთი გაუგებარ კაპრიზს, რომელიც ერთი შეხედვით არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება.

10833. ისტორია და ქალები ორფეხა ხვადებს მიღწევებისთვის პატივით მოიხსენიებენ და ეთაყვანებიან, მცდელობისათვის იცოდებენ და არ კენწლავენ, ხოლო მარტო სურვილისათვის დავიწყებას მისცემენ და მათი გახსენებაც არ უნდათ.

10834. არსებობენ ჭკვიანი და უჭკუო ქალები, რომელთაც ერთი თანდაყოლილი სისულელე, ქალის კაპრიზი აერთიანებთ.

10835. საბრალო ქალები! ცდილობენ ჭკვიანი, მომხიბვლელები, საქმიანი, მეოჯახენი, კარგი დედები იყვნენ, მამრისთვის, რომელმაც სინამდვილეში სექსის გარდა რა უნდა თვითონ არ იცის გარკვეულ პერიოდამდე და ოჯახსაც ფეხის ხმას აყოლილი ქმნის. – საბრალო ხვადები! – თუ მათზედაც ასევე ფიქრობენ ქალები.

10836. ქალებს მიმწოლი, თავხედი, მათი დამმორჩილებელი მამრები მოსწონთ და სიამაყესაც კი განიცდიან, რადგან ძლიერის დანებება რატომღაც სირცხვილად არც ხვადებისათვის და არც ძუებისათვის არ ითვლება და სიამოვნებთ კიდეც, ოღონდ პირადი შეურაცხყოფის გარეშე.

10837. ქალი მამაკაცთან შედარებით კეთილი, სუფთა, გონიერი უნდა იყოს, რადგან საბოლოოდ ის არის ორივე სქესის გამჩენი, აღმზრდელი და თავის დამდგმელი.

10838. ქალი თუ თავის წილხვედრს თამაშობს, მაშინ მას თაყვანისმცემლად ის ეყოლება, ვინც მას სურს.

10839. ზოგიერთი ქალის გაყინული გული შეიძლება გავალღოთ მხოლოდ ძვირფასი ქვებით, ზოგიერთიც დაპირებებით, გააჩნია მამრს და მის ყისმათს.

10840. ქალში უნდა დავინახოთ ის, რასაც წარმოადგენს და არა ის, რასაც ჩვენ ვეძებთ და რაც ჩვენ გვინდა.

10841. ქალს იმდენად უნდა უყვარდეს თავისი სხეული, რომ ის ვიგინდარას ნანადირევი არ უნდა გახადოს.

10842. ქალს თუ დილას ცივი წყლის პკურება, მაკიაჟის გაკეთება და უკანალზე კონტროლის სახით თვალის შევლება არ ეხალისება, ე.ი. მისი დაისი დაწყებულია. ხვადის მცდელობას ქალის ამ ტრანსიდან გამოყვანაზე დიდი ძალისხმევა სჭირდება, ან უკვე დაგვიანებულია.

10843. ვინც სანუკვარ ქალს ირთავს, ხშირად ოცნებად უხდება მისგან თავის დაღწევა და არც მისი დანახვა სიამოვნებს.

10844. ქალს ხუთი განზომილებით უწევს ცხოვრება: ქალიშვილის, რომელსაც სიყვარულის და ქარაფშუტობის ხანა ბავშვის შეძენისთანავე უმცირდება. ქალობის, ანუ ყრმის აღზრდის სურვილის შეცნობის, რომელსაც დედობა ჰქვია. დედაკაცობა მესამე განზომილება: როდესაც შვილი ჭკუის სწავლებას დაგიწყებთ, რის შემდეგაც იწყება მეოთხე განზომილება, რასაც ბებო ჰქვია და მასში ისე გადახვალთ, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებთ. რაც შეეხება მეხუთე განზომილებას, სასაუბროდ არ ღირს, რადგან ისეთი საქალბატონო ასაკია, როდესაც ოჯახის უფროსობის რეგალიები ისე ჩამოგერთმევა, ვერც კი შეიტყობ და შენს ყოფნა-არყოფნას მაინცდამაინც არვინ განიცდის.

10845. არიან მდედრები, რომლებიც ქალის აქსესუარებს: მკერდს, გავას, მაკიაჟს ჩანთით ატარებენ, საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად წარმოადგენენ და პრეტენზიასაც მოაყოლებენ.

10846. ქალს თავისი ფილოსოფია აქვს, დედას, ცოლს, სიდედრს, ქალიშვილს და სხვებს თავისი, მაგრამ ყველას ღირსეული მამაკაცის ხელში მოხვედრის სურვილი აერთიანებს.

10847. ქალი, რომელიც არარაობა კაცს აზრს აცვლევინებს და აჯერებს, რომ ის კარგი მამაკაცია, ქალის ეტალონად უნდა ჩაითვალოს.

10848. ქალი სიყვარულობანამ და საყვარლებმა ისე არ უნდა გარდაქმნას, რომ ოჯახის გაძღოლა, დიასახლისობა, დედობა და მეუღლეობა ვერ შესძლოს.

10849. ზოგი მეგობარი ქალი სულიერ დას გვაგონებს, რომელიც პრაქტიკულად არასდროს გვყოლია, მაგრამ თეორიულად ამის სურვილი ყოველთვის გვაწუხებდა.

10850. ქალს არა მხოლოდ თავშეუკავებელი ბედნიერი დღეების მინიჭება უნდა შეეძლოს, არამედ ჭეშმარიტი სიყვარულის ჩუქება, რადგან ვნებათა ყურეში მამრი იბნევა და აღარ იცის ვინ არის ის, რა ვალი აკისრია. ამის შეცნობა კი ყველა გამოვლილ სიამეს დროებით შთანთქავს.

10851. ცხოვრება ქალივითაა: ხან გაგეყრება, გაგიჯავრდება, გიღალატებს, გაგაწბილებს, გაგაცოფებს, ხან კი შეგირიგდება, მოგეფერება, გიერთგულებს, გასიამოვნებს, დაგიამებს და მაინც ცხოვრების დაისზე თავის ჭკუაზე გაგატარებს.

10852. კეთილი სიტყვა დიდი სიამოვნების მომნიჭებელია. მაგრამ ქალისთვის არანაკლები სიამის მომგვრელია ვერაგობა და ვიღაცის გემრიელად გამოლანძღვა. სულის გაწმენდა და კაპრიზის დაკმაყოფილება.

10853. ქალის ჰარმონია მორგებული მოდაა და არა სხეულის რომელიმე მომხიბვლელი ნაწილის დემონსტრაცია.

10854. ქალი რომ სექსუალური ჩანდეს, რაღაცას უნდა მალავდეს, სულიერად ამაღლებული და გახარებული უნდა იყოს, მითუმეტეს, თუ მამაკაცების თვალებში დაინახავს მასთან ურთიერთკავშირის სურვილს.

10855. ქალი ოჯახში, აღზრდაში, სექსში, ყველაფერში პირველობს და უფროსობს, მაგრამ მისი ხელოვნება იმაშია, რომ ამას მამაკაცი ვერ გრძნობს.

10856. ქალის იარაღი სილამაზე კი არ არის, არამედ მომხიბვლელობა, სათნოება, სიმშვიდის მინიჭება, მამრის დარწმუნების უნარი და იმ მამაკაცის შერჩევა, რომელიც მისთვის ყველაზე მოსახერხებელია.

10857. ქალის წინაშე მამაკაცი ვერასდროს გრძნობს თავს საბოლოოდ გამარჯვებულად, რადგან ის ყოველთვის ინარჩუნებს შანსს მოულოდნელად აფეთქებისთვის და ხელიდან დასხლტომისთვის.

10858. თანამედროვე ნამდვილი ქალის რომანტიკა კამათია, კარიერაა, ვიდრე სექსი, რადგან დღეს სიტყვებსაც კი სექსუალურად აჟღერებენ.

10859. წესით გონიერება და ქალის სილამაზე არ უნდა მტრობდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამას იშვიათად თუ ვინმე ახერხებს, ისიც ცხოვრებიდან მიღებული ალიყურის შემდეგ.

10860. ყველა ქალს თავისი ხუმტურები აწუხებს და შეურაცხყოფას მძიმედ განიცდის, მაგრამ მას შურისძიების, სამაგიეროს გადახდის და დაბოღმვის უფლება არა აქვს, რადგან ის პირველ რიგში დედად მოგვევლინება, მერე აღმზრდელად, მეუღლედ და ასე შემდეგ.

10861. უაღრესად ლამაზი ქალი თავის წონა ოქრო ღირს. თუ არა მდედრის თანდაყოლილი კაპრიზი, თქვენზე შეყვარებული ასეთი ქალის ღირებულება აუწონავი ოქროს ექვივალენტი იქნებოდა.

10862. ხვადს ქალი ირჩევს თავის ჯიშის და ჯილაგის გასამრავლებლად, რომელიც მის იდეალს, ასე თუ ისე ემთხვევა.

10863. ყველა ქალის ოცნებაა იდეალურ მამაკაცს მიანდოს ცხოვრება, მაგრამ გამოჩნდება მის ენერგეტიკას დამთხვეული, საწინააღმდეგო ხიბლის მამაკაცი და სხვა ღირსეული პრეტენდენტის დანახვა აღარ უნდა.

10864. ქალები წესით თავისთავზე უფრო ეშმაკები არიან, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც რას იეშმაკებენ არც თავად იციან და არც ღმერთმა უწყის.

10865. ქალის ყოველდღიური გარეგნობა დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი გამარჯვება მოიპოვა ახლობელთან, საკუთარ ხვადთან ბრძოლაში და დაიკმაყოფილა თუ არა თავისი კაპრიზი.

10866. ქალის ნატურის დასახატად ნიჭთან ერთად შთაგონებაა საჭირო, ხოლო მისი სიტყვიერი დახატვა, მისი ორიგინალურად გადაწყვეტა სხვა აღმაფრენას, რწმენას მოითხოვს.

10867. მონატრების ღირსია ის ქალი, ვინც თავის საფლავზე ყოფილ თაყვანისმცემლებს დაბადების დღეს შამპანურით და მიცვალებას ყვავილებით აღანიშვნინებს.

10868. ქალის სურვილია ნახოს თავისი ცხოვრების მამაკაცი, რომელსაც მიუძღვნიდა ერთგულებას, მაგრამ ამას პრაქტიკულად იშვიათად ახერხებს.

10869. ქალის მძიმე ხასიათის გასაგებად სულ არ არის აუცილებელი მისი კაპრიზები წინასწარ იყოს ცნობილი.

10870. ქალმა გულუბრყვილობა, თანდაყოლილია ეს თუ შეძენილი, არასდროს არ უნდა დაკარგოს, თუ უნდა მამრისთვის ქალად დარჩეს.

10871. ქალს სკლეროზის მაგვარი მახსოვრობა აქვს, რასაც უნდა გაიხსენებს, რაც არა – ავიწყდება. ამ ავადმყოფობის უებარი წამალია საჩუქრები, ქათინაურები.

10872. თანამედროვე ქალს თავისი გინეკოლოგი, პარიკმახერი, კოსმეტოლოგი, ვექილი და თავისი ჭკუის დაქალი უნდა ჰყავდეს. ამასთან სხვები არ უნდა იცნობდნენ მის მომსახურე პერსონალს, რადგან მსტოვარი, სხვისი სხეულის და სულის გამკიცხავი ყოველთვის გამოჩნდება.

10873. დღეს ქალს სიყვარულს ლექსებით და სერენადებით კი არ უხსნიან, არამედ ტელეფონით, მორბენალი სტრიქონით (ტელევიზორით), კომპიუტერით და მრავალი სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით და თქვენ წარმოიდგინეთ, უკეთესი პერსპექტივა იქმნება დაოჯახებისა.

10874. ზოგიერთი ქალი ისე ცდილობს გაახალგაზრდავებას, რომ ავიწყდება, მასსა და მის ქალიშვილს შორის ასაკობრივი სხვაობა 9 თვე მაინც უნდა იყოს.

10875. პრაქტიკულად ქალს ერთი გული და მრავალი ოცნება აწუხებს, რადგან: ერთი უყვარს, მეორე მოსწონს, მესამე სათადარიგოა, მეოთხე სძულს, მეხუთესთან გულგრილად არის, მეექვსე მდიდარია, მეშვიდე ასაკოვანია და ასე შემდეგ. მაგრამ საოცარი ის არის, რომ სად დაიდებს ბუდეს თვითონაც არ უწყის, რადგან შეიძლება რამდენიმე წამში, აფექტურ მდგომარეობაში, სხვის ჯინაზე საჭირბოროტო არჩევანი გააკეთოს.

10876. მიუხედავად მამაკაცის სასტიკი წინააღმდეგობისა, გულის შეღონებისა, ქალის მაღაზიაში გასეირნება მაინც მისი ჯიბის მოჩხრეკვით მთავრდება.

10877. უქმრო ქალი უთქმელი ანეკდოტივით არის, რომელშიც ისეთი რამ არის დამალული, რაც ჩვენ არ ვიცით, მოყვებიან ანეკდოტებს და ღიმილს მოგვგვრის, ღიმილი კი იმაზე არის დამოკიდებული, თუ რა ანეკდოტური გარემოების გამო დარჩა ეს ქალი გაუთხოვარი.

10878. ქალი იმ მამაკაცს ირჩევს, რომელიც ყველაზე მეტად მის შინაგან ამბიციებს აკმაყოფილებს.

10879. ქალი გაყრისას მამაკაცს ქონებას და ფულს კი არ ედავება, არამედ გაცრუებული ოცნებების კომპენსაციას და ახლობლების თვალში მორალური შეურაცხყოფის ანაზღაურებას მოითხოვს.

10880. ის ქალია ბრძენი, რომელიც შექმნილ გარემოში დროულად ერკვევა და იცის სად უნდა მოაწყოს ისტერიკა ისე, რომ მამაკაცს მის სიყვარულში და ერთგულებაში ეჭვიც არ შეეპაროს.

10881. ზოგიერთი მდედრისათვის ეროტიკული ადგილი მამაკაცის ჯიბეა, ხოლო გალაღებული ხვადისთვის ქალის სურვილის ანაზღაურება.

10882. მდედრი, როდესაც მისთვის მოსაწონი მამაკაცი თვალებს დაუჟუჟუნებს, იბნევა, არ იცის რა ჰქნას, აჰყვეს „პროვოკაციას" თუ უარყოს, რადგან არავინ იცის

ამ ჭოჭმანს რა გაგრძელება მოყვება, შედეგით თუ „პუსტა-პუსტა" თამაშით დამთავრდება.

10883. იყო მომთვინიერებელი ქალი ხელოვნებაა, რომელიც თანდათანობით, შექებით, გაჯავრებით, სასუსნავით, სექსით კაცს ოჯახის მზრუნველობის მათრახს შეაჩვევს და საზოგადოების ცხოვრების არენაზე ოვაციასა და ქალურ შურს დაიმსახურებს.

10884. თანამედროვე ქალები ისე ავიწროვებენ მამაკაცებს, რომ ბოლოს შეიძლება მათთან ურთიერთობამაც აზრი დაკარგოს, მითუმეტეს, თუ ამის გარანტად თვით მამრების „ნაცოდვილარი" ტექნიკური პროგრესი გვევლინება.

10885. ქალი ორიგინალურ, უნიკალურ და ძვირადღირებულ ნივთად უნდა თვლიდეს თავს, თუ უნდა მისით აღფრთოვანდნენ და გახელდნენ, ამასთან არ უნდა დააბნიოს თავის ბედი და თუ საჭიროა მრავალჯერ სცადოს, ოღონდ საბუთების გაფორმებით და საბანკო ჩეკებთან გათამაშებით, რადგან იაფფასიანად არავინ მონათლოს.

10886. ესეც საუკუნის კურიოზია, როდესაც ქალის ქვედა საცვალი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მთელი კაბა და ეს მდედრს თავის მოწონების საშუალებას აძლევს.

10887. ქალის ტრაგედია მაშინ იწყება, როდესაც უნდა სხვას დაემსგავსოს ან იმნაირი იყოს, რადგან ყველა მდედრის ვალია ისეთი ქალური ეშმაკები ჰყავდეს, რომელთა აღიარება, აღქმა, შეცნობა ჯერ ვერავინ მოასწრო.

10888. ყველა შინაბერა და უშვილოდ გადამდგარი ქალი, უგვანო საზოგადოების და უსარგებლოდ განათლებული ხვადების ბრალია, რომლებსაც კაცობაზე თავის დადებაც კი ეზარებათ და თავიანთ სიამოვნებას და უშფოთველ ცხოვრებას არიან გადამკვდარნი.

10889. დედიშობილა ქალი უდრტვინველ გარემოში უდიდესი სიამის მომგვრელი სილამაზეა გრძნობებით დაუნაგვიანებელი ადამიანისათვის.

10890. სიცოცხლით აღტაცებული ქალი კეკლუცობს, უარობს, ცდილობს მოიწონონ, მიმზიდველი, ლამაზი იყოს და ამის მისაღწევად არავის და არაფერს დაგიდევთ, მაგრამ ქმრებს ეს ყოველთვის ღალატი ჰგონიათ და სულ არა აქვთ სურვილი ქალის გატაცების გაგების.

10891. ზოგ ქალს იმდენად მოხდენილი გარეგნობა აქვს, რომ მისი ქუჩაში გაშვება "აქციზური მარკის" გარეშე საცოდაობაა, ვაი თუ ვინმე უმეცარ მამაკაცს ფართომოხმარების მდედრში აერიოს.

10892. წუნკალთან საერთო ენის გამონახვა შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ყველა მამაკაცი მისაღებია, გარდა უკრედიტო ჩეკიანისა.

10893. ლამაზი ქალი თავისთავადაა სექსუალურად მოძალადე, მითუმეტეს, თუ ის კომპლიმენტის მოყვარულია და ცხოვრება საკუთარი თავის სიყვარულის გარეშე არაფრად უღირს.

10894. ქალს სამზარეულოში სხვა ამბიციები აქვს, სამსახურში – სხვა ამოცანები, ხოლო ქმართან – სხვა პრეტენზიები.

10895. ქალისთვის ყოველთვის ფორმაში ყოფნა საჭირო არ არის, თვალი მიეჩვევა. სჯობს კვირაში ერთხელ მაინც ფურორი მოახდინოს და თავის არჩევანის ღიმილი გამოიწვიოს, მათ შორის ქმარიც იგულისხმება.

10896. ქალი მამაკაცის გონების აბნევისათვის არის დაბადებული და უფრო უგნურად აქცევს მას, ვიდრე სინამდვილეშია, მითუმეტეს, თუ ამ მომხიბვლელ ვამპირზე ყურებამდე არის შეყვარებული.

10897. ქალი ფართომოხმარების და ყველასათვის მისაწვდომ საგნად არ უნდა წარმოვიდგინოთ, ის ხელოვნების ორიგინალია, ამიტომ მას ნიჭით, გამოცდილებით მოპყრობა-მომსახურება ესაჭიროება, ამასთან მისი წარსულის ჩხრეკვას უნდა მოვეშვათ, თუ გვინდა შინაგანად დავტკბეთ და ვისიამოვნოთ.

10898. ნამდვილი ქალია ის, რომლის დანახვა დაფიქსირების უნარს გართმევს, აღგაფრთოვანებს, სუნთქვას შეგიკრავს, წუთიერად გაგაოგნებს, სულიერად აგამაღლებს, დაგაკაიფებს და მას მარტო მდედრის ხიბლს ნუ დავაბრალებთ, ამაში რაღაც ჩვენთვის შეუცნობელი ღვთიურია ჩაბუდებული.

10899. საქორწინო ბირჟას რატომღაც გამოკდილი, ქმარგამოცვლილი ქალები ჰქმნიან, რომლებიც მეორე ნახევრის გამოცვლის მეთოდიკას და ახალი ოჯახის შექმნის რისკს არავის დაესესხებიან.

10900. ქალში თუ მისი კაპრიზი, თავმოყვარეობა, სიცოცხლე ერთდროულად ამბოხდა, რას მოიმოქმედებს და რა გმირობისკენ გაუწევს გული არავინ უწყის.

10901. ქალს ქმრის ყველა ის საქმიანობა მოსწონს, რაც მას ფულის ხარჯვას შეაძლებინებს, მაგრამ თუ თავისი გაინაღდა, საყვედურებით აგიკლებთ, ჭკუასაც დაგარიგებთ, ოჯახის სიწმინდესაც შეგახსენებთ და თავსაც წაგაყვედრით.

10902. ცოცხალი ქმრის ქვრივია ქალი, რომელმაც იცის სად დაძვრება თავისი ქმარი და ანგარების და ქვენა მოსაზრების გამო ხმას არ იღებს.

10903. არბიტრად ქალების სილამაზის კონკურსში მონაწილეობა მკრეხელობაა.

10904. მოხუცებულობა არ ნიშნავს ქალობაზე ხელის აღებას, რადგან მას სხვა არანაკლებ აღსაფრთოვანებელი და პატივსაცემი სახელები აქვს: დედა, დიდედა, ბიცოლა, დეიდა, მამიდა, ქალბატონი, რომელიც არანაკლებ მოწონებას იმსახურებს, თუ ამას სათანადო აღზრდაც ამაგრებს.

10905. ქალი, მამაკაცისგან განსხვავებით, ყოველთვის თავის სასარგებლოდ ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ქმედება სხვისი მზრუნველობისთვისაა განკუთვნილი.

10906. ქალის ლოგიკა მამაკაცისათვის გამოცანაა, ჭკუა – მამაზეციერის პრეროგატივა, ხოლო გონება – ამოუცნობი განტოლება.

10907. ქალი ხანდახან გონიერებით პირველყოფილ წყობას უნდა დავაწიოთ, რათა ოჯახის ერთგულება, ქმრის პატივისცემა შეისისხლხორცოს.

10908. ქალი, დედაკაცი, უკვე პრაქტიკული არსებაა, მათ უფრო რეალური ხელის შესავლები მოსწონთ, ვიდრე ჰაეროვანი, მიუწვდომელი, სულიერი, რომლითაც თავი ქალიშვილობაში ჰქონდათ გამოტენილი.

10909. მდედრი, რომელიც ჩემი გულისთვის იპრანჭება, ლამაზდება, იხდის, არის ქალი, ხოლო, თუ სხვისთვის აკეთებს, დედაკაცია.

10910. ალერსის გარეშე ქალი ცხოვრების ჩოლოხაა და ის ვერ მოგვევლინება ბედნიერების მჭედლად.

10911. ქალი რაც უფრო დატვირთულია საქმით, მამაკაცის ცხოვრება უფრო მშვიდად მიდის.

10912. ყველა სიტუაციაში მშველელად, დამამშვიდებლად გვევლინება ქალის გამოუცნობი, ულამაზესი ღიმილი, რომელიც ჩვენთვის არის განკუთვნილი.

10913. რამდენიმე სექსუალური ფრონტის მონაწილე, ქმარგაყრილი ქალი, მყარი ოჯახის შექმნას მაინც ვერ ახერხებს, რადგან ოჯახის შესაქმნელად საჭიროა სურვილი და არა – გამოცდილება.

10914. ყველა ქალის ოცნებაა იყოს სიცილის ღმერთის „მომ"-ის გაწბილება, რომელმაც სილამაზის ღმერთს, აფროდიტეს – დასაცინი ნაკლი ვერ მოუნახა, სიბრაზისაგან გაიბერა და გასკდა.

10915. ლამაზ ქალს აქვს საშუალება უნიჭობის კომპენსაციის, ხოლო შეუხედავს სხვა გზა არა აქვს – ყველგან პირველი უნდა იყოს.

10916. მთავარია, მდედრს სად დაინახავ, როგორ შეხედავ, რისთვის ხარ განწყობილი, მხოლოდ ამ პარამეტრების გახსენების შემდეგ შეგიძლია შეიგრძნო და გაიხსენო როგორი ქალი იდგა თქვენს წინაშე.

10917. ქალი, რომლისთვისაც მრავალი შეყვარებული მამრი მზად არის სიცოცხლე გაიმეტოს, ისეთ მამაკაცს დაუწყებს გაღმერთებას, რომელიც გონიერების არავითარ ჩარჩოში არ ექცევა.

10918. არიან ქალები, რომლებიც იმაზე მეტს კისრულობენ, რაც თავიანთ შესაძლებლობას აღემატება, მაგრამ ეს სულ არ არის მათი კაპრიზის და ხუმტურის ბრალი, ამას აიძულებს უნიათი მამაკაცების უგერგილობა და სხვისადმი თეთრი შური.

10919. „ბედმა ასე დამსჯა, საშველი არ მომცა, უარი ვერ უთხარი" – ეს ქალური ფილოსოფიაა და რეალურობის მონისა, რომელიც გათხოვების დროში იწვება და ამ პერიოდში სხვა უკეთესი ვარიანტი ვერ მოძებნა.

10920. ქალს წუნკლად გახდომას გაჭირვება აიძულებს და მისი შემსუბუქების იმედით თავის ოცნების მამაკაცს მოელის, რომელსაც ახლოს არ იკარებს თავის სიამაყის გამო – დამადლების ეშინია.

10921. ქალიშვილობამდე მიღწევა ადვილია, ქალად გადაქცევა ძნელი, ხოლო ცოლობა ყოფითი იმუნიტეტის შემუშავებაა, ამრიგად, როგორც ირკვევა, ოჯახის შექმნა შესაძლებელიცაა და აუცილებელიც. მითუმეტეს, თუ მდედრის დევიზია „სიყვარული ყოველ მიზეზგარეშე და ყველას ჯინაზე".

10922. ქალის ერთი ნახვით შეყვარება, დიდებულად აჟღერებული მუსიკაა, მაგრამ მისით ტკბობა რომ განაგრძო, ცხოვრების მუსიკის შესწავლაა საჭირო თავის ნოტებით, გამებით და სოლფეჯიოთი, ამის შემდეგ თავად უნდა შეთხზა რეალობა და ისიამოვნო შენი აჟღერებული მუსიკით, რომლის მსმენელ – ოპონენტად ეს საყვარელი არსება გეყოლება მუდამჟამს.

10923. მდედრის წინდახედულობას, ეშმაკობას, კაპრიზს კაცის ანგარიშიანი გონიერება ვერასდროს ჩაწვდება და არც მისი რჩევა-შენიშვნა გამოადგება, რადგან აზროვნება და სურვილი, რეალური ცხოვრებისაგან განსხვავებით, სხვა პლანეტაზე ოცნებაში გრიალებს.

10924. ქალის გაუთხოვრობის მიზეზი ისიც არის, რომ ის, იმ სიყვარულის ქუჩაზე არ დაეხეტება და იმ საზოგადოებაში არ დადის, სადაც მისი ბედი დაბორიალობს.

10925. მდედრი, რომელსაც შეუძლია მამაკაცი დაარწმუნოს თავის სისუსტეში, ყველაზე ძლიერი და დამოუკიდებელი არსებაა ქალის სამყაროში.

10926. წუნკალი დედაკაცი რაც არ უნდა გამოსწორდეს და მოთვინიერდეს, თავის შხამს სანთელ-საკმეველივით არ დაკარგავს.

10927. არის ქალი, რომელზეც დრო გავლენას ვერ ახდენს, მაგრამ არის დრო, რომელიც ქალზე ძალადობს და ცდილობს მშვენიერება და კაპრიზი ჩამოაშოროს.

10928. ქალი თუ რაიმეში შეცდა, მისი გამოუცდელობის და ქალური სისუსტის ბრალია, ამიტომ გადაცდენისათვის პასუხი არ უნდა მოვთხოვოთ. ამასთან, ამ გადაცდენის ძირი მომხიბვლელობა, კაპრიზი და „ჭრელი ბაზარია", რომელმაც სხვებიც შეცდომაში შეიყვანა.

10929. ზოგ ქალთან მგონი მეგობრობა სჯობს მის ცოლად მოყვანას, მაგრამ როდესაც ხედავ როგორ ეპყრობა თავის ახლობლებს, ამის სურვილი გეკარგება.

10930. „აქეთ მე ვკვდები, იქით ის, ქალი წავიდა სხვისასა"... და მდედრის ვალი აღასრულა, რაც უნდა ამორალურად და მკრეხელობად გვეჩვენებოდეს.

10931. ქალს მარტო ქალად არასდროს არ აღიქვამენ, თუ მას თავის ღვთაება თან არ დასდევს.

10932. მომხიბლავ საუკუნეში ქალი ყოველთვის დედოფალია, ხოლო სხვა ასწლეულებში ამ აქსიომის დამტკიცების მცდელობაში არიან.

10933. მდედრს, რომელიც მამაკაცებთანაა ნავარჯიშევი სექსში, უფლება არა აქვს თეთრი კაბა ჩაიცვას, რათა სხვა უმწიკლო ქალიშვილების იმიჯი არ შელახოს, რადგან თეთრი სისუფთავის, უმანკოების, სიწმინდის მაჩვენებელია. გათვითცნობიერებულმა ქალებმა კაბის ფერი და კაბა უფრო სოლიდური და მოხერხებული უნდა შეიკერონ.

10934. მოხერხებული მდედრი ხანდახან უნდა ახერხებდეს გათხოვებას, რათა ოჯახის სიამტკბილობის შეგრძნებას თვითონ და მამაკაცთა მოდგმა არ გადაეჩვიოს.

10935. არიან ქალები, რომელთაც ხანი ვერაფერს აკლებს, მაგრამ იმედს წლების მატებაზე ფიქრი უცრუებს.

10936. ქალი ხშირად უნდა ხედავდეს, ტკბებოდეს თავის თეძოებით, მკერდით, ხელებით, ფეხებით და მას ლაღად აჯირითებდეს, შინაგან ვნებას გამოაკრთობდეს. ამ გარიგების გამოხატვის შესანიშნავი საშუალებაა ესპანური ცეკვა „ფლამენგო" და ქართული „სამაია", სადაც ქალი აღმაფრენის, შეუპოვრობის, სინაზის და კდემამოსილების სიმბოლოდ გადაიქცევა.

10937. არ არსებობს ისეთი გონიერი ქალი, რომელიც მთლიანად განთავისუფლდებოდა ეგრეთ წოდებული ქალური სისულელისგან და ბოლომდე გაუგებდა მამა-

კაცს. ის უბრალოდ ცდილობს თავის მოკატუნებას, რათა ქალური კაპრიზი ზომაზე მეტად არ გამოავლინოს, რომელსაც მისმა მამაკაცმა დიდი ხანია ალღო აუღო და შეეჩვია.

10938. თანამედროვე ძუკნა „გოგოშკასავით" უნდა გამოიყურებოდეს, იცვამდეს ქაჯივით, აზროვნებდეს გველივით, უღელში ებმეოდეს ეგზოტიკურ სირაქლემასავით და ერთობოდეს ჩვენი წინაპარი მაიმუნივით.

10939. ქალს ხიბლი მაშინ ემატება, როდესაც მამაკაცს ჰგონია, რომ მისი საიდუმლოების მცირე ნაწილი მასაც ეკუთვნის.

10940. პრესტიჟულ ქვრივთან რომანს დიდი პერსპექტივა აქვს ახალგაზრდა კაცისათვის, შეუღლების შემდეგ მისი ადრე დაქვრივების იმედის გამო.

10941. ცოლი ვალდებულია გულით, სულით, სინდისით ყველაფრით იმყოფებოდეს მეუღლის წარმოდგენაში.

10942. წინათ თუ ქალის ემანსიპაცია კაცის წაყრუებაზე იყო დამოკიდებული, დღეს მამრის დეგრადაცია მდედრთა წაყრუების შედეგია, რადგან ისინი ბოიკოტს არ უცხადებენ ზოგიერთ კეკლუც ხვადს.

10943. ქალმა უნდა ისწავლოს მამაკაცის მეგზურობა, იქ უნდა შველოდეს, სადაც მამაკაცი სუსტია, ხელს უნდა უწყობდეს მის დაღვინებას საზოგადოებაში გამოსაფენად, რათა შედეგით სიამოვნება მიიღოს, როგორც შემოქმედმა.

10944. ვინც ქალში ერკვევა, იმისთვის ყველაზე მომხიბლავი მისი ხელებია, არა ფორმით, არამედ მისი მამაკაცის კისერზე მომნუსხავი შემოტმასნით. იმდენად დიდია ამ ხელებიდან ნანატრი სითბოს და ნეტარების გამოყოფა, რომ მამრის გონიერებას ადნობს, ატკბობს და სიამის ბურანში დაუკითხავად ისტუმრებს.

10945. ქალი თავის მიერ მოწონებულ ექიმ მამაკაცს ეკითხება: – „თქვენ ხომ არ ხართ გინეკოლოგი?" – „არა, მაგრამ დახედვა შემიძლია-ო".

10946. რომანს ქალი მართავს, კაცის ჩუმი თანხმობით და წაყრუებით.

10947. ქალი, რომელიც ცნობისმოყვარეობას კარგავს, ყავლი გასული აქვს.

10948. ზოგი ქალი ქურქში იმ მხეცს მოგვაგონებს, რომელსაც ეს ტყავი გააძვრეს.

10949. საცოდაობაა ჯიშიანი მდედრის გამოუწურავი ლიმონივით იმქვეყნად გასტუმრება, როდესაც მისი სხეული სიყვარულისთვის, სიამოვნებისთვის, დედობისთვის იყო გამზადებული.

10950. რამდენჯერმე განათხოვარი, მარტოხელა ქალი ყველა მამაკაცს ეკიდება, რადგან ჰგონია, რომ ეს მამაკაცი მისთვის უკანასკნელია და ხარისხს აღარ დაეძებს.

10951. ქვრივმა დედაკაცმაც თავი უნდა მოიქაჩლოს და სულის თუ არა, სხეულის გასაღები სხვა მამრს გადასცეს.

10952. იდეალური ქალია ის, ვინც თავის პარტნიორთან 24 საათის განმავლობაში თავს კომფორტში გრძნობს.

10953. მამრის გულის გამხარებელი გამრჯე ქალია და მასზე არის დამოკიდებული თუ რა ოჯახის პატრონია მამაკაცი, რომელიც ხშირად ვერ აფასებს ქალის საქმიანობას.

10954. არიან ღვაწლმოსილი ქალები, რომლებსაც წარმატების აუზში ბანაობა გარანტირებული აქვთ და ცხოვრებას წარბაწეული შემართებით უყურებენ.
10955. კეკლუცობა ქალის პროფესიულ დაავადებაა, რადგან ის მოწოდებულია სითბოსათვის, სიყვარულისათვის, აღფრთოვანებისათვის.
10956. ქალის გარეგნული ხიბლი მაინც დიდი სიმდიდრეა და თუ მას სათანადო თავის დაჭერა და ჩაცმაც თან ახლავს, მაშინ ღვთაებასთან გვქონია საქმე.
10957. ქალები უფრო ჭკვიანები და პრაქტიკულები არიან, ვიდრე კაცები, არა მგონია ქალმა ჭკუა მარტო მამაკაცის ფერების გულისათვის დაკარგოს.
10958. ეშმაკიც საშიშია და ეშმაკივით მოხერხებული ლამაზი ქალიც.
10959. ქალი, როცა იქნება, სიყვარულს ეზიარება, მაგრამ ყოველივე ამას მომწიფება, დრო და ურთიერთობა სჭირდება.
10960. კარგი ქალი კარგი დიასახლისია, მაგრამ რამდენადაა ქალი, ამას კაცის უგუნური ბუნება განსჯის.
10961. ქალი ის გარდამავალი პრიზია, რომლის მოსაპოვებლად მამაკაცმა დროგამოშვებით უნდა იასპარეზოს, რათა ქალს არ დაავიწყდეს, რომ ის მარადჟამს დედოფალია.
10962. ქალმა საქორწინო ბეჭედი რომ ატაროს, ამასაც დამსახურება უნდა, თუმცა მდედრის ამ ბუნებრივ მოთხოვნას გათხოვილები და ოჯახის მქონენი ვერც გაიგებენ და ვერც აფასებენ.
10963. არიან მომნუსხავი ქალები, რომლებიც უიმედოდ აფუჭებენ მამაკაცის ცნობიერებას, რადგან მათი დანაშაულია ის, რომ კაცი სხვა მდედრისკენ აღარ იყურება.
10964. ქალი შეიძლება იყოს ცანცარა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ფეთხუმი და უგემოვნო.
10965. კაცის შექმნილი ოჯახის დაქცევა ყველა ქალს ძალუძს, მაგრამ ქალის აშენებულს თვით ეშმაკიც ვერას დააკლებს.
10966. ქალი ერთადერთია, რომელსაც შეუძლია სიამოვნებით მოუწამლოს სიცოცხლე სხვასაც და საკუთარ თავსაც ისე, რომ სინდისის ქენჯნა არ განიცადოს და ამასთან მართალიც იყოს.
10967. ქალის ერთგულება ის კი არ არის, ქმრის დაკარგვის შემდეგ სული გატანჯოს, სხეული გააწამოს, არამედ ღირსეული ნაშიერი აღზარდოს, მხნედ იცხოვროს, რათა გარდაცვლილის სახელი დიდხანს შეინახოს. ამას ვისი დახმარებით გააკეთებს, მნიშვნელობა არა აქვს.
10968. ქალი რაც უნდა ეცადოს, სიყვარულის რა ხელოვნებაც უნდა გამოიყენოს, თუ ის მამრი მისი წერა არ არის, არაფერი გამოვა.
10969. ქალიშვილი ყოველთვის უკეთესობისაკენ იცვლება გარკვეულ წლებამდე, წონამდე, ხასიათის გაფუჭებამდე.
10970. წესიერ საზოგადოებაში ყველა ცნობილი ქალი გათხოვების პრობლემის წინაშე დგას, რადგან ეჭვი ეპარებათ მის დედობაში, დიასახლისობაში, ქმრისადმი მზრუნველობაში.

10971. ქალს თუ არტისტობის საწყისი არა აქვს და თავს არ ისულელებს, ის უმანკოა და არც მხოლოდ ქალი არ არის.
10972. გულის სისუსტეს ზღვარი არა აქვს, თუ კონკურენტი ორი ქალია.
10973. ქალს ყველაფერი უნდა და იმაზე მეტიც, რაც მას არ ეკუთვნის.
10974. ქალი მამაკაცთან ძალით ვერაფერს გახდება, მაგრამ ყოველდღიურად იმ სიტყვების ჩაწვეთება, რაც ქალს სჭირდება, მის დათრგუნვას და დამორჩილებას იწვევს.
10975. მგრძნობიარე ქალი ყინულს გაათბობს, დაადნობს და უკვდავების წყაროდ აქცევს.
10976. ქალის სულის და გულის დაპყრობა პირდაპირპროპორციულია მამაკაცის გონიერების და ჯიბეების დაპყრობისა.
10977. ქალიშვილს კდემამოსილება ალამაზებს, ქალს – ძვირფასი სამკაული, ბებიას – ღირსეული ანდერძი.
10978. ქალისთვის ყველაზე ძნელი სათქმელია, თუ რამდენ ღირსეულ მამაკაცს იცნობდა, რადგან ეშინია არ წამოსცდეს, არცერთსო.
10979. ქალმა მამაკაცი გულით უნდა მიიღოს და არა – წარმოდგენით.
10980. ნამდვილ ქალს ერთ მამაკაცთან აქვს გული და სხვა მამრებთან პრეტენზია.
10981. გარკვეულ დრომდე ქალი ეშმაკთან წილნაყარი არსებაა, ოღონდ ლამაზი, მომხიბვლელი.
10982. ქალის ტიტველი ნატურა მხატვრისათვის სულ სხვანაირად სუნთქავს და მისთვის გასაგებად ანათებს.
10983. ქალი კაცისთვის „ბიგფორდის პატრუქივით" უნდა იყოს, მიეკარება თუ არა, მაშინვე ვნებიანი სიყვარულით უნდა აალდეს.
10984. მომხიბვლელი ღიმილის სწავლა ის იაფი საშუალებაა, რომელიც ყოველგვარი ფერ-უმარილის გარეშე ალამაზებს და ამაღლებს კაცის თვალში ქალის იმიჯს.
10985. როდესაც ცხოვრების ორომტრიალი ქალს ჰაეროვნებას, მომხიბვლელობას, სათნოებას აკარგვინებს, ის იმ დედაკაცად გვევლინება, რომელიც აღარ ანათებს იმ მამაკაცების თვალში, რომლებიც თავის დროზე მისით აღფრთოვანებულნი იყვნენ.
10986. ხარისხიანი კოცნა შედეგს მაშინ აღწევს, როდესაც ნამდვილ მამაკაცს მონატრებული ქალი ოცნებებს აუხდენს.
10987. ბევრი მკაცრი ხასიათის ქალი ოცნებობს იმ ღირსეულ მამაკაცზე, რომელიც მის მოთოკვას შესძლებს.
10988. მდედრისთვის კარიერა პირველ ადგილზე არ უნდა იდგეს, რადგან მათთვის ოჯახის შექმნის სურვილი გენეტიკური ფენომენია, რომელსაც ვერავითარი გონების ამრევი ფემინიზმი ვერ აჯობებს, მითუმეტეს, თუ მამრები თავის თანდაყოლილი მოხერხებულობით, საბოლოოდ ყველა სიტუაციაში მოგებულნი რჩებიან.
10989. ქალს შეიძლება ერთი უყვარდეს, მაგრამ მეორეს, სათადარიგოს, უნდა ითმენდეს.

10990. ქალი შეიძლება იყოს უგუნური და გონიერი, მაგრამ ოჯახის, ცხოვრების მოწყობა, მაინც მის ინიციატივაზე, შემართებაზე არის დამოკიდებული და არა იმდენად ბედზე.

10991. გაბრწყინებული თვალებიდან დაგვიანებული სხივის გამოფრქვევა, ნანატრი მამრის ნახვის სიხარულით არის გამოწვეული და არა გამოცდილებით, ასაკით, ცოდნით.

10992. ქალის მრავალჯერ აღელვება შეიძლება, მაგრამ იმ აღელვებას, რომელიც კაცის ინიციატივით გაყრა ჰქვია, ვერაფერი შეედრება.

10993. ქალი რაც უფრო მეტად ეშვება მიწაზე, იმდენად საოჯახო მეურნეობისათვის სასიამოვნო ხდება, მაგრამ გარეშენი მის მიმართ აღარ გამოხატავენ აღფრთოვანებას, ხოლო შინაურებისათვის შეუმჩნეველი ხდება და უინტერესო.

10994. ქალი უნდა ფიქრობდეს, რომ მისი ხელის მოსაპოვებლად გამართულ დოღში ის მამაკაცებიც კი მონაწილეობენ, რომლებმაც ამ შეჯიბრის შესახებ არაფერი იციან, თუ უნდა თავი ღირსეულ მდედრად იგრძნოს.

10995. ქალისთვის შემთხვევითი ბედნიერებაა, როდესაც ფიზიკურად და სულიერად ღირსეულ მამრს შეეყრება და არა იმას, რომელზედაც ოცნებობდა.

10996. ასაკის მატებასთან ერთად ქალი უფრო ჭკვიანი, მომთმენი, მოსიყვარულე ხდება თავისი რწმენით და იმედით.

10997. ხანდახან ქალები იმდენ უკმაყოფილებას გამოთქვამენ მამაკაცების მიმართ, რომ გახარებული ხარ: კიდევ კარგი არა აქვთ ატომური ბომბი და ასე ზომიერად ხმარობენ თავიანთ ქიმიურ იარაღს, ენას.

10998. მდედრი ისე გულში ჩამწვდომად უნდა იღიმებოდეს, რომ ყველა მამაკაცს ეგონოს მხოლოდ მას აქვს შანსი მისი დაუფლების.

10999. მდედრი, რომელსაც თავის სურვილისამებრ შეუძლია მამაკაცის „დაბმა," ძალზე საშიშია და მასთან სამუდამოდ ძაფების გაბმას უნდა ვერიდოთ.

11000. ქალი ქმარს სიყვარულით მიყვება, რომელშიც ფულიც იგულისხმება და ის ბედნიერებაც, რომელსაც ფულით ვერ შეიძენ.

11001. ქალის ასაკი ყოველთვის გონიერების სიმწიფეზე ვერ მიუთითებს, მაგრამ თანდაყოლილი ალღო ყველა გაუგებრობის გამოსწორებას ცდილობს.

11002. შეიძლება ქალი ულამაზო, მაგრამ ეშმაკურად მოხერხებული და მიმზიდველი იყოს, რომელსაც შეუძლია თქვენი სულის ყველა სამართავი თასმა ხელთ იპყროს.

11003. თავზე დიდი წარმოდგენის ქალს ხან კარიერის კეთება უნდა, ხან გათხოვება და ბავშვების ყოლა. ამ ძებნაში კი ხშირად ორივეს გარეშე რჩება.

11004. საქმიანი ქალი იმისათვის იჩაგრება, რომ არ გვაძლევს სულის გასაღებს და ცდილობს დისტანცია დაიცვას.

11005. ქალს დედაკაცად ცხოვრება აქცევს და არა – ასაკი.

11006. თუ ლამაზი ქალი მამაკაცისთვის მძიმე არტილერიაა, გიტარით ხელში – ატომური ბომბია.

11007. ქალს არ შეუძლია სერიოზული და მიუკარებელი იყოს, თუ მის წინაშე საინტერესო, სასურველი ობიექტია.

11008. ქალისთვის აუცილებელი მინიმუმია: ალერსი, ჩაცმა-დახურვა,საიმედო ნიღაბი – იმედით გამაგრებული.
11009. ქალს, რომელიც ზომაზე მეტად თავს იფასებს, მით უფრო ნაკლები შანსი აქვს თავის პრინცს გაყვეს.
11010. მდედრის მომნუსხავი ღიმილი ხანდახან კაცისათვის ყველაფერია, მაგრამ ქალისათვის კიდევ ერთი შემოწმებაა თავისი მომხიბვლელობის და მამრის გონების არევის მაგიის.
11011. ცხვარიც და ქალიც თავის „ბარანად" ქცეულ ყოჩს უცდის.
11012. ქალია ის ძალა, რომელიც მამაკაცებს აიძულებს უფრო ჭკვიანები და მოხერხებულები იყვნენ, ვიდრე არიან.
11013. ბიო-ეთიკით ქალი კაცისთვის ზღაპარი უნდა იყოს, გარკვეულ დრომდე, სანამ შეეჩვევი.
11014. ქალი, რომელიც ქმარს ყველაფერს პატიობს, ნამდვილი მამაკაცი ვერ იგუებდა.
11015. ულამაზო, გამოუყენებელი მდედრი არ არსებობს, არსებობენ სიყვარულის გარეშე დარჩენილი, უიღბლო უნიათო ქალები.
11016. ქალების აზრით მამაკაცები მათ ღალატობენ, ხოლო ისინი შურს იძიებენ და ეს მათ ღალატად არ უნდა ჩაეთვალოთ.
11017. ზოგი ქალი უკეთეს ბებიად იბადება და ცუდ დედად, განსაკუთრებით თუ ახალგაზრდაა.
11018. მარტოხელა დედობა გაცილებით სჯობს უშვილობას, უქმრობას, შინაბეროობას.
11019. ყველა ქალი არაა დედობის ღირსი, მაგრამ ბუნების ძალას წინ ვინ დაუდგება, მითუმეტეს, თუ ზოგჯერ ასეთი მშობლის შვილი ისტორიისათვის დასამახსოვრებელი რჩეული ვიგინდარაა.
11020. გათხოვების მსურველ ქალს თვალები ჰყიდის, ისინი ან ძალიან ანთებულნი არიან, ან ძალზე მოწყენილნი, რაც მათი იმედის გაცრუების მაჩვენებელია.
11021. მამაკაცები ქალების ყურების და გონების დანაგვიანებას ერიდებიან მკრეხელური ამბების თხრობით, რომლის მოსმენა მათი სურვილია, ოღონდ თავისი ორანჟირებით: „არ გრცხვენია? სისაძაგლეს ნუ ყვები, უზრდელი ხარ", და ასე შემდეგ, თან აღფრთოვანების ღიმილი სახიდან არ შორდებათ.
11022. ქალები უფრო ერკვევიან მამაკაცის ხასიათში, ვიდრე მამაკაცები – ქალებისაში, რადგან ოჯახის და ქვეყნის მეჭურჭლეთუხუცესობა ბუნებამ დაბადებიდანვე მათ აჩუქა.
11023. ქალს საინტერესოს კდემამოსილება და მისი საიდუმლოს შეცნობა ხდის, ლაზათს კი გულში ჩამწვდომი ღიმილი, ჰაეროვანი ჯდომა, ტანის მოხდენილი ტარება აძლევს.
11024. ყველა ქალის ოცნებაა ოჯახს ჰყავდეს ფულის მომწოდებელი და მასთან სიყვარულის მაძებარი მეორე ნახევარი.

11025. ერთი და იგივე ქალი შეიძლება მარტივად დაგნებდეს ფულისათვის ან რთულად დაიპყრო ფულის ხარჯვით, მაგრამ ამ უკანასკნელში ჩადებულია მამაკაცის მოდგმის პატივისცემა და ის, რომ მას მგლის, მომპოვებლის ბუნება არ დაუკარგავს.

11026. ქალის დაპყრობის სხვადასხვა ხერხი არსებობს: მოწონება, თვალების დაჟუჟუნება, გულის მოგება და ასე შემდეგ, მაგრამ მას რომ დაამახსოვრდე, ეს სხვა ხელოვნებას და ბუნების მადლს მოითხოვს.

11027. ქალი შინაგანად ხვდება, რომ მამაკაცი მისი ყველაზე დიდი მტერია, მაგრამ რა ჰქნას, თუ ამ ეშმაკის ყველაზე მეტი იმედი, რწმენა აქვს თანდაყოლილი.

11028. უსასრულოდ უმანკო ქალწული არავის სჭირდება, ისიც უნდა ვაიძულოთ ცხოვრებით დატკბეს და თავისი ნაშიერი აღზარდოს.

11029. ქალები მაინც უფრო დიდსულოვნები არიან, მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები ხშირად უცრუებენ იმედებს სექსისა და პრივატიზების საქმეში.

11030. რომანტიკული ბუნების მქონე ქალებმა 8 მარტი პრაქტიკულად აზროვნების მქონე მამაკაცებს დაუმორჩილებლობის დღედ გამოუცხადეს, რათა ეგრძნობინებინათ ამაღლებული გრძნობების და სულის პირველადობა.

11031. ქალი შეუმჩნეველი ფრონტის მებრძოლი ჯარისკაცი უნდა იყოს, თუ უნდა თავის საჭოჭმანო ბედი წაღმა შემოატრიალოს და გამარჯვება იზეიმოს.

11032. ბედნიერია ქალი, თუ ასაკის მიუხედავად მის დანახვაზე მამაკაცთა მოდგმას გული შეუტოკდება და ტანში სასიამოვნო ჟრუანტელი დაუვლის.

11033. როდესაც მიმზიდველ ქალს ცხოვრების დაისზე ქალწულად ნახავ, არ შეიძლება თავს არ უსაყვედურო იმ დანაშაულის ჩაუდენლობაზე, რომელსაც ძალადობა ჰქვია, რადგან დღეს ეს ქალი უბედნიერესი დედაკაცი იქნებოდა, ნაშიერი რომ ყოლოდა.

11034. ქალისათვის ტრუსები დელიკატური ატრიბუტია, თავის ეკოლოგიური სილამაზით და არა ტრადიციული საიდუმლო მიწვევა – მიპატიჟებით, რომელზედაც იშვიათად რომ მამაკაცმა უარი თქვას.

11035. ქალს, რომელსაც მამაკაცის გული აქვს, თაყვანისმცემელი არ სჭირდება, რადგან თვითონ მონახავს მათ.

11036. მდედრისადმი თაყვანისცემა იმ ფარგლებში უნდა მოვაქციოთ, რასაც ჩვენი დროის მოდა განსაზღვრავს.

11037. ხანდახან სიყვარული, გრძნობები ქალის მიმართ, საჩუქრის ხარისხით უნდა გამოხატოთ, რათა ქალს მისდამი დამოკიდებულების უტყუარი საბუთი ჰქონდეს.

11038. შეყვარებული ქალი არ შეიძლება სულელი იყოს, რადგან როგორც კი გამოვა ამ სტრესიდან, საზოგადოებაში ჩვეულებრივი მეშჩანის საგზურების მოპოვებას შეეცდება და ჭორიკანა დედაკაცად იქცევა.

11039. სჯობს მდედრს ისეთი რამ ვაჩუქოთ, რასაც მაშინვე გასინჯავს, რათა მადლიერებით აღფრთოვანებულმა, მომნუსხველი კოცნა მაინც შეგვახვედროს.

11040. ქალი ყოველთვის უნდა ცდილობდეს თავს მიხედოს, დაიფასოს და ურთიერთობას ისეთი ფორმა არ მისცეს, რომ შორიდან წყალში კუნძული ეგონოთ და ნავი არ მიაყენონ.

11041. რაც უნდა ფემინისტურად შევხედოთ ქალს, ის მაინც თავისებური ნივთია, რადგან თავს აწონებს არა მამაკაცს, არამედ მის მამაკაცურ ღირსებას, რომელზედაც არავითარი ქრთამი, მზითევი და დაპირება არ მოქმედებს.
11042. სამუშაოსთან და ქალის სულთან ჩახუტება არ გამოგვივა, თუ კაპრიზს, თავის წარმოჩენას, სიზარმაცეს გასაქანს მივცემთ.
11043. ქალთან კამათი უაზრობაა, თუ მის ასაკს ჯერჯერობით ჯოჯოხეთში უნდა ცხოვრება და სამოთხისკენ არც იყურება.
11044. ქალს წლები უფრო მკაცრად ექცევა, ვიდრე მამაკაცს, მაგრამ სიცოცხლეა მის მიმართ კეთილად განწყობილი და ამიტომაც ისინი მამრებზე მეტს ხანს ცხოვრობენ, რათა მომავალი თაობის სიცოცხლე კონდიციამდე მიიყვანონ.
11045. მდედრი, რომელსაც სურს მამრის პირველადობას გრძნობდეს, ნამდვილი ქალია.
11046. ქალის მძიმე და გაუგებარი ხასიათი მაშინვე იცვლება, თუ მამრში ის თავის ფარს დაინახავს.
11047. მოხერხებულ ქალს მამაკაცი არ უყვარს, ეს მამრი სხვა მამრზე მეტადაც არ მოსწონს, მაგრამ ყველგან ყოფნას და საქმის მოკვარახჭინებას ახერხებს, ასწრებს.
11048. ქალისათვის პირველადია ყურადღება და ხანდახან ამ ყურადღების საჩუქრით გამაგრება და არა – მატერიალური უზრუნველყოფა, წამლიქვნელების გარეშე.
11049. ქალთან, რომელიც უყვართ, პრეზერვატივით და სტიმულატორებით არ ცხოვრობენ, რადგან მათთან მომავალი თაობის გაჩენის და განგების განაჩენის არ ეშინიათ.
11050. ქალს კი არა აქვს ცუდი ხასიათი, არამედ მამრს, რომელიც მდედრს „იშტაზე" ვერ მოჰყავს.
11051. გამოცდილი ქალისთვის უმთავრესი კაიფია მაღალ საზოგადოებაში ყოფნა, ფულის ფლანგვა და ამის საფასურად თავის მფარველის ხელში თოჯინად ქცევა.
11052. თუ ანგარიშიან ქალს ახალგაზრდა მამაკაცური მანქანა დაუძველდა და ავარიაში მოყვა, ის მაშინვე ანტიკვარული ძველი მანქანის ძებნას და მასში გადასახლებას ცდილობს, რადგან ასაკი მასაც ეპარება და უზრუნველი ცხოვრების გარანტია სჭირდება.
11053. ქალის ლამაზად გახდის ხელოვნება – აკადემიაა, ლამაზად ჩაცმის – უნივერსიტეტი, ხოლო „სილამაზის" შენარჩუნება, სულიერი იქნება ეს თუ ხორციელი, ფულის გარეშე არ ხერხდება.
11054. ქალები თავიანთი ბუნებით საიმედონი არიან, მხოლოდ მამაკაცის უყურადღებობა ხდით მათ უიმედოებს და ღალატის გზაზე აყენებს.
11055. ქალისათვის ორსულობა სასჯელიც არის და ღირსებაც, ხოლო თუ კარგი შვილიც აღზარდა, ბედნიერებაც.
11056. ყველაზე ოპტიმალური ასაკი ქალისთვის ბავშვის გაჩენის დროა, განსაკუთრებით თუ ზურგს უმაგრებს მისთვის სასურველი მამრი.

11057. ქალს მამაკაცის უნდა სწამდეს, მაგრამ მისი ბოლომდე არ უნდა სჯეროდეს, რადგან ფიზიოლოგია აქვს შეუცნობადი.
11058. ქალისთვის ნდობის და სასწაულის მოხდენის გარეშე ცხოვრება ძნელია, რატომღაც ამ ბედნიერების გაელვებას ვერც გონიერება იგებს და ვერც მამრის ხუშტური.
11059. ყველაზე ჭკვიანი კაციც კი ვერ მიხვდება, რა უდევს თავში ყველაზე გულუბრყვილო ქალს, რადგანაც თავის ინსტინქტებით, სულიერი განწყობით აზროვნებს და ხშირად მისი მამრთან შერკინება მისივე გამარჯვებით მთავრდება.
11060. ყველა მამაკაცი ქალის ენის ქვეშ არის ამოდებული, სხვადასხვა სიგრძით, გემოვნებით, მომხვეჭელობით და იმით, თუ იმ დღეს რა ხასიათზე აქვს ენა ალესილი.
11061. ნამდვილი ქალი მესაკუთრეა და არავისათვის არაფრის გამყოფი, მოსწონს ეს მის მამაკაცს თუ არა.
11062. ქალის უგუნურად, შლეგად ქცევაში ზოგიერთი საშიში მამაკაცის ქცევაა დამნაშავე.
11063. სათაყვანებელ ქალს მოჭარბებული ვნებების დასაკმაყოფილებელ სახლში არ ეძებენ.
11064. ქალი უდანაშაულო არსებაა, ის მამრის ოცნების და ლტოლვის მხარის დამჭერია, ხოლო თუ ისე არ გამოდის, როგორც მამრს სურდა, თავადაა დამნაშავე და აქ მდედრის მიმართ პრეტენზია უსაფუძვლოა.
11065. ქალის წაკითხვა და დამახსოვრება სულიდანაც შეიძლება და სხეულიდანაც, გააჩნია ვის რა ნიჭი აქვს და ვინ რას ეძებს მდედრში.
11066. არსებობს მდედრის ბუნება და არა სუსტი, უნებისყოფო ქალი, რომელიც ხვადთან ურთიერთობისათვის არის მოწოდებული, მაგრამ როგორ გაუმართლებს, ამაზე არის დამოკიდებული ქალის იმიჯი და ქცევა.
11067. ზოგი ქალი ბედნიერებას ერთი მამაკაცის ბინიდან მეორესთან გადასვლაში ხედავს, ზოგი ფულის ერთი ტომრიდან მეორეში მოკალათების ცდაშია, ზოგიც ერთდროულად ორივეს მოპოვების მცდელობაშია. ამასობაში ასაკიც გვიახლოვდება, ბინაც გვავიწყდება, ტომრებიც და ისიც, თუ რისთვის დავრბოდით ასე მონდომებით, თუ ბოლოს ყველაფერი სულერთი იქნებოდა.
11068. ქალები ყოველთვის იქ ცდილობენ გამოჩნდნენ სადაც მათ შეაფასებენ, მოიპოვებენ მათივე თანხმობით.
11069. მდედრი, რომელიც მხოლოდ მამრის სულს ეუფლება და მისი სხეული არად მიაჩნია, ვამპირთა მოდგმისაა და მისგან თავის დახსნა მამრს გაუჭირდება.
11070. ძუკნას დედოფალივით ვერ მოეპყრობით, მაგრამ თუ დედა გახდა, ქალად მოპყრობას მაინც გამოგტყუებთ.
11071. ზოგიერთ ქალს ისეთი ქმარი ჰყავს, რომ ვადაზე ადრე მასთან განშორების იმედი რომ არ ჰქონდეს, დიდიხნის წინათ საწამლავს ჩაუყრიდა სასმელში.
11072. ქალი თუ რამდენიმეჯერ თხოვდება იმის მაჩვენებელია, რომ სული სიყვარულს ეძებს, ხორცი კი მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს, მაგრამ ქალის ეს მცდელობა ხალხს ისე ესმის, როგორც უნდა ესმოდეს.

11073. როდესაც ქალი ბევრს მასლაათობს, ბედნიერია, როდესაც ბევრს წუწუნებს, უბედურია, როდესაც ბევრს ჭორაობს, გაუგებარ ხასიათზეა, ამიტომაცაა ქალის დაუოკებელი და გამოუცნობი ბუნებისათვის სიტყვა „ბევრი" ზედგამოჭრილი, რადგან ქალს საქმიანობა მასში სულის ჩადგმის გარეშე ვერ წარმოუდგენია.

11074. ქალს გონება მაშინ ეკეტება, როდესაც შეყვარებულია, ან ვინმეს დასანახად ვერ იტანს. რაიმე შემთხვევის შედეგად თუ კერპების გადაადგილება მოხდა, ყველაფერს ივიწყებს და გონებაც ეხსნება.

11075. უქმრო ქალი ცუდად დადებულ ნივთს ჰგავს, ყველა მის წაპოტინებას ცდილობს, სჭირდებათ მათ ეს თუ არა.

11076. თავგადასავლიანი რომანი ქალის ოცნებაა, რათა თვალს, ყურს, ენას დამატებითი საქმე გაუჩინოს.

11077. თავისუფალი და ასაკიანი ქალი ამაყი და ხორციელად თავისუფალია, მაგრამ რა ტრიალებს მის სულში, ეს მხოლოდ მისთვის არის ცნობილი.

11078. ყველა ქალს აქვს წუთიერი თავდავიწყების უფლება, იმის გასამართლებლად, რომ ცხოვრება შეიცვალოს და შესცდეს თავისდა სასიამოვნოდ.

11079. ქალებს მამაკაცები იმ ცოდვებისთვისაც უყვართ, რომლის ჩადენასაც ისინი ხშირად ვერ ახერხებენ, რადგან წმინდანის ადგილი არც ქალის გვერდზეა და არც მის გულში.

11080. ქალის კაპრიზის და თავხედობის მსხვერპლი, უნდა თუ არა, მამაკაცია, რადგან მდედრის დაცვა ბუნებით მას აქვს მინდობილი.

11081. გონიერი ქალი წესით მექალთანეს ცოლად არ უნდა გაყვეს, მაგრამ ჭკვიანი ქალები ცუდ მამაკაცებს რომ არ ირჩევენ?! ეტყობა ამ ხვადებშია რაღაც ისეთი, რაც მათ გონებას ეთანწყვილება.

11082. ქალმა ისე უნდა იცხოვროს, თითქოს წინ მრავალი ცხოვრება აქვს თავიდან დასაწყები.

11083. ამბიციური და ჭირვეული ქალის განაწყენება და მისი რეაქცია ბირთვულზე უარესია და საშინელებად გადაიქცევა, თუ საქმე მისთვის საყვარელი მამაკაცის ღალატს ეხება.

11084. ქალს მამაკაცი უნდა უყვარდეს, მაგრამ თავს არ უნდა აბეზრებდეს, აი, მთელი ფილოსოფია მისი „დაბმის".

11085. ქალს უნდა ჩასჩიჩინოთ, რომ მას სათანადოდ არ აფასებენ, ის გაცილებით მეტის ღირსია და მდედრის გულის დასაპყრობი კოზირები თქვენს ხელთ იქნება.

11086. ქალი მანამ ცხოვრობს, სანამ ის უყვართ, ამჩნევენ, დანარჩენ დროს ის არსებობს.

11087. ქალი შამპანურივით ფეთქებადი უნდა იყვეს, ოღონდ ბუყ-ბუყის გარეშე.

11088. დღეს ქალები „ხმარობენ" მამაკაცს და ეროტიკული აგრესორის როლშიც გვევლინებიან და სულით უჯიშო და სხეულით ჯიშიანი ხვადების შენახვას და დაფინანსებასაც კისრულობენ.

11089. ზოგიერთ მდედრს, რაც უნდა ბრილიანტებით მორთოთ და მოჭედოთ, ქალად ვერ აქცევთ, რადგან ის ძუდ არის დაბადებული.

11090. რამდენი საუკეთესო წლები და ჭკუა იკარგებოდა ქალის მოსაპოვებლად, მაგრამ დღეს ნატურიდან ფულზე გადასვლა ისწავლეს და დროსაც ვიგებთ, თუმცა ეხლა ფულის მოპოვება გვაკარგვინებს დროს და გონებას.

11091. ქალის ფანტაზიის მოთხოვნილებებს მამრის მიმართ ვერცერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ მდედრი მას მამა აბრამის ბატკნადაც აქცევს, ალიბსაც მოუნახავს, რომ მან ეხლახან შეამჩნია მასში სიმშვიდე და სხვისთვის შეუცნობელი მომხიბვლელობა.

11092. შიშველი მდედრის სხეულის გამოფენა სილამაზეცაა, ხელოვნებაც, საზიზღრობაც. გააჩნია მის საცქერლად კაცობრიობის სექსუალურად ჯანმრთელი ნაწილი მიდის თუ ხელოვნების მცოდნე, ასაკით და ცოდნით დამძიმებული, სულით ამაღლებული საჭურისი.

11093. კარგი ქალი სიხარულია, წუნკალის ყოლა მოვალეობაა, ხოლო მათი ტკბობის სწავლა ტვინის განძრევას და მოხერხებას მოითხოვს და არა ხელის გამოღებას.

11094. ერთი ქალი, დედა, სიცოცხლეს გვჩუქნის, მეორე ქალი, ცოლი – გვიმოკლებს, მესამე, ქალიშვილი – გვიხანგრძლივებს და ამ ქალებისგან თავის დაღწევა შეუძლებელი ხდება.

11095. ერთეული ქალები უნდა მოგწონდეს, ხოლო ბითუმად ყველა უნდა გიყვარდეს.

11096. „ქარაფშუტაა, მაგრამ ლამაზი ქალია", – იმის გაგება, ეს კომპლიმენტია თუ დახასიათება, იმითაც არის ძნელი, რომ საქმე ამოუხსნელ არსებასთან გვაქვს.

11097. ავტობუსის უეცარი დამუხრუჭების დროს მასში მყოფი მამაკაცი და ქალი ერთმანეთს ეჯახება. „თავის შეკავება ვერ უნდა შესძლოთ"?, ან „სულ ჩამილეწეთ გვერდები"! – ამბობს ქალი, თუმცა მდედრმა შესანიშნავად იცის, რომ მამრი ამ შემთხვევაში სასაყვედურო არ არის, მაგრამ რადგან ის ბუნების კვლავწარმოების პასუხისმგებელი შვილია ე.ი. ხელშეუხებელია, ჭირვეულია, ხოლო როგორც ქალი, ყოველთვის მართალი და მას ყოველანაირად უნდა უფრთხილდებოდნენ.

11098. ქალი მაშინ ხდება სასაცილოც და მომხიბვლელიც, როდესაც ის მამაკაცს ეწინააღმდეგება და საბოლოოდ მამრის აზრს იზიარებს, ხოლო სერიოზული და გახარებული, როდესაც ის ყურადღებით უსმენს მამაკაცს, მაგრამ საქმეს მაინც მის ჭკუაზე აკეთებს.

11099. ქალს ყოველთვის ბედის შემთხვევითობა და არა ჩვენი გონიერება და მოხერხება ირჩევს.

11100. ერთი შეხედვით, რა უნდა ქალს, თვითონაც არ უწყის, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის, რადგან სურვილი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მამაკაცს მოინადირებს და რის გამოდნობა შეიძლება მისგან.

11101. შეუხედავი, ჩაუცმელი, თავმოუვლელი ქალი, ღირსეული მამაკაცის ხელში შეიძლება ვნებიანობით შესანიშნავი სასუსნავი აღმოჩნდეს.

11102. ლამაზი ქალი, სანამ მის სიმშვენიერეს ჭირხლი შეეპარება, მამაკაცებს აცალკევებს და ქალებს მის საწინააღმდეგოდ აერთიანებს, ის არავის საკუთრებად თავს არ სთვლის, არც პატრონს ეძებს და ბედის ანაბარა დაეხეტება. დროთა განმავ-

ლობაში სილამაზით გამორჩეულს, ცხოვრებამ ისე ჩაუქროლა, რომ მისი ნაყოფით ვერც ბოლომდე დატკბა, ვერც მისთვის განკუთვნილი ბედნიერება ირგუნა.

11103. ქალისთვის მთავარია ეფექტური და თვალში საცემი გახდეს, რომელიც სილამაზესა და მომხიბვლელობას სცვლის. ამის საბუთია გონდაკარგული მამრების რიგი ამ ქალის ფეხებთან.

11104. მდედრს, რომელიც მამრს ვერ აიძულებს მისთვის გარისკოს ან გამოესარჩლოს, ქალობის ყავლი დიდი ხანია გასული აქვს და მანდილოსნობას ვერ დაიქადნის.

11105. ქალის საუკუნოებრივი უცვლელი ოცნებაა ქმართან ერთად 50 წელი ყოფნა 24 საათის განმავლობაში, ხოლო მამაკაცისა კი ქალის ოცნების ახდენა ნაწილ-ნაწილ ან მისი მონაწილეობის გარეშე.

11106. ყველა ქალი უკეთესი მამრის ღირსია, მისი არჩევანის მიუხედავად.

11107. ქალის თილისმამ მამაკაცს უარი ისე უნდა შეაპაროს, რომ მამრმა დამცირების ნაცვლად მასში სინანულის სიხარულიც იგრძნოს.

11108. ქალია ის, ვინც მამაკაცის ხავერდოვან ჩაჩქანს საჭიროებისამებრ ლამაზად დაიხურავს და მოიხდენს, მამრს სიამოვნებისგან დაადნობს და ამ მოხერხებულობას ვერ შეამჩნევენ.

11109. მოხერხებული ქალი ეცდება ქმარს მასთან ღალატისთვის პირობები შეუქმნას და შემდეგ გამოიჭიროს, რათა უკვე დასაბუთებული პრეტენზიების წაყენების უფლება ჰქონდეს.

11110. ქალის საიდუმლო, რომელიც ყველამ იცის და კაცს უმალავენ, მასზედ ზრუნვად მიაჩნიათ და მდედრს დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

11111. ქალს პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას ის მამაკაცი გადაათქმევინებს, ვისაც უყვარს და ვისთანაც მთელი გულით მიიწევს.

11112. ქალი, რომელიც ყოველდღე ახლებურად წაკითხვას მოითხოვს, საინტერესოა, მაგრამ დასამახსოვრებლად არის ძნელი, რადგან გააჩნია მას მამრი როგორ კითხულობს: როგორც გასართობ დეტექტივს, თუ როგორც სერიოზულ საოჯახო რომანს.

11113. ქალის ლამაზ მკერდს გამოცდილი მამაკაცის თვალში ყოველთვის ჯობნიდა მდედრის საამოდ საცქერალი უბე, რომელიც ძალზე იშვიათია.

11114. ქმრის მოპოვება ხელოვნებაა, შენარჩუნება – გონიერება, დაკარგვა – თავის უპატივცემულობაა.

11115. ყველა ქალი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი მიტოვების უფლება არც ერთ მამაკაცს არა აქვს, თუ ეს მისი სურვილი არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ მდედრს ქალობაზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს.

11116. ქალი ნებაყოფლობით ყველა ასაკში მამაკაცის თანამგზავრია, მაგრამ მათ შორის თუ დიდი სხვაობაა, წინააღმდეგობები იქმნება, რადგან ბუნების კანონზომიერება მკვეთრ გადახრას ვერ იტანს წყვილის სიყვარულშიც კი.

11117. ბიო–ქიმიური ქარიშხალი ყველა ქალის სულში ტრიალებს, მაგრამ მისი ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღად გამოყენება მამაკაცთა მიმართ, მათ ანგარიშში არ შედის, რადგან იციან, საბოლოოდ თავად დაზარალდებიან.

11118. ქალი სულის შთაბერვით იქმნება და შემდეგ ხდება არაორდინალური, სხვისგან განსხვავებული, სანატრელიც და საინტერესოც.
11119. კონკურენცია, გაყრა, სიყვარული, სიძულვილი, უხასიათობა, ეჭვიანობა, უმადურობა ქალის ბუნებაშიც დევს, მაგრამ ის ამას შინაგანად არ ავლენს და იმას ამჟღავნებს, რაც მამაკაცს ეამება.
11120. ქალები ძალზე ხშირად უნდა იღებდნენ კომპლიმენტებს, რათა არ დაავიწყდეთ, რომ ისინი ქალები არიან.
11121. ქალით აღფრთოვანებაზე დახარჯული დრო დაკარგულად არ ითვლება, რადგანაც სიბერეში ამ ფლირტის შედეგი რჩება სასიამოვნო და საამაყო მოგონებად.
11122. ქალი გარკვეული დროით მონადირეც არის და მტაცებელიც, მაგრამ ძირითადად მაინც დედაა.
11123. ქალს უნდა შეეძლოს სულის გადაშლა და შინაგანად ანთება, მაშინ გვექნება საქმე მის ელეგანტურ ჰარმონიასთან.
11124. ქალი 16 წლიდან ახალგაზრდაა მანამ, სანამ არ დაიწყებს ზრუნვას ასაკის შემცირებაზე.
11125. ყოველთვის ქალების მცდელობით ეწყობა მეჯლისი მამაკაცთა სულში და მამრიც უნდა გრძნობდეს მისი ხელების სითბოს, როგორი სინაზით უნდა შეეხოს ქალს დასაპყრობად და საამებლად.
11126. ქალებს უღიმღამო ხელფასზე ცხოვრება არ უნდათ, არც საოჯახო ეკონომიის შედეგად მორჩენილი ნასუფრალის ხარჯვა აკმაყოფილებთ, მაგრამ იძულებულნი არიან იმ არჩევანს დასჯერდნენ, რაც საღვთო ლატარიაში შეხვდათ.
11127. ქალზე ყველა ასაკშია მოთხოვნა, მაგრამ სხვადასხვა ინტენსივობით, ინტერვალებით და გამოყენების მცდელობით.
11128. ქალის მკერდი გამოცანაა, აქ მთავარია რამდენად მომხიბვლელად ატარებს, რას განიცდის, რა სიამოვნებას ანიჭებს მისი დანახვა გაუმაძღარ თვალს და რამდენი მამაკაცის მზერის დაჭერა შეუძლია ერთ კვადრატულ კილომეტრზე საშუალო სიმჭიდროვით დასახლებულ ადგილას.
11129. ქალს ყველაფრის უფლება აქვს, გარდა სიცოცხლის წართმევისა, რადგან ის მომავალი დედაა და ქვეყნის აღმშენებლის გამჩენი.
11130. ყოველივე შეჩვევაა, ურთიერთობაა, მჭევრმეტყველების ტემბრია, რის შედეგადაც გარეგნობით მახინჯმა და სულით მდიდარმა შეიძლება ჩვეულებრივ ლამაზ მოკვდავს აჯობოს თქვენს თვალში.
11131. ქალს არასდროს არა აქვს მხედველობაში ის, რასაც ამბობს, ამიტომ მასთან საუბარს ყურადღებით კი უნდა მოვეპყროთ, მაგრამ ინტუიციით უნდა გრძნობდეთ, რა სურს მას და რა ჩარჩოებში დაუშვებს ის თქვენთან ურთიერთობას.
11132. ქალი იმ სახელმძღვანელოს მოგვაგონებს, კითხვის დროს რომ ყველაფერი გვესმის და მასთან ყოფნა გვსიამოვნებს, მაგრამ მისი კორექტირება და მასთან ცხოვრება გვიჭირს.
11133. ქალმა როგორც არ უნდა იჯადოქროს თავის გარეგნობაზე, გამოცდილი თვალი მაინც შეამჩნევს იმ წლებს, რომლის დამალვასაც ის ცდილობს.

11134. ერთადერთი, რასაც ქალი არ უჩივის, ყურებია, რომელსაც დაბერება არ ეტყობა და მოგონება, რასაც ობი არ ედება.
11135. თეთრ ცხენზე ამხედრებული ოცნების პრინცი იქ არ ამუხრუჭებს, სადაც ქალს თვალები შუქნიშანივით არ უბრწყინავს და თავზე გადამეტებული წარმოდგენა აქვს.
11136. სილამაზე ქალისთვის მხოლოდ ერთი დიდი კოზირია, მაგრამ მას სხვა კოზირების მოპოვებაც შეუძლია, თუ გარჯას არ დაიზარებს და თავის დროზე იფიქრებს.
11137. ქალმა რომ თავი მოიწონოს, პირველ რიგში სულით, რწმენით უნდა ამაღლდეს, შემდგომ იფიქროს გარეგნობასა და კოსმეტიკაზე. პირველი ძნელია, მაგრამ იაფი, მეორე ადვილი, მაგრამ ძვირი, თუმცა ქალებს ამ უკანასკნელის უფრო სჯერათ.
11138. ქალს სულის სამეფო და დედოფლობა არ უნდა წავართვათ, თორემ დაგვრჩება მარტო ფუტლარი და მდედრის მასა, რომელსაც ჩვენ ნაოცნებარ ქალთან არავითარი მსგავსება არ ექნება.
11139. ქალს, რომელსაც მეტის გაღება შეუძლია, ვიდრე მისი მამაკაცი იმსახურებს, მამრისთვის ღვთის ნაჩუქარი წყალობაა, მაგრამ თუ მამრს ზევიდან არა აქვს მადლიერების ნიჭი ნაბოძები, მას ამ ქალის დაფასება გაუჭირდება.
11140. თვით ლამაზი ქალია სარწმუნოება, რომლის ეშხი ისე აბრმავებს მამაკაცთა მოდგმას, რომ ავიწყებს "ვისი გორისანი" არიან და მომავალში რა რწმენას და ქვეყანას მოემსახურებიან.
11141. დღეს გარეგნობის რაციონალურად გამოყენების პრობლემის წინაშე ვდგებით, რადგან ეს იწვევს ღირებულებათა გადაფასებას, ცრუ ღირებულებების გამომუშავებას და დამკვიდრებას ქალში.
11142. ქალი ვარსკვლავად უნდა დაიბადოს, ხოლო მოდის აყოლა და ქცევის შესწავლა მამრების დასაბრმავებელ სიკაშკაშედ აქციოს.
11143. ლამაზი ქალი განწირულია საეჭვიანოდ და საჭორაოდ, თუ ხეირიანი პატრონი არ ჰყავს და არ იცის მისი მოვლა და ფასი.
11144. მოდა და ქალი ტექნიკური პროგრესიდან იღებენ იმას, რაც მათ სილამაზეს გამოაჩენს, ჯანმრთელობაზე კი ნაკლებად ფიქრობენ და მოდას აყოლილები ნახევრადშიშვლები დადიან, რათა მომნუსხავი ნაკვთები გამოაჩინონ და მამაკაცთა მზერა დაიმსახურონ.
11145. ქალისთვის ის კი არ არის მთავარი, რას აკეთებ, არამედ ის, თუ მასთან ურთიერთობაში რას შეიგრძნობ.
11146. ქალს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული პირადი ცხოვრება, რადგან მის გარეშე ქალბატონად ვერ მოგვევლინება.
11147. ქალი იმ მიმზიდველ სექსუალურ ლუკმას უნდა მოგვაგონებდეს, რომლის გემოს გასინჯვის მსურველი ბევრია, მაგრამ ფულზე და ნივთზე გადაუცვლელად.
11148. ქალს მამაკაცის დაუხმარებლად უჭირს იმის გარკვევა, როდის არის ბედნიერი და ნაკლებად ბედნიერი.
11149. თუ გინდათ ქალმა სინაზე, სათნოება, აღმაფრენა შეინარჩუნოს, მისი ნება უსიტყვოდ უნდა შეასრულოთ, რადგან დაუკმაყოფილებელი, მებრძოლი ქალი

თანდათან კახპის დედაკაცს ემსგავსება და მის სილამაზეს, მომხიბვლელობას, ბევრი რამ აკლდება.

11150. ქალის სისუსტეში გაერთიანებულია გონიერება, სილამაზე, რიდი, სინაზე და ქალური ჭირვეულობა.

11151. როდესაც მამაკაცს საბოლოოდ ქალი თავის ბედს უკავშირებს, არ ნიშნავს იმას, რომ მან თავისი "ჯილა" ნახა, არამედ, უბრალოდ ასაკის მატებასთან ერთად შეეჩვია და უფრო მოხერხებული ეჩვენა.

11152. ლამაზ ქალს უნდა უფრთხილდეთ და მის მიმართ ყურადღებით ვიყოთ, რადგან ნდობას ყოველთვის სიკეთე არ მოაქვს და დაცვის, მოფრთხილების განსაკუთრებულ წესს მოითხოვს.

11153. ქალის სიყვარული ჭეშმარიტებასთან მიახლოვებაა, განცდაა, ირონიაა, კაპრიზია, ცხოვრების შეცნობის ფილოსოფიაა, რომელსაც ბედიც უნდა მფარველობდეს.

11154. ქალი ცდილობს წარსულის დამალვას, მამაკაცი კი აწმყოსას, რადგან ისინი მომავალში რას მოიმოქმედებენ, ორივესთვის უცნობია.

11155. ყველა მომხიბვლელ, მიმზიდველ ქალს, თავისი თაყვანისმცემელი უნდა ჰყავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სხეული, სული, ვერ გალაღდება.

11156. ქალი თავისი კაპრიზით საშინელებაც არის და ანგელოზიც, მთავარია მასთან ურთიერთობაში მამაკაცი ცხოვრების სადავეებს მართვას როგორ ახერხებს.

11157. დედოფალია ის, ვისაც შეუძლია უმტკივნეულოდ ცოლიც, დედაც, ბებიაც გახდეს ისე, რომ ეს ცვლილება სხვისთვის შეუმჩნეველი დარჩეს.

11158. ქალი სამყაროს მამოძრავებელი, მომხიბვლელი, ლამაზი ძალაა, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში სამყაროსაც ატყვევებს და მამაკაცთა მოდგმასაც.

11159. სავალდებულო არაა ქალი პრინცს გაჰყვეს ცოლად, მთავარია მას მამაკაცის არჩევაში და ანკესზე წამოგებულის წყლიდან ამოთრევაში ხელი არ შეუშალოთ.

11160. ქალის სახის დაკარგვა ადვილია, მისი შენარჩუნება, შელამაზება, განახლება და კვლავ ყველაფრის თავიდან დაწყებაა ძნელი.

11161. საზოგადოებაში და გარეთ ყოფნის სურვილი უფრო ქალის სიძლიერის მაჩვენებელია, ვიდრე მომხიბვლელობის და სიყვარულის.

11162. დღეს ქალში სირცხვილის გრძნობის, კდემამოსილების აღმოჩენა იმედია იმისა, რომ ქალთა მოდგმა არ გადაგვარდება, რაც მამაკაცს თავისებურ სითბოს ანიჭებს.

11163. ქალის შეყვარება უფრო ადვილია, ვიდრე მისი გაგება ჯვრისწერის შემდეგ.

11164. ქალის დედოფლობას ყველა მისი კაბა ხაზს უნდა უსვამდეს ფეხსაცმლებთან და ხელის ჩანთასთან ერთად.

11165. ზოგ ქალს მისი დაფასების ფასი, თაიგულის ღირებულება, აინტერესებს, ვიდრე ყურადღება და თაიგული.

11166. ნამდვილი ქალისთვის ყველაზე დიდი საჩუქარია დაბადებისა და სადღესასწაულო დღეებში მამაკაცის ღირსების ფორმაში ყოფნაა.

11167. ქალი თავის დეკოლტეთი გაცილებით მეტს გეუბნება, ვიდრე ზოგი დედიშობილა ქალი საწოლში.

11168. შინაგან სილამაზეს ქალი უფრო ხშირად ავლენს ვიდრე სიანჩხლეს, მაგრამ მამრს მაინც ეს უკანასკნელი ამახსოვრდება.
11169. მოხდენილი ქალების ხელში მამაკაცი ბერბიჭად ვერ დარჩება.
11170. სიბრძნე ქალისთვის ერთი დღის მოთმინება – თავშეკავება, ხოლო მეორე დღეს – საყვედური სიყვარულით.
11171. ქალი, სასმელი, მუსიკა, დროსტარებისთვის არის მოგონილი, მაგრამ ხანდახან ქალის აყოლას და სმაზე გადაყოლას მუსიკის ჰანგებით დაღუპვისკენ მივყავართ.
11172. ქალს მომხიბვლელი სიტყვები ასულელებს, დიდი ფული კი აამაყებს.
11173. ქალი ყურადღებას აქცევს არა მამაკაცს, არამედ მის ირგვლივ შექმნილ ლეგენდებს და მზად არის ლოგინში ჩაუგორდეს გამოსაცდელი ვადით.
11174. ქალი შინაგანად თანახმაა ყველა ხვადის წილი გახდეს, მაგრამ პრაქტიკულად ის ჩვეულებრივი მამაკაცის წერა ხდება.
11175. ქალი მაშინ აფუჭებს საბოლოოდ მამაკაცს, როდესაც მას შინაგანად მის გარდა არავინ უნდა.
11176. ყველა ქალი თავს მომხიბვლელად მაშინ იგრძნობს, თუ ტუალეტში და მეჯლისზე დედოფალივით ერთნაირად გამოწყობილი შევა, რათა სილამაზის შეგრძნება და ლამაზად ყოფნა ჩვევად გადაექცეს.
11177. ყველა ქალის სურვილია მას აქებდნენ ძირითადად გონიერებისთვის, ოჯახის ქალობისთვის, მოხერხებულობისთვის და არა მარტო გარეგნობისთვის, გავისთვის, მკერდისთვის, ფეხებისთვის, რომლის გარეშე მას არავინ შეამჩნევდა და შეაქებდა.
11178. ქალის ყველა ნაკვთი აღგზნებას უნდა იწვევდეს მამრში, ხოლო სილამაზე – აღფრთოვანებას და მოკრძალებას.
11179. ულამაზო და გამოუყენებელი ქალი არ არსებობს, რადგან „ყველა ალხანას თავის ჩალხანა ჰყავს".
11180. ქალი, როგორც სიკეკლუცის და ჭირვეულობის წყარო, საზოგადოების საკუთრებაცაა და ამ სტატუსის შეცვლას აწი აღარაფერი ეშველება.
11181. ამბობენ, ქალს რაც უფრო პატარა მკერდი, უკანალი და მოკლე ფეხები აქვს, უფრო ჭკვიანიაო. რა თქმა უნდა, ჭკვიანი იქნება, მამაკაცის მსუნაგი თვალების მზერას და სხვა ლამაზი ქალისთვის განკუთვნილ ძალადობას არ განიცდის.
11182. ყველა ქალს დაბადებიდან თავის პოტენციური პრინცი ეჯავშნება, მაგრამ რაღაც მიზეზებით თუ მათი შეხვედრა არ მოხდა, სხვა უნდა მონახოს და ბედის მოსვლას არ უცადოს, რათა თავის წილ მდედრის არსს ეზიაროს.
11183. როდესაც ქალი თქვენს მცდელობაზე სილის გაწვნას აგვიანებს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ თეორიულად უკვე დაგნებდათ და პრაქტიკაც არ უნდა დააგვიანოთ, თორემ სილის გაწვნა არ აგცდებათ.
11184. როგორ შეიძლება იმ ქალს ეტრფოდე, ვისაც ხეირიანი ქმრის და საყვარლის შერჩევა არ შეუძლია.
11185. ყველა ქალი ქალბატონია, ყველა ქალბატონი ქალია, ოღონდ მათი სტატუსი დამოკიდებულია იმათზე, ვის ხელში მოხვდებიან და როგორ მოეპყრობიან.

11186. ზოგ ქალს მამრის მიმართ გრძნობები კი არ ამოძრავებს, არამედ მამაკაცის-კენ ლტოლვა, რომლის შეცნობის სურვილი ზოგს ადრე ეწყება, ზოგს გვიან.
11187. ლამაზი ქალი თავისებური საწამლავია, რომლის დაუფიქრებლად, ერთბაშად შესმას სული კატასტროფამდე მიჰყავს, ხოლო მისი თანდათანობით და მცირე დოზებით შესმა იმუნიტეტს ანვითარებს და იმიჯსაც მაღლა სწევს.
11188. ჭკვიანი ქალი მომხიბვლელი უნდა იყოს და არა ლამაზი, რადგან საქმიანი მამაკაცი ამ უკანასკნელს ყოველთვის სრულყოფილად ვერ აღიქვამს.
11189. ქალის ცხოვრება ძირითადად სამი მამაკაცით ისაზღვრება: პირველი, ვისაც ქალწულობა ანდო, მეორე, ვინც მის ცოლობაზე უარი თქვა, მესამე, ვისაც ცოლად გაჰყვა. დანარჩენი მამაკაცთა მოდგმა ბედის განგებას და შემთხვევითობას განეკუთვნება და ის ანგარიშში არ ჩაითვლება.
11190. ქალის მიერ მამაკაცში დამალული ინტელექტის აღმოჩენა დიდ გაოცებას და სიამოვნებას იწვევს, ისევე როგორც გეოლოგების მიერ აღმოჩენილ საბადოში ალმასი.
11191. ერთი ქალის სიყვარული შეიძლება თავისებურ დანაშაულად ჩაითვალოს, როდესაც ირგვლივ ამდენი უსიყვარულოდ დარჩენილი ქალია.
11192. ქალი დატყვევების, დანებების დროსაც კი თავის ულტიმატუმს უყენებს მამაკაცს.
11193. კომპლიმენტი ქალისთვის ბევრის მთქმელია, მაგრამ პრაქტიკულად არაფრის მიმცემი, გარდა სულის გალაღებისა, რაც მდედრის მომავალი მიზნებისთვის და თავდაჯერებისთვის არც ისე ცოტაა, როგორც მამრებს ჰგონიათ.
11194. ქალებს იმიტომ არ ეხატებათ გულზე ერთმანეთი, რომ ღირსეული ოჯახის შემქმნელი მჯობნის მჯობნი მამაკაცი არ ილევა.
11195. ქალს აწუხებს კაცის დაპყრობის სურვილი, ოღონდ მალვით, მორცხვად და გემით.
11196. ქალებს დიდად არ აინტერესებთ თავიანთი უფლებებით სარგებლობა, მათ უფრო ამ საკითხზე მსჯელობა და ლაპარაკი ახალისებთ და ართობთ.
11197. საყვედურის უთქმელი ქალი არ არსებობს, არც ისეთი მამაკაცი არსებობს, რომლის ოპონირება ქალმა ვერ შეძლოს.
11198. მოსწონდეს და იყოს მოწონებული, ეს არის ქალის ცხოვრების აზრი.
11199. ქალი ყოველთვის თავს სხვა ქალებზე მაღლა უნდა აყენებდეს, რათა მათ ფასი არ დაუგდოს და თავადაც არ იზარალოს.
11200. ქალის შეფასება ყველაზე უკეთ ქალს შეუძლია, მაგრამ არა მამაკაცის თვალებით და კარნახით.
11201. ქალის ლოგიკა უცილობლად ძლიერია, მაგრამ გამოყენების კოეფიციენტი აქვს დაბალი.
11202. ყველა ქალი თავის ასაკთან შედარებით სულით და ვნებით გაცილებით ჯეელად უნდა გამოიყურებოდეს.
11203. გოგონებმა თეორიულად ყველაფერი უნდა იცოდნენ, მაგრამ პრაქტიკულად ყველაფრის ცოდნა და ყბედობა მათ „იმიჯს" არ გამოადგება.

11204. ქალი შეიძლება ჭიანჭველასავით შრომისმოყვარე შეგხვდეთ, ან ჭრიჭინასავით უსაქმური, მაგრამ მთავარია ბზიკს არ გადაეყაროთ.
11205. გოგონას ჩასჩიჩინებენ, რომ ურთიერთობა წესიერ საზოგადოებასთან იქონიოს, ხოლო მისი სურვილია თავის რჩეულს ლოგინში ჩაუგორდეს, ეს საზოგადოება კი თავისი დოგმებით მასში არავითარ ინტერესს არ იწვევს.
11206. ფულიან დედაკაცს ხშირად უღლის გამწევად ერთი და იგივე მამაკაცი არ ყოფნის.
11207. მდედრი, რომლისთვისაც რამდენიმე მამრი ერთმანეთს არ ექიშპება, ქალად არ უნდა ჩაითვალოს.
11208. ქალები თავის შეცდომებს ქმრებს არ პატიობენ, რადგან მათ გადაცდენაში მაინც მამრების ჩაურევლობაა ბრალში.
11209. დღეს ეკოლოგიურად სუფთა ქალის მონახვაც გაძნელებულია და მისი სულიერი სამყაროს პრივატიზებაც.
11210. არიან ისეთი მამაკაცები, რომლებიც ქალებს იტყუებენ, მაგრამ არიან ისეთი ქალებიც, რომლებიც ყველა კაცთან ტყუვდებიან თუ უნდათ.
11211. გათქვირებულ ქალებს ერთი დასამალიც დაემატათ, ქმრის შემოსავალთან და ასაკთან ერთად საკუთარი წონაც უნდა შეამცირონ.
11212. აქსიომაა – ქალი ყოველთვის მართალია და ეს მამაკაცის მხრიდან არ უნდა განისაჯოს.
11213. ქალმა, რომელიც თავს პატივს სცემს, მთელი ცხოვრება ისე უნდა განვლოს, თითქოს „პოდიუმზე" დაბიჯებს ახალი მოდების გამოსაფენად.
11214. თანამედროვე ქალები ცხოვრობენ თავით და არა გრძნობებით, რადგან ბევრმა ძველმა ღირებულებამ მათს თვალში, ასაკის მატებასთან ერთად, დევალვაცია განიცადა.
11215. ყველა ქალს ცხოვრების გარკვეულ მომენტში სჭირდება, რომ ის იყოს მომხიბვლელი ქარაფშუტა.
11216. თავში და ბოლოში ყველა ქალი ერთმანეთს ჰგავს, აი, შუა პერიოდია ქარტეხილების და გაუგებრობის წლები.
11217. ერთნაირი ნაჭრებით შემოსილი ქალებიდან შეიძლება ერთი პატიოსან ქალად აღიქვას, მეორე – უპატიოსნოდ, მაგრამ აქ მარტო ქცევა და აღზრდა კი არ არის დამნაშავე, არამედ ის თილისმაც, რომელიც მამაზეციერმა ყველას თავისი ოდენობით ცალ-ცალკე არგუნა.
11218. ქალები ხშირად უბედურები იმიტომ არიან, რომ მათ ეს უნდათ, თავისი კაპრიზის დროებით დასაკმაყოფილებლად.
11219. სადაც ქალობა მთავრდება, იქვე იწყებს დევალვირებას კულტურა, რელიგია, ოჯახი და ისიც, რაც გვწამდა ძველად.
11220. დღეს ქალი ერთდროულად ვამლიც, გველიც და ფოთოლჩამოვარდნილი სექს-ბომბაცაა, რომელიც ახალგაზრდა ადამს ძველებურად აღელვებს, მაგრამ ნაკლებად ათბობს.

11221. ფაქტობრივად ქალები ქმნიან ისტორიულ პირებს და არა მამრები, რომლებიც ისტორიის იმიტაციის შექმნით ერთობიან.
11222. ქალმა შეიძლება რაიმე გაპატიოს, მაგრამ გაბრაზების დროს რომ არ წამოგაძახოს, შეუძლებელია.
11223. ქალებს უყვართ თაყვანისმცემლები, მაგრამ არა – გადამლაშებული და არა – მეობადაკარგული მამაკაცები.
11224. ქალისთვის მამაკაცის თვალებია მთავარი, კაცისთვის – ქალის ლამაზი ფეხებიც საკმარისია.
11225. ქალები დაბადებულნი არიან კოსმეტიკისთვის და კონკურენტისთვის თვალებში მტვერის შესაყრელად და ეს ასეც უნდა იყოს, ის ხომ თავის რეალიზაციას ცდილობს მაღალ იდეალებში და ფასებში.
11226. ქალისთვის სიყვარულის ვიზის გახსნა მისი ცოლობიდან საყვარლობამდე და პირიქით გადაადგილების ნებართვის მიცემას ნიშნავს, რომელიც ამ გზაზე, ეტყობა, ხშირად იმოგზაურებს.
11227. დაოჯახებისთვის ქალებს მეტი კოზირი აქვთ ვიდრე მამაკაცებს, მაგრამ თუ საჭიროა, ამ საოჯახო პარტიასაც წააგებენ თავიანთ სასარგებლოდ.
11228. ქალის მომნუსხველ ღიმილში და მისი თვალების უფსკრულში ჩაძირულ კაცზე ბედნიერი იმ წუთში არავინაა, მაგრამ მდედრს მალე ბეზრდება ამ სასიყვარულო მდგომარეობაში ყოფნა. ისიც ხომ ადამიანია და უფლება აქვს თავისი ხუშტურები გამოაჩინოს.
11229. ქალი ორჯერ გრძნობს ქალობას, ერთხელ, როდესაც მას ქალად აქცევენ და მეორედ, როდესაც მამაკაცთან ყოფნა აღარ სიამოვნებს.
11230. ერთ ქალს სხვა ქალებისაგან ის გამოგვარჩევინებს და დაგვაკავშირებს, რაც რომ ჩვენმა სულმა სხვა ქალების ფასი და მათთვის სულის მისადაგებაც ისწავლა.
11231. ზოგიერთ ქალს მამაკაცთან მეგობრობა უფრო ეხერხება, ვიდრე მისი სიყვარული და მორჩილება.
11232. წესით, ლამაზი ქალი ძალზე ეკონომიური უნდა იყოს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ისიც ქალია და მისთვის ლამაზი გარდერობი და კოსმეტიკა აუცილებელია.
11233. კარგ მამაკაცს ქალი არ გაურბის, უბრალოდ. ამჯერად მისთვის გასაგებ, უკეთეს მამრთან გადაბარგდება.
11234. ლამაზმანი ხორციელად გვხიბლავს და არა – სულიერად, რადგან ეს უკანასკნელი თეორიულად ვაჭრობას არ ექვემდებარება.
11235. საყვარელი კარგი სიტყვაა, მაგრამ ცუდი შეგრძნებაა, რადგან არსებობს სხვა ქალი, რომელიც ამ სიტყვის შინაარსის მიუხედავად, მეტი უფლებებით სარგებლობს.
11236. წიგნი და ქალი მოწონებას მაშინ იმსახურებს, თუ მათ გასაცნობად დროს გამონახავენ.
11237. ქალი ყოველთვის მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ რაღაც სასწაული მოხდება და ვიღაცას თავდავიწყებამდე შეიყვარებს.

11238. ფემინიზმი ქალის სულისთვის იქ იწყება, სადაც მისთვის განკუთვნილი ხვადების ლიმიტი მთავრდება.
11239. ოჯახის ქალი ახლადმოჭრილი თეთრივით უნდა ბზინავდეს, როგორც სახლში, ასევე გარეთ.
11240. მოკლე ან ექსტრავაგანტური კაბის ჩაცმა ქალის სასოწარკვეთილების შედეგია, ან – ცნობისმოყვარეობის.
11241. ქალის ბედნიერება ყველას სხვადასხვანაირად გვესმის, მაგრამ განზომილება ერთი აქვთ – ოჯახი.
11242. ქალის მორცხვი ცრემლი არ არის მამაკაცის უმაღლესი სასჯელი და არც უმაღლესი ნეტარება.
11243. ერთი წრის ქალები ერთ კაცზე ლოცულობენ, ამ კაცისთვის კი სხვა წრის ქალია სალოცავი.
11244. ქალი ის არის, ვინც მის მოტრფიალე მამაკაცებს უკან დახევის სურვილს უკარგავს.
11245. გააჩნია ცოლს და მის მარიფათს, თორემ თქვენს მიერ დაუდევრობით დასვრილი პერანგი შეიძლება მაღალმხატვრულ ნაწარმოებად აღიქვას.
11246. ქალს თუ გინდათ დიდხანს შერჩეთ, ის მანძილი და აღფრთოვანება უნდა დაიცვათ, რაც შეხვედრის პირველ დღეს გქონდათ, ოღონდ გამოზომილი სექსით და ალერსით.
11247. კარგი მეუღლე აუტანლად კარგი ასატანია, ცუდი კი ასატანად ასატანია.
11248. მთავარია ქალისთვის მამაკაცისადმი სიყვარული ბედნიერება იყოს, მაშინ ის თანახმაა მისი გულისათვის მისივე გულის ციხეში ნებაყოფლობით გამოიკეტოს.
11249. ქალი მაშინ შეინარჩუნებს სილამაზეს, თუ ის სიარულის ნაცვლად დაგოგმანებს, დასრიალებს თავისი მომხიბვლელობით.
11250. ქალი უშედეგო, უკომპრომისო ბრძოლას ეწევა ასაკთან, გარეგნობასთან, წონასთან, რომლის გაგება მამაკაცებს არ სურთ, რადგან ამ ბრძოლის მცდელობის რეალურ აზრს ისინი ვერ წვდებიან – ხოლო ქალი მის გარეშე კი არ იცხოვრებდა, იარსებებდა.
11251. ქალის შინაგანი უძირო სამყაროს შეცნობა და იქიდან მისი ამოყვანა ყველა მამრის მცდელობის საგანი უნდა იყოს.
11252. თუ ქალს არ შეუძლია ქმრის პატიება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მან ამ კაცის მოწონება სიყვარულში აურია.
11253. ქალობის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის მამაკაცთა მოდგმას გადაეყრება ცხოვრების გზაზე, წინ გაიგდებენ თავიანთი სისუსტის დასაფარავად თუ გულით გაითავისებენ.
11254. ყველა ქალი ხელმომჭირნეა, მაგრამ არა კოსმეტიკის, მოდის და სიყვარულის ხარჯზე.
11255. ხანდახან ქალი ცოდვებს იმასაც კი არ უნდობს, ვინც მასთან ნებაყოფლობით სცოდავდა.

11256. ქალი ქრონიკულად შეყვარებული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ცხოვრება ეშხს დაკარგავდა.
11257. ყველა ღირსეული ქალი ბედნიერია თუ ის თავის დროზე ძუკნაც იყო, დედაც, დიდედაც და მასში ყოველთვის ხედავდნენ ქალიშვილს, ცოლს და დედოფალს.
11258. ქალის ლოგიკა უფრო ქალს ვნებს, ვიდრე იმას, ვისთვისაც ის არის განკუთვნილი. მითუმეტეს, რომ ამ ლოგიკის ჭეშმარიტების გაგება მამაკაცის შესაძლებლობას აღემატება.
11259. ქორწინებამდე ვერც სიყვარულის ღმერთმა ვენერამ და ვერც ქორწინების ღმერთმა იუნონამ ჭორაობა ვერ მოიშალეს, მაშინ რაღას ვერჩით მიწიერ ქალებს, რომლებსაც წყვილის ოპონირება სხვანაირად ვერ წარმოუდგენიათ.
11260. ზოგი ქალი სფინქსივით ყოველღამე გველანდება საწოლში და ამით მარტო ჩვენ განვიცდით გრძნობათა ღელვას, ბედნიერებას.
11261. დედის გული ყველაზე მგრძნობიარე ორგანოა, რომელსაც შვილი ხშირად ვერ გრძნობს, ვერ აფასებს.
11262. ქალები მამაკაცებს კრედიტით იმას აძლევენ, რასაც შემდგომ დებიტით 2-3-ჯერ მეტად, სიყვარულით და მოფერებით აიღებენ.
11263. ქალი ძლიერ სექსზე ყოველთვის გამარჯვებული გამოდის და ამის შეცნობა მდედრს თავისებურ სიამოვნებას განაცდევინებს, რომელიც მამრისათვის უცნობია.
11264. ხშირად ქალები ფულის გულისთვის უკეთესი ცოლები არიან, ვიდრე სიყვარულისთვის.
11265. სარკე ქალის ყველაზე სათუთი, მიუკერძოებელი და დამაღონებელი მსაჯულია, რომლის განაჩენს ყოველდღე გულისფანცქალით ხვდება, მაგრამ მის გარეშე ცხოვრება უჭირს.
11266. ქალს აფასებს ჩვენი წარმოდგენა მასზე და არა მისი გარეგნული და სექსუალური მომხიბვლელობა.
11267. ქალს, კაპასს მოიყვან თუ სათნოს, საბოლოოდ სულერთია, რადგან ბოლოს ყველა შენი განმკარგულებელი ხდება და ეს ოჯახზე და მომავალ თაობაზე ზრუნვის დამსახურებაა.
11268. თანამედროვე ქალი მამაკაცზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, მაგრამ მამრმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ცოლი ქმრის დაუკითხავად ვერაფერს წყვეტდეს.
11269. ქალი ან უნდა გიყვარდეს, მოგწონდეს, უგებდე ან მის სიმდიდრეს და ნათესაობას დახარბდე, მარტო ინსტიქტებით მასზე დაოჯახების გაუმართლებლობას, არარენტაბელობას და ყოველივე ამას ცხოვრების დაისზე ხვდები.
11270. რა შეიძლება იმ ქალზე ითქვას, ვინც ათას ერთი ღამე გაათია მამაკაცთან? გააჩნია მამაკაცს და ღამის ხანგრძლივობას.
11271. ოჯახში ლამაზი ქალის გაელვება, იცოცხლე კარგია, მაგრამ არც მოყვასი ქალის გამონათების ბალანსია ურიგო და ამას სიბერის ჟამს ვხვდებით.
11272. ქალებს ის მამაკაცები უყვართ, რომლებიც მათ ლაპარაკს აცლიან და შთაბეჭდილებას ქმნიან, რომ თითქოს ყურს უგდებენ.

11273. ნამდვილ ქალად დაბადებული არსება მამაკაცს იმასაც კი აძლევს, რაზეც მას არც უფიქრია და არც უნატრია.
11274. ქალის ქალთან მეგობრობა თავისებური უფასო ფსიქოთერაპიაა ორივე მხარისათვის, ხოლო ჭორაობა – მათი მკურნალობის მწვერვალი.
11275. შემინებული ქალი საცოდავიც არის და საშიშიც, რადგან თავად არ იცის, რას სჩადის.
11276. საინტერესო წარსულის მქონე ქალს თავის ეშხი და თილისმა აქვს, ოღონდ ამის შეცნობას თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება.
11277. ქალს და კაცს სხვადასხვა მხოლოდ მხედველობა აქვთ, მაგრამ მათი ერთმანეთში შეჯერება არ შეიძლება, რადგან მდედრების დანიშნულება არა მარტო ვაჟების შობაა, არამედ მათი კაცებად ქცევაც.
11278. ქალისთვის სიბერე კი არ არის საშინელება, არამედ მისი მოგოგმანების შეცნობა.
11279. რწმენა ქალის სიყვარულივითაა, მაგრამ სიცოცხლეზე ზევით არ დგას, რადგან გაწბილების შემთხვევაში მისი გამოცვლა ქალივით შეიძლება.
11280. მოვა დრო, როდესაც ემანსიპირებულ ქალს მიმართვა: – „მავრმა გააკეთა თავის საქმე, მავრს შეუძლია წავიდეს", – აღარ დასჭირდება, რადგან მის გარეშეც შესაძლებელი გახდება პირმშოს ჩასახვა.
11281. ქალისთვის თავის მოსაწონებელი ნახირია: კინო, თეატრი, ყვავილები, კაფე, ტელევიზორი, დისკოთეკა, ინტერნეტი, დანარჩენი დაწესებულებები უფრო ადამიანურია და მომაბეზრებელიც.
11282. ქალი ძარღვიანი მწვადი არ არის, ვერ დაღეჭო და ძაღლს გადაუგდო, შენი ნაღეჭი შენვე უნდა შემოსდო ცეცხლზე და შენვე მოინელო.
11283. ქალი დაკარგული მომნუსხაობისა და მიმზიდველობის საიდუმლოების ხელოვნებაში თანდათან უნდა გაერკვეს და თავისადმი რწმენა აღადგინოს, თუ უნდა საბოლოოდ ცხოვრების სიამე შეიგრძნოს.
11284. საბედისწერო ქალია ის, ვისაც მამაკაცი თავის ნებით ემონება.
11285. არის ასეთი ნებაყოფლობითი პროფესია – დედა, თუ შობა იკისრა, აღზრდაც უნდა მოახერხოს, ოღონდ რჩენის გარეშე, რათა თაობები არ გაირყვნას და თავისი ბიოლოგიური კვლავწარმოების ვალი არ დაივიწყოს.
11286. მამაკაცებს ქალები რქებს აშკარად თუ არ ადგამენ, მისი ნიშნების დატოვების მცდელობაში არიან, რადგან ის, რასაც ნამდვილი ქალი ჰქვია, უმწიკვლო ვერ იქნება.
11287. ქალი ყველა დროში სექსუალურ ნივთად აღიქმებოდა და ფასდებოდა. აქ ეტყობა მდედრის ბუნებაცაა დამნაშავე და მამრის უგერგილობაც, რადგან მან ქალის დაფასება-შეფასების უკეთესი ფორმა ვერ მოსძებნა.
11288. მოხერხებულ ქალს, პატიოსნისგან განსხვავებით, ქმარიც გვერდზე ჰყავს, საყვარელიც და პერსპექტივაში სხვა მამაკაციც.
11289. საკუთარი თავის აღზრდის გარეშე, ქალის ნამდვილი და საბოლოო სიყვარული შეუძლებელია.

11290. მოკლე კაბა და გამომწვევი ქცევა გაუხედნავის თვალს და გრძნობებს მოუწოდებს ძალადობისკენ, თორემ მოყირჭებული მხოლოდ შეფასებით კმაყოფილდება.

11291. ქალი უნდა დაიბადოს სიყვარულის უნარით, მაშინ მას არც დედობა გაუჭირდება და არც დედინაცვლად გახდომა.

11292. ქალის კაპრიზს, სენტიმენტალობას მაშინ აქვს ფასი, თუ ის თავისი ქმედებით მამაკაცს ააღელვებს, თვინიერსაც გახდის და მდედრის „განუმეორებელ" სილამაზესაც შეამჩნევინებს.

11293. ერთს მამაკაცთან პირველი ღამის ინტიმი აღელვებს, მეორეს სიყვარულის ბედის ცვალებადობა, ასე, რომ არჩევანი ხშირად ქალის განწყობაზეა დამოკიდებული და არა მის გონიერებაზე.

11294. ერთი ქალი ლამაზმანობით შოულობს სახსარს, მეორე დამლაგებლობით, გააჩნია ვის რა ნიჭი, სინდისი და ცხოვრების უნარი დაამადლა განგებამ.

11295. ქალის გულში ჩამწვდომმა ხმის თერაპიამ უნდა შესძლოს მამრის აღგზნება, დამშვიდება, მისაკუთრება და განკურნებაც კი.

11296. ქალმა უნდა ირწმუნოს, რომ ასაკი მის მიმზიდველობას ვერას აკლებს, მთავარია – განწყობა სულის.

11297. მდედრს ბუნების კანონის თანახმად ნაყოფის მოსპობა და მამრის ძალად გაუპატიურება არ შეუძლია, მაგრამ თუ ღმერთი გაუწყრა, ერთიც ხელეწიფება და მეორეც.

11298. გამოცდილი ქალის სიყვარული ანგარიშზე, მოხერხებულობაზეა დამოკიდებული და ამიტომაც საშიშია, გამოუცდელის კი – გრძნობების ღელვაზე, სილაღეზე, ამიტომაც არის საიმედო, მაგრამ ცხოვრება ხშირად, ჩვენდა სამწუხაროდ საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს, რადგან პრაქტიკა ყოველთვის მიწიერია, თეორიასთან შედარებით.

11299. ქალები დახარბდნენ და მამაკაცის ღირსებას ვადაზე ადრე „პრივატიზაცია" გაუკეთეს, მაგრამ ცუდ დღეში ჩავარდნენ, ეხლა კი არ იციან ეს სიმდიდრე მამრებს უკან როგორ დაუბრუნონ, რათა ნაღდ მამაკაცებთან ჰქონდეთ საქმე, ასაკმოჭარბებული კაცუნების ნაცვლად.

11300. ამბობენ, ქალის მოთვინიერების ბევრი ხერხი არსებობს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, არც ერთი ხერხი არ ამართლებს და არც არავინ ფლობს მას.

11301. ცივილიზაციის ვერაგობა ის არის, რომ წინათ თუ ქალის კოჭის გამოჩენა იწვევდა მამაკაცში ერექციას, დღე მისი სიტიტვლეც კი რეაგირების გარეშე რჩება.

11302. სამყარომ კაცობრიობას ქალი სიხარულის მოსატანადაც მოუვლინა და სასჯელადაც. ეს ასე იყო, არის და მომავალშიც ასე იქნება, რადგან აქ მამაკაცს თავისი აწონილი გონიერებითაც კი არაფრის შეცვლა არ შეუძლია.

11303. პატარძალს, რძალს, დედას სხვადასხვა ემოციური დატვირთვა და შესახედაობა აქვთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა მათგანში საწყისი ავი ქალია.

11304. ქალისთვის ხმოვანი სივრცის გავრცელება აუცილებელია, რადგან ეს არის მისი ნაძალადევი და აუცილებელი შესაძლებლობა მამრის საწოლში მოხვედრისა.

11305. ქალს ყოველთვის უნდა შეეძლოს იმ სიმაღლეების აღება, რომლითაც მამრი დაინტერესდება, რადგან ხვადის „დაბმის" ხელოვნებას ყველა ძუ უნდა ფლობდეს, თუ მას ქალობაზე პრეტენზია არ დაუკარგავს.
11306. ქალის აზროვნება და კაპრიზი ყველა ასაკში თითქმის უცვლელია, მაგრამ უკეთესი ცხოვრებისაკენ მიდრეკილება ცვალებადი და სხვადასხვა.
11307. დრო ქალის ხასიათს ვერ გარდაქმნის, უბრალოდ, მამაკაცები ეგუებიან მას, ხოლო ქალის აგრესიულობა კლებულობს ასაკის მატებასთან ერთად.
11308. აზროვნებას და ქალს ერთად ყოფნა ძალზე უჭირთ და ეს ალბათ, არც არის საჭირო, მაშინ კაცობრიობა დაკარგავს ან აზროვნებას, ან ქალს.
11309. მტირალი ქალი უბრალოდ უნდა დააწყნარო და არ ეცადო ტირილის მიზეზი გაიგო. ქალები ძალზე ემოციურები არიან და მათი გაგება ძალზე ძნელია, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში თვითონ არ იციან რა უნდათ.
11310. ქალის ეჭვიანობა დამოკიდებულია შიშზე, ვაი თუ თაყვანისმცემელი შემომაკლდესო, ხოლო კაცისა – სექსზე, ვაი თუ შემდეგი დღე გამიცდესო.
11311. ვამპირი ქალები იმ უნიათო მამაკაცების ფანტაზიის შედეგია, რომლებმაც სიყვარულის ჭაობში შეტოპეს, თავგზა აებნათ და ამ ჭაობიდან ამოსვლას არც ცდილობენ.
11312. ქალს, რომელიც ამბობს ჩასაცმელი არ მაქვსო, არ დაუჯეროთ, ეს დიდი გარდერობის ფლობის უძღები სურვილის შედეგია.
11313. ქალის ცრემლი – ეს ამოუცნობი განტოლებაა. მისი ამოხსნა შეიძლება ნაცნობი გზით, რომელსაც ალერსი და საჩუქარი ჰქვია.
11314. საქორწილო თეთრი კაბა ქალის უმანკოებას ნიშნავს და უმანკოების დაკარგვასთან ერთად ისიც უნდა დაიკარგოს, გაჩუქდეს, დაიხეს, მოკლედ, გასხვისდეს. მაგრამ ეს არ ხდება.
11315. ქალებს ცხოვრების განმავლობაში აქვთ აქტიური და პასიური პერიოდები. აქტიური – როდესაც ისინი ნერვებს უშლიან ქმრებს და სიძეებს, პასიური – შვილებს და შვილიშვილებს.
11316. ლამაზი ქალები ძირითადად იმიტომ არიან ქარაფშუტები, რომ ცხოვრებამ ბანქოს დასტიდან ტუზი კოზირი არგუნათ და მათაც ბანქოს თამაშის წესების შესწავლა საჭიროდ არ ჩათვალეს.
11317. თუ ქალი არ იქცევა საქმიან ქალად და ემოციებს აჰყვება, მისთვის ლოგიკა არასოდეს იარსებებს.
11318. ქალის ლოგიკა წყალქვეშა ნავივით ჩაუძირავია და ანალიზს არ ექვემდებარება.
11319. აზროვნება და ქალის კაპრიზი ერთად არასდროს არ სეირნობენ.
11320. ქალი მაშინ ხდება კეთილშობილი, როდესაც მამაკაცი წინააღმდეგობის გაწევის სურვილს ჰკარგავს.
11321. ქალის ძალა მის ქარიშხლისებრ სისუსტეშია.
11322. ქალები ყოველთვის ცდილობენ კრედიტით ჩაიცვან, თუმცა ავანსად გახდას სასტიკად არ ეწინააღმდეგებიან.
11323. ქალების მოტყუება ადვილი იმიტომ კი არ არის, რომ ისინი მიმნდობნი არიან, არამედ იმიტომ, რომ ამისათვის შინაგანად არიან მზად.

11324. ქალის ნახევრადშიშველი ტანი მეტ ყურადღებას იპყრობს, ვიდრე დედი-შობილა და ამას შეცნობადობის კანონი ქვია.
11325. დანაშაულთა შორის უგულობა უმძიმესია, მაგრამ არანაკლებია ქალისადმი უყურადღებობა.
11326. თუ ახლობელ ქალს უყვარხარ და შენს დანახვაზედ თვალები უჟუჟუნებს, ამ ქალის სიტყვიერი დატუქსვაც კი უდიდეს სიამოვნებას განიჭებს.
11327. ჰიპერპოლიტიზებული ქალი თანდათან ანებებს თავს ოჯახის შექმნას, ბავშვის აღზრდას, ჰკარგავს დედად გახდომის სურვილს და მიისწრაფის თავისუფალი და დამოუკიდებელი უსაგნო ცხოვრებისაკენ.
11328. ზოგჯერ რაშს და ქალს მათრახი სჭირდება, მაგრამ ქალისათვის ენის მათრახი აჯობებს.
11329. კეთილ ადამიანს ციცხალი ქალივით ყურადღება სჭირდება.
11330. ქალების დრამა ის არის, რომ კეკლუცობაში იმდენ დროს ჰკარგავენ – უკვე აღარავინ უყურებთ.
11331. ქალი იმდენად გულუბრყვილო არ უნდა იყოს, რომ მამაკაცის ფიცს დაუჯეროს. მაგრამ მას იმდენი გამოცდილება კი უნდა ჰქონდეს, რომ კაცის ქათინაური შეიფეროს.
11332. ქალმა თავისი ბედი მამაკაცს ბუმერანგივით უნდა დაუკავშიროს, რათა სანთელ-საკმეველმა თავისი გზა ყოველთვის მონახოს.
11333. ქალი იმდენს კი უნდა მიხვდეს, რომ მამაკაცისგან არც რაინდის და არც მისი აბჯართმტვირთველის გამოძერწვა არ შეუძლია, ვინაიდან ისინი ცოცხალი არსებანი არიან და თავისი ხუმტურები აქვთ.
11334. ქალის არსება, რაც უნდა ლამაზი ტანი ჰქონდეს, სხვადასხვა მოდის ჭინჭებით დაფარვას მოითხოვს.
11335. ქალს ემოციებისაგან თავისი ამბების განუწყვეტლივ მოყოლა ისევე განტვირთავს, როგორც კაცს – ალკოჰოლი.
11336. ქალთან ბედნიერების მაძიებელია ყველა ის მამაკაცი, რომელიც ცოლის მოყვანას ბედავს.
11337. ლამაზი ქალები სულელები კი არ არიან, არამედ სულელურად დიდ მოთხოვნებს უყენებენ მოწინააღმდეგე სქესის წარმომადგენლებს, ამიტომ მათი პირველი ქორწინება ყოველთვის ბედნიერად არ მთავრდება.
11338. ქალს ინფორმაციის გავრცელებაში ვერცერთი კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალება ვერ აჯობებს, თუ მას უჩურჩულე, რომ ეს ამბავი საიდუმლოა.
11339. ქალის თვალზე ცრემლის დანახვა ადვილია, მისი მიზეზის გაგებაა ძნელი.
11340. საოცარია, გემოვნებით ჩაცმული ქალი გაცილებით მიმზიდველია, ვიდრე გემოვნებით გახდილი სტრიპტიზის მოცეკვავე.
11341. ლამაზი ტიტველი ქალის დანახვა ყველა კრძალვას და ეთიკურ ნორმებს გვავიწყებს, გვიკარგავს იმის გააზრების საშუალებას, თუ რა არის პორნოგრაფია და რა უნდა მივიჩნიოთ ეროტიკად.

11342. ქალი, რომელიც უქმროდ შვილს გააჩენს და ღირსეულად აღზრდის, თავისი ქვეყნის ყველაზე დიდი გმირია. თან ამის შესახებ მან არაფერი უწყის.
11343. თუ ქალს არა აქვს მიმზიდველი გარეგნობა, ხასიათი მაინც უნდა ჰქონდეს მისაღები.
11344. მოდის ამყოლი ქალები სერიული მაკიაჟიდან ინდივიდუალურზე გადადიან და ეს არის მათი ბედნიერება – როგორც იქნა, სხვისგან გამოირჩნენ და თან ამაყობენ, რომ ამ საქმეს ამდენი დრო და ფული შეალიეს.
11345. ქალებს ალგებრისადმი მიდრეკილება აქვთ, რადგან ისინი ასაკის მატების განტოლებებს ხსნიან რიცხვების მოხსენიების გარეშე.
11346. ქალს მამაკაცისგან კაცის გამოძერწვაც შეუძლია და კაცუნასიც, თუ ცოტათი მამაკაცის ბუნებაც წაეხმარება.
11347. გულუბრყვილო ქალები უჯერებენ მამაკაცის ფიცს და მომხიბვლელობას, გამოცდილები – საბანკო ანგარიშს და ქორწინების მოწმობას.
11348. ძველად ქალი სიყვარულისთვის შეუძლებელს ჩაიდენდა, კაცი კი დღესაც იმას სჩადის, რაც მის შეძლებას არ აღემატება.
11349. დღევანდელი ქალები ჩვენი თანამედროვე მრეწველობის პროდუქციას ემსგავსებიან. შეფუთვა, დიზაინი გაუმჯობესდა, მაგრამ ნატურა, შიგთავსი, გაუარესდა.
11350. ქალი სიყვარულის სესხად გაცემას უნდა ერიდოს, რადგან მის საქონელს ვალად არავინ მიიჩნევს, ხოლო სექსუალური გაჭირვებისას მამაკაცი ამ საქონელის შესაძენად ვალსაც აიღებს და მუხლებშიც ჩაუვარდება.
11351. უკაცოდ დარჩენილ ექთან ქალს ავადმყოფი მამაკაცებისთვის გაკეთებული ნემსი მტკივნეული გამოსდის, რადგან მისდაუნებურად და შეუცნობლად სხვა მამაკაცებზე იყრის ჯავრს.
11352. საქმიანი ქალი ბიოლოგიური ალბინოსია, რომლის შეცნობა სხვადასხვა გრძნობებს გამოამჟღავნებს და კამათს იწვევს.
11353. ქალის სამსახურებრივი კარიერა ძნელი წარმოსადგენია სექსუალური გამომძალველის, მფარველის გარეშე, თუ ყოველივე ამას ხალასი ნიჭი ან მომხიბვლელობა გადაწონის.
11354. ქალის წარმატებისათვის მთავარი სილამაზე არ არის. მთავარია, თუ მან თავის თავს რა შთააგონა და თავი როგორ უჭირავს.
11355. ზოგიერთი ქალი იძულებულია ცხოვრების ჰერმაფროდიტად იქცეს, ვინაიდან კაცი ჰყავს უნიათო.
11356. საქმიან ქალს საქმიან მამაკაცთან შედარებით ერთი უპირატესობა აქვს. ის მომხიბვლელად და ლამაზად გამოიყურება, ეს კი განვითარებულ საზოგადოებაში მიზნის მისაღწევად ძლიერი იარაღია.
11357. ლამაზ ქალს ძნელია საქმეზე უარი უთხრათ, თუ მას ჭკუას, გამოცდილებას, საქმის ცოდნას და მომხიბვლელობასაც შეამჩნევთ.
11358. ის საქმიანი ქალები, რომლებიც შვილებზე მზრუნველობას ტელეფონით იჩენენ, სიბერეში მათგან ყურადღებასაც ტელეფონით იმსახურებენ.

11359. ქალმა წუნკალის მაღალი წოდება ჯერ კიდევ უნდა დაიმსახუროს, ვინაიდან იგი ყველა ქალის ხვედრი არ არის.
11360. ქალმა პოლიტიკოსად აღიარებას რომ მიაღწიოს, უნდა იყოს მკაცრი, მომთხოვნი, მკაცრი-მომთხოვნი, მკაცრი-მომთხოვნი!!!
11361. ქალები ყველაფერს თავის ჭკუაზე აკეთებენ, მაგრამ ქმრებს ამას აშკარად არ აგრძნობინებენ.
11362. ყველა ქალის ოცნებაა ყველა სეზონისათვის გაიცნოს მამაკაცი.
11363. ქალს ყველაფერი შეუძლია განიცადოს, მათ შორის იმ ნეკნის არარაციონალური ხარჯვა, რომლიდანაც იგი ღმერთმა შექმნა.
11364. ქალს გამოარჩევენ მისი თვალებით, გამოხედვით, სიარულით, მომხიბვლელობით, მაგრამ ცხოვრების ჭაპანის გასაწევად ჭკუის ჭყლეტის შედეგად არჩეული ქალი სჯობს.
11365. ყველა ქალი, ორდინარული და არაორდინალური, სიამოვნებით ემონება ნამდვილ მამაკაცს და დიდ ფულს.
11366. ლამაზ ქალთან ურთიერთობა ყველას შეუძლია, მაგრამ საქმე ის არის, ულამაზო ქალს მოექცე როგორც დედოფალს და თავისი ნაკლი არ აგრძნობინო.
11367. ლამაზი ქალის მოხიბვლა უმეტესი მამაკაცების ხვედრია. თუ მამაკაცი არ ჰგავს თავის „ყაჩაღს" და ფულის გაღება – წამადლებას.
11368. მამაკაცისგან ასაკში შესული ქალის მოტყუება იმიტომაა ადვილი, რომ დაისის დადგომისას მას იპყრობს მარტო დარჩენის შიში და ქალის გამოცდილება და ინტუიცია სამსახურს ველარ უწევს.
11369. ქალის სილამაზე ყველა ქვეყნისათვის დიდი განძი და მფარველია. იგი სარკე და ერთადერთი ეროვნული ეშხით გაზავებული ინტერნაციონალური საკუთრებაა. ვაი მას, ვინც ამ საკუთრებას უხიაგად შეეხება.
11370. ქალების ოქროსადმი სიყვარულის მიზეზი ისიცაა, რომ მამაკაცებთან შედარებით მათი სხეულის ქიმიურ შემადგენლობაში 6-ჯერ მეტი ოქროა.
11371. ყველა ქალისაგან სასურველი ყვავილის მიღება შეიძლება, მაგრამ ამისათვის აუცილებელია მებაღის თანამდებობა.
11372. ქალები ყოველთვის ისეთები არიან, როგორც მამაკაცებს სურთ, თუ წვრილმან თანდაყოლილ კაპრიზებს მხედველობაში არ მივიღებთ.
11373. არიან ცუდად გამცემი ქალები, მაგრამ უფრო მეტად ცუდად მთხოვნელი მამაკაცები. ამის შედეგია, რომ ქვეყნად ამდენი გაუკეთებელი საქმე და ამდენი გაუთხოვარი ქალია.
11374. ყველა შენს ნაცნობ ქალს ზრდილობიანად უნდა მოექცე, ვინ იცის, იგი შეიძლება შენი შვილის დედა გახდეს, დედას კი პატივისცემა სჭირდება.
11375. ულამაზო ქალები არ არსებობენ. არსებობენ მხოლოდ უნებისყოფო ქალები, რომლებიც თავის თავს ვერ არწმუნებენ საკუთარ მომხიბვლელობაში და არ ცდილობენ სილამაზის მოსაპოვებლად ენერგია დახარჯონ.
11376. სილამაზე ხშირად უსიტყვოდ მაცდურია, ვინაიდან მისი სიმშვენიერით მოხიბლულ მამაკაცს ნამდვილი ქალის აღქმის უნარს უკარგავს.

11377. ზოგიერთი ქალი დილით გაცნობილ მამაკაცს საღამოთი ცოლად მიყვება, მეორე დილით კი ისევ ეყრება იმ მოტივით, რომ დილა, საღამოსთან შედარებით, უფრო ჭკვიანური გადაწყვეტილების მიღების დროა.

11378. ასაკის მატებასთან დაკავშირებით ქალი გონიერი ხდება და ნაკლებ ფერუმარილს ხმარობს, რადგან ხვდება, რომ სულით და სხეულის სილამაზით თვალებმოციმციმე ქალი უფრო მომხიბვლელია, ვიდრე ათასი ქიმიკატებით დაფარული ნაოჭები და მატერიალური შესაძლებლობების ფლანგვა.

11379. არ არსებობს ისეთი უფსკრული, რომელზეც ხიდის გადება არ შეიძლებოდეს და არ არსებობს ისეთი ქალი, რომლის მოხიბვლა გამორიცხული იყოს.

11380. ზოგიერთი ქალი ულამაზეს ყვავილს – სამეფო ფურისულას ჰგავს, რომელიც კუნძულ იავაზე მხოლოდ პანგრანის მთებზე იზრდება და მის დანახვაზე ადგილობრივი მოსახლეობა შიშისაგან ცახცახებს, ვინაიდან იგი მხოლოდ ვულკანის ამოფრქვევის წინ ყვავის.

11381. კომპლიმენტი ქალს სიფრთხილისკენ უბიძგებს, მამაკაცს განაიარაღებს, ბავშვს სიამაყეს მატებს, მეგობარს კარგ ხასიათზე აყენებს. მაშ ვუთხრათ ერთმანეთს კომპლიმენტი, ზოგს არც მთლად დამსახურებულიც, თუ იგი ცხოვრებას ასე გვიადვილებს.

11382. ვინ იცის, ცხოვრებაში ქალებს „პა-დე-დე"-ს ცეკვა როდისმე მოუწევთ?

11383. ზოგს წამწამზე ქალი უზის, ზოგს კი მისი უკუღმართი ხასიათი, მაგრამ მაინც იმედით ვცხოვრობთ.

11384. ქალი, ფული, პოლიტიკა – ყველა ხელოვანისთვის დამღუპველია, მაგრამ არა მოხერხებულთათვის.

11385. დიაცის უბე რასაც უნდა შეადარო და რა ქვეტექსტშიც უნდა იხმარო, მაინც სასიამოვნოდ ჟღერს.

11386. თადარიგიანი ქალი საქორწინო კაბას ყოველი შემთხვევისთვის ინახავს. რა იცი, როდის გამოგადგება.

11387. გაუცინო, ქათინაური მიიღო მამრი სქესის წარმომადგენლისაგან, არც სიყვარულს ნიშნავს და არც მოწონებას, მაგრამ მამრისთვის ბევრს ნიშნავს.

11388. ზოგი ქალი ჭკუის დეფიციტის და განსჯის დაკარგვის დროსაც კი მომხიბვ-ლელად და მიმზიდველად გამოიყურება, მთავარია, რა თვალით შეხედავს მას მამაკაცი.

11389. ქალები თავიანთი ჭორაობით ერთმანეთს ეშმაკებს ჩუქნიან.

11390. როდესაც ხე არ ისხამს, სასუქს უყრიან და მიწას უფხვიერებენ, ხოლო თუ ქალი ვერ თხოვდება, მისთვის სასუქის როლს მაჭანკალი ასრულებს, ხოლო მიწის გაფხვიერებისას – მზითევი.

11391. სილამაზე ორი სახისაა, თანდაყოლილი და შეძენილი. თუ თანდაყოლილი ღვთის ნაბოძარია, შეძენილი – სიარული, ჯდომა, მომხიბვლელი ღიმილი – უდიდესი შრომის და მონდომების შედეგია.

11392. ზედმეტი სასიყვარულო ფილმების ნახვა და წიგნების კითხვა ქალს მინორულ ხასიათზე აყენებს და ეს იწვევს ერის გამრავლებას.

11393. მილიარდერი ქალი რომ გეტყვის, ბიკინი ვიყიდეო, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ კუნძული ბიკინი არ იყიდა წყნარ ოკეანეში. გააჩნია რა ხასიათზე იყო.

11394. ყველა ლამაზ და მიმზიდველ ქალს ყულაბას ჩამოვკიდებდი და მამაკაცები ვალდებული იქნებოდნენ მისი დანახვის სიამოვნების საფასურად ჯიბეები მოეჩხრიკათ.

11395. კეთილი გონიერებით ქალს უნდა ებრძოდეთ, მაგრამ ომი არ უნდა გამოუცხადოთ, არ ამართლებს.

11396. ქალის ჩამოყალიბების პირობა: კაპრიზი, მოფერება, დაღვინება, კაცის: თავქარიანობა, გონიერება, დაღვინება, ოჯახის: ჭინჭყლი, ურთიერთგაგება, დაღვინება, ასე რომ ადამიანის სული, რომელიც საგრიალოდ, ქაოსისთვის არის განკუთვნილნი, საბოლოოდ მაინც სიწყნარისკენ მიისწრაფის.

11397. ქალს ჰგონია, რომ საყვარელი ინტელიგენტი ერთი ჯერის შემდეგ წიგნების კარადაში უნდა შევჩურთოთ, რადგან მეტისთვის იგი არ ვარგა. ვაცადოთ, ბატონო, იქნებ გაამართლოს და თავი დაგამახსოვროთ.

11398. ქალი მამაკაცის მადლიერი შეიძლება მთელი ცხოვრება იყოს, მაგრამ არ უყვარდეს, რადგან გონება გულის მბრძანებელი ან სასურველი მრჩეველი არასდროს ყოფილა.

11399. ქალი, რომელიც ქმრის საქმეში ცხვირს არ ჰყოფს, საოჯახო მეურნეობით ხშირად არ ტვირთავს, თავის ბუნებრივ კაპრიზს გამოზომილი დოზებით აწვდის და ზრდილობის გულისთვის საყვედურობს, დამიჯერეთ, გონიერი კაცისთვის უკეთესი ცოლი არ არსებობს.

11400. ქალმა რომ არ გიღალატოს, საკომპენსაციოდ ან ბევრი ფული სჭირდება, ან მთლად უფულოდ უნდა ამყოფო გარკვეულ დრომდე.

11401. ქალი ყოველთვის ნახულობს მიზეზს, ხერხოს ის ტოტი, რომელზედაც ის არის მოკალათებული, ხოლო მამაკაცი ულესავს ამ ხელსაწყოს, რათა მდედრმა ეს სამუშაო მეტი ენერგიით შეასრულოს.

11402. გააჩნია ქალს, როგორ გაუმართლებს და შანტაჟის და რეკლამის ხარჯზე რა მოხერხებით გაყიდის თავის ვნებათა ყურეს. თუ გაუმართლდა მილიონერი და პოპულარული გახდება და საქმროების რემასაც დაიყენებს თავის კარზე (ლევინსკა-კლინტონის ცხოვრებისეული შეხლა-შემოხლის მაგალითით).

11403. ყველა ქალს თავის თილისმა აქვს, მამაკაცის ვალია, ყოველივე ეს ღმერთის ნაბოძებად მიიღოს და არბიტრის უმადური როლი ქალების ნაჩუმათევად შეასრულოს.

11404. ქალი თუ სიყვარულის „დასაცავად" სისაძაგლეს გიკეთებთ, მისგან თავის დახსნა ძნელია და ამაში თქვენი შეუცნობელი სიმპათიებია დამნაშავე მდედრის მიმართ, რომლის მოთოკვა და ბარიერის აღმართვა ამ ეტაპზე თქვენს ძალას აღემატება.

11405. ქალისთვის მთავარია მამაკაცმა ფული სახლში მიიტანოს და იმ გარემოებას, რომ ის ნაქურდალია, ქრთამის სახით არის მიღებული, გამოძალულია, მისი სინდისით როგორმე მოევლება.

11406. მთავარი ის კი არ არის, რომ თხოვდები, მთავარია, ვის მიყვები, რა დროით, რა გარანტიით და რა სახის საქორწინო ხელშეკრულებას აფორმებ.

11407. სანამდის ქალი არ მოინდომებს, მანამდე მამრს არაფერი გამოსდის, მაგრამ დაზარალებულად მაინც მდედრი ითვლება.

11408. თვალების კოსმეტიკა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც ქალებს თავს აკავებინებს უმიზნო ცრემლებისგან.

11409. ქალი მამაკაცს ხორცით იმიტომ კვებავს და აპურებს, რომ მამრი ხვადადაქციოს და ძუკნად ქცეული ქალის ვნებას ღირსეულად აზიაროს, რადგან ამქვეყნად არაფერი ანგარების გარეშე არ კეთდება.

11410. მდედრის იმიჯია მოთმინება, სიკეთე. ქალისა კი – ცრემლი, რითაც ყველანაირ სილამაზეს აჯობებს.

11411. მრავალშვილიანი დედა თაობების მოსამრავლებელი მანქანა კი არ არის, არამედ ქალის მოწოდება, შინაგანი წესრიგი, წესიერებაა.

11412. ბევრ ქალს ჰგონია, ერთი გაცნობით გათხოვება წარმოუდგენელია, უბრალოდ არ შეხვედრია მამაკაცს მიმზიდველი მზესიტყვაობით და მამაკაცური თილისმით.

11413. მხოლოდ ქალების ხელშია მათდამი ლტოლვის, ცეცხლის ანთების ან ჩაქრობის და მათზე დაუფლების ძალა. ამიტომ მამრები კი არ იპყრობენ მდედრებს, არამედ ქალები იყენებენ მათ სიამოვნებისთვის, მამაკაცურ ღირსებას თავიანთვის ატარებინებენ და პროფილაქტიკას აკეთებინებენ.

11414. ქალთა გარემოცვაში ჯენტლმენები დიდხანს ვერ კაიფობენ, რადგან ძალის დატანება მდედრთა მიმართ მათ ბუნებას, შეგნებას აღემატება.

11415. ინგლისელი ლედი კარგია, მაგრამ ძვირია, რუსი ქალი უკეთესია, მაგრამ გაძვირდა, იაპონელი შედარებით ნაკლებია, მაგრამ იაფი. ამ უფულობის დედა ვატირე, თორემ ქართველი ქალის კდემამოსილების პატრონს რა გვჭირს სხვა ქალებზე ვიფიქრო და მათან ვიბორიალო.

11416. ქალი ჯერ უნდა გაერკვეს თავის ფასეულობაში და შესაძლებლობებში, გაითვალისწინოს თავის კაპრიზიც და შემდგომ შეეცადოს სასურველი მამაკაცის მოპოვება. გონიერების როგორ ფილტრში გატარებით, რა ხერხით და რა სიტუაციის შექმნით, ეს უკვე ბედის ამბავია.

11417. არ არის ქალი, რომელსაც არ სურდეს სუსტი, ნაზი და ღვთისნიერი იყოს, მაგრამ ამის უფლებას, მის ირგვლივ მყოფი მამაკაცთა მოდგმა არ აძლევს.

11418. ყველა ქალი ყოჩაღდება და დამყოლი ხდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაორკეცება უნდათ.

11419. ქალის სიყვარული თუ საყვარელი საქმე? პირველი გონებას სასიამოვნოდ გიბნევს, თავს გაკარგვინებს, მეორე გონებას გინათებს, თავს გაპოვნინებს და ყოველივე ამას ასაკი თავის ნავსაყუდელში დააბანაკებს.

11420. იდეალური ქალიშვილი თვით ჩვენს წარმოდგენაშიც კი არ არსებობს, მაგრამ მისი მონახვა დროებით შეიძლება, თუ ის მოგვეწონება, შეგვიყვარდება.

11421. ქალი მამაკაცს ძირითადად ბავშვის გასაკეთებლად იტყუებს, დანარჩენი კი (სიყვარული, სექსი და ოჯახური შეხლა-შემოხლა) მისი ატრიბუტებია და მხედველობაში არ მიიღება.

11422. ქალის ბუნება თაყვანისმცემლებისგან თხოულობს: ვნებას, აღზრდას, თავის შეკავებას. ის ქალი გამოდის გამარჯვებული, ვინც ამ მოთხოვნილებებიდან გემრიელი კოქტეილის გაკეთებას მოახერხებს.

11423. ახალგაზრდა ქალი ცივილიზაციის პერიოდში დროს, ფულს და კარიერას ვერსად გაექცევა და მისი მონა გახდება გარკვეულ დრომდე, თუ მასში ქალის ხრომოსომები სჭარბობს.

11424. ქალი მამაკაცისთვის დედაკაა, დაც, დედოფალიც, ცოლიც, გადასახადების ამკრეფიც, დამსჯელიც და იმის მომხმარებელიც, რაც ღმერთს მამრისთვის საკუთრებად და საამაყოდ მიუცია – მამაკაცის ღირსება.

11425. ქალთან ურთიერთობაში მთავარია მომდევნო სვლები, რომელიც მის გარეგნულ კოზირებს, სულის ჯოკერს და დაწყვილების პრეფერანსს უკანა მხარეს მოისვრის.

11426. აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალს არ იცნობენ მანამდე, სანამ არ შეუღლდებიან, მაგრამ ვერც ევროპაში ცნობენ ქალს, სანამდის არ დაქორწინდებიან.

11427. თუ შეცოდებას ერთხელ გემო გაუგე, ქალწულობა და პატიოსნება ერთხელ და სამუდამოდ იკარგება.

11428. ქალის გულის მოპოვება ერთი ხელოვნებაა, ოჯახის შექმნა – მეორე, ხოლო გაყრა ხელოსნობაში გადაიზრდება.

11429. ბევრს აინტერესებს სხვის პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფის პერსპექტივა, ხოლო ქალის ოცნებაა უასაკო მდედრის მდგომარეობაში ყოფნა და არამკითხე მოამბისვის ცხვირის მოგრეხა.

11430. ამბობენ, ბუნების ყველაზე დიდი სიმახინჯე ახალგაზრდა ქალზე თავდავიწყებით შეყვარებული ბერიკაცია, მაგრამ გააჩნია ამ სიმახინჯეს რა კუთხით და რა მოსაზრებით შევხედავთ, რადგან ის არაორდინალური და იშვიათია, ამიტომ ეს სიყვარული შეიძლება ხელოვნების ნიმუშიც გახდეს.

11431. ამბობენ, სასმელი ორი საათით გვიმცირებს სიცოცხლეს, თამბაქო – ოთხით, ცოლი რამდენი საათით გვიმცირებს სიცოცხლეს, ამის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ფაქტი ერთია, ქალები ჩვენზე მეტს ცოცხლობენ.

11432. ფემინიზმი ყბადაღებული დემაგოგიაა, რომელსაც თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში რა უნდა, თვითონ არ იცის, რადგან მდედრის ბიოლოგიურ ბუნებას მზრუნველობა ეწინააღმდეგება და ისეთი რაღაცეების აკიდება უნდა მამრისთვის, რომელიც თანდათან გადააგვარებს მას.

11433. მდედრმა მამრის მორჩილება და პატივისცემა უნდა დაიმსახუროს ყოველგვარი ქალური ძალადობის გარეშე.

11434. ქალწულობა მიმზიდველია, სულიერია, ჰაეროვანია, მაგრამ მალფუჭადია, არაპრაქტიკულია და მას დიდხანს არ ინახავენ.

11435. მამაკაცის და ქალის ღალატში ის სხვაობაა, რომ პირველი მხოლოდ ხორცით ღალატობს, მეორე კი ღალატს სულსაც უმატებს და თუ დაჭირდება, ნაშიერსაც.

11436. ჭირვეული ქალბატონის ბედის დაყოლიებაც შეიძლება, თუ შენს მცდელობას შემართება და სიკეთის კეთება ახლავს.
11437. ქალს თუ არ დაეჯერება, სადღა წაუხვალთ მის სურათს და მხატვარს, რომელიც ჩასწვდა მის შინაგან ბუნებას და სულს?
11438. ქალის ეჭვიანობა პროფილაქტიკას ემსახურება, მამაკაცისა – ფაქტს.
11439. ზოგისთვის უცხო ქალია საუცხოო ნუგბარი და არა სახლში მყოფი მზეთუნახავი.
11440. ქალები გვაცინებენ შექმნილი გარემოთი, მამაკაცები კი თანახმა არიან თავის თავზე გვაცინონ.
11441. ადვილად ხელმისაწვდომი არც ქალი გვაინტერესებს და არც ფული, რადგან უწვალებელად მიღებულმა, ეტყობა, მოყირჭება იცის.
11442. მდედრის ქცევა დამოკიდებულია მამრის სურვილზე და არა ქალის კაპრიზზე, როგორც ეს მამაკაცთა მოდგმას უნდა, რათა თავის უგვანობა ქალთა მოდგმას გადააბრალოს.
11443. გადამწიფებისას ქალი ქმარს კი არ უნდა ეძებდეს, არამედ მამაკაცის ღირსებასაც, რომელსაც პირმშოს ჩუქება შეუძლია, ხოლო თუ ბედი ბოლოს მაინც გადაწყვეტს მოგაკითხოს, ეს დანამატი ხელს არ შეუშლის, პირიქით, მის დედობისკენ, ოჯახის შექმნისკენ, მისწრაფებას გაუსვამს ხაზს.
11444. დარწმუნებული და თავის თავით აღფრთოვანებული ქალი იგივე რეაქციას იწვევს სხვაშიც.
11445. ქალებო, ნამდვილი მამაკაცი სახლიდან არ გაიშვება, არც ლამაზი ქალის გარეთ გახედვაა დიდად სანდო. რაც ნაღდია, მას ბევრი მომზირალიც ყავს და გურმანიც, რომელიც მათ დაჭამნიკებას ცდას არ დააკლებს.
11446. ყველა ქალს აქვს წუთიერი სისუსტე – მდედრის ალიბი, რომელიც მამაკაცმა ხელიდან არ უნდა გაუშვას, რადგან ეს არა მარტო მოწინააღმდეგე სქესის სურვილია, არამედ განგების ნებაცაა.
11447. ქალი ყოველთვის უკმაყოფილოა თავისი არჩევანით, მისთვის სანატრელ კაცს ხელში რომ ჩაიგდებს, ჰგონია, რომ უკეთესი პარტია შეეძლო ეთამაშა.
11448. ქალის ლამაზი კაბა ის არის, რომელიც სხვას არ აცვია და მსგავსი კაბის დანახვა სხვის ტანზე თავხედობად მიაჩნია.
11449. ყველა ქალი სხვადასხვა ჟანრის წიგნს წარმოადგენს, ამიტომ ყოველი ნაწარმოები დაკვირვებით უნდა წავიკითხოთ, რათა გავერკვეთ ყველას თილისმაში და ყველასგან შესაბამისი სიამე მივიღოთ.
11450. ქალი ექსტრავაგანტური ჩაცმულობით თავს იმიტომ იგიჟიანებს, რომ ეს მოდა მამაკაცებს მოსწონთ და მათი ჩუმი თანხმობით შეიქმნა, ამასთან ქალთა მოდგმა ჰალუცინაციებით და მსუბუქი ოპტიმიზმით ცხოვრებას არჩევს.
11451. ვისაც გათხოვება უნდა, ყველა თხოვდება, ამიტომ ქალები უბედობას კი არ უნდა უჩიოდნენ, არამედ თავის წუნიობას, რომელიც შემდგომ სანანებელი უხდებათ.

11452. ქალმა რომ იცოდეს რა სასიამოვნო სურნელს შეიგრძნობს ახალგაზრდა კაცი მდედრის დანახვისას, ეს ქალს ძალიან გააამაყებდა და უფრო კეთილად განაწყობდა მამრის მიმართ.

11453. ქალს ოთხი სულიერი მდგომარეობა აქვს: დაწყნარებული, აღელვებული, ნერვიული და მთლად გაკაპასებული.

11454. ცეკვის დროს ზოგი ქალი თავის დაგროვილ შიდა ენერგიას სხვადასხვა პირუეტის ჩვენებით გამოხატავს, ზოგი კი – მუსიკის ტაქტზე ზედმიწევნით აყოლებით და განცდით, მაგრამ მიზანი ერთია _ ვნებისგან დაცლა.

11455. ზოგი ქალი თავს იწონებს ქმრით, წვეულებაზე ჩემს საქმროსთან ერთად მოვედი, მაგრამ ჩემმა კაცმა ისე მომხიბლა, მისი ცოლი გავხდიო. ხომ შეიძლება, მორიგ წვეულებაზე თავის ქმართან ერთად მოვიდეს და იქ ისეთი მამაკაცი დახვდეს, ქმარი დაატოვებინოს. გაუფრთხილდით ერთმანეთს მამაკაცებო, თორემ ღალატი ჩვენს ქალებს ჩვევად გადაექცევა

11456. ვარდს და ქალს ეკალი და ქალის კაპრიზი აერთიანებს, მაგრამ თუ მათ უნდათ გაიფურჩქნონ და თავი დიდხანს შეინახონ, ერთი უნდა დასჯერდეს საჭირო ნამს, ხოლო მეორე ზომიერ სიყვარულს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეტისმეტი მომთხოვნელობის შემდეგ, მეორეს პენსიაში უშვებენ, ხოლო პირველს სანაგვე ყუთში გადაუძახებენ.

11457. წურბელებს და ქალებს ერთნაირი სარგებელი მოაქვთ, მომეტებულ სისხლის მჩქეფარებას ანელებენ, მანამდე არ შორდებიან, სანამ არ გაძღებიან და სიამის წნევას არ დაარეგულირებენ.

11458. ყველა ქალის ოცნებაა, ის იყოს თავისი მამაკაცის პირველი და ბოლო საკითხავი წიგნი, მაგრამ მამაკაცს აღარ ეკითხებიან, უნდა თუ არა დარჩეს უწიგნური.

11459. ქალები სასურველი მამაკაცის დასაპყრობად ერთმანეთს ეჯიბრებიან და არც არაფერს ერიდებიან ერთმანეთის დასაჩრდილავად, ხანდახან ეს ველურ ხასიათს იღებს და ამ ბრძოლაში ყველაზე აქტიურ ვამპირებად ლამაზი და მიმზიდველი ქალები გვევლინებიან.

11460. ქალებმა, მამაკაცებთან შედარებით, უფრო ძლიერი და დაუფიქრებელი სიყვარული იციან. ეს ვერასგზით ვერ აუხსნიათ და არც არავინ ცდილობს.

11461. მდედრისადმი „ქალბატონოს" მიმართვა მისდამი მოკრძალების გამომხატველია, „ქალიშვილოს" – შეცნობის და საკუთარი სულის განათების მცდელობა, „ქალო" – გაურკვეველი გრძნობა, ვერ გარკვეულა, ეფერებიან თუ უბრაზდებიან, „დედაკაცო" – ეს უკვე ცოლის სახეობისადმი მიმართვა, რომელმაც ქმრისთვის თავის მობეზრება მოასწრო.

11462. ქალისათვის ყველა აბორტი უნდა იყოს ჯოჯოხეთური განცდა, რომელიც მდედრს ამ უკანასკნელთან წასასვლელად ამზადებს.

11463. ლამაზი ქალიც შეიძლება იწვევდეს ზიზღს, თუ ის ოჯახს ვერ უვლის, კაპასი და უსუფთაოა.

11464. არის ცხენი, რომელსაც მხედარი გადმოუვარდება, მაგრამ ფინიშზე მაინც პირველი მიდის და თავის მხედარს ჩემპიონად ხდის , მაგრამ სად ნახავ ასეთ ქალს.

11465. ცხოვრებაში ორი რამის უნდა გეშინოდეს: გაყრილი ცოლების და გასათხოვრად გამზადებული ლამაზი გოგოების, რადგან შეცდომების გათვალისწინებას ვერ ვახერხებთ.

11466. ზოგი ორმოცს გადაცილებული ქალი შეიძლება ნაწილ-ნაწილ გავასაღოთ სხეულის ჯერ კიდევ ნაკლებად გაცვეთილი ზოგიერთი მომხიბვლელი ნაწილის ხარჯზე.

11467. მართალია, ქალმა თავის მომხიბველობა გადაჭარბებით არ უნდა წარმოაჩინოს, მაგრამ სხეულის ზოგიერთი მიმზიდველი ნაწილი უნდა გამოარჩიოს, მოუაროს, წარმოაჩინოს, რათა სხვაც დაატკბოს და თავადაც დატკბეს სხვების თვალების შემონათებით, რადგან ამქვეყნად მოსვლის მიზანია სხვისთვის თავის დამახსოვრება და არა მარტო „სალამ-ქალამი".

11468. ქალის მოწონების უმაღლესი შეფასებაა მამაკაცთა გაოგნებული უცენზურო ბღავილით შეკურთხება, სადაც ერთდროულად აღმაფრენაც, აღგზნებაც და დანებებაცაა გამოხატული.

11469. ქალმა თავის სილამაზეს და ნაკვთების წარმოჩენას მალვა და მოკრძალება უნდა მოარგოს, თუ უნდა უფრო ამაღელვებელი, მიუწვდომელი და მომხიბვლელი იყოს.

11470. ქალად ითვლება ის, ვინც კვირაში ერთხელ მოწმენდილ ცაზე ღრუბელს გააჩენს, ცოლად – ვისაც ღრუბელთან ურთიერთობა ყოველდღიურ მოთხოვნილებად ექცევა, ხოლო ის ვინც ღრუბლის წარმოშობის მიზეზს ასე თუ ისე ნახულობს, პატარძალია, რომელსაც კვალიფიკაციის ასამაღლებლად ოჯახური ღრუბლის წარმოშობის საქმეში ყველაფერი წინ აქვს.

11471. ქალის გული შეუმცდარია და ყველა იმ მამაკაცის ხაფანგში მოქცევა შეუძლია, ვისთანაც მისი გული დამუხრუჭდება.

11472. ყველა მდედრისთვის გარკვეულ დრომდე დიდი ბედნიერებაა ფიზიკურად და სულიერად თავის მამაკაცთან შეხვედრა.

11473. როდესაც ქალი კოსმეტიკით ითხუპნება და იღებება, ეს კეთილი მოტყუების მცდელობაა, მაგრამ როდესაც თავს ავადმყოფობით და უხასიათობით იკატუნებს და მდედრის საქმის გადაბარებას მამრზე ცდილობს ან ფემინიზმს იშველიებს, ამ მდედრის ქალური ჰორმონების სიჭარბეში ეჭვი უნდა შევიტანოთ, ხოლო ცოლად რომ არ გამოგადგება, ეს უეჭველია.

11474. ყველა ქალი თავის საკუჭნაოში საკუთარ სურათს უნდა ინახავდეს, რომელიც მის მაგივრად უნდა ბერდებოდეს და იფერფლებოდეს, ოღონდ ყველა მდედრული კაპრიზი მასთან უნდა დარჩეს, რომ ქალად დარჩენაში ეჭვი არ შეეპაროს.

11475. ქალში რაც უფრო მეტ საკუთარ შესაძლებლობებს ვდებთ, მით მეტად ვაფასებთ და გვიძნელდება მასთან დაშორება, მაგრამ ხშირად სწორედ ეს დაბანდებაა მასთან დაშორების მიზეზი.

11476. ქალისთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა თავისუფლება, მატერიალიზმით გამაგრებული, რაც შეეხება სულიერების ოროომტრიალს, ამაში თავად გაერკვევა.

11477. ქალი არამიწიერი არსებაა, რომელიც თავისი გრძნობებით მთელი სამყაროს დაუფიქრებლად დაპყრობას და თავის ჭკუაზე მოყვანას ცდილობს.

11478. ქალობა მარტო მომხიბვლელობა არ არის, პირველ რიგში სულიერებაა, სექსია, უღლის გაწევა, დედობა, ქალიშვილობა და ასე შემდეგ თანდათანობით.
11479. თანამედროვე ქალები მამაკაცებმა საჭირო ნივთებად, რეკვიზიტებად, აქციეს და ისინიც ყველა თავშეყრის ატრიბუტებად იქცნენ, ხოლო – სათნოებას, რაც მდედრისთვის მთავარია, ვერავითარი ფემინიზმი ვერ შეცვლის, ამას კი არად დაგიდევენ.
11480. ქალები ცდილობენ მატერიისთვის გათხოვდნენ და შეიყვარონ სულისთვის, მზესიტყვაობისთვის.
11481. ქალს ალბათ ის მამაკაცი ჭირდება, რომელიც მას გაჭირვების და გაკაპასების ჟამს ზურგს არ შეაქცევს და მისთვის წარმოდგენითი სამყაროს შექმნას შეეცდება, მაგრამ ამას მდედრები დაღვინების ჟამს გაითავისებენ, როდესაც ცხოვრების ყველა უნებლიე ალიყური გამოცდილი აქვთ.
11482. ყველა ქალი ცოტ-ცოტა მომხიბვლელი, მოყვასი და ჯადოქარიც უნდა იყოს, თუ უნდა ოჯახის სადავეები ხელთ ეპყრას და ოჯახის სიმყუდროვე შეინარჩუნოს.
11483. კომპლიმენტი ქალისთვის რაც უფრო დაუჯერებელია, წარმოუდგენელია, მით უფრო სასიამოვნო, მისაღები და თავის წარმოსაჩენია.
11484. არიან ისეთი მომნუსხავი სუპერქალები, რომლებიც პატრიარქატულ წესზე აწყობილ ოჯახსაც კი დაანგრევენ, თუ მამაკაცს ხვადობის კიდევ რაღაც შემორჩა.
11485. ახალგაზრდა ქალის შიდა ჰორმონები ის ალმასის ფერფლია, რომელიც ასე ალამაზებს, აცისკროვნებს, ახალისებს მათ და თავბრუს ახვევს მამაკაცებს.
11486. თავიდან ქალს მოწინააღმდეგე სქესის მიმართ პრეტენზია არ აქვს, გარდა თანდაყოლილი კაპრიზისა, რომელიც თანდათანობით, მამრისგან სიყვარულს, უსიტყვო თანხმობას და მორჩილებასაც მოითხოვს.
11487. გარდა იმისა, რომ მამაკაცებს დედები შობენ, სამშობლოს დამცველნი მიანც ქალები არიან, რადგან სამშობლოს და მოყვასის სიყვარულის იდეოლოგიას ისინი გვინერგავენ. ხოლო გმირობას მამების პატივისცემა ჩაგვადენინებს.
11488. უმანკო ქალიშვილს კეკლუცობის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, ამიტომაცაა, რომ ჯერ ცდება და მერე ფიქრობს, ხოლო უბიწო ვაჟს ამ ფორას არავინ აძლევს, თუმცა ცხოვრების გამოცდილება მასაც აკლია.
11489. ქალის ტყუილი თავისებური კაპრიზია, პოზიციაა, მამაკაცის დაგეგმილი აქციაა, პირველი ამას თავის სულის პროფილაქტიკისათვის ჩადის, ხოლო მეორესთვის ეს ეტაპი უკვე გავლილია.
11490. საქორწინო აპკი ის ფენომენია, რომელმაც ქალებს ქალად ყოფნის სურვილი და დედობა შეუნარჩუნა, რადგან დაუოკებელ სექსუალურ ლტოლვაზე ხელი ააღებინა.
11491. ძირითადად ქალი ისეთია როგორც ნამდვილ მამაკაცს უნდა, მაგრამ კაცი ვერასდროს იქნება ისეთი როგორც მდედრს სურს.
11492. სიტყვით ქალს მამაკაცისგან სიყვარულის გარდა არაფერი უნდა, მაგრამ გონებაში ყველა სურვილის და ოცნების აღსრულებას ინახავს და იმახსოვრებს.
11493. ქალის ოცნების მინიმუმში ქმრის ყოლაც შედის.

11494. სილამაზეც მალფუჭადი საქონელია, ამიტომ მას დროული შეფუთვა და რეალიზაცია ჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელთ შემოგვრჩება გადასაფასებლად გამზადებული ეშხი.

11495. ქალი გარეგნულად შეიძლება სიმახინჯის საწყისებთან იდგეს, მაგრამ ურთიერთობაში მომხიბვლელობის განსახიერებად იქცეს.

11496. ზოგი ქალს სანამ მამრის ყურადღებას შეეჩვევა, მას უკვე აღარ უყურებენ და ეს არ არის მისი ბუნების ტრაგედია.

11497. ყველა ქალი ვალდებულია ისე მოხდენილად ჩაიცვას და ლამაზად მოიქცეს, რომ მამრებს მათ მიმართ გემოვნება არ დაუქვეითდეთ.

11498. კდემამოსილი ქალები ამქვეყნად ცოტანი არიან, მაგრამ სულით უმწიკვლონი არ არსებობენ.

11499. ხვადი ქალს მის ძუობას აგრძნობინებს, მამაკაცი – კდემოსილებას და ცხოვრების ყადრს, კაცუნა კი მდედრის უხასიათობის მომიზეზებით სექსზე და ყოფაზე საერთოდ ხელს ააღებინებს, ასე რომ, ზოგ ქალს თავისი ბედის შესანდობარის შესმა სიცოცხლეში უხდება.

11500. ქალი შინაგანად აუცილებლად უტიფარი უნდა იყოს, თუ უნდა გარეშეთა ყურადღება დაიმსახუროს და ზოგი ვირეშმაკი მამრის გული დაიპყროს.

11501. ქალების ჭორაობამ საჩუქრად ინტერნეტი მიიღო, მაგრამ ეს საჩუქარი რატომღაც კაცებმა მიისაკუთრეს, რადგან ქალებს გასაკილავად ერთმანეთის დათვალიერებაც სჭირდებათ, რათა სიამოვნება ბოლომდე მიიღონ.

11502. საზოგადოებაში ქალს და ჯარში ზემდეგს ასაკს არ ეკითხებიან, რადგან ორთავეს თავისი კაპრიზის დაკარგვის და პენსიაში გასტუმრების ეშინია.

11503. ქალის მიერ საზოგადოებაში ძვირფასეულობის გამოფენა მამრის ჯიბის გადმოტრიალების მაჩვენებელია.

11504. ქალს შეუძლია რამდენიმე კაცის მოტყუება, რომ მასზე დაქორწინდნენ, მაგრამ არა – მამაკაცთა მოდგმისა.

11505. მოდაზე ჩაცმული ქალი ხშირად სექსუალურად აღიქმება და გულითაც რომ გინდოდეს აუგის თქმა, ფაქტები არ გაქვს, ისე მოხდენილად არის ნაჭრებში გახვეული და სიშიშვლე, რომელსაც შენ ხედავ, სინამდვილეში არ ჩანს.

11506. ქართველ ქალად მოყვანილი ცოლი ნაყალბევი გამოდგა, რადგან მის სისხლში ისეთი კოქტეილი აღმოჩნდა, რომ გვარის გარდა სხვა აღარაფერი დარჩა.

11507. ქალმა არც სიყვარული უნდა მოკლას და არც მისდამი ლტოლვა არ უნდა მოთიბოს, რადგან არავინ იცის, სად და როდის გამოადგება გამოთქმა: „მოკლას ხარი თივამ".

11508. ტანწერწეტა ქალი თვალს ახარებს და სულს ატკბობს, ხორცსავსე ქალი კი გულისცემას აჩქარებს და ხოშის გასწორების იმედს იძლევა, მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები სახალხოდ პირველს ირჩევენ, ხოლო ჩუმად მეორეს შენატრიან და მისით ტკბებიან.

11509. ქალი ის არის, ვინც საწოლში მამაკაცს იმაზე მეტს გამოსტყუებს, რაც შეუძლია და ცხოვრებაში იმაზე მეტს შეაძლებინებს, რაც ხელეწიფება.

11510. ქალის ერთი ნახვით შეყვარება შამპანურის ბოთლის გახსნას უნდა ჰგავდეს, სადაც გაზი ბოთლში მის შესმამდე არ უნდა დაიცალოს.

11511. ქალი და მეცნიერება სინონიმები არ არიან, მაგრამ უდიდეს სიკეთესთან ერთად უდიდესი ბოროტებაც მოაქვთ და მათ ფრთხილად, გონიერად მოპყრობა სჭირდება.

11512. თუ ქალი მამაკაცის მეგობარია, მაშინ დედაკაცი მის მტრად უნდა ჩავთვალოთ, რადგან აქ საინტერესოა სქესების ურთიერთობის პროცესების შესწავლა და არა შედეგებისა, რომელიც უკვე ჩანს.

11513. ზოგს, ეშინია გამორჩეული ქალი იყოს, ზოგსაც – გონებადამჯდარი მამაკაცი, ასე რომ, ურთიერთობაში მთავარი ყოფილა ერთმანეთის მიმართ შიშის დაძლევა და არა – სიყვარული.

11514. შეუნდო ქალს ნიშნავს გაუფრთხილდე მის და შენს რეპუტაციას.

11515. ზოგიერთ მდედრისგან გაწბილებაც ძალზე სასიამოვნოა და ამას გამოუცდელობა და ბედთან ჭიდილის სურვილი სჭირდება.

11516. გასათხოვარი ქალისთვის მამაკაცი მეორე ან მესამეა მის ცხოვრებაში, რადგან "პირველის" თქმის უფლება მას ბუნების ვერაგობამ წაართვა თავის საქალწულე აპკით.

11517. მიუხედავად იმისა, რომ სიტუაციებს ქალი გულით ხედავს და არა ჭკუით, მისი ინტუიცია ორივეზე მაღლა დგას, ცხოვრებას მამაკაცზე უკეთ აწყობს და უძლებს.

11518. ქალმა თავისი ღირებულებები თანდათან უნდა გამოამჟღავნოს, რათა მამრის მერყევ სულში საბოლოოდ ადგილი დაიმკვიდროს, ხოლო მამაკაცმა ერთბაშად უნდა გააოგნოს, დაიპყროს ქალი, რათა მან სხვასთან წასვლა არ იფიქროს, შედეგად ქმარს თავის ცოლში მოძიებული ღირსებები „აბამს", ხოლო ცოლს – ნაშიერის გაჩენის და აღზრდის თანდაყოლილი ვალი.

11519. ქალის გათხოვების მიზანია ოჯახის შექმნა, რაც შეეხება მოწონებას, სიყვარულს, თანაარსებობას, ეს გამართლებაა და სხვა არაფერი.

11520. ქალის სილამაზის ჰორმონი თვალების სულიერი კაშკაში და შემართებაა და მას ვერავითარი კოსმეტიკა და მასაჟი ვერ შეედრება.

11521. არიან ქალები, რომლებსაც ასაკისადმის ჟინიანი დამოკიდებულება უფრო ალამაზებს, ვიდრე ვნებს.

11522. ქალი „დაუმარცხებელი" ხდება, თუ მას სიყვარულის და შურისძიების ფანატიზმი ამოძრავებს.

11523. ქალს ხშირ-ხშირად რაღაცის ყიდვა ნერვებს უმშვიდებს, ხოლო ოცნებაში ნალოლიავები ნივთის შეძენა სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

11524. ქალი თავის სისუსტეს იმ მამაკაცთან ავლენს, ვინც უყვარს, პატივს სცემს და ვისი ყურებაც სიამოვნებს, სხვა შემთხვევაში მამრები მათგან საყვედურებს და ქალურ რეპრესიებს იმსახურებენ.

11525. ქალისათვის მთავარი საჩუქარი კი არ არის, არამედ ყურადღება, ფორმა, იარლიყი, ფასი.
11526. ლამაზი ქალი მოსაბეზრებლად ლამაზი ხდება თუ შესადარებლად სხვა ქალს არ ეარშიყები.
11527. თუ ქალი გონებით გეწინააღმდეგება და გულით შენს მხარესაა, აქ გონიერების გამარჯვება გამორიცხულია.
11528. ქალი თავის ღიმილს შინაარსს უნდა აძლევდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შეიძლება ძალადობის მიზეზი გახდეს.
11529. ზოგი ქალის გული ყველა ასაკში ქალწული რჩება, რაც მას საშუალებას აძლევს ყველა დროის მამაკაცი სხვადასხვა ასორტიმენტში ჰყავდეს.
11530. ქალი, რომელიც ყველასთვის იხდის და შენთან კოხტაობს, ერთი მამაკაცის საკუთრება არ შეიძლება იყოს, მაგრამ ამას ვერ შეაგნებინებ ზოგიერთ მამაკაცს, რომელსაც სექსი და გემი ერთმანეთში ერევა.
11531. ქალი ბუნებით მოწოდებულია მამაკაცს სატყუარი მიუგდოს, გულში ადგილი მოუნახოს, მის მოგუდვასაც შეეცადოს და სხვა ქალების მიმართ საჭურისად აქციოს.
11532. ქალი არა მარტო ნერვების მოშლის, არამედ დამამშვიდებელი საშუალებაცაა, თუ ის თავისი სულის, სუნის მამაკაცს გადაეყრება და შეიყვარებს ან შეიცოდებს.
11533. ქალისაგან, რომელიც თავიდან ცივად შეგხვდათ და შემდგომ დაგითბათ, თავის დაღწევა გაცილებით ძნელია, ვიდრე იმ მდედრისგან, ვინც თავიდანვე თბილად მიგიღოთ. ეტყობა, პირველს მეორესთან შედარებით მეტი ამბიციები და პატივმოყვარეობა აქვს.
11534. ქალის ღიმილი ყველაზე დიდი ქრთამი და ნდობის ჩასესხებაა ნამდვილი მამაკაცისათვის.
11535. ნამდვილ ქალს ნაოჭებიც ამშვენებს თუ ის მისი სილამაზის დინამიკას (სახესხვაობას) წარმოაჩენს.
11536. ყველა ქალმა იცის რომ 2x2 ტოლობა შეიძლება ხუთიდან დაიწყოს თუ ის იკაპრიზებს, წაუტირებს და ისტერიკას მოაწყობს.
11537. ქალები იძულებულნი არიან უგერგილო მამაკაცთა ხელში მშრალი კარიერის საფეხურებს შეუდგნენ და იქ ნახონ ის სიამოვნება, რაც მათ ღირსეულ მამრთა ხელში უნდა მიეღოთ.
11538. ქალს ძალადობა კი არ მოსწონს, არამედ მამაკაცური ძალდატანება, რომელიც სისულელეში არ გადაიზრდება.
11539. ქალი იმიტომ ცდილობს მოდაზე ჩაცმას, რომ საჭიროების შემთხვევაში ლამაზად გაიხადოს და თავისი ტანის სიტიტვლის მომხიბვლელობას და ჰაეროვნებას ხაზი გაუსვას.
11540. ზოგ ქალს რომ პატრონი ჰყოლოდა, უჯიშო მამაკაცის ცოლი არ გახდებოდა, მაგრამ რა ვუყოთ განგებას თუ მან ასე ისურვა და მისი ნამოქმედარით წყვილი კმაყოფილია?

11541. ქალებს მოსწონთ, როდესაც ისინი მდიდრულად უყვართ და ძალიან არ მოსწონთ როდესაც ბატონკაცურად სთხოვენ ქცევის ნორმები და თამაშის წესები დაიცვან.

11542. ქალები უფრო ბრძენნი არიან ვიდრე გონიერნი, რადგან სიბრძნეში მათი თანდაყოლილი ინტუიცია დევს, რომელიც ტრაგედიამდე იშვიათად ცდება.

11543. ქალი თავად უნდა იყოს ბუნებით მტაცებელი, რათა ისეთი დიდი მხეცი როგორიც შეძლებული მამაკაცია, თავად მოინადიროს. გაკაპასების მოთოკვით მგლის ბუნება ბედის მოხერხებით უნდა შეცვალოს, თავი იმ ფისუნიასავით უნდა მოიკატუნოს, რომელსაც წრუწუნას შესანსვლაც კი ვერ წარმოუდგენია.

11544. ქალი ყოველთვის შინაგანად გრძნობს და ისიც იცის, რისკს რატომ ეწევა, ხოლო მამაკაცს წარმოდგენაც არ აქვს, მაგრამ ქვენა გრძნობების დახმარებით რისკზე ხალისით მიდის და სიამოვნებასაც ნახულობს.

11545. ღვინო ძველი სჯობს, წყალი – ახალი, ქალი – შუახნის, ოღონდ ქალად დაბადებული.

11546. ეკატერინა II მილიონებს ჩუქნიდა თავის ფავორიტებს, მაგრამ მას ისეთი იშვიათი ხიბლი ჰქონდა, რომ ეს მამაკაცები მზად იყვნენ მისთვის სიცოცხლე გაეწირათ და გაკოტრებულიყვნენ, ოღონდ მის დედოფლურ ალერსს დაწაფებოდნენ.

11547. ქალი მამაკაცისგან იმით განსხვავდება, რომ თუ მეორეს ყოფიერების ასაწყობად ხან გაწყრომა სჭირდება და ხანაც დაყვავება, პირველს ეს ორივე ერთდროულად სჭირდება ფულის დამატებით.

11548. 40 წელს გადაშორებული უმკერდო და უუკანალო ქალი უფრო მოძალადის მსხვერპლი შეიძლება გახდეს, ვიდრე მამაკაცის ძალადობის, მაგრამ ქალმა ცდა არ უნდა დააკლოს და ისეთ ადგილებში უნდა იაროს, სადაც შეიძლება ვინმე შეცდეს და ძალაც იხმაროს.

11549. ქალს მაშინ უყვარს მამაკაცი, როდესაც მასზე წაჭორავების ნებას რთავს, ხოლო ქმარი მაშინ გამოხატავს ცოლისადმი სიყვარულს, როდესაც ის ვერ ამჩნევს იმას, რაზეც სხვები ამ ქალზე კაიფობენ.

11550. მამაკაცებმა, რაც ქალებს მატრიარქატი გამოსტაცეს ხელიდან, მას მერე სულ თავიანთი უპირატესობის დამტკიცებაში არიან და ცდილობენ ისინი უჭკუოებად, ჭორიკნებად, ულოგიკო ავანტურისტებად წარმოგვიდგინონ და ეს სურვილი ასაკის მატებასთან ერთად ძლიერდება. საინტერესოა, ამაში მამაკაცის ღირსების დაქვეითება ხომ არ არის დამნაშავე? თქვენ რას იტყვით, ქალებო?

11551. წესით მამაკაცი ქალმა უნდა გამოსცადოს ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგ, მაგრამ უკვე დაგვიანებულია, სხვა ქალთან უფსკვნია ჯვარი ყოველგვარი გამოცდის გარეშე.

11552. თანამედროვე მდიდარმა ქალმა ბავშვის გაჩენის სურვილისას მწარმოებელის ხარისხზე უნდა იფიქროს და არა მამაკაცის დაბმაზე და ოჯახზე, რადგან შვილი ქალისთვის სულის ნაწილია, ხოლო მამრისთვის მისი ხელობის წარმოჩენა.

11553. ქვეყნის ძლიერება, ქალის თეორიულ უჭკუობაზეა და მის ინტუიციაზე დამოკიდებული, რომელიც პრაქტიკულად ძლიერ მომავალ თაობებს გვჩუქნის.

ქიციც და ქიცმაცურიც

11554. ნახევარი სიმართლე, ნახევარი ჭეშმარიტება, ნახევარი სიყვარული – აი, ეს არის ქვეყნისა და შენი თავის ღალატი.

11555. დიპლომატიასა და გაიძვერობას შორის დიდი ზღვარია. ისინი ერთმანეთის შერწყმას ვერ იტანენ, პირველი – პოლიტიკური კომერციაა, სადაც მხარეები ურთიერთსასარგებლო პირობებს ითვალისწინებენ, მეორე კი – პოლიტიკური პროსტიტუციაა, ზურგში დანის ჩაცემაა, როცა მოწინააღმდეგეებს ერთმანეთის ინტერესები ფეხებზე ჰკიდიათ.

11556. დაქორწინებას ერთი გაუგებარი მიზეზი აქვს, განქორწინებას მრავალი გასაგები და ამიტომაც არის დღემდე სიცოცხლისუნარიანი.

11557. ყურები შეიძლება იყოს მორთულ-მოხატული, მიკერებულ-მოხეული, მოგრძო-პაწაწკინტელა, მაგრამ ამას ქალის ხასიათის გასარკვევად მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, სმენის აპარატის ლოკატორებით ჭორის დაფიქსირება.

11558. პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებას უფლება არა აქვს პატივი არ სცეს ტრადიციებს, რაც უნდა არქაულად და მოძველებულად გამოიყურებოდეს ისინი მის თვალში.

11559. რას აკეთებდა ადრე, ამის ცოდნა აუცილებელი არ არის, რის კეთებას აპირებს, ამის ცოდნა საჭიროცაა და აუცილებელიც.

11560. არსებობენ კარიერისტი არაკაცები, რომლებიც ნებაყოფლობით თავის შეხედულებებს და სხვისადმი სიყვარულს ჰყიდიან.

11561. ცხოვრებას შემთხვევითი პასაჟების გაელვება ახალისებს, თორემ ბედს შეუძლია ჩვენს სარეცელს მიაფურთხოს და გარკვეული დროის განმავლობაში უღალატო სულელად დაგვტოვოს.

11562. ქათინაურის მოლოდინში ხელქვეითს უფროსი ეუბნება: მე თვალს ვადევნებ შენს კარიერას და ვამაყობ იმით, რომ ასეთი კარგი მასწავლებელი გყავდი.

11563. ძნელია თანამედროვე მოდის გაგება: აცვიათ "შორტისმაგვარი" და გიჩნდება ასოციაცია "ნიფხავისმაგვარი".

11564. აღმასვლა ყოველთვის ტრიუმფი არ არის, არც ვარდნაა ყოველთვის დანარცხების ტოლფასი, რადგან დაცემისა და ფრენის გარეშე ცხოვრება უინტერესო იქნებოდა.

11565. მოწინააღმდეგის დასათრგუნავად ყველა ხერხის გამოყენება არ გამოდგება, მაგრამ მოქიშპესაც გააჩნია და მის დანაშაულსაც.

11566. ამ ცხოვრებაში ყველანაირი პროპაგანდა სიაფანდია, მაგრამ მთავარია, მათ დროის და კაცობრიობის აზროვნების რა მონაკვეთში შემოგთავაზებენ, ჩვენ კი როგორ ავითვისებთ მას: მწარე საწებლად თუ დესერტად.

11567. სახელმწიფოში განუკითხაობა იწვევს "წითელი ბრიგადების" მაგვარი სტრუქ-ტურების შექმნას, ამიტომ მათრახი და სასუსნავი, თუ გინდ იდეური, არასდროს დაკარგავს თავის ღირებულებას.

11568. ამ ცხოვრებისას ვერაფერს გაიგებ: ასანთი განკუთვნილია დიდებისთვის და ბავშვები თამაშობენ მთელი აღგზნებით. ქალის მკერდი განკუთვნილია ბავშვ-ებისთვის და დიდები უყურებენ და თვალებით სიამოვნებით ელაციცებიან.

11569. აღიარება შეფარდებითი სიხარულია, ბედნიერებაა, მაგრამ ის არ იძლევა საშუალებას შენი ცხოვრებით იცხოვრო.

11570. უდიდესი მარცხი და უდიდესი გამარჯვება, ეს ორი ისეთი განზომილებაა, რომლებიც შედეგებით ასე შორს დგანან ერთმანეთისგან, ხოლო ახლო იმათთვის, ვინც აქედან რამეს სწავლობს და გაითავისებს.

11571. ჰარმონიის და დისჰარმონიის შეხლა-შემოხლა იძლევა უდიდეს სილამაზეს და ორიგინალურ აზროვნებას.

11572. როდესაც სხვის უბედურებას უყურებ, შენი ბედნიერების არ შეგრცხვება, თუ შემწყნარებლობა და დახმარება ჩვევად გაქვს გადაქცეული.

11573. მთავარი ის კი არ არის, ვისზე რა აუგს იტყვი, მთავარია მის მიმართ როგორი გულით ხარ და რას მოიმოქმედებთ მისთვის.

11574. თავდავიწყებული საქმიანობა და მოთმინება უფრო ნაკლებად ფასობს, ვიდრე სიზარმაცე და ნიჭი. პირველის წარმატება შრომის, მიზანმისწრაფების შედეგია, მეორე მუქთად მომადლებული ნიჭის. პირველ შემთხვევაში თავს აიძულებ, მეორე შემთხვევაში ნიჭი გაიძულებს იმუყაითო, პირველი ცდილობს, ყველაფერი ძნელად გამოსდის, მეორე არ ცდილობს და ნიჭს გამოჰყავს.

11575. სიამოვნება – უსიამოვნების გარეშე ცხოვრება პეწს დაკარგავდა და განათ-ლებული, უდარდელი რობოტის სტატუსს მოგვაკერებდა.

11576. ფეხბურთს თამაშობენ „ინტელექტზე პრეტენზიების მქონენი და ხულიგნები ხდებიან. რაგბს თამაშობენ ხულიგნობისკენ მიდრეკილები და ინტელიგენტებად ყალიბდებიან".

11577. წარსულს ყველა თაობა ისე ხედავს, როგორც მას წარმოუდგენია, უნდა, მოსწონს, ესმის და შეიგრძნობს.

11578. სიმართლე თავისებურად ლამაზია, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან გაგვაწ-ბილებს და გაგვანაწყენებს.

11579. ბევრის თქმა და ბევრის ცოდნა შეუთავსებელია, რადგან მათი ურთიერთნ-დობა ბეწვზე ჰკიდია.

11580. გადაჭარბებული კეთილდღეობის შედეგად ვიღებთ ერთსახიან გამოთაყვა-ნებულ და დაპროგრამებულ მომავალ თაობას. ე.ი. არც კეთილდღეობაა სრულ-ყოფილი.

11581. საოცარია, მაგრამ ყველა თაობა თავისებურად მახინჯი და დიდებულია.

11582. რაფინირებულმა მანერებმა უხეშ ძალას რაფინირებული სიუხეშე უნდა და-ახვედროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი შეხვედრა საშინელი, დამამცირებელი სანახაობა ხდება.

11583. საეჭვო ჭკუის პატრონს თავის ქალაზე ნაპრალი უჩნდება, რომელშიც ხანდახან წინასწარმეტყველის, უცნაური აზრების ეშმაკი შეუჯდება და სულელს პიროვნებად აქცევს.
11584. სიჯიუტე ადამიანსაც ახასიათებს და ვირსაც, მაგრამ პირველისა თუ ამბიციურობაზეა დამოკიდებული, მეორის – გადამეტებული და დამღლელი ტვირთის ტარებაზე.
11585. სულელების რაოდენობა კი მცირდება, მაგრამ მათი ხარისხი უმჯობესდება, რადგან სულელად თავის მოჩვენება სარფიანი საქმე გამოდგა.
11586. ხანდახან გულიან შეკურთხებაში იმდენი აღფრთოვანება, ემოციების დაცლა და სიყვარულია, რომ მისი გამოხატვის უნარი არცერთი ენის სიტყვის მარაგს არ ძალუძს.
11587. „შეიძლება-არ შეიძლებაა" ქვეყნის ამომგდები და დამღუპველი.
11588. ზოგს დედიშობილა სიმართლის გამომზეურება მოსწონს, ზოგს კი – ტიტველი სიმართლის ქურქში მოთავსება და დამალვა.
11589. უსამართლო სამართლიანობაა, როდესაც ფორტუნა ძლიერს მოულოდნელად ფეხს წაატეხინებს და სუსტს კანონიერ ჩემპიონად მოგვივლენს.
11590. უწესოდ გახდაც შეიძლება და ჩაცმაც, მაგრამ რა ეშველება ყოველივე უგვანობის საწყისს, უწესო გონებას, რომელიც თავის წარმოსაჩენად და დივიდენდების მოსაპოვებლად ყველაფრის მკისრებელია.
11591. ჭკუის შერყევის კანდიდატი უჭკუო კაციც შეიძლება იყოს, თუ ცხოვრების სიმუხთლე წაუხალისებს, ან თავს კარგად წაახახუნებინებს.
11592. არის გამარჯვება, რომლის კუნთების თამაში აღფრთოვანებას არ იწვევს, რადგან დამარცხებულის მხარესაა საკადრისი წინააღმდეგობის გაწევა, დიდება და სამართალი.
11593. რაღაცა რომ მიიღო, გაცემაც უნდა შეგეძლოს, გაყოფაზე რომ არაფერი ვთქვათ.
11594. ბრძოლა ჩვენთვის თუ თქვენს გამო, საკითხავი სწორედ ეს არის.
11595. მომეტებული სიმდიდრე და სიღარიბე ყოველთვის ხელს უფათურებს ჩვენს სინდისს, ნამუსს და კაცად დარჩენას.
11596. ბოლოს და ბოლოს, ცუდიც და კარგიც მთავრდება და ყველაფერი თავიდან იწყება, რადგან კანონზომიერებას არჩევანი არ გააჩნია.
11597. განცდა განუცდელის და ხიფათში თავის გამოცდა ყველას ოცნებაა, მაგრამ შიშს, გაუბედაობას, ყველა ვერ ერევა.
11598. ცხოვრებაში ყოველივე უნდა ვიგემოთ, სიკვდილის და სიმდაბლის გარდა.
11599. განვითარებულის სახით ყველა განუვითარებელი გვევლინება, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ვამჩნევთ, რადგან ერთ-ერთი იმათგანი თვითონვე ვართ.
11600. ისტორია თავისებურად ტრაგიკულია, მაგრამ საშინლად კომიკურიც, ვისაც ამის აღქმის უნარი აქვს.
11601. სიბრიყვეს გამართლება არა აქვს, მაგრამ რომ არც დასჯას ექვემდებარება?!
11602. "შემიძლიასა" და "არ შემიძლიას" შორის დიდი მორალური დავაა, რომლის გააზრება, შეგნება, ახლობლებს არ სურთ.

11603. არიან ისეთი "მეგობრებიც", რომელთა შემყურე მტერსაც კი ეცოდები.
11604. პესიმიზმი და ოპტიმიზმი ერთმანეთთან შედარების გარეშე არაფერს წარმოადგენენ.
11605. ტირილი ყველაფერზე და ყველაფრისთვის შეიძლება, სიცილისგან განსხვავებით.
11606. სულელები ერთმანეთს უფრო უგებენ და უფრთხილდებიან, ვიდრე ჭკვიანები, რომლებიც ერთმანეთს ვერც უგებენ და არც თანაუგრძნობენ.
11607. ზოგი დროშას უდგება მუხლზე, ზოგი – უფროსს, ზოგი – სიყვარულს. გამოდის, რომ მუხლებზე დაჩოქება ყველას შესძლებია.
11608. ყველა დრო თავისი ვიგინდარების ეპოქას ქმნის და ყეყეჩების დოღს მართავს.
11609. სიხარული წარუმატებლობისა – ერთეულთა ხვედრია, რომლებიც მიხვდნენ, რომ თავის საქმეს არ აკეთებენ და სხვა გზა უნდა მონახონ ცხოვრების ასაწყობად.
11610. მტერი უნდა განსაზღვრო, აღმოაჩინო და არა მტრად იგულო შენი ყველა ოპონენტი რადგან ხანდახან შენზე „ცუდად" ნათქვამში უფრო მეტი სითბო და პატივისცემა მჟღავნდება, ვიდრე ხოტბაში.
11611. სიკეთე უნდა შეირგოთ, ხოლო ბოროტებას მაშინვე უპასუხოთ, რადგან მოთმინება და დროის გაყვანა მკურნალად არ გამოდგება, სიავე ფეხს გაიდგამს და შემდგომ მასთან ბრძოლა გაგიჭირდებათ.
11612. გადაწყვეტილების მიღება, თუ ვის მხარეს ხარ გამარჯვებამდე, ვაჟკაცობაა, თორემ კეთილდღეობის მიზნით გამარჯვებულებისათვის კუდის ქიცინი უმეტესთა ხვედრია.
11613. ნდობა, როდესაც არ უნდა გასინჯო, ყოველთვის წყალნარევი ღვინის შთაბეჭდილებას ტოვებს, ხოლო ნამდვილს მაშინ გარგებენ, თუ სჭირდები, ეშინიათ და წესიერება უფრო მეტად ხეირია.
11614. საქმიანი ურთიერთობა და მეგობრობა სხვადასხვაა და მათი მეგობრულ ურთიერთობაში გადაზრდა ან ერთმანეთში აღრევა კარგ შედეგს არ იძლევა.
11615. სიკეთის სწავლა არ შეიძლება, სიკეთით უნდა დაიბადო და ცხოვრებამ ხელი შეგიწყოს, რათა სიკეთის კეთება და სიკეთის გაღება მათხოვრობას არ დაემსგავსოს.
11616. თავი ძალად არ უნდა წარმოაჩინო, მაგრამ შენი თეთრი ყვავობა ყველამ უნდა იგრძნოს, მაშინ დაინახავენ შენში პიროვნებას, სწორს.
11617. ემოციები სხვადასხვა ხარისხში და ტონალობაში სხვა ემოციებს შობს, მაგრამ გარკვეულ დრომდე, რადგან გადაღლას ისიც ვერ იტანს.
11618. სიავე ყოველთვის შურს არ იძიებს, სიკეთე ყოველთვის არ გვიფასდება, სიყვარული ყოველთვის არ ამართლებს, მაგრამ მათ გარეშე ცხოვრება მაინც ჭირს.
11619. დღეს ცხოვრების ისეთი აჩქარებული ტემპია, რომ პრინციპი – ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი, არ გამოდგება, რადგან ჭრას სხვა დაგასწრებს. ამიტომ ზომვა და ჭრა ერთდროულად უნდა მოხდეს.
11620. გაჭირვების ჟამს ყველა უგვანო თავის ნამოქმედარს გამართლებას უძებნის, თუმცა ის არც დალხინების დროს დაიბნევა უგვანობის დასამალავად.

11621. ეტიკეტის მიხედვით ცაციას განაღდებული აქვს სუფრის თავში ან ბოლოში ჯდომა. მაგრამ გასარკვევია, რომელია თავი და რომელი ბოლო.
11622. უზომოდ მშრომელი კაცი საზოგადოების სიყვარულს ვერ იმსახურებს, მაგრამ მას მაინც პატივისცემით მოიხსენიებენ.
11623. ჰაკერი იგივე ქურდია და მამაძაღლი, მაგრამ მისი ინტელექტი დღეს გარკვეულ სიმპათიებს იმსახურებს.
11624. ზოგის სიამაყე მუქთა რეკლამასაც არ კადრულობს და ცდილობს თავმდაბალი იყოს. მართალია, ეს ქმედება სულისათვის დასანაყრებელია, მაგრამ მუცელი იწყეებს გვრემას.
11625. სულელებს ფრენა არ შეუძლიათ, მიწაზე დახოხავენ და უკმაყოფილონი არიან. ჭკვიანები დაფრინავენ, კისერსაც იტეხენ, მაგრამ მათთვის ამას დიდი სიამოვნება მოაქვს.
11626. ზოგი ისეთი ხასიათისაა, რომ მოხუცებულობა საერთოდ არ ეკარება. კარგია ეს თუ ცუდი, არავინ იცის.
11627. უწესობა ყოველთვის წესიერების გვერდით ცდილობს დადგომას, რომელიც მისთვის ფარიც არის და ალიბიც.
11628. გადაჭარბებული დიდების ღირსეულად გადატანას იშვიათად ახერხებენ ისე, რომ მათზე აუგი ვინმემ არ თქვას.
11629. ბედნიერება შეჩვევას ვერ უძლებს და თავიც უფრო უბედური გვეჩვენება.
11630. ხანდახან ჩვენი საქციელი არ მოგვწონს, მაგრამ გადის დრო, მისი მოგონებით ვამაყობთ და საჭიროებისამებრ თავსაც ვიწონებთ.
11631. ქვეყნის მმართველმა, პირველ რიგში, საუკეთესო საავადმყოფო და ციხე უნდა ააშენოს, ვინ იცის, სად და როდის გამოადგება ეს ნაძალადევი ფუფუნება".
11632. ადამიანს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ქმნის, ზოგი გაბღენძილი უგვანო სულიერი ზევიდან დაჰყურებს და თავსაც ამადლის – შემიძლია არ გაგისაღოო, რომ არ მოეყვანა ამ ღვთისნიერ კაცს ეს პროდუქცია, მაშინ უნდა გვენახა, ვინვის რას დაამადლიდა და ვინ იქნებოდა ამ მცონარა ავყიას გასაფეტიშებელი ბედის ვარსკვლავი.
11633. ქათინაურები, რომელსაც მამრი შეუღლებამდე დაუფიქრებლად უხვად აფრქვევს, გონიერმა ქალმა თანდათან უნდა მოიშოროს, მაგრამ ნიშნისმოგებით და დამატებითი დივიდენდების მიღებით.
11634. როდესაც მოთმინების ფიალა აივსება, სასურველია მოწინააღმდეგეს გულიანად შეუკურთხო და ერთი გემრიელად გამოთვრე. თუ ეს არ გიშველის, მაშინ ძალის გამოყენებას წინ რაღა დაუდგება?
11635. უმადურს და ულირსს არ უნდა დაეხმარო, რადგან დახმარებას გამოძალვად თვლის და თავის „მოხერხებულობის" კმაყოფილია.
11636. თანამდებობის მქონე მოხუცი, ვისაც საღი გონება და მახსოვრობა შემორჩენია და უნარი აქვს ახალგაზრდობის შემწეობით ქვეყანა მართოს, სახელმწიფოსთვის დიდი შენაძენია, რადგან ის ცხოვრების სიბრძნეს არის ნაზიარები და მისი „ქიციც იცის და ქიცმაცურიც".

11637. მეგობრობას ფასი არა აქვს, მაგრამ დროთა განმავლობაში ისიც განიცდის დევალვაციას და ინფლაციას.
11638. ბედის დაცინვას შეიძლება კარი გამოუხუროთ, ოღონდ კაცი უნდა იყოს კაცური.
11639. მოტყუებით, ალბათ, ვერავინ მოგვატყუებს, თუ არ გვინდა გამოვცადოთ ჩვენს თავზე ეს ფენომენი.
11640. არ ვიყოთ ცოდვილნი სულში ყველას გვინდა, მითუმეტეს, თუ ამას სხვა ვერ გაიგებს.
11641. ბუნებით სამყაროს შვილები ვართ, სხეულით სამშობლოს დამცველები, სულით – კოსმოპოლიტები, ოცნებით – ახალი პლანეტების დამპყრობნი, საერთოდ კი სამყაროს მოქალაქეობისკენ გვაქვს მისწრაფება.
11642. თუ აუგადმხსენებელი არ გყავს, მაშინ არც კეთილადმხსენებელი გეყოლება, რომელსაც უყვარხარ და გიყვარს.
11643. რადგან მაინც გადაბარგების რიგში ვდგევართ, უნდა ვეცადოთ რიგი არ დავარღვიოთ, რიგიანად მოვიქცეთ და რიგით წავიდეთ იმქვეყნად.
11644. დასვენება ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. იგი გართობის საშუალებებით აწყნარებს, ან აღადგენს მოჭარბებულ ან გამოფიტულ ენერგიას.
11645. არის სიყვარული, არის ცხოვრების გამოცდილება, არის დილემაც – ჩაერიო თუ არა „რომეო და ჯულიეტას" თავდავიწყებულ სიყვარულში, თუ მისცე უფლება ფეხი წაიტეხონ, რომლის მკურნალობის ხარჯები ყველა შემთხვევაში მშობლის გადასახდელია. ჯობს რაც მოსახდენია, მოხდეს, რათა ბოლოს აღმზრდელს არ დაბრალდეს უბედობა და უხეირო არჩევანი.
11646. ყველაფრის შეყვარება შეიძლება, რასაც გიყრძალავენ და ყველაფრის შეძულება, რასაც გაძალებენ, ამიტომ გვინდა თუ არა, ყველამ ჩვენი წილი ფეხის წატეხვის უფლება უნდა მოვიპოვოთ, ასეთია ჩვენი მოდგმის ბუნება.
11647. სხვაზე უპირატესობის შეგრძნება ხანდახან ფანატიკურია და ადამიანი დიდ სიამოვნებას განიცდის მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ მხოლოდ მან იცის, ან ვიწრო წრემ. ამის მაგალითებია ნაქურდალი ნივთების კოლექციონერი, რომელიც თავის სიმდიდრეს ვერავის ვერ გაუმხელს და მზვერავის პროფესია, რომლის საქმიანობის შეფასება ერთეულების ხვედრია. საინტერესო ის არის, რომ ამ ინკოგნიტო სიამოვნებისთვისაც ღირს ცხოვრება.
11648. ზოგის სიძუნწე ასაკის, უღონობის, ცხოვრების გამოცდილების ბრალია.
11649. შემხვედრი აზრების და გამოგონებების დამთხვევა პლაგიატობას სულაც არ ნიშნავს. ეს უფრო კაცის ცხოვრებისადმი სერიოზულ დამოკიდებულებასა და ინფორმაციის უკმარისობაზე მიუთითებს.
11650. ყველა ჩვენგანს უნდა ჰქონდეს ხელშეუხებელი საიდუმლო.
11651. განგების შეცდომაა ბავშვის დაბადება ზედმეტი ჭიქის მიღებისას და ისიც, რომ წესიერ მშობლებს და აღზრდას ვერ აღირსა, მცდელობა ამ გადაცდენის დამახსოვრების, შეცდომის გამოსწორების და განგების შეწუნარების წინამორბედია.

11652. წესიერია საზოგადოება, პიროვნება, რომელიც თავის დროზე იხდის მიწის რენტას და უარს არ ამბობს მოგებიდან გონივრულ გადასახადზე. იგი ქვეყნის ღირსეული შვილია, მაგრამ მთავარია მთავრობის არჩევანი უნდა გააკეთოს გონივრული.

11653. კრივი ხელებით ფარიკაობაა, რომელშიც ხანდახან წამის შესაფერისი „ნოკაუტიც" გამოერევა და „აპერკოტიც".

11654. ხშირად მოდაც იბნევა თავის ფანტაზიაში და ჩვენთვის გაუგებარი ტანსაცმლით ჩვენსავე შემოსვას ცდილობს.

11655. ხანდახან ბედნიერებაა, როდესაც არაფერი გესმის, რადგან ეს პრობლემები როგორც იქნება გაივლის და ნერვები საღად შეგრჩება.

11656. ჩვენ იმიტომ ვცრუობთ, რომ თავზე წარმოდგენა გვაქვს, სიამოვნებას განვიცდით, ოცნების გაქანებას ფრთებს ვასხამთ, ვიღაცას გვინდა ვასიამოვნოთ, უბრალოდ, ამ სენით დაავადებულნი ვართ.

11657. ყველა ეპოქას ისტორია სასეიროდ და გასაყიდად გამოფენს, რათა მყიდველმა გაითვალისწინოს ყველა დროის ღირებულებანი და თავის შთამომავალს უსახსოვროს მისი საუკუნე, გამოუსწორებული შეცდომებით.

11658. დედა არ უნდა ექმაგებოდეს შვილს, პირიქით, უნდა მოუწოდოს თვითონ გაერკვეს ურთიერთობაში სხვა ყმაწვილებთან, თუ უნდა "დედიკოს ბიჭი" და "ქალია" არ გამოვიდეს.

11659. როდესაც ძალიან გინდა რაღაც, უნდა აისრულო კიდეც, რადგან ამ სურვილს საყვედურს ძნელად თუ წაუხვალ.

11660. ტკბილი მოგონებით თავს კარგად გრძნობ, მაგრამ დრო და დრო ნაღველი შემოგაწვება და არ იცი, შენს მოგონებას რა როგორ შემატო, რადგან უკვე დაგვიანებულია.

11661. ყველა პიროვნება "წესიერად იქცევა", განსაკუთრებით ისინი, რომლებიც მეთვალყურეობის ქვეშ არიან და ამის შესახებ იციან.

11662. თანამედროვე საზოგადოება, ყოველთვის მზად არის იმ შეცდომების გამოსასწორებლად, რომელმაც მისი ისტორიული წინაპარი დაღუპვის პირას მიიყვანა, მაგრამ კარიერისკენ უკანონოდ სწრაფვის სურვილის წინაშე ყველა ნაცადი არგუმენტი არარაობად იქცევა.

11663. „მსტოვარი" დასასჯელია არა იმისთვის, რომ ვინმეს ასმენს, არამედ იმისთვის, რომ ადამიანთან ნაცნობობის დაწყებას ჯერ კიდევ შეულახავ, სათუთ ურთიერთობას, ჩასახვისთანავე ბილწავს.

11664. სიმართლის თქმა, რომელიც გვნებთ, ვაჟკაცობაა, შენი თავის წინაშე ვალის მოხდა და შინაგანი სიამის მიღებაა, თუმცა არაკაცისთვის იმ სიმართლის თქმაც არამია, ვაითუ სხვამ ზედმეტად იხეიროს.

11665. თავის დაცვა აუცილებელია, მაგრამ მოწინააღმდეგის განადგურება სავალდებულო არ არის, ხანდახან მისი დასჯა საკმარისია – ეს უფრო ადამიანურია, თუმცა ყოველთვის არ ამართლებს.

11666. ჯობს ბავშვი იუმორით, ირონიით დავტუქსოთ, ვიდრე ქამრით და მკაცრი გაკიცხვით! – უფრო ამართლებს.

11667. ძალიან ძნელია სიმაღლიდან ძირს დაცემა, მაგრამ თვითონ ვართ დამნაშავე, ვინ დაგვაძალა კიბის საფეხურებზე იქამდე ასვლა?
11668. საქმეში მეგობრული განწყობილება სიბრიყვეა, მას საჯარიმო სანქციები უფრო შეეფერება. მაშინ გამოდის ურთიერთპატივისცემა და საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაშორება, წყენა.
11669. უწესო კაცი, აკრძალვის ნებართვის და „ხოშის" გასწორებისთვის ქრთამად ფულს გაიღებს, ეს მე ცოდვად არ მიმაჩნია: მაგ., „ნამორდნიკის" გარეშე ძაღლის ავტობუსში აყვანა, მაგრამ ეს საზოგადოებას რყვნის, რადგან დაუსჯელობის სინდრომი ღვივდება.
11670. ქალის და კეკლუცი მამაკაცების მაწვალებელია მოდა, ხოლო მათი გამომხატველია ცხოვრების მოჯანყე ოპერეტა.
11671. დიდი სპორტი გარკვეულ დრომდე ჟინის კატორღაა, ყვავილებითა და თაყვანისმცემლებით.
11672. სისულელის ჩადენას ჭკვიანი კაცისგან თავისებური ფიზიკური მომზადება და მსახიობობის უნაკლო ნიჭი სჭირდება.
11673. ხალხმა გიწოდოს მაესტრო, ბულბული, მიქელანჯელო, პაგანინი, ჭკუის კოლოფი და სხვა ამგვარი ეპითეტი, თუნდაც დაცინვით – ერთეულთა ხვედრია.
11674. მორგსაც აქვს თავის დღესასწაული, როდესაც ყველასთვის საძულვეელ კაცს იმქვეყნად მიაცილებს.
11675. ეტყობა, სპორტი ხალხს ღმერთმა ნაკლოვანებების მოსაშორებლად მოუვლინა, რათა ახალგაზრდობამ მოჭარბებული ენერგია და ქვენა გრძნობები დროულად დახარჯოს და სხვის ნებასაც ანგარიში გაუწიოს.
11676. მართალია, მსუქნები ცოტას ცოცხლობენ, მაგრამ თავისი წილის გადაჭმას მაინც ახერხებენ და სხვას არაფერს უტოვებენ.
11677. სიცილით ხანდახან იმდენს ვაღწევთ, რასაც მთელი კვირის მოლაპარაკებით ვერ მივაღწევდით.
11678. რეკლამა სხვისი უბედურების გამოყენებითი ექსპლუატაციაა.
11679. როდესაც შენი წინაპარი ისეთ სიმდიდრეს გიტოვებს, რომელიც დღეს ბევრს ღიმილს გვრის, რატომ არ შეიძლება ამ სიმდიდრეს პომპეზურობა შემატო, მუზეუმად აქციო და ფული აკეთო (მაგ. ცხენის, ძაღლის, კატის ძვირფასი სასაფლაო).
11680. თუ კოლეგები შენს აზრს ყურადღებას აქცევენ და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ, ეს ნიშნავს, რომ საქმის სპეციალისტად გცნეს.
11681. ზოგი ისეთი უმადურია, რომ ღმერთის მიერ ნაჩუქარი წითური თმების ტარებას სულ უთმოდ ყოფნა ურჩევნია.
11682. ბუნებასთან კავშირი ხშირად მუცლისგვრემის შედეგია, ხოლო თვალი, ყნოსვა, გემოვნება, მეორეხარისხოვანია, მანამ მისი უდიდებულესობა კუჭი არ დანაყრდება.
11683. ჩვენ სახელისთვის ვიღვწით და არა დიდებისთვის, სხვას რომ არ ჩამოვრჩეთ ამისთვის ვიბრძვით და არა მუცლის ამოყორვისთვის, სიყვარულის ნეტარებას ვნატრობთ და არა „ხიფინგით" მიღებულ სიამოვნებას, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულ შედეგს ვამჯობინებთ ჩვენს სურვილს და მისწრაფებას.

11684. ხალხს ჩვენ ვთავაზობთ იმ თამაშს, რაც ჩვენ მოგვწონს და ხეირს მოგვიტანს და ძალზე გვწყინს თუ ისინი მხარს არ გვიბამენ, მაგრამ ამ ქვეყნიდან მაინც ყველანი ნებაყოფლობით – დაძალებითი თამაშ-თამაშით მივდივართ ჩვენი სურვილის და დროის მიუხედავად.

11685. მოდის ბოლო გამოძახილის პირველად ჩაცმა მანეკენის წესია, ხოლო მისი ტარების უფლება მილიონერის ცოლის ხვედრია.

11686. რუსეთში ძრავების მთავარი კონსტრუქტორი ავტოინსპექციამ გამოცდაზე ძრავების უცოდინარობაში ჩაჭრა, რადგან მას დაავიწყდა ეთქვა, ძრავის ასამუშავებლად საჭიროა გასაღების გადატრიალება, რადგან დილეტან-ტისთვის ზერელე პრაქტიკული ცოდნა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ღრმა თეორიული ცოდნის დედა.

11687. რაც წინათ ცნობისმოყვარეობის საგანს წარმოადგენდა, დღეს ეს კომპრომატი ყველა კომპიუტერისთვის ცნობილია.

11688. სხვისი დახმარების შემყურეს ყოველთვის შეუძლია თავის მართლება – „რომ დამხმარებოდნენო'' – მაგრამ ყველაზე უკეთესად მან იცის, რომ დახმარებოდნენ კიდეც, აქედან არაფერი გამოვიდოდა, ვინაიდან იგი უქნარა და უვარგისია.

11689. თუ მთავრობას ფული არ ჰყოფნის მფრინავის, სატელეფონო კავშირის, ჯარისკაცის,მასწავლებლისა და ექიმისათვის, იმ მთავრობის საქმე წასულია.

11690. უგვანო კანონების მიღება პარლამენტში ხალხის უკურეაქციას იწვევს და მას იშვიათად „ქილერის'' ტყვიით და ხშირად უშედეგო ყბედობით ებრძვიან.

11691. პარლამენტში და ციხეში ყოფნა ერთნაირი ჯოჯოხეთია, შედეგიც ერთია – ორითავეს ავტორიტეტი ემატება თავისიანებში.

11692. დღეს ცალკე რუსების უსიტყვო უსუსურობა მიშლის ნერვებს აშშ-ს მიმართ და ცალკე ქართველების ხმაურიანი უ–რაკო ყარაჩოღელობა რუსეთის მიმართ.

11693. ნაციონალიზმი, შოვინიზმი ისევე იკურნება, როგორც გრიპი, თუ უწამლებთ, ის შვიდ დღეში მორჩება, თუ არა – ერთ კვირაში, ე.ი. დრო სჭირდება.

11694. ზოგიერთი "ნომენკლატურა'' ქილერივით იქცევა: იპარავს, ქრთამს იღებს, მამაძაღლობს, მაგრამ "კომპრომატს'' არ ტოვებს.

11695. სოციალისტურ რეალიზმს და კაპიტალისტურ თავისუფლებას საერთო ერთი აქვთ: თუ არ იქურდე, ისე ადამიანურად ვერ იცხოვრებ. თუ პირველ შემთხვევაში სახელმწიფოს ჰპარავ, მეორეში – მის მიერ დაწესებული გადასახადიდან იპარავ.

11696. გამოთქმას "არც მწვადი დასწვა და არც შამფური'' სიტყვა "პერესტროიკა'' შეესაბამება, იმ პირობით, თუ მას ეყოლებოდა გურმანი, პოლიტიკური ალღოთი დაჯილდოვებული მზარეული, წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი ცნობილია.

11697. "დასახული გზიდან ჩვენ არ გადავალთ'', მაგრამ გზის გამოცვლით თუ არა, მისი შეკეთების გარეშე მაინც არაფერი გამოვა.

11698. მორგი ერთადერთი წესიერი ადგილი იყო, სადაც მიცვალებულთა ქურდობა და გადახარისხება არ ხდებოდა, მაგრამ „პერესტროიკამ'' ეს უკანასკნელი წესიერების შუამავალი, იმქვეყნად გადასაბარგებელი კუნძულიც გარყვნა.

11699. სამწუხაროდ, ჩვენი მიზნები ერთია, მაგრამ გზებია სხვადასხვა.
11700. მტერი თუ კონკურენტი? კარიერისთვის ეს დიდი სხვაობა არ არის.
11701. სამწუხაროდ, ნაციონალიზმიც და პატრიოტიზმიც კვებას მოითხოვს და გაცილებით მეტს, ვიდრე პატიოსნება.
11702. მხატვრული ძალაუფლებაა, როდესაც თანდაყოლილი შემოქმედება, სხვა ქვეყნებში მიღებულ და აპრობირებულ კანონებს, პოლიტიკურ წყობას, გააფეტიშებს და მანამ არ მოისვენებს, სანამ თავისებურად არ გადააკეთებს და ფეხს არ წაიტეხს.
11703. რაც „პერესტროიკის" და დემოკრატიის განუკითხაობის დროს ხალხმა მოიპარა, ერთად რომ დაგვეწყო, რამდენიმე უზარმაზარი მთა აღიმართებოდა, რომლებსაც „დემოკრატიის", „თავისუფლების", „კანონიერების დარღვევის" პიკი ერქმეოდა, მიმტაცებელთა მთათა სისტემაში შემავალი.
11704. პენსიონერებსა და მთავრობას განხეთქილება მხოლოდ მიწის გამოყენების საკითხში აქვთ. მთავრობას უნდა რაც შეიძლება მეტი პენსიონერი ჰყავდეს მიწის ქვეშ, ხოლო ამ უკანასკნელებს უნდათ ეს ადგილი მთავრობას დაუთმონ.
11705. რადგანაც ჩვენ ყველანი კორუმპირებულები ვართ, შეიძლება სხვის თვალში ამაყად დავიხოცოთ, ან ეს სიამაყე მოვთოკოთ, დავფიქრდეთ და იმასაც ანგარიში გაუსწოროთ, ვინც ამ „გზაზე" დაგვაყენა.
11706. ადრე ოცნებით და ქედმაღლობით ვაშენებდით კომუნიზმს მომავალი თაობებისთვის, დღეს კაპიტალიზმის ჯინაზე საკუთარი ჯიბის გახარებას ვცდილობთ და თაობებისთვის და ქედმაღლობისთვის ვეღარ ვიცლით.
11707. ბრძოლა ბრბოსა და ძალას შორის მუდამ ბრბოს „გამარჯვებით" თავდება, რომელსაც ქვეყნის საკეთილდღეოდ კარგი არაფერი მოუტანია.
11708. ჩინეთთან და ინდოეთთან ომის დაწყება ადვილია, დასამარხი სამუშაოების ჩატარება და თავის მართლებაა ძნელი.
11709. თქვი – უმაღლესში ვსწავლობდიო, დიპლომს ვინ შეგიმოწმებს, მით უმეტეს დღეს, როცა დიპლომიანსა და უდიპლომო პრაქტიკოსს შორის ზღვარი თითქმის წაშლილია. ესეც პერესტროიკის საჩუქარია.
11710. რუსის დაუფიქრებელ „კარგ" სურვილებს ხშირად მეზობელი შევიწროვებად იღებს და მანამდე ნაკეთებ სიკეთეს წყალში უყრის.
11711. მოხელის სკამის პრივატიზაცია შეუძლებელია, მაგრამ მასზე წამოსკუპება ყიდვით, ხელის წამორტყმით და დამსახურებითაც შესაძლებელია, მიზანი კი ყველასი ერთია: თავის სასარგებლოდ თანამდებობის გამოყენება, აქვს ამის უნარი თუ არა.
11712. ინგლის-საფრანგეთის 13 წლიან ომში, ფრანგებმა ღვინის სპირტი, გაუსაღებლობის გამო, თავისდაუნებლიედ მუხის კასრებში დააკუპაჟეს და სამყაროს კონიაკის დამზადების ტექნოლოგია ასწავლეს. ასე რომ, დამყაყებულ და მოჩვენებით კეთილდღეობას, ეტყობა დროებითი კრიზისი სჯობს, რომელსაც კაცობრიობის განვითარებისთვის მეტი სარგებელი მოაქვს.

11713. დაპირისპირება, დაუმთავრებელი ომობანას თამაში, ცოცხალი არსების ბუნებაა, ალბათ, მისივე დამსახურებაა მომდევნო ჯანსაღი თაობა და ტექნიკური პროგრესიც.

11714. ისტორია, ეტყობა, ყოველთვის სცოდავს, რადგან ჩემს წინაშე ჩავლილ უახლესი ისტორიის ფაქტებს, ვითომდა ერის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა ისე იბურთავებს, როგორც მოეხასიათება. მაშინ რა უნდა ვთქვათ საუკუნეებგამოვლილ, მრავალჯერ გადაწერილ-გადმოწერილ და „მოთარგმნილ" მატიანეზე, რომელიც ხშირად სახელმწიფო წყობის და პიროვნების ამბიციების ზეწოლით იწერებოდა.

11715. მრავალმხრივი ფაქტები და პროფესიონალური ყბედობა ყურს სიამოვნებს, მაგრამ გონს გვიბნევს, რადგან ის რეალობას, საქმეს ძირს უთხრის და დროს გასაყვანი შოუა.

11716. ქვეყნის მმართველი მთელი სხეულით უნდა გვაჩვენებდეს თუ საით მიჰყავს ქვეყანა, რათა შედეგად, ხალხს მისი უკანალის აჩრდილი და სამი თითის კომბინაცია არ დარჩეს.

11717. ზოგიერთი ქვეყნის მმართველს რომ უყურებ, თავისი უუნარობით როგორ აწვალებს ხალხს, გახსენდება ერთი ეშმაკი ქალის სიტყვები, „მამაშენისთვის რომ მეყურებინა, შვილო, დღეს არც შენ მეყოლებოდიო". ასე რომ, ჩვენ თვითონ თუ არ ვეცადეთ, დრო ისე გაგვიფრინდება, იმასაც ვერ ვიგრძნობთ, მოვედით თუ არა ამქვეყანად, ცხოვრებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

11718. ანარქია იმიტომ არის წესიერების დედა, რომ ერთის ძალადობა მეორეს თრგუნავს და პირველს თავი უცოდველი ჰგონია.

11719. თუ დამნაშავეს ვერას აკლებენ, მაშინ აუცილებელია მისი გმირად გამოცხადება, რათა თავის უსუსურობა არ აღიარონ.

11720. პოლიციელია ის, ვინც დაკავებას უხმაუროდ ახორციელებს და არ დაუშვებს, რომ მას იარაღის ენით ესაუბრონ.

11721. ყველა დროს თავის სიმღერა აქვს და ყველა პიროვნებას თავისი აყვავების დრო. ეს ყოველივე ქვეყნის ისტორიის დინებაზე არის აგებული, რომელიც ხანდახან, ხალხის რჩეულად ვიგინდარას გახდის, ხოლო რჩეული, ბრბოს ჩრდილში ღაფავს სულს.

11722. ნაადრევად გამოთქმული პერსპექტიული წინადადება ხშირ შემთხვევაში იმდენად გაუგებარია მთავრობისათვის, რომ თანამედროვე სახელმწიფო აპარატი ერიდება აუტკივარი თავის ატკივებას.

11723. დიქტატურა ყველა წოდების, ეროვნების, გაგების ხალხს ახრამუნებს, მაგრამ ამისათვის მას ინტერნაციონალისტად არავინ თვლის.

11724. უნიათო ქვეყანას უახლესი ისტორიის გაუქმება არ გამოსდის, ხოლო უკეთესის შექმნის თავი არ აქვს და არის ამ გაწამაწიაში ხალხი, სანამ მამაზეციერი მხსნელად ღირსეულ პირს არ მოუვლენს.

11725. ბიუროკრატი მოხელის ნიჭი, უნარი, დასაფასებელია თუ საქმის კეთებას ხმარდება და თავსაც არ ივიწყებს, და არა მისი ტრფობა სიბრიყვისა როდესაც „რაიმე არ შემეშალოსგან" დაშინებულს არაფრის კეთება არ უნდა.

11726. თუ მეცნიერებას ჭკუანაღრძობი ფანატიზმი სჭირდება, წარმოებას კი – ოპტიმისტი ორგანიზატორი, მაშინ სოფლის მეურნეობას მიწა სჭირდება საკუთრებაში, დაუფასებელი შრომა და იმის შეგრძნება, რომ მიწის შვილი ხარ და სხვაგან არსად გამოდგები.

11727. მექოთნის დაზგამ ბევრ ცივილიზაციას და ტექნიკურ პროგრესს გაუძლო, რადგან ხელების საკეთებელი ფეხებს გადაულოცა და გამოთავისუფლებულმა ხელებმა თავისი ენერგია თიხის ძერწვის ხელოვნებას მოახმარა, ეს ერთადერთი ტექნიკური პროგრესია, რომელმაც არც ნიჭიერების მწვადი დაწვა და არც შემოქმედების შამფური.

11728. ბაზრის მოქალაქის სამშობლო ბაზარია და საეჭვოა, რომ საცხოვრებლად სხვა ქვეყანა ინატროს.

11729. სიტყვა, რომელსაც საქმე არ მოჰყვება, ყველას კარგ ხასიათზე გვაყენებს, მაგრამ სიტყვა, რომელსაც საქმე უნდა მოჰყვეს, ყველას გვაფიქრიანებს, რადგან შრომას გართობა გვირჩევნია, ხოლო ეს უკანასკნელიც რომ მოგვბეზრდება, მერე გვახსენდება საქმე, სადაც შრომა გართობად გვინდა გადავაქციოთ.

11730. ბოროტი კაცის მიერ შემთხვევით გაკეთებული სიკეთე მასაც ახარებს.

11731. სიტყვას თავის ცნობიერება აქვს რომლის მენტალიტეტი ხშირად მის შინაარს, განმარტებას არ ემთხვევა, რადგან მას თავის დატვირთვა, ტონალობა, მუსიკა, ტრფობა, გაჯავრება, დაყვავება, ტრადიცია და სხვა მრავალი ახასიათებს. მაგ. ბოზო, ამხანაგო და ასე შემდეგ.

11732. მტერთან უნდა იმეგობრო და საბოლოო დარტყმა მაშინ მიაყენო, როდესაც არ ელის. ერთი შეხედვით, ეს მოქმედება ჭკუასთან ახლოა, მაგრამ ასეთი ეშმაკობა სახელს გვიტეხავს, ამიტომ მტრობა მაინც პირდაპირი და დაუფარავი სჯობს, უფრო მამაკაცურია.

11733. სამწუხაროდ, ბევრ წყვილს არ შეუძლია ღირსეულ პარტნიორად ყოფნა, განსაკუთრებით, თუ ორივემ ალერსის ფასი იცის.

11734. ქება თავისებური ქრთამის გაღებაა იმათ მიმართ, ვისაც აქებ, რადგან ამქვეყნად საკუთარი თავის წინაშეც კი უანგაროდ არაფერი კეთდება.

11735. მლიქვნელობა თავისებური ხელოვნებაა, ცილისწამება კი წარსულის ხელოსნობაა, რადგან პირველი გსიამოვნებს, გამხიარულებს, მეორეს აფექტით განიცდი და ივიწყებ.

11736. ნათურა არსებობს ედისონის და ილიჩის, მთავარია, ვის ვისი ნახელავი მოსწონს, ვინ ვის გენიას აღიარებს.

11737. კაცობრიობა რაც უფრო მეტად ცდილობს სიცოცხლის გადარჩენას, მით უფრო მეტად ხდება სიკვდილის მსხვერპლი, რადგან ცივილიზაცია, ტექნიკური პროგრესი და ფუფუნებისკენ მისწრაფება ხარკს ითხოვს.

11738. ,,ჭკვიანი'' ხალხი გადამეტებულად თათბირობს და ისე წყვეტს საკითხს, რაც ხშირად საქმის კეთებას კი არა, უსაქმურობას უფრო ჰგავს.

11739. მართალია ბრბოს სიბრიყვეს საზღვარი არა აქვს, მაგრამ ამ ვირეშმაკებსაც რომ არ ელევათ ახალი ხერხები მათ გასაბრიყვებლად? ეტყობა, ნიჭიერებას არ შეუძლია უნიჭობის გვერდით სხეული მოასვენოს.

ღილინ-ღილინით

11740. ახალშექმნილი ბევრი ქვეყნის ისტორია რევოლუციამდე ღალატის, დამცირების და ურთიერთგაუტანლობის მაგალითების კრებულია, რევოლუციის შემდეგ კი სხვის უკანალში ცხვირის ჩაყოფის და მის ხვრელებში ძრომიალის.

11741. სატელევიზიო სერიალების, სექსით და ლამაზი ქალების ყურებით გამოთაყვანებული ქართველი მამაკაცები გონს მოეგნენ და წამოაყენეს ალტერნატიული წინადადება: „თუ რუსის ჯარი გაგყავთ, მაშინ რუსის ქალები დაგვიბრუნეთ, თორე ამ „დისტანციურმა" გარყვნილებამ სული ამოგვხადაო".

11742. რუსეთი თუ მამონტების ქვეყანაა, საქართველო დინოზავრებისაა, რადგან ორივე სახელმწიფოში შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რასაც ამ სახეობის აღდგენა ჰქვია.

11743. უცხო თანამეინახეს თუ გინდა ასიამოვნო, სუფრის ღირებულების მეხუთედი მაინც უნდა გადაახდევინო, რათა თავი უხერხულად არ იგრძნოს. აქ ქართული ხელგაშლილობა მიუღებელია.

11744. არსებობს სამყარო ქალის, სამყარო მამაკაცის, ოღონდ სხვადასხვა ტანსაცმელში გახვეული, სიყვარულისადმი ერთნაირი მიდრეკილებით და სხვადასხვა სურვილებით.

11745. სილამაზე ის ძალაა, რომელიც მდედრის ყველა ცოდვას გვავიწყებს და ვცდილობთ მასთან სიამტკბილობის ბუდე დავიგოთ, ხოლო რამდენად არის იგი მორალურად ამისთვის მზად, ეს ნაკლებად გვაწუხებს.

11746. როგორც ვცხოვრობთ, ისე ვმასხრობთ, როგორც ვმასხრობთ, ისე ვმუშაობთ, როგორც ვმუშაობთ, ისე ვერთობით და ასე მიიზლაზნება ჩვენი დღენი. კარგია თუ ცუდი, ეს ჩვენს გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული.

11747. ყველაზე ჭკვიანური ფულის დაბანდებაა მდედრის ბაღნარშია, რადგან სხვა ყველაფერი წარმავალი და სხვისთვის საანდერძოა, თან გონის საჭყლეტიც, რათა გადანაწილება არ შეგეშალოს და საგინებელი არ გახდე.

11748. ქარს არავითარი უფლება არ აქვს ქალის კაბის ხელყოფის, რადგან ეს ქმედება ლიცენზირებული და ვნების დაბანდებას მოითხოვს.

11749. ჭკვიანმა კაცმა ფუჭ მასლაათში დრო არ უნდა დაკარგოს, უნდა მოერიდოს საზოგადოების თავშეყრის ადგილებს, რათა თავისი გონიერება და ჯანმრთელობა უაზროდ არ გაფლანგოს.

11750. დოლარის ყიდვა გასაიდუმლოებულ ტიპოგრაფიაშიც შეიძლება, თუ მისი ბანკში შეძენის თავი არა გაქვთ, მაგრამ შედეგი აქვს ცუდი.

11751. ვერაფერს იზამთ, სულელებსაც სჭირდებათ თავიანთი თაყვანისმცემლები, ისინიც აფეტიშებენ ამ არაფრისმქონე ბრბოს და ვიგინდარებს.

11752. რა სჯობს სიჩუმეს – სანამ პირს არ გააღებ, არავის არა აქვს უფლება შენზე იფიქროს სულელიაო, ხოლო თქმაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.
11753. დიდ სიამეს განიცდი, როდესაც სხვის სულელურ კითხვებს შენს სულელურ პასუხებს შეაგებებ და ის ამ პასუხებს ქაღალდზე ინიშნავს, რომ არ დაავიწყდეს.
11754. ბაგეებით გადმოცემული აზრი, სიტყვაა, ემოციები, მუსიკა, თვალების გაბრწყინება, იუმორის საუკეთესო აღქმა, ცნობიერებისა, რომელთა შერწყმა და მათში სიმეტრიულობის დაცვა იწვევს ჰარმონიას, ხოლო უცნობი მეექვსე გრძნობის შემოპარვა იწვევს ცხოვრების აწეწვას და აფორიაქებას.
11755. ზოგიერთი წიგნს იმიტომ არ კითხულობს, რომ მწვანე ხეების მოჭრის წინააღმდეგია და მაკულატურის ჩაბარება ეზარება.
11756. კარგი სიმღერა ფსიქოთერაპიული იარაღივით მოქმედებს ადამიანის ემოციებზე, ხალხს აღაფრთოვანებს, ბრბოს კი გაასულელებს – "გააბდლებს".
11757. პირველი აპრილის დღესასწაული შეგიძლია მთელი წელი გაიგრძელო, თუ თქვენს გვერდით დოყლაპიები არიან და მათი მოტყუება ასე ამხიარულებს თქვენს ირგვლივმყოფთ.
11758. დრო, ადრე თუ გვიან, ყველაფერს ნათელს მოჰფენს, მაგრამ არა ყველასთვის. სიმართლის შეცნობის უნარი უნდა დაიმსახურო.
11759. სიცილი, კოლექტიური მხიარულება, სიხარულია, თორემ მარტოდ მოცინარ-მხიარულს გიჟს სახელს არქმევენ. ხოლო კოლექტიური სიცილი გიჟების კატეგორიაში არ გადის.
11760. დღეს დოლარი ისეთი ოქროს ინსტრუმენტია, რომლის მფლობელს შეუძლია სხვაც აამღეროს და თვითონაც ღიღინ-ღიღინით გაატაროს თავისი წუთისოფელი.
11761. დღესასწაულზე მოხვედრის სურვილის მიზეზი და აუცილებელი პირობა დროსტარება, მოლხენა და ურთიერთგაცნობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი დღესასწაულზე ყოფნა ფორმალურია.
11762. ბედნიერება ის სამყაროა, სადაც რეალურად მასში შეღწევა ძნელია, მაგრამ ღირს იქ ყოფნა. განა ოცნების სამყაროს რაიმე შეედრება? ამასთან ბედნიერებამ მოყირჭება იცის და მისგან თავი როგორ დააღწიო არ იცი, რადგან მიეჩვიე.
11763. ძალიან რომანტიული, თავის გამოსაჩენი და გამოსაცდელია შტორმში მოხვედრა, მაგრამ უფრო რომანტიულია და სასიამოვნო იქიდან თავის დაღწევა.
11764. სანუკვარია ის აუხდენელი ოცნება, რომელიც ძილის წინ ამდენ სიამოვნებას გვანიჭებს და ძილის შემდეგ ლოგინიდან წამოდგომას გვაყოვნებინებს.
11765. სიამოვნებას და ბედნიერებას აფიშირებას არ უკეთებენ, რადგან სხვასაც უნდა გაუწიოთ ანგარიში.
11766. თანამეინახეებთან ალკოჰოლის მიღების დროს სულის ნაწილის გაზიარება ხდება, ნარკოტიკების გამოყენებისას შენი კაიფის დაჭერაზე ფიქრობ და სხვისი განაწყენება ფეხებზე გკიდია.
11767. სიმართლე და წამალი ორივე მწარე მისაღებია. ერთი სულის, მეორე სხეულის გაჯანსაღებას ემსახურება. ორთავე კი პროფილაქტიკაა.

11768. სცენაზე დაკარგული აპლოდისმენტები, ოჯახში იღებს კომპენსაციას, კარგად აღზრდილი შვილებისა და მოვლილი, მოსიყვარულე ქმრის სახით.
11769. ზოგს ისეთი ჯიშიანი ძაღლი ჰყავს, რომ თუ იკადრებს, ლოთი უჯიშო პატრონი სახლიდან უნდა გააგდოს, თუ ამქვეყნად ყველაფერს დამსახურების მიხედვით გავანაწილებთ და სამართალია.
11770. ცხოვრება კარგი საკითხავი, სათავგადასავლო რომანივით უნდა ააწყოთ, თუ გინდათ საინტერესო და გასახსენებელი პიროვნება იყოთ.
11771. ბედნიერება საჩუქარია და ყველას სურვილია ის სხვასაც გაუზიაროს, იმგვარად, რომ შურიანი თვალით შემოხედვას გადაურჩეს.
11772. ოცნება ყოველთვის ჩვენს მომავალზე ზრუნავს, სიკეთის გაცემის მცდელობაშია, მაგრამ რამდენად ახერხებს ამას, ეს ჩვენს მადაზეა დამოკიდებული.
11773. დროსტარებიდან სიყვარულამდე ერთი ნაბიჯია, "პახმელიიდან" სიძულვილამდე – ნახევარი.
11774. შენი გამოგონილი სისულელე იმდენად ძვირფასია შენთვის, რომ სხვის სისულელეს გვერდითაც არ გააკარებ.
11775. ცხოვრებაში ოცნების გაჭენების უამრავი საშუალება არსებობს, თუ უნარი გაქვს ბოლომდე შეიგრძნო ეს სიამოვნება.
11776. როდესაც ცხოვრება საინტერესოა, დროც სწრაფად გარბის, მაგრამ ასე აჩქარებული სირბილი ბედნიერებაა თუ არა, ეს საკითხავია.
11777. როდესაც ხვდები, რომ ყველას თავისი წილი კრამიტი დაცურებული აქვს, ცხოვრება გიადვილდება და სიბერესაც იმედიანად უყურებ.
11778. მთელი ცხოვრება შაბათ-კვირის დასვენების ტიხრის, ახლად დაწყებული თვის გაკვირვების, ზამთარ-ზაფხულის დიალოგით გადაგორების და ახალი წლის დადგომის სიხარულის მოლოდინში და იმქვეყნად გადაბარგების გაცნობიერებაში ვართ.
11779. ყრმას ბავშვობიდანვე თვალებში სინათლე უნდა ჩაუყენოს აღმზრდელმა და ქვეყანამ, თუ გვინდა მისგან პიროვნება და სახელმწიფოს მსახური მივიღოთ და არა მოსამსახურე.
11780. ზოგი ისეთი უცნაური ჭკუის პატრონია, რომ ხარიდან რძის მიღებას ცდილობს, ხოჭოდან – თაფლისას და ამ ცდებს ევოლუციის თეორიით ამართლებს.
11781. შექმნა მშვენიერება შენი თავის გასახსენებლად, ამის წარმოდგენა დიდი ბედნიერებაა.
11782. ჭკვიანები ფეხით დაბრძანდებიან, სულელები – მანქანით, მაგრამ მათ მაინც ვერ ეწევიან.
11783. მახსოვრობას და უფულობას ყველა უჩივის, აზროვნებას და მოხერხებულობას – არავინ.
11784. გარყვნას და გათახსირებას თავის ცოდნა და თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება, რადგან აქ ისეთი მომენტებია, რასაც ყველა ვერ იკისრებს.
11785. ვნება ჭკვიანს სულელად აქცევს, მაგრამ ვერავითარი ვნება სულელს ჭკუაზე ვერ მოიყვანს.

11786. დღევანდელი ჩვენი ცხოვრება დეტექტივივით ადვილად იკითხება და ადვილადვე დავიწყებას მიეცემა, რადგან შინაარსიანი წიგნის კითხვის არც მოთხოვნილებაა და არც სურვილი, მიზეზი: ყველას ყველაფრის ადვილად მიღების სურვილი გაგვიჩნდა.

11787. ერთს „პლანი" აქვს, მეორეს „კაიფი". ასევეა ცხოვრებაში: ერთი პროცესებს გეგმავს, მეორე სიამოვნების შედეგს იმკის.

11788. უზრუნველი ცხოვრება ყოველთვის კარგი საქმის კეთების მასწავლებლად არ გამოდგება.

11789. თაფლობის თვეშიც შეიძლება დინდგელის მირთმევა, თუ ქორწინებისთვის არ ვიყავით მზად.

11790. პრესტიჟსა და დაუმუშავებელ ალმასს შორის ის მსგავსებაა, რომ ორივეს ფასის დადგენაა ძნელი.

11791. ცხოვრების ნათება მხოლოდ დარდიმანდი ნიჭის ხვედრია.

11792. არის მუცლის, არის სულის დღესასწაული, მაგრამ მათ გასახალისებლად სუფრის გარეშე სასიკეთო მიანც არაფერი გამოდის.

11793. ნიჭი და უნარია სხვა გააცინო ან ატირო, მაგრამ პირველი ღმერთის საჩუქარია, ხოლო მეორე – მისივე მადლი.

11794. ჯილდო ქორწინებასავითაა, როდესაც პრემიის მიღებით ამპარტავნობას დაიკმაყოფილებ, შემდეგ მისი მზითევით ინტერესდები.

11795. დასვენებაც თავისებური თეატრია, ფლირტია, კუჭის ამოყორვაა, ფულის ხარჯვაა და მაინც სამსახურის მონატრებაა.

11796. სულს დღესასწაული სჭირდება, ჯიბეს – ფული, რათა ამქვეყნის ამაოება ბოლომდე შეიგრძნოს.

11797. 100 წელს გადაცილებული კაცის იმქვეყნად გასტუმრებას უფრო ზეიმის იერსახე დაჰკრავს, ვიდრე მწუხრის, ნახეთ რა მაგრები ვართ აქამდე მივაღწევინეთო.

11798. სასურველ საჩუქარს თვალი ამჩნევს და ხარობს, ხოლო სული ლაღობს.

11799. სიხარულიც თავის საზღვრებში უნდა ჩავტიოთ და თავისი ადგილი მივუჩინოთ.

11800. ასაკს აქვს უფლება ჩვენს საზოგადოებრივ თვითშეგნებას უპატივისცემულოდ მოეპყროს და დასცინოს.

11801. ტექნიკური პროგრესი თავისებური მანქანაა, რომელიც საუკუნეების ცდომილებათა ღელვაში სიჩქარის მომატებას ცდილობს, მაგრამ თავადაც ძველდება და საჭირო ხდება მისი დროებით აჯანყებებით, რევოლუციებით, „პერესტროიკით" შეკეთება, რათა საზოგადოების განვითარების მანქანა წესრიგში იყოს და თანდათან სიჩქარეს მოუმატოს.

11802. სინდისი არ იყიდება, მაგრამ მისით ვაჭრობა სიამოვნებას გგვრის, როდესაც ვიღაცის ჯინზე არ ყიდი.

11803. ზოგჯერ ლოგიკა უმთავრესია, ვიდრე ჭეშმარიტება, რადგან პირველს ორატორობა და პოპულიზმი ეხერხება, ხოლო მეორე ერთადერთია და განყენებული დგას.

11804. მარტოობაც თავისებური დღესასწაულია, ვინც მისი ფასი და გამოყენება იცის.
11805. ნამდვილი სიამოვნების მიღებას დრო სჭირდება, რადგან ყოველივე ხალასის და სამართლიანის გააზრება ჭკუის ჭყლეტას მოითხოვს.
11806. თავქარიანობის ფორმულაა: გალაღებული სული შეფარდებული მოუშუშებელ გონებასთან და გამრავლებული თავხედობაზე.
11807. ღვინის სმის მადლი სუფრის წევრების გული გახსნასა და ენამზეობაშია და არა დათრობასა და ღრეობაში.
11808. ყველა ხუმრობაში ჩვენი სურვილის 100% სიმართლე იმალება.
11809. ჭეშმარიტება ხანდახან მეგობარსაც უნდა დაუმალო, რათა თქვენს მეგობრობას ამით არ ევნოს.
11810. იყო ჭკუანაღრძობი კარგი გაგებით, დიდი ბედნიერებაა, თუ საშუალება გაქვს შენი აზრების ხაბა-ხუბით ისიამოვნო და სხვაც ასიამოვნო.
11811. ხანდახან „გამოგივა" იმდენ ძალას და ენერგიას წაიღებს, რომ სიცილის, სიხარულის თავიც არ გაქვს, რათა შენი ნაოცნებარის ასრულებით გაიხარო.
12. სიყვარულის, სიხარულის, ბედნიერების, კოქტეილი ჯერჯერობით ცხოვრების ბოლომდე არავის შეუსვამს.
13. მიუხედავად იმისა, რომ აზარტი ზოგჯერ გამაკოტრებელია, მაინც უკვდავია და მის გარეშე ვერც ცხოვრება წაიწევდა წინ და ვერც პროგრესი იარსებებდა.
14. თუ გინდათ სიცოცხლე გაიხანგრძლივოთ, თავი აარიდეთ სისულელით გამოწვეულ ემოციებს და იუდასთან შეხვედრას.
15. საქმე საბოლოო შედეგით შეიცნობა და არა – ტრაბახით.
16. ღირსების შეფასება პირადულია, პატივი კი საზოგადოა. ამ ორი რამის დამთხვევა სულის ზეიმია და სიამის მომგვრელი.
17. წესრიგი სილამაზე, მშვენიერება და გონიერებაა, მის დანახვას შესაფერისი ქვეყანა და მრევლი სჭირდება.
18. ეტყობა პატიოსნება სამოთხეშიც ამაყად, გაუხარებლად, იუმორის გარეშე და ღარიბად ცხოვრობს.
19. უგერგილო კაცს ბევრი წიგნის კითხვა ვერ შველის, უგერგილობა ხეირად რომ აქციოს.
20. გემოვნებასაც აქვს თავისი სახელი, რომლის ინტიმი მხოლოდ შენთვისაა ცნობილი.
21. ცხოვრებაში სასწაულები, რომლის დანახვის, შეგრძნების, გათავისების, უნარი არც გვაქვს და არც გვჭირდება, არასდროს არ გვყოფნის.
22. ფანატიზმისთვის არავითარი უგვანო არ არსებობს სურვილის ასასრულებლად, მიზნის მისაღწევად და ისტორიაში იუმორით შესასვლელად.
23. ორი პიროვნების ფუჭე-ფუჭე საუბარიც კი პროგრესის და საქმის კეთების საწინდარი.
24. ყველაზე საამური ამქვეყნად, ალბათ, საყვარელი საქმის გატაცებით კეთებაა, თუ შემოსავალიც ახლავს – კიდევ უკეთესი.

11825. ნიჭი ისეთი ყურუმსაღი რამ არის, რომ უგვანო ადამიანსაც კი აიძულებს აკეთოს ის, რის გაკეთებასაც ის არ იფიქრებდა: შუაღამით, სიცივეში, საცვლების ამარა ზეზე წამოგაგდებს, გაფიქრებს, გაგაწამებს, გაცოდვილებს და უზომოდ დიდ სიამოვნებასაც განგაცდევინებს ყოველგვარი სექსის და მოფერების გარეშე.

11826. ყველაფერი სიამოვნებით, შემართებით უნდა ვაკეთოთ, თუ გვინდა საკუთრივ ცხოვრება და მისი სათუო-საამაყო კაიფიც შევიცნოთ, რადგან თუ არ გეხალისება, არც ცუდი, არც კარგი არ უნდა აკეთო.

11827. თვალი, რომელიც თვალს გისწორებს, ზურგს არ გაქცევს, მუდამ ციმციმებს და იღიმება, ყოველთვის ან დამპყრობელის ან დაპყრობილის როლში გამოდის.

11828. 100 წელს გადაცილებულ მამაკაცს არ შეეძლო სულ ღიღინ-ღიღინით არ გაეცილებინა თავის თანამეცხედრენი და ახლობლები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ასაკს ვერ მიაღწევდა.

11829. ბედნიერებაა, როდესაც ადამიანს არც წარსულზე ფიქრი აწუხებს და არც მომავალზე, ის მხოლოდ აწმყოთი ტკბება და ცხოვრობს ისე, რომ მასზე არ ფიქრობს.

11830. ხარისხის და ღიმილის გაგებაა ძნელი, თორემ სიცილი ყველამ თავისებური და ისეთი ვიცით, რაც ჩვენი გემოვნების და გონიერების შესაფერისია.

11831. რწმენის და ფულის გარეშე ცხოვრება ჭირს, მაგრამ არსებობა და დროსტარებაც შეიძლება, თუ ყველაფერი ფეხებზედ გკიდია.

11832. შენს ირგვლივ ყოველთვის დღესასწაული, ზეიმი უნდა შექმნა ყველას ჯინაზე, ყველას გულისთვის.

11833. სიცილი ჭკვიანი კაცისთვის წამალია, რომელიც თანამედროვეთა ნაკლს კრიჭაში უდგას და თანამეინახეებთან ერთად მათზე იცინის და ცხოვრებას უფრო მშვიდად და საღი თვალით უყურებს.

11834. შუამავლობა სიკეთესა და ბოროტებას შორის ძნელი პროფესიაა და საუკუნეების გამოცდილება – ჭირვეულობაზე და მოხერხებულობაზეა დამოკიდებული.

11835. სხვისი ცოლის მოხიბვლა, გადაბირება, ადვილია, მისი ქმრისათვის უკან დაბრუნება – ძნელი.

11836. ზოგიერთი მიცვალებული ქალი მოტირალებზე უკეთ გამოიყურება, რადგან კოსმეტიკამ და ნაოჭების გაჩენის შიშმა „ჭირი მოჭამა", ხოლო მის იმქვეყნად გამცილებელ ქალებს ყოველივე ეს წინ აქვთ.

11837. მთავარი სიცილი კი არ არის, არამედ მისი რაციონალურად გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისით ბრიყვები ან სარგებლობენ ან არა.

11838. ვიღაცამ თავის დროზე იფანტაზიორა და რაღაც წამოცდა, რომელიც ხალხმა ტრადიციად, რწმენად აქცია, მიუხედავად მისი სიბრიყვისა, დღესაც მის რევიზიას არავინ ცდილობს, რადგან ხანდაზმულ ლეგენდას თავის კაიფი და თვითმყოფადობის სურნელი ასდის.

11839. ასაკში კომფორტისკენ მისწრაფება ცხოვრების ფასის რკვევამ, ძალის გამოცლამ იცის და არა გონიერების და სიმდიდრის დაგროვებამ.

11840. რა ცოტა, ჭირდება ადამიანს სულის ვნების საამებლად – სიტყვა, რა ბევრი ხორცის დასატკბობად – ფული, ხოლო მისი ამბიციების დასაოკებლად ცხვირში ერთი ამორტყმაც საკმარისია.

11841. კოცნისთვის მარტო მრთოლვალე ტუჩები არ კმარა, მას გრძნობათა ჩოჩქოლიც უნდა ახდეს.

11842. მექალთანე ქმრებს უმტკიცებს, რომ პირველის ცოლთან მას არავითარი ურთიერთობა არ ააქვს, ხოლო მეორესთან შეუძლებელია რაიმე ჰქონოდა, იმდენად დაგლახავებულან ეს ქალები მათ ხელში.

11843. ქალის მოდიდო ლამაზი დოლაბები, ეს არის მამაკაცთა აღფრთოვანების და გემრიელად შეკურთხების საშვი მისი დაბინდული ცნობიერებისათვის.

11844. სიბერე სიხარულის მომტანი აუცილებლობაა, რადგან დროზე ადრე იმქვეყნად თავი არ ამოჰყავი.

11845. ჰუმანიტარებს ციფრები და ანალიზი ნერვებს უშლით, მაგრამ ფულის დათვლა და დასახარჯი ადგილების ძებნა არ ეშლებათ.

11846. ხანდახან ახალგაზრდული შეცდომა, ხელმოცარული ბედის წყალობით, ყველაზე დიდ გონიერებად და შვებად მოგვევლინება, თუ აღმოჩნდება, რომ სადღაც შვილი გყავს ან „ხელის მთხოვნელებისთვის რომ მეცადა, არც შენ მეყოლებოდი" – ეტრაბახება დედა შვილს.

11847. ჩვეულებრივ მოკვდავს ილუზიებით ცხოვრება განტვირთავს, ხოლო ილუზიების მატარებელ შემოქმედს – ხშირად ალკოჰოლი, სიგარეტი და ბრიყვი ჩვევები.

11848. სხვა მდედრის დროებითი პრივატიზაცია, მამრის მსოფლმხედველობის დასაფიქრებელი ელემენტია, რომელიც ოჯახს დანგრევით არ უნდა ემუქრებოდეს.

11849. წინაპრების ჩადენილ შეცდომებს და ცოდვებს ყველა თაობა მეტ-ნაკლებად იმკის, რათა თავადაც ამგვარი სიმდიდრე დაუტოვოს თავის ნაშიერს.

11850. ზოგჯერ ხულიგნური ქცევაც მისაღებია, თუ ის მომხიბვლელად და გონებამახვილობით კეთდება.

11851. ეგოისტური რომანია, როდესაც შენთვის ძვირფას მეწყვილეს ემოციების დროს სისულელის ჩადენის, თავის ჭკუაზე ცხოვრების, სიამოვნების, განცდის, საშუალებას არ აძლევ რათა სიცოცხლის დაისზე წარსული ღიმილნარევი სევდით გაიხსენოს.

11852. ანკესით თევზის ჭერა თავისებური ონანიზმია, რომელსაც მეთევზისათვის უდიდესი სიამოვნება მოაქვს ორგაზმის გარეშე.

11853. ყველაფრის შენს ჭკუაზე გავარჯიშება შეიძლება, მათ შორის, შენი უჭკუობისაც.

11854. ჩვენ ამ სამყაროს მოსალოდნელ უკულმართობაში სერიოზულად ვერ ვერკვევით და ამიტომაც ყველანი ერთნაირად უდარდელად ვცხოვრობთ.

11855. ქალიშვილს, რომელიც თავის ასაკს დაუფარავად ამხელს, ავიწყდება, რომ უნდა იფიქროს სახლში დარჩენილ გაუთხოვარ უფროს დებზე და კეკლუცობისთვის გამზადებულ დედაზე.

11856. წარსულზე ეჭვიანობა ყველას გვაღელვებს და გვახალისებს, მაგრამ მასზე ყურადღების გამახვილება არ ღირს, რადგან ყოველივე უკვე წარსულშია.
11857. ქალაქი სოფლის გონიერების სალესავია, ხოლო სოფელი ქალაქის უგონოდ მუცლის ამოსაყორი.
11858. დღევანდელ სამოთხედ უნდა ჩაითვალოს ამერიკელის ხელფასი, ინგლისელის სახლი, ქართული სუფრა, რუსის ქალი. ჯოჯოხეთად კი – ამერიკელი ქალი, ინგლისური სუფრა, რუსული სახლი, ქართული ხელფასი.
11859. იუმორის გრძნობა ინტელექტის მაჩვენებელია, ანეგდოტის მოყოლა მსახიობის ნიჭის მომადლებას ნიშნავს, შაირობის სიყვარული ენამოსწრებულობაზე მიგვითითებს, იგავების შემქმნელი სიბრძნეს არის დაახლოებული, ხოლო ცხოვრებაზე დაკვირვების დიდოსტატი აფორიზმების ავტორია.
11860. მიუხედავად იმისა, რომ ისტორია მეორდება, დღევანდელი ისტორიკოსი გაცილებით უკეთ მსჯელობს თუ რა იყო 20 საუკუნის წინათ, ვიდრე დღევანდელ დღეს.
11861. სიურპრიზად ვერ ჩავთვლით, თუ ასი წლის შემდეგ შენს გამოსახულებას საფლავზე ვერ ნახავენ, სიურპრიზი იქნებოდა, ეს რომ ასი წლის წინ არ მომხდარიყო.
11862. გამბედავს ხმალს აძლევენ, მშიშარას კი – ცხენს გასაქცევად. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ, მოპოვებულ წარმატებას ორივენი იმკიან. თან, მშიშარა კიდეც გამადლის, მე რომ არ გავქცეულიყავი, ხელს შეგიშლიდი და შენ ვერ გაიმარჯვებდიო.
11863. როდესაც დაბადების დღეს არცერთი გარეწარი არ გილოცავთ, ეს იმის მაჩვენებელი კი არ არის, რომ თქვენ უკეთესი გახდით, უბრალოდ დაბერდით და არავის სჭირდებით.
11864. ძნელია მდიდარ კაცს რაიმე საჩუქრით ასიამოვნო და გაამხიარულო, მაგრამ გამოინახება ისეთი "ვუნდერკინდიც", რომელიც მილიარდერს ავტობუსში უფასო მგზავრობის მუდმივ ბილეთს ჩუქნის და თავისი იუმორით ყველას ამხიარულებს.
11865. ხანდახან უნდა მოიპოვო, მიიღო, მიითვისო, რათა გაიგო, რომ შენ ის არ გჭირდება, არ გერგება და არამია შენზე.
11866. რეკლამა სათადარიგო მშობელია, რომელიც ცდილობს იმგვარად შეცვალოს ჩვენი აზროვნება, მენტალიტეტი, მოხმარების კულტურა, რომ მის გარეშე თავი ობოლ რობოტებივით ვიგრძნოთ და მეგობრობის, ქალის, სიყვარულის მოხმარების საგნების ჩვენებური გაგება დაგვავიწყოს.
11867. თანამდებობა, ტიტული, ორდენი, პრემია მისთვის არსებობს, რომ ჩვენთვის უცნობ პიროვნებაზე ზერელე წარმოდგენა ვიქონიოთ და თან ვიამაყოთ, რომ მათთან ურთიერთობის ღირსნი გავხდით.
11868. ბედნიერებაა, როდესაც პარტნიორს აღმოაჩნდება უნარი შენი ფიზიკური და სულიერი ვნების დასაკმაყოფილებლად.
11869. სისულელის ჩადენაც შენი ნიჭის, აფექტის, საკუთრება უნდა იყოს, რომელშიც ვერავინ შეგეცილება.

11870. ადამიანის დასასჯელად ყოველთვის მათრახი არ გამოდგება, ზოგჯერ მისი დასჯა შაქრის მიცემითაც შეიძლება, იმ რაოდენობით, რომ დიაბეტად არ გადაეზარდოს.

11871. კარგი კვება, ღიმილი, ხასიათზე ყოფნა, სექსი, აუცილებელია მამაკაცის ღირსების პოტენციალის გამოსავლინებლად, ოღონდ მთავარია რიგი არ შეგვეშალოს და უკუღმა არ დავიწყოთ.

11872. რამდენჯერაც ჩვენი კონსტიტუცია წავიკითხე, იმდენჯერ სათვალე დავკარგე, ეტყობა, ან ახალი სათვალეა შესაძენი, ან კონსტიტუცია შესაცვლელი.

11873. კაცს სადღეგრძელოში სიცოცხლის გარდა როცა სხვას არაფერს უსურვებენ, მას ეტყობა შფოთიანი ცხოვრების აისი ისე გაუვლია, რომ ცხოვრების დაისში მას სანატრელი აღარაფერი დარჩენია.

11874. ცხოვრებაში სისულელის ჩადენის ლიცენზიის მოპოვებაა ყველაზე ძნელი.

11875. კარიერა პატარ-პატარა მუხანათობის, გამყიდველობის, მლიქვნელობის, მოთმინების და მაინც ნიჭის შედეგია.

11876. ფეხების მეტი დატვირთვა და ტვინის ხახუნის შემცირება ჯანმრთელობის საწინდარია და აქ გამოთქმა „უტვინო თავი ფეხებს ზედმეტ დატვირთვას აძლევსო" ყოველთვის ჭეშმარიტებას არ გამოდგება, რადგან ადამიანის თავის გაუნძრევლობის შედეგად მიღებულ ჯანმრთელობასთან გვაქვს საქმე.

11877. ფილოსოფია იმ მაუდის ცოხნას ცდილობს, რომელშიც უნდა შეახვიონ და იმქვეყნად უხმაუროდ გაისტუმრონ.

11878. სილამაზესაც და გონიერებასაც თურმე თავისი მოდა აქვს და ეს არის ამ საუკუნის საოცრება

11879. ქალებში დაბანდებული ფული შენი სულის საამებლად დახარჯული ფულია, ოღონდ გარკვეულ დრომდე, აღმაფრენამდე და გარკვეულ მოგონებამდე.

11880. ყველა ცოცხალ არსებას თავისი ფინიში აქვს, ზოგს ადამიანის წყალობით, ზოგსაც ბუნების კანონით.

11881. იმ ქვეყნად გადასახლებულ ღირსეულს, ამქვეყნსაგან განსხვავებით, ქება-დიდებას არავინ დააკლებს, მაგრამ მისი გენიალობის შემფასებლების და მლიქვნელთა დოღში მონაწილეთა დაუნახაობა, იმქვეყნად წასულს სიამეს აღარ გვრის.

11882. ევოლუციის თესლის იქ ჩაგდება, სადაც გონების ყამირი მოუხნავია და სულის უდაბნო მოურწყავია, არასდროს სიახლის სასურველ შედეგს არ მოგვცემს.

11883. ავტომობილი იმიტომ არსებობს, რომ ხანდახან საკაიფოდ უნდა მოეშვა, ხოლო საგზაო პოლიიცია იმიტომ იმყოფება გზებზე, რომ ამ მოდუნების სავალალო შედეგი თავიდან აგვაცილოს. ასე რომ მძღოლებსა და პოლიციას შორის ანტაგონისტური დამოკიდებულება კი არ არის, არამედ მამა-შვილური და ეს მზრუნველობა ხანდახან მამების დაფინანსებით მთავრდება.

11884. ფსიქოთერაპევტს ყოველი ჩვენგანი უნდა გაესინჯოს, რადგან ვისაც თავი ნაპოლეონად წარმოუდგენია, ის სხვას მიჰყავს სამკურნალოდ, ხოლო ვისაც თავზე წარმოდგენა არ გააჩნია, ქე რჩება უმკურნალოდ.

11885. თქვენგან განსხვავებით, თუ თქვენი მეგობარი პირველკაცობისთვის ემზადება და ყოველგვარ მაკომპრომეტირებელ სიტუაციაში მოხვედრისაგან თავს იზღვევს, თქვენ რა გსჯით, მას რომ ბაძავთ და თქვენი ცხოვრებით არ ლაღობთ?

11886. მთლად გაჩხიკინებული არც ქალი ვარგა და არც კაცი, მაგრამ არც საზამთრო უქნია ღმერთს სანახავად ფეხებზე შემოსკუპებული.

11887. ჩვენი მთავრობა რამდენჯერმე ერთი და იგივე სისულელეს იმიტომ სჩადის, რომ ხალხი გაამხიარულოს, თუმცა ამ სისულელეებს რა შედეგი მოჰყვება, არც მთავრობა ფიქრობს და არც მათი ქვეშევრდომები.

11888. განაჩენის გამოტანისას ფეხზე დგომით მოსმენა შეიძლება სინონიმი იყოს იმისა, რომ ციხეში ჯდომის პერსპექტივა ყველა აქ შეკრებილს აქვს.

11889. ჭადრაკის თამაშის დროს მოწინააღმდეგე უპასუხისმგებლოდ მოთამაშე პოლიტიკოსს ეუბნება: ასე თამაში არ შეიძლება, შენს მეფეს დავატყვევებო. მე კიდევ რესპუბლიკას გამოვაცხადებ და თამაშს გავაგრძელებო, – პასუხობს იგი.

11890. თუ 120 კილოგრამი ქალი გეძლეოდათ ცოლად, კეთილი უნდა გენებათ და მოგეყვანთ, რადგან ხომ შეიძლებოდა თქვენს ხელში მისი წონა განახევრებულიყო და დღეს საზოგადოებას ეყოლებოდა საერთო გაგების სტანდარტული ოჯახი შექმნელი ტანწერწეტა ქალი.

11891. ქალაქში ისეთი ჰაერია, არა მარტო სუნთქვა, მისი დანახვა და ხელის შეხებაც კი შესაძლებელია.

11892. ძაღლის კინოთეატრში შეშვებაზე კონტროლიორმა შეიძლება უარი გითხრათ, მაგრამ თქვენ უნდა გამოიჩინოთ კეთილგონიერება და იგი გააფრთხილოთ, რომ ამის შესახებ ძაღლს არაფერი გააგებინოს.

11893. მოხერხებული ქვრივი ქმრის საფლავზე დადგმულ ობელისკსაც რეკლამისთვის გამოიყენებს: „აქ განისვენებს ნიკუა, რომელსაც ცხარე ცრემლით დასტირის მარუა, რომლის რესტორანი მდებარეობს სასაფლაოს გვერდით და კერძებს ყიდის ხელმისაწვდომ ფასებში".

11894. მოხერხებული ჯარისკაცი გენერლის ფორმას გადაიცმევს, მოწინააღმდეგეს ტყვედ დანებდება და ამით ამ წოდებას მიისაკუთრებს.

11895. ადამიანი შეუღლებულია სახლთან, მანქანასთან, ტელევიზორთან, სამსახურთან, ხოლო მეხუთე ცოლის მოყვანის ნებას მუსულმანური სარწმუნოებაც კი არ აძლევს.

11896. „ომონის" /განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმი/ სასამსახურო ძაღლებს ჯავშანჟილეტები აცვიათ, მაგრამ ზოგისთვის გაურკვეველია, ამ ჟილეტს ხალხის ოთხფეხა თუ ორფეხა დამცველები ატარებენ.

11897. ზოგჯერ თავი გენიადაც მიგვაჩნია და უვიც ტალანტადაც. გააჩნია, რა ხასიათზე ვართ.

11898. მოზაურობა და მივლინება ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ, მაგრამ გონიერი კაცის ხელში მათი გაერთიანება შესაძლებელი ხდება.

11899. ზოგი „კეთილისმდომი" წებოს წელშია დაბადებული და მისი მოშორება „პრობლემებთან" არის დაკავშირებული.

11900. ვისაც გულში ჩამწვდომი, მანათობელი ღიმილი ეხერხება, მას ან სცენაზე ან ოჯახში გარანტირებული აქვს ვარსკვლავის ტიტული.
11901. ნუგბარის დანახვაზე ვერც პირს ენდობი კაცი და ვერც კუჭს, ექიმს რაც უნდა მკაცრი დიეტისთვის ჰყავდე გაწირული.
11902. შენზე დატირებას ისევ შენზე გაცინება სჯობს, რადგან პირველიდან განსხვავებით, ხანდახან იქნებ შენც შეგხვდეს მხიარულება.
11903. თაფლობის თვის დასასრულს იწყებს გონება გამონათებას, მაგრამ უკვე დაგვიანებულია.
11904. სპონსორი შეიძლება კარგი ამინდიც იყოს, გააჩნია სად და ვის სჭირდება.
11905. ცუდ ხასიათზე ყოფნა შეიძლება ბოთლში ან ქალთან ალერსში ჩავახშოთ, მაგრამ უკანასკნელი სჯობს, ნაბახუსევზე გამოსვლა არ დაგვჭირდება.
11906. ადრე, გასათხოვარ ქალს აბანოში ნახულობდნენ, ეხლა კი მისი კბილების შემოწმება დანტისტთან არის საჭირო, რომ მოდას აყოლილმა უდროო-დროს კბილების იმპლანტაცია არ მოგთხოვოთ და ვინ იცის, იქნებ ისე გალამაზდეს, რომ თავიდან მოგიხდეთ ხელის თხოვნა და შეიძლება უარიც გტკიცონ. – რა იცით?
11907. ქალის სურვილის ასრულება მამაკაცისთვის კანონია, ხოლო ქალის სურვილის ასრულებას ზოგჯერ მამაკაცი მართლმსაჯულებამდე მიჰყავს.
11908. მეთევზეები ერთმანეთს ეტრაბახებიან: გუშინ ასკილოგრამიანი თევზი დავიჭირე ანკესით, მე კი ანკესით სანთელანთებული შანდალი ამოვიღე, რომელზეც ორმოცდაათკილოგრამიან თევზს კბილები ჩაეჭიდა. ნამეტანი ტყუილის შერცხვა პირველ მეთევზეს და შესთავაზა მეორეს „მე თუ ორმოცდაათ კგ დავაკლებ ჩემს დაჭერილ თევზს, შენ არ შეგიძლია შანდალი სანთლის გარეშე ამოიღო?" ასე რომ კომპრომისი ტყუილშიაც კი არის შესაძლებელი.
11909. რაგბი, მიუხედავად კოლექტიური თამაშისა, ძალზედ პიროვნული სპორტია, რადგან მასში პირველადი აზროვნების მოთხოვნებია, ამის შემდეგ მოდის ტექნიკა და მოედნის ხედვა.
11910. როგორც ცხოვრების გასავლელი მარათონი, ასევე რაგბის ტურნირიც, სენსაციების და მოულოდნელობის გარეშე სილაღეს კარგავს, მაგრამ არა საკუთარ კერპებს.
11911. თამაშის ანგარიში, რაგბში ყოველთვის არ გამოხატავს შერკინების აზარტს, შემართებას, მაგრამ დაუმსახურებლად და შემთხვევის წყალობით იშვიათად თუ ვინმეს ვინმესთვის უჯობნია.
11912. რაგბი უფრო მოწოდების, სულის კარნახის შერკინებაა, ვიდრე მოჯადოებული ძალის ხარჯვის ძიება და გულისხმევა.
11913. რაგბსაც და ნარდსაც აქვთ საერთო, რაც ნარდის თამაშისას არის საჭირო წყვილის გაგორება, იგივეა რაგბში მოხერხებული ფეხის თამაშით დროულად ბურთის აუტში გადატანა.

ყოფნა-არყოფნა

11914. ინტერნაციონალიზმი თავისი ნებით მოსული სტუმრის საზეიმო მიღებას და სუფრის გაშლას ნიშნავს, პატრიოტიზმი შენიანების ყოველდღიურ ყურებას შეჩვეულ სალაფავს, მაგრამ მაინც ამ უკანასკნელის გონიერებაზეა დამოკიდებული აბორიგენების ყოფნა-არყოფნის საკითხი.

11915. დამარხეს, დაასაფლავეს, დაკრძალეს ან გარდაიცვალა, მოკვდა, მიიცვალა, წერილი წაიღო, გავიდა გაღმა, ჩაძაღლდა, რამდენი ფეტიში და პატივისცემის ხარისხის სინონიმია ამ სიტყვებში, რადგან საქართველოში ხანდახან გარდაცვალება უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე სიცოცხლე.

11916. ძნელია ისე იცხოვრო, რასაც შენი ასაკი გკარნახობს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მოკარნახეს ვერ ხედავ.

11917. პატიოსნები მაშინვე ქორწინდებიან და დროულად იყრებიან, უწესონი ქორწინებისთვის დროს ვერ ნახულობენ და უღელში გასაყოფ დროის დადგენას და სახსარს ელოდებიან.

11918. კარგია, როდესაც შვილები ყოველთვის ისე არ იზრდებიან, როგორც მშობლებს უნდათ, რადგან კაცობრიობა ვერ განვითარდებოდა, რამე თუ ისინი მხოლოდ მომხვეჭელობაზე იფიქრებდნენ.

11919. ცხოვრების ერთ მეოთხედს მშობლები ნერვებს გვიშლიან, მეორე მეოთხედს შვილები გვაბრაზებენ, მესამე მეოთხედს შვილიშვილები უჩვენოდ ვერ ძლებენ, მეოთხე მეოთხედს ვცდილობთ ჩვენ ჭკუაზე ვიცხოვროთ თუ მიქელგაბრიელმა გვაცალა.

11920. კოლექტიურ სიმყრალეში ყოფნას კარიერისკენ ლტოლვა და მატერიალურად მომაგრების სურვილი გაიძულებს, ყოველივე ამის განაღდების შემდეგ, სიმყრალის მოშორების სურვილი გიჩნდება, მაგრამ ამის საშუალებას თანამეინახენი არ გაძლევენ, რადგან ყველა ვალი გადახდას არ ექვემდებარება.

11921. დრო ხშირად ნაგავთან გვაიგივებს, თუ შენ ლაღი აზრების და სულის გადარჩენის გარეშე აპირებ არსებობას და არ ეძებ უფრო ფართო კავშირებს, ვიდრე ქორწინებაა.

11922. მსახიობსა და პოლიტიკოსს შორის ის სხვაობაა, რომ მსახიობებმა რაც უნდა წარმატებით ითამაშონ სახელმწიფო მოღვაწის როლი, სწრაფად გამოდიან ამ მდგომარეობიდან და არ ფიქრობენ მის ცხოვრებაში გადატანას.

11923. მთავრობიდან გამოგდებული სახელმწიფო მოხელე იმ სტუდენტს ჰგავს, რომელიც ინსტიტუტიდან გარიცხეს და ინსტიტუტს არ შორდება, იქნებ შემიწყნარონ, აღმადგინონ და კარიერა გამიგრძელდესო.

11924. ნარცისიზმი და ონანიზმი ერთი საკაიფო ცნებაა, მაგრამ უპერსპექტივო, რადგან ბრძოლას და გამრავლებას უგულვებელყოფს.

11925. წესიერ ოჯახში 70 წელს გადაცილებულ მამაკაცს ასანთს არ ანდობენ, სახლი არ გადაწვასო, ხოლო უწესო სახელმწიფოში ქვეყნის მართვა-გამგეობას აბარებენ და შემდეგ საყვედურობენ, რატომ არაფერს არ აკეთებსო, იმის მაგივრად, ღმერთს მადლობა შესწირონ, რომ სახელმწიფოში არეულობის ცეცხლს არ ანთებს თავისი უნიათობის გამო.

11926. წინათ მინისტრსა და ბუზს შორის ის მსგავსება იყო, რომ ორივეს გაჭყლეტა გაზეთით შეიძლებოდა. დღეს მინისტრის საქმიანობა ბუზის დონეზე შეიძლება დავიყვანოთ, ან ბუზი სპილომდე გავზარდოთ.

11927. დღეს დამარცხებით მოპოვებული საპატიო მშვიდობა სჯობს ომით მოპოვებულს, ეტყობა დროსაც და საუკუნეებსაც თავისი ხუშტურები მოაქვთ.

11928. როდესაც მატერიალური ფასეულობანი ძალზე დაქვეითებულია და იდეოლოგიური ფასეულობანი ძალზე ამაღლებული, ამქვეყნის კეთილდღეობა ჭრაჭუნს იწყებს და ეკონომიკური უფსკრულისკენ მიმავალი გზა თანდათან მცირდება.

11929. ნარკომანია საზოგადოებრივი აზრის არქონების, უზნეობის, პესიმიზმის, უნიჭო ცნობისმოყვარეობის და ძალაუფლების უპასუხისმგებლობის შედეგია.

11930. პასუხის პასუხი ყველას მოეთხოვება საკუთარი თავის გარდა.

11931. გაუტანლები არავის არ უყვარს, მაგრამ გააჩნია გარემო პირობებს და სიტუაციას, რადგან ყველა ჩვენგანში ჭლექის ჩხირივით არსებობს გაუტანლობა და როდის გამომჟღავნდება, ეს გარემო პირობებზე და მამაზეციერზეა დამოკიდებული.

11932. ყველაზე ცუდია, როდესაც მთავრობაში მოდიან "მოხერხებული" ბიჭები, რომლებიც პირველ რიგში საკუთარ კარიერაზე ფიქრობენ და შემდეგ – ხალხზე.

11933. კომპრომისის გადატანა უფრო ძნელია და დიდი სულიერი ტრავმის მომტანია, ვიდრე იმ სიამაყეში ყოფნა, რომელიც პრინციპულობას მოაქვს. ეს იმ შემთხვევაში, თუ მარტო პირად სიამოვნებას მოითხოვს თქვენი უხიაგი ხასიათი.

11934. ამქვეყნად იმის ყოფნაა მძიმე და ძნელი, ვისაც არ შეუძლია ათიანში მოარტყას და ვისი ბედნიერებაც სხვის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. (ცოლი მხედველობაში არ მიიღება).

11935. ცივილიზაცია და გადამეტებული ინფორმაცია ხელს გვიშლის სასიკეთო საქმის გულით კეთებაში, რადგან ყოველი საქმიანობა გაუბრალოებულია, მოვალეობად გითვლიან და სიამოვნებას ვერ განიცდი.

11936. სულიერად ბებრები და მომავალი კაცუნები აკვანში უნდა ჩავკლათ, რათა სხვას ცხოვრების აზრი, ლაზათი და იმედი არ დაუკარგონ.

11937. სიახლე და კარგი ცხოვრება ყველას უნდა, მაგრამ ტექნიკური პროგრესისთვის ვალის გადახდას თავს ვარიდებთ და სხვას გვინდა ავკიდოთ.

11938. პირველ რიგში იმ მეგობრების, ახლობლების გახსენება ღირს, რომლებმაც ვერ მოასწრეს ჩვენი გაწბილება და ადრე წავიდნენ ამქვეყნიდან.

11939. ყველა სიტუაციაში ყოფნა შესაგუებელია, მთავარია, საკითხს როგორ უდგებით და თქვენი მენტალიტეტი რამდენად მომზადებულია მასთან შესაგუებლად.

11940. გაჭირვების და ქარიშხლის დროს მშველელის და ნავსაყუდელს არჩევაა ვაჟკაცობა და არა ყველაზე შეუმოწმებლად ნდობა.
11941. დიდი პიროვნება ყველა ქვეყანას სჭირდება, მაგრამ მატერიალური შეუძლებლობის გამო ყველა ვერ აფასებს და ვერ იცლის მისთვის.
11942. გუშინდელი ცხოვრება დღეს მიუღებელია, დღევანდელი – უხეიროა, ხვალინდელი – გაუგებარია.
11943. ჩვენს ვინაობაზე არაფერია დამოკიდებული, მთავარია, რის კეთება შეგვიძლია და რა ცოდნის კონტურებს ვათამაშებთ.
11944. ვინც ამქვეყნად სისაძაგლეს სჩადის, ის იმქვეყნადაც არ დაიბნევა, რადგან სამარე მხოლოდ კუზიანების მძორს ასწორებს და არა მათ სულს.
11945. ყველა ჩვენგანს თავისი რწმენა აქვს, მიუხედავად იმისა, მისდევს რიტუალებს, იწერს თუ არა პირჯვარს, ეხმარება ფულით ვინმეს თუ არა.
11946. დანაშაულით მოპოვებული სიმდიდრე არ იძლევა ბოლომდე სიამოვნების გარანტიას, რადგან ქვევით სულის გაღარიბება და „მანდრაჟი" არ ასვენებს, ხოლო ზევით – მამაზეციერთან შეხვედრის შიში.
11947. ჩვენ უკმაყოფილონი ვართ ცხოვრებისა, მაგრამ ყველა თავის საქმეს აკეთებს და თავისებურად ხარობს, განიცდის.
11948. ყველაზე მეტად მომდევნო თაობები „ დაგვაღალატებენ", რადგან ისინი მთლად ისეთები არ გამოდიან, როგორზეც გვიოცნებია.
11949. ზღვა ცრემლი დასაფლავებაზე არის ობივატელის დიდი სიყვარულის გამოხატვა, ხოლო თანამოაზრეთა ნაღვლიანი ღიმილი მიცვალებულის ხსოვნის სამუდამო გარანტიაა.
11950. დრო ყოველთვის ტყვიამფრქვევთან დგას და არავინ იცის, ვის როდის გაისტუმრებს იმ ქვეყნად.
11951. ყველამ უნდა ვეცადოთ ამქვეყნიდან სიყვარულით წავიდეთ და ჩვენზე თბილი მოგონება დავტოვოთ, თუ გვინდა ჩვენი მოვლინების გამართლება ვიგრძნოთ, როგორც ამ, ისე იმქვეყნად.
11952. რადგან ამქვეყნად ყველა თავისი დროით არის მოვლენილი, იმ ქვეყნად გადაბარგება, აჩქარება თუ საღ გონებაზე ხარ, არავის გულისთვის არ ღირს.
11953. სინათლის, საკვების, სითბოს უქონლობა, სიღარიბე, არაფერია სინდისის უქონლობასთან შედარებით.
11954. შემკვეთს ნამუსი არა აქვს, ქილერს – სამუშაო, დაზარალებულს – ეშმაკობა, ყოველივე ამ მომენტების დამთხვევა იწვევს ვიღაცის სიცოცხლის მოსპობას, ოღონდ მთავარია, ვინ-ვის დაასწრებს და ვინ მეტს გადაიხდის.
11955. სიკვდილით ყველა კვდება, მაგრამ ღირსეულად ამ ქვეყანას ერთეულები ტოვებენ.
11956. ქილერობა ნაციონალური სპორტი ხდება კანონთან, სიმდიდრესთან და დემოკრატიასთან მწყრალად მყოფ ზოგიერთ ქვეყანაში.
11957. არის ბედნიერი შემთხვევა, როდესაც სურვილი გიჩნდება პიროვნებას მუხლმოდრეკილი ესაუბრო და სიამოვნებისგან დადნე.

11958. განტოლება, სად წაიტეხ ფეხს, სად ნახავ ბედნიერებას, სად და ვისთან დაასრულებ შენს ამქვეყნიურ ყოფას, ყოველთვის ამოსახსნელი რჩება.

11959. კეთილი სურვილებით, უდრტვინველად შეიძლება იმქვეყნად ისე გაგისტუმრონ, რომ დაგამადლონ, რა დროულად მიიცვალა, მისი სახელი ქუჩას დაარქვესო.

11960. დრო მკვლელობისთვის გამზადებული ხელსაწყოა, რომლის ცოდნაზეა დამოკიდებული სიცოცხლის ხანგრძლივობა, სიამტკბილობა და აზრი.

11961. ზოგი თავისი ნებით ადრე მიდის ამ ქვეყნიდან, რათა თავისი წილი საზრუნავი სხვას აჰკიდოს და თავი დაიძვრინოს, ყოველ შემთხვევაში, ასე გვგონია ცოცხლად დარჩენილ მის ახლობლებს.

11962. სამყაროს ყველაზე დიდი საცოდაობაა სიღარიბე, უფულობა, უსამართლობა, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, სიმდიდრე არ შეიქმნებოდა.

11963. სამწუხაროდ, მშვიდობა, სიკეთე, ბედნიერება, იარაღით დაცვის გარეშე ვერ იარსებებს.

11964. ბოლოს მაინც მორალი იმარჯვებს სიხარბეზე, გარყვნილებაზე, შურზე, რადგან ყოველივე ეს წარმავალია.

11965. ჩვენს ცხოვრებას თუნდაც იმიტომ უნდა ჰქონდეს გაგრძელება, რომ იმაზე მეტს არავინ მოგვცემს, რისი წაღებაც შეგვიძლია.

11966. ჩვენი ვარსკვლავის გაბრწყინებას მაშინაც კი ველოდებით, როდესაც გონიერების საათი გაჩერებული გვაქვს.

11967. დრო ცვლის ცხოვრებას და არა ცხოვრება – დროს, ასეთია რეკლამა ამქვეყნად ჩვენი ყოფნა-არყოფნისა.

11968. არავის ისე არ უჭირს სიბერე, როგორც ნიჭიერ ადამიანს, რომელმაც ცხოვრებაში თავისი ოცნების 1%-ც კი ვერ აღისრულა და თავისი შესაძლებლობების 10%-საც კი ვერ გაუკეთა რეალიზება.

11969. ამ ცხოვრებაში ყველაზე უტყუარი სიკვდილია, მაგრამ როდის მოგადგება არავინ იცის და ამით არის ცხოვრება საინტერესო.

11970. პატიოსნება კრედოა, ჯვარია, უღალატო გენია, სწორედ ამით სარგებლობენ უპატიოსნოები, რომლებსაც სინდისის ქენჯნის გარეშე, შეუძლიათ სახეში ურცხვად უყურონ პატიოსნებს, რომლებიც თითქოს მათი მოტყუებისათვის არიან მოწოდებულნი.

11971. მოსახლეობის მომრავლება, ცივილიზაციის მომძლავრება, მატერიალური საკუთრებისთვის ბრძოლა სტრესს იწვევს, რაც ხელს უწყობს საშუალო სქესის მომრავლებას ადამიანებში.

11972. სისულელის ჩადენაც ჭკუის შედეგია და თუ შემთხვევით გაამართლა და გამარჯვებას მიაღწია, მის ავტორს გონიერ პირად ჩათვლიან, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარეს რომ ფხა გამოეჩინა, თქვენს ავანტურას არ წამოეგებოდა. მსტოვარი რომ ჰყოლოდა თქვენს ბანაკში და მის საწინააღმდეგოდ ემოქმედა, მაშინ პირველის ქმედებას ისტორია სისულელედ ჩათვლიდა და ხსენების ღირსადაც არ გახ-

დიდა. ამიტომ ცხოვრებაში უმთავრესი გამართლებაა, რომელსაც თქვენი ჭკუა–გონების ნახლაფორთალიც და რისკიც უნდა მოახმაროთ.

11973. მოსახლეობამ შესანიშნავად იცის, რომ ატყუებენ, მაგრამ თავს იტყუებს და სხვასაც ატყუებს. ეს მისი ეკონომიკის ბრალია. ტყუილს წინ უნდა აღუდგეს სიმდიდრე და არა აგიტაცია.

11974. ნაწილი ცხოვრობს, ითმენს, არსებობს, ნაწილი კი არსებობს, ითმენს, ცხოვრობს, ასე რომ, საბოლოოდ, ყველა თავისებურად გრიალებს.

11975. დაპირება რისკია, შეუსრულებლობა – უსინდისობა, მიზეზის ახსნა თავხედობაა და ყოველივე ამის თავიდან დაწყება – სიგიჟე. თუმცა ეს სენტენცია აფერისტებისა და პოლიტიკოსებისთვის არ იწერება, მათ თავიანთვის გასაგები, გამორჩეული პროფესია აქვთ.

11976. ფაქტობრივად არ არსებობს უარყოფითი და დადებითი გმირი, არსებობს სამყაროს დადებითი და უარყოფითი გაგება, თავისი სიძლიერით და სისუსტით, სიკეთით და ბოროტებით და იმდროინდელი მორალი, სადაც გვიხდება ცხოვრება.

11977. ბედნიერებაა, როდესაც სამყარო ვერ გამჩნევდა და დაგინახა, პიროვნებად წარმოგადგინა; უბედურებაა, როდესაც შენი ბედნიერების რიგის როტაცია სხვას უნდა დაუთმო, ხოლო დასამშვიდებელია ის, რომ შენ სასიამოვნო მოსაგონარი შეგრჩა.

11978. რაც არის და რაც უნდა იყოს, სხვადასხვა რამეა და ეს უკანასკნელი ყოველთვის უკან დაგვწევს, თუ საკეთებელი ძველმანად მოგვეჩვენება და მის კეთებას და მოვლა-პატრონობას დღესვე არ დავიწყებთ.

11979. ლოთსა და ნარკომანს რაც უნდა კარგი აურა ჰქონდეს, მათზე დაყრდნობა არ შეიძლება, რადგან როგორც კი მოდუნების საშუალება მიეცემათ, მაშინვე კაიფისკენ მიილტვიან, ამდენ ნდობით გაკეთებულ საქმეს არად დაგიდევენ და დაღუპავენ.

11980. გამარჯვებულისათვის დამარცხებული ყოველთვის უკულტუროა, თუნდაც იმიტომ, რომ თავის დაცვის კულტურას ვერ ფლობს და აქ "არ ველოდებოდი, დროულად ვერ მოვემზადე, რაღაც შემეშალა, ღარიბი და მშვიდობის მოყვარული ვარ" და სხვა ამგვარი თავის მართლება კიდევ უფრო დამცირებულს და უკულტუროს ხდის, თუნდაც იმიტომ, რომ ნამდვილი ცხოვრების შნო არა აქვს და სისხლი არ უდუღს საკმარისად.

11981. ბევრს მოსვენებას არ აძლევს უსამართლო ცხოვრება, მაგრამ მის გამოსწორებაზე არავინ ფიქრობს, ხოლო ვისაც ეს სურვილი უჩნდება, მას ცხოვრება ხშირად უსამართლოდ ექცევა.

11982. ხვალ გასაკეთებელი საქმის დღეს კეთება, არაფრით არ ჯობს ხვალ გაკეთებულს, რადგან ყველაფერი თავის დროზე და ხარისხით უნდა გაკეთდეს. ამ სიდინჯის თეორიის მტკიცების დამადასტურებელია ქვეყნის მართვის სხვისი შედეგიანი და ჩვენი უშედეგო გამოცდილება.

11983. ყოველთვის ურწმუნო თომას როლში ყოფნა არ გამოდგება, რადგან მოსმენილის და დანახულის თუ არ გვჯერა, მათი გაანალიზება მაინც უნდა ვეცადოთ, რათა სიახლის სიოს ქროლვის საშუალება მივცეთ.

11984. შეიძლება ცხოვრებაში დროებით ვიღაცას მიექირაო, მაგრამ მიყიდვით არ უნდა მიეყიდო, თუ გინდა შენგან გამყიდველის გამოცხობას არ შეეცადონ.

11985. ცხოვრების თავიდან დაწყების სურვილი, საცხოვრებელი ადგილის შეუცვლელად, ძნელია, რათა წარსული წინ არ გადაეღობოს და უკან არ გააბრუნოს.

11986. შეუძლებელია უდაბნოში მწვანე ბალახის და ბრბოში ლამაზი ქალის შეუმჩნევლობა და თუ ეს მოხდა, მაშინ ნაკლის მიზეზი თავში უნდა ვეძებოთ.

11987. უქონლობას მხიარულად უნდა მოვექცეთ, ხოლო – სერიოზულად, როდესაც გვაქვს, რადგან პირველისთვის ყველაფერი სულერთია, ხოლო მეორეს ქონება თავგზას უბნევს და აიძულებს იაზროვნოს, განიცადოს და მორიდებით ისიამოვნოს.

11988. წესიერება დიდი ტვირთია და თუ ცხოვრება გვინდა, მასზე არ უნდა ვილოცოთ, მაგრამ უიმისოდაც ბოლოს სახეირო არაფერი გამოდის.

11989. ხშირად ურთიერთობის ეტიკეტი დამოკიდებულია თანამდებობაზე, ნაცნობობაზე და იმაზე, თუ რამდენად სჭირდებით ერთმანეთს, ერთეული სასიამოვნო გამონაკლისის გარდა, რომლისთვისაც აღზრდაა პირველადი, ხოლო საჭიროება – მეორადი.

11990. ერთმანეთთან წყენა-კინკლაობის გამო ვბერდებით და არა – დროის ფაქტორის გამო, რომელიც ფაქტობრივად ჩვენთვის შეუმჩნეველიც კია.

11991. სიკვდილიც შეიძლება იყოს მშვიდი, ნაზი, ლამაზი, ვალმოხდილი და სიყვარულსაც გაუტოლდეს, მაგრამ მაინც გარდასული და მომავალი თაობის აგიტაციისთვის უპერსპექტივო.

11992. რა სჯობს შენი სინდისის და ოჯახისთვის: – სუბორდინაციის და კარიერის გაკეთების მომიზეზებით რამდენიმეჯერ გადაყლაპო შეურაცხყოფა და თანამდებობის პირი გახდე აქედან გამომდინარე ყველა სიკეთით, თუ საკადრისი პასუხი გასცე თავხედს, სიმართლე ეძიო და სასუსნავის და თანამდებობის გარეშე დარჩე, – ძნელი სათქმელია, მაგრამ ვარიანტი არაა სიბერეში ეჭვი არ შეგეპაროს შენს ნამოღვაწარში.

11993. დიპლომატიური ტირილი, პროდუქტიული სიცილი, გინების ხელოვნება, მოხერხებული აზროვნება, უბრალო კაცის ნიჭი არ არის, ის დემონის მომადლებაა.

11994. პატივმოყვარეობის ჭიაზე ფეხის დაჭერა ადვილი არ არის. თუ შესძელი ჭიაყელის ანკესზე წამოგება და სხვისთვის მოსაღორებლად გადაგდება, ისიც საქმეა. თუ ღლავს ვერ ამოათრევ, ღორჯოს ხომ წინ ვერაფერი დაუდგება.

11995. გავიხანგრძლივოთ აქტიური და არა პასიური ცხოვრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგვიფრინდება დრო, რომელიც ასე უაზროდ მიიზლაზნებოდა.

11996. ზოგი თითქოს იმისთვის იბადება ამქვეყნად, რომ თავისი მოსვლით მშობლებს სირცხვილის ოფლი ადინოს, იმის მაგივრად, რომ თავხედობას მოუკლოს, ჭკუას წიხლი დააჭიროს და ნიჭი წარმოაჩინოს.

11997. დღეს ცემა არც ყმაწვილს აწყენდა და არც აღმზრდელს, მეორეს იმიტომ, რომ პირველი ვერ აღზარდა, პირველს – რომ მეორეს პატივს არ სცემს და უფროს-უმცროსობის ინსტიტუტს მოშლას უქადის.

11998. როდესაც ხვდები, რომ სწორი არ იყავი ვიღაცის მიმართ და მას ბოდიშს უხდი, ამით მასაც შვებას აძლევ და თავსაც აწყნარებ.

11999. „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს", მაგრამ საკუთარ გონებას დროულად ფეხი უნდა დავაჭიროთ, რათა საკუთარი ნამოღვაწარის სიამოვნება ჩვენი თანდასწრებით სხვამაც შეიგრძნოს და ყოველგვარი ემოციების გარეშე, ხახამშრალი არ წავცუნცულდეთ იმქვეყნად.

12000. ძალის წინაშე თავის მოხრა სირცხვილად არ ითვლება, სირცხვილი ის არის, რომ შენს ძალას და შესაძლებლობებს ვერ ზომავ და მამლაყინწობ.

12001. ყველა ჩვენგანს აქვს ფრთიანი სიტყვის დამახსოვრების და თქმის უფლება, მაგრამ მისი შეგრძნება, გათავისება ერთეულთა ხვედრია.

12002. უბედურება ის ვირისთავია, რომელიც სიკეთეს ეპარება, დააავადებს და ხეიბრად გახდის.

12003. ყაზარმული ბედნიერება ზოგისთვის მიუღებელია, მაგრამ არც ბრბოს გაშვებაა სიჭკვიანე, სანამ ის ხალხად არ იქცევა. ეტყობა, ყველაფერს შეფარდება ესაჭიროება და არა განუსჯელი ქმედება.

12004. ნაჩუქარსა და შენს საკუთრებას შორის სხვაობას მაშინ გაიგებ, თუ პირველის შესახებ ხანდახან შეგახსენებენ.

12005. ორფეხა ცხოველი არ უნდა მივიყვანოთ ყოფნა-არყოფნის პრობლემამდე, ვინაიდან, მაშინ მას ყველაზე ნაკლებად აწუხებს მსოფლიოს და ცივილიზაციის გადარჩენის პრობლემები.

12006. ზოგი ზემდგომი იმ ავტორიტეტივით იქცევა, რომელიც ცოტახნის წინათ ზონაში „გააპეტუხეს" და ამის დასამალად, ან გასამართლებლად ყოველგვარ სისაძაგლეს კისრულობს.

12007. ყველა ხალხის ოცნებაა იმ ამნისტიის გამოცემა, რომელიც ციხის თანამშრომლებს გაანთავისუფლებდა, მაგრამ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ამას არ დაუშვებენ, რადგან საფრთხე შეექმნება მათი ინსტიტუტის ყოფნა–არ ყოფნას.

12008. წყვილის გაყრა ის შემთხვევაა, როდესაც სულის ამოფრქვევა ქვენა გრძნობების დაკმაყოფილებას არ ემთხვევა და ერთმანეთს თავი არ უნდა გააბეზრონ.

12009. გრძნობების ინფლაცია, ყოველთვის ასაკის ცვალებადობის და ცდომილებათა შკალის შესაძლებლობის კავშირში იმყოფება.

12010. ყველა დროის ღალატს გვერდით იუდა ედგა, მაგრამ მასზე მოთხოვნილება დღემდე არ მცირდება, იმდენად დიდია „მჯობნის-მჯობნის" პრობლემის გადაჭრის მცდელობა, გარემოების მიერ შემოთავაზებულ ცხოვრების სცენაზე.

12011. როდესაც მოწინააღმდეგე ხმაურობს, ეტყობა ყველაფერი რიგზე არა აქვს და რქების მიწოლით იმის კეთება უნდა, რაც მის ძალას და გონიერებას აღემატება.

12012. ყველას იმდენად ტრაგიკომედიურად გვიყვარს ერთმანეთი, რომ მზად ვართ ხანდახან ერთმანეთს გულითაც მოვეფეროთ და გულიანადაც ამოვხოცოთ.

12013. ზოგჯერ ფანატიზმი მიზნის მისაღწევად აუცილებელია, მაგრამ მიზანი იშვიათად იმსახურებს ამ მსხვერპლს.
12014. იმ პროფესიებს, რომელთა გარეშე ცხოვრება შეუძლებელია (მასწავლებელი, ექიმი, ფერმერი, მუშა, მეცნიერი) ანაზღაურება მოკრძალებული აქვთ, ხოლო ვის გარეშეც საზოგადოება გაძლებდა (ბუღალტერი, მსახიობი, სპორტსმენი, ბიზნესმენი), მათი ჰონორარი გაფეტიშებულია და ალბათ კანონზომიერადაც, რადგან მუშა პროფესიებს თავი თუ არ დაამადლეს, ეს უკანასკნელი შეიძლება გაქრეს, ამასთან თავისი საქმის ნამდვილი მცოდნე ორივე მხარეს ცოტაა.
12015. ჩვენთან ყველა ქურდობს, მაგრამ ზოგი გულწრფელად ითვისებს, რადგან მიაჩნია, რომ მისი საქმიანობა მას ამის უფლებას აძლევს.
12016. სიზიფეს შრომაა ყოველლდღე წვერის გაპარსვა, პირის დაბანა, ჭამა, მაგრამ ამ შრომაში სიამოვნებასაც ვნახულობთ. ალბათ, სიზიფესაც სიამოვნებდა ლოდის ატანა მთაზე, თორემ ტყუილად რატომ გაირჯებოდა.
12017. საპნის რეკლამა დაუბანელ პირთან ერთად არც რეკლამისა და არც საპნის მაღალი ხარისხის მაჩვენებელია.
12018. ბუნება არ განსაზღვრავს სიმდიდრე-სიღარიბეს. ის მოგვიწოდებს არ ვიზარმაცოთ და პატივი ვცეთ მის კაპრიზებს.
12019. სიჭარმაგეში ადამიანს იმ სახლში ყოფნა ურჩევნია, რომელიც დაბერებამდე არ მოსწონდა, მაგრამ უკვე შეეჩვია.
12020. გვარის ყველა განმადიდებელი უნდა ეცადოს ისეთ წინაპრად იქცეს, რომ მის ნაშიერს რაც უნდა შეემთხვეს, გვარის გამოცვლის სურვილი არ აღეძრას.
12021. აკვიატებული დოგმების გადასარჩენად ზოგი არც თავს ზოგავს და არც სხვას უფრთხილდება.
12022. 80 წელს ზევით სიცოცხლის გახანგრძლივების ლიცენზია მამაზეციერს კი არ უნდა ვთხოვოთ, არამედ საკუთარ თავს, შეძახებით და ჯანმრთელი ცხოვრებით, რადგან დღევანდელი გადასახედიდან განგებამ სოლიდურ ასაკამდე მიგვაღწევინა და მიქელ-გაბრიელს ასე ადვილად ხელთ არ უნდა ჩავუვარდეთ.
12023. ყველა ჩვენგანმა გონებას, მოთმინებას, შემართებას უნდა გამოძალოს კეთილდღეობა.
12024. გადაღლილი ცხოვრების მიუხედავად, სიცოცხლე მაინც მოკლეა, რა ოდენობით და რა დროსაც უნდა გვიწილადოს ეს ბედნიერება მამაზეციერმა.
12025. ზოგისთვის მონოტონური ყოველდღიურობა ციხეში გამოკეტვის ტოლფასია, მაგრამ ის ამ ყოფას თავს ვერ აღწევს, რადგან მისკენ მიდრეკილება აქვს და თანაც უინციატივო და უფხოა.
12026. როდესაც ბაღლინჯოს ჭყლეტენ, გარემოს დაცვაზე და მორალზე საუბარი ყბედობაა, გონიერების დაცინვაა.
12027. სამწუხაროდ, ტრაგიკული სიკვდილიც კი მდიდარი ქვეყანის მოქალაქედ სჯობს, რადგან შენი ნაშიერი ანდერძის დატოვების გარეშეც კარგად იხეირებს.
12028. ჩვენს მერე რჩება ის ოცნება, რომელიც ვერ განვახორციელეთ, არა და მისი სხვისთვის ესტაფეტად გადაცემაც არ ხერხდება.

12029. ეგრეთწოდებული ორფეხა არსებები ღუპავენ უმიზეზოდ ერთმანეთს, თორემ ოთხფეხების ურთიერთობა ბუნების კანონს ემორჩილება და მოწესრიგებულია.
12030. ამქვეყნად რაც მშვენიერია, დროთა განმავლობაში მიდის, ქრება, გვრჩება მხოლოდ ხსოვნა.
12031. მდედრის და მამრის ურთიერთობაზეა აგებული ამ პლანეტის კარგის და ცუდის შეცნობა, ხოლო ადამიანთა უაზრო სიმრავლე სხვა სიცოცხლეს მოწყურებულ ფლორის და ფაუნის გადააგვარებს გარკვეულ დრომდე და თავის განადგურებამდე.
12032. ხოტბა, ქების შესხმა ღირსეული ადამიანისგან არის სასიამოვნო და მისასალმებელი, ხოლო უღირსიდან დაცინვა თუ არა, ხმის აყოლა მაინც არის: დამინახეთ, მეც „ნახირ-ნახირო".
12033. კარგი ცხოვრებისკენ ლტოლვა არც საქებარია და არც საძრახისი, მაგრამ მისი ყადრი, ფასი და ღირებულება წინასწარ უნდა იცოდე.
12034. ზოგჯერ მემკვიდრეობით მიღებული ქონება ხდება ადამიანის დაფასების, განდიდების, სიჭკვიანის მიზეზი, მანამ ის ამ ქონებას წირვას არ გამოუყვანს.
12035. გონებასა და გულს შორის ყოველთვის უთანხმოებაა, გონიერებისა და გულიანობისაგან განსხვავებით, რადგან ამ უკანასკნელთა შეთანხმების გარეშე წყვილის ბედნიერება არ გამოვა.
12036. მორჩილებასა და უძლურებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი დამყოლია, ერთგულია, თვინიერია, სანამ არ გააბრაზებ და ყელში არ ამოუყვან, ხოლო მეორე ბოროტია, ჯიუტია, შურიანია, მაგრამ იძულებულია მაშინაც შენი ერთგული იყოს, როდესაც ეს არ სურს.
12037. ხშირად მოწყენილობა ჩვენი ცხოვრების თანამგზავრია, ხოლო მხიარულება სურვილია, მოწოდებაა.
12038. უვარგის კაცს რომ არ მივსალმებოდით, იქნებ მათი ოდენობა შემცირებულიყო ან საბოლოოდ გამქრალიყო, მაგრამ ეს ჯერ არავის უცდია, რადგან ჩვენშიც ყოველთვის გამოჩნდება ოპოზიციონერი ვიგინდარა, რომელსაც ჭკუის გადმონთხევას და ენის ალესვას არაფერი ურჩევნია.
12039. სურვილი ვინმეს ცუდი გაუკეთე, უკვე დანაშაულია, მაგრამ ცუდისთვის კარგის კეთებაც დანაშაულის ტოლფასია, რადგან ის თავის სიცუდეს ვერ მოიშლის, შენ კი მას ასპონსორებ.
12040. შენზე ძლიერ ახლობელს არაფერი არაც უნდა თხოვო და არც არაფერი უნდა შესთავაზო, მოვა დრო და განგების გაუგებარი კანონის თანახმად თავად მოგევლინება მთხოვნელად.
12041. ამბობენ ჩხუბში ჭეშმარიტება კვდება და კამათში იბადება, მაგრამ გააჩნია მოწინააღმდეგეს, შეიძლება მასთან შეხვედრაც არ ღირს და არც სადაო და შესათანხმებელი იქნება რაიმე.
12042. მეტყველება და ყბედობა ჩვენში იმ შესაძლებლობას ავლენს, რომელიც არ გაგვაჩნია და ღმერთსაც არ დაუმადლებია. ასევეა ქალთან მიმართებაშიც: თუ

გინდა მისი მზერა და სიყვარული დაიმსხურო, უნდა „ებაზრო". რაზე? – ყველაფერზე და არაფერზე, რადგან ამას მისთვის მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს.

12043. არავინ იცის ესთეტების კამათის შემდეგ რა ნამუშევარი გამოტყვრება, მაგრამ სადაო და საჭოჭმანო რომ იქნება, უდაოა.

12044. დანებებული, უნებისყოფო, ამქვეყნად მეტია, ვიდრე ცხოვრებაში დამარცხებული და წაგებული.

12045. სიცილი ტირილით არ ისჯება, ხოლო ტირილის სიცილით დასჯაც ძნელია, მიუხედავად იმისა, აქვს საცრემლოდ საქმე თუ არა.

12046. ყველა დროს თავისი ყომარბაზი ჰყავს, ხოლო ყველა ყომარბაზს – თავისი დროის შესაფერისი გაყალბებული კამათელი.

12047. ღირსების თამასა არ არსებობს, ღირსება ან გვაქვს ან არ გვაქვს, რადგან ის ვაჭრობას და პოლიტიკანობას ვერ იტანს.

12048. სიბრიყვე და თავდაჯერება ერთად დადიან, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს ვერ უგებენ და ხასიათითაც სხვადასხვანი არიან.

12049. ხშირად გაუკეთებლობის შანსი გაცილებით მეტია, ვიდრე პირიქით, მაგრამ როცა ეს საქმე ჩვენივე მცდელობით კეთდება, საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობა გიჩნდება.

12050. არამზადას ჭკუა უნდა ვასწავლოთ, მაგრამ რა დროს, რა დოზით, ეს შემთხვევის და გამართლების საქმეა.

12051. კარზე მომდგარ ბედნიერებას ხშირად ადამიანი უარყოფს და იმას ეპოტინება, რაც დღეს მისთვის სათუო და მიუწვდომელია, მაგრამ თავისი მცდელობით რაღაცას აღწევს.

12052. მაღალი ანაზღაურების გარეშე ყველა საქმიანობა ჰობია, ხოლო მასზე ანაზღაურების გარეშე გადაყოლა ერთეულ „დარეხვილთა". ხვედრია, რაც ქვეყანას ნაბიჯის წინ გადადგმის საშუალებას აძლევს.

12053. როდესაც საქმე კარგად მიგვდის, ვხარობთ, როდესაც არ გვიმართლებს, ვნაღვლობთ, როდესაც ყველაფერი ნორმალურად გვაქვს მოწყობილი, მოწყენილობა გვახრჩობს, ასე რომ, „ვაი ჭკუისაგან" გარეშე ცხოვრება საბოლოოდ არ გამოგვდის.

12054. ცინიზმი და მორალისტობა ძალიან ახლო დგანან ერთმანეთთან, მიუხედავად მათი ცხოვრებისეული პოლუსების სხვადასხვაობისა.

12055. წესიერება – უწესობა, სიკეთე – ბოროტება, დემოკრატია – დიქტატურა – ამგვარი ცნებანი ფარდობითია და პირველის მომხიბვლელობის მიუხედავად, ცხოვრების გზის განვლა შესატყვისი სინონიმების გარეშე შეუძლებელია, რადგან მას თავის ჩირთი-ფირთი ახასიათებს.

12056. ამქვეყნად მოსვლა – წასვლა მხოლოდ სიყვარულის სიამისათვის და დანანებითი დატირებისთვის ღირს.

12057. რაღაცის მქონედან განსხვავებით, არაფრისმქონეს ძალით დამორჩილება შეიძლება, მაგრამ არა – დამონება.

12058. უნამუსობისთვის ალიბის ძებნა და მის გამართლება, მის ჩადენასთან შედარებით, ყველაზე დიდი უგვანობაა ამქვეყნად.
12059. მიწის ნაკვეთის მქონე მოაგარაკენი „უბედური" ადამიანები არიან, მათ თანამედროვე არც აქტიური დასვენების ფასი იციან და არც – პასიურის, რადგან ისინი საკუთრების მონები არიან.
12060. ბავშვის აღზრდის ყველაზე ცუდი ვარიანტია აკვარიუმში და სათბურში მისი გაურკვეველი დროით დაყოვნება.
12061. უტიფრობა, თავხედობაა, როდესაც ხალხს უხელფასოდ დატოვებ და დანაპირებს არ უსრულებ, ხოლო პირმომთნეობა-ფარისევლობა ამის მოთმენა და დროულად შეუმჩნევლობაა.
12062. არ ღირს იმ პიროვნების ბიოგრაფიის აღწერა, ვისი მზეც ჯერ არ ჩასვენებულა, რადგან არავინ იცის, ფეხი როგორ შემოუტრიალდება და ვინ-ვის რა ზარალს არგუნებს.
12063. თვითმარქვია მეგობრები ჩვენს ჩათრევას მოფერებით, ანგარებით ცდილობენ და თუ არ გაუმართლეთ, როგორც „მეგობრები" ტყვიის დახლასაც არ დაგამადლიან.
12064. როდესაც ცივილიზაციის ნარჩენები ისტორიის ქარგვას (ქრონოლოგიური სარჩული) დაემორჩილება, მისი ღირებულებების ჩასვენებაც იქ იწყება.
12065. ნაძირალაში რაიმე კარგის მონახვას ისევ ნაძირალა ბუნების ხალხი ცდილობს.
12066. ამ სამყაროში სუსტი წერტილი და თავის დაცვის საშუალებაც ყველა აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიცოცხლე გაქრებოდა, მიუხედავად იმისა რომ სიკვდილ-სიცოცხლის მოწესრიგებას ბუნების კანონი ყოველთვის ცდილობს.
12067. ის საქმე რომელიც რთულად უნდა „დაგვაწერონ", ყოველთვის მარტივია მაგრამ არა ერთსახა.
12068. ზოგს აცვენილის სახელი და იმ დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა სიამოვნებს, რომლისგანაც ადრენალინს იღებს და ეს მიაჩნია კომპლექსებიდან განთავისუფლებად და ხალხში თავის გამოჩენის საშუალებად.
12069. გონებას სიკვდილზე მეტად „სკლეროზის" ეშინია, რადგან გონებას ის აღარაფერს უტოვებს.
12070. უნიჭობა და უსინდისობა განუყრელია, რადგან პირველს თავის წარმოჩენა თუ უნდა, მეორის გარეშე ვერ მოახერხებს.
12071. არის ცხოვრებისეული კატასტროფა, არის რეალური მექანიკური შეჯახება, პირველი სულის უსაფრთხოებას ემუქრება, მეორე სხეულისას, ხოლო მათ შორის არჩევანის გაკეთება შეუძლებელია, რადგან გარკვეულ პირობებში ორივე დამღუპველია.
12072. ბუნებას ვერ მოატყუებ, ყველას იმას აძლევს, რაც ეკუთვნის და იმსახურებს.
12073. უნარი, მსხვერპლად მიიტანო სიცოცხლე შენთვის ბოლომდე გაუცნობიერებელი, რწმენის საეჭვო საკურთხეველზე, გარემოს, აფექტის ზეწოლის შედეგია და არა გონიერების და დაბრძენების.

12074. ღალატს არავითარი გამართლება არა აქვს, ის უფრო შებრალებას იმსახურებს, რადგან მას თვით სიყვარულის მომიზეზებაც არ შველის.

12075. როდესაც საკუთარი ჭკუა არ გაგაჩნია, იმას მაინც უნდა ეცადო, რომ სხვისას მოერგო, თუ დიდად ვერ ისარგებლებ, არც სისულელეს ჩაიდენ.

12076. უხიაგი კაცისთვის სიკეთე გადამდები, საშიში დაავადებაა, თუ ირგვლივ გონიერების აურა არაა შექმნილი.

12077. სილამაზე, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, სიმახინჯესთან შედარებით, საშინელი განაწყენების მომტანია, რადგან მახინჯისთვის არც არაფერი იცვლება და არც მისი არაფერი უკვირთ.

12078. სწორი აზრების ღაღადი და ამით თავის წარმოჩენა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი თანამედროვე ცხოვრებას პრაქტიკულად გამოადგება და თქვენ დემაგოგიას არ ეწევით.

12079. ზოგი თავს იმიტომ იტყუებს, რაც არ სიამოვნებს – იმაზე გული არ გაიხეთქოს.

12080. როდესაც რაიმე კატაკლიზმების გამო აღიარებულ ფასეულობათა გადაფასება ხდება, იდეოლოგია კნინდება და მის აღდგენას მრავალი წელი და ცხოვრებისეული გამოცდა სჭირდება.

12081. როდესაც მოქალაქეებს აღარ აინტერესებთ რა აკეთონ და ვინ არის დამნაშავე, სახელმწიფო უკანონო შვილის გაჩენის პირასაა მისული და ეს რაც უფრო ადრე მოხდება, უკეთესია, ვინაიდან მას უკვე აღარაფერი ეშველება – მოსახდენი მოხდა.

12082. დაცინვის ყველაზე მეტად ეშინია მათ, ვისაც წესით აღარაფრის უნდა ეშინოდეთ. ესენი არიან მოუვლელი და უპატრონო საფლავების მკვიდრნი, რომლებმაც წესიერი ნაშიერი ვერ დატოვეს.

12083. სიმდიდრემ დატირება არ იცის, რადგან ის სიცოცხლეშიც უზრუნველყოფილია. სიღარიბე დატირების ღირსია, რადგან ამქვეყნად არაფერი უნახავს და იმქვეყნად ნახავს თუ არა, ეს კიდევ საკითხავია.

12084. მეგობრობანას თამაში ახალგაზრდობასთან ერთად თანდათან ქრება, რადგან სიჭარმაგეში ყველა ცდილობს თავისთვის ითამაშოს, ამიტომ მეგობრობაზე ჯეელობის სერენადა დავიწყებას ეძლევა.

12085. რისკი იმიტომ იძლევა შედეგს, რომ თქვენი მოწინააღმდეგე განცხრომაშია და თქვენს შესაძლებლობებს პატვის არ სცემს. ამიტომაც მამაზეციერი თქვენს მხარეს დგება და სათუო-საჭოჭმანო საქმის განხორციელებაში ხელს არ გიშლით.

12086. ზოგი იმდენად არის თავისთავზე შეყვარებული, რომ ამ ქვეყნიდან ეფექტის, თავის მოწონების გარეშე წასვლა არ შეუძლია, რასაც თავის ჩამოხრჩობაში, საწამლავის მიღებაში, ან სიმაღლის "ათვისებაში" გამოხატავს.

12087. არის შემთხვევა, როდესაც უნდა იჩხუბო და შენი ლელოც გაიტანო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენი თავისადმი პატივისცემას დაკარგავ.

12088. ერთი კაცის სიცოცხლე გაცილებით ძვირია და მეტი ადამიანი ეწირება, ვიდრე ის ამის ღირსია, ხოლო დაუფიქრებელ ბრბოს თავის უსიტყვო მორჩილებაგულკეთილობაში ეჭვიც არ ეპარება.

12089. სულიერი შთამომავლობა ჩვენთვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მიწიერი, მაგრამ ანდერძს მაინც ამ უკანასკნელს ვუტოვებთ.
12090. მშობლების ამაგს მაშინ შევიცნობთ, როდესაც იმ ქვეყნის გზას შეუდგებით, ხოლო ფასს, როდესაც ხელებს გულზე დაგვიკრეფენ.
12091. როდესაც თვალში გამოიხედები და მიხვდები, რა ხდება, ძნელია პირი დამუწო და ხელი გააჩერო ისე, რომ არ იმოქმედო.
12092. არეულობის დროს ყველა მზად არის ჩახმახის გამოსაკრავად და არავინ დაგიდევს, გასროლა სიტყვით მოხდება თუ ტყვიით, რადგან ყველა ნებით თუ უნებლიედ თავისი ურგების მითვისებას ცდილობს.
12093. სამყარო იმიტომ კი არ გადარჩება, რომ მასზე იფიქრებენ, არამედ იმიტომ რომ მისით იამაყებენ.
12094. კაცი უნდა ცდილობდეს ხელფასით იცხოვროს, მართალია, ყოველთვის არ გამოსდის, მაგრამ ეს სულაც არ აძლევს გაღორების უფლებას.
12095. ძნელია თევზს აუხსნა, რატომ ღირს ასე ძვირი და რა არის ზურგიელი, ასევე ძნელია აუხსნა უმუშევარ კაცს მისი უსახსრობის მიზეზი, როცა მას ოჯახი ჰყავს შესანახავი.
12096. სიღარიბე პირველ რიგში ბუნების მშვენებას იმ, ტყეს, მტრობს და ანადგურებს რომელმაც უნდა შეიფაროს, სახსარი მისცეს
12097. ყველას სურვილია თავისი ფანტაზიის, ნაოცნებარის 50%-ის გმირი მაინც გახდეს.
12098. ჩვენ გვამშვიდებს ის უმნიშვნელოც, რაც ჩვენს სასარგებლოდ არის წარმოდგენილი.
12099. ზოგჯერ იძულებული ხარ თავს ანგარიში გაუწიო და ბევრი ისეთი რამ მოითმინო, რასაც სხვა დროს არ აპატიებდი.
12100. სახელოვანი კაცი ისე არ უნდა დაგლახავდეს, რომ მეგობრებმა მისი გარდაცვალება ინატრონ.
12101. ვცოცხლობთ მაშინ, როცა ყოველი დღე ჩვენთვის პრემიერაა, თუ არა და ვარსებობთ.
12102. ზოგისთვის ბედნიერება კომფორტი და სენტიმენტალური განწყობაა, რომელიც დროთა განმავლობაში ბეზრდება და შემდგომში თავს უბედურად გრძნობს.
12103. ღალატის ვირუსი უფრო მავნეა, თუ ის სიკეთის და პროგრესის სახელით უნდათ რომ შეგვყარონ.
12104. ზოგიერთები რატომღაც გაორკეცებული მონდომებით, ჟინით ჰყიდიან თავისიანებს და თავის გასამართლებელ საბუთსაც ნახულობენ.
12105. სულიერი სრულყოფა დამოკიდებულია წყვილის ჰარმონიულ შერწყმაზე, გრძნობების გამოხატვაზე და იმაზე, თუ რამდენად უხარიათ ეს შერწყმა მათ ირგვლივმყოფთ.
12106. დამნაშავეთა სამყაროში დიდი სტრესის გარეშე გამოსწორება არ ხდება, რადგან მათთვის დანაშაულის ჩადენის სურვილი იგივე ნარკოტიკია და სასიამოვნო გასახსენებელიც.

შევონებანი

12107. გარეგნულ ძლიერებას შინაგანი ძლიერების სიჯიუტე სჯობს, რადგან საბოლოო გამარჯვება მას ეკუთვნის.

12108. არიან ადამიანები, რომლებიც გარეგნულად ქვეყნის პრეზიდენტად ძნელად აღიქმებიან, მაგრამ თავიანთი გაგებით, მოხერხებულობით, ამ პოსტს ყველას ჯინაზე იკავებენ.

12109. ისტორიკოსები საუკუნის შინაგანი ბუნების გაგებას და იმ ეპოქის სიოს ქროლვის მიზეზს არ ეძებენ, ისინი მხოლოდ ფაქტებს აღწერენ და ამიტომაა მათი დასკვნები მცდარი, თანამედროვეობიდან მოწყვეტილი და მომავალი თაობებისთვის დღემდე გამოუყენებელი.

12110. დროის ყიდვა შეიძლება ვერ შეძლო, ამას გონიერება და გამოცდილება უნდა, მაგრამ საათი რომ შეიძინო და უსაქმოდ დროს ხარჯვა შეამცირო, ყველას შეუძლია.

12111. ყველაფრის პატიება ალბათ შეუძლებელია, მაგრამ პატიება დიდად არის დამოკიდებული ეპოქაზე, აღზრდაზე და პიროვნებაზე.

12112. ძალაუფლება, ნაყიდი სიყვარული და ზედმეტი მოფრთხილება ძალზე აფუჭებს ადამიანის მოდგმას.

12113. მართალია, გადამეტებული სიმდიდრე წესიერების მაჩვენებელი არ არის, მაგრამ არც პატიოსნებით გამოწვეული სიღარიბეა წესიერების დედა შენი ოჯახის და ახლობლების წინაშე. ეს უფრო უნიათობის, უსაქმურობის და სიმხდალის ბრალია.

12114. თუ სხვის უფლებებს ანგარიშს უწევ, მაშინ შენი უფლებების დაცვის უფლებაც გაქვს.

12115. ბედნიერება აგებულია აღზრდაზე, შეგნებაზე, რწმენაზე, პატივისცემაზე, ცხოვრების წესზე და არა იმაზე, ყოველწლიურად სად და ვისთან ატარებ დროს.

12116. ურთიერთგაგება ძნელია, თუ შენ ესწრაფი ისე იცხოვრო, როგორც გინდა, მაგრამ ცხოვრობ ისე, როგორც შეგიძლია.

12117. ყოველთვის არ შეგვიძლია ვიყოთ დარბაისელნი, თუნდაც იმიტომ, რომ ცხოვრების დაისზე სკლეროზი და სხვა მისთანები, ამის საშუალებას არ მოგვცემს.

12118. ზოგს საპენსიო ასაკი არ უდგება, ზოგი შუა გზაში იხარჯება, ზოგს შრომა ისე ეზარება, პენსიონერად დაბადებული გეგონება.

12119. საბოლოოდ ის მეგობარი შემოგრჩებათ, ვისაც შეუძლია თქვენი კეთილდღეობა უმტკივნეულოდ გადაიტანოს და მისგან რაიმე სარგებლის გამორჩენას არ ელოდოს.

12120. ასაკის მატებასთან ერთად ხედავ ომის უგუნურებას და იმ უგუნურებს, რომლებმაც ომი სახელისა და სიმდიდრის მოსახვეჭად გააჩაღეს, სხვისი უსიტყვო მორჩილების და სიცოცხლის ხარჯზე.

12121. სიბრიყვეს, თავხედობას, გამოძალვას და საზღვარი არა აქვს, თუ მას დროზე არ ავლაგმავთ.
12122. თუ ჩვენს თავს, სულს, ვასწავლით შინაგანი აგრესიის, შურის, ექსტრემიზმის ჩაქრობას, მაშინ ეშველება ადამიანის და სამყაროს გაჭირვებას.
12123. „არ წახვიდე სხვას ქვეყანაში და არ გამოიყენო გამდიდრების შანსი" – ესეც შანსია, რადგან შენს თავს არ უღალატე და შენი ქვეყნის ერთგული დარჩი.
12124. სიკეთის კეთება შინაგანი მოთხოვნილება და სულის განწმენდის მცდელობაა, რაც უფრო შეგნებით ვაკეთებთ მას და მადლიერებას ვიმსახურებთ, იმდენად ჩვენი სული უფრო სუფთა და მომხიბვლელი ხდება.
12125. ზოგისთვის კერძო შემთხვევა ყოველდღიურ მოთხოვნილებად იქცევა და მისი გონება ვერ ეთვისება იმას, რომ ყოველდღე რეალურად ეს არ ხდება.
12126. სიკეთის კეთება დამოკიდებულია მადლიერებაზე, რაც მეტია მადლიერების გამოხატვის კოეფიციენტი, მით მეტია სიკეთის კეთების სურვილიც.
12127. იმის ცოდნა, თუ რა არ უნდა ვაკეთოთ, არის თუ არა ბუნების დიადი ნაბოძები, ეს კიდევ საკითხავია.
12128. სიმართლის ცოდნა უდიდესი სიმდიდრეა, მაგრამ უნდა იცოდე მისი ხარჯვისთვის წესიერი ადგილი და ზომიერება.
12129. ცუდსა და უარესს შორის ბრძოლაც კი გიტოვებს სულიერი კომფორტის მოპოვების შესაძლებლობას.
12130. არ ეძიო სიავე იქ, სადაც ყველაფერი დაგეგმილი სისულელით ამოიხსნება.
12131. თავი, რა თქმა უნდა, სხვაზე მეტად უნდა გიყვარდეს, მაგრამ არა შენს მოწოდებაზე მეტად, თუ გინდა არ დაგივიწყონ და შენით იამაყონ.
12132. რატომღაც სულის პროსტიტუცია ნაკლებად იჭორება, ვიდრე სხეულის, რომ არაფერი ვთქვათ გონების პროსტიტუციაზე.
12133. შრომა ძნელი არ არის, მაგრამ შრომის შედეგად მიღებული შედეგის შეფასებაა ძნელი.
12134. ასაკის მატებასთან ერთად თავის და ჯანმრთელობის წარმოჩენა ჭირს, რაც ხასიათს აფუჭებს, ამიტომ შენს რაობას ფანტაზიები და მოგონებებიც უნდა დაახმარო.
12135. რწმენა დიდი სულიერი სიმდიდრეა, მაგრამ დაკარგული რწმენის დაბრუნება – გამართლებით, შეფასებით და კონსესუსის ნულების კორიანტელის დაყენებას მოითხოვს.
12136. იდეალური უტოპია არ არსებობს, რადგან კონკურენცია არ ექნება.
12137. მადლი უსიტყვოა, მას თავნი და თამასუქი არ სჭირდება, რადგან ყველაფერი სულიერ საწყისზეა დამყარებული.
12138. ქვეყნის გმირის პარამეტრებია: გადამეტებული გამბედაობა და გადამეტებული სიკეთის კეთება.
12139. შეგნების, ცოდნის, მოქალაქეობის, ღირსების და სულიერი სიწმინდის შთაგონებას დრო და დაფასება სჭირდება.

12140. ღირსება და სურვილი თუ რწმენის გარეშე დარჩა, მაშინ ისინი მიისწრაფიან უღირსისაკენ.
12141. სამწუხაროდ, კაცობრიობისთვის სიმწარის გაკვეთილებს მეტი შედეგი მოაქვს, ვიდრე სიკეთის.
12142. მოდა წარმავალია, ნიჭი მუდმივია გარდასული მოდის ახლებურად დასაბრუნებლად.
12143. მიუხედავად იმისა, რომ ნორმალური და ღირსეული ცხოვრების სურვილი ყველას აქვს და ეს გონების პარამეტრია, ხელების დაკაპიწებას არავინ ჩქარობს.
12144. სინდისის, ნამუსის, პატიოსნების დროებითი არენდა შესაძლებელია, მაგრამ ყიდვა – შეუძლებელი.
12145. საქმიან კაცს დრო ყოველთვის ნაყიდი აქვს, უსაქმურისგან განსხვავებით, რომელსაც საყიდლად დრო არასოდეს სჭირდება.
12146. ჭკუას მაშინ გვარიგებენ და გვსაყვედურობენ, როდესაც ფეხი უკვე წატეხილი გვაქვს, მანამ კი, სანამ რისკს თავზე აიღებდეთ, ყველა „შენ ხარ ვენახის" მომღერალია.
12147. ნოვატორული მოღვაწეობა მაშინ იძლევა შედეგს, თუ ის ტრადიციაგამოვლილია, აქვს თავის მენტალიტეტი და სიძნელეების დანახვის საღი უნარი.
12148. ყველა სიკეთეს თავისი ფასი ადევს, გააჩნია მის შესაძლებლობებს, როგორ ყიდის და ყიდულობს.
12149. კულტურას და განათლებას, ბედნიერების მაგიერ, საშუალო ყოფითი სიხარული და სათანადოდ დაუფასებელი ცხოვრება მოაქვს.
12150. განახლებული ევოლუცია დეგრადირებული ევოლუციაა, რადგან ევოლუცია მუხრუჭებს ვერ იტანს.
12151. ყველა საქმის თავიდათავი სურვილია, შემდეგ მოდის საქმე, მცდელობა.
12152. სამყაროს დიდიხანია მშვიდობა მოსწყურდა, მაგრამ ვინ არის ყურის დამგდები?
12153. ევოლუცია დისკრიმინაციის და დანაკარგების გარეშე არ არსებობს.
12154. მარტოობის ფორმულის ამოსახსნელად ყველამ თავისი თეორია უნდა შექმნას და თავისი მაგალითი ამოხსნას.
12155. მარტო ნიჭი, ტალანტი, საქმეს არ შველის, თუ მას აკენკვის საშუალება არ მიეცით.
12156. ზოგჯერ გრძნობების ჩქროლვას, ქროლვას, ვეტოს დადება სჭირდება, რათა მომდევნო თაობები ღირსეულ ტრადიციებზე, ქვეყნის შვილებად აღიზარდონ.
12157. საზოგადოების დანაშაული ის არის, რომ თავის გამორჩეულ ნაწილს ზნეობას არ სთხოვს. პოპულარულმა მილიონერმა მსახიობმა ქალმა ახალგაზრდული გადაცდენის გამო შვილი უპატრონო ბავშვთა სახლში ჩააბარა და მიივიწყა, ხოლო ამნაირ ვიგინდარას ბრბო კერპად იხდის. აქ თაობის ღირსეულად აღზრდა სათუოა.
12158. მტრები ერთმანეთს არ ღალატობენ. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან. ეს ფენომენი ახლობლებისთვის არის დამახასიათებელი ზურგში დანის ჩარტყმით.

12159. გზა რომ შეიმოკლო, საინტერესო მოსაუბრე უნდა დაიმგზავრო, ხოლო ბედნიერი რომ იყო, სხვის დაუმგზავრებლად, საკუთარი მცდელობით და ოცნებით უნდა განვლო შენთვის განკუთვნილი მანძილი.

12160. პატარა-პატარა ნაკლი ყველას აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოებაში ვინმემ წამოგვძახოს და შეგვარცხვინოს.

12161. მიუხედავად თანხების საჭიროებისა, ეკოლოგიური ორგანიზაციის წევრი უნდა უფრთხილდეს ფულით ხელების გაჭუჭყიანებას, რადგან ამ ხელებით გაკეთებული საქმე თაობებს რყვნის და სიკეთეზეც ხელს აღებინებს.

12162. თუ გინდათ, მოხუცებულობა სიამტკბილობით გაატაროთ, თქვენი ყველა ქცევა გეგმიურ ხელოვნებად უნდა აქციოთ: ივარჯიშოთ, სისტემატურად ისეირნოთ, ნაცნობები მოინახულოთ, შუადღის დასვენების შეტანა გეგმაში არ დაგავიწყდეთ, რადგან თქვენი ასაკისთვის ეს აუცილებელია, ამით სიკვდილისკენ მიმავალ გზას გაიხანგრძლივებთ, თანაც მოუმზადებული არ შეხვდებით.

12163. კაცისთვის ოჯახის განტოლების შესაქმნელად და ამაში ყოფიერების შესატანად ქალია საჭირო, ხოლო სიყვარულის ინტეგრალების ამოსაცნობად და ყოფიერების რაობიდან ფესვის ამოსაღებად მოთმინება.

12164. ყურადღება არ მიაქციო შენს ნიჭს, რომელიც არ მეორდება და სამუდამოდ იკარგება, დანაშაულია პირველ რიგში საკუთარი თავის წინაშე, რადგან შენი უგერგილობის გამო, მისი პოტენციალი გამოუყენებელი დარჩა.

12165. ხელის საქმიან სილამაზეს არაფერი შეედრება, ის უდიდესი შემოქმედია და ყველა წამოწყების და მუზის განმხორციელებელი, მაგრამ მის შესამკობად ძნელად იცლიან, რადგან ის შრომით არის დაკავებული და ხოტბაც თავის თავზე თვითონ უნდა დაწეროს.

12166. შეთანხმების მიუხედავად სინათლის ფული ერთ-ერთმა არ გადაიხადა და ის მეგობრებმა განათებულ ოთახში თვალებახვეული ამყოფეს, ეს ქმედება სიძუნწედ კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ ჭკუის სწავლებად, რომ ფულის გადაუხდელობა წესად არ გაიხადოს, იმის მომიზეზებით, არა მაქვს და ვერ ვიხდიო. კეთილი ინებოს, თავს ძალა დაატანოს და ზედმეტად ხელი გაანძრიოს.

12167. არის კაიფი, რომლის შეძენა, თუ შენთვის გინდა, შეუძლებელია: საცხოვრებელს იშენებენ, ფრაკს იკერავენ. ცოლს ირჩევენ და გამოძერწას ცდილობენ და სხვა ამდაგვარი, ამრიგად, თუ გინდა ცხოვრების ხიბლი შეიგრძნო, შენ თვითონ უნდა შექმნა და არ შეიძინო.

12168. ნაღდმა მეგობრობამ იმ ზღვარს უნდა მიაღწიოს, რომ შეეძლოთ ერთმანეთზე ცუდის თქმა, კრიტიკა ქვენაგრძნობებისა და სიბინძურის გარეშე, დიდი სიყვარულით.

12169. ეცადეთ აკეთოთ ის, რაც თქვენ სულთან, ბუნებასთან ახლოა, რაც მოსახდენია, მოხდება, ეს შენი პრობლემა არ არის, მხოლოდ ერთი პირობით: სხვას არ ავნო.

12170. მიწა საკმაოდ არის გაპოხილი ხალხის სისხლით, ამიტომ დროა თავი შევიკავოთ ამდენი მსხვერპლის გაღებისგან არაფრის გულისთვის, რომელიც ბოლოს მაინც ბრბოს გაწბილებით და ვიღაც ვიგინდარას წარმოჩენით მთავრდება.

12171. სილამაზის სათავისო შეგრძნებას ნიჭი, მატერიალური მხარე, აღზრდა, თავისუფალი დრო და ნაციონალური იდეა სჭირდება.
12172. სისულელეა ცოლადყოფილის მეორედ შერთვა, კოშმარია ამის მესამედ გამეორება, სიბრიყვეა იმის მტკიცება, რომ ყოველივე ეს სიყვარულის და „შეჩვეული ჭირის" თეორიის გამო ხდება.
12173. ჩაცმულობის, ურთიერთობის, ცხოვრების, ბრძოლის, სტილი ყველას თავისი უნდა ჰქონდეს, ოღონდ უნდა ვეცადოთ ურთიერთდამოკიდებულება გვქონდეს კეთილგანწყობილი, საქმიანი, შემოქმედებითი.
12174. სად ჰყავს სამყაროს პატრონი, თორემ დედამიწის მცხოვრებთ გამათრახება არ აწყენდათ, რადგან დედის მიერ შვილის დასჯა შეურაცხყოფად არ ითვლება და ხოლო ალიყურის ჭმევას ხანდახან შედეგი მოაქვს.
12175. შენ ის დოქი ხარ, საიდანაც შენი შვილები კაცობის წყალს ეწაფებიან და არავითარი უფლება არა გაქვს შენი გაუსუფთავებელი გონებით და გრძნობით ეს წყალი აამღვრიო.
12176. იცხოვრო ისე, როგორც მოგეხასიათება, ოღონდ სხვას ხელი არ შეუშალო, – ასე ღვთით დამოძღვრილი ცხოვრება სინამდვილეში არ გამოდის, რადგან არსებობს ფიზიკის კანონი, რაც მეტია დაწოლა – მით მეტია წინააღმდეგობა, უკეთესი ცხოვრების სურვილი, რომელსაც შურიც ახლავს, ფიზიკის ამ კანონს, იძულებით, თვით მამაზეციერიც ემორჩილება.
12177. ყველა ჩვენგანი კვდება თავისი პატარა სიკვდილით, როდესაც ცხოვრება სამარცხვინო სილას გაგაწნავს, ამის შემდეგ კი ერთი სული გვაქვს ყოველივე თავიდან დავიწყოთ და ახალ ცხოვრებას თვალებში შევხედოთ.
12178. ხანდახან თავი იმითაც უნდა ინუგეშო, რომ არის დღეები, რომლებიც მართლა პატიოსნად გაატარე და ასევე გაგრძელებდი, შენი შთამომავლობა და გარემო პირობები ხელს რომ არ გიშლიდეს.
12179. იცხოვრო ისე, როგორც შენ გინდა, შენს ახლობლებს სურთ და არა ისე, როგორც ცხოვრობ, ძალზე ძნელია, მაგრამ თანდათან დაღვინებასთან ერთად, ეს გარემოება შეუძლებელი აღარ გეჩვენება.
12180. დაცემა გარდაცვალებას არ ნიშნავს, კეთილი ინებეთ, ხელებზე აიწიეთ, ნაბიჯი წინ წადგით და ფეხზე დადექით, თუ მიზნის მიღწევა გინდათ.
12181. ხანდახან ჯობს ჭკვიანთან წააგო, რაღაც ახალი ისწავლო და მოგებაზე იოცნებო, ვიდრე სულელს მოუგო და ოცნების გარეშე დარჩე, რათა მოშურნენი არ გაიჩინო.
12182. ყველას თუ დაავადებულად და უღირსებად ჩავთვლით, ვინც შეურაცხყოფას მოგვაყენებს, შეიძლება მშვიდად ვიცხოვროთ, მაგრამ ესეც ხომ თავისებური რელიგიაა, რომელიც საკუთარ თავს უნდა შევაგონოთ და ვისწავლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნერვები ამის საშუალებას არ მოგვცემს.
12183. თუ გზას სხვას გაუნათებ სიკეთით, სიყვარულით, მაშინ ეს, ბუმერანგივით, კოპებდაყრილი, მადლიერების ნაცვლად შეიძლება უკან მრისხანებით დაგიბ-

რუნდეთ, მაგრამ ეს იმის საფუძველს არ იძლევა, რომ შემდგომში კარგი საქმე არ აკეთოთ.

12184. კეთილდღეობის სწრაფად მისაღებად საჭიროა: მოხერხება, მიზანი, რისკი ხოლო – გონიერება, ნიჭი, შრომა, ხშირად, ცხოვრების საშუალო დონეს იძლევა.

12185. მთავარია, ისტორიამ აღიაროს შენი წარმატება და არა – ხალხმა.

12186. მშიშარა არ უნდა იყო, მაგრამ არც ავანტურაში გამბედაობით თავის ჩაგდებაა დიდი ვაჟკაცობა.

12187. ყველაზე მეტად თავს უნდა გაუფრთხილდეთ, რადგან მასში დაბუდებული სულის ქენჯნის სიმპტომები არ დაგვჩემდეს.

12188. შვილმა მშობლების ვალი თავის წარმოჩენით და გამრავლებით უნდა გადაიხადოს და არა ყველგან და ყოველთვის მათი გახსენებით.

12189. სამყარო თავისი უშიშროების არქიტექტურას თავად აპროექტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მშვიდობის მშენებლობის საქმე მუდამ წკიპზე იქნებოდა.

12190. სიცოცხლე მაძღრად – არა, მაგრამ სიამოვნებით კი უნდა გალიო.

12191. შეცდომები თუ არ დავუშვით, ისე ჭკუას ვერ ვისწავლით და შეცდომებსაც ველარ გამოვასწორებთ.

12192. დუმილი იმიტომ არის ოქრო, რომ ხშირად დაუმსახურებელ რეგალიებს მოგაპოვებინებს და დამსახურებულად სიყვარულზე, კარიერაზე, ყოფიერებაზე იცვლება.

12193. ზოგი სხვისთვის ნიშნის მოგებაში, ჭკუის დარიგებაში და ხასიათის გაფუჭებაში ნახულობს სიამოვნებას, იმის მაგივრად, რომ ოპონენტს გვერდით ამოუდგეს და სასიკეთო საქმე აკეთოს.

12194. არის საკითხი, რომელიც ახსნა-განმარტებას არ ემორჩილება, რადგან ის მხოლოდ შენს შესაცნობად, გასათავისებლად არის განკუთვნილი.

12195. ნიჭი აღმაფრენის გარეშე ყოველთვის ზარმაცია.

12196. ცივ გონებას რეალური საქმის საკეთებლად არც მხურვალე გული სჭირდება და არც სუფთა ხელები.

12197. მიწასთან ახლოს ყოფნა და მასზე მუშაობა დასვრის მიზეზი არ უნდა გახდეს.

12198. მიზნის მისაღწევად მოკირწყლული, მუდამ მწვანე შუქნიშნიანი გზა არ არსებობს. მას უდიდესი ნიჭი, მონდომება, მოთმინება და ოფლის მდინარე სჭირდება.

12199. ცხოვრების სწორი წარმართვისთვის სტაბილური გარემო საჭიროა, რადგან, რაც ერთისთვის შეიძლება კარგი იყოს, მეორესთვის ყოველთვის მოსაწონი არ იქნება.

12200. ადამიანი, რომელსაც აქვს სხვისი ტალანტის და მიღწევების აღიარების უნარი, ყოველთვის კარგი მოსწავლე იქნება და თუ ბეჯითობის უნარიც აღმოაჩნდა, ახლო მომავალში თავის მასწავლებელზე წინაც დადგება.

12201. ღირებულებების, სიხარულის, სიკეთის ფასი ყოველთვის ძნელად განიცდიდა ცვალებადობას.

12202. ჩვენ ავები არ უნდა ვიყოთ, მაგრამ მახსოვრობა კარგი უნდა გვქონდეს, რომ სიავე თავის დროზე მოვთოკოთ და არ გავამეორებინოთ.

12203. დღევანდელი გადასახედიდან ძველის ნირის, ხასიათის, ზნის გაიცხვა არ შეიძლება, რადგან ყველა დროის ღირებულებას ის მატერიალური პირობა და ტექნიკური პროგრესი წყვეტს, რა დროშიც ცხოვრობენ.

12204. პროფესიის მიმზიდველობა მის უნიკალობასა და იშვიათობაშია, თორემ ხორბლის მომყვანზე საუკეთესო და აუცილებელი ამქვეყნად არაფერი არსებობს. მას არც მოიხსენიებენ და არც ხოტბას ასხამენ.

12205. თავის დამორჩილება ბუნების კანონებისადმი დამორჩილების ტოლფასია, რადგან ბრძენიც გარემოსთან შეთავსებით ცდილობს იცხოვროს.

12206. პატიოსნება და ჭკუა სხვადასხვა ცნებაა. პირველს სულის დივიდენდები მოაქვს, მეორეს – მატერიის. ჯერჯერობით, პირველი მეორეს სიცოცხლეში თავის უპირატესობას ვერ უმტკიცებს, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანს უნდა პატიოსნებას ემსახუროს, მაგრამ კუჭი ამის უფლებას არ აძლევს.

12207. ჭეშმარიტება იქ არის, სადაც ჩვენ გვინდა და გვგონია, სანამ ვინმე ოპონირებას არ გაგვიწევს.

12208. ქრთამი კი არ უნდა გამოძალო, არამედ ის უნდა დაიმსახურო, გამოიმუშაო.

12209. ბუნება თავის შემოქმედებით გარემოსთან ურთიერთობაში გენიალურია და კრიტიკას არ ექვემდებარება.

12210. თავხედობა, უტიფრობა, ხეპრეობა ეს ის უზრდელობაა, რომლის მოთმენა შენს სიამაყეს არ შეუძლია და მის დასათრგუნავად ყველა ზღვარს გადადიხარ.

12211. ნიჭს თუ ღმერთი გჩუქნის, გონიერებას თავად უნდა მიხედო, რადგან ის არა მარტო სხვებს უნდა გამოადგეს, არამედ შენც უნდა იხეირო, რათა შენთვის განკუთვნილი სიცოცხლე არ შეიმოკლო.

12212. ცნობისმოყვარეობა და შემართებაა ჩვენი პროფესონალიზმის ამაღლების ბერკეტი და საშუალება რათა სხვებს ზევიდან გადმოვხედოთ თავის პატივისცემით და დაფასებით.

12213. მშვიდობას მარტო გონიერებით ვერ დაამყარებ, თუ შენი არ ერიდებათ და ეშინიათ.

12214. მომავალს სახელი და დიდება იმ შემთხვევაში მოაქვს, თუ აწმყო ეჭვიანობს, მომავლის იმედი გაქვს და წარსულს წყენანარევი ღიმილით აცილებ.

12215. ყოველივეს დრო და შემთხვევა წყვეტს და ამისთვის ყველა ჩვენგანი მზად უნდა ვიყოთ.

12216. სიმდიდრის გირაოდ მოპოვება მრავალ ოჯახს დააქცევს ისე, რომ ამას ვერც იგრძნობენ და ვერც შეხედავენ.

12217. დედის მუცლიდან თანდაყოლილ მანკიერებას არაფერი ეშველება, თუ ის ჯერ შეძენილად არ ვაქციეთ, თანდათანობით სულგრძელობა, შრომისმოყვარეობა, მადლიერება არ ვასწავლეთ.

12218. სიტყვების რახარუხსა და მჭერმეტყველებას შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ მისი გარჩევის უნარი ბევრისთვის ღმერთს არ მიუცია.

12219. ფილოსოფოსმა კარგად იცის, რომ თავისი დაკვირვებებით ადამიანის ბუნებას ვერ გამოასწორებს, მაგრამ ცდას არ აკლებს, რადგან ამას თავის სულის სილაღისთვის სჩადის.

12220. გონიერება ის საჯიშე თესლია, რომელზეც შეიძლება მრავალი თავისმაგვარი აღმოცენდეს, ოღონდ მას მოვლა და სწორად გალეწვა ჭირდება.

12221. ჭკვიანი კაცისთვისაც კი სამართალი და სამართლიანობა აქილევსის ქუსლია, რადგან მის აღსრულებას მარტო გონიერება არ შველის, მას ძალაც უნდა, მოხერხებაც და ვირეშმაკის ბუნებაც.

12222. მოკრძალებული პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ უნდა იყო და არა სხვის მიმართ, თუ გინდა ცხოვრება გაიამხანაგო და ბიჯი წინ წადგა.

12223. რისკს და თავქარიანობას სიბრძნეს ვერ დავარქმევთ, მაგრამ მათ გარეშე არც სამყარო განვითარდებოდა და არც მასში ცხოვრებას ექნებოდა ფასი.

12224. სიძუნწესა და ხელმომჭირნეობას შორის ის სხვაობაა, რომ ერთი ცეცხლდაუნთებელ ცივ სახლში კვდება, მეორე გაუღვივებელი ნაღვერდლის მქონე ქურაში.

12225. ბოროტება, გულგრილობა, პირველ რიგში თავს ვნებს, რადგან ის სიკეთის ანა-ბანას ვერასოდეს დაეუფლება.

12226. ცუდი და სათუო გადაწყვეტილებას სჯობს საერთოდ არ გადაწყვიტო, ოღონდ ყოველგვარი შეყოვნება-დაყოვნების და დროის გაყვანის გარეშე.

12227. ზოგჯერ ყველაფერი ისე ცუდად გვეჩვენება, რომ ძნელი წარმოსადგენია უფრო უარესი, მაგრამ დრო გადის, ყველაფერი მოწესრიგდება და თქვენდაუნებლიედ ხვდებით, რომ ცხოვრება საამურია.

12228. რწმენა იმისა, რომ სხვაზე ნაკლები არაფრით ხარ, დაბადებიდანვე უნდა დაგყვეს, ხოლო შეცნობა იმისა, რომ სხვაზე მეტი ხარ, სიდინჯეს მოითხოვს და დაცდას, რადგან შენ კი არ ამჩნევ დროს, პირიქით დრომ უნდა შეგამჩნიოს.

12229. მშვიდობა ყველა გამარჯვებაზე და თავისუფლებაზე მეტად ფასობს, მაგრამ ეტყობა, მანაც მობეზრება იცის. ამის შესანიშნავი მაგალითია კაცობრიობის ისტორია.

12230. ჩვენს გათხრილ გვირაბში სინათლის სხივი გამოჩნდა, მაგრამ ჩვენი თავქარიანობის გამო ვერც განათებით ვსარგებლობთ და ვერც მასში გასასვლელს ვხედავთ.

12231. რადგან ბოლო ყველას ერთი გვაქვს, ერთმანეთს ღიმილით, სიხარულით უნდა შევხვდეთ, მათ შორის, დროულ სიკვდილსაც.

12232. ზრდილობა და დიპლომატია შინაგანად სინონიმებია, მაგრამ მიზეზთა გამო ერთმანეთისგან შორს დგანან.

12233. სიჩლუნგე, უგნურება, უიღბლობა არ შეიძლება ყოველთვის ერთი ადამიანის თანამგზავრი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, განგების ნაჩუქარი ყოფილა, რაც ყოველთვის ბუნების კანონს ეწინააღმდეგება.

12234. შექებით ყველა უნდა შევაქოთ, თუ გვინდა ის კაცად ვაქციოთ, სტიმული მივცეთ და ჭკუაზე მოვიყვანოთ, ოღონდ არ უნდა გადავაჭარბოთ, გავათავხედოთ.

12235. ძაღლს რომ ისეთი პირობები შეუქმნა როგორსაც ზოგი ძუკნა უქმნის თავის ხვადს, ისიც ინფარქტის კანდიდატი გახდებოდა და სიავე და ძაღლური ერთგულება ვერ უშველიდა.

12236. სულის კრედიტის გარეშე ქალს მამაკაცთან ცხოვრება უჭირს, ხოლო სულიერი სილამაზის უქონლობის შემთხვევაში კაცს ქალთან ურთიერთობა უმძიმს.

12237. სიცოცხლის ემხი, ილუზიები საბოლოოდ სიბრძნის კბილივით იკარგება დაუნანებლად და საკუთარი თავის შესაძახებლად.

12238. კაცობრიობა ძალით არც სიკეთისკენ უნდა მივრეკოთ და არც უკეთურობისკენ, რადგან სახეირო და საინტერესო ამით არაფერი გამოვა.

12239. რა თქმა უნდა, ყვირილით ვერაფერს დაამტკიცებ, მაგრამ ზოგჯერ საქმის კეთება შესაძლებელია.

12240. ყველა საქმის წარმატების ფინიში ცხენის და მხედრის შეთანხმებული ჯირითია, ხოლო საწყისი, ურთიერთგაგება და წვრთნა.

12241. ადამიანური ურთიერთობა იბადება დინჯად, დაუძალებლად, სიყვარულით და იმის შეგნება-შეცნობით, რის გამოხატვა-თქმა შეუძლებელია.

12242. ხანდახან ჩვენი წარსული კი არა, მომავალი გეცოდება, როდესაც შენი ქვეყნის ისტორიის გადამკიდე, დღევანდელობას უყურებ, რადგან ძველი შეცდომების გამეორების საფრთხე რეალობაა.

12243. ყველა ბედნიერი წუთი ჩვენთან რჩება, ცუდს დავიწყების ობი ედება, რადგან ადამიანის გონება კარგის დასამახსოვრებლად არის მოწოდებული და არა ცუდით სიცოცხლის მოსაწამლავად.

12244. პიროვნების ცოდვებს, შეცდომებს, ივიწყებენ და ისტორიაში თავის შეხედულებისამებრ ადგილს მიუჩენენ, თუ მან თავის ქვეყანას და ერს მოსახსენებელი რაიმე დაუტოვა.

12245. მეგობრობა არსებობს ძველი, გამოცდილი. თანამეინახენი სად და როდის გამოადგებიან ერთმანეთს, არავის უწყის, მაგრამ ადამიანთა ყიამყრალი და განუსჯელი ბუნების გამო, ხშირად ის მეგობარი შემოგრჩება, ვისთანაც სუფრის მეტი არაფერი გაკავშირებს.

12246. ბრბო ყველაზე ნაკლებად ჭკუას აფასებს, მაგრამ ყველაზე მეტად აღფრთოვანებულია მისი შედეგებით.

12247. მიუხედავად შედეგისა, ბედნიერებაა, როდესაც სურვილი გარდაუვალობას ემთხვევა, რადგან ის შენი ბედისწერაა, რომელსაც ვერსად გაექცევი.

12248. დიდებს აინტერესებთ, სად იკარგება მათი მცდელობა, პატარებს კი რატომ არიან მათზე ასე მომაბეზრებლად გადაყოლილნი დიდები.

12249. თეორიულად ყველანი ძმები ვართ, მაგრამ ყველა ძმა ფაქტიურად ადამიანი არ არის და ამიტომაცაა, რომ სამყაროში ამდენი შეხლა-შემოხლა და გაუგებრობა ხდება.

12250. თუ ქალს ეარშიყები, თავხედი ხარ, თუ ვერ ამჩნევ – უგვანო, ხოლო მასზე დაქორწინებით ყველა ცოდვა გეხსნებათ. ოჯახის შექმნის მომიზეზების სახელით.

12251. ბევრი საიდუმლოებით მოცული რამ კაცობრიობის ისტორიაში გამოუცნობი დაგვრჩებოდა, მას რომ ჩვენი ყოფიერების ფანტაზია არ ეხმარებოდეს.
12252. ყურებამდე შეყვარება ერთეულთა ხვედრია, მაგრამ ამ გრძნობის თქმა და შეცნობა დიდი ბედნიერებაა.
12253. არავინ იცის რა იქნება ზეგ, მაგრამ ხვალინდელი დღის გამოცნობა ხშირად ჩვენს თანდაყოლილ ინტუიციას და მონდომებას უნდა მივანდოთ.
12254. ხშირად შვილი მშობლის წარსულ შეცდომებს ახალი ვარიანტით იმეორებს, რაც მათგან მოთმინებას, გაგებას და მახსოვრობას მოითხოვს.
12255. მოწყენა ჩვევად გვექცევა, თუ ყოველთვის გაურკვეველსა და ცუდზე ვიფიქრებთ და აზრს ოცნებით არ შევკაზმავთ.
12256. მოდა ქმნის ადამიანის მსგავს არსებას და არა ადამიანს.
12257. იმარჯვებს რწმენა, მცდელობა და არა სურვილი, თავზე წარმოდგენა.
12258. გამბედაობა თუ ეშმაკობა, რომელი სჯობს, ალბათ, ეს უკანასკნელი, რადგან მასში პირველი იგულისხმება.
12259. სიმდიდრე ბედნიერების გარანტი არ არის, მაგრამ არც სიღარიბეა მწუხრის საწყისი, რადგან ამქვეყნად სულის საამებლად ვართ მოვლენილი თუ დასაცხრომად არავის უწყის.
12260. წარმატება საშიში დავადებაა, სულ იმის ცდაში ხარ, თავს აჯობო და თუ ამას ვერ ახერხებ, მაშინ ოცნების დამსახურებულ პენსიაში გასვლას უნდა ეცადო და თავი დაიფასო.
12261. გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავალი ის არის, რაც ჩვენს ცნობიერებას, აღზრდას, ტრადიციებს არ მოსწონს და მიუღებელია.
12262. განგებაზე ფიქრი ყველას ხვედრია, მისი ნამოღვაწარის შეცნობის სურვილი ერთეულების საკუთრება, ხოლო მისი ბოლომდე წაკითხვა – შეუძლებელი და მიუწვდომელი.
12263. სიღარიბეს არ აქვს თავმოყვარეობა და სულ სხვისი ბედის ქექვაშია, სიმდიდრეს – რწმენა და სულ სიმშვიდის ძებნაშია. პირველს თუ ყურადღება და დაცვა ჭირდება, მეორე მეთვალყურეობას ვერ იტანს, მაგრამ სულ დაცვის გარემოცვაშია.
12264. საკუთარი სულის პატივსაცემად სხვისი კარგიც უნდა დაინახო და სასარგებლოც, ხოლო გასახალისებლად უნდა შეაქო და წარმოაჩინო.
12265. ასაკის მიუხედავად ბავშვი მშობლის მარად მოსავლელ და ჭკუის დასარიგებელ არსებად რჩება.
12266. ყური არ უგდო სხვას და მისი აზრი არ გაიზიარო, ეს ნიშნავს, რომ დრომ შენს ირგვლივ სიძნელეების ბორბალი შეჰქმნა.
12267. მეგობრებისგან შორს არ უნდა ვიდგეთ, მაგრამ მტრებთან უფრო ახლო უნდა ვიყოთ, რომ არ დავძაბუნდეთ და მათი ყველა ნაბიჯი ვიცოდეთ.
12268. რწმენას ფანატიკოსების გარეშე არსებობა არ შეუძლია, მაგრამ თავის მოძღვრებაში ფანატიზმი უნდა დაგმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მავანთან ურთიერთობა გაუჭირდება.

12269. უზურნველყოფილი გარემო ადამიანს აზარმაცებს, ცალმხრივად ანვითარებს, რადგან მას იმაზე მეტი არ სჭირდება, რაც აქვს, ეს კი დამღუპველია გონიერების გამოვლენისათვის.

12270. რა ქნას ყოვლად დაუცველმა, საწყალმა დედამიწამ. ისიც საკუთარი მეთოდებით ებრძვის თავის ზურგზე ადამიანის მოჭარბებას. ხან ავადმყოფობას გამოგზავნის, ხან ომებს, ავტოკატასტროფებს, ბუნების ჭირვეულობას და სხვადასხვა კატაკლიზმებს, რათა თავი დაიცვას ამ ორფეხა ცხოველის მადისაგან.

12271. დღევანდელი კომუნიკაციებისა და ტექნიკური პროგრესის პირობებში დედამიწა, ფაქტიურად, ერთიანია, ამიტომ, საჭიროა ხალხებში ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით საერთო ჰუმანიტარული იდეები დავნერგოთ.

12272. სიკეთისა და მიზნის მისაღწევი გზა ვარდებით არ უნდა მოვფინოთ, რადგან მიზანს მივაღწევთ, მაგრამ სიკეთისგან შეიძლება არაფერი დარჩეს.

12273. მუხლებზე დაჩოქილი ჯანყი კარიერისტების შეგნებული, შეუმჩნეველი პროტესტის გამოხატვაა, რომლებიც მუდამ ვერაგულად არიან ჩასაფრებულნი ზურგში დანის ჩასარტყმელად და როდის გაგიმასპინძლდებიან ამ „სიკეთით", თვითონაც არ იციან, რადგან უწვალებლადაა მოსული.

12274. რაც არ გეკუთვნით, მისი ფლობა გახარებთ და ბედნიერს გხდით ფიქრი იმაზე, რომ კიდევ მეტს შეიმატებთ, მაგრამ ამ შენაძენს მოუვლით თუ არა, არც გაინტერესებთ და არც განიცდით.

12275. ყველა დასასჯელია, ვისაც შემოქმედის შემოთავაზებული სამყარო არ მოსწონს და მისი გადაკეთების მცდელობაშია, რათა თავისი მოუთოკავი ამბიციები დაიკმაყოფილოს.

12276. შეგირდს, არ გაახსენო შენი ამაგი და არც სხვას უთხრა ამის შესახებ, რადგან თუ დასჭირდი და პატივისცემით მოგიხსენია, ხომ კარგი, თუ არა და სისაძაგლეს და ღალატს მაინც გადარჩები და სანერვიულოც არ გექნება.

12277. მორალი ცნობიერების გარეშე არ არსებობს.

12278. მთელ ცხოვრებას ჩვენთვის გასაგებ სიყვარულსა და სითბოს ძებნაში ვკარგავთ და ნაწილს თუ მაინც ვიპოვით, მაშინ ყველა ჩვენი დანაკარგი თავნითაა ამოღებული.

12279. მამაჩემი თავის ახალ ფეხსაცმელს გასაწევად და ფეხებზე მოსარგებად მაცმევდა, ამით ორ კურდღელს იჭერდა, ფეხსაცმელს გაუწევდი და ახალი ფეხსაცმელის ტარებითაც გულს მოვიჯერებდი. შედეგად, მის პრივატიზაციაზე აღარ ვფიქრობდი.

12280. მშობლების სიტყვა ქარს არ უნდა გაატანო, მაგრამ არც ქარსაფარივით უნდა აღუდგე, რათა მათ მენტალიტეტს ობი მოშორდეს.

12281. ნაშრომი კი არ უნდა მისცე, არამედ შენი შეხედულებისამებრ უნდა უწილადო, რადგან უაზროდ გაცემულმა მუქთახორების, მათხოვრების მომრავლება იცის.

შური – შიშია?!

12282. ყველა ნორმალური ადამიანი განიცდის ქვეყნის ჭირ-ვარამს, ცდილობს დაეხმაროს, მაგრამ შურის და თავის წარმოჩენის გამო ამასაც არ ვანებებთ ერთმანეთს,– „ეს ჩემზე უკეთ ქვეყანას როგორ ემსახურებაო", – აქაც შური და კარიერისთვის ბრძოლა გვიშლის ხელს ქვეყნისთვის ზრუნვასა და მის გალაღებაში.

12283. ლოთს თავისი „დიპლომატი", რომელშიც ორი ბოთლი არაყი თავის მისატანებლით იდო, მწერლისაში აერია, რომელშიც ახლად დამთავრებული რომანის ხელნაწერი იყო. ამ შემთხვევით „ბარტერს" ორივე ძალიან განიცდიდა, რადგან მათ ერთმანეთის არ შურდათ.

12284. ხანშიშესულ მამაკაცზე გათხოვილ ახალგაზრდა ქალს კიდევ 50 წელს ერთად ყოფნას და სიამტკბილობით ცხოვრებას უსურვებენ შურიანი ახლობლები.

12285. შური, ღვარძლი, ცუდის დამახსოვრება, თუ თანდაყოლილი დაავადებაა, ასაკის მატებასთან ერთად უფრო დასნეულდები, სხვასაც მოუწამლავ სიცოცხლეს და თვითონაც ამქვეყნიდან დროზე ადრე აიბარგები, რადგან განკურნება შეუძლებელია.

12286. რადგან შურისთვის სამართლიანობა, გონიერება არ არსებობს, ის ქვეყნის მმართველობის ყველა წყობას შეურიგდება, თუ მას ცხოვრების დონით სხვა ქვეყნები არ ჯობს.

12287. ზოგიერთ წინასწარმეტყველს გაუცნობიერებელ ცხოვრებას შურით სიკვდილი ურჩევნია.

12288. ხშირად თეთრი შური მექრთამეობასთან, გამორჩენასთან, მლიქვნელობასთან არის ჩახუტებული, მაგრამ ის მხარდასაჭერი აღმშენებელი შურია, იქნებ სასარგებლოცაა, რადგან იმქვეყნად ვერაფერი მიგვაქვს.

12289. საქმის საკეთებლად მთავარია შრომისმოყვარეობა, მონდომება და თეთრი შური, რადგან გონიერებით შენს სიცოცხლეში ამქვეყნად ბევრი ვერაფერი კეთდება.

12290. პროგრესული შურის და წამხედურობის შედეგია საზოგადოების უკეთესი ცხოვრებისკენ სწრაფვა და აზრის ჩამოყალიბება.

12291. ახალგაზრდა უწიგნურებს წიგნის კითხვას ურჩევს ის თაობა, ვისთვისაც ცხოვრების დაისი დაწყებულია. მომავალი თაობა კი ცდილობს გაეცნოს თავისი ჟარგონით მსოფლმხედველობაზე დაწერილ წიგნს ან ტელევიზიაში იხილოს თავისი წილი სუროგატი და მათ ერთმანეთის არ შურთ.

12292. ახალგაზრდობაში უნდა ვისწავლოთ პროდუქტების შეფასება, მისი მომზადების და გაფორმების ფასი, თორემ სიბერეში მხოლოდ ცოდნა და შური შეგვრჩება დეგუსტაციის უფლების გარეშე.

12293. როდესაც ღირსება, კდემამოსილება, ქალისადმი სიყვარული და პატივისცემა იკარგება და ყოველივე ამას ანგარიშის და გამორჩენის სახე ეძლევა, საზოგადოება გადაგვარების გზაზე დგება, მომავალი თაობა კი შურით ირყვნება.
12294. ქრთამში გამოძალვის და დაუმსახურებელი შეღავათის ელემენტები იმალება, ხოლო ძღვენში – სიყვარულის, პატივისცემის და მადლიერების. თუმცა კანონმდებლობისთვის ორივე ერთი ეშმაკია და მათი ქმედება შურს არ იმსახურებს.
12295. დიდ თაღლითებს რიგითი თაღლითების ყოველთვის შურდათ, რადგან ჩავარდნის შემთხვევაში მათი სასჯელი სანატრელია.
12296. ცოდნა და შესაძლებლობა: პირველს ყოველთვის შურდა მეორესი, ხოლო შესაძლებლობა ყოველთვის პატივს სცემდა ცოდნას, რადგან მის გარეშე წარმატებაზე ლაპარაკი ზედმეტია.
12297. შური, უიმედობა, არ ჰკლავს, მაგრამ ხელს უწყობს ამ პროცესის დაჩქარებას.
12298. ვისაც მშობელი უნახავად ომში დაეღუპა, მათთვის ომი დამთავრებულად არ უნდა ჩაითვალოს, არა იმიტომ, რომ შური იძიონ და სისხლი აიღონ, არამედ, ფხიზლად იყვნენ და მომავალი თაობა ამ ველურობისგან სხვაზე მეტად დაიცვან.
12299. შეძლების გარეშე ადამიანი დაუცველია, მაგრამ შურმა ეს გარანტი შეიძლება არარად აქციოს.
12300. მართალია, შურიანები, აფერისტები, ქურდები და სხვა ნაძირალები იმქვეყნად ვადაზე ადრე მიდიან, მაგრამ მათი დაწყებული საქმეების გამგრძელებლები ამქვეყნად რატომღაც არ მცირდებიან.
12301. ჭკვიანი შურისძიებას ირონიით გამოხატავს, ძლიერი – ძალის დემონსტრაციით, ხოლო უგონო კაცის შურისძიება გაუგებარი და შემაძრწუნებელია.
12302. შურია ამ ქვეყნის ამშენებელიც და დამქცევიც, მის გარეშე ვერც სიკეთე და ვერც ბოროტება ვერ იარსებებდა და ვერც ქვეყანა წამოდგებოდა ფეხზე.
12303. სამწუხაროა, როდესაც ამქვეყნიდან ისეთი იმედგაცრუებული, გალეული გულით მიდიხარ, რომ შენი არავის შურს.
12304. ბედნიერები იბადებიან, ხდებიან, კვდებიან კიდეც, ასე რომ საშური ამქვეყნად არაფერია.
12305. სული, რომელიც წარმოჩენისთვის ვარგისია, ის შურიანიც არის, რწმენას ყოველთვის ვერ ერევა და შინაგან ძალას თავს არ უყადრებს.
12306. სიღარიბე ერთადერთია, რომლის გაყოფაში არავინ გეცილება და არც არავის შურს. მას მაშინ ნატრობენ და იგონებენ, როდესაც სიკვდილის გაცვლა მასზე სურთ.
12307. დემაგოგია, შური, მომხვეჭელობა, ინტერნაციონალურია და ყველა ეროვნების წარმომადგენელი სიამოვნებით გამოიყენებს მას, თუ საზოგადოება ამის ნებას დართავს.
12308. იმისთვის, რომ კოლეგებმა გულით დაგაფასონ და შენი არ შურდეთ, დროულად უნდა მიიცვალო ან პენსიაში გახვიდე, რათა კარიერაში შემცილებლად არ ჩაგთვალონ.
12309. თუ შენი არავის არ შურს ე.ი. ცუდად გიცხოვრია და გიწვალია.

12310. ჩვენს დროში შურსაც დამსახურება უნდა, რადგან ეს თავისთავზე ამაღლებული ხალხის ხვედრია.

12311. ყველა რევოლუცია სულის მიმართ უდიდესი დანაშაულია, რადგან აგებულია შავ შურზე, რომლის თეთრ შურად კოლექტიურად გადაკეთებას ცდილობენ, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ თავისი გამოუცდელობის და უნიჭობის გამო, ამიტომ თეთრი შურის შედეგებს დაუმსახურებლად თვითონ იმკიან და ხშირად თავის ამბიციებს ეწირებიან.

12312. ანტისემიტიზმი, ფაშიზმი, ნაციზმი, ეს ყოველივე შავი შურის შედეგია და თუ გვინდა მისი თეთრ შურად გადაკეთება, უნდა ვეცადოთ დავამყნოთ, თუ არაფერი გამოვა ფესვებიანად ამოვძირკვოთ.

12313. შენს წესიერებას მტრები კი არ უქმნიან საფრთხეს, არამედ შენი მეგობრები, რომლებსაც შენი წესიერება ვერ აუტანიათ, ამასთან შურიც უღიტინებთ და მზად არიან სისაძაგლის ჩასადენად ისე, რომ ამას ვერც კი აცნობიერებენ.

12314. ღირსებას ის კარგავს, ვისაც ბუნებით არ ჰქონდა და ყველასი შურს.

12315. ემოციები და მენტალიტეტი ვერ შველის ჯანსაღ აზროვნებას, რომელიც რომანტიული შურით განმსჭვალული, სულ სამაგიეროს გადახდის მცდელობაშია.

12316. ფეხი თუ წაიტეხე, იცოცხლე, ჭკუის მასწავლებელთა და ნიშნის მომგებთა არმია მოგევლინება, ხოლო თუ გაგიმართლა და გამარჯვებული გამოხვედი, არც მედროვე ტაშის დამკვრელები დაგაკლდებათ, მაგრამ წინასწარ რის განსჭვრეტა შეიძლება და რის – არა, შურიან ბრბოს ნაკლებად აინტერესებს.

12317. მტრობის და შუღლის ერთადერთი წამალი დროა, მაგრამ იარებს არ უნდა შევეხოთ და შიშით არ უნდა გავიხსენოთ.

12318. ბოღმის შენახვა გულს ხლეჩს, ამონთხევა გულის გახლეჩის საშიშროებას აგვაცილებს, მაგრამ სხვას ვნებს. ამიტომ, ჯობს ჭკუას წიხლი დავაჭიროთ და შურის ფეთქებადი ნივთიერების დაგროვებას ხელი არ შევუწყოთ.

12319. შური და შურიანობა სხვადასხვა ცნებაა და სხვადასხვა კონტექსტში განიხილება.

12320. შურიანობა ბედის დაწყევლა და სულის იმპოტენციაა, თეთრი შური კი სულის გრიალი და ოფლის დენა.

12321. ყველა მოკლული კაცის უკან ქალი, ფული, სასმელი და შური დგას.

12322. გამოჩენილი პიროვნების გვარის დასაწერად შურიან კაცს ასოები არ ყოფნის, წარმოსათქმელად სიტყვები.

12323. სიავე, შური, ყოყლოჩინობა იუმორს თანდათან გვაშორებს და ცხოვრებას უარესი მხრიდან გვანახებს.

12324. ჩვენ სრულყოფილად არ გვძინავს, რაღაცა გვესიზმრება კიდეც, თითქოს რაღაცას ვაკეთებთ, მაგრამ შედეგი არ ჩანს, რადგან ცხადშიც და სიზმარშიც ერთმანეთს სულს ვუქურდავთ, ამას შურიც და გაუტანლობაც ემატება და მუდამ აუხდენელი სიზმარი გვრჩება ხელში.

12325. სიძნელეების გადატანა უფრო გვიადვილდება, ვიდრე წარმატების, რადგან პირველში არავინ გეცილება, ხოლო მეორე შურის, განსჯის საგანია, თუ შენგან რაიმე სახეიროს არ ელოდებიან.

12326. სიძულვილი შურის, შეუთავსებლობის, ნერვების აშლილობის კოკტეილია, რომელიც შურის ბაზარზეა დამზადებული.

12327. ნიჭი ერთეულთა ხვედრია, განათლება – მასობრივია მსურველთა, ამიტომაა, რომ უმრავლესობის შური ხელს უშლის უმცირესობას თავის წარმოსაჩენასა და საქმის კეთებაში.

12328. ინტელიგენტის ბოლომდე მიყვანილი საქმე შურიან ინტელიგენციასაც კი არ უნახავს.

12329. ცხოვრების პარადოქსი, საოცრება, ის არის, რომ ყველაზე მეტად მას კბენენ, ვინც სხვისთვის რაღაცას აკეთებს და ეს შურია იმათი მხრიდან, ვისაც თავისთვისაც არაფრის კეთება არ შეუძლია და თავზე დიდი წარმოდგენა აქვს.

12330. სიავე, რომლის მამა შურია კატასტროფაში არ უნდა გადაიზარდოს, თორემ ზომიერად ისიც აუცილებელია ადამიანის ჩამოყალიბებისა და საზოგადოების განვითარებისათვის.

12331. სინამდვილეში ქვეყნის ისტორიას გასაფეტიშებლად პიროვნება სჭირდება და არა პირიქით, რადგან თავისი სახელის მოჭარბებული ხსენებით ამქვეყნად შურს იმკის, იმქვეყნად კი – დივიდენდების გარეშე რჩება.

12332. შურის ვირუსი ყველა ჩვენგანშია დაბუდებული, მაგრამ მის გაგრიპებას, ეპიდემიად გადაქცევას, დიდი ზარალი მოაქვს.

12333. ვინ იცის, რამდენი ადამიანური ვნება ეწირება მეორე ადამიანის კარიერის კეთებას, რადგან მასზე ასასვლელი კიბე ია-ვარდით მოფენილი თვით ღირსეულთათვისაც არ ყოფილა, ამიტომ ამაზე ნერვების აშლა და შური არ ღირს, რადგან მაღლა წამოსკუპებაც დროებითია, ხოლო სიცოცხლე ერთია და შეუცვლელი.

12334. კომუნალურ საზოგადოებას ძალზე უჭირს კომფორტაბელურში გადასვლა, რადგან პირველში ყველაფერი საყოველთაო, გამოზომილი, დაგეგმილი იყო, ხოლო მეორეში ყველაფერი დასწრებაზე, შურზე და პირად საკუთრებაზეა აგებული.

12335. ერთმანეთში ურთიერთობის გაფუჭების და შურის მიზეზი წესს, ტრადიციას და კანონს გადახვეული გაყოფაა.

12336. სიკეთის კეთება ყოველთვის სუფთა ხელებით არ ხერხდება, რადგან მას კონკურენტად გონების ჭუჭყი და შური წინ ეღობება.

12337. ყველაზე ძვირი საკუთარი სიბრიყვე, სიძუნწე, შური, გვიჯდება, მაგრამ უიმისოდ ვერც თანამედროვე ადამიანს მივიღებდით და არც საზოგადოება ჩამოყალიბდებოდა.

12338. სიავის და სიკეთის კეთება დროებითია, მაგრამ შური, ემოციები და მცდელობა მუდმივია.

12339. ოცნების ეტლში შურის რაშები არ უნდა შევაბათ, მაგრამ ეჭვის მათრახი ხელთ უნდა გვეპყრას.

12340. წამხედურობა და შური, გარკვეული დანაკარგებით, ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას.

12341. ჩვენს ფასს შურიანი ადამიანების კრიტიკა განსაზღვრავს, კოლეგების ოპონირება ადგენს და ბრბოს ტაში აგვირგვინებს.

12342. სამართლიანობის აღდგენის მიზნით, ზოგი მდედრი სისაძაგლის ჩადენასაც არ თაკილობს, ოღონდ მამრი დაიბრუნოს, რომელიც გამოწვრთნა და ტრფობის ანბანი ასწავლა.

12343. „ჩემი უფროსის გარდა ფეხებსაც ვერავინ მომჭამს" – ამ ხელქვეითის გათავხედება-გაგულისებას შურის გარდა არაფერი სასიკეთო არ მოაქვს საზოგადოებისათვის, რადგან პატრონ-ყმობის ინსტიტუტი საფრთხეშია.

12344. იდეალურ ქალს იდეალური ქმარი ჰყავს, მაგრამ მათ ნაცნობები ჰყავთ შურიანები.

12345. შიში მხოლოდ ადამიანს აფხიზლებს, აბეჯითებს და არა – ადამიანის ტანსაცმელში გადაცმულ მშიშარას.

12346. შიში მამოძრავებელ ძალად გვევლინება და პროგრესსაც წინ მიათრევს, როდესაც ადამიანთა შორის არ არის გაგება და ურთიერთპატივისცემა.

12347. საოცარია, ხანდახან რა შურის თვალებით უყურებენ მიცვალებულს ცოცხლები, როგორ შენატრიან მის დაკრძალვას პრესტიჟულ ადგილას და ცერემონიალს, ის კი ავიწყდებათ, რომ ყოველი წუთი სიცოცხლისა უფრო მაღლა დგას ადამიანის მიერ გამოგონილ ამ ცირკზე, მაგრამ რა ქნას, თუ მასაც უჩნდება პატივმოყვარეობის ჭია და სურვილი, ეზიაროს იმ "უკვდავებას", რაც ასე მომხიბლავია ერთი თვალის შევლებით.

12348. არავითარი საყვედური, არავითარი შური. დიდი ადამიანი იმისთვისაც მადლიერი უნდა იყოს წუთისოფლის, რომ მას ცხოვრებაში ჰქონდა იშვიათი წუთები ბედნიერებისა.

12349. სხვის უბედურებას მშვიდად და ზოგჯერ შინაგანი სიამოვნებითაც შესცქერიან მერყევი, მშიშარა, ტრაბახა ადამიანები, როგორც ეკრანზე, ასევე ცხოვრებაში და ამით სხვის თვალში გაბედული კაცის შთაბეჭდილება უნდათ დატოვონ, ხოლო კაცთმოყვარენი და უშიშარნი ლმობიერნი და გულჩვილნი არიან, ასე რომ ეს შეფარდება დაახლოებით 1:3 ტოლია შიშის სასარგებლოდ და ეს არის მიზეზი ერთმანეთში ადამიანთა ურთიერთობის მოუგვარებლობისა.

12350. ღირსეულ ადამიანს არც კარიერა აფუჭებს და არც ფული, თუ ის გონიერებით, შრომით და თეთრი შურით აქვს მოპოვებული.

12351. შურიანობა ადამიანის ბუნების საშინელი გამოვლინებაა და ყველა ნაკლი მისგან იწყება, მაგრამ ამასთან ეს თავისებური შეჯიბრია, მობილიზებაა, ჭკვიანი კაცისთვის, რომელიც ქვენა გრძნობებს „ჯობნისას" უღვიძებს ადამიანს. წინაალმდეგ შემთხვევაში, ადამიანები წინაპართა ნაჩუქარი წოდებით იცხოვრებდნენ და ვერაფერ სახეიროს ვერ შექმნიდნენ.

12352. შური და თავხედობა ის უბედურებაა, რომელსაც ადამიანი ძალადობით და ჭკუის სწავლებით ვერ უმკურნალებს.

12353. მარტოობა უბედურებაა, შური – შოკური თერაპია და მათი დადებითი ის არის, რომ ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ადამიანი თუ გონს მოვა, წარსულში გადატანილი ემოციებიდან გამოსვლის და ახალი ცხოვრების დაწყების საუკეთესო საშუალებაა.

12354. ადამიანს სიმდაბლისკენ უბიძგებს სუფთა ადამიანური ნაკლი – შიში, მას ეხმარება თანდაყოლილი გენი და აღზრდა.

12355. თავგანწირვა მაშინ არის გამართლებული, როცა ადამიანი ამას სიამოვნებით აკეთებს და არა – მოვალეობისთვის და შიშით.

12356. ზოგი ისეთ მეგობრობას გთავაზობს, რომ სჯობდა მტრობა შემოეთვაზებინა.

12357. შიში შიშის წინააღმდეგ ის აცრაა, რომელიც ადამიანს ყველაფერს აკისრებინებს, ახერხებინებს, გამბედავად აქცევს და ხანდახან გონებასაც უნათებს.

12358. ადამიანისთვის ისეთი დროც დგება, როდესაც მისთვის ყველაფერი სულერთი ხდება და გარკვეული დროით ცხოვრების უსაქმურობის აფექტში შესულისთვის შიშიც აღარ მოქმედებს.

12359. ადამიანს სხვის საცვლებში ცხვრის ჩაყოფა და მისი იდეოლოგიური რეცხვა თავის საცვლების ხარისხზე და სისუფთავეზე მეტად აინტერესებს. ეტყობა მამაზეციერმა ბრბოს ეს კოდი იმიტომ აჩუქა, რომ შურისთვის და პროგრესისთვის გზა გაეხსნა.

12360. სიღარიბე აბეჩავებს, სიმდიდრე რყვნის, მხოლოდ სამუალო შეძლება ცხოვრობს ადამიანურად, რადგან მასში შურიც და განცხრომაც თანაბრად არის შერწყმული.

12361. ადამიანის დადებით ხასიათზე მიუთითებს შიშისა და სირცხვილის კულტურის ქონა.

12362. ადამიანი არც ისეთი საიმედოა, ჩვენ რომ გვგონია, ვინაიდან არსებობს ფენომენი – შიში, რომელსაც ყველა ვერ შეებრძოლება.

12363. საფრთხის შეგრძნების ძალა და სიამაყე აიძულებს ადამიანს, მიუხედავად შიშისა, ნაპრალის პირას დადგეს, მიზიდულობის ძალას წინააღმდეგობა გაუწიოს, რათა შიგ თვითონ არ ისკუპოს.

12364. რწმენა, ოქრო და სიყვარულია, რომელთა მოპოვებაც ადამიანს ყოველგვარ შიშის გრძნობას და თავშეკავებას აკარგვინებს.

12365. ადამიანის გულზე ჟამთასვლა ისე არ მოქმედებს, როგორც უმადურობა და უსამართლობა, არც ცუდის ჩამდენის გულია უკეთეს დღეში – მას შიში და დაძაბულობა უღებს ბოლოს.

12366. ყველაზე კარგი მეგობარია შენი სიფრთხილე და არა – შიში.

12367. სამწუხაროდ, პოლიტიკა, მომხვეჭელობა და შური სინონიმებია და ის ყოველთვის გადაწონის პატიოსნებას, კულტურას, ტრადიციებს, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით.

12368. სიმდიდრე შურს ბადებს, ცხოვრებისთვის ბრძოლა აშორებს ადამიანებს, ხოლო სიკვდილი გზას უხსნის დიდი ხალხის გამოვლინებას.

12369. შიში ზოგს გონებას ურევს, ზოგს საოცრად მობილიზებულს ხდის და დროის უმცირეს გაელვებაში ყველა მისთვის საინტერესო საკითხზე ფიქრსაც ასწრებს და გამოსავალსაც ნახულობს.

12370. ჩვენ ყველანი ნათესავები ვართ არა მარტო სისხლით, არამედ შურით, მომხვეჭელობით, ყოყლოჩინობით და სხვა ადამიანური თვისებებით, ოღონდ სხვადასხვა სიპტომებით და ოდენობით.

12371. შიში სიყვარულით დიდი საქმის მკეთებელია, ხოლო, რიდით და პატივისცემით ქვეყნის აღმშენებელია.

12372. იმქვეყნიურ ცხოვრებას ის იწამებს, ვისაც ამქვეყნად ყოფნის შიში უნდა რომ შეიმსუბუქოს. მითუმეტეს, თუ ბუნების საიდუმლო ძალებში შეძვრომა მის ძალებს აღემატება.

12373. ანეკდოტის შექმნა, თქმის მოთხოვნილება, შიშის ალტერნატივა, განტვირთვაა და მის გარეშე ის ვერ იარსებებს. დიქტატურის დროს, როდესაც ერთი გადაბრუნებულ სიტყვისათვის ადამიანი შეეძლოთ დაეხვრიტათ, ანეკდოტი სწორედ ამ წყეულ კაცზე იქმნებოდა, ხოლო დღეს, როდესაც სიტყვის თავისუფლებაა, პოლიტიკური ანეკდოტი კრიზისშია.

12374. დიქტატურის წამოსკუპების მიზეზია: შიში, სირცხვილი, დემაგოგია. როცა იცი, რომ უნდა გემინოდეს თავისუფლების, გრცხვენოდეს, რომ მავნებლობას სჩადიხარ და იცი, რა უნდა იცრუო, ილაპარაკო სხვის გასაგონად.

12375. შურიანობის ბაზისზე და სხვისი დახმარებით შენი ჩამორჩენილობის აღმოფხვრის მცდელობა ეკონომიკური, ტექნიკური პროგრესის, კულტურის დაჩქარების ხარჯზე მხოლოდ კარგი ცხოვრებისკენ სწრაფვა და ქვეყნისათვის სიკეთის ნაცვლად გადაგვარება და ქაოსი მოაქვს. ამიტომ უპრიანია ყველა თავისი გზით განვითარდეს, ოღონდ ეცადეთ მეზობელს არ ჩამორჩეთ.

12376. სხეულისთვის შიშზე მეტად დამანგრეველი არცერთი სხვა გრძნობა არ არის, რადგან პირველ რიგში ის თიშავს გონიერებას და შემდეგ იწყებს სასიცოცხლო ორგანოების გადაგვარებას.

12377. სანამდე ერთი მდედრის მოხიბვლას ცდილობს, მეორეს თაფლობის თვე დამთავრებული აქვს. ასევეა ბიზნესშიც, სანამ ერთი ჭოჭმანობს, შიშობს, მეორემ უკვე გამდიდრება და გაკოტრება მოასწრო.

12378. ძნელი სათქმელია, რომელი ცხოვრება ჯობს, როდესაც ბინის გასაღებს არ მალავ, თუ თანამედროვე საკეტებით დაკეტილი ბინა, მაგრამ რადგან ეს კითხვა აგვეკვიატა, ეტყობა უშიშარ სიღარიბესაც თავისი ეშხი და მიმზიდველობა აქვს მშიშარა სიმდიდრესთან შედარებით.

12379. რა აზრი აქვს საეჭვო ტერიტორიებისთვის დავას, თუ ყოველ ას წელიწადში მისი საზღვრების შეცვლას ცდილობენ, ხოლო წინასწარმეტყველები დედამიწას მომდევნო 20 საუკუნეში გაჭრობას უწინასწარმეტყველებენ? განა არ ჯობს, თაობებმა პლანეტის არსებობის ეს დარჩენილი დრო სიამტკბილობაში ატარონ, თუ შემდგომ სამყაროს უსასრულობაში დედამიწასთან ერთად ფათერაკიანი სეირნო-

ბა მოგვიწევს. მაგრამ რა უნდა ვუყოთ შურს და ბოღმას, რომლის გარეშე ადამიანი არ ვითარდება?

12380. სიმართლე მაშინ იკარგება და იჩაგრება, თუ მასში ყველას ეჭვი ეპარება და შური ისადგურებს.

12381. ხანდახან ჭკვიანი კაცი იძულებულია, თავის ცოდნა და გამოცდილება საფლავში ჩაიტანოს იმდენად შურიანი, ვირეშმაკი და უგნურად წინდაუხედავი მიწაწყლის ხალხი ახვევია ირგვლივ.

12382. შურისძიება ადრე თუ გვიან ყველას წაეწევა, მაგრამ გააჩნია რა დროს და ვისი ხელით.

12383. შიშია კანონის აღმსრულებელი, რომელიც კანონსაც შეგაყვარებს და მის შემქმნელსაც.

12384. გამბედაობა ის ხელოვნებაა, რომელიც საშუალებას გაძლევს შიში მოთოკო.

12385. გამარჯვების ხელოვნება ჩვენთვის ყოველთვის უცხო იქნება, სანამ მუხლებში გენეტიკური შიში და გონებაში მლიქვნელობის ბაცილა გვექნება შემჯდარი.

12386. მამაკაცს შიში აძლევს ინსტინქტებს, იმუნიტეტს და განვითარების საშუალებას.

12387. ყველა რევოლუცია სულის მიმართ უდიდესი დანაშაულია, რადგან აგებულია შავ შურზე, რომლის თეთრ შურად კოლექტიურად გადაკეთებას ცდილობენ, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ თავისი გამოუცდელობის და უნიჭობის გამო, ამიტომ თეთრი შურის შედეგებს თვითონ იმკიან დაუმსახურებლად და ხშირად ამბიციებს ეწირებიან.

12388. ტერორიზმს არც ეროვნება, არც ჰუმანიზმი და არც საკაცობრიო პრობლემები არ აინტერესებს. ის აგებულია შურზე, ნაციონალიზმზე, სათუო რწმენაზე და მისი მოძღვრის გაიძვერა ჭკუა–განწყობაზე. მათ შურისძიების არ ეშინიათ, რადგან ისინი დაბადებულნი არიან ადრეული სიკვდილისთვის და ამქვეყნიდან წასვლის მიზეზს ეძებენ, რათა სულს სამოთხეში „ამოაყოფინონ" თავი.

12389. სტალინიზმის ცნობილი ბაცილა შიშია, რომელიც ადამიანებს თავს აყვარებს, მაგრამ ზვიადიზმი იშვიათი ავადმყოფობაა და მისით ლამაზ ინტელექტსა და წარმოსახვით ძლიერ მამაკაცზე შეყვარებული ადამიანები ავადდებიან, რომელთაც ჰგონიათ, რომ მესია მოევლინათ და მათ უტოპიურ ნაზრევს გზა გაეხსნება.

12390. ყველა პოლიტიკა და ეკონომიკა განწირულია სახელმწიფო აპარატისთვის თავის მოკვეთის შიშის გარეშე.

12391. შიშზე, პირად ინტერესებზე და მომავალ თაობათა ზრუნვაზეა აგებული ყველა სახელმწიფო წყობა და მისი ეკონომიკური ფორმულები.

12392. მოუწყობელ ქვეყანას შიში მართავს, სანამდის შეეჩვევი და გაითავისებ.

12393. შიში და კაცობა შესანიშნავი ნაზავია იმის გამოსაცნობად, თუ რამდენად დარჩი ადამიანად.

12394. მაშინ ჩნდება შიში, როდესაც შენს თავზე იწყებ ფიქრს, ხოლო როდესაც სხვას შველი და სხვაზე ფიქრობ, შიშისთვის ვერ იცილი.

12395. ჩვენ შიშის, ცრურწმენის, მსხვერპლნი ვართ და აქედან მოდის ჩვენი ცოდვებიც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველას უხიაგი ქცევა ჩვენ დაგვბრალდეს.
12396. ჯარისკაცის მართვა დამოკიდებულია შიშზე, პროფესიონალიზმზე და ერთმანეთის გატანაზე.
12397. ტერორიზმში შიშის ტექნოლოგიაა, რომელიც მოქმედებს ადამიანთა შეგნებაზე, მსოფლმხედველობაზე და საკუთარ ქვეყანაში თავს უცხოპლანეტელად გაგრძნობინებს.
12398. შიში ყოველთვის იყო ძალად განთავისუფლებული თავისუფლების, სულით მდაბიოთა ჯალათი, რადგან ყველას უნდა, რომ შექმნილი გარემოება თავის სასარგებლოდ და კარიერისთვის გამოიყენოს.
12399. ურთიერთგაგება, მორიდება, პატივისცემა, ძალის ჩვენება და არავითარ შემთხვევაში, შიში, თუ გვინდა სახელმწიფო შევქმნათ და მარტო ქვეყანა არ შეგვრჩეს ხელში.
12400. ყველა სიხარულის წყარო სიყვარულია, ყველა მამაძაღლობის სათავე გაჭირვებაა, ყველა უიმედობის ბოლო სიღარიბეა, ხოლო ყველა ვიგინდარობის მამა შიშია.
12401. ვინც არ ბერდება, მას არც სრულყოფილად უცხოვრია, მან ახალგაზრდული გარეგნობა და მწუხრი დაგვიტოვა, ხოლო ვინც ცხოვრება ბოლომდე განვლო, მის იმქვეყნად გადაბარგებას არავინ განიცდის, რადგან ფიქრობენ, რომ მან ცხოვრებიდან იმაზე მეტი მიიღო, რაც ეკუთვნოდა, ამიტომაც აქაც შური გამოდის ყოვლიშემძლე, მორალის და ცხოვრების წესის გადამგვარებელი.
12402. შურსა და მეტოქეს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მთლად არ აღიარებს შენს უპირატესობას და იბოღმება, მეორე გამარჯვებას მოგილოცავს, შემდგომ ჯობნასაც შეეცდება და შენს მეტოქედ დარჩება და შურიანისგან განსხვავებით, მტრად არ მოგეკიდება.
12403. ყველაზე საშიში იყო და იქნება შიში თვით შიშზე, გულგრილობა თვით გულგრილობაზე, სიძულვილი თვით სიძულვილზე.
12404. შიშს არასდროს უნდა მისცეთ ნება გიხელმძღვანელოთ, მაგრამ გონიერების კომპრომისსაც უნდა მოუხმოთ.
12405. ვაჟკაცობა შიშის დათრგუნვა და მამლაყინწობა კი არ არის, არამედ ხერხი იმისა, რომ თავს გაუფრთხილდე.
12406. მშიშარასგან გაბედული კაცის გამოზრდა დემაგოგიური წრთვნით შეიძლება, ოღონდ პატარაობიდან რწმენის შეგონებით, რეალობისგან გათიშვით.
12407. ყველა ჩვენგანს უნდა გვაინტერესებდეს. ის, რაც ხალხს აერთიანებს, სიყვარულს თესავს და პატივისცემას უღვივებს და არა ის, რაც აცალკევებს, შურს ბადებს, ბოღმისკენ უბიძგებს, რადგან სიკეთის თესვა ადრე თუ გვიან სიკეთითვე დაგვიბრუნდება, ხოლო ბოღმა და შური, უკეთეს შემთხვევაში, დავიწყებას ეძლევა.
12408. სიავის, შურიანობის ბალანსი სამყაროში დაცულია, ოღონდ ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, ცხოვრების დონის მიუხედავად.

12409. შიშისგან მუდმივი სირბილი არავის გამოადგება, ამას ჯობს ერთხელ ძალა და ემმაკობა მოიხმაროთ და პირდაპირ შეხედოთ სახეში სიკვდილს: რაც მოსახდენია, მაინც მოხდება.

12410. მეტისმეტი სიამაყე თავში დაურწმუნებლობის შურის და შიშის შედეგია.

12411. ბედნიერებისთვის აღფრთოვანებაა საჭირო და არა შური, რადგან ბოღმა პირველ რიგში ჩვენ გვნებს.

12412. ყოველგვარი ცუდის საწყისი შიშია. თუ ამ მონსტრს რაიმე მოუხერხე, ემმაკსაც მისწვდები და მეგობრად შემოსაღებულ მტერსაც.

12413. მშიშარა კაცის დაღუპვა ან ფეხის წატეხინება თუ გინდათ, შეაქეთ და დროებით გამბედავად იქცევა.

12414. შიში და სიყვარული ერთად არიან, პირველი სამყაროს შეუცნობლობის შიშით ღმერთს გაყვარებს, ხოლო მეორე ახლობლის სიყვარულით გაშინებს, შენს სანატრელ ადამიანს რაიმე რომ არ დაემართოს.

12415. რომაელი იმპერატორები და დღევანდელი ოლიგარხები ომებით, ორგიებით, სიმდიდრით, ხშირად თავს ღმერთებად წარმოიდგენდნენ, მაგრამ ოპონენტების შური, კარიერის და სიმდიდრისკენ სწრაფვა მათ ასევე სწრაფად სიცოცხლეს უმოკლებს და სადაც ჯერს არს, იქ ასვენებენ.

12416. კუჭამოყორილი საზოგადოება თავისი ქვეყნის პატრიოტია პირველ მარცხამდე, შემდეგ თავის შესაძლებლობებს დამნაშავის ძებნაში და სახელმწიფოს ბიუჯეტის წაღლეტის მცდელობაში ხარჯავენ, ერთმანეთის შურით ქვეყნის ინტერესებს ფეხებზე იკიდებენ და მის წარმოჩენაზე არავინ ზრუნავს.

12417. უგვანობაა, როდესაც შენს ნიჭს, მეობას, შენს დაუკითხავად იყენებენ, მაგრამ უფრო სამწუხარო იქნებოდა, რომ შენი საკუთრება არავის დასჭირებოდა.

12418. არიან ერები, რომლებიც ეთნოსით გენეტიკურად ერთმანეთთან ძალიან ახლოს არიან, ერთმანეთის ქონებას, ტერიტორიებს თვალყურს ადევნებენ და ხშირად დავაც მოსდით. ეს, ალბათ, შიშით მოსდით, ჩემს ძმას რაიმე რომ მოუვიდეს, მისი ქონება გადამთიელს რატომ უნდა დარჩესო.

12419. რატომღაც სიღარიბესთან გათანაბრებული ხალხი უფრო მშვიდად და კეთილგანწყობით გამოიყურება, ვიდრე სიმდიდრესთან გათანაბრებული, რადგან აქ შურის დასაბუდებელიც გამოჩნდა.

12420. ზოგი მთელი ცხოვრება საშინელების მოლოდინშია და თუ ეს არ მოხდა, თავს ბედნიერად ვერ იგრძნობს, რადგან ცხოვრებამ გამოცდა არ ჩაუტარა და საკუთარი თავის გამოცდაც ვერ მოახერხა.

12421. მტაცებლური სულის შეცვლა და ხალხის იმაზე უკეთ წარმოდგენა რაც სინამდვილეშია, მკრეხელობაა, რადგან მას იმ ორთქლმავლისაც კი შურს, ვისზედაც ვაგონივით მიბმულია და მის კეთილდღეობას ექაჩება.

12422. ადამიანისთვის შური, სიძულვილი ყველა პირობებში მიუღებელია, რადგან საქმის წინსვლას გზას უღობავს.

12423. მოხერხებული ადამიანია ის, ვინც სხვის დასანახავად იმდენს აკეთებს, რომ შურს არ იმსახურებს.

12424. რწმენასაც იმიტომ მსახურობენ, რომ ეშინიათ, სხვამ ეს ცხოვრების უკეთ მოწყობისთვის არ გამოიყენოს. ამრიგად, ადამიანისთვის შური ყოფილა პირველადი და არა რწმენა.

12425. ზოგი ჭინჭებისთვის ცხოვრობს, ზოგს კი თავის ამქვეყნად მოვლენის სარგებელი უნდა გაიგოს, მაგრამ შურს და წამხედურობას თავისი გააქვს და ბოლოს მაინც მატერიალიზმისკენ ვისწრაფით.

12426. ზოგი სხვის შესაშურად, უპრობლემოდ ცხოვრობს, მაგრამ მას მიწიდან ქვის აღებისაც კი ეშინია, რათა მის უკან შხამიანი გველი არ იყოს ამოფარებული, სწორედ ეს სიფრთხილე და დაძაბულობაა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებას უწამლავს და მის ყოფას ბედნიერს ვერ უწოდებ.

12427. ამბიციები, განსხვავებული შეხედულებები, სულ იმის შიშში გვამყოფებს, ვინმე შემთხვევით არ გავყიდოთ, მიუხედავად იმისა, რომ მას წინ ეღობება მომადლებული ნიჭი, გონიერება, მოხერხებულობა და ჩვენი ადამიანური ბუნების მადლი.

12428. ხელმოცარულებთან დაახლოებას ერიდეთ, მათ შური ახრჩობთ და ყოველთვის ეცდებიან შენს გაყიდვას, კარგს გაუკეთებ მათ თუ ცუდს.

12429. შიშისა და სირცხვილის კულტურის მქონე ადამიანი საუკეთესო მორალური თვისებებით ხასიათდება, მაგრამ ამ მორალის შენარჩუნებაა ძნელი.

12430. დიდი ცოდნა სამყაროს რაობაზე შიშსაც იწვევს და მასთან შეგუებასაც, რადგან ჩვენს ცოდნას თავის გადარჩენა უფრო ხელეწიფება, ვიდრე სამყაროსი.

12431. ერთი შეხედვით, სიყვარული დამაკავშირებელია, მაგრამ დროთა განმავლობაში გონიერებასა და უგონობას შორის მაინც შური ისადგურებს და ქვეყნის და ჩვენი ცხოვრების ამრევადაც ის გვევლინება.

12432. შიშის და სიყვარულის დაუძლეველად ადამიანი კაცად ვერ იქცევა.

12433. ინვალიდია გონებით ის, ვინც არ ცდილობს ცხოვრებაში შიშის ბარიერის გადალახვაზე და ფეხის წატეხვისას სწორ დასკვნას ვერ გამოიტანს, რადგან ცხოვრება სკოლაა და დაუსწრებლად აქ რაიმეს სწავლა არარეკომენდებულია.

12434. შიში ემოციების, ნაუცბათეობის შედეგია და არა გონიერების, დაფიქრების.

12435. ცხოვრება უგვანობას მაშინ ემსგავსება, როდესაც ზოგიერთი ვიგინდარა შიშის გრძნობას დაკარგავს და უკანალის გამოწმენდას ფულით დაიწყებს.

12436. შურს და შიშს არასდროს ექნება გამართლება, რა კარგადაც არ უნდა მოთუშონ და ჩახრაკონ.

12437. დასასვენებლად ასულ ქალაქელს მთის ჰაერი, წყარო, რძე, სამოთხედ ეჩვენება, ხოლო მთიელს, ქალაქელის თავისუფალი ქცევა, ჩაცმულობის შესაძლებლობა შურს. ჯერი რომ გაცვლაზე მიდგეს, არცერთი მხარე არ დათანხმდება, რადგან ორივე თავის ყოფას მიეჩვია და შეისისხლხორცა.

12438. ხალხს სიკეთეზე მეტად შენი სიმდიდრე ახსოვს, რომელიც შურს და ჩუმად გულში გაყვედრის.

12439. გულგრილობა, სიბრიყვის, უიმედობის, დაუნახაობის და შურით გასაცოდავებული სულის შედეგია.

ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს

12440. ქალისა და კაცის ღალატს შორის ის განსახვავებაა, რომ ქალმა იცის ვის შვილს ატარებს, კაცს კი ამის შესახებ წარმოდგენაც არა აქვს.

12441. მშობლებს უნდათ, რომ მათმა პირმშომ იბეჯითოს, ხოლო ბავშვს უნდა იყალთაბანდოს. ამ შერკინებაში ხან მშობელი გამოდის გამარჯვებული, ხან – პირმშო, მაგრამ ამ ბრძოლაში ორივე მხარე ზარალდება, რადგან ბავშვი ბავშვობას ვერ აღიქვამს, ხოლო მშობლებს ეპარებათ პირმშოს ბავშვობის პერიოდი, რომელსაც ამდენი სითბო და სიხარული მოაქვს.

12442. სიამაყე, სამაგიეროს გადახდის სურვილი, შემართება, მამაკაცის მოწოდებაა, მოხერხებულობა, სინაზე, უმიზეზოდ ცრემლის გადმოყრა, ქალის პრეროგატივაა. ამ თვისებების აღრევა სქესებს შორის ჰერმაფროდიტს წარმოშობს, რომელსაც სულის სილამაზესა და მომხიბვლელობასთან არაფერი აქვს საერთო, მაგრამ გონიერებას რაღაცნაირად ეგუება.

12443. ჭორის ჩუმ-ჩუმად გავრცელება სასიამოვნოა, რადგან თუ ხმამაღლა ითქვა, შეიძლება არ გამართლდეს და ქალებმა სიამოვნება უნდა დაიკლონ.

12444. „ვიაგრას" (აღმგზნები სტიმულატორია) გამოყენებით მამაკაცი საკუთარ თავს უხდის იმ თანხას, რაც ლამაზმანისთვის უნდა გადაეხადა.

12445. ბრძოლის რომანტიკას და ცინიზმის თავხედობას მომდევნო საუკუნეებშიც, ეტყობა, დამთავრება არ უწერია, რადგან პირველს კარიერა, სახელი, სიკეთეს ასხამს ფრთებს, ხოლო მეორეს – კაპიტალის გადამალვა და სხვისი დაცინვა.

12446. საწყენია, როდესაც სპორტსმენი აქტიურ სპორტს თავს ანებებს, ხოლო შვილი მამას ქალთან ურთიერთობაზე ეტრაბახება, რადგან ორივე ეს ქმედება მისთვის ცნობილია, განვლილია, მაგრამ ასაკი დღეს მას ქომაგის როლს სთავაზობს.

12447. სხვისი შესაძლებლობა ჩვენს შედეგებთან შედარებით ყოველთვის უკეთესი გვეჩვენება, განსაკუთრებით, თუ შექმნილ გარემოში ვერკვევით და ხელის სერიოზულად განძრევა გვეზარება.

12448. წყვილთა შეთავსება მათ ჰორმონებზე და გრძნობების რეაგირებაზეა დამოკიდებული, რომელიც ბევრისთვის გაუგებარ, აზარტულ სიყვარულს გვპირდება, რადგან მათი ერთმანეთთან დაკავშირება ზევიდან კი არ არის დაგეგმილი, არამედ ჰარმონიულ შერწყმაზეა დამოკიდებული.

12449. ნაპოლეონის სცენაზე თამაში არ არის ძნელი, ნაპოლეონად ყოფნა, ან თავის წარმოდგენაა ძნელი, როცა დღევანდელ მთავრობებს უყურებ.

12450. მეგობრული რეკეტი, ჩუმი, დაუწერელი შეთანხმებაა, როდესაც იცით, რომ ის ამ ფულის დამბრუნებელი არ არის და მანაც იცის, რომ ის ამ ფულს ვერ გაგისტუმრებთ, მაგრამ ორივეს იმედი გასულდმულებთ, იქნებ გაუწყრეს ღმერთი,

საქმე გამოუსწორდეს, იქნებ გამიღიმოს ბედმა და მე დავჭირდე... ასეთი ჰარმონიული დამოკიდებულებაა მეგობარ კრედიტორსა და დებიტორს შორის.

12451. შემოქმედმა მარად ამოუცნობი და საოცარი სამყარო შექმნა, ადამიანი კი სულ იმის ცდაშია, ეს სამყარო ახსნას და საოცრებას ლაზათი დაუკარგოს.

12452. კაცი ამქვეყნად მეორედ მოსვლას იმისთვის ნატრობს, რომ სექსუალური ბიოგრაფია გაიმდიდროს, ხოლო ქალი იმ მამაკაცების გასაბედნიერებლად, რომლებსაც გამოუცდელობის გამო დაწყვილებაზე უარი უთხრა.

12453. ამქვეყნად არავინ ცხოვრობს თავისი შესაძლებლობების მიხედვით, ან სხვას ჰპარავს, ან – თავს, ანდა, კვდება მშიერი.

12454. რაც უფრო წინ მიიწევს ცივილიზაცია, მით უფრო საშიში ხდება პიროვნება, რადგან ხანდახან მასზე არის დამოკიდებული მთელი სამყაროს ყოფნა-არ ყოფნის საკითხი.

12455. ზოგჯერ ყველაფრის მოსინჯვა და თავის გამოცდაა საჭირო, რათა გაერკვე, რის გაკეთება შეგიძლია სხვაზე უკეთესად და აზრი აქვს თუ არა ამქვეყნად შენს მოსვლას.

12456. ბავშვობიდან დაწყებული, ჩვენი ოცნების პროფესია ხშირად გამოგვიცვლია, შემდეგ შემთხვევით წამოკრავ შენს საბოლოო პროფესიას ფეხს, ნახავ შენს მოწოდებას და ბედნიერი ხდები, რადგან მთელი ცხოვრება მას ემსახურები.

12457. ხანდახან ისეთ დანაპირებს ვასრულებთ, რომლის გაკეთების შესაძლებლობას ვერ წარმოვიდგენთ. ამის მიზეზია მობილიზება, მოვალეობის გრძნობა და საქმისადმი ერთგულება.

12458. მუსიკა ის ლოცვაა, რომელიც მტერსაც და მოყვარესაც აერთიანებს, მხოლოდ ფეხებზემკიდია ნეიტრალიტეტი ვერ გარკვეულა ამ ლოცვის აუცილებლობაში და ამიტომაცაა, რომ ადამიანთა მოდგმა საბოლოოდ სიმშვიდისთვის და მუსიკის მოსმენისთვის საკმარის დროს ვერ ნახულობს.

12459. სამწუხაროდ, ყველა თავისი ნერვების, იმ იდიოტური იდეების მონაა, რომელიც ჩვენს გონებაშია ჩასახლებული.

12460. რა აუწერელ ბუნებრივ სილამაზესთან გვექნებოდა ამ სამყაროში საქმე, რომ მამაზეციერს განვითარებული "ჰომო საპიენსი" არ მოევლინა ამ პლანეტაზე, მაგრამ მშვენიერების წარმოჩენასაც ხომ „ჭრელი ბაზარის" მოყვარული ორფეხა ცხოველი სჭირდება?

12461. ანატომიური სტანდარტიდან სხეულის გარკვეული ნაწილის გადახრის უფლება ყველას აქვს და ხანდახან ეს ის სიმახინჯეა, ასე რომ აღელვებს და ჭკუას აკარგვინებს ადამიანს, უმეტესად ხვადების წარმომადგენლებს.

12462. სხვადასხვა განცდა გეუფლება მთებს რომ დაჰყურებ და მთა რომ დაგყურებს. ასევეა თანამდებობა: როდესაც ცხოვრების ალჩუზე ზიხარ და როდესაც ამ სიმაღლისთვის ვერ მიგიღწევია და იმითაც კმაყოფილი ხარ, რომ შენთან საუბარი იკადრა მაღალი მდგომარეობის პირმა.

12463. ოცნება ხანდახან სასიამოვნოდ გვაკაიფებს ნარკოტიკის და ქალის გარეშე.

12464. ინტელიგენციის სული ყოველთვის ემიგრაციაშია, რადგან ის ორი ცხოვრებით ცხოვრობს, ერთი საზოგადოებისაა, მეორე მისია, რომელშიც არავის ახედებს.
12465. არის საკითხი, რომელიც შენთან ერთად უნდა მოკვდეს და ეს სასურველია, როგორც ახლობლებისთვის, ასევე საზოგადოების მსოფლმხედველობისთვის, მაგრამ მატიანე იჩაგრება, რადგან ის ვალდებულია ყველაზე ყველაფერი იცოდეს.
12466. სიკვდილთან შეხვედრა იმდენად საშიში არ არის, რამდენადაც შენი სხეულის გაქრობის პროცესის წარმოდგენა.
12467. კეთილი და ბოროტი, შემწყნარებელი და ავი, ჭკვიანი და შტერი – ეს არის ჩვენი ბუნება და მას საუკუნეების ორომტრიალი ვერას აკლებს.
12468. უცნობს ძაღლი უყეფს, ნაცნობს ემლიქვნელება, რადგან პირველისგან არაფერს მოელის, ხოლო მეორისგან რაღაცის დაცინცვლის იმედი აქვს.
12469. ვისაც ჩვენ ვერ ვიტანთ, ყველა კარგად ცხოვრობს, ხოლო ვისაც პატივს ვცემთ, ჩვენს ჯინაზე ყველა დაჩაჩანაკებულია და ჩვენი იმედი აქვს.
12470. საიდუმლოს შენახვა დიდი ხელოვნებაა, იგი დიდ ზნეობას და აღზრდას მოითხოვს, ამიტომ მისი ნდობა ქარაქუცა კაცის ან ქარაფშუტა ქალისათვის დანაშაულია.
12471. განა არ სჯობს შემოწმებული, ხარისხიანი საქონლის რეკლამირება დროის გარკვეულ პერიოდში და არა განუკითხავი რეკლამა, რომელიც ლამაზმანივით ცდილობს თავი შემოგვასაღოს. როგორც ცხოვრებამ დაგვანახა: როგორც წესიერი ქალი ვერ თხოვდება, ასევე ნაღდი საქონელი ვერ ნახულობს ღირსეულად შემფასებელ კლიენტს.
12472. ფაქტებს ყურადღება უნდა მიექცეს განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი შენს სასარგებლოდ არ მეტყველებენ.
12473. პირადი საიდუმლოების არგამხელა ქალის პრივილეგიაა, ხოლო საიდუმლოების შენახვა – მამაკაცის.
12474. ვიგინდარა რომანტიკოსსაც აქვს თავისი ნაკლოვანებები, რომელსაც ვერც თვითონ ამჩნევს და ვერც მისი რჩეული.
12475. ამღვრეულ წყალში თევზის ჭერაა გაადვილებული, ამღვრეულ დროში კი კარიერის და ფულის მოხვეჭა თუ ენას დროულად ააყეფებ.
12476. სილამაზე რატომღაც დაუცველია და მისი ნახვით ყველას შეუძლია აღფრთოვანდეს, ისიამოვნოს, ხოლო სიმახინჯეს ყველა მალავს, იცავს და ახლოსაც არ გაგაკარებენ.
12477. ბრძენის სიჩუმე უფრო მეტ სიბრძნეზე მიგვანიშნებს, ვიდრე ყბედის გაუთავებელი ლაქლაქი.
12478. ხანდახან მკვდარი უფრო მეტყველებს საქმის ცოდნით, ვიდრე ცოცხალი უსაქმური.
12479. საბედნიეროდ, ბოლო დროს დედამიწა პოლიტიკურად და ეკოლოგიურად ისეთი გამჭვირვალე და მრგვალი გახდა, რომ გაჭირდა დამალობანას თამაში.
12480. სიჩუმე ყველა დროში ფასობდა, მაგრამ ფულს და სახელს რეკლამირებული ყბედობით იხვეჭენ.

12481. ტაბუ დროზე, შეგნებაზეა დამოკიდებული და არა – ართქმაზე.
12482. ცხოვრებაში ვინც ხმამაღლა წუწუნებს და ჩუმ-ჩუმად მოიბოდიშებს, მის გამოსწორებას არაფერი შველის.
12483. ფანტასტიკური სილამაზე, რომელიც სუნთქვას გიკრავს და გაღელვებს – სიჩუმეა.
12484. ჭორი არის ძალზე "გასაიდუმლოებული", ანონიმური ღია წერილი საზოგადოების განსასჯელად.
12485. სიზმარი ყოველთვის ჩვენი წინათგრძნობის, წარმოდგენისა და სურვილისამებრ იტყუება, რაც წუთიერი დაფიქრების, მოლოდინის და დავიწყების შედეგია.
12486. ამ ცხოვრებაში ზოგს ბრძოლა შეუძლია, ზოგს ქვეშქვეშობა, მაგრამ ზოგჯერ ამ უკანასკნელით უკეთეს შედეგს აღწევენ.
12487. არსებობენ ისეთი უსაქმურები, რომლებიც ყველგან არიან, მაგრამ არსად ჩანან და მუდამ თან დაჰყვებიან თავიანთ დაწინაურებულ მფარველებს.
12488. ცოდოა ის თაობა, რომელსაც მოჩვენებითი განათლების მქონე იმ საზოგადოებაში უხდება ცხოვრება, რომელსაც თავი წესიერების ქვიშაში აქვს ჩაყოფილი, ხოლო უნიფხვო უკანალი – გამომზეურებული, თანაც, თითქოს ვერაფერს ხედავს.
12489. ურთიერთპატივისცემას, ურთიერთნდობას, ურთიერთსიყვარულს, წაყრუების გარეშე, ზომიერება და განსჯა სჭირდება, თუ გვინდა ამქვეყნად გამოზომილი და გონიერი ცხოვრება შევინარჩუნოთ.
12490. ხანდახან არის ქმედება, როდესაც შენიშვნის მიცემის და მორალის წაკითხვის უფლება არავის აქვს, მაგრამ ზოგსაც შენით უნდა მიხვდე რის კეთება შეიძლება, რომ შენს გამო სხვამ უხერხულად არ იგრძნოს თავი.
12491. შესაძლებელია მხურვალე, სასიამოვნო ურთიერთობა, მაგრამ არა – მეგობრობა, რადგან ბუნებამ ამისთვის თქვენზე არ იზრუნა. ეს არცერთი მხარის დანაშაული არ არის.
12492. უკანალზე ხელის წამორტყმა თავისებურ სიამოვნებას განაცდევინებს ადამიანს, გააჩნია ვინ წამოგარტყამს და სად წაგარტყმევინებენ, საწოლში თუ კარიერის კიბეზე.
12493. თეორიულად პატივს ბევრს უნდა სცემდე და ერთი გიყვარდეს, პრაქტიკულად ბევრის შეყვარება მოგიწევს და ერთის პატივისცემა, თუ გინდა ცხოვრების სიამე შეიგრძნო და ჭეშმარიტების აზრს ჩასწვდე.
12494. ხანდახან ლამაზი სიტყვები და შინაგანი მომხიბვლელობაც არის არგუმენტი იმისათვის, რომ მოწინააღმდეგემ დაინახოს შენი სილამაზე და შენი ბუნება.
12495. ჯობს ყველაზე ცუდი იყო და პირველი, ვიდრე კარგ საქმეში – მეორე, ისტორია არ გაგიკარებს.
12496. ზედმეტად სისულელის ჩადენას უნდა მოვერიდოთ, რადგან ჩვენთვის განკუთვნილი სისულელის ჩადენაც გვეყოფა ცხოვრებაში საკვნესად.
12497. მომეტებულ იდეებს თავისი უარყოფითი თვისებებიც აქვს – თავს აგატკიებს, არ დაგაძინებს და მოსვენებას დაგიკარგავს.

12498. უნდა ეცადო სიკეთე თესო, მაგრამ თავიც არ უნდა დაივიწყო, თორემ შენს სიკეთეს ვერავინ დაინახავს და თუ დაინახავს, ისეთები, რომლებსაც თვითონ არაფერი შეუძლიათ.

12499. მოდასაყოლილმა ცხოვრებაში ისეთი რამე არ უნდა გააკეთო, მოდის გასვლის შემდეგ რომ სანანებელი დაგრჩეს. მაგ. დასვირინგება, ყურის რამდენიმე ადგილას გახვრეტა და სხვა.

12500. კაცისთვის ქალის მომხიბვლელობა დამოკიდებულია სასმელის მიღების ოდენობაზე, მამრისთვის დასათრობად მდედრიც საკმარისია, ხოლო მამაკაცისთვის მანდილოსნის ამგვარი რაობის განსაზღვრა მკრეხელობაა, რადგან მისთვის მთავარი მომხიბვლელობაა.

12501. მოდასაყოლილი თაობის კონგლომერატს აღზრდის პროცესის გავლა სჭირდება, რომ საშუალება ჰქონდეს თავის შვილს მოდის აყოლა თუ არა, გადაყოლა მაინც აუკრძალოს.

12502. ვინ იცის ფულიანი ხალხის შთამომავალი როგორ იქნებოდა, მათ შექმნაში შიგადაშიგ ჯანმაგარ ხელქვეითთა ხელი რომ არ ერიოს.

12503. ქალის მოპოვებასა და ნადირობას თავის წესები აქვს, მაგრამ აზარტში შესულს, მსხვერპლის დანახვის შემდეგ, ამ წესებისთვის აღარ სცალია.

12504. ავტოინსპექტორი ისე არ უნდა დავამშიოთ, რომ ტროტუარზე გადავიდეს და ფეხით მოსიარულეთა დაჯარიმება დაიწყოს სიჩქარეგადაჭარბებული სიარულისთვის.

12505. სიცოცხლე რომ სასიამოვნოდ გაითავისოთ, უნდა გჯეროდეთ, რომ თქვენი ღირებულება თქვენს ფასს დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად გადააჭარბებს, რაც ჩუმი, დიდი კაიფის მომტანია ცხოვრებაგამოვლილი კაცისთვის.

12506. მამაკაცს ერთი ნაკლი აქვს, სექსუალური უძლურება, რომელიც არ ეპატიება, ხოლო ქალს მრავალი ნაკლი, რომელიც ეპატიება და აღგვაფრთოვანებს კიდეც.

12507. ეშმაკობით, გამბედაობით გაკეთებული საქმე, სხვადასხვა სახის აღფრთოვანების ღირსია, მაგრამ პასუხისგება ნამოქმედარისთვის მაინც ერთნაირად გვიხდება.

12508. სიკეთის კეთება არც სიძლიერის მაჩვენებელია და არც სისუსტის, ის უბრალოდ შინაგანი მოთხოვნილებაა, რომელსაც სული მხარს უჭერს.

12509. წარსულის მთლიანად გამოსყიდვა შეუძლებელია, მაგრამ ზოგიერთი ეპიზოდის მიჩქმალვა და ჩრდილში გადატანა მომავალში სიკეთის კეთებით შესაძლებელია.

12510. სხვისი საიდუმლოს შენახვა იმ სასიამოვნო ტვირთად გვაწევს, რომლის ტარება თანდათან გვიჭირს და რაში გვჭირდება ვერ გაგვიგია.

12511. ყველა მომდევნო ცოლს მოსასმენად ახალი ყური უნდა მოუმზადოთ.

12512. რეალობა ყოველთვის ნიღაბსაა ამოფარებული და მის შეცნობას საუკუნეთა ჭიდილი და საკუთარი ინტუიცია სჭირდება.

12513. მრავალმხრივი დუმილის უნარი ძალზე ბევრს ნიშნავს კარიერისთვისაც და მფარველისთვისაც.

12514. სიბერის მარაზმი ოცნების ორგაზმია, რომელსაც წლების მატებასთან ერთად აღსრულება არ უწერია.
12515. მწარე ენა ის სათქმელია, რომელიც ყველამ იცის, მაგრამ მის თქმას ერიდებიან, ხოლო ენამოსწრებული ამის თქმას ორაზროვანი იუმორით ახერხებს, რაც აღფრთოვანების ღიმილს იწვევს და მათ შორის იმისაც, ვისზედაც მწარე სიმართლე ითქვა.
12516. რადგან მდედრს და მამრს ცხოვრებაზე თავისი შეხედულება და პირადი საიდუმლოებები აქვთ, ორივემ ერთმანეთის დაუნახავად უნდა დაიკმაყოფილოს აუცილებლობიდან გამომდინარე თავიანთი გათავხედებული კაპრიზი და მენტალიტეტი.
12517. მდედრთა მოდგმასთან ცოდვები ისეთი მოხერხებით უნდა ჩაიდინო, რომ მონანიება არ დაგჭირდეს, რადგან თუ ქალებში შეუმჩნევლად სიარულის თავი არ გაქვს, მაშინ მიხედე ცოლს და ეგდე საკუთარ სახლში, ნუ იქაჩები.
12518. დღევანდელი ცივილიზაცია ჯერჯერობით სულის მაკულატურაა და ტექნიკური პროგრესით გამოთაყვანებულთა საუკუნეა.
12519. ლამაზ ქალზე საუბარი მხოლოდ ჩურჩულით შეიძლება, რათა ის სხვა მომხიბვლელ ქალს არ შეადარონ და სილამაზე განსჯის საგნად არ იქცეს.
12520. ასაკოვანი ადამიანი ყოველთვის სვამს მისთვის სასიამოვნო კითხვას, „ნუთუ ისიც ცოცხალიაო".
12521. ძაღლი-მსახურის და ადამიანი-მოსამსახურის ერთმანეთთან შედარება არ შეიძლება, რადგან ერთი მონაა, ხოლო მეორე შენს ყმობას ცდილობს, მიუხედავად ამისა, მათი ერთგულება მაინც სალაფავის ოდენობაზე და პატრონის ამბიციებზეა დამოკიდებული.
12522. ღვინო და ქალი ალიბს ვერ იტანს, რადგან ორივე ან კარგია ან უვარგისია და აქ მიზეზის და ოქროს შუალედის ძებნა უადგილოა.
12523. ყველა ცდილობს ცხოვრების სიმების აჟღერებით გაიხაროს და ირგვლივმყოფთ დამსახურებული სითბო და სიყვარული არგუნოს, მაგრამ ხშირად ეს არ ხერხდება. ამასთან დროთა განმავლობაში ისიც ირკვევა, რომ ჩვენს მცდელობას თურმე არც ირგვლივმყოფნი იმსახურებენ.
12524. ასაკს თუ ცოტა დრო რჩება ამქვეყნად დასარჩენად, იმქვეყნად წასასვლელი ცხოვრების ალგორითმი განუკითხავად მატულობს.
12525. მომავალი თაობებიდანაც ის ბავშვი განაცხადებს პოლიტიკოსობაზე პრეტენზიას, რომელიც ჩასვრილია და ტირილის ნაცვლად ღიმილს სახიდან არ იშორებს.
12526. მიზეზი და საბაბი ერთი ცნებაა, მაგრამ არა ქალისთვის.
12527. უცოდინარობის გამომჟღავნების იმას ეშინია, ვისაც თავში ეჭვი ეპარება, ხოლო მცოდნეს თავი სულ უცოდინარი ჰგონია და ამით გამხიარულებისაც არ რცხვენია.
12528. სამწუხაროდ, ყველა ასტროლოგი ჩვენს ქვეყანას უწინასწარმეტყველებს დიდებულ წარსულს და ნათელ მომავალს დროის და სივრცის დაკონკრეტების გარეშე.

12529. ცდუნებას გაუძლო ძნელია, მაგრამ მის გვერდზე ყოფნა ცოდვად არ გვეთვლება.
12530. ზოგი წინამორბედი იმდენ ცოდვას უტოვებს მომდევნო თაობებს, რომ მისი წინაპრად მოხსენიება მკრეხელობას ემსგავსება.
12531. სასაცილოა ის, რაც სიმართლეს შეეფერება და არა ყურმოკრული და შეფერადებული.
12532. საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, უკვდავთა გადაფასებაც ხდება, მაგრამ ბედნიერებაა ის რომ მათ იმქვეყნად ამას არავინ შეატყობინებს.
12533. ხანდახან ზედმეტად ამბიციურები ვხდებით და ბავშვივით გვიჩნდება სურვილი, რომ ყველაზე ძლიერად გვცნონ, შეგვაქონ, წაგვემლიქვნელონ და მოგვეფერონ.
12534. როდესაც ყველაფერი მოწესრიგებული გაქვს, თავისებურ „კრიშად" იქცევა, რომლის ზევით ვერ ვითარდები და გიჩნდება ძველის ნგრევის და ახლის შენების სურვილი, მაგრამ ხშირად ეს არ ამართლებს, რადგან ბედი ყოველთვის შენს ხუშტურებზე ვერ ივლის.
12535. ხანდახან უგუნურ ექსპერიმენტებსაც დიდი გამოყენება აქვთ, რათა ჟინი მოიკლა, თავიდან სისულელე გამოყარო, უზომოდ ისიამოვნო იმედით, რომ მეტს აღარ მიჰქარავ.
12536. სიკვდილი არც ისე ტრაგიკულია, როდესაც კარგად უხდიან და არც ისეთი შემაშფოთებელი, როდესაც მიცვალებულზე კარგს ამბობენ და თბილად მოიხსენიებენ.
12537. სილამაზეს ყოველთვის აქვს ის შეუმჩნეველი, დაფარული, რომელიც მხოლოდ ერთი ადამიანისთვის არის შესამჩნევი და ცნობილი.
12538. ჯარისკაცთა უმრავლესობა სავალდებულო სამსახურს ორ წელს უძლებს, მაგრამ მათი საცოლეები გამოცდას ვერ უძლებენ და პირგატეხილები ხვდებიან.
12539. ეჭვიანობა მოხერხებული კაცის ხელში ბედის ის ისარია, რომელიც მიზანს ხვდება, მაგრამ არ აზიანებს და საბოლოოდ სიკეთის საკეთებლად არის მოწოდებული.
12540. ბავშვმა, რომელიც დამჯერე გახდა და თავსაც არ გაბეზრებთ, ეტყობა თქვენს ნამალევად რაღაც სერიოზული ნახა გასაფუჭებლად.
12541. უნდა ეცადოთ თქვენსკენ ზურგით შემოტრიალებული ფორტუნის უკანალი არ შეამჩნიოთ.
12542. ხსოვნაც თავისებურ ნიჭის ვარჯიშს მოითხოვს, მთავარია ის დაიმახსოვროთ კარგად, რაც გსიამოვნებთ, რაც არა – ბუნდოვნად და ეჭვის შეპარვით.
12543. კარგი მდივანი სამსახურში ღვთის ნაწყალობევი ქალბატონია, მაგრამ საყვარელში და ცოლში არ უნდა აგვერიოს.
12544. გართობის გზების გამონახვა ადვილია, ოღონდ გააჩნია ჩვენს ფანტაზიას და მის შესაძლებლობებს.
12545. თუ გინდათ თავი მშვიდად იგრძნოთ და თქვენს გემოზე იცხოვროთ, საკუთარ თავს მარტოობის, განცალკევების ილუზია უნდა შეუქმნათ.

12546. უგუნური ჩხუბის შემდეგაც კი ორივე მხარეს იმდენი მხარის დამჭერი გამოუჩნდება, რომ თავიანთი საქციელის უხეირობაზე ეჭვიც კი შეეპარებათ.
12547. ირონია უმადურების და უვარგისების უკანასკნელი გამოსავალია.
12548. შემაშფოთებლად აჩქარებულია დღევანდელი ცხოვრების ტემპი, ყველა მოულოდნელი და გარდამავალი კრიზისის დროსაც გრძელდება და სწორედ ეს სიჩქარეა, გონებას რომ გვიბნევს, ანალიზის უნარს გვიკარგავს და წარსულის გაკვეთილების გადასაკითხავ დროს არ გვიტოვებს.
12549. ერს ერთი კომფორტაბელური ციხეც თუ არ გააჩნია, ეს ჯერ კიდევ ქვეყანაა და არა – სახელმწიფო.
12550. მტერზე მაშინ ხარ გამარჯვებული, თუ ის ჩუმად შენც გემსახურება.
12551. სიმართლის თქმა აუცილებელია, მაგრამ არც იმდენად, რომ შენი ბედნიერება შესწირო და სიყვარულიც გადააყოლო.
12552. პატრიოტიზმის და კარიერის პრივატიზაციაც შესაძლებელია, მთავარია ზურგს ვინ გიმაგრებს.
12553. თუ კაცი, რომელიც სულ გიღიმის, ქვეშ-ქვეშ იყურება, თვალებს ვერ გისწორებს, მორცხვობს, რამე გთხოვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ მას "გადაგდებისთვის" და მოსატყუებლად სჭირდებით, რადგან ქვენა მიზნის გარეშე ის თქვენს წინაშე თავს ასე ნებაყოფლობით არ დაიმცირებდა.
12554. აპრობირებული ღირსების წესდებიდან გადახრას მაშინვე სიძულვილამდე მივყევართ.
12555. სუფრა ღირსეული მეგობრებისთვის უნდა გაშალო და არა უღირსი სტუმრისთვის, რომლისთვისაც კუჭის ამოყორვა, სასმელის ჩახეთქვა და თქვენთვის ჭკუის სწავლებაა პირველადი.
12556. სილამაზესთან შედარებით მომხიბვლელობა ღმერთის საჩუქარია კუბში.
12557. მდიდარი, ანტიკვარული ხნოვანების, მამაკაცი და ქალი ცდილობენ იქორწინონ ახალგაზრდა გოგონაზე და ვაჟზე. ისინი თავისთავზე ძალზე შეყვარებულნი არიან, რადგან ერთი ცდილობს სიცოცხლე გაიხანგრძლივოს ახალგაზრდა ქალის სურნელით, მეორე კი – ახალგაზრდა ვაჟის მამაკაცური შესაძლებლობებით.
12558. პირველად სიყვარულით ქორწინდებიან მხურვალე სულის ადამიანები, მეორედ – სუსტი ადამიანები, მესამედ – ბრიყვები, რადგან ამდენი სიყვარული ერთი კაცისთვის გადამეტებულია. მითუმეტეს, თუ ის თავის გრძნობებში ვერ გარკვეულა.
12559. მოდა წყვილის მიწვევა-მიპატიჟებაა ვნების დასაკმაყოფილებლად ან ოჯახის შესაქმნელად.
12560. ვეცადოთ მეგობრებს არ მივცეთ სარფიანი ადგილი, რადგან შემდგომში ისინი ზომიერების გრძნობას ჰკარგავენ.
12561. უმეტესობა, ვისაც ჩვენ ვეხმარებით უღირსია, მაგრამ ეს არ გვაძლევს სპონსორობის გზის გადაკეტვის უფლებას.
12562. ურთიერთობაში ინტერესების ძებნა კი არ არის მთავარი, არამედ ალალი კაცის ნახვით დატკბობა და შენი გამგები ქალის მოპოვება.

12563. ქალთან სულით უნდა იყოთ დიდხანს, მაგრამ არა სამუდამოდ, – გადაიწვეზით.

12564. რამდენი მცდელობა სჭირდება ლამაზი ქალის მოხიბვლას, როდესაც მიზანი ასე მცირე და უსუსურია, მაშინაც კი, როცა მიზნის მიღწევა სხვა ქალთან უფრო ადვილი და შეიძლება სასიამოვნოც იყოს.

12565. მდედრის ხუმტურებს კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ იმ სისტემას, აღზრდას, გარემოებას, რომელმაც ეს ქალი ასე გააკაპასა.

12566. მდედრი თუ ჩვენი მშობელია, ქალად ის მამაკაცმა აქცია და მათი ქცევის ნორმების ატრიბუტიკა: სიგარეტი, ალკოჰოლი, ნარკოტიკი და ქალიშვილად ჩაბარება, მთლიანად მამაკაცის სურვილზეა დამოკიდებული, რადგან მყიდველი ყოველთვის მართალია, სანამ მას რამის შეძენა შეუძლია და ხარისხზე პრეტენზიის გაცხადების უფლება აქვს.

12567. ხანდახან ქალის და კაცის ურთიერთობაზე ისეთ სისაძაგლეს გაიგებ, რომ გახარებული ხარ, ამ ქალის რჩეული რომ არ გახდი.

12568. მოწოდება ინდივიდუალურია, მოწონება საერთოა, თილისმა ერთეულთა ხვედრია, სიყვარული განგების ნაბოძები ნიჭია, ხოლო ჩვეულებრივ ფართომოხმარების მამრებს მოწონება დარჩებათ თავის სანუგეშოდ და დასამშვიდებლად.

12569. სხარტი სიტყვა ნოკაუტივითაა, მან აღტაცებისგან და გაკვირვებისგან იქვე უნდა გათიშოს თანამეინახე და გაოცების ღიმილიც უნდა გამოსტაცოს.

12570. ჭკვიანი და ამაყი ადამიანი დროულად მიდის, სანამ ამას აგრძნობინებენ, ბრიყვი დაკავებული ადგილის შენარჩუნებას ცდილობს, რადგან პირველს ეტყობა შემოქმედის ნიჭი სადღაც გაეხახუნა, ხოლო მეორემ ხახუნი რა არის, საერთოდ არ იცის.

12571. პომპეზური დაკრძალვა უფრო სხვისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა, ვიდრე პატივისცემა და მოკრძალება.

12572. ჩვენი სამყოფელი იქ არის, სადაც გული მიგვიწევს და არა იქ, სადაც გული გვიწუხს და ზრუნვის მომიზეზებით საწოლისაკენ მიგვითითებენ.

12573. ვეთამაშებით საკუთარი სულის ტელესკოპს, რომელიც ჩვენი ოცნების ვარსკვლავს ცაში ეძებს, იმის მაგივრად, რომ მიწაზე დავიდეს, თავის შესაფერი მეწყვილე ნახოს და თავის სულის ვარსკვლავად აქციოს.

12574. პატიოსნება შეიძლება ერთმანეთზე აუგის თქმაში გამოიხატოს, ხოლო თუ ერთმანეთს საერთოდ არ შევამჩნევთ, პატიოსნების მწვერვალია, რადგან ყველანი ცოდვილნი ვართ და ხშირად ჩვენი შეფასების კრიტერიუმი სურვილია და არა სინამდვილე.

12575. სამწუხაროდ, როგორც ირკვევა, უმრავლესობა ყველაზე უკეთეს რჩევა-დარიგებად მატერიალურ დახმარებას მიიჩნევს.

12576. ყველა წინაპარი მომავალი თაობის, ქვეყნის წინაშე პასუხს აგებს, უნდა მას ეს თუ არა.

12577. მოთმინებასაც თავის საზღვარი აქვს, მაგრამ ხშირად მისი დარღვევა გარდუვალი ხდება.

12578. ფაქტობრივად არც წარსულის გამოსყიდვა შეიძლება და არც მომავლის ყიდვა, ყოველივე შემთხვევაზე, ცოდნაზე, ბედზეა დამოკიდებული და არა – ფულზე.

12579. ცივილიზაციას პროგრესთან და სიკეთესთან ერთად მისთვის დამახასიათებელი ხათაბალა მოაქვს, რომელიც მომდევნო ცივილიზაციამ უნდა იხსნას, რათა ახალი ცივილიზებული პრობლემა თავს დაატეხოს.

12580. მაშინ არის ცხოვრება საამური, როდესაც ფიქრობ სწრაფად, აზროვნებ მამაკაცის ღირსებით და ყველაფერი ფეხებზე გკიდია, თორემ, როდესაც პარამეტრები იცვლება, ცხოვრებას სიამე აკლდება, მიუხედავად იმისა, რომ სხვის თვალში ხიბლი ემატება.

12581. მთელი ჩვენი ცხოვრება დამოკიდებულია ბედის ჭირვეულობაზე, პირად ორიენტაციაზე, ინიციატივაზე, ტაქტიკაზე, სიტუაციაში გარკვევაზე, რომელსაც ხანდისხან ზევიდან გვკარნახობენ და გვმფარველობენ.

12582. ბედნიერება ჰორიზონტივითაა, დანახვა გსიამოვნებს, მიუახლოვდები და გაწბილებული რჩები, რადგან ისევ შორს დგეხარ, მაგრამ მისკენ ლტოლვას თავს მაინც ვერ ანებებ.

12583. შვილს და ერს ზედმეტი ქონება არ უნდა დაუტოვო, რადგან ისინი ზარმაცდებიან: პირველი ფულს გაფლანგავს ისე, რომ ამ ქონების ფასს ვერ შეიცნობს, მეორემ ქონების ფასი იცის, მაგრამ მისი გამოყენება ეზარება, რადგან ეს პროცესი გონების დაძაბვას მოითხოვს.

12584. ბანალური წესიერება – გარანტიის გარეშე იმდენი ფული არ უნდა გასცეთ, რაც თქვენ თავმოყვარეობას შელახავს, რათა თქვენს შორის მტრობამ არ დაისადგუროს.

12585. ზრდილობა, კაცთმოყვარეობა, აღზრდის, სიკეთის, გონიერების ბრალია და ძალზე მომხიბვლელია, მაგრამ საქმისთვის არ გამოდგება, რადგან ბრჭყალების გამოჩენა არ შეუძლია.

12586. წესით ბედნიერება, სიხარული, მათ უნდა ვაჩუქოთ, ვინც იმსახურებს, მაგრამ ზოგჯერ თავს ისინი უკეთ გრძნობენ, ვისთვისაც სასიკეთო სურვილები არ გვემეტება.

12587. ცხოვრების აზრი შეხლა-შემოხლაშია, მაგრამ ხელების გარეშე და ტვინის ჭყლეტით.

12588. ყველა საუკუნეს თავის სიმხეცე ახასიათებს, ყველა ქვეყანას თავისი უცნაურობა, ხოლო ხალხს თავის ხუმტური, შეგუებისა და მოთმინების უნარი.

12589. საოცარია, რაც უფრო მკაცრად ექცევი ხელქვეითებს და არავითარ შეღავათებს არ აძლევ, მით უფრო უკეთ მუშაობენ და ეგუებიან თავიანთ სამუშაოს. კარგ ხელმძღვანელს, რომელიც თანამშრომლებს უღიმის, შემწყნარებელია და ხშირად ადამიანის მდგომარეობაში შედის, სამუშაო შედეგებიც ცუდი აქვს, ასე რომ, თუ ხელქვეითს ხშირად „დედას" არ უხსენებ, მისგან არაფერი გამოდის. საოცარია, მაგრამ ფაქტია.

ცხოვრების ფილოსოფია

12590. ზოგი გრძნობებით ცხოვრობს, ზოგიც ლოგიკურად აზროვნებს, მაგრამ ცხოვრების სიბრძნე უბრალოებაშია და ისე უნდა იცხოვრო, როგორც ზევიდან დაგაბერტყეს და რის წამატებაც მოახერხე, რადგან ცხოვრების დაისზე ხვდები, რომ ამქვეყნად მშვიდად ყოფნაზე და წყნარ ცხოვრებაზე უკეთესი არაფერია.

12591. ყოველთვის საამო არ არის ის, რაც მარგებელია, მაგრამ არც სარგებლის გარეშე ხერხდება ცხოვრების შეცნობა.

12592. თავის დროზე ჭკუის მოხმობა რომ საჭიროა, ყველამ ვიცით, მაგრამ თავს არ ვიწუხებთ, რადგან ინსტინქტებით უზრუნველი ცხოვრება გვიზიდავს, მითუმეტეს, თუ ცხოვრების არარაობის შეგრძნების ჭია უკვე გვიღიტინებს.

12593. საოცარია, როდესაც ცნობილი პიროვნების მორალური მხარე ქვეითდება, მაშინ იზრდება მისდამი ინტერესი და რეკლამირებული ხდება, ხოლო მის რაობაზე და მიზეზებზე საუბარი უკვე აზრს კარგავს, რადგან არავის აინტერესებს.

12594. ცხოვრებას რეალურად უნდა ვუყურეთ და ჩვენი ამქვეყნად გაჩენის აზრი არ დავივიწყოთ, რადგან მის გარეშე შეგვრჩება ლოთობა, მრუშობა და მიწისქვეშ ამოდებული ჩვენი მძორი.

12595. ზრუნვა ის ფენომენია, რომელიც მოყვასს გვაყვარებს, ხოლო მისი შედეგი კი ცხოვრებას თანდათანობით, მოხდილი ვალის უდარდელობით, გვატოვებინებს.

12596. მართალია, ცხოვრება თამაშია, მაგრამ ვინ რას ვაკეთებთ ამ თამაშით, ეს ჩვენთვისაც თითქმის უცნობია.

12597. ნაკლთან, კაპრიზთან, სისულელესთან საერთო ენის გამონახვაა ჩვენი მუქთად გავლილი ცხოვრების აზრი.

12598. თუ არ არსებობს აკრძალვები, არც საცდუნებელი არსებობს და ამით ცხოვრებას თავისი წილი ეშხი აკლდება და ვერც თავის ჭკუაზე განვითარდება.

12599. ფილოსოფოსი მამარდაშვილი წერდა: „თუ ჩემი ერი ზვიად გამსახურდიას მხარს დაუჭერს, მე ჩემი ერის გვერდით აღარ დავდგები". ამის დაწერა კი დიდ მოქალაქეობრივ ვაჟკაცობას მოითხოვდა, რადგან ეს გერმანელ ანტიფაშისტებს არ უთქვამთ ჰიტლერის წინააღმდეგ. გავა ხანი და ამ გამოთქმას დრო გადაამოწმებს, მაგრამ ფილოსოფოსი თავისი გაბედულებით დარჩება ისტორიაში.

12600. ყველა ჩვენგანის განვლილი გზა ცხოვრება, ისტორიაა, მაგრამ მისი მხატვრულად დამსურათებლის მოძებნაა ძნელი.

12601. გვეჩვენება, რომ ზოგჯერ ცხოვრება უსამართლოდ გვექცევა, ალბათ, ჭკუის სასწავლებლად და არა – დასასჯელად.

12602. ცხოვრება კი არ არის მაიმუნობა, არამედ ჩვენ ვამაიმუნებთ ცხოვრებას, რადგანაც გვახსენდება, რომ ჩვენც ბუნების შვილები ვართ.

12603. მდიდარი მეზობლის გვერდზე ცხოვრება ბევრს უნდა, იქნებ რაიმეში გამოვიყენოო, ის კი ავიწყდებათ, რომ სიმდიდრეს სიღარიბეზე ყოველთვის თვალი უჭირავს, იქნებ კიდევ უფრო გაუჭირდეს და ღარიბის ნაქონარიც მე დამრჩესო.
12604. ცხოვრებაში, პირველ რიგში, თავის იმედი და სხვისი შესაძლებლობების გონიერად და მადლიერების გრძნობით გამოყენების უნარი უნდა გქონდეს.
12605. სამართალი ხშირად ჭუჭყში და სისუფთავეში ცდილობს ჭეშმარიტების დადგენას და ცხოვრებაში დამაგრებას.
12606. უნდა ეცადო ცხოვრება საკუთარი თავის წინაშე არ წააგო, თორემ სხვასთან როგორ წააგებ და რას ფიქრობენ შენზე, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ეს არც ისე საშიში მკვლელია.
12607. სიცოცხლე პროცესია, მომხვეჭელობა სიბერეა, ანდერძი იმ ქვეყნად გადაბარგებაზე ფიქრია, ამიტომ შემართებაა მთავარი და არა ცხოვრების გზის გაგრძელება.
12608. ხშირად ერთმანეთს ვერ ვიტანთ, მაგრამ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება მაინც გვიჭირს.
12609. იმ დროს, რომელშიც ცხოვრება უწევთ, არ აგინებენ, რადგან ყველა დრო გამოირჩევა თავისი ბედნიერებით, სიხარულით, იმედების გაცრუებით და გარდაცვალებით.
12610. ზოგჯერ ფეხის წატეხვას ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მის გარეშე ვერც ცხოვრების ოლიმპზე ახვალ, ვერც საქმის ცოდნით შეხედავ ცხოვრებას და ვერც შენს გემოზე დაენარცხები.
12611. ტყუილის თქმის გარეშე ცხოვრება არავის გაუვლია და ვერც გაივლის, ოღონდ მთავარია, ეს ტყუილი სიკეთის საკეთებლად, გაჭირვების შესამსუბუქებლად, მოყვასის სიყვარულის გამოსახატავად იყოს განკუთვნილი მაშინაც კი, როდესაც იგი გამომჟღავნდება.
12612. ხანდახან ისეთ რაღაცაზე აგიცრემლდება თვალი, რომ თავშეუკავლობისთვის თავს აგინებ. ეს ეტყობა, ცხოვრებაში დაუხარჯავი იმ ცრემლების ლიმიტის ბრალია, რომელიც გარკვეული ოდენობით ამქვეყნად ყველამ უნდა გაიღოს.
12613. სამართლიანობისადმი სიყვარული თანდაყოლილია, მაგრამ მას ზომიერება და კომპრომისი სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრება გაძნელდება, გართულდება.
12614. თუ ჩვენთვის წუთიერი სისუსტე ცხოვრების შეცნობაა, სხვისთვის იგივე ქმედება ცოდვის ჩადენაა.
12615. ოცნების და სიბრძნის მონა არ უნდა გავხდეთ, თუ გვინდა ცხოვრებით ვისიამოვნოთ, რადგან ხანდახან სისულელეც უფრო საამო გასახსენებელია, ვიდრე ამდენი ტვინის ნახლაფორთალი.
12616. ცხოვრებაზე არ უნდა ვიფიქროთ, უბრალოდ მასში უნდა ვიმოღვაწეოთ, ვიგრიალოთ, ჩვენი "ზომი" გავისწოროთ და ამასობაში ყავლიც დაგვიდგება.
12617. ცხოვრებას თავად უნდა დაუდო მომავლის კონტრაქტი და თავადვე უნდა აღასრულო.

12618. ცხოვრება გამართლებაა: რა დროს დაიბადე, ვინ იყვნენ შენი მშობლები და რომელი ქვეყნის მოქალაქე ხარ.
12619. ცხოვრება ძალზე მოკლეა ჩვენს სურვილებთან და ოცნებებთან შეფარდებით და ძალზე დიდი თავიდან დასაწყებად და გამოსასწორებლად.
12620. არის ცხოვრების დრამატურგია, არის კონფლიქტი, არის სისუფთავეც, რომლის ფასი თანდათან კლებულობს, მაგრამ არ კოტრდება, რადგან სამყარო უიმისოდ გადაშენდებოდა.
12621. ცხოვრების სიმები მის შესაცნობად ხშირად არ უნდა დავჭიმოთ და მოვუშვათ, თორემ გადაიტვირთება და ნორმალურად ცხოვრების სიმის აჟღერება ყოველთვის გაგვიჭირდება.
12622. მთავარი ის კი არ არის, ცხოვრების რა პერსპექტივაზე თქვით უარი, მთავარია დღეს ნანობთ ამას თუ არა.
12623. ცხოვრება უმადურობის და მადლიერების განუსაზღვრელი წონაა, რომელსაც ყველა თავის ჭკუაზე მიიწონის.
12624. ცხოვრების რაც უნდა ჩქარი ტემპი გვაჩუქოს მამაზეციერმა, ჩვენ მაინც ამ სიჩქარეების გამოცდით ვერთობით.
12625. ისე უნდა იცხოვრო, რომ ცხოვრების რიგში არ ჩადგე, მაგრამ არც ურიგოდ წასვლა უნდა იკადრო აუცილებლობის გარეშე, იმქვეყნადაც კი.
12626. ცხოვრება თამაშია: ან ვატყუებთ ან ვტყუვდებით და ასე მიდის წუთისოფელი.
12627. ცხოვრების წარმატების საწინდარია საჭირო მომენტის დროულად შეფასება, შანსის დროული "დაბმა" და ცხოვრების იმგვარად მორგება, რომ ზარალი არ ნახო.
12628. გმირები სისხლის სამართლის დამნაშავეები არ არიან თავიანთი არაორდინალური ქმედებით, მაგრამ რაღაც საერთოს და გასაგებს ერთმანეთში მაინც ნახულობენ.
12629. ცხოვრების სხვადასხვა ტოტზე ჯდომის მიუხედავად, ერთმანეთს იმედის თვალით უნდა ვუყურო და არა იმას, ტოტი ვის ჩამოუტყდება, ან პირველი ვინ შეეცდება იმ ტოტის მოჭრას, რომელზეც თვითონ ზის.
12630. ცხოვრებაში ყველაფრის აღება, რაც ცუდად დევს, არ შეიძლება, რადგან ის ხშირად ხასიათსაც გვიფუჭებს და იმიჯსაც.
12631. ცხოვრებას რომ ფილოსოფიურად უყურო, ამას ასაკი, შინაგანი გარდატეხა, ცხოვრების გამოცდილება სჭირდება, მატერიალურ სიმდიდრეზე პრეტენზიების გარეშე.
12632. ცხოვრებაში უსამართლობას ხშირად ვხვდებით, ამიტომ მათზე ყურადღების გამახვილება უფრო გვავნებს, ვიდრე მისი უყურადღებოდ დატოვება.
12633. მასწავლებლისთვის ყველაზე ძნელი იმ გაკვეთილის გადაცემაა, რომელსაც მისი შეგირდი ცხოვრებაში გამოიყენებს.
12634. სიცოცხლე ვერტიკალია, სიკვდილი – ჰორიზონტალი, მათი შემაერთებელი ხაზი – ცხოვრება თავისი კუთხით.

12635. ჩვენი ცხოვრება სავსეა შეცდომებით, რომლის გახსენებაც ასე ნაღვლიანად გვამხიარულებს.
12636. არ არის საჭირო ცხოვრებამ ყოველდღიური გაკვეთილები ჩაგვიტაროს, ცხოვრებაც ხომ გვინდა მოვასწროთ.
12637. ოცნების საწვავი დასახული მიზნის ძრავაში უნდა მოვახვედროთ, რათა ცხოვრების ფუჭი ბრუნი არ გაკეთდეს და ერთ ადგილზე არ გავიყინოთ.
12638. სხვისი წარმატებით ოცნებაშიც კი არ უნდა ვიცხოვროთ, მცდელობას წაგვართმევს.
12639. ჩიხიდან გამოსულები ცხოვრების ლაბორატორიაში ვჩალიჩობთ და ჩვენდა უნებლიედ მაინც ქვესკნელისაკენ მივექანებით.
12640. გარდამავალ პერიოდში ცხოვრების ვირეშმაკობას საკმაოდ შეიცნობ, მაგრამ ამ განათლებას სიხარული არ მოაქვს, რადგან ისე ვერ ცხოვრობ, როგორც შენს მენტალიტეტს შეეფერება.
12641. ცხოვრების არსზე დაფიქრება არ ღირს, რადგან მისი მიზანი ყველას ბუნდოვნად და ჩვენი გაგებით გვესმის, მაგრამ მის შინაარსს ერთმანეთს არ ვუმხელთ.
12642. ოცნებას თვალი ცისკენ გაურბის, მიუხედავად მიწაზე ხშირად დანარცხებისა, მაგრამ მას ცხოვრება სხვანაირად არ შეუძლია.
12643. ცხოვრების აზრს სიბერეში ვხედავთ, ახალგაზრდობაში კი მხოლოდ ოცნებაა ჩვენი გაუაზრებელი ცხოვრების აზრი.
12644. ცხოვრებაზე არც ბევრი უნდა იფიქრო და არც წინასწარ დაგეგმო, რადგან ის მაინც თავის ჭკუაზე დაეხეტება, ხოლო როდის გადაეყრება შენთვის განკუთვნილ შემთხვევას და ბედს, ღმერთმა უწყის.
12645. ცხოვრება თავისებური თამაშია, ხოლო მასში მონაწილეობა ზოგისთვის რუსული "რულეტკა", ზოგისთვის კი – თამაშის დადგენილი წესების დაცვით სიცოცხლის განვლა.
12646. მეგობრობასა და სიყვარულს შორის ის სხვაობაა, რომ ისინი ერთმანეთს ვერ უგებენ, არც სურვილი აქვთ და ალბათ, არცაა საჭირო, რადგან ცხოვრების წესი აიმღვრევა და თავის ფასს დაკარგავს.
12647. ცხოვრებას თავისი ყოველთვის მიაქვს, გვაქვს თუ არა გვაქვს, გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს.
12648. ცხოვრებას არ უნდა ვედაოთ და ისე უნდა აღვიქვათ, როგორც სანახაობა, რადგან ის შოუ-ბიზნესს მოგვაგონებს და სად გაგვიმართლებს და სად დაგვიცდება ფეხი, არავინ უწყის.
12649. მართალი გული, ცხოვრების ალღო თუ მოხერხებულობის საფენში გახვეული გაქვს, არცერთ საუკუნეში არ დაიკარგები და ლაღი ცხოვრებაც გარანტირებული გაქვს.
12650. ინტერნაციონალურ ქალაქებს სხვა გარეგნული ხიბლი და პეწი აქვთ, ისინი თავიანთ შეძენილი მენტალიტეტით ცხოვრობენ და თან ახალი ჯიში და ჯილაგი გამოჰყავთ, სულიერადაც მაღლა დგანან, ერთმანეთშიც თბილ ურთიერთობას ამყარებენ. აქ ნაციონალიზმი და წარმომავლობის გაფეტიშება გამორიცხულია.

12651. ქვეყანაში, სადაც განათლებას, კულტურას, სიკეთეს, წესიერებას სახე დაკარგული აქვს, ცხოვრება სამწუხაროა, რადგან ვერ გაგიგიათ ამ დროში მოსვლით ცხოვრებაში გაგიმართლათ თუ არა.

12652. შენი სურვილით ცხოვრება გასახარია და სახალისო, მაგრამ საზოგადოების წესებიც ანგარიშგასაწევია, რადგან სიამოვნება და საზოგადოების დოგმები ერთმანეთს ვერ ეგუება.

12653. ხანდახან ისე გვღლის ჩვენი ცხოვრების შეცდომები და უიღბლობა, რომ გვავიწყდება სულის და მდედრის მოფერება, ხოლო როდესაც აზრზე მოვდივართ, უკვე დაგვიანებულია.

12654. როდესაც ცხოვრება გიხარია, აღარც ასაკის სხვაობას გრძნობ და არც ახალგაზრდულ ასაკს ეპუები შენი გრძნობების გასამხელად.

12655. ცხოვრებაში მთავარია წარმატება და შენიანებისგან აღიარება და არა ის, ბრძენი ხარ თუ გონიერებასთან ახლომდგომი.

12656. ცხოვრების დაისზე გვეჩვენება, რომ ეს სამყარო არის ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები, ის კი გვავიწყდება, რომ ამ ფიქრის უფლებას გვაძლევს განვლილი წლები და ჩვენი ცხოვრების გამოცდილება, რომლისთვისაც უკან სვლა გამორიცხულია.

12657. ცხოვრება ერთისთვის საშინელი გართობაა, მეორისთვის საშინელი ბრძოლა არსებობისთვის, მესამისთვის ,,საშინელება'' გამორიცხულია და ცხოვრობს თავისთვის, მშვიდად, კვლავწარმოების და მომავლის იმედით.

12658. თუ მოახერხებთ და თქვენს პრობლემას სხვა თვალით შეხედავთ, მაშინ ცხოვრებაც გაგიადვილდებათ, თუ ამას თეთრი შურით დაავადებაც დაემატება, ეს იქნება თქვენი უიმედო ავადმყოფობისაგან თავის დაძვრენის ელექსირიც.

12659. ცხოვრება თავისებური მივლინებაა, სადაც ყველა ჩვენგანმა სამივლინებო დღიური არსებობისა რომანტიკულად უნდა გამოიმუშაოს, რათა ცხოვრება გავიგრძელოთ და გავიხანგრძლიოთ.

12660. ცხოვრება თავის ოლიმპზე თუ არ გეპატიჟებათ, უიღბლოდ მაინც არ დაგტოვებთ და გარკვეული დროით თქვენთვის გამოანათებს. ამ ბედის წყალობას კი დროულად ყურის აწევა სჭირდება, რომ ცხოვრების ილუზიების ორომტრიალში არ გავერთოთ და ნაწყალობევი დროზე ადრე ხელიდან არ გავუშვათ, რადგან სხვისთვისაც უკვე მისი ბედის გაცისკროვნების რიგი დამდგარა.

12661. ცხოვრებაში ყველაფერს თავისი სიბინძურეც ახლავს, მაგრამ ციხისას არაფერი შეედრება, რადგან აქ მტყუან-მართლის, მტერ-მოყვრის გარკვევა ძნელია.

12662. უსაქმურობა სისულელის ჩადენის დედაა, სიზარმაცე – მამა, უფულობა – ბაბუა, თავზე გადამეტებული წარმოდგენა – ბებია. როგორ გინდათ ამ ახლო ნათესავების პატრონმა წესიერ ცხოვრებას მიჰყოთ ხელი.

12663. აუტანლად მკაცრი გახდა ცხოვრება. რაც მეტს ვიღებთ ცივილიზაციისგან და ტექნიკური პროგრესისგან, იმდენად დიდი ხდება "პატარა ღმერთის" – ფულის მნიშვნელობა, არა იმდენად ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ საზოგადოებაში ადგილის მოსაპოვებლად.

12664. ცხოვრება გაცილებით რთულია, ვიდრე ჩვენ გვგონია, რადგან რაც ჩვენ მოგვწონს და გვიზიდავს, ის ან არალეგალურია, ან ამორალური, ან ყოველივე ეს ჩვენი ბედოვლათობის შედეგია.

12665. ისტორია სავსეა ღალატით, მსხვერპლითა და სისულელეებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცხოვრება მაინც გრძელდება, ჩვენი მემატიანე ოპონენტების ჯინზე.

12666. სიცოცხლე რომ გაიხანგრძლივოთ, საჭიროა სიბერეში ცოტათი მაინც შეიყვაროთ თავი, ხელი აიღოთ თქვენი ახლობელი მომავალი თაობების ზრუნვაზე და ჭკუის დარიგებაზე, მეტი იმოძრაოთ, მეტი ურთიერთობა დაამყაროთ ხალხთან და რაც მთავარია, თქვენს თავის მეტი საშუალება მისცეთ რათა საკუთარ ჭკუაზე იცხოვროს.

12667. განსჯის უკანასკნელი წვეთი რომ არ გვიჭერდეს გადარევის ჟამს, მაშინ ჩვენი ცხოვრება ჩირადაც არ ეღირებოდა და კაცობრიობა გადაშენდებოდა.

12668. ხანგრძლივი სიძულვილი ან ხანმოკლე სიყვარული სულისა და ხორცის გვემას იწვევს და ჩვენს ფსიქიკაზე შეუმჩნევლად მოქმედებს.

12669. მომეტებული არც ცოდნა, არც ინტელექტი, არც კაცთმოყვარეობა და არც პატიოსნება არ ვარგა, რადგან ცხოვრებაში დაიჩაგრები, მაგრამ მისკენ სწრაფვა კი მისასალმებელია - არა სრულყოფამდე.

12670. უსუსური ქვეყნების მამები მომდევნო თაობას პატივისცემას ვერ მოსთხოვენ, რადგან თავიანთი სიზარმაცით და უვიცობით დიდძალ ვალს უტოვებენ გადასახდელად.

12671. ბევრმა იცის ცხოვრება როგორი უნდა იყოს, ხოლო რეალობაში როგორ იცხოვროს, ამაზე წარმოდგენაც არა აქვთ, ამდაგვარად მათი ცხოვრებაში გაშავება აღზრდის ნარცისიზმის ბრალია.

12672. კინოში თუ ცუდი ბიჭები საინტერესო სიუჟეტს ქმნიან, ცხოვრებაში ისინი გამოფხიზლების და პროფილაქტიკის ხელის შემწყობად არ ჩაითვლებიან.

12673. რატომღაც ცილისმწამებელი, თავის ცხოვრების წესის გამო, განტევების ვაცს სასტიკად იძულებს, ხოლო ამ უკანასკნელს კი ცილისმწამებლის რაღაც კაცობის და სამართლიანობის იმედი ასულდგმულებს.

12674. ფილოსოფოსი საზოგადოების ცხოვრების ამწყობად კი არ გვევლინება, არამედ ამ ცხოვრების კატაკლიზმების ამხსნელად, იუმორის გონივრული გამოყენებით.

12675. ძალაუფლება და რეჟიმი სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება მაინც არ შეუძლიათ.

12676. ბედნიერებაზე ფიქრი და ოცნება ყველას აღგვაფრთოვანებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრება აზრს დაკარგავდა.

12677. თუ გინდათ ცხოვრება გაიადვილოთ და საღად უყუროთ, საკუთარი თავისადმი ირონიული დამოკიდებულება ყველა ასაკში უნდა შეინარჩუნოთ.

12678. მთავარი ის კი არ არის, რას აკეთებ და ცხოვრებაში ბედი როგორ გწყალობს, მთავარია, რაზე ოცნებობ, რაზე კაიფობ, რადგან იმქვეყნად ამ ცხოვრებიდან ვერაფერს წაიღებ.

12679. ცხოვრება ბოლოს ყველა ჩვენგანს, გასაჭენებელ მოედანზე გვაბრუნებს და ჩვენსას მოგვიზღავს, რადგან ყველას ჩვენი ქომაგი, მაყურებელი და შემფასებელი გვყავს.

12680. ცხოვრება ხანმოკლეა, ხელოვნება – მუდმივი. გააჩნია ვის ხელში, რა დროში მოხვდა და რა ეკონომიკური სიძლიერის და სულის მომავალი თაობა მოდის.

12681. ყველამ რომ იცოდეს მის ქმედებას რა შედეგი მოჰყვება, დიდ წარმატებას მიაღწევდა, მაგრამ ცხოვრება არ გამოვიდოდა.

12682. ახალგაზრდობაში კონვერტში ჩადებული წერილი გაღელვებს და აღგაფრთოვანებს, სიჭარმაგეში – მასში ჩადებული ასიგნაციები, ხოლო ცხოვრების დაისზე ვერ გაგიგია, გიხარია თუ გწყინს, რომ ცხოვრება ამ კონვერტებთან ურთიერთობას გადააყოლე.

12683. რეალური ცხოვრება მისი მასშტაბით, დონით, იუმორით, დანატოვარით განისაზღვრება და არა – ფულით და თანამდებობით.

12684. სიცოცხლის ხსოვნას თუ ცუდად ვეპყრობით, ისიც ასეთივე ტაქტით მოეპყრობა ჩვენს უკვდავებას.

12685. პოეზიითა და აღმაფრენით, სურვილით და პროზით, ყოველდღიურობით, ცხოვრება სხვადასხვაა. ასეთია ცხოვრების რეალობა და აქ ვერაფერს გახდებით.

12686. ცხოვრება რთული მექანიზმია, მას უნდა შეეწყო და თუ მოახერხებ, შეეთვისო კიდეც.

12687. ცხოვრებაში მთავარია ჩვენთვის განკუთვნილი გზის გაგრძელება და არა მხოლოდ მცდელობა და ადგილის ტკეპნა.

12688. რასაც ხედავთ, ის კი არ არის ნამდვილი ცხოვრება, არამედ რასაც შეიგრძნობთ და შეისისხლხორცებთ.

12689. ცხოვრება მაინც არსებობაა და იძულებული ხარ აიღო, რასაც ის გაძლევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა შეწყვიტო ცხოვრება.

12690. გადის წლები და თურმე ცხოვრება ის არ არის, რაც ჩვენ გვეგონა და გვგონია, მას ის მესამე განზომილება აქვს, რომელიც ჩვენთვის უკვე დაგვიანებული, უცნობი და გაუგებარია.

12691. თუ ღამით პესიმისტური აზრები გვაქვს, მაშინ დილით მოქმედება უნდა გვქონდეს ოპტიმისტური, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრებას „პუსტა-პუსტად" გავლევთ.

12692. ცხოვრება ძნელია, ირგვლიმყოფნი აუტანელნი, სიცოცხლე მავნებელია, მაგრამ გააჩნია ვისთან.

12693. ცხოვრების მოწესრიგებაა მთავარი და არა მისი გადაკეთება, მითუმეტეს, თუ ეს ჩვენს ძალებს აღემატება.

12694. სიცოცხლის დაისზე ხვდები, რომ ცხოვრება სიკვდილ-სიცოცხლის შეჯიბრია ფულისა და კარიერის მოპოვებისათვის, რომელიც სიყვარულისთვის ადგილს ძალზე ცოტას ტოვებს.

12695. ცხოვრების დაისზე ყოველივე ღირებულის შეფასებას ვერ ვახერხებთ, რადგან გრძნობების ლოგიკა გახსენების ლაბირინთიდან ვერ გამოგვყავს.

12696. ცხოვრებაში უფრო მეტად მიყურადება მოგვწონს, ვიდრე აშკარად ყურის გდება და რაიმეს სწავლა.
12697. ლამაზი ცხოვრების გასამართლებლად ბევრი არგუმენტის მოყვანა შეიძლება, მაგრამ მაინც სხვის ხარჯზე ცხოვრება გამოდის.
12698. ცხოვრებას ვერ ვასწრებთ და ამაში ყველას ვადანაშაულებთ თავის გარდა.
12699. ცხოვრების ფორმულაა დაცვა, თავდასხმა, რისკი – გაყოფილი წინდახედულებაზე.
12700. ცხოვრება წარსულის საამური გახსენებით იწყება და "გახსოვს"? – ამ შეკითხვით მთავრდება.
12701. ცხოვრება, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ყოველთვის გვიტოვებს ადგილს და საბაბს გმირობის ჩასადენად და თავის წარმოსაჩენად.
12702. ჩვენი ცხოვრების იდეა რომანტიზმია, რომლის გარეშე სული ყვირის, იტანჯება, ცვდება.
12703. ყველას თავისი მიზანი აქვს, ხოლო ცხოვრებას თავისი კანონები – მონანიებებით.
12704. ისტორია ნიჭის, კაცობის, ღირებულებების გადამმოწმებელია, რასაც ცხოვრების კრედოს შესაფასებლად იყენებენ.
12705. ცხოვრება ან მომხიბვლელია, ან ვეჩვევით, ან იუმორით ვუყურებთ და ასე გაგვაქვს წუთისოფელი.
12706. ყველაფერი რომ ყველასთვის ნათელი იყოს, კარგი სურვილია, მაგრამ ცხოვრება არ გამოვა.
12707. ცხოვრება ლამაზად უნდა გავატაროთ, მაგრამ არა უწვალებლად და უდარდელად.
12708. ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოგვიწევს თავის გამოჩენა, გვინდა თუ არა.
12709. „სიმართლის ძებნა სინათლეს გამოგილევს", მაგრამ მისი ძებნის გარეშე ცხოვრება აზრს დაკარგავდა.
12710. ცხოვრებაში მახსოვრობის ინვენტარიზაციას ყველა ჩვენგანი, ადრე თუ გვიან, ერთხელ მაინც ახდენს.
12711. ცხოვრება ქაოსთან ბრძოლა და ბუნების ძალების რიდია.
12712. ეს ცხოვრება ისე გაირყვნა და გამამაძაღლდა, რომ ხანდახან საკუთარი ყურით გაგონილს და თვალით დანახულსაც ვეღარ ვუჯერებთ, ისევ ინტუიციას, გონიერებას უნდა ვენდოთ, თუ კი შემოგვრჩა.
12713. საყოველთაო ცხოვრებისეული მანიფესტი გლობალური უპასუხისმგებლობაა სამყაროს წინაშე, მაგრამ დღევანდელი საზოგადოებისათვის აუცილებელია.
12714. ცხოვრებას, მისი სირთულის მიუხედავად, პრაქტიკული ცხოვრებისთვის გამზადებული ინსტრუქცია არ მოჰყვება, თუმცა ოცნებას მოძალებული ენერგიით და თეორიული ბალასტით თავი გამოჭედილი აქვს.
12715. ზოგიერთს ბუნება გაანაწყენებს, ზოგს ცხოვრება, ზოგს საკუთარი თავი, მაგრამ ეს სულ არ გვაძლევს იმის უფლებას, არ ვიცხოვროთ მშვიდობიანად.
12716. იჩქარეთ, არ ჩამორჩეთ, მხოლოდ ისე არ აჩქარდეთ, რომ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვათ. ეს არის ცხოვრების კეთილდღეობის მთელი ფილოსოფია.

12717. ბედნიერი არ შეიძლება ეწოდოს ცოცხალ ადამიანს და მისი განვლილი ცხოვრება არ უნდა შეგვშურდეს, სანამ ის იმქვეყნად არ წარსდგება.
12718. ყველაზე მეტად უსაქმურობა ამოკლებს ცხოვრებას, თორემ სასმელით – ორი და თამბაქოთი ოთხი საათით სიცოცხლის შემოკლება უსაქმურობასთან ახლოც ვერ მივა.
12719. კარგი სიზმრების ახდენა და ცუდის კარგი განხრით გააზრება სულაც არ უნდა გიმლიდეს ხელს დამშვიდებულმა იცხოვრო.
12720. ცხოვრების გამოცდილების ქაღალდზე დამაგრება უფროსი თაობის ჰობია, ხოლო უმცროსი თაობის სურვილია ამ გამოცდილების წაკითხვა, მის მიერ დაშვებული შეცდომების გაანალიზება, ყველაფრის თავისებურად კეთება და სიბერეში თავის გამოცდილების დამაგრება ქაღალდზე.
12721. ცხოვრება გაუგებარია: ერთი, მიუხედავად ორიენტაციის დაკარგვისა, კარგად ცხოვრობს, მეორე კი, სულ ორომტრიალში, გარჯაში და აუწყობელ ცხოვრებაშია.
12722. ცხოვრების სიბრძნე გვასწავლის: გარემო პირობებს ჩვენი ნიჭის მოწოდება მოვარგოთ, შევუხმატკბილოთ და საკუთარი თავიც არ დავივიწყოთ – კარგად ვიცხოვროთ.
12723. ცხოვრებაში თუ რამეს გინდა მიაღწიო, პატივი უნდა სცე წესებს, მაგრამ უნდა ეცადო შენი წესებით ითამაშო და სხვას წესების დაცვა მკაცრად მოსთხოვო.
12724. ცხოვრების ორომტრიალში გარკვევა შეუძლებელი გახდა, აქედან ისე დაუკვალავი მივდივართ, რომ მომავალ თაობას ვერ ვუტოვებთ გარკვეულ აზრს, გარდა ერთისა: ყველაფერს ფილოსოფიურად შეხედე.
12725. ამქვეყნად ორჯერ მაინც უნდა მოხვიდე საცხოვრებლად, რადგან ერთ ცხოვრებაში ჩადენილი შეცდომა მეორეში გამოასწორო და ერთხელ მაინც იცხოვრო ბედნიერად.
12726. ცხოვრების ალღოს აღება არ ნიშნავს მის ღირებულებებზე, კეთილგონიერებაზე, ღირსებაზე, პატრიოტიზმზე გადაბიჯებას, მაგრამ არც ამ მცდელობის გარეშე არაფერი სასიკეთო გამოდის ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისთვის.
12727. ზღვის სანაპიროზე მცხოვრებნი ძალზე ბევრს კარგავენ ცხოვრებაში, რადგან ისინი არ ირუჯებიან და ზღვის გაცხელებული ქვიშის მონატრულები არიან, იქ სიამით ვერ გორაობენ და სულ სითეთრე აწუხებთ.
12728. სიბერეს რა ჯობს – ცხოვრების კაზინოში შენი გამოცდილების კარტით თამაშობ, მაგრამ ენერგია და ფინანსები გაქვთ ცოტა. ამიტომაა, რომ ცხოვრება გაშლილი კარტით აღარ გათამაშებს.
12729. მთელი უბედურება ის არის, რომ სანამ ჩვენ ცხოვრებას ვიწყობთ და მასზე ვწუწუნებთ, ცხოვრება შეუმჩნევლად ხელიდან გვისხლტება. ხომ არ ჯობს წუწუნს თავი დავანებოთ და ცხოვრებას მივხედოთ, რადგან წუწუნით ვერაფერს ვუშველით.
12730. რისი კეთებაც არ უნდა მოინდომოთ, მაინც გამოჩნდება მიზეზი იმისა, რომ არ განახორციელოთ, ამიტომ ცხოვრებაში მთავარია ნაზრევის განხორციელება და არა მიზეზების რეპრესიები, მით უმეტეს, თუ მამაზეციერი ერთ ადგილზე არ გაჩერებს და შენს მხარეზე დგას.

12731. თუ თავს ცხოვრების სწორი მოდელი წაართვით, ხელში შემოგეფშვნებათ ეროვნულობის იდეა, და შემოგრჩებათ გადაგვარებული თანამედროვე გვამები, რომლებსაც ცხოვრება მხოლოდ პროსტიტუცია, ქილერის საქმიანობა, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ქურდობა და პოლიტიკანობა ჰგონიათ.

12732. ცხოვრება სიცოცხლესთან თამაშია და ის ერთი ამოსუნთქვით უნდა გავატაროთ, ბრმად, მაგრამ მიმზიდველად, თუ ამქვეყნიდან მამაზეციერის მიერ მოცემულ ვადაზე ადრე გაქვს იმქვეყნად წასვლა გადაწყვეტილი.

12733. სხვისი ჭკუის დარიგება უმადური საქმეა, სანამ ეშმაკი არ ჩაერევა, გონებადაწმუსლს ცხოვრებისეულ განსაცდელს არ მოუწყობს და მისი ანგელოზი გათვალვას არ მოუხსნის.

12734. ჩვენ ვალში ვართ მშობლების, სამშობლოს, შვილების და ათასი ვიღაცის წინაშე, მაგრამ ჩვენი მოვალეები არავის აინტერესებს, ალბათ იმიტომ, რომ ცხოვრების ბარტერი ბოლოს ყველაფერს ათანაბრებს.

12735. სიცოცხლე ფანტაზიის გარეშე არარაობაა, რადგან ჩვენს არსებაში იმდენი საიდუმლოა ჩადებული, ძნელია ცხოვრების სიძნელეზე არ იფიქრო და იქით გადაბარგების დრო არ გააჭიანურო, რადგან ასაკის მატებასთან ერთად სიცოცხლეს ახლებურად ხედავ და ცხოვრებას თავისებურად წარმოიდგენ.

12736. ცხოვრება სიმაღლეზე მოკალათების მცდელობაა, მაგრამ უფრო დიდია გონიერების განსჯა, თუ ამ სიმაღლეზე დროზე მეტ ხანს არ შეყოვნდებით და სხვასაც მისცემთ საშუალებას, რომ ამ სიმაღლეზე შეგცვალონ.

12737. რადგანაც ცხოვრებამ ახალბედებსა და სულელებს ჭკუის სწავლება უკვე დაუწყო, პირველ ხანებში აზარტულ თამაშებში მათ გაუმართლებთ და ამის წინააღმდეგი არც თამაშების ღმერთი „ოლიმპიოსია" და არც მამაზეციერი, რადგან შემდგომ მაინც კინჩხს მოატეხინებს.

12738. ცხოვრება უნდა გიყვარდეთ, მიუხედავად მისი ღალატისა, უსამართლობისა, ცხოვრებაში დაწერილი ორიანისა, რადგან ამქვეყნად მამაზეციერს უკეთესი არც არაფერი შეუქმნია და ვერც შექმნის.

12739. თუ ადრე ძნელი იყო ცხოვრების არითმეტიკაში გარკვევა, დღეს ყოფიერება მოითხოვს მის ალგებრაში ჩახედვას, მაგრამ ეტყობა ისეთი დრო მოდის, თუ ცხოვრების ტრიგონომეტრიას არ დაეუფლე, ცხოვრების ლაბირინთებში ძრომიალი გაჭირდება, რადგან ამ სამყაროში ყველაფერი მოსასწრებია და ყველამ თავს უნდა უპატრონოს.

12740. „ცხოვრება ერთხელ გვეძლევა და ის გრიალით უნდა გავატაროთ", ეს სიტყვის მასალად არ დარჩება, თუ ლამაზი ცხოვრების აზრს შენს შთამომავალსაც აზიარებ, რომ შენი ფასი გაიგონ და შენი ცხოვრების „სიამეს" შენს სიცოცხლეშივე ეზიარონ.

12741. სიკვდილს უდიდესი პატივისცემით და გაგებით უნდა მოვეპყრათ, თუ ის თავის დროზე უმტკივნეულოდ წერტილს უსვამს ჩვენი ცხოვრების ისტორიას.

12742. ცხოვრების ძნელ წუთებშიც კი უნდა ვეცადოთ სილამაზეს ვუყუროთ, რადგან ცხოვრებაში არც თუ ისე ცოტა ულამაზო ქცევების კოქტეილის მომსწრენი ვართ, რომელზეც ყურადღების გამახვილება არც ღირდა.

12743. ცხოვრების ფარიკაობისთვის მთავარია გამოცდილება, დამარცხებულ მოწინააღმდეგეთა რაოდენობის ზრდა, ნამდვილი სიყვარული და ოჯახის სითბოს ენერგია.

12744. თუ ერთის მოქმედება მოწონებას იმსახურებს, მეორის მიერ იგივეს გამეორება უზრდელობად აღიქმება, რადგან ცხოვრებაში ყველაფერს თავისი ტაბუ ადევს და ყველამ თავისი შესაძლებლობის საზღვრებში უნდა იცხოვროს.

12745. მთავარია ცხოვრებაში შენი გზა გქონდეს და მას სიცოცხლის ბოლომდე მიჰყვე, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია შეღავათიანი ბილიკითაც ისარგებლო, რათა არ ჩამორჩე და შენსას მიაღწიო. რას იზამ, ასეთია რეალობა კარიერის კეთებისა და ცხოვრების გამოცდილებისა.

12746. განსჯით თუ ვინმეს სიკეთეს უკეთებ, მანაც ამითვე უნდა გიპასუხოს, მაგრამ საქმით ამ თეორიაში დიდი ცხოვრებისეული სიბრიყვეა, რადგან რომ გაღიარონ, ის უნდა აიძულო სიკეთე თვითონ გაგიკეთოს და შენ თავი უნდა დაამადლო, ამ სიკეთის მიღებას რომ დათანხმდი.

12747. ცხოვრების გამოცდილების ალბათობა გვკარნახობს, რომ თქვენზე დაკისრებული საქმე ჯობს ბრმად და მონდომებით შეასრულოთ, ვიდრე შემოქმედებითად, რადგან უკანასკნელის ჭია შეგიჯდებათ და გამოუსწორებელი შეცდომაც გარანტირებულია.

12748. ცხოვრებაში მთავარია ექსტრემალურ პირობებს დროებით შეეგუო და მის გადატანას შეეცადო. ამ დროს თავის წარმოჩენა საშიშია როგორც შენთვის, ასევე შენი ახლობლებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ კარიერის კიბეზე არბენის პერსპექტივაა.

12749. ცხოვრებაში იმაზე მეტის ცოდნას, რაც უნდა იცოდე, მორალური კმაყოფილება კი მოაქვს, მაგრამ რწმენის შენარჩუნებაზე და სიკეთის საჭიროებაზე დაგაფიქრებს.

12750. ვეცადოთ ისე ვიცხოვროთ, რომ ჩვენი თავის წინაშე სულის და ხორცის ბლოკირებას გადავურჩეთ.

12751. ცხოვრება ისე უნდა გავლიოთ, როგორც მოგვეხასიათება, მაგრამ არა ისე, რომ საფლავში ჩავისვაროთ.

12752. რაც ცხოვრების კანონზომიერებას ეწინააღმდეგება, შეიძლება დიდხანს იარსებოს, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც დაემხობა, რათა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, საზოგადოების განვითარების კანონზომიერების საწინააღმდეგოდ კვლავ მოგვევლინოს.

12753. კაცთმოყვარეობის, სიკეთის, თავაზიანობის, ქადაგება და მოსმენა აუცილებელია, მაგრამ რეალურ ცხოვრებას მაინც მომზადებული უნდა შეხვდეთ, რადგან არავინ იცის რა საოცარი სისაძაგლის შემოთავაზება შეუძლია ორფეხა კოლეგას.

12754. ცხოვრება ბევრ სიურპრიზს გვთავაზობს და თავის ჭკუაზე გვატარებს. ის ადამიანი, რომელიც სტაბილურ პირობებში განგების ძალით შენი სამუდამო მეგობარია, არეულ გარემოში შეიძლება სამუდამო მტრად გექცეს. ასე რომ, მეგობრობა სახელმწიფო წყობის პრეროგატივა ყოფილა და არა, ჩვენი გონებისა.

12755. რადგან მთელი ჩვენი ცხოვრება გადაადგილებაა, მას მცირე შესვენების საშუალებაც არ უნდა მივცეთ, რომ არ მოვეშვათ და არ დავიჩაგროთ.
12756. ცხოვრება შემართების, მეობის და გამრავლების გარეშე, რასაც ცხოვრება ჰქვია, არ გამოვა.
12757. ცხოვრება არც ისე გრძელია, რომ ყველაფერს ზევიდან აღფრთოვანებით უყურო და შენთვის ცხოვრება ვერ მოასწრო.
12758. რატომღაც წარსულის დაცვას უფრო ვცდილობთ, ვიდრე სინდისის, რომლის უქონლობა ყველა ჩვენი უხიაგობის მიზეზია.
12759. ცოდნის მიღება კი არ არის მთავარი, არამედ იმის შეცნობა, როგორ გაიუმჯობესო ცხოვრების პირობები სწრაფად, იაფად, ხარისხიანად, 100%-იანი ალიბით.
12760. რაც უნდა მტვერი ვადინოთ ამ ცხოვრებას, მაინც მტვრად გვაქცევს.
12761. ცხოვრების ბოლომდე გალევა დანაკარგის გარეშე შეუძლებელია, ამიტომ ამას დაბადებიდანვე უნდა შეგვაჩვიონ.
12762. ვეცადოთ რომ ჩვენი ცხოვრების ჯავრი შეუჭმელი დაგვრჩეს, რათა იმქვეყნად აქედან გვიპატრონოს.
12763. ცხოვრებაში იმათ კი არ უნდა ვენდოთ, ვისაც ვითომდა არაფრის ეშინია, არამედ იმას, ვინც ფრთხილია და თავის საქმეს უნაკლოდ აკეთებს.
12764. ნამდვილი ბედნიერების გამოსაცდელად შეიძლება ცხოვრებამ ალესილი დანის პირზე გატაროს, მაგრამ შენ ეს გზა ამაყად, ლამაზად, ფუფუნების გარეშე უნდა განვლო.
12765. ცოტა – ხალხის აზრი, ცოტა – კანონი, ცოტა სამართლიანობა. ცოტა ჩინოვნიკს მოფერება და თუ ისიც ნორმალურად იცხოვრებს, სხვასაც მიეცემა კარგი ცხოვრების საშუალება.
12766. თუ დავფიქრდებით, ცხოვრებაში არც ისე ბევრი საშინელება ხდება, რომელსაც დრო ვერ განკურნავს.
12767. შვილისთვის ცხოვრება ვალია, თავის არდავიწყება სიცოცხლისკენ სწრაფვაა, იყო საჭირო, აუცილებლობაა, რათა ცხოვრების დაისი გულნაკლულად არ განვლო.
12768. ცხოვრება ბრძოლაა, რადგან ხან ერთია გამარჯვებული, ხან – მეორე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მტრები გავხდეთ, ერთმანეთს წელში გადატეხვა მოუნდომოთ, უბრალოდ, უნდა შევეცადოთ ადამიანებად დავრჩეთ.
12769. ცხოვრებას ისეთი მაღალი ტემპი და თავდაუზოგავი შრომა არ უნდა დაუპირისპიროთ, რომ თქვენი წაყვანა ანგელოზებსაც შეეშინდეთ და ნებართვა ზევით ითხოვონ.
12770. ამ ცხოვრებაში გეგმიური და დაუგეგმავი ცურვა ყველას არ შერჩება, რადგან ზოგმა საზღაური ხანდახან ვირის აბანოში ყვინთვითაც უნდა გადაიხადოს.
12771. ყველამ უნდა განვლოს მისთვის განკუთვნილი ჭკუის ევოლუცია, თუ უნდა ცხოვრებაში რაიმე სახარბიელოს ეზიაროს და საყვარელი საქმე აკეთოს.

12772. ცხოვრება თუ ისე მოგვეპყრობა, რომ დასაკარგიც არაფერი გვექნება. მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი წარმოუდგენელი წარმატების მიღწევა, თუ ზევიდანაც რაიმე გვაქვს მომადლებული.

12773. თუ მამრი მამაკაცად შედგება და მდედრი – დედაკაცად, ეს ყველასთვის დიდი ბედნიერებაა, მათ შორის იმათთვისაც, ვინც ცხოვრებას დიდ მოთხოვნებს უყენებს და თავზე გადამეტებული წარმოდგენა აქვს.

12774. ცხოვრების ასარჩევი გზები ძალზე ბევრია, მაგრამ ბედს და მამაზეციერს მაინც თავისი გზით მივყავართ.

12775. ცხოვრებამ ისე არ უნდა გაგწიროს, რომ ამქვეყნიდან ყველაფრის მუქთად და ერთიანად წაღება გადაწყვიტო.

12776. ცხოვრება იმდენ გამოცდას გვიწყობს და იმდენად სხვადასხვა გარემოში გვამყოფებს, რომ აქ მტყუან-მართლის განსჯა ძნელია, მითუმეტეს, თუ სიცოცხლე გვინდა.

12777. ცხოვრებაში ერთხელ ყველას უმართლებს, უნდა თუ არა, ოღონდ გამართლების ხარისხია სადავო და მომავალში მისი გამოყენება – ვინ როგორ იხეირებს.

12778. ცხოვრება რომანი არ არის, მაგრამ მის რომანად გადაკეთება და მასში ცხოვრება უნდა ვისწავლოთ.

12779. დაკმაყოფილდე მცირედით და ისიამოვნო, ეს არის ცხოვრების შეცნობისკენ მიმავალი ერთი გზა, მაგრამ არც ამ ქვეყნიდან შეიძლება გულდაწყვეტილი წასვლა და ამიტომ სხვა გზებიც უნდა მოინახულო და შეეცადო მაქსიმალური სიამოვნების მიღება ერთჯერადად, დასამახსოვრებლად, დროგამოშვებით.

12780. ცხოვრება ლორი არ არის, შენს გემოზე თალო და იცხოვრო პრინციპებით „დღეს ვიყოთ კარგად და ხვალ ყველაფერი წყალს წაუღიაო". ნაშიერზეც ხომ უნდა ვიფიქროთ, რათა ნუგეშად წაგყვეთ იმქვეყნად მიმავალ გზაზე.

12781. ცხოვრებაში რაღაცას რომ მიაღწიო, მარტო ერთი შეცდომა და ერთი პროტეჟე არ კმარა.

12782. ცხოვრებისეულ გართულებებს სერიოზულად არასოდეს არ უნდა შეხედოთ, თორემ ის თავისდღეში არ გადაიჭრება, თუნდაც – შეცდომით.

12783. ცხოვრებაში თუ გინდა გამარჯვებული გამოხვიდე, წინ უნდა იყურო, თუ გინდა შენი წარმატება სხვასაც არგუნო, მაშინ ირგვლივ უნდა მიმოიხედო.

12784. ცხოვრება რომ გამოგვივიდეს, პირველ ხანებში სამუშაოს პრობლემებში უნდა ჩავებათ, ან ხელსაყრელი რომანი გავაბათ, ან ვაკეთოთ ის, რასაც ჩვენგან არავინ მოელის.

12785. ცხოვრება ყოველთვის ძველი დოგმებით არ შეიძლება, მაგრამ ისინი უნდა გავითვალისწინოთ და გამოვიყენოთ.

12786. კოსმოსიდან დედამიწის მარტო ფერებში დანახვა არ კმარა, მთავარია, სხვა ფერები სიმწვანით შევცვალოთ, თუ გვინდა ამ პლანეტაზე ცხოვრება შესაძლებელი დარჩეს.

12787. ოცნება უნდა იყოს რეალურიც და მისაღებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრება გაგიბრაზდება.

12788. ცხოვრების ალგორითმის გაგება იმიტომაც ვერ ხერხდება, რომ მდედრი შენდობას, გაგებას, ითხოვს თავისი ავხორცობის, მამრი კი – თავის უძლურების გასამართლებლად.

12789. პირველ რიგში თავს უნდა უერთგულო, რადგან თავად იღებ იმ გადაწყვეტილებებს, რომელმაც მომავალში უნდა განსაზღვროს შედგა თუ არა შენი ცხოვრება.

12790. წარსული არც უნდა ამოვთხაროთ და არც უნდა ვათრიოთ, მას მხოლოდ ჩვენი სიცოცხლის წლები უნდა გამოვგლიჯოთ, რადგან სიცოცხლე ცხოვრების ის უნიკალური დღესასწაულია, რომლის ფასსაც ბოლომდე ვერც ერთი ჩვენგანი ვერ აღიქვამს.

12791. ყველას საკუთარი ცხოვრებისეული ფილოსოფია და იუმორი უნდა გვქონდეს, რომელიც შეიძლება საზოგადოებას ეტალონად არ გამოადგეს, მაგრამ პირადად ძალზე გვრგებს და ჩვენთვის ყოველმხრივ მისაღებია, რადგან დროა ასეთი.

12792. წარსულს ხშირად უნდა მივუტრიალდეთ, რადგან იქედან უნდა ისაზრდოოს ჩვენი მომავალი ცხოვრების გამოცდილებამ.

12793. ცხოვრებაში მთავარია შენთვის განკუთვნილი სასარგებლო დრო არ დაკარგო, თორემ მას აუცილებლად სხვა იპოვის და გამოიყენებს.

12794. შემთხვევითობა არ უნდა იყოს დამოკიდებული სამართლიანობაზე, რადგან ეს უკანასკნელი ცხოვრების მუდმივი განზომილებაა.

12795. ცხოვრება საბოლოოდ პატარა-პატარა სიამოვნებების და დიდი უსიამოვნების კრებულია, მაგრამ ჩვენ მაინც ოპტიმალურის ძებნაში ვართ.

12796. თაობების ჩამოყალიბებისთვის აღზრდა, ტრადიციების გონივრულად დაცვაა პირველი, ხოლო სწავლა, ცხოვრების სიბრძნის გაცნობა, გასათვალისწინებელია.

12797. ცხოვრების ფილოსოფია კუჭის ამოყორვაა, მას შეესატყვისება გონიერება, სულის და სხეულის ჯანმრთელობა, მსოფლმხედველობა და თვით დედამიწის აზროვნებაც კი, რომელსაც შეუძლია გვალვები, წყალდიდობები და ათასი რამ მოგვივლინოს ჩვენი უმეცრების საფასურად.

12798. ცხოვრება გვეძლევა გამოცდისთვის და მასთან ერთად – ძალა, შემწეობა, მის გადასატანად.

12799. სიცოცხლეში მთავარია შექმნა კოლექცია, ოღონდ შენი ცხოვრების ლამაზი წარსულისა, თუ გინდა სიამით და დიდხანს იცოცხლო.

12800. ბევრისთვის გაურკვეველია – ქორწინება ცხოვრების დასაწყისია თუ დასასრული, გააჩნია – რომელი მხრიდან გინდათ შეეხმიანოთ ცხოვრებას.

12801. ორგანიზმის მოთენთილობის ინტელექტი განვითარებულ, გალაღებულ და ცხოვრებამოყირჭებული ქვეყნის შვილებს ახასიათებს და გამრავლებაზე მწყრალად არიან, მაგრამ ყოველივე ამას მონატრებული მამაკაცები ცივ მხარეში ბავშვებს „ტულუპების" გაუხდელად აპროგრამებენ.

12802. წყნარი ცხოვრება კარგია, მაგრამ ჭაობია, ხიფათიანი ცხოვრება იძლევა მხოლოდ ისტორიისათვის და შენთვის სიბერეში გასახსენებელს.

12803. აზარტი ხინჯია, თუ ის დასაშვებს გადააბიჯებს, მაგრამ თავდავიწყების გარეშე ცხოვრებას ბევრი დააკლდებოდა.

12804. ღირსეულად ცხოვრება ჩვენი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს – ისე ვცხოვრობთ, როგორც გვესმის.

12805. ცხოვრება ისეთ გამოცდებს გვიტარებს და ისეთ ნიშნებს გვიწერს, რომელსაც სკოლაში მიღებულ შეფასებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

12806. ყველას უნდა თავისათვის განკუთვნილი ცხოვრების ფიალა ტკბილად შესვას, მაგრამ სიტკბოში ხშირად უფრო მეტი სიმწარე გამოერევა.

12807. ცხოვრებას ყველანი ვთამაშობთ, მოგვწონს თუ არა. ვიტყუებით, თვალთმაქცობთ, ვთავხედობთ, მაგრამ როდესაც ეს უნებლიედ მოგვდის და სხვას არ ვნებს, მიტევებას ვიმსახურებთ, ხოლო თუ ამას პროფესიულად, განზრახ ვაკეთებთ, ეს უკვე დანაშაულია.

12808. ცხოვრების მანძილზე ყოველთვის გამოჩნდება არაკაცი, რომელიც შენს გადაჩეხვას მოინდომებს, მაგრამ შენ თუ ამისთვის მომზადებული ხარ, ეს ვიგინდარა ხელმოცარული დარჩება.

12809. ცხოვრების გაუმჯობესებას უნდა ვცდილობდეთ ტექნიკური პროგრესის და საქმიანობის გონივრულად დაგეგმვის ხარჯზე და არა – ჯანმრთელობის ან სხვის ჯინაზე.

12810. ცხოვრების ხიზილალა რომ კარაქიან პურზე წაუსვა, მარტო ხელის და გონების განძრევა არ შველის, მას სულიც უნდა დაახმარო.

12811. ბევრი ცდილობს და ცოტას იმკის, თუ შემთხვევით ცხოვრების ალმასს ფეხი არ წამოსდო.

12812. ყველა სპეციალობას თავისი პატარა საერთო საცხოვრებელი აქვს, რომლის განაწესის დარღვევა მიუღებელია, რადგან ცხოვრების გამოცდილებიდან არის გადმოწერილი.

12813. მოდას თავის ცხოვრების წესი, მორალი, ლოგიკა სჭირდება, რათა მან კაცობრიობა სიკეთით შემოსოს და არა – უღირსი ღირებულებებით.

12814. ადრე პატივს სცემდნენ მშრომელთა კლასის, მეშახტეების, მეტალურ-გების წარმომადგენლებს, ახლა ვაჭრობის და რეკეტის წარმომადგენლებს. ცხოვრება ამითაც არის საინტერესო, რომ ტალღებივით ერთი კიდიდან მეორეს ეჯახება და ბობოქრობს.

12815. როდესაც რისკავ, მაშინ გრძნობ, რომ ცხოვრობ, როდესაც მხოლოდ ცხოვრობ, მაშინ ხვდები, რომ არსებობ, რადგან ყველაფერი ერთფეროვანი მოსაწყენია.

12816. ზომიერი ცხოვრების სიმბოლო – მიმატებაა, აჩქარებულის – გამრავლება, დაისის დასაწყისი – გამოკლებაა, ხოლო მშვიდი ცხოვრების სიმბოლო – გაყოფა, მაგრამ სწორედ ამ უკანასკნელის მათემატიკურ მოქმედებაზეა დამოკიდებული ბოროტება – სიკეთის სათავე და ყველას თავისებურად წარმოაჩენს.

12817. ცხოვრების მიზანი უნდა იყოს: უპირველესად, შენ სჭირდებოდე სხვას და არა – პირიქით.

12818. ცხოვრების ხელოვნებაა, როდესაც შენზე გაგონილ ჭორს შენს სასარგებლოდ მოთარგმნი და გამოიყენებ, თუმცა არც მისი უყურადღებოდ დატოვებაა ნაკლები ხელოვნება.

12819. შენთვის უინტერესო ერთიდაიგივე საქმის კეთებამ შეიძლება სახრჩობელამდე მიგიყვანოს, ამიტომაც ცხოვრებაში შენთვის მორგებული სპეციალობის არჩევაა უმთავრესი და არა – მომხვეჭელობა.

12820. თეორიულად ცხოვრების აზრი ტკბობაშია, მაგრამ პრაქტიკულად მის მორგებასა და გაწამაწიაში.

12821. მამების და შვილების ასაკობრივად სხვადასხვა მისწრაფებამ და ცხოვრების ხედვამ ბევრ თაობას გაუფუჭა ცხოვრება.

12822. თუ ცხოვრებას წინასწარ არ გეგმავ, უამრავ თავისუფალ დროს და სიამოვნებას ჰპოვებ, ცხოვრებაც გვერდით არ ჩაგიქროლებს და მის სილის გატყლაშუნებასაც გადარჩებით.

12823. ბავშვი შენი ცხოვრების შენაძენი კი არ არის, არამედ მისი ნაწილის დანაკარგია, რადგან რაც მეტს აძლევ მას, იმდენად ნაკლები დრო გრჩება საკუთარი ხუშტურების დასაკმაყოფილებლად.

12824. ცხოვრების ორომტრიალი ყოყლოჩინა ერს თავისი ნაკლოვანებების ფაქტზე იჭერს, მაგრამ მისი თავმოყვარეობა იხტიბარს არ იტეხს – რას ვიზამთ, ასეთი განსაკუთრებული ნაკლი რომ არ გვქონდეს, მაშინ ასეთი თვითმყოფადები და კარგები არ ვიქნებოდითო.

12825. ცხოვრებაში მუქთად არავის არაფერი არ უნდა მისცე, მაგრამ ერთხელ დაუმადლებლად შეიძლება დაასპონსორო, იმ იმედით, რომ ხელს მოითბობს, ყისმათი გაუღიმებს, გამდიდრდება და სხვას ქველმოქმედად მოევლინება.

12826. ცხოვრება ერთმანეთის პატარა-პატარა ნაკლოვანებების გამოძებნა და გამომზეურებაა.

12827. რა არის ეს ცხოვრება?! როდესაც შენმა ნაღვაწმა თავი უნდა წამოყოს და წარმოგაჩინოს, მაშინ იწყებ სამარეში ჩასვლას და იმის, რაც შენ უნდა მოგემკა, ჯერ ნაშიერები მოიმკიან, შემდეგ – ხალხი, ბოლოს კი შენი გვარი იმდენად გაამაყდება, რომ უკვე არავის დააინტერესებს შენი ჯიში და ჯილაგი.

12828. ცდას, შენი ცხოვრება ნაადრევად უკეთესი გახადო, ყოველთვის იმ გზით არ მიყავხარ, როგორიც წარმოგვედგინა.

12829. ცხოვრება გამზადებული და გამოზომილი უნდა გვქონდეს, რომ ის გონიერად და ტკბილად გავატაროთ.

12830. ცხოვრებაში გზის არჩევა ჩვენი ბედის შესაძლებლობებსა და ჩვენს ხუშტურებზე დამოკიდებული.

12831. ცხოვრებაში იმას უმართლებს, ვისაც მამაზეციერი გონიერების დროულად დამუხრუჭების უნარითაც დააჯილდოვებს.

12832. პატიოსანი, წყნარი და უფერული ცხოვრება ყველაზე დასაფასებელი და სასახელო, განვლილი წლებია ადამიანისათვის, რომელსაც შეიძლება ცხოვრების დაისზე მოხვდეს.

12833. ცხოვრება სიჩქარის სადავეების ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლაა, რომელიც ხშირად უდროო დროს, დამუხრუჭებით მთავრდება.

12834. ყველაფერს წინასწარ ვგეგმავთ, მაგრამ მისი შედეგები არ გვაოცებს და ეს არის ჩვენი ცხოვრების აქილევსის ქუსლი.

12835. ცხოვრების მათემატიკა ალგებრის უვერტურაა, რომლის გონიერ აღქმას გეომეტრიის ცოდნა და ტრიგონომეტრიის ჩარევა ჭირდება, ამის შემდგომ შეიძლება ჩახვედით თუ რისთვის ხართ მოვლენილი ამქვეყნად და რამდენი ცოდნის შეძენა და გარჯა გჭირდებათ.

12836. ცხოვრება თავისებური ჩხირკედალაობაა, ოღონდ ვინ რას და როგორ გამოთხრის.

12837. ცხოვრება გაცილებით უფრო მდიდარი და საოცარია, ვიდრე ეს ჩვენს გონებას და ფანტაზიას წარმოუდგენია.

12838. სიჩერჩეტე და სიბრძნე სხვადასხვა პოლუსზე დგანან, მაგრამ ერთმანეთთან მაინც მეგობრობენ, რადგან ადამიანს დანაშაულებრივი ხუშტურების გახსენების გარეშე ცხოვრება უჭირს.

12839. გიყვარდეს, ეს არის ცხოვრების აზრი კვადრატში, უყვარდე – კუბში, ხოლო ურთიერთ – თავდავიწყებული სიყვარული სიცოცხლის ბინომია და მისი ტოლობა დროა, რომელსაც ერთმანეთთან შერწყმა და გაფრთხილება ჰქვია.

12840. ყველა ჩვენგანი თავს ან მეფედ უნდა გრძნობდეს ან დედოფლად ან უკიდურეს შემთხვევაში, მათ მრჩევლად, მაშინ აეწყობა ცხოვრება და შენც მის სწორ ბილიკს დაადგები.

12841. უნდა ვეცადოთ სიცოცხლე ნაკლები შეცდომებით განვლოთ, მაგრამ ცხოვრება გამოგვივა უინტერესო და ზადიანი.

12842. ზოგს კარიერის დასასრული აწუხებს, ზოგს კი – ცხოვრების, მიუხედავად იმისა, რომ საძირე ორივეს ერთი აქვს.

12843. სულის გამონათება და ცხოვრების გამოცდილება უნდა გადავცეთ მომავალ თაობებს, თორემ ჭკუა და შემართება მათ წინაპრებზე მეტი ყოველთვის ექნებათ.

12844. ბოლოს ირკვევა, რომ ყველაზე უკეთ იქ ვცხოვრობდით, სადაც ადრე ვიმყოფებოდით, მაგრამ სამწუხაროდ, ახალგაზრდობას არავინ დაგვიბრუნებს, უიმისოდ კი ცხოვრება ყველგან ჯიქია.

12845. ბევრს ვწვალობთ, ვმამაძაღლობთ, მაგრამ ჩალიჩს ზღვარს ვერ ვუდებთ, რადგან კარგი ცხოვრებისკენ მისწრაფება გვაქვს, მაგრამ რა არის რეალურად კარგი, ჩვენთვის უცნობი და მიუწვდომელია.

12846. ცხოვრება გონების აფორიაქება, სხეულის წრთობა და მის ლაბირინთებში ძრომიალით მიღებული სიამოვნებაა.

12847. არის ცხოვრება, არის მოლოდინი, ორივე თავისებურად საინტერესო და საკაეფოა, ოღონდ გააჩნია ასაკს, დროს, ინდივიდუუმს.

12848. ყველანი ერთხელ ვცხოვრობთ ამ პლანეტაზე, მაგრამ სისულელეს ჩვენი ჭკუით, გემოვნებით და სიამოვნებისთვის ჩავდივართ.

12849. სოციალური ღორობაა, შენს მონარჩენს რომ ჰყრი, მაშინ, როდესაც სხვას სარჩო უჭირს, მაგრამ ამის შეგრძნებას ცხოვრების ორომტრიალში ყოფნა უნდა და არა პასიურად ცხოვრება.

12850. ერთის შეხედვით რა არის 60 წელი, მეორე მხრივ კი მთელი ეპოქაა სიცოცხლის ნეტარებისა, თავისი ამოღმართებით, სწორ გზაზე გავლით და ისევ თავდაღმართში დაშვებული განუხორციელებელი ოცნებებით, ცხოვრების გამოცდილებით და გარდასული სიყვარულით.

12851. ნებისყოფას, ძალას, ოპტიმიზმს, უმადური ცხოვრება გვართმევს და გვაძაბუნებს, მაგრამ საზოგადოების განვითარება მაინც სწორი გზიდან არ უხვევს, რადგან ამის უფლებას ქვევით განვითარების პროგრესი არ იძლევა და ზევით – მამაზეციერი.

12852. მიუხედავად იმისა, რომ 2X2 და „პერპენდუმ მობილე"რევიზიას არ ექვემდებარება, მათ სხვადასხვა ტვინები მოსვენებას არ აძლევენ და ალბათ, ცხოვრების არსიც ამ უცნაური დაუჯერებლობის ძალადობაშია.

12853. სიცოცხლეს ხეირიანი ცხოვრება და ხელის განძრევა სჭირდება და არა – თავისმართლება და ალიბის ძებნა.

12854. თუ სიმღერიდან დაწყებული, ხატვით დამთავრებული, ცოტ-ცოტა იცით და შინაგანად რაღაც გაწვალებთ, თქვენი ცხოვრების გასავლელი გზა ხელოვნების აღმართისკენაა მიმართული, მაგრამ ამ გოლგოთაზე ფეხის შედგმის შებედვა არა მარტო შენს სურვილზე, არამედ განგების ნებაზეც უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მუზების მსახური, დაიჩაგრები.

12855. იმისათვის, რომ შენი ოცნება აისრულო, ადრე უნდა გაიღვიძო და ცხოვრებას საღი თვალი, ხშირ-ხშირად უნდა შეავლო.

12856. გაჭირვება ყველა კედელს გაანგრევს, ძალა ყველა აღმართს გადახნავს, სიყვარული ყველა ოცნებას აისრულებს, ყოველ შემთხვევაში, ეს თუ ასე არ არის, მაინც ასე უნდა ვიწამოთ თუ გვინდა ცხოვრებას მეტი ეშხი, პეწი და აზრი შევმატოთ.

12857. ცხოვრება ზოგჯერ ძალზე აუტანელი გვეჩვენება, მაგრამ უნდა მოვითმინოთ, რადგან არც თუ ისე ბევრი დრო რჩება იმქვეყნად გადასასახლებლად და დასასვენებლად.

12858. სისულელის, უგუნურების, სიბრიყვის ჩადენის სურვილი და ახირება, უცნაურობა ჩვენს ცხოვრებას აზრს მატებს და კაცობრიობის მრწამსს ანვითარებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჭაობის დამყაყებელი სუნი დაგვახრჩობდა.

12859. ჩენჩოს დღესასწაული, თაფლობის თვე, დაწყვილებას მალე ჩამოშორდება და ცხოვრება ისეთივე უღიმღამო რჩება როგორც სინამდვილეშია, ალბათ, ამიტომაა, რომ ზოგიერთი რამდენჯერმე ქორწინდება ან ცუღლუტობს, რათა ზოგჯერ ცხოვრება გაიხალისოს.

12860. ძალზე ბევრ სისულელეს ჩავდივართ ცხოვრების მანძილზე, მაგრამ უკეთესი მოსაგონარი და გასახსენებელი ჩვენ არაფერი გვრჩება.

12861. ცხოვრება მაინც საჩუქრებისთვის ბრძოლაა და არა ჩვენი ვირეშმაკობის შედეგი.
12862. არ ეშინია იმას, ვინც ვერაფერს ხედავს, იგებს, შეისმენს და არც სურს გარემოს ქარტეხილებს ჩასწვდეს, მანამ სანამ ცხოვრება ცხვირში არ ამოარტყამს და თავის ადგილზე არ მოსვამს.
12863. სიბრძნეა ბედნიერება და არა სიმდიდრესთან თამაში, რადგან პირველმა უკეთ რომ იცხოვროს, თავის მოთხოვნებს ზღუდავს, მეორეს კი სიმდიდრესთან ერთად მოთხოვნილებები ეზრდება და საბოლოოდ სიცოცხლეს ამ უაზრო კაიფის გასწორებას ანაცვალებს.
12864. ცხოვრებას, რაც უფრო სწრაფად მიდის, მით უფრო ნელა მივყვებით, რადგანაც ადამიანსაც დოღის ცხენივით გარკვეულ სიჩქარეზე ზევით ჯირითი არ შეუძლია.
12865. სიცოცხლის რაობა, თავქარიანობის გარეშე, ბევრ გასახსენებელს დაკარგავდა და ცხოვრების განვლა უფერული ჩაჩით მოგვიხდებოდა.
12866. ცხოვრების ბოლოს ყველაზე ძნელია იმის შეცნობა, რომ სხვა რამ აკეთე და უღალატე მთელი შენი ცხოვრების საქმეს.
12867. ბოლოს ხვდებით, რომ ცხოვრებამ უამრავი საშუალება მოგცათ პიროვნება გამხდარიყავით, მაგრამ ვერ გამოიყენეთ თქვენი სიზარმაცის და გაუბედაობის გამო.
12868. ბედნიერ დასასრულზე ფიქრი უფრო ფილოსოფიური ცდუნებაა, ვიდრე სულიერი დავადების ნიშნები, რადგან ცხოვრებას, სხვადასვა მონაკვეთზე, თავისი სიხარული, გაწბილება მოაქვს და აქ მედიცინა არაფერშუაშია.
12869. ზოგჯერ სახელის წარმოსაჩენად ერთი ბედნიერი გაელვებაა შენი ცხოვრების საწყისიც და ბოლოც.
12870. ყურადღების სინონიმი მადლიერება უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველგვარი ადამიანური ღირებულება ფასს და ხეირს დაკარგავს და ცხოვრებაც გაჭირდება.
12871. ცხოვრება ყველაზე მეტად იქ არის გაძნელებული, სადაც სიჩუმე სუფევს და თავსმოხვეული, უალტერნატივო ტრადიციებია გამეფებული.
12872. ყოველგვარი ცოდნა იმ პიროვნებას უნდა ვანდოთ, ვისი ფსიქიკაც ამისთვის მზად არის და ცხოვრებაშიც რაღაც უნახავს.
12873. მონაა ის, ვისაც ცხოვრება არჩევანის უფლებასაც არ უტოვებს და სული გაფრენის წინააღმდეგია.
12874. ყველა ჩვენგანი თავისი ნიჭის ჯარისკაცია და ცხოვრება იმისდამიხედვით აფასებს, თუ რამდენად შესძლო მან ამ ნიჭის რეალიზაცია, ხოლო დანარჩენი ყოველი თვალის ახვევაა, რათა სხვა ჩვენით აღფრთოვანდეს და შეშურდეს.
12875. მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო თაობებს ტექნიკური პროგრესის ტემპი გაცილებით მაღალი ექნებათ, მათი ქცევა, მოდა, გართობა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების წესს დაემსგავსება და თავისუფლების უგონო გაფეტიშებით თავისი დეგრადირების პერსპექტივას ვერც კი იგრძნობენ.

12876. გაკვირვება შეიძლება პატიოსნებამაც გამოიწვიოს და უსინდისობამაც, მაგრამ ამ უკანასკნელის გადამკიდე, გაიძულებს კიდევ ერთხელ რეალურად თვალი შეავლო ცხოვრების კანონებს.

12877. მომდევნო თაობა დიდი სიამოვნებით უნდა სვამდეს წინა თაობის სადღეგრძელოს, რადგან მათმა გამოცდილებამ მოუტანა ახალ თაობებს ტექნიკური პროგრესი და მატერიალური კეთილდღეობა და ვირეშმაკული ცხოვრების ხედვა, წესი.

12878. ტექნოკრატია ცხოვრების წინ სვლის წარმმართველია კულტურის, დეგრადირების ხარჯზე.

12879. მოდა ძველი შეხედულებების, იდეალების შესანჯღრევად ცხოვრების დიდებული დანამატია, მაგრამ მაინც თავისი საუკუნის, დროის გადასახედიდან.

12880. სამართლიანად დაგეგმილი ცხოვრება ეტყობა უფრო მოსაწყენს გახდიდა ადამიანთა რაობას, ეს კი უფრო მეტი უსამართლობა იქნებოდა ადამიანთა მოდგმის წინაშე, რადგან იმედის ლატარეა ჩვენი ცნობიერებიდან გაქრებოდა.

12881. განუმეორებლებისგან განსხვავებით შეუცვლელები არ არსებობენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრება გართულდებოდა, საზოგადოება ყისმათს დაკარგავდა.

12882. გადამეტებული სიამაყე მაშინ გვაწუხებს, სანამ ის შეცდომები არ დაგვიშვია, რომელიც ცხოვრების რიგი კანონზომიერების მიხედვით დიდი ხანია უნდა დაგვეშვა.

12883. ცხოვრება რომ გავიადვილოთ, თავი ისეთი უნდა გვიყვარდეს როგორიცა ვართ და თან უნდა შევუძახოთ, რომ ყოფა თანდათან ეწყობა, სრულყოფილი და სასიამოვნო ხდება.

12884. ცხოვრება დიდი გაფხორვაა და ის გვაიძულებს ვიმხიარულოთ თუ მოვდუნდეთ, რადგან ვის რა დასჭირდება, სად გაუმართლებს არავინ უწყის.

12885. ცოდვის ჩადენის გარეშე ცხოვრების განვლა ძნელია, მაგარმ არც მის გარეშე ყოფას აქვს ლაზათი და აზრი.

12886. წესიერებას, უწესობასთან შედარებით მსუყე ცხოვრება უჭირს, მაგრამ ყველა თავს პატიოსნებაზე დებს და უწესობის გახმიანება სწყინთ.

12887. ცხოვრება, ეტყობა, ერთთავად მუდმივი ხუმრობაა, რომელსაც უნდა გაუგოთ და მხარი აუბათ, რადგან მხოლოდ დამწუხრებით სიცოცხლე არ გამოვა.

12888. ემოციური პარტნიორი, მართალია, ცხოვრებას გვირთულებს, მაგრამ სიცოცხლეს გვიხალისებს, აღგვაფრთოვანებს, იმნაირი საქმის საკეთებლად განგვაწყობს.

12889. პირმშო რომ ცხოვრების მდგმურად არ იქცეს, აღზრდა-მზრუნველობის კრედიტი არ უნდა მოვაკლოთ, რაც შეეხება დასჯას და განსჯას, ყოველთვის მოესწრება. მას ან ცხოვრება მოუწყობს ან განგება.

12890. თანამედროვე განვითარების შედეგის მფლობელები იმ ძველ ადამიანებად რჩებიან, რაც მათ დღევანდლობას და ცხოვრების დონეს არ ეკადრება.

12891. ცხოვრება მისი რაციონალური გამოყენებაა, მაგრამ დანიშნულების მიხედვით მას არავინ იყენებს, რადგან მაშინ სიცოცხლე არ შესდგებოდა.

12892. ცხოვრება, მცდელობაა იმ ცოდვების მონანიებისა, რომელთა ჩადენას ვერ-ცერთი ჩვენგანი ვერ აცდება.
12893. ცხოვრების აზრი, ალბათ, ისევ სიცოცხლის გახანგრძლივებაში და ყოფის შენს ჭკუაზედ მორგებაშია.
12894. როდესაც ქალიშვილების საუბარს მოუსმენ და მათ კაპრიზში გარკვევას შეეცდები, გაოცებული რჩები, ვის ვუკავშირებთ ჩვენს ცხოვრებას და ვისზე ვქორწინდებით, მაგრამ გვამშვიდებს იმის შეცნობა, რომ ჩვენი დედები თავის დროზე ასეთივე თავქარიანები და ქარაფშუტები იყვნენ.
12895. ცხოვრებას მაშინ იწყებ, როდესაც სხვას სულში არ უძვრები, მაგრამ მის ინტიმურ სივრცეს და მსოფლმხედველობას უნებლიედ არღვევ.
12896. მხოლოდ ქალის და შენი კაპრიზის დასაკმაყოფილებლად ცხოვრებას, საბოლოოდ, სულის გაქურდვამდე მივყავართ.
12897. ცხოვრება გვბეზრდება, გულს გვირევს თუ მის მადლს ვერ შევიცნობთ, რუდუნიზმია გამეფებული და შენს ხასიათს ვერ მოარგებ.
12898. უხიაგ ქვეყანაში სიცოცხლე შეიძლება, მაგრამ ცხოვრება შეუძლებელია, რადგან ურთიერთმოსმენის და გაგების უნარი დაკარგულია.
12899. ბედნიერების შეცნობა არც ასე ადვილია, ის ხან ჩვენს მხარეს დადგება, ხან – გვიგანებს და ეს არის ჩვენი ცხოვრებაც და ალბათ, მისი დასასრულიც.
12900. არის სიამოვნებისკენ სწრაფვა, არის რეალობა, არის შესაძლებლობა, არის მიღებული ცხოვრების საყოველთაო წესი, რომელთა შერწყმა სიცოცხლესაც ალაღებს და აადვილებს.
12901. ცხოვრების ტვირთი ყველას სხვადასხვა გვაძევს, მაგრამ უკეთესი ცხოვრებისკენ მისწრაფება იმასთან შედარებით, რაც გაგვაჩნია, ყველას ერთი გვაქვს.
12902. ამაღლებული იდეები, უგუნური ქცევებისგან დაზღვეული არ არის და ამ მდგომარეობიდან გამოსავლის მცდელობა ცხოვრების ეშხთან და მადლთან არის კავშირში.
12903. ყველა წყვილი ერთნაირია, იმათ გარდა, ვინც შეყვარებულია და ჯერ-ჯეროობით სხვანაირად ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, სანამ სიყვარული მოწონებით არ განელდება, ცხოვრება არ დააწვება, ხვადობის სურვილი არ გაუჩნდება და ცხოვრებით ტკბობა სხვა განზომილებებით არ შეიცვლება.
12904. არ შეიძლება! მაგრამ თავის რისკით გადამოწმება მიანც ღირს, რადგან შენი ცხოვრება ასაკის გადასახედიდან უნდა გიღირდეს.
12905. თავსმოხვეული სიძნელეების გარეშე არც მეგობრები გვეყოლებოდა და არც მტრები, ვერც ახლობლებს შევიცნობდით და ვერ მოტმასნილ კეთილისმდომებს და ცხოვრების მადლის და ყადრის გარკვევაც გაგვიჭირდებოდა.
12906. როგორც კი ცხოვრების ავ-კარგის გაგებას დაიწყებ, ყოველივე წმინდაზე ჭუჭყის შემჩნევას იწყებ და მისი გაწმენდის სურვილიც თანადთან გეკარგება, რადგან შენ უკვე აღარავისი არ გწამს და გჯერა.
12907. ცხოვრების თალმუდი (დრომოჭმული აღქმა) მიიღე, მოუსმინე, მიუტევე, გაუღიმე, შესთავაზე, დაუყვავე, ეს ყველა ჩვენგანის შეგნებაში უნდა ბუდობდეს და

რჩევა – დახმარებისთვის მოსულ მოყვასს კამათელივით უნდა გაუგორო და მოეფერო.

12908. სიცოცხლესა და ცხოვრებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ახალგაზრდობას, სილამაზეს, ტალანტს ეტრფის, ხოლო მეორე – გამოცდილებას, ფულს, შედეგს ანიჭებს უპირატესობას.

12909. ცხოვრების აზრია თავად იყოს სიყვარულის ტრფიალი და არა მისი მემატიანე.

12910. ცხოვრება დიდი ბედნიერებად მოგვეჩვენება, თუ მას ცოტათი აგდებულად შევხედავთ.

12911. ცხოვრების გადამეტებული ჯანსაღი წესი ვნებს ადამიანის ჯანმრთელობას და მის რაობას, რადგან გონიერებიდან გონიერი გადახვევაა ჩვენი ყოფიერების და სიცოცხლისუნარიანობის გარანტი.

12912. არ არსებობს პატარა და დიდი კარიერა, რადგან მისკენ ლტოლვა, შესაძლებლობების გათვალისწინებით, ცხოვრების წესად იქცევა.

12913. ცხოვრება თავისებური სახალისო თამაშია, მაგრამ მარიონეტის როლს ვინ შეასრულებს, ეს შემთხვევის და ბედის საქმეა.

12914. ცხოვრება შედგება რამდენიმე გაელვებისაგან, რომელიც ზოგისთვის ძალზე ცოტაა, ზოგისთვის კი მთელი სიცოცხლის ლოდინია, მონატრებაა და ბევრიცაა.

12915. დროის შესაბამისად ერთი სიძნელე მეორეს ცვლის. ამას ყოველთვის ცხოვრების კანონზომიერება ერქვა და არა – მიუღებელი ყოფიერება და ცუდად მოსაგონარი გაჭირვება.

12916. ცხოვრებაში ყველას ჩვენი პლუს-მინუსები გვაქვს, რომლის ბალანსი ჩვენი იმქვეყნად გადასახლებით მთავრდება.

12917. ასაკი განვლილი ცხოვრების სათუო ანალიზია, რადგან ის უკანსვლას და ძველის გამოსწორებას არ ექვემდებარება.

12918. ცხოვრება თავის გამოცდილ აფორიზმებს გვთავაზობს, სიცოცხლე თავად აფორისტობს და ამ გონიერებათა ორომტრიალში დრო გადის და თან ჩვენი წუთისოფელიც მიჰყვება.

12919. საკუთრივი ცხოვრებისეული აჩემებული პრინციპია, რომ გვაწბილებს და ხშირად ჩვენგან დაღვინებას მოითხოვს.

12920. ზოგჯერ მინიშნება უკეთესი მასწავლებელია, ვიდრე ყოველდღიური ცხოვრების ნორმების სწავლება და გამოცდილების გაზიარება.

12921. ცხოვრება ის თამაშია, სადაც განუხრელად მოგებული მომდევნო თაობა რჩება და ყოველივე მის კეთილდღეობას ეწირება, გვინდა ეს ჩვენ თუ არა.

12922. ცხოვრების გამოწვევას მდედრი უფრო მხნედ ხვდება, ვიდრე მამრი. ეს ბუნების კანონზომიერების შედეგია და არა – პროცესი.

12923. ცხოვრების ერთ მხარეს გაუტანლობა, ანგარება, ვერაგობა დევს, მეორე მხარე სიყვარულს, გულმოწყალებას, ნდობას აქვს დაკავებული. აქ მთავარია დოზების შერჩევა, რომელიც ცოდნას, გამოცდილებას მოითხოვს, რათა შენთვის განკუთვნილი ცხოვრების კოქტეილი შენს გემოზე შესვა და ისიამოვნო.

12924. ორმაგი ცოდვაა მოულოდნელად დაბადება და უაზრო სიკვდილი. სამმაგი სისულელეა მხოლოდ ფულისთვის ზრუნვა, მოვალეობის გულისთვის ოჯახის შექმნა, იმქვეყნად გადაბარგების შიში, რადგან ამქვეყნად მოსვლის მიზანია ისეთ საქმიანობას დაეუფლო, რომელიც შენს არსებობას ფრთებს გამოასხამს, გასიამოვნებს. მაგრამ ყოველივე ამას ცხოვრების დაისზე ვხვდებით, როცა ყველაფერი დაგვიანებულია.

12925. ძალზე ცოტაა ისეთი მიზეზი, რისთვისაც ცხოვრება ღირდეს, მაგრამ ეს ცოტა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გვაიძულებს ვიცოცხლოთ, ვიცხოვროთ და ნაშიერიც ვამრავლოთ.

12926. ბედნიერება თავისებური პოლიტიკური ქიმერაა, რომელიც ხშირად, უსამართლოდ, სპირალივით გრეხს შენს ბედს, რათა შემდგომ ცხოვრების თავიდან დაწყების და გამართლების შანსი გაუჩნდეს.

12927. ძნელია ცხოვრებისგან დაუშინებელ იდიოტებს, რომლებსაც ცხოვრების აუგი არ უნახავთ და არც დიქტატურის მათრახი უგემიათ, ურჩიოთ, ხშირად უყურონ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, ბრბოს არ აყვნენ, ცხოვრებას არ დანებდნენ, იწამონ ბუნების მარადისობა და პატივი სცენ მის კანონებს, არ გამოეკიდონ წარმავალ ღირებულებებს, რადგან ჩვენ ხომ მარტო სხეულით არ ვცხოვრობთ ამქვეყნად, სული კი უკვდავია.

12928. იცხოვრო შენთვის - აზრი არა აქვს, ოჯახისთვის – დიდ ყურადღებას და პასუხისმგებლობას მოითხოვს, მეგობრებისთვის ცხოვრება ძალიან შრომატევადია და დიდი ენერგიის ხარჯვაა, მაგრამ ვინც უზრუნველ ცხოვრებას ახერხებს, მას ჭკუის საჭყლეტ საკითხებზე ფიქრი არ აწუხებს.

12929. სჯობს მეუღლესთან და მთავრობასთან გაყრას მოერიდო, თორემ პირველი ეცდება შენი ცუდი მხარეების გამომზეურებას, ხოლო მეორის მზაკვრობა ყველაფრისადმი ნდობას და ცხოვრების ხალისს დაგიკარგავს.

12930. დღევანდელი ჰუმანიზმით ცხოვრება არ გამოგვადგება, პლანეტა გადატვირთულია მოსახლეობით, მისი გაავებული მოთხოვნილებებით და ღარიბი ადამიანებით, რომლებსაც საკუთარ თავზე ყოველდღიური ზრუნვით წარმოდგენა არა აქვთ, რისთვის მოევლინენ ამ ქვეყანას.

12931. ხანდახან ინტერესები გვაიძულებს ჭკუანაღრძობნი ვიყოთ გარეშეთათვის და ეს დიდი გონიერებაა, რათა მოწინააღმდეგემ არ იკადროს ის, რის კადრების სურვილიც აქვს.

12932. დიდ მიღწევებს სათანადო ჯანმრთელობა და სიამოვნება არასდროს მოაქვს, მაგრამ შენთვის მონიჭებული ცხოვრება უიმისოდაც გაცდენილი გეჩვენება.

12933. ცხოვრება თავისებური შოუა და როდესაც დრო, საშუალება, გამოგიჩნდებათ, უნდა ეცადოთ ეს გართობა თავს მოუწყოთ, სხვაც ასიამოვნოთ და შეიძლება თქვენი სახელის წარმოჩენასაც ხელი გამოჰკრათ.

12934. თუ შენს ემოციებს, მისწრაფებას მალავ და არავის უმხელ, იმედია, იმქვეყნადაც არ გასცემ შენი გძნობების საიდუმლოს და სამოთხეშიც მოხვდები, რადგან ფაქტი შენი მხილებისა არავის ექნება, ასევეა ცხოვრებაშიც, მაგრამ ეს ცხოვრება არ არის.

12935. გაჭირვება არ იძლევა უფლებას, რომ ღარიბი პატიოსანი დარჩეს, ის თანდთან იბოლმება ცხოვრებაზე და თუ რაიმე საკბილო ჩაუვარდა, მის კეთილისმდომზე დაგროვილ ბოღმას გადმოანთხევს.
12936. მოთმინებას და იმედს, რომელიც ზოგჯერ იღბლით არის შემაგრებული, ცხოვრება ეწოდება.
12937. ცხოვრების სტიმული მოპოვება და არა ჩუქება, რომელსაც არც ვაფასებთ და ვადამდე მობეზრება იცის.
12938. ცხოვრების ფილოსოფია ძალზე პირადულია და აზრების გათამაშებაში არც სხვა უნდა ჩაიყენო წილში და არც შენ უნდა ჩაუჯდე.
12939. ცხოვრებამ, ბუნებამ, განგებამ, თავისებურად დაგვცინა და დაგვაჯილდოვა კიდეც: შენ უხიაგი ქვეყნის შვილი გაგხადა, მაგრამ შანსიც მოგცა, მას ემსახურო, ჭაობიდან ამოათრიო და სახელი უკვდავყო.
12940. ცხოვრება ნაადრევად მაშინ ჩაგვაფიქრებს, როდესაც ვერაფერს ვიგებთ, რადგან ყოველივე დროულად ჯილდოვდება და უკვალოდ არაფერი იკარგება.
12941. ცხოველები მათზე გულუბრყვილოდ შეყვარებულ პატრონებზე ბატონობენ და იციან, რომლისთვისაა საკმარისი პატარა წამლიქვნელება და ლამის თავდაყირა დადგნენ მათ საამებლად.
12942. ცხოვრება თავისებურად არსებობის ხერხია, სადაც ერთს თითქმის ყველაფრის ნება აქვს, მეორეს თითქმის არაფრის და ეს პრაქტიკულად სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწინდარია, თეორიული დემაგოგიისგან განსხვავებით, სადაც ყველაფერი თანასწორუფლებიანობაზე და სამართლიანობაზე უნდა იყოს აგებული.
12943. ცხოვრების ამ გადასახედიდან შენი განვლილი გზა გაკვირვებს, ამდენის გაკეთება როგორ მოვახერხეო, მაგრამ გავიწყდება ის დაუოკებელი ენერგია, პირადი ინტერესების უგულველყოფა და საქმისადმი იმ რქებით მიწოლა, რომელშიც ჭკუა გეგულებოდა, უკან მოხედვის უფლებას არ გაძლევდა და წინ წაწევისკენ გიბიძგებდა.
12944. რეალური ცხოვრებიდან გაქცევას ყველა თავისებურად ახერხებს, მაგრამ შედეგი აქვს ერთი და ისიც სავალალო.
12945. ცხოვრება თავისებური ბრძოლაა და როდესაც ამის სურვილი გეკარგება, მაშინ იწყება გარდაცვალება.
12946. მომაკვდავსაც პრობლემა დროსთან და იმ წუთიერ მოგონებასთან გაქვს, რომელსაც შენი გარბენილი ცხოვრება ქვია.
12947. ჩვენ ამ ცხოვრების გორაკის ცოცხალი ბებრები ვართ და ბორცვის რომელ მხარეს მოგვიხდება წუთისოფლის განვლა, ამას უკვე მნიშვნელობა არ აქვს.
12948. რატომღაც ეს ცხოვრება დილეტანტურ ჭეშმარიტებას არ ემთხვევა: ერთი გინდა გააკეთო, შიშით მეორის გამოსვლას ელოდები და ფაქტიურად კი ისეთი მესამე გამოტყვრება, რომელიც აზრადაც არ მოგსვლია.
12949. ცხოვრება რამდენიმე დასამახსოვრებელი ამბორია, ქალია, პურ-მარილია, შვილებია, შვილიშვილებია და ერთი დაუმახსოვრებელი გამოსათხოვარი კოცნა.
12950. ცხოვრებით მაშინ ხარობ, როდესაც დროის ყადრი არ იცი, ხოლო როდესაც მის დაფასებას ისწავლი, მაშინ იწყებ ცხოვრებით ტკბობას.

12951. შეცნობადი ცხოვრების კანონები ხანდახან ისეთ ორომტრიალში გაგხვევს, რომ მისი დამთავრების შემდეგაც ვერ ხვდები, რაში დასჭირდა ღმერთს შენთვის ასეთი ყურის აწევა.

12952. ცხოვრებას თავისი თამაშის წესები აქვს, რომლის ნორმატივების ცოდნა ყველასთვის სასურველია, ხოლო მისი მინიმუმის ჩაბარება – აუცილებელი.

12953. ცხოვრება, ალბათ, მცირე ოპტიმიზმია და დიდი პესიმიზმი, ყოველდღიური გაურკვეველი და მოსაწყენი აწმყოთი.

12954. ცხოვრების ბედნიერი დაბოლოება მედიცინის კაპრიზი და დამსახურება კი არ არის, არამედ ცხოვრების ფილოსოფიური ხედვაცაა, რომელსაც გამართლება თავის დოზით უნდა დაჰყვეს.

12955. ყველაფრის მოყირჭება გონიერებას ფილოსოფოსობისკენ უბიძგებს და დიდ პიროვნებად აყალიბებს.

12956. უსულობა, უგულობა, რაციონალური იდეის უგულებელყოფა, მეტი არაყი, საწვავის უკმარობა, კრიმინალური მთავრობა, მომავლის ხაკისფერი იმედი, წმინდა სულიერი საწყისების გაქრობა. ასეთ გარემოში, ერთი შეხედვით, ცხოვრება შეუძლებელი უნდა იყოს, მაგარამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ბევრისთვის შესაძლებელიც არის და საინტერესოც.

12957. ცხოვრება რომ თავიდან დაიწყო, ძველი მთლიანად უნდა მოისროლო, საცხოვრებელიც შეიცვალო, თოთო ბავშვს დაემსგავსო და შენი გამოცდილებით თავი თავად აღზარდო. აი, მაშინ გამოხვალ პიროვნებაც და მამულიშვილიც, თუ შემართება გეყოფა.

12958. ცხოვრება ვარდისფერი რომ არ მოგვეჩვენოს, ჯერ საკუთარი ბრჭყალების გამოჩენაა საჭირო, ამის შემდეგ შეიძლება ცხოვრების ფერებზე ფიქრი.

12959. ჩვენი ცხოვრება წამების გაელვების შენაკრებია და ეს ჯამი თუ ერთ წუთს მაინც მიუახლოვდა, მაშინ ცხოვრება ტყუილად არ გაგვივლია.

12960. სიკეთე იმაში გამოიხატება, რომ ცუდი ჩვევებისგან თავი შევიკავოთ, რაც უნდა ცუდად ჟღერდეს ცხოვრება მის გარეშე.

12961. ამბობენ, ცხოვრებაში მთავარი შედეგიაო, მაგრამ არც საინტერესო მიმდინარე პროცესებში მონაწილეობაზე შეიძლება ხელის აღება, რადგან მისი გახსენება და ჩვენი მოხერხებულობის გამომზეურება ძალზე დიდ სიამოვნებას გვანიჭებს.

12962. ყველა ჩვენგანმა ღირსეულად უნდა ატაროს ცხოვრების ჯვარი, მაგრამ ცხოვრების მანძილზე ძნელი გასარკვევია, რა არის შენი და რაა სხვისი.

12963. ცხოვრებაში ჩვენი კარიერა მოკლეა, ამიტომ დროულად უნდა მოვიფიქროთ რაღაც საჩვენო, რათა არ მოგვეჩვენოს, რომ ჩვენ ჩვენს დროში არ ვცხოვრობთ.

12964. ჩუმი წინააღმდეგობა, შეტევის დროს გვერდზე გადგომა, შემდგომ შეტევა და გამარჯვება, ეს არის ცხოვრების აზრი, მისი შედეგი.

12965. გარკვეული აღმაფრენის, გაკვირვების მიუხედავად სამყაროსთან ურთიერთობა მაინც დანაღვლიანების საბაბს გვიქმნის, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება კომედიაა, რაც უნდა სერიოზულობით და რთულად მიუდგეთ მას.

12966. ცხოვრებაში წარმატებას რომ მიაღწიო, ხშირად განათლება–გამოცდილებასთან ერთად თავხედობაც უნდა შეგეძლოს და ნამუსიდანაც მოშორებით უნდა დადგე.

12967. ჩვენი ცხოვრება უბრალო მოვლენებისგან შედგება და ყოველდღე ის უფრო და უფრო საინტერესო ხდება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ მოვლენების წინა რიგებში ვიმყოფებით, საბოლოო შედეგის მიუხედავად.

12968. ცხოვრება მაინც სიამოვნებაა, მიუხედავად იმისა, რომ შენს მიერ გაგორებული კამათლებიდან ყოველთვის შენთვის სასურველი ციფრი არ ჯდება, მაგრამ მასში ხანდახან გამორეული საჭირო წყვილი „დუშაშივით'' ცხოვრებას გილამაზებს.

12969. ცხოვრება ისე მრავალფეროვნად და სასიამოვნოდ უნდა გავატაროთ, რომ აღარ გვაინტერესებდეს ჩვენს ქელეხზე ვინ მოილხენს და რა დითირამბებს მოგვაგებენ.

12970. ცხოვრება ყველას თავისებურ წყალქვეშა ქვებს გვიმზადებს, საკუთარი ხუშტურებით გვაჯილდოვებს და ამ ლაბირინთებში გზის გაკვლევა, ამღვრეული გონიერების კოქტეილის დაჭაშნიკება და საყვარელი საქმის არჩევა, ჩვენი მოვლენის გამართლებაა ამქვეყნად.

12971. აზროვნება სხვა ფილოსოფიისთვის იღვწის, ცხოვრება სხვას ამტკიცებს, მიუხედავად გონიერებისა და ჭკუანაღრძობი აზრებისა, ის იძულებულია ნაწილობრივ ცხოვრების გამოცდილებაც გაიზიაროს და ისე წარუდგეს საზოგადოებას.

12972. ცხოვრება სტრიპტიზს ჰგავს, ყველა ერთმანეთის სხეულის, სულის, საქმიანობის, წარსულის და ოჯახური ბატალიების გამომზეურების მცდელობაშია, რათა შემდგომ ეს სიტიტვლე ყველამ თავის ჭკუაზე შემოსოს, წაიჭორავოს და თავისი დამოკიდებულების გამოხატვით ისიამოვნოს.

12973. ექსტრემალურ პირობებში მეგობრობა არ არსებობს, არსებობს მხოლოდ მოვალეობა, შესრულებული საქმე და ეს არის ცხოვრების ქრესტომათია.

12974. ცხოვრების აზრია შევეცადოთ ჩვენთვის განკუთვნილი ვარსკვლავის, ბედის, სიყვარულის დაჭერა-გამოჭერას.

12975. ცხოვრების აზრი ალბათ შემდეგშია: იწყებ გარკვევას თუ რა ხდება შენს ირგვლივ და ისევ ლაბირინთებიდან თავის დაღწევა გიხდება.

12976. ცხოვრება მოკლეა, მაგრამ მას კარგი შთამომავლობა, მათი ყურადღება და ჯერ კიდევ ჩვენი მათდამი საჭიროება გვიხანგრძლივებს.

12977. ასაკის მატებასთან ერთად შვილები სულიერად თანდათან გვშორდებიან და მათ ადგილს მათი ხორციელი ნაშიერი იკავებს. ეს არის ალბათ ცხოვრების ფილოსოფია, რომელიც გვამშვიდებს და შთამომავლობის მიმართ ნაკლებ პრეტენზიულს გვხდის.

12978. ცხოვრება აგებულია კაცობის სიმფონიაზე და ღალატის ოპერეტაზე, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ყველას მოსწონს, ხოლო მისი ბოლომდე გაგება ყველას ხვედრი არ არის.

12979. ცხოვრებას ძალიან ახლოდან არ უყურიოთ, თორემ ბევრ სასიამოვნო მოგონებას და ცხოვრების კაიფს გაგიფუჭებთ.

12980. ცხოვრების ფასი თუ ძალიან მაღალია, მაშინ სულიერებისთვის ძალიან ცოტა რჩება და ისიც სხვის ჯინაზე და სხვის დასანახავად.

12981. ცხოვრება ისე მიმდინარეობს, რომ იქიდან ცოცხლად გამოსვლას ვერავინ ახერხებს.

12982. სახლის და სამსახურის გაყოფა არ ხერხდება, რადგან თუ ერთი სითბოს და ერთფეროვნებიდან თავის დაღწევის საშუალებას გაძლევს, მეორე მისი მოპოვების და ცხოვრების მრავალფეროვნებაში გადავარდნის ხერხია.

12983. ცხოვრების სისწორეს ვერც დრო, ვერც ტრადიციები, ვერც კანონი ვერ განსაზღვრავს, რადგან ის ისტორიულად განსჯას არ ექვემდებარება.

12984. ცხოვრებას ხშირად კანონზომიერი უკუღმართობანი ახასიათებს.

12985. ცხოვრება – გაქცევა-დაჭერობანას თამაშია და ბოლოს ირკვევა, თუ ვინ რას და როგორი წარმატებით თამაშობდა.

12986. ცხოვრების ფილოსოფია შემდეგშია: შენი შექმნილის წონა გაცილებით მძიმე უნდა იყოს საზოგადოების აზრზე, რადგანაც ეს აზრი ცვალებადია, ამასთან შენ უნდა გწამდეს შენი გაკეთებული საქმის აუცილებლობა, რადგანაც ყველა მითქმა-მოთქმას ჟამი ჭამს, ხოლო შენი დანატოვარი რჩება.

12987. ცხოვრებაში კლოუნად მოვლენილი დაბადებულია მოწყენილობისთვის, რადგან მამაზეციერს ყოველივე განაწილებული და კანონიერი მოსწონს.

12988. ცხოვრება დაუმთავრებელი ომია, მტერ-მოყვარესთან შეხლა-შემოხლით, ოღონდ შებრძოლების გარეშე.

12989. ცხოვრების ვირეშმაკობას ის უძლებს, ვისაც სხვისგან შეუმჩნეველი მაგარი შუბლი, შინაგანი ძალა და ჭორებგაუმტარი თავი აქვს.

12990. ამქვეყნად ყოველივე წარმავალია, გარდა ცხოვრების პრინციპებისა და წყვილების ერთმანეთის მიმართ ლტოლვის აუცილებლობისა.

12991. ზოგმა თავის მახსოვრობის სილაღეს ერთი ლარიც არ უნდა რომ შესწიროს სანახაობებზე დასწრებით და წიგნის ყიდვით, ამ უგონო მომჭირნეობას კი ცხოვრების უინტერესობით ხსნის.

12992. ნაწილი ცხოვრობს, ნაწილი ცხოვრებას ითმენს, ნაწილი კი არსებობს და ყველა თავისებურად უკმაყოფილოა ცხოვრების.

12993. ცხოვრების გამოცდილების სტატისტიკა, სიყვარულს უგუნურებად მიიჩნევს. ამის უცოდინარი ახალგაზრდებისთვის ეს ცხოვრებაში თავისი გზის ძებნაა, გამოცდილებით აღჭურვაა. პირველი ჩამოყალიბებული საპენსიო მეცნიერებაა, მეორე ჭეშმარიტებას მოკლებულია, მაგრამ ძიების საშუალებას იძლევა, პირველი ქადაგებს ოჯახის შექმნას, მოვალეობის და შვილების დახმარებით სიყვარულს. მეორე მორთმეულის და ნაჩუქარის წინააღმდეგია, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების დაისზე მათი შეხედულებების, აზრების კონსენსუსი გარანტირებულია.

ძრომიალა აზრები

12994. როდესაც მტაცებელს უყურებ როგორ ეფერება თავის ბოკვერებს და მათს შიმშილს როგორ განიცდის, უნებურად მათ მხარეს დგები, დაინახავ შვლის ნუკრს და დასაგლეჯად არ გემეტება. არა და, ბუნების ამ კანონზომიერების საწინააღმდეგო თეორიული შანსიც არ არსებობს, – ლომს ბალახის დიეტას ხომ ვერ შესთავაზებ. ასევეა, ვარდის კოკორის სილამაზით ტკბები, მაგრამ მდედრის გულის მოსაგებად მაინც ჭრი.

12995. გული ტვინისგან განსხვავებით ის ორგანოა, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ჩვენზე ვინმე ფიქრობს ყოველგვარი გამორჩენის გარეშე.

12996. როდესაც წონის დაკლებას ვერაფრით ვახერხებთ, უნდა ვიამაყოთ მასით და რეკლამა გავუკეთოთ ჩვენს გარეგნობას, რათა ცხოვრება სასიამოვნო გვეჩვენოს.

12997. ამ პატარა საქართველოში ქარქაშში ორი ალესილი ხმალი არ ეტევა და ერთ-ერთის ნიჭმა სხვა ქვეყნის ქარქაშში უნდა ნახოს საბუდარი, წინააღმდეგ შემთხვევაში შურის გამო ორივე უქარქაშოდ რჩება და ერთმანეთის მიმართ საომრად არიან გამზადებულნი.

12998. ,,შემომეხარჯა'', ,,შემოიმასმექნა'', ,,დანაპირები ვერ შეასრულა'' ... მიზანი კი ერთია, მოდავე მხარე წილში ჩაისვას და უთხრას: შენ რომ ფული არ გესესხებინა, მე ხომ ვალს არ დავიდებდიო, ან შენ რომ ასეთი მომხიბვლელი არ იყო, ხომ არ დავხარბდებოდიო, პირობა დროზე იმიტომ არ შევასრულე და ასე შემდეგ. ისეთ რაღაცეებს შეთხზავს და ალიბს გააშანშალებს, გახარებული რჩები, რომ ამ კაცს საღ-სალამათს ხედავ, თორემ თუ არა მისი მოხერხებულობა, მისივე თქმით, ის დიდი ხნის დამარხული უნდა ყოფილიყო, და მისი საფლავის ძებნა რომ არ მოგიხდა, ამითაც კმაყოფილი რჩებით.

12999. რუსი ხალხის უბედურება ის არის, რომ თავის ფასი არ იცის, ხოლო ქართველს თავზე დიდი წარმოდგენა აქვს. პირველს ამის შესახებ სხვა ერის ვირეშმაკმა უნდა უთხრას, რომ გაიგოს. მეორეს მის მიერ გაღმერთებულმა საკუთარმა ვირიშვილმა. ამ პირშიმთქმელი თავხედის გამოჩენამდე კი ისინი თავიანთ გემოზე და ჭკუაზე არსებობენ.

13000. ეჭვიან ქმართან ქალს კეკლუცობის გამოჩენაც უჭირს და კაპრიზისაც.

13001. როდესაც ცოლთან მართალი არ ხარ და მოინანიებ, ეს გონიერების მომასწავებელია, მაგრამ, როდესაც მართალი ხარ და მაინც მოინანიებ, შენ ხარ ბრძენი ქმარი, ვინაიდან ქალთან კამათი – წყლის ნაყვაა.

13002. კოცნისთვის არა მარტო სქელი ტუჩები და ენის სიგრძეა აუცილებელი ატრიბუტი, არამედ მთავარია მისი მიზანი, დანიშნულება, რადგან ის შეიძლება იყოს პოლიტიკური, დიპლომატიური, ადმინისტრაციული, ურთიერთპატივისცემის გამომხატველი, ეროტიკული.

13003. გენეტიკას, კოსმეტიკას, ცხოვრების წესს, ბუნების კანონებს მივყევართ დაჩამიჩებამდე და ამას ვერავითარი ოპერაცია ვერ შველის.
13004. სამყაროში ვაჟი მეტი იბადება, ვიდრე ქალი. მშვიდობიანობის შემთხვევაში კი ქალი სანატრელ, საგოგმანო არსებად გადაიქცევა, რაც მას საკმაოდ გაათავხედებს, ამიტომაც განგება სხვადასხვა ღონისძიებებს ეძებს მამრების შესამცირებლად და ამას მათივე ხელით აკეთებს.
13005. ზოგი გენიალური მხატვარი სიკვდილის შემდეგ თავის აუდიტორიას თავად ქმნის, სხვადასხვა აუქციონებით, გამოცემებით და ხოტბის მიგებით და მისგან დახატული ლამაზმანების ხარჯზე.
13006. სხვადასხვა ტალღების მქონე ტვინი, გული, სხეული, ინსტინქტი, გონიერება, ლამაზი ქალის დანახვაზე ერთ სექსუალურ ტალღაზე გადადის და ამ ქალის „მითვისების" ცდაშია.
13007. ზოგიერთ კოვზს მუსიკალურ ინსტრუმენტად იმიტომ იყენებენ, რომ ამ უკანასკნელს ყოველთვის არა აქვს "პროფილის" მიხედვით დატვირთვა, ამიტომ მშიერ კუჭს მუსიკა ავიწყებს კუჭის წრიალს.
13008. ვარჯიში, დაკუნთვა ყველას შეუძლია, ვისაც მონდომება ექნება, მაგრამ ჭკუის ვარჯიში, მისი ნაყოფის გამოყენება ყველას არ ძალუძს და არც ყველას ხვედრია.
13009. ხრომოსომებით ბავშვი ჩაისახება, შემდგომ სექსისკენ მიდრეკილება იკვეთება, მომავალში მისი ხარისხიც განისაზღვრება და სამყარო ამდენი დარეხვილი ხალხის ბალასტიდან განთავისუფლდება, მაგრამ რამდენად არგებს ეს ჩარევა კაცობრიობის განვითარებას, სხვა საქმეა.
13010. სულის და ხორცის გვრემის გამო სიტყვის თავისუფლებაზე ფულის გადაცვლა არ ღირს, მაგრამ გააჩნია საზოგადოებას და მისი ცხოვრების წესს.
13011. ყველაზე მეტად ახლობლები გვღალატობენ საქმეში, ხოლო პოლიტიკაში მათი ღალატი გარანტირებულია.
13012. ყველა თავისი ნებით არ მიდის ამ ქვეყნიდან, მას ხანდახან ექიმები და შინაურებიც ეხმარებიან და მთავრობას გაუცემელი პენსიების შეტყაპუნების საშუალება უჩნდება.
13013. ყველაფერს დრო და ჟამი განსაზღვრავს, თორემ ზოგიერთ წინა საუკუნის დიქტატორთან დღეს მისალმებასაც არ ვიკადრებდით, მხოლოდ იმიტომ, რომ ის დღეს ისტორიის მტვერია.
13014. ჭამა და მონელება დიდი სიამის მომგვრელია, როდესაც მათი მოთმენა გიჭირს.
13015. ჭეშმარიტებისთვის დიდი ფული ცოტაა, რადგან ის მასთან ერთად ვერ ბალახობს, ხოლო სიყვარულისთვის ცოტაა კარგი მამაკაცი.
13016. არიან ნიჭიერი ჯიუტები, რომლებიც ყველა შენიშვნას იღებენ, მაგრამ არცერთს არ ითვალისწინებენ, რადგან მათი შექმნილი სულიერად სხვისი იქნება.
13017. ბიუროკრატი, ეს ძალზე სიცოცხლისუნარიანი ტარაკანაა, რომლებიც რაც უნდა აწამონ საუკუნეებმა, სხვადასხვა დიქტატორულმა რეჟიმმა, მაინც ყველაფერს უძლებენ. თავიანთი ხვრელებიდან ძვრებიან და მაშინვე გამრავლებას იწყებენ.

13018. სინდისს უსინდისო კაცი ვერც სიზმარში აღიდგენს და ვერც სუფრასთან მოლხენის დროს, რადგან უსინდისონი იბადებიან და მათზე ვერავითარი სიკეთე გავლენას ვერ ახდენს.

13019. დათვზე ნადირობა იმითაც არის საინტერესო, რომ არავინ იცის საღამოს დათვის მწვადებით მონადირე ისიამოვნებს თუ დათვი ჩაიტკბარუნებს პირს მოძალადით.

13020. კომიქსების ხატვა სულის სიამოვნება და სიხარულია, ხოლო ვისაც ამ შეგრძნების უნარი და ფანტაზია აქვს, ის ჩუმ კაიფს განიცდის.

13021. ზოგი ისეთი "დამწვარია", თავისთვის საკვებს რომ ყიდულობს, იმაზეც ნერვულობს, მაინც უნდა მოვინელო და აქედან რა ხეირიაო?

13022. ავტოკატასტროფის შემდეგ, რა თქმა უნდა, თაბაშირი და საავადმყოფოს პალატა სჯობს გრანიტს და სასაფლაოს ღობეს, თუმცა ახალთახალი "მერსედესის" გახსენებაც სინანულს იწვევს.

13023. დღეს ძნელი დასადგენია, ევა ღალატობდა ადამს თუ არა, მაგრამ რა ვუყოთ მეორე "ჭეშმარიტებას," რომელიც გვამცნობს, რომ ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა.

13024. იმდენი ჭკუა კი უნდა გეყოთ, რომ თქვენი პატიოსნება სისულელედ არ მონათლონ და დაცინვის საგანი არ გახდეთ.

13025. აკრძალვებს მთავრობისგან მაფიოზი გამოისყიდის, რადგან მათი ჩუმი თანხმობისა და დახმარების გარეშე ვერავითარი სერიოზული საქმის მოკვარახჭინებას ვერ მოახერხებენ.

13026. საშინელების ყურება საინფორმაციო საშუალებებიდან ბავშვებს ისე იზიდავს, როგორც დიდებს – პოლიტიკა. ბავშვებს ეს თანატოლებში თავის და "ვაჟკაცობის" გამოსაჩენად სჭირდებათ, დიდებს – ფულის საშოვნელად და მის გადასამალავად.

13027. კარიერა საინტერესოა მანამ, სანამ ახალგაზრდული შემართება გაქვს, როდესაც საქმეში გონიერება ჩაერევა, მაშინ იწყება სტომაქის ამოვსებაზე და უზრუნველ სიბერეზე ფიქრი.

13028. თეორიულად გამართლებული მოსაზრება – მთავარი ის კი არ არის, რამდენხანს იმყოფები ბავშვთან, არამედ რისი მიცემა შეგიძლია, – პრაქტიკულად არ ამართლებს, რადგან შვილის მაგიერ ვიღაცის მიერ დაპროგრამებულ მუტრუკს ვიღებთ.

13029. ცხოვრების გამოცდილება მაშინ განიცდის ჭოჭმანს, როდესაც მას ჭუჭყიან ჭაობში მოისვრიან და იქიდან ამოძრომისთვის ბევრი ახალი რამის სწავლა მოუწევს, სახელდახელოდ.

13030. სიამოვნებისთვის არავინ სწავლობს, მაგრამ თუ გამოჩნდება ასეთი და მისი მცდელობა ნაყოფსაც მოგვცემს, მაშინ უნდა ჩაითვალოს, რომ კაცობრიობას თავისი წინსვლის ერთი გვერდიც გადაუფურცლავს.

13031. ანალიზი ლოგიკის სიჯიუტეა, მონაცემები – ფაქტის უტყუარობა, მაგრამ საძვრომი ხვრელის მონახვა ორივესთან შესაძლებელია, თუ პატრონი გყავს.

13032. სამწუხაროდ, ბევრი არ არის ქვეყნის სიგლახეზე ხელის მოთბობის წინააღმდეგი.

13033. დამნაშავეთა სამყაროში არაფრის კეთება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე – საქმის.

13034. საშინელია ის პროცესი, როდესაც პროფესიონალიზმი თანდათან ქრება და ყველაფერი გამოუცდელ ვიგინდარებს უვარდებათ ხელში. კიდევ უფრო დიდი საშინელებაა, როდესაც ეს არავის აწუხებს.

13035. ახლობლებს არ ირჩევენ, ისინი უვარგის სოკოსავით მრავლდებიან და მაშინვე აგეწებებიან, თუ გამორჩენის პერსპექტივა იყნოსეს.

13036. ხშირად „ისტორია იმას წერს, რაც ფაქტობრივად არ მომხდარა და ის ადგენს, ვისაც იმდროინდელი არაფერი უნახავს", მაგრამ რა ვუყოთ ჭორებს, მათაც ხომ უნდა მივუჩინოთ ადგილი კაცობრიობის ისტორიაში.

13037. ჭკვიანი კაცი ეშმაკსაც და ანგელოზსაც პატივით ეპყრობა, რადგან არავინ იცის, საბოლოოდ ვინ სად მოხვდება და ვისი ნაცნობობა გამოადგება.

13038. ცივილიზაციის კრიზისი მაშინ იწყება, როდესაც წინაპართა მახინჯ ჩვევებს ნარკომანიას, ტატუირებას, თმების ვარცხნილობას, ზიპლიპიტოებისათვის სხეულის დაზიანებას და სხვა ამდაგვარს ამნისტირებას ვუკეთებთ და მოდად ვაქცევთ.

13039. მთავარი არ არის რაღაც მოგწონდეთ, უმჯობესია მოწონების გარეშე თავს კომფორტულად გრძნობდეთ.

13040. საზოგადოების განვითარება ტექნიკური პროგრესის ჯაჭვით არის აკინძული, ამიტომ ყველა მიღწევის საფუძველი გუშინდელი და ხვალინდელი დღის აქტუალობაშია.

13041. ცხოვრებაში რაღაც აბსურდული ყველას გვიღიტინებს, გვაღელვებს, მაგრამ ჩვენი წარმოჩენა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ, როგორ და როდის ამოსდებს ლაგამს თავის ღიტინს.

13042. ვიღაცის შეზარება, შეზიზღება დროის ტყუილუბრალოდ დაკარგვის და ნერვების აშლის წყაროა.

13043. არც ისე საშიშია ეშმაკი, თუ მის ქურქში გაეხვევი და მისივე ხერხებით დაუპირისპირდები.

13044. ნაძლევს სდებენ ბრიყვებთან და ვიგინდარებთან, მაგრამ მოგებულნი მაინც მოხერხებულები რჩებიან, რადგან მათში ეშმაკის სულიც დევს.

13045. საშიში ის კი არ არის, ვისაც არ უყვარხარ, არამედ უნდა უფრთხილდე მას, ვინც შენს მიმართ სიყვარულში რაღაცის გულისთვის და რაღაცის გამო ვერ გარკვეულა.

13046. სისულელე უძახე შენ და ხშირად მისით ვირჩენთ თავს და მისით ვარსებობთ.

13047. ზოგს ყოველთვის იმის მოსმენა სიამოვნებს, რაც მას ხელს აძლევს, მაგრამ სხვისი უხიაგი ამბის გაგებაც მისთვის დიდი სიამის მომგვრელია.

13048. სიტიტვლე კი არ არის სირცხვილი, არამედ მისთვის ადგილის შერჩევის არცოდნა.

13049. სხვისი უსიამოვნება ყოველთვის იწვევს ჩვენში ნაღვლიან ღიმილს, უღიმღამო სიხარულს, რომ ეს ჩვენ არ შეგვემთხვა.

13050. სხვის ჭუჭყში ქექვის სიყვარული იმითაც არის გამოწვეული, რომ შევადაროთ რამდენად უფრო ცოდვილნი ვართ.
13051. მორალის გარეშე წესიერება არ არსებობს, რადგან წელსქვევით დარტყმა მის გარეშე სირცხვილად არ ჩაითვლება.
13052. წინათგრძნობა გვკარნახობს, რომ ამ საქმიდან სასიკეთო არაფერი გამოვა, მაგრამ სად გაექცევი ცნობისმოყვარეობას?
13053. არის აზროვნების, ქალის, ღვინის, გარყვნა, მაგრამ სულის გარყვნასთან ახლოს ვერაფერი ვერ მივა.
13054. რატომღაც სიამოვნებით მიძვრები იქ, სადაც არავინ გეპატიჟება.
13055. კერპის უმოქმედობა უფრო რყვნის ბრბოს, ვიდრე მისი შეცდომები და მისი განსჯა.
13056. სინაზე მიმალული მისწრაფებაა დასვენებული ვნების აღსადგენად.
13057. თუ მოპარული იმასაც არ გაუყავი, ვისაც საჭიროა, ქურდად გამოგაცხადებენ და არა – კოლეგად.
13058. მართალია ერთნი ცდებიან, მაგრამ მეორენი ამით ვერაფერს ხეირობენ.
13059. ცდუნება ხანდახან არა მარტო სხვისთვის, ჩვენთვისაც გაუგებარია.
13060. საოცარია, მაგრამ დღევანდელ ხაკერსაც დიდი განათლების ნაცვლად, რელიეფური ცოდნა და თანდაყოლილი ქურდობის ნიჭი სჭირდება.
13061. გააჩნია რა მხრიდან შევხედავთ ნეხვს: გამოყენებითი თვალსაზრისით ის ბიოგაზია, ნაკელია, უხვი მოსავალია, თუ პოლიტიკურად – მყრალი სუნი, შეურაცხყოფა, ადამიანის ცოცხლად დამარხვაა.
13062. მდიდარი მამაძაღლი უნდა იყოს, თუ ჭკუისკოლოფი? – ამის განმსაზღვრელი მათი შესაძლებლობაა.
13063. ჭეშმარიტებიდან, სიმართლიდან და არა ფაქტების სიტიტვლიდან თავის დაღწევაა ძნელია.
13064. სიბინძურის კეთება ყველას არ შეუძლია, მაგრამ ამის ჩადენის სურვილი ბევრს აქვს.
13065. ზოგიერთები ფათერაკს ჩვენდა ჭირად ეძებენ, რადგან მისი უსიამოვნო შედეგი ყველას ჰყოფნის და ყელში აქვს ამოსული.
13066. თუ ლომის ბუნებით დაიბადეთ – ბედნიერებაა, თუ მელას – არც ეს არის უბედურება, რადგან ვირეშმაკობის ხარჯზე მასაც შეუძლია ნიანგად გადაქცევა და ხელსაყრელ პირობებში ლომის ხორცით პირის ჩატკბარუნება.
13067. როდესაც ქვეყნის მართვაზე მიდგება საქმე, ყველა გენერალია, როდესაც პასუხისმგებლობაზე, ყველას ჯარისკაცობა უნდა.
13068. ცდუნება სულის მოთხოვნაა, ღირსების შემოწმებაა, ბედნიერი შემთხვევაა და მისგან მიღებული სიამოვნება ტირაჟირებას არ მოითხოვს.
13069. სილამაზესაც და ულამაზობასაც შეჩვევა უნდა, მათგან თავის დაძვრენის უნარით.
13070. ეშმაკის თანხმობით დაბადებული ჩვილიც კი ვერ იქნება უცოდველი.

13071. ჩვენი უხიაგობის, უსუსურობის და უცოდინარობის გამო სტატისტიკა გვასწავლის იმას, რაც არაფერს არ გვასწავლის.
13072. ოცნება არ გვნებს, ვნება განუხორციელებლობას მოაქვს.
13073. მგელს და ძაღლს, ქურდს და პოლიციელს, ერთი ჯიში აქვთ, ჯილაგი კი სხვადასხვა.
13074. სულის ნადიმს სხეულის ვერავითარი ხორციელი განცხრომა ვერ შეედრება.
13075. სიმდიდრე ხანდახან იძლევა იმის საშუალებას, რომ გარკვეულ დრომდე შლეგად იყო.
13076. უსინდისობა ბალიშზე თავის დასადებად არ გამოდგება, მაგრამ ამით სხეულს განცხრომა არ აკლდება.
13077. ლამაზ ქალზე და სახელოვან კაცზე ავრცელებს ჭორს, ვისაც მათზე ხელი არ მიუწვდება.
13078. რაც უნდა ძლიერი დაჯგუფება ჰქონდეთ სულელებს, იდიოტები ამით არ შინდებიან.
13079. სისულელე არც ასაკს ეპუება, არც განათლებას და არც კანონს.
13080. ცხოვრებაში ყველა ცდილობს მოხერხებული ნიღბის ტარებას, მაგრამ უმეტესობა ამას ვერ ახერხებს, რადგან ნიღბის ტარებას ნიჭი, ცბიერება და დიდი მონდომება სჭირდება.
13081. ცნობილი მსახიობის ბიოგრაფიიდან ბოლოს ის აინტერესებთ, რამდენი დალია და ვისი საყვარელი იყო, რადგან მისით აღფრთოვანებული მაყურებელი მასთან ერთად ქრება, ხოლო ახალ თაობას მისი ჭუჭყიანი საცვლების ქექვა და განქიქება აინტერესებს, რომლის მოდას ყავლი არცერთ საუკუნეში არ გასდის, რადგან ის ყველა დროისთვის საინტერესო და სალაღობოა.
13082. როდესაც სიმართლის თქმის ბოლმა შემოგაწვება, მანამ ვერ მოისვენებ, სანამ ამ სიმწარეს არ გადმოანთხევ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქმედების უარყოფითი პირობა შენთვის ცნობილია.
13083. ადამიანი თუ წინაპრებით ზედმეტად ტრაბახობს, შთამომავლობას ვერაფერ სატრაბახოს ვერ დაუტოვებს.
13084. უფროსი თუ მშიერი ძაღლივით გიყურებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ან ხელფასს მოგიმატებენ ან დაგაწინაურებენ, ხოლო თუ მის ყეფაში ლაქუციც შეიმჩნევა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ან შენ გაქვს ცუდად საქმე, ან უფროსს.
13085. თუ კაცს და ქალს, მეგობარ-ახლობლებს, შეხვედრის პროცესი არ აღელვებთ და ერთმანეთის ნახვის პრობლემა არ აწუხებთ, რა აზრი აქვს მათთვის დროის დინებას?
13086. ერთ რამეზე ვოცნებობთ, მეორეს ვიმკით, რადგან სურვილი სხვაა, ცხოვრება – სხვა.
13087. ადამიანისთვის ერთდროულად ყველაფრის მიცემა არ შეიძლება, რადგან ეს საზოგადოებას ძვირად დაუჯდება, რადგან ის რაც ერთს აქვს, ხვალ მეორეს უნდა ჰქონდეს, თუნდაც უმნიშვნელო, შეუმჩნეველი უპირატესობით.

13088. მატყუარას არ უნდა დაუჯეროთ, რადგან ტყუილის თქმის გარეშე მას, ცხოვრება ვერ წარმოუდგენია და მასში ხედავს ყველაზე დიდ კაიფს. ის ამ დროს შენზეც ფიქრობს, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში შენც ისიამოვნო მისი დანაპირებით.

13089. ერთი საათი მუშაობად ჩაითვლება, თუ ყოველ საათში კუთვნილ 15 წუთ დასვენებას გამოვიყენებთ, რათა მომდევნო საათი მუყაითად ვიმუშაოთ. თუ მას 24 საათზე გადავამრავლებთ და გავყოფთ 60 წუთზე, მივიღებთ ჩვენს კუთვნილ 6 საათს დასასვენებლად, რომელიც მუშამ ძილში უნდა გამოიყენოს, შემოქმედმა – ლოგინში კოტრიალში, უსაქმურმა – უნიათო ფანტაზიების წარმოსახვაში. მაგრამ დღე-ღამური მუშაობის ეს მცდელობა შედეგს არ იძლევა, თუ მას ნიჭი და მისწრაფება არ ახლავს.

13090. ერთწუთიანი, მარგალიტების მფრქვეველი საუბარი სჯობს ათსაათიან ჩენჩოს მომცემ ყბედობას, მაგრამ ზოგს სუფთა მარგალიტის დანახვა გვრის სიამოვნებას, სხვას კი – ნიჟარებში მისი ძებნა. პირველი დამახასითებელია საქმიანი ხალხისთვის, მეორე – საქმეს მიტმასნებული ძველი ბიჭებისთვის.

13091. არის მოსაგონარი: ავად, ისე რა, კარგი. ამ სამი ვარიანტიდან ბოლოზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება და ჩვენთვის ვიკაიფოთ, რადგან პირველი ორი დროის დასაკარგად და ხასიათის გასაფუჭებლად არ ღირს ამქვეყნად ყოფნის ჩვენთვის განსაზღვრულ დროში.

13092. გველი იმდენად ჭკვიანია, ღორს არ კბენს, გასვრის ეშინია, ხოლო მელას, ეშმაკობის მიუხედავად, ტყავს მაინც აძრობენ. აქ მთავარია საზოგადოების ბაზრის კონიუნქტურა და არა მათი ღირებულებანი.

13093. თუ საიდუმლოს შენახვა შენს ძალღონეს აღემატება, ის მაინც უნდა ეცადო, სხვის საიდუმლოს ყური არ მოჰკრა, რომ ეს სისუსტე სხვამ არ გაიგოს.

13094. ცხოველთა სამყაროში ძუს უფლებები დაცულია და არც არაფერი შეცვლილა ხვადთან ურთიერთობაში, მაგრამ ადამიანები შეეცადნენ ამ ურთიერთობის „უსამართლობის" შეცვლას, თავისი გაიტანეს და ტყუილუბრალოდაც, რადგან, ბუნების კანონის დროებით დარღვევა შესაძლებელია, მაგრამ შეცვლა – არასდროს.

13095. ბუნებრივი წიაღისეული სიმდიდრე, მისი რაციონალურად გამოყენების და დამუშავების გარეშე, მუქთა შემოსავლად იქცევა და სიმდიდრის ნაცვლად გაოცებას, გაწბილებას და სიღარიბეს გამოიწვევს.

13096. რატომ გვიყვარს არავინ ვიცით, რატომ გვეჯავრება, გვგონია, კარგად ვიცით, მაგრამ გადის დრო და ვხვდებით, რომ მთლად მართალი არც ჩვენი სიძულვილია.

13097. სასაცილოა, მაგრამ „დეფიციტის" დროს მეტი სიხარული, პატივისცემა, სიყვარულია ურთიერთშორის, ვიდრე როდესაც ყველაფერია, რადგან ყველა ზემოაღნიშნულ სიამოვნებას ფულის გაფეტიშება ცვლის. ასე რომ, დიდი შოთა სწორად წერს: „ოდეს ტურფა გაიეფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად."

13098. ზღვა დიდი მდინარეების მიერთებასაც ვერ გრძნობს, ხოლო ცხოვრების პატარ-პატარა სტრესული წყაროების ჩადინება თქვენში აღელვებას და ცუნამს არ უნდა იწვევდეს, თუ ეს თქვენში ჩაბუდებული მოთხოვნილება არ არის.

13099. საკუთარ ნაკლზე ხუმრობა შენც წარმოგაჩენს და სხვასაც ასიამოვნებს.
13100. ცილისწამების არ უნდა გვეშინოდეს, რადგან მატლი საღ ხილსაც აჯდება, ხოლო ცილისმწამებელი – თქვენს ავტორიტეტს, რათა მატლივით რაღაც გამოხრას და თქვას, მეც ნახირ-ნახირაო.
13101. არ არის საჭირო ჩვენი შეცდომების გახსენება, თუნდაც იმიტომ, რომ მას არ დავეჩვიოთ.
13102. შემთხვევად არაფერი არ უნდა ჩავთვალოთ ისეთი, რაც თქვენთვის ცნობილ კანონზომიერებას არ ემორჩილება.
13103. იღბლიდან და კანონიდან თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელია, რადგან ორივენი ბოლომდე მოგვყვებიან.
13104. აკრძალვა რაღაცის მიმართ მის მოსპობას კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ ახლის, უკეთესის შექმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის საძრომიალო ხვრელის ძებნას დაიწყებს და გადაგვარდება.
13105. ისტორიას არ უყვარს ის პირები, რომლებიც დასახულ მიზანს ვერ აღწევენ, რადგან დასახული მიზნის შეუსრულებლობა ისტორიის იმიჯს აკნინებს.
13106. ფსონის ქაღალდში ბაბუ ქალბატონს ჭრის, ხოლო ქალბატონი ახალგაზრდა ყმაწვილს და ეს უფროს-უმცროსობა მანამ გრძელდება, სანამ არ გაირკვევა ტუზზე ხელი ვის მიუწვდება.
13107. სიბერეში ყველას იმ დივიდენდების მიღების სურვილი აქვს, რომელიც არ დაუმსახურებია. თუმცა ვინ იცის, ესეც შედარებითია.
13108. ტიტული აბრაა, ხოლო ცხოვრებაში მოპოვებული დივიდენდები მისი ძეგლია.
13109. თაობა, რომელზეც ბუნება ისვენებს, ნებივრობისთვის არის განწირული, რეგალიების დამსახურების გარეშე.
13110. ქრთამს არც ეშმაკობა აკლია და არც სახელის შეცვლა ეშლება, შენი თანხმობით, შენივე წიგნს სხვა დაგიწერს, ლექციას წაგაკითხებს, კონსულტაციას ჩაგატარებინებს და ქრთამს ჰონორარად შემოგაპარებს.
13111. მოსმენა ისე უნდა ვისწავლოთ, რომ ის სიტყვები გავარჩიოთ, რომელიც მოსაუბრეს ენაზე ადგას, მაგრამ ჯერ არ წამოსცდენია.
13112. ზოგი ვიგინდარა გარემოებათა გამო ცნობილ პიროვნებასთან სურათს იღებს და ტრაბახობს. ეს იგივეა, იუდა ქრისტეს ნაცნობობით რომ ტრაბახობდეს.
13113. აღიარება ჭორის დამსახურებაცაა, ოღონდ დადებითი ნიშნით და უარყოფითი შურით.
13114. ცეკვა ჭიპის ხახუნიც არის, სულის ნეტარებაც და ხორცის აღტყინებაც.
13115. უაზრო ნათქვამში ხანდახან სიმართლის გამოჩხრეკვაც შეიძლება და განსჯაც.
13116. „მუქთა იყოს და თუ გინდა, შენი დაუძინებელი მტრისა იყოს". ეს მუქთა კუბოში კოტრიალის მსურველებია ცხოვრებას რომ უკან ქაჩავენ.
13117. ვინც არ ცდება, ის ვერაფერსაც ვერ ქმნის. შეუმცდარი ადამიანების ხვედრია სასაფლაოზე წყნარად განსვენება და ყველასგან დავიწყება.
13118. ზოგჯერ მორალს და რწმენას უჭირს აზრთან ჩაჭიდება და მასთან საქმის გარჩევა.

13119. ცოდვის ჩადენა აკრძალული ტკბილი ხილია, მაგრამ ზედმეტი სიტკბო სულს, ხასიათს, მორალს და გარეგნულ ხიბლს აფუჭებს.
13120. გრძნობების გაიაფება სიკვდილის გაიაფებას იწვევს, ის ტკივილისთვის დროს არ გიტოვებს, გრძნობებს გითრგუნავს და მისი გამომჟღავნების უფლებას გართმევს.
13121. ზოგიერთს აინტერესებს ელექტრომრიცხველის და არა – ელექტრობის გამომგონებელი, რათა მრიცხველთან ბრძოლის ცოდნა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.
13122. ზოგს ბუნება გაანაწყენებს, ზოგს – ცხოვრება, ზოგსაც კი თავისი თავი, მაგრამ ეს სულ არ გვაძლევს იმის უფლებას არ ვიცხოვროთ მშვიდობიანად და ხალისით.
13123. წმინდანობა და სუფთა ხელები სიღარიბის, პატიოსნების და უფულობის პირდაპირპროპორციულია.
13124. როდესაც ხელფასი იწევს კიბით და ფასები – ლიფტით, ამ შეჯიბრში ხელფასის პატრონს გამარჯვება არ უწერია, რადგან ან ტექნიკა უნდა გააფუჭო, ან გვერდზე სირბილი ისწავლო, ან სინდისზე ხელი აიღო, რადგან ვერცერთი ჯანმრთელი ორგანიზმი ვერ აიტანს ამ ვარჯიშს.
13125. სტრესის ჰორმონი ორგანიზმიდან მას უფრო ჩქარა გამოჰყავს, ვისაც ტირილი, ვაი-ვიში და საზოგადოებაზე თამაში ეხერხება.
13126. როგორც არ უნდა გავწელოთ ჩვენი სულიერების საპენსიო ასაკი, მატერიალური მოთხოვნები, აკვიატებული დოგმები ჩვენს მოთხოვნებს ყოველთვის მაინც არ ეთანხმება.
13127. სულში ჩაფურთხებაა ძნელი ასატანი, თორემ სახეზე მოხვედრილი შხეფები როგორმე მოიწმინდება, განიბანება.
13128. ჯოჯოხეთსაც აქვს თავის ფილიალები კონდიციონერებით, დასასვენებელი სახლებით, ნომენკლატურის და ფულიანი ხალხისთვის, რას ვიზამთ, ქრთამი თუ აქაც ანათებს.
13129. ევას მაგივრად სამოთხეში რომ აღმოჩენილიყო ქალი, რომელსაც ვაშლი არ უყვარს, ვინ იცის, დღეს როგორი იქნებოდა სამყარო. ალბათ იგივე, ვინაიდან, მაშინ მსხლის მოყვარული ევა გამოჩნდებოდა.
13130. არაფრისკეთება საშინელი ეგოიზმია, მაგრამ გააჩნია რა მხრიდან მოუვლით და როგორ მოუნდომებთ კუდის გამოფსკვნას.
13131. ყველა არმიას სჭირდება თავისი გმირები და ცოდვილები, რათა შედარების საშუალება ჰქონდეთ და საჭიროების შემთხვევაში იცოდნენ ვის არგუნონ განტევების ვაცის როლი.
13132. სხვის მიერ შექმნილ ბედნიერებას უფლება არა გაქვს წილში ჩაუჯდე.
13133. ლიდერი არასდროს არ არის ის პიროვნება, ხალხს რაც ჰგონია და სურს, მაგრამ საზოგადოების განვითარების გარკვეულ პერიოდში მასას სჭირდება მისი გამონახვა, გაფეტიშება და დროშასავით აფრიალება, რადგან სხვანაირად ერთ

მუჭად ვერ შეიკვრებიან და თავიანთი ქვენა მიზნების განხორციელებას გზას ვერ მოუნახავენ.

13134. სიავე თავიდან ყოველთვის უსუსური და არარეალური ჩანს, სანამ გარემოს შეიქმნიდეს და ამოტივტივდებოდეს, ამიტომაცაა ძირშივე მისი აღმოფხვრა საჭირო.

13135. უხიაგი კაცი ექსტრემალურ პირობებში თუ შეკრულ კოლექტივში მოხვდება, მას ეკარგება ბევრი თანდაყოლილი, თუ შეძენილი ცუდი თვისება.

13136. ზოგიერთი ინტელიგენტი განათლებული, გარეგნული ხიბლის, ზერელე იდეების, საეჭვო ფიქციის მქონე მლიქვნელი ადამიანია, რომელსაც ახასიათებს პიროვნების შინაგანი თავისუფლება, ცხოვრების არაუზრუნველყოფილი დონე, რომელიც პოპულარობის და კარიერის მოხვეჭის მიზნით უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს იღებს.

13137. ასაკი თავისებურად უსტვენს ჩვენს მცდელობას და რაც მეტს უსტვენს, მით უფრო მეტ დროს გვიტოვებს ამქვეყნად დასარჩენად.

13138. უხამსობა ზომიერად, დროის შერჩევით, ბოდიშის მოუხდელად, ზოგჯერ აუცილებელიცაა გონიერების გამოსაფხიზლებლად, სულის ასაფორიაქებლად და სხეულის გასალაღებლად.

13139. მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება მისაღები არ არის, მაგრამ მიზნის მიუღწევლობა დაუშვებელია.

13140. სულიერების პორნოგრაფია გარყვნილების კითხვაა, ხოლო გონების პორნოგრაფია მაშინ იწყება, როდესაც „შპარგალკებს" მაღაზიებში წიგნებად ყიდიან და ეს არავის აღელვებს.

13141. მარადისობას თავისი ამბიციები აქვს – თავისი, ხოლო ისტორიას ვინ შემორჩება, ეს უკვე მის ვირეშმაკობაზე და ხალხის ხსოვნაზეა სურვილზეა დამოკიდებული.

13142. სინდისით ვაჭრობა, მეძავეობის მსგავსად, საძრახისია იმ შემთხვევაში, თუ ის შენი პროფესია არ არის, თუ თქვენი საქმიანობა არავის სჭირდება და თუ ამისთვის მოწოდებით არ ხართ დაბადებული.

13143. ხანდახან, გრძნობების ასაფორიაქებლად, შეცდომა ერთხელაც უნდა გაიმეორო, ოღონდ უფრო მონდომებით და ნეტარებით.

13144. ქალის უკანალის და მკერდის ღვთაებრივ მიმზიდველობაში ის განსხვავებაა, რომ პირველი სიბერეშიც გვაოცებს, გვაღელვებს, ხოლო მეორე აღტაცების ნაღველს გვგვრის და ჭკუაზე მოვყავართ, რადგან ჩვენ მისი ღირსეულად მოფერების თავი აღარ გვაქვს და არც თავის შერცხვენა ღირს.

13145. ფულსაც სუნი ასდის და პოლიტიკაც ყარს, მაგრამ ხალხს ეს სუნამოდ ეჩვენება, რომლის იარლიყი გულგრილობაა.

13146. უხამსობიდან ტალანტი გვიცავს, უმსგავსობიდან – ენაკვიმატობის ნიჭი.

13147. ხშირად ადამიანი იმის ნაკლოვანებას განიცდის, რაც ყველაზე მეტად მოჭარბებული აქვს – ვირეშმაკობის, ოღონდ გონიერებასთან შეზავებულის.

13148. ოქრო ყველა დროში სიბილწის მამა, მშვენიერების დედა და ვაჭრობის შვილი იყო, მაგრამ ეს მასზე მოთხოვნილებას არასდროს ამცირებდა.
13149. უზნეობაა ბოღმა გახრჩობდეს, როდესაც ირგვლივ ამდენი სილამაზეა და სიხარულია, მაგრამ ზოგი ადამიანის ბუნებას შენ გაუგებ?
13150. ძალაუფლებას მზაკვრული მიმზიდველობა აქვს, მაგრამ ამის გულისთვის ადამიანებთან ურთიერთობის გაფუჭება არ ღირს, რადგან ბოლოს ირგვლივმყოფთა დონეზე დაეშვები, მაგრამ თუ არ ეცადე, სულ შეუმჩნეველი დარჩები.
13151. საზიზღრობას და სილამაზეს ყველა ერთსახად აღიქვამს, მაგრამ ზოგს რატომღაც პირველი უფრო მოსწონს და აღელვებს.
13152. გაუგებარი, უცნობი, არც კარგია და არც ცუდი, მაგრამ შესაცნობად ძნელი და სარისკოა.
13153. უმეტესი ჩვენგანი საკუთარი დახმარების უმადურობის მსხვერპლი ხდება, მაგრამ სხვისთვის დახმარება მაინც საკუთარი თავის პატივისცემის დაფასებით და შეგრძნებით კეთდება.
13154. წარუმატებლობა შეიძლება სასარგებლოც იყოს იმ შემთხვევაში, თუ წარმატებიდან ერთი ნაბიჯით ვართ დაშორებული და მარცხი ანალიზს და რევანშს ექვემდებარება.
13155. ჩემი ახლობელი რომ დამერწმუნებინა, რომ წვერი მხოლოდ თბილი წყლის შეზელვით გაეპარსა, ათი წელი დამჭირდა, ხოლო მას იგივე სურვილი თავის ვაჟის მიმართ დღესაც აუხდენელი აქვს, რადგან ხშირად სიჯიუტე უფრო საინტერესოა, ვიდრე შედეგი.
13156. შვილის მომზადება კარიერის გასაკეთებლად, მითუმეტეს, თუ ამის ნიჭიც აქვს, შესაძლებელია, მაგრამ კარიერის საფეხურებზე სირბილს მაინც შემთხვევა და ბატონი იღბალი განაგებს.
13157. ხასიათი თუ შენი შესატყვისი არ აქვს, როგორიც უნდა მოიწეპოთ, ის მაინც საძრომიალოს ნახავს და სხვას გადაეწეპება.
13158. ყველა მდედრის სურვილია მისი ფავორიტის სასუსნავი იყოს და თვალებით მის სხეულს ლოკავდეს.
13159. ყველა ჩვენგანს, ნათელ თუ ბნელ სულში, ჩვენი საძრომიალო გვაქვს დატოვებული, ამიტომ მასში ჩაძრომის უფლება არავის აქვს, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და ჩვენი დროის შვილები ვართ.
13160. მლიქვნელობა გონების უდიდესი ფარსია, რომელიც ყველას სულში თავის საძრომიალოს ნახულობს. მაგ.: როდესაც ცოლს ემლიქვნელება; ქალს ცუდი გემოვნება აქვს ის ქმრად რომ აირჩია, თავად კი დიდებული, რომ ასეთი მშვენიერება შერჩა ცოლად.
13161. უგვანობის შემცირება შეიძლება მასზე გონივრული ძალის ხმარებით, ხოლო გონიერების აღზრდა – მოხერხებული აკრძალვებით, ოღონდ საძრომიალოს დატოვებით.
13162. შეცდომას ყველა უშვებს, მაგრამ სისულელე არ უნდა ჩაიდინო, როგორი მაცდუნებელი და სარფიანი საქმეც არ უნდა გქონდეს და მაშინ გამომჟღავნდება

შენი გონიერებაც, თორემ ცდის და შეცდომის მეთოდით ფეხის წატეხვის შემდეგ ჭეშმარიტების შეცნობას დიდი გონიერება არ სჭირდება.

13163. სიბერე პროტესტია და არა სტატისტიკა. ის მაშინ იწყება, როდესაც სული დეფორმაციას იწყებს, ნებიერი ცხოვრებისკენ მიდრეკილება გიჩნდებათ, ეძებთ მოხერხებულ ფეხსაცმელს, ნაცნობები სერიოზულ ხალხად გეჩვენებათ, ახალ უბის წიგნაკში ძველი თაყვანისმცემლების ტელეფონები აღარ გადაგაქვთ, ბავშვები დეიდას გეძახიან, სახელობით ტორტზე ერთ სანთელს ანთებთ და ყოველივე ზემოაღნიშნულზე ფიქრი მოსვენებას გიკარგავთ.

13164. XXII საუკუნე ვერც რელიგიის მრავალფეროვნებას აიტანს და ვერც ნაციონალისტურ გამოხტომებს, რადგან ეს არის ომობანას თამაშის, სიძულვილის ჩანერგვის და ადამიანების ურთიერთგანდგომის მიზეზი.

13165. გამბედაობა და დაშნა თავის დროის მამაკაცისთვის ერთი სხეული იყო, მაგრამ ძალზე არქაული, ბრიყვული და დღევანდელობისთვის მიუღებელ-სანატრელი.

13166. ხანდახან გებადება აზრი, რომ სწავლას ფასი არა აქვს, როცა ადამიანი ამდენ დაგროვილ ცოდნას და გამოცდილებას წყალს ატანს და იმ მიზეზს იყენებს, რაც კუჭის ამოსავსებად, გასართობად და კარიერის მოსაპოვებლად გამოადგება.

13167. ასაკის ბედნიერებაა, თუ მეგობრები დაღვინების ჟამს მტრად არ გადაგექცევიან და სიბერის ჟამს კვლავ ახსოვხარ.

13168. ცხოვრების უმძიმეს წუთებშიც კი უნდა ვეცადოთ სილამაზეს ვუყუროთ, რადგან წუთისოფლის მანძილზე არც თუ ისე ცოტა სიმახინჯის კოქტეილის მომსწრენი ვართ, რომელიც დღეს გასახსენებლად არ ღირს.

13169. თავის წარმოჩენას გარკვეული დრო და საქმიანობა სჭირდება, მაგრამ დროზე ადრე თქვენს გასაცნობად საზოგადოებისათვის ერთწუთიანი სკანდალური გადაცემაც საკმარისია ტელევიზიით.

13170. წარმოუდგენლად დიდია ხელმოწერილი ფარატინა ქაღალდის ფასი, ხოლო ხელმოუწერელი ქაღალდი ერთ ადგილას თუ გამოდგება სახმარად.

13171. აქსიომა ის ცნობილი მათემატიკური ჭეშმარიტებაა, რომლის დამტკიცება და გააზრება ჩვენს გონებას არ ძალუძს.

13172. ისტორიის ბორბალი ეტყობა თავად ისტორიამ გამოიგონა, რადგან უიმისოდ ის გარდაიცვლებოდა.

13173. შეძულება ცუდი ნიჭია, მაგრამ ზოგჯერ ამართლებს გაუმართლებელს.

13174. გმირის არყოლა ბრბოსთვის სიკვდილის ტოლფასია, მასისთვის გადაგვარებას, ხოლო ხალხის რაობის დღემდე ვერ გაურკვევია. ჭირდება მას ასეთი კონტიგენტი თუ არა.

13175. ცოდვის ჩადენას თავისი ცოდნა და ალიბი უნდა, რათა შთამომავალს ცოდვა არ გადაეცეს წინაპრისგან.

13176. იგივე რასიზმია ცხოველების მიმართ, როდესაც სხვადასხვა რასის ადამიანები ერთ რომელიმე სახეობას ეთაყვანებიან და სხვა სახის წარმომადგენელს არად აგდებენ.

13177. სამწუხაროდ, ადამიანი კარგ მოპყრობას დიდხანს ვერ იტანს და რაიმე სისულელე რომ არ ჩაიდინოს, არ შეუძლია.

13178. ყველას ჰგონია, სადაცაა ჭეშმარიტებას მიუახლოვდება და მის ხელში იფართხალებს, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ჭეშმარიტების მიღწევა და სამყაროს გაქრობა სინონიმებია.

13179. ყველას აქვს მოსაყოლი ზღაპარი თავის პატიოსნებაზე და მისი ტირაჟირების დიდი სურვილი, მაგრამ ყველანი ცოდვის შვილები ვართ და ჩვენი უმწიკვლობა სხვისი გადასახედიდან უფრო უწყინარი უნდა გამოჩნდეს.

13180. მტაცებელი იმ ცხოველს მიირთმევს, რომელიც თავხედობს, მშობლებს არ უჯერებს, დასუსტებულია, ან ავად არის და იმათაც ვინც სიფრთხილეს კარგავს. ეტყობა ეს ძველი წესი დაავადებულთა გამოხშირვის ადამიანთა მოდგმას არ გამოადგება, თორემ ამდენი უჯიშო ადამიანის თავიდან მოშორება არ გაჭირდებოდა.

13181. შენი თვალით დანახულის გაანალიზება ზოგჯერ ძნელდება, ვინაიდან გარკვეულ პირობებში ჩადენილი ქმედება არ განიკიცხება, თუ ის დანახულია ნასვამი კაცის და არა – ფხიზელი მორალისტის თვალით.

13182. სულმდაბლობა ხშირად დამყოლი, კეთილი ხალხისგან არის მოსალოდნელი და არა ჯიუტი, თავისი აზრის მქონე კერკეტა ადამიანისგან.

13183. სანამ მდედრი მამრის გვერდით ფეხდაფეხ სიარულს არ ისწავლის და მასში ნივთს ხედავს, მანამ ის ყოველთვის ქვეყნის მართვის თადარიგში იქნება, ხოლო რას მოუტანს კაცობრიობას მათი ფემინიზმი გათავხედება და მატრიარქატი , ამის რეციდივს მომავალი გვიჩვენებს.

13184. უნამუსობაც თავის საზღვრებში უნდა მოვაქციოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გვექნება დაუსრულებელ რევოლუციასა და „პერესტორიკასთან", რომელიც თავისდაუნებლიედ კანონიერებასთან დამეგობრების მცდელობაშია, შურისძიების ძებნაშია, რაც საბოლოოდ მოწესრიგებულ უნამუსობაში გადადის.

13185. ჭკვიანია რომელიც გარემოს უპრეტენზიოდ ერგება და მეორე რიგში ყოფნას ამჯობინებს, რადგან მისი ნამოქმედარისთვის პასუხი პირველ რიგში მყოფს მოეთხოვება და ცხოვრების ეშაფოტზე ის აჰყავთ.

13186. მთავარია ღირსშესანიშნავი შეიქმნას და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მას პენსიაზე ზრუნვის შედეგად შექმნიან თუ ადამიანის სულის გაფრთხილებით.

13187. დრო გვისახავს ამოცანებს და ის გვთხოვს მის ამოხსნას და არა ჩვენი ცნობიერება, ინტუიცია და ინტელექტი.

13188. ლაყე დევიზია: – „მეტი რა ვართ," „მეტი რა შეგვრჩება", სამუშაო მგელი არ არის," ჩვენ კარგად ვიყოთ", „ჩაყარე, რა გენაღვლება", „ამ ქვეყნიდან მაინც ვერაფერს წავიღებთ", და სხვა ამგვარი. რას ვიზამთ, მეშჩანობასაც თავის კულტურა და მსოფლმხედველობა აქვს. სანამ გასდით, ცხოვრებაზე მიტმასნილებმა უნდა იცხოვრონ.

13189. გონებაჩლუნგი გონების უაზროდ დატვირთვას ცდილობს, რათა სხვისი ყურადღება როგორმე მიიპყროს, დააფიქროს, გამოაშტეროს და ბოკოდ აქციოს.

13190. სულით გარყვნილი ხალხის სამართლიანი მართვა არ ხერხდება, მათი დამორჩილება უხეში ძალის გარეშე ძნელია, რადგან ისინი მხოლოდ ძალას სცემენ პატივს, ვერ ხედავენ სიკეთეს და არც უნდათ დაინახონ.
13191. საოცარია, ამქვეყნად რა უსუსურნი და უინიციატივონი არიან ზოგიერთნი თანამდებობის გარეშე.
13192. მარტოობა არც ისე ცუდია, თუ მისი გამოყენება და თავის მოფერება იცი.
13193. უფლება შეიძლება ბევრი რამის გვაქვს, მაგრამ არ უნდა ვიკადროთ.
13194. პიროვნება ყოველთვის წარმოჩნდება, თუ განგების სურვილია, მიუხედავად ქვეყნის წყობისა, მთავრობისა, ეკონომიკისა. თუ არა და, მაშინ დანაშაული მის ბედს უნდა გადავაბრალოთ.
13195. ზოგი ერთი ნაჭერი პურისთვის ცხოვრობს, ზოგისთვის სამი ნაჭერიც ცოტაა, მაშინ, როდესაც პირველი იმ ერთი ნაჭრის დღეგამოშვებით მიღებაზეც თანახმაა, ოღონდ თავისი რწმენის და სულის გასალაღებელი საქმე აკეთებინონ.
13196. საკუთარ სახლში სისულელის ჩადენის უფლება ყველას აქვს, ცხადია, სხვის დაუნახავად და სხვისთვის ზიანის მიუყენებლად.
13197. საკუთარი გაჭირვება ყოველთვის მეტი გვეჩვენება, ვიდრე სხვისი თვალით არის დანახული.
13198. ბედნიერი წყვილია ის, ვისაც სიცოცხლის ბოლომდე ერთმანეთის ესმით და ერთმანეთის თვალში შეხედვა არც რცხვენიათ და არც ბეზრდებათ.
13199. თაფლობის თვეების კაშკაში მეტნაკლებად ყველას გვქონია, რომელსაც მთელ დარჩენილ სიცოცხლეში შენატრებით და სინანულით ვიხსენებთ.
13200. მათხოვრობასა და დასპონსორებას შორის ზღვარი მაშინ იშლება, როდესაც უნიჭოები დახმარებას ითხოვენ, რადგან მათხოვრობა უპერსპექტივო ხალხის ხვედრია, სპონსორობის გაწევა განსაკუთრებული ნიჭის წილია, რომელმაც თავის დროზე ქვეყანა უნდა წარმოაჩინოს და სპონსორიც კეთილი სიტყვით გაიხსენოს.
13201. ხშირად ანგარიშიანი სულელი ჯობს უანგარიშო ჭკვიანს, რომელიც თავისასაც აღწევს და სხვასაც ასარგებლებს.
13202. კაცს თუ ტრუსებში უდევს ჭკუა, ქალის ჭკუა თვალებშია დაბუდებული, რომელიც გონიერებასთან არ არის შეერთებული და აქ მამაზეციერს არაფერი შემლია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა მდედრს თავის შესაფერი რომ აერჩია, ჯიშიანი და ჭკვიანი ხალხის დოღი გაიმართებოდა, რომლებიც ერთმანეთთან ქიშპობას მოუნდებოდნენ და სამყარო გონიერ ორფეხა ცხოველის გარეშე დარჩებოდა.
13203. მართალია, პირველყოფილ ინდურ ტომებში მოწინავე კულტურის ძალად შეტანა დანაშაულია მაგრამ ასე ტიტლიკანა წანწალი და გაძაღლებული ცხოვრებაც ძნელი საყურებელია ცივილიზებული სამყაროსთვის.
13204. ზოგი ერთმანეთს მოწოდებით უკავშირდება, ზოგიც განსხვავებული თვისების გამო ავსებს ერთმანეთს, ზოგის დანახვაც არ გვინდა, მაგრამ ცივილიზებულ სამყაროში ურთიერთგაგების გარეშე ცხოვრების უფლებას არ მოგვცემენ და დამორჩილებაც მოგვიწევს.

წალმა-უკულმა

13205. იმპერიები მიდიან და მოდიან, ისტორიის გაკვეთილები რჩება.

13206. რადგან ყველა ტიპი თავის მოწონებას იმსახურებს, ეს ცხოვრება ტიპების ძებნა და შეჯერება ყოფილა, ხოლო შედეგი გახალისების და გამარჯვების საშუალება.

13207. სიკეთეს სიძულვილი საძირკვლად არ გამოადგება, ამიტომ საფუძველი ან სიკეთის დუღაბით უნდა გამაგრდეს, ან საყრდენი გამოეცვალოს.

13208. სხვა ქვეყანაში მაშინ გაქვს წასვლის უფლება, როცა სახლში წესრიგი გაქვს დამყარებული, ან შენი მცდელობა არავის სჭირდება.

13209. საყოფაცხოვრებო ნაციონალიზმი გვართმევს ერებს, კუთხეებს შორის სიყვარულს, ხოლო შოვინიზმი გვაძულებს სამყოფელს.

13210. რუსი კაცის თავშეყრის ადგილი აბანო და აუზია, ქართველის – შუაცეცხლი, ბუხარი, ხოლო საქმის გადასაწყვეტად არც ერთი უქნია და არც მეორე ღმერთს.

13211. ბევრი ცოლი დაამშვენებდა თავის მამაკაცს მოდური კოსტუმით და ჰალსტუხით, მათ ქმრებს ამისკენ მიდრეკილება და ნიჭი რომ ჰქონოდათ.

13212. კარგი შვილი მშობლებს მომდევნო ბავშვების ყოლაზე ხელს არ ააღებინებს.

13213. ცოლის ფულით უზრუნველყოფის მრავალი გზა არსებობს, მაგრამ მის მოთხოვნებს ვერც ერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებს.

13214. როდესაც მომღერალს მსმენელი ოვაციას უმართავს, გონების კუნჭულში ყველა უნდა გრძნობდეს, რომ ამ ოვაციის ლომის წილი კომპოზიტორს და პოეტს ეკუთვნის. მაგრამ, გაგიგონია? ეს იგივეა, როცა მრავალშვილიან დედას გმირის ორდენს აძლევენ, ხოლო მამას აუცილებლობის გამო მოიხსენიებენ, რათა გმირ დედაზე ვინმემ რამე ცუდად არ გაიფიქროს.

13215. ახლობლის მიღწევები მოყვარეს თეთრ შურამდე აღაფრთოვანებს, ხოლო მტერს თვალების დაბრმავებამდე.

13216. კომპლიმენტის უთქმელობა ქალს გულს სტკენს, თქმა სიამოვნებს, გადამეტებული მლიქვნელობა ათამამებს. შუალედის მოძებნა კი მამაკაცის ხელოვნებაზეა დამოკიდებული.

13217. როდესაც ჯანმრთელ დედაკაცს "პახმელიაზე გაკეთებული" მამაკაცი მიაცილებს ან ჯიშიან ძაღლს პატარა პაყვი ეხუჭუჭება, გონება გერყვნება და გიფუჭდება, რადგან ჯიში და ჯილაგი გადაგვარების საფრთხის წინაშე დგას.

13218. იყო კანონიერი წითური, მას მარტო საღებავი არ შველის, დაბადებიდანვე ჭორფლი თუ არ დაგყვა.

13219. უტვინობასა და უჭკუობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველის ტვინი იმდენად სუფთაა, რომ მასზე ნერვების დატანება დაავიწყდათ, ხოლო მეორის იმდენად

დანაგვიანებულია რომ ხის იმ ტოტს ჭრის, რომელზედაც ზის და შედეგზე წარმოდგენაც არა აქვს.

13220. ზოგს საოცარი ბედი აქვს, ციხეში ჯდება, რომ გამოსწორდეს, მაგრამ ამ დროს გამოუშვებენ ამინისტიას, ისიც ვერ ასწრებს გამოსწორებას, კვლავ დანაშაულს სჩადის და რეციდივისტად ყალიბდება.

13221. ქალაქში ზოგი მანქანით დაგრიალებს, ზოგიც მეტროთი დაბრძანდება, მაგრამ მათ შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელისთვის ქალაქში ახლადაშენებული სახლები უცნობია, ხოლო პირველისთვის მეტროს ახალი სადგურის გახსნაა ძნელი გასახსენებელია.

13222. სიკეთეს ყოველთვის მცირე სიავე უნდა დაუმატოთ, რათა ვისაც სიკეთეს უკეთებთ, უკეთ იგრძნოს და დააფასოს მისი მადლი.

13223. ზოგი ნაღდი გულის პატრონია, ზოგსაც ფუტლიარი გულად ეთვლება, რადგან ამქვეყნად ყველაფერს თავის დანიშნულება აქვს და ცხოვრებაც ყველას თავისებურად გვესმის.

13224. ვერცხლის ერთგულება სჯობს გამყიდველი ოქროს ორპირობას, მაგრამ ისტორიას მაშინ მათი სახელის შემონახვა გაუჭირდებოდა.

13225. გონიერი კაცისთვის გაუგებარი და შეუწყნარებელია ძალადობა იქ, სადაც ყველაფრის მიღწევა ტკბილი სიტყვით შეიძლება, მაგრამ შეურაცხმყოფელია ტკბილი სიტყვა მოძალადისგან, რომელიც მუტრუკად არის დაბადებული და აღზრდილი.

13226. ჭკუის ცვეთა უკუპროპორციულია ოფლის დენისა და პირიქით, ამ წვალების შედეგს განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

13227. ვინ იცის, რა სჯობს საზოგადოების განვითარებისთვის და რა ისტორიის კომპიუტერის მახსოვრობისთვის: ცუდი კაცის საქმის არმოხსენიება თუ ისტორიის სანაგვეში მისი დაფიქსირება და ხანდახან მისი მოქექვა.

13228. წინათ სინდისის და სხეულის ვაჭრობით ვერ გამდიდრდებოდი. დღეს, სამწუხაროდ, დაუწყობელ ქვეყანაში ამ ბიზნესით შეიძლება სულიც მოითქვა და კარიერასაც ხელი გამოჰკრა.

13229. სხვის საქმეში აუცილებლობის გარეშე ინიციატივის გამოჩენა უმადური საქმეა, რადგან ყოველთვის გამოხტება არამკითხე მოშურნე, რომელიც შეეცდება შენს მცდელობას წყალი გადაასხას.

13230. თეორიულად მიზნის მიღწევა ბუნებრივად, ექსცესების გარეშე უნდა მოხდეს, იმ პირობით, თუ შენი ოპონენტებიც ამ აზრზე არიან, მაგრამ პრაქტიკულად ყველაფერი გაუკუღმართებული და ნდობის გარეშეა, პატიოსნების მდინარე კი არ მიედინება, არამედ გუბდება, წყალი დამყაყებას იწყებს და ხალხის შეწუხებაც სახეზეა.

13231. როდესაც საქმე კარგად მიგვდის, ჩვენ გვცნობენ, როდესაც ცუდად – სხვას ვცნობთ, ხოლო როდესაც საშუალოდ – მაშინ ხეირიანად ვერ ვერკვევით, ვის ვიცნობთ და ვინ გვცნობს.

13232. არავინ იცის, საბოლოოდ რა სჯობს მშობლებისთვის: კარიერის მაძიებელი, განათლებული, ოჯახისთვის და მშობლებისთვის მოუცლელი შვილი, თუ

გაუნათლებელი, მშობლებთან ერთად მცხოვრები და თავისი ჯიშის და გვარის გამგრძელებელი. სამწუხაროდ, მშობლებს მაინც პირველი ვარიანტისკენ მიურბით თვალი, რადგან ის ეჩვენებათ იმის განხორციელების საშუალებად, რაც თვითონ ვერ მოახერხეს თავის დროზე.

13233. კოლექციონერს ის "ბედნიერება" სჭირს, რომ მის ნანოლიავებ ქონებას სხვა ანიავებს და სულს ითქვამს, ხოლო კოლექციონერს რჩება იმედი, რომ მომავალი თაობები მის ღვაწლს დააფასებენ.

13234. ზებრებზე ამხედრებულ მეზღვაურებს, ან საბრძოლო ეტლში შებმულ ჟირაფებს, ადამიანის გასაოცებელი და გასაცინებელი ელფერი დაჰკრავს, ხოლო უსასრულო ოკეანეში მეზღვაური გემზე ჩვეულებრივი პროფესიონალი რუტინაა.

13235. სიცოცხლის გაწირვა დამოკიდებულია აღზრდაზე, გარემო პირობებზე, აფექტზე და თვით პიროვნებაზე. მაგრამ ხშირად შესისხლხორცებული მაღალი მატერიები დროთა განმავლობაში არარაობად იქცევა და შენში ნაღვლიან ღიმილს იწვევს.

13236. საკუთარი მამაძაღლობის გაგება სხვისი ვირეშმაკობით ძნელია, მაგრამ სხვის ვიგინდარობაზე საუბარი, ნიშნის მოგება და შენი „კაიკაცობით" თავის მართლება – ადვილი.

13237. როდესაც ვიღაცაზე გავბრაზდებით, გავნაწყენდებით, ხასიათს ვიფუჭებთ, დროს ვკარგავთ, მაგრამ ჩვენდა შეუმჩნევლად სიცოცხლეს ვიხანგრძლივებთ, რადგან გრძნობების აფორიაქება სისხლის გახალისებას იწვევს.

13238. დრო ყველაფრის მკურნალია, მაგრამ მახსოვრობის სიავეს და გალახული სულის დაწყნარებას ყოველთვის სკლეროზით დაავადებაც არ შველის.

13239. სულელებს ერთი ღირსება აქვთ, ისინი ისე ჩქარობენ, რომ სასუფეველს დროზე ადრე აკითხავენ.

13240. ცუდი ხასიათის ხალხთან შეგუება თუ გაგიძნელდება, ეს იმას ნიშნავს, რომ არც შენ ხარ ხვითო.

13241. სინოპტიკოსებს ამინდის პროგნოზი არ ეშლებათ, უბრალოდ ისინი სათანადო დროს ვერ ურჩევენ მას, რადგან ბუნების ძალები მათ არ ემორჩილებიან.

13242. დამჭკნარი ყვავილი და გამხმარი ფოთოლი სინანულსაც კი ვერ იმსახურებს, არადა, რამდენიმე დღის წინ ისინი აღფრთოვანების და სილამაზის განსახიერებას წარმოადგენდნენ.

13243. ლამაზი და სასარგებლო ნივთის ქონება და ყურება გამშვიდებთ, გსიამოვნებთ, მაგრამ ლამაზი და სასარგებლო ცოლის ყოლა თქვენში სიმშვიდეს და მყუდროებას ყოველთვის ვერ იწვევს.

13244. ეროგენული ზონა მამაკაცისთვის ჯიბეა, ქალისთვის – კულინარული შესაძლებლობები, სიდედრისთვის – დაშაქრული ენა, სიმამრისთვის – სასმელი, შვილებისთვის – თავისუფლება, ჭკუის დაურიგებლობა ამ დაპროგრამებული ვამპირებისგან.

13245. სკლეროზს თუ წიხლს დააჭერ, შეიძლება ცხოვრების ისეთი წარსული სიუჟეტები გაიხსენო, რომ მელოტ თავზე თმები აგებურძგლოს, ასე რომ ყველა ავადმყოფობას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს.

13246. პატიმრისთვის და ავადმყოფისთვის ყველაზე დიდი სასჯელი გამოუსადეგარი დროა. პირველი სასჯელის მოხდას უცდის, მეორე გამოჯანმრთელებას.
13247. უბედურებაა ის, როგორსაც ჩვენ მას ვიღებთ, ხოლო ბედნიერებაა, თუ როგორ განვიცდით მას.
13248. ნამდვილი პატრიოტი ოჯახს სარჩო-საბადებელს აძლევს, მოვლილ მეურნეობას ჩუქნის, ჯანსაღ თაობას ტოვებს. უტუ პატრიოტი კი საეჭვოდ ქადაგებს, ერის სახელით სპეკულანტობს და მოუწესრიგებელი ცხოვრებით ცხოვრობს.
13249. სილამაზემ შეიძლება კრიზისი დაგვაძლევინოს, თუ მას წინდახედულად და ყურადღებით მოვეპყრობით.
13250. ორაზროვანი სიტყვის ფასს ყველა თავისებურად იგებს, თუმცა აზრი ერთი აქვს, მაგრამ სათუო.
13251. ცეცხლოვანი სიტყვის ოსტატს შემოქმედებითი ფანტაზია აქვს დანაკვერჩხლებული, რადგან ორ დიდ ნიჭს, ორატორობას და საქმეს, ღმერთი იშვიათად ამადლის ერთ კაცს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ქვეყანას დიდი ხანია პრობლემები არ ექნებოდა.
13252. ღარიბ კაცს თავი სინდის-ნამუსზე გადამეტებული ლაპარაკით მოაქვს, მდიდარი თავის ყალთაბანდობას არ მალავს, მაგრამ, საკმარისია ცხოვრების პირობების შეცვლა, რომ ყალთაბანდი პატიოსნებაზე, კაცობაზე დაიწყებს ლაპარაკს, ხოლო ღარიბს პატიოსნებაზე ლაპარაკის სურვილი ეკარგება.
13253. ერთ ეკოსისტემას მეორე ეკოსისტემის განადგურება არ შეუძლია, ამას ბუნება არ დაუშვებს, თუ მასში ადამიანის გაუმაძღრობა არ ჩაერია.
13254. სტრესი როგორც აკნინებს, ასევე აწრთობს ადამიანს, ალბათ ამის ბრალია, რომ რეპრესირებულები დიდხანს ელოლიავებიან ამ ცხოვრებას და მამაზეციერისკენ წასვლას არ ჩქარობენ.
13255. მდიდარი ცდილობს გაერკვეს რა ღირს ერთი კილოგრამი პური, ხოლო ღარიბი ამ ცოდნის დავიწყების მცდელობაშია.
13256. მებრძოლი გენერალი ყოველთვის ვალშია "პარკეტის" გენერალთან, თუნდაც იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ხელს არ უშლიდა წარმატების მიღწევაში.
13257. ხანდახან კეთილი საქმის კეთებისთვის იმას ვერ ვახერხებთ, რაც საჭიროა, ან პირიქით – ვაკეთებთ და სულ სხვა რამე გამოგვდის, რომელსაც სიკეთესთან არავითარი კავშირი არა აქვს, მიუხედავად ჩვენი მცდელობისა.
13258. ბედნიერების გაგება აბსტრაქტულია და დამოკიდებულია მომადლებულ ნიჭზე, შრომით მიღებულ სიამოვნებაზე და გარემოებათა ყოფითი პირობების მორგებაზე.
13259. ზოგჯერ მიზანი იმდენად დიდია, რომ მის საწინააღმდეგო შედეგზე დაფიქრების დროც არ გრჩება და არც გონების ტანჯვად ღირს.
13260. დიდი ოდენობით სიცრუის შეჯერებამ შეიძლება ჭეშმარიტებამდე მიგვიყვანოს.
13261. ქვეყანა, სადაც მოხერხებულად ჩადენილი ქურდობა, აფიორა, კრიმინალი, სირცხვილად არ ითვლება, სწრაფად ვითარდება, ხოლო წყნარი და აწყობილი

ქვეყნები კეთილგონიერების ჭაობად იქცევიან და თავისთვის შეუმჩნევლად ცდილობენ იცხოვრონ.

13262. ჩვენ გვიყვარს ახალი ნივთების შეძენა, მაგრამ ნივთებს ჩვენ არ ვუყვარვართ, რადგან მოდიდან გამოდიან და დროზე ადრე ვიცილებთ.

13263. უსახსრობას, უბედობას, მახსოვრობას ხშირად უჩივიან, მაგრამ განსჯას, გაკაპასებას, გაჭორვის მცდელობას – არასდროს.

13264. ყველა ჩვენგანს ამქვეყნად ერთხელ აქვს ამ ცხოვრების „პაემანი" დანიშნული და სიამტკბილობის ნაცვლად ამ დროსაც დაპირისპირებაში ვიყენებთ.

13265. ზოგისთვის 150 გრ. არყის ინვესტიცია უძრავ ქონებად გადაიქცევა და ახლობლებმა არ იციან, ამ სიმდიდრის პატრონები გახარებულნი უნდა იყვნენ, თუ დაღონებულნი.

13266. იუბილე რა ასაკშიც უნდა გადაგიხადონ და წარმატების რა აღმართზედაც უნდა იდგეთ, მაინც დაღმართია.

13267. სიმართლე იმიტომაცაა სიმართლე, რომ ზოგს გული უნდა დაწყვიტოს, ზოგსაც თავში წამოარტყას, სწორ გზაზე დააყენოს და მართალი ცხოვრებით აცხოვროს.

13268. უკბილო მგლის მიერ ლეშად ქცეული ცხვრის დაღეჭვა არცერთს იმიჯს არ მატებს, რადგან პირველს კბილებისათვის უნდა მოევლო, ხოლო მეორეს სირბილი უნდა ესწავლა.

13269. უარყოფითი იმიჯი ზოგიერთი პროფესიისთვის აუცილებელია, თუ ის დიდი პიროვნებაა. მაგ. ვერ გაეკარები, მეგობრობა სულ დაივიწყა, ვერაფერს სთხოვ და ა.შ.

13270. თავხედების მომრავლება ჩვენი მორცხვობის, გაუბედავობის, მორიდების შედეგია.

13271. ხშირად, ერთი შეხედვით არასაჭირო საქმის კეთება გვიცავს ცხოვრებაში შეცდომების დაშვებისგან.

13272. კარგი და ცუდი საქმე ერთმანეთს ერწყმის, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი საჭიროება გამოირიცხებოდა.

13273. ტყუილი მაშინ დაემსგავსება სიმართლეს, როგორც კი მასზე ყურადღებას გავამახვილებთ.

13274. ტყუილის თქმასაც თავის ეშხი აქვს, თუ იცი სად, როდის, ვისთან უნდა თქვა და ზიანს არ მოგიტანს.

13275. სილამაზე კი გადაარჩენს სამყაროს, მაგრამ რა ეშველება ამდენ სიმახინჯეს, რომელიც მოწოდებულია სამყაროს დასანაგვიანებლად და გადასაგვარებლად?

13276. დღეს ჩვენს მედალს სამი მხარე აქვს, მესამეა: ვის სჭირდება მისი გაცემა?

13277. ბედნიერება თუ უბედურებაა, როდესაც დრო იცვლება და ჩვენთვის ყველაფერი ძველებურად რჩება?

13278. ოცნებით ცხოვრება ადვილია, პრაქტიკულად – ძნელი, მიუხედავად ამისა, პირველი გვატკბობს, მეორე – გვაღელვებს და პრობლემებს გვიქმნის.

13279. ომი ძალზე მძიმე, არანორმალური, მომქანცველი, დაუფასებელი სამუშაოა, სადაც საჩუქრად ან სიკვდილს იღებ, ან მედალს.

13280. თუ წაგება ხასიათს გვიფუჭებს, მოგება თავმოყვარეობას გვიღვიძებს და ხასიათზე გვაყენებს.
13281. ჭკუის დამრიგებელი ძალზე ბევრია, გონიერების გამცემი და დამხმარე ცოტა და უმნიშვნელო.
13282. პესიმიზმი რამდენიმე ოპტიმისტის შეჯახების შედეგია.
13283. ფანატიზმი არც ქვეყნის წაღმა სვლას შველის და არც ქვეყნის ორმოდან ამოთრევას.
13284. გამარჯვებულის ჩექმა ბოლოს მაინც დამარცხებულს რჩება.
13285. მოუთმენლობა ნაკლია, მაგრამ არც გადამეტებული მოთმინებაა დიდი ხვითო.
13286. მორიდება და თავხედობა ძალზე ავსებენ ერთმანეთს ჩვენი სულიერი სამყაროს გამოსაჩენად და გასამდიდრებლად.
13287. მსუბუქი ავტომანქანა იმიტომ არსებობს, რომ ჩვენ ვიჯდეთ მასზე და არა მანქანა – ჩვენზე და ჯიბეს გვიფლანგავდეს.
13288. თუ მარცხი, წარუმატებლობა, ვიღაცას თან სდევს, ის მას მაინცდამაინც არ ებოდიშება, არ ეცერემონიალება.
13289. ექსპლოატაცია მიცვალებულისაც შეიძლება, თუ მისი ხშირი გახსენება დივიდენდებს იძლევა.
13290. არცერთ ავაზაკს, მოღალატეს, არ უხარია, რომ ასეთია. მაგრამ, რა ჰქნან, თუ ბუნებამ ისინი იმისთვის გააჩინა, რომ სხვები არ მოდუნდნენ, არ დაავადმყოფდნენ უზრუნველი და ფუფუნებით ცხოვრების გამო.
13291. ზოგს სუფთა ჰაერისგან თავი სტკივა და გონება ემღვრევა, ზოგს ქალის დანახვა აღიზიანებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არანორმალურები არიან. უბრალოდ, ბუნებას რაღაც შეეშალა და არ დაამადლა ის, რაც უნდა დაემადლებინა.
13292. თვითმკვლელობის მცდელობა მიქელ-გაბრიელის უყურადღებობის შედეგია, რადგან გეგმა იმქვეყნად წასაყვანი ხალხისა წესიერად ვერ შეადგინა.
13293. ბედნიერება და სიამოვნება ერთადაა, მაგრამ სხვადასხვა მოთხოვნებით და გააზრებით.
13294. ზოგს ქურდის მოხერხებულობა და სხვისი დოყლაპიობა მოსწონს, მაგრამ ხვალ რომ თავად აღმოჩნდება დოყლაპიის როლში, ამაზე უკვე აღარ ფიქრობს.
13295. მეგობრის გარეშე ამქვეყნად – არა, მაგრამ იმქვეყნად ყოფნა შესაძლებელია, კარგი მეზობლის გარეშე კი – შეუძლებელი.
13296. გონიერ კაცს ოპონენტის ის შენიშვნა აინტერესებს, რომელიც მისთვის სასარგებლოა, გასაგები და გამოსაყენებელი.
13297. საზოგადოება ფუქსავატ ადამიანს უფრო აფასებს, ვიდრე მშრომელს, რომელიც ამდენ ბედით გაფხორილ უსაქმურს ინახავს და არჩენს.
13298. წესიერ ქვეყანაში შენით არავინ ინტერესდება, მაგრამ თუ დასჭირდათ, ყველაფერი იციან, უწესობაში კი ყველა შენითაა დაინტერესებული, მაგრამ გვერდზე ყასიდად მანამ არ ამოგიდგებიან, სანამ შენში სარგებელს არ დაინახავენ.

13299. ადამიანის წესიერება და თავისუფლება შესაფერის აღზრდას, გარემოს მოითხოვს. აშშ-ში წესიერად ითვლება ის, ვინც ბიუჯეტს მოხერხებულობით რაიმეს დასკინცლავს, ხოლო თავისუფლება ფულის შოვნასა და პარტნიორობის დაუფიქსირებელ ცვლაშია. სსრკ-ში წესიერებად სიღარიბე იყო მიჩნეული, თავისუფლებად – პარტიის საქმისადმი აღფრთოვანების გამოხატვა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

13300. ცხოვრება გაცილებით უფრო ძნელია ვიდრე "ჰო" ან "არა", ყოფნა – არყოფნა, "მიყვარხარ – მძულხარ" თქმა, რადგან ყველაფერი წუთიერ გაელვებაზე და შემთხვევითობაზე არის დამოკიდებული.

13301. ენამზეობასა და ჭკუამზეობას შორის ის განსხვავებაა, რომ პირველს არ სურს თავის სიტყვაზე პასუხი აგოს, ხოლო მეორე გრძნობს პასუხისმგებლობას, მაგრამ ბრბოს მაინც უკუღმართი ენის პატრონის, პირველის მოსმენა ურჩევნია.

13302. სტუდენტი თუ გამოცდას აბარებს, კეთილი ინებოს, მოემზადოს ან პროტექტორი მოძებნოს, გადაიხადოს საგნის მომზადების ფული, მოიპაროს ბილეთი და გამოცდაზე ამ ბილეთით მივიდეს, რათა ლექტორს მისცეს საშუალება ერთმანეთისგან განასხვავოს მცოდნე და უცოდინარი, პატრონიანი და უპატრონო, მოხერხებული და მოუხერხებელი სტუდენტები.

13303. რომელი სჯობს: ცარიელი, თუ არასაჭირო ინფორმაციით გამოტენილი თავი? ვის როგორ მოსწონს: მე მაგალითად სისუფთავე მირჩევნია სამომხმარებლო ნაგვით გამოტენილ თავს.

13304. სიკეთეს ხშირად არ სწყალობენ, ხოლო ბოროტება ყოველთვის არ ისჯება. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ არც კამათი იქნებოდა საკაიფო, ვერც კაცობაზე ვისაუბრებდით და არც თავის მოწონების საშუალება გვექნებოდა.

13305. გამოცდილების დამცირებაა, როდესაც თქვენ ვინმეს ნამოღვაწარს იმეორებთ, მაგრამ თუ ამას უკეთ და შემოქმედებითად აკეთებთ, მაშინ აღიარების ტოლფასია.

13306. წესიერების ნაგლეჯი, წესრიგი, ყველა ჩვენში უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი მის გარეშე არ გამოვა.

13307. წესით, ქურდობა გაჭირვების შედეგი უნდა იყოს, გაჭირვება კი – უსაქმურობის, ხოლო უსაქმურობის ქურდობა გაჭირვების გარეშე სისაძაგლეა, რადგან ეს დაუხარჯავი დრო სასიკეთო საქმეშია გამოსაყენებელი.

13308. ყველაფერი წარმავალია, მაგრამ ცხოვრება ჩვენი წინაპრების უყაირათობით მაინც მუხრუჭდება და ჩვენს მომავალს მოუხდება გზების გაწმენდა.

13309. ჩვენ ხშირად გვიხდება ცხოვრება ისეთ ადგილებში, სადაც მხარდაჭერას ვერ ვგრძნობთ და მისი შეგრძნება, როგორც ქვეყნისა, გვიჭირს.

13310. იმის, რაც ბოლომდე არ გვესმის, ან ძალიან უნდა გვეშინოდეს ან არცოდნას არაფრად უნდა ვაგდებდეთ, რადგან აქ ჭკუის და უჭკუობის თამაშია, შერკინების გარეშე.

13311. მოგვწონს ის, რომ ვუყვარვართ და ისიც, როცა არ ვუყვარვართ იმათ, ვისაც ჩვენი მოქმედება ნერვებს უშლის.

13312. შეიძლება ნამუსიანად შეეცადოთ საქმის კეთებას და არაფერი გამოგივიდეთ, მაგრამ თავს არ უსაყვედუროთ, შეიძლება პირიქით მოქცეულიყავით და ყველაფ-

რისთვისაც მიგეღწიათ, მაგრამ შეგნება იმისა, რომ მართალი არ იყავით, შეიძლება მთელი ცხოვრება ხინჯად გაგყვეთ.

13313. არის სულიერი და უსულო ინტელექტი. პირველი ცდილობს იმ ინტერესებს მოემსახუროს, რომელიც მას არ გააჩნია, ხოლო მეორე ცდილობს საკუთარ ინტერესებს დაუმორჩილოს, რომელიც შენ არ გაღელვებს.

13314. პრაქტიკულად გამოსავალი ყოველთვის არ ჩანს, მაგრამ თეორიულად არავინ გვიშლის მოვნახოთ.

13315. სურნელი სიამეს ვერ მოგგვრის, თუ ყველა ჩვენგანი საკუთარი სუნის სიმყრალეს წინასწარ არ შევიგრძნობთ.

13316. ხატი თუ ოქრო? პირველს სიტყვით ვეთაყვანებით, საქმით კი მეორისკენ მივილტვით, რადგან ეს უკანასკნელი რეალური და ხელშესავლები კერპია, რომელსაც პირველთან შედარებით რეალური ამქვეყნიური ძალა აქვს.

13317. მუდმივი ყოველთვის დროებითი გვეჩვენება და პირიქით, მაგარმ ყველაფერს ასაკის მატებასთან ერთად ვეჩვევით და ახლისკენ სულით – კი, მაგრამ სხეულით აღარ მივილტვით.

13318. წაგების გარეშე გამარჯვების სურვილი არ გაგიჩნდება, არც გამარჯვება არსებობს დამარცხების გარეშე, რადგან ყველაფერს თავისი დასაწყის–დასასრული აქვს. ასევეა დავიწყება, მივიწყება და გახსენებაც.

13319. სადაც წარმატებაზე ბევრს ლაპარაკობენ, წარუმატებლობაც უფრო მეტი აქვთ, რადგან ის გამარჯვების თანამგზავრია.

13320. ან ეშმაკი გვიფარავს, როდესაც ჩვენზე ცუდს ამბობენ და ნაკლოვანებებს არ გვიქიაქებენ, ან ნიჭია, რათა ჩვენივე ნაკლოვანებები აღვზარდოთ და აღვაზევოთ.

13321. მოდის ძალა გარკვეული დროით გაბრიყვებაშია, ხანდახან ისეთ საოცრებას მოგვაწონებს, რასაც ადრე არ გავიკარებდით, ხოლო დღეს მისი გახსენებაც არ გვინდა.

13322. თეორიულად უმანკო უნდა იყო, მაგრამ პრაქტიკულად ცხოვრებაც უნდა მოასწრო და სიკეთის ატრიბუტები: ცოდნა, გონიერება, პატიოსნებაც, ატარო, რაც ერთი კაცისთვის მეტისმეტია.

13323. როგორც კი დაიწყება ნიჭის პრივატიზაცია – დასაკუთრება, მაშინვე იწყება მასთან დამშვიდობებაც, რადგან ის ზევიდან არის ნაბოძები. თუმცა გააჩნია ნიჭს, მასას, დროს და რეკლამირების ხელოვნებას.

13324. როგორც კარგის, ასევე ცუდის კეთება შეიძლება ზიანის მომტანი იყოს, მთავარია რა ოდენობაა, ვის და რის სასარგებლოდ კეთდება საქმე, შეძლებენ თუ არა ამ ცხოვრების რებუსების მონელებას.

13325. ნამდვილი ჭეშმარიტება არასდროს იქნება ის, რაც ჩვენ ჭეშმარიტად გვეჩვენება.

13326. შეგნება ან გაქვს, ან არა, მას არც მუშტის შემორტყმა შველის და არც ფეხის წატეხვა.

13327. სამწუხაროდ, შედარებითი პატიოსნება, გულკეთილობა, პირადი ცხოვრების მოსაწყობად გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე აბსოლუტური წესიერება, რომე-

ლიც ირგვლივმყოფთათვის პრაქტიკულად ძნელი მისაღებია, ამასთან ოპონენტებად ისინი გვევლინებიან, ვისთვისაც სხვისი კეთილდღეობა, საკუთარი ინტერესების გარეშე, წარმოუდგენელია.

13328. ჩადენილ შეცდომებზე წიხლი უაზრობაა, მითუმეტეს თუ ილუზიების ნაკლებობას არ განიცდით, რომელიც გაკვეთილების ჩატარებას და დარიგებას არ გვამადლის.

13329. სიბრძნე და უგუნურება შეუთავსებელია, მაგრამ ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი გარჩევა გაჭირდებოდა.

13330. შეძახილი გვაფხიზლებს, შექება გვათავხედებს, მადლობის თქმა გვადუნებს.

13331. ისე უნდა ვიფიქროთ, როგორც გვჯერა, მაგრამ ისე უნდა ვისაუბროთ, რომ სხვაც დაინტერესდეს ჩვენი ნააზრევით.

13332. სხვისი სიხარული და მწუხარება ერთნაირი სიყვარულით, მოკრძალებით, უნდა გავიზიაროთ.

13333. ჭკუა და მლიქვნელობა ერთმანეთისგან შორს დგანან, ეშმაკობა და მლიქვნელობა კი ტყუპისცალები არიან.

13334. გაოცებულ შექებას მისდაუნებლიედ ისე გადმოანთხევს, რომელსაც ამის სურვილი თავიდან არ ჰქონია.

13335. ანდერძი იძულებითი გულკეთილობაა ახლობლების მიმართ, რადგან იმქვეყნად ვერაფერი მიგაქვს.

13336. ქალის ბაღნართან მრავალჯერ ახლო ურთიერთობა, თქვენი გინეკოლოგად გამოცხობის წინაპირობა არ არის. ასევე ფულთან ახლო ურთიერთობა არ ნიშნავს ქვეყნის ეკონომისტად და ბანკირად თქვენს გამოცხობას.

13337. სიკეთის კეთება გულგრილობის შემთხვევაში უმადურობას იწვევს. თუ ერთხელ ვინმეს შენი ნებით დაეხმარე, მერე რატომღაც ის მეწველ ძროხად გთვლის და მისი შენდამი ღიმილი საჩუქრის მიღების დამუღამებული რეფლექსია.

13338. სიმართლის თქმა ძლიერთა პრეროგატივაა, ტყუილი ქლესად დაბადებული კაცის ხვედრია.

13339. ყველა ქვეყნის ისტორიას თავისი აისი და თავისი დაისი აქვს.

13340. ერთ ლოყაში რომ გაგარტყამენ, მეორეც უნდა მიუშვირო, მაგრამ, ზოგს ხურდა თუ არ დაუბრუნე, თქვენი ლოყა დოლი ეგონება და მასზე ბაღდადურის დაკვრას მოინდომებს.

13341. მხედრული გმირობა და მოქალაქეობრივი სიმხდალე ერთმანეთს ვერ ერკინებიან, რადგან მეორე პირველს აბრალებს ომის დაწყებას, პირველი კი მეორეს – დამარცხებას.

13342. არის სიკეთის კეთების სურვილი, არის შედეგი. თუ ისინი ერთმანეთს არ ემთხვევიან, ეს ხალხად წოდებული ბრბოს ბრალია, რომელსაც სხვადასხვა მიზეზთა გამო რეალური საქმის საკეთებლად დრო არ რჩებათ, რადგან უსაქმურობა, ბედოვლათობა ყველაფერს ურჩევნია.

13343. პატიება შესაძლებელია, მაგრამ დავიწყებაა შეუძლებელი განსჯის გარეშე.

13344. ზოგჯერ ადამიანისთვის სიმართლის თქმა გინებაზე უარესია, მაგრამ ხშირად ის შეურაცხყოფით ამაყობს კიდეც, რადგან არარაობამ ირგვლივ მყოფთა ყურადღება დაიმსახურა.

13345. წესიერი ღარიბი იმის შიშშია, ისე არ გაუჭირდეს, რომ იქურდოს, ხოლო უწესო მდიდარი სულ იმის ცდაშია, ბიზნესად წოდებული საქურდალი ნახოს, რადგან ქურდობას დიდი ხანია ჩახუტებულია და არც ეშინია.

13346. მატრაკვეცა მშობელი შვილებისთვის ხშირად „ღამის ოქროს" როლში გვევლინება, მისი გადამეტებული გადაყოლა სასუქად ქცევის ტოლფასია, შედეგად, შვილი იშვიათად აგრძელებს მშობლის ცხოვრების ცოდნამოკლებულ მცდელობას.

13347. პროფესიას და პროფესიონალიზმს სიტყვის ძირი ერთი აქვთ, მაგრამ საქმით სხვადასხვაა.

13348. ყველა ადამიანი იმ დღეს უნდა მუშაობდეს, როდესაც ეხალისება, მაგრამ რა ვუყოთ დაბადებით უსაქმურებს, რომელთათვისაც ყველა სამუშაო დღე დასვენებაა?

13349. ხშირად, როცა გვინდა, რაც შეიძლება კარგი გამოვიდეს ჩვენი ნამოქმედარი, პირიქითაა – რაც შეიძლება ცუდი გამოგვდის.

13350. ასაკია ყოველივე გაუგებრობის მიზეზი და არა პროფესიონალიზმი, როდესაც ხანშიშესული წყვილის ხნიერი მოახლე „დიახ, ქალბატონოს" ძახილით იღლება და ახალგაზრდა მსახური ქალი კი „როგორ გეკადრებათ, ბატონოს" ძახილით.

13351. ზოგ კაცს სამსახურში სიარული უფრო მოსწონს, ვიდრე სამსახური. სამუშაოს შესრულებას მას სასუფევლის მოპოვების და სტომაქის ამოვსების აუცილებლობა აიძულებს.

13352. მომდევნო თაობები ძირითადად უფრო ინფორმატიულნი, ვიდრე ინდუსტრიულნი იქნებიან.

13353. ადამიანი, რომელმაც იცის, რომ არაფერი არ იცის, ბეჯითად საქმიანობს, ხოლო რომელმაც „ყველაფერი იცის" – მას საქმეც არ აინტერესებს.

13354. ბუნებრივი ცოდვები უფრო მიწიერად, მისაღებად გამოიყურება, ვიდრე არაბუნებრივი სიკეთის კეთება.

13355. საზოგადოების ყველაზე ცუდიც და კარგი ნაწილიც ინტელიგენციაა, მას შეუძლია როგორც კარგის, ასევე ბევრი უხიაგის კეთება, მაგრამ ნიჭი ნაკლის გარეშე არ არსებობს.

13356. ინტელიგენცია სულ წუწუნებს, სულ რაღაცა აწუხებს, არაფერი არ მოსწონს, მის გულს ვერაფრით მოიგებ. ეტყობა, სიტყვაში, „ინტელიგენცია", ქალური საწყისია მეტი და ისეთ ცოლს გვაგონებს, ურომლისოდაც გვსურს ვიცხოვროთ, მაგრამ, მის გარეშე ცხოვრებაც აზრს დაკარგავდა.

13357. ცნობილი პიროვნების გაცნობაში ზოგი იმედს ხედავს, ზოგიც სიამოვნებას განიცდის და ამაყობს, ნახავ რა კაცს ვიცნობო; ზოგისთვის ასეთი ნაცნობობა მუდმივი შეწუხების საგნად იქცევა – ახლობლები არ ასვენებენ, შენს ნაცნობს სთხოვე დაგვეხმაროს და წილში გაგიყვანთ, ან მადლიერი დაგრჩებითო.

13358. ბედნიერება არ განიმარტება, მაგრამ მისი შინაარსი შემდეგია: დაივიწყო შური, შიში, სიამაყე, რომელსაც თავისი ნაკლიც აქვს. ე.ი. არც ბედნიერება შეიძლება იყოს სრულყოფილი, რადგან საზოგადოება დაპირისპირების გარეშე ვერ ვითარდება.

13359. ოპტიმისტს სჯერა, რომ წარღვნა არ იქნება, პესიმისტს პირიქით – ეჭვიც არ ეპარება. თუ სამყარო მართლაც ხელიდან გამოგვეცალა, მაშინ ვინღა გაიხსენებს ამ ორი იდიოტის უსაგნო მსჯელობას?

13360. ახალგაზრდებს არ უნდათ, ასაკგადასულებს არ შეუძლიათ, ხოლო შუა ასაკი მატერიალურ კეთილდღეობას და გალაღებულ ცხოვრებასაა გადაყოლილი და ასე მცირდება ქვეყნის მოსახლეობა.

13361. ლაქლაქსა და მასლაათს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თავის ყბედობას განიცდის და აზრის მიცემას ცდილობს, მეორე გართობისთვისაა მოწოდებული და ლაქლაქიდან განსხვავებით ზოგიერთ ტვინის უჯრედს დანაგვიანებული ინფორმაციისაგან ასუფთავებს.

13362. პატიოსნება და ციინიზმი ერთმანეთს იმ შემთხვევაში უგებენ, თუ ერთმანეთის შესახებ არაფერი იციან.

13363. გაფრთხილება მოწინააღმდეგის შეიარაღების ტოლფასია, ხოლო დამუქრება მოწინააღმდეგის უპასუხისმგებლოდ განიარაღების მცდელობაა.

13364. ზოგჯერ დანაშაულებრივი თავხედობა უფრო ადვილი ასატანია, ვიდრე უაზრო ხულიგნობა.

13365. სხვისი დარწმუნება-გადარწმუნების უნარი ზოგჯერ არგონავტების მიერ ოქროს საწმისის მითვისების მცდელობას ჰგავს, სადაც ერთნი რაღაცას ნახულობენ, მეორეებს ბედი არ წყალობთ, მაგრამ დასახულ მიზანს ზურგს არ უჩვენებენ.

13366. ძირითადად კონფლიქტის მიზეზი საერთო ინტერესების არქონაა, როცა პირიქითაა, კამათი კონფლიქტის ზღვარამდე გრძელდება, მაგრამ პირველისგან განსხვავებით მშვიდობიანად მთავრდება.

13367. ძალა ნებისყოფის გარეშე უძლურია, ხოლო ნებისყოფა ძალის გარეშეც ყოველთვის ძალაა.

13368. ხშირად ყბედობას ვერ ვგრძნობთ, რადგან ჩვენთვის მთავარია ვილაპარაკოთ, უაზროდ ვიკამათოთ, მხოლოდ ამის შემდეგ ვუბრუნდებით საქმეს, რეალობის დაუნახავად.

13369. წარმატება და წარუმატებლობა ძმები არიან, მაგრამ ორივე მცდელობას მოითხოვს. რაც შეეხება შედეგს, ეს ბედზეა დამყარებული.

13370. სიავის დროებით დათრგუნვა შესაძლებელია, მაგრამ მოსპობა შეუძლებელია, იმდენად დიდია ჩვენი ამბიციები ვიღაცის და რაღაცის მიმართ.

13371. სიმდიდრის და ძალის პატივისცემა კონიუქტურულია, დროებითია, ხოლო ცოდნისა და სამართლიანობისადმი – მუდმივი და უცვლელი.

13372. ზოგს არ უყვარს გამოცანებით ლაპარაკი, ზოგსაც ზედმეტი შეკითხვა, მაგრამ ყბედობა-მასლაათზე უარს არავინ ამბობს.

13373. გადაჭარბების და გათავხედების გარეშე თვითდაჯერება ხელს არაფერში გვიშლის, პირიქით, ქომაგებს გამოგვიძებნის.

13374. შემთხვევაა ფიქრის ნაყოფი და არა პირიქით.
13375. შენი სამყარო ისე უნდა მონახო, რომ საზღვარს არ უნდა ეძებდე, ძველსა და ახალს შორის გასავლებად.
13376. წესიერებასა და პატიოსნებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ასე თუ ისე სახელმწიფო აპარატის ვირეშმაკობას ერგება და საქმიანობასაც ახერხებს, ხოლო მეორესთან საერთო ენის გამონახვის ალიბიც არ არსებობს და არც საქმე კეთდება.
13377. კომპლიმენტი თუ ფაქტი: ერთმანეთის გარეშე ორივე მოიკოჭლებს, რადგან ერთს თავის წარმოჩენისთვის ბაზისი აკლია, მეორეს – რეკლამის საწყისი.
13378. სიკეთე და ბოროტება, თავისდაუნებლიედ, ხანდახან ერთმანეთს ცვლის და ის რაც სიკეთის საკეთებლად არის ჩაფიქრებული, ზოგჯერ ბოროტებად გვევლინება.
13379. ინტელექტუალის და მუშის შრომას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თავის ნაღვაწის შექმნისას სულიერ სიამოვნებას იღებს, ხოლო მისი რეკლამა, რეალიზაციაა მისთვის შრომა, ხოლო მეორესათვის შრომა შრომაა და სიამოვნება მასზე უშფოთველად გაცემული გასამრჯელოა.
13380. ჩვენი სიმართლე საკუთარი ფანტაზიისა და მისგან მიღებული სიამოვნების შეცნობაშია და არა ჭეშმარიტებაში, რომელსაც ვერც იგებ და არც გეხალისება.
13381. გაბედულ უწესოს და გაუბედავ წესიერ ქალს შორის სხვაობა დიდი არაფერია, ოღონდ გააჩნია დროს, ოპონენტს და ვისი ინტერესების წისქვილზე ისხმება წყალი.
13382. ჯანსაღი აზრით პარტნიორის არჩევას ქალები სიყვარულს უძახიან, კაცები მოწონებას, ხოლო ანგარებას და ქვენა გრძნობების ნაშთს თავში ინახავენ.
13383. ნადირობასა და ბრაკონიერობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველს თავისი წესი, მორალი და ღირსება აქვს, მეორე – ყოველივე ამ უკანასკნელისაგან შორს დგას.
13384. სიმართლე ყოველთვის საჭირო არ არის, ხანდახან სასოებით ნალოლიავებ ტყუილს მეტი სიკეთე მოაქვს.
13385. ბოლომდე არავის არ უნდა ენდო, თუ გინდა შეიცნო არსი მარტოობის დღეასასწაულისა და გაიგო ცხოვრების აზრი.
13386. მართალია, მგელს ცხვარი არ უნდა ვანდოთ, მაგრამ გააჩნია აღზრდას, გაწვრთნას, ტრადიციებს, სადაც საქმის გასარჩევად მარტო ბუნების კანონებზე დაყრდნობა არ გამოდგება.
13387. სიმშვიდე და კეთილდღეობა ყოველთვის მოჩვენებითია და თეთრ შურს იწვევს, მაგრამ არავინ უწყის მის მფლობელებს როდის მოსწყინდებათ ეს იდილია, სად და როგორ იფეთქებს და ყოველივე თავიდან დასაწყები როდის გახდება.
13388. შეცდომის დაშვებას უნდა ვერიდოთ, მაგრამ არ უნდა ვუფრთხოდეთ, ხოლო მის გამოსწორებას განუხრელად უნდა ვცდილობდეთ და არაფრის არ უნდა გვეშინოდეს.
13389. არის საზოგადოება, ხალხი, ბრბო; გვევლინებიან პიროვნებები, მოქალაქენი, ადამიანები; ჩვენი სადგომია სამშობლო, ქვეყანა, სახელმწიფო, თავს იწონებს მე-

ფე, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი; მასების მართვას ცდილობენ დიქტატორები, დემოკრატები, ლიბერალები და ამ სახეცვალებად ხაბა-ხუბში, ვიში-ვიში, აცეაცეში, ვინ რას აფასებს, ეთვისება, ეწინააღმდეგება, დამოკიდებულია ტექნიკურ პროგრესზე, დროის ყივილზე, აწმყოს კაპრიზზე, რომელსაც ალბათ გარეშე ძალა, ღმერთი, მამაზეციერი, შთაგვაგონებს, გვმართავს, გვსჯის.

13390. თუ „ნამუსი კარგი საქონელია", მას თავის რეკლამა, ღირებულება და ფასიც უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუმჩნეველი დარჩება და მის პროტესტს ყურს არავინ მიუგდებს.

13391. პასიური პატიოსნება უპატიოსნების ტოლფასია, რადგან ადამიანმა ყოველივე თავის შესაძლებლობების ფარგლებში უნდა აკეთოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებასთან ახლოს ყოფნას უნდა მოერიდოს – ვერ გაუგებენ და მასხრადაც შეიძლება აიგდონ.

13392. ნიჭიერებას უნიჭობასთან, გარდა სინონიმებისა, კავშირი არ აქვს, მაგრამ ზოგჯერ ერთმანეთს ერკინებიან დასამარცხებლად.

13393. ზოგი ადამიანის პრესტიჟული ოცნება მომდევნო ხუთწლედში სრულდება, როდესაც ის ცნობილი ადამიანების საფლავებს მოინახულებს, ყვავილებით შეამკობს და ამაყობს, რომ ამ დრომდე მოაღწია.

13394. ცხოვრებაში ხშირად საინტერესო ჯიშის ქვრივები გვხვდებიან, რომლებიც თანახმანი არიან წინა ქმრის „დაუვიწყარობის" გარანტიით მომდევნო ქმართან პერსპექტივით დაღვინებული სიყვარულით იცხოვრონ.

13395. სისულელესთან გატოლებული გმირობის, სიახლის, სტრესის, ემოციების შეგრძნების მოყვარული, შერეკილი ხალხი რომ არა, დღეს კაცობრიობას არც თვითმფრინავი, არც პარაშუტი და არც სხვა ამგვარი არ ექნებოდა, რადგან ჭაობში ევოლუციას არაფერი ესაქმება, არც სიგიჟეს სჩადის და არც არაფერი იცვლება.

13396. არანორმალური ფსიქიკა იგივე ვირუსული დაავადებაა, რომელიც ადამიანის გონებას თუ შეუჯდა, ეპიდემიასავით მოედება და ქვეყანას ნგრევის ზღვამდე მიაყვანინებს. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ყოველგვარი წამლობის გარეშე მორჩენას იწყებს, მაგრამ რაღაც არასასიამოვნოს მაინც ტოვებს, რომლის გაჯანსაღებას ჩვენთვის შეუმჩნეველი დრო სჭირდება.

13397. ტოლობა მოფიქრებული და მოუფიქრებელი ქცევისა ერთნაირია, რადგან დამოკიდებულია ბედზე და შემთხვევაზე.

13398. მზრუნველობასა და ეჭვიანობას შორის საერთო ძალზე ცოტაა, მაგრამ უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ.

13399. როდესაც უყურებ ჩაწყობილ შერკინებას და ბრბოს ზომიერებას გადასულს ქომაგს (თუ გნებავთ „რესტლინგში"), კიდევ ერთხელ გეპარება ეჭვი მასის გონიერებაში, რადგან მისთვის მთავარია გართობა და რა გზით, როგორ მოატყუებენ, არ ანაღვლებს.

13400. არის ბიოგრაფია, არის ადამიანის ცხოვრება, რომელთა მსგავსება გარეშე თვალისთვის გაუგებარია.

13401. ორიგინალობასა და სიღარიბეს შორის ის მსგავსებაა, რომ ორივეს სული გაუგებარია ირგვლივმყოფთათვის, გონიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

13402. ზოგჯერ ჩვენი ქცევით ადამიანს ნაწილ-ნაწილ ვკლავთ და ვაქრობთ, ისე, რომ ამას ვერც ვამჩნევთ და ვერც ვხვდებით.
13403. ბედნიერებაც და უბედურებაც სადარბაზო კარებიდან შემოდიან, ხოლო სხვადასხვა ფანჯრიდან იძურწებიან.
13404. გადაჭარბებული სიმართლე სერიოზულად გვიწამლავს სულსაც და გონებასაც.
13405. პესიმისტსა და ოპტიმისტს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი კაზინოში შესვლამდეა წაგებული, ხოლო მეორე კაზინოს ახლოც არ ეკარება.
13406. აზროვნებას და მართვას ფავორიტი არ უნდა ჰყავდეს, რადგან ეს ძირშივე ეწინააღმდეგება ქვეყნისათვის საქმის კეთება.
13407. უმცირესობა უმრავლესობასთან შედარებით თავიდან ყოველთვის მტყუანი და დამარცხებულია, მაგრამ ხშირად საკითხის გადაწყვეტისას ეს ყბადაღებული, სტანდარტულად მოაზროვნე, ქვენა გრძნობებით შეზავებული უმეტესობა გამოდის დამნაშავე.
13408. ეჭვიანობა ავტომანქანის დაზიანებას მოგვაგონებს, რომელსაც მუხრუჭები მოშვებული აქვს ტვინის გარემოში და მისი სათადარიგო ნაწილით შეცვლა არ ხერხდება.
13409. ჩვენი აზროვნება მაინც წამხედურია და იმის მიხედვით ვაფასებთ, თუ რა რეგალიებმა გვაღიარეს.
13410. სიმართლე ყოველთვის ერთეულების მხარეზეა, მაგრამ უმრავლესობა ამას ან არ ეთანხმება ან ვერ ამჩნევს, რადგან მის აღქმას სათანადო დრო, მმართველი და მათრახი სჭირდება.
13411. საოცარია ქომაგის ბუნება, გულით ქომაგობს უცხოქვეყნელ უცნობს და მხოლოდ მხარს უჭერს ნაცნობს, მეგობარს თავისი ქვეყნიდან და ამ ფენომენის ამოხსნა ზოგჯერ ძნელზე ძნელია.
13412. ჩვეულებრივი პანთეონი ძველი სასაფლაოსგან იმით განსხვავდება, რომ პირველი პრესტიჟულად რეკლამირებულია და ძნელად მოსახვედრია, მეორე პრესტიჟულად ჩუმად არის, მაგრამ იქ მოხვედრა ძვირი ჯდება.
13413. გაურკვეველი გრძნობები მაშინ გვეუფლება, როდესაც შერეული გრძნობებია, არეული დროა, გაურკვეველი ურთიერთობა, გაუგებარი პატივისცემა და უხიაგი უფროსები გვყავს.
13414. რეცენზია მაინც სასარგებლო უფასო რეკლამა გამოდის, სულერთია გაქებენ თუ გაგინებენ.
13415. კონსერვატორსა და ლიბერალს შორის ის მსგავსებაა, რომ პირველს არაფრის შეცვლა არ უნდა ლიბერალიზმის საწყისზე, ხოლო მეორე ყველაფერს შეცვლიდა კონსერვატიზმის ბაზაზე.
13416. თავისი დროის დამპყრობელი ერები ეგვიპტიდან, რომიდან, ისე გაქრნენ, რომ თავის ერისთვის უკანაც არ მოუხედავთ და მათ ნაჯაფ-ნაყაჩაღარს დღეს მათივე დაპყრობილი ნაჯვარი პატრონობს, ხოლო ამ სიმდიდრის შემქმნელი ერი აღიგავა, გაქრა. ეტყობა ღმერთს თავის დამსჯელი კანონები აქვს, მაგრამ ადამიანის თავქარიანობა ომობანას თამაშს დღემდე არ ეშვება.

13417. ღირსება, ნამუსი, მუდმივია და ის უღირსობად, უნამუსობად არასდროს გადაკეთდება, უბრალოდ, შექმნილი გარემო, ფულის ფეტიში, დროებით მისდამი დამოკიდებულებას ცვლის, რომელიც ბოლოს ყოველთვის ძველი ღირსებით და სიმართლით წარმოგვიდგება.

13418. სწავლული, განმანათლებელი, შემოქმედი – საზოგადოების განვითარებისათვის ყველა საჭიროა, მაგრამ, რომელია პირველი, გაურკვეველია.

13419. მოყირჭებული საზოგადოება ყოველთვის ევოლუციის ძველ გზას უბრუნდება და თავდაცვის ინსტიქტი უვითარდება, რათა ბუნებრივად მოწესრიგებული ცხოვრების ელემენტები დაიბრუნოს, შეინარჩუნოს.

13420. ყველა უნდა ცდილობდეს პატარ-პატარა სიხარულის და ბედის წყალობის დროულ შედეგებას, რომელსაც ცხოვრება დროგამოშვებით გადმოგვაყრის, რათა ბოლოს, ჭიანაჭამი ბედნიერების ნახმარი არ გამოვიდეთ.

13421. ბედნიერებაა იმქვეყანაში ცხოვრება, სადაც ნიჭიერ ადამიანს სიცოცხლეშიც იმავეს მიაგებენ, რასაც გარდაცვალების შემდეგ.

13422. ქვრივი ქალი, რომელიც მეორედ თხოვდება, უფრო სხვისი ბედნიერების მკერავია, ვიდრე თავისი.

13423. ქორწინებიდან წყვილის ურთიერთობაში ყველაზე მძიმე ის წლებია, სანამ მამრი ოჯახური ქაქის ჭამას შეეჩვევა.

13424. მშობლებს მლიქვნელობა არ სჭირდებათ შვილის წინაშე, თუ ის თანამდებობას არ ფლობს.

13425. როცა ცოლი ქმრის გაცილებისას ფიქრობს, თუ არ დაბრუნდება, ჩავთვლი რომ ძალიან გამიმართლაო; აუცილებელია ეჭვის შეტანა ამ კაცის გემოვნებაშიც, თორემ ჭკუის საკითხი უკვე გადაწყვეტილია.

13426. ცხოვრებამ ისე განსაჯა, რომ ერთმა ქალმა სიცოცხლე შეგინარჩუნათ, მეორემ აღგაფრთოვანათ და თქვენს ცხოვრებას აზრი მისცა, მესამე კი თქვენი საყვარელი შვილების დედაა. გამოსავალი ერთია, ან კენჭი ყაროთ, ან მუსულმანური სარწმუნოება მიიღოთ.

13427. ამბობენ, ულამაზო ქალი არ არსებობს: უბრალოდ სასმელი ვერ მიიღე იმ რაოდენობით, რომ ქალის სილამაზე, მომხიბვლელობა და მშვენიერება შეამჩნიო.

13428. ნამდვილი კაიფია ის, რომელშიც გონიერება არ ერევა, სადაც ერევა – ეს სიამოვნებაა. პირველი სათუთია და დიდხანს გამახსოვრდება, მეორე მხოლოდ მცირე დროით გვიტოვებს ამ სიამოვნებას, მოგონებას.

13429. არის ბრწყინვალება, რწმენა, რომელსაც ბოლომდე ვერცერთი ქალის პატიოსნება ვერ უძლებს, რადგან მას მამრიც სჭირდება, შეიძლება არც ისე ბრწყინვალე სულიერი, მაგრამ ხორციელი.

13430. ჭკუით დაობლებული და ქცევის ნორმების მონად ქცეული ევროპელები რუსებს ყოველთვის აღიქვამდნენ უშარვლო, კბილებამდე შეიარაღებულ თვითმარქვია მთვრალ მამაკაცად, რომელიც ყველას სიყვარულს ეფიცება და ამასთან სესხად ფულის თხოვასაც არ თაკილობს და იმდენს კი არ ფიქრობს, რომ ამქვეყნად მთავარია იმიჯი და არა შენი "უკიდეგანო" სული.

13431. მართალია, მეგობარი ძველი სჯობს და ტანსაცმელი ახალი, მაგრამ ორივე მისაწვდომი უნდა იყოს. ერთს თანამდებობა არ უნდა უშლიდეს ხელს და მეორეს – უფფულობა.

13432. ტალანტსა და ხვად კატას შორის არავითარი სხვაობა არ არის. ორივე იქ დასეირნობს, სადაც მოეპრიანებათ და იმას აკეთებს, რაც მოესურვებათ.

13433. შიდსის გავრცელება არის თავისებური ვალის გადახდა იმ ხალხებისათვის, რომლებიც უსასყიდლოდ გაეცვნენ სხვა ხალხთა მიღწევებს და ცივილიზაციას.

13434. ერთ მოქალაქეს მეორისთვის „ნაძირალას" დაძახების უფლება სასამართლოს გადაწყვეტილების უფლებით უნდა ჰქონდეს, რათა ამ კატეგორიის ხალხის ოდენობა საერთაშორისო სინდისის კომპიუტერში შეტანით გაბითურდეს და შემცირდეს.

13435. თუ უხიაგად მიღებულ კაცს ან ცხოველს გამოესარჩლეთ, მათი მწვალებელი უმალ მის ახლობლად მოგნათლავთ და თქვენც უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდებთ თავს. მაგალითად ზედმეტად ტვირთაკიდებულ სახედარს თუ გამოესარჩლე, მისი პატრონი იტყვის: "აცე, შე ვირო, ხომ ხედავ, ახლო ბიძაშვილი გამოგიჩნდაო".

13436. ძაღლს და მამაკაცს დაცვის ფუნქცია აკისრიათ, მაგრამ პირველი თუ ყოველთვის დაუფიქრებლად მზად არის თავის მოვალეობა შეასრულოს, მეორე ჯერ დაფიქრებას არჩევს, მიუხედავად იმისა, რომ ძილი და განცხრომა ორივეს ძალიან უყვარს.

13437. თაღლითი, გაიძვერა, ფლიდი კაცი თავისას შემთხვევით არავის გაატანს, თუ იქ სარგებელს არ ხედავს და ამ უნებლიე დაკარგვით სამაგიეროს პოვნას არ აპირებს.

13438. თუ ვინმეს არ ეჩხუბე, კაპრიზი არ გამოავლინე, არ წაიჭორავე და საერთოდ შენთან არაფერი არ ხდება საინტერესო, მაშინ სიცოცხლეს ფასი არა აქვს და შეგიძლია თავი ცოცხლად დამარხულად ჩათვალო.

13439. ყველა გონიერი ადამიანი ზიარებულია ცივილიზაციას, რომელიც თანდათან უნდა ცვლიდეს ადათებს, მენტალიტეტს, მაგრამ ისე, რომ მას გვერდში არ ამოუდგეს მისთვის მიუღებელი ღირებულებები, რომელსაც ყველას გონება წინ ვერ აღუდგება.

13440. ვისაც ღირსეულად უნდა იმქვეყნად გადაბარგება, ის წყნარად, სხვის გაუწვალებლად მომზადებული მიდის, ხოლო იმას ვისაც უნდა თავი წარმოაჩინოს, ხმაურით და სხვისთვის პრობლემების შექმნით მიემგზავრება.

13441. თუ ვინმე გვეზარება, ამით პირველ რიგში თავად ვზარალდებით, რადგან ჩვენგან ჩუმად განკიცხულმა ამის შესახებ არაფერი იცის, ან ზიზღს არაფრად აგდებს.

13442. ყველა ნაძირალა თავისებურად სენტიმენტალურია და ერთი შეხედვით რომანტიული კაცის შთაბეჭდილებასაც კი სტოვებს.

13443. ზოგს მოსწონს იყოს დაკავშირებული დემონთან, რადგან თვითონ არაფრის შემძლეა და ეშმაკთან ახლოს ყოფნით უნდა თავი „გამოიჩინოს".

13444. ზოგი შერეკილი ისე უკუღმართად და ისეთი სიჩქარით დაათარეშებს თავის ავტოს, რომ ხანდახან მფარველი ანგელოზიც კი მანქანიდან გადმოუხტება ხოლმე, ხიფათი რომ არ შეყაროს.

13445. თანამედროვე ისტორიაში მონაწილეობა უნდა მიიღოთ, ოღონდ განჭვრეტის და განსჯის გარეშე.

13446. დღეს ზოგ სულელს ფილოსოფოსს ეძახიან, ზოგ უსაქმურს – დეპუტატს, ზოგი ავანტურისტი მთავრობაშია, ყველაფერი სენსაციას, რეკლამას, სექსს აქვს აღებული და მათ ტელევიზია და პრესა ემსახურება. არავის სჭირდება საღი აზრის გამარჯვება, რადგან მაშინ ხალხი სულელებზე და მედროვეებზე უარს იტყვის, ხოლო ისინი ასე ადვილად ადგილს არ თმობენ.

13447. როდესაც სული მღერის, მუზა გიღიტინებს და გაღიმებული, ან ნასიამოვნები ქალი გვერდს გიმშვენებს – ის ერთადერთი შემთხვევაა, აზროვნება აუცილებელი რომ არ არის.

13448. ზოგიერთ ვაი მორალის დამცველს უფლება რომ მისცე, აპოლონის ქანდაკებას ტრუსებს ჩააცმევს, ხოლო ვენერა მილოსელს – ბიუსტჰალტერს. არას ვამბობ რუბენსის ნახატებზე, რომელსაც შავი საღებავით გადაუვლიდა. რა ვქნათ, ეს მორალისტი ანათემას ჩვენ გადავცეთ თუ ის თვითონ გადაგვცემს, ან საერთოდ ყურადღება არ მივაქციოთ?

13449. "იფიქრეთ" და "გამდიდრდებით" სინონიმებია, მაგრამ ის მუყაითობისა და თავდადების გარეშე შედეგს არ იძლევა.

13450. სიკეთის ფასს მაშინ ვიგებთ, როდესაც სახლში ბოროტება დაისადგურებს. სხვანაირად ჩვენი შეგნება არ მაღლდება და არ ვითარდება.

13451. კოლექციონერის დამსახურება ის არის, რომ ის ეთაყვანება ისტორიის ერთი ნაწილის გაელვების თავისებურ შედეგს და მას შთამომავლობას უნახავს.

13452. დღევანდელობა დამყარებულია წარსულზე, წარსულის გაკვეთილები – დღევანდელობაზე, ხოლო მომავალი – ჩვენი დღევანდელობით სწორად გაკეთებულ წარსულის ანალიზზე.

13453. ნიჭი დაუმუშავებული ალმასია, მონდომება მისი ბრილიანტად გადაქცევის მცდელობა, ხოლო გონიერი სპონსორი – ამ ნიჭის აღიარების გვირგვინი.

13454. როგორ უნდა ვიცხოვროთ, ამის მაგალითები ბევრი გვაქვს, როგორ უნდა მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, ამას წესიერად ვერავინ გვასწავლის. გამოდის, რომ ბოლოს მაინც ჩვენი შესაძლებლობებით და ბედით ვაკეთებთ არჩევანს.

13455. რატომღაც პიროვნებას იმაზე მეტად იმას უფასებენ, რისი გაკეთების სურვილიც ჰქონდა და ვერ მოასწრო და არა უკვე გაკეთებულს.

13456. ციხეს და შემთხვევით მთავრობას ეცადეთ როგორმე შეეგუოთ და თქვენთვის მისჯილი დრო რამენაირად გაათრიოთ.

13457. პური ყველას პირს აღებინებს, ფული ყველაფერს ყიდულობს, სიყვარული ჩაუდენელს ჩაგადენინებს. ასე რომ ყველაფერი თავის დანაშაულით მიდის.

13458. ძაღლს და ინტერნეტს თუ თავის ადგილს არ მიუჩენთ, ყველაფერი ისე აირევა, რომ ძაღლი პატრონს კომპიუტერის დახმარებითაც ვერ იცნობს.

13459. სიკეთე პირველ რიგში ყურადღებაა, შემდგომ – სხვადასხვა სასარგებლო საქმის კეთება.
13460. პატიებაც არსებობს და პასუხისმგებლობაც, ამიტომაც ზოგჯერ შეუძლებელია პატიება–შეწყნარება.
13461. უყაირათო დამოკიდებულება წარსულის მიმართ გარანტიაა იმისა, რომ მომდევნო საქმიანობის ნამოღვაწარსაც ასევე მოექცევიან და ცხოვრების დაისზე სიღარიბეზე წუწუნს შეუდგებიან.
13462. სიკეთის კეთებას ცოდნა უნდა, არას თქმას – გამოცდილება, რათა შენი გულკეთილობის და გულუხვობის გამო სიკეთის კეთებას არ გადაეჩვიო.
13463. გამბედაობა დიდი ნიჭია, მაგრამ მუქთაა, სწავლა დიდი შესაძლებლობაა, მაგრამ ძვირია.
13464. ყველა ცდილობს იმაზე მეტი მიიღოს, რაც ხელეწიფება და იმაზე ნაკლები, რომლის ქონებაც ტვირთად აეკიდება და ვერ იხეირებს.
13465. გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა ყველაზე დიდი უბედურებაა.
13466. ინფორმაციის უქონლობა უფრო საშინელებაა, ვიდრე ფლობდე მას, იმ შემთხვევაში, თუ შენი ცუდისმდომი შენზე უკეთ ცხოვრობს.
13467. რწმენა პროგრესის ძალაა, ნდომა – ეკონომიკის წინსვლა, ხოლო პირიანობა – ყველას და ყველაფრის გარანტია.
13468. სამწუხაროდ, პატრიოტიზმი ზოგჯერ უკანასკნელი საყრდენი ხდება ვიგინდარებისა, რომლებსაც ბრბო სიამოვნებით მფარველობს.
13469. სულელები ყოველთვის პირველნი ამჩნევენ, თუ რა ბევრი „ჭკვიანი სულელი" მომრავლდა გარშემო, რომლებიც მათ ჭკუას არიგებენ, იმის მაგიერ, რომ მათ მარაქაში გაერიონ და სისულელეების ჩადენით თვითონაც ისიამოვნონ.
13470. სამწუხაროდ, ჭეშმარიტების დადგენა ყოველთვის სუფთა ხელებით არ ხდება, მაგრამ უნდა ვესწრაფოთ ხელები სუფთა გვქონდეს.
13471. ინტუიციის, ნიჭის, გამბედაობის, თავხედობის, მიზანსწრაფვის, სინთეზი იძლევა შესაძლებლობას საზოგადოების, ცხოვრების, წინა რიგებში გაინავარდო.
13472. ყველაფერი გლობალური დამღუპველია მსოფლიო ცივილიზაციისათვის, ეროვნული კულტურისათვის და სიყვარულისთვის.
13473. ბევრია ცხოვრების თავიდან დაწყების მსურველი, მაგრამ თავის სამრეკვლოს გადასახედიდან.
13474. წარმატება ის მოვლენაა, რომლის წილში ჩაჯდომის მსურველია ყველა, ვისაც შენთან გაუვლია და შენს ნაცნობად თვლის თავს.
13475. მართალია, კვერცხი ქათამს ვერაფერს ასწავლის, მაგრამ გააჩნია ჰიბრიდი, რომელი მამლის სექსუალური შემოქმედების ნაყოფია და მას ვინ მფარველობს.
13476. სიკეთის ფასი ყველამ იცის, მაგრამ მისი კეთება ყველას ეზარება, თუ რაიმე შემთხვევამ არ აიძულა.
13477. ხანდახან სასწაულისაც უნდა გვჯეროდეს, იმდენად ხშირად გვჭირდება იგი.
13478. დღევანდელ პირობებში დროა მონადირე ფერმერი გახდეს, რადგან ველური ფლორის და ფაუნის შესანარჩუნებლად სხვა გამოსავალი არ რჩება.

13479. საქმის კეთება კი არ არის მთავარი, არამედ მისი წარმოჩენის უნარი.
13480. ამქვეყნად პატიოსნად ყოფნა ყველაზე ძნელია, რადგან მასაც თავის საზღვარი აქვს.
13481. ბოდიშის მოხდაში დიდი მორალური საწყისია ჩადებული და არა – ენის უძვლობის აქსიომა.
13482. უფროსებისთვის ყურის გდება და ანალიზი აუცილებელია, მაგრამ საკუთარი ინტუიციით, სიამოვნებით ცხოვრება და საქმიანობა უფრო კარგია და შედეგიანი.
13483. ყველაფერი უცხო ინტერესს იწვევს, ზოგიერთი ცნობილი კი მონატრებას.
13484. მეგობრობა ნდობის სიმტკიცის ხმირ შემოწმებას ვერ უძლებს.
13485. მომავალი წარსულის გამოცდილებით იმართება, მაგრამ არა უახლოესით, რატომღაც, ძველი და ობმოდებულია მოდაში.
13486. ეკო-სისტემის დაცვის სახელით, ფლორის და ფაუნის რეგულირებაც ეკონომიკაა, პოლიტიკაა და ხელოვნება, რადგან ეს სიმბიოზი სამყაროს გადარჩენისთვის მიტანილი წვლილია.
13487. ნიჭი ბევრია, მისი გამომყენებელი და საქმეში ჩამდებია ცოტა.
13488. სიმდიდრე გადამდები არ არის, ის შურისძიებაა ობიექტურ სისულელეზე.
13489. ჭკვიანს იმიტომ უჭირს სულელთან ბრძოლა, რომ ეს უკანასკნელი რას მოიმოქმედებს, თავადაც არ უწყის.
13490. დრო ყველაფრის შემჭმელია, გამქრობია, დამვიწყებელია, წამრთმევია და შთამაგონებელიცაა.
13491. ჭეშმარიტება აზროვნების და სიყვარულის ნაზავის გარეშე არ არსებობს.
13492. ცივ გონებას შეუძლია ყველაზე მხურვალედ და სამართლიანად საქმის გარჩევა და განსჯა.
13493. ცივილიზაცია ცდილობს ბუნებისადმი მადლიერების გამოხატვას, მაგრამ ფუფუნებისაკენ სწრაფვა ამის უფლებას არ აძლევს.
13494. ყველა სიამოვნება მეორე დღის ყველა უსიამოვნების უკუპროპორციულია.
13495. არის ისეთი დიდი ნაბიჯი, რომლის გადადგმა, რაც უნდა მიუღებელი იყოს შენი ბუნებისათვის, აუცილებელი და საჭიროა, მაგრამ ყოველგვარი საჭიროების გარეშე პატარა, უმნიშვნელო ნაბიჯის გადადგმაც კი პატიებას არ იმსახურებს. იგი ცხოვრების დიალექტიკისათვის შეიძლება მისაღები იყოს, მაგრამ კაცობისთვის მიუღებელია.
13496. ნამდვილი ინტელიგენტი რომ გახდეს, ჩვეულებრივმა მოკვდავმა, სულ ცოტა, სამი თაობა უნდა შეიწიროს. თვითნაბადისთვის სამი წელი საკმარისია, ხოლო ვიგინდარასთვის სამი კვირაც ზედმეტია.
13497. მიყიდვით არავის უნდა მიეყიდო, რადგან შემდეგ შენი თავის გამოსყიდვა რომ დაგჭირდეს, ვერ შესძლებ.
13498. რა უნდა ვუყოთ მშობლებს, რომლებიც ყველაფერში ხელს გვიშლიან და ჭკუას გვარიგებენ, რათა არ ვაკეთოთ ის საქმე, რაც ჩვენ მოგვწონს – არაფერი! გაითვალისწინეთ ცენზორი მშობლების შენიშვნები და განაგრძეთ სიამოვნება.

13499. წინანდელ და დღევანდელ არამზადას შორის ის სხვაობაა, რომ წინანდელი ანონიმურ წერილებს წერდა და ისე უშვებდა ადრესატს ციხეში, ახლანდელი, ქილერს ქირაობს და ისე უშვებს საფლავში.

13500. ჯანმრთელ და თავშეკავებულ კაცს შენს ჭკუაზე ვერ ატარებ. მასზე არც ქათინაური მოქმედებს და არც მლიქვნელობა.

13501. შენი ამბიციების ასპარეზზე გასასვლელად საჭიროა თავშეუკავებელ, მამლაყინწა, პატივმოყვარე კაცს დაუახლოვდე, მაგრამ ბოლომდე არ უნდა გაჰყვე.

13502. ზოგი უცნაური მშობელი იმის ცდაშია, შვილს როგორმე მოუმზადოს მომავალი, რათა მათი სიკვდილის შემდეგ შვილს მიეცეს საშუალება ქონების განი-ავებისა – შვილები ხომ უშრომლად შეძენილ ქონებას არ უფრთხილდებიან.

13503. თუ გინდა ახლობელ ვიგინდარას ეზარებოდე, დაეხმარე მას გაჭირვების ჟამს, თან უთხარი, წილში ზიხარო და საქმე მოსთხოვე. გაჭირვების ორმოდან ამოსულს პრეტენზიები უჩნდება და თავს დამცირებულად გრძნობს, ამიტომ ასეთ ხალხს ჯობს რაიმე აჩუქო, ვიდრე საქმე ასწავლო და სარჩო მოაპოვებინო.

13504. მოზარდის სავალდებულო დაუფინანსებლობა მშობლების მიერ, აღზრდის სახით, აკრძალული ილეთია – წელსქვემოთ დარტყმა, ხოლო იგივე – გამოყენებული დასჯის სახით, სატანკო ძალებით იერიშის დაწყებას და საბოლოოდ "ვინ-ვის" საკითხის გარკვევას ნიშნავს.

13505. ახლობლებს დაეხმარო, კარგია, მაგრამ პირველ რიგში, საქმეს უნდა მიხედო და იმით მეტს დაეხმარები გარშემომყოფთ, თუ გადასახადს ქვეყანას გადაუხდი და ამით მთხოვნელებს წესიერებას და მობილიზებას ასწავლი.

13506. მთავარია ცოდნის გამოყენება და არა დემონსტრაცია და მისი წარმოჩენისკენ ჩალიჩი.

13507. ქალაქში, სადაც ფული გაუფასურებულია და ჩქარა მთავრდება, იძულებულნი არიან ხელი ხალტურას და ბალახტარობას მოჰყონ.

13508. შეშლილი და განადგურებულ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფი თუ ეს შესაძლებელია, არ უნდა ნახო, რადგან ყველაფერს ჩვენი სიამოვნებისთვის ჩავდივართ, მათ შორის, მოწყალებას და სათნოებასაც.

13509. ძნელი ასატანია გარეწრებთან და სულელებთან საქმიანობა, მაგრამ უფრო ძნელია იმის შეგრძნება, რომ შენც მათ ემსგავსები, რადგან სხვანაირად მათთან ურთიერთობა არ შეიძლება.

13510. დიდი პიროვნების გაცნობით რომ ისიამოვნო, არ უნდა დაუახლოვდე და მხოლოდ მის ნაცნობობას დასჯერდე, რადგან ურთიერთობაში გაირკვევა, რომ ისიც ამ ქვეყნის შვილია და მასთან ურთიერთობას ხიბლი და ლაზათი დააკლდება.

13511. შეიძლება თქვენ ვერაფერი ისწავლოთ, რადგან გვიანაა, მაგრამ სხვას ხელი მაინც არ უნდა შეუშალოთ, რომ რაღაც ახალი ისწავლოს, თუნდაც ისეთი, რომ-ლის გამოყენებაც თქვენთვის უცნობიცაა და უსარგებლოც.

13512. ცხოველები მთელ დღეს საკვების ძებნაში რომ არ კარგავდნენ, ვინ იცის, რა დღეში ჩააგდებდნენ ბუნების ყველაზე ავ შვილს – "ჰომო საპიენსს".

13513. ჩვენი ფანტაზია სიკეთის და სისაძაგლის ჩადენის "პერპეტუუმ მობილეა", რომელიც ჩვენი სურვილების მიხედვით არ მუშაობს.

13514. ხანდახან ოცნებასაც უნდა „მოველაპარაკოთ", ძალიან რომ არ გააჭენოს და ხელი არ შეგვიშალოს ცხოვრების სწორად წარმართვაში, რათა შემდგომ სურვილმა და შესაძლებლობამ ერთმანეთზე არ იძალადონ.

13515. ავტორი იმ იდეებისა, რომლებიც დროს უსწრებენ, აღიარების ნაცვლად შეიძლება გაკიცხვის კანდიდატიც გახდეს.

13516. ოცნებები შენთვის უნდა შეინახო, რადგან ადრე თუ გვიან, ისეთი სანუკვარი ოცნებაც აგიხდება, რომელიც მხოლოდ ოცნებად დარჩენისთვის იყო განკუთვნილი.

13517. ცხენით, მანქანით, თვითმფრინავით, რაკეტით – ასეთია კაცობრიობის ჯირითობანას ისტორია, ხოლო, ხვალ რა სახის ჭენების მსხვერპლნი გავხდებით, დღეს ეს ფანტაზიისთვისაც კი უცნობია.

13518. ყველა გაღიმება სიკეთის მომტანი რომ იყოს, მაშინ ამქვეყნად ამდენი თავმოგიჟიანებული არ გვეყოლებოდა. მათი მიზანი ხომ სხვის ხარჯზე ადვილად ცხოვრებაა.

13519. ხელის განძრევა გვაძლევს საშუალებას ვიცოდეთ, რა უნდა ვაკეთოთ და არა – ოცნება და თავზე დიდი წარმოდგენა.

13520. როდესაც საკუთარ სხეულში მოთავსებული სისხლი შენვე გიჯანყდება და ძარღვების გახეთქვას ცდილობს, ნერვები დროზე უნდა მოთოკო, თორემ წნევა წაგაქცევს და შენი ბობოქრობაც ამით დასრულდება.

13521. ძალიან არავისი უნდა გვეშინოდეს, თორემ უფრო ადრე მოგვიწევს ამ ქვეყნიდან წასვლა.

13522. დრო და სივრცე იმდენად არის საინტერესო და გასაგები, რამდენადაც ჩვენს ბუნებას და მენტალიტეტს შეესატყვისება.

13523. ძალად დაღვრილი სისხლი მხოლოდ დაშინებით და სისხლის გამოდენით შეიძლება განიბანოს, რადგან ხშირად მათ სხვა ენა არ ესმით.

13524. სენტენციები პირველ რიგში ფრთიანი სიტყვის, აზრის აღფრთოვანებაა, შემდგომ მისით აღფრთოვანების და სხვის გონებამდე დაყვანის მცდელობის გააზრება.

13525. როდესაც გამართლებისა და წარმატების ლიმიტი ამოგეწურებათ, თავს უნდა შეუძახოთ და იმით დაკმაყოფილდეთ, რაც გაქვთ, რათა ყოფით ილუზიებს აყოლილმა, შეცდომები არ დაუშვათ და ცხოვრება არ გაირთულოთ.

13526. ცხოვრებაში გზის გამოჩენას ურმის გადაბრუნება არ დასჭირდება, თუ შენს კარიერას წინდახედულებას, ცოდნას და მოხერხებულობას წინ წაუმძღვარებ.

13527. ნაკლსაც აქვს თავისი მომხიბვლელობა, მაგრამ გააჩნია ვის ხელში და რა დროში უხდება მოღვაწეობა.

13528. არავინა ვართ დაზღვეული იმისგან, რომ ფეხს არ წავიტეხთ, მაგრამ ამისათვის სათადარიგო ფეხი არ უნდა მოვითხოვოთ, ძველს გავუფრთხილდეთ, ვუმკურნალოთ, გამოცდილება მივიღოთ, რათა მომავალში უადგილო ადგილას ფეხი არ დავაბიჯოთ.

13529. გსურდეს და არაფერს აკეთებდე მის ასასრულებლად, დანაშაულია, როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვის წინაშეც.

13530. ბრიყვ ნაციონალიზმს და ჭკვიან პატრიოტიზმს ერის ინტერესები და ეკონომიკა არ უნდა გადავაყოლოთ, რადგან არავინ იცის მომავალში რას უმზადებს ქვეყანას განგება და ბედი.

13531. თუ გინდა შვილს შენს საფლავზე დასატირებლად ცრემლი ეყოს, ხელით არ უნდა შეეხო და არ ატირო, თორემ ქვეყნად ყველაფერი, მათ შორის ცრემლიც, ლიმიტირებულია.

13532. ქალაქს, სოფელს, რაიონს, იმ სახელოვანი შვილის ყოლა ურჩევნია, რომელიც მის სახელს განადიდებს, საქვეყნოდ ცნობილს გახდის და სახელს შეუცვლის. ვინ იცის, იქნებ ეს მშობლის მიმართ უმადურობად ჩაგვეთვალა.

13533. ყველა მოვლენა რომ გულთან მიიტანო და ამაზე დაფიქრდე, ვერც ერთი გული ვერ გაუძლებს, ამიტომ ჯობს იმაზე იფიქრო, რომ შენი დროის შვილი ხარ და თავის დროზე წაცუნცულდები იმქვეყნად.

13534. აღწერო შენი დროის ქრესტომათია შეულამაზებლად, სამართლიანად, მიუკერძოებლად, იმდროინდელი ხალხის ფსიქოზით, აფექტით, ერთეულთა ხვედრია.

13535. უფლებას, იდგე სცენაზე, ტრიბუნაზე, ოჯახის და სახელმწიფოს სათავეში, დამსახურება, აღზრდის სისტემა და საქმისადმი სიყვარული, სწრაფვა სჭირდება.

13536. გავა კიდევ ნახევარი საუკუნე და თქვენ დაგავიწყდებათ არა მარტო იმ ქალის სახე, ვისთანაც დადიოდით, არამედ ისიც, თუ რისთვის ხვდებოდით მას.

13537. ყველაფერს სიამაყისთვის, თავის წარმოსაჩენად ვაკეთებთ, თორემ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი სიკვდილის შემდეგ რა დაგვრჩება და ვინ რას იტყვის ჩვენზე, მაგრამ პატივმოყვარეობის ჭია ადამიანის მძორშია შემჯდარი, რომელიც იქიდანაც არ გვასვენებს.

13538. ხსოვნაა ის, რომელიც ცხოვრებას გვინახავს, აგრძელებს, აკაიფებს და ტკბილად მოსაგონარს ხდის.

13539. დროზე გამარჯვება ერთეულთა ხვედრი და თავისებური ნარკოტიკია, მისი მოტყუება, მოსყიდვა შეუძლებელია, ხოლო მის მისაღწევად, შენთვის განკუთვნილი მთელი ენერგიის ხარჯვაა საჭირო, მაგრამ შედეგი მიღწეული სიამოვნების მოწონება – არმოწონებისა, გაუგებარია.

13540. მაშინ არის „სერვისი", თუ მომსახურებისთვის ზრდილობის საფასურს არ გადაგახდევინებენ.

13541. ცხოვრებაში მთავარია წარმატებების ახალი გორების დახვავება და არა წარსულის რევერანსები, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან სიბრიყვის მეტს ვერაფერს წარმოაჩენს.

13542. ჩვენი საქმიანობის წმინდა ქუჩა ჩვენი მცდელობის გამზირად უნდა ვაქციოთ და მაშინ გამოჩნდება, რა შეგვიძლია და რის გამკეთებლები ვართ.

13543. თუ შენს ადგილზე არ ზიხარ, რაც უნდა კარგად იყო მოწყობილი, ჩუმი ნევროზი და კბილის „თავზე ამოსვლა" გარანტირებული გაქვს.

13544. თუ თქვენი ნახელავი არ იწვევს თქვენში ემოციებს, უკვე პროფესიონალი ხართ.

13545. როდესაც მიზანს მიაღწევ, მისკენ მისასვლელი გზა არც ისე მძიმე და მიუკარებელი გეჩვენება.

13546. იყო თეთრი ყვავი თავისებური გმირობაა და გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ გააზრებული გაქვს შენი ცხოვრების გზა, კრედო.

13547. ციხეებს უნდა წავართვათ უმაღლესი განათლების ფუნქცია, რომელიც ზოგიერთ მსჯავრდადებულისთვის გადაგვარების აკადემიაა. ეს უნდა მოხდეს მსჯავრდადებულის თანხმობით ალტერნატული დასჯით (გარეზგვა, ჯარიმა, იძულებითი სამუშაო და სხვა) რომელმაც უნდა გამოასწოროს გამოძიების, სასამართლოს ნებით თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომები.

13548. სიკეთე ყოველთვის სიკეთით არ ფასდება, მაგრამ კვლავწარმოებისთვის მისი გაფეტიშება და სიკეთის სიკეთით დაფასების მაგალითებითაა საჭირო.

13549. თეორიული შესაძლებლობის პერსპექტივაზე პრაქტიკა უნდა დაფიქრდეს, გაისარჯოს, რადგან ისინი ყოველთვის ერთმანეთს ვერ ეგუებიან, რადგან ამისთვის დროის მოთხოვნაა საჭირო.

13550. კარიერის საწყისი საფეხურებია: ენთუზიაზმი, საშუალო პრაქტიკული ნიჭი, პროტექციონიზმი და სხვის ლოგინში უსიტყვოდ ჩაგორება.

13551. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომლის მოწყობას ყველა დროის ძლიერნი ამა ქვეყნისა თავის ჭკუაზე ცდილობენ, მაგრამ გარემოებათა და დრო-ჟამის სვლის გამო მუდამ მოუწესრიგებელი რჩებოდა, რადგან დროით გათავხედებულ რომელიმე ზესახელმწიფოს არსებული წესრიგი არ მოსწონდა მანამ, სანამ თავად არ გახდებოდა მოსაწესრიგებელი.

13552. ინციატივა საქმის კეთებაში გვშველის და არა საქმეში გარკვევაში.

13553. სამართალი უნდა იყოს სამართლიანი და არა მკაცრი, მაგრამ მათი შეთანწყვილება ჩვენს გონიერებაში ძნელი გადასაჭრელი და განსასჯელია.

13554. ომს სხვა ისტორია აქვს, ხალხს – სხვა. პირველი ისტორიის საკუთრება, მეორის ბედი არავის აინტერესებს, რადგან ამ საისტორიო საქმის შემქმნელნი მაინც უსახელოდ წამსვლელნი არიან.

13555. უნებლიე სულმდაბლობაც კი ყოველგვარ ვერაგობა-მუხანათობაზე უარესი და დაუნდობელია.

13556. მართალია, ბუნება მკაცრიც, დაუნდობელიც, ლმობიერიც არის, მაგრამ არა ადამიანის მსგავსად, რომელთა უმრავლესობა, დამატებით, გულგრილობითაც არის დავადებული.

13557. მეგობრულ პარტნიორობას თავის ფორმულა აქვს, რომლის ამოუხსნელად დატოვება, ბევრს სიცოცხლის ფასად უჯდება.

13558. ხელობა რომელიც ყველას მოსწონს, თუ სხვამ არ აითვისა, ხელოსნობად გადაიქცევა, რადგან მას ახალი სიოს ქროლვა, ფანტაზია აკლია და მას მობეზრება და წლების ყიამყრალობა გადაეფარება.

13559. გულკეთილობა და ვალის მოხდა ადამიანს სიმშვიდეს და მოსვენებას უბრუნებს, თუ ამას უანგაროდ აკეთებს.

13560. ხანდახან ელემენტარული ჭეშმარიტების თქმა ვიღაცას გმირად აქცევს, მაშინ როდესაც ამის შესახებ ყველამ იცოდა და შინაგანად გრძნობდა, მაგრამ თქმას ვერ ბედავდენ.

13561. რწმენა ტექნიკური პროგრესის გვერდზე სიარულს და გონიერი მმართველის თანდგომას მოითხოვს, რადგან გაჭირვებულ ქვეყანაში სარწმუნოებრივი ფანატიზმი მეტია და ისინი ამქვეყნად ცხოვრებას, იმქვეყნიური წარმოდგენით სამოთხეში ყოფნას ირჩევენ და ამისათვის ზოგიერთი მზადაა აწმყოში უხიაგობა ჩაიდინოს რწმენის საამებლად.

13562. ყველაზე დიდი რეიტინგის შოუს გარემო გვიწყობს თავისი მზის დაბნელებით, მეტეორიტების წვიმით, ვულკანის ამოფრქვევებით და ბუნების სხვა ამგვარი მოვლენებით, რომ არაფერი ვთქვათ ფლორის და ფაუნის მრავალფეროვან საოცრებაზე.

13563. სიბერის სიპტომები მაშინაა კარზე მომდგარი, როდესაც ენა გექავება, საყოველთაო პრობლემებზე ფიქრობ და საქმის კეთება გეზარება.

13564. დიდი ბედნიერებაა, როდესაც იცი ქონებას ვის დაუტოვებ და მას არავინ შეეცილება, ე.ი. შენც შემგინებელი არ გეყოლება.

13565. მორალი, რომელიც ხალხის ტრადიციებზეა აწყობილი, ხშირად განტევების ვაცად გვევლინება, რადგან იგი ყველა საზოგადოებას თავისი აქვს.

13566. ბედნიერება სხეულის გეოგრაფიული გადაადგილება კი არ არის, არამედ შენი განწყობა, მდგომარეობა, ყოფა.

13567. ძალადაუტანებელი წარმატების ფასს შეიგრძნობენ, ხოლო მოპოვებულს შეისისხლხორცებენ.

13568. დაუმსახურებლად კარიერის მოპოვებას იმ საქმიანობის კეთება სჭირდება, რაც სხვას არ შეუძლია, მათ შორის, უკანალის ლოკვაც.

13569. სიბრიყვე წლოვანებით არ განისაზღვრება, ის უბრალოდ წლების შეჯერებით გამოიცნობა.

13570. ნამდვილი, გაუყოფელი, ბედნიერება შეუძლებელია, მაგრამ მისკენ ყველა უნდა ვისწრაფოდეთ. სხვანაირად ჩვენი ადამიანად ჩამოყალიბება გაჭირდება.

13571. დამახინჯებულ სულს თავისუფლება ვერას არგებს, მას საარსებოდ გარკვეულ ჩარჩოში მოხვედრა სჭირდება.

13572. სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფისაგან განსხვავებით, ხალხი თავისი ცხვირის წინ ვერაფერს ამჩნევს, რადგან მათ ნახირის ქცევა და ფეხის აყოლის სიპტომი თანდაყოლილი აქვთ.

13573. სიცოცხლის წლები რომ გავიხანგრძლივოთ, ამისათვის თავს უნდა დავნატროდეთ და დრო მუქთად არ უნდა გავხარჯოთ, ხოლო დროსტარება და გართობა ფეტიშად არ უნდა გავიხადოთ.

13574. ყველა საუკუნე თავისებურად ურევს და ხალხიც მის ფეხისხმას ჰყვება – სხვა რა ჩარაა, სიცოცხლეს ხომ ვერ გააცდენს.

13575. ყველა კმაყოფილი რჩება, როდესაც ბოლოს და ბოლოს ბუნება მშობლებზე დასვენებას გადაწყვეტს და მათ შვილებზე ხელებს დაიკაპიწებს.

13576. სამწუხაროა, როდესაც სიბერის ავტორიტეტს არ ვცნობთ.
13577. შენდამი კეთილი განწყობა, საქმით უნდა დაამტკიცო, თორემ ხალხი და დიათირმები ცვალებადი და ავია.
13578. ცნობილი ადამიანისთვის ყველაფერი რეკლამაა, მათ შორის, დროულად დასაფლავება და დროზე ადრე გამოქვეყნებული ნეკროლოგიც.
13579. „არა"-სთან ცხოვრება უინტერესოა, მაგრამ დიდი ხელოვნება თავის გადამოწმებაა.
13580. დაუჯერებლობით, უნდობლობით ცხოვრებას, სიცოცხლის გადასახედიდან წიხლი არ უნდა უთავაზოთ.
13581. ბუნებით ჩვენ ყველანი კლეპტომანები ვართ, მაგრამ ეს მაინც შინაგანი მუხრუჭების მომლილობის ბრალია, ამიტომაცაა რომ ის მთლად ქურდობად არ ითვლება.
13582. ბიუროკრატია მექრთამეობის სინონიმია, მაგრამ პირველი წესიერებაზე დებს თავს და თუ არაფერს კარგავს, ვერც იძენს, ხოლო მეორე ირყვნება, ბევრსაც იძენს და კარგადაც ფლანგავს, მაგრამ ქვეყნის წინსვლა და მისი ბედი ორთავეს ფეხებზე ჰკიდია.
13583. სიცოცხლის დაისზე ცდილობ გაერკვე, დროის რომელ მონაკვეთში ვერ იცხოვრე გონიერად და რატომ არაფერს აკეთებ დღეს მის გამოსასწორებლად.
13584. უბედურებაა, როდესაც იმას აკეთებ, რაც არ მოგწონს, მაგრამ სიდიადეა ისიც, როდესაც იმას აკეთებ, რაც საჭიროა და თავი ამით მოგაქვს.
13585. ეპატაჟი (გამომწვევი ქცევა) გავლენას ახდენს იმ გონიერებაზე რომელიც თავის ემოციებს გამოხატავს და არა სულზე, რომელიც გონიერების ნაჯაფს ჩუმად შეიცნობს.
13586. ჯეელობა ვნების დაკმაყოფილების ცდაშია, ასაკი – მისგან დელიკატურად თავის დაღწევაში, ისმის კითხვა, როდის შესდგა ადამიანი, როდესაც სხვის საწოლში ხვადობდა და დასაკარგი არაფერი გააჩნდა, თუ როდესაც შთამომავლობის ტვირთი აიკიდა და საკუთარი საწოლის გარეშე ცხოვრება არ სურს.
13587. ყოველივე ახლის წამომწყები მშენებელი, მომავალი თაობის გამოუცდელი, შეცდომებით სავსე, უკომპრომისო ენერგიაა და არა დაღვინებული, ჭკუით აღსავსე, კომპრომისების მომხრე, იშტა-ძალას მოკლებული, წინასწარ ყველაფრის მცოდნე, წარმავალი თაობა.
13588. წინათ უხიაგ პიროვნებას სილას გააწნავდნენ, დუელში გამოიწვევდნენ, სასამართლოში უჩივლებდნენ, დღეს ინტერნეტში თქვენზე ისეთ ჭორს გაავრცელებენ, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ერთად თქვენზე მიყენებულ შეურაცხყოფას ვერ ჩამორეცხავს და ინფორმატორის გამოჭერაც დიდ ძალას და ენერგიას მოითხოვს.
13589. ერთს პატივს სცემენ, მეორე უყვართ, ეს იმით აიხსნება, რომ მეორე თითქოს თავს უყადრებს თაყვანისმცემლებს, პირველი თავშეკავებულია და აქ ზღვარის დადგენა შეუძლებელია, მითუმეტეს, თუ ამას ვერც კერპები გრძნობენ და ვერც თაყვანისმცემლები.

13590. მეგობრები იცინიან, მტრები დაგვცინიან, ზოგსაც ამ ორი სხვადასხვა რამის გარჩევა არ შეუძლია, ამიტომ ჯობს ყველამ ერთდროულად ვიხარხაროთ, რათა სიცილში მაინც შეუძლებელი გახდეს მტრის და მეგობრის გარჩევა.

13591. დამუწულ პირში ბუზი არ შეფრინდება, არც ენის ტარტალს ექნება დიდი გასაქანი, მაგრამ ასე დიდხანს ხომ ვერ ვიარსებებთ, თუ ენას მასლაათის საშუალება არ მივეცით და პირს საკვების მიღების უფლება, მაშინ სხეულიც გაქრება, სულიც გაგვიფრინდება და ჩვენი ამქვეყნად ყოფნაც არავის გაახსენდება.

13592. ზოგისთვის იმიჯის შეცვლა სინდისის შეცვლის ტოლფასია.

13593. მომავალი თაობა გაცილებით მეტს ნახავს და ისწავლის, ვიდრე მისი ყველა წინაპარი, მაგრამ შეიძლება ადამიანური სინჯიც უფრო გაუარესდეს.

13594. ძნელია იმ კაცის გვერდით სიარული, რომელიც ბედის მანქანას, ყოველგვარი წესების გარეშე, თავის ჭკუაზე დააქროლებს.

13595. საზოგადოების მენტალიტეტი, რომელიც არ ფიქრობს გვარის გაგრძელების ინსტიტუტზე, უფხო და ელასტიური ხერხემლის მქონე თევზს მოგვაგონებს, რომელიც გარეგნულად მომხიბვლელია და მისართმევად გემრიელი, მაგრამ ყოველთვის გადაშენების საფრთხის წინაშე დგას თავის დაუცველობით და მიმზიდველობით.

13596. საზოგადოების აზრით, დასმენა, ჩივილი თუ შენს კეთილდღეობას ეხება, სამართლიანია, თუ მეზობელს და სახელმწიფოს – მიუღებელი, მაშინ როდესაც სამართლიანი დასმენა თავხედობის საწინააღმდეგო იმუნიტეტს გამოიმუშავებს, შენი უსაფრთხოებაც გარანტირებულია.

13597. მამრის და მდედრის ურთიერთობა საიდუმლო სერობაა, და მისი სააშკარაოზე გამოტანა, მითუმეტეს გამორჩენის მიზნით, უგვანობაა და არცერთს არ ეპატიება.

13598. არიან ადამიანები, რომლებსაც, მათი აზრით, ათასი შესაძლებლობა აქვთ და არავითარი რეალური შედეგი, მაგრამ თავი მაინც ამაყად უჭირავთ.

13599. ტყუილი სისუსტის გამომზეურებაა, რომლის სახელითაც ბოროტების და სიკეთის ჩადენასაც ცდილობენ. ზოგჯერ ეს ქმედება დროებით გამართლებულია და წარმატებასაც მოგვაპოვებინებს. თუმცა ვინ იცის, ვის მხარეზეა ჭეშმარიტება, განა ყველა დროებით არ ვართ მოვლენილი ამქვეყნად?

13600. ფანტაზიორების, რომანტიკოსების შეცდომებზე და მიღწევებზეა აგებული მომავალი თაობის კეთილდღეობა, მაგრამ მათი იდეების განმხორციელებელი თავისებური ხალხია, რადგან გადამეტებული პრაქტიციზმ-ფულიციზმი ახასიათებს.

13601. ავანტურისტული ბუნების ადამიანების ერთ-ერთი ღირებულება ის არის, რომ უცბად ხდებიან პოპულარულნი და ამქვეყნად დიდხანს არ რჩებიან.

13602. ველურები ემსახურებოდნენ ხის და ქვისგან გამოთლილ კერპებს და ნადირობას, ცივილიზებულნი – მათივე არჩეულ სარწმუნოებას და ფულს, რადგან გონიერების საკეთილდღეოდ დამუხტული აზროვნება და სოლიდარობა მათთვის მიუწვდომელია.

13603. პატრიოტს არ ესაჭიროება ღირსების დაცვა სასამართლოში ჩივილით, ის თავის მოქმედებით, შემართებით, ავტორიტეტით თვითონ გასცემს პასუხს ვიგინდარას და ლაქუცა ძაღლივით არ დაუცდის მოსამართლის ბუნდოვან გადაწყვეტილებას, რათა საზოგადოებას ყეფით აუწყოს თავისი ღირსების დაბრუნება.

13604. ის, ვინც ვიგინდარას ებრძვის, ყოველთვის ნაკლებს ყვირის, ხოლო ვიგინდარა ყველგან გაჰყვირის თავის სიმართლეს და თავი ანგელოზად მოაქვს.

13605. მანქანების ხშირი ავარიების დროს დამზღვევი კომპანიები კოტრდებიან, ხოლო ავტოშემკეთებლები მდიდრდებიან. ამ სანახაობის ყურება იმტომაც ღირს, რომ დაადგინო ინტერესების რომელ მხარეს დგას თქვენი ბიზნესი, ან ვის ქომაგობთ უსაქმურობის გამო.

13606. ბუნება მბრძანებელია, ის მუქთად არაფერს გვაძლევს, ყველაფერს უკლებლივ კრედიტით გვაბრუნებინებს, რომ ახალი გასცეს.

13607. არის ქმედება, რომლის ჩადენასაც სხვის დასანახად ცუდად მოიხსენიებენ, მაგრამ გულის სიღრმეში ამ დანაშაულს შემწყნარებლურად უყურებენ და ეთაყვანებიან. მაგალითად: თავის დროზე სხვა ერის მიმართ ჩადენილმა გენოციდმა, დღეს ამ მიწაზე მცხოვრებ სხვა ერის შვილებს ლაღი ცხოვრების საშუალება მისცა.

13608. ნადირობის სახეებია: წყნარი – სოკოს შეგროვება-მოპოვება, ფოტო– სურათის გადაღება-მოპოვება, მეუღლე–შვილების ყოლა-მოპოვება, კორუფცია – ფულის შოვნა-მოპოვება, ფილატელისტი – კოლექციის შექმნა-მოპოვება და ასე შემდეგ. ამრიგად, ჩვენი ცხოვრების უპირველესი აზრი, მოპოვება ყოფილა და ვინც ამას უკეთ ახერხებს, ის იმსახურებს დროის მონადირის ტიტულს.

13609. არცერთ რევოლუციას, სახელმწიფო გადატრიალებას, აღმსრულებელთათვის შვება არ მოუტანია და ეს მათთვისაც ცნობილია, მაგრამ სახელმწიფო ჭაობში ცხოვრებაც მოსაბეზრებელია, რაც მასებს სასოწარკვეთილებისკენ უბიძგებს.

13610. მოულოდნელი წარმატების პერსპექტივით, არტისტული ბუნებით არის დამუხტული მზვერავის, აგენტის პროფესია და ამ საქმეში გარკვეულთ იმხელა კაიფს ანიჭებთ, რომ უმეტესობა თანახმაა გასამრჯელოს გარეშეც იმუშაოს; რადგან ეს მათი სულის გამოძახილია, ავადმყოფობაა (თუნდაც ირლანდიელი გრაფი, სუკის აგენტი, რომლის ქონება დღევანდელ საქართველოს ბიუჯეტს რამდენიმეჯერ გადაამეტებდა).

13611. დღეს ყველა ილუზიონისტობითაა გატაცებული. მსახიობი ფონოგრამით გვაბდლებს, კორესპოდენტს უნდა ბუზი სპილოდ მოგვაჩვენოს, პოლიტიკის ვირთხა ლომად მოგვევლინება, ხოლო ამ სპექტაკლის მაყურებელ ხალხის გაოცებას და აღფრთოვანებას საზღვარი არა აქვს, მითუმეტეს, თუ ამ ცხოვრებისეული წარმოდგენის ყურებაში ბილეთის ფულს არ ახდევინებენ.

13612. 2000 წლის წინათ რომში საშუალო ასაკი 22 წელს შეადგენდა, მე-19 საუკუნის დასაწყისში 30-ს გადააბიჯა, ხოლო 2000 წლის ბოლოს განვითარებულ ქვეყნებში 70-ს მიუახლოვდა, ამიტომ გეროპროტექტორია (სიცოცხლის დაჭერა, შეჩე-

რება) არა მარტო სიხარული, არამედ შეიძლება სასჯელიც იყოს მომავალი თაობებისათვის.

13613. ხასიათის გამოვლენა ხანდახან შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

13614. სიამაყე აუცილებელია, მაგრამ ზომიერების, ურთიერთგაგების და პატივისცემის ფარგლებში.

13615. საკუთარი თავის გონიერი პატივისცემა შენდამი მოპყრობის, განწყობის და დაფასების პირდაპირპროპორციულია.

13616. ხანდახან ერთი ტკბილი სიტყვისთვის რამდენს ვნებთ საკუთარ თავს და რამდენ დაუფასებელ სიკეთეს უკეთებთ სხვას.

13617. ჩვენ ყველანი ცოტათი თუ ბევრად ცრუმორწმუნეები ვართ, ამასთან გვხიბლავს რაღაც რიტუალის ჩატარება და დაცვა, ჩვენი ცრუმორწმუნე ნერვების დასამშვიდებლად.

13618. მასკულტურისათვის მთავარია მომავალი ვარსკვლავის მაყურებლისთვის გაცნობაა, შემდგომ ნიჭის გამოჭედვა და სცენაზე დიდხანს შემორჩენის სურვილი.

13619. სიცილი ზოგჯერ ცხიმგაცლილი ბედნიერებაა ზოგიერთისთვის.

13620. ტაქტიანობა ნიჭიც არის და ბუნებრივი მოთხოვნაც.

13621. არის ორგანიზაციულ ნიჭს და მმართველობის უნარს მოკლებული ხალხი, მაგრამ მათ ის უპირატესობა აქვთ, რომ იციან ენაზე კბილის დაჭერა, უფროსებისთვის დროულად კუდის ქნევა და თავის ადგილი იარარქიაში, რაც მათს პატრონებს საშუალებას აძლევს უპირატესობა მათ მიანიჭონ, რადგან სახელმწიფო მოხელისთვის მთავარია პირადი კეთილდღეობა და არა – ქვეყნისა, რაზეც უგუნური ბრბო უკიჟინებს.

13622. უბედური ხარ, როდესაც არ ეკუთვნი შენი გულის რჩეულს, მაგრამ შეიძლება ეს მომავლის ბედნიერებაც არის, რადგან დაწუნებულნი სიყვარულს ძალზე დიდ მოთხოვნილებებსა და პრეტენზიებს უყენებენ, რომელსაც ხშირად ის ვერ უძლებს და შედეგად უფრო მეტად გაწბილებული ხდები.

13623. ქვეყნიდან წასული მაღალთა ნაშიერნი თავს "უბედურად" გრძნობენ მშობლების კარიერის გამო და ინტერვიუს მიცემის დროს მისტირიან მოუწყობელ ცხოვრებას, სიყვარულს, ხოლო თავის უნიათობას და თავხედობას ფსონში არ ჩადიან, არც იმას, რომ მშობლებზე დაწერილი პასაჟებით ირჩენენ თავს და მათი სახელით სპეკულანტობენ.

13624. კაცს თავისუფალი პატივმოყვარეობა არ უნდა შეურყვნა, მაგრამ არც ღირსებადაკარგული ვიგინდარას პატივმოყვარეობაა ხელწამოსაკრავი, თუ გინდათ მშვიდად იცხოვროთ.

13625. საკუთარი თავის შეცნობა და შემდგომ არგაამაყება მხოლოდ გონიერ კაცს შეუძლია, რომელიც თავის თავში სხვისთვის შეუმჩნეველი ბევრი ნაკლის ავტორიცაა და თანაავტორიც.

13626. ჯარისკაცებს ყველაზე მეტად აღაფრთოვანებს უხიაგი გენერლის პირადი მაგალითი ბრძოლის წინა ხაზზე და მზად არის დაივიწყოს ყველა მისი უგვანობა.

13627. ფუტკარი იმიტომ კი არ ჯდება ვარდის კოკორზე, რომ დამტვეროს, არამედ იმიტომ, რომ ნექტარი ამოიღოს, ასევეა წყვილიც, ისინი იმიტომ კი არ ერთდებიან, რომ გამრავლდნენ, არამედ იმიტომ, რომ პირველ რიგში კუთვნილი სიამე მიიღონ.

13628. გონიერების „სპირალის" საოცრება ის არის, რომ თუ წინათ ძალით დამონებული ხალხით ვაჭრობდნენ, დღეს მონებად გახდომის სურვილს (ნარკოტიკი, პროსტიტუცია, მლიქვნელობა) თავად გამოხატავენ და თავად ცდილობენ ფულის შოვნას, ასე რომ, მონებად იბადებიან და ისე შემოგვეპარებიან, რომ ვერც ვამჩნევთ და ვერც ვგრძნობთ.

13629. პატიება, შენდობა, ძლიერის უფლებამოსილებაა, მაგრამ როგორ მიიღებს სუსტი ამ წყალობას, დამოკიდებულია იმაზე, თუ მისი სული და სხეული რა ღირსების პატრონია.

13630. ყველა დრო თავის გმირს მოითხოვს, სჭირდება საზოგადოების განვითარების დონეს, თუ არა.

13631. როდესაც ძვირფას ქვას ხელზე გაიკეთებთ, მაშინვე იგრძნობთ, რომ ბუნების ყველა სიმდიდრე მასშია მოთავსებული. იგი გათბობთ, გსიამოვნებთ, ხედავთ კიდეც, მაგრამ მის სიდიადეში ვერ ერკვევით.

13632. არის ბევრი ისეთი ცნობილი სიამოვნება, რომელსაც ადამიანი არც დაესწრება და არც ფულს გადაიხდის, ხოლო მისთვის უცნობი, გაუგებარი სიამოვნებისთვის ჯიბეს მოიჩხრეკს. მაგალითად, ტელევიზიაში სიამოვნებით უყურებს მულტფილმებს, ცხოველთა სამყაროს, ხალხურ სიმღერებს და ასე შემდეგ, ხოლო ასეთივე სიამოვნებისათვის სადაც ფული უნდა გადაიხადოს და დრო უნდა დაკარგოს, იმ პრემიერაზე არ წავა.

13633. თუ თეორიულად ტალანტი შემოქმედებით არ იწვის, არ არის საჭირო მასზე ძალადობა, თუმცა პრაქტიკულად ძალდატანება საჭიროა, რათა თავის დროზე მუზა მოუვიდეს და თავისი ნიჭის შესაფერისი რამ შექმნას.

13634. ლოთია ის, ვინც თავს ვერ თოკავს და სხვადასხვა სასმელის ქიმიურ ფორმულად გადაქცევას ლამობს, სადაც მხოლოდ ერთი რეაქცია მიმდინარეობს, რომელსაც გალოთება ჰქვია.

13635. მცირეთი დაკმაყოფილება ასკეტიზმს არ ნიშნავს, უბრალოდ გამოვლინებაა ხასიათის სიდიადის, უპრეტენზიობის და ფეხებზემკიდიობისაც კი.

13636. ოცნებაში ჩარჩენილი წარსულის სიმდიდრის ძებნა და მისი სულის მცირე ნაწილის გახსენება, სიბერეში ჩვენი შეუცვლელი სიმდიდრე ხდება.

13637. ჭეშმარიტება ძალზე მარტივია, მას ამბიციურობა კრიჭაში უდგას და ყოველივეს ართულებს, რათა წყალი აამღვრიოს და განუკითხაობით ისარგებლოს.

13638. პიროვნება ხარ იმ შემთხვევაში, თუ არავინ გჭირდება, მოქალაქე, – თუ ვინმეს სჭირდები, ხალხი – თუ ვიღაც გჭირდება და ვიღაცას სჭირდები, ხოლო ბრბო, როდესაც არც არავის სჭირდები და არც არავის უნდიხარ, მაგრამ მისი ტალღების რხევას მაინც თვალს ადევნებენ, რათა რხევა ღელვაში არ გადაიზარდოს და ყოველივე არ წალეკოს რაც გვწამდ ძველად.

წუთისოფელი

13639. ამ წუთისოფლად სიღარიბეში ძნელია ცხოვრება, მუდამ არც სიმდიდრეში არის ადვილი, რადგან ყველგან შენი კლასის მოთხოვნების შესაბამისად უნდა იცხოვრო. ალბათ, ყველას, ცხოვრების საშუალო დონე სჯობს, მაგრამ უინტერესოა, რადგან სიძნელეების გადალახვა არ გიხდება, ე.ი. არსებობ.

13640. ამ წუთისოფლად შენთვის საინტერესო საქმე რომ აკეთო, ამას ნიჭი, თავისუფალი დრო და სახსრები სჭირდება. მართალია, ნიჭის გარეშე ვერ შექმნი შენს მოწოდებულ საქმეს, მაგრამ მონდომების გარეშე ნიჭით მონაპოვარი წყალში ჩაგეყრება, ესე იგი მონდომებაა მთავარი, მონდომება და არა ნიჭი, როგორც ეს ყველა ზარმაცს ჰგონია.

13641. ნერვების დასამშვიდებლად ზოგიერთი მის მიერ გაფეტიშებული დიდი პიროვნების საფლავის მოსანახულებლად მიდის და დეპრესიას ამით იხსნის, ეს თუ ქვევით არის, მე ხომ ზევით ვიმყოფებიო და ყველაფერი წინა მაქვსო. თვით-შეძახება სტრესის მოხსნის უებარი საშუალებაა ამ წუთისოფლად.

13642. ეგოიზმი ადამიანის თვითგადარჩენის საშუალებაა, სიძუნწე კი მომჭირნეობის მაჩვენებელია. მაბეზღარა – წესრიგისკენ მისწრაფებაა. ჩამშვები – ადამიანის სიფხიზლეა. ასე რომ, გააჩნია, რას როგორი კუთხით შეხედავთ ამ წუთისოფლიდან.

13643. კორიდაზე ხარი იბრძვის და ბრძოლაში იღუპება, ხოლო სასაკლაოზე ხარს კლავენ. ბრძოლაში დაღუპული ხარის ხორცი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე სასაკლაოზე დაკლულის. ესეც ამ წუთისოფლის თავისებური ცინიზმია.

13644. დედა გიყვარს თუ მამა? - არც შენ არ მიყვარხარ, - ამბობს ამ კითხვით თავმობეზრებული ბავშვი. ასეთი კითხვებით და საქმიანობით ბევრი სახელმწიფო მოღვაწე სამშობლოს სამსახურზეც უარს გათქმევინებს, თუ მას წამდაუწუმ პატრიოტობისკენ მოუწოდებენ და ამ წუთისოფლად ცხოვრებას აყვედრიან.

13645. პროლეტარიატის ბელადს ჯერ ღმერთად მოუნდომეს გადაქცევა და მავ-ზოლეუმში შეიყვანეს, შემდეგ მის ძეგლებს ხელი გაუშვერინეს ბედნიერი მომავლის გზის საჩვენებლად, შემდეგ ერთ ხელში ქუდი დააჭერინეს, ბედნიერ მომავალში უქუდო შესვლა უხერხულიაო, ბოლოს ქუდის მაგივრად ქაღალდები შეაპარეს ხალხის მტრების სიით და როდესაც ამდენმა მცდელობამაც არ უშველა და მომავლის გზა ვერ გაირკვა, კვარცხლბეკიდან გადმოაბრძანეს, ღმერთობის სტატუსი ჩამოართვეს და დაემუქრნენ, თუ ბედნიერი მომავლისკენ გზას არ გვიჩვენებ, მავზოლეუმიდანაც გამოგაბრძანებთო. რა ქნას საწყალმა, სიცოცხლის ბოლოს არავინ არაფერს ეკითხებოდა და სიკვდილის შემდეგ მოუნდომეს ყველა საკითხზე პასუხი გააცემინება. რას ვიზამთ, ლენინსაც უწია წუთისოფლის სიმუხთლემ.

13646. ჩვენდაუნებურად ვირჩევთ ამ წუთისოფელს, ვცდილობთ შევიცნოთ სად არის ჩადებული ჩვენი ბედი, ინტუიცია, ინტელექტი.

13647. ქურდი დამნაშავეა თავისი ახლობლების და ძალად ნაცნობების წინაშე, ხოლო ბაცაცი მთავრობა ხალხის წინაშე, რადგან ის თავისი შეუმჩნეველი დანაშაულებრივი ბიუროკრატიზმით, მექრთამეობით, გულგრილობით რყვნის ამ წუთისოფელს და სახელმწიფოს გონიერებას აცლის.

13648. თანასწორუფლებიანობა და სამართლიანობა თითქოს სინონიმებია, მაგრამ ურთიერთობაში უდიდეს წინააღმდეგობებს აწყდებიან, რადგან სამართლიანად არ გვეჩვენება, როდესაც ჭკვიანი კაცი ცუდად ცხოვრობს და ფაქტობრივად იმ გზას ირჩევს, რაც მისთვის სარფიანია. თუ ერთი ფულს იხვეჭს, მეორე იმ საქმეს უნდა ემსახურებოდეს, რაც მოსწონს, მაშინ რის საფუძველზე ვითხოვთ თანასწორობას და მით უმეტეს სამართლიანობას ამ წუთისოფელს?

13649. პარტნიორი, რომელიც შენ პატივს არ გცემს, შენგან ნედლეულს მოითხოვს და არა მზა პროდუქციას, აქ ორი გამოსავალია: ან პარტნიორი უნდა გამოიცვალო, ან ტექნოლოგია უნდა გააუმჯობესო და არ დაიბოღმო, შეიძლება გამოძებნო მესამე გზა: არც შენ ისარგებლო და არც სხვა ასარგებლო და ამ წუთისოფელს ავ ძაღლად მოევლინო.

13650. დემაგოგიაა თუ ჭეშმარიტება: სირცხვილია, როცა ვინმეს ემონები, მაგრამ თუ ეს სიყვარულია? ვინმეს თუ ემლიქვნელები, მაგრამ თუ ეს კარიერისკენ გიხსნის გზას? ქრთამს რომ იღებ, მაგრამ თუ ეს ცოლშვილს სჭირდება? ცოლს ღალატობ ახალგაზრდა გოგონასთან, მაგრამ ის თუ ახალგაზრდობას გიბრუნებს?... ეს და სხვა მრავალი ფილოსოფიის საკითხია და მის ამოხსნას მაინცდამაინც ამ წუთისოფელს ნუ დავივალებთ.

13651. პუშკინსა და მის მეუღლეს, ნატალიას, ალბათ კონიუქტურული სიყვარული აკავშირებდათ, თორემ რა ბუნების კანონით შეიძლება აიხსნას ასაკსრული, მაიმუნისგან ადამიანის წარმოშობის დამადასტურებელი პოეტის და გარეგნობით უნაკლო და გონებაგახსნილი ნატალიას სიყვარული, თუ ქალის წინაშე იმ წუთისოფლის რეკლამირებულ გენიას არ წარადგენდნენ.

13652. კაცობრიობის ისტორია დაუსრულებელი ომით იწყება და მთავრდება. თუ მომავალ განვითარებულ სამყაროში ეს ომი სიტყვიერ და დიპლომატურ შეხლა-შემოხლაში გადაიზრდება, ეს კაცობრიობას კიდევ დაუტოვებს ამ წუთისოფლად ყოფნის უფლებას.

13653. ახალი საქმის წამოწყება, იგივე გაჭირვებაა, ბედთან თამაშია, ამ წუთისოფელში გასატანი ლელოა, თავმოყვარეობასთან ჭიდილია და როდესაც ასეთ ექსტრემალურ პირობებში პარტნიორები ერთმანეთს ღალატობენ, ზარმაცობენ, ერთმანეთს ატყუებენ და ეჯიბრებიან, ბიზნესისა და მეგობრობის კრახი სახეზეა.

13654. მამაკაცების ერთი კატეგორია ცოლის დაკარგვას ძალიან განიცდის, უცოლოები კი პრაქტიკულად ამას ვერ ახერხებენ და ეს მოუხერხებლობაც ამ წუთისოფლის განსჯის საგანად იქცეს.

13655. გერმანულ ქალაქ ლუბრივში გამოხატულია ფრესკები, სადაც მამაკაცი ვეფხვს ყბებს ახევს, ხოლო ქალი იგივე დღეს აყრის მამაკაცს. დასკვნა: მიუხედავად ერისა

და სარწმუნოებისა, ამ წუთისოფელში ქალები კაცებს ჭკუას მაინც მისებურად გვასწავლიან.

13656. სამწუხაროა, როდესაც შენი ბუნება "არას" თქმის საშუალებას არ გაძლევს, რაც ბევრჯერ უხერხულ მდგომარეობას გიქმნის, მაგრამ არც უარის მთქმელი მოხელეები არიან ამ წუთისოფლად სიყვარულის ცენტრში.

13657. წუთისოფლგაუვლელი ძაღლი და პატიოსანი მოხელე არც თვითონ სუსნავს და არც სხვას წყალობს, ისინი მეტისმეტი პატიოსნებისთვის არ უყვართ, განსაკუთრებით მას, ვინც მათი იმედით თავის ოცნების კაპიტალის შექმნისას ძალზე იზარალა.

13658. კოლექციონერები და ბანკირები, ამ წუთისოფლის ნუმიზმატები არიან, პირველი თავის ხიშს ისწორებს და შედევრებს გვიტოვებს, მეორე ამ სიმდიდრის შესაძენ ფულის კრედიტს იძლევა, მაგრამ ბრბოს მაინც ამ უკანასკნელთან ურჩევნია თანამშრომლობა, რომლისგანაც ხეირის მიღებას არც ექსპერტი, არც შემკვეთი, არც გამტანი და არც მყიდველის ძებნა არ სჭირდება.

13659. ერთმა თავხედმა მათხოვრის მოგროვილი ფული ქუდიდან ჯიბეში ჩაიყარა და უთხრა: სად მაქვს ძამა, ამდენი დრო, შენ კონკურენცია გაგიწიო, შენ კიდევ მშოვნელი ხარ ამ ფულისო და ქუდი უკან დაუბრუნა. აქ ვერ ვიტყვით ამ წუთისოფლის "სამართალმა პური ჭამაო", რადგან აშკარად რეკეტთან გვაქვს საქმე.

13660. ქრთამის მიცემა არ გსიამოვნებს იმ კაცისთვის, რომელსაც წესიერი ქვეყანა ორ ბატს არ ანდობდა, მაგრამ ამის კომპენსაციას, სახელმწიფო "მოსა-მსახურის" გამათხოვრებული თვალების დანახვა იძლევა და იძულებითი გონიერება, რათა შენი უდრტვინველი ცხოვრებისთვის, ამ მათხოვარი წუთისოფლის წარმომადგენელს მის მიერ დაწესებული ხარჯი გადაუგდო.

13661. ბევრს საზოგადოების მორალთან შეჯერებული თავის სამყარო მოსწონს, რადგან ამ წუთისოფელში რეალური ყოფნით გამოწვეული სიამოვნება მისთვის მიუწვდომელია და არც აინტერესებს.

13662. მოვალეობას, პასუხისმგებლობასა და მორალს შორის ურთიერთობა შესაძლებელია. პირველი მოვალედ გხდის ქვეყნის, მშობლების, ოჯახის წინაშე, მეორე ცდილობს პასუხი გაგებინოს უფროსის, საზოგადოების, მეგობრების და ახლობლების წინაშე, ხოლო მესამე, ამ წუთისოფლის ორ წინა ცნებას შორის კომპრომისის ძიებაშია.

13663. ზოგიერთისთვის უზრდელობა თავის წარმოჩენის საშუალებაა, თავხედობა, დემოკრატიის ნორმების ცოდნა, ხულიგნობა, საზოგადოებაში თავის დამკვიდრების მცდელობა, ცინიზმი, გონიერების ექვივალენტის გამოხატვა, ამიტომ ამ წუთისოფელში ან ჩვენ გვაქვს კეთილხმოვნების გაგების უნარი დაკარგული, ან ისინი არიან დაყრუებულები.

13664. პროფესიას და თანამდებობას პრესტიჟულს ხდის ანაზღაურება და მისგან გამომდინარე კეთილდღეობა, ხოლო რაც შეეხება სპეციალობისადმი ფანატიზმს, ეს ერთეულთა ხვედრია, რომლებიც ცდილობენ, ამ უკუღმართ წუთისოფელში, ეს უკანასკნელი მომავალ თაობას შემოუნახონ.

13665. რაღაც რომ იცოდე, ვიღაცამ უნდა გასწავლოს, რომ გასწავლოს, სურვილი უნდა გქონდეს, სურვილი რომ გქონდეს, რაღაც უნდა გახალისებდეს, რომ გახალისდე, ქალიშვილს უნდა ეტრფოდე, ტრფიალი რომ გაგრძელდეს, ოჯახი უნდა შექმნა, ოჯახი რომ შექმნა, ცოლ-შვილით უნდა გაამაგრო, ცოლ-შვილით რომ ტკბებოდე, შენახვის თავიც უნდა გქონდეს, შენახვის თავი რომ გქონდეს, ცოდნის გამოყენების უნარი უნდა შეგწევდეს. ასე და ამგვარად, გაილევა შენი წუთისოფელი და დამსახურებული დასვენებისკენ აგიკრავენ გუდა-ნაბადს.

13666. ფეტიშიზმი არის ვიღაცის მიმართ ნებაყოფლობით გადამეტებული გონიერების დაკარგვა, მონურად თავის მოდრეკა და ბრმა სიმპატიებით ამ წუთისოფლის მოჭარბებული ენერგიის გამოხატვა.

13667. მეცნიერს აღიარებენ, ხოლო მსახიობს, სპორტსმენს, პოლიტიკოსს და სხვას აფეტიშებენ. პირველი აკადემიური მოვლენაა და მუდმივია, ხოლო მეორე ემოციებზე დანერგილი და დროებითი გალაღებაა ამ წუთისოფლის.

13668. ტალანტს და მათ შორის, კრიმინალურსაც, თავის "შტამპი" ახასიათებს და სპეციალისტების აღფრთოვანებას იწვევს. თუმცა ტალანტი თავის ხელწერის გამო მის მფლობელს ციხისკენ მიაცუნცულებს. ასე რომ, ყველა ტალანტი, მათ შორის მოყირჭებული, ბოლოს ამ წუთისოფლის მოსათოკი ხდება.

13669. ამ წუთისოფელში ხალხია თოჯინა, ტელევიზორში – მთავრობა, ამ სანახაობით ხალხიც კმაყოფილია და ხელისუფლებაც. პირველი გულს იჯერებს მთავრობის დაცინვით, ხოლო მეორე თავისი საქმის ჩუმი კეთების ნებართვით, რომელსაც ბრბო გართობის საფასურად აძლევს.

13670. არის თავისუფლება, რომელიც ისე მოგაბეზრებს თავს ვიგინდარა ძალაუფლების მქონეთა ხელში, რომ მისგან აღარაფერი გინდა, რადგან რწმენა და მომავლის იმედი სათუო ხდება, ასეთ პირობებში ისღა დაგრჩენია, შენი უნიათობა სხვას გადააბრალო და ეს წუთისოფელი მშვიდად განვლო.

13671. ცრუმოწმე და მატყუარა ერთი და იგივე კატეგორიას მიეკუთვნება, მათ შესანიშნავად იციან, რაზე მიდიან და რას აკეთებენ, მაგრამ წუთისოფლის გამოცდილება არ ჰყოფნით, რომ დაფიქრდნენ, თუ რა შედეგი მოჰყვება მათ "გულწრფელობას" და ვერაგობას.

13672. ჩვენს ხალხს ვერტიკალის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია: ღმერთი თავზე გვადგას, ძალაუფლება თავზე გვაზის, ერის ისტორია – ზემოდან გვაწვება, მიუხედავად ამისა არაფერი სასიკეთო ამ წუთისოფლად არ გამოგვდის.

13673. ერთსა და იმავე ფოცხზე რამდენჯერმე ფეხის დაბიჯებამ თავზე კოპები მოგვიმრავლა და მოდად გადაიქცა, მიუხედავად მისი ძველმოდურობისა, შეცვლას სხვა ახლით კინჩხის მოსატეხად, მაინც და მაინც არ ვცდილობთ და ესეც დიდი შეღავათია ჩვენი უგუნურებისთვის ამ წუთისოფლად.

13674. არტისტიზმი ყველა ჩვენგანში ბუდობს, ნიჭი კი ერთეულთა ხვედრია, რომელსაც გმირის ქურქის ლამაზი და დახვეწილი მანერებით მორგება ეხერხება, ბოლოს ეს სიამოვნება დროებით გვღლის და ამ წუთისოფელს ჩვეულებრივი მოკვდავის სტატუსს ვუბრუნდებით.

13675. „ წუთისოფელს არ ირჩევენ, მასში იბადებიან, ცხოვრობენ, კვდებიან", მაგრამ ვინც ამ დროს ვერ ეჩვევა, მხოლოდ მისგან ვიღებთ ოდიოზურ ფიგურებს, როგორც კარგის, ასევე ცუდის სახით.

13676. ფილოსოფოსია ის, ვინც წუთისოფლის გათავხედებას არ ეპუება, დროს უსწრებს, მომავალზე ოცნებობს, ფანტაზიორობს, ძველს არ ივიწყებს, სიახლის ანალიზს არ ზარდება და მის შედეგებს ხელაწეული არ ბარდება.

13677. ფილოსოფოსს ყოველთვის ჰგონია, რომ ცოტა იცის და ის ამით ბედნიერია, რადგან მას სულის საწვრთნელი, გონების სავარჯიშო, ბევრი რამ ელის ამ წუთისოფლად.

13678. მართალია, სისულელეა ლომზე ნადირობა, როდესაც ირგვლივ ამდენი ცხვარი დაეხეტება, მაგრამ პირველის მონადირება სახელია, სიამაყეა, მეორე კი ამ წუთისოფლის ყოველდღიურობა და მუცლის ამოყორვაა.

13679. სათადარიგო ტვინის ქონა ამ წუთისოფლად სათადარიგო პარაშუტივით აუცილებელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცოლი სხვა ქალთან წაგასწრებს, შენ კი ნირშეუცვლელად სახეში უყურებ და აცხადებ, რომ ეს სამსახურებრივი აუცილებლობით იყო გამოწვეული.

13680. შესაძლებლობას წუთისოფლის ხუშტური და გარემო განსაზღვრავს და არა ნიჭი, რომელიც ყველა დროში მზად არის თავი წარმოაჩინოს.

13681. სათადარიგო ტვინი პირდაპირპროპორციულია სათადარიგო გონიერების, რომელიც ამ წუთისოფლად ყველას აქვს, ოღონდ თავის გადასახედიდან.

13682. საამო და ახალი ცხოვრება ამ წუთისოფელში ბევრს გადარევს, შეაყვარებს და უკან დასახევ გზას მოუჭრის მანამ, სანამდის ტრადიციების მიმზიდველობის რაობას თავიდან არ აღიქვამს და არ განსჯის.

13683. ზოგისთვის ჯეელობაში დროსტარება რესტორანია, ზოგისთვის ხეტიალი, ზოგი ქალთან ყოფნას არჩევს, რადგან დანარჩენის ასარჩევად დრო და ასაკი იმ წუთისოფლამდე ყველას ეყოფა.

13684. რეკლამა ძირითადად მასების გასულელებაზე არის აგებული, რადგან ხალხის უმეტეს ნაწილს ამ წუთისოფელში აზროვნება ეზარება და მრავალმხრივ ცოდნის მიღებას გაურბის.

13685. წუთისოფელი ყოველთვის ცინიკოსი და გამყიდველი იყო, მაგრამ იმ დროის მყიდველის როლში ხომ ჩვენ გამოვდივართ, რომელშიც ცხოვრება გვიწევს.

13686. სიმართლის თქმა დიდი ფუფუნება და სულის მალამოა, რომელსაც ხანდახან სიცოცხლეც ეწირება, რადგან ამ სიმდიდრის მიღების უფლება ამ წუთისოფლად ყველას არა აქვს, ის თანდაყოლილია.

13687. დღეების სწრაფი სვლა პირდაპირპროპორციულია წლებთან და ჩვენს საქმიანობასთან. წუთისოფლის ასაკი რაც უფრო ახალგაზრდაა და დაკავებულია, დრო მით უფრო ნელა მიიზლაზნება, ხოლო სიჭარმაგისა და ნაკლებდატვირთვის დროს – ჩქარა. ამის მაგალითი ჩვენი მშობლების გამოცდილებაა.

13688. აღმერთებენ, მაგრამ არ უყვართ – ვერ სწვდებიან, უყვართ, მაგრამ არ აღმერთებენ – გვერდზე უდგანან. ეს უკანასკნელი უფრო მისაღებია შემოქმედის უკეთესი ცხოვრებისთვის, მაგრამ არა წუთისოფლის გონიერებისთვის.

13689. ამ წუთისოფელში ბევრ ნიღაბს ვიზომებთ და ბევრი სხვა ნიღაბის შეცნობაც გვიხდება, ბევრსაც ვიცნობთ, ვენდობით, ვპატიობთ, თუ ისინი ამის საშუალებას მოგვცემენ.

13690. ყველა დროს თავისი ვიგინდარა, გმირი, ელიტა, წუთისოფლად ყოფნის წესი აქვს, რომელიც დროთა განმავლობაში ქრება და ინთება, ახალი სახით წარმოგვიდგება, მაგრამ შინაარსით არაფერი არ იცვლება, მხოლოდ გარეგნული ელფერი დაჰკრავს სხვა.

13691. წარსულისკენ ირონიით გახედვა, მისთვის გაუმართლებელი მსჯავრის გამოტანა ვზას უღობავს დღევანდელობის ჭეშმარიტების დადგენას და ხელს უშლის ამ წუთისოფელში მის ისტორიად ქცევას.

13692. მკვდრებს არაფერი არ უნდათ, ცოცხლებმა უნდა დაინახონ წინასწარ ამ წუთისოფლის ის პატივისცემა, რასაც მათ სიკვდილის შემდეგ არავინ აჩვენებს.

13693. როდესაც ამ წუთისოფლის ძველი სულიერების ნაწილი ინგრევა და ახალი არ ჩანს, მაშინ ამ სიცარიელეს რომელიმე კულტის მსახური იკავებს გარკვეულ დრომდე.

13694. მშობლებმა, უნდათ თუ არა, შვილებისგან უნდა ისწავლონ აწმყოს ყურება და მომავლის გაგება. თუ უნდათ წუთისოფლის დღენი მშვიდად განვლონ.

13695. ამ წუთისოფელში ღირსების ნორმების შერჩევას, რომელიც სამართლიანობაზეა დამყარებული, საუკუნეები სჭირდება, ხოლო დაკარგვისთვის ერთი წელიც საკმარისია.

13696. ასაკს მხოლოდ ახლობლების ბედ-იღბალი აშინებს, პირადად ის უშიშარია, რადგან ვალის გადახდა წინაპრების წინაშე დაწყებული აქვს და მის კეთილდღეობაზე ამ წუთისოფლად ახლა სხვებმა უნდა იფიქრონ, რათა ვალი მან ბოლომდე გაისტუმროს.

13697. სამწუხაროდ, ქავილისაგან განსხვავებით, ამ წუთისოფელში ნიჭი და სიყვარული გადამდები არ არის.

13698. გულგრილობა შედეგია რწმენის დაკარგვისა, ეს კი ისეთი ნარკოტიკია, რომელიც ამ წუთისოფლის ყველა უმსგავსობას გვაჩვევს.

13699. რადგან ადამიანი ერთხელ იბადება, თუ თავის მიწაზე ვერ მოახერხა ცხოვრება და მოღვაწეობა, ის მაინც უნდა შესძლოს, რომ სიბერე იქ მაინც გაატაროს, ან ძვლები ჩაყაროს, სადაც ამ წუთისოფლის შვილებს მასზედ უფიქრიათ და ულოცვიათ.

13700. ჯანმრთელი ღარიბი ყოველთვის უფრო ბედნიერია მდიდარ საქმიან კაცთან შედარებით, მითუმეტეს, თუ ნასვამია და ეს წუთისოფელიც ფეხებზე კიდია.

13701. ზოგის ამ წუთისოფელში მოვლენით სარგებელი ძალიან მცირეა, ხოლო სარგებლიანობა – არავითარი.

13702. ჩვენს ყველა განცდაში აღზრდის მადლი დევს და წუთისოფლის შემთხვევის ნამაზი.

13703. წუთისოფლის შვილებს იმდენად უფრო უყვართ თავისი პირმშო, რამდენადაც ამის ჩუმად გამოხატვა შეუძლიათ. დეკლარირება, გადამეტება – „სიიფანდია".

13704. როგორ აირეოდა ყოველივე, კაცი გაცნობისთანავე ისე შეგვეცნო, როგორც შემდგომში გამოვლინდება. ალბათ, ამ წუთისოფლად არაფერი წმინდა არ იარსებებდა და ყველა ღირებულება ფასს დაკარგავდა.
13705. ის აზრები, რომლებიც ტვინიდან უცბად არ ჟონავს და თავში ღვინდება, ის წუთისოფლისთვისაც მისაღები და გასათვალისწინებელია.
13706. ზოგს წუთისოფელმა ისეთი წინაპარი აჩუქა, სარკეში რომ ჩაიხედავს, გახარებულია და თავის ნაკლს უყურადღებოდ ტოვებს, ისეთ მახინჯს კიდევაც კარგი უყოჩაღნიაო.
13707. როდესაც მშობელს თავისი შვილის გონებით სჯერა და გულიც მხარს უჭერს, წუთისოფლის საქმე მუდამ წაღმა ივლის.
13708. ძალიან სასიამოვნოა, შენი საქები არიის შესრულება, რომლის მოსმენა ზურგს უკან შენ გიწევს. რას ვიზამთ, ეს სისუსტეც გვახასიათებს წუთისოფლის შვილებს.
13709. ზოგი სულით ისე დაბერებულად გამოიყურება, აღარ იცი მისგან კუმირი შექმნა თუ იმ წუთისოფელში გაისტუმრო.
13710. ასაკი გამოზომილი ჩიხი კი არ არის, არამედ მცდელობა უასაკო სიცოცხლის მიღწევის, რომელიც, ჩვენი წარმოდგენით, უკვე დავიმსახურეთ წუთისოფლის უანგარო სამსახურით.
13711. საოცარია, მაგრამ როდესაც ყოველდღე საფრთხის წინაშე იმყოფები, მაშინ იწყებ წუთისოფელზე ფიქრს, ოცნებას და მის დაფასებას.
13712. მომხიბვლელობა გარკვეულ დრომდე გაგყვება, ეშმაკობა – სანამ გაგიგებენ, სიკეთის კეთება სიკვდილის ბოლომდე, რადგან ამ სამ განზომილების რაობაზეა აგებული ამ წუთისოფლად ყოფნის ხალისი.
13713. დიდ ცივილიზაციას, სახელმწიფოს დიქტატურას, ოჯახის სიამტკბილობას, პირველ რიგში, შინაგანი განხეთქილება ანგრევს და არა გარეშე ძალები, როგორც ეს ერთი შეხედვით ამ წუთისოფლის გადასახედიდან გვეჩვენება.
13714. წუთისოფელში დაშვებულ შეცდომებს, ადრე თუ გვიან, ისტორია გადაამოწმებს, მხოლოდ იმისთვის, რომ მომავალში კვლავ ახალი შეცდომები შეალამაზოს.
13715. მხოლოდ შენს წუთისოფელში მიღწეული წარმატება იძლევა სხვის თვალში ღირსებას, წარუმატებლობა კი ნიშნის მოგების და ქირქილის საბაბია.
13716. ამ წუთისოფშლი შერეკილების გარეშე საზოგადოების განვითარება ძალზე გაჭირდებოდა და შეიძლება დღეს ისევ ქვის ხანაში გვეცხოვრა, რადგან ეს მეოცნებე უსაქმურები ტექნიკური პროგრესის საყრდენნი არიან.
13717. ბუნების ძალები, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, ზოგიერთ ხვადს და ძუს აქვრივებენ, ერთმანეთს აშორებენ და მომავალი თაობების სულიერ და სექსუალურ აღზრდაში მონაწილეობენ, რათა ახალგაზრდობას გამრავლების, ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობა მისცენ, რათა წუთისოფლის განვითარების გატკეპნილი სპირალი არ შეიცვალოს.
13718. წუთისოფელი ყველა ჩვენს მიერ დათესილი საქციელის მსხვერპლია.
13719. ამბობენ: ორი გულუბრყვილო წყვილი გმირ დედას წარმოშობს, გულუბრყვილო ქალი და ჭკვიანი კაცი – მარტოხელა დედას, ჭკვიანი ქალი და გულუბრყვი-

ლო კაცი – ჩვეულებრივ ოჯახს, ჭკვიანი ქალი და ჭკვიანი კაცი – მსუბუქ ფლირტს, "ეს სიჭკვიანე" რატომღაც დაღვინებისას მოდის და არა მაშინ, როდესაც სული ბობოქრობს და ხორცს ხვადობისკენ აქვს მისწრაფება, რათა წუთისოფელი შეიცნოს.

13720. სამწუხაროდ, ზოგისთვის წუთისოფელი დაყოვნებული ნახტომია დედის საშოდან მიქელგაბრიელის გათხრილ ორმომდე.

13721. ჩვენი ამქვეყნად დაყოვნების სიეშმაკის აზრი ძალზე მარტივია: გვინდა თავად დავრწმუნდეთ, რა ხარისხის შვილიშვილებს და შვილთაშვილებს ვტოვებთ ჯიშის და გვარის გასაგრძელებლად, თორემ ამ წუთისოფლის წამის გაელვების შეჩერება რომ არავის ძალუძს, ეს კარგად მოგვეხსენება.

13722. ყველა უბედურების მიზეზი ისაა, რომ კაცობრიობას დადგენილი თამაშის წესებით ცხოვრება ამ წუთისოფელში ბეზრდება და სულ მისი დარღვევის და ალიბის მონახვის ცდაშია.

13723. წუთისოფლის დაისზე სურვილი გვიჩნდება მშობლების სათანადო დაფასების, ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენი ნახლაფორთებიც გვინდა მომავალმა თაობამ დააფასოს და კეთილი სიტყვით მოგვიგონონ.

13724. რევოლუციას, სტიქიურ უბედურებას, არასასიამოვნო შემთხვევებს, ცხოვრებაში ხშირად აქვს ადგილი და მასთან მოუმზადებელი და შემართების გარეშე შეხვედრა ბევრ სიძნელეებს შეგვიქმნის წუთისოფელში.

13725. ანგარიშიანობა მდიდარი და მოსახერხებელი ამ წუთისოფლის შინაბერაა, რომელიც ზოგს არ მოსწონს, მაგრამ მის შერთვაზე და ანგარიშის სწავლაზე ბევრი თანახმაა.

13726. თუ ადრე მშობლები ცდილობდნენ შვილებისთვის ესწავლებინათ წუთისოფლის მორევში ცურვა, ახლა შვილები ცდილობენ მშობლების დაცვას წუთისოფლის ამ მორევისაგან, მაგრამ უშედეგოდ.

13727. წუთისოფლის ლაქიას პენსიაზე გასვლაც კი ვერ ათავისუფლებს თავისი მოვალეობისაგან, რადგან ლაქიობა მის სულშია ჩაბუდებული და მისი სურვილია ვიღაცის ჩინს ნებაყოფლობით, უხელფასოდაც ემსახუროს.

13728. როდესაც მამის გახედნილი, დაღვინებული ენერგია შვილის გაუხედნავ მაჭარს შეერწყმება, მიიღება პროგრესული ენერგია, რომელსაც ამ წუთისოფლის ყველა მომდევნო წინაღობის დაძლევა ძალძულს.

13729. მდიდარი სახელმწიფოს და მამაკაცის მიმართ ხალხიც და ქალიც მომთმენი და ლიბერალური ხდება და ამ წუთისოფლის აკვიატებული რწმენა არავის ახსენდება.

13730. სოფლად გულით დატირება სჯობს მოყვარე-თანასოფლელების მიერ, თუ ქალაქში პატივით დაკრძალვა თანამშრომელი ნაცნობების გარემოცვაში? ერთი შეხედვით პირველი ვარიანტია მისაღები, მაგრამ სასაფლაოს და დამსწრეთა ცენზია სხვა. ასე, რომ წუთისოფელი ადამიანის ვირეშმაკობას ვერ ასწორებს.

13731. წუთისოფელი იღიმება და სიხარულით ხარხარებს, როდესაც მისი „უძღები შვილი" რაიმე სასიკეთოს აკეთებს თავისი გაუგებარი სამყაროს მოძმეთა მიმართ, რომელსაც მომავალი თაობები მოიმკიან და მიხვდებიან.

13732. წუთისოფლის მორალის სიყრუე ხანდახან იმისთვისაც მოგვწონს, რომ ის ცხოველურ ბუნებას გვიბრუნებს და ჩვენთვის მისაღებ პირველყოფილი ადამიანის გარემოში ხალისიანი ყოფნის უფლებას გვაძლევს.

13733. უნიათი მმართველები რატომღაც იმაზე გვაღორებენ, რომ უცხო წუთისოფლის შვილები ჩვენზე მეტს მიჰქარავდნენ და მიჰქარავენ, ნიშნს კი თავისიანებს უგებენ, რათა სისულელის კეთების ალიბი ხელთ იპყრონ.

13734. რა არ გამოსცადა მეოცე საუკუნემ: ანარქია – წესრიგის დედა, უბიოგრაფიო თაობა, შიში შეიქმს სიყვარულსა, კრიზისიდან – კრიზისები და სულ იმ გმირის მონატრებაშია, ვინც გამოიყვანს ამ წუთისოფელს ნაჩუქარი უსახელო თავისუფლებისგან, რათა ძველი სიყვარული და სითბო მაინც დაგვიბრუნდეს.

13735. წუთისოფლის შეცდომების გამოსასწორებლად საშუალო კოეფიციენტებს ვეძებთ. მაღალი ქალი მწარმოებლად დაბალს ირჩევს, მაღალი მამაკაცი კი გასამრავლებლად დაბალ ქალზე აჩერებს თავის არჩევანს და საბოლოოდ ყველა დაშვებული შეცდომა გამოსწორების გზაზეა, ახლის გაუთვალისწინებლად.

13736. რაც უნდა საოცრად მოგვეჩვენოს, ამ წუთისოფლის გარკვეული დროის ისტორია მაინც ერთი კაცის თავხედობის და ლატარიაში მოგებული ხალხის ნდობის შედეგია.

13737. ლეკვს ყველა ეთამაშება, ეფერება, მაგრამ როდესაც ძაღლად გადაიქცევა და წუთისოფელს შეეთამაშება, მასში მაშინვე მოქიშპეს დაინახავენ, ამიტომ ან მოკრძალებით მოეპყრობიან, ან პირიქით. ყველას კუდი უნდა უქიცინოს, ამისათვის კი შეცოდებას და ღიმილს დაიმსახურებს.

13738. არასახარბიელო ისტორია შეიძლება შვილიშვილებს იმგვარად მოუყვეთ, რომ თავი დამნაშავედ არ იგრძნოთ, მითუმეტეს, თუ წუთისოფლის ხანდაზმულობის ფაქტორი თქვენს მხარესაა და იმდროინდელი გარემო მათთვის უცნობია, მაგრამ კაცობის ორჯერ-ორი რომ ყოველთვის ოთხია, ეს არც ჩვენ უნდა დავივიწყოთ და არც სხვას დავავიწყოთ.

13739. წუთისოფლის შვილებმა რომ იცოდეს 100 წლის შემდეგ მომავალი თაობები როგორ დაახურდავებენ მათ წარმოდგენას ღირსებაზე, ისინი გაჯიუტდებოდნენ, სტრესის საწინააღმდეგო აცრას გამოიგონებდნენ და ყველანაირად გააჭიანურებდნენ იმქვეყნად გადაბარგებას.

13740. საბოლოო გამარჯვება ყველა შეცდომას, მარცხს, გადაფარავს, გარდა ოპონენტის მახსოვრობისა, რადგან ის წუთისოფლის უშიშროებისთვის მოწოდებულია გამარჯვებულის სასმისში შხამი გაურიოს ისე, რომ მას არ ავნოს, მაგრამ გამარჯვებულს თავი დაამახსოვროს და გააფრთხილოს, რათა შემდგომ არ მიქაროს. ყოველ შემთხვევაში, ძველ რომში გამარჯვებული ოლიმპზე ამ გზით აჰყავდათ.

13741. შთამომავლობა პასუხს მოგვთხოვს არა მარტო ჩვენი უაზრო ყბედობისთვის, არამედ არაფრისმთქმელი დუმილისათვის, რადგან ეს გულგრილობის ანალოგია და ჩვენი წუთისოფლის რაობას ვნებს.

13742. ცეცხლი და წყალი, მიუხედავად სხვადასხვა შესაძლებლობისა, ყველაზე ახლო მეგობრები არიან, რადგან მათ გარეშე არც სამყარო შეიქმნებოდა და ვერც ამ წუთისოფლის შთამომავალნი წასდგამდა ნაბიჯს წინ.

13743. ჩვენს ბედნიერებას წუთისოფლის მოთხოვნები, მსოფლმხედველობა და ცოლის კაპრიზი განსაზღვრავს.
13744. რა არის ამ უცოდველობაში კარგი, თუ წუთისოფლის სიამეს ვერ შეიგრძნობ და წინააღმდეგობების გადასალახავად არ გაირჯები.
13745. სიბერე, უძლურება, წუთისოფლის დასასრული მაშინ გაკითხავს, როდესაც დაიჯერე, რომ შენ პროფესიაში რაღაც გაგეგება და გგონია, რომ ყველა მწვერვალის დაპყრობა ხელგეწიფება.
13746. ამ წუთისოფლად იმდენი თაღლითი იბადება, რამდენიც ყეყეჩია, წინააღმდეგ შემთხვევაში, არცერთი არ იარსებებდა, რადგან ყეყეჩისა და თაღლითის არსებობა კანონზომიერად არის განაწილებული.
13747. წუთისოფელი მუდმივ ურთიერთობაშია უსაქმურობასთან, სიბეჯითესთან, სიძულვილთან, სიყვარულთან და ათას სხვა ამისთანასთან.
13748. წინაპრების მიქარული შვილებმა უნდა გამოასწორონ, რათა მომავალმა თაობამ წყნარად იცხოვროს და უდარდელად წავიდეს ამ წუთისოფლიდან.
13749. დროს და წუთისოფელს საცხოვრებლად არ ირჩევენ, უბრალოდ მასში იბადებიან, იბრძვიან, ქმნიან, ცხოვრობენ, კვდებიან და კვლავ ფენიქსივით აღდგებიან, სამყაროს სპირალური განვითარების თეზისის გასამართლებლად და დასამტკიცებლად.
13750. ყველა უნდა ეცადოს, რომ ამ წუთისოფლიდან სახელით წავიდეს და არა წაეთრიოს.
13751. წუთისოფლის და ცივილიზაციის გაკილვას ყველა ვცდილობთ, ძველი დროის საამო ცხოვრებას ტკბილად ვიხსენებთ, მაგრამ ამ უკანასკნელის გარეშე შეგნებული ცხოვრება ძალზე გაჭირდებოდა დღევანდელი გადასახედიდან.
13752. პიროვნების სიდიადე დამოკიდებულია ხალხზე, დროზე, გამართლებაზე, წუთისოფლის რაობაზე და ღმერთის გაღიმებაზე.
13753. ამ წუთისოფლის მთელი უბედურება ის არის, რომ „რეკეტის" – წამგლეჯ საქმიანობას მხოლოდ სახელი ეცვლება და არა შინაარსი: თემის უფროსი, თავადი, ხანი, გრაფი, მეფისნაცვალი, შახი, მეფე, იმპერატორი, მთავრობის თავმჯდომარე, პრეზიდენტი და ასე შემდეგ.
13754. მთავარი ის კი არ არის ფეხებშუა ვინ რას ატარებს, მთავარია თავის ჭკუაზე გადაჰყავს თუ არა ადამიანი და რას აკეთებს ამ წუთისოფელში ოჯახის და ქვეყნის სამსახურისათვის.
13755. საცხოვრებელს და სასაფლაოს ღობით ღობავენ, რადგან ამ წუთისოფლის ვერცერთი კერძო საკუთრება ვერც მიწის ზევით და ვერც მის ქვევით მის გარეშე ვერ იარსებებს.
13756. ამ წუთისოფლში ან მონადირე უნდა იყო, ან მსხვერპლი, მესამე – არც ის და არც ეს, ბრბოს პრეროგატივაა.
13757. ამ წუთისოფლად ასე თუ ისე ყველა ცხოვრობს, მაგრამ მისი ფასი უმრავლესობას არ ესმის და ვერც გრძნობს.
13758. მეფურად იშვიათად მოდიან ქვეყნის სათავეში, მაგრამ უფრო იშვიათად მიდიან ღირსეულად ამ წუთისოფლიდან.

13759. მონისთვის მბრძანებელი არ არსებობს, მისთვის მთავარია შეღავათების გაწევა, რომ მბრძანებელს შეეჩვიოს, შეიყვაროს და ამ წუთისოფლში მისი როზგებით იამაყოს კიდეც.
13760. წუთისოფლის რაობის შეცნობის და ქვეყნის სიძლიერე გონიერების გამოსახდელი აპარატის მოწესრიგებულ მუშაობაზე და შედეგად მიღებული ინტელექტის პრაქტიკულ განხორციელებაზეა დამოკიდებული.
13761. სისხლის ყივილი შეუცნობელი გრძნობაა და როდის აყივლდება განგების ნებაა, მაგრამ წუთისოფლის დაისზე რომ იყივლებს, ეს გარანტირებულია.
13762. ყველა საუკუნეს თავისი სულიერი სამყარო აქვს დაცემით და აღზევებით და აქ მეცნიერება, გამოცდილება, მენტალიტეტი არაფერშუაშია.
13763. სამწუხაროდ, ამ წუთისოფლად ჩვენ მსხვერპლად ვართ მოვლენილი და არა – ღმერთის და რწმენის სადიდებლად.
13764. დროის სასჯელი გარდაუვალია, მაგრამ იმის უფლებას არ გვაძლევს, რომ ეს წუთისოფელი კვალის გარეშე დავტოვოთ.
13765. ეს წუთისოფელი დამთხვეულებით არის სავსე, მაგრამ რა გინდა მოიმოქმედო? სამყარო ამ დამთხვეულების ქმედებაზედაა დამყარებული.
13766. დედამიწა დღესაც განაგრძობს ტრიალს ნიჭის, შემოქმედის აურის და წუთისოფლის გათავხედების შედეგად.
13767. პრინციპის საქმეა იყო წესიერი მანამდე, სანამდის გარეშეთა ვირეშმაკობას გაუძლებ და ესეც ამ წუთისოფლისთვის თავისებური ნიჭია.
13768. იზრუნე სხვისთვის, მაგრამ ეცადე ეს წუთისოფელი შენიც იყოს.
13769. დრო და წუთისოფელი ასაკის მბრძანებელი, განვლილი წლების შემფასებელი და ბევრი გაურკვეველი დღეების ავტორია.
13770. რატომღაც ყოველივე კარგი და საუკეთესო ამ წუთისოფლის წარსულში გვქონდა, ალბათ, ეს იმიტომაც ხდება, რომ მეხსიერება ვავარჯიშოთ, ხოლო ჩვენი კეთილისმდომნი ლეგენდებით ვკვებოთ და შთამომავლობას ღირსეული წინაპარი დავუტოვოთ.
13771. გათავხედებული აწმყო გაუგებარ მომავალს იძლევა, რომლისთვისაც წარსული ყოველთვის გამოუყენებელი რჩება.
13772. ამ წუთისოფელში არც სიბრძნეა მუდმივი და არც ჭურჭელი, რომელშიც ის ინახება.
13773. ყველა დროის წუთისოფელს თავისი წიგნი, მისთვის გასაგები მორალი და სიყვარული მოაქვს.
13774. დანაშაული ჩავიდინოთ და მოვეფეროთ ვინმეს, ამის სურვილი ყველას გვაქვს ჩვენი წყენისა და სიამოვნების საფასურად, მაგრამ პირველს გონიერება უღობავს გზას, მეორეს – გაუბედაობა და ისე წყნარად მიგვყავს ჩვენი წუთისოფელი, რომ არავის არ ვახსოვართ.
13775. ერთს აქვს წუთისოფლის გამოცდილება, მეორე ცხოვრობს ინსტინქტით, მაგრამ ბრბოსთვის ამ უკანასკნელის ცხოვრება უფრო მისაღებია, ხოლო პირველის მოწონება დიდი ტანჯვის, ჭკუის ჭყლეტის და კამათის შედეგია.

13776. თუ თქვენს მეუღლეს, არც შესახედაობა, არც ხასიათი უვარგა და ფულიც არა აქვს, მაშინ რა გრჯით, მასთან ყოფნით წუთისოფელს რომ იმოკლებთ?

13777. თუ გინდა შთამომავლობისთვის იცხოვრო, ისე უნდა განვლო წუთისოფელი, თითქოს ახლა უნდა გამოემშვიდობო სიცოცხლეს, თუ შენთვის გინდა იცხოვრო, მოიქეცი ისე, როგორც შენს თანდაყოლილ ხუშტურებს გაუხარდება, მხოლოდ ერთი პირობით: სხვას არ ავნო.

13778. ყველა ასაკმა თავის წუთისოფლის თაობას ალიყური უნდა აჭამოს, რათა მომდევნო ასაკს თავისი თაობისთვის ნაკლებად ჰქონდეს სილა გასაწნავი.

13779. თუ წუთისოფელში გაგიმართლათ და აღფრთოვანებისგან რამდენჯერმე სუნთქვა შეგეკრათ, ან რამდენიმე სასიამოვნო გაელვება გქონდათ, შეგიძლიათ თამამად თქვათ, რომ თქვენი ცხოვრება შედგა.

13780. სიძნელეებიც და ჩვენი ამ წუთისოფლად მოსვლაც დროებითია, ამიტომ მისი დაძლევა დღესვე უნდა ვეცადოთ, რათა ჩვენი ყოფა ცხოვრებას დავამსგავსოთ მომდევნო სიძნელემდე, რომელთა დაძლევა მომავალი თაობის ისტორიაა.

13781. რადგანაც სიკვდილი ერთი გაელვებაა, არ ღირს მასზე ფიქრით ჩვენი ახალგაზრდობის შეწირვა, ჯობს ფეხებზე დავიკიდოთ, რადგან მოსახდენი ამ წუთისოფლად ადრე თუ გვიან მაინც მოხდება.

13782. მთავარი მოუწესრიგებელი პროცესების მართვა კი არ არის, არამედ შენი ამ წუთისოფელში არსებობა, რომელსაც შეგნება, დაფასება, მადლი სჭირდება.

13783. წუთისოფელი ბოროტების და სიკეთის გაგების რაობაშია, რადგან ხშირად რაც ბოროტებად გვეჩვენებოდა, სიკეთის საწინდარი ყოფილა ან – პირიქით.

13784. მზესიტყვაობა ჩვენი ყოფის ფორმულებში გადმოტანაა, რომელიც წასაკითხი წიგნების მოკლე შინაარსს, მსოფლმხედველობას, აღტაცებას და წუთისოფლის თეორემებს მოკლედ გადმოგვცემს.

13785. სიბერეში სიცოცხლე უფრო ძვირფასია, მაგრამ ამ წუთისოფლის თვალში იაფად ფასობს.

13786. წუთისოფლის ვერაგობა – ჟამთა სვლა მეგობრობას და სიყვარულს ამტვრიანებს. თუ პირველის აღდგენას მტვრის გადაწმენდით შევძლებთ, მეორის ხვედრი გახსენებაა.

13787. წუთისოფლის გამოყენების თვალსაზრისით ნაადრევი ყველაფერი კარგია, გარდა სიკვდილისა და აღმოჩენისა, რომელიც ადამიანს იქაც აზარმაცებს.

13788. ცოდვილად გრძნობის მოწოლა და აფორიაქება გვაქცევს, ამიტომ ვცდილობთ ყველაფერი ამ წუთისოფელში ვადამდე მოვასწროთ, რადგან გვეჩვენება, რომ ეს მოზღვავება ენერგიისა დიდი ხნით სიცოცხლეს არ გაგვიგრძელებს.

13789. ამ წუთისოფელში ყველა თავის გარდაცვალების თარიღის გადადებას ცდილობს, რატომღაც მიქელ-გაბრიელის დაუკითხავად.

13790. ყველა არსება ამ წუთისოფელს თავის დროზე ევლინება და უდროოდ მიდის, ამის შეცვლა კი არავის შეუძლია, ეს დროზე უნდა გაიგოს ზოგმა თავის დასამშვიდებლად, დასაწყნარებლად.

13791. სამყაროს შეცვლას არ უნდა ვეცადოთ, მასთან შერწყმა–შეთვისება უნდა მოხერხდეს და ამ წუთისოფელში ჩვენთვის გამოყოფილი დრო გონიერების საზღვრებში სიამტკბილობით განვვლოთ, რადგან იმქვეყნად ზედმეტს არაფერს გაგვატანენ.

13792. ამ გულგრილ წუთისოფელში იმიტომ მოვდივართ საცხოვრებლად, რომ ვალი მოვიხადოთ ჩვენი დაბადებით, მონაწილეობა მივიღოთ ნაშიერის გაჩენაში და იმქვეყნად ისე გადავბარგდეთ, გული არაფერზე დაგვწყდეს.

13793. სიკეთის კეთებისთვის მადლობას არ უნდა ელოდო, ისიც დიდი საქმეა, თუ ვინმეს მადლიერების გრძნობით ამ წუთისოფლად გაახსენდები.

13794. ამ წუთისოფელში ყველაზე საშიშია ცხოვრება მაშინ, როდესაც ქვეყანას გამოუცდელი დებილები და ჭკვიანი „სულელები" მართავენ. პირველს ჰგონია ყველაფრის შემძლეა, ხოლო მეორეს თუმცა შეუძლია, მაგრამ თავს ისულელებს და არაფერს ქმნის რადგან ამით უფრო მეტ ხეირს ნახულობს.

13795. ჩვენი წუთისოფლის სიბერე მაშინ იწყება, როდესაც შვილიშვილის საქციელი გვაღელვებს და სურვილი გვიჩნდება ამის შესახებ ყველას ვაუწყოთ.

13796. ამ წუთისოფელში უკვდავთა გადაფასება-რევიზიაც ხდება და საბედნიეროდ, ამას იმქვეყნად მათ არავინ შეატყობინებს.

13797. ამ წუთისოფლად ხშირად გულში ვტირით უცრემლოდ მასზე, რაც გვიყვარს, ძვირფასია, რადგან უარს გვეუბნებიან ჩვენი გონიერებით მოწყობილ სამოთხეში ყოფნაზე.

13798. წარსული მაშინ იცოცხლებს, როდესაც ამ წუთისოფლის მომავალი ამას გულით მოისურვებს.

13799. წუთისოფლის სიყვარული ცოლივითაა, შენ კარგად იცი მისი ნაკლოვანება, უხიაგობა, მაგრამ ურიგდები და მასთან ერთად წუთისოფელი ასე თუ ისე გაგაქვს.

13800. სადღესასწაულო მშობელი, ბებია, ბაბუა არ უნდა იყოს, რადგან ჩვენი მიღწევის ყველაზე დიდი შედეგი ამ წუთისოფელში ნაშიერის საპასუხო სიყვარულია.

13801. თავის დახსნა ყოველდღიური ყოფიერებიდან ამ წუთისოფლად შეუძლებელია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იცი ვისთვის ეწვალები, რისთვის იღვწი და რა შედეგის იმედი გაქვს (მაგ. შვილის აღზრდა).

13802. მხარზედ გადებული სიცოცხლე იმათაც აღარ ჭირდებათ, ვისაც მხარს უჭერდნენ და მფარველობდნენ, რადგან ყველა ამ წუთისოფლად ცდილობს ცხოვრებას და არა წარსულით.

13803. შინაგანად არ გინდა იმ პრიმიტივამდე დახვიდე, რასაც წუთისოფლის უგვანობა გთავაზობს, მაგრამ იძულებული ხარ, ყოველდღიურობას მხარი აუბა და რაღაც-რაღაცეებს შეეჩვიო და გაითავისო.

13804. ყველაზე მშვიდად ის ცხოვრობს, ვინც ვერ ხვდება რისთვის მოვიდა ამ წუთისოფელში და არც ის აინტერესებს, აქედან თუ წავა როდისმე.

13805. რა ღირს სინდისი?! გააჩნია დროს, ადგილს, გარემოს, დემაგოგიას და რა დოზით შეუძლია სინდისის ქენჯნა, მონანიება წუთისოფლის გადასახედიდან.

13806. ერთი შეხედვით ადვილია იყო ცუდი და ძნელია გახდე კარგი – რთული აქსიომაა, მაგრამ შეფასება დამოკიდებულია წუთისოფლის დროზე, ირგვლივმყოფზე და მათი დაფასების უნარზე.

13807. მეგობრის ღალატი სიყვარულის მომიზეზებითაც არ შეიძლება, მაგრამ ამას სათანადო გარემო, აღზრდა და შენთვის მისაღები წუთისოფლის ტრადიციები სჭირდება.

13808. ყველა სატანის პორტრეტს და ბიოგრაფიას მრავალი საუკუნის ისტორია სიამოვნებით აღწერს და წარმოგვიჩენს, მაგრამ რა ხდება იმქვეყნიერი წუთისოფლის სამოთხეში ყველასთვის უცნობია.

13809. არის რაღაც მცირეოდენი, მაგრამ მუდმივი ბედნიერება, რომელიც ამ წუთისოფელში ჩვენს ირგვლივ ტრიალებს და მისით დღესვე უნდა ვისარგებლოთ ისე, რომ სისულელე არ ჩავიდინოთ, დანარჩენ დამატებით ბედნიერებას ბედი თუ არა, ჩვენს ირგვლივ შექმნილი გარემო მოგვიტანს და გვიპატრონებს, თუ ხელს და თავს ცოტათი მაინც გავანძრევთ.

13810. წუთისოფლის შვილები ვართ, მაგრამ ამ გარდუვალობაში მაინც სიკვდილს გარდაცვალება სჯობს, რადგან სიკვდილისგან განსხვავებით, ნაშიერი გრჩება, რომელიც ამქვეყნად ხსოვნას მაინც გაგიხანგრძლივებს.

13811. ამ წუთისოფლად დედამიწაზე 6000 ენა იყო, ამჟამად 2000 ენაა, ხოლო 2500 წლისათვის ვარაუდობენ, რომ პლანეტაზე დარჩება 600-მდე ენა. ეტყობა ცივილიზაციამ რაღაც ვირუსი შექმნა, რომელიც პირველ რიგში ენებს სპობს და შემდეგ ერებს.

13812. ჩვენ ყველანი იმქვეყნად წამსვლელები ვართ, მაგრამ ვისთვის, რისთვის და როგორ, ამ წუთისოფლისთვის უცნობია.

13813. აზრი არა აქვს წამხდარი სულის გამოსყიდვას და რასაც ვერ ვპატიობთ, იმ ბოღმის ჩვენს სულში დატოვებას, რადგან ვიგინდარისთვის სამართლიანობის გრძნობა უცნობია, ამიტომ ჯობს ამ წუთისოფელში და ყველაფერს ფილოსოფიური გადასახედიდან შევხედოთ, ამით სიცოცხლესაც გავიხანგრძლივებთ და სიხალისესაც შევინარჩუნებთ.

13814. ყველა საუკუნეს თავისი შიზოფრენია აწუხებს, რაც მეტია ტექნიკური პროგრესის მიღწევები და დაუმსახურებელი ფუფუნება, მით მეტია ამ დაავადების სიძლიერე, რადგან საზოგადოების წევრები ყოფიერების სექსუალურ ინსტინქტს კარგავენ და ამ წუთისოფლისთვის შინაგანად მოუმზადებლები არიან.

13815. ერთი სურათი შეიძლება ღირდეს ათასი სიტყვა, ოქრო, რჩევა-დარიგება, სიამოვნება, სიამაყეც, რომ შენ მისი მფლობელი ხარ, მაგრამ აქ შეფასება კი არ არის მთავარი, არმედ მყიდველი და მისი გემოვნება და ესეც წუთისოფლის უსამართლობაა, რომ შენ არ ხარ ბედის რჩეული.

13816. მშობლის სურვილია შვილი ჭკუისკოლოფი ჰყავდეს და არა მუშა, ფერმერი, რომლებმაც ეს „გენიოსი" დაუფასებლივ უნდა არჩინონ, იმის მაგიერ, რომ ყრმას ხელობა და გარე სამყაროს სიყვარული ვასწავლოთ, რათა ნიჭის გამოვლინება-დაფასებამდე ამ წუთისოფელში თავის დაუმადლებლივ შენახვა შესძლოს.

ჭუკ-ჭუკი

13817. სიკეთე ის ენაა, რომელზეც საუბრობენ, ისმენენ, შეიგრძნობენ ყრუ, ბრმა და ცხოვრებისგან დაჩაგრულნი.

13818. იმ სამინისტროებს შორის, რომელიც დღემდე კაცობრიობას შეუქმნია, ხალხისა და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ ყველაზე კარგი იქნებოდა „კეთილი გულის" სამინისტროს შექმნა, მაგრამ მისი დაფინანსება გაჭირდებოდა.

13819. შეიძლება საქართველოში დღევანდელ ხელფასზე იცხოვრო? – ვინც ეცადა, ყველამ იმქვეყნად წასვლა არჩია.

13820. საპასუხო სიყვარულის მისაღებად პირველ რიგში სულის ნაწილის გაღებაა საჭირო და არა სხეულის.

13821. უნდა შეგეძლოს ნამდვილი დღესასწაულის მოწყობა, არა მარტო ქალისა და მუცლისათვის, არამედ თვალისა და სმენისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ჭუკ-ჭუკი არ გამოვა.

13822. სილამაზის გარდა, უნდა ტარდებოდეს: სიკეთის, დედების, დედამთილების, სიდედრების, სულის სილამაზის კონკურსი, რომელიც გამოაფხიზლებდა საზოგადოებას, ზეიმის დღეებს გაგვიხანგრძლივებდა, თავის წარმოსაჩენი ტიტულებიც მოგვიმრავლდებოდა, მასმედიას საქმე მიეცემოდა და ხალხს – გასართობი.

13823. სილამაზე ერთადერთი რეალობაა, რომელიც აღმოჩენას და მტკიცებას არ მოითხოვს.

13824. თავაზიანობა ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა, პირმოთნეობა – შეძენილი, მაგრამ, მათ შორის მანძილი მაინც ერთი ნაბიჯია.

13825. ზოგიერთ კაცს სიტყვას უფასებენ და არა – შინაარსის სიქველეს, რადგან კვიმატი სიტყვა მათ ამხიარულებთ, მხიარულებს კი თავისი ფასი აქვთ.

13826. არანორმატული ლექსიკით საუბარი, ხელების, ინტონაციების და სახის გამომეტყველების დახმარებით, არის ამ ენის მეტყველების არანჟირება, მუსიკალური ინსტრუმენტების დაუხმარებლად და ეს უფრო გასაგებია, ვიდრე მშობლიური ენა.

13827. მიწასთან ჭუკჭუკი იმას ძალუძს, რომელიც თოხის ხელში აღებისას, ნიადაგის ეროტიკას შეიგრძნობს და მისგან ჯაფით მიღებულ სიამის ოფლით მორწყავს.

13828. გულუბრყვილობა და გულახდილობა ორი კეთილშობილური განზომილებაა, რომელიც სამწუხაროდ არც არავის სჭირდება და არც არავინ აფასებს.

13829. ჭორებს უგულებელყოფენ მანამ, სანამ სიმართლე არ წამოსცდებათ, ხოლო ქირქილს, ვიდრე შენთვის ავტორიტეტული პირი შენს ნამოღვაწარზე თავის აზრს არ გამოთქვამს.

13830. სხვის გემოვნებაზე, ქცევაზე, საქმეზე არ უნდა ვიმსჯელოთ, რადგან საკუთარი ქმედება უცხოს თვალში ხანდახან უფრო სავალალოდ გამოიყურება ხოლმე.

13831. ყველაფერს თავის დრო უნდა დაუდგეს,მომწიფდეს, აქ პროგრესულ აზროვნებაზე ლაპარაკი და ჭეშმარიტების მტკიცება არ გამოდგება, ყველა მცდელობა უშედეგოდ და დასჯით მთავრდება.
13832. წლები ასაკს ინდობს და ცხოვრების ახლებურად გავლა-გატარება კი ნოსტალგიის ყბედობაა.
13833. ამ ქვეყნის ჰარმონიული განვითარება ერთის მომეტებული ჭკუის წყალობით, ხოლო მეორის ოპტიმისტური უჭკუობით ფერხდება.
13834. ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებია შეკითხვების უპასუხოდ დატოვება.
13835. ენა არსებობს სამასლაათო, საჭორაო და გრძელი. თუ პირველი ორი სიცოცხლეს იხანგრძლივებს და იხალისებს, უკანასკნელი სიცოცხლეს წამლავს და იმოკლებს.
13836. ტყუილს ყველა ამბობს, ბევრიც ცრუობს, მაგრამ თუ ყურს არ უგდებთ, მას ვნება არავისთვის მოაქვს.
13837. სიტყვაზე, რომელიც ტვინს აგიდუღებს და ჯიგარს აგიწვავს, განგების მადლია მოსხმული, თორემ ქარივით რომ ყურებში ყბედობით, მასლაათით გაისეირნებს, სიტყვის მასალაა.
13838. ჭკვიანური ფრაზების გადმომღერება ადვილია, მისი გონიერებით დატვირთვა და საქმის კეთებაა ძნელი.
13839. ერთი საქმეა რას ამბობს ბრიყვი, ხოლო მეორეა, როდესაც არ იცის რა უნდა თქვას და მოიმოქმედოს, რაც ყველაზე საშიშია.
13840. აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის სისუსტეა სხვისთვის გადამეტებული პატიოსნების ქადაგება.
13841. საზოგადოების სამართლიანი განვითარება მოითხოვს, სხვის მაგივრად არასდროს არ ვილაპარაკოდ, ჩვენი ნააზრევი და საქმიანობა მათთვის რაც უნდა სასარგებლო და ჭეშმარიტების ბილიკის მომპოვებელი იყოს.
13842. სიმართლის ცოდნა არავის აწყენს, მაგრამ არის ზრდილობაც, რომელიც გვასწავლის რა უნდა ვუთხრათ და ვაკადროთ სიმართლეს. ხოლო ზრდილობის ინსტიტუტის უქონლობა ბევრს უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდებს.
13843. გულახდილობა თავისებური ნიჭია, მაგრამ დადებითი თუ უარყოფითი – ეს გარემოს, დროის, ირგვლივმყოფთა დასადგენია.
13844. თავშეყრის ადგილზე ზოგი ისეთი სიტყვებით ბედაურობს, ერის შვილი გეგონება, საქმეს მიანდობ და ჯაგლაგობასაც ვერ ახერხებს.
13845. ალკოჰოლმა ბევრი დაპირება იცის, "პახმელიამ" დაპირების დავიწყება, ხოლო სიფხიზლე გაოცებულია – რაში დასჭირდაო თავის წამოყოფა?
13846. ზოგს ჭკვიანების კამათი მოსწონს, ზოგს – მათ შორის ჭკვიანის დადგენა.
13847. ხმამაღლა ნათქვამი გულახდილობა იმდენ ლოგიკურ შედეგს არ იძლევა, რასაც ველოდით, რადგან როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ ვერ შეგვიცვნია ჩვენი თავი, ხოლო ხალხზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.
13848. ცრემლი და სიცილი ის ფენომენია, რომელიც ჩვენი ცხოვრების ბალანსს აწესრიგებს.

13849. ჟანრი ფხიანი სიტყვის მოუცლელობით გაქრება, თუ ის ხელშეუხებელია.
13850. ყბედობა პირდაპირპროპორციულია უპასუხისმგებლობისა, ბევრი ლაპარაკი კი იმედია გაჭიანურებული საქმის კეთებისა.
13851. სერიოზული აზრის გამომზეურება ყბედობისკენ მიდრეკილებას ვერ იტანს.
13852. სჯობს ცოტა ილაპარაკო და კარგი, თუ თავის წარმოჩენა გინდა.
13853. თუ მორიდება არ იცი და შენს ოპონენტებს პირში იმას მიახლი, რაც ენაზე მოგადგება, მაშინ ვიგინდარები შენთან შეხვედრას და გაკიცხვას მოერიდებიან.
13854. მორალზე, ღირსებაზე, პატიოსნებაზე არ ლაპარაკობენ, რადგან ყველას ჰგონია რომ ის აქვს, ოღონდ მისი სურვილის ფარგლებში.
13855. სამწუხაროდ, ჩვენი სამართლიანობა ხშირად იქ მთავრდება, სადაც ინტერესები, ჭუკჭუკი და გაყოფა იწყება.
13856. პიროვნებაა ის, ვინც სიტყვის ფასი იცის და მას ქვეყნის, ოჯახის და პირად ინტერესებზე მაღლა აყენებს.
13857. „ასე არ უნდა იყოს'' და „ასე არის'' შორის არავითარი სხვაობა არ არსებობს, გარდა ყბედობისა.
13858. შეიძლება საუბრის თემა გაუგებარია, მაგრამ ვინ არის საქმის ავან-ჩავანი, იმის გაგება მაინც უნდა შეგეძლოთ.
13859. მარტო სიმართლის ლაპარაკი ყბედობაში გადაიზრდება, თუ მას გონიერება და საქმე არ მიჰყვა.
13860. ძალაუფლება და სიმდიდრე ყოველთვის ამაყად და ხმამაღლა ლაპარაკობს.
13861. ბრბოს ბევრი მყვირალა ჰყავს და არც ერთი სოლისტი.
13862. ხშირად ენაზე კბილის დაჭერას აქვს ფასი და არა ენის უმუხრუჭო წაგრძელებას.
13863. თუ გვინდა ღირსება შევინარჩუნოთ, მაშინ ჩვენივე სიტყვის მონებად უნდა ვიქცეთ.
13864. ხშირად კამათობენ იმ საკითხზე, რომელზეც წარმოდგენა არა აქვთ.
13865. სიტყვაძუნწობასაც თავისი საფიქრალი და სათქმელი აქვს, რომლის შეფასებასაც არავინ ცდილობს.
13866. არის საკითხი, რომელზეც საუბარი არ სურთ, მაგრამ ლაპარაკობენ, არის საკითხი, რომელზეც სიამოვნებით იჭორავებენ, მაგრამ რცხვენიათ. გამოდის, რომ არც საუბარი ყოფილა მთლად ჩვენი ნება, რადგან ყველაფერს აღზრდა, გარემო, თავხედობა სჭირდება.
13867. ტელეფონით მოკლე, გულშიჩამწვდომი, საქმიანი საუბარი ხელოვნებაა, მაგრამ იშვიათად თუ მას ვინმე ფლობს, ამიტომ ორატორობასთან ერთად ტელეფონით საუბარი სასწავლო დაწესებულებებში ცალკე უნდა ისწავლებოდეს.
13868. როცა გონიერ კაცს დასცინიან, მასში მისი სიძლიერის და დემაგოგიური სამართლიანობის ნიშნები ჟღერს, მაგრამ უნიათო კაცის დაცინვაში მუსიკალური ჟღერადობა გამქრალია და სიტყვების რახა-რუხი რჩება.

13869. წესით, ორი ძველი მეგობრის შეხვედრა თავისებური დღესასწაული უნდა იყოს სასმელის შესმის აღნიშვნით, ორი დაქალის კი – იმ დაქალების რეკლამა, ვისზედაც ისინი წაიჭორავებენ.

13870. თავზე ცუდის თქმა შესაძლებელია, მაგრამ არა სატრაბახოდ, „ნახეთ, რა მაგარი ვარო"!

13871. თანდაყოლილ სისულელეს თავის ქალაში შეპარული ვერავითარი სიბრიყვე ვერ აჯობებს.

13872. შენს მუზასთან ჯდომას და ჭუკჭუკს ვერავითარი ამქვეყნიური ბედნიერება და სიამე ვერ შეედრება.

13873. ახლობლები იმისთვისაც არსებობენ, რომ ჩვენზე გაიცინონ და მოგვატყუონ, რადგან უცხოს ვერას ავნებენ და დააკლებენ.

13874. რა სჯობს: ფესვების ღირებულების დაკარგვა და თანამდებობის მოპოვების მიზნით კარიერის გრძელვადიანი უპროცენტო სესხის აღება თუ ადამიანის მონა-პოვარზე თავის დადება და ერთჯერადი პატარ-პატარა გამარჯვებების მოპოვება? – კაცია და გუნება.

13875. შენს შარაგზაზე გასვლას ცხოვრებაგამოვლილ შემთხვევითობა–აუცილებ-ლობის კანონთან ჭუკჭუკი სჭირდება.

13876. გამარჯვებაზე წასულების სახელით უნდა ვილაპარაკოთ, რომლებმაც ყველა-ზე ძვირფასი, სიცოცხლე გაიღეს.

13877. კოსმეტიკა და მომხიბვლელობა ბუნებრივობასთან უნდა იყოს შერწყმული, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება გაქიაქების საგანი გახდეს და არა – შურის, როგორც ეს ქალს ჰგონია.

13878. სიჭარმაგეში რატომღაც ყველა ნაცნობად და ახლობლად გვეჩვენება, მიუ-ხედავად ცხოვრების გამოცდილებისა და მოყვასთა მამაძაღლობის ცოდნისა.

13879. სურვილი, რომ მოწონებული ვიყოთ, ყველას გვაქვს, მაგრამ ამისათვის ყვე-ლაფერი არ უნდა ვიკადროთ.

13880. ჩვენი გარეგნობით მარტო წარსულს არ უნდა გადავხედოთ, შემართებისთ-ვის აწმყოც და მომავალიც იმსახურებს ყურადღებას.

13881. ეშმაკურად დასმულ კითხვას თავის ხიბლი და სიქველე აქვს, ამიტომაც პასუ-ხი არანაკლებ მოხერხებული, მომხიბვლელი და ბრძნული უნდა იყოს.

13882. ჭორი ის ფენომენია, რომელიც ხალხმა ხალისით უნდა დაიჯეროს.

13883. გამყიდველობა არა მარტო სუსტი ნებისყოფის შედეგია, არამედ ჩაბუდებუ-ლი ბოროტების საწყისიც.

13884. თუ ჩვენს სამართლიან ქცევას სხვა ამგვარივე ქცევით არ უპასუხებს, ხასია-თი არ უნდა გაგვიფუჭდეს, რადგან სიკეთეს, მადლს და ყურადღებასაც კი ძირი-თადად ჩვენი სიამოვნებისთვის ვაკეთებთ.

13885. უნდა ვაკეთოთ გასართობი და არა სასაცილო საქმე, რათა ცხოვრების მი-მართ სათუთი დამოკიდებულება შევინარჩუნოთ.

13886. გულწრფელ, სამართლიან, კულტურულ გარემოში, ყველა უხერხულ საკით-ხზე შეიძლება საუბარი, განსჯა, თუ ამისთვის აუდიტორია მომზადებულია.

13887. ერთ საუკუნეში დაბადებული ადამიანი სულ იმის ფიქრშია, სხვა დროში რომ დავბადებულიყავი, უფრო მაგარი ვიქნებოდიო. არ დაიჯეროთ, ის იმ საუკუნეში დაიბადა, სადაც უნდა დაბადებულიყო, მას მეტის გაკეთება არ შეუძლია. დანარჩენი კი მხოლოდ ილუზიაა.

13888. ლექტორი, რომელიც სტუდენტის თავში მხოლოდ უდაბნოს ხედავს, თუ მოინდომებს, ოაზისსაც აღმოაჩენს და დამაკმაყოფილებელ ნიშანს დაუწერს, ამით თვითონაც მოისვენებს და უდაბნოს ეკოლოგიასაც დაიცავს.

13889. კეთილშობილება ტყუილს, რა მიზანსაც უნდა ემსახურებოდეს, ნულამდე დაჰყავს.

13890. ზოგჯერ დახვეწილ გრძნობებზე საუბრობენ დაცინვით, ღვარძლიანად და შენატრებით.

13891. ცხოვრება მცონარობაა, სალაფავის ყოველდღიური მიღება და ყბედობა, ყბედობა, ყბედობა.

13892. თუ თქვენი გაპამპულების მცდელობას არ შეიმჩნევთ, თქვენი ოპონენტი თვითონ ხდება დაცინვის საგანი, რადგან მან ისე ვერ იმაყირა, რომ თქვენ გაგეგოთ და სხვას თქვენზე ეცინა.

13893. ყბედობის მიზეზი ყოველთვის არის წესრიგში მოუყვანელი აზრების უპასუხისმგებლო ფრქვევა, რომელსაც დროის დაკარგვა და უსაქმურობა მოაქვს.

13894. საოცარია, მაგრამ ჭკვიანი ხალხი უფრო ცუდად ცხოვრობს, ვიდრე პრაქტიკული, რადგან ჭკვიანს ჰუმანურობის ბაცილა უჩნდება და აზარმაცებს, ხოლო პრაქტიკოსი ბაცილის გარეშე უკეთ მუშაობს. ამიტომ გამოთქმა "ვაი-ჭკუისაგან" აზრს არასოდეს დაკარგავს.

13895. ვხედავ წვერს და ვერ ვხედავ ბრძენს, ვხედავ სათავსოს და ვერ ვხედავ ჭკუას, ვხედავ ნაშრომს და ვერ ვგრძნობ ავტორს, ვერ ვხედავ მასწავლებელს და ვერც მის ნამოღვაწარს. შესანიშნავი გამოთქმებია!

13896. ბუნებაც ბევრს ცოდავს ადამიანების წინაშე, მაგრამ ჩვენ მას არ ვამტყუნებთ.

13897. რქებდადგმული, გავააწეული, ლაფდასხმული, ლეჩაქდასვრილი, სულწაწყმედილი, სინდისდაკარგული, ასე რომ ქალისთვისაც გამოინახება სათანადო შეურაცხმყოფელი სინონიმები, თუ კაცი მოინდომებს და ქალისადმი პატივისცემას დაკარგავს.

13898. მაცქერალი სულელია, მასა უსუსურია, ბრბო ბრიყვია, ხალხი ჭკვიანია, მოქალაქე ქვეყნის შვილია, ქომაგი გადარეულია, ფანი შერეკილია, ასე, რომ ყველაფერს თავის საცნობი და თავში საცემი აქვს, ყველასთვის ცალ-ცალკე და განსაკუთრებით.

13899. ფარშევანგი ულამაზესი ფრინველია საშინელი ხმით, ასევეა ზოგი ლამაზი ქალიც, რომელმაც ხმა არ უნდა ამოიღოს და თავის სურვილები სახის მიმიკით და მოკლე გადალაპარაკებით გამოხატოს.

13900. სისულელის ლაპარაკს ყბედობა ვერ გრძნობს.

13901. უმადურობასაც თავისი „დაფასება" სჭირდება, რათა მან ფესვი არ გაიდგას საზოგადოებაში.

13902. ბედნიერებაა, როდესაც შეგიძლია დაიწუწუნო და მოგისმენენ, თავს შეიქებ და მხარს დაგიჭერენ. სიტყვას იტყვი და ყურად იღებენ, რჩევა დარიგებას გთხოვენ და შენს ნათქვამს გაითვალისწინებენ, ყოველგვარი ქრთამისა და პროტექციის გარეშე.

13903. შემოქმედი სულისთვის ან ყველა დღე დასვენებაა, ან ყველა დღე სამუშაო, მისთვის შაბათი და კვირა არ არსებობს.

13904. ჭორაობასა და ლაზღანდარობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველით უპირატესად ქალები სარგებლობენ, ხოლო მეორეთი – მამაკაცები, ორივე კი გართობას და თავისებურ დროსტარებას ემსახურება.

13905. ენის სიგრძე საქმის სიმოკლის მაჩვენებელია, მაგრამ ხალხს მაინც კარგი ლაყბობის მოსმენა სურს.

13906. ხმამაღალი ყბედობა ერის, სამშობლოს სიყვარულზე თავისებური ფანდია იმისა, რომ ვინმემ შეგამჩნიოს, რათა შემდეგ რაიმე სარფიან ადგილს გამოჰკრა ხელი.

13907. სიკეთეს არ სჭირდება კუდის ამწევი, მაგრამ ვიღაცამ ამის შესახებ მაინც უნდა თქვას.

13908. „ენით მიყენებული ჭრილობის ექიმი დროა", ხოლო დრო-ჟამის გარბენით მიყენებული ჭრილობის მკურნალად ისევ ენა გვევლინება.

13909. ფიჭური ტელეფონით ლაყბობა ძალზე დიდი უზრდელობაა საკუთარი ჯიბის მიმართ.

13910. ლაპარაკი, რომელსაც საქმის კეთება არ შეუძლია, უნდა გაირიყოს, დაისაჯოს, რადგან ყბედობა და შენება სხვადასხვა რამეა და ერთმანეთს ვერ იტანენ.

13911. ინერცია, ტრადიცია, მოვალეობა საშუალებას არ გვაძლევს ხშირად ისე ვიცხოვროთ როგორც ჩვენ გემოვნებას, ფანტაზიას შეეფერება.

13912. არ არსებობენ ლამაზი და ულამაზო ქალები, არსებობენ შენი მომხიბვლელი და ჭკუის ქალები, რადგან ყველა მათგანის შეყვარება შეიძლება, თუ მათთან ურთიერთობა საინტერესოა, გონიერების სხივებს აფრქვევენ და შენი ძუს სუნი ასდით.

13913. ჭორს ყოველთვის იმაზე ძვირად ყიდიან, ვიდრე იყიდეს.

13914. ჭეშმარიტების უგულვებელყოფა, პირველ რიგში, თავისადმი უპატივცემულობაა.

13915. ჩვენ, ალბათ, ყველანი ცოდვილები ვართ, მაგრამ უნდა ვეცადოთ სხვებს არ ვაჯობოთ ცოდვების აკიდებასა და რეალიზაციაში.

13916. ჩვენი არსებობა მითია, ფიქციაა, რომელიც სიცოცხლეს არ სჯერა, მაგრამ ასაკს უკვე ეჭვიც არ ეპარება.

13917. დაეწიო ოცნებას შეუძლებელია, მაგრამ ზოგჯერ ნაოცნებარის ასრულება ილუზიას გვიქმნის მასზე გასწრებისას.

13918. მფლანგველი სჯობს თუ მლიქვნელი, ძნელი სათქმელია, მიუხედავად იმისა, რომ ერთი თავისი სიამოვნებისთვის ჩადის სისულელეს, მეორე – თქვენი სიამოვნებისთვის, რადგან იმედი აქვს რაიმეს გამოგრჩეთ.

13919. ეტყობა ათი მცნება ათ უძველეს პროფესიასთან კავშირშია, თორემ ეს ინსტიტუტები დროის ამ გამოცდას ვერ გაუძლებენ: ასეთია ლამაზმანი – ბუნებრივი მოთხოვნილება, „მასმედია" – ჭორაობის საშუალება, ვაჭრობა – შრომის მოგების გადანაწილება საქონლის უწარმოებლად, პოლიტიკა – მაფიის საწყისი ორგანო, იდეოლოგია – საზოგადოების შესადუღაბებელი საყრდენი, სამართალი – კეთილგონიერების შესანარჩუნებელი აიწონა-დაიწონა, გართობა – სანახაობა, თავის მოგიჟიანება. ექიმი – ჯობს არ დაგვჭირდეს, მაჭანკალი – ხშირად კომპიუტერი ცვლის, ოჯახის შესაქმნელად იხმარება, გონების გასათიში – ხანდახან ესეც აუცილებელია და საჭიროც.

13920. სიამის მიღების თეორია ძირითადად ცნობილია და მისი გამოცდის სურვილი ყველას აქვს, მაგრამ თავხედობა არ ყოფნით და კიდეც მიდიან ამ ქვეყნიდან გულდაწყვეტილნი, მორალურად მდგრადნი და შეულახავნი.

13921. სურვილის მიუხედავად ყველა ცოდნა ოპონირებას იწვევს, გადის დრო და ამ დარგში პროგრესი წინ მიიწევს, ასე რომ სურვილი ყოველთვის არ ვნებს სურვილის სურვილებს.

13922. გამოთქმა „ხიფინგი კი არ არის ორივეს გვესიამოვნოს" მისი მეორე ნაწილი რევიზიას მოითხოვს, რადგან თუ პროცეს ერთნაირი სიამოვნებით ტარდება, შედეგს მდედრისთვის საფიქრელიც და საეშმაკოც მოაქვს.

13923. ერთიდაიგივე აზრის ახმოვანება სხვადასხვა სალამ-ქალამით და ზრდილობიანობის ფორმებით შეიძლება. მაგ. „ვისი ვიოლინო ვის როიალშია" ტოლფასია „ვისი გონიერება ვის უკანალშია".

13924. „დ.ს.თ." არის მოგონებათა კლუბი, სადაც ყველას კარგის გახსენება უნდა, მაგრამ ხელში მხოლოდ გაურკვევლობა რჩებათ.

13925. ბუნება იერარქიაზეა აგებული, არსად არ არის თანასწორუფლებიანობა და ეს პრაქტიკულად შეუძლებელიცაა, რადგან არსებობს ჭკვიანი, ნორმალური გონიერების, უგუნური, უფროსი, უმცროსი, რომელთა გაიგივება არც სამყაროს და არც ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს.

13926. სულელები ჭკვიანებს ნებით არასდროს არ სცნობენ, რადგან მათ თავი ყველაფრისმცოდნე ჰგონიათ და ამაში ეჭვი არც ეპარებათ.

13927. მართალია, ცხოვრება სიზმარია, მაგრამ არც თუ ისე საშინელი, არც თუ ისე ვერაგი და არც თუ ისე უსიყვარულო.

13928. ყველაფერი იყო და ყველაფერი იქნება, გარდა ჩვენი მეორედ მოსვლისა.

13929. მაიმუნს ვინ ეკითხება, თორემ დღეს ზოგი მათგანი ადამიანთან შედარებას დიდ სირცხვილად ჩათვლიდა.

13930. თავმდაბლობა ყოველთვის სიკეთის სიმბოლო არ არის, ხშირად მლიქვნელობაცაა.

13931. ერთი წლის განმავლობაში ლიფტის გამოძახება ჩვენს სართულზე შეუძლებელი იყო, გავაკეთებინე, მადლობა არავის უთქვამს, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემდაუნებლიედ მეხუთე სართულიდან ფეხით მოსიარულეებს ვარჯიშით გამოწვეული სიამოვნება მოვაკელი.

13932. მხოლოდ სულელებს შეუძლიათ ერთმანეთისთვის წოდების ჩამორიგება უანგაროდ, უსაყვედურროდ და თავის მოსაწონებლად.
13933. საოცარი რამ არის გარემო, აღზრდა, მსოფლმხედველობა. განა პუშკინის გენიას დუელზე უნდა შეეგდო თავის სიცოცხლე და საკაცობრიო ნიჭი?
13934. ენაბლუც კი ცდილობს საუბარში თავის მჭევრმეტყველური შესაძლებლობის რეკლამირებას.
13935. ცრემლი არსებობს ბავშვის, ქალის და ნიანგის, ხოლო მათი მიზეზის და მიზნის დადგენა ჩვენს გონიერებას აღემატება.
13936. ბავშვობა ხანდაზმულობაში მოსაგონრადაა სასიამოვნო და არა თავად ბავშვობა.
13937. თავდაპირველად ცხოვრების გასავლელ გზას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, მაგრამ როგორც კი გზას დავადგებით, აზრი მის უსასრულობაზე მაშინვე გვეცვლება და შეიძლება დაგვიანებულადაც.
13938. აბსტრაქციის რწმენა საჭირო არ არის, მაგრამ ვერ ველევით, რადგან როდესაც ცხოვრებაში არ გვიმართლებს, მაშინ მისი წარმოდგენა სიამეს გვგვრის და გვატკბობს.
13939. წესიერება, ღირსება ზევიდან ნაჩუქარია და მთელი უბედურება ისაა, პატიოსნებს ხელის განძრევა არ უნდათ, რომ მათ მფარველობაში არ გაისვაროს და ხატის როლის შესრულებით კმაყოფილდებიან.
13940. სანახაობაზე დასწრება ზოგს ბრბოსთან ერთად უყვარს, ზოგი ტელევიზორს მიუჯდება. ყოველ მათგანს თავისი უპირატესობა აქვს, პირველი ემოციებით იტვირთება, მეორე კი კომფორტში ეფლობა.
13941. პრივილეგიები განგების საუკეთესო საჩუქარია, მაგრამ რა დამსახურებისათვის, გაუგებარია.
13942. ბრბოს მიერ არცოდნა ყველა დროში უფრო დაფასებული იყო, ვიდრე ცოდნა, რომელიც ჭკუის მოთრევასაც ითვალისწინებს.
13943. თანამედროვეთა არც ხოტბას უნდა ენდო და არც ძაგებას, რადგან ყოველივე ეს წარმავალია თუ შენმა ნახელავმა დროის ჭირვეულობას ვერ გაუძლო და მომდევნო თაობებში გონიერი ხალხი არ ააღელვა და დააინტერესა.
13944. არის შრომის, არის კაპიტალის უფლება, რომლებიც სინონიმებია, რადგან ერთმანეთის გარეშე ისინი ნორმალურად ვერ იარსებებენ.
13945. ზოგჯერ მინდა დავიჯერო თქვენი ისტორია, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ისტორია ასე დიდხანს სიცოცხლის ღირსი არ არის.
13946. არის ასეთი გამაფრთხილებელი პატიოსნების ფილოსოფიაც: თუ ამქვეყნად ყველა იტყუება, მაშინ მე დასაშვებ ფარგლებში მოგატყუებ, მითუმეტეს, თუ ამის შესახებ წინასწარ გაფრთხილებ და ამით მე სხვებთან შედარებით წესიერ კაცად გამოვჩნდები.
13947. პიროვნებას, სახელმწიფოს ინტერესებს, ეწირება სარწმუნოების დოგმები, იმპერიის შეუვალობის კანონი, სიყვარული და ათასი სხვა, რომელსაც უნებურად

მიაქვს ამდენი ხარკი, მაგრამ სახელმწიფოს ბრალია ეს, თუ მისი უკუღმართი შვილებისა, დასადგენია.

13948. ისტორიას აქვს საზოგადოების განვითარების თავისი კანონი, მაგრამ ეს ისე ხშირად ირღვევა, რომ ამ კანონიდან არაფერი რჩება მისაღები და გასათვალისწინებელი.

13949. მოვა დრო და ჩვენი სხეულის სულიერად გამომზეურება, შეკეთება-გადაკეთება მოგვიწევს, მაგრამ ამით ვერც ამბიციებს მოთოკავთ და არც თანამედროვე მოდისკენ მისწრაფება შენელდება.

13950. უნდა ვეცადოთ ამ სამყაროს პიროვნებებად მოვევლინოთ და არა დედიშობილად, სადაც ტანსაცმელთან ერთად გონების ნასახიც მიკროსკოპით არ იქნება საძებნი.

13951. მთავარია, რისთვის დაკარგე ფეხი, თუ სამშობლოსთვის – მოსათმენია, თუ უჭკუობის გამო – საწყენია, როგორც ცნობილია, უფეხობას საკუთარ ფეხზე დგომა სჯობს, ამიტომ თავს უნდა გაუფრთხილდე, რადგან ამქვეყნად ბოლომდე არავინ არაფერს დაგიფასებს.

13952. როდესაც ომი იწყება, მაშინ იკარგება ჭეშმარიტება და საფლავები, ამის მიზეზია ის თავხედი ვირეშმაკა, რომელსაც ჩვენივე გულგრილობით და ჭკუანაკლულობით დავეხმარეთ აღზევებაში.

13953. სიმდიდრის მოპოვებას ისეთი დაუფასებელი და განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება, რომელსაც შურიანი კაცი ვერ აღიქვამს, ეს ნიჭი დაუღალავ შრომას და ხალხთან ურთიერთობას მოითხოვს, რომელიც რისკზეა აგებული, რისკს კი თავისი შემფასებელი სჭირდება.

13954. ქურდი ის არის, ვინც ღამე ნაქურდალს ერთ კვირაში წირვას გამოუყვანს და ისევ საქმეზე მიდის. აბა, ქურდი რომ ქონს მოიდებს, ოჯახს შექმნის, სიმდიდრეს დააგროვებს, ქველმოქმედებას დაიწყებს, პოლიციასთან საქმეს მოაგვარებს – ის ბიზნესმენია, რომელიც თავისი გზით შოულობს ქონებას.

13955. სიყვარულსა და სიძულვილს შორის თუ ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი დიდი მანძილია, სურვილსა და რეალობას შორის ნაბიჯის გადადგმისათვის თავდაუზოგავი სირბილიც კი ცოტაა.

13956. ხანდახან დანაშაულის ძალდაუტანებლად აღიარება ცოდვების სხვაზე გადაბარების მცდელობაცაა.

13957. პატიოსნება–მომხვეჭელობას, ქურდობა–წესიერებას, ქალობა–მეძავეობას შორის თანდათანობით საზღვრების წაშლა იწვევს საზოგადოების გარყვნას, ამის მიზეზია ზევით რაღაც მანქანებით მოკალათებული ფენა, რომელიც ძველი ცოდვების გამართლების მოსაძებნად კლასიკურ პატიოსნებას რყვნის, რათა მათ წარსულს ჩრდილი არ მიადგეს.

13958. „ყველა საიდუმლო ადრე თუ გვიან ცნობილი ხდება", მაგრამ არა ბოლომდის, რადგან მას იმდენი საძრომიალო აქვს, რომ მისი დამალვა და იმ – ქვეყნად გაყოლება თავისუფლად შეიძლება.

13959. ჯენტლმენის ფილოსოფიაა – „მე გაგაფრთხილეთ, თქვენ როგორც გინდათ, ისე გაისარჯეთ", მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ადამიანს შენი სურვილი რომ გააგებინო, ამას ხან ენა სჭირდება და ხანაც – მათრახი.

13960. თანამედროვე სიტუაცია ისე არ უნდა გავაკეთილშობილოთ, რომ ის მოუქნელი, მოუხერხებელი გახდეს და შერეკილებმა თავში წამორტყმაც გაუბედონ. მათი ოდენობა კი ამ სამყაროში, ჯერჯერობით, განუსაზღვრელია, თუ თავის ადგილს არ მივუჩენთ.

13961. თვითდაჯერებისთვის სიფრთხილე გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე რისკი, მაგრამ ამ უკანასკნელით გამართლებული საქმე გაცილებით მეტ სიამეს გვანიჭებს.

13962. მხედველობას ხანდახან სმენა ენაცვლება, სმენას – მჭევრმეტყველება, რომელიც ზოგჯერ ყველას ჯობნის, მათ შორის, ყველაფრის დამნახავ და გამგებ გონიერებას.

13963. ყოველთვის ლიბერალიზმის წახალისება არ შეიძლება, რადგან ამქვეყნად არსებობენ დამნაშავენი, ტერორისტები, ვიგინდარები და ბოლოს კანონი, რომლის სწორად გამოყენებაზე და მკაცრად დაცვაზეა დამოკიდებული ქვეყნის წინსვლა და მომავალი.

13964. გონების სურვილის მიუხედავად, სიყვარულის, კანონის, მოვალეობის ერთმანეთში შერევისას მწარე კოკტეილს ვიღებთ, რადგან კანონი და მოვალეობა სიყვარულს წილში უჯდება.

13965. სამართლიანობა შანტაჟითაც მიიღწევა, როდესაც ოპონენტს მეტის დაკარგვის ფაქტის წინაშე დააყენებ და ჭეშმარიტების ძალას წინ აუფარებ.

13966. უბრალო წესიერება ყოველთვის მაღლა დგას სამყაროში ყველა სხვა სიკეთეზე, მაგრამ როგორც კი სიკეთე მატერიალურ განზომილებაში გადაიზრდება, მაშინ ყოველივე თავდაყირა დგება და წესიერებას ოპონენტები უჩნდებიან.

13967. როდესაც ქალიშვილი მღერის, დედა პოეტობს და მამა კომპოზიტორობს, ამ მაფიასთან კომპრომისული ოპონენტობა ძნელია, რადგან ერთ-ერთის ქება ხომ სხვების კრიტიკის ხარჯზე უნდა მოხდეს.

13968. თავისუფლება შეგნებით გამაგრებული შინაგანი მოთხოვნილებაა, რომელიც უგვანო და ყეყეჩ ხალხს არ უნდა მივცეთ, მაგრამ აქ მასწავლებლად, არბიტრად გამოსვლა უმადური საქმეა.

13969. ვინმეს თუ მატარებელზე აგვიანდება, მას ძაღლი უნდა მიუქსიოთ ცუდი განზრახვით და კარგი შედეგით, თუნდაც იმიტომ, რომ მას გარჯა და ადრე ადგომის ფასი ასწავლეს და მატარებლის ვაგონში აღმოჩნდეს.

13970. კარიერისკენ მისასვლელი გზა ხანდახან შიმშილის თავისებურ კულტურას მოითხოვს გარეგნული პეწის შენარჩუნებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ გზაზე წყალს დაგისხამენ, რათა მოცურდე და როგორც კონკურენტი, ჩამოგიშოროონ.

13971. ვიდეო, კომპიუტერი, ინტერნეტი, არის ნაწარმოების, საგნის მოკლე შინაარსი, მხატვრული კითხვა თავის გაუნძრევლად, დროის ეკონომიით.

13972. საზოგადოების აზრი სხვადასხვა გზების მაჩვენებელია და არა ის სწორად გასავლელი გზა, რომელზეც გამოცდილების კომპასმა უნდა დაგვაყენოს.

13973. იქ, სადაც მშობელი არასასურველ შედეგს ხედავს შვილისთვის და მასში დამოუკიდებლად ჩაერევა, ეს ადამიანის უფლებების დარღვევად შეიძლება ჩაუთვალონ და აქ სჭირდება ყველაზე მეტად დიპლომატია, რათა მშობლის არაოფიციალური უფლებები გამოიყენოს ადამიანის უფლებების დაურღვევლად.

13974. არაკომპეტენტურობა თავისებური თავისუფლებაა და ის უპირატესობა აქვს, რომ მიღებულ დოგმებს არ სცნობს და თავისი ფანტაზიის გაჯერების საშუალებაც აქვს, რომელმაც შეიძლება რაღაც სასიკეთო სიახლეს შემთხვევით ხელიც წამოკრას.

13975. ამქვეყნად ყველა რაღაცას ეძებს თავისი სულის, მოწოდების, ნიჭის საჭუკჭუკოდ და თავის გასახარად.

13976. აზროვნება ის რაშია, რომელიც ჩვენს სხეულში ადრენალინს დააჭენებს.

13977. ყველა თავისი თავის მონაა, მაგრამ ზოგს ღირსეული ადამიანის მონობა ურჩევნია, რადგან უფრო თავისუფლად და იმედიანად გრძნობს თავს.

13978. მოიქცე სამართლიანად და მოექცე ადამიანურად ერთი და იგივე არ არის, რადგან პირველის კითხვის ქვეშ დაყენება მეორის სასარგებლოდ დაუშვებელია, ეს უკანასკნელი რაც უნდა ჰუმანური და მისაღები იყოს სამართლისთვის – ხალხი ირყვნება.

13979. სიმდიდრე თავისუფალი ცხოვრების უფლებას გვაძლევს, მაგრამ პასუხისმგებლობასაც გვიზრდის, მიუხედავად იმისა, ამას ვგრძნობთ თუ არა.

13980. ქვეყანამ კანონმდებლობაში ნაკლოვანებების დაშვების უფლება ცხოვრების მაღალი დონით უნდა დაიმსახუროს და აინაზღაუროს.

13981. რა სხვაობაა ეშმაკობასა და სიჭკვიანეს შორის?! პირველი სხვის ხარჯზე ცდილობს გვერდი აუაროს ცხოვრებაში შექმნილ წინაღობებს, ხოლო მეორე ამას არ კადრულობს.

13982. სიბრძნე ჭკუა არ არის, რადგან სიბრძნისთვის უმთავრესია საზოგადოების სამსახური, ხოლო ჭკუა პირველ რიგში საკუთარი თავის არდავიწყებაა.

13983. სამყარო არ შეიძლება ყოველთვის, ყველაფერში და ყველას მიმართ გულკეთილი იყოს, მას გაფრთხილება, თავის დაცვა და სილის გარტყმაც უნდა შეეძლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაშენდება, გაქრება, დაიკარგება.

13984. „ბუღალტერიას, გაეცით" – ამ ხელწერის უფლების მოპოვებაა ყველაზე დიდი კაიფი ნამდვილი ხელმძღვანელისთვის.

13985. ყველა პატარა ტანის კაცში შეუპოვრობა, სიჯიუტე უნდა იჯდეს, თუ უნდა იმაზე მეტად ამაღლდეს, რაზეც ადრე ვერც იოცნებებდა.

13986. ჭკვიან მოხერხებულს თავი ბრიყვად მოაქვს, ხოლო სულელს – ჭკვიანად, გააჩნია, ვის რა აკლია და ვინ რა ხეირის ნახვას, მისაკუთრებას აპირებს.

13987. სხვაზე უკეთესად თავის წარმოჩენა, ცხოვრებაში ერთმანეთთან გაჯიბრება და უკეთესი ცხოვრებისკენ სწრაფვა, აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ სხვამ დაინახოს, შეშურდეს, მოინდომოს, გაითავისოს და არა იმიტომ, რომ ვისწრაფოთ სიმდიდრისკენ, სხვას ფეხი დავაჭიროთ და მასზე უკეთესი გამოვჩნდეთ.

13988. ჩვენი კოდის შეცვლა შეუძლებელია და არცაა საჭირო, მაგრამ ხარისხი რომ გავაუმჯობესოთ, ამაზე ფიქრი აუცილებელია, რადგან იმედის გარეშე ცხოვრება ჭირს.

13989. როგორც საძირკველი არ ჩანს სათანადოდ სახლის თაღის წარმოჩენისას, ასევე მეცნიერის, რეჟისორის წარმატებული ნამოღვაწარი შედარებით უცნობია მასებისთვის, ვიდრე შემსრულებლების როლი, რომლებიც სხვისი დაფნის გვირგვინიდან ლომის წილს იმკიან. მაგალითად, კოროლიოვი – გაგარინი, ლ. გაიდაი – მისი კინოს პოპულარული მსახიობები.

13990. ისტორია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვიგინდარების სამყოფელია, იმ განსხვავებით, რომ ერთმა გარემოებათა გამო თავის ქვეყანას რაღაც არგო, მეორემ კი, სურვილის მიუხედავად, იგივე გარემოებათა მომიზეზებით ეს ვერ შეძლო.

13991. დიდ იმპერიებს იმდენად სხვისი ღალატი არ შლიდა, რამდენადაც საკუთარი ხალხის გამყიდველური ბუნება. კაპიტალიზმისკენ სოციალიზმიდან რუსეთის 180 გრადუსით შემოტრიალება იგივე ღალატი იყო სსრ კავშირის და სამყაროს სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნების და მოსახლეობის მიმართ. თუ არა მოღალატის ბუნება, დროგამოშვებით ის ამ იდეოლოგიის რეკონსტრუქციასაც მოახერხებდა, არც თავს გაიწვალებდა და არც მის მიმდევრებს გააწბილებდა.

13992. დღეს სადაც არ უნდა მიხვიდე ყველგან სუპერია, საითაც არ უნდა გაიხედო, ელიტა ჩალიჩობს.

13993. ღმერთმა ქნას, რომ ყველას ჩვენი შურდეს და ჩვენ შეგვეძლოს მათი შურის დაკმაყოფილება.

13994. "ვაშას" ტყუილუბრალოდ არავინ ყვირის, ყველას თავის მიზანი და იმედი ასულდგმულებს.

13995. ცრემლი თვალთმაქციც არის და ნაღდიც და ორივეს შენს სასარგებლოდ გამოყენება შეიძლება, თუ მათ გარჩევას შესძლებ.

13996. ეს ადრე იყო „წილი წილისთვის", თორემ დღეს ყოველივე ფულით შეიძლება მოაგვარო.

13997. შენი ცოდნა და გამოცდილება სხვისი დახმარებით უნდა გაყიდო, თუ გინდა სარფიანად ისარგებლო.

13998. მათხოვრობა ხელოვნებას მოითხოვს, მაგრამ მათთვის ფულის მიცემა – თავისებურ ანგარიშიან გულუბრყვილობას, რომელიც მან სიკეთის კეთებად მიითვალა.

13999. ჭკვიანი კაცი ახალი წლის დღესასწაულს ახლობლებში გაატარებს, თავად კი ახლობლებს ერთი თვის თავზე მიიწვევს, როდესაც გამასპინძლება ყველას მობეზრებული აქვს, ამასთან ახალ წელს სტუმრობა უფრო დაფასებაა, გახსენებაა, ვიდრე სტუმრობა, ხოლო შენი მიპატიჟება უფრო დასამახსოვრებელია და სტუმრის მიწვევის სტატუსი აქვს.

14000. კარიერის საფეხურზე ყოფნა დიდებული საქმეა, მაგრამ ქრთამის გარეშე სხეულს ვერ გაათბობ და თანამდებობის შესაძლებლობით ვერ ისიამოვნებ.

14001. ქვრივის დამშვიდებას არ უნდა შეეცადოთ, თორემ შეიძლება ხელში შეგრჩეთ მისი ალერსი და მოვალეობა.
14002. მოხერხებულობა ყოველთვის ღარიბების იარაღი იყო, ეშმაკობა კი – დაჩაგრულების.
14003. ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონი, ჰიტლერი, თავის დროის პოლიტიკის ავანტურისტი შოუმენები იყვნენ, რომლებმაც ისტორიის ოლიმპზე თავიანთი სახელები ააკიაფეს, ხოლო დროებითი წარმატებებით გაბრუებულ თავიანთ ქვეყნებს საბოლოოდ ნგრევა, დამცირება მოუტანეს და უამრავი ხალხი ვადაზე ადრე იმქვეყანას გაისტუმრეს. ამ ისტორიული, ნიჭიერი ნაძირალებით თაობები აღფრთოვანებულნი არიან, რადგან პატარა ნაძირალა სული ყველა ჩვენგანშია დაბუდებული.
14004. თუ გინდათ ადამიანი წყევლით მთლად არ გასწიროთ, ბინის რემონტი დააწყევლეთ.
14005. გლადიატორების ბრძოლასა და რესლინგის შერკინებაში ის სხვაობაა, რომ თუ პირველში შედეგის წინასწარი ჩაწყობა არ შეიძლებოდა, მეორეში წინასწარ ჩაწყობილ შერკინებაზე დებენ ფსონს. გამოდის, რომ ყეყეჩების რაოდენობა ჩვენს დროში მეტი ყოფილა.
14006. დასაკვირვებლად სახლში მხეცების ყოლა კანონმდებლობით აკრძალულია, მაგრამ პირიქით არავის აუკრძალავს და გამოსავალიც მათი ყოლისა ნახულია, რადგან ახლა ცხოველები აკვირდებიან ორფეხა კოლეგებს.
14007. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ოცნებაში ერთხელ მაინც თავის ახლობლის ჯინაზე რაიმე სისულელე არ ჩაედინოს.
14008. ინტერნეტი ის უნივერსალური სუპერმარკეტია, სადაც ისიც შეიძლება იყოს გასაყიდად, რომელიც ჯერ არავის შემოუტანია.
14009. შესაძლებელი რომ ყოფილიყო ყველა ერის ტრადიციების და ყოფის დაუწერელი კანონების შეწყვილება და იქიდან ერთი კარგი საშუალო კანონის და ადათ-ჩვევების მიღება, სამყაროს მცხოვრებთა ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.
14010. კარიერის მიღწევის ბევრი ხერხი არსებობს, თუ შენ ამისთვის მოწოდებული ხარ და იმ მარაქაში გაერევი, სადაც კარიერისკენ ილტვიან და თანაც იცი, ვინ რა დროს უნდა გაატარო შენს წინ, რომ ხელი შენც გამოგიწოდონ.
14011. კარგი ქირურგი ცუდ მოცეკვავეს მშველელად ვერ მოევლინება, რადგან ნიჭიერება უნიჭობას ყოველთვის ვერ სჯობნის.
14012. ქურდი თავისი საქმიანობის დროს ისეთსა შემოქმედებით წვას განიცდის, როგორსაც მსახიობი სცენაზე, მაგრამ მათდამი მიძღვნილ აპლოდისმენტებს წლები განსაზღვრავს.
14013. უფროსი თაობა დევალვირებას განიცდის, უმცროსი არაკონვერტირებულია, ხოლო საშუალო თაობა ნაღების მოხდის მცდელობაშია და არც ფულის დევალვაცია აწუხებს და არც მისი კონვერტირება.
14014. თუ ქურდი ხარ, კარგი ფსიქოლოგიც უნდა იყო. ერთ-ერთმა ქურდმა ბანკი დედიშობილამ გაძარცვა და ვერცერთმა მისი სახე ვერ დაიმახსოვრა.

14015. იქ, სადაც უკვდავება დაბრძანდება, სხვას ბორიალის უფლება არა აქვს.
14016. ლოთი ზოგ წმინდა წიგნში გადმოცემულ საღ აზრსაც თავის სასარგებლოდ იყენებს: წიგნში წერია, შეიყვარე მტერი შენიო და თავს იმით იმართლებს, რომ როგორც მორწმუნე, თავის მტერს – ალკოჰოლს ყვარობს.
14017. ყველა ერს აქვს უფლება ჰყავდეს თავისი წილი ჭკუანაღრძობი ადამიანები და ეს არ უნდა გახდეს სახელმწიფოთა შორის გაუგებრობის მიზეზი.
14018. ზოგჯერ არის შემთხვევა, როდესაც შენს თავსაც არ უნდა ენდო და საკუთარი თვალებით დანახულიც არ დაიჯერო, ვინაიდან შექმნილი გარემოება შენთვის ჯერ კიდევ უცნობია.
14019. ჯობს იყო მეორე და პირველი უშენოდ ვერაფერს სწყვეტდეს, ვიდრე იყო პირველი და უამრავი მოშურნე და მოქიშპე მოიმრავლო.
14020. სამართალდამცავი ორგანოები, ხშირად, დამნაშავის შეპყრობას ვერ ახერხებენ. მაგრამ, სანამ მთლად იმედს გადავიწყვეტდეთ, უნდა გავარკვიოთ, რა უბორკავთ მათ ხელებს, უღონობა, თუ ქრთამი.
14021. პასუხს აგებს ის, ვინც მრჩევლის აზრებს ანხორციელებს, მრჩეველს კი გაუმართლებლობის შემთხვევაში ყოველთვის აქვს ალიბი „ის მრჩეველია და არა შემსრულებელი". ამიტომ, ჭკვიანმა ხელმძღვანელმა ასეთი მრჩევლები შემსრულებლად უნდა დანიშნოს, ამით საქმეც გაკეთდება და ალიბიც მოიხსნება.
14022. არის დანაშაული, რომლის ჩადენა გარემო პირობების გამო აუცილებელია, რათა საზოგადოება უფრო დიდ კრიმინალსა და უბედურებას გადარჩეს,მაგრამ ვინ არის იმის გარანტი, რომ ამ დანაშაულის ჩადენა შენს ხალხს უშველის.
14023. მთის ცხოვრების მკაცრი კანონების მიუხედავად, ხალხის ტრადიციები მაინც მშვიდობის გამოძებნის კოპრომისებიდან გამომდინარეობს, მაგ: ქალის მანდილით მოჩხუბართა გაშველება; სტუმრის, თუნდაც მოსისხლის, ხელშეუხებლობა და სხვ.
14024. ჯოჯოხეთში გაგზავნილი კაცი რომ ეშმაკისთვის ხელის ჩამოსართმევად დიდი სიამოვნებით მიემართება, სწორედ ეს არის დიპლომატიის ხელოვნება.
14025. ადამის შვილს იმდენი ხნით უნდა აღუკვეთო თავისუფლება, რომ იგი არ მიეჩვიოს, თორემ მისი გამოსწორება გაძნელდება, ამის მაგალითი გლადიატორებია, რომლებსაც თავისუფლების მიღების შემდეგ არენაზე დაბრუნების სურვილი ჰქონდათ და დღევანდელი ქურდები, რომლებიც ციხეში უკეთესად გრძნობენ თავს, ვიდრე გარეთ.
14026. კაზინო, პატივისცემის ნიშნად, სათამაშოდ გარკვეული თანხის „ფიშკებს" საჩუქრად იძლევა. ზოგი მას უთამაშებლად ახურდავებს და ფულს ჯიბეში იდებს, ეს ქმედება მოხერხებულობა ჰგონია და თავისი საქციელის უსინდისობას ვერ გრძნობს.
14027. თუ ოთხფეხა ცხოველებსაც არმიყის, სიყვარულის ნიჭი აქვს, მაშინ ეს ორფეხა, განვითარებული ცხოველი რა სინდისით ხოცავს მათ?!
14028. ნიჭიერი კაცი თავისი დროის შვილია და მას ემსახურება. შემდგომში მას ის ხალხი აკრიტიკებს, რომელსაც მსგავსი სიმაღლის აღება არ შეუძლია, მაგრამ

მაყურებელი სჭირდება და იძულებულია ენა დაიგრძელოს და დემაგოგიას მიმართოს.

14029. ბებერი ხარ-ჯიხვის მოკვლით გამოცდილი მონადირე თავის „ჰობსაც" იკმაყოფილებს და ჯოგსაც კარგ საქმეს უკეთებს. ბებერი ვაცის ხვედრი კი ასეთია: ან ახალგაზრდა ჯიხვი გადმოაგდებს და ჰარამხანას დაისაკუთრებს, ან დაუძლურდება და სხვისი სარჩო გახდება.

14030. ფეხბურთის თამაშის წესები იხვეწება და ამით თამაშს უფრო აყვარებ თაყვანისმცემლებს, მაგრამ ალბათ, საჭიროა მსაჯისათვის ტექნიკური გოლის ჩათვლის მინიჭების უფლება, როგორც სპორტის ზოგ სახეობაშია, რათა ეს თამაში უფრო მიმზიდველი გახდეს.

14031. აი, მესმის კანონის დღესასწაული, ჯაშუშებს იმისათვისაც კი სჯიან, რომ ისინი სხვა სახელმწიფოს სასარგებლოდ სადაზვერვო საქმიანობაში მიღებული თანხიდან გადასახადს არ იხდიან.

14032. შორეული ნათესავი, ახლო ნათესავთან შედარებით, იმითაცაა ხელსაყრელი, რომ მასთან გასაყოფი არაფერი გაქვთ, ერთმანეთს იშვიათად ნახულობთ და ამიტომ, ჩხუბის მიზეზსაც არ ეძებთ.

14033. სიბერე ასაკის მატებაზე არაა დამოკიდებული, მთავარია ირგვლივ რა ხალხი გახვევია, რა ხასიათზე დგები გაჭირვების ჟამს და ისწავლე თუ არა ყოფიერებით გახარება.

14034. ჩვენს მიმართ ოპტიმიზმის ნაპერწკალი ყველა ჩვენი ახლობლის გულში უნდა ღვივოდეს, თორემ არსებობა გაგვიჭირდება, თუ ჩვენი არ სჯერათ და იმედებს არ გავუმართლებთ.

14035. ფრთიანი სიტყვა გონების წუთიერი ზეიმი და სულის მალამოა, რომლის გახსენებასაც საჭიროების დროს ყოველთვის ვერ ვახერხებთ.

14036. საუბარი რეგლამენტისა და მოყირჭების გარეშე ადამიანის ნერვებისთვის დიდი ფუფუნებაა და საუკეთესო მკურნალია.

14037. ყველას გვაქვს ჩვენი ნაკლი, რომლის გამომზეურება, ჩვენს გარდა, ყველას აინტერესებს.

14038. ყველა ჩვენგანი ცდილობს მოიპოვოს მონოპოლია სამართლიანობის მომენტების აღქმაზე, თავისთვის სასარგებლო მოსაზრებებით.

14039. ფლირტი თავისებური გამოცანაა და მანამაა საინტერესო, სანამ ამოხსნი.

14040. ფლირტი ხელოვნებას მიეკუთვნება: არის მსუბუქი, არის კეკლუცი, არის მძიმე. გააჩნია რით დამთავრდება თქვენი წამოწყება და ვის გაამწარებს, ან ვის გაუნათებს ცხოვრებას. ეს კი მომავლის საქმეა.

14041. ფლირტს არა აქვს თამაშის წესები, პარტნიორები თანახმანი არიან წესებს არ დაემორჩილონ, რადგან მთავარი შედეგია.

14042. თუ გინდათ სიცოცხლე გაიხანგრძლივოთ, გაიგრძელოთ, ფლირტით არ უნდა ითამაშოთ, მისით უნდა იცხოვროთ.

14043. ზოგს ძილი ჰგვრის ნეტარებას, ზოგს – ქალი, ზოგს – მუსიკა, ზოგისთვისაც სასმელთან ჭუკ-ჭუკია საამო, რას იზამ, კაცია და გუნება.

ხალხი

14044. ჩვენ უფრო ფოლკლორის ხალხი ვართ და დამამცირებელი მადლიერებით გვინდა დავიჯეროთ, რომ უმოკლეს დროში ყველაფერს მივაღწევთ მონდომებული შრომისა და ნერვების დაძაბვის გარეშე, სხვისი დახმარებით.

14045. ჩვენი ხალხი დაბადებულია საფრენად და არა ბობღვისთვის. თანაც კარგი პატრონი გვჭირდება, რომელიც ჭიტლაყის ამოკვრასაც არ დაგვამადლის.

14046. კარიერისკენ მიმავალი რიგი არ კლებულობს, ძნელად დასაჯერებელია, რომ მავანს ასე მოსწონდეს ხალხის საკეთილდღეოდ ბზრიალი გაუხსნელი წრის ირგვლივ.

14047. სახელმწიფო ცდილობს მეტი წაართვას ხალხს, ხოლო ხალხი, რაც შეიძლება მეტი დასცინცლოს სახელმწიფოს. ამ შერკინებაში ორივე დამარცხებული გამოდის. პირველი იმიტომ, რომ შემოქმედებით ვერ მართავს სახელმწიფოს, ხოლო მეორეს კი წართმეული აქვს გონიერი მმართველის შერჩევის უნარი.

14048. ზღაპრის გმირი ნაცარქექია წესით ყველგან წაგებული უნდა გამოვიდეს, მაგრამ ხალხს ეს არ სურს და ამიტომაცაა, ზღაპარში სულ გამარჯვებულია. ადამიანთა მოდგმა ზღაპარში მასზე კაიფობს, ხოლო სინამდვილეში ისჯება, სხვანაირად არც შეიძლება, ხალხმა სადღაც ხომ უნდა "გაიხაროს".

14049. უხიაგი ხალხის ჭორაობას ზარალი მოაქვს. აზროვნების ნიჭით დაჯილდოვებულთათვის ჭორაობა უდიდესი მოგების მომტანია, რადგან იგი ვალდებულია აქაც ხეირი ნახოს.

14050. საინტერესოა, ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრებია თუ დაუკვირდები, არც დავიწყებული ჯილაგის ებრაელებს ჰგვანან, არც კარგად დაბანილ თათრებს, არც ლაყბობის მოყვარულ რომაელებს, არც ბრძენ ბერძნებს, არც პირამიდის მშენებელ ეგვიპტელებს, არც დენთისა და ქაღალდის პირველ მწარმოებელ ჩინელებს და არც სტუმრის პატივისცემაზე გადარეულ ქართველებს და თუ ეს ასეა, სჯობს საქმეს მივხედოთ, წინაპრებით თავის წარმოჩენას და "პაკაზუხობას" თავი დავანებოთ.

14051. ხალხი თუ მცირე მზრუნველობას გრძნობს მთავრობისგან და მისი ბედი ფეხებზე არ ჰკიდია, მაშინ ხალხი ბევრს აპატიებს, მოითმენს და დაივიწყებს.

14052. მმართველმა ხალხის ყაყანს და საყვედურებს ყურადღება არ უნდა მიაქციოს, მათ უნდა უპატრონოს, დაასაქმოს და ქვეყნისთვის საჭირო გახადოს.

14053. ქვეყნისთვის რომ სიკეთე აკეთო, მაშინ ხალხისადმი უნდა იყო სამართლიანად მკაცრი და მომთხოვნი, სხვა ალგორითმი ქვეყნის საკეთილდღეოდ ჯერ არ გამოუგონებიათ.

14054. საოცრად არის მოწყობილი ხალხის გონება: ვისი მიზეზითაც სახელმწიფო დაბობღავს, მას არავინ პასუხს არ სთხოვს, ხოლო ამ კაცის მიზეზით გაუბედურებულ, გადაცდენილ ხალხს პასუხს სთხოვენ და მათ დასჯას მოითხოვენ.

14055. დაუმსახურებლად, მოტყუებით დახმარების მიღება დანაშაულია იმ ხალხის წინაშე, ვისაც დახმარების ხელის გაწოდება სჭირდება, რადგან სიკეთის მკეთებელს ეჭვი ეპარება თავისი საქმიანობის სისწორეში.

14056. არის ხალხი, რომელთანაც მუშაობა შეიძლება, მათი შრომისადმი მისწრაფების გამო, მაგრამ ბიზნესში პარტნიორობა გამორიცხულია, მათი დაუფიქრებელი მგლური მადის გამო – "უნახავმა რა ნახაო".

14057. ყველა ხალხს განზრახული აქვს იცხოვროს დაწყნარებულ ქვეყანაში, მაგრამ ამის საშუალებას არ იძლევა ახალწამოჩიტული თაობა, რომელიც არ ისვენებს და თავში მოწოლილი "ჭკვიანი" აზრები გონიერება ჰგონია, მაგრამ სამწუხაროდ, მომდევნო თაობაც ასევე იქცევა, ეტყობა ან აღზრდის ბრალია, ან წინაპრები რაღაცას ვერ ითვალისწინებდნენ.

14058. ხალხში პოლიტიკაზე საუბარი იმიტომ სიამოვნებთ, რომ მესამეს აგინებენ და აქ მათი აზრები ერთმანეთს ემთხვევა.

14059. ხალხი, რომელიც ბოროტებით, ვაჭრუკანობით, ერთმანეთის გადაგდებით, იარაღით, დაშინებით ისწავლის თავის რჩენას, ამ ერის ნამდვილ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დრო დაუდგენელია, რადგან მათ ოცნებას მათივე სიცოცხლეში აღსრულება არ უწერია.

14060. სამწუხაროდ, ხალხი არც ისე ჭკვიანია, როგორც ჩვენ გვინდა და არც ისე სულელი, ჩვენ რომ ვფიქრობთ და ვბუზღუნებთ.

14061. ხალხს უყვარს ღირსეული პიროვნების წარმოჩენა და ცუდის დამალვა. მას ავიწყდება, რომ ორივენი მისი შვილები არიან, თუ პიროვნება რაიმეს აშავებს ეს ხალხის წაყრუებისა და ხელშეწყობის შედეგია.

14062. უსაქმურობას და ყოველდღიურ შიშს იწვევს იმის მცდელობა, რომ არაფერი შეგვეშალოს ხალხის თვალში.

14063. ყველა ხალხი თავის დროის ეროტიკის, განათლების და სინდის-ნამუსის შვილია, თავისებური სიყვარული და დამოკიდებულება აქვს წყვილთა ურთიერთობაში და საოჯახო მეურნეობის მართვაში.

14064. ხალხის გაზარმაცება-გამოთაყვანებაში მთავრობასაც უდევს ბრალი, რადგან ხალხს სულ ცოტა სტიმული და უკანალში წიხლის კვრა სჭირდება, რომ ბელტების გორა გადააბრუნოს და გაუკეთებელი გააკეთოს.

14065. პრეზიდენტი – ეს არის დაინტერესებული ხალხის ჯგუფის მიერ დაქირავებული, ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც იშვიათად ამართლებს ხალხის ნდობას და იცავს მათ ინტერესებს.

14066. ანტისემიტიზმი, ნაციზმი და ნაციონალიზმი ისეთ ხალხშია განვითარებული, რომელსაც თავის თავზე ზედმეტი წარმოდგენა აქვთ და თავი ჭკვიან ერად მიიჩნია. ამასთან ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას სწავლითა და შრომით ან სხვისი გამოცდილების გაზიარებით კი არ ცდილობს, არამედ ყოფითი ნაციონალიზმით.

14067. მართალია, სულიერად დაფეხმძიმებულებს, მატერიალურად უჭირთ ცხოვრება, მაგრამ ისინი მოწოდებულნი არიან შემოქმედებისთვის და სხვანაირად მათთვის ცხოვრებას აზრი არა აქვს. თუმცა ისინი სახელმწიფოს და საკუთარ თავს ზედმეტ პრობლემებს უქმნიან, მაინც ხალხს მათ გარეშე უჭირს ცხოვრება.

14068. ჩვენი პლანეტის შემყურე განათლებულ კაცს გაუჭირდება იყოს ურწმუნო, მაგრამ გაუნათლებელი ხალხის რწმენას მაინც განათლებული კაცის ათეისტობა ჯობს, რადგან რაღაც სწამს, და ცდილობს ყველა დადებით დოგმა გაითვალისწინოს.

14069. ჭკვიანი ხალხი ბრბოშია. ამიტომ მისი დანახვა უჭირს ხალხსაც და მთავრობასაც.

14070. "ბლატნოი" სიმღერები ხალხის გამოძახილი და სულია იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს დიქტატორი ხელმძღვანელობს, ხოლო ქვეყანა ციხეს არის დამსგავსებული, თავისუფალი გამოძახილი კი სიმღერაა, ციხეში ნაჯაფარი და წვალებით შექმნილი.

14071. ხალასი ნიჭიც კი უნდა შეევედროს ღმერთს, რომ ბიუროკრატები მოუვლინოს ნიჭის გამოსაწრთობად, რადგან უწვალებლად მოსულ დიდებას კაცი ეჩვევა და დიდ კაიფს ვერ განიცდის.

14072. კუთხური ენა და კუთხურობის ხასიათის გამოხატვა არის იუმორის საფუძველი. იუმორის გაგება ხალხის ხასიათს განსაზღვრავს.

14073. ხალხს თავისი სალოცავი აქვს და მთავრობას – თავისი, მაგრამ ორთავეს ფული სჭირდება. ერთს – გამოზომილი და უზრუნველი ხელფასი, მეორეს – განუსაზღვრელი და დაუყვედრებელი, მოპარული.

14074. სერიოზულად ხალხზე არავინ ზრუნავს და არც ხალხია თავის თავზე გადაყოლილი, ხოლო თუ ვინმემ მათზე იზრუნა და ასეთი ვინმე გამოჩნდა მას შეიძლება ზურგიც შეაქციოს.

14075. სამშობლოს მრავალი ღირსეული შვილი უსამშობლოდ რჩება, როდესაც ხალხი და მთავრობა მათ გამოყენებაზე უარს ამბობს.

14076. ბრბო ყველაფერს ეთაყვანება, მათ შორის, არაკაცურსაც, თუ იქიდან რაღაც წარმოსახვითი სარგებლობის მიღება, ან მისთვის ნაცნობობით თავის მოწონება შეუძლია.

14077. ხალხის გადაგვარება მაშინ იწყება, როდესაც ის სინამდვილეს სახეზე აფარებული თითებიდან უყურებს, სინათლესა და აუხდენელი ოცნებების ტალღებში დაცურავს და იმედოვნებს, რომ მის გასაკეთებელს სხვა გააკეთებს ჰუმანურობის გავლენით.

14078. ბრბო საჩუქრის მიგდებას გიფასებს, ერთეულები – "თევზის დაჭერის" სწავლებას, ყასიდად ყველა მადლიერი გყავს, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ ამდენ "მადლიერ" ხალხში ადამიანის ნახვაა გაძნელებული.

14079. ხალხი ყველა დიდ გამოგონებას ღიმილით ხვდება, მაგრამ გამოგონების მატერიალურად ამოქმედების შედეგებს ხალისით იმკის, მეცნიერს კი მცირედს აჯერებენ და იმქვეყნად გადაბარგების შემდეგ ცინიკოსი ბიზნესმენის კაბინეტში ჩარჩოში ადგილს დაიჭერს. თუ გამოგონებამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა, მაშინ მისი სახელობის სტიპენდიასაც დააწესებენ, რათა ასვე მუქთად ჩაიგდონ შემდეგი ფულის საკეთებელი გამოგონება.

14080. ტაიგის კანონია: ვინც ძლიერია, ის მართალია, მაძღარი მშიერს ვერ უგებს, ჭკვიანი – სულელს, გონიერი კაცი – სულიერადაა მდიდარი, ხოლო ყოველივე

ამის, გაცნობიერება დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებისას, ყველასთვის აუცილებელია.

14081. ხალხს ყველაფერი მარტივი, მოხერხებული და გასაგები მოსწონს, მაგრამ ამის საშუალებას ყოველთვის არც ცხოვრება და არც ტექნიკური პროგრესი იძლევა.

14082. ვიგინდარა ოსტაპ ბენდერის მსგავსი ხალხის გამოყენებაც შეიძლება, თუ საზოგადოება ჩამოყალიბებულია და სახელმწიფო – სამართლიანი, რადგან ნიჭიერი კაცისთვის, პირველ რიგში, გაკეთებული საქმის კაიფია მთავარი და არა მატერიალური ანაზღაურება.

14083. სიმართლე ძლიერ და ღირსეულ ხალხს ახასიათებს, ხოლო ტყუილი სუსტი და ქლესად დაბადებული ხალხის ხვედრია.

14084. ისტორია იმისთვის მეორდება და ვერაფერს გვასწავლის, რომ ხალხმა არ მოიწყინოს, იბეჯითოს, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხრომას მიეცემა და გადაშენების გზაზე დადგება.

14085. ხალხი ცხოვრებით ტკბობას კი არ ცდილობს, არამედ რაღაც აკვიატებული იდეისთვის და გამოძებნილი მიზეზისთვის მზად არის ყვერებში მახათი გაიყაროს და საშინელი სიძნელეები გადალახოს.

14086. ხალხი მაშინ იხსენებს თავისი ცხოვრების ჩუმად გასაფეტიშებელ ამბებს, როდესაც ვინმეს ნაამბობს მოისმენენ და ცდილობენ თავადაც მოჰყვნენ თავის თავგადასავალს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მონაყოლი ტირაჟირებისთვის განკუთვნილი არ არის.

14087. ხალხი ხანდახან თავის თავზე და სახელმწიფო უსუსურობაზე მაღლა უნდა დადგეს, ჰუმანიტარულ დახმარებასა და ნაბოძებ ფულზე უარი სთქვას, თუ უნდა რომ დამოუკიდებელ ქვეყნად იქცეს.

14088. თავის მიწის უმადური ბრბო ხალხად არასოდეს არ იქცევა, უბრალოდ, ის ადამიანის ტანსაცმელშია გახვეული სხვასთან ერთად და მისი გარჩევა ჭირს.

14089. ხალხი დეგრადირებულია, ვისაც შესაძლებლობა ეძლევა ქურდობს, ვისაც არა, ის პატიოსნებაზე დებს თავს, ხოლო თუ ხელის მოთბობის საშუალება მიეცა, მაშინვე იწყებს სხვის ჯიბეში ხელის ფათურს და სხვისი ქონების ათვლას.

14090. როდესაც ხალხს გარეშე ძლიერი ძალა იმორჩილებს, ხალხად რჩება, მაგრამ თუ მას თავის უნიათობა, შუღლი, გულგრილობა აჩოქებს, ჯოგია და სასწრაფოდ წინამძღოლი სჭირდება, რათა ეს მასა კლდეს არ შეეჯახოს და არ აღიგავოს სამყაროდან.

14091. ხალხს შპარგალკებით და ტრადიციებით აწყობს ცხოვრება, მას კი სერიოზული ლიტერატურის და პროგრესისკენ მიმავალ გზას სთავაზობენ ერის მამები.

14092. ერთი შეხედვით, ეს მწარმოებელი ხალხი ისეთ არაჩვეულებრივს არაფერს აკეთებს, რომ ამდენი მუქთახორა და ვიგინდარა შეინახოს, დაწყებული სახელმწიფოს პარაზიტული აპარატიდან, დამთავრებული წვრილფეხობით.

14093. შეუცვლელი ხალხი არ არსებობს, არსებობს განუმეორებელი, დაუვიწყარი, წლებით გაამაყებული დიდებული ადამიანები.

14094. არსებობენ ქვეყნები, რომლებიც სხვისი დიქტატორობით სახელმწიფოს უკეთ მართავენ და ხალხიც უკეთ ცხოვრობს, მაგრამ მათაც ხომ აქვთ ეროვნული სიამაყე, ამიტომაა, რომ "თავისუფლებას" ვერ ელევიან და ხალხის ბედი და ეკონომიკა ფეხებზე ჰკიდიათ.

14095. საერთო გაჭირვება ხალხს ამეგობრებს, თუ მას ყველა ერთად გაინაწილებს, მაგრამ საერთო დალხინება ადამიანებს აშორებს, რადგან პირველ შემთხვევაში მეტი სიღატაკის მოპოვება არავის უნდა, რომელიც მას განაწილების დროს შეხვდება, ხოლო დალხინების დროს ბევრია საცთუნებელი ხელის მოსათბობად. მაშ, რა ვუყოთ ამ უგონო ადამიანს, სულ გაჭირვებაში ხომ არ გვეყოლება, რაკი მათი აღზრდისგან არაფერი გამოდის.

14096. ხალხის ისტორია დამოკიდებულია საზოგადოების ხანმოკლე შესვენებაზე და აქ ხანდახან ასეთი რამეც გამომჟღავნდება: საკუთარი თვალით რომ არ გენახა და მოგესმინა, ვერაფრით დაიჯერებდი, რომ შენი ხალხის ბუნებაში ასეთი ურჩხულია დასახლებული.

14097. დღეს ბელადად ვინმეს არჩევა ცინიზმია, სამართლიანი ძალის გამოყენება კი სიმკაცრეა, მაგრამ წესრიგის დაცვა ამათ გარეშე გაძნელებულია, მითუმეტეს, როდესაც აბსოლუტურად ნორმალური ხალხი სახელმწიფოს არ გააჩნია, მაშ, რა ვქნათ, მართვა ხომ სჭირდება ამ ქვეყანას? მომავალ თაობას რომ მოუწესრიგებელი სახელმწიფო დაუტოვო, დიდი ცოდვაა.

14098. კოლორიტულ, მომხიბლავ, თქვენი მიწა-წყლის ხალხში და ახლობლებში საქმიანობამ რომ გაამართლოს, ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს სულიერი შემართება, დავალების ზუსტი მოთხოვნის უნარი, რადგან ამას გაიძულებთ ხელქვეითების სწრაფვა, მოიპოვონ თქვენი კეთილგანწყობა, რაც საერთო უპასუხისმგებლობაში გადადის.

14099. ხალხის ტრადიციებს, კულტურას, გარემო პირობები, კლიმატი ქმნის, ხოლო ტექნიკური პროგრესი და პოლიტიკა შეძლებისდაგვარად ცდილობს ცვლილებების შეტანას.

14100. ხალხს უნდა ვაკეთებინოთ ის საერთო საქმე, რომელიც მტერსაც და მოყვარესაც გააერთიანებს და თუ ყველა თავის სარგებელს ნახავს, ეს შურსაც მოსპობს და მრავალ სხვა სისულელესაც, რომლის გულისთვისაც ხალხს მშვიდობიანი და ჰარმონიული ცხოვრების შესაძლებლობას ვუსპობთ.

14101. ხალხზე თავისი ექსტრავაგანტული ინფორმაციით ძალაობენ პრესის მუშაკები, პოლიტიკოსები, მსახიობები, მაგრამ არც მკითხველი რჩება ვალში, რათა დაიკმაყოფილოს თავისი ავადმყოფური ქვეცნობიერი სურვილი, ცდილობს ისეთს მოკრას ყური, რომ თვითონაც გაოცდეს და სხვასთანაც საჭორაო თემა გაინაღდოს, ამიტომაა, რომ მის გატუტუცებას არავინ ერიდება.

14102. საოცარი რამ არის ეს პროპაგანდა და გამოზომილი ეკონომიკა, როგორ უცბად იპყრობს ადამიანის გონებას. შეგიძლია ხალხი მეძავის, მათხოვრის ფილოსოფიით აცხოვრო და კმაყოფილი იყოს, შეგიძლია ნახევრადმშიერი გყავდეს, ამაყად და თავმომწონედ გამოიყურებოდეს, მაგრამ როგორც ირკვევა, საწვავის მიცემა მაინც აუცილებელია, მატერიალური იქნება, თუ სულიერი.

14103. სრულ თავისუფლებას იმ ქვეყნის ხალხები აღწევენ, რომელთა ურთიერთობა ჭკუის სწავლაზე კი არ არის აგებული, არამედ ურთიერთგაგებაზე და ურთიერთპატივისცემაზე.

14104. არის ხალხი, რომელსაც ყველაფერი თავისებურად ესმის და საზოგადოების აზრს ყურად არ იღებს, ასეთმა ხალხმა სჯობს ფერმერულ მეურნეობას მოჰკიდოს ხელი და დასაქმდეს, რადგან ცხოველებთან ურთიერთობა და მათზე მზრუნველობა უფრო გასაგები ხდება, ვიდრე – თანამოძმეებთან.

14105. ხალხს უნდა ირწმუნოს თავისი მთავრობის წესიერება და წინდახედულობა, მაგრამ რატომღაც ყველა მათგანი გადამგდებების, მძარცველების და გამოუსწორებელი მექრთამეების ხელშია.

14106. საქმის დამთავრების შემდეგ დავსაჯოთ უდანაშაულო, დავაჯილდოვოთ ამ საქმესთან შეხების არმქონე, ესეც ხალხის თავისებური პოლიტიკაა, მაგრამ ვის რაში სჭირდება, ეს უკვე სხვა საქმეა.

14107. გამარჯვებული ხშირად ის გამოდის, ვინც რისკს ეწევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი წინ ნაბიჯს ვერ წადგამდა.

14108. გაცუცურაკება ჩვენი ხალხის ჩუმი ჰობია, რადგან მის გარეშე ცხოვრება უღიმღამო ეჩვენებათ, მაგრამ ზომიერების დაცვა აქაც საჭიროა, რათა გაცუცურაკებისგან მიღებულ სიამეს გემო არ დაუკარგოთ.

14109. ფორტუნა, ჩვენი აზრით, უსამართლოა, მაგრამ მას მაინც ჰყავს შემთხვევითი რჩეულნი, რომელთა ყისმათი ხშირად გაოცებას იწვევს და ხალხი მაინც მისი მოიმედეა.

14110. ხალხში წიაღისეულივით გონიერების უამრავი ნედლეულია დაგროვილი, რომელთა უმეტესობას მოპოვება არ სჭირდება, მაგრამ ხალხი მის გამოყენებაზე მანამდე არ ფიქრობს, სანამ ძალზე არ გაუჭირდება.

14111. ხალხისთვის მდიდარია ის, ვინც გულუხვია, მაგრამ ყოველივე გადამეტებული გაკვირვებას და ზურგს უკან საეჭვო ღიმილს იწვევს.

14112. ისტორია ხალხის მასების თავისებური ხორცსაკეპია, რომელიც ადამიანის სულს დააფიქრებს, მაგრამ ამით ხალხის ისტორია უკეთესი არ ხდება.

14113. შენი ხალხის და ქვეყნის შესაძლებლობის გამოყენების ისტორიაც უნდა იცოდე და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ქვეყნის პერსპექტივის დანახვაც და აღმშენებლობაც.

14114. ქვეყანაში, სადაც კულტის გადამეტებული სალოცავებია, ნაპოლეონის აზრით, ხალხი ჩამორჩენილია, მე კი ჩემის მხრივ დავუმატებდი – ყეყეჩია, ფანტაზიორია, უსაქმურია, რადგან ღმერთის სამსახური და პატივისცემა ხალხის კარგი ცხოვრებაა და არა მათხოვრობით თავის მობეზრება.

14115. ბარბაროსულ-პატრიოტული ფანატიზმი შეიძლება ვიღაც ავანტურისტული ნიჭის პატრონმა მოხერხებულად შეკაზმოს, ხალხს თავზე წამოასკუპდეს და ეს უაზრო პატრიოტიზმი სავიშვიშო გაუხადოს მოსახლეობასაც და პატრიოტებსაც.

14116. გაუგებარია, რუსეთში, სადაც პლატინისაგან ნაკეთებ ბადეს საბაღე ნაკვეთის შესაღობად იპარავენ, ხალხს სამათხოვროდ რატომ უნდა ჰქონდეს საქმე.

14117. ხალხის ეროვნული შეგნება მაშინ იზრდება, როდესაც საშუალება ესპობა უმეცრება სხვას გადააბრალოს.

14118. ის ხალხი, რომელიც სახელმწიფო კანონებს არ მეგობრობს, იძულებულია თავისი კანონით მაინც იცხოვროს და რაღაც გამოსდის.

14119. თუ ხალხის გაუგებარი აგონია არა, ქვეყანას, სამშობლოს, გადაშენება არ უწერია.

14120. ხალხი საბოლოოდ იმ კულტურაზე იზრდება, რაშიც ფულს იხდის და რაც გონიერებას ურევს.

14121. ხალხი გადასახადს უხალისოდ, მაგრამ მაინც იხდის, თუ ქვეყნის და მისი ხელმძღვანელობის რიდი და პატივისცემა აქვს. ხოლო, თუ არ იხდის, ეს ნიშნავს რომ ორივეს ერთმანეთი ფეხებზე ჰკიდია.

14122. ხალხს მიეცი ძლიერი და სამართლიანი წინამძღოლი და ის მრავალ სასწაულს მოახდენს, მაგრამ ხალხს მისი არჩევისათვის სულ მცირედი დაფიქრებაც და თავის განძრევაც არ უნდა.

14123. თუ ხალხს არ აუბამ მხარს იმ საქმეში, რომელზედაც გული გეთანაღრებათ, უხერხულია, აუბამ და თავს დამნაშავედ გრძნობ შენი სინდისის წინაშე, მითუმეტეს, შენს სამართალში ეჭვიც არ გეპარება, მაგრამ დაგვიანებულია! პრინციპული თავის დროზე უნდა ყოფილიყავი.

14124. აუწყობელ სახელმწიფოში ხალხი, პიროვნებები გამოყენების და საზოგადოების გარეშე დარჩნენ და წყობას, გარემოს ვერ მოერგნენ, შედეგად ადამიანის სისუსტემ მუხრუჭები აუშვა, ცდუნებას ვეღარ გაუძლო და ზოგი პიროვნება არამზადად იქცა.

14125. ბევრი ცნობილი პიროვნება გამოვიდა ხალხის მასისგან პროტესტის ნიშნად, ვინაიდან მას არ ამჩნევდნენ.

14126. ყველა ხალხის 10-15 კაცს ყავს თავისი ლიდერი, ლოკომოტივი, რომელიც ვაგონებივით უნდა გაჰყვნენ ამ კაცს, მაგრამ ორთქლმავლის როლის შესრულებას თუ მაჩანჩალა ვაგონები იწყებენ, მაშინ სახელმწიფო ,,დეპოში'' ანარქია და ავარიები იწყება.

14127. რამდენი უხიაგობის ჩადენა შეუძლია არაპატიოსან უფროსს, რომლის სასჯელიც ყოველთვის არაადექვატურია მის მიერ ჩადენილი ცოდვისა. მაგრამ ხალხი ბრბოა, წყნარდება და არავითარ ღონისძიებებს არ ხმარობს რეციდივის აღსაკვეთად.

14128. ცხოვრების დაისზე ხვდები, რომ ხალხის ბედი არავის აწუხებს, თუ ის მის კარიერასთან, სახელთან და კეთილდღეობასთან არ არის დაკავშირებული.

14129. ვიგინდარებს საქმის დაჭერა გონიერ ხალხთან უფრო უჭირთ, ვიდრე საიდუმლოებით მოცულ მისნაირებთან, მაგრამ ურთიერთობა მაინც ჭკვიან ხალხთან ურჩევნიათ, რადგან მათ გვერდით ყოფნით საჭირო ხალხი მათზე აზრს შეიცვლის.

14130. შეიძლება მშიშარა არ იყო, მაგრამ არც გმირობისთვის იყო დაბადებული, უბრალოდ სიწყნარე და კარგი ცხოვრებისკენ ლტოლვაა თქვენი სურვილი, მაგრამ რა ვქნათ, რომ ამ ნორმალური ხალხის ხელში სათანადო ოდენობის სიმდიდრე არ გროვდება?

14131. გონიერებისათვის ისტორიის „ბაკქანალიაში" მოხვედრა აუცილებელია, რათა ის და მომდევნო თაობები მისი დახმარებით გაერკვნენ იმ პოლიტიკური პროსტიტუციის და ხალხის ბრბოდ ქცევის მომენტებში, რომელიც ნორმალური ადამიანისათვის ყოვლად გაუგებარი და მიუღებელია.

14132. ბრბოს არ უყვარს თავის უხმაუროდ შეწუხება იმაზე, რაც მის ბედს წყვეტს, მასთან უფრო ახლოა დღევანდელობის ქვენა გრძნობებში გარკვევის მცდელობა და ქაოსი.

14133. ღირს კი იმ ხალხის სადღეგრძელოს შესმა, რომელიც განსაზღვრავს ვის რისი გაკეთების უფლება აქვს – გააჩნია ხალხს, გააჩნია საზოგადოებას.

14134. ხალხის დაპროგრამება შეუძლებელია ამდაგვარად: ის აკეთოს, რასაც მისგან ელიან და ის არ აკეთოს, რასაც მისგან ვერ წარმოიდგენენ.

14135. არის ჭორი, რომლის გამართლებას ქვეყანა ბედნიერად ჩათვლიდა, მაგრამ ხალხს ვინ მისცა ამის იღბალი.

14136. რაც უფრო მეტად ეცნობი ხალხს, მით უფრო მეტად გიყვარდება უღალატო ცხენი, ძაღლი და სხვა უმცროსი მოძმენი.

14137. ხუმრობა სულელურიც არსებობს და ველურიც. საოცარია, რომ ეს უკანასკნელი უფრო ახალისებს ხალხს და ბრბოს.

14138. ვიგინდარას ადგილი ბრბოს თავშეყრის ადგილებშია, რადგან თავის თავხედობას და თავგასულობას თავისიანებში ვერ გაასაღებს.

14139. მთავარი ხალხის ნება კი არ არის, არმედ ის, ვინ უკეთ ფლობს ბრბოს თავში წამორტყმის ხელოვნებას.

14140. არეულობის ჟამს მოსახლეობა შეიძლება მშვიდობიანი იყოს, მაგრამ გონება ჰქონდეს არეული და თავისი უსუსურობით აგრესორის მხარეს დადგეს.

14141. ქვეყნის ბედს მაინც მამაზეციერის და არა პიროვნების დახმარებით ირჩევს ხალხი, როგორც ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება.

14142. ბრბოს სიკეთის მიღწევა წვეთ-წვეთობით სიამოვნებს, ხოლო ხალხს მდინარეც არ აკმაყოფილებს და სიამოვნებისთვისაც ვერ იცლის.

14143. ყველაზე დიდი პრობლემა ქვეყნის შემოქმედებითი მართვისთვის ხალხის ნდობის დამსახურებაა, ხოლო შენარჩუნება ერთეულთა ხვედრია.

14144. გონიერ მმართველს, სიკეთისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულით, მოქალაქეთა გააქტიურების ხარჯზე, ქვეყანა ისეთ სიმაღლემდე აჰყავს, რომ ხალხისთვის ცხოვრება საამური ხდება.

14145. სადაც ხალხია, იქ უმსგავსიც და ამორალურიც ბევრია, რადგან ყველას თავისი ხუმტური უზის თავში.

14146. მხურვალე, შესაშური და სხვისი დასანახავი სიყვარული იმ ხალხსაც სჭირდება, ვინც საზოგადოებაში ჯერჯერობით არაფრით გამოირჩევა.

14147. ბრბოს დამარცხება შეიძლება შობადობის მოწესრიგებით, კერძო საკუთრების აკიდებით და მისი გაფეტიშებით.
14148. ბრბოს თუ რამეს აუკრძალავ, მასში დაბუდებული მხეცური ინსტინქტების გაღვიძება ძალზე ადვილია, ოღონდ მისი შეკავება, შეწყვეტა და წარმართვაა ძნელი.
14149. ხალხთა შორის ჰარმონია, კაცთმოყვარეობის თესვა, უდიდესი ბედნიერებაა სულისა, თუ ამას მძლავრათ შეიგრძნობ.
14150. ნიჭიერ ხალხს იშვიათად გამოსდის ნაშიერი ჭკუით მათზე უკეთესი, რადგან შეჯვარება ფუტლარს ეხება და არა გონიერებას.
14151. ბრბოს განწყობა სანდო არ არის, ის ყველას ეფერება და ტაშს უკრავს, ვისაც გარკვეული დროით ცხოვრება ალჩუზე დაუჯდება.
14152. ბრბოს შეზღუდული აზროვნების და სისულელისკენ ლტოლვის ღიტინის კოდის მაჩვენებელია ისიც, რომ ის გაცილებით უკეთ აფასებს შემთხვევითობას, ვიდრე ხალას ნიჭს.
14153. ომი მაშინაა დაწყებული, როდესაც ხალხი ტირის და ერი გამრავლების სურვილს ჰკარგავს.
14154. საჭირო არ არის გონიერება ნიჭიერებაში აურიოთ, ხალხი მაინც ვერ გაიგებს.
14155. პიროვნება სამყაროს უცვლელი საკუთრებაა და ხალხის წაყრუებით შეიძლება ისეთმა ვიგინდარამ დასაჯოს, რომელიც ხსენებადაც არ ღირს.
14156. საქმიანი ხალხის აზრიანი შეხვედრა და მარულის გამართვა ჭირს, თორემ, უსაქმურების შეხვედრა და გაუმართავი აზრების დოღი ყოველდღიურობაა.
14157. ხალხი შეიძლება დიადი იყოს, მაგრამ წინდაუხედავ თავისი შესაძლებლობის არმცოდნე და ეს სიდიადე შეიძლება ნულამდე დაიყვანოს.
14158. ზოგჯერ ხალხში იდიოტების პატრიოტიზმი უფრო ძლიერ ზის, ვიდრე გონიერების პრაქტიკიზმი.
14159. ზოგჯერ უინიციატივო ხალხის ფსიქიკისთვის ცოდნაზე მეტად უცოდინარობა ფასობს.
14160. იმ ქვეყნის ხალხის საქმეა ალჩუზე, რომელიც თავის ღირსეული შვილების სიცოცხლეშივე აღიარებას ისწავლის.
14161. ყველას შეუძლებელი ოცნებაა შეიძლება ხალხმა შესაძლებლად გახადოს, ოღონდ თავისი მიზნებით და ამბიციებით.
14162. ზოგიერთი საუკუნე ისეთ ჯიუტ და ქვეყნის უხიაგ მმართველს მოგვივლენს, რომ ხალხს ძალადობიდან დასახსნელად სნაიპერის ტყვიაღა რჩება.
14163. ძნელია იმ დროში ცხოვრება, სადაც საზოგადოება ქრება და მხოლოდ ხალხი რჩება.
14164. ბრბოს თავისი ჰიპნოზი აქვს, რომელიც გარკვეულ დრომდე გვათაყვანებს და გვაოცებს.
14165. საოცარია, ბრბოს ვიღაც უხიაგი კაცის საქციელი მოეწონება და მას გმირად აქცევს – გააფეტიშებს.

14166. სიავე, სიკეთე, სახელმწიფოს აყვავება და დაქცევა ხშირად ერთ კაცზეა დამოკიდებული, ხალხი კი მას უსიტყვოდ ემორჩილება.

14167. როგორც კლასიკაა ხალხიდან შორს თავისი სერიოზულობის გამო, ასევე ჭკვიან კაცს ხალხი ვერ უგებს, მაგრამ მათი გაფეტიშების წინააღმდეგი არავინ არის.

14168. სისულელის ჩადენის უფლება მატერიალურად მომძლავრებულ ხალხს აქვს, ხოლო გაჭირვებულს სულ მარგალიტები უნდა უჟონავდეს თავიდან. მაგრამ ღმერთი ასე არ სწირავს და გაჭირვებული რომ სწორ გზაზე დადგეს, მას თავიდან მარგალიტები კი არა, ცხვირიდან ძმარი უნდა ვადინოთ, რათა უფრო წინდახედული გახდეს და ყისმათის მიკითხვამაც არ დააყოვნოს.

14169. გონიერი მარტოობას აფასებს, ხოლო სულელს ხალხში ყოფნა და მათთვის ჭკუის სწავლება უყვარს. სულელად ყოფნა სარგებლიანია – მას ხალხი ხშირად ტაშს უკრავს. ჭკვიანად ყოფნა საშიშია და საზიანო – შეიძლება უბედურებით დამთავრდეს.

14170. ავტორიტეტს, რომელიც პიროვნების მაამებელ ყბედობაზეა აწყობილი, მომთხოვნელობით და ეკონომიკის ანბანით არ მაგრდება, კრახი გარანტირებული აქვს და რჩება მხოლოდ კითხვა: ეს რომ სხვანაირად გამეკეთებინა?! – შედეგი იგივე იქნებოდა, რადგან სახელმწიფო მოღვაწე ხალხმა უნდა დაბადოს.

14171. ხალხი რწმენის ნარკოზის ქვეშ ნებაყოფლობით ემონება ვაი-პატრიოტების ცდუნებას და ყოველთვის თავიდან დაწყების უფლებას აძლევს, ისინიც პირველ რიგში ძალაუფლებას ეპოტინებიან, ხოლო მის ჩარჩოში მოქცევას არც ახალგამომ-ცხვარი მოხელე და არც ხალხი არ ცდილობს, რადგან მღვრიე წყალში ყველა თავის სარგებელს ეძებს.

14172. არის ხალხი, რომელიც სახელმწიფოსადმი რწმენას კარგავს და გადასახადს არ იხდის, ზემდგომი იძულებულია სახელმწიფო ფულის ამოსაღებად ბანდიტიზმს მიმართოს, რათა თავიც გადაირჩინოს და მის უგუნურ მხარდამჭერთ რაღაც მიუგდოს. ამ მმართველობის დიდი ბოროტება, სამწუხაროდ, მხოლოდ მომხრეებისთვის არის გასაგები.

14173. ხალხი, რომელიც კუჭის ამოვსებისთვის იღვწის, სურვილიც არა აქვს ტვინის შევსების. ის, მუცლის ცოხნის ფილოსოფიით ცდილობს ამქვეყნად მისთვის გან-კუთვნილი დროის გალევას. ვინ იცის, იქნებ აქაც არის თავისებური სიმართლის ბზარი.

14174. საქმიანი ხალხი მუდამ დაკავებული და ახალი სარფიანი საქმის დაწყებისთვის მზადყოფნაშია. სახელმწიფო მოხელეც მუდამ დაკავებულია, მაგრამ არაფრის კე-თება არ უნდა, თუ სარფიან გამორჩენას არ ელის.

14175. ისტორია პირველ რიგში თავის წარმოჩენის საშუალებაა თვით უხიაგი ხალ-ხისთვისაც.

14176. გაუგებენ თუ ვერ გაუგებენ, ხალხს მაინც უჭირს ერთმანეთთან საღი აზრის დონეზე მოლაპარაკება.

14177. ხალხი დიდების და აღფრთოვანების მიგებასაც ეჩვევა – დიდ პიროვნებად კი გაღიარებენ, მაგრამ აღარ აღფრთოვანდებიან.
14178. ხშირად ალკოჰოლის მიღება ბევრს სწყენს, მაგრამ საერთოდ რომ ზურგი შეაქციოთ, ეჭვს იწვევს ჩვენს ხალხში და შეიძლება არ გაპატიონ.
14179. სტრესის გამძლე საზოგადოების მშენებლობა აგებულია აგრესიაზე და მკაცრ აღზრდაზე, რომლის დამკვიდრებაზე ჩვენთვის საყვარელი ხალხი, მშობლები უნდა ზრუნავდნენ.
14180. შეცდომა შეიძლება ყველამ დაუშვას, მაგრამ დანაშაული – არასდროს, რადგან ხალხი მას თავისებურად გაიგებს და შეცდომას შემწყნარებულად შეხედავს.
14181. ხალხს პოლიტიკაში უფრო მეტად ოცნება, დაპირება და ლაყბობა მოსწონს, ვიდრე რეალობა, რადგან ეს სამივე პარამეტრი მასთან ახლოა და დიდ აზრს და დაფიქრებას არ მოითხოვს.
14182. ქურდობა ილუზიონიზმს მიახლოებული და ეშმაკობით ჩადენილი თავისებური ხელოვნებაა, ხოლო ბანდიტიზმი ხელოსნობიდანაც შორს დგას. ამიტომაც არის ტერმინი "ქურდული" და არა "ბანდიტური", რადგან ეს უკანასკნელი შეიძლება თანამდებობის პირიც იყოს ან ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობაც.
14183. თუ გინდათ ხალხს გაუკეთებელი გააკეთებინოთ, წაახალისეთ პრემიით, ჩინმედლებით, ქაღალდზე დაწერილი მადლობებით, მაგრამ ხანდახან ჭიტლაყის ამორტყმაც არ უნდა დაივიწყოთ.
14184. თანასწორუფლებიანობა წმინდა წყლის დემაგოგიაა, მაგრამ ბრბოსთვის გასაგები და ხალხისთვის მისაღებია.
14185. ჩვენ ცუდად იმიტომ კი არ ვცხოვრობთ, რომ უხეირო მთავრობა შევარჩიეთ, არამედ იმიტომ, რომ სულ იმის ცდაში ვართ, არავინ მოგვატყუოს და ჩვენ დავასწროთ გაცუცურაკება. იმაზე არავინ ფიქრობს, რომ ასეთი მდგომარეობა ხალხის უგერგილობის შედეგია და ის უბედურებისკენ მიჰყავს.
14186. თუ გინდათ საზოგადოება თქვენს ჭკუაზე მართოთ, მას წინასწარ დაგეგმილი ოცნება და რწმენა არ უნდა მოჰპაროთ.
14187. ხანდახან არც ორატორს აინტერესებს მსმენელი და არც ხალხს – ორატორის მოსმენა, მაგრამ ზრდილობის გულისათვის ერთმანეთს არ ტოვებენ და არ აწბილებენ.
14188. მამაძაღლ ხალხსაც შეუძლია აიძულოს სხვა მამაძაღლები, იცხოვრონ მათ მიერ შექმნილი წესების შესაბამისად.
14189. გულწრფელი გულგრილობა დღეს არავის უკვირს და ზოგი ამას დაუფარავადაც გამოხატავს, რადგან ქვეყნის მართვის მაღალ საფეხურებზე მყოფმა ხალხმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ახლობლისთვის, ქვეყნისთვის, ერისთვის ზურგი შეგვექცია.
14190. სულიერი ნიჭია იცხოვრო ქონებისა და სიმდიდრის გარეშე და დასჯერდე იმას, რაც გაბადია, ხოლო ხორციელს სიმდიდრის დაგროვების და გონიერად გაღების იგივე საწყისი უნდა ჰქონდეს.

14191. ხალხის ყოველთვის უნდა გვეშინოდეს, რადგან როდის ადუღდება, არავინ იცის. ამიტომაც საჭიროა ფრთხილები, ძლიერნი, განათლებულები ვიყოთ, გულკეთილობაც არ დავივიწყოთ, თუ გვინდა ბოლომდე პირნათლად გავნვლოთ ჩვენთვის დაპროგრამებული წლები.

14192. თავგადასავლის მოსმენა, რომელიც ხალხს ეხალისება და სიამოვნებას ანიჭებს, ტირაჟირებული არ უნდა იყოს, რათა არ მოყირჭდეთ, მობეზრდეთ და მისით მომდევნო თაობები დროგამოშვებით აღფრთოვანდნენ და ისიამოვნონ.

14193. ხალხს მოუსმინე, მაგრამ მოიქეცი ისე, როგორც შენ მოგწონს და სწორად მიგაჩნია, რათა საბოლოოდ სხვასაც გამოადგეს.

14194. ყველა ეპოქა თავისებურად საინტერესოა სხვადასხვა ხალხებისა და კულტურებისთვის, მხოლოდ ვინგინდარასთვის არის ყველა დრო და ეპოქა ბედნიერი.

14195. გაჭირვებულ ხალხს მუდამ ფულის პანაშვიდი აქვს და მათი დასაფლავება ჩვენთვის გაუგებარი მიზეზებით რატომღაც არ ხერხდება.

14196. სტადიონამდე ხალხი პოტენციური მაყურებელია, სტადიონზე ბრბოდ გადაიქცევა, დამთავრდება შეჯიბრი და ხალხის სტატუსს იბრუნებს, ეტყობა, ერთმანეთის ჯგროდ დანახვის სიხარული იმდენად გვმუხტავს, რომ თუ ეს ნაჩუქარი ენერგია აქვე არ გადმოვანთხიეთ, მისი მიტანა ოჯახში დიდ უარყოფით ბატალიებს გამოიწვევს.

14197. ხალხს უნდა ვაკეთებინოთ ის საერთო საქმე, რომელსაც მტერ-მოყვრის გაერთიანება და ინტერესების შედუღაბება ჰქვია, რაც მშვიდობის და ჰარმონიული ცხოვრების გარანტიაა.

14198. ხალხის შეცნობა ქალის შეცნობის ანალოგია, ქალს რაც მეტს აჰკიდებენ საოჯახო და სასიყვარულო ტვირთს, მით უფრო შინაგანად ნასიამოვნები და გაყოჩაღებულია. ასევე უნდა მოვეკიდოთ ხალხის დასაქმებას და დაბეგვრას, რომ გავაყოჩაღოთ.

14199. აუტანლად ხელმომჭირნე ხალხიც არსებობს, მაგრამ მათ მიმბაძველები უფრო მეტი უჩნდებათ განათლებულ ხალხში, ვიდრე გაუნათლებელ ძალად ხელგაშლილებში.

14200. თუ ხალხი წუწუნებს, ცხოვრება გრძელდება და ეტყობა, საქმე არც ისე ცუდად არის, მატერიალური კეთილდღეობა მატულობს, მაგრამ წუწუნს მიჩვეული ხალხი თავისას ვერ იშლის.

14201. ხალხი იმდენად მრავალფეროვნად აზროვნებს, რომ თავისი აზრი თვითონაც არ აინტერესებს.

14202. კაცს თუ თავის დაცვაც არ შეუძლია, ქალს კი ბავშვის შობა, ამ ხალხის ნებისმიერი მიღწევები ცხოვრებაში სუროგატებია.

14203. ბრბო ხალხად მაშინ იქცევა, თუ უზრუნველყოფილია, ცხოვრებას იმედით უყურებს, კანონის ეშინია და ხანდახან მის კაპრიზსაც აკმაყოფილებენ.

14204. მთელი სამყარო ბორდელია და ხალხი სიხარბის განსახიერება, რომელიც ერთი ნაჭერი პურისა და მცირე ყურადღებისათვის ყველაფრის ნგრევასა და მითვისებაზე თანახმაა, მიუხედავად იმისა, ეკუთვნის მას ეს თუ არა.

14205. ხალხს უჭირს სიკეთის დაჯერება და მას სისუსტედ მიიჩნევს, ხოლო სიავის კეთებისა დაუფიქრებლად სჯერა და არც კიცხავს, რადგან ზოგს ეს უკანასკნელი ვაჟკაცობადაც კი მიიჩნია.

14206. მე არ მჯერა იმ ხალხის, რომელიც სხვა ხალხის ცხოვრებას უსამართლოდ განზრახ სიძნელეებს უქმნის და ამით კმაყოფილდება.

14207. ხალხს, რომელიც თავისთვის გაფაციცებით ეძებს ბედნიერებას, საშური არაფერი აქვს, რადგან ამდენ დროს კარგავს იმაზე, რაზედაც წარმოდგენა არა აქვს და იმას სჯერდება, რასაც განგება გაიმეტებს.

14208. ხალხს ამ ბოლო დროს რაღაც შავი მაგია ეუფლება და ამ სიშავის გასათეთრებლად მას ურთიერთგაგება, სიცილი, სიყვარული გამოადგება.

14209. როდესაც ჩინ-მედლების და წოდების გარეშე ერთმანეთს ვაფასებთ, ხალხი მაშინ ვართ, თორემ სხვისი კარნახით ან გადაწერის შედეგად მიღებული ის ნიშანი და აღფრთოვანება, რომელიც შენ არ გერგება, არავის სჭირდება.

14210. ჩვენი ხალხის უბედურება ის არის, რომ განათლება უმაღლესი აქვს, ხოლო დაფიქრების უნარი – საშუალო ან დაწყებითი.

14211. ოცდამეერთე საუკუნეში გმირად ის ხალხი უნდა ჩაითვალოს, რომელმაც თავისი მთავრობის უსუსურობის გამო არ იცოდა, გასამრჯელოს მიიღებდა თუ არა, მაგრამ თავის საქმეს პირნათლად ასრულებდა.

14212. ხალხს თუ კარიერისტი მექრთამე უმეცრები მართავენ და ამას თუ თან ერთვის ხალხის ფანატიზმი, იმ ხალხის საქმე წასულია, თუ ერთ-ერთი არ მოიშორა.

14213. საზოგადოება, რომელიც ქვეყნის მმართველობას ქალებს ანდობს, ამ ხალხის დიდ კულტურაზე და მატერიალურ შესაძლებლობაზე მიუთითებს, რადგან ისინი თავიანთ მმართველობაში მშვიდობის, სიყვარულის და თანასწორუფლებიანობის პრინციპებით ხელმძღვანელობენ.

14214. უნიათო ხალხს რაც უნდა ასწავლო, მაინც უსაქმურია, თუ თავზე არ დაადექი და მისი შესაფერისი საქმე არ დააძალე.

14215. ხალხი ეთაყვანება ჭორს, სხვაზე ძვირის თქმას და ეს მათი გასართობია, ხოლო ეს სხვის ჭკუაზე სიარულიც რომ არის, ამას ვერ გრძნობს.

14216. ბრბოს მოხერხებული და მისი ერთგული ძაღლები უნდა მწყემსავდეს. ბრბო ხალხად რომ იქცეს, ირგვლივ ღობე უნდა შემოვავლოთ და ძაღლები დავაბათ, ხოლო ნაციონალისტებად რომ ვაქციოთ, ღობე უნდა მოვხსნათ და ძაღლები ავუშვათ, რადგან თავისუფლებისკენ მიმავალი გზა კლდისპირა ბილიკზე გადის და აჩქარების, დაუფიქრებლობის და უხეირო ვერძის ხელში იმ ადგილას გადაიჩეხებიან, სადაც ადრე სამოთხე ეგონათ.

14217. მსხვერპლად ომს ის უბრალო ხალხი ეწირება, ვისაც ომი არ უნდა, მაგრამ ამისთვის არაფერს აკეთებს და გულგრილობას იჩენს.

14218. ხალხს აერთიანებს ის საერთო ცოდვები, რომელიც უნდათ უთანხმოების დროს ერთმანეთს გადააბრალონ.

14219. ბედნიერებაა, როდესაც ვიღაცას უყვარხარ, მაგრამ როდესაც ბევრს უყვარხარ და გაღმერთებს ეს დროებითი ფსიქოზია შენი პიროვნების მიმართ, რომელიც ბრბომ სიყვარულად უნდა შემოგაპაროს.

14220. ძიუ-დოსა და ანეგდოტს შორის ის მსგავსებაა, რომ ორივე უუფლებო ხალხის გასართობი, თავდასაცავი იარაღია.
14221. ხალხს ზურგი არ უნდა აჩვენო, თორემ ისევ შენი კოლეგები და ახლობლები მოგინდომებენ ზურგში დანის ჩაცემას, ან ამ ქმედებას განდიდებად ჩაგითვლიან და შური დაახრჩობთ.
14222. ხალხი თავადაა ჭუჭყიანი ბუნების და მზად არის სხვაც ამ ტალახში ამოსვაროს, რადგან საკუთარი სიბინძურე ნაკლებ შესამჩნევი გახდეს სხვის თვალში.
14223. შენი გემოვნების გამო მოუმზადებელი ხალხი არ უნდა დასაჯო, რა გინდ კეთილი სურვილები უნდა გამოძრავებდეს, რადგან გემოვნებას ასწავლიან, აჩვევენ და მასზე არ ძალადობენ.
14224. არის ხალხი, რომელიც ისტორიას ვერ ქმნის, მაგრამ მისი არსებობა დროის გარკვეულ მონაკვეთში აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ დაგვანახოს დრომოჭმული, გადასაგდები, რათა მომდევნო თაობებმა ერის ღირსეული ისტორია შექმნან.
14225. ვაცალოთ ხალხს ხალხად დარჩენა, შეცდომების მიტევებით, აწმყოთი წახალისებით, ოცნებების დამძიმებით, თორემ ხალხის ნაცვლად ხელში ბრბო, უსახო მასა, შემოგვრჩება.
14226. ხალხი იხოცება, მიზანი საეჭვოა, შედეგი უცვლელია, მაგრამ ამის კეთება აუცილებელია, რადგან სახელმწიფოს სხვანაირად არსებობა არ შეუძლია.
14227. ხალხის აზროვნებაზე, განათლებაზე, მენტალიტეტზე, მის ვარცხნილობა, მოდური ჩაცმა და მისი მორგებული ტარება მიგვანიშნებს.
14228. სხვისი წარმატების მითვისებით თავის მოწონება, ტრაბახი, მონური ბუნების ხალხის თვისებაა, რადგან სიზარმაცის გამო მათ ამის მეტი არ შეუძლიათ.
14229. თუ ხალხის ნება იქნება, ის ერის აღზევებასაც მოახერხებს და ამ სამყაროდან გაქრობასაც, რადგან ყოველივე ხალხადქცეული ბრბოს ნებაა.
14230. ხალხი ყოველთვის იხდის მთავრობის მოღვაწეობის საფასურს – მატერიალურად იქნება თუ სულიერად.
14231. ხალხს ვიღაცის გაღმერთება და დაიმედებული დამორჩილებას ჭირდება, რადგან ნანატრი კარიერისგან განსხვავება, თავზე პასუხისმგებლობის აღება, არავის უნდა.
14232. ხალხის: თავაშვებულობა, თავგასულობა, თავაწყვეტილობა, აღვირახსნილობა, გარყვნილება ძალადობის სინდრომს ბადებს და კარგავს უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის აუცილებლობის შეგრძნებას, რაც ქვეყანას, საზოგადოებას, ძალზე ძვირად უჯდება.
14233. ენერგიული ბუნების ხალხს დღესასწაული იმდენად უყვართ და იმდენ ენერგიას ხარჯავენ, რომ შრომისთვის არც დრო რჩებათ და არც სურვილი, რადგან ეს მათთვის მეორე ხარისხოვან საქმედ იქცა.
14234. კარგის და ცუდის კეთებაც მგლის ბუნების ხალხის ხვედრია, ხოლო რას მოიმოქმედებენ, ეს გარემო პირობებზე და შემთხვევაზეა დამოკიდებული და მათ ამისთვის ხელის წამორტყმა არ სჭირდებათ.

14235. გადამეტებული მიდრეკილება დღესასწაულებისკენ ზოგი ხალხის უბედურებაცაა, რომელიც განცვიფრებასთან ერთად მათ ადამიანურ ბუნებას ავლენს და ხარკს უხდის იმ ქმედებას და თვითმყოფადობას, რომელიც მასში დაგროვილი უარყოფითი ენერგიიდან გამოანთავისუფლებს, სულს დაუმშვიდებს, რათა ახალი ენერგიით საქმეს შეუდგეს.

14236. ხალხს რაც უნდა დანაპირები შეუსრულო, მას სწრაფად მოირგებს, ეჩვევა და მისთვის ყველაფერი ცოტაა, საეჭვოა და ეს უმადურობაა ბუნტს, რევოლუციას, პერესტროიკას რომ იწვევს თავისი სავალალო შედეგებით.

14237. ხალხის მასა ავყია, ბრიყვ ადამიანებს უფრო ემორჩილება ვიდრე გონიერთ და წესიერებს, ალბათ იმიტომ, რომ უხეში ძალის პატივისცემა და მორჩილება სულში აქვს გამჯდარი, რომელიც მისი მხრიდან უზრდელობას მიეკუთვნება.

14238. ხალხის გონების ამღვრევა და დაწყნარება, ეტყობა, მაინც მამაზეციერის პრეროგატივაა, რადგან ეს ორი მოვლენა იმდენად გაუგებარი და მოულოდნელია, რომ ადამიანის გონიერება ვერ წვდება.

14239. ისტორიისთვის ხალხი ჭკუით არის სუსტი და სხვისი მოიმედე, მთავრობა სულით და განცხრომისკენ მიდრეკილებით, რას ვიზამთ, უნდა დავეთანხმოთ, ის ხომ საუკუნეების სტატისტიკის მფლობელია.

14240. ხალხი არც უნდა დაინდო და არც უნდა გააღიზიანო, მეტისმეტად უფლებები არც უნდა მისცე და არც უნდა აჰყარო, არ უნდა გააზარმაცო და ყოველივე დროის შესაბამისად უნდა არეგულირო, თუ გინდა მათრახის და სასუსნავის პოლიტიკამ გაგიმართლოს და ხალხი და ქვეყანა კეთილდღეობისკენ შემოატრიალო.

14241. ცივილიზაციის ნაყარ-ნუყარი ბრბო ძირითადად მის სიკეთესთან მოუმზადებლად ნაზიარები უხიაგი ხალხია.

14242. ყველა გაუგებრობაზე ხალხმა მთავრობა რომ არ დაანაშაულოს, საჭიროა მათ მიმართ მეტი ყურადღება, მათი რჩევა – დარიგების მოსმენა და ზოგიერთი მათი აზრის სახალხოდ აღიარება, მაგრამ ამასთან ენით გამათრახება და მათი მიმართ საყვედურის თქმაც არ უნდა დაგავიწყდეთ, რადგან ხალხზე ზრუნვაში მათ ეჭვი არ შეეპაროთ.

14243. ხალხი თავის წარმოდგენაში რატომღაც უარყოფით გმირებს უკეთ ღებულობს, ვიდრე დადებითს, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი ინტელექტის, აღზრდის გადამკიდენი იმას ვერასდროს ვიკისრებთ, რაც შინაგანად მათში ასე მოგვწონს და გვაღელვებს.

14244. ხალხს კარგი ცხოვრება უნდა, მაგრამ მის რაობაზე წარმოდგენა არ აქვს, მუშაობას ცდილობს, მაგრამ გასართობად და თავის გემოზე, ფულის შოვნა სურს, მაგრამ სად იშოვოს და სად დააბანდოს, არ იცის, წესიერ ცხოვრებაზე ოცნებობს, მაგრამ თვალი გარყვნილებისკენ გაურბის. მოკლედ, ადამიანს რა უნდა, არც ადრე იცოდა, არც ახლა იცის და არც ოდესმე ეცოდინება, ამიტომაცაა, რომ თავად ყველაფერში დამნაშავემ, უნდა სხვას ყოველივე გადააბრალოს.

14245. ჭკუით ღარიბი და გულით მდიდარი ის ხალხია, ვისაც სხვისი ნასუფრალის მიგდების იმედი აქვს.

14246. ხალხი კი არ ტყუვდება, არამედ თავს იტყუებს, რადგან მას ეს შინაგანად სადღაც სიამოვნებს.
14247. ჩვენმა ხალხმა არ იცის რომელ წყობას გაეთამაშოს და რომელ სახელმწიფოს აეკიდოს, მაგრამ ფინიშზე ყველგან სარფიანი და პირველი უნდა იყოს.
14248. ხალხის უმრავლესობას ცხოვრების მანძილზე მეორე-მესამე ხარისხის როლების შესრულება უხდება, ხოლო ზოგიერთი თავისთვისაც გაუგებარი ნიჭის წყალობით პირველ როლში გვევლინება, თანამდებობებსაც ითრევს, მდიდრდება და ისტორიაშიც შედის, მაშინ როდესაც მის გონება ერთი ბატის მოვლის ნდობასაც კი არ იმსახურებს.
14249. ჭკვიანი ხალხი საკმარისია, მაგრამ მათი გამოვლენა, მოსმენა და დასაქმებაა ძნელი, რადგან სახელმწიფოს ხშირად დილეტანტი დედინაცვლები მართავენ, რომლებსაც ამ ხალხთან ურთიერთობის და მათი გამოყენების არც ჭკუა, არც ტრადიცია და არც სურვილი არ გააჩნიათ.
14250. იმ ხალხთან ჯობს ურთიერთობა, ვისაც გაწითლების უნარი შემორჩენილი აქვს და ღირსებასთან კავშირი ჯერ არ გაუწყვეტია.
14251. ხალხი სხვადასხვაა, მაგრამ ჭამა, ჩაცმა-დახურვა, გართობა ყველას უნდა, იმიტომ, რომ ძირითადად მუცლის ფილოსოფით მოქმედებენ და არა – გონების.
14252. ხალხების ისტორია სახელმწიფოებრიობის წესრიგის აღდგენა-დანგრევაზე აგებული.
14253. დედაქალაქი ხალხს აფუჭებს, მაგრამ არ რყვნის, რადგან პერიფერიის წარმომადგენლები იმ პატიმოყვარეობას ელაციცებიან, რომელიც ჯერ არ დაუმსახურებიათ.
14254. არის ხალხის კატეგორია, ქუჩაში დაგდებული დიდი ფული რომ ნახოს, მაინც უკმაყოფილო დარჩება, რადგან მის ამბიციას ეს მუქთად ნანახი თანხა ვერ აკმაყოფილებს.
14255. განათლებულ ხალხში უნამუსო გაცილებით მეტი გვხვდება, რადგან ქმედებას ისინი გონიერებასაც აყოლებენ, ალიბსაც იმზადებენ, კანონსაც აცნობიერებენ და თანაც თავს პატიოსნებაზე დებენ.
14256. ხალხი ისე ამაყად ვერ ჟღერს, როგორც გვინდა და როგორსაც ამოვეფარებით.
14257. ძნელია გაჭირვებაზე ელაპარაკო იმ ხალხს და ცხოვრება შენი გადასახედიდან დაანახო, ვისაც საკუთარი სახელმწიფო, სიღარიბის უფლებას არ აძლევს.
14258. ქვეყნის ჩამორჩენის მიზეზი თავად ხალხია, რომელიც ვიგინდარას თავზე წამოისვამს ფრთიანი ყბედობის გამო, ხოლო გონიერის საქმიან ღაღადს ყურად არ იღებს, რადგან პირველი ჰარიჰარალოს პირდება, მეორე – საქმეს და მოთმინებას.
14259. მასა რომ ხალხად იქცეს, საერთო გაჭირვებაა საჭირო, ბრბოდ – ცალ-ცალკე დალხინება.
14260. ის ხალხია დასაფასებელი, რომელმაც იცის სიცოცხლის ფასი, ცხოვრების ყადრი, ქალთან ურთიერთობა, მომავალი თაობის აღზრდა და ყოველივე ამას სიყვარულით და მოვალეობის შეგრძნებით აკეთებენ.

14261. ქვეყნის წინსვლის ოხუნჯობამდე დაყვანილი პრინციპები ხალხს ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანს და ვერც ქვეყნის ავტორიტეტს არგებს რამეს.

14262. ზოგის გენიალობის აღიარებას გონების ჭყლეტა სჭირდება, ზოგისთვის გულის შეკუმშვაც საკმარისია, მიუხედავად პირველის სიდიადისა, სიდარბაისლისა, ხალხისთვის მეორე უფრო ახლოა, ხელმისაწვდომია.

14263. ხალხის სიყვარული რომ დაიმსახურო, საკუთარ ვნებას ფეხი უნდა დააჭირო, ახალგაზრდობას ალღო აუღო და ყველა დროის და ასაკის მსახურად იქცე.

14264. სახელმწიფოებრიობის ყველაზე ერთგული დამცველი არმიაა, პოლიცია მერყევია, კარიერა გამყიდველია, ხოლო ხალხი უპასუხისმგებლო დოყლაპიაა, რომელიც უფლებას აძლევს ვიგინდარებს მის თავზე იბუქნაონ.

14265. ხალხის ცხოვრების დონეს ქვეყნის მმართველი უკვეთავს და არა ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ ხალხს თავზე ძალზე დიდი წარმოდგენა აქვს, ხოლო თავად გარჯა და ფხის გამოჩენა ეზარება.

14266. როდესაც ხალხის გასულელება ერთ კაცს შეუძლია, ეტყობა, ამქვეყანას სხვა ქვეყნები დამამცირებლად მოექცნენ, ან ამ ქვეყანამ თავისუფლებისთვის ბრძოლა თავისი გაგებით დაიწყო.

14267. გონიერება ხალხის უმრავლესობისთვის მიუღებელია, გაუგებარია, მაგრამ საჭირო და აუცილებელია, ხოლო მარტივი და უგონო პოლიტიკა ბევრისთვის გასაგებია, მისაღებია, მაგრამ ხალხისთვის, ქვეყნისთვის გამოუსადეგარია. ამიტომაცაა, რომ ბრბოს სიბრძნე-სიბრიყვით განზავებული კოქტეილით ცხოვრება აკმაყოფილებს.

14268. ხალხს თუ ძლიერი მმართველი არ ჰყავს, მას ონანიზმისმაგვარი ცხოვრებისკენ და მუშაობისკენ გაურბის გონება, თავისი ჭორაობით, ღლაბუცით და მამაძაღლობით.

14269. დაფიქრების ჟამს, როდესაც ადამიანი ცხოვრების განვლილ გზას და აწმყოს დაღონებით უყურებს და თავისთავის უკმაყოფილოა, მისი გონიერების მაჩვენებელია და არა თავქარიანი ხალხის, რომელიც ერთი დღის სიამოვნებისთვის ცხოვრობს.

14270. მართალია, ღირსეული ხალხი ქუჩაში არ ყრია, მაგრამ არავინ ჩქარობს ჭარმაგი ხალხისთვის ხელის გაწოდებას და წამოყენებას, თუ რომელიმეს რაიმე შეემთხვა, რათა გამოიყენონ მათი ცხოვრების გამოცდილება და სიცოცხლეში თაობების სითბო იგრძნონ.

14271. პატრიოტიზმი მაინც მატერიალურია და სამშობლოს მხარდაჭერის რწმენის შედეგია, მაგრამ თუ ქვეყანაში ვიგინდარა მმართველების დოღია და ხალხი აჭრილია, სიყვარული სათუო ხდება და განსჯას, დაფიქრებას მოითხოვს, დაფიქრება კი თავის განწირვის და სიკეთის კეთების საშუალებას არ იძლევა.

14272. ამბობენ, ხალხის ნდობის გარეშე მთავრობა არაფერიაო, მაგრამ რად გინდა, კი მართავენ ამ ქვეყანას ავად თუ კარგად, ხალხის გულგრილობის და მერყეობის ხარჯზე.

14273. ღარიბ საზოგადოებაში ცხოვრების უფლებას მხოლოდ ჯანმრთელი ხალხი მოიპოვებს, ხოლო მდიდარში – ყველა, ოღონდ მდიდარ მოქალაქეთა ხარჯზე, რომლებსაც ძალად გულკეთილობას აძალებენ.

14274. ხალხის სიყვარული ხანდახან სახელმწიფოს მმართველს ხელიდან გაუქრება, თუ ის გონიერი, სამართლიანი და ქვეყნისათვის სასარგებლო მკაცრი რეფორმების ჩატარებას დააპირებს.

14275. რამდენიმე ალიყურის შემდეგ ხალხი ხდება ზნეობის საბოლოო და შეუცნობელი მსაჯული გარკვეულ დრომდე.

14276. ხომ არ შეიძლება მთელი ცხოვრება მომთხოვნი-მათხოვარი დებილის როლი ითამაშო და თავის და ხელის განძრევას ერიდებოდე.

14277. ამბობენ, ქვეყანას ეშმაკები და მათი დანიშნული უგუნურები მართავენო, მაგრამ სალაფავთან ახლო მიჩოჩება არავის ეშლება, მხოლოდ იმას დარდობენ, მე რატომ დავაგვიანეო. ამრიგად, იდიოტის როლში მაინც ხალხი გამოდის, მისთვის მთავარია უფროსად წესიერ კაცს აირჩევს თუ უგვანოს, რადგან არ სურს ქვეყნის მართვაში მონაწილეობა.

14278. ის უნდა ვაკეთოთ, რაც ხალხს გამოადგება და არა ის, რაც ესიამოვნება, რადგან პირველი გამძლეა და ქვეყნის ძლიერებას ემსახურება, ხოლო მეორე ეიფორიის გამომწვევი და მალე დავიწყებას მიეცემა.

14279. როდესაც ხალხი ვერ ერკვევა, რა ზომისაა მთავრობასა და მას შორის აღმართული კედელი ან რომელი მხრიდან გადამძვრალი ვიგინდარასგან უნდა დავიცვათ ეს კედელი, ამ ქვეყნის საქმე მთლად კარგად არ არის.

14280. ხალხს კანონის იმედი აქვს, მთავრობას ხალხის და მათი დაპირისპირება დანაშაულია, რადგან ურთიერთმოკრძალება, პატივისცემა, თანადგომაა ქვეყნის წინსვლის საწინდარი.

14281. შიმშილისგან კუჭნაღრძობი, სიგამხდრისგან კოსტუმიდან ამომძვრალი და ნერვებდაწყვეტილი ხალხი კიდევ კარგ ჭკუაზეა, ფეხს რომ ლაჯებში არ გვთავაზობს, ყელში ხელს არ გვიჭერს და ამქვეყნად ცხოვრებას მშვიდად განაგრძობს.

14282. არსებობს საკაცობრიო დოგმა. ხალხის რჩეული და ხალხის შვილები, მაგრამ მათი ძირი ხომ ბრბოა, რომელიც ამ შვილებს ამრავლებს, ხოლო ელიტარულს ან ღმერთი ამოიჩემებს ან ბუნება გადაარჩევს.

14283. ზოგი უსინდისო ხალხის გამოყენებით ცდილობს საკუთარი უნამუსობის დამალვას და სამწუხარო ის არის, რომ მის წმინდანობაში ბევრს ეჭვიც კი არ ეპარება.

14284. ჩვენ ხალხს არაფრის გაკეთება არ შეუძლია სხვაზე უკეთესად, მაგრამ თუ მოინდომა, ყველაფერს ახერხებს.

14285. კაცობრიობის ომის ისტორია ჯავშნის და ყუმბარის ბრძოლაა, სადაც დამარცხებული საბოლოოდ ხალხი გამოდის, სამეცნიერო პროგრესის წინ წაწევის და ვიღაც ვიგინდარების გამდიდრების ხარჯზე.

14286. მარტივ ხალხთან ყოფნა არ მიყვარს. მიუხედავად იმისა, რომ მათთან ცხოვრება გაადვილებულია, ისინი შენში პიროვნებას ხედავენ და შესაბამისი პატივით გეპყრობიან, მაგრამ მაინც მოსაბეზრებელია.

14287. მორალს და ეკოლოგიას სხვადასხვა ფენის ხალხი ჰყავს, ისინი წინააღმდეგნი არიან ველური ღონისძიებების, თორემ ხალხის იმქვეყნად გასტუმრებას არ ეწინააღმდეგებიან.

14288. „დიდი მშობლების შვილებზე ბუნება ისვენებს", მაგრამ რატომღაც მომდევნო თაობებიც უვადო შვებულებაში ჰყავს გაშვებული და ხალხის იმედს, რომ რომელიმე თავის სახელოვან წინაპარს დაემსგავსოს, დავიწყებას ეძლევა. აბა, სულ ერთი გვარის გაფეტიშებას ხომ არ გადაყვება მამაზეციერი?

14289. რწმენა ხალხს სჭირდება თანდაყოლილი ვირეშმაკობის მოსათოკად, ჯანმრთელობის გასაფრთხილებლად, გონიერების გამოსამჟღავნებლად, გასამრავლებლად, გარემოსთან შესათვისებლად და ბუნების ათასი სხვა კანონის დასაცავად, რის გარეშეც ის ვერ იარსებებდა.

14290. იბადებიან გამოგონების, ხელოვნების, პოლიტიკის და ქურდობისადმი მიდრეკილების მქონე ადამიანები; სახელმწიფო ვალდებულია ყველას თავისი ადგილი და სამუშაო მიუჩინოს, რომ ხალხი ერთმანეთს კისერზე არ დააწვეს სარჩენად.

14291. ჩვენი საუკუნის ხალხის უბედურება ის არის, რომ წინა საუკუნეების ისტორიაში დღევანდელი „მერსედესებით" უნდა იგრიალოს და თავის გონების თარგზე მოჭრას იმ საუკუნეების ნამოქმედარი, ხოლო დღევანდელ სინამდვილეში გზა როგორ გაიკვლიოს ვერ ხვდება.

14292. მოუწესრიგებელ ქვეყანაში ხალხი დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ ვიგინდარაზე, რომელიც მოხიბლავს და გაუპატიურებას დაუპირებს.

14293. არის უიღბლო ხალხი, რომელსაც არავინ უკვდება, არც იმის იმედი აქვს, რომ ვინმე ანდერძით რაიმეს დაუტოვებს და არც არავის შეშურდება მისი, მაგრამ „ქე მიატასავებს" ამ ცხოვრებას თავის გემოზე.

14294. გიჟს, ოპონენტს, მსახიობს, თავიანთი შესაძლებლობების გათვალისწინებით ყველაფრის თქმის უფლება აქვთ, ხოლო სხვებმა კეთილი ინებონ და სიტყვაზე პასუხი აგონ, თუ გვინდა ქვეყანაში თანდათანობით წესრიგი და ჰარმონია დამყარდეს, რადგან ხალხის ჩამოყალიბება, მათრახის გარეშე, წესრიგს ვერ ეგუება.

14295. საშინელებაა, როდესაც შენს ირგვლივ ისეთი უსაქმური ხალხი ცხოვრობს, რომლებიც სულ იღიმებიან და მაშინაც არ გშველიან, როდესაც საქონლის ფერმა იწვის, თან ანგლობენ: ნახე, რამდენი მწვადი იწვებაო.

14296. საოცარია, ეს რევოლუციები, გარდაქმნები, მოუწესრიგებელი ხალხი, რამდენ ნიჭიერ ადამიანს აცდენს, რომლებიც ისე მიდიან იმქვეყნად, რომ თავისი ნიჭის გაელვებას და დასამახსოვრებელი კვალის დატოვებასაც ვერ ახერხებენ ამქვეყნად.

14297. ხალხი იმ ბრიყვ მრევლს მოგვაგონებს, რომელთა რწმენაც იქით გადაიხრება, საითაც წამოარტყამენ, მაგრამ მასშიც გამოერევა ნახევრადგანათლებული ვიგინდარა, რომელსაც თავში წამოტყაპუნება, დოგმების უსიტყვოდ მიღება არ მოსწონს და მაშინ იწყება აზრთა ჭიდილი და რევოლუცია თავისი ველური შედეგებით.

14298. მსოფლიოს ხალხებს ყოველთვის ჰქონდათ მამაზეციერის მიერ მომადლებული გასაგები ერთი ენა – სიყვარული, რომელსაც ამ ბოლო დროს ესპერანტოდ მოიხსენიებენ.

14299. ჩვენ გვახელებს იმ უხიაგი საქმის კეთება, რომელიც პირადად გვეხება, ხოლო იმაზე, რაც ქვეყანას აქცევს და ყველა ჩვენგანის გაბრაზების მიზეზია, უბედობით ვეკმაყოფილებთ ამბიციებს და საქმის გამოსასწორებლად ყურსაც არ ვაპარტყუნებთ.

14300. მასობრივი „შიზოფრენიული აზროვნება" ხალხს და ქვეყანას ძალზე ვნებს, მაგრამ ბრბოს მაინც იმ წუთებში ამ დაავადებით ურჩევნია ცხოვრება, რადგან მან პირველად იაზროვნა სხვის დაუხმარებლად და თანამოაზრენიც ნახა; ამის შეგრძნებას ვერც აზროვნების სიმწრის ნაყოფის მოგვიანებით გასინჯვა შველის, რადგან ის ჩუმად მაინც დიდ სიამოვნებას განიცდის ამით. აი, თურმე რა შეუძლია კერძო-მესაკუთრულ აზროვნებას, არაფერს ვამბობთ საკუთარი ქონებით განცდილ სიამოვნებაზე.

14301. ხალხი ერის გმირში ნახულობს თავის მეს, იმედს, დასაყრდენს.

14302. ბუნებას საოცარი კანონი აქვს: ხალხი, რომელიც უკეთეს პირობებშია, ეშმაკობა და ხალასი ნიჭი არ აკლია, გაცილებით უარესად ცხოვრობს იმათთან შედარებით, ვისი გონებაც ამ ცხოვრების რჩეულთ დაწმული ჰგონიათ. ალბათ იმიტომ, რომ ყოველივე ახლის კეთება შეცდომებისგან არ არის დაზღვეული, ხოლო ვინც გატკეპნილ გზას ირჩევს, მისთვის ცხოვრებისეული შეცდომის დაშვება თითქმის გამორიცხულია.

14303. რეიტინგსა და ავტორიტეტს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი უგუნურების და უგუნურობის დიდებული საჩუქარია, რომელიც ბრიყვების დახმარებით უნდა შეიქმნას, ხოლო მეორე უხმაურო შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგია და მას გონიერი ხალხი ქმნის.

14304. იდეალური ხალხი არ არსებობს, მაგრამ სრულყოფისკენ სწრაფვა აუცილებელია.

14305. ყველა საუკუნე თავისებურად გვაწბილებს, მაგრამ ხალხი მაინც ტექნიკური პროგრესის ჭკუაზე დადის და ცხოვრობს.

14306. შემოქმედებისთვის მთავარი პროცესია, ხალხისათვის – შედეგი. ასე რომ, ისინი იძულებულნი არიან ერთმანეთს ანგარიში გაუწიონ, თუ უნდათ, რომ ითანამშრომლონ.

14307. უხიაგი მთავრობა იმ კაციჭამიას მოგვაგონებს, რომელიც უიარაღოდ, უიდეობით გაბრუებული ხალხის სიკვდილიანობას ხელს უწყობს. ამ დროს ხალხი ისჯება სიზარმაცის, გაუბედაობის და იმედის დაკარგვის გამო.

14308. ნაციონალიზმის კომპლექსით დაავადებული ხალხი სისხლისღვრის მიზეზია, ამიტომ უნდა ვეცადოთ ისინი არ შევამჩნიოთ, რადგან ამგვარი შერეკილები ღმერთს არც თუ ისე ცოტა გამოეპარა ამ მიწაზე და მათთვის ნამდვილად არ ღირს ცხოვრების აწეწვა და გამწარება.

14309. ცხოვრებაში მთავარია თავის დროზე შეხვდეთ საჭირო ხალხს და თქვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

14310. ლიდერობა მოხერხებული, სიტყვამზიანი, საქმიანი ხალხის პრეროგატივაა. თუ გვინდა მათი უფროსობით შინაგანად დავტკბეთ და ვისიამოვნოთ, უნდა ვისწავლოთ მათი შეფასება და დაფასება.

14311. საუკუნეებმა დაყოვნების ძალზე ბევრი ბომბი დააგროვა ხალხთა ურთიერთობაში, როდის, რა და სად იფეთქებს, თვით მამაზეციერისთვის არის უცნობი, ამიტომ დროა სამყაროს შვილნი გონს მოეგონ და დაიწყონ მათი გაუვნებელყოფა.

14312. არის ხალხის კატეგორია, რომელიც რა სიტუაციაშიც არ უნდა ჩავარდეს, თავს უბედურად არ იგრძნობს, რადგან ამქვეყნად გრიალისთვის არის მოვლენილი.

14313. ამ პლანეტაზე ყველა მეხუთე ჩინელია, ყველა მეშვიდე ინდოელი, რა უნდა ვქნათ, თუ ამ ხალხს "ის" საქმიანობა სხვაზე მეტად მოსწონთ, შედეგის მიუხედავად.

14314. პროგრესისგან გამოთაყვანებული ხალხი ისევ ტექნიკური სასწაულების მოხმარებას ცდილობს, რომელმაც კეთილდღეობისკენ სწრაფვას ცხვირიდან ძმარი უნდა ადინოს.

14315. ზოგჯერ ხალხის ბედს ისეთი იდიოტების ჯოგი წყვეტს, რომლებიც მოკვდებიან, მაგრამ თავში უმნოდ ჩაჭედილ იდეებს არ უღალატებენ და არც კომპრომისზე წავლენ, რასაც ხალხი შიმშილსა და გარყვნილებამდე მიჰყავს.

14316. გამოქვაბულის ადამიანები ხვალინდელი დღის იმედით ცხოვრობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს დღე ბევრს არ გაუთენდებოდა. დღევანდელი ცივილიზებული ადამიანი იმავე ინსტინქტებით ცხოვრობს, იქნებ ვინმეს ფეხი დაუცდეს კარიერის ასასვლელ კიბეზე და მისი თანამდებობა, ფული, ხვალ მე მერგოსო. ასე რომ, მომხვეჭელობა და ხალხის ბუნება ევოლუციას არ ცნობს.

14317. ხალხს მართავენ პოლიტიკური რეჟისურის და მსახიობობის ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანები, ხოლო ხელმძღვანელობენ განათლებული და თავის ქვეყანაზე შეყვარებული შვილები, მაგრამ ისტორიაში დიდის ამბით პირველნი შეჯლიგინდებიან, ხოლო მეორენი სტატისტის როლში გვევლინებიან, რადგან ხალხს ყველა დროში „მათრახის და კვერის" პოლიტიკოსი უფრო მოსწონდა, ვიდრე პიროვნება, რომელიც მათ კვერის გამოცხობას ასწავლიდა.

14318. ხალხის ხასიათი გამოიხატება პროგრესთან მიმართებაში: რა ტემპით იცვლება, რა სიჩქარით ეგუება ხალხი მას, რა რჩება ცვლილებების შემდეგ გულის ძირში და არა გონებაში დასამახსოვრებელი.

14319. ცივილიზაციის ერთ-ერთი ძირითადი უბედურებაა „საინტერესო ყბედობის" მოყვარული, ინფორმირებული ხალხი.

14320. ომი შურიანი და ხელმოცარული ნაძირალების ნახლაფორთალია, რომლებსაც სხვა ხალხის ცხოვრების წესი შურთ, გასაღების ბაზარი სჭირდებათ და სხვა გზა ვერ გამოუნახავთ თავის გახელებული ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

14321. ერთ ნიჭიერ ვიგინდარას იმქვეყნად ათასების გასტუმრება შეუძლია, მაგრამ ხალხი მაინც მის მოხერხებულობას მისტირის, რადგან სამწუხაროდ, ქვეყნის ისტორიას ისინი ქმნიან.

14322. საშუალო ნიჭის მქონე ხალხი ბევრია, ჭკვიანები – ერთეულები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, უმრავლესობის გამო ქვეყანაში უნიჭობის დოღი გავმართოთ.

14323. ნიჭიერი კაცი მანამ უნდა ემსახუროს საშშობლოს, სანამდეც ამის საშუალებას მისი მიწაწყლის ხალხი მისცემს.

14324. უხეშად, ულამაზოდ ის ხალხი კინკლაობს, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ შერკინებაზე, პაექრობაზე და ამიტომ არც ჩხუბი შეუძლიათ.

14325. სინდრომი დაღონებული სახეებისა არის თამაში იმისათვის, რომ ხალხს ნერვებმა უღალატოს და შენს მხარეს დადგეს.
14326. ბევრი ცხოვრობს, მაგრამ განსხვავებული ცხოვრების წესი მაინც შემოქმედებითად მოუწესრიგებელი ხალხის ხვედრია.
14327. სინამდვილეში უმწიფარი ინტელიგენცია თავხედობს და არა – საზოგადოება, მისი ამბიციურობის გამო ხალხი ზარალდება.
14328. ნომენკლატურას თუ კარიერის კეთების იმედს წაართმევენ, ეს მათ ჩვეულებრივ მოქალაქეებად, ჩვენს თანამეინახეებად აქცევს.
14329. ხალხი წართმეულის დაბრუნებას ნაჩუქრად თვლის და მას ხელაღებით ეპყრობა, რადგან ეშინია წინაპართა რევოლუციური გამოცდილების რეციდივისა და ბოლომდე მისი არ სჯერა.
14330. ხალხის დაცინვაა, როდესაც ქველმოქმედების სახელით ფულს შოულობენ, თან გვაყვედრიან, ჩვენ სიქველეს ქვეყანას რატომ არ მოსდებთო.
14331. მეოცნებე, ფანტაზიის მოყვარულ და თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ხალხთან საქმეზე საუბარი ადვილია, მისი კეთებაა ძნელი, მითუმეტეს, თუ მათ ფრთიანი სიტყვის დაჭერა ყველა მატერიალურ სიკეთეს ურჩევნიათ.
14332. ხალხი, რომელმაც ათეიზმი დაგმო, სარწმუნოებას მიუბრუნდა და ვითომ იწამა, მთლად ურწმუნო გახდა, რადგან ახლა სერიოზულად არც ღმერთის, არც დიქტატურის აღარ ეშინია.
14333. გონიერი ხალხი რეიტინგს, ფულს, არ იძლევა და სხვისი სისულელე-სიბრიყვით მისი აცეტება შეუძლებელია. ამიტომაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი მათ ახლოს არ იკარებენ.
14334. არასასურველ გარემოში გაზრდილი ხალხი ცდილობს ისეთი რამ არ ჩაიდინოს, რომელიც წარსულის უღიმღამო წლებს გაახსენებს. ამის შიშით ისინი ცდილობენ ეტიკეტის მცოდნე მორალისტებად მოგვევლინონ.
14335. წესიერების აჩემებაა, როდესაც უკანალი გარღვეული გვაქვს და ირგვლივ მეძავთა არმია დათარეშობს, ყოველივე ამას რატომღაც ხალხის ღირსება უპირისპირდება, რომელიც ფაქტობრივად ქვეყანას და მის მდგმურებს დიდი ხანია დაკარგული აქვთ.
14336. ზოგი ხალხის კეთილდღეობისთვის იქაჩება, ზოგსაც მის მსახურად მოაქვს თავი, მაგრამ ქვეყნის სამსახურისათვის ის მმართველი ჯობს, რომელიც კანონის, კანონიერების და სინდისის ფარგლებში თავს არ დაივიწყებს.
14337. საოცარია განგების წყალობა, ხალხს ფანატიზმით დააავადებს, საცხოვრებლად უსახურ გარემოს აჩუქებს, ქვევით ნავთობის ზღვას ჩაუდებს და ქვეყანას, სადაც ცხოვრება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, ბაღნარად აქცევს.
14338. არის ხალხი, რომელიც თავის დროზე, წესით, აკვანში უნდა ჩაგვეკლა, მაგრამ რა ვუყოთ იმედს, რომელიც ამის ჩადენის უფლებას არ იძლევა.
14339. თავისუფლება სიაფანდია და ხალხის გაბიაბრუების მცდელობა მთავრობის მიერ, თუ სახსარი, სასურველი საქმიანობა და უსაფრთხოების დაცვა არა აქვს გარანტირებული.

14340. ჭკვიანი ადამიანები თუ ცუდად ცხოვრობენ, ამის მიზეზი ისაა, რომ ისინი განიცდიან გონიერ ავანტურისტ და ვირეშმაკა ხალხის ნაკლებობას.

14341. ისტორია ხალხთა ურთიერთობის, მათი მმართველობის, თავხედობის მაჩვენებელია და ნაკლებად აინტერესებს, თუ როგორ იცვლებოდა მათი ცხოვრება.

14342. მდიდრის პრივილეგიების დაკმაყოფილება საშუალო და ღარიბ ფენას უხდება, თუ ის ამ ხალხის დასაქმებისთვის და გამდიდრებისთვის არის მოწოდებული.

14343. თანამედროვეთა დაღვინებას პოლიტიკოსი წინ ძალიან არ უნდა უსწრებდეს, თორემ ხალხი ვერ აღიქვამს და ან შარს შეყრიან, ან ისტორიას მის თავს ცუდად მოახსენიებენ.

14344. ეცადეთ ხალხი გააბედნიეროთ და გაუბედურებაში ხელი არ შეუშალოთ, რადგან ამას ისე არავინ შეხედავს, როგორც თქვენ გინდათ. ამქვეყნად ყველაფერი შეფარდებითია, მადლიერებაც და უმადურობაც.

14345. ხალხის უწესობა, უაზრო ცხოვრება, ერთმანეთის გაუტანლობა, არქონება, იწვევს იმედის დაკარგვას და იწყება ერთმანეთის განადგურება.

14346. საზოგადოების საერთო დაცემას არასრულფასოვნების კომპლექსი ყოველთვის თან სდევს. საოცარია, მაგრამ მის გამოსწორებას ხალხი ერთმანეთს ავალდებულებს და თანდათან ყველა ჭუჭყის ჭაობში რომ იძირება, არავის აწუხებს.

14347. სულით დამონებული ხალხი თავისუფლებას ვერ შეიღირსებს, მათ ამის შესახებ არაფერი არ უნდა ვუთხრათ და თანდათან ბრმად შევაჩვიოთ, ხოლო მათი ნაშიერნი აღვზარდოთ. ამის შესანიშნავი მაგალითია სსრ კავშირის „პერესტროიკა" და ჩინეთის „საბაზრო ეკონომიკა".

14348. უზრუნველ ცხოვრებას არც ჩვეულებრივი ხალხი გაურბის, მაგრამ მცდელობას გონიერი ხალხი ართულებს, რადგან ჰგონიათ, რომ მამაზეციერისგან მხოლოდ მათ აქვთ მინიჭებული წინსვლისა და განვითარების უფლება.

14349. ბრბოს მარტო მისთვის გასაგები ცხოვრება მოსწონს.

14350. ზოგიერთი მმართველის ხელში სინათლე გვირაბის ბოლოს კი არა, მის დასაწყისშიც არ ჩანს, მაგრამ ბრბო მაინც თანახმაა სიბნელეში მასთან ერთად იხეტიალოს, მაგრამ ბოლოს რომ სინათლის ძებნა გახდება საჭირო, ამაზე ფიქრით თავს არ იწუხებს.

14351. ბრბოსთვის სავარძელი ალამაზებს ადამიანს, ხალხისთვის სავარძელში ლამაზად მოკალათებაა მთავარი, გონიერებისთვის სილამაზე წარმოაჩენს ცოდნას. მაგრამ პირველის აზრს მხედველობაში არავინ იღებს, მეორესთან აზრის გაზიარებას უფრთხილდებიან, ხოლო მესამის აზრი არავის სჭირდება, ასე რომ სავარძელში მოკალათება ყველა დროში გამართლებაზე და შემთხვევითობაზეა დამოკიდებული.

14352. დიქტატურა, წესრიგი რთული არჩევანია, მაგრამ ორივე ჭკუასთან ახლოა, თუ ხალხი ვერ აზროვნებს და ქვეყანას უჭირს.

14353. სოციალური სხვაობა იყო და იქნება: ქვის ხანაში მამონტის ძვალი და გამოქვაბული იყო სიმდიდრე, მონათმფლობელობის ხანაში – მონების ყიდვა-გაყიდვა, ფეოდალურში მიწის მიტაცებაზე იყვნენ გადარეულები, კაპიტალიზმს ქარხნის

ქონება მოსწონდა, სოციალიზმმა უმაღლესი სასწავლებლების დიპლომები წამოსწია წინ, ხოლო დღეს კომპიუტერის ცოდნა და ხაკერობაა მოდაში. ხვალ რა ჩაითვლება სიმდიდრედ – მარტო მამაზეციერისთვის არის ცნობილი. ასე რომ, სიმდიდრე მოდიფიკაციას კი განიცდის, მაგრამ ხალხის უკუღმართობა უკვდავია.

14354. ისტორია იმიტომ თავხედობს აზრების თავზე მოხვევით, რომ წარსულ გარემოებათა გაშლილ კარტებში უხდება თამაში. ამასთან, იმდროინდელი ხალხის მენტალიტეტი და მათთვის მიყენებული ტანჯვა ჟამთა სვლის მალამოს გამო შემწყნარებლად უყურებს. შედეგად, უსაფრთხო გარემოში, თავისუფალი აზროვნების საშუალება და მისთვის სასურველი დასკვნების გამომზეურებაა.

14355. დღეს ავსტრალიის შეგნებული თეთრკანიანი მოსახლეობა თავად იბრძვის აბორიგენების უფლებებისათვის. ეს გონიერი კაცთმოყვარეობის ჟესტი აბორიგენებს თავის წარმოშობას დააკარგვინებს და მომხდურების შთამომავლობასთან ასიმილაციას ემსხვერპლება, ან ორი ერიდან მივიღებთ ერთს, ახალი ტრადიციებით და მენტალიტეტით.

14356. შეძლებული და ბედნიერი ხალხი ვალდებულია ადამიანს არ მოაკლოს სიყვარული და მზრუნველობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ყველაფერი გაუფასურდეს და დაიკარგოს.

14357. სამწუხაროდ, ბრბოს უმეტესობა წელსქვევითა სხეულის ნაწილებით ფიქრობს, რომლებსაც ჯდომის გარდა, რაიმე მამაკაცის ღირსების შესაბამისის კეთება რომ შესძლებოდა, ისიც საქმეში ჩაეთვლებოდა.

14358. არის ხალხი, რომელსაც სათქმელი არაფერი აქვს, მაგრამ თუ გააჩუმებთ, მაშინვე თავს დისიდენტად ჩათვლის და იმიჯის მომატებას ეცდება.

14359. ჩვენს ხალხს სააკუთარი თავი არ უყვარს, მას მხოლოდ თავზე დიდი წარმოდგენა და სხვის მიმართ გადამეტებული მოთხოვნები აქვს.

14360. ხალხის ზოგიერთი მოაზროვნე ნაწილი ნერვებს უშლის მთავრობას, მაგრამ ამ დემოკრატიის ქვაფენილის ხელის ხლება მაინც არ შეიძლება, რათა ისევ ყველასთვის საჭირო თავისუფლებას არ ევნოს.

14361. ხალხი მაშინ ხდება თავის ქვეყნის პატრიოტი, თუ მან იცის, რას ხმარდება მისი ძალისხმევა და რამდენად სამართლიანად ხდება ქვეყნის მატერიალური დოვლათის და მისაგები სითბოს გადანაწილება.

14362. წარმოიდგინეთ რა ხმაური ატყდებოდა, თუ ხალხი იმას გაიგებდა, რასაც ერთმანეთზე ამბობენ და რა სიწყნარე იქნებოდა, თუ იმის თქმის შეეშინდებოდა, რაც ერთმანეთზე იციან.

14363. ხალხის რწმენით გატაცების ხელის შეწყობა აუცილებელია, მაგრამ მთავარია ამ როლს ვინ იკისრებს ქვეყანაში. ხალხზე შეყვარებული პიროვნება, თუ თავის თავზე შეყვარებული კარიერისტი.

14364. ხალხის მოქალაქეებად გადაქცევა არავის აწუხებს და ყოველივე ადრე მიღწეულს კვლავ მომავლის იმედად ვტოვებთ.

14365. ხალხის თვისებაა ის დაიჯეროს და დაიმახსოვროს, რაც ხელს აძლევს, ხოლო ჭეშმარიტების გაგების არც თავი აქვს და არც სურვილი.

14366. არის ხალხი, რომელიც არ უყვართ, მაგრამ ყურს უგდებენ, სხვებთან კი მასთან სიახლოვით ტრაბახობენ.
14367. თავისუფლების მოპოვება ბრძოლას, შემართებას, სულის აღმაფრენას მოითხოვს და ეს ეიფორია მანამ გაგრძელდება, სანამ ამ საქმისათვის „გადამკვდარი'' ხალხი არ გაგვაწბილებს და ჩვენს პირველ სათუთ გრძნობებს ფრთებს არ შეუკვეცავს.
14368. რამდენი წესიერი და გულუბრყვილო ხალხია, რომელიც უსიტყვოდ, უსაყვედუროდ ასრულებს ამბიციური სამშობლოს და ავანტიურისტი, ბრტყელსიტყვა მმართველის განკარგულებას, იმისთვის, რომ ბოლოს სამშობლომ დააფასოს და თავისი კუთვნილი მინიმუმი მიაგოს.
14369. ხალხი ერთმანეთს იმიტომ კი ვერ უგებს, რომ ღმერთმა მათ სხვადასხვა ენა აჩუქა, არამედ ერთმანეთის მოსმენის უნარიც დაუკარგა.
14370. ხალხი – საქმის, ხალხი – სიტყვის, სხვადასხვაა, მაგრამ ბევრი საერთოც აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ პირველისთვის კეთილგანწყობაა მთავარი, მეორისთვის – ღირსება.
14371. თავისუფლება პასუხისმგებლობას ნიშნავს, მაგრამ რატომღაც მას უპასუხისმგებლო ხალხი უფრო იყენებს.
14372. როდესაც ხალხი სენტიმენტალურია და თავი დამძიმებული აქვს ბალასტით, მაშინ ის არჩევანს გულით აკეთებს და არა – გონებით.
14373. არ არსებობს ამორალური, უსარგებლო, უნიჭო ხალხი, უბრალოდ ისინი თავის შესაძლებლობის ფარგლებში არ არიან დასაქმებულნი.
14374. ბედნიერი ის ხალხია, რომელიც დროს ისე ექცევა, როგორც მოესურვება და თავსაც არ იწუხებს მის გონიერ დაბანდებაში.
14375. ხალხს თავისი სიამაყის წარმოჩენის საიმედო უბნები უნდა ჰქონდეს სპორტის, მეცნიერების, ხელოვნების სახით.
14376. წესიერი კაცისთვის ყველა ხალხს ერთი სახე, სუნი და კარგი ხასიათი აქვს.
14377. რეფორმა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის კუთვნილება უნდა იყოს, თორემ სულიერს ხშირად სიმახინჯე ეპატრონება.
14378. არის ხალხის კატეგორია, რომელიც ყველაფერში თავისას ხედავს, იმის მიხედვით, მის წინაშე კეთილისმდომია თუ მტერი.
14379. შემოქმედი ხალხის შეცვლა შემსრულებლებით, რომლებსაც არაფერი გააჩნიათ მოჩვენებითი მორჩილების გარდა, მმართველისთვის მომხიბვლელია, მაგრამ ქვეყნისთვის არის დამღუპველი, რადგან პროგრესი, განვითარება, იწყებს ფეხის ათრევას.
14380. გაამაყებული ხალხი რომ შენს ჭკუაზე ატარო, პრაქტიკულად ისეთი დახმარება უნდა აჩუქო, რომ საკუთარი ყიამყრალობა წარმოაჩინოს და თავში ეჭვი შეეპაროს, თორემ რეალურ დახმარებას არად მიიჩნევს, უკანალის თამაშს და მამლაყინწობას დაგიწყებს, რაც ასე ვნებს რეალურ ეკონომიკას და ინვესტორის ინტერესებს.
14381. რევოლუციაზე, „პერესტროიკაზე'', ხალხს რომ რეალური წარმოდგენა ჰქონოდა, მას არ დაიწყებდა ან თავიდანვე სერიოზულად და მკაცრად მოეკიდებოდა ამ საქმეს და კიდევ ერთხელ გაიაზრებდა ისტორიის გაკვეთილებს.

14382. პოლიტიკურ კატაკლიზმებს უფრო მომზადებული ხვდებიან უღირსი ადამიანები, რომლებსაც განგსტერის და ორგანიზატორის ნიჭი დაჰყვათ, ვიდრე მოუქნელი, სხვის იმედზე მყოფი წესიერი ხალხი, რომელიც პირველისგან განსხვავებით აზრზე გვიან მოვიდა, იმ დროის გაუგებრობით ვერ ისარგებლა და დროულად ვერ მოითბო ხელი.

14383. ხალხი სინამდვილეში თავისი ოცნების და „ფეხის ხმას" აყოლილის მსხვერპლი ხდება და წარმოდგენა არა აქვს, ვის ირჩევს ქვეყნის მმართველ „ჯილად" და ვის ქირაობს თავის საკეთილდღეოდ.

14384. ხალხი წინაპართა ისტორიის ყურის აწევას ეგუება,მაგრამ სამართლიანი სილის გაწვნას ვერ იტანს, რადგან სამართალსაც თავის საძვრენი ალიბი აქვს.

14385. ერთი ანეკდოტის არ იყოს, სსრ კავშირი მართლა ბრძანებების ქვეყანა იყო: ლენინმა ბრძანა – შეერთდით!, სტალინმა – სწორდით!, ხრუშჩოვმა – ამერიკისკენ სირბილით იარ, ბრეჟნევმა – ადგილზე იარ; ანდროპოვმა – რიგზე გაითვალეთ, ჩერნენკომ – გათვლა დამთავრებულია, გორბაჩოვმა – თავისუფლათ, ელცინმა – დაიშალეთ! და მთელი უბედურება ის არის, რომ ხალხი ისევ „სწორდის" დამძახებლის მოლოდინშია.

14386. ბრბო თანამდებობას უფრო ეთაყვანება, ვიდრე ჭკუას, სიმდიდრეს უფრო აფეტიშებს, ვიდრე თანამდებობას, რადგან ეს უკანასკნელი პირველის საშოვნელად სჭირდება, მაგრამ ორივე შემთხვევაში რომ ჭკუაა საჭირო, ამაზე არავინ ფიქრობს.

14387. ისტორიისგან განსხვავებით, ხალხი ყველა მმართველს ან ზედმეტ სახელს არქმევს ან საერთოდ არ ამჩნევს. მაგალითად: ივანე „მრისხანე", პეტრე „დიდი", ნიკიტუშკა „ღურაჩოკ". გადის დრო და გამომზეურებული ისტორიული ფაქტები ამ „კლიჩკებს" ეთანხმებიან.

14388. ხალხს თუ რაიმეს დაჯერება არ სურს, თითიც რომ ატაკო თვალში, ტკივილს ბრმა რწმენით მოითმენს, ჯიუტად სიმართლეს არ დაინახავს.

14389. ხალხის მომხრობას უნდა ეცადო, მაგრამ არ უნდა ენდო, რადგან საკმარისია მას შენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო იმედი გაუცრუვდეს, რომ გადაგიდგეს და გასამართლებელი საბუთიც წარმოგიდგინოს.

14390. სამწუხაროდ, დღეს ყველა უსაქმური, უხერხემლო, ავანტურისტი წესიერებაზე, კაცობაზე სდებს თავს, რაც პატიოსან და ბეჯით ხალხს დიდ ზიანს აყენებს.

14391. ხალხის ბუნება, მისწრაფება, ყაირათიანობა, ყველაზე მეტად ქორწილში გამომჟღავნდება, იმისდა მიხედვით, თუ წყვილს რა სურს სტუმრისგან: საჩუქარი, მოლხენა, თუ ჩუმად ყოფნა. პირველ შემთხვევაში მომხვეჭელ ოჯახს მივიღებთ, მეორეში – მხიარულს, ხოლო მესამეში – ფართომოხმარების ოჯახს, რომელიც სახელმწიფოს და ქვეყნის ბურჯია.

14392. სამყაროს ორომტრიალში ღრმად ჩაწვდომა ჩვენს არარაობაში გვარწმუნებს და ეს მაგარი ნერვების მქონე გონიერ ხალხთა ხვედრია.

14393. ფული გაფლანგულია, მართლმსაჯულება ყალბია, კანონი გაბახებულია, ხოლო ხალხისთვის სულ ერთია, სანამ მის სტომაქს უგუნებობა და შიმშილი არ შეაწუხებს.

14394. ხალხი ერთმანეთს პატიოსნად და გონიერებით უნდა მოემსახურონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულყოფილ საზოგადოებას და სახელმწიფოს ვერ მივიღებთ.
14395. მთავრობის მოხელეებს ქურდობის სისტემა დამუშავებული აქვთ, ხოლო ხალხი ყოველგვარი სისტემის გარეშეც კარგად იპარავს იმას, რაც ცუდად დევს და პატრონი არ ჰყავს.
14396. სისულელე, უნიათობა, ყოყლოჩინობა, ყველა დროის ვიგინდარათა დაავადებაა, რომელსაც ხალხი ავადმყოფობად არ თვლის.
14397. რატომღაც ხალხის სმენის, გულის და გონების კარი ხშირად დახშულია და მათ არავითარი გონიერების კაკუნი არ ესმით, სანამ ამ კარებს არ შელეწავ, თავს ძალად არ გააცნობ და წინ არ წარუდგები.
14398. სულიერი ხერხემლის გადატეხვაა, რაც ხალხს რყვნის და სხვის წეს-ჩვეულებაზე მოაქცევს.
14399. ხალხს რყვნის ქვეყანაში შექმნილი გარემოება, უვარგისი მთავრობა, ყოველდღიურად ფულის შოვნის მცდელობა და შემდგომ მაოზე ფიქრი.
14400. ხალხს თავისი გაჭირვება და აზრები აწუხებს, მთავრობას – თავისი, მაგრამ თუ ეს უკანასკნელი პროფესიონალია, ქვეყნის ეკონომიკის მკურნალობას ისე უნდა შეუდგეს, რომ მომავლის ისტორია ასიამოვნოს, მაგრამ ხანდახან ნარკოზის მიცემაც არ დაივიწყოს, რათა ბრბომ ისტორიაში შესასვლელი კარები არ გადაკეტოს.
14401. არის ხალხი, რომელიც წარსულში იჭედება და რაიმეს დასანახად არც თავის გამოყოფა უნდა და არც შეუძლია. შევეშვათ, მათ თავის გაჭირვებაც ეყოფათ, ახალს რომ ვერ აღიქვამენ.
14402. ხალხი კუპატში ჩადებულ დაბალი ხარისხის ხაბა-ხუბა სატენივითაა, ოღონდ გააჩნია რა სანელებლებითაა შეზავებული და ვინ შეაზავა.
14403. ხალხის კრიზისიდან გამოსაყვანად საჭიროა ერის საუკეთესო შვილებს მობილიზაცია გავუკეთოთ და ქვეყანა ჭაობიდან ამოვიყვანოთ.
14404. ხალხის სიამაყე და ხალხის ხსოვნა სხვადასხვაა, მაგრამ ერთი მნიშვნელი აქვს – მალე ავიწყდებათ.
14405. ხალხის სულიერი ენციკლოპედიის გადმოცემაა ძნელი, თორემ მისი ცხოვრების ისტორიას, დროის შესაბამისად, როგორც გინდა, ქაღალდზე ისე აბურთავებ.
14406. რეალური პოლიტიკისა და ეკონომიკის უქონლობა ხალხს ვიგინდარებად აქცევს, ხოლო სახელმწიფოში არცოდნის და არცოდვის ვაკუუმს ძირითადად მედროვე ვირიშვილები ავსებენ.
14407. სამყაროს გარკვეული რაოდენობის ჯიუტებიც სჭირდება, რომლებსაც ორჯერ ორის ოთხობას ვერ დაუმტკიცებ, რადგან სწორედ ეს შერეკილები ეხმარებიან კაცობრიობას სამყაროს შესწავლაში.
14408. ნაძირალები იმიტომ სჩადიან ათას სისულელეს და დასცინიან ხალხს, რომ მას მაყურებელი ჰყავს უსაქმურების და ხელმოცარულების სახით.
14409. ხალხს ისტორიის გზაჯვარედინზე ბევრი საინტერესო ადამიანი მოევლინება, ვისაც შეიძლება ქვეყნის ბედი ანდოს, მაგრამ ის მაინც ნდობის ყველაზე ცუდ გაგრძელებას ნახულობს.

14410. ხელოვანი ყოველთვის მომავალს შეჰყურებს იმედის თვალით, ვიდრე აწმყოს, რადგან მან ეს დრო ხალხის დაღვინებას და დაჭაშნიკებას უნდა მოახმაროს.
14411. ხანდახან ხალხის ჭექა-ქუხილსაც შეუძლია ჩამორეცხოს უსინდისოს უმადურების ნიშანწყალი.
14412. ბრბოს დრო ვერ გამოასწორებს, ის მასიდან მოქალაქედ ქცეულმა ხალხმა უნდა გამოასწოროს.
14413. ბრბოსთვის ყვირილით ლაპარაკია დამახასიათებელი, რათა სხვას არ მოუსმინოს.
14414. მე ძალიან მომწონს ფარდობითობის თეორიის პოპულარული ახსნა: „როდესაც ქალი გიზით მუხლებზე, გსიამოვნებთ და გათბობთ, დროც სწრაფად გარბის, ხოლო როდესაც ცხელი უთო გადევთ მუხლებზე, გწვავთ და არ გსიამოვნებთ, დროც იწელება, თორემ თეორია „ენერგია ტოლია მასისა და სინათლის სიჩქარის კვადრატისა", ბრბოსთვის ყოველთვის გაუგებარი დარჩება.
14415. ძალაუფლებას და ხალხს არც მასზე ჭკვიანი და არც მასზე სულელი მოსწონს. ამიტომაცაა, რომ ქვეყნის სამართავად ერთი კატეგორიის ხალხი მოდის, რომელთა პოლიტიკური ფსიქოლოგია ძალზე ნელა იცვლება. ე.ი. პროგრესიც ჩანჩალით მიყვება.
14416. ადგილის დედაზე ყოველთვის იმ შემთხვევით გაცნობილი ხალხის მიხედვით არ უნდა იმსჯელოთ, გარემოებათა გამო თქვენ რომ გადაგეყარათ ცხოვრებაში.
14417. ბრბო მოზღვავებული მდორე მდინარეა, რომელსაც ბუნტის ქარი საითაც დაუბერავს, იმ ნაპირს შეახეთქებს და ნაპირიც დაუფიქრებელ ნგრევას იწყებს.
14418. ნიჭიერი ხალხის გვერდზე ცხოვრება ყოველთვის საჩუქარი არ არის, მაგარმ სასიამოვნოა და საამაყო.
14419. ხალხს არ შეუძლია სიმართლეს ძალა შემატოს, მაგრამ სხვისი ხელებით ყოველთვის მზადაა მისთვის იბრძოლოს.
14420. ზოგჯერ ხალხმა თავის დროის შესაფერი ცერემონიალი უნდა შეასრულოს, რადგან სხვანაირად თავის მოგიჟიანება, წარმოჩენა, დამშვიდება მას არ შეუძლია.
14421. ზოგი სულს არ დაიშურებს იმისათვის, რომ თავისი აზრი გამოთქვას, მაგრამ არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ამ აზრით ხალხმა ისარგებლოს.
14422. ხალხი სიავის გაკეთებას არ დაგივიწყებს, როგორც ამ, ისე იმ ქვეყნად.
14423. მთავარი ის კი არ არის, რას ფიქრობს ხალხი, მთავარია, თქვენ რას აკეთებთ მათ საკეთილდღეოდ ისეთს, რომ გაგიგონ და გარკვეულ მომენტში ზურგი არ შეგაქციონ.
14424. არის კლასიკური ხელოვნება, რომელიც უკვდავი და საუკუნეების საკუთრებაა, არის აწმყოს ხელოვნება მალფუჭადი და მას ყველა დროში ახლებურად გააზრება და მსახიობთა თამაში ესაჭიროება, რადგან მას ახალი თაობა ისე ვერ აღიქვამს, როგორც ამას წინა თაობა ახერხებდა.
14425. უპრინციპო ხალხი იმითაც არიან საინტერესონი, რომ შეიძლება ხელთ რაიმე წმინდა ეპყროთ და გაოცება მოგვინდომონ.

14426. მომავალი ხალხს კი არ ეკუთვნის, არამედ იმ მმართველს, ვინც ამ ხალხს თავზე წამოაჯდება.
14427. მოსწავლეს სკოლაში მასწავლებლის დაწერილი ნიშანი აინტერესებს, მასწავლებელს კი შედეგი – რა ხალხი დადგება მათგან.
14428. არის კლასიკური, ეროვნული ხელოვნება, რომელიც ხალხს სჭირდება და დასაძალებელია, არის ფსევდოხელოვნება, ადამიანის ვირეშმაკობაზე გათვლილი, რომელიც არავის სჭირდება, მაგრამ რეკლამირებულია. შედეგად, პირველი მარადიულია და ღარიბი, მეორე მდიდარია და წარმავალი.
14429. ხალხს ნაგავში აღმოჩენილი გმირი უფრო მოსწონს, ვიდრე სისუფთავეში, რადგან ეს სუნი მისთვის უფრო ნაცნობია, ყოველდღიურობაა, ვიდრე მისთვის უცნობი სისუფთავის სურნელი.
14430. საოცარია, მაგრამ ის ხალხი, რომელიც სიძნელეებს განიცდის, უფრო მხიარულობს და იმედით შეჰყურებს მომავალს, რადგან მას უკანდასახევი გზა უკვე მოჭრილი აქვს.
14431. "საჭირო" ხალხს ნათესავების და მეგობრების ოდენობა დღითი დღე ისე ემატება, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცის.
14432. ხალხისთვის აბსოლუტური ფასეულობების ცოდნაც აუცილებელია და დროებითისაც, სადაც ეს უკანასკნელი გარკვეულ დრომდე თავს წარმოაჩენს, შემდგომ კი დავიწყებას მიეცემა.
14433. სანამდე გმირი ერის ღირსებას არ შეეწირება, მანამდე ხალხი თავის შეწუხებას არ იფიქრებს.
14434. არიან ადამიანები, რომლებიც ვერც პოეზიის ეშხს იგებენ და ვერც მუსიკის მარადიულობას, მაგრამ თავს ინტელიგენტებად თვლიან.
14435. ჭკვიანი ხალხი სისულელესაც თავისებურად სჩადის და იმასაც – თავისებური ხელწერით.
14436. ხალხის მართვა ხელოვნებაა და არა – ხელოსნობის სტანდარტები, გაუბედაობა, გულგრილობა, მოვალეობის მოხდა.
14437. რაც უნდა მიუღებელი იყოს ხალხისათვის თქვენი მენტალიტეტი, თუ მას ზრდილობიან ფორმებში სჩადიხართ, ზიზღს არ იწვევს, მითუმეტეს, თუ საქმის ვითარებაშიც ერკვევით.
14438. არის უხიაგი ხალხი, რომელიც ამ ქვეყნიდან უსახელოდ მიდიან და მას ვერაფერს დააკლებ, როგორც ამ, ისე იმქვეყნად.
14439. თუ ხალხის უმეტესობა გამორჩენაზე ფიქრობს, მაშინ მისი არჩეული მთავრობა უარს რატომ იტყვის მოხვეჭაზე, ან რატომ ვსაყვედურობთ, რომ ხალხზე არ ფიქრობენ, განა ისინი ჩვენი „გორისა არ არიან"?
14440. უგუნურების ხანაში ხალხი ყველაზე უკეთ იმართება რელიგიით, დიქტატურით და პიროვნების კულტით.
14441. მხოლოდ გონიერ, პატრიოტ, თავისუფალ ხალხს აქვს სახელმწიფო, ხოლო უგონოებს, ნაციონალისტებს, ბუნებით მონებს – სამშობლო.
14442. ხალხი პიროვნების კარგ სურვილებს გულუბრყვილობით არ წამოეგება, თუ მისთვის სახეიროს არ განჭვრეტს.

14443. ხალხის გონიერება, მოწონება, იმდენად სხვადასხვაა, რამდენადაც მისი რისხვა და უყურადღებობა.
14444. ხალხი ბრბოსაგან და მასისგან შედგება, რომელიც სულ იმ ღირსეული მწყემსის ძებნაშია, რომელიც მათ ადამიანებად და ქვეყნის მოქალაქეებად გადაქცევას დაპირდება.
14445. გაჭირვების, საფრთხის მოახლოვების ჟამს მოსახლეობა იყოფა: ოჯახებად, გვარებად, თემებად, ტერიტორიებად, ხოლო დალხინების დროს ბიზნესმენებად, პარტიებად, ქვეყნის შვილებად, რადგან ხალხი ყველა გარემოში იმ საკუთარ უსაფრთხოებაზე ფიქრობს, რომელსაც მეექვსე გრძნობით გრძნობს.
14446. საზოგადოებაში დიდი რისკია თავს უფლება მისცე იყო ბუნებრივი, ამის უფლება იმიჯის მქონე ხალხის ხვედრია.
14447. მასობრივი კულტურის დახმარებით, ხალხის გემოვნების გაფუჭება და ინტელექტის დაცემა ადვილია, რადგან მას ფულის მოხვეჭის ვირუსი ეპარება, ხოლო გემოვნების შექმნას, კლასიკაზე გადასვლას, ინტელექტის მოპოვებას, წლები და უამრავი სახსრები სჭირდება.
14448. ავანტურისტი მთავრობა ომის საბაბს ყოველთვის გამონახავს და ისეთ პირობებს შექმნის, რომ იგი გარდაუვალი გახდება და თანამოქალაქეებს მათი პასიური პროტესტის მიუხედავად, ბრძოლის ველზე გარეკავს. ამის მიზეზია ხალხის მერყეობა, გულგრილობა, ვირეშმაკობა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველას გვახასიათებს და მასთან შერკინებას არავინ ცდილობს.
14449. საოცარია ასეთი ინტელექტუალური სიმდიდრის მქონე ხალხში რატომაა ამდენი უნიათო და უმწეო?
14450. არის დაუფასებელი განცდები, რომლის გადატანის შემდეგ უფლებას იტოვებ ხალხმა შენი იწამოს და დაგიჯეროს.
14451. ხალხის ქცევა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხალხურ სიმღერებს მღერის, ქალებს როგორ ექცევა, მოდად რა გაიხადა, უფროს-უმცროსობას ინსტიტუტი რა სახით შემორჩა და თავისუფლებამ თავი ხომ არ მოაბეზრა.
14452. ხალხს, რომელიც კუჭის ამოვსებას ისწავლის, ტვინის ამოვსების სურვილი ეკარგება.
14453. ხალხს ემსახურო თუ შენს ჭკუაზე იცხოვრო, რიტორიკული საკითხია, მაგრამ გონიერების მოხერხებულობასთან შერწყმის შედეგად შესაძლებელია მასების სიყვარულიც დაიმსახურო და შენთან ერთად შენი მოყვასიც ხეირიანად აცხოვრო.
14454. ხალხს მთავარია სულიერებასთან ათქვეფილი საქმიანი ნარკოტიკი მივცეთ, რათა დაობებული და გაუწვრთნელი გონება აამუშაოს და შედეგად აქციოს.
14455. ხალხში ცოტა ღიმილი მაინც რომ გამოიწვიო, პოეტი უნდა იყო, მაგრამ ხალხი რომ ახარხარო, ცხოვრების ფილოსოფიური ხედვა უნდა გქონდეს.
14456. სიკეთის მკეთებელი ხალხის არსებობა თუ არა გჯერა ცხოვრება გაჭირდება, სიყვარული გაწბილდება.
14457. ჩვენს საუკუნეში ხალხი ნაკლებად კითხულობს, მაგრამ კომპიუტერთან თამაშობს, რათა თამაშ-თამაშით განათლება მიიღოს და საშუალება მიეცეს სილაღე შეინარჩუნოს.

14458. ერთი კაცის ამბიციებს მთელი ხალხის ინტერესები არ უნდა გადავაყოლოთ, როგორც არ უნდა იმსახურებდეს ხალხის მხარდაჭერას და სიყვარულს.

14459. ჩვენ განსაკუთრებული სახის განათლებული ხალხი გვყავს, რომელიც ყველაზე უკეთ თავს კონცლაგერებში გრძნობს, რადგან მას დიდი "ეშმაკის" გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. აქ მას არაფერს ეკითხებიან, რადგან საკითხავ ადგილზე რომ დააყენო ცხოვრების დილეტანტის დონეზე ცოდნით, ყველას თავს მოაბეზრებს.

14460. ხალხის აზრი ყინულისგან გამოძერწილ უსაძირკვლო ლამაზ ქანდაკებას მოგვაგონებს, რომლისგანაც პოლიტიკური აზრის დათბობასთან ერთად აღარაფერი რჩება.

14461. ზედმიწევნით წესრიგი უფრო საშიში ხდება, ვიდრე ქაოსი, რადგან პირველ შემთხვევაში საზოგადოება თითქოს იყინება, ხოლო მეორე შემთხვევაში ხალხი თითქოს სიცოცხლის ძებნაშია.

14462. ხალხს ძალზე მოკლე და კეთილი მახსოვრობა აქვს უვარგისი მმართველის მიმართ, რომელსაც კარგის კეთება უნდოდა, მაგრამ ყველაფერი აურ-დაურია, ხოლო რომელმაც ფხა გამოიჩინა და ქვეყანას არგო, მისი შემფასებელი სხვადასხვაა და არაერთსულოვანი.

14463. ხალხსა და მმართველობას შორის გაუგებრობა ყველა ნორმალურ ქვეყანაში გარდაუვალია, მაგრამ არა – დაპირისპირება, დაბოლმვა. ამ შემთხვევაში, ორთავეს დიდი ცოდვა აწევს, ან ხალხის გამაცუცურაკებელ მმართველს, ან თავზე წამოსკუპების უფლების მიმცემ ხალხს.

14464. დღეს ხალხის უხეირო, უბრალო, ისე-რა ცხოვრება არც ზევით აწუხებს ვინმეს და არც ქვევით არავინ ღელავს, რადგან ეტყობა, ყველამ თავისი ვირეშმაკი ჭკუის და გემოვნების „თეთრი ვირი" ასე თუ ისე დააბა.

14465. ძნელია ხალხის „გაჭენებული" აზრების ნებაყოფლობით მოთოკვა, მაგრამ ხანდახან დაძალება ქვეყნის საკეთილდღეოდ საჭიროც არის და აუცილებელიც.

14466. თუ მოსამართლე სახელმწიფოს სინდისია, პროკურატურა – მოვალეობის, პოლიცია – აღსრულების და ხალხი მათი ზედამხედველია, მაშინ რა უფლებით ასრულებს ეს უკანასკნელი გულმავიწყი მაყურებლის როლს, როდესაც ყველაფერი ინგრევა და ბრბოს თავის ბედიც ფეხებზე ჰკიდია.

14467. როდესაც ხალხი იმაზე დაფიქრდება, რომ არმია იცავს ხალხს თუ ხალხი – არმიას, იმ ქვეყნის საქმეა წასული.

14468. თვითნება და ჯიუტი ხალხის დაქვემდებარებას არ უნდა შევეცადოთ, რადგან ისინი ბოლომდე მაინც არ გიერთგულებენ.

14469. საზოგადოების ზედა ფენებში ხშირად ამინდი უარესდება, გაცივების შემთხვევაში გრიპს რატომღაც ხალხი იხდის.

14470. ხალხს მოლაპარაკება და შეთანხმება კი არა, ერთმანეთის ყურისგდება უჭირს და ეს არის ლაყბობის და უქმად გდების მიზეზი.

14471. ხალხი თავისი ბუნებით იმ მეძავს მოგვაგონებს, რომელსაც რატომღაც სჯერა, რომ როგორც უაღრესად მომხიბვლელ ქალს თაყვანისმცემელთა რიგი დაუდგება და მიეცემა იმ ნიჭის გამოვლენის საშუალება, რომელიც მას არ გააჩნია და მის წარსულს ყურად არავინ იღებს.

ჯანმრთელობა

14472. ექიმი იძულებითი მეგობარია და კეთილისმდომი სნეულისთვის, ხოლო ამ ურთიერთობას და დამოყვრებას ორივე, ავადმყოფის ავადმყოფობას უნდა უმადლოდეს, განსაკუთრებით ექიმი, რომელმაც თავისი ოჯახის ხარჯები მეგობარს გადააბარა.

14473. დიდი ექიმი ის არის, რომელიც უიმედო ავადმყოფს დროულად ნებას აძლევს, რომ გაუწვალებლად მიიცვალოს, ყოველგვარი ექსცესების და გამოძალვის გარეშე.

14474. ექიმი თუ იტყვის, მკვდარს ვერ ვარჩენო, ეს ექიმი მაღალი პროფესიონალია და შეგიძლიათ თქვენი ჯანმრთელობა ანდოთ.

14475. შენი ჯანმრთელობა რომ დააფასო, ის მატერიალურადაც უნდა იყოს გამაგრებული, თორემ შეუმჩნეველი რჩება და პატივს არ სცემ.

14476. ექიმები ამბობენ, რომ მედიცინაში ორჯერ ორი ოთხი არ არის, მაგრამ ამის დასამტკიცებლად მკურნალობის მაღალ დონეს შემოგთავაზებენ, თუმცა არც ღმერთის შესაძლებლობებს გამორიცხავენ, რადგან მედიცინა და ღმერთი დიდი ხანია თანამშრომლობენ. მართალია, ექიმები ავადმყოფებს აწვალებენ მკურნალობით, მაგრამ თუ ღმერთს დასჭირდა, დაუფიქრებლად გააგზავნის საიქიოში.

14477. თუ თანამედროვე მედიცინას ადამიანის გაახალგაზრდავება არ შეუძლია, ის მაინც უნდა შესძლოს, რომ სოლიდურ ასაკს მიაღწევინოს და სიკვდილზე ნაადრევად არ აფიქრებინოს.

14478. ადამიანის ჯანმრთელობის დიაგნოზის დასმა და მკურნალობა იწყება შემდეგი სიმპტომების გამოვლინებით: ვნება – ყველა ავადმყოფობის გამომწვევი და მკურნალი, აღშფოთება – ცხოვრების რითმის მომშლელი, შიში –სიცოცხლის შემმოკლებელი, წუხილი – ჯანმრთელობის შემრყეველი, სიხარული – ცხოვრების წყარო, სიცილი – სიხარულის ფიზიკურად გამოხატვა, ბოღმა – ყველა ავადმყოფობის საწყისი და სხეულის დამანგრეველი, დიდი გული – უნარი განაწყენების, შენდობის.

14479. ერთ-ერთი ყველაზე დიდი სილამაზე, მომხიბვლელობა, სიამაყე, ადამიანისთვის ჯანმრთელობაა, რომლითაც ახალგაზრდობაში არავინ ტრაბახობს და არავის სურს მისით თავის მოწონება.

14480. ყველაზე ველური ხუმრობა მომავალმა ექიმებმა იციან, რომლებიც ხშირად თავის ნაოცნებარ განკურნების მეთოდს თავის ამხანაგებს გასაბითურებლად ურჩევენ. მასზე დანდობილი მეგობარი მითითებისამებრ იტარებს მკურნალობას, შედეგად გვაქვს პაციენტის "მორჩენის" ველური ხუმრობა.

14481. არის საყოფაცხოვრებო საკითხები, რომელსაც ჯანმრთელი გააზრება, შემოქმედებითი პრაქტიკა სჭირდება. მაგალითად: საპნის აქაფების გარეშე მხოლოდ ცხელი წყლის მასაჟით წვერის გაპარსვა, რათა საპონში შემავალმა სოდამ სახე არ გაგიღიზიანოთ. შხაპის მიღება თავთან საშხაპეს ახლო მიტანით, რათა ყურებში წყალი არ შევიდეს. ბუტერბროდის ისე მირთმევა, რომ პურის ნაჭერი ძეხვის ნაჭრებს შორის მოთავსდეს, რათა მისი გემო ენამ და სასამ ერთდროულად იგრძნოს და მრავალი სხვა, რომლის ცოდნა ადამიანს სიამეს გვრის.

14482. როდესაც ექიმის დაკრძალვას არცერთი მისი პაციენტი არ ესწრება, ამ ექიმის რეიტინგი იმქვეყნად ეჭვს არ იწვევს, ხოლო ამქვეყნად შედეგი აშკარაა.

14483. ზოგიერთი ქირურგის ხვედრია: სკალპელი-სპირტი, მარყუჟის დამჭერი-სპირტი, ტამპონი-სპირტი, სპირტი ოპერაციის დამთავრების შემდეგ, სპირტი, სპირტი და მჟავე კიტრი.

14484. ზოგიერთი ექიმის დევიზი: ჩვენ ვიყოთ კარგად და ავადმყოფის დედაც ვატირეო, მაგრამ არა იმდენად, რომ ფულის გადახდაზე უარი თქვას და თავი ცუდად იგრძნოსო... მაშინ პროფესია დაკარგავდა იმიჯს და შემოსავლის წყაროს.

14485. შიდსთან საბრძოლველად საჭიროა სისხლის გენეტიკური კოდის შეცვლა, ან ვირუსის შეყვანა, რომელიც იმუნიტეტს გააძლიერებს და შიდსი ფეხებსაც ვერ მოგვჭამს.

14486. მამებს სურვილი აქვთ, შვილებმა მათი წესით და ცხოვრების გამოცდილებით იცხოვრონ, მაგრამ მათ ავიწყდებათ თავისი დაუკვირვებლობით ახალგაზრდობაში ტრამვების შედეგად მიყენებული ტკივილი, არადა, თუ ჯეელმა ყველაფერი გაითვალისწინა და ფეხი არ წაუცდა, მაშინ ვინღა შეინახავს მედიცინას და მის პერსონალს.

14487. დეპრესია ისე გამოშიგნავს და გამოწურავს ადამიანს, რომ სამკურნალოდ ნარკოტიკებს, სიგარეტს და ალკოჰოლს მიმართავს. ეს უკანასკნელი უფრო მისაღები მკურნალია ჯანმრთელობის აღსადგენად, თუ ზომიერებას დავიცავთ.

14488. პირადი ინტერესებით ცხოვრება ადრენალინის დიდი პორციით მიღების მცდელობაა, რომელიც საქმოსნის ჯიბეს და სხეულს აჯანმრთელებს, მაგრამ სულისთვის სამკურნალოდ ადგილი და დრო აღარ რჩება.

14489. მართალია, ღარიბი ჯანმრთელი სჯობს ავადმყოფ მეფეს, მაგრამ მათი ნაშიერისთვის პირიქითაა.

14490. იყო გამოუსწორებელი მეთევზე, ეს წოდება კი არა, დიაგნოზია, რომელსაც მკურნალად ცოლის სიანჩხლეც ვერ შველის.

14491. ჰარმონიაში საკუთარი თავის გარესამყაროსთან შერწყმის მცდელობა ჯამრთელობა და სიცოცხლის გახანგრძლივების ელექსირია.

14492. ჭკუის აღმდგენი ვიტამინების ნახვა გაძნელებულია, რადგან თუ ერკვეოდი და ხმარობდი, მკურნალობაც აღარ დაგჭირდებოდა.

14493. გონიერი ტკივილის განცდა ყველას უნდა შეეძლოს, მაგრამ არ უნდა მიეჩვიოს, რათა ქვეყანა არ დაავადდეს და ავადმყოფი არ დასნეულდეს.

14494. განათლების ნაყოფი გონიერების ვიტამინებით არის სავსე, მაგრამ რამდენად სასარგებლოა, ეს შენ დასტაქრობაზეა დამოკიდებული.
14495. ერთადერთი, რასაც უნდა უფრთხოდეთ ავადმყოფი შიშია და თუ დაგეუფლათ, მისგან განკურნება ძალზე ძნელია.
14496. ხანდახან სიბრიყვე ნაკლი არ არის, ჯამრთელობის საწინდარია, რადგან დაღვინებამდე ეს ნაკლი ფეხის წატეხვებით თანდათან გამოსწორდება.
14497. დიპლომატი ის ფსიქოთერაპევტია, რომელიც ცდილობს მოწინააღმდეგეს გიჟის პერანგი ჩააცვას და იმაზე ესაუბროს, რაც მას ესიამოვნება ისე, რომ რეალურად არაფერს დაპირდეს.
14498. ექიმები სიცოცხლის დამცველი ჯარისკაცები არიან, რომლებიც მშვიდობიანობის დროს თავიანთი პროფესიონალიზმით, მოწოდებით, რწმენით, ემსახურებიან ქვეყნის უსაფრთხოებას.
14499. ყველა დროის მედიცინა ყველაფერს მოუხერხებს ცხვირს, გარდა ერთისა: ვერ გადააჩვევს სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას.
14500. ოპტიმალური ცხოვრების საფეხურია: არც ძალიან ამაღლება, არც ძალიან დაცემა, რადგან სტრესს ჯანმრთელობა ვერ იტანს.
14501. პატრიოტიზმზე ფსიქოლოგიური ძალადობა და მისი გარყვნა დაუშვებელია – გიჟის პერანგს დაგვაჭირვებს.
14502. სულის ჯანმრთელობის საწინდარია ცხოვრების წესის აზროვნების უნართან შერწყმა.
14503. ზოგი ისე სერიოზულად იქცევა, რომ შეუძლებელია ეჭვი არ შეგეპაროს მისი სულის ჯანმრთელობაში.
14504. ფულით გარკვეული დროით ჯანმრთელობის ყიდვაც კი შეიძლება, მაგრამ არა – სიცოცხლის.
14505. ვინ იცის, რამდენ კაცს უნდა უმკურნალოს ექიმმა, რომ პროფესია კარგად შეისწავლოს, მაგრამ თანდაყოლილი ნიჭის გარეშე დასტაქარი მაინც ვერ გახდება.
14506. დასტაქარისთვის უწმინდესი, უნეტარესი, ადამიანის სულია და მასთან შეხებას თავისი ცოდნით, გამოცდილებით უნდა იმსახურებდეს, რათა ავადმყოფის სული ვადაზე ადრე მაღლა არ გაისტუმროს.
14507. მედიცინისთვის ალკოჰოლიკია ის, ვინც სასმელის სმის გეგმას გადაჭარბებით ასრულებს, როგორც დასვენების, ასევე სამუშაო დღეებში.
14508. ნარკოტიკიც თავისებური დავალებული რელიგიაა, ოღონდ იმქვეყნად წასვლას აჩქარებს.
14509. მედიცინას სხვა დარგებთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ ჯანმრთელი მას არ აინტერესებს, ხოლო სნეულნი რაიმეს თქმას ვერ ასწრებენ.
14510. ვინაც ჯანმრთელია მას ყველაფერი აქვს, გარდა სიცოცხლის დაფასებისა და მასში ჟინიანად ძრომიალის უნარისა.
14511. დღეს სახელმწიფო რეკეტი, ცინიზმი, ხალხის თავისუფლებაზე და მის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ფარისევლობამდე დავიდა. აშშ-ს თამბაქოს მწარმოებელ ფირ-

მებს, მათი ჯანმრთელობის დაცვის საბაბით უზარმაზარი ჯარიმები შეაწერეს, თითქოს მოსახლეობა ბაი-ბურში არ არის, რომ თამბაქოს მოწევა მავნებელია.

14512. არაყი გრიპისგან კი არ გვარჩენს, არამედ მისი ბუნებრივი მკურნალობის ექვსდღიანი ციკლიდან ერთ დღეს კარგ ხასიათზე გვამყოფებს.

14513. ექიმებმა იციან, თუ რისთვის ცხოვრობენ მათი პაციენტები – რათა ისინი არჩინონ.

14514. აღელვება საზომი ერთეულებით ძნელი გასაზომია, მაგრამ ხშირი ნერვულობა რომ დიაბეტით დაგვასაჩუქრებს, ამაში ეჭვის შეტანა ძნელია.

14515. სულელისთვის კანონი არ იწერება, პირიქით, თვითონ წერენ კანონებს და მათთვის განკუთვნილ საავადმყოფოში დანერგვას ცდილობენ.

14516. ყოველთვის მომხიბვლელნი ვიქნებით, თუ შინაგანად გავლამაზდებით, სიხარულს სულიერად ვეზიარებით და საკუთარ გარეგნობას ალღოს ავუღებთ. მხოლოდ ამის შემდგომ გვაქვს უფლება ქირურგის დანის მომსახურების, რათა ჩვენს გარეგნობაში რაღაც ისეთი არ შევცვალოთ, რომ ზემოდ აღწერილი მცდელობა წყალში ჩაგვეყაროს.

14517. შეუთავსებელის შეთავსებაა ჯანმრთელ, ადრენალინს რომ გამოგვაყოფინებს და თავის წინაშე გვაამაყებს.

14518. რევმატიზმი ჩვენი ასაკის და კვნესის მატების სიმბოლოა.

14519. გილიოტინა არ არის ქერტლის მოსაშორებელი წამალი. მას „შამპუნი" სჭირდება და არა – დანა.

14520. თუ გვინდა ჯანმრთელი ვიყოთ, კარგად უნდა ვიკვებოთ, ოღონდ მონოდიეტური განხრით: უსასმელოდ, უნარკოტიკოდ და ცოდვილი სტიმულატორების გარეშე.

14521. საჭმლის მიღება თავისებური ტრაპეზი-რიტუალია, ამიტომ ის არ უნდა იყოს მხოლოდ კუჭის დაწყნარებისა და ნაწლავების ამოვსების საშუალება, თუ გვინდა, რომ ჯანმრთელობა შეგრჩეს.

14522. ჯანმრთელი კვებისთვის მთავარი ტრაპეზის პროცესია და არა მისი შედგენილობა და ამის გაგებას მარტო აღზრდა და შთამომავლობა არ შველის, რაღაცა მამაზეციერმაც უნდა დაგიბედოს.

14523. თეორიულად სიგარეტში, სასმელში, ქალებში, დახარჯული ფულის ეკონომიით შეიძლებოდა ქონება დაგეგროვებინათ, მაგრამ პრაქტიკულად ამ სიმდიდრეს ის ფლობს, ვინც მავნე ჩვევებს ვერ გადაეჩვია და თავის ჯანმრთელობას არ უფრთხილდება. შედეგად: მეორე მიდის ჯანმრთელი ემოციებით დატვირთული იმ ქვეყნად, ხოლო პირველი ჯანმრთელი სხეულით.

14524. გემრიელი ჭამა სულის ჯანმრთელობაა, ხოლო ზომიერი – ხორცის და სულის ჯანმრთელობის მოწესრიგებისკენ სწრაფვა.

14525. თითქმის ყველა ზემდგომი ორგანოების მსახურთა დაღონება შეიძლება, თუ ეს მკურნალობა მათი ჯიბის გაჯანსაღებას ემსახურება.

14526. სიკვდილი სამუდამოა და არავინ სიცოცხლეზე არ გადაგიცვლის, ამიტომაც მათ შორის შუამავალი ექიმია, რომლის დახმარებაც ვექილისას გავს, თუ ზევით

არა გაქვს საქმე ჩაწყობილი, შენს გამოჯანმრთელებას არაფერი ეშველება და შუამავლისთვის მისაცემი ხარჯები ახლობლებს დაეზოგებათ.

14527. მარად ახალგაზრდად და ტანწერწეტად რომ გამოიყურებოდე, მუდმივი ფონი უნდა გქონდეს მონახული მოხუცებთან და მსუქნებთან ახლო დგომის.

14528. ფსიქოთერაპევტი რელიგიის მქადაგებელი არ არის, მაგრამ ფულის დაცინცვლის დიდოსტატია, რომელიც ნერვებაშლილ ადამიანს ცხოვრების რეალობასთან ასაუბრებს. ავადმყოფს გონიერებისთვის რომ მიეხმო და მშვიდად ყოფილიყო, კლიენტად არ იქცეოდა და მკურნალიც არ დასჭირდებოდა.

14529. მოთმინება ხშირად ოქროდ ფასობს, მაგრამ ჯანმრთელობისთვისაა საზიანო, რადგან დამუხტვა-განმუხტვის გარეშე ცხოვრების შეგრძნება და სიცოცხლის გახანგრძლივება ძნელია.

14530. გადამდებ ავადმყოფობას, სისასტიკეს, შიში წარმოშობს, რომელიც ლაჩრობის, ურწმუნოების თანამგზავრია, რაც გარემო პირობების და აღზრდის ბრალია.

14531. დიეტოლოგთან სიარული ფულის დაკარგვას ნაღდად გვიქადის, წონისას კი – დროებით.

14532. ჯანმრთელობას კი არ იგებენ, ჯანმრთელნი იბადებიან, შემდგომში ფულით ინარჩუნებენ იმ შემთხვევაში, თუ მამაზეციერს არ დასჭირდა მისი იმქვეყნად წაცუნცულება.

14533. ავადმყოფის მკურნალობა მასზეევა დამოკიდებული, ოღონდ საჭიროა ექიმის დახმარებაც და ღმერთის თვალიც.

14534. ჭკუა გონებას ასვენებს, ფეხებს ნაკლებად რჯის, მაგრამ რამდენად მისაღებია ჯანმრთელობისთვის, ეს სხვა საკითხია.

14535. ექიმს თქვენთვის ამ წიგნის კითხვა უნდა აეკრძალა, ამ სახის ლიტერატურა თქვენზე ცუდ გავლენას ახდენს. ეს ის ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ჯანმრთელობის და განათლების უწყება ერთმანეთს უგებს.

14536. სულის გაუმჯობესებისთვის საჭიროა გასახალისებელი პროგრამის შედგენა, რომელიც სხეულის გამოჯანმრთელების უცილობელი პირობაა, სულის ჯანმრთელობას ერწყმის და ხშირად სასურველ შედეგს იძლევა.

14537. ჯანმრთელობა არის ტანის და გონების დისციპლინა, სულიერი და ფიზიკური ყოფის გაჯანსაღების ჰარმონია.

14538. რადგან სიბერეში არც შენი წარსული კარიერა და არც შენი მიღწევები არავის აინტერესებს, განა არ ჯობს ადამიანის ყველაზე დიდ სიმდიდრეს, ჯანმრთელობას და ახალგაზრდულ შემართებას გავუფრთხილდეთ და თავიდანვე შევეჩვიოთ ცხოვრების წყნარ სტატუსს და სიცოცხლე გავიხანგრძლივოთ? მაგრამ რა ვუყოთ ადამიანურ ამბიციებს, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია?

14539. ექიმის მთავარი მოვალეობაა სხვას სიცოცხლე შეუნარჩუნოს, გაუხანგრძლივოს და გასაძლები გახადოს ამქვეყნად მისი ყოფნა.

14540. ჯანმრთელობის შეძენაა მთავარი და არა ყიდვა, რადგან პირველში შენი შრომაც დევს, ხოლო მეორეში – მხოლოდ ნაშოვნი ფული.

14541. ცხოვრების მძიმე წუთებში ექიმი ღმერთად გვეჩვენება და ღვთისწყალობაა, თუ ამ დასტაქარმა გაამართლა.
14542. მაშინ ვხვდებით დასტაქრის შეცვლის საჭიროებას, როდესაც ფურუნკულებით დაავადებულ სხეულს მკურნალის მალამო აღარ შველის და დაავადება ქრონიკულ-ეკონომიურ კრიზისში გადაიზრდება.
14543. ჯანმრთელობაც გადამდებია, თუ მას კარგი დიეტის პროპაგანდისტი და ფიზკულტურის ორგანიზატორი ჰყავს.
14544. ყველაზე ეფექტურ, შემოსავლიან გამონაბოლქვს სიგარეტი იძლევა, მას ვერც ერთი ქარხნის გამონაბოლქვი ეკონომიკაში ვერ გაეჯიბრება, რა თქმა უნდა, ჩვენი ჯანმრთელობის და სიცოცხლის ხარჯზე.
14545. ზოგიერთი სულიერად დაავადებულს რომ დაინახავს, თვალები უბრწყინავს, გასართობი ვიშოვეო. ბრძენი კი ცდილობს თვალი აარიდოს.
14546. ნევრასთენიკსა და შიზოფრენიკს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველმა იცის ორჯერ ორი ოთხი რომაა და ნერვიულობს, მეორემ კი – ორჯერ ორი ხუთი რომ არ არის და კმაყოფილია.
14547. ზოგს, ახლობელის უვიცი ექიმის მიერ მკურნალობა იმიტომ მოსწონს, რომ მემკვიდრეობის ვადამდე მიღების იმედი აქვს.
14548. ზოგი მკურნალი იმაზეც ბრაზდება, ავადმყოფს ჩემს მიერ დანიშნული წამლები არ მიუღია და მაინც გამოჯანმრთელდაო.
14549. ექიმობა კოქტეილია ცოდნის, ინსტინქტის, გამართლების, რომელიც მის პროფესიონალიზმს ამოწმებს ექსტრემალურ პირობებში.
14550. გონიერი, ფიზიკური შრომა დიდი მადლია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, მაგრამ ზოგს ეს არ ესმის, ზოგსაც არ სიამოვნებს და ზოგს დასანახად ეჯავრება.
14551. ფიზიკური შრომა ჯანმრთელობის საწინდარია, რადგან ჭკუის ჭყლეტის ხახუნს ანელებს.
14552. დასვენება ზოგისთვის რეჟიმის დაცვაა, ზოგს ქალის გარეშე ვერ წარმოუდგენია, ზოგიც პარტნიორებთან ერთობა, ზოგს სასმელის უზომოდ მიღება მიაჩნია დასვენებად. ისე რომ, ყველას თავისი რომანტიკა და გაგება აქვს, რადგან დასვენება ყოველთვის ჯანმრთელობის აღდგენას არ ნიშნავს, ის უფრო გართობაა და რუტინიდან თავის დაღწევას ემსახურება.
14553. სულიერი მონობისგან თავის დახსნა ერთეულ გამოჯანმრთელებულთა ხვედრია.
14554. უხიაგ საზოგადოებაში ავადმყოფი ყოფიერება იღებს ჯანმრთელ ფორმას, რადგან ეს მის გაუნათლებელ მენტალიტეტს უნდა.
14555. ჯანმრთელობის ყიდვა თუ არ შეიძლება, ექიმთან დროებითი არენდის გაფორმებას პროფილაქტიკის მიზნით წინ რაღა უდგას, ჩვენი სიზარმაცის და მხდალობის გარდა.
14556. ჯანმრთელობისთვის მხარში ამომდგომი ის უბედობაცაა, რომელიც სხვაში ასე გვძულს და ნერვებს გვიშლის.

14557. სიამოვნება ძალზე ინტიმურიც არის, საყოველთაოც და დასაფიქრებელიც. ადამიანი თავის გამონაყოფს „ჩეჩმაში" დაკვირვებით ათვალიერებს, თუ მასიურია და მკვრივი სიამოვნებს, თუ მცირეა და თხელი ხასიათი უფუჭდება, რადგან ეს კუჭის ცუდ მოქმედებაზე, საკვების ხარისხზე და ადამიანის განწყობაზე მიუთითებს და ხანდახან ფიქრობ, ნუთუ სულ ეს არის ადამიანი.

14558. რაც კარგია და სასიამოვნო, ჯანმრთელობას ვნებს, რის კეთებაც არ გვინდა და გვეზარება, სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს. არჩევანი ვის მხარეს უნდა გადაიხაროს თითქოს ნათელია, მაგრამ სწორედ ამ არჩევანის გაკეთებაა ძნელი, რადგან ცხოვრება უფრო მიმზიდველია, ვიდრე სიცოცხლე.

14559. ყველა მისალმებას თავისი პროფესიული დატვირთვა უნდა ახლდეს: უროლოგიური სალამი – გადაფსმას უსურვებს, კარდიოლოგიური – სახლში სირბილით წასვლას, სექსუალური – მდედრის მრავალჯერ დაპურებას, მხოლოდ ონკოლოგიური სალამი გვრჩება კარგი სურვილებით და სავალალო შედეგით.

14560. ჯანმრთელობა უდიდესი თავისუფლებაა, სულის დემოკრატიაა, რომელსაც სანამ არ დავკარგავთ ვერ ვაფასებთ.

14561. ცხოვრებით დამახინჯებულ ხალხს, სამკურნალოდ ქირურგია ჭირდებათ და არა თერაპია, რადგან ამ უკანასკნელით მცდელობა შეიძლება ქრონიკულ დაავადებად ექცეს.

14562. მივცეთ თუ არა ადამიანს იმის გამოთქმის უფლება, რაც სულს უმწარებს, გონებას უმღვრევს, ნერვებს უშლის. ნებართვა უფრო ჰუმანურია, მაგრამ მკურნალი ორივეს მაინც ერთი ჰყავს – დრო. ამიტომ წარმოიქმნრბა მეორე საკითხი, ღირს თუ არა სხვისი ნერვების აშლა.

14563. არის კონფლიქტი: დასაწყები, გადასადები, შესაწყვეტი, ნაჩუქარი, დავიწყებული, რომელიც მოსაგვარებლად მომდევნო თაობას არ უნდა დაუტოვოთ თუ გვინდა მათ ჯამრთელობაზე მსხვერპლად არ გავაღებინოთ.

14564. ცუდია, როდესაც გონიერებას უხიაგ მთავრობასთან და დასნეულებული თანამემამულეებთან უხდება მოღვაწეობა და იმედად მხოლოდ მომავალი თაობების გონიერების გამოვლენაღა რჩება.

14565. ცრემლნარევი, გულიანი სიცილი ჯანმრთელობის მომტანია, მაგრამ სიცოცხლის გამახანგრძლივებელი არის თუ არა, ძნელი სათქმელია.

14566. ექიმმა ავადმყოფი და მეძავი საწოლში არ უნდა დაინდოს, თუ უნდა რომ პირველი მკურნალობის შედეგით კმაყოფილი დარჩეს, ხოლო მეორე – მამაკაცთან ურთიერთობის პროცესით.

14567. შიმშილი სიცოცხლის გახანგრძლივების საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ ის კუჭს აღონებს, გვრემს და უკაიფო ცხოვრებას იწვევს. დიეტა შედეგია თავის დროზე კუჭის განავარდების და ექიმის მიერ გამოტანილი განჩინებით დღეს დროებით პატიმრობაშია, სიცოცხლე რომ გაიხანგრძლივოს. ზომიერი ჭამა სიცოცხლის ელექსირია, მაგრამ მაინც წამალია და ის ხელს უშლის კუჭის გრიალს და კაიფს.

14568. სტრესის დროს არ უნდა დაიბნეთ და არც კედლის თავით განგრევაა საჭირო, ამას, რომ დამშვიდდებით, მაშინ მიხვდებით.

14569. სენისგან თავის დაღწევაში, სიცოცხლისადმი მისწრაფება უნდა დაეხმაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა მცდელობა, მათ შორის, მამაზეციერისაც, უშედეგო იქნება.

14570. ღამე და ავადმყოფობა ერთმანეთთან მოლაპარაკების შედეგად ყოველივე მტკივნეულს ამ დროს გამოავლენენ და ავადმყოფს ჰკურნავენ. თუ ტკივილი, შეთანხმების მიუხედავად, დღისითაც გრძელდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფს მკურნალობა ესაჭიროება და არა – შეთანხმება.

14571. ზოგს ისეთი ენა აქვს, შიგ ჯიგარში გხვდება და აგიწვავს, მაგრამ ამ მწვავე ენის მქონე გონებამახვილი ექიმის მიმართ მაინც პატივისცემით იმსჭვალები, რადგან ის გკურნავს და ცდილობ შემდგომში ამ ენის გასაქილიკებელი არ გახდე.

14572. კრტფზვნს– სცადეთ და გამოთქვით ოკულისტის ეს ცხრილი. იგი იმიტომ არის ასე სამართლიანად შედგენილი, რომ ვერ დაიმახსოვროთ, ვერ გამოთქვათ და ამით ექიმი შეცდომაში არ შეიყვანოთ.

14573. სულით ავადმყოფის, ექიმსა და ქირურგს შორის ის განსხვავებაა, რომ დასტაქარი ან არჩენს, ან იმ ქვეყნად გაამგზავრებს ავადმყოფს, ხოლო მკურნალი აწვალებს, მის პატრონს სათუო ილუზიებით კვებავს და ორივეს ექიმი ჰქვია, რადგან ყველა თავის საქმეს ასრულებს.

14574. ბუნება და მედიცინა პატივისცემას იმ შემთხვევაში იმსახურებენ, როცა ისინი ერთმანეთს უგებენ, ეხმარებიან და ადამიანის განკურნებისთვის იღვწიან.

14575. ექთანი კარებზე კაკუნით პალატაში შესვლის ნებართვას თხოულობს, შემდგომ ავადმყოფს აშიშვლებს, წელქვევით პარსავს, ოყნას უკეთებს, "სუდნოს" უცვლის და მოკრძალებით გადის. ავადმყოფი ამ სალამ-ქალამის აზრში ვერ გარკვეულა, როდესაც მას ასე უცერემონიოდ მოექცნენ, მაგრამ რას იზამ, როდესაც ზრდილობას თავის წესი აქვს, ხოლო პროფესიონალიზმს – თავისი.

14576. ექიმი ქალი ხშირად ცდილობს თავი გამოიჩინოს ავადმყოფთან და შედეგს არად აგდებს, რადგან ალიბი შენი მკურნალობისას უამრავი აქვს.

14577. ექიმებზე რა აზრისაც უნდა ვიყოთ და ჩვენი გენის რა დიდი იმედიც უნდა გვქონდეს, 80 წელს გადაცილება ყველას გაუჭირდებოდა.

14578. ლიფის მომავალი ფორმა და ზომა დამოკიდებულია ტექნიკურ შესაძლებლობებზე, ქირურგიისა და ფარმაკოლოგიის მიღწევებზე.

14579. ავადმყოფობით სიმულაცია თავისებური კაიფია, როცა შენი ბედით ახლობელი შეწუხებულია, ყველა გეფერება, გეალერსება. მაშინ, როდესაც ჯანმრთელად ყოფნის ჟამს შინაურებს არც ახსოვხარ და არც თავს იწუხებენ შენთვის.

14580. სიბერეს გინდ ექიმის დახმარებით გაივლი, გინდ უიმისოდ, მაგრამ დრო მიანც დაღმართისკენ მიგვაქანებს, რომლის შეჩერება და შემოტრიალება პრაქტიკულად გამორიცხულია.

14581. სისხლს და ნერვებს თავისი დამცველი თვისება აქვს. პირველს ბაქტერიების დანაგვიანებისგან სისხლში გავრცელებული ანტისხეულები იცავს, ხოლო მეო-

რეს ნერვების დაჭიმვის და მოშვების ბიოლოგიური მექანიზმი, წინააღმდეგ შემთხვევაში კაცს ადრენალინის სიჭარბე მოკლავდა ან ნერვები დააწყდებოდა.

14582. ჩვენ ცუდად ვიცნობთ ცხოვრებას და სიცოცხლის გახანგრძლივების კანონებს, რადგან ჯანმრთელობის შენარჩუნებაში ექიმი ეხმარება ბუნებას და ისაა ჩვენი მკურნალი.

14583. მრწამსის სხვაობის მიუხედავად, ჯანმრთელობა და ფულს ერთმანეთის გარეშე ცხოვრება უჭირთ და მაინც ინტერესები აერთიანებთ. თუ პირველი მოწოდებულია ავადმყოფის სამკურნალოდ, მეორე მის მატერიალიზმს აკმაყოფილებს. სიტყვით ექიმი ადამიანთა ჯანმრთელობაზე ფიქრობს, საქმით კი ფულის შოვნის მცდელობაშია.

14584. ავადმყოფობა ჩვენი შემართებით, ჯანმრთელი ცხოვრების წესით, პროფილაქტიკით ისე უნდა დავაშინოთ და დავჩაგროთ, რომ მოძალების საშუალება არ მივცეთ და უკან დავახევინოთ.

14585. ოპტიმალური წონის საანგარიშო ფორმულიდან 150% გადახრითი სიმსუქნე საქმიანობის შედეგია, 200%-იანი კი – უკულტურო კვების, რაშიც დანაშაულის ლომის წილი მშობლს მიუძღვით და ჯანმრთელობის დაცვას სავალდებულო კანონის უქონლობას.

14586. ადამიანისთვის საავადმყოფო ანატომიური თეატრია, სადაც ის მსახიობია, მკურნალი ექიმი – რეჟისორი, დამხმარე პერსონალი – მისი გამოჯანმრთელების მაყურებელი.

14587. პათანატომი და ქირურგი მსგავსი პროფესიაა, ერთი სამართალდამცავთა თხოვნით ადგენს გარდაცვალების მიზეზს, მეორე ცდილობს, მიცვალებამდე გაარკვიოს ჭეშმარიტება. ორივე პროფესია საზოგადოების საჭიროებას ემსახურება და მათი სიკეთისთვის არის გამიზნული.

14588. ზოგიერთ მოხერხებულ აფთიაქარს ისეთი წამლებიც კი აქვს კლიენტის დასამშვიდებლად, რომლის ავადმყოფობაც ჯერ არ გამოუგონებიათ.

14589. მკურნალი ექიმი ისევე სათუთად და გონივრულად უნდა შევარჩიოთ, როგორც მეორე ნახევარი, რადგან წესით ორთავე იმედის და შვების მომნიჭებელნი უნდა იყვნენ.

14590. არის სასიამოვნო ინტიმი, რომელიც წყვილისთვის არის განკუთვნილი, არის ჰიგიენური სავალდებულო ინტიმი, რომელიც წყვილთა მკურნალობას ემსახურება.

14591. ქალი თავისებური ავადმყოფობაა ყველა ნორმალური მამაკაცისთვის, რომელიც ცდილობს პირველ რიგში მდედრს უმკურნალოს და თავიც არ დაიტოვოს უყურადღებოდ, მაგრამ ერთმანეთის მოვლის გარეშე გამოჯანმრთელება შეუძლებელია.

14592. სიბერე ის ავადმყოფობაა, რომელიც იღებს დაავადების საიმედო ფორმას.

14593. ავადმყოფი, რომელიც ექიმის გამოწერილ სათვალეს ატარებს უმეტესად კარგია, რადგან რის დანახვა და გაკეთებაც შეეძლო, იმან ჭირი მოგჭამა, ახლა მისი სიკარგე და ვარგისიანობა მის ჯანმრთელობასთანაა შეჯერებული.

„ჰე ღმერთო ერთო!. . .

14594. ადამიანს უნდა ყოფნიდეს შემართება, ეძებოს მშვენიერება, სიყვარული, კეთილგანწყობა, კეთილდღეობა და სულაც არ არის პატიოსნება, თუ ის ყოველივე ამის მიღებას მუქთა წესიერებით, ხელის გაუნძრევლად და ღმერთის შეწევნით აპირებს.

14595. არის ხალხი, რომელთა ინტელექტი 21-ე საუკუნეში ცხოვრების ღირსი არ არის, მაგრამ ეს ადამიანები მამაზეციერმა არ გასწირა და შემდეგ საუკუნეში გადაათრია.

14596. შემოქმედმა ადამიანმა ყველაფერი ღმერთის ნებას არ უნდა მიანდოს, ისიც უნდა ჩაუჯდეს მას სამყაროს გაგების და გააზრების წილში.

14597. ეშმაკი ყველა ჩვენგანის წვრილმანებშია ჩაბუდებული და ამიტომაც სხვის ცოდვებში გამოცოცხლებული დიდ ვირთევზად გვეჩვენება.

14598. ადამიანის ფიქრით წარღვნა აუცილებელი და გარდაუვალი მოვლენაა, მისი სურვილია თვითონაც და სხვებიც განიწმინდოს ამ საშიშროების წყალობით.

14599. მამაზეციერი სილამაზეს და ჭკუას ერთდროულად არ აბედებს მდედრს, თორემ ქალები გადაჭამდნენ ყოველივეს და ღმერთს ბევრ ჭკუის საჭყლეტს აჰკიდებდნენ.

14600. გაჭირვება ნანატრი ქალის დაუფლების მცდელობაცაა და ცხოვრებისეულ ცხელ წერტილებში ყოფნასაც უდრის, რომელიც ათეიზმს ვერ ეგუება.

14601. ღვთის მსახური იგივე ფსიქოთერაპევტია, პირველი საზღაურს "სულის" სანთლების ანთებაში იღებს, ხოლო მეორე – წამლებით მკურნალობაში, სხეულის უშნო აღტყინების ჩაწმობაში.

14602. ხალხი ემორჩილება გარემო პირობებს, ეკონომიკას და იმ პირველ მოხერხებულ მქადაგებელ-გამბრიყვებელს, რომელმაც სხვას დაასწრო.

14603. სექტანტისთვის ყველა მტერია, ვინც მათ იდეოლოგიას არ იზიარებს, ამქვეყნიურ ცხოვრების დოგმებს არ დაგიდევთ, წინასწარ მცდარ შეხედულებებს ავრცელებს, ამით თავისასაც ისწორებს და სხვებსაც მის სასარგებლოდ აკვალიანებს.

14604. პანთეიზმი – ბუნების ძალების ან ერთი სარწმუნოების ქადაგებაა და ამიტომაც ყველაზე პერსპექტიული სარწმუნოებაა, რადგან პროგრესის მიუხედავად, გაჭირვების ჟამს ადამიანს რწმენის გარეშე ცხოვრება უჭირს, ამასთან ამოუხსნელი საოცრების ახსნის გონიერება არ ყოფნის და ისედაც დაბნეულ ადამიანთა მოდგმას ჯობს ერთი ღმერთი შევთავაზოთ და ის გავუფეტიშოთ, ამით პლანეტის კატაკლიზმებზე რეაგირება ადამიანს შედარებით გაუადვილდებოდა.

14605. პირველი კომუნისტი ალბათ ქრისტე იყო, რომელიც თაობათა, რწმენას დაშინებით, ლოცვით და იმქვეყნიური საამო ცხოვრების დაპირებებით ნერგავდა,

რომელიც კომუნისტებმა აგიტაციით, კრიტიკოსთა დაშინებით, კომუნიზმში საამო ცხოვრების დაპირებით და შესწავლით შეცვალეს.

14606. ღმერთს არ შეუძლია ყველა ჩვენგანის ცხოვრება განიცადოს, ინერვიუ-ლოს, იზრუნოს. ამისთვის მან მშობლები და ახლობლები მოგვივლინა და თუ ისინი თავის მოვალეობას არ ასრულებენ, მოპასუხედ ეკლესიაში ლოცვა და მღვდელ-ვექილისთვის ფულის შეწირვის საშუალება დაგვიტოვა.

14607. სუფრაზე მიღებულია ღმერთის ყოფნა, ამიტომ ის ტრადიციების და წესების დაცვით უნდა წარიმართოს, აქ ცივილიზაცია და დროის უკმარისობა მოსატანი არ არის, რადგან ტრაპეზი ადამიანს წესრიგსა და ღმერთთან მიახლოებას აჩვევს.

14608. ორი ადამიანის გაცნობაში უეჭველად ღმერთის ხელი ურევია, მაგრამ გასარკვევია ეს ქმედება მან ხუმრობით, სიკეთის მცდელობით თუ მათ დასასჯელად ჩაიდინა.

14609. რელიგია არის ღმერთის და ადამიანის იდუმალი ჭუკჭუკი სხვის ჩაურევლად.

14610. კერპთაყვანისმცემლობამ იმიტომ მოგვჭამა ჭირი, რომ მან ვერავითარი რეალური სალოცავები ვერ დატოვა. სხვა სარწმუნოებებმა ღმერთის სასახლეც ააშენეს და საყოველთაო ლოცვაც შემოიღეს. ეს სარწმუნოებები მმართველი კლასის ინტერესებსაც გამოხატავენ და ეროვნულობის დაცვასაც, ამასთან სხვა სარწმუნოებებთან წაჩხუბებას და მათგან წაღლეტვას დიდ წინააღმდეგობას არ უწევენ.

14611. ზოგიერთი ღმერთთან ჩახუტებით "დურუმნიკობს" ყოველშემთხვევითობის იმედით, იქნებ იმქვეყნად გამომადგეს ვირეშმაკობაო, ხოლო დანაშაულის მონანიება, შენდობა, შეწირვა, ეკლესიის შემოსავლის წყაროა, ამიტომ მისი დოგმები შინაგანად ან უნდა ვიწამოთ ან არა. მესამე გზა მოსატანი არ არის.

14612. ავტონომიური აზროვნების უნარს მამაზეციერი მაშინ გაკარგვინებს, როდესაც შენი დასჯა ან დაღუპვა უნდა, მაგრამ რას ერჩის სხვას და რაში სჭირდება ეს რადიკალიზმი, მოკვდავისთვის ყოველთვის ამოუხსნელი დარჩება.

14613. ღმერთი გულუბრყვილო არ არის, საქმეში რომ ვერ გაერკვეს, მაგრამ საიდან იკრიბება პოლიტიკურ პარტიებში ამდენი ვიგინდარა და უსაქმური, ან მათი სახით რატომ უწყობს უგნურ ამომრჩეველს გამოცდას, რომელსაც ის დამაკმაყოფილებლადაც ვერ ჩააბარებს.

14614. წმინდანიც შეიძლება ცოდვილი იყოს, უცოდველი მარტო ღმერთია, თუმცა ამ ბოლო დროს, დემაგოგების მომრავლებასთან დაკავშირებით, ამის მტკიცება საეჭვო გახდა, რადგან ცოდვა შეფარდებითია, დღეს ის ახლებურ გააზრებას ითხოვს, მით უმეტეს თუ ეს ყველას ჩვენებურად გვესმის.

14615. ღმერთო! როდის მოულებ ბოლოს ვიგინდარების თანამდებობაზე დანიშვნას. გვიშველე და პირობას გაძლევთ, დალხინების ჟამსაც ყველა თქვენს სახელზე დავიფიცებთ, თუ ჩვენი მორჩილების და ლოცვის გადავიწყების გემინია.

14616. უღმერთოდ ცხოვრება ადვილია, მაგრამ იმ ქვეყნად წასვლაა ძნელი.

14617. სინდისის განყოფილებას ღმერთი კურირებს, უსინდისობისას – ეშმაკი. ამიტომ ცხოვრების კრიტერიუმები აბსურდს რომ არ დაემსგავსოს, ყველას ჩვენი ცენზორი უნდა გვაწუხებდეს, სხვისი შეურაცხყოფის და დამცირების გარეშე.

14618. განკიცხული ანგელოზი - სატანა, ღმერთის შტატგარეშე თანამშრომელია, რომელიც შეთანხმებისამებრ, მის საჭოჭმანო საქმეს ასრულებს. შედეგად: მამაზეციერს დიდება, სატანას ლანძღვა-გინება. ამით ისინი ერთ საქმეს, ადამიანის აღზრდას და სარწმუნოებისკენ შემოტრიალებას, ემსახურებიან.

14619. გაჭირვებისას ყველა ღმერთზე ვფიქრობთ, მაგრამ ჩვენთვის ექსტრემალურ პირობებში რამდენად ფიქრობს მამაზეციერი ჩვენზე, ეს საკითხავია.

14620. ღმერთი უმაღლესი ხელისუფალია და მისი დამოკიდებულება მთავრობასთან განსაზღვრავს ამ ხალხის ხასიათს და მისი კულტურის დონეს.

14621. რწმენა სამათხოვროდ ფულის შეწირვა, სანთლის დანთებით და სულის დასაწყნარებლად, ლოცვა კი არ არის, არამედ ნათლის კანონით ახლო ნათესავად ქცევაა, მარხვის დღეებში არასამარხვო საკვებით ვაჭრობის აკრძალვაა, ერთადერთი ღმერთისადმი პროგრესული რწმენის შექმნაა, სხვა სარწმუნოების გამოცდილების შეჯერებით.

14622. თუ ღმერთს იუმორის შეგრძნების უნარის მინიჭება დაავიწყდა, ის მაინც უნდა დაემადლებინა, რომ ადამიანმა თავისი სულელური გამოხედვით სხვას ხასიათი არ გაუფუჭოს და გაუღიმოს.

14623. მამაზეციერმა მიწაზე რაც უნდა ცუდი შუამავალი დანიშნოს, რწმენის დანიშნულება არ იცვლება, რაგან ბრბო ალიბის მონახვას ცდილობს და არავინ კითხულობს, თუ ასეთი უნიათო წარმომადგენელი ვის რაში დასჭირდა.

14624. რატომღაც ღმერთმა ხალხს მოთმინების და მიტევების უნარი არ მიანიჭა, ამიტომაა, რომ მას ბევრი საყვედურის მოსმენა, შეცოდება და შეწყნარება უწევს.

14625. შეუძლებელია წმინდა ძროხა მეწველი არ იყოს იმისთვის, ვინც მის სიწმინდეს ქადაგებს და ამდენ მომსახურებას უწევს.

14626. მამაზეციერისთვის სიტყვის ღრმა შინაარსი უფრო გასაგები და მისაღები ხდება მაშინ, როდესაც მას ხმირად ვადიდებთ, ვახსენებთ ან ცუდად მოვიხსენიებთ.

14627. მცირეოდენი ხარკის გაღება: ეკლესიაში სანთლის ანთება, ლოცვა, მათხოვრისთვის ფულის მიცემა, ადამიანს სულის დასამშვიდებლად და იმედიანი ცხოვრების დასამკვიდრებლად სჭირდება, რათა ირგვლივმყოფთ და შემოქმედს დაანახოს მისი ქველმოქმედება და ღმერთისადმი რწმენა.

14628. ურწმუნო ხალხის დასათრგუნავად ეტყობა ღმერთსაც სჭირდება შავი სამუშაოს შემსრულებელი, თორემ ეშმაკს ამდენ გათავხედებას რატომ მოუთმენდა ან ამდენ მიწისძვრასა და ცუნამს დაატეხდა თავს ხალხს?

14629. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ღმერთი არსებობს, მაგრამ ვერც ბუნების მოვლენების საოცარ ფაქტებს გავექცევით, მაშინ ისღა დაგვრჩენია, რომ სხვა პლანეტიდან მოფრენილების არსებობა ვიწამოთ და ჩვენთვის უცნობი მოვლენების შეუცნობლობა მათ გადავაბრალოთ.

14630. ათეიზმიც რწმენაა, ოღონდ ღმერთის არარსებობისა.

14631. ღმერთმა მოგვცა, ღმერთმა წაიღო, თუ ჩვენ ამ მიამიტი აქსიომით ვიცხოვრებთ, მაშინ ჩვენთვის სამშობლოს დაცვა, დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლა,

მორალის დაცვა და სხვა მრავალის გარკვევა გაგვიჭირდებოდა და ცხოვრება აზრს დაკარგავდა.

14632. გაუგებარი სიტუაციის და გაჭირვების ჟამს ძნელია იყო ათეისტი და მორწმუნეც როდესაც გარემოება არჩევანის დროს არ გიტოვებს.

14633. ყველა ადამიანში ორი სარწმუნოება არსებობს: ფული და ღმერთი. პირველს ვახსენებთ როცა გვილხინს, მეორეს როდესაც გვიჭირს. ასე რომ ღმერთისადმი დამოკიდებულება, მისდამი სიყვარული ჩვენს განწყობაზე, შესაძლებლობებზე არის აგებული. ამიტომაცაა რომ ღმერთი არ სტყუის, როდესაც ის განსაცდელის წინაშე გვაყენებს, ამით იგი თავს გვახსენებს და გვაიძულებს შევიყვაროთ.

14634. რატომღაც ეკლესიაში შესვლისას ღმერთს არავინ თხოვს ჭკუას და ცუდი თვისებებისგან განთავისუფლებას. ყველა ითხოვს მატერიალურს, რადგან საკუთარი თავის სიჭკვიანეში და სიკარგეში ეჭვი აქაც არავის ეპარება.

14635. მიცვალებულის გაპატიოსნებაზე, აღსარებაზე, ნათლობაზე, სანთლების შეძენაზე და შესაწირზე აღებული ფული, არის ღმერთისთვის განკუთვნილი ბეგარა, რომელიც თვითმარქვია მიწიერმა მისმა მსახურმა დაუწესა მრევლს მისი სამტატო ერთეულების შესანახად. საინტერესოა ისიც, რომ რაც უფრო მეტს იღებს და მდიდრულად ირთვება მიწიერი მსახური, მით უფრო დიდ პატივისცემას იმსახურებს ბრბოსგან.

14636. ზოგიერთ ახალგაზრდა გოგონას მონაზვნად აღკვეცილს რომ დაინახავ, გაოცდები: ამ გოგონას ან გონება არა აქვს ან ცხოვრების სახსარი, თორემ პატრონი რომ არა ჰყავს ეს ცხადია. ნეტავ რისთვის სჭირდება ღმერთს ეს სიყვარულისთვის და მრევლის გასამრავლებლად გაჩენილი არსება?

14637. ყველა რელიგია ჭკვიანი ხალხის დაკვირვებაზე, გამოცდილებაზე და გარემო პირობებთან შეხმატკბილებაზე არის აგებული, თუმცა ბაზისი ყველას ერთი აქვს, რომელსაც სიკეთე ჰქვია.

14638. გულის სიღრმეში ღმერთის ყველას ეშინია, მაგრამ არა ისე, რომ საკუთარ კარიერაზე და კეთილდღეობაზე უარი ათქმევინოს.

14639. ღმერთისადმი, სარწმუნოებისადმი რწმენა უფრო ამაღლდებოდა და სათუო აღარ გახდებოდა, ღმერთს თავის ელჩებად უფრო წესიერი ღვთისმოსავი მსახურები რომ დაენიშნა ამ ცოდვილ მიწაზე.

14640. ეკლესიას მორწმუნეთა ცოდვების შეწყნარების უფლება რომ არ ჰქონდეს, მას არც მრევლი ეყოლებოდა და არც მორწმუნეები, რადგან ცოდვილთა რაოდენობა ამქვეყნად არც ისე ცოტაა.

14641. ღმერთის რწმენისა და მისი დახმარების იმედის გარეშე ამქვეყნად ძნელია ცხოვრება, მაგრამ ყველაფრის გაკეთებას თქვენს მაგივრად მას ნუ მოსთხოვთ, რადგან ამდენი თხოვნის შესრულება და ცოდვის შეწყალება გაუჭირდება და ამით იმიჯს დაუმახინჯებთ.

14642. ადამიანს ღმერთისადმი რწმენა ცხოვრების იმედიანად ყურებისთვის სჭირ-დება, მისი მფარველობის და შეწყნარების იმედი ასულდგმულებს. მოკლედ,

სულიერი "კრიშაა", რომელსაც გასამრჯელოს ეკლესიაში სიარულით და სანთლის ანთებით უხდის.

14643. მამაზეციერმა სიცოცხლეს ის უგნურება მიანიჭა, რომ ხალხი ფენებად დაჰყო და სხვადასხვა გონიერება და მატერიალური საშუალება მისცა, ხოლო სიკვდილის სიბრძნე იმაში გამოხატა, რომ მიწამ ქვევით ყველა გაათანასწორა, მაგრამ რატომღაც ამ უგნურებით შექმნილი ქვეყნიდან წასვლას არავინ ჩქარობს და არც სარწმუნოების რეკლამა შველის იქ ცხოვრების უკეთესობას.

14644. მადლობის თქმა უნდა ვკადროთ უფალს, თუ ჩვენთვის განკუთვნილი ბიოლოგიური დროის რეალიზაციის საშუალება მოგვცა, შვილები აღგვაზრდევინა, შვილიშვილებთან ჩაგვახუტა, შვილთაშვილები საღი აზრით დაგვანახა და თუ ჩვენს იმ ქვეყნად წაცუნცულებამდე კიდევ მომდევნო თაობა გვაჩვენა, მაშინ სიცოცხლის ყველა ლიმიტი ამოწურულია და იმქვეყნად ჩვენს მფარველ ანგელოზს ფრენით უნდა გავყვეთ.

14645. სამწუხაროდ, ტექნიკურ პროგრესს, საშინელი გამოგონების, ატომური ბომბის, კლონირების შეჩერება არ შეუძლია და იძულებულნი ვართ, მომავალს გაცრუებული მითების ასოციაციით შევხედოთ, ამიტომაცაა, რომ რელიგია სულის პროგრესისკენ მოგვიწოდებს და ტექნიკურს არ ცნობს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მიღწევების გამოყენებაზე უარს არ ამბობს.

14646. კიოს და დევიდ კოპერფილდს დღევანდელი ილუზიების გამოყენების საშუალება ხუთი საუკუნის წინათ რომ ჰქონოდათ, ისინი მამაზეციერად მოგვევლინებოდნენ და მათზე ვილოცებდით.

14647. რატომღაც კაცების შექმნილ სარწმუნოებას ქალები რეკლამას უკეთებენ, ეთაყვანებიან, აფეტიშებენ და ავრცელებენ, თვითონ კი წმინდანების მომდევნო ეშელონებში მოხსენიებით კმაყოფილდებიან. საინტერესოა, აქაც ქალის დისკრიმინაციასთან ხომ არა გვაქვს საქმე?

14648. დამშვიდებული სულიც მატერიალურია: როდესაც სალოცავიდან გამოდიხარ განწმენდილი, სხეულში ნათელი გიდგება, სულიერად მაღლდები და შინაგან კმაყოფილებას განიცდი, ასე კარგად რომ ემსახურე, ეთაყვანე მამაზეციერს.

14649. რელიგია ადამიანის სულის დასამშვიდებლად არის მოგონილი და არა ხორცის, რომელსაც თავისი გენეტიკური მოთხოვნები აქვს აღსასრულებელი თავის და კვლავწარმოების წინაშე.

14650. მამაზეციერს ბუტბუტით ლოცვა და სინდისის ქენჯნა სჭირდება და არა რელიგიური ფანატიკოსი, რომლის სურვილია თავისი არჩეული რელიგიის და ღმერთის შერწყმა.

14651. სინდისის თავისუფლების წინაშე ყველა სარწმუნოება თანასწორია, მაგრამ ისტორია მაინც გამორჩეულთა უკიდურესობების მხარეზეა, როგორც კარგში, ასევე ცუდში, ასე რომ საშუალო ქვეყნის აღმშენებელი და რწმენის ადამიანი არც სარწმუნოებას აინტერესებს და არც ხალხის ისტორიას.

14652. ყველა რწმენა და ახალი რელიგიის შექმნა პოლიტიკური ექსტრემიზმია, რადგან მან ძველს უნდა აჯობოს, შეეჯიბროს და შეებრძოლოს. თუმცა, ამ ჭიდილში შერკინების მეთოდებს არად დაგიდევენ.

14653. მამაზეციერი სხვადასხვა პროფესიებს გვჩუქნის და სპეციალობის მიხედვით უნდა ჩვენი გამოყენება, მაგრამ როგორ ვამართლებთ მის იმედებს ეს სხვა საქმეა, რადგან ყველას კარგი ცხოვრება გვინდა და ჩვენზე ჯილდოდ გაცემული საქმიანობა ყოველთვის ჩვენს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

14654. ნამდვილი მორწმუნე საეჭვო მოძღვრებას თავისი მცდელობით ჭეშმარიტებად აქცევს, ხოლო შემთხვევითი მსახური კი ჭეშმარიტებას საეჭვო მოძღვრებად და მრევლსაც დააფრთხობს.

14655. ზოგს ღმერთი წითელი ჯვრის და ნახევარმთვარის წარმომადგენელი ჰგონია და სულ იმის ცდაშია, თავისი პრობლემები განსასჯელად მას გადააბაროს, ხოლო თავისი საქმის მოგვარების მცდელობა მხურვალე ლოცვით შემოფარგლოს.

14656. ღმერთი ყოველთვის არ იძლევა იმის საშუალება, რომ მისი ნაბოძები შენ უშრომლად გამოიყენო, რადგან მისი სურვილია, შენც ხელი გაანძრიო და შენი გემოვნების და შესაძლებლობის შესაფერი საქმე აკეთო.

14657. არის დანაშაული, რომლის პატიება ღმერთს შეუძლია, მაგრამ ჩვენ ამის უფლებას არ გვიტოვებს.

14658. ნიჭიერება ღმერთთან არის დაკავშირებული, მაგრამ უნიჭობაც ხომ მისი გულმავიწყობის შედეგია, ყოველ შემთხვევაში, ბრბოს ასე სწამს.

14659. ეკლესია მოწოდებულია გვიხსნას ცოდვებისგან, ხოლო მეცნიერება ვალდებულია ეძიოს გზები, რომელიც ამ ცოდვებს აგვაცილებს.

14660. სულიერება და სული. პირველის მფლობელნი ჩვენ თვითონ ვართ, ხოლო მეორე მამაზაციერის ნაბოძებია, რწმენის და ამქვეყნად ჩვენი მოვლენის გასამართლებლად.

14661. ბავშვი ნაყიდი ნივთი არ არის, მისი ნაკლისთვის უკან დააბრუნო, თუნდაც იმიტომ, რომ მამაზეციერს თავისი გეგმები და წარმოდგენა აქვს ყველა ჩვენგანის ყოფაზე. ამასთან, რა იცი, რა უცნობი ცოდვისთვის აგვკიდა ეს ნაშიერი, ან რა ხუმრობის ხასიათზე იყო?

14662. რწმენა მაინც მატერიალურია და თავის წარმოჩენაში გადადის: ნახეთ, რამდენჯერ დავუჩოქე და ვემთხვიე ხატსო, რამდენი წრე შემოვუარე ეკლესიას ჩოქვითო, რამდენი და რა სახის სანთელი ავუნთე მაცხოვარსო და სხვა ამდაგვარი. ამასთან, სალოცავად ეკლესიასაც იმის მიხედვით ირჩევენ, რამდენიც მათი „მესთვის" მისაღები მოძღვარია, რამდენად შეესაბამება ის მათ გაუგებარ გონიერებას და სულიერ ტანჯვას.

14663. ზოგი მოძღვარი მრევლის მიზიდვის, გამორჩენის მიზნით მარხვის დღეებში გოჭს თევზად აკურთხებს და ამ ახირებულ მორწმუნეს ღვთის უფლებით ღრეობის უფლებას რთავს. ზოგიერთ ვაი-ქრისტიანს ისეთი მოძღვარი მოსწონს, რომელსაც ღმერთის სამსახური კი არ უნდა, პირიქით, სურვილი აქვს ის იმსახუროს.

14664. რასაც ღმერთი აკეთებს, ყოველივე სასიკეთოა, თორემ ჩვენი „პერესტროიკა," თავისუფლება, დემოკრატია მის შეუთანხმებლად არ მოგვევლინებოდა.

14665. ღმერთი ყველას თავის წილ ტანჯვას უგზავნის, მაგრამ მის შესამსუბუქებლად ან ტანჯვის გასაძლიერებლად ჩვენს მიერ არჩეული ცოლიც მისი დამსახურებაა?

14666. უდარდელობაც ღმერთის ნაჩუქარია, მაგრამ მისი გამოყენებაც ზომიერების ფარგლებშია საჭირო, თორემ შინაურები აგვიმხედრდებიან და ღმერთი ვეღარ გვიშველის.

14667. ღმერთიც ბალანსს ითხოვს, ამიტომ ერთს თუ უმართლებს, მეორეს მუხთლობს, ან პირიქით.

14668. განწმენდა, ღვთის მოვლენა, მისთვის ლოცვა, მორწმუნესთვის დიდი ბედნიერება და გამოცდაა, რომ არ გადაცდეს და თავის მეობით არ ისპეკულანტოს.

14669. სასურველია ყველა სარწმუნოებისთვის ვილოცოთ, რადგან მათაც შეუძლიათ შეიცვალონ რწმენაც და მრევლიც.

14670. ღმერთისგან ძალიან ბევრს ველით, პრაქტიკულად კი ძალიან ცოტას ვიღებთ, მაგრამ სულს ვიმშვიდებთ და იმედს არ ვკარგავთ.

14671. ღმერთი უფლებამოსილია რაც მოესურვება ის მოიმოქმედოს, ოღონდ ჩვენს კეთილდღეობას ნუ გაგვიწირავს, რადგან ჩვენ არ შეგვწევს ძალა შევცვალოთ მისი ნამოღვაწარი.

14672. წმინდა სიტყვების ინფლაცია (სამშობლო, დროშა, ჰიმნი, შვილი, მშობლები) იგივე შედეგს იძლევა, რასაც ღმერთის მიმართ მკრეხელობა, რომელიც ისეთ სასჯელს გვივლენს, რომლის მიზეზსაც ვერ ვხვდებით.

14673. რელიგია ეს ჩვენი ცხოვრება, ღირსება, სულის ამაღლებაა, რომელსაც ევოლუცია ვერაფერს აკლებს და ამიტომაცაა ღმერთის საჭიროება აუცილებელი, რათა უკეთურობა არ ჩავიდინოთ და ჩვენ ვნებებს ლაგამი ამოვდოთ.

14674. ყველა სარწმუნოება ღმერთთან გვაახლოვებს, მასთან მივყავართ, მაგრამ სხვა და სხვა გზით და ბილიკით.

14675. ოცნების უფლება ყველას აქვს, თუმცა ყველას ახდენა არ უწერია, მაგრამ უმწეოთა დაცვის უფლება მამაზეციერმა დაიტოვა, რომ გაჭირვების ჟამს გვითანაგრძნოს.

14676. რელიგია უნდა მეგობრობდეს ყველასთან, ნახულობდეს კომპრომისებს, არ უნდა ჩამორჩეს მეცნიერებას, ხელს არ უნდა უშლიდეს შემოქმედებას, პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს ადამიანის მიმართ დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ასეთი ერთიანი რწმენაა საჭირო, რომელმაც თავის დოგმებით უნდა იცხოვროს, მაგრამ მას არ უნდა ამოეფაროს.

14677. „რატომ არ მიმართლებ", სასოწარკვეთით საყვედურობს მლოცველი ღმერთს. „იმიტომ რომ არ მიყვარხარ," წამოსცდა თავმობეზრებულ მამაზეციერს და მაშინვე ინანა. ასეა, პირველკაცობა ყველასთვის ძნელია, რადგან შენი გრძნობების გამომზეურების უფლება არ გაქვს.

14678. ღმერთთან ურთიერთობის დროულად მოწესრიგება ყველას მისწრაფება უნდა იყოს, რადგან ის თქვენს თავს ასე ადვილად არავის დააჩაგვრინებს და თქვენც სურვილს დაგიკარგავთ სხვის მიმართ უსამართლო იყოთ.

14679. შემთხვევითობის და სიზარმაცის გამო, ჩვენ გაცილებით ნაკლებად ვიყენებთ იმ შესაძლებლობას, რასაც ზევიდან ღმერთი გვამადლის.

14680. როდესაც ღმერთმა მსახიობის პროფესია შექმნა, მაშინვე მიხვდა, რომ ეშმაკის შეუქმნელად ძალზე გაუჭირდებოდა აღფრთოვანებული მაყურებლის მიწაზე დაშვება და სალოცავად შეყვანა.

14681. ზოგის ვალია ემოციების გამოხატვა, ზოგისაც დამალვა, ზოგიც ემოციებში მტყუან-მართალის გარკვევას ივალებს და ამ დამოძღვრით მამაზეციერმა ყველას თავის საფიქრალი, საზრუნავი საქმე გაუჩინა.

14682. ზოგისთვის დღევანდელი ცხოვრებაა მთავარი და ფათერაკს თვითონ ეძებს. რას იზამ, მამაზეციერს ყოველივე არაორდინალური მოსწონს, მიუხედავად იმისა, რომ ორდინალურობას ქადაგებს.

14683. ღმერთი არ შეიძლება აზროვნებდეს, მაშინ ის აუცილებლად შეცდომას დაუშვებდა, ალბათ, არის ის რაღაც, რაც ფიქრს ცვლის, რომლის შეცნობა ადამიანთა მოდგმას არ უწერია.

14684. დოყლაპიებისთვის ღმერთმა აფერისტი გააჩინა, აფერისტისთვის – ეშმაკი, ასე რომ ადამიანს აღმზრდელები შემოესია სიფრთხილის და გონიერების შესანარჩუნებლად, მაგრამ ამაოდ.

14685. ქრისტე რომ არ მომკვდარიყო, მის სწავლებას არავინ გააფეტიშებდა. ხალხი მკვდარს ხანდახან ცოცხალს ამჯობინებს, იმდენად დიდია მის სულში დაბუდებული მონის საოცარი ბუნება.

14686. ტერორიზმი გამოუვალი სიბრიყვის შედეგია, მას რაიმეს შეცვლა იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ღმერთს სურვილი აქვს რაღაცას წაუყრუოს.

14687. სარწმუნოება აშკარად თუ არა, წაყრუებით მაინც ქვეყნის მმართველს უჭერდა მხარს და მისთვის ლოცულობდა, რათა მათი თქმით, უხიაგი მმართველი სწორი გზისკენ შემოებრუნებინა.

14688. ჩვენთვის სასიამოვნო საქმის კეთებისას რატომ არ ვფიქრობთ, მოგვცა თუ არა ღმერთმა იმის უფლება, რომ ჩვენი ნიჭი გამოვფინოთ და სხვა ვაზიაროთ.

14689. სექსუალური ურთიერთობაც თავისებური ნიჭია, რომლის განვითარებაც შესაძლებელია, თუ ღმერთმა შენთვის განკუთვნილი მეწყვილეს შეცნობის უნარი მოგანიჭა.

14690. გაზაფხული ჩასახვაა, ზაფხული იმედია, შემოდგომა ნაყოფია, ზამთარი გადამუშავებაა. ამ განვლილი დროებით შეიძლება ჩვენი ყოფის ავ-კარგის შეფასება, მაგრამ რამდენ წელზე გადამრავლდება სწავლება ეს მამაზეციერის პრეროგატივაა.

14691. თუ ღმერთი ერთია, მაშინ სხვადასხვა სარწმუნოება სხვადასხვა პარტია ყოფილა. ღირს კი ამ პოლიტიკოსებისთვის ამდენი შეცდომის და ცოდვის აკიდება იმისთვის, რომ საერთო ღმერთის სიყვარულში ერთმანეთი დავგმოთ და სასიკვდილოდ გავიმეტოთ?

14692. ადამიანი ბოლომდე არ შეიძლება უბედური იყოს, რადგან მამაზეციერი ყველა ჩვენგანს ერთხელ მაინც გაიხსენებს და ბედნიერს გახდის, ხოლო შენარჩუნება ეს უკვე ჩვენი საქმეა.

14693. დანაშაულია მათი პასიურობა, ვისაც ღმერთმა ნიჭი და თავის მადლი დაანათლა: "ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის. . . "

14694. ღმერთმა თვითმკვლელობა იმიტომ ჩათვალა ცოდვად, რომ ყველაზე უკეთ მას მოეხსენება „დროის მეფობა და მისი ცვალებადობა", რადგან შეიძლება ერთ დროს ხალხის საგინებელი ხვალ სიცოცხლეშივე ერის სინდისად იქცეს, გააჩნია რა ხუმრობის ხასიათზე იყო მამაზეციერი და რა გართობა მოისურვა.

14695. შედევრი იდიოტიზმშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ, გააჩნია, ღმერთმა ამ ავადმყოფობის მადლი რა ოდენობით გვისახსოვრა.

14696. ძნელია ერთმა კაცმა შეაჩეროს სამყაროს უწესობა, მაგრამ გააჩნია კაცს, გარემო პირობებს და ვის მხარეს არის ღმერთი.

14697. ღმერთმა ერთი სასწაული თავად მოახდინა, დანარჩენის მოსახდენად ჩვენი იმედი ჰქონდა, მაგრამ ყოველთვის იმედს ვერ ვუმართლებთ და სასწაულების მოხდენას კვლავ მას ვთხოვოთ.

14698. ღმერთს რომ ყველასთვის ჭკუა ეჩუქებინა და არა გონიერება, დღეს დედამიწა უკაცრიელი დარჩებოდა ან სამყარო, დედამიწის გარეშე.

14699. ნაციონალიზმის იდეით გაბრუებულებმა უნდა იცოდნენ, რომ ამქვეყნად არსებული ყველა ერი მამაზეციერის სურვილით არსებობს და მათ ყოფნა-არყოფნას არავის დაეკითხება.

14700. ხალხი ყოველთვის თავის უჭკუობით ცხოვრობდა და იცხოვრებს, რადგან მას ასეთი ცხოვრება უფრო აწყობს, ვიდრე შემოქმედებითი და დაძაბული, რომლითაც ღმერთმა ერთეულები თავის მადლიანი ხელით „დასაჯა".

14701. ეკლესიაში ჯვრისწერის დროს, საკურთხეველთან, ნეფე–დედოფლისადმი დასმულ კითხვას – თანახმა ხარ თუ არა, ერთად იყოთ ჭირში, ლხინში, სიხარულში, შვილების აღზრდაში – უნდა დაემატოს: სექსუალური აქტივობის და იმპოტენციის დროსაც. ამ პუნქტის დამატება ხელშეკრულებას უფრო რეალურს და მიწიერს გახდის დღევანდელი გადასახედიდან და საჭიროების ჟამს ერთმანეთის მიმართ სასაყვედუროც ნაკლები ექნებათ.

14702. ღმერთი სიყვარულის და წყვილთა დაოჯახების ასაკს არ აკვალიანებს, მაგრამ არსებობს ცხოვრება და ცხოვრების გამოცდილების საერთო წესი, რომელიც ყველასთვის მისაღები არ არის, რადგან არავინ იცის ამქვეყნად ჩვენი ყოფნის ლიმიტი და ისე უნდა ვიცხოვროთ, როგორც მოგვესურვება და გული გვკარნახობს.

14703. ყოველთვის უნდა ვცდილობდეთ, მივცეთ ღმერთს საშუალება, როდესაც ხასიათზე იქნება, დაგვეხმაროს. ამისთვის საჭიროა სალოცავში სიარული და თავის შეხსენება, მუყაითობა, ლატარიის ბილეთების შეძენა, ხანდახან გარისკვაც და მამაზეციერთანაც სასაყვედურო არაფერი გვექნება.

14704. თეორიულად ადამიანი მხიარული მოგონების ტალღაზე უნდა ცხოვრობდეს და ცუდ ტალღებს გონებაში აწმობდეს, მაგრამ ღმერთი ასე არ წირავს, რადგან გვემის გარეშე არც ადამიანად ჩამოყალიბდება და ვერც ღმერთს იწამებს.

14705. პირველ რიგში, ალბათ, ჩვენს ხორცზე და სხეულზე უნდა ვიზრუნოთ. ჩვენს სულზე და მის ატრიბუტიკაზე თავად მამაზეციერი ზრუნავს, რადგან ის მისი პირადი საკუთრებაა, რომელიც არენდით მოგვაქირავა.

14706. დიდი მწუხარება ღმერთის და ბედის დამსახურებაა, პატარა – შიშის და გაურკვევლობის.

14707. საოცარი სტატუსით აღჭურვა ადამიანმა სარწმუნოება, პოლიტიკა: ერთს ქადაგებენ, მეორე მოსწონთ, მესამეს აკეთებენ, ხოლო მამაზეციერი და ხალხი გარკვეულ დრომდე საქმეში არ ერევა და ბოროტის და კეთილის ბრძოლა გრძელდება. ალბათ ეს ნდობაა, რომ ამხნევებს, ძალას მატებს კაცობრიობას, ყოველთვის შემართებით შეხვდეს ბუნების ძალების და ქვეყნის მმართველის გათავხედებას.

14708. მალაკნების რწმენა პროგრესთან უფრო ახლო დგას, ვიდრე ღმერთთან. ისინი არ ცნობდნენ ეკლესიის მსახურთ როგორც შუამავლებს ღმერთსა და ადამიანებს შორის. ქადაგებდნენ ჯვრის გულში ტარებას, შრომისმოყვარეობას, კრძალავდნენ სასმელის სმას, მაგრამ მმართველი წრეების მხარდაჭერას ვერ პოულობდნენ, რადგან ისინი არც ქვეყნის მმართველის წარმომადგენლებს ცნობდნენ და ამიტომ მუდამ გადასახლებაში იყვნენ. მათი რწმენის დიქტატი ნებაყოფლობითია, თავისი სამართლიანობით და თვითმყოფადობით.

14709. ექსტრასენსი უხვად არიგებს იმედს ღმერთის სახელით, რომელთანაც მას არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ ხალხს ამ ცრუ კერპის სჯერა და მათს დანისლულ ტვინს ნუგეშად და იმედად ევლინება.

14710. სარწმუნოება ტერორიზმისთვის იმ დრაკონის როლს არ უნდა ასრულებდეს, რომელსაც ერთ თავს მოჭრი და სამი ამოდის, ამიტომ სარწმუნოების წესდება (თორა, ბიბლია, ყურანი) ისე უნდა დაიწერილიყო, რომ ყველა ვიგინდარამ მისი მითვისება – გათავისება და თავის სასარგებლო მოთარგმნა ვერ შესძლოს.

14711. ადამიანს რწმენისთვის სიცოცხლის გაწირვის უფლება არ აქვს, რადგან სიცოცხლე ერთადერთია, რწმენა მრავალი და მისი შეცვლა არასდროს არ არის გვიან, თუ ის შენს სულს, სხეულს და გონიერებას არ ესალბუნება.

14712. ეტყობა ყველა მამრი ცოტ-ცოტას სცოდავს, ამიტომ ღმერთის თანხმობით მოყვანილმა მეუღლემ უნდა შესძლოს ამ ავხორცობის მიტევება და გაითვალისწინოს მამრის ბუნება, რათა მამაზეციერს არ ეგონოს, რომ რაიმეში შეცდა.

14713. ყველა ჩვენგანს აქვს ბედის რუქა, რომელიც წინასწარ არის ზემოთ შეთანხმებული, ხოლო რუქის რა ნაწილს ავირჩევთ, ჩვენზეა დამოკიდებული და აქ მამაზეციერი არაფერშუაშია.

14714. ამქვეყნიდან წამსვლელნი ყველანი ვართ, მაგრამ არა წმინდანებად, რადგან ზევიდან მათი ზედამხედველობა იქაც გვეყოფა.

14715. ქრისტე მოწოდებით უფრო დიპლომატი იყო, ვიდრე სასწაულმოქმედი, მას ადამიანებთან ურთიერთობის და მათი ყოფის ანალიზის უნარი ჰქონდა, თუ საჭირო იყო, ხალხისთვისაც ეწამებოდა, არც პოლიტიკაში იბნეოდა, რის შედეგადაც მასების და „ძლიერთა ამა ქვეყნისა" მხარის დაჭერით, ამ სარწმუნოების გავრცელება შესაძლებელი გახადა.

14716. ვაწუხებთ ღმერთს, ვპირდებით, რომ გამოვსწორდებით და სიგლახეს არასდროს ჩავიდენთ. საოცარი ის არის რომ ხანდახან დანაპირებს ვასრულებთ ღმერთის შიშით და შთაგონებით.

14717. ახალი რწმენის მომძლავრება ძველის დევალვირებაზე მიუთითებს, ხოლო ამ უკანასკნელს მარტო ძველ დოგმებზე დაყრდნობა არ გამოადგება თუ მას დღევანდელობის სული არ ჩაბერა და არ განვითარდა.

14718. ცარიელი ათეიზმის უბედურება ის არის, რომ მას მეტაფიზიკური შეგრძნება სამყაროსი არ გააჩნია და ღმერთი ისე არ ესმის, როგორც ეს სხვას წარმოუდგენია.

14719. მომავალი, ახალი სარწმუნოება უფრო პროგრესული იქნება, ქედის მოხრის, მლიქვნელობის და გაცუცურაკების გარეშე. პირველ რიგში უნდა იგრძნობოდეს ღმერთისადმი ნდობა, სიყვარული, მისდამი რწმენა, რადგან დღევანდელი ღმერთისადმი პატივისცემა ეს შუამავლების მოგონილია, რათა მათ ჰქონოდათ თავის წარმოჩენის საშუალება და სიტყვის თქმის უფლება, წონა.

14720. ყველა ჩვენგანს სალოცავი და სარწმუნოება დაბადებიდან დაყვება შთამომავლობით საჩუქრად, რომლის სამსახური ნებაყოფლობითია, მაგრამ რწმენის შეცვლა ქვეყნის ღალატთან არის გათანასწორებული.

14721. რწმენის კონფესიებად დაყოფას პარტიებამდე დავყევართ, რაც ღმერთის გმობის ტოლფასია, ხოლო რწმენის სახლების მსახურნი, შტატები რომ არ შეუმცირდეთ, კარიერა არ დაეკარგოთ და საციცქნავი არ მოაკლდეთ, რწმენის გაერთიანების საწინააღმდეგო ალიბის ძებნაში არიან, იმის ნაცვლად, რომ ერთ ღმერთს, ერთ ჭეშმარიტებას ემსახურონ და ხალხის გადატრიალებულ გონებას ამ საქმეში მაინც მისცენ შეღავათი.

14722. ყველა მისდა შეუმჩნევლად რელიგიურია, მორწმუნეა, სწამს თუ არა ზეციური ძალების.

14723. ავი ანგელოზი იმათ სულში უნდა ბოგინებდეს, ვინც ამქვეყნად სიამისათვის არის მოწოდებული, რადგან ჩვეულებრივი ანგელოზის ხვედრი არც ერთ ჩვენგანს არ აკმაყოფილებს.

14724. რელიგიები და პარტიები იმისთვის ყალიბდება, რომ ადამიანის გონება დაიმორჩილონ, რომელიც მორალთან მუდმივ კონფლიქტში და შეხლა-შემოხლაშია.

14725. რელიგიები საერთო ენას ერთმანეთთან იმიტომ ვერ ნახულობენ, რომ საქმეში ერევა დაპირისპირება, კონკურენცია, შემოსავალი, მრევლის მომხრობა და საბოლოო ჭეშმარიტებისკენ გზების ძებნა, ყოველივე ამას ბუნების ნაჩუქარი ჩვენი ამბიციები ერთვის.

14726. სარწმუნოება გარკვეული ხალხისთვის თავისებური მკურნალია, წამალია, სადაც დასტაქრებად ინიციატივიანი ხალხი გამოდის, ხოლო მის გამოწერილ ქადაგება-წამალს უინიციატივო მასა იღებს, რომელსაც ნერვებს უწყნარებს, სულიერად ამშვიდებს და კაცობრიობისთვის გამოსაყენებელ, სასარგებლო მასად აქცევს.

14727. ბელადებად იბადებიან და ხდებიან იმ შემთხვევაში, თუ მამაზეციერმა სამყაროს რეკონსტრუქცია გადაწყვიტა და მისი შეკეთება რომელიმე ქვეყანას მიანდო სხვა ქვეყნების ხარჯზე.

14728. ვინც სიკეთის კეთების სურვილით ღმერთთან მიმართებაში არ არის, მას არც ღმერთი სწამს, არც რჯული და არც ადამიანი.

14729. ზოგჯერ ღმერთის მორწმუნე და მოშიშარი ხალხი უღმერთო საქმეს სჩადის, რადგან მათთვის მამაზეციერი მატერიალურად შესაძლებელი დახმარების სიმბოლოა და არა სათნოებისა.

14730. გაჭირვების ჟამს გვახსენდება მამაზეციერი, მაგრამ მას არ სჯერა ჩვენი პატიოსნების, წესიერების და ამიტომაც ხშირად არ ვახსენდებით.

14731. ომის დამწყები ხალხი ღმერთისკენ ზურგშექცეულია, ხოლო მის წამომწყებ მმართველს ეშმაკისთვის აქვს სული მიყიდული.

14732. სამყაროს ბედი არასდროს ყოფილა მოლაყბე და უპრინციპო დიპლომატების ხელში, მას მუდამ ტარტაროზები განაგებდნენ, სანამ ღმერთს ისინი გაახსენდებოდა.

14733. ჩვენი მენტალიტეტით და საქმიანობით შეწუხებული ღმერთი არა მარტო ჩვენთვის ვერ იცლის, არამედ გვირაბშიც კი არ მოგვყვება, რომ ჩვენი იმედის სინათლე დავინახოთ, რადგან ჩვენი არ სჯერა.

14734. ადამ და ევას, რომლებსაც გასაყოფი არაფერი ჰქონდათ, განხეთქილების მიზეზად ვაშლი მოევლინათ და იქიდან დაიწყო პიზის კოშკივით მათი ოჯახური ურთიერთობის დაქვეითება, მაგრამ ღმერთმა მის მიერ სიყვარულის ნიჭის გარეშე შექმნილი ოჯახი მაინც არ დაანგრია და გარკვეული იმუნიტეტის უნარიც შეუნარჩუნა, რათა პლანეტა თაობების გარეშე არ დაეტოვებინა.

14735. ერთი თხრილში ვარდება, მეორე – თევზით სავსე ტბორში. რა ბედს წამოვკრავთ ფეხს, ან სად დაგვიცდება, ხანდახან ეს მამაზეციერმაც არ უწყის, იმდენად დიდია შემთხვევითობის როლი.

14736. რწმენა დიდებული გამოგონებაა გონიერებისა, მაგრამ ნაღდი მორწმუნის მოძებნაა ძნელი.

14737. მამაზეციერის კანცელარიაში დაქორწინებას ანგელოზები განაგებენ, გაყრას ეშმაკები და ეს უკანასკნელნი არც ისე ცუდად ასრულებენ თავიანთ საქმეს, როგორც ამას სამყაროს სტატისტიკა ღაღადებს.

14738. ღმერთის რწმენა და ღმერთისადმი სამსახური სხვადასხვა ინტელექტს, განათლებას და საზოგადოებაში ადგილს მოითხოვს.

14739. რელიგია თავისებური გართობაა, დროსტარებაა სულის თანამეინახეთა შორის, იმ განსხვავებით, რომ მეორე დღეს ნამთვრალევზე გამოსვლა არ სჭირდება.

14740. ყველა სარწმუნოების დიპლომატიური კორპუსი მორწმუნეთა სახელით შუამავლობას კისრულობს შემოქმედთან, ისე, რომ მამაზეციერმა თავის დესპანების შესახებ არაფერი იცის.

14741. შთამომავლობის გასაგრძელებლად ღმერთი არ გვაძლევს დაფიქრების საშუალებას, მაგრამ არც ცოლის შერთვისას ვიკლავთ თავს ფიქრით.

14742. შემთხვევა ღმერთის ანონიმური საჩუქარია თავის წყენით და სიამოვნებით.

14743. ყველა წმინდანის ბიოგრაფია აგებულია სარწმუნოებაზე და ესეც იმის მაჩვენებელია, რომ ღმერთი ერთია, მხოლოდ ბიოგრაფები ჰყავთ წმინდანებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა.

14744. ზოგი საკუთარ თავს თავად სწამებს ცოდვებს და თავადვე ინანიებს თავის თავის წინაშე. ეს მას სიამოვნებას ანიჭებს, რადგან ერთდროულად ის ცოდვილიც არის და ამ ცოდვილის მოძღვარიც.

14745. გონიერება ყოველთვის გამოყენებითი ჭკუის სინონიმი არ არის, რადგან ეტყობა მამაზეციერსაც ადამიანთა დასაქმების საკითხი აწუხებს, ხალხს უსაქმურად ვერ ამყოფებს, იმედის, რწმენის გარეშე ვერ დატოვებს და ამიტომ ერთ ადამიანს ყველაფერს კეთების ნიჭით ვერ დააჯილდოვებს, რადგან მაშინ შემოქმედი უმრავლესობას აღარ გაახსენდება.

14746. ეკლესიაც საზოგადოების წევრია და ანათემაზე მეცნიერების გადაცემა მას არ ეპატიება, მითუმეტეს, თუ აუგის სათქმელად მისი უცოდინარობის გარდა არც მოტივი და არც შემადგენელი ნაწილი არ არსებობს. ამიტომ ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს, მითუმეტეს თუ ერთი სულიერი ჭეშმარიტების ძებნაშია, ხოლო მეორე – ხორციელისა.

14747. მამაზეციერთან წასასვლელ გზას მაინც ჩვენი გენი, ბედი, ექიმი და მიქელგაბრიელის გულმავიწყობა გვიგრძელებს.

14748. გონიერება მამაზეციერივითაა, მართალია, პატივს სცემენ, მაგრამ მანამ არ მოუხმობენ, სანამ არ გაუჭირდებათ.

14749. ხშირად ის გვიყვარს, ვინც არ გვაფასებს, ხოლო ვინც გვეთაყვანება, უპასუხოდ ვტოვებთ, მაგრამ ყოველივე მაინც სამართლიანობისკენ გვიბიძგებს და ბოლოს პარტნიორად ორივეს ჩვენი დამსახურებისამებრ მოგვივლენს მამაზეციერი.

14750. რწმენა ადამიანს სურვილების აღსრულებაში და სიბინძურის ჩადენაში ხელს არ უშლის, ის მოწოდებულია მომხდარი ფაქტები გააუბრალოოს და ღმერთს ცოდვების შენდობა სთხოვოს, რადგან პროფილაქტიკას კი ქადაგებს, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ იღებს.

14751. ზოგს ღმერთი და მისი მოძღვრება კი არ სწამს, არამედ ფეხსაყოლილი ეკლესიაში დადის, საკუთარი თავის და ირგვლივმყოფთა წინაშე თავს იწონებს, ნახეთ რა ღვთისმორწმუნე ვარო.

14752. ცხოვრებაში გარკვევა ხელოვნებაა, რომელშიც ღვთის მადლიც უნდა ერიოს.

14753. სულის სიცარიელე ეს არის ღმერთისადმი რწმენა უხალხოდ.

14754. ღმერთს შეიძლება დღეს იმისიც რცხვენია, რომ სამყაროში დედამიწაც ჩართო, რადგან მისი უძღები შვილების შეფასებაზე განზრახ თავს იკავებს.

14755. მამაზეციერი ყოველთვის არ ეთანხმება თავისი შექმნილი ადამიანის ბედს, მაგრამ საჭიროების ჟამს დახმარებას უწევს, თუ გაახსენდა.

14756. ყველა მორწმუნე მოძღვრებას თავის ჭკუაზე და ტრადიციებზე დაყრდნობით ჰქმნის და აქ ღმერთი არაფერშუაშია.

14757. მაღალი გემოვნება ღმერთის ყველაზე დიდი საჩუქარია და ამ სიმდიდრის მფლობელის ყოველდღიური საფიქრალი.

14758. ეკლესიის მსახურებმა შესაწირის ხარჯზე შეწყნარება ღმერთს პროფესიად უქციეს.

14759. როდესაც კითხულობ სხვადასხვა რელიგიის საღვთო წიგნებს, კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ღმერთი ერთია, აბა, სხვა ღმერთებს პლაგიატობას და გადაწერას ხომ ვერ ვაკადრებთ.

14760. სიჯიუტის დახმარებით წმინდანად გახდომა ძნელი არ არის, წმინდანად ცხოვრებაა ძნელი.

14761. კულტურის შეცვლა სარწმუნოებით არ გამოვა, რადგან კულტურა ათეისტურშიც არსებობს.

14762. ალბათ ღმერთიც თამაშობს თავისებურ კამათელს, იმდენად გაუგებრად ჩუქნის ზოგს ბედს, ზოგს კი ჭკუას.

14763. ღმერთების გამოძებნაა ძნელი და არა მათზე ფასის დადება.

14764. ზოგჯერ რელიგია ომს ამართლებს და ახალ მორწმუნეთა შემომატებას ცდილობს.

14765. რელიგია ვალდებულია თავის მრევლს რწმენა ჩაუნერგოს და არა სხვა რწმენის უფლება წაართვას.

14766. რელიგია არასდროს არ იყო ერის ღირსების წარმომჩენი, ის უფრო სულის დასამშვიდებლად და ხორცის დასაწყნარებლად არის მოგონილი.

14767. მათემატიკა და რელიგია ერთმანეთს არ ექიშპებიან, რადგან მათ ერთმანეთის არ ესმით და არც მათ შორის რაიმე კავშირზე არის საუბარი.

14768. რელიგია მათემატიკის სიღრმეს ვერასდროს წვდებოდა და ვერც ვერაფერს უბედავდა საძრახისს.

14769. ზოგი მორწმუნე შესაწირის სახით იმის მეათასედსაც არ სწირავს, რაც შეიხახვისთავა და ჰგონია იმქვეყნად ყველაფერი ჩალითაა დახურული და ეს მცირე ძღვენი ჯოჯოხეთს ააშორებს. ან რატომ აქვთ მათ ღმერთის მათემატიკურ ნიჭზე ასეთი ცუდი წარმოდგენა, გაუგებარია.

14770. მამაზეციერის შემოქმედებით სამზარეულოში ჩახედვა და ხალხის სასიკეთო აზრების ახსნა კულტის ყველა მსახურის ხვედრი არ არის.

14771. რელიგიას ძირითადად გამორჩენის ხარჯზე იცვლიან და არა – რწმენის.

14772. იმედი ნუ მოგვიშალოს და უიმედობა ნუ გვაღირსოს მაღალმა ღმერთმა.

14773. საოცარია ღმერთის სამართალი: ნიანგს, კუს, სირაქლემას და დინოზავრსაც კი კვერცხიდან ჩეკავს, ხოლო პატარა წრუწუნას ცოცხლად შობს, ამასთან, პატარა თესლიდან ამოსული ბაობაბის ხე 1000 წელზე მეტს ცხოვრობს, ხოლო ატმის მოზრდილ კურკაზე ამოსული ატმის ხე 15 წელსაც ვერ აღწევს. საზამთრო უამრავი ფესვების წყალობით 4 თვეში 20 კგ აჭარბებს, ხოლო 100 გრმ „ჟენშენის" ფესვის მისაღებად მრავალი წელია საჭირო, ამიტომ ღმერთის იუმორის გაგებას არ უნდა შეეცადოთ და ის ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ ყოველგვარი სატირის გარეშე.

14774. ექსტრემალურ პირობებში ყველა კულტის მსახური თავს იკავებს თავისი სახელით განსჯისგან და ღმერთს მოწყალებას და ყოველ შემთხვევისთვის, შენდობას სთხოვს, მიუხედავად იმისა, რომ მან შესანიშნავად იცის, მამაზეციერი გონებას ვერ გაუხსნის ამ მოვლენის გადასაჭრელად.

14775. საღვთო წიგნების დოგმებსა და ბუნების კანონებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მამაზეციერის რედაქტორობით არის შექმნილი, ხოლო მეორე ვისი შექმნილია, თვით ღმერთმაც არ უწყის.

14776. ყველა სარწმუნოებას თავის ღმერთი და თავისი რწმენის ცვეთა აწუხებს.

14777. მხოლოდ ქალს შეუძლია ერთდროულად უყვარდეს მამაკაცი, სამშობლო, ღმერთი.

14778. ჯოჯოხეთის და იმქვეყნიური ცხოვრების მითის გარეშე ვერცერთი სარწმუნოება ვერ იარსებებდა.

14779. თადარიგის დაჭერა სამოთხეში მოსახვედრად ქრთამით მიქელგაბრიელთანაც შეიძლება, თუ ის იტყვის, რომ ცოდვების გამო ვისწრაფოდით ჩვენი ნებით იმქვეყნად წასვლას.

14780. ღმერთს არ სჭირდება რელიგია, მას ქმნიან მასზე მიტმასნილი ადამიანები, რათა მრევლი შექმნან და ამით ისარგებლონ, ღმერთს რომ პრობლემებს უქმნიან, ამას კი არად აგდებენ.

14781. მოტყუებული დემონი ეშმაკია, ხოლო სატანა ტარტაროზია.

14782. ყველაზე დიდი რელიგია ათეიზმია, რომელიც ღმერთად აღიარებს მისთვის უცნობ ბუნების ძალებს, რომელსაც გაოცებით, პატივისცემით შეჰყურებს, მაგრამ მასზე არ ლოცულობს.

14783. რა დღიდანაც ღმერთმა ადამის ნეკნიდან შექმნა ქალი, იმ დღიდან ქვეყანაზე სატანის საჭიროება მოისპო, მაგრამ ის არსად წასულა და მამაკაცის გონიერებაში ტარტაროზად იქცა.

14784. ხალხს სარწმუნოება კი არ მოსწონს, არამედ დღესასწაულები, აკრძალვები და წესჩვეულებების შესრულება.

14785. ზოგჯერ წარუმატებლობის გარეშე წარმატება არ მიიღწევა, რადგან ღმერთსაც უნდა ხანდახან დაისვენოს.

14786. ღმერთსა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა გარკვეულ დრომდე დამცველი და ალიბი არ სჭირდებათ.

14787. ძნელია ღმერთმა გამოძებნოს ალიბი, როდესაც ის ჩვენ არ გვეხმარება.

14788. ყველაზე ახლოს ღმერთთან და ქალთან გაუხედნავი ახალგაზრდა დგას: „ღმერთო, გევედრები ეს ქალი ამაღამ ჩემთან ამყოფეო".

14789. ნეკროლოგი არის სარეკომენდაციო წერილი მამაზეციერთან, მიცვალებულის სამოთხეში დასასაქმებლად.

14790. შემოქმედი როგორც კი მიხვდება, რომ მას ვინმე ეცილება დედამიწაზე სამყაროს რეალობის შეცნობაში, მაშინვე რომელიმე კომეტას გამოგზავნის და მომდევნო თაობებიც ახალი ქვის ხანიდან დაიწყებენ წლების ათვლას.

14791. თვითმკვლელობა მამაზეციერისათვის საგანგებო შემთხვევაა, რადგან მისი ნებართვის გარეშე ვიღაცამ იმქვეყნად თვითნებურად გადაბარგება გაბედა.

14792. ღვთის მსახურნი თავის მრევლთან ხშირად თავიანთი ცოდნა- გამოცდილების აქციებით ვაჭრობენ.

14793. გაუკუღმართებული ნაციონალიზმი ზოგს ახალგამომცხვარი წმინდანის მისია ჰგონია.
14794. რწმენა ქვეყნის სიძლიერეა, თავის პატივისცემაა, მასების მორჩილებაა, რომელსაც მისთვის გასაგები შედეგი მოაქვს.
14795. ხანდახან ღმერთმა ადამიანი თუ არ დასაჯა, ზოგს ისეთი ბუნება აქვს, რომ ამის გარეშე ამქვეყნად ყოფნა გაუჭირდება.
14796. თუ ღმერთი შენს მხარეს არ დადგა, ვერც ჭკუის ჭყლეტა გიშველის და ვერც თავში წამორტყმა.
14797. ის, რაც ღმერთისთვის გასაგები და ცნობილია, ადამიანისთვის მუდამ გაუგებარი და საეჭვო იქნება, თუ თავი რწმენას ბრმად არ დაუმორჩილა.
14798. ღმერთს შობს ადამიანი და არა ღმერთი – ადამიანს, რადგან ეს უკანასკნელი სამყაროს შვილია.
14799. ღმერთი იმ ძალაუფლებას ამაგრებს, რომლის ჩამოგდების თავი იმხანად მას არა აქვს და თავის უძლურებას ექსპერიმენტად ასაღებს.
14800. ღმერთის მეორე შეცდომა მდედრის გაჩენა იყო, ხოლო პირველი – გამრავლების სიმბოლოს, სექსის, რომლის გარეშედაც მეორე შეცდომას არ დაუშვებდა.
14801. ამქვეყნად ნათქვამი, ნაკეთები სიყალბე და სიავე იმქვეყნად ღირსებას და პატივს ვერ დაგვდებს, მაგრამ რა უნდა ქნას ადამიანმა თუ მამაზეციერმა ამქვეყნად თავის გამოჩენის ამდაგვარი საშუალება მოგვცა და იმქვეყნად კი იმდაგვარი განცხრომის.
14802. კეთილშობილური განზრახვით ჯოჯოხეთს არავინ აკითხავს, იქ ყველა თავის წამხდარი სულის შესაფერი სამოთხის ძებნაშია.
14803. ბრძოლა ღმერთსა და სატანას შორის არ დამთავრებულა და არც დამთავრდება, რადგან მათი დაპირისპირების და შერკინების გარეშე ან ერთი ვის რაში სჭირდება, ან მეორე.
14804. შეიძლება ღმერთი შენს მხარეზეცაა, მაგრამ ხომ უნდა გითხრას – ეს ზარმაცი კაცის ფილოსოფიაა, რადგან შენ თუ ამას ვერ ხვდები, ვერ გრძნობ, ე. ი. არ გიჭირს და ხელის გასანძრევად ჯერ არ მომწიფებულხარ.
14805. მართალი კაცის დასჯას თვით სატანაც უნდა მოერიდოს, რადგან ზევით ამას ხედავენ და არავის აპატიებენ.
14806. ადამიანის სიცოცხლის მთავარი პირობა მაინც მოყვასის სიყვარულია, რადგან ის ზევიდან დაგვანათლეს.
14807. პროფესიას ზევიდან ღმერთი გვაძლევს და თუ შენი მოწოდებით იღვწი, მაშინ ამქვეყნად სასაყვედურო არაფერი გქონია.
14808. ნიჭს მეტად ძნელად გასცემს ყოვლისშემძლე ღმერთი, მაგრამ უფრო ძნელია ამ ნიჭისათვის ცხოვრებაში ადგილის მოძებნა.
14809. სამოთხე ჩვენი საყვარელი ქალების ფეხთან დევს, თუ მათ მოვეფერებით და გავუფრთხილდებით.

14810. სამოთხეში შეიძლება მოხვდეს ხალხი, რომელსაც ცხოვრებაში არც არაფერი უკეთებია და არც არაფერი დაუშავებია, მაგრამ მუყაითი კაცი, რომელიც საქმიანობის გამო შეცდომებსაც უშვებს – ჯოჯოხეთის კანდიდატია.

14811. ღმერთი სამყაროს ერთადერთი და უცვლელი არქიტექტორია და არა მშენებელი.

14812. ბიბლიის მუდმივად კითხვა არ ნიშნავს იმას, რომ შენ იქიდან სიწმინდეს გამოიტან ან ვინმეს სიკეთეს გაუკეთებ.

14813. ათეიზმი არის ერთადერთი გზა ღმერთისაკენ, ოღონდ ყველა სარწმუნოების გვერდის ავლით, უკანა გასასვლელიდან.

14814. ახალი წელთაღრიცხვის დაწყება იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ მან უამრავი ღმერთების შტატების შემცირებას დაუდო სათავე.

14815. ფიჭური ტელეფონის განვითარებამ შეიძლება ღმერთთან კავშირი უფრო „დააჩქაროს" და მღვდლის საქმიანობას ფრთები მოკვეცოს.

14816. სამოთხე ხმირად შენს წინ დევს, მაგრამ ვერ ამჩნევ, რომ გაუფრთხილდე და გამოიყენო.

14817. ჩვენს ირგვლივ შექმნილი გარემო ცხოვრებას გვასწავლის. ჩვენი ვალია არ დავიზაროთ, ყურადღებით გავაანალიზოთ და შემოქმედს ნიჭი ვაჩვენოთ.

14818. ღმერთს ეშმაკის არსებობა იმისთვის დასჭირდა, რომ მის მოქმედებასთან შედარებით ხალხისათვის დადებითი მაგალითები ეჩვენებინა და თავისი იმიჯი აეწია

14819. ადამმა ერთხელ ათხოვა ქალს თავისი ნეკნი და ამის შესახებ ყველას აცნობა, მაგრამ ქალმა რამდენჯერმე დაუბრუნა სამყაროს ნეკნებდაუკლებლად მამაკაცი – ეს არავინ იცის და არც არავის აინტერესებს.

14820. ადამიანის სული მძიმედ უნდა იწვრთნებოდეს სიცოცხლეში, რომ სამოთხეში მსუბუქად მოხვდეს. ამ შეუმოწმებელ თეორიას ყველა რელიგია ქადაგებს, რადგან დაპირება უფრო ადვილია, ვიდრე საქმის კეთება.

14821. კავკასიელებს წარმოშობის ძირი, ეტყობა ერთი აქვთ, მაგრამ ამ ბოლო ოცი საუკუნის განმავლობაში იმდენი სხვადასხვა დამპყრობელი ჩაერია, რომ მოხდა ამ ხალხების ერთმანეთისაგან დაშორება. ამას დაემატა სხვადასხვა დროს შემოტანილი სხვადასხვა სარწმუნოება, რომელმაც ეს ხალხები კიდევ უფრო დააშორა, მიუხედავად ერთნაირი ტრადიციებისა და ცხოვრების ხედვისა. დღეს დაახლოების ერთადერთი გზაა სარწმუნოებისადმი ლიბერალური მიდგომა და საკუთარი თავის მიმართ მეტი მომთხოვნელობა.

14822. ადამიანი იმ რელიგიას იწამებს, რომელიც მისი განვითარების დონეს შეესატყვისება, რადგან თავად ადამიანიც თავისებური რელიგიაა თავისი დაბადებითა და გაჭრობით.

14823. ეკუმენიზმი და ფული ერთმანეთს ჰგავს. პირველი ქადაგებს ყველა სარწმუნოების შერწყმას. ხოლო მეორე არაფერს არ ქადაგებს, მაგრამ ყველა სარწმუნოების კეთილდღეობა მასზე არის დაფუძნებული.

14824. რელიგია ეს ჩვეულებრივი ბიზნესია, რადგან მორწმუნე კლიენტს იმას მიაგებს, რაც მას სურს, ოღონდ საქმის გაჭიანურების და ძღვენის გადაცემის შემდეგ.

14825. ღმერთს იმდენი მომხიბვლელი რამ აქვს შექმნილი ამ ქვეყანაზე, რომ ადამიანს აღაფრთოვანებს და აიძულებს მის სამსახურში ჩადგეს.
14826. ღმერთსა და ხალხს შორის მოციქული ხელოვნება და მეცნიერებაა, რომელთა წარმატებები ადამიანს აოცებს და რწმენას უმკვიდრებს.
14827. ადამიანს ცის კანცელარიიდან (ამინდის ბიურო) მიღებული ცნობები უფრო აინტერესებს, ვიდრე მისი შედეგი. ეს ინტერესი ბუნების ძალებისადმი იმით არის გამოწვეული, თუ რამდენად შეძლებს ადამიანი მათ ამოცნობას. ხოლო ამ ცნობების რაციონალურ გამოყენებაზე ძალიან ცოტანი ფიქრობენ.
14828. ღმერთისათვის ცნობილია მოკვდავთა სისუსტე და ზევიდან გვიგზავნის შენდობას, მაგრამ ცოდვების განეიტრალება მათ სიდიდეზე და შესაწირის ოდენობაზეა დამოკიდებული.
14829. არის გამოთქმა: „ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს მღვდლის ცოლიო". რატომ-ღაც, უმეტესობას მღვდლის ცოლი მოსწონს.
14830. სარწმუნოების უკეთ გაგებისათვის საჭიროა ახლობელი ადამიანები ღმერთის საშუალებით ერთმანეთს გაესაუბრონ. ამას ხელი უნდა შეუწყოს ეკლესიამ და წესიერმა მოძღვარმა.
14831. ქება უნდა ვუძღვნათ შემოქმედს, რომელმაც ამქვეყნად ქურდის პროფესია შექმნა, რადგან ისინი გაქურდვით სჯიან ღორმუცელა მილიონერებს და მექრთამე სახელმწიფო მოხელეებს. მათი გაქურდვა ბრბოს გულს ფხანს, რადგან მათი სხვანაირად დასჯა ვერ მოუხერხებია, ვინაიდან კანონი და ძალაუფლება მათ ხელშია.
14832. ლავუაზიეს თქმით, ადამიანის სული დაწნეხილი გაზია, რომელიც ბიოლოგიური სიკვდილის შემდეგ ღმერთთან მიდის, ხოლო ზოგი კი ძალით მიჰყავთ.
14833. ერთს ჰგონია, რომ მთავარი რწმენაა, მეორეს – ჭკუა, მესამეს – სექსი და ა. შ., როგორც ბოლოს აინშტაინი მიხვდა, ყველაფერი შეფარდებითია.
14834. საწყალი ღმერთი – როგორ დაიფაროს სტუდენტი გამომცდელისგან, თუ ყველა ბილეთი მისთვის უცნობია?
14835. ძნელი წარმოსადგენია, ამდენი რასის და რწმენის ადამიანი ადამს და ევას გაეჩინოს ან ევა იყო რამდენიმე, ან ადამი.
14836. მარხვა – ეს ღმერთის მიერ დანიშნული დიეტაა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის სულიერ ზრდას და განწმენდას.
14837. ამქვეყნად ვერც კაცს გაუგებ რამეს და ვერც სარწმუნოებას. მუსულმანე-ბი ქალს ჩადრს ახურავენ, გახდილს კი აცეკვებენ, რადგან თვალის სიამოვნებას ამჯობინებენ სულისას.
14838. თუ ყველას ნათქვამს დავუჯერებთ, მაშინ რწმენის უნარს დავკარგავთ.
14839. ღმერთს საბედნიეროდ ყოველთვის არ სცალია ყურადღება მიაქციოს ჩვენს ცხოვრებას, რომ სიზარმაცისა და გულგრილობის ბაცილა არ შეგვეპაროს და ყოველივეს კეთება მას არ შევთხოვოთ.
14840. ვისაც ღმერთი სწამს, ის სამყაროს შეცნობით თავს არ იწუხებს, რადგან არც არაფერი გაეგება და არც ახლის შექმნის სურვილი უღიტინებს, მეექვსე

შეუცნობად გრძნობასთანაც მწყრალად არის. ამიტომ მისი რწმენა პარაზიტულია და სხვის ხარჯზე ცხოვრებას და აზროვნებას არის მიჩვეული.

14841. წესიერ ქვეყანაში ღმერთს არაფერს სთხოვენ, მას სანათლის ანთებით და საყდარში ლოცვით თავს ახსენებენ, რადგან თხოვნა – ეს მონის ფსიქოლოგიაა, ხოლო მათხოვრობა – ძალადობა.

14842. ის საოცრებანი, რაც მამაზეციერმა მოახდინა სამყაროსა და მისი შვილების შესაქმნელად, შეუძლებელი იქნებოდა, რომ მას კონსტრუქტორულ, მხატვრულ, ფანტასტიკურ ნიჭთან ერთად იუმორის უდიდესი გრძნობაც არ ჰქონოდა.

14843. ღმერთმა ნუ ქნას უჭკუო ხალხის უკმარისობა, მაშინ ვისღა დაბრალდება ჭკვიანების მიერ უნებლიედ ჩადენილი შეცდომები და ხელმოცარული საქმე?

14844. ბავშვების მიმართ თავისებური ათი მცნება არსებობს და ის დაახლოებით ასე გამოიყურება: არ წაართვა, არ მოიტყუო, არ იქმმაკო, არ იზარმაცო, ისწავლე, ნუ ერთობი, გაკვეთილს ნუ აცდენ, ნუ ლაპარაკობ, დროზე დაწექი - ადექი, სკოლაში წადი.

14845. გემოვნების საკითხია: ვის "კრიშნას" სარწმუნოება მოსწონს, თეთრ ზეწარში გახვეული წანწალით, ვის "კრიშას" სარწმუნოების სახელი და მერსედესით გრიალი.

14846. ბოლოს შენც შეგიძლია გაიცინო მოწინააღმდეგეზე, თუ მას ხელი მოეცარა და შენ ცოცხალი გადარჩი, თუმცა სარწმუნოება გვასწავლის – ღმერთმა დასაჯაო.

14847. სარწმუნოება მაშინ არის ძლიერი, თუ ის წინა თაობასაც აძლევს ხელს და ახალს მისი დოგმების დაცვის მოთხოვნით თავი არა აქვს მობეზრებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ სარწმუნოების რევიზია და რღვევა გარანტირებულია.

14848. ადამის პირველი ცოლი ღმერთმა თიხისგან გამოძერწა. ასე რომ ადამიც კი ვერ მოგვივლინა ღმერთმა წმინდანად, სანამდის ევას შეაცდენდა. ნაწყენი ევაც ამიტომ შეცდა სამოთხის ბაღში.

14849. თუ ჩვენი საქმიანობის გამო უფროსები ტაშს გვიკრავენ და თანამედროვენი კი შეძახილებით გვამხნევებენ, მადლობა უნდა ვუთხრათ უფალს და არა ჩვენს თავს, რომ ასეთ ღვთისნიერ ხალხში მოგვიხდა ცხოვრება.

14850. ბიბლიური მოძღვრების თანახმად ყველა ჩვენგანმა 120 წელს უნდა გადაიბიჯოს, მაგრამ ამის საშუალებას არ იძლევა სურვილი, რომ შენ გინდა იცხოვრო და არა იარსებო.

14851. ფლობდე საღ აზრებს, კარგია, მაგრამ მისი ყიდვა შეუძლებელია, ის ღმერთმა უნდა გაჩუქოს და მისგან გაჩენილმა კაცმა განახორციელოს.

14852. ბუნებას საოცარი თვისება აქვს, როდესაც ინვალიდს, ნაკლს და სიმახინჯესაც თავის წყვილს მოუნახავს, ეტყობა ღმერთი უნებლიედ დაშვებულ გადაცდენებს ამით ასწორებს.

14853. დროის გარკვეულ გაელვებაში, როდესაც ჩვენ სულთან მარტოდმარტო ვრჩებით და ანგელოზი გვეცხადება, წმინდანებს ვხვდებით, მაგრამ ბოლოს მაინც ჩვენებურად ვაკეთებთ ყველაფერს.

14854. რწმენის ყველაზე დიდი მტერი მეცნიერებაა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ორივესთან ჩახუტების მცდელობაშია.
14855. სარწმუნოება აღარ ეწინააღმდეგება მეცნიერებას, უბრალოდ ცდილობს გაუგოს და მოერგოს იმდაგვარად, რომ ხალხს რწმენა არ დაუკარგოს.
14856. სარწმუნოება, მორალი, იქმნება მცირე ჯგუფის ინტერესების აუცილებლობიდან გამომდინარე და აქ ბიბლია, თალმუდი, ტიპიტაკა, ვედები, ყურანი, სანთელი და ხატი არაფერშუაშია.
14857. თაღლითი კი არ ხვდება ჯოჯოხეთში, არამედ მისი მსხვერპლი, რომელიც მის ვირეშმაკობას ეწირება.
14858. პედაგოგობა ღმერთის ნაბოძები ნიჭია და საბოლოოდ ის შემორჩება ამ პროფესიას, ვინც მომავალი თაობისთვის სიკეთით ლოცულობს.
14859. კუბოს ქანქარა ყველა ჩვენგანისთვის ქანაობს, მაგრამ როდის გაგვიჩერდება, ეს მამაზეციერზე და ჩვენი ხელის შეწყობაზეა დამოკიდებული.
14860. საოცარია, მაგრამ რწმენა ზოგჯერ სიყვარულზე მეტად მაღლდება.
14861. ხალხის სულის დასამშვიდებლად საჭიროა სარწმუნოების აგიტაცია და ჩუმი ლოცვა.
14862. არის პროფესიები, რომელიც მამაზეციერის უფლებას ითვისებს და რამდენად სამართლიანია თუ უსამართლო, ამას სასჯელის მისჯის და დასჯის უსასრულობა გვიჩვენებს.
14863. რადგან ზევიდან ყოველივეს ხედავენ, სიკეთის კეთებას აფიშირება არ სჭირდება, მითუმეტეს, თუ ჩვენ ეს გვსიამოვნებს. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ მათხოვრისთვის მიცემულ ყოველ მანეთს ავტოგრაფს გავუკეთებდით.
14864. სიკვდილის სულელებს არ ეშინიათ, ავანტურისტები ამაზე არ ფიქრობენ, პოლიტიკოსებს თავისი ვირეშმაკობის იმედი აქვთ, მაგრამ ვის როდის მიადგება თავისი მიქელა არავინ იცის, რადგან მას ჩვენი ჩინი და ჩალიჩი ფეხებზე ჰკიდია.
14865. დღევანდელი რელიგიების საჭიროება მომავალში საეჭვოა, რადგან ვერ მიაღწიეს კომპრომისს.
14866. ნამდვილი სულიერი სამყარო უდიდესი სიმდიდრეა ერის ღვთისნიერი ნაწილისთვის.
14867. ცხოვრებაში დაცინვა ყველასგან ასატანია, ღმერთის გარდა.
14868. რადგან არ ვიცით სამოთხეში მოვხვდებით თუ ჯოჯოხეთში, ამიტომ სანთელი ორივე ფირმის წარმომადგენელს უნდა ავუნთოთ.
14869. ეტყობა, მთლად მოწესრიგებული არც მამაზეციერია, ამდენი ვიგინდარა არ უნდა გაეჩინა.
14870. უხეში მლიქვნელობაც არსებობს, როდესაც შენი მიწიერი მიღწევები უნდათ ღმერთებს გააცნონ და გაუტოლონ.
14871. თუ ღმერთი თქვენს მხარესაა, გარკვეულ დრომდე ვერც ეშმაკი გავნებთ და ვერც მედროვე ტაშის დამკვრელნი, თუ არ აჩქარდით.
14872. „საღვთო საქმე ხშირად სატანის ხელით კეთდება,” რადგან წმინდა სულს ეშმაკის ტანში გაუხვევლად არსებობა უჭირს.

14873. ანგელოზად ყოფნა არასრულყოფილებაა, რადგან ის თავის სიწმინდით, პატიოსნებით არ ცხოვრობს – არსებობს.

14874. ნუ დაუჯერებთ წინასწარმეტყველებს, რომლებიც წარღვნას ქადაგებენ, თუნდაც იმიტომ, რომ ღმერთს თვითონ აინტერესებს, როგორ დამთავრდება ქრისტეშობიდან კიდევ ერთი ათასწლეული და თვითონვე ადევნებს თვალყურს ამ მოვლენებს.

14875. პირველ რიგში ეკოლოგია ერთადერთი სარწმუნოებაა და სანამ ამ რწმენას სხვა სარწმუნოებებზე მაღლა არ დავაყენებთ და არ ვიწამებთ, მანამდე დედამიწა განსაცდელშია, რადგან ბუნებას, ამ კანონიერ მართლმსაჯულს, ყველაფერი ხელეწიფება.

14876. ღმერთი "ფრაერი" არ არის, როდესაც გვასწავლის, მკაცრად მოექეცით თქვენს ახლობელს, რომ ის სწორად აღიზარდოს და შენი მადლიერი დარჩესო.

14877. სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა და სულის ნაძალადევი დამშვიდება – სარწმუნოების სიყვარულში, თუ შენ ამის შინაგანი მოთხოვნა არა გაქვს, მკრეხელობაა, რადგან ყველა დრო თავის დინებით მიდის, მხოლოდ მის საწინააღმდეგოდ ცურვა იძლევა ადრენალინის გამოყოფის უფლებას, რომელიც ჩვენს ცხოვრებას ასე ალამაზებს და ჩვენს ამქვეყნად გაჩენას ამართლებს.

14878. ღმერთს ტყუილად ბრალდება წყვილების შეყრა და ეშმაკს მათი გაყრა, რადგან არცერთის ხელი აქ არ ურევია. წყვილების გადაწყვეტილება მათ აჩქარებაზე, მატერიალური შესაძლებლობების უგულებელყოფასა და მოჩვენებით სიყვარულზე მიუთითებს.

14879. უთანხმოება ცამდე არ უნდა ავამაღლოთ და ღმერთი არ უნდა შევაწუხოთ სამართლიანობის დასადგენად, თორემ ვინ იცის, იქნებ მოსარჩლეების დაბარება გახდეს საჭირო ჭეშმარიტების დასადგენად და იქ დასატოვებლად, რათა ბუნტის მარცვალი კვლავ არ ჩააგდონ და ზედმეტი საქმე არ გაუჩინონ მამაზეციერს.

14880. რაღაც მითიური გვინდა ვიწამოთ და ლოცვებით, მონანიებით, მარხვით, ვედრებით, საკუთარი ინტერესები დავიცვათ, ამასთან ვცდილობთ ცოდვებიც მოვინანიოთ და სულიც დავიმშვიდოთ. გადის დრო და ყველაფერი თავიდან იწყება. მერამდენედ ვაწუხებთ უნამუსოდ მამაზეციერს და ქვევით ჩვენს მიერ შერჩეულ მოძღვარს?

14881. სხვისი ძვლების ხარჯზე სამოთხეში ვერ მოხვდები, მაგრამ არც საკუთარ ძვლებს უნდა მიაყენო ისეთი ჯაფა, რომ ჯოჯოხეთში წასვლა ინატროს.

14882. ადამიანს ხელოსნობისათვის შრომისუნარიანობით, შემართებით, აღტყინებით შეუძლია მიღწევა, მაგრამ ხელოვნების მისაღწევად, რომელიც უკვდავების სინონიმია, ღმერთის ხელიც უნდა ერიოს.

14883. სარწმუნოების გაერთიანების და ერთი რწმენის მიღების საწინდარია: ცხოვრების კატაკლიზმები, ადამიანის ბუნების გადაგვარების დასაწყისი, ეკონომიკური სიძნელეები, რომელიც პლანეტის საერთო მმართველობამდე მიგვიყვანს და მისი ზემოქმედებით მოხდება არსებული სარწმუნოებების შერწყმა, რაც მორწმუნეთა შტატების შემცირებას გამოიწვევს მესამე ათასწლეულში.

14884. ღმერთის დანათება ნიჭია, ეშმაკის – ინსტინქტებით ცხოვრება, ასე რომ, სინამდვილეში ზევიდან ნაბოძები ფეტიშდება და არა პიროვნება, თავის ადამიანური სისუსტეებით, ნაკლოვანებებით და თანდაყოლილი ვირეშმაკობით, რომელსაც ნიჭთან არაფერი ესაქმება.

14885. ნათელ-მირონში მომავალი ცხოვრების რწმენა და იმედია ჩადებული ამბიციების დათრგუნვით, განცდების და სიყვარულის შეჯერებით.

14886. მოტყუების და გათამაშების გარეშე მოსწონდე სხვას, ზევიდან დამადლებული დიდი ხელოვნებაა და განგების წყალობაც.

14887. ნახო შენი სულის ადამი, ბედნიერებაა, მაგრამ უფრო დიდი ბედნიერება იმ მოძღვრის ნახვაა, რომელიც სარჩოს შოვნის სწავლაში დაგეხმარება, რადგან ამ გზით შეიძლება იმ სულის გათბობა, რომელიც უსაქმურობის გამო გაცივებული იყო.

14888. მთაში სილამაზემ იმდენად გატაცება იცის, რომ თავბრუს დაგახვევს, გაგაოგნებს, ღმერთს აღმოგაჩენინებს და თუ დროულად არ გამოერკვიე, ამ სილამაზის დახმარებით მასთან გაგგზავნის სათაყვანებლად.

14889. გარანტია იმისა, რომ აღსარებას მოძღვარს ეტყვი თუ ეშმაკს, ვერავინ გაიგებს, მცირეა, ამიტომ აღსარება ან შენ თავს გაანდე, ან მოძღვარს, რადგან სათქმელად ეშმაკთან ჯოჯოხეთში ჩასვლას ყველა არ იკადრებს.

14890. ტალანტი არც არავისზე გადადის და არც არავისზე ისვენებს, რადგან ის ერთადერთი და განუმეორებელი ფენომენია, ხოლო მასზე ვიღაცის და რაღაცის მიმსგავსება ფანტაზიის და სურვილის ნაყოფია. უბრალოდ, ხალასი ნიჭი დაიბადა მამაზეციერის კურთხევით.

14891. ლოცვა, ქველმოქმედება, მოძღვრის შენდობა, არ გიშველით, თუ ცოდვებისგან სულიერად არ განიწმინდეთ, მის ჩადენაზე ხელი არ აიღეთ და სიკეთისკენ არ შემოტრიალდით.

14892. თუ ბუნებით ურწმუნო ხართ და არც არავისი გჯერათ, მაშინ ზრდილობის გულისთვის არც რწმენაა საჭირო და არც სარწმუნოების არჩევა.

14893. წარმატება გამბედაობისთვის ის კომპასია, რომელიც ცხოვრებისკენ გასავლელ მიმართულებას გვიჩვენებს, მაგრამ ამ გზის გავლა მონდომებასთან, საქმის ერთგულებასთან, ერთად მამაზეციერის სურვილზეც არის დამოკიდებული.

14894. მოვალეობა – ვალდებულებაა, ყურადღება – ღირებულებაა, რწმენა – მომავალი თაობის საყრდენია. აი, ის ძირითადი პარამეტრები, რომლითაც შემოქმედი სიყვარულის უფლებას იძლევა.

14895. მაღაროში რომ ჩადიხარ, უსაფრთხოების ჩაფხუტი აუცილებლად უნდა დაიხურო, თორემ ვინ იცის, ღმერთის ნობათი საიდან მოდის.

14896. კაპიტალიზმი და რელიგია ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობენ და ერთმანეთისგან ბევრს სწავლობენ, სესხულობენ, რის შედეგადაც არც ერთი არ ცდილობს თავის პრინციპებზე მაღლა დადგეს.

14897. სიჭკვიანე, სიბრძნე, ჩვენი ამქვეყნად მომვლინებლის, ღმერთის, შეუმჩნეველ დაუფიქრებელ რწმენაშია.

14898. იუდას დანაშაული იმიტომ გახდა დასაგმობი, რომ მან ძალზე იაფად გაყიდა თავისი სულიერი ძმა და მასწავლებელი იესო. მას რომ ის სარფიანად გაეყიდა, შეიძლება ეს სისაძაგლე მორწმუნეთა შორის განსჯის საგანი არც გამხდარიყო და ბრბოს არ გაეკიცხა.

14899. იდეოლოგია, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობას ვნებს და ბიოლოგიურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და მის მორალურ აღზრდას ვერ უზრუნველყოფს, კაცობრიობის რელიგიად არ გამოდგება, რაც უნდა წინასწარ დასაბუთებულ გონიერებად გვეჩვენებოდეს.

14900. სინდისი ღვთის მადლია, მაგრამ ღმერთგამწყრალისთვის არაფერს ნიშნავს.

14901. არის საჭმელი, რომლის რაობის გაგება დანაყრების შემდეგ გულს ურევს გარკვეული რელიგიის და კულტურის წარმომადგენელს, მაგრამ არის სიტყვები, რომლებიც ყველაზე გულის ამრევად მოქმედებს, თუ მას სათანადო ინტონაციაც თან ახლავს. მაგ. „ეხლა ერთი მომცა, ცხელი ღომი და ცივი ჟღლინტი".

14902. ჰუმანიზმი, რომელიც თქვენს მიმართ გამორჩეულმა მოქალაქემ გამოიჩინა, სამოთხეში მოხვედრის ტოლფასია.

14903. ძალა რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება თავხედობს, ღმერთთან მიახლოვებას ცდილობს და ისე რწმუნდება თავის შესაძლებლობებში, ვერც კი გრძნობს, ვიგინდარა რომ გახდა.

14904. ცნობისმოყვარეობა საქმის კეთების მცდელობაა, მოძრაობაა, მაგრამ ისიც ღმერთმა უნდა მოგამადლოს, რაიმეს რომ ეწიო.

14905. ღმერთი შემოქმედ ხალხს იმიტომ აჩენს, რომ მათ შეუძლებელი შეძლონ და ცხოვრება გააუმჯობესონ.

14906. ამბობენ, ჯოჯოხეთს ცუდი სუნი ასდის, სამოთხეს კარგი, მაგრამ ვის რა სუნი მოსწონს და ვის სად ყოფნა, ადამიანად ყოფილს აღარავინ ეკითხება.

14907. ვალდებულების თავზე აღება და კაცად დარჩენა, როდესაც საქმე ცუდად მიდის, ვაჟკაცობაა, მაგრამ ამისთვის ირგვლივმყოფთა იმედს და მხარდაჭერას უნდა გრძნობდე, თუ ამასაც ვერ გრძნობ და მაინც იგივეს აკეთებ, მაშინ შენ მისნად ყოფილხარ მოვლენილი და ამის შესახებ არაფერი გცოდნია.

14908. სიჩლუნგეა, „ღვთის შვილთან" მოვალეობის გრძნობით ან ღვთის სამსახურისთვის დაწყვილება, რადგან ადამიანის დანიშნულებაა ჯანმრთელი მომდევნო თაობის კვლავწარმოება, ხოლო შეცოდება არც სიყვარულია და არც მადლიერების გარანტი.

14909. მორიგი ფრაზა „მშვიდობა და იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს" უნდა იყოს კაცობრიობის გადარჩენის და კვლავწარმოების ჰიმნის პირველი სტრიქონი.

14910. თუ გინდა მამაზეციერი გაამხიარულო, მას შენს მომავალ გეგმებზე უნდა ესაუბრო, ხოლო თუ გინდა დააღონო, შენს უსასრულო დასვენებაზე.

14911. მომავალში, ალბათ, ჰიგიენა გახდება ადამიანთა რელიგია და ის ყველა დღევანდელ კულტს და სარწმუნოებას უკან ჩამოიტოვებს.

14912. მთავარია ადამიანის რწმენა და არა რელიგიის ნაცოდვილარი კაცობრიობის წინაშე.

14913. ადრე თუ გვიან მამაზეციერი ყველას სწორდითო, გვეუბნება და იმ ქვეყანას მიგვაცუნცულებს მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ მის ბრძანებას წინასწარ შეურიგდეთ, მოურიგდეთ, დავნებდეთ ჩვენს გონებაში.

14914. სარწმუნოების ძალა საიდუმლოს შენახვასა და სულმოკლეობის დაძლევაშია, რომელთა საიდუმლოს შეცნობას არ უნდა ვეცადოთ და ბრმად ვიწამოთ ყოველივე ძველი, შეუმოწმებელი, მაგრამ რა ვუყოთ ზოგიერთ ჭკუანაღრძობს, რომელსაც საიდუმლოების გახსნის, შეცნობის, გარეშე ცხოვრება არ შეუძლიან.

14915. განგებამ შექმნა სამყარო და ადამიანი, ადამიანმა მოიგონა და იწამა ღმერთი, სარწმუნოება, რადგან სხვა რეალური საშუალება ხალხის დასამორჩილებლად და გასართობად იმ დროისათვის მას არ გააჩნდა.

14916. ყველანი ცოდვილები ვართ ამ ქვეყნად, მაგრამ ზღვარი მიზნის მიღწევასა და ბოროტებას შორის არ უნდა გადაილახოს.

14917. სული უნდა საზრდოობდეს, ბობოქრობდეს, წყენას არ უნდა გრძნობდეს, რადგან ამქვეყნად თუ ბევრი რამ გაუგებარია, იმქვეყნად ყველაფერი იმედიანად გამოიყურება და გასაგებია.

14918. ღმერთის წყალობა მაშინაა უსაზღვრო, როდესაც სიცოცხლეს მდედრში ჩასახავს, ამას ყველაზე უკეთ სიბერწისთვის განწირულნი იგებენ.

14919. ბევრი კარგი ტრადიცია მუცლის საკურთხეველს ეწირება და აქ ადამიანს ღმერთის რწმენა და მისდამი მოწიწებაც არ შველის.

14920. ღმერთი ერთია, მაგრამ მას ბევრი მიტმასნებული დესპანი და შემრცხვენი იდეოლოგიური მსახური ჰყავს, რომლებმაც თავიანთი გამორჩენის გულისთვის ღმერთის სწავლება სხვადასხვა სარწმუნოებად დაჰყვეს და მრევლი ერთმანეთს დაუპირისპირეს, ხოლო ამ ვიგინდარებს რატომ არ სჯის, ეს ალბათ მისთვისაც გაუგებარია.

14921. თორა, ბიბილია, ყურანი, ფილოსოფიაა, მაგრამ სარწმუნოებას ამოფარებული, ყადაღადადებული, დოგმებით.

14922. უმეტესობისთვის სარწმუნოება, თანამდებობა, ფსონის ქაღალდია და იმ ხატზე დადებს ფსონს და წაეპოტინება, რომელიც მისკენ გზას გაუკაფავს.

14923. ბუნების კანონებს და განგების განკარგულებებს მხოლოდ ღვთის შვილები არ ემორჩილებიან, რადგან თავისი თანდაყოლილი ნიჭით ასაკს წინ უსწრებენ, მათ თავიანთი სულის საბურთაო და ხუმტურები გააჩნიათ, რადგან სხვანაირად განგება შეუმჩნეველ თავის ნაშიერს მიწაზე არ გამოგზავნიდა.

14924. სექტანტობა სულის მოთხოვნის დამთხვევაა შემთხვევასთან. მას რწმენად ნათლავენ და ცდილობენ სხვაც დააჯერონ.

14925. ყველაზე ძნელია ედაო პურისტს, რომელიც თავს წმინდანობაზე დებს, რადგან ის კი არ ცხოვრობს, არამედ რწმენის ხარჯზე არსებობს და ვერავითარ მისაბაძს და რეალურს ვერ ქმნის.

14926. ამბობენ, რწმენა ადამიანის სისუსტეზე, შიშზე, სიფრთხილეზეა, შექმნილი, ხოლო სარწმუნოებიდან გამომდინარე სარგებელი – ძალაუფლება, კომერცია, ძლიერთა ამა ქვეყნისა მცდელობა. მიუხედავად იმისა რომ ადამიანთა ნაწილმა ეს

იცის, მათი რწმენისადმი მორჩილება ბუნებრივი მოთხოვნილებაა და მას სხვანაირად ცხოვრება არ ეხერხება.

14927. როდესაც ნიჭიერი ტალანტს ბახუსში ფლანგავს, ეს მთლად მისი ბრალიც არ არის, რადგან მამაზეციერმა მას სიყვარულის შეგრძნებას და გონიერება დააკლო.

14928. ამდენი საოცრების შემოქმედმა, მამაზეციერმა, იმიტომ შექმნა ადამიანი, რომ თავისი ამბიციები დაეკმაყოფილებინა და ტაშის დამკვრელი ჰყოლოდა.

14929. ცოდვის შენდობას რეციდივის და წახალისების სუნი უდის და ასე ჰარი-ჰარალოდ განგება ვერც ცოდვას შეგვინდობს და არც უნდა შეგვინდოს.

14930. საქმისადმი თავგადადებული დამოკიდებულება არც კარგია და არც ცუდია, ოპტიმალურია, თუ მას ოთხის მინუსით ვაკეთებთ, თუ გინდათ მამაზეციერის მიერ თქვენი ამქვეყნად გამოყოფილი დრო უინფარქტოდ და უშფოთველად გაატაროთ.

14931. რელიგია, რომელიმე პარტიის წევრობა, მაინც მშიშარა ბუნების, მკაცრი გამოხედვის, დაბნეული გონების, საეჭვო ორიენტაციისა და ამბიციების მქონე ხალხის საქმეა.

14932. ღმერთი მე შემოქმედი მომწონს გარემო კანონებიდან გამომდინარე სალოცავებით და არა ამბიციების მქონე ხელოსნების რწმენა, რომლებმაც გამორჩენა ღმერთთაყვანისმცემლობას მოარგეს.

14933. ღმერთმა მდედრს სიცოცხლის მოვლინების უნარი დააკისრა და ამ თვითმყოფად სასიამოვნო განცდას მამრის ვერავითარი სიამე და ვირეშმაკობა ვერ შეედრება.

14934. რასაც მამაზეციერი გვაძლევს, დიდხანს არაფერი შემოგვრჩება, გარდა სიცილისა და სიყვარულის უნარისა.

14935. მეცნიერებას, ფილოსოფიას, ღმერთი ყოველთვის სწამდა, მაგრამ კულტის მსახურიდან განსხვავებით საეკლესიო წეს-ჩვეულებებს არ აკვარახჭინებდა, რადგან მან იცოდა, რომ ღმერთის და სამყაროს საბოლოო შეცნობა ადამიანისთვის შეუძლებელია.

14936. ხშირად ცოდნის დემონსტრაცია საქმეს არ შველის და გასაკეთებელი თავად უნდა აკეთო, რადგან მამაზეციერი ერთდროულად ნიჭს და მოხერხებულობას ერთ ადამიანს ხშირად არ ჩუქნის.

14937. გენეტიკა მაინც ღმერთების მეცნიერებაა და კარგია, რომ საბოლოოდ მასში ჩაწვდომა არ შეგვიძლია, თორემ ადამიანი მამაზეციერს ჩაეჩხირებოდა სამყაროს განვითარების კანონების შექმნაში.

14938. „ფანები" ისინი არიან, რომლებსაც მამაზეციერი აღარ ახსოვთ და ქვევით ეძებენ კერპს და ეთაყვანებიან.

14939. მისი რჩეული ღმერთს უფრო ახსოვს, ვიდრე – პირიქით, რადგან ის თავისთვის სასიამოვნო აზრებით იტვირთება და მის აღზრდა-აღზევებას ცდილობს, მითუმეტეს, თუ მას ხელს არავინ უშლის.

14940. ცივილიზაციაც რელიგიურია და იმ სისტემის მხარეს დგება, რომელიც მეტ შესაწირს მიუგდებს.

14941. ჩვენი ასტრალური სხეული ყოველთვის არ უბრუნდება ფიზიკურს, რომ არაფერი ვთქვათ სულზე, რომელიც ყოველთვის ამაღლებულისკენ მიისწრაფის, მაგრამ სიბინძურეში კოტრიალს თავს ვერ ანებებს.

14942. სარწმუნოება იგივე იდეოლოგიაა და შეუძლებელია არ განვითარდეს, რადგან დოგმებით ცხოვრება, დამყაყებული იდეები, რწმენის დასასრულის ტოლფასია და ის ძველი სახით დიდხანს ვერ იარსებებს.

14943. რწმენა და ლოცვა მორწმუნეს აძლევს იმედს, რომ თავის ნატეხ ბედნიერებას ლატარიის ბილეთით მაინც მოიგებს.

14944. გამბედაობის და პატიოსნების გაგება აბსტრაქტულია, მთავარია, როდის და რა დროს გამოგადგება ეს ღმერთისგან ნაწყალობევი ნიჭი.

14945. წესიერ პასუხს ღმერთისგან თუ სიცოცხლეში რატომ ბედნიერად არ გვაცხოვრა, იმქვეყნადაც ვერ მიიღებ, რადგან მამაზეციერის მისაღები იქაც ბიუროკრატების ხელში იქნება.

14946. განგებას რა სასწაულის მოხდენაც შეეძლო ამ სამყაროში, უკვე მოახდინა, სხვა სასწაულის მომხდენი ის არ არის, თუ მას ადამიანის შეუცნობელი ბუნება არ დაეხმარა ამ პლანეტის აღგვაში.

14947. შემოქმედი არც ღმერთის და არც თავის წინაშე აგებს პასუხს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ნამოღვაწარი ვიღაცაზე და რაღაცაზე იქნება დამოკიდებული.

14948. სარწმუნოებისა და კანონიერების დოგმები ყველასათვის ერთი უნდა იყოს, თუ გვინდა კოლექტიური თავისუფლება მოვიპოვოთ ცივილიზაციის ღირებულებებზე დაყრდნობით.

14949. დღესაც ცხოველთა ყოფიდან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, თუ გვინდა განგებას მოთმინების ძარღვი არ გაუწყდეს და ჩვენს ბუნებაზე გათავხედებას და ამბიციებს თან არ გადაგვაყოლოს.

14950. ახალი რწმენის შესაქმნელად ნიადაგი თავად მზადდება, ქრისტიანობა, მუსლიმანობა იმიტომაც გავრცელდა, რომ ხალხს ძველი რწმენის რეალობაში ეჭვი ეპარებოდა და ახლის გამოჩენას ელოდებოდა.

14951. სარწმუნოების ძალა ტრადიციების და სიწმინდის დაცვაში, ჭეშმარიტების ძებნაშია და იმქვეყნად მარადიულად სულის ცხოვრების ინდულიგენციების ძალაშია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აზრის შეჯერება-განსჯის საგანი გახდებოდა, ოპონენტებს გაიმრავლებდა და ყოველივეს თავდაყირა დააყენებდა.

14952. შთაგონება აღმაფრენისთვის არც სიძნელეებს ეპუება და არც შინაგან მოუწყობლობას, მისთვის მთავარია იმასთან მიახლოვება რაც მამაზეციერმა ზევიდან მიანიშნა.

14953. ღმერთი და სარწმუნოება ცხოვრების წესის დასამკვიდრებლადაა მოგონილი, მათი ჯოკერი იმქვეყნად მარადიულად უდრტვინველი ცხოვრებაა, ამქვეყნად დამკვიდრებული კარგად მოქცევის წესის სანაცვლოდ. სხვა რა ჩარაა, ადამიანიც იძულებულია იწამოს ის რაც არ უნდა და რაზეც ეჭვი ეპარება, იმდენად დიდია იმედი უკვდავებისა და თავისადმი სიყვარულისა.

14954. ღმერთისადმი ფანატიკური რწმენის თამაში სამყაროს შეცნობის საქმეში ადამიანის უსუსურობის და მეცნიერების მონაკვეთის უძლურების შედეგია, რადგან მან ჭეშმარიტებისათვის იმდენი დაუდგენელი რამ აღმოაჩინა, რომ ზოგმა თავი მთლად უმეცრად იგრძნო, ბრძოლას შეეშვა, ხელები ასწია, მამაზეციერს ჩაბარდა და ამით ბრბოს საპატიო ტყვეობა და ტაში დაიმსახურა.

14955. სილამაზე დამოკიდებულია ღმერთის მომადლებაზე, მოდაზე და იმის რწმენაზე, რომ შენ ორიგინალური გარეგნობის პატრონი ხარ.

14956. რწმენა უარყოფს ცოდნას, რადგან რელიგიურ შეგნებაზე ხანდახან ცხვირში ამორტყმული ფაქტებიც არ მოქმედებს.

14957. ეტყობა ადამიანი იმიტომაც არის მორწმუნე, რომ მას შინაგანად სწამს,. რომ გარდაცვლილი მისი სული დედამიწას ირგვლივ ატმოსფეროსავით შემოეკვრება, რადგან ამ ცოდვილ პლანეტას მარტო სამყაროს მიზიდულობის კანონი თავის ორბიტაზე ვერ დაამაგრებს.

14958. რწმენა უდიდესი სასწაული, ბუნებრივი მოთხოვნილებაა, მაგრამ რადგანაც ადამიანი დაუჯერებელი არსებაცაა, სარწმუნოება იძულებულია, მრევლის მოსაზიდად ხანდახან სხვადასხვა სასწაულები მოიმოქმედოს და რეკლამაც გაიკეთოს.

14959. სხვადასხვა რწმენის წყვილთა დაქორწინება ღია ადგილზე უნდა მოხდეს, რათა მამაზეციერმა დაინახოს მათი ბედნიერება და თავად დამოძღვრის და არა საკულტო სახლის კომუტატორიდან მიღებული თხოვნის თანახმად.

14960. ცრუ ჩვევების გადამკიდე რამდენი გამოთაყვანებული ჰყავს სამყაროს, ან როგორ ახერხებენ ისინი რაიმე ღირსეულის შექმნას – საოცარია, ღმერთო.

14961. კერპები ძალად უნდა შევქმნათ, რადგან ისინი გვახსენებენ მოყვასს, გვაახლოებენ რწმენასთან და თავსაც და სამყაროსაც მეტად გვაყვარებენ.

14962. ხანდახან ყოველგვარი მიზეზის გარეშე ადამიანები ქმნიან ისეთ გარემოს, რომელშიც გარკვევა მამაზეციერსაც დააინტერესებდა.

14963. მეც ვეთანხმები იმ მოსაზრებას, სარწმუნოებას, რომ ღმერთის, ანგელოზების გამოსახვა და მათზე ლოცვა მორწმუნეთა საქმე არაა, მაგრამ რა ვუყოთ იმ შედეგრებს, კულტურას, რომელიც ამ სარწმუნოებამ სამყაროს დაუტოვა.

14964. მე თავის დროზე „ფიშტოიანი" ნაცნობი მოძღვარი მყავდა, რომელსაც ღმერთი სწამდა, მაგრამ ბოლომდე არ ენდობოდა, იმდენად რთული ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი და ამიტომაც იარაღს ანაფორის ქვეშ თან ატარებდა.

14965. რელიგიას არ უნდა გადაჰყვე, მაგრამ ღვთის სახლში მისვლით სულის დამშვიდება არ უნდა დავივიწყოთ, ოღონდ სააქაო არაფერი არ უნდა მოიკლოთ, თუ გსურთ თქვენი ამქვეყნად მოსვლით გაიხაროთ.

14966. ზოგიერთი ცოცხალი არსება კვლავწარმოების და სიცოცხლის გადასარჩენად ისე უცნაურად იქცევა, რომ აქ მარტო მამაზეციერის ფანტაზია არ ეყოფოდა გარემოსთან შესათვისებლად, ეტყობა, ღმერთმა ჯერ დააპროგრამა სიცოცხლე და მერე გააჩინა ის დედამიწაზე.

14967. ყველა უბედურების საწყისი გაუცნობიერებელი იდეალიზმია და არა რწმენა, რომელსაც ჩვენდა შეუცნობლად სატანური ძალა მართავს.

14968. სიწმინდე, სულის გარყვნის გარეშე, ფულზე არ იცვლება, ხოლო ეს ვინც მოახერხა, წმინდანია და მას აღსარება არ სჭირდება.
14969. სისულელის ჭია, განებივრებულ თაობას სულში უძვრება და ყოველივე ძველის რევიზიას ცდილობს, ეტყობა ამ ბაცილას მამაზეციერი იმ ქვეყნებს უგზავნის, რომელთა ჩამოქვეითების დრო, ოლიმპიდან მოვიდა.
14970. რელიგია ცხოვრების შებოჭვაა, მორიდებაა, ხოლო რწმენა იმ ყოფის გაფრთხილებაა, რომლის გარეშეც ცხოვრება გიჭირს.
14971. ის, რაც მარტივია, კარგია, მაგრამ საინტერესო არ არის, თუ მას გასართობი ელემენტები არ ახლავს, თუ რთულია, საინტერესოა, მაგრამ ყველასთვის გასაგები არ არის. ამიტომ ის ერთეულების პრეროგატივაა. ალბათ, ყველაფერს მასებისთვის გასაგების შემოთავაზება ჯობდა, მაგრამ ღმერთისთვის ასეთ ხალხთან ურთიერთობა ძალზე უინტერესო იქნებოდა.
14972. ყველა ადამიანი თავისებურად მშვენიერია, ინდივიდუალურია და მისი გარეგნობის პლასტიკური ოპერაციით შეცვლა, თუ აშკარა სიმახინჯესთან არ გვაქვს საქმე, განგების წინაშე დანაშაულია, რადგან მოდას აყოლილები ვეურჩებით შემოქმედს.
14973. სიამის ცოდვებს მაინც ღმერთის რჩეულნი სჩადიან.
14974. დღეს სიყვარულს ტელეფონით, კომპიუტერით უხსნიან ერთმანეთს და სექსუალურ ლტოლვასაც ამით იკმაყოფილებენ ასე რომ, რას შემოგვთავაზებს მომავალში ტექნიკური პროგრესი მამაზეციერისთვისაც უცნობია.
14975. საინტერესოა, ჯოჯოხეთში ნუთუ ისიც მოხვდა, ვინც კანიბალიზმის დროს იქნა შეხრამუნებული.
14976. რა ხდება ნანატრ სამოთხეში არავინ იცის, ხოლო ჯოჯოხეთზე ბუნდოვანი წარმოდგენა მაინც გვაქვს.
14977. ღვთის მორწმუნეს სხვისი იმედიც აქვს და თავისიც სჯერა, ათეისტს არც სხვისი იმედი აქვს და არც არავისი სჯერა.
14978. ყველა რომ ქრისტეს ათ მცნებას ერთდროულად იცავდეს, სამყაროს „უძღები შვილი", ადამიანი ვერ იარსებებდა, რადგან მივიღებდით გონიერ ცხოვრების დებილებს, სადაც შური და ჯინი არ იქნებოდა, ამასთან ბუნებასთან ჰარმონიული შერწყმის მომიზეზებით ქვეყნის აღმავლობისკენ მიმავალ ეკლიან ბილიკს არავინ შეუყვებოდა.
14979. გადამეტებული არც თავზე წარმოდგენა, არც სიყვარული და არც სხვისთვის თავის გადადება ვარგა, რადგან ამქვეყნად ღმერთმა ერთხელ მოგვიწვია საცხოვრებლად და აწი როდის მოგვიწვევს ვინ იცის, ამასთან, ჩვენ სხვის საქმეს ყოველთვის ვერ ვაკეთებთ და ვერც სხვა ვინმეს გადავაკეთებთ.
14980. ხელოვნების სამსახური და ახლის შექმნა თავის დროზე მამაზეციერის მიერ მომადლებული და დავიწყებული ნიჭია, რომლის წყალობითაც შენს გენიოსობას ხედავენ.
14981. რწმენა ძირითადად დამყოლი ხალხის პრეროგატივაა, რომლებიც პასიური ცხოვრების ხიბლს სარწმუნოების გაფეტიშებაში ხედავენ, მაგრამ საკმარისია ამ

კატეგორიის ხალხს კარიერის პირველ საფეხურზე პერსპექტივით ფეხი შეადგმევინო რათა ამოჩემებულმა რწმენამ ჭირი მოგვჭამოს.

14982. ხანდახან ღმერთი კი არ არის სამართლიანი, არამედ ქრთამი, რომელიც დადგმულ სამართლიანობას უმწიკვლოდ თამაშობს ქრთამის გამცემის წინაშე.

14983. ყველაზე დიდი სარწმუნოება ფული და კარიერაა, რაიმე რწმენას ამოფარებული. ამის შესანიშნავი მაგალითია რწმენათა შორის უმნიშვნელო, ძალად გაბერილი სხვაობა, სადაც ქრისტიანული სარწმუნოება მართლმადიდებლურ, კათოლიკურ, პროტესტანტულად დაიყო, მუსლიმანები შიიტებად და სუნიტებად, რომ არაფერი ვთქვათ ალტერნატიულ რელიგიებზე. რელიგიურ სწავლებაში შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში სამღვდელოების ბევრი შტატი საჭირო აღარ გახდებოდა, მოისპობოდა დაპირისპირება მორწმუნეთა შორის, ე.ი. დამაპირისპირებელი რეკლამა დაიკარგებოდა, მრევლიც შემცირდებოდა და აქედან გამომდინარე – სასუსნავიც.

14984. სარწმუნოების ხათრით მუსლიმანი მამაკაცების მიერ ტანის გვემა და ქალების მიერ თიხის ჯამებში ცრემლის შეგროვება იგივე თანამედროვეობის კარნავალია, რომელიც მოჭარბებული ენერგიის დაცლას, რწმენის ალიბით, თავის წარმოჩენას ემსახურება.

14985. სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანები ერთად იზრდებიან, ერთად ცხოვრობენ, ერთად მიცუნცულებენ იმქვეყნად, ოღონდ სხვადასხვა სასაფლაოზე, რათა ქვევით კვლავ ერთად შეიყარონ და ზევით მყოფთა სისულელეზე გულიანად გაიცინონ.

14986. თუ ყველა ერს, ადამიანს, თავისი ანგელოზი ჰყავს და თავის რწმენა აქვს, როგორ გინდა ის მიიყვანო ერთი ღმერთის თაყვანისცემამდე, რომელსაც სიკეთე, სიყვარული და ურთიერთმოთმენა ჰქვია. ეს დიქტატორმა ათეისტებმაც სცადეს ძალის გამოყენებით, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

14987. ღმერთს ჩვენი უვიცობისთვის, სიზარმაცისთვის, ვეთაყვანებით, სამყაროს – მისი გაუგებრობისთვის და დასჯის უნარისთვის.

14988. ყველაზე ავადსახსენებელი ადგილი წმინდა სალოცავებია, რომელიც ადამიანისთვის მისაღებ ფანტაზიაზე დაყრდნობით ღვთისმსახურებმა შექმნეს მორწმუნეთა უნამუსოდ დასაცინად, რათა მრევლი მიეზიდათ და ღმერთისადმი „რწმენა" განემტკიცებინათ.

14989. ბევრი ცდილობს სარწმუნოებას და ეკლესიის მსახურთ თავისი ნაკლოვანებები ამოაფაროს, რათა მათგან თანაგრძნობა, შენდობა, შეწყნარება მიიღოს.

14990. ღვთის მსახურს და პარლამენტის წევრს ცხოვრების წესი ერთი უნდა ჰქონდეს, რადგან პირველი სულის წესრიგში მოყვანას ემსახურება, მეორე კანონმდებლობისას, ამასთან მათ მიზანიც ერთი აქვთ: მრევლის მომრავლება და რწმენის და ქვეყნის სამსახურში ჩაყენება.

14991. დღეს ბუნების ძალებში და უცხოპლანეტელების არსებობაში ეჭვის შეტანა ძნელია, მაგრამ როდესაც სხვადასხვა სარწმუნოების საკულტო ცერემონიალს

უყურებ, გაოცებული რჩები, თუ რამდენი გამოშტერებული ცხოვრობს ამ ქვეყანაზე და რამდენ ადამიანს სჭირდება მოჩვენებითი შთაგონება და სულის სიმშვიდე, რომელსაც გამოძალვის მიზნით ხელს უწყობენ სულის მოძღვარი ექიმბაშები.

14992. ღმერთი თავისებურ გამოცდას უწყობს ხალხს და მათს ტრადიციებს: როდესაც ერთი ტრადიციების თანახმად დაბერებულ მშობლებს სიცოცხლეს ასალმებს (ფიჯის კუნძულები), მეორე – მიცვალებულს დაუმარხავად, ჩიტების საკორტნად ტოვებს (მონღოლები), მესამე – ჩონჩხად აქცევს (კათოლიკები), მეოთხე – სარკოფაგში ინახავს (ეგვიპტე), მეხუთე – როცა შვილი უკიდებს ცეცხლს მშობლების ცხედარს (ინდოეთი), მეექვსე – გაცივებას არ აცლის მკვდარს (მუსლიმანური სამყარო), ყველა თავის ტრადიციებს მიჰყვება და აქ სარწმუნოების დოგმების შიშით პროგრესულის არჩევას არავინ ცდილობს.

14993. კარიერისკენ სწრაფვას და მომხვეჭელობას ვერავითარი რელიგია, ათეიზმი და სექტა წინ ვერ აღუდგება, რადგან გონიერი ადამიანისთვის ყველაზე დიდი კერპი ცხოვრებაში წინ ფეხის წადგმაა.

14994. სარწმუნოება თავისებური მუხრუჭია კაცობრიობის თავისუფალი განვითარებისა, მაგრამ სულის და ნერვების დამაწყნარებელია, რაც ადამიანს ასე სჭირდება. ამიტომაცაა, რომ ადამიანი ვერც სარწმუნოებას ეშვება და ვერც მეცნიერებას.

14995. თუ გვინდა არ გადავგვარდეთ, ღმერთის მისია შენდობისა და მიტევებისა ადამიანმა არ უნდა მიითვისოს.

14996. გონიერი ადამიანისთვის ღმერთის რწმენა სამყაროს შეცნობის მცდელობის უშედეგობით არის გამოწვეული, უმეცართათვის თავის აზრის უქონლობით, ხოლო საშუალო გონიერებისთვის კი ყოველ შემთხვევისთვის და სამყაროს შეცნობის ღმერთისთვის გადაბრალების გამო.

14997. ადამიანს სარწმუნოება კი არ უქმნის პრობლემას, არამედ მის ზურგს ამოფარებული უნიათო და ეშმაკი მისი მსახურნი, რომლებსაც სულის მისაკუთრებაზე მეტად ხორცის მითვისება მოსწონთ.

14998. ურწმუნო კაცი სულს მარილის სვეტს უდგამს ძეგლად.

14999. გზა, საეჭვო უტოპიურ ბედნიერებისკენ, რომელსაც რელიგია ქადაგებს, არ იძლევა იმის უფლებას, ამქვეყნიური ცხოვრება შენს გემოზე არ განვლო.

15000. სახელმწიფოს მოთხოვნებთან შედარებით ეკლესიის მოთხოვნები ხალხის მიმართ, ყოველთვის თავხედურად და ფანატიკურად გამოიყურებოდა. პირველის მოთხოვნას მოქალაქეები პროტესტით ხვდებიან, ხოლო ეკლესიისას – შემწყნარებლურად, რადგან პირველის შესრულება აუცილებელია, ხოლო მეორის – პიროვნების სურვილზე, რწმენაზეა დამოკიდებული და შეუსრულებლობისთვის არავინ დასჯის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა 3
ადამიანი 5
აზრები 96
არჩევნები 110
ახალგაზრდობა – ჯველობა 118
ბედი – შემთხვევა – ყისმათი 131
გენიოსი 141
გენი-გენია 151
გონიერებასთან ახლოს 162
დემოკრატია 182
ებრაელები 191
ეკონომიკა, ბიზნესი 195
ეჭვი 210
ვექილომანია 248
ზრდილობიანი სალამ-ქალამი 252
თავისუფლება 260
იმედი 266
კანონი კანონია 273
კულტურა, ხელოვნება 296
ლიტერატურა, მწერლობა 317
მამაკაცი 334
„მასმედია" 367
მეობა 380
მეცნიერება 396
ნალოლიავები აზრები 411
ოჯახი 433
პოლიტიკა 467
ჟიურის აზრები 489
რედაქტორის დაწუნებული აზრები 506
საზოგადოებათმცოდნეობა 521
სუფრის ფილოსოფია 547

სამშობლო – ერი 557
საქართველო – ქართველები 580
სახელმწიფო – ძალაუფლება 609
სექსი და ლამაზმანი 640
სიდედრო–დედამთილობანია 669
ტრფობა – სიყვარული 674
უიმედობა 719
ფულის შოვნის კულტურა 723
ფიქრები 744
ქალი 756
ქიციც და ქიცმაცურიც 823
ღიღინ-ღიღინით 835
ყოფნა-არყოფნა 846
შეგონებანი 859
შური – შიშია?! 870
ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს 881
ცხოვრების ფილოსოფია 891
ძრომიალა აზრები 918
წალმა-უკულმა 932
წუთისოფელი 961
ჭუკ-ჭუკი 975
ხალხი 990
ჯანმრთელობა 1021
„ჰე ღმერთო ერთო!. 1030

მხატვრული რედაქტორი: ლერი ჩანტლაძე
ტექნიკური რედაქტორი: დალი სულაძე
მხატვარი: პაატა ყუფარაძე
კორექტორი: მედიკო შოთაძე, ციალა იოსელიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: პაატა ქორქია

ლიტერატურული–მხატვრული გამოცემა

გიორგი (გოგი) ყუფარაძე

„მზესიტყვაობა“

დროის შესატყვისი თანამედროვე სიბრძნე და მახვილგონიერება
Contemporary Wisdom and Thinking Corresponding to Time
Ñîâðåìåííûå ìóäðîñòü è îñòðîóìèå ñîîòâåòñòâóþùûå ýïîõè
მესამე გამოცემა დამატებებით, შესწორებებით

ხელმოწერილია დასაბეჭდად 01.07.2005;
ფორმატი - საბეჭდი ქაღალდი 60ხ90 1/16;
ბეჭდვა ოფსეტური; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 55,75;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 46,11

შეკვეთა 120 ტირაჟი 2500

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „სამთავისი“, თბილისი, ქავთარაძის 23
დაიბეჭდა სტამბაში „მეცნიერება“, გამრეკელის 19